ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

როსტომ ჩხეიძე

რა ვისოდი, რა ვისოდი მაშინ



რეზო ჭეიშვილის
ცხოვრების ქრონიკა

„ჩვენი მწერლობა“
თბილისი
2019

რედაქტორი
ელგუჯა თავბერიძე

ოპერატორი
თამარ ჩიხლაძე

გარეკანზე გამოყენებული
ფოტოეტიუდის ავტორი
მარინა ვერულაშვილი-ჭეიშვილისა

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თენგიზ როგიტაშვილი

ISBN 978-9941-8-1380-1
© როსტომ ჩხეიძე, 2019

პროზა – თვით ერია, ერი სავსებით
იმსახურებს იმ მწერლობას, რომელიც
მას აქვს, ჰქონდა თუ ექნება.
რეზო ჭეიშვილი

ძალიან გვიან, თანაც უხალისოდ და უგულოდ
დავიწყე დღიურების შევსება და შევცდი.
არ ყოფილა ურიგო განვლილი გზის
თვალის გადავლება,
წასული დღეების გადაფურცვლა.
რეზო ჭეიშვილი

გადავარსკვლავებულ დღის ცას იხსენებდა
სიკვდილამდე და არ ამხელდა.
რეზო ჭეიშვილი

მიმართვა მკითხველსაც და არამკითხველსაც

მარჯვნივ სექვოია დაბინადრებულიყო.

მარცხნივ – მწვანეყვავილა.

შუაში რიონი ჩამოედინებოდა.

ალაგ მწვანე, ალაგ აყვავებულ ადგილს რომ დაერქმეოდა მწვანეყვავილა, ეს ახსნა ძველიდან მომდინარეობდა და უცვლელიც რჩებოდა კვლავინდებურად:

მწვანეყვავილა ქალაქის ყველაზე აყვავებული და ამწვანებული რაიონია და სახელიც ამიტომ დაერქვაო.

დაეჭვებულიყო ამ განმარტებით რეზო ჭეიშვილი, რომ:

ეს უბანი ყოფილიყოს ყველაზე ამწვანებული და აყვავებული, თუნდ პირდაპირი მნიშვნელობით, რადგანაც უბაღობასა და უმწვანობას ძველი ქუთაისი არ უჩიოდა და სწორედ ამას მიანიშნებდა ტოპონიმთა მთელი წყება – ეს ბალახვანიო, ეს ფერმის ბაღიო, ეს სახაზინო ბაღიო, ეს გორჩაკოვის ბაღიო, ეს ვარდიგორაო, ეს ვარდისუბანიო, ეს წითელი კორდიო,ეს სამარწყვიაო....

რას წერდა გიორგი წერეთელი კარგა ხნისწინათ, 1868 წელს?

— მწვანეყვავილა მშვენიერი მთაგორიანი ადგილია ქუთაისისა, სადაც ჩინებული წყაროა და ბაღები. მწვანეყვავილას ამ ადგილს იმიტომ ეძახიან, რომ თებერვლიდან მოკიდებული ზამთრამდის აქ ყველაფერი ამწვანებულია და ყვავის...

იოლ, სრულიად მარტივ გადაწყვეტილებად ჩამოართმევდა რეზო ჭეიშვილი წინამორბედ მწერალს, ხალხურ ეტიმოლოგიას რომ უფრო უახლოვდებოდა ეს ახსნა, ვიდრე ჭეშმარიტებას.

ამწვანებული და აყვავილებული გაერთმთლიანებულიყო, თუმც ამდაგვარი ხასიათის კომპოზიტებს იმ ახლომახლო ვერსად შევხვდებოდით.

გაღმა, ბაგრატის ტაძრის იქით, არსებობდა ადგილი თეთრამიწა, რაც თეთრ მიწას ნიშნავდა და არა სითეთრესა და ნიადაგს ცალ-ცალკე.

ასევე გახლდათ: წყალწითელაც, ქვაშავაც, შავბალაც... ჩამოთვლას სადღა გაჰყოლოდა.

ზაფრანს ყვითელ ყვავილსაც ეძახდნენ. ზაფრანოვანს ყვითელყვავილა შეიძლება დარქმეოდა ან დაერქმეოდა ოდესმე. მწვანე კიდევ ყვავილის ფერს მიანიშნებდა და არა გამწვანებას, ისევე როგორც: ბაზარი ან თუნდ თეთრამიწა. ბოტანიკაში არსებობდა მაგნოლიის წითელი სახეობა, ქართულაც ასე გადმოტანილი: წითელყვავილა. ცხენის წაბლის ერთ სახეობასაც წითელყვავილად იხსენიებდნენ.

გაბეზრდებოდა ამ ჩაკირკიტებით, თავს შეუძახებდა: რაღას მიველ-მოველოო, – და გადაშლიდა ერთ-ერთ ბოტანიკურ ლექსიკონს და შეჩერდებოდა ერთ ბუჩქთან, ლათინურად პიტოსპორუმ ვირიდიტლორუმი რომ დარქმეოდა, ქართულად კი განიმარტებოდა: ხარისძირად, კრუხისბუდედ, ბატისკვერცხად – და არსად მწვანეყვავილად.

პაპუნა წერეთელი მოუძიებდა და მოაწოდებდა ბათუმიდან:

ფისნაყოფა მწვანეყვავილას (ხეს) და ევგენოლისებრ – მწვანეყვავილა ხეს და არა ყვავილს მწვანეს.

ბუჩქი მწვანეყვავილოვანი – ამ გამოთქმაზე უფრო სწორი და უმჯობესი ეჩვენებოდა რეზო ჭეიშვილს შესატყვისი მწვანეყვავილა (მცენარე).

არსებულიყო მწვანე ყვავილი ქუთაისის, რიონის მარცხენა ნაპირის ბორცვებზე.

იქაურობა ბევრ სიძველესა და არქეოლოგიურ საიდუმლოებას ინახავდა.

მწვანე ყვავილს კი რეზო ჭეიშვილი რომ დაეძებდა, ყოფილიყო მართლაც.

გააგრძელებდა მაინც და კვლავაც ძებნას მწვანე ყვავილისა – ჯადოსნურ მწვანე ჯოხივით.

დაეძებდა და დაეძებდა.

უახლოვდებოდა და... ის კი მიდიოდა, მიცურავდა თავისი გზით, ხელთაც უვარდებოდა და თვალსაწიერს მიღმაც იკარგებოდა სიცოცხლის, მარადისობის ყვავილი მწვანე...

* * *

ცისფერ ყვავილს დაეძებდა ნოვალისი. ის იქნებოდა მისი ოცნების ჯადოსნური ჯოხი.

უახლოვდებოდა და... ის კი მიდიოდა, მიცურავდა თავისი გზით, ხელთაც უვარდებოდა და თვალსანიერს მიღმაც იკარგებოდა სიცოცხლის, მარადისობის ყვავილი ცისფერი.

მიუგნებელი, მოუპოვებელი... და სულაც ქარისაგან მისილული...

თუმც... რა ბედენა უნდა ყოფილიყო მისი მიგნება თუ მოპოვება, როდესაც მთელი აზრი სიცოცხლისა მისი ძიება გახლდათ, დაუმცხრალი და დაუოკებელი, აუხდენელი ოცნების სიმბოლოც და გვირგვინიც.

უნდა მიწვდენოდი და ვერ მიწვდენოდი, შენად უნდა დაგეგულებინა და... ერთბაშად ჰორიზონტს მიღმაც მიმალულიყო.

* * *

ყველას, ყველა დროის შემოქმედს თავისი ყვავილი უკიაფებდა: ვის ცისფერი, ვის კიდევ მწვანე...

კარი პირველი

თავი პირველი

საფლავი, კვამლი, ზეცის თავანი

(რეზო ჭეიშვილის სატირულ-გროტესკული სამყაროს ანარეკლები)

ჩამავალი მზის სხივებსა და სილის უსასრულო ძაბრში მიტრიალებს დრო.

ეს რეზო ჭეიშვილის დროა.

ყველაფერი კვამლში გახვეულა და ჩაძირულა – გნებავს ჩაკეტილსა და გნებავს გაშლილ გარემოში.

ეს რეზო ჭეიშვილის სივრცეა.

ადამიანები სხვისი გვარითა და სახელით ინიღბებიან და სრული გაიდუმალებისა და შეფარვისათვის – სხვისი თავითა და ტანითაც.

ეს რეზო ჭეიშვილის პერსონაჟებია, ერთმანეთისა რომ სრულიად არაფერი გაეგებათ და მოსმენაც არ შეუძლიათ, ურთიერთთანაგრძნობას ვიღა ჩივის.

ფორმა ყველასა და ყველაფერს დაუკარგავს, დაკლაკნილა, გადაფერდებულა, ჩამოლვენთილა, გამოცარიელებულა, დაშლილა – მკილისაგან გამოხრულ ფიცარს დამსგავსებია; და კიდევ – ჩასორსლილა, ჩაგმანულა, ჩალუსკუმებულა.

ეს რეზო ჭეიშვილის მხატვრული სამყაროა, იმ უკიდურესობას მიღწეული, როდესაც სადღაც შორს დარჩენილა ლირიკული ინტონაციები, მსუბუქი ირონია, ლაღი იუმორი, ოდნავ სასაცილო, მეოცნებე პერსონაჟები – მისი პირველი ბელეტრისტული თხზულებების ნიშან-თვისებანი, და სულ უფრო მომძლავრებულ და მწვავე სატირას მორევივით შთაუნთქავს ამაღლებული მისწრაფებანი და ოცნებანი ისე დაუმიწებია და გაუპამპულებია, თითქოს ნასახიც აღარსად დაუტოვებია ზეციսაკენ ლტოლვისა.

მოახლოებულა ჟამი არა ძე ღვთის მოლოდინის, არამედ ანტიქრისტეს გამოცხადებისა, და ადამიანს სხვა აღარა დარჩენია რა, გარდა საკუთარი თავის მკილად შეგრძნებისა:

– მაქვს ცოდნა მკილისა, განათლება მკილისა, ხედვა მკილისა, შეცნობის უნარი მკილისა, პერსპექტივა მკილისა: მომეც ბარემ ძალი მკილისა, იმედი მკილისა და წაიღე ჭკუა ჩემი, დარდი ჩემი, სიკეთე ჩემი და სიყვარული ჩემი...

ესეც ამ თავზარდამცემი ჟამის შესაფერისი ლოცვაც და ნატვრაც.

მე მატლ ვარ და არა კაც, – დავით წინასწარმეტყველიც გალობდა თავის ფსალმუნებში, ოღონდ ეს „მატლ" ისეთი სიმაღლიდან ითქმოდა, დამცირებას კი არ შეგაგრძნობინებდა, არამედ თავმდაბლობას უფლისა და მის მიერ შექმნილი სამყაროს უსაზღვროების წინაშე, სულიერ გამძლეობას გინერგავდა, სასოს კი არ წარგიკვეთდა.

გამქრალა ის დრო-ჟამი.

ნაფხვენებადღა მიმობნეულა.

და ის პასაჟი, პერსონაჟი რომ დაიჟინებს, ამჟამად მეოცე კი არა, მეცხრამეტე საუკუნეაო („ათას ცხრაას მეოცეა?.. ათას ცხრაას ოთხმოცი... მეთვრამეტე გამოვიდა") იუმორად კი აღარ აღიქმება, არამედ ქრონოლოგიური დროის სრულ რღვევადაც და რეზო ჭეიშვილის მხატვრულ გარემოში დასახლებულ ადამიანთა გამოკიდებად უსივრცობასა და უჟამობაში.

მერე კი... მერე...

სადღაც შორს უნდა იელვოს ნუგეშის სიტყვამ.

თუმც ჯერ ანტიქრისტემ უნდა იმსხვერპლოს ენუქ და ილია და მრავალნი სხვანი, ამოჟლიტოს თუ აცთუნოს, და მხოლოდ შემდგომად ამისა გაისმას საყვირთა ცემა ანგელოსთა მიერ და მკვდარნი გაცოცხლდნენ და ცოცხალნი წამიერად აღესრულონ და იქვე აღდგნენ მკვდრეთით; ჯოჯოხეთის გადახსნილმა პირმა კი ამოუშვას ცეცხლი და დაბუგოს ყოველი მტერი ქვეყნისა, და მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისა, ჯვარი ცხოველმყოფელი, და დაიდგას საყდარი დიდისა მეუფისა.

სახარების ეს სტრიქონები მთელი სიცხადითა და მღელვარებით უნდა შემოიჭრას არა მხოლოდ ერთი მოთხრობის – „მეოთხე სიმფონია" – ფინალში, არამედ იდუმალად განმსჭვალოს რეზო ჭეიშვილის მხატვრული წარმოსახვანი.

ჯერჯერობით გაუჩინარებულა ღმერთი.

და მკილის დაუმცხრალ ჟინსა და მიწისა და ფიცრის ხვრას შეჭიდებია სიყვარული და მოთმინება, რწმენა და ხსოვნა, დარდი და იმედოვნება ადამიანისა.

მრუდესარკისებური სიზმრისეული სიმბოლიკაო, – ასე განსაზღვრავდა თომას მანი ფრანც კაფკას „ციხე-კოშკისა" და საერთოდ მთელი მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის მხატვრულ თავისებურებასა და ზოგად სტილისტიკას ბევრგვარი განსჯისა და ამა თუ იმ ტერმინის ამაოდ მისადაგების შემდგომ, და ეს ის განსაზღვრებაა, ძალდაუტანებლად რომ დაესესხები რეზო ჭეიშვილის სტილურ მანერასა და წარმოსახვებზე მსჯელობის დროსაც.

ღმერთმოკლებული სინამდვილე ამ მხატვრულ სამყაროში მთელი სისავსით გადმოსულა და ურთიერთმონაცვლე ნატურალიზმსა და სიმბოლიზმს განუსაზღვრავს თხრობის ის სტილური დინება, ყველაზე უკეთ რაც დაშვენდა ამ მწერლური სახელმწიფოს აშენებას, სახელმწიფოსი, სადაც არაფერია შეფერადებული და ხელოვნურად მანუგეშებელი, და თუ ვერსად გიპოვნია სულისმოსათქმელი უაღრესად დაძაბულ თხრობაში ჩათრეულს,

უნდა გახსოვდეს, რომ რეზო ჭეიშვილს დანდობა არა სჩვევია – დაე ილუზიებს ნუ გამოედევნება მისი მკითხველი და ყოფითი რეალობა აღიქვას ისეთი, როგორც სინამდვილეშია და... როგორც ამ მხატვრული სამყაროს ფურცლებზეა, რომლის ერთი მთავარი ნაკადიც ნოველებისა და მოთხრობების ის რკალია, ამ მხატვრული სისტემის მთავარ ძარღვს, მის ფსიქოლოგიურ თუ ფილოსოფიურ სარჩულს რომ ქმნის: „რესემონი“, „მიწების განაწილება“, „გია“, „ჭა“, „ვაიმე, ჩემო ვენახო“, „მეოთხე სიმფონია“ და „კვამლი“, – და ეს ნაკადია, რეზო ჭეიშვილის სხვა მოთხრობებსა და რომანებშიც რომ გაშლილა, განტოტვილა და ბევრგვარი ნიუანსითაც შეუვსია ის მხატვრული წარმოსახვანი, ყირაზე დამდგარი ქვეყნიერება ძირისძირობამდე რომ გამოუშიგნავს, გამოუწურავს და ისე გაუშიშვლებია და გადმოუფარჩავებია მისი არსი.

სურათები ერთიმეორეს კალეიდოსკოპური სისწრაფით მიჰყვება და რიტმის პულსაციაც აჩქარებულია, თითქოს სცენარს მოურგია მხატვრული საბურველიო. ბიოგრაფიულად მახლობელია მწერლისათვის სცენარისტობა, მაგრამ ხელოვნურად არაფერი გადმონაცვლებულა ერთი მხატვრული სფეროდან მეორეში, ეგაა, შესაძლოა კინოსამყაროსთან ზიარებამ გაუადვილა ამ რიტმის მონახვა, ამოსუნთქვის დროსაც რომ აღარ გიტოვებს.

მხოლოდ გაუადვილა, თორემ შინაგანად, ეტყობა, იმთავითვე აქეთ ისწრაფოდა.

და ეს რეზო ჭეიშვილის რიტმია.

სილის უსასრულო ძაბრში მობორიალე.

კვამლში გამოხვეული.

დაშლა-დაქუცმაცების მიმანიშნებელი.

და დამადასტურებელი იმ ტრაგიკული შეგრძნებისა, რომ ყოფითი სინამდვილეც, თვალ:ითხილული სურათებიც კი უცნაურად შეიძლება აიჭრას, აილუფხოს ადამიანთა ცნობიერებაში და, არამცთუ სხვადასხვაგვარად დაამახსოვრდეს თვითეულ პერსონაჟს, მათ მონათხრობთა მოსმენამ სრულიად დაგვიკარგოს სურვილი იმ ამბის მეტ-ნაკლები სიზუსტით აღდგენისა.

ასეთი ურთიერთდაცდენა ნაამბობებს შორის ნამეტანია? ნამეტანი თვით ყოფითი რეალობაა და მხატვრულ საბურველში გამოხვევისას თავის ამ ბუნებას ინარჩუნებს. და ამიტომაც შეზავებია ერთმანეთს ცხადი და ზმანება, და ველარ დაგიბეჯითებია, თუ სად მთავრდება ერთი და სად იწყება მეორე.

ეს რეზო ჭეიშვილის სიზმარ-ცხადის გასაყარია.

– დავწერ, არ დაიჯერებენ! – „ჭის“ პერსონაჟს მწერალი თავის ყველაზე მძაფრ განცდას გამოათქმევინებს.

ეს რეზო ჭეიშვილის სკეპსისია, სკეპსისიც და... მკითხველის შეგულიანებაც – გადაიხედოს ყოფითი, ბანალური სინამდვილის მიღმა და გულდასმით ჩაუკვირდეს იმ სიმბოლიკას, ამ მხატვრული სამყაროს ხვეულებში რომ განფენილა და, მიუხედავად შეფარვისა, მის არსს რომ განსაზღვრავს – კვამლში მობორიალე მზით დაფერილს.

ნატურალიზმისაკენ სწრაფვა კი დოკუმენტალიზმის აუცილებლობასაც აგრძნობინებდა და ეს ნაკადიც – დოკუმენტური ფონით წარმოჩენილი – ბუნებრივად გაღრმავდებოდა და გაიშლებოდა, როგორც მისი სტილისტიკის აუცილებელი ნიშანი. მარტოდენ ბიოგრაფიული რომანი კი არ იგულისხმება – „რკინის სახკომი“, არამედ მთელი სერია მემუარული ყაიდის თხზულებებისა, აი, იმგვარის, „დების სიმღერა“ რომაა, „სქოლიო“, „კონსტანტინე“, „პედაგოგი ჯურხაძე“... და ამ ნაკადს თეორიულ საყრდენსა თუ საფანელსაც მიაშველებდა: დოკუმენტური პროზა მომავლის პროზად მიმაჩნიაო.

როდესაც ერთი ადრეული თხზულების – „ნოველა სალუდეში“ – მთავარ გმირად შემოყვანილ მწერალს მიაწერდა განსაკუთრებულად დაკვირვებული მზერის უნარს: საგნებს, მოვლენებსა (თუნდაც უმნიშვნელოს) და ადამიანებს იოლად აკავშირებდა ერთმანეთთან. ეს თვისება კი, ისევე, როგორც სმენა, ხმა ან ყნოსვა, შეიძლება დაბადებითაც კი დაჰყვა და შემდეგ ჩვევაში გადაეზარდაო, – შეგნებულად თუ ქვეშეცნეულად საკუთარ თავს იგულისხმებდა და პერსონაჟის ზოგადი სტილისტიკის დახასიათებისას თავისი წერის მეთოდს გაამჟღავნებდა:

– თვალწინ გათამაშებულ ზოგიერთ სცენას, ეპიზოდს, ამბავსაც კი ზოგჯერ აღიქვამდა არა სინამდვილედ, არამედ ნოველად, მოთხრობად ან სცენარის ეპიზოდად.

და ამიტომაცაა, რომ თუნდ იმ ერთ ლიტერატურულ საღამოზე მშვიდად რომ ათვალიერებდა დამსწრე საზოგადოებას, მოკამათესაც და მსმენელსაც, ეჩვენებოდა, ეს ის ადამიანები არიან, მერე და მერე ჩემი თაბახის გვერდებში, პიესებში, მრავალკარიანი რომანის თავებში რომ მიიკარგ-მოიკარგებიანო.

ისიც სავსებით ბუნებრივია და ნიშანდობლივი, რომ სალუდეში შესული პერსონაჟი მწერალი მის თვალწინ გაქვავებულ სურათს ისე მისჩერებია, როგორც უკვე გამზადებულს, დაწერილსა და – ესეც კი უნდა მოეჩვენოს მოგვიანებით – დაბეჭდილ ნოველას.

ესეც რეზო ჭეიშვილის სტილური მანერის კიდევ ერთი ნიშანდობლივი შტრიხი: იმდენად მზამზარეულად აღიქვას რეალური სურათები, გამოქვეყნებული ტექსტისაგანაც კი აღარ განერჩეოდეს.

* * *

და კლასიკურ ლიტერატურასთან გადაძახილსაც ისე მოირგებდა, რომ დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირის“ მთელი სცენა გადმოვიდოდა მოთხრობაში „მეოთხე სიმფონია“ – პაროდიულად სახეცვლილი (შვილის გათხოვების ოცნებას ახალ დროში უმაღლეს სასწავლებელში მისი მოწყობა რომ შენაცვლებია) – და ეს მარტოდენ თანადროული საფიქრალ-სატკივარის წარმოსაჩენად კი არაა და თანაც ირონიული ეფექტის გასამკვეთრებლად, არამედ გამჭვირვალე მინიშნებისათვის – თუ სად უდგას რეზო ჭეიშვილის მხატვრულ სტილისტიკას ფესვი.

ეს ფესვი, ეს შორეული სათავე დავით კლდიაშვილის სტილური მანერაცაა, მხიარული კომიზმი და ლაღი იუმორი რეზო ჭეიშვილის ადრეულ ნოველებსა და „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალში“ კიდევ უფრო ხელშესახებად რომ ადასტურებდა ამ სულიერ ნათესაობას, ვიდრე მუქი ფერები სულ უფრო და უფრო გამკვეთრდებოდა, ჩაბინდდებოდა და ღვთის ხსოვნაც სადღაც გადაიკარგებოდა.

ღმერთსმოკლებული სინამდვილე კი ის აბსურდული დრო-სივრცეა, რომელიც დასავლურ მწერლობაში გროტესკით შეიმოსებოდა, თუმც ნატურალიზმისა და სიმბოლიზმის ის ნაჯვარიც მარჯვედ მოერგებოდა, რეზო ჭეიშვილის მხატვრული სამყაროს გულისგული რაც შექმნილა.

ამ ნაკადთან უშუალო შეხმიანებისას არა დასავლელ მწერლებს, არამედ რიუნოსკე აკუტაგავას გამოარჩევდა და ამ იაპონელ ბელეტრისტს დაესესხებოდა ერთი მოთხრობის სათაურსა – „რესემონი“ – და მეორე მოთხრობის – „უსიერ ტყეში“ – კომპოზიციურ აგებულებას, როდესაც პერსონაჟები სულ სხვადასხვაგვარად ჰყვებიან ერთსა და იმავე ამბავს და მკითხველს ხელიდან უსხლტება მთავარი ძაფი. მაინც რა მოხდა სინამდვილეში? მარტოდენ ინტუიციასა და ვარაუდებს თუ მიენდობი და მეტის იმედი არ უნდა გქონდეს.

და რეზო ჭეიშვილის „რასემონშიც“ წუთისოფლის გამოცანებში იხლართები და ვერა და ვერ დაგიდგენია, მაინც რას წარმოადგენდა რეალურად იმმანუილის ცხოვრების ის უმნიშვნელო ეპიზოდი. ემმანუილის ანუ: გალაკტიონ ტაბიძის, ვინც ჩათრეულია ამ აბსურდულ ნაკადში და თითქოსდა შეთვისებულიც, მაგრამ მოჩვენებითია ეს შეთვისებულობა და გალაკტიონმა თუ სიცოცხლით ვერა, სიკვდილით უნდა შეძლოს თავდაღწევა ამ მჭიდროდ შემოგარსული, სულისშემხუთველი სივრციდან.

და ხალხმაც უნდა იგრძნოს, რომ რაღაც უჩვეულო მოხდა დიდი პოეტის აღსასრულით და წამიერად გამოფხიზლდეს და თვითონაც მოინდომოს ზეცისაკენ ახედვა.

ფრანც კაფკას ჩაწკვარამებულ სამყაროში შესული მკითხველი მძაფრად რომ დაეძებს სინათლის სხივს, ამის ნიმუშად იმოწმებენ ანგელოსის მოლანდებას, ზემოდან გადმოწვდილ ხელს – ნიშნად ნუგეშისა თუ გამხნევების. და ამგვარი მოლანდება ქართველი მწერლის აბსურდულ გარემოში გალაკტიონს შემოაქვს, როგორც მკაფიო დასტური ლიტერატურის იდუმალი, თუმც შეუმჩნეველი, ზეგავლენისა საზოგადოებრივ ცნობიერებასა და მორალზე.

ტრაგიზმში რაღაც სანუგეშო იჭრება. და პარადოქსია, რომ, ნუგეშად, ფარულ სხივად ცხედარი და საფლავი მოჩანს.

სასაფლაოს მისადგომები უნდა გადაუკეტონ მოზღვავებულ ხალხს, და ერთმა ქალმა ბიჭუნა უნდა ასვას ღობეზე: ნუ გეშინია, არ გადმოვარდები, დახედე, ცოცხალი ვერ გაჩვენე და მკვდარი მაინც ნახე როგორიაო.

წყლის ნათლიამ კი ისრიმისფერი ფრთები შეარხიოს მშრალ სამარესთან.

– მსუბუქი, უხილავი კვამლი ასდიოდა საფლავის ფხვიერ, ნეტარებით გაჟღენთილ მიწას; ასდიოდა კვამლი ზევით, ბროლის სტალაგმიტების წკრიალი მიჰქონდა და ზეცის თავანს უერთდებოდა.

რეზო ჭეიშვილის ზოგადი სტილისტიკის ნიშანდობლივი და სახიერი გამჟღავნება.

მსუბუქი, უხილავი კვამლით შებურვილი ყოფითი სურათი და... სიმბოლური საზრისი.

დაბნეულობა და უმწეობა ერთგვარი პიროვნული ბუნებაცაა, მაგრამ უფრო კი ნიღაბია იმმანუილ-გალაკტიონისათვის, გუია ა.-დ ნაგულისხმევი ტერენტი გრანელი კი იმ სახითაა წარმოდგენილი, მისი ფსიქიკის რღვევის მოწმენი რომ ვხდებით, თანდათანობითა და ულმობელი მონასმებით, სრულიად უნიღბო და დაუცველი პოეტი რომ გვეცხადება, ვიდრე... ყვავად გადაიქცეოდეს.

სასტიკი სინამდვილე უკეთეს გამოსავალს აღარც გიტოვებს.

და შეუბრალებლობის ამ ატმოსფეროში მაინც უნდა გაიელვოს ნუგეშის სხივმა და ზედ იმ წუთას, როდესაც სასონარკვეთილება უკიდურესობას აღწევს და აღარც გგონია, ფინალური რამდენიმე სტრიქონი რაიმეს თუ შეცვლის და თანაც მკვეთრად.

მაგრამ „გუია ა."-ს ნოველურმა ფინალმა ძალდაუტანებლად უნდა გასდოს ხიდი „რესემონთან":

– ვხედავ სიცივეს, ნაცრისფერ ფიფქებს ვუყურებ, ვიგონებ გაუხარელი ქალწულის ალლიდი ოტტოს დაკარგულ საფლავს.

არამცთუ სამარე, დაკარგული საფლავიც კი შეიძლება თურმე ზეციურ ნიშნად აღიქვა იმ ალუზიებში გახვეულმა, ტერენტი გრანელის ბიოგრაფიისა და პოეზიის ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი ხატი რომ შეიქნებოდა ეს საფლავი და იქ თავშეფარების ჟინი, მისთვის უცნობი პიროვნების, გვარსახელის კეთილხმოვანება და კიდევ რაღაც იდუმალება რომ მიიზიდავდა და პოეტურ წარმოსახვას ისე აუფორიაქებდა, თითქოს უახლოესი ადამიანი დაეკრძალოს და იმას მისტიროდეს.

და სამარეც და მისი მოგონებაც მსუბუქ, უხილავ კვამლში გახვეულა, ზევით-ზევით ამაღლებულს ბროლის სტალაგმიტების წკრიალი რომ მიაქვს და ზეცის თავანს უერთდება.

და ამ ფონზე კიდევ უფრო მძაფრდება ისედაც გულისშემძვრელი სტრიქონები ტერენტი გრანელის მინიატურიდან და ხელშესახები ხდება მისი ოცნება, არა სიცოცხლეს, არა სიკვდილს, არამედ რაღაც მესამეს რომ მიელტვოდა.

– მე შემეშინდება მარტო სასაფლაოზე ღამით. დავტოვებ კუბოს და ტანშიშველი გამოვიქცევი სამარიდან...

დარღვეული საზოგადოებრივი ცნობიერების ფონზე კი ეს სტრიქონები აკი ასედაც შეიძლება გაღრმავდეს და გაგროტესკულდეს, რომ სამარიდან გამოქცეულ ტანშიშველა ლანდს აღარც საკუთარი გვარ-სახელი შერჩეს და აღარც საკუთარი სახე და სხეული.

რაღა ტერენტი გრანელი და რაღა ბეჟან შელიძე („გია"), ვისი მოთხრობების დასაბეჭდადაც აუცილებელი გამხდარა თავის მომკვდარუნება და სინამდვილეში კი დამალვა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

იქით – ყალბი საფლავი.

აქეთ – სრულიად გარდასახული პერსონაჟი, ვისი ეს ნიშნებიც – აღარც გვარ-სახელი და აღარც სახე-სხეული – რეზო ჭეიშვილის პერსონაჟთა საერთო იერად გამოკვეთილა, და რასაც ისედაც გრძნობს მკითხველი, მწერალი მხოლოდ უდასტურებს ერთ-ერთი გმირის, გია გომარელის, პირით, თითქოს- და ფსიქიკაშერყეული პერსონაჟის, ვისი ბედისწერაც მიგვანიშნებს, რომ მთელი ქვეყანა გადაქცეულა უზარმაზარ ფსიქიატრიულ საავადმყოფოდ და იქ თავდასაცავად ან ნილაბი უნდა მოირგო და ან ნებაყოფლობით შეერწყა ამ დაცემულ რეალობას ძილღვიძილში მყოფი, სრული უსასოობისა და პიროვნულობის დაკარგვისაგან ჯერჯერობით რომ მაინც გიფარავს ქარიშხლის შემობერვა და რკინებზე ჯაჯგურის ხმა და ძახილი, ვიღაცა ვიღაცას შველას რომ სთხოვს, ქარწვიმაში დარჩენილი მგზავრი გამკითხავს უხმობს, მწუხარე ქალი მოხეტიალე დენს ეძებს და... აჰა, გათენების ჟამიც დგება, ამოდის მზე, ხმაურით იღვიძებს ქალაქი და მისი ხმა ამოდის არსენალის მთაზე.

კიდევ ერთი დღე უნდა გათენდეს უზარმაზარ საავადმყოფოში.

კიდევ ერთხელ უნდა შემოტრიალდეს ცარგვალი.

კიდევ ერთხელ უნდა დაითრგუნოს პოეტური, რომანტიკული აღტკინება და ამაღლებული იდეალი შეიცვალოს... უნიტაზის ძებნით – მაინცდამაინც ყვითელი რომ უნდა იყოს და თანაც გერმანული, სათავშისაცემოც რომ გამხდარა მისი შეძენა და ლამის ცხოვრების მიზანიც.

ვაი რომ ეს არ არის მარტოდენ ყოფითი რეალობა, გაცილებით მეტს გულისხმობს და სწორედაც ადამიანისა და საზოგადოების სულიერ დაკნინებას უთანაბრდება, როდესაც მოთხრობას თავიდან ბოლომდე გასდევს წუხილი უნიტაზის გამოცვლაზე.

არაფრისდიდებით არ გინდა დაიჯერო, ამხელა განცდებსა და ვნებათაღელვას თუ შეიძლება იწვევდეს ეს სრულიად უმნიშვნელო დეტალი, მაგრამ ცნობილი პოეტის გულისჭიდილი ამ და მხოლოდ ამ სწრაფვაში ჩანთქმულა:

– ძნელი იყო თეთრის, თანაც უსახურავო უნიტაზის შეძენა ცოლის თანხმობის გარეშე და უარის თქმაც არ იყო იოლი. ის თეთრი და სახურავგატეხილი უნიტაზიც რომ დავკარგო, სად მივდივარ, უუნიტაზოდ როგორ გავიდე ბაზიდანო, იქნებ გავრისკო, რაც არი არი, იქნებ თეთრი უნიტაზი ვნავიღო, ბოლოსდაბოლოს უნიტაზი უნიტაზიაო, შეაგულიანა თავი და ისევ შეყოყმანდა, ვერც კი თქვა, ვერც არა...

თითქოს გრაალის თასამდე მიეღწიოს, ხელისგაწვდენაღა აკლდეს მის მოსაპოვებლად და... ამ გადამწყვეტი წუთის წინ აფორიაქებულიყოს ოცნების ახდენის მოლოდინში.

აი, „ვაიმე, ჩემო ვენახოს“ გმირისათვის კი – სიმართლის მაძიებელი, პატიოსანი მოქალაქისათვის – ნამდვილად ცხოვრების მიზნად გადაქცეულა... საერთო კიბის თავზე ფეხის საწმენდი ტილოს გაფენა და ფეხსადგილების ხელახალი გადანაწილება, და ვის აღარ ევედრება თანადგომასა და კანონიერების აღდგენას, საქვეყნოდ ცნობილ პოეტსაც კი შეანუხებს და სულიერ მოძღვარსაც და მისი წერილები ისეთი ვედრებითა და მღელვარებითაა გაჟ-

ღენთილი, თითქოს ამბროსი ხელაიას საპროტესტო წერილის სული აქ გადმოსახლებულაო, წერილისა, გენუის კონფერენციის მონაწილეებს საქართველოს ტრაგიკულ ბედს, მის ხელახალ სამხედრო ანექსიას რომ ამცნობდა და კანონიერების დაცვასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ივედრებოდა.

მისწრაფებათა დაკნინებას, ეტყობა, საზღვარი არ გააჩნია, და ეს უკიდურესი უმწეობა უნდა გამოეცადა საკუთარ თავზე პერსონაჟს, ვინც კიდეც უნდა შეწირვოდა ამ აუხდენელ ოცნებას.

საერთო კიბის თავზე კვლავაც ძველებურად უნდა დარჩეს ფეხის საწმენდი ტილო, როგორც საყრდენებმოშლილი ქვეყნის, უმიზნოდ მობორიალე საზოგადოების სულიერი სიმბოლო, ძრწოლისმომგვრელი თავისი ბანალურობითა და... გარდუვალობით.

და სიკვდილის წინ პერსონაჟს ნოსტალგია უნდა მოეძალოს იმ დაკარგული სამყაროსადმი, რომელსაც მეტაფორულად მისი ძველი, ხის სახლი განასახიერებს, სოფლის მყუდროებაში ჩარჩენილი და დავიწყებული.

შინ იმყოფება და... საკუთარი ოთახის სამ ფანჯარას შემოჰყურებს გარედან.

შინ წევს და... გარეთ დარჩენილ ოთახს ხედავს.

ვინ გაიტანა ოთახი გარეთ?

რატომ წევს ეზოსა და სიცარიელეში?

ამ მოსალოდნელ შეკითხვებს რომ გრძნობს მწერალი მკითხველის მხრიდან, პასუხსაც იქვე შეაგებებს, და ჭეშმარიტად ჭეიშვილისებურს:

– დანისლული გორები და ფესვებაფშეკილი, თავდაღმა დარგული ხეები ჩანდა დედის სამარიდან – რატომ რგავდნენ ხეებს უკუღმა – ტოტებით ძირს, ფესვებით მაღლა?

და აღტაცდებოდა ელგუჯა თავბერიძე ამ პასაჟის ჩაკითხვისას: ყველაფერი ნათქვამია, მოთხრობის დედააზრი სამ წინადადებაშია ჩატეულიო.

და კიდეც გადაედებოდა რეზო ჭეიშვილის სტილი და „ვაიმე, ჩემო ვენახოს" რეფრენული სტრიქონები მის ესეისტურ ჩანახატში გადმოინაცვლებდა:

– ბატონებო, პატარა კახის, დავით აღმაშენებლის, ბერი თევდორეს, ცხრა ძმა ხერხეულიძისა და სხვა დიდებული გმირების ქვეყანაში ასეთი თხზულებანი ძალიან იშვიათად იწერება.

...ისე მაინც რატომ რგავენ ხეებს უკუღმა, ტოტებით ძირს და ფესვებით მაღლა?!.

და მაინც რატომ მოჩანს ასეთნაირად ეს ხეები დედის სამარიდან?!.

გორები კი დანისლული რომ არ იყოს, რაღაც ფერი მოაკლდებოდა ჭეიშვილურ პეიზაჟს.

* * *

ამაღლებული იდეალი დამცრობილიყო დავით კლდიაშვილის მხატვრულ სამყაროში, შენაცვლებულიყო წვრილმანი ლტოლვით, უბადრუკი სწრაფვით, ფუჭი ოცნებით.

აგერ პლატონ სამანიშვილი – მისი თავგადაკლული სწრაფვა და ძიება, მისი მღელვარე მოგზაურობა... და არა სულიერი ფერისცვალებისათვის, არა საკუთარი თავის შეცნობისა, ბროლის კოშკში მყოფი მზეთუნახავისა თუ გრაალის თასის მოსაპოვებლად, არამედ... ორნაქმარევი, უშვილო დედინაცვლის მისაგნებად, რათა ერთიბეწო ადგილმამულში მოზიარე არ გაუჩნდეს უმცროსი ძმის სახით.

ტრაგიკომიკურია ეს მოგზაურობა და „სამანიშვილის დედინაცვლის“ ფინალიც შესაფერისი – მიგნებით კი მიაგნებს საოცნებო ქალს, მაგრამ ვერ გადაურჩება ბედისწერის მწარე განაჩენს და სულ ცოტა ხანში მის ისედაც ერთიბეწო სამკვიდროში მოზიარე უნდა მოევლინოს ქვეყანას. და ახლა სასამართლოში წოწიალმა უნდა შეიწიროს პერსონაჟის არსებაც და ადამიანურობის ყოველგვარი ნასახიც.

ასეთი შეუსაბამო აღმოჩნდებოდა ოცნება და რეალობა.

არადა, სწორედაც შესაფერისი იმ დაკნინებული, თავისუფლებაწართმეული სინამდვილისათვის, სადაც დავით კლდიაშვილის გმირები მოქმედებდნენ.

რეზო ჭეიშვილის ადრეულ ნოველებში ერთი უმთავრესთაგანი სწორედ ეს მოტივი იქნებოდა – აუხდენელი პატარა ოცნებანი. და ნიშანდობლივია, რომ აკაკი ბაქრაძე სწორედ ამ თვალთახედვით გაიაზრებდა ამ პერსონაჟთა ხასიათებსაც და ნოველათა მხატვრულ თავისებურებებსაც და კრიტიკულ-ესთეტიკურ ჩანახატს სათაურსაც შესაფერისს შეურჩევდა: „აუხდენელი ოცნების ადამიანები“, – რათა მკაფიოდ წარმოეჩინა, თუ როგორ გადიოდა რეზო ჭეიშვილიც დახლართულ ლაბირინთში მწერლისა და მწერლობის უპირველესი ამოცანის აღსასრულებლად: აჟიოტაჟის, ზეიმის დროს, როდესაც საერთო ხმაურით ყურადღება მოდუნებულია, შეგვახსენოს ადამიანები, ერთი შეხედვით შეუმჩნეველნი, მაგრამ ყველა უფლების მქონენი, რაც აქვთ ამა ქვეყნის რჩეულთ.

სანიმუშოდ კი გამოარჩევდა ოთხ ნოველას – „ოსტატები“, „სტუმარი“, „პრემიერა“ და „ძეგლი“ – თავისი მოსაზრების დასადასტურებლად და პერსონაჟთა გალერეის გადასაშლელად, გალერეისა, სადაც ერთი, ნარკვევის დასაწერად მომართული, საყოფაცხოვრებო მომსახურეობის კომბინატში ოსტატებისა და გლეხის უაზრო ვაჭრობის მოწმე უნდა გახდეს და წერის ხალისი დაეკარგოს; მეორე, მშობლიურ ქალაქში ჩასული ბავშვობაში განცდილი საუკეთესო წუთების გასახსენებლად, შემთხვევით ქუჩაში იმ კაცს უნდა წააწყდეს, ახალგაზრდობისას რომ გაულახავს, ამან გუნება უნდა წაუხდინოს, ბალღობის გახსენების რომანტიკა ჩაკვდეს და მშობლიურ ქალაქში მობრუნებამაც აზრი დაკარგოს; მესამე, 40 წელიწადი პიესებს რომ წერდა და განსაკუთრებული სიხარულით მოელოდა პრემიერის დღეს, თეატრისაკენ მიმავალი თხრილში უნდა ჩავარდეს და პრემიერას ვეღარ დაესწროს. და რადგანაც იმ ქალაქში სპექტაკლს ერთადერთხელ აჩვენებდნენ, ეს ნიშნავდა რომ წარმოდგენას ვეღარასოდეს ნახავდა. ასეთი ფათერაკი სადარდებელი უნდა გაუხდეს და კიდეც გადაჰყვეს; მეოთხემ, თავი საქვეყ-

ნოდ ცნობილი მუსიკოსი რომ ჰგონია, მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულმა უნდა აღმოაჩინოს, რომ თანამოქალაქეებსაც აღარ ახსოვთ, ის კი არა, სასაფლაოზე ძეგლსაც უნდა გადააწყდეს, მისი სახელის ინიციალები რომ აწერია, და ხელშესახებად გამოსცადოს გარდაცვალებაც და დავიწყების სიმწარეც.

რეზო ჭეიშვილის პერსონაჟები აუხდენელი ოცნების ადამიანები რომ არიან, კრიტიკოსი მკითხველს ყურადღებას მიაქცევინებდა იმ გარემოებასაც, რომ ამ ნოველებში ხშირად იხსენიება სიზმრები, საიდანაც პერსონაჟთა ცნობიერებაში შემოიჭრება თეთრი ხომალდი თუ გაჩახჩახებული თეატრი, ძველი დანჯღრეული მატარებელი თუ დათოვლილი, მზით აელვარებული დიდებული ალპები, ოქროსფერი, ლურჯწინწკლებიანი თევზები თუ აღორძინების ეპოქის უდიდესი მათემატიკოსი ლუკა პაჩოლი...

და ამ ყოველივეს ფონზე ათვალსაჩინოებს მწერლის დარდიან, სევდიან ღიმილს.

თუმც ამ ჩამონათვალში აუცილებლად უნდა ჩაემატოს „პრემიერის“ მთავარი გმირის ხილვაც, ვიწრო თხრილში ჩავარდნილი ვარსკვლავებს რომ დაინახავს. ბნელი თანდათან უნდა გაიფანტოს, ვარსკვლავებიც გაქრნენ და ჩაიბუტბუტონ და... უიღბლო დრამატურგს ქალაქის შემტვერილი, გამოხუნებული ცა დააჩერდეს. და მალე რომ აღესრულება გულმოკლული, გადავარსკვლავებულ დღის ცას უნდა იხსენებდეს სიკვდილამდე და... არ ამხელდეს.

გრძნობს, მაინც არ დაუჯერებენ და გამჟღავნებით კი ის ძვირფასი, სანუკვარი განცდა ერთბაშად გაუუფასურდება.

აუხდენელ ოცნებას გაუმხელელი ხილვა-ნატვრაც უნდა შეუზავდეს, გულში ჩაკირული და გამთანგველი, და პერსონაჟთა სულიერი ტრაგიზმი კიდევ უფრო გამრავალფეროვნდეს.

მწერლის დარდიან, სევდიან ღიმილსო...

ეს ღიმილი შემოგვანათებს „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავლიდანაც“, ბარონ მიუნჰაუზენის ქართულ სახესხვაობად რომ წარმოგვიდგება, ოღონდ აკაკი ბაქრაძე წარმოაჩენს იმ ნიუანსებს, რითაც განსხვავდებიან ქართველი პერსონაჟი და მისი დასავლელი წინაპარი, და მსჯელობაში ჩართავს აზნაურ ლახუნდარელსაც, სერგო კლდიაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის გმირს.

– შენც მიდიხარ ბიჭო? – უნდა იკითხოს შალიკო ხვინგიაძემ და კრიტიკოსმა უნდა დაგვიბეჯითოს, რომ ამ კითხვას, მარტოობით შეშინებულ კაცს რომ წამოცდება, არც მიუნჰაუზენი დასვამდა და არც ლახუნდარელი.

– რა გაუძლებს, ვარლამ, ამ ზამთარს? – შალიკოს ეს შეკითხვა კი ამ ფიქრს მოიყოლებს: ვინ წარმოიდგენს ასეთ გასაცოდავებულ ბარონ მიუნჰაუზენს ან აზნაურ ლახუნდარელსო?

– მალე გამოზაფხულდება, ბებერო, არ შედრკე... – ვარლამის ამ ღიმილიან გამომშვიდობებას მკითხველი თავაზიანობად და ჩვეულებრივ გამამხნევებელ სიტყვებად რომ აღიქვამს, კრიტიკოსი სულ სხვა სარჩულს

ამოაკერებს: ან ამას ვინ აკადრებდა მიუნჰაუზენსა და ლახუნდარელსო! – რათა დასაეჭვებელი აღარაფერი დარჩეს, რომ:

– აზნაური ლახუნდარელი და ბარონი მიუნჰაუზენი ლაღი ფანტაზიის ადამიანები არიან. ისინი თავადაც ტკბებიან და სხვასაც ატკბობენ უნაპირო ფანტაზიის მშვენიერებით. შალიკო ხვინგიაძე კი სევდიანი კაცია. მისი ტყუილი აუსრულებელ ოცნებაზე ფიქრია... თუ შალიკო ხვინგიაძე უძლურია თავისი ტყუილით, ბარონი მიუნჰაუზენი და აზნაური ლახუნდარელი ღონიერები არიან ფანტაზიის წყალობით.

ეს მართლაცაა ის არსებითი განსხვავება, რითაც ეს სამი გმირი დაშორებულა, მაგრამ... ბარონ მიუნჰაუზენისა და აზნაური ლახუნდარელის შეტოლება?!. მათ შორის ხომ ის სხვაობაა, რა სხვაობაც შეიმჩნევა მხატვრულ სრულყოფილებასა და მის წარუმატებელ გადმომღერებას შორის. სერგო კლდიაშვილმა ბარონ მიუნჰაუზენის გადმოტანა რომ მოინდომა ქართულ გარემოში, იმ პერსონაჟის ჩარჩოშიც მოემწყვდა და იუმორიც აღარ ეყო, რათა ნასესხობა მეტ-ნაკლებად ბუნებრივ საბურველში გაეხვია და, მისი სათავე თუ არ გეცოდინებოდა, ქართული ვერსია კიდეც მოგწონებოდა.

ერთი სიტყვით, ვერ განახორციელა ის, რაც უკეთ გამოუვიდა დემნა შენგელაიას „ბათა ქექიას" შექმნით რომენ როლანის „კოლა ბრუნიონის" თარგზე. ქართველი პერსონაჟი იმეორებდა თავის ფრანგ წინამორბედს, ქართული რომანი – ფრანგულ დედანს, მაგრამ დემნა შენგელაიას ეყო იუმორი საიმისოდ, რომ ფრანგული გარემო გაექართულებინა და თხრობა ლაღი და ძალდაუტანებელი გაეხადა, და ვისთვისაც უცნობია მისი დასავლური სათავე, მისი ეს ქართული ვერსია ძალიანაც მოსწონებოდა.

რეზო ჭეიშვილი გაითვალისწინებდა სერგო კლდიაშვილის მარცხს, მიაგნებდა მის გამომწვევ მიზეზსაც, და როდესაც გული გაუწევდა ბარონ მიუნჰაუზენის ქართული ორეულის შესაქმნელად, გაბედულად გაცდებოდა იმ პერსონაჟისა და თხრობის სტილისტიკის ჩარჩოს და გმირს შემატებდა იმ ნიშან-თვისებებს, რაც სწორედ მისეულია, ჭეიშვილისეული, და სევდითა და დარდით აღავსებს ხოლმე პერსონაჟებს.

და ელგუჯა თაბერიძის მოსაზრებაც სავსებით ბუნებრივი გვეჩვენება: უკვე არსებული მხატვრული სახის მოდელმა ახალი სიცოცხლე შეიძინა, შეივსო და გამრავალფეროვნდა „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალშიო" („უძლეველობის მითი და სევდა").

* * *

შალიკო ხვინგიაძე სიზმარში დათოვლილ, მზით აელვარებულ ალპებს რომ შეჰყურებს.

არაფერი მოგაგონათ ამ სურათმა ამ ხილვამ, ამ ფინალურმა აკორდმა?

როგორ არა, და თანაც მაშინვე და თავისთავად ამოგიჩნდათ მეხსიერებაში?

ელგუჯა თავბერიძეც ძალდაუტანებლად მიხვდებოდა ამ ფინალის პირველსათავეს და ეტყოდა კიდეც ავტორს:

– ასე ხომ „ბერიკაცი და ზღვა“ მთავრდება, სანტიაგო სიზმარში ლომებს რომ ხედავს.

ის თავს დაუქნევდა დასტურის ნიშნად.

და ელგუჯა, გაოცებული:

– ჰემინგუეი რომ არ გიყვართ?

– ძალიან გაბერეს, რეპორტიორი პრზაიკოსობის ეტალონად დაგვისახეს...

– და მაშ ეს მოთხრობა?.. ეს ფინალი?..

– ეს მოთხრობა მართლაც საუკეთესოა, ერთადერთი გამონაკლისი ჰემინგუეის შემოქმედებაში... ფინალური კი უბრალოდ ბრწყინვალეა!..

– და ამიტომაც გაიმეორეთ.

– გავიმეორე რა – შევეხმიანე.

– იქნებ მიგენიშნებინათ პირველწყარო, მკითხველმა სხვანაირად რომ არ ჩამოგართვათ.

– წინწკლებში ხომ არ ჩავსვამ?.. არა, კიდეც ჩავსვამდი, მიყრუებული მოთხრობა რომ იყოს და თითო-ოროლა კაცის გარდა ვერავინ გაიხსენოს ვერც მისი შინაარსი და ვერც მისი ფინალი, ასე გახმაურებული რომ არის... ყველა ადვილად მიხვდება, ყველა ადვილად ამოიცნობს რემინისცენციასა თუ ალუზიას, რა გნებავს, ის დავარქვათ... ადვილად ამოიცნობენ და ზედმეტია პირდაპირი მინიშნებისათვის რაიმე ხერხის გამოძებნა... მინიშნებულია და ეგ არის.

– გამოგადგათ კი...

– ძალიან... ეს რომ არა, ჰემინგუეის კარნახი, უეცრად რომ გამინათა გონება, ფინალს ვერ ავწევდი.

...და მისჩერებია სიზმარში თუ მისტიკურ ხილვაში ლომებს მოხუცი სანტიაგო.

და მისჩერებია სიზმარში თუ მისტიკურ ხილვაში დათოვლილ, მზით აელვარებულ ალპებს მოხუცი შალიკო ხვინგიაძე.

* * *

როდესაც ამ სამყაროს – აუხდენელ ოცნებათა სამყაროდ სახელდებულის – თვალთახედვით გახედავდა აკაკი ბაქრაძე რეზო ჭეიშვილის რომანებს, უკმარისობის გრძნობა გაუჩნდებოდა და განაცხადებდა: ყოველგვარ მასალას თავისი გამოვლენის ფორმა რომ აქვს, ეს ორიგინალური მხატვრული სამყარო და მასალა სრულად მოთხრობით უფრო ვლინდება, ვიდრე რომანითო.

და დავით კლდიაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძისა და ანტონ ჩეხოვის სახელებს მოიშველიებდა, რაკიღა შემთხვევითობად სულაც არ მიაჩნდა, რომ მათ რომანები არ დაუწერიათ, რადგანაც არამარტო თავიანთი მხატვრული სამყარო ჰქონდათ, არამედ ამ სამყაროს გამომხატველი აუცილებელი და სრულყოფილი ფორმაც – მოთხრობა.

თანადროულობაში კი ამის ნიმუშად ანუ იმ გზის გამგრძელებლად სწორედ რეზო ჭეიშვილს დაასახელებდა და გამოეკამათებოდა მისი რომანების დამცველებს, ტყუილუბრალოდ ნუ ამტკიცებთ საწინააღმდეგოსო:

– მწერლის მთელი შემოქმედება მაინც იმას მეტყველებს, რომ ყველაზე სრულად (ჯერჯერობით მაინც) მოთხრობა ავლენს მის მწერლურ ნიჭიერებას. ეს განპირობებულია მასალის არჩევით, ხედვის თავისებურებით, აზროვნების მანერით, მოვლენებისადმი ემოციური დამოკიდებულებით.

ეს დაბეჯითებული რწმენა არამარტო კრიტიკას უნდა გაეთვალისწინებინა მისი თვალსაზრისით, არამედ – თვითონ მწერალსაც.

თავს მაინც დაიზღვევდა: ჯერჯერობით მაინცო...

არ გამორიცხავდა, რომ მომავალში რეზო ჭეიშვილს შესაძლოა დაეწერა სრულფასოვანი რომანი – განსხვავებით თავის იმ წინამორბედთაგან – მაგრამ არც „ჩემ მეგობარ ნოდარს“ და არც „დალის“ ასეთად ვერ მიიჩნევდა, თითქოსდა მათი განსაზღვრა რომანებად ავტორის სურვილი უფრო გახლდათ, ვიდრე რეალობა, და მწერლისთვის კი სჯობდა დროულად გაესწორებინა თვალი სიმართლისათვის.

სხვათა შორის, „ჩემი მეგობარი ნოდარი“ გურამ ასათიანისთვისაც ნოველების ციკლი უფრო იყო, ვიდრე სრულყოფილი რომანი.

და თითქოს რეზო ჭეიშვილი თავის მხრივაც დაადასტურებდა ამგვარი შეხედულების სისწორეს, როდესაც „მუსიკა ქარში“ მართლაც ნოველებისა და მინიატურების ქარგაზე აიგებოდა და დარწმუნებით ვეღარც გაგერჩია, რომანი უფრო გახლდათ თუ ერთიანი ციკლი.

გამოხდებოდა ხანი და ასეთივე კომპოზიციური ქარგა გამოეძებნებოდა „ნიფობისთვესაც“ – და გულდასმით უნდა დაფიქრებულიყავი, ისიც რომანი იყო თუ... ნოველების, მინიატურების, ლიტერატურული პორტრეტების კრებული?

არადა, რომანი დაერქმეოდა, ნამდვილად ეს სახელწოდება შეეფერებოდა, ისევე, როგორც „მუსიკას ქარში“ – და ეს იმიტომაც, რომ აგერ ამერიკულ ლიტერატურაში ეს ჟანრობრივი განშტოება – რომანი მოთხრობებად – არაფერს აკლებს შერვუდ ანდერსონის, ჯეკ ლონდონის, უილიამ ფოლკნერის, ერნესტ ჰემინგუეისა თუ ჯონ სტაინბეკის ცალკეულ რომანთა სრულფასოვნებას და არავინ ამტკიცებს, თითქოს „გარდავედ, მოსე“ თუ „მხედრის გამბიტი“ ნაკლებად ამჟღავნებდეს რომანულ სულსა და შინაგან აღნაგობას, ვიდრე „ხმაური და მძვინვარება“ თუ „სარტორისი“.

ანდა ჩვენს მწერლობაში – ვითომდა მიხეილ ჯავახიშვილის დიდტანიან ქმნილებათაგან „გივი შადური“ სრულფასოვან რომანად ვერ ჩაითვლებოდეს და ჟანრობრივად განზე იდგეს „კვაჭი კვაჭანტირაძის“, „ჯაყოს ხიზნებისა“ თუ „თეთრი საყელოსაგან“.

და თუ გარეგნულადაც არაფერი აკლია, ვთქვათ, „დალის“, „კუდიანი ვარსკვლავისა“ თუ „ქარების დაბრუნების“ სრულფასოვნებას, „ჩემი მეგობარი ნოდარიც“ (სადაც ნოველური აგებულება ძალზე მკრთალია და თითქმის შეუმჩნეველი), „მუსიკა ქარშიც“ და „ნიფობისთვეც“ რომანების რიგში დგება, როგორც ჟანრობრივად მათგან განუყოფელი, ეგაა, თავისებური განშტოებისა უფრო.

ის კი არა, „მეოთხე სიმფონიაც“ გარეგნულადაა მოთხრობის ფორმისა, თორემ შინაგანი არქიტექტონიკითა და სივრცით რომანის ჟანრს უახლოვდება.

„ცისფერი მთებიც“ რომანია, თუმც საგულისხმო კი აღმოჩნდებოდა მისი თავგადასავალი ნოველიდან რომანამდე – „ცისფერი ხიდები“, რეზო ჭეიშვილის ადრეული სტილისტიკით დაწერილი, საფუძვლიანი გადამუშავებისას მკვეთრად შეიმატებდა სატირისა და აბსურდის ელემენტებს და გამოიკვეთებოდა „მეოთხე სიმფონიასავით“ მოთხრობად, შინაგანი სივრცით მიდრეკილებას რომ იჩენდა რომანისაკენ.

* * *

ეს თავგადასავალი ნოველიდან რომანამდე თვით თხზულებაშივე ასე უნდა არეკლილიყო, ოთარი სოსო კენჭაძეს მკლავში ხელს რომ გამოდებდა, კაბინეტში შეუძღვებოდა და გზადაგზა ეტყოდა, ვიდრე სათათბირო მაგიდასთან დასვამდა: ნავიკითხე შენი „ცისფერი ხიდებიო“.

პასუხად კი ავტორი, სამ წელიწადს რომ უწევდა სიცარიელეში ტრიალი ამ რედაქციის გადამკიდეს და ჯერაც სად იქნებოდა, კაცმა არ იცის, მიუგებდა: მთებია უკვე, ხიდები აღარ ჰქვია, მთებად გადავაკეთე და მოგიტანეთო.

– ცისფერი მთები, ტიან-შანი, – დამარცვლით უნდა წაიკითხოს ოთარმა და გაიოცოს, – აბა ის ხიდები სად წავიდა?

– ის პატარა იყო და გაადიდეო, მითხარით, მარტო თქვენ კი არა – ყველამ, საერთო დადგენილების საფუძველზე გავზარდე, მაგრამ შემდეგ მითხარით, დიალოგები დაგიტოვებია მარტოო, მენიშნა და გადავაკეთე. ეს მესამე ვარიანტია, ან უნდა მიიღოთ, ან უნდა გამიწყვიტოთ ყოველგვარი ურთიერთობა, ასე იქნება თუ ისე, ამ თემას მეტს აღარ მივუბრუნდები, მეყო ამდენი მუშაობა...

იმ აბსურდული, გროტესკული, თითქოსდა დაუჯერებელი, მაგრამ სავსებით დასაჯერებელი რეალობისათვის, მოთხრობასა თუ დაუმთავრებელ რომანში – ჟანრობრივად ასე უნდა განესაზღვრა რეზო ჭეიშვილს – ნიშანდობლივია თუნდ ის სცენა, როდესაც „ცისფერი მთების“ განხილვისას – ნაკითხული რომ არავის აქვს და ერთი ეგზემპლარიც ვეღარ მოუძევებიათ – შეკითხვაზე: მხარს უჭერთ თუ არა ამ ნაწარმოებსო, – იროდიონი, რომელიც აქ კი იმყოფება, მაგრამ არ უნდა იმყოფებოდეს, რადგანაც შვებულებაში, მაგრამ წასვლით კი ვერა და ვერ წასულა დასასვენებლად (რითი დაიღალა ნეტა?), ასე პასუხობს:

– მე მხარს ვუჭერ გამრეკლიძის დასკვნას.

გამრეკლიძის წერილობითი დასკვნა კი ეს გახლავთ, თხზულების სათაურიც რომ ვერ დაუწერია სწორად, „ცისფერის“ ნაცვლად მთებს „ლურჯად“ რომ იხსენიებს:

– უნდა მოგახსენოთ, რომ ძირითადად ვემხრობი და ვიზიარებ აქ გამოსული ამხანაგების შეხედულებებს, აზრებს, შენიშვნებს და ასე შემდეგ...

– პატივცემული გამრეკლიძე ჩვენ გვიჭერს მხარს, თქვენ გამრეკლიძეს – არა? – იქედნური შეკითხვა უნდა დასვას ვასო ჩორგოლაშვილმა, მაგრამ ეს კითხვა იოლად უნდა გადაატარონ:

– ასეა კი და ახლა ნება მიბოძეთ გამოგეთხოვოთ!

– ბატონო იროდიონ, – პირველად უნდა ამოიღოს ხმა სოსომ, – საკითხი ასე დგას, მისაღებად მიგაჩნიათ თუ არა ეს ნაწარმოები. კი თუ – არა, ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

და ცოტა არ იყოს უნდა განაწყენდეს ადრესატი:

– მე კიც ვთქვი და არაც, მაგრამ თქვენ არ მისმენდით, პატივცემულო სოსო.

და შესაფერისადაც გააგრძელოს და მოათავოს თავისი ორატორული გამოსვლა:

– კარგად იცით, შემეძლო საერთოდ არ მოვსულიყავი და დანარჩენებივით ამერიდებინა თავის საბჭოსათვის. სხვათა შორის იურიდიულად მქონდა ამის უფლება. ახლა აქ ხართ ყველა, თუ ყველანი არა, სუყველანი და გინდა არა თქვით და გინდა – ორა, ყველაფერზე ხელისაწევით მოგესალმებით!

და ხელაწეულიც გავიდეს.

ხოლო ტაქსში რომ უნდა აღმოაჩინოს სოსომ ნაცნობი საქაღალდე, მძღოლმა უნდა აუხსნას, რომ:

ვილაცას დარჩენოდა გასულ შემოდგომაზე, აღარავის მოეკითხა, ნაპოვნის ნივთების შემნახველ ბიუროშიც არ ჩაებარებინათ და იდო იმ დღის შემდეგ აქ, გახურებულიყო მზეში.

და თავის მხრივ რომ დაინტერესდება, ტიან-შანი რას ნიშნავსო, სოსომ თავისთვის უფრო უნდა ჩაილაპარაკოს:

– ცისფერი სილამაზის, სიშორის, მიუწვდომლობის, აუხდენელი ოცნების, დაკარგული წლების და დამსხვრეული იმედების სიმბოლოა და ამ ციცისფერეში იმალება სიცოცხლის მარადიულობის საფუძველთა-საფუძველი – იმედი.

– მართალი რომ გითხრათ, მე ამდენი კი არ ვიცი, – უნდა მიუგოს მძღოლმა, – მაგაზე, რაც თქვენ ბრძანეთ, არც მიფიქრია, მაგრამ წავიკითხე და ძალიან მომენონა, მხოლოდ რატომ მომენონა, ვერ გავიგე; თუმცა რად გინდა, აკლია ბოლოში რამდენიმე გვერდი, ბოლო არა აქვს...

– ბოლო არც ექნება, – უნდა განუმარტოს სოსომ და დაუბეჯითოს, – არ ექნება ბოლო.

საქაღალდის წამოღებაზე უარს ამბობს, თუმც მძღოლი სთავაზობს. და ერთსაც ამოთქვამს ნატვრით:

– იმ ბოლო გვერდებს თუ მიშოვნის ვინმე, ექვს ბოთლ ღვინოს ვიყიდი!

მაგრამ... „ცისფერ მთებს“ ბოლო ხომ აღარც უნდა ჰქონდეს.

და რომანსაც ამიტომ უნდა დაერქვას: დაუმთავრებელი.

ფინალურ სცენაში კი ვასო ჩორგოლაშვილის კაბინეტში მოწყენილი და დაღლილი ბელა უნდა შემოვიდეს და დამხვდურთ აუხსნას, რომ:

ბატონი ვასო, რომელსაც თავზე დაეცა „გრენლანდიის პეიზაჟი“, გადარჩა და არაფერიც არ მომხდარა.

– მაინც არაფერი მოხდა, – უკმაყოფილოდ უნდა წამოიძახოს ბორიამ და ყველას განწყობილება გამოხატოს: ოღონდაც რაიმე დაირღვეს გულისგა-

მაწვრილებელ, დამთრგუნველ ერთფეროვნებაში, რომ მზად არიან სასიკვდილოდ განირონ ერთ-ერთი თანამშრომელი, ამაზე ლაპარაკი და წუხილი სულს რომ მოათქმევინებთ ცოტა ხნით მაინც.

„გაიხედე, სოსო, გაზაფხული მოსულა!“ – ამ ფიქრსა და განცდას უნდა მოებღაუჭოს ოთახში მარტო დარჩენილი, ხელებში თავჩარგული, პირველი სითბოთი მოთენთილი ბელა, გადაშუადღებული მზით აელვარებულ ცისფერ მთებს რომ ხედავს თვალდახუჭული.

გაზაფხული კი მართლა მოდიოდა.

სადღაც მაინც ჰყვაოდა ხეები.

და ასკდებოდა კვირტები რტოებს.

ხომ ამხელა გზა უნდა გაევლო პირვადელ ჩანაფიქრს ნოველიდან რომანამდე, და იუმორით შეფერილი თხრობა მკაცრ სატირად გარდასახულიყო მწერლის სტილისტიკის გაღრმავება-გამრავალფეროვნების კვალობაზე, მაგრამ ფინალურ სურათსა და ფრაზას ვერ შეელეოდა რეზო ჭეიშვილი და პირდაპირ გადმოიტანდა ნოველიდან.

თუკი სიცისფერეში იმალებოდა სიცოცხლის მარადიულობის საფუძველთა-საფუძველი: იმედი – მაშ სადღაც მაინც ხომ უნდა დამდგარიყო გაზაფხული, სადღაც მაინც აყვავებულიყვნენ ხეები და შემოსკდომოდა კვირტები რტოებს.

* * *

შინაგანი სივრცით მიდრეკილებას რომ იჩენდა რომანისაკენო...

და ეს მიდრეკილება არ ჩარჩებოდა მის შინაგან ხვეულებში და საბოლოოდ კიდეც გარდაისახებოდა იმ ჟანრად, რომელსაც აგერ არც მიიჩნევდნენ რეზო ჭეიშვილის შესაფერისად და ურჩევდნენ, ტყუილუბრალოდ არ ჩაეხარჯა ნიჭი და უნარი იქ დასამკვიდრებლად, რაკიღა მისი მასალა, ხედვის თავისებურება, აზროვნების მანერა თუ მოვლენებისადმი ემოციური დამოკიდებულება ვერ ჰგუობდა ასეთ ჟანრულ მონაცვლეობას.

ამ რჩევას მწერალი ვერ გაითვალისწინებდა და ანკი რატომ გაეთვალისწინებინა იმ უბრალო მიზეზით, რომ მის მხატვრულ სამყაროში ძალდაუტანებლად თავსდებოდა მოთხრობაც და რომანიც, და ამ მხრივაც დააღწევდა თავს დავით კლდიაშვილის გავლენას, ცრემლისა და ღიმილის მონაცვლეობასაც რომ უკანა პლანზე გადაიტანდა და აბსურდის სტილისტიკას ისე ჩაუღრმავდებოდა, „ჭის“ ძაბრული დროის ტრიალსაც აღარ იმყოფინებდა და გარეგნულად გულისგამაწვრილებლადაც იბრუნებდა ერთსა და იმავე სურათში, ასოციაციების ნაკადსაც რომ მკაცრად შემოზღუდავდა, რათა ეს „გულისგამაწვრილებლობა“ ექცია სიუჟეტის მთავარ საყრდენად, ავტობიოგრაფიული იერით შეფერილ მოთხრობაში „ჭალია ბლოკი“.

ქვეტექსტები ამჟღავნებდა ნოსტალგიას იმ თვალსადახელშუა გაუჩინარებულ ძვირფას და სანუკვარ სინამდვილეზე, ჯერაც რომ ინარჩუნებდა საკუთარ მეობასა და თავისთავადობას და... თანდათან კი მისი არსებობა ფეთქვასღა დაემსგავსებოდა, და თუ თვალს არ მოარიდებდი ამ ფეთქვასა

და... სულაც მიდრეკილებას მთლად დაწრეტისაკენ, აიგებოდა ის მხატვრული სამყარო, დაურიდებელი სიმართლით გაჟღენთილი, რეზო ჭეიშვილის სატირულ ტალანტს რომ მოუტანია ჩვენამდე და უცნაურად უყრის თავს თითქოსდა საპირისპირო ნაკადებს.

ვითომ უცნაურად?

უფრო კანონზომიერად, რაკიღა ეს ნაკადები მართლაც მოჩვენებითად უპირისპირდებიან ერთიმეორეს, თორემ იდუმალ სივრცეში ჰარმონიულად ერწყმიან და სწორედ ამ გადაკვეთაზე ტრიალებდა და ტრიალებს ის მხატვრული ნარმოსახვანი, სულისშემძვრელი სინამდვილიდან საბოლოოდ გზას რომ გაგაგნებინებს გაუჩინარებული სამყაროსაკენ, რათა შენს თავში მოიძიო სიმხნევე და შემართება მის დასაბრუნებლად.

საფლავთა ხატებანიც როგორ გამოსდევს რეზო ჭეიშვილის წარმოსახვებს?!.

როდესაც თომას მანი არ გაიზიარებდა შეხედულებას ფრანც კაფკას მხატვრული ნააზრევის მისტიკურ ბუნებასა და შინაარსზე, სხვა ნიშნების ჩამოთვლასთან ერთად ამასაც განაცხადებდა: სამარის საქორწინო სარეცელი არ არის მისი საქმეო.

რაღაც უჩვეულო სიტყვათწყობა კი არ არის ეს „სამარის საქორწინო სარეცელი“, იდუმალი და აუხსნელი, მაგრამ მიხვედრით მიგვახვედრებს იმ გარემოებას, ბედის წყალობასავით რომ გვივარდება თომას მანის ეს გამოთქმა ხელში რეზო ჭეიშვილის მხატვრულ სამყაროს ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური აგებულების განსჯისას.

სწორედ აქ არის შესამჩნევი სამარის საქორწინო სარეცელი, ეს ნამდვილი და ჭეშმარიტი მისტიკის მსგავსი ატრიბუტი.

და მისტიციზმი ამიტომაც შემოჭრილა ასე კანთიელად რეზო ჭეიშვილის თხრობაში, ხან გროტესკნაფარებული, ხან ირონიით შენიღბული, ხან ლამის აბსურდს გადაჭდობილი, მაგრამ მაინც ხელშესახებია მისტიკური გაელვებანი, მერე სულაც მთელი სისავსით გადაშლილი და „კვამლი“ ამიტომაც ადგას თავისებურ შარავანდად ამ მხატვრულ რეალობას.

* * *

ლირიზმით შეფერილი ნოსტალგია რაღაც შიშისმომგვრელს გაგრძნობინებდა „ძეგლში“, პერსონაჟი გაოგნებული რომ დაჰყურებს თავისი მომავალი საფლავის ადგილს, ვიღაცის უშნო ხუმრობით თუ... ბედისწერის მკაცრი განაჩენით უკვე მონიშნულს, და მკითხველს ნოველის ფინალში ერთდროულად ეუფლებოდა გროტესკულთან და მისტიკურთან ერთდროულად შეხვედრის განცდა.

ეს ნამიერი გადაელვება მოგვიანებით „მიწების განაწილებაში“ სიუჟეტის ძარღვად გარდაიქმნებოდა და მასზე დაშენდებოდა ერთი ყველაზე სატირული თხზულება ჩვენს ლიტერატურაში, ნატურალიზმისა და სიმბოლიზმის ის კიდევ ერთი მარჯვე შენივთება, ამ მხატვრული სამყაროს ერთ-ერთ მთავარ ნიშნად და თავისებურებად რაც გამორჩეულა.ჩვენი სამწერლო

ცხოვრება, XX საუკუნის 20-იანი წლების გასაყარზე დასავლურ სალიტერატურო პროცესებთან უშუალო მიახლოებისა და იქ მონაწილეობის მოსურნე, ბედის სასტიკი განჩინებითა და პოლიტიკური რეჟიმის გამოისობით მავთულხლართებში რომ გამოიჭედებოდა და არარსებული სოციალისტური რეალიზმის კლანჭებში მოექცეოდა, პირწმინდად შეელეოდა ამაღლებულ მისწრაფებებს და, პარტიულ უჯრედად გარდაქმნილი, იმ უკიდურეს დაცემასაც გამოცდიდა, „მიწების განაწილებას“ რომ გამოჰქონდა სააშკარაოზე და დაბეჯითებით შეგაგონებდა, მწერლისა და მწერლობის მისიის დაკარგვას სადამდე შეიძლება მიეყვანა პიროვნებაც და ქვეყანაც.

– ვაი შური, საცოდავი, ნანა! ვაი შური, საცოდავი ჯიმა! – ეს დედის მოთქმაა, სადღაც შორეთიდან, მიღმა სამყაროდან, იდუმალებიდან მონაბერი, პერსონაჟის ამაოდ გავლილი ცხოვრების, ფუჭ, ლიტერატურული ბრძოლის სახელს ამოფარებული წვრილმანი ვნებების გარემოცვაში დაფშხვნილი იდეალის დატირება, პერსონაჟის, რომელმაც მანამდე მხოლოდ უნდა გაიელვოს თხრობაში, სიის ხელახალ წაკითხვას რომ ითხოვს საბრალო ხმით და ამ თხოვნას არაფრად ჩაუგდებენ, რაკიღა არც მიიჩნევენ რეალურად არსებულ ადამიანად, და აკი ვერცერთ სიაში ვერ მოხვდა, საძმო საფლავშიც არ ეღირსა ადგილი – ვერც მანამდე და ვერც კრების მსვლელობისას, მას კი პროტესტიც არ განუცხადებია; და უეცრად ფინალში მისი ეს უეცარი გამოსვლა წინა პლანზე, ოღონდ ჩვეული უმწეობით, ვერცერთ ჯგუფს რომ ვერ მოკედლებია, ძალდაუტანებლად განზოგადდება და დედის იმ შორეულ მოთქმასაც აღარ აღვიქვამთ მარტოდენ შვილის სულიერი დაკნინების, მისი ამაო ჭაპანწყვეტის გამოტირებად.

ვაი შური, საცოდავი ჯიმა!

ეს უკვე მთელი მწერლობის გამოტირებაა.

და მთელი ქვეყნის გამოტირებაც, უფსკრულისაკენ რომ მიექანება საშინელი სისწრაფით, და ასეთ მწვავე ჟამს მწერლობას დაუკარგავს ერის წინამძღოლის ის დანიშნულება, XIX საუკუნეს რომ ეანდერძა ჩვენთვის და, ყოფით რეალობაში თუ ვეღარ, ოცნებაში ხომ ინარჩუნებდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს იდეალს, ახლა კი... ახლა იმ ოცნებასაც რომ უნდა შევლეოდით.

შემთხვევითი არაა, რომ რეზო ჭეიშვილის პერსონაჟებს შორის ხშირად გამოერევიან ხოლმე მწერლები – უმთავრესად ხელმოცარულნი, კონფორმისტნი, ფარისეველნი, კალმით მოვაჭრენი, ანდა უმწეონი და გაუბედავნი – მკვეთრად დაუპირისპირდნენ გარემომცველ სინამდვილეს, და ბედს მინდობილნი გაჰყურებენ იმ შორეულ მომავალს, რომელმაც შესაძლოა აღარც იარსებოს, თუკი რაღაც არ შემოტრიალდება სასიკეთოდ და მჭიდროდ შემოგარსულ ხუფშიც სინათლის სხივები არ ჩამოაღწევს.

მანამდე კი გაწყვეტილა უხილავი კავშირი მწერალსა და მკითხველს შორის და „ჭის“ ის მოკლე დიალოგი ტრაგიზმად ამიტომაც განიცდება, სწორედაც ტრაგიზმად და არა უწყინარ გაქილიკებად:

– წერთ ხომ თქვენ?

– ვწერ კი.

– ტყუილებს?

ნიღაბი ჩამოხსნილია, სააშკარაოზეა გამოტანილი დაკნინებული სული, მაგრამ ეს ხელს არ უშლით – პირიქით, კიდევ უფრო მეტი და მძაფრი ჟინით აღავსებთ ფარისეველთა და კალმით მოვაჭრეებს – ხელოვნური უკვდავების მოსაპოვებლად, რისი დასტურიც პრესტიჟულ პანთეონში ადგილის დაბევებაა.

საქმეს არ შველის და ვერავის აშოშმინებს ის დაპირება: ადრე თუ გვიან უმიწოდ კავშირის არცერთი წევრი არ დარჩებაო. მთავარი ეს ხომ არ არის, არამედ – თუ ვინ სად, ვის გვერდით და ახლომახლო დაიდებს ბინას. ამიტომაც შექმნილა გაცხარებული მისვლა-მოსვლა გამწვანების ტრესტში (გამჭვირვალე ქვეტექსტით ცენტრალურ კომიტეტზე რომ მიანიშნებდა) ინდივიდუალურად, ოფიციალურად, არაოფიციალურად, დელეგაციურად და ჯგუფ-ჯგუფად კუთვნილი მინების გადიდებისა და დაპატარავების მოთხოვნით – თანამდებობისა და ნაცნობობის მიხედვით.

– ამ საქმიანი, შეწუხებული ხალხისათვის განკუთვნილი, გადატვირთული პანთეონები ჭეშმარიტად სივიწროვეს განიცდიდნენ, ყველას სამყოფი მიწა არ იყო და ამბოკარებს ახალ, პერსპექტიული პროექტით გათვალისწინებულ, ცხრა ნრედ დაყოფილ ტრიალ მინდორს სთავაზობდნენ – უნომროდ და უმისამართოდ.

არავის ხიბლავს მწერალთა „საძმო საფლავში“ ჩაწოლა, მითუფრო, რომ პანთეისტებს უკვე ასაწყობად გამზადებულ ენციკლოპედიაშიც განაღდებული ჰქონდათ სათანადო ადგილი დამსახურებისა და თანამდებობის მიხედვით.

ადრინდელი დადგენილების თუ ენციკლოპედიაში მხოლოდ მკვდარ წევრს უნდა დაეჭირა საპატიო ადგილი, შემდეგ გადაწყვეტდნენ, ამ უზარმაზარ ტომებში ბეეყვანათ... ცოცხალ-მკვდარი წევრებიც, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობდნენ, მაგრამ უკვდავება და მინა სიცოცხლეშივე ჰქონდათ განაღდებული.

ცოცხალ-მკვდარი მწერლის ტიპი შემაძრწუნებელი ნიშანთვისებებით იკვეთება სატირული მონასმებით, თავისებურ გროტესკულ ფერხულადაც რომ წარმოგვიდგება.

– დავწერ, არ დამიჯერებენ!

მსუბუქი, უხილავი კვამლი კი ზევით რომ მიისწრაფის, ბროლის სტალაგმიტების წკრიალიც მიაქვს და ზეცის თავანს უერთდება.

და ამ ფონზე სულ უფრო ხელშესახებად და კანთიელად რომ უნდა გამოიკვეთოს მისტიკური სული, „კვამლის“ სიუჟეტი ყველაზე მკვეთრად უნდა დატრიალდეს ზმანებისა და ცხადის საზღვარზე და, თუ რაიმე უნდა დადგეს ეჭვის ქვეშ, პირველ ყოვლისა ის ჭეშმარიტება, რომ: ყველაფერი მართლა არსებობს.

აკაკი მინდიაშვილი ლიტერატურულ-კრიტიკულ ნარკვევში „უხილავი კედელი“ ანალიტიკურად განსჯიდა კვამლის რაობას – მის ტევად შინაარსსა

და სიმბოლურ ხატს, კითხვის პროცესში ისეთი ყოვლისმომცველი რომ ხდება, თხზულების თითქმის მთელ მხატვრულ სივრცეს ავსებს და ყველაფერს შთანთქავს:

– ადამიანები, საგნები, მოვლენები, მთელი რეალური სამყარო კვამლში უჩინარდება და იკარგება...

ამ ფონზე გამოარჩევდა პერსონაჟთა მრწამსს – სკეპსისს, ურწმუნობას, დაეჭვებას, სულაც ტოტალურ უნდობლობას ყველასა და ყველაფრის მიმართ.

ამგვარ გარემოში ერთმანეთთან ურთიერთობას როგორღა ახერხებენ?

მათი საუბარიც კი მოჩვენებითია, უსულგულო, აზრგამოცლილი, და ეს განუწყვეტელი ლაქლაქი იმისათვის სჭირდებათ, რათა სიჩუმე არ ჩამოვარდეს, რადგანაც სიჩუმე:

– დაუნდობლად წარმოაჩენს, გამოამჟღავნებს მათ შორის არსებულ სიცარიელესა და სიშორეს.

სიზმარ-ცხადის მიჯნაზე ბორიალი, რეალობის ირეალობა აკაკი მინდიაშვილს აფიქრებინებდა, რომ „კვამლის" მხატვრული სინამდვილე მხოლოდ ასე თუ განისაზღვრებოდა:

ფანტასტიკურ რეალიზმად ან რეალისტურ ფანტასტიკად.

ეს რაღაც იმგვარია, ომარ ხაიამის რობაიდან რომ ჩაგვრჩენია მეხსიერებაში: არარსებული არსებულად ჩათვალე, ძმაო, არსებული კი მიიჩნიე არარსებულადო...

პარადოქსით ლამობდა სპარსელი მისტიკოსი პოეტი გამკლავებოდა წუთისოფლის ტრაგიზმსა და სისასტიკეს.

პარადოქსი მოუშველიებია ქართველ ბელეტრისტსაც, ფანტასმაგორიულობა და ალოგიკურობა ჩაუფენია თხრობის მდინარებაში, მრუდესარკისებური სიზმრისეული სიმბოლიკით განუმსჭვალავს და ბანალური ყოფითი სურათები დიდ განზოგადებამდე ამიტომაც აუზიდავს.

არსებობს კი ეს სინამდვილე თავის მოქმედ პირებიანად?

დაბეჯითებით შეიძლება განაცხადო, რომ... არ არსებობს.

და ასევე დაბეჯითებით შეიძლება ამტკიცო, რომ... არსებობს, რატომაც არა!..

მხატვრული ჩანაფიქრი, რაც რეზო ჭეიშვილს დაესახა, იშვიათი ხელოვნებით აღსრულებულა.

და მითუფრო შესაბრალისია „კვამლის" ყველაზე დაუცველი, ყველაზე მარტოსული გმირი.

თუმც... არის კი რეალურად არსებული პიროვნება ესმა ბესტაური, ვინც არარსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლში ცეკვავს და არარსებულ პანაშვიდს ესწრება?!. თუ მირაჟია, მოჩვენებაა, ლანდია, საიქიოდან მოვლენილი სულია?!.

თითქოს მარტოდენ იუმორისტული მოთხრობაა, ჭეიშვილისებური ირონიული პასაჟებით, და ეს მანამდე, ვიდრე წაუკითხავ თხზულებაზე ჟურნალის განყოფილების გამგე დამწყებ ავტორს რამდენიმე რჩევას გაუზიარებდეს,

უპირველესად კი დაარიგებდეს: ნაწარმოები ავტობიოგრაფიულს ჰგავს და სჯობს პირველი პირით მოგვითხრო რაც სათქმელი გაქვს, თუ დამიჯერებ უკეთესი გამოვა, ბევრად უკეთესიო. და ფრანსუაზა საგანის რომანებს მიუთითებდეს: როგორ უბრალოდ და გულწრფელადო...

ესმამ მალევე, საკვირველი სისწრაფით უნდა გადაეწეროს თავისი მოთხრობა, თხრობა პირველ პირში გადაეყვანოს და... გურამ ნკავაძე კმაყოფილი დარჩეს კითხვისას, კარგი ვქენი, ის რჩევა რომ გავუზიარეო.

დამწყები ავტორის თხრობა კი გრძელდება, თუ რა საშინელი სისწრაფით ეშვებოდა მანქანა თავდაღმართში, როგორ შეასკდებოდა ხეს და მთხრობელს მოეჩვენებოდა, თითქოს სამზარეულოს კარი მომხვდა, აი, ერთდროულად რომ გაიღება საპირისპირო მხარეს განლაგებული სარკმელი და ფანჯარა და კარი თითქოს გამკრავმა ქარმა მოაჯახუნაო. მერე მუხრუჭებისა და საბურავების საზარელი ხრჭიალიც უნდა მოესმინა, და არც შიში განეცადა და არც ტკივილი, ეგაა, ცეცხლი უნდა დაენახა და მოსჩვენებოდა, რომ ნაძვი იწვოდა.

დამტვრეულ-დაჩეხილებს წამლების სუნით გაჟღენთილ პალატაში რომ დააწვენდნენ, ავტორს ეს გარემო თეთრ სამარედ უნდა მოეხსენიებინა, თუმც გაზაფხულის სუნი ტრიალებდა მაინც, ყვავილების მტვრითა და სინათლით უნდა ავსებულიყო ოთახი და...

– მზის ამოსვლამდე გარდავიცვალე მე.

ეს „მე" რაღად უნდოდაო, – უნდა გაიფიქროს განყოფილების გამგემ, – „მოვკვდი" დაეწერა, ჯობდაო.

ოღონდ ცივმა ოფლმა უნდა დაუცვაროს შუბლი და თითქოს... თითქოს რაღაცას მიხვდეს. ეგაა, ძალიან უძნელდება თავს გამოუტყდეს იმ ცოდვადანაშაულში, რაც ჩაიდინა, და მოთხრობის კითხვა გააგრძელოს.

– ჩემი გარდაცვალების მესამე დღეს ჩამოვიდა მხოლოდ დედა სოფლიდან...

– დამმარხეს ხუთშაბათს...

– სველ მიწას რომ მაყრიდნენ, მზემ გამოიხედა და სამარის ნაპირებს მსუბუქი ორთქლი ააღინა...

– ჩემს სამარეზე ყვავილები მოიტანა ზაურიმ...

– ორმოცი რომ გადამიხადეს...

პერსონაჟისათვის ბუნდოვანი, დაფარული რჩება ის, რაც მკითხველისათვის საბოლოოდ გათვალსაჩინოებულა, თორემ „კვამლის" მისტიკურ პლანსა და ღრმა ტრაგიზმზე მინიშნებას უკვე იქ ჩაწვდებოდა, მანქანის შეხეთქება ხესთან ესმას სამზარეულოს კარის მოხვედრის განცდას რომ გაუჩენდა. მართალია განყოფილების გამგე ნათლად ვერ წარმოიდგენდა განლაგებას ოთახებისა, სადაც ამგვარი რამ შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ:

– დეტალი განცდილს გავდა და ამის მოგონება დიდ ფანტაზიორსაც გაუჭირდებოდა.

და თუ საავტომობილო კატასტროფის სცენა მართლაც განცდილია, რაკიღა მისი მოგონება დიდ ფანტაზიორსაც გაუძნელდება, მაშ... ესმა ბესტაური უკვე სულად მოვლენია ამ სამყაროს და კიდევ ერთხელ იმეორებს აქ

განვლილ გზას, სინამდვილეში საავტომობილო კატასტროფამ კი არა, ადამიანთა უსულგულობამ, სისასტიკემ, გულცივობამ რომ მოუღო ბოლო.

თითქოსდა ყოფითი იუმორისტული დეტალი – განყოფილების გამგეს მისი მოთხრობა რომ არ წაუკითხავს და უნებურად აამბობინებს ავტორს საკუთარი გარდაცვალებისა და დაკრძალვის ტრაგიკულ ეპიზოდს – ერთბაშად განზოგადდება და, ჭეიშვილისებური სტილისტიკით აღვსილი, უმძაფრეს შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველის ფსიქიკაზე მისტიციზმისა და გროტესკის იშვიათი თანაზომიერებით, დიდებული შერწყმითა და სიზმარცხადის ხელშესახები შეგრძნებით.

მზის ამოსვლამდე გარდავიცვალე მეო...

და გურამ ნკავაძის უპირველესი რეაქცია ამ სტრიქონის ჩაკითხვისას: ეს „მე“ რად უნდოდა, სჯობდა, „მოვკვდი“ დაეწერაო...

დიდება შენდა, ღმერთო!..

ასე შიშვლდება ამ პერსონაჟის – და არამარტო პერსონაჟის, მთელი საზოგადოების – სული, გულცივობას სულაც ცინიზმამდე რომ მიუყვანია. არა, კი არა ცინიკოსობს განყოფილების გამგე ახალგაზრდა ქალის ტრაგიკულ ბედისწერაზე, თვითონაც ველარ გრძნობს, ასე რომ გამოუდის. ეგაა, ცივი ოფლით დაცვარულმა შუბლმა უნდა მიახვედროს, რომ რაღაც უჩვეულო მოხდა მის ცხოვრებაშიც და გარემო სინამდვილეშიც და ასე გაგრძელება სიწრფელის, უმანკოების, ბუნებრიობის, მშვენიერების სრულ გამეტებასა და აღმოფხვრას მოასწავებს.

და როდესაც ყოველი ახალი ფრაზის ამოკითხვა – გარდაცვალების შემდგომი დეტალები პირველი პირით რომ არის მოთხრობილი – პერსონაჟს გულს უკუმშავს, მსუბუქ თავბრუსხვევას აგრძნობინებს და ხედავს ხმელი ფოთლებით დაფარულ, სველ სამარესა და მიწის ნედლ ბორცვებზე ამოწვერილ ბალახს, ეს ესმა ბესტაურის გმირის წარმოსახვითი საფლავი კი აღარაა, არამედ თვითონ ამ დებიუტანტი ავტორისაც და... დასაღუპავად განწირული სისპეტაკისა და მშვენიერებისაც.

– კვამლია აქ! – გურამ ნკავაძის ეს სიტყვებიც უკვე აღარაა ყოფითი დეტალი და, მოთხრობის სახელწოდებად გატანილი, მწარე, გულისტკივილიან განზოგადებად განიცდება, რეზო ჭეიშვილის წინასწარხედვად ცხოვრების ამ ნირისა და სტილისაგან მოსალოდნელი კატასტროფისა.

და ზარივით ამიტომაც რეკს მთელი მოთხრობა, განგაშის ზარივით, მითუმეტეს, რომ ამხელა ვნებათაღელვა და მისტიციზმ-გროტესკულობის სტილური ზეიმი ყველაზე შემაშფოთებელი დეტალით უნდა დაგვირგვინდეს, იმ ყოფითი სურათით, რაც მკითხველს ძრწოლას ჰგვრის ცხოვრების ძველებური ნირის უცვლელობის პერსპექტივით:

– გურამ ნკავაძე, ირაკლი გობეჯიშვილი, ირაკლი საყვარელიძე, სულთანიშვილი სულიკო და ჯამბულ, ჯამბულის გვარი ნკავაძეს არ ახსოვდა, დასალევად წავიდნენ.

ისედაც ყველაფერი ნათელია და ეს ფინალური სტრიქონები ყველაზე ზუსტი დაგვირგვინებაა „კვამლის“ ტრაგიკული სულისკვეთებისა, მაგრამ

ის თითქოსდა სასხვათაშორისო ელემენტი – ჯამბულის გვარი რომ არ ახსოვს ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს – კიდევ ერთი საგულისხმო, სწორედაც ჭეიშვილური შტრიხია, მხატვრულიც და ფსიქოლოგიურიც, განწყობილების გასამკვეთრებლადაც და ფილიგრანულად აგებული კომპოზიციური ქარგის ყველაზე მოხდენილად შეკვრისთვისაც.

* * *

– დავწერ, არ დამიჯერებენ!

მახსოვრობის ტვინს ეცლება აბლაბუდა, იხდება სიბნელის ფარდა და ნეტარ იქნებიან ისინიც და ჩვენც, ვინც ვიცოდით, რომ არაფერი არ ვიცოდით – და ყოველივე ბრუნავს და ტრიალებს, მკვეთრდება თუ მიინავლება უნარითა მკილისა, ცოდნითა მკილისა, სიყვარულითა და მოთმინებითა ჩვენითა...

დანისლული გორები და ფესვებაფშეკილი, თავდაღმა დარგული ხეები მოჩანს დედის სამარიდან და ვერ გაგიგია, ვის დაურგავს ხეები უკუღმა – ტოტებით ძირს და ფესვებით მაღლა?

მსუბუქი, უხილავი კვამლი კი ციიწევს ზევით, სულ ზევით და ბროლის სტალაგმიტების წკრიალით უერთდება ზეცის თავანს.

ხედავ სიცივეს, ნაცრისფერ ფიფქებს შეჰყურებ, იგონებ, ეძებ გაუხარელი ქალწულის ესმა ბესტაურის დაკარგულ საფლავს.

თავი მეორე

ყვავილთცვენის სიზმარი და ცხადი

(დაუწერელი დღიურის ფურცლებიდან)

ტყემლები იდგა იმ ბაღში ბევრი, პატარიძის ბაღში, ქუთაისში.

ადრიან გაზაფხულზე აყვავილდებოდნენ და სურნელება იდგა მძაფრი.

ნიავი უბერავდა და ცვიოდა ტყემლის ყვავილები.

იმ ბაღში უყვარდა ყვირილი კოტიკოს, ზუსტად ოთხის ნახევარზე შემოურბენდა ხოლმე ბაღს ყვირილ-ყვირილით.

რა აყვირებდა?

დანამდვილებით ვერც მაშინ აეხსნა და ვერც მოგვიანებით: შეიძლება მშიოდა და შეიძლება მიხაროდა, ცოცხალი რომ ვიყავი, შეიძლება ჩემ მეგობრებს რომ უხაროდათ, იმიტომაც ვყვიროდიო.

გივი ბავშვობის მეგობრის ამ უცნაურ საქციელს ტყემლის ყვავილთა ცვენას დაუკავშირებდა ია ვაჩაძესთან საუბრისას:

რაღაც არის ამ ყვავილთცვენაში წმინდაც და ქალურიც... ეს მოქმედებს, ეტყობა, ორგანიზმზე და შეიძლება ეს აყვირებდაო.

თითქოსდა ყოფითი სურათი მოულოდნელად სიმბოლიზმით უნდა განიმსჭვალოს და გრძნობ, რომ მოგვიანებით ეს მოტივი კიდევ იჩენს თავს.

გრძნობ და... კიდეც აგიხდება.

რომანის ფინალი – რეზო ჭეიშვილის „ჩემი მეგობარი ნოდარი“ – სწორედაც რეალურისა და ირეალურის ამ უცნაური – მისი სტილისტიკისათვის კი ნიშანდობლივი – ნაზავით უნდა შეიკრას და რაღაც უფრო ღრმასა და დამაფიქვრელს მიგვახვედროს.

* * *

ქუთაისის თეატრის სცენაზე ემზარ კვიტაიშვილი დგას. რეზო ჭეიშვილის დაბადებიდან 80 წლის იუბილეა და მისი დამფასებელნი და თაყვანისმცემელნი ჩინებული თეატრალური სანახაობის შემსწრენი ხდებიან. ცოტა ეს სიტყვით გამოსვლებია დასაფიქრებელი ასეთი სპექტაკლების მომზადებისას, საერთო განწყობილებას თუნდ მცირე ხარვეზადაც რომ არ დააჩნდეს.

ამ გამოსვლაზე კი ამას ნამდვილად ვერ იტყვი.

ემზარ კვიტაიშვილი თითქოს იმთავითვე ჰყოლოდეთ ნაგულისხმევი სცენარისტსა და რეჟისორს. არც უშუალობა აკლია მის სიტყვას, არც ექსპრესია და არც იუმორი. განსაკუთრებით მაინც ის პასაჟი გაახალისებს

დარბაზს, ორატორი მწერლის იმ ნოველას რომ გაიხსენებს – „მოგონილი ამბავი“ – და განაცხადებს, იქ პერსონაჟად მეც ვყავარ გამოყვანილი, ის ფრაზა: „კარი გაიღო და ბერეკაშვილის გაბურძგნული თავიც გამოჩნდა“ – მე მგულისხმობსო.

დარბაზში გადავლილი სიცილი კიდევ უფრო აიყოლიებს და იმეორებს:

– „ბერეკაშვილის გაბურძგნული თავი“ რომ წერია, პროტოტიპი მე ვარ.

რეზო ჭეიშვილს თვალები მოუჭუტავს და ისე მისჩერებია.

„რატომ უნდა გამომეყვანა ეს კაცი ნოველაში, თანაც ბერეკაშვილად?“

ორატორი უკვე სხვა ნოველაზე გადასულა – „მიწების განაწილება“:

– ყველა პერსონაჟს ჰყავს თავისი პროტოტიპი და სათითაოდ შემიძლია ჩამოგითვალოთ... სიტყვა ძალიან გამიგრძელდება, თორემ... ააქცენტი გამრეკელი ირაკლი აბაშიძეა. რეზოს რომ ვკითხე: გამრეკელი რატომ დაარქვი-მეთქი, და: ხალხს რომ მიერეკებოდაო.

და ორივე ხელით ენერგიულად აჩვენებს, თუ როგორ ხდებოდა ეს გარეკვა.

– საერო ვაჩიბერიძე რომ სერგი ჭილაიაა, იმ ფრაზით ამოიცნობა, ერთ პერსონაჟზე აღტაცებული რომ ამბობს: რუსული იცისო. მისთვის ეს უმაღლესი შეფასება გახლდათ, და ასეთი პიროვნება, ვინც რუსული იცოდა, იდეალს შეტოლებული, რადგანაც თვითონ ვერა და ვერ ისწავლა და ძალიან განიცდიდა... ჯიმასტარო გეგია ილია აროსიაა, კოჩობა, ფინალში უზომო სევდას ვისი გამოჩენაც გამოკვეთს. ვაი შური, საცოდავი ჯიმა, დედის ძახილი რომ მოესმის საიქიოდან... სათითაოდ შემიძლია ჩამოგითვალოთ, მაგრამ ისედაც გადავაჭარბე...

„ნეტა რატომ გამოვიყვანე ეს კაცი, თანაც ბერეკაშვილად?“

ფოიეში გამოსვლისას ყველა, დიდი თუ პატარა, ემზარ კვიტაიშვილს მისჩერებია ღიმილით, გზას უთმობენ, მიაცილებენ. და ალბათ აღარც არასოდეს დაავიწყდებათ ის ფრაზა – „ბერეკაშვილის გაბურძგნული თავი“.

* * *

იდეა ამ ნოველისა „მოგონილი ამბავი“ ემზარ კვიტაიშვილს გაუჩნდებოდა. ერთ დილით რომ გაიღვიძებდა, უეცრად გაუელვებდა: ცხოვრება გლეჯააო, – და ფიქრს ფიქრს მიადევნებდა: კარგი თემა იქნება ნოველისათვის, ახალგაზრდა ლიტერატორი მოულოდნელად რომ აღმოაჩენს ამ ჭეშმარიტებასო.

და მალევე გაუზიარებდა ამ მოსაზრებას რეზო ჭეიშვილს: სწორედ საშენო თემაა და აბა შენ იციო!..

ისიც ჩაუჯდებოდა და სულ მალე მოათავებდა მშვენიერ იუმორისტულ ნოველას, ხოლო მის შთამაგონებელს პატივს იმით სცემდა, რომ პერსონაჟად გამოიყვანდა, ნოველის საერთო განწყობილების შესაფერისად, აქეთ რომ უმტკიცებდა ახალგაზრდა ლიტერატორს: ასეთი აზრები როგორ გაწუხებს, შენ ხომ არ გასულელებულხარ, სად გგონია შენი თავი, ფრთხილად იყავი, ბიძია, მოკლედ, მე წავედი და შენ მაგ არ გინდა, ძმურად გელაპარაკებიო!..

რატომ გავაგებინე, ქვეყანას მოდებსო, – გაიფიქრებდა ლიტერატორი და მართლაც რომ დაიწყებდა ქალაქში ხალხი ჯგუფ-ჯგუფად სიარულსა და ძახილს: ცხოვრება გლეჯაო, – თავის იმ ნაფიქრს დაიდასტურებდა, ხომ ვთქვი, მთელი ქალაქისთვის მოუდია ბერეკაშვილსო.

ამ ჭეშმარიტების აღმოჩენა უვნებლად არ ჩაუვლიდა ლიტერატორს და სასამართლო თორმეტ დღეს რომ მიუსჯიდა, ნოველა ჭეიშვილური ფინალით უნდა დამთავრებულიყო, იუმორსა და სილაღეში დრამატული განწყობილება რომ შემოიჭრებოდა, აბსურდული იერით აღბეჭდილი:

– ამ თორმეტ დღეში რამდენი ზამთარი და გაზაფხული ჩაივლიდა, რამდენჯერ დავარგდებოდა ბოლოკი და აყვავილდებოდა ალუჩა.

* * *

რეზო ჭეიშვილს სცენაზევე გადასცემდნენ მისი ნოველებისა და მოთხრობების რჩეულ კრებულს „კვამლი და სხვა“ – სასიგნალო ცალს, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი რომ ითავებდა მის გამოცემას, მომზადებით კი ელგუჯა თავბერიძე მოამზადებდა და მისი თავგამოდებით დაიწერებოდა ვრცელ შესავლად ჩემი ესეი „საფლავი, კვამლი, ზეცის თავანი". შედგენითაც წიგნის საბოლოო ვერსიის შედგენას მე მომანდობდა.

შესადგენი თითქოს არც არაფერი უნდა ყოფილიყო, რადგანაც გადმოგიგზავნიდა თვითონ ავტორისვე შედგენილ სიას თავისი რჩეული ნოველებისა, მაგრამ... ეს სია ძალიან არ დამიჯდებოდა გონებაში, რადგანაც მხოლოდ ნაწილობრივ გავიზიარებდი რეზო ჭეიშვილის ასეთ თვითშეფასებას.

ერთი და ორი ცვლილების შეტანას კი არ მივიჩნევდი აუცილებლად, არამედ საფუძვლიან გადამუშავებას რჩეულის შინაარსისა, არაერთ სათაურს ამოვაკლებდი და არაერთსაც ჩავამატებდი, რათა რეზო ჭეიშვილი წარმომდგარიყო ისე, ყველაზე უკეთ რომ შეჰფეროდა მის მწერლურ ღირსებას.

თორემ აბა თქვენც დაუკვირდით.

ამ რჩეული ნოველებისა და მოთხრობების შინაარსი ასეთი უნდა ყოფილიყო:

1. „ლუკა პაჩოლი“;
2. „ოსტატები“;
3. „ბოლო სიმაღლე“;
4. „გია“;
5. „ალ-რაზაკის სიკვდილი“;
6. „მეოთხე პალატა“;
7. „კრიტიკული წერილი“;
8. „ბართლომეს ღამე“;
9. „პაპიაშვილის ბრალდების საქმე“;
10. „ღია წერილი“;
11. „ფედია“;
12. „ოპერაცია №“;

13. „მინების განაწილება“;
14. „ნოველა სალუდეში“;
15. „ცისფერი მთები“;
16. „ჭიდაობას რა უნდა“;
17. „პრემიერა“;
18. „თამაში“;
19. „ნობელი“;
20. „ჭა“;
21. „კვამლი“;
22. „ვაიმე, ჩემო ვენახო“;
23. „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი“.

არადა, აუცილებლად უნდა ამოკლებოდა „ბოლო სიმაღლე“, „კრიტიკული წერილი“, „ბართლომეს ღამე“, „ფედია“, „ჭიდაობას რა უნდა“, „თამაში“ და „ნობელი“, და სამაგიეროდ, არაფრისდიდებით არ უნდა დარჩენილიყო ამ წიგნის მიღმა:

„მოგონილი ამბავი“;
„რასემონი“;
„კომპოზიტორი ჩირიბერიძე“;
„ძეგლი“;
„მწერალი“;
„გუია ა“;
„სალადაძე“;
„ქორეოგრაფი მესხორიძე“.

(ის კი არა, ჩემდა გასაოცრად, ნოველა „გუია ა“, რომლის გარეშეც რეზო ჭეიშვილის ყველაზე უფრო მკაცრად შედგენილი რჩეულიც ვერ წარმომედგინა, მის შვიდტომეულში საერთოდ არ აღმოჩნდებოდა! თვით შვიდტომეულშიც აბა!..).

ელგუჯას დაევალებოდა ამ საბოლოო სიის გაცნობა მწერლისათვის, სათანადო არგუმენტაციას კი წინასწარვე მოვამზადებდით ერთად, რათა დაგვერწმუნებინა, რომ ასე და მხოლოდ ასე სჯობდა მისთვის.

თუ მწერალი არ დაგვეთანხმებოდა, მაშინ ელგუჯას უნდა შეეხსენებინა მისთვის, რომ თვით მიგელ დე სერვანტეს-საავედრაც ვერ აფასებდა შესაფერისად თავის თხზულებებს უკეთეს-უარესის მიხედვით და გაცილებით ერჩიენა „პერსილესისა და სიგიზმუნდას ყარიბობა“, ვიდრე „დონ კიხოტი“, რომელსაც მოცლილობის ნაყოფად მიიჩნევდა მხოლოდდამხოლოდ და რა გამოვიდოდა, მკითხველიც რომ დათანხმებოდა ამ არჩევანს – მაშინ ხომ სერვანტესი კარგა ხნის წინათ გვეყოლებოდა დავიწყებული თავის „პერსილესიანად“.

მაგრამ ელგუჯას არ დასჭირდებოდა არც ეს წყალგაუვალი საბუთი და არც სხვა არგუმენტები, რადგანაც ამცნობდა თუ არა: ჩვენ ცოტა სხვაგვარად გვაქვს რჩეულის შინაარსი წარმოდგენილიო, – ის მაშინვე დაყაბულდებოდა ისე, რომ ჩვენი სიის გაცნობას აღარც მოინდომებდა:

– გენდობით.

– არა, მაინც იქნებ გენახათ.

– არ მინდა, სავსებით გენდობით... წიგნად გამოცემულს ვნახავ და ეგ იქნება.

ზოგადი „რჩეულის" ნაცვლად მე ვამჯობინებდი ასეთ სახელწოდებას – „კვამლი და სხვა ნოველები". რეზო ჭეიშვილი კი მცირე ცვლილებას შეიტანდა:

– „კვამლი და სხვა" იყოს, ძალიან ამერიკული სათაური რომ არ გამოგვივიდეს.

„საფლავი, კვამლი, ზეცის თავანი" ელგუჯა თავბერიძის თავგამოდებით დაიწერებოდაო...

დიდი ხანია ვაპირებდი ამ მწერალზე რაიმეს დაწერას, ჯერ კიდევ როდიდან – ლიტერატურულ სარბიელზე გამოჩენისთანავე, მაგრამ ვერა და ვერ მომეკიდა ხელი.

პირველი ორი ფრაზა კი მქონდა იმთავითვე ნაპოვნი:

„ჩამავალი მზის სხივებსა და სილის უსასრულო ძაბრში მიტრიალებს დრო.

ეს რეზო ჭეიშვილის დროა".

კომპოზიციის ზოგადი ქარგაც ასე თუ ისე წარმომედგინა, „კვამლის" ირგვლივ რომ უნდა დატრიალებულიყო მსჯელობა – ესეც განსაზღვრული, მაგრამ წელი წელს მისდევდა და ვიყავი ასე გაყინული დასაწყისზე, გაჭედილი სილის უსასრულო ძაბრში.

და ახლა ელგუჯა რომ შემომთავაზებდა რეზო ჭეიშვილის „რჩეულის" წინამძღოლობას, თანაც ორ კვირაში უნდა მომეთავებინა, შორს დავიჭერდი:

– ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერალი კი არის, მაგრამ ვერაფრით ვერ დამიწერია წერილი და ეგებ შენვე მიგეხედა. ისედაც რამდენიმე გაქვს გამოქვეყნებული, წიგნი არ გამოგიცია, რეზოზე ერთი ან ორი სტატია არ ყოფილიყო, თითქოს მხოლოდ ცალკეულ მოთხრობებს განიხილავ, „ცისფერი მთები" იქნება, „მეოთხე სიმფონია", „ვაიმე, ჩემო ვენახო" თუ „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი", მაგრამ არაერთი საგულისხმო დაკვირვებაა მისი პროზის თავისებურებასა და ზოგად სტილისტიკაზე, „წიფობისთვის" ანალიზიც ძალიან მომეწონა... და მათგან რომ არც შეარჩიო, ახლის დაწერაც არ გაგიჭირდება.

– ხომ იცი, შენი წერილი უფრო გაეხარდება.

„უხ, ელგუჯა!.."

და ვთხოვდი, რომ დავწერდი მოკლე ჩანახატს, თუ ისიც არ გამომივიდოდა, მაშინ სარედაქციო წინათქმას, ბოლოსდაბოლოს ჩემს აღტაცებას ხომ მაინც გამოვთქვამდი.

ელგუჯა დამყაბულდებოდა:

– მთავარია შენი გვარი იყოს მოწერილი... ისე მაინც გესინჯა ცოტა უფრო ვრცლად... არა, არა, როგორც მოგიხერხდეს... ისე... რა ვიცი... ჰა, მაინც... თუ არადა, მოკლე ჩანახატს წინ რა დაუდგება...

წინ რა დაუდგებაო...

გეგონება ჩანახატი ადვილი დასაწერი იყოს!..

ერთი კვირა ისე მიიწურებოდა, იმ ფრაზას წინ ვერ წავწევდი, ჩამავალი მზის სხივებსა და სილის უსასრულო ძაბრში რომ მიტრიალებს დრო – რეზო ჭეიშვილის დრო. ეგაა, უკვე ისე არა მცილდებოდა გონებიდან, ლამის გაებურღა.

„დაე იყოს ეს სარედაქციო წინათქმა... მეტი არ იწერება და...“

და დავმშვიდდებოდი.ამას კი დავწერდი, კაცმა რომ თქვას, ერთი კვირა რად უნდოდა, ერთ საღამოს მოვათავებდი.

და უეცრად დავინახავდი გონებაში ნაფლეთებად მობორიალე ესეის ფინალს – დანისლულ გორებს და ფესვებაფშეკილ, თავდაღმა დარგულ ხეებს და მსუბუქ, უხილავ კვამლს, ზევით, სულ ზევით ადენილს, ბროლის სტალაგმიტების წკრიალს... და უკანასკნელი ფრაზა ხელშესახებად რომ ჩამოყალიბდებოდა გონებაში:

„ხედავ სიცივეს, ნაცრისფერ ფიფქებს შეჰყურებ, იგონებ, ეძებ გაუხარელი ქალწულის ესმა ბესტაურის დაკარგულ საფლავს“.

და კიდევ ერთხელ რომ გავიმეორებდი, ვიგრძნობდი, რომ ამდენი ხნის ნაფიქრი და ნანატრი ესეი თვალდათვალ იძენდა კონტურებს და უკვე ვეღარაფერი შეაჩერებდა იმ გაყინული ფრაზიდან ერთბაშად დაძრულ ნაკადს.

ელგუჯას რომ დავურეკავდი აფორიაქებული და ვამცნობდი:

– ჩანახატი კი არა, ხელთ ესეი გექნება.

იმას გაეხარდებოდა:

– სულ ცოტა შუაში იქნები... მალე უნდა დამიმთავრო, მოსწრებაზეა, ხომ იცი!

– არა, ჯერაც პირველ ფრაზაზე ვარ, ოღონდ...

– ოღონდ?..

– ოღონდ ფინალს ვხედავ და კომპოზიციური ქარგაც მკაფიოდ გამოიკვეთა.

„ჩვენი მწერლობის“ ახალი ნომრის გამოსვლა ისე ემთხვეოდა, რომ იმ საიუბილეო საღამომდე (დაუვიწყარ სპექტაკლამდე!) და „რჩეულის“ გამოცემამდე ჟურნალის ფურცლებზეც მოვახერხებდი მის დაბეჭდვას – „საფლავი, კვამლი, ზეცის თავანი“; და პარასკევ დღესვე შემეხმიანებოდნენ ემზარ კვიტაიშვილი და გივი შაჰნაზარი, და თითქოს წინასწარ შეთანხმდნენო, დაახლოებით ერთსადაიმავეს რომ მეტყოდნენ:

რეზოს რომ ეკადრება, სწორედ ისეთი წერილი დაიწერა, სულ ველოდით, რომ ადრე თუ გვიან ასეთი რამ მოხდებოდა და რა კარგია, რომ ისევ შენ მოაბი თავი, პირველად აღინიშნა მისი პროზის მისტიკური მხარე, სულ ვგრძნობდით რაღაც ამგვარს, მაგრამ სახელი ვერ დაგვერქმია... და საერთოდაც, გაიხსნა მისი მხატვრული სამყაროს თავისებურებანიც და არსიცო.

ნატო იმასაც კი მეტყოდა:

მინირომანი ხომ არსებობს, ეს კი მინიბიოგრაფიული რომანია – პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტიც სრულყოფილადაა გამოკვეთილი, სული-

ერი პორტრეტიც აღდგენილი და ეპოქაც თავით ბოლომდის წარმოჩენილი, ყველაფერი ისეა, რომანის ჟანრს რაც მოეთხოვებაო.

– ოცდაათი გვერდიც არ არის!..

– ოცდაათი გვერდიც რომ არ არის, მაგიტომ ვამბობ, თორემ სამასი გვერდი რომ იყოს, რა ჟანრობრივი დაზუსტება დაჭირდებოდა?!.

თავს კი არავის ვადრი, უბრალოდ, ჟანრობრივად მართლა შეიძლება ასეთი განსაზღვრებაც შემოვიტანოთ: მინიბიოგრაფიული რომანი.

პირობითად, თორემ აბა!..

ისე იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ ჟანრობრივ დაზუსტებას რომ ვცდილობთ, უფრო ზუსტად, ჰაგიოგრაფიული ჩარჩოს იქით გადახედვასაც ვლამობთ, სხვა განსაზღვრებაზე მარჯვე, შესაძლოა, სწორედ ეს განსაზღვრება იყოს მისთვის: მინიბიოგრაფიული რომანი.

ჟანრული მსგავსება, ცხადია, სულაც არ ნიშნავს თხზულებათა მხატვრულ-დოკუმენტურ ღირსებათა შეტოლებასაც. უბრალოდ სურვილი გიჩნდება, გახედო შენს წინამორბედებს. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა კი სხვა რა არის, თუ არა მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ნაირსახეობა.

* * *

რეზო ჭეიშვილის ამ რომანის ფინალში კი, „ჩემი მეგობარი ნოდარი“, როცა აღარ წვიმს, მზეც არა ჩანს, მაგრამ დღენათელია, და ვაშლის ბაღი კრთის სისველეში, მინდორში გადაბერებულან დაბალი ხეები, თეთრად და ლურჯად დაფორაჯებიათ, დახავსებიათ ვაშლებს ქერქი, და ალაგ მოლი, ალაგ გვიმრა ხასხასებს სიბრტყეზე, ნისლში, ტოტებს ქვემოთ, მატარებლიდან ჩამოსულ ნოდარს უეცრად ყვირილის ჟინი მოუვლის.

„ვცვითავ ბაღში თავს, გავვარდები კივილით, გავილუმპები“ – გაიფიქრებს.

და თუმც მატარებლისა შერცხვება და თავს შეიკავებს, ეს სურვილი არ გაუნელდება.

და დგას ასე, ყელში მოწოლილი ყვირილის მძაფრი შეგრძნებით.

* * *

რეზო ჭეიშვილი და ელგუჯა თავბერიძე ერთად ისვენებენ ქვიშხეთში და ელგუჯა საგანგებოდ მოინდომებს „მიწების განაწილების“ პერსონაჟთა პროტოტიპების დაზუსტებას.

ემზარ კვიტაიშვილი ამ დავალებას სცენიდან მისცემდა: ამის გამკეთებელი თუ ვინმეა, ელგუჯა თავბერიძეაო, – განაცხადებდა და დასძენდა: მასვე მართებს მხატვრულ-დოკუმენტური წიგნის შექმნაც რეზო ჭეიშვილზე, უახლოეს ხანში რომ მოველითო.

დასაწყისისთვის „მიწების განაწილება“ უხვ მასალას პირდება კრიტიკოსსა და ბიოგრაფოსს – სილუეტების ჩამოსამწკრივებლად თუ ვრცელი ექსკურსების გასაშლელად.

ბატონი რეზო ძალიან გახალისდება, ხელებს იფშვნეტს, თვალწინ ამოესახება ის დღეები, ამ ნოველაზე რომ მუშაობდა, და კრიტიკოსს ჰპირდება, რომ ბოლომდე გაუხსნის პერსონაჟთა ვინაობას.

ააქცენტი გამრეკელი აკი უკვე გაშიფრულია.

საერო ვაჩიბერიძეც.

ჯიმასტარო გეგიაც.

ახლა დანარჩენებსაც ამცნობს... ახლავე, ახლავე... სათითაოდ ჩამოუთვლის, ხელი განა რამ შეიძლება შეუშალოს...

– კაკო მერაძე კარლო კალაძეა. მერაძე იმიტომ, რომ „მერანის“ დირექტორი იყო.

– ძალიან კარგი და... სხვები?

– სხვები... სხვები...

ვეღარ გაუხსენებია, ვეღარც აღუდგენია, მიხვედრითაც ვეღარ ხვდება, ვის გულისხმობდა, მაგრამ გამოსავალს მაინც პოულობს:

– რა არის იცი?.. ხელნაწერში თავდაპირველად ყველა თავთავისი გვარსახელით მყავდა გამოყვანილი და გადაბეჭდვისას შევცვალე. ხელნაწერს მოვიძიებ და ზუსტად შეიძლება ყველაფრის აღდგენა.

ელგუჯა შვებით ამოისუნთქებს.

ეგაა, ეჩქარება „მიწების განაწილების“ პერსონაჟთა ვინაობის დადგენა და სთხოვს, მოძებნაში მეც დაგეხმარებით, ოღონდაც ნუღა გადაიდებაო.

– არა, რატომ უნდა გადაიდოს. ხელნაწერს მოვნახავ და... მოიცა, იქნებ ისეც გავიხსენო... კაკო მერაძე კარლო კალაძეა, „მერანის“ დირექტორი რომ იყო, ეს მერაძე ამიტომ შევარჩიე. კიდევ... კიდევ...

ელგუჯაც აგულიანებს.

მაგრამ, ეტყობა, მეხსიერებას ძალზე შორეულ კუნჭულებში ჩაუკეტავს ის სახეები და ადვილად ვეღარ ამოდიან მზის სინათლეზე. პერსონაჟებს შთაუნთქავთ პროტოტიპები, თუმც რა უშავს – რაკილა ხელნაწერში ყველას ვინაობაა აღნიშნული, ადრე თუ გვიან კიდეც გაიხსნება მწერალთა კავშირისათვის ნიშანდობლივი თავყრილობის ყოფითი მხარე – ნატურალიზმში გადასული რეალისტური შტრიხებით, ნამდვილი ჭეიშვილური ხელოვნებით.

* * *

ედემის ბაღი გამქრალა და ერთ ქუთაისურ პატარა ბაღს რატომღა დაადგებოდა უკეთესი დღე, უღმერთოდ რომ გაიჩეხებოდა?!.

ახლა აღარც ის ბაღია.

აღარც ის ტყემლები.

აღარც ის ყვავილები.

აღარც კოტიკო და კოტიკოები დარბიან.

მაგრამ დარჩენილა ყვირილის გაუნელებელი ჟინი და განცდა.

ეს მაინც დარჩენილა, ყვირილისა – სამყაროს წინაშე.

და კიდევ – ყვავილთცვენის მოლანდება, რაღაც წმინდისა და ქალურის, თვით ცხადზეც უფრო ცხადი.

* * *

ისე ნეტა რატომ ეგონა სერვანტესს თავისი შემოქმედების გვირგვინი „პერსილესისა და სიგიზმუნდას ყარიბობა“?

კარი მეორე

თავი პირველი

ნიშები წიგნის საუფლოში

(პირველნაკადად გადანახულეთში, ანდა პირიქით)

„კავკასიონის“ – მთარგმნელობითი კოლეგიის მიერ თბილისში გამოცემული რუსული ჟურნალის – იმ ნომერს რომ გადახედავდა, უკმაყოფილო არ დარჩებოდა რეზო ჭეიშვილი: კარგად ვარ წარმოდგენილიო. თარგმანებს არა უშავდა, არა უშავდა კი არა, კარგიც იყო, მაგრამ... აი „გია“ კი... ეჰ, საშინელი შეცდომა მოსვლოდათ მისი თარგმნისას. და თავს შეუწყრებოდა: რატომ არ წავიკითხე კორექტურა, მოსაკლავი ვარო.

მთარგმნელის უყურადღებობას დააბრალებდა... თარგმნიდა და არ ესმოდა, ვერ ხვდებოდა, რომ: სიტყვა „მართლა“ ხაზგასმულიყო, განგებ მეორდებოდა... და ამისთანა დეტალი სხვაც არაერთი მოსდევდა.

ერთ ალაგას ასე ეწერა: შაშვი ამოფრინდა ჭახ-ჭახ-ითო. და გული სტკიოდა: ვის აინტერესებს, ვინ ამჩნევს ამგვარ წვრილმანებსო. არადა ასეთი დეტალი თუ ნიუანსი ბევრი იყო და მათი დაკარგვა აზიანებდა რეზო ჭეიშვილის სტილურ ქსოვილს.

როგორ ამბობდა გია?

სანახევროდ თბილისში ვარ დაბადებულიო.

მთარგმნელს გაესწორებინა „მშვენივრად“ (გულისტკივილში ირონია შეერეოდა მწერალს) ანუ ასე ეთარგმნა:

სანახევროდ თბილისელი ვარო.

და ეს იმიტომ, რომ უთუოდ ასე ეფიქრა: სანახევროდ თბილისში როგორ დაიბადებოდაო, – დაასკვნიდა: სისულელეაო, – და კიდეც „გამოასწორებდა“ ავტორისეულ უნებლიე შეცდომასა თუ უყურადღებობას.

ასე ბევრგან ჩაერეოდა ტექსტში, ჩაერეოდა და...

მწარედ ელიმებოდა რეზო ჭეიშვილს:

სისულელე რომაა, იმიტომაც მიწერიაო.

რაღა დარჩენილიყო მისი, მისეული, ჭეშმარიტად ჭეიშვილური თარგმანში? რანაირადღა უნდა მიხვედრილიყო რუსი მკითხველი ამ მწერლის მხატვრული აზროვნებისა და სტილისტიკის თავისებურებასა და შთამბეჭდაობას, თუკი ამ თავისებურებიდან და შთამბეჭდაობიდან აღარაფერი გადარჩებოდა, ანდა შემთხვევით ჩარჩებოდა რაიმე რეალია თხრობაში? ნეტა რაღა ბედენა უნდა ყოფილიყო ის შემთხვევითი.

სანახევროდ თბილისელი ვარ – ჩვეულებრივი ფრაზაა, ნებისმიერი მწერალი რომ დაწერს.

ხოლო: სანახევროდ თბილისში ვარ დაბადებული – რეზო ჭეიშვილია და მხოლოდ და სწორედ რეზო ჭეიშვილი.

სანახევროდ როგორ შეიძლება ადამიანი თბილისში იყოს დაბადებული, მართლაც რა სისულელეა, სანახევროდ თბილისელობა კი სავსებით გასაგებია, არა? მაგრამ ეს ყოფით-რეალისტური მანერით თხრობისას, თორემ აბსურდულ-გროტესკული სამყაროს ენობრივი სამოსელი მხოლოდ ასე თუ მოიქსოვებოდა: ამისთანა სისულელეების დაუსრულებელი ნაკადით, თითქოსდა სრულ გაუგებრობაში რომ ინთქმეოდი კითხვისას და... თითქოსდა გზასავალი ვეღარც ვეღარსად გაგეგნო, მაგრამ რაღაც მადლი, რაღაც იდუმალი ხიბლი გეუფლებოდა ერთბაშად და კიდეც თავის ნებაზე მიჰყავდი ფარულ რიტმიკასა და უჩვეულო ძალას, გონებამახვილობისა და იუმორის დაუშრეტელი სალაროდან ამოზრდილს, მის ყოველგვარ გამოელინებას უხვად და ძალდაუტანებლად რომ აფრქვევდა და გარდაისახებოდა მონუმენტურ გროტესკულ სინამდვილედ, უპირველესად მაინც ირონია რომ წარმართავდა თხრობის განსხვავებულ მანერას, თორემ მხიარული კომიზმიც იჩენდა ხოლმე თავს და სატირის მკაცრი სუნთქვაც არ მოგაკლდებოდა.

სანახევროდ თბილისში ვარ დაბადებულიო...

კი მაგრამ... ეს როგორ? რანაირად? სანახევროდ განა როგორ შეიძლება სადმე დაიბადო ადამიანი...

ასე ცალკე, მთლიანობიდან ამოგლეჯილი, მართლაც გაუგებარია მისი შინაარსიც და დანიშნულებაც და გიბიძგებს მის „გასასწორებლად", მაგრამ მისნაირ ფრაზათა ნაკადში ისეთი სიცინცხალითა და შთამბეჭდაობით აღივსება, პერსონაჟის სულის ხვეულებში რომ ჩაგახედებს და ამ ხვეულებში რაღაც უჩვეულოს, უცნაურს აღმოგაჩენინებს, გარემომცველი რეალობის გასიმბოლოვებად და განზოგადებადაც რომ წარმოგვიდგება.

1985 წლის 14 აპრილს ჩაინიშნავდა ამ გულისტკივილს რეზო ჭეიშვილი თავის დღიურში, საბაბი რომ მიეცემოდა მის ამოსათქმელად, თორემ ისედაც აწუხებდა ის განცდა: ვერავინ ხედავს, ვერავინ ამჩნევსო.

და... მაშ რაღა გამოდიოდა?!.

იმ დღის შთაბეჭდილებანი კი იმით უნდა დაწყებულიყო, რომ: ბიჭები ესტუმრებოდნენ და წაუკითხავდათ ადგილებს ვრცელი მოთხრობიდან „მეოთხე სიმფონია". შეამოწმებდა ჟღერადობას და მიხვდებოდა რაღაცებს, იმათაც მოეწონებოდათ და... თვითონაც მოეწონებოდა ხმოვანებაში...

რევაზ თაბუკაშვილი ჩამოვიდოდა პარიზიდან და ჩამოიტანდა კალისტრატე სალიას არქივს, ელენე მეტრეველს დაელაპარაკებოდა და შეუთანხმდებოდა ტელეფონით, ქართული ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს: მანდ უნდა გავხსნა საბაჟოს წარმომადგენლებთან ერთადო.

საინტერესოაო, – გაუზიარებდა კინოსტუდიაში თავის თანამშრომლებს ამ შთაბეჭდილებას, მტკიცებასაც მოჰყვებოდა და... შეფიქრიანდებოდა რეზო ჭეიშვილი, იჭვნეულად გახედავდა გუნებაში: გრიგოლ რობაქიძის წერი-

ლების მეტს არას ასახელებს, მიხაკო წერეთელიც ახსენა, მაგრამ სხვა? სხვა ისეთი მართლაც რა უნდა იყოს, კაცმა რომ თქვასო...

დაურეკავდნენ პარიზიდან და სთხოვდნენ: „ცისფერ მთებს“ ხომ არ გვითარგმნიო? სადღაც შინაურ კინოში აჩვენებდნენ თურმე ამ ფილმს.

შემდგომ კი ეტყოდნენ: სხვა მოვძებნეთო.

ჩაფიქრდებოდა და არ ესიამოვნებოდა: ნიუანსებზე აგებული სიტყვა-პასუხი როგორ უნდა ეთარგმნა შემთხვევით კაცს... და აუხსნიდათ: ტექსტი იქ დამატება კი არა, ძირითადი კომპონენტიაო.

თქმით ამას კი აღარ ეტყოდათ, მაგრამ გაფიქრებით გაიფიქრებდა: გაიგებენ კი ფრანგები ჩვენს ირონიას, იუმორს კი არა, ირონიასო?..

თითქოს უცნაური ეჭვი გახლდათ და... კიდეც ჩაესმოდა მოსალოდნელი პასუხი: თუ ფრანგი ვერ გაიგებს, ვინ უნდა გაიგოს აბაო?!.

მაგრამ არ იქნებოდა ამის მთქმელი მართალი, რადგანაც აქ, საბჭოთა გარემო-სინამდვილეში ნაცხოვრები ფრანგი ნამდვილად გაიგებდა ამ თავისებურ ირონიას, მაგრამ სხვა – ვერასდიდებით.

როგორ გინდოდა აგეხსნა ფრანგისათვის, რომ:

სულ სხვანაირი ფსიქოლოგიის სახელმწიფო ჩამოყალიბებულიყო, ყველგან, მთელ საბჭოეთში – და ჩვენთან განსაკუთრებით – ადამიანი ორად გაყოფილიყო, გახლეჩილიყო... ერთს ფიქრობდა, მეორეს ლაპარაკობდა, აქ ამას ამბობდა, იქ – იმას. ადამიანი საგარეო და საშინაო ტანსაცმელივით იცვლიდა სიტყვებს: ლექსიკას, სინტაქსს, სტილს... და ვითომ ფსიქოლოგიასაც...

ვითომ – მაგალითისათვის – აგინებდა, თათხავდა სახელმწიფოს, შედგებოდა ტრიბუნაზე – ან ტრიბუნა რად უნდოდა – და... სულ სხვას დაამღერებდა, გულწრფელად თითქოს, რაც მთავარია, და ეს არავის უკვირდა.

იქ ასე უნდაო, – ამბობდა თვითონ ის მაგინებელ-მაქებარი და... სხვებიც ამასვე ამბობდნენ: იქ ასე უნდაო... და პოლიტიკური, სოციალური, საზოგადოებრივი ურთიერთობიდან ეს თამაში პირად ურთიერთობაშიც გადადიოდა... შორს წავიდოდა, ყველაფერი რომ გაეშიფრა...

ამიტომაც ეგონა: ფრანგი ვერასდიდებით ვერ გაიგებსო.

რა უნდა გაეგო, როგორ უნდა მიმხვდარიყო, რომ ცხოვრების უდიდეს ნაწილს ტყუილებში, სიცრუეში ვატარებდით, ტყუილით ვცხოვრობდით, ტყუილში ვსუნთქავდით, ერთს ვფიქრობდით, მეორეს ვლაპარაკობდით, ერთს ვამბობდით, მეორეს ვაცხადებდით, პირში ვაქებდით და ზურგსუკან ვაგინებდით, და ეს ყველაფერი ყოფაში, ყოველდღიურობაში გამჯდარიყო, გასისხლხორცებულიყო. სიმართლესა და ტყუილს, საქმესა და უსაქმურობას შუა ზღვარი ნაშლილიყო. ასე შემდეგ და ათასი რამ კიდევ...

მაგრამ ხომ არსებობდა ირონია დღესდღეობით – ეს დიდი და მშვენიერი იარაღი.

ირონია ისმოდა ჩვენთან ღვთის შეწევნით, ღვთის მადლით...

და მაშინაა სწორედ, „კავკასიონში“ გამოქვეყნებულ მისი მოთხრობების თარგმანზე რომ გადავიდოდა, მთარგმნელის ნამუშევრის შეფასებაზე.

ეამაყებოდა და ძალიანაც ეამაყებოდა, ღვთის შეწევნითა და მადლით მისი ირონიაც მკვეთრად რომ დაჩნეოდა თანადროულ სალიტერატურო პროცესს და სულაც ერთ-ერთ განსაზღვრებად ქცეულიყო ამ პროცესის დასავლური რანგისა და სიმაღლისა.

სანახევროდ თბილისში ვარ დაბადებულიო...

დღიურს მიანდობდა გულისტკივილს, სიხარულსაც იმას უზიარებდა, ყოფით სურათებსაც ჩართავდა, ავტობიოგრაფიულ დეტალებსაც დეტალებზე გადმოხსნიდა, თანამედროვეთა სილუეტებსაც მოხაზავდა ორიოდ სტრიქონით, ლიტერატურულ ინტერესებსაც გაამჟღავნებდა და შემოქმედებით ლაბორატორიასაც გამოუღებდა ოდნავ კარს...

მასაც მეგობრად და შემწედ მოევლინებოდა თუ გამოუჩნდებოდა დღიური, სულაც მთელი ცხოვრება რომ აემგზავრებოდა და თანდათან იმდენი დახვავდებოდა ხშირი ჩანიშვნანი, უზარმაზარ ავტობიოგრაფიულ რომანადაც წარმოდგებოდა, „გადანახული ჩანაწერების" სახელწოდება რომ გაამთლიანებდა და შემოაკალთავებდა მოზაიკურ პანორამას, სულის ბიოგრაფია რომ უფრო იჭარბებდა, თუმც ერთი შეხედვით ყოფითი მდინარება შეიძლება გეგონოს ამ მრავალმხრივ საგულისხმო ჩანაწერების შინაარსის განმსაზღვრელი.

უზარმაზარ ავტობიოგრაფიულ რომანადაც წარმოდგებოდაო...

ერიდებოდა დიდტანიან რომანებს რეზო ჭეიშვილი, თანადროულ ფორმას საესებით კმარობდა, თანადროულს ანუ ევროპული ყაიდისას, ათას გვერდში – „გადანახული ჩანაწერები" სადამდეც გადაწვდება – სამს თუ სულაც ოთხ რომანსაც რომ ჩატევდა სხვას.

კიდევ კარგი თვითონ რომანადაც არ მიიჩნევდა, თორემ აუცილებლად მიუბრუნდებოდა და ალაგ-ალაგ კიდეც შეკვეცავდა და ალაგ-ალაგ კიდეც გაზრდიდა და კიდეც საფუძვლიანად ჩაასწორებდა, რაკიღა ვერა და ვერ უდებდა გულს თავის მხატვრულ ქმნილებებს და ისე და იმდენჯერ ჩაასწორებდა ხოლმე პირველი პუბლიკაციიდან მოკიდებული, ლამის სრულიად სხვადასხვა თხზულება გვგონებოდა პირველი და ბოლო ვერსიები, ჩვენ ერთნაირად რომ მოგვწონს ის პირველიც და ის ბოლოც და ვარიაციებად უფრო აღიქვამთ, ვიდრე გაუკეთესების პროცესად.

„გადანახული ჩანაწერები" ასე გადაურჩებოდა გადამუშავებას, რაც უსათუოდ დაუკარგავდა სიცინცხალესა და სიწრფელეს, და განელებულად წარმოგვისახავდა იმ გულისჭიდილს, იმ სულიერ წინააღმდეგობას, რაც ასერიგად ამშვენებს დღიურის, ჩანაწერების, ეპისტოლეთა ჟანრებს. მოპირკეთებული ხომ ვეღარ იქნებოდა ის, რაც ამჟამადაა – უმდიდრესი მასალა მონუმენტური მხატვრული სამყაროს შემოქმედის სულის ხვეულებსა და ლაბირინთებში ჩასახედად, მის განწყობილებათა და შეხედულება-დაკვირვებათა გასასიგრძეგანებლად.

მასალა მასალად, სიმდიდრე სიმდიდრედ და... ავტობიოგრაფიული რომანი კიდევ ავტობიოგრაფიულ რომანად, ეპოქის მაჯისცემის თვალნათლივი და ხელშესახები არეკვლა, პერსონაჟთა კოლორიტული გალერეა ძალდაუ-

ტანებლად რომ გაარლვევდა დღიურის ფარგლებს და გაგვახსენებდა რომანს – თითქოსდა მწერალს იმთავითვე რომანად ჩაეფიქრებინა „გადანახული ჩანაწერები“ და დღიურის ჟანრი მხოლოდღა ფორმად მოეშველიებინა.

იმთავითვე ანუ: უილიამ შექსპირს რომ წაჰკრავდა კბილს 1978 წლის მიწურულის ერთ მშვენიერ დღეს: ძალიან მიჭირს მისი კითხვა, რაც დრო გადის სცენაზე ყურება კიდევ უფრო მიძნელდებაო.

და ანტიკურ დრამას რომ შეუდარებდა, თუნდ სოფოკლეს „ოიდიპოს მეფეს“, სწორედაც ძველბერძენ ტრაგიკოსს და საერთოდ იმ ტრაგიკოსებს ამჯობინებდა: რამდენად უფრო მისაღებია ის დრამა ჩემთვისო.

„მაკბეტს“ ყველა დანარჩენ ტრაგედიაზე უფრო ძლიერად მიიჩნევდა: მეტი არტისტიზმისა და პირობითობის გამოისობით – და არამარტო ფორმის მხრივ.

და... დაიწუნებდა ქართულ თარგმანებს, ივანე მაჩაბლისეულსაც და სხვებისასაც, მისი მთარგმნელობითი ტრადიციის გამგრძელებლებისას, შეუძლებელია დედანში იგი ასეთი პათეტიკური და ფუყე იყოს. გენიოსობაც უბრალოებაში ვლინდება, კი არა მგონია, ასეა. სიტყვების გადაყოლა ადამიანის სიცარიელის მიმანიშნებელიაო.

სიტყვებზე თვითონ შექსპირი მშვენივრად რომ „აყალიბებდა“ თავის აზრსა და შეხედულებას?

და იგი... მაინც გენიოსი გახლდათ.

ვერ იჯერებდა და ვერა გულს შექსპირის გაქიაქებით და ირონიითაც დანესტრავდა:

ამაშია საქმე! აბაო!

რატომ გამოემეტებინა ასე ძლიერ სახელოვანი დრამატურგი და: ლევ ტოლსტოის ასდევდა, იმის განმაქიქებელ დამოკიდებულებასა და კილოს იზიარებდა და ასე იოლად ამიტომაც მოუნდომებდა შემუსვრას მხატვრული აზროვნების ერთ-ერთ მწვერვალად აღიარებულ მწერალს, რუსი რომანისტი სრულიად განსხვავებული ესთეტიკური პოზიციიდან რომ უტევდა ბრიტანელ შემოქმედს და... ამაოდ კი შეაწყდებოდა მის კოლოსალურ ფიგურას, ანკი რა შეიძლება დაეკლო ამ რანგის შემოქმედისათვის!.. რაც იყო თუ როგორც იყო: ეს სრულიად განსხვავებული ესთეტიკური პოზიცია და შემოქმედებითი პრინციპები უბიძგებდა დასაპირისპირებლად, ხოლო რეზო ჭეიშვილისათვის უილიამ შექსპირის ესთეტიკა უფრო მისაღები და მახლობელი რომ უნდა ყოფილიყო, ვიდრე ლევ ტოლსტოისა, მაგრამ და... არადა...

ტოლსტოის ხათრით შექსპირსაც არ მოერიდებოდა და... სწორედ მაშინაა, ერნსტ ჰემინგუეის კრიტიკულ მოსაზრებას რომ გაეცნობოდა „ანა კარენინას“ შემოქმედზე, და აბა რას მოუთმენდა: როგორ მსჯელობს ეს რეპორტიორი მწერლობასა და ტოლსტოიზეო.

რეპორტიორიო... მწერლის სახელსაც არ გაიმეტებდა მისთვის გაგულისებული.

ძალიან სასაცილო მოეჩვენებოდა ახლა მისი ის კრიტიკული დამოკიდებულება, ოღონდ „სამწუხაროდ“ მოიხსენიებდა იმ ხანას, როდესაც „დიდების ზენიტიდან“ იხარჯებოდა...

გული დაწყდებოდა, რომ მსოფლიოში ასერიგად პოპულარული „რეპორტიორი" თავისი ტრიუმფის ჟამს უსათუოდ დააზიანებდა ტოლსტოის სახელს, გაუნელებდა მკითხველს მისადმი ინტერესს...

წლების შემდგომ – კერძოდ 1984 წლის 19 ოქტომბერს – ჩაეღიმებოდა დღიურის დასაწყისის გადახედვისას: ჯერ შექსპირი გამილანძღავს და მერე ჰემინგუეიც მიმიყოლებია ზედო, – ვითომდა ნანობს, მეტი მომივიდაო, მაგრამ სინანული მაინცდამაინც არ ეტყობა.

და ნიშანდობლივია, 1985 წლის 1 მარტს გაბრიელ გარსია მარკესის ინტერვიუში რომ ამოიკითხავდა: ჰემინგუეი არ მიმაჩნია დიდ რომანისტად, მაგრამ მისი პატარა მოთხრობები მომწონსო, – თავის მხრივ დასძენდა: ესეც მართალია რამდენადმე, მე პირადად არც პატარები მომწონსო.

და ერთი წლის შემდგომაც კვლავინდებურად წაჰკრავ-წამოჰკრავდა ხელს იოლად.

ეს მაშინ, 1986 წლის 9 მაისს, ჯერ 86-ს 45-ს რომ გამოაკლებდა, მიიღებდა 41-ს და მიადევნებდა: ორმოცდაერთი წლის წინათ დამთავრდა ომი. ის დღე ძალიან კარგად მახსოვსო...

დღევანდელ „ლიტერატურულ საქართველოში" კი დაბეჭდილიყო ვინმე სემუელსონის საუბარი ერნსტ ჰემინგუეისთან, ძველი ჩანაწერი. მწერალი მაშინ (კიდევ კარგი ამჯერად მწერლად რომ მოიხსენიებდა და არა რეპორტიორად!)... ახლავე დაიანგარიშებდა ამასაც – 36 წლისა ყოფილიყო. ჟურნალისტს ურჩევდა: ესა და ეს წიგნები წაიკითხე და განათლებული გახდებიო. და თუმც რამდენიმე საგულისხმო თხზულებასაც დაუსახელებდა, მისი ეს საუბარი რეზოს თვალში მაინც უწიგნურის შთაბეჭდილებას დატოვებდა.

ერთი მთლად ბნელი გახლდათ, მეორე – განათლებული, და მაინც – მწერლის ბარობაზე – უწიგნური.

და ეს იმიტომ:

რაც უნდა ახალგაზრდა უნდა ყოფილიყავი, წასაკითხ სიაში „დონ კიხოტი" უნდა შეგეტანა უცილოდ და სომერსეტი მოემი არ უნდა გაგხსენებოდა.

შეეცვალა შესაძლოა შემდგომ ეს თვალთახედვა და შეხედულებანი, გაელრმავებინა მსოფლმხედველობა, მაგრამ მისი უამრავი ინტერვიუსა და ნაწარმოების მიხედვით დიდი განსწავლულობა და ნაკითხობა მაინც არ დასტურდებოდა „ბერიკაცი და ზღვის" შემოქმედისა.

ამ მხრივაც კუდის რიკამდე ჩასდევდა რეზო ჭეიშვილი, თორემ მწერლად საერთოდაც არ ჩააგდებდა, იმისი უზომო პოპულარობა რომ არა, საქართველოშიც რომ ლამის მთლად მწერალსა და მწერლობას გაიგივებოდა და გასიმბოლოვებოდა ერნსტ ჰემინგუეის სახელი.

ეს რეპორტიორიო, – ვერა პატიობდა, თვით ლევ ტოლსტოის ზემოდან რომ გადმოსცქეროდა.

ჯერ კიდევ ბავშვობის შთაბეჭდილებებიდან გამოჰყვებოდა ტოლსტოის ავტობიოგრაფიული რომანი „ბავშვობა, ყრმობა, სიჭაბუკე", დიდი სიამოვნებით რომ კითხულობდა და... თან უკვირდა: არაფერი საინტერესო რომ არაა, რატომ მომწონსო.

მისი საყვარელი წიგნები შეიქნებოდა:

„აივენჰო", „რობინზონ კრუზო", „მარტოდმარტო კაციჭამიებს შორის"; შემდეგ – „დონ კიხოტი", სტენდალი... შემდეგ უნდა მოსულიყო ალექსანდრე ყაზბეგი... ყველაფერს როგორ გაიხსენებდა. ავტორს, უფრო სწორად ავტორებს: ერკმანსა და შატრიანს, ვეღარ იგონებდა, იმ სქელი წიგნისა „გლეხიკაცის ისტორია", სიამოვნებით რომ წაეკითხა. დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა „დავით კოპერფილდი" და... ეს წამოგონებანი 1985 წლის 30 ნოემბერს, ამოაკვნესებდა: კითხვას ახლა აღარა აქვს ის ეშხი და მარილიო.

თუმც უკითხავად მაინც ვერა ძლებდა.

„დავით კოპერფილდს" დიდ და დიდებულ წიგნად მოიხსენიებდა 1982 წლის 22 სექტემბერს, დაუფასებდა ულევ სითბოსა და სიყვარულს, თუმც დასძენდა: ახლა უკვე მაინც მოსაწყენიაო.

არადა რამხელა შთაბეჭდილება მოეხდინა მასზე, პირველად როცა წაიკითხავდა. ნეტა რომელი წელი იქნებოდა? იმ ქართულ, მოზრდილ ლილისფერყდიან წიგნსაც აღიდგენდა თვალნათლივ. დაამთავრებდა და გაბრუებული ივლიდა რამდენიმე დღე. მეგობრებს უყვებოდა ხოლმე მაშინ წანაკითხს, მეშვიდე-მერვე კლასელი, და ამ წიგნის მოყოლასაც რომ დააპირებდა და... ვერ მოჰყვებოდა, მიხვდებოდა, რომ წიგნის ძალა არა ამბავში, არამედ სხვა რამეში ჩამარხულიყო.

ტოლსტოის „ბავშვობა და ყრმობა" და ეს წიგნი გააოცებდნენ ამ გაგებით. ხედავდა, არაფერი სათავგადასავლო, თუნდ „აივენჰოს" მსგავსი არ ეწერა შიგ და მაინც მოსწონდა. და: ნეტა რატომ მომწონსო? – უკვირდა.

თუმც უკითხავად მაინც ვერა ძლებდაო...

წიგნოფილად მაინც არ მიაჩნდა თავი, განსხვავებით: ემზარ კვიტაიშვილის, გივი გეგეჭკორის, ტარიელ ჭანტურიასა და ვახტანგ ჯავახაძისაგან. ისინი ხომ არც სვამდნენ და არც თამაშობდნენ. და დასძენდა: ტარიელის გარდაო.

ძალიან აიყრიდა გულს ჟიულ ვერნზე. მესამე თუ მეოთხე ღამე „კაპიტან გრანტის შვილებითა" და „მთვარეზე მოგზაურობით" რომ დაიძინებდა, დასცდებოდა: რა უსუსურობააო.

და მწარედ ჩაეცინებოდა: რამდენი კარგი და ნამდვილი მწერალი იყო მის დროს საფრანგეთში. სახელი ამას ჰქონდა ალბათ. თუმცა, მგონი, ვიქტორ ჰიუგოსაც. ჰიუგო ამასთან შედარებით, რასაკვირველია, მწერალიაო.

ვერ უარყოფდა, რომ მაინც ინტერესით იკითხებოდა ვერნი, თუმც მთელ მის პათაგონიას, ავსტრალიას თუ რაღაც ზეგნებსა და პრერიებს, ნამდვილი მოგზაურის, ვინც იქ მართლა იმყოფებოდა, ჩანაწერი წაეკითხა ერჩივნა.

მაინც იყო მასში რაღაც საინტერესო – ბავშვისათვის განსაკუთრებით. და მოინდომებდა „საიდუმლო კუნძულისათვის" ისევ ჩაევლო თვალი.

ტომას მაინ რიდი არასოდეს ჰყვარებოდა, მისი „უთავო მხედარი" ვერასოდეს ვერ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა. ბავშვი რომ გემის ტრიუმში დაიმალებოდა და ყუთებიდან ზემოთ ამოძვრებოდა, მხოლოდ ის მოეწონებოდა რიდის ნაწერებიდან, თანაც ისე, რომ გაოცებული დარჩებოდა: არ მოელოდა მისგან.

ალექსანდრე დიუმას „გრაფი მონტე-კრისტო“ იქ მთავრდებოდა მისთვის, როცა მთავარი გმირი ჯურღმულს თავს დააღწევდა, როცა ტომარაში ჩასმული ადამიანი ზღვაში დაიყურებოდა, როცა ზედაპირზე ამოყვინთავდა და ჰაერს ჩაისუნთქავდა. კარგად უნდა ყოფილიყო დაწერილი ეს ადგილი, რამდენადაც ახსოვდა.

შურისგების მომენტი რომ იყო შემდეგ, ამას კიდევ აიტანდა, მაგრამ იქით და იქით ლაყბობის მეტი არაფერი გახლდათ. ასე ხომ უსასრულოდ შეიძლება გაგრძელებულიყო. დღეს კითხულობდა სწორედ ბოლო ნაწილებს, 1981 წლის 20 აპრილს, და უკვირდა, საიდან გაჩენილიყო მის მაგიდაზე ეს წიგნი.

ბავშვობის შთაბეჭდილებებიდან ბოლომდე გაჰყვებოდა უოლტერ სკოტის „აივენჰოს" სიყვარული, ის ძველი გამოცემა ძალიან ნათლად დაამახსოვრდებოდა, მშვენიერი ილუსტრაციები ჰქონდა და ახლაც ხედავდა შავ რაინდს – აბჯრითა და შუბით. ვახტანგ ჭელიძე ხელმეორედ რომ თარგმნიდა, რა გული გაუძლებდა, კვლავ რომ არ წაეკითხა, და კიდეც რომ გამოთქვამდა მოწონებას თარგმანით, აღტაცებული მიადევნებდა: ჩემი საყვარელი წიგნი იყო, არის და იქნება. თითქმის ზეპირად ვიცი და ღამღამობით მაინც ვკითხულობ და ზედვე მეძინებაო...

და დღიურს გაუმხელდა ოცნებას:

ნეტა ასეთი რამ დამაწერინაო!..

თუმც... ასეთს ვერ ან არ დაწერდა! აქ ბევრი რამ მოგონილი გახლდათ, რეზო ჭეიშვილი კი ქრონიკის დაწერას აპირებდა: სინამდვილისა და ეპოქის იმდროინდელი ყოფის, სულის აღდგენას ეხარბებოდა...

„დონ კიხოტის" სიყვარულიც გამოჰყვებოდა, სიკეთითა და სიბრძნით სავსე წიგნად რომ მოიხსენიებდა 1979 წლის ივნისში, თუმც ასეთი რამის დაწერას არ ინატრებდა, რაკიღა ჩანართებით, ლექსებით, გადახვევებითა და ვიღაცებთან ანგარიშსწორებით იქნებოდა გადატვირთული, უამისოდ კი შესაძლოა ყოფილიყო წიგნი-საოცრება!..

ბავშვობის საყვარელ წიგნებს შორის არ მოიხსენიებდა ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობას", მერე და მერე აღტაცებული რომ უნდა დარჩენილიყო: უკვდავი წიგნია. ნეტა რამდენია ასეთი ნაწარმოები. ალბათ თითზე ჩამოსათვლელიო.

ამაღამ – 1979 წლის 3 ოქტომბერს – სწორედ სვიფტის ამ წიგნს უნდა ჩაეძინებინა. ახლა ორს აკლდა ათი წუთი.

კვლავ რომ გადაიკითხავდა ფიოდორ დოსტოევსკის „მკვდარი სახლის ჩანაწერებს" ნაკლები აღტაცებითა და სიამოვნებით, ვიდრე თავის დროზე, მაგრამ მაინც დარწმუნდებოდა, მის შეფასებაში რომ არა ცდებოდა. ეს ნაწარმოები რომ არა ჰქონოდა წაკითხული, უფრო სწორად ავტორს არ დაეწერა, შეიძლება სულ სხვა შთაბეჭდილება დარჩენოდა დოსტოევსკიზე.

უბრალოდ, სადად, თავისუფლად დაეწერა ეს ავტობიოგრაფიული რომანი, საოცრად ზუსტი და მართალი განსჯა-ანალიზით.

როდესაც კატორღას ტოვებდა, საოცარი სევდა, ავტორისეული, გეუფლებოდა მკითხველსაც. მწუხარებისა და უბედურების მეტი რა ენახა იმ ყაზარმაში და... მაინც გული წყდებოდა, იქაურობას რომ შორდებოდა.

საგანგებოდ მოიძიებდა ამ წიგნის ტოლსტოისეულ შეფასებას:

ამას წინათ შეუძლოდ გახლდით და ვკითხულობდი „მკვდარი სახლის ჩანაწერებს", ბევრი რამ დავიწყებული მქონდა, გადავიკითხე და არ მეგულება უკეთესი წიგნი მთელ თანამედროვე ლიტერატურაში, პუშკინიანად, გასაოცრად წრფელი და კარგი, სამოძღვრებო წიგნიაო.

და გაეხარდებოდა ამ შეხედულების მოსმენა, რაკიღა ამ აზრისა გახლდათ თვითონაც. ეგაა მთლად ვერ დაეთანხმებოდა ტოლსტოის, რომ: არ ეგულებოდა უკეთესი წიგნი თანამედროვე ლიტერატურაში თვით პუშკინის ჩათვლით, – რაკიღა რეზო ჭეიშვილისათვის პირადად პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი" მაინც უფრო ძლიერი იყო. და თავს დაიზღვევდა: ალბათო.

და რომ ჩამოთვლიდა სამ თხზულებას:

„კაპიტანის ქალიშვილი",

„მკვდარი სახლის ჩანაწერები"

და

„კავკასიელი ტყვე" –

განაცხადებდა:

აი როგორ უნდა იწერებოდეს პროზა, თითოოროლა ამდაგვარ ნაწარმოებს თუ მოუძებნი ამ რანგის მწერლებსაც კიო.

ნიკოლაი გოგოლს უნიკალურ მოვლენად რომ მიიჩნევდა იმდროინდელ ლიტერატურულ ცხოვრებაში, და საერთოდ ლიტერატურაში (ჩაურთავდა: ამაზე ცალკე უნდა ვთქვა ოდესმეო), განაცხადებდა: პუშკინი უნდა ყოფილიყო ქვეყანაზე ალბათ, გოგოლი რომ მოვლენილიყოო. და დასძენდა: ვინ ჰყავდა ნეტა წინამორბედი? ისე ახალგაზრდამ ისეთ დროს როგორ შექმნა ისეთი თავისებური, ორიგინალური, განუმეორებელი სამყარო, როგორ ჩამოაყალიბა შეუდარებელი ხელწერაო.

1982 წლის 21 მარტს რომ აღნიშნავდა: წუხელ ვკითხულობდი „მკვდარ სულებსო", განსაკუთრებული განცდით დასძენდა: ისე მომესურვილა, მომენატრა წაკითხვა, როგორც ჭამა, მწყურვალს წყალი თუ რაღაც ამისდამაგვარიო.

ის ადგილი ახსოვდა, მებატონე ქალის სახლში რომ დაიძინებდა, ბუმბულებში რომ ჩაეფლობოდა. დილით კი ბუზები და რაღაც ამდაგვარი. მონოლოგიდან დაიწყებდა კითხვას, გზა რომ აებნეოდათ... ამჯერადაც საოცარი განწყობილება დაეუფლებოდა, რომ კითხულობდა, იმ დროსა და იმ სამყაროში გადავიდოდა და ეგაა... გადაშლიდა სწორედ იმ ადგილას, ჭერამდე რომ იყო ქვეშაგები ასული... გაჰყვებოდა, გაჰყვებოდა თხრობას და: ამოდენა ნიჭის მწერალი არ ყოფილა მე მგონი პროზაშიო, – ეს შთაბეჭდილება გაუჩნდებოდა და არც დამალავდა.

1981 წლის 26 დეკემბერს რომ შეიტყობდა, 1982 წელი იუნესკომ დოსტოევსკის წლად გამოაცხადაო, გაუკვირდებოდა რატომღაც: საიდან გახდა

ასეთი ხელიხელსაგოგმანებელი საზღვარგარეთ, განსაკუთრებით ევროპაში, რატომ შესვეს ამოდენა „პოსტამეტზეო"?

ორი დღის წინათ გადმოელო „დანაშაული და სასჯელი" და ფაქტობრივად ხელახლა წაეკითხა. კითხულობდა გატაცებით, განსაკუთრებით თავსა და ბოლოში. მართლაც დიდებული გახლდათ პირველი ნაწილი.

მაგრამ აი სიზმარზე ამას ვერ იტყოდა. ცხენს ჰკლავდნენ მთვრალები. თვითონ რასკოლნიკოვი პატარა იყო და მამას მოჰყავდა ხელჩაკიდებული. და უკვე აღარ მოეჩვენებოდა მართალი, რადგანაც:

ბავშვობის შთაბეჭდილებითა და ასოციაციებით შეიძლება გენახა ბავშვობისდროინდელი სცენები, მაგრამ შენ თვითონ რომ ბავშვი ხარ და შენს თავს ხედავ პატარას, უკვე მოგონილი უნდა ყოფილიყო. საერთოდ მთელი სცენა სინამდვილის ანარეკლს ჰგავდა და: ასევე მოგონებებში, გახსენებაში რომ ჩამოეყალიბებინა ავტორს, უკეთესი იქნებოდაო – მიიჩნევდა.

მკვლელობის სცენა, შიში და კონსპირაცია შემაძრწუნებლად იმოქმედებდა მასზეც, რადგანაც აქ არ მოიძებნებოდა არცერთი არამართალი დეტალი. მეტიც: ვერც კი დაიჯერებდი, თუ ამის დამწერს ამდაგვარი რამ არ გადახდენოდა თავს.

და ამის შემდეგ – მესამე-მეოთხე დღიდან – დაიწყებოდა დოსტოევსკი, რომელიც ხან აცვიფრებდა, ხან აფიქრებდა და... საბოლოოდ მაინც არ მოსწონდა, ვერ აჯერებდა თავის მხატვრულ სიმართლეში, ერთი სიტყვით.

თავდაპირველად მემთვრალეებზე რომ ჰქონდა გადაწყვეტილი რომანის დაწერა, ეს იგრძნობოდა, თუმც მარმელადოვის ოჯახის ისტორია და რასკოლნიკოვი ხელს არ უშლიდნენ ერთმანეთს. შემდგომ იწყებოდა ქაოსი, ხვავდებოდა ერთმანეთზე მიყრილი ამბები – დიდი მწერლური გაელვებებით გამოელენილი.

სანიმუშოდ გაიხსენებდა მარმელადოვის ქელეხს.

და ეგონებოდა: პიესას ვკითხულობო.

შემოდიოდნენ და გადიოდნენ გმირები და ჰყვებოდნენ თავგადასავლებს. იქვე იხსნებოდა საიდუმლოებანი, იქვე ამხელდნენ ერთიმეორეს და არკვევდნენ სიმართლეს. საერთოდაც ხშირად უყვებოდნენ გმირები ერთმანეთს იმას, რაიც ავტორს უნდა მოეთხრო უეჭველად მკითხველისათვის.

თუნდ აგერ რასკოლნიკოვის აღსარება სონიასთან:

ბრწყინვალე ავტორისეულ ანალიზს უკეთებდა საკუთარ მოქმედებას, მდგომარეობას. ჰყვებოდა, როგორ ჩაკეტილიყო ობობასავით ოთახში, გადმოგვცემდა იმ საშინელ განწყობილებას, რომელშიაც იმყოფებოდა იმ დროს.

კატერინა ივანოვნას შეშლის სცენა. ქუჩაში სირბილი, ბავშვების ღნავილი და სხვადასხვა: მხოლოდღა მოგონილი გახლდათ, ყურით მოთრეული.

შემდეგ ეპილოგი, რომელიც... თითქოსდა სხვა ნაწარმოების ფინალი ყოფილიყოს. ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, თითქოს ავტორს ეს ისტორია სისულელეებით, გასართობი ამბებით შეევსო და ბოლოს ყოველივე დაეწყო და დაელაგებინა ჩვეული ოსტატობით. იგი უკვე ჩანდა დიდი, დი-

დებული მწერალი, ის სცენა სულაც წინასწარმეტყველურად რომ წარმოდგებოდა:

– ეზმანებოდა ავადმყოფს, ვითომ მთელი ქვეყანა აზიიდან ევროპაში გადმოსულ რაღაც საშინელ და უმაგალითო ჭირს უნდა გაეყლიტა. ვითომ ყველანი გაწყდებოდნენ, გარდა ზოგიერთი რჩეულისა. გაჩნდებოდნენ რაღაც ახალი მიკროსკოპული, თვალით უხილავი ტრიხინები, რომლებიც ადამიანის სხეულს ესეოდნენ. მაგრამ ეს უჩინარი არსებანი სულიერები იყვნენ ვითომ: გონებაც ჰქონდათ, ნებაც. ვისაც კი შეესეოდნენ ტანში, მაშინვე ჭკუიდან შლიდნენ... არ იცოდნენ, ვინ გაემტყუნებინათ, ვინ გაემართლებინათ. გაბოროტებულები ერთმანეთს ხოცავდნენ. ერთიმეორის წინააღმდეგ მხედრდებოდნენ, მაგრამ მოწინააღმდეგეზე ლაშქრობის დროს უეცრად ერთმანეთსვე დაერეოდნენ, სჩეხდნენ, ჰხოცავდნენ, ჰკბენდნენ და ჭამდნენ...

რა სახსენებელი იყო და: მოთხრობა ჰქონდა დაწყებული – „ჭა". მიატოვებდა და ორ ღამეს ათევდა „დანაშაულისა და სასჯელის" კითხვაში. დღისითაც წაიკითხავდა. თითქმის აღარაფერი ახსოვდა პერსონაჟთა სილუეტებისა და ცენტრალური – მკვლელობის – სცენის გარდა.

როდესაც იკითხავდა: რატომ აიყვანეს ამოდენა პედესტალზე საზღვარგარეთო? – ბევრ რამეს იგულისხმებდა ამ შეკითხვაში. ეტყობა ცოტა განელებულიყო კიდეც ინტერესი მის მიმართ და რა დონეზე დარჩებოდა კაცობრიობის კულტურის ისტორიაში, შემდეგი საუკუნის გადასაწყვეტი იქნებოდა.

მომავალი წელი დოსტოევსკის წლად რომ გამოეცხადებინათ, თავისთავად კარგ საქმედაც ესახებოდა და ნიშანდობლივადაც. მარტო მოდის ბრალი არ უნდა ყოფილიყო. შინიდან გაქცეული ტოლსტოი – ფაქტობრივად სიკვდილის წინ – ორ სხვა ნიგნთან ერთად დოსტოევსკისაც (თუ არა ცდებოდა, „ძმებ კარამაზოვებს") მოითხოვდა, და ესეც საცნაურად ეჩვენებოდა რეზო ჭეიშვილს, პოსტსკრიპტუმში რომ დაასახელებდა იმ სამ წიგნს, რომელთა წამოღებაც დაევალებინა მწერალს ალექსანდრასათვის:

მიშელ დე მონტენის „ესეები", ფიოდორ დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები" და გი დე მოპასანის „წუთისოფელი".

* * *

ქუთაისიდან ჩამოსული და კმაყოფილი თორმეტდღიანი შედეგიანი მუშაობით, 1982 წლის 22 სექტემბრის ღამით გაიხსენებდა იმ სიწყნარესა და სიმშვიდეს, და მწიფე იზაბელას სუნს ფანჯრებთან.

გარდა იმისა, რომ წერდა და ბეჭდავდა, კითხულობდა კიდეც, რაკილა სხვანაირად არ ეძინებოდა ხოლმე. და გადაიკითხავდა დიკენსის „დავით კოპერფილდსა" და მოპასანის „ლამაზ მეგობარს". თუ პირველს გაიხსენებდა და აღიდგენდა, მეორეს მაშინ გაეცნობოდა მხოლოდ და... გული დაწყდებოდა, აქამდე სად ვიყავიო. რატომ არ ჰქონდა ეს წიგნი წაკითხული, ახლაც ვერ გაერკვია.

არ ელოდა, ისე მოეწონებოდა. და მიხვდებოდა, რატომ მოსწონდა ასე ძალიან ტოლსტოის, რატომ თარგმნიდა რუსულად „წუთისოფელს“ და რატომ წაიღებდა ორ სხვა წიგნთან ერთად უკანასკნელ და საუკუნო მოგზაურობაში.

რუსულადვე წაიკითხავდა რეზო ჭეიშვილიც ძალიან დიდი ხნის წინათ, მაშინ თავისუფლადაც ვერ კითხულობდა ამ ენაზე, მაგრამ ძალიან გააოცებდა, ერთი სულისმოთქმით ჩაათავებდა და... ძალზე მძიმე და დამთრგუნველ შთაბეჭდილებას დაუტოვებდა „წუთისოფელი“. მიუხედავად ტოლსტოის ავტორიტეტისა, გადაკითხვის სურვილიც აღარ დაებადებოდა. ახლა კი, „ლამაზი მეგობრით“ აღტაცების შემდეგ მოინდომებდა: უეჭველად უნდა გადავიკითხოო.

მოპასანი განა არ იცოდა, რა რანგის მწერალიც გახლდათ, ბევრს და ხშირად კითხულობდა სიყმაწვილისას მის ნოველებს, მაგრამ რომანი? ოოო, რომანი მაინც სხვა იყო და აღფრთოვანებით დასძენდა:

მაგარი მწერალია, მკაცრი, უბრალოო.

თუნდ: როგორ იცნობდა ქალებს – იქიდან დღემდე ხომ რყევა არ განეცადა მათ ფსიქოლოგიას.

* * *

2000 წლის 28 მაისს შემთხვევით მოჰყვებოდა ხელთ „დავით კოპერფილდი“ და ჩაიკითხავდა, სადამდეც გული მიუწევდა ყოველთვის — პაპიდასთან დარჩენის ეპიზოდამდე. და დაემთხვეოდა თუ რა, სწორედ ამ დღეებში რომ აჩვენებდნენ კინოფილმსაც ამ ეპიზოდით.

და დაიგმენდა რეზო:

ბედნიერი ხანა — საჭიროება წიგნისა, რომანისა, კითხვისაო...

და ძალაუნებურად შეუდარებდა ახალ დროებას:

როგორ წარმოიდგენდა ბიძია დიკენსი, რომ უწიგნობის ხანა ჩამოდგებოდაო.

არადა მართლაც წასულიყო ის... წასულიყო და აღარც დაბრუნდებოდა ის გრძნობები, ხასიათები, თხრობა...

რისთვის შეიძლება შეგედარებინა ეს მშვენიერი წიგნი?

და რეზოს წარმოუდგებოდა:

სუფთა, კამკამა მდინარე, ამწვანებულ ველში გამომდინარე...

უფრო ხატოვანი, უფრო გულითადი, უფრო ინტიმური დახასიათებაც რა უნდა იყოს, დიკენსოლოგებს რომ შეეხარბებათ... თუმც ნეტა შემორჩენილან კი დიკენსოლოგები?.. თუ თან გაჰყოლიან იმ გრძნობებს, იმ ხასიათებს, თხრობის იმ მანერას?!.

მწვანედ ბიბინებდა ველი.

მოათამაშებდა ტალღებს მის გულზე მდინარე, კამკამა, კამკამა, ფსკერზე ყველა კენჭს რომ დაუთვლიდი.

და ერქვა მას ჩარლზ დიკენსის „დავით კოპერფილდი“, ავტობიოგრაფიული ყაიდის რომანი.

და იძირებოდა მის ტალღებში რეზო ჭეიშვილი ისეთი აღტაცებით, თითქოს კვლავინდებურად ყმაწვილი ყოფილიყოს, პირველად მიახლებული ამ ჯადოსნურ, გულისშემძვრელ, დამატყვევებელ სამყაროს.

* * *

ხოლო საფრანგეთში ისეთი მოსაზრებაც გავრცელებულიყო: დოსტოევსკი რომ არა, XX საუკუნის ფრანგული ლიტერატურა არ იქნებოდა, უფრო სწორად, არ იქნებოდა ის ლიტერატურა, რომელიც დღეს არისო. და ამ თვალსაზრისს იზიარებდა ალბერ კამიუც.

ნეტა რას გულისხმობდა შეფასება: „ეშმაკნი“ – წინასწარმეტყველური წიგნიო? კარგი, ვთქვათ ვიცოდით... საბჭოთა პრესაში როგორ გაპარულიყო ასეთი რამ?!. შესაძლოა სულ სხვა რამით იყო ის წიგნი წინასწარმეტყველური. ერთი უნდა ენახა, გადმოეღო სტუდენტობისას წაკითხული წიგნი. იქიდანაც ერთი საშინელი მკვლელობის სცენა ჩაჭედებოდა ტვინში. სხვა ყველაფერი გაფერმკრთალებულად ახსოვდა, ან საერთოდაც დავიწყნოდა.

ადგილებს გადაიკითხავდა და... რაღა დაემალა, ძალიან გაუჭირდებოდა. მეექვსე თავიდან – 360-ე გვერდიდან – იწყებოდა ფაქტობრივად მოქმედება. შატოვის ცოლის ჩამოსვლით, როდესაც იგი ჭიშკარზე არახუნებდა, იწყებოდა დოსტოევსკი.

წინასწარმეტყველურს ბევრს ვერას დაინახავდა. სტავროგინი ნაწვალები ხასიათი გახლდათ, თითქმის ზედმეტი პერსონაჟი, კირილოვი – ხელოვნური, მოგონილი, კორმაზინოვის პროტოტიპად კი ტურგენევი შეერჩია.

დარწმუნებული გახლდათ და ხვდებოდა კიდეც (სხვა ნაწარმოებებიდან და დოკუმენტებიდან), აუტანელი, გამაღიზიანებელი ტიპი იქნებოდა ივან ტურგენევი. თუმც ამასაც დასძენდა: გააჩნია ვისთვისო. ასეა თუ ისე კაცის ასე გაწირვა გაუმართლებლად მიაჩნდა. მხატვრულ ნაწარმოებში ამდაგვარი რამ დაუშვებელი უნდა ყოფილიყო. მწერალზე, საკმაოდ სოლიდურ და საინტერესო მწერალზე, უკადრისი ეკადრებინა დოსტოევსკის.

თვით ის ფაქტი, რომ თვითონ მის დროს არსებული წყობილების – ამ შემთხვევაში მონარქიის – თავგადაგდებული დამცველი გახლდათ, დოსტოევსკის სასარგებლოდ არ მეტყველებდა. და გამოთქვამდა თავის ეთიკურ-მწერლურ მრწამსს რეზო ჭეიშვილი:

ხელოვანი, დიდი ხელოვანი მუდამ კონფლიქტში იყო – ზოგიერთი გამონაკლისის გარდა – თუ დროსთან არა, არსებულ ხელისუფლებასთან, გაბატონებულ კლასთან მაინც, და ეს კაცი რაღა გამონაკლისი აღმოჩნდაო.

თუმც მისი შემოქმედება, მთლიანობაში, ამ აზრის საილუსტრაციოდ შესაძლოა არც კი გამომდგარიყო.

გაახსენდებოდა დოსტოევსკის ცოლის გამონათქვამი: ალექსანდრე მეორის სიკვდილს მაინც ვერ გადაიტანდა, თან გადაჰყვებოდაო, – და თავის მხრივ აღშფოთებას ვერ შეიკავებდა: დასწყევლოს ღმერთმაო!..

1 დეკემბერს რომ გადაწყვეტდა, „ყმაწვილიც“ წაეკითხა, 5-ში აღიარებდა: უინტერესოდ, უხალისოდ ჩავამთავრეო. არადა რა საინტერესოდ დაიწყებოდა:

როტშილდის თემა. საგულისხმო ხასიათი. ფულის დაგროვების მანია. როგორ უნდა ეელო, ფეხსაცმელი რომ არ გაეცვითა, და ამისთანები. მაგრამ შემდგომ ეს ხასიათი იცვლებოდა, ჩვეულებრივ დოსტოევსკისებურ ხასიათში ითქვიფებოდა და დასაწყისი ისე ისპობოდა, ქრებოდა, თითქოს არც ყოფილიყოს. არადა გაუმართლებელი ეჩვენებოდა: როგორ შეიძლება უკვალოდ ჩაევლო ადამიანის ამ თვისებას, თუნდ სიძუნწეს, მითუმეტეს – ამ მიზანსწრაფვას.

და ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ:

დასაწყისის განწყობილება კარგად ჰქონდა ნათაქები ჯერომ სელინჯერს.

არავის დაეკავშირებინა „ყმაწვილთან“ „თამაში ჭვავის ყანაში“, არადა რეზო ჭეიშვილი ძალდაუტანებლად გასდებდა ხიდს ამ ორ თხზულებას შორის. ეტყობა ამ რომანის უჩვეულო პოპულარობაც ვერ აეხსნა და აღიზიანებდა, თორემ სხვა სიტყვას ამჯობინებდა და არა მაინცდამაინც ამას: ნათაქებიო.

და თუმც „ყმაწვილი“ არ ითვლებოდა პირველხარისხოვან რომანად დოსტოევსკის შემოქმედებაში, გაზიარებით იზიარებდა ამ შეფასებას, თუმც როგორ არ აღენიშნა, რომ: თხრობა აქ გაცილებით უფრო ბუნებრივიც იყო და მართალიც, ვიდრე სხვაგან.

იშოვნიდა მისი დღიურების ერთ ტომს.

სხვა ტომებს არ იცნობდა, ამას კი ადრევე უტრიალებდა იქიდან და აქედან, გულმოდგინედ გაჰყვებოდა, მაგრამ... თუნდ თავისდა სამარცხვინოდ: საყურადღებოს ვერას იპოვნიდა რას. და გადაწყვეტდა: დოსტოევსკის ანი აღარც მივუბრუნდებიო...

ერთადერთი „მკვდარი სახლის ჩანაწერები“ დაენანებოდა: მას თუ შეიძლება გადავხედო მხოლოდდამხოლოდო.

* * *

1979 წლის 30 სექტემბერს მიაქცევდა ყურადღებას, რომ: დაახლოებით ერთი წლის წინათ დაეწყო ამ დღიურების წერა. ვერ იტყოდა, რომ ბევრი დაეწერა ან ძალიან გულახდილი გახლდათ.

მერე როგორღა აპირებდა გაგრძელებას?

დაბეჯითებით არც არას იტყოდა: ვნახოთო!..

და დაინტერესდებოდა: საერთოდ რატომ ჰკიდებდა ხელს ადამიანი ამ საქმიანობას, რატომ წერდა ეგრეთწოდებულ დღიურებს?

ქართულ მწერლობაში მიღებული არ გახლდათ ეს ფორმა. მემუარებსა და მოგონებებს არა გულისხმობდა.

გალაკტიონ ტაბიძის, ტერენტი გრანელისა (ნაწილი) და გრიგოლ ორბელიანისა (ისიც ნაწილი) გამოქვეყნებულიყო დღემდე ამ ჟანრის თხზულებანი. „მგონიო“ – თავს დაიზღვევდა, ვაითუ გამორჩენოდა სხვა ნიმუშები. გრიგოლ ორბელიანის ჩანაწერებისათვის დღიური ვერც დაერქმია. ასევე არ ესმოდა, რატომ ერქვა დოსტოევსკის ჩანაწერებს „მწერლის დღიური“, მაინც რატომ წერდნენ ამნაირად?

ალბათ თვალი რომ გადაევლოთ თავიანთი ცხოვრებისათვის, სიცოცხლის გზისათვის.

თვითონ – მგონი – ამიტომაც მოქცეულიყო ასე.

მაშ რატომ წერდა გარკვევით?

სხვებსაც რომ წაეკითხათ.

რატომ გამოთქვამდა „ბრძნულ-ბრძნულ“ აზრებს?

იმიტომ ხომ არა, რომ მის შემდგომ მასზეც ეთქვათ, დახეთ, რა ჭკვიანი ყოფილაო?!.

ერთიც შეეძლო ეთქვა გულახდილად:

პირდაპირ რვეულში წერდა, ყოველგვარი წინასწარი მომზადებისა და შესწორების (მცირე გამონაკლისის გარდა) გარეშე.

* * *

არ შეიძლება შექსპირის წაკითხვა ტოლსტოის მსოფლმხედველობითა და თვალსაზრისითო, – ამის თქმისთანავე კიდეც დაამუნათებდა აბსოლუტურ უმრავლესობას: სწორედ ასე კითხულობენ და... ავტორის გენიოსობას ამტკიცებენო.

როგორ არ გაკვირვებოდა: თუკი ტოლსტოის თვალით უყურებ, მაშ სწორედაც ტოლსტოის უნდა დაეთანხმო და არა საყოველთაოდ გავრცელებულ შეხედულებასო.

პირობითობას, ზოგჯერ გულუბრყვილობას, გვერდს უვლიდნენ დამდგმელი რეჟისორები – თეატრშიც და კინოშიც, და შექსპირს თამაშობდნენ სერიოზულად. არადა რეზო ჭეიშვილის დაბეჯითებული რწმენით: შექსპირი ისე უნდა დადგმულიყო, როგორც ინდური ეპოსები, რაღაც იმდაგვარად, დაახლოებით, ავტორის ეპოქასთან, თეატრალურ სტილთან მიმგვანებულად. დღეს კი სერიოზულად, „დამაჯერებლად“ ახრჩობდნენ დეზდემონას, გულში იცემდნენ დანას, ოხრავდნენ, კვნესოდნენ და თვალებს ატრიალებდნენ სტანისლავსკის მეთოდით...

ასი ათასისაგან ერთიც კი ძლივს წარმოქმნილა ავტორის განცდილ გრძნობათაგანო, – ამოიწერდა ლევ ტოლსტოის ესთეტიკური ტრაქტატიდან „რა არის ხელოვნება“ ამ სტრიქონებს, – ყოველივე დანარჩენი ფაბრიკული ნაწარმოებია, ნაყალბევი ხელოვნება, სადაც სესხება, მიბაძვა, შთაბეჭდილების მოხდენისა და გარეთობის სურვილი ცვლის გრძნობით დამუხტვას. ხოლო ჭეშმარიტი ხელოვნების ქმნილებათა რაოდენობა ამ ნაყალბევთა რაოდენობას ისე შეეფარდება, როგორც ერთი ასი ათასსო.

და დაურთავდა: სავსებით სწორიაო, – და იდუმალად თავის თხზულებებს გახედავდა და საცერშიც გამოატარებდა ამ თვალთახედვით.

ბევრი საგულისხმო, ჭეშმარიტი გამონათქვამის მოხმობა შეიძლებოდა კიდევ ამ ტრაქტატიდან, მაგრამ ხელოვნების სინამდვილის განსაზღვრებისათვის მარტოდენ განცდილი გრძნობები და საერთო გრძნობები – თუნდ ანთებულიყავ სხვისი განცდებით, გეხარა სხვისი სიხარულით, გენაღვლა სხვისი ნაღველით – უკმარი და დიდად უკმარიც ეჩვენებოდა რეზო ჭეიშვილს. განგეცადა და განცდილი გადმოგეცა აუცილებელი პირობა გახლდათ, მაგრამ არა ერთადერთი.

იმ გარემოებასაც მიაქცევდა ყურადღებას, რომ:

საილუსტრაციოდ აქაც და სხვაგანაც ტოლსტოი საკმაოდ უსუსურ ნაწარმოებებს ასახელებდა. მართალია იმ თხზულებებში ჩანდა გულწრფელობა, „განცდილი გრძნობის“ უშუალობა, მაგრამ პროზის – მითუმეტეს ზოგადად ხელოვნების – განსაზღვრის კრიტერიუმად არაფრისდიდებით არ გამოდგებოდნენ. როგორ შეიძლება გამოგერიცხა ფორმა, თუნდაც არტისტიზმი და სხვა და სხვა...

1980 წლის 21 დეკემბერს ჩაენიშნა ეს სტრიქონები, და საერთოდაც ხშირად წამოაგონდებოდა ხოლმე ტოლსტოი, ხშირად გადმოიღებდა და ჩახედავდა ხან რომელ თხზულებას და ხანაც რომელს; და „გადანახული ჩანაწერებიც“ ლამის მის აპოლოგიად გადაექცეოდა, თავით ბოლომდე რომ გამოსდევდა ტოლსტოის ლანდი – კიდეც ეკამათებოდა, განა არა, ყველაფერს პიტალო ჭეშმარიტებად სულაც არ მიიჩნევდა, ამ მწერლის კალმიდან რაც გამოსულიყო, მაგრამ ყოვლთუკეთესად კი აღიარებდა, მხატვრულ-ესთეტიკურ ორიენტირად, სულიერ მოძღვრად და გზამკვლევად, და ყველაზე ფარული, ყველაზე ინტიმური ფიქრების დროსაც მისი აჩრდილი უნდა გამოცხადებოდა აფორიაქებული ფიქრებისა და განცდების დამამშვიდებლად...

ლიტერატურის აუცილებლობას რომ არა ვგრძნობდეო, – ერთხელ ასეთ გუნებაზეც დადგებოდა გულისჭიდილისას რეზო ჭეიშვილი, – მარტო მწერლობის ანაბარა რომ არ ვიყო დარჩენილი და სხვა ხელობაც მქონდეს, წერასაც დავანებებდი თავსო.

უპირველესად მის გამოყენებით მნიშვნელობას აღიარებდა, შემდეგ კი სხვა მრავალ ფაქტორს, ყველას რომ ვერც ჩამოთვლიდა და არც აპირებდა, და ბოლოს უმთავრესი და უზენაესი: რა გქონდა სათქმელი და რა უნდა გეთქვა მკითხველისათვის, ხალხისათვის? ამ უმაღლესი მისიის აღსრულებას მხოლოდ რჩეულთ, მხოლოდ ერთგულებს აკისრებდა განგება.

და... ერთბაშად იელვებდა ტოლსტოის სიტყვები, ციტატას ვერ მიაგნებდა და მეხსიერებას დაეყრდნობოდა რეზო ჭეიშვილი, იმას შვილებისათვის რომ ეთქვა: დრო აღარ მრჩება სხვა საქმისათვის. უნდა ვუთხრა ხალხს, რაც მე ვიცი და რაც იმათ არ იციანო.

უთხრა კიო? – შეფიქრიანდებოდა ქართველი თანამოკალმე, – ანდა იცოდა ისეთი რამ, რაც სხვამ არ იცოდა? მიაგნო კი ჭეშმარიტებას, რომელსაც ასე აფასებდა, ეძებდა და ვერ პოულობდაო?

ანტონ ჩეხოვი შეჰკადრებდა ერთხელ: „ადგომის“ ბოლო თავები ზედმეტად მიმაჩნიაო.

და განაწყენდებოდა და რარიგ განაწყენდებოდა ტოლსტოი: იმ ბოლო თავებისათვის (სახარებიდან მოხმობილი ადგილებისათვის) დავწერე მთელი წიგნიო.

რეზო ჭეიშვილი კი არც ერთს მიემხრობოდა და არც მეორეს: ორივე მართალი იყოო. და: თავისი მოძღვრება თავისივე მხატვრულ შემოქმედებაზე მაღალი რომ ეგონა ტოლსტოის, შესაძლოა ასეც გახლდათო.

მაგრამ სხვაგვარად რომ ფიქრობდნენ მისივე თანამედროვენიც კი, თუნდაც ტურგენევი?

და ჩაუკვირდებოდა ქართველი მწერალი ტოლსტოის მოძღვრებას, რომელიც: მართლაც უარყოფდა იმდროინდელ და თუნდ დღევანდელ ნორმებს, ეკლესიის დოგმებს, რაც თავისთავად ძირს უთხრიდა სახელმწიფოს, მითუმეტეს – რუსეთის ბნელსა და ძალადობაზე დამყარებულ იმპერიას.

დღესაც ხელს არ აძლევდათ, ხსენებაც არა სურდათ მისი იდეებისა, და ვერ აეხსნა ასეთი დამოკიდებულება მისადმი რეზო ჭეიშვილს: სიყვარულსა და თავისუფლებას ქადაგებდა, სხვას ხომ არაფერსო.

ორად ორი სურვილი ჰქონოდა:

ყველას ჰყვარებოდა იგი და ყველა ჰყვარებოდა მასაც.

და ქართველი მწერლის შეფასებით: მისი მოძღვრების თავდაპირველი სახე – და შემდგომშიაც არ გართულებულიყო დიდად – არა ყოფილა მაინცდამაინც უსაშველო და ზებუნებრივი.

ახალი რელიგია ცხადია ვერ შეექმნა. და თუმც მისი მოძღვრება ნათელი და მარტივი გახლდათ თითქოს, მაგრამ – რეზო ჭეიშვილის შეტყობით – არც ისე პრიმიტიული, რომ ხალხიც, ბრბოც აეყოლიებინა.

ამოეთქვა თუ არა თავისი სათქმელი?

თუმც... შეესრულებინა თუ არა თავისი მისია?

ეს აბა ვინ იცოდა, თვითონ ტოლსტოის კი 1895 წელს ჩაენიშნა:

– მქონია დრო, როდესაც ვგრძნობდი, რომ ვხდებოდი მეგზური ღვთიური ნებისა. და ეს იყო უბედნიერესი წუთები ჩემი ცხოვრებისა.

მეგზური ღვთიური ნებისაო...

მოიშველიებდა ამ ამონარიდს და... იქვე მიადევნებდა, რომ: წუხელის ცუდად ეძინა.

და ერთ გაღვიძებაზე გაიფიქრებდა:

რისთვის ვწერ, რა მაქვს სათქმელიო?!.

ნუთუ არაფერი?

შენი ფიქრის, დარდის, წუხილის, თუნდაც სადღეისო პრობლემების გამოტანა სააშკარაოზე ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. და... ჭეშმარიტება სადღა სუფევდა?

ცასა და მიწას შორის შუამავლობა?

შეესრულებინა კი ვინმეს ეს მისია?

ჭეშმარიტება თუ ექადაგა ვინმეს, თუნდაც ტოლსტოის?..

13 სექტემბერს კვლავ ტოლსტოი უნდა წამოჰგონებოდა, მისი ის შეხედულება: ყველაზე სრულყოფილი ნაწარმოები (ალბათ ფორმის თვალსაზრისითო, ჩაურთავდა ქართველი მწერალი), სადაც ერთი სიტყვის ჩამატებაც არ შეიძლება, მიხაილ ლერმონტოვის „ტამანიაო“.

ტატიანა სუხოტინა-ტოლსტაიას ჩაენიშნა ეს გამონათქვამი თავის მოგონებებში. ციტატას ვერ მიაგნებდა, მაგრამ გახსენებით კი წუხელის გაახსენდებოდა, კიდეც გადმოიღებდა ლერმონტოვს და დიდი სიამოვნებითაც წაიკითხავდა „ტამანს“.

ძალიან უყვარდა ადრევე, ბავშვობიდანვე ამ წიგნის – „ჩვენი დროის გმირი" – კითხვა. კარგადაც ახსოვდა თითქმის ყველაფერი. ახლაც შეეძლო აღედგინა გონებაში. აი „ტამანი" კი – არა!..

გასაოცრად ეჩვენებოდა, რომ:

განწყობილება ამ ნოველისა მასში იყო ყოველთვის და... არაფერი ახსოვდა. მხოლოდღა თვალის ერთი გადავლება სჭირდებოდა. ახსოვდა მხოლოდ სიბნელე, ზღვა, საუბარი სევდიანი და ბრმის ტირილი. განწყობილება ამ ნოველისა ჩემში იყო ყოველთვისო, – რომ ირწმუნებოდა, ნამდვილად ასე გახლდათ.

ეს განწყობა სევდისა, ღამისა, რაღაც საიდუმლოსი შეიძლება – შეიძლებაო, კიდევ გაიმეორებდა – გადმოსულიყო მის მოთხრობაში „პაპიაშვილის ბრალდების საქმე". ფაქტისა და არქივის მასალისათვის თვითონ მიეკვლია, მაგრამ მოთხრობისაკენ შესაძლოა „ტამანს" ებიძგა, თუმცაღა – აღიარებდა – აღარაფერი იქიდან რომ აღარ ახსოვდა.

მართლაც კარგად იყო დაწერილი „ტამანი", მაგრამ მთლიანად შეიძლება ვერც დათანხმებოდა ტოლსტოის, რადგანაც მისივე „კავკასიის ტყვისა" და პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილის" არსებობა შეაეჭვებდა ამ დებულების სისწორეში.

ბესარიონ ბელინსკი უკიჟინებდა: ძალზე ცოტა აქვს დაწერილი მისი უჩვეულო ტალანტის პატრონსო, – და გააკვირვებდა რეზო ჭეიშვილს ეს საყვედური: ლერმონტოვს თუ ცოტა აქვს დაწერილი, აღარ ყოფილა საშველი. საოცარი ისაა, როგორ მოასწრო და როგორ შექმნა ამდენი ადამიანმა, რომელმაც 27 წელიც ვერ გაასრულაო.

ძალიან ადრე რომ ჩამოყალიბდებოდა პოეტადაც და პროზაიკოსადაც, ქართველი მწერალი იმით ხსნიდა: დიდებული აღზრდა რომ მიეღო ლერმონტოვს, ძლიერ ადრე ზიარებოდა ფრანგულ ენას, კულტურას და რაც მთავარია – ფრანგულ ლიტერატურას. და მაინც: პუშკინი რომ არა ყოფილიყო, ვერ დაიპყრობდა იმ მწვერვალს – გოგოლისა არ იყოს – რომელიც ეპყრა.

და თუ „ტამანის" ასერიგად გამორჩევაში არ დაეთანხმებოდა ტოლსტოის, მხოლოდ იმიტომ, რომ მის „კავკასიის ტყვეს" ამჯობინებდა სრულყოფილების თვალსაზრისით ლერმონტოვის ამ ნოველას.

ტოლსტოის ლანდის ტრიალი ლანდის ტრიალად მის დღიურებში და... გამაოგნებელ რაიმეს ამოიკითხავს მკითხველი 1979 წლის 21 მარტის ჩანაწერში:

ღამის 2 საათზე დაესრულებინა... „ომი და მშვიდობის" პირველ-მეორე ტომების გადაწერა. პირველი 537 ხელნაწერი გვერდი გამოვიდოდა, მეორე – 627 გვერდი.

ამხელა ნაწარმოებს მალულად რომ ვერ გადაწერდა, რა გასაკვირია, და: რატომ წერო? – ეკითხებოდნენ კიდეც ერთსა და იმავეს გაოცებულნი.

ესეც ხან რითი „იმართლებდა" თავს და ხანაც რითი. ხოლო დღიურში რას ამბობს?

მინდოდა და გადავწერე, ეს იყო სულო.

იქაც არ გამოტყდებოდა.

მესამე და მეოთხე ტომებსაც გადავწერ, თუ „მშვიდობა“ იქნაო, – იქადნებოდა.

უკვე შეიძლებოდა ზოგიერთი დასკვნის გაკეთება. თუმც... თავს შეიკავებდა: ამაზე შემდეგო. ეს „შემდეგ“ კი არასოდეს დადგებოდა. გადადებული საქმე ამჯერადაც ეშმაკისა აღმოჩნდებოდა.

მინდოდა და გადავწერეო...

კალიგრაფობაზე ქართულადაც ვერ დასდებდა თავს და... რუსულად?

რუსულ ენაში გასავარჯიშებლადაც ზედმეტი იქნებოდა ასეთი თავგამოდება.

ეტყობა ტოლსტოის სტილის შეგრძნებას ესწრაფოდა ძირისძირობამდე, ფარული და ფარულზე ფარული ნიუანსების შეცნობას, ენობრივი მუსიკის წიაღში ჩაყვინთვასა და ყოველი ბგერისა და იდუმალი მონაბერის გამორჩევას...

ალბათ ამიტომაც დაუდებდა გულს და... იმედოვნებდა, მომდევნო წიგნებსაც გაუბეზრებლად მიეტანებოდა, წვრილზე წვრილი დეტალიც არ დამრჩეს შეუმჩნეველ-შეუცნობელ-შეუთვისებელიო.

1983 წლის 28 მარტს დათბობასა და თბილისის გაყვავილებაზე რომ ჩაინიშნავდა, კიდეც შეატყობდა, დღიურის ეს რვეულიც რომ მთავრდებოდა და... დღეს თუ ხვალ მეოთხე რვეულს გადმოიღებდა. ცოტას წერდა, მაგრამ ამდენიც არ მიაჩნდა საჭიროდ.

ჩაწერა კი 1978 წლის შემოდგომიდან რომ დაეწყო ფრაგმენტულად, 79, 80, 81 და 82 წლებში უფრო ინტენსიურად გადაეთვალიერებინა განვლილი დღეები. და დაინტერესდებოდა: ნეტა რას ვწერდი ოთხი წლის წინათ, 1979 წლის მარტის ამ დღესო...

28-ში არც არაფერი. მარტის ბოლო ჩანაწერი 21-ით თარიღდებოდა. იმ დღეს დაემთავრებინა „ომი და მშვიდობის“ პირველი ორი ტომის გადაწერა და: მესამე და მეოთხე ტომებსაც გადავწერ, თუ მშვიდობა იქნაო, – დაექადნა.

აღარ მიბრუნებოდა გადაწერას. ოღონდ სწორედ წუხელ გახსენებოდა ეს ამბავი და: ხომ არ განვაგრძო დაწყებული საქმეო, – ერთი გაფიქრება გაეფიქრა. არ ეზარებოდა, სურდა კიდეც, განა არა, მაგრამ... უკვე შეუძლებლად ეჩვენებოდა: ბევრ დროს წამართმევს, სამუშაო და საწერი დრო კი დღითიდღე ცოტა და ცოტა მრჩება, რომ დამიჭერდნენ და ჩამკეტავდნენ, სხვააო...

და ძალაუნებურად წამოაგონდებოდა, რომ:

ძალიან წყდებოდა თურმე – კერძო საუბრებიდან და მოგონებებიდან როგორც ირკვეოდა – ტოლსტოის გული უციხობასა და უპატიმრობაზე. და ივარაუდებდა რეზო ჭეიშვილი: შურდა ეტყობა დოსტოევსკისა და სხვების და სხვებისო.

მართლაც როგორ – ჩემი არ იყოსო, ჩაურთავდა მღელვარედ – ძლიერ და მართალ ნაწარმოებს დაწერდა, ციხესა ან გადასახლებაში რომ მოხვედ-

რილიყოო... და ახსენდებოდა „ანა კარენინაში“ აღწერილი ციხისა და გადასახლების სცენები: ვინ იფიქრებს, იმის დამწერი რომ იმ სამყაროს მხოლოდ გარედან მაცქერალი ადამიანის თვალით ხედავდა შორიდან, სხვების დახმარებითა და გამოკითხვითაა შეფასებული ციხეცა და ციმბირიცო.

21 სექტემბერს კვლავ გაიხსენებდა ტოლსტოის ამ საწუხარს: ციხეში რომ არ იყო ნამყოფი და პატიმართა ცხოვრებასაც არ იცნობდა. თავის მხრივ კი დაურთავდა: ბევრი რამის სწავლა, კარგისაც და ცუდისაც, შეიძლება მართლაც საპყრობილე-გადასახლებაში. თქმა ადვილია, მაგრამ შეიძლებაო.

ზოგიერთები, მრავალი წლის გადასახლებულნი, ნაწვალებნი და ნაუბედურალნი, რომ ჩამოვიდოდნენ და... ბევრს ვერაფერს ჩამოიტანდნენ?

ის ანდაზა წამოაგონდებოდა: ვირი იერუსალიმში წავიდა და ვირადვე ჩამოვიდაო.

მთავარი ხომ მაინც ის გახლდათ, როგორ ხედავდი, როგორ იმახსოვრებდი, როგორ აანალიზებდი, როგორ აკავშირებდი ფაქტებსა და მოვლენებს ერთმანეთთან...

და ამ მოსაზრებას რომ გამოთქვამდა, ძალაუნებურად დასძენდა, რომ: ჭეშმარიტად ცოტას, მხოლოდ ზოგიერთებს თუ შეეძლოთ ზემოჩამოთვლილ დებულებათა სწორად, ლამაზად და საინტერესოდ აღწერა.

გული მაინცდამაინც რომ აღარ გაუწევდა „ომი და მშვიდობის“ დარჩენილი ორი ტომის გადასაწერად, ალბათ იმიტომაც, ცოტა არ იყოს კრიტიკული განწყობაც რომ გაუჩნდებოდა და მთლად ისეთი აღტაცებულიც ვეღარ იქნებოდა, როგორც ამ უჩვეულო საქმიანობის დასაწყისში, ამხელა ტვირთის წამოკიდება ასერიგად რომ ესახელებოდა.

1983 წლის 16 აპრილს იური ტინიანოვის „მუხთარ-ვაზირსა“ და ალექსანდრ გრიბოედოვის ტრაგიკულ, ოღონდ გარდუვალ ხვედრზე მსჯელობას ძალაუნებურად მოჰყვებოდა ტოლსტოის გახსენებაც და მისი ამ რომანისაც, ვერავინ რომ ვერ იტყოდა: ანალიზებითა და ფსიქოლოგიზმებით „ომი და მშვიდობა“ გატენილიაო, – ის კი არა, შეიძლება პირიქით უფრო გახლდათ ეს ეპოსის დარი – მრავალი ნაკლოვანებით – ნაწარმოები, რომელშიც გმირები უმეტესწილად იმავეს ლაპარაკობდნენ, რასაც ფიქრობდნენ. ავტორიც არაფერს მალავდა, სულის ხლართებს არა ხსნიდა და მკითხველსაც არაფერს უტოვებდა „განსასჯელად“.

მრავალი ნაკლოვანებითო...

სულის ხლართებს არა ხსნიდაო...

სხვა ნაწარმოებებში კი სულ სხვანაირად იყო საქმე, თუნდ „ივან ილიჩის სიკვდილი“ გაგვეხსენებინა, და დასაწყისს დავკვირვებოდით განსაკუთრებული გულისყურით...

აი ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტს“ რომ გადმოიღებდა 1982 წლის 21 მაისს და ადგილების გადაბეჭდვას მოინდომებდა – მანქანაზე ვარჯიშისათვისაც, და მისი ენობრივი ქსოვილიც დააინტერესებდა: გადაბეჭდვისას უფრო ხელშესახებად შეიგრძნობდა, უფრო ნიუანსობრივად, რამდენადაც კი

შეიძლება თარგმანში განიცადო მწერლის სტილურ-ენობრივი თავისებურება... წინასიტყვაობას გადაბეჭდავდა და... საინტერესოს ვერას აღმოაჩენდა.

საინტერესოს ვინ ჩივის, ისეთ მკაცრ განაჩენს გამოუტანდა: თითქმის იმდენივე სისულელეა, რამდენიც აბზაციაო. არა მიზანდასახულად და მხატვრული თვალსაზრისით, თვითონ როგორც ჩვეოდა რეზო ჭეიშვილს.

სანახევროდ თბილისში ვარ დაბადებულიო...

თუმც ზოგიერთი დებულება უაილდისა მაინც საყურადღებო მოეჩვენებოდა, თუნდ პარადოქსის თვალსაზრისით.

ეს კი არ გამორჩებოდა და კიდეც დაუფასებდა, რაკიღა თვითონაც საკმაოდ გაწაფულიყო პარადოქსებში.

შექსპირს წამოჰკრავდა ადვილად ხელს და დოსტოევსკის და ჰემინგუეისა თუ უაილდისათვის შებედვა რაღა ბედენა უნდა ყოფილიყო.

არ მოერიდებოდა დიდ სახელებს – ტოლსტოის გადმოსახედიდან თუ განზომილებიდან, და შეეცდებოდა მეტოქეები ჩამოეცილებინა მისთვის... მისთვის თუ... ტოლსტოის აჩრდილს ამოფარებული თვითონაც შეემეტოქებოდა იმ სახელებს, თამამად გაუსწორებდათ მზერას და... კიდეც მოინდომებდა იმ წრეში ჩადგომას.

ონორე დე ბალზაკია და:

1981 წლის 7 მაისის ჩანაწერს რომ ჩახედავთ, იმთავითვე თვალში გეცემათ, აზარტულ მოთამაშესთან რომ გააიგივებდა: ლიტერატურით, კერძოდ პროზით თამაშობდა. იგებდა და აგებდა, ქმნიდა და ყიდდა. არაფერს თავისთვის არ იტოვებდა და მის ნაწერებს ეტყობა კიდეც ესო!..

ყოვლად შეუძლებლად მიაჩნდა, რომ: პროფესიონალი მოთამაშის გარდა ვინმეს შეძლებოდა ამდენი ღამისთევა, მუშაობა, წერა. და კვლავ გაიმეორებდა, რომ: წერდა და ყიდდა, წერდა და ყიდდა, აგებდა და იგებდაო. და ისე ჩაფლულიყო ამ პროცესში, სხვანაირად ალბათ მართლა აღარც შეეძლო.

ანდრე მორუას ბიოგრაფიულ რომანს რომ წაიკითხავდა ბალზაკზე, თავის მხრივაც შეატყობდა, რომ ძლიერ ჰგავდა „ადამიანური კომედიის“ შემოქმედის ბავშვობა და სიყმაწვილე ნაპოლეონ ბონაპარტისას. ერთი უფრო მხიარული გახლდათ, მეორე უფრო გულჩახვეული, მაგრამ მაინც ძალიან ჰგავდნენ.

ერთი გარემოება მიიპყრობდა მის ყურადღებას: ვინ უნდა ყოფილიყო ნეტა გენერალი კუტაისოვი, რომელიც ნაპოლეონთან ომის დროს თუ ომის შემდეგ გარდაცვლილიყო?

ტოლსტოი ამბობდა: კუტაისოვისა და ელენეს გარდაცვალება იყო პეტერბურგში ყველაზე ღირსსახსოვარი და სალაპარაკო იმ დღეებშიო. და ეს უთუოდ მოძებნიდა იმ ციტატას და ამოიწერდა.

ბალზაკის საცოლე ჰანსკაია კი პეტერბურგში – ეს უკვე 40-იან წლებში, კერძოდ, თუ ზუსტად ახსოვდა, 1848 წელს – კუტაისოვის სახლში იყო გაჩერებული და ბალზაკიც იქ ყოველდღიურად აკითხავდა.

არა, მაინც ვინ შეიძლება ყოფილიყო ეს კუტაისოვი?

ხალხურ ზეპირ გადმოცემას ვერ დაეყრდნობოდა, თორემ რაღაც-რაღაცები გაგონებით გაგონილიც ჰქონდა.

9 მაისს კვლავ ბალზაკს მიუბრუნდებოდა: სიკვდილის შემდეგ გახდა დიდი მწერალი, სიკვდილის შემდეგ მოინათლა გენიოსად, ჰიუგო – სიცოცხლეშივე. მეგობრებიც იყვნენ და ჰიუგომ დიდად შეუწყო ხელი ბალზაკის სიდიადეს, მის ოფიციალურ აღიარებასო.

არადა რეზო ჭეიშვილის დაბეჯითებით: ორივეზე დიდები იყვნენ სტენდალიც, პროსპერ მერიმეც და გუსტავ ფლობერიც.

ბალზაკის პიროვნება უფრო საინტერესო ეჩვენებოდა, ვიდრე მისი მწერლობა.

მიხეილ კვესელავას ნარკვევიდან ამოიწერდა შტეფან ცვაიგისეულ დახასიათებას: არსებითად იგი ეკუთვნოდა იმ დიდ ადამიანთა რიცხვს, რომელთა გენეალოგიაშიც, ყოველ ნებისმიერად ამორჩეულ სფეროში გამოიჩენდა თავს. ბალზაკი იქნებოდა ვთქვათ მირაბო, ტალეირანი, მეორე ნაპოლეონი, დიდი თაღლითი, სურათებით მოვაჭრეთა ნამდვილი მეფე, ყველა სპეკულანტის უსტაბაშიო.

და ქართველი მწერალი თავის მხრივ დასძენდა: ყველაფერში ხელმოცარული, ბოლომდე საქმის ვერმიმყვანი, მარცხიანი, მხოლოდ დიდი სახელისა და ავტორიტეტის მქონე ადამიანიო.

1984 წლის 17 სექტემბერს ბალზაკის „შაგრენის ტყავს“ გადმოიღებდა, გადაათვალიერებდა და, მიხეილ კვესელავას წინასიტყვაობაში რომ ამოიკითხავდა: ავტორი ამ ნაწარმოებს ლიტერატურული თვალსაზრისით სისუელელედ მიიჩნევდაო, – გაეხარდებოდა რატომღაც... ახსოვდა, როგორი გატაცებით კითხულობდა სიყმანვილისას. მთავარი გმირი ქალის ოთახის ფანჯრის რაფაზე რომ იჯდა და ქალი იხდიდა ბუხრის წინ, ამას ტანში აბურძგლავდა იმ დროს.

თვითონაც იმ ფანჯრის რაფაზე იჯდებოდა მაშინ, ფარდის უკან, ისე ხელშესახებად და მძაფრად განეცადა.

1986 წლის 22 სექტემბერს რომ ჩაინიშნავდა, წუხელ, დაძინებამდე ბალზაკს რომ კითხულობდა, და „შაგრენის ტყავის" ქართულ თარგმანს შეაფასებდა როგორც: ცუდს – არადა ჩვეული ხელოვნებით გადმოეღო გერონტი ქიქოძეს და რას უწუნებდა, ძნელი სათქმელია – კვლავ სიამოვნებით გაიმეორებდა მიხეილ კვესელავას წინასიტყვაობის იმ ფრაზას: ავტორი ამ თხზულებას სისულელეს უწოდებდაო, – და კვერს დაუკრავდა: კარგად და სწორად უთქვამსო.

სხვა რაღაცებისთვისაც გადაეხედა „ადამიანური კომედიის“ ციკლიდან და... ვერ გაერკვია: იყო თუ არა დიდი, ნაღდი მწერალი?..

ეს გრძნობა დაჰყვებოდა სულ...

„პოლკოვნიკი შაბერი" გაწელილი ეჩვენებოდა, თუმც თითქოს ძლიერი მოთხრობა უნდა ყოფილიყო. თითქოს? ვერ გადაეწყვიტა და ვერა. რაიმეს ხომ არ ვაჭარბებო, ამასაც ფიქრობდა უთუოდ, გადამეტებულ კრიტიციზმს

ხომ არ ვიჩენო, ეთანაღრებოდა გული... მაგრამ რატომ იყო, რომ ამნაირი ეჭვი არ უჩნდებოდა გი დე მოპასანის, გუსტავ ფლობერის, სტენდალის, პროსპერ მერიმეს კითხვისას?!.

ემილ ზოლაა და:

იმავე წლის 18 მაისს ფაბრიკანტად მოიხსენიებს – რომანების მცხობელად. ლექსებივით წერდნენ რომანებსო. საუკეთესო მთხრობელად მიიჩნევდა მწერალთა შორის და არ უკვირდა ფლობერის აღფრთოვანება ზოლას რომანით „პასანის დაპყრობა“.

33-34 წლისას დაეწერა, სხვა რომანები კიდევ უფრო ადრე და... ქართველ მწერალს არავითარი სურვილი არ გაუჩნდებოდა მათი წაკითხვისა. ალაგ-ალაგ გადაათვალიერებდა ამ ტომებს და... თაროზევე შეაბრუნებდა. არ დაიჯერებდა ასე ახალგაზრდის მიერ დაწერილი თხზულებებისას. 40 წლამდე არა სწამდა მწერლის პროზაიკოსობისა. თუმც მოეხსენებოდა, რომ მაშინდელი ასაკობრივი თანაფარდობა სულ სხვაგვარი იყო.

არა, ძლიერ მთხრობელად კვლავაც აღიარებდა ზოლას, კარგ მომყოლად. კარგ მომყოლს ხომ ისეთ ადამიანზე იტყოდნენ ხოლმე, დაწვრილებით და საინტერესოდ ვინც თხრობდა სრულიად უმნიშვნელო ამბავსაც (ყოველგვარი იუმორის გარეშე).

წამოაგონდებოდა „ხაფანგი“, სიამოვნებით კითხულობდა ხოლმე. ახლაც ახსოვდა ცალკეული ეპიზოდები. ერთი თვალის გადავლებით აღიდგენდა ყველაფერს – სახურავიდან გადმოვარდნას, ლოთობის სცენებს, სადილს – შემწვარი ბატის ჭამას.

წინა დღით „ჟერმინალის“ ფინალური სცენები წაეკითხა კვლავინდებურად დიდი ინტერესით. მიმზიდველად დაწერილიყო მაღაროს ჩამოქცევის სცენები, გმირები გვამს რომ წააწყდებოდნენ, წყალში მოტივტივეს, და ვერა და ვერ იცილებდნენ...

უილიამ ფოლკნერია და:

„ლიტერატურული საქართველოს“ 1981 წლის 1 მაისის ნომერში, რომელშიც მისი პასუხებიც დაიბეჭდებოდა რედაქციის ანკეტის კითხვებზე, გაეცნობოდა ამ მასალასაც: „საუბარი ფოლკნერთან უესტ პოინტში“ – და თავის შეფასებას ჩაინიშნავდა დღიურში: არასოდეს მყვარებია ეს კაცი. ხელოვნური, ნაძალადევი, გაკეთებული მწერალი მეგონა ყოველთვის. ამ საუბარმა თუ ინტერვიუმ კიდევ უფრო განმიმტკიცა ეს აზრი, როგორ შეიძლება იყო მწერალი და ლიტერატურა არ გიყვარდეს. მე მგონია, არ უყვარს და არც ყვარებიაო.

თუმც აქვე აღიარებდა: შეკითხებს – თუ პოზიორობად არ მოგვეჩვენება – გულწრფელად და მახვილგონივრულად პასუხობსო.

თავს ვერ შეიკავებდა ბოლოში არ მიეწერა ირონიით: მშრომელთა სოლიდარობის დღე. ვაშაო! – და უკვირდა მისი პასუხები მაინცდამაინც ამ დღეს რომ დაებეჭდათ: არა უშავს რა, პატარა სამაისო ნობათი გამოვიდა, გამგები გაიგებსო...

სხვათა შორის:

„საუბარი ფოლკნერთან უესტ პოინტში“ გახლდათ ერთი ყველაზე ადრეული პუბლიკაცია პაატა ჩხეიძისა და თქვენი მონა-მორჩილის მთარგმნელობითი მოღვაწეობიდან, ფოლკნერი კი ჩვენი ერთი უსაყვარლესი მწერალი, ამ ინტერვიუს – მართლაც წრფელი და მახვილგონივრული პასუხებით – გამოქვეყნებით მიზნად რომ ვისახავდით, ფოლკნერის სახელისათვის, დაფნის გვირგვინისათვის კიდევ ერთი ფოთოლიც შეგვემატებინა... რეზო ჭეიშვილს კი თურმე განმტკიცებოდა ის აზრი, ხომ ვიცოდი, ხელოვნური, ნაძალადევი, გაკეთებული მწერალი რომ იყოო...

ვისთვის როგორ!..

უილიამ ფოლკნერის მშვენივრად გამოცემულ ორტომეულს გამოიტანდა 1986 წლის 12 თებერვალს. ატრიალებდა ხელში, უყურებდა და უყურებდა კარგა ხანს, დასუნავდა კიდეც...

გარეგნულად მოიხიბლებოდა და ეს ხელში ტრიალი იმისაა. ან ეგებ მასთან მისასვლელ გზას ეძებდა, ხომ შეიძლება ამ ორტომეულს გადაეფასებინა მისი შეხედულება ამერიკელ მწერალზე და რატომ გაეშვა ეს საშუალება ხელიდან?

ძილის წინ ეს წიგნები რომ გადაეშალა, ვიდრე ჩათვლემდა, ეყოფოდა კი ნებისყოფა მისთვის ამ არცთუ მისაღები სამყაროს წიაღში ბორიალისათვის?

ნებისყოფის გამოცდამდე აღარ მივიდოდა – წიაღში ბორიალი კი არა, გადაშლითაც არ გადაშლიდა, გარეკანის თვალიერებას იკმარებდა სავსებით და დაბეჯითებითაც გადაწყვეტდა: მე ამათი წამკითხველი არა ვარო.

შეძენას მაინც არ ინანებდა – გდებულიყო მაინც შინ. გაყიდდნენ მის შემდგომ, თუ მაინცდამაინც.

ჯეიმზ ჯოისია და:

„ულისე“ რომ გამოიცემოდა ქართულად, ნიკო ყიასაშვილის თარგმანი, წინასიტყვაობითა და კომენტარებით გაწყობილი, ირონიულ კონტექსტში მოაქცევდა მთარგმნელის რჩევას: ასე და ამნაირად უნდა წაიკითხოთო – კომენტარებითაო, ლექსიკონებითაო, ცოდნითაო, მიხვედრითაო, დაფიქრებითაო, მოთმინებითა და შეწყნარებითაო.

და თავის მხრივ მიადევნებდა: რატომ, რა ძალა გვადგია, ვერ გავიგეო!..

და ეს იმიტომ, რომ: მწერლობა თავსატეხებისა და რებუსების გროვა არ გახლდათ, არც მეცნიერება, სხვათა შორის. აზრები შეიძლება (მითუმეტეს ჩვენს დროში) დაფარული ყოფილიყო, იდეაც და სხვა რამეც, მაგრამ:

– ამბავი უნდა ანათებდეს, განწყობა უნდა იქმნებოდეს, ან უნდა ფიქრობდეს, ან უნდა იღიმებოდეს, ან უნდა იცინოდეს, ან უნდა ტიროდეს ყველა რჯულის მკითხველი.

წინადადების და აბზაცის გაგებაზე რატომ უნდა ემტვრია თავი?

და „ულისეს“ მისეული ლაკონიური შეფასება:

– კოშმარია ეს წიგნი.

მისი შეტყობით: ავტორი უნიჭო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მშიშარა გახლდათ და უნიჭობას ფარავდა ამ ხერხით.

ჯონ გოლზუორთია და:

მისი მოთხრობებისა და რომანების ციკლზე „ფორსაიტების საგა“ რომ გაიმართებოდა ლაპარაკი კინოსტუდიაში 1983 წლის 30 აგვისტოს და მთავარ გმირებს დაასახელებდნენ და დაახასიათებდნენ, რეზო ჭეიშვილი გაოცებული დარჩებოდა, რადგანაც თვითონ ეს წიგნი ვერასგზით ვერ წაეკითხა – ვერც რუსულად და ვერც ქართულად. სტუდენტობისას ეზმანებოდა და... პირველ 100 გვერდს ვერ გასცილდებოდა.

დავით კლდიაშვილის მოთხრობაზე დაემართებოდა ასე: „წრფელი გულით“ – მონდომებით მოინდომებდა, მაგრამ ბოლოში კი ვერ გავიდოდა. ბაბო და გარაყანიძე დაამახსოვრდებოდა მხოლოდ, მაშინ როდესაც ყველაფერი დავით კლდიაშვილისა ზეპირად იცოდა თითქმის.

მარქსის „კაპიტალი“ მიეტოვებინა კიდევ შუა კითხვაში (და გასაგებად მიაჩნდა ეს საქციელი) და სხვა შემთხვევა, სდომებოდა და არ წაეკითხოს, არა ჰქონოდა...

და თავს შეპირდებოდა: გოლსუორსს თუ გოლზუორთს ერთხელ კიდევ უნდა დავუბრუნდე უეჭველადო...

სემუელ ბეკეტია და:

4 ივლისს „საუნჯის“ რედაქციაში რომ შეივლიდა, მოასწრებდა და ბეკეტის ერთ მოთხრობასა და შესავალ წერილს – მოთხრობაზე დიდს – წაიკითხავდა. მოთხრობის სათაური იყო „რადიოპიესა“, თუ არა ცდებოდა. არა – ასე იყო. „რადიოპიესა“ ერთ სიტყვად რომ ეწერა, თავიდან მზერას მოჭრიდა, მაგრამ მერე იყაბულებდა: ასეც უნდა იყოსო.

წამოაგონდებოდა მოთხრობა – ავტორს ვერ გაიხსენებდა, დიდი ვერაფერიშვილი მწერალი უნდა ყოფილიყო, თუმც გვარი ცნობილობდა – რომლის პერსონაჟიც რადიოკომიტეტში აგროვებდა... სიჩუმეებს, ინახავდა იმ რადიოფირებს, რომელზედაც არაფერი იყო ჩაწერილი, ანუ: პაუზებს; მოშრიალე ფირებს ჭრიდა და ინახავდა.

– არ იყო ცუდი, – შემწყნარედ დასძენდა.

ის დიდი ვერაფერიშვილი მწერალი, რომლის გვარიც ცნობილობდა, ჰაინრიხ ბიოლი გახლდათ, ნობელის პრემიის ლაურეატი, ნოველას კი ერქვა: „დოქტორი მურკე აგროვებს... დუმილს“.

ამ ნოველას გაახსენებდა ბეკეტის „რადიოპიესა“, უფრო სწორად მისი წყვეტილი წინადადებები და უამრავი მრავალწერტილი.

ამ რადიოპიესის მიმართ კი სხვა შეფასებას ვერ გაიმეტებდა, გარდა:

თავისთავად სულელური ნაწარმოებიაო.

იმ „გოდოს მოლოდინითაც“ როგორ გაეყრუებინა ქვეყანა.

ნობელის პრემია მიენიჭებინათ ნოვატორობისა და პიონერიზმისათვის, – როგორც შესავალში აღნიშნულიყო.

კიდევ ერთხელ გაღიზიანდებოდა რეზო ჭეიშვილი და „სულელურს“ აღარ იკმარებდა, მეტი სიმძაფრისათვის ჟარგონულ გამოთქმას შეარჩევდა: სიაბანდიაო.

არ მოეწონებოდა ერთი სიტყვით, დაბეჭდვა მაინც შეიძლებოდა... მეტი მოწყალება კი რაღა გაეღო სულელური და სიაბანდული შენათხზისათვის.

მიგელ დე უნამუნოა და:

1983 წლის 7 ივნისს წაიკითხავდა მის რომანს „აბელ სანჩესი“ – წაიკითხავდა სწრაფად, ცივად, უგულოდ. რითი იყო საინტერესო? და კბილს წაჰკრავდა ჩვენს ეპიგონ მწერლებს: ისინი რომ ეხარბებიან ამგვარ რამეებსო. რითი და... არც არაფრით. ეს არ გახლდათ მწერლობა – მისი აზრით რასაკვირველია.

თომას მანია და:

1981 წლის 13 თებერვალს წაიკითხავდა მის წერილებს, არაფერი დაამახსოვრდებოდა. რასაკვირველიაო, დაურთავს, და კიდევ იმას: დამეძინაო.

1983 წლის 10 დეკემბერს სულაც საშუალო ნიჭის განსწავლულ მწერლად მოიხსენიებდა. საშუალო ნიჭისო, აბა!..

პერ ლაგერკვისტია და:

ძალიან შეუქებდნენ და წაიკითხავდა მის მოზღაპრო მოთხრობებს 1989 წლის 3 აგვისტოს. ისეთს ვერაფერს აღმოაჩენდა. დაიწყებდა წაკითხვას „ჯალათისა“, ბოლომდე ვერ გავიდოდა და... დაეძინებოდა. ნაქებია არამარტო შვეციაშიო, – შეეტყო, თვითონ კი ისიც ჩვეულებრივი მოეჩვენებოდა. დასკვნების გაკეთება მაინც ნაადრევიაო, – ერთგვარად დაიზღვევდა თავს.

გაბრიელ გარსია მარკესია და:

1983 წლის 1 ივლისს ჩაინიშნავდა, რომ „დიალოგი რომანის შესახებ" ანუ მისი საუბარი წაეკითხა ვინმე (ვინმეო, განა!) მარიო ვარგას ლიოსასთან წინა პარასკევის „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე და ძალიან (თუმც ჩაურთავდა: „ძალიან" ცოტა ზედმეტიაო) გაღიზიანებულიყო. ახლა ერთხელ კიდევ გადაათვალიერებდა და ისეთს ვერაფერს აღმოაჩენდა.

თავისთავად კითხვა: რისთვისაა მწერალი საჭიროო? – მკრეხელობად მოჩანდა ქართველი მწერლისათვის.

მწერალი ხომ იმისათვის გახლდათ საჭირო – სხვა ყველაფრისათვისაც რომ თავი დაგვენებებინა – წიგნი რომ დაეწერა, ვიღაცას ხომ სჭირდებოდა წასაკითხი, ადამიანს ხომ სჭირდებოდა წიგნი, თანაც ახალი დაწერილი.

და წამოაგონდებოდა დავით გურამიშვილის შენათვალი მეფისწულებთან – ციტატის მოძებნის თავი არა ჰქონდა, რაკიღა ცხელოდა, მაგრამ შინაარსი ეს იყო: გავიგე, გრძელ ღამეებში საკითხავი წიგნის სინაკლულეს განიცდით და ამიტომაც გიგზავნით „დავითიანსო“.

და ამ დროს ლიოსა იყო თუ ვიღაც, სერიოზულად აცხადებდა: როცა მწერალზე მიდგება საქმე და იკითხავენ, რისთვისაა იგი საჭიროო, შეყოყმანდებიან ხოლმეო. მეტიც: თვითონაც ყოყმანობდა თურმე თავისებურად.

თავდაპირველად წერა იმიტომ დავიწყეო, – პასუხობდა მარკესი, – წერა იმიტომ მსიამოვნებდა, რომ ვბეჭდავდიო.

შემდეგ უფრო ბუნდოვანი პასუხიც იყო, თუმც შესაძლოა არც ისე...

ამ დღეს გურამ გეგეშიძეს ეთქვა რეზო ჭეიშვილისათვის, „საუნჯის“ რედაქციაში სტუმრობისას:

– სხვათა შორის არც მე ვიცი, რისთვისაა საჭირო მწერალი.

პასუხად ეს არ მოითმენდა, დიახ, თვით ასეთი თავდაჭერილი კაციც კი, რეზო ჭეიშვილი რომ გახლდათ, არ მოითმენდა და შეუტევდა, მაგრამ კამათს აღარ გამართავდნენ.

შემდეგ მარკესი რომ ამბობდა: იდეურად მომზადებული ვარ და ალბათ ყველა მწერალიც ასეაო, – რეზო ჭეიშვილი ეჭვს გამოთქვამდა იმის იდეურ მომზადებაზეც და ყველა მწერლისაც.

შემდგომ მარტოობაზე ილაპარაკებდა და... არაფერს ახალს არ იტყოდა ფაქტობრივად. ესეც ბუნებრივი მოეჩვენებოდა ქართველ მწერალს, თუმც ფიქრით იფიქრებდა, რომ იოლად მიეღწია მარკესს დიდებისათვის, იოლად ეშოვნა სახელი...

წუხილს გამოთქვამდა კოლუმბიელი მწერალი: ფოლკნერის გავლენას მომაწერენ (ერთი ისიც იყოო, ქართველი თანამოკალმე ჩაურთავდა აგდებულად), მაგრამ არ უნდა იყოს სწორიო.

სამაგიეროდ – თუ სწორად გაუგებდა – მთელს სამხრეთამერიკულ მწერლობას, მწერლებს ფოლკნერი ასაზრდოებდა.

შემდეგ უფრო უმნიშვნელო შეკითხვები და... ამის შეტყობით, არაგულწრფელი პასუხები, სანიმუშოდ იმ ფრაზას რომ გაიხსენებდა: წერა ევროპაში იმიტომ მირჩევნია, რომ იქ ცხოვრება უფრო იაფიაო.

და კიდევ ერთხელ სხვათა შორის:

უნებლიეთ ეს უკვე მეორედ გავაღიზიანებდი ჩემს საყვარელ მწერალს, რადგანაც „დიალოგი რომანის შესახებ“ ჩემი გადმოღებული გახლდათ ქართულად ვახტანგ ჭელიძისა და თამაზ ბიბილურის დავალებით, ეს მრავალმხრივ საგულისხმო საუბარი, რომლის მონაწილეთაგან მარიო ვარგას ლიოსა უფრო მნიშვნელოვან მწერლად მიმაჩნდა და მიმაჩნია, ვიდრე მარკესი, არსებითად – ადაპტირებული ფოლკნერი, მის ზურგზე რომ იშოვნიდა გაცილებით დიდ სახელსაც და პოპულარობასაც. არადა თაკილობდა, მის სახელს რომ უხსენებდნენ. აგერ ახლაც: ფოლკნერის გავლენას მომანერენო. მომაწერენო განა?!.

1984 წლის 30 სექტემბერს ჩაინიშნავდა, რომ: ღამღამობით „მარტოობის ას წელიწადს“ კითხულობდა, კარგ წიგნს, ძლიერს ცხადია, მშვენივრად ეთარგმნა ელზა ახვლედიანს. წაკითხული ერთხელ უკვე ჰქონდა რუსულად, ბევრი რამ ახსოვდა და გაიხსენებდა. სტილი, მანერა მწერლისა ორიგინალურად ეჩვენებოდა, საინტერესოდ, მაგრამ... სწორი კი იყო ეს ხერხი, ეს გზა?.. არა მგონიაო, განაცხადებდა და დასძენდა, რომ: არა მანერაში, არამედ სხვა რამეში იგულისხმებოდა ამ წიგნის სიძლიერე. სტილი კი თავისთავად დამღლელიც გახლდათ. ზოგჯერ ბურანში იმყოფებოდა თითქოს. ხშირად ადგილების გამოტოვება და წინ გადახტომა მოუნდებოდა ხოლმე.

მაინც რითი მოეხვეჭა მარკესს ასეთი პოპულარობა?

ეძნელებოდა თქმა... უპირველესად ალბათ მაინც ეგზოტიკით, ამბების სიუხვით, ვნებებით, სიმკაცრით, ხასიათების სწორხაზოვნებითა და პირდაპირობით...

კიდევ? მხატვრული სიმართლით... თუმც ბევრ ხელოვნურობასაც ამჩნევდა ქართველი თანამოკალმე. გმირებიც ირეოდნენ ერთმანეთში... წიგნს სინათლე აკლდა და მაინც საინტერესო იყო მღვდელი და ხეზე მიბმული ხოსე. ლაპარაკი მოსწონდა. – ასე დაწყობილად რომ მსჯელობ, რატომღა ხარ დაბმულიო? – უკვირდა მღვდელს, და ის კი პასუხად: გიჟი ვარ და იმიტომაც დამაბესო...

არ მოერიდებოდა დიდ სახელებს – ტოლსტოის გადმოსახედიდან თუ განზომილებიდანო...

შეეცდებოდა მეტოქეები ჩამოეცილებინა მისთვის... თუ ტოლსტოის აჩრდილს ამოფარებული თვითონაც შეემეტოქებოდა იმ სახელებსო...

და... თვით ტოლსტოისაც?

1983 წლის 20 სექტემბერს ჩაინიშნავდა, რომ: ზეგ აპირებდნენ გამგზავრებას იასნაია პოლიანაში. ძნელი გზა კი ექნებოდა, მაგრამ უღირდა:

– უნდა ვნახო და მოვილოცო წმინდა ადგილი.

მოვილოცო წმინდა ადგილიო...

რაღა არჩილ ჯორჯაძე და რაღა რეზო ჭეიშვილი, ლევ ტოლსტოის სახელზე მლოცველნი!..

ოლონდ ის, შემდგომში ქართული ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობის წინამძღოლი, ტოლსტოველი შეიქნებოდა იმის აზროვნება-ქადაგებებით, ერეტიკულ-ქრისტიანული მოძღვრებით მოხიბლული, ხოლო ეს, ქართული სამწერლო პროცესების ერთ-ერთი მოწინავე, – მხატვრული წარმოსახვებით.

თუმც არც იმას დამალავდა, რომ: ბოლოდროინდელ მოთხრობებში ზედმეტად გაუბრალოებული ეჩვენებოდა. „ჰაჯი მურატს“ გადაიკითხავდა და: მაგარიაო, – კვლავაც ძველ შეხედულებაზე დარჩებოდა. და მიუხედავად ამისა ისეთი – ახლა ასე ეჩვენებოდა – არაფერი დაეწერა ტოლსტოის, რისი დაწერაც არ შეეძლოთ, ან მანამდე და ან ამჟამად, ანდა ვერ შეძლებდნენ.

– არაადამიანური არც იქაა რაიმე, თუ მოვინდომებ, მეც დავწერ თუნდაც „ჰაჯი მურატის“ ტოლფარდს, მითუმეტეს, რომ დაწერილის შემდეგ დაწერა უფრო იოლია.

თითქოს იქვე ამოსდებდა ლაგამს თავის სითამამეს: „ჰაჯი მურატის“ ტოლფარდს მეც დავწერო, – ასე რომ მოუნაცვლებდა: დაწერილის შემდეგ დაწერა უფრო იოლიაო, – მაგრამ სიტყვა ნათქვამი გახლდათ და... უყელყუელავდებოდა იმასაც, რომლის საცხოვრისიც წმინდა ადგილისაგან არც განერჩეოდა და მის მოსალოცად სული უსწრებდა...

რაც იყო თუ როგორც იყო, „კავკასიის ტყვეს“ ხომ მაინც არ შებედავდა ასე იოლად: თუ მოვინდომებ, მეც დავწერ მის ტოლფარდსო...

* * *

1979 წლის 16 დეკემბრის ღამეს გალაკტიონის დღიურებსა და ჩანაწერებში ჩაეფლობოდა და:

კეთილ, ჭკვიან, უცნაურ, საინტერესო და არათანმიმდევრულ პიროვნებად წარმოუდგებოდა. ცინიზმისმაგვარი – რითაც მას ასე დაბეჯითებით

ახასიათებდნენ – არაფერი მოჩანდა ამ ჩანაწერებში. ერთი-ორ ადგილას გამოკრთებოდა, თუმც მის ხასიათს ამით არაფერი შეემატებოდა. ეგოცენტრიკოსიც შეიძლება დაგვემატებინა ზემოჩამოთვლილი ეპითეტებისათვის. თუ ეს ტერმინი თავის თავზე შეყვარებულ ადამიანსაც ნიშნავდა – რეზო ჭეიშვილს ეიმედებოდა – ჩვენი დახასიათება შესაძლოა კინაღამ სრულყოფილიც აღმოჩნდესო.

და თავისთავად წამოაგონდებოდა სტენდალის „ეგოცენტრიკოსის მოგონებანი", რომელშიაც ავტორი ნამეტან, არაბუნებრიობამდე მისულ გულახდილობას იჩენდა.

როდესაც პოეტი შეიტყობდა, ნიქოზის რომელიღაც ოჯახში ბოლშევიკების შემოსევისას „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერი დაუწვავთ თონეშიო, ვერ დაიჯერებდა თუ არა სურდა დაჯერება ასეთი ვანდალობისა და ვინმე ექიმ ნიკოს, ამ ამბავთან დაკავშირებულს, მისწერდა ბარათს: თერთმეტ შეკითხვიანს.

და რეზო ჭეიშვილი აღტაცებას გამოთქვამდა ამ ჩანაწერით: მსოფლიოს გამოჩენილ იურისტებსა და დიპლომატებსაც შეშურდებოდათ ასეთი ნათელი და გამჭრიახი კითხვარიო.

და როგორ არ წამოჰგონებოდა – სად ამოეკითხა, ეს კი ველარ გაეხსენებინა – ლევ ტოლსტოის მიერ თბილისში გამოგზავნილი ამდაგვარი ხასიათის ბარათი ჰაჯი მურატის შესახებ.

გალაკტიონის ფრაგმენტულ მოგონებებს ამ ეპითეტით შეაფასებდა: მშვენიერიაო. და დაბეჯითებულ ვარაუდს გამოთქვამდა, რომ პოეტს შესაძლოა პროზაც ეწერა არანაკლები წარმატებით. აგერ „ციცინოს ჩონგურს" პირდაპირ მშვენიერ ნოველასაც დაარქმევდა.

1985 წლის 10 მარტს რომ მიუბრუნდებოდა გალაკტიონ ტაბიძის მეთორმეტე ტომს, თურმე აღარ ხსომებოდა ბევრი რამ. წუხელ გადაეკითხა ხელახლა და დღესაც კიდევ ათვალიერებდა.

საოცარი პიროვნებააო, – აღმოხდებოდა, რაკიღა: დღიურებშიც არ გახლდათ გახსნილი და გულახდილი. მხოლოდ ალაგ-ალაგ შიშვლდებოდა და... იქ იყო კარგიც და უაღრესად საინტერესოც.

როგორ ჰქონდა ქუჩა და მარჯანიშვილის მოედანი აღწერილი და მოხსენიებული. ტროლეიბუსის სინა რომ გაჭიმულიყო მისი სახლიდან სახელგამამდე, ყოველი ტროლეიბუსის – იქ ავტობუსი ეწერა – გავლაზე რომ ძაგძაგებდა და ხმაურობდა საზარლად. ორი ხულიგანი რომ იდგა ქვემოთ და: გალაკტიონო! – გაჰყვიროდნენ.

და დაენანებოდა და რარიგ დაენანებოდა:

როგორ არ გამოვიყენე ეს ორი მომენტი „რასემონში", აფსუს! არ გამახსენდა XII ტომის ნაკითხვაო.

სხვაც ბევრი აღმოჩნდებოდა საინტერესო. მაგალითისათვის პალტოსა და სიცივის სცენას გაიხსენებდა და: საოცრად მწერლური თვალი აქვსო, – დასძენდა.

და... მოთხრობებს ტრადიციული ფორმით?

ვერ დანერდაო, – ივარაუდებდა, მაგრამ რაღაც უარესს რომ ჩაიდენდა, ამაში უკვე ეჭვი აღარც შეეპარებოდა.

რაც დაეწერა – პროზას გულისხმობდა რეზო ჭეიშვილი – უკვე საგულისხმო გახლდათ. ეს – რაც უკვე გამოქვეყნებულიყო, და... რაც ჯერაც არ გამოექვეყნებინათ?!.

პუშკინის ძეგლთან, სადაც პეტროგრადელ ორატორს „სამოსუდს" უპირებდნენ ჯარისკაცები, შემთხვევით იმერელი კაცი „აღმოჩნდებოდა" და გადაარჩენდა იქაურ ინტელიგენტს თვითგასამართლებისაგან.

მოთხრობად მშვენიერი მოეჩვენებოდა, სცენარად იოლად რომ გადაკეთდებოდა და ფილმიც მშვენიერი გამოვიდოდა, მშვენიერი!.. და ეშხში შესული მელოდიასაც მიადევნებდა: მშვენიერო, მშვენიერო, შენ გეტრფიო!..

1915 წლის 8 იანვარს – ახალი სტილით 22-ს – ქუთაისში მშვენიერი თბილი ამინდი ყოფილიყო და გალაკტიონს ჩაენიშნა:

– აბა, შენ წარმოიდგინე, ასეთი მშვენიერი დღეა, 8 იანვარს, შუა ზამთარში, რომ ეს ამბავი XII საუკუნის ქრონიკაში წამეკითხა, არ დავიჯერებდი.

უაღრესად საგულისხმო პასაჟია, ხელიდან რომ არ გაიშვებს გალაკტიონის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის წარმოსახვისას.

შემდეგ როგორ აგრძელებდა?

ეკლესიის ეზოში შევედი და ქვაზე ვიწექიო.

ალბათ ზედა ქვიტირშიო – ივარაუდებდა რეზო ჭეიშვილი – ის უფრო ახლოა ქალაქთანო...

და პოსტსკრიპტუმში მოთავსებული ეს შთაბეჭდილებანი ამგვარად მოთავდებოდა:

ასეა და რას ვიზამთ?!. რასა ვიქმთო...

* * *

კონსტანტინე გამსახურდიას VII და VIII ტომებს გადაათვალიერებდა თავიდან ბოლომდე და 1981 წლის 27 დეკემბერს მოინდომებდა ამაზეც ეთქვა რამდენიმე სიტყვა: მოკლედ, ბუნდოვნად, არეულ-დარეულად.

დაიწყებდა იქიდან, რომ: ყმაწვილკაცობაში ყველაფერი მოსწონდა გამსახურდიასი, ახლა – თითქმის აღარაფერი. და ჭეიშვილურად დასძენდა: არც მაშინ ვიყავი მართალი და არც ახლა ვარ რასაკვირველიაო.

„მთვარის მოტაცება" და „დიდოსტატის მარჯვენა" მაინც დასრულებულ – არა ჰქონდა მნიშვნელობა, მოსწონდა თუ არა – ნაწარმოებებად მიაჩნდა. რა დონეზე იდგნენ? უთანაბრდებოდნენ, უსწორდებოდნენ თუ არა თანამედროვე ლიტერატურულ სტანდარტებს ანდა კლასიკას?

არ იცოდა. ეჭვი ეპარებოდა და... თან ეგონა: ვცდებიო.

მაგალითად „ვაზის ყვავილობა" უსუსურობა გახლდათ და... ეჩვენებოდა, რომ ავტორის შემოქმედებით შესაძლებლობებს ის უფრო გამოხატავდა, ვიდრე სხვა.

მწერლის პიროვნება ცხადია წერილებში, ნარკვევებში, ესეებში უფრო იკვეთება ხოლმე, ვიდრე მხატვრულ ქმნილებაში, მაგრამ – რეზო ჭეიშვი-

ლის დაკვირვებით – მხატვრულშიც ილანდებოდა პოზიორი ადამიანის სილუეტი.

იყო თუ არა ნიჭიერი?

ამის თვალში: ნოველებიდან არ დასტურდებოდა და არა. თუნდ ვაჟაფშაველას ნოველა რომ იყო – „ამოდის, ნათდება“, ამისდამაგვარი, ამის ბადალი არაფერი დაეწერა გამსახურდიას.

და ლექსები?

იქ უფრო პოეტური ეჩვენებოდა და... უფრო ბუნებრივიც. და ძალდაუტანებლად წამოუტივტივდებოდა და ჩამომარცვლავდა კიდეც: ვეღარ ვნახე შენი სახე, ვეღარ მოგისწარი, ისლის სახლი, ისლის სახლი, ქარი, ქარი, ქარიო!..

და „ლანდებთან ლაციცი“?

საჟურნალო ვარიანტიც ახსოვდა. წიგნში შემოკლებული ჩანდა. რაღაც-რაღაცები, ძალიან უხერხული ადგილები ამოღებული უნდა ყოფილიყო. რაც დარჩენილიყო, უკეთეს შეფასებას ვერ გაიმეტებდა: უნიჭობის კორიანტელი დგას შიგო.

მწერალი იქ უნდა გამოჩენილიყო, თავის ბავშვობაში, გულწრფელობასა და სისუფთავეში უნდა გასხივოსნებულიყოო, – ამ ზოგად დებულებას რომ მოიშველიებდა, თვალსაჩინოებისათვის მოიხმობდა ლევ ტოლსტოისა და აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიულ თხზულებებს: მათ დარადო. აქ კი... პირიქით მომხდარიყო: ცარიელი, ფუყე ადამიანის თავგადასავალი შეგვრჩებოდა ხელთ, ნაცარქექიას პირით მოთხრობილი.

და გაკვირვებით უკვირდა: ამის დამწერმა როგორ მიაღწია იმ სახელს, რომელიც ჰქონდა, როგორ დაწერა თუნდაც „მთვარის მოტაცება“, გაუგებარიაო.

ხოლო მაშინ:

აღარაფერი აკლდებოდა 1983 წლის ჩამოდგომას.

და ჩაუფიქრდებოდა, რომ: ამ საუკუნის სამით დაბოლოვებული ყოველი თარიღი თითქოს რაღაცით ნიშანდობლივი გახლდათ მისთვის.

დაიბადებოდა 1933 წელს.

გააჩენდა 33 წლის ქალი, ვერა დიდბარიძე.

ყოველი ათი წლის შემდგომ:

1943 წელი – შუაგული ომი. კულმინაცია და გარდატეხა.

1953 წელი – სტალინის სიკვდილი და კინაღამ ახალი ერის დასაწყისი.

1963 წელი – ოცდაათი წლისა გახდებოდა მოსკოვში. დღეობას გადაიხდიდა სასტუმრო „უკრაინაში“, რესტორანში. გიგლა ხუხაშვილსა და კონსტანტინე პიპინაშვილს დაპატიჟებდა, სხვას ვერავის ნახავდა. შემდეგ – გიგლას თხოვნით – მეზობელი მაგიდიდან მოიწვევდნენ კონსტანტინე გამსახურდიასა და მის მეუღლეს. ცოტა ხანს იქნებოდნენ, უამათოდ ესადილათ და ცოლი მოიწყენდა. კონსტანტინე იტყოდა: ნომერში ავიყვან და ჩამოვბრუნდებიო, – ამას არ ეგონებოდა, არადა ის მართლა ჩამობრუნდებოდა: კარაკულის ბოხოხითა და დიდი ბეჭდებით. შთამბეჭდავად გახლდათ

ჩაცმული. ანეკდოტებს მოჰყვებოდა ებრაელებზე, სულ მოშეს ახსენებდა, აგონდებოდა, რომ გიგლა ებრაელი იყო, მაგრამ შიგადაშიგ ავიწყდებოდა და ახალ ურიულ ანეკდოტს გაიხსენებდა კვლავ.

1973 წელი – ევროპაში იქნებოდა სამოგზაუროდ.

სადღაც ჩაეწერა: გამატარ-გამომატარეს ავშარითო. მაინც კარგი იქნებოდა. ექვს ქვეყანას ნახავდა, თვალს გადაავლებდა უფრო სწორად: დანია, ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, თურქეთი. შენ ავშარა გეძახა!..

და ახლა 50 წლისა რომ ხდებოდა, ცნობისმოყვარეობა წასძლევდა: ვნახოთ, რა მოხდება ღირსსახსოვარიო.

გრძნობდა, გრძნობდა სულიერი და შემოქმედებითი ძალების მოზღვავებას და... როგორ შეიძლება ეს განცდა მოჩვენებითი ყოფილიყო.

ცნობისმოყვარეობა ცნობისმოყვარეობად და:

ესეიშიც რომ გაიხსენებდა ამ ეპიზოდს სასტუმრო „უკრაინაში“ გადახდილი დღეობისა – ესეიში თუ ლიტერატურულ პორტრეტში, რომლის სათაურადაც მწერლის სახელს იკმარებდა: „კონსტანტინე“ – იმასაც ჩაურთავდა, გიგლა ხუხაშვილი რომ აუხსნიდა მეტრდოტელს:

– ქართველი მწერალია, კონსტანტინე გამსახურდია. ეს იგივეა, ალექსეი ტოლსტოი რომ გენვიოთ სადილად.

და რეზოს შეტყობით, სულ წაუხდენდა შთაბეჭდილებას საიდუმლო სამსახურის ოფიციანტ-მეტრდოტელს, რომელსაც კონსტანტინე ალბათ შეიხი ეგონა. ყოველ შემთხვევაში ალექსეი ტოლსტოის ხსენება ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა მასზე, სწრაფად რომ დატოვებდათ ამის შემდეგ.

და რეზოს ძალდაუტანებლად გაუჩნდებოდა ის შეკითხვები, მოგვიანებით ესეიშიც რომ შეიტანდა:

რა უნდოდა, რის გაგებას აპირებდა, ვინ შეასახელა, ვინ გამოაგზავნა? შეიხს დავანებოთ თავი, თვითონ მას ვინ ეგონაო?

წარსულის ტრფიალებას, ისტორიის იდეალიზაციას რომ საყვედურობდნენ კონსტანტინეს?

არცთუ მთლად უსაფუძვლო ეჩვენებოდა ეს საყვედური რეზო ჭეიშვილს:

წარსულში ეძებდა თავისუფლებას და ეს მარტო დროითა და რეჟიმით არ ყოფილა გაპირობებული. ამიტომაც არ იგრძნობა აშკარად მის ტომებში ეპოქის სულისხუთვა; სრულიად ვერ აჩვენა, როგორ უჭირდა ეპოქასთან ბრძოლა და ლოიალობა, თავგანწირვა და თავგადარჩენაო.

ამიტომაც ვერ დაწერდა თავის თავგადასავალს „ლანდებთან ლაციცში“.

„მთვარის მოტაცებას“ კი ამჯერად განსაკუთრებული პატივით მოიხსენიებდა რეზო ჭეიშვილი:

მაინც ყველაზე დიდი და ღირებული პროზაული ნაწარმოები მგონია, რაც ქართულ ენაზე დღემდე შექმნილაო.

გაიხსენებდა კონსტანტინეს დაკრძალვის სურათსაც, ხალხი გასვენებაში ვიწრო ქუჩებით რომ მივიდოდა. უმრავლესობა ეზოში ვერც შესუნავდა, დასაფლავების ცერემონიას ვერ უყურებდა. ვიდრე მწერალს სამარეში ჩა-

ასვენებდნენ, ფარდაც – ჭიშკარი რომ გამოხატავდა – დაიხურებოდა და ადამიანთა კომედიის წარმოდგენაც – „ფინიტა ლა კომედია“ – დასრულდებოდა; ხალხი გულნაკლულად შებრუნდებოდა და ვიწრო ქუჩებ-კაპელარებით დაეშვებოდა თავდაღმართში.

„მთვარის მოტაცების“ კი, რაც გინდა გეთქვა და, გულუხვი შეფასება ერგებოდა უმცროსი თანამოკალმისაგან:

რაც ქართულ ენაზე დღემდე შექმნილაო...

ერთგან ჩაენიშნა:

პროზა თვით ერიაო.

ერი სავსებით იმსახურებდა იმ მწერლობას, რომელიც მოეპოვებოდა, ამჟამად ჰქონდა და მომავალში ექნებოდა. პროზას გულისხმობდა თითქოს. და... იმსახურებდა კი ქართველი ერი იმ პროზას, რომელიც მოეპოვებოდა?

„შუშანიკის წამებაში“ განსაცვიფრებელს – ღმერთს შესთხოვდა, ნუ მიწყენო – მაგრამ ვერაფერს ხედავდა და... ალბათ ისევე უნდა დაწერილიყო – მხატვრულობის თვალსაზრისით – როგორც დაიწერაო, ფიქრობდა.

„ვისრამიანი“ ჩვენი არ გახლდათ და... არც მოსწონდა.

„ამირანდარეჯანიანს“ მტკნარ სისულელედ მოიხსენიებდა. რაო, „მოსეს უქია ხონელსაო“? შეუძლებელია ის ვინმეს ექო. დაბეჯითებით განაცხადებდა: მოსე ხონელს გაელექსა ეს სისულელე, ისევე როგორც რუსთველს... იმდაგვარივე ბანალური, სარაინდო, პრიმიტიული ნაწარმოები გარდაექმნა გენიალურ ქმნილებად. აკი თვითონაც ამბობდა: ვპოვე და ლექსად გარდავთქვიო.

„ქართლის ცხოვრებითაც“ ვერ აღფრთოვანებულიყო მაინცდამაინც.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაც“ არაფრად მოეჩვენებოდა. ვერას დაინახავდა რაიმე მნიშვნელოვანს შიგ.

„კალმასობის“ მხატვრულ ღირსებებსაც ეჭვით შეხედავდა.

და განაცხადებდა, რომ ქართული პროზა მაინც იწყებოდა აქედან:

ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ და „ნიკოლოოზ გოშტაშაბიშვილი“.

ვაჟა-ფშაველას მოთხრობები.

აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“, „გოგია მეჩონგურე“ და სხვანი.

დავით კლდიაშვილი და ნიკო ლორთქიფანიძე.

ემზარ კვიტაიშვილი აჩუქებდა 1960 წელს გამოცემულ დავით კლდიაშვილის თხზულებათა პირველ ტომს ასეთი წარწერით:

– დავით კლდიაშვილის პირდაპირ მემკვიდრეს...

და... მას შემდეგ კიდეც მიეკერებოდა ეს იარლიყი, რაც არც წყინდა და არც უხაროდა. ის კი არა, ჰქონდა თუ არა ამ მწერალთან რაიმე საერთო, ახლაც არ იცოდა: 1981 წლის 11 თებერვალს.

გავლენა?

არაო, – უარს აცხადებდა.

მსგავსება?

მხოლოდ „როსტომ მანველაძესთან“, ისიც ალბათ განწყობილებითო.

ერთ გარემოებას კი მიაქცევდა ყურადღებას, და თუმც რაიმე სიმბოლოს გამოძებნას მოერიდებოდა, საგანგებოდ აღნიშვნა თითქოს მაინც რაღაცას ნიშნავდა მისი მხრიდან:

დავით კლდიაშვილი გარდაიცვლებოდა 1931 წლის 24 აპრილს.

ორი წლის შემდგომ, ზუსტად 24 აპრილს დაიბადებოდა რეზო ჭეიშვილი.

და... რა მერე?

არც არაფერი – აკი მოერიდებოდა რაიმე სიმბოლოს გამოძებნას.

წინა დღეებში „სამანიშვილის დედინაცვლის" შემოქმედზე წერილის დაწერას რომ დაავალებდნენ, დათანხმდებოდა და... ახლა, 6 თებერვალს, ფიქრობდა: დაეწერა თუ არა, და თუ დაეწერა, როგორ, რა კუთხით.

თავიდან გადაიკითხავდა და:

პროფესიით მწერალი რომ არ იყო, ეტყობა, ცოტა აქვს ნაწერი. „როსტომ მანველაძისთანა" მოთხრობა პროფესიონალს, მისი ნიჭის კაცს, ორმოცი მაინც უნდა ჰქონოდაო.

ძალიან ეცდებოდა, მაგრამ ისევ და ისევ ვერაფრისდიდებით ვერ წაიკითხავდა თავიდან ბოლომდე სრულად „წრფელ გულს". მერამდენედ ემართებოდა ასე. ერთი რამის დასკვნა კი შეიძლებოდა ამ მოთხრობის მიხედვით: მისი ავტორი ძალიან კარგი და კეთილი კაცი უნდა ყოფილიყო.

და მისი სიტყვები:

– მხოლოდ სინამდვილე, სინამდვილე, რომელსაც გადაუხრელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში.

უნდა გამხდარიყო ამოსავალი მისი „პირდაპირი მემკვიდრისათვის", ოღონდ სხვათა თვალში, თვითონ მხრებს რომ იჩეჩდა გაოცებული: ნეტა მართლა თუ მაქვს რაიმე საერთოო... დიახ, ეს უნდა გამხდარიყო ამოსავალი, თუკი წერილის დაწერას თავს მოაბამდა.

და ამ მხატვრულ მრწამსს – სინამდვილის გადაუხრელ მსახურებას – მიიჩნევდა ამ დიდებული მწერლის ღირსებადაც და ნაკლადაც ერთსა და იმავე დროს. იგი ვერ გაცდენოდა – გაუჭირდაო, ვერ იტყოდი, რადგანაც ცდითაც არ ეცადა – სინამდვილეს. ძალიან ნამდვილი, მიწიერი, სოციალური და რეალური გახლდათ ყოფა მისი ნაწარმოებებისა და გმირებისა, ნაკლებ იგრძნობოდა „ნამდვილი ტყუილი" და კიდევ უფრო ნაკლებ – დაფიქრება, სულიერი ცხოვრების ანალიზი.

ეს შესიტყვება „ნამდვილი ტყუილი" სულხან-საბა ორბელიანს გამოეყენებინა „სიბრძნე სიცრუისაში" და რეზო ჭეიშვილი იმას ეყრდნობოდა თავისი მწერლური მრწამსის გამოკვეთისას.

როგორ ეთქვა ერთ ხელმწიფეს?

ჩემს ქალიშვილს იმას მივათხოვებ, ვინც ნამდვილ ტყუილს იტყვისო.

მთელ სამეფოს შეძრავდნენ, ვის აღარ ნახავდნენ, ვის აღარ გამოჰკითხავდნენ, მაგრამ ნამდვილი ტყუილის მთქმელი არ გამოჩნდებოდა. არა, ტყუილს ვინ აღარ ამბობდა, მაგრამ ხელმწიფე იწუნებდა: ნამდვილი ტყუილი არ არისო.

ძნელია ნამდვილი ტყუილის თქმაო, – ეთანხმებოდა რეზო ჭეიშვილი საბას პერსონაჟს, – ბოლოსდაბოლოს მწერლობა ნამდვილი ტყუილია, ყველა

სხვა თვისებასთან ერთად ეს უნარი უნდა ჰქონდეს მწერალს. ეს არის მთავარიო.

ნამდვილი ტყუილის ნიმუშად ესახებოდა „დონ კიხოტი“ და სხვა ჭეშმარიტი თხზულებანი, თუნდ აგერ ფრანც კაფკაც ნამდვილი ტყუილის ოსტატად მიაჩნდა. 1982 წლის 21 მარტს ესეც ჩაეწერა: სიამოვნებით გადავიკითხავდი (და ახლებსაც წავიკითხავდი) კაფკასო.

ზოგიერთი მწერალი – რაღა ზოგიერთი – ნარკვევს, დოკუმენტურ მოთხრობას, უტყუარ ფაქტზე აგებულ ნაწარმოებს წერდა და... ხედავდი, რომ ყველაფერი ტყუილი გახლდათ, არანამდვილი ტყუილი. „გულივერის მოგზაურობაში“ კი მეტი სიმართლე და სინამდვილე სუფევდა, ვიდრე დღევანდელ მწერალთა ნაწერებში.

მართალია სულხან-საბა ორბელიანის არაკში „ნამდვილი ტყუილი“ ნაღდი ტყუილის მნიშვნელობით გამოიყენებოდა, მაგრამ მარჯვედ კი გამოადგებოდა რეზო ჭეიშვილს ნამდვილი ტყუილისა თუ ტყუილის სინამდვილეზე სალაპარაკოდ თავისი მხატვრულ-ესთეტიკური თეორიის ჩამოყალიბებისას.

დავით კლდიაშვილთან ნაკლებია ნამდვილი ტყუილიო...

მაგალითისათვის გაიხსენებდა პლატონ სამანიშვილსა და კირილე მიმინაშვილს. თითქოს ერთმანეთს ავსებდა ეს ორი გმირი, დიამეტრალურად საწინააღმდეგო ხასიათები, მაგრამ პლატონში კირილე იჯდა თითქოს (ქორწილში ჩხუბისას მჟღავნდებოდა ეს შეუმჩნეველი სიახლოვე) და კირილეში – პლატონი. მათი მოგზაურობის დროს რაღაც დონ კიხოტისეული და სანჩო პანსასეული თვისებების ნაპერწკლებიც ვლინდებოდა.

ასეთნაირად უნდოდათ სცენარი დაეწერათ და მომავალ ფილმში ენახათ ისინი. ეპიზოდში, სადაც დედინაცვლის მოტაცებასა და გარიგებაზე იყო ლაპარაკი, რეზო ჭეიშვილს სურდა კირილეს ეთქვა: ყველაფერი სისულელეაო, – ან რაღაც ამდაგვარი. მაგრამ მალევე მიხვდებოდა, რომ: ეს გადახვევა დაარღვევდა კლდიაშვილისეული პერსონაჟის მთლიანობას. მოფილოსოფოსო და მეოცნებე კირილე – თუნდაც რაღაც მომენტში – ერთგვარ დისონანსს შეიტანდა ფილმში. სწორხაზობრივი და ერთფეროვანი გახლდნენ კირილეც და პლატონიც, მაგრამ დიდებულ და მშვენიერ მწერალს ხელს არაფერში უშლიდნენ, სწორედაც პირიქით.

რომ დაფიქრდებოდა, რაღაც ეხამუშებოდა: ეს მაგალითიც უადგილოდ მოვიტანე ალბათო. და აღფრთოვანებით დაურთავდა: ჯერ მარტო „ქამუშაძის გაჭირვება“ და „როსტომ მანველაძე“ რად ღირსო!..

5 მარტს ისეთი შვებით ამოისუნთქავდა:

დავამთავრე წერილი დავით კლდიაშვილზე, საქმე ყუყზე მივიყვანე, როგორც ყოველთვისო.

ერთი თვე ექნებოდა დრო, გადაწევდა და გადაწევდა იქით და იქით და... სამი ღამის გათენება დასჭირდებოდა. მაინც ნაჩქარევი ეჩვენებოდა... აბა რა იქნებოდა... ამიტომაც უნდა გადაეწერა, გადაებეჭდა შავად და კიდევ გადაებეჭდა.

სიამაყედ ჩაეღვრებოდა მაინც გულში:

ცოტა სხვანაირი წერილიაო.

1982 წლის 28 თებერვალს ჩაინიშნავდა, რომ: წინა დღეებში კითხვის თავიც არა ჰქონდა. „საქართველოს ისტორიას" გადმოიღებდა, ძველ გამოცემას, მშვენივრად დაწერილ წიგნს, გადაშლიდა, გადმოშლიდა და... ისევ დაკეცავდა.

მოეჩვენებოდა: საქართველოს ისტორია სასაცილოაო.

შემდეგ დაფიქრდებოდა და: საერთოდ ისტორიას, განსაკუთრებით კაცობრიობის ისტორიას მიიჩნევდა თავისთავად სასაცილოდაც და ტრაგიკულადაც.

ესეც ძირითადი შინაარსი ისტორიისა:

ტრაგიკულიც, სასაცილოც და გასართობიც.

ერთი მეორეს შეიცავდა და იტევდა.

და დაასკვნიდა:

ასეთი უნდა იყოს მხატვრული ლიტერატურაცო.

და დასტურსაც დასცემდა:

ასეც არისო.

ქართველთაგან ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ შეხედულების ხორცშესხმული ნიმუში: დავით კლდიაშვილი ხომ არა?

დიახ, მაგრამ არცთუ სრულყოფილი.

და... ნიკო ლორთქიფანიძე?..

გადმოიღებდა მის ორ ტომს და ჩაუჯდებოდა კითხვას.

და სწორედაც ის მწერალი აღმოჩნდებოდა, რომელსაც ეძებდა.

ეგაა: სრულყოფამდე „დაუმთავრებლობა" აკლდა. დაუმთავრებლის გრძნობას ტოვებდა საბოლოოდ მაინც.

თუკი დავით კლდიაშვილი სოციალურად, ისტორიულად თუ მხატვრულად დაწყობილ-დალაგებული გახლდათ, ნიკო ლორთქიფანიძეზე თითქოს ამას ვეღარ იტყოდა.

დავით კლდიაშვილის ყველა მოთხრობა, დიდი თუ პატარა, და ასევე შემოქმედება ერთიანი იყო და მთლიანი.

ხოლო ნიკო ლორთქიფანიძეზე – ზომის თვალსაზრისითაც – ამის თქმა უძნელდებოდა.

პლუტარქესავით გამოუვიდოდა ნება-უნებურად ეს პარალელური მონაცვლეობა. მაინც უყვარდა ეს ძველი ბერძენი მწერალი და მის „პარალელურ ბიოგრაფიებშიც" ხშირად ჰქონდა თავი ჩარგული. ამ შესიტყვებას ერთხელ ქვესათაურადაც მოიშველიებდა, სულაც ციკლადაც რომ ჩაიფიქრებდა ამ მოდელზე აგებას თხრობისა.

ნიკო ლორთქიფანიძეს კი უთანაგრძნობდა: რა დროს და რა ხალხში მოუხდა მოღვაწეობა... საკვირველი ისაა, რაც გააკეთა, და არა ის, რაც ვერ გააკეთაო...

არადა დღესაც დაუფასებელი გახლდათ...

თითქოს ხელახლა რომ აღმოეჩინათ?

მარტოდენ ეგზოტიკისათვისო, – გული წყდებოდა რეზო ჭეიშვილს, – იმერიზმებსა და რაღაც შარჟებს ეძებენ შიგო.

არადა როგორ არ ეთქვა, როგორ არ განეცხადებინა სრული უეჭველობითა და დაბეჯითებით, რომ:

მისი ისტორიული ნაწარმოებები ნიმუში გახლდათ, თუ როგორ უნდა იქმნებოდეს ეს ჟანრი. და ის თამამად ამიტომაც ამოუდგებოდა გვერდით ევროპულ და რუსულ ლიტერატურას.

ეგაა ადრე გარდაცვლილიყო, თორემ სტალინის სიკვდილს რომ მოსწრებოდა, სხვანაირად გადახედავდა თავის შემოქმედებას.

და მის უმცროს თანამოკალმეს ახსენდებოდა „ჯან ტიკო და ჯან ბაბარა“ და ის პასაჟი:

„ცხენმა მედიდურად გადაავლო თვალი იქაურობას და დაწვა.

საქონელი ამას არ მოელოდა. ეს იყო უმაღლესი ზიზღი მათდამი: პასუხის სრული გაუცემლობა და ჩვეულების დარღვევა – თაფლა ჩაფიქრდა და შემდეგ ჩაეძინა“.

22 მარტს ნიკო ლორთქიფანიძის „ბებრებს“ რომ აჩვენებდნენ ტელევიზიით, სანდრო ჟორჟოლიანისა და სესილია თაყაიშვილის განუმეორებელი შესრულებით, ისე აღიქვამდა, როგორც... ცეკვა „ქართულს“. უცნაური იყო თუ რა იყო ამგვარი გაიგივება, ასე კი მოეჩვენებოდა – ფრიდონ სულაბერიძისა და მისი პარტნიორების – ლატავრა ფოჩიანისა და იამზე დოლაბერიძის – ცეკვას მიამსგავსებდა.

და თუ დაწერდა რაიმეს ნიკო ლორთქიფანიძეზე, აქედან და მხოლოდ აქედან დაიწყებდა და გახსნიდა: ქართული ცეკვიდან.

1985 წლის 14 აპრილს თანამედროვე რომანების სერიის, „მერანი“ რომ წამოიწყებდა, პირველ ტომს გაეცნობოდა – წაიკითხავდა, გაიხსენებდა, ჩაათვალიერებდა ალაგ-ალაგ...

მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებზე“ იტყოდა: ნამდვილად კარგია. თანაბრად და ძლიერად – ბოლოში ცოტაოდენი დათმობებით – არის დანერილიო.

ფინალის შთამბეჭდაობასაც აღნიშნავდა, მაგრამ დასძენდა: ერთი უნიჭო ფრაზითაა გაფუჭებულიო. ეს ეხამუშებოდა, შიო მღვიმელის თითქოსდა სრულიად მოულოდნელი და უადგილო ხსენება:

– ისევ დაყუდებული შიო მღვიმელივით იცდის თეიმურაზ ხევისთავი.

და ამის თქმასაც არ მოერიდებოდა: სად ერეკლეო!..

ვინ იცის, კიდევ რამდენ მკითხველს უჩნდებოდა ამგვარი შთაბეჭდილება, არადა:

როდესაც „ჯაყოს ხიზნები“ გამოქვეყნდებოდა, ყველასათვის ცხადი იქნებოდა ამ ფრაზის გამჭვირვალე მინიშნება, არსებითად რომანის გასაღებს რომ უდებდა ხელში მკითხველს. აკი შიომღვიმის მონასტრის შემოგარენში დაეტუსაღებინათ პარიტეტული კომიტეტის წევრები, და შიო მღვიმელის ხსენება ძალდაუტანებლად მიახვედრებდა მკითხველს, „ჯაყოს ხიზნები“ 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის ტრაგედიას რომ ეხმაურებოდა, მისით

შთაგონებულიყო და ჰეროიკული სულის გადარჩენა-შენარჩუნებას ღაღადებდა, შინაგან გაუტეხელობას და სიმტკიცეს, მიუხედავად ამ მარცხისა, და საერთოდაც ასეთი ტრაგედიის მორევში ჩავარდნისა.

ახლა ხომ აშკარაა:

მომავალი აჯანყების გარდუვალობასა და წარმატებით აღსრულებას ელოდებოდა თეიმურაზ ხევისთავი.

მიიკარგებოდა ეს ხსოვნაც და სადღაც ჩაიძირებოდა ეს გასაღებიც, ვიდრე ლელა წიქარიშვილი მიაგნებდა, ამოატივტივებდა და კვლავ დააბრუნებდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

როგორ გადარჩენოდა მიხეილ ჯავახიშვილი ხევსურებს, გაკვირვება ვერ დაეფარა რეზო ჭეიშვილს. ერთს, აღარ ახსოვდა ვის – არადა: ალექსი ოჩიაურს, ვიღაცას ხომ არა, დიდად პატივსაცემ ადამიანს – კრიტიკული წერილიც დაეწერა „თეთრ საყელოზე". და ეს ეთანხმებოდა: ზედაპირულადაა ხევსურების ცხოვრება დანახული, მაგრამ ეგეც არაფერი, შეურაცხმყოფელი ადგილებიცაა ნამდვილადო...

კიდევ კარგი, რომანში მხოლოდ ხევსურეთი წარმოსახულიყო და არა მთელი მთიულეთი, ყველას რომ შეხებოდა ერთიანად – და თუნდ ზოგადად – მაშინ გაუჭირდებოდა გაძლებაო, ივარაუდებდა და... მწარედ ჩაეცინებოდა: ნეტა ამგენს გადარჩენოდა და ხევსურებს გაუძლებდა როგორმეო...

როგორ არ აღენიშნა, რომ: საინტერესოდ წერდა და საინტერესოდაც იკითხებოდა მიხეილ ჯავახიშვილი. იხსენებდა ძველ წანაკითხს და ხელახლა მიჰყვებოდა მოქმედებას, სიუჟეტს, დინამიურად რომ ვითარდებოდა. და ძალდაუტანებლად დასცდებოდა: რამდენად ძლიერია, ბესტსელერული თვალსაზრისით, ნოდარ დუმბაძესა და ჭაბუა ამირეჯიბზეო...

სიცოცხლისას მოდაში ყოფილიყო, რეპრესიების დროს და შემდგომაც შარავანდედი მოსავდა, რეაბილიტაციის მერე კვლავ აღორძინებულიყო ცოტა ხნით და... რეზო ჭეიშვილს რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება დარჩენოდა: მალეც მიევიწყებინათ. ვარაუდით კი ვარაუდობდა: ალბათ არათანამედროვე თემატიკის გამოო...

არადა სულ უფრო და უფრო მატულობდა მიხეილ ჯავახიშვილის პოპულარობა – რაღა მის სიცოცხლეში და რაღა ახლა!..

1981 წლის 18 იანვარს ლევან გოთუას გაიხსენებდა: მასთან მოვხვდი ერთხელ არმაზშიო. აგონდებოდა მისი პატარა მანქანა („მოსკვიჩი") და... დიდი ხელები.

ისეთი განცდა გაუჩნდებოდა: ისიც ბეჭდავდა, ალბათ შავად: თეთრად ვერ მოახერხებდაო.

და ჰკითხავდა:

– ბეჭდვა უფრო გიჭირთ თუ წერა?

– რას ამბობ? – მოუგებდა, არც იცოდა, ესეც თუ მწერალი გახლდათ (და ღიმილით ჩაურთავს: ვიყავი კიო?) – ბეჭდვაზე ვიტანჯები თუ არა, წერას რა უნდა, მიდის სრიალ-სრიალითო.

ზუსტად ასე ეტყოდა.

გამოტყდებოდა, რომ: შეშურდებოდა მისი ადგილსამყოფელის, არმაზის სახლ-კარის.

კარგი კაცი იყო, მამულისთვის საჭიროო, – პატივისცემით რომ მოიხსენიებდა, უეცრად ირონია იელვებდა: უფრო კარგი იქნებოდა, ამდენი რომ არ ეწერა, რომ არ დაეტანჯა თავისი თავიც და სხვებიცო.

თუმც... ზოგიერთები, ზოგიერთები კი არა, ბევრი, სიამოვნებითაც რომ კითხულობდნენ ადრეც და ახლაც?

ამიტომაც დაეჭვდებოდა თავისი ნათქვამის სისწორეში: შეიძლება საჭირო იყოო?

აწონიდა, დაწონიდა გუნებაში და... კვლავ თავის მოსაზრებას დაუბრუნდებოდა: მაინც არა მგონია. ამდენი მაინც რა უბედურებააო.

„გმირთა ვარამის“ ოთხტომიანობა მოქმედებდა მასზე ასე ძალიან, ასე დამთრგუნველად, თუ რა? თორემ ლევან გოთუას ლიტერატურული მემკვიდრეობა არ გამოირჩევა რაღაც უჩვეულო ხელხვავიანობით: ბოლოსდაბოლოს 22-წლიანი კატორღელობის გამოისობით. დავით კლდიაშვილსა და ნიკო ლორთქიფანიძეს უსწრებდა ამ მხრივ – რაოდენობრივად, თორემ არაერთ თანამოკალმეს ჩამოუვარდებოდა, და თვითონ რეზო ჭეიშვილს გაცილებით მეტი უგროვდებოდა ნაწერები, ეგაა – ოთხტომიანი რომანი არ შეექმნა, და საამისო სურვილი არც არასოდეს ჰქონოდა.

უფრო აქეთ როგორ აფასებდა ლიტერატურის მდინარებას, ცხადია უპირატესად ბელეტრისტიკა-პროზას?

მერაბ ელიოზიშვილს ეთქვა მისთვის ოდესღაც: ვინ რას წარმოადგენს თანამედროვე მწერლობაში, ძალიან კარგად ვიცი. ჩემი მოსაზრებები დავწერე და დიდი ქვის ქვეშ ამოვდე კიდეცო.

ვინ რას წარმოადგენს, ძალიან კარგად ვიცი, ნამდვილად ვერ დავიტრაბახებო, – თავისას იტყოდა რეზო ჭეიშვილი, – შენს თანამედროვეზე საშუალო აზრის ჩამოყალიბება შეუძლებელიცაა, ქვის ქვეშ ამოსადებიც არაფერი მაქვს და... აქაც ვერ მითქვამს სიმართლე, უფრო სწორად, რასაც ვფიქრობ – ისო.

აქაც – თვით დღიურშიც?!.

აქ განა რაღა იყო მოსარიდალი?!.

ვერ მითქვამსო და...

მაინც დაცდებოდა არაერთი რამ – სამწერლო ცხოვრების შუაგულში, მის კულისებში ჩასახედად უსათუოდ გასათვალისწინებელი, ცალკეულ მწერალთა თუ ხელოვანთა პიროვნული და შემოქმედებითი შტრიხების გამოკვეთისასაც უთუოდ გამოსადეგი... და რაც მთავარია, თვითონ ავტორის სულის ხვეულებში მზერის მისადევნებლად, ამ მხრივ გაცილებით უხვი მასალა რომ გვიპყრია ხელთ რეზო ჭეიშვილის შემოქმედებითი ლაბორატორიისათვის კარის შესაღებად – ზოგიერთი გარემოების დასაზუსტებლად თუ შესავსებად, ზოგიერთ გარემოებას კი, უამჩანაწერებოდ, ჩვენით ვერაფრისდიდებით ვერ ამოვიცნობდით.

* * *

1981 წლის 5 თებერვალს ხელახლა გადაიკითხავდა სტენდალის დღიურებს: „ანრი ბრიულარის ცხოვრება“ და „ეგოცისტის მემუარები“.

და... რაღაც გაურკვეველი, გაორებული შთაბეჭდილებაც დარჩებოდა.

საღად მსჯელობდა თითქოს ყველაფერზე, მაგრამ... უინტერესოდ.

მის პიროვნებასაც ვერ დაადგენდა და ვერა.

თითქოს: ძალიან გულახდილი გახლდათ ფრანგი მწერალი, თითქოს: ღვარძლიანიც.

მის გარშემო მყოფ საზოგადოებასთან თითქოს მაღლა იდგა, და რეზო ჭეიშვილი დასძენს: ალბათ ასე იყო ნამდვილადო. მაგრამ სინამდვილესთან, იმდროინდელ ყოფასთან არცთუ კეთილგანწყობილი ურთიერთობა ჰქონიყო, თითქოს ცინიკურიც, თან – არცა.

აკი ვერც დაედგინა მისი პიროვნება.

ამას წინათ „პარმის სავანე“ გადაეკითხა და... „წითელი და შავი“ თითქმის ზეპირად რომ არა ხსომებოდა – აღტაცებით დაურთავდა: გენიალური რომანიო – მის დიდ კაცობაში უკვე შეეპარებოდა ეჭვი, მის დიდ მწერლობაშიც დაეჭვდებოდა.

კარგად რომ იხსენიებდა პროსპერ მერიმეს სტენდალი, ამას ადრეც მიაქცევდა ყურადღებას ქართველი მწერალი.

ცოტა მშრალიაო, – ამასაც რომ ამბობდა?

სავსებით სამართლიანადო, – ამ თვალსაზრისს სავსებით იზიარებდა რეზო ჭეიშვილიც.

1985 წლის 1 მარტს კვლავ მარკესს რომ წაედავებოდა ახლა უკვე „საუნჯის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ინტერვიუს გამო, გრემ გრინისა და ჯოზეფ კონრადის შექებას რომ არ გაიზიარებდა, იმ შეხედულებასაც არ მოუწონებდა: რაც კი ოდესმე რომანები დაწერილა, საუკეთესო მათ შორის „ომი და მშვიდობააო“.

არ მოუთმენდა ტოლსტოის – თვით ტოლსტოის – სახელის ასე მაღლა აზიდვას და... თან რომ არ დაეთანხმებოდა, თან... კიდეც დაეთანხმებოდა და... მწარედაც გაჰკრავდა კბილს, თორემ აბა თვითვე დაუკვირდით:

როგორც რომანი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, უკეთესიც დაწერილა, თუნდაც „წითელი და შავი“, და მაინც მართალია, თუმც დარწმუნებული ვარ, ბოლომდე არა აქვს წაკითხული „ომი და მშვიდობაო“.

ბოლომდე არა აქვს წაკითხულიო...

თვითონ რეზო ჭეიშვილს გადაწერა შეეწყვიტა ამ რომანისა, მესამე ტომს რომ მისდგომოდა. და მარკესს? იმას ალბათ კითხვისთვისაც ვერ დაედო გული ბოლომდე, და დასკვნა, საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ რომ შერაცხავდა... წაუკითხავი რომანის მიხედვით გამოჰქონდა.

* * *

მოგვიანებით, საუკუნე და ასწლეული ერთად რომ ჩათავდებოდა, ერთ განათლებულ ფინანსისტს მოუსმენდა ტელეეკრანზე, მწერლობაზეც რომ

მსჯელობდა შინაურულად და ლევ ტოლსტოის წაჰკრავდა ღონიერ ქიმუნჯს:

აღარ ვკითხულობ, მორალური კატეგორიებითაა გადატვირთულიო.

ეკრანისათვის რა ეწამებინა რეზოს, თორემ ეს რომ სადმე სუფრაზე მომხდარიყო, თავს ვერ შეიკავებდა და ჰკითხავდა:

— როდის კითხულობდი, რომ აღარ კითხულობ?

რაო, კიდევ რა „სიბრძნე" გადმოიფრქვეოდა ეკრანიდან?

ტოლსტოის ფილოსოფია თითქმის საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებაა, მიუღებელიაო.

და გაოცებას ვერ დაფარავდა რეზო:

— რა არის მიუღებელი, რა არის ასეთი მიუღებელ-გაუგებარი?

რას ქადაგებდა განა ამისთანას „აღდგომის" შემოქმედი:

სიყვარულს, სიკეთეს, სიმართლეს.

რას ეძიებდა?

ჭეშმარიტებას.

— რა არის ჭეშმარიტება? — ეკითხებოდა იუდეის პროკურატორი იესო ქრისტეს და... პასუხს აღარც დაელოდებოდა. და არც პასუხობდა მაცხოვარი.

და უეცრად წამოაგონდებოდა მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავლის" დასაწყისი:

— ტომ!

პასუხი არაა.

— ტომ!

პასუხი არაა.

გაახსენდებოდა იასნაია პოლიანა, ყვითელი ფოთლებით დაფარულ სახლთან რომ მივიდოდნენ და წვიმა წამოუშენდა და დასცხებდა და გადაიღებდა რამდენიმე წუთში.

იქ ეძებდა თურმე მწვანე ჯოხს ლევ ტოლსტოი, რათა იმ მწვანე ჯოხით გაეკვალა გზა ჭეშმარიტებისაკენ.

მწვანეყვავილა აუკიაფდებოდა თვალწინ რეზო ჭეიშვილს, რომ ეძებდა და ვერა პოულობდა, მაგრამ ეძებდა და ეძებდა... აქამდე ელოდა და ელოდა მის გამოჩენას და კვლავაც დაელოდებოდა.

* * *

29 იანვარს მოენდომებინა ხელახლა გადაკითხვა სტენდალის „ნაპოლეონის ცხოვრებისა", პირველი წაკითხვისას რომ არაფერი დამახსოვრებოდა, და თანაც უკვირდა და თან არცა – ალბათ ვერაფერი განსაკუთრებული ვერ ეპოვნა შიგნით.

და მაშინაა, მისივე დღიურები რომ წამოაგონდებოდა და დასაწყისს საგანგებოდ მოიხმობდა:

– ...ესეც ჩემი პირველი სტილისტური შეცდომა, კიდევ არაერთი რომ შეგხვდებოდათ, რაკიღა მიზნად დავისახე, რომ არ შევიზღუდო და არაფერი ამოვშალო.

დიდი სწორება არც სჩვეოდა სტენდალს ნაწერისა, ალაგ-ალაგ თუ ჩაასწორებდა ხოლმე რომანებსაც, და დღიურებს რატომღა დაუწყებდა კირკიტსა და გადამუშავებას, როდესაც დღიური სწორედაც ესაა, რომ ხელი აღარ უნდა შეახო, არაფერი შეცვალო სტილურადაც კი. როგორც დაიწერა, ისეც უნდა დარჩეს, თორემ ნასწორები რაღა დღიური იქნება!..

თქვენ ის თქვით, ვისაც საფუძვლიანი გადამუშავება-გადაკეთება სჩვეოდა თავისი თხზულებებისა, ის როგორ გაუძლებდა ამ ცთუნებას, დროის გადასახედიდან გადაკეთებას არ შედგომოდა?

თუნდ აგერ რეზო ჭეიშვილი, სწორებით რომ არ იღლებოდა და არა, და ცალკეულ თხზულებათა ადრეული და მომდევნო გამოცემები რომ შეუდაროთ ერთმანეთს, შესაძლოა ერთსა და იმავე ქმნილებაში საერთო ბევრი ველარაფერი დაადასტუროთ. ის კი არა: ისეთი შთაბეჭდილებაც დაგრჩეთ: სხვადასხვა თხზულებებს ვკითხულობთო.

ამიტომაც უკვირდა, ხელუხლებლად რომ ტოვებდა დაწერილს, რაკიღა დღიური დაერქმია. შესაფერის პატივს მიაგებდა ამ ჟანრს და თავშეკავებას ამჯობინებდა.

1983 წლის 24 ნოემბერს რომ გახედავდა მის დასაწყისს, უკვე მეხუთე რვეულზე გადასული, საჭიროდ ცნობდა აღენიშნა, რომ ხუთი წელია, რაც ხელი მოეკიდა ამ ჟანრისათვის. 1978 წლის მიწურულს დაეწყო ჩანიშვნა კანტი-კუნტად, ასე რომ, ის წელი სათვალავში არც ჩაიგდებოდა. ასე თუ ისე ხუთი წელი კი გასულიყო.

– ვიწერ რაღაც-რაღაცებს შიგადაშიგ, შეუსწორებლად (ჩემი მუშაობის სტილისათვის შეუფერებლად), ყოველგვარი მომზადების გარეშე.

ჩემი მუშაობის სტილისათვის შეუფერებლადო...

სამაგიეროდ წამიერი განწყობილებანი უშუალოდვე და ცინცხლადვე შემორჩებოდა ფურცლებს.

ამჯობინებდა თავისი ჩვეულებისათვის გადაეხვია, ვიდრე დღიურის ჟანრობრივი რაობა და თავისებურება შეებღალა. ჯერ საგულდაგულოდ მომზადებულიყო, ვიდრე რაიმეს ჩაინიშნავდა, და... მერე კი, დროის გადასახედიდან, ესწორებინა და ესწორებინა, ესწორებინა და ესწორებინა თუნდაც „ჩემი მეგობარი ნოდარივით", თუნდაც „დალივით", თუნდაც „ცისფერი მთებივით", თუნდაც... თუნდაც... თუნდაც...

* * *

1983 წლის თებერვალს თავის ნოველებს რომ წაიკითხავდა „ლიტერატურნაია გრუზიას" ფურცლებზე, კვლავ ამოიგმენდა: არც ისე სუფთადაა თარგმნილი, ნიუანსები დაკარგულია. რომ წამეკითხა, არ იყო დრო და საშუალება, თუ არა ბევრი რაიმეს ჩასწორება შეიძლებოდაო.

იმავე წლის 1 ნოემბერს მოსკოვში გამოცემული რომანის „მუსიკა ქარში" თარგმანით უკმაყოფილო რომ არ დარჩებოდა: არა უშავსო, – გაეხარდებოდა, რომ წინასწარი უსიამოვნო მოლოდინის – დამიჩხავენო – საწინააღმდეგოდ თითქმის არაფერი შეცვლილიყო, თითოოროლა ფრაზა ამოვარდნილიყო აქა-

იქ მხოლოდ, ეგაა: დაკარგულიყო ნიუანსები შიგადაშიგ... და ირღვეოდა სტილური ქსოვილის მთლიანობა...

ხოლო მაშინ:

სანახევროდ თბილისში ვარ დაბადებულიო, – ირწმუნებოდა პერსონაჟი ერთი საუკეთესო მოთხრობისა, რაც ქართველებს მოგვეპოვებოდა.

სანახევროდ თბილისშია დაბადებულიო, – უდასტურებდა მწერალიც.

მაგრამ...

ეს როგორი რა არის, რაღაც გაუგებრობაა, სანახევროდ თბილისში როგორ შეიძლებოდა დაბადებულიყოო, – შეფიქრიანდებოდა მთარგმნელი და... გამოსავალსაც იპოვნიდა: ააა, ალბათ იმის თქმა უნდოდა: სანახევროდ თბილისელი ვარო...

და... კიდეც გამოაცლიდა ერთ აგურს რეზო ჭეიშვილის მონუმენტურ, დიდებულ, მომნუსხველ მხატვრულ სამყაროს.

ამისთანა ფრაზებით „გიაც" უხვად მოკირწყლულიყო?!.

ასე ხომ აგერ-აგერ დაშლიდა და აღარაფერს შეარჩენდა დიდებულებისა და მონუმენტურობისას იმ სამყაროს.

და ლამის მკითხველზეც აყროდა გული რეზო ჭეიშვილს, მის პროფესიონალიზმსა და გაწაფულობაზე, და ლამის აღარც კი ეგულებოდა გარშემო ნამდვილი მკითხველი, გულთამხილავი:

ვერავინ ხედავს, ვერავინ ამჩნევსო...

მაგრამ... სადღაც ხომ მართლა მოდიოდა გაზაფხული, სადღაც მაინც ჰყვაოდნენ ხეები და ასკდებოდა კვირტები რტოებს!..

თავი მეორე

მაინც რამდენ დარტყმას უძლებს ადამიანი?

გადაავლებდა თვალს 2009 წლის 18 აპრილის გადასახედიდან 1978 წლის 27 სექტემბრის იმ ჩანაწერს, ერნსტ ჰემინგუეის რეპორტიორად რომ მოიხსენიებდა, და კიდეც გაგულისდებოდა და კიდეც გაიცინებდა, იმას ტოლსტოისათვის რომ შეებედა იოლად, ხელი წამოეკრა რაღა...

გადაავლებდა და... არ ეჭაშნიკებოდა თავისი ცუდი ხელი, ცუდი კალიგრაფია იმდროინდელი, იმითაც განპირობებული, რომ მაშინ თვითონვე ბეჭდავდა და „მემანქანესთან" – მბეჭდავთან არ მიჰქონდა ხელნაწერი, რომელსაც თვითონ ძლივას კითხულობდა, ანუ გადათეთრებას გადაჩვეულიყო უკვე.

გადაბეჭდავდა დიდ ან პატარა მასალას, თუნდაც მთელ წიგნს შავად, ჩაასწორებდა როგორც შეეძლო და შემდეგ – თეთრად, საბოლოო ვარიანტისას გვერდებსაც ცვლიდა, ხევდა, თავიდან იწყებდა. რვა საათიც მჯდარა ნახრილი რემინგტონთან და... იქნებოდა კაკუნი გაუთავებელი.

კაი დროს გაახსენდებოდა!

მაშინ, დღიურის წამოწყებისას, ჯერ არ ასდევდა „რემინგტონის" კაკუნს მკილის ხმა, ფიცარს რომ დაუწყებდა ხრვას, და ჩადუმებულ ოთახში გამაბეზრებლად რომ გაისმოდა ბჟუილი ფიცრიდან. არც კალმის წრიპინს აჰყვებოდა ხოლმე გულმოდგინედ.

ეს მერე უნდა მომხდარიყო, რამდენიმე წელიწადში.

იქნებ მაშინაც ასდევდა ბჟუილ-ბჟუილით – წრიპინსაც, კაკუნსაც?

ეგაა: რეზო ჭეიშვილი ვერა გრძნობდა შემაწუხებლად, ვერც ყოფითად და ვერც იდუმალად, მერე რაღაც მისტიკურის მოლანდებასაც რომ უნდა მიმსგავსებოდა ფიცარში ჩაბუდებული მკილის ხმა, ადამიანსაც რომ გაუიგივებდა მის არსებობას, ადამიანს, რომელიც აღჭურვილიყო უნარითა მკილისა და ცოდნითა მკილისა... და სიყვარულითა და მოთმინებითა თვისითა.

ოჰ ეს დაცემული, დაკნინებული ადამიანი, რომელსაც ღმერთსმოკლებულ დრო-ჟამში აღარც – ანდა უკეთეს შემთხვევაში: ბუნდოვნის ბუნდოვნის ბუნდოვნად – თუ ემახსოვრებოდა ხატად და მსგავსად რომ შექმნილიყო უფლისა.

რაღა მკილისაგან ფიცრის ხრვა და რაღა ადამიანის მიმოწყდომა წუთისოფელში, ჯერ დასავლეთშიც ტრაგიკომიკურსა და აბსურდულში, და... ჩვენში ხომ სულ რაღა: სახელმწიფოც რომ აღარ გვერქმეოდა და რიგით

რესპუბლიკადღა ვითვლებოდით საბჭოეთის უსაზღვრო ტერიტორიაზე, ვიდრე საბოლოოდ წაგვეშლებოდა ჩვენი ეროვნული ნიშან-ნყალი და სხვა რესპუბლიკების მკვიდრებთან ერთად გარდავისახებოდით რუსებად, როგორც ისედაც უკვე აღგვიქვამდნენ დასავლეთში...

არა, ტოლსტოიც რომ ეპატარავებოდა თვალში ჰემინგუეის თავისი უზომო პოპულარობის გადმოსახედიდან.

1978 წლის 6 ნოემბერია და: ისეთი გახარებული ჩაინიშნავდა: დღეს დავამთავრე „სახლიო". დამთავრებულად ითქმოდა: ორი პატარა ნოველაღა რჩებოდა ჩასამატებელი და ამაღამვეც მორჩებოდა იმასაც.

თითქმის ერთ თვეში დაწერდა.

სამაგიეროდ დიდხანს, წელიწადნახევარს ემზადებოდა, ჩანაწერებს აკეთებდა.

100 ნოველას ვწერო, – ხმას გაავრცელებდა. ქართულ „დეკამერონს" ქმნიდა თუ რა?!. დღიურის ფურცლებზე არ ამხელს, მაგრამ ასე უნდა ყოფილიყო, თორემ ეს „ასი" საიდან – შემთხვევით ვითომ?..

გადათვლიდა და... 77-78-ს ვერ გასცილებოდა ჯერჯერობით.

„ჯერჯერობითის" თქმა მიგვანიშნებს, რომ: კიდევ ვარაუდობდა შევსებას ანუ დანაქადების აღსრულებას. ყოველ შემთხვევაში მოთავებულად უკვე მიაჩნდა და განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც მიანიჭებდა ამ თხზულებას, რაკიღა ასე ინტენსიურად, ასე ნაყოფიერად აქამდე არასოდეს ემუშავა.

ყველა ნოველის სიუჟეტი იმთავითვე ეცოდინებოდა. წინასწარვე მოეფიქრებინა, თუმც... ზოგჯერ ყველაფერი ერეოდა ერთმანეთში. განუწყვეტლივ სტკიოდა თავი, ბევრ ჩაის სვამდა, წამალსაც. დღედაღამ მუშაობდა, ძილშიც – ცოტა ეძინა – ის ნოველები ესიზმრებოდა.

გახარებულიყო და... შეეჭვებულიყო კიდეც: ვნახოთ, რა გამოვაო!..

სამუშაო ჯერაც საკმაო ელოდა წინ.

გადაწერა არ დასჭირდებოდა – ესეც პირველი შემთხვევა გახლდათ – პირდაპირ გადაბეჭდავდა შავად. გაასწორებდა. შემდეგ ისევ გადაბეჭდავდა.

ახალ წლამდე უნდა მოესწრო, რადგან სხვა საქმეც ჰქონდა.

2008 წლის თებერვალში მიაწერდა, რაც ისედაც ივარაუდება და თავისითაც მიხვდებოდა საქმეში ჩახედული მკითხველი, რომ:

„სახლი" – ესაა „მუსიკა ქარში". თავდაპირველ სათაურად შეერჩია სახლი, და მართლაც სახლს ემგვანებოდა – შენდებოდა, ყალიბდებოდა... და ადამიანიც განა ასე არ გახლდათ?..

იზრდებოდა, ასწრებდა და... ბოლოს ხედავდა, რომ პატარა ყოფილიყო ის სახლი, დიდი რომ ეგონა. დიახ, გაესწრო მას სახლისათვის, რადგან და რადგან...

აქ ერთბაშად შეწყვეტდა ფრაზას და მის გაგრძელებას მკითხველების წარმოსახვას მიანდობდა, მკითხველებისა, რომელთაც ისედაც წამოეშლებოდათ თავთავიანთი ბავშვობის მოგონება-შთაბეჭდილებანი და მძაფრი ნოსტალგიაც დაეუფლებოდა სადღაც მიქარებული წლებისა, სიყმაწვილის ქვეყნად, დაკარგულ სამშობლოდ სახელდებულის.

1979 წლის 12 სექტემბერს ერთხელ კიდევ უნდა ავსებოდა გული იმ უჩვეულო განცდით: როგორ თბილად და მყუდროდ ძინავთ ალბათ ჩიტებს ბუდეშიო. უყვარდა ბუდე გაფოთლილ ხეზე და წვიმა. და ვარაუდობდა, რომ წყალი არ ჩადიოდა ალბათ ბუდეში.

სამაგიეროდ გაძარცულ ხეზე ცარიელი ბუდის დანახვა ჰგვრიდა სევდას.

ოთხ პატარა თუთიყუშს იყიდდა, ახლა ისე საყვარლად მოიბუდრებოდა ოთხივე, თვალს ძლივს მოაცილებდა. ადრეც ჰყავდა და გაუფრინდებოდნენ.

და ძალდაუტანებლად აღიბეჭდებოდა ფურცელზე ეს სტრიქონი:

ბუდე, სიმყუდროვე და წვიმა.

სტრიქონი, რომელიც სათაურადაც გამოდგება, ნოველის ფინალურ აკორდადაც ივარგებს, რეფრენადაც მარჯვე გამოსაყენებელია.

ბავშვობიდან ეყვარებოდა სამივე – ბუდეც, სიმყუდროვეც და წვიმაც.

სადღაც წაიკითხავდა, რომ:

ბრაზილიის ჯუნგლებში, პერუს საზღვართან ერთი ადგილი ყოფილიყო, სადაც სულ წვიმდა. ცოტა სასაცილო კი იყო ეს ფაქტი, ყოველ შემთხვევაში თვითონ რატომღაც ეღიმებოდა, მაგრამ... რარიგ უნდოდა ხანდახან იქ ყოფნა, როცა თბილა, წვიმს და არ გაწვიმს – გაზაფხულზეც, ზაფხულშიც, და შემოდგომაზეც კი, თუ არ ციოდა.

ოთხი დღის შემდეგ ესეც უნდა ჩაენიშნა:

საოცარია თითქოს და, ძლიერი ქარიც მიყვარსო.

ქუთაისში ფანჯრებს რომ ზანზარი, რაწკარუწკი გაუდიოდა, ხეები რომ ჭრიალებდა, ამას მშვიდად ეძინებოდა. არამცთუ ოდნავადაც არ აწუხებდა ეს ხმა, ამშვიდებდა კიდეც. და ახლაც ასევე გახლდათ.

წყალდიდობა უყვარდა განსაკუთრებით.

ქუთაისში, ეზოში ისეთი ნარვალი იყო, სადაც ნაწრეტი წყალი ჩაედინებოდა. დიდი წვიმისას ისიც კი მოდიდდებოდა და გრიალითა და ქვების რახარუხით მოღელავდა.

ასეთ დროს ბევრჯერ ამდგარიყო და თეთრ ხიდამდე ჩასულიყო რიონის სანახავად. დაახლოებით ორი კილომეტრი გაჭიმულიყო მისი სახლიდან თეთრ ხიდამდე. და... ყოველთვის იმედგაცრუებული ამოსულიყო. რიონი იმ დროს ყოფილიყო ამღვრეული და ოდნავ მოდიდებული. ადიდებული რიონი ცხადია ბევრჯერ ენახა, გადარეული რიონი კი – არასოდეს, და ძალიან განიცდიდა: სამწუხაროდო...

სამჯერ გაემართლებინა მხოლოდ.

1951 წელი იყო თუ 52, ზუსტად ვერ იტყოდა.

თბილისში იქნებოდნენ საექსკურსიოდ წასულნი და მატარებლით დაბრუნდებოდნენ შუადღით, მზისით. წიფას რომ გამოცდებოდნენ, ვიღაც იყვირებდა, და შესაძლოა თვითონ რეზო ჭეიშვილიც:

– წყალია მოდიდებული.

წითელი მდინარის ნიაღვარი მოექანებოდა, ფესვებიანად მოჰქონდა უზარმაზარი ხეები. სადღაც ხეობაში ზვავი ჩამოწოლილიყო, ჩხერიმელა დაეგუბებინა, წყალს ემატა, ემატა და ბუნებრივი ჯებირი გაეხეთქა. მატა-

რებლის ბორბლებს მიწვდომოდა მდინარე. მატარებელი გაჩერდებოდა. და ჰოი რარიგ შეეშინდებოდათ მგზავრებს!..

ერთადერთი რეზო ჭეიშვილი ვერ დაფარავდა სიხარულს, ეგაა ეს სიხარული მალე გაუნელდებოდა, და გაუნელდებოდა იმიტომ, რომ: წყალი საოცრად მალე დაიკლებდა.

მტკვარი მოდიდდებოდა თბილისში 1968 ან 69 წელს, დაზუსტებით მერე დააზუსტებდა. ქუჩებშიც გადმოვიდოდა.

რეზო ჭეიშვილი მთელი დღე მოუწყინრად ივლიდა სანაპიროზე.

ქორწინების სახლის წინ პატარა მოედანი დაიტბორებოდა. დაიტბორებოდა კამოს ქუჩა და ეზოებიც კი, საკმაოდ მაღლა რომ იმყოფებოდა სანაპირო ქუჩიდან.

მცხეთაში წავიდოდნენ აკაკი ბაქრაძის მანქანით, და ეს გაუბეზრებლად მიაჩერდებოდა მდინარეს. ბოლოს არმაზში იქეიფებდნენ. და ამას გულს დააკლდებოდა: რუსთავისაკენ წასვლა სჯობდა რასაკვირველიაო...

მესამედ – რაჭიდან მოდიოდა.

თავსხმა წვიმა დაესწრებოდა. ძლივს ჩამოაღწევდა ავტობუსით ქუთაისამდე. შინ შესულს გიგლა ეტყოდა:

– წყალწითელა ისეა მოდიდებული, ხიდზე ზევიდან გადადის.

არ დაიჯერებდა, მაგრამ იქ ტაქსით სასწრაფოდ მისული თავისი თვალით იხილავდა:

წყალი მართლაც ზემოდან გადადიოდა ხიდზე.

ვისაც ის ხიდი უნახავს, ვერ დაიჯერებდა, რომ წყალი ამხელაზე შეიძლება მოდიდებულიყო.

ყველაფერი დაენგრია გზადაგზა მდინარეს, ძველი ხიდი ვერ წაელო, ხოლო ძველზე მიშენებული ახალი – წისქვილის სათავე – ბეტონის ხიდი დაენგრია.

დიდხანს მიაჩერდებოდა ადიდებულ წითელ წყალწითელას.

და ეს ჩანაწერი უეცრად ნოველასავით უნდა მოთავებულიყო:

სწორედ იმ დროს რომ დაეხრჩო ბიძამისი იმ მდინარის ერთ-ერთ შენაკად ღელეს. საღამოს ჩამოვიდოდა სოფლიდან ეს ამბავი.

10 ივნისის, 1987 წლისა, დილით ნოდარია შემოჰყოფდა თავს ფანჯარაში:

– კიდევ უფრო მოდიდებულია რიონი, გუშინდელზე დიდია.

არ უნდა ყოფილიყო ეს მართალი, და რეზოს სოლომონ მორბელაძის სიტყვები წამოაგონდებოდა: მამაშენს გინდ ტყუილი ათქმევინე და გინდ სული აცხონებინეო.

გუშინ კი... გუშინ მართლაც ანგრევდა კალაპოტს რიონი და მობინადრეებს ამიტომაც გამოიყვანდნენ სანაპირო სახლებიდან.

მოაგორებდა და მოაგორებდა მორებს ერთ გაბმულ ტივად.

შუადღით საჯავახოში ჩავიდოდა ცხენისწყალთან. შემდეგ შეერთებულ რიონსა და ცხენისწყალს გადააველებდა მზერას, ზღვასავით გაშლილსა და გაწელილს, ვისთვის სილამაზის ნიმუშს, რეზო ჭეიშვილისათვის კი იქ დამთავრდებოდა ეს უჩვეულო სანახაობა: შემდორებულია და უინტერესოო.

ქუთაისში სულ სხვანაირად მოშხუოდა ეგ რიონი.

სანაპიროებსა და ხიდებს აუყვებოდნენ, „განთიადის“ ადგილსამყოფელიდან „თეთრ ქვებამდე“ ფეხით მივიდოდნენ ის და ნოდარი. იქნებოდა გზად სტვენა-ყვირილი. მილიცია მგზავრებს ხიდებზე და სანაპიროს მოაჯირებთან არ გააჩერებდა.

„თეთრ ქვებში“ დასხდებოდნენ. მათ თვალწინ მოიმატებდა წყალი. შემოვიდოდა ეზოში და კიბის ქვედა საფეხურებსაც დაფარავდა, აივნის მოაჯირსაც მიწვდებოდა, მხოლოდ ზედ რაფაზე ვერ გადავიდოდა.

– შევა თუ ვერა? – მოჰყვებოდნენ ესენი მარჩიელობას.

და როგორ გგონიათ: სურვილით სურდათ, რომ... შესულიყო შიგნით.

და უკვირდა და არც უკვირდა რეზო ჭეიშვილს: რატომ უნდა ჰქონოდა ადამიანს ნგრევისა და წახდენის პროცესის ცქერის სურვილი?

ადამიანი ადამიანად და... პირადად მას საიდან გასჩენოდა, საიდან ჩასახლებოდა, რა უბიძგებდა და რას აეყოლიებინა თუნდ ამჯერად, ვერა და ვერ რომ მოწყვეტოდა ამ სანახაობას და... მეტი უნდოდა, კიდევ მეტი და კიდევ მეტი... წარღვნად გადაზრდილი წყალდიდობა, სწორედაც წარღვნად, და კიდობანსაც აღარ დაგიდევდა.

რაღაც უნდა წაეღო რიონს მართლაც, აბა ტყუილუბრალოდ ხომ არ მოდიდებულიყო, რაღაც მიენგრ-მოენგრია ხოშიანად (სწორედ ამ ჟარგონულ გამოთქმას მოიშველიებდა), გაეწმინდა, ჩაესუფთავებინა იქაურობა. და ჩაასუფთავებდა კიდეც. და წყალი დღითიდღე რომ იკლებდა, საათ-საათ და წუთი-წუთ, სამწუხაროდ მიითვლიდა წყალდიდობის ასე მოთავებას, ასე ყოვლად უინტერესოდ რეზო ჭეიშვილი.

1979 წლის 30 სექტემბრის სწორს რომ იქნებოდა ქუთაისში, დღისით ეცხელებოდა, ღამით კი თბილი ქარი იქროლებდა. ეს ეზოში დაიძინებდა ძველებურად.

– ქარია, ნუ წვები, – გააფრთხილებდნენ.

არადა ქარი რომ იყო, სწორედ იმიტომაც გაიტანდა ქვეშაგებს ეზოში.

ქარი მისთვის ხომ არ გახლდათ ატმოსფერული მოვლენა, რომელსაც უნდა მორიდებოდი, „შიგნიდან“ განიცდიდა მის არსებობას, მასში ერთიანად გახვევას, მის გულისგულსა სულიერებაში სრულ ჩაძირვას ესწრაფოდა და... საამისო მარჯვე შემთხვევებს ხელიდან როგორ გაუშვებდა.

თავდაპირველად „სახლი“ რომ წარმოუდგებოდა ყრმობის მოგონებებისათვის ყველაზე შესაფერის სახელწოდებად, ეს მეტაფორა და ეს სიმბოლიკა, მერე და მერე რაღაც დააკლდებოდა გულს და... თუმც თავს ირწმუნებდა: სახლზე უკეთესი სიმბოლო რა შეიძლება გამოიძებნოს ამ ყაიდის წიგნისათვისო, – ბოლოს მაინც ქარი გადაძლევდა, მისი იდუმალი ქროლა და მას მოდევნებული შორეული მუსიკა.

და ასე შეირჩეოდა სახელწოდებად „მუსიკა ქარში“, მერე ამასაც რომ ველარ იკმარებდა თავისი განსაკუთრებული განცდის გამოსახატად. არა, იმ სათაურში კი აღარ ჩაერეოდა, მაგრამ სხვა თხზულებასაც მიუსადაგებდა, გარეგნულადაც რომ გასდებდა ხიდს ამ ორ ქმნილებას შორის, რაკიღა ასე დაარქმევდა: „ქარების დაბრუნება“.

ქარია, ნუ წვებიო...

ოღონდაც ექროლა, ექროლა მთელი ძალით, ექროლა და ექარაშოტა და...

აგერ ყოფითი სინამდვილის გაყინვა, სულის გაუხეშება სწორედაც ქარის გახევებას გაუიგივდებოდა, თავზარდამცემად რომ უნდა ემოქმედა პერსონაჟზე:

აქ ადრე სულ ქარები ჰქროდნენ, ამ ბოლო დროს აღარა ჰქრიან, მგონი აღარ არიან ქარებიო?..

როგორ, ქარიც შეიძლება მომკვდარიყო?

რატომაც არა, თუკი სულიერი ცხოვრების აღორძინებას არ შეეცდებოდი და მიენდობოდი მის დამთრგუნველ და გულგრილ მდინარებას. ქარები გაქრებოდნენ და არსებობაც იქ შეწყდებოდა ადამიანისა, გადაჰყვებოდა ქარის ჩადგომას.

ჯერ მაინც გრიალებდა ქარი, მიცვალებულთა ლანდების საუფლოს მოძებნიდა საქროლად და კიდეც შეირყეოდა ზედა სართულის ყველა კარი და ფანჯარა. საკვამურიდან გაქარული, გამჭვარტლული ჭინკები ამოძვრებოდნენ, მთავარი გმირი სულს რომ შეუბერავდა მძლავრად და უკანვე მიდენიდა, ჭყავილითა და ფხუჭაფხუჭით რომ გააქცევდა...

მაგნოლია შეირყეოდა თეთრ ოდასთან მთვარიანში, ხეთა ჩრდილიან ჰამაკში; და იდგებოდა პრეისტორია – მაგნოლია – ურჩად: ისუნთქებდა, იჭრიალებდა, იოხრებდა მაგნოლია მწუხარებისა, გადმოაფრქვევდა თავისამატკივარ სურნელებას და იდგებოდა.

ღამეები გათეთრდებოდნენ ქარით, ქარში, მთვარეში.

ჭინკების ქვითინში მთვარე აირეკლავდა მაგნოლიას და იდგებოდა მაგნოლია ჩრდილად მთვარეზე...

მალე გავთავისუფლდებოდით მტანჯველი ფორიაქისაგან; არაფრიდან არაფერში გადასვლის ცრუ ტკივილებისაგან და ხელახლა შეხვედრის მოლოდინი გაგვტანჯავდა...

ქარები მოსულიყვნენ, ქარები ჰქროდნენ, მაგრამ სული მაინც წუხდა.

მაგრამ ხომ დაბრუნებულიყვნენ ქარები... ხომ დაბრუნებულიყვნენ!.. ხომ დაბრუნებულიყვნენ!..

დაბრუნებულიყვნენ და მოეტანათ ის მელოდიებიც, მის სიყმაწვილეს რომ ასულდგმულებდა ასეთი სიმძაფრით, ასულდგმულებდა და რომანტიკულ სხივადაც გამოჰყოლოდა მის სიჭაბუკესა და სიჭარმაგეს, მზიანი, ქარიანი დღის აკორდები. ქარი ხმელ ფოთლებს ააფრიალებდა, ხან ერთ კუთხეში მიჰყრიდა და მიხვეტავდა ხმელ ნეშოს და ხანაც – მეორეში... და ირბენდა ეზოში პატარა რეზო, ხმელ ფოთლებში, სიყვითლეში, მზიან ქარში. შეჰყურებდა, როგორ იელვებდა და ტყდებოდა მისი ლანდი ხის ტანსა და ღობე-მესერზე, და არა უჯობდა რა მზეში, ქარში, ხმელ ფოთლებში უმისამართოდ, უმიზნოდ სირბილს.

გადაიქროლებდა წლები, გადასრიალდებოდა ათწლეულები, მაგრამ... აი ქარს კვლავ უნდა დაებერა წინანდებურად. და სადღაც როიალს რომ უკრავდნენ, მაღალი სახლის მოღიავებული ფანჯრის მოცისფრო, გამჭვირვალე ფარდას მინყდომოდა ქარი და როიალის აკორდებს დაერწია ზეფირში.

ის დღეები, ომის, ნგრევის, გაჭირვების, ადამიანთა აღზევებისა და სულმოკლეობის დღეები რეზო ჭეიშვილის ყველაზე დიდ, თბილ და სანეტარო ზმანებად უნდა ქცეულიყო.

და როდესაც ეს უთავბოლო სიზმარიც დამთავრდებოდა,

ფარდების ჩამოშვების წინ, გაღვიძების ჟამს, ქარში გაფანტული მუსიკის ხმა რომ მოწყდებოდა სმენას,

როცა ლურჯი ფრინველი გააკეთებდა ირაოს გლუვი გორის ზედაპირზე,

ყორღანიდან გათავისუფლებული ჩრდილი როცა დაეცემოდა მიწას,

მაშინაც მხოლოდ ის დღეები უნდა მოეგონებინა, გაეხსენებინა მუდარით მისკენ მზირალი, ყელმოღერებული თეთრი თიკანი, და... მშვიდი სახის ბიჭი, ხელში რომ მზით განათებული, გადაშლილი ფერადი წიგნი ეჭირებოდა.

* * *

დიდ იმედებს ამყარებდა ყოველთვის თავის მეხსიერებაზე. დიდ იმედებს კი არ ამყარებდა, სჯეროდა თავისი მეხსიერების.

და როგორ არ გამოტყდომოდა თავს და დღიურისთვისაც როგორ არ გაენდო 1979 წლის 7 ოქტომბერს, რომ:

ახლა ბევრს და ინტენსიურად იწერდა სხვაგან და სხვაგან. ადრინდელი ჩანაწერებიც მოეპოვებოდა, თუმც რაც ახსოვდა ალბათ – ასე ფიქრობდა – არც ავიწყდებოდა.

და შეფიქრიანდებოდა: ღმერთმა იცისო!..

უკვე ორის ნახევარი იყო და... ისევ არ ეძინებოდა, ცოტა ნასვამი კი გახლდათ, მაგრამ მაინც...

ჯერ არ დადგომოდა ის დრო, გალაკტიონივით რომ ამოაგმენდა: მოღალატეა მეხსიერება, მოღალატეა მეხსიერება, მოღალატეა მეხსიერებაო!..

თარიღებს ვერც ვერასოდეს იმახსოვრებდა, ის კი არა, თავისი ტელეფონის ნომერიც ავიწყდებოდა და ყოფილა შემთხვევები, ელგუჯა თავბერიძისათვის უკითხავს:

– ვაჟაევიჩ, ჩემი ნომერი გამახსენე!..

სამაგიეროდ სურათები და დეტალები გაუხუნრად, პირვანდელი აღქმით ებეჭდებოდა ცნობიერებაში, საიმედოდ დაეგულებინა მეხსიერების კუთხე-კუნჭულებში და, როგორც კი დაისაჭიროებდა, იმ სახითვე წამოატივტივებდა.

ლომთაძის ქუჩისათვის გაესვათ რამდენჯერმე ხაზი. და 1982 წლის 7 იანვარს რომ დაინტერესდებოდა: ვინ იყო ეს ლომთაძეო? – ტერორისტად ივარაუდებდა ელბაქიძესავით და სხვებივით.

კალანდაძის ქუჩაზე, ცოლოურის ბინაში იცხოვრებდა თითქმის 12 წელიწადი. დროდადრო ქირაობდა ხოლმე ბინას, მაგრამ ძირითადად მაინც იქ იმყოფებოდა. ვინ იყო ეს კალანდაძე? იცოდა განა? იმ კალანდაძის ქუჩის ბინაში, კიბის ქვეშ მოთავსებულ თავის „კაბინეტში“, ფანჯრის რაფაზე გასაშლელ მაგიდად გადაკეთებულზე – დაწერდა „დალის“ (კიდევ კარგი, გამოვიდაო! – აღტაცებით დასძენდა), და სხვა რამეზეც იქ ემუშავა ალბათ,

მკაფიოდ ვეღარც გაეხსენებინა ის ნაწერები, მაგრამ „დალი“ ნაღდად ფანჯრის რაფაზე შეექმნა.

1982 წლის ჩანაწერი აქ რა შუაშია, ჯერ იქამდე ხომ არაერთი გვერდი დაგვრჩენია გადასაფურცლი?

რა შუაშია და:

საგანგებოდ რომ ჩაინიშნავდა, სადაც შექმნილიყო ეს რომანი, ყველაზე მეტად რაც გაახმაურებდა მის სახელს, მას კი ლამის საბედისწეროდ გადაექცოდა მისი გამოქვეყნება. საბედისწეროდ – იმ ცოტა არ იყოს არაჯანსაღი აჟიოტაჟის გამოისობით. მთლად არაჯანსაღიც არ უნდა ყოფილიყო ის ხმაური, ზოგს რომ მოსწონდა და ზოგსაც არა, მაგრამ რეზო ჭეიშვილის თვალში გამოჩნდებოდა ასე და... კინაღამ ვეღარც გაუძლებდა კრიტიკულ შემოტევებს, რაც ბოლოსდაბოლოს ლიტერატურის ფარგალს არ გადასცდებოდა და პოლიტიკური სარჩული ოდნავადაც არ წაეკარებოდა.

ძალიან კი მიიტანდა გულთან და...

ღვინოში მოინდომებდა აფორიაქებულ ფიქრების, სულიერი ტანჯვის ჩახრჩობას, მაგრამ ღვინოც რომ ვერას უშველიდა?!.

„სულ დავანებებ თავს წერას... მაგრამ რა გავაკეთო?.. რაიმე პროფესია რომ მქონდეს, ერთი წუთითაც არ ვიყოყმანებდი, გადავაგდებდი კალამს და მოვეშვებოდი მწერლობას... მაინც არ ვვარგებულვარ საამისოდ და მაინც!.."

ინანებდა, სხვა ხელობა რომ არ გააჩნდა, თუნდ ბუღალტრობა რომ არ შეესწავლა – მამის კვალობაზე.

გვიანღა იქნებოდა თითზე კბენანი.

31 ოქტომბერს 1979 წლისა „დალის“ მეორე გამოცემის კორექტურის კითხვას რომ დაამთავრებდა, მთელი არსებით შეიგრძნობდა: როგორ გაეწამებინა ამ წიგნს.

არაფერზე ამდენი არ ემუშავა.

და გული აგრძნობინებდა, უკარნახებდა გული, რომ:

ამ წიგნის, ამ რომანის სიდიდე გვიან გახდებოდა ცნობილი მისთვისაც კი. სახელსაც მოუტანდა, ოლონდ ძალიან, ძალიან გვიან...

და მაინც არ ეყვარებოდა იგი.

იცოდა, რატომაც.

თუმცა... იცოდა კი?..

ყველაზე ძალიან რასაც გაეწამებინა, თითქოს ის ყველაზე ძალიან უნდა ჰყვარებოდა. ყოველ შემთხვევაში უილიამ ფოლკნერი ამას და სწორედ ამას ირწმუნებოდა, როდესაც ეკითხებოდნენ სხვადასხვა ლიტერატურულ თავყრილობაზე: თქვენი ნაწარმოებებიდან ყველაზე ძალიან რომელი გიყვართო?

„ხმაური და მძვინვარება“, რაკიღა ყველაზე ძალიან გამაწამაო, – პასუხობდათ და ფსიქოლოგიურ მიზეზსაც განუმარტავდათ, – დედასაც ხომ ყველაზე ძალიან ავადმყოფი შვილი უყვარსო.

გაწამებდა, გაწვალებდა, დაჰკანკალებდი, სულს უბერავდი და... სიყვარულსაც ეს გიმძაფრებდა.

„ხმაური და მძვინვარება“ მსოფლიო შედევრად შეფასდებოდა.

დაუფასდებოდა ამაგი უილიამ ფოლკნერს.

ყველასათვის გახდებოდა ცნობილი ამ რომანის სიდიდე, და სახელსაც თუ რაიმე მოუტანდა ფოლკნერს, ერთი უპირველესი ეს რომანი, თვითონაც რომ აღიარებდა მის წარმატებულობას და მარტო იმიტომაც აღარ ეყვარებოდა, ყველაზე ძალიან რომ გაეწამებინა.

და... რეზო ჭეიშვილს რატომღა არ უნდა ჰყვარებოდა „დალი", თუნდ ახლა და თუნც მას შემდეგ, როცა ასერიგად გამაწამებელი წიგნი სახელსაც მოუტანდა?

იცოდა და... დღიურსაც არ ანდობდა?

ეტყობა მთლად ბოლომდეც არ დარწმუნებულიყო და რაღაცას ქვეშეცნეულად უფრო გრძნობდა... მაგრამ ნეტა ის ქვეშეცნეული მაინც გაემჟღავნებინა, დღიურისათვის მაინც მიენდო?!.

10 ნოემბერი უნდა ყოფილიყო.

ზუსტად თქმას რა უნდოდა?

სწორედაც რომ უნდოდა, რაკიღა: ერთმანეთს მიეწყობოდა დღეები უმისამართოდ და უსიხარულოდ...

უმიზნოდო, ვერ იტყოდა, რადგანაც იმ იმედს მოეჭიდებოდა: ალბათ რაღაც მიზანს მაინც ემსახურებიან, ჩემი არსებობითურთო...

მიიწურებოდა ის წელიწადი და 9 დეკემბერს გულისტკივილით ჩაენიშნა, რომ: რახანია არაფერი გაეკეთებინა. საბეჭდი მანქანა იდგებოდა უქმად. შავად იმზირებოდა. უყურებდა და... თითქოს ისიც შემოჰყურებდა და ელოდა.

უეცრად დაიტრაბახებდა, რომ:

მაგრად ბეჭდავდა, შეიძლება ყველაზე კარგადაც არაპროფესიონალებს შორის. დაუსვენებლივ შეეძლო ებეჭდა 8-10 საათს. ესეც მობეზრდებოდა, აღარც ვარჯიშობდა, თითები გადაეჩვეოდნენ ამ საქმიანობას...

2-ს უკლდა 15 წუთი და... აკაკის კითხვის გუნებაზე დადგებოდა, ორ სტროფს რომ შეარჩევდა დღიურში გადმოსატანად, მისი იმჟამინდელი განწყობილების ამრეკლავს, ლამის აპათია რომ დაუფლებოდა, ან რაღა ლამის – საბეჭდი მანქანა მოუთმენლად შემოჰყურებდა და ელოდა, ელოდა, ელოდა... ეს კი... ეს რაღას ელოდა ნეტა?

ერთი სტროფი ეს იქნებოდა:

დევთა შორის ჯუჯა დადის, ხმას არ იღებს, არ წივისა, თქვენ მომკალით, თუ რომ მაგან კვერცხი დადვას არწივისაო.

ხოლო მეორე:

და რაღად მინდა სიცოცხლე, გულგატეხილი წამებით!.. ნუგეშად ველი სიკვდილსა, დროს ვანგარიშობ წამებითო.

ეს რა დამართოდა, ნაღველი ეს რა აპათიაში გადაზრდოდა, ჯერ რა დროს სიკვდილის მოლოდინი გახლდათ?!. ჯერ რა დროს წამთა გამოდევნება და ანგარიში?!. მაგრამ თუკი გულგატეხილობას იგრძნობდი სულიერი, გაუნელებელი წამებით?!.

დევთა შორის კი კვლავაც დადიოდა ჯუჯა, დევობას რომ იჩემებდა და... დევობდა კიდეც – რა გგონიათ – ყირაზე დამდგარი ქვეყნიერების მორალით გულმოცემული.

* * *

თუ რაიმე ჰყვარებოდა, თუ რაიმე მოსაგონრად დარჩენოდა და მონატრებოდა – სოკოს ნახვა, სოკოს აყვანა. სოკოს მოკრეფა არ ითქმოდა, არამედ: აყვანა.

და სოკოწითელი – ყველაზე ძვირფასი და დიდებული სოკო.

ნიყვს ეძახდნენ ზოგადად. ზემო იმერეთშიც კი, სინამდვილეში ნიყვი გაუშლელი სოკოწითელი გახლდათ. „წითელ სოკოსაც" გაიგონებდა ქუთაისში და... ყურში მოხვდებოდა და არ ესიამოვნებოდა. სოკოწითელი – ოკრიბულლეჩხუმურად... კარგი სახელი იყო. ბევრი მოეძევებინა და აეყვანა. საოცარი ყნოსვა ჰქონდა თუ ინტუიცია მისი მიგნებისა. მის წინ მიმავალი კაცი ჩაივლიდა და... ვერ შეამჩნევდა, ამას კი არ გამოეპარებოდა. ათი წელი იქნებოდა, მეტიც, მის საძებნელად არ გასულიყო ოკრიბაში, სულ კი ეპირებოდა...

ერთხელ რომ იკითხავდა მხოლოდდამხოლოდ რიტორიკულად: სოკოწითელზე უკეთესი სოკო თუ არსებობსო? – მისდა გასაოცებლად მიუგებდნენ: სოკოშავაო.

გაზაფხულზე შეიძლებოდა მისი მოპოვება. თოვლი რომ დნებოდა, მხოლოდ მაშინ თუ ნახავდი.

მას შემდეგ ამ სოკოს ნახვის ნატვრა დაჰყვებოდა, სულ წარმოდგენილი ექნებოდა: გაძარცული ტყისპირები, რცხილნარი, თოვლის ფთილები, ჩრდილებში დარჩენილი თოვლი და... სოკოშავა, უფრო ლურჯი ალბათ. არასოდეს ამ დროს ტყეში არ ყოფილიყო. ნახავდა და აიყვანდა ოდესმე?

რას გაეხსენებინა ახლა სოკო, გინდა წითელი, გინდა შავი, ლურჯს რომ უფრო ჰგავდა?!.

ქრისტეშობა, ძველით, უკვე ჩამომდგარიყო: 1980 წლის 6 იანვარი.

პეტრე ჭაბუკიანს კაცობრიობის განვლილი გზა ოთხ პერიოდად ჰქონდა ფაქტობრივად დაყოფილი:

პრეისტორიული, რომელსაც ამდენი და ამდენი „მილიონი წლის წინად" ეძახდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე,

ჩვენი წელთაღრიცხვით

და:

ამგენის მოსვლის შემდეგ.

1980 წლის 8 იანვარს გაახსენდებოდა, რომ: რამდენი ხანია არ ენახა ეს კოლორიტული კაცი.

ნეტა როგორ გამოიყურებოდა? ერთი, ორი თუ სამი წლის წინათ პატარა სამკერვალოსთან დაინახავდა, ჯაჭვის ხიდთან, მექუდეებს ეკამათებოდა თავშეკავებულად, უნდო ღიმილით. ხელოსნები ურწმუნოდ და ცინიკურად იცინოდნენ, და ეს ყოველივე ნათლად ჩანდა ვიტრინის შუშებიდან.

რეზო ჭეიშვილზე ძალიან გაგულისებულიყო.

გასაგებია რატომაც: ვერ პატიობდა პროტოტიპად ჩახატვას რომანში, რომელსაც ხან „ქალაქში დინოზავრები დადიან" ერქვა და ხანაც „ჩემი მეგობარი ნოდარი".

ცნობით ვერა ცნობდა. და როდესაც შეხვდებოდა და ელაპარაკებოდა, როგორც ძველ ნაცნობს, ისე ეპყრობოდა, და არ იცოდა, ვინ იყო.

ერთ საგულისხმო დეტალს ჩაინიშნავდა დღიურში, ძველ ქუთაისელთაგან განაგონს პეტრეზე: სათაფლიაზე განძს ეძებდა და შემთხვევით გადააწყდა იმ გამოქვაბულს, სანამ არ გადააქოთა იქაურობა, მანამდე არ გაუმხელია გამოქვაბულის არსებობაო.

რამდენად მართალი იყო ეს გადმოცემა, ვერას იტყოდა, მაგრამ... რაღაც რომ იყო შიგ სასაცილო, ამას როგორ ვერ დაინახავდა რეზო ჭეიშვილი.

20 თებერვალს გაიხსენებდა, წინა წელს „ლიტერატურნაია გაზეტასათვის" ინტერვიუს რომ მიაცემინებდნენ თუ დააწერინებდნენ და... რაღაც მიზეზის გამო არ დაიბეჭდებოდა, ერთი შეკითხვა ასეთი იქნებოდა:

– რა არის იუმორი?

იუმორი ღიმილიაო, – მიუგებდა და შემდგომ განაგრძობდა: ადამიანისა და ცხოველის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ღიმილია. ცხოველებს შეუძლიათ ტირილი, ყვირილი, ლაპარაკი (ფრინველებს), სიცილ-ხარხარიც კი (მაიმუნებს), მხოლოდ ღიმილი არ შეუძლიათო.

ეს დებულება თავისი აღმოჩენა ეგონებოდა, ვიდრე „ნაუკა ი ჟიზნის" იმ წლის უკანასკნელ ნომერში ამოიკითხავდა, რომ: ანთროპოლოგიურ ლიტერატურაში გაბატონებულიყო მოსაზრება, სამეცნიერო-პოპულარულ კინოეკრანზეც რომ გააღწევდა, ღიმილი განასხვავებს ადამიანს არაადამიანისაგან – ცხოველისაგანო.

მაგრამ სტატიის ავტორი ფირსოვი არ იზიარებდა ამ შეხედულებას და სარისკოდ მიიჩნევდა ადამიანისა და არაადამიანის გარჩევას ღიმილის მეშვეობით და შეეცდებოდა დაემტკიცებინა, რომ მაიმუნსაც სჩვეოდა ღიმილი. ავტორიტეტებსაც მოიშველიებდა: ჩარლ დარვინსა და ივან პავლოვს.

როცა ჩემს გაზრდილ მაიმუნს იღლიებს ვფხანდი, ფართოდ იღიმებოდაო, – და ფოტოსაც დაურთავდა გაღიმებული შიმპანზესი. მაგრამ რეზო ჭეიშვილს ვერ დააჯერებდა, სტატიის ავტორს ორმაგად შემცდარად რომ მიიჩნევდა, რადგანაც შიმპანზეს ღიმილი, თუკი ამასაც ღიმილს დავარქმევდით, ფიზიოლოგიური გახლდათ მხოლოდდამხოლოდ, ფხანით გამოწვეული ემოცია. არადა და თვითონაც და, როგორც გაარკვევდა, სხვებიც, სულ სხვა ღიმილზე ლაპარაკობდნენ.

დაე შეგვესმინა რეზო ჭეიშვილის შეგონება:

ცხოველებს არამცდაარამც არ შეეძლოთ ღიმილის თუნდაც ერთი ნიუანსის – ირონიის გადმოცემა.

იმ სტატიის გაცნობა კი ერთ დასკვნას გააკეთებინებდა:

არ არსებობდა ალბათ დედამიწის ისტორიაში ისეთი ნათქვამი და დაწერილი, რომელიც ადრე არ ყოფილიყო დაწერილი ან ნათქვამი.

და გაეღიმებოდა მისებურად, ჭეიშვილურად:

ამაზე ადრეც მიფიქრია სხვათა შორისო.

– წაგიკითხავს სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენო, – წამოუტივტივდებოდა 26 მარტს 1980 წლისა ეს რუსთველური სტრიქონი და მიადევ-

ნებდა: მაინც არ არის ქრისტიანული – შესაძლოა ეს ტერმინი სწორი არ იყოს – მსოფლმხედველობის ნაწარმოებიო.

და დავით გურამიშვილის აჩრდილიც რომ ამოესვეტებოდა: აქ პირიქითაა, მთელი მისი შემოქმედება ქრისტეთი თუ ქრისტიანობითაა გაჟღენთილიო.

საეკლესიო კალენდარი გამოსულიყო, სრული და სავსე გამოცემა, ხვალიდან გაყიდდნენ, მსურველი ბევრი ყოფილიყო და ამაღამ თურმე ხალხი რიგში აპირებდა ღამის გათენებას – სიონში. უსათუოდ უნდა ეშოვნა თვითონაც.

არ უნდა იცრუო, ტყუილი არ უნდა თქვაო, – ამას გვასწავლიდა სახარება, მაგრამ როგორც ჩანს სიმართლის ართქმაც ნებადართული იყო.

ქრისტე არ იტყოდა სიმართლეს მღვდელმთავრების წინაშე.

„ხოლო იესო დუმნა“.

ცრუ მოწამეთა წინაშე თავს არ იმართლებდა. შემდგომ შეკითხვებზეც პირდაპირ პასუხს არ გასცემდათ. პილატეს საერთოდ არას მიუგებდა.

„... და ჰკითხა მას მთავარმან მან და ჰრქუა: შენა ხარა მეუფეი ჰურიათაი, ხოლო იესო ჰრქუა მას: შენ იტყვი“.

რას ნიშნავდა ეს „შენ იტყვი“, ზუსტად ვერც გაეგო რეზო ჭეიშვილს.

იოანეს თავში პილატესა და ქრისტეს საუბარი ცოტა სხვანაირად პირდაპირი მოეჩვენებოდა, შესაძლოა დიამეტრალურად საწინააღმდეგო დიალოგიც ყოფილიყო.

ჩაუკვირდებოდა, ჩაუკვირდებოდა და:

ნამდვილად ასეა!

მათესთან კი:

როცა ქრისტეს შეასმენდნენ პილატესთან, მღვდელ-მოძღვართ და მოხუცებულთ „არარაის მიუგებდა“.

პეტრე კი პირდაპირ იცრუებდა. მართალია სახარებაში ეწერა: პეტრემ რამდენჯერმე „უვარ-ყოო“, მაგრამ არამარტო უარყოფდა მოძღვარს, არამედ ტყუოდა კიდეც.

საერთოდ კარგ სცენად აღიქვამდა, მწერლური თვალით რომ აწონ-დაწონიდა: ქრისტეს დაკითხვისას პეტრე ეზოში რომ იდგა და ცეცხლს ეფიცხებოდა.

ყველა სახარებში დაახლოებით ერთნაირად იყო აღწერილი ეს სურათი, ლუკასთან მაინც ყველაზე უკეთესი ეჩვენებოდა:

– დედაკაცო, არა ვიცი იგი.

– კაცო, არა ვარ მათთანაი.

– კაცო, არა ვიცი, რას იტყვი.

გახედავდა, გამოხედავდა, უკვირდებოდა, უტრიალებდა... ეგებ გამოდგომოდა სადმე... არა, ეგებ მართლა გამოდგომოდა სადმე...

ან სტრიქონებადვე, ან გაწყობილებად, ანდა უშუალო შთაგონებად...

როგორც კი აპრილი ჩამოდგებოდა, შფოთავდა. თბილისიდან გასვლა სურდა. არც შეეძლო და ალბათ არც ჰქონოდა ასეთი შემთხვევა, ქუთაისში

არ ჩასულიყო. ორგანიზმი სთხოვდა, სული უწუხდა, ვიდრე გავიდოდა, ვიდრე გადახედავდა აყვავებულ მსხლებსა თუ ტყემლებს...

ახლაც ჩააკითხავდა ქუთაისს – 1980 წლის 13 აპრილს, აფეთქებული დახვდებოდა იმერეთი, აყვავებული. 1 აპრილის შემდეგ არაფერი ჩაეწერა. 14 ჩამომდგარიყო ამასობაში – ანუ ძველითაც 1 აპრილი და, ამ ძველსა და ახალს გაეწყალებინა გული მისთვისაც.

მართლმადიდებელი ეკლესია ვერ იქნა და ვერ გადავიდოდა ახალ კალენდარზე. წელს აღდგომა დაასწრებდა ხარებას და აირეოდა ყველაფერი. ვითომ დიდი ღვთისმორწმუნენი ყოფილიყვნენ, აგორებულ ჭორებს გაჰყოლოდნენ და გამოჰყოლოდნენ თბილისშიც და ქუთაისშიც და: აღდგომა გადაიტანესო, – ამ ხმასაც კი გაავრცელებდნენ. სოფლებში – ქუთაისის ახლომახლო – კვერცხსაც კი არ შეღებავდნენ. ზოგიერთი ამ ვითარებით ისარგებლებდა – მათ შორის რეზოს დედაც – და არაფერს დაკლავდნენ: არ შეიძლება რაიმეს დაკვლაო.

საერთოდ კი კმაყოფილი დარჩებოდა, ეს ამბავი ასეთ აჟიოტაჟსა და მითქმა-მოთქმას რომ გამოიწვევდა: მაინც კარგიაო.

2 მაისს ტერენტი გრანელის „რჩეულს" ჩაუჯდებოდა და დაუფასებდა ლერი ალიმონაკს ერთგულებას პოეტისადმი: მშვენივრად გამოცემული წიგნია, ბევრი იღვაწა შემდგენელმა და გამომცემელმაო.

„დები", „წალენჯიხა", „სასაფლაო", „გალაკტიონი", „როიალი", „სადგური", „მატარებელი", „პროცესია" – ამათ გამოარჩევდა. აქამდე ცნობილ ორ ლექსს კი ვერ აღმოაჩენდა. შესაძლოა გამორჩენოდა, ამიტომაც თავიდან მოინდომებდა გადათვალიერებას.

გაუკუღმართებული და გაუბედურებული ცხოვრება რომ ჰქონდა, ამის შეტყობით, კიდევ უფროც ირთულებდა და იუკუღმართებდა ყოფას: ჩემთვის წამება სიხარულია და მიხარია, რომ ვიტანჯებიო.

უცნაური გახლდათ და გულწრფელი.

„დილით მივდივარ კუკიის სასაფლაოზე, ვნახულობ კლავდია ზელინსკაიას მიტოვებულ საფლავს.შევდივარ ისევ გერმანელების სასაფლაოზე, შესვლისთანავე გამომეკიდა ყვავი და მომდევს უკან, მე მეშინია, არ მიკბინოს.

ვნახე ალლიდი ოტტოს სურათი და საფლავი. აგერ ბავშვები ათამაშებენ პატარა ცხვარს".

თითქოს რატომ უნდა მიეტაცა ამ პასაჟს მისი ყურადღება. იმ წუთას ალბათ თვითონაც ვერ ახსნიდა რეზო ჭეიშვილი, მაგრამ ქვეცნობიერში უკვე ჩაიფესვებოდა ალლიდი ოტტოს სახელიც და... ის ყვავიც, ტერენტის რომ გაედევნებოდა და იმას შეეშინდებოდა: ემანდ არ მიკბინოსო.

ნოველაში აკი სულაც ყვავად უნდა გადაქცეულიყო ტერენტი გრანელი და მის ვალალს, ყრანტალის იდუმალ და ტრაგიკულ მუსიკას განემსჭვალა თხრობა თავიდან ბოლომდე, ისევე როგორც ალლიდი ოტტოს სახელს უნდა შეეძინა უჩვეულო შარავანდი და ლამის მაგიურობითაც აღბეჭდილიყო, ფინალს სულ სხვა ძალით რომ გააცისკროვნებდა.

2012 წლის 24 მაისს აუცილებლობად მიიჩნევდა ძველი ჩანაწერისათვის ეს მინაწერი მიედევნებინა, იმ ქალის – ალლიდი ოტტოს – საფლავს რომ მოინახულებდა ტერენტის სამარესთან.

– არ უნდა გადაესვენებინათო, – გულისტკივილს გამოთქვამდა, – იქ უნდა შეექმნათ მისი შესაფერი გარემო, ალლიდი ოტტოს სიახლოვეშიო!..

თავისებურ მემორიალივით უნდა შემატებოდა ის საფლავი ამ საფლავს. და უკვირდა და ვერ აეხსნა, ჩემს მეტმა ეს როგორ ვერავინ მოიფიქრაო.

ეს გაკვირვება ისე ცხადლივ იგრძნობა, და ის ტკივილიც, ამას ახლა რომ აღარაფერი ეშველებოდა.

თუმც ეშველებოდა, რატომაც არა, ნოველა რომ გადაჭდობოდა ამ ორ სახელსაც და იდუმალების ქროლასაც...

ხოლო 22 სექტემბერს, 1980 წლისა, ჩაინიშნავდა, რომ:

სიზმრებს ხედავდა გაუწყვეტლივ, გაუსხლეტლად. როდის ეძინა უსიზმროდ და ეძინა თუ არა საერთოდ, აღარ ემახსოვრებოდა. იწერდა კიდეც შიგადაშიგ ზმანებებს ერთ-ერთ წიგნში, რომელსაც „საძილითშორისოდ" დაარქმევდა.

ნელნელაობით მართლა წიგნი შედგებოდა.

კიდევ ერთი დოკუმენტური – თუ უფრო მაინც: მისტიკური – თხზულება, რომელთა გამოქვეყნებასაც სიცოცხლეში არც აპირებდა, „გასვლითი თამაშებისა" თუ „ტელევიზორეთისა" არ იყოს. თუმც არც დღიურების გამომზეურებას ეპირებოდა, უეცრად რომ მაინც გადაწყვეტდა და „მწვანეყვავილას" ფურცლებზე შეუდგებოდა ბეჭდვას გაგრძელებებით. რედაქტორი რომ გახლდათ ამ ჟურნალისა და ჟურნალს კი ამ ყაიდის მასალა ძალიან და ძალიან მოუხდებოდა, ამიტომაც გადაიფიქრებდა თავდაპირველ განზრახვას და... „გადანახული ჩანაწერები" კიდეც მრავალმხრივ საგულისხმო, ამაფორიაქებელ მოვლენად შემოიჭრებოდა ჩვენს სალიტერატურო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„საძილითშორისო" შერჩებოდა და შერჩებოდა მის არქივს.

ეს ორიგინალური თხზულება რას გულისხმობდა და:

შეეძლო აეხსნა – რატომ დასიზმრებოდა.

შეეძლო აეხსნა სხვისთვისაც – იმას რატომღა დასიზმრებოდა ანუ რას გამოეწვია ესა თუ ის ჩვენება, ოღონდ თუკი იგი გულწრფელად უპასუხებდა რეზოს ყველა კითხვაზე.

რა მოყვებოდა ამა თუ იმ სიზმარს, ამას ახსნა უკვე აღარ შეეძლო.

თუმც... სიზმარიც ბევრჯერ აცხადებოდა.

ძალიან სწამდა არაცნობიერის: ეგაა – ზოგადად და არა კონკრეტულად.

ზიგმუნდ ფროიდს რომ ყველაფერი ერთ მომენტამდე დაეყვანა, სწორად ვერ მიიჩნევდა ამ მტკიცებას, თუმც ბევრი რამ საგულისხმოდ, საინტერესოდ და გასაშტერებლადაც ეჩვენებოდა მის მოძღვრებაში.

და ერთბაშად მოისაკლისებდა ასათიანის ფსიქოანალიზებს, სამაგიდოდ რომ ექნებოდა და... ახლა კი სადღაც მიკარგვოდა.

– ჩემი უწიგნურობის ბრალია, არაცნობიერი შოპენჰაუერის გარეშე რომ აღმოვაჩინე, – ეთქვა ფროიდს და – რეზოს ვარაუდით – ართურ შოპენჰაუერამდე კიდევ ვიღაც სხვას ექნებოდა „აღმოჩენილი“, მაგრამ თავისი უწიგნურობის გამოისობით ამდენს ველარც გაჰყვებოდა და ველარც მიწვდებოდა.

და აი გუშღამ პლუტარქესთან უნდა გადაწყდომოდა პასაჟს, რომელიც იუწყებოდა, როგორ წაწყდომოდა პომპეუსი ახალაგებულ ციხე-სიმაგრე კენონში მითრიდატეს საიდუმლო წერილებს და: იქვე იქნებოდა ჩაწერილი მითრიდატესა და მის ცოლთა მიერ ნანახ სიზმართა ახსნაც.

და ელიმებოდა რეზო ჭეიშვილს:

როგორი ცრუმორწმუნე ხალხი იყო რომაელები, როგორ ეშინოდათ მეხის, ელვისა და ჭექა-ქუხილისო.

თუ არ ეშლებოდა, ტიბერიუსი ძრწოდა, ელვისა და ქუხილის დროს დაფნის გვირგვინს რომ იხურავდა თავზე.

ეს შიში და ეს რწმენა – ცრურწმენა ყოფილიყო თუნდაც – რაღაც ტრადიციით, გაუგებრობით, ბუნების ამ მოვლენის აუხსნელობით ეგონებოდა კარგა ხანს რეზოს გამოწვეული და რარიგ გაუკვირდებოდა, როცა გაიგებდა, რომ:

პომპეუსის მამა, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და მხედართმთავარი, მეხს მოეკლა!..

და ივარაუდებდა: ალბათ მაშინ მეხი უფრო ხშირიც და საშიშიც იყო, და ჰაერის სისუფთავით, გაიშვიათებით გახლდათ შეიძლება გამოწვეული ეს სიხშირეო.

თორემ სად გვენახა: რომელიმე ცეკას მდივანს, პირველს თუ მეასეს, ჩვენში მეხი დასცემოდეს – ამ სიტყვის მეტეოროლოგიური მნიშვნელობით!..

ეს ჭეიშვილური ჩაღიმება რარიგ დაშვენდებოდა ამ პასჟას.

დღიურების გადაკითხვისას ამ ჩანაწერს პოსტსკრიპტუმსაც მიადევნებდა:

„დალიში“ რომ ჰქონდა, როგორ პანიკაში ცვიოდნენ ქათმები ქორის დანახვაზე, მაშინ როცა ადამიანი იყო მათი ყველაზე დიდი მტერი. საწყალი ქორი წელიწადში ერთ წიწილას თუ მოიტაცებდა, ადამიანი კი ზრდიდა და ანადგურებდა ქათმის მოდგმას.

როგორ ჩაფესვილიყო ფრინველებში, ამ შემთხვევაში – ქათამში, არაცნობიერი ინსტინქტური შიში მისი პირდაპირი მტრის მიმართ, ალბათ ადამიანის არსებობამდე რომ აფრთხობდა.

და რეზო ჭეიშვილი რომანში მეხსა და ჭექა-ქუხილთან გაავლებდა ამ ანალოგიას.

ახლა შენ მეხმა შეგაშინა, ხალხს მეხის, ჭექა-ქუხილისა ეშინია, როცა ელექტროდენს არ ერიდებაო, – ათქმევინებდა ერთ-ერთ პერსონაჟს და მოშველიებული ექნებოდა რიცხვი, თუ რამდენი ადამიანი იღუპებოდა წელიწადში ელექტროდენისაგან.

კარგ დაკვირვებად მიიჩნევდა, თუმც შესაძლოა მართლაც უადგილო ადგილას მოტანილად. და ამიტომაც ამოიღებდა რედაქციული გადამუშავებისას.

18 იანვარს 1981 წლისა გაწვიმდებოდა. აქამდე გვალვები იქნებოდა, ბალახი არ ამოვიდოდა, არ გამწვანდებოდა. გაზაფხულის წვიმისმაგვარი ავდარი გადაივლიდა. ვერეს ხევში ხეები – ვერხვები და ალვები – გაიფოთლებოდა უკვე.

ბეჭდავდა რომანს „მუსიკა ქარში". ძალიან დაიღლებოდა და ჯოჯოხეთს შეადარებდა საბჭოთა მანქანაზე მუშაობას. და ამოიკვნესებდა: როგორ უნდა დაგენანოს ფული მბეჭდავისათვისო.

ადრე მეტს უძლებდა, ახლა იღლებოდა.

ათიოდე წლის წინათ 60-45 გვერდს ბეჭდავდა თეთრად დღეში. 12-12 საათს მუშაობდა, შესვენებებით რასაკვირველია, თან ასეთი ბეჭდვაც ხომ არ იცოდა...

თან წერდა, თან ბეჭდავდა.

ერთ წინადადებას ზოგჯერ ათი-თხუთმეტი წუთი დასჩერებოდა. იჯდებოდა წელში გახრილი და ხანდახან არაფერზე იფიქრებდა. არაპროფესიონალმა თეთრად არც უნდა იმუშაოსო, ეს დასკვნა გამოჰქონდა. ვერ წარმოედგინა, ცალ-ცალი თითით რომ ბეჭდავდნენ. როგორ უნდა გადაებეჭდათ 500-გვერდიანი წიგნი?!.

25 იანვარს ოთხი თვის დაძაბული მუშაობის შემდგომ გაასრულებდა ამ ავტობიოგრაფიულ რომანს „მუსიკა ქარში". ათი ფორმა იყო და ცოტა მეტი გახდებოდა – 18. ზომით ნორმალურად მიიჩნევდა: კარგი ვქენი, კიდევ რომ არ გავზარდეო.

ოთხი თვე – ერთკვირიან გადახვევას, ქუთაისში მოგზაურობას თუ არ იგულისხმებდა – ზუსტად ეს ხანი გასულიყო.

მაინც არ იყო კმაყოფილი ამ რომანით, მაგრამ აღარ მიუბრუნდებოდა. უკვე ახალ ნაწარმოებზე ფიქრობდა. ამ ფორმისნაირს აღარაფერს დაწერდა – ძალიან ერთულებოდა: ამოდენა ტიპაჟი, ამდენი ხასიათი...

და დაქადნებით მიმოიხედავდა გარშემო:

სხვა ვინ არის ამის გამკეთებელი, გინდა აქ, გინდა – სადაც გინდაო...

ზამთარი ჯერაც არ მოსულიყო.

24 მარტს ჩაინიშნავდა, რომ:

მწერალთა კავშირის ყრილობა ივარაუდებოდა ამ თვის მიწურულს საზეიმო ვითარებაში. ასევე მიეთითებინათ. სექციების სხდომები ჩატარდებოდა და... არ დაესწრებოდა. არც ყრილობაზე აპირებდა დასწრებას. დელეგატად აირჩევდნენ თუ არა, ისიც არ იცოდა და... არც აინტერესებდა, მართლა არ აინტერესებდა.

დაწერდა ამ სიტყვას: მართლა, – და დღიურს გაუმხელდა, რომ ამ თემაზე – მართლაზე – მოთხრობის დაწერას აპირებდა. ხანდახან რომ „მართლა" ლაპარაკობდნენ, ხანდახან რომ „მართლა" ისე ფიქრობდნენ.

თურმე რა ყოფილა ამოსავალი მოთხრობისა „კვამლი", პირველბიძგი, შთამაგონებელი, ჯერ ჩამოუყალიბებელი და... ესეც იმ პირველბიძგს მიჩერებული, მგონი რაღაცას მივაგენიო.

რაღა რაღაცას თურმე!..

არაფერს აკეთებდა, ვერ მუშაობდა და ამაზე ნერვიულობდა.

წელს აუცილებლად – ყოველ შემთხვევაში: შავად – უნდა დაეწერა რომანის – „მუსიკა ქარში" – მეორე ნაწილი: სხვა ფორმით, და რაც მთავარია, ტიპაჟსა და ტიპებზე არ იქნებოდა აწყობილი.

საინტერესო უნდა გამოსულიყო, წინასწარ გრძნობდა.

მაგრამ მანამდე მოთხრობების ორი წიგნი უნდა ჩაებარებინა და რამდენიმე მოთხრობის დაწერაც უნდა მოესწრო, რათა წიგნები ახლებით შეევსო.

ერთის – რომელიც მოეფიქრებინა – გამოქვეყნება ჯერ არ შეიძლებოდა, ამიტომ ვერც დაიწყებდა.

მეორე „მართლა" იქნებოდა, მაგრამ თავიდან ბოლომდე ჯერ ვერა ხედავდა.

რაც სურდა ეთქვა – იცოდა.

როგორ უნდა ეთქვა – ისიც.

მაგრამ ამბავი არ გააჩნდა: პირველი შემთხვევა მის ცხოვრებაში.

ნეტა რა გამოვიდოდა?

ერთიანად ამაზე სურდა გადართულიყო, და ამიტომაც სცენარებზე ყველას უარს ეტყოდა.

ყრილობა ორ დღეს გაგრძელდებოდა. მოკლედ, კონკრეტულად, ბუნდოვნად და საზეიმოდ მოამთავრებდნენ ყველაფერს.

დასწრებით არ დაესწრებოდა. გამგეობაში აირჩევდნენ და: ან ეს „პატივი" რისთვის დამდესო, – უკვირდა.

საოცრად მოეჩვენებოდა, ყველა რომ ეკითხებოდა: რატომ ყრილობას არ დაესწარიო? – თვითონ არ განეცხადებინა, რომ არ ესწრებოდა და... ყველას ყველა დაემახსოვრებინა თუ როგორ მომხდარიყო?.. ასე თვალშისაცემი რომ შექმნილი მისი არყოფნა, ეს ვერ გაეგო.

დაესწრებოდა კინოყრილობას 19 აპრილს. პირველ დღეს მოხსენებას მოუსმენდა, მეორე დღეს შეივლიდა, ზევით არც ავიდოდა. რუსულად იყიდდა მაქსიმ გორკის რომანს „არტამონოვების საქმე". ქართულად ჰქონდა ეს წიგნი. კითხულობდა ხოლმე. არაფერი თითქოს საინტერესო არ იყო (იმ დროსო, ჩაურთავდა) და მაინც რაღაც იზიდავდა, რაღაც მოსწონდა. ხელახლა გადაიკითხავდა. ისევე უინტერესო აღმოჩნდებოდა, როგორც ის ცხოვრება, რომელსაც აღწერდა გორკი, და... მაინც იყო შიგ რაღაც მიმზიდველი, რაღაც საგულისხმო.

ჯერ ერთი, ავტორი ნამდვილი მწერალი გახლდათ.

და მეორეც – საგულისხმო და დამაფიქრებელი: წერდნენ, 1925 წელს პროლეტარული მწერალი იყოო თუ რაღაც ამდაგვარი, ვერავითარს ამათ სასარგებლოსა და გამოსაყენებელს შიგ ვერ დაინახავდა და პირიქით.

ადრე რასაკვირველია ამისათვის ყურადღება არ მიექცია.

ჩამოვიდოდა კაცი ძლიერი ფიზიკურად, სულიერად, მიზანსწრაფვითა და პრაქტიციზმით აღვსილი, მისი შვილებიც თითქოს ამ გზას, ამ მიზანდასახულებას მიჰყვებოდნენ, მაგრამ მხოლოდ მოჩვენებითად. ყველაფერი

ირღვეოდა, ლპებოდა. რაღაც მომენტში აღორძინდებოდა ის ერი და იქვე იწყებდა ლპობას. ლპობას მოჰყვებოდა ომი, ომს – რევოლუცია. სულ სხვა მომენტები ჩნდებოდა. ცალკე კვლევასა და დაკვირვებას საჭიროებდა და... შესაძლოა შემდგომ მიბრუნებოდა.

შესაძლოა არცაო, – ამჯერად ჭეიშვილურად არ მოათავებდა ამ ჩანაწერს.

მოინახულებდა ქუთაისს. თავის დაბადების დღეს – 24 აპრილს – დაამთხვევდა ამ მგზავრობას. აპრილს რა ფასი აქვს უქუთაისოდო, – ისეთი აღტაცებით ამოთქვამდა და ღმერთს შესთხოვდა: ისე ნუ იზამ, რომ ამ თვეს მაინც არ ჩამომიყვანო ჩემს ქუთაისშიო. 29-ის დღიური შემოგვინახავდა ამ განწყობილებას.

აღდგომას სასაფლაოებს გადახედავდა. უამრავ ხალხსა და უამრავ მანქანას. ქვიტირშიც ჩავიდოდა, თავისი წინაპრებისა და ჭეიშვილების საფლავებსაც ნახავდა, რაღაც სადღესასწაულო-სამგლოვიარო სპექტაკლად მოეჩვენებოდა იქაურობა: არღნების ხმა, ფერადოვანი სუფრები, სადღეგრძელოები, ტირილი, მზიანი დღე.

შემზარავიც დაამახსოვრდებოდა რაღაც და კარგიც.

და ის შთაბეჭდილებაც დარჩებოდა:

როგორ არა სწამთ ქართველებს ღმერთიო!

სასაფლაო სწამდათ, მიცვალებულების ხსენება უყვარდათ. უამისოდ არ შეეძლოთ. სულს ამბობდნენ და ღმერთს – არა. რამდენს ჩაეძიებოდა, რამდენს ჰკითხავდა ღმერთზე და: არ არსებობსო. არაფერი არ არსებობსო, – შეთანხმებულებივით პასუხობდნენ.

შეიძლება იყოს იქითაც რაიმეო, ამასაც კი ამბობდნენ – უმრავლესობა.

აქა-იქ თუ გამოერეოდა თითოოროლა მორწმუნე, ზოგი მოდას აყოლილიყო, ახალგაზრდები, ზოგს არა სწამდა, მაგრამ არ ამხელდა, უნდოდა, რომ ეწამა, დაუჯერებელი დაეჯერებინა (ესეც კარგიაო, – მოუწონებდათ), ზოგს თითქოს მართლა სწამდა და... გულმხურვალე მლოცველებიც ენახა, განა არა – ეგაა: ცოტანი.

12 მაისს, ფეხბურთის წინა დღეს დაამთავრებდა მოთხრობას: „მართლა 48". და გული უგრძნობდა, რომ სათაური ალბათ შეიცვლებოდა. ამხელა მოთხრობა, მოცულობას გულისხმობდა, პირველად დაეწერა.

„ცისფერი მთებისა" – თუ ხიდებისო, მისებურად მიადევნებდა – გამოძახილია, მაგრამ შეიძლება – უფრო საინტერესოც. ვნახოთ, ახლა უნდა გადავწერ-გადავათეთრო... შემდეგ გადავბეჭდავო.

რომ დაასრულებდა, გაიფიქრებდა: ახლა დალევის უფლება მაქვსო, – და: ისე აგიხდეთ ყველაფერიო, – დალოცავდა მკითხველს.

მძიმედ გადაიტანდა ფეხბურთსა და სმას. თანდათან უჭირდა ეს საქმიანობა, უნდა დაესვენა. სიგარეტი? ჯერჯერობით მასაც შეუწყრებოდა...

რა მნიშვნელობა აქვს ამ უმნიშვნელო დეტალებს?

ნეტა სხვა ამისთანა უმნიშვნელო დეტალებიც დაეხორავებინა, რაკიღა ეს ის დღეებია და ის განწყობილებანი, როდესაც ქართული მოთხრობის, სა-

ერთოდაც ქართული პროზის და ზოგადად ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი შედევრია ახალმოთავებული, სახელწოდება მალევე „კვამლად“ რომ უნდა შეცვლილიყო. თვითონ გრძნობდა და ვერც გრძნობდა ამ მოთხრობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, სულაც შარავანდად რომ უნდა დადგომოდა მის შემოქმედებას, გვირგვინად, ამ შემოქმედების გროტესკულ-აბსურდული სულის, იუმორისტულ-ირონიული (პაროდიული არ გამაგონოთო, თითქოს საიდანღაც მესმის მისი ხმა და... ამჯერად თავს შევიკავებ, თორემ პაროდიულიც) სტილისტიკის სრულყოფილ გამომხატველად.

რაღაც გულსაც აკლდა: „ცისფერი მთების“ გამოძახილიაო.

მაგრამ უფრო საინტერესოც რომ შეიძლება გამომხდარიყო, ამის იმედად კი იმხნევებდა თავს.

უფრო საინტერესო და... მეტი არა?!.

აწინდელი სათაური შესაძლოა რიგით მოთხრობებს ძალიანაც მოხდენოდა, მაგრამ „კვამლი“ რომ ვიცით, რაღაცას მოაკლებდა.

„კვამლი“ სულ სხვაა: სახელწოდებადაც, განწყობილების შემქმნელადაც.

შორიდანვე რაღაც უჩვეულოს მიმანიშნებელი, როგორც იტყვიან, შეუიარაღებელი თვალისთვისაც.

ჯერ უნდა გადაეწერ-გადაეთეთრებინა, ვიდრე გადაბეჭდვის დროც დადგებოდა.

7 ივნისს დაასრულებდა მოთხრობის გადაწერას. ახლა ასწორებდა და... მაინც ვერ გაეგო, რა გამოსულიყო.

ძალიან იღლებოდა, ადრე ეძინებოდა და იმდენს ვეღარ კითხულობდა. განაახლებდა ვარჯიშს საბეჭდ მანქანაზეც.

მაინც ვერ გავიგე, რა გამოვიდაო...

შუაღამე მოაწევდა და უკვე 6 სექტემბერი ჩამოდგებოდა. ამ საღამოს გატყდებოდა სიცხე, ახლა აგრილებულიყო, თორემ საშინლად ცხელოდა ეს დღეები. სექტემბერში ასეთი ამინდები იშვიათობა იყო თბილისში. ალბათ მთელი ზაფხული დედაქალაქში გაეტარებინა.

დღეს დაეწყო ბეჭდვა და ალბათ ხვალ დაამთავრებდა მოთხრობას „მართლა 48“.

„კვამლს“ დაარქმევდა უკვე.

რა გამოსულიყო, კვლავაც არ ეცოდინებოდა.

მხოლოდ ცოლს წაეკითხა ჩანასახში – ფარულად და უკუღმართად.

კვლავ მისებურად ჩაჰკრავდა.

გადაბეჭდვას მორჩებოდა თუ არა, მოკლემეტრაჟიანი სცენარი უნდა დაეწერა „ბერსართიელის“ მიხედვით. დაპირებოდა ახალგაზრდა რეჟისორს და ვერ დაატყუებდა. ერთი კვირა ამ საქმეს დაჭირდებოდა და შემდეგ ალბათ გავიდოდა ქალაქიდან ცოტა ხნით.

მანქანა გაფუჭებოდა, შეშა სად ეშოვნა, არ იცოდა, და სხვას არ დაეძებდა.

13 სექტემბერს კვლავ სიცხეზე დაიჩივლებდა. ამ პატარა სცენარის „მიხრჩობას“ ვარაუდობდა სამშაბათისათვის და კვირის ბოლოს გაუტევდა დასავლეთისაკენ ცოტა ხნით, თორემ უკვე ვეღარ მოესვენა.

5 ივლისის დღიური იმპრესიონისტთა გამოფენისაგან მოგვრილ შთაბეჭდილებებს შემოგვინახავდა. სიცხით ეცხელებოდა და საყვედური როგორ არ გამოეთქვა: გამოფენის ოთახში ზამთრობით სითბო უნდა იყოს, ზაფხულობით სიგრილეო.

ოგიუსტ მანეს ცნობილი ტილო, „ქალი ვეერით“ თუ რაც ერქვა, მართლაც შთამბეჭდავი გახლდათ. იქ კიდევ ანრი რუსო, პაბლო პიკასო.

პოლ გოგენი? – უყურებდა, უყურებდა და წამოსვლა აღარ ენდომებოდა. ისევ მიბრუნდებოდა და მიაჩერდებოდა ტროპიკულ პეიზაჟს – სინესტეს გრძნობდა.

პაბლო პიკასოს თითქოს ვერ იტანდა (სად მინახავს, ნეტა ვიცოდეო, – ჩაურთავდა) და ამჯერად კი მოწონებით მოეწონებოდა. კიდევ ერთხელ დასტურდებოდა, რომ: სულ სხვაა რეპროდუქცია და სულ სხვა – დედანი. სიყვარულით ალბათ არასოდეს ეყვარებოდა ეს მხატვარი, მაგრამ ოსტატობა გააოცებდა მისი.

ძალზე საინტერესოდ ჩარჩებოდა მეხსიერებაში თბილისელ ქალთა რეპლიკები, აღტაცების გამომხატველი სიტყვები. ერთმანეთის გასაგონად წამოსროლილი და ცივად, უგულოდ ნათქვამი მაინც. მაყურებელთა უმრავლესობა ჩუმად, მდუმარედ, ოდნავ შეწუხებული და არა გაოცებული დადიოდა დარბაზებში, ორ დარბაზში სულ.

მაინც სულ სხვაა კლასიკოსი მხატვრებიო, – ესეც როგორ არ ეთქვა, გაცილებით შთამბეჭდავად რომ დამახსოვრებოდა. ვატიკანშიც გახლდათ ნამყოფი და ლუვრშიც. სხვა უფრო უმნიშვნელო მუზეუმებში, ერმიტაჟში – სულაც მრავალჯერ.

ჰაინრიხ ჰიმლერზე წერილში ერთ საგულისხმო დეტალს დაიჭერდა, ის რომ ამბობდა: მეათე საუკუნეში ესა და ეს კაცი, დაასახელებდა გვარსა და სახელსაც, ჰერცოგი ვიყავიო. შეიძლება ვინმეს მიბაძვით, ჩაგონებით ანდა სულაც თაღლითობით აცხადებდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა და ამდაგვარი მოვლენები სხვებსაც რომ შემორჩენოდათ, ესეც ხომ საყოველთაოდ გახლდათ ცნობილი.

პირადად რეზო ჭეიშვილსაც დამართოდა რაღაც ამდაგვარი, 10 ივლისის ჩანაწერში რომ დადგებოდა ამ საიდუმლოს გამხელის გუნებაზე:

ისე ცხადად ენახა შუა საუკუნეთა რომელიღაც დასახლება, უფრო ქალაქის ტიპის ეზო და სახლი, ნიდერლანდ-ფინლანდიის მაგვარი გარემო. რამდენჯერ მოზმანებოდა. დარწმუნებული იყო, სადღაც არსებობდა ის სახლი თუ არა, ის აღმართი, ის გზა, რომ ენახა, იცნობდა, და რაღაცას გაიხსენებდა თითქოს, ასე ეგონა.

და დაბეჯითებით გადაწყვეტდა:

ასეცააო!..

400 დარტყმა. ფილმს ნახავდა ამ სათაურისას, ფრანსუა ტრიუფოსი, ფილმსაც მშვენიერს და სათაურიც მოეწონებოდა: ოთხასი დარტყმა.

რაღა მაინცდამაინც 400?

შესაძლოა იმ ენაზე, იმ ქვეყანაში, სადაც გადაეღოთ, რაღაცასაც ნიშნავდა.

და თუ არაფერს ნიშნავდა?

კიდევ უკეთესიო, – ჭეიშვილურად მიადევნებდა.

მაინც რამდენი დარტყმისათვის შეეძლო გაძლება ადამიანს?

დარტყმა შინ და გარეთ. იქით და აქეთ. რომ ჩაუფიქრდებოდა, ამ ბოლო დროს ძალიან ბევრი დაუგროვდებოდა, ამ ბოლო დროს კი არა, ამ დღეებში სულაც.

„განთიადის“ რედაქციიდან დაურეკავდნენ დღეს, 16 ივლისს, ყველაზე სუსტი, მაგრამ მაინც დარტყმა რომ აღმოჩნდებოდა:

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს შენიშვნა აქვს, ჯერ ნაწილს დავბეჭდავთ და შემდეგ დანარჩენებსო.

„სექტორს“, „კომპეტენტურს“, „პარალელურსა“ და რაღაც ამდაგვარ სიტყვებს ყველას ხაზი ექნებოდა გადასმული მოთხოვნით: შესატყვისებით შეიცვალოსო.

საშინლად გაბრაზდებოდა, სისხლი აასხამდა თავში და წამოაგონდებოდა 1962 წელი, თუ არა ცდებოდა: როგორ ჩაამწარებდნენ პირველი რომანის დაბეჭდვას.

იმავე ნოტებს იგრძნობდა, იმავე ტექსტს, იმავე სულელურ აზრებს.

იმ აბზაცში, სადაც ამბობდა: ადამიანები სასაცილონი არიანო, – რედაქტორი არ ეთანხმებოდა, მიაჩნდა, რომ ადამიანები სულაც არ იყვნენ სასაცილონი.

წონასწორობას დაკარგავდა:

ვინ ეკითხება და მე რაში მაინტერესებს, კოწია მეთანხმება თუ არა, რაც კოწიას მიაჩნია სწორად, ისე უნდა ვიაზროვნო და ვწერო თურმე. ეს დამპალი, ბოროტი, ბეტონის შუბლიანიო.

გინებისგანაც ვერ შეიკავებდა თავს ტელეფონში. თუ შეხვდებოდა, მაგარი ჩხუბიც მოუვიდოდა. წერილის მიწერას დააპირებდა – ჯერ თავშეკავებულისა, მერე უკვე სხვანაირის.

მაინც რა იღბალი მაქვსო, – დაიჩივლებდა. „ლიტერატურნაია გაზეტაში“ მისი ნოველა დაიბეჭდებოდა დამახინჯებულად, უკითხავად. მკაცრი წერილის გაგზავნას დააპირებდა, გადასწევდა იქით და იქით და... კიდეც გადავარდებოდა წყენა გულიდან და მოეშვებოდა.

ეს რა მთარგმნელი შეხვედროდა, გაეცოფებინა. ამიტომ აღარც მოიკითხავდა და აღარც დაელაპარაკებოდა. ნაგლეჯ-ნაგლეჯ, თუმც არა მიყოლებით, მაგრამ ნომრებჩაგდებით იბეჭდებოდა „ლიტერატურნაია გაზეტაში“. ეტყობა იმას სულ დაენებებინა თავი თარგმნისათვის, თორემ ხომ შემოეხმიანებოდა.

ორტომეულის საქმეს მოსკოვი აჯანჯლებდა. „ზარია ვოსტოკადან“ რაღაც ბუნდოვანი პასუხი მოუვიდოდა, ვის ეთხოვა ნეტა!.. პერსპექტიულ გეგმაში ხარ გათვალისწინებულიო. ფულს არ აძლევდნენ – არც იქ და არც აქ... ელდარ შენგელაიას ფილმი არაფრით წარმოებაში არ ჩადიოდა, ის მხეცი კიდევ რეკავდა და იმუქრებოდა. იქით კენჭაძე... რა ეღონა, აღარ იცოდა...

შინ და გარეთ – ყოველმხრივ უსიამოვნებანი. ფიზიკურად ვერა გრძნობდა თავს კარგად, ვარჯიშობდა, მაგრამ მაინც სუსტად იყო, არ სვამდა, არ ეწეოდა, და მაინც ვერ იქნებოდა კარგად.

გაურკვეველად ეწერა, ამას დაურთავდა, – მეც ველარ ვკითხულობ, კალიგრაფია უნდა გავიუმჯობესოო.

21 სექტემბერს „განთიადის" მე-4 ნომერს რომ მიიღებდა, თავის ნოველებს გადაავლებდა თვალს. „მუსიკა ქარში" წიგნად რომ გამზადდებოდა, ოციოდე ნოველა დაემატებოდა და ნახევარს თუ მეტს დასაბეჭდად გადასცემდა „განთიადს" და... ახლა ამ ნაბიჯს მიქარვად მოიხსენიებდა: ხომ ვიცოდი, ვისთანაც მქონდა საქმეო.

იორამ ქემერტელიძე რომ გადასცემდა ჟურნალის ამ ნომერს „საბჭოთა საქართველოს" გამომცემლობაში, კვლავ წამოეშლებოდა ის ნერვიული და ცხარე განცდები და გაიფიქრებდა: კიდევ კარგი ავთანდილ ყურაშვილსა და ზაალ ებანოიძეს ველაპარაკე და კოწიას პირადად არ შევხვედრივარო.

სათაურებს რომ გადახედავდა: ყველა დაუბეჭდავთო, – ეტყოდა იქმყოფთ.

დათვლიდა და... თორმეტი ახსოვდა და 13 აღმოჩნდებოდა. და გაკვირვებას ახლაც ვერ დაფარავდა: რატომ უნდა გამეგზავნა ცამეტიო?

– ერთი ზედმეტი დაუბეჭდავთ, – დასცდებოდა და... იცინებდნენ და რას იცინებდნენ გარშემომყოფნი: თვითონ კოწიამ დაწერა და დაბეჭდა ალბათო.

წაკითხვა არ უნდოდა. იცოდა, გულისგამხეთქავ რაღაცებს აღმოაჩენდა. და... ასეც მოხდებოდა.

და ჰოი რა სიბრაზე გადმოინთხეოდა დღიურში:

სადისტ კონსტანტინე ლორთქიფანიძეს – სადისტსა და, მისი შეტყობით, იდიოტსაც, რა არ შეესწორებინა, რა არ ამოეღო. მისი ჭკუით: უმნიშვნელო, ამისათვის – მნიშვნელოვანი. მოუნდებოდა წაჩხუბებოდა, ეგინებინა, მაგრამ მერე ამჯობინებდა, თავი აერიდებინა როგორმე, ვიდრე წიგნი გამოვიდოდა.

უეცრად ისე შეშფოთდებოდა:

იქაც არ ჩამიშალოს და ჩამიყაროს ადგილები. ყველაფერს იკადრებს ეს ყოვლად დაკარგული ადამიანიო.

1984 წლის 15 ივნისს რომ შეხვდებოდა, თავის არიდებას დააპირებდა, მაგრამ არ გამოუვიდოდა. მოტეხილიყო ისედაც ბერიკაცი. ენციკლოპედიას ჩახედავდა და: 1904 წელი ეწერებოდა იმის დაბადების თარიღად, მაგრამ მეტისა უნდა ყოფილიყო. ტარიელ ჭანტურია რომ ამტკიცებდა: ზუსტად ვიცი, 1902-შია დაბადებულიო, – მართლაც ასე იქნებოდა.

ძალიან მოესიყვარულებოდა რეზოს, სხვებიც იდგებოდნენ და ყველას სთხოვდა მასალებს ალმანახისათვის:

– მოიტანეთ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ.

სულ რეზოს კი მიჩერებოდა და რამდენჯერმე გაიმეორებდა ერთსადაიმავეს.

– მოგიტანთ, ვალდებულიც ვარ, – რეზო მიუგებდა.

– შენ განსაკუთრებით, – შეახსენებდა.

ადრე სხვანაირად უყურებდა, ახლა აღარ – გამტყდარიყო. ზემოდან დახედვის სურვილი დაჰკარგოდა. ორჯერ გაემწარებინა რეზო ერთსადაიმავე ვითარებაში. ახლა დასჭირებოდა მასთან ურთიერთობის გამოკეთება.

შემდეგ კოლმეურნეობებზე, მეურნეობებზე, აგროკულტურებზე, ეკონომიკაზე ილაპარაკებდა.

„იმის მაგივრად, სულის ცხონებაზე, მომავალ სამყოფელზე, სადაც გადაბარგდება, ცოდვების მონანიებაზე ფიქრობდეს, სოფლის მეურნეობას მისტირის“.

ვლადიმერ მაჭავარიანი გამოივლიდა და... აღარ იქნებოდა ამქვეყანას.

ვლადიმერ ჯიბუტს ნახავდა და... ვეღარ იცნობდა, წასულს ჰგავდა ისიც.

და... გრიგოლ აბაშიძის იერიც არ მოეწონებოდა.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე მაინც ნამეტანი წამხდარიყო, თუმც ცდილობდა არ დატყობოდა და აგერ მასალებს უკვეთავდა ავტორებს, რეზოს მაინც გამორჩევით რომ გამოარჩევდა.

1981 წლის 22 ივლისს პოლიტიკური მიმოხილვა იქნებოდა ტელევიზორში და ხიროსიმას ტრაგედიას გაიხსენებდნენ. აჩვენებდნენ კინოკადრებს – იმდროინდელს, ცოტა გვიანდელსა და დღევანდელს.

წამოუტივტივდებოდა 1945 წლის შემოდგომის ის დღე, გაკვეთილებს რომ გააცდენდა ორ თანაკლასელთან ერთად, ავიდოდნენ ბაგრატის ტაძარზე, შევიდოდნენ შიგნით და ჩამოსხდებოდნენ დახავსებული კედლის ძირას, ჩრდილში, სიგრილეში.

შოთა ამოიღებდა გაზეთ „კომუნისტს“ და წაუკითხავდათ სტატიას ხიროსიმაში ატომური ბომბის ჩამოგდებაზე.

ცხადად, თვალნათლივ ახსოვდა ყველაფერი, ახლაც გრძნობდა დახავსებული, დანგრეული კედლის ჩრდილსა და სიგრილეს. ატომური ბომბი გაეგონა თუ არა – ალბათ უფრო არა – არც ეს იცოდა, მაგრამ იაპონიაში ბომბის ჩამოგდების ამბავს იქ გაიგებდა. შთაბეჭდილებას მოახდენდა არა დაბომბვა და მსხვერპლი, არამედ თვისობრივად ახალი იარაღი. თვითონ წერილი დაწერილი იყო მოკლედ, ცივად, ყოველგვარი ემოციის გარეშე.

ამის დაწერას ნოველად დააპირებდა და ავტობიოგრაფიულ რომანში შეტანასაც: „მუსიკა ქარში“, რამდენჯერმე მიეზმანებოდა კიდეც, იყოყმანებდა და... გადაიფიქრებდა.

ეს სინამდვილე მოგონილს ჰგავდა და – იმიტომ, და ნოველა შეთხზულს, ყურით მოთრეულ ამბავს დაემგვანებოდა. ასე ეგონებოდა მაშინ და ასე ეგონებოდა ახლაც.

და კიდევ ერთხელ ჩაუკვირდებოდა და კიდევ ერთხელ დაიდასტურებდა, რომ:

ლიტერატურაში ზოგჯერ მართალი ტყუილი სჯობდა ნაღდ მართალს.

31 ივლისს მოინახულებდა ბეთანიას, ტაძრის ინტერიერი ხარაჩოებში იქნებოდა ჩამჯდარი, საკონსერვაციო სამუშაოებისათვის გამზადებული. დიდხანს მიაჩერდებოდა თამარის სახეს.

შთამბეჭდავიაო, – ასე შეაფასებდა.

ვარძიაში რამდენჯერმე ენახა თამარის ფრესკა და... ავი ქალის გამომეტყველება იელვებდა ფრესკიდან. აქ – არა.

ვერ დაიჯერებდა, რომ იმდროინდელი ფრესკა გახლდათ. ალბათ განეახლებინათ შემდგომ და შემდგომ. ძალიან ეცხელებოდა, იქაც კი. და ამიტომაც ისეთ ძლიერ ეფექტს ვერ მოახდენდა მასზე მთელი ანსამბლი.

ჩემდა სამარცხვინოდ პირველად ვიყავიო, – გული წყდებოდა, რომ აქამდე უნახავი დარჩენოდა. რამდენჯერმე კი შემოუვლიდა გარშემო მანქანით ბეთანიის ტაძარს, მაგრამ ხან უგზოობა, ხან უამინდობა და ხანაც მოუცლელობა შეაყოვნებდა.

1981 წლის 6 აგვისტოს გაახსენდებოდა, ვიღაცას რომ ეთქვა მისთვის:

– შენ ყველაფერს ასწრებ.

სამწუხაროდ მიითვლიდა, რომ მთლად ასე არ გახლდათ. ყველაფერს კი არა, შეიძლება ვერაფერსაც ვერ ასწრებდა, მაგრამ... მეტის მოსწრებაც არა სურდა მაინცდამაინც.

თავი მესამე

„დალის“ გასამართლება

გუშლამ ძილღვიძილში მოეჩვენებოდა, რომ გული გაუჩერდებოდა და კვდებოდა.

ბევრჯერ დამართნოდა ასეთი რამ და ამჯერზე – 5 სექტემბრის დღიური როგორც გვამცნობს – არ შეშინებოდა, და მოენონებოდა თავისი გულგრილობა (თუ რა დაერქმია) და სიმშვიდე: დროა ალბათ შევეჩვიოო...

ბარგის ჩალაგება ცოტა ნაადრევი ეჩვენებოდა, თუმც გასავლელზე მეტი უკვე გაევლო კარგახანია. ჯიში ცუდი არა ჰქონდა დედ-მამის მხრიდან, მაგრამ ვინ იცის რა მოხდებოდა. გარდუვალს ვინ გადასვლოდა.

სიბერისა არ ეშინოდა, – თუ რატომ, არ იცოდა. შეიძლება იმიტომაც, დედის მამის მოხუცებულობა და სიმხნევე ახსოვდა კარგად. ხშირად ხედავდა სიზმარში. და ეგებ მოეხერხებინა ოდესმე განზრახულის აღსრულება – მისი სახის გადატანაც ფურცელზე.

სიმონ ჩიქოვანი – მათთან მუშაობდა სტუდიაში ბოლოს – ძალიან ადრე დაბერდებოდა, დაჩაჩანაკდებოდა 60 წლისა.

აკაკი შანიძე 95-ს უახლოვდებოდა.

მაო-ძედუნი 84-მდე მიეყვანათ ძალისძალად. მართლაც როგორი მოვლა ექნებოდა! თავისი თვალით ენახა რეზოს ტელევიზორში კინოქრონიკა – მატარებლის ვაგონის ღია პლატფორმაზე იწვებოდა ჩინეთის მბრძანებელი, მატარებელი კი – ალბათ ელმავლით – წინ და უკან ივლიდა უღრან ტყეში. ასე დაატარებდნენ თურმე საათობით ძვირფას ჰაერზე.

აკაკი შანიძეს კი წინა თუ სულაც ამ ზაფხულს დაინახავდა ვარაზისხევში, ჰაპანაქება სიცხეში. მელიქიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე მანქანების ნიაღვარი შეჩერდებოდა შუქნიშანზე. ბოლავდა გამდნარი გუდრონი, მოტორების გამონაბოლქვი და ამ მანქანებში მიჰყავდა მზექალას მამამისი უნივერსიტეტისაკენ.

ახლაც მხნედ არისო, – ეტყოდნენ და ეს გუნებაში დალოცავდა, ღმერთმა დიდხანს ამყოფოსო, – და რაც მთავარია: დიდი სამუშაო გეგმები ჰქონოდა შედგენილი სამერმისოდ. მაშ არადა!..

ალბერტო მორავიას გადაშლიდა თავშესაქცევად და... თითქოს საინტერესოდ მოეჩვენებოდა ამბავი, მხატვრული ოსტატობითაც მიიპყრობდა ყურადღებას, მაგრამ გადიოდა ბოლოში და... ხელთ აღარაფერი რჩებოდა. და ნოველისტთა, მწერალთა – უმრავლესობას იგულისხმებდა – დამახასიათე-

ბელ თვისებად თუ უბედურებად ამას მიიჩნევდა. იტალო კალვინო რომ იყო, მორავიას თანამემამულე, ისიც ამდაგვარი, და კიდევ რამდენი.

ნოველის გვირგვინი ფინალი რომ გახლდათ ამ უდავო ჭეშმარიტების თქმისთანავე ისეთი სიამაყით დასძენდა:

– ამაში დიდოსტატი ვარ.

და სულაც არ შეეუხერხულებოდა ამის განცხადება, ოღონდ... დღიურის ფურცლებზე.

და მაშინაა, „წითელი და შავის" დასასრული რომ წამოაგონდებოდა და საგანგებოდაც მოძებნიდა სტენდალის ამ რომანის გერონტი ქიქოძისეულ თარგმანს.

ფაქტობრივად ეპილოგი გახლდათ, და მაინც ფინალი.

და როგორ არ გადმოეწერა, როგორც ნიმუში მწერლური ხელოვნებისა:

– თუმცა საზოგადოებრივი აზრის ბატონობა თავისუფლებას ჰქმნის, მაგრამ მისი ნაკლი იმაშია, რომ ის ყველაფერში ერევა; მაგალითად, კერძო ცხოვრებაში. აქედან წარმოსდგება ამერიკისა და ინგლისის ცხოვრების მოწყენილობა. რათა თავიდან აეცილებინა კერძო ცხოვრებაში ხელების ფათური, ავტორმა მოიგონა პატარა ქალაქი ვერიერი, ხოლო როცა მას ეპისკოპოსი, სასამართლო, ნაფიც მსაჯულთა კოლეგია დასჭირდა, ყოველივე ეს ბეზანსონში მოათავსა, სადაც ის არასოდეს ყოფილა.

* * *

22 სექტემბერს გონების თვალით გადახედავდა თავის შემოქმედებით ლაბორატორიას – რამდენი სიუჟეტი ჩაეწერა, რამდენი ტიპაჟი, პერსონაჟი მოეხაზა, კიდევ წერდა და ინიშნავდა და: როდის გამოვიყენებ ამათ ყველას, როდის მოვასწრებო? – ამოიგმენდა ნახევარ საუკუნეს მიახლოებული.

– აუცილებლად დავიწყებ ისტორიულ ქრონიკას „დ. ც." ალბათ გაისად.

მანამდე, მოსამზადებელი სამუშაოსათვის, ორი ისტორიული მოთხრობის დაწერას აპირებდა და გული არ უშვებდა.

ერთი – ხრესილის ციხის აღება უნდა ყოფილიყო.

მეორე – მეწვრილმანე ურიას მოკვლა გუდამაყრის ხეობაში, სიმამრის მოყოლილი საინტერესო ამბის თარგზე.

ამასთან: უნდა გადაეკეთებინა – გარკვეული სამუშაო უნდა ჩაეტარებინა – „ბერსათრიელი".

სამივე გაერთიანდებოდა „მიწისმზომლის ჩანაწერების" რუბრიკით და დაემატებოდა „პაპიაშვილის ბრალდების საქმე".

წუხდა, რომ ველარ ასწრებდა. წიგნი ამ ერთ თვეში უნდა ჩაებარებინა და... რას მოასწრებდა.

ერთი რომანი უნდა დაეწერა: „მუსიკა ქარში" უნდა გაგრძელებულიყო, ოღონდ ის დამოუკიდებელი ყოფილიყო – „თ. ვ."

მეორე – ის ისტორიული ქრონიკა „დ. ც."

და ჩაიფიქრებდა ერთ ვრცელ მოთხრობას, რომელიც უკვე ისე აფორიაქებდა, დღიურისათვის მაინც როგორ არ გაენდო:

მისი მსგავსი არ მექნება შექმნილი არაფერიო.

მისებურად ჩაინიშნავდა: „ბ. ტ." უნდა დაერქმია, თუნდ პირობითად, კოდური სახელწოდების მსგავსად. შემდგომ ეს კოდური სახელწოდება ასე უნდა გაშიფრულიყო: ბედის ტრიალი – საბოლოოდ მაინც „ვაიმე, ჩემო ვენახოს" რომ ამჯობინებდა. დიახ, ჯერ ამ კიდევ ერთი შედევრის ბუნდოვან ჟრჟოლას გრძნობდა, თუმც ეს ბუნდოვანი ჟრჟოლა სავსებით კმაროდა იმ განცდისათვის: მსგავსი არ მექნება შექმნილი არაფერიო.

ამ სამს მოითავებდა ჯერ, დანარჩენებს შიგადაშიგ ჩართავდა (გამოვიტანიებო, თვითონ ამ სიტყვის თქმას ამჯობინებდა) და... თავის მწერლურ მისიას კიდეც მიიჩნევდა დამთავრებულად.

დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს, თუ ვიქენითო, – ბედისწერას თამამად გაუსწორებდა თვალს ამ გადასახედიდან, იმ ჩანაფიქრებს აღსრულებულად რომ დაიგულებდა გუნებაში.

13 ოქტომბერს ჩამოწერდა, რა და რა ჰქონდა დასაწერი.

ცუცხვათის ციხის აღება

და ებრაელის მოკვლა მთიელებისაგან.

გაგონილი ამბავი იყო ორთავე. მიწისმზომელის ავტორობით უნდოდა და „პაპიაშვილის ბრალდების საქმესა" და „ბერსათრიელსაც" მიესადაგებოდა.

ასე რომ:

მიწისმზომელს ჯერ არ აპირებდა.

თ.ვ. – რომანი, „მუსიკა ქარში" გაგრძელებასავით, ოღონდ სხვა ფორმით. სკოლისა და თეატრის ირგვლივ.

დ. ც. – ისტორიული რომანი, დიდი მოცულობის ქრონიკა, XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოზე.

ბედის ტრიალი – სამი ფეხსალაგის თაობაზე, სამყაროში ჩამარტოვებულ ადამიანზე. დიდ იმედს ამყარებდა, დაწყებისა ეშინოდა, ისეთ დიდსა და დიდებულს ელოდა.

დეკამერონი.

ც. ჭ. – საავადმყოფო. ცალკე იქნებოდა თუ რაიმეს მიუსადაგებდა, ჯერ არ იცოდა. ძალზე საინტერესო კი უნდა გამოსულიყო. სიცხე, ეზო, აუზი, სამი თევზი, მორგი, სადაც მკვდარს ჭრიდნენ. სიჩუმე, უკაცრიელობა.

„საღამოს რომ აგური ჩაარტყა ვიღაცას თავში" – ნოველად ესახებოდა და ახლა ამაზე ფიქრობდა.

„აღდგომის" ბოლო თავებს კითხულობდა წუხელის, ადრე ჩაეძინებოდა და ამაღამ დაამთავრებდა. სცენარი ჰქონდა დასაწერი, სრულმეტრაჟიანი, და, როგორც სიკვდილი, ისე არ ენდომებოდა მისი დაწერა. წიგნი უნდა გაემზადებინა და... ესეც ეზარებოდა, წევდა და წევდა იქით და იქით, შესაფერისი გუნება-განწყობილება როდესაც გაუჩნდებოდა.

ერთი სული ექნებოდა, როდის გამოვიდოდა „მუსიკა ქარში".

და უეცრად ქადილის გუნებაზე დადგებოდა:

ჯერ არავინ იცის – ჩემს გარდა – რამოდენა წიგნიაო.

კომედიის დაწერასაც ეპირებოდა ამ სათაურქვეშ.

და თუმც სულ სხვა ხასიათის ნაწარმოები გახლდათ, ნიკოლაი გოგოლის რომანს – „მკვდარი სულები“ – შეადარებდა:

მისი ტოლიაო.

12 ნოემბერს ჩაინიშნავდა, რომ:

მოთხრობების წიგნს ადგენდა, გაისად უნდა გამოსულიყო 18-20 ფორმა. 27 ნოველას გადაარჩევდა. 17 ცალკე დარჩებოდა. თუ ეღირსებოდა ორტომეული 1983 წელს, პირველ ტომში მხოლოდ მოთხრობებს შეიტანდა და 30 ფორმა გამოვიდოდა, ცოტა მეტიც, რამდენიმე მორჩენოდა შეიძლება კიდეც. მანამდე თუ რაიმეს დაამატებდა, ის სხვა იქნებოდა. არ მიათვლიდა რამდენიმე საბავშვო და სანიანგო მოთხრობას, „დილასა“ და „ნიანგში“ რომ დაიბეჭდებოდა სხვადასხვა დროს.

22 წლის განმავლობაში დაეწერა 44 ნოველა, რომელთაგან რამდენიმეს გამოქვეყნება საერთოდ არა ღირდა.

ძალიან ცოტა მოეჩვენებოდა ეს რაოდენობა.

დაიანგარიშებდა და: წელიწადში ორი გამოვიდოდა.

არა, ნამდვილად ცოტა გახლდათ და... გული დაწყდებოდა: რამდენის გაკეთება შემეძლოო.

„მუსიკა ქარში“ მართალია ნოველებით გაივსებოდა, მაგრამ ადრე?..

თავს დაიმუნათებდა: ბევრი დრო დავკარგეო.

კი მაგრამ: რომანები? სცენარები? პიესები?

მაინც უფრო მეტი ნოველა და მოთხრობა უნდა დაეწერა.

წლის ბოლომდე ორს მოასწრებდა. თან შეფიქრიანდებოდა: მოვასწრებ კიო?.. შემდეგ კი... შემდეგ თავს აღარ დაზოგავდა.

ვნახოთო! – პირობას მისცემდა თავს და გუნებაში გარემომცველ სინამდვილესაც დაექადნებოდა.

5 იანვარი დაღამდებოდა და ცაზე ვარსკვლავებიც აენთებოდა. და ხვალაც მზე უნდა ყოფილიყო ალბათ.

ამ დილით ჩაიკითხავდა „კვამლის“ საკორექტურო გვერდებს. რაღაც უმნიშვნელო შესწორებებს შეიტანდა. შეასწორებდა მსუბუქად. ქართულად ასე უნდა თქმულიყო სწორედაც: მსუბუქადო. ადრე რომ წაეკითხა, მეტს შეცვლიდა. გვერდებში კითხულობდნენ გარეშენი. ქვევით ჩაეტანათ, სანოდიოში. და იქნებოდა ერთი მითქმა-მოთქმა.

სანოდიოო: ასე მოიხსენიებდა, ლიტერატურულ ჟარგონზე მთარგმნელობით კოლეგიას, როგორც ოთარ ნოდიას მიერ დაარსებულს.

გუშინ რომ წაიკითხავდა, კინაღამ თავზარი დაეცემოდა, არ მოეწონებოდა. უფრო ზუსტად თქმისათვის თავისთავად წამოაგონდებოდა გუსტავ ფლობერის ფრაზა, „მადამ ბოვარზე“ ნათქვამი: სრულიად ჩვეულებრივი მომეჩვენაო.

ამ დილით მოიუკეთესებდა.

ჭეიშვილური ნეოლოგიზმია, ყველაზე უკეთესი გამომხატველი მისი განწყობილების ცვალებადობისა.

რა გულს შეწყდომოდა: გამოვიდოდა პირველი ნომერი „ცისკარი“ და ყველაფერი გაირკვეოდა.

უყურადღებოდ რომ არ ჩაივლიდა, ეჭვიც არ ეპარებოდა.

ხვალ თუ არა, ზეგ გადაბეჭდავდა „ჭას“. „ლიტერატურულ საქართველოში“ აპირებდა მიტანას. ამდენი ხანიც იმიტომ გაეჩერებინა, რომ: სურდა „კვამლისათვის“ დაემთხვია. უნდოდა: ორივე ერთად დაბეჭდილიყო.

წიგნის – „მუსიკა ქარში“ – საქმე ექნებოდა გასარკვევი.

გადაიღლებოდა ამ დღეები ჭამა-სმით და უნდა დაესვენა.

დღეს შუქი გამოერთოთ მთელი უბნისათვის. ამას წითელი ფერის სანთლები დაემარაგებინა და გამოადგებოდა. სანთლის შუქზე წერდა. იღვენთებოდა და ქრებოდა სანთელი.

7 იანვარს ყოჩივარდები რომ იყიდებოდა ბაზარში, შესაძლოა იებიც ყოფილიყო. ახლოს არ მივიდოდა რატომღაც და ფასსაც არ იკითხავდა.

გადაბეჭდავდა „ჭას“.

15 იანვარს დაიბეჭდებოდა მწერალთა გაზეთის ფურცლებზე.

დღის ბოლოსათვის არავის ექნებოდა წაკითხული. აინტერესებდა კი: რას იტყოდნენ. გულწრფელ და არაგულწრფელ ნათქვამს ასხვავებდა, გულით ეუბნებოდნენ თუ უგულოდ, ამასაც ხვდებოდა, რა ძნელი ამის მიხვედრა უნდა ყოფილიყო. არ გააჩნდა არც თანამდებობა, არც ისეთი მდგომარეობა, ვინმე საქებრად იძულებული რომ გაეხადა. არც ქება-დიდებით დაევალებინა ვინმე. ამიტომაც შედარებით სიმართლეს ეუბნებოდნენ.

კარგი მოთხრობა რომ იყო, ეს კი იცოდა თვითონაც.

წავიდოდა ის წელიწადი და, შედეგებს რომ შეაჯამებდა რეზო ჭეიშვილი, თითქოს ბევრი არაფერი გაეკეთებინა, მაგრამ ასეც არ გახლდათ.

გადაბეჭდავდა – სწორებითა და დამატებით – „მუსიკას ქარში“.

დავით კლდიაშვილის შემოქმედებაზე დაწერდა წერილს – დიდ დროს კი წაართმევდა – და დაიბეჭდებოდა „სკოლა და ცხოვრების“ დამატებაში.

ინტერვიუ-შეკითხვებზე გასცემდა პასუხს „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას.

დაწერდა მოკლემეტრაჟიან სცენარს „ბერსათრიელი“.

მერე კიდევ „კვამლი“.

მერე კიდევ „ჭა“.

გაამზადებდა, გადაბეჭდავდა – ზოგიერთ ძველ მოთხრობას საფუძვლიანადაც შეასწორებდა – და ჩააბარებდა მოთხრობების წიგნს.

სცენარზედაც ხომ მუშაობდა შიგადაშიგ – ელდარ შენგელაიასთან ერთად.

27 იანვრის ჩანაწერის პოსტსკრიპტუმად მიადევნებდა:

„ჭას“ მიქებენ. უყურადღებოდ რომ არ დარჩებოდა, ვიცოდი, მაგრამ ასეთ გამოხმაურებას მაინც არ ველოდიო.

მერე კიდევ ის:

კრემლის ეზო. შინაურები. გამოთხოვება. შუბლზე ამბორები, სპეცტანსაცმელში ჩაცმული მესაფლავენი.

ეს ის, რასაც ყველა ხედავდა საბჭოთა იმპერიაში, ვინც სატელევიზიო ტრანსლაციას ადევნებდა თვალს, მაგრამ ამის შემნიშნავი რეზო ჭეიშვილის გარდა ნეტა სხვაც თუ შეიძლება ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში ძნელი მოსანახი იქნებოდა:

მესაფლავენი... რომელიღაც თეატრალური წარმოდგენის არტისტები რომ ჰგავდნენ.

და კიდევ ერთი ჭეიშვილური ფრაზა, ვითომდა სასხვათაშორისოდ ჩაგდებული:

ხშირად უნდა ხდებოდეს ასეთი რამ. ვნახოთ, დაველოდოთ მოვლენებს და შედეგებსო.

ხშირად უნდა ხდებოდეს ასეთი რამო...

ორშაბათს შეპირებოდნენ „ცისკრის“ სასიგნალო ნომერს.

და თვითონ კი მზად გახლდათ ახალი მოთხრობის დასაწყებად, სავარაუდოდ „ოპერის ლიბრეტოებად“ რომ დაასათაურებდა, ვიდრე შემდგომ „კომპოზიციურ ჩირიბერიძედ“ შეცვლიდა.

გუშინ საღამოს პანაშვიდზე რომ იქნებოდა, ტარიელ ჭანტურიასაგან სწორედაც ტარიელური ხუმრობა უნდა მოესმინა:

– პირველი, რაც ამ კაცის გარდაცვალებას მოჰყვა, გივი ძნელაძის გადადგომა იყო, პოეზიის განყოფილების გამგეობიდან გადაიყვანეს მისივე თხოვნით, და მაინც არ ელოდა, ესეც თქვესო...

თებერვალი რომ დადგებოდა და ხის ტოტები გაფერადდებდა, გამწვანდებოდა, მისი აივნიდან მოჩანდა გარკვევით, თვითონ ცუდ გუნებაზე იქნებოდა, დასიცხულივით აუხურდებოდა საფეთქლები და დღიურს მიანდობდა გულისტკივილს: ისევ და ისევ უსიამოვნებაო.

მუშაობას უნდა შედგომოდა – „ოპერის ლიბრეტოები“ დაეწყო 4 თებერვალს და... ხვალისათვის გადადებდა. შეიძლებდა კი დაწყებას, ნებისყოფის მოკრებას?

უნდა შევიძლოო, – თავს გაიმხნევებდა და... ძალაუნებურად ამოუტივტივდებოდა გალაკტიონის ის სტრიქონები: როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი, როგორმე ქარმა თუ მიმატოვაო!

8 თებერვალს, გაღიზიანებული, გაკილავდა თვისტომთ: ქართველებს მაინც სიტყვების რახარუხი მოსწონთ, თუ არაბუნებრივ მახვილს დაუსვამ მარცვალს, რაღაცნაირად თუ მოუქცევ კილოს, იყვირებ, იღრიალებ, თლა კაიო!..

ყალბი პათეტიკა ერჩივნათ ნამდვილსა და ჭეშმარიტს.

ასე ყოფილიყო. ასეც იქნებოდა, მაგრამ... თავის დამშვიდებას შეეცდებოდა: ერთხანს ალბათო.

სხვებთანაც ასე რომ გახლდათ, სხვა ერებსა და ქვეყნებში, ეს უდავო იყო, მაგრამ ჩვენთან ნამეტანი ეჩვენებოდა.

12 თებერვალს მართლაც კარგი დარი იდგებოდა და მზეც გამოანათებდა, თუმც ახლა მაინც ყინავდა, ღამის ორ საათზე.

დაამთავრებდა, შავად, „ოპერის ლიბრეტოებს“ და... უკვე გაუჩნდებოდა სათაურის შეცვლის სურვილი: ჯერჯერობით ასე ჰქვიაო.

ორი მოთხრობაც – ერთი მოზრდილი: აუცილებლად – უნდა მიეყოლებინა, როგორც კი გადათეთრება-გადაბეჭდვას მორჩებოდა.

წიგნები უნდა ჩაებარებინა და მთელი ზაფხული მუშაობა მოუწევდა.

პირველ წიგნს – მოთხრობებს, 30 ფორმას – ჩააბარებდა სექტემბრამდე.

მეორეს – ორ რომანს რომ აერთიანებდა: „ქალაქში დინოზავრები დადიან“ და „მუსიკა ქარში“ – ხელს აღარ ახლებდა, პირდაპირ ჩააწებებდა. უმნიშვნელო შესწორებები კი შეიძლებოდა. თუ... გადაებეჭდა?.. არა, ეეღარ შეძლებდა... დაგვიანება კი არ იქნებოდა...

14 თებერვალს მძაფრად შეიგრძნობდა, რომ: მოგრიალებდ, მოისწრაფოდა მისკენ 50.

ჯერ რა დროს 1983 წლის 24 აპრილია, 1982 წელი დგას და იქამდე წელიწადზე მეტი დარჩენილა.

უკვე აღარ ეშორებოდა, რაკიღა ის უკვე მოგრიალებდა და მოისწრაფოდა.

ეს კი არ მიდიოდა მისკენ, ის მოდიოდა.

გაახსენდებოდა, ერთხელ რომ ეთქვა:

ორმოცი წლის შემდეგ იწყება მწერალიო.

და ახლა, როდესაც მალე 49-ისა გახდებოდა და ორმოცდაათამდე აღარაფერი დარჩებოდა, ხშირად იხედებოდა უკან – ორმოცისაკენ:

იქიდან აქამდე რა გავაკეთეო, – ფიქრობდა და, – ბევრი ვერაფერიო.

გულზე აწვებოდა ეს „ბევრი ვერაფერი“.

ამიტომაც ჩქარობდა.

და მზერას მიადევნებდა ამ ხანის დასაწყისს, „ქალაქში დინოზავრები დადიან“ 1974 წლის ზაფხულში რომ ჩაებარებინა, თუ არა ცდებოდა, საბოლოო ვარიანტი, და მაინც მოასწრებდნენ ქუთაისი სტამბაში. სამ ცალ სასიგნალოს ჩამოუტანდნენ საახალწლოდ. ტირაჟს ის წელი დაეწერებოდა. ანუ: ამ წიგნზე მუშაობდა, 40 წლისა რომ გახდებოდა. მას მერე გადაამუშავებდა რამდენიმე მოთხრობას და თავიდან დაწერდა „ჩემ მეგობარ ნოდარს“.

თითქმის თავიდან დაწერდა „დალის“.

სხვათა შორის:

ამ „თავიდან დაწერაში“ აკაკი ბაქრაძე თავის წვლილსაც ხედავდა და სალიტერატურო კრიტიკის სასიკეთოდაც მიითვლიდა.

როდესაც მისი კრიტიკული სტატია გამოქვეყნდებოდა, რეზო ჭეიშვილს ბევრი გამოექომაგებოდა: ამგვარ შენიშვნებს „დალი“ არ იმსახურებდაო, – მაგრამ გამოხდებოდა ხანი და პროზაიკოსი რომანს არსებითად გადაახალისებდა. გამოიცემოდა ახალი ვარიანტი და კრიტიკოსსაც მიეცემოდა ამის თქმის საშუალება:

ამ ფაქტმა უკვე თავისთავად გადაწყვიტა, ვინ იყო მართალი – მე თუ მოპაექრენიო.

არა, ამით იმის თქმას სულაც არ აპირებდა, თითქოს მისი წერილის გარეშე რეზო ჭეიშვილი არ გადააკეთებდა რომანს:

მწერალი უჩემოდაც მივიდოდა ამ დასკვნამდე, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამ წერილმა იგი უფრო მეტად დააფიქრა. ბიძგი მისცა – მკაცრი თვალით გადაეხედა რომანისათვის. კრიტიკის ერთ-ერთი ამოცანა ამგვარი ბიძგის მიცემაც არისო.

დღიურის ჩანაწერი კი გრძელდებოდა ამ ჩამონათვალით:

მოთხრობები – „პაპიაშვილის ბრალდების საქმე" და კიდევ ექვსი ნოველა, „ნობათში" თუ „ნობათად" რომ დაისტამბა (რაკიღა ჟურნალის დამატების ის ნომერი მთლიანად მისი ნოველებით გაივსებოდა), შემდეგ კი: „კვამლი", „ჭა", და ახლა ეს „ოპერის ლიბრეტოები".

ამასობაში სცენარები, პიესები (გადაკეთებულ-გადმოკეთებულები), ორიგინალური ცოტა, ნარკვევი „ოკრიბა", შემოკლებული ვარიანტი რომ დაიბეჭდებოდა, არადა წვალებით ბევრი წვალება მოუწევდა, წერილი დავით კლდიაშვილზე და სხვა წვრილმანები, სათვალავშიაც რომ არ აგდებდა.

და რაც მთავარია „მუსიკა ქარში", მისი წარმოთქმა ერთბაშად რომ აღანთებდა:

ეს ათწლეული ამ წიგნისა იყოსო.

რას ფიქრობდა და:

40 წლამდე რაც გაეკეთებინა, მოსამზადებელ სამუშაოდ მიიჩნევდა.

ეს ათწლეული, 40-50, ადრინდელის გადახედვა-დალაგებას, ეს პროცესი ახლაც გრძელდებოდა, ავტობიოგრაფიულ რომანს – „მუსიკა ქარში" – და ბოლოდროინდელ მოთხრობებს მოუნდებოდა.

მთავარს წინ დაიგულებდა...

ორი წიგნი რომ ჰქონდა ჩასაბარებელი, სულ 60 ფორმა, ორ მოთხრობას, მოზრდილს – ერთს ახლაც წერდა – კიდევ მოასწრებდა და... ასე გასრულდებოდა მისი ორმოცდაათი.

რის გაკეთებას აპირებდა მომდევნო ათწლეულში: 50-60 წლისა?

ხომ ატყოდა, რომ ვიღაც თუ რაღაც – რაღა დაემალა დღიურისათვის და: დიდი ამბისათვის – ამზადებდა. ამიტომაც იმ ათწლეულსაც გადაირბენდა გრიალ-გრიალით.

გეგმა? აგერ არ ჰქონდა?

დიდი მოთხრობა „ბედის ტრიალი", „ვაიმე, ჩემო ვენახოდ" რომ შეიცვლებოდა სათაური;

და რომანი თ. ვ. (პრიოდი სტალინის სიკვდილის ჩათვლით);

და ისტორიული რომანი დ. ც. (დიდი მოცულობის ქრონიკა);

და სხვა კიდევ, რაც გამოტყვრებოდა, მაგრამ ეს სამი: აუცილებლად.

60-70 წლები?

ნაწარმოები დღევანდელობაზე, მისი სამწერლო მოღვაწეობის ამ ხანაზე, 60-70-იან წლებზე – დღევანდლამდე.

და შემდეგ?

ვნახავთ, თუ ვიქენითო...

კრიტიკის ერთ-ერთი ამოცანა ამგვარი ბიძგის მიცემაც არისო...

ბიძგის მიცემა თუ?..

რეზო ჭეიშვილი კი ლამის ხელს აიღებდა მწერლობაზე და...

მაგრამ კრიტიკოსმაც რა იღონოს, სად ჩაუკვირდეს და გაითვალისწინოს მწერლის ფსიქოლოგიური ნატურა საერთოდ და იმჟამინდელი განწყობილება კერძოდ: თუ რა იმედებს შეიძლება ამყარებდეს ამა თუ იმ თხზულებაზე.

ბიძგიო და:

ქვას კი ქვაზეც არ დატოვებდა.

ხელახალი პუბლიკაციისას წერილების კრებულში ოდნავ, სულ ოდნავ შეანელებდა კრიტიკის სიმწვავეს, როდესაც სტატიას სათაურს შეუცვლიდა და ამჯობინებდა ასე: „მოყვარეს პირში უზრახე“ – ილიასებურად, თავდაპირველად კი სახელწოდებაც ისეთივე ცივი იქნებოდა: „კრიტიკული შენიშვნები“ – როგორც ამ შენიშვნების საერთო პათოსი.

არ მოერიდებოდა ამგვარ გამოთქმებსაც:

– პერსონაჟის ტრაგიკული განცდების ჩვენებას რომ თავი აარიდოს, მწერალმა ეშმაკური ხერხი მოიგონა – დავიწყება. ფსიქიატრების ენაზე ამ მოვლენას არ ვიცი რა ჰქვია, მაგრამ ლიტერატორების ენაზე კი მიფუჩეჩებად იწოდება.

მთავარი გმირის, ელგუჯა ვაშაძის, ცხოვრების გარეგნულად გამოვლენილი ფორმა – სიყვარული, მეხსიერების დაკარგვა, სიკვდილი, აღორძინება – კრიტიკოსის მოსაზრებით, ეწინააღმდეგებოდა მის – პერსონაჟის – სულიერ შინაარსს: ერთფეროვანი, გულგრილი, უზრუნველი, უფიქრალი, მოვლენების მიმართ ყრუ და ბრმა. ელგუჯას ცხოვრების გარეგნული ფორმისათვის მწერალს რატომღაც ტრაგიკული ელფერი მიენიჭებინა; ელგუჯას პიროვნების სულიერი შინაარსისათვის კი – ირონიული. მაგრამ – სამწუხაროდ – ვერც ტრაგიკულისა და ირონიული შერწყმა-შეერთება მოეხერხებინა და ვერც მათი წინააღმდეგობის შედეგი ეჩვენებინა.

ეპიზოდური პერსონაჟებიდან საინტერესოდ მოეჩვენებოდა ფილოსოფოსი დიმიტრი და კორექტორი გურამ ყვავაძე. დიმიტრისადმი ავტორის დამოკიდებულება ირონიზებული გახლდათ, რაკიღა დილიდან საღამომდე ბაღში იჯდებოდა და მოსაუბრეებს ყურებს გამოუჭედავდა მოძველებული სენტენციებით. მისი უმთავრესი დებულება: ყველაფერი სისულელეა, ყველაფერი სულელური ხუმრობაა და მეტი არაფერი – ორიგინალურობით ვერ ბრწყინავდა. დიმიტრის რომანში დიდი ადგილი ეჭირებოდა, თუმც არც მისი პიროვნება და არც მისი აზრები არავისზე არავითარ ზეგავლენას არ ახდენდა. მის ნათქვამს ერთ ყურში შეუშვებდნენ ხოლმე და მეორედან გაუშვებდნენ. მაშ რად ჭირდებოდა მწერალს დიმიტრი? რა მხატვრულ ამოცანას ემსახურებოდა? კრიტიკოსისათვის ეს ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა. ეგებ დიმიტრი პაროდიულად განასახიერებდა ცრუფილოსოფიას? მაგრამ მაშინ აუცილებელი გახლდათ სასაცილო ატმოსფერო. ამ ატმოსფეროს კი ვერ ქმნიდა ვირზე დიმიტრის შესმის ეპიზოდი. სასაცილოს სხვა კომპონენტები კი რომანში არ მოიპოვებოდა.

გურამ ყავაძეც დიმიტრისებრ ფილოსოფიურად განწყობილი პიროვნება იქნებოდა, ისიც თარგმნითი ხელოვნებით დაინტერესებული. მწერალი მას მეტი სიმპათიით ეკიდებოდა, ვიდრე დიმიტრის. ელგუჯა ვაშაძესაც მოსწონდა გურამი. ალბათ ამის გამოც დაუთმობდა მწერალი ტრიბუნას გურამს და ფინალში წარმოათქმევინებდა სიტყვას, რომელიც ჟურნალის ოთხ გვერდს დაიკავებდა. ამ გრძელ სიტყვაში ყველაფერზე იქნებოდა ლაპარაკი – ადამიანის უკვდავებაზე, მთვარის დაპყრობაზე, გალილეო გალილეიზე, ტელესკოპზე, ტვინის უჯრედებზე... მაგრამ მთელი ეს ლაპარაკი არ გაცილდებოდა ელემენტარულ ცნობარში ამოკითხულ საყოველთაოდ ცნობილ ამბებს. ალბათ ამიტომაც რეზო ჭეიშვილი თვითონაც გაკენწლავდა გურამის სიტყვას: ყველაფერს თავი საბოლოოდ მაინც ვერ მოუყარა და წინააღმდეგობაშიც კი ჩავარდაო. და ეს გაუთავებელი ლაპარაკი პერსონაჟსაც რომ დააბნევდა და მკითხველსაც, კრიტიკოსს ძალაუნებურად ებადებოდა კითხვები: მაშ ვისთვის დაიწერა? ვის ჭირდება? რა მიზანს ემსახურებაო?

ბიჭიკო კენჭაძის პროტოტიპი კლინიკური ავადმყოფი რომ გახლდათ, ამის თაობაზეც წაედავებოდა კრიტიკოსი მწერალს: რამდენად ეთიკურია და ჰუმანისტური, სიტყვაკაზმული მწერლობა დასცინოდეს შეშლილს? ხომ არ გვეშლება აქ მწერლობის საგანი? ყოველი ლიტერატურა, სატირული იქნება თუ ტრაგიკული, ყოველთვის ადამიანისა და ჰუმანისტური იდეალების ქომაგია. ამ პრინციპის დარღვევა შეუძლებელია. მაშინ მწერლობა აღარ არის მწერლობაო.

ბიჭიკოს გარდა რომანში ბევრი ეპიზოდური პერსონაჟიც ჩნდებოდა, ამათუიმ კონკრეტულ, რეალურად არსებულ კინომუშაკს რომ აგონებდა მკითხველს.

რეზო ჭეიშვილთან ერთად აკაკი ბაქრაძეც იცნობდა მათ.

ცხადია კრიტიკოსს მოეხსენებოდა, რომ ესა თუ ის რეალური პიროვნება შეიძლება გამხდარიყო მწერლის შთაგონების წყარო და მხატვრული ნაწარმოების ფურცლებზეც გადასახლებულიყო – ეს ასეც ყოფილა და ასეც იქნებოდა – მაგრამ ამგვარი რამ არასოდეს ხდებოდა ემპირიული სიშიშვლით. ის მდიდრდებოდა, ხორცს ისხამდა, მშვენდებოდა და ზოგადდებოდა მწერლის შემოქმედებითი ფანტაზიით. სხვანაირად ლიტერატურას ემპირიზმი დაახრჩობდა და საგაზეთო ფელეტონს დაამსგავსებდა. და კრიტიკოსი სამწუხაროდ მიითვლიდა, რომ ეს საშიშროება რეზო ჭეიშვილის რომანში დიდი დოზით არსებობდა.

აკაკი ბაქრაძე კინოსტუდიის სცენებში ადვილად რომ ამოიცნობდა ამათუიმ კინომუშაკს, მათ ფრაზებს, მათი მეტყველებისა თუ ქცევის მანერას, ნაკლად და ხარვეზად ჩამოართმევდა მწერალს ფოტოგრაფიულ სიზუსტეს, ოღონდ რასაც იგი მოითხოვდა, ეს უფრო ეხებათ მთავარ გმირებს, რომელნიც ცხადია პირდაპირ არ უნდა იყვნენ გადმოღებულნი ყოფითი რეალობიდან და პროტოტიპები სრულიად ახლებურად უნდა წარმოგვიდგებოდნენ მხატვრულ სამოსელში, მაგრამ გარეთა ფონის შესაქმნელად ვითომ რატომ

არ შეიძლება უშუალო სახით შემოყვანა ამათუიმ პირისა, ის კი არა, კიდევ უფრო მკვეთრადაც რომ წარმოჩნდებოდეს მათი სილუეტები, სწორედაც ფოტოგრაფიული სიზუსტით და არა შეზავებული სხვადასხვა ფერებით.

დოკუმენტური ფონის სიმკვეთრე რატომ უნდა გაუიგივდეს საგაზეთო ფელეტონს?!. ასე რომ, ეს უფრო სტილური თავისებურებაა და არა ნაკლი თუ ხარვეზი, და „ლიტერატურული ემპირიზმის“ თუნდ დიდი დოზით არსებობა ამ რომანში სულაც არა ქმნიდა რაიმე საშიშროებას მხატვრულობის „დახრჩობისა“.

მეტიც: შეიძლებოდა კინომუშაკები თავთავიანთი გვარ-სახელებითაც შემოეყვანა თხრობაში ავტორს. და საჩხრეკ-დასაზუსტებელი არ გაეხადა მკვლევარებისათვის პროტოტიპთა ამოცნობა.

სწორედ ისე, როგორც მოგვიანებით მოიქცეოდა „მიწების განაწილების“ პირვანდელ ვარიანტში, ყველა გაპერსონაჟებულ პროტოტიპს თავთავის გვარ-სახელს რომ შეუნარჩუნებდა. თუმც გამოქვეყნებისას მოერიდებოდა და სათითაოდ ჩაანაცვლებდა გამოგონილით, ეგაა შეეცდებოდა მინიშნებანი გამჭვირვალე ყოფილიყო, კვალის გაყოლა რეალურად არსებულ მწერლებთან – უფრო ზუსტად: მწერალთა კავშირის წევრებთან – რომ მიგიყვანდა.

აკაკი ბაქრაძე კი ენობრივ მანერაზეც წაედავებოდა:

მეტად უდიერად ექცევა ენას. აქ ლაპარაკია ელემენტარულ შეცდომებზე და არა რაიმე გარკვეულ ენობრივ პოზიციაზეო.

სკაბრეზულ პასაჟებსაც არ აპატიებდა:

სკაბრეზულობა უცხო არ არის არც ხალხური სიტყვიერებისა და არც ლიტერატურისათვის, მაგრამ ყველაფერს სჭირდება ზომიერება, ატმოსფერო, სიტუაცია. სკაბრეზულობა მკითხველის გემოვნებას არ უნდა შეურაცხყოფდესო.

რამდენადაც ენობრივი უხერხულობანი მართებულად აღნუსხულიყო, იმდენად გადამეტებული გახლდათ ზომიერებადარღვეულ სკაბრეზულობაში მწერლის დადანაშაულება, რადგანაც მოხმობილ მაგალითებში ერთიც არ აღმოჩნდებოდა მკითხველის გემოვნების შეურაცხმყოფელი.

აკაკი ბაქრაძის თვალსაზრისის უარყოფას იოლად არ მიიჩნევდა ოტია პაჭკორია, რაკიღა იმის პრინციპი გახლდათ აზრის კატეგორიულად გაცხადება, სადაც ყოველთვის ქმნიდა ერთგვარ სქემას, თავისუფალს ყოველგვარი ემოციური მინარევისაგან, ხოლო შემდეგ ამ სქემის საფუძველზე აგებდა შეუვალ ლოგიკურ კონსტრუქციებს.

ამჯერადაც:

რეზო ჭეიშვილის „დალის“ სახით აკაკი ბაქრაძეს ხელთ ეპყრა შედეგი და ის, მისი ღრმა რწმენით, უვარგისი გახლდათ. მას არ აინტერესებდა მიზეზი, ზედმეტად მიაჩნდა მწერალთან ემოციური კონტაქტის დამყარება. ასეთი იყო მისი მეთოდი და როგორ გინდა შედავებოდი: იგი მსაჯული გახლდათ და არა თანამზრახველი, შემფასებელი და არა გამზიარებელი. და საკმაოდ დამაჯერებლადაც ასაბუთებდა თავის თვალსაზრისს.

და მიუხედავად იმისა, რომ არც ოტია პაჭკორია აპირებდა ყოფილიყო მიმტევებელი და დამთმობი რეზო ჭეიშვილის მიმართ, მაინც აწუხებდა ერთგვარი უკმარობის განცდა: თითქოს რაღაც გამოტოვებულიყო, რაღაც არ იყო დანახული, ეწირებოდა მთლიან უარყოფას.

თუ რაიმე მოსწონდა ოტია პაჭკორიას ამ მწერლის თხზულებებში, ეს იყო სევდიანი ირონია, რაღაცნაირი იდუმალი, ღრმა წუხილი ადამიანის ბედზე. საოცარი უნარი მშვენიერი სასაცილოს მიგნებისა, რისი მეოხებითაც მისი გმირების მიკროსამყარო რეალობასა და განუმეორებელ კოლორიტს იძენდა. სევდიანი ირონია, ჩაწურული უბრალო ამბავში, ნოველასა თუ მოთხრობაში, კონცეფციის დონემდე მაღლდებოდა ბედნიერი უნარის წყალობით. მისი ნოველები სიცილის სურვილს არ აღძრავდნენ; მათი ანარეკლიც სევდა გახლდათ, ფრთხილი, ფაქიზი გულისტკივილი, რასაც ხელს უწყობდა, თავისებურად აღრმავებდა ირონიული ასპექტი. და რაც მთავარია: არსებობდა მათი სიმართლის, უტყუარობის ეჭვმიუტანი რწმენა.

კრიტიკოსი ყურადღებას მიაქცევდა „დალიში“ გაელვებულ გამოთქმას: თითქოს საკუთარ თავს სარკიდან ხედავდე.

და მიიჩნევდა – და განაზოგადებდა – თავისებურ, გართულებულ ხილვად, ირონიულ ასპექტს დრამატულიც რომ ერწყმოდა. და თვითონ მწერალს რომ ჰქონდა ამ ხედვის ნიჭი, ამიტომაც, მიუხედავად რეალობის მძაფრი შეგრძნებისა, არასოდეს იქნებოდა ვიზუალობის მომხრე.

და გამოთქვამდა წუხილს, რომ:

რაღაც დაკარგულიყო, გამქრალიყო უკვალოდ, სევდა და ირონია დიდი მოცულობის ტილოზე განზავებულიყო. მოცულობას მოეშთო თვისება, შეეცვალა არსი. დარჩენილიყო დაცინვა, საგანგებოდ ხაზგასმული დაცინვა და ნაწარმოებში უხვად მიმოფანტული პამფლეტი და ფელეტონი.

ვერ გაეგო და ვერა, საიდან გაჩენილიყო ეს რაბლესებური გროტესკი ან ზოგიერთი პერსონაჟის ფანტასტიკამდე მისული უვიცობა; ყველა იმ მოვლენისა და ყველა იმ პუნქტის, სადაც სულიერი ცხოვრება უნდა ყოფილიყო თავმოყრილი, საოცრად უტრირებული, წრეგადასულად სატირული ხილვა.

„დალი“ მწერლის დამარცხებაა – ასეთი გახლდათ აკაკი ბაქრაძის შეხედულება, რაც საერთო აზრად, საერთო ემოციურ დასკვნად განზოგადებულიყო. და ოტია პაჭკორიაც ერთგვარად ეთანხმებოდა ამ „საერთო“ ემოციურ დასკვნას: საუბედუროდ რომანი ფორმალურად ამის საკმაო საბაბს იძლევაო.

რა მომხდარიყო?

ნუთუ რეზო ჭეიშვილს ყველაფერი დაევიწყა, არაფერი ესწავლა, გადაექცა საკუთარი ცოდნის ყველა სამანი და ბრმად, ანგარიშმიუცემლად შეექმნა ნაწარმოები – აღსავსე ყველა ჯურისა და ხარისხის შეცოდებით?

მაგრამ... ასეც რომ არ იყო?..

ამაში უსაშველოს ვერ დაინახავდა კრიტიკოსი და ივარაუდებდა, რომ ის პრესა, რაც „დალის“ ერგებოდა, შესაძლოა თანადგომა უფრო ყოფილიყო, ვიდრე უარყოფა.

ერთი რამ არ ესმოდა მხოლოდ:

რატომ ებრძოდა რეზო ჭეიშვილი თავისი სტილით, აზროვნების მანერით, გესლიანი დაცინვით საკუთარ სიმართლეს. მან ხომ ყოველთვის იცოდა ამ სიმართლის ფასი!

გრძნობდა ოტია პაჭკორიაც, გრძნობდნენ სხვებიც, რაღაც სამანის გადაბიჯებას რომ ესწრაფოდა რეზო ჭეიშვილი, ჯერ მისთვისაც არ გახლდათ ბოლომდე გაცნობიერებული, რა დახვდებოდა სამანს მიღმა, მაგრამ ამ საზღვარში რომ ველარ ეტეოდა, ეს კი აშკარა გახლდათ.

და არ უწონებდნენ რაბლესებური გროტესკისა და წრეგადასული სატირის ელემენტებს და არ ურჩევდნენ ამ მიმართულებით გზის გაგრძელებას.

დაე ეკმარა სევდიანი ირონია, მშვენიერი სასაცილოს სურათების ჩამომწკრივება, ფრთხილი, ფაქიზი გულისტკივილი. ნუ გადაიჭრებოდა სატირისა და აბსურდის სივრცეში, ჯერ ელემენტებად მიმოფანტულიც რომ აკნინებდა მისი თხრობის მანერას, და სისტემად გარდასახული სულ რაღა უნდა ყოფილიყო – გარდუვალი კრახის მაუწყებელი.

ამიტომაც: დაე გაეთვალისწინებინა „დალის“ მარცხი და შემობრუნებულიყო სევდიანი ირონიის საუფლოსაკენ, სადაც თავს ასე დაჯერებულად გრძნობდა.

ლიტერატურულ პორტრეტში „დიდი ნაფეხურები“ თამაზ ჩხენკელი გაიხსენებდა ერთ ამბავს, „ცისკრის“ ფურცლებზე რომ დაიბეჭდებოდა აკაკი ბაქრაძის რაღაც წერილი, რომელიც რევაზ თვარაძის გაღიზიანებას გამოიწვევდა.

– მე არ მახსოვს და ახლა არც რეზის ახსოვს, რა წერილი იყო და რატომ გაღიზიანდა. მაგრამ მაშინ საპასუხო წერილი უნდოდა დაეწერა.

არ გინდაო, – დაუშლიდნენ თამაზიც და ნოდარ ებრალიძეც, – ხომ იცი, თქვენს დაპირისპირებად მიიჩნევს ხალხი ამ ამბავს და არ ივარგებსო.

რეზი თავისაზე იდგებოდა.

ამ დროს ესტუმრებოდა ჭაბუა ამირეჯიბი და რეზი:

ჭაბუას ვკითხოთ და როგორც იტყვის, ისე იყოსო.

ამცნობდა, რასაც აპირებდა და ეს ორი მეგობარი რომ არ ანებებდა. და ჭაბუაც:

მართალს გეუბნებიან, ნუ იზამო.

და საქმეც ასე გადაწყდებოდა...

და... რომ დაეწერა?!

ორი ათეული წლის შემდგომ თამაზი მორის ფოცხიშვილთან შეივლიდა, იმჟამად გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორთან. და შეესწრებოდა, აკაკი ბაქრაძე და რევაზ თვარაძე ქართული პროზის ანთოლოგიაზე რომ მუშაობდნენ.

რომ დაეწერა, მაშინ ეს ერთობლივი გარჯა აღარ შედგებოდაო, – ეჭვი არ ეპარებოდა თამაზს. რატომ? მკითხველს ურჩევდა თვალი გადაევლო აკაკი ბაქრაძის ბიოგრაფიული რომანისათვის გრიგოლ რობაქიძეზე „კარდუ“, და მის 130-31 გვერდებზე ამოიკითხავდა მიზეზს.

ბიოგრაფიული თხზულების ამ გვერდებზე აღწერილი გახლდათ, როგორ გადაეკიდებოდნენ ერთმანეთს გრიგოლ რობაქიძე და იოსებ გრიშაშვილი

იოსების მიერ ოსკარ უაილდის თარგმანზე გამოთქმული ერთი უწყინარი შენიშვნის გამო. და პაექრობისას ერთბაშად დაირღვეოდა ის ურთიერთთავაზიანობა და პატივისცემა, რითაც მანამდე განმსჭვალულიყვნენ ერთმანეთის მიმართ და ტკბილი სიტყვები არ ენანებოდათ.

ქართველის ბუნება პაწაწინა კრიტიკასაც ვერ იტანს, მაშინვე ფეთქდებაო, – დასძენდა აკაკი ბაქრაძე.

მე არ მახსოვს და ახლა არც რეზის ახსოვსო...

ნეტა მართლა დავიწყნოდა თამაზს თუ უბრალოდ აღარ სურდა აღნიშვნა, თორემ ის გაღიზიანება რევაზ თვარაძისა გამოეწვია აკაკი ბაქრაძის კრიტიკულ სტატიას რეზო ჭეიშვილის „დალიზე"... და კიდეც კულუარებში ჩაიკარგებოდა ხსოვნა ამ ჩაშლილი პაექრობისა, თამაზ ჩხენკელს თქვენი მონა-მორჩილისათვის რომ არ გაემჟღავნებინა მანამდე, თუ რას ეძღვნებოდა ის „რაღაც წერილი".

თვითონ რეზო ჭეიშვილი კი ვერც ვერასოდეს შეიტყობდა ლიტერატურული კულისების ამ ეპიზოდს, რომლის შუაგულშიც თვითონ იქნებოდა მოხვედრილი.

* * *

1979 წლის 18 მარტს წამოაგონდებოდა, რომ:

შარშან, ზუსტად ამ დროს, შესაძლოა დღეისსწორიც – კვირა – ყოფილიყო, ქუთაისში გამართავდნენ „დალის" ლიტერატურულ გასამართლებას.

სავსე იქნებოდა საკმაოდ დიდი დარბაზი. ბევრი მსურველი გარეთ დარჩებოდა, ვერ შემოვიდოდა.

დაიწყებოდა თითქოს ჩვეულებრივი სასამართლო ქალაქის ცნობილი იურისტების მონაწილეობით.

მთელ იმ პროცესში – მაშინაც გრძნობდა და ახლაც წამოუტივტივდებოდა ის განცდა – იქნებოდა რაღაც სასაცილო და კარგი, თბილი და სასიამოვნო.

ნეტა უფრო ნიშანდობლივად გაეხსენებინა, ასეთი რამ ხომ – ლიტერატურული გასამართლებანი – აღარ ხდებოდა და: ნეტა ვის მოფიქრებოდა, ვინ აეყოლიებინა, ვინ მონაწილეობდნენ, რა ითქვა განსაკუთრებით საგულისხმო და დასამახსოვრებელი, ორიგინალური თუ მახვილგონივრული?!.

შესაძლოა იმანაც უბიძგათ საამისოდ, თვითონ რომანშიც რომ იმართება სასამართლო პროცესი: პატიმრობიდან ახალდაბრუნებულ ბადრი კილაძეს გაასამართლებდნენ ცოლის, დალი შელიას, მოკვლისათვის, იმ დალისა, რომლის სახელიც დაერქმეოდა რომანს. ბარემ იმ პროცესს გააგრძელებდნენ და მთავარ გმირებს ცალ-ცალკეც შეაფასებდნენ სწორედ ამ გადასახედიდან.

გარეგნულად მართლაც დაამგვანებდნენ სასამართლოს – იმ სტილისტიკით რომ წარმართავდნენ, თითქოს ხალხი მართლაც სასამართლოს სხდომას ესწრებოდა.

ქალაქის ცნობილ იურისტებსაც საგანგებოდ მიიწვევდნენ ამ სტილისტიკა-განწყობილების გასაძლიერებლად.

რაღაც სასაცილო და კარგი, თბილი და სასიამოვნოო...

ამ განცდებს შეუძლებელია არ იწვევდეს ლიტერატურული გასამართლების პროცესი, მითუმეტეს, თუკი მივიწყებული ტრადიციის აღდგენას მოიწადინებ, ტრადიციისა, რომლის მონაწილე თვით აკაკი წერეთელიც გახდებოდა და კიდეც მიანიჭებდა ამ აქტით ამ მოვლენას განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატის" პერსონაჟთა ლიტერატურული გასამართლებისას ზეინაბის დაცვას ითავებდა.

და აი ქუთაისი ერთხელ კიდევ გაიელვებდა ამ მხრივ, ვიდრე სამ ათეულზე მეტი წლის შემდგომ თქვენი მონა-მორჩილიც შეეცდებოდა ლიტერატურული სასამართლოს გამართვას მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებისა" და ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის" ქარგაზე: ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მრავალფეროვან თავყრილობებს ეს ორიგინალური შეკრება როგორ გააკლდებოდა, ოღონდ ჩვენთვის იმჟამად ცნობილი იქნებოდა საუკუნისწინანდელი ლიტერატურული გასამართლებანი, და თუ 1978 წელსაც ეცადათ მისი აღდგენა, ქუთათურებს და რეზო ჭეიშვილის რომანის თარგზე, ეს უკვე აღარ გვეცოდინებოდა. და აგერ „გადანახული ჩანაწერების" წყალობით ეს რგოლიც შემოგვანათებს რაღაც სასაცილოთი და კარგით, თბილითა და სასიამოვნოთი.

ახლანდელივით მშვენიერი ამინდები იდგა მაშინაცო, – ამ გარემოებასაც მიაქცევდა ყურადღებას დღიურის ავტორი და ის სურათიც წამოუტიეტიევდებოდა, მეორე დღეს, აშუადღებამდე, ბაგრატის ტაძრის ჩრდილში რომ ისხდებოდნენ. შემდეგ ერთი მოსახლე გადაიპატიჟებდათ – ვენახის ბარვაში წაუკრავდნენ ხელს და ჩაესმოდათ წმინდა გიორგის ეკლესიის სამრეკლოდან ზარების რეკვა.

და კიდევ ერთხელ გაიმეორებდა, რომ:

საოცრად კარგი და მშვიდი დღე იდგებოდა მაშინ ქუთაისში, ისევე როგორც 1979 წლის 18 მარტს თბილისში.

ამ ჩანაწერების გადახევისას თავს ვერ შეიკავებდა, მინაწერი არ მიედევნებინა: 29 წლის თავზე, თუ სწორად ანგარიშობდა.

ის მეორე დღეც მშვენიერი აღმოჩნდებოდა და კარგადაც დაამახსოვრდებოდა, მაგრამ დიდი ხნის წინანდელი ეგონებოდა მაინც, აქედან უფრო შორს მოჩანდა.

კუხიანიძის – ლოტბარი გახლდათ – ეზოში შევიდოდნენ და ზურაბ კუხიანიძე იძახებდა:

– არ გინდათ, სად მიდიხართ!..

ბოლოს თვითონაც შევიდოდა, ახლობელი აღმოჩნდებოდა იმ ოჯახისა. დაბარავდნენ თითქოს.

– არ გინდათ, – იძახებდა მასპინძელი, – ღვინო დავლიოთ.

შეიყვანდათ მარანში, ბოცებს სხვადასხვა წელი ეწერებოდა. არჩევას რეზოს მიანდობდნენ. წელს არ დააკვირდებოდა, ერთ-ერთს დაადებდა ხელს ალალბედზე.

– ყველაზე კარგი მოსავლის ღვინო ამ ბოცაშია, – იტყოდა მასპინძელი.

აღარც ის სახლი იქნებოდა, აღარც ის ეზო, იმ ვენახსაც მოშლიდნენ, გაბრიელის ბინასა თუ რეზიდენციასაც ბაგრატის ტაძარს მიუერთებდნენ, მიაყოლებდნენ, სკოლას რომ აიღებდნენ, ამას კი კარგს იზამდნენ, მაგრამ გაბრიელის სახლის დატოვება შეიძლებოდა, ბოლოს იქ საბავშვო ბაღი რომ იქნებოდა.

* * *

28 თებერვალს თავისთავად მოფრინდებოდნენ ტერენტი გრანელის სტრიქონები: ავად ვიყავი, წუხელ ვკვდებოდი, ახლა მიგონებს ალბათ ზოზია, გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოზიაო, – რათა თავისი საწუხარიც დაერთო: ავად ვიყავი მართლაც და ვარ კიდეც. ალბათ მართლა ვკვდებოდი, ვინ იცის. შეიძლება წავსულიყავი ამქვეყნიდან გაუფრთხილებლობით, ჩემი სხეულის უპატივცემულობით, ბარბაროსული მოპყრობით, მარტოობითა და უპატრონობითო.

უშველიდა ღმერთი გურამ რცხილაძეს, და აწი რეზო ჭეიშვილი თვითონაც მიხედავდა თავს: შეძლებისდაგვარად რასაკვირველია...

მაინცდამაინც ტერენტი რომ შემოეშველებოდა ამ მძიმე წუთებში, მაინცდამაინც ტერენტი რომ ანუგეშებდა და გაამხნევებდა.

რაღაც სხვაგარად მოჭდობოდა გულზე მისი სტრიქონებიც და მისი გაუხარელი ცხოვრებაც, თუმც ჯერ ვერც იფიქრებდა, ოდესმე ნოველის გმირადაც თუ აქცევდა; თუკი რაიმეს დაწერას, სტატიისას ივარაუდებდა ჯერჯერობით... იმ ცალკეული დაკვირვებების გამჟღავნებას, მისი ლექსების კითხვისას რომ გასჩენოდა.

ისე ის სურათი დროდადრო ამოუჩნდებოდა ხოლმე გონების თვალწინ, სასაფლაოზე შესულ ტერენტის ყვავი რომ გაეკიდებოდა საკბენად. ყვავები როდის იყო ადამიანებს საკბენად დასდევდნენ?.. ეს უთუოდ ტერენტის წარმოსახვა უნდა ყოფილიყო... ან იქნებ კიდეც შეეტყო ყვავსაც, ძალიან რომ გაუბედურებულიყო და გასაწყლებულიყო ეს სულდგმული და მართლაც ეცადა თავისი კბენის ძალის მოსინჯვა მასზე?.. ასეთი რამ ტერენტი გრანელის გარდა ალბათ არავის გადახდებოდა, სასაფლაოზე ყვავი რომ გაკიდებოდა.

და შორეული მუსიკასავით ჩაესმოდა რეზოს ეს გვარ-სახელიც: ალლიდი ოტტო... და ეს მუსიკაც რაღაცას რომ მიანიშნებდა, თუმც რას – ჯერ მაინც ქვეცნობიერში იტრიალებდა ეს გაურკვეველი შეგრძნება.

თავი მეოთხე

„დიდოსტატი ვარ“

ჩემი ძმაკაცი ნოდარიო, – ასე დაიწყებდა 1982 წლის 24 მარტის ჩანაწერს, რომანის ერთ-ერთ სათაურად ასეც რომ ამჯობინებდა და მერე და მერე ყველაზე უკეთესიც მოეჩვენებოდა, ვიდრე „ქალაქში დინოზავრები დადიან“ თუ „ჩემი მეგობარი ნოდარი“, მაგრამ ჭოჭმან-ყოყმანში მაინც „მეგობარი“ დარჩებოდა „ძმაკაცის“ მაგივრად, არადა სახალხო წიგნად რომ ესახებოდა, ყველასათვის საკითხავად, ყველასათვის საყვარელად, მხიარულებით სულაც რომ უნდა გადაეჭარბებინა სხვა სახალხო – უფრო ზუსტად: ერთი სახალხო, და ადვილად ამოიცნობა, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ რომ ჩამოეტოვებინა გუნებაში – წიგნებისათვის, სნორედაც „ძმაკაცი“ უფრო შესაფერისი იქნებოდა...

ეს ძმაკაცი ნოდარია – ბაზაძე – პროტოტიპი ნოდარ გერაძისა, ახლა რეზო მის დამტვრევას, მძიმედ დაშავებას რომ წუხდა შახტაში. სამი თვე გიფსში მოუნევდა წოლა, როგორც ეთქვა მის ძმას ირანი ბაზაძეს, ლიტერატურულ წრეებში ირაკლიდ ცნობილს, პოეტობაზე რომ დებდა თავს და არცთუ უსაფუძვლოდ.

– საშიში თუ არის შახტა? – ეკითხა ერთხელ თავისი ძმაკაცი ნოდარისათვის.

– არა, გინდა აქ ყოფილხარ, ქუჩაში, გინდა იქ, – მიუგებდა ის და საგაზეთო ჯიხურს დაანახვებდა, – ქალი ხომ ზის შიგ, ხომ შეიძლება ქვა შევარდეს ვიტრინიდან და მოხვდეს თავში, ანდა თვითონ „ბუტკას“ „სამასვალი“ დაეჯახოს. ასეა იქაც.

ნოდარული პასუხი გახლდათ, რეზო ძალიან რომ შეეჭვდებოდა მაშინაც.

რამდენჯერმე დამტვრეულიყო, ახლა კიდევ ძლივს გადარჩენილიყო.

რეზო თვითონაც ყოფილიყო მეოთხასე ჰორიზონტალზე – ასე განსაზღვრავდნენ ჯურღმულის სიღრმეს. საშინელებად მოეჩვენებოდა და ჯოჯოხეთიც კი ეგონებოდა. მთავარი ინჟინერი გაუძღვებოდა, დაათვალიერებინებდა, აუხსნიდა.

სულ იმას ფიქრობდა იმ ჯურღმულ-ჯოჯოხეთში მობორიალე: რა მინდოდა აქ, რამ შემომიყვანაო?..

ეს ხალხი რატომ, რისთვის მუშაობდა აქ, ეს ხომ ვერაფრით ვერ გაეგო.

შტოლნებში, ნაპრალებში, წყალში ატარებდა მთავარი ინჟინერი და ეს შეფიქრიანდებოდა: ალბათ განგებ, ჩემი გადარევა თუ უნდაო. მაგრამ შიშს არ დაიტყობდა, არაფერი დაემჩნეოდა.

უკან რომ მოდიოდა – მარტო წამოვიდოდა – გუნება გამოუკეთდებოდა, შახტიდან რომ ამოვიდოდა, გაეხარდებოდა, გვირაბიდან გასვლისას სიმღერასაც კინაღამ წამოიწყებდა.

რა დასამალია და: ერთ მომენტში უკან დაბრუნებაც კი მოენატრებოდა, იმ ჯურღმულ-ჯოჯოხეთში.

არას აჭარბებდა: ნაღდად ასე იქნებოდა.

და ეს ისეთივე მართალი ფსიქოლოგიური დეტალია რეზო ჭეიშვილის ამ ჩანაწერში – სწორედაც იმ ჯოჯოხეთის შეგრძნების ფონზე – როგორც ფიოდორ დოსტოევსკი ემშვიდობებოდა სინანულით ციმბირის მავთულხლართებს, მოდიოდა და ველარც მოდიოდა, მზერითა და ხელითაც ეფერებოდა იქაურობას, ცხრაკეცი ტანჯვა სადაც განეცადა.

უკან დაბრუნებაც კი მომენატრაო...

ეს – ერთი ჩასვლით იმ მეოთხასე ჰორიზონტალზე, და... ვინც იქ გამუდმებით იმყოფებოდა?

იმათ სურდათ თუ სურდათ კვლავ და კვლავ იქ ჩაყვინთვა, იმ ჯოჯოხეთში, თან თავს რომ უწყრებოდნენ: რა გვინდა აქ, რა დაგვრჩენია ამ ჰორიზონტალზე, იცის კი ვინმემ, რას ნიშნავს ეს ჰორიზონტალებიო?!.

შახტადან ამოსული მიმოიხედავდა და:

ტყიბული ლამაზი, ამჟამად სახიერი ქალაქიცააო, – რომ იტყოდა, დასძენდა: გარეგნულად, მხოლოდ გარეგნულადო.

ჭიათურასავით თავისებური, დამახასიათებელი იერი არ დაჰკრავდა ამ ქალაქს, შინაგანი პულსაცია სუსტი ჰქონდა და უფერო. დრო ესაჭიროებოდა ალბათ, რომ გაქალაქ-გატყიბულებულიყო,

ხვალ ეპირებოდა ლიკანში. თავისი დაბადების დღისათვის ჩვეულებისამებრ ალბათ ქუთაისში იქნებოდა, ასე რომ, დღიურის ეს დავთარი მთელი ერთი თვით უნდა დახურულიყო.

25 აპრილს თბილისში ჩამოვიდოდა – სამი კვირა ნალიკანარი და ერთი კვირა ნაქუთაისარი. დაისვენებდა, ყოველ შემთხვევაში უკეთ გრძნობდა თავს ფიზიკურადაც და სულიერადაც.

რაც მთავარია: მარტო იქნებოდა ოთახში სამუშაოდ გუნებაგანწყობილიც.

დასაბეჭდად გაამზადებდა „ლიბრეტოებს" – უფრო იგრძნობდა, სათაური აუცილებლად გამოსაცვლელი რომ იყო და აღარ იცოდა, რა დაერქმია.

და... დაწერდა მოთხრობას „გია".

ძალიან კმაყოფილი იქნებოდა, მეტი რომ აღარ შეიძლება – ისეთი.

მოცულობითაც დიდი გახლდათ, კარგი შავი პირი იქნებოდა, გადასათეთრებლად უკვე გამზადებული.

ვარაუდობდა, რომ მალე მორჩებოდა.

გრძნობდა, როგორ არა გრძნობდა, რაღაც განსაკუთრებული რომ დაეწერა.

დაბეჭდილი თავდაპირველად შეაფიქრიანებდა და ეგებ იმედგაცრუებაც ეგრძნო, „კვამლის" გამოქვეყნებისა არ იყოს: სავსებით ჩვეულებრივიაო?

დიდი მწერლისათვის ნიშანდობლივი ეს შეგრძნება რომ არ დაუფლებოდა, ისე ანკი როგორ იქნებოდა: დაეჭვება, მძაფრი დაეჭვება.

და მაინც... მაინც...

ზედიზედ ერთიერთმანეთზე უკეთეს მოთხრობებს დაახვავებდა, სიმბოლურად მაინც „კვამლი" რომ შეინარჩუნებდა შარავანდედობას.

მთელი წიგნი ელოდებოდა გასამზადებლად – პირველი ტომი თხზულებისა, და მთელი ზაფხული უნდა შეჭირვებულიყო.

ლიკანში რა იქნებოდა საგულისხმო?

ისეთიც არაფერი, თუმც რაღაც-რაღაცები კი ჩაეწერა და თუკი დასჭირდებოდა, გამოიყენებდა.

4 მაისის ჩანაწერი გვამცნობდა, რომ:

მოთხრობების წიგნი გამოდიოდა „ნაკადულში" – 18 საავტორო ფორმა. აეწყოთ, საროტაციო მანქანაზეც უნდა დაბეჭდილიყო უკვე და: ან უნდა მოკლებოდა ორი გვერდი, როგორც ზედმეტი, ანდა ექვსი დამატებოდა, რათა ნახევარი ფორმა გასრულებულიყო.

ორი – ტექნიკური გვერდი გახლდათ. დარჩებდა ოთხი. რეზოს გადანაბეჭდი და სტამბური ემთხვეოდა ერთმანეთს და ამიტომაც უნდა გამოძებნილიყო ოთხგვერდიანი მოთხრობა. ასეთი აღმოჩნდებოდა „ძველი ამბავი". ამბავი არც ისე ძველი იყო, დღევანდელს ესადაგებოდა, მაგრამ – ანეკდოტური, თუმც არც ისე ჩვეულებრივი.

რადგანაც წიგნი „ჭით" სურდა დაესრულებინა და ახლა „ძველი ამბით" დასრულება უწევდა, მოთხრობის ახალგაზრდულად გადააზრებას გადაწყვეტდა. ამისათვის კი რჩებოდა ერთადერთი ხვალინდელი დღე და ეს ღამე.

შეზღუდული გახლდათ დროითაც და მოცულობითაც.

იაპონურ სტილში მოინდომებდა გადაკეთებას – პაროდირებულად.

ამისათვის კი რამდენიმე იაპონური მოთხრობა უნდა გადაეკითხა.

გამოძებნიდა და გაამზადებდა შესაგრძნობად და გასააზრებლად.

თურმე რა მშვენივრად ეთარგმნა აკუტაგავას ერთი ნოველა გიორგი ბაქანიძეს. და დაინტერესდებოდა: ნეტა სხვაც თუ აქვს ნათარგმნიო. უსათუოდ დაეკითხებოდა.

მოკლედ: ნეტა რა გამოვიდოდა ამ სახელდახელო მცდელობიდან?!.

წიგნის კორექტურას რომ წაიკითხავდა... უკმაყოფილო დარჩებოდა:

სამწუხაროდ ვერ მოვასწარი გაწმენდა, გასუფთავებაო.

სამაგიეროდ ყველაფერს მონიშნავდა და ორტომეულის პირველი წიგნისათვის გაასუფთავებდა, გადაბეჭდავდა.

ორი ახალი მოთხრობის – „გია" და „ოპერის ლიბრეტოები" – დამთავრების ჩათვლით მთელი მაისი და ზაფხული დაჭირდებოდა ამ საქმეს.

აი ამ წიგნს მოაწერდა სიამოვნებით ხელს და: შემდგომ სიტყვასაც აღარ შეცვლიდა, თუმც – გული ეთანაღრებოდა – შესაცვლელიც ბევრი დარჩებოდა და გამოსაცვლელიც ალბათ.

კიდეც დაწერდა იაპონურ სტილში, დაარქმევდა „ოპერაცია №"-ს, გადაბეჭდავდა და ჩააბარებდა 6 მაისს. ისეთი არ გამოვიდოდა, როგორც ფიქ-

რობდა და აპირებდა, მაგრამ მთლად უკმაყოფილოც არ დარჩებოდა: მაინც კაია. მომწონსო.

„ლიბრეტოებს“ ბოლოსდაბოლოს შეუცვლიდა სათაურს და ასეც – „კომპოზიტორი ჩირიბერიძე“ – მიიტანდა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში. 15 მაისის ნომერში ალბათ არ იქნებოდა და... არც ეჩქარებოდა.

რაზე ფიქრობდა და რა აწუხებდა და:

რომ შემდგომსა დროს არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობასო!..

ბარათაშვილური ფიქრი აეკვიატებოდა და ვერ ახსნიდა, რატომ ფიქრობდა მოკვდავი ადამიანი სახელ-დიდებაზე სიკვდილის შემდგომაც? რატომ? ხომ იცოდა, რომ მასთან ერთად მთავრდებოდა და იხურებოდა ყველაფერი. აღარ იარსებებდა თვით სამყაროც. და რაღა მნიშვნელობა ექნებოდა მის სახელს, მის დიდებას? როცა ღმერთი სწამდათ და ცოდვებისა ეშინოდათ, ეს ფიქრიც და განცდაც გასაგები ეჩვენებოდა, მაგრამ ახლა?

ქართველი – ანგარებით, გარიგებით, ანგარიშითა და „გავალებით“ შეპყრობილი – კიდევ რაღას ელოდა?

იმ ცხოვრებისა არა სწამდა, ღმერთისა არა სწამდა, სულისა არა სწამდა და... მაინც მის შემდგომ რაც იქნებოდა, იმაზე ზრუნავდა.

ეთქვათ და, შვილებზე ფიქრობდა.

მაგრამ ვისაც შვილი არა ჰყავდა?

ძეგლზე რომ ფიქრობდა, საფლავის ქვაზე და... კუბოში როგორ გამოჩნდებოდა, ეს როგორღა იყო?

ეს განწყობილება უბიძგებდა იმ ნოველის – „ძეგლი“ – შესაქმნელად, ფილიპე ბარნაველი მოულოდნელად რომ უნდა წამოდგომოდა თავს სასაფლაოზე ლაბრადორის დიდ სტელას, რომელსაც მხოლოდ ინიციალები ამშვენებდა: ფ. ბ. – და თანამგზავრი აუხსნიდა:

შეიძლება ვინმემ დაიბევა ადგილი წინასწარ, შეიძლება კარგი არაფერი გაუკეთებია ცხოვრებაში და ჭირისუფლებმა ნამუსი შეუნახეს, თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ აქ არავინ არის დამარხული, უბრალოდ ვიღაცისათვის ადგილი იქნება შენახული... მე ასე მგონია და თქვენი არ ვიცი.

ფ. და ბ. რას ნიშნავდა და: დამკვეთის ინიციალებს.

დაბადებისა და გარდაცვალების წლები რატომ არ ეწერებოდა და:

შემდეგ დააწერდნენ, რა ეჩქარებოდათ... ანდა სულაც არ დააწერდნენ, რა აუცილებელი გახლდათ...

მთავარი აქ ისაა, რომ: ფილიპე ბარნაველი თავის მომავალ განსასვენებელს უნდა უყურებდეს, და ყოფით სურათში მოულოდნელად იჭრებოდეს ჭეიშვილური იდუმალება, რაც მერე და მერე უნდა გამკვეთრებულიყო და სულაც მისტიკურ ფონად გათვალსაჩინოებულიყო.

21 მაისის შემდეგ დღიურში აღარაფერი ჩაეწერა – უკვე სამი ივნისიც დამდგარიყო. ისე გავიდოდა გაზაფხული, ხალხი პიჯაკებს ვერ გაიხდიდა. გრილოდა და გუშინწინ, სიმონ სხირტლაძის დაბადების 70 წლისთავზე, საბურთალოს სასაფლაოზე ეციებოდა კიდეც. მამფი – ანუ: ოთარ მამფორია

– იქნებოდა თამადა, მოინდომებდა, მაგრამ ბოლომდე ვერ გაუძლებდა. სუსტად რომ იყო, ესეც შეატყობდა და სხვებიც.

სხვა რამ საინტერესო 21-დან ამ დღემდე არა მომხდარიყო რა ქვეყნიერებაზე და – მისებურად ჩაიღიმებდა – მამფის თამადობის ამბავიც არ გაეგო ნახევარ თბილისს.

დილის ათი საათი შესრულებულიყო და ეს „გიაზე" მუშაობდა.

წვიმდა და მოსწონდა მისი თხლიშინი.

და ისეთი განცდები დაეუფლებოდა, თითქოს ნაწილი ხდებოდა ბუნებისა და მოუნდებოდა, სულაც ათქვეფილიყო ბუნებაში და აღსრულებულიყო კიდეც ბოლოსდაბოლოს. ეს იქნებოდა ნეტარებაც და მისი არსებობის გამართლებაც ასე თუ ისე.

მოაგონდებოდა ქვაბთახევი.

და გაახსენდებოდა ბუდა.

მოუნდებოდა, როგორ მოუნდებოდა ქვაბთახევს სტუმრებოდა, მაგრამ ბევრი საქმე დაეყრებოდა თავზე, ძალიან ბევრი სამუშაო, აგერ 16 ივნისიც მოაწევდა და... იქ წასვლას ვიღა ჩიოდა, ძილი და მოსვენებაც აღარ ეწერა.

„გია" უნდა გადაებეჭდა შავად, შემდეგ – თეთრად. ოთხიოდე ფორმა გამოდიოდა. ცოტა ედიდებოდა.

წაიკითხავდა კორექტურას ავტობიოგრაფიული რომანისა „მუსიკა ქარში".

კმაყოფილი დარჩებოდა, თუმცაღა ბევრი რამ არ მოეწონებოდა. საწიგნედ რომ ამზადებდა, ალაგ-ალაგ ძალაუნებურად ზრდიდა და ჭიმავდა, და დატყობოდა ეს მანიპულაცია: ზოგ ნოველას – ავად, ზოგსაც – ძალიან კარგად.

ერთი რედაქციული ჩაჯდომა საჭიროდ ესახებოდა მაინც, დასვენებულ, დაწყნარებულ გუნებაზე უნდა ჩაესწორებინა და... ჩაემთლიანებინა – ჭეიშვილური ნაოლოგიზმი – ოდესმე.

რუსულად ითარგმნებოდა და... ალბათ აღარც მიუბრუნდებოდა...

ის ორწიგნეული თუ ეღირსებოდა, მეორე წიგნისათვის უმნიშვნელო ცვლილებებს შეიტანდა ამ რომანში და... ეს იქნებოდა და ეს.

ძალიან იმოქმედებდა ომარის სიკვდილი.

22 ივნისს მძაფრად წამოუტივტივდებოდა ის წვიმიანი დღე, კოკისპირულად რომ დასცხებდა გამოსვენების ჟამს. სასაფლაოზეც წვიმდა თითქოს და... სამარე მშრალი დახვდებოდათ. ეს მივიდოდა პირველი და მესაფლავეებს დაუწყებდა ძებნას. მშრალი სამარე გააკვირვებდა.

რეალური სურათია თუ წარმოსახვითი?

ჭეიშვილურია, ერთობ ჭეიშვილურია და იმიტომ:

კოკისპირულ წვიმაში მშრალი სამარე.

წარმოსახვა ჩაიჭრებოდა მთელი არსებით ყოფით რეალობაში თუ ყოფითი რეალობა თვითვე უიგივდებოდა წარმოსახვას?

თუმც... განა სულერთი არ არის?

შემჩნევით ამას რეზო ჭეიშვილი თუ შეამჩნევდა, და რა ბედენაა – მართლა მშრალი დახვდებოდა სამარე თუ წარმოსახვა შეიწოვდა, შეითვისებდა ერთიანად ყოფითობას, რათა სიმბოლური შინაარსით განემსჭვალა!..

გამოსვლით კიდევ ვერ გამოვიდოდა იმ მძიმე შთაბეჭდილებიდან: მთელი ბავშვობა ერთად გაეტარებინათ. თავს მარტოდ, ეულად იგრძნობდა და ძალიან დაწყდებოდა გული: როგორ გაგვიშინაურდა სიკვდილიო.

ფეხბურთებით გადაიტვირთებოდა – ეს ტელევიზორიო, ეს უძილობაო, ეს სამუშაოო.

ამასობაში ერთ ლიბრეტო-განცხადებასაც კი დაწერდა.

23 ივნისს აპირებდა „გიას" ბეჭდვა დაეწყო შავად, თუ დრო დარჩებოდა. და აღმოხდებოდა: არ დამრჩება ალბათო.

ეს სტუდიაო, ეს გუბაზის უმაღლესის წინამოსამზადებელი საქმეებიო, ეს კომისარიატზე ფიქრიო, ეს მანქანის მიყვანა ელექტრიკოსთანო და... ღამით კიდევ ეს ფეხბურთებიო... არა, ფეხბურთის მატჩები რომ მორჩებოდა, მერე რაღა ეღონა? დარდი, საქმე და საფიქრალი არ დაელეოდა, მაგრამ გასართობი? ისიც გამოჩნდებაო, – თავს დაიიმედებდა.

5 ივლისის ჩანაწერი გვამცნობს, რომ:

ამ დღეებში წერის თავიც არ ექნებოდა.

გარდაიცვლებოდა გურამ ასათიანი. რეზოს ძმაკაცი ნოდარი ჩამოვიდოდა იმ დღეს, კვაჭიელას ეძახდნენ ისედაც და ახლა დაკვანჭალობდა მშვენივრად. სხვაფრივ მოკეთებულიყო კიდეც.

ღამით ისე გრილოდა, ველარ გაეგო, ეს რანაირი ივლისიაო.

მუშაობდა „გიაზე", ბეჭდავდა შავად.

11 ივლისს ამოისუნთქებდა:

კიდეც მორჩებოდა შავად „გიას" გადაბეჭდვას.

2 აგვისტოს ღამის 2 საათზე ზუსტად:

წაიკითხავდა და გვერდზე გადადებდა ამ მოთხრობას. დღეს დაემთავრებინა ბეჭდვა და ხვალ უკვე უნდა მიეტანა „მნათობის" რედაქციაში – ელოდებოდა არჩილ სულაკაური. „კომპოზიტორი ჩირიბერიძე" – როგორც ამას შეეტყო ხანმოკლე გასაუბრებით – ძალიან მოსწონებოდა და აპირებდა დაბეჭდვას, თუმც „გია" ჯერ არ წაეკითხა ცხადია.

თვითონ რომ გადაიკითხავდა რეზო ჭეიშვილი... მთლად თავზარი არ დაეცემოდა, მაგრამ პირველი ნახევარი ძალიან – როგორც ხდებოდა ხოლმე – დიახ, სწორედაც ძალიან ჩვეულებრივი მოეჩვენებოდა და თავს შეუწყრებოდა: ხომ არ ვიჩქარე გადაბეჭდვაო? იცოდა განა, ადრე უჯობდა თუ გვიან? მაინც მთლად განწირულადაც არ ეჩვენებოდა: ვნახოთ, დაველოდოთ შედეგსო.

ვახტანგ ჭელიძეს ვერ დაებეჭდა „კომპოზიტორი ჩირიბერიძე", უარს არ ეტყოდა, მაგრამ რაღაცას ყოყმანობდა, აწყობილი ედებოდა წინ და: არც იქით იქნებოდა და არც აქეთ, ვერც იმას ეუბნებოდა და ვერც ამას.

და მწარე საყვედური დაცდებოდა: როგორი კაციცაა, ისეც იქცეოდაო.

1983 წლის 28 იანვარს შემოეხმიანებოდა ვახტანგი და აქეთ დაამუნათებდა:

– ის მოთხრობა რომ წაიღე „მნათობში" და იქ დაბეჭდე, იქაც შესწორებული დაიბეჭდა, მე მეტი ხომ არაფერი მითხოვია... ახალ მოთხრობას ველოდები.

და მისალოც წერილს დაუკვეთდა ორშაბათისათვის ელდარ შენგელაიაზე.

უარს არ ეტყოდა ცხადია. ყველაფერს გადადებდა, ამ საქმეს კი უარი არ ეგებოდა.

1 სექტემბერს ხელთ ექნებოდა მოთხრობების კრებული საერთო სახელწოდებით „კვამლი" – სასიგნალო ეგზემპლარები. მამუკა, შვილი, წაიკითხავდა და ეტყოდა, რომ: „ნობელი", „ოპერაცია №" და სხვა ამდაგვარი ნოველები, თუნდ „ჭოკით ხტომა", უფრო მოსწონებოდა, ვიდრე „ჭა" და „კვამლი".

და რეზო უნებლიეთ დაეთანხმებოდა:

ალბათ მართალს ამბობსო.

ხოლო „მუსიკა ქარში": არა და არ დაადგებოდა საშველი მის გამოსვლას. რაც მეტს მოინდომებდა, მეტადაც შეფერხდებოდა. არაფერი გამოვიდოდა. „კვამლისათვის" არ მიეხედა, არც გამომცემლობაში მისულიყო, არც სტამბაში, წელს ჩაეშვათ და წელსვე გაემზადებინათ, მთელი ტირაჟიც – 20 000 ცალი – აიკინძებოდა ალბათ სექტემბერში.

მალე მოვა შემოდგომაო: ამას წინწკლები რად უნდოდა, მაგრამ მაინც შემოსავდა – გალაკტიონს გაგვახსენებდა, ყოველ შემთხვევაში მიგვახვედრებდა, იმის სტრიქონთა მუსიკა რომ უტრიალებდა გულსა და გონებაში.

მოვიდოდა მალე შემოდგომა და... ყველაფერსაც გადათიბავდა...

5 სექტემბერს ბოლო კორექტურას წაიკითხავდა რომანისა „მუსიკა ქარში", და ისეთი შეგრძნება დაეუფლებოდა: კიდევ უნდოდა ერთი ხელის გაკვრა, ერთი ჩასწორებაო. მიუხედავად ამისა: მოეწონებოდა, კმაყოფილი დარჩებოდა. მოეწონებოდა ნაწილ-ნაწილ და მთლიანადაც.

სარჩევს გადაათვალიერებდა, ნოველებს დათვლიდა და – თუ შეცდომა არ იყო – 101 გამოვიდოდა. მეტი ეგონა რატომღაც. რაკიღა ასე მომხდარიყო, შემდეგისათვის ერთს გამოაკლებდა, ან ორს გააერთიანებდა და დარჩენილიყო ბარემ 100, როგორც იყო ნათქვამი. და იქვე მიადევნებდა: ოღონდ არა ჩაფიქრებულიო.

იბეჭდებოდა საძაგელ ქაღალდზე, საძაგელ სტამბასა და გამომცემლობაში. გამოსულიყო ოღონდაც და აღარ დაეძებდა.

სანოდიოში რომ ჩავიდოდა 29 (რაღა ოცდაცხრაო, – ჩაურთავდა) სექტემბერს, იქ ეტყოდნენ:

– შენი წიგნი „კვამლი" იყიდებოდა დღეს რუსთაველზე, ოპერის წინ და იყო წეწვა-გლეჯა, ახლოს მისვლა ვერ მოვახერხეთ.

ეს მორიდებით:

– ასეა ყველა წიგნზე.

– მთლად ასეც არ არის.

– მთლად ასე არა, მაგრამ მაინც ასეა.

რაღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ მიანიჭებდა, თუმც ცხადია ესიამოვნებოდა. მთლად ასეც რომ არ იყო, თვითონაც ხომ მოეხსენებოდა – წიგნებს იტაცებდნენ დახლებს მისეული მკითხველები, მაგრამ... ისეთი წეწვა-გლეჯა, რომ ვერც მიუახლოვდებოდი?!.

არადა არ ელირსებოდა ავტობიოგრაფიულ რომანს გამოსვლა. თარგმანსაც ვერ მიიყვანდნენ ბოლომდე.

– რას მიშვრებიან, შეიძლება ჭკუიდან შეგშალონ, – ატყობდა წონასწორობას ჰკარგავდა.

ამ ერთ კვირაში თუ წიგნი მოსკოვში არ იქნებოდა, ამოვარდებოდა კიდეც გეგმიდან.

ალექსანდრე ებანოიძეც უხერხულ დღეში ჩაეგდო. არადა ასე ნაჩქარევად ნათარგმნი და ნაჩქარევადვე გამოცემული რა იქნებოდა?! ნერვები ეშლებოდა და გახსენებაც აღარ უნდოდა.

აღარ იყო ის დრო, ოღონდაც რუსულად თარგმნილიყო და მოსკოვში გამოცემულიყო და: თვით კონსტანტინე გამსახურდიაც ყაბულს გახლდათ, როგორც გინდა შეგეცვალა და გადაგეკეთებინა მისი ნაწერი, შენს ნებაზე ამოგეყარა, ჩაგემატებინა, მხატვრული მრწამსიც შეგეტრიალებინა... მთავარია ითქმოდა: რუსულად ითარგმნაო, მოსკოვში გამოიცაო... და აქ თავსაც გამოიდებდა ამხელა მიღწევით, ხუმრობა ხომ არ იყო, მოსკოვი იმეტებდა შენთვის მწერლის „სპრავკას"...

ზოგი ამჯერადაც დაეთანხმებოდა ამგვარ ჩარევებს – უხეშზე უხეშსა და ლიტერატურის აბუჩად ამგდებს, მაგრამ რეზო ჭეიშვილი არ იყაბულებდა... თუმც რას მიაღწევდა – გამოასწორებდა რაიმეს თუ რა?!.

28 სექტემბერს ისე მოეძალებოდა ლეჩხუმური, ნაწილობრივ ოკრიბულ-რაჭული დიალექტით, მეტყველებით – თუნდაც დღევანდელით – ლექსიკით აღფრთოვანება, ჩანიშვნითაც როგორ არა ჩაეინიშნა: საოცრად მდიდარიაო.

გამოქვეყნებულ და ზეპირ ტექსტებში იმდენი უცნობი და საგულისხმო – ჟღერადობით, მნიშვნელობით, ნიუანსით – სიტყვა მოიპოვებოდა, როგორ არ გაოცდებოდი, თუკი ენის განცდა გქონდა.

და აღფრთოვანებას... უეცრად გაგულისება შეცვლიდა და დიდ დანაშაულად მოიხსენიებდა ქართულ სალიტერატურო ენად ქართლურ-კახურის გაბატონებას.

როგორ ამბობდნენ?

ნაწილობრივ იმერულისო.

ნაწილობრივი განა?

და ვერ აეხსნა, რას ნიშნავდა იმერული და კახური, რაკიღა:

ქართული ენა ერთია და ერთიანი უნდა ყოფილიყო ყველა კუთხის, მეგრულ-ჭანურის ჩათვლით, დიალექტზე აღმოცენებული.

მეტიც – რეზო ჭეიშვილის მტკიცე რწმენით:

დასავლური დიალექტი უნდა ყოფილიყო ძირითადი, მეგრულისა და სვანურის გათვალისწინებით.

მაფშალიას ამჯობინებდა დღევანდელ თათრულ ბულბულს.

ქვიშნას უმჯობესად მიიჩნევდა დღევანდელ აზერბაიჯანულ ალუბალზე.

რამდენი ამისთანა მაგალითის მოხმობა შეეძლო კიდევ, და როგორ არ დაედო ბრალი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისათვის": საძაგლადაა შედგენილიო ამ გაგებითო.

ეს იმიტომ, რომ: თითქმის ყველა ხალხურ, ცოცხალ დასავლურ სიტყვას, რომელიც მათ დადგენილ ნორმებს არ ესადაგებოდა, მიწერილი ჰქონდა: კუთხ. იმერული, კუთხ. გურული... და ეს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამ სიტყვის შემცველი და ადეკვატური არაფერი არსებობდა.

ცალკე კვლევის საგნად მიიჩნევდა ამ ყოველივეს. დაკვირვებით უნდა შესწავლილიყო, უამრავი ფაქტობრივი მასალაც მოზიდულიყო, თორემ მისი ეს თამამი, საჩოთირო, „საყოყმანები" განცხადება უაპელაციო აღმოჩნდებოდა.

თვით „ვეფხისტყაოსანშიც" – ამათი გაგებით – რამდენი „იმერიზმი" გვხვდებოდა. სახელდახელოდ და სანიმუშოდ იმ სტრიქონს რომ ჩაინიშნავდა: ვერ დაიჭირავს სიკვდილსაო.

30 სექტემბერს წაიკითხავდა დაბეჭდილ „კომპოზიტორ ჩირიბერიძეს" და... ჩვეულებრივი არა, მაგრამ... გაუგებარი კი მოეჩვენებოდა.

როგორ ეტყოდა დაბეჭდვამდე არჩილ სულაკაური?

ორჯერ წავიკითხეო.

მაშინ იმ ორჯერ წაკითხვას მოწონებად ჩაუთვლიდა, ახლა კი იფიქრებდა: თავდაპირველად შეიძლება იმანაც ვერა გაიგო რაო.

და ძალაუნებურად გაუჩნდებოდა შეკითხვა:

ნაიკითხავს კი მკითხველიც ორჯერო?

გაუგებარი თითქოს არაფერი იყო, თუმც ხომ არ ესაჭიროებოდა შიგადაშიგ რაღაც-რაღაცები ჩამატება და განათება ამ თვალსაზრისით?

იქნებ ის აბზაცი – სადაც განმარტებული იყო რაღაც – უნდა დაეტოვებინა?

აწონ-დაწონიდა და:

მაინც და მართლაც მის ამოღებას გაამართლებდა.

და თავს დაიმშვიდებდა:

განწყობილება ხომ არის, სხვა თუ არაფერიო...

4 ოქტომბრის ღამეს ჩაინიშნავდა, რომ:

სურდა „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი" სურათებიან წიგნად გამოეცა. კრებულშიც შეჰქონდა და ამიტომაც ცოტა გაჰკრავ-გამოჰკრავდა ხელს. რამდენი ხანია პიესადაც დაეწერა, რეზო ესაძეს რომ უნდა დაედგა და ეროსი მანჯგალაძეს უნდა ეთამაშა. ედო და ედო უქმად, იცოდა: კარგი იყო – მაგრამ რად გინდოდა...

წიგნის გამოსვლას რომ არა და არ დაადგებოდა საშველი, 27 ოქტომბერს გაღიზიანებას ვეღარ შეიკავებდა: დამპალი გამომცემლობა „მერანი", ამდენი უსაქმური ერთად და ჩვენი დაწესებულებისათვისაც კი შეუფერებელიაო. „კომუნისტის" სტამბა ხომ – მთლად საოცრება. რამ შემაგდებინა იქ წიგნი. რომ მცოდნოდა, ამას როგორ ჩავიდენდიო.

წინა დღით ისე მოიშლებოდა, წნევა აუწევდა. საღამოს ორ ჭიქა ღვინოს დალევდა და... ცხვირიდან სისხლი წასკდებოდა.

ორ სასულიერო პირთან შეხვედრისას ამას იმათ ღვთისმოსაობაში რომ შეეპარებოდა ეჭვი, ისინი ამისას რას იწამებდნენ, აბა როგორ ეთქვა?!.

სწამდა თუ არა ღვთის არსებობა?

ყოველ შემთხვევაში ათეისტი და ღმერთის მგმობელი არ გახლდათ. თავისი მსოფლმხედველობა – თუკი ასეთი რამ მოეპოვებოდა – ნაწილობრივ „დალიში" გამოეკვეთა. რაღაც დიდი საიდუმლო რომ არსებობდა, ამას გრძნობდა. თვითონ რელიგიის თაყვანისმცემელი კი არა ყოფილა არასოდეს.

შოთა რუსთველთან ღმერთი წარმოდგებოდა.

დავით გურამიშვილთან – ქრისტიანობა.

აკაკი წერეთელთან – გაორება-დაეჭვება.

და აქედან, ამ დაკვირვებებიდან გამომდინარე ვარაუდობდა, რომ:

ქართველი კაცი ქრისტიანი არ გახლდათ თავისი ბუნებით, ხასიათით, სული და უკვდავება კი სწამდა არაცნობიერად. შესაძლოა ოდესმე – თუ საშუალება მიეცემოდა და საამისო გუნება-განწყობილებაც ექნებოდა – ჩამოეყალიბებინა და ფურცელზეც გადაეტანა ეს ნაფიქრალ-ნააზრევი.

1 ნოემბერს სცენარზე გადაწყვეტდა მუშაობას. იქნებ მიეხრჩო წლის ბოლომდე. წიგნს ჩააბარებდა – 32 ფორმას დაახლოებით. „მუსიკა ქარში" დაემატებოდა. წიგნად გამოსვლას არ აღგებოდა საშველი. მგონი გადასაბეჭდი გაუხდებოდა და... მაშინ იქნებოდა ცოდვა.

6 ნოემბერს აღნიშნავდა, რომ: მიშა ჭიაურელთან მოლაპარაკების შემდეგ უნდა დაეწყო სცენარის წერა. მოიხაზებოდა და უკვე მთლიანდებოდა კიდეც გონებაში მომავალი სცენარის კონტურები.

9 ნოემბერს იყიდდა და წაიკითხავდა შალვა კარმელის ლექსების პატარა წიგნუკას – კოლაუ ნადირაძის მშვენიერი წინასიტყვაობით. ბავშვი მომკვდარიყო თითქმის. 23 წელი – ცოტა გახლდათ პოეტისთვისაც კი. 27-28 წელი საკმარისი უნდა ყოფილიყო წესით. ამის შემდეგ აღარაფერიც რომ არ დაეწერა, პოეტად უნდა დარჩენილიყო, თუკი მართლა პოეტი გახლდათ.

15 ნოემბრისათვის კი გადაიკითხავდა ორ წიგნს, ორივეს ავტობიოგრაფიული ყაიდისას: მიხაილ ბოტვინიკის „აღთქმული მიზნისაკენ" და რასულ გამზათოვის „ჩემი დაღესტანი".

ბოტვინიკს შეაფასებდა როგორ ცივ, საქმიან ანალიტიკოსს, გამზატოვს კი – ტემპერამენტით მოლაყბეს. ორივე საინტერესოდ მოეჩვენებოდა რაღაცაში, პრინციპში, ოღონდ მწერლად არც ერთს მიიჩნევდა და არც მეორეს. ბოტვინიკი არც სდებდა თავს მწერლობაზე, აი გამზათოვი კი...

უყურებდა ყურადღებით ს. (სიომას ანუ ლეონიდ ბრეჟნევის) დაკრძალვის ცერემონიალს. მიხვდებოდა: კომედიის მონაწილეობა ადამიანებს რაღაც შვებას რომ ანიჭებდათ.

სტალინის სიკვდილი კარგად დაამახსოვრდებოდა. მაშინ რომ ტელევიზია არ არსებობდა, სამწუხაროდ მიითვლიდა. რადიოს სამგლოვიარო არხებზე გადართავდნენ და: „გაფრინდი, შავო მერცხალოს" რომ დაუკრავდნენ კამერული ანსამბლის შესრულებით, გაოცდებოდა. ადამიანური, მოკვდავის თვისებებით რომ შეამკობდნენ თვით სტალინს, გაუკვირდებოდა. არწივი, ლომი, რკინა და რვალი ეწოდებოდა მანამდე მხოლოდდამხოლოდ, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე სულაც გააღმერთებდნენ.

სკოლიდან გაიყვანდნენ 1952 წლის შემოდგომაზე, მოედანზე შეყრიდნენ ტრანსპარანტებით, ლოზუნგებით. რა ხდებოდა, ვერ გაეგო.

სტალინს კენჭი უნდა ეყაროსო.

ეგონებოდა: ქუთაისის საარჩევნო ოლქს თუ დათანხმდა კენჭისყრაზეო.

თურმე კანდიდატად დაესახელებინათ, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირს, და ამაზე გამართულიყო გრანდიოზული მიტინგი აქაც.

საღამოს თეატრში მოხვდებოდა რაღაცნაირად საზეიმო საღამოზე. იქნებოდა ბელადის თაყვანისცემა, ოვაციები, რაც კინაღამ ისტერიკაშიც გადაიზრდებოდა. ტრანსში ჩაცვივდებოდნენ. სამხედრო-საესტრადო ორკესტრი უკრავდა, ორი ქართველი მღეროდა: სტალინი ჩვენი გაზრდილი არი, სტალინი მამაა ჩვენიო. კინაღამ – იქნებ არც კინაღამ – შეიშლებოდა მაყურებელი.

შემდეგ გარდაცვალების სამგლოვიარო მიტინგი.

მთელი ქალაქი მოედანზე და ბაღში გამოეფინებოდა, იდგებოდნენ, მოუსმენდნენ რადიოს, პარტიის, ხელმძღვანელების ცივ და უსულგულო სიტყვებს. არადა: ხალხს ტირილი ენდომებოდა და მაინც იცრემლებოდნენ.

ეს ბაღის მთავარ ჭიშკართან იდგებოდა. დღევანდელი კოლონადა იყო მაშინ: აგონდებოდა, რომ იყო. ლამაზი ქალი კორდელია მძივებივით ყრიდა ცრემლებს შეღებილი ნამწამებიდან; მოშორებით დევდარიანი – სახანძრო დაცვის უფროსი, უზარმაზარი ტანის, დიდთავა პიროვნება, გადაბმულად რომ ეწეოდა პაპიროსს.

ამ სცენებს შეიტანდა, ნაწილობრივ რასაკვირველია, რომანში „ჩემი მეგობარი ნოდარი" თავის დროზე. თავზარი დაეცემოდა კონსტანტინე ლორთქიფანიძეს მის წაკითხვაზე. სულელად ჩათვლიდა ავტორს ცხადია. ამოაღებინებდა იმ სცენებს რაღა ლაპარაკი უნდოდა. ჰქონდა თითქოს შემონახული ის ფრაგმენტები.

მაშინ ვერ ხვდებოდა, ნაადრევი რომ იყო, მაშინ კი არა, 1966-67 წლებში, ახლაც ნაადრევი გახლდათ. გახსენების დროც დადგებოდა, როგორ არ დადგებოდა, ოღონდ მოგვიანებით...

და გუნებაში რომ დაიანგარიშებდა:

შეიძლება 29 წელი დაჭირდეს ამ გახსენების გახსენებასო.

რაკილა უკან სწორედ 29 წელი მოტოვებულიყო, ამის კვალობაზე ახსენებდა იმ კიდევ 29-ს, სადღაც ბუნდოვანებაში ჩაკარგულს ისედაც, გულში რომ ნატრობდა: ნეტა ამ 29-მ იკმაროსო... არადა რა მალე, რა ძალიან მალე, რა ძალიან, ძალიან მალე უნდა შეცვლილიყო, შეცვლილიყო კი არა, ამოტრიალებულიყო ეს ყოველივე, გარედან მტკიცე და შეუვალ ციხე-სიმაგრედ რომ გამოიყურებდა, ერთ უზარმაზარ საკონცენტრაციო ბანაკად, სადაც ვერც გატოკდებოდი...

ორი დღის თავზე გადაწყვეტდა, რომ მუხრან მაჭავარიანთან დაეწყო მუშაობა „საუნჯის" რედაქციაში. მაინც იქ, იმ შენობაში დადიოდა, შინ ვერ ჩერდებოდა და... ბარემ ხელფასსაც აიღებდა. იქნებოდა საძმაკაცოში და ილაპარაკებდა.

მაინც კვამლი, ნაცარი და საუბარი იყო ადამიანის ცხოვრება, როგორც ეთქვა მარკუსს ავრელიუსს.

ღადაობით და ლაპარაკით უნდა გალიო წუთისოფელიო, – ეს განცდა თუ ფიქრიც გაუჩნდებოდა.

ბევრი ფული რომ ჰქონოდა, მწერლობასაც დაანებებდა თავს, სცენარს არ დაწერდა ყოველიშემთხვევისათვის, წიგნების გამოცემაზე არ იზრუნებდა, არ იჩქარებდა.

ჩანაწერებს კი აუცილებლად გააკეთებდა და: იხითხითებდა, იკვნესებდა, იტირებდა თუ... რა ჯანდაბას იზამდა კიდევ?

სცენარების წერას ისედაც ძალიან რომ გაებეზრებინა, რა ნეტარებთი ამოთქვამდა იმ ბევრი ფულის წარმოდგენისას: აღარ დავწერდიო.

მწერლობისათვის თავის დანებება ცხელ გულზე წამოცდებოდა და... შეფიქრიანდებოდა, რომ შესაძლოა უიმისოდ მთლად ვერ გაეძლო.

აი დღიურს კი არ მოეშვებოდა და არა.

თვით ფულით გადავსებულიც.

და იქ იხითხითებდა, იქ იკვნესებდა, იქ იტირებდა – თუ მაინცდამაინც...

როგორ იმეორებდა ხოლმე მიხეილ მგალობლიშვილი?

ერთი „იაშიკი" ფული რომ მომცა, ავაშენებდი ქოხს მაღალ მთაზე, ვიყიდდი დურბინდს და დავიწყებდი ზემოდან ყურებას, დავაკვირდებოდი ხალხს და სიცილით მოვკვდებოდიო.

და ეს რომ ჩაუფიქრდებოდა იმ ნათქვამს, მიიჩნევდა, რომ: დურბინდის მაგივრობას დღესდღეობით ტელევიზორი უფრო შეასრულებდა.

მჯდარიყავი უნდა და გეყურებინა სპექტაკლ-კომედიებისათვის.

აგერ თუნდ:

რა გახარებულნი ჩანდნენ ზოგიერთები გენერალური მდივნის გასვენების დღეს.

როგორ ჩამოსტიროდა თავპირი,'რა საცოდავად გამოიყურებოდა ჩვენი.

ამ სიტყვას ამჯობინებდა ედუარდ შევარდნაძის მოსახსენიებლად, ღიმილ-ღიმილით რომ მისჩერებოდა მის ჩამოტირებულ (გაურკვევლობისაგან ცხადია) თავპირს.

და ვარაუდით ივარაუდებდა:

აწი უფრო და უფრო სწრაფად განვითარდება მოვლენები, ვხვდები და ვგრძნობო...

მაშ ის „29"-ც იქით და იქით კი აღარ მიიკარგებოდა ბუნდოვანებაში, აქეთ და აქეთ გადმოიწევდა, თვალწინ ასვეტილ ნისლსა და ბურში.

ფილოსოფოსობის გუნებაზე დადგებოდა, მოვლენების სწრაფი დატრიალების შეგრძნება უხილავთანაც მიაახლოებდა უნებურად და ამ გონივრულ აზრს აპოვნინებდა, ყოველ შემთხვევაში – იმწუთიერი თვალსაზრისით გონივრულს:

უდიდესი ბედნიერება იქნება, თუ სიკვდილზე სიკვდილამდე არ იფიქრებ. სიკვდილზე ნაფიქრალი და განცდილი ყველა წუთი სიცოცხლისათვის დაკარგულიაო.

ადამიანს გაჩენასავით ვერ უნდა გაეგო გაქრობა.

არადა სიბერეც უბედურება იყო. ღრმა სიბერე კი სიკვდილის მოლოდინი, გაძლებაზე, დაავადებაზე ფიქრი, წვალება და თვალის ახვევა.

4 თუ 5 ნოემბერს ტახტზე წამოწოლილი წაიკითხავდა ო ' ჰენრის ნოველების კრებულს, გახუნებულ იასამნისფერ წიგნს. იჩრდილავდა მზეს და კითხულობდა სიამოვნებით.

ეს რა საინტერესო მწერალიაო, – ფიქრობდა.

როგორ წერდა, ძნელი სათქმელი გახლდათ თარგმანის მიხედვით, მაგრამ კარგად რომ ჰყვებოდა, ცხადი იყო.

მის ნაკლს მისივე დამსახურება განსაზღვრავდა:

ფინალისთვის, ამბის ანეკდოტად დამრგვალებისათვის შეეწირა ყველაფერი და ხელოვნურობაში გადავარდნილიყო. ამ თვითმიზანს ემსხვერპლებოდა თითქოს...

აქ შეჩერდებოდა რეზო ჭეიშვილი, კიდევ ერთხელ აწონ-დაწონიდა და:

თუმც ამაშიცაა რაღაც მომხიბვლელიო.

დიახ: თვით ხელოვნურობაშიც – ოღონდ ეფექტური ფინალური აკორდისათვის.

ოღონდაც ამბავი ანეკდოტივით მომრგვალებულიყო და... დაე ამისათვის შეგეწირა ყველაფერი.

თვითონ რეზო ჭეიშვილი რომ ყოველთვის გაურბოდა თვითმიზნურ ფინალს? ამბის ანეკდოტად დამრგვალებისათვის ერთხელ რა არის, ერთხელაც რომ არ გაწირავდა იმ ყველაფერს?

არც მჭირდებაო, – ფიქრობდა და არ ამხელდა. ფინალის დიდოსტატად მიაჩნდა თავი და აბა დიდოსტატი ან თვითმიზანს როგორ გამოეკიდებოდა და ან ანეკდოტად დამრგვალებას როგორ შეწირავდა ყველაფერს.

ო ' ჰენრის კი შემწყნარებლურად უყურებდა მაინც, იმ რაღაც მომხიბვლელობასაც არ დაუკარგავდა. დაუფასებდა, ასეთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას რომ ანიჭებდა ნოველის ფინალს. თუ დიდოსტატი ვერ იყავი, ვერც თვითმიზანს გაექცეოდი და ვერც ყველაფრის გაწირვის ცთუნებას, ოღონდაც მოულოდნელი და ეფექტური ფინალური აკორდი გამოგეძებნა.

ნოველა სხვა რა იყო, ამ ჟანრს სხვა რა განსაზღვრავდა:

ფინალური აკორდი.

ოღონდ ბუნებრივი, ბუნებრივი, ბუნებრივი უნდა ყოფილიყო.

ამ თვალით უკვირდებოდა ქართულ თუ უცხოურ ნოველებს, ის კი არა – მოთხრობებსა და რომანებსაც, ფინალი როგორ ასწევდა – ანდა გააფერმკრთალებდა – მანამდელ თხრობას.

„დიდოსტატი ვარ“... დღიურს მაინც სცოდნოდა მისი ეს ფარული სიამაყე.

30 ნოემბერს, სამშაბათს, სტუდიის დღეს იქ რომ შეივლიდა:

– ახალ სამსახურში გადადიხარ თურმე და არ გირჩევ, – ეტყოდა რევაზ ინანიშვილი.

– ჯერ არ ვიცი, გადავდივარ თუ არა, თუ გადავედი, აქაც დავრჩები, – მიუგებდა.

მოეწონებოდათ თუ არა მისი ეს განცხადება, ვერ შეატყობდა. ძალიან უჭირდა, სტუდიას რომ თანდათან შორდებოდა, აქტიურად რომ აღარ გახლდათ მასთან დაკავშირებული. შესჩვეოდა და ახლა აღარც კი უნდოდა იქ ყოფნა თითქოს. არადა: ბოლობოლო ხომ უნდა დაენებებინა მისთვის თავი.

და კიდეც დაიწყებდა მუშაობას „საუნჯის" რედაქციაში. ხელფასი ექნებოდა და დრო. დღისით მაინც ვერ დგებოდა შინ და გაერთობოდა მაინც: ჩვენებური სამსახური, განსაკუთრებით – ჩვენ სფეროში, გართობაა კინაღამო.

23 დეკემბერს „მუსიკა ქარში" რამდენიმე გვერდს ჩაასწორებდა და 25-ისათვის შეპირდებოდნენ ბეჭდვის დაწყებას, მაგრამ ეს რაღაც ვეღარ იჯერებდა და ვეღარ.

მუშაობდა სცენარზე, ახრჩობდა წვალებით. სათაურიც ვერ შეერჩია ჯერ.

ორიოდე დღე რომ დარჩებოდა 1983 წლამდე, კიდეც მოათავებდა უსათაურო სცენარს, „ნელი დიქსილენდს" დააწერდა ლიბრეტოს და ახლა თუნდ „კალენიკე ლეჩხუმელს" დაახატავდა. წაიკითხავდა და... მოეწონებოდა. ხასიათები გამოიკვეთებოდა, ფინალიც გამოვიდოდა. რა დასამალია და: ახლა უკვე დაენანებოდა სცენარად. გადაბეჭდავდა. რამდენიმე მოთხრობა ჰქონდა დასაწერი თვენახევარში „ცისკრის" მე-4 ნომერში დასაბეჭდად: შეეპირებინათ.

მუხრან მაჭავარიანი ჰკითხავდა 21 იანვარს, რომ ჩამოდგებოდა ის 1983 წელი:

– რამდენი ფორმა გექნება დაწერილი იმ დღიდან დღემდე?

ეს ჩაფიქრდებოდა, სახელდახელოდ ანონ-დაწონიდა გუნებაში, გადაიანგარიშებდა და:

– დასაბეჭდად რომ მემეტება: 80 ფორმა.

იმას ერთბაშად მიხვედრა გაუჭირდებოდა:

– ბევრია თუ ცოტა, არ ვიცი.

ამისთვის ბევრი გახლდათ და სხვისათვის შესაძლოა ცოტაც ყოფილიყო.

80 სასტამბო ფორმის იქით სულ რამდენიმე დაუმუშავებელი და გამოუსადეგარი მოთხრობა დარჩებოდა, მეტი – არა. ეგ იყო და ეგ. ვარიანტები – უკვე დასტამბული – სცენარები და პიესები კიდევ სხვა გახლდათ.

ან ამდენი როგორ მოესწრო, უკვირდა თვითონაც და სხვასაც.

მისი ხასიათის, ცხოვრების ნირისა და პირობების კაცისაგან ესეც მოულოდნელი იყო.

იფიქრებდა და ასე დაასკვნიდა:

კაცი ყოველთვის მოასწრებდა იმას, რისთვისაც მოევლინებინა გამჩენს. მოასწრებდა, რაც უნდა ხელისშემშლელი პირობები შექმნოდა.

და უეცრად წაფილოსოფოსების გუნებაზე დადგებოდა: რისთვის ვართ მოვლენილნი და – უპირველესად ჩვენნაირის შექმნისათვისო.

ჯერ ერთი: შთამომავლობისათვის, სიცოცხლის განგრძობისათვის, ამას არა სჭირდებოდა დიდი დრო და ხანი.

მეორეც: პროგრესისათვის.

ვიღაცა თითქოს გვაყურადებდა, გვითვალთვალებდა, სადამდე მივიდოდა ადამიანი თავისთვის. ამისათვის კი საჭირო იყო აზრისა და ტექნიკის განვითარება, შექმნა, აშენება, ჩაწვდომა, გამოგონება... სხვადასხვანაირად ასრულებდა ამ მოვალეობას სხვადასხვა ადამიანი, დრო ყოფნიდათ, ყოფნიდა იმიტომ, რომ – ერთი იწყებდა, მეორე ამთავრებდა და ასე შემდეგ.

და მესამეც: სიმშვიდისა და კეთილშობილებისათვის, ზნეობისათვის. რაც უნდა პარადოქსულად მოგვჩვენებოდა, ადამიანი დღესდღეობით ზნეობრივად უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ოდესმე, და კიდევ უფრო მაღლა დადგებოდა მომავალში.

ამისთვის არსებობდა ხელოვნება ყველა თავისი დარგით. ადამიანიც დაკანონებულ ხანში, უფრო სწორად საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობისას ასწრებდა სიმღერას, ცეკვას, ხატვას, წერას...

ასე რომ მოესწროთ და გასაკეთებელიც გაეკეთებინათ, უპირველესად ლეონარდო და ვინჩისა და მიქელანჯელო ბუონაროტის სახელები გამოაგონდებოდა.

და მაშინაა, ლევ ტოლსტოის ის მრავალმხრივ დამაფიქვრელი და გულისშემძვრელი პასუხი რომ წამოუტივტივდებოდა შეკითხვაზე, სიცოცხლის მიმწუხრისას რომ დაუსვამდნენ: რატომ მხატვრულ ნაწარმოებს აღარ წერო?

– მრცხვენია! – მიუგებდა.

და რეზო ჭეიშვილი აკი ასე ახსნიდა ამ პასუხს:

კარგა ხნის შეჩერებული იყო აზროვნების, ოსტატობის, თხრობისა და ჭეშმარიტების ვერშეცნობის ერთ გარკვეულ დონეზე და მეტზე წასვლას ვეღარ ახერხებდაო.

ასევე დაემართებოდათ გოეთესაც და სხვებსაც.

თავიანთი საქმელის თქმა მოესწროთ: ალექსანდრე პუშკინს, მიხაილ ლერმონტოვსა და ნიკოლოზ ბარათაშვილსაც კი.

რაღა ბევრი გაეგრძელებინა: ჩვენი არსებობა ამ სამი პუნქტით გახლდათ ძირითადად განპირობებული, განშტოებებიანად რასაკვირველია.

ასეთი შეკითხვაც ებადებოდა:

რატომ ცოცხლობდა ადამიანი სრულიად უმოქმედოდ ანუ შემოქმედების გარეშე ასი წელიც და მეტიც, 150 თუნდაც?

იმიტომ, რომ ადამიანის ასაკს ზღვარი არ დასდებოდა, სხვებისათვის სამაგალითოდ და საიმედოდ ერთეულებს გამოაკერებდა გამჩენი ზოგჯერ ცას, რათა სხვებსაც იმ იმედით ეცოცხლათ, ეფიქრათ, შეიძლება მეც იმათ ხანამდე მოვიყაროო.

ცოტა გაუმართავი მოეჩვენებოდა ეს აზრი, მაგრამ სწორებას აღარ დაუწყებდა და უფრო ზუსტად ჩამოყალიბებას შემდგომისათვის გადადებდა.

და... ბავშვის სიკვდილი რაღას ნიშნავდა?

ბუნება არ დაუშვებდა, რომ ბავშვი არ მომკვდარიყო, რადგანაც: სულ მიშვებული იქნებოდა მაშინ მათი მოვლა-პატრონობა და აღზრდაც კი. აღარ იქნებოდა სიყვარული, შიში და ძრწოლა.

ძალიან გაერთობოდა ფილოსოფოსობაში, თავის პერსონაჟებივით, და უეცრად რომ ამოყვინთავდა ამგვარი ფიქრებიდან, ჟარგონული გამოთქმით მოკვეთდა:

რა გავახურეო!..

13 თებერვალს რომ გამოვიდოდა ბოლოსდაბოლოს „მუსიკა ქარში“, საავტორო ეგზემპლარებზე ტარიელ ჭანტურია ეტყოდა:

– მშვენიერი გამოცემულია, საკითხავი წიგნი სწორედ ასეთი უნდა იყოს.

ესეც ატყობდა, მართლაც რომ არა ტოვებდა ცუდ შთაბეჭდილებას ერთი შეხედვით. წაკითხვით ჯერ არავის წაეკითხა.

მუსიკალურ კომედიის თეატრში „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს“ ნახავდა – ლალი ნიკოლაძის დადგმას. დედამისი დაპატიჟებდათ. სტუდენტობის შემდგომ ამ თეატრის წარმოდგენა აღარ ენახა. ჩოხელისა და მოსაშვილის, სარალიძისა და სხვების მონაწილეობით გამართული სპექტაკლები ახსოვდა. ჩოხელის ქალი კიდევ თამაშობდა თურმე. რეჟისორულად რაღაცას ჰგავდა კიდეც თითქოს. დონე – თეატრში – ალბათ მაინც დაბალი უნდა ყოფილიყო.

მეჯღანუაშვილების პრობლემაც, რაზედაც იქ ხაზი გასმულიყო და რაც ნამეტანი თვალსაჩინოდ გამოკვეთილიყო, თითქოს აღარც იდგა. მართლაც – ფულის ბატონობა, ფულით ყოვლიშემძლეობა დღევანდელ სინამდვილეში არ იგრძნობოდა.

სხვა რამ ეჩვენებოდა საწუხარ-სადარდებლად და სათავშისაცემოდ:

სულიერი დაცემა, გახრწნა მასობრივი, კორუფცია, ეროვნული საკითხი...

მინაწერად მიადევნებდა:

ეს ნამდვილია, კარგია, რომ გაძღნენ და ეროვნულ-პატრიოტული ლექსების კითხვა დაიწყეს, კარგია, მაგრამ არა მილიონერის პოზიციიდან, არამედ უბრალოდ გამძღარი კაცის ფსიქოლოგიიდან გამომდინარეო.

12 მარტის ჩანაწერის პოსტსკრიპტუმში მიაყოლებდა, რომ:

საღამოს მაროს ესტუმრებოდა მიშას „საქმის“ გამოსართმევად. მასპინძელი უჯრის გასაღებს ვერ მოძებნიდა და ხვალისათვის შეპირდებოდა.

თუ მოუტანდა, კარგი იქნებოდა, მაშინვე შეუდგებოდა მუშაობას ჯერ მასალაზე, შემდეგ წერასაც დაიწყებდა და წლის მიწურულამდე მორჩებოდა ალბათ „ბედის ტრიალს“.

16 მარტს უკვე მაგიდაზე ედებოდა მიშას საქმე №... გადაავლებდა თვალს და: საოცარი მასალა აღმოჩნდებოდა, სწორედაც საამისო, და აღმოხდებოდა: ბედნიერებაა, ასეთი რამ ჩემნაირ მწერალს რომ ჩაუვარდება ხელთო.

ეს წელი მხოლოდ ამ საქმით იქნებოდა დაკავებული.

სათაურად „ბედის ტრიალი“ ცხადია პირობითი იყო, არც ვარგოდა, ინიციალები მოსწონდა მხოლოდ და ამგვარად დანომრავდა ახალ რვეულს, სადაც ჩანაწერებს, სიუჟეტურ მონახაზს, ესკიზებს თუ სხვა ამდაგვარ რაიმეს გააკეთებდა. მოუწევდა სიარული აღმასკომებში, სასამართლოებში სამოქალაქო საქმეებზე დასასწრებად. დრო უნდა გამოენახა უეჭველად.

აღმასკომში ისედაც მოუწევდა მისვლა – მამუკასათვის აიღებდა რაღაც ცნობას – და მისდა გასაოცრად: ძალიან იოლად და უხათაბალოდ. გრძელი, ვიწრო დერეფნები, აქეთ-იქით ჩარიგებული კარებები, უცნაური ოთახი, სადაც შევიდოდა, ქალები, უადგილო ალაგას, თითქმის შუა კაბინეტში, დალაგებული ქალის ნახმარი წითელი ჩექმები.

ესეც „ბედის ტრიალის" პირველი მკრთალი სურათი:

დავიმახსოვროთ ეს დღე და შევუდგეთ „საქმეს": გაცნობას, დანომრვასა და დახასიათებასო.

მიხეილ ჭიაურელ-უმცროსთან ერთობლივი სცენარი უნდა გაესწორებინა და გადაემუშავებინა, თორემ სხვა სამუშაოს ხელს არა ჰკიდებდა ჯერჯერობით. წერითაც არა წერდა.

ათვალიერებდა და ახარისხებდა მიშას საქმეს, მასალის ხელში ჩაგდების ბედნიერებად რომ მიითვლიდა და მოვალედ მიიჩნევდა თავს, ხორციც შესაფერისად შეესხა.

* * *

დაბადების თარიღი 24 მაისი რომ ეწერებოდა დაბადების მოწმობაშიც და სხვა საბუთებშიც, 1983 წლის ამ დღესაც ძალაუნებურად ამოუტივტივდებოდა დედის ნათქვამი:

– ერთი თვის დაგვიანებით ავიღე ეგ საბუთი; საპირველმაისოდ გამოვეწერე სამშობიარო სახლიდან.

სამშობიარო ყოფილიყო მაშინდელ ქალაქის ცენტრში, „სანიმუშო ფურნის" წინ, ამჟამინდელი კინოთეატრის, აბანოს რომ ჰგავდა, გვერდით, კიროვის – მალე აღარ ერქმეოდა – ქუჩაზე. იქიდან გაეპარებინათ და მიეყვანათ საფიჩხიის სასაფლაოსთან, სადაც მდგმურად მდგარან მისი მშობლები.

რამდენჯერმე დაანახვებდა ბენია შვილს იმ სახლს, მაგრამ ეს ზუსტად ვერა და ვერ დაიმახსოვრებდა. ხელახლა დასჭირდებოდა – ატყობდა – დაგზაკვალიანება.

გუშინვე დედის საფლავზე გავიდოდა. ნახავდა სასაფლაოს გამოსუფთავებულ ეკლესიას, აღდგენასა და ამოქმედებას რომ უპირებდნენ. იქვე იდგებოდა სამონყალო ყუთი, რეზოც რომ შეეწეოდა მცირეოდენით. საფიჩხიის ამაღლების ეკლესიაც გაიხსნებოდა და ეკლესია გახდებოდა კვლავინდებურად...

მუშაობდნენ აღდგენაზე. ის კარი გაეღოთ, რომელიც ჩაგმანული იქნებოდა რეზო ჭეიშვილის მოკლე ცხოვრებისა და მახსოვრობის განმავლობაში.

კარი მესამე

თავი პირველი

სიცრუის ზეიმი...
სიმართლე კულისებში...

აჰა ისევ მოვიდოდა ახალი წელი და სულ მალე ჩამოდგებოდა 1980.

და ძალდაუტანებლად ამოუტივტივდებოდა ხსოვნაში გრიგოლ ორბელიანის მწარე ჩივილი: გულს მიკლავს უიმედობაო.

საერთაშორისო მდგომარეობა იყო და: უკიდურესად დაძაბული.

ირგვლივ კი:

ტყუილი, არაგულწრფელობა, სულმოკლეობა.

ოჯახი – არეული, ცხოვრება აწეწილი, ტელევიზორში – ტყუილი, გაზეთებში – ტყუილი... სიცრუის ზეიმი.

მეორე მსოფლიო ომი რომ დამთავრდებოდა, ვიღაც ეტყოდა ეფუთში ჩაწერილს: 1947 წელს ისევ ომი დაიწყებაო. არ ესიამოვნებოდა, დაფიქრდებოდა, დაიანგარიშებდა და: ორი წელი მშვიდობა იქნება და ორი წელი როდის გავაო. სადღაც შორეულ რიცხვად წარმოესახებოდა 47 და დამშვიდდებოდა.

ელიმებოდა შორეული გადმოსახედიდან: რა ნელა გადის ბავშვისათვის დროო. მაშინ მართლაც ნელა გავიდოდა, შემდეგ კი სწრაფად – 47, 57, 77 და... უკვე 1980 წელიც მოადგებოდა.

დაინტერესდებოდა, რას წერდა ილია ზუსტად 100 წლის წინათ, 1879 წლის 31 დეკემბერს, და გულისწუხილს ამოიკითხავდა მასთანაც, რომ:

ამდენ წელიწადს გაევლო და ერთი იმისთანა არ შეხვედროდა ქართველობას, ნუგეშით რომ გაეჩერებინათ მასზე თვალი და მადლიერების გულით ეთქვათ: იყავ და გაგრძელდიო. ყოველი ახალი წლის მოსვლასაც ბევრჯერ მივგებებოდით რაღაც იმედითა და ნატვრით, მაგრამ მოსულიყო, წასულიყო ახალი და: ფუჭად ჩაეტარებინა იგი ნატვრა და იგი იმედი.

თითქოს დრო არც გასულიყოს, საუკუნე არც შემოტრიალებულიყოს და ილია ათას რვაასის კი არა, ათას ცხრაასის 79 წლის 31 დეკემბერს მისჩერებოდა და არ აგონდებოდა ერთი იმისთანა წელიწადიც, ხალხს რომ ათქმევინებდა: იყავ და გაგრძელდიო.

იმედსა და ნატვრას რომ ჩაბღაუჭებოდი კვლავინდებურად, მაგრამ ხელში გადნებოდა იგი ნატვრა და იგი იმედი.

გიხშობდნენ და გიხრჩობდნენ რელიგიურ გრძნობებს.

გიხრჩობდნენ ეროვნულ ადათ-წესებს.

გიხრჩობდნენ მშობლიურ ენას.

გიხრჩობდნენ და გიხშობდნენ ეროვნული ენერგიის რწმენას.

და ტრიალებდი ტოტალურად, ტოტალურად, ტოტალურად გამეფებული სიცრუის მორევში.

* * *

28 ოქტომბერს 1981 წლისა წიგნის ჩაწებება-გასწორებას ჩაუჯდებოდა. „დაგვიანებულ პასუხს" მოსდევდა „ფედია", ბუნებრივად უკავშირდებოდნენ ერთმანეთს და ერთიც – მესამე – უნდა მიეყოლებინა: იმდაგვარივე ხასიათის პატარა ნოველა. დღესვე მოინდომებდა დაწერას და ვერ მოახერხებდა. ორი ნოველა კიდევ ცალკე ჰქონდა დასაწერი, მაგრამ ისინი ბოლოში დაერთვოდა და წიგნის ჩაბარების შემდეგაც შეეძლო მიეტანა. ვიდრე რედაქტორი წაიკითხავდა, სულ ცოტა ერთი თვე გავიდოდა.

მაინც ვერ დაუდებდა მუშაობას გულს.

შესანიშნავი ამინდი იდგებოდა და იმიტომ.

წასვლა მოუნდებოდა – განწყობილების კვალობაზე: მოწყურდებოდა უფრო მიესადაგება – დასავლეთისაკენ, შემოდგომის დასავლეთი ააფორიაქებდა.

ხვალ ან ზეგ შეიძლება უდაბნოში გაჭრილიყო. გარეჯი – ტბა ჯანდარი და უკან – რუსთავის გზით.

1 ნოემბრისი ჩანაწერი გვამცნობდა, რომ:

სიცხე ექნებოდა გუშინაც და დღესაც. გააციებდა და გააცხელებდა და ტანჯვასა და ნეტარებაში ჩაეფლობოდა ერთდროულად.

დავით გარეჯში ძალზე შილიფად ჩაცმული გაემგზავრებოდა და საგარეჯოში გაცივდებოდა საღამოსვე, თუმც ამინდი იმ დღეს მშვენიერი იდგებოდა.

გამგზავრებით გივი ძნელაძესთან, იორამ ქემერტელიძესა და ლევან მალაზონიასთან ერთად გაემგზავრებოდა, და საგარეჯოში ჩავიდოდნენ თუ არა, იმწამსვე გამოვიდოდა საერთო ნაცნობი ნუგზარ ჭ., თბილისში წამოსვლას რომ ეპირებოდა, მაგრამ ცოტა რომ შეყოყმანდებოდა: უჩემოდ თქვენ ვერაფერს ნახავთო, – ეტყოდათ და დაემგზავრებოდათ კიდეც. მართლაც უცხო გზებზე, სათიბებზე ატარებდათ. დიდებული იქნებოდა უდაბნო. ჩერდებოდნენ, გადმოდიოდნენ მანქანიდან და აღტაცებას ვერა ფარავდნენ.

მოხრეშილ სამანქანო გზებზე რომ გადავიდოდნენ, გამოირკვეოდა, რომ შესაძლოა მიჰყვებოდათ „ვოლგა", რომელშიც მილიციის კაპიტანი – ამას კაპიტნად მოეჩვენებოდა – იჯდებოდა.

და ნუგზარი:

– ჩვენ მოგვყვება.

– რა უნდა? – გადაირეოდა რეზო ჭეიშვილი.

– თამრიკო ჩხეიძე და მისი ორი ამხანაგი გადაუსახლებიათ უდაბნოში, ახლადაღორძინებულ სოფელში და იქ ხომ არ მივდივართ, გვამოწმებს.

ჩაივლიდნენ იმ სოფელს, მაგრამ „ვოლგა" მაინც მისდევდათ, რეზოს მანქანის საშინელ მტვერშიც არ მოეშვებოდათ. ამას გზა შეეშლებოდა, სადღაც

უგზოზე გადაუხვევდა და „ვოლგაც“ ძალაუნებურად გადაასწრებდათ. ახლა ესენი აედევნებოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ დაინახავდნენ: ბუჩქებში გადაეყენებინა მანქანა და თვითონ კაპიტანი მინდორში გადმოსულიყო.

ნუგზარი იცნობდა და ხელს დაუქნევდა: ხომ არაფერი გინდაო?

არა, წადით, წადითო, – მიუგებდა.

რეზოს მაინც არა სჯეროდა, ამათუ თუ მიჰყვებოდა. ამოვიდოდა დავით გარეჯაში, რაღაც შენობაში შეუხვევდა, სადაც მცველთა და რესტავრატორთა სადგომები უნდა ყოფილიყო...

ესენი დაათვალიერებდნენ ყველაფერს, კაპიტანიც გადაავიწყდებოდათ და მისი მანქანაც, შეღამებულზე გამოსწევდნენ და... აგერ არ მოჰყვებოდათ კუდში?!. ერთ ალაგას რეზო გააჩერებდა განგებ, ვითომ რაღაც გაუფუჭდებოდა. ისიც გაჩერდებოდა და ეკლიანში შეიმალებოდა. იქით გზა არა ჰქონდათ, მაგრამ შიგ იმ სოფელში შევიდოდნენ, სადაც თურმე თამრიკო და მისი ორი თანამოაზრე იმყოფებოდნენ. არ იცნობდა, არასოდეს ენახა, შესახედავად როგორი იყო, ისიც არ ეცოდინებოდა. იბორიალებდნენ სოფელში და უკვე ბნელშიღა დაადგებოდნენ გზას. მდევარი გზაკვალს დაჰკარგავდა თუ თავს დაანებებდათ, ეს დაბეჯითებით ვეღარას იტყოდა.

– არ უნდა გეწყინოთ, მაგის მეტი საქმე კი არა აქვს! – ეტყოდათ მასპინძელი, ამნაირ საქმეებში გამოცდილი და ნაძველბიჭარი.

დიდებული დღე კი გამოდგებოდა, ძალიან კმაყოფილი დაბრუნდებოდა შინ.

რაღაც უზარმაზარ სოფელს რომ აშენებდნენ, სტანდარტულს, დიდსახლებიანს, და იქაურობას აღორძინებას რომ ესწრაფოდნენ, ეს იჭვნეულად გადააქნევდა თავს: გამოვა კი რაიმეო?

აზერბაიჯანი გვიტევდა და გვიტევდა. დაახლოებით 40 პროცენტს შეადგენდა მათი სკოლამდელი ბავშვების რაოდენობა თურმე მარტო საგარეჯოს რაიონში.

33 პროცენტსო, – დაუზუსტებდათ ნუგზარი, მაგრამ ამას გუნება ვერ გამოუკეთდებოდა.

* * *

ნოდარ წულეისკირი როგორ მოხვდებოდა ამ დღიურის ფურცლებზე და:

1983 წლის 6 აპრილს შეხვდებოდა კინოსტუდიაში. რას აკეთებდა, ეს აღარც ეკითხებოდა.

– წაგიყვან, – მანქანას შესთავაზებდა ერთ დღესაც.

– გზას არ გაგიმრუდებ, – არ ჩაუჯდებოდა.

მარტოხელა, გარიყული მგელივითააო, – ორიოდ სტრიქონში ასე ჩანურავდა მის სილუეტსაც და მისი ცხოვრების წესსაც, – დიდი პორტფელით დააბიჯებს სრულიად მარტოო.

გაურბოდნენ, როგორც ხელისუფლებისაგან შერისხულს.

თვითონაც არ იკლავდა თავს მაინცდამაინც სხვებთან დაახლოებითა და მათში ტრიალით. პიროვნული ბუნება პიროვნულ ბუნებად და: არ აყენებდა უხერხულ მდგომარეობაში არავის. მის გვერდით ყოფნა – ისევე როგორც

ზვიად გამსახურდიასი თუ აკაკი ბაქრაძისა – დისიდენტად გამოგაჩენდა ხელისუფლების თვალში და... რატომ დაებრკოლებინა ვინმე კარიერისა თუ პრემიების მოხვეჭის გზაზე?!.

ის კი არა: „მონანიების“ იდეა სულაც მისი იქნებოდა – ამ თემასა და სიუჟეტურ ქარგაზე უიმედოდ რომ წერდა რომანს „აფთარი“, რაკიღა მისი გამოქვეყნება ამ პოლიტიკურ რეალობაში წარმოუდგენლად მიაჩნდა – და კიდეც შთააგონებდა და აიყოლიებდა თენგიზ აბულაძეს კინოფილმის გადასაღებად, სცენარის მომზადებასაც თვითონ დაიწყებდა, მერე სხვებიც რომ შეემატებოდნენ (ნანა ჯანელიძე და რევაზ კვესელავა), ოღონდ ნოდარივე შესთავაზებდა რეჟისორს: ტიტრებში ჩემს გვარ-სახელს ნუ გავამხელთ, ფილმისათვის დამაბრკოლებლად არ იქცესო.

თვითონვე შესთავაზებდა სწორედაც!.. რატომ გაერთულებინა ფილმის წინსვლა?!.

გზას არ გაგიმრუდებო...

თითქოსდა მანქანით დამგზავრებას იგულისხმებდა, მაგრამ მიუხვდებოდა რეზო ჭეიშვილი: მე მიფრთხილდება, თვალში არავის მოხვდეს ჩვენი ერთად ყოფნაო... მერე კი: ვინ სად დაგასმენდა, ვინ სად წაგაკეცავდა, ვინ სად გამოგდებდა სარმას...

მარტოხელა, გარიყული მგელიო, – ამით გამოხატავდა თავის პატივისცემას ნოდარ წულეისკირის მიმართ და, დღიურში კი აღარ ჩაინიშნავდა, მაგრამ როგორ არ გაუელვებდა გონებაში ხალხური ლექსის ის სტრიქონები: სამი რამ არ გაიწრთვნება – მგელი, არწივი, კაი ყმაო...

აგერ თვალსაჩინოება, რომ: არ გაიწრთვნებოდა, არ მოთვინიერდებოდა, არ დამორჩილდებოდა...

გარეგნულად კი რა: დააბიჯებდა ეულად დიდი პორტფელით ნოდარ წულეისკირი.

* * *

29 და 30 ოქტომბერს შინიდან არ გავიდოდა. გუშინ ისეთი არაფერი, დღეს იქნებოდა რია-რია – პარადი. კიდევ კარგი, ტელევიზორშიც არ შეხედავდა. რომ ენახა, ძალიან მოიშლებოდა და... რაღაცას ჩაიდენდა უთუოდ. წინანდელ „მონების ზეიმზე“, სინოიას – ასე მოიხსენიებდა ლეონიდ ბრეჟნევს – ჩამოსვლასთან დაკავშირებით რომ გაიმართებოდა, სიგარეტს დაანებებდა თავს. მას შემდეგ ზუსტად ორწელიწადნახევარი გავიდოდა. დღეს ის სისაძაგლე რომ ენახა – ღვინოს ისედაც აღარ სვამდა – რაღას უნდა შეშვებოდა, რისი აღთქმა უნდა დაედო ნეტა?!.

ექვსი დღის თავზე კიდევ პარადი ექნებოდათ... კიდევ გაყრიდნენ ხალხს, ისევ დააჭერინებდნენ ტრანსპარანტებს, არბენინებდნენ, აყვირებდნენ, ამღერებდნენ, აცეკვებდნენ... ვის წინაშე იტლინკავებდნენ?.. იმ არარაობის წინაშე?.. ცხვრის ფარად ვქცეულიყავით თუ... კიდევ უარესადაც?!.

„ხალხზეო“, დაწერდა და იქვე დააზუსტებდა, რომ: ბრბოზე საცოდავი და საშიში არაფერი ეგულებოდა ამქვეყნად.

გულგატეხილი გახლდათ დიდად...

ნუთუ პასიური წინააღმდეგობის – თუნდ ამასავით – გაწევაც აღარ შეეძლოთ?..

და ასეთ მოსაზრებას გამოთქვამდა:

ზრდასრულ მოქალაქეთა დაახლოებით 40 პროცენტი მაინც ჩემსავით რომ ცხოვრობდეს, უეჭველად დაიშლებოდა ეს სახელმწიფოო.

ასეთი ფორმულა არავის მიესადაგებინა საბჭოთა კავშირის დაშლისათვის:

40 პროცენტს რეზო ჭეიშვილივით რომ ეცხოვრა!..

პასიური წინააღმდეგობაც იკმარებდა.

ქალი მიადგებოდა გუშინწინ, პარასკევს, მორიდებით. შემოიტანდა სიას, რომელზეც ხელი უნდა მოეწერა:

– ოთარ ნოდიას განკარგულებაა, პარადზე უნდა გახვიდეთ.

– სიამოვნებით, – მიუგებდა, – ხელს კი მოგიწერთ, მაგრამ პარადზე არ გავალ.

– რატომ? – ცნობისმოყვარეობა წაძლევდა ქალს.

– სურვილი არა მაქვს.

რომ ეიძულებინათ, გინდა თუ არა ტაში დაუკარიო, დაუკრავდა, მხოლოდ... ხელებს ხმას არ გააღებინებდა.

ტელეფონი გამორთული ედგმეოდა. 80 მანეთამდე იქნებოდა ფული გადასახდელი. გაზეთები გამოსაწერი იყო და... დარჩენილიყო და ეგაა უჟურნალგაზეთებოდ. პარტიის საწევროს კარგა ხანია აღარ იხდიდა. რაღაც უნდა მიეშავებინა მაინც. ათი წლის გადაუხდელ, ყოველ შემთხვევაში შეუვსებელ წიგნაკს რომ ნახავდნენ, აღარ გარიცხავდნენ?

ამას უკვე 31 ოქტომბერს ჩაინიშნავდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის ფორმულისათვის კი მიეგნო:

ზრდასრულ მოსახლეთა 40 პროცენტი გარეზოჭეიშვილდებოდა და... ქვეყნიერების ზარდამცემი სახელმწიფოსაგან ნამსხვრევებიღა დარჩებოდა.

ამგენის ზეიმი რომ იწყებოდა ხვალიდან თუ ზეგიდან, ქუთაისში მოუწევდა ალბათ წასვლა, როგორც 5 ნოემბრის დღიურშიც ჩაიწერდა, ნაამაგენ თუ ნაამგენარ ზეიმზე ხელმოწერილი წიგნი უნდა წაეღო დასაბეჭდად. სხვა რა იყო ახალი? არც არაფერი, მაგრამ იქნებოდა ალბათ...

6 ნოემბერს დაასრულებდა ჩინგიზ აითმათოვის გახმაურებულ რომანს: „და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე". რამდენად სწორად გადმოეღოთ სათაური, ვერ იტყოდა, მაგრამ თარგმანი კარგი იყო – რუსულიდან ქებულაძის მიერ შესრულებული, და თვითონ წიგნი? სისულელეებით გამოტენილი... და მაინც კარგი!..

კვლავ ჭეიშვილური პარადოქსი.

მოეწონებოდა მანქურთობის ისტორია, ტრამალები, მატარებლები, ძერა და დაკრძალვის პროცესია. და დასძენდა: ესენი რომ დაეტოვებინა მხოლოდ, მართლაც კარგი იქნებოდაო.

უილიამ ფოლკნერის შემოქმედება შესაფერისად რომ სცოდნოდა, დაკრძალვის პროცესია – რომანის ქარგაც და მხატვრული კონცეფციაც – ვეღარ მოხიბლავდა და ერთს მისებურად ჩაიღიმებდა გუნებაში: „სული რომ ამომდიოდა" ნამეტანი წამოუღია,ვითომ მარკესი არ აკლდა მძარცველად, ესეც რომ მიმატებიაო.

საგულისხმოა, რომ აითმათოვის რომანი მანქურთობის ისტორიით უფრო შემორჩებოდა ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებასაც – თავისებურ სიმბოლოდ რომ დამკვიდრდებოდა წარსულდავიწყებული, ფესვებამოკვეთილი, გადაგვარებული, ყოველგვარი უკეთური დავალების უსიტყვოდ შემსრულებელი ადამიანისა.

– ღმერთი ჩემს ფიქრებშია, – ასე ალაპარაკებდა ერთ გმირს, მოხუცებულს, და – ქართველი თანამოკალმის შეტყობით – თავის მსოფლმხედველობას უფრო გამოხატავდა ყირგიზი მწერალი, პრინციპულად მოაზროვნე ადამიანთა „აღმოჩენას". რეზოს პირველად არ ესმოდა ეს აზრი.

განუწყვეტლივ რომ იმეორებდა აითმათოვი: მატარებლები აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიგრიალებენო?

პროვინციალიზმად მოიხსენიებდა რეზოამ რეფრენს.

ხვალ 7 ნოემბერი რომ უნდა გათენებულიყო, პეტრე ჭაბუკიანისა არ იყოს, „ამგენის" დღესასწაული, დაინტერესდებოდა, თუ რაიმე ჩაეწერა შარშან ამ დროს...

ო ' ჰენრიზე გამოეთქვა აზრი... აივანზე იწვებოდა, მზეს იჩრდილავდა და ისე კითხულობდა თურმე. დღესაც ამნაირი ამინდი იდგებოდა ზუსტად.

პარადზე გამოსასვლელად ახლაც გააფრთხილებდნენ. ცხადია არ წავიდოდა – არც თვითონ, არც მეუღლე და არც შვილები. არც ყოფილიყვნენ არასდროს.

თითქმის 30 წელია – 29 ყოველ შემთხვევაში – თბილისში ცხოვრობდა და სულ ორჯერ იქნებოდა პარადზე. და ორივეჯე კინოსტუდიიდან... ერთხელ – 1 მაისს და ერთხელაც – 7 ნოემბერს. წასასვლელი არსად ექნებოდა „პახმელიაზე" მყოფს: სად წავიდე, სად წავიდეო?.. – ბჭობდა და პარადზე წავიდოდა, ამხანაგებს მიაკითხავდა.

ზეიმის დამთავრების შემდეგ ორივეჯერ სპარტაკ ბაღაშვილი გადაუდგებოდათ და წაიყვანდათ შინ... ველარ მოეგონებინა ქუჩის სახელი... სადღაც მალაკნების ბაზრის იქით კი იყო, თუ ვორონცოვით გადავიდოდნენ, მოედნიდან რომ ფეხით ავიდოდნენ, ახსოვდა. ორივეჯერ იოსკა თარხნიშვილი დადგებოდა თამადად. ორივეჯერ მივიდოდა სპარტაკის და – საინტერესო ქალი... მეუღლე – ხალისიანი დიასახლისი და მშვენიერი სუფრა, თბილი ვახშამი – ესეც ზეიმზე გასვლის შედეგი.

უნდა გასულიყო პარადზე – სტუდენტობიდან ითვლიდა, მაშინ უკვე სავალდებულო გახლდათ – 58-ჯერ, გავიდოდა 2-ჯერ, და სავსებით საკმარისად მიიჩნევდა.

ესეც სტატისტიკა იყო – თავისებურად საამაყოც, ყოველ შემთხვევაში დღიურის ფურცლებზე!..

20 ნოემბერს „ძალზე მძიმე, უმძიმეს დღეებად“ მოიხსენიებდა ამ ორ კვირას...

არ გაეწირა ბედს, ასეთნაირად რომ ეთამაშებოდა წელს. აინტერესებდა, რითი იქნებოდა ღირსშესანიშნავი ეს 1983 წელი და... არაფერი საინტერესო... სახიფათოდ იწყებოდა ეს წელი, ბოლო თვეში გადავიდოდნენ მალე და, ღმერთს შეევედრებოდა: მშვიდობა ჰქენიო!..

საშინელი ტრაგედია გათამაშდებდა აეროდრომზე, თვითმფრინავში, ქორწილის შემდეგ.

ესენიც იქნებოდნენ დაპატიჟებულნი ხუთშაბათს „დურუჯში“. გულდაგულ ეპატიჟებოდა, იმ დროსაც დაურეკავდა პატარძლის დედა.

ეს პასუხად: ასეთი და ასეთი ამბავი გვჭირსო...

და ის: იქნებ მაინც მოხვიდეთ, ცოტა ხნითო.

ვინ დაღუპულიყო (ზუსტად), ვინ დაჭრილიყო, ვინ გადარჩენილიყო, ჯერ ვერ შეიტყობდა...

არაფერი მოულოდნელი არ მოეჩვენებოდა თვით ამ ფაქტშიც კი.

ბოლოსდაბოლოს სადღაც უნდა გამსკდარიყო, სადღაც უნდა ეფეთქა, სადღაც უნდა დაღვრილიყო.

სათქმელად ადვილი გახლდათ!.. ახლა იმათი მშობლებისა გვეკითხა!..

არადა: სუნთქვაც აღარ შეიძლებოდა გაუგებრობაში, სიცრუეში, სიყალბეში...

გასაგებია, რასაც გულისხმობდა თუ გამჭვირვალედ მიგვანიშნებდა დღიური – თვითმფრინავის გატაცების ის სენსაციური ეპიზოდი, ასე საბედისწეროდ რომ დაუმთავრდებოდა საბჭოეთიდან გაღწევის მსურველ ამ მცირე ჯგუფს.

რეზო ჭეიშვილს არამცთუ მოულოდნელი არ ეჩვენებოდა გაღწევის ეს მცდელობა, ამართლებდა ამ ახალგაზრდების მოქმედებას: სუნთქვაც აღარ შეიძლება გაუგებრობაში, სიცრუეში, სიყალბეშიო... და როგორ გაემტყუნებინა ისინი, რომელთაც სუნთქვა ისე მოწყურებოდათ, აქ გაჩერება აღარ შეეძლოთ... აღარ შეეძლოთ და...

დღეს კიდევ ზეიმი ექნებოდა წითელ ხიდთან... ისევ ცეკვა-თამაშს აჩვენებდნენ... და ძალდაუტანებლად მოადგებოდა ბაგეზე ის ანდაზა: ქვეყანა ინგრეოდა და ციბაძე ბუქნას შვებოდაო.

ხვალ შეიძლება ქუთაისში მოხდომოდა გავარდნა – წიგნის წასაღებად სტამბაში. ცენზორს თუ ხელი ჰქონდა მოწერილი, წავიდოდა და ეგ იქნებოდა.

ცუდ დღეში გახლდათ...

მანქანასაც პარავდნენ და დაატოვებინებდნენ. მეორე მანქანით კინაღამ მძიმე ავარიას მოახდენდა... მაინც არ დალევდა და არც მოსწევდა. იმიტომ კი არა, რომ პრინციპზე იდგებოდა... არ უნდოდა არც ერთი და არც მეორე... ცოტა ეძინებოდა და კითხვასაც მოახერხებდა...

უჯრას კი 7 ნოემბრის შემდეგ დღესღა გააღებდა პირველად, დღეს გადაშლიდა ამ დღიურსაც. სამუშაოდ კი ვერ დაჯდებოდა და ვერა... ასეთ პირობებში ანკი ვინ იმუშავებდა?!. არადა ნუთუ ასე უნდა ჩაევლო ამ

წელიწადს? ერთი მოთხრობისათვის მაინც არ უნდა წაეწერა წლევანდელი თარიღი? „ბედის ტრიალი" – „ვაიმე, ჩემო ვენახოდ" რომ შეიცვლებოდა სათაური – დიდი იქნებოდა ნამეტანი, და მანამდე რამე პატარა ხომ არ დაეწერა?.. გამოჩნდებოდა...

ან ასე იზამდა, ან ისე.

ღმერთო, როგორ ძულდა 7 ნოემბერი. ეს რვეულიც თავდებოდა, ერთი ფურცელიღა დარჩენილიყო.

წაიკითხავდა „მნათობის" მე-11 და „რიწას" 1 ნომრებს. ეს „რიწა" რა, დისიდენტური ჟურნალი გახლდათ? კარგია, თუ ასეაო, – სხვა რა დაერთო... საერთოდაც კარგ მოვლენად ესახებოდა, ამდაგვარი ალმანახი რომ არსებობდა აფხაზეთის მხარეში...

რობერტ სტურუას „შუშანიკის წამება" დაედგა ოპერაში: „იყო მერვესა წელსა". მუსიკა ბიძინა კვერნაძეს შეექმნა. ამას არ ენახა და რას ნახავდა, ხანძრის მერე იქ აღარ ყოფილიყო, აღდგენილი შენობაც კი არ ენახა.

გაზეთში ამოიკითხავდა, რომ მოქმედება XIX საუკუნეში გადმოეტანათ და... ჩაეცინებოდა: მაშინ კამოს დაზე – ვილაც ქართველზე ყოფილიყო გათხოვილი – დაეწერათ ლიბრეტო, კამოს დაც ხომ სომეხი იქნებოდა, თანაც XIX საუკუნეში მოღვაწეობდა, თანაც რევოლუციონერი, თანაც გრიგორიანი...

რას აღარ გაიგებდი კაცი, გადაირეოდი!..

მთელი ქალაქი თვითმფრინავის „გამტაცებლებზე" რომ ილაპარაკებდა, რა გასაკვირია, რომ ასეც ჩაიწერებოდა 21 ნოემბრის დღიურში. მიხვედრილი ხალხი შეწუხებულიყო ფრიად და ფრიად. რა ექნათ, რა ჩაედინათ მართლაც!.. რა უაზროდ – არა უშედეგოდ – შეწიროდნენ... ენანებოდა, რა ძალიან ენანებოდა ეს ახალგაზრდები...

უაზროდ, მაგრამ არა უშედეგოდ!..

ეგებ ეს ყველაზე მოსადაგებული ფორმულაც იყოს იმ ტრაგიკული ეპიზოდის შეფასებისას, არაერთგვაროვან დამოკიდებულებას რომ გამოიწვევდა იმთავითვე და საკამათოდ ყოველთვისაც დარჩებოდა, ეგაა რეზო ჭეიშვილს აღაშფოთებდა და წონასწორობასაც აკარგვინებდა ის შავი, ბნელი ხალხი: უნდა დახვრიტონ, უნდა დაწვან, უნდა მოკლანო!.. – მეტს რომ არაფერს ამბობდნენ და მოკვლა-დახვრეტა ეკერათ მხოლოდ პირზე...

ცუდი დრო დგება, ძალიან ცუდიო, – დაიგმენდა, – რა გვეშველებაო!..

4 დეკემბერს წამოაგონდებოდა, თუ როგორ სვამდა ერთხელ ლუდს ბოტანიკურ ბაღში მუხრან მაჭავარიანსა და რამდენიმე კაცთან ერთად. გია ლომაძეს გაუშვებდნენ არაყზე, ერთის მაგიერ ორს რომ მოიტანდა და ამხანაგსაც მოიყვანდა – ახალგაზრდა კაცს, ნაბახუსევს, ცხვირგაწითლებულს, ნიაზ დიასამიძეს რომ მიამსგავსებდნენ...

შთამბეჭდავი სახე ექნებოდა და რეზოსაც დაამახსოვრდებოდა.

ის ყოფილიყო გია ტაბიძე, თვითმფრინავში რომ მოკლავდნენ.

როგორც კი შეახსენებდა მუხრანი, ესეც იმწამსვე აღიდგენდა მეხსიერებაში იმის შემოსვლას.

შემდეგ გია ლომაძესაც დაელაპარაკებოდა.

იმას მიეყვანა თავისი სეხნიის დედა მანქანით – სხვა ვერავინ ეკარებოდა – უშიშროების კომიტეტში და იქ შეპირებოდნენ: მოგცემთ გვამს, მხოლოდ ძიების დამთავრების შემდეგო...

ლოდად აწვებოდა გულზე რეზო ჭეიშვილს მისი ყოველი გახსენება.

როგორ უაზროდ, თუმც არა უმიზნოდ დაემთავრებინა სიცოცხლე იმასაც.

უაზროდ, თუმც არა უმიზნოდ.

კვლავ ის ყველაზე მისადაგებული ფორმულა.

სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს ამუშავებდნენ ფსიქოლოგიურადაც თურმე და ისინიც მოითხოვდნენ თინათინ ფეტვიაშვილისა და სხვების მკაცრად დასჯას. სულაც ნარკომანებად უნდოდათ გამოეცხადებინათ.

ასე უკეთესიაო, – ხმას ავრცელებდა გარეწარი.

ნარკომანებად გამოცხადება უკეთესი რატომ იქნებოდა დაპატიმრებულთათვის?

ვითომდა: პოლიტიკურებში არ ჩაითვლებიანო.

გაღიზიანდებოდა რეზო ჭეიშვილი:

თავის თავსა და პრესტიჟს უფრთხილდება, თითქოს ახალგაზრდებზე ზრუნავდესო.

ყველას მამა პარტიიდან გაერიცხათ, სამსახურსაც დაანებებინებდნენ თავს, და: მართლაც რა შუაში იყო მამა, 26-27 წლის შვილის მშობელი?

ცუდად რატომ აღზარდეო, გავლენა რატომ არ მოახდინეო.

და ამას ეს შეკითხვა ებადებოდა:

18 წლის ბიჭები ავღანეთში რომ მიჰყავდათ და თუთიის კუბოებით აბრუნებდნენ, ეკითხებოდნენ მშობლებს?

დეკემბრის კალანდები დამდგარიყო. ცას პირი ჩამოსტიროდა, თუმც ეთბილებოდა მაინც.

კარგი მაყურებელია თბილისშიო, – კიდევ ერთხელ რომ გაიმეორებდნენ 4 დეკემბერსაც, გაღიზიანდებოდა რეზო: გააჩნია რისიო?

სეირის მაყურებლებს არა უშავდათ რა თითქოს.

მოსკოვის „სპარტაკს“ თბილისში რომ ჩაეტარებინა საერთაშორისო მატჩი, საცოდავი ქართველები ღრიალებდნენ და რას ღრიალებდნენ და... ჯერ ისიც ვერ გაერკვიათ, ვის და როგორ უნდა მიმხრობოდნენ და მოპყრობოდნენ.

დღიურის ავტორის შეტყობით:

შავი და ბნელი – უმრავლესობა ჩვენი საზოგადოებისა – ხალხი ღრიალებდა.

და სწორედ ესენი გახლდნენ, რომ მოითხოვდნენ ამ ახალგაზრდების დახვრეტას, რუსების გამარჯვებასა და ასე შემდეგ.

კოტე მახარაძისთანა აფერისტებიც ურევია უმრავლესობაშიო, – რომ დაურთავდა, კოტეს რაღაც გამართლებას მაინც მოუძებნიდა: აფერისტი მაინცააო!.. და სხვები? 37 ათას რაღაც კაცი მისულიყო სტადიონზე ოფიცი-

ალურად, ისე – მეტიც. უბილეთოდ შემოსულებიც დაემატებოდნენ და ცხადია 40 აასამდეც ააღწევდა.

და უკვირდა და წყინდა, წყინდა და უკვირდა:

ამ სამუშაო დღეს, ამ უამინდობაში სხვისი გუნდის თამაშზე რა უნდოდა ამდენ ხალხს სტადიონზე, თანაც პირდაპირი ტელეგადაცემა იმართებოდა ორივე ტაიმისა.

მსოფლიო პირველობის მატჩებს არ ესწრებოდა ამდენი მაყურებელი, და ამიტომაც ეს მიწყვეტა სტადიონზე არა ნიშნავდა ფეხბურთის სიყვარულს, სანახაობის მოხარბეობას...

და მაშ რაღას?

უსაქმურობით – ძირითადად ამით – უნდა ახსნილიყო ყოველივე. და მზერას რომ მიმოატარებდა, შეუძლებლად მიიჩნევდა, რომ: მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქში, აღმოსავლეთში, დასავლეთში, აფრიკაში, ამერიკაში, ამდენი უსაქმური – პროცენტულად – სადმე მოძებნილიყო.

7 მარტს, 1984 წლისა, ყურადღებას მიაქცევდა, რომ: ალპინისტების დაღუპვაზე ილაპარაკებდნენ უგულისყუროდ, არასენსაციურად, გულგრილადაც კი... არადა სადა გვყავდა ექვსი დასაღუპი ახალგაზრდა?!.

საშინელება გახლდათ და... რეზო ჭეიშვილიც ვერ აღიქვამდა საშინელებად რატომღაც.

ავღანეთში დაიღუპაო, – რომ იტყოდნენ,

ჩამოასვენესო, – რომ გააგებინებდნენ,

ტანში ზარავდა.

ამჯერად კი...

და ახსნით ასე ახსნიდა: ეს სხვაა ალბათ და ის სხვაო...

სამწუხარო ბევრი იყო, სასიხარულო – ცოტა, ან პირიქით, ან თანაბრად: ჭეიშვილურს გაპოურევდა დარდის უკუსაყრელად... ცხოვრება კი მიედინებოდა დროისა და ჟამის შესაფერისად. ასე ყოფილიყო და ასე იქნებოდა.

5 სექტემბერს ჩაიწერდა, დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი რომ გრძელდებოდა სიკვდილმისჯილ ბიჭებზე. ორად გაყოფილიყო თითქმის საზოგადოება და ბნელი და უვიცი ხალხი დახვრეტას მოითხოვდა. განაჩენით გახარებულნი ისევ განწირულ ახალგაზრდებსა და მათ მშობლებს აგინებდნენ უშველი სიტყვებით. რამდენი ზიზღი და ღვარძლი იფრქვეოდა ინტელიგენციის მიმართ.

ყველა რომ დაეხვრიტათ ერთ დღეს, ის სურდათ.

საოცარი, გასაშტერებელი ამბავი ხდებოდა ამის შეტყობით.

რამდენიმე, აქა-იქ, მათი თანამოძმეც განაჩენის მომხრე გახლდათ – თუნდაც ის, ის და ის, ქალებზე აღარაფერს ამბობდა.

და ეჭვიც არ ეპარებოდა ამ დებულების სისწორეში, რომ:

უკლებლივ ყველა, ვინც დახვრეტას მოითხოვდა, პოტენციური მკვლელი გახლდათ თვითონვე, ოღონდ ლაჩარი მკვლელი, სხვისი სიკვდილი რომ სურდა სხვისი ხელით – ხელისმოწერით, განაჩენის გამოტანით, ელექტრონის ღილაკზე თითის დაჭერით...

როგორ დაავიწყდებოდა:

ტელევიზიით რომ გამოაცხადებდნენ, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ლამარა ჭყონია მოითხოვს: დამნაშავე დახვრიტეთ და მე დამასწარითო. ბავშვის გამტაცებელზე იქნებოდა ლაპარაკი. და ჰოი რას იჩხავლებდნენ პედაგოგი ქალები: დახვრიტეთო, ჩამოახრჩეთო – და ამისთანებს.

და ძალდაუტანებლად მოტივტივებდა ცნობიერებაში, ოლღა გურამიშვილი ილიას მკვლელთა შეწყალებას რომ მოითხოვდა. ილიას მოკვლაზე დიდი უბედურება მართლაც რაღა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც: შეწყალებაო...

ამ ფონზე კიდევ უფრო თვალნათლივ წარმოჩნდებოდა, რაოდენ დაუნდობელი გახლდათ დაბალი ხალხი!.. ვისაც ხე არ ეცოდებოდა, ცხოველი არ ეცოდებოდა, ისტორიული ძეგლი არ ეცოდებოდა, ადამიანს ვით დაინდობდა?

ამ ყველაფერში კი ბრალი იმ მწარე რეალობას მიუძღოდა, ველურ ინსტინქტებს რომ აღვივებდა, არამცთუ ლაგამი ამოედო: ასწავლიდნენ რამეს ყმაწვილებსა თუ მოზრდილებს, ეუბნებოდნენ რაიმე კეთილშობილურს თუ რა?..

13 სექტემბრის დღიური გვამცნობდა, რომ:

შეიწყალებდნენ თუ არა სასიკვდილოდ განწირულთ, ამაზე იქნებოდა დაუსრულებელი და მღელვარე ლაპარაკი. ხმა ჩამოვიდოდა: ჩინგიზ აითმათოვმა, ვალენტინა ტერეშკოვამ და სხვებმაც მოაწერეს ხელი შეწყალების თხოვნასო...

თვით ისინიც კი ჩაერიათ, მოსკოვისა და კრემლისათვის ანგარიშგასაწევი პიროვნებანი, და მათ თავგამოდებას თითქოს კიდეც უნდა მოჰყოლოდა სასიკეთო შედეგი. ბოლოსდაბოლოს დახვრეტის შეცვლას ითხოვდნენ დაპატიმრებით, გამართლებასა და გამოშვებას ხომ არა.

ეს იქნებოდა სალაპარაკო მაშინდელ თბილისში და ნოდარ დუმბაძის განუკურნებელი სნეულება...

11 ოქტომბერს გულს შეაწყდებოდა:

რამ უნდა გაგახაროს ამ ქვეყანაზე. მგონი დღეისსწორს, იმ კვირის ხუთშაბათს დაუხვრეტიათ ოთხი ახალგაზრდაო.

რისთვის? რატომ?

სისხლის სმის წყურვილით შეპყრობილ ადამიანთა გულის მოსაფხანად, გასახარებლად ალბათ, თორემ სხვა ახსნა ვერ მოეძებნა.

და ედუარდ შევარდნაძის სახე რომ წამოუტივტივდებოდა თვალწინ, წონასწორობასაც დაჰკარგავდა:

ღმერთო, როგორ მძულს ის კაცი. არ გაიხაროს მისმა შთამომავლობამ, მისმა ძირმა და ნაშიერმა. მისი შვილმონაგარის სიკვდილს ვერ ვინატრებ, მაგრამ ძე არ გაჩენილიყოს მის გვარში დღეიდან უკუნითი უკუნისამდეო!..

არადა... რა მშვენიერი ამინდი იდგებოდა.

ხვალ კლდეკარი რომ უნდა დაეპყროთ, გუნება წახდომოდა: რა გულით, რა ხალისითო...

სამ კატეგორიად დაჰყოფდა თანადროულ „შეგნებულ“ საზოგადოებას თვითმფრინავის ბიჭების ტრაგედიასთან დაკავშირებით:

ერთნი: განიცდიდნენ, წუხდნენ და მაინც თავიანთი ცხოვრებით, საქმით, სატკივარითა და სიხარულით ცხოვრობდნენ;

მეორენი: გულგრილ მაყურებლებად ანუ პირუტყვებად რჩებოდნენ;

და მესამენი: ახია მაგათზე, ღირსნი იყვნენო, – რომ გაიძახოდნენ, მკვლელები იყვნენ შინაგანად, ოღონდ – ლაჩარი მკვლელები, პოტენციური ნაძირლები, სადისტები.

3 დეკემბერს, საღამოს გიორგის – შენგელაიას იგულისხმებდა – ფილმს ნახავდა კინოს სახლში – ხალხი, საზოგადოება, მიკითხვა, მოკითხვა.

უყურებდა სიამოვნებით, ინტერესით და არა აღფრთოვანებით, ბოლო სცენა მოეწონებოდა: კარგიაო, – მაგრამ მოეჩვენებოდა, რომ: არ იყო მიყვანილი ბოლომდე...

– რაღაც უნდა თქვას, სათქმელი ისეა დაფარული, რომ ვერ ვიგრძენი; რომ ვერ გავიგე, არაფერია, ვერ ვიგრძენი.

არ დააზუსტებდა ფილმის სათაურს: „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა", გადაღებული ოთარ ჩხეიძის რომანის – „ბორიაყი" – მოტივების მიხედვით, ერლომ ახვლედიანის სცენარით. რომანი წიგნად ჯერაც ვერ გამოქვეყნებულიყო – ფილმი დაასწრებდა: არადა დაწერიდან 16 წელიც ჩავლილიყო. საჟურნალო ვარიანტს დაბეჭდავდა „ცისკარი", ვერ გაბედავდა რედაქცია ფინალური თავების გამოქვეყნებას, რაკიღა 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის ტრაგედიას წარმოსახავდა რომანი, ფინალურ მონაკვეთში კი ულმობელი ხოცვა-ჟლეტისა და დარბევის სურათები გადაშლილიყო.

აკრძალულიყო ხსენებაც კი 1924 წლის ტრაგედიისა, ჰეროიკულ გაბრძოლებადაც რომ შემორჩენოდა იდუმალ, არაოფიციალურ, ზეპირ ისტორიას, რომლის მემატიანეობაც ოთარ ჩხეიძეს ედო თავს, ერთგულადაც მისდევდა გაბედულ განზრახვას და XX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ საგას სათავეში ჩაუყენებდა სწორედ ამ რომანს – „ბორიაყს", ისე წარმოსახულს იმ ამბებს, იმ პირუთვნელობითა და სრულქმნილებით, ღვთის ნება და კაცის მორალი რომ მოითხოვდა. ამიტომაც ვერ ეღირსებოდა და ვერა ძალიან დიდხანს მზის სინათლე, თავით ბოლომდე რომ განათებულიყო მკითხველისათვის.

წიგნად გამოცემისას მოითხოვდნენ:

„ცისკრის" ვერსია განმეორებულიყო, ანდა ანოტაციაში აღნიშნულიყო, რომ: რომანი აღწერდა 1905-7 წლების ამბებს, რევოლუციურ განწყობილებებს, რათა მკითხველი დაბნეულიყო და ჯეროვნად ვეღარ აღექვა, რუსული ოკუპაცია-ძალმომრეობის წინააღმდეგ რომ მიმართულიყო „ბორიაყი", გარდა მხატვრული ძალმოსილებისა, მძაფრ პოლიტიკურ პროტესტადაც წარმომდგარი.

არ თანხმდებოდა ოთარ ჩხეიძე ამ შეუვალ საბჭოთა მოთხოვნას: თუ დაიბეჭდებოდა, მხოლოდდამხოლოდ იმ სახით, მისი ხელიდან როგორც გამოსულიყო, და არც დამაბნეველი ანოტაცია უნდა დართვოდა.

რეჟისორს აღარ დაავალდებულებდა ამდენს, მითუმეტეს – ფილმების მიმართ კიდევ უფრო გამკაცრებულიყო ცენზურა და სრულიად გამორიცხუ-

ლი იქნებოდა გადაღებაც, არამცთუ სამზეოზე გამოეღნია „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობას". ამიტომაც გახმიანდებოდა შიგადაშიგ რამდენჯერმე 1905 წელიც და სახალხო გამოსვლების ხსენებაც. ყველა ვეღარ მიხვდებოდა ცხადია – ანკი როგორ: 1905 წელი... 1924 წელს თუ გულისხმობდა, მაგრამ საქმეში ჩახედულთათვის ეს მაინც მკაფიო უნდა ყოფილიყო.

სათქმელის დაფარულობა ამას გამოეწვია – ცენზურის საცეცებისაგან დასხლტომის აუცილებლობას, სწორედაც აუცილებლობას.

რეზო ჭეიშვილი ვერც იგრძნობდა სათქმელს – რომ ვერ გაიგებდა, კიდევ რა უშავდა, ვერც იგრძნობდა, თუმც იმდენს კი იგრძნობდა და გაიგებდა, რომ: სიამოვნებითა და ინტერესით უყურებდა.

მიხეილ კობახიძეც დაესწრებოდა ფილმის ჩვენებას, გეგა კობახიძის მამა, თვითმფრინავის ბიჭებიდან ერთ-ერთის, სწორედ იმის, ვისი ქორწილითაც უნდა შებურვილიყო აქედან გაღწევის მცდელობა. რეზოს მისი სახე და მზერა არც მთლად დალაგებულად მოეჩვენებოდა, მაგრამ: ვითომც არაფერი. ჩვეულებრივად უყურებდა მოკლემეტრაჟიანი ფილმ-შედევრის „ქორწილის" შემოქმედი, ჩვეულებრივად მიესალმებოდა ხალხს, შეიძლებოდა ნაღდად იცოდა რაღაც, დარწმუნებული გახლდათ შვილის სიმართლეში, თუ რა ხდებოდა, რეზოს უკვე ვეღარ გაეგო...

15 თებერვალს – 1985 წლისა – შეიტყობდა: მერაბ კოსტავა და სხვები ნობელის პრემიაზე წარადგინესო, – მაგრამ ესეც რამდენად მართალი შეიძლება ყოფილიყო, კაცს არ ეცოდინებოდა...

მერე იყო და: შვილის უბედურება დაერთვოდა მერაბის გაჭირვებას... ირაკლი კოსტავას, მერაბის ვაჟის, თვითმკვლელობას იგულისხმებდა დღიურის ავტორი, ახალგაზრდა კაცს ფანჯრის რაფაზე ჩამომხრჩვალს რომ იპოვნიდნენ და – რა გასაკვირია – ამ ტრაგედიაში საზოგადოებას უშიშროების კომიტეტის ხელი დაენახა: მათგან ფსიქოლოგიური ზემოქმედების, შევიწროების ბუნებრივი შედეგი.

მერაბის ხსენება ძალდაუტანებლად წამოაგონებდა, რომ:

ზვიად გამსახურდია იმყოფებოდა იმ დღეებში „საუნჯის" რედაქციაში, მოკრძალებულად, თუმც მშვიდად ილაპარაკებდა თარგმანებზე, კერძოდ – ბესიკ ადეიშვილზე.

ნანა დარჩია, ჟურნალის პასუხისმგებელი მდივანი, ჩამოაგდებდა სიტყვას მერაბ კოსტავაზე, და ზვიადი პასუხად:

– ვერაა მთლად კარგად და დალაგებულად.

ანკი როგორი გადასატანი იქნებოდა მისთვის შვილის ტრაგიკულად აღსრულების შეტყობა.

22 ნოემბერს, 1986 წლისა, ისევ იმ ეპიზოდს გაიხსენებდა: ოთხი სანთლის შუქზე რომ სიკვდილის განაჩენს აწერდა ხელს კეთილი ჩინოვნიკი.

– დახვრიტეს ის ბავშვები? – ჰკითხავდა ჯურხა ნადირაძე რუსთავში სუფრაზე მოსამართლე გერსამიას.

– დახვრიტეს, მაგათი დედაც...

– შენი დედა... – წამოუხტებოდნენ ჯურხაც და მისი ძმაც და... სულ მალე გერსამიაც გაიპარებოდა სუფრიდან...

ახლა ერთი კაცი სოლიკო ხაბეიშვილს ასამართლებდა.

ქართველი კაცის სიმამაცისა არა სჯეროდა რეზო ჭეიშვილს და თუ საჭირო იქნებოდა, დაასაბუთებდა კიდეც ამ მოსაზრებას.

ხოლო ის მთავარი, ვინც იმ ოთხ ახალგაზრდას გაიმეტებდა, მობუზული იჯდებოდა ამ დღეებში სესიაზე.

– ძალიან გაიმაგრა წელი, – იტყოდნენ და რეზოც დაიჯერებდა თითქოს... და ახლა ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა: გაძაგრავენ მაინცო...

გაზეთიდან – „წიგნის სამყარო“ – რომ მოადგებოდნენ და პასუხებსაც გააცემინებდნენ რაღაც კითხვებზე, დაბეჭდვით რატომღაც აღარ დაბეჭდავდნენ ინტერვიუს. 12 თებერვალს ფეხით რომ გამოუყვებოდა გზას „მერანიდან“, ბოლო ნომერს იყიდდა ამ გაზეთისა და გადაათვალიერებდა თავისი ინტერვიუს ძებნაში და... უკანასკნელ გვერდზე საინტერესო წერილს მიაგნებდა ვალიკო ჟვანიას შესახებ – მარტოხელა მეამბოხის.

დღიურში აღარაა აღნიშნული, თუ რითი გამოიხატებოდა მისი ეს მარტოხელა მეამბოხეობა, არადა: სამ საპროტესტო აფეთქებას მოაწყობდა უშიშროების აგენტებით დაქსელილ თბილისში, ქუთაისსა და სოხუმში და კიდეც შეენირებოდა საბოლოოდ ამ თავზეხელაღებულ საქციელს.

გივი ძნელაძე ეტყოდა რეზოს:

– ერთადერთი კაცი, ვინც ვაჟკაცურად შეხვდა დახვრეტას. წინა დღით თუ ერთი საათით ადრე დედამისსაც ელაპარაკა მშვიდად – ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი, რაც მელოდაო.

– რატომ ჩაიდინე ეს ყველაფერი? – ეკითხა მისთვის გივის.

– მეგონა, ხალხს გამოვაფხიზლებდი.

როგორ უაზროდ და სასაცილოდ ჟღერს ახლა ეგ სიტყვაო, – დანანებითა და წუხილით დასძენდა რეზო ჭეიშვილი, ამ სტატიის გაცნობით კიდევ ერთხელ გულშეძრული.

* * *

ერთი კაცი – ვინაობის გაშიფრვას მოერიდებოდა რატომღაც, მხოლოდღა ზოგადად მიგვანიშნებდა: კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახთან საგამომცემლო საქმიანობის გამო დროებით დაახლოებულიო – ეტყოდა რეზოს იმ შთაბეჭდილებასა თუ ვარაუდს, რასაც ეს საგანგებოდ ჩაურთავდა „მთვარის მოტაცების“ შემოქმედისადმი მიძღვნილ ესეიში:

ზვიადსა და კონსტანტინეს ერთმანეთი არ უყვარდათო.

და რეზო სიღრმისეული ანალიზისა და ინტუიტიური დასკვნის შედეგად მიიჩნევდა დროებით დაახლოებულის ამ სიტყვებს.

ეს შთაბეჭდილება თუ ინტუიტიური დასკვნა რას გამოეწვია და:

შვილი მამის მორჩილი და ურჩი გახლდათ და ალბათ დისკომფორტსაც უქმნიდნენ ერთმანეთს: კაც ზვამბაიასა და არზაყან ზვამბაიასი არ იყოს.

შვილი მარტო საქართველოსი კი არა, საკუთარი დამოუკიდებლობისათვისაც იბრძოდა, თუმც მამის მწერლურ, პიროვნულ რეპუტაციას ვერ არყევდა თვით კომუნისტების თვალშიც.

ერთმანეთის გარდა სხვა რომ არა სწამდათ?

თუმც ერთმანეთსაც ავიწროებდნენ ალბათ...

სიყვარულისა და მეტოქეობის არაცნობიერი ფაქტორი მამის გარდაცვალების შემდგომაც თუ მოქმედებდა?

შეიძლებაო, – ივარაუდებდა იმ „ერთი კაცის" განსჯა-შეფასების კვალობაზე რეზო ჭეიშვილი და... თავს მაინც დაიზღვევდა: ფსიქოანალიზისა და წარმოსახვის ამოდენა უნარს მე პირადად მოკლებული ვარო.

ეროვნული მოძრაობის ლიდერი საზოგადოებრივ-ადმინისტრაციული ზემოქმედების შედეგად ფორმალურად რომ მოინანიებდა პოლიტიკურ საქციელს?

ამ აქტით მამის სახელს გაუფრთხილდებოდა და ჩრდილსაც მიაყენებდა მამას ერთგვარად: კვლავ ჭეიშვილური პარადოქსი.

ტრაგიკულად რომ დაასრულებდა სიცოცხლეს, ამგვარი აღსასრულის შემდგომ ამას მაინც აღიარებდნენ:

ტრაგიკული პიროვნება იყოო.

ომს გაცლოდა და პოლიტიკური ბრძოლა განეგრძო ხელახლა, ჯობდა, ხელმეორედ აირჩევდნენ პრეზიდენტადო, – ეჭვიც არ ეპარებოდა რეზო ჭეიშვილს, თუმც დასძენდა:

მაგრამ რას გააკეთებდა, საქართველოს რით უშველიდა, კიდევაც რომ ვიცოდე, მაინც ვერ ვიტყვიო.

თავისი სადავოც გასჩენოდა მასთან.

მამას ეზოში, თანამებრძოლს მთაწმინდაზე რომ დააკრძალინებდა, პირიქით შეეძლო გაეკეთებინაო (ეკლესიის ეზოს ვგულისხმობო, – დაურთავდა).

და ახსნით ასე ახსნიდა ამ აქციებს:

პირველი პროტესტი, მეორე პროტესტის გამოვლენის რთული ჩანაფიქრი იყოო.

დატოვა ბრმა თაყვანისმცემლები, რომლებიც ორგანულად სძულდაო.

დამოუკიდებლობის რეფერენდუმი საკუთარ დაბადების დღეს, დამოუკიდებლობის თარიღი საბედისწერო, სისხლიან ცხრა აპრილს დაამთხვია და საქართველოს იმ დღიდან აღარ გაუხარიაო.

ვერ იტყვი, რომ მაინცდამაინც სიყვარულითა და პატივისცემით მოხაზულიყოს საქართველოს პირველი პრეზიდენტის პორტრეტული შტრიხები, ეტყობა მწერალს, იმ გარემოს ზეგავლენის ქვეშ რომ არის, იმ ადამიანებისა, რომელთა შორისაც ტრიალებდა, თუმც ისიც შესამჩნევია, გარღვევას რომ ლამობს ხელოვნურად შემოსალტული სახე-ნიღბისა, ზვიად გამსახურდიას რომ ააფარებდნენ მისი მოძულენი თუ მოქიშპენი, მტრები და გამმეტებელნი და აგერ ფსიქოანალიზურ მეთოდსაც მოიმარჯვებდნენ, თითქოსდა ყველაზე მართებულ მეთოდად ამ პიროვნების სულის ლაბირინთებში გზის გასაკვლევად.

ყოველ შემთხვევაში ზვიად გამსახურდიას მონანიებას არ მიანიჭებდა რაღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას რეზო ჭეიშვილი, ძალიან ბევრი ხელზე რომ დაიხვევდა და სულაც აქედან ცდილობდნენ მისი ღვაწლის დამცრობა-დაკნინებას.

ფორმალურიო, – ამ ზუსტ ეპითეტში მოაქცევდა მის იმ ტაქტიკურ ხერხს.

პოლიტიკური ბრძოლა განეგრძო, ხელმეორედ აირჩევდნენ პრეზიდენტადო...

ვინ დაანებებდა პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელებას, ალყაში მოაქცევდნენ და მგლებივითაც დაფლეთდნენ. თუმც თვითონაც მზად იქნებოდა ზვიად გამსახურდია ამ ტრაგიკული ხვედრისათვის – თავისი ჯვარის ასაზიდად გოლგოთაზე.

რეზო ჭეიშვილის ესეში კონსტანტინე გამსახურდიაზე ერთი მცირე მონაკეთი თუ დაეთმობოდა მასაც, ისიც იმიტომ, მამასთან შინაგანი ჭიდილის ფონზე წარმოჩენილიყო ზოგიერთი ფსიქოლოგიური დეტალი თუ გარემოება.

ეს მაინც რამ მოაფიქრათ, საიდან დაეცლოთ მამა-შვილ გამსახურდიებისათვის: კაც და არზაყან ზვამბაიების გადმოსახედიან...

...ისე ნეტა ეს პასაჟი იმ ესეში ავაზის დღეს თუ დაწერილიყო?!.

თავი მეორე

ოცნება ისტორიულ თხზულებაზე

პროსპერ მერიმეს რომანის – „შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკა“ – რუსულ გამოცემას მოწონებით მოიხსენიებდა 1980 წლის 10 ოქტომბერს დღიურში: მშვენიერიაო. ფორმატი იყო და: შესაშური. შრიფტი და ქაღალდი იყო და: საუკეთესო. სუპერი იყო და: გრავიურებით შემკული.

„დალი“ რომ გამოდიოდა „ნაკადულში“, მხატვრები ეტყოდნენ: როგორ, რანაირად გინდა გამოვცეთ, ნიმუში გვიჩვენე რამეო. ესეც ადგებოდა და ამ წიგნს წაიღებდა, არადა თურმე გულუბრყვილობით მოუვიდოდა. ახედავდნენ, დახედავდნენ: კარგი, ასე ვიზამთო, – და... ამ წიგნის სუროგატსაც ვერ დაარქმევდი, ვერც მიამგვანებდნენ. თუმც ქაღალდი და შრიფტი არც „დალისა“ დაიწუნებოდა.

რაც შეეხებოდა ამ ქრონიკებს, ახალგაზრდობაში დაეწერა და ვერ გახლდათ ისეთი, მერიმეს რომ ეკადრებოდა.

ყურადღებას მიიქცევდა საგულისხმო წინასიტყვაობა და ცნობილი გამონათქვამი: ისტორიაში მიყვარს მხოლოდ ანეკდოტებიო. ეს ყურისმომჭრელი სიტყვა „ანეკდოტი“ შენიშვნებში ასე განმარტებულიყო: მერიმეს დროს „ანეკდოტს“ ჰქონდა ბევრად ფართო მნიშვნელობა, ვიდრე დღესდღეობით, და გულისხმობდა გამომსახველ ამბავს ანდა რაღაც ნიშანს ზნეჩვეულებისა, ნიშანდობლივს იმ ეპოქისა თუ ფენისათვისო.

ქართულ გამოცემაშიც დაახლოებით ამგვარად განიმარტებოდა ზურაბ კიკნაძის მიერ. რაკიღა ესაჭიროებოდა, უნდა განგემარტა კიდეც, ეგაა „მხოლოდ“ ნამდვილად ზედმეტი იყო.

აფასებდა და ძალიანაც აფასებდა პროსპერ მერიმესა და მის მხატვრულ მემკვიდრეობას, ონორე დე ბალზაკსაც კი დაამჯობინებდა, სტენდალის, გუსტავ ფლობერისა და გი დე მოპასანის გვერდით რომ მიუჩენდა ადგილს, მაგრამ თუკი „შარლ მეცხრის მეფობის ქრონიკა“ ახალგაზრდობისას დაეწერა, რა გასაკვირია ცალკეული ხარვეზები თუ ნაკლოვანებანი ვერ აერიდებინა. ყოველ შემთხვევაში ნიმუშად და თარგად ვერ დაიდებდა ისტორიული რომანის შექმნისას.

ნიმუშად და თარგად იმიტომ, რომ ისტორიულ პროზას უკვე აღარ გაჰყურებდა მარტოდენ მკითხველის თვალთახედვით, არამედ: მწერლური ჟინითა და ცნობისწადილითაც – რაკიღა სულ უფრო და უფრო მოეჭდობოდა გულზე გარდასულ ეპოქათა აღდგენის სურვილი, მისი და მხოლოდ მისი ხე-

ლით დახატვა-წარმოსახვას რომ მოელოდა და... რატომ უნდა გაეცრუებინა იმედი ამ მოლოდინისათვის?!.

იმერეთი ცხადია ყოველთვისაც მონაწილე გახლდათ საქართველოს ისტორიის საერთო დინებისა, მაგრამ თავისი ცხოვრებითაც იცხოვრებდა მეტ-ნაკლები სიმკვეთრით (ეს: დრო-ჟამის კვალობაზე) და ამ თავისებურების წარმოჩენა, არაერთი საგულისხმო და დამაფიქვრელი სურათის ჩამომწკრივება განა როდემდე შეიძლება გადადებულიყო?!

დაწყებით დაეწყო ნიკო ლორთქიფანიძეს იმ გარდასული სურათების აღდგენა, მაგრამ გამგრძელებელნი ესაჭიროებოდა მის ისტორიულ თვალთახედვას, განსხვავებულს ვასილ ბარნოვისა და მისი სკოლისაგან.

გრიგოლ აბაშიძეს წარმატებით მოესინჯა ეს გზა... სხვებსაც დაჯდომოდათ გონებაში და... რეზო ჭეიშვილსაც თავისი ადგილი უნდა მოეძებნა ამ ნაკადში.

1980 წლის 3 თებერვალს დღიურს გამოუტყდებოდა, რომ:

XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონიკების წერას ეპირებოდა.

მოსამზადებელი სამუშაოებიც უკვე დაწყებული ექნებოდა, მაგრამ ჯერ შიგ არ ჩაფლულიყო.

ძალიან კი იჩქაროდა.

პირობითი სათაური ეს იქნებოდა, დაქარაგმებით რომ ამჯობინებდა: დ. ც.

გაშიფრვით როგორ შეიძლება გაიშიფროს?

მინიშნებით ასე მიგვანიშნებდა:

აკაკი წერეთლის ერთი პიესის ანალოგიური სათაურის მიხედვითო.

თითქოს გამჭვირვალე მინიშნებაა, მაგრამ... ეს ინიციალები აკაკის არცერთი პიესის სახელწოდებისათვის რომ ვერ მოგვირგია?

„დარეჯან ცბიერი" ხომ არ იგულისხმება?

მართალია აკაკის არა აქვს ამ სათაურის პიესა, არამედ: „თამარ ცბიერი". თუმც ოპერის თეატრის სცენაზე რომ შეისხამდა ხორცს ის დრამატული ქმნილება, სწორედ ასე ჩანაცვლდებოდა: „დარეჯან ცბიერად".

და რეზო ჭეიშვილი პიესის ორიგინალს აღარ ჩახედავდა და ოპერის სახელწოდებიდან როგორც ჩარჩენოდა ხსოვნაში, ისეც შეარქმევდა თავის სავარაუდო ისტორიულ თხზულებას.

მოსამზადებელი ხანა გაევლო და ამ მხრივ მეტი აღარც ესაჭიროებოდა.

უკვე შიგ ჩასაფლობადაც განწყობილიყო.

თანაც ისე იჩქაროდა, აღარც გადაედებოდა – ჰა, შესაძლოა ავტობიოგრაფიული ყაიდის რომანი დაეწინაურებინა, „მუსიკა ქარში" თავის გაგრძელებას რომ მოითხოვდა. ან ისიც არა.

ყოყმან-ჭოჭმანში იქნებოდა.

ჯერ ერთი თუ ჯერ მეორე?

და... ისე მოხდებოდა, რომ...

თუმც ჩვენ რაღას ვიჩქარით, მივყვეთ თხრობის ნაკადს და თავისთავად გათვალსაჩინოვდება, იმდღევანდელი ჭოჭმან-ყოყმანი როგორ დასრულდებოდა.

ვერა და ვერ შეუდგებოდა მუშაობას და ორ წიგნს შეარჩევდა ამ დღეებში – იაკობ გოგებაშვილის კრებულს „საგანძური“ და აღმოსავლური ლიტერატურის კრებულის – „არმაღანი“ – მესამე წიგნს. ხან ერთს წაიკითხავდა და ხანაც მეორეს. და 1983 წლის 5 აპრილის დღიურში ეს ჩანაწერი გაჩნდებოდა.

იაკობ გოგებაშვილისა ყველაფერი – რაც „საგანძურში“ თავმოყრილიყო – წაკითხული ჰქონდა, კარგადაც ახსოვდა, მაგრამ მაინც თავიდან ბოლომდე გადაიკითხავდა.

„არმაღანსაც“ რომ წაიკითხავდა შიგადაშიგ, ბევრი მდარე ნაწარმოები აღმოჩნდებოდა, ცუდადაც შეედგინათ, არც თარგმანები ექნა ღმერთს.

საინტერესო – მისთვის განსაკუთრებით – გამოდგებოდა მაკარი ანტიოქელის „ცნობები საქართველოს შესახებ“ და სხვა რაღაცებიც. და მწარედ გაიფიქრებდა: რატომ უნდა დავრჩენილიყავი ქრისტეფორო კასტელის ალბომის გარეშეო?!.

დაპირებოდა ელგუჯა მაღრაძე და არ მიეცა. ეგებ რეზოს ის ორი წიგნი – იმერეთის აღწერა – მაინც დაებრუნებინა. ამ წიგნების გახსენება ძალაუნებურად ამოათქმევინებდა: ნეტა შევუდგები თუ არა უახლოეს დროს ისტორიულ თემატიკაზე მუშაობასო?

მასალების შეგროვება წაართმევდა დიდ დროს.

თუ დაიწყებდა ვ. ჩ.-ს, მაშინ კარგა ხანს გადაიდებოდა „ისტორია“. წლის ბოლომდე კი აუცილებლად „ბედის ტრიალი“ უნდა დასრულებულიყო.

შემდეგ ვინმე უკარნახებდა, რა დაეწყო და რა – არა!..

ქუთაისიდან ჩამოსული 11 მაისს ჩაინიშნავდა, რომ:

„ქართლის ცხოვრებას“ იკითხავდა იმ ორ ღამეს.

XII საუკუნის დასასრული და XIII-ის დასაწყისი, სამეფოს, იმპერიის რღვევა, ქართველთა მარცხი ზედიზედ, 12-ათასიანი მონღოლთა ჯარი, ჯვებე-სუბადაი, 90-ათასიან ქართველთა ჯარს რომ დაარბევდა.

მართალი იქნებაო, – არ დაეჭვდებოდა ლაშქართა ამგვარ შეფარდებაში, მაგრამ:

მემატიანე ამ მოვლენას ღვთის წყრომით რომ ხსნიდა, რაღაც ერთგვარი კმაყოფილებით რატომ აღნუსხავდა ყველაფერს?!.

და რეზო ჭეიშვილს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა:

შეუძლებელია ის ქართველის დაწერილი იყოსო.

ჟამთააღმწერელსა და მის მატიანეზე არაერთხელ დაეწერათ, ბევრგვარად შეესწავლათ და გაეაზრებინათ, მაგრამ ამგვარი ვარაუდი: ქართველი არ უნდა იყოსო, – არავის გამოეთქვა, იმას კი ძალიან მონდომებულიყვნენ, სულაც შოთა რუსთაველთან გაეიგივებინათ.

ეს რომ სცოდნოდა რეზო ჭეიშვილს, ამ მოსაზრებას უთუოდ ირონიის საცერში გაატარებდა, თვითონ ხომ იცინებდა და სხვებსაც არანაკლებ გააცინებდა.

23 მაისს დანანებით ჩაინიშნავდა, რომ:

28-ში ალბათ ვერ წავიდოდა ქუთაისში, ალბათ კი არა, ნამდვილად ვერ წავიდოდა, და 27-შიც საეჭვო ეჩვენებოდა, არადა ძალიან უნდოდა სხვებთან ერთად ამგზავრება...

ახლა დაწოლას რომ დააპირებდა, რამდენიმე წიგნს დაიწყობდა წინ:

„ქართლის ცხოვრებას“, „აღმოსავლურ პოეზიას“ – თამაზ ჩხენკელის მიერ თარგმნილს, და რუსულ გამოცემას: „ცხოვრება სპილოებს შორის“ – იენ და ორია დუგლას ჰამილტონისა.

8 ივნისს რამდენიმე წიგნს შეიძენდა: ტრუმენ კეპოტის მოთხრობებს ქართულად, მიხეილ რეხვიაშვილის მონოგრაფიას „იმერეთი XVIII საუკუნეში“ და ვლადიმირ მაიაკოვსკის თხზულებათა XIII ტომს, რომელიც მოიცავდა პირად წერილებსა და სხვა მასალებს.

კეპოტის იმ მოთხრობას რომ წაიკითხავდა – „ერთი მე მკითხეთ!“ – დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას დატოვებდა მასზე, მაგრამ მაინც მოეწონებოდა და დაინტერესდებოდა: ნეტა ჯერომ სელინჯერის მოთხრობის – „თამაში ჭვავის ყანაში“ – შემდეგაა დაწერილი თუ მანამდეო?

და უეცრად გაახსენდებოდა გივი კვერენჩხილაძე. თუ ცოცხლებში აღარ ეწერა, და თუ ოდესმე მართლა დაწერდა მის მიერ ნაკარნახევი სათაურის მიხედვით – „გრძელი გზა კაცისა, რომელიც დაიბადა ლანჩხუთში და მთელი ცხოვრება მალავდა – ლანჩხუთში რომ იყო დაბადებული“ – ნაწარმოებს, მაშინ... რა მაშინ? ეს მოთხრობა, ეს ხასიათი არარაობა გამოჩნდებოდა ჩანაფიქრის ფონზე. სათაურად რუსულად უკეთესი იყო და სხვანაირად თარგმნაც შეიძლებოდა.

„იმერეთის სამეფოს“ წაკითხვას ამაღამ გადაწყვეტდა, დაიწყებდა ყოველ შემთხვევაში, და თუ არ დაეძინებოდა, როგორც ზოგჯერ ხდებოდა, კიდეც გავიდოდა ბოლომდე.

ბავშვობაში მაიაკოვსკის პოეზია არ უყვარდა – არ ესმოდა და იმიტომ. ახლა ესმოდა და... ამიტომაც არ უყვარდა. ჭეიშვილურად დაატრიალებდა ფრაზას. ან ეგებ ახლაც არ ესმოდა? პიროვნება რომ საინტერესო გახლდათ, ისედაც მოეხსენებოდა და ეს ტომიც დაუდასტურებდა. სიკვდილის წინ დაწერილი წერილი – საინტერესო იყო უდავოდ...

რას ირწმუნებოდნენ: ქართული იცოდა კარგადო?

ამას ძალიან ეეჭვებოდა.

13 ივნისისათვის წაკითხული ექნებოდა „იმერეთი XVIII საუკუნეში“ და იმდაგვარივე: მიხეილ გონიკაშვილის „იმერეთი XVIII-XIX საუკუნის მიჯნაზე“ – გადათვალიერებული. ხახანაშვილის „სოლომონ მეორეს“ ვეღარ მოიძევდა. ეს ორი წიგნი კი ცუდ გუნებაზე დააყენებდა: რა უბედურება, რა ომები, რა შემთხვევები, რა ჭირი და ვარამი გადაეტანა იმ წლებში, იმ საუკუნეებში – განსაკუთრებით XVI-დან XIX-ის დასაწყისამდე – საწყალ იმერეთს.

აქამდე კახეთი და სამეგრელო რატომღაც უფრო გაწამებული ეგონებოდა, და ახლა უკვე აღარ...

5 სექტემბერს წაიკითხავდა – სამსახურეობრივი თვალით – ტომას მელორის რაინდულ თუ სარაინდო რომანს, ერთფეროვანს, მისთვის არც მთლად მოსაწყენს, ისტორიულ – ეს სიტყვა ზუსტად არც მიესადაგებოდა – ნაწარმოებს და მოსე ხონელის ამავე ჟანრის თხზულება რომ წამოაგონ-

დებოდა ძალდაუტანებლად, მათი შეპირისპირება ამ დასკვნას გამოატანინებდა:

ბევრად მაღლა დგას – რა შედარებაა – სისულელეებით გატენილ „ამირანდარეჯანიანზე“, თუმც უფრო გვიანდელიაო.

აღმოჩნდებოდა, რომ:

ბევრი რამით ესარგებლა აქედან თვით უოლტერ სკოტს – თუნდაც „აივენჰოს“ შექმნისას.

„ტრისტანი და იზოლდა“ ალბათ უფრო ადრე დაწერილიყო და ასეც მიენიშნებინათ.

თვითმხილველის – რაინდობის ინსტიტუტისა და ორთაბრძოლების მომსწრის – უშუალობით დაწერილი წიგნი გახლდათ.

„ამირანდარეჯანიანი“ რა – თვითმხილველის უშუალობით არ შექმნილიყო? მოსე ხონელი კი არ გახლდათ ვითომ რაინდობის ინსტიტუტისა და ორთაბრძოლების მომსწრე?

ვერ მოიბრუნებდა და ვერა ამ რაინდულ რომანზე გულს რეზო ჭეიშვილი, მისი ყოველი ხსენებისას „სისულელე“ თუ „მტკნარი“ და „ნაღდი სისულელე“ რომ ეკერებოდა პირზე.

ივარაუდებდა ერთხელაც – 1982 წლის 1 ნოემბერს – რომ: ალბათ ამდაგვარი სპარსული „ტარიელიანიც“ არსებობდა და ვიღაც მელექსეს – რუსთველს – გაელექსა და გაეკეთილშობილებინა შესაძლოა მართლაც მოგვიანებით, XII საუკუნის შემდგომ.

ძალიან კი მიამგვანებდა დასაწყისში სიუჟეტურადაც და განწყობილებითაც ერთმანეთს: „ვეფხისტყაოსანსა“ და „ამირანდარეჯანიანს“: იგივ ინდოეთი, არაბეთი... ნახეს უცხო მოყმეო – იქაც ამდაგვარად გახლდათ სურათები თუ ფრესკები... ნახეს და ნახვა მოუნდათ უცხოსა სანახავისაო...

ის „ამირანდარეჯანიანიც“ გაელექსა ალბათ ვინმე მოსე ხონელს და შესაძლოა გენიალური – ჩვენამდე არმოღწეული – პოემაც დაეწერა მის თარგზე.

ეს მოსაზრება ცნობილი იყო, ეგონებოდა, და... არ ყოფილიყო საქმე ასე თურმე. კორნელი კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ ამ მონაკვეთს გადაიკითხავდა საგანგებოდ და... არაფერი აღმოჩნდებოდა მსგავსი. სხვათა ნაშრომებს აღარც მოიძიებდა.

კორნელი კეკელიძე ხალხურ „ამირანსაც“ ამ პროზაულ ტექსტს უკავშირებდა.

რეზო ჭეიშვილს კი ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა: ხალხურ „ამირანში“ იმ დიდი პოემის – „ამირანიანის“ ნაგლეჯები გადარჩენილიყო.

და ცნობისწადილი რომ მოერეოდა გამორკვევისა, თავს შეიგულიანებდა: დაწვრილებით ალბათ სხვაგან და სხვა დროსო.

თუმც ეს „სხვა დრო“ არასოდეს დადგებოდა.

* * *

იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი ორი საპირისპირო თვალით შეფასდებოდა ჩვენს მწერლობაში:

აბუჩად აიგდებდა დემნა შენგელაია „ბათა ქექიას“ დასაწყისში.

პატივით მოიხსენიებდა გიორგი შატბერაშვილი ერთ ლექსში.

და აი რეზო ჭეიშვილი 1983 წლის 25 დეკემბერს კმაყოფილებით რომ ჩაინიშნავდა დღიურში: ვნერ და ვკითხულობო, – ეშხში შესული ამ თხზულებასაც შეჰყვებოდა და კიდეც ჩაიძირებოდა თხრობის ნაკადში, თანდათან მის თვალწინ კოლორიტული სახება რომ გამოიკვეთებოდა მისთვის უცნობი პიროვნებისა, იმ იასე ბარათაშვილის, რომელიც უამრავჯერ გადარჩენოდა ჟამთა სიავეს, ბატონების რისხვას, სახადსა და ავადმყოფობას, ლეკიანობას და... საბოლოოდ მაინც ლეკებს მოეკლათ.

იმ ჩაძირვის გამოისობით გახლდათ თხრობის ნაკადში, თავს რომ ველარ შეიკავებდა ამ წამოძახილისაგან: იმ დამპალ ლეკებს ლეკიანობის დროსო.

ცხოვრება-ანდერძს კი ამ ეპითეტით შეაფასებდა:

საოცარი წიგნია.

რაღა გიორგი შატბერაშვილი და რაღა რეზო ჭეიშვილი!..

და თავსაც შეუწყრებოდა:

თუ ამდაგვარი რამ ქართულ ენაზე არსებობდა, ჩემდა სამარცხვინოდ არ ვიცოდიო.

მიყრუებულიყო, მიბინარებულიყო ეს ავტობიოგრაფიული თხზულება, კიდევ კარგი ხელმისაწვდომი მაინც გახლდათ, უნებლიეთ რომ შეიძლება მოგყოლოდა ხელთ, არადა რაოდენ ძვირფასი ქმნილება რჩებოდა საზოგადოებრივი ცნობიერების მიღმა.

საოცარი წიგნიო...

თუ ამგვარი რამ ქართულ ენაზე არსებობდაო...

მაინც რას წარმოადგენდა იასე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძი“ და: XVIII საუკუნის საქართველოს სამეფო კარის, თბილის-ქალაქის ბედუკულმართი ცხოვრების ქრონიკას, უტყუარ სურათებს იმდროინდელი ყოფისა და ცხოვრებისა.

შვილებისათვის დაეწერა, უფრო მაინც ზოგიერთი ამბის გამო: იქნებ გამოგადგეთო, – და ამ ფრაზის წაკითხვა რეზო ჭეიშვილს ერთხელ კიდევ დააყენებდა აღტაცების გუნებაზე:

ვის არ გამოადგება, მწერლისათვის, ვისაც იმდროინდელ ისტორიაზე უნდა მუშაობა, სულაც განძიაო.

* * *

დღეს ელგუჯა მაღრაძეს ეტყოდა:

– ჩემი ორი წიგნი, ტოლჩანოვისა და იევლევის „იმერეთის აღწერა“ დამიბრუნე, იმ ეპოქის მასალებს ვაგროვებ, შემოდგომაზე წერას ვიწყებ.

შემოდგომაზე წერას რომ ვერ დაიწყებდა, უკვე ცხადად ხედავდა, მაგრამ ეგებ დრო იყო და მართლაც დაეწყო მასალების აქტიურად შეგროვება „დ. ც.“-სათვის?!.

21 ივნისს ძმაკაცები რომ ჩამოუვიდოდნენ და მიიკითხ-მოიკითხავდნენ ერთმანეთს, ნ. ვაშაყმაძე საოცარ შთაბეჭდილებას მოახდენდა მასზე და

იქამდისაც კი: ბაგრატ IV-ის პროტოტიპად ხომ არ გამოვიყენოო, – გაიფიქრებდა.

24 ივნისს ელგუჯა დაუბრუნებდა „იმერეთის აღწერის“ ორტომეულს – ძვირფას დოკუმენტებს ამის მომავალი რომანისათვის.

25 ივნისს თითქმის რომ არ დაეძინებოდა, ისარგებლებდა ამ ბედნიერებით და წაიკითხავდა ასი დოკუმენტისაგან შემდგარ კრებულს: „ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ“.

ამ დოკუმენტთაგან ბევრი გახლდათ საყურადღებო, მაგრამ მაინც მეხუთედის წაკითხვა და გვერდზე გადადება იყო საჭირო მხოლოდ. ერთსადაიმავე საანგარიშო-საბუღალტრო ამბებს მოგვითხრობდნენ ისინი. წიგნი კი თავისთავად მაინც საგულისხმო აღმოჩნდებოდა, მისთვის – განსაკუთრებით. თანდართული ლექსიკონის ანუ „ტერმინოლოგიური შენიშვნების“ ცოდნა კი აუცილებელი გახლდათ თუნდაც მისთვის.

ხელახლა ჩაათვალიერებდა ტოლჩანოვისა და იევლევის იმერეთის „მუხლობრივ აღწერილობას“.

წინ ედებოდა, უნდა წაეკითხა და საბოლოო აზრი შეემუშავებინა გია ლომაძის წიგნსა და თვითონ გიაზეც.

21 ივლისს რომ აგრილდებოდა და წიგნის კითხვაც შეიძლებოდა ღამით, დაძინების წინ შეჰყვებოდა ილია ანთელავას ფრიად საინტერესო ნაშრომს: „საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII საუკუნეებში“ – საფუძვლიანად რომ უნდა წაეკითხა შემდგომში. ავტორი ისე თამამად ეწინააღმდეგებოდა ივანე ჯავახიშვილს, ამას გაუკვირდებოდა – თამამადაც და ტაქტიანადაც. თითქოს უმნიშვნელო დეტალებში არ ეთანხმებოდა, მაგრამ მაინც. შეფიქრიანებული ჩაწერდა: მეპატიოს და არ ვიცნობდი ამ ისტორიკოსსო.

26 ოქტომბერს ყურადღებას მიაქცევდა, რომ: გეორგიევსკის ტრაქტატზე ლაპარაკს დაუკლებდნენ. სამაგიეროდ ტელევიზია ამცნობდათ: ყველაფერი მზადაა თბილისობისათვისო.

გადაათვალიერებდა იმ ტრაქტატსა და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, რომლებიც „ქართული სამართლის ძეგლების“ მეორე ტომში თავმოყრილიყო. საქმე ის კი არ გახლდათ, რომ ტრაქტატის მუხლებს – ანუ როგორც იქ ეწერა: „არტიკულებს“ – არ შეასრულებდნენ რუსეთის ხელისუფალნი, საერთოდ გააუქმებდნენ ამ ხელშეკრულებას, ვითომც ყოფილა და ვითომც არაო.

და რეზო ჭეიშვილს ვერაფრისდიდებით ვერ გაეგო: გაუქმებულ ხელშეკრულებას როგორ ზეიმობდნენ 200 წლის თავზე.

პავლე პირველის მანიფესტის ქართული ტექსტიც პირდაპირ ასე იკითხებოდა:

– ...და ამისათვის ითხოვს წარმოგზავნითა სრულის ძალის მქონებელთა დესპანთათა, მიღება სამფლობელოსი საქართველოსი სამეფოისა, მფლობელობასა დამონებასა ქვეშე ყოვლისა რუსეთის საიმპერატორო ტახტსა.

ერეკლეს პირველი ანდერძი – მეორე აქ არ დაებეჭდათ – ვერ დატოვებდა ჭკვიანი და დალაგებული კაცის – მონარქზე რომ აღარაფერი თქმულიყო – შთაბეჭდილებას.

გიორგი სულაც დამპალი აღმოჩნდებოდა – ძმებს ცალკერძ ატყუებდა, რუსეთის მეფეს დამონებას სთხოვდა.

ძე მისი დავითი, ძალიან რომ ამაყობდა: გენერალი, „ღენერალ-ლეიტანანტი" ვარო, – მთლად დეგენერატი ჩანდა. სწორედ ეს დავითი უჩივლებდა სომეხ ცოლს: ლობიოში საწამლავს მიყრისო.

გიორგის ძმებზე, ერეკლეს დანარჩენ ვაჟებზე ვერაფერს იტყოდა, მაგრამ ბატონიშვილები წარმოჩნდებოდნენ შემდგომში ჭკვიან-ნიჭიერ მამულიშვილებად. დაბერებულიყო, დაავადმყოფებულიყო სისხლი და როცა გამოსაშვებს გამოუშვებდნენ, განახლებულიყო, როგორც ჩანდა.

აღარ გაჰყოლოდა ერეკლეს დანარჩენ ვაჟებს, თორემ:

ალექსანდრე ბატონიშვილის ჰეროიკული შარავანდი რატომ უნდა დარჩენოდა შეუმჩნეველი, მისი თავგამოდება დაკარგული სახელმწიფოებრიობის ამოსაგებად და აჯანყების მოწყობა აჯანყებაზე, 1812 წელს კინაღამ რომ გადარეკავდა რუსებს კავკასიონს გადაღმა. და კიდეც გასიმბოლოვდებოდა მისი სახება თავისუფლების თავგადაკლულ ძიებად, ლეგენდის გმირს როგორც შეშვენის: საერთოკავკასიური ლეგენდისა, არამარტო ქართულის.

ანდა იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილების მიერ აბრიალებული ამბოხების ხანძარიც არ უნდა ყოფილიყო ძნელი დასანახი.

არა სჭირდა რა გამოსაშვები ბაგრატიონთა სისხლს, მუდმივადაც განახლებულს!..

1984 წლის 1 აგვისტოს „ახალ ისტორიას" გადაშლიდა თეიმურაზ ბაგრატიონისა.

წიგნსაც ვერ დაარქმევდა, წიგნუკა უფრო იქნებოდა: გამოკვლევითა და შენიშვნებით გაწყობილი.

„იქნებ სადღაც რაღაცაში გამომადგეს კიდეცო", გაიფიქრებდა.

სადღაც რაღაცაში კი არა...

ჩაჰყვებოდა პირველივე სტრიქონებს:

– ქორონიკონს ულბ, ჟამსა ამას იქმნა ესრეთი განსაცდელი, რომელ არსად შემთხვეულ არს ესევითარი მით, რამეთუ ყოველთა შორის უბოროტესმან თაზისშვილმან ტარიელ მოკლა ხანჯლითა კათოლიკოზი ნიკოლაოზ ხერხეულიძე და იგი, განლტოლვილი, განიტვინა ქვემო სატიოისა რიყესა ზედა და ნაცულად მისსა ჰყვეს კათოლიკოზად ანტონი – მეფის იესეს ძე.

და აღტაცდებოდა რეზო ჭეიშვილი:

თუ რამეს დავწერ ისტორიულს, ასე უნდა დავიწყო სწორედო.

თითქოს გასაღები ჩავარდნოდა ხელთ ისტორიის ლაბირინთისათვის მთავარი კარიბჭის შესახსნელად.

ლაბირინთი ლაბირინთი იყო, მაგრამ გასაღებიც გასაღები გახლდათ.

ყველაფერი რომ ეფიქრა, თეიმურაზ ბაგრატიონის წერის მანერა სწორედ იმას რომ აგრძნობინებდა, ქვეშეცნეულად რასაც მიელტვოდა და სახელი მკაფიოდ ვერც დაერქმია, რას წარმოიდგენდა.

თუ რამეს დავწერ ისტორიულსო...

თუ დავწერო...

ზედ კარიბჭესთან შემდგარიყო, გასაღებიც უკვე ხელთ ეპყრა...

რაღა რჩებოდა რო?!.

იქ ნიკო ლორთქიფანიძის აჩრდილიც ამოესვეტებოდა ხოლმე, როგორც კი ისტორიისაკენ მიაბრუნებდა მზერას, ჩვენი ბედუკულმართი წარსულისაკენ მეგზურად ის დაეგულებინა, რაკიღა რომანტიკული ხედვა და შესაფერისი სტილური მანერა სრულიად უცხო გახლდათ მისთვის და აბა იმაზე რანაირად გადაეწყობოდა: ვასილ ბარნოვის სკოლას, ასე შთამბეჭდავად წარმოდგენილს, არც და ვერც შეემატებოდა.

„რაინდების" შემოქმედი „რაინდების" შემოქმედად და... აგერ თეიმურაზ ბაგრატიონიც გამოცხადებოდა შემწედ იმ თავისი „ახალი ისტორიით".

„მართლა ახალია!.."

მოიცლიდა, როგორ არ მოიცლიდა წარსულის სურათების აღდგენისთვისაც, აგერ ჯერ „მწერებს" მიხედავდა, მერე თუნდ ერთ-ორ ნოველასაც მიადევნებდა, მერე კი... მერე...

თუ რაიმეს დაწერდა ისტორიულს, ასე დაიწყებდა სწორედ: თეიმურაზ ბაგრატიონივით.

ოღონდ... თუკი დაიწყებდა...

13 სექტემბერს დაუჯდებოდა ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკების" მესამე-მეოთხე წიგნს. ერთობოდა რაღა – არადა კარგ და საჭირო წიგნად მიიჩნევდა პრინციპში. რა დაუნდობელი მეფე ყოფილიყო გიორგი III, დემნა ბატონიშვილი რომ ეწამებინა... სამშვილდე – სადაც შარშან ამ დროს იმყოფებოდა სწორედ – ახსენდებოდა რეზოს, იმ ეპიზოდებს რომ კითხულობდა, და დაინტერესდებოდა: ნუთუ იმ უფსკრულში – ხრამის ხეობაში – ეშვებოდნენ საბლითო? გალავანზე აძრომასა და სხვებისაგან შეუმჩნევლად გადაძრომას ალბათ ვერ მოახერხებდნენ, მდინარე ხრამისკენ კი მართლაც უფსკრული ეშვებოდა.

ნეტა რომელი იყო ლორეს ციხე?

იქ კიდევ ბევრი რამ გახლდათ სანახავი – თუნდ გუდარეხი, ბირთვისები, ფარცხისი, ნადარბაზევი...

შედგენითაც შეედგინა გეგმა ამ მხარისა და მის სიძველეთა მოსანახულებლად.

ახლა „ნივა" რომ აღარ ჰყავდა, პარტიზანულ გასვლებს შეეშვებოდა. თუმც თავს ინუგეშებდა: ალბათ დროებითო. თუშეთშიც ვეღარ ასულიყო, ეგ ერთი კუთხე დარჩენოდა და ეგ სანახავი...

რა კარგად ახსენდებოდა ფიტარეთი, ხრამის ხეობა, და ინატრებდა: ნეტა ის წყაროს წყალი დამალევინაო!..

ემზარ კვიტაიშვილი დაურეკავდა 1986 წლის 10 მარტს:

– ნიკო ლორთქიფანიძის ხუთტომეულის წინასიტყვაობას მთხოვენ.

– დაწერე აუცილებლად, – შეაგულიანებდა რეზო.

გაიხსენებდნენ „რაინდებსა“ და სხვა თხზულებებსაც. და ეს ურჩევდა:

– აკაკის ისტორიულ პროზას გადახედე, ის არის მაგის პირდაპირი წინაპარი.

ემზარი მაშინვე დაეთანხმებოდა. ეტყობა მასაც ეფიქრა ამ სულიერ ნათესაობაზე. ანკი როგორ გამორჩებოდა.

22 ივნისს ორ ისტორიულ ნაწარმოებს გაეცნობოდა „ცისკრისა“ და „მნათობის“ ფურცლებზე: ერთს ლევან სანიკიძისა და მეორეს – გივი მაღულარიასი, და:

ეგ არი და მეტის თქმაც არ არის საჭირო. პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ამაზე შეიძლება ლაპარაკი, მხატვრული თვალსაზრისით რომ ამართლებდეს ერთი ან მეორეო.

და დასძენდა:

ვაპირებ და ვუტრიალებ მე თვითონ ისტორიულს, რთულია, სხვანაირად უნდა დაწერა, დანახვა, აღდგენაო...

მაგალითი ბევრი მოიძევებოდა მსოფლიო ლიტერატურაში და საბედნიეროდ – ქართულშიც: აკაკი წერეთლის რამდენიმე ნოველა და ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები.

პირველისას, ნოველების პირობაზე, თითქმის არაფერი ესაჭიროებოდა, მეორესი – მასშტაბურობის თვალსაზრისით – ბოლომდე არ მიყვანილიყო...

განცხადებით კი დაბეჯითებით განაცხადებდა:

გზა მათი კი სწორია და ნამდვილიო.

1987 წლის 11 ოქტომბერს აკაკის V ტომი დახვდებოდა მაგიდაზე. ცოლს ჩამოეღო – 1956 წლის გამოცემა. პოემები შეეტანათ ამ ტომში. ტირაჟი – 20 ათასი. მაღაზიებში რომ ეწყო ერთ დროს, ახსოვდა, მეტიც – ამჟამად დაუჯერებელი ჩანდა, მაგრამ – ჩამოფასებულად იყიდებოდა. რა აკაკი – ილიაც და „ქართლის ცხოვრებაც“...

ხელახლა გადაიკითხავდა ამ პოემებს და: აზრი არ შეეცვლებოდა. მწვერვალად მიიჩნევდა „გამზრდელს“. დანარჩენებიც მოსწონდა მეტ-ნაკლებად. „ნათელა“ უკეთესი ეგონებოდა. სისხლისღვრა, ხოცვა-ჟლეტა, პატრიოტიზმში გახვეული „ნაცარქექია“, „ოთია მესხი“, „ესებუა და კულა გლდანელი“ – ესენი კარგები გახლდათ, მსუბუქები, სალაღობონი.

საერთოდ კი:

აკაკის პოემებს აკაკისავე პროზას – „ბაში-აჩუკის“ ჩაუთვლელად – ამჯობინებდა, ასე ეგონა და... ეჭვიც არ ეპარებოდა, მართლაც ასე რომ იყო...

„ბაში-აჩუკი“ ამ პოემების დონეზე გახლდათ და... რატომ არ გაელექსა, უკვირდა და გაჰკვირებოდა რეზო ჭეიშვილს, რომლის დაბეჯითებითაც:

ამ მოთხრობასა და იმ პოემებს დიდი როლი შეესრულებინათ, ახლაც ასრულებდნენ და კიდევ შეასრულებდნენ – ეს უფრო დასაჯერებელი გახლდათ – მომავალში ქართველთა ღირსებისა და თავისთავადობის განვითარების საქმეში.

1988 წლის 13 აგვისტოს გიორგი სააკაძის ძეგლს რომ შემოდგამდნენ კვარცხლბეკზე, ძეგლი ძეგლად და ძალიანაც მოეწონებოდა – მერაბ ბერძენიშვილის მონუმენტური ქმნილება – და ამ აღმატებული ეპითეტით შეაფასებდა: დიდებული ძეგლიაო, – მაგრამ არ გაემეტებოდა არასახარბიელო ბიოგრაფიის კაცისათვის, არაერთი დანაშაული რომ მიუძღოდა თავისი ქვეყნის წინაშე, და დანანებით ჩაილაპარაკებდა:

– სხვა სახელი დაერქმიათ, კარგი იყო, და ახლა რაღა ეშველება.

ზოგადი სახელწოდება უფრო მიესადაგებოდა: ქართველი მეომრის, ქართველი რაინდის სიმბოლოდ რომ წარმომდგარიყო, უფრო უპრიანი იქნებოდა.

და უეცრად გაჰკრავდა გუნებაში: „ვეფხისტყაოსნის“ გმირადაც ხომ არ შეიძლება მონათლულიყოო?

ახლა რაღა ეშველებოდა?

ეგებ ოდესმე შველებოდა, როდესაც გაიფანტებოდა საბჭოურ-მითოსური ბურუსი გიორგი სააკაძის ირგვლივ და აღარავის ენდომებოდა მისი დასახვა გმირად და იდეალად.

აი მაშინ კი შეიძლება სულაც... სულაც ტარიელი დარქმეოდა.

ხმალი გვერდზე რომ გამოშვეროდა ტილოში გახვეულს, ეს სურათი – ვიდრე ძეგლი ოფიციალურად გაიხსნებოდა – თავისთავად წამოაგონებდა რეზო ჭეიშვილს „ვეფხისტყაოსნის“ იმ სტრიქონს: კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკეო, – და თავის წარმოსახვაში გიორგი სააკაძედ სახელშერქმეულ ქანდაკებას ტარიელად მონათლავდა.

ნუთუ არ დადგებოდა ეს დრო?

ნუთუ არ გვეცოდინებოდა საქართველოს დრამატული წარსული ისე, როგორც სინამდვილეში გახლდათ, და არა ისე, როგორც სხვადასხვა ჯურის გამყალბებლებს ენებათ?

უამიმედოდ წერის გაგრძელების სურვილიც აღარ ექნებოდა.

ისე ნეტა თავის წვლილსაც თუ შეიტანდა რეზო ჭეიშვილი საქართველოს ისტორიული ლაბირინთების გახსნა-წარმოჩენაში?

სწრაფვით რარიგ ესწრაფოდა, მაგრამ მის მწერლურ ხედვასა და სტილურ მანერას რამდენად შეეფერებოდა ჩვენი ისტორიული ჟამის გაცოცხლება?

ეს აყოყმანებდა.

ეს აჭოჭმანებდა.

ეს არ აძლევდა მოსვენებას და... ნეტა, ნეტა, ნეტა რა იქნებოდა?!.

1988 წლის 28 იანვარს თავს შეახსენებდა:

– წასაკითხი მაქვს „ჟამთააღმწერელიც“.

1989 წლის 11 აგვისტოს ბერი ეგნატაშვილის მატიანის კითხვას ჩაუჯდებოდა. სცენარს წერდა და... ისე მოხდებოდა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილს ველარ მოაშორებდა თვალს: ნაცნობი სცენები, პასაჟები, ტიპაჟი, ისტორია... რარიგ ახლობელი აღმოჩნდებოდა ეს ყოველივე მისთვის.

როდის დაიწყებდა მუშაობას იმ მასალებზე. როგორ გრძნობდა, სულაც ეცოდინებოდა, რომ ძალზე საინტერესო გამოუვიდოდა.

აქ დაამტკიცებდა, როგორ უნდა დაწერილიყო მართალი ისტორია; როგორ აღდგებოდა ეპოქა და გათანამედროვდებოდა ყველაფერი. თანაც ქუთაისის – როგორც სამეფოს დედაქალაქის – 1000 წლისთავისათვის უნდა დაემიზნებინა.

23 აგვისტოს იოსებ ტფილელ-სააკაძის პოემას გადაფურცლავდა, „დიდმოურავიანს", და მასთან ერთად არჩილისა და თეიმურაზ პირველის ისტორიულ თხზულებებსაც: უტყუარ სურათებს აღმოაჩენდა იმ ლექსებში იმ ეპოქისა. ჩაუკვირდებოდა და მოიხიბლებოდა ლექსიკითაც, ფაქტებითაც, დეტალებითაც.

და ერთბაშად გაისიგრძეგანებდა გიორგი სააკაძის პიროვნებას, ეს ეპითეტები რომ მოადგებოდა პირზე:

უპრინციპოო, მედროვეო, დაუნდობელიო, მოღალატეო...

საზიზღარ შთაბეჭდილებას ტოვებდა იქაც კი, სადაც ამართლებდნენ.

მძევლად უწლოვანი შვილის დატოვეს შაჰის კარზე, ზურაბ ერისთავის მიერ ცოლის დატოვებას გაუტოლებდა დიდი მოურავი და თანაც ზურაბის დამშვიდებას შეეცდებოდა: უკეთეს ცოლს შეგრთავო, – თითქოს რაღაც ნივთზე ელაპარაკებოდა.

ვერ დაიჯერებდა რეზო ჭეიშვილი, რომ: ამ ადამიანს შეიძლება შვილი ჰყვარებოდა...

და სავსებით გაამართლებდა მის თანამედროვეთ და განსაკუთრებით ბაგრატიონებს, ეს ადამიანი ასერიგად რომ სძულდათ... ვახუშტი ბატონიშვილი იქნებოდა თუ სხვები, უსაფუძვლოდ სულაც არა ლანძღავდნენ. რაც დაემსახურებინა, იმას მიაგებდნენ!..

შათირი და ფარული ბარათი რომ არ ეგდო ხელთ – მისი მოკვლა რომ გაენეზრახა შაჰ-აბასს ტფილისის აღების შემდგომ – აჯანყებას არც იფიქრებდა. შვილს საკუთარი თავისათვის გაწირავდა და არა ქვეყნისათვის. ქართლის აყრა ისევე არ შეაწუხებდა, როგორც კახეთის გადასახლებას არ ინაღვლიდა არასოდეს.

არავის დაინდობდა, არც საკუთარ ხალხს: გრძნობდა რეზო ჭეიშვილი, ხვდებოდა... დიდი რამ მიხვედრა არც ესაჭიროებოდა გიორგი სააკაძის ნამდვილი ბუნების გაშიშვლებას, თუკი სტალინურ-საბჭოური მითოსის ზეგავლენა არ გაგიმრუდებდა სწორ აღქმას, მიუკერძოებელი შეფასების უნარს არ დაგიჩლუნგებდა.

25 აგვისტოს კვლავ ბერი ეგნატაშვილის თხრობაში ჩაიძირებოდა.

26 სექტემბერს ალექსანდრე ქუთათელის რომანის – „პირისპირ" – მეორე წიგნს რომ გადაათვალიერებდა, რომანის პრინციპი და წყობა დაცულიყო რაღაცნაირად, მაგრამ საერთოდ უსუსურობა აღმოჩნდებოდა ამის თვალში. ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკებს" ჩახედავდა და ნიკო ლორთქიფანიძის სასკოლო გამოცემას.

ნიკო ლორთქიფანიძის დიალოგები აოცებდა ყოველთვის და ამჯერადაც კიდევ ერთხელ აღტაცდებოდა:

როგორ შეუძლია აღადგინოს ეპოქა, განსაკუთრებით იმერეთის სამეფოს ბოლო საუკუნე. ამ მხრივ იგი სამაგალითოაო.

რაღაცას ჰკარგავდა მთლიანობაში.

ერთიანთანმიმდევრული გახლდათ თუ დაუსრულებელი, ვერ გაეგო რეზო ჭეიშვილს.

რატომ არ აღიარებულიყო ყველაზე დიდ მწერლად თუნდ საქართველოში?

რომ ეთქვა, ვერ დააჯერებდა ვერავის... თავსაც ვერ დააჯერებდა, თორემ...

ბევრად ერჩივნა კონსტანტინე გამსახურდიას და... ვერ იტყოდა, ვერ დაიჟინებდა: გინდა თუ არა ნიკო ლორთქიფანიძე უკეთესი მწერალიაო...

რაღაცაში იყო აქ საქმე და ეს უნდა გაეთვალისწინებინა ყველა მწერალს, და ეს უნდა გაეთვალისწინებინა რეზო ჭეიშვილსაც ცხადია...

მარტო ნიჭი არა კმაროდა...

დასრულება უნდოდა რაღაც დიდსა და მნიშვნელოვანს.

დავით კლდიაშვილი დასრულებული გახლდათ, მაგრამ ცოტა იყო თითქოს მისი მხატვრული ნაღვაწი...

რასაც ახლა რეზო ჭეიშვილი გამოაქვეყნებდა – ორ ტომს, ერთი გამოცემულიყო უკვე – დასრულებული იქნებოდა, მაგრამ არ იკმარებდა...

არ იკმარებდა – ასე ეჩვენებოდა – იმ დიდი გადმოსახედიდან, რომლისკენაც მიილტვოდა, და რაღაც-რაღაცების გარღვევას აუცილებლობად რომ მიიჩნევდა, ერთ უპირველეს სარბიელად თავისი შემოქმედებით ძალების მოსინჯვისათვის ისტორიული პროზა დაეგულებინა; და თუ რაიმეს, ნატრობდა დიალოგების მეშვეობით მასავით აღედგინა ეპოქა, „რაინდების" შემოქმედივით... ეგაა: დასრულებითაც დაესრულებინა: ნიკო ლორთქიფანიძისაგან განსხვავებით.

დასრულებული კონსტანტინე გამსახურდია გახლდათ აგერ.

მაგრამ ეს ზოგადი სტილისტიკა – რომანტიკული ხედვაც და მანერაც – შორს იყო რეზო ჭეიშვილის მხატვრულ მრწამსისა და სტილისტიკისაგან და თარგად და ნიმუშად ვერ დაიდებდა, ამ გზაზე მიღწეული წარმატება სრულფასოვან წარმატებად არც ესახებოდა და გულდაწყვეტით ამიტომაც გაიფიქრებდა ხოლმე რაღაც ამდაგვარს: რა იქნებოდა გადაელახა ნიკო ლორთქიფანიძეს თავისი რუბიკონი, ზედ მის ნაპირას არ შეჩერებულიყო, ის ერთი, ერთადერთი ნაბიჯიც გადაედგა და აღიარებულიყო ყველაზე დიდ მწერლადაც საქართველოში, საამისო მტკიცება რომ აღარც დამჭირდებოდაო.

ჩვენ ყველასა გვაქვს ჩვენი რუბიკონი, მაგრამ ხანდახან რომ არ ვიცით ხოლმე?!.

ისტორიისაკენ სულ უფრო დაჟინებით რომ იხედებოდა და გარდასულთა ლანდებიც აურიალდებოდნენ ხოლმე ცნობიერებაში, ამიტომ უნდა გამოცხადებოდა სოლომონ მეორის აჩრდილიც, სიმონ ჩიქოვანის „ძველი ჭადარის" სტრიქონებს რომ აღიდგენდა: ჭადრის გაშლილი ჩერო სად არი, ოქროს ჩარდახს რომ ადრე ფარავდა? რამ დააბერა ეგრე ჭადარი, ან ეგრე როგორ დაპატარავდაო?..

ბუნებას შეექმნა თავისი წესები, სიბერეს წელში მოხრა სჩვეოდა, მაგრამ ფესვები, ჭადრის ფესვები სიმონ ჩიქოვანის სიჭაბუკეს შემოჰხვეოდა.

და რეზოს როგორ არ მიედევნებინა პოეტური სურათისათვის ყოფითი სურათი, რომ:

ახლაც იქ იდგა ის ძველი, ილეოდა და აღარ იზრდებოდა; უკან მიდიოდა და არა წინ, თუმც რამდენიმე თაობასა და ფორმაციას კიდევ მოინელებდა. ეგრე როგორ დაპატარავდაო, პოეტს რომ უკვირდა, პროზაიკოსის განცდაც ამგვარი იქნებოდა და ის ილუზორულ ფაქტორს – ადრე დიდი მეჩვენებოდაო – არ ეფუძნებოდა. ჭადარი გაცილებით დიდი გახლდათ მართლაც და დაპატარავდებოდა არამარტო იმიტომ, რომ გადატყდებოდა: გადანატეხქვემოთაც მოიკლებდა. ბევრჯერ დაიმეხებოდა რამდენიმე საუკუნის სრბოლაში და რეზოს მახსოვრობაში გადაამტვრევდა ქარი – რიონის ჭალიკონი.

ანდა ეს როგორ არ დაერთო:

ვეებერთელა და დიადი რომ ამცრობდა იავარქმნილ „ოქროს ჩარდახს“, ოდითგანვეც დამცრობილს, სამეფო სასახლეს – დღევანდელი წარმოსახვით – რომ არც განასახიერებდა. ქვიტკირითა და ხით გაწყობილი, მდინარეში ბურჯებჩაყრილი, უდავოდ მყუდრო სატახტისი იქნებოდათ იმერ მეფეებისა. მიწურულ ზაფხულს იმღვრეოდა რიონი, ღრიალით ასკდებოდა ორთავ ნაპირს სასახლესთან, იშლებოდა, იტოტებოდა ქვევით და ქვევით მეფეთა თვალსაწიერამდე, მდოვრდებოდა და შლამავდა ჭალებს, სანადირო ადგილებს.

და კიდეც უნდა შემოცურებულიყო სოლომონ მეორის აჩრდილი, საკარცხულში მჯდომისა აივანზე ყალმუხის ქუდით, რბილი წაღებით, მეწამული ფერის მოსასხამით, ინით შეღებილი, ძირს დაშვებული ულვაშებით; ატეხილ ჭალებს რომ გასცქეროდა ქვისფრად აფოფრილ წყალს იქით და შეექცეოდა ღვთითბოძებულ საზრდოს, მიირთმევდა საჯავახოს დაბლარის ცივ ღვინოს დაწრეტილ ისტორიაში.

გულისშემძვრელი სურათია:

ცივი ღვინის სმა დაწრეტილ ისტორიაში.

ჭეიშვილური გადასვლა – მოულოდნელი და ეფექტური, ყოფითობაში ასე მძაფრად შემოჭრილი სიმბოლური ნოტა.

და უნდა მდგარიყო ჭადარი დიდი, მეფური, ყველა ხეთაგან გამორჩეული.

და უნდა ყოფილიყო ოქროს ჩარდახი, მშვიდობაში მოსახმარისი მოსასვენებელი, საბუთი ჩვენი სიღარიბისა და სიყვარულისა, ვიდრე სიძლიერისა.

და... ვეღარ უნდა დაეფარა ჭადრის ჩეროს ის არემიდამო... კიდევ კარგი ფესვები მაინც შემოხვეოდა სიჭაბუკეს პოეტისაც, პროზაიკოსისაც...

და გასცქეროდა ატეხილ ჭალებს სოლომონ მეორე ქვისფრად აფოფრილ წყალს იქითაც და დაწრეტილ ისტორიაშიც.

გასცქეროდა გაუნელებელი სევდით, რადგანაც: რამდენადაც უფრო მშვენიერი გახლდათ, მითუფრო მეტად უკვდებოდა გული მეფე-გვირგვინოსანს.

* * *

11 აგვისტოს ბაგრატის ტაძარს ააკითხავდა. რევაზ ნაჭყებია ახლდებოდა. ამასობაში ომარ ლანჩავაც გამოჩნდებოდა. შემოივლიდნენ კვლავ იქაურობას. ბოლოს სამხრეთ კედლის ხარაჩოზე ავიდოდნენ. ხარაჩო ქვემოდან, ისე, როგორც კედელი, არამყარი ჩანდა.

ავიდოდა სულ ზევით.

ავიდოდა.

კედლის წვერზე შედგებოდა.

გადმოხედავდა ზემოდან ქუთაისს, თავის სახლსაც კი დაინახავდა.

თბილ კედლებს ხელს მიუსვ-მოუსვამდა.

ჩამოსვლისას ნახავდა მშვილდ-ისრიან ამურს, ედიშერ ყიფიანი რომ აღმოაჩენდა 1963 წელს.

ცხვირს რომ მიადებდა, მიხვდებოდა რეზო: მშვილდ-ისარი კი არა, რაღაც საამშენებლო ხელსაწყო ეჭირებოდა ადამიანს, მშენებელს, ოსტატს ალბათ.

ხოლო წინა ეზოს ბაზილიკაზე – შესაძლოა არც ყოფილიყო ბაზილიკა, ისეთი ოვალური გახლდათ – სულ ძირში, ქვაზე ოთხი ჩხირი გამოხატულიყო. ომარ ლანჩავა დაანახვებდათ და ეტყოდათ:

– ყველას ვეკითხები, რა არის-მეთქი, მაგრამ ვერავინ გამცა პასუხი.

– ხელია, – რეზო მიუგებდა.

– როგორ თუ ხელი?

– ოთხი თითია ზევიდან ქვევით დაშვებული, – და ცერის ადგილას მიანიშნებდა.

ის ზურგით კედლისაკენ შებრუნდებოდა და ხელისგულს დაატოლებდა, დაასვამდა და... გაოცდებოდა. რევაზ ნაჭყებიაც გაკვირვებული მოაჩერდებოდა.

– ეს მხოლოდ ვარაუდია, – დასძენდა რეზო, შეარბილებდა ეფექტს, არადა მართლაც თითები გახლდათ, ოსტატის თითები. ამ თითების მიხედვით ადამიანის პორტრეტსაც ხედავდა ახლა დაახლოებით. იმ დროის იმნაირი ინტელიგენტის ხელი შესაძლოა ქალისა ყოფილიყო და არა ამშენებლის, შესაძლოა უფლისწულისაც.

თავისთვის დაიბეჯითებდა: ქალისააო, – და თავს ურჩევდა: დრომდე აღარც ამოეღო ამაზე ხმა.

მზამზარეულ რომანს ფარავდა მშვილდ-ისრიანი ამურიც, თორემ ეს ოთხი თითი ქალისა ხომ აღარც ფარავდა რომანს, ზედაპირზევე ამოზიდული და... თუკი გული გერჩოდა ისტორიის ტალანებში საბორიალოდ, უკეთესი თემა და სიუჟეტური ქარგის საფუძველიც რაღა გინდოდა...

ეს ორი ხელი კონსტანტინე გამსახურდიას ხელით?

* * *

29 ნოემბერს, 1979 წლისა, იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ქრონიკებს ჩაუჯდებოდა განსაკუთრებული გულისყურით, ერთიანად რომ შთაინთქ-

მოდა თხრობის მდინარებაში და ინატრებდა ბევრ, ბევრ იონა მეუნარგიას, ყველა შეუცვლელი რომ იქნებოდა თავთავის დროში.

ისეთ ჟანრსა და ისეთი თავდადებით მოჰკიდებოდა ეს ჩუმი, თავდადრეკილი მოღვაწე, უიმისოდ რამდენი რამ გვექნებოდა სამუდამოდ დაკარგული.

ერთი-ორ პასაჟს გადმოიწერდა თავის დღიურებში რეზო ჭეიშვილი.

– კაცი, რომელიც ავირჩიე მე საგნად ამ ჩემი წერილისა...

ჯეროვნად თვითონაც რომ ვერ აფასებდა თავის თხზულებას და წერილად მოიხსენიებდა იონა, თითქოს რიგითი სტატია ყოფილიყოს, სხვა კრიტიკოსსა თუ პუბლიცისტზე უკეთესი ან უარესი.

ხოლო კაცი, რომელსაც აირჩევდა საგნად თავისი ბიოგრაფიული ქრონიკისა:

– სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის ძე გრიგოლი, არ არის არც დიდი მწერალი, არც დიდი საზოგადო მოღვაწე, არც დიდი ისტორიული პირი, რომლის ბიოგრაფიას საზოგადოება წიგნთსაცავებში კითხულობდეს, რომლის თავგადასავალი საჯარო მოთხოვნილებას შეადგენდეს, როგორც ჩვენი დროებისთვის, ისე მომავლისათვის. ამ ტანის კაცზე, როგორიც არის გრიგოლ დადიანი, საზოგადოება ნამსახურების სიას კითხულობს, სანამ ცოცხალია, და ნეკროლოგს, რა რომ მოკვდება. ბიოგრაფია ეკუთვნის მხოლოდ განსხვავებულ პირთ, რომელთაც განსხვავებული სამსახური გაუწიეს მამულს, მეცნიერებას, ხელოვნებას, მწერლობას.

და ეს ადგილიც:

– ნეტავი ვისმე, ჩემსავით მოცლილ კაცს, აეწერა თამარის დროის კაცი, იმისი ტანისამოსი, ჩვეულება, ქცევა, ლაპარაკი და სხვა... რა დიდად დაავალებდა ის ჩვენს ისტორიას, რა გვარად დაასრულებდა ის ერთობ სიტყვაძვირ „ქართლის ცხოვრებას“.

და ინატრებდა რეზო ჭეიშვილი:

ნეტა მართლაც იონა მეუნარგიასავით „მოცლილ კაცს“ ეწერა მანამდე ან მას შემდეგ ამნაირად, თუნდაც ისეთ „უმნიშვნელო“ პიროვნებებზე, როგორიც გრიგოლ დადიანიაო.

და დაბეჯითებით განაცხადებდა, რომ:

პლუტარქეს, სვეტონიუსსა და ალბათ სხვებსაც – სხვებს არ იცნობდა – ბიოგრაფაღმწერლებს, უფრო თვალნათლივ წარმოეჩინათ ისტორია, ვიდრე სხვებს, თუნდაც ისტორიკოსებს.

იონა მეურნარგიას კი – ამ გაგებით – ფასდაუდებელი სამსახური გაეწია XIX საუკუნის ქართული სინამდვილისათვის.

ასეთი ჟამთააღმწერელნი იყვნენ საჭირო დღესაც. შეიძლება არსებობდნენ კიდეც, მაგრამ არა ჩანდნენ სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო.

თვით გრიგოლ დადიანის ბიოგრაფიაც ბევრის შემცველი აღმოჩნდებოდა რეზო ჭეიშვილის თვალში მრავალი თვალსაზრისით. ჯერ მარტო პიროვნება დახატულიყო ნათლად, თითქმის სრულყოფილად.

მარტო ის რად ღირდა, სადილობის წინ ქუდს რომ მოისვრიდა და დაბალ სკამზე შეაგდებდა. თუ ვერ შეაგდებდა, ხელმეორედ იმეორებდა. და არა-

ვის – მრავალრიცხოვან მოსამსახურეთაგან – არა ჰქონდა უფლება, დახმარებოდა ამ საქმიანობაში.

თითქოსდა უმნიშვნელო, არადა კოლორიტულ და ნიშანდობლივ დეტალს იონა მეუნარგია საგანგებოდ რომ ჩართავდა თხრობაში, ამ დეტალის ღრმა მნიშვნელობა როგორ გამოეპარებოდა რეზო ჭეიშვილს, თავის თხრობაში ასეთ „უმნიშვნელო" დეტალებს განსაკუთრებულ ღირებულებას რომ ანიჭებდა, ის კი არა, ნახეთ სადამდე აზიდავდა გრიგოლ დადიანის სახებას:

აკაკი წერეთლის დახატულ როსტომ წერეთლის პორტრეტსა თუ პერსონაჟს არ ჩამოუვარდება ეს ტიპაჟიო.

აკაკის ხსენებაზე ერთბაშად უნდა წამოჰგონებოდა დიდი სახლი ბალახვანში.

ერთ სახლზე გაუჩნდებოდა ეჭვი. ივარაუდებდა: ის იქნებაო. რა ის? ყურადღება მიექცია აკაკის ერთი წერილისათვის: ამა და ამ წელს, ამა და ამ რიცხვში ქორქაშვილების სახლში ვისვენებდიო. ექიმ ქორქაშვილზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი. და მგონი ასეც უნდა წერებულიყო.

ექიმი ქორქაშვილი რეზოსაც ემახსოვრებოდა. მისი სახლი, მშვენიერი, ქვის ორსართულიანი სახლი რეზოს უბანში იდგებოდა, მისი სახლის სიახლოვეს. ესეც უნდა დაეზუსტებინა და მემორიალური დაფაც უნდა გაკრულიყო რასაკვირველია – იქაც და სხვაგანაც, სადაც კი აკაკი წერეთელი ჰპოვებდა ხოლმე თავშესაფარს.

ეს სახლი სახლად და:

თუ ვინმეს, აგერ რეზო ჭეიშვილსაც ეცოდინებოდა იონა მეუნარგიას ბიოგრაფიული ქრონიკების გამორჩეული ფასი, პლუტარქესა და სვეტონიუსსაც რომ გაახსენებდა ეს ჩუმი და თავდადრეკილი მოღვაწე, და ერთ ასეთ ჟამთა და ბიოგრაფიათა აღმწერელს გარშემოც ინატრებდა: ნუთუ ჩვენი დრო არა შობს ისეთ პიროვნებებს, ისეთ „მოცლილ კაცებს", ამგვარი ქრონიკების შესადგენად რომ გაირჯებიანო?!.

ჰა – თვითონაც ხომ არ ეცადა?!. ბოლოსდაბოლოს მოსინჯვას წინ რა დაუდგებოდა?!.

– როგორ მიყვარს მემუარული ლიტერატურა, დოკუმენტური თუ დოკუმენტალური პროზა, – !983 წლის 18 დეკემბერს რომ განაცხადებდა, იქვე ჩაუკვირდებოდა, ნეტა ამ ორი სიტყვიდან რომელი უნდა ყოფილიყო უფრო სწორი: დოკუმენტური თუ დოკუმენტალური?

საშა მახარაძე იტყოდა:

– დოკუმენტური ნიშნავს დოკუმენტებზე აგებულ ნაწარმოებს.

და „დოკუმენტალური" ვითომ სხვა რამეს გულისხმობდა. რას ნეტა?

რეზოს არც ერთი ტერმინი მოსწონდა და არც მეორე და თავის მხრივ „ბიოგრაფიულს" ამჯობინებდა. ამასაც დროებით, ვიდრე რაიმე ქართული შესატყვისი მოიძებნებოდა.

თუ სხვები არ მოიძევებდნენ, თვითონ ჩაუჯდებოდა ჩხრეკას ამ მიმართულებით, თუმც ერჩივნა სხვებს დაედგინათ და შემოეთავაზებინათ ამ თავისებური ჟანრის კანონიკურ განმსაზღვრელად.

ამ აღტაცების გამოსათქმელად კი მემუარული ლიტერატურისადმი ჰერმან მელვილის „ტაიპი“ და „ომუ“ უბიძგებდა, ამ ჟანრის კლასიკური ქმნილებანი.

ხოლო მანამდე, 1981 წლის 18 აგვისტოს ტატიანა სუხოტინა-ტოლსტაიას „მოგონებებს“ შეუყვებოდა ინტერესით:

– ისე, როგორც ყოველგვარ ამ ჟანრს და მითუმეტეს ამდაგვარი პიროვნების, ჩამომავლობის ნაწარმოებს.

ბევრი რამ ეჩვენებოდა საგულისხმოდ და გაახსენდებოდა, რომ ნაწყვეტები ადრევეც წაეკითხა.

ფრიად მომხიბლავ თემად, სიუჟეტად – თუნდ კინოსცენარისათვის – წარმოუდგებოდა ტოლსტოის ბავშვების აღმზრდელის – ხანას – თავგადასავლაი.

18 წლის გოგო – მებაღის ქალიშვილი – ჩამოვიდოდა ინგლისიდან რუსეთში, იასნაია პოლიანაში. გავიდოდა წლები, სამშობლოში დაბრუნებას დააპირებდა და... დიდი ბრიტანეთის ნაცვლად მოხვდებოდა ქუთაისში. უკეთესი ჰავაა და ამიტომაც ზამთარი აქ უნდა გაატაროს ტოლსტოის ცოლისდის ოჯახში – კუზმინებთან.

1870-იანი წლებია.

და ჩაუფიქრდებოდა და შეეცდებოდა წარმოესახა, რა იქნებოდა მაშინდელი ქუთაისი.

ელოდნენ ბავშვები მის დაბრუნებას დიდი ამბით. მართლაც ჩამოვიდოდა და ერთ სტეპში, სადღაც ხუტორში გაატარებდა დროის იმ მონაკვეთს ტოლსტოის ოჯახთან ერთად.

კვლავ ქუთაისში მობრუნდებოდა ერთ ზამთარსაც და... დარჩებოდა სამუდამოდ. ცოლად შეირთავდა ვინმე მაჭუტაძე, თავადი.

და შეფიქრიანდებოდა რეზო ჭეიშვილი:

ნეტა თუ არის მათი – მაჭუტაძისა და ინგლისელი ლედის – შთამომავლობა დარჩენილი ჩემს მშობლიურ ქალაქშიო?

გაიკითხ-გამოიკითხავდა სახელდახელოდ და... ვერას შეიტყობდა, თორემ ან აქვე, ან „გადანახული ჩანაწერების“ სხვა გვერდებზე აუცილებლად გვამცნობდა რაიმეს მათ შთამომავლებზე, ანდა: თუ აღარ დარჩენილიყვნენ.

ინტერესს კი გააღვივებდა ამ კუთხით და: თავისდაუნებურად შესაფერის თემას დაუტოვებდა ელგუჯა თავბერიძეს საჩხრეკ-მისადევნებლად – საიმისო გახლდათ სწორედ, ადრე თუ გვიან ამ კვალსაც რომ დაადგებოდა გამოცდილი დეტექტივის ალღოთი და ცნობისწადილით და თავისი დოკუმენტური ნოველების ციკლს, სამ და იქნებ მეტ ტომადაც გადანაწილებულს, კიდევ ერთ მოხდენილ ნიმუშს შემატებდა.

9 სექტემბერს, 1984 წლისა, ლერი ალიმონაკი წიგნს აჩუქებდა. აგერ ედებოდა, პატარა მაგიდაზე და დაეზარებოდა ადგომა და იქამდე მისვლა, რათა სათაურისათვის დაეხედა.

ტერენტი გრანელზე დაეწერა და დაეწერა ტერენტი გრანელივით. მისი სტილისა და განწყობილების აღდგენა ეცადა.

კარგი იყო ეს თუ ცუდი – გრანელზე გრანელივით?

რეზო ჭეიშვილი არ მოიწონებდა ამგვარი მანერის არჩევას:

გრანელივით გრანელმა უნდა წეროს. მე მისი ცხოვრება (რეალური) და ბიოგრაფია მაინტერესებსო.

სანიმუშოდ ესახებოდა ამ მხრივ მიხაილ ზოშჩენკოს „კერენსკიც“.

ანდრე მორუას მიერ შექმნილი ფრანგი მწერლების ბიოგრაფიებიც.

და მიხაილ ბულგაკოვის „მოლიერიც“ მოეწონებოდა – კარგად ექნებოდა მიგნებული და ჩაველებული ფორმა, ხერხი თუ რაც იყო...

რეზოს ჟურნალში იბეჭდებოდა. მთარგმნელი ამ ბიოგრაფიულ რომანს პირდაპირ სტამბაში მიიტანდა – განსაკუთრებული შემთხვევა – და რეზო ამიტომაც ვერ წაიკითხავდა, თუმც არც მაინცდამაინც შეიწუხებდა თავს საამისოდ.

სხვასაც ბევრს გაუშვებდა – სხვებს აკითხებდა ხოლმე – წაუკითხავს.

„ტრამალის მგელი“ კარგად იქნებოდა თარგმნილი, ხელნაწერში წაიკითხავდა, საავტოროს, დაბეჭდილს უფრო ვერ დაუდებდა გულს.

ამაღამისთვის რა გადაედო წასაკითხად?

აკაკი ვასაძის მოგონებათა მეორე ტომსაც გაეცნობოდა, „ქართული პროზის“ VII ტომს უნდა მიბრუნებოდა ისევ. მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაც“ წინ ედებოდა, „საუნჯეც“, თუმც იქ აღარაფერი დარჩენოდა. „მოდილიანი“ საინტერესო აღმოჩნდებოდა ასე თუ ისე.

ტერენტი გრანელის ცხოვრების ქრონიკას მარტოდენ მკითხველის თვალით არ გაეცნობოდა. რაკიღა თვითონაც უტრიალებდა გუნებაში მხატვრულ-დოკუმენტური წიგნის, უშუალოდ კი ბიოგრაფიული რომანის შექმნის სურვილი, იმ მხრივაც ჩაუკვირდებოდა, რამდენად გაამართლებდა საგულვებელი მწერლის შესაფერისი სტილისტიკის მომარჯვება. არა, უნდა გამიჯვნოდა ამგვარ მანერას, თორემ სახარბიელო რომ ყოფილიყო, აგერ მიხაილ ბულგაკოვიც მოარგებდა თუ მოარგებდა თხრობას მოლიერის სტილურ მანერას: მოლიერზე მოლიერივით დაწერდა.

ვინ შეერჩია თავისი ბიოგრაფიული რომანის გმირად, ესეც ჯერ გასარკვევი ექნებოდა.

დგებოდა 1986 წლის 1 სექტემბერი და ისევ ეცხელებოდა... ჭრიჭინებდნენ კვლავ კუტკალიები. დაღამებულიყო, 12 საათი ჩამოდგებოდა სადაცაა. დღისით მამულში იმყოფებოდა, დაღამებულს ჩამოდიოდა შინ. წამოწოლილი იქნებოდა გრილოში და იკითხავდა გერონტი ქიქოძეს, აზრები – არა, მაგრამ ამბების კი საგულისხმოდ მოეჩვენებოდა, თუმც არაფერს ბოლომდე არა ჰყვებოდა, ეპიზოდს არ ამთავრებდა, თითქოს ეზარებოდა.

ბევრი რამ ენახა და არ იტყოდა თუ ვერ იტყოდა.

სხვათა შორის: სტილიც იქნებოდა ამნაირი თითქოს მაშინ, მეცხრამეტე-შიც და შემდეგაც.

XIX საუკუნის კაცს ჰგავდა ესეც – გერონტი ქიქოძე.

იმჟამად ცნობილი გახლდათ მისი მემუარების ერთი ნაწილი და არც გვეცოდინებოდა, მეორე ნაწილიც თუ არსებობდა: „თანამედროვის ჩანაწერე-

ბი", საბჭოთა რეჟიმის დამხობის შემდგომლა რომ უნდა ეხილა მზის სინათლე. მართლაც ფრთხილად დაწერილიყო ის პირველი ნაწილი, მაშინ სულ ეს რომ გვეგონებოდა გერონტი ქიქოძის მოგონებანი, ეპიზოდებდაუმთავრებლადაც კი. სამაგიეროდ მომავლისათვის ნავარაუდევ მეორე ნაწილში გაშლიდა ფრთებს და ერთ საუკეთესო დოკუმენტურ მატიანეს დაგვიტოვებდა საბჭოთა ეპოქის საქართველოსი, იმ ტრაგიკული ჟამისა, გარდა ცოცხალი საკითხავისა ძვირფას ისტორიულ წყაროდაც რომ გამოგვადგებოდა, ის კი არა: შთამაგონებლად და შემგულიანებლადაც იმ ჟამის აღწერა-წარმოსახვისას.

1 სექტემბერს იაკობ მანსვეტაშვილის მოგონებებს გადაიკითხავდა ხელახლა. ყველაფერს გაიხსენებდა. აქაც მოკლედ, ძუნწად, თუმც ეპიზოდებდამთავრებულად მოთხრობილიყო იმ საუკუნის ამბები.

საინტერესო პიროვნება ჩანდა ეს იაკობი, საინტერესო ამბებს იხსენებდა და... უფრო მეტი რატომ არ დაეწერა ასეთი ბიოგრაფიის პატრონს, გაკვირვებით უკვირდა რეზო ჭეიშვილს.

ნიკო ნიკოლაძესაც დაუმთავრებელი მოგონებები ექნებოდა, საკმაო დროც დარჩებოდა და ხანიც ამისათვის – უფრო მეტის გასახსენებლად, და... მაინც არ გააკეთებდა თუ ვერ გააკეთებდა ბოლომდე, ვერ გაიგებდი.

კიდევ რამდენიმე, მათ შორის ნიკა აგიაშვილის წიგნსაც შეიძენდა, რომელიც წერდა დაწვრილებით, თავისი სიტყვებით, მოგონილი ტერმინებით და... ვერ დაეჯერებინა რეზო ჭეიშვილს მისი მონათხრობი. მართალს ამბობდა და... ამას არა სჯეროდა, სხვას თავისი ლიტერატურული ენით ალაპარაკებდა და ვერ დაერწმუნებინა ამიტომაც... ისე საინტერესო გახლდათ მაინც ცხადია. არ ასახელებდა, მაგრამ ამ მინიშნებებით „ჭაბუკები დარჩნენ მარად" უნდა იგულისხმებოდეს: ლადო ასათიანისა და მისი თაობის თავისებური ქრონიკა.

პოლონსკი მაგალითად თავისი მოგონებების შესავალში საგულდაგულოდ აფრთხილებდა მკითხველს:

– დაწერო შენი მოგონებანი, ან ძალზე ადვილია და ან ძალზე ძნელი.

და შემდეგ:

– ნუ ენდობით მოგონებებს...

ამის, ამის და ამის გამო დიდ უნდობლობას უცხადებდა წინამორბედთ...

აფანას ფეტი თითქოს ფრაგმენტულად და არაგულწრფელად ჰყვებოდა, ტატიანა სუხოტინა-ტოლსტაია – ვრცლად და ზოგჯერ უინტერესოდ...

ალექსანდრ გერცენი? მოსაწყენად. ის, რაც იმჟამად მოსაწყენი გახლდათ ევროპისათვის – რუსეთის სიბნელე – ახლა მთლად სასაცილოდ გამოიყურებოდა ჩვენთვის, უბრალო მოკვდავთათვის...

და ეს იმიტომ, რომ: გაცილებით ბნელი და უმეცარი გახლდათ გერცენის დღევანდელი სამშობლო...

მაქსიმ გორკის ნიჭიერება მოგონებებში თხრობის ოსტატობითაც მჟღავნდებოდა, არ მოგაწყენდა ამიტომაც...

და... აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი"?

ამ ავტობიოგრაფიულ თხზულებაზე უკეთესი არა ნაეკითხა რა რეზო ჭეიშვილს და... ამ სახელის ამოჩენა ძალდაუტანებლად დააფიქრებდა იმ მხრივაც:

ვინ იცის რამდენ ერს – დაჩაგრულ ერს – ჰყავდა თავისი აკაკიო!..

10 სექტემბერი მოაწევდა. ყიდულობდა წიგნებს ბლომად, კითხულობდა, წერით ცოტასაც ვეღარ წერდა.

ლევ ტოლსტოის წერილებსა და დღიურებს ჩაუჯდებოდა. თითქოს იცოდა და... ბოლომდე არა სცოდნოდა. სამი წიგნი წაეღო თან „აღდგომის“ შემოქმედს იმ საბედისწერო გაქცევისას – ასე ამბობდნენ, ასე ეწერა, ასე ეცოდინებოდა რეზოსაც: მონტენი, მოპასანი, დოსტოევსკი. თურმე ოთხი – ერთს მალავდნენ – წაეღო, უფრო სწორად მოეთხოვა: წამომილეთო.

ნიკოლაევის „განაზრება ღვთისა, როგორც ცხოვრების სრულყოფილი საფუძვლისა (სულიერ-მონისტური მსოფლხედვა)“.

რეზოს არც კი სმენოდა, ვინ იყო ეს ნიკოლაევი... ნეტა რა დაეწერა ამისთანა, ტოლსტოის რომ უმისწიგნოდ ვეღარც გაეძლო თავისი ცხოვრების ყველაზე მღელვარე ჟამს?!.

და აღტაცებით აღიტაცებდა შვილებისადმი გაგზავნილი უკანასკნელი ბარათი, სიბრძნითა და სიკეთით აღვსილი...

თავიდან მიუბრუნდებოდა ტოლსტოის დღიურებსაც. ამჯერად განსაკუთრებით დააინტერესებდა: ნეტა თუ იღიმება სადმე ეს ადამიანიო? აქვს თუ არა იუმორიო? ალბათ კი, მაგრამ სად? თითქოს „აღდგომაში“ ერთ ალაგას, „ჰაჯი-მურატშიც“ (როცა ჰაჯი-მურატი მოულოდნელად ხელს დაარტყამდა ზურგზე თავის ჩინოვნიკს), და... საბავშვო მოთხრობებში? იქაც სერიოზული გახლდათ.

ნამეტანი შეზარავდა ბავშვის სიკვდილის – სერიოჟასი – განცდის სიმცირე, გულგრილობა ლევ ტოლსტოის მხრიდან... დასაფლავებული არა ჰყავდა და... რაღაცის თარგმნას მოჰკიდებდა ხელს. შემდეგ თავის ჯანმრთელობაზე მოჰყვებოდა ლაპარაკს კვლავ. წარმოუდგენელი ფაქტი იყო! სხვასთანაც წაეკითხა ამის შესახებ. თვითმხილველებსაც მიექციათ ყურადღება ამ აპათიისა თუ გულგრილობისათვის. მოხუცი იქნებოდა ამ დროს, დაახლოებით 75 წლისა, და მაინც ძნელი გახლდათ ამ ფაქტის ახსნა...

იწყებდა და ვერ იწყებდა ისტორიულ თხზულებებს რეზო ჭეიშვილი.

აპირებდა და აპირებდა, აპირებდა და აპირებდა... მაგრამ ამ პროცესის გაჭიანურებას არ ადგებოდა საშველი, თითქოს მოჯადოებულ წრეში მოქცეულიყო, თანაც უკიდურესად დავიწროებულში, შეუძლებელი რომ შეიქნებოდა მისი გადალახვა.

რომანს ვინ ჩივის, მოთხრობებსაც ამაოდ უტრიალებდა.

არადა: თითქოსდა მეტი რაღა იყო საჭირო:

სიუჟეტები იქნებოდა და – მოფიქრებული.

ხასიათები იქნებოდა და – თვალდათვალ შეცნობილ-გააზრებული.

ეპოქები იქნებოდა და – ისტორიული ქრონიკებისა და დოკუმენტების გულმოდგინედ შესწავლა-დამუშავების წყალობით ყოველმხრივ განცდილი და დეტალურად და ნიუანსობრივად დადებული ხელისგულზე.

სტილური მანერა იქნებოდა და – შერჩეული.

პირველი სტრიქონები იქნებოდა და: შესაფერისი კამერტონი მიგნებული.

არა, მართლაც მეტი რაღა შეიძლება იყოს საჭირო ამ ჟანრის ქმნილების დასაწერად?

ამიტომაცაა, დაიმედებით რომ დაიმედებულიყო და არაერთხელაც გაანდობდა დღიურს ამ სურვილს, რომელიც იმ წამს შესრულებულადაც კი ესახებოდა, და სათაურებიც მოერგო სრული დამაჯერებლობისათვის ნავარაუდევი ისტორიული თხზულებებისათვის.

აპირებდა და აპირებდა, აპირებდა და აპირებდა...

მაგრამ რა იყო მაინც ეს მოჯადოებული წრე, დაწყებასაც რომ არ ანებებდა და თუნდ საშუალო ღირსების თხზულების შექმნასაც – დებიუტად მაინცდამაინც შედევრს არც განიზრახავდა და არც გამოელოდა.

შედევრი კი არა!..

ისტორიული თხზულების შექმნის ჭიას „რკინის სახკომით" თუ მოიკლავდა. ისტორიულად ეს რომანიც ითქმოდა, რატომაც არა, მაგრამ ხელისგაწვდენაზე არსებული ეპოქის წარმოჩენა მაინც არ შეიძლება მიეჩნია იმ მონაპოვრად, რასაც XVII საუკუნის იმერეთის ტრაგიკული ცხოვრების მოქცევა მიანიჭებდა მხატვრულ ქარგაში.

მარჯვედ კი შეარჩევდა ბიოგრაფიული – გნებავთ ისტორიულიც გვეწოდებინა – რომანის მთავარ გმირს, უფრო სწორად – ანტიგმირს, მისი სტილისტიკისათვის ნიშანდობლივი და მახლობელი სატირული ფერებით რომ წარმოგვისახავდა.

მანამდე ანტიგმირი არ გამოეხატა ქართულ ბიოგრაფიულ რომანისტიკას.

მსოფლიო ბიოგრაფიული რომანისტიკაც არ გადავსებულიყო მაინცდამაინც ამგვარი არჩევანით და გამონაკლისთა შორის თუ შეიძლება შემოექსოვათ სიუჟეტური ქარგა ანტიგმირის ირგვლივ.

შტეფან ცვაიგის „ჟოზეფ ფუშე" იქნებოდა ამის ნიმუში.

და აი „რკინის სახკომი" უნდა ამოდგომოდა გვერდთი გერმანელი მწერლის ბიოგრაფიულ რომანს: ამგვარი სულისკვეთებისას.

და ძალდაუტანებლად უნდა გადებულიყო ხიდი ამ ორ მსოფლიო ავანტიურისტს შორის, საერთაშორისო მასშტაბით რომ გაამჟღავნებდნენ თავიანთ უკეთურ უნარს, დემონურ ენერგიას. საკმაო გავლენას კი მოახდენდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე, დიდ სარბიელსაც რომ დაისაჭიროებდნენ, თორემ შედარებით პატარას რას იმყოფინებდნენ.

ასეთი პერსონაჟი ვერ შეერჩია რეზო ჭეიშვილს საუკუნეთა სიღრმეში.

ანტიგმირი ვერ აიყოლიებდა, თორემ გიორგი სააკაძე თუ ვინმესი, სწორედ მის კალამს ელოდა, რათა მისი პორტრეტი მიუკერძოებლად გამოხატულიყო და... კიდეც საკმაოდ დაზარალებულიყო სატირული ქარცეცხლის შუაგულში მოქცეული.

რისი წარმოჩენაც ენება, სატირისათვის ვერ გაიმეტებდა, რეალისტური ხედვა კი – როგორც ჩანს – ნიკო ლორთქიფანიძის სტილისტიკის ზეგავლენის ქვეშ მოაქცევდა.

საამისოდ რა საბუთი, რა დამადასტურებელი რეალია მოგვეპოვება?

არც არაფერი... და მარტოდენ ვარაუდის იმედად თუ ვიქნებით.

მაგრამ აბა თვითვე განსაჯეთ:

ყველაფერი მოეგვარებინა ისტორიული თხზულების შესაქმნელად, გული ეწეოდა და ხელიც ეცმადუნებოდა და... ასეთ დროს განა რა შეიძლება ყოფილიყო გადაულახავი დაბრკოლება?

თავის მანერას ვერ მიაკვლევდა, თორემ სხვა რა?!.

შემოქმედებითად ვერ გადაამუშავებდა იმ სტილისტიკას, რომელსაც ყველაზე შესაფერის ხედვად და თხრობის ნაკადად მიიჩნევდა. ვერ მოირგებდა და ვერა. თავისი სუნთქვით ვერ აღავსებდა... და ხელიდან ამიტომაც გაუსხლტებოდა.

ნელ-ნელა უკან რჩებოდა ის დრო, ისტორიული რომანის – მოთხრობა ყოფილიყო თუგინდა – შექმნის ოცნებას რომ შეჰხაროდა და ამ მხრივაც ესწრაფოდა თავისი მხატვრული ნაღვაწის გამრავალფეროვნებას... უკან რჩებოდა და შეუმჩნევლად ხუნდებოდა ისიც, ფერიცვალობდა წიგნში ჩარჩენილი მაგნოლიის ყვავილის ერთი ფურცელივით.

კარი მეოთხე

თავი პირველი

ქუთაისის პოეტიკა

1 ივლისს მაროს ესტუმრებოდა რაღაცების დასაზუსტებლად და ჩასაწერად. ძალიან კი ენდომებოდა, მაგრამ ვერ მოუხერხდებოდა, არ იქნებოდა შესაფერისი სიტუაცია, არადა: უმოქმედობასაც შეეწუხებინა. პაუზა გაუგრძელდებოდა. ძალიან უნდოდა მუშაობის დაწყება – ამ სიცხეშიაც კი.

5 ივლისს ფეხბურთს რომ უყურებდა ტელევიზორში: ქუთაისი ეთამაშებოდა ერევანს კოკისპირულ წვიმაში. კოჭებამდე წყალი იდგებოდა სარბენ ბილიკებზე. საწვიმრებში გახვეული ხალხი ისხდებოდა ტრიბუნებზე. ქუთაისში ქოლგები რომ არ გახლდათ მოდაში, ისედაც სტადიონზე მისი გამოყენება არც კი უნდა ყოფილიყო მიზანშეწონილი.

როგორ მოუნდებოდა იქ ყოფნა და ჯდომა, მარტოდმარტო ყურება ფეხბურთისა წვიმაში... არასოდეს სტადიონზე მარტო არ ყოფილიყო და ამ დღეს კი კინკილად დაჯდებოდა ხალხისაგან განაკიდეს, აღმოსავლეთ ტრიბუნაზე, სადაც ალბათ ნაცნობი ვერ აღმოაჩენდა.

ახლა კიდევ იგრძნობდა, როგორ ჰყვარებოდა ქუთაისი.

„ბედის ტრიალს" რომ დაამთავრებდა, აღარ იცოდა, ისტორიული „დ. ც." დაეწყო თუ „თ. ვ."-ლი.

„თ. ვ." ხომ ქუთაისზე უნდა ყოფილიყო – პირველ სიყვარულზე, სისუფთავეზე, სულის სიფაქიზეზე, გაბინძურებული, გაუხეშებული ცხოვრების, ყოფის ნამსხვრევებზე. იმ ავტობიოგრაფიული რომანის – „მუსიკა ქარში" – გაგრძელება იქნებოდა ფაქტობრივად.

პირველი: „მუსიკა ქარში".

მეორე: ეს.

და მესამე: ქ. დ. – „ქარების დაბრუნება" რომ დაიშიფრებოდა ამ ინიციალებით.

ეს ბოლო – რიგით შუალა – ყველაზე სუფთა, სევდიანი უნდა გამოსულიყო, საჭირბოროტოც... გამოჩნდებოდა, ყველაფერი გამოჩნდებოდა...

13 სექტემბერს საღამორელე ააკითხავდა მაროს რაღაც-რაღაცების ჩასაწერად. არ დახვდებოდა. გვიანობამდე, ათს აღარაფერი აკლდებოდა, დაუცდიდა. მოვიდოდა და აღარაფრის ხალისი ექნებოდა... და ესეც გადადებდა საქმეს: სხვა დროს ამოვალო.

მანამდე სახურავზე ავიდოდა სხვენიდან. ორი სახლი იყო, თუმც ერთი ქობი მოვლებოდა. ერთ მფლობელს შემოეყოლებინა როგორც ჩანდა. აქე-

დან შეიძლება დაგესკვნა, რომ ერთი სახლი იყო. თუ ცალ-ცალკე სახლები შეიძლება დარქმეოდათ, მალე მიედგათ ერთმანეთისათვის. უფრო საინტერესო გადასახედს ელოდა, ისეთი არაფერი აღმოჩნდებოდა და მალე ჩამობრუნდებოდა უკანვე. რაღაც-რაღაცებს შეიტყობდა საუბარში საგულისხმოს და: რა ყოფილა ეს იმისი ქმარიო, – ფიქრობდა.

თუ რობერტ სტურუამ არ დარეკა ამ კვირაში, „ბედის ტრიალს" დავიწყებ უეჭველადო, – რომ ჩაითქვამდა 4 ოქტომბერს, მიადევნებდა, – მოსასწრები ახლა უნდა მოვასწროო.

დრო სწრაფად მიჰქროდა?

ძალიან კარგიც, სწრაფად თუ მიჰქროდა და ასეც ჩაინიშნავდა:

ერთი მხრივ ესეც კარგია, გასარბენი დროზე გაირბინო ჯობიაო.

ქუთაისში მხოლოდ ღამეს გაათენებდა, დილით წამოვიდოდა და განაწყენებულს დატოვებდა მშობლებს. შეპირებით კი შეპირდებოდა: ჩამოვალ ისევ მალეო.

სტამბაში შეივლიდა და დავით მანდარია უხალისოდ დახვდებოდა: გამოვა-არ გამოვა წელსო, – მარჩიელობასა და ყოყმანს დაიწყებდა, – ორ კვირაში სამეორეკორექტუროდ იქნება მზად, ჩამოდი და წაიღეო. ჩავიდოდა, აბა რას იზამდა.

გურამ ფანჯიკიძე და იორამ ქემერტელიძეც მოინახულებდნენ სტამბის დირექტორს და რეზოს წიგნზე დაელაპარაკებოდნენ.

– ვერ მოვასწრებ ალბათ.

– უნდა მოასწრო.

– იქნებ სასიგნალოები ჩამოვბეჭდო.

რეზოსათვის ესეც კარგი იქნებოდა, მაგრამ გამომცემლობას მხოლოდ სასიგნალოები გეგმაში არ ჩაეთვლებოდა.

რაც არი, არიო, – თავს ინუგეშებდა, – ერთი-ორი თვით გინდ აქეთ ყოფილა და გინდ იქითო.

ძალიან კი დააიმედებდა ამ გაზაფხულზე დავით მანდარია: მესამე კვარტალში მზად იქნებაო.

– მეოთხე იყოს, – ეს ეტყოდა, რადგანაც „მესამე კვარტალი" ზღაპარს უფრო ჰგავდა.

პირიანი კაციაო, იმაზე რომ ამბობდნენ, ეს იყო მისი პირიანობა?

ძალიან კი ელოდებოდა ამ წიგნს რეზო ჭეიშვილი.

დალაგებულ-ჩასწორებული – ბოლომდე მაინც ვერ შეეჯერებინა გული – ჩაშალაშინებული ექნებოდა და წინაც არცთუ თავმდაბლური – მაგრამ უთუოდ საჭირო – წინასიტყვაობა თუ ანოტაცია წაემძღვარებინა:

პოეტისა არ იყოს, აწი არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინიაო...

და თავდაჯერებით დაჰკრავდა ბეჭედს ახლაც:

მართლაც ასეაო...

27 ოქტომბერს წიგნი ჩამოუვიდოდა ქუთაისის სტამბიდან, 52 ფორმა, მეორე კორექტურა. ხვალიდან დაითხრიდა თვალებს კორექტურის კითხვით. ნატვრით კი ინატრებდა: ნეტა იყოს საშუალება და უფლება ჩასწორებისაო.

მაშინ კი გაჰკრავდა დ გამოჰკრავდა ხელს თავის ნებისად, მაგრამ მხოლოდ უმნიშვნელო, სასვენი ნიშნების ჩასწორების უფლებაღა დარჩენოდა.

30 ოქტომბერს წაიკითხავდა წიგნის კორექტურას – 32 ფორმას. უფლება რომ ჰქონოდა, რამდენ რაიმეს შეასწორებდა – სტილისტურად მხოლოდ.

უმრავლესობა მოეწონებოდა. ზოგიერთისათვის ისე კარგად გაეკრა ხელი, რომ მეტი აღარც აღარაფერი სჭირდებოდა.

სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევდა, „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალს" ცალკე წიგნად რომ სცემდა. დღეს წაიკითხავდა სწორედ და კმაყოფილიც დარჩებოდა.

31 ოქტომბერს ისევ და ისევ ამ წიგნსა და მოთხრობებზე იფიქრებდა... და ისევ და ისევ უკმარისობის გრძნობა შეაწუხებდა: ვერ მივიყვანე და ვერა ყველა მათგანი ბოლომდე. ზოგს დავაკელი, ვერ მივხედე, ზოგანაც გადავაჭარბეო...

მაგალითად: „პაპიაშვილის ბრალდების საქმე" უკვე არაბუნებრივი მოეჩვენებოდა. წინანდელი უშუალო დაჰკარგოდა თითქოს.

სამაგიეროდ მოეწონებოდა:

„ბზიანეთი", „მეოთხე პალატა" (კარგად გადამიმუშავებიაო, – ჩაურთავდა), „პრემიერა", „მთვარიან ღამით" – პირველიცა და მეორეც ამ სათაურისა. „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი" კარგი გახლდათ. „კვამლისათვის" ხელი არ ეხლო – თითქმის კარგიაო, ამ მოტივით.

„კომპოზიტორი ჩირიბერიძე" გააოცებდა, მის დაწერილს არა ჰგავდა, მაგრამ ხელს არ ახლებდა, ერთ სიტყვასაც არ ჩაასწორებდა.

„ჭის" შეკვეცა შეიძლებოდა.

„გიასთვის" რომ ვერ მიეხედა, გული წყდებოდა.

„რასემონი" ძლიერი გახლდათ.

და „ცისფერი მთები" კი: გამოსულიყო თუ არ გამოსულიყო, ღმერთმა უწყოდა... ძალიან კი აინტერესებდა... ის „ფორმები" არ მიეღო. დრო რომ ჰქონოდა. „მუსიკა ქარშიც" ჩასასწორებელი ეჩვენებოდა სტილისტურად, ალაგ-ალაგ მხოლოდ.

ტომეულებს რომ წარადგენდა – თუკი დააყენებდნენ საშველს – მაშინ გადახედავდა ხელახლა სუყველას – დიდსაც და პატარასაც.

ხვალ საღამოს ალბათ გახმოვანება ექნებოდა, თუ ადრე გათავისუფლდებოდა, მაროსთან ავიდოდა და... ზეგისათვის დაეწყო იქნებ „ბედის ტრიალი".

1 დეკემბერს თავს შეუძახებდა, რომ ბოლოსდაბოლოს უნდა შედგომოდა მუშაობას. წინა დღეს მაროსთან რომ იქნებოდა, რაღაც-რაღაცებს დააზუსტებდა თავისთვის, თუმც ახალს არაფერს შეიტყობდა... ახლა წინ ედებოდა მასალები და გეგმა... და ხვალვე წერასაც შეუდგებოდა უეჭველად.

7 დეკემბერს გუბაზს საავადმყოფოდან რომ გამოიყვანდა, იმ მხრივაც მოითქვამდა სულს: ახლა მეტი დრო დამრჩება სამუშაოდ, იქნებ რამე მოვასწროო.

ამ მანქანასაც შეეკლა ხელში, დღეს კარი გაეკაწრა, გაელუნა კიდეც ქვევით და ძალიან რომ ეწყინებოდა და გაბრაზდებოდა, ენაზე ის ანდაზა მოად-

გებოდა: პწკენა-პწკენით პატარძალი დაორსულდაო. გაყიდვას დააპირებდა და... თან არც ენდომებოდა გაყიდვა... ჰა მუშაობასაც შეუდგებოდა, ოღონდ ძალიან მძიმედ, მიჩოჩავდა კუს ნაბიჯებით. კუს ახსენებდა და... თავისი უპატრონოდ მიტოვებული მამული გაახსენდებოდა... ავიდოდა ერთ მზიან ღდეს მუხათწყაროში, თუკი დახვდებოდა ადგილზე... სახლის აშენების თავი სად ექნებოდა, გავსებულიყო ვალებით.

არადა ეს 1984 წელიც რომ ახლოვდებოდა?..

ისევ თბილი დეკემბერი რომ იდგებოდა, ასე ხდებოდა ყოველ წელს, ყოველ შემთხვევაში: რაც დღიურს ავსებდა, მას შემდეგ ნამდვილად. სულაც არ გახლდათ ყველაზე ცივი – იანვარს არა გულისხმობდა – თვე დეკემბერი, თებერვალზე უკეთესი გასაძლისი იყო, თუმც – ხან ისე ალბათ და ხანაც ასე.

9 დეკემბერს ვერ იქნებოდა კარგად და მცხეთაში გაივლიდა. მზე იდგებოდა და მშვენიერი დღე მიიწურებოდა. კარგი გამოსულიყო, ძალიან შერწყმოდა ლანდშაფტს, ზურაბ წერეთლის დადგმული ბრინჯაოს – ბრინჯაოს ჰგავდა, უფრო სპილენძს – ქანდაკება, დაკბილული მთები, ჟანგისფერი გორები, მდინარე მტკვარი, სამანქანო და სარკინიგზო გზები გვერდი-გვერდ, ხიდები, სარკოფაგები, არქეოლოგიური გათხრები, ეკლესიის გუმბათები... და ცოტა დამშვიდდებოდა, გულის ჩხვლეტებიც მოეშვებოდასავით.

ძალიან დაიღლებოდა. ვეღარ უძლებდა ნერვიულობას, დაძაბულობას, თავისი ორგანიზმის სისუსტეებს, სირეგვნე-სიყეყეჩეს შინ თუ გარეთ... აღარ მთავრდებოდა და აღარ: უსიამოვნებაზე უსიამოვნებანი, არგაგება, არდაფასება და ამისთანები. როგორ წავიდოდა მისი საქმე, აღარ ეცოდინებოდა... მუშაობის არავითარი საშუალება... ხალისსა და განწყობილებას აღარც დაეძებდა... ნერვებმოშლილი საწერადაც ვეღარ ჯდებოდა...

10 დეკემბერს მაინც დაიწყებდა მოთხრობას, ეზარებოდა, მძიმედ წავიდოდა წინ. არადა: არაფრად ულირდა მოთხრობის დაწერა.

თუკი გადადებდა თავს, რაღაცას მაინც ისეთს დაწერდა, ვერავინ აჯობებდა: შეეძლო დაეფიცა, ვინც უყვარდა.

სულაც არ ესაჭიროებოდა მოთხრობას – რომანი ყოფილიყო თუნდაც – ის ტვინი, რეზო ჭეიშვილს რომ მომადლებოდა. ეჭვი არ ეპარებოდა: უფრო მეტისთვისაც გახლდათ დაპროგრამებული და თუ ვერ იყენებდა შესაფერისად, რაღად უნდოდა მაშინ...

მის ვაჟს, გუბაზს, რომ მოუტანდნენ „ტაიპსა" და „ომუს" ჰერმან მელვილისა, მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის თხზულებებს, იმ დღეს ყურადღებასაც არ მიაქცევდა, 18 დეკემბერს კი შუადღით მზიან ოთახში წამოწვებოდა და პირველ ნაწილსაც წაიკითხავდა. ერთი სული ექნებოდა ახლაც დანარჩენის მოლოდინში – როდის დაწვებოდა, როდის შეუდგებოდა კითხვას. მართალია 12 საათი შესრულებულიყო, მაგრამ 3-4 გვერდი მაინც უნდა შეემცირებინა „მიშას საქმისა" („ბედის ტრიალს" ასეც ეძახდა), თანაც ხვალ ადრე, მისთვის სულაც ალიონზე, 9 საათზე იქნებოდა ასადგომი.

ჰერმან მელვილის გვარ-სახელი ჩააფიქრებდა, მაგრამ ამ წიგნებში ვერსად ამოიკითხავდა, ეს თუ ის ჰერმან მელვილი იყო – „მობი დიკის" ავტო-

რი... ეგებ სხვა გახლდათ. ვეღარც „მობი დიკს“ მოიძევდა, არადა ახსოვდა, რომ ჰქონდა; და ვერც ლიტერატურულ ლექსიკონს... არადა წესით ისიც უნდა ჰქონოდა.

27 დეკემბერს სიხარულით აღბეჭდავდა დღიურის ფურცლებზე, რომ: დაასრულებდა „ბედის ტრიალს“!..

ნამდვილი სათაური ჯერ არ მოეფიქრებინა და... არც ჩქარობდა.

2 თუ 3 დეკემბერს დაეწყო და აგერ კიდეც მოეთავებინა შავი ვარიანტი. ალბათ ოთხფორმიანი მოთხრობა გამოსულიყო, სამუშაო წინ ელოდებოდა, მაგრამ მაინც კმაყოფილებას გრძნობდა ბოლო წერტილის დასმით, მითუმეტეს: ანი უფრო მოუმატებდა ტემპს.

ხვდებოდა: ახალი და სერიოზული რაღაც შეექმნა.

ამ წელიწადს რომ ბევრი ვერაფერი მოესწრო?

ეს განცდა ღრღნიდა და აწუხებდა, მაგრამ „ბედის ტრიალი“, რომლის ნამდვილი სათაურიც მოსაძებნი რჩებოდა, სულს მოათქმევინებდა და შვებამოგვრილს ამასაც ათქმევინებდა:

– თუმცა შეიძლება მთელი ცხოვრება ეყოს ამნაირი ნაწარმოები ადამიანს.

ერთი პირობა გაიფიქრებდა ამ ნათქვამზე: ნამეტანი ხომ არ მომივიდაო? – მაგრამ აწონიდა, დაწონიდა და დაბეჯითებით განაცხადებდა:

ნამეტანია, მაგრამ ასეაო.

არადა მართლაც რა გაეკეთებინა ამ წელს?

გადახედ-გადმოხედავდა და:

მხოლოდ „რასემონი“? ჰო, მხოლოდ „რასემონი“.

სცენარიც, რომელიც წლევანდელი ეგონა, შარშან, ზუსტად ამ დროს დაემთავრებინა. ასევეც ეწერებოდა: 27.XII.82. ცოტა იყო, ძალიან ცოტა ერთი წლის კვალობაზე...

„რასემონი“ რიგითი ნოველა რომ არ გახლდათ და მისი ბადალი შეიძლება ვეღარც დაეწერა? შეიძლება კი არა, ალბათ ვეღარც დაწერდა?

მაინც ეცოტავებოდა და ეცოტავებოდა.

„რასემონის“ შემდეგ „გაყრაზე“ იწვალებდა და ფაქტობრივად არაფერს გააკეთებდა ამ ზაფხულს – ეს 50 წელიო, ეს ავადმყოფობაო, ეს უსაქმურობაო, ეს მოგზაურობაო...

მუცელი ისევ აწუხებდა და გადაწყვეტდა ევარჯიშა, იქნებ ამას ეშველა, თუ არადა გლახად იქნებოდა მისი საქმე.

ახლოვდებოდა 1984 წელი – გაურკვეველი იმედებით, კაცობრიობის ბედის ბეწვის ხიდზე თამაშით.

„მუსიკა ქარში“ წელს გამოსულიყო და: 1982 წელი ეწერებოდა.

„ცისფერი მთები“ წლევანდელი თარიღით გამოვიდოდა გაისად.

„შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალს“ წელს ჩააბარებდა და... ის როდისღა იხილავდა მზის სინათლეს?

28 დეკემბერს მიაკითხავდა მამა ევსევი და ეტყოდა:

– „კვამლი“ წავიკითხე, ძალიან მომეწონა.

დასძენდა, რომ: წაკითხული ჰქონოდა ჩარლზ დიკენსის „დავით კოპერფილდიც“, ნოდარ დუმბაძეც და ამისი მოთხრობებიც. რეზოს ეჭვი შეეპარებოდა რაოდენობაში, მაგრამ თქმით არას ეტყოდა. აჩუქებდა რომანს „მუსიკა ქარში“:

– ესეც წაიკითხე ბარემ და მერე ვილაპარაკოთ ლიტერატურაზე და ღმერთზე.

ის დაეთანხმებოდა და შეპირდებოდა, რომ: ძველით ახალ წელს კვლავ ესტუმრებოდა.

ფოტოსურათებს რომ გაუმზადებდნენ და მისცემდნენ, ერთი ახლაც წინ ედებოდა – „კავკასიონისთვის“ უნდა ჩაებარებინა, დანარჩენებს შეინახავდა. თან იმხელა იყო, გადიდება აღარც დაჭირდებოდათ... და წარმოიდგენდა, როგორ დაკიდებდნენ შემოსასვლელთან მის პანაშვიდზე... და მაინც ამჯობინებდა 93-ს დალოდებოდა. საინტერესოდ მოეჩვენებოდა, თუ როგორ წაბრძანდებოდა ის ოთხმოცდაცამეტი.

5 იანვარს ტელევიზიის „ლიტერატურულ თეატრში“ წაიკითხავდნენ – დადგმას ვერ უწოდებდა – მის ნოველას „ელვარდის სიზმარი“. ვინ კითხულობდა, არ იცოდა. ერთი გოგონა, მგონი სვანის გვარისა, და ეხმარებოდნენ.

ტექსტს რომ მიაყურადებდა, გულს შემოეყრებოდა, მიხვდებოდა, ადრინდელ ვარიანტს – შემოკლებით, დამახინჯებულად – კითხულობდნენ. თათია ხაინდრავას დადგმა ყოფილიყო და ამას ეწყინებოდა: რაღა 10-11 წლის წინათ გამოცემული „ქალაქში დინოზავრები დადიან“ გამოძებნაო. გადაშლიდა, გადმოშლიდა ადრინდელ გამოცემებს, თურმე რა „დინოზავრები“, იმ კრებულით ესარგებლათ: „წლევანდელი ზაფხული წყალტუბოში“.

მას შემდეგ ორჯერ საფუძვლიანად, ბოლოს კიდევ ერთხელ ჩაესწორებინა და გადაეკეთებინა.

როგორ არ დაერეკა და არ ესაყვედურა სოსო პაიჭაძისათვის: ეკითხათ მაინც მაგ დალოცვილებს, რას აკეთებდნენო.

ღამე ჩამომდგარიყო.

მუშაობდა. წერდა. ათეთრებდა.

13-14 იანვარს გადაათეთრებდა მოთხრობას, თითქმის მზად რომ იქნებოდა.

ძალიან ინტენსიურად ემუშავა.

ცოტა ხანს კიდევ უყურებდა და 20-სათვის შავად გადაბეჭდავდა.

გაიმეორებდნენ მასზე იმ ადრინდელ ჩანაწერს ტელევიზიაში. ძალიან არ ენდომებოდა, მაგრამ რა შეეძლო. ბევრი გაელიზიანებინა, ბევრისთვის ესიამოვნებინა და... პრინციპში საჭირო იყო, როგორც ატყობდა...

– არ მომწონს ეს გადაცემა, – ეტყოდა ვილაც.

ბარემ თვითონ რეზოსაც არ მოსწონდა, ბარემ უკეთესი ერჩივნა, მაგრამ სად იყო?!.

ერთი-ორი საათის წინათ მანქანით რომ მოდიოდა, რადიოს ჩართავდა და... თავისი გვარ-სახელი მოესმოდა იმწამსვე. „ბზიანეთს“ წაიკითხავდა სოსო ლაღიძე და მშვენივრადაც.

„ბედის ტრიალი“ კოდურ სახელწოდებად რჩებოდა, „მიშას საქმე“ – მეორენაირად. რა დაერქმია, აღარ იცოდა, სათაური ვერ მოეფიქრებინა. „სახლი ხანთაძის ქუჩაზე“? რაღაცნაირი რუსული კონსტრუქცია გამოდიოდა... „ბედის ტრიალი“ არ ვარგოდა ცხადია, „საქმე“ ერთხელ უკვე გამოეყენებინა. მოიგონებდა რაღაცას, როგორ ვერ გამოძებნიდა მარჯვესა და შთამბეჭდავს, თავს კი ამით გაიხალისებდა მანამდე:

ჩვენ ვიყოთ კარგად და ამ „საქმეს“ ეშველებაო.

15 იანვარს, კვირადღეს ისევ სითბო და მზე იქნებოდა.

შტეფან ცვაიგის „სტენდალის“ წაკითხვისას ამ სტრიქონს, ლაკონიურ დახასიათებას გამოარჩევდა:

დიდად გულახდილი კაცი იყო და დიდი მისტიფიკატორიცო.

მართალია რეზო ჭეიშვილს არა ჰქონია საშუალება, ტყუილები და ფანტაზიორობა შეემჩნია სტენდალისათვის, გულახდილობით კი აოცებდა უკიდურესობამდე – „ანრი ბრიულარსა“ და „მოგონებაში“.

ეს თვისება ნაცნობებშიც შეემჩნია:

მეტყულია კაცი – რამდენიც გენება – საოცარ გულახდილობას იჩენდა ხანდახან, მართალი კაცი კი, რომელიც ტყუილს არ ამბობდა, არასოდეს გულახდილი არ გახლდათ ბოლომდე.

თავს დაიზღვევდა ამ ფსიქოლოგიური დაკვირვების გამოთქმისას:

ქართული ხასიათიდან გამოვდივარ მაინც და გამონაკლისი აქაც იქნებაო.

21 იანვარს გაიხარებდა, ტალინში მისი წიგნი – მართალია ბროშურასავით, მაგრამ მაინც – რომ გამოეცათ, სერიულად გამოდიოდა როგორც ჩანს ამდაგვარი წიგნები. რიგით 50-ე აღმოჩნდებოდა – ამისათვის კარგი ციფრი. ლამაზად დაებეჭდათ, მშვენიერი სურათიც გაეტანათ ყდაზე. სამი ნოველა შეეტანათ: „ალ-რაზაკის სიკვდილი“, „ლუკა პაჩიოლის უკანასკნელი დღე“ და „ცისფერი ხიდები“. პირველი ორი იმ კრებულიდან ეთარგმნათ: „წლევანდელი ზაფხული წყალტუბოში“ – და დაიკვნესებდა:

– ვერ მოვიშორე ეს წიგნი.

მზია ხეთაგური ჩამოუტანდა მოსკოვიდან.

პირველად გამოვიდოდა უცხო ენაზე მისი ნაწარმოები წიგნად, თუ ამასაც წიგნი ერქვა... მაინც კარგი იყო. და მიულოცავდა თავს: ეს ერთი და სხვა ათასი ყოფილიყოსო. და იმედიანად გახედავდა მომავალს: ათასიც იქნება და ათიათასიცო.

და... შეეჭვდებოდა: მაგრამ როდისღაო?

ცოტა სიცოცხლეშიც რომ მოსწრებოდა, ჯობდა.

26 იანვარს ამ სახელწოდებას გამოძებნიდა იმ მოთხრობისათვის, მთელი ცხოვრება რომ უნდა ყოფნოდა ამნაირი ნაწარმოები ადამიანს.

„ვაიმე, ჩემო ვენახო“.

მაგრამ ჯერ კიდევ არ იცოდა, დარჩებოდა თუ არა ეს სათაური.

გადაბეჭდავდა შავად.

ერთ კვირას არც დახედავდა, შემდეგ გადაიკითხავდა, კიდევ გადაიკითხავდა, ჩაასწორებდა და უკვე გადაბეჭდავდა კიდეც.

15 თებერვლისათვის მიიტანდა „ცისკრის“ რედაქციაში.

ბევრს არ მოსწონდა მისი ეს გადაწყვეტილება? მაგრამ ვალდებულად მიიჩნევდა თავს, იქ მიეტანა...

ნაუმი უემურას წიგნს ჩაუჯდებოდა: „ერთი ერთზე ჩრდილოეთთან“. უცნაური მარტოხელა იაპონელი მოგზაური აღმოჩნდებოდა და ამას ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა: იმის მეათედი მწერალიც რომ იყოს, რამხელა მოგზაურიცაა, მისი წიგნების კითხვას არ აჯობებდა არაფერიო.

თუმც მეორე დღეს ოდნავ გამოასწორებდა ამ ნათქვამს, ვერაფერიშვილ მწერლად რომ მოიხსენიებდა პირველი შეტყობით, გამოასწორებდა, რადგანაც ორი ადგილი დაამახსოვრდებოდა მაინც:

ერთი – ძაღლის დაღუპვა, რომელსაც სახელი არ ერქვა. მშვენიერ ნოველად გამოიკვეთებოდა და... მგონი წაკითხულიც უნდა ჰქონოდა სადღაც. ნეტა სად? ნუთუ ეს ნაწყვეტი გამოქვეყნებულიყო სადმე? შეიძლებოდა, რატომაც არა.

და მეორე – სამთვენახევარში გადაივლიდა გრენლანდიას მარტოკა. ბოლო პუნქტში მისულს შეატყობინებდნენ: თვითმფრინავი ხვალამდე არ ჩამოგაკითხავსო. და ამას... გაეხარდებოდა: ერთი ღამე მარტო მინდოდა დარჩენაო.

გულახდილი ნათქვამიაო, – მოიხიბლებოდა რეზო ჭეიშვილი, – და ადვილი ასახსნელიც, თუ ჩაუკვირდებიო.

ეს ფსიქოლოგიური დეტალი ანკი როგორ გამორჩებოდა!..

ერთადერთი გასართობიღა დარჩენოდა – ტელევიზორის ჩართვა, თუმც დროის ფლანგვას რომ უდრიდა მაინც?

უნდა შედგომოდა მუშაობას ისევ: რამდენიმე პატარა მოთხრობა დაეწერა. „ტარტარენ ტარასკონელის“ გასცენარებაც აწვა გულზე და მისთვისაც უნდა მიეხედა.

31 იანვარს თავისი წიგნის სასიგნალო ეგზემპლარი ედებოდა მაგიდაზე და ცქერა არა წყინდებოდა. მსხვილი, ლამაზი, მრგვლოვანი ასოებით ეწერებოდა „რეზო ჭეიშვილი“ ყდაზეც და ყუაზეც. გადათვალიერებასაც მოასწრებდა.

ანოტაცია თუ წინასიტყვაობა თავდაპირველად არ მოეწონებოდა: ნამეტანი ფამილარული ხომ არ არისო?..

ვინც ხელში აიღებდა, ეს უსათუოდ ჰკითხავდა:

– პრეტენზიული ხომ არ გამოვიდა?

– არა, რას ამბობ, – მოეწონებოდათ.

პრეტენზიულობისადმი პრეტენზია არ ექნებოდა, ისე კითხულობდა... ფონი ძალიანაც კარგი შეერჩია, მაგრამ რაღაც სხვა ეჩოთირებოდა. ახლა ხვდებოდა, ახლა ეგონებოდა: კარგიაო.

რასაც ხელს გაჰკრავდა-გადაამუშავებდა, დაეტყობოდა კიდეც.

კარგი გამოვიდოდა: „ბზიანეთი“, „პრემიერა“, „მეოთხე პალატა“, „მთვარიან ღამით“ (მეორე) და ნაწილობრივ სხვებიც.

ბოლოდროინდელებისათვის ხელი არ ეხლო, ახლა უკვე ახლებდა.

აღარაფერს ლაპარაკობდა „ცისფერ მთებზე“:

ეს წიგნი ერთადერთი წიგნიაო, – აღმოხდებოდა.

გული არ ეთანაღრებოდა, უკმარისობის გრძნობაც არ აწუხებდა.

ბოლო წიგნიც – „მუსიკა ქარში“ – მოსწონდა, მხოლოდ რაღაც ეჭვები აწუხებდა: დავაკელი ხელიო, – ფიქრობდა.

ეს ვეება წიგნი კი მისი წიგნი გახლდათ და:

– მეტი რაღა უნდა გამეკეთებინა ერთ კაცს!

და კიდევ ერთხელ გაზომავდა მანძილს წარსულისკენაც და მომავლისკენაც. თუმც სიამაყეს გაღიზიანებაც, ის კი არა გულისწყრომაც უნდა შეეროდა და აქ მაინც არ მორიდებოდა გამჟღავნებას, დღიურის ფურცლებზე:

ერთ ახალ მოთხრობას კიდევ მივახლი უმადურ საზოგადოებას ამ დღეებშიო.

მივახლიო...

უმადურ საზოგადოებასო...

ხვალ პირველი თებერვალი დადგებოდა. რამდენიმე მოწმენდილი დღე და... გაზაფხულიც შეგვახსენებდა თავს. თებერვალი კი უყვარდა. ხოლო მის ზღურბლზე მოვალედ მიიჩნევდა თავს ჩამოეწერა, რა თანმიმდევრობით აპირებდა მუშაობის გაგრძელებას. ეს მაშინ, თუკი სცენარზე არ მიეძალებოდნენ:

ამ კვირიას, 8-ში ალბათ, დაიწყებდა „ვაიმე, ჩემო ვენახოს“ ბეჭდვას და 14-ში, 13 არ ვარგოდა, წარადგენდა კიდეც.

„დარისპანის გასაჭირს“ ივარაუდებდა საგამოცდო ციებ-ცხელების თემაზე.

„საგაზაფხულო ნოველა“ აპრილისათვის უნდოდა მწერალთა გაზეთისათვის და შეიძლება ამითვეც დაეწყო.

„ვარსკვლავის აღმოჩენა“

და „პროფესორი კვინიხაძე“ – რაღაც ამდაგვარი სათაურით.

5 თებერვალს პლანეტების მოძრაობაზე, მათდამი ჩვენს დამოკიდებულებაზე ამნაირი ასოციაცია უჩნდებოდა:

დიდი საათის მექანიზმის მიკრობები – რომელთაც შეეძლოთ დაფანტვა-დაშლა საათის მექანიზმის ნაწილებისა და მთელი საათისაც – ირკვევდნენ, აკვირდებოდნენ საათის მექანიზმის მოძრაობის კანონზომიერებას, ხვდებოდნენ, რომ მათ საათს გარდა არსებობდა სხვა საათებიც და შემქმნელიც მათი...

და ერთი დეტალიც, რომლის გამოყენებასაც აპირებდა:

კროსვორდის ამოხსნა. როგორ წვალობდა ზოგიერთი მოყვარული, მოყვარულები, ხშირადაც ჯგუფურადაც ხსნიდნენ. და სულიკოს რეპლიკა: რას ჯახირობთ, გამოვა ჟურნალის მეორე ნომერი ერთ კვირაში და შიგ ეწერება პასუხებიო. ადამიანსაც სიცოცხლეში სურდა ამოეხსნა კროსვორდი, თორემ...

6 თებერვალს ჩაინიშნავდა:

ხვალ არა და, თუ არაფერი გამოტყვრა, ზეგ დავიწყებ „ვაიმე, ჩემო ვენახოს“ გადაბეჭდვასო.

12 თებერვლის ღამეს საბოლოოდ გაასრულებდა ამ მოთხრობას. ჩაიკითხავდა და გადაბეჭდილი არ მოეწონებოდა, იქით და იქით ბევრი კორექტურული შეცდომა იქნებოდა. ყურადღებადაფანტული ბეჭდავდა გუშინ და დღეს და ალბათ იმიტომაც. ყველაფერი ერთად არ გამოვიდოდა.

აწონ-დაწონიდა და კვლავ თავდაჯერებით განაცხადებდა:

– ძლიერი ნაწარმოებია.

როგორ გამოეხმაურებოდნენ, რა იცოდა, მაგრამ აშკარად საინტერესოზე მეტი გახლდათ.

ფინალი უკეთესი შეიძლებოდა ალბათო, – ერთი გაფიქრება გაიფიქრებდა, მაგრამ იქვე უარყოფდა, – შეიძლება მეტი არცაა საჭიროო...

მისიანები წაიკითხავდნენ ჯერ მხოლოდ და ძალიან მოეწონებოდათ. რას იტყოდნენ სხვები? ხვალ ორშაბათი დგებოდა და 13 რიცხვი. მაინც ხვალ მიიტანდა და დაელოდებოდა, გამართლდებოდა თუ არა ცამეტის ცამეტობა.

ისეთი მოთხრობა დაეწერა, ბედნავსობისა არ უნდა შეშინებოდა.

14 თებერვლის საღამო. წაიკითხავდა გივი ძნელაძესთან „ვაიმე, ჩემო ვენახოს“.

იმნაირად თუ მოეწონებოდათ მართლა, როგორც გამოხატავდნენ, და იმის ნახევარნაირად თუ მოეწონებოდათ სხვებს, დიდი ამბავი იქნებოდა.

წაიკითხავდა სწრაფად, გარკვევით, მაინც დიდხანს მოუნდებოდა. ოთხი ფორმა იყო თითქმის და – თავისდა გასაოცებლად – დაიღლებოდა. ხმა და ყელი კი არ დაეღლებოდა, მოითენთებოდა და ნაცემივით იქნებოდა. ერთორ ჭიქა შამპანურსაც ხუხავდა და წამოვიდოდა თოვლსა და ღამეში.

18 თებერვალს იმ იძულებას აღნიშნავდა: სტამბის საგანგებო ეგზემპლარები – თუ მართლა საგანგებო დაერქმეოდა – მთავრობისა და რუსთაველის პრემიის ჟიურის წევრებისათვის დაერიგებინა. მთავრობაო, კი იტყოდა, მაგრამ რისი მიმცემი იყო მათთვის, ვითომ თვითონ არ იცოდა. ედუარდ შევარდნაძეს კი გაუგზავნიდა ტელეგრამისა და გახსენების საპასუხოდ... რუსთაველის ჟიურის წევრებისათვის ხომ უნდა წაეკითხებინა, ხომ უნდა სცოდნოდათ, ვის აძლევდნენ ან არ აძლევდნენ ხმას.

7 მარტს მუხრან მაჭავარიანი ეტყოდა:

– მწერალთა კავშირი სხვასაც წარადგენს პრემიაზე, არ უნდა ექნათ.

– ვინ?

– არ ვიცი, – მაგრამ ეს მიუხვდებოდა, რომ იცოდა და მალავდა.

– პროზაიკოსი, პოეტი?

– პოეტი.

იმღვრეოდა წყალი... და ეს გრძნობდა, რომ: ვერ აიტანდნენ მის ამოტივტივებას. აგერ დღესაც რამდენს წაუხდებოდა გუნება ამხელა წიგნის დანახვაზე.

მურმან ლებანიძის რაჭულ დიპლომატიასაც ვერ მიუხვდებოდა თავდაპირველად. რაღაცაზე მიანიშნებდა:

– ჭაბუამ გაიცინა, ხომ გახსოვს...

ან იმას რაზე გაეცინა, ან ამას რატომ უნდა ხსომებოდა ჭაბუას ის გაცინება?..

მაგრამ გაირკვეოდა ყველაფერი.

წაიკითხავდა მიხაილ ზოშჩენკოს მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებას „მზის ამოსვლის წინ“ და თარგმანს დაიწუნებდა. მართლწერა და შესაბამისი სიტყვები კარგი ქართული რომ ეგონათ, სული და სტილიც დაკარგულიყო და რაღა გამოდიოდა. დიალოგები იქნებოდა და: სუსტი; სინტაქსი იქნებოდა და: უხარისხო. არადა შეიძლებოდა ამ ნაწარმოების, თუნდ ზოშჩენკოს ზუსტად თარგმნაც და გადმოქართულებაც.

რეზოს თვითონაც ენდომებოდა ეთარგმნა მისი ერთი ნაწარმოები – კერენსკიზე რომ დაეწერა, სათაური ვერ მოეგონებინა – მაგრამ ვერ მოიცლიდა საამისოდ, შეუკვეთავდა სხვას და... არც ის მოჰკიდებდა ხელს.

ის, რასაც წაიკითხავდა, კარგი მოეჩვენებოდა, რაც უნდა ყოფილიყო, მწერლის დაწერილი გახლდათ მაინც. იმ ფრაგმენტულობაშიც ჩანდა ოსტატი და რაც მთავარია თვითონ მწერალი: ბავშვობით, ეპოქით, ხასიათითა და ბიოგრაფიით.

ემზადებოდა „საგამოცდო ციებ-ცხელებისათვის“: პირობითი სახელწოდება აწი „მწერები“ იქნებოდა. ათვალიერებდა ლიტერატურას, ჩქარობდა და დაწყებას ვერ ახერხებდა... არადა: ზაფხულისათვის ექნებოდა ჩაფიქრებული, ზაფხულის მიწურულს, სექტემბერში უჯობდა, რომ გამოექვეყნებინა, კარგი იქნებოდა... შესაძლოა საკმაოდ დიდიც გამოსვლოდა, გაგრძელებოდა. გამოჩნდებოდა, რა როგორ...

ფორმა მოეფიქრებინა თითქოს.

ამის შემდეგ ერთ ან ორ-სამ მცირე მოთხრობასაც დაწერდა – მანამდე სცენარი გამოტყვრებოდა – და რომანზე გადავიდოდა აუცილებლად.

გაზაფხულდებოდა, მაგრამ ცას თავპირი ჩამოეტირებოდა მაინც...

წიგნებს რომ დაარიგებდა, მეორე თვეს დააწერდა: მარტი მეორე თვე ეგონებოდა.

9 მარტს ვახტანგ ჭელიძე დაურეკავდა და მადლობას ეტყოდა წიგნისათვის. ეს მოუბოდიშებდა:

– ვერ გამოვიარე, ამ დღეები გინახულებთ.

– ხელსდამშვენებული ხომ?

– აუცილებლად, – მიუგებდა უნებურად.

– აბა არ დამაღალატო, – და კიდეც გაითიშებოდნენ.

კარგა ხანია პირდებოდა მოთხრობას და ახლა აგერ პირობასაც მისცემდა, ასე გამოვიდოდა. და შეფიქრიანდებოდა. არადა საიდან მიეტანა მოთხრობა რამდენიმე დღეში?

უნდა გადაედო „მწერები“ თუ „დარისპანი“ – თითქოს ჭოჭმანობდა სახელწოდებაზე, მაგრამ უეცრად გადაწყვეტდა: „მწერები“ დარჩეს ჯობიაო – და რაღაც უნდა შეეთხზა, თუნდ ძალიან პატარა და უმნიშვნელო... და მაინც რა?..

ხვალიდან შედგომოდა იქნება... მოუფიქრებლად რა გამოვიდოდა?..

ბედნიერი სულიერიო, – ძაღლზე გაიფიქრებდა, მიკიზე: ჭამა, ძილი, თამაში – ძალიან კი უკლო – ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი, პატრონების

სუნი და სიახლოვეო. და ინანებდა, ერთი რვეული რომ არ გადაედო და არ ჩაეწერა თანმიმდევრულად მიკის ძაღლური ცხოვრების დამახასიათებელი მომენტები. და ერთბაშად უნდა წამოჰგონებოდა შოთა ჩანტლაძის ლექსი: კარგია, ვიძახი დაღლილი, სოფელში პატარა სახლი, ცოლი – ერთგული ძაღლივით, ცოლივით ერთგული ძაღლიო.

10 მარტს გადაწყვეტდა, რომ: ორი ნოველა უნდა დაეწყო თითქმის ერთდროულად: „საგაზაფხულო ნოველა“ (სათაურიც ეს დარჩებოდა) და „კომეტა“ – რაღაც „ალფა“ ან „ბეტა“ სახელწოდებით – ვარსკვლავის აღმომჩენი ასტრონომის პატარა და უმნიშვნელო თავგადასავალი, თავგადასავალი რა შუაში იყო, ეპიზოდი...

შუქი გამოირთობოდა 14 მარტს და სანთლის ალზე მოუწევდა წერა. ორ სანთელს აანთებდა, მაგრამ წერა მაინც გაუჭირდებოდა, და რომ დაფიქრდებოდა: როგორ ახერხებდნენ მუშაობას ამნაირადო? შეებრალებოდა ის საწყალი გადამწერლები – ბერები, სათვალეც რომ არ გააჩნდათ. ღამით ალბათ იშვიათად წერდნენ. ეს საუკუნე კი ელექტრონისა გახლდათ, რა ატომიც უნდა ეძახათ, მაინც ელექტრონი იყო მთავარი. და მტკიცედ განაცხადებდა: არავითარი ატომის საუკუნე – ელექტრონისო!..

XIX საუკუნეს გახედავდა და: ძრავების საუკუნედ წარმოუდგებოდა, ორთქლის, შემდეგ – შიდაწვის, და მაინც მატარებლის, რკინიგზისა და მატარებლის. მშვიდი და ჭკვიანური ხანა იქნებოდა და XXI შეიძლება უკეთესიც აღმოჩენილიყო, შიდაწვის ძრავები და ხმაური მოისპობოდა ალბათ, ადამიანიც უფრო გაფაქიზდებოდა, გაკეთილშობილდებოდა...

რეზო ჭეიშვილის თაობა მიუსწრებდა XXI-ისას, და მაინც კარგი იქნებოდა, მიუსწრებდა ისევე, როგორც მიესწროთ ილიას, აკაკის, ვაჟას, ნიკო ნიკოლაძეს (ეს ჩვენში) და სხვებსაც, ტოლსტოის თუნდაც, თუმც იგი ვერ გაიგებდა – ამას ასე ეგონებოდა – მეოცის სიკარგესა და სიგლახეს, სიტკბოსა და სიავეს.

მაინც რა იყო მეოცე?..

ომები, რევოლუციები, ომები და შიში...

დამატებით – ეს ჩვენთან – ტყუილი, სიყალბე, ტყუილი, ტყუილი...

შემდეგ რაღა იქნებოდა?

გამოჩნდებოდა, ყველაფერი გამოჩნდებოდა.

ჯერ კი გალაკტიონი უნდა წამოჰგონებოდა, დაფიქრებაც რომ არ დასჭირდებოდა, ისე ამოუტივტივდებოდა ის სტრიქონი, დასაწყისს თავისებურად რომ მოუქცევდა: ბევრზე ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველიო...

დაიწყებდა „საგაზაფხულო ნოველას“ უხალისოდ. „გაყრა“ ჩაეჩხირებოდა შიგ. ახლა მთელი არსებით „მწერებზე“ გადართულიყო.

დასვენებასაც აპირებდა მაისში, ნაკვეთი, სახლი და ისევ საზაფხულოსააგარაკო პრობლემები... ოჯახი... ბიჭები უამისოდ არ ვარგოდნენ ჯერ-ჯერობით... სამსახური ერთი, მეორე, ერთი მანქანა სარემონტო... სახლიც წამოეწყო იქნებ...

და საფიქრალ-სადარდებელში გახვეული თავს მაინც შესჩივლებდა, დღიურს მაინც გაანდობდა: რამდენს შეიძლება გაწვდეს კაცი, რამდენი უნდა მოასწროსო.

და სევდიან განწყობილებას თავისთავად შემოერეოდა გალაკტიონის სტრიქონები თანაზიარად, განაგანმცდელად: დროს არ უყვარს დიდხანს დგომა და ყვავილებს ართმევს დიბას, მალე მოვა შემდგომა და ყველაფერს გადათიბავსო.

გალაკტიონსაც თუ რაიმე, ეს აფიქრებდა და ადარდებდა უპირველესად: რამდენს შეიძლება გაწვდეს კაცი, რამდენი უნდა მოასწროსო.

19 მარტს შეწუხებული ჩაინიშნავდა, რომ:

დაწყებით კი დაეწყო მუშაობა, მაგრამ გაჩერებულიყო, ცხრა გვერდი მიეხრჩო და მიეტოვებინა. და ხვალიდან მაინც უნდა შემოეძახა თავისათვის...

24 მარტს კვლავ შეწუხებული:

წინ ედო „საგაზაფხულო ნოველა", დასჩერებოდა და ვერა წერდა. ხვალ ეგებ ტრავმატოლოგიურ კლინიკაში – სადაა, აღარც ეხსომებოდა – შეევლო, რაღაც ბიძგი სჭირდებოდა.

28 მარტს ესტუმრებოდა მურმან ლებანიძეს სამსახურში, ოთხის ნახევარი იქნებოდა. ამისდა გასაოცებლად – იჯდა და მუშაობდა.

რეზოს ეშინოდა, რაიმე უკადრისი არ ეთქვა მისი რაჭული დიპლომატიის საპასუხოდ, თავს ვერ შეიკავებდა ეგონა, მაგრამ... ნამეტანი კარგად შეხვდებოდა პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე:

– ასე იქნება, ისე იქნება, კარგად იქნება...

ეს ეტყოდა ბოლოს:

– ყველაფერი ვიცი.

– ხო, კი, დავაბარე ლევანს.

– მაგაზე არ გეუბნები, წყალქვეშა მდინარეებზეც ვიცი ყველაფერი.

– ხოო? – გაუკვირდებოდა ცოტა, – ჯერ ეს ყველაფერი მხოლოდ ლაპარაკის დონეზეა, ყველაფერი მოგვარდება.

რაღაც ვარიანტებს გადაიანგარიშებდა გონებაში ფილმთან დაკავშირებით – რეზოც შეუწყობდა ხელს – და ასე დაშორდებოდნენ.

ჯანსულ ჩარკვიანი ეტყოდა:

– ირმა აკეთებს შენზე ვრცელ წერილს.

ასე რამდენიო, – გაიფიქრებდა, – ბევრი იმუქრება და შედეგს კი ვერა ვხედავო.

5 აპრილს დალევდნენ „შაშვის მშობლებში". მუხრან მაჭავარიანი დაიჟინებდა: სასაფლაოო. რეზო არ იქნებოდა მთვრალი, მაგრამ მარტო რას იღონებდა, როდესაც სხვები აჰყვებოდნენ მუხრანის შეთავაზებას, და კიდეც გადავიდოდნენ დიდუბის პანთეონში.

– ვისთანაც შენ მიხვალ, იქდავლევთ, იმის სადღეგრძელოს ვიტყვით.

პირველი – მიხეილ თამარაშვილის სამარე აღმოჩნდებოდა.

გავიდოდა გვერდზე, ვიდრე ისინი ლაპარაკობდნენ, გადაიელიდა, გადმოივლიდა, დაანთებდა ასანთს, დახედავდა და... თამაზ მელიავა! წარმოდ-

გენა არ ჰქონდა, სად იყო დასაფლავებული. საბურთალოდან კი გადმოესვენებინათ თავის დროზე. აანთებდა თუ არა, თამაზი შერჩებოდა...

შემდეგ – ედიშერ ყიფიანი, ნიკო ლორთქიფანიძე (შემთხვევით რომ გადააწყდებოდა), ეროსი მანჯგალაძე (ძლივს მიაგნებდნენ), ლევან ასათიანი, ნოდარ ჩხეიძე, ბორის ჩხეიძე, გიორგი ქუჩიშვილი (ეს ერთ ბოთლ ღვინოს დატოვებდა მალულად) და გურამ ასათიანი.

გადმოვიდოდნენ ისევ ღობეზე და წამოვიდოდნენ.

სისულელედ მოეჩვენებოდა ეს ვოიაჟი. ეს საფლავები არაფერს, თითქმის არაფერს აგონებდა თუ ახსენებდა. ფოტოსურათები – სადაც წამი გაქვავებულიყო – ან პირადი ნივთები უფრო მეტს ეუბნებოდა. სასაფლაოზე, მითუმეტეს დღევანდელ სასაფლაოებზე, სიცივე დასადგურებულიყო და არაფერი...

პანთეონში მხოლოდ ინტერესი თუ მიგიყვანდა, ცნობისწადილი: ვინ სად, ვის გვერდით მარხია და ვინ როდის გარდაიცვალაო... გამოფენის, ვერნისაჟის შთაბეჭდილებას ტოვებდა... და წარმოიდგენდა, როგორ დაუწყებდნენ ამათაც ოდესმე შეზარხოშებული, საქმეშემოლეული „ჭირისუფლები" ბნელ ღამეში ძებნას.

რაღაცის ჩაწერა ენდომებოდა კიდევ, მაგრამ ველარ გაიხსენებდა...

სამაგიეროდ „მეოთხე სიმფონიაში" გაიხსენებდა ამასაც და უფრო მეტსაც, ჯერჯერობით სათაურად „მწერებზე" რომ შეჯერებულიყო, პირველბიძგად კი საგამოცდო ციებ-ცხელება გაუხდებოდა, თავიდან სიუჟეტური ქარგის ამოხვევას სულაც აგვისტოს მღელვარებაზე რომ განიზრახავდა – „დარისპანის გასაჭირის" თავისებურ პაროდიად, მერე და მერე კი ერთ ეპიზოდადღა ჩაერთვოდა ვრცელ მოთხრობას.

ჯონდი ფაღავა თბილ ლოდს გადაუსვამდა ხელს და: აგერ ჩამოსხედითო, – იტყოდა, დაბალ, ხავსმოდებულ გალავანზე ჩამოჯდებოდა თვითონ გაჭირვებით. გაზეთებს გააფენდნენ, სასმელ-საჭმელს ამოალაგებდნენ, ღვინის ბოთლებს დახსნიდნენ, ჭიქებს ჩამოარიგებდნენ, შეავსებდნენ. რიგრიგობით მოასხურებდნენ ღვინოს მიწაზე, შეუთვლიდნენ შენდობას მიცვალებულს და ჯონდის სეფესიტყვას დაელოდებოდნენ. გაჭირვებით, მაგრამ რიგრიგობით დაიხრებოდნენ, პურმარილში გაურევდნენ ხელს, ქათმის ხორცსა და ხაჭაპურის ნაჭრებს მიაგნებდნენ შეუცნობლად და დამშეულებივით გაილუკმებოდნენ.

ცხელი ნიავი კვიპაროსებს გაღუნავდა, ტირიფის ჩამოშლილ ტოტებს გაწეწავდა; შლიგინ-შლიგინით გადმოვიდოდა ბიუსტების, ძეგლების, ობელისკების, რკინის მესრების ჯუნგლზე და წყალწითელას კანიონში დაინთქმოდა.

თამადა წინაპრებს ადღეგრძელებდა, სახელოვან და დიდებულ მამულიშვილებს ჩამოთვლიდა დაღლილი და ჩახლეჩილი ხმით, დამკვრელებს სადუდუკედ ააგულიანებდა, მეაგურეს ცხარე ცრემლებით ატირებდა. ალიო ღვაბერიძე იტყოდა:

– დაჩოქილმა უნდა შევსვა ეგ სადღეგრძელო, ჩვენს წინაპრებს, მიწისქვეშა საქართველოს სხვანაირად ვერ ვაკადრებ.

მუხლებზე დადგებოდა გაჭირვებით, წვივს წვეტიან ქვას დააჭერდა, გამწარდებოდა, ადგილს მოინაცვლებდა, ხმამაღლა დაიწყებდა და ყვირილ-ტირილზე გადავიდოდა...

გაბაცდებოდა საფლავები, საპურმარილე ალაგი განათდებოდა და თამადის ბრძანებაზე დაიძროდნენ დაკვრით, ღიღინითა და წამოყვირებით. მეაგურე დარჩებოდა რკინის სარზე ხელჩაჭიდებული და გაშეშებული. ჯონდი სათვალეს დაუწყებდა ძებნას, დაინტერესდებოდა: ნეტა ვის საფლავზე ვიქეიფეო. გაშეშებულ მეაგურესაც შეხედავდა და: რა კაი კაცია, მელოდებაო, – იფიქრებდა. სათვალეს ჯიბეში ვერ აღმოაჩენდა, ლოდზე გაფერმკრთალებულ წარწერას ვერ ამოიკითხავდა და მეაგურეს, რომელსაც ღრმად ეძინებოდა, გააღვიძებდა; გაიხედავდა გვერდით და ხელმარჯვნივ სიმწვანეში შეცურებულ ლოდზე ნაცნობ გვარ-სახელს ამოიკითხავდა: რეჟისორი ბართლომე ბიბილეიშვილი.

ნიშანდობლივია, მაინცდამაინც რეჟისორისა რომ უნდა აღმოჩნდეს უეცრად გამოცხადებული საფლავი.

15 აპრილს დაამთავრებდა „საგაზაფხულო ნოველას“. გადაწყვეტდა ჩანახატად გადაეკეთებინა, რადგანაც მისეულ ნოველას ვერ დაემგვანებოდა. ჩვევად რომ არა ჰქონოდა დაწყებულის დასრულება, ნამდვილად მიატოვებდა. ახლა დააწერდა „საგაზაფხულო ჩანახატს“ და დაბეჭდავდა მწერალთა გაზეთში. რაც იყო, ეგ იყო.

ლალი ავალიანი ჩანახატის სათაურს „საკმაოდ უღიმღამოდ“ რომ მოიხსენიებდა, იმიტომაც, მკითხველისათვის შეეხსენებინა, რეზო ჭეიშვილი თავისი ცინცხალი ნიჭიერების მოულოდნელობას ჩვეულებრივ სახელწოდებაშივე რომ ავლენდა (სანიმუშოდ მოიხმობდა თუნდ ბოლოხანს გამოქვეყნებული გასაოცარი, გულისშემძვრელი მოთხრობის სათაურს: „ვაიმე, ჩემო ვენახო“), ხოლო ამჯერად განზრახ რომ ამოფარებოდა არაფრისმთქმელ სათაურს, მის მიღმა გადმოეცა გადმოცემით ასეთი მოულოდნელი, უცნაური, პარადოქსული ამბები და თანაც თავბრუდამხვევი, ჭეშმარიტად თბილისური ტემპით:

იმდენი პერსონაჟი გაეცოცხლებინა ერთი-ორი მონასმით, ისე უშურველად, დაუდევრად „გაეფლანგა“ დიდი ნიჭი და უნარი, რომ მკითხველი მოენუსხა ღრმა ემოციური ძალის პატარა მოთხრობით.

კრიტიკოსის დაკვირვებით:

ფეხმძიმე ქალის სახე ჩანახატის დასასრულს სხვაგვარ განზომილებას იძენდა და მარადიული განახლების, სილამაზის, სისავსისა და აღორძინების სიმბოლოდ წარმოდგებოდა. თბილისური გაზაფხულის ამ მშვენიერ დღეს აგვირგვინებდა ხიდზე მიმავალი ქალი, ხელში ახალაყვავებული შინდის ტოტებითა და მკერდქვეშ მფეთქავი ახალი სიცოცხლით.

იდგებოდა ატმის სიწითლე ზენიტში.

და მზე რომ ჩადიოდა და უცნაურად ბინდდებოდა, შინდისფერი ედებოდა მიდამოს და: ვისთვის პირველი, ვისთვის მერამდენე, ვისთვის კი უკანასკნელი გაზაფხული იმძვინვარებდა.

ამ ოდნავ ნაღვლიან აკორდსაც მიაქცევდა ყურადღებას კრიტიკოსი, როგორც მწერლისთვის ნიშანდობლივ მხატვრულ ხერხს, მწერლისა, რომელიც ყოვლად მიწიერ, ყოფით წვრილმანებშიც ეძიებდა პოეტურსა და ამაღლებულს და ყოველდღიურობის ჩვენებისასაც აღწევდა განზოგადების დიდ ძალმოსილებას. და ამჯერადაც ფინალი – აპოთეოზი – დაუსაბამო განახლებისა და ყოველივეს წარმავლობის მარადიული მთლიანობის დიდებულ მხატვრულ განსახოვნებად წარმოჩნდებოდა.

რეზო ჭეიშვილი ქუთაისის „პოეტიკის“ შემქმნელად და დამფუძნებლად აღიარებულიყო თანადროულ ქართულ პროზაში?

ლალი ავალიანის თვალში:

იგი არანაკლებ ბრწყინვალედ გადმოსცემდა დიდი ქალაქის რიტმსაც, ცხოვრების განსხვავებულ ნირსაც, დედაქალაქის მოუხელთებელ სულსაც, და როგორ არ გამოეთქვა ცხელ კვალზევე თავისი სიხარული:

იშვიათად წამიკითხავს ასეთი სულით ხორცამდე „თბილისური“ მოთხრობაო.

ხვალ-ზეგ ახალს დაიწყებდა, გეგმაზომიერად წაჰყვებოდა და არ გადაუხვევდა ჩანაფიქრს.

დღეს მომთენთავი სიცხე იქნებოდა, აივანზე იწვებოდა მისუსტებული და თვლემაში ჩაფლული. ათასნაირი ხმები მოესმოდა. სმენა – არამუსიკალური – ისედაც საუცხოო ჰქონდა და ხანდახან კიდევ უფრო უცხოველდებოდა ხოლმე.

არამიწიერი ხმებიც ესმოდა თითქოს.

არადა ჩვენს გარშემო რომ ხმები ტრიალებდა – ტალღები, პროტონები, ნეიტრონები, ელექტრონები...

დღეს რა ესმოდა და... ჩაიწერდა კიდეც:

მდინარე ვერეს ხმა, მოდიდებულის, ჩიტები, ბაყაყები, ტრანსპორტის შორეული ჟრიამული, რაღაცის დაგუდული გუგუნი, სადღაც – რადიო, სადღაც – ტელევიზორი, ვიღაც ქვეშაგებს ბერტყავდა, სადღაც მუსიკა უკრავდა, ჩიტები გალობდნენ და ასე და ამისთანანი.

დაწოლილიყო და წიგნი ეკითხა, უჯობდა.

21 მაისს რომ ჩაინიშნავდა:

მთავარია რას წერ, რაზე წერ კი არა, როგორ წერო.

მიადევნებდა, რომ:

უნდა შედგომოდა „მწერებს“.

„ბონდოუკას“ დაწყებას აპირებდა, მაგრამ არ ეღირსებოდა ალბათ. დაბეჭდვით არ დაბეჭდავდნენ და დროს კი ბევრს წაართმევდა ძალიან.

გვიანი ღამე დამდგარიყო. დღისით მოითენთებოდა მოულოდნელად, მისავათდებოდა და ჩაეძინებოდა ცოტა ხნით. ახლა აღარ ეძინებოდა და წერაც არ უჭირდა. და ეს აზრი გაუჩნდებოდა: არ იქნებოდა ცუდი, ამ რეჟიმით რომ შევდგომოდი საქმეს: დღისით წაძინება და ღამით მუშაობაო.

სხვა არაფერი მომხდარიყო ახალი.

და კელავინდებურად დრო და ჟამის შესაფერისად მიედინებოდა დღენი ჩვენი ცხოვრებისა.

31 მაისს, ფაქტობრივად 1 ივნისის ჩანაწერში გაოცება როგორ არ გამოეხატა:

ყველაფერს იფიქრებდი და თუ ჩემს შემოქმედებას სადისერტაციოდ მოჰკიდებდა ვინმე ასე ადრე ხელს, ვერ წარმოვიდგენდიო

ამის დროს რომ მოვიდოდა, ეჭვიც არ ეპარებოდა, მაგრამ ასე ნაადრევად არ ელოდებოდა.

გოგონა მიაკითხავდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტიდან:

– ჩემმა ხელმძღვანელმა – დავით თევზაძემ – მირჩია, რეზო ჭეიშვილზე რას იტყვიო, და მე ვუთხარი: მაგის თქმა მინდოდა სწორედ-მეთქი.

დავით თევზაძეს არ იცნობდა.

არც სახელი იცოდა და არც გვარი იმ ახალგაზრდა ქალისა, თუმც ერთსაც ჰკითხავდა და მეორესაც, ისიც უპასუხებდა, მაგრამ... ვერ დაიმახსოვრებდა.

2 ივნისს დღის მიწურულს რომ მივიდოდა სამსახურში, მისდა გასაოცებლად ყველა იქ დახვდებოდა თამაზ წივნივაძის გარდა. მუხრან მაჭავარიანი ცალკე გაიხმობდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრებდა, საბაობაზე ჩამოუგდებდა სიტყვას და შეთანხმდებოდნენ წასვლაზე – დროსა და ადგილზე. ამის ვარაუდით: მუხრანს მურმან ლებანიძის დანაბარების გადმოცემა სურდა.

მურმანი ანა კალანდაძის წარდგენას აპირებდა რუსთაველის პრემიაზე.

ჯანსულ ღვინჯილიას ეთქვა ორშაბათს ნოდარ დუმბაძისათვის:

– ერთად დავაზუსტებ ყველაფერს.

გაგულისებული რეზო ამასღა იტყოდა: რაც უნდათ, ის უქნიათ, მე მაგ საქმეში აღარ გავერევიო.

დღეს დაიბეჭდებოდა „საგაზაფხულო ჩანახატი" და დღის ბოლოსათვის წაკითხულიც ექნებოდა ზოგიერთს.

პლინიუსის წერილებს გადმოიღებდა და იკითხავდა და იკითხავდა ძილის წინ. გააოცებდა სტილი წერილებისა, თუნდა პირველი ნიმუში. თარგმნა მოუნდებოდა, მაგრამ ბევრ დროს წაართმევდა და ამიტომაც რუსულადვე გადმოიტანდა დღიურში.

აღტაცდებოდა ნათელი, გამჭვირვალე სტილით, ლაკონიზმით, ბევრისმომცველობით. და დაინტერესდებოდა: ნეტა რაზე წერდნენ იმ დროს რომაელები, როგორ ინახავდნენ ამ წერილებს, მეორე პირი ჰქონდათო?.. ან – როგორ უგზავნიდნენ ერთმანეთს და როგორ აქვეყნებდნენ? თუ რაიმე ეწერა ამის თაობაზე შესავალსა და კომენტარებში, ამაღამვე გაარკვევდა.

მაინც კითხვა ერჩივნა წერას.

უნდა შედგომოდა მუშაობას, შეეძახა უნდა თავისათვის!

10 მაისს კვლავ გაიმეორებდა:

უნდა შევუდგე მუშაობას, რადაც უნდა დამიჯდესო.

და ჩამოჰყვებოდა სავარაუდო სათაურებს – ესაო და: მიკრობებიო, ესაო და: ბონდოუკაო, ესაო და: ვარსკვლავიო, ესაო და: მწერებიო.

და თუ რაიმე ამისდამაგვარი არ გამოტყვრებოდა, თავისი მწერლობის ერთ ეტაპს დამთავრებულად მიიჩნევდა.

ამას და იმის შუა პიესაც, სცენარიც... მაგრამ ეს ჟანრები სათვალავში არ ჩაიგდებოდა.

3 ივლისს ჩაინიშნავდა, რომ:

ბახის მოთხრობა წაეკითხა ამ დღეებში: ლივინგსტონ – ვერა, სათაურს ველარ აღიდგენდა. „თოლია" ამოუვარდებოდა მეხსიერებიდან. გაატანდა მომტანს. თარგმანი არ იქნებოდა ურიგო და ალბათ დაბეჭდავდნენ. საერთოდ წინასიტყვაობასაც – თითქოს ზეშთაგონებითა და ვიღაცის კარნახით დაწერილ ამბავს – გაეწია რეკლამა, თუმც ნაწარმოებიც ფრიად ყურადსაღები აღმოჩნდებოდა... ფრინველთა ცხოვრებისა და ყოფის ასოციაციები გადატანილიყო თოლიების მოდგმაში. თვითონ მფრინავი ყოფილიყო ბახი და უჩვეულოს თვით ამბავში თითქოს ვერც ვერაფერს დაინახავდა რეზო ჭეიშვილი. ისე თავისთავად რამდენი ეფიქრა თვითონაც ფიქრით მოგზაურობასა და გადაადგილებაზე, რომელთან შედარებითაც სინათლის სისწრაფე სასაცილოდ მოჩანდა.

კარგი მოთხრობა იყო ნამდვილად და კიდევ უნდა წაეკითხა, მსგავს რაღაცაზე დაიწყებდა მუშაობას თვითონაც.

დღეს ვერეს ხეობით ავიდოდა მამულში, გზა დაებნეოდა, დაბრუნდებოდა და ორ ჭრიჭინას წამოიყვანდა თან, დედალ-მამალი უნდა ყოფილიყო. ახლაც მის მანქანაში დაბუდებულიყვნენ, ხვალ კარგად შეათვალიერებდა და გაუშვებდა.

გამოადგებოდა „მწერებისათვის".

მამფორია – ოთარ ანტონიჩი სთხოვდა:

– ოთარ სულაბერიძეზე მოთხრობა დაწერე, ოღონდ ჩემი სახელით.

და რეზო რომ ჩაუფიქრდებოდა, შეიძლებოდა, რატომაც არა, და სხვათა შორის ერთის კი არა, რამდენიმესიც, მთელი ციკლიც შეითხზვებოდა რაღაც საერთო სათაურით.

25 სექტემბერს ემზარ კვიტაიშვილი დაურეკავდა:

– თუ აკეთებ რამეს?

– ვერა, – ან რა უნდა გაეკეთებინა, ამ სახლსაც შეჭიდებოდა და ქალაქიდანაც ველარ გარბოდა მისი გადამკიდე. იქნებ მოეთავებინა და გაისად მაინც გადაბარგებულიყო... და შეძოძგინდებოდა: თუ გავძელი გაისამდეო...

არადა ღამე სახლში გაჩერებაც ეზარებოდა, რაღაც გალაკტიონური განწყობილება დაუფლებოდა: ხალხს გავეცლები, მაგრამ ღამეებს სად გავეცალო, სად წავუვიდეო?.

9 სექტემბერს სიზმრების რვეულს გადაათვალიერებდა, ვიდრე წერას დაიწყებდა.

ერთს ისეთს ნახავდა, რომ... რა გინდა! ასევე პირდაპირ შეიტანდა „მწერებში".

სიზმარი სიმართლით უნდა მოყვე და დაწერო, სხვანაირად არ შეიძლებაო, – სენტენციასავით გამოუვიდოდა.

თუმც რატომაც არა:

გამოცდილება არა ჰქონდა საკმარისი საამისოდ თუ რა?!.

სიზმრების რვეულის შექმნა უკვე თავისთავად მოასწავებდა ამ უჩვეულო სამყაროთი მის განსაკუთრებულ დაინტერესებას – ფსიქოლოგიურადაც, ფილოსოფიურადაც, და რაც მთავარია: მხატვრულ-ესთეტიკურად და ლიტერატურულად. ბოლოსდაბოლოს ამისათვის არ ესაჭიროებოდა სიზმრების ჩაწერაც და გახსნა-გაშიფრვაც?!.

10 ოქტომბერს თავს პირობას დაუდებდა, რომ:

ნოემბერსა და დეკემბერს აუცილებლად „მწერებს" მიახარჯავდა.

წერდა და ესმოდა ჩრჩილისა თუ მკილის ხმა, ჭრიჭინას ათიათასჯერ შემცირებულ ხმას რომ ჩამოჰგავდა.

გაიხედავდი და... გაჩუმდებოდა.

რას ხრავს ნეტაო? – ცნობისწადილი გაუღვივდებოდა და... მისაგნებსაც მიაგნებდა: სწორედ ამით დავიწყებ „მწერებსო".

აღარც შეცვლიდა ამ განზრახვას, აღარც გადათქვამდა, ის კი არა, კომპოზიციურ ჩარჩოს სულაც ამ ხმაზე შემოსალტავდა, ფარულ მუსიკადაც ამ ხმას რომ გააყოლებდა თხრობას. თითქოსდა რა ამისთანა? რაღა რა – ასე ზუსტად, ასე ზედმიწევნით არც არაფერი მოერგებოდა „მწერებს", „მეოთხე სიმფონიად" რომ იცვლიდა სახელწოდებას, სატირა შეინიღბებოდა, ოღონდაც ისე, მეტი იდუმალება უფროც რომ გაამკვეთრებდა ჩანაფიქრს და შთამბეჭდავად პანორამად გადაშლიდა დაღავებული, დარღვეული, უაზრობაში მობორიალე ცხოვრებისა.

სწორედ ამით დავიწყებო...

მიგნებულიყო მისაგნები.

სურათიც, განწყობილებაც, რიტმიც ერთბაშად გადაეხსნებოდა თვალწინ და... რაღას შეიძლება შეეჩერებინა.

რაღაც განსაკუთრებულს ამცნობდა და პირდებოდა გუმანი.

რას ხრავდა ნეტა მკილი?.. ნეტა რას ხრავდა?..

თავი მეორე

ვინც იყავ მკილი მიწისა და ფიცრისა

„სწორედ ამით დავიწყებ..."

ყოფითი რეალობა ასე ერთბაშად გაუადვილებდა შემოქმედებით პროცესს. გაბეზრებისა და განერვიულების ნაცვლად სულაც შთამაგონებლად რომ მოევლინებოდა.

და კიდეც:

– ფიცარს ხრავს მკილი ღამით. ჩადუმებულ ოთახში ისმის ბღუილი ფიცრიდან. გავხედავ, გაჩუმდება; განვაგრძობ წერას, კალმის წრიპინს აყვება გულმოდგინედ; გავაყოლებ ხმას მზერას და გაბუნაგდება, აღარა ხრავს, მელოდება; ვისვენებ, ისვენებს; ვერ მხედავს, ვერ ვხედავ; ვარსებობ, არსებობს; ვწერ – ხრავს; კალამს ვაწრიპინებ – ბჟუის. არასოდეს არ გვინახავს ერთმანეთი და ერთმანეთის გვესმის; მე ხმა მესმის, ის მგრძნობს. სხვანაირად არ შეიძლება მისი საქციელის ახსნა; ზის კარადის კარის ბაზოში და ფქვავს ხეს ყვითლად. ისაა მისი საკვები: პური, წყალი, ცილა, ცხიმი, ნახშირწყალი და ვიტამინები... ზის ფიცარში... წითური, ულვაშა ჭია (თვალით არ მინახავს) და ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური ევოლუციის კანონის უარყოფის მატარებელი გენით ცოცხლობს, ცხოვრობს, უღლდება, ნაყოფიერდება და მრავლდება ფიცარში, ხმელ ფიცარში.

9 ოქტომბერს კიდევ ერთხელ ესტუმრებოდა ნაირა გელაშვილი. წიგნი ენდომებოდა. უცნაური ადამიანის შთაბეჭდილებას დატოვებდა რეზო ჭეიშვილზე. აშკარა ნიჭიერებასაც შეატყობდა. ლაპარაკ-ლაპარაკში აღმოჩნდებოდა, რომ: ძალიან მაღალი აზრისა ყოფილიყო რეზოზე. „ვაიმე, ჩემო ვენახო" და „კვამლი" მოსწონდა ძალიან. ზეპირად ეცოდინებოდა თითქმის. ისეთ რამეებს დაინახავდა, შეამჩნევდა და დააფასებდა, რომ გააოცებდა ავტორს.

10 ოქტომბერს გამოტყდებოდა, რომ:

ერთი საძაგელი ჩვევა დასჩემდებოდა.

საძაგელი ვითომ?

გაზეთ „თბილისის" სამგლოვიარო განცხადებებიდან თავისთვის საჭირო გვარსა და სახელს იწერდა ხოლმე, იმას კი აღარ უფიქრდებოდა, რა ტკივილი და ტრაგედია ტრიალებდა იმ დროს იმ გვარ-სახელების მიღმა.

20 ოქტომბერს რომ ჩაუფიქრდებოდა:

შეუძლია კი თუნდ მუხრან მაჭავარიანს თქვას თავისუფლად: ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობაო?

აი თვითონ რეზოს კი შეეძლებოდა, თუ ამ სამი ნაწარმოების დაწერა და დამთავრება დასცალდებოდა. ერთს ამ თვის მიწურულს დაიწყებდა („მღერები“, „სი-ბემოლ-დე მაჟორი“), შემდეგ მეორეს („თ. ვ.“) და მოემზადებოდა „დ. ც.“-სათვის...

ლექსებს რომ ველარ იმახსოვრებდა, ძალიან წყინდა... თუნდ დღეს ბოლომდე ვერცერთ კუპლეტს ვერ გაიხსენებდა „ურიული მოთქმითი ტირილისა“...

2 დეკემბერს რომ გადაწყვეტდა:

ანი მივხედოთ ჩვენს საქმესაცო.

გადაშლიდა მგალობელი ჩიტების ბლოკნოტს. ბლოკნოტს ჩიტები ეხატებოდა და თითქოს დაემთხვეოდა, რამდენიმე დღეა წინ რომ ედებოდა მშვენიერი ნახატების წიგნი რუსულად: „ჩიტების სამყაროში“ – ჩიტების ჯიბის ატლასი. დიდი ხანია, ალბათ 1963-64 წლებიდან, ჰქონდა ეს წიგნუკა. რაც შეეხებოდა „ბლოკნოტს“, რომელსაც უკვე გადაწერდა და გადაშლიდა, იწყებოდა ასე:

I სიმფონია ლე-ბი-მერ-მაჟორი.

და იფიქრებდა, რომ:

უნდა ყოფილიყო ალბათ – პირველი სიმფონია: სი-ბე-მოლ-მაჟორი.

რას ნიშნავდა, არ ეცოდინებოდა ზუსტად.

მის განწყობილებას, მომავალი ნაწარმოების ფორმას რომ ესადაგებოდა, შეატყობდა.

ადრინდელი სათაურები: „მწერები“, „დარისპანის გასაჭირი“... არცერთი რომ არ დარჩებოდა, გრძნობდა...

თუ გაიგებდა, რას ნიშნავდა სი-ბე-მოლ-მაჟორი, მაშინ შესაძლოა სხვანაირადაც მოქცეულიყო...

არა, შემთხვევით არ გადაშლიდა „ბლოკნოტს“.

არც ის ეწერებოდა შემთხვევით: პირველი სიმფონია...

7 დეკემბერს ჩახედავდა ლექსიკონებს და სიტყვა „მკილი“ არ აღმოჩნდებოდა არცერთში. არც განმარტებითში, არც ორთოგრაფიულში და – რაც უცნაურად მოეჩვენებოდა, არც დიალექტურში: ქართულ კილო-თქმებისა... ალექსანდრე ნეიმანთან იპოვნიდა მხოლოდ „მკილსაც“ და „კილსაც“... „რუსულ-ქართული“ უნდა ენახა, რა იცოდა რა ერქვა ხის ჭიას რუსულად. სამაგიეროდ ალექსანდრე ღლონტს შეეტანა ახალ გამოცემაში:

მკილი – (იმერ) ხის ჭია, ხის ჭიისგან გამონახრავი მოყვითალო ფერის ფხვნილი.

შეუდგებოდა მუშაობას. მთავარია რიტმში ჩამჯდარიყო...

23 დეკემბრის დღიურის ფურცლებზე: ძნელ საქმეს შევეჭიდეო, – რომ გაისიგრძეგანებდა იმ მოთხრობაზე მუშაობის პროცესს, თავს შეაგულიანებდა მისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქმის აღსრულების წინ:

ჩემი დროის მემატიანედ მესახება თავი და დავწერ სიმართლეს – სასტიკად, დაუნდობლადო...

თავიდან ბოლომდე ჰქონდა მოფიქრებული და... რაკიღა ვერა და ვერ დაეწყო, ამ გარემოებით ახსნიდა: ქაღალდზე გადატანა მეზარება მაინცო.

ეპიზოდები და ტიპები ირეოდნენ მის გონებაში და ძილსაც არ ანებებდნენ.

იქნებ გადართულიყო როგორმე.

სურდა მოესრულებინა შავად, გადაწერასა და გადაბეჭდვაზე აღარ იჩქარებდა...

24 აპრილამდე მორჩებოდა და მხოლოდ მაშინ იტყოდა: რაღაც დავწერეო!..

სინანულით აგონდებოდა, რომ: „ვაიმე, ჩემო ვენახოზე" ძალიან იჩქარებდა – აპრილის ნომერში ენდომებოდა დაბეჭდვა მაინცდამანც... არადა მეხუთეში, მაისის ნომერში გადავიდოდა.

ეს კი ეგებ სექტემბერში გამოექვეყნებინა როგორმე.

გაუჯანჯლებდნენ მთავლიტში, გაუჩერებდნენ, და მაინც ვერ დააკავებდნენ, ასე ეგონა, და გამოჩნდებოდა, რა მოხდებოდა. მთავარია – მშვიდობა ყოფილიყო. გერმანიიდან არაფერი ისმოდა ჯერჯერობით.

27 დეკემბერს კარგა ხანს მოუწევდა ლოდინი აეროდრომზე ღამით და გაიფიქრებდა, რომ:

არაფერი ისე არ გააკვირვებდა ასი წლის წინათ გარდაცვლილ და დღეს გაღვიძებულ ადამიანს, როგორც აეროვაგზალი და მისი შემოგარენი ღამით, უამინდობაში, „პიკის საათში".

ჩაიწერდა კიდეც სურათს აეროვაგზალში ღამენათევი ხალხის, ფეხზეჩამომწყდარის... აეროვაგზლის ქვედა სართული. ზევით სკამლოგინებზე მოკალათებულნი, სინათლე სუსტი და ყვითელი. ელექტროტაბლოები, რეპროდუქტორები, მისვლა-მოსვლის განრიგის გადმოცემები. ვაგზლის მისადგომები, მოტორების ღრიალი, ლოკატორები, მინდორი – ფანჯრებიდან დანახული, და ალუმინის უზარმაზარი ფრინველები. საიდან მოფრინავდა და სად მიფრინავდა ეს მასა, ლავა... ტერმიტები.

და ერთბაშად გადაწყვეტდა:

მოდი გამოვიყენებ „მეოთხე სიმფონიაში", კარგი იქნებაო...

ამასთან დაკავშირებით მიხეილ ქვლივიძის ერთი ლექსი წამოაგონდებოდა, რომელსაც სუფრაზე წაუკითხავდათ კარგა ხნის წინათ. აეროპორტის სევდიანი განწყობილება იქნებოდა აღწერილი, ყოველი კუპლეტი ასე რომ დასრულდებოდა: უამინდობის გამო ფრენა აკრძალულიაო.

– მინდა დაბეჭდვა, მაგრამ არ დამიბეჭდავენ, – ინაღვლებდა.

ამათაც მოეჩვენებოდათ: სახიფათო ლექსიაო. ადამიანს გაფრენა, გაქანება, აღმაფრენა რომ არ შეეძლო უამინდობის, უბედურების – ჩვენი ცხოვრების – დროს... არადა: სულ მალე დაიბეჭდებოდა ეს ლექსი გაზეთში, არავინ ამ „უამინდობას" ყურადღებას არ მიაქცევდა... უბრალოდ წვიმიანი აეროპორტის სურათი დაიხატებოდა...

ჩამოდგებოდა 1985 წელი, და თვითონ ეს რიცხვი არაფერს ეტყოდა, არაფერს გაახსენებდა. ვთქვათ 25 – არაფერი, 35 – არაფერი, 45 კი... 40 წელი

გასრულდებოდა ომის დამთავრებიდან. რატომღაც არასოდეს იფიქრებდა, რომ ომი რა შუაშია, ჯარში წაიყვანდნენ, მაგრამ თუ საომარ ასაკს მშვიდობიანად გადარჩებოდა, ესეც არ ეგონებოდა. 1974 წელი იდგებოდა ალბათ, კომისარიატს გამოექცეოდა ერთთვიანი შეკრებიდან და ორ ღამეს სხვაგან გაათევდა... შემდეგაც მიძალებოდნენ და:

– რაღა გინდათ, 45-ს გადავცილდი.

– 54-საც ჩვენი ხარ, – დააიმედებდნენ, მაგრამ მალე დაანებებდნენ თავს. ახლა ალბათ ჩამოწერილი იქნებოდა, თუმც 54-მდე ქე დარჩენოდა ორი წელი და ორიოდე თვე...

მუშაობდა „მეოთხე სიმფონიაზე".

წელს დავამთავრებ შავად მაინცო, – რომ ეიმედებოდა, ეს შეუძლებელი აღმოჩნდებოდა. ახლა 102 გვერდზე იდგებოდა... ცდილობდა მოეთოკა, მოეწია ლაგამი, მაგრამ მაინც შორს მიდიოდა...

ძველით ახალ წლამდე მორჩებოდა მაინც... თუმც ძნელი სათქმელი გახლდათ...

ხუთში ქუთაისში იქნებოდა წასასვლელი... ერთი-ორი სუფრა, ერთი-ორი შეხვედრა და კიდეც ჩაიშლებოდა ჩანაფიქრი...

საერთოდ კი ეშინოდა, არ ჩაკეტილიყო ვიწრო რედაქციულ-გამომცემლურ-ოჯახურ სამყაროში, ეშინოდა არ მოწყვეტოდა კერას, ხალხს, სხვა წრესა და ქუთაისს, სულ მთავარი რაც გახლდათ. გაესწორ-მოესწორებინა უნდა აქაური საქმეები, ან უნდა განაპირებულიყო და მომზადებულიყო ორი რომანისათვის...

პირველი: ომისშემდგომი ცხოვრება – სტალინის სიკვდილის ჩათვლით:

და მეორე: XVII საუკუნის დასავლეთ საქართველო.

პირველი ეიოლებოდა და მალეც შეუდგებოდა წერას.

მეორე უაღრესად რთული და სახიფათო ეჩვენებოდა.

შიგ XVII საუკუნეში უნდა ჩამჯდარიყო, უნდა ეცხოვრა, უნდა აღედგინა – ის ყოფა, ის ფსიქოლოგია და სხვადასხვა... თითქმის შეუძლებელი გახლდათ, მაგრამ სხვებთან შედარებით, ვისაც რა დაეწერა, შეუძლებელსაც მოახერხებდა, თუკი ღმერთი დააცლიდა.

31-ში გვიანი ღამე რომ დადგებოდა, იანვარი რომ მთავრდებოდა და დგებოდა თებერვალი, რეზო ჭეიშვილის საყვარელი თვე, კიდეც დაამთავრებდა შავად ვრცელ მოთხრობას თუ სულაც რომანს: „მეოთხე სიმფონია e-moll op.98". სათაურს აღარ შეცვლიდა, მაგრამ შემოკლებით კი შეამოკლებდა ალბათ და მარტო „მეოთხე სიმფონიას" დატოვებდა. ან კი, ან არა: ჭეიშვილურ ყოყმანში ჩავარდებოდა ამჯერადაც, ირონიასაც რომ ასხივებდა ხოლმე ამგვარი ყოყმანი დროდადრო, თუმც ამ შემთხვევაში საირონიო განა რა უნდა ყოფილიყო. მართლა ხან ისე შეხედავდა სახელწოდებას და ხანაც ასე.

157 გვერდი გამოვიდოდა. ფინალში რაღაც უნდოდა კიდევ, გულს რაკიღა აკლდა, ჩასამატებელი ექნებოდა და გადაწერისას გაიზრდებოდა კიდევ. ექვს ფორმას ვარაუდობდა ვარაუდით.

ერთი სული ექნებოდა, როდის გადაიკითხავდა, როდის შეუდგებოდა გადათეთრებას.

კომპოზიტორი იოჰან ბრამსი დაბადებულიყო 1833 წლის მაისში.

რეზო ჭეიშვილსაც მაისი ეწერებოდა – ნაცვლად 24 აპრილისა – დაბადების მოწმობაში.

იმას 1884-85 წლებში გადაეწერა მეოთხე სიმფონია.

ასევე გადაეწერა ამასაც.

გარდაცვლილიყო 1896 წელს.

ამას იმ საუკუნეში უნდა გადაეხედა, რადგანაც დედას 96 წლის სიცოცხლე ეწინასწარმეტყველა მისთვის და... ამ გარემოებასაც დამთხვევად მიიჩნევდა.

ეს ჩააგონებდა მეოთხესაც და e-moll op.98-საც, თორემ სიმფონია ხომ ისედაც აკვიატებული ექნებოდა...

5 თებერვალს იმუშავებდა დინჯად. გაასწორებდა, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, შავ ვარიანტს. ხვალ და ზეგ მორჩებოდა სავარაუდოდ, და პირდაპირვე დაიწყებდა გადათეთრებას. და ისეთი შეგრძნება დაეუფლებოდა:

ეს იქნება ყველაზე ძლიერი და მნიშვნელოვანი ჩემი ნაწარმოებიო.

15 თებერვალს იმაზე დაიწყებდა ზრუნვას, ქართული წიგნიც ჩასაბარებელი რომ ექნებოდა. რამდენიმე ახალი მოთხრობა იქნებოდა კიდევ საჭირო, კინოსცენარებსაც გამოიყენებდა. უნდა შეემატებინა „ვაიმე, ჩემო ვენახო“ და „მეოთხე სიმფონია“... კიდევ რა ჰქონდა ახალი? მხოლოდ „საგაზაფხულო ჩანახატი“.

ცოტა გახლდათ – ათი ფორმა გამოვიდოდა სულ.

შემდეგ, ჭიდაობას რა უნდა“ და „ბერსათრიელი“ კინომოთხრობად უნდა გადაემუშავებინა – გამოვიდოდა სულ დიდი-დიდი 5 ან 6 ფორმა.

სამი-ოთხი ფორმის დაწერას კიდევ მოასწრებდა, ხუთიოდეს – ძველებს გადაამუშავებდა. 25 ფორმით უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული საგამომცემლო გეგმაში, თუკი არ გადაიფიქრებდნენ.

27-28 თებერვლის ჩანაწერში ის სურათიც იელვებდა:

ახლახან რომ გადაათეთრებდა „მეოთხე სიმფონიის“ ფინალს და დასჩერებოდა და დასჩერებოდა სწორედ ამ ფინალურ მონაკვეთს.

იმ წლის 1 მარტი მოქუფრული, ცივი და უსასრულო დღე აღმოჩნდებოდა. წინ ედებოდა გადათეთრებული „მეოთხე სიმფონია“ და ჭოჭმანში იქნებოდა: დაეწყო სწორება და შავად გადაბეჭდვა თუ ჯერ მაინც დაეხანებინა, აღარ იცოდა.

მოთხრობები დავალიანებასავით აწევდა ჟურნალ-გაზეთებისათვის... სთხოვდნენ, ურეკავდნენ... ვნახოთ, მივიტანო, – ფიქრობდა... პატარა ყველას უნდოდა... მაგრამ აი:

– დიდი დავწერე, – ეტყოდათ და... ყველას გაოცება ეხატებოდა სახეზე...

– მაინც რამხელა?

– მთლად დიდი.

რომანის გაგონებაც არ ენდომებოდათ... და ისეთი შთაბეჭდილებაც კი რჩებოდა რეზო ჭეიშვილს: თუ გაიქაჩები, აგითვალისწუნებენ კიდეცო...

წელსვე რომ ექნებოდა წიგნი ჩასაბარებელი, ინტენსიური მუშაობაც მოუწევდა, ატყობდა, ანკი რა შეტყობა უნდოდა!..

10 მარტს გავიდოდა ისევ „მეოთხე სიმფონიის“ ბოლოში და... კვლავ ფინალს დააჩერდებოდა და იდგებოდა... სულ რამდენიმე წინადადება უნდოდა, მეტი კი არა... მაგრამ ისეთი უნდა ყოფილიყო ის რამდენიმე, ისეთი, რომ...

ზურაბ კუხიანიძე ჩამოაკითხავდა და:

– შეხვედრა უნდათ ქუთაისში მაღალ დონეზე, ქალაქისა და მის ხელმძღვანელების აზრია, თანაც – უახლოეს დღეებში.

ეს ხელებს გაასავსავებდა:

– შემოდგომისათვის გადაიტანეთ, ვიდრე ახალ ნაწარმოებს არ გამოვაქვეყნებ, „მეოთხე სიმფონიას“, არ მინდა.

გადაწევდა, როგორც ჩვეოდა ყველაფრის გადაწევა, იმ ვარაუდით, რომ: მანამდე ან ვირი მოკვდებოდა, ან ვირის პატრონი. და ახლა რომ გაისიგრძეგანებდა ამ ფაქტს, გულს ნაღველი შემოაწვებოდა.

„მე რომ იქ შეხვედრა და ზეიმი მომიწყონ, გამოვა, რომ ქალაქში თავისუფლად, ჩემს ნებაზე ველარ გავიარ იმის შემდეგ...“

არადა: ორი თხზულება – ერთი თანამედროვე და ერთიც ისტორიული – დასაწერი ჰქონდა კიდევ.

ვერა, ქუთაისის სტუმარი ვერ გახდებოდა... ცივი უარის თქმაც არ ივარგებდა. შემოდგომა... ნოემბერი... თავისთავად ჩაიშლებოდა და გადავადდებოდა... მერე გამოჩნდებოდა...

ანზორიც ესტუმრებოდა. ეძინებოდა ისევ ფეხზე ცხენივით. აღარ იქნებოდა ამქვეყანას. შემოსჩივლებდა:

– 15 წუთის შემდეგ გაზეთი ვერ წამიკითხია, მეძინება, კინოს რომ ვუყურებ და ტელევიზორს.

და ახსენდებოდა რეზოს ის დრო, როცა ის სვამდა, ქეიფობდა და გიტარას უკრავდა და ქეც იყო კარგად... როცა ქეიფი აეკრძალებოდა მთლიანად დაავადდებოდა. შეეცოდებოდა სტუმარი და ურჩევდა:

– მიხედე თავს, თუ სიცოცხლე გინდა, გახდი, მოიკრიბე ნებისყოფა და იქეიფე... თუ არადა მოკვდები...

– ასე მითხრა პროფესორმაც, – დაეთანხმებოდა ანზორი.

მისივე თანხმობით – თხოვნით – ჩააგდებდა ამ მოთხრობაში „მეოთხე სიმფონია“, მაგრამ არა ყოველმხრივ, ერთი მხრიდან, როცა გაცილებით ჯანმრთელი გახლდათ, იქიდან დაინახავდა და მის ამ ბოლო ყოფას გადაინახავდა სხვა დროისათვის...

16 მარტს ინატრებდა:

ნეტა დამამთავრებინა, რაც დავიწყეო.

წელს „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავლის“ გარდა წიგნიც არ გამოდიოდა არსად. ამის დაბეჭდვასაც არა და არ დაადგებოდა საშველი და ოფსეტურ სტამბაში გადაატანინებდა. აპრილისათვის დაპირდებოდნენ.

კარგად დახატავდა ედუარდ ამბოკაძე, მაგრამ სურათები წიგნში არათანაბრად გადანაწილდებოდა. რეზოს წიგნის ფორმატიც არ მოეწონებოდა, მაგრამ: უკეთესად გამოვცემ, როცა იქნებაო, – თავს ინუგეშებდა. ტირაჟად 20 000 ძალიან ცოტა მოეჩვენებოდა... ოთარ ნოდია ხელშეკრულებას რომ გაუფორმებდა, გახალისდებოდა: პატარას ამოვისუნთქავ ალბათო, – მაგრამ საქმეს რომ ვერ გამოასწორებდა, ამასაც ხედავდა.

მეორე დღეს რომ ჩაიწერდა დღიურში, ეს მაშინ, სამუშაო ამინდში რომ ზარმაცობდა:

მეტს ვკითხულობ, ვიდრე ვწერო.

დასძენდა თანაც:

როგორც უნდა იქცეოდეს პატიოსანი კაცი, ისეც ვიქცევიო.

22 მარტს ჭერმის დაკვირტულ ტოტებს გახედავდა. მზე იდგებოდა. საოცრად ეთბილებოდა. ხევში ნიავი ოდნავ შეარხევდა ალვათა წვეროკინებს. ჩაცმული და გამზადებული სამსახურში წასვლას რომ ეპირებოდა, უეცრად წლევანდელი სამუშაო წელი გაახსენდებოდა. თესვა მეტი ექნებოდა, ვიდრე მკა, და შფოთვა აუტყდებოდა: უნდა მოვასწრო გასაკეთებელიო.

რომ არ დავიწყნოდა, ჩაწერას დააპირებდა და ისევ ამ რვეულს გადაშლიდა, აქ ამჯობინებდა. აქაური დანაპირებ-დანაქადები უფრო სარწმუნო და მტკიცე იქნებოდა.

ჯერ ერთი:

გაისამდე უნდა მოესწრო სცენარი „ტურანდოტი“ – „კუკური გოცაძე“ და შავად გადაებეჭდა „მეოთხე სიმფონია“ ყოველ მიზეზგარეშე.

მეორეც:

აგვისტომდე... მაისი, ივნისი, ივლისი...

უნდა გადაებეჭდა თეთრად და დაეწერა სულ ცოტა ოთხი მოთხრობა.

და მესამეც:

აგვისტო, სექტემბერი და – ოქტომბერში უკვე უნდა ჩაებარებინა წიგნი „მერანში“.

შემდეგ გამოჩნდებოდა.

31-ში, მარტის ბოლო დღეს, ისეთი გახარებული ჩაიწერდა, რომ: ხვალ 1 აპრილი დგებოდა.

შემოვიდოდა აპრილი თეთრად, ხეთა ყვავილობად და ყვავილების მტვრად, ფუტკრის ზუზუნად.

და უეცრად სევდაც შემოაწვებოდა:

რამდენი აპრილი დაგვრჩა კიდევ?..

3 აპრილს ავიდოდა მამულში და წაიმუშავებდა. იქ ჯერ ხეები არ გამოსულიყო, შინდიც კი არა ჰყვაოდა... დაიღლებოდა და დაიმტვერებოდა საშინლად – არ იყო ფიზიკური მუშაობისათვის გაჩენილი როგორც ჩანდა. რამდენს ვარჯიშობდა სიყმაწვილისას, როგორ სურდა ღონიერი ყოფილიყო. ჯობდა კიდეც თავის წონოსნებს ცოტათი და... ეგ იყო და ეგ. მეტი ვარჯიშით – დროს რომ ვერა პოულობდა – მეტსაც მიაღწევდა ეგონა. ასეც იქნებოდა გარკვეულ ზღვრამდე, მაგრამ მეტს ველარ გაწვდებოდა: მისი ფი-

ზიკური მონაცემები – წვრილი ძვლები, სუსტი ხელები, საერთოდ მისი აღნაგობა და კონდიციები – ამას არ ითვალისწინებდა.

სამხედრო ექიმობა (სუფთა სამხედროობა არ ენდომებოდა), მთავარსარდლობა და ყაჩაღობაც კი მოსწონდა და ეოცნება კიდეც „ამ განხრით".

ერთი კაცი, ვადაჭკორია, რომელიც ცოცხალი აღარ გახლდათ, ეტყოდა, ცხადია სუფრაზე:

– სასულიერო პირი უნდა ყოფილიყავი. ძველ დროში რომ გაჩენილიყავ, მეფე კი არა, ეპისკოპოსი, კათოლიკოსი გახდებოდი.

ეწყინებოდა, მაშინ არ გაეხარდებოდა ყოველ შემთხვევაში... და ახლა რომ უკვირდებოდა, ჭკუაში უჯდებოდა:

მართალი მითხრა მგონიო...

ამ ლექსს კი მურმან ჯგუბურია მიუძღვნიდა. სიმთვრალეში დაწერდა, როგორც იტყოდა და რეზო როგორც მიხვდებოდა, ვიდრე თვითონ ის იტყოდა.

დაპირდებოდა:

– ისეთ ადგილას ჩავდებ, ისტორიას შეენახება.

მიუხედავად ამისა, ეს ნაგლეჯი შეიძლება დაკარგულიყო და გადმოწერას ამჯობინებდა 28 აპრილის დღიურში: ეს ორი დღეა ვფიქრობ შენზე და მომდის აზრი: რაგინდ თახსირი არ იყოს დრო და რაგინდ მკაცრი, არ შეიძლება ერს არ ჰყავდეს თავისი კაციო...

„ტურანდოტს" ისეთი განწყობილებით ბეჭდავდა, ერთი სული ექნებოდა, როდის მოიცილებდა და როდის ჩაუჯდებოდა „მეოთხე სიმფონიას".

კიდეც მოიცილებდა და 5 მაისს უკვე „მეოთხე სიმფონიას" ბეჭდავდა შავად.

რა შთაბეჭდილება რჩებოდა?

ალაგ ძლიერი გახლდათ ეს მოთხრობა თუ სულაც რომანი, ალაგ ჩვეულებრივი.

თუმც აკი ასეც ჩაფიქრებულიყო...

10 მაისს ლევან სანიკიძესთან რომ იქნებოდა სტუმრად, სუფრაზე ერთი უცხოც გამოერეოდა – თამაზ წივწივაძეს მიეყვანა, არადა არ უნდა მიეყვანა ასეთ დროს – და კინაღამ ჩაამწარებდათ პურმარილს. დაიწყებდა ისიც სტალინის ქებას, გაგულისებული რეზო ძალიან მაგრად რომ შეუტევდა, ზედმეტსაც ეტყოდა, მაგრამ ის მოითმენდა...

რეზოს კი უკვე აღარ შეეძლო მოთმენა, წონასწორობას ჰკარგავდა: როგორ აქვს გონება დაბნელებული ხალხსო!..

უნდა დაწერილიყო დოკუმენტური წიგნი, რა დღე დაეთია საქართველოსათვის სტალინს... რეზოს თვითონაც შეეძლო ასეთი წიგნის დაწერა, მაგრამ სად ჰქონდა ამის დრო...

ერთი გაფიქრება გაიფიქრებდა:

უნდა გადადოს კაცმა გვერდზე ყველაფერი და დაწეროს სიმართლეო...

მაგრამ შეჭოჭმანდებოდა:

იმას ამოათრევ ტალახიდან და... ესენიც ამოჰყვებიან – ჯერ არაფერი შეცვლილა – და კიდეც დამიჭერენო.

ეგონა: ეს უფროსი თაობა რომ გადავიდოდა დროისა და ასაკის კვალობაზე, იმ გარეწარს კულტიც მოეხსნებოდა, მაგრამ როგორც ჩანს ცდებოდა: ვიდრე მისი თაობაც არ ჩაივლიდა, საშველი არ იქნებოდა...

14 მაისს მწერალთა სასახლეში შეიყრიდნენ მწერლები თავს. 25-ში, ერთი დღით ადრე ან ერთი დღით გვიან, ზეიმის გამართვას აპირებდნენ ცაგერში, ლადოობაც იქნებოდა და ამასაც დაპატიჟებდნენ. შეიძლება გამგზავრებულიყვნენ, იყოყმანებდა იმ დღეს მათი კამანდა: ადიგენი თუ ცაგერიო?.. თუმც გამოჩნდებოდა.

ეიმედებოდა, რომ:

„მეოთხე სიმფონიის" გადაბეჭდვას შავად ხვალ დაამთავრებდა... და რომ წარმოიდგენდა, რამდენი საქმე ექნებოდა წელს, ათად თუ გაიჭრებოდა, ეს აღარ იცოდა, მაგრამ სხვაგვარადაც რომ არაფერი გამოვიდოდა?!.

ბიჭებს წაუკითხავდა ადგილებს „მეოთხე სიმფონიიდან". შეამოწმებდა ჟღერადობას და მიხვდებოდა რაღაცებს. მათაც მოეწონებოდათ და ამასაც მოეწონებოდა ხმოვანებაში...

მურმან ჯგუბურიას წერილი დაიბეჭდებოდა „ლიტერატურულ საქართველოში". აქაც წაიკითხავდნენ და ისეთი თითქოს არაფერი მოხდებოდა, მაგრამ რეზოს იმგვარი შეგრძნება თუ შთაბეჭდილება რჩებოდა რომ: აქ ამ-რეზით უყურებდნენ.

„ნაღდად მტრები გამიჩინა ამ კაცმა... თავადაც გაიფუჭა საქმე..."

იქით ვახტანგ ჭელიძეს აწყენინებდა:

– შეგიმოკლებიათ.

და ის პასუხად:

– არ ყოფილა კარგი კაცი, ეგ რომ შეგატყობინა.

რეზო გამოასწორებდა თითქოს თავის ნათქვამს, მაგრამ აღარაფერი გამოვიდოდა.

ამ თვეშივე – თუ არ დაგვიანდებოდა – ეიმედებოდა „მეოთხე სიმფონიის" მომთავრება. ეგაა აღარ იცოდა, გამოეცვალა თუ დაეტოვებინა ეს სათაური.

ორშაბათისათვის წერილი უნდა დაეწერა პატარა: მიხეილ ქვლივიძეზე...

ერთი რეცენზიაც ექნებოდა მოსასწრები და...

შემდეგ უკვე „მეოთხე სიმფონია", რომლის სათაურის შეცვლაზეც ერთხელ კიდევ ჩაფიქრდებოდა.

არჩილ სულაკაური დაურეკავდა სწორედ დღეს, 8 ივნისს:

– ჩემთან უნდა მოიტანო აუცილებლად, სხვა საჭირბოროტო საქმეც მაქვს.

როგორ მოქცეულიყო? „ცისკარში" ნომერი უკვე შეენახვინებინა და... აღარ იცოდა, რა ელონა.

12 ივნისს გაირკვეოდა, რომ:

ნაირა გელაშვილი აპირებდა წერილის დაწერას რეზოს წიგნზე. ბევრს ელაპარაკებოდა წინასწარვე და ამას კი საგანგებოდაც დასძენდა:

– რაც დაწერილია, არ მომწონს.

ყველაზე მეტად მაინც „გია" მოსწონდა. და რეზოს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა:

საერთოდ მშვენივრად ხედავდა, მშვენივრად ერკვეოდა ლიტერატურაში, ამ შემთხვევაში – მის შემოქმედებაში. უფრო მეტსაც ხედავდა, ვიდრე საჭირო გახლდათ.

– ნიჭიერი ქალია და რაც სავსებით ბუნებრივია, უცნაურიც.

თუ წინა დღით საშინლად ცხელოდა, დღეს ცოტა აგრილდებოდა და მუშაობაც შეიძლებოდა. ეგაა: სამუშაო ბევრი იყო, დრო – ცოტა.

აგერ დღეს:

უნდა ასულიყო ზევით, აუცილებლად დაეზეთა და გაერეცხა მანქანა, უნდა მისულიყო გამომცემლობა „მერანში", „მნათობის" რედაქციაში არჩილ სულაკაურთან, კინოკავშირში – სურათების გამოსატანად, მწერალთა კავშირში – წიგნებზე, და „საუნჯის" რედაქციაშიც.

რომელი ერთი გინდა მოგესწრო?!.

18 ივნისის ღამეს სიცხე შეაწუხებდა. წუხელ პატარა წერილს დაწერდა მიხეილ ქვლივიძეზე, „თბილისის" რედაქციიდან მოეძალებოდნენ და... დღეს რატომღაც არ წაიღებდნენ.

ხვალიდან აპირებდა „მეოთხე სიმფონიის" ბეჭდვის დაწყებას და ემზადებოდა.

ბაჩანა ბრეგვაძე აჩუქებდა წიგნუკას: ფრიდებერტ დუგლასი, „ასი მარგინალია". თავის დროზე რომ წაიკითხავდა, მოეწონებოდა. და ახლა, 20 ივნისს, ისევ მოჰყვებოდა ხელში, თვალს გადაავლებდა და შეჩერდებოდა ამ გახურებული მუშაობისას...

დღეს 20 გვერდს გადაბეჭდავდა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გაცდებოდა.

26 ივნისს გადაბეჭდავდა და დააბინავებდა „მეოთხე სიმფონიას". ერთ ეგზემპლარს დატოვებდა „ცისკარში", მეორეს მიუტანდა, თუმც არ აპირებდა, ჯანსულ ღვინჯილიას საავადმყოფოში, დიღომში, თერაპიის ინსტიტუტში. ძალიან გადაიღლებოდა და ამოოხვრასავით დასცდებოდა:

– ამნაირ სერიოზულ ნაწარმოებს ანი აღარ დავწერ ალბათ.

დღეს ის – როდესაც კორექტურის კითხვას ამთავრებდა – ძალიან გრძელი და ჩვეულებრივი მოეჩვენებოდა. გამოჩნდებოდა, რა დაეწერა...

მუშაობდა – ცდა არ დაეკლო – სცხელოდა, იღლებოდა, შიგადაშიგ კითხულობდა ანტონ ჩეხოვის „სახალინსა" და ტერენტი გრანელის ლექსებს, ალიმონაკისეულ ბოლო გამოცემას.

„სახალინისა" ძალიან ცუდი, შეიძლება თქმულიყო, საშინელი თარგმანი აღმოჩნდებოდა. ხელთ ჰქონდა ასლიც და ორიგინალიც. შედარებისათვის არ ეცალა, მაგრამ იცოდა, რომ: ასე იყო.

ტერენტის სრული კრებული საჭირო გახლდათ, ოღონდ აუცილებელი – არა. ამ ერთფეროვნებაში გზის გაკვლევა ძნელდებოდა. შეიძლებოდა მშვენიერი კრებულის შედგენა: ოღონდ უსათუოდ უფრო მომცროსი.

საერთო შთაბეჭდილება: რეზოს უყვარდა ტერენტი, აფასებდა.

მაგრამ არ შეეყვარებინა ხალხს და არ დაეფასებინა: ერთფეროვნებისათვის, ეგოიზმისათვის, წუწუნისათვის. და ამაში ხალხი მართალი იყო ალბათ.

ჩეხოვის ეს თხზულება კარგი გახლდათ, ცხადია შეიძლებოდა უკეთესიც ყოფილიყო.

ხუთი წლის შემდეგ – ანუ 1990-ში – სრულდებოდა სახალინზე ანტონ ჩეხოვის მოგზაურობის ასი წლისთავი. და ჩაითქვამდა რეზო ჭეიშვილი:

თუ ღმერთმა მიმაღწევინა მაქამდე, მე გავიმეორებ იმ გზას, მივლინებით და საბუთებით გავემგზავრები სახალინზეო.

მარტო აპირებდა? გამოჩნდებოდა... მანამდე ბევრი ტურა იკივლებდა...

ახლა რას აკეთებდა?

ერთი რეცენზია, შემდეგ მოთხრობა და წიგნი!!!

1 ივლისს ზევით ავიდოდა, მუხათწყაროში, ნაიმუშავებდა კიდეც, გამოკეთებით ვერ გამოკეთდებოდა, თავიც ასტკივდებოდა, შიგანი და წნევაც შეაწუხებდა.

პატარა რეცენზია გაუხდებოდა დასაწერი, შესაკოწიწებელი.

დაივალებდნენ თითო-თითო რეცენზიას – რეზო მეტის დამწერი აღარ იქნებოდა – რათა მუხრან მაჭავარიანის მძღოლს აეღო ფული საყველპუროდ. „ხალტურაზე" სიარულს არა კადრულობდა რატომღაც და: რეზოს ეს ანდაზა მოადგებოდა ენაზე, თუმც დამთავრებისაგან – გასაგებია რატომაც – თავს შეიკავებდა – აზნაური მჭადს არ ჭამსო, ისეა მისი საქმეო...

ამისათვის გადაათვალიერებდა მრევლიშვილის მიერ თარგმნილ იონას ავიჟიუსის რომანს „დაკარგული ვერა". რაღაც-რაღაცებს კი ამოიწერდა, მაგრამ წიგნიდან არაფერი დაამახსოვრდებოდა. ანკი რა უნდა დამახსოვრებოდა, როდესაც არც კი წაეკითხა ფაქტობრივად.

და მწარედ ჩაეღიმებოდა:

ასე გვკითხულობენ ჩვენც ლიტვაში და სხვაგანაცო.

თარგმნიდნენ თუ არ თარგმნიდნენ მის თხზულებებს, განა რა იქნებოდა?

არც არაფერიო, – სკეპტიკურად უყურებდა ამ მცდელობებს, რადგანაც წიგნების ჯუნგლებში ვინ რას გამოარჩევდა, ვინ რა დასკვნას გამოიტანდა?

თვითონ რეზოს ევალებოდა და მაინც არ კითხულობდა უნგრულს, რუმინულს, ჩეხურს... თუ დიდი ლიტერატურული ქვეყანა არ გახლდათ, თუ გახმაურებული ავტორი არ იყო, ვინ მოიცლიდა საკითხავად ამ ხანმოკლე წუთისოფელში?!.

და თავის მხრივ ცდილობდა რეზო ჭეიშვილი:

ახალი სიტყვა ეთქვა, ისეთი დაეწერა, როგორიც არ იწერებოდა; არ გამოდიოდა ამ რანგისა, მაგრამ ფარ-ხმალს არა ჰყრიდა მაინც.

– ჩემი ხელწერა მაქვს და ჩემი სიტყვა მაქვს ნათქვამი და მაინც რაღაც ახალს ვეძებ, არ გამოვა, ვიცი, და მაინც...

ანკი ისე როგორ გაჩერდებოდა, რაღაც ახალი არ ეძებნა.

არ გამოვიდოდა?..

და მაინც... მაინც...

ყველაფერი ნათქვამი იყო, ყველაფერი დაწერილი.:. და რეზოსაც ძალიან ჩვეულებრივი, მაგრამ საინტერესო ორი რომანი ჰქონდა დასაწერი. მა-

ნამდე კი რამდენიმე უჩვეულო ნოველა, მოგონება – ეს სიტყვა არ უყვარდა – უნდოდა, სწორედ რომ მოგონება უნდოდა...

დასკვნა უნდა დაეწერა საკუთარ სცენარზე 2 ივლისის ღამეს. უნდა მოეშორებინა ეს დასკვნა და ანოტაცია და... მომზადებულიყო მოთხრობების დასაწერად.

27 ივლისის დღიურში როგორ არ აღებეჭდა, რომ:

აღტაცებას გამოთქვამდნენ – ვისაც კი წაეკითხა – „მეოთხე სიმფონიით".

9 ივლისს ჩაინიშნავდა, რომ:

წიგნს ჩააბარებდა თუ არა შემოდგომაზე, თავისუფალი დროც დარჩებოდა. სავალდებულო სამუშაოები არ ექნებოდა ელდარ შენგელაიას სცენარის გარდა.

თუ არ მოინდომებდა, მთლად უკეთესი.

მაშინ რეზო მთლიანად გადაერთვებოდა „დ. ც."-ზე...

ზამთარში – ლიტერატურა.

გაჭრით გაზაფხულზევე გაიჭრებოდა და გოჯ-გოჯ, მტკაველ-მტკაველ შემოივლიდა დასავლეთ საქართველოს და შემოდგომაზე შეუდგებოდა წერას, ახალწლამდე შავად დამთავრებას რომ ივარაუდებდა.

რამდენჯერ შემოევლო ის ადგილები, თავისი ისტორიული თხზულების სამოქმედო არეალად რომ განიზრახავდა, საისტორიო და დოკუმენტური წყაროებიც გულმოდგინედ და ყოველმხრივ შეესწავლა და დაემუშავებინა, მაგრამ დაწყების წინ, შთაგონებისა და აღმაფრენისათვის, ასერიგად დაისაჭიროებდა სწორედაც გოჯ-გოჯ და მტკაველ-მტკაველ ჩაძირვას იმ სამყაროში, გეოგრაფიული ჩარჩო რომ უნდა შემოეწერა.

თვალდათვალაც შეესრუტა.

გონების მზერით ხომ ისედაც ეხილა და ეხილა, ჩაკვირვებოდა და ჩაკვირვებოდა.

დაიმედებაც ამისაა, ახალ წელს ახალი თხზულებით რომ შეეგებებოდა, თანაც იმ ჟანრითა თუ თემატიკით, აქამდე რომ არასოდეს მოესინჯა, არადა წლებია აწუხებდა და სულს უღრღნიდა.

გეგმა გეგმად შედგებოდა:

1987 წელს – „თ. ვ.-შვილი".

შემდეგ დარჩებოდა – „ბალახვანი"

და „ოკრიბა".

საკმარისზე მეტიც მოეჩვენებოდა.

1 სექტემბერს მთელ დღეს ზევით გაატარებდა, მამულში, და 2-ში ჩაჯდომის გუნებაზე დადგებოდა.

სწორედ ახლა, შუადღეს, წაიკითხავდა კორექტურას „მეოთხე სიმფონიის" პირველი ნაწილისა. რაც მთავარია ბიჭვინთაში ყოფნისას დაეწერა პატარა მოთხრობა: „ბონდოუკამ თქვა", გადაეკეთებინა მოთხრობად: „ბერსათრიელი", გაემზადებინა კინომოთხრობად: „ჭიდაობას რა უნდა". ახლა ერთი პატარა მოთხრობაც უნდა მიეყოლებინა და... წიგნიც მზად ექნებოდა.

შემდეგ ისევ საქმე, საქმე და... მერე აღარც დაწერდა ცოტა ხანს, ანდა კარგა ხანს...

თქმით კი იტყოდა, მაგრამ მაშინვე მიხვდებოდა, რომ: ეს შეუძლებელი იქნებოდა.

9 სექტემბერს წამოაგონდებოდა, როგორ იჯდებოდა აივანზე ზღვის მხარეს და დაინახავდა, პირველად თავის ცხოვრებაში, როგორ დასდევდა ჩიტი პეპელას. პატარა ჩიტი იქნებოდა, მონაცრისფრო, მოყავისფრო, მოაგურისფრო, პეპელა – დიდი და თეთრი, იფარფატებდა და ვერაფრით ჩიტი ვერ დაიჭერდა. გაუსხლტებოდა, გაცდებოდა ჩიტი, მობრუნდებოდა და ხელახლა დაესხმოდა თავს უშედეგოდ.

და ძალდაუტანებლად დაუდგებოდა თვალწინ თავისი მოთხრობაც და მთავარი გმირიც: შალიკო ხვინგიაძეს ხომ ამნაირად დასდევდა „მესერშმიტი".

13 სექტემბერს როგორც იქნა გამოვიდოდა „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი" – მშვენივრად დასურათებული. ტირაჟი მცირე მოეჩვენებოდა: 20 000 – რადგანაც ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ: 100 000-ც არ იქნებოდა საკმარისი.

მისი რომ იყო, ცხადია იმიტომ არა.

იმასაც კი იტყოდა:

ავტორის გვარ-სახელი რომ მოაშორო, უფრო გაიყიდება ალბათო.

სათაურიც კარგად შერჩეულიყო – შალიკო ხვინგიაძის ამოკითხვა გარეკანზე იმთავითვე განგაწყობდა რაღაც სამხიარულოსთან შესაფერისად – და რაც მთავარია: მოწყენოდათ ადამიანებს ომსა და საშინელებაზე ლაპარაკი.

კლიშეები შევანახვინო იქნებო, – მოაფიქრდებოდა. კლიშე კი არა, ფირზე ყოფილიყო ამოღებული და შეიძლებოდა შენახვა, გადაყრილი თუ არ იქნებოდა უკვე.

„მეორედ ვინღა დახატავს და გამოსცემს?!."

დამხატავიც გამოუჩნდებოდა მეორე ილუსტრირებულ „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალს" და გამომცემელიც: კარლო ფაჩულია და ელგუჯა თავბერიძე. და თუმც ეს უნდა მომხდარიყო სამი ათეული წლის თავზე და რეზო ჭეიშვილი ველარც მოსწრებოდა, მაგრამ სრულფასოვანი კი იქნებოდა ის გამოცემა, რაკიღა ამასობაში ქართული პოლიგრაფიაც შეძლებდა დასავლურ სტანდარტებს გათანაბრებოდა. გაცვდებოდა ეს სიტყვა: სტანდარტები, – იმდენჯერ გამოიყენებდნენ და ისე ფუჭად და არაფრისმთქმელად, არადა სწორედაც ამ სიტყვას მოვინდომებდი ამ გამოცემის მნიშვნელობის განსასაზღვრად, თორემ შეიძლებოდა: რანგიც, დონეც, სიმაღლეც... ერთი-ორი სხვა შესატყვისიც შეიძლება გაგვახსენდეს, მაგრამ არა – სრულიად ზედმეტია, რადგანაც „სტანდარტმაც" უნდა დაიბრუნოს თავისი პეწიც და სიხასხასეც, და ასეც მოხდება თავისთავად, ისეთ სახელთა გარემოცვაში მოექცეოდა, თავთავიანთ ასპარეზზე განსაკუთრებულ წარმატებას რომ მიაღწევდნენ და რეზო ჭეიშვილის ღირსების მწერალს გვერდით ამოუდგებოდნენ ამავე ღირსების მხატვარიც და კრიტიკოს-გა-

მომცემელიც, და შალიკო ხვინგიაძეც მთელ არსებით წარმოდგებოდა მკითხველის წინაშე, იმ მონუმენტურობით, რეზო ჭეიშვილი რომ მიაღწევდა და გარეგნულადაც ხომ ასეთივე უნდა ყოფილიყო ქართველი მიუნჰაუზენი, მხატვრულ ძალმოსილებას რომ შეინარჩუნებდა.

კარლო ფაჩულია ერთიერთმანეთზე შთამბეჭდავ ნახატებს ჩამოამწკრივებდა მეტყველ სერიად.

ელგუჯა თავბერიძე კიდევ ერთი მოხდენილი გამოცემით შეავსებდა ჭეიშვილიანას საერთოდ და ჭეიშვილიანას ნაკადს პირადად მისას, გამორჩეულს ამ მთლიანობაში რანგითაც და მრავალფეროვნებითაც: როგორც გამომცემელიც დასდებდა ამაგს რეზო ჭეიშვილის სახების გამოკვეთას ჩვენს ლიტერატურულ, ზოგადკულტურულ და საზოგადოებრივ სივრცეში, როგორც კრიტიკოსიც და როგორც მხატვარ-დოკუმენტალისტიც, „კვამლის" შემოქმედის გზის ერთი უშუალო გამგრძელებელი რომ აღმოჩნდებოდა ქუთაისურ-დასავლურ-ზოგადქართულ ხილვებსა და წარმოსახვებშიც და მათ გადაქცევაშიც მიმზიდველ და გულისშემძვრელ სურათებად.

თავის ორიგინალურ გზასაც გაჰკვალავდა ელგუჯა თავბერიძე, ერთი შეხედვით ვერსად რომ ვერც დალანდავთ რეზო ჭეიშვილის სტილურ მანერას ამ სანახებში, მაგრამ იდუმალად გამოსდევს მისი აჩრდილი თხრობას, გამამხნევებლად და შემაგულიანებლად.

უმცროს მეგობართაგან თუ ვინმე, სწორედ ელგუჯა თავბერიძე ეგულებოდა რეზოს გამამხნევებლადაც და თანამდგომადაც, და ისეთი სითბოთი, ისეთი მამაშვილური სიყვარულით მიმართავდა ხოლმე:

– ვაჟაევიჩ!

ბევრ რაიმეს აქსოვდა ამ მიმართვაში და გული ეთანაღრებოდა, „ცისფერი მთების" იმ კოლორიტულ პერსონაჟს ვაჟა ზაზაევიჩს რომ დაარქმევდა და არა ზაზა ვაჟაევიჩს, რაც კიდევ უფრო ექსპრესიულად წარმოდგებოდა რეზო ჭეიშვილის თვალთახედვასა და მხატვრულ ონომასტიკონში.

– ნეტა დროზე მივმხვდარიყავი!..

შეცვლით უკვე ველარ შეცვლიდა, ისე შეჩვეოდა მკითხველიც და კინომოყვარულიც ამ პერსონაჟს, ისე ჩაბეჭდვოდა გონებაშიც და მზერაშიც, ყურს მოჭრიდათ უკვე მის მოხსენიება სხვაგვარად, თუნდ „უმნიშვნელოც" ყოფილიყო ეს ცვლილება – სახელი და მამის სახელი შეიცვლიდნენ ადგილებს... ვერა, უკვე ველარ – და ეს: პოპულარობის გამოისობით, თორემ სხვა შემთხვევაში ძალიან არ მიედევნებინათ გულისყური ჯერ რა ერქვა პერსონაჟს და მერე რა დარქმეოდა.

– ვაჟაევიჩ!

სევდაც გაერეოდა ამ მიმართვაში დიდ სითბოსთან ერთად: ეჰ ნეტა დროზეო...

ეს დრო და მისი უკმარისობა აღმოჩნდებოდა ეროსი მანჯგალაძისათვისაც სევდისმომგვრელი და შესჩიოდა ავტორს „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავლის" დადგმის შემდეგ სატელევიზიო სპექტაკლად:

– როდესაც მივხვდი, თუ როგორ უნდა მეთამაშა შალიკო ხვინგიაძე, კიდეც დამთავრდა გადაღება.

მეორედ ვიღა გადაიღებდა!..

ეჰ – სცენაზე რომ დადგმულიყო, მაშინ კი გაშლიდა ფრთებს ბოლომდე ეს დიდებული მსახიობი, რომელიც მაყურებელს ამ სატელევიზიო დადგმაშიც ძალიან მოეწონებოდა, მაგრამ ეროსი მანჯგალაძეს ხომ კარგად მოეხსენებოდა, სად გადიოდა მის შესაძლებლობათა ზღვარი, და ამ პერსონაჟის სრულყოფილად წარმოსაჩენად კიდევ შეეძლო რამდენიმე ფერისა და შტრიხის შემატება, გულს ოდნავადაც რომ აღარა დაკლებოდა რა.

სცენაზე კი გაშლიდა ფრთებს ბოლომდეო...

პრემიერისას ჯერ თუ ვერც მიაგნებდა გასაღებს ამ ხასიათის გასახსნელად ბოლო ნიუანსებამდე, მეექვსე-მეშვიდე წარმოდგენისას შეეძლებოდა თამამად გაესწორებინა მზერა პერსონაჟისათვის: შემოვძვერი თუ არა შენს კანში, ვიქეცი თუ არა ბოლომდე შენადო!..

კარლო ფაჩულია ამ მხრივ შეუზღუდავი იქნებოდა.

ჩვეულებრისამებრ ბევრგვარ ვარიანტს შექმნიდა ილუსტრაციებისა და როდესაც იფიქრებდა: მგონი მივაღწიე, რაც მინდოდაო, – მალევე უკუაგდებდა ამ აზრს, რადგანაც შესამატებელი იქნებოდა ის რამდენიმე ფერი და შტრიხი, მკითხველს რომ ათქმევინებდა: გამოცხადებული შალიკო ხვინგიაძეა, ნეტა ყოფით რეალობაშიც ხომ არ არსებობდა ეს კაცი და კარლო ფაჩულიამ მოდელად ხომ არ დაიყენაო.

დიახაც რომ!..

იშვიათად ხდება ასეთი ჰარმონიული შეკავშირება მწერალს, მხატვარსა და გამომცემელს შორის – გამომცემელს, იმავდროულად შენი გზის გაგრძელებაც რომ უთავია – და... შალიკო ხვინგიაძის დამსახურება აღმოჩნდებოდა ეს ყოველივე, შალიკოსი, თორემ აბა რეზო ჭეიშვილი რა შუაში გახლდათ, დროდადრო რომ მოინატრებდა ხოლმე ამ სიტყვა-ომონიმს და, თუკი ელგუჯა იქვე არ ეგულებოდა, ტელეფონს მოიმარჯვებდა მაშინვე:

– ვაჟაევიჩ!

მაშინ კი 13 სექტემბრის ხსენება ტანში გაზრინავდა იმ საქმეების შემხედვარეს, თავზე რომ დაყროდა და რომელ ერთს ასვლოდა, აღარც იცოდა.

როდის მიუჯდებოდა საბეჭდ მანქანას, როდის გაყიდდა ნამდვილ მანქანას, როდის აამუშავებდა „ნივას“, როდის შეიძენდა ახალს, როდის დაყრიდა მიწას და შემოღობავდა მამულს?.. როდის გაისტუმრებდა ვალებს? წიგნს როდისღა ჩააბარებდა ბოლობოლო?..

სხვა რაღაცებიც რომ გამოტყვრებოდა ამასობაში?!.

და ქვემოდან აღწევდა ჭრიჭინისა და კრუალის ხმები.

თქვენ ის ხმა გეთქვათ, ფიცრის ხვრას რომ ასდევდა, ისმოდა და არც ისმოდა, ჩურჩულზე მკრთალადაც რიალებდა და... გამაყრუებლადაც გრგვინავდა... და თან მოჰქონდა „მეოთხე სიმფონიის“ იდუმალი მუსიკა, ერთიანად რომ ჩაეთრია და გაეთანგა მწერალი, რომელსაც ხან ეჩვენებოდა, რომ ეს მუსიკა შთამბეჭდავ პარტიტურადაც გადაიხსნებოდა მკითხვე-

ლის წინაშე, და ხანაც ლამის გულს შემოჰყროდა: ძალიან ჩვეულებრივია, განა ვინ შეიძლება ააღელვოს, ვინ შეიძლება შეძრას და ჩვენი აბსურდული და ტრაგიკული სინამდვილის სიღრმეებში ჩაახედოსო.

რომელი მხატვარი ის იყო, მაგრამ 22 სექტემბერს ისე მოუნდებოდა მზის დახატვა, თუნდ ბორბალიც გამოსვლოდა მის მაგივრად, აღარ დაეძებდა. თვითონ ხომ იცოდა, რასაც გულისხმობდა და ის წუთები დაე ნახატზეც შემონახულიყო, მამულიდან წამოსული მანქანის სარკეში რომ მიაჩერდებოდა – და თვალსაც ვერ გაუსწორებდა – ჩამავალ მზეს, გარკვევით რომ ჩანდა გვირგვინიც და მზისგულიც. გვირგვინი თეთრად კაშკაშებდა და გულს კი მომწვანო ფერი გადაჰკრავდა... ლისის ტბაც ხომ მომწვანო ჩანდა ზემოდან, მომწვანო-მოლურჯო. თბილისის ზღვა კი ცისფრად შემოგეყრებოდა... მთები და გორები მიწისფერ-ჟანგისფერად გაწოლილიყვნენ, ხოლო ძროხები რომ იდგებოდნენ გაბაწრულნი მიწისფერი მინდვრის განაკიდეს, ჟანგისფერი გორების ძირას, საბარგო მატარებელს მოაგონებდა და გაიფიქრებდა: ეს სურათი როგორ უნდა დავკარგოო!..

მატარებელივით ჩამწკრივებული ძროხები და ჩამავალი მზე, გვირგვინი რომ თეთრად უკაშკაშებდა, გულს კი მომწვანო ფერი გადაჰკრავდა...

დასაწერი ექნებოდა პასუხები საკუთარ კითხვებზე. ვითომ ინტერვიუ ლეილა მესხის მაგივრად უნდა დაეწერა, კითხვებიც თვითონ უნდა მოეგონებინა, პასუხებიც. ეზარებოდა და ჟურნალს შეავსებდა ასე გულდაგულ... სხვა დასაწერ-დასაბეჭდის გახსენებაც აღარ ენდომებოდა. „მგონიო", მაინც დასძენდა ჩვეულებისამებრ, ყოყმანის კილო მაშინაც რომ შემოერეოდა ხოლმე, როდესაც საჭოჭმანო არც არაფერი გახლდათ...

30 სექტემბერს ამოიკვნესებდა:

ეს თვეც „უსაქმურად" გავლიეო.

3 ოქტომბერს რამდენიმე ფრაზას ამოუგდებდა ცენზურა – მოფერებით მთავლიტი რომ დაერქმიათ – „მეოთხე სიმფონიიდან", მაგრამ თავს ინუგეშებდა:

მგონი ბევრი ვერაფერი დამაკლოო...

8 ოქტომბერს იმ თვალით ჩაუჯდებოდა ტერენტი გრანელის ლექსებს, უკვე მოთხრობის დაწყებას რომ დააპირებდა. ჯერ „ყვავს" დაარქმევდა, მერე „ალლოდი ოტტოს", მაგრამ მიხვდებოდა, რომ: ალბათ არცერთი არ ივარგებდა. ტერენტი ძალიან საინტერესო პოეტი ისედაც ყოველთვის რომ გახლდათ მისთვის, ახლა ის მოსაზრებაც გაუჩნდებოდა:

„კარგად, მაღალ დონეზე თარგმნილი და კარგად მოწოდებული შეიძლება სენსაციურიც კი აღმოჩენილიყო ევროპელთათვისო.

და უეცრად შემოაწვებოდა გულზე, „ვაიმე, ჩემო ვენახო" საძაგლად რომ ეთარგმნათ რუსულად და თავს დაიმუნათებდა: არ უნდა მიმეცაო.

ერთი ლექსის სტროფს იხსენებდა, ეძებდა და ვერ პოულობდა. წინა დღით ეწვალებოდა, დღესაც და მიაგნებდა ბოლობოლო იმ აკვიატებულ ლექსს: თეთრი დღეები ჩემ წინ ქრებიან და შენ, ძვირფასო, რისთვის არ იცდი?! ღმერთო, გზის იქით რა მინდვრებია, წავალ მინდორში ხეტიალისთვისო.

მიდიოდნენ წლები უამინდობის, ახლა ერთი გამხდარიყო ზეცა და ლექსი, შიგნით ბაღი იყო, გარეთ მინდორი და სასაფლაო პეტრე-პავლესი.

რა იხსნიდა პოეტს ასე დარჩენილს! დედის თვალი ენახა სურათზე, აქ საფლავი იყო, იწვა ტერენტი – ლექსშიც და ყოფით რეალობაშიც – და მის წინ ემარხა ვიღაც მაისურაძე...

იკმარებდა გადმოსანერად და ახლა ამნაირივე ლექსს მიუბრუნდებოდა ძაღლზე, ჯეკი რომ ერქვა: ბედნიერ დღეებს იგი არ ელის, ალბათ სიხარულს გრძნობს გიტარაში, ახლა ჯეკია ჩემი მფარველი, ახლა ჯეკია ჩემი დარაჯიო.

– ტერენტის საფლავზე გამიყვანე, – სთხოვდა ლერი ალიმონაკს 10 ოქტომბერს, მაგრამ ის საამისოდ ვერ მოიცლიდა, რადგანაც მისი ბიჭი ჯარში მიჰყავდათ – გერმანიაში აგზავნიდნენ.

და ჩაუჯდებოდა რეზო სატერენტო მოთხრობას და უკვე მესამე გვერდზე იქნებოდა შემდგარი. არც აპირებდა დაწყებას და უცბად კი შეუდგებოდა მუშაობას. თავიდან ბოლომდე ექნებოდა უკვე მოფიქრებული და დამთავრება არ უნდა გასჭირებოდა.

გამოვიდოდა „ცისკრის" მე-9 ნომერი.

გარეთ ეციებოდასავით. გვიანი ღამე იდგებოდა და ჭრიჭინა მაინც ჭრიჭინებდა შორით.

და... რა ბედი ეწეოდა ნეტა „მეოთხე სიმფონიას?"

23 ოქტომბერს საკმაოდ რომ დაიმედდებოდა, კინოფილმისათვის „ცისფერი მთები" ისიც რომ დაჯილდოვდებოდა სახელმწიფო პრემიით, აღმოხდებოდა: ყვავს რომ კაკალი გააგდებინო, ისიც კარგიაო. მისთვის ის მნიშვნელობა ექნებოდა, რომ: უფრო მეტს დაუთმობდნენ, თორემ ძალიან გაეწვალებინა მთავლიტს, ცენზორს. იომებდა, ბევრს დათმობდა, მაგრამ თავი მაინც გამარჯვებული ეგონებოდა: ერთ-ორ დღეში ჩამოიბეჭდებოდა მე-10 ნომერი „ცისკარიც" და.. დამშვიდდებოდა.

რომ ჩაუფიქრდებოდა: ამხანაგი სხვა არის და ძმაკაცი – სხვა, და ამ ტერმინსაც გათვალისწინება უნდაო, – კიდეც გადაწყვეტდა, რომ: ერთხელ კიდევ გაეკრა ხელი იმ პირველი რომანისათვის და თავდაპირველი სახელიც – „ჩემი ძმაკაცი ნოდარი" – დაებრუნებინა.

„ჩემი მეგობარი ნოდარი", „ქალაქში დინოზავრები დადიან" და „ჩემი ძმაკაცი ნოდარი"...

არ მოეწონებოდა ეს საქციელი, მაგრამ რაღა ეღონა, თუკი ეს ჭია შეუჩნდებოდა.

სამაგიეროდ ბოლოდროინდელ მოთხრობებს აღარ ჰკიდებდა ხელს. ჟურნალიდან ჭრიდა და აწებებდა. ადრე კი გამოცემიდან გამოცემამდე ასწორებდა და ასწორებდა.

2 ნოემბერს წაიკითხ-გადაიკითხავდა „მეოთხე სიმფონიას", ან უკვე გამოქვეყნებულს, და... თვითონ ძალიანაც მოეწონებოდა.

9 ნოემბერს რომ მიაწერდა: ალბათ 1985-ო, დასძენდა: წელი არ მეშლება ხოლმეო. და წამოაგონდებოდა, თუ როგორ შეეშლებოდა ერთხელ ა. ქ.-ს სა-

უკუნე, და ხელიდან როგორ გაუშვებდა და კიდეც გამოიყენებდა იმ შემთხვევას „მეოთხე სიმფონიაში".

ამ პასაჟზე მიგვანიშნებდა:

„მეცხრამეტე საუკუნეს სხვა რიტმი და სხვა მაჯისცემა აქვსო, იმეორებდა ბუხუ და მეცხრამეტე საუკუნეც არ ეშვებოდა. რას აიჩემე ეს მეცხრამეტე საუკუნე, ხომ არ შეიშალეო, ჰკითხა ჯონდიმ ბოლოს წყნარად.

– მეცხრამეტე საუკუნე არ არის ახლა?! – თვალები გადმოქაჩა ბუხუმ.

– ნუ ყვირი, არავინ გაიგონოს, მეოცეა...

– მეოცე როგორაა, რას ლაპარაკობ, როგორაა მეოცე... ათას ცხრაას მეოცეა?.. ათას ცხრაას ოთხმოცი... მეთვრამეტე გამოვიდა. მეოცეა, ცხადია. ვინ თქვა მეცხრამეტეო?.. ნამეტანი დააჭირა მზემ. დღეს მე აღარ უნდა დავლიო".

რეზო კი ახსენებდა თუ არა „მეოთხე სიმფონიას", შინაგანად რაღაც უჩვეულო კანკალი აიტანდა:

ამ ნაწარმოების ბედი – აი რა მაწუხებს ამჟამად ყველაზე მეტადო...

13 და 14 დეკემბერს ორ ანკეტაზე უნდა გაეცა აუცილებლად პასუხი. წიგნის დაწებებაც უნდა დაეწყო.

21 დეკემბერს ელგუჯა მაღრაძე (–ე. სავლეს ძეო, – ასე მოიხსენიებდა) სტალინის დაბადების დღეს გადაიხდიდა და თავი-თავი ბოლშევიკებიც ეყოლებოდა დაპატიჟებული. თამადა – როინ მეტრეველი – პირველ სადღეგრძელოს – ოჯახის შემდეგ – სტალინისას შესვამდა და ალავერდს მუხრან მაჭავარიანთან გადავიდოდა.

– შევწუხდი, – ეტყოდა მუხრანი მეორე დღეს რეზოს.

შეწუხდებოდა, მაგრამ... რეკავდა ისიც „ტოსტს", როგორც შეიტყობდა რეზო და გადაწყვეტდა: ეს ფაქტი უნდა გამოვიყენოო...

საერთოდ რა წამოეწყო, აღარც იცოდა...

ერთის დრო ჯერ არ დამდგარიყო: „თ. ვ."-სი.

მეორესათვის – „დ. ც." – მზად არა გრძნობდა თავს.

– განვლილი ეტაპია „მუსიკა ქარში" რუსული ლიტერატურისათვის, – ეტყოდა ანა კალანდაძე, – ლირიკაა ბევრი შიგ...

იქ არას ეტყოდა, დღიურში კი ჩაინიშნავდა:

ობივატელი და პრეტენზიული მკითხველისათვის ასეა ალბათო.

მხოლოდღა იმას რომ ჰკითხავდა:

– რომელი მოგწონს?

დაუსახელებდა იმ მწერალს, რომელსაც მოელოდა რეზო ჭეიშვილი და თავის მხრივ მიიჩნევდა: ტყუილის, სიაბანდის, არანამდვილის პროზად.

თუმც მთლად ბოლომდე არც ანა კალანდაძე იქნებოდა დარწმუნებული იმ პროზის სიკარგეში.

– შენი პროზაც ძლიერია, – გულს გაუკეთებდა პოეტთა დედოფალი, – მოთხრობები კიდევ უკეთესია, მაგრამ „მუსიკა ქარში" ლირიკულია.

ველარ მოითმენდა რეზო:

– გარდა მაგისა შიგ სიკეთეა, სინათლეა, ღიმილი, სევდა და მზეა.

– ეგრეა, კი, – დაეთანხმებოდა ანა კალანდაძე.

25 დეკემბერს ლევან მალაზონიასთან ერთად გავიდოდა ტერენტი გრანელის საფლავზე და შესანდობარსაც შესვამდნენ. უცნაური და ჭრელი მოეჩვენებოდა ის სასაფლაო და ივარაუდებდა, რომ: ბევრად უცნაური და საინტერესო იქნებოდა ადრე.

ტერენტის სამარეც – პირველად ნახავდა – ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც დახვდებოდა: პატარა, მივარდნილი, ჩაკარგული გალავნიანად; რუსულ სარწეველა აკვანს რომ ემგვანებოდა. ღამდებოდა. მანქანა უადგილოდ ეყოლებოდა გაჩერებული და მალე წამოვიდოდნენ. ამინდიც არ იქნებოდა შესაფერისი. და ჩაითქვამდა: სხვანაირადაც უნდა ვნახოო.

შობის წინაღამეს ოთხნი – ამათთან ერთად მუხრან მაჭავარიანიც და თამაზ წივწივაძეც – ისხდებოდნენ მყუდროდ. მიცვალებულებს გაიხსენებდნენ. ილაპარაკებდნენ, გაერთობოდნენ, იცინებდნენ... და: ღმერთმა ცოტა ხანი მოგვცეს ამის ძალა და საშუალებაო, – ინატრებდნენ...

ჩათავდებოდა ეს 26 დეკემბერიც და რა გაეკეთებინა... თავს ძალას დაატანდა, ხვალ მიამატებდა სცენარს და დარჩენილ სამ დღეში მაინც დაწერდა და მაინც მიაწერდა წლევანდელ წელს „ყვავს“, მთლად ქვეყანა რომ დაქცეულიყო, შემდეგ ბეჭდვა და... ისევ იანვარ-თებერვლის იმედად რჩებოდა ამ ცივ სახლში.

არა, ტერენტის საფლავზე უნდა გასულიყო კვლავ...

სხვა რიტმი ჰქონდა მაინც ამ მეცხრამეტე საუკუნეს, სხვა მაჯისცემა.

მოიცა: მეცხრამეტე საუკუნე იდგა თუ მეოცე?

ათას ცხრაას ოთხმოცდა...

მეთვრამეტე გამოდიოდა.

თუმც რა ბედენა გახლდათ – მთავარია სხვა რიტმი რომ ჰქონდა და სხვა მაჯისცემა.

მკილი კი ხრავდა ფიცარს ღამით, დღისითაც ხრავდა, მაგრამ ღამით მაინც განსაკუთრებით აიწყვეტდა და მოისმოდა ბღუილი და ბჟუილი ჩადუმებულ ოთახში...

გახედავდი – გაჩუმდებოდა.

განაგრძობდა წერას, კალმის წრიპინს და – აჰყვებოდა გულმოდგინედ.

გააყოლებდი ხმას მზერას და – გაბუნაგდებოდა, აღარა ხრავდა, გელოდებოდა.

არასოდეს გენახათ ერთმანეთი და – ერთიმეორისა გესმოდათ.

შენ ხმა გესმოდა – ის გგრძნობდა.

ვინც იყავ მკილი მიწისა და ფიცრისა.

უნარითა მკილისა, ცოდნითა მკილისა.

და სიყვარულითა და მოთმინებითა შენითა.

თავი მესამე

„ეს ჩემი საუკეთესო წიგნი იქნება“

1986 წლის 12 იანვარს თავს შეუძახებდა, რომ:

გარდა ორი სცენარისა, ერთი მოთხრობა უნდა დაეწერა და დანარჩენი კი გადაემუშავებინა. ამას მოუნდებოდა ზამთარი და გაზაფხული.

„ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქცია ახალი რუბრიკის – იუმორისა – შემოღებას დააპირებდა და გადაწყვეტდნენ: რეზო ჭეიშვილის ნოველით დაეწყოთ. ახლა მის პასუხსაც, წინადადებასა თუ მხარდაჭერასაც ელოდნენ. 21 იანვრისათვის რედაქციის მუშაკს დაიბარებდა და... არ გაახსენდებოდა. ის გვიან დაურეკავდა და რეზო ყოყმანში ჩავარდებოდა: რითი დავეხმარო, ანდა თავი რითი დავიძვრინოო.

წამოწყება მოეწონებოდა, დაეთანხმებოდა და ახლა უნდა შეესრულებინა პირობა როგორმე. პატარა, საგაზეთო მოთხრობას დაიწყებდა 23 იანვარს და შეეშვებოდა... მაგრამ უსათუოდ უნდა გაეგრძელებინა...

30 იანვარს კუკიის სასაფლაოზე გავიდოდა, ნიავიც რომ არ იძვროდა. იქნებოდა სიჩუმე და გარინდება. ნაცრისფერი, ჩახუთული ცა.

ასეთი, სწორედაც ასეთი სურათი ესაჭიროებოდა „ყვავისათვის“.

დოდო სწორედ ტერენტი გრანელსა და მის საფლავზე დაუწყებდა ლაპარაკს:

– ყვავილები მოაქვთ თურმე მის სამარეზე ახალგაზრდებს და ძალიან მიხარია.

მეორე დღეს გადაბეჭდავდა მოთხრობას თუ რაც იყო: „სინემას“ დაარქმევდა. არც სათაური მოსწონდა და არც სათაურის პატრონი. ვერ დაამუშავებდა რიგიანად და ამიტომაც ჩაითქვამდა: უნდა მივუბრუნდეო. წაღებით უკვე წაეღო დამკვეთს და... ეს თავს საყვედურობდა: რატომ გავატანეო. თვითონ იქვე, კაბინეტში წაიკითხავდა პირველად. წაუკითხავდა ბიჭებსაც და... ვერც იმათ შეატყობდა დიდ აღფრთოვანებას.

მოქუფრული დღეები იდგებოდა, უნდა მოეთოვა და ვერ თოვდა თითქოს. და რეზო ჭეიშვილი ლუარსაბ თათქარიძისებურად შეუძახებდა ამინდს: შობე რაღაო!..

მისი მისალოცი სტატია გამოქვეყნდებოდა იმ დღის „ლიტერატურულ საქართველოში“ აკაკი ბრეგაძეზე, საგანგებოდ შეთავაზებული ვახტანგ ჭელიძის მიერ, თუმც ამას უკვე დაწერილიც ექნებოდა, ეგაა ცოტა მაღალფარდოვანი ეჩვენებოდა.

სტატია ყველას მოეწონებოდა და იტყოდნენ:

– ეკუთვნის კაკოს.

თვითონ აკაკი ბრეგაძეც დაურეკავდა დილაადრიან, და ამას გაუკვირდებოდა: სად ნახა გაზეთი ასე ადრეო...

ლევან მალაზონია შეხვდებოდა „ნაკადულის“ გამომცემლობაში და: დარცხვენილი იქნებოდა სტატიის ადრესატი:

– არ ვიყავი ამდენის ღირსი.

თავმდაბლობაც ამშვენებდა ამ ფუტკარივით გამრჯე ადამიანს.

1 თებერვალს „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციიდან დაურეკავდნენ:

– ძალიან მოგვეწონა „სინემა“ და ძალიან მადლობელნიც ვართ.

8 თებერვალს ეს გაზეთი ბოლო გვერდს რომ დაუთმობდა იუმორს, როგორც პირველ გვერდზე აღნიშნულიყო: ლენტი რეზო ჭეიშვილს გაეჭრა თავისი ფელეტონით. თუმც ეს ჟანრობრივი განსაზღვრება აღარ მოეწონებოდა. ფელეტონი რატომ, მაინც ნოველა გახლდათ.

მაინც კარგი უნდა ყოფილიყო, რომ რაღაც დაეწყო, რაღაცის წამოწყებაში, დასაწყისში მიეღო მონაწილეობა. გივი ძნელაძე დაურეკავდა:

– რა კარგი რაღაც დაგიწერია, მაშინ ვერ გავიგე.

მამუკაც წაიკითხავდა, მისი ვაჟი, და მასაც მოეწონებოდა. სხვების აზრი არ ეცოდინებოდა ჯერ.

14 თებერვალს დაამთავრებდა მოთხრობას, „ყვავი“ რომ შეერჩია თავდაპირველ სათაურად და ახლა „გუია ა.“-ს დაარქმევდა. არც გადაეთეთრებინა და უკვე მოსწონდა. პირდაპირ გადაბეჭდავდა ალბათ შავად. გადახედავდა და მიიტანდა, თუმც ახლა მწერალთა ყრილობა იწყებოდა და ჯერ ვერ დაბეჭდავდნენ... ამიტომაც მოთმინებას ურჩევდა თავს...

10 მარტს ისეთ გუნებაზე დადგებოდა, დღიური სად წაეღო, აღარ ეცოდინებოდა:

სად დავუმალე ეს ნაწერები, აღარ ვიცი, დახევა მენანება, წერასაც ვეღარ გადავეჩვევი ვატყობ. ისედაც დასუსტებული ვარ, განერვიულებული და გაღიზიანებულიო.

დღეს გამოკეთდებოდა თითქოს და ისევ უნდა აეშალათ, აეწიათ. სამსახურში მისული დაწყნარდებოდა და გაერთობოდა.

ვახტანგ ჭელიძე დაურეკავდა:

– ავაწყეთ შენი ნოველა „წარსულის სურათები“.

და გააოცებდა და გაახარებდა.

18 მარტს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ:

გახმაურდებოდასავით მისი „ბონდოუკა“, შინაურულად რომ ეძახდა „წარსულის სურათებს“. ზოგი აქებდა, ზოგი ლოცავდა კიდეც. სურდა და ეძებდა ხალხი ამდაგვარ რაღაცას. თვითონ კი გული მოეფხანა რაღაცნაირად.

სტამბაში იქნებოდა, კორექტურას ნახავდა და ვერ დაიჯერებდა, რომ იბეჭდებოდა. გაკვირვებას გამოთქვამდნენ: როგორ დაბეჭდა ვახტანგმაო.

მეორე ნოველაც ექნებოდა მიტანილი, მაგრამ რედაქტორი ვერ მიაყოლებდა. გაუჭირდებოდა. ერთი ნომრის ჩაგდებითაც რომ დაებეჭდა, არა

ეშავებოდა რა, თუ არადა სხვაგან, თუნდაც „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე დასტამბავდა.

თბილისში ისევ ეციებოდა, მარტული ამინდი იდგებოდა, გაზაფხული კი მოდიოდა ჯიუტად. „ბერსათრიელი“ და „ჭიდაობას რა უნდა“ უნდა გადაებეჭდა, შემდეგ კი ახალს წამოიწყებდა სცენართან ერთად.

ასი გვერდი მაინც ექნებოდა გადასაბეჭდი და ვერა და ვერ დამჯდარიყო.

წელს ერთი წიგნი – არადა პირდებოდა გურამ გვერდწითელი – გეგმის გარეთ რომ გამოეცა, კარგად ნაუვიდოდა საქმე შედარებით.

სამ წიგნს მიაყოლებდა ამ ერთს 1987-88 წლებში. ერთს – ჩვეულებრივს, რომელსაც პირველ ტომს დაარქმევდა რაღაცნაირად, და ორსაც – მართლაც ტომს. და ასე გამოიყვანდა სამტომეულს.

„დალის“ არ შეიტანდა ამ სამეულში.

ზოგიერთ მოთხრობაზეც უარს იტყოდა: არჩევდა და აწყობდა უკვე გამწარებული.

ბოლო წიგნში სულ ახლები უნდა ჩაელაგებინა თავისი ვარაუდით... და ძალიანაც ცდებოდა ალბათ. ტომები, მრავალჯერ გამოცემულიც, პირველ პუბლიკაციად გამოდიოდა და ახლების ჩადება ფულის დაკარგვას ნიშნავდა ცხადია. იცოდა, განა არ იცოდა, მაგრამ ასე ერჩივნა. სხვანაირად არც გამოვიდოდა... თუ სამი ტომი სურდა, ასე უნდა მოქცეულიყო...

26 მარტს ვახტანგ ჭელიძეს დაურეკავდა და ის ხალისიანად შეხვდებოდა:

– ეს ნომერი ჩავაგდოთ და შემდეგ დავბეჭდოთ.

– კეთილი, – სხვა გზა აბა რა ექნებოდა, თუმც სხვა გაზეთშიც შეეძლებოდა დაბეჭდვა.

„მეოთხე სიმფონია“ გამოექვეყნებინა და... ჯერაც დუმილი სუფევდა მის ირგვლივ. ნუთუ ასე ჩაიელიდა? გული წყდებოდა, ძალიან წყდებოდა გული, თუმც გაკვირვებით მაინცდამაინც არ უკვირდა: ასეც უნდა ჩაიაროს ლოგიკისა და წესის მიხედვითო.

იმ ლიტერატურული ყოფისათვის ანკი რა უნდა მოგეთხოვა!..

ხალხს „ბონდოუკა“ ერჩივნა. „ბონდოუკას“ დაწერდი და... კაცი იყავი.

და ეამაყებოდა, რომ არასოდეს ამ ცთუნებას არ აჰყოლოდა, და არც აჰყვებოდა.

გაზაფხული მაინც მოდიოდა ნელა და ჯიუტად. აქაც ყვავილობდა ხეები.

30 მარტსაც აღარ უკვირდა, ვინც შეხვდებოდა, ყველა „ბონდოუკას“ რომ უხსენებდა. ყველას წაეკითხა თითქმის.

„მეოთხე სიმფონია“ კი... ვითომც არ არსებობდა.

2 აპრილს მუხათწყაროს ააკითხავდა, ზემოდან რომ დაეშვებოდა, მანქანაში რადიოს ჩართავდა. ლეო ანთაძე კითხულობდა რომანიდან „მუსიკა ქარში“ ცალკეულ ნოველებს: „ძმები“, „წვერა დავიჭირე“, „ფერელე“. კარგადაც წაიკითხავდა.

– ხვალ ამ დროს გაგრძელება იქნება, – გამოაცხადებდნენ.

ამასვე გააგრძელებდნენ – რაც რეზოს დააეჭვებდა – თუ სხვა ნიმუშებით წარდგებოდნენ მსმენელის წინაშე, ამდენს აღარ იტყოდნენ.

გადასაბეჭდი ექნებოდა ასიოდე გვერდი და წუხდა: ეს მაინც მომეშორებინაო.

„გუნია ა.“ ამ პარასკევს არ დაიბეჭდებოდა მწერალთა გაზეთში. რედაქციიდან შემოეხმიანებოდნენ:

– გურამ ბენაშვილის წერილი მიდის შენზე. ჯერ წერილს დავბეჭდავთ, მერე მოთხრობას.

– პირიქით მერჩია.

ამინდის გამო ჩქარობდა.

ამინდი?.. ამინდი რაღა შუაშია პუბლიკაციასთან?

მაინცდამაინც ღრუბლიანში სურდა გამოქვეყნება. რაოდენ უცნაურიც უნდა ყოფილიყო ვინმესათვის, რეზო ჭეიშვილი ამასაც მნიშვნელობას ანიჭებდა:

მოთხრობაში ნისლი და უამინდობა იდგა და... რომ ასიცხდებოდა, დაჰკარგავდა პირველნაბეჭდი პეწსა თუ რაღაცას.

ასეთივე გრძნობა ექნებოდა, „საგაზაფხულო ჩანახატს“ რომ აქვეყნებდა: თუ გაზაფხულდა, ფასი აღარ ექნებაო. და 1 ივნისს დაისტამბებოდა, მეხსიერება თუკი არა ღალატობდა.

12 აპრილს მეკაფელეს მოიყვანდა მეზობლის ნათესავი, ინჟინერი უნდა ყოფილიყო. ნასვამს ემგვანებოდა და ხმამაღლაც ილაპარაკებდა:

– რა დაწერე ამნაირი, რა უქენი ამგენს, რავა გაათახსირე.

ისეთ სიტყვასაც გამოიყენებდა, რეზო მოერიდებოდა მის განმეორებას დღიურში. ისე კი პირველად ვერც აუღებდა ალღოს, რაზე ლაპარაკობდა მეკაფელე, ეგონებოდა, ფილმს თუ გულისხმობსო, მაგრამ „ლიტერატურულ საქართველოს“ რომ ახსენებდა, ყველაფერს მიხვდებოდა. იმ წრეებშიც თუ გააღწევდა ეს ნოველა, ვერც წარმოიდგენდა.

მურმან ჩაჩუა ეტყოდა:

– რაც იქ ვარ, არ მახსოვს, ვინმეს ეს გაზეთი ეთხოვოს, ახლა რამდენიმემ შემასახელა, ესა და ეს ნომერი – სადაც „ბონდოუკაა“ – მოგვიტანეო.

„გუნია ა.“ გამოქვეყნდებოდა მწერალთა გაზეთის 18 აპრილის ნომერში.

ცოლი ეტყოდა:

– არ მომეწონა.

მაგრამ – ამის შეტყობით – დარწმუნებული არ იქნებოდა თავისი ნათქვამის სისწორესა და შეფასების გულწრფელობაში.

ტარიელ ჭანტურია ამ სიტყვას იკმარებდა:

– გაეცანი.

მიხეილ ქვლივიძე:

– ძალიან მომეწონა, მხოლოდ „ბონდოუკა“ მირჩევნია.

ოთარ შამათავა დაურეკავდა – თუ მთვრალი არ იყო – და აღტაცებას გამოხატავდა. ჯერ სხვა არავინ შემოხმიანებოდა.

22 აპრილს წუხილს გამოთქვამდა, რომ:

არაფერს კითხულობდა, არაფერს კითხულობდა ფაქტობრივად.

ზეგ მისი დაბადების დღე დგებოდა. იმ დღესაც გადააგორებდა და საქმეს მიხედავდა. ესწრებოდა გახმოვანებას ფილმისა „ჭიდაობას რა უნდა“. და ჩაურთავდა: ვაითუ ტყუილად ვწვალობო. შინ გვიან ბრუნდებოდა.

ფიქრობდა ახალ ნაწარმოებზე, პირობითად „ტრაქტატს" რომ შეურჩევდა სათაურად.

23 აპრილს ურთიერთგამომრიცხავი ხმები მოუვიდოდა: „გუიას" აქებდნენ და აგინებდნენ კიდეც თურმე.

გივი ძნელაძე იტყოდა:

– იმიტომ დაწერა, მიშველაძეს უნდა აუბნიოს გზაკვალი.

– ეგეცაა, – იტყოდა გივის სიბრძნით გაოცებული რეზო ჭეიშვილი, და ირონიულადაც ჩაიცინებდა დღიურის ფურცლებზე:

მართლაც არ არგიათ ჩემი დევნა, გადავუხვევ, გადავაგდებთ მდევარს და ჩემს გზას დავადგები ისევო...

24 აპრილს დიდებულ პურმარილს რომ გამართავდა აგარაკზე თავისი დაბადების დღის აღსანიშნავად, მიუხედავად წვიმიანი დღისა, დიდი ცეცხლის დანთებაში რომ ვერ შეუშლიდათ ხელს: ბური დგას, – იძახებდა ჯურხა ნადირაძე და „გუიას" გაახსენებდა.

1 მაისს კვლავ რომ შეაგულიანებდა გეგმის გარეშე დაპირებული წიგნი, როგორმე უნდა გადაებეჭდა 150 გვერდი. წაიმუშავებდა თუ არა, ხელები უუხეშდებოდა, საბეჭდად არ უვარგოდა. თუ დალევდა, მთლად უარესი...

წელს მაინც რა უნდა მოესწრო და:

გადაებეჭდა ერთ კვირაში და ჩაბარებული გადაეკითხა ამ მაისს. ეს „მერანი".

წლის მიწურულს მეორე წიგნი უნდა ჩაებარებინა „საბჭოთა საქართველოსათვის", მოფიქრება და მოწესრიგება ესაჭიროებოდა, რადგანაც ორტომეულის პირველ ტომობას უპირებდა.

ეს კიდევ სცენარი ელდარ შენგელაიასთან.

ერთი დიდი და რამდენიმე პატარა მოთხრობაც, რათა ორტომეული შევსებულიყო. 1987-88 წლებში 90 ფორმა რჩეულად სურდა გამოეცა. ყველაფერს არ შეიტანდა შიგ, მათ შორის – „დალისაც". რუსული წიგნი კინაღამ დავიწყებოდა.

პოსტსკრიპტუმში დაურთავდა ლეო ანთაძესთან გასაუბრებას. თავიდან ბოლომდე წაეკითხა თურმე „მუსიკა ქარში". არადა ამას ეგონებოდა: იმ ერთი გადაცემით, მანქანაში რომ მოუსმენდა შემთხვევით, დამთავრდაო.

– რვა გადაცემაში ამოვწურე, – კმაყოფილი იქნებოდა თავისი დეკლამატორული ნაღვაწით ლეო ანთაძე, – ოქროს ფონდში შეიტანეს, შეინახეს.

12 მაისს ბეჭდავდა მოთხრობად გადაკეთებულ კინოსცენარს „ჭიდაობას რა უნდა", რათა დაემატებინა „მერანში"გამოსაცემი წიგნისათვის.

– დავდივარ, ვწერ, ვბეჭდავ, ვკითხულობ.

ლიტერატურულ ფორმულას დაემგვანებოდა, რეზო ჭეიშვილის ცხოვრების წესს რომ დაიტევდა შემოქმედებითი აღტკინების ჟამს – კითხვას მაშინაც რომ ვერ მოეშვებოდა.

14 მაისს კიდეც მორჩებოდა გადაბეჭდვას და: რომ წარმოიდგენდა მომავალ გამოცემას – ამ მოთხრობითაც შევსებულს – კმაყოფილებას ვერ დაფარავდა:

კარგი წიგნი გამომივა, ლაპარაკი არ უნდაო.

გაისისათვის ნავარაუდევი ორტომეულის პირველი – პირობითად – დამატებითი ტომი რომ უნდა ჩაებარებინა წლის ბოლოსათვის, ახლა წინ ედებოდა „ჩემი ძმაკაცი ნოდარი“ – ახალი სათაურით – და ამ ყაიდის მოთხრობები და... საგონებელში ჩავარდნილიყო: აღარ მოსწონდა ეს რომანი და აღარ.

არადა ადგილები ძალიანაც უყვარდა, მოსწონდა, მთლიანობაშიც პერსპექტიულად ესახებოდა. და ამ სახითაც ვერაფრისდიდებით ვერ დატოვებდა.

– ახლა ნამდვილად გავიხადე უკვანტო საკვანტოდ.

„დალის“ ტომებს მიღმა დატოვებდა, არ გამოსცემდა ამ სახით, უსათუოდ უნდა გადაემუშავებინა. ვერ იკმარებდა იმ ერთ საფუძვლიან რედაქციას და კიდევ მოინდომებდა საგრძნობ გადახალისებას. როგორ გამოენახა საამისო დრო, ეგ იყო... ჟურნალში ვერ დაბეჭდავდა, პირველ გამოცემად არავინ ჩაუთვლიდა. მუქთი შრომა გახლდათ და მაინც უნდა ეშრომა, ცუდისათვის კარგი უნდა გაეთანასწორებინა, უნდა შეეკრა და გაემთლიანებინა.

ახალ წინასიტყვაობაზე, ანოტაციაზე ფიქრობდა, რათა აღენიშნა, აეხსნა, როგორ, რატომ, რისთვის გადაემუშავებინა... თუ ისე დაეტოვებინა, ვითომც არაფერი?!.

ახსნა-განმარტება აუცილებლობად ესახებოდა, ამასთან: კარგიც იქნებოდა და ცუდიც განმარტების დართვა.

ჯერ ერთი: რაც დაბეჭდილიყო, დაკარგულიყო უკვე.

და მეორეც: მკითხველის უნდობლობა შევიდოდა ძალაში – ასე თუ ამუშავებ და ასხვაფერებ, სხვასაც ეს დღე ელის და რატომღა წავიკითხო წინასწარ, რატომღა შევინახო წიგნი სახლშიო, – უსათუოდ იფიქრებდა რაღაც ამდაგვარს.

უთქმელობაც არ ივარგებდა.

სხვას არ ვკიდებ ხელსო, – უნდა აღენიშნა. მართლაც ასე იყო და...

ფიქრობდა იმასაც, ამასაც... აღარ იცოდა, რა ეღონა, თავგზა კი აბნეოდა და...

კინოს – ახლა რომ აკვირდებოდა – ძალიან დაეწია უკან, თუმც... კინოში რომ არ გაჩხერილიყო, ხომ შეიძლებოდა ათასი სისულელე დაეწერა და გამოექვეყნებინა კიდეც. 1973 წლამდე – 40 წლის ასაკამდე – არ ყოფილა მწერლობისათვის მზად.

აგერ ახლა რა ირკვეოდა:

რაც შემდგომ ჩაემატებინა – 1973 წლის მერე – ის მოსწონდა და იმის დატოვება სურდა ტომებში.

21 მაისს იფიქრებდა: მწერალთა ყრილობაზე ხომ არ დამეწერა რაიმეო?!.

რაღაცას მოხაზავდა, მიადგამ-მოადგამდა ერთმანეთს კიდეც გუნებაში. ვიდრე თვითონ დაიქადნიდა, სხვები შეაგულიანებდნენ, ურჩევდნენ, სთხოვდნენ კიდეც:

– დაწერე შენებურად.

ყველა შეატყობდა, საამისო თემა რომ გახლდათ. ყოფითობიდან ამოზრდილი, გამზადებული აბსურდულ-გროტესკული სურათები სწორედაც და

უსათუოდაც რეზო ჭეიშვილის კალამს ითხოვდა ფურცლებზე გადმოსაღვრელად.

კინაღამ ამჩატდებოდა.

„ღირს თუ არა?!. ღირს თუ არა?!."

ვერა და ვერ გადაეწყვიტა.

არადა: საინტერესოს ამოიღებდა უინტერესოდან, ჩვეულებრივიდან – ერთი შეხედვით რაც ჩანდა – უჩვეულოს შექმნიდა.

ტიპაჟი დადებული გახლდათ – გარეგნულადაც, შინაგანადაც... ვინ რისთვის იღვწოდა, რას ფიქრობდა, რას ლაპარაკობდა...

ერთს ამბობდნენ და... მეორეს გულისხმობდნენ.

ერთს აკეთებდნენ და... მეორეს ანგრევდნენ.

ერთმანეთს უცინოდნენ და... ძირის გამოთხრას უპირებდნენ ერთიმეორეს...

ამას ყველა ხედავდა თანაც...

უფრო რთულად გახლდათ სინამდვილეში ურთიერთობა, უფრო ღრმად უნდოდა ჩასვლა ქვევით, სიღრმეში, სულში...

უპირველესად ვინც ჩარჩებოდნენ ცნობიერებაში:

ირაკლი აბაშიძე – ყავისფერი პიჯაკით, ჟანგისფერით უფრო სწორად.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე – დარეხვილი უკვე.

გიორგი ციციშვილი – უნივერმაღის გამგე.

ოთარ მამფორია – შეწუხებული, სიფხიზლისაგან სახედაჭმუჭნული.

რევაზ ამაშუკელი – კუ ტორტილა.

გურამ ენუქიძე – თევზი.

რამდენი და რამდენი კიდევ... თავშეკავებულ-განერვიულებულ პატივმოყვარეთა საკრებულო: პირშიჩალაგამოვლებულნი, თვალებდახრილნი, ამაყნი და საცოდავნი...

ისე არიან ჩამოთვლილნი და თითო ნიშანდობლივი ფრაზით გამოკვეთილნი, ნიკოლაი გოგოლის კომედიის – „რევიზორი" – პერსონაჟი რომ უხასიათებს ჟურნალისტ მეგობარს ამ პატარა ქალაქის ტიპაჟს, ხელიდან რომ არ გაიშვებიან და აუცილებლად რომ არიან ჩასახატნი მახვილგონივრულად და კომიკურად.

ხლესტაკოვი მეგობარს აგულიანებდა საამისოდ

რეზო ჭეიშვილი – თავის თავს.

დანერე შენებურადო...

ეგებ ამჯერადაც ამოელო საინტერესო უინტერესოდან, ჩვეულებრივიდან უჩვეულო შეექმნა, არადა მზამზარეულ პერსონაჟთა გალერეა გარეგნულადაც ისევე გადმოშლილიყო თვალწინ, როგორც შინაგანად...

28 მაისს ქუთაისში გადაწყვეტდა წასვლას – ქორწილში, მოიქუთაისებდა კიდეც და შეუდგებოდა მუშაობას ფიზიკურადაც და შემოქმედებითადაც.

ქუთაისს წყდებოდა, შორდებოდა და ძალიან აშფოთებდა, აწუხებდა ეს გარემოება.

ლევან ბინიაურიაშვილის – ისრაელში გაემგზავრებოდა სამი ვაჟით – სახლს გაიხსენებდა აგერწინ. ეს მისი სახლი გახლდათ, რასაც ოდესმე გაე-

ოცებინა რეზო... ღირდა აღწერად იმ უცნაური სარდაფ-ლაბირინთის, იმ სიბნელის, იმ სუნისა და მიზიდულობის. ღირდა და... აღწერდა კიდეც.

აქამდე არ აპირებდა დაწერას – ზეპირი მოთხრობების სიაში ექნებოდა შეტანილი „პატიმრის გაქცევა".

არ დაბეჭდავდნენ და... ნუ დაბეჭდავდნენ. დროა ეწერა, რასაც მასვე დაუტოვებდნენ საკითხავად. სიტყვები მოფიქრებულიყო, მაშ ასე, ამ თანმიმდევრობით დაიწყებდა:

„პატიმრის გაქცევა" – სათაურს გამოუცვლიდა.

„კარლო და კრივიცკი" – კარლოს აღსრულებას არ დაელოდებოდა. ამას დაბეჭდავდნენ კიდეც.

ჭომა, პალმები, ქეიფი, უბედურება, ადამიანის თავი...

„ექიმი კვინიხიძე".

შვილი, თაგვისფერი შლაპები და სხვა.

ვარსკვლავების აღმომჩენი.

ბაზრის დირექტორი – არა.

და რაც მთავარია:

ტრაქტატი – კი.

თანაც:

ელდართან მუშაობა.

„ქალაქში დინოზავრები დადიან" – გადაბრუნება, გადამუშავება, გადაბურჯგალება – კი.

ათ პუნქტად ჩამოიწერებოდა.

დაე ყოფილიყო ეს ათი, სხვა ათასი და... შემდეგ უკვე საქმე – სერიოზულ ჩანაფიქრთა ხორცშესხმა. და გახალისებული მესტვირულად შეუძახებდა თავს: ღმერთ მოგცემს გამარჯვებას, ოძელაშვილო არსენაო!..

27 ივლისს როგორ არ გამოეხატა გაოცება „მნათობის" მე-6 ნომერში დაბეჭდილი ვინმე რობაქიძის რეცენზიით „მეოთხე სიმფონიაზე". ვერ გაეგო, რა სურდა რეცენზენტს: აქებდა, აგინებდა, აკრიტიკებდა (შინაგანად აკრიტიკებდა ალბათ) თუ რას შვებოდა. წაიკითხავდა და იმ წუთას არავითარი განცდა არ გაუჩნდებოდა. შემდეგ კი თავზარი დაეცემოდა: ნუთუ ასე მკითხულობენ, ასე ესმით ჩემიო?..

გულივერს რომ გაჩხრეკდნენ – გულივერისვე ნებართვით – და აქტს შეადგენდნენ, იმ აქტს მოაგონებდა ეს წერილი. როგორც გაიგებდნენ, როგორც შეაფასებდნენ ნივთებს გულივერისა და თვით გულივერს (იქ გადიდებულიყო, აქ – დაპატარავებულიყო), ისე აღმოჩნდებოდა რეზო ჭეიშვილიც გაგებული (დაპატარავებული) და შეფასებულიც.

არ გინდოდა გაძლება! ამ ხალხში, ამ საზოგადოებაში ცხოვრება?..

3 აგვისტოს ბარათს მიიღებდა – როგორც ლიტერატურის მკვლევარები იტყოდნენ – ანონიმი ავტორისაგან. კონვერტს არავითარი საფოსტო ნიშანი არ აღებეჭდებოდა და თბილისიდან უნდა ყოფილიყო გამოგზავნილი, ანდა რეზოს საფოსტო ყუთში მალულად ჩაგდებული, თუმც ადრესატის მისამართად ქუთაისი და გაბადაძის პროსპექტი – რეზოს გამოგონილი ქუჩა – დაესახელებინა.

ერთი აშკარა გახლდათ:

ავტორი ქუთაისელი უნდა ყოფილიყო, ქალი და – რეზოს მიხვედრით – მუსიკის მასწავლებელი.

საოცრად თბილი, შინაარსიანი ბარათი აღმოჩნდებოდა და რატომ მალავდა ვინაობას, რეზოსათვის გაუგებარი დარჩებოდა.

გაუკვირდებოდა, გაეხარდებოდა, შეფიქრიანდებოდა და აფორიაქდებოდა კიდეც.

პრესას მიღებისთანავე – დილითვე – ეცნობოდა ხოლმე. იმ დღეს რამდენიმე გაზეთი მირჩებოდა, საწოლში, დაძინებამდე, ძალიან გვიან ერთერთ გაზეთს გაშლიდა და თეთრი, თხელი კონვერტი გადმოვარდებოდა იქიდან.

ყოფილიყო ადამიანი, რომელსაც თურმე ყველაფერი წაეკითხა რეზო ჭეიშვილისა – დიდი ყურადღებით, სიყვარულით.

სტუდენტობისას თქვენი მოთხრობა ჩამივარდა ხელთ, შემდეგ ის „წიგნაკი“ დედაჩემს გადავეციო, – იწერებოდა უცნობი პიროვნება.

წიგნაკი მხოლოდ რეზოს პირველ წიგნზე – „ბზიანეთი“– შეიძლება თქმულიყო, ეს კი ნიშნავდა, რომ უცნობი მკითხველი 1962-63 წლებში ყოფილიყო სტუდენტი. აქედან აღარც იმ მანდილოსნის ასაკის დადგენა გაძნელდებოდა.

4 აგვისტოს – მისი ვარაუდით: არცთუ უსაფუძვლოდ – გუშინდელი ბარათის გამომგზავნზე იფიქრებდა: ხომ არ არის რეზო ჩხეიძის ქალიშვილიო?..

9 აგვისტოს გაეცნობოდა ლერი ალიმონაკის შედგენილ წიგნს: „ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“ – ტერენტი გრანელზე, მის ნაცნობ-მეგობართა მოგონებანი – და საგულისხმოდ მოეჩვენებოდა. და დაენანებოდა და რარიგ დაენანებოდა:

კარგი იქნებოდა ალბათ, „გუიას“ დაწერამდე რომ წამეკითხაო.

ჰოი როდიდან – 1984 წლის თებერვლიდან ედებოდა მუხრან მაჭავარიანს უჯრაში. რეზო წამოიღებდა, გასაჭრელ გვერდებს გაჭრიდა და კიდეც წაიკითხავდა.

ლევან მალაზონია ურჩევდა:

– ალიმონაკის მიძღვნა, წარწერა ამოხიე და შეინახე.

ასეც აპირებდა, მაგრამ შემდგენელს ზედ ყდაზე მიეწერა მიძღვნა და...

ღიმილით გაიფიქრებდა:

რამდენი აქვს მუხრანს ამნაირად ჩაპრესილი უჯრებში, ვინ დათვლისო.

ამ წიგნს დაუბრუნებდა და, თუ შეუქებდა, შეიძლება იმას გადაებულბულებინა კიდეც. დაწერდა ამ სიტყვას, და თუ დაწუნებით ამჯერადაც დაიწუნებდა „ბულბულს“, რაკიღა „მაფშალია“ ერჩივნა, მაგრამ რა გინდა გეღონა – „გადაამაფშალიებს“ რაღაც არ გამოდიოდა.

წიგნი რომ ფრიად საგულისხმო გახლდათ, რად უნდოდა ლაპარაკი.

იხატებოდა ძალაუნებურად სურათი, პორტრეტი გაუბედურებული კაცისა, შეიძლებოდა იმ ეპოქის აღდგენაც... რამდენიმე დასკვნას გააკეთებდა თავისთვის და დაიმახსოვრებდა. დღიურში აღარ ჩაწერდა, დაიზარებდა... და ნეტა არ დაეზარა, რადგანაც „გუიას“ გადამუშავებასა და იმ მოსაზრება-

თა გამოყენებას რომ აპირებდა, თავს ვერა და ვეღარ მოაბამდა რედაქციულ ჩარევას და უკვე აღარ გვეცოდინებოდა, რისი ჩანიშვნა მოენდომებინა, მითუმეტეს: მთლად დასკვნებთანაც ათანაბრებდა.

ისე ნეტა ვის მხარეს უნდა დამდგარიყო ადამიანი მაშინდელი თვალსაზრისით:

აქეთ – ტერენტი, იქით – დანარჩენები (ძირითადად).

იყო მართალი რომელიმე მხარე?

იქნებ სცენარზეც – თანაც მრავალსერიანზეც – ეფიქრა:

პროტოტიპებიც ხომ ჰყავდა: ერთი – ძირითადი, დანარჩენი – დამხმარე...

ნეტა მართლაც ადრე ენახა ეს კრებული და სანანურიც აღარაფერი ექნებოდა. მისთვის ეჩუქებინათ და არა მუხრან მაჭავარიანისათვის. თვითონ იმ წუთას არ გაახსენდებოდა, მაგრამ ზედგამოჭრილი კი აღმოჩნდებოდა იმ ვითარებისათვის ანდაზა: ფლავი ვის უდგია და იშტა ვისა აქვსო.

იმავე დღეს ინტერვიუს ჩამოართმევდა გაზეთ „თბილისისათვის“ სტუდენტი გოგონა ქეთინო სადღობელაშვილი, თუ გვარი არ ეშლებოდა. შეკითხვები იოლი მოეჩვენებოდა და ივარაუდებდა, რომ: საინტერესო არ გამოვიდოდა. ამიტომაც უნდა წახმარებოდა.

თვითონ ქეთინო ჭკვიანი ჩანდა ყველაფერი. წაკითხული ჰქონოდა მისი და რეზო ჭეიშვილს უკვირდა ხოლმე, ამნაირ მკითხველს რომ გადააწყდებოდა... უკვირდა და ისიც უკვირდა: რატომ მიკვირსო?..

14 სექტემბერს სტუდენტ-ჟურნალისტი აცნობებდა რედაქციის ერთი თანამშრომლის მოსაზრებას:

– იქნებ შეარბილოს ცოტა ბოლოში.

– ბარემ რედაქტორმაც წაიკითხოს, – იმის განაჩენს დაელოდებოდა რეზო.

მწერალთა პლენუმზე, 16 სექტემბერს, მოხსენებას ჯანსულ ჩარკვიანი წაიკითხავდა და – ამის შეტყობით – ტარიელ ჭნტურიას ხელიც აჩნდებოდა მოხსენებას.

ძირითადად ბაღში იჯდებოდა რეზო ჭეიშვილი და ისევ იმ შეურაცხმყოფელი გრძნობით შეპყრობილი, ამნაირ შეკრებებზე რომ უჩნდებოდა ხოლმე.

„ამდენ უნიჭო ფიზიონომიას მეხერხეების ყრილობაზეც ვერ ნახავ ალბათ!.."

ტარიელი ამცნობდა:

– საყვედურებით ამავსეს შენს გამო.

ლიტერატურული გაზეთის ბოლო ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუს იგულისხმებდა.

– ის რატომ ახსენე და მე არა? – განაწყენებულიყვნენ გურამ ფანჯიკიძე და რევაზ მიშველაძე... კიდევ სხვებიც, რომელთაც სათვალავში არ ჩაეგდებდა და ამიტომ აღარც ჩამოუთვლიდა.

ჯანსულ ჩარკვიანი რომ დაასახელებდა ერთხელ ტელევიზორში გამორჩეულად, ისევ გურამ ფანჯიკიძე გაღიზიანებულიყო და ვეღარ აეხსნა რეზოს: ეგ ვისზე წყრება, მაგის ჯილდო-პრემიებს, თანამდებობებს როდის ვითვლიო...

ხოლო როდესაც შეხვდებოდა, გურამი ისე გადაკოცნიდა, ვითომც არაფერი მომხდარიყოს.

მურმან ჯგუბურიას რომ გამოექვეყნებინა ერთხელ წერილი: აკაკი წერეთლისა და დავით კლდიაშვილის ზურგსუკან ჩანსო (არ უნდა დაეწერა ალბათო, – ჩაურთავდა), ამაზეც გადარეულიყვნენ, მათ შორის – ნოდარ წულეისკირიც...

და რეზოს სხვა რაღა ეწამებინა: ძალიან სასაცილოა ეგ ყველაფერიო...

17 სექტემბერს თავს შეაჯანჯღარებდა:

საღამოს თუ არ დავიწყე მოთხრობის წერა, გლახადაა საქმეო...

26 სექტემბერს ანოტაცია რომ ექნებოდა დასაწერი თავის მოთხრობაზე, ითრევდა ფეხს ჩვეულებისამებრ, დრო გაჰყავდა, არადა ბულგარელი გახლდათ მთარგმნელი – არც გვარი ეცოდინებოდა მისი და არც სახელი, მხოლოდ ის: ქმარი რომ ქართველი ჰყავდა – ელოდებოდა მთარგმნელობით კოლეგიაში, სანოდიოში ანუ...

მისი ორტომეული „საბჭოთა საქართველოში" 1988 წლის გეგმიდან 89-ში გადაეტანათ და გუშინ ეჩხუბებოდასავით – უფრო მეტად ვერ გაიმეტებდა – იორამ ქემერტელიძეს:

– შეგემზადებინე მაინც, ასე უცბად რომ მომახალე.

დაენგრეოდა გეგმები... მაგრამ ერთი მხრივ კარგი აღმოჩნდებოდა მაინც ეს ერთი წლით გადაწევა:

ამის გამო ფორმათა რაოდენობას გააზრდევინებდა, გასაკეთებელ-დასაწერსაც მოასწრებდა, აღარ აჩქარდებოდა...

ინტერვიუ გამოქვეყნდებოდა მეორე დღის „თბილისში". ამის კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, გაეკრა ხელი მაინც ვილაცას. გაბრაზდებოდა, მაგრამ რაღა ეშველებოდა. ყველა მოუწონებდა და ესეც აღარ ამოილებდა ხმას... არადა: ერთი შეკითხვა საერთოდ დაიკარგებოდა. ეს რომ XIII-ს ასახელებდა, XII დაბეჭდილიყო. „თევზის" მაგიერ „თავი" ეწერებოდა... აღარც სურდა ეფიქრა... და თავს დაამუნათებდა, სტამბაში რომ არ მიედევნებინა თვალი.

2 ოქტომბერს წყალტუბოს გაზეთის რედაქტორის კითხვარს გადახედავდა. იქაც – ძალიან დაგვიანებით – უნდა გაეგზავნა პასუხები როგორც ჩანდა.

ელიმებოდა: მეინტერვიუედ გადავიქცევი მალეო.

გაზეთისათვისაც – „წიგნის სამყარო" – დააწერინებდნენ და... კიდევ კარგი არ დაებეჭდათ, რადგანაც თვითონ არ მოეწონებოდა საინტერესოდ.

არადა ეს ჟანრი – მეტად მსუბუქი და ხალისიანი – მოსწონდა კიდეც.

არც ამ რვეულის შევსება უჭირდა...

ალბათ ამავე მიზეზითა თუ მოტივით: სიმსუბუქისა და ხალისიანობის გამოისობით.

ამ საღამოს დღიურის წერას სახლი შენებას მიამსგავსებდა...

აქამდე ამაზე არ ეფიქრა და ახლა უეცრად გაუჩნდებოდა ეს აზრი და კიდევ ჩაჰყვებოდა ძირისძირობამდე, თვითონაც რომ დარწმუნებულიყო ამ გაიგივების სისწორეში და მკითხველისთვისაც ბოლომდე გაესიგრძეგანებინა.

რას გამოეწვია მაინც ეს შედარება-გაიგივება და:

კაცი რომ სახლის შენებას იწყებდა – მაგარის, საიმედოსი და სამიდღემჩიოსი – შვილების სიყვარულით ამართლებდა, არადა პირველ რიგში თვითონ სურდა ცხოვრება და მოსვენება თუნდ მცირე ხნით...

ეს დღიურებიც – ასე იყვნენ ალბათ სხვებიც, მისი ვარაუდით – თვითონ სჭირდებოდა რეზოს გასახსენებლად, მოსაგონებლად, გულისსაწყვეტად უპირველესად, შემდეგ სხვისთვის და... ისევ თავისი თავისთვის – სახელისათვის – ზრუნავდა უეჭველია.

ადამიანი ხომ პატივმოყვარე გახლდათ – რა პროფესიისა და მსოფლმხედველობისაც უნდა ყოფილიყო.

პაპა, მიხეილი, გლეხი რომ ჰყავდა, ბოლო წლებში მტკიცედ მოითხოვდა:

– დიდი ქვა დამადეთ, მსხვილი ასოებით დააწერეთ ჩემი სახელი და გვარი...

არა სურდა უკვალოდ გაქრობა და რა ექნა!..

მეორე პაპისათვის ამდაგვარი სურვილი არასოდეს შეემჩნია, თუმც მოსკოვში, სადაც ცხოვრობდა იგი ბოლოს, არაფრად დამარხვა არ ენდომებოდა...

ამ დღიურებისა თუ დღიურის გარდა კიდევ რაღაც დარჩებოდა რეზოს და თავისი არყოფნის შემდგომ მოსულ სახელს არ ეხარბებოდა.

არც ახარებდა და არც არავითარ შეღავათს აძლევდა...

შეიძლება იმიტომაც, რაღაც მართლა რომ რჩებოდა, და უკვალოდ გაქრობა არ ეწერა?

სისულელედ, წმინდაწყლის სისულელედ მოეჩვენებოდა ეს აზრი.

მაშინ სხვას რა ელონა, რამდენი უჩინო, რამდენი დიდებუნებოვანი, კარგი კაცი დაკარგულიყო და დაიკარგებოდა აწი და აწი.

ერთი, სიკარგითა და სიგლახ-სიავით, საუკუნეებს უნდა გამოკერებოდა.

და მეორე, მრავალი და მრავალთაგანი, უჩუმრად უნდა მიკარგულიყო.

რატომ, რისთვის?!.

ვის აეხსნა, ვის განემარტა ეს საიდუმლო, მაინცდამაინც რეზო ჭეიშვილს რომ რგებოდა მისი გახსნის პატივი...

3 ოქტომბერს დიმიტრი ერისთავი დაურეკავდა. რეზოს რუსული წიგნის დასურათება დაევალებინათ და: თუ მასალებს მომცემ, ახლავე შევუდგები მუშაობასო... წიგნი კი 1988 წელს უნდა გამოსულიყო...

5 ოქტომბერს შეიტყობდა, რომ:

მთლად უფროსს – ჯუმბერ პატიაშვილს იგულისხმებდა – წაეკითხა „თბილისში" გამოქვეყნებული ინტერვიუ და მოსწონებოდა. და გურამ ენუქიძისათვის კიდეც ეთქვა:

– წესიერი კაცია ეგ...

კაცი მართლაც წესიერი უნდა ყოფილიყო წესით, ისეთიც განა რა ეთქვა... მაგრამ რაკილა ადამიანი პატივმოყვარეა, რეზოსაც გაეხარდებოდა თითქოს ეს ქება...

მერე კი შეცბებოდა ერთბაშად: რაიმეში არ გამხვიონ, რაიმე არ დამავალონო...

ყველაფერი მოსალოდნელი იყო... საერთოდ კი... და ალექსანდრ პუშკინის სტრიქონები რომ წამოუტივტივდებოდა, პატივმოყვარეობის ჭიასაც ის

ჩაუცხრობდა და სიფრთხილე-გონიერებასაც ის ურჩევდა: ცივად მიიღე შექებაც და ცილისწამებაცო...

ისე ნეტა თვითონ პუშკინი თუ ღებულობდა ცივად ქებასაც და ცილისწამებასაც?!.

და ქართული ანდაზა კიდევ უფრო გაამხნევებდა:

წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.

წყალტუბოს გაზეთის რედაქტორის შეკითხვებსაც დაუწერდა ბოლოს-დაბოლოს პასუხებს.

გოდერძი ჩოხელს აიყვანდა თავის სიმამრთან და... ჩოხელს ჩოხელს შეახვედრებდა. 90 წლისა მოყრილიყო უკვე. დროდადრო ითიშებოდა, მეხსიერება ღალატობდა, მაგრამ რაც ახსოვდა, კარგად ჰყვებოდა... გააოცებდა სტუმარს: ვახ, ვახო, – რომ იძახდა შიგადაშიგ ახალი ტალღის უკვე თვალსაჩინო ფიგურა. ჩაიწერდა კიდეც იქვე რაღაც-რაღაცებს.

– დაიმახსოვრე, – ეტყოდა რეზო წამოსვლისას მანქანაში, – მე ამ ამბებს არ გამოვიყენებ, შენთვის დამითმია.

და კმაყოფილი დარჩებოდა გოდერძი ჩოხელი რასაკვირველია.

რეზო ჭეიშვილი უთმობდა თემას – საამისოდ უფრო ეჩვენებოდა და გულითაც გაიმეტებდა. საგანგებოდ ამიტომაც აიყვანდა და მოაწყობდა ორი ჩოხელის შეხვედრას: რაიმეში წაადგებაო.

თავის მხრივ კი რეზო ჰკითხავდა სიმამრს, ქუთაისში ზოგიერთები სიმაურს რომ ამბობდნენ:

– ღმერთი არის თუ არა?

– ვისაც სწამს, იმისთვის არის, ვისაც არა სწამს, იმისთვის – არა.

მიუგებდა სწორედ იმას, რაც მაქსიმ გორკის ეთქვა ლევ ტოლსტოისათვის და „აღდგომის“ შემოქმედს დღიურში ჩაეწერა ეს სიტყვები გაჯავრებით... უხიაგად მოიხსენიებდა ამ ფრაზის ავტორს – რეზოს გახაზულიც უნდა ჰქონოდა – და დასძენდა:

– მეც მიფიქრია ამაზე, მეც ამნაირად მითქვამს ოდესღაც...

სიმამრს კი არა და არ მოეშვებოდა რეზო ჭეიშვილი:

– სიკვდილის შემდეგ რა იქნება?

– არაფერი.

მისულიყო იქამდე და: არაფერიო, – დარწმუნებით გაიძახოდა... თანაც „მღვდლიანთი“ გახლდათ: მამა მღვდელი, პაპა-ბიძანი კი მღვდელ-დიაკვანნი ჰყოლოდა.

10 ოქტომბერს ლევ ტოლსტოის 22-ტომეულის ბოლო 7 წიგნს შეიძენდა: წერილები, დღიურები, პუბლიცისტიკა. არასრულად, მაგრამ მაინც თავმოყრილიყო მთავარი და საინტერესო...

ხელმომწერლებს ეს ნაწილი ტოლსტოის შემოქმედებისა – რეზოსათვის: მთავარი და ძირითადი – არც კი გაეცნოთ ამ წიგნომანიის დროში...

საგულისხმოა და ნიშანდობლივი, ლევ ტოლსტოის წერილებს, დღიურებსა და პუბლიცისტიკას მთავრად და ძირითადად რომ აღიარებდა ქართველი მწერალი. გამონაკლისი არც ის გახლდათ – ხანში შესვლის კვალობაზე

მკითხველს საერთოდაც დოკუმენტალიზმი უფრო და უფრო რომ იტაცებდა, ვიდრე მხატვრული გამონაგონი. ნებისმიერი დოკუმენტალიზმი ერჩივნა ნებისმიერ გამონაგონს. და რაღა უნდა თქმულიყო ტოლსტოის დოკუმენტურ მასალაზე?!. ტოლსტოისავე გამონაგონზე მეტად ჩაიძირებოდა ამ სამყაროში რეზო ჭეიშვილიც, თუნდ „ომი და მშვიდობის“ მიმართაც რომ გაუნელდებოდა თანდათან ის ძველი აღტაცება, იმდენს ხარვეზსა და ნაკლოვანებას აღმოაჩენდა თხრობაში.

ეს ხელმომწერლები მაინც ვინ იყვნენ ამისთანა, დასავლეთში უკვე გაბატონებულ გემოვნებას მათ გონებამდე ჯერაც რომ ვერ მოეღწია, მოდური გატაცებით რომ მაინც აჰყოლოდნენ, თორემ რეზო ჭეიშვილი რას აქნევდა დასავლურ გემოვნებას, ისედაც დოკუმენტალიზმს ამჯობინებდა მხატვრულ წარმოსახვებს, მთავრად და ძირითადად სწორედ დოკუმენტალიზმს აღიარებდა და... თავის შემოქმედებით ძიებებს გახედავდა აწ უკვე ამ თვალით და მოუნდებოდა რაღაც ამდაგვარი – დოკუმენტური ფონის გამკვეთრება მოთხრობებსა თუ რომანებში.

დღიურებს სულაც რაღას მოეშვებოდა, ახვავებდა და ახვავებდა ყოველდღიურ შთაბეჭდილებებს და... ჯერ ვერა, მაგრამ მერე ხომ მიხვდებოდა, რომ ამით, დღიურების წამოწყებით, სახლს აშენებდა – მაგარს, საიმედოსა და სამიდღემჩიოს: გასახსენებლად, მოსაგონებლად... და უპირველესად მაინც: გულისსაწყვეტად...

მოთხრობას ვერ წერდა, ვერ ახერხებდა... და ბუნებრივადაც მიიჩნევდა ამგვარ გაჭიანურებას შემოქმედებითი პაუზისა, ამ ყოყმან-ჭოჭმანს:

თვისობრივადაც ხომ ახლებურად დაწყებას აპირებდა...

კობა იმედაშვილის სიტყვები წამოაგონდებოდა „ცისფერ მთებზე“:

– შენს წიგნს ვკითხულობდი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ორი კაცის დაწერილია...

– სწორად შეგინიშნავს, – მიუგებდა რეზო ჭეიშვილი.

აწი დაუდგებოდა ალბათ მესამე პერიოდი... უფრო უბრალოსი და ნამდვილის...

ტოლსტოის ერთი ფრაზა ჩარჩენოდა მეხსიერებაში და მოინდომებდა, ახლა მაინც ჩაეწერა:

ერთი წლის თავზე, რაც სკოლაში გაკვეთილებს ვატარებდი, ხელმეორედ გავემგზავრე საზღვარგარეთ, რათა იქ შემეტყო, როგორ ხდება, რომ როდესაც თვითონ არაფერი გაგეგება, სხვებს ასწავლიო.

12 ოქტომბერს სიმონ სხირტლაძის მოსაგონარ სუფრაზე არჩილ გოგელია ჯუმბერ პატიაშვილის აზრს ამცნობდა, მთელი კულტურის განყოფილებისათვის რომ მიეთითებინა, წაეკითხათ რეზო ჭეიშვილის ინტერვიუ, „თბილისის“ ფურცლებზე დაბეჭდილი. აი კაციო...

სხვა ვერსიასაც მოისმენდა, თითქოს პირველს ეთქვას: მიხედეთ მაგ კაცსო...

აქ ცოტა გაიპრანჭებოდა რეზო:

– როცა მოსახედი ვიყავი, მაშინ არავინ მომხედა...

არადა ახლაც ესაჭიროებოდა რაღაც, ხელის წაკვრასავით...

მზიანი დღე დადგებოდა, რატომღაც კარგ გუნებაზე იქნებოდა, რა უხაროდა, ეს კი ვეღარ გაეგო... გუშინ მოშხამული გახლდათ, დანა არ უხსნიდა პირს:

სახლი არ შენდებოდა, წიგნი არ გამოდიოდა, არ იწერებოდა, არ იქმნებოდა, მთავრობას არ ახსოვდა.

ხოლო ახლა:

შენდებოდა, იწერებოდა, ისტამბებოდა (აქ ცოტა შეეჭვდებოდა: ისტამბება კიო?), დღიური ხომ ივსებოდა, სხვა თუ არაფერი!..

12 ნოემბერს წყალტუბოდან გაზეთი – სადაც მისი ინტერვიუ დაებეჭდათ – და ფოტოსურათები ჩამოუვიდოდა.

თეატრალური საზოგადოება განმეორებით სთხოვდა:

„გიგა ლორთქიფანიძე – 60“ გვინდა გამოვცეთ და იქნებ დაგვიწეროთ წერილი არაუმეტეს 10 გვერდისაო.

10 გვერდიო, ისე უსაზღვრავდნენ, თითქოს ეს მეტის დაწერას აპირებდა. საერთოდ კი რატომ სთხოვდნენ, რატომ უნიშნავდნენ დროს და უდგენდნენ გვერდების რაოდენობას, ვერ მიმხვდარიყო. გიგას არც კი იცნობდა ხეირიანად, მასთან არასოდეს ემუშავა...

2 დეკემბერს წიგნი „ვაიმე, ჩემო ვენახო“ ედებოდა წინ – 12 ფორმა, იწყობოდა და ვერა და ვერ აწყობილიყო. წაიკითხავდა და მოეწონებოა. ეგაა: შრიფტი არ დაუჯდებოდა ჭკუაში. მთავარი მაინც ისაა, ამის თქმის საფუძველი რომ მიეცემოდა:

– ეს ჩემი საუკეთესო წიგნი იქნება, ვიცი.

ბევრი დაუგროვდებოდა წასაკითხი, დასაწერზე აღარაფერს ამბობდა.

დიმიტრი ერისთავს შეხვდებოდა კინოსტუდიაში და გადასცემდა წიგნს – რუსულ გამოცემაში ილუსტრაციებიც რომ ჩაერთო. მიტკლისფერი ედებოდა სახეზე მხატვარს და რეზო გაიფიქრებდა: ვერ უნდა იყოს კარგადო.

რევაზ ინანიშვილის დაბადების დღეზე რომ იქეიფებდა, თავი შესძულდებოდა: რატომ მივეცი თავს ამნაირი ქეიფის უფლება – ლაპარაკით, ცეკვით, სმითა და თავის დაქცევითო.

ახლა სწორედ დაქცეულობას გრძნობდა...

რა გაათენებდა ამ ღამეს, ამ ბნელ ღამეს.

მის უჯრებს, მის რვეულებს ამოწმებდნენ კვლავ. ასე ეგონებოდა: სხვანაირად მითვალთვალებენო.

– ეს ნაღდია!

და თავს პირობას დაუდებდა, რომ: ბოლო მოეღებოდა ყველაფერს.

თვითონ?.. თვითონ ლოთი გახლდათ, ნაღდი ლოთი და ბოლოს მოუღებდა ამგვარ ლოთობასაც.

თავისი მეზობლები ენახა სეხნიის სახლში. გარდაცვლილიყო მეზობელი – შოთა. ძალიან ეწყინებოდა, მაგრამ... მგონი ადრევე ეცოდინებოდა, ან ეცოდინებოდა, ან არა!..

ჭეიშვილური პასაჟია, მისი მოთხრობიდან ამონარიდს რომ უფრო ჰგავს, ვიდრე დღიურიდან... თუმც რას გაეყო მოთხრობა და დღიური?!.

1987 წლის 1 თებერვალს მატარებელში ისეთი სიურპრიზი ელოდა.

ხანშიშესული, თუმც კარგად შენახული ქალი, როდესაც ზურაბ კუხიანიძის საშუალებით რეზოს ვინაობას დაადგენდა, გამომცდელად ჰკითხავდა:

– მე თუ მიცანით?

ეს დააკვირდებოდა, ვერ იცნობდა და გულახდილადაც მოახსენებდა.

არადა: ნათელა შენგელია აღმოჩნდებოდა, „ბზიანეთის" გმირი, შესანიშნავი ქალი...

თამარ შელეგიად მოინათლებოდა ნოველაში, ქალაქის მთავარი ქუჩის ერთ-ერთი შესახვევის, ბზიანეთად სახელდებულის, კლუბში მომღერალთა თერთმეტკაციან გუნდს რომ ამეცადინებს, „ათკაცას" სახელწოდებისას.

ტანადი, ლამაზი ქალი ჩაცმული იქნებოდა სადად, სამუშაოდ და – ერთი შეხედვით – მაინც გამომწვევად. ძალიან თხელი და გამჭვირვალე წინდები რომ ეცმეოდა უამინდობაშიც.

და თერთმეტივეს ეს ქალი უნდა ჰყვარებოდა, ზოგს – უფროსს, ზოგსაც – უმცროსს, მაგრამ უფროს-უმცროსობას ვინ დაეძებდა, როდესაც უმრავლესობას ცოლი, საცოლე, საყვარელი და წვრილშვილიც ეყოლებოდა.

გასაოცარსა და გასაკვირველს, მითუმეტეს საძრახისს სიყვარულში რას დაინახავდა მწერალი, რომელიც უაღრესი სიფაქიზითა და სინმინდით განმსჭვალავდა იმ გარემოს, სადაც მომღერლები არც საქმით, არც სიტყვით გულისნადებს არ ამჟღავნებდნენ. შეიძლება არც იცოდნენ, შეიძლება იცოდნენ და მალავდნენ – როგორ, რანაირად და რატომ უყვარდათ ეს ადამიანი. უხერხული კი ეჩვენებოდათ ნამეტანი და: კიდევ კარგი, თვითონ რომ ვერაფერს ხვდებაო, – ფიქრობდნენ.

ქალს კი არაფერი ეშლებოდა და ძალიან კარგადაც ხვდებოდა ყველაფერს. მოსვლა უხაროდა და წასვლა არა წყინდა, მაგრამ ამ დღეების გარეშეც არ ენდომებოდა ცხოვრება.

– მე თუ მიცანით?

– ნაცნობი სახე გაქვთ, მაგრამ... – უხერხულად აიწურებოდა რეზო ჭეიშვილი.

შეცვლილიყო პროტოტიპი, მაგრამ პერსონაჟი ხომ გაუხუნრად ინახავდა იმ დღეების სინათლესა და მომხიბვლელობას. ინარჩუნებდა ნახატივით თუ კინოკადრივით.

ისე აკი ფილმადაც უნდა გადაღებულიყო „ბზიანეთი", ქართულ კინემატოგრაფს ერთ მშვენიერ ფურცელს რომ შემატებდა ლიანა ელიავას რეჟისორული ხელოვნება.

ნათელა შენგელია თუ თამარ შელეგია კი ლია ელიავას უნდა განესახიერებინა, სილამაზის სიმბოლოდ რომ შემორჩებოდა ჩვენს კინომატიანესაც და საზოგადოებრივ ცნობიერებასაც, ფილმის მდინარებაში კი ერთიანად განსაზღვრავდა სინატიფესაც და სიფაქიზესაც, სიწრფელესაც და სიწმინდესაც, ნოველაში ნაგულისხმევს სრულქმნილად რომ შეასხამდა ხორცს.

წინა დღით სტამბიდან თავისი წიგნის სასიგნალო ეგზემპლარს რომ წამოიღებდა, სამწუხაროდ ტირაჟი ცუდად – წებოთი – იკვრებოდა. 150 ცალს,

შესაძლოა მეტსაც, ძაფით შეუკერავდნენ, მაგრამ ტირაჟი?!. ეს კიდევ არაფერი, კორექტურებით იქნებოდა გადატენილი და გულს შემოეყრებოდა.

„ჭიდაობას რა უნდა" არ წაეკითხა, მგონი უკორექტუროდ, ყოველ შემთხვევაში უკონტროლოდ დარჩენილიყო და... შეიშლებოდა კაცი... ბაზარი ტრიალებდა იქ... როგორც უხდიდნენ, ისეც მუშაობდნენ კორექტორები... ვის რას ერჩოდი... ეს ნაწილი რომ ვერ ჩაეგდო ხელთ, ამაზე ბრაზობდა, ამაზე გიჟდებოდა...

უნდა ამდგარიყო და თავის ეგზემპლარებში ესწორებინა მელნით, სხვა რაღა შეიძლება ეღონა?!.

11 თებერვალს „ახალგაზრდა კომუნისტში" ატმოსფეროს ხვრელზე, სადაც ოზონია გაიშვიათებული, და გორილების მიერ გაზრდილ ბავშვზე რომ ეწერებოდა: მჭირდებაო, – ეტყოდა ოტია იოსელიანი და წაიღებდა გაზეთს. არადა რეზოსაც სჭირდებოდა: თავისი თეორიის – აირტონიზმის – დასასაბუთებლად გამოადგებოდა, „ტრაქტატის" წერას რომ შეუდგებოდა.

19 თებერვალს რკინის სეიფში შეკეტავდა მთელი 8 წლის ჩანაწერებს – დღიურებსა და სხვათა და სხვათ. გული დაწყდებოდა და ახლაც ისე იდარდებდა, თითქოს გაესხვისებინოს თავისი სისხლი და თავისი ხორცი.

21 მარტს თავისი წიგნის რუსულ გამოცემას დაიჭერდა ხელთ, „მერანს" მინსკში დაებეჭდა და ტექნიკურად ამიტომაც არა უშავდა, შრიფტი კარგი შეერჩიათ და კარგადაც იკითხებოდა. რამდენი რამ დაეკლო თავისი დაუდევრობით. არ წაეკითხა თავის დროზე და ახლა გული დაწყდებოდა. „რასემონიც" ამოვარდნილიყო – მეორე წიგნში გადაეტანათ და ღმერთმა იცოდა, როდის გამოვიდოდა ის მეორე წიგნი. „კომპოზიტორი ჩირიბერიძე" მოეწონებოდა. კარგად გამოიყურებოდა რუსულად, კარგად თარგმნილიყო და როგორ არ გაეფიქრა: ზარმაცი რომ არ იყოს და ნელი ეს ჩვენი გინა, რამდენ რაიმეს გააკეთებდა თავისთვის და... მერე ჩემთვისაცო...

8 მაისს მოიწონებდა „მნათობში" გამოქვეყნებულ ელიზბარ ჯაველიძის წერილს. იმ დონით აფასებდა რეზო ჭეიშვილს, როგორც ეკუთვნოდა ალბათ, თუმც ადგილები ცუდად გაეგო და არასწორადაც შეეფასებინა.

– ამ მოთხრობას მეტი დაკვირვება უნდა, ისე მე ვიცოცხლო.

რაც უნდა ყოფილიყო: ასე გულწრფელად და გულიანად არავის გახსენებოდა. მანამდე ან არ წერდნენ მასზე, ან ვერ ხედავდნენ, ანდა თავის გამოჩენის სურვილით, რეზოზე კი არა, თავიანთ თავზე წერდნენ, ან – ეს უფრო უპრიანი ეჩვენებოდა – ზრუნავდნენ.

მოთხრობის ზედაპირზე რომ ამოტივტივებულიყო საგამოცდო ციებცხელება – კრიტიკოსის დაკვირვებით – მხატვრულად გააზრებულიყო და წარმოჩენილიყო დიდ და გლობალურ, მარადიულ და ზოგადსაკაცობრიო პრობლემათა ურთიერთშეჯერებისა და შეპირისპირების ფონზე. ამიტომაც გახლდათ მისი პრობლემატიკა გაცილებით უფრო ღრმაც და რთულიც, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოსჩვენებოდა მკითხველს. თუმც გამოცდების თემა ამ მოთხრობის სტრუქტურულ ხერხემლად გვევლინებოდა და მას ჰქონდა თავისთავადი მნიშვნელობაც, მაინც ეს საკითხი მწერლისათვის

მხოლოდ მიზეზი გახლდათ, რათა გაცილებით დიდი ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული პრობლემები აღეძრა, საყოველთაო და ღრმა სოციოლოგიური მნიშვნელობა რომ მოეპოვებოდათ, და მათზე დაეფიქრებინა მკითხველი.

მწერალი ლაღ და ზოგჯერ სარკაზმნარევ იუმორს რომ მიმართავდა, როგორ არა თქმულიყო, რომ:

ქართულ მწერლობაში თუ მადლცხებულიყო ამ ნიჭით ვინმე, უპირველეს ყოვლისა რეზო ჭეიშვილი, და მის იუმორს, დიდი სინატიფითა და სილაღით რომ გამოირჩეოდა, ახასიათებდა ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი სპეციფიკა, რაც მწერლის სიცილს უმთავრესად განზოგადებულ საფეხურამდე ამაღლებდა.

თუმც იგი არ გაურბოდა ანეკდოტურ მასალას, ყოველდღიურ ყოფით სიტუაციებზე აღმოცენებულ კომიზმს, მაგრამ ეს მოჩვენებითი „ზერელობა“ ყოველთვის ატარებდა თავის თავში სასაცილო მოვლენის სიღრმისეულ გააზრებას და ღრმად ამიტომაც გაედგა ფესვები სოციალურად ღირებულ და ეროვნულად მნიშვნელოვან მიზეზ-შედეგობრივ მიმართებებსა და მოვლენებში. სწორედ ამის გამო მოეპოვებოდა მწერლის სიცილს კათარზისის ძალა და ხშირად გვეელინებოდა დამოკლეს მახვილად, უზნეობის თავზე რომ შემართულიყო.

რეზო ჭეიშვილი კუტკალიების, ბოცომკალებისა და სხვა მწერთა გაუთაეებელ გნიასს რომ გარკვეული მიზნით გადმოგვცემდა, ელიზბარ ჯაველიძე მკითხველს ყურადღებას მიაქცევინებდა იმ პასაჟს, ქუთაისლები ტოტებზე შემომსხდარი მხერხავების აკომპანიმენტის თანხლებით ხმაშეწყობილად რომ მღერიან, მაგრამ ტექსტი კი არ იციან, ვერა და ვერ დაუმახსოვრებიათ.

რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ...

რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ...

ამ ეპიზოდსა და მის „უტექსტო“ სიმღერას კრიტიკოსი მიიჩნევდა ღრმა ქვეტექსტური აზრის შემცველად, ასოციაციურად რომ აღძრავდა ადამიანთა და მწერთა უაზრო ქმედებათა შორის მსგავსებას და კვლავაც მიგვანიშნებდა, ცხოვრების ორომტრიალში ჩართულ ადამიანს რომ ავიწყდება აღსასრულის გარდუვალობა. ამიტომაც არ ერიდება ათას უმსგავსო და ამორალურ ქმედებას. და მხოლოდღა მაშინ, როდესაც თვალებში სიკვდილი ჩახედავს, აცნობიერებს თავისი ნამოქმედარის ავსა თუ კარგს და მწუხარედ დაიღიღინებს: რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინო...

ელიზბარ ჯაველიძე დაიბეჯითებდა, რომ:

ამგვარ ახსნას მხარს უჭერდა „მეოთხე სიმფონიის“ ფინალი, სადაც ეს სიტყვები უკვე ბიბლიური მსოფლგანცდის ფონზე მეორდებოდა.

სიყვარულით და მოთმინებით შენითა.

ამ სიტყვებით რომ მთავრდზებოდა ეს მწუხარე სულის „მეოთხე სიმფონია“, კრიტიკოსი იმ შეგონებასაც იგულისხმებდა ამ ფინალურ აკორდში, რომ:

თვითეულ ჩვენგანს დიდი რუდუნებით, მოთმინებითა და ადამიანის მოდგმის სიყვარულით უნდა ექანდაკებინა საკუთარი „მე“, რათა თავსაც გამოვ-

დგომოდით, სხვასაც, ხალხსაც და ერსაც, და სიკვდილის მოახლების ჟამს მწარე ღიმილით არ გაგვხსენებოდა უტექსტო სიმღერის სიტყვები, ფიცარში ჩამძვრალი მკილის ბღუილ-ბჟუილთან გაიგივებულ-გათანაბრებული:

რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ...

რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ...

აპირებდა გაევლო „ლიტერატურულ საქართველოს“ რედაქციაში, მოენახულებინა ელიზბარ ჯაველიძე, მისი რედაქტორი, და მადლობა გადაეხადა.

25 მაისს გაიხსენებდა, წინა შაბათს ჯვარისას რომ ესტუმრებოდა, ნიკოლო მიწიშვილის სახლ-მუზეუმის გახსნაზე. დაგლახავებულ გლეხებში უკბილო, გაუბედურებულ დეიდამისსაც დაინახავდა.

– მინდოდა მოსვლა, მაგრამ შენამდე ვინ მომიშვებდა, – ეტყოდა დეიდა მერე.

რეზო სიტყვასაც იტყოდა აივნიდან.

მეორე დღეს ლანჩხუთის სკოლაში გამოვიდოდა სიტყვით, „მეოთხე სიმფონიის“ ფინალსაც წაიკითხავდა.

მისი საზოგადო მოღვაწეობა ახლა იწყებოდა, ხვდებოდა.

შემდგომ სხვა საგულისხმო ამბებიც მოხდებოდა. ასეთებიც ხდებოდა ხოლმე შიგადაშიგ. ამაზე ლაპარაკი არ უყვარდა ადრევე, ბუნებრივია, ახლა მითუფრო არ ეყვარებდა. სიბერეში, სანამდისაც ვერ მიაღწევდა, რას ჩაიდენდა, არ ეცოდინებოდა.

2 ივნისს გადავიდოდა მეცხრე რვეულში. გაისად კი ათი წელი გასრულდებოდა მისი მედღიურობისა. ათი წლის თავზე ათი რვეული – ცოტა შეეჭვდებოდა – ექნებოდა ალბათ შევსებული.

ახლა, ამ წუთას, ამ შუალედში ძველ რვეულებსაც ამოჩხრეკდა – შემთხვევით. ხელთ მოჰყვებოდა მწვანეყდიანი „ბლოკნოტი“, რომელსაც გარედან „ჰაზრი“ ეწერებოდა და მხოლოდ სამი ნააზრევი ჩამოეყალიბებინა ამ სათაურქვეშ. მეტზე ვერ გაჰაზრებულიყო – ასე ირონიულად დაატრიალებდა ამ სიტყვას – როგორც ჩანდა. სამაგიეროდ საკმაოდ ნათელი წარმოდგენა ჰქონოდა იმ 1966 წელს მედიცინაზე თუნდაც...

მეორე რვეულს, ნაკლულ „ბლოკნოტს“ „საშურა გვენცელაძის ოხუნჯობანი“ ეწერებოდა. რამდენიმე სახუმარო ამბავი თუ ანეკდოტი ამოეწერა თავის დროზე... პავლე ჩარკვიანიც ჰყოლოდა ნახსენები.

სიმამრზე შეატყობინებდნენ: ცუდადააო.

ეთხოვებოდა ისიც ამქვეყანას არცთუ უდროო დროს, ოთხმოცდამეთერთმეტეში გადამდგარიყო, ანდა უკვე შესრულებულიყო ამ ასაკის: 1896 წელს დაბადებული. მეზობელი ექიმი ნახავდა და... ელექტრონის რადიატორი ჰქონოდა ჩართული ამ სიცხეში, თანაც პალტო ეცმეოდა დაძაბუნებულს. გაოცებული დარჩენილიყო ნამეტანი ექიმი ქალი.

„მართლაც უცნაური კაცია, უცნაური კაცი იყო და უცნაურადაც იცხოვრა“.

გოდერძი ჩოხელს რომ გააცნობდა ამას წინათ და რეზოს სიმამრი ძველ ამბებს გაიხსენებდა, გოდერძი მოუსმენდა და აკი კმაყოფილი, აღტაცებულიც კი დარჩებოდა. იმ დღის შემდეგ აღარც ენახა უმცროსი თანამოკალმე და აგერ ახლახან მიახარებდა:

– რომანი დავწერე იმ ლაპარაკის შემდეგ.

„ორ-სამ თვეში რომანიც გამოაცხო ერთსაათიანი შეხვედრის საფუძველზე?!.“

გადაირეოდა რეზო, მაგრამ არაფერს აგრძნობინებდა:

– მომეცი, დაგიბეჭდავ.

მართლაც გამოატანდა და 1 ივნისს ქუთაისში ედებოდა კაბინეტში მაგიდაზე. ჯერ არ წაეკითხა. ავტორს „მღვდლის ცოდვა“ დაერქმია. სიმამრის მამა მღვდელი გახლდათ, 103 წლისას ყინულზე ცხენი წაექცეოდა და მოჰყვებოდა ცხენქვეშ, ვეღარც ცხენი ადგებოდა და ვეღარც მღვდელი. დარჩებოდნენ მთელი ღამე ასე.

ასე იწყებოდა, ამ ეპიზოდით ეს რომანიც, დასაწყისს რომ ჩახედავდა.

„არტემა პაპასკუა და გაბო ჩოხელი“ – თავისთვის ჩაინიშნავდა, რაღაც საერთოს აღმოაჩენდა მათ შორის.

ადამიანთა დახარისხება და დაკვალიფიკაციებაც შეიძლებოდა, რატომაც არა: კვაჭილა, ალიკა (თათარი), ალექსი (მღებავი), ხელოსანი (სახელი დაავიწყდებოდა) არჩილა!

ტანითაც ერთი სიმაღლისანი იყვნენ, ლაპარაკის მანერაც ერთნაირი, ტყუილები, დაპირებები, თავიანთ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლობა. ალექსი – სქელი წარბებით, წელში გამართული, კოხტაც კი, დიდი შავი ქუდით, ტყუილებში მოიკოჭლებდა, მაგრამ მაინც კვაჭიელას ნაირქვესახეობად წარმოდგებოდა.

ნამდვილი ზაფხულის პირველი დღე იდგებოდა.

30 ივლისს სუფრაზე მოხვდებოდა ახალგაზრდებთან. ისხდებოდნენ მაღლები, ლამაზები, ჯიშიანები და უწიგნურები. თემურ აფხაზავა – მსოფლიო ჩემპიონი – აღმოჩნდებოდა ნაკითხი, ისიც ჯიშიანი, ჩამოსხმული თავით. იმ რომანზე – „ქალაქში დინოზავრები დადიან“ – დაელაპარაკებოდა რეზოს აღტაცებული. ახალ წიგნს დაპირდებოდა მწერალი და გაეხარდებოდა იმას. წიგნს ნაკლებად რომ ეტანებოდნენ, უფრო სამწუხარო რეზოსათვის რაღა შეიძლება ყოფილიყო. საგანგებოდ ეთხოვა ერთი კაცისათვის:

„ჭიდაობას რა უნდა“ მაინც წაიკითხე.

– რად უნდა მაგას ლაპარაკი, – იწყენდა, მაგრამ ეს შეატყობდა, არ წაეკითხა. ყოველდღე მთვრალი ვარო, გამოტყდომოდა ერთხელ. ერთი ნაცნობიც მოუბოდიშებდა:

– ხუთი გვერდის მერე მეძინება. დავიწყებ კითხვას და... ჩავყვინთავ.

რას შობი! – დღიურისათვის მაინც გაეზიარებინა გულისტკივილი.

ამით იყო ფილმი კარგი – ყურება არ ეზარებოდათ. ახლა ვიდეო-ტელევიზიებისთვისაც აპირებდა ფილმების გადაღებას და ეს უკეთესი იქნებოდა, ატყობდა.

კაკოს დაიბარებდა 8 აგვისტოს და საღამოს ესტუმრებოდა. ჭკუას დაარიგებდა. ის არ მოუსმენდა, ეგონა, რადგანაც საამისო სიტუაციას ვერ დაინახავდა, თანაც ამხანაგები ზედ ამის ჭიშკართან – საიდან მოეგნოთ ნეტა – დაელოდებოდნენ, ყაყანებდნენ, იფხრიწებოდნენ სიცილით. და მაინც მო-

უსმენდა სტუმარი, დაფიქრდებოდა, და რეზოს გუნებაში ესიამოვნებოდა: შევაფიქრიანეო.

წიგნსაც აჩუქებდა, მომავალ მსოფლიო ჩემპიონობასაც დააბედებდა.

და უეცრად ისეთი განცდა გაუჩნდებოდა, დღიურში რომ არ ჩაენიშნა, გული არ მოასვენებდა:

სხვის სიკეთეზე ზრუნავს კაცი – მართლა ეგრე იყო – მაგრამ საკუთარი სიკეთისაგან – ანგარება დავარქვათ – ვერ თავისუფლდება, ეგ შეუძლებელია ალბათო.

თან რაღაც არ მოსწონდა, თან ისეთ ადამიანურ, ერთობ ადამიანურ თვისებად მიიჩნევდა, რომელსაც ვერავინ წაუვიდოდა და მაშ უსიამოვნოდ არც უნდა ჩაგრჩენოდა გუნებაში. წიგნს აჩუქებდა და:

– „ჭიდაობას რა უნდა" წაიკითხე.

საჭირო იყო მისთვის, გამოადგებოდა, იცოდა, და მაინც თავის კარგ კაცობასაც ამზეურებდა.

– თან წაიღე ეს წიგნი.

შეგნებულა თუ ქვეშეცნეულად: ეს ხომ ნიშნავდა – სხვებსაც წააკითხეო. ანდა გაიხსენებდა რეზოს და იტყოდა: ასე იყო, ისე იყო, მისი სიტყვა დამეხმარა, მისი წიგნი შემეწიაო.

იყო, როგორ არ იყო სიმართლის ნატამალი ამ მჯელობაში, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა რეზო ჭეიშვილი: სხვაზე ნაკლებადაა ჩემში ეგ გრძნობაო.

კაკოს მაგალითიც ვერაფერიშვილი გახლდათ, წიგნი გადაგდებულიც ჰქონდა შეიძლება უკვე და რეზოსაგან დარიგებული ჭკუა სიბერისათვის შემოენახა მის ცნობიერებას.

„კაცი რომ ქვას ჩადებს ტალახში, ვიღაც ფეხს დაადგამს, მშრალად გავა და დამლოცავსო, ფიქრობს..."

17 ოქტომბერს აკაკი წერეთლის პოემის გადათვალიერებისას თუ უფრო წამოგონებისას ამ სტრიქონისათვის უნდა მიექცია ყურადღება: ტოროლაც მაღლა ჰაერშიო...

„წკრიალ-წკრიალის" მაგივრად „რაწკუნი" ეწერება შემდეგ და: ვის ვისგან წაელო ნეტა, ხომ უნდა დაეზუსტებინა – სოსელოს აკაკისაგან თუ აკაკის სოსელოსაგან?!.

და ერთბაშად ამოსკდებოდა ის ფიქრი, აქამდე გულისგულში რომ უტრიალებდა:

აკაკის გავლენა ვაჟა-ფშაველაზე.

საჭირო იყო ეგ. მასალაც არსებობდა, ფაქტებიც...

რეზოს თვითონაც შეეძლო ამის გაკეთება და... წინასწარვე აღტაცდებოდა იმის წარმოდგენაზე: როგორ გაშტერდებოდნენ ამ წერილის წაკითხვისას. და აღიღინდებოდა: მთიელ ვარ, მთაში გავზრდილვარო...

დასანანია, რომ ეს წერილი აღარ დაიწერებოდა. არადა მასალაც მოეკრიბა და ფაქტებიც აღენუსხა. ერთი მისებური ჩაჯდომა და... მაგრამ ვერა და ვერ მოახერხებდა ამ „ჩაჯდომას", სხვა შემოქმედებითი ინტერესები რომ გადაძალავდა იმჟამად, მერე და მერე კი მიავიწყდებოდა...

თავისებური სენსაცია იქნებოდა მართლაც ამ შინაარსის სტატიის – ეგებ ნარკვევისაც – გამოქვეყნება. ერთი შეხედვით ხომ სრულიად დაცილებოდნენ ერთიმეორეს აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა, ის კი არა ლამის ორ საპირისპირო პოლუსზეც იმყოფებოდნენ სტილურ-ენობრივი პოზიციით.

სხვა რა შეიძლება გეფიქრა, მათ პოეტურ პაექრობასაც რომ გაეცნობოდი, ორივეს სიცოცხლის მიმწუხრზე რომ შეაჯანჯღარებდა წიგნიერ საქართველოს, და რჩებოდა და რჩებოდა აუხსნელად ის შეჯავახება, თუმც არაერთხელ ეცადათ ამ პაექრობის მოლამაზება, მოჩუქურთმებულ საბურველში გახვევა.

არადა მოსალამაზებელი და მოსაჩუქურთმებელი არც არაფერი სჭირდა მათ სულიერ ურთიერთობას, თუკი იმ გარემოებას გაითვალისწინებდი, აგერ რეზო ჭეიშვილს გზამკვლევად რომ დაეგულებინა და უკვე აღარც ეეჭვებოდა ამ სასიკეთო ზეგავლენის არსებობა.

ამ ღრმა საერთოს, ამ სულიერი ნათესაობის არსებობა აკაკისა და ვაჟას შორის რეზო ჭეიშვილის დღიურს შერჩებოდა გაკვრით. და კიდევ კარგი: დღიურს და გაკვრით მაინც!..

ისე მოხდებოდა, რომ ამ შეხედულების შემოტანა ჩვენს სააზროვნო სივრცეში მოგვიანებით მოგვიწევდა დავით წერედიანსა და თქვენს მონა-მორჩილს, მე სულაც ლიტერატურულ მამა-შვილად რომ მოვიხსენიებდი „გამზრდელისა" და „გველის-მჭამელის" შემოქმედთ... და რას წარმოვიდგენდი, ოდესღაც რეზო ჭეიშვილს არამცთუ ეფიქრა და მისაკვლევისთვისაც მიეკვლია, მზადაც რომ გახლდათ ამ თემის გასაშლელად და წინდაწინვეც ტკბებოდა მოსალოდნელი ხმაურით სალიტერატურო წრეებში...

23 ნოემბერს შეფიქრიანდებოდა, რამდენი რამის გადათვალიერება მოუწევდა, ვიდრე „ტრაქტატს" დაამთავრებდა. და ეს კითხვებიც აეკვიატებოდა, კინაღამ მარჯვენასაც რომ დაუდუნებდა:

– რისთვის? რატომ? ვის ჭირდება? უკვდავება მინდა გავინაღდო?

ეს აზრი – უკვდავების განაღდებისათვის ზრუნვა – სისულელედაც მოეჩვენებოდა, რადგანაც ერთადერთი, რაც არა სურდა, რასაც არ ეხარბებოდა – სიკვდილის შემდეგდროინდელი სახელი გახლდათ.

რა ჯანდაბის ორღობედ გამოადგებოდა?!. ცუდად არ უნდა მოეხსენიებინათ – ეს გახლდათ მთავარი!..

თავის ნაშიერს ემსახურებოდა ცოტა ხნით და... შემდეგ აღარც ცუდად გაიხსენებდა ვინმე და აღარც კარგად...

ეს რა სკეპტიკურ გუნებაზე დამდგარიყო!..

სიმშვიდე ყოფილიყო ოღონდაც. ხოცვა-ჟლეტის გარეშე ეცხოვრათ ადამიანებს.

არადა ეს რა მაგარი – კვლავ ჟარგონული გამოთქმა – რამ ჩაეფიქრებინა:

ჯერ ნოველები და შემდეგ „ტრაქტატი", ანდა პირიქითაც შეიძლებოდა – რომელი როგორ დაწინაურდებოდა.

რაო, რას ამტკიცებდა ფრიდრიხ ენგელსი?

შრომამ შექმნა ადამიანიო, არა?

რეზო ჭეიშვილი მის შებრუნებულ ვარიანტზე ფიქრობდა.

და 25 ოქტომბერს კიდეც რომ დაიწყებდა „ტრაქტატს", თავს გაიმხნევებდა:

უნდა, უნდა გავიჭირვოო.

სმით აღარ სვამდა. ხვალ მძახლებთან იყო მიპატიჟებული, მაგრამ თავს შეიკავებდა იქაც.

31 ოქტომბერს სიმონეთში დავით კლდიაშვილის დაბადების 125 წლისთავის ზეიმს აპირებდნენ და სიტყვის თქმას მასაც სთხოვდნენ. დათანხმდებოდა და წინა დღეს კიდევ შეახსენებდნენ...

ლამის ეთქვა: მზად არა ვარო. უდარაჯებდა და... ვერა და ვერ იწყებდა. ოდესღაც გამოქვეყნებული – „სკოლა და ცხოვრების" დამატებაში – წერილის იმედი თუ ექნებოდა.

სიტყვა კი მაინც თავიდან უნდა დაწერილიყო.

დავით კლდიაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრედ რომ მიიჩნევდნენ?

არა ყაბულდებოდა.

მაინც რომ არ ეშვებოდნენ და დროდადრო უხსენებდნენ ხოლმე?

არ იზიარებდა.

სიმონეთში კი მაინც იტყოდა სიტყვას და ცუდი არ გამოუვიდოდა. რატომღაც იღელვებდა. გაშიშვლებულ მიკროფონთან, როდესაც კათედრაც არაა, ძნელი აღმოჩნდებოდა მისთვის ლაპარაკი.

მისცემდნენ რაღაც სამახსოვრო ჟეტონს: „ძელქვის ფოთოლი". მოეწონება ეს სახელი: მშვენიერიაო!.. დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლეს ჯილდოს სწორედ ამას დაარქმევდა თვითონ პირადად – სად იყო ეს დამოუკიდებელი საქართველო თორემ!..

შეხვდებოდა ძველ ნაცნობებს, მეგობრებს... ვისაც ხშირად ხვდებოდა (რევაზ ინანიშვილსა და ლაშა თაბუკაშვილს), საშას, ხარაბაძეს (ძველ ძმაკაცს), კარლო საკანდელიძეს, გოგი გეგეჭკორს. ქუთაისლებს, რომელთაც ქუთაისში ვერა ნახულობდა, და სხვებს. ავდარს ვარაუდობდნენ ტელევიზიითაც გამოაცხადებდნენ და... გამოიდარებდა, გამზეურდებოდა სიმონეთში. დავითის ეზოში ჩრდილს დაუწყებდა ძებნას რეზო ჭეიშვილი. დავითის ჩრდილს არა, დავითის ეზოში ჩრდილს!..

31 ოქტომბერი რა სათქმელია, როდესაც იანვრის ერთ-ერთ დღეს – სად წაეკითხა და ამ საუკუნის რომელ წელს მოხდებოდა, ვეღარ გაეხსენებინა: გელათში მარჯორი უორდროპის პატივსაცემად – ილიაც იქ ყოფილიყო – ჩრდილში გაშლიდნენ სუფრას, იანვარში ჩრდილში დასხდებოდნენ. ეს დეტალი 1980 წლის 4 იანვრის დღიურში აღენიშნა საგანგებოდ.

სიმონეთს მოჰყვებოდა თერჯოლა და კონცერტი. გამოვიდოდნენ ღვანკითლები – კუბლაშვილები – და იმღერებდნენ საოცრად, საკვირველად... ამნაირ სიმღერას ვერ მოისმენდი.

„რის „რუსთავი", რა „რუსთავი".

თუკი ესენი თავს შეინარჩუნებდნენ სოლისტებიანად – ოპერის მომღერლები: მამა და შვილები – სენსაციას მოახდენდნენ.

დავითზე კი მართლაც კარგი სიტყვა ეთქვა, ცუდად წაეკითხა მართალია, მაგრამ – თუკი არ ატყუებდნენ – შთაბეჭდილება მოეხდინა...

დავით კლდიაშვილის პირდაპირი მემკვიდრეო...

ლამის დამკვიდრებულიყო, ან რაღა ლამის.

რა საერთო მაქვს ნეტა მაცოდინაო, – ვერა და ვერ აეხსნა ამ დაკავშირების მიზეზი თუ ფსიქოლოგიური სარჩული რეზო ჭეიშვილს.

ისე კი ეს სიტყვა მაგიდაზე რომ ედებოდა, გადაიკითხავდა და დარწმუნდებოდა, რომ აუცილებლად უნდა დაეწერა მის ქარგაზე წერილი, ძველი შეესწორებინა და ახალი დაემატებინა...

ეს მოსაზრება თუ განწყობილება 11 ნოემბერს უნდა გასჩენოდა, იმავდროულად გალაკტიონის კრებული რომ ეჭირებოდა ხელთ და მასზეც მოინდომებდა რაღაცის თქმას...

28 ნოემბერს მხნედ შეხვდებოდა:

ერთი გაბრძოლებაც და დაამთავრებდა შავად „ტრაქტატს", რომელსაც – იმედოვნებდა, რომ საბოლოოდ – „კუდიან ვარსკვლავს" დაარქმევდა და ივარაუდებდა, რომ: საგულისხმო რაღაც უნდა გამოსულიყო.

29 ნოემბერს კიდეც დაასრულებდა – ის ერთი გაბრძოლება წარმატებით მოთავდებოდა. ახლა უკვე გასწორდებოდა, შეივსებოდა და... მას თუ გადაბეჭდავდა, თუნდაც შავად, ამ წელიწადს უქმად ჩავლილად აღარ მიიჩნევდა. ზომითაც ნორმალური გახლდათ – ფორმანახევარზე მეტი არ უნდა გამოსულიყო.

წელს რაღა დარჩენოდა?

სცენარი და ეგ.

სცენარს თუ მოიშორებდა, ნოველებსაც დაიწყებდა.

1988 წლის 25 იანვარს ლადო ასათიანის საიუბილეო საღამოზე – 70 წლისთავზე – გამოვიდოდა ფილარმონიის დიდ დარბაზში, და როგორც მსმენელნი აღნიშნავდნენ:

– უმჯობესად ყველასი.

ეგრე იყო ნამდვილადო, – კმაყოფილებით გაიფიქრებდა. დაბეჭდვას რომ შესთავაზებდნენ, ჯერ მაინც უნდა ჩაესწორებინა, თუმც ეგებ არც გამოექვეყნებინა, დარჩენილიყო რაღაც დაუსტამბავიც.

1 თებერვალს „განთიადის" პროზის განხილვას გამართავდნენ მწერალთა სასახლეში.

– გადადეთ, – ითხოვდა.

არ გადადებდნენ და მივიდოდა დაგვიანებით. ქებას არ მოაკლებდნენ და... შეწუხდებოდა.

თვითონაც იტყოდა ორ სიტყვას.

ვინ იფიქრებდა, რომ პირველად გამოდიოდა ამ დარბაზში, პირველად დამდგარიყო იმ კათედრასთან...

შესვლისას კარგადაც შეათვალიერებდა: ერთი ვნახოთ როგორიაო!.. ჩვეულებრივი – განა სხვა რა შეიძლება ყოფილიყო. ისე კი აუდიტორიას ასე თუ ისე – იმდღევანდელის მსგავსს – შეჩვეულიც კი გახლდათ. კინოსტუ-

დიის განუწყვეტელი სხდომები, განხილვები, კინოშეხვედრები კინოთეატრებში, რაიონებში.

მწერალთა კლუბში კი პირველად...

ფილარმონიის დიდ დარბაზშიც პირველად ამოიღებდა – ეს გასაგები იყო – ხმას, სცენაზე კი ორჯერ სულელივით – არ მოერიდებოდა თვით ამ სიტყვის თქმასაც – იდგებოდა „სამანიშვილის დედინაცვლისა“ და „ცისფერი მთების“ წარდგენისას.

პირველი ნაბიჯები სცენაზე, ტრიბუნასთან და... ამ დროს?

გარდაცვლილები იყვნენ ამ ასაკში უკვე: ლენინიც, ნაპოლეონიც და დავით აღმაშენებელიც.

მაინც თქმა სჯობდა უთქმელობას.

გვიან, ვიდრე არასოდეს – ანდაზისა არ იყოს.

საჭირო იყო, საჭირო – რეზო ჭეიშვილისათვის აუცილებელიც კი...

თან ელიმებოდა მისებური ღიმილით, გულში ჩაბრუნებულით, თან ზედმეტად სულაც არ მიიჩნევდა ამ საჯარო გამოსვლებს...

2 მარტს ნათაძის წერილს გაეცნობოდა „ცისკრის“ მე-2 ნომერში. წაიკითხავდა უგულოდ... სადაც აქებდა – სუსტი იქნებოდა, სადაც ჭკუასაც არიგებდა – მთლად სისულელე... ჭაბუა ამირეჯიბი სხვანაირად დაწერდაო, – და: თავის იდიოტურ – რატომ მორიდებოდა ამ სიტყვას დღიურში მაინც – ვერსიას სთავაზობდა მკითხველს. და რეზო ჭეიშვილს სხვა რაღა ეწამებინა: რა იღბალი მაქვს, გადაირევი კაციო!..

მართლაცდა...

11 სექტემბერს კიდევ ერთხელ იგრძნობდა, რომ თანდათან უძნელდებოდა ქუთაისში ყოფნა. მოწყინდებოდა და დღიურის ჩანაწერებიც მოწყენილობისა გახდებოდა. მის ახლობლებს არ სურდათ მისი წამოსვლა აქედან. როგორც კი ამაზე სიტყვას მოაბრუნებდა, წინააღმდეგობას აწყდებოდა, აღიზიანებდა ახლობლებს თბილისშიც, არა სიამოვნებდათ: რას ამბობ, როგორ წამოხვალ, საჭიროა შენი იქ ყოფნაო.

ლევან მალაზონიაც თავს შეიკავებდა.

გივი ძნელაძე ეტყოდა:

– მწერალთა კავშირის მდივნად გადმოიყვანენ.

და ახტებოდა და დახტებოდა ლევანი:

– დეგენერატი ყოფილა მაშინ. ვერ ხვდება, რომ ახლაა ზენიტში?!.

ეგ ის კაციაო, – ჩაინიშნავდა დღიურში რეზო, – იოტისოდენადაც რომ არა შურს ჩემიო.

თანაც: მართალს ეუბნებოდა.

აქამდე არ თუ ვერ გაეკეთებინა თავისი გასაკეთებელი და... თუ ახლა ამ დროს გაუშვებდა ხელიდან, მორჩენილიყო და ეგაა.

რაც გაეკეთებინა, საკმარისი გახლდათ თითქოს ერთი კაცისათვის, მაგრამ ეს ხომ რეზო ჭეიშვილის შესაძლებლობათა მინიმუმი იყო.

„ჩემი მეგობარი ნოდარი“ სურდა ქართველების ერთ საყვარელ წიგნად დარჩენილიყო და ამიტომაც ისე ვერ დატოვება, დღეს როგორც იყო. ის ხომ

ფაქტობრივად დაუმთავრებელი მირჩენოდა მოუცლელობითა და აჩქარებით; ხშირად დაუფიქრებლადაც ასწორებდა და ამუშავებდა. დიდ დროს ვერც ახლა შეალევდა, მაგრამ დამჯდარი და დასვენებული გონებით გადაბარავდა...

„დალის“ გადამუშავებაც შეიძლებოდა, მაგრამ... არა ღირდა. ბევრი ნაწვალები იყო, და მაინც ის დარჩებოდა, რაც გახლდათ, თუკი ახალს არ დაწერდა. ახლის დაწერას კი რა აზრი უნდა ჰქონოდა. ამიტომ ყოფილიყო ჯერ, რჩეულში არ შეიტანდა... გასულიყო დრო, ტერენტი გრანელის ლექსით რომ ეთქვა, „სიშორიდან“ შეეხედა, თუკი იცოცხლებდა!..

კარი მეხუთე

თავი პირველი

მკითხველის ამბავში

1979 წლის 17 სექტემბერს ოტია იოსელიანს რომ შეხვდებოდა და ის ეტყოდა:

– რადიო მჭირდება მანქანაში. შენ ვინმე მაინც გიზის და მე სულ მარტო ვარ, ხმის გამცემი არა მყავს, რადიო მაინც დამელაპარაკება.

ეს სიტყვები საბაბი აღმოჩნდებოდა რეზო ჭეიშვილისათვის, ორიოდ სტრიქონით შემოეხაზა თანამოკალმის კოლორიტული პორტრეტის უმთავრესი შტრიხები, გაკვირვებას რომ ვერ ფარავდა, როგორ შეიძლებოდა დღევანდელ პირობებში, თანაც საქართველოში, დამოუკიდებლობის, თავისუფლების შენარჩუნება, საზოგადოებრივი აზრისა და შეხედულებების ნაწილობრივი უგულებელყოფა.

მისი დაკვირვებით, ძალიან ძნელი იყო ამის მოხერხება.

და მოწონებას გამოთქვამდა ოტია იოსელიანის პროფესიონალიზმით მწერლობაში, უფრო სწორად – მწერლურ ცხოვრებაში.

არამარტო ზუსტი დაკვირვებაა, არამედ მახვილგონივრულიც:

ეს შესიტყვება – „მწერლური ცხოვრება" – სავსებით მიესადაგება ოტია იოსელიანის ყოველდღიურობას.

და ძალდაუტანებლად წამოუტივტივდებოდა ერთი ეპიზოდი, თუ როგორ იღებდა ოთარ იოსელიანი გვიშტიბში კინოფილმს „გიორგობისთვე", რეზო და ოტია კი ეზოში მოლზე იქნებოდნენ წამოწოლილნი. ღობეს მოადგებოდა ვიღაც ახალგაზრდა კაცი, ფეხშიშველა, ქალის კაბიანი. სქელი მატერიის კაბა ეცმეოდა. იდგებოდა და მოაჩერდებოდათ დაჟინებით. რეზოს გაუკვირდებოდა, ნეტა ვინ არისო, და ოტიას ეტყოდა:

– დიოგენეს არა ჰგავს?

– დიოგენე კი არა, ჩემი დეიდაშვილია, – უპასუხებდა თანამოკალმე.

ამას მოეწონებოდა ასეთი გულახდილობა, რომ არ დამალავდა, ეს საცოდავი მისი ღვიძლი რომ იყო.

ახლა მიხვდებოდა, რომ სწორედ მაშინ დაამყარებდა ოტიასთან პირველ კონტაქტს, თუმც ვერაფრით ვერ იტყოდა, რომ ეს ურთიერთობა ძალზე შორს წავიდოდა და გაღრმავდებოდა.

1981 წლის 3 მარტს ესტუმრებოდა ნორიოში. სახლი აეშენებინა, რაღაც უშნო, დეფორმირებული, პატარა, მაგრამ ისეთი, როგორიც მას უნდოდა, მის მარტოობას შეეფერებოდა.

– მეზობელი არა გყავს? – ჯურხა ნადირაძე ჰკითხავდა.

– მეზობელი რომ მყოლოდა, აქ კი არ დავსახლდებოდი.

ოთახი პატარა, სამუშაო ოთახი, ბუხარი პატარა, დაბალი სუფრა პატარა, თითქოს ყველაფერი ერთ კაცზეა გათვალისწინებულიო.

თონე ჰქონდა მხოლოდ დიდი. პურს გააცხელებდნენ, ეზოში ცეცხლის პირას „იქეიფებდნენ“ იმ სიცივეში!.. დიდად ეშრომა, უდაბნო აეყვავებინა, წისქვილი ჩაედგა. მიწა კარგი შეხვედროდა, ადგილი – ცუდი. ეზოში ბევრი ჯართი, რკინა და მავთული ეყრებოდა.

უცნაური კაცია ოტიაო, – თავისთვის ჩაილაპარაკებდა რეზო და... იქვე ასე შეასწორებდა ამ გამოთქმას:

– უცნაური კი არა, უცნოური.

რაოდენ ზუსტად მოძებნილი ეპითეტია, სწორედაც ოტიურად მოქცეული ეს: უცნოური.

1982 წლის 5 ნოემბერს ოტიას კვლავ რომ ესტუმრებოდა ნორიოში, ალექსანდრე ებანოიძესაც აიყვანდა, მოსკოვში მცხოვრებ თანამოკალმეს, ეგაა – რუსულად წერდა, განსხვავებით მიხეილ ქვლივიძისაგან. ჭიშკარს გარედან რომ ედო ბოქლომი, მიუხვედრელი კაცი მართლაც უკან დაბრუნდებოდა უეჭველად. ესენი ბავშვს – საშას ბიჭს – გადააძვრენდნენ და კარს გააღებინებდნენ. ოტიას მანქანასაც დაინახავდნენ. ძალით შევიდოდნენ ერთი სიტყვით. ვიღაც ქალი გამოვიდოდა და მიასწავლიდათ: წისქვილში მუშაობსო. ოტია იჯდებოდა გაყინულ წისქვილ-საქათმეში, თბილად ჩაცმული, თუმც გალიგვულ-გალურჯებული ხელებით.

– ცეცხლი დაანთე, გათბი, – ეს ურჩევდა, მაგრამ მასპინძელი:

– თუ გავთბი, თუ დამეძინა, რაღას დავწერ.

წიგნს აჩუქებდა. „ავტობიოგრაფიულ ნოველას“ წაიკითხავდა რეზო და... ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა: წერა უჭირსო. ბოლო მოთხრობა – „ხარები...“ – ძლიერი აღმოჩნდებოდა. უკანასკნელ აბზაცში წინადადება ზედმეტი მოეჩვენებოდა. ადრევე სურდა ეთქვა. წიგნში არ შეეტანა იქნებ.

„მნათობის“ ახალ ნომერს რომ გადაიკითხავდა, 1983 წლის 17 მაისს სხვა შთაბეჭდილებებთან ერთად ამასაც ჩაინიშნავდა:

ოტიას არ უნდა გამოექვეყნებინა ის „ავტობიოგრაფიული“ ნოველები, ეტყობა „მუსიკა ქარში“ არა აქვს წაკითხულიო.

29 ივლისს ანზორ სალუქვაძესთან ერთად ქსნიდან პირდაპირ ნორიოში გასწევდა, ოტიას მამულში, და სადილს შეესწრებოდა ეზოში. დამხვდურებს ბუზები ეხვეოდათ გარს. ჯერ გრილოდა, მაგრამ მერე აცივდებოდა და ოტიას ძველ ტანსაცმელში ჩაიფუთნებოდნენ და ისე ისხდებოდნენ გვიანობამდე.

თავისებურად მომხიბლავი სურათია, სითბოს რომ გიღვრის გულში მის შემყურეს: რეზო ჭეიშვილი ოტია იოსელიანის ძველ ტანსაცმელში.

სხვა შემთხვევაში ეს შესაძლოა სიმბოლურ სურათადაც აღგვექვა – ვიცით მწერლები, ნასხვისარ სამოსში გამოწყობილნი, სულაც იმ სამოსის პატრონებზე მეტი პოპულარობაც რომ უშოვნიათ. და ასეთ დროს სიცივე თუ

აიძულებდათ მასპინძლის ტანსაცმელი მოერგოთ, როგორ არ გაგღიმებოდა: თითქოს ლიტერატურული ზეგავლენა გარეგნულადაც გამოხატულაო.

ამჯერად სულ სხვა განცდა გიპყრობს ამ სურათის მხილველს, რაკიღა თავთავისი სტილისტიკა და ხედვა აერჩიათ რეზო ჭეიშვილსაც და ოტია იოსელიანსაც, მხატვრული მანერის თვალსაზრისით საერთოს რომ ვერა ჰპოვებდი მათ შორის; და თუ მომავალი მკვლევარი აღნაგობის მხრივ მიამსგავსებს ამ ორ ავტობიოგრაფიული ყაიდის რომანს ნოველებად – ერთისა „მუსიკა ქარში" და მეორისა „ჩემი ასავალ-დასავალი" – ამაოდ ნუ დაშვრება მათ შორის გავლენის ძიებაში, დამოუკიდებლადაა მიგნებული ორივეგან ეს კომპოზიციური სტრუქტურა, იდუმალი კარნახი ერთისთვისაც და მეორისთვისაც გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე" რომ შეიძლება ყოფილიყო, ყრმობის მოგონებათა ეს მომხიბლავი აკიდო თავის მხრივ შთაგონებული რომ იქნებოდა ოთარ ჩხეიძის „ჩემი სოფლის ეტიუდებით".

სხვა რამ ექნება აქ საძებარ-საჩხრეკი იმ მომავალ მკვლევარს, თუმც იმ იდუმალი სათავის წყალობით შობილი სამივე თხზულება ორიგინალურ მიღწევებად რომ გაფორმებულა, ეს ამთავითვე შეიძლება ითქვას და კვლევა-ძიება მხოლოდღა დაადასტურებს ამ დაკვირვებას, ფსიქოლოგიური და პირწმინდად მხატვრულ-იდუმალებრივი თვალთახედვით კი ამგვარი შესწავლა აუცილებელიც შეიქნება; და ცხადია იმ მომავალ მკვლევარს არ გამორჩება, რომ ამ რკალში უნდა მოექცეს ნაირა გელაშვილის „სარკის ნატეხებიც", რომლის გაუთვალისწინებლადაც ასევე წარმოუდგენელი იქნება ამერიკულად სახელდებული რომანის ამ ქართული ნაირსახეობის სრულყოფილი გააზრება.

ირაკლი აბაშიძის იუბილეს აჩვენებდნენ 1979 წლის 24 ნოემბერსა და მეორე დღესაც: ერთ დღეს ერთ ნაწილს და მეორე დღეს – მეორეს. მთავრობის დონეზე იქნებოდა დადგმული და მაინც კარგად და თბილად ჩატარდებოდა. ასეთი რამ ბევრს არ ღირსებოდა თავის სიცოცხლეში. თუმც ესეც აშკარა გახლდა: თანამდებობის გამო უფრო გადაუხდიდნენ, ვიდრე შემოქმედებისათვის.

როგორ იხსენიებდნენ: პოეტი-აკადემიკოსიო?

პოეტი-გენერალი უფროაო, – ეღიმებოდა რეზო ჭეიშვილს და აგონდებოდა, რომ ასეთი გენერლები საკმარისზე მეტნიც იყვნენ XIX საუკუნეში. თუნდ... გიორგი ჭალადიდელი. თუმც არა, არა – იგი ხომ პოლკოვნიკი გახლდათ. ნამეტანი კი მოეჩვენებოდა, მაგრამ ამ მხრივ კი, გენერლის ჩინით, ირაკლი აბაშიძე ალექსანდრე ჭავჭავაძისთვისაც შეიძლება შეგედარებინა.

ქვეტექსტი გამჭვირვალეა:

ის – ახდილი გენერალი იყო, ეს – ფარული, თუმც გარკვეულ დრომდე, საბჭოთა კავშირის დანგრევა ირაკლი აბაშიძის ფარულ გენერლობასაც რომ ამოატივტივებდა მზის სინათლეზე და ყველასათვის საცნაურს გახდიდა.

ირაკლი მთელი ცხოვრება არსებულ წეს-წყობილებას რომ ემსახურებოდა, ამას კი ჩაინიშნავდა დღიურში რეზო ჭეიშვილი, მაგრამ დასძენდა: საერო საქმეებსაც აკეთებდა შესაძლებლობის ფარგლებში, დაშვებული

ნორმების მიხედვითო. ბევრს ესეც არ გაუკეთებია და ირაკლის მოღვაწეობაც დასაფასებელია ალბათო.

„ალბათ“ იმიტომ, მაინც რომ ეეჭვება მისი ერისკაცობისა – თუნდ შესაძლებლობის ფარგლებსა და დაშვებულ ნორმებში. ირაკლი აბაშიძის სახელთან უპირველესად რუსთველის დაბადების 800-წლოვანი იუბილის გადახდას აკავშირებდნენ, სინამდვილეში პავლე ინგოროყვასათვის რომ გამოეცლია ხელიდან ჩვეული ხვანჯების მეშვეობით, თანაც ისე შეებურა, ცოტას თუ შეეტყო სიმართლე. აგერ რეზო ჭეიშვილისთვისაც უცნობი დარჩენილიყო, თორემ „საერო საქმეებსაც აკეთებდაო“, ამას როგორ ჩაწერდა, და კიდევ: „ირაკლის მოღვაწეობაც დასაფასებელიაო“. მაინც თავს რომ იზღვევს: „ალბათო“.

პირადად არ იცნობდა. მისი საქმე და შემოქმედება თუ არ აღაფრთოვანებდა, არც აღიზიანებდა. როგორც ეუბნებოდნენ: პირად ურთიერთობაში მომხიბლავი პიროვნება ყოფილიყო.

ეს საიუბილეო საღამო კი მაინც კარგი იქნებოდა.

ნოდარ დუმბაძესთან კიდეც რომ გაიცნობდა პირადად, საგურამოს აგარაკზე, და ირაკლი ძალიან მოეფერებოდა, ამასაც ეტყოდა: ქუთაისში წამიყვანეო.

რა რეზოს წაყვანა სჭირდებოდა, მაგრამ ასეც გამოხატავდა მისადმი პატივისცემასაც, მეგზურად რომ დაიგულებდა.

და აი 1984 წლის 4 აპრილს ბანკეტზე რომ მოხვდებოდნენ ერთად, ირაკლი გაუმეორებდა:

– ხომ შევთანხმდით ნოდართან, ქუთაისში უნდა წაგეყვანე. აწი მაინც წამიყვანე.

ეს გაოცდებოდა: საიდან გაიხსენაო? – თქმით კი მიუგებდა:

– როგორ არ წაგიყვან, ჩემი წაყვანა რომ გჭირდებოდეს.

გაიცინებდა ირაკლი:

– აბა 7 აპრილს მივდივარ და შენ წამომყევი.

შეატყობდა: გულგარეთ, ტყუილად მეუბნება ცხადიაო.

და მართლაც: აღარც ის დაუწყებდა ძებნას სამი დღის თავზე და აღარც ეს მოიკლავდა თავს. ისე თავი რომ გამოეღო რეზოს, ის გაიხარებდა და ძალიანაც გაიხარებდა, რეზო ჭეიშვილთან ერთად თუ გამოჩნდებოდა ქუთაისში. სულ უფრო და უფრო იზრდებოდა რეზოს გაელენაც და ავტორიტეტიც, მოუსყიდავი მწერლის სახელიც ექნებოდა დამკვიდრებული უკვე და სახეირო შექმნილიყო პოეტი-გენერლისათვის მის გვერდით დგომა.

იმისთვის კი სახეირო გახლდათ, მაგრამ... ამისათვის?..

შეატყობდა ირაკლი აბაშიძე, ადვილად რომ ვერ მოხდებოდა მათი დაახლოება, ანკესს კი გადაგდებით გადაუგდებდა – თუ მიიზიდავდა, ხომ კარგი, თუ არადა შეეგუებოდა თავის ყოფას, მაინც რომ ეიმედებოდა ახალი აკაკი წერეთლობაც და დაქადნებით გახედავდა ხოლმე მთაწმინდას: ნუთუ უნდა გამიძნელდეს მანდ ამოსვლაო?!.

რეზო ჭეიშვილის სატირულ ნოველაში – „მიწების განაწილება“ – აკი გარანტირებულიც ექნებოდა წმინდაგორა ირაკლი აბაშიძის პროტოტიპს ააქ-

ცენტი გამრეკლიძეს, მაგრამ ყოფითი სინამდვილე რაღაც უფრო მკაცრი და ბუნდოვანი მოჩანდა და წინასწარ ვერავინ დაგაიმედებდა...

მთაწმინდა ნოდარ დუმბაძისათვის შეგულებულიყო?

დაიტევდა ერთსაც, მეორესაც, მთავარია ედუარდ შევარდნაძესთან თითქოსდა სასიკეთოდ შემოტრიალებული ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავებულიყო მართლა და მართლა ამ იუბილეთი ხომ არ გადაატარებდნენ?!..

საწყალი იოსებიო, – შეიცოდებდა ნონეშვილს 1980 წლის 24 ოქტომბრის ჩანაწერში. შაბათს გურჯაანში იქნებოდნენ. იქ იმხიარულებდა და იაქტიურებდა, როგორც ყოველთვის. ბევრს არ დალევდა. ავტობუსშიც მიაძალებდნენ, მაგრამ არ შესვამდა. ჭიქას დაიჭერდა ხელში, სადღეგრძელოს იტყოდა და უკან დააბრუნებდა. ნამდვილად ასე გახლდათ.

არასოდეს მწერლებთან ერთად ასეთ კოლექტიურ ღონისძიებებზე არ დადიოდა რეზო ჭეიშვილი, მაგრამ იმ დღეს ჯანსუღ ჩარკვიანს ვერ გაუტეხდა ხათრს. კარგ და მშვენიერ დღეს დააღამებდნენ. საღამოს მოწვიმდა. რიგრიგობით ჩამოვიდოდნენ ავტობუსიდან წვიმიან ქალაქში. იოსები სად ჩავიდოდა? მგონი „ივერიასთანო“, ასე დაამახსოვრდებოდა. აკიდოსა და ჩხას არ აიღებდა: მე მაქვს, ჩემიც მეყოფაო. დანარჩენები ყურძნიანად ჩამოდიოდნენ და მანქანებს აჩერებდნენ. რეზო მარტო წამოვიდოდა. ფილარმონიასთან ჩაჯდებოდა შავ „ვოლგაში“.

გუშინწინ, არა – გუშინ ეტყოდნენ: იოსებს იმსაღამოსვე სისხლი ჩაექცაო. დღეს იტყოდნენ: ძალიან ცუდად, უგონოდ არისო.

11-ში დაასაფლავებდნენ.

ბევრი ხალხი იქნებოდა, მწერლები, მთავრობა.

ფეხით წამოასვენებდნენ რუსთაველის თეატრიდან და ხალხი, მათ შორის ამ დღიურის ავტორიც, დიდუბის პანთეონთან საათნახევარს ელოდა. ელოდა მთავრობაც, მთლად პირველის – ედუარდ შევარდნაძის – მეთაურობით. მის ჯავშნიან მანქანას ჩამოაყენებდნენ და ხალხი მანქანას შემოეხვეოდა. მიცვალებულის მომლოდინე რიგი შეთხელდებოდა.

მოეწონებოდა, რომ პოეტს, რომელიც თავის თავს მგოსანს ეძახდა, ასეთ პატივს მიაგებდნენ. ბავშვებიც ეყოლებოდათ მოყვანილი. ერთი იკითხავდა კიდეც: ნონეშვილი ქალია თუ კაციო?..

გაიმართებოდა და უფერულად ჩატარდებოდა სამგლოვიარო მიტინგი. მწერალთა სახელით სიტყვას ხუტა ბერულავა წარმოთქვამდა, ერთადერთი კაცი ალბათ, ვისაც იოსები ვერ იტანდა. წინა დილით, ვიდრე ცუდად გახდებოდა, გურჯაანში რეზოს თანდასწრებით იტყოდა: მაგ კაცის სახელს აქ მაინც ნუ მიხსენებთო.

რაღაც გამონაკლისი კი არ მოხდებოდა: ხუტა ბერულავა იოსებ ნონეშვილის მთავარ დამტირებლად – ასეთი სცენა მანამდეც და შემდგომაც არაერთხელ გაიმართებოდა. ოღონდაც მთავრობას წაჩხეროდნენ თვალში და რას დაგიდევდნენ, თვითონ თუ სძულდათ მიცვალებული და იმასაც ესენი – არანაკლებად, ეს თავგამოდებულნი დაკა-დაკაშიც ჩაებმოდნენ: არა მე და

არა მეო!.. ამჯერად ხუტა ბერულავას ჩამოეტოვებინა სხვები და მას მიედევნებინა „კურცხალი" განსვენებულისათვის, რომელიც ყველასთან რიგდებოდა, ამ „მთავარი ჭირისუფლის" გარდა...

1981 წელიც ჩამოდგებოდა და როგორ არ ჩაენიშნა უჩვეულოდ თბილი დეკემბრის ჩათავება. ბევრჯერ ახსოვდა ამ დროს თბილი ამინდები, მაგრამ ამისთანა მზიანი – არასოდეს.

ყოველთვის რომ აინტერესებდა, რა ხდებოდა ასი წლის წინათ, ახლაც ჩაუკვირდებოდა.

მიხეილი, პაპამისი, 11 წლისა იქნებოდა. მომღერალი იყო და: ალბათ დადიოდა საყდარში – კორტხზე რომ იდგა ჯვარისაში – და მღვდელი ან დიაკონი გალობას ასწავლიდა.

რას წერდა ნეტა აკაკი წერეთელი იმჟამად?

გადმოიღებდა მისი წერილების ტომს და ჩახედავდა:

„წაღმა-უკუღმართს რომ იტყვიან, სწორეთ ეს 1881 წელია. გინდ წინიდან წაიკითხეთ, გინდ – უკნიდან, მაინც ერთი და იგივე რიცხვი გამოდის, გინდა ორი თავი აქვს, გინდა ორი ბოლო, გინდა წინა აქვს თავი, გინდა უკან, მაგრამ ერთსა და იმავე დროს კი უთავბოლოა!.. და თუ ის მართალია, რომ ახალ წელს დაკვებება იცისო, თქვენი მტერი, მთელი წლის განმავლობაში ჩვენ უთავბოლობა დავგჩემდეს!

მაგრამ ან კი რაღა დაგვჩემდება, რომ დაბადებიდანვე უთავბოლობა თან დაგვდევს".

ასი წლის წინანდელი დღე უთავბოლობას მიანიშნებდა აკაკის.

ამდაგვარი რიცხვი ამ საუკუნეში ათი წლის შემდეგ შედგინდებოდა: 1991.

და იმედს გამოთქვამდა რეზო ჭეიშვილი:

ეგებ დარჩენილმა წლებმა წაღმართიანად და თავბოლოიანად ჩაიაროსო.

რას წარმოიდგენდა, რომ ეს წელი – 1991 – განსაკუთრებული შეიძლება აღმოჩენილიყო საქართველოს ისტორიაში:

საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის გამართვითა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით: 31 მარტს.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებით: 9 აპრილს.

პირველი პრეზიდენტის არჩევით: ზვიად გამსახურდიასი, 26 მაისს.

და...

სახელმწიფო – უფრო ზუსტად: სამხედრო-გადატრიალების დაწყებით: 22 დეკემბერს.

აკი მაინც უთავბოლოდ მოჩანდა ამგვარი წელიწადი, წაღმა-უკუღმართს რომ იტყოდნენ... იტყოდნენ რა – უთავბოლობა დაბადებიდანვეც რომ დაგვჩემებოდა, და აკაკი მხოლოდღა გააცხადებდა ამ ფარულ დრამატიზმს...

3 იანვარს უნებლიეთ წამოუტივტივდებოდა, როგორ გადაუხდიდნენ კორნელი კეკელიძეს დაბადების 80 წლისთავს ოპერის თეატრში. რეზო სტუდენტი იქნებოდა მაშინ თუ ახალდამთავრებული? ზუსტად ვეღარ მოეგონებინა, იმას კი რა დაავიწყებდა, როგორ გამოვიდოდა ბოლოს ეს ამხელა მეცნიერი და... სულ პარტიასა და მთავრობას იძახებდა.

„კვდება და რაღას გამოელის ან ერთისგან, ან მეორისაგან?!."

მართლაც მალე გარდაიცვლებოდა.

ახლა 80 წელი ჩვეულებრივი ამბავი რომ გამხდარიყო, მაშინ – დიდი დრო არ გასულიყო მას შემდეგ, მაგრამ მაინც – 80 წლისა არისო, კაცზე რომ იტყოდნენ, აღტაცებას ვერა მალავდი.

აკაკი შანიძეს 90 წლისთავს რომ გადაუხდიდნენ სამი წლის წინათ?

გამოვიდოდა და... შევარდნაძისა და ბრეჟნევის გარდა არ იტყოდა არაფერს.

ხალხს ცივ წყალს გადაასხამდა.

რეზოს ეჭვიც არ ეპარებოდა:

ერთი რომ ეთქვა: ქართულ ენას გაუმარჯოსო! – ხელში აიტაცებდნენ.

და გულმტკივნეულად დასძენდა:

ადამიანის სულმოკლეობას საზღვარი არა აქვსო!..

ამათ რომ ეს ემართებოდათ, თვით კორნელი კეკელიძესა და აკაკი შანიძეს, სხვისათვის რაღა უნდა მოგეთხოვა...

ახლა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მთავრობის გულის მოგებაში: ჯანსულ ჩარკვიანი, მორის ფოცხიშვილი, შოთა ნიშნიანიძე და ნოდარ დუმბაძე რასაკვირველია... და ამ ბრძოლაში – რაც საკმაოდ უჩვეულოდ და უცნაურად მოეჩვენებოდა რეზოს – ჩაერთობოდა ეროსი მანჯგალაძეც.

„ამას რაღა უნდა, ვერ გამიგია, თავის საქმეს მიხედოს, არ ჯობია?!"

ამ დაწინაურებულ ოთხეულს რა: თავიანთი საქმე არა ჰქონდათ?

მაგრამ ეს შეჯიბრიც, ეს ბრძოლაც საქმედ ექციათ უკვე და უპირველეს საქმედაც და რეზოს ეროსი მანჯგალაძე ენანებოდა ამ ჭიდილისათვის: ეს მაინც ნულარ... ამან მაინც იცოდეს თავისი საქმე, მხოლოდ მსახიობობაზე იფიქროსო.

ჯანსული ნოდარს ეჯიბრებოდა – აშკარად და უშედეგოდ.

ნოდარი საზღაურსაც იღებდა.

ჯანსულს ჩინ-მედლებსა და ტემლაკებსაც არ აძლევდნენ ჯერჯერობით, თუმც ყოველგვარი სიკეთით სარგებლობდა და ამითაც კმაყოფილი გახლდათ.

ბოლოს რას მოიპოვებოდნენ – გამოჩნდებოდა.

ცოტა ხანი დაველოდებიო, – რაღაც სასეიროს მოლოდინში იქნებოდა რეზო ჭეიშვილიც.

15 ნოემბერს, კვირადღეს ისადილებდნენ ახალ რესტორანში – „ქალაქური". დამიანე ალანიას სუფრა იქნებოდა მაღალ დონეზე. ცალკე ისხდებოდნენ. დღე – მშვენიერი, მზიანი. თამადად – მუხრან მაჭავარიანი. საპატიო სტუმრად – კოლაუ ნადირაძე – 87 წლის კაცი, მათსავით რომ დალევდა, ის კი არა: ორ ჭიქას – ზედმეტსაც დასაწყისში.

თამადა სთხოვდა: ნუ იზამთო, – მაგრამ კოლაუ არ დაიშლიდა. მუხრანი გაიკვირვებდა: ახლა რას შვები და ადრე რას იზამდიო. ბოლოში კი ჩათვლემდა და დღიურის ავტორს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა: მუხრანის ქებასა და ყვირილს ვეღარ გაუძლოო.

მანქანით მიაცილებდნენ. თავისი ფეხით შევიდოდა შინ, და გაოცებით გაოცდებოდა რეზო ჭეიშვილი: არც ყურს აკლია, არც თვალს, არც ჩაჩაჩული არაფერი, არც გულჩვილობაო.

მის დიდ გზას შეაფასებდა, როგორც: პატიოსნად, სუფთად გამოვლილს.

ბევრის მომსწრესა და მნახველს ყველაფერი ახსოვდა. ეგაა – სახელი, ავტორიტეტი და ფული ვერ ეშოვნა. რაც ეკუთვნოდა, ისიც ვერ მიეღო. არადა სხვაზე ნაკლები პოეტი არ ყოფილიყო, განათლებით სხვებს კიდეც აჭარბებდა რუსულისა და სხვა ენების მცოდნე. რუს პოეტებთან პირადი ნაცნობობაც აკავშირებდა. ფიზიკურადაც ძლიერი გახლდათ, შემტევი ბუნებისა და... მაინც ასეთი დაუფასებელი?

ნეტა რაში იყო საქმე?

ამას ძნელი ასახსნელი ეჩვენებოდა!..

თავისი თავის ყადრი არ იცოდა და ამიტომ?

არადა ამასაც ვერ იტყოდი.

უნიჭო ამფსონები ცოტა სახელს გაუტეხდნენ?

ერთ-ერთ მიზეზად ამასაც ივარაუდებდა, მაგრამ მარტო ამის ბრალი რომ არ შეიძლება ყოფილიყო კოლაუ ნადირაძის ასეთი დაუფასებლობა, ეს ხომ აშკარა გახლდათ.

10 ივლისს, 1983 წლისა, კოლაუს მოგონებას წაიკითხავდა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე: ერთად ვსწავლობდით მე და მაიაკოვსკი, ვმეგობრობდითო.

და ეს უპირველესად ამას გაიფიქრებდა: მათუსალას ხნისა გახდება მალე, ღმერთმა კარგად ამყოფოსო.

იმ კვირას, დღეისსწორს, სულაც დაეთრო სუფრა, ისე ესვა. – როგორც ჩვენო, – იორამ ქემერტელიძე ეტყოდა. მეორე დღეს ელდარ კერძევაძე წაიყვანდა შინ და იქაც არ მოკლებოდა ღვინო.

9 მარტს, 1982 წლისა, „წყნარ დონს“ ჩაუჯდებოდა, ნობელის პრემიაც რომ რგებოდა ამ ვეება რომანის შექმნისათვის მიხაილ შოლოხოვს. მესამე-მეოთხე წიგნები იქნებოდა თითქოს, თითქოს კი არა, ასე ნაკლებ საინტერესო გახლდათ. თუმც საჩქაროც რა უნდა ყოფილიყო – ჯერ ბოლომდე არ გასულიყო. წაკითხვით წაეკითხა რუსულად, ახლა გადაკითხვისათვის მოეცალა. დიდი ტილო გახლდათ, თუმც ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ: „ომი და მშვიდობის“ გარეშე ეს ნაწარმოები ვერ შეიქმნებოდა.

დასაწყისს, პირველ წიგნს – ყოველთვის ასე ემართებოდა – რაღაცნაირად სიბრტყეში ხედავდა. პანორამასავით მიჰყვებოდა სურათი სურათს...

მდინარე დონი ჰქმნიდა ალბათ ამ განწყობას. ფერადი თევზი, საზანი, მიჰქონდათ გასაყიდად, რაღაც ბაზრობა, ჭრელად, წითლად ჩაცმული ხალხი...

ვერ გრძნობდა ვერა თავს კარგად, ვერ მოკეთებულიყო. ყური სტკიოდა, ბავშვობისდროინდელი საყმაწვილო სენი თუ გაუხსენებდა. უნდა დაესვენა ან სულ უნდა წასულიყო ამ სახლიდან.

უსიამოვნება კვლავ და კვლავ...

სამარისაკენ მიმაქანებენო, ასე ეგონებოდა.

როგორ უნდა ჰქონოდა დაცემული, წამხდარი გუნება, რომ საბეჭდ მანქანას სავარჯიშოდაც ვერ მიკარებოდა.

მუშაობდა მაინც, მძიმედ მიიწევდა წინ, მოთხრობას „ლიბრეტოები" ათეთრებდა ნელა, უხალისოდ, კარგი რამ გამოდიოდა, ატყობდა, თორემ საერთოდაც ვერ მიეკარებოდა... და თუ ვინმე, ისევ რუსთველი უნდა შემოშველებოდა: ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონებაო.

ჩაამთავრებდა „წყნარ დონს" და:

ძლიერი ნაწარმოებია რაღა ლაპარაკი უნდა, ერთიანია და მთლიანიო.

და უკვირდა: როგორ გაპარვოდათ „ამგნებს" ეს ნაწარმოები – საშინელი საბრალდებო დოკუმენტი რევოლუციის უაზრობაზე, სისასტიკეზე, რუსეთის დაღუპვასა და დაქცევაზე...

10 მარტის ღამეს ორი გვერდიღა დარჩებოდა გადასაწერი, გადაშლიდა „ვეფხისტყაოსანს": ნეტა რა ადგილი მომხვდებაო, – და: არას გარგებს შეჭირვება, რომ სჭმუნვიდე, რა გერგების! არ თუ იცი, უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდების? მზისა შუქთა მომლოდინე, ვარდი სამ დღეს არ დაჭკნების, ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდებისო.

მიხაილ შოლოხოვი კი 1984 წლის 21 თებერვალს რომ გარდაიცვლებოდა და ზეგისათვის გადაწყვეტდნენ მის დასაფლავებას, რეზო დღიურში ჩაინიშნავდა:

ასეთი ყინვიანი ამინდები რომ არ იყოს, ნამდვილად წავიდოდიო.

როსტოვს იქით იყო თუ აქეთ, აღარ ეხსომებოდა. მთავარი გზიდან ასიოდე კილომეტრი აშორებდა იმ სტანიცას.

ნეკროლოგში „ველიკი პისატელს" რომ უწოდებდნენ, ეს თავისთავად კი არ მოხდებოდა: ბევრს იმსჯელებდნენ და დაადგენდნენ ბიუროზე ალბათ.

ივარაუდებდა რეზო:

კაცად არ ვაგოდა, როგორც ვატყობ, თორემ ის წიგნი ძლიერია აშკარადო.

დიდი სახელიც რომ მოეპოვებინა, შენახვით კი ვეღარ შეენახა ეს სახელი და...

რაღაც სიბინძურეებზე მოეწერა ხელი.

ვიღაცების დახვრეტა რომ მოეთხოვა, ეს ნამდვილად ახსოვდა რეზო ჭეიშვილს და გაკვირვებით უკვირდა: ეს როგორ, მწერალმაო?

ჯერ მწერალმა და მერე მთლად დიდმა მწერალმა დახვრეტა მართლაც როგორ უნდა მოითხოვოს, არა?

მაგრამ... თუკი ხელში ეჭირებოდა საიდუმლო სამსახურს შოლოხოვიც და გასაქანს არ მისცემდა?

ხელში ასე განა როგორ შეიძლება ჩაეჭირათ, რისი გამჟღავნებით შეაშინებდნენ და დააშანტაჟებდნენ?

მსოფლიო რომანის ავტორს, ნობელის პრემიის ლაურეატს განა საიდან დაუვლიდნენ ასე?

„წყნარი დონი" მსოფლიო რომანად როგორ არ ელიარებინათ, მაგრამ... მართლა ამისი თუ გახლდათ – მიხაილ შოლოხოვის?

იმთავითვე მისი სახელით გამოდიოდა და...

მისი სახელით კი გამოდიოდა, მაგრამ...

რა უცნაურ დრო-ჟამს მოეწია, ამ მხრივაც ეჭვის ქვეშ რომ დადგებოდა და საფუძვლიანი ეჭვის ქვეშაც ზოგიერთი მწერალი: რუსეთში – მიხაილ შოლოხოვი, საქართველოში – ჭაბუა ამირეჯიბი...

რაო, ხმებს უყრიდნენ მეტოქენი და მოშურნენი თუ...

არა, დახვრეტაზე ხელი როგორ უნდა მოეწერა მწერალს, რომელსაც ჯერ მარტო ხელობა ავალებდა და ავალდებულებდა, სიკვდილით დასჯის სასტიკი მოწინააღმდეგე ყოფილიყო... და სიბინძურეებზე ხელმოწერით როგორ უნდა გაგემეტებინა ამხელა სახელი?!.

მის დაკრძალვაზე დასწრებას რეზო ჭეიშვილს მხოლოდ ყინვიანი ამინდები უშლიდა თუ?..

1986 წლის 14 დეკემბერს რომ გადაათვალიერებდა მიხაილ შოლოხოვის თხზულებათა XII ტომს და წაიკითხავდა ერთ-ორ მოთხრობასა და რამდენიმე ნაწყვეტს რომანის ნაწყვეტებიდან... ნიჭიერი კაცის დაწერილს ვერ მიამგვანებდა ვერცერთს.

და შეფიქრიანდებოდა ამ აღმოჩენით გაოგნებული: შეიძლება მეშლებაო.

„წყნარი დონის“ ავტორს ეს როგორ უნდა მოეხერხებინა, რომ – თუნდ სუსტ მოთხრობაში – ნიჭის ნატამალიც არ გაერია?

მსოფლიო ლიტერატურამ არ იცის ამგვარი უკიდურესობანი, რადგანაც არამცთუ დიდი, თვით თვალსაჩინო მწერლებიც ყველგან და ყოველთვის ინარჩუნებენ თავს, გრძნობ, რომ მისი დაწერილია და არ გამოუვიდა. მაგრამ... სრულიად ვერ იგრძნო მისი ხელწერა?

აქეთ „წყნარი დონი“ და იქით – ეს ყოვლად უბადრუკი ნაწერები.

და ეს ვისი თვალით, რეზო ჭეიშვილისა, რომელიც ასერიგად მოხიბლული გახლდათ იმ ვეება რომანით. და ახლაც ამ მოთხრობებსა და რომანის ნაწყვეტებში კალმის მწერლურ მოქნევას ელოდა და წინასწარვე ტკბებოდა, რა სიამოვნება მოელოდა.

და მოულოდნელად: ასეთი მწარე იმედგაცრუება.

არ ახსენებს იმ ეჭვს – და საფუძვლიან ეჭვსაც – მიხაილ შოლოხოვს სულაც რომ არ მიიჩნევდნენ იატაკქვეშეთში „წყნარი დონის“ ნამდვილ ავტორად – მხოლოდ გადამწერად და ალაგ-ალაგ წამხდენადაც, რაკიღა თეოდორ კრიუკოვის – ნამდვილი ავტორის – ნაწერში უხეშად ჩაეტანტრა ხელი, რათა თავისი კვალიც დაეჩნია და როგორმე შეერბილებინა თეთრგვარდიელი მწერლის საბრალდებო დასკვნა რევოლუციის უაზრობასა და სისასტიკეზე, რუსეთის დაღუპვასა და დაქცევაზე.

დააჩნევდა კიდეც – ყველა მისი ინტერპოლაცია იმ ლიტერატურული ღირებულებისა იქნებოდა, ნიჭიერი კაცის დაწერილს რომ ვერ მიამგვანებდი, სამაგიეროდ ალიკვალად გამოჩნდებოდა შოლოხოვის სხვა ნაწერებისა, ზოგს მოთხრობას რომ დაარქმევდა და ზოგსაც რომანს, მაგრამ ბევრიც გეძებნა და სანთელიც მიგეშველებინა, ნიჭის ნატამალსაც ვერ იპოვნიდი შიგ.

„წყნარ დონს“ კი რეზო ჭეიშვილი მთლად „ომი და მშვიდობის“ დონეზე თუ არ აზიდავდა, მაინცდამაინც არც ნაკლებად მიიჩნევდა.

წამგებიანი და ძალიან წამგებიანიც აღმოჩნდებოდა შოლოხოვის სახელისათვის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა.

სიცოცხლეში არც მოინდომებდა გვერდი-გვერდ „წყნარი დონისა“ და იმ ნაკალმარის დაყენებას, ის კი არა, შესაძლოა კიდეც განეცხადებინა: ამ რომანის გარდა ყველა ჩემს ნაწერზე უარი ვთქვიო.

რაც შენია, იმაზე უარი რომ თქვი და ამ სხვის რომანს იმეორებ და იმეორებ შენი სახელით, ეგ როგორი რა არისო, – პირში არავინ მიახლიდა, თუმც დაბეჯითებით კი ამტკიცებდნენ ამ აზრის უეჭველობას დისიდენტურ წრეებში.

ხოლო 1982 წლის 17 მარტს რომ მოინახულებდა გურამ ასათიანს საავადმყოფოში, ხომ იცოდა, როგორც იყო, მაგრამ ასეთს თუ ნახავდა, არ ეგონა – ძალიან, ძალიან არ მოეწონებოდა. არადა ის მაინც ხუმრობდა და ყოჩაღობდა.

და დადგებოდა წუთისოფლის მდურვის გუნებაზე რეზო ჭეიშვილი:

რატომ უნდა არგუნო გონიერ არსებას ასეთი სატანჯველი?! რამდენად ბედნიერია ცხოველი, ძაღლი, თუნდ ქათამი... ადამიანს, გონიერ არსებას, რწმენა დააკარგვინეს თუ თვითონ დაკარგა? ამას იქით აღარაფერი აღარაა, არ არის სულო, უნდა იჯდეს და ელოდოს – თუ არ არის – აღარაფერსო?!.

ფუიო! – თავს ვერ შეიკავებდა.

ტელევიზიიდან სწვეოდნენ გურამს: სიმონ ჩიქოვანზე გადაცემას ვაწყობთ და თუ რაიმეს იტყვი, თუ გამოხვალ, ან რაიმე გამოგვიგზავნეო, – და მოულოდნელად გამხიარულდებოდა გადადებული ავადმყოფი: ვერაფერს გამოგიგზავნით და ვერც ეკრანზე გამოვალ, მაგრამ თუ რაიმეს დამაბარებთ ან გამატნევთ, წავუღებო.

რეზოსთან სიმონ ჩიქოვანის იუბილესა და ქუთაისსაც მოიგონებდა.

– შენ ჯეელი ხარ ჯერ, – ეტყოდა.

– რაღა ჯეელი, დავბერდი, – თავისას შესჩივლებდა რეზო, – დიდი-დიდი ხუთი წლით იქნები ჩემზე უფროსი...

– ეს ხუთი წელი იცი რამდენს ნიშნავს!

წლებს ითვლიდა და ანგარიშობდა, როგორც ჩანდა.

სიმონი რომ კვდებოდა, გურამის მამას ახსენებდა: ლევანი ამდენი ხნისა იყოო.

ახლა გურამი ახსენებდა სიმონ ჩიქოვანს.

და რეზო ჭეიშვილი სასწაულის იმედადღა იქნებოდა: იქნება იმან გამოაკეთოსო!

სად იყო სასწაული, თორემ...

და 2 ივლისს მისი გარდაცვალება უნდა ჩაენიშნა დღიურში გულმოკლულს.

ალექსანდრე ქუთათელს რომ გაასვენებდნენ 20 მაისს მწერალთა სახლიდან, ხალხი ცოტა იქნებოდა. ატმოსფერო – არაფრისმთქმელი, გულგრილი.

მწერლების თავმჯდომარე – თავგადახოტრილი. და ჭეიშვილური ჩაღიმილებით: ვერ იტყოდი, მთლად უეფექტოო, შეიძლება პირიქითაცო.

მაგრამ სხვა პერსონაჟი – ჯანსუღ ჩარკვიანი – გამოვიდოდა ქუჩაში:

– შემოდით, იქ დადექით.

ვიღაც ეტყოდა:

– მე არ შემიძლია, მეცინება.

და ხვეწნას დაუწყებდათ:

– ვისაც არ გეცინებათ, ისინი შემოდით.

სერგო კლდიაშვილი იჯდებოდა მარტო დარბაზში მიცვალებულთან. იჯდებოდა უყურადღებოდ, არა ისე, როგორც მიტოვებული და უპატრონო, არამედ: რაღაც არაფრისმთქმელად, არასაინტერესოდ.

იქიდან „წიგნის სახლში“ წამოვიდოდა რეზო, ანზორ აბულაშვილის საღამოზე.

კოლაუ ნადირაძეს დაინახავდა, კუკური გოგიაშვილს ელაპარაკებოდა. ამას გაუკვირდებოდა: რატომ გასვენებაში არ არისო?! ამხანაგები უნდა ყოფილიყვნენ, ერთი თაობისანი.

– მარტო ვერ წავედი, – ეთქვა „პავლოვიჩისათვის“. პენსიის ასაღებად ჩამოსულიყო შემნახველ სალაროში.

„პავლოვიჩი“ იტყოდა:

– წელს თებერვალში სამ ბოთლს სვამდა, ახლა ერთის მეტს ვეღარ დალევს.

წარმოდგენით წარმოიდგენდა რეზო ჭეიშვილი:

გარდაიცვალა მხცოვანი მწერალი.

მგლოვიარე ხალხი.

მოიყვანეს უხუცესი პროზაიკოსი სერგო!

მოიყვანეს უხუცესი პოეტი კოლაუ!

არადა: მსგავსიც არაფერი.

ძველი, გახუნებული პიჯაკი ეცმეოდა კოლაუს და კედელზე იქნებოდა მიყრდნობილი, თვითონაც სახითა და ტანსაცმლით გახუნებული, კედლისფერი. და მთელი დღე იქ რომ მდგარიყო, ერთი კაციც არ მოუხედავდა – პოეტი დგასო.

და ძალაუნებურად წამოაგონდებოდა და შეადარებდა იოსებ ნონეშვილის გასვენებას – რა ამბავი იყოო: მთელი თბილისი საზეიმოდ და სამგლოვიაროდ შეღერებულს ჰგავდა. ჰქონდა ალბათ რაღაც დადებითიო, – გაიფიქრებდა იმ დაკრძალვაზე, თუმც თან შეეჭვდებოდა...

ანზორ აბულაშვილი – აგერ თუნდაც – ყოვლად კარგი კაცი გახლდათ. როგორი პოეტი იყო? რეზომ ეს უკვე აღარ იცოდა და თავისთვის დაასკვნიდა: ალბათ ისეთი, როგორც სხვებიო. ჩუმი, წყნარი, კეთილი, მაგრამ არც მთლად ჩაკეტილი და თავის ნაჭუჭში გახვეული.

საღამომ – და დაწერდა თუ არა ამ სიტყვას, იქვე შეასწორებდა – სუფრამ, როგორც იტყვიან, გულთბილობისა და გულწრფელობის ვითარებაში თუ რაღაც ამდაგვარში ჩაიარა, ღვინო კარგი იყოო.

სხვათა შორის:

დაახლოებით იმავე ხანებში ახალგარედაქტორებული არჩილ სულაკაური ყველა თაობის კრიტიკოსს რომ მოუყრიდა თავს „მნათობის“ რედაქცი-

აში და შეიხვეწებოდა: წერილები მომამშველეთო, – ოტია პაჭკორია საჯაროდ გაიხსენებდა ანზორ აბულაშვილის იმ ლიტერატურულ საღამოს:

– თურმე რა შესანიშნავი ლექსები ჰქონია, არავიზე ნაკლები არა ყოფილა, კლასიკოსებად რომ მოაქვთ თავი და დაიჯგიმებიან. ასეთ ადამიანებს სჭირდებათ სწორედ მხარში ამოდგომა.

თვითონ ვინ უშლიდა ნეტა მხარში ამოდგომას? კლასიკოსებად თვითგამოცხადებულთა გაზვიადებაშიც თუ ვინმეს, მასაც მიუძღოდა საკმაო წვლილი.

დამამახსოვრდებოდა არჩილ სულაკაურის სიტყვები:

– აგერ თუნდ რეზო ჭეიშვილზე იფიქრეთ, სულ სხვა რაღაც რომ დაიწყო, ხომ ყველა ატყობთ, ზედიზედ ეს რა მოთხრობები დაბეჭდა. შეუფასებელი არ უნდა დარჩეს. ის ძველი რეზოც კარგი იყო და ყველასაც მოგვწონდა, მაგრამ ეს მაინც სულ სხვა სიმაღლეა... არა, თუ ვინმეზე, ერთი უპირველესი რეზოზე მჭირდება წერილი.

წამოიძახებდა ერთი, მეორე, მესამე:

– ისედაც ვფიქრობდი... ისედაც ვაპირებდი... ისედაც დავიწყე...

არ დაიხევდა უკან რედაქტორი:

– ყველას დავბეჭდავ, თქენ ოღონდ მომიტანეთ და...

კარგა ხანს არაფერი გამოჩნდებოდა... ძნელი გამოდგებოდა „იმ სულ სხვა რაღაცის" შესაფერისი გააზრება და შეფასება. მოწონება ერთია და აღტაცება, მაგრამ... შესაფერისი კრიტიკულ-ესთეტიკური განსჯა?!.

ახალი ხედვა, ახალი საზომი უნდა მოგეშველიებინა, სალიტერატურო კრიტიკაში შეგექმნა შენც „ის სულ სხვა რაღაც"...

არა სწამდა მანერულობა ხელოვნებაში, ლიტერატურაში – განსაკუთრებით. და კარგა ხანია ფიქრობდა და ფურცელზე კი გადატანით 7 ოქტომბერს გადაიტანდა: მეც ხომ არ შემომეპარა ამდაგვარი რამო. „ჭას" და „კომპოზიტორ ჩირიბერიძეს" აწონ-დაწონიდა ამ თვალით. არც ეფიქრა მანერულობა, მაგრამ მისდაუნებურად ხომ არ გამოსულიყო.

მე-9 ნომერში „ცისკრისა" წაიკითხავდა გურამ დოჩანაშვილისა და ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობებს და: გააოცებდა გურამი, რად სჭირდებოდა ამნაირი რამ, როგორ გინდოდა გაგეგო. ეს ივარაუდებდა: გადახედავს ალბათ ყველაფერს და თვითონვე მიხვდება, სწორ გზას რომ არ ადგასო. ხომ არ აგვიანდებოდა ძალიან ეს მიხვედრა? არც ისე პატარა გახლდათ.

ვერ შეეგუებოდა მის ენობრივ-სტილურ ძიებებს, საკმაოდ მკვეთრსა და ეგებ ძნელად შესაჩვევსაც, მაგრამ ეს სტილური არჩევანი საკმაოდ გაუმართლებდა, ვიდრე მერე და მერე ზღვარს არ გადავიდოდა. მაგრამ რეზო ჭეიშვილისათვის ზღვარში მოქცეულიც მანერულობად და გაუმართლებლად მოჩანდა და უკვირდა: რაღა დროს ამისი ამისთანებიაო!..

ჯემალის მოთხრობისა პირველი ნაწილი დაიბეჭდებოდა მხოლოდ, ინტერესით წაიკითხავდა, თუმც შეგუებით ვერ შეეგუებოდა: სახელმძღვანელოს სტილიაო. რად უნდოდა? ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა რეზოს, რომ იმას სხვანაირად არ შეეძლო. უსუსურობას ფარავდა თითქოს ამ ხერხით. და შეწუხდებოდა ამგვარი დასკვნით: არ მინდა მართალი ვიყოო.

რეზო ინანიშვილსაც გამოექვეყნებინა ლიტერატურულ გაზეთში, ნაკითხული სხვა განცდას რომ ვერ დაუტოვებდა: ისევ ის, იგნივე და რეზოო. როგორ ჩამოვიდოდა ქალი ქალაქიდან მშობლიურ სოფელში. დედასთან შეხვედრა, დეტალები, ზუსტი და მართალი, როგორც ხდებოდა საერთოდ რეზოსთან. და თავისთვის, დღიურში მაინც არ მოერიდებოდა: რაღაც თვითკმაყოფილების ელემენტებიცაა ამ სოფლურ ეროტიზმშიო.

ბადრი ჭოხონელიძის მოთხრობებსაც წაიკითხავდა და: ნამეტანი ცივი მოეჩვენებოდა. ნუთუ ასეთი გახლდათ ნატურით? დიდი პროფესიონალის დამახასიათებელი თვისება კი იყო ეს ნამეტანი სიცივე, მაგარმ ამას რომ ბევრი აკლდა იქამდე?..

ერთი კაციო, – არ გაშიფრავდა მის ვინაობას 6 აპრილის ჩანაწერში, – ჩემზე ორი დღით ადრე ხდება ორმოცდაათის და როგორ აქტიურობს, აქეთიქით აწყდება, ორდენს, მედალს და რას არ ითხოვსო.

თუმც რა გაშიფრვა სჭირდებოდა:

მასზე ორი დღით ადრე რომ ხდებოდა ორმოცდაათი წლისა, გურამ ფანჯიკიძე გახლდათ, და ეს დახასიათებაც სწორედ მას ესადაგება, მის ენერგიულობას ამ მიმართულებით.

„კომუნისტი“ რამდენ სვეტს დაუთმობდა, მართლაც ეცოდინებოდა წინასწარვე.

დავალდებულებითაც ხომ ავალდებულებდა ამას თუ იმას, დაეწერა მასზე მისალოცი წერილი... ექოთ, ედიდებინათ...

თუმც იგი გამონაკლისი სულაც არა ყოფილა და არც რეზო ჭეიშვილს უკვირდა მაინცდამაინც: ასევე იქცევიან დანარჩენებიცო...

საიუბილეო საღამოები ენციკლოპედიაში მოხვედრისაკენ უხსნიდათ გზას. მთლად გარანტიად თუ ვერ ჩაითვლებოდა, დიდი და ღონიერი ნაბიჯი კი უნდა ყოფილიყო – და გახლდათ კიდეც – იქითკენ.

ენციკლოპედიაში ადგილის დაბევება თავის მხრივ დიდი და საიმედო ნაბიჯი იქნებოდა პანთეონში მოსახვედრად – ვინ მთაწმინდისათვის რომ ისწორებდა მხრებს და ვინ დიდუბისაც ყაბულს გახლდათ, თუმც გულდაწყვეტილი: ვინ მარგუნებს, ვინ გაიმეტებს, თორემ მთაწმინდაზე ვითომ ჩემზე უკეთესები წვანანო?!.

თავს შემოუწყრებოდა:

კინალამ გადავყევი ჩემი დაბადების 50 წლისთავის გარგანტუობასო.

ჯერ მცირე სუფრის გაწყობას აპირებდა.

მერე ამასაც გადაიფიქრებდა.

მაგრამ მერე...

გარგანტუობაო – სხვა რაღა ეწამებინა, ექვსი დღე რომ განუწყვეტლივ ისხამდა ღვინოს და შვიდი დღე მოუწევდა წოლა. ანდა პირიქითო – ჭეიშვილურს გამოურევდა.

ამასობაში რვა მაისიც ჩამოდგებოდა. ორი საათი შესრულდებოდა მშვენიერი ღამის. ქვემოთ, ხევში ღამის ფრინველები იჭვრინებდნენ.

გახსენება აღარ უნდოდა არც თავის დაბადების და არც გაჩენის დღისა, ისე იქნებოდა მომსპარი და წამხდარი სულიერადაც და ფიზიკურადაც.

პირველად ამ ღამით მიეკარებოდა თავის საწერ მაგიდას, თუმც წუხელ გვიანობამდე იკითხავდა და შედარებით უკეთ, უწამლოდ დაიძინებდა.

ვერა და ვერ გავარდებოდა ქუთაისში – ამასაც ნაღვლობდა.

ქება-დიდება ბევრი შეხვდებოდა: სიტყვიერი მხოლოდ.

მოლოცვები: მხოლოდ ტელეგრამებით.

როგორ იყო ნათქვამი?

ნამდვილი სხვას, ჩვენ კი მხოლოდ ოცნება და იმედიო.

აღარაფერი აღარ უნდოდა, აღარაფერი.

და წამოაგონდებოდა ის იაპონური მოთხრობა, აბრეშუმის ძაფში რომ გაეხვეოდა კაცი და ბოლოს ოქროსფერ პარკში აღმოჩნდებოდა გამომწყვდეული, და თავის განწყობილებას რომ მიუსადაგებდა, როგორ არ გამოეთქვა მოწონება: რა კარგიაო.

ინატრებდა:

თავის ნაჭუჭში, საიმედო ნაჭუჭში შეეფარებინა თავი და წვიმის შხაპუნისათვის მიეგდო ყური, აორთქლილი, ანისლული, ამწვანებული მთებისათვის ეყურებინა შორიდან, დამბალი მიწის სუნი ეყნოსა და... ყოფილიყო ასე და მხოლოდ ასე, ვიდრე ყოფნა ეწერა...

17 მაისს ლამაზად დახატული აფიშით მიესალმებოდნენ კინოსტუდიაში. დარეკავდა და ჩამოახსნევინებდა ირას, კედელზე გაკრული რომ დახვედროდა, დიდად შეწუხდებოდა. გაუხვევდნენ და გამოატანდნენ. მანქანაში ედებოდა.

19 მაისს ჯანდარაში ითევზავებდა. გიორგი ბაქანიძე თავის და ამის ნადავლს გააერთიანებდა და ძალით გამოატანდა. შებინდებისას წამოვიდოდნენ თავსხმა წვიმაში.

ფისო – სოფიო ჩოხელი – „თბილისს“ დაახვედრებდა და თვითონვე წაუკითხავდა ვახშმობის დროს. კმაყოფილი დარჩებოდა და დამშვიდდებოდა, თითქოს ამ ნომრის გამოსვლას ელოდა. იცოდა – წესით არ უნდა სცოდნოდა – რაც იბეჭდებოდა, ზედმეტი ეჩვენებოდა და ნერვიულობდა.

ისეთი განცდა გაუჩნდებოდა, რომ:

ტარიელ ჭანტურია მისი გულისათვის გადაიკიდებდა ბევრს, ისე მართლა ჭკვიანურად ჩაერთო ნოდარ დუმბაძის სახელი.

ამ მისალოცებით – დღეს ბევრი შეატყობინებდა: წავიკითხეთო – დამთავრდებოდა თითქოს მისი 50 წლის აღნიშვნა და... მუშაობასაც შეუდგებოდა. ბეჭდავდა კარგა ხანს და „ქართული პროზის“ მესამე ტომსაც წაიკითხავდა შიგადაშიგ.

პოსტსკრიპტუმში მიადევნებდა, რომ:

საერთოდ კითხვა ერჩივნა წერას, და ბეჭდვასაც.

ჯერ კითხვა, შემდეგ ბეჭდვა და შემდეგღა წერა – ასე იქნებოდა ყოველთვის.

ვის მოესაჯა: გინდა თუ არა წერით ირჩინე თავიო?

აი დღიურის შევსება კი არ ეზარებოდა, ის კი არა: უხაროდა კიდეც.

ლევან გოთუას რომ ჰკითხავდა ერთხელ – ადრეც ჩაენიშნა, მაგრამ გამეორებასაც რა უშავდა: ბეჭდვა უფრო გეხერხებათ თუ წერაო? – უჰო, – წამოიძახებდა „გმირთა ვარამის" შემოქმედი, – ბეჭდვის დროს ვიტანჯები, თორემ წერას რა უნდა, მიდის კალმისტარი სრიალ-სრიალითო.

25 მაისს შემნახველ სალაროში ქალი დაბადების დღეს მიულოცავდა:

– ახლა პრესის საშუალებით უფრო კარგად გაგიცანით.

საერთოდ თუ იცნობდა, ამას ეს არც ეფიქრა.

შემდეგ ამხანაგ ქალებს მიუბრუნდებოდა:

– თითქმის ყველანი მაისში დაბადებულან – ეს, გელოვანი და ჯანგულაშვილი.

– და გიორგი ლეონიძეც, – ეს ჩაურთავდა შემცბარი, მთლად შეურაცხყოფილიც თუ არა: ვის გვერდით მომახვედრაო.

– ბატონო? – თავსაც არ წამოწევდა ქალბატონი, წერდა რაღაცას და – როგორც ჩანდა – გიორგი ლეონიძის სახელს ვერც გაიგონებდა.

ეს კი იმით დამშვიდდებოდა:

ხვალ შეიძლება ქუთაისში ვდურთო თავიო.

23 მაისს ცოტა არ იყოს შეწუხებული ჩაწერდა:

50-ის ნარჩენები მახსენებენ თავს და არ მასვენებენო.

მილოცვის ბარათს მიიღებდა თავისი პირველი კლასის მასწავლებლისაგან – ციური დონაძისაგან. ეს ის ქალი გახლდათ, ავტობიოგრაფიული რომანის ერთ-ერთ ნოველაში – „რამ შექმნა ყველაფერი" – რომ ჰყავდა გამოყვანილი. შეიძლება არც ჰქონოდა წაკითხული. თუ ტელეფონი ედგა, გადაწყვეტდა შეხმიანებოდა. ახალ წიგნს გაუგზავნიდა წლის მიწურულს აუცილებლად. უამწერილოდაც აპირებდა, განა არა...

ეს მოხდებოდა 1 ივნისს, 3-ში კი ეს სტრიქონები უნდა აღბეჭდილიყო დღიურის ფურცლებზე: ახლა უკვე ბევრი რომ სთხოვდა „მუსიკას ქარში", მაგრამ აღარ გააჩნდა ერთი ეგზემპლარიც კი, თითქმის სულ დაერიგებინა.

21 ივნისს სიკო დოლიძის გასვენებაში რამდენიმე კაცთან ერთად რომ იდგებოდა, რამაზ ჩხიკვაძე მივიდოდა და:

– შენმა წიგნმა „მუსიკა ქარში" მომატარა ლენინგრადი, მომეწონა ძალიან. „მურია მოვკალით" ძალიან განვიცადე.

კიდევ რამდენიმე ნოველასაც გაიხსენებდა და ავტორს გაოცებით გააოცებდა, რადგანაც რამაზისაგან ასეთ რამეს არ მოელოდა. რაც შეეხება იმ ემოციას, თვითონვეც გაურბოდა ხელახლა წაკითხვას, თავიდან არ დამიტრიალდეს ის განცდებიო.

ჯანსუღ ჩარკვიანისათვის ეთქვა, ის ავად რომ იქნებოდა:

– ნუ წაიკითხავ.

გიორგი ნიშნიანიძის მეუღლე რუსულად რომ გაეცნობოდა – რუსი გახლდათ – ცუდად გახდებოდა, სერიოზულად ცუდად, – და რეზო რომ შეიტყობდა, სახტად დარჩებდა, თავდაპირველად ვერ გაიგებდა, თვითონ რა შუაში გახლდათ.

24 ივნისს ოთარ მამფორიასთან ისაუბრებდა ერთ-ერთზე კარგა ხანს. ის ამ ავტობიოგრაფიულ რომანზე მთელი გულით ილაპარაკებდა, ქების სიტყვებს არ დაიშურებდა, გაიხსენებდა ადგილებს, სწორად გააანალიზებდა. იმასაც კი იტყოდა:

ჩემთვის ბევრი რამ ნაცნობია, მაგდაგვარ რაღაცებზე მიფიქრია, მაგრამ ვერ დამიწერია, სულ სხვა რაღაც გამომსვლია, სულ სხვაა დრამატურგია...

მაგარია მამფიო! – ამ ნათქვამს რომ აღიდგენდა დღიურში გადასატანად, ძალდაუტანებლად დასცდებოდა ეს ორი სიტყვა და იმასაც ჩაინიშნავდა: ოთარ მამფორიას XIX საუკუნის ადამიანის ხმის ტემბრი და საუბრის კილო რომ ჰქონდა. ასე ეჩვენებოდა ხშირად და...

როგორ ამბობდა იორამ ქემერტელიძე მასზე?

– ჩემს წინაპარს მაგონებს.

ესეც მართალიაო, – დასძენდა რეზო ჭეიშვილი.

1983 წლის 17 მაისს „მნათობში“ წაიკითხავდა რევაზ ინანიშვილის „ძალიან უბრალო სიმღერასა“ და ჯემალ ქარჩხაძის „გუბეს“, ერთიც მოეწონებოდა და მეორეც, თუმც ორივესაგან გულნაკლული დარჩებოდა: თავისა კი, მაგრამ ბოლოს დადგმა არ ეხერხებათო.

და მზერას რომ მიმოატარებდა ირგვლივ:

მარტო მათ კი არა, მწერლების 90 პროცენტს, აქაც და იქაც, ყველგან, ბოლოსკენ, ბოლოში რომ გადადიოდი, თითქოს სათქმელი აღარ რჩებოდათ. და რაც ეთქვათ აქამდე, ისიც უკვე უმნიშვნელოდ, დაწვრილმანებულად გეჩვენებოდა.

– ისე გაგიხარია, ერთიც მწერალია და მეორეც.

რეზოს დაეკლო, ჯემალს მოემატებინა და: ესეც უნდა თქმულიყო.

ამ ჟურნალის მე-7 ნომერში გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის წაკითხვა ანტონ კათოლიკოსის სიტყვებს გაახსენებდა შოთა რუსთველზე თქმულს, თავისებურ ფორმულად რომ დარჩენილიყო: ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესეო. თურმე: ამას უფრო შეეფერებოდა.

რატომ და: ასე იცოდა ბევრი წიგნის კითხვამ, ბევრმა კითხვამ კი არა – ბევრის კითხვამ.

25 ივნისს წიგნებს რომ იყიდდა, ზოგი საინტერესო აღმოჩნდებოდა, ზოგიც – არა ალბათ. მაგალითად – უილიამ ჯეი სმიტი, ლექსები, ინგლისურიდან თარგმნილი რუსულად, მშვენივრად გამოცემული წიგნი. ამერიკის ერთ-ერთ გამოჩენილ პოეტად იხსენიებდნენ სმიტს. არ გაეგონა. ნახავდა, რაც იქნებოდა, თუმც თარგმანით ძნელად შეაფასებდი პოეტს.

წამოაგონდებოდა თავისი პატარაობა. ომის დრო ხომ არ იყო? ქუთაისში, მათი ქუჩის მეორე ჩიხში უცნაური ავტობუსი გაჩერდებოდა. რუსები გადმოვიდოდნენ, ვიღაცის ეზოში აპირებდნენ შესვლას. მოზრდილი ბიჭები იტყოდნენ: ქვები დავცხოთო, – და მოულოდნელად დაუშენდნენ კენჭებს და გაიქცეოდნენ. უკანმოუხედავად ავარდებოდა კატასავით და გადაახტებოდა იმხელა ღობეს – თურმე არავინ მისდევდა – თვითონვე ვერ დაიჯერებდა, თუ იმოდენა ზღუდარს გადაევლებოდა.

სწორედ ეს ეპიზოდი გაახსენდებოდა, ამ ეპიზოდის, მოგონების სურათებს დაინახავდა გონებაში, როცა ამ ამერიკელ პოეტზე ჩაიწერდა.

უცნაურად კი ეჩვენებოდა.

როალდ ამუნდსენს ეწერა:

ყინულზე თეთრმა დათვმა წამაქცია, პირქვე დამამხო და წამომაგონდა, უფრო სწორად – გავიფიქრე: ქალის რამდენ „შპილკას" ნახულობს მხვეტელი ადრიან დილით ოსლოშიო.

შეიძლება მართლაც ასე გაეფიქრა – რეზო ჭეიშვილს ფსიქოლოგიურად სავსებით სარწმუნოდ მოეჩვენებოდა ამგვარი ფიქრი. სიკვდილისაგან კი ძაღლს ეხსნა ამუნდსენი – ეს ცნობისათვის.

თომას მაინ რიდის რომანის „უთავო მხედარი" ცხინვალურ გამოცემაზე სხვა რა ეთქვა: იმიტომაცაა კარგიო!.. ან ქალალდი რას ჰგავდა, ან ყდა. თანაც ეს წიგნი ქართულადაც ჰქონდა – მგონი ორიც – და თუ არა ცდებოდა: რუსულადაც. სიყვარულით არასოდეს ეყვარებოდა ეს მწერალი, თუმც: ბავშვი რომ გემის ტრიუმში დაიმალებოდა და ყუთიდან ზევით ამოძვრებოდა – ისე მოეწონებოდა, ისე მოეწონებოდა რიდის ნაწერებიდან, რომ გაოცებული დარჩებოდა – იმისაგან არ მოელოდა.

„მნათობის" მე-9 ნომერი რომ მოუვიდოდა გუშინ ანუ 6 სექტემბერს, გუშინვეც წაიკითხავდა, გვიანობამდე შეჰყვებოდა და საინტერესოს ვერაფერს აღმოაჩენდა. თვით უინტერესო ბელიაშვილსაც ბოლომდე ჩაამთავრებდა, რაღაც-რაღაცები ეცნაურებოდა და იმიტომ.

„მნათობის" მე-10 ნომერს რომ მიიღებდა და გადაათვალიერებდა, უინტერესო მოეჩვენებოდა. არჩილ სულაკაურზე ეთქვა:

– მიცვალებული ჟურნალი გააცოცხლა და დაუბრუნა მკითხველს.

ამ სიტყვებს კვლავ ადასტურებდა, მაგრამ ეტყობა უჭირდათ, არ გააჩნდათ მასალები. რეზოსაც ვერ შეესრულებინა დანაპირები...

წაიკითხავდა თამაზ ჭილაძის რუსთველოლოგიურ ნარკვევს „ვარდის ფურცლობის ნიშანი", ინტერესით ჩავიდოდა ბოლომდე და... საყურადღებოს კი ვერაფერს აღმოაჩენდა... კარგად იყო დაწერილი თითქოს, და მაინც კერძო საუბრისა და კამათის დონეს ვერა ცილდებოდა. მეორე ნახევარი შესაძლოა უკეთესიც აღმოჩენილიყო, თუმც დიდი განსხვავებისა არ ეიმედებოდა. ლაშა ჯანაშია შუშანიკს სდებდა ბრალს, თამაზი ფატმანს ამართლებდა და აანგელოზებდა. პირველი თუ ტენდენციური იყო, მაგრამ მაინც საფუძვლიან ანალიზსა და ფაქტებს ეყრდნობოდა, მეორის მტკიცება პირწმინდად ემოციური გახლდათ და ცოტა ინფანტილურიც...

რამდენიმე ვინმე – რამდენი კი არა, ბევრიც – მიულოცავდა და შეუქებდა ამ რუსთველოლოგიურ ნარკვევს...

ერთნი – სხვა დროსაც მომხდარიყო ამგვარი რამ – მიულოცავდნენ თანამდებობის გამო: რაც უნდა იყოს, მწერალთა კავშირის მდივანია და იქნება რამეში გამომადგესო.

მეორენი შინაგანად თანაუგრძნობდნენ: შენმა ძმამ თუ პოეზიასა და პროზაში დაგჩაგრა, ამ საქმეში ვეღარ შეგეცილებაო.

მესამენი მიულოცავდნენ და ფარულად – ზოგი ცნობიერად და ზოგიც არაცნობიერად – დაამცირებდნენ: ეს ყოფილა შენი საქმე, აბა შენ იცი, განაგრძე ემაგრე, სხვა რამეს – ნამდვილ მწერლობას – თუ თავს დაანებებ, მთლად უკეთესიც იქნებაო.

გარეწარი კაცის წერილიც დაებეჭდათ ერთი თანამდებობის მწერალზე. და ჩაელიმებოდა:

მეც უსაფუძვლოდ რამდენი მაქებს და წარმატებას მილოცავს, ვინ იცისო.

თავს იმით ინუგეშებდა ხოლმე:

ჩემგან არავინ არაფერს გამოელისო.

თანამდებობა არ გააჩნდა, პირშიც არავის აქებდა, სამაგიერო რომ მოეზღოთ...

ასეც იყო სინამდვილეში, თუმც ეჭვიც არ ასვენებდა და არა: გამონაკლისიც უნდა ხდებოდეს და ნუგეშიც ნუგეშად რჩებოდესო...

წიგნებს რომ შეიძენდა მწერალთა კავშირის კლუბში, შოთა ნიშნანიძის წიგნსაც წამოიძღვანიებდა. ჩუმად გამოუჩენდნენ და წამოუღებლობა მოერიდებოდა. 4 ივლისს გადმოიღებდა, დიდხანს ათვალიერებდა, წაღმა-უკუღმა იკითხავდა.

გარითმულიყო ყველაფერი შესანიშნავად, ლექსს კი... ლექსს ვერ აღმოაჩენდა.

ნაძალადევად, უგულოდ კითხულობდა და შესაძლოა წინასწარგანწყობის ბრალიც ყოფილიყო მისი ის მოსაზრება.

ერთსაც შეამჩნევდა:

არცერთი პოეტის ლექსი ისე არა ჰგავდა ავტორს, როგორც შოთა ნიშნიანიძის ლექსები შოთა ნიშნიანიძეს. პიროვნება, ხასიათი, განათლება, ინტელექტი და – რაც უცნაურია – გარეგნული მსგავსებაც კი იგრძნობოდა...

თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო.

ლექსი, ლექსი სადღა იყო?

პირველს არა უშავდა, არა უშავდა კი არა, კარგი გახლდათ!..

მაგრამ „ჩემო მოჭიხვინე რიონო" უკვე აღარ ვარგოდა ეს სიტყვა – მოჭიხვინე – რიონს არ უხდებოდა, რიონზე გაზრდილ კაცს პირზე არაფრის-დიდებით ეს სიტყვა არ მოადგებოდა...

პოეტ-ლაურეატს ძალიანაც არ ენაღვლა, რიონზე გაზრდილ კაცს რა სიტყვა მოადგებოდა პირზე ეპითეტად. უთუოდ აღტაცებული დარჩებოდა თავისი მიგნებით: ჩემს გარდა ვინ მოიფიქრებდაო, არა მყავს ამ მეტაფორულ აზროვნებაში ბადალი და რა ვქნაო!..

* * *

10 ივლისს ტელევიზიით ალექსანდრ პუშკინის ცოლისა და ქალიშვილების პორტრეტებს რომ აჩვენებდნენ, საკმაოდ დიდხანს და საფუძვლიანადაც, რათა ერთმანეთისათვის შეედარებინათ. ქალიშვილები ძალიან ლამაზები ჩანდნენ სახეზე, კარგები იყვნენ ალბათ, პორტრეტიდან მართლაც ძნელი გასარკვევია ხოლმე, მაგრამ მაინც ერთს აშკარად შეატყობდა

ზანგის სისხლს. ცოლი, ნატალია, სულ სხვანაირი ჩანდა: ისიც ლამაზი, თუმცაღა გამხდარი და ცივი გამომეტყველებისა, ძალზე ადრე რომ მოუწევდა დაქვრივება.

რეზო ჭეიშვილს ეჭვიც არ შეეპარებოდა:

ნატალიას მკვდარი პუშკინი ერჩივნა ცოცხალს, პუშკინის ქვრივობა უჯობდა ცოლობას ცხადიაო.

ასეთი მოსაზრება რატომ გაუჩნდებოდა?

ქვრივობისას სახელიც დიდი ექნებოდა, შემოსავალიც და თავისუფლებაც, როცა ქმრის სიცოცხლეში ერთიც აკლდა, მეორეც და მესამეცო.

11 ოქტომბერს რომ წაიკითხავდა პუშკინის პირად წერილებს, 1831-39 წლებისას, განსაკუთრებით საგულისხმოს ვერაფერს გადააწყდებოდა და შეწუხდებოდა. ცოლისადმი მიწერილ ბარათებში გაღიზიანებული – სავსებით ბუნებრივი მოეჩვენებოდა ამ ასაკში – კაცი ჩანდა. არაგულწრფელობასაც შეამჩნევდა. მოსკოვს რომ არ აქებდა და კალუგას აგინებდა ცოლის ჯიბრზე, ეტყობოდა.

ნამეტანი ახალგაზრდა დაიღუპა. მწერლის თვალით ვერ მოასწრო, ცხოვრებისათვის რომ გადაეხედაო, – კიდევ ერთხელ დაეწანებოდა რეზო ჭეიშვილს ტრაგიკული აღსასრულისათვის – ვეებერთელა ტალანტი დასამარდა ბრმად, არალოგიკურადო...

პოეტისათვის თითქოს საკმარისი რომ არის ეს წლები?

მაგრამ რეზოს თვალში პუშკინი დიდი პროზაიკოსიც გახლდათ პოტენციურად, ამ პოტენციის გამჟღავნებას კი სწორედ ის მომდევნო წლები ესაჭიროებოდა.

იმ გამონათქვამს მიაქცევდა ყურადღებას, ცოლზე რომ ამბობდა, და ეს გაიფიქრებდა, ოთარ მამფორიას პრიორიტეტი არ ეკუთვნის ამ საკითხში ასე გამოდისო:

ცოლი ყველა ერთნაირია, მხოლოდ სახელი აქვთ სხვადასხვაო.

უფრო დახვეწილი ფორმულირებით ცხადია, თუმც გაუმჯობესებაც შეიძლებოდა... შეიძლებოდა კი?..

პუშკინის თხზულებათა აკადემიურ გამოცემას გადმოიღებდა, 1948 წლის გამოცემას. აღარ ახსოვდა და ავტორის წერილებთან ერთად ადრესატთა პასუხებიც დაებეჭდათ. ამ ახალ გამოცემაში კი, წუხელ რომ კითხულობდა, რაღაც-რაღაცები გამოტოვებული უნდა ყოფილიყო.

12 ოქტომბერს კვლავ გააგრძელებდა ამ ბარათების კითხვასა და ფიქრს პუშკინზე, რომელიც შეგუებული გახლდათ მონარქიას და არაფერს ახალ, რადიკალურ ცვლილებებს არ ელოდა, არა გრძნობდა, ილუზიებითაც არა საზრდოობდა, და ამას სავსებით ბუნებრივად ეჩვენებოდა ეს ამბავი, რადგანაც მონარქია მაშინ ჰყვაოდა და ძლიერდებოდა. დიდხანსაც რომ ეცოცხლა, მოახლოებულ კატასტროფასაც ვერ იგრძნობდა, მსხვრევას ხომ ვერ შეესწრებოდა და ვერა..

აი რეზო ჭეიშვილი ლპობის შემსწრე გახლდათ და... სხვა რამესაც უგრძნობდა გული. ეს ისე, ცნობისათვის...

დაე დღიურის წამკითხველს სცოდნოდა, რომ 1983 წლის მიწურულს ამ მწერალს გული სხვა რამესაც უგრძნობდა, რაღაც ახალ, სულაც რადიკალურ ცვლილებას.

კი მაგრამ: თუკი არაფერი მოხდებოდა და წინასწარი განცდა მაცთური და ამაო აღმოჩნდებოდა?

მოხდებოდა, უსათუოდ და უთუმცაოდ მოხდებოდა, გული ისე უგრძნობდა... ისე უგრძნობდა გული... ყოვლად წარმოუდგენელი გახლდათ, მწერლის ეს მძაფრი განცდა მაცთური და ამაო აღმოჩენილიყო.

დღიურის წამკითხველი თვითვე დარწმუნდებოდა.

ეს იმ წუთას რარიგ ეიმედებოდა რეზო ჭეიშვილს – თითქოს თვალდათვალ ხედავდა იმ მკითხველებს, რომელნიც ამ პასაჟს მოწონებით შეხვდებოდნენ: აი ხომ ხედავო!..

პუშკინს მეფის მკვლელები რომ სძულდა, ამასაც შეატყობდა, პავლე პირველის ის მკვლელები, გარს რომ ეხვივდნენ ალექსანდრე პირველსა და ნიკოლოზ პირველს. გვარებსაც ასახელებდა შიგადაშიგ. იაშვილი არა ჰყავდა ამ პატივით მოხსენიებული. სამაგიეროდ სხვანაირად – თუკი ის იაშვილი შეთქმულების მონაწილე იაშვილი გახლდათ – ამკობდა და ადიდებდა: პედერასტი და წყალწაღებული მოთამაშე, მარტინოვისა და ნიკიტინის ძმაკაცი.

კითხულობდა ხელახლა აკადემიური გამოცემის XII ტომს. ფრანგული ტექსტები უკან, საძიებელში გადაეტანათ და უჭირდა მიგნება. და გაბეზრებული ინატრებდა:

ღმერთმა იქნებ ინებოს, ოდესმე ქართველმა მკითხველმა – როცა ამ ჩვენს ხელნაწერებს წაიკითხავს – რუსული ტექსტების თარგმანებს სქოლიოში – ერთ ამოკვნესას ამოიკვნესებდა: მეტი არაა ჩემი მტერიო – დაუწყოს ძებნაო.

რა საერთო შეიძლება ჰქონოდათ არაკჩეევსა და მის მამულს გრუზინოს საქართველოსთან?

გენერალ კუტაისოვისა არ იყოს, ყურმოკრული რაღაცები ეცოდინებოდა მხოლოდ რეზოს. პირველად ვერც კი გაიგებდა იმ ფრაზას და ეგონებოდა, ვიღაც ქართველზეა ლაპარაკიო. შეიძლება შეცდომის ბრალიც ყოფილიყო მართლწერაში. და ინატრებდა:

პუშკინმა რომ ფრანგული იცოდა, იმის ნახევარი რუსული მაცოდინა, რა მიჭირდაო.

იმ ფრაზასაც მიაქცევდა ყურადღებას:

– საღამო სმირნოვებთან, ვითამაშე, მოვიგე 1200 მანეთი.

და შენატრებდა:

კარგად მოუგია, წარმოგიდგენია იმდროინდელი 1200 მანეთიო?

გარეთ გრილი, მზიანი დღეები იდგებოდა, მშვენიერი შემოდგომის შესაფერისი.

თავი მეორე

ტაშფანდურის რესპუბლიკა

გურამ რჩეულიშვილზე ილაპარაკებდნენ ტელევიზიით 21 ივლისს, ფილმთან დაკავშირებით ახსენებდა ნოდარ მანაგაძე. გაისად, 1984 წელს, თურმე 50 წელი უსრულდებოდა და რეზო ვერაფრისდიდებით ვერ წარმოიდგენდა, თუ მასზე უმცროსი იქნებოდა.

ერთხელ მოსაგონარ – ალბათ 40 წლისთავის აღსანიშნავ – საღამოს გამართავდნენ უნივერსიტეტში, და ამასაც დაუძახებდნენ. შეუჩნდებოდა ცოლი: გინდა თუ არა წადი, წადი, წადიო. გაუხვრეტდა ტვინს და წავიდოდა ესეც.

იფიქრებდა: ქვეყანა იქ იქნება, პრეზიდიუმში, ნაცნობები, ამხანაგები, და დავჯდები მეც, რა მოხდებაო.

სამი თუ ოთხი კაცი აღმოჩნდებოდა სულ ხალხით გადაჭედილი დარბაზის წინაშე. თანაც არცერთი მის ახლობელი, ძმაკაცი არ იქნებოდა რეზო ამაშუკელის გარდა. ილაპარაკებდნენ სტუდენტები, ამაშუკელი, კიდევ ვიღაცა, ეს გარეთ გამოვიდოდა, ვითომ სიგარეტის გასაბოლებლად, გამოიპარებოდა ფაქტობრივად და კმაყოფილი დარჩებოდა: სწორადაც მოვიქეციო.

გამოვიდოდა ლაშა თაბუკაშვილიც მოგვიანებით:

– მე მართალია არ ვიცნობდი გურამ რჩეულიშვილს, მაგრამ სიზმარში მყავს ნანახი.

და სიზმარს მოჰყვებოდა.

სულ ყმაწვილი იყო მაშინ და რეზო მიუტევებდა: არა უშავს რაო.

ახლა, ვიდრე წერას დაიწყებდა, მისი მოთხრობების კრებულს დაუწყებდა ძებნას გადასაკითხად, ჰქონდა ძველი გამოცემა, მაგრამ ვერ იპოვნიდა.

კარგი მწერალი იყო ალბათო, – უფრო გარკვევით არაფრის თქმა არ შეეძლო.

ერთი ცხადი გახლდათ:

მის დროს მასავით მისი თანატოლები ვერა წერდნენ, ჯობნიდათ, მიუხედავად იმისა, რომ მოდას იყო აყოლილი. რა დადგებოდა, რომ ეცოცხლა, ძნელი სათქმელი გახლდათ. რეზოს ვარაუდით: პროზას თავს დაანებებდა და პოეტობას ან სხვა რამეს დაიწყებდა.

ვერც იმას დაფარავდა:

სიცოცხლეში არ მიყვარდა სამწუხაროდო.

„სამწუხაროდ“ იმისაა, ტრაგიკულად რომ დაიღუპებოდა ასე ნაადრევად, თორემ მის მწერლობაზე აზრს რა შეაცვლევინებდა.

* * *

3 აგვისტოს თოხს წამოიღებდა მუხათწყაროდან. ნაკვეთში იქნებოდა იმედო კახიანთან ერთად. ბუჩქებში დამალულ თოხს წამოიღებდნენ, შეეწანებოდა ზესტაფონში საგანგებოდ ნაყიდი იარაღის დაკარგვა.

ნაკვეთიდან ნახშირგორაზე გადავიდნენ. ორი წლის წინათ ნიგვზის ხის ტოტის ფუღუროში ღვინის ბოთლებს – ერთს სავსესაც – რომ ჩაყრიდნენ, ისევ იქ დახვდებოდა, მაგრამ ხელს ვერ ჩაუწვდენდა და ვეღარც ამოიღებდა.

ჩავიდოდნენ ღვთისმშობლის ბაზილიკასთან.

აღედგინა წარმოშობით აქაურ კაცს – მუშას. კიბოთი ყოფილიყო დაავადებული და დასიზმრებოდა: საყდარი განაახლე და მორჩებიო.

ასეც მოქცეულიყო და... განკურნებულიყო მართლაც. და ახლაც იქ ტრიალებდა თურმე. ილია მეორეს ეკურთხებინა ის ბაზილიკა.

და რაც მთავარია:

სანახევროდ მოეხატა და ხატვას განაგრძობდა სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლე გოგონა. თვეობით იქა რჩებოდა და საყდარშივე იძინებდა ხოლმე.

ლადო დაეხატა ანგელოზად საკურთხევლის წინ, იმედო კახიანის შვილიშვილი, ასე ნაადრევად გაშორებული წუთისოფელს. და იმედოც ხშირად დადიოდა აქ და ნერგებსაც ჩაყრიდა ეზოში ბლომად.

რეზო დიდხანს მიაჩერდებოდა ბავშვის თვალით შექმნილ უცნაურ სამყარო და გუნებაში გაივლებდა: უნდა ვნახო – იმ დღეს არ იქნებოდა სწორედ – ის გოგონა აუცილებლადო.

* * *

2 სექტემბერს გარდაიცვლებოდა გივი სამსონაძე, მეორე დღეს 2 საათზე მიაკითხავდა მეუღლე, საჭმელს მიუტანდა და... გარდაცვლილი დახვდებოდა.

ეს დეტალი უნდა აღმოჩენილიყო შთამაგონებელი იმ სურათისა „მეოთხე სიმფონიაში“:

ჟორია რომ გარდაიცვლებოდა საავადმყოფოში და ბესო იაძე შიდა კიბით, მედპერსონალი რომ სარგებლობდა მხოლოდ, ჟორიას ტანსაცმლისა და დარჩენილი ნივთების (დატოვება არ ვარგაო) ჩამოსატანად ისევ თერაპიულ განყოფილებაში აბრუნებული ნათელას რომ დაინახავდა: დასიცხული, თალხკაბიანი, ზორბა ქალი დაფიქრებული რომ მოდიოდა და ტომსიკით ბლის კომპოტი და ვაშლი მოჰქონდა. ბესო უკანვე უნდა შებრუნებულიყო და კიბის მხარეს მოღიავებულ, უზარმაზარ კარს მოფარებოდა, ღრიჭოდან ჟორიას პალატის მისადგომს, ექთნების მაგიდასა და აორთქლილ ნიკელის ქვაბს რომ დაინახავდა.

ზურგით მდგარი უფროსი ექთანი ამპულას ამტვრევდა თავს, ახალგამოხარშულ შპრიცს წამლის შესასრუტად ამზადებდა ისე, თითქო იმ რამდენიმე წუთის წინათ არაფერი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები არ მომხდარიყოს იქ, იმ ალაგას.

მამისთვალოვი რომ გამოფრატუნდებოდა მუჭში დამალული სიგარეტით და ბესოს სამალავთან უეჭველად უნდა გადაწყდომოდა ნათელას, რომელსაც ბლის კომპოტი და ვაშლი მოჰქონდა ქმრისათვის, ზედ განის კართან უნდა დაენახა ნათელა, შეტრიალებულიყო და უკანვე წასულიყო, და თავს სამშვიდობოს რომ დაიგულებდა, კიდეც გაეგონა ქალის ხმა გარკვევით:

– ბატონო რობინ, როგორ ბრძანდებით?!

– კარგად, გმადლობთ, თქვენ ხართ, დიახ...

– როგორ არის?

– დიახ, კარგად, ვინ?.. ახ, ჰო, დიახ...

ნათელა გაიღიმებდა, ოდნავ გადახრიდა თავს გვერდზე და გზას განაგრძობდა. „ატყდება ახლა წივილ-კივილი", გაიფიქრებდა ამ უცნაური კითხვა-პასუხით გაბრაზებული ბესო და... მამისთვალოვის თავგანწირულ ხმასაც გაიგონებდა:

– ქალბატონო ნათელა, ნუ მიდიხართ!

„კაცური კაცი!" – აღტაცება ვერ უნდა დაეფარა ბესოს გუნებაში.

– რატომ ნუ მივდივარ? – გაიღიმებდა, შეჩერდებოდა, წვრილჩარჩოიან, მრგვალშუშებიან სათვალეს მოიხსნიდა და გაიკეთებდა კვლავ ცალი ხელით.

– წავიდა ჟორია...

– სად წავიდა?

– წავიდა...

ფერდაკარგულ ქალს უკან-უკან უნდა დაეწყო სვლა. მამისთვალოვს ისევ უნდა წახდომოდა საქციელი, სიმტკიცეს ეღალატა და ძველებურად ეწყო გრეხა.

– ისა, დიახ, წავიდა...

ხელიდან გაუვარდებოდა ტომსიკა, რომელსაც დამლაგებელი მარო აიღებდა ცოტა ხნის შემდეგ; სად მიხვალო? – ეტყოდა ნათელას და თავსა და ნიკაპზე დოლბანდს გაისწორებდა:

– ...მოდი, ქალო, ნათელა არ გქვია შენ?! ლეიბი წაიღე, ბალიშები წაიღე, ზეწარი და ჭურჭელია წასაღები... წამლები დარჩა... მე დავუხუჭე თვალები, ტუჩები მოვწმინდე, რაღაი მოხველ, წაიღე, რაც წასაღებია... მანონია ცოტა!

ნათელას მაროს ლაპარაკი არ გაეგებოდა, მაგრამ ასე უკუსვლითაც სადამდე აპირებდა სიარულს. სასწორს წამოედებოდა და ქალთა განყოფილების მორიგე ექთნის სავარძელში ჩაესვენებოდა. მორიგე ექიმი ქალი, სამსახურში მოსვლის შემდეგ რომ თავაუღებლად წერდა, სათვალეს მოიხსნიდა, ხელს შეასვენებდა და ნათელას მიაჩერდებოდა, მარო რომ გამოჩნდებოდა, ვითარებაში გაერკვეოდა, სათვალეს გაიკეთებდა და წერას განაგრძობდა.

კონტრასტული სურათი – ადამიანურ ტრაგედიაში შემოჭრილი სრული გულგრილობის განწყობილება – ხელშესახებად აირეკლავდა სულიერი რღვევის ატმოსფეროს, – მარჯვედ მიგნებული ზუსტი დეტალების პირველბიძგი კი ის უნდა ყოფილიყო, ის თითქოსდა მხოლოდ ყოფითი რეალია, სანოვაგით მისულ ცოლს ქმარი გარდაცვლილი რომ უნდა დახვედროდა.

საწყალი გივიო, – შეიცოდებდა დღიურის ფურცლებზეც – მთელი ათი წელი, თუ მეტი არა, იბრძოდა სიცოცხლისათვის, არსებობისათვისო.

ნელ-ნელა მიდიოდნენ მისი თაობისანი, ბუნებრივი პროცესი გახლდათ და ამ ფაქტშიც ვერა ხედავდა მაინცდამაინც უჩვეულოს.

რევაზ თვარაძე, რეზო ჭეიშვილი, ლევან მალაზონია და მურმან ჯგუბურია იკამათებდნენ, უფრო სწორად გივის სახლთან წაიკამათებდნენ, საქართველოს ჭირ-ვარამზე.

– რუსეთთან შეერთება მაინც პროგრესული, თუნდ აუცილებელი მოვლენა იყო, – ამბობდნენ რეზო და ლევანი, თვარაძე კი საწინააღმდეგოს ამტკიცებდა არცთუ მთლად უსაფუძვლოდ, ზოგიერთებივით დაუსაბუთებლად რომ არ იქცეოდა, მაგრამ რეზოს ვერ გადაარწმუნებდა: მაინც ცდებაო.

დაამახსოვრდებოდა ერთი საგულისხმო დებულება ლევან მალაზონიასი:

– გათათრებული ქართველი მაინც თათარია, თათარია დღემდე, უსაშველოდ გათათრებული. გათათრება ეროვნების დაკარგვას ნიშნავს, გაკომუნისტება კი არც ისე საშიშია, კომუნისტი მაინც ქართველია...

თითქმის ერთი თვეც იყო ამ რვეულში არაფერი ჩაეწერა. აქ არ იმყოფებოდა და მნიშვნელოვანიც არა მომხდარიყო რა. მწერლებთან, კერძოდ ქართველ მწერლებთან ერთად ისვენებდა ბიჭვინთაში... მისი ძმაკაცი და ახლობელი რომ არავინ ჰყავდა გვერდით, ამიტომაც ჩამოიტანდა ცოტა აზრსა და განწყობილებას, უმცირესი გამონაკლისით.

გაბუსუნებულიყო და არც ღიმილს მოიშლიდა:

დარგობრივად არ უნდა შეგეკრიბა და დაგეხარისხებინა ადამიანები, დარგობრივად – ოთარ მამფორიასი არ იყოს – არ უნდა დაგესვენებინა კაცი, არადა დარგობრივი დასასვენებელი სახლი გაეშენებინათ შავი ზღვისპირეთში, დარგობრივად ისვენებდნენ, დარგობრივად ეფერებოდნენ, დარგობრივადაც სძულდათ ერთმანეთი...

ვინ და ვინ იყვნენ გუშინ საღამოს და... მოინდომებდა ყველა ჩაეყარა ისტორიაში (რატომღაც ამ გამოთქმას შეარჩევდა): ექიმი გელა მუხაშავრია, თამადად რომ აღმოჩნდებოდა შემთხვევით, და ექიმი გურამ სხირტლაძე, თამადასთან ერთად რომ გაიპარებოდა ადრე. დარჩებოდნენ: რეზო, მუხრან მაჭავარიანი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, იორამ ქემერტელიძე, ლევან მალაზონია, ჯურხა (კინაღამ დაავიწყდებოდა) ნადირაძე, გია ლომაძე (ჩვენი დამსაფლავებელიო, ჩაურთავდა) და სხვანი, უფრო სწორად: მეტი არც არავინ...

შინ მისული კმაყოფილებას იგრძნობდა, რომ:

სინათლე ჰქონდა, საწერი და საკვები არ ელეოდა, ღვინო ბლომად და პურ-მარილი ოხრად, კვებავდა სხეულს. რატომღაც წამოაგონდებოდა და ისიც აბნეულად: შენს საყვარელს თუ შენს შეყვარებულს სხვა უთხოვია, ბახმაროს მთებზე დაუთოვიაო...

ეძინებოდა, სასმელს თავისი გაჰქონდა და ბურანში გადასული აბუტბუტდებოდა: ყველაფერი სისულელეაო.

გივის გასვენება 8 აგვისტოს უნდა ყოფილიყო, პანაშვიდებზეც ერთი და იგივე ხალხი მოიყრიდა თავს ამჯერადაც.

– უცრემლოდ მარხავენ, – ითქმოდა.

ზევით – სადარბაზოსა და სამივე ოთახში ცალ-ცალკე – ქალები ძირითადად – ისხდებოდნენ და იდგებოდნენ, ილაპარაკებდნენ, ილაპარაკებდნენ, დროდადრო გაახსენდებოდათ მიცვალებული. ქვევითაც – ეზოში – მშვენიერი განწყობილება იქნებოდა. ყველა მიაქცევდა ამ გარემოებას ყურადღებას და ოლადაც ახსნიდნენ: დიდი ხანი ავადმყოფობდა, გამოტირებული ჰყავდათო.

ასეც გახლდათ, მხოლოდ ეს არ ყოფილიყო მთავარი:

სიცოცხლეშივე, ბოლო ათ წელიწადს განსაკუთრებით, სცემდა ამ კაცს ყველა პატივს. უმრავლესობა სიცოცხლეშივე მოუხდიდა ვალს. თვითონაც გრძნობდა. მეტიც – ეცოდინებოდა, განწირული რომ იყო, თუმც ასე უცბადაც არ ელოდებოდა მოსახდენს. მაინც ძალიან ადრე დაამთავრებდა, ადრე გაასწორებდა ანგარიშს სიცოცხლესთან.

მუშაობას ვერ შევუდექიო, – თქვისი ადარდებდა რეზო ჭეიშვილს.

* * *

5 სექტემბრის ჩანაწერში ჭაბუა ამირეჯიბი გამოჩნდებოდა, ტელევიზით რომ გამოსულიყო და ხშირადაც გამოდიოდა.

რეზო ჭეიშვილის დაკვირვებით:

გულუბრყვილობისა და ინფანტილიზმის რაღაც დოზაც შეიჩნეოდა მის მოქმედებაში.

საინტერესო პიროვნებად ეჩვენებოდა მაინც და თანაუგრძნობდა კიდეც, ცუდ დროს რომ მოუხდებოდა მასაც ცხოვრება და მოღვაწეობა.

13 ოქტომბერს რაღაც ზეიმს გადმოსცემდნენ მთიდან და:

ჭაბუა ამირეჯიბი დავით აღმაშენებლის ღვაწლსა და დროს მიამგვანებდა დღევანდელობას. იგივე მეორდებოდა თითქოს...

რარიგ აღშფოთდებოდა რეზო ჭეიშვილი:

როგორ გაშიშვლდა ეს კაცი... არც მინდა, რომ თავისი სახელი, რაც ეკუთვნის, ის ვუწოდოო.

ჭაბუას სიტყვის შემდეგ ცეკვა-თამაში გაიმართებოდა და:

ტაშფანდურის რესპუბლიკაა... მოაკეტინებენ, ვატყობ, მალეო...

წინ ედო ტალონები: ნახევარი კილო ყველი სულზე. ლობიოს ტალონებსაც დაარიგებდნენ, მიეცათ კიდეც ვიღაცებისათვის.

საერთაშორისო ვითარება – დაძაბული.

ეკონომიკა – მოშლილი.

ლობიო – ტალონებით.

რა გეზეიმებოდა, რა გექეიფებოდა, რა გებანკეტებოდა?

ზიზღითა და სიძულვილით ბრუნდებოდნენ უკან სტუმრები, ამოყორილ სტომაქებს ძლივს მიათრევდნენ უკან პირღებინების გუნებაზე დამდგარნი.

სიტყვით კი: ყველაფერი წინ მიდიოდა, ყველაფერი უმჯობესდებოდა, უკეთესდებოდა...

და ჭაბუა ამირეჯიბსაც დავით აღმაშენებლის ღვაწლი და დრო ახსენდებოდა ედუარდ შევარდნაძის ღვაწლისა და დროის შემყურეს.

ტყუილებში იწყება ჩემი მეხსიერებაო, – ვეღარც ამჯერად შეიკავებდა თავს დღიურის ავტორი, – ტყუილებით შევდივარ სიბერეში და ნუთუ ტყუილში უნდა დავასრულო სიცოცხლეო?..

ამაზე დიდი უბედურება, თუკი თვალნათლივ გაისიგრძეგანებდი ყველაფერს, განა შეიძლება შეჰყროდა მომაკვდავ ადამიანს?!.

არადა: ისე წავიდოდა მთელი თაობა, ერთ ოფიციალურ მართალსაც ვერ მოისმენდა ამ წუთისოფელში ზოგიერთი.

ომის დროს, ბავშვობაში, როდესაც შიოდათ, არ ეცვათ, არ ეხურათ, ასწავლიდნენ, უკითხავდნენ, აზეპირებინებდნენ:

ყველაზე ბედნიერები, ყველაზე მაძღრები, ჩაცმულ-დახურულები თქვენა ხართ მსოფლიოშიო.

უკვე მაშინ 10-11 წლის რეზო ფიქრობდა:

რა მოხდება, რომ თქვან, ომია, გვიჭირს, ცოტა გვშია, ცოტა გვწყურია, მაგრამ ყველაფერი გამოსწორდებაო...

ტყუილებში იწყებოდა ჭაბუა ამირეჯიბის მეხსიერებაც, ტყუილებით შედიოდა სიბერეში და... ნუთუ მასაც ტყუილში უნდა დაესრულებინა სიცოცხლე?

მიხეილ მგალობლიშვილის ნათქვამი გახლდათ და როგორ დაეკარგა ცხონებულისათვის?

რას ირწმუნებოდა ამისთანას და:

არ არსებობდა დედამიწის ისტორიაში ამნაირი დრო, არცერთ ფორმაციაში, არცერთ სახელმწიფოში გაჩენიდან დღემდე ადამიანები ამნაირად არ მოუქცევიათ, არ დაუსაჭურისებიათ. იყო დრო, ეპოქა, სახელმწიფო, როდესაც და სადაც არ ჰქონდა მოქალაქეს უფლება: მშიაო, – ეთქვა, მაგრამ მშიერი კაცი რომ გამოეყვანათ და ეძახებინათ: მაძღარი ვარო, – ისტორიას არ ახსოვსო.

მართლაც 1937-38 წლებში, ყოველ შემთხვევაში ომამდე შექმნილიყო ეს სიმღერა: მე სხვა ქვეყანა არ ვიცი, სადაც ასე თავისუფლად სუნთქავს ადამიანიო.

მასობრივი რეპრესიების ჟამს ამღერებდნენ ადამიანებს ამ სიმღერას.

სტალინის დროს სიმართლის თქმა კი არა, ფიქრიც აიკრძალებოდა.

შემდეგ ფიქრის ნება მიეცემოდათ და ლაპარაკის – შინაურულად მხოლოდ – უფლებასაც მოაპოვებინებდნენ მოაზროვნე არსებებს.

ნიკიტა ხრუშჩოვი დააპირებდა რაღაცის თქმას: მე ვიტყვი, თქვენ ხმა არ ამოიღოთ მხოლოდო, – და ისიც უკან დაიხევდა, თავისივე გაბედულებისა შეეშინდებოდა.

შემდგომ კვლავ უკან დატრიალდებოდა ისტორიის ჩარხი.

ყველაფერი შეიძლებოდა ამ ქვეყანაში, მართლის თქმის გარდა. ტყუილი, ტყუილი პრესაში, ტელევიზიაში, სამსახურში, ყველა ოფიციალურ ინსტანციაში...

შეფიქრიანდებოდა, ტრაბახში არ ჩამოერთმია თავისივე თავისათვის, მაგრამ მაინც უნდა ეთქვა, არადა საიდან სად უნდა გადამხტარიყო:

– მთხოვენ მოთხრობებს, არათუ მთხოვენ, კატეგორიულად მავალდებულებენ. ჯერ აქ უნდა მოიტანო, რატომ არ მოგაქვს, ჩვენთან მოიტა, მოვალთ და ჩვენ წამოვიღებთო.

ესეც კიდევ უხერხულობაში ჩავარდნილიყო: იქ რომ მივიტანო, იქ რას იტყვიანო, – ფიქრობდა. არადა: ერთს თუ დააკმაყოფილებდა, მეორეს ნაღდად აწყენინებდა. კოწია ლორთქიფანიძე არ მოიკლავდა მარტო თავს... ოღონდ რაიმე არ მიგეტანა და რაც გინდა გეთხოვა.

– როგორ ძულს ყველაფერი ნამდვილი.

და ასეთი კაცი რედაქტორად დაემუქებინათ და დაემწნილებინათ.

გიორგი ნატროშვილი „მნათობიდან" ლიტერატურის მუზეუმში გადაესვენებინათ როგორც იქნებოდა, ხოლო ამ კოწიას პირდაპირ კაბინეტიდან გამოიტანდნენ ადრე თუ მალე. ჯობია ადრეო, – ინატრებდა.

13 ოქტომბერი რომ იდგა, შესაძლოა ამიტომაც იმყოფებოდა ამნაირ უბედურ გუნებაზე რეზო ჭეიშვილი.

წინა დღით მანქანას შინ დატოვებდა და ფეხით წავიდოდა – საკმაო მანძილის გავლაც მოუწევდა – სამსახურში. ივანე მაჩაბლის ყოფილ სახლთან შეჩერდებოდა, დაფას დააკვირდებოდა და წლებს შეუდარებდა ერთმანეთს.

მხოლოდდამხოლოდ 13 წელიწადი ეცხოვრა იმ შენობაში და მეცამეტე წელს დაკარგულიყო.

თვითონ რეზოს მაინცდამაინც ცუდად არ დაეცადა რიცხვი 13.

მოთხრობები კი მართლაც უნდა დაეწერა: ერთი იქ უნდა მიეტანა, ერთი – იქ და ერთიც – იქ, წინასწარვე მოინიშნავდა თვითეულის გზის დასაწყისს.

ტყუილებში იწყებოდა მისი მეხსიერებაც.

ტყუილებით შედიოდა სიბერეში.

ყველაფერი შეიძლებოდა ამ ქვეყანაში, მართლის თქმის გარდა.

არცერთ ფორმაციაში, არცერთ სახელმწიფოში ადამიანები ამნაირად არ მოექციათ, არ დაესაჭურისებინათ.

და ნუთუ ტყუილში უნდა დაესრულებინა სიცოცხლე რეზო ჭეიშვილსაც?

არ დაგიდევდა ამ რეალობას ჭაბუა ამირეჯიბი, თავისას ესწრაფოდა, თავისას შესთამაშებდა ედუარდ შევარდნაძეს მიჩერებული, დავით აღმაშენებლის ღვაწლი და დრო რომ აგონდებოდა ამის შემხედვარეს.

ძმაო ჭაბუა სადამდისო, – თითქმის მასზე გახლდათ ზედგამოჭრილი „კომპოზიტორ ჩირიბერიძის" ფინალური აკორდი, სურამის ციხის ლეგენდის თავისებურ პაროდიად რომ ჩაეფიქრებინა.

8 ოქტომბერს შეატყობინებდნენ, რომ ორშაბათს, 12 საათზე შეეძლო ენახა სატელევიზიო მასალა, ამ ზაფხულს რომ გადაუღებდნენ. ერთსაათიანი გადაცემა უნდა ყოფილიყო და რეჟისორი ავთანდილ დიდებულიძე მოახარებდა: ყველაფერი კარგადაა, ნახეს და არაფერი ამომაღებინესო.

– აუცილებლად უნდა მაჩვენო, – ეს სთხოვდა და აგერ ორშაბათისათვის შეთანხმდებოდნენ.

იქ, გადაცემაში „ბედის ტრიალზეც" ელაპარაკა: ამნაირ და ამდაგვარ მოთხრობას ვწერო. სიტუაციასავით მოჰყვებოდა კინაღამ მთლიანად. ეს უნდა ამოვარდნილიყო, სხვანაირად არ გამოვიდოდა.

რატომ და:

ტერორს დამინიშნავენო.

შესთავაზებდნენ:

– ავტობიოგრაფიული რომანის შესავალი და ფინალი თქვენ უნდა წაიკითხოთ.

და ესეც ყაბულს იქნებოდა: ვნახოთ, იქნებ ჩემმა აჯობოსო.

11 ოქტომბერს ტელევიზიას რომ ესტუმრებოდა, შეთანხმებისამებრ დასაწყისსა და ფინალს წაიკითხავდა ავტობიოგრაფიული რომანისა „მუსიკა ქარში". გადაცემას რომ ამზადებდნენ მასზე, ახალგაზრდა მსახიობები სწორედ მის ნოველებს იზეპირებდნენ, მიდიმოდიოდნენ პავილიონის კუთხე-კუნჭულებში. დავით დვალიშვილიც იქნებოდა ახალგაზრდებს შორის, წვერმოშვებული მიმოდიოდა და ისიც რეზოს ტექსტებს იზეპირებდა ალბათ. – რას შვრებიო? – არა ჰკითხავდა.

თეთრად იქნებოდა ჩაცმულ-ჩაგალსტუკებული და: ნამეტანი ხომ არააო? – ირინე ტალიაშვილს ჰკითხავდა. – არაო, – მიუგებდა ის, – ლამაზად ხარ, პირიქითო.

არ უყვარდა, ღმერთმა ხომ იცოდა, ამნაირი გამოჭენება, მაგრამ ამჯერზე უხერხულობას არ იგრძნობდა და რატომღაც საჭიროდაც მიიჩნევდა ჩატელევიზორებას: დარჩეს ჩემს შთამომავლობას სამახსოვროდო.

შემკრთალა ხოლმე, ახლობელი რომ დაუნახავს ეკრანზე გაცოცხლებული: იგივე აღნაგობა, მიხვრა-მოხვრა, ღიმილი, ხმა...

„სულის უკვდავებაა, აბა რა არისო", გაუფიქრია ამ დროს და ახლაც ბედნიერებასთან გააიგივებდა, შემდგომ და შემდგომ საუკუნეებში მცხოვრებნი – თუკი დარჩებოდა დედამიწა სამყაროში – თავიანთ შორებელ წინაპრებს ცოცხლად რომ ნახავდნენ თუნდაც ეკრანზე...

ამ გადაცემას 18 ნოემბერს აჩვენებდნენ ცისფერი ეკრანით, პარასკევ საღამოს, „ვრემიას" დაწყების წინ. საათი და ხუთი წუთი გაგრძელდებოდა. ჩვეულებრივ ფირზე გადაიღებდნენ, არა ვიდეოზე, და ეს ერთი მხრივ კიდეც გაახარებდა: შეინახებაო.

ზოგი აქებდა გადაცემას, ზოგიც აგინებდა. მის ქალბატონს... არ მოეწონებოდა: ცუდად ჩანდი, უფრო მსუქნად გამოიყურებოდი, ვიდრე სინამდვილეში ხარო... ტექნიკურად მართლაც უსუსური გამოვიდოდა გადაცემა.

ნოდარ მალაზონია დაიწუნებდა, ნოდარ დუმბაძე მოიწონებდა... გ. ალექსანდრეს ძე განსაზღვრავდა სწორად: საჭირო და აუცილებელი გადაცემა იყოო...

დაავიწყდებოდა ჩაწერა და იმ შავბნელ დღეებში, უფრო სწორად – ღამეებში ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვას" წაიკითხავდა ხელახლა და საოცრად კარგი მოეჩვენებოდა. სტილისტურად გაუმართავი გახლდათ, თითქმის ყველა წინადადების ჩასწორება შეიძლებოდა და ლამის სულიც წასძლევდა

საამისოდ, თუმც მსუბუქი საკითხავი აღმოჩნდებოდა, საოცრად შეკრული – სიუჟეტურადაც და კომპოზიციურადაც.

დღევანდელი თვალთახედვით: პაროდიულად აღწერილიყო ის დრო.

რამდენი რამ ჩატეულიყო დროის მცირე მონაკვეთში. მთვარიან-ღამიანი ფერადი სურათები უდგებოდა თვალწინ, როდესაც წანაკითხს იხსენებდა.

* * *

სერგი ავალიანის წიგნს რომ წაიკითხავდა ალბერტ აინშტაინზე, მის ცხოვრებაზე, მოღვაწეობასა და მსოფლმხედველობაზე, მოიწონებდა, მშვენივრად, ყოველ შემთხვევაში გასაგებად რომ დაეწერა ავტორს. მართალია აბსტრაქტულ აზროვნებასთან მწყრალად გახლდათ რეზო ჭეიშვილი, მაგრამ მაინც შეძლებდა გარკვეულიყო ნიუტონისეულ აბსოლუტურ სივრცესა და დროში, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ ფარდობითობაში. კლასიკური ფიზიკა თუ ფილოსოფია – ერთიცა და მეორეც – ამტკიცებდა: თუ დავცილდებოდით სამყაროს, სივრცე და დრო დარჩებოდა (რეზოსაც ასე ეგონებოდა) და ამას არსებობისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა. ფარდობითობის თეორია კი პირიქით ირწმუნებოდა: დრო და სივრცე არ არსებობს მატერიის გარეშე, ჩვენს გარეშეო.

ერთი სიბრძნეც ცნობილი ყოფილიყო ადრევე და მეორე აღმოჩენაც აღმოჩენილი.

როგორც ხვდებოდა: საინტერესო პიროვნება უნდა ყოფილიყო აინშტაინი, თუმც მის გენიოსობაში – როგორც მრავალნი ამტკიცებდნენ თურმე – შეიძლება დაეჭვებულიყავი.

როგორ არა ჰყვარებოდა (ნაყვარებაო, – დღიურის ავტორი ამ ფორმას ამჯობინებდა) სწავლა. „იძულებითი სწავლა სძულდაო“ – ეს დიდ ღირსებად მიეთვლებოდა. და გაელიმებოდა რეზო ჭეიშვილს: სხვა თუ არაფერი, უსწავლელობაში მაინც ვგავარო. ძლივს ამთავრებდა სკოლებს და უმაღლესში არავითარი არაჩვეულებრიობით – ერთი შეხედვით ცხადია – არ გამოირჩეოდა.

უმაღლესში – რეზოს პირადად – კარგი ნიშნები ჰქონდა. ორ „სამიანს“ მიიღებდა მთელი ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდდამხოლოდ.

მიუხედავად ამისა: არც იქ მოეკლა სწავლა-მეცადინეობით თავი.

ამის ნაცვლად: კითხულობდა და მოძრაობდა სტუდენტურად, დროის შესაფერისად არსებობდა ასე თუ ისე.

სკოლაშიც არაფერი ესწავლა (ინგლისურსა და მუსიკაზეც არ დაჰყავდა არავის), კითხულობდა, ოცნებობდა, აზროვნებდა თავისთვის და თამაშობდა, ამიტომაც მხოლოდ 21 წლისა (უპატრონობა და ავადმყოფობა თუ არაფრად ჩაითვლებოდა) მოეწყობოდა უმაღლესში.

მთელი ორი წელი, თუ მეტი არა, უსაქმოდ იხეტიალებდა, იყიალებდა აღმა-დაღმა და ახლა ბედს ემადლიერებოდა, ხან თეატრს რომ დაჰყვებოდა გასტროლებზე და ხან სად და ხანაც სად – მცირე ხნით ძალიან – რომ ამოჰყოფდა ხოლმე თავს.

16 წლის ყმაწვილს რომ უმაღლესში უკრავდნენ თავს, 20 წლისას კი დიპლომს დააჭერინებდნენ ხელში და სამუშაოდ გააგდებდნენ, მისგან განა რას შეიძლებოდა დალოდებოდნენ?

ყველაფერი ხდებოდა, ყველაფერი, და რეზო ჭეიშვილი მათ შორის ადრეულ დაბრძენებასაც არ გამორიცხავდა, თუმც თვით ის ბრძენი და სპეციალისტი ეცოდებოდა.

მწერლობისაკენ მიბიძგებული ადამიანი ხომ ცოდვა გახლდათ და ცოდვა.

ამას 21 სექტემბერს ჩაინიშნავდა, 2 ოქტომბერს კი გაიხსენებდა ტოლსტოურ დღეებსა თუ ტურნეს: მოვვლეთ რუსეთი, დიდ-დიდნი ვაკენიო.

გუშინ ჩამოსულიყო ნაშუადღევს, ძალიან დაღლილიყო. ცხრა ღამეს გაათევდა გზაში. შეუცვლელად გაივლიდა 4500 კილომეტრს. ხარკოვი-კრასნოდარი-ჯუგბა იქნებოდა კოშმარული, გადახვევ-გადმოხვევებით 900 კილომეტრს დაფარავდა. დილით გამოვიდოდა ჩუგუევოდან, დღისულზე ჩავიდოდა კრასნოდარში, ივახშმებდნენ, ცოტას დალევდნენ და ღამითვე განაგრძობდნენ გზას. ღამის სამი საათი იქნებოდა ალბათ, ჯუგბას რომ ჩავიდოდნენ. მორჩენილ ღვინოს დალევდნენ, სადღეგრძელოებს შესვამდნენ, ნაუძინებდნენ მანქანაშივე საათ-საათნახევარს, და კვლავ გზას გაუყვებოდნენ...

კითხვის დრო არ იქნებოდა, მაგრამ მაინც მოასწრებდა „აინშტაინის" წაკითხვას. სხვაც ბევრი წაეკითხა სხვადასხვა დროს ამდაგვარ თემაზე.

ავტობიოგრაფია – მის თვალთახედვაში – ცივი გახლდათ და მაინც შთამბეჭდავი, სამომავლოდ დაწერილი და მიწაში ჩადებული.

წერილიც ხომ ამდაგვარია: სული ან გრძნობა არა ჩანს ხოლმე.

სულიერ საგანძურს, სულის გამოვლინებებს (რომელიც არ ესმოდა) გვერდს უვლიდა ყველგან.

გენიოსთა გენიოსი იყო აინშტაინიო, – რომ ეწერა, რითიო, აღარ განმარტავდნენ. ბევრი კარგი თვისება ჰქონოდა, ეს როგორც შეატყობდა. ებრაელისაგან მოულოდნელი ეჩვენებოდა, დოსტოევსკი ყველაზე მეტად რომ მოსწონდა. თუკი ამას გულწრფელად ირწმუნებოდა, მაშ ამ მწერლის ანტისემიტური, მონარქისტული მსოფლმხედველობისათვის ყურადღება არ მიექცია.

ერთიანი ველის თეორიაზე რომ მუშაობდა უნაყოფოდ და უშედეგოდ, ესეც პირადად მისთვის ნიშანდობლივი, ებრაელისათვის კი არადამახასიათებელი ამბავი აღმოჩნდებოდა.

თავის სხეულს რომ დააწვევინებდა და ქარში გააფანტინებდა, ამასაც მოუწონებდა რეზო ჭეიშვილი. ამ გადაწყვეტილებაში ფიზიკოსი, უფრო კი მოაზროვნე ადამიანი ჩანდა, მაგრამ მის გენიოსთა გენიოსობას მაინც ვერ გაიგებდა და ვერა.

ელოდებოდა ზამთარს – უფულოდ და უპალტოოდ, და იეთიმ გურჯის სტრიქონი წამოუტივტივდებოდა: ცივ ზამთარში, სიციველშიო...

* * *

შოთა ჩანტლაძეს ნახავდა სიზმრად. ფეხშიშველი დადიოდა. წინ მიუძღოდა და მიჰყვებოდა რეზო. ისეთივე უფროსი იქნებოდა ასაკით მასზე, რო-

გორც სიცოცხლეში. არადა შოთას 40 წელიც არ გაესრულებინა, ისე გადასცილებოდა წუთისოფელს.

ეს ფაქტი აინშტაინის თეორიას გაახსენებდა:

სამყაროდან რომ გავიტანოთ ნივთები – მზე, ვარსკვლავები, გალაქტიკები – სამყარო აღარ დარჩება, დრო და სივრცე აღარ იარსებებსო.

რეზოს ეჭვი ეპარებოდა ამ დებულების სისწორეში, მაგრამ ვთქვათ ეს ყველაფერი ასეც გახლდათ:

40 წლის შოთა რომ მაინც მასზე – 50 წლის კაცზე – უფროსი იყო, როგორღა აეხსნა?

გამქრალიყო მატერია, გასულიყო თამაშიდან და... დროთა ათვლა – შოთასა და რეზოს შორის – შეცვლილიყო თუ უცვლელი დარჩენილიყო?

80 წლისა – რა მეჩქარებაო, იქვე მიადევნებდა – არა, 100 წლისა რომ შეხვედროდა, მაინც მასზე უფროსი დახვდებოდა შოთა ჩანტლაძე?

აწონ-დაწონიდა გუნებაში და: ალბათო, – ივარაუდებდა.

დავეხსნათ სიბრძნის ძებნასაო, – თავისთავად წამოაგონდებოდა და ჩაფიქრდებოდა: თუ როგორააო?..

„კურიერ იუნესკოს“ შარშანდელი ნომერი ჩაუვარდებოდა ხელთ, ჩარლზ დარვინისადმი მიძღვნილი, ერთ ალაგას ასე რომ ეწერებოდა, მსხვილი შრიფტით სხვათა შორის:

განსხვავებით ფართოდ გავრცელებული შეხედულებისაგან, დარვინს არასოდეს უმტკიცებია, თითქოს ადამიანი მაიმუნისაგან წარმოშობილიყოს, და ამბობდა მხოლოდ: მათ ერთი საერთო წინაპარი ჰყავდათო.

ეს ამბავი რეზო ჭეიშვილისათვის ამ ბოლოდროინდელი ყველაზე დიდი აღმოჩენა გამოდგებოდა.

როგორ უხვრეტდნენ მთელი ცხოვრება ტვინს: მაიმუნისაგან ვართ გაჩენილი, გინდა თუ არა, მაიმუნია თქვენი წინაპარიო.

ერთი საერთო წინაპარი – ეს მოსაზრებაც სადავო გახლდათ რასაკვირველია – მაინც სულ სხვა იყო. ერთი ხის ორ შტოს სხვადასხვანაირად ეხარა, ერთი აყვავილებულიყო და მეორე – არა. ერთი წინაპრის – ადამიანის – ერთი შთამომავალი უფრო გაადამიანებულიყო, მეორე გამაიმუნებულიყო, თუნდ უფრო გამაიმუნებულიყო... ეს უკვე რეზო ჭეიშვილის ინტერპრეტაცია გახლდათ.

ნაწყვეტებიც დაებეჭდათ გემ „ბიგლით“ მოგზაურობის დღიურებიდან. როგორ უნდოდა – ამჟამადაც სურდა – ამ წიგნის წაკითხვა რეზოს და ვერაფრით ხელთ ვერ მოეგდო.

კარგი კაცი ყოფილიყო ძალიან. სწავლით – რეზოსი არ იყოს – არც ის იკლავდა თურმე თავს. 30 წლისას გულის უკმარისობა ეჩვენებოდა და: ესეც ენიშნებოდა... ზედაპირულ სამედიცინო განათლებაზე უფრო ცუდი არაფერიაო, – ეთქვა და რეზოც კვერს დაუკრავდა: მართალიაო...

ბოლოში დაებეჭდათ ჩანდრა ვიკრამასინგხას სტატია „ასტრონომისეული განსჯა ბიოლოგიის თაობაზე“, თავისი და თავისი კოლეგის – ფრედ ჰოილომის – სახელით რომ უარყოფდა დარვინიზმს და ახალ თეორიას

ავითარებდა. ეს ადრეც ეცოდინებოდა რეზოს, წაკითხული ექნებოდა – ამ სტატიის დონეზე. და ასეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა მისი თეორიის მიხედვით:

თითქოსდა სამყარო, გალაქტიკებსშორისი ველი დაფარულიყო ვირუსებით, არაცოცხალი, მაგრამ სიცოცხლის აღმომცენი ორგანიზმებით, როგორც მცენარეული თესლებით, რომელნიც, შესაფერ გარემოში მოხვედრილნი, აღმოცენდებოდნენ ლობიოდ – და ამ გახსენებაზე როგორ არ ჩაერთო, რომ დიდი ამბავი იყო ახლა ჩვენში ლობიოზე, საგანგებო პარტიული დადგენილებებით რომ მიეღოთ – ოხრახუშზე, ნიახურზე, ბაობაბზე და რა გინდა რაზედ. გონიერი საწყისი რომ ედო ამ ყოველივეს საფუძვლად, ეს გახლდათ საყურადღებო...

ფიქრობდა, ესეც ფიქრობდა... ადამიანი ბევრს შეიცნობდა, ბევრს ამოხსნიდა კიდეც, მაგრამ სიკვდილის შემდგომ თუ რაიმეს გაიგებდა, სიცოცხლეში ვერასოდეს მიხვდებოდა!..

და გულმტკივნეულად დასძენდა რეზო ჭეიშვილი:

ცუდია, მარამა – ფაქტია! რას ვიზამთო?!!..

დავეხსნათ სიბრძნის ძებნასაო...

თუ... როგორ იყო?..

აქეთ ჩარლზ დარვინი ეწეოდა თავისკენ, იქით ალბერტ აინშტაინი, შოთა ჩანტლაძის აჩრდილი თავისას აგრძნობინებდა, ფეხშიშველა რომ მიუძღოდა წინ ზმანებაში და ვერ გაეგო რეზო ჭეიშვილს, რომელიღა გახლდათ მათ შორის უფროსი: 40 წლის კაცი თუ 50-ისა?

დაჰყურებდა 25 ოქტომბრის თარიღს და ახსენდებოდა, რომ: 13 რიცხვის შემდეგ – კიდევ იტყოდნენ: ცამეტი არ ცამეტობსო – აღარაფერი ჩაეწერა. თუმც ჩანერას ვიღა ჩიოდა: იმ დღის მერე, ალბათ მეორე დღესვე, წასულიყო ხელიდან და კინაღამ ისევ დაბრედილიყო. სწორედ ამ ჟარგონულ გამოთქმას ამჯობინებდა მეტი სიმძაფრისათვის, თორემ „კინაღამ მოვკვდიო" მთელი სისრულით ვერ გამოხატავდა მის ყოფას, ახლა თავს რომ საყვედურობდა და აღარ ინდობდა: ნუთუ – როგორც ბევრს ჰგონია – ჭკუის ნატამალიც აღარა მაქვს და ძალით ვიკლავ თავსო??? მერამდენედ უნდა განმეორებულიყო ერთიდაიგივე სიტუაცია?..

თვითმფრინავში არა ჯდებოდა: უაზრო რისკს ვერიდებიო, – პოლიტიკის ხანჯლის პირებზე არა ბზრიალებდა და... რისთვის, რას სჩადიოდა?.. ააა?..

თვითმფრინავის ხსენებაზე:

ორჯერ გახლდათ სულ ნაფრენი და თუ აუცილებლობა, გადაუდებელი აუცილებლობა არ უკარნახებდა, აღარც იფრენდა აღარასდროს. იქ, სადაც მასზე არაფერი იყო დამოკიდებული – ეკიპაჟის წევრი რომ ყოფილიყო, სხვა იქნებოდა – თავისი სურვილით არ ჩაჯდებოდა და არა...

– რისი გეშინია? – ჰკითხავდა ერთი, – ქალები სხდებიან შიგ.

ქალები რა მოსატანიაო, გაუკვირდებოდა რეზო ჭეიშვილს.

ჯერ ერთი: ვის დაემტკიცებინა, რომ ქალი მამაკაცზე უფრო მშიშარა გახლდათ?!.

და მეორეც: ქალისათვის, როცა სახელმწიფო, ოფიციალურ, ბილეთსაგზურიან ტრანსპორტში ჯდებოდა – იგი ხომ ბუნებით მიმნდობი იყო, უფრო სწორად: ყოველთვის სხვაზე დანდობილი – ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერი წესრიგში გახლდათ.

თუ ააფრენდნენ, უნდა დაეფრინებინათ კიდეც.

მამაკაცებს კი – ალბათ ზოგიერთის გამოკლებით – ეშინოდათ, უმრავლესობა ფიქრობდა: შეიძლება რამე მოხდეს, შეიძლება დავიღუპო, მაგრამ რას ვიზამო...

რეზო რომ თვითმფრინავში ჯდებოდა – როცა ჩაჯდებოდა ანუ იშვიათზე იშვიათად – ფიქრობდა: შეიძლება გადავრჩეო!..

კინაღამ უეჭველ სიკვდილთან შესაგებებლად მიდიოდა – თავისი აზრით – და... რაღა ფასი შეიძლება ჰქონოდა ამნაირ მგზავრობას?!.

საგულისხმოა ამ თვალსაზრისით ის პასაჟი „ჩემი მეგობარი ნოდარიდან", ნოდარს იმ დღეს უნივერმაღის შესასვლელთან ნაცნობი ადამიანისათვის რომ უნდა მოეკრა თვალი და მფრინავის ფორმაში გამოწყობილი, ბავშვობაში გადაკარგული ყვავაძე ეცნო, ამჟამად სადღაც ჩრდილოეთში რომ მსახურობდა, საფრენოსნო სკოლაში.

რეაქტიულ თვითმფრინავზე იჯდებოდა და ხმა ისე ჩამოვიდოდა ქუთაისში: ატომური ბომბებით გაწყობილი დაფრინავსო.

ამას რომ ეტყოდა ნოდარი, ის დუმილს ამჯობინებდა და... მიხვდებოდა მკითხველი: უშიშროების სამსახურებთან რომ იქნებოდა უშუალოდ დაკავშირებული.

ამ ეჭვს აძლიერებს ის კითხვა-პასუხიც, ყვავაძეს შემთხვევით ორდენი რომ გამოუჩნდება და შეკითხვაზე: რაში მოგცესო? – პასუხისათვის თავის არიდებას შეეცდება: მომცესო...

აშკარაა, თავისი საქმის პროფესიონალია და მიაჩნია, რომ: თვითმფრინავის მართვა ვისთვის ძნელია და ვისთვის ადვილი, მაინც უფრო ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული.

და საგულისხმოა სწორედ ეს სტრიქონები.

– ესე იგი დილით მიფრინავ! – ეტყვის ნოდარი.

– არა, მატარებლით მივემგზავრები, – მიუგებს თვითმფრინავის მართვაში ასერიგად გაწაფული ბავშვობის ამხანაგი.

– რატომ მატარებლით? – უკვირს ნოდარს.

და პასუხად:

– არ მიყვარს თვითმფრინავით მგზავრობა, ვერიდები, ხომ იცი, მაინც...

ტყუილუბრალოდ აბრალებდნენ ჩარლზ დარვინს, ადამიანის წინაპრად მაიმუნი გამოაცხადაო. ჯერ ერთი საერთო წინაპრის არსებობაც ვერ იყო დიდად სანუგეშო, მაგრამ მაიმუნისაგან წარმოშობას მაინც სჯობდა სადღაც რიღაცით...

და მზე, ვარსკვლავები და გალაქტიკები რომ გაგვეკრიფა, სამყარო ვითომ რატომ აღარ დარჩებოდა – ეს ალბერტ აინშტაინი რაღას გვერჩოდა, რაღას გვაშინებდა, იმედის ნამცეცს მაინც რატომ არ გვიტოვებდა, თავი

რომ გვენუგეშებინა: დრო და სივრცე მაშინაც იარსებებს, დრო და სივრცე მაინცო...

ირაკლი აბაშიძე ცუდად გამხდარაო, – ეტყოდა ვიღაც.

ჯანსულ ღვინჯილიას კრიტიკული წერილი ემწვავებოდა ძალიან, უზომო ხოტბა-დიდების წინააღმდეგ მიმართული, აღმატებულ ეპითეტებს რომ დაუზვინებდნენ და... თვითონ კი დედის რძესავით შეირგებდა დითირამბების ამ ახალ ნაკადსაც, მაგრამ იმ აჟიოტაჟს, რაც იმ სახოტბო წიგნაკის გამოსვლას მოჰყვებოდა, ჯანსულ ღვინჯილიას სტატია – „ჩვენი დუმილის პასუხად..." – აირეკლავდა და თვითტკბობაში გახვეულ პოეტს, ყოვლთუმჯობესად და ახალი დროის ჰომეროსად და აკაკიდ რომ მიაჩნდა თავი, მიწაზე ჩამოიყვანდა და საკმაოდ მკაცრ რეალობას შეახედებდა პირისპირ.

რეზო რომ შეხვდებოდა ჯანსულს, მიულოცავდა:

– მომეწონა შენი წერილი, მაღალ დონეზეა დაწერილი.

დღიურში თავშეკავებას ამჯობინებდა: ცოტა მეტი მომივიდაო.

იქ კი, ჯანსულთან საუბრისას, დასძენდა:

– სამაგიეროდ მომდევნო სტატია პროვინციალიზმის ნიმუშია.

27 ოქტომბერს მასაც ჩაუხითხითებდნენ, როგორ ეთქვა ირაკლი აბაშიძეს:

– ერთი-ორი წლით ადრე რომ მოვმკვდარიყავი, ამ ღვინჯილიასა და ლობიოს ტალონებს აღარ გადავეყრებოდიო.

იმ დღესაა, მზერის მიმოტარებასაც რომ მოინდომებდა რეზო ჭეიშვილი, რა ხდებოდა ლიტერატურაში ანუ ლიტერატორთა თავსა ზედა.

მუხრან მაჭავარიანი შეჭირვებულიყო – დისწულის ჯარის საქმეს აგვარებდა, ექვსი თვით გადაავადებინებდა რესპუბლიკის კომისარს და სამომავლო გზებს ირჩევდა აქედანვე ძმისშვილისთვისაც და შვილისთვისაც. საერთაშორისო დაძაბულობას გრძნობდა და: რა ეტაშფანდურება ამ საცოდავსო, – ედუარდ შევარდნაძეზე იტყოდა.

მურმან ლებანიძე მოსკოვში იმყოფებოდა, საავადმყოფოში. მძიმე ოპერაცია გადაეტანა და... ნეტა ხომ არ ჩამოეყვანათ კიდეც?

ოთარ მამფორია წინა დღეს ენახა პანაშვიდზე. ოდნავ წელში წახრილი, ქუდდახურული, ღირსეული იერითა და ღიმილით რომ ესალმებოდა თითქმის ყველას. დღეს შ. ძოწენიძესთან მისი ერთტომეული – მგონი ასე ეწერა – შეემჩნია. აეღო, ის იყო – ოთარ ანტონის ძის რჩეული, წითელყდიანი წიგნი სურათით. პორტრეტიც ნამეტანი ადრე გახლდათ გადაღებული და ახალგაზრდა ოთარი ახალგაზრდა კეისარს, რომელიღაც ცეზარს ჰგავდა.

დღეისსწორს კენჭისყრა ყოფილიყო მწერალთა კავშირში, რეზოს ტელეფონი არა მუშაობდა. ეძებდნენ და ვერ მონახავდნენ. მის გარდა ყველა იქნებოდა, მიმღები კომისიის ყველა წევრი. კიდევ კარგი, არ ვიყავიო, – ბედს მადლობას იმიტომაც შესწირავდა: ისედაც ჩაბინძურებულიყო იქაურობა და იმ დღეს კიდევ უფრო ჩაებინძურებინათ. გურამ შარაძეს ჯანსულ ჩარკვიანი გაელანძღა... ჯანსული – ცხადია მარტო ამის გამო არა – ცუდად გამხდარიყო, ნემსებსა და წვეთოვანს იკეთებდა თურმე თერაპიის ინსტიტუტში. ეწყინებოდა რეზოს და გადაწყვეტდა აუცილებლად მოენახულებინა.

ტარიელ ჭანტურია ამასთან დაკავშირებით რამდენიმე ჭორს – სიმართლეს სინამდვილისა – გააცნობდა და... ჯანსუღისა და ძმების ურთიერთობასა და „სიყვარულზეც" მიანიშნებდა.

იქ შეიტყობდა ირაკლი აბაშიძის დაჩივლებასაც: ერთი-ორი წლით ადრე რომ მოვმკვდარიყავიო...

ამხანაგ წივწივაძეს – სწორედ ასე მოიხსენიებდა და არა სახელით, გასაგებია რატომაც – კრიტიკული წერილი დაეწერა ჯანსუღ ღვინჯილიას წინააღმდეგ და მოეთხარა. ირაკლის გამო მოეთხარა. გვერდებში ამოღებული ეჭირებოდა ხელში და: აღარ ბეჭდავს „მნათობიო", – ჩიოდა. და უკვირდა და ეღიმებოდა რეზო ჭეიშვილს: ნუთუ ვაჟა ჩორდელმა უკითხავად ააწყოო?!.

მაინც რაღაცისა ეიმედებოდა და: გავასწორებ, ფინალს დავამატებო, – ამბობდა.

ყველა გაამტყუნებდა, რადგანაც ირაკლი აბაშიძის დაცვა ამ სიტუაციაში არავის ჭირდებოდა.

რეზო ჭეიშვილს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა:

ვიღაცამ შეაცდინა, შეუკვეთა კიდეცო...

რეზოს ხსენებასაც აპირებდა – ეს ახლა ხვდებოდა. ოდესღაც მასზე ჯანსუღ ღვინჯილიას კრიტიკული წერილი რომ დაესტამბა ქუთაისის გაზეთში, თამაზ წივწივაძე იმის ამოქექვას აპირებდა და ეს იუარებდა:

– არ ჰქნა, რაღაცას აპირებ, არ გირჩევ, მე თავი დამანებე, იმ კაცმა იმ წერილის გამო საჯაროდ მომიხადა ბოდიში.

ელიზოვი ენახა ძმასთან ერთად. რაც მეტს ვარჯიშობდა – მეტად სუქდებოდა, ჯანზე მოდიოდა, ჭამის მადა ემატებოდა და გახდომის მაგივრად ფერ-ხორცი ესხმეოდა და სუქდებოდა ერთი თუ ორი სიტყვით!..

გრიგოლის ძე ტალინში იმყოფებოდა, შეიძლება ჩამოსულიც იყო, ოთხი საათისათვის ელოდნენ.

რეზოს სამშაბათობით ხვდებოდა ხოლმე.

გურამ დოჩანაშვილი, რომელსაც ამაშუკელი რატომღაც კოჩმადანაშვილს ეძახდა, ლოთობდა... ის და ოღია – ანზორ სალუქვაძე – ლუდის დასალევად მიდიოდნენ გუშინ: მარტო ლუდს დავლევთო. ეს არ წაჰყვებოდათ: აღარა ვსვამო.

ელდარ კერძევაძე ისევ მთვრალი იქნებოდა. რეზოზე რაღაც წერილი ჰქონდა დაწერილი. „კრიტიკა" არ დაბეჭდავდა და „ლიტერატურული საქართველო" შეპირდებოდა. ეს მადლობელი დაურჩებოდა და: კარგი პოეტია, ჩემმა მზემო, – მარტო მადლიერების გამო მაინც არ ჩაწერდა დღიურში.

მეტი არავინ ახსენდებოდა სახელდახელოდ.

6 ოქტომბერს ჩაინიშნავდა, რომ:

ზეიმები და დღესასწაულები, ზეიმები და ტაშ-ფანდურები გველოდებოდა.

კითხულობდა ინდურ თხრობით პროზას, კერძოდ ხიტოპადეშას, IX-X საუკუნეებს რომ აკუთვნებდნენ ამ მშვენიერ ნაწარმოებს. ხიტოპადეშას მოს-

დევდა ვატალაპანშავანშატი, ვიკრამჩარისტი, პურუშაპარიკაში, ბეხოჯაპრაბანდუხი...

სახელები მოეწონებოდა ჟღერადობით და ამიტომ ჩამოწერდა მხოლოდდამხოლოდ.

როცა არ გეძინებოდა ადამიანს, კითხულობდი, ფიქრობდი, ფიქრობდი, თვლემდი, ბორგავდი... ისევ ფიქრობდი არარაობასა და დასასრულზე...

ადამიანები რომ გულხარბები, შურიანები, ბოღმიანები, მომხვეჭელები არა ყოფილიყვნენ, არაფერსაც არ შექმნიდნენ.

ძნელი ასაღიარებელი გახლდათ ეს დაკვირვება თუ მოსაზრება?

სამწუხარო რეალობა ეს გახლდათ – კაცობრიობის წინსვლისათვის მამოძრავებელი, ჩვენ რომ მომხიბლავ და მშვენიერ ფერებში ვესწრაფოდით ადამიანის ცხოვრების გახვევას, გულისამაჩუყებელ ფერებში წარმოვსახავდით...

მზერას გაუსწორებდი გარემომცველ სინამდვილეს და... ეს შეგრჩებოდა ხელთ თუ შეგრჩებოდა.

და ძალდაუტანებლად აგონდებოდა ეკლესიასტეს სტრიქონები და ასდევდა და კვლავდაკვლავ უკვირდებოდა და უფიქრდებოდა: ამაოებათა ამაოება თუ იყო ყოველივე, თუკი წამი გახლდათ დრო, მაშ რაღას იგლიჯებოდა კიდევ უფრო და უფრო და უფრო?

ერთმანეთის წამხედურობა, ჯიბრი, პატივმოყვარეობა, დიდებისა და სახელის მოხვეჭის სურვილი თუ უფრო წყურვილი ამოძრავებდა ცხოვრებას და ამ მანკიერებას განგება ადამიანებს არც არასოდეს ჩამოაშორებდა. უამისოდ პროგრესიც არ იქნებოდა ალბათ.

არის კი საჭირო ეს პროგრესი? – ეს ფიქრიც აეკვიატებოდა – ეს მოძრაობა, წინსვლაო?

ბოროტ ექსპერიმენტს ატარებდა ვილაც თუ რაღაც გონიერ არსებებზე, თუ ამის იქით მართლაც არაფერი იფარებოდა.

უეცრად წაცდებოდა და... მოწონებით მოეწონებოდა კი ეს სიტყვათშეთანხმება „ბოროტი ექსპერიმენტი“ – არცთუ ცუდ ფორმულად თუ გამონათქვამად მოეჩვენებოდა.

სასიკვდილო სარეცელზე დახატულ ივან ტურგენევის სურათს დახედავდა ჟურნალში. პარიზის ახლომდებარე აგარაკზე უნდა ყოფილიყო ნატურიდან ჩახატული. სახლი პარიზში, აგარაკი პარიზის მახლობლად, სახლი მოსკოვში – პეტერბურგშიც ჰქონოდა ადრე – მამული რუსეთში, სადაც რეზო ჭეიშვილიც იმყოფებოდა ამ ცოტა ხნის წინათ.

რა დარჩენოდა, რა წაეღო, ხანმოკლე წუთისოფელში წუთიც, „მგნავენიეც“ ვერ გაეხანგრძლივებინა. როგორ ამბობდნენ რუსები სიბერის უბედობაზე? სტაროსტ ნე რადოსტ-ო, არა? და მაინც გამოშტერებას დასასრული სჯობდა ალბათ.

და ინატრებდა:

როგორც დაბადებას ვერა გებულობს, ისე სიკვდილიც ვერ უნდა იგრძნოს უბედურმა ადამიანმაო.

მოვლინება თუ არ გაგვეგებოდა, მივლინებაც ვერ უნდა გაგვეგო – წესითა და კანონით. და ეს იქნებოდა ბუნებრივი ბიოლოგიურ-ლოგიკური დასასრული.

ყაჭივით უნდა შემოგეხვია აბრეშუმი.

ჯერ უნდა გამქრალიყავი და შემდეგ უნდა გაფრენილიყავი.

მეორე დღეს, კვლავაც იმ განწყობილებებით შეპყრობილი, საგანგებოდ ჩაინიშნავდა, რომ:

ბაჩანა ბრეგვაძის პაპა 103 წლისა მიცვლილიყო შარშან. საშინლად შინებოდა სიკვდილისა. 101 წლისას გრიპი შეყროდა, სიცხიანს სიკვდილი მოჩვენებოდა და... ნამხდარიყო.

არ არის საშველი, როგორც ვხედავთო, – დაიკვნესებდა დღიურის ავტორიც, – თუ კაცი თავის ჭკუაზეა, დასასრულის გაგონება, გააზრება თუ სინამდვილისათვის თვალის გასწორება არ შეუძლიაო.

და შენატრებდა ძველებს: რამდენად უფრო მაგრები იყვნენ, ღვთის მორწმუნენიც და ურწმუნონიცო.

ბაჩანა ბრეგვაძის ხსენება რას წამოაგონებდა უპირველესად, თუ არა: სოკრატეს სიკვდილს, და სხვა რომაელ მოქალაქეთა აღსასრულსაც. ქართველთა წინაპრებიც აკი უფრო თამამად და ბუნებრივად უსწორებდნენ მზერას მოძულე გაბრიელს.

ბებიასა და პაპას – დედის მხრიდან – ბოლო დღეები ახსოვდა კარგად... და გაიფიქრებდა: როგორ არ მოვიცლი უფრო ნათლად გახსენებისათვისო...

ეს არ იქნებოდა ფიქრთ გასართველი წაფილოსოფოსება, ნახევარი საუკუნე დროდადრო ისედაც მწვავედ რომ შეახსენებდა ხოლმე თავს და ფორიაქობდა: მთავარი გასაკეთებელი მრჩებაო.

სხვაზე მეტი მაინც მოესწრო, მაგრამ ეს არა კმაროდა, რაკიღა უფრო მეტისათვის მოწოდებულიყო და დრო აღარ უნდა დაეკარგა და აღარც თავი დაეზოგა – რიღასთვის განა?!.

26 ოქტომბერს გულისტკივილით მიადევნებდა თვალს, როგორ უფერულად, უდღეურად გამოეხმაურებოდა პრესა სერგო კლდიაშვილის 90 წლისთავს.

ეს იმიტომ, რომ:

ნამდვილი მწერალი გახლდათ, ნამდვილს კი ჩვენში ფასი არ ედო და მამის სახელიც – რეზოსათვის ეს ცხადზეც უცხადესი იყო – ძალიან შეუშლიდა მის მწერლობას ხელს.

„სამანიშვილის დედინაცვლის“ სცენარს რომ დაწერდნენ, სერგოს ვილაცები ენას მიუტანდნენ: დავითის ნაწარმოებს ასხვაფერებენო, – და ისიც სცენარის გაცნობას რომ მოითხოვდა, ელდარ შენგელაიაც მიართმევდა.

წაიკითხავდა, წაუკითხავდნენ უფრო სწორად, და დაიბარებდათ.

ილაპარაკებდნენ, წიგნსაც აჩუქებდა და მისი დაბადების 80 წლისთავზე რეზოს პატარა მისალოცი წერილი რომ გამოექვეყნებინა, იმასაც გაიხსენებდა. და ამ სიტყვებით გამოაცილებდათ:

– ფილმი რომ გამოვა, ვნახავ დიდი სიამოვნებით.

მტერი არაა, ეს ამ ფილმის გამოსვლას ვერ მოესწროსო, – გაიფიქრა რეზო, რაკიღა ის თითქმის ვეღარაფერს ხედავდა მაშინაც. რომელი წელი იქნებოდა – 1975 თუ 76? ალბათ მაინც 76... არადა: ფილმსაც ნახავდა, რას ხედავდა, ძნელი სათქმელი იყო, მაგრამ უყურებდა კი.

სიმონეთში გაუშვებდნენ... ეზოში. მისივე სახლის კედელი იქნებოდა ეკრანი.

ლიკანში რომ ეპირებოდა წასვლას რეზო, სერგო კლდიაშვილი გიორგი ციციშვილის კაბინეტში შემოვიდოდა 1982 წელს. ქალს – რად ეკუთვნოდა, ეს რეზომ არ იცოდა – დაჰყავდა ხოლმე. სიგარეტს ამოიღებდა და ისეთ გემრიელ ნაფაზს დაარტყამდა, რომ რა გინდოდა!..

– სულ ავადმყოფობდა, – ირაკლი აბაშიძე იტყოდა მასზე, – მუდამდღე სიცხის საზომი ჰქონდა იღლიაში ამოჩრილი.

ღვინოს არა სვამდა მამასავით. სიგამხდრე კი აქამდე გააძლებინებდა. ცოტა ხომ არ იყო 90 წელი.

მთელი ჩვენი მწერლობა, XIX საუკუნის ჩათვლით, რომ გაგვეხსენებინა, ამნაირ შემთხვევას ვერა ვნახავდით.

დავით გურამიშვილი და გრიგოლ ორბელიანი გადააცილებდნენ მხოლოდ 80-ს, არადა: 80 წელი ახლა აღარაფრად ითვლებოდა.

სანდრო შანშიაშვილი 90-ისა გამხდარიყო.

კოლაუ ნადირაძე ხდებოდა.

პავლე ინგოროყვა ხდებოდა.

ნოდარ მალაზონიაც.

აკაკი შანიძეზე აღარაფერს იტყოდა...

სხვა ვინ? მიმოატარებდა მზერას და: მეტი მგონი არც არავინო.

4 ნოემბერს აღშფოთებას ვერ დაფარავდა ქართულ ლიტერატურაში ამდენი გარეწრის არსებობით, სამწუხაროდ ბევრის!.. „ის“ ერთ-ერთი უპირველესი რომ გახლდათ, ამის ძმაკაცებს შემოეყვანათ ვაჭარი მწერლობაში და მწერლად გაეხადათ. ბახვა ფულავას დაუძახებდა დღეიდან... მძიმე ავად ყოფილიყო, მაგრამ რა – ყველაფერს პირდაპირი სახელი უნდა დარქმეოდა. ფულით, ყველითა და ღვინით შემოსულიყო და... ვის შემოეყვანა? ამისიანებს – გურამ ფანჯიკიძეს, თამაზ წივწივაძესა და გივი ძნელაძეს უპირველესად. უარესებიც შემოსულიყვნენ და შემოდიოდნენ, მაგრამ ეს ფაქტი, ეს შემთხვევა მაინც ძალიან ყარდა... ჩაბინძურებულიყო...

ელგუჯა მაღრაძე გადაეყვანათ მთავლიტიდან – რამდენად მართალი იყო ეს ხმა, ვერ იტყოდა. სხვაც ეთქვათ, მაგრამ ის სხვა ნაკლებ სარწმუნოს ჰგავდა...

27 ნოემბერს გარდაიცვლებოდა ნიკა აგიაშვილიც. და ისე გაუკვირდებოდა რეზოს!.. ეგონა: ასეთი ხასიათისა და აღნაგობის ადამიანი კიდევ კარგახანს იცოცხლებსო.

1985 წლის 10 ოქტომბერს მწერალთა კავშირში რევაზ კვერენჩხილაძეს რომ შეხვდებოდა: მომავალი იროდიონ ქავჟარაძეო, – გაიფიქრებდა, იროდიონი კი მათუსალად ნარმოდგებოდა.

კოლაუ ნადირაძე იტყოდა:

– 14 წლისა ვიყავი ილიას დაკრძალვაზე.

91 წლისა მოყრილიყო უკვე, თუ მეტისა არა, მშვენივრად გამოიყურებოდა ისევ.

წამოვიდოდა და მძლავრად ჩამოართმევდა ხელს. ეს მანამდე ლადოს ეტყოდა:

– ამან თუ მიცნო, გადავირევი.

იროდიონი იქ არ ყოფილიყო, ისე გაახსენდებოდა, ამას წინათ ქუჩაში ენახა.

28 ოქტომბერს რომ გადაათვალიერებდა იმ ბედდანავსულ კრებულს – „პოეტის ათასი სტრიქონი", და იმ ეგზემპლარს, კოლაუს ლექსი სადაც გაპარულიყო, დაბეჯითებით იტყოდა:

– ამნაირი, ამ დონის ლექსი მგონი არცა აქვს...

თოვდა და თბილისს ებურა თალხი, დუმდა სიონი და დუმდა ხალხიო...

ამ დუმილის სისასტიკეს გრძნობდა, ხედავდა თითქოს რეზო და ახსენდებოდა 10 მარტი 1956 წლისა – ტრაგედიის მეორე დღე.

ხალხის დუმილი.

ოდესმე ისევ გაიხსენებდა იმ დღეებს.

ამჟამად კი ეს მოსაზრება გაუჩნდებოდა:

ჩვენი ყველაზე დიდი გმირობა დღესდღეობით დუმილიაო.

დროდადრო კვლავ გადმოიღებდა ხოლმე „პოეტის ათას სტრიქონს" და ისე არ იქნებოდა, კოლაუს სურათისათვის რომ არ დაეხედა, ამხელა აურზაური რომ გამოეწვია.

90 წელს გადაცილდებოდა და ბოლობოლო დაჯდებოდა კაცად.

ამ წიგნში არ აღმოჩნდებოდა შეტანილი ნიკოლო მიწიშვილი და შემდგენელთა უაპელაციო ანოტაციასა თუ შესავალს – ტარიელ ჭანტურიას სტილს რომ წააგავდა – ვერავითარ გამართლებას ვერ მოუძებნიდა.

ჩვენ ასე დავალაგეთ და თქვენ თქვენი თქვითო...

თითქოს ხვალაც გამოვიდოდა ამნაირი წიგნი მეორედ.

და გული როგორ არ დაწყვეტოდა:

საერთოდ ზოგიერთ მოღვაწეს, ამ შემთხვევაში – მწერალს, ბედი არა წყალობს ხოლმეო...

ნიკოლო მიწიშვილი დედულეთს გაახსენებდა. ჯვარისადან იქნებოდა ნიკოლოც, მისი დები კი – ლუბა და მგონი ნადია – რეზოს დედის დაქალები იქნებოდნენ. ლუბას სულაც რეზოს ნათლიად ნათლავდნენ, თუმც არასოდეს მოენათლა.

პაპის ძმას, მაქსიმეს, ჰკითხავდა:

– რატომ ჰქვია ამ სოფელს ჯვარისა?

– ჯვარი იყო სოფლის თავში, – მოკლედ მიუგებდა.

მიწიშვილსაც ექნებოდა ამდაგვარი სტრიქონი, მეხსიერებაში ასე რომ შემორჩებოდა: და სოფლის თავში ჯვარია დასვენებულიო.

მაქსიმეს პასუხი მაშინ ვერ დააკმაყოფილებდა რეზოს, ეს სტრიქონიც არაფერს ეტყოდა თითქოს, მაგრამ შემდეგ სადღაც ამოიკითხავდა, რომ: ამდაგვარი ჯვრიანი სოფლები სხვაგანაც არსებობდა თურმე.

თვითონ ჯვარი საკმაოდ დიდი და მასიური – ისევ აპირებდა გაეკითხა – სტელა ყოფილიყო – ქუთაისის ღვთისმშობლის ტაძარს ეკუთვნოდნენ თურმე აქაური გლეხები. XVII საუკუნის ერთი სიგელითაც დასტურდებოდა ეს. და ვარაუდს გამოთქვამდა: თვით ჯვარისა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა იქნებო?

ამჯერად იმ კრებულში ვალერიან გაფრინდაშვილის იმ ლექსს მიაქცევდა ყურადღებას: „ტომას ჩატერტონ". ლექსიკონში, უფრო სწორად ენციკლოპედიაში მოძებნიდა შემდეგ ამ გვარსა და სახელს. 18 წლისა გარდაცვლილიყო. ამაზე ახალგაზრდა ცნობილი პოეტი კაცობრიობას არ სმენოდა ალბათ. მეცნიერი, მოაზროვნე, ასევე წავიდოდნენ – ევერისტ გალუა 20 წლისა მიიცვლებოდა, ლერმონტოვი, ბაირონი, ბარათაშვილი... ჩატერტონთან შედარებით უფროს თაობას განეკუთვნებოდნენ ისინი და გული როგორ არ დაგწყვეტოდა მათი დღემოკლეობით. გააზრება იმისა, რომ: ახლა მაინც კარგა ხნის გარდაცვლილები იქნებოდნენ, არავითარ შეღავათს არ გვანიჭებდა.

სიცოცხლე თავისთავად დიდ ფენომენად წარმოგვიდგებოდა და მაინც ვფიქრობდით: რატომ ასე ადრეო?!.

კიდევ რამდენის გაკეთება შეეძლოთ!

თითქოს ეს ყოფილიყო მთავარი.

რეზოს დააფიქრებდა უსახელო ადამიანის საფლავიც – არ გვეცოდინებოდა, რისი გამკეთებელი იქნებოდა, დიდისა თუ პატარისა, კარგისა თუ ავის, და მაინც გული დაგვწყვეტოდა მის უდროოდ წაბრძანებაზე, და იმ აზრს, ახლა მაინც მკვდარი იქნებოდაო, შვება არ მოეცა.

და ლირიკულ-ფილოსოფიური მედიტაცია ასე მოთავდებოდა:

სიცოცხლე ერთხელ რომ ეძლევა ადამიანს, უდიდესი ამბავია ცხადიაო.

მის საიდუმლოში შეჭრა არც უნდა მოგენდომებინა.

ყველას თავისი წილი წლები მოზომვოდა.

მაგრამ მაინც იმედით გავსებდა მწერალთა სიცოცხლის გახანგრძლივება, თან გონებასაც რომ ინარჩუნებდნენ და არც გარეთ გამოსვლა უძნელდებოდათ მაინცდამაინც, კოლაუ ნადირაძის ენერგიულობა ხომ მთლად გასაკვირი გახლდათ, ქეიფსაც რომ არ იკლებდა და საკმაო ჯავარზეც იქნებოდა, მარჯვენას კი ისე მომუშტავდა ხოლმე დროდადრო, ეგაა და ჩხუბშიც დაუფიქრებლად გადაეშვებაო.

თავი მესამე

შეიძლება სულაც მე ვდგავარ ახალ გზაზე

ამასობაში ჩამოდგებოდა 1984 წელი, შეიძენდა აბუ ალი იბნ-სინას ცხოვრების აღწერას 19 იანვარს და იმ საღამოსვე წაიკითხავდა დიდი ინტერესით, ზოგიერთ ადგილს კიდეც რომ ამოიწერდა.

18 წლისამ ყველაფერი შევისწავლეო, – ირწმუნებოდა არაბი მეცნიერი, – რაც მაშინ ვიცოდი, დღესაც ის ვიცი, არაფერი მიმიმატებიაო.

სხვაგან ცოტა სხვაგვარადაც განმარტავდა:

მერე და მერე განვამტკიცე ეს ცოდნაო.

გარეშე პირის მონათხრობის მიხედვით კი:

საკმაოდ ასაკოვანს სრული სამი წელიწადი მოენდომებინა ენათმეცნიერების შესწავლისათვის.

სამაგიეროდ ადრე გარდაცვლილიყო: 53 წლისა. და რეზო გაიფიქრებდა: ალბათ შეეშინდათ, ნამეტანი ბევრი არ გაიგოსო, და წაიყვანესო.

ხოლო აკაკი შანიძე – ღმერთს დაე კარგად ემყოფებინა – 100 წლისა გახდებოდა მალე.

ან გრამატიკული მეცნიერება არ მიაჩნდათ არაფრად ზეცაში, ანდა დაეწყნოდათ გრამატიკოსის არსებობა.

შესაძლოა – რეზოს თეორიისდა კვალობაზე – ნიმუშადაც ჰყავდათ დატოვებული.

მათუსალაო, – ნიკო ნიკოლაძის ასაკი აოცებდა გერონტი ქიქოძეს.

მათუსალა ამას დაერქმეოდა თუ დაერქმეოდა, ზეცაში რომ დავიწყნოდათ, ანდა ნიმუშად დაეტოვებინათ.

არა, მაინც როგორ ჯავარზე იდგებოდა აკაკი შანიძე, კვლავაც მეცნიერულ ძიებებში ჩაძირული.

საუკუნესაც უნდა გადაცდენოდა და... გრიგოლ ხანძთელის ამქვეყნიური არსებობის ხანაც გაემეორებინა: 102 წლისა მოყრილიყო... და მერე უკვე შეიძლებოდა გულმშვიდადაც განშორებოდა წუთისოფელს.

მეორე ნომერ „ცისკარს“ გაეცნობოდა 18 თებერვალს და... არაფერი გაეკარებოდა მის გულს, სრულიად არაფერი.

თუმც მანამდე, 7 თებერვალს, ვიღაც ალექსიძეს (მწერალიაო? – თავისთვის იკითხავდა რეზო, რაკიღა არაფერი წაეკითხა მიკა ალექსიძისა) ეს რედაქცია დაერბია. ფერი აღარ ედებოდათ თანამშრომლებს, ეს რომ „საუნჯის“ რედაქციაში მივიდოდა და ძალაუნებურად „ცისკრელებსაც“ მოინახულებდა.

ჯანსულ ღვინჯილია ვერ იქნებოდა გუნებაზე, ეს თავისას რომ ელაპარაკებოდა:

– ხვალ საბეჭდი მანქანა უნდა გავამზადო, ზეგ ბეჭდვა უნდა დავიწყო. სამშაბათს, ორშაბათი ცუდი დღეა, წარმოვადგენ.

თურმე კარგ გუნებაზე რატომ უნდა ყოფილიყო იმ დავიდარაბის შემდეგ, ეგაა პირადად არ შეესწრებოდა იმ უსიამოვნებას, თედო ბექიშვილი, მისი მოადგილე, რომ მოჰყვებოდა იმ თავდასხმის – პირდაპირი გაგებით – შუაგულში.

იორამ ქემერტელიძე ეტყოდა რეზოს ცოტა არ იყოს უცნაურ ფრაზას:

– შენი ტომეულების საქმე კარგადაა... არც ისე...

და მიხვდებოდა ამ მიკიბულ-მოკიბულით: ორი ტომი დამიტოვეს ალბათო.

11 თებერვალს პირდაპირაც მოახსენებდნენ:

– ორი ტომი შევიტანეთ გეგმაში, მეტის საშუალება არ იყო. გურამ ფანჯიკიძის სამი ტომი, რევაზ ჯაფარიძისა – ოთხი. ჯაფარიძე 9-ს ითხოვდა, ფანჯიკიძე – 4-ს, ამიტომაც სამი დავუტოვეთ, თუ დაიტოვა.

და გაიფიქრებდა რეზო ჭეიშვილი:

მე უნდა მომეთხოვა 12 და ნაღდად დამიტოვებდნენ სამსო.

თენგიზ არჩვაძის მამის დაკრძალვაზე რომ იქნებოდა 3 მარტს, 92 წლისა მიცვალებულიყო მშვიდად, არავინ შეეწუხებინა. თენგიზი ყველას სურათისაკენ ახედებდა და: ჩოხა-ახალუხიანი ლამაზი კაცი იმზირებოდა მართლაც ფოტოდან.

ოთარ მამფორია – რეზოს შეტყობით, ერთადერთი პოეტი, რომელსაც ეს გულწრფელად შეეძლო – ლექსებს შეუქებდა ოთარ ჭელიძეს. და რეზო ქელეხიდან რომ მობრუნდებოდა შინ, გაშლიდა გაზეთს, წაიკითხავდა იმ ლექსებს და მოეწონებოდასავით. პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი კარგი გახლდათ, თუმც სტრიქონები თუ სიტყვები აქა-იქ ნაცნობი მოეჩვენებოდა. „თოფთან ღამენათენები", „მისი თოფის წყვილი ლულა" – ზურაბ კუხიანიძეს ჰქონდა ამდაგვარი რაღაც.

21 თებერვალს ბეჭდვაში ივარჯიშებდა და შოთა რუსთველს ასეთ სტრიქონს აღმოუჩენდა – 760-ე სტროფში: მე თუ მოვკვდე, ჩემი კერძი სოფელიმცა გარდიფხვრებისო.

სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონს ჩახედავდა და: ფხუნა დაფშუტუნესავით განიმარტებოდა.

ივანე იმნაიშვილი კი: ფხურას გლეჯასთან გააიგივებდა.

დაახლოებით ასეთივე მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო გარდიფხვრების: სოფელი დაიქცევისო, – ასე უნდა გაგვეგო.

ფილოსოფიაში კიდევ ამ აზრს – ჩემი კერძო სოფელიმცა დაიქცევისო – შესატყვისი – რომელიც რეზომ ალარ იცოდა – ტერმინიც მოეპოვებოდა.

– დავხუჭავ თვალებს და ჩემთან ერთად იმსხვრევა სამყაროც...

თვითონც ჰქონდა ამდაგვარი რამ გამოყენებული რომანში „დალი", ალბათ იმანუელ კანტისაგან ნასესხები. არადა: ალარც კი ეხსომებოდა.

შაბათ-კვირას ქუთაისს მოივლიდა, წიგნებს წაიღებდა, 17 ეგზემპლარს იქვე დატოვებდა, დანარჩენების დარიგებას შეუდგებოდა ნელ-ნელა. 25 ცალი უნდა ჩაექვესკნელებინა, გადაემალა სადმე...

წიგნის მაღაზიაში ენდომებოდა შესვლა და – შესვენება აღმოჩნდებოდა. შეჩერდებოდა და... მოსწავლეებიც გამოვიდოდნენ ჯგროდ, მეშვიდე-მერვე კლასელები. ჯგუფ-ჯგუფად მოლაპარაკობდნენ და ზედაც არ შემოხედავდა არცერთი, რეზო კი ხარბად მიაჩერდებოდათ. ზუსტად ამათი ხნისა იქნებოდა ალბათ, როცა ამ სკოლიდან გამოსული ამ მაღაზიის ვიტრინასთან ჩერდებოდა ხოლმე.

ახლა კი მიაჩერდებოდა ამ ბავშვებს და ჩაფიქრდებოდა: ვისი გზა საით წავა, ვინ რა გამოვა, ვის როგორ გაუმართლებსო. ჭკვიანი თვალები და ნიჭიერი იერი ექნებოდა უმრავლესობას...

და უცნაური გრძნობა დაეუფლებოდა რეზო ჭეიშვილს:

თითქოს თავის ბავშვობას შეჰყურებდა.

კოლაუ ნადირაძე მივიდოდა თავისი ფეხით 12 თუ 13 მარტს „ცისკარში", დაპატარავებული და აღშფოთებული იქნებოდა ერთდროულად:

– მაია ჩიბურდანიძეს ჩაგრავენ, არ ახსენებენ, წერილი უნდა გავგზავნო მოსკოვში!..

ის წერილი დაწერილიც უნდა ჰქონოდა უკვე.

რეზოს – ამ გულისწყრომის გამგონეს – ეს აზრი და განცდა გაუჩნდებოდა: ვატყობ, 90 წელი მალე ჩვეულებრივ მოვლენად იქცევაო.

– 80 წლის კაცია, – მოწონებით ამბობდნენ ხოლმე მისი ახალგაზრდობისას. და როგორ არ გაკვირვებოდათ, როდესაც შალვა დადიანს თვალს მოჰკრავდნენ, ანდა რაღაცაზე წამოაგონდებოდათ:

– 80 წელს გადაცილდა.

ამ მხრივ სასიკეთო ტენდენცია ისახებოდა და ეგებ ღმერთს ენება და მართლაც მიდრეკილებად, სულაც ტენდენციად გამოკვეთილიყო სიცოცხლის ხანგრძლივობა?!.

1 აპრილს „ცისკრის" მესამე ნომერს გადაიკითხავდა ანუ „გულდასმით გადაათვალიერებდა" და... არც სულს გაეკარებოდა რაიმე და არც გულს მურმან ჯგუბურიას ლექსების გარდა. და აქაც ალაგ-ალაგ თუ გამოანათებდა სტრიქონები და რეზო დანანებით შენიშნავდა, რაკიღა საკმაოდ აფასებდა მის პოეტურ ნიჭსაც და ლიტერატურულ გემოვნებასაც: ეტყობა, როგორ იიოლებს ხელობასო.

ჰქონდა ამ საყვედურის თქმის უფლება რეზო ჭეიშვილს, რაკიღა თვითონ გამუდმებულ ძიებაში იქნებოდა და ისეთი მონდომებით ეჯდა თვითეულ ახალ თხზულებას, თითქოსდა ამ და მხოლოდ ამ ახალზე ჰკიდია მისი მწერლური ბედიო.

ასე რომ არა, იმ სხვა მხატვრულ განზომილებაშიც ვერ გადაინაცვლებდა, დიდი ლიტერატურის საუფლოდ რომ ითქმოდა.

იროდიონ ქავჟარაძე შეხვდებოდათ ქუჩაში 21 მაისს, აღმასკომის წინ. შილიფად ჩაცმული და ცოტა შეწუხებულიც იქნებოდა. გამოელაპარაკებოდათ ხალისით და გამოემშვიდობებოდათ. ლევან მალაზონია იტყოდა:

– ექვსჯერ ამოვიდა „ცისკარში“.

და როგორ არ გაკვირვებოდა რეზოს, როდესაც იმხელა კიბეზე ასვლა ბევრს, მათ შორის ახალგაზრდებსაც უძნელდებოდათ.

რამდენისა იქნებოდა იროდიონი?

90-ს რამდენიმე წლის წინათ გადაცილდებოდა – თუ რეზო არა ცდებოდა – და დღევანდელ არეულ ქალაქში მარტოდმარტო დახეტიალობდა.

დიდი ხნის ადამიანებს ისეთ პატივს მიაგებდა რეზო ჭეიშვილი, გაოცდებოდით.

მარტო მოხუცებულობის გამო კი არა, ამდენ ხანს რომ ცოცხლობდნენ, პირად დამსახურებად, ნებისყოფისა და ნიჭის გამოვლენად მიუთვლიდათ.

ისე უყურებდა, როგორც ძლიერ ხელოვანს, ვთქვათ – დირიჟორს, როგორც გამოჩენილ სპორტსმენს, სულ აკვირდებოდა, ითვლიდა და ანგარიშობდა, ვინ რამდენი წლისა გახლდათ, როგორ გამოიყურებოდა, რამდენი წლისა გარდაცვლილიყო...

არა ბეზრდებოდა ეს თვალმიდევნება და ანგარიში.

რარიგ გაიხარებდა, რომ შეეტყო: იოჰან ვოლფგანგ გოეთე ვაჟკაცობად და გმირობად მიუთვლიდა ადამიანებს დიდხანს სიცოცხლესო.

იუმორისტულ წიგნში – „კურუ“ – სილუეტად ჩახატავდა იროდიონ ქავჭარაძის, ყოფილი გვარდიელის, დამოუკიდებელი საქართველოს რიგითი ჯარისკაცის, ლიტერატორის, პუბლიცისტის, მთარგმნელის, საქართველოს მწერალთა კავშირის კანცელარიის უფროსის სილუეტს, ოთხმოცი წლისას სამდივნოში რომ დაუძახებდნენ და პატარა იუბილის გადახდას შესთავაზებდნენ: თქვენს დამსახურებას დავაფასებთ, წიგნს გამოგიცემთო... იქნებოდა იმ დღეს სიმღერა, ყვავილების ცვენა თავზე, სიტყვები, მილოცვები, სხვა საჩუქრები... და მიხვდებოდა იროდიონი: საპენსიოდ მაწყობენო, – და უარს მოახსენებდათ იუბილის გადახდაზე: იმდენი არაფერი გამიკეთებია, ამდენად რომ ვღირდეო...

85 წლისას კვლავ შესთავაზებდნენ იუბილის გამართვას. და კვლავ შეიშმუშნებოდა იროდიონი:

– თუ ჩემი სიკეთე გსურთ, 85-ს რომ გადავცილდები, 90 წლისას...

– იროდიონ, მე მაგას ვერ მოვესწრები და სიცოცხლეში მინდა გცე პატივი, – გააწყვეტინებდა სიტყვას გრიგოლ აბაშიძე.

– შემშურდა გრიშასი, – აღიარებდა მოგვიანებით ნოდარ დუმბაძე.

ცხადია გრიშასი და არა იროდიონისო, – მისებურად ჩაიღიმებდა რეზო ჭეიშვილი, მოსწრებულ სიტყვას რა სჯობს მართლაცო.

16 ივლისის დღიური გვამცნობდა, რომ:

80-ათასინი ტირაჟით რომ გამოეცა ელგუჯა მაღრაძეს ნიკო ყიასაშვილის მიერ თარგმნილი ჯეიმზ ჯოისის „ულისე“, ყიასაშვილიც დაუფასებდა ამაგს თურმე და... შევარდნაძის ბიჭის ოპონენტად დანიშნავდა.

ერთხელ დაცდენოდა კიდეც ელგუჯა მაღრაძეს:

– მალე მოვკრეფ იებს მწერალთა კავშირში.

და ახლა ეს კოზირი ეგდო ხელთ: პაატა შევარდნაძის ოფიციალური ოპონენტობა საკანდიდატო დისერტაციის დაცვისას.

დღეს ემზარ კვიტაიშვილი რომ შემოუვლიდა რეზოს, მისი სტუმრობა გაახარებდა. ილაპარაკებდნენ აქეთურზე, იქითურზე.

– არჩილ სულაკაური მაინც ყველაზე პატიოსანი კაცია, – იტყოდა რეზო და მგონი შეთანხმდებოდნენ.

რევაზ მარგიანის გარდაცვალებას ერთი ადგილი გაეთავისუფლებინა ნომენკლატურასა და ცისქვეშეთში. ამის გამო კიდეც შეიქნებოდა ბრძოლა გადაადგილებისა და ახალი თანამდებობის მოპოვების იმედით.

19 ივლისიც მოაწევდა, ხუთშაბათი.

„საუნჯეში" გამოქვეყნდებოდა თომას მანის რომანის – „ჯადოსნური მთა" – ერთი თავი, რომლის მიმართაც რეზოს ეს შეფასება თუ გაემეტებოდა: არცთუ ისე ცუდი თარგმანიაო.

საშუალო ნიჭის განათლებულ მწერლად რომ მიიჩნევდა, ვერც მისი რომანის თარგმნას მიიჩნევდა ღირსშესანიშნავ მოვლენად, არადა დალი ფანჯიკიძის მიერ შექმნილი ქართული ორეული „ჯადოსნური მთისა" ჩვენი მთარგმნელობითი ხელოვნების უკეთეს ნიმუშთა შორისაა საგულვებელი.

თვითონ ეს თავი ყველაზე საუკეთესო ნაწყვეტი იყო მის თვალში, ძალიან რომ მოსწონდა და კარგადაც ახსოვდა. სტუდენტობისას ისიც და მისი თანატოლებიც ხომ ძლიერ იყვნენ გატაცებულნი ამ ავტორით.

სპირიტუალური სეანსის ეს სცენაც ექსპრესიულად და ოსტატურად გახლდათ თითქმის დაწერილი და... მაინც რაოდენ გრძელი, მოსაწყენი და – რა დასამალია – ხელოვნურიც მოეჩვენებოდა ამ გადასახედიდან.

მისი დაბეჯითებული რწმენით:

კლასიკური რომანის წერის მანერა, ფორმა და განსაკუთრებით თხრობის სტილი სრულიად მიუღებელი უნდა ყოფილიყო ამ საუკუნის მიწურულისათვის, კერძოდ – დღევანდელი დღისათვის, და კიდევ უფრო მიუღებელი გახდებოდა შემდგომ – იმ საუკუნის პირველი ნახევრისათვის.

იმის შემდგომ კი რა მოხდებოდა, ველარაფერს იტყოდა.

ამიტომაც იყო, დიდად რომ გაუსწრებდა დროს ფრანც კაფკა.

კიდევ ვინ?

ჟან-პოლ სარტრიც და ალბერ კამიუც, და შესაძლოა ისინიც, რომელთაც რეზო ჭეიშვილი არ იცნობდა, ისევე როგორც რეზო ჭეიშვილს არ იცნობდნენ ლიტერატურულ სამყაროში.

და აქ არის, რაც არის, რომ უნდა განაცხადოს, სწორედაც განაცხადოს ფარული სიამაყით აღვსილმა:

შეიძლება სულაც მე ვდგავარ ახალ გზაზე „გიათი", „ვაიმე, ჩემო ვენახოთი" და „მწერებით", რომელსაც ანი დავწერო.

შეიძლება სულაც მე ვდგავარო!..

ეს განცდა რომ არა, ანკი რა დაამთავრებინებდა იმ მოკლე წინათქმას ნოველებისა და მოთხრობების ვეება წიგნისა, თან თითქოს გულიც რომ ეთანაღრებოდა, გალაკტიონურად: მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინიაო.

„ახალი გზის" ჩამონათვალს კი უთუოდ აკლია:

„მიწების განაწილებაც“, „ჭაც“, „რასემონიც", და რაც მთავარია „კვამლიც“, რომელსაც ვერა და ვერ დააფასებდა შესაფერისად, ვიდრე მე არ ვიძახებდი: შედევრია და შედევრი-მეთქი.

„ჭაც“ და „რასემონიც“ უნებლიეთ გამორჩებოდა „ახალი გზის" მონახაზში, „მიწების განაწილება“ არც გაახსენდებოდა, „კვამლი“ კი შესაძლოა წამოჰგონებოდა, მაგრამ იქვე მოიშორებდა, ამათ ბადალი არ არის და რატომ დავურიო, რატომ გავხადო ეს სია ვინმეს თვალში საჭოჭმანოო.

არადა: მის შარავანდშია ის სამივე შედევრიც გახვეული, ორი – უკვე დაწერილი და ერთი – ჯერაც გონებაში მობორიალე, მაგრამ სტილი, მანერა, ხედვის კუთხეც არჩეული ექნებოდა, სიუჟეტური ქარგაც ჩამოყალიბებული, ხასიათებიც – გამოკვეთილი, და ფურცელზე გადატანას თავგადაკლული ჯაფა-გარჯის გარდა აღარაფერი ესაჭიროებოდა.

„კომპოზიტორი ჩირიბერიძეც" ამავე ხედვა-სტილისტიკის განუყოფელი ნაწილი გახლდათ, მაგრამ მათ ვერშეტოლებული, თავიდან ძალიან რომ გაახარებდა არჩილ სულაკაურის სიტყვები: ორჯერ წავიკითხეო, – და თავს მიულოცავდა: ეს როგორ მოსწონებიაო!..

მერეა, რომ შეფიქრიანდებოდა:

„ვერ გაიგო და აბა რა იქნებოდა, მესამედ რომ არ წაიკითხა, არ მიკვირს?.. თუმც... მე კი ვიგებ, რა დავწერე?!.“

თავის მხრივ არჩილ სულაკაურის რომანს რომ წაიკითხავდა – „თეთრ ცხენს“ გულისხმობს ცხადია – არც კარგად მოეჩვენებოდა, არც ცუდად... უფრო კარგი უნდა ყოფილიყო, მაგრამ... სიახლე არ გახლდათ, სუნთქვა არ იგრძნობოდა დღევანდელობის.

რაც მართალი იყო რომანში – მოსაწყენი გახლდათ.

რაც საინტერესო – ტყუილი.

სადღა გაჰყოლოდა, განა ეს ორი ნაკლი თუ ხარვეზი ცოტას ნიშნავდა? და დასძენდა: სამწუხაროდ ეგრეაო.

ამ რომანის წაკითხვა მიმოახედებდა ამ თვალით, სადამდეც მზერა მიუწვდებოდა და ფრანც კაფკას გარდა აკი ვერავის იპოვნიდა, დროისათვის რომ გაესწრო. ასე თუ ისე სარტრიც და კამიუც და... თავსაც მიათვლიდათ: მეც ხომ ახალ გზაზე ვდგავარო.

20 აგვისტოს დღიური გვამცნობს, რომ:

შაბათს პეტრე გრუზინსკის დაკრძალვას დაესწრებოდა.

ხალხი არცთუ ბევრი დახვდებოდა, უმრავლესობა – ხანშიშესული, ახლობლები, ნათესავები, მეგობრები... ცნობისმოყვარეთ ვერ შენიშნავდა.

მეფის შთამომავალს, საქართველოს სამეფო გვარის ერთ-ერთ პირდაპირ წარმომადგენელს გაასვენებდნენ უსენსაციოდ.

იცნობდა ერთ დროს ახლოს რეზო ჭეიშვილიც.

რაღაც ექნებოდა კიდეც მეფური პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის.

მაინც რა?

არისტოკრატობა, მოგონილი თუ ნამდვილი, დემოკრატობა (შინაგანი), ქარაფშუტობა, მელექსეობა, ხელგაშლილობა...

ესეც მონარქის რეზო ჭეიშვილისეული ზოგადი დახასიათება, უშუალოდ მაინც ბაგრატიონთა, რადგანაც მელექსეობა ამათ სჩვეოდათ და სხვა ქვეყნის მეფენი ამ თვისებით ნამდვილად არ გამოირჩეოდნენ.

„მოგონილი არისტოკრატობა“ უშუალოდ პეტრე გრუზინსკის ნიშანი უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც „ქარაფშუტობა“, რადგანაც ყოვლად წარმოუდგენელია, ჩვენს მეფეებს რეზო ჭეიშვილი ამ თვისებით ამკობდეს.

აი ნამდვილი არისტოკრატობაც, შინაგანი დემოკრატობაც და ხელგაშლილობაც მეფური სულისა და მადლის გამოვლინება გახლდათ... ისე ნეტა გაეგრძელებინა ჩამოთვლა და ერთი-ორი ნიშან-თვისებაც დაერთო, უფრო ხელშესახებად რომ გამოკვეთილიყო ქართველი მეფის მისეული მოდელი.

ბოლოსდაბოლოს ისტორიული თემატიკის მოსინჯვას აპირებდა – მოთხრობა ან სულაც რომანი ეზმანებოდა...

ხოლო პეტრე გრუზინსკის:

ბოლობოლო არ ემსახურა, ლექსების წიგნი არ გამოეცა და... რეზო ამასაც საქმედ უვლიდა. და უნებლიეთ წამოაგონდებოდა დევი აბაშიძის ხუმრობა:

– მაინც ტრაგიკული კაცი იყო, სიგიჟე მოიგონა და ვერ დაამტკიცა, შემდეგ სიჭკვიანე ვერ დაადასტურა...

რეზო კი დევის წაჰკრავდა ყისტს: ძალიან ემგვანება ბახტურიძეს ანუ ბახტურას, როგორც ერთმა – აღარ ახსოვდა, ვინ – გაუერთიანა გვარ-სახელიო.

7 სექტემბრის დღიურში მწარედ გაკილავდა „ლიტერატურულ საქართველოს“: ახლა ყველაფერი იბეჭდება – მასალებიც არა აქვთ – ლიტერატურის გარდაო.

გურამ ფანჯიკიძის მოთხრობა – „ქვიშის საათი“ – თითქოს მოეწონებოდა კიდეც, ყოველ შემთხვევაში წაიკითხავდა ინტერესით, რაც სხვა დროს არ ჩაედინა.

ვარაუდს გამოთქვამდა, ცოტა დაეჭვებულსაც:

ეტყობა ჩემი „ჭა“ არა აქვს წაკითხული. ქვიშის საათი, დროის ძაბრი და სხვა ხომ იქ არისო...

დაეჭვება იმისაა, რომ... ადვილი მოსალოდნელია წაკითხულიც ჰქონოდა, კიდეც მოსწონებოდა და „ქვიშის საათი“ სწორედაც მისი გავლენით შეექმნა.

თვითონ ამბავი რევაზ ჯაფარიძის ერთ მოთხრობას მოაგონებდა. საერთოდ პუბლიცისტიკა გახლდათ გურამ ფანჯიკიძის ეს ახალი მცდელობა და, დღიურის ავტორს აღარც უკვირდა, ჯაფარიძის მოთხრობას რომ ჰგავდა.

„მნათობის“ მე-9 ნომრის გადაკითხვისას საყურადღებოს ვერაფერს აღმოაჩენდა და: ისევ რევაზ მიშველაძე (დავიღუპეთო, – ჩაურთავდა მწარე გულისტკივილით) სჯობს მგონი დანარჩენებსო.

24 სექტემბერს თამაზ ჩხენკელი შეუვლიდა. მიყრილ-მოყრილ წიგნებს დახედავდა. ხან ერთს დაწვდებოდა და ხანაც მეორეს.

– შენ შოულობ წიგნებს, – რამდენჯერმე გაუმეორებდა მასპინძელს.

– რას ვშოულობ? – ეს იუცხოებდა.

აბა ემზარ კვიტაიშვილის, გინდ გივი გეგეჭკორის, გინდ ტარიელ ჭანტურიას წიგნები რომ ენახა, რაღას იტყოდა?!. ვახტანგ ჯავახაძეც მაგარიაო, – სმენოდა.

ესენი წიგნოფილები იყვნენ – არ სომდნენ (სწორედ ამ ფორმას ამჯობინებდა გალაკტიონის იმ სალაღობო ლექსის – „ფედია ჩუდეცკის“ – გავლენით) და არც თამაშობდნენ – ტარიელის გარდა...

10 ოქტომბერს გაეცნობოდა ნაირა გელაშვილის მოთხრობას „სერსო“. არ მოეპრიანებოდა და არა. ავტორს ცდა არ დაეკლო, ეწვალა, მაგრამ არა გამოსვლოდა რა და, იმიტომ, რომ ამბავი იქნებოდა მოგონილი.

არადა: ნამდვილი მწერლობა ტყუილს ვერ იტანდა. ამ ქალს კი აშკარად ნამდვილი მწერლობის განაცხადი ჰქონდა გაკეთებული.

დაწერდა ამას რეზო და... შეეუხერხულებოდა და დასძენდა: ეს რა ცუდი ფრაზააო. გამოთქმის ფორმას დაიწუნებდა და არა შინაარსს, თუმც ეს მოთხრობა იმჟამადაც საკმაოდ გახმაურდებოდა და შემდგომშიც არამარტო ნაირა გელაშვილის, არამედ ქართული პროზის მდინარების ერთ საუკეთესო ნიმუშად აღიარდებოდა.

ხოლო ბოლო მოთხრობაში – „ჩვენება“ – მიუხედავად ცოტაოდენი მანერულობისა, იმდენი ვნება, სევდა და სიყვარული იქნებოდა გამოხატული, რომ გაოცდებოდა რეზო ჭეიშვილი. უქებდნენ და მაინცდამაინც არა სჯეროდა. და აგერ: სახიერი დასტური.

„სერსოზე“ მაინც ვერ მოიბრუნებდა გულს: უფერული გამოჩნდაო.

დაელოდებოდა მის სხვა ნიმუშებსაც.

ორ კარგად დაწერილ მოთხრობასაც წაიკითხავდა წუხელ: გურამ დოჩანაშვილისა და ჯემალ ქარჩხაძისა. რაღაცით ჰგავდნენ და არც ჰგავდნენ ერთმანეთს.

ერთს „საპახმელიო“ განწყობილება ეტყობოდა.

მეორეს – სიბეჯითე.

კითხულობდა ორივეს მოთხრობებს სიამოვნებით, ალაგ-ალაგ ეცინებოდა კიდეც.

დოჩანაშვილისეული ფინალი არაფერს ეტყოდა.

ქარჩხაძისეული სენსაციები – თითქმის არაფერს. ის სამი მოსაზრებაც ავტორისა გახლდათ და არა მთავარი გმირის – სოლომონისა.

14 ოქტომბერს მუხრან მაჭავარიანი თავის ლექსებს მოუსმენდა გულისყურით. შემდეგ ჩაილაპარაკებდა:

– ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის. ასეც უნდა იყოს, ძაღლი უნდა ყეფდეს და ქარავანი მიდიოდეს, მაგრამ ეს სხვანაირი, განსხვავებული ყეფაა.

გულგატეხითა და რწმენით შეაფასებდა თავის შემოქმედებას ერთსა და იმავე დროს.

ნეტა როგორ შეფასდება იგი ბოლოსათვისო, – ჩაფიქრდებოდა რეზო ჭეიშვილი, – დარჩება თუ არა იმ ერთ-ერთ (ორ-სამ) პოეტად, რომელიც ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან – გალაკტიონის შემდეგ – უნდა დარჩესო?!.

მამუკა ჰკითხავდა გუშინღამ:

– ვინ არის კარგი პოეტი?

– მურმანი, მუხრანი, ანა.

და პასუხად შვილი:

– ანას წიგნი მიდევს სასთუმალთან, კარგი ლექსი შიგ ვერ ავარჩიე.

არას მიუგებდა. შემდეგ ელდარ კერძევაძის ლექსებს მისცემდა. და დასძენდა:

– ემზარ კვიტაიშვილიც, ტარიელ ჭანტურიაც კარგი პოეტები არიან.

ემზარზე გაჩერდებოდა შვილი.

რეზო კი თავის მხრივ:

ვინ ვინ არის (ისე ნიჭიერი კაცია პოეზიაში) მართლაც ძნელი გასარკვევიაო.

8 ნოემბერს ირაკლი აბაშიძე გამოვიდოდა ტელევიზიით, რეზოს ტერმინოლოგიით: ტელევიზორეთში. 75 წლისა გამხდარიყო. ყველაფერზე იძახებდა:

– თავის დასამშვიდებლად ვწერ...

მანამდე ორდენს გადასცემდა ხიდაშელი. რეზოც იქ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნიშნს მოუგებდა: ვერ მიართვესო!.. ტელევიზორეთში ბარემ ბევრჯერაც დაუძახებდნენ, მაგრამ არ მივიდოდა და არა.

აღარ გათავდებოდა ეს შეხვედრები, ორმოცები, წლისთავები.

ედიშერ ყიფიანის წლისთავს გადაიხდიდნენ გუშინწინ, არჩილ სულაკაური რომ ითამადებდა. შვილებიც და შვილიშვილებიც ედიშერს ჰგავდნენ. ბიჭი მაინც – გამოსახული მამა იქნებოდა. მოგეხსნა სათვალე და... ედიშერი გამოგეცხადებოდა!.. არ იცოდნენ, რეზო ნათლია რომ გახლდათ ედიშერისა. მოინდომებდა ეთქვა ორიოდ სიტყვა, მაგრამ ადრე წამოვიდოდა. შინ მაინც დაამატებდა ერთ-ორ ჭიქას და გაიფიქრებდა: ბარემ იქ მესვაო...

ლექსიკონ-ცნობარი რომ გამოვიდოდა: „ქართული მწერლობა“, ტომი პირველი – 11 ოქტომბერს დღიურში შეიტანდა შინაურობაში ნათქვამს: მეორე ტომი აღარ გამოვა, რადგანაც უკვე ცოცხალ მწერლებთან ექნებათ საქმე და შემდგენლებს – განსაკუთრებით ოთარ ნოდიას – ლომის ხახაში მოხვედრის სურვილი არა აქვთო.

რაც შეეხებოდა პირველ ტომს:

შეცდომები საკმაოდ რომ შეიმჩნეოდა, ეს ბუნებრივი ეჩვენებოდა, რაკიღა მთლიანობაში საჭირო და სასიამოვნო წიგნი გახლდათ.

სტატისტიკის მოყვარულად მოიხსენიებდა თავს – ისევე როგორც მექრონიკედ – და ერთ რამესაც მიაქცევდა ყურადღებას: წუხანდელი უძილობის ბრალიც იქნებოდა და... XIX საუკუნის მწერალთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას დაიანგარიშებდა. ბულალტრის შვილობას არ ახსენებდა. წახდენით კი წაახდენდა მშვენიერი წიგნუკას – თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორიის“ – ფორზაცსა და გარე ყდას.

141 მწერლის, რომელთა დაბადება-გარდაცვალების წლებიც დადგენილიყო, სიცოცხლის ხანგრძლივობა მონაცემთა მიხედვით გამოვიდოდა თუ

გამოიყვანდა 62 წელს, მეათასედებში ცოტა მეტი იქნებოდა, და თუ შეიძლებოდა – რაც ადვილი შესაძლებელი იყო – ცოტა ნაკლებიც...

და ეს სულაც არ უნდა ყოფილიყო დაბალი მაჩვენებელი.

თუ გავითვალისწინებდით, რომ: XX საუკუნის მწერლობასა და ინტელიგენციას არ დატყდომოდა უბედურებანი, არ მოხვედრილიყვნენ დიდ კატაკლიზმებში, მონაწილეობა არ მიეღოთ სახელმწიფო ინტრიგებში, ომებსა და ავანტიურებში, მაშინ შეიძლება დაგვესკვნა, რომ: ეს რიცხვი ზომიერი იყო ან ზომაზე ნაკლებიც.

მაგალითისათვის:

XX საუკუნის პირველი ნახევრის მწერლობა-ინტელიგენციის სიცოცხლის ხანგრძლივობა – გაცილებით ნაკლები

და

XX საუკუნის მეორე ნახევრისა – სტალინის სიკვდილისშემდგომი პერიოდისათვის – გაცილებით მეტი აღმოჩნდებოდა.

ამას რეზო ჭეიშვილის ინტუიცია, დაკვირვება და ეს ნაწილობრივი გაანგარიშებაც დაადასტურებდა.

დაე წარმოგვედგინა: რევოლუციები, ხვრეტები, ეპიდემიები (ჭლექი) და სხვა...

შემდგომ:

შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე ქუთათელი, დემნა შენგელაია, სანდრო შანშიაშვილი, სერგო კლდიაშვილი, კოლაუ ნადირაძე, აკაკი შანიძე, ნოდარ მალაზონია.

საპირისპირო:

გურამ რჩეულიშვილი, კარლო ქილარჯიანი, ფილიპე ბერიძე, ნოდარ ჩხეიძე, ედიშერ ყიფიანი, ოთარ კუპრავა, მურმან ქოიავა, ნოდარ დუმბაძე.

– სხვები და ჩვენ...

თანაფარდობა აღდგებოდა და ამათ დროს შესაძლოა ათი წლითაც კი აეწია...

და მაინც – ამ ანგარიშით გაბეზრებულსა და თავატკიებულს – ეს ყველაფერი ბოლოს სისულელედ მოეჩვენებოდა, უაზრობად – ეს და ამგვარი ანგარიშიც და... ეს გამოძალული სიცოცხლეც...

23 ოქტომბრის დღიურს იმით დაიწყებდა, რომ:

გარდაიცვლებოდა ოტია პაჭკორია. სამსახურიდან წასული მანქანას აჩერებდა თურმე – ოთხს რომ ათი წუთი აკლდებოდა, და ხუთის ნახევარზე უკვე სამსახურშივე დარეკავდნენ: გარდაიცვალაო.

აღარ იქნებოდა ოტია მიხაილოვიჩი.

ნელ-ნელა, ბუნებისათვის ალბათ კანონზომიერად, მიემგზავრებოდნენ, მიდიოდნენ იქით. ყველა ერთად ხომ ვერ წავა მართლაცო, – ეს ფიქრი აეკვიატებოდა რეზო ჭეიშვილს. გადასახლებიდან დაბრუნებული ამათთან ერთად ისწავლიდა უნივერსიტეტში. შემდგომ კი – „ცისკრის“ დაარსებიდან დღემდე, ერთად იქნებოდნენ ფაქტობრივად. ორი წლის წინათ გადავიდოდა „მნათობში“ პასუხისმგებელ მდივნად.

რუთა ბეროძეც გარდაცვლილიყო. გაზეთში ნახავდა და გაახსენდებოდა: ქალი – თხელი, თითქოს მაღალიც... კუბოკრული ზედა სამოსით – „კლაჩატს" რომ ეძახდნენ – ქუთაისის პირობაზე – მაშინ უცნაურად, ახლანდელი თვალით, მოდურად ჩაცმული, შემდეგ მგონი აღარც აღარსად შეხვედროდა, აღარაფერი წაეკითხა თითქოს იმ ქალის. ეხსომებოდა მხოლოდ ის პორტრეტი, ის სურათი და გვარ-სახელი, ხშირად რომ გაიგონებდა მერე და მერე.

ვერ იხსენებდა და თითქოს საქმეები ჰქონდა... შემდეგ აპირებდა ასვლას ოტიას პანაშვიდზე. და უეცრად:

– ასე და უფრო უარესადაც, მოიქცეოდა ოტია, მე რომ დავბრედილიყავი.

მაინცდამაინც ამ ჟარგონულ გამოთქმას ამჯობინებდა.

და წამოაგონდებოდა ჯეკ ლონდონის მოთხრობა „თეთრი წყვდიადი".

დაღუპულ ამხანაგს ნახავდა გზაში და: არც მის ოქროთი სავსე ტომსიკას აიღებდა, არც მის ძვლებს დააწყნარებდა, თუმც ეცოდინებოდა, რომ გარდაცვლილი მის ადგილზე ერთსაც გააკეთებდა და მეორესაც.

ოტიას ეს არ ეხებაო, – ყოველი შემთხვევისათვის მაინც დასძენდა და... დაე გამგებს გაეგო.

26 ოქტომბერს წაიკითხავდა ათანას ფეტის „მოგონებებს".

კარგი შესავალი წერილიც უძღოდა და კომენტარებიც ახლდა. გაიოცებდა, როდესაც შესავლიდან შეიტყობდა, რომ: ფეტი ტურგენევისა და ტოლსტოის წერილებს ასხვაფერებდა და ისე შეჰქონდა თავის დღიურებში. ვერ წარმოიდგენდა, როგორ უნდა ჩაედინა ასეთი რამ ადამიანს.

სპასკოეში, ტურგენევის მამულში ინგლისელი სტუმარი ჰკითხავდა ფეტს:

– თქვენი ცენზურა რაგვარია?

ეს ცენზორის ქებას მოჰყვებოდა:

– რაც გინდა ჰქენი, ხმას არ იღებს.

ტურგენევი ყურს მოჰკრავდა ამ საუბარს, ხაოიანი პირსახოცის მშრალებით შემოვიდოდა ოთახში და ფეტს უსაყვედურებდა:

– რას ამბობ, როგორ ბედავ ჩემს სახლში ამის თქმას!..

რეზო ჭეიშვილი ყოველთვის ბრაზობდა, როცა შეიტყობდა, უცხოელს სიმართლეს რომ უმალავდნენ და შავს თეთრად აჩვენებდნენ.

– არჩილს უნდა, – მეუღლე უმტკიცებდა, – შენ იმუშავო ოტიას მაგივრად პასუხისმგებელ მდივნად.

– უარს ვეტყვი ცხადია.

არჩილთან უნდა ემუშავა, მართლა ემუშავა – ამისა კი აღარც დრო ექნებოდა, აღარც სურვილი და აღარც ხალისი. ვიღაცის ხელქვეითი უნდა ყოფილიყო, ამიტომაც არ იმუშავებდა. და თუკი იმუშავებდა, ხელქვეითობას ვერ აიტანდა. თანაც იმ რედაქციაში, სადაც ორი პასუხისმგებელი მდივანი – ედიშერ ყიფიანი და ოტია პაჭკორია – „ემსხვერპლებოდა" უკვე...

9 ნოემბერს წაიკითხავდა ვოვა მაჩაიძის ლექსებს. პატარა წიგნუკა გამოეცათ ხელმეორედ. გალაკტიონისა და ტერენტის გავლენა იგრძნობოდა

ლექსიდან ლექსში. სახე ნაცნობი მოეჩვენებოდა, ყდაზე დაბეჭდილ პორტრეტს რომ დააკვირდებოდა.

„რამდენჯერ შემხვედრია ალბათ დოლიძის ქუჩაზე“.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მამუკა მისი ლექსების ორ საერთო რვეულს მიუტანდა, ხელნაწერს. გაცილებით უკეთესი ლექსები დაამახსოვრდებოდა იმ რვეულებიდან, გაცილებით უკეთესი... და იფიქრებდა, რომ: უფრო მოზრდილი და კარგი კრებულის შერჩევაც შეიძლებოდა... ხომ არ დაეკარგათ ის რვეულები ნეტა? ძალიან დიდხანს კი იდებოდა რეზოს ბინაში. არავის მოეკითხა, ახსოვდა. იქნებ ისევ მიეგდოთ სადმე? ანდა გადაებეჭდათ ადრევე? უნდა გავიგოო, – თავს შეპირდებოდა.

17 დეკემბერს წაიკითხავდა „კრიტიკის“ ბოლო ნომერს. საინტერესო გამოშვებად მოეჩვენებოდა, თუმც უფრო მეტს ხმაურობდა, ვიდრე შეეძლო. რამდენიმე წერილს აქებდნენ და ესეც უფრო ჩაუგულისყურდებოდა.

ვახტანგ როდონაიას წერილი კარგი იყო თითქოს... მაგრამ რეზოს არ მოეწონებოდა. აშკარა დაძაბული გახლდათ დამწერი, დაძაბულიც და განერვიულებულიც... არადა არაფერი... პატრიოტული მოტივებიდან უტევდა, რაც სულ არ იყო საჭირო... ეთქვა: ვარგოდა თუ არ ვარგოდა, და – იყო თუ არა საჭირო დადგმა ამ სახით... რა შუაში გახლდათ გელათის მოზაიკა, ღვთისმშობელი ყრმით და სხვადასხვა... რეზოს ეთქვა, შეეთვალა რობერტ სტურუასათვის – მიუტანდნენ ენას თუ არა, ეს უკვე აღარ იცოდა: – თუ ათანამედროვებდა, კამოს დაზე – ჯავსი ერქვა, თუ სწორად ახსოვდა – დაეწერათ ოპერა, ისიც სომეხი იყო, ქმარი ქართველი ჰყავდა და ასე შემდეგო...

გივი კარბელაშვილი გარეწარი რომ იყო, თამაზ წივწივაძის მძაფრი კრიტიკის საპასუხოდ დაწერილ წერილში უფრო ამჟღავნებდა თავს. ქრისტიანი არა ვარო, იმეორებდა, ვითომ პოლიტიკური თვალსაზრისიდან ამოდიოდა და არაცნობიერად უმორალობას, საშინელ უპატიოსნებას ამჟღავნებდა... და გულმოსული დასძენდა რეზო: კიდევ უნდა ჩახადოს კაცმაო...

აი რევაზ ჯაფარიძეზე დაწერილ წერილს თამაზ წივწივაძისა – რეზოს შთაბეჭდილებით – მეტი დაფიქრება ესაჭიროებოდა. ამას ადრევე მიხვდებოდა. ნაწყვეტებს წაიკითხავდა და ზოგიერთ შენიშვნას გაუზიარებდა კრიტიკოსს... ის არ გაითვალისწინებდა და უთუოდ ინანებდა...

საერთოდ კი თითქოს ტექნიკურ შეცდომებზე იყო ლაპარაკი და ამ შეცდომების აღმოჩენით გამოწვეული სიხარული გამჟღავნებულიყო „მძიმე ჯვარის“ განმაქიქებელ წერილში. ვთქვათ წყალწითელას ხეობის სოფლები სწორად დაეწერა რევაზ ჯაფარიძეს, ანდა არ დავიწყებოდა, თინათინმა ნაბადი რომ მოიხადა, ან დაეზუსტებინა ზოგიერთი იარაღი და ჯარის რაოდენობა? მაშინ კარგი წიგნი დარჩებოდა „მძიმე ჯვარი“?

ამაშია საქმეო! – დაასკვნიდა.

იმ ეპოქაზე, იმდროინდელ სულზე არც ერთს ჰქონდა წარმოდგენა და არც მეორეს... არც მწერალს და არც კრიტიკოსს...

მაინც საჭირო წერილად მიიჩნევდა, საჭიროდაც და სახათაბალოდაც... ივარაუდებდა: უპასუხოდ არ დატოვებს და წამოიკიდებს კიდეცო. ჯაფასძე კარბელაშვილი არ გახლდათ...

1 დეკემბერს ირაკლი ჭანტურიას ქორწილში იქნებოდა, ტარიელის ვაჟის. ახალგაზრდები იმხიარულებდნენ, კარგადაც იმღერებდნენ, ესენი იქნებოდნენ გარიყულებივით.

ჭაბუა ამირეჯიბს ღვინო რომ მოეკიდებოდა:

– პირველი კაცი ხარ!

ეტყოდა რეზოს და მოეფერებოდა და რას მოეფერებოდა. ეს მეტს ვერას მოახერხებდა დაბნეული და:

– ჩემი მასწავლებელი ხარ.

2 დეკემბერს ნიკა აგიაშვილს დაკრძალავდნენ, შემდეგ ისევ სუფრა ანტონიჩთან – ოთარ მამფორიასთან. უსმელ-უჭმელი წამოვიდოდა. ზეგ კი ოტია პაჭკორიას ორმოცი იქნებოდა. და რეზო აღმოაჩენდა, რომ: თითქმის ერთიდაიგივე ხალხი ხვდებოდა ამნაირ საკრებულო ადგილებში ერთმანეთს.

ოტიას ორმოცის ამბავს რომ ეტყოდა რევაზ თვარაძე, ეს გაშტერდებოდა:

– რატომ ასე ადრე?

– გავიდა ორმოცი დღე.

გადასარევი ამბავიაო, – დღიურშიც შეიტანდა იმ ფიქრსა და განცდას, – ისე გარბის ეს დრო, სიკვდილი რომ გინდოდეს, აუცილებლად გაცდები იმ სადგურს, სადაც ჩამოსასვლელი ხარო.

4 დეკემბერს, ოტიას ორმოცის შემდეგ, აკაკი ბრეგაძე მიიწვევდათ და სუფრაზევე მოისპობოდნენ ჯურხა ნადირაძე და მუხრან მაჭავარიანი. მუხრანი შემდეგ უკადრისსაც იკადრებდა – მისი ხასიათისათვის შეუფერებლად მოიქცეოდა – და ლევან მალაზონია და თემურ მაღლაფერიძე რომ შეუტევდნენ, რეზოს შეეცოდებოდა კიდეც და:

– მიხარია, მუხრანის თანამედროვე რომ ვარ, თუმც მე ვარ მაგის თანამედროვე თუ ეგაა ჩემი თანამედროვე, გასარკვევია.

მგონი უფრო ტაქტიანადაც ეთქვა და ამის გამო ის არ უნდა ამხტარიყო. ისედაც განერვიულებული გახლდათ მუხრანი. გამოწყობილი საცეკვაოდ... დილით აპირებდა მისვლას ბინის თაობაზე და გადაიფიქრებდა. რეზო რომ მივიდოდა რედაქციაში 3 საათისათვის, კაბინეტში შეექცეოდნენ ჯურხას მოტანილ პურმარილს.

მოვიდოდა ოთარ ჭილაძე:

– ციალა ქაროსანიძე კვდება და წამოდი.

– ვიცი, მაგრამ მანობამდე ოტიას ორმოცია და შენც იქ წამოდი.

ოთარი იუარებდა:

– მე საავადმყოფოში წავალ, თავზე უნდა დავადგე ავადმყოფს.

ამაზე მუხრანი გაღიზიანდებოდა, თუმც არაფერს დაიტყობდა. ოთარი მართლაც იქ წავიდოდა თუ არა, რეზოს აღარ ეცოდინებოდა, თანამეინახეებთან ერთად კი ორმოციდან აკაკი ბრეგაძისას ამოჰყოფდა თავს. რაც ჰქონდათ გამოიტანდნენ, თავს არ დაზოგავდნენ.

– რა ჯობია ბრეგაძეებში ქეიფს...

თავისთავად წამოუტივტივდებოდა ფრაზა ელდარ შენგელაიასა და რევაზ გაბრიაძის კინოფილმიდან „შერეკილები“.

სამსახურიდან ჭადრაკის თამაშის შემდეგ დაღამებულზე რუსთაველის პროსპექტს რომ გამოუყვებოდნენ, ოპერაში შესვლას დააპირებდა, მაგრამ მურმან ჯგუბურიასა და ანზორ სალუქვაძეს ვერ დაიყოლიებდა. ანზორს ვერ დაითანხმებდა უფრო სწორად. კინაღამ გადაირეოდა:

– რა შემიყვანს „ფხიზელზე“. თანაც საოპეროდ არა ვარ ჩაცმული.

თითქოს რეზოსა და მურმანს ფრაკები ცმოდეთ.

და უნებლიეთ გაახსენდებოდა:

შარშანწინ თერგის ხეობაში, ტყეში, წყაროსთან სუფრას რომ გააწყობდნენ. მასპინძლები თხას დაკლავდნენ, რეზო ჭადებს დააცხობდა. ფქვილი და კეცები ექნებოდა წაღებული... და თხმელის ნეშოში გამოაცხობდა მშვენიერ ჭადებს... იქაური ტყის მცველიც მათთან იჯდებოდა. ჯურხა ნადირაძე მოუგონებდა სუფრის გასახალისებლად:

– მჭადის დანახვაზე იგინება გუნებაში.

– არა, კაცო, – შეწუხდებოდა ტყის მცველი, – რო მომკლას, მაინც შევჭამ ამ ჭადს.

პატივს სცემდა ამით რეზოს თავისი ჭკუით!

და ახლა ამ გახსენებაზე ჩაიღიმებდა რეზო ჭეიშვილი:

რომ მომკლან, მაინც შევალ ოპერაშიო.

თავი მეოთხე

ნამდვილი სატირა: სატირალიც და სასაცილოც

14 იანვარს, 1985 წლისა, ქებით მოიხსენიებდა თენგიზ მირზაშვილს: მშვენიერი და კარგი კაციაო.

გიორგი გაჩეჩილაძის წერილის გამო კი, 12 იანვრის „კომუნისტის“ ფურცლებზე რომ დაიბეჭდებოდა, გვარიანი ნერვიულობა მოუწევდა.

ეს დღეები უნდა დაემახსოვრებინა: 6-დან 12 იანვრამდე, ბოლო უნდა ყოფილიყო ან კარგი, ან უბედური მნიშვნელობით.

16 იანვარს, გიორგი გაჩეჩილაძეს რომ ნახავდა მწერალთა კავშირში, რეზო შედარებით უკვე დამშვიდებული იქნებოდა, მაგრამ მაინც მკვახე ლაპარაკი გამოუვიდოდა. ის ჯერ თამამად და სიცილით შემოეგებებოდა:

– ეს რა გვიყვეს.

მაგრამ ფაქტების წინაშე რომ დააყენებდა რეზო, გიორგი უკვე ფერს დაჰკარგავდა. მათ საუბარს აკაკი ბრეგაძეც დაესწრებოდა. ამას გუნებაში გაეხარდებოდა, მოწმე რომ გამოუჩნდებოდა.

ბოლოს მაინც შერიგდებოდნენ.

კმაყოფილი დარჩებოდა ამ შერიგებით. ანკი გიორგი გაჩეჩილაძესთან რა შეიძლება ჰქონოდა გაუთავებელი სადავო, მის პატივისმცემელსა და ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ერთ ყველაზე ანგარიშგასაწევ ფიგურასთან. საყვედურის ამოთქმა გულის ბუხარს ამოუყრიდა და მეგობრულად ამიტომაც დაშორდებოდნენ.

დღიური არას გვამცნობს, მაგრამ ამ შერიგებაში თავის როლს ითამაშებდა აკაკი ბრეგაძის იქ ყოფნა, ადამიანის, რომელიც – ბევრისგან განსხვავებით – კონფლიქტის გამწვავებას კი არ შეუწყობდა ხელს, არამედ ჩაქრობას, დაწყნარებას, დაშოშმინებას, წყენა არცერთს რომ არ ჩარჩენოდ გულში.

იმავე 16 იანვარს იმდენ წიგნს წიგნს მოზიდავდა შინ, გადათვალიერებასაც ვერ მოასწრებდა. და ამიტომაც ველარ განაახლებდა მუშაობას.

პირველ ყოვლისა მაინც აკაკი ბაქრაძის „ილია ჭავჭავაძეს“ გამოარჩევდა, იმას ჩაუჯდებოდა ჯერ და: კარგია, რაც არიო, – რარიგ მოიწონებდა.

– ამის უფლება როგორ მისცეს? – უკვირდა ხალხს.

იგულისხმებოდა: წიწამურის ტრაგედიის მოწყობაში პირდაპირ რომ ადებდა ხელს სოციალ-დემოკრატებს.

აკრძალულიყო კიტა აბაშიძის „ერთი პილატეთაგანი“, რომელშიც 10-იან წლებშივე გახსნილიყო ამ მკვლელობის სათავე: იდეურიც და უშუალო დამ-

კვეთების ვინაობაც, შემსრულებელნი პარტიულ დავალებას რომ შეასხამდნენ ხორცს.

აკრძალულიყო მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტურ სტატიათა ის წყებაც, რომელშიც იმავე ხანებში გაშიშვლებულიყო ასევე ამ ტრაგედიის მთავარი დამნაშავის ვინაობა.

საბჭოთა იდეოლოგია კანონიკურად ცნობდა ერთადერთ ვერსიას:

ამ მკვლელობის ორგანიზატორად საიმპერატორო კარის დასახვას და მეფის „ოხრანკის“ უშუალო მონაწილეობას.

და აი უნდა გარღვეულიყო სიცრუისა და სიყალბის ეს აბლაბუდა და სოციალ-დემოკრატებს კვლავ უნდა მიწვდენოდა სიმართლის ხელი – საქვეყნოდ. ის, რაც იატაკქვეშა ისტორიაში ტრიალებდა – იქ, სადაც გულდასმით შეისწავლებოდა კიტა აბაშიძისა და მიხეილ ჯავახიშვილის ის ტაბუდადებული თხზულებანიც – ბოლოსდაბოლოს მზის სინათლეზე უნდა ამოსულიყო.

ამის უფლება როგორ მისცესო...

ადვილად არ მოხდებოდა ნებართვის მოპოვება, ის კი არა, გადამწყვეტ როლს ხალხი შეასრულებდა, დახლებზე გამოტანილ და სასწრაფოდ უკანვე შეტანილ წიგნებს დიდი აჟიოტაჟი რომ აჰყვებოდა, ხმაური გაიზრდებოდა, გაიზრდებოდა და... აიძულებდა ხელისუფლებას დათმობას.

აკაკი ბაქრაძის შეუპოვრობა თავისთავად, დევნა-შევიწროებას რომ არ გაუტყდებოდა და არამცთუ შემრიგებლურ გზას დაჰყოლოდა, გარისკავდა ამ წიგნის შექმნას, წიგნისა, რომელიც შესაძლოა ხელთ შერჩენოდა, ისევე როგორც მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება „მწერლობის მოთვინიერება“ თუ გეორგიევსკის ტრაქტატის დღესასწაულის საპროტესტოდ დაწერილი პუბლიცისტური სტატიების ციკლი.

ასე თუ ისე გასაგები გახლდათ „ილია ჭავჭავაძე“ მკითხველისათვის, თუ ყველაფერი არა, ბევრი რამ მაინც. ამ შესაძლებლობებზე ორიოდე შეცდომა მოსვლოდა ავტორს, მაგრამ ესეც არაფერი, რადგანაც მთლიანობაში კარგ და საჭირო წიგნად მიიჩნევდა რეზო ჭეიშვილი ამ მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებას და დასძენდა: მოვა დრო, მეტის უფლებასაც მოვიპოვებთო.

ეს დრო კი ძალიან ნელა და მძიმედ მოდიოდა.

18 იანვარს მურმან ჩაჩუას ესტუმრებოდნენ სადილზე. მათ პატივისმცემელ კაცს, მესურათეს. გულმოდგინედ აღნუსხავდა მუხრან მაჭავარიანის ცხოვრებას და არც ამათ, მის გარემოცვას, ტოვებდა ხშირად უყურადღებოდ. ამათ და... უპირველესად მაინც თავის თავს უნახავდა ისტორიას. თუმც არც ისე ძალიან ახალგაზრდა გახლდათ. სახლი ელბაქიძეზე, ძველებურაივნიანი, „ქამრის ქუჩას“ – თუ რა ერქვა, არ იცოდა რეზომ – რომ ჩაჰყურებდა.

21 იანვარს გუგულის დაკრძალვას დაესწრებოდა, ჯანსულ ჩარკვიანის მძღოლის, კარგ ბიჭად რომ აგონდებოდა, თამამად და მოსიყვარულედ. უამრავი ხალხი შეიყრიდა თავს, მწერლები, რაიკომის მდივნებიც. ჯანსულსაც პატივისცემით მიმართავდნენ, ჭირისუფლად რომ იდგებოდა. სამასკაცია-

ნი პურმარილიც მასვე ეკისრა, როგორც იტყოდნენ. გრძელი სეფა იქნებოდა მართლაც გაშლილი, წყნეთში დამარხავდნენ და ეს იქით უკვე აღარ წაჰყვებოდა.

მანამდე წერილი მიეტანა „ლიტერატურულ საქართველოში“ და ახლა ვახტანგ ჭელიძესა და თამაზ ბიბილურს წამოიყვანდა თავისი მანქანით.

– ბევრად კი არა ხარ შეცვლილი, – ვახტანგი ეტყოდა, – მაგრამ ცოტა უფრო ახალგაზრდა მახსოვხარ.

– ასევე მეც, – მიუგებდა.

მართლაცდა ვახტანგთან ურთიერთობით დაიწყებოდა რეზო ჭეიშვილის ლიტერატურული მოღვაწეობაც.

თვალწინ დაუდგებოდა „ცისკარი“ – მახარაძის ქუჩაზე.

რეზო მაშინ ამთავრებდა თუ დამთავრებულიც ექნებოდა უნივერსიტეტი, ჯანსულ ჩარკვიანსა და მის თანაკურსელებს მუშაობაც კი დაეწყოთ უკვე.

რა დაავიწყებდა იმდროინდელ „ცისკარს“: რევაზ თვარაძე, ჯანსულ ჩარკვიანი, მუხრან მაჭავარიანი, გივი გეგეჭკორი, გიორგი შატბერაშვილი, შემდეგ – ოტია პაჭკორია, ტარიელ ჭანტურია, თამაზ ჭილაძე, ციალა ჩხეიძე, სხვები და სხვები.

შემდეგ რეზო კინოსტუდიაში გადავიდოდა – თვითონ ამ სიტყვას ამჯობინებდა: დავიყვინეო – და იქაურობას მოწყდებოდა ნაწილობრივ. კარგი იქნებოდა ეს თუ ცუდი, ღმერთმა თუ იცოდა.

ვახტანგ ჭელიძეც წამოვიდოდა შემდეგ „ცისკრიდან“, წამოვიდოდა თუ გამოუშვებდნენ, და მათთან იქნებოდა ერთხანს კინოსტუდიაში – კოლეგიის თავმჯდომარედ.

რეზოს პატარა წერილი დაიბეჭდებოდა 25 იანვრის „ლიტერატურულ საქართველოში“ და... იქაც ამოეღოთ ერთი აბზაცი. შემოეყრებოდა გულს, გაბრაზდებოდა და დაურეკავდა თამაზ ბიბილურს, რომელიც ასე აუხსნიდა:

– ტექნიკური მიზეზების გამო ამოვარდა.

– რაღა ჩემი ვარდება ყოველთვის. ოთარ მამფორიასათვის გენანებათ კარგი სიტყვა და იმიტომ. კრეტინ ი. გ-ზე ამდენი გიწერიათ, ოთარზე – ამდენი.

ჩაუვარდებოდა ენა და:

– ეს ჩემზე არაა დამოკიდებული.

ხმადაბლა მიუგებდა და – ამის შეტყობით – ვიღაცას არიდებდა ხმას... საკუთარს...

ანკი რა უნდა ჰქნასო?!. – ეს გაიფიქრებდა.

ოთარ მამფორია არ შეეხმიანებოდა და უკვე შეფიქრიანებით შეფიქრიანდებოდა რეზო: ისიც ნაწყენი ხომ არ დარჩა ნეტაო?

ვინც წაიკითხავდა, ყველას მოეწონებოდა და – ამის სინანულზე: ამომიგდეს ერთი აბზაციო – შეთანხმებულივით უპასუხებდნენ:

არ ეტყობა, თუ იქ რამე აკლიაო...

22 იანვარს 1900 წელს ფრანგულ ენაზე გამოცემულ ძველ წიგნს გადაფურცლავდა. ავტორები – ხახანაშვილი და ალბათ ისარლოვი. ასე ამოიკითხავდა თავისი წაკითხვით.

ქართველ მწერალ-მოღვაწეთა პორტრეტები, სვეტიცხოვლის, დარიალის ხეობისა და გელათის ფოტოსურათები. ახლა გელათის ხედს დაჰყურებდა გაოცებული. თავდაპირველად აპარატის წერტილს ვერ დაიმხრობდა. ახლა გაარკვევდა. იგივე გზა, ოღონდ საურმე, ყანები, ტყე, იგივე ქვის ყორეები თითქოს, მხოლოდ მოსახლენი არ ჩანდნენ იმ ადგილებში და ტყეც უფრო მეჩხერს ჰგავდა.

უცნაური გრძნობა იპყრობდა ხოლმე, ამნაირ სურათებს რომ დასცქეროდა.

ყველაფერი ნაცნობი, მშობლიური, მის დაბადებამდე გაქვავებული წამი. ყველაფერი იქნებოდა, მის გარდა. პაპამისი მიხეილი კი რამდენჯერ აიარდა და ჩამოიარდა – ამ იმერულ გამოთქმებს ამჯობინებდა – იმ აღმართს ურმითა და ხარებით.

არა, მართლაც რა უბედურება იყო ეს დრო.

ადამიანი მიდიოდა, მოდიოდა, დრო კი რჩებოდა...

5 თებერვალს ხელში მოჰყვებოდა დენის ფონვიზინი. რეზოს სიყმაწვილეში ქუთაისის თეატრში დადგამდა ამ მწერლის „უმწიფარს". ხალხი სპექტაკლს არ მიიღებდა და ამასაც ბუნდოვნად ჩარჩებოდა ხსოვნაში. ეს წიგნი რომ არა, არც არასოდეს გაახსენდებოდა.

ამ წიგნში კითხვა-პასუხს მიაქცევდა ყურადღებას და წინასიტყვაობაში ჩაეძიებოდა. ეკატერინე მეორეს გაუგზავნიდა შეკითხვებს და ჩიხში მოაქცევდა, სასტიკ დღეში ჩააყენებდა. არადა: ეს რომ წაიკითხავდა, მშვენიერი პასუხები ყოფილიყო გაცემული. ერთი განსაკუთრებით მოეწონებოდა.

ეკითხებოდა დენის ფონვიზინი:

რისგანაა, რომ ჩვენში არ არის სირცხვილი არაფრის კეთებაო?

და პასუხობდა ეკატერინე მეორე:

ცოტა არ იყოს გაურკვეველია, სირცხვილია ცუდად კეთება, საზოგადოებაში ცხოვრება კი არ ნიშნავს, რომ არაფერს აკეთებო.

განმანათლებელთა გავლენას გავლენად დაინახავდა რეზო ჭეიშვილი ამგვარ პასუხში და იმასაც ივარაუდებდა: პირდაპირ ფორმულებიც კია გადმოტანილიო.

მერაბ ბერძენიშვილი უპასუხებდა დაახლოებით ამგვარად – შესაძლოა ისიც სხვისი გავლენით – შეკითხვას ტელევიზორში:

ნიჭიერი კაცი, რომელიც არაფერს ჰქმნის, საზოგადოებისათვის დაკარგული არ არისო.

მართალიაო, – ეთანხმებოდა რეზო, – ნიჭიერი აფასებს, კარგსა და ცუდს ასხვავებს, ლაპარაკობს, ათვითცნობიერებს ხალხს, ახალგაზრდებს განსაკუთრებით, ამიტომაც ის შეიძლება თავისი თავისათვის იყოს დაკარგული და არა საზოგადოებისათვისო.

15 თებერვალს შოთა ჩანტლაძის საღამო გაიმართებოდა მწერალთა კავშირში უსახოდ და უდღეურად. იზა ორჯონიკიძე შინ მიადგებოდა პირდაპირ საღამოდან და წიგნს გამოართმევდა... თვითონ ეს პოეტი ქალი მოხსენებას გააკეთებდა და კმაყოფილიც იქნებოდა თავისი გამოსვლით, როგორც რეზო შეატყობდა... და საერთოდაც როგორც ჩვეოდა...

17 თებერვლის ჩანაწერი მწერალთა კავშირში ახალი წევრების მიღებასაც შეეხებოდა. 48 კაცს წარმოადგენდნენ სხვადასხვა სექციაში, ფარული კენჭისყრით მიიღებდნენ მხოლოდ 12-ს, საკვირველ პრინციპულობას გამოიჩენდა ახალი თავმჯდომარე – შოთა ნიშნიანიძე, ამის თვალში მხოლოდდამხოლოდ მამაგეიშვილი. ელგუჯა მაღრაძე შვილის გამო ყოველად დაუფარავად გამოიდებდა თავს, თორემ ის 12-ზე მეტს ვერ გავიდოდა. ამ თორმეტში მაინც ზოგიერთი ულირსი მოხვდებოდა, რამდენიმე ღირსეული კი გარეთ დარჩებოდა. ერთის ცოდვა რეზოსაც დაედებოდა – თავისდაუნებურად... არც იმას ეკუთვნოდა წევრობა, მაგრამ ეს არაფრით არ ნაშლიდა, რომ სცოდნოდა, ვინ იყო...

ზამთარი კუდს რომ მოიქნევდა თებერვლის მიწურულს, წამოაგონდებოდა ამნაირივე ზამთარი 1949 წლისა. შავი ზღვის სანაპიროზე და კოლხეთის დაბლობზე გახმებოდნენ მაშინ ევკალიპტები. მანამდე კიდევ დიდი კამპანია გაჩაღებულიყო ევკალიპტთა სარგებლიანობასა და კინაღამ სასწაულმოქმედებაზეც.

ამ და ამნაირი სახელდახელო ღონისძიებებით სტალინურ პოლიტიკას ამკობდნენ.

შემდეგ გიორგი მალენკოვი და კვადრატულ-ბუდობრივად კარტოფილის თესვის მოძღვრება.

შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვი და სიმინდი.

შემდეგ ლეონიდ ბრეჟნევი და ყამირი.

შემდეგ იური ანდროპოვი და მომსახურეობის კომბინატები, საყოფაცხოვრებო სამინისტროების მუშაობის გაუმჯობესება... საპარიკმახეროები გვიანობამდე უნდა იყოს ღიაო, – დაისახავდა მიზნად და... მოსწრებით კი ვეღარ მოასწრებდა მის აღსრულებას.

შემდეგ უკვე ეს გამოჩნდებოდა, დმიტრი ჩერნენკო, და... ქეც ყველა ხედავდა, რასაც წარმოადგენდა.

ხელმძღვანელი ლენინური ტიპის.

რაღაც ქვესახეობა გახლდათ მართლაც ლენინის, მხოლოდ ბიოლოგიური.

უმდიდრეს მასალას იძლეოდნენ სატირული და აბსურდულ-გროტესკული ლიტერატურისათვის, საითაც გაიხედავდი, თემები უხვად ეყრებოდა... ჯერ მარტო კომუნიზმის მწვერვალისაკენ მოკლეზე გადასვლის ეს გზები გაოგნებდა მოფიქრების „ძალმოსილებითა“ და „სიკაშკაშით“.

ესეც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის ისტორიის თეზისური მონახაზი, ჭეიშვილური მახვილგონიერებით ჩამოყალიბებული.

– შემოქმედება იმიტომაც არის შემოქმედება, – იტყოდა დმიტრი ჩერნენკო, რეზოსეული მოხსენიებით: ცრუდიმიტრი, – რომ ის თავისუფალია, მაგრამ ვერავინ შემოქმედს ვერ გაათავისუფლებს სავალდებულო ნორმებისაგან.

ანუ – ქვეტექსტის გახსნით:

ჩვენი მოთხოვნილებებისა და ნება-სურვილისაგანო...

ძველი აზრი იყო...

ლენინის გამონათქვამი – სხვანაირად გადამუშავებული. „ლიტერატურის პარტიულობისათვის" ერქვა – თუ სწორად ახსოვდა – იმ წერილს, სკოლაშიც ასწავლიდნენ და შესადარებელი ფორმულირებაც იქიდან ჩარჩებოდა მეხსიერებაში.

– შემოქმედი ჩვენში თავისუფალია და მის თავისუფლებას ვერავინ შეეხება, – ამბობდა ულიანოვი, – მაგრამ ჩვენც გვაქვს ჩვენი თავისუფლება და ვინც ჩვენ არ დაგვიჯერებს, იმას ჩვენებურად მოვუვლით.

დაახლოებით ამგვარი იყო მისი დემაგოგია.

სტალინი ამ ყოველივეს განავითარებდა და აიყვანდა რაღაც საშინელ ხარისხში. მიიჩნევდა, რომ ხელოვნებას, განსაკუთრებით – ლიტერატურას, კინოსა და თეატრს უნდა ემსახურა მხოლოდდამხოლოდ მისთვის, მისი მიზნებისათვის, მისი ნება-სურვილებისათვის, სიკეთისთვის კი არა – ბოროტებისათვის, სიმართლისათვის კი არა – სიცრუისათვის...

პარტიულ-კომუნისტური მოთხოვნების საწინააღმდეგო მწერლურ დოქტრინას ასე ჩამოაყალიბებდა რეზო ჭეიშვილი:

ლიტერატურა უნდა ემსახურებოდეს სიმართლეს. ხელოვანი, კერძოდ მწერალი, პასუხისმგებელი უნდა იყოს სიმართლის, ეპოქისა და სინდისის წინაშეო.

სიმართლის გრძნობის, თანამედროვეობის ატმოსფეროს შეგრძნების, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და სინდისის გარეშე მწერალი არც შეიძლება არსებულიყო, ნიჭსა და განათლებაზე აღარაფერს ამბობდა, რადგანაც ეს ორი ნიშან-თვისება უპირველესი გახლდათ, მთავარი, ოღონდ – სრულიად არასაკმარისი.

და მაინც: ყველაფრისათვის რომ თავი დაგვენებებინა, რეზო ჭეიშვილს ცრუდიმიტრის ის გამოსვლა... მოეწონებოდა კიდეც.

რატომ უნდა მოსწონებოდა?

უარესს ელოდა, როგორც ყოველთვის, და ამიტომაც ამოისუნთქებდა.

ღვთის მადლით, არ ისმოდა მუქარა, ხელების ბრახუნის ხმა...

– ამაზედაც გმადლობ, უფალო!..

არ იძახდა: ეროვნული ლიტერატურა არაა საჭიროო.

არ ამბობდა: ერთი ენა იქნება ბოლოს და კულტურები უნდა შეერწყასო.

არა ბრძანებდა: ასე წერეთ, ისე წერეთო.

და უნიჭოების წინააღმდეგაც კი ილაშქრებდა თავისებურად.

ამ გამონათქვამს, რომელსაც დღიურში გადმოიწერდა, უნდა ჩაჭიდებოდნენ კიდეც მწერლები:

– ჩვენს დიად საქმეს, ჩვენს ჰუმანისტურ მიზნებს არა სჭირდება განუსჯელი ხოტბა-დიდება ლექსად და პროზად. მხოლოდ დაცინვით თუ ვუწოდებთ მხატვრულ ნაწარმოებს, რომლებშიც...

და კიდევ:

– ცუდად დაწერილი წიგნები და ოპერები, პრიმიტიულად გადაღებული ტელე და კინოფილმები, ულაზათოდ შექმნილი ქანდაკებები და სურათები მარტო გემოვნებას როდი უფუჭებს მილიონობით ადამიანს, სახელს უტეხს თემებსა და იდეებს...

რა ეთქვა ახლა მეტი ერთ უუფლებო უფლებიან (ჭეიშვილური პარადოქსი) ადამიანს, ცრუდიმიტრის?!.

სტალინი აღარ ემახსოვრებოდა რეზო ჭეიშვილს და მალენკოვის მოხსენებიდან დაწყებული ყველა საანგარიშო მოხსენებაში იდეოლოგიურ განყოფილებას დაეძებდა, ლიტერატურაზე რა თქვესო.

– ისეთი ხომ არაფერია, რომ დაგვიჭირონ (მე თუ არა, სხვები, მაშინ ხომ არც ვწერდი), წერა აგვიკრძალონთქვა. ვკითხულობდი, სანუგეშოს ვერაფერს ვპოულობდი მაინცდამაინც, მაგრამ საგანგაშოსაც რომ ვერ აღმოვაჩენდი, ვმშვიდდებოდი.

ერთხელ ასეთ რაიმესაც კი იტყოდნენ:

ჩვენ ისევ გვჭირდება გოგოლები და შჩედრინები.

გაეხარდებოდათ და ჩაეჭიდებოდნენ ამ ფრაზას:

გვჭირდება და გვჭირდება, ვიღაც ხომ არა, თვით პარტია გვეუბნებაო.

ვის ჭირდებოდი, ვის დაკარგოდი, მაგრამ ესეც ითამაშებდა რაღაც როლს ამ პროგრესში, განვითარებაში, სტალინის შემდგომ თანდათან, შეუმჩნევლად რომ იჩენდა თავს...

ასე მოხდებოდა დაახლოებით.

ანი შესაძლოა უკეთესის მოლოდინიც გვქონოდა გარდამავალი, იმპულსური, ტეხილი წარმატებებით.

ეს თაობა თუ ვეღარ, სხვანი ხომ თვალნათლივ გაშიფრავდნენ ამ კარდიოგრამას...

რას იტყოდნენ მერე?

თუ ყველაფერი კეთილად დასრულდებოდა, რას იტყოდნენ ნეტა?

ისეთს არც არაფერს...

ისე იყო და ალბათ ისეც უნდა ყოფილიყო, ასე უნდა განვითარებულიყო, ასე უნდა დასრულებულიყოო.

რეზო ჭეიშვილი და მისი თაობა რა დღეში იმყოფებოდა, ვინ გაიგებდა...

არა, გაგებით კი გაიგებდნენ, მაგრამ გრძნობითაც თუ იგრძნობდნენ?..

მათი ყოფა ადრინდელზე უკეთესი იყო მაინც...

ძალიან ეცოდებოდა გაუბედურებული, დახვრეტილი მწერლები, თუნდ ლადო ასათიანი. რა დროს, რა პირობებში მოუხდებოდა შემოქმედებითი ცხოვრება: 35, 36, 37, 38, 39, 40, შემდეგ ომი, ნგრევა და უბედურება...

ხელ-ფეხის გაკვრა, ყელში ულმობლად წაჭერილი საბელი დახვრეტაზე ნაკლებად არც ესახებოდა.

მაინც რა წლები იყო?

და ამ წლებისთვისაც კი გაეძლო ლიტერატურას, მისი მთავარი ძარღვი ოდნავღა, მაგრამ მაინც რომ იფეთქებდა.

27-28 თებერვლის ჩანაწერი გვამცნობდა, რომ:

რეზოსათვის წიგნი გამოეგზავნა სერგო ჯორბენაძეს: ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. იმ დღესვე გადაიკითხავდა. საინტერესოდ მოეჩვენებოდა. თვითონ ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება მოეჩვენებოდა საინტერესოდ, დიდი და დიდებული კაცისა...

ეს ხომ ავტორის დამსახურებაც გახლდათ, დიდი და დიდებული ცხოვრება ასე კანთიელად რომ თვალსაჩინოვდებოდა, თანაც ბევრწილად უცნობ მასალებზე დაყრდნობით, მონოგრაფიად დაეწერა, ბიოგრაფიულ რომანს ვერ დაარქმევდი, თუმც ამზადებდა საფუძველს ამ ყაიდის თხზულების შესაქმნელად.

„საუნჯის" პირველი ნომერი 1985 წლისა.

ბეჭდავდნენ სომერსეტ მოემს, ჰაინრიხ ბიოლს, ალექსეი ტოლსტოის – არც კლასიკოსები იყვნენ და არც არაფერი სიახლისდამაგვარი არ მოჰქონდათ.

ტოლსტოის დოკუმენტური მასალა მაინც ჰქონდა მოტანილი, პირველ ორს კი – ყველაფრის წაკითხვა რომ შეეძლო რეზოს – ვერც კითხულობდა, თუმც ვალდებული გახლდათ – თვითონ ბეჭდავდა – და შესაძლოა ესეც უცრუებდა გულს...

დაიბეჭდებოდა საუბარი გაბრიელ გარსია მარკესთან. წაიკითხავდა ინტერესით, თუმც თითქმის, თუ არ მოეჩვენებოდა, წაკითხულიც ექნებოდა აქამდეც. ერთი-ორი რაღაც ენიშნებოდა, დანარჩენებზე კი რა ეთქვა.

თუნდ: ზუსტად ასეთივე გრძნობა გაუჩნდებოდა ფრანც კაფკას მოთხრობის – „მეტამორფოზა" – წაკითხვისას, როგორც მარკესს, თუმც რეზო უფრო მოწიფული წაიკითხავდა ცხადია.

როგორ მოკლავდა რომანში აურელიანო ბუენდიას?

– ...კიბეზე ასვლისას კანკალმა ამიტანა. მერსედესი მაშინვე მიხვდა ყველაფერს. „პოლკოვნიკი მოკვდა" – თქვა მან. მე ლოგინზე დავემხე და ორი საათის განმავლობაში ვტიროდი...

ისე გაღიზიანდებოდა რეზო ჭეიშვილი ამ პასაჟის წაკითხვისას, არ იკმარებდა ამ მწარე მიდევნებას:

მაიმუნი არ არის ამის დამწერიო?

და უარესადაც გაიმეტებდა:

ეს ორი საათის ტირილი მისი პოლიტიკური მრწამსის ჭკუანაღრძობი, არაგულწრფელი კაცის მრწამსის ტოლფასიაო.

თუმც რეზო ჭეიშვილი რა შუაშია – თვითონ მარკესს გაემეტებინა ასე ძალიან თავი, ყოვლად მიამიტი მკითხველის გასაცუცურაკებლად რომ თხზავდა ტირილის ლეგენდას. ამისთანები სჩვეოდა?!. რატომ არ ითვალისწინებდა, რომ მის ინტერვიუებს გარდა მიამიტი მკითხველებისა, პროფესიონალებიც გაეცნობოდნენ!.. თუმც მასკულტურას მოერგებოდა ისე, არც არაფერს დაგიდევდა.

1 მარტს რომ ჩაინიშნავდა ამ შთაბეჭდილებებს, ერთი კვირის თავზე ნათანაელ უესტის რომანზე – „მთელი მილიონი ანუ ლემუელ პიტკინის ასოასოდ ამოღება" – გამოთქვამდა თავის მოსაზრებას, „საუნჯის" მერმისის ნომერში რომ ივარაუდებდა.

სათაურიც მოეწონებოდა, თარგმანიც – ზაზა ალექსიძისა და პაატა ჩხეიძის მიერ შესრულებული – კარგ შთაბეჭდილებას დაუტოვებდა. თვითონ რომანი რას წარმოადგენდა? პრინციპში – არც არაფერს. რას ირწმუნებოდნენ მის ჟანრობრივ თავისებურებაზე? სატირააო, სატირული ნაწარმოებიაო.

რეზოს შეფასებით კი:

სატირალი უფრო გახლდათ.

ეს იმიტომ, რომ:

ყოველნაირი სატირა სასაცილოა, სატირალიც რომ იყოს, ღიმილს ვერ აცდებიო.

აქაც იელვებდა ამდაგვარი რამ, განა არა, მაგრამ პათოლოგია ჭარბობდა. აი დაიბეჭდებოდა გაისად და სხვებიც დარწმუნდებოდნენ.

თავისი შემოქმედებითი ლაბორატორიის კარს შეაღებდა უნებლიეთ რეზო ჭეიშვილი ზოგადესთეტიკური, ზოგადმხატვრული პრინციპის შეხსენებასთან ერთად.

თუ სატირაა, სასაცილოც უნდა ყოფილიყო.

სატირალიც რომ ყოფილიყო, ღიმილი მაშინაც ვერ უნდა შეგეკავებინა.

რეზოს ნაწერების კითხვისას რაც გემართებოდა.

უფრო სატირალი, უფრო დამთრგუნველი, უფრო შემაძრწუნებელი მხატვრული სინამდვილეც რა უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეს სამყარო გვთავაზობდა, ჭეიშვილური კალმით აღბეჭდილი, მაგრამ ღიმილიც არა გშორდებოდა და სიცილითაც ასდევდი ცალკეულ პასაჟებსა თუ ეპიზოდებს.

რასაც ნათანაელ უესტი ვერც მიწვდებოდა და არც უნდა მოგეთხოვა მისგან.

არადა: სად მისი სახელი და სად რეზო ჭეიშვილისა დასავლურ სივრცეში, თვით უესტისაც კი, დიდად იქაც რომ არ აფასებდნენ, თორემ სომერსეტ მოემისა თუ ჰაინრიხ ბიოლის პოპულარობის ფონზე არც გამოჩნდებოდა მისი მხატვრული მონაპოვარი, ხოლო ქართველ მწერალს გაურკვეველი მომავლისაღა რომ ეიმედებოდა.

როგორ არ დაინგრეოდა ეს უკანასკნელი იმპერია კაცობრიობის ისტორიაში, როგორ არ აიშვებდა საქართველოც თავს სახელმწიფოდ და როგორ არ შეიქნებოდა უშუალო მონაწილე დასავლური სამწერლო პროცესებისაც... და აი მაშინ დაისაჭიროებდნენ თუ დაისაჭიროებდნენ რეზო ჭეიშვილის ქმნილებებსაც, მთელ მის მხატვრულ სამყაროს, იმ მკაცრ სატირას, სატირალიც რომ გახლდათ, მაგრამ ღიმილი და სიცილიც გადასდევდა, თორემ იმ დამთრგუნველობას, იმ გულისშემძვრელობას როგორ გაუძლებდი?!.

მარკესისათვის კი გეძახა არაგულწრფელიც, ჭკუანაღრძობიც და თუნდ... მაიმუნიც, ფეხქვეშ კი გაეგდო ყველა და ყველაფერი და აღარავის ცნობდა თავის გარშემო დიდების მწვერვალზე ატყორცნილი, თვით იმ უილიამ ფოლკნერსაც, ურომლისოდაც თავს ვერ იპოვნიდა და კოლუმბიასაც ვერ გაცდებოდა, იქაც ჟურნალისტი რომ უფრო ერქმეოდა, ვიდრე მწერალი...

და შენ კი... შენ, ქართველი მწერალი, მომავალსღა თუ მიაჩერდებოდი იმედის თვალით... ბუნდოვანებაში ჩაძირულ მომავალს.

11 მარტს აირჩევდნენ, მოილაპარაკებდნენ და დადგებოდა აგრონომი სათავეში. ეს იქნებოდა რიგით მეშვიდე იმპერატორი.

თან აგრონომი და... თან იმპერატორი?

სხვაგვარად როგორ გაეაზრებინა თუ შეეფასებინა მიხაილ გორბაჩოვი, რომლის სახესაც დაჰყურებდა და ფიქრობდა, ანგარიშობდა.

არაფერი განსაკუთრებული.

და მაინც სხვებს – მის წინარეებს სჯობდა.

მაინც რაში, რაში გამოიხატებოდა ეს მჯობნის მჯობნელობა?

ყველა მანამდელს ეტყობოდა, ვინ რას წარმოადგენდა.

და... ამას?

ამასაც... საქმიანი და ენერგიული გახლდათ, სხვა თუ არაფერი, და ამ ორ თვისებაშიც ჩვეულებრივი... რა ჰქონდა აბა გამორჩეული?!.

ის, რომ ეს ქვეყანა გარედანაც, სხვა თვალითაც ჰქონდა დანახული.

და ამ გარემოებას რომ მიაკვლევდა, გაეხარდებოდა, მგონი მთავარს ჩავავლეო, და კიდეც დასცემდა დასტურს:

– ამაშია საქმე!..

ბევრი რამ მოეხსენებოდა – ბებრები რომ ვერა ხვდებოდნენ – და ეცინებოდა ირონიულად ადრე, ვიდრე კარიერულ კიბეზე ზემზემოთ მიისწრაფოდა. და გამოჩნდებოდა, თვითონ რას მოიმოქმედებდა ეს მეშვიდე იმპერატორი ამ ცოდნის შესაფერისს (რეზო „ექვივალენტურს“ ამჯობინებდა).

განსაკუთრებულს – ალბათ ვერაფერს, მაგრამ მის გარშემო რომ თაობები აიკრიბებოდა? მერე რას შვებოდი?!.

– გითხრათო? – ეკითხებოდა რეზო ჭეიშვილი ამ დღიურის მომავალ მკითხველს და კიდეც დადგებოდა წინასწარმეტყველების გუნებაზე, შინაგანი ლოგიკითაც და უეცარი ხილვის წყალობითაც:

ამისი ხალხი, მისი მოყვანილი ხალხი დაანგრევს ამ ქვეყანას, – ყოველმიზეზს გარეშეო!..

მაინც რა აძლევდა ამისი თქმის საფუძველს ასე დაბეჯითებით?

ჩვენ ის ვთქვათ, რამდენიმე დღეში ხმა რომ მოუვიდოდა: მიხაილ გორბაჩოვმა ძალიან მოიწონა „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“ და ავტორებს მადლობაც შემოგითვალათ გაბედულებისათვისო. ფილმის ფინალი მოხიბლავდა განსაკუთრებით, რად უნდოდა ლაპარაკი; ის ფინალი, რეზო ჭეიშვილს გული რომ ეთანაღრებოდა: ჩემთვის რომ დაეჯერებინა ელდარს, კიდევ უკეთესი გამოვიდოდაო.

ვალენტინ რასპუტინის ორტომეულს იყიდდა 20 მარტს, დიდი ამბით შეუხვევდნენ და გამოატანდნენ... რამხელა სახელი მოეხვეჭა და რეზოს კი არაფერი ჰქონდა აქამდე მისი წაკითხული... სურათს დახედავდა და: გულს შემოეყრებოდა. შემდეგ ერთ პატარა მოთხრობასაც წაიკითხავდა... ცუდი არ აღმოჩნდებოდა, მაგრამ ორტომეულში კი არა – 47 საავტორო ფორმას რომ მოიცავდა – იმ ერთტომეულშიც არ შეიტანდა რეზო ჭეიშვილი პირადად... ფიზიონომია კი მართლაც არ მოეწონებოდა... გამოჩნდებოდა, სხვებსაც წაიკითხავდა...

22 მარტს გაეცნობოდა მოთხრობას „იცხოვრე და გახსოვდეს“... მოეწონებოდა ასე თუ ისე, ოღონდ იმასაც შეამჩნევდა, მასალა რომ ჭარბობდა ტალანტს...

იმ სკოლის, იმ მხარის, იმ ტიპაჟის უკეთესად დანახვა რომ შეიძლებოდა, ეჭვიც არ შეეპარებოდა. და მაინც კარგი მოეჩვენებოდა!.. მიჩათლახებული ცხოვრების ანარეკლიც ჩანდა. იმ ატმოსფეროში, იმ დროსა და იმ ყოფაში რომ შეხვიდოდი, შეგაციებდა მაინც...

30 მარტს „ფრანგულის გაკვეთილებს“ რომ წაიკითხავდა, მოუწონებდა რასპუტინს: კარგია, ასე უნდა ალბათ წერაო.

ამბავს ჰყვებოდა გულწრფელად, შეულამაზებლად, ეჭვიც არ ეპარებოდა მკითხველს ცხოვრებისეულ კი არა, დოკუმენტურ სისწორეში, სიმართლეში, თუმც მოთხრობა კომპოზიციურად შეკრულიყო და მკითხველზე ზემოქმედების სხვა დაფარული ხერხებიც გამოყენებულიყო. საინტერესოდ იკითხებოდა ამიტომაც...

ამ მოთხრობის მიხედვით გადაღებულ კინოფილმს მოუყვებოდა ელდარ შენგელაია და მერე რეზო თვითონაც ნახავდა ტელევიზორში.

დილის საბავშვო გადაცემებში აჩვენებდნენ. არც ეცოდინებოდა, ამ ავტორისა თუ იყო. დასაწყისსაც ვერ მიუსწრებდა ალბათ, თორემ ყურადღებას მიაქცევდა. ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა ამნაირ თემებზე სტალინის სიცოცხლეში და შემდგომაც... არც ახლა შეიძლებოდა პრინციპში, მაგრამ რაკიღა მომხდარიყო და ხდებოდა, ეს ნიშნავდა, რომ: სადღაც შეიძლებოდა მაინც.

წარმოისახებოდა, 1948 წელს როგორ შიმშილობდნენ, როგორ გაძაღლებულად ცხოვრობდნენ.

იმდროინდელ კინოფილმებსა და ნაწარმოებებში კი სულ ტაშის გრიალი იდგებოდა, სულ ზეიმი და ყვირილი: აი რა ბედნიერად ვცხოვრობთო...

კინოფილმი „ბედნიერი შეხვედრა“ გაგვეხსენებინა თუნდაც: ამ ფილმს რომ იმ მხარეში ნახავდნენ – სადაც ქერის ფაფა ენატრებოდათ და ხალხს სურათებით ცნობდნენ – არ შეიშლებოდნენო?

შეიძულებდნენ ქართველებს, აბა რა იქნებოდა.

თუმც შუა აზიაშიც და სხვაგანაც მხოლოდ ამგვარი ფილმები იქმნებოდა – რუსეთშიც ცხადია.

სტალინის სურათები ექნებოდათ კვლავინდებურად მანქანებში გაკრული იმათაც კი...

ვიდრე რეზოს თაობაც არ ჩაბარდებოდა მიქელგაბრიელს, საშველი არ იქნებოდა და არა, თორემ გაოგნებული შეჰყურებდა, როგორ გატენილიყო მისი თაობაც სტალინისტებით... როგორ ელოდნენ, როგორ სურდათ, როგორ სწყუროდათ...

შეზარავდა ბრძანების პუნქტი, ტელევიზორში ნანახი დოკუმენტური ფილმი რომ გაახსენებდა:

ნაბიჯი უკან და... მაშინვე დაიხვრიტონ პანიკიორები და ლაჩრებიო!

„დახვრეტა“ – ერთი და იგივე ტერმინი ჰქონდათ ადოლფ ჰიტლერსაც და იოსებ სტალინსაც... შეგეშინდებოდა და: მიგახვრეტდნენ... საჩვენებელ ხვრეტებშიც აუცილებლად მიგაღებინებდნენ მონაწილეობას...

როგორც კი გაუჭირდებოდა: დებო და ძმებოო, – იძახებდა, ცოტა მომაგრდებოდა თუ არა და: დახვრიტეთო...

რუსეთს ჩასვამდა რუსულ სინამდვილეში, რუსულ ყოფაში... სწორედ რუსები ჟუჟავდნენ ერთმანეთს სამოქალაქო ომებში: მამა შვილს რომ ესროდა და ძმა – ძმას...

ალექსანდრ გერცენთან ამოიკითხავდი:

თავზარი დაეცა ხალხს, როცა ნიკოლოზ პირველმა დეკაბრისტთა განაჩენი აღასრულა – არ ელოდნენ. ალექსანდრეს კი სიკვდილით არავინ დაუსჯიაო.

სწორედ დღეს შეიძენდა მის „ნამყო და ფიქრებს“ და იქ გაეცნობოდა ამ პასაჟსაც.

არ ჰქონდა წაკითხული, აინტერესებდა და სწორედ დღეს გადააწყდებოდა ბუკინისტებში – 1949 წელს გამოცემულს, ნახმარსა და გაცვეთილს, მაგრამ მაინც კარგად შენახულს, ფანქრის ერთი წერტილიც რომ არ აჩნდებოდა და არც ფურცელი იქნებოდა სადმე ჩაკეცილი.

მიხეილ მგალობლიშვილი ეძებდა ხოლმე ამ წიგნს, ადგილებს იხსენებდა და რეზოსაც მისგან ჩაჰყვებოდა ინტერესი.

ასე უნდა ალბათ წერაო, – ვალენტინ რასპუტინის უნარის კვალობაზე გაუჩნდებოდა ეს განცდა და მოსაზრება რეზო ჭეიშვილს, თორემ წერა როგორ უნდოდა, მისგან უფრო ექნებოდა სასწავლი რუს მწერალს, „ნაცმენებისადმი“, სახელდობრ კი ქართველებისადმი სიძულვილს რომ ვერა ფარავდა.

რევაზ ჯაფარიძის საპასუხო წერილი რომ გამოქვეყნდებოდა „ცისკრის“ მესამე ნომერში... თამაზ წივწივაძის პასუხიც უკვე მზად იქნებოდა. ახლა, 25 მარტს, რეზოს სწორედ აქ ედებოდა, მაგიდაზე...

ჟურნალი ჯერ არ გამოსულიყო, ხელისმომწერლებს არ დარიგებოდათ ყოველ შემთხვევაში და... პასუხის პასუხიც გაემზადებინა თამაზს! გაცილებით უკეთ დაწერილი, პირველ წერილს სჯობდა აშკარად, თუმც შეცდომებსა და შეუფერებელ-შეუსაბამო ადგილებს აქაც არაერთს ნახავდა. გადაწყვეტდა მეორე დღეს ეთქვა თავისი მოსაზრებანი, თუკი ის დაუჯერებდა... გაბრაზებით რომ გაბრაზებულიყო თამაზ წივწივაძე, რეზო ჭეიშვილს ეს ბუნებრივი ეჩვენებოდა, მაგრამ უკვირდა, რომ:

თვითონ თამაზი ვერც კი გრძნობდა, რამხელა შეურაცხყოფა მიეყენებინა ადამიანისათვის, რომელსაც იმოდენა წარმოდგენა შეჰქმნოდა თავის თავზე...

საერთოდ კი სისულელედ (ამ მკვეთრ სიტყვასაც არ მოერიდებოდა) მიიჩნევდა ამ ყველაფერს:

ჯერ აქ ვის აინტერესებს მათი დავა და იქ – ანუ სხვაგან – ვის რაში სჭირდებაო.

13 ივლისს შეხვდებოდა რევაზ ჯაფარიძე რუსთაველზე, შემნახველ სალაროსთან. ის შეგებებით კარგად შეეგებებოდა და... გაშორებით კი ცივად გაშორდებოდა. და რეზოს მოტეხილი მოეჩვენებოდა და ივარაუდებდა: „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა მიხეილ ანთაძის – ჩემი ნასტუდენტარია – წერილმა გატეხაო.

მიხეილ ანთაძე, პროზაიკოსი და რეზოს ნასტუდენტარი მეორადი ფაკულტეტის კინოსასცენარო სწავლებაზე, ამჯერად ვრცელ კრიტიკულ მიმოხილვას დაბეჭდავდა ამ გაზეთის ფურცლებზე, და წივწივაძე-ჯაფარიძის პოლემიკის განსჯა-შეფასებისას კრიტიკოსს დაუჭერდა მხარს და არა მწერალს.

მართალია მიხეილ ანთაძე იმჟამად კინოსთან უფრო ახლოს იმყოფებოდა, ვიდრე მწერლობასთან, თუმც უკვე გამოეცა ცალკე წიგნად ვრცელი მოთხრობა; მაგრამ რედაქცია უპირატესად იმ მოსაზრებით იხელმძღვანელებდა, მაინცდამაინც ამ კაცს რომ მიანდობდა მწერლობის მიმოხილვას: დღევანდელ ახალგაზრდულ ლიტერატურაში როგორღაც გამოიკვეთა ვიწრო ამხანაგობები, ლიტერატურული დაჯგუფებები, ამ სიტყვის კარგი გაგებითო. და ასეთ ფონზე რომ გაძნელდებოდა მიუმხრობელი და პირუთვნელი ლიტერატორის მოძებნა, მიხეილ ანთაძეს ყველაზე უკეთ შეეძლებოდა ლიტერატურული პროცესის ობიექტურად ასახვა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მწერლობას შორიდანაც უყურებდა.

მიმომხილველი თუ რაიმეს უსაყვედურებდა თამაზ წივწივაძეს: ზოგიერთ შემთხვევაში ლიტერატურული კრიტიკისათვის რამდენადმე შეუფერებელ ჭარბ სარკაზმს, – მაგრამ მწერალს მოსაწონ საქციელად ვერ ჩამოართმევდა, რომ: იგი თვითონ იცავდა თავის რომანს. ასეთ შემთხვევაში ხომ იძულებული იყო თავი ექო, თავის ქების ფასი კი ყველას კარგად მოეხსენებოდა...

ამასთან: თუკი რევაზ ჯაფარიძეს – როგორც თვითონ აღნიშნავდა – ეგულებოდა საკუთარი ნაწარმოების თაყვანისმცემელთა მთელი არმია, და თუ ეს მართლაც ასე გახლდათ, მაშ რატომ ვერ გამონახულიყო ამ არმიაში ერთი კრიტიკოსი მაინც, რომელიც თამაზ წივწივაძეს შეეკამათებოდა?

ეს მაინც ყველაზე მწარე შეკითხვა აღმოჩნდებოდა მწერლისათვის, თვითონაც რომ გულს უღრღნიდა და... აგერ საჯაროდაც გაცხადებულიყო.

მაგრამ ნუთუ ეს გამოხმაურება მოსტეხდა რევაზ ჯაფარიძეს?

მისი სეხნიის თვალი ასე კი აღიქვამდა და...

როგორც ჩანს რეზო ჭეიშვილისათვის უცნობი დარჩენილიყო კულუარული ამბები, თუ რას გამოეწვია შექმნა ამ ვრცელი სტატიისა „მძიმე ჯვარი" და ჯვარცმული მკითხველი", და შესაბამისად ის შემოქმედებითი ლაბორატორიაც – მისი მომზადების პროცესი, და ამიტომაც აღარ ღირს ამ მიმართულებით თხრობის გაგრძელება, თუმც თავისთავად კი საინტერესო და დამაფიქვრელი გახლდათ და იმჟამინდელი სამწერლო ცხოვრების ამრეკლავ-გამომხატველი. ამიტომაც კი უნდა მოიცალო იმ კულუარული ამბების გამოსამზეურებლად და თამაზ წივწივაძის პოლემიკური სტატიების, უფრო კი პამფლეტების, ამ ციკლის დაფარული თანაავტორის ვინაობის გამოსამჟღავნებლად.

21 სექტემბერს დილით – 12 საათი რეზოსათვის დილა გახლდათ – რევაზ ჯაფარიძე შემოხვდებოდა. ეს გააჩერებდა მანქანას, გადავიდოდა და შეეგებებოდა. ის ადრე თვალს არიდებდა თამაზ წივწივაძის გამო, ახლა კი აღტაცებას ვერ დაფარავდა:

– რა ყოფილხარ შენ.

უწინ ზევიდან რომ აქებდა, ახლა პირისპირ და ცოტა ქვემოდანაც დაელაპარაკებოდა. მოტეხილიც მოეჩვენებოდა – ბოლო მოეღო თითქმის თამაზს მისთვის. ისე ატყობდა რეზო, თვითონ თამაზიც ნანობდა უკვე იმ წერილების გამოქვეყნებას.

სახელმწიფო პრემიასაც მიულოცავდა და:

– ის ფილმიც მომწონს, თუმცა არ მინახავს.

„ცისფერი მთების“ ტექსტი თითქმის რეზოსი რომ იყო, იმას ფრაგმენტები ენახა და მოწონების გამოთქმისას იქიდან ამოვიდოდა.

და როგორ არ გადაეტანა დღიურში მადლიერების განცდა:

საერთოდ ადამიანს როცა სხვისი – მითუმეტეს: კოლეგის – ნამუშევრის მოწონების უნარი აქვს, დასაფასებელიაო.

მუხრან მაჭავარიანს ახალი ბინის ორდერის აღება, შვილის დატოვება ძველ ბინაში ცოტა გაუჭიანურდებოდა და შეწუხებული იქნებოდა. ახალში რემონტს მორჩებოდა თუ არა, მცხეთაში თუ მცხეთის იქით კიდევ საკურორტო სახლის მშენებლობას წამოიწყებდა.

9 აპრილს რეზო ეტყოდა, არ მოერიდებოდა:

– რად გინდა, ვისთვის გინდა ამდენი სახლი?

უნდოდა, რატომ არ უნდოდა, მაგრამ ამდენი წვალება – სიხარბეზე რომ აღარაფერი ეთქვა – არ ღირდა მოკვდავი ადამიანისაგან.

8 ივნისის დღიურში აირეკლებოდა ის მითქმა-მოთქმა, მთავრობის ახალ ღონისძიებას რომ მოჰყვებოდა. და რეზო იმედს გამოთქვამდა, როგორც ყველაფერი, ესეც დროებითი რომ აღმოჩნდებოდა. ხოლო თუ გაღრმავდებოდა და ასე უკუღმართად ჩატარდებოდა? მაშინ შესაძლოა ცუდად დაბოლოებულიყო ჩვენთვის. ერთ დღეს ამასაც იტყოდნენ: ღვინის შენახვა და დაყენებაც აკრძალულიაო... ო, კანონი კანონია ყველასათვის და აგერ ციმბირშიც აიკრძალაო.

– მოგჭამა ჭირი... ეს იქნება ლახვარი, ჯერ რომ არ მოგვსწრებია, იმნაირი, ჩვენი არსებობის ისტორიაში რაც ვერ გვიყვეს, იმის ქნას დაგვიპირებენ. შაჰ-აბასის მიერ ვენახის აჩეხვაზე უარესი იქნება...

მაღაზიაში უნდა გვეყიდა ჩვენც ღვინო, როგორც მოსკოვში, ლენინგრადსა და „დალნივასტოკში“ იქცეოდნენ. საშინელებად ეჩვენებოდა ამის გაფიქრებაც კი...

იცოდა, მაგრამ ახლა ნათლად იგრძნობდა, რამხელა ადგილი ეჭირა თურმე ვაზს ჩვენს სულიერ ცხოვრებაში: ხასიათში, ეროვნულ თვისებებში.

ვინ იყენებდა კიდევ ჩვენსავით ამ იმპერიაში ღვინოს?

აქა-იქ ალბათ, მაგრამ სად მოიძებნებოდა მსოფლიოში ჩვენნაირი ჭურმარანი, მიწაში ჩაფლული ქვევრები?!.

არაფერი გააჩნდა იმერეთში, კერძოდ – ოკრიბაში გლეხკაცს, ოდასახლის, ჭისა და ჭურ-მარანის მეტი.

სახლი – ცარიელი.

მარანი – გაპარტახებული... წნეხსა და საქაჩავს მოუსპობდნენ, გაუნადგურებდნენ.

საწნახლები როგორ მოეხსენებინა, თუ არა: სიმდიდრედ და სილამაზედ გლეხკაცისა.

ვერ მოგვსპეს, ვერ გადაგვაშენესო, – ყელში მოაწვებოდა ბრაზიც და სიამაყეც ერთდროულად და დაექადნებოდა უხილავს: ვერც გადაგვაშენებენ, გვძირკვავენ, მაგრამ ვერ ამოგვძირკვავენო...

ვერც ვაზსა და ვენახს გაგვიჩეხდნენ.

და ვერც ჭურ-მარანს გვიქცევდნენ შორეულ მოგონებად.

სჯობდა, დროულად აელოთ ხელი ამ მოძალადეურ ღონისძიებაზე, თუ არადა გამოჩნდებოდა: ვინ ვის...

13 ივნისს გაასვენებდნენ თამაზ და ოთარ ჭილაძეების მამას და რეზოს ბინის წინ უამრავი ნაცნობი შეიყრიდა თავს – ქართველი მწერლები რაღაც სასაცილო დაჯგუფებებით, ანგარიშსწორებებითა და მაინც ერთად ყოფნის სიამტკბილობით. გადაბერებული – მისი თანატოლი – ძალები ნაგვიანევი პატივისცემის გამომხატველი მზერითა და აღიარებით.

ედუარდ შევარდნაძე რომ მოვიდოდა, რეზოს შიგ კარში შეეფეთებოდა! ვერ იცნობდა. ის კი არა, ვისაც უნდა ეცნო – გურამ ენუქიძეს – ისიც ვერ შეამჩნევდა. ამნაირი რამ ამ დროს ხდება ხოლმე და ამასაც არ გაუკვირდებოდა. პირველს სახე ექნებოდა შენუხებული და დაბნეული, რეზო ტელევიზორიდანაც კი ატყობდა უამურ გუნება-განწყობას, დღეს კი ნაღდად უაღრესად დაბნეული იქნებოდა. დღესვე ჩამოსულიყო ალბათ მოსკოვიდან, რაღაცას ელოდა – ან კარგს, ან ცუდს – რაღაც იცოდა... იცოდა რაღაც...

რაღაც ცვლილებები მოხდებოდა აუცილებლად, მაგრამ ამ ეტაპზე – რეზოს შეტყობით – არაფერი შეიცვლებოდა.

შემდეგ გამოჩნდებოდა, მანამდე კი უნდა დალოდებოდნენ.

თუმც აკი უსაზღვრო გახლდათ ისედაც ჩვენი მოლოდინი.

18 ივნისს რევაზ ინანიშვილს აირჩევდნენ მწერალთა კავშირის მდივნად.

ამან იცოდა და არ ელოდა.

იმანაც იცოდა და... არ ჯეროდა.

სტუდიაში რომ დაუხვდებოდა დილით, გაუკვირდებოდა:

– შენ აქ რა გინდა? მდივნად უნდა აგირჩიონ ერთ საათში!..

– არა, არაფერი უთქვამთ.

იცოდა და არ ჯეროდა მართლაც.

ეს წამოიყვანდა მანქანით და ერთად მივიდოდნენ მწერალთა სასახლეში.

ხუთ წუთში დამთავრდებოდა პლენუმი და ხალხი უკმაყოფილოდ დაიშლებოდა.

„საუნჯის“ რედაქციაში მიბრუნდებოდნენ ზოგიერთები და ეს იტყოდა:

– გარეწარი და დამპალი რომ აერჩიათ, გახარებულნი დარჩებოდნენ.

ნამდვილად ასე რომ იქნებოდა, ამას მრავალნაირ ახსნას გამოუძებნიდა.

რევაზ ინანიშვილს ულირსად ჩათვლიდნენ: ეგრე თუა, მე დავენიშნეთო, – იფიქრებდნენ. რეზო ჭეიშვილსაც გაუჩნდებოდა ეს ბნელი აზრი. ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არა სურდა გამდივნება, მაგრამ სული რომ ცოდვი-

ლია?!. ყოველნაირი პიროვნება – მეტ-ნაკლები დოზით – რომ ზის ყოველ ადამიანში?!.

რევაზი პატიოსანი კაცი გახლდათ, მართალი, ობიექტურობის გრძნობაც შენარჩუნებული ექნებოდა რაღაცნაირად. ბევრი იგლიჯებოდა ამ ადგილისათვის და მისი ქულები ამნაირად დაგროვდებოდა:

შოთა ნიშნიანიძის მეზობელი გახლდათ და შოთა მორჩილსა და უპრეტენზიოს ეძებდა, ამასაც უნდოდა დიდი ჭკუა... ინსტინქტურადაც გრძნობდა ამ მომენტის აუცილებლობას.

პატიოსანი მწერალიც იყო (მწერალი პატიოსანი უნდა ყოფილიყო ცხადია).

უპარტიოც (უპარტიოც ხომ უნდა ჰყოლოდათ ბესარიონ ჟღენტის მაგალითზე).

და კახელიც (აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენელი ესაჭიროებოდათ).

კიდევ ერთხელ გაიმეორებდა: რამდენი იგლიჯებოდა ამ ადგილისათვისო.

კიდევ რომ რჩებოდა ერთი ადგილი?

ხმა ისე გავრცელებულიყო, იქ გიორგი გაჩეჩილაძეს ნიშნავენო.

რაღაც ცვლილებები მოხდებოდა აუცილებლადო...

ეს უკვე ახალი იმპერატორის კარზე.

და კიდეც:

ედუარდ შევარდნაძეს დანიშნავდნენ ანდრეი გრომიკოს ადგილზე.

ჯუმბერ პატიაშვილს შევარდნაძის ადგილზე უპირებდნენ დანიშვნას.

ავთანდილ ჩხიკვიშვილისა და ბადრი ჭოხონელიძის მოთხრობები დაიბეჭდებოდა „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე ერთმანეთის მიყოლებით.

ხალხური სიბრძნე კიდეც ირწმუნებოდა და კიდეც მოითხოვდა, რომ:

შვილი უნდა ჯობნებოდა მამას და ახალგაზრდა – ხნიერს.

მაგრამ მწერლობაში სხვანაირად უნდა ყოფილიყო მისი გამოვლენა და ეს სიტყვები ალბათ ამიტომაც არა მართლდებოდა.

ძალა არა ჩანდა, არა, ქვევით.

ან მართლა არ არსებობდა, ანდა უფროსი თაობა – და მათ შორის რეზოც – ვერა ხედავდა... ყოველ შემთხვევაში 6 ივლისს მათი დანახვა გაუძნელდებოდა.

15 ივლისს სოფელ შოყს მოინახულებდნენ ადიგენის რაიონში. ოქროსციხეზე ვერ ავიდოდნენ, გზა იქნებოდა წამხდარი... ძველ დროს მოიგონებდნენ, ისაუბრებდნენ. და რეზო იკითხავდა:

– რა მოხელე ჩიქვანი იქნებოდა XII ან XIII-XIV საუკუნეებში გივი ძნელაძე?

ხან ამას იტყოდნენ, ხან იმას და... ხელობას ვერა და ვერ მიუსადაგებდნენ.

– გინდათ გითხრათ, ნამდვილად გინდათ? – იკითხავდა მუხრან მაჭავარიანი.

– თქვი, – შეაგულიანებდა რეზო.

– მეწისქვილე იქნებოდა.

ზუსტად მოახვედრებდა. რეზოს შეტყობით, ადრეც ექნებოდა ამაზე ნაფიქრი, ასე ექსპრომტად გაუძნელდებოდა. შეეხარბებოდა მუხრანისა: ჩემი სათქმელი თქვა და ეგაააო.

30 ივლისს ქვათახევს ესტუმრებოდნენ... სუფრიდან რომ აიშლებოდნენ, მაღალაანთ საყდარსა და ციხის ეზოში გააგრძელებდნენ ისინი, ვისაც სმის თავი შერჩენილი ექნებოდათ.

მუხრან მაჭავარიანი თავის სადღეგრძელოს დალევდა და საკუთარი თავის სადიდებელ ლექსებსაც მიაყოლებდა მთვარის შუქზე.

საოცარი მეხსიერება და იუმორის საოცარი გრძნობა აქვს, ისე კი ძალიან სერიოზულიაო, – გაიფიქრებდა რეზო, – თანამშრომელ ქალებს დალაპარაკებაც კი ეშინიათო...

არ ენახა ან იშვიათად თუ ენახა კაცი, ვისაც ასე ზუსტად ესმოდა შაყირი, რეზოსეული ირონია, სიტყვა და სხვა...

9 სექტემბერს გაიმართებოდა მწერალთა პლენუმი. დანიშნავდნენ რეზო ამაშუკელს მდივნად და აუსრულებდნენ ნატვრასა და ოცნებას.

„სხვას ის ჯობია ისევ".

იზა ორჯონიკიძე შეუტევდა შოთა ნიშნიანიძეს, ნოდარ ჯანბერიძესა და სხვებს, რეზო დიალოგებსღა მიუსწრებდა, სიტყვას ვერ მოუსმენდა.

– ძალიან დამწყდა გული, რომ ვერ მოგისწარი, – ეტყოდა იზას და ის გადაკოცნიდა სხვების დასანახად. თავისიანად ჩათვლიდა, უფრო სწორად – დაანეხვებდა სხვებს... თითქოს მიელოცოს რაღაც... რეზო მოუწონებდა კიდეც ეშმაკობას, თუკი ეს ეშმაკობა იყო.

არჩილ სულაკაურს დაეთანხმებოდა და გადაწყვეტდა გადასულიყო „მნათობის" რედაქციაში სამუშაოდ. გაუძნელდებოდა ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ რაკილა მუშაობდა, ბარემ იმუშავებდა უკეთეს ალაგას... რაღა დროსი იყო, მაგრამ მაინც. „საუნჯეში", თავისი ჭკუით, ერთობოდა და ხელფასს იღებდა, ძმებს თან ძმობას უწევდა და... ხალხი თურმე სხვანაირად ფიქრობდა: რატომ ჰყავთ გადაგდებული ამნაირ ალაგზეო... გადავიდოდა ცოტა ხნით და ამ ახალ სამყაროსაც შეეჩვეოდა, ანდა ვერ შეეჩვეოდა.

მთელი მისი ცხოვრება აქამდე გახლდათ ეს მარშრუტი: კინოსტუდია – „ცისკარი".

„საუნჯეს" – ალბათ არამარტო ტერიტორიული თვალსაზრისით – „ცისკრად" მიიჩნევდა და ამიტომაც იმყოფებოდა იქ.

„მნათობი" კი, განსაკუთრებით თავისი მომავალი კაბინეტი, ციხედ ეჩვენებოდა. იქ იჯდებოდა ედიშერ ყიფიანი, თვით არჩილი და „სამ" ამაშუკელი. დაჯდებოდა ესეც ორი წლით უპორტფელო მინისტრად და გამოჩნდებოდა შემდგომ...

9 ოქტომბერს იქნებოდა პლენუმივით მწერლებისა. ტარიელ ჭანტურიას გამოსვლას მიუსწრებდა. კარგად, თუმც უშედეგოდ – ამას ასე მოეჩვენებოდა – ილაპარაკებდა.

ნაცნობი სახეები, დღე მშვენიერი, ჭადრაკი ეზოში: აბა უამისოდ?!.

ოთარ შალამბერიძეს რომ დაინახავდა, პატარა ჩანთა-პორტფელით, სქელი ულვაშითა თუ სათვალით მიამგვანებდა სანიტარს. თუ დავით სარაჯიშვილის სახლს ქსენონად ვიგულისხმებდით და მწერლებს ექიმებად, მაშ ოთარ შალამბერიძე სანიტრად მოჩანდა, სანიტრად, რომელსაც გაჰყავდა მკვდრები, პარსავდა და ბანდა მიცვალებულებს. სანიტრები ტყესაც ესაჭიროებოდა – ლეშის მოსასპობად, დაუძლურებულ-დაავადებული ცხოველების გასანადგურებლად. ეტყოდი: შვიდ ნოემბერზე დაწერე ლექსიო, – და დაწერდა უმალვე.

28 ოქტომბერს მოკლედ აღნიშნავდა:

დავრჩი მე მგონი ისევ „საუნჯეში“, ბედმა არ ინება ჩემი გა„მნათობებაო“.

2 ნოემბერს კიდევ უფრო მოკლედ:

– „მნათობში“ არ გადავედი.

მიზეზს არ განმარტავდა. „სამნათობედ“ გამზადებული უეცრად რატომ დარჩებოდა „საუნჯეში“, დღიურსაც არ გაუმჟღავნებდა.

მურმან ჩაჩუა, ასერიგად ჩახედული მუხრან მაჭავარიანისა და მისი გარემოცვის ცხოვრებაში, ამბავს მოგვიტანდა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში, რეზო ჭეიშვილი მუხრან მაჭავარიანს რომ ამცნობდა: ხვალიდან „მნათობის“ რედაქციაში გადავდივარ პასუხისმგებელ მდივნადო, – ის ძალიან შეფიქრიანდებოდა, არ ესიამოვნებოდა რეზოს ჩამოშორება, მათი შეკრული გუნდის რღვევის დასაწყისად რომ მიიჩნევდა, და მაშინვე შესთავაზებდა:

– თუ დაწინაურების გამო გადადიხარ არჩილთან, აგერ „საუნჯეში“ შემოვიღებ მთავარი რედაქტორის მოადგილის პოსტს და აქ დარჩი... თუ კიდევ რამე გინდა, ისიც მითხარი.

და რეზოს დაეუხერხულებოდა: ასე ძალიან თუ არის მონდომებული, მეც რაღა თავი გამოვიდოო.

და დარჩებოდა მუხრანთან – უკვე მთავარი რედაქტორის მოადგილის ამპლუაში.

ხელფასიც მოემატებოდა, თორემ გართობით ხომ ძველებურად გაერთობოდა და ძმებსაც კვლავინდებურად ძმობას გაუწევდა.

პოლიგლოტებიო, – ჩაიღიმებდნენ ხოლმე მათი შემხედვარე „ცისკრისა“ თუ მთარგმნელთა სარედაქციო კოლეგიის თანამშრომლები. და იქნებოდა „საუნჯე“ მიტოვებული რამდენიმე ქალის ანაბარა, რუსული ლიტერატურის იქით რომ არც იხედებოდნენ და... ვერც იხედებოდნენ, და ამიტომაც იყო, რეზო ჭეიშვილის სულსა და გულსაც რომ არ ეკარებოდა მთარგმნელობით ჟურნალში დაბეჭდილი მასალები.

თავის საქმეს აგვარებდა მუხრან მაჭავარიანი, ტრამპლინად რომ ესაჭიროებოდა „საუნჯის“ რედაქტორის პოსტი, ფართოდ აბამდა ურთიერთობათა ქსელს და ენერგიულადაც მიისწრაფოდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობისაკენ, მთავრობა ვითომ ფარულად (დაფარული რომ დარჩენილიყო რო!..) რომ ამოუდგებოდა მხარში და... აკი კიდეც აღუსრულებდნენ სანუკვარ მიზანს.

ეს კულუარული ამბები რეზო ჭეიშვილის დღიურის მიღმა დარჩებოდა, მხოლოდღა იმ დღეს რომ აღწერდა მოკლე რეპორტაჟული სახით, მუხრან მაჭავარიანი ახალ თავკაცად რომ მოევლინებოდა მწერლებს.

მანამდელ ჩანაწერებში კი:

24 დეკემბერს დაურეკავდნენ რეზოს რუსთავიდან. თვითონ პარტკომი აზოტის ქარხნისა თუ მისი დავალებით მიიწვევდნენ შეხვედრაზე. ეს არც უარს ეტყოდა მიმპატიჟებელს და არც თანხმობას...

– რევაზ გაბრიაძეც იქნება, – არც აცლიდნენ დაფიქრებას.

ამ ორი რეზოს – გაბრიაძისა და ჭეიშვილის – გაერთიანება შეიძლებოდა რაღაცით...

– ენვერ ნიჟარაძეც.

„ენვერი რაღა შუაშია?!."

– და აკაკი გელოვანიც.

„მთლად მაბითურებენ..."

კვარტეტი გამოვიდოდა, უკეთესი აღარ იქნებოდა!.. ნეტა ვის მოფიქრებოდა მათი გაერთიანება-გაკვარტეტება?..

25 დეკემბერსაც დაურეკავდნენ:

– პარასკევს, სამის ნახევარზე დაგელოდებით მოედანზე, ქალაქკომის წინ...

„მაგათ ვინ ვგონივარ ნეტა?!. ამ სიაში ვინ ჩამწერა, ესეც რომ გამაგებინა, კარგია..."

მეორე დღეს ენვერ ნიჟარაძე დაურეკავდა და ეს პასუხად:

– ვერ წამოვალ.

რაღაცას მიკიბ-მოკიბავდა და თავს უსაყვედურებდა: პირდაპირ უარის თქმა რომ არ შემიძლია, ძალიან ცუდიაო...

მოიახალწლევებდა და კიდეც შეწყვეტდა სადღეგრძელოებს. სწორედ იანვარში გახდებოდა შარშან ცუდად და მთელი ექვსი თვე აღარ დალევდა. აღარ დაელოდებოდა იმ სიკეთეს. თუ მაინც ველარ უნდა დაელია, ბარემ თავისი ნებით მოეთავებინა გადაბმული ქეიფები, ვიდრე წვეთის ჩაშვებასაც აუკრძალავდნენ.

კარი მეექვსე

თავი პირველი

გადაუშლელი რომანები

22 იანვარს, 1986 წლისა, ჯანსულ ჩარკვიანი გამოვიდოდა ტელევიზიით. ადრევე გამოსულიყო ქარხანაში, ჩაეწერათ და 22-ში გადმოეცათ. შეაქებდა ძალიან რეზოს და ბევრსაც გადაიმტერებდა ცხადია. დაურეკავდა მადლობის სათქმელად ადრესატი და ამასაც დასძენდა:

– მტრები გაიმრავლე.

– ფეხებზე მკიდია.

მთლად ეგრეც არ იქნებოდა – რეზოს ვარაუდით – მაგრამ ანგარიშს რომ გაუსწორებდა ზოგიერთებს, ესეც ცხადლივი გახლდათ.

იტრიალებდა ერთი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი სალიტერატურო წრეებში მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში მოსახდენ ცვლილებათა შესახებ. დანიშნავდნენ ჯანსულ ჩარკვიანს თუ არა თავმჯდომარედ, და თუ ჯანსულს არა, ვის შეარჩევდნენ. შოთა ნიშნიანიძის ბედი გადაწყვეტილი ეგონათ, გამოგდებას აღარაფერი უკლდა და – ამის შეტყობით – ასეც იქნებოდა.

ნეტა რას მიანიშნებდა, რომ: ჯანსულ ჩარკვიანს ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩევდა ახალი პირველი ანუ ჯუმბერ პატიაშვილი?!.

6 თებერვალს მწერალთა პლენუმი დაინიშნებოდა. გაეთავისუფლებინათ უკვე შოთა ნიშნიანიძე და დაენიშნათ გიორგი ციციშვილი. იქაც იქნება და აქაცო – ანუ: ქართული ლიტერატურის ინსტიტუტშიც და მწერალთა კავშირშიც – და რეზო ჩაიბურტყუნებდა დღიურის შევსებისას: თითქოს კაცი აღარ იყო ქვეყანაზე სხვაო...

1984 წლის 10 ოქტომბერს დაენიშნათ მამაგეიშვილ-ნიშნიანიძე და უკვე – წლისა და სამი თვის თავზე – მოეხსნათ კიდეც.

ხვალ გაითამაშებდნენ პატარა სპექტაკლს.

ბევრს სურდა დასწრება და რეზო ადვილად ამოიცნობდა მათ გულისწადილს: რაღაც ექსცესები მოხდებაო.

5 თებერვალს უცნაური ფიქრები აეკვიატებოდა და ერთ კანონზომიერებასაც აღმოაჩენდა თითქოს:

60 წლისა რომ გავხდები – თუ ღმერთმა იქამდე მიმაღწევინა – საზოგადო მოღვაწეობასაც დავიწყებო.

ეს უცნაური ფიქრები რას გაეჩინა და:

ვიდრე 20 წელს არ გადასცილდებოდა და 21-ისა არ გახდებოდა, უმაღლესში ვერ მოეწყობოდა – 1954 წელს.

31 წლისას შეეძინებოდა გუბაზი და მისი ოჯახიც ამ – ორშვილიანი – ხაზით ჩამოყალიბდებოდა – 1961 წელს.

41 წლისა შეიძენდა მანქანას – 1975 წლის იანვარში, მაგრამ ეს მაინც 1974 წლად იგულისხმებდა. და ასეც იყო... ადრეც შეეძლო, განა არა, მაგრამ ასე მოხდებოდა, რაკილა სჩვეოდა ყველაფრის გადავადება-დაგვიანება.

50 წელს რომ გადასცილდებოდა, ფაქტობრივად მას შემდეგ აღიარებდნენ მწერლად – 1984 წელს.

და 1994 წელს მიხვდებოდნენ: რეზო ჭეიშვილი საზოგადო მოღვაწეც ყოფილაო. ერთი-ორი წლის დაწყებული ექნებოდა ეს საქმე და მაშინღა აღიარებდნენ. იტყოდნენ: ვკითხოთ ამასაც რამეო.

– გამოდი, თქვი, გვითხარი ორი ღერი სიტყვა!

– რა ღირსი ხართ, მაგრამ გეტყვით...

წარმოსახვით დიალოგი წარმოსახვით დიალოგად, ქარი კი იქროლებდა და ახვეტავდა თოვლს თითქმის, სამაგიეროდ ყინვას არა ეშველებოდა... მაგრამ მაინც ისმოდა გაზაფხულის სუნთქვა და აგრძელებდა ტრიალს დედამიწა სიკეთე-სიავითა და მრავალი ფერით.

* * *

9 თებერვალს გურამ კოხრეიძე – მისი ბავშვობის ძმაკაცი – ჩამოვიდოდა.

– საქმე მაქვს, წამომყევი, თუ შეგიძლია, – სთხოვდა რეზო.

– დიდი სიამოვნებით, – რატომ ეტყოდა სტუმარი უარს.

და ეს... პეტრე-პავლეს სასაფლაოზე წაიყვანდა. გაოცდებოდა ბავშვობის ძმაკაცი, მაგრამ არას ეტყოდა რას. დაუწყებდა ძებნას და აჩვენებდა ტერენტი გრანელის საფლავს. ახალდაკრეფილი, წინადღით დაკრეფილი უფრო სწორად, იები ეწყობოდა თავქვისთავზე.

– ვინ არი? – იკითხავდა გურამ კოხრეიძე. არც კი სმენოდა – და კიდევ რამდენს – ტერენტი გრანელი.

აქედან გურამ თუთბერიძეს ესტუმრებოდნენ და იქ შეყოვნდებოდნენ.

გაეხარდებოდა რეზოს, მასპინძელი კარგად რომ გამოიყურებოდა, თორემ სხვაზე ამას ვერ იტყოდა.

და წამოეშლებოდა ბავშვობის ძმაკაცების აჩრდილები, რა უბედურად წასულიყვნენ: ბოჭოლაც, ომარიც, ზეროც, რომანიც, ჭეიაც, მურმან ცეცხლაძეც.

გურამ იყო და: დაბრმავებულიყო. ქლიბაძეც აღარ იქნებოდა ამქვეყნად, კოკი იყო და: ეს ინფარქტიო, ეს შაქარიო...

რეზოსა და გურამ თუთბერიძეს არა უშავდათ რა თითქოს: ფუი, ფუიო! – დღიურის ფურცლებზეც საჭიროდ ცნობდა ეშმაკისათვის მიფურთხებას: ემანდ თვალი არა სცემოდათ.

ეს პეტრე-პავლეს სასაფლაო ნეტა რაღას გაეხსენებინა ასე უეცრად და ასეთი სიმძაფრით, თანაც მაინცდამაინც ისეთი კაცი რომ წაეყვანა, ტერენტის სახელი ვისთვისაც სრულიად არაფერს ნიშნავდა?

ამიტომაც, სწორედ ამიტომაც – თავისებურ სიმბოლურ აქტად მიიჩნევდა, თითქოსდა ყველა იმათ აჩვენებდა ამ საფლავს, რომელთათვისაც სრულიად შორს იყო პოეზია და არც წამებულ სულებს დაგიდევდნენ მაინცდამაინც.

ელოდა, უთუოდ ელოდა, საფლავზე ყვავილები რომ დახვდებოდა, და სურდა ეგრძნობინებინა ბავშვობის ძმაკაცისათვის, რას ნიშნავდა ეს სამარე პოეზიის მოყვარულთათვის, თავისებურ საკულტო ადგილად რომ აღიარებდნენ და არ აკლებდნენ ახალდაკრეფილ ყვავილებს.

ვინ იყო მაინც ასეთი ტერენტი გრანელი?

ეს აქტი ყვავილებით შემკობისა თავისთავად ღაღადებდა ყველაფერს, და კიდევ ის, რეზო ჭეიშვილს კიდევ ერთხელ რომ მონატრებოდა ამ საფლავის მონახულება.

* * *

12 თებერვალს, აი ახლა, ამ წუთას მაგიდაზე ნახავდა ლექსების წიგნუკას „დაბრუნება ძველ სახლში" – ლალი გულისაშვილისა. გადაშლიდა გულგარეთ, როგორც გადაშლიდა ხოლმე ამნაირ წიგნს, ერთს მრავალასეულთაგანს, ერთმანეთისაგან რომ ვერ განასხვავებს ადამიანი. და... სხვანაირი ლექსები კი აღმოჩნდებოდა.

გაუკვირდებოდა და გაეხარდებოდა.

ვინ იყო, არ იცოდა... არა, შესაძლოა იცნობდა კიდეც, მაგრამ ახლა ვეღარ მოეგონებინა...

ერთ ბავშვსაც მიუყვანდნენ სარეკომენდაციოდ: ნიჭიერიაო... თვითონ პერსონა არ დატოვებდა ურიგო შთაბეჭდილებას, მის შემოქმედებას კი – იმ დღეს ეგონებოდა, ვიცნობო – არ იცნობდა. მაინც უნდა დაერეკა აკაკი ბრეგაძესთან და გაერკვია...

* * *

17 თებერვლისათვის დაწერილი ექნებოდა და მხოლოდღა გადაათეთრებდა, დაასრულებდა, გადაბეჭდავდა ნოველას „ბონდოუკამ თქვა", საბოლოოდ „წარსულის სურათებს" რომ დაარქმევდა. ვახტანგ ჭელიძეს ვეღარ მოუსწრებდა სამსახურში, შინ დაურეკავდა და დაელაპარაკებოა, ამასაც ჩაურთავდა:

– საყრილობოდ გამოდგება.

და თავისთვის გაიფიქრებდა: შეიძლება ახლაა მართლაც მომენტი, შემდეგ აღარც დაბეჭდავენ და ეგებ მოვასწროო.

შემდგომ უკვე „გუია ა."-ს დაბეჭდვა ენდომებოდა – ისიც მოსასწრები იქნებოდა.

ელგუჯა მაღრაძეს უპირებდნენ მგონი ვახტანგ ჭელიძის ადგილზე დანიშვნას... მთლად გადაწყვეტილი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბატონ ელგუჯას სურდა და, თუკი სურდა – ჩვენთან ხომ ასე დამკვიდრებულიყო – დანიშნავდნენ კიდეც...

უნიჭო-ენერგიული ხალხის დრო დამდგარიყო და – რეზო ვარაუდით – ოთხი-ხუთი წელი გაგრძელდებოდა ეს ერა. სულ ცოტაო, თავს ინუგეშებდა და დაიზღვევდა კიდეც.

ნეტა ამ „ოთხ-ხუთ წელს" ალალბედზე წამოისროდა თუ რაღაცას ემყარებოდა მისი ეს ოპტიმისტური მოსაზრება?.. იმ „ოთხი-ხუთი" წლის შემდგომ რა უნდა მომხდარიყო ვითომ ასეთი მკვეთრი და სასიკეთო, უნიჭო-ენერგიული ხალხის ერა დასრულებულიყო?.. სულ ცოტა ხანსაც გაგრძელებულიყო კიდევ, ამასაც რა უშავდა, თუკი მოთავება ელოდა და თანაც აგერ რეზო ჭეიშვილის თვალწინ...

იქნებ თავსაც არ უტყდებოდა, მაგრამ დღიურს კი გაენდობოდა... ბოლოსდაბოლოს თავის გასამხნევებლად დაისაჭიროებდა ამგვარ შეძახილს, თორემ გარემომცველი სინამდვილის დამთრგუნველობას ყოველთვის კი ვეღარ უძლებდა. თავისებურ ფსიქოთერაპიად ნამდვილად წაადგებოდა, ბოლო ხანებში რასაც წერდა და ხელმეორედ დაბადებულადაც კი გრძნობდა თავს, მაგრამ ამისთანა შეძახილებიც გულს გამოუკეთებდა დროდადრო... იმედოვნების გაღვივება, ოცნების ახდენის გამძაფრებული წადილი... თორემ აგერ „წარსულის სურათების" დაბეჭდვაც კი სათუოდ ესახებოდა. რა იყო განა ასეთი, მაგრამ შესაძლოა ეს „ რა იყო განა ასეთიც" მაგიდის უჯრაში ჩარჩენოდა...

უნიჭო-ენერგიული ხალხის ფართიფურთის ვადად კიდევ ოთხი-ხუთი წელი, ჰა ცოტა მეტი, – წაოცნებებითაც აღარ წაეოცნება?!.

18 თებერვლისათვის მუხრან მაჭავარიანი გურამ ენუქიძესთან იქნებოდა დაბარებული და გამოჩნდებოდა, რა ამბავს ჩამოიტანდა... ჩამოიტანდა თუ გამოიტანდა? ცენტრალური კომიტეტი მაღლობზე იმყოფებოდა სხვებთან შედარებით და: „ჩამოიტანდა" უფრო მოუხდებოდა. და საოცრად მოეჩვენებოდა რეზოს, ხალხი როგორ ასხვავებდა ადგილებს სიმაღლის მიხედვით.

მაგალითისათვის აგერ თუნდ ქუთაისი წამოაგონდებოდა:

მწვანეყვავილაზე, გორაზე, საფიჩხიაზე, ბაგრატის ტაძარზე, ბალახვანში, ჭომაში, ბაკისუბანში... მაღლობს ემატებოდა: ზე, დაბალ ადგილს: ში.

თბილისშიც ასევე იყო ცოტაოდენი სახესხვაობით:

მთაწმინდაზე, ფუნიკულიორზე, კუკიაზე, ვაკეში, ავლაბარში, ნახალოვკაში...

რატომ ამბობდნენ: ვერაზე? გამონაკლისად მოჩანდა თითქოს. ვერის მაღლობი სასაფლაოს ჩათვლით იგულისხმებოდა ალბათ მაინც. ასევე იყო ის გამოთქმაც: ბაგებში. ბაგები მაღალ ალაგას იმყოფებოდა, მაგრამ თავლის, ბაკის, სადგომის ასოციაციას ითვალისწინებდნენ როგორც ჩანდა.

შოთა ნიშნიანიძე და ჯანსულ ჩარკვიანი რომ დასცხებდნენ ერთმანეთს 21 თებერვალს, პარტიის კრებაზე, თამაზ წივწივაძე მოიტანდა ამ ამბავს, გივი ძნელაძესა და ოთარ ჭელიძესთან ერთად რომ მოვიდოდა. თამაზი პარტიული კრების ექსცესებს მოჰყვებოდა, გივი და ოთარი დაეთანხმებოდნენ.

მწერალთა კავშირში რომ მოუწევდა ყოფნა, რევაზ ინანიშვილის კაბინეტში, სულ ასეთი ლაპარაკი იქნებოდა:

იმის დედა, ამის დედა, მე იმის ასე და ისე...

და რეზოს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ: იქაც ეგრე იქნებოდა, მთლად თავში.

კოოპერატიულ ბინას დაპირდებოდნენსავით და... ჩაიშლებოდა დანაპირები. ინანიშვილი შეხვდებოდა დაღვრემილი:

– შეწუხებული ვარ ძალიან.

– რატომ?

– არ შეგხვდა ბინა, ოთხი ბინა იყო სულ.

მაფიის დრო მოსულიყო საქართველოში, ხალხს იჭერდნენ და მაფიის დროც დგებოდა.

მოხსენებას წაიკითხავდა მშვენიერს აგრონომი – აკი მიხაილ გორბაჩოვს დააქარაგმებდა ასე დღიურში – ხუთ საათს ილაპარაკებდა და... არაფერს იტყოდა. ამასაც ხომ მოხერხება უნდოდა.

26 თებერვალს: 99 წელი შეუსრულდა აკაკი შანიძესო, – და ტელევიზიით გამოიყვანდნენ. აღარც იქნებოდა თითქოს ამქვეყნად, მაგრამ გადადებულსაც არ ემგვანებოდა.

დიდი სამუშაო გეგმები ჰქონდა თურმე და კათედრასაც უძღვებოდა. მისი „ქართული ენის გრამატიკის" წიგნს თარგმნიდნენ გერმანულად.

– ვინ თარგმნის? – ჰკითხავდნენ, და გაიოცებდა ამ შეკითხვას აკაკი შანიძე:

– რასაკვირველია მე.

ვერ დაიჯერებდა რეზო ჭეიშვილი, რომ იმდენი გერმანული იცოდა ახლა, იმ ხნისამ.

– ყრილობაზე რას იტყვით? – ამის უკითხავად როგორ გაუშვებდნენ, და ისიც შესაფერის პასუხს მიაგებებდათ, კომუნისტური პარტიის სადიდებელს:

– ყრილობა გაგვინათებს გზას და წავალთ წინ...

– რაღას გამოელის ნეტა?! – გაოგნებული მისჩერებოდა ეკრანს რეზო ჭეიშვილი.

გეგმებითა და იმედებით აღვსილიყო საუკუნეს მიწევნილი კაცი, სხვას რომ არც ანდობდა „ქართული ენის გრამატიკის" გერმანულად თარგმნას.

ჩვენი კაცი დაწინაურებულიყო სულ ზევით. ყველა მონაცემის მიხედვით: პარტიული ელიტის პირველ ოთხეულში შეეყვანათ.

ედუარდ შევარდნაძის წინსვლა იმპერიის კარზე ასე აღიბეჭდებოდა რეზო ჭეიშვილის დღიურში.

ერთ სუფრაზე მოხვდებოდა შემთხვევით და მუხრან მაჭავარიანი ასე დალევდა რეზოს სადღეგრძელოს:

– ისეთი ნიჭიერია, თავისი ნიჭის 50 პროცენტი რომ გამოიყენოს, უბედურება მოხდება.

მთლად „უბედურება" არ ეთქვა, სხვა სიტყვა ემჯობინებინა, მაგრამ აზრი ეს იქნებოდა.

არ ეჭაშნიკებოდა რეზოს.

ჯერ ერთი: სულ არ გახლდათ აუცილებელი იმნაირ სუფრაზე – სადაც კაცი ორმოცს გადაუხდიდა თავის საყვარელს ოფიციალურად – ამნაირი სადღეგრძელოს შესმა.

მეორეც ის, რომ:

– სხვა არ მინახავს ასეთივე ნიჭის პატრონიო, ვერ ვიტყვი, – დასძენდა მუხრანი და თავისივე ნათქვამს გააფერმკრთალებდა.

და რაც მთავარია: სიმართლეს არ შეეფერებოდა მისი სიტყვები. დღეს მოინდომებდა ეთქვა ეს მისთვის რეზოს, მაგრამ გადაავიწყდებოდა. თავის შესაძლებლობათა ნახევარი თითქმის გაეკეთებინა, თავისი ნიჭიც სანახევროზე მეტად გამოევლინა უკვე.

ჩურჩულებდნენ მუხრანი და თამაზ წივწივაძე – დღეს გიორგი ციციშვილსაც უნდა შეხვედროდნენ. ადგილების დიდ გადანაწილებას მოელოდნენ. დადიოდნენ, გაიძახოდნენ: მე ეს ადგილი მინდა, მე – ესო. თამაზს „ცისკრის" რედაქტორობა სურდა მაინცდამაინც.

ჯანსუღ ღვინჯილია შეეჩეხებოდათ შესასვლელთან დადიანის ქუჩაზე. რეზო ხელს ჩამოართმევდა, თამაზი არც კი მიესალმებოდა.

დიეტაზე იმყოფებოდა უკვე მესამე კვირაა. არ ეჭამა, არ ესვა მეჩვიდმეტე დღეა. შაბათს, პირველში ანუ მაზეგ, თელავში ეპირებოდა ბაადურ ბალარჯიშვილისას და იქ გატეხავდა ალბათ საკუთარ მარხვას. რევაზ ინანიშვილის მანქანით წავიდოდნენ ის და გედი...

იყიდდა „იადიგარ დაუდს" და ერთი სული ექნებოდა, როდის დაიწყებდა კითხვას. როცა ბევრი საწერი და საბეჭდი დაუგროვდებოდა, მაშინ გამოუჩნდებოდა ხოლმე ამნაირი რამ. სხვა წიგნებსაც შეიძენდა სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძე ცალკე ექნებოდა გადმოწყობილი. ღმერთო, რამდენი საქმე დასწოლოდა, ნახევარს მაინც თუ მოასწრებდა, კაცი იქნებოდა.

თბილისსა და მთელ საქართველოში ალბათ გაზაფხული დამდგარიყო კიდეც.

28 თებერვლიდან შეუდგებოდა სმას.

ის დღე – რესტორანი.

მეორე დღე – მუხრან მაჭავარიანთან.

მესამე დღე – თელავი.

მეოთხე და მეხუთე დღეები – ქუთაისი, და სულ უფრო მძიმედ და მძიმედ ეს ყოველივე. ამასობაში 7 მარტი დადგებოდა და თითქოს მოეგებოდა გონს. სამსახურშიც შეივლიდა ცოტა ხნით. მერამდენედ გახდებოდა ცუდად – წელს პირველად. უფრო ადრეც კი მოელოდა. მომდევნოს ალბათ ველარც გაუძლებდა და მიხვდებოდა: აქ მთავრდება ჩემი, როგორც მსმელის, კარიერაო.

ქუთაისი-ქვიტირი გადაყვავილებული არა, მაგრამ აყვავილებული იქნებოდა იქა-აქ. ხალხი ბევრი, ნაცნობი ბევრი, ყურადღება მისადმი – საკმარისი...

ხვალ, ეგებ ზეგ მაინც ასულიყო ზევით, მუხათწყაროში და დაეწყო საქმე იქაც, აქაც. ბევრი დაუგროვდებოდა სათქმელი, ჩასაწერი და... ეს ყველაფერი ხვალისთვის, ზეგისთვის, სხვა დროისათვის გადაიდებოდა.

წიგნები ეყიდა მწერალთა კავშირში, ერთი ალექსანდრე ყაზბეგი აღმოჩნდებოდა. დაწვებოდა ახლა და ყაზბეგს იკითხავდა...

9 მარტის საღამოს ატომურ კატასტროფაზე გაეცნობოდა სტატიას „ეოკრუგ სვეტაში“, ისედაც არ ეძინებოდა და სულ წაერთმეოდა ძილი, შემდეგ კოშმარები დაეწყებოდა. დილით ჩაეძინებოდა და გივი ძნელაძეც დაადგებოდა თავზე მოულოდნელად.

ამ უქეიფობაზე წაეკითხა:

ალექსანდრე ყაზბეგი, „ქართული პროზა“ – XI ტომი, ვაჟა-ფშაველას ერთტომეული, შემდეგ აკაკი წერეთლის ერთტომეულიც გადაეთვალიერებინა და... გაღიზიანებულიყო მურმან ლებანიძეზე: ისე ადგენს, თითქოს დიდი მწიგნობარი მყავდეს, შედგენა ტექნიკური საქმე ჰგონიაო. მერე ტიციან ტაბიძის ერთტომეულსაც გაეცნობოდა და... გაუკვირდებოდა: როგორ ვერ ხედავდა, როგორ არ აფასებდა აკაკის.

10 მარტს გურამ დოჩანაშვილი დაურეკავდა და ეს მოსკოვში გასაგზავნი ანოტაციის ტექსტს მიუკიბ-მოუკიბავდა. და ამასაც მიადევნებდა:

– მიმბაძველი გამოგჩენია.

– ვინ?

– ბესიკ მაღლაკელიძე.

სცოდნოდა, განა არა, იმასაც, და არც ესიამოვნებოდა, როგორც ეს შეატყობდა. წაეკითხა მართლაც იმისი ეტიუდები თუ მინიატურები მეორე ნომერ „ცისკარში“. ნიჭს შეატყობდა და გაუხარდებოდა, მაგრამ მერე და მერე აღარ მოეწონებოდა, მატყუარა ნიჭი მოეჩვენებოდა. იოლი და მიუღებელი ფორმა გამოდგებოდა, მაგრამ რაღაცაც უნდა ყოფილიყო შიგ. გამოჩნდებოდა ალბათ შემდგომ.

აინტერესებდა, ეძებდა, ათვალიერებდ, საიმედო ახალგაზრდას ვერ ხედავდა სამწუხაროდ. შარშან ჩეხები რომ ესტუმრებოდნენ, ამდაგვარ შეკითხვას დაუსვამდნენ სწორედ:

– ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა რომელია?

ვერ გასცემდა წესიერ პასუხს, ასე ამჯობინებდა:

არიან, ოღონდ მე ვერ ვამჩნევ, ალბათ ისე, როგორც თავის დროზე მე თვითონაც ვერ მამჩნევდნენ.

ლევ ტოლსტოის დის ბიოგრაფიას რომ კითხულობდა, 17 მარტს დაამთავრებდა თუ არა, ვეღარ გაიხსენებდა, საინტერესოდ კი მოეჩვენებოდა.

რევაზ ინანიშვილი მიულოცავდა:

– პრემია: წლის საუკეთესო მოთხრობა – მოგეცით.

ააშენებდათ ღმერთი, ფარა შეხვდებოდა ცოტა.

გაიხედავდა 19 მარტის დილით და... ითოვლებდა. შუადღემდე გაწყალდებოდა, საღამომდე გაქრებოდა კიდეც. და როგორ არ დაერთო: უცნაურია მართლაც ეს მარტიო.

სომერსეტ მოემის „სანატორიუმს“ წაიკითხავდა წუხელ, თავის ჟურნალში დაბეჭდილ მოთხრობას. ამავე თემაზე იყო – როგორ ავიწყდებოდა ის გვარ-სახელები – თომას მანის „ჯადოსნური მთაც“. ეგაა: ის დიდი გახლდათ, ეს – პატარა. გუშინ სუფრაზე ეთქვა:

– არ მიყვარს თომას მანი.

სტუდენტობისას გატაცებულიყო ამ მწერლით, ახლა კი აუგად იხსენიებდა. უნდა გადაეთვალიერებინა ერთხელ კიდევ და: ან თავის სიმართლეში დარწმუნებულიყო, ან თავის უმეცრებაში. იქ კი თომას მანს მიაყოლებდა ერნსტ ჰემინგუეისაც, გაბრიელ გარსია მარკესსაც...

– აბა ვიღა დარჩა? – შენიშნავდნენ ირონიულად.

„დარჩენილებს" ჩამოთვლიდა, გაჩუმდებოდნენ. ისე ნეტა დღიურშიც ჩაერთო ეს ჩამონათვალი... დაახლოებით კი მიხვდება კაცი, ვის უნდა გულისხმობდეს, მაგრამ ზუსტ სიას, იმ სუფრაზე წარდგენილს, მაინც სხვა მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენთვისაც.

რაზედ გაახსენდებოდა ეს ყველაფერი? ჰო, სომერსეტ მოემზე. „სანატორიუმში" ყველაფერი იყო თითქოს, ყველაფერი რიგზე გამოიყურებოდა და... საბოლოოდ არაფერი გრჩებოდა ხელთ ამ მწერლური სიცარიელისაგან. ტალანტს ვერ შეამჩნევდა – გადალაგებულიყო და დაწყობილიყო ტექნიკურად მთელი მოთხრობა, დამუშავებულიყო თეორიულად... მაგრამ რად გინდოდა – ერთი დეტალიც არ აღმოჩნდებოდა დასამახსოვრებელი, განსაცვიფრებელი, განსაკუთრებულზე აღარაფერს ამბობდა.

ყაჩაღის ცხოვრებით იქნებოდა გატაცებული ახალგაზრდობისას, აგროვებდა მასალებს საფუძვლიანად, სურდა რაღაც რომანივით დაეწერა, გადადებდა, გადადებდა და... არ ინანებდა ამ გადადებას: სწორად მოვიქეციო. შემდგომ თავს ვეღარ შეიკავებდა და სცენარად მაინც გააკეთებდა. ყარამან მგელაძე ცუდად გადაიღებდა – კარგი ადგილებიც მოიძებნებოდა შიგ, ეს ცალკეული ადგილები საერთო მძიმე შთაბეჭდილებას ვერას უშველიდა – მაგრამ თვითონ სცენარს კი არა უშავდა რა. ეპიზოდებს, დამახასიათებელ დეტალებს შეამჩნევდნენ სხვებიც.

„დათა თუთაშხიაში" ამას ვერ ნახავდა და... გულსაც აიყრიდა ამ თემაზე. კაცის მკვლელზეც არ უნდოდა რაიმე შეექმნა...

ყაჩაღზე რომ იყო „დათა თუთაშხია", სინამდვილეში არაფერი ყაჩაღური არ იქნებოდა შიგ. ზედაპირულად გახლდათ დანახული. ხალხს მოეწონებოდა და ძალიანაც კარგი, თუ მოეწონებოდა. ვისაც არ ეგრძნო, ვისაც უკეთესი არ წაეკითხა, ის სულ გადაირეოდა. „ჰაჯი-მურატს", დარწმუნებული იყო, ვერც შეამჩნევდნენ ეს მკითხველები.

რამდენჯერ ეთქვა გულდაწყვეტით:

– ნამდვილსა და არანამდვილს ძნელად ასხვავებენ.

და დღიურშიც რომ გაიმეორებდა, დასძენდა:

ძნელი გარჩევა – როგორც ირკვევა – მართლაცო.

გაახსენდებოდა: კიროვის ბაღში ერთხელ – ჩაწერილიც უნდა ჰქონოდა – ფეხბურთელებს ადარებდნენ კომპოზიტორებს. მოსაშვილი წამოიწყებდა:

– ახალკაცი ბეთჰოვენია.

მაშინ თამაშობდა ნოდარ ახალკაცი. მაშ მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი ვიღა იყვნენ? ერთს ბახს შეადარებდნენ, მეორეს – მოცარტს. ჩამოჰ-

ყვებოდნენ და ჩამოჰყვებოდნენ: ერთზე იტყოდნენ – გრიგიაო, მეორეზე – ჩაიკოვსკიო... მენდელსონიო, დვორჟაკიო, ვის აღარ გაიხსენებდნენ, ვის ვის აღარ ამოუყენებდნენ გვერდით და... ზაურ კალოევი დააგიწყდებოდათ. წამოაგონდებოდათ ისიც და:

– კალოევი რომელიღაა?

– კალოევი... კალოევი... სომერსეტ მოემი.

და ვერ ახსნიდა რეზო: რა შუაში იყო სომერსეტ მოემიო.

მართლაცდა: კომპოზიტორთა რიგში მაინცდამაინც ეს მწერალი საიდან უნდა მოხვედრილიყო?!.

ლევ ტოლსტოის ოჯახურ ბიოგრაფიებს – ცოლის, შვილების – ათვალიერებდა ხელახლა 24 მარტს. გაფანტულიყო სხვაგან და სხვაგან და ერთ წიგნიც თავმოყრილიყო ნაწილობრივ: „პრომეთე 12".

ტოლსტოის რელიგიური გაურკვევლობა, ძიება, ყოყმანი ჩანდა ნათლად. ეძებდა და... პასუხს ვერა პოულობდა.

ეკამათებოდა, ესაუბრებოდა ფილოსოფოსებს, თეოლოგებს, „სტარცებს". ჭეშმარიტებას – არც არსებობს ამ სამყაროშიო, თავისას აცხადებდა რეზო ჭეიშვილი – ვერ ნახულობდა და ვერა.

ძველებრაულსაც შეეჭიდებოდა უშედეგოდ, ძველი აღთქმა არ აკმაყოფილებდა, აღმოსავლეთიდან – ტიბეტი იქნებოდა, ინდოეთი თუ სხვა – მეტის ამოქაჩვა შეიძლებოდა, როგორც ხვდებოდა მისი ქართველი თანამოკალმე. ხელიც რომ არ მიგიწვდებოდა ამ ლიტერატურაზე, ეს გახლდათ ცუდი.

რამდენიმე წელი ედებოდა მაგიდაზე ართურ შოპენჰაუერი: „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა". ხან თავიდან შეუდგებოდა კითხვას, ხანაც ბოლოდან ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური ქმნილებისა. არა გამოვიდა რა, აბსტრაქტული აზროვნების უნარი არ გააჩნდა და რა ეღონა, თუმც მარტო ამით არ შეიძლებოდა ამ ფაქტის ახსნა.

ასევე გაეცნობოდა რუდოლფ შტაინერსაც. ბრუნდებოდა უკან, თავიდან იწყებდა კითხვას, არ აინტერესებდა, არ ესმოდა, ყურადღება ეფანტებოდა...

ამჟამად ფრიდრიხ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრა" ედებოდა წინ, რუსული გამოცემა. ქვესათაურით მოიხიბლებოდა: კარგი აქვს, ვერაფერს იტყვიო!..

– წიგნი ყველასთვის და არავისთვის.

შეეხარბებოდა ალბათ კიდეც: როგორ დამასწროო!.. – თუმც დღიურში ამის თაობაზე არას იტყოდა, არ გაამხელდა, თავისთვის შეინახავდა გულისგულში.

და გამოარჩევდა ნიცშეს სხვა ფილოსოფოსთაგან, ამ თხზულებას კი სხვა ფილოსოფიურ თხზულებათაგან:

ეს მაინც საკითხავი წიგნიაო.

მისგან ეს საკმაოდ მაღალ შეფასებას ნიშნავდა.

25 მარტი უგემურ დღეს მოეჩვენებოდა. საინტერესო არაფერი ხდებოდა და ჩასაწერიც რაღა შეიძლება ჰქონოდა?..

ვინმე კლარა კუბლაშვილის წიგნს შეიძენდა შემთხვევით: „ქვემო ამერიკული დიალექტი“. წუხელ ამით შეიქცევდა თავს. რამდენიმე სიტყვას ამოიწერდა, რამდენიმე ადგილსაც მიაქცევდა ყურადღებას. საჭირო წიგნი აღმოჩნდებოდა – ყოველ შემთხვევაში: მისთვის.

არ დაეძინებოდა და ნიცშეს იკითხავდა.

ნოდარ ინწკირველის მამის დაკრძალვაზე იქნებოდნენ. ქელეხი „ბუდაპეშტში“ გაიმართებოდა. ტიპაჟი საინტერესო აღმოჩნდებოდა თამადის – ცინცაძე – ჩათვლით.

საქმეს ვერ აკეთებდა, მოსასწრებს ვერ ასწრებდა, ნერვიულობდა, მცივანა არ იყო და... უკვე სციოდა ხოლმე კიდეც. გუნება-განწყობა დაქვეითებოდა, დალევა არ უნდოდა. ძველი ძმაკაცები აღარ ეხმიანებოდნენ, სხვებთან თვითონვე ვერ მიდიოდა, ვერ რეკავდა. სტუდია-კოლეგია, ზევით-ქვევით, გამოსვლა-გამოსვლა: მოძრაობა როგორ არ იყო ეს ყველაფერი, მაგრამ სურდა მოწყვეტოდა მაინც ამგვარ ყოფას.

მურმან ჯგუბურია ეტყოდა სასაფლაოზე:

– ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის რომანი, რაშიც ნობელი მისცეს, წავიკითხე, მაგრამ შენ უკეთესი მწერალი ხარ.

შეიფერებდა გუნებაში რეზო ჭეიშვილი:

ადვილი შესაძლებელია ეგრე იყოსო...

5 აპრილს ინერვიულებდა. ალბათ წნევა აუწევდა, თავიც ეტკიებოდა, გულიც ამოვარდნებით იმუშავებდა. არაყს გადაჰკრავდა ცოტას. ავიდოდა მუხათწყაროში. იმუშავებდა. და ტკივილ-უსიამოვნებაც გაუვლიდა.

გუშინ თედო სახოკიას წიგნს რომ იყიდდა – „მოგზაურობანი“ – გადათვალიერებასაც მოასწრებდა. ისეთი არაფერი აღმოჩნდებოდა... თუმც ამ პირველ შთაბეჭდილებას რა ენდობოდა: ვნახოთ კიდევო.

აღარ ემახსოვრებოდა, აკაკი წერეთელი თავის დროზე რა აღტაცებული დარჩებოდა თედო სახოკიას ამ თხზულების გაცნობით ჯერ კიდევ ჟურნალის ფურცლებზე.

„ლიტერატურულ საქართველოში“ გურამ ბენაშვილის სტატიას გაეცნობოდა დღევანდელ ახალგაზრდობაზე. რეზოს სათაური გამოეყენებინა „ცისფერი მთებიდან“, ეტრიალებინა, დაემოწმებინა, როგორც „ცისფერ მთებში“ იმეორებდა რამდენჯერმე ცხინვალელი კორესპონდენტი.

სხვა რა იყო ახალი?

გიორგი ციციშვილი შეეფეთებოდა ამისავე სადარბაზოსთან. ელგუჯა მაღრაძისაგან მოდიოდა. გადაკოცნიდა რეზოს. კარგა ხანს ილაპარაკებდნენ. ლია, ელგუჯას მეუღლე, გადმოსძახებდა ზემოდან:

– ბატონო გიორგი, არ წახვიდე, ნესტანს დაელოდეთ.

იგულისხმებდა თავიანთ რძალსა და გიორგის ძმისწულს.

რეზო ბინას დაანახვებდა თავისას და ახალს სთხოვდა. აუცილებლად მოგცემო, დაპირდებოდა, დააიმედებდა გიორგი ციციშვილი და მანქანაში დააპირებდა ჩაჯდომას.

– თქვენ ხომ ნესტანს ელოდებით? – ეს შეახსენებდა.

– უი, – შუბლზე შემოირტყამდა ხელს, – როგორ ყველაფერი მავიწყდება. „ჩემი ბინა გაახსენდება?!.“

10 აპრილს ოთარ ნოდიასთან თათბირი იქნებოდა რაღაც ანთოლოგიებზე. შემდეგ კაბინეტში შეყოვნდებოდა და ძალაუნებურად დაესწრებოდა პარტიის კრებასაც – პირველად, რაც იმ სამსახურში გადავიდოდა. ოთარ ნოდიაც, სხვებიც კბილს გაჰკრავდნენ „საუნჯეს“ სამართლიანად, და რეზო რომ დაიცავდა მთარგმნელობით ჟურნალს, თავს რომ გამოიდებდა, როგორც მისი თანამშრომელი და სულაც რედაქტორის მოადგილე, ესეც სამართლიანად. ორივე სამართლიანი როგორ?.. ამდენს აღარ განმარტავდა, მაგრამ დღიურს კი გამოუტყდებოდა: ისე კაცმა რომ თქვას, ბევრად უკეთესის გამოცემა შეიძლება მართლაცო.

მხოლოდღა მაშინ – შესაფერისი ადამიანების ხელთ თუ იქნებოდა, თორემ „პოლიგლოტები“ რისი მიმხედავები იყვნენ, გამოსულ ნომერსაც მათგან მარტო რეზო რომ ათვალიერებდა და შიგადაშიგ კითხულობდა კიდეც.

14 აპრილს ღამის პირველ საათზე რეზო და მისი ძაღლი მიკი იქნებოდნენ მხოლოდ შინ. მიკი დაყრუებულიყო კარლო კალაძესავით, თითქმის აღარაფერი ესმოდა. ტელეგადაცემებიც ჩამთავრდებოდა. ხუტა ბერულავას მოსკოვურ საღამოს აჩვენებდნენ. ჩართავდა: ხუტა იქნებოდა. გამორთავდა: აღარ იქნებოდა. ჩართავდა ისევ და: კვლავ ხუტა მიხაილოვიჩი.

– ახია ყველაზე, – დასცდებოდა თავისთავად.

თითქმის ცხელოდა აქეთ და იქით ციოდა თურმე, თევზს იჭერდნენ – სპორტულად – ციმბირში და ყინულის სისქე კვლავ ერთი მეტრი იქნებოდა.

– კაცობრიობას გადაარჩენს ეს ციმბირი...

თურმე რატომ და:

ციმბირს შეეჩერებინა რუსების ექსპანსია ჩვენსკენაც და ჩვენი მეზობლებისკენაც. თუმც... ნამეტანი კარგიც კი არ გახლდათ ეს შეჩერება – აიშვებდა ისლამი. აშვებულიყო კიდეც. ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო, ისე მოჩანდა ჩვენი საქმე. რუსების საქმე კი კიდევ უკეთესი გახდებოდა მალე. ჯერ „ბამს“ აითვისებდნენ, შემდეგ მთელ ტაიგას.

– არ მომხდარა, ერს რომ თავისი თავი თავადვე გადაესახლებინოს...

ერთი საფრთხეც ჩაბუდებულიყო: თუ იქიდან ყვითელი რასა მოაწვებოდა, დავიღუპებოდით. რუსეთი დამარცხდებოდა, გადარჩებოდა და... ჩვენ კი დავიღუპებოდით. და ერთხელ კიდევ გახედავდა ისტორიას – ჩვენსასაც, საკაცობრიოსაც – ამ თვალით რეზო ჭეიშვილი:

პარადოქსებითა და ზუსტი კანონზომიერებებითაა საინტერესოო.

23 აპრილს ჩაინიშნავდა, რომ:

ხვალ მისი დაბადების დღე იქნებოდა. ზევით აპირებდა დილითვე, მუხათწყაროში. შემდეგ სხვებიც ააკითხავდნენ. შარშანაც იქ ემჯობინებინა და იქ გაემართა კიდეც პატარა სუფრა.

ახლა წინა წლის ჩანაწერს გადახედავდა.

არაფერი საარაკო არ ჩაედინა თურმე.

ხვალაც იგივენი და იგივენი ესტუმრებოდნენ ეტყობა.

მერაბ ელიოზიშვილის მოთხრობას წაიკითხავდა „ლიტერატურული საქართველოს“ 25 აპრილის ნომერში ადრე მასალებს დაბეჭდავდა მოთხრობებისათვის. ახლა – პირდაპირ მოთხრობას: პროგრესად აღიქმებოდა.

წუხდა რატომღაც რეზო, ამ კაცის მოთხრობას რომ დაინახავდა, სევდა იპყრობდა. დიდი იმედებით შემოვიდოდა ლიტერატურაში და... იქვეც გაჩერდებოდა. მაშინვე იგრძნობდა რეზო, კი არ მიხვდებოდა, იგრძნობდა, იმას იქით რომ ველარ წავიდოდა მერაბ ელიოზიშვილი.

კარლო წიგნს აჩუქებდა და ძალიან სთხოვდა, წაიკითხე, შენი აზრი მაინტერესებსო. ძალიან გაუჭირდებოდა, ატყობდა, მაგრამ მაინც უნდა წაეკითხა, უნდა მოეწონებინა კიდეც, იმისდამიუხედავად მართლა მოეწონებოდა თუ არა.

გინდა თუ არა წაიკითხეო, რომ გეტყოდნენ – თხოვნა არ უნდა დაგჭირებოდა – საქებარს ელოდნენ, ასე გამოდიოდა. და რომ ჩაუფიქრდებოდა ამ გარემოებას, შეეუხერხულებოდა: მეც რამდენჯერ ჩამიყენებია ალბათ ზოგიერთები ამ დღეშიო...

მანქანით რომ დაეშვებოდა, დები იშხნელების სიმღერებს მოუსმენდა. ასეთი სუფთა ჩანაწერი არც მოესმინა სხვისი. საოცარი იყო ეს იშხნელები. ღვთიური სიმღერები გახლდათ მართლაც.

–ამდენს ვაქებთ და ჯერ კიდევ არ ვიცით სრულად, მე მგონი, მათი ფასი.

* * *

29 აპრილს იქნებოდა გურამ ენუქიძესთან.

როგორც ახლა უკვირდებოდა რეზო, „მუხრანის ჯგუფი“ დაეპატიჟა საგანგებოდ.

არ ენდომებოდა მისვლა, იყოყმანებდა და მაინც მიყიდოდა. სინანულით არ ინანებდა. ლაპარაკისა და ხუმრობის საშუალებაც აღმოჩნდებოდა. სხვები დაძაბულნი იქნებოდნენ. ანა კალანდაძე – ინდეფერენტული, მუხრან მაჭავარიანი – ხაზგასმულად ფამილარული. ყველა ყველას – ანას გარდა – აგინებდა. რეზო მაინც ნაკლებად... რეზოვე შეეცდებოდა დაეცვა მწერალთა ახლანდელი მთავრობა.

რა სურდათ, ნათელი იყო. აუქმებდნენ პრეზიდიუმს და ზრდიდნენ სამდივნოს: 13 მდივანი გახდებოდა, ოთხი – ნამდვილი, დანარჩენი – სიაბანდი. სწორედ ამ ჟარგონულ გამოთქმას ამჯობინებდა.

შემდეგ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებსაც გადახედავდნენ...

შემდეგ სხვა საქმეებსაც მიხედავდნენ...

რატომ მიეწვიათ მუხრანის ჯგუფი?

თანამშრომლები: რეზო ჭეიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე.

ამხანაგები: ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე (ავად იქნებოდა და ამიტომაც ვერ მივიდოდა), ოთარ ჭელიძე, იორამ ქემერტელიძე. ვახტანგ ჯავახაძეზე გაუკვირდებოდა: გაუგებარია, რატომ მოხვდა ჩვენთანო. აკაკი ბაქრაძეზე კი თვითონ გურამ ენუქიძე იტყოდა:

– წინა ჯგუფში იყო და აქეთ გადმოვისროლე...

ხვალ – ამგენის დღესასწაული უნდა ყოფილიყო.

შემდეგ – იმგენის აღდგომა.

პოსტსკრიპტუმში ჩაურთავდა:

ენუქიძის კაბინეტიდან რომ გამოვიდოდნენ, მამუკა ასლანიკაშვილი შემოხვდებოდათ. მიაჩერდებოდა რეზო, ეუცნაურებოდა, ტელევიზორიდან – როგორც ჩანდა. თვითონ მამუკა ცნობდა თურმე. გამოელაპარაკებოდნენ სახელდახელოდ ერთმანეთს:

– ქუთაისი არ უნდა დაივიწყო, – ეტყოდა ქალაქკომის მდივანი.

– თქვენ არ უნდა დამივიწყოთ, თორემ მე და ქუთაისი არ დავივიწყებთ ერთმანეთს.

– ლიტერატორთა სახლის გახსნაზე არ იყავით.

თუ რატომ არ ჩავიდოდა, ეტყოდა...

თეიმურაზ ბადურაშვილი წულუკიძის – ხონის – კოლონიაში გაემწესებინათ: კულტურის მინისტრობიდან მოხსნას არ აკმარებდნენ.

ჩაივლიდა 1 მაისი, აღდგომა. გედი ჭყონია გადაიხდიდა დაბადების 50 წლისთავს „ივერიაში“. ხალხი ბევრი იქნებოდა. მოიტანდნენ და მოიტანდნენ გოჭის შემწვარ ნაჭრებს იმ შაბათს, მძიმე მარხვაში.

ბევრჯერ ყოფილიყო ამ ხალხთან – ერთი კატეგორია, კლასიფიკაციას ექვემდებარებოდა – და ვერასოდეს საერთო ვერ გამოენახა. თუ ცოტანი იყვნენ ხოლმე, კიდევ ეწყობოდა როგორღაც, ბევრთან იკარგებოდა...

ნახევრად საქმოსნები, საქმოსნობის მაძიებელნი, ცოტა ძველბიჭები, ცოტა კონტრები, უკმაყოფილონი და ძმაკაცობის კოდექსის მეტ-ნაკლებად დამცველნი – კარგი ხალხი პრინციპში.

ისინი იქნებოდნენ სწორედ, ანტიპოდებს რომ ეძახდნენ შევარდნაძული ტერმინოლოგიით, და ვერავის გაებედა პირში თქმა პირველისათვის: ანტიპოდი თავისთავად არც ცუდს ნიშნავს და არც კარგს, გააჩნია, ვისი ან რისი ანტიპოდი ხარ. კარგის ანტიპოდი კი არის ცუდი, მაგრამ ცუდის ანტიპოდი ხომ კარგი უნდა იყოს და... მაშ თვითონ ამ სიტყვას – ანტიპოდს – რას ვერჩითო.

დამკვიდრდებოდა და დამკვიდრდებოდა საბჭოურ-პოლიტიკურ ტერმინად, შერისხულებად რომ შეირაცხებოდა ეს ხალხი. რეზო ჭეიშვილის შეტყობით: კარგი ადამიანები. და ზაურ ბოლქვაძის შეტყობითაც, ჩვეული იუმორით რომ ჰყვებოდა მეგობრების წრეში: ქუთაისში ვიყავი, ანტიპოდების სუფრაზე მოვხვდი და... ეს რა კარგი ბიჭები ყოფილანო.

სტუდიის ხალხს ვერ მოძებნიდა, ლორთქიასთან – ანუ გურამ ლორთქიფანიძესთან – დაჯდებოდა, მაგრამ მალე გამოიპარებოდა.

ერთ-ერთი ანტიპოდი გურამ ფანჯიკიძეს აგინებდა (გასაგებია რატომაც: იმ კონიუნქტურული, შევარდნაძული სულისკვეთებით აღვსილი რომანის „თვალი პატიოსანი“ გამო) და რეზოს აქებდა, ეგონებოდა: გავახარებო. გაუჯავრდებოდნენ სხვები:

– კოლეგაზე თავის აზრს არ იტყვის, უხერხულობაში ნუ აყენებ.

5 მაისს „საუნჯის“ რედაქციაში მუხრან მაჭავარიანი დელეგატთა სიას შეამოწმებდა და დააზუსტებდა.

– რად გინდა? – დაინტერესდებოდა რეზო.

– თავმჯდომარედ მნიშნავენ და როგორ არ მინდა, – ჩაიხვიხვინებდა ის...

თამაზ წივწივაძე დელეგატთა სიაში არ აღმოჩნდებოდა და გუნება წაუხდებოდა.

რედაქციაში ტექსელის აჯანყების ერთ-ერთი მონაწილე – ვინმე ბადრი-აშვილი – მოვიდოდა. გულახდილად ისაუბრებდნენ. რევაზ ჯაფარიძეს აგინებდა (როგორც ჩანს: რომანისათვის „ვნების კვირა", ამ აჯანყების თემაზე რომ გაიშლებოდა და დაუმთავრებელი დარჩებოდა და დარჩებოდა მწერალს) და თვითონ საკმაოდ დამღლელად და მოსაწყენად ილაპარაკებდა.

– რატომ გეცვათ სამი წელი გერმანელების ფორმა, რატომ გარჩენდნენ და განებივრებდნენ? – ჰკითხავდა რეზოც და დაინტერესდებოდნენ სხვებიც.

ის გარკვეულს ვერას მიუგებდათ.

მუხრანი ივარაუდებდა: ალბათ ქართული ემიგრაცია ეხმარებოდათ პარიზიდანო, – თუმც ამ ვარაუდს რეზო მართებულად არ მიიჩნევდა.

ტარიელ ჭანტურია კიდევ ნამეტან უხერხულ შეკითხვებს დასვამდა (ნეტა ჩანიშნულიყო დღიურში: თუ რას!) და ის კაცი შეცბებოდა, ამნაირ მიღებასა და ცნობისმოყვარეობასაც არ მოელოდა.

რეზო ჭეიშვილს რა შთაბეჭდილება რჩებოდა ამ ყველაფერზე?

ბნელითაა მოცული მაგათი ოდისეა და გაჩუმდნენ, გაიყურსონ მაინცო...

7 ივნისს ესტუმრებოდნენ ცხინვალს: მუხრან მაჭავარიანი, თამაზ წივწივაძე და ლევან სანიკიძე. რეზო მუხრანს წაჰყვებოდა და... მძიმე გულით დაბრუნდებოდა, თუმც მიხვდებოდა, აუცილებელი რომ იყო იქ წასვლა, იქაურ ვითარებაში გარკვევა.

ისე დაელაპარაკებოდნენ დამხვდურები, თითქოს ესენი სხვა ქვეყანაში იყვნენ ჩასულები...

ამისიანები მათ ლაპარაკს გულგრილად მოუსმენდნენ და ერთმანეთის ქებას მოჰყვებოდნენ ჩვეულებისამებრ.

– მე თქვენ აღარ წამოვალ, – ეტყოდათ რეზო და გადაწყვეტდა, არაფრით აღარ წასულიყო, რაკიღა გულისამრევი ეჩვენებოდა უკვე ეს სადღეგრძელოები.

იქაური ქართველები შემოსჩივლებდნენ მალულად:

– იღუპება და ოხრდება აქაურობა, დიდი პროცენტიც აღარა ვართ უკვე.

წიგნებს დაურიგებდნენ საჩუქრად, „ცხინვალის ისტორია" ერქმეოდა იმ წიგნს და სტატისტიკური ცნობებიც ჩართულიყო. აღმოჩნდებოდა, რომ: ძალიან ცოტა ყოფილიყო იქ ოსობა არცთუ ისე დიდი ხნის წინათაც კი.

იმ დღეს არქიტექტორები გამოვიდოდნენ ტელევიზიით, თბილისის განაშენიანებაზე ილაპარაკებდნენ: დიდი დიღომი აშენდება, ქუთაისის ტოლი მოსახლეობა დაეტევა შიგო.

იმათ უხაროდათ და ეამაყებოდათ ეს პერსპექტივა, რეზოს კი გული შეუღონდებოდა.

ყველა აქ, თბილისში დავსახლდებით ბოლოს ალბათ და ჩვენს ნამოსახლარზე კი სხვები ჩამოსახლდებიანო.

და მწარედ დაიჩივლებდა:

საზღვარი არა აქვს ქართველების უგნურებასო.

მისი შეტყობით:

ერთხელ რუსეთთან შეერთებას, მეორედ – რევოლუციას გადავერჩინეთ.

ერთხელ ფიზიკურად ვნადგურდებოდით.

მეორედ – ეკონომიკურად.

ახლა უშვილძირობითა და უგნურობით ვიღუპებოდით, და უკვე აღარ იცოდა, რაღა გადაგვარჩენდა... არც სურდა ეფიქრა და ემარჩიელა მოსახდენ საშინელებაზე.

გუშინ ეთქვა და გუშინვე მოეფიქრებინა:

– მონღოლთა შემოსევამ და დაპყრობამ ნაღდად რაღაცას გადაგვარჩინა.

გაიხსენებდა და კიდევ ერთხელ დაიბეჯითებდა: ნამდვილად ასე იქნებოდა, ლოგიკით ასე გამოდისო.

ოთარ ნოდია შეხვდებოდა სამსახურის დერეფანში:

– ძალიან აქეს შენი მოთხრობები მოსკოვში... „კავკასიონი" განიხილეს და გაქეს, დიდი მწერალი გყოლიათო.

რამდენად მართალი იყო? ყოველ შემთხვევაში ის ასე ეტყოდა, თანაც ბევრის თანდასწრებით. მაქებარ მწერლებსა და კრიტიკოსებსაც ჩამოუთვლიდა, მოსკოვური განხილვის მონაწილეებს, რომელთაგანაც რეზო ერთსაც ვერ დაიმახსოვრებდა სამწუხაროდ.

14 მაისს ჩაინიშნავდა, რომ:

მწერალთა ყრილობა იწყებოდა შაბათს.

მე-4 ნომერ „ცისკარს" რომ წაიკითხავდა... სიცარიელე დახვდებოდა. სიცარიელეზე გაახსენდებოდა: გუშინ მიწისძვრა ყოფილიყო, თუმც რეზო ვერაფერს გაიგებდა, რადგანაც იმწუთას ქუჩაში, მანქანაში იმყოფებოდა – კინოსტუდიიდან „საუნჯეში" მიმავალი. სამსახურში შეშინებულნი და ფერდაკარგულნი დაუხვდებოდნენ. დამთრგუნველი შიში სცოდნოდა მართლაც მიწისძვრას. ერთი ქალი, სამხარაძე, რუმინეთის მიწისძვრაზე მოუყვებოდა, ჯოჯოხეთურ პანიკაზე:

– რამდენიმე წამს კიდევ რომ გაგრძელებულიყო, მეშვიდე სართულის ფანჯრიდან – საიდან გავჩნდი ზედ, არ მახსოვს – გადავხტებოდი.

მტერსა და ავსო, – გაიფიქრებდა რეზო, – აქ რომ რამე მოხდეს, მოიფშვნება თბილისიო.

17 მაისის ღამის სამ საათზე გადმოიღებდა დღიურს, რათა ჩაეწერა, რომ:

დამთავრებულიყო მწერალთა ვითომყრილობა.

ნახევარი საათის მოსული თუ იქნებოდა იქიდან. საშინელ, საშინელზე საშინელ შეურაცხყოფას განიცდიდა, იმათთან, იმ ხალხში, იმ ლაპარაკში, იმ ვითარებაში რომ მოუწევდა მანამდე ყოფნა.

აირჩევდნენ მდივნებს, რაღაცის წევრებს ჭილაძეების სალამურის მიხედვით. ძმები, თამაზი და ოთარი, ვერასოდეს რომ ვერ გაძღებოდნენ, იბრძოდნენ, და არსებობდნენ სულელების, ჯიბგირების, უწიგნურ ჯიბგირთა ხარჯზე.

გურამ ენუქიძე – ეს თევზი, წყლიდან ამოგდებული, თვალებამოტრიალებული.

მთლად უფროსი გივი – თვალები მასაც არანორმალური...

რა დონე, რა განათლება, რა ლაპარაკი, რა მსჯელობა – თავის მოკვლა მოუნდებოდა იმ ყველაფრის შემხედვარე რეზო ჭეიშვილს...

ერთი მურმან ლებანიძე იტყოდა ნორმალურ სიტყვას, თავზე გადა... ეს საბოლოოდ.

და როდესაც ჩაუფიქრდებოდა, აღმოაჩენდა, რომ:

ამაზე ცუდი და უსიამო დღე ალბათ არასოდეს ჰქონოდა...

იცოდა უკვე, როგორ უნდა მოქცეულიყო და როგორც მოიქცეოდა ამიერიდან... ხედავდი ადამიანს, კაცს ჰგავდა და: ნაგავი; დაელაპარაკებოდა და: ნაგავი; საქმესთან მივიდოდა და: ნაგავი.

დაწყნარებულად გადახედავდა ყველაფერს და მშვიდად გააანალიზებდა მომხდარს...

ახლა ყველაფერზე ხაზის გადასმა, ყველაფრის დახევა და დაწვა ენდომებოდა...

როგორ უნდა ეცხოვრა და ეარსება ამ ხალხში, მიშველაძეებში, სხვებსა და სხვებში – უწიგნურებში, უნიჭოებში.

ხვალ საშინელ დღეს დააყრიდა თავისიანებს. საბოლოო კრახს განიცდიდა მათი მეთოდები. ერთი კაცი იბრძოდა – მურმან ლებანიძე – და დანარჩენები უყურებდნენ, მხარს ვერ უჭერდნენ. იგი თავის მხრივ უფროსობას, მეწინავეობას ვერა კისრულობდა... არ შეეძლო და იმიტომ. რა საზიზღარი დღე გამოდგებოდა, და თავს დაიმუნათებდა: როგორ მივქარე, რომ მივედიო...

გიორგი ციციშვილს, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, საყვედურობდა: თამაზ ბიბილურსა და ჩემს შორის განსხვავებას ვერა ხედავსო. და კიდევ: ასევე ვერ ასხვავებს ხუტა მიხაილოვიჩსა და მურმან ლებანიძესო.

და მუხრან მაჭავარიანს დაამუნათებდა და ნიშნსაც მოუგებდა: ახია მასზე ყველაფერიო!..

თამაზ ბიბილურის წამოტივტივებას ადვილად ვერ შეეგუებოდნენ და აგერ რეზოც განაწყენებულიყო, კრიტიკოსებიც სულ უფრო და უფრო რომ ახსენებდნენ და უკვე ნომენკლატურულ მიმოხილვებშიც აღარ გამოიტოვებოდა მისი სახელი. გურამ ასათიანი რომ დაასახელებდა მის რომანს „ჟამი კითხულისა“ ბოლოდროინდელი ქართული პროზის ერთ-ერთ მონაპოვრად, ძალიან ეტოშებოდათ, მაგრამ თავს იმით დაიმშვიდებდნენ, რომ პირადი ურთიერთობის ნაყოფად მიიჩნევდნენ... მაგრამ გადიოდა დრო და თამაზ ბიბილურის სახელი აღარ მოსცილდებოდა კრიტიკოსთა ჩამონათვალს, ისედაც უფრო ვიწრო სია რომ ერჩივნათ პროზაიკოსებს, და ახლა ეს თამაზ ბიბილური საიდანღა შემომატებოდათ.

მის გვერდით ხსენებას ითაკილებდა რეზო ჭეიშვილიც.

თუმც სხვაგვარად უნდა განესაჯა ლიტერატურის ისტორიას, იქიდან თამაზ ბიბილურის ამოკლება რომ არ მოხდება: „ჟამი კითხულისაც“, „ნი-

ღაბიც", „ჩივილიც", „წელიწადის დრონიც" და არაერთი ნოველაც, მინიატურაც და კრიტიკულ-ესთეტიკურ თხზულებათა მთელი წყებაც საიმედოდ რომ დამკვიდრებულა ნამდვილი მკითხველის ცნობიერებაში. ასე რომ, არც გიორგი ციციშვილი იმსახურებდა ამ მხრივ საყვედურს, თამაზ ბიბილურს პროზაიკოსთა ელიტურ ჯგუფში რომ გარეველა.

მუხრან მაჭავარიანს ამჯერზე ჩაუფლავდებოდა იმედები, მაგრამ მომავალი ხომ მის ხელთ გახლათ და კიდეც შეეცდებოდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პოსტის დაუფლებას სასახლის გადატრიალების სცენარით.

თუმც მანამდე:

საშინელი მელანი იქნებოდა კალმისტარში, გერმანული და მაინც არ ვარგოდა. იმათი – მწერალთა კავშირის – დარიგებული გახლდათ და ალბათ ამიტომაც. ახლა მოისროდა რეზო როგორც უვარგისს, როგორც ცუდსა და უწმინდურის გასახსენებელს.

27 მაისს ნამოაგონდებოდა – ვიდრე წერას დაიწყებდა – როგორ გემრიელად იძინებდნენ დღისით დავით კლდიაშვილის გმირები. „ჩემი თავგადასავალიც" წამოუტივტივდებოდა – აკაკის მშობლების ძილი და სხვადასხვა. წერილის დაწერა, პატარისა, მოუნდებოდა ამ თემაზე – შესაძლოა სხვა რამეც გამოსვლოდა, ანუ: სულაც ნოველად გადაზრდილიყო.

დავით კლდიაშვილი, აკაკი წერეთელი: ამ კუთხიდან.

ოჰ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილიო... ეს სტრიქონიც წამოაგონდებოდა, მაგრამ ილია ჭავჭავაძესთან სხვანაირი, პოლიტიკურ-სოციალური, ძილი იგულისხმებოდა და არ გამოადგებოდა...

9 ივნისს რევაზ ამაშუკელი დაურეკავდა მწერალთა კავშირიდან:

– ყრილობაზე უნდა წამოხვიდე სტუმრად. შერცხვენილი ვართ შენთან, მაგრამ გამოვასწორებთ.

რას გამოასწორებდნენ, ვერ მიხვდებოდა რეზო ჭეიშვილი, ყრილობაზე კი – უარს თქმით არ იტყოდა – ცხადია არ წავიდოდა.

შვილის ქორწილი ექნებოდა გადასახდელი ამ თვის მიწურულს... ფული ჯერ ვერ მოეგდო ხელთ. მანქანა ვერ გაეყიდა, ისე კი პერსპექტივას – გაჭირვებული კაცის პირობაზე – არა უშავდა. ორი წიგნი – ცოტა უნდა მოენდომებინა – და ერთი ფილმი გამოდიოდა წელს. რუსული წიგნის ანაბეჭდები მოვიდოდა უკვე, ქართული – ხვალ გაიგზავნებოდა სტამბაში, ფილმი მოსკოვში გახლდათ უკვე. თუ მიიღებდნენ, სატირაჟოს არ დააგვიანებდნენ. ეგაა, თუ რას უპირებდნენ „გაყრას", ვერ მიმხვდარიყო და ვერა: კვლავაც ენდობოდა თუ არა მისი დადგმა რობერტ სტურუას, გიორგი ერისთავის კომედიას ხელახლა რომ დააწერინებდა რეზო ჭეიშვილს და... ამასობაში გადაიფიქრებდა დადგმას, რეზოს ხელში რომ შეატოვებდა ამ ახალ „გაყრას".

ეს აკლდა კიდევ, ისედაც ვერ დაეღწია თავი მწერალთა ყრილობის შთაბეჭდილებათაგან.

10 ივნისს ნამდვილი უბედურება დატრიალებულიყო ქუთაისში: თავი მოეკლა კაბინეტში მამუკა ასლანიკაშვილს. მხოლოდ ერთხელ დაელაპარაკე-

ბოდა რეზო და კარგად დაამახსოვრდებოდა ეს მომხიბლავი, განათლებული, წარმოსადეგი, მორიდებული ახალგაზრდა კაცი.

ეწყინებოდა მისი სიკვდილი: ამათი ტირანიის მორიგი მსხვერპლის...

„კრიტიკის“ მე-2 ნომერს წაიკითხავდა 22 ივნისს. გურამ ბენაშვილის წერილი დაბეჭდილიყო მის შემოქმედებაზე, მოეწონებოდა: სხვას ჯობიაო... სხვა საინტერესო და სადავო მასალებიც იქნებოდა შიგ. იზა ორჯონიკიძე მართალიც რომ ყოფილიყო, იმის თქმისა და დაწერის უფლებაც კი არ ექნებოდა, რაც დაეწერა და ეთქვა. უამრავი შეცდომა მოსდიოდა თვითონვე ენის თვალსაზრისით – რისთვისაც თავი გადაედო – სხვას კიდეც რომ მოვშვებოდით.

16 ივლისს ტელევიზიაში გადაიღებდნენ, „ოქროს ფონდში“ შეიყვანდნენ. უკვდავებას მაზიარესო, – ირონიულად ელიმებოდა. კობა იმედაშვილი დაესაქმებინათ გადაცემის მოსამზადებლად და რეზოს არ ესიამოვნებოდა.

– თუ მე მწერთ, ეს კაცი რატომღა შეაწუხეთ? – იტყოდა კიდეც.

რაღაც შეკითხვები უნდა მოეცა კობას და ამას ელაპარაკა. ასე გადაეწყვიტათ, მაგრამ ამას უხერხული მოეჩვენებოდა ამგვარი ფორმატი და რაღაცას ჩაწერდნენ დიალოგივით.

– კარგი იყო, – მოუწონებდათ რეჟისორი ჯემალ ნინუა.

ვერ დაიჯერებდა, რაკიღა არასოდეს გამოსდიოდა, რაც სურდა, რისი თქმაც განეზრახა ხოლმე, არ გამოსდიოდა და არა...

– დროში შეზღუდული, დაბნეული, დასიცხული, შეწუხებული ხარ ყოველთვის ამნაირ სიტუაციაში, იმდენი სინათლის და სეირის მაცქერალთა თვალწინ.

შემოუბერავდა ცოტა ისევ, აგრილდებოდასავით და ცოტა სულს მოათქმევინებდა.

ხვალ რა უნდოდათ რადიოდან?

რაღაც სამხიარულო უნდა გვითხრაო.

ემხიარულებოდა თუ არა, ამას აღარ ეკითხებოდნენ.

თავისას წუხდა, თავისას განიცდიდა, წელსაც კვლავ თბილისში რომ უწევდა ჩარჩენა.

ნეტა შემოქმედებითად თუ მაინც გაუმართლებდა ეს ზაფხული, უამურ გუნებაზე დამდგარს აღარაფერი რომ აღარ უნდოდა ხოლმე.

30 ივლისს გარდაიცვლებოდა კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

გამოცხადებით მეორე დღეს გამოაცხადებდნენ და რეზოს როგორ არ გაეკრა ირონიული ნესტარი: ვის უმალავდნენ ნეტაო?..

5 აგვისტოს გადაწყვეტდნენ მის დასაფლავებას და ირონიულ ნესტარს ვერც ეს თარიღი გადაურჩებოდა: ვის უნახავენ ნეტაო?..

გუშინვე, ვიდრე ამ ამბავს გაიგებდა, იწვებოდა და იფიქრებდა: არავის სიკვდილი, თუნდ მტრისა, არ გამხარებიაო. ბესო ჟღენტს რომ შეატყობდა უიმედობას და არ ეწყინებოდა, დღემდე ვერ ეპატიებინა თავისათვის. კონიაც რომ მოკვდეს, მეწყინებაო, ფიქრობდა თურმე და... ის მკვდარი ყოფილიყო უკვე. და უკვირდა და გაჰკვირვებოდა რეზო ჭეიშვილს:

საოცარი წინათგრძნობა მაქვსო...

მთელი ცხოვრება იბრძოდა, ომობდა საკუთარი პერსონის დამკვიდრებისათვის ეს კონია და... წავიდოდა ნაომარი. რას მოიპოვებდა, რას იშოვნიდა ამ დაუმცხრალი ბრძოლით?..

მწერალთა ყრილობაზე ნახავდა ბოლოს, რეზო მიუახლოვდებოდა, ის ფეხზე წამოუდგებოდა, თვითონ წამოვიდოდა ამისაკენ, ორივე ხელს ჩამოართმევდა.

– გლახადაა უკვე ამის საქმე, – ეტყოდა ბიჭებს რეზო შემდგომ.

ღმერთმა შეუნდოს ყველა სიავეო, – დღიურში ჩაწერდა.

ერთი-ორი პერსონაჟით, განსაკუთრებით დახუნდარათი, შემორჩებოდა ქართულ ლიტერატურას და ეგ იქნებოდა და ეგ.

დიდუბეში დაკრძალავდნენ ნოდარ ჩხეიძისა და ოტია პაჭკორიას გვერდით და... ცხედარიც კი გაგულისდებოდა და იტყოდა: მეტის ღირსი აღარ ვიყავიო?!.

ორ ლექსიკონს შეიძენდა და სიამოვნებითაც გადაათვალიერებდა ორივეს. ერთი – ვუკოლ ბერიძის იმერულ-რაჭულ თქმათა „სიტყვის კონა“ იქნებოდა, მეორე – იოანე ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო ლექსიკონი. განსაკუთრებით პირველი გახლდათ რეზოსათვის საჭირო. უნდა მიმატებ-მომატებოდა მასალები და ხუთი იმხელა გამხდარიყო წესით. თავის ჩანაწერებსაც მიამატებდა და ასეც გამოვიდოდა.

ეს ზაფხული ჩარჩებოდა თბილისში. ზევითაც, მუხათწყაროშიც ველარ ახერხებდა ასვლას. ვერა და ვერ შეექმნა სამუშაო პირობები, ვერ ჩაჯდომოდა, ვერ განმარტოებულიყო... ქუთაისიც დაჰკარგვოდა თითქოს.

გვიანდელი მინაწერი 1998 წლის 26 ივლისით დათარიღდებოდა:

უცნაური იქნებოდა თუ რა იქნებოდა, კონსტანტინე ლორთქიფანიძის მაგივრად დანიშნავდნენ „განთიადის" რედაქტორად სულ მალე, შემდეგ კი რევაზ ამაშუკელის კაბინეტსაც არგუნებდნენ, სადაც იქნებოდა ამ დრომდე.

ხოლო მაშინ:

5 აგვისტოს დამარხავდნენ კოსტანტინეს. ხოლო რევაზ ამაშუკელი ქუჩაში იტრიალებდა გარეშესავით და ეს მიხვდებოდა, რომ უკვე ტოვებდა პოსტს იძულებით. სწორედ დღეს დააწერინებდნენ განცხადებას, გაათავისუფლებდნენ მდივნობიდან, გადააყოლებდნენ კოჯორში ქეიფს, ბეთანიის ტრაგედიას. აღარ დააზუსტებდა, ტრაგედია რას გულისხმობდა: ჩხუბი რომ ატყდებოდა რესტორანში და ორი ახალგაზრდა კაცი დაიღუპებოდა.

რეზო, მუხრანი და სხვები გამოსვენებაზე წამოვიდოდნენ. სამსახურთან, დადიანის ქუჩაზე შეყოვნდებოდნენ მძღოლის მოლოდინში.

გადაიკეტებოდა მთავარი მოედანი, მიმდებარე ქუჩები, შეჩერდებოდა მოძრაობა პიკის საათში. მოვარდებოდა ინსპექტორის მანქანა და უყვირებდა იმ დაყუდებულ ინსპექტორებს:

– გაუშვით მანქანები!..

– იქითაც? – ერთი იკითხავდა გაოცებული.

– იქითაც, აქეთაც, შენი დედაც და პატრონ-მყვარებელიც...

გაუშვებდნენ ტრანსპორტს და გაღარიბებული პროცესიაც გამოჩნდებოდა. ვერ იტყოდა, რამდენი კაცი მიჰყვებოდა დიდუბემდე (ჯერ არ ეკითხა). ჭირისუფლები და რამდენიმე ათეული ადამიანი ჩამოაცილებდა აქამდე...

ესენი ავიდოდნენ ნუცუბიძის პლატოზე, აკადემიის სასტუმროს ბარსა თუ სასადილოში. ლუდი და საუკეთესო მისაყოლებელი იქ ეგულებოდათ. მალულად შეიტანდნენ გიორგაძის არაყსაც, ჩაასხამდნენ ლუდის ბოთლში და მაინც თავს წაუქცევდნენ, შესანდობარს დალევდნენ, შენდობას შეუთვლიდნენ მიცვალებულს, მაინც კოლეგას, მაინც მწერალს, პურს შეჭამდნენ ასე მალულად, დრო და ჟამის, კოწიას შესაფერისად.

„არ ყოფილა უნიჭო კაცი, გზაშემცდარს რომ არ ევლო. შესაძლოა მეტი ვერც ვერაფერი გაეკეთებინა, მაგრამ მწერლად დარჩებოდა უეჭველად".

საინტერესო პიროვნება რომ გახლდათ, ამას კი ვერავინ უარყოფდა რეზოს შეტყობით.

და გვიან კვლავ უნდა მიედევნებინა:

თურმე ამ დროს მე ვყოფილვარ გამზადებული მის შემცველადო.

აგვისტო რომ მიიწურებოდა, მაგიდასთან ჯდომა უკვე შესაძლებელი გახდებოდა ცოტა ხნით, მანამდე დაიხრჩობოდი. გასვენებები და ქელეხები წაეწყობოდა ერთმანეთს.

„ქალაქურში" ისხდებოდნენ. სუფრა უგემური იქნებოდა და სადღეგრძელოებიც ღარიბი სულისხუთვაში.

ბაკურ გულუა ახალ რაღაცას ეტყოდა მუხრან მაჭავარიანს სხვების გასაგონად და დასამახსოვრებლად:

– შოთა რუსთაველს შვილი არა ჰყოლი, ვაჟა-ფშაველას შვილი არა ჰყოლია და ეს არის მათი შვილი.

შემდეგ გადააკეთებდა:

– ილიასაც არა ჰყოლია, ილიას შვილიც ეს არის.

– აკაკის ჰყავდა, მაგრამ ვაი იმისთანა ყოლას, – რეზოც ჩაერეოდა, მაგრამ ეფექტს ვერ მოახდენდა, რადგანაც ადრესატი ფრიად სერიოზულად ისმენდა იმ სიბრძნეს, ღაღადისს ბაკურ გულუასი, ვაჟა-ფშაველას, ოთხშვილიანს, უშვილობას რომ სწამებდა, თორემ შოთა რუსთაველის ოჯახური ყოფისა ხომ სხვას ვის ეცოდინებოდა მასზე უკეთ.

და ამის შემდეგ აიშლებოდა კიდეც სუფრა.

ბევრი ვარაუდობდა, რომ:

სამწერლო ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდებოდა 15 სექტემბრამდე. რაღაც მოხდებოდა უეჭველად, მაგრამ რა დონით, რა რაოდენობით, არავის ეცოდინებოდა...

ჯანსულ ღვინჯილიას დაელაპარაკებოდა რეზო, ეტყოდა:

– ჩათრევას ჩაყოლა სჯობია და დაუკვირდი ამ სიტყვებს.

თუ დაუჯერებდა, მართლაც ეგრე ემჯობინებოდა მისთვის. თვითონ უნდა წასულიყო ჯანსული, სხვა ადგილზე უნდა შევაჭრებოდა გამაშების გამ-

ნაწილებელთ... ამ ჟურნალს არ დაუტოვებდნენ და არა: შორს იმყოფებოდა ედუარდ შევარდნაძე და მფარველად ვეღარ დაიგულებდა.

„ცისკრის" მე-8 ნომერს წაიკითხავდა და... კვლავ სიცარიელე დახვდებოდა. ნატო ლონდარიძის დიდი მოთხრობა დაებეჭდათ – ბავშვურსათაურიანი. ეს გოგონა, ცოლის ამხანაგის ნათესავი – ერთხელ მდგმურადაც იდგებოდა მათ სახლში – შინ მოეყვანათ ამ რამდენიმე ხნის წინათ. რეკომენდაციას გაუწევდა აკაკი ბრეგაძესთან, მგონი დაეხმარებოდა კიდეც. ნიჭიერი ქალიშვილი ჩანდა, ამ მოთხრობას კი, რეზოს საქმე რომ ყოფილიყო, არ გამოუქვეყნებდა.

15 სექტემბერს მწერალთა პლენუმი რომ ჩატარდებოდა და იქნებოდა ყოვლად უინტერესო, რეზო ჭეიშვილს რა გაკვირვებოდა: როგორც უნდა ჩატარებულიყო, სწორედაც ისე და იმგვარადო.

ელიზბარ ჯაველიძე გამოვიდოდა სერიოზულად იმ არასერიოზულობის ატმოსფეროში და დიდადაც გააოცებდა საზოგადოებას. სერიოზულადაც გამოწყობილიყო, და სენსაციის მოხდენასაც აპირებდა, როგორც რეზო შეატყობდა.

– ქართველებს ბევრი ნაკლი გვაქვს, – ასე დაიწყებდა, – შური, პირმოთნეობა, გაუტანლობა...

ახალი რამ აღმოაჩინა თითქოსო, – მიადევნებდა ფიქრს რეზო, – თითქოს ასე არ იყო, თითქოს ასე არ იქნება, თითქოს ასე არ უნდა იყოსო...

ეს, გივი ძნელაძე და მუხრან მაჭავარიანი შემდეგ ზემოთ ავიდოდნენ, მუხათწყაროში, ცოტაოდენ ღვინოსა და პურმარილს აიტანდნენ სიგრილეში, ილაპარაკებდნენ და შეექცეოდნენ. მუხრანი რაღაცაზე განაწყენებული – თუ რაზე, არ იტყოდა – და შეფიქრიანებული იქნებოდა.

19 სექტემბრის „ლიტერატურული საქართველო" პირქუში და უსიხარულო მოეჩვენებოდა.

ამას რას ნახავდა: ამოვდოთ ლაგამი სიხარბესო!..

ამის დამწერზე უფრო ხარბ ადამიანს მწერალთა წრიდან რეზო აღარც კი იცნობდა.

ჯუმბერ თითმერია ანდრეი ვოზნესენსკიზე წერდა... რამოდენა წარმოდგენა აქვს ამ ადამიანს ამ ნაგავ მწერლებზეო, – გაოცებით კიდევ ერთხელ უნდა გაოცებულიყო რეზო და განეზოგადებინა:

ქართველების ჩვევაა უცხოს განდიდება. როცა შენი არაფერი გაგაჩნია, მაშინ უფრო გტანჯავს სხვისი აღიარების სურვილიო.

თვითონ არამცთუ რუსებს, დასავლელებსაც არ უყურებდა ქედმოდრეკით, ანკი რა ქედმოდრეკით, მოგეხსენებათ, როგორ წაჰკრავდა და წამოჰკრავდა ხელს აღიარებულ, ლამის საკულტოდ გამხდარ სახელებსაც, უილიამ შექსპირსაც და ონორე დე ბალზაკსაც კი გადაწვდებოდა, თორემ თომას მანს, ერნსტ ჰემინგუეის, უილიამ ფოლკნერს, გაბრიელ გარსია მარკესს, ხელოვნურად რომ აყელყელავებდნენ სნობურ წრეებში, მთლად რას დაუთმობდა, აგერ ახლაც ანდრე სტილზე მხოლოდ იმას იტყოდა: ცოცხალი აღარ მეგონაო, – თორემ ერვე ბაზენს, ყველაზე კითხვად მწერალს საფ-

რანგეთში, ამასაც რომ რაღაც ჰქონდა მისი წაკითხული, მთლად ხელს მოუთავებდა:

იმ სახისა და გამომეტყველების ადამიანი რა მწერალი უნდა იყოს, თანაც მისი პარტიულობით!.. არი თუ არ არი? ესეც არ ვიცი. თუკი არის, დაღუპული ყოფილა საქმეო.

გრემ გრინს რომ გამოიყვანდნენ ტელევიზიით, 82 წლისა ყოფილიყო, ამის შეტყობით: კეთილი და უნიჭო კაცი ჩანდა. დაწერდა ამ ეპითეტს – „კეთილი" – და მაშინვე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა. უნიჭობის ხსენება კი საკითხვისნიშნო არ გაუხდებოდა.

რაო, რას ირწმუნებოდა გრინი: ყველაზე დიდი მწერალი XX საუკუნისა ფოლკნერი არისო?

როგორ არ დაეჭვებულიყო რეზო ჭეიშვილი მის გემოვნებაში, მაგრამ ეს მოსაზრება სულაც აღაშფოთებდა, რუსულ მწერლობაში გრინს მარტოდენ ანტონ ჩეხოვი და ივან ტურგენევი რომ მოსწონდა თურმე.

„ტოლსტოი, გოგოლი ვითომ არაფერი!.."

ან ამას როგორლა ამბობდა: სულ ვწერ, ვწერ და ვწერო...

ამაზე მეტი უბედურება რაღა იქნებაო, – არ დაინდობდა, მისი უნიჭო წიგნების ცვენას რომ წარმოიდგენდა.

23 სექტემბერს ცხინვალს მოიცლიდნენ რეზო, მუხრან მაჭავარიანი და თამაზ წივწივაძე, მოინახულებდნენ ძეგლებს, დამშრალ ტბას... ჯებირს წყალი გაეშვა და აკეთებდნენ... დაშლამულიყო იქაურობა და წყალში ჩაძირული ტყის ნაპირები, ხეები გამოჩენილიყო კვლავ. ხეებს ყავისფერი ედებოდა.

გამხმარ კი არა, დამხრჩვალ ხეებს ნახავდა და შეწუხდებოდა, და ისეთი სიმძაფრით აღიქვამდა: მიცვალებულთა საფლავები გაშიშვლებულიყო თითქოს. რა იყო მაინც, მინდიასებული ხილვა მოევლინებოდა თუ რა?!. ასე კი აღიქვამდა, ასე კი შეიცნობდა და განიცდიდა იმ არემიდამოს.

დღე საუცხოო იდგებოდა – ღუილი გაჰქონდა კვრინჩხს, ჩიტივაშლას, ასკილს, შინდს, წაბლს.

მეურნეობის ნაკრძალში, ზედ არხზე გაბოგირებულ მაგიდაზე ისადილებდნენ დიდი პატივითა და სიყვარულით.

26 სექტემბერს ღამით ცუდად ეძინებოდა და ირაკლი ბაზაძისა და მამუკა დოლიძის ნაჩუქარ წიგნებს იკითხავდა. ნიჭიერი იყო ორივე და... მეტი არა, ბოლომდე ვერა ქაჩავდნენ. ერთი (პირველი) არასერიოზული, არაპოეტური ნატურის კაცი გახლდათ, მეორე... მეორეც არასერიოზულობას იჩენდა პრინციპში, სამაგიეროდ – მიმწოლი, სისულელის დამჟინებელი და არგადამთქმელი.

ირაკლის ტექნიკა-ოსტატობა გაზრდოდა, ლექსს კარგად მართავდა, ამას იქით კი – ასაკიც აღარ უწყობდა ხელს – ალბათ ვეღარც წავიდოდა...

მეორეს ინტერესით კითხულობდა თითქოს და... ბოლოში გასულს აღარაფერი რჩებოდა მნიშვნელოვანი. ფრანც კაფკას სასტიკ გავლენას განიცდიდა თანაც... „პროცესი" და... იმ მოთხრობის სათაური ვეღარ მოეგონებინა რეზოს: აი თხუნელა რომ თხრიდა, ფიქრობდა და ძრწოდა თავის საბრძანებელში.

ოქტომბერი ჩამოდგებოდა, ისევ ეთბილებოდა, თუმც გუშინ აცივდებოდა. დადიოდა ქალაქის გარეუბნებში, ხან ცემენტს დაეძებდა, ხანაც ფიცარს... გონება სამშენებლო მასალებით ამოვსებოდა. აწყობდა, ხურავდა, აბეტონებდა გუნებაში, და მთავარზე ვეღარ ფიქრობდა. კითხვას ახერხებდა ზერელედ, განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულს მაინც ჩაათვალიერებდა... უამრავ შეცდომას აღმოაჩენდა, და ეს იმიტომ, რომ: შემდგენელნი ენის თანამედროვე ნიუანსებში ვერ ერკვეოდნენ... თუ მოიცლიდა საამისოდ, ამოიწერდა შესაფერის ნიმუშებს...

მოვიდოდა „ცისკარი", „ლიტერატურული საქართველო". ბევრი პროზაიკოსი გვყავდა, ბევრი პოეტიც და – როგორც ირკვეოდა – გამოცემებიც არ გვაკლდა... სიხარულით არა, დაეჭვებით გახედავდა ამ ყოველივეს:

– კარგია ვითომ?!.

5 ოქტომბერს საგანგებოდ ჩაინიშნავდა, ოღონდ რაიმეს დართვისაგან თავს შეიკავებდა და მშრალად ამჯობინებდა:

ედუარდ შევარდნაძე ჩასულიყო კუბაში და ფიდელ კასტრო დახვედროდა აეროდრომზე.

გაოცებისაა თუ... ფარული სიამაყის?.. იქნებ ერთიც და მეორეც...

10 ნოებერს კი ტელევიზიით რომ გამოვიდოდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი: უსწავლია რუსულიო, – გახარებული დარჩებოდა ქართველობა... და რეზო ამ განწყობილებას საირონიოდ გამოიყენებდა.

უძილობა რომ დასჩემდებოდა ხოლმე, არა ჯავრობდა, ის კი არა უხაროდა კიდეც ხანდახან. 2 ოქტომბრის ღამესაც გაელვიძებოდა და იაროსლავ ჰაშეკის რომანს შეჰყვებოდა: „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი და მისი თავგადასავალი პირველ მსოფლიო ომში" – და სამწუხაროდ მიითვლიდა, აქამდე რომ არ წაეკითხა... შიგადაშიგ ნაწყვეტებს ეცნობოდა ქართულად... არა და არ ჩაუვარდებოდა წიგნი ხელთ და საგანგებოდაც არ დაინტერესდებოდა... არც ახლა გავიდოდა ბოლოში. კარგი წიგნი აღმოჩნდებოდა ცხადია... ფილმიც – ეტყობა არ დაეტოვებინა მძაფრი შთაბეჭდილება – ჰქონდა მგონი ნანახი, სპექტაკლების ნაგლეჯებიც ახსოვდა ტელევიზორის ეკრანიდან...

კარგი ნაწარმოები გახლდათ, და მაინც ეტყობოდა სამხედრო ხელწერა. სერვანტესის სიმაღლეს ვერა ქაჩავდა რაღა თქმა უნდა, მაგრამ არც ჰქონდა ჰაშეკს საამისო პრეტენზია, თუკი რეზოს არაფერი ეშლებოდა.

ნახავდა კიდევ, ჩაუკვირდებოდა... რაღაც ზემადლი რომ აკლდა ავტორს, თვალნათლივ გამოიკვეთებოდა მისთვის...

რაღაც ზემადლი...

ამას უკვე სხვა განზომილებაში გადაჰყავდი, სხვა სიმაღლესა და სივრცეს გაზიარებდა... მაგრამ გაიშვიათებულიყო და ძალიანაც გაიშვიათებულიყო ეს ზემადლი და რეზო ჭეიშვილი კიდევ უფრო მკაცრად უჭერდა ხელს ჩამონათვალს, ისედაც მცირე სიას კიდევ უფრო კვეცდა და აპატარავებდა, კიდევ უფრო ცოტას კმარობდა, და ამით თავისთვისაც ირთულებდა იმ წრეში მოხვედრას.

რაღაც სხვა განზომილებაში რომ გადასულიყო თვითონ, ეჭვიც აღარ ეპარებოდა უკვე, რაღაც ახალს რომ იწყებდა, და ჩარჩო-არტახებს ისე არღვევდა, საკითხავადაც რჩებოდა მისი ქმნილებანი, თორემ თავისებური ლიტერატურული ენციკლოპედია აგერ აღმართულიყო ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ სახით, ცალკე რომ რჩებოდა მისი კოლოსობა და მონუმენტურობა და ცალკე რჩებოდა მკითხველი, თვით ყველაზე გემოვნებიანი და მწერლობის ათასფერად ნიუანსთა შემგრძნობიც და გამგებიც.

დაჰყოლოდა ნეტა თვითონ ზემადლი?

წაკითხვით „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკიც“ ლაღად და ხალისიანად იკითხებოდა, სიღრმეებიც არ აკლდა და ტრაგიკომიზმითაც გამოირჩეოდა, ღმერთსმოკლებული ჟამისათვის ნიშანდობლივი მხატვრული მანერით, მაგრამ სერვანტესამდე ვერ აღწევდა, ზემადლი არ აშუქებდა თხრობის მდინარებიდან და... კიდევ ერთ ნიმუშად რჩებოდა იმ უხილავი კარიბჭის წინ დგომისა, რომლის მიღმაც გეგულებოდა ის სხვა განზომილება... და სულიც გიკაწკაწებდა იმ უხილავი ზღვარის გადასაბიჯებლად.

10 ოქტომბერს შუაღამით გაელვიძებოდა და ველარ დაიძინებდა. აანთებდა სინათლეს და ლევ ტოლსტოის „აღსარებას“ გადაშლიდა. რეზო ჭეიშვილის ხნისას – დაახლოებით – დაეწერა... 54-სას გამოექვეყნებინა, 51-ისას დაეწერა. ეს წლები გახლდათ – წლები ფიქრისა და ეჭვების, არარაობის შეგრძნებისა და ძებნის, ძებნის, ძებნის...

„არ შეიძლება რომ რამე არ იყოს...“

ეს ფიქრი და განცდა აფორიაქებდა და სულ უფრო და უფრო ძალუმადაც, რომ ველარც კი გაუძლებდა და შინიდან გაქცევის გარდა სხვა საშველს ველარ დაინახავდა.

რაღაც რომ არსებობდა, ეს თავისთავად, მაგრამ შენთვისაც გინდოდა ყოფილიყო რაღაც, მახსოვრობა რომ მაინც დარჩენილიყო...

„აღსარება“ გულწრფელი გახლდათ და... მშრალი მაინც. გულუბრყვილობა – ეს სიტყვა უხდებოდა – საკმარისზე მეტიც. რასაც იგი წერდა, სხვები იმას არც ამბობდნენ, დარწმუნებული გახლდათ რეზო, ეს თავისთავად იგულისხმებოდა ალბათ – პირველ ნახევარში.

მეორე ნახევარში, სადაც ღმერთს აღიარებდა, არაგულწრფელიც ეჩვენებოდა, თავს იტყუებდა ამ ეტაპზე თითქოს ტოლსტოი...

შემდეგ ეს რწმენა გაუღრმავდებოდა – ეჭვები არ მოშორდებოდა – და შეესისხლხორცებოდა...

ახლა რეზოს რომ დაეწყო წერა: კომუნიზმი, ლენინიზმი არა მწამსო, – და დასაბუთებასაც შედგომოდა, გულუბრყვილობა გამოვიდოდა, აბა რა იქნებოდა... ეს თავისთავად, ისედაც ხომ ცხადი იყო, ეს ხომ ყველას მოეხსენებოდა, დიდსაც და პატარასაც, ჩინიანსაც და უჩინოსაც...

მაგალითებიც ტოლსტოისთან არცთუ მარჯვედ მოხმობილიყო, ამას როგორი შთაბეჭდილებაც რჩებოდა.

ახლა დაიწყებდა კითხვას თხზულებისა „ცხოვრების შესახებ“ და ეს უფრო – თვითონ ტოლსტოიც ასე მიიჩნევდა – დიახ, უფრო საინტერესო უნდა ყოფილიყო...

14 ნოემბერს კვლავდაკვლავ გადაიკითხავდა ტოლსტოის „მოგონებებს"... ძირისძირობამდე არ ჩასდევდა საკუთარ გვარს, უფრო გორჩკოვების (ბებია), ვოლკონსკებისა (დედა) და სხვა გვარებით დაინტერესებულიყო... ამ დაუმთავრებელი მოგონების შესავალს ალექსანდრ პუშკინის – რაც იშვიათი შემთხვევა გახლდათ – ლექსით ალამაზებდა...

კიდევ დარჩენოდა ცოტა რამ ტოლსტოისა წაუკითხავი...

ქვეტექსტი გამჭვირვალეა: ან ეს ცოტა რატომღა, ბარემ ამომეწურა პირწმინდად და ეგ იქნებოდაო...

გუშინ შეევსო წინა გვერდი, ასე ეგონებოდა და... 15 ოქტომბერი მოსულიყო უკვე. როდის ჩათავებულიყო ეს სამი დღე? გურამ ფანჯიკიძის დედის გასვენებაში წავიდოდა იმ იმედით: ოთარ მამფორია იქ დამხვდებაო. და დაინახავდა კიდეც გადმოსახვევში – ფეხით მოდიოდა, დოინჯშემოყრილი...

მწერლები მოვალეობას იხდიდნენ.ს

სერგი ჭილაია ქუდით იდგებოდა, ძველი ნაჯიბგირალივით, და განაცხადებდა:

– გენიოსი იყო სტალინი, გენიოსი, მარა ბოროტი ძალიან...

რეზო ბრაზდებოდა ხოლმე ამის გაგონებისას, მაგრამ ჭილაიას პასუხის ღირსადაც არ ჩააგდებდა... ამ ჭკუის კაცი ვერ გააბრაზებდა, როგორც თავს შეატყობდა.

გენიოსი შემოქმედიაო, – თავისთვის გაიფიქრებდა კიდევ ერთხელ, – სტალინი ანტიშემოქმედი იყო, გენიოსი შემქმნელია, ის დამანგრეველიო.

თეორიაში – უნიჭო, სხვის სისულელეთა დამკონსპექტებელი მხოლოდ.

ხელოვნებაში – საზიზღარი, იქამდე გათავხედდებოდა: გორკის ერთი ნოველა („ქალიშვილი და სიკვდილი" იგულისხმებოდა) სჯობს „ფაუსტსო".

მთელ თანადროულ მხატვრებს, მონე-მანედან დაწყებულს – პიკასოსა და მისნაირებზე აღარც იქნებოდა ლაპარაკი – დახვრეტდა, საშუალება რომ მისცემოდა... სიბნელე ბატონობდა მის ტვინში...

მიჩურინი და ვიღაც კოზლოვი პირველობდნენ ბუნებისმეტყველებაში.

გენეტიკოსებს დევნიდა. „საპოჟნიკის" შვილი „საპოჟნიკი" უნდა გამოვიდეს უეჭველადო, – ეს ეგონებოდა გენეტიკა და აბა როგორ მოითმენდა ამ დარგის არსებობას.

ჰიტლერი შვიდ წელიწადში აღდგენილ სახელმწიფოს დაანგრევდა, ამ საპყრობილეს ძლივს გამოწიწკნიდნენ ხელიდან ინგლისი და ამერიკა გერმანიას.

რუსის მშიერ სალდათს სპირტს ასმევდა შეტევის წინ, უკანდამხევებს დამცველ „კაგებეს" უხვედრებდა მხვრეტელებად.

მისი საყვარელი ფრაზა გახდებოდა: გავანადგუროთ, მოვსპოთ მხდალები და დეზორგანიზატორებიო!..

18 წლის ბავშვები, ომში ძალით წაყრილ-წაყვანილი ბავშვები იქნებოდნენ ესენი...

და... მტერს გააღმერთებდნენ საცოდავი ქართველები...

ჩვენი აგრონომი – ანუ მიხაილ გორბაჩოვი – ბრდღვინავდა ტელევიზორში, საკუთარ ხმას აყურადებდა, ტკბებოდა ეტყობოდა, და საქმე კი არც ისე ცუდად უნდა ყოფილიყო, როგორც მას სურდა მოეჩვენებინა ჩვენთვის.

24 ოქტომბერს ჩაინიშნავდა, რომ:

პოლიკარპე კაკაბაძის სახლ-მუზეუმს გახსნიდნენ კუხში, ოჯახი დაპატიჟებდა, მწერალთა კავშირი – არა. ვერ წავიდოდა, ვერ იქნებოდა კარგად, და სხვა რამეც შეუშლიდა ხელს. ყველაზე ახლო, ყველაზე კარგად ალბათ იგი იცნობდა პოლიკარპეს დღევანდელ მწერალთაგან.

სადიპლომოს პოლიკარპეს შემოქმედებაზე დაიცავდა.

სცენარზეც იმუშავებდა მასთან ერთად კარგა ხანს. ჩაუშვებდნენ იმ სცენარს, სასინჯი გადაღებებიც შესრულდებოდა რეჟისორ ყარამან მგელაძის მიერ და... თენგიზ გორდელაძე ამოაგდებდა დირექტორად დანიშვნისთანავე.

შემდგომ „ყვარყვარეს" სცენარსაც რეზო მოამზადებდა...

კიდევ შეიძლებოდა რაღაც-რაღაცების გახსენება მათი ურთიერთობიდან, მაგრამ ამ ყველაფერს რა მნიშვნელობა ჰქონდა ამათთვის, რომელნიც წყვეტდნენ, ვინ სად წამდგარიყო...

და ძალდაუტანებლად ამოუჩნდებოდა ცნობიერებაში, როგორ გადაჰყოლოდა ტარიელ ჭანტურია მაია ჩიბურდანიძეს, რა წერილი აღარ დაეწერა, როგორ აღარ დაეცვა ხელყოფისაგან, უყურადღებობისაგან, ოსკარზე წარდგენის საკითხსაც წამოაყენებდა და რა აღარ კიდევ...

საზეიმო საღამოზე კი, სადაც დაფნით შეამკობდნენ ამ ქალს, ჯანსულ ჩარკვიანს დაუძახებდნენ. ჯანსულს შეეთავაზებინა ტარიელისათვის:

– წამყევი საღამოზე, თუ არ გეზარება.

რიგით მაყურებლად უნდა ხლებოდა, თორემ იქ ან სიტყვას ვინ მისცემდა და ან ვინ აღნიშნავდა მის განსაკუთრებულ თავგამოდებას მაია ჩიბურდანიძის სახელის ასამაღლებლად.

ჯანსულმა ჭადრაკის სვლებიც არ იცოდა, ის კი არა, იკითხავდა კიდეც, აგერ თვითონ რეზოსათვის ეკითხა:

– ამ საათს თითს რატომ ურტყამთ?..

მართლაცდა...

დაკრძალვაზე მოუწევდა ყოფნა 28 ოქტომბერს, ვაკის სასაფლაოზე დამარხავდნენ განსვენებულს, მდინარე ვერეს მხრიდან. მშვიდი და თბილი საღამო იდგებოდა. ნიავიც არ იძვროდა. სიყვითლეში მიყუჟული ბაღები ჩანდა ირგვლივ – ზევით, ქვევით, გვერდზე.

დღევანდელობაზე ილაპარაკებდნენ, საყოველთაო დაძაბულობას გაიხსენებენ, იმ გამტკნარებულ ჰაერში რაღაც ავისმომასწავებელი სიჩუმე, ყრუ ხმები და მდუმარება იდგებოდა...

იტყოდა კიდეც ამას რეზო.

და არ უკვირდა, რომ ყველას ჰქონდა ავის, უბედურების მოლოდინის გრძნობა.

დავით კაკაბაძის ნახატი – „42 წელი" – წამოაგონდებოდა: ცა, ალვის ხე, სივრცე, მდუმარება ტილოზე. ძლიერი ფერწერა იყო ალბათ.

მაგიდას რომ მიუჯდებოდა, ისევ სასაფლაო ვერეს მხრიდან და დავით კაკაბაძის ნახატიც გაახსენდებოდა, „ლიტერატურნაია გაზეტადან“ ამოჭრილი სტატია ედებოდა ჯიბეში: „დედა გახდება... მამაკაცი“.

– დაღუპვას მოასწავებს ეს ამბავი, – ამასაც იტყოდნენ...

ეს ყოველივე კი ესადაგებოდა მოთხრობას, რეზოს რომ მოეფიქრებინა და ჯერ არ დაეწერა. ვერა და ვერ დაეწყო, ვერა და ვერა...

12 ნოემბერს გაახსენდებოდა, რომ: სამი დღეა არაფერი ჩაეწერა. და არც ინანებდა: სწორადაც მოვქცეულვარ, ან ახლა რა მაქვს ჩასაწერიო.

„მიდის დრო, მივდივართ, ვიხედებით დროდადრო უკან, რა დავტოვეთ, რა დაგვრჩენია...“

26 ნოემბერს მიმავალ შემოქმედებით გეგმებს რომ გახედ-გამოხედავდა: ორი რომანი ექნებოდა დასაწერი, შესაძლოა სამიც და ოთხიც... ორი კი აუცილებლად: ერთი – ისტორიული, ხოლო მეორე – ქრონოლოგიურად ის იქნებოდა პირველი – თანამედროვე: 50-იან წლებზე, თავის ყმაწვილკაცობაზე, სტალინის სიკვდილზე, სიბნელეზე, ოცნებებზე, სულის სისუფთავეზე...

მანამდე ან მას შემდეგ „ქალაქში დინოზავრები დადიან“ უნდა დაემუშავებინა კიდევ... შემდეგ იმ სამს – „მუსიკა ქარში“, ეს ახალი, ჯერ წარმოსახვაში მობორიალე, და „ჩემი მეგობარი ნოდარი“ – ტრილოგიად შეჰკრავდა და გაამთლიანებდა.

„ვის ჭირდება?“

თანამედროვე ცნობილ მწერალთა რომანები გადაუშლელი ეწყობოდა კარადის თაგზე, ვერ კითხულობდა, ვერ ასწრებდა... წუხდა ამაზე, იცოდა, რომ ეწყო და წაუკითხავი რჩებოდა, სხვები კი – თუნდ მისი შვილები – საერთოდ არ იხედებოდნენ იქით...

რეზო ჭეიშვილს ვინ წაიკითხავდა, ვინ თარგმნიდა, ვის ჭირდებოდა, ვის დაკარგვოდა?!.

ხომ კითხულობდნენ მიხაილ ლერმონტოვს?

სხვა რამეშიც იყო საქმე და გამართლებაზე გახლდათ მაინც, როგორც იტყოდნენ.

ვალენტინ რასპუტინსაც კითხულობდნენ, სცემდნენ საზღვარგარეთ.

რეზოს თავი მათზე უკეთესიც ეგონა. თუმც: ჩემი სისულელითო, – დასძენდა.

პარიზში რამდენიმე თუ სულაც ბევრ კინოთეატრში გადიოდა „ცისფერი მთები“... მანანას გამოჰკითხავდა მადლენას ჩამოტანილ ამბავს: ხალხი უყურებს, იცინის, კმაყოფილნი გამოდიანო. სუბტიტრები ედო თურმე და ქართულ – რეზოსეულ – დიალოგებს ისმენდნენ... კარგი იყო კინოფილმი ამ მხრივ, მაგრამ... კინოფილმი ხომ მაინც სხვისი გახლდათ.

დრო დამდგარიყო ალბათ – რამდენიმე წელი უჭირდა – განმარტოებულიყო, საქმისათვის მიეხედა და არა შედეგებისათვის...

წყურვილით წყუროდა მუშაობა...

ჯერ ვერ გარბოდა მაინც, საზოგადოებას ვერა შორდებოდა.

27 ნოემბერს ნათელ გონებაზე გადახედავდა ჩანაწერებს – ტიპაჟებისა და სიუჟეტებისას – გეგმებსა და სურვილებს. რამდენი რამ ახსოვდა მაინც, რამდენი დაგროვებოდა გასაკეთებელი და ვის მიეცა მართლაც გაჩერების, მთვლემარების უფლება?!.

ცუდად გახდებოდა და მალევე გამოსწორდებოდა... ნორმალურად გამოიხედავდა თვალებში. 26 დეკემბერსაც ცუდად იქნებოდა, წამლები მოასულიერებდნენ.

იწვებოდა, იკითხავდა, იფიქრებდა, სიხარულით გაიხარებდა, დღეის ამას იქით რომ აღარ დალევდა. მერამდენედ – ამჯერად: ნამდვილად – იტყოდა ამას. მთელი წელი ასრულებდა თითქოს ამ პირობას, უწევდა სმა და არ ითრობოდა, მოსაბრუნებელი – კვლავ სასმელით – არა ხდებოდა ყოველ შემთხვევაში, და მაინც მირეკავდა მისებურად.

ამ წელიწადს უსაქმურობაში ჩაარონიებდა მაინც. ლანძღავდა კი თავს გუნებაშიც და ხმამაღლაც, მაგრამ არაფერი გამოდიოდა თვითყვედრებით. შეკითხვები მოუვიდოდა „ლიტერატურული საქართველოდან“.

– როგორი იყო თქვენთვის გასული – ანუ 1986 – წელი?

– როგორი იყო და... შემოქმედებითად ცუდი ალბათ, ცოტა ვწერე.

– მოგიტანათ თუ არა შემოქმედებითი სიხარული?

– არავითარი. რაც დავწერე და რაც გამოვაქვეყნე, ვინ დაინახა, ვინ დააფასა?

კიდევ იყო სხვა შეკითხვებიც. არ უპასუხებდა... ამ შეკითხვების ფურცელს უკან თავისი ერთკვირიანი ლოთობის განრიგს მიაწერდა მარტოდენ მისთვის გასაგები კალიგრაფიით...

მე-11 ნომერ „ცისკარს“ წაიკითხავდა და ახლაც წინ ედებოდა: 14 დეკემბერს.

მორის ფოცხიშვილი ბევრს წუწუნებდა ამ ბოლო დროს. დიდი წარმოდგენისა გახლდათ თავის თავზე, და მაინც – თუ რეზო არა ცდებოდა – სხვას კიდევ ის სჯობდა, უფრო დაუფასებელი, ვიდრე ითხოვდა, ელოდა (რაც გასაოცარი იყო), ვიდრე ეკუთვნოდა. შესაძლოა ესტრადასაც, შესაძლოა სისუსტესაც, ფიზიკურს, შეეშალა ხელი მისთვის...

ტარიელ ჭანტურია... და წაღიღინების გუნებაზე დადგებოდა: ტარიელ, ტარიელაო!.. და ვერ გაიგებდა: რა ბირჟები ატყდომოდა...

გურამ დოჩანაშვილისა არ იყოსო, – ჩაურთავდა. ამ დილით იხსენებდა სწორედ: სახელმწიფოში, სადაც დანებს ატარებდნენ, დანებს ურტყამდნენ ერთმანეთს... სამოსელსა და რაღაც სულელურ სიმბოლოებს აიტაცებდნენ, ამ უაზრობებს – სნობები და... მიივიწყებდნენ...

უშანგი რიჟინაშვილი – თუ ჭკუა ჰქონდა, „უშანგ“ უნდა მოეწერა. ჭკუა ნამდვილად არ აკლდა, საქმიანი კაციც გახლდათ. რეზოს ნებაზე რომ ყოფილიყო: უფრო დიდ და საპასუხისმგებლო თანამდებობასაც ჩააბარებდა. გიორგი მაჭუტაძეს ეთარგმნა რუსულიდან ქართულად – ვინ ვის თარგმნიდა, ვინ ვის ემსახურებოდა!..

ელდარ კერძევაძე იგივედ რჩებოდა... იგივეებად რჩებოდნენ სხვანიც... ერთი სტროფი მაინც გამოირჩეოდა მისი ამ ლირიკული რკალიდან: მარტი

არის, მაგრამ რა მემარტება, სისხლს მწოვს ისევ მარტოობის ობობა, ვბერდები და სიბრძნე არ მემატება, სიჭაბუკეც აღარ მემშვიდობებაო... ეგაა ეს სიტყვა – სიჭაბუკე – არ მოეწონებოდა: სხვა გამოთქმა გამოეყენებინა, ემჯობინებოდაო.

მანანა ახმეტელის ინტერვიუ ლიანა ისაკაძესთან – თვითონვე ეკითხებოდა და თვითონვე პასუხობდა ფაქტობრივად. სადაც კი სიტყვის ჩაგდებას მოასწრებდა „ცდის პირი“, დიალოგი მაშინვე საინტერესო ხდებოდა. დიდი და დიდებული ნამდვილი მუსიკა. კლასიკური მუსიკის ლაბირინთებში სიარული უმაღლეს ბედნიერებად ესახებოდა, ტკბობად ალბათ. და როგორ არ დაერთო სინანულით: აი რა მაკლია მე პირადადო...

ბეჟან კილანავა – კიდევ ერთი ცდა „შუშანიკის წამების“ კონცეფციის, არშუშა პიტიახშისა და მის ძეთა საქციელის გადაფასების – არაპირდაპირი გადაფასების...

გურამ ფანჯიკიძე – ჟურნალისტი გახლდათ, სპორტული კომენტატორიც, თუ ვინმეს მის ტენდენციურობაში არ შეეპარებოდა ეჭვი, შეეძლო იგი მშვენიერ რეპორტიორადაც მიეჩნია...

„ცისკრის“ ამ ნომერს „მოზრდილთათვის“ დაარქმევდა, თუმც ახალგაზრდა – ყოველ შემთხვევაში: უცნობი – ავტორებიც იქნებოდნენ შიგ, არაფრით რომ არ იქცევდნენ ყურადღებას. ბევრი გამოეყვანა სამწერლო სარბიელზე ამ ჟურნალს და... ახლა უბედურებად ქცეულიყო. დაეყარა და გაეუბედურებინა პოეტ-პროზაიკოსები ჭერეხივით ბოლო წლებში.

ახალგაზრდობის ჟურნალია, ახალგაზრდები უნდა იყვნენ ბლომად შიგო, – აძლევდნენ ინსტრუქციას კომკავშირის ცეკადან ჯანსულ ღვინჯილიას და... გამოჰყავდა და გამოჰყავდა მასაც ასპარეზზე ეს ყოვლად უსარგებლონი. არადა: ერთი აქედანაც გამოირჩეოდა თუ ამოირჩეოდა, მაგრამ ის ასი ახრჩობდა ამ ერთს და საზოგადოებას ათაყვანებდა. არადა: ნაღდი ნიჭი, ხალასი ტალანტი – დრომდე და შემთხვევამდე – დაფარული გახლდათ და არა ჩანდა ხოლმე... იქნებ აქაც!.. იქნებ აქაც!.. მაინც რაღაც იმედს რომ ებღაუჭებოდი...

* * *

ჯანსულ კახიძის დედის დაკრძალვაზე – 28 დეკემბერს – გიორგი ციციშვილი შემოეფეთებოდა. ამ ბოლო დროს თითქოს ცივად ხვდებოდა, ერიდებოდა თუ უწყრებოდა რეზოს, ძნელი სათქმელია.

– წადი ქუთაისში ბარემ, გაეცანი იქაურობას.

ეს რაღაცის თქმას მოასწრებდა პანაშვიდის რიგში მდგარი. და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე:

– გავატარებთ სამდივნოზე ბარემ.

ხვალ მივიდოდა რეზო, თუ ის კაბინეტში დაუხვდებოდა.

ამასობაში მიულოცავდნენ და შეაგულიანებდნენ სხვები:

– აბა შენ იცი.

არადა ოფიციალურად ჯერ არ გაფორმებულიყო.

თან უკვე დღეს გეგმებსაც დააწყობდა: ყდის შეცვლას – აუცილებლად – და სათაურისა თუ სახელწოდების – ეს უკვე ძნელი გახლდათ – გამოცვლასაც ეპირებოდა.

ილიაზე პიესას რომ ვეღარ დაწერდა, ცხადი გახდებოდა მისთვის. ჯობდა თვითონვე დაერეკა და უარი ეთქვა რეჟისორისათვის... არადა ეუხერხულებოდა უკვე...

რაფიელ ერისთავის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები გამოეცათ. ძვირფასი მასალა თავმოყრილიყო შიგ, რეზოს რომ უყვარდა, ისეთი.

ახლა იმასაც ფიქრობდა:

იქნებ „განთიადში“ დაბეჭდილიყო გამოუქვეყნებელი და გამოქვეყნებულიც კი მასალები ქუთაისზე. უამრავი იყო ასეთი, ძველთაგან მოყოლებული. მაგალითად: გნილოსაროვი მხოლოდ „ცისკრის“ ფურცლებზე დაბეჭდილიყო: 1859-60 წლებში. ბოროზდინის „იმერეთის ისტორია“ მგონი არც თარგმნილიყო ჯერ...

ჟან შარდენი, გულდენშტედტი, ნიკო ნიკოლაძე, რაფიელ ერისთავი, ჩიქოვანი, ქალაქის თავი რევოლუციამდე, და სხვები და სხვები. შეიძლებოდა სათანადო პუბლიკაცია, შეიძლებოდა ერთი რუბრიკის ქვეშ დაბეჭდილიყო და გაგრძელებულიყო, ნომრიდან ნომერში გადასულიყო...

მეორე დღეს მწერალთა კავშირის სამდივნოზე გაატარებდნენ, დაამტკიცებდნენ, დამოძღვრავდნენ, გზას დაულოცავდნენ.

– პირველი, რომელიც უნდა გაგესაუბროს აუცილებლად, კმაყოფილი დარჩა ამ ფაქტით, – ეტყოდა გიორგი ციციშვილი.

მერე გზას დაულოცავდნენ მისიანებიც „ინტურისტის“ ბაღში. ცოტა გადასხვაფერებულიყო, მაგრამ რაც რეზო თბილისში ჩამოვიდოდა, ეს ბაღი რჩებოდა საქეიფო-პურისსაჭმელად. ადგილი იყო ისეთი, კიდევ დიდხანს იქნებოდა.

– ჩვენ აღარ ვიქნებით, ის „ბაღი“ იქნება.

* * *

იმ დღესაც – ირანი ანუ ირაკლი ბაზაძის საოჯახო წვეულებაზე – მუხრან მაჭავარიანს აირჩევდნენ თამადად: 11 მაისს.

მერამდენედ განმეორდებოდა ათასჯერ ნანახი სურათი: ლაპარაკი, ქებადიდება, ერთი და იგივე, იგივენი და იგივენი. გამსვლელი სესია. რეზო ადრე წამოვიდოდა.

ჯურხა ნადირაძე გაიმეორებდა ადრე ნათქვამს, სერიოზულად, დაბეჯითებით:

– აკაკის შემდეგ საქართველო მუხრანმა შეაყვარა ქართველ ახალგაზრდებს.

იყო ალბათ სიმართლის ნატამალიც ამ სიტყვებში. მტკნარი სიცრუეაო, ვერ იტყოდი. რეზო პირადად საქართველოზე გაცილებით დიდი წარმოდგენისა გახლდათ, ვიდრე მუხრანის ლექსებს წაიკითხავდა.

ერთი ქართველი რომ უსათუოდ ათს ამარცხებდა, ეს ჭეშმარიტება ეგონებოდა, და რომ ამის თაობაზე ორი აზრი არ არსებობდა დედამიწის ზურგზე, ეჭვიც არ ეპარებოდა.

ერთხელ ქუთაისის ბაღში ვიღაც იტყოდა:

– საიათნოვა სარაჯიშვილზე დიდი მომღერალი იყო.

და რეზოს თავზარი დაეცემოდა. საიათნოვა კი არა, ენრიკო კარუზოსაც არაფრად აგდებდა ვანო სარაჯიშვილთან შედარებით, ისე დაავადებულიყო ქართველობით. სხვა რეზო და რა სხვანი!..

ლადო ასათიანი დიდ როლს ითამაშებდა უეჭველად ქართველი ახალგაზრდებისათვის საქართველოს შეყვარებაში.

მუხრან მაჭავარიანი კი ლადოს ბევრ ვარიაციას გაათამაშებდა.

ლადო ასათიანს არავინ ახსენებდა მუხრან მაჭავარიანის პოეზიაზე საუბრისას. არც თვითონ გულისხმობდა თავის წინამორბედებში, განსხვავებით, მურმან ლებანიძისაგან, რომელიც თავის უფროს ძმად და წინამორბედად ასახელებდა ყოველთვის ლადოს. არადა: გაცილებით თვალნათლივია ლადო ასათიანის გავლენა მუხრან მაჭავარიანის მხატვრულ ძიებებზე, ვიდრე მურმან ლებანიძისა, რომლის ლექსებშიც ძნელი აღმოსაჩენია ეს კვალი და თვითონ რომ არ ელიარებინა, ჩვენით ეგებ ვერც ვერასოდეს მივმხვდარიყავით.

მუხრან მაჭავარიანთან ეს გავლენა ზედაპირზევეა, დიდი რამ ჩხრეკა არ ესაჭიროება, და მართლაც ლადოს ბევრი ვარიაცია აქვს გათამაშებული, ამ მიმართულებით მომავალ კვლევას კი – ოდესმე ხომ მაინც მოჰკიდებს ვინმე ხელს! – რეზო ჭეიშვილი დაუდებდა სათავეს დღიურში მიკარგული ერთი დაკვირვებით.

მიკარგულით ვითომ?

მოისაკლისებდა, ლადო ასათიანის მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი ბიოგრაფია რომ არ გაგვაჩნდა.

ნიკა აგიაშვილის „ჭაბუკები დარჩნენ მარად“ გარკვეულად ავსებდა მკითხველის ცნობისწადილს ამ პოეტსა და მის გარემოცვაზე, მაგრამ შევსება ერთია და სრულფასოვან ბიოგრაფიას მაინც ვერაფერი შეცვლიდა.

იონა მეუნარგიას გზის გაგრძელება ეცადა ნიკა აგიაშვილს და ძვირფას მასალასაც დაგვიტოვებდა, უიმისოდ მივიწყება რომ შთანთქავდა არაერთ საგულისხმო ამბავსა თუ ნათქვამს, მაგრამ მთლად მეუნარგიობასაც ვერ იტვირთებდა, სრულყოფილ ბიოგრაფიულ ქრონიკად ვერ გადააქცევდა მომხიბლავ ეპიზოდთა წყებას. ლადო ასათიანის ცხოვრების აღწერას კი ძალიანაც წაადგებოდა ეს მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება.

და გულს აკლდა რეზო ჭეიშვილს, ჯერაც რომ ვერ მობმოდა თავი ლადო ასათიანის ცხოვრების სრულფასოვანი ქრონიკის შექმნას.

ნეტა ნოველისა თუ მოთხრობის გმირადაც ხომ არ ესახებოდა?

საამისო კვალი არსად ჩანს მის დღიურებში, თუმც გამორჩეულად რომ აფასებდა, ეს კი თვალნათლივია.

ჯერ მარტო მუხრან მაჭავარიანს რომ არ გადააფარინებდა ლადო ასათიანის სახებასა და პოეტურ ღვაწლს, ის კი არა, მისი ვარიაციების გამთამაშებლადაც რომ მოიხსენიებდა.

და ეს მოხდებოდა იმ გარემოში, სადაც მუხრან მაჭავარიანს მოენუსხა გარშემომყოფნი, ზოგიერთი მონუსხულს მხოლოდ რომ თამაშობდა და

ელოდა თავის დროს, როდესაც შეუფერადებლად წარმოაჩენდა იმ გუნდის მეთაურის, მერე კი უკვე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელის პორტრეტს.

რეზო ჭეიშვილი გულწრფელი იქნებოდა მაშინაც, როდესაც მუხრანის უახლოეს გარემოცვაში იგულისხმებოდა, და მაშინაც, როდესაც განუდგებოდა გუშინდელ მეგობარს.

ლევან მალაზონია აღნიშნავდა:

– მუხრანმა დამოუკიდებლობა შეინარჩუნა და ამითაა დიდი კაცი.

რეზო ჭეიშვილი არ მიიჩნევდა სწორად დამოუკიდებლობაზე ლაპარაკს, და საამისოდ არაერთი საბუთის მოხმობა შეეძლო:

როცა იმნაირ ჩინებსა და თანამდებობებს ეპოტინებოდი.

როცა მამათელს – ანუ ედუარდ შევარდნაძეს – დავით აღმაშენებელს უწოდებდი.

თანამდებობისათვის ბრძოლას არ ეთიშებოდი.

პასიურობას ამჯობინებდი ყველაფერთან ერთად, თორემ ისე არაფერს თმობდი.

ერთხელ ეგონებოდა მუხრანს, რომ პარტიის მანდატი დაეკარგა.

– პარტკომს აქვს, – ამშვიდებდნენ.

– ვაითუ არა აქვს, – ორი დღე იწუწუნებდა.

ახლა რევაზ ამაშუკელს (რეზო არ მოერიდებოდა ამ ეპითეტს: სულელსო) აქებდა საჯაროდ, და მიზეზი დაფარული არ დარჩებოდა: ჯუმბერ პატიაშვილის ძმაკაცი ეგონა.

ჭაბუა ამირეჯიბს, რომელიც ყველაფერს იკისრებდა, აჰყვებოდა ესეც თითქოს.

დადიოდა ის „ჩვენი ბიძინიჩი" – ანუ ამაშუკელი – და: ყველა ჩამოსულის დედაო, – იგინებოდა. და დაინტერესდებოდა რეზო: ბიძინა – მამა ამისი – ნეტა საიდან ჩამოვიდაო.

– საერთოდ, ჯაზის მუსიკოსად ყოფილიყო, აჯობებდა ჩვენთვისაც, მისთვისაც, უბედურო საქართველოვ!

მუხრან მაჭავარიანს კი ნელ-ნელა დაშორდებოდა, ნელ-ნელა გაუცივდებოდა გული მის მიმართ, გარკვეულ დრომდე უწყინარ შეცოდებებად უთვლიდა რაღაც-რაღაც კომპრომისებს, სიხარბის გამოვლინებებს და... საკმაო რომ დაგროვდებოდა, გაუძნელდებოდა პატიება.

არა, დავით აღმაშენებელთან შედარება რაღა იყო ედუარდ შევარდნაძისა!..

21 ივნისს ტელეგადაცემა იქნებოდა გერონტი ქიქოძეზე. ყველა გამომსვლელი ერთსა და იმავეს ილაპარაკებდა, თითქოს სხვა აზრი არ არსებობდა, თითქოს სხვანაირად არ შეიძლება თქმულიყო. უქებდნენ ახლაც და ადრეც განსწავლულობას, ინტელიგენტობას. ეს ყოველივე კი ეგრეც იქნებოდა, მაგრამ – რეზოს შეტყობით – პროვინციალობასაც ვერ ჩამოიშორებდა.

გურამ ასათიანიც – სიძე მისი – კარგად აღზრდილი ინტელიგენტი გახლდათ ჭეშმარიტად, მაგრამ ხშირად სცოდავდა... და აკაკის სტრიქონს თავისებურად დაატრიალებდა რეზო: მაგრამ მარტო წვრთნა რას გიზამს, თუ ბუნებამც არ გიშველაო.

ერთ სუფრაზე ერთი ეგზემპლარი განაცხადებდა:

– აკაკი წერეთელი პოეტი არ ყოფილა.

– რა იცი? – ვერ მოითმენდა რეზო, უპასუხოდ ვერ ჩაატარებდა ამ მკრეხელობას.

– გურამ ასათიანმა მითხრა.

– გურამ ასათიანს ბევრი რამ ეშლებოდა, მაგრამ ამნაირ სისულელეს არ იტყოდა, – მოუთავებდა ხელს, და ისიც ველარ გაბედავდა გურამის დამოწმებას შეუვალ ავტორიტეტად. არადა დღიურში ხომ მაინც შეიძლება გაემჟღავნებინა: რეზოს ნათქვამი ექნებოდა დაახლოებით ამგვარადო...

* * *

11 აგვისტოს რუსულ ლიტერატურაზე ფიქრისას სხვა რა გაახსენდებოდა უპირველესად, თუ არა ტოლსტოი და მისი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ: ცალმხრივად დაენახა და გაეაზრებინა, მარტოდენ ერთი კუთხით, კარგი მხრიდან უყურებდა ყველას. არისტოკრატია გაკეთილშობილებული ჰყავდა, გლეხობა – ძე შეცთომილებად წარმოდგენილი, ბედისაგან დაჩაგრულები გვეთქვა თუნდაც. ადამიანის მრავალმხრივობას, მითუმეტეს – ადამიანურ სიბინძურეს, ხასიათის მერყეობას, გაორებას, სულის რღვევას ვერ ამჩნევდა თუ არ ამჩნევდა.

„ომი და მშვიდობა“ თითქმის ბუკოლიკური პროზა გახლდათ.

რამდენი სისუსტე იგრძნობოდა ხასიათებისა, ხელოვნურობა, ეს რეზო ჭეიშვილს კი მოეხსენებოდა ზუსტად... ისე შესულიყო ამ მხატვრულ სივრცეში, მის ნიუანსებში იმ ორი ტომის გადაწერისას.

რასაც ფიქრობდნენ, იმასვე ლაპარაკობდნენ მხოლოდ, ისე იქცეოდნენ, როგორც ჩანდნენ... და ათასი კიდევ სხვა...

ჰაჯი-მურატის ხასიათი უფრო აოცებდა. აი იქ იყო ჩავლებული. ბოლომდე არ გახლდა ჩახედული გმირის სულში, მაგრამ იქ მეტი არც ყოფილა საჭირო, ნამდვილად არა.

როდესაც ხერხს, არტისტიზმს წამოწევდი, მიდგომაც სხვანაირი უნდოდა.

სტენდალი, ფრანც კაფკა, გუსტავ ფლობერი ძალიან იღეჭებოდნენ, სურდათ ამოებრუნებინათ ადამიანი და არ გამოდიოდა ეს ძალდატანება.

ფიოდორ დოსტოევსკი ხელოვნური გახლდათ, ყალბი. და ამას მშვენივრად ამჩნევდნენ მისი თანამედროვენიც.

მაინც ისევ თანამედროვე მწერლებისაკენ მოუწევდა გული: ფრანც კაფკა იქნებოდა, ალბერ კამიუ, ჟან-პოლ სარტრი თუ ფრანსუა მორიაკი... სხვებს არ იცნობდა ალბათ. ივლინ ვო იოლ გზას ირჩევდა ალბათ. ეს იმპრესიონიზმი არ ამართლებდა, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა რეზო ჭეიშვილს.

ვის არ უქებდნენ, ვის არ წააკითხებდნენ, ვის აღარ წაიკითხავდა თვითონაც, სხვა თუ არაფერი – ევალებოდა მთარგმნელობით ჟურნალში მუშაობის გამო, და საგულისხმოს ვერას ჰპოვებდა. რაინერ მარია რილკეს რომანი „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები“ თუ „ტრამალის მგელი“

ჰერმან ჰესესი (ავტორის გვარ-სახელს ვეღარც გაიხსენებდა) ბითურობა აღმოჩნდებოდა მის თვალში...

ახლა „ნოვოსტში" ჟორჟ ამადუს აქებდა დიქტორი:

– თავისი გმირებით ცხოვრობს, განიცდიან – ის და მისი მეუღლე – გმირების ბედს, რომელი საით წავა, ავტორმა არასოდეს იცის. შემდეგ ტირის. როცა ხელნაწერს ჩააბარებს, შინ ტრაური ცხადდება.

სულ ტყუილიაო, – აღშფოთდებოდა რეზო ჭეიშვილი, – სულ მოგონილია, ბლეფია, უნიჭოებს უყვართ ამგვარი არგუმენტების – თუ რაც ჰქვია – მოშველიებაო.

გურამ დოჩანაშვილის მეუღლის ნათქვამი ჩარჩენოდა მეხსიერებაში:

– როცა გურამს კრიზისი აქვს, როცა ეპიზოდი გაეჭედება, როცა გმირი არ ემორჩილება, აუტანელი ხდება...

ვახა, ხა, ხაო!.. – სიცილი ამოსკდებოდა რეზოს, – რას არ გაიგონებს ადამიანიო.

დღიურში ჩანიშვნა ჩანიშვნად, მაგრამ ეს არა კმაროდა, და ნატვრით ინატრებდა: ერთი დრო მომცა და ეს ყველაფერი მათქმევინა-დამაწერინა დალაგებულადო.

ჯერ გარშემოც არ მოისაკლისებდა მასალებს, პირდაპირ ხელში ჩაუცვივდებოდა აქეთ-იქიდან, შენ ნამდვილი და ჭეშმარიტი გეთქვა, თორემ მოგონილსა და ბლეფს რა დალევდა, ალბათ ვეღარც ამოყვინთავდი, თუ შეტოპავდი, იმ მორევიდან.

ძლიერ სახალისო თხზულება კი უნდა ყოფილიყო, ერთი იმდენი, დრო არა ჰქონოდა საწუხარი.

არადა: ნატვრა ნატვრადვე უნდა დარჩენილიყო.

და გული წყდება, კიდევ ერთ ორიგინალურ ჩანაფიქრს რომ არ ეწერებოდა აღსრულება.

მწერალთა კავშირში უწევდა მისვლა. თავის ოთახში ადიოდა ხოლმე და სასაუზმოდ ჩადიოდა ქვევით. ხუტა ბერულავას – მიხაილოვიჩად რომ მოიხსენიებდა – ჯგუფთან მოუწევდა ყოფნა. შემოვიდოდა ჯანსულ ჩარკვიანი. დაინახავდა რეზო ჭეიშვილს მტრის ბანაკში. გამოელაპარაკებოდა და მაინც ცალკე დაჯდებოდა. ხუტა რომ წავიდოდა ამალით, რეზო და აკაკი ბრეგაძე ჯანსულთან გადავიდოდნენ და შეიყოლიებდნენ ლაპარაკით. გამხიარულდებოდა, თუმც მანამდე არაფერი დაეტყობოდა განსაკუთრებული. იცოდა, რეზო ამ ოთხკაციან დაჯგუფებაში რომ არ მონაწილეობდა.

აკაკი ბრეგაძესთან რომ იქნებოდა იმ საღამოს ანზორ სალუქვაძესთან ერთად და ფეხბურთს უყურებდნენ ტელევიზორში, კოლია მიქავა შემოვიდოდა. რეზო ყველას ელოდა და იმას არა. კოლიას კი მათი დანახვა გაუკვირდებოდა. რეზოს არც ეწყინებოდა და არც გაეხარდებოდა, სუფრაზე რომ შემოესწრებოდათ. შეყვებოდნენ საუბარს, როგორც ხდება ხოლმე, და ბევრსაც იცინებდნენ, თუმც იმას სასაცილო არა უთქვამს რა.

უშიშროების კომიტეტში მუშაობდა იმ დროს კოლია მიქავა და ბევრი რამ დაეჯერებოდა.

ჭაბუა ამირეჯიბის ამბებს მოჰყვებოდა – არა ბოლომდე.

პეტრე გრუზინსკისაც მიაყოლებდა ზედ.

მათ საგმირო საქმეებს გასცემდა, თუმც ბევრს გადააჭარბებდა და ზოგიერთ ფაქტსაც დაამახინჯებდა ალბათ.

მაინც საინტერესო იქნებოდა რეზოსათვის ეს ყველაფერი...

ყოველ შემთხვევაში: საპოსტსკრიპტუმოდ გამოდგებოდა მინიშნებანი, უფრო დეტალურად და ნიშანდობლივ კი მოერიდებოდა დღიურში ჩაწერასაც...

25 ოქტომბერს ილიას დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე გაიმართებოდა ფილარმონიაში. დღისით იქ რომ გაივლიდა, სამხედრო მანქანებს დაინახავდა. „მილიცია“ წაეწერათ ზედ სახელდახელოდ და შიგ მილიციელის ფორმაში გადაცმული რუსი ჯარისკაცები ისხდებოდნენ. ტანკები რატომ არ მოეყვანათ, ვერ გაიგებდა რეზო ჭეიშვილი. ნეტა მართლაც რას ელოდნენ, ვისი ეშინოდათ?

შემოუჩნდებოდა ცოლი და მწერალთა კავშირში მივიდოდა მოსაწვევის ასაღებად. თვითონაც მისულიყო სოფიო ჩოხელი, აეღო და ეჩხუბა კიდეც:

– რატომ პრეზიდიუმში არ მიეცით?

ეტყობა სხვებს აეყოლიებინათ.

რევაზ მიშველაძე იგინებოდა თურმე უშვერი სიტყვებით: ყველას ცოლშვილი... ვინც ზევითაა და ვინც ქვევითააო.

ენვერ ნიჟარაძეც ყვიროდა თურმე, ოღონდ გინებით არ იგინებოდა.

საიუბილეო საღამოს დაწყებისას კი ორივე ძალისძალით, წიხლების ქნევით ავიდოდა თურმე სცენაზე.

რეზოსობას გურამ ფანჯიკიძე მივიდოდა:

– ჩემი ცოლის მოსაწვევი მომეცით.

– გადაშლილია რაიკომის მიერ, არ არის თქვენს მეუღლეზე მოსაწვევი, – აუხსნიდა ფერდაკარგული რევაზ კვერენჩხილაძე.

დაიწყებდა და რას დაიწყებდა გინებას უწმაწურად: ჩემი ცოლი მაჩაბლის პრემიის ლაურეატიაო, – ქუჩაშიც იძახებდა. მედეა კახიძე გაედევნებოდა პრეზიდიუმის მოსაწვევით, მაგრამ გურამი ასე ადვილად არ მოათავებდა გინებას იმის და ამის დედისას.

მწერალთა კავშირის წევრთაგან ყველას ამნაირი – მეტ-ნაკლებად რა საკვირველია – პრეტენზია ექნებოდა.

ზოგს სულ არ მისცემდნენ, ზოგს უკან არგუნებდნენ, ზოგს ზევით და ზოგსაც ქვევით.

მარიკა ბარათაშვილს „ბალკონზე“ აუშვებდნენ.

აკაკი ბაქრაძესაც ზევით გაამწესებდნენ, თანაც ილიას მკვლელისა თუ მკვლელების თუ მკვლელობის დამდგენი კომისიის წევრი გახლდათ...

ხოლო ვინ ბრძანდებოდა ამ კომისიის – მკვლელისა თუ მკვლელებისა თუ მკვლელობის – თავმჯდომარე?

დევი სტურუა, დიახ, დიახ, დევი სტურუა.

და მწარედ ეღიმებოდა რეზო ჭეიშვილს:

მელა რომ დანიშნო ქათმების მჭამელ ცხოველთა გამოსავლენადო...

გია ლომაძე ასე დააწყნარებდა რეზოს მეუღლეს:

– მეც უკანა რიგში მომცეს მოსაწვევი და ნუ ნერვიულობთ...

იმ საღამოზე ცხადია არ წავიდოდა რეზო ჭეიშვილი... საძაგლად რომ ჩატარდებოდა, ისედაც მიხვდებოდა. მუხრან მაჭავარიანი დახვდებოდა გაშავებული, უკვე აღარ ფარავდა უკმაყოფილებას:

– არაფერში გამრიეს, არაფერი დამავალეს... შენ თუ იყავი?

– არა, – თავს გაიქნევდა რეზო.

– ვინ გამოვიდნენ სიტყვით?

– არ უყურებდი? – კითხვას მოუნაცვლებდა.

– სოფელში ვიყავი და ტელევიზორი არ მქონდა.

ამაზე გულიანად გაეცინებოდა რეზოს. რით გადააჭარბებდა პროტესტანტებს, აქამდე ვერ ხვდებოდა და... ახლა უკვე მიხვდებოდა. გულით ამიტომაც გაეცინებოდა.

– ირაკლი ბესარიონოვიჩს ირჩევენ ისევ თავმჯდომარედ.

დიდად არ გაუკვირდებოდა რეზოს, მართლაც ასე რომ მომხდარიყო და ირაკლი აბაშიძე მესამედ გათავმჯდომარებულიყო:

კარგადაა საქმე: მაფიოზი ძალაშია. ასეც იქნება და ასეც უნდა იყოს ალბათ, აბა რისი საქართველოაო...

პავლე საყვარელიძის რომანი „დაფანტული ფურცლები" ახსენდებოდა ამ დღეებში რატომღაც.

ჭაბუა ამირეჯიბი რომ რომანის ნაწყვეტს გამოაქვეყნებდა („გორა მბორგალს" იგულისხმებდა) ამას წინათ, იმასთან დააკავშირებდა ციმბირს, ქარს, მშობიარე ქალის კვნესას... მოეწონებოდა. ფიქრობდა: ვინ, ვის, რას?.. თითქოს „დაფანტულ ფურცლებში" იყო ეს ყოველივე. უნდა შეემოწმებინა.

– ამ პავლე საყვარელიძის თხზულებებს რატომ არა სცემთ? – იმ დღეს ჰკითხავდა იორამ ქემერტელიძეს.

– შეადგინე და გამოვცემთ, – შემოსთავაზებდა, რადგანაც კრებულს იგულისხმებდა.

გაეცინებოდა რეზოს:

– რის კრებული, მარტო „ქვა და რკინა" 50 ფორმა იქნება.

არ იცნობდნენ, მივიწყებულიყო, პატრონიც არ გამოსჩენოდა ეტყობა. რეზოს ჰქონდა ეს წიგნები სტუდენტობისას. საიდან ჰქონდა და სად წავიდოდა, აღარ ეცოდინებოდა. კითხულობდა და ერთობოდა, თავს იქცევდა თავის დროზე.

„წიფობისთვეში" მოხაზავდა მის სილუეტს და ჩამოთვლიდა იმ ნახევრად სათავგადასავლო, ბოლოს კი აკრძალულ რომანებს, პოპულარობა რომ არ მოკლებოდა თავის დროზე: ეს „დაფანტული ფურცლებიო", ეს „ეკლიან გზაზეო", ეს „ქვა და რკინაო", ეს „ჩატეხილი ხიდიო", ეს „უკანასკნელი გადასარბენიო"...

უმთავრესად კი იმ მოგონების ირგვლივ გაშლიდა თხრობას, ნაკომკავშირალი ვარდენი რომ „გაასუხარებდა" ძველ ბოლშევიკსა და ნაკატორღალს, ბოლოს კი გამომცემლობის დირექტორს, რომელიც ერთ საბედისწერო დღეს 1937 წელს საამკინძაო საამქროში შევიდოდა ვიღაცასთან ერთად. ამ 16 წლის

ყმაწვილს, ვარდენს, სტამბის კომკბიუროს აქტიურ წევრს, ყურადღებას არ მიაქცევდნენ და ლაპარაკსა თუ კამათს გააგრძელებდნენ.

სახელიანი კაცი გახლდათ პავლე საყვარელიძე, ყველა ბელადს იცნობდა პირადად და ყმაწვილი დაინტერესდებოდა, სტალინზე თუ იტყვის რაიმე-სო. მიუგდებდა ყურს და... პავლე შეაგინებდა კიდეც სტალინს: ერთი მაგის დედის ასე და ისეო.

უეცრად შემოხედავდა ყმაწვილს და შეცბებოდა, შეფიქრიანდებოდა და დააჩერდებოდა, ნეტა გაიგონა თუ არა სტალინის დედის გინებაო. ამის სახეზე ვერაფერს ამოიკითხავდა და შეპირებით კი შეპირდებოდა:

– შენ უნდა დაგაჯილდოოთ ამ დღეებში.

რაღას დააჯილდოებდა, დაიჭერდნენ იმ ღამესვე და გააქრობდნენ... იმ ამხანაგსაც დახვრეტდნენ... დამსმენი კი ამ საქციელს არამცთუ არასოდეს ინანებდა, საამაყოდაც ექნებოდა: ქართველი კაცი რომ სტალინს დედას შეაგინებს, მითხარით აბა თქვენო!..

სხვაგვარად მოჰყვებოდა პავლე საყვარელიძის დატუსაღებისა და გაქრობის ამბავს გერონტი ქიქოძე ავტობიოგრაფიულ რომანში „თანამედროვის ჩანაწერები", ლავრენტი ბერიასთან რომ გაბედავდა შეკამათებას:

– მე ხელისუფლების წინაშე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, თუ დანაშაულად არ ჩამეთვლება, რომ ძველი პარტიული მუშაკი ვარ.

არადა ის ამ სიტყვებში თავის შეურაცხმყოფელ ნართაულ აზრს დაინახავდა და წამოიყვირებდა:

– ეს პროვოკაციაა, ჩვენ არავის ვსჯით ხანგრძლივი პარტიული მოღვაწეობისათვის.

მეორე დღეს გამომცემლობაში, თავის კაბინეტში მისული პავლე საყვარელიძე თან საცვალსაც მიიტანდა ხელჩანთით. ფანჯრიდან გადაიხედავდა და პირჯვარს გადაისახავდა ქაშვეთის ეკლესიის დანახვაზე, და დასძენდა:

– წარმოდგენა არა მაქვს, რა ბრალი მიმიძღვის პარტიისა და ხელისუფლების წინააღმდეგ.

მალე ჩეკელები დაადგებოდნენ თავზე.

ასე დაიღუპებოდა ეს თავდაჯერებული ათეისტი, რომელიც მთავარმოწამე გიორგის სახელს პირველად ახსენებდა მას შემდეგ, რაც ქუთაისის გიმნაზიაში ყოფნის დროს თანამშრომლობას დაიწყებდა მოწაფეთა არალეგალურ ხელნაწერ ჟურნალში „სხივი".

მაინც რომელი შეიძლება იყოს ამ ორი ვერსიიდან უფრო მართალი?

რომელი და... ეგებ ერთიც მართალია და მეორეც, ერთმანეთს რომ ავსებენ, კი არ ეწინააღმდეგებიან.

ყოველ შემთხვევაში თვითონ რეზო ჭეიშვილი ასე იფიქრებდა და ზედმეტ ჩხრეკა-დაზუსტებას აღარც შეეცდებოდა.

* * *

ჩათავდებოდა ილიაობა, თბილისობა ჯუმბერ პატიაშვილის ამალის „გულავით", ცეკვითა და დოლგარმონის ბრახუნით. მალე 7 ნოემბერი დადგე-

ბოდა და გაგრძელდებოდა რამპა-დამპა და რამპა-დამპა. ისევ დროშები, პლაკატები, ლოზუნგები, ყვირილი და მუსიკის გრიალი.

ეგ იყო მაგათი ბუნებრივი მდგომარეობა.

ამათ რა გარდაქმნიდათ, რა გადაასხვაფერებდათ.

თამაზ ჩხენკელი კი ისეთ ლექსს გამოაქვეყნებდა „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე, ამნაირი რამისათვის ადრე რომ იჭერდნენ.

11 ნოემბრის დღიურში იმ უბედურებას აღნიშნავდა, სამტრედიასთან რომ დატრიალდებოდა და თამაზ ბაძაღუას ოჯახი ამოწყდებოდა ავტოკატასტროფაში.

იხსენებდა და ვერ გაეხსენებინა, რომელი იყო.

იცნობდიო, – უმტკიცებდნენ.

ცხადია ეცნობებოდა.

ერთ დაწესებულებაში, ერთ შენობაში – მართალია სხვადასხვა განყოფილებაში – მუშაობდნენ რამდენიმე წელი, ყოველდღეც ესალებოდნენ ალბათ ერთმანეთს.

გრძნობა, ის იყო, ახლა ვისაც ხედავდა გონების თვალით, მაგრამ ცოცხალი რომ ენახა, გაოცდებოდა, შემეშინდებოდაო, ვერ იტყოდა.

ასეთი რამ – ამაზეც იფიქრებდა მანქანაში – სხვა დროსაც დამართნოდა.

ეტყოდნენ: დაიღუპა ესა და ეს კაცი (გვარი, სახელი), კარგი ბიჭი ძალიანო.

გვარი არაფერს ეუბნებოდა, სახელი არაფერს ეუბნებოდა.

იცნობდიო, – უმტკიცებდნენ, – აქ შემოდიოდა, ამ ოთახში, ჭადრაკის თამაშის დროს გიყურებდაო.

„რომელი იყო ნეტა?.."

ფოტოსურათსაც აჩვენებდნენ და... ვერ იცნობდა...

არაო, ამ სურათით ვერ მიხვდებიო, – გაუქარწყლებდნენ შეფიქრიანებას.

წაიკითხავდა გაზეთში ერთხელ, ტელევიზიითაც იტყოდნენ: ამ გრიგალის დროს ხე დაეცა ავტომობილს და დაიღუპნენ ესა და ესო. ერთი კინომსახიობიც ყოფილიყო...

– რომელი? – გვარ-სახელით ვერაფრით მოიგონებდა.

ნეკროლოგსა და ფოტოს ნახავდა.

„ამას ვიცნობდი... სად ვხვდებოდი, სად ვხედავდი?"

დიღომში, კინოსტუდიის წინ, შესასვლელთან მდგარს წარმოიდგენდა, იქ უყურებდა გაჩერებულს თითქოს ხშირად. რა კაცი იყო, რანაირი, რა ხმა ჰქონდა, როგორ აზროვნებდა? ვერაფრისდიდებით ვერ აღიდგენდა.

გავიდოდა ხანი და: სექტემბერსა თუ აგვისტოს მიწურულს ფილმს აჩვენებდნენ ქუთაისში. სუფრაზე მიშა ჭიაურელი იტყოდა:

– ის კაცი, ვინც დავითს თამაშობდა, მოკვდა, ხე დაეცა მის მანქანას, დიდი ქარები რომ იყო.

და რეზოს იმ წამსვე გაახსენდებოდა ის ნეკროლოგიც და ის სახეც.

დათო მომკვდარიყო.

ერთი თვე – თუ მეტი არა – ერთად იქნებოდნენ გახმოვანებაზე. ხშირად ელაპარაკებოდა რეზოს და ერთხელ კარგა ხანსაც ეკამათებოდა კიდეც მორიდებითა და თავაზიანად.

ძალიან ეწყინებოდა მისი სიკვდილი.

თამაზ ბაძაღუასაც გაიხსენებდა ალბათ...

და უეცრად გამოფხიზლდებოდა და შეჩქვიფდებოდა:

სად გავრეკე ამ შუაღამისასო...

12 ნოემბერს ჯუმბერ პატიაშვილზე დაიწყებდა ფიქრს და უნებლიეთ – ან რაღა უნებლიეთ – ედუარდ შევარდნაძეს შეადარებდა.

იმას გარკვეული მიმართულება, გარკვეული პოლიტიკა ექნებოდა პირველი მდივნობის ჟამს, რაღაც პოლიტიკას გაატარებდა თანმიმდევრულად, ეროვნულსაც კი.

ქუთაისი უნდა გაძლიერებულიყო, აფხაზეთში ქართული დაწესებულებები უნდა გაჩენილიყო, ვიღაც ჩამოსახლებულიყო, ვიღაც გასახლებულიყო.

მისი პოზიციაც მყარი იყო რამდენადმე. იცოდა: ვინ სად მდგარიყო, ვის რა ეკეთებინა. ცდებოდა თუ არა, ამას არა ჰქონდა მნიშვნელობა ამ შემთხვევაში.

და... ეს?

ესეც დააპირებდა რაღაცას – ვთქვათ ქვემო ქართლის, კერძოდ – მარნეულის „დარბევა“, შურისძიებასავით... რაღაც ჩხრეკები და... მორჩებოდა...

შემდეგ პირადი ანგარიშსწორებანი და... დაწყნარდებოდა...

ახლა თითქოს სტაბილური შეიქნებოდა და რეზო ჭეიშვილს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა: აღარ იცის, რა გააკეთოსო.

ირაკლი აბაშიძისა და რევაზ ამაშუკელის გავლენით – ხელოვნებაში – ხან ისე უყურებდა – მაგალითად ჯანსულ ჩარკვიანს – და ხანაც ასე. და ჯანსული წონასწორობას დაჰკარგავდა ამის გამო...

ერთ დღეს ეტყოდნენ:

– ჯანსული მაინც საჭიროა, იცის, გაზრდილია.

შეხვდებოდა მეორე დღეს და... ძმა იყო მისი – სახეზე ეწერა... შეხვდებოდა მერე კიდევ და... რა ძმა, რისი ძმა... და როგორ არ დაეკარგა წონასწორობა ჯანსულ ჩარკვიანს ამ ურთიერთსაწინააღმდეგო შეხვედრების გამოისობით.

რევაზ მიშველაძე ბრძენი და დიდი, მთლად დიდი თუ არა, კარგი მწერალი ეგონებოდა როინ მეტრეველის გავლენით.

შოთა ნიშნიანიძეს რევაზ ამაშუკელის თვალით უყურებდა.

რეზო ჭეიშვილს იცნობდა, ოღონდ უფრო კინოფილმის მეშვეობით.

ედუარდ შევარდნაძისათვის რეზო არ არსებობდა, ამისათვის არსებობდა შიგადაშიგ – კაცი, რომელიც არ აწუხებდა არამარტო მას, არამედ სხვასაც... ძალიან გააოცებდა, თუკი რაიმეს მოსთხოვდა, თუკი რეალურად გამოჩნდებოდა.

– ეს საიდანღა? – რაღაც ამგვარს გაიფიქრებდა უსათუოდ ჯუმბერ პატიაშვილი.

6 დეკემბერს დასჩერებოდა „კუდიან ვარსკვლავს“ და ვეღარაფერს უმატებდა, თუმც გასასწორებელი და ჩასამატებელი ბევრი იქნებოდა. იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა და... ვერ აკეთებდა.

თავს დაიმშვიდებდა:

ხდება ეგრე, ჩვეულებრივი ამბავიაო.

წიგნები ჰქონდა მოსაძებნი და გადასათვალიერებელი.

ანოტაცია – დასაწერი წიგნისათვის, რომელიც იმ წელიწადში გადავიდოდა. წელს ვერ ესწრებოდა.

თავი სტკიოდა, მუცელი აწუხებდა. მეზობლისას დაუძახებდნენ. სუფრაზე კი არა, ეკლებზე იჯდებოდა ცოტა ხნით. ვერც შეჭამდა, ვეღარც დალევდა ანი, ისე ატყობდა. ვერა გრძნობდა თავს კარგად... ქუთაისში ერჩივნა ისევ. შეძვრებოდა ბუნაგში და იქნებოდა თავისთვის... იქ უკეთესად გახლდათ, ლაპარაკი არ უნდოდა.

საბეჭდ მანქანას ვერ ეკარებოდა, არა სურდა, ხალისი არ გააჩნდა...

კითხულობდა ბევრს, თუმც მალე ეყვინთებოდა, წვებოდა, ეღვიძებოდა, ანთებდა შუქს და კითხულობდა კვლავ...

კითხულობდა ტანიძაკის და... ცოტა მოსაწყენი ეჩვენებოდა. ადრინდელი მოთხრობაც მოეწონებოდა, ქალს რომ ატატურებდა მხატვარი...

ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა:

აკუტაგავაც აქედან მოდის ალბათო.

იასუნარი კავაბატასი რაიმე თუ ჰქონდა წაკითხული, ვერ იხსენებდა.

29 ნოემბერს ამას ჩაინიშნავდა, და 2 დეკემბერს კი დილიდანვე – ჯერ წუხელაც – „დონ კიხოტის“ ორტომეულს ათვალიერებდა და კითხულობდა. ეძებდა იმ ადგილს, სადაც ძაღლის მიერ ხელის წუწვნაზე იყო ლაპარაკი.

ამ დროს, ამ პროცესისას იმაზე დიდ ფილოსოფოსს ვერა ნახავო.

ამის დაზუსტებას ლამობდა.

ნუთუ სხვაგან ამოეკითხა?

„სამოძღვრებო ნოველებში“ ხომ არა?!.

კარგად ახსოვდა, აქ იყო თითქოს, სწორედაც „დონ კიხოტში", მეორე ტომის შესავალში ეგულებოდა. არც იქ დახვდებოდა, არც სხვაგან. თვითონ ვერ აღმოაჩენდა ყოველ შემთხვევაში.

ხოლო „კუდიანი ვარსკვლავი“ რამდენ შესწორება-ჩამატებასა და გადაკეთება-გადმოკეთებას დაისაჭიროებდა, ბოლო ვერსია საგრძნობლად რომ დაშორდებოდა თავდაპირველს. დროის ხანგრძლივ მონაკვეთზეც გადაიჭიმებოდა და თარიღებითაც დაიხუნძლებოდა: 1991 – 1999 – 2009.

შესწორება-გადაკეთება რომ სჩვეოდა რეზო ჭეიშვილს, ამჯერად თავის თავსაც გადაამეტებდა, მაგრამ... ვერა და ვერ სრულყოფდა. და ალბათ იმიტომ, თავიდანვე რომ არ ექნებოდა გამოკვეთილი სტრუქტურა ამ თხზულებას, რომელსაც დიდი პირობითობით თუ დაერქმეოდა რომანი.

„მუსიკა ქარშიც“ და „წიფობისთვეც“ კომპოზიციურად სხვადასხვა ამბავზე აიგებოდა, თუმც გაცილებით უფრო შეკრული იქნებოდა ერთიცა და მეორეც, ვიდრე „კუდიანი ვარსკვლავი", დოკუმენტურ მასალებზე აკინძუ-

ლი წიგნი უფრო ისტორიკოსებისა და სოციოლოგებისათვის იქნებოდა საგულისხმო, ვიდრე ლიტერატურული თვალსაზრისით, მოკლებული იმ შინაგან ალმაფრენასა და ექსპრესიას, ასე ნიშანდობლივი რომ გახლავთ რეზო ჭეიშვილის სტილური მანერისათვის და თუნდ „რკინის სახკომშიც“ ასე ხელშესახებად იჩენდა თავს.

ეგაა, როგორ გამორჩებოდა თუნდაც ის შემთხვევა, ლევ ტროცკის, ძალაყინით თავგაჩეჩქვილს, დაუმთავრებელი რომ დარჩებოდა ეპოპეა „სტალინი“ – მეორე ტომი, პირველი დასაბეჭდად იქნებოდა გამზადებული ინგლისურ ენაზე, და იმ წიგნსა და წიგნებს, ორ ტომს, შეეწირებოდა იგი დაჩქარებული წესით.

და საგანგებოდ უნდა აღენიშნა რომანის ავტორს, გაუგონარი ამბის მოწმენი რომ შევიქნებოდით:

ეპოპეის მთავარი გმირი იმსხვერპლებდა თვითონ ეპოპეისტს, მაშინ, როდესაც მანამდე ავტორები ხოცავდნენ გმირებს.

ტრაგედია ამით არ დასრულდებოდა, რადგანაც მრავალთაგან მრავალი წინ უსწრებდა, მრავალი კი მას მიჰყვებოდა, თუმცაღა ტროცკისტობა მართლაც გადადიოდა პოლიტიკური მოდიდან.

სტალინის სამოსს, უნიფორმას, მის პროფესიას – რევოლუციონერობას, სოციალურ წარმოშობას, მძიმე და საგულისხმო ბიოგრაფიას დაუკავშირებდა რეო ჭეიშვილიც, ოღონდ მკითხველის ფიქრს იქით მიმართავდა: ვიდრე გენერალისიმუსის თეატრალური გარდერობის ტანსაცმელს მოარგებდნენ, როლი და ფორმა ერთმანეთს არ დაცილდებოდა. შემდეგ კი იგი დაემსგავსებოდა ბუტაფორიულ გმირს კინოფილმებისა. როდესაც დგამდნენ, ქმნიდნენ ახალ სახოტბო, უსახურ ჟანრს, იგი შეჰყურებდა საკუთარ თავს ეკრანზე, სცენარში, ჩარჩოში, სხვაში, ყველაფერში – მხოლოდ არა სარკეში...

ახსენდებოდა მიცვალებულთა დღედ გათენებული 10 მარტი, ქალაქში ცივი სიჩუმე რომ იწვებოდა და გვირგვინებშემოცლილი ყავისფერი მონუმენტი იდგებოდა ცივ სინათლეში. რადიორეპროდუქტორები კვლავ XX ყრილობის დირექტივებს გადმოსცემდნენ. და გაზეთებით ყრილობას რომ აშუქებდნენ, მშრომელთა დასვენების დღეების გახანგრძლივებას იუწყებოდნენ.

დაე თვითმხილველის წყალობით გვცოდნოდა, რომ:

წინა დღე, 9 მარტი ამოხეულიყო კალენდრიდან, და უკვალოდ გამქრალიყო დროებით დროთა ბრუნვიდან.

და გვცოდნოდა ისიც, რომ:

ტყეში ირემი მოეკლათ ლიცენზიის გარეშე. მონადირენი გაესამართლებინათ და ექვსი თვით იძულებითი მუშაობა მიესაჯათ უშუალო მკვლელისათვის. და სენსაციური ქრონიკა მსხვილი სათაურით აწყობილიყო:

„სასჯელი ირმის მოკვლისათვის!..“

საბჭოთა ჰუმანიზმი მოითხოვდა, რომ ირმის ულიცენზიო მკვლელი უსათუოდ დასჯილიყო, ხოლო მტკვარი რომ გაწითლდებოდა გაჟლეტილი ადა-

მიანების სისხლით, ეს ხომ... არ მომხდარიყო, თმის ბეწვიც არავის ჩამოვარდნოდა 9 მარტს და მღელვარების ნასახიც არ ყოფილიყო თბილისის ქუჩებსა და სტალინის ძეგლის შემოგარენში.

საბჭოთა ჰუმანიზმი... საბჭოთა მორალი!..

ამოიხეთქა 9 მარტი კალენდრიდან, დროებით მიეფარებოდა თვალს და... ყველაფერი გაგრძელდებოდა ბუნებრივი სვლით კომუნიზმის აბდღვიალებული მწვერვალებისაკენ.

წლები ჩაივლიდა, მაგრამ დედის ტირილი არ შეწყდებოდა.

აღარც ძეგლი იდგმებოდა იმ ადგილას.

და თითქოს აღარც სისხლის კვალი დააჩნდებოდა მიწას.

მახსოვრობა იმპულსური გახლდათ?

მწუხარება ხომ მაინც რჩებოდა მთლიანად და გაუნელებლად.

და ყოველ 9 მარტს, ყოჩივარდობისას, რეზო ჭეიშვილის ხილვაში მუდმივად იტრიალებდა ეს სურათი: როგორ დაეძებდა დედა სკოლიდან მიტინგზე გაპარულ შვილს...

ლენინსა და სტალინში გაივლიდა მისი თაობის საუკეთესო წლები. ისინი მახსოვრობაც იქნებოდნენ, ტკივილიც, სიხარულიც, ბავშვობაც, სიჭაბუკეც, დიდობაც. რეზოსაც ემახსოვრებოდა და არ დაავიწყდებოდა. ხედავდა: ცოცხლდებოდნენ ძეგლები და ადამიანები... ლენინის ტრიბუნაზე, სტალინის ტრიბუნაზე მდგარი წერა-კითხვის მცირემცოდნე, ღარიბი რევოლუციონერები ემახსოვრებოდა დაკეცილი ქოლგებით. ისინი ზევით ეყოლებოდათ. ქვევით კი იდგებოდა ახალგაზრდობა, სინათლე და ყვავილები.

და იქნებოდა ბავშვობა მრავალნაირი ფერით. წავიდოდა, მიდიოდა. მიდიოდნენ. დღეები გაჰყვებოდნენ დღეებს, აქაური ცხოვრებაც მთავრდებოდა. თვალის დახამხამების ერთი გადასარბენი გარბენილიყო უკვე...

კუდიანი ვარსკვლავის სიმბოლიკას უნდა გაეერთიანებინა დაცილებული ეპოქები და ეპიზოდები, მაგრამ ეს ვერ იკმარებდა კომპოზიციის შემოსალტვისათვის და ვერც დაემგვანებოდა „კუდიანი ვარსკვლავი“ რეზო ჭეიშვილის საუკეთესო ქმნილებებს.

მაინც მას უფრო შეაჯერებდა გულს, მას უფრო მიიჩნევდა მოთავებულად – ბოლოსდაბოლოს შვიდტომეულში „კუდიან ვარსკვლავს“ შეიტანდა და „დალის“ – არა, თუმც „დალის“ შეუტანლობისა არაფერი ეჭირვებოდა. თანაც ერთმანეთის ადგილს ხომ არ იკავებდნენ – ან ერთი რომ გაეწირა და ან მეორე!..

არადა, თუ მაინცდამაინც:

„დალის“ მღელვარე სიუჟეტური ქარგა მაინც ამშვენებს და გამოკვეთილი ხასიათები, თვით აკაკი ბაქრაძეც, თავდაპირველი ვერსიის დამწუნებელი, მოწონებით რომ შეეგებებოდა მის გადახალისებულ ვერსიას.

უიღბლო ვარსკვლავზე ყოფილიყო დაბადებული „დალი“ და ეგაა.

და ნეტა რა ვარსკვლავზე დაბადებულიყო „კუდიანი ვარსკვლავი“?!.

თავი მეორე

„ადამიანის ამოცნობა არ მეშლება“

4 იანვარს, 1988 წელი რომ ჩამოდგებოდა, ისევ მზე და სითბო იქნებოდა თბილისში – სულაც მცხუნვარე მზე. დეკემბრის მიწურულს ყინვები რომ დაიჭერდა, ახალი წლიდან სითბო და მზე შემოვიდოდა. პირველშივე ათბებოდა, ახლა კი დიდი მზე იდგებოდა ოთახში. ხვალ და ზეგ რა იქნებოდა, აბა რა ეცოდინებოდა, მაგრამ ეს 4 იანვარი ტყუპისცალივით ემგვანებოდა წინა, მის მიერ დაანგარიშებულ ოთხიანებს.

ეტყოდნენ:

– ტელევიზორში, რუსულ არხზე, გაქებდნენ, კინაღამ ჭილაძეების გვერდითაც დაგაყენეს.

– სასიხარულო ამბავია, – ჩაიბურტყუნებდა და დამსწრეთ მაინცდამაინც არ გაეცინებოდათ.

2 იანვარს ლიტერატურული გადაცემა რომ იქნებოდა რადიოში, რეზოსაც ათქმევინებდნენ ორიოდ სიტყვას და მიხეილ კოპალეიშვილი გააფრთხილებდა:

– მოისმინე, გრიგოლ რობაქიძის სიტყვაც იქნება გადმოცემული.

რადიო არ გააჩნდა და საჭიროდ არ მიიჩნევდა საგანგებო ძებნას.

„ლიტერატურნაია გაზეტაში“ წაიკითხავდა ინტერვიუს ვალენტინ რასპუტინთან. გაბოროტებული სახე მოჩანდა რატომღაც, უხეში, მსხვილი ნაკვთები და დიდი პირი. გვერდით ჯგუფური პორტრეტი დაებეჭდათ ჩინგიზ აიტმატოვის, გაბრიელ გარსია მარკესისა და გაუერასი. იმ ორს ასე რომ მოიხსენიებდა: არც ისინი ბრწყინავენ ინტელექტუალური ხატებითო, – თურმე ამ შეფასებას რა უშავდა, როდესაც მესამისათვის პედერასტზე უკეთეს ეპითეტს არ გაიმეტებდა.

ხშირად იყენებდა რასპუტინი სიტყვას „ხსოვნა“... თუ მიაგნებდა, აქ უნდა ყოფილიყო. ჰო აგერ:

– ამჟამად ყველგან, მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს დაბრუნება ფესვებთან.

და უკვირდა რეზოს: „ამჟამად“ რატომ, სხვა დროს რა, არა ხდებოდაო?

რასპუტინს გაეგო ახლაღა, საკუთარ ფესვებთან მიბრუნება აუცილებელი რომ გახლდათ ერისათვის. ის კი არა, თურმე ესეც უნდა ეღიარებინა:

– ჩვენ ყველაზე უმახსოვრებო ქვეყანა ვართ. აშკარაა, რომ წყნარად ჩვენთანაც იწყება ხსოვნის დაბრუნება.

შემდეგ სხვანაირად და რამდენადმე საინტერესოდაც ავითარებდა თავის დებულებას. იბრძოდა ასე თუ ისე... მასშტაბებიც, სამოქმედო არეალიც

დიდი მოეპოვებოდა, ფართო, თვალუწვდენელი (ციმბირი, ბაიკალი), და... აქვე გახლდათ მისი უნიადაგობაც...

აცნობიერებდა მაინც თავისი ქვეყნის უბედურებას: ხსოვნის უნარის დაქვეითებას... უკიდურესს...

10 თებერვალს ჯაბა იოსელიანის რომანს რომ გადაათვალიერებდა „განთიადის“ ფურცლებზე, გუნება წაუხდებოდა.

„იქ არ უნდა გაგვეწყვიტა, სადაც ახლაა გაწყვეტილი...“

დახვრეტის სცენაზე შეჩერებულიყვნენ: რუსები ხვრეტდნენ ქართველებს, თანაც ბოლშევიკები.

ვაითუ არ ეცლიათ მეორე ნომრის გამოშვება... არ იქნებოდა გამორიცხული...

ერთი რამ თუ უშველიდა: ხელმძღვანელები სტალინელები გახლდნენ და შინაგანად მხარსაც დაუჭერდნენ, და ამიტომაც შესაძლოა თვალი აერიდებინათ ამ სცენისათვის. სტალინმა დახვრიტა მთელი რუსეთიო, სახალხოდ აცხადებდნენ და რევოლუციურ გაუგებრობაში რუსებს რომ ქართველები შემოხარჯვოდათ, განა რა იყო ამისთანა?!. მითუმეტეს: ახლა, ამ დროს... რუსებს არ შეეხო და რაც გინდა, ის ქენიო, ასე ფიქრობდნენ და ამნაირად დაემოძღვრა სხვათაშორის ამხანაგ ენუქიძესაც აქეთ გამომგზავრებამდე...

არადა: რა სასწრაფოდ და ოპერატიულად გაეგზავნა „განთიადის“ ეგზემპლარები ცენტრალურ კომიტეტშიც და მწერალთა კავშირშიც. ცენტრალურ კომიტეტში ჯერ არ წაიკითხავდნენ, მაგრამ წამკითხველებსაც ხომ ხელთ ეპყრათ უკვე... იქნებ პრინციპში ეგრეც სჯობდა? იქით უნდა შეგეტია, ანუ ანდაზა როგორც გირჩევდა, გაღმა უნდა შედავებოდი.

დღეს აღმასკომის სხდომასაც დაესწრებოდა... თავს არიდებდა, მაგრამ მერე იფიქრებდა: საჭიროა, ჩემთვის საჭიროაო...

თითქოს დამშვიდდებოდა, მაგრამ მოათავებდა ჩანაწერს და კვლავ აფორიაქდებოდა ისე, რომ პოსტსკრიპტუმის დართვას აუცილებლობად მიიჩნევდა.

– შეცდომა დავუშვი აშკარად.

სხვა არ ეტყოდა, ერთი ვერც გაიგებდა, ერთი არც დაინტერესდებოდა, ერთს ერთი სული ექნებოდა, როდის მოხსნიდნენ რეზო ჭეიშვილს რედაქტორობიდან.

რედაქტორის შეცდომააო, – აღიარებით აღიარებდა და თვითყვედრებაში ჩაეფლობოდა: ერთი აბზაცით ადრე გამეწყვიტა, არაფერი მოხდებოდა. ამას „იაღლიშს“ ეძახიანო.

ახლა გაუგებდა რედაქტორებს, თურმე რა დღეში იყვნენ და რამდენი რამის გათვალისწინება მართებდათ და უხდებოდათ. და რა წყენაც დაგროვებოდა გულში მათდამი, ერთბაშად მიუტევებდათ.

ის აბზაცი დაამთავრებდა ერთ მონაკვეთს თუ ახალს დაიწყებდა, თითქოს რა ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა, არადა... თურმე... და ემძიმებოდა, როგორ ემძიმებოდა რედაქტორის სკამი.

20 თებერვალს მაკა ჯოხაძე აჩუქებდა წიგნს „შეხვედრა“. ჯერ არ წაეკითხა. დაიწყებდა და... გაუჭირდებოდა. დაძაბული მოეჩვენებოდა, შებო-

ჭილი... თუ სულაც პირიქით? იგონებდა – ნამდვილად ასე უნდა ყოფილიყო... შეფიქრიანდებოდა: ეგებ მე ვერ ვხედავო. იშვიათად ხვდებოდა მართალია მაკას, მაგრამ გარკვეული დასკვნების გაკეთება ერთი შეხედვითაც შეეძლო თითქოს.

საგონებელში ჩავარდნილიყო... თუმც ამ რომანის ბოლომდე რომ გავიდოდა, უკვე შეძლებდა მართებულად შეფასებას. აღარ უნდა გაჰყოლოდა ის შეგრძნება: დაძაბულია, შებოჭილიაო...

გარკვეული დასკვნების გაკეთება ერთი შეხედვითაც შეეძლო თითქოს...

იმ დროს – როგორც ჩანს – თავშეკავებას ამჯობინებდა დღიურთანაც კი, არადა გამოხდებოდა ხანი და „მარსელ პრუსტის ანკეტის“ იმ შეკითხვაზე:

თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

აწონიდა, დაწონიდა და:

ვერ გეტყვით, ინტუიცია ალბათო.

და ამ მიმართულებით რომ დაფიქრდებოდა, თვითრწმენა მოემატებოდა:

ადამიანის ამოცნობა – ასე მგონია – არ მეშლება. პირველივე შეხვედრაზე ვხვდები, ვინაა, რა კაციაო.

ნუთუ არ შემცდარიყო?

როგორ არა, თუმცაღა იშვიათად.

სინანულს გამოთქვამდა, რომ:

ეთქვა, რისი თქმისგანაც თავშეკავება სჯობდა.

და თავს იმით იმშვიდებდა:

ბოლომდე მაინც არ გამიმჟღავნებია არსათქმელიო.

მიაჩნდა, რომ:

ადამიანისათვის გული არ უნდა გეტკინა, ღირსიც რომ ყოფილიყო, სიტყვით არ უნდა მოგეკლა.

და ძალაუნებურად ამოუტივტივდებოდა ის ხალხური სტრიქონები: თეთრსა და წითელ ღვინოსა განა ერთფერად სმა უნდა, ენაზე მომდგარ სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდაო.

განა ვისთვის რა ეწყენინებინა, საყვედურს, სამდურავს ადვილად არასოდეს ამბობდა, მაგრამ იმ თითო-ოროლა შემთხვევასაც რარიგ განიცდიდა!..

მაშინ კი წერდა პასუხს, ნამეტანი გრძელი გამოსდიოდა და მაშინ თავისთან დაბეჭდავდა. თუ ამხელა დარჩებოდა, უკვე არ ივარგებდა ჟურნალში და ისევ გაზეთში უჯობდა მიტანა... გადაიყოლებდა ესეც და:

– რა ჩემი საქმე იყო ეს წერილები, ან რედაქტორობა... დავიღალე, აღარ მინდა აქ ყოფნა...

გაბეზრებულიყო. მუხათწყარო რომ არა ჰქონოდა მისახედი, კიდევ გაძლებდა ქუთაისში. ასე, ამნაირად ყოფნა რთული ეჩვენებოდა – სანამ უნდა ეწონიალა წინ და უკან?!. მაგრამ... ბენიას რა ეშველებოდა უამისოდ? მარტო რითი იცხოვრებდა, როგორ იმუშავებდა? იმწამსვე სახლის გაყიდვას დააპირებდა რეზოს და-ძმა... და უცბად ჩაიშლებოდა ყველაფერი.

2 მარტს აეკვიატებოდა რუსთველის ერთი სტრიქონი ქაჯებზე:

თვარა იგიცა კაცნია ჩვენსავით ხორციელანიო...

სწორედ ამბობდა თუ არა, თავს ვერ დასდებდა, ტექსტი თან არა ჰქონდა.

რარიგ უხაროდათ მკითხველებს, მასწავლებლებს განსაკუთრებით:

ადამიანები არიან ისინიც. იმხელა პოეტია რუსთველი, რომ ქაჯიც გააადამიანაო... ზღაპარში არ გათქვიფაო...

ჩიტებივით რომ ხოცავდა ვეფხვსა და ლომს ტარიელი და სისხლის ცრემლებით ტიროდა და სისხლიან ცრემლებს, ძირს დაცვენილს, ნადირნი რომ ლოკავდნენ, ეს ვითომ არაფერი...

ქაჯნი რომ ადამიანები იყვნენ, ეს უხაროდათ, ადვილად გასაგები მოსწონდათ...

„ფაუსტიც“, „მაკბეტიც“ გაუგებარი იქნებოდა მათთვის.

უბრალო ხალხი, უბრალო მკითხველი თავის დონეზე დასულ მხატვრულ სახეს ანიჭებდა უპირატესობას ყოველთვის.

16 მარტს სტატიას „ზოგჯერ თქმა სჯობს“ „კომუნისტში“ მიიტანდა და დაპირდებოდა ნუგზარ ფოფხაძე: დავბეჭდავთო.

„სიტყვა ლადო ასათიანზე თქმული“ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაეტოვებინა.

კოლაუ ნადირაძის ინტერვიუს გამო დიდი უსიამოვნებანი შეემთხვეოდა და რამდენიმე კაციც შემოელანძღებოდა ამასობაში. მზად იყო და უსათუოდაც უნდა დაეწერა საპასუხო წერილი ამაღამვე, ხვალვე... რაც შეიძლებოდა მალე.

მირჩენოდა და მიეტოვებინა სცენარი, წიგნებიც მისატანი ექნებოდა... მაგრამ პასუხის დაუწერლობა არასგზით არ გამოვიდოდა.

ახლა ქუთაისში იმყოფებოდა.

ეძებდნენ თურმე – ეს აღმასკომიო, ეს ქალაქკომიო.

წამოსვლამდე ჯუმბერ პატიაშვილს დაელაპარაკებოდა ელდარ შენგელაიას კაბინეტიდან.

– ქუთაისში ვიქნები, – დღევანდელ დღეზე ეტყოდა ქვეყნის ხელმძღვანელი, – და გამოვძებნი დროს.

დღეს დარეკავდა მის აპარატში და... მარშრუტი შეეცვალა თურმე, და უკვე ბრუნდებოდა თბილისში.

„ასეც ვიცოდი...“

წიგნი გამოვიდოდა ამასობაში, სამტომეულის „პირველი“. ფორმატიც მოეწონებოდა და შეკვრაც – ჩვენი პირობების კვალობაზე... შიგ ყველაფერი ძველი დაბეჭდილიყო და უხალისოდ ამიტომაც შეხვდებოდა „პირველის“ გამოსვლას... სასიგნალოებს წამოიღებდა და... ერთს ავტოინსპექტორი წაართმევდა თბილისშივე, დიდუბეში, მეტროსთან.

– რად გინდა ეგ წიგნები, რატომ გიყრია? ერთია თუ სხვადასხვა?

წესრიგს დაარღვევდა, საბუთები არ ექნებოდა, იმას რეზო სხვისი მძღოლი ეგონებოდა და... ეს წიგნის ჩუქებით მოაგვარებდა ყველაფერს. თანაც როგორ არ გაელიმა:

ასეთი შემთხვევა, პირველი ეგზემპლარი რომ ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლისათვის პირადად გადაეცა, არ ჰქონოდა აქამდე და... ბევრ სხვასაც არ ექნებოდა ჩადენილი...

„განთიადი“ კი ძალზე პოპულარული გახდებოდა. და გურამ ენუქიძე კბილს რომ გაჰკრავდა ბაკურიანში, ამასაც აუცილებლობად მიიჩნევდა რეზო. ეძებდა ხალხი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით მის ნომრებს, და თუ პასუხსაც იქ დაბეჭდავდა, ჟურნალისათვის – ჟურნალს ეძახდნენ ისედაც – უკეთესი იქნებოდა.

სამი თვე გამხდარიყო, არ დაელია... და ეს ახლაღა გაახსენდებოდა.

გალაკტიონის მხრიდან თუ შემოუტევდნენ, რას წარმოიდგენდა... გეგმაზომიერად მიდიოდა ჯერჯერობით ყველაფერი. ალმანახი პოპულარული გაეხადა და მისი ჟურნალად გადაკეთებაღა რჩებოდა...

20 მარტს დაასრულებდა წერილს: „პასუხად რევაზ თვარაძეს“. კმაყოფილი იქნებოდა, თუმც ვარაუდობდა, რომ ის კიდევ ბევრ დროს წაართმევდა, თუ ახალ უსიამოვნებას არ გადაჰკიდებდა.

ალბათ არ ღირდა „კომუნისტში“ მიტანილი სტატიის დაბეჭდვა: „ზოგჯერ თქმა სჯობს“... ჯერ არ იყო ამისი დრო. სწორს ეუბნებოდნენ: შენს საქმეს მიხედეო. და... ეს არ იყო მისი საქმე? იყო რასაკვირველია, მაგრამ წერილს მეტი დაკვირვება და დასაბუთება ესაჭიროებოდა... ემოციების აყოლა სახიფათო იქნებოდა.

20 მარტს გურამ მამულია გადასცემდა პარიზში გამოცემულ წიგნს ივანე ზურაბიშვილისა: ქუთაისზე.

– გადაბეჭდე, – ურჩევდა.

მთლიანადაც შეიძლებოდა გამოქვეყნება, მაგრამ თუ იკითხავდა, ნებას არ დართავდნენ, ან ამ წელინადს პასუხს არ აღირსებდნენ... თუმც: ვისთვის ეკითხა, ესეც არ ეცოდინებოდა... წიგნი უდავოდ საინტერესო გახლდათ, მაგრამ ამ გართულებულ ვითარებაში გატანა გაუჭირდებოდა, ისედაც უამრავი მასალა დაგროვებოდა...

23 მარტს ეს წიგნი ედებოდა წინ... ნაწილ-ნაწილ უპირებდა გამოქვეყნებას, ოღონდ უკითხავად ვერ გაებედა და: ვისთვის ეკითხა, ესეც რომ ვერ გაერკვია?!.

შეიძლებოდა დაბეჭდვა, თუმც არც სულ უმტკივნეულოდ...

ქუთაისი დახატულიყო მშვენივრად, დიდებულად.აუცილებლად უნდა გამოცემულიყო ხელახლა.

20 აპრილს დაიჩივლებდა, რომ: არაფერი ხდებოდა საინტერესო.

იჩქარებდა და სამ საათში, ცოტა ადრეც ჩამოვიდოდა თბილისიდან. პირველი მდივანი იქნებოდა კლუბში, შემდეგ ცალკეც ილაპარაკებდნენ. ცენტრალურ კომიტეტში წინა დღით მისი ახალდანიშნული მოგვარე ენახა რეზოს და: ის უფრო ენერგიული, ეშმაკი და არაფრისგამკეთებელი, თავხედი და უზრდელი ზრდილობიანი მოეჩვენებოდა, კომკავშირში გაზრდილს როგორც შეჰფეროდა.

უზრდელი ზრდილობიანი: რაოდენ სხარტი, ტევადი და მარჯვე დახასიათებაა, ერთბაშად რომ წარმოგიჩენს კომკავშირისა და მისი წიაღში გამოზრდილთა სულსა და რაობას.

გურამ ენუქიძეს რომ დაელაპარაკებოდა (ჩაელიმებოდა ამ დღიურების მომავალ წამკითხველზეც და თავის თავზეც: ვაითუ ეფიქრა, რეზო ყოველდღე იქ ხომ არ იჯდაო), პოლიკარპე კაკაბაძის პიესიდან „ყვარყვარე თუთაბერი“ კაკუტასა თუ ქუჩარას სიტყვები გაახსენდებოდა:

– მთავრობას ღონე სულ აღარ აქვს.

აღარც ღონე გააჩნდა, აღარც აღარაფერი. ადრე რომ ეშინოდა ხალხს მთავრობისა, ესენიც ამ შიშს იფერებდნენ. ახლა? ახლა აღარც ეშინოდათ...

ხვალ შეხვედრა უნდა გაემართა მგონი სადღაც... ავტოქარხნის რაიონის კომკავშირლებთან... შაბათს მახარაძეში გახლდათ დაპატიჟებული, სამშაბათს – ცაგერში, ხოლო კვირას: 55 წლისა ხდებოდა.

ჩაიღიღინებდა: დრო წავა მხიარულადაო.

ახლა კი იქნებ მიშა ჭიაურელთან დაერეკა.

2 დეკემბერს, ღამის 2 საათზე, არ ეძინებოდა და მუშაობაც არ ენდომებოდა. დასაწერი ექნებოდა ივანე ზურაბიშვილის წიგნისათვის ბოლოსიტყვაობა. არ უნდა ყოფილიყო ძნელი, მაგრამ ჩაჯდომა ენდომებოდა იმასაც.

23 მარტს „საბჭოთა ხელოვნებაში“ დაბეჭდილ ნაწყვეტს წაიკითხავდა და... გულს შემოეყრებოდა: გოეთე აქებდა ნაპოლეონს: სრულყოფილი პიროვნებაა. მიზანდასახულიაო.

მიდრეკილება ამნაირი პიროვნებების, ინდივიდების მიმართ ადრევეც ჰქონდა გამჟღავნებული „ფაუსტის“ შემოქმედს თუ... რეზოს ეშლებოდა?

„ეგმონტი“ ხომ გოეთეს დაწერილი გახლდათ.

სამაგიეროდ ლევ ტოლსტოი აგინებდა იმავე ნაპოლეონს და ამიტომაც გახლდათ ალბათ გოეთეზე უკეთესი მწერალიც, მოქალაქეც და მოაზროვნეც.

დაწერდა ამ სტრიქონებს და... შეჩქვიფდებოდა ერთბაშად:

ამის თქმის უფლება არა მაქვს ალბათ, რადგანაც გოეთეს კარგად არ ვიცნობ, მხოლოდ რამდენიმე ლექსი და „ფაუსტი“ საკმარისი არ უნდა იყოს ამგვარი შეფასებისათვისო.

ქუთაისის საქალაქო სესიას დაესწრებოდა და: ისევ იგივე იქნებოდა, ისევ იმნაირად.

ვაჟა ლორთქიფანიძეს გაესაუბრებოდა:

– გვიტევენ, გვაკრიტიკებენ, შეშფოთებული ხომ არ არის? – მოსინჯავდა.

– ვინ? – ისე გაუკვირდებოდა, ეს მიხვდებოდა, არა იცის რაო, და სხვა საგანზე გადაუტანდა სიტყვას.

– პატიაშვილმა მითხრა, თბილისში შემხვდესო, და მეც შენთან ერთად შემოვალ, – შესთავაზებდა ვაჟა.

– უთქვენოდ არ გამოვა რამე, ჟურნალად უნდა გადავაკეთოთ, დროა.

– მეც შენთანა ვარ...

შეიძლება მაგათი გამოყენებაო, – გაეხარდებოდა, – დროც ხელს მიწყობს და ვითარებაცო...

საპასუხო წერილი დიდი გამოდიოდა, ვეღარ დაემთავრებინა და ვეღარ...

ელდარ შენგელაია თავისას ნერვიულობდა თურმე უკვე.

25 მარტს რომ გამოიტანდა ერვე ბაზენის პირველ ტომს, კვლავ ის ფიქრი უტრიალებდა, რაღაც როგორ არ მექნება მისი წაკითხულიო. ვერ იხსენებდა და ვერა. ეს ტიპი – ფოტოსურათს რომ დახედავდა – არ მოეწონებოდა – აკი არც ტელევიზორის ყურებისას მოუვიდოდა თვალში და: ამან რა უნდა დაწეროსო, – გაიფიქრებდა.

არადა: არ უნდა ყოფილიყო ურიგო მწერალი.

პირველი ტომის პირველი რომანის სათაური კი ნამდვილად მოეწონებოდა, ანკი სხვაგვარად როგორ, როდესაც ამოიკითხავდა: „რეზოს ოჯახიო“.

1 აპრილს მურმან ჩაჩუასთაან შეიყრებოდნენ. ელიზბარ ჯაველიძეს წაეჩხუბებოდა რევაზ ამაშუკელის გამო. ოთარ მამფორიასი არ იყოს: ეტყობა სიფხიზლე ავარდნოდა თავში. არადა არც ენდომებოდა ამ კაცის განაწყენება: იქნებ დროზე დაბეჭდილიყო ეს პასუხი.

ხვალ მგონი „ზოგჯერ თქმა სჯობს“ უნდა გამოქვეყნებულიყო „კომუნისტში“. გადაეწყვიტათ დაბეჭდვა, თუ ბოლო წამს არ გადაიფიქრებდნენ, ანდა „სესიის მასალებს“ არ გამოუგზავნიდნენ რედაქციას.

სწორედ დღეს, 2 აპრილს უნდა ყოფილიყო იქ, კორექტურა წაეკითხა. ასეთი საპასუხისმებლო წერილი სხვანაირი პატრონობის ღირსი გახლდათ...

საოცრებად მოეჩვენებოდა ძირულა-ჩხერიმელას ხეობა – თეთრად იქათქათებდა უბისა, საქასრია, ხუნეთი, ხევი, ვერტყვიჭალა და სხვა კიდევ.

იმის წინათ – გელათი – მართლაც საოცარი. იშვიათად ენახა იმგვარი სურათი. ის დღე იქნებოდა ზუსტად იმნაირი, დღეს ამას ველარ ნახავდი!.. ხმელი მიწა, არავითარი სიმწვანე. თეთრი ყვავილები მიწისა და ქვის ფერში, ტაძრის ძვირფასი ყვავილები...

8 აპრილიც ჩამომდგარიყო – ღამის სამი საათი ხდებოდა. ეს სცენარიც გაიწელებოდა და დამთავრება აღარც ეწერა...

ელიზბარს შეხვდებოდა ისევ. იჟეჟებოდა, არ ენდომებოდა დაბეჭდვა, აშკარად ჩანდა. წამოელო უნდა, იმ შენიშვნებს ვერ დაეთანხმებოდა.

იცოდა და არ სცოდნოდა, ასეთი პატივმოყვარე ხალხი თუ ვიყავით.

თენგიზ აბულაძე შეხვდებოდა კინოსტუდიაში. დაუძახებდა შორიდანვე და ამას გაუკვირდებოდა. თუ ცხვირში არ ეტაკებოდი, სალამს არც გეტყოდა. და ახლა კი...

– ეს, – ამონაწერს აჩვენებდა რეზოს მისი სტატიიდან „ზოგჯერ თქმა სჯობს, – ვერ გავიგე. ჩემზეა ლაპარაკი, მივხვდი, მაგრამ „ჩვენს სატკივარს არ ეხება“ რას ნიშნავს? ალბათ გაუგებრობაა, ალბათ სხვა რამის თქმა გინდოდა.

– ყველაფერი ნათლად და გასაგებად წერია, შენი განცხადების მიხედვით, – „პრავდას“ დაუსახელებდა, – შენი „მონანიება“ კონკრეტულ პირს არ ეხება, ზოგადი დიქტატურის მხილებაა.

გაშრებოდა აინურებოდა რეჟისორი.

– მაინც არ არის მართალი, ფოფხაძეს შავი დღე უნდა დაეყაროს ამისათვის.

„ჩვენს სატკივარს არ ეხება“ მოხვედროდა გულზე.

– ამ წინადადებას სიტყვა „უშუალო“ უძღვის წინ, – ამას რეზო უკვე უკან გაბრუნებული იტყოდა.

რევაზ ჯაფარიძეს ეთქვა მისთვის, „საბჭოთა საქართველოს“ ბუღალტერიაში რომ შეხვდებოდა:

– „ლანჩხუთის გურიის ფენომენში“ მე ვარ ალბათ ნაგულისხმევი, „აურია“ გულშემატკივრებზე მე დავწერე.

გულიანად გაეცინებოდა რეზოს, რადგანაც ის წერილი ახსოვდა და ავტორი კი – არა.

– მე რა შუაშია ვარ, – განაწყენდებოდა სერგი ჭილაიაც, სახელმძღვანელოში მიხეილ ჯავახიშვილი თურმე მისი სტატიით წარმოდგენილიყო, – მთავრობა არ მაძლევდა სიმართლის თქმის ნებას.

– თქვენ ვინ გაბრალებთ, – კინაღამ გადაირეოდა რეზო.

ვიღაცას ტელეფონით დაერეკა, ეგინებინა მთელი ოჯახი:

– მაგას არ შევარჩენ ჩემს ლანძღვას.

ვინ გაელანძღა, წარმოდგენა არა ჰქონდა. და გაეხარდებოდა, რომ ცნობარებში ძველი ტელეფონის ნომერი ეწერებოდა.

უმრავლესობა კი, ვინც იცნობდა, აქებდა, თუმც გაჩუმებაც შეეძლოთ.

ისე ატყდებოდა კი აჟიოტაჟი იქით, ჟურნალი – აქეთ. მიეყოლებინა ბარემ ეს „პასუხიც“ და მორჩენილიყო.

10 აპრილს, აღდგომას კმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ გადაებეჭდა და გაესწორებინა „ასკილის წითელი ყვავილი“.

„პასუხის“ დაბეჭდვა გადაიდებოდა. სთხოვდა ელიზბარ ჯაველიძე:

– ჩაასწორე. ძალიან უყვარხარ, შვილები არ მომიკვდეს...

რევაზ თვარაძეზე ეტყოდა, იმ მწვავე პასუხის ადრესატზე.

აკითხებდა კოლეგებს რეზოს ამ წერილს... ერთ ჭკუაზე იდგებოდა ყველა როგორც ჩანდა, ჩავარდნოდათ ხელთ ქართული ლიტერატურის სადავეები მასწავლებლებს.

ხმა გავრცელდებოდა:

არჩილ სულაკაურს ნიშნავენ გიორგი ციციშვილის ადგილზეო.

დანიშნავდნენ მაინცა, – გონებაში დაუჯდებოდა ეს ცვლილება რეზოს, – ისევ ეგ ჯობია სხვას, თუმც ისიც პროფესორ-მასწავლებლების გავლენის ქვეშააო.

დაწერდა და გადაბეჭდავდა სცენარს, 117 გვერდი გამოვიდოდა და ერთ თავს ამოიღებდა კიდეც. ერთი მიბრუნება და... რომანი იქნებოდა თანამედროვე, უცნაური ამბავი...

აღდგომა დღესაც იმუშავებდა, რადგანაც სხვა გზა არ ექნებოდა, სხვანაირად ვერ ჩაჯდებოდა წლევანდელ სამუშაო გრაფიკში... დაღლით დაიღლებოდა კია...

ელდარი სცენარს წაიღებდა, იორამ ქემერტელიძე „პასუხს“ დაუბრუნებდა, ახლა უკვე „ცისკრის“ რედაქციაში მიტანილს:

– ორჯერ წავიკითხე, შეარბილე სიბრაზე, გაბრაზება დამალე.

ვახტანგ ჯავახაძეც ამასვე ეტყოდა:

– ეტყობა, რომ გაბრაზებულის დაწერილია.

რატომ არ უნდა დატყობოდა, არ ესმოდა რეზოს, მაგრამ ამ თვალსაზრისითაც გადახედავდა, რაკიღა ასე გახლდათ.

ჟურნალი იბეჭდებოდა. ოტია იოსელიანი ესტუმრებოდა. არადა ამბებს რეზო ჩამოუტანდა. რა ხდებოდა, ისევ მას უნდა ეთქვა, რა ეწერა – ისიც.

ზვიად გამსახურდია რომ შიმშილობდა პროტესტის ნიშნად, ნუ არის გადაქცეული დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის შემოგარენი სამხედრო პოლიგონადო, ესეც არ ეცოდინებოდათ.

ერთი თაღლითი წონას იკლებდა თეთრი სახლს წინ და ქვეყანას გააყრუებდნენ, აქ ეგეთი ამბავი ხდებოდა და კრინტსაც არა ძრავდნენ!.. არ ამბობდნენ და ხალხსაც აღარ აინტერესებდა.

– შიმშილობს? ვინ? ის? რას ამბობ? – და... ამით მორჩებოდა კიდეც ლაპარაკი ამ თემაზე.

2 საათი ხდებოდა და საქართველოს ტელეგადაცემები გრძელდებოდა. აჩვენებდნენ ამერიკულ ფილმს „ნათლია", ოთარ სეფიაშვილი რატომღაც „ნათლიმამას" რომ ეძახდა. ხვალ 14 აპრილი დგებოდა და სურდათ ახალგაზრდები შინ დაეკავებინათ. ამ შუაღამეს სადემონსტრაციოდ ხომ არ გავიდოდნენ? სურდათ ალბათ ძილიც გაეტეხათ, რათა ხვალისათვის აღარ ვარგებულიყვნენ!.. თუ რას ფიქრობდნენ ნეტა?.. ჯერ ერთი: ვიღას აკვირვებდნენ „ვიდეოთი", საერთოდ კი: თუ თავს შეიკავებდნენ, ემჯობინებოდა.

მომენტით სარგებლობას სიგლახედ მიიჩნევდა, ყველას დაენებებინა თავი ბუნტისათვის ჯერჯერობით.

თვით ეს კაცი – მიხაილ გორბაჩოვს იგულისხმებდა – მიდიოდა სწორად და ეცლიათ – გაძლიერებულიყო, ყოველგვარი სიგლახე ეთქვა, ეთქმევინებინა, დაეკანონებინა ეს რაღაც „დემოკრატიზმი" და შემდეგ უკვე ყველაფერი შეიძლებოდა.

ნაადრევი გამარჯვებით, სომხებისა არ იყოს, საქმე წახდებოა.

რეაქციონერები იღებდნენ ძალაუფლებას. ახლაც გაიძახოდნენ: აი რა მოიტანა დემოკრატიამო, – ერთი სული ექნებოდათ, როდის დამყარდებოდა კვლავ ტერორი, როდის გამეფდებოდა შიში და აღდგებოდა სტალინი... ამ წყვდიადს, ამ სიბნელეს სხვანაირად ესაჭიროებოდა შველა.

იმ „პასუხისთვისაც" უნდა გადაეხადა, ახლა ხვდებოდა; ეს გადახედვა კი კიდევ შეაფერხებდა. ნამდვილ საქმეს ველარ მოწეოდა, ვერ ჩაჯდომოდა, სინამდვილეში ისედაც დაგვიანებული გახლდათ. არადა: სულ მალე, რამდენიმე დღეში დაეწერებოდა ორი ხუთიანი: 55 წელი.

ძველ რვეულს გადაათვალიერებდა და ფერენც ლისტის სიტყვებს წაიკითხავდა ნიკოლო პაგანინზე: მის მოვლენილს გამჩენი მალე წაიყვანს, გააკეთებინებს და წაიყვანსო.

რეზო ჭეიშვილს – წესით – წასვლა არ უწევდა, რადგანაც მთავარი გასაკეთებელი რჩებოდა. იგვიანებდა, აქეთ და აქეთ გადმოწევდა და... სიცოცხლეს ამნაირად გაიხანგრძლივებდა.

ჭეიშვილურად თუ არ გახედავდა იმქვეყნად გადასახლებასაც, ისე როგორ იქნებოდა!..

წამოეშლებოდა და წამოეშლებოდა მოგონებანი.

ექვსი წლისას ეცოდინებოდა კითხვა. 7 წლისას შეიყვანდნენ სკოლაში. შესაძლოა ჩათვლით, ჩამარცხვლით კითხვა ორი წლით ადრეც კი ჰქონდა შესწავლილი. ახსოვდა თავი... პალტოც კი ახსოვდა თავისი მომწვანო, მუხისფერი ნაჭრის პალტო.

მაშინ გახლდათ ალბათ ყველაზე ძლიერი.

იქიდან იმ სისუფთავით, იმ შესაძლებლობით და აღმავლობით სვლა ჭეშმარიტებასთან, ღმერთთან მიახლოების ტოლფასი იქნებოდა. არ გახლდათ ალბათ საჭირო ეს მიახლოება, შეუძლებელიც უნდა ყოფილიყო.

ძალით რომ არ ასწავლიდნენ (განა რამდენს აითვისებდა მართლაც!), ესეც ძალიან კარგი იქნებოდა. გადაეტენებოდა გონება ენებით, ფილოსოფიით, მუსიკის თეორიით, მათემატიკით, იმდროინდელი შეხედულებებითა და ინფორმაციებით.

გაიზრდებოდა ლაღად, თავისუფლად, თამაშობდა, არ სწავლობდა, კითხულობდა, შიოდა, ეგ იქნებოდა.

ეყვარებოდა ადრიდანვე, ეყვარებოდა მძაფრად, მხოლოდ ცვალებადობით.

ფიქრები, ოცნებები... შემდეგ – ბოლობოლო – უმოქმედობა, უასპარეზობა, ღვინის სმაში, უაზრო სადღეგრძელოებში დაკარგული დრო.

სწორედ მაშინ მოეყვანა მეგობრები, მოწმესავით იჯდებოდა ბოლოს, უყურებდა და უკვირდა, როგორ თვრებოდნენ, ითიშებოდნენ, სისულელეებს ლაპარაკობდნენ. დედის გარდაცვალების დღეს, ზუსტად წლისთავს აღნიშნავდა და სწორადაც მოიქცეოდა. გადადებდი და... ვეღარ გადაიხდიდი...

„კომუნისტში" დაბეჭდილ წერილზე ისევ ეხმიანებოდნენ. ერთი ავად დარეკავდა თბილისიდან: მიიღეთ თუ არა ჩემი წერილიო? – გაბრაზებული – რეზოს როგორი შთაბეჭდილებაც დარჩებოდა – იკითხავდა. ვიღაცები შეხვედრას სთხოვდნენ...

21 აპრილს ედუარდ შევარდნაძე შეხვდებოდა შულცს, შინაურული მოლაპარაკება მიმდინარეობდა ჯერჯერობით. თვითონ იჯდებოდა გაფუყული, ავადმყოფური გამომეტყველებით. ცუდ დღეში ჩავარდნილიყო უკვე, რეზო როგორც ატყობდა: მართლაცდა სანამ გაძლებდა თეთრი ყვავივით ამდენ უცხოში?..

აწი და აწი ვიღა გაიხსენებდა ხელახლა, თორემ რეზოს იმ წერილს მეტი ძალა და მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა... ოფიციალურად არც არავინ გამოხმაურებოდა, თითქოს არც ყოფილიყოს... თავის ატკიება არ სურდა არავის.

რეზოს არც სურდა თავისი სიმართლე-სისწორის დამტკიცება: ხომ ვამბობდი, ხომ ვიძახდი, ხომ გაფრთხილებდითო!..

ყველასთვის მოებეზრებინა უკვე თავი „განთიადის" გამო და ერთმანეთს ეკითხებოდნენ: რა ვუყოთ, რა მოვუხერხოთ, რა ეშმაკად ავიკიდეთო!..

იყო, არსებობდა თავისთვის ეს „განთიადი", თავს არავის ახსენებდა, არავის აწუხებდა. რევაზ ღლონტი ახლა არკვევდა, როდის დაარსებულიყო, ბრძანების პირი სად მოძებნილიყო, რის საფუძველზე, რა ბრძანების

შემდეგ, რა დებულებით შექმნილიყო. არ არსებობდა ამგვარი ბრძანება, არეულ-დარეულად რომ იყო საქმე, იცოდნენ, მაგრამ რეზო რას ითხოვდა, ვერ გაერკვიათ...

ხშირად თვითონაც იბნეოდა, რა უნდოდა, თვითონაც ველარ გაეგო... უშუალოდ რას მოითხოვდა? დაეკანონებინათ და ექციათ ჟურნალად ალმანახი... ეს სურდა, სხვა რა – ქვევიდან უკანონოს გაკანონებაში უნდა ენახა სარგებელი.

ამ პროცესში, ამ ქექვაში – ეს არ სიამოვნებდათ ყველაზე მეტად – საქმეს უნდა წაეწია წინ... იმასაც არა ფარავდა, მთავარი რედაქტორი რომ არც გახლდათ ოფიციალურად. აქ საბუთებიც – პარტიული და პირადი – არ გადმოეტანა.

ასე როგორ შეიძლებაო? – უკვირდათ.

მართალია ეს კაციო, – ფიქრობდნენ.

თითქოს მართლა სურდა გადმოსვლა და დაფუძნება. მართლა კი ჟურნალის დაარსება უნდოდა მხოლოდ. ყოფნით ეგრე ყოფნა ერჩივნა ცხადია, ჯერ ვერ მოწყდებოდა იქაურობას, თბილისს ვერ მიატოვებდა, და ამ ყოფასაც ვერ გაუძლებდა დიდხანს: გზაზე გაკრულსა და ორი ქალაქის ბინადრობას ერთდროულად.

ისეთი განწყობილება ტრიალებს ამ პასაჟში, ისეთი სურათი იბლანდება, თითქოს თვითონვე იყოს თავისივე მოთხრობების პერსონაჟი. თუმც... თვითონვე გახლდათ, აბა სხვა ვინ, ყველა ის მთავარი გმირი, „ჭიდან", „გიადან", „კვამლიდან", „მეოთხე სიმფონიიდან" და კიდევ არაერთი ნოველიდან თუ მოთხრობიდან რომ შემოგვყურებდა, ილია ჭავჭავაძისა და ლუარსაბ თათქარიძისა არ იყოს, რეზო ჭეიშვილს – ბევრი თანამოკალმისა თუ მკითხველისაგან განსხვავებით – ძალიანაც რომ მოსწონდა ეს პერსონაჟი და ვერ გაეგო, იოლად რატომ წამოჰკრავდნენ ხოლმე ხელს, ცალმხრივად და ერთ განზომილებაში რატომ აღიქვამდნენ ამ საკმაოდ რთულ და მრავალწახნაგოვან ხასიათს.

24 აპრილის საღამოს მზის ჩასვლას უყურებდნენ ის და მისი სტუმრებიც გელათის მონასტრის ეზოდან. ორი ხუთიანივით აღბეჭდილიყო მისი ცხოვრებაც უკვე. ხოლო იქაური რესტავრატორი თუ მუზეუმის თანამშრომლები ეტყოდნენ:

აქედან აკადემიის შენობის მზერაგავლით, თაღებიდან უნდა გაიხედოთ.

ჩაჯდებოდა მართლაც ბალახზე და მიაჩერდებოდა გავარვარებულ სპილენძის წრეს.

მანამდე ქვევით ისხდებოდნენ. თხუთმეტამდე კაცი შეიყრებოდა საბოლოოდ, ბევრი განაწყენებული დაურჩებოდა... მზის ჩასვლამდე აიშლებოდნენ. გაზაფხულის ნამდვილი დღე იქნებოდა და მალეც მოითენთებოდნენ. ზოგი დაიფანტებოდა, რეზო კი რამდენიმე კაცთან ერთად ააკითხავდა დავით აღმაშენებლის საფლავს, რომელზეც ყვავილები ეწყობოდა, ყვითელი და წითელი ყვავილები, არც ბაღისა და არც მინდვრისა... რაღაც უდღეური მცენარეები, ლევან მალაზონია რომ მოხვეტავდა და გადაჰყრიდა, რადგანაც სასტიკად არ უხდებოდა იმ ქვას, იმ ლოდს ყვავილები.

და რეზოს წამოაგონდებოდა 1982 თუ 83 წელი, ქუთაისში შეხვედრას რომ მოუწყობდნენ მუხრან მაჭავარიანს, უამრავ წითელ მიხაკს მიუტანდნენ თეატრსა და პიონერთა სასახლეში. დილით რეზო გელათში – იქ ეგულებოდა მუხრანიც და მისი თანმხლებნიც – რომ ააკითხავდა, დავითის საფლავთან დაუხვდებოდნენ. წითელი მიხაკები კონებივით დაეყარათ საფლავზე. მუხრანი კმაყოფილი იდგებოდა და დატკბებოდა თავისი ნახელავით.

არადა: არ უხდებოდა მიხაკები იქაურობას...

აქ კი შეხვედრები გახშირდებოდა... ეძახდნენ რეზოსაც აქეთ, იქით... ყველას არ თანხმდებოდა ცხადია, თუმც უარსაც არ ეუბნებოდა ყველას. დრო იდგა ისეთი, ხალხთან ლაპარაკი აუცილებელიც გამხდარიყო.

აკაკი სურგულაძის წერილი გამოქვეყნდებოდა „კომუნისტში" დღეისათვის საჭირბოროტო საკითხებზე... რეზოც დაემოწმებინა, მისი სტატიის საპასუხოდაც დაეწერა, ამას ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა...

29 აპრილს ისევ ტრიბუნებს ამზადებდნენ, ისევ სადემონსტრაციოდ ემზადებოდნენ. ერთი თქმა იტყოდნენ თითქოს გაუბედავად: არ გვინდაო, – მაგრამ ჯერ ვერ შეძლებდნენ უჩუმრად გადაგორებას 1 მაისისა. ამით ცოცხლობდა მთელი რუსეთი.

ცაგერის რაიკომის მდივანს ჰკითხავდა და:

– კი, ვზეიმობთ, სოფლებიდან უნდა ჩამოვიყვანოთ ხალხი, – ჩაილაპარაკებდა უკმაყოფილოდ, – ვითომ საქმე არა აქვთ იმ სოფლებში, ვითომ საზეიმოდ ჰქონდეთ ცხოვრება მოწყობილი, მოსახლეობა ცოტაა, ისევ კლებაში ვართ, ზრდის პროცესში მინუსია.

კოლმეურნეობა, მეურნეობა იშლებოდა, ხალხს მიწებს ურიგებდნენ და... არ უნდოდათ... ვირს რომ ეტყოდა მოლა: ჭამას რომ გადაგაჩვიე, მერე მოკვდიო!.. – ისე იქნებოდა გლეხობის საქმე.

– ხუთი კაცი მოვიდა იჯარაზე, ხუთმა ჯგუფმა ითხოვა მიწა, – გახარებულიყო რაიკომის მდივანი ემზარ გუგავა.

მშვენიერ შეხვედრას მოუწყობდნენ მიშა ჭიაურელს, ოთარ მელვინეთუხუცესსა და რეზოს, მშვიდი, ლამაზი საღამო გაიმართებოდა.

3 მაისის ჩანაწერში აღნიშნავდა, ემზარ კვიტაიშვილი რომ სტუმრებოდა და მიეყვანა შვილიც – დათო. სიმაღლეში გაზრდილიყო დავითი, ცოტა დამცხრალიყო, რაღაც შედეგი გამოეღო აშკარად, ცვლილება შესამჩნევი იქნებოდა. დაუტოვებდა ემზარი თავის ლექსებსაც და დათოსიც...

წინ ედებოდა რუსულად დაწერილი „ჩვენ მესხები ვართ", ავტორები – კლარა და ლატიფშა ბარათაშვილები. საინტერესოდ და საჭიროდ ეჩვენებოდა. უნდა თარგმნილიყო და დასაბეჭდადაც გამზადებულიყო.

რაზე ფიქრობდა იმ დღეებში და:

ისევ პარადები, ისევ ტრიბუნა, დამონებული, თავმოყვარეობადაკარგული ხალხი. სიცივისაგან ძაგძაგებდნენ ნახევრადშიშველი ბავშვები... ტრანსპარანტები მაინც მოჰქონდათ ადამიანებს, რომელთაც ყველის ფული არ გააჩნდათ, მათი ცოლები კი მაღაზიებში დარბოდნენ, იქნებ ყველი და გაყინული ხორცი ვიშოვნოთ როგორმეო.

ამაზე უნდა დაეწერა, თუ შემთხვევა მიეცემოდა, უნდა ეთქვა, და იტყოდა კიდეც.

რევაზ მიშველაძეს შეხვდებდა იორამ ქემერტელიძესთან.

– ქუთაისში ვერ გნახე, ცაგერში ფილმი ვაჩვენეთ.

– რა ფილმი, რომელი? – ძალიან დაინტერესდებოდა, და ძველი სურათი რომ აღმოჩნდებოდა, დამშვიდდებოდა, – ვიცი მაგი მე.

კინო ვერ დაეპყრო ვერაფრით და წუხდა. დანარჩენისათვის – ყველაფრისათვის მიელწია მის ჭკუით. მასთან კარგი ურთიერთობა ექნებოდა. აღიზიანებდნენ: ჭეიშვილის გავლენის ქვეშააო... – და მაინც პატივს სცემდა უფროს სეხნიას გარდამავალი თანმიმდევრობით...

გურამ გეგეშიძე დაურეკავდა, რაღაცის მოტანას აპირებდა 1924 წლის აჯანყებაზე... და რეზოს ეჭვიც არ ეპარებოდა, საინტერესო რომ იქნებოდა, ძნელად დასაბეჭდი და საინტერესო.

გურამ მამულიას უნდა შეხვედროდა მესხების წიგნის თაობაზე.

5 მაისს ჩამოვიდოდა თბილისიდან. აიკლებდნენ ტელეფონით: რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელი კრებაა და ჩამოხვიდე უნდაო. თავადაზნაურთა ბანკის წინამძღოლის არჩევნები ყოფილიყოს თითქოს... ირაკლი აბაშიძე, რევაზ ამაშუკელი და ადგილობრივი მკვიდრნი. აირჩევდნენ დავით კვიცარიელს – კვლავ ირონიულად გადაუკეთებდა გვარს და დასძენდა: ყველაფერი სულელურად, დამპლურადაა მიჩათლახებული, ყველაფერი ძველებურადაა ერთი სიტყვითო.

ტარიელ ჭანტურია მაინც გაჰკრავდა კბილს ამათ ჟურნალს და რეზო გულისწყრომას ამოანთხევდა:

მორიელია სუფთა, ნაკლებად შესწავლილი ქვესახეობა მორიელისაო.

გია ლომაძე მოთხრობას მისცემდა ალმანახისათვის: „ქვასანაყი“.

12 მაისის ჩანაწერი გვამცნობდა, რომ:

ურეკავდნენ, კითხულობდნენ თურმე. შეხვედრები უნდოდათ ავტოქარხნის რაიონს, „ცოდნას“... რევაზ მიშველაძეს ქალაქი უხდიდა თურმე საღამოს ორშაბათს...

„ეს საზოგადოება მეტის ღირსი არც არის, მაგრამ ავყვე ამ უაზრობას, შეუსაბამობას?..“

ანა კალანდაძეს კი სკოლაში შეხვდებოდნენ მხოლოდ, რკინიგზის სკოლაში, არ იუკადრისებდა, და მოუწონებდა ამ საქციელს რეზო ჭეიშვილი: სწორიცააო!..

13 მაისს დარეკავდნენ „კომუნისტის“ რედაქციიდან:

– თქვენს სტატიაზე „ზოგჯერ თქმა სჯობს“ 40-მდე წერილია მოსული და: მიმოხილვა უნდა გავაკეთოთო, – რედაქტორმა.

ამაზე სიამოვნებით დათანხმდებოდა: ხუთშაბათს მანდ ვიქნებიო...

ორი დღის შემდეგ რა გუნებაზე დადგებოდა და:

ყველაფერს ვაკეთებ, რომ არაფერი გავაკეთო... ვფიქრობ კიო...

მის გარშემო ტრიალებდნენ, ფიქრობდნენ მასზედაც და – მაინც... რევაზ თაბუკაშვილი ილაპარაკებდა ტელევიზიით სტალინზე. რაც რეზოს და-

წერილი გახლდათ და ნათქვამი, იმისაგან წაკითხული და გაგონილი, სწორი იქნებოდა, რაც ამისი არა – არასწორად და სულაც სისულელედ მოეჩვენებოდა. სიტყვებსაც კი გაიმეორებდა ამისა და... დასახელებით არ დაასახელებდა. და დღიურს მიანდობდა გულისწყრომას რეზო: რა სინდისია ეგ, ვერ გავიგეო...

ორი ხანჯალი ედებოდა სასთუმალქვემოთ და ეგონებოდა: ამის გამო ვერ ვხედავ სიზმრებსო. ახლა პოლიტიკური მოლანდებებიც დაეწყებოდა. გარეჯობას აჩვენებდნენ, ცალყბად ესეც რომ იქნებოდა მიპატიჟებული.

25 მაისს ჩაინიშნავდა, რომ:

საინტერესო მასალები დაგროვებოდა ალმანახისათვის. ახლა იმას ფიქრობდა, როდის და როგორ დაებეჭდა. გასესხებაც შეეძლო უკვე ზოგიერთის – მაგალითად გივი მაღულარიასი.

საინტერესო სტატიას გამოაქვეყნებდა „კომუნისტი“, ძალიან საჭიროსა და დროულს. უშანგ სიდამონიძე აღმოჩნდებოდა ავტორი. არ იცნობდა ამნაირ კაცს.

– გარიყული ჰყავთ, – ეტყოდნენ.

დამწერზე კი არა, დამბეჭდავზე იყო საქმე. ეძიებდა და ვერ დაუკავშირდებოდა ნუგზარ ფოფხაძეს, აღარც დადიოდა სამსახურში, გამზადებულიყო საცეკასმდივნოდ...

ხვალ 26 მაისი თენდებოდა.

„რისი გაფიქრებაც არ შეიძლებოდა, დაწერა და დაბეჭდვაც შეიძლება იმისი...“

ხვალვე სტუდენტებს აქვთ განზრახული გამოსვლაო, – გაიგებდა, – თითქოს ოფიციალურადო.

სატელევიზიო პროგრამა გადაიტვირთებოდა კაი-კაი რაღაცებით. ახლა აჩვენებდნენ „ქარწაღებულთ“, 1979 წელს გადაღებულ ამერიკულ „ბოევიკს“ ვიეტნამ ლის მონაწილეობით, ხმაურით, გაუწყვეტელი მუსიკით. თავი ეტკინებოდა...

წამოიღებდა „კომუნისტიდან“ მის სახელსა და პუბლიცისტურ წერილზე გამოგზავნილ ბარათებს, სავსეს საშინელი ლანძღვა-გინებითა და ქებითაც.

გაამზადებდა პატარა სტატიასაც „ლიტერატურულ საქართველოში“ მისატანად.

იფიქრებდა, იფიქრებდა და... თავს შეიკავებდა, აღარ გადაბეჭდავდა. თავის გამოჩენისათვის აკეთებდა, ეგონებოდა... ასეც იყო შეიძლება, თუმც იმ წერილების ნაკადი ძალიან ჩააფიქრებდა, გაბრაზებით კი აღარ გაბრაზდებოდა. ადრე მიღებული ორი ბარათის დახევასაც ახლაღა ინანებდა.

ალიოშა ჭეიშვილი ესტუმრებოდა. ამას მოძალადე ავტორი ეგონებოდა და ცივად შეხვდებოდა თავდაპირველად. მამის წერილს – დაბეჭდილს – მიიტანდა ვაჟა-ფშაველაზე. აქებდნენ და შეიძლებოდა ალბათ ხელახლა გამოქვეყნებაც. მიწიშვილებიც დაბეჭდილ მასალას გადასცემდნენ, წიგნადაც ყოფილიყო გამოცემული, მაგრამ 1927 წლის შემდგომ აღარ გამოსულიყო თურმე. ეძებდა რეზო ადრე წასაკითხად, ძალიან აინტერესებდა ახლაც.

თენგიზ აბულაძე შეეჩეხებოდა კიბეზე და გვერდს ვეღარ აუვლიდა.

– ნაწყენი ხომ არა ხარ?

– ვარ!..

აკი აეხსნა, გაეგებინებინა... მაგრამ ვერ დაეჯერებინა. აღზევებულიყო და კიდევ კარგად გახლდათ ამის შეტყობით. რონალდ რეიგანთან შეხვედრაზე მიდიოდა მოსკოვში. სერგო ფარაჯანოვიც მასთან ერთად.

ირაკლი აბაშიძე პარტკონფერენციის დელეგატი გახლდათ. ვერ გაცდენოდა საქართველო ირაკლის უმაღლესობას. და დღიურს მიენდობოდა ეს გაგულისებაც:

დღევანდელი საზოგადოებაც იმ დონეზეა, ჩვენი აზროვნების საშუალო არითმეტიკის დონეზე რჩება ჩვენთვის და ესაა სწორედ ჩვენი უბედურებაო.

ერთ პატარა რედაქციას გახსნიდა ფაქტობრივად თბილისში. სამი თანამშრომელი ეჯდებოდა ერთ პატარა ოთახში. ნუგზარ ფოფხაძეს გააცეკასმდივნებდნენ ამასობაში.

„კარგია ალბათ. სხვას ეგ ჯობია“.

რონალდ რეიგანიც აპირებდა ჩამოსვლას და... დღეს აგერ დისიდენტებსაც მიიღებდა. ზვიად გამსახურდიაც იქ უნდა ყოფილიყო.

ჩვენები – ანუ: ამგენი – ინდიელებს გამოიყვანდნენ და აგინებდნენ რეიგანს: არავითარი უფლება იქ ადამიანს არა აქვსო. ამერიკიდან მოსკოვში როგორ ჩამოეყვანათ რეიგანის საგინებლად?! ეგ ვითომ არაფერი!..

31 მაისის დილით ტელევიზიით მეგრული – ზუგდიდიდან – ფოლკლორის საღამოს აჩვენებდნენ. ვახუშტი კოტეტიშვილი უძღვებოდა და ეს ერთერთი იმგვარი საღამო იქნებოდა, რომელიც მოეწონებოდა კიდეც რეზო ჭეიშვილს, თუმც ბოლომდე არც უყურებდა.

წაიკითხავდნენ ადრე დაწერილ, გარდაცვლილ ავტორთა ლექსებს. რამხელა სევდა და მწუხარება სუფევდა იქაც. ვახუშტისაც ეთარგმნა კარგად რამდენიმე. იმღერებდნენ კიდეც... ლექსშიც და სიმღერაშიც სევდა იქნებოდა აუწერელი, სევდა ნისლისა, ჭაობისა, ტყის ბინადართა, მტრის არსებობისა, შიში ომის, ბავშვების მოტაცებისა... ტანჯვა ხალხისა. ციება, ბატონი, მტერი, ომი და დედის ძუძუდან ბავშვების აღლეტა – ერთი ამნაირი სცენა აეწერა ჟან შარდენსაც თუ ჯუზეპე მილანელსაც...

ეს სევდა, წუხილი და შიში ჯერ არ აღწერილიყო ბელეტრისტის, შემოქმედის მიერ სათანადოდ გათავისებული.

„ეს დასაწერია...“

ადვილი მისახვედრია, თვითონ რომ გაუჩნდებოდა სურვილი ამ ყოველივეს აღწერისა, ამ სევდისა და მწუხარების, ამ ნისლის, ჭაობის, ბავშვების მოტაცების გადმოტანისა პროზაიკოსის თხრობაში.

2 ივნისის ღამეს 12 საათს გადაცდებოდა უკვე. სამუშაო ექნებოდა, მაგრამ ვერა და ვერ დაიწყებდა. „ვერემიას“ შემდეგ იდგებოდა და ილაპარაკებდა აგრონომი, ანუ: მიხაილ გორბაჩოვი, ილაპარაკებდა და დატკბებოდა თავისი თავით ეს ტიპური მოლაყბე, თუმც – რეზო ჭეიშვილის შეტყობით –

ამნაირი ხელმწიფე რუსეთში არ დამდგარიყო მას შემდეგ, რაც შეგვიერთებდნენ, ამნაირი კარგი და პროგრესული მმართველი არ ყოფილიყო, მართვის აპარატშიც არ ჰყოლოდათ ამნაირი... და მაინც მომაბეზრებელი გახლდათ...

ხალხს საჭმელი უნდოდა და არა თავისუფლება.

ამიტომაც შეიძლება მოეკლათ კიდეც, ყოველ შემთხვევაში ემეტებოდათ საამისოდ.

და კვლავ გაიმეორებდა, რომ:

ამჟამად რაც ხდებოდა, რისი თქმაც შეიძლებოდა, რისი დაბეჭდვაც, რისი დაწერაც, აქამდე ამაზე ვერც იფიქრებდი, ფიქრიც კი გეკრძალებოდა.

დაამთავრებდა ლაპარაკს და ჩვენი ტელევიზიის დიქტორი მოიბოდიშებდა:

სერგო ფარაჯანოვის „სურამის ციხის ლეგენდას" ველარ გიჩვენებთო.

ისე კი არჩევნებით დაიწყებოდა ამ სახელმწიფოს დაშლაც.

ამბობდა ხოლმე რეზო:

– როცა მაგენი ორ კომუნისტს – ერთს მაღალს და მეორეს დაბალს – აირჩევენ, კიდეც დაიღუპებიან.

არჩევა, თუნდ ერთიდაიმავესი, ლაპარაკის თავისუფლებას ნიშნავდა. ერთი უნდა გექო, ერთი უნდა – მეტ-ნაკლებად – გეგონებინა, ეს კი საკუთარ აზროვნებას უწყობდა ხელს... ეგ გახლდათ დაშლის, რღვევის პირველი ნიშნები და... ამასაც მოესწრებოდა. დაეცადათ – იქნებ 5-6 წელიც ყოფილიყო საკმარისი. ფსიქოლოგია შეიცვლებოდა ადამიანებისა ამასობაში, თანაც რამდენი სტალინელი წავიდოდა ამქვეყნიდან და ძველი დროც აღარ მობრუნდებოდა. თუ მაინცდამაინც უნდა მობრუნებულიყო, მცირე ხნით და არა იმ ფორმით...

6 ივნისს გიორგი ხარაბაძე წაიკითხავდა ტელევიზორში ილია ჭავჭავაძეს და აჭარის შემოერთებაზეც – 1878 წლისა – იტყოდა; წაიკითხავდა, რა გახარებული ჩანდა ილია, და მთელი მოწინავე ქართველობაც გახარებული იქნებოდა მაშინ. გავიდოდა 100 წელი და მეტიც და... ჯერაც არ მორჯულებულიყვნენ... საშინელებააო, დასძენდა რეზო.

გოგი კი კარგად და ჭკვიანურად წაიკითხავდა ილიას. კარგად ექნებოდა ტექსტი ჩამონტაჟებული.

და რეზო უცბად დაალაგებდა გონებაში აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ საიუბილეო ნომერს.

ორი წელი იდო იქამდე. ორ წელიწადს არ გააჩერებდნენ ალბათ. ისე კი ჯობდა 1990 წლამდე მისი აქ ყოფნა, მისთვისაც კარგი იქნებოდა და საქმისათვისაც...

რევაზ ჯაფარიძეც ილაპარაკებდა ტელევიზიით. საჭირო გამოსვლა იქნებოდა მაინც. ბევრს სწორს იტყოდა, და რაც მთავარია – ამას საერთოდაც ვერ დაუკარგავდი – გულწრფელად ილაპარაკებდა.

13 ივნისს გურამ ფანჯიკიძეს – როგორც ლევან მალაზონია ეძახდა: ფუნჯიკიძეს – გამოიყვანდნენ ტელევიზიით. იმდენ სისულელეს იტყოდა, რეზოს გული გაუხდებოდა ცუდად. იმის სისულელეს ამაზე რატომ უნდა

ემოქმედა?!. ხალხი უსმენდა, ხალხს მართლა მწერალი ეგონა. სტალინს აქებდა და ადიდებდა, ცეცხლზე ნავთს დაასხამდა ამ ვითარებაში. უმრავლესობის განწყობილებას გამოხატავდა, თუმც გულწრფელად – ამ მხრივ არ ერჩოდა რეზო – მაგრამ პრიმიტიულად, პარიკმახერის დონეზე ილაპარაკებდა...

ეგ იყო დღევანდელი საქართველოს უმრავლესობა.

რუსეთის ინტელიგენციას – ებრაელებს უმეტესად – იგორ ლიგაჩოვის გამარჯვებისა ეშინოდა: სტალინურ ნორმებს აღადგენსო.

ქართველებს – პირიქით!..

მთავარია დღევანდელ პოლიტიკურ კურსზე გაემარჯვა ვიღაცას და აღარ დაგიდევდნენ. არადა ლიგაჩოვი არ იყო, გულისწყრომას რომ გამოთქვამდა: რატომ სწავლობს ამდენი ქართველი ქართულ უნივერსიტეტშიო?!.

ალმანახისათვის უამრავი მასალა დაუგროვდებოდა და საფიქრალიც ეგ ექნებოდა. ხვალ იქნებ ნუგზარ ფოფხაძეს დაკავშირებოდა და ეგებ გაეზარდა ფორმათა რაოდენობა... თითქოს ზღაპარივით გამოიყურებოდა, მაგრამ შეიძლებოდა... ეზარებოდა კია...

პარასკევისათვის იქნებოდა ალბათ „განთიადის“ სასიგნალო ნომრები. რეზოს „პასუხიც“ დაიბეჭდებოდა და აინტერესებდა: რას იტყვიანო!..

ამ დროს ქვევით, ხევში, ყოველთვის და ახლაც, ხმამაღლა მოთქვამდა ერთი ფრინველი. ბუ იყო თუ მიკიოტი. და დაინტერესდებოდა: ნეტა რა განსხვავებაა მათ შორისო?!. ვიღაც, მგონი ადამიანი ეხმიანებოდა ცოტა ხნის წინათ ზემოდან, ალბათ რომელიღაც სართულის აივნიდან. ბუ მოთქვამდა, – და კაცი სტვენდა ბუსავით. ახლა შორიდან ისმოდა მხოლოდ იმ ფრინველის ხმა. ბაყაყებიც ტიროდნენ თუ მღეროდნენ, უხმობდნენ ერთმანეთს.

რაც აქ ჩამოვიდოდა, თბილისში – 1954 წელს – მანამდეც, გამოცდებს რომ აბარებდა, ხევში ჩადიოდა. რაც აქ ცხოვრობდა – 1970 წლიდან – ანადგურებდნენ აქაურობას და ჯერჯერობით ვერ მოესპოთ მთლიანად.

ახლა კი, 22 ივნისს, აქ იმყოფებოდა, „ლეჩკომისია“ ერქვა თუ „ლეჩკომბინატი“, ესეც არ იცოდა. დაცინვით „სამკურნალო კომბინატად“ მოიხსენიებდა „რასემონში“. ასეც ერქვა მგონი. ელდარი იმარჯვებდა და გაუკვალავდა გზას, თორემ ამას არაფრით არ ენდომებოდა წამოსვლა „ლეჩკომისიაში“.

ქუთაისშიც რომ ვერ შეძლებდა წასვლას, ატყობდა. წნევა დაუწყებდა ყანყალს და სისხლი წასკდებოდა რამდენჯერმე. კარგად რომ გახდებოდა, მაშინღა დაწვებოდა. ორსაწოლიან კუთხის ოთახში იქნებოდა მარტოდმარტო, მყუდროდ, მუშაობაც შეიძლებოდა.

ალმანახს კითხულობდა და ეჩვენებოდა, რომ: სულ აღარ იყო „პასუხი“ საჭირო.

ცირა ყურაშვილის ლექსები იქნებოდა საინტერესო, უკვალოდ არ უნდა ჩაეარა. გამოხმაურება უნდა გამოეწვია.

24 ივნისს, ღამის 12 საათზე ჩაინიშნავდა, რომ: ფრიად საგულისხმო ეჩვენებოდა პატარა მოთხრობა თუ უფრო მოთხრობასავით, ახლახან რომ დაეწე-

რა: „რკინის სახკომი". გადაწერდა და მზად იქნებოდა, მაგრამ ღორეშაში უნდა შეევლო მანამდე აუცილებლად, სერგო ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმში.

ხვალ ფეხბურთი უნდა ყოფილიყო, ფინალი. აქ იყო ტელევიზორი, მაგრამ ისეთები უყურებდნენ, რომლებიც რუსებს „ჩვენებს" ეძახდნენ. რეზო ჰოლანდიელებს უნდა მიმხრობოდა და რასაკვირველია არა ღირდა ამ ხალხში ყურება. ან მოატანინებდა პატარა ტელევიზორს, ანდა გაიპარებოდა, თუმცაღა ამას კრძალავდნენ. პატივისცემით ეპყრობოდნენ და შენიშვნას ვერ აიტანდა.

გაგზავნიდა ქუთაისში ნოდარ ნათაძის მიერ თარგმნილ „ჩვენ, მესხებს" და მიხეილ ქვლივიძის საგულისხმო წერილს, გურამ მამულიას წინასიტყვაობასაც მიუტანდნენ. უნდა ჩაესწორებინა, რადგანაც უჭირდათ წერა მისთანებს. კეთილსინდისიერი კაცი ჩანდა და იმ დღეს კი იტყოდა:

– უნდა ჩამოეხრჩოთ ოცი გათათრებული თავის დროზე და ყველაფერი მოგვარდებოდა მესხეთში.

მე მგონია, ამის წინააღმდეგ იბრძოდით და რას ამბობთ, – გაიფიქრებდა რეზო. თქმით კი არას ეტყოდა, მხოლოდღა გაიღიმებდა. მგონი მიხვდებოდა ის, რაც გაეფიქრა რეზოს. მაგათ პოზიციას კი შემდგომში გაარკვევდა.

მუხრან მაჭავარიანს გამოექვეყნებინა „საუნჯის" ფურცლებზე – სულ არ იყო იქ ამისი ადგილი – ნაწილი თავისი მრავალწლოვანი გამოკვლევისა: შხერო. ადრე ძალიან უწონებდა რეზო და ახლა რომ დახედავდა: ნამეტანი სასაცილო ხომ არააო? – გაიფიქრებდა. ტექნიკურადაც უცნაურად დაბეჭდილიყო. საქმე არა ჰქონდა რაო, იტყოდა ბევრი და... ვაითუ არცთუ ტყუილუბრალოდ. კიდევ უნდა გადაეხედა „შხეროსათვის". ცუდი განათება ექნებოდა და უჭირდა კითხვა.

ამ კვირას უნდა გაწერილიყო აუცილებლად. ქუთაისში სურდა ყოფნა. ახალი მოთხრობისთვისაც უნდა მიეხედა.

27 ივნისს ჯერაც საავადმყოფოში იქნებოდა.

მუხრან მაჭავარიანი გამოაქვეყნებდა ლექსებს, რუსთაველის პრემიაზე სურდა წარდგენა და დაუბეჭდავდნენ ბევრს ერთად.

გადაიკითხავდა რეზო და ჯერ ვერას იტყოდა. დონე გახლდათ ოსტატობისა, სიცივეც. ერთი-ორგან წონასწორობაც დაეკარგა. ეს უკვე აღარ ევარგებოდა. ყურადღება რომ ვეღარ მიეპყრო კარგახანია, კაიხანი რომ ეთმინა, ირაკლი აბაშიძისათვის „ჩათლახი" რომ ეწოდებინა, ამით შეახსენ-შეასენსაციურებდა ვითომ მკითხველს?

პატივმოყვარეობა არ ასვენებდათ არც იმას და არც სხვებს.

რევაზ მიშველაძეც მოუხშირებდა ბეჭდვას, ისიც ამ პრემიაზე იგლიჯებოდა, გინდა თუ არა მისი მფლობელი უნდა გავხდეო.

პრემიას კი იგდებდი ხელთ, მაგრამ ლაურეატობას როგორ მოიპოვებდი, გივი ძნელაძის ერთი მოხდენილი ხუმრობისა არ იყოს.

ლევან მალაზონიას ეტყოდა რეზო.

– კარგი, რას მისამძიმრებ, მაგათ – მიშველაძეს, ფანჯიკიძესა და მათნაირებს უნდა მისცენ სწორედ, უფრო გაბითურდება ისედაც გაბითურებული პრემია.

არადა: რა ეშმაკად უნდოდა ეს გაბითურებული ჯილდო?

დაწერდა ამ ფრაზას და შეჩქვიფდებოდა:

მეც ვკარგავ წონასწორობას, ასე გამოდისო.

აქ იწვა დავით კლდიაშვილის ქალიშვილი – ქეთო, 1904 წელს დაბადებული. გონებაზე კარგად იქნებოდა, ფეხზეც იკუნკულებდა. გამოეცნაურებოდა რეზო, დაელაპარაკებოდა, საღად მსჯელობდა. აგინებდა ანზორ ბურჯანაძეს – მაშინ რაიკომის მდივანს:

– ის სახლი არ უნდა დაენგრიათ, ახლით არ უნდა შეეცვალათ. ვიბრძოლე, არაფერი გამოვიდა. სერგო, საწყალი, უხერხულობდა, დათო მაშინ ბავშვი იყო.

ანზორ ბურჯანაძეს კი, ეს რეზოსაც ეცოდინებოდა, მაშინ თავის გამოჩენა ენდომებოდა და დავითისეულს თუ დაანგრევდა და იმ ადგილას თავის ნახელავ-ნაღვაწს ჩადგამდა, კარგი ეგონებოდა.

ირაკლი აბაშიძეზე იტყოდა ქეთო:

– უვარგისი კაცია.

აქაც მართალია ალბათო, – დასძენდა რეზო.

30 ივნისს ის ანდაზა წამოაგონდებოდა: ქაჩალმა ჯერ არ მოიფხანა, შემდეგ კი სულ მოიგლიჯაო, – რათა მიედევნებინა: ასეა ამათი საქმეო.

გამოდიოდნენ ტელევიზიით და რას ლაპარაკობდნენ, გაოცდებოდი.

აგრონომი – ანუ: მიხაილ გორბაჩოვიც – ჩართულიყო კამათში, ხან თავს იმართლებდა, ხანაც, რეზოს ვერ გაეგო, რას ჩადიოდა!..

რა სისტემა ჩამოყალიბებულიყო ამნაირი, ვინც იქ მოხვდებოდა – ეგ როგორ მოხვედრილიყო, გაუგებარიც კი იყო – დღესვე, ნებისმიერ დროს შეეძლო გასტალინებულიყო.

არადა: სანთლით საძებარი გახლდათ ადამიანი ამ დროში, ამ ვითარებაში... არამყარის შთაბეჭდილებას კი ტოვებდა, აგერ-აგერ ჰკრავენ ხელსო, ფიქრობდი, როცა უსმენდი და უყურებდი.

საავადმყოფოში მიაკითხავდა ირაკლი ბაზაძე. ტარიელს ეთქვა: შენ ირაკლი კი არა, ირანი ყოფილხარ, რეზომ მითხრაო. – არც ვმალავ, მერე რა მოხდაო? – მიუგია. რეზოსთვის რომ გეკითხათ: ირაკლის ირანი სჯობდა და ერჩივნა, ირანი მოეწერა ლექსებისათვის...

დაამთავრებდა მოთხრობას, რომელსაც სათაური არ გააჩნდა. ეგრეევეც შეიძლებოდა დასათაურებულიყო. კარგი გამოვიდოდა. სამუშაო კიდევ იქნებოდა, თუმც მალე მორჩებოდა. ეს წერილი აეკვიატებოდა ისევ... ხან ფიქრობდა: არ მინდაო, ხანაც – მინდაო... არ ასვენებდა და მოშორება სჯობდა ალბათ... ჩაჯდებოდა თუ არა ამ გადახვევ-გადმოხვევებით გრაფიკში?..

პირველი ტომი იოლი გახლდათ – დაჭრა-დაწებება, ჩასწორება. ორი კვირის მოცლილი მუშაობა დასჭირდებოდა... სად იყო მეორე, თორემ...

მეორე ტომი? არ არსებობდა.

სამ პატარა მოთხრობას თუ ნოველას უცბად გაამზადებდა...

„კუდიანი ვარსკვლავი“ ზამთრამდე არ ექნებოდა... იანვარი, თებერვალი... აჩქარება არ ივარგებდა...

„ჩემი მეგობარი ნოდარი“ – მთავარი... ორ-სამ თვეს წაართმევდა წყვეტილი მუშაობით...

7 ივლისს დაიწვებოდა თბილისში ყველაფერი, გზაშიც, შუადღით გამოვიდოდა და დაისიცხებოდა. ღორეშაში მოითქვამდა სულს.

ნუგზარ ფოფხაძეს შეუვლიდა 1 საათზე. დაიტოვებდა წერილს „ისევ მასობრივ მსხვერპლთა მემორიალის შესახებ“:

– მე გადავცემ „კომუნისტის“ რედაქციას.

მაგათი საქმე იყო და გადაეწყვიტათ, არჩილ იოსელიანი უიმისოდ მაინც როგორ გაბედავდა დაბეჭდვას. ფოფხაძე კი ჯუმბერ პატიაშვილს გააცნობდა.

შეივლიდა ღორეშაში, ნახავდა სერგოს სახლს. იგივე ყოფილიყო, არც გადაკეთებული, არც არაფერი, გადაეხურათ მხოლოდ, ქვევითაც გაემაგრებინათ. საგულისხმო მასალებს მოიპოვებდა, როგორც იტყოდნენ, და კმაყოფილიც დარჩებოდა.

სამაგიეროდ ლევან მალაზონია დარჩებოდა უკმაყოფილო პარტკონფერენციით:

– გორბაჩოვმა დაიხია უკან, არაფერი მოხდა.

– პირიქით, – ეს თავისას არწმუნებდა.

– აკაკი ბაქრაძემაც ასე მითხრა.

იმის გავლენის ქვეშ ყოფილიყო. გადმოვიდოდნენ მანქანიდან „საბჭოთა საქართველოს“ წინ და აკაკი ბაქრაძეც შემოხვდებოდათ. თვითონ იჯდებოდა საჭეზე წითელი „ფიატისა“. ძალიან ადრე იყიდდა მანქანას – „მოსკვიჩს“, ძალიან უძნელდებოდა მართვა. ლაგოდეხში წავიდოდნენ ერთხელ ერთად, ნელა ივლიდა, დააღამდებოდათ, შემხვედრ შუქზე აჩერებდა და ისე მოდიოდა. მაშინ მანქანები ცოტა იქნებოდა. რომელი წელი უნდა ყოფილიყო ნეტა? 1963, 1964? დაახლოებით ეგრე ალბათ...

ეტყოდა რეზო:

– აღარ გახსოვს, „რწყილსა და ჭიანჭველას“ პოლიტბიურო იხილავდა ადრე. ახლა მე და ელდარს დაგვაქვს სცენარი და ვის წავაკითხოთ, არ ვიცით. ჩაუშვი და გადაიღეო, ეუბნებიან, რუსულადაც აღარ უნდა ითარგმნოსო.

დაეთანხმებოდა აკაკი ბაქრაძე:

– ეს მართალია, ამის წარმოდგენაც არ შეიძლებოდა რამდენიმე ხნის წინათ...

3 ივლისს აღმოაჩენდა, რომ:

ერთი ეპიზოდისა, სერგო ორჯონიკიძის გამო პატარა რაღაცას რომ დაწერდა „რკინის სახკომის“ სახელწოდებით, შტრიხებს პორტრეტისათვის – სათაური ასევე დარჩებოდა – კმაყოფილი იქნებოდა. მასალა გადიდდებოდა და საფიქრალიც მოემატებოდა. ახლა ისე იოლად ვეღარ გადარჩებოდა... ღორეშაში მოუწევდა მეორედ – შესაძლოა ხვალვეც – ჩასვლა. დასჩერებოდა ამონაწერებსა და იმ პატარა ჩანახატს. არ იცოდა, რა ელონა... დაეწყო თუ ჯერ ყველაფერი დაეზუსტებინა? ამისათვის ესაჭიროებოდა: ისევ ღორეშა, თბილისის მუზეუმი და სერგოს ქალიშვილთან გასაუბრება...

სუფრაზე მოხვდებოდა და:

90 წელი შესრულებულიყო წინა დღეს ივანე მაჩაბლის დაღუპვიდან, დაკარგვიდან თუ გარდაცვალებიდან...

ეს სადღეგრძელო შეისმოდა.

10 ივლისის ღორეშული მოგზაურობით კიდევ უფრო კმაყოფილი დარჩებოდა, ვიდრე მაშინ. მუზეუმის თანამშრომლები ძალიან იქნებოდნენ შემცბარნი:

– ხალხიც აღარ მოდის, აღარც ექსკურსია, აღარც გამვლელი, აღარც გამომვლელი... ძეხორციელი არა.

დაიწყებდა წერას. ჩქარობდა. მასალები ბოლომდე არ შეეგროვებინა და მაინც დაიწყებდა. ჩქარობდა, ჩქარობდა. თვის ბოლომდე გადაბეჭდილი უნდა ჰქონოდა... ამ სცენარისათვის რაღა მოეხერხებინა, აღარ იცოდა.

წერილს არ დაბეჭდავდნენ „კომუნისტში", ყოყმანობდნენ როგორც ჩანდა... რა ხდებოდა, ვერ გაეგო...

გადავყევი ამ ორჯონიკიძესო, – 13 ივლისის დღიურს ამ სტრიქონით დაიწყებდა. დღეს კიდევ ორი წიგნი უნდა გამოეტანა. ყველაფერი უნდა გაეგო, რაღაი დაეწყო... გაგებით მაინც ვერ გაიგებდა ცხადია, მაგრამ რაც ახლა სჭირდებოდა – ის მაინც უნდა დაემუშავებინა.

თავსაც რომ ამუნათებდა?

შევტოპე. რა ჯანდაბის ორლობედ მინდოდა. რა ჩემი საქმე იყოო!..

ნუგზარ ფოფხაძეს რეზოს წერილი არ გადაეცა რედაქციისათვის. არ იქნებოდა მუსიკის ფესტივალზე.

გუშინწინ დავით კვიცარიძე გააფრთხილებდა რეზოს:

– პირველ საათზე აქ უნდა ვიყოთ, ქალაქკომიდან გამაფრთხილეს, და ჯუმბერ პატიაშვილს უნდა წავყვეთ საყულიაში ჩასახლებული სვანების სანახავად.

ეს მაინც იქ უნდა ყოფილიყო. კვიცარიძე სულ არ გამოჩნდებოდა, დილიდანვე იმათ აეტორღიალებოდა ცხადია. ირაკლი აბაშიძეც ყოფილიყო ჩამოსული და ამ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა. ქალაქკომს კი ისედაც შეეძლო, უკვიცარიელოდაც, დარეკვა, მაგრამ არ მიეჩნია საჭიროდ...

„რა მინდა, რომ წავყვე?!."

ახსენდებოდა, ლევან სანიკიძე და ვახუშტი კოტეტიშვილი რომ აქტიურობდნენ და: ისე მაინც არ მოვიქცევიო, – გაიფიქრებდა, – ხმას არ ამოვიღებო...

აქამდე არ მივიდოდა, არ მიიყვანდნენ და ჯერ კი გაეხარდებოდა, მაგრამ მერე მაინც მოუვიდოდა გული...

თან ელდარ შენგელაიაც ჩამოსულიყო და არჩილ სულაკაურიც. თეატრში თუ ევგენი მიქელაძის საღამო იმართებოდა, ამასაც ვერ გაიგებდა. თუმც წასვლით მაინც არ წავიდოდა... ელდარს რატომ არ მოეძებნა? „გოგისვანიძეებში" იჯდებოდა მართალია რეზო, მაგრამ ათის ნახევარზე კი მისულიყო უკვე შინ...

კლარენს შამფრიანი გამოსულიყო ციხიდან და: გინდა თუ არა, უნდა წავიყვანოთო, – ნემსაძე დაიჟინებდა, და რეზოც, რაკიღა საქმე არაფერი ჰქონდა, წავიდოდა.

და თურმე აქ ერთი ამბავი ყოფილიყო.

საშინელებად ეჩვენებოდა სიცხეში სიცხე!.. არადა: დაცდილი ექნებოდა... აღარ სურდა აქ გაჩერება, აღარც ეს სამსახური. ნამდვილად აღარ ენდომებოდა... ორ წელს გაასრულებდა და მორჩებოდა. თუ ახალს ვერაფერს შეჰმატებდა ორგანიზაციულად, თავის მოვალეობასა მოწურულად მიიჩნევდა... მეხუთე, მეექვსე და პირველი ნომრები სურდა გამოსულიყო ნორმალური. თუ ჟურნალად არ გადაკეთდებოდა, მეორე ნომერს მთლიანად თანამშრომლებს დაუთმობდა და წამოვიდოდა...

სხვანაირად არც გამოვიდოდა, იმოდენა ბალასტი დაედებოდა ვალად: მოაყრიდნენ რომანებს: ავთანდილ ყურაშვილი, ზურაბ კუხიანიძე, დავით კვიცარიელი!.. რას შვებოდი!..

ცირა ყურაშვილს დაპირდებოდა: შაბათისათვის დავრჩებიო... – რაღაცას აპირებდნენ... სოფლად... რეზოს პატივსაცემად!.. უნდა დარჩენილიყო, სხვაგვარად არ გამოვიდოდა...

14 ივლისის ჩანაწერს პოსტსკრიპტუმად მიადევნებდა, რომ:

მეხუთე ნომერი ჩაეფიქრებინა მისებურად... საუკეთესო უნდა გამოსულიყო და აქედან მისი ამგზავრების საწინდარიც გამხდარიყო... ისე კი რა დრო დამდგარიყო, რაც გინდოდა, გეკეთებინა, რაც გინდოდა, დაგებეჭდა, კაცი აღარ უყურებდა...

16 ივლისს ბზვანიდან – სადაც ცირა ყურაშვილი და მისი მეუღლე წვეულებასავით გადაიხდიდნენ ლექსების დაბეჭდვისა და სამსახურის დაწყების აღსანიშნავად – ჭყვიშში ჩავიდოდა. გალაკტიონის ეზოში ეცხელებოდა, თუმც ისე სულისშემხუთავად არა, როგორც ბზვანში. არავინ დახვდებოდათ, მერე კი ყველა თანამშრომელი – გალაკტიონისა და ტიციანის მუზეუმებისა – გამოჩნდებოდა – მთვრალები. ცეცხლს დაანთებდნენ კერიაზე და სუფრასაც გაშლიდნენ ამათი წამოღებული პურმარილით.

ეზოს არაუშავდა, ჭალა გაფუჭებულიყო. იტყოდა ამას და მუზეუმის დირექტორი შემოსჩივლებდა: ვერაფერი გავაწყეო.

– მახინჯაურში მგონია თავი, – შეწუხებული მიმოავლებდა მზერას ნაძვებს, ყვავილებს, გრანიტის ფილებსა და უზარმაზარ ძეგლს, ყოვლად უპროპორციოსა და შეუფერებელს.

სახლთან, ეზოსთან რიონი რომ ჩამოედინებოდა ადრე, ახლაც ასე უნდა ევლო, ისევ უნდა გამოჩენილიყო, ტყე-ბუჩქები და ხვილიფებიც უნდა გამოჩენილიყო აუცილებლად...

– თვითნასწავლი დეკორატორი ვარ და კარგია, რაც არის, – მტკიცებას მოჰყვებოდა ერთი. ეს უწუნებდა და იმას გული არ მოსდიოდა მაინცდამაინც...

ვანელებს რომ სახელი გატეხოდათ, ეს მარტო ანეკდოტების ჟანრს არ განეკუთვნებოდა, რეზოს შეტყობით... რაღაც პრაქტიკული, ვაჭრული იჯდა მათ ბუნებაში. ყველა გლეხი ეგრე არ გახლდათ? აქ მაინც ნამეტანი უნ-

და ყოფილიყო, აქაურ გლეხებს კიდევ სხვებისათვის გადაეჭარბებინათ სიხარბე-მომხვეჭელობით.

23 ივლისს შეხვედრა რომ გაიმართებოდა ჯუმბერ პატიაშვილთან, რეზოსაც დაუძახებდნენ – ერთი კაცის შეხსენებით. არც სურვილი ექნებოდა, არც დრო და არც საზაფხულო კოსტიუმი – ძალიან ცხელოდა – და ეს უფრო შეაფიქრიანებდა... პერანგებით მოვიდოდნენ სხვები. ეგონებოდა, კაბინეტში გვეძახისო, და სააქტო დარბაზში კი შეუშვებდნენ... ვინ აღარ დახვდებოდა იქ. იხვეწებოდნენ, იგლიჯებოდნენ და ახერხებდნენ თურმე ამნაირ შეხვედრებზე – გივი ძნელაძე შეხვედრას ეძახდა – მოხვედრას.

გაირეცხავდა შარვალს, მოსაცმელს და... სხვაზე კარგად ის დარჩებოდა გამოწყობილი... სამაგიეროდ დააგვიანებდა, მანქანას უადგილო ადგილას გააჩერებდა და ავტოინსპექტორს მიაჩეჩებდა გასაღებს... როდის გამოხვალო? – გამოჰყვებოდა ძახილით. ვახტიორს დაუტოვეო, – ეს დაუბარებდა და მართლაც იქ დაეტოვებინა.

ვიდრე დასხდებოდნენ, ჯუმბერ პატიაშვილიც შემოვიდოდა და განაკიდეს გაჩერებულს შეამჩნევდა რეზოს. მისკენ წამოვიდოდა. გაუკვირდებოდა რეზოს: ერთხელ ვარ სულ შენახვედრი და როგორ მიცნოო? და ივარაუდებდა: ლადო ასათიანის საღამოზე თუ დამიმახსოვრაო... ყველას თვალწინ დაელაპარაკებოდა:

– რატომ აღარ გამოჩნდი? შეგვიძლია დღესვე შევხვდეთ ერთმანეთს, გინდა ხვალ მოდი.

– აღარ არის საჭირო, ალმანახის საქმეზე შემოვდიოდი და ახლა ამ საქმეს ესენი ეცნობიან, – ნუგზარ ფოფხაძეზე მიუთითებდა, – გაეცნობიან და მოვალ.

– კი ბატონო, – გაოცებული მიაჩერდებოდა.

– საინტერესო მასალაა, – გულზეხელებდაწყობილი ფოფხაძე მოახსენებდა, ეგონებოდა, წერილზეა ლაპარაკიო.

– ჩვენ ჟურნალზე ვსაუბრობთ.

– ვიცი, კი, – თავს დააქნევდა.

უშანგი ობოლაძე მოაკითხავდა, განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე, ჯერ ტელეფონით რეკავდა ყოველდღე: ჩამოვიდა თუ არა ქუთაისიდანო? და დღეს „განთიადის" ოთახში – მწერალთა სასახლეში – ილაპარაკებდნენ. ერაზე გადაბეჭდილ საინტერესო წიგნებს აჩუქებდა, სამახსოვრო წარწერასაც გაუკეთებდა სამივე წიგნს უკუღმა. თვალში ვეღარ იხედებოდა წესიერად.

– ქუთაისის ქართულ გიმნაზიაზე უნდა დაიწეროს რაიმე. ამ გიმნაზიის როლი და მნიშვნელობა უნდა იქნეს სათანადოდ გამომზეურებული, – და ჩამოუთვლიდა, ვის სად ესწავლა, რომელ გამოჩენილ ქართველს რომელი გიმნაზია დაემთავრებინა, და გულისწყრომას გამოთქვამდა, კლასიკურ გიმნაზიას, სადაც აკაკი წერეთელი სწავლობდა, ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელი რატომ უნდა დარქმეოდა.

– დაწერე, – შესთავაზებდა რეზო, – თვალსაჩინოდ დავბეჭდავ. მხარს დაგიჭერთ, ახლაა სწორედ – აკაკის იუბილეც მოდის – მაგის დრო.

ის თავს დაუქნევდა, მაგრამ: არ დაწერსო, გულში გაჰკრავდა რეზოს.

წინა დღით თუ იმავე დღეს ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმშიც შეივლიდა ლევან მალაზონიას თანხლებით. ჩვეულებრივი საცხოვრებელი ბინა აღმოჩნდებოდა.

– ექსპოზიციაც უნდა შეიცვალოს ახალ სიტუაციასთან დაკავშირებით, – თანამშრომელი ეტყოდათ.

ფოტოებს და ასეთებს თუ გადააადგილებდნენ. ნიკალაი ბუხარინისა და სხვათა სურათებს თუ დაუმატებდნენ ალბათ. შეიძლებოდა შეცვლაც, გამდიდრებაც, საინტერესო სანახავად გადაქცევაც.

სერგოს ქალიშვილი, ეთერი, უინტერესოდ და უნდობლად უპასუხებდა. რეზოსათვის ესეც იკმარებდა. ერთ დეტალსაც დაიჭერდა და... იმ დეტალზე კაი გვარიან ღლავსაც გამოაბამდა.

– ნუ წერ, დროს ნუ კარგავ, – ეუბნებოდნენ, სერგო ორჯონიკიძის რეაბილიტირებას აპირებდა თითქოს... დროს სად ჰკარგავდა და ვინ აკარგვინებდა, ესეც იცოდა.

ნაშუაღამევი იქნებოდა და ახლაღა წავიდოდა ელდარ შენგელაია. არ დაადგებოდა სცენარს საშველი. ყოველნაირი გეგმა ჩაეშლებოდა თითქმის... გრაფიკიდან კი კარგახანია ამოვარდნილიყო...

ნეტა თუ გაუმართლებდა „რკინის სახკომი" – მის სტილურ მანერას კი ეს პერსონაჟიც და მისი ცხოვრების გზაც ისე მოერგებოდა, ზედგამოჭრილს რომ იტყვიან.

საინტერესო, ნიჭიერი, თუმც ნაკლებგანათლებული პოეტები შემოიკრიბებოდნენ მის გარშემო, მოინდომებდა, რაღაც გაეკეთებინა, უფრო სწორად – რაღაც გაეკეთებინა მათთვის. რაღაც ასოციაციასავით ჩამოეყალიბებინათ, რაღაც მანიფესტივით გამოექვეყნებინათ – რეზო მზად გახლდათ – „განთიადში", რათა ბოლობოლო ქუთაისს დარჩენოდა – ძირითადად – ეს ალმანახი: მომავალი ჟურნალი.

დავით კვიცარიძეს გარიყავდა, გააშორებდა აუცილებლად, რათა დამღუპველად არ ემოქმედა ახალგაზრდებზე... ვინ ეიმედებოდა და: რევაზ ნაჭყებია, რამაზ ბერეკაშვილი, ცირა ყურაშვილი, გივი ტყეშელაშვილი, ზაზა გამეზარდაშვილი, გია ბენიძე და სხვანი. ბევრს ვერ ხედავდა, ბევრს ვერ ამჩნევდა (ბევრს კი არა – ზოგს, ზოგიერთს), ბევრიც აწი გამოჩნდებოდა...

თავისი წერილის ბედიც აინტერესებდა. თბილისში ვერ რეკავდა და იქიდანაც ვერ უკავშირდებოდნენ, თუმც ხაინდრავა გამოვიდოდა ხაზზე შუადღით. იმ სტატიის – „ისევ მემორიალის შესახებ" – დაბეჭდვა აუცილებელიც კი ეგონებოდა, რაღაც წვლილი მიუძღოდა სტალინის დასამარებაში სიტყვით, საქმით, ზეპირი ლაპარაკით. მამამისისთვისაც კი შეერყია რწმენა.

თუ ამ კოშმარს არ მოიშორებდა – ეჭვიც არ ეპარებოდა – ერი კვლავ კლებაში წავიდოდა. დაღუპვისაკენ მივექანებოდით და აღორძინების ნიშანწყალიც არა ჩანდა.

ახლა გაამხელდნენ: ნახევარი მილიონი აზერბაიჯანელი რომ ცხოვრობდა ჩვენში. ნახევარი – სომეხი, მიგემატ-მოგემატინებინა სხვებიც და... მი-

ლიონნახევარი გამოგვაკლდებოდა. რაღა ვრჩებოდით!.. „აჭარლების", „მეგრელებისა" და „სვანების" ხელოვნურად გამოგონილი პრობლემებიც რომ გვახსენებდა თავს ჭრილობასავით?!.

ხალხი მეჭინჭე გამხდარიყო, ზნე და თავმოყვარეობადაკარგული... რას ჩადიოდნენ, რას კადრულობდნენ ჭინჭებისათვის ქართველები რუსეთში, ბალტიისპირეთში, საზღვარგარეთ... საშუალება მიეცემოდათ და ჩეხოსლოვაკიასაც შეესეოდნენ... იქამდე მიიყვანდნენ თურმე საქმეს იქ, ქართულად გამოაკრავდნენ წარწერას: ესა და ეს ამა და ამ ფორმის საქონელი არა გვაქვსო. მართალი ეთქვა, პირველად შერცხვებოდა, ქართველი რომ იყო. სამარცხვინო გამხდარიყო უკვე მის თვალშიც ქართველობა... ნუთუ ასე წასულიყო ჩვენი საქმე?!.

რეზოს ასეთი უამური გრძნობა კი არა შორდებოდა და...

საით მიდიოდა ამ პატივმოყვარე, გაუნათლებელი, დიპლომიანი, პრეტენზიული ხალხის გზა?.. რას გვიმზადებდა XXI საუკუნე?

XIX საუკუნეს აღმავლობისად მიიჩნევდა, XX-ს – დაცემისად.

მეოცეში გაგვიცნობდნენ – ავად თუ კარგად – მართალია, მაგრამ ტეხილ-ტეხილ ვივლიდით... XIX საუკუნის მიწურულის ლოგიკურ, აღმავლობით მიმავალ გზას ვერანაირად ვეღარ გავყვებოდით...

28 ივლისს აღმასკომში დაესწრებოდა სხდომას. საინტერესო რაღაცებს გაიგებდა და ჩაითქვამდა: გამოვიყენებო. არ უნდა გაეცდინა კაცს აქაური აღმასკომური შეკრებები წესით. კმაყოფილი დარჩებოდა, თუმც სხდომა გაგრძელებით დიდხანს გაგრძელდებოდა.

და ერთხელ კიდევ გაიმეორებდა:

რა კარგი რაღაცები გავიგონე, რა ყოფილა ეს აღმასკომიო...

2 აგვისტოს „ორჯონიკიძეს" სხვანაირად გადაიაზრებდა... საგულისხმო აღმოჩნდებოდა ამ კუთხით დანახვა...

4 აგვისტოს ზურაბ კიკნაძე დაუტოვებდა ალექსანდრე ქურასბედიანის ავტობიოგრაფიულ თხზულებას „16 წელი თვითპატიმრობაში". მოგონება იყო თითქოს და მეტი არაფერი. 1966 წელს დაემთავრებინა და აქამდე დადიოდა ასე, ხელნაწერის უფლებით. რეზოს არ გაეგონა და სხვებს რომ ჰკითხავდა, ისინიც ვერას ეტყოდნენ. ანუ – არ გასულიყო და გავრცელებულიყო ხალხში, და ეს კარგი იქნებოდა.

– თუ დაბეჭდავთ, – დაინტერესდებოდა ზურაბი, – იქნებ რამენაირად გამოქვეყნდეს.

დაბეჭდავდა და ისე ატყობდა, ხელიც არ შეეშლებოდა. ეს მონაპოვარი გახლდათ, განძი, და არამარტო ალმანახისათვის, ქართველი და მსოფლიო მკითხველისთვისაც. სტილისტური ჩასწორება იქნებოდა საჭირო, კუპიურებიც დასჭირდებოდა, საჟურნალო ვერსია უნდა მომზადებულიყო ერთი სიტყვით.

დიდი ინტერესით წაიკითხავდა. მართალი აღმოჩნდებოდა და გულწრფელი. და რეზოს ამასაც ათქმევინებდა:

ქართველი მწერალი, ქართული მოგონება ასეთი გულახდილი არ მინახავსო.

ივარაუდებდა, რომ: სცენარადაც შესანიშნავი გამოვიდოდა.

ელდარს არ გავუმხელ ჯერ, – ფიქრობდა, – როცა ჩაეშვება დასაბეჭდად, მერეღა მივცემ.

და კიდეც გამოჩნდებოდა მეგობარი რეჟისორი, ეს დამალვით არ დაუმალავდა, რას კითხულობდა, თუმც მთავარს არ გაუმჟღავნებდა და: სხვა დროს წაგაკითხებო, – დაპირდებოდა.

უნდა შეენახა მართლაც, არ უნდა გაეხმაურებინა.

ელდარი შეაფიქრიანებდა საღამოს:

– სტუდიაში შენს სახელზე გამოგზავნილი წერილები დაგროვილა, გადმომცეს, წავიკითხე და თავზარი დამეცა.

დედმამის სულს აგინებდნენ ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით სტალინზე აუგისათვის. ისე წაუხდებოდა გუნება რეზოს: აღარ გამოვაქვეყნებო, – გაიფიქრებდა. კი არ შეეშინდებოდა, გუნება მოეშხამებოდა, მოიწამლებოდა თითქოს.

8 აგვისტოს „კომუნისტის“ რედაქციაში წაიკითხავდა ხელახლა სტატიას. რედაქტორი ყოველ ფრაზას უკირკიტებდა, შიფრავდა და აზუსტებდა, შეეჭვებული აყანყალებდა თავს.

მართლაც როგორ, რანაირად ან რატომ უნდა დამთხვეოდა რეზო ჭეიშვილის ფიქრი სხვისას, საყოველთაოდ მიღებულ და გავრცელებულ, თუნდ ოფიციალურ შეხედულებას?

„წავიღებ „ლიტერატურულ საქართველოში“.

იქაც რა, ეგრე არ იქნებოდა?!.

9 აგვისტოს ავთანდილ ყურაშვილი დაურეკავდა „განთიადის“ რედაქციიდან და შეატყობინებდა, რომ: მიხეილ ქვლივიძის სტატია გაეჩერებინა მთავლიტს. ირაკლი ერთ ლექსს თვითონვე ამოიჩემებდა: ამოსაღებიაო.

14 თუ სინამდვილეში 13 აგვისტოს ადამიანთა თანასწორობას ჩაუფიქრდებოდა.

ყველანი ერთი ვართო, „მი ვსე რავნიო“, ამღერებდნენ ცოტა ხნის წინათ რუსები და, ტყუოდნენ, იცოდნენ, და სიმართლეში თავს აჯერებდნენ, ხედავდნენ, არ იყო ასე და სურდათ, ასე ყოფილიყო. გავეთანაბრებინეთ რევოლუციას, ამისათვის აშენებულიყო სოციალიზმი. და ახლა ეტყოდნენ: არავითარი „უროვნილოვკაო“... რაღას შვებოდი?

სიკვდილი რომ არა, ადამიანთა თანასწორობაზე ზედმეტი იქნებოდა მართლაც ლაპარაკი... სიკვდილი ათანასწორებდა ყველას, დროებითი სამყოფელის უსწორმასწორობას აუთოებდა, უკვდავების – თუნდ დროებითის – წამალს თუ იშოვნიდნენ, ისიც ფულსა და თანამდებობას ჩაუვარდებოდა ხელთ და ამქვეყნიურ ცხოვრებასაც გამოუვიდოდა წირვა.

და ბრძენად დასახავდა ილია ჭავჭავაძის ლუარსაბს: ხელის თითებიც კი არ არის ერთნაირი და ადამიანები როგორღა გათანაბრდებიანო.

მოურავიც კარგად პასუხობდა: სხვადასხვანაირნი არიან, მაგრამ ერთმანეთს ხელს არ უშლიანო.

კარგი პასუხი იყო, მაგრამ რეზო ჭეიშვილს ხუთი თითის კომბინაცია უფრო მოსწონდა, რადგანაც:

ორის იქით ერთნაირი ძნელად იძებნებოდა ბუნებაში: ორი ყური, ორი თვალი, ორი ნესტო, ფეხი, ხელი... თუმც სრული სიმეტრია აქაც არ იქნებოდა დაცული... სამი ყური და სამი თვალი არ არსებობდა. წყვილი ჩლიქი ვის ჰქონდა? სამყურა ბალახი, იონჯა? სამსზევით, ოთხსზევით? ხუთი ერთნაირი მართლაც აღარ არსებობდა – ხუთი თითივით.

და ერთბაშად რომ გამოფხიზლდებოდა ამ წილადობისაგან, უკმაყოფილო სულაც არ დარჩებოდა:

შესაძლოა „კუდიან ვარსკვლავში“ გამოდგომოდა ეს ლაყაფი.

გიორგი სააკაძის ძეგლს რომ შემოდგამდნენ კვარცხლბეკზე, ესთეტიკურად მოეწონებოდა: დიდებული ძეგლიაო. მაგრამ ერჩივნა: სხვა სახელი დაერქმიათ, ახლა კი რაღა ეშველებოდა. ხმალი გამოშვეროდა გვერდზე ტილოში გახვეულს და რეზოს რუსთველური ასოციაცია გაუჩნდებოდა: კარვის კალთა ჩაფხრეწილია თითქოსო...

ქუთათურ ახალგაზრდებს რომ ურჩევდა: რაღაც გაერთიანებასავით მოიგონეთ, რაღაც დეკლარაციასავით დაწერეთ ცისფერყანწელებივით და გამოვაქვეყნებო, – შემოუტანდნენ მართლაც, რაღაც დაეწერათ... და წაიკითხავდა და გულს შემოეყრებოდა. ეს რა უსუსურობააო!..

– ხვალ მოვილაპარაკოთ, – შესთავაზებდათ. თვითონ კი ეცოდინებოდა, რა უნდა ეთქვა, რა უნდა ერჩია, მაგრამ ხვდებოდა: აზრი არა აქვსო...

მეორე დღეს ერთი სული ექნებოდა, როდის შეუდგებოდა „ჩემი მეგობარი ნოდარის“ ხელახლა წერას. თავი ეტკენინებინა „რკინის სახკომს“. იმდენი ამონაწერი დაუგროვდებოდა, ისეთი განცდა გაუჩნდებოდა: ამათ თავს ვერ მოვუყრიო. დღეს ჯიქიას ნაწერს უჯდა გასასწორებლად ამ სიცხეში – რაღაც ნესტიანში, გაუსაძლისში.

„ცისკრის“ მე-7 ნომერში აკაკი ბაქრაძის საუბარი იქნებოდა... ვიღაც თავისნაირებთან.

რა მწარე ნათქვამია ეს „ვიღაც თავისნაირები“ – ესეც გამეტებულია ძალიან და ისინიც ზედ დასართულნი.

ჭეიშვილური ლაკონიუროშითა და სიმძაფრითაა მირეგვ-მორეგვილი მთელი დიალოგი 16 აგვისტოს ჩანაწერში.

ამ მწარე გადაკვრას არ იკმარებდა და მიჰყვებოდა და მიჰყვებოდა:

რამდენი წინადადებაცაა, იმდენი სისულელეცაა შიგო.

რაც იყო, რასაც წარმოადგენდა, ხომ ვიცოდი. არ ვამბობდი. ხმა არ ამომილია. ვაფასებდი მაინც მის შრომისმოყვარეობას, გაბედულებას, სითამამეს... ახლა კი სპეკულანტობაც დაუწყია სტალინის სახელით. ეს საშინელებააო.

დანარჩენში – თავი გაამჟღავნა მხოლოდ. რაც ჰქონდა, რასაც სხვა ვერ ამჩნევდა, ის გაამჟღავნაო.

გაამჟღავნა თავისი სიცანცარე და რაც სამწუხაროა, უნიჭობა, და უფრო თავშეუკავებლობით დაამთავრა, ჭკუა არ ეყო, ყველა უბედურებასთან ერთადო.

სტალინის მოყვარული არასოდეს ყოფილა აკაკი ბაქრაძე, მაგრამ უფრო განსჯას ამჯობინებდა, ახსნას, ფსიქოლოგიურ-სოციოლოგიურ წიაღსვ-

ლებს, ვიდრე მკაცრ და შეუვალ განაჩენს – რეზო ჭეიშვილივით. და ეს შეფარულ პატივისცემად თუ სულაც სიყვარულად მიუთვლიდა ამგვარ მანერას მსჯელობისა, რადგანაც აკაკი ბაქრაძე – როგორც ლიტერატურის კრიტიკოსი – მოსამართლე უფრო გახლდათ და მსაჯული, ვიდრე თანამზრახველი ავტორისა. სრულ შეუვალობას იჩენდა, ოდნავ თანაგრძნობასაც არა და... ახლა სად გამქრალიყო მისი ეს თვისებანი?!. სხვებს რომ უკიჟინებდა ფარულ სტალინელობას, თვითონაც ხომ არ მორეოდა ეს სენი?!. რეზოს ეჭვიც არ ეპარებოდა: ასეა და სწორედაც ასეო...

ან იქნებ იმ კრიტიკულ წერილს ვერ პატიობდა „დალიზე“, მისი წაკითხვისას წონასწორობას რომ დაჰკარგავდა და კინაღამ ხელს აიღებდა მწერლობაზე?!. მერე კი ეცდებოდა აკაკი ბაქრაძე რაღაცის გამოსწორებას, როდესაც რეზო ჭეიშვილის ნოველებს მნიშვნელოვან მოვლენად შერაცხავდა, მაგრამ...გულს კი აუყრიდა ავტორს „დალიზე“, ხელს ჩააქნევინებდა ამ რომანზე, თან თავის ერთ-ერთ მონაპოვრად რომ მიიჩნევდა და თან... ტომებში აღარც კი შეიტანდა, ტომებშიც აბა!.. არამცთუ რჩეულთა შორის აღარ იგულისხმებდა.

წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება და... ასეთი?!.

აქ კი: წამიერი განწყობილების ბრალია ამ მწარე-მწარე ეპითეტების გადმოფრქვევა?

უფრო... გაუნელებელი განწყობილების.

18 აგვისტოს 1921 წლის „კომუნისტის“ კომპლექტს გადაათვალიერებდა და საინტერესოს ვერას იპოვნიდა. ეს კია: საქართველოს რევკომი ჯერ ფილიპე მახარაძე იქნებოდა და შემდეგ – ბუდუ მდივანი.

ღამის ოთხის ნახევარზე ზუსტად ისევ მასალებს ეცნობოდა თუ იზეპირებდა. საზიზღარი როლი ეთამაშა მართლაც სერგო ორჯონიკიძეს საქართველოს ისტორიაში, არავითარ პატივისცემას არ იმსახურებდა მართლაც.

„ლავრენტი ბერია ცოტნე დადიანია მასთან შედარებით“.

საზიზღარი ვირეშმაკაც ჩანდა ყველაფერთან ერთად. 1921 წლის ტრაგედიაში სტალინი ეგონებოდა მთავარი რეზოს და... მგონი ეგრეც არ ყოფილიყო. სერგო აქეზებდა, სერგო ასრულებდა ლენინის დავალებებს, პირდაპირ ლენინთან ექნებოდა კავშირი, სტალინი ეხმარებოდა.

დაისაჭიროებდა არანაბეჭდი მასალების მოპოვებასაც, მაგრამ ამის დროც აღარ ექნებოდა.

გურამ მამულია ეტყოდა:

– ნოე ჟორდანიაზე ვწერ მონოგრაფიასავით და თუ დამიბეჭდავ?..

– მოიტანე, – მიუგებდა იმედით სავსე, – ვიდრე დაამთავრებ, ან სულ აგვიკრძალავენ წერას, ანდა – ეს უფრო ჭეშმარიტი ჩანს – ყველაფრის თქმისა და დასტამბვის უფლებას მოგვცემენ.

19 აგვისტოს ინვიმებდა შიგადაშიგ.

საჯარო ბიბლიოთეკაში „კომუნისტის“ კომპლექტს ჩაუჯდებოდა გადასათვალიერებლად. ერთფეროვანი და მოსაწყენი მასალა დახვდებოდა იქაც, თუმც გაცნობა აუცილებელი გახლდათ და... ამასობაში ერთ ფრიად საგულისხმო მასალას გადააწყდებოდა.

თვითონვე ჰყვებოდა სერგო ორჯონიკიძე – თუმც ხელს არ აწერდა – ლენინთან რაზლივში შეხვედრას.

ჰყვებოდა სინამდვილეს.

შემდეგ ტყუილებს დაწერდა, ან – უფრო თავაზიანად რომ თქმულიყო – სიმართლეს არ გამოაქვეყნებდა.

ამიტომაც რეზო ჩაიდენდა ამას მის მაგივრად:

ძველსა და ახალს შეუდარებდა ერთმანეთს და ძალიან საინტერესოც გამოვიდოდა.

ხვალ სიმონეთში რომ აპირებდა წასვლას გონერი ჭეიშვილთან, ცუცხვათიდან ფეხით გადასვლა ჩაეფიქრებინა.

23 აგვისტოს დაჰყურებდა იმ მასალებსა და ამონაწერებს, რაც აქამდე მოეპოვებინა და:

რა დაალაგებს, რა დაახარისხებსო?!.

სამგვერდიანი რაღაცის დაწერას აპირებდა „რკინის სახკომად“ და... ეს სად შეეტოპა!..

კითხულობდა, ათვალიერებდა პერიოდულ პრესას, აქა-იქ თუ ამოკრებდა საინტერესოს, სამაგიეროდ, – აუცილებელს.

მისი წერილი არა და არ ჩანდა „კომუნისტში“.

გუშინ საჯარო ბიბლიოთეკაში შესთავაზებდნენ დიდ დარბაზში გადასვლას, რადგან იქ უფრო ეგრილებოდა. არადა: იქ ვერ მოეწყობოდა და უფროც ეცხელებოდა. სიყმაწვილიდან, აქ რომ დადიოდა, ბევრი არაფერი შეცვლილიყო, თუმც მოგონებით არა აგონდებოდა რა. – ფანჯარასთან არ დაჯდეთო, – გააფრთხილებდნენ. ჭერი ინგრეოდა, წვებოდა ნელ-ნელა ძირს, მიხვდებოდა, რომ დააკვირდებოდა.

გამოვიდოდა „განთიადის“ სასიგნალო მეოთხე ნომერი. ხვალ აღმასკომის სხდომა დანიშნულიყო. სამსახურშიც საქმე ექნებოდა. საჯაროშიც ენდომებოდა მისვლა. ზეგ დილით აემგზავრებოდა. შეივლიდა ღორეშაში და ათი დღე მაინც დარჩებოდა თბილისში, იქ უფრო მოახერხებდა მუშაობას.

საერთოდ კი... გლახად ეჩვენებოდა საქმე გულშემოყრილს: იმ ორ წიგნს მე ვერ ჩავაბარებ, ლაპარაკი არ უნდაო...

27 აგვისტოს დღიურს გამოუტყდებოდა, რომ:

მახსოვრობის დაქვეითებას უჩიოდა თითქოს უკვე. სახელ-გვარი ავიწყდებოდა ხშირად ნაცნობისა. ფიქრობდა, იხსენებდა და... იბნეოდა, როცა კი „ექსტრემალურ“ სიტუაციაში აღმოჩნდებოდა ხოლმე. ასაკს არ უჩიოდა, სწორედაც პირიქით. დღედღეზე ინტენსიური ვარჯიშის დაწყებას აპირებდა და ჯანის შენარჩუნებაზე კი არა, გაზრდა-განვითარებაზე ფიქრობდა უფრო.

28 აგვისტოს ცოლი შეეკამათებოდა და აუხირდებოდა სრულიად უადგილოდ და უდროოდ:

– ვაჟა-ფშაველა არ გესმის, მისი სამყარო არ გიყვარს.

გაღიზიანდებოდა.

„რა პასუხი შეიძლება გასცე ასეთ სისულელეზე?“

ისე კი, რასაც „ვაჟას სამყაროს“ ეძახდნენ, ის რეზოს მართლაც არ მოსწონდა.

როდესაც ამ „სამყაროდან“ გადიოდა ვაჟა, მაშინ გახლდათ – ამის მიხვედრით – ძლიერი, მაგალითად მოთხრობებში – „ხმელი წიფელის“ გარდა – „სტუმარ-მასპინძელში“, „ფშაველი ჯარისკაცის წერილში“. სამყარო ვაჟკაცობისა, „კაი ყმობისა“ კი ყალბი ეგონებოდა, ხშირად გულისამრევიც მოსჩვენებოდა.

და გაგულისდებოდა:

რა დიდი წვლილი კი მაგათ აქვთ შეტანილი აზროვნებაში, ქართულ კულტურაში ზოგადადო...

გინდაც ომებში საქართველოს გადარჩენისათვის:

ქართლელების, კახელების, იმერლების, მეგრელების მხრებზე გადავიდოდა ყველაფერი. მებრძოლები ბარელები იქნებოდნენ, ვაჟკაცობის სახელს კი...

ვაჟკაცობის სახელს კი ესენი დაირჩენდნენ.

როგორ, რანაირად?

ამის პასუხიც მოეძებნებოდა რეზო ჭეიშვილს:

სულელური ლექსებით, ამბიციებითა და სნობების დახმარებითო.

და ირონიულად გაიხსენებდა თუნდ იმ სტრიქონებს: მთიელო, მთაში გაზრდილო იალაღზედა, ვეფხვივით შეინავარდებ მაღალ მთაზედაო...

წინა თაობაზე, მის მახსოვრობაში წასულ ადამიანებზე დაიწყებდა ფიქრს. აზრის, იდეისა და საქმის უწყვეტობას დააკვირდებოდა.

ყოვლად შეუძლებლად მიიჩნევდა, რომ:

წასულს, უწყვეტობის ერთ რგოლს, ერთ სეგმენტს ვერ გაეგო, როგორ მოედინებოდა ის აზრი, ის საქმე, ის მიმართულება, რომლის ნაწილიც – და ხშირად: თავიდათავიც – იგი გახლდათ. შესაძლოა ეს მახსოვრობა თანდათან იქაც გაფერმკრთალებულიყო, კაცი იქაც გარდაცვლილიყო და ახალს შეერთებოდა...

სხვათა შორის: სრული დაძაბვით არა ფიქრობდა ამ საკითხზე. თითქოს სხვა განწყობისთვის, სხვა ვითარებისთვის ემზადებოდა.

დრო გადიოდა, მაგრამ ის დრო, როცა რაღაცის, თუნდ ჭეშმარიტების ნაწილის შესაცნობად უნდა დაძაბულიყო, ჯერ არ დამდგარიყო...

30 აგვისტოს ზევით დაუძახებდნენ, ვაჟა ლორთქიფანიძესთან. ქუთაისშიც ეძებდნენ, შინაც ურეკავდნენ თურმე:

„რა უნდა ამ ლორთქიფანიძეს?“

ვერაფრით მიზეზს ვერ მოიახლოვებდა. იმ განცხადების – ალმანახის გადაკეთებას რომ მოითხოვდა ჟურნალად – გამო არ დაუწყებდნენ ძებნას ცხადი გახლდათ.

„არ გამოდის, თქვენს ალმანახს არაფერი ეშველება, მეტყვის ალბათ“.

ასეც მოხდებოდა სინამდვილეში, მაგრამ ამის გამო არ შეეწუხებინათ. მესხების წერილის გამო ეძახდნენ თურმე. გურამ მამულიას შესავალ სტატიას შეეშფოთებინათ: უნდა გავასწოროთო.

ტირაჟი კი ურეზოოდაც გაეჩერებინათ. რისიც ეშინოდა, რის აკრძალვასაც მოელოდა, იმაზე არას ეტყოდნენ, არც არაფერს ამბობდნენ ჯერჯერობით.

მეხუთე ნომერზე – თუკი გამოშვებას დააცდიდნენ – რაღას იტყოდნენ ნეტა?

ფოტოსურათს თუ გააპარებდა, ეგ იქნებოდა საქმე.

ცუდი ის იქნებოდა, რომ ამის შემდეგ ცენზურა გაფაციცდებოდა ნამეტნავად...

მოსაშვილი „საბჭოთა საქართველოში“ დარეკავდა:

– პატიაშვილს მეოთხე ნომერი „განთიადი“ სჭირდება.

არ ექნებოდათ. რეზოს კი ოთხი დღის წინათ თავისი ხელით მიეტანა და მისაღებში დაეტოვებინა და... პარასკევიდან სამშაბათამდე ზევით ველარ აეტანათ თუ როგორ მოხდებოდა, ველარ გაეგო.

იქ რომ ეგრე დაწყობილად ექნებოდათ საქმე, სხვაგან რიღას იმედი უნდა გქონოდა?!.

8 სექტემბერს ეპირებოდა ქუთაისში ღორეშას გავლით... კინაღამ მთელი ცხოვრება – სტუდენტობიდან – ჯერ მატარებლით და შემდეგ მანქანით ამ გზით დადიოდა და ღორეშა არასოდეს მონატრებოდა. ჩაუვლიდა წარწერას „ღორეშა“, ერთს გაიფიქრებდა: ხომ არ შევუარო ოდესმეო, – და ეგ იქნებოდა და ეგ. უბისას მონასტერში კი ხშირად, ძალზე ხშირადაც ჩერდებდა. ღორეშა არც სახელად იზიდავდა, არც ორჯონიკიძეთა ადგილსამყოფელად. ლამაზი იქნებაო, ამას კი ვარაუდობდა.

ძეგლს რომ დადგამდნენ XI არმიის წინამძღოლისა გზის პირას, კონცხზე, საშინელს, ის ძალიან აღიზიანებდა და იბოღმებოდა:

– ამას როგორ ვითმენთ, ახალგაზრდები როგორ ითმენენ!..

მისი ასაკი კი, რაღა დაემალა, დივერსანტობასა და პიროტექნიკოსობას არ ითვალისწინებდა ეგონა და ახლაც ასევე ეგონებოდა. საბედნიეროდ: ღორეშაში რომ გადაუხვევდა, ეს პროტესტული განწყობილება გაუნელდებოდა.

უკეთ შეხვდებოდა დღეს ქალბატონი ეთერი. ესეც სხვანაირად მიუდგებოდა, მაგრამ ბევრს ვერაფერს ამოწვადავდა. რბილი, მიმნდობი ქალი კი აღმოჩნდებოდა; დაუცველიც – ასე მოეჩვენებოდა და შეეცოდებოდა კიდეც. მამაზე ლაპარაკი აღარ ენდომებოდა, ძველის გახსენებაც არა სიამოვნებდა თუ სიამოვნებდა, ამასაც ვერ გაარკვევდი, და რა სურდა, ვერ გაიგებდი.

გუშინდელ ღამეს გაათენებდა, დაატყობდა ხელს „რკინის სახკომს“, მაგრამ თვითონ კი აღარც ევარგებოდა დღეს. კომპოზიციურად თუ შეკრავდა, არაფერი უჭირდა მერე. მთავარი ეგ ეგონა – და სავსებით ბუნებრივად და სამართლიანად. შემდეგ დაწურავდა, დააწყობდა და დაალაგებდა. ამონაწერთა ძებნა-შედარება უფრო ღლიდა, ვიდრე წერა.

კინოსტუდიას რომ ესტუმრებოდა და მოისამშაბათებდა, რევაზ ინანიშვილი დაუხვდებოდა. კარგა ხანს ეავადმყოფა და ცუდად გასუქებულიყო. ლაპარაკობდა, მხოლოდ თვითონ ლაპარაკობდა და სხვას ყურს აღარ უგდებდა.

8 ოქტომბერს გურამ მამულია გადასცემდა ელისაბედ ქავთარაძის ჩანაწერებს... კატორღა, გადასახლება, ციხეები იქნებოდა შიგ. ადრევე ყოფილიყო დაჭერილი და კიდეც დაეტუსაღებინათ 37-ში. ძალზე საგულისხმო აღმოჩნდებოდა ეს მოგონებები, მაგრამ დიდი სიძულვილით გაჟღენთილი რუსებისადმი. ამის გამო ჯერჯერობი, დღესდღეობით დაბეჭდვა არ შეიძლებოდა, სწორება-გადაკეთება კი არ ეღირებოდა...

სიზმარს ნახავდა ამ წაძინებისას.

წყალი დიდდებოდა, ხედავდა. მდინარე გადმოდიოდა ნაპირებიდან. რა მიხარიაო, ფიქრობდა. დედა და მისიანები (ძმა, და?) მიდიოდნენ ერთად. ეს მისძახოდა: წყალი დიდდებაო. არ ესმოდათ. ეძახდა, არ ესმოდათ!.. თანდათან დაშორდებოდნენ, მისდევდა, ეძახდა, წყალი დიდდებოდა! ხედავდა, წყალში ცურავდნენ წყლის ფრინველები, შემდეგ რაღაც მწერებივით დაიწყებდნენ ცურვას, ბუზების მსგავსნი, შავ-შავნი... ქვას ისროდა წყალში და უკან დაბრუნდებოდა...

ამის ჩაწერა ენდომებოდა სიზმრების რვეულში, ეძებდა ამ წიგნუკას, რომელსაც აქ, ქუთაისში ტოვებდა ხოლმე. ეძიებდა და ვერ ნახავდა. გაახსენდებოდა: შეევსო და სეიფში შეენახა, სამსახურში, სხვა წიგნაკ-რვეულებთან ერთად. თბილისში ახალი უნდა გამოეძებნა. აქ არ ექნებოდა და დღიურში ამიტომაც ჩაიწერდა ამ სიზმარს.

პოსტსკრიპტუმში გამოეხმაურებოდა პრესკონფერენციას, გადმოცემულს მოსკოვიდან ამიერკავკასიის 20-იანი წლების ისტორიის საკითხებზე, კერძოდ: გერმანია-ინგლისის ინტერვენცია და მათი განზრახვანი.

ინგლისმა თქვაო: გადავაქციოთ კავკასია მეორე ინდოეთად და მარგალიტადო. ბობოლა კომისრები მიახვრიტესო... რაში დასჭირებოდათ ამ ამბებზე გაყაყანება, ვერაფრისდიდებით ვერ ახსნიდა რეზო ჭეიშვილი. იქ კი სტალინსაც ახსენებდნენ და ლავრენტი ბერიასაც.

დევი სტურუა განაცხადებდა:

ბერია მუსავატელთა აგენტი იყო ძველ ბოლშევიკთა გადმოცემითა და საბუთებითო.

„საბუთებს" გაუბედავად იტყოდა და დასძენდა:

1931 წელს ეს საბუთები შეკრიბა ვანო სტურუამ, მიჰქონდა მოსკოვში და... უეცრად გარდაიცვლებოდა, საბუთები კი გაქრებოდაო.

ოოო, ამ ფაქტს კი გამოიყენებდა გამოყენებით რეზო, კუდსაც შესაფერისს გამოაბამდა...

თვით მომხდარი ფაქტი კი ამ შთაბეჭდილებას დაუტოვებდა:

ეტყობა განაწყენებულიყვნენ ძველ ბოლშევიკთა შვილები: ჩრდილს აყენებენ ჩვენს მამებს, ჩვენს წინაპრებსო (იგრძნობდა ეს), და იჩივლებდნენ ერთდროულად თუ კოლექტიურად, რაღაც ეგულმოდგინათ...

მთავრობა შესთავაზებდათ: მაშინ ინგლის-გერმანიაც მივაყოლოთო.

და ასე შეკოწიწდებოდა ეს უდღეური ფარსი.

მთავრობა ირწმუნებოდა:

რუსეთისაგან მისი განაპირა მხარეების ჩამოშორება სურდათო.

რუსეთის განაპირა მხარეებს ლეონიდ ბრეჟნევიც ახსენებდა.

არადა: ეს ხომ ჩვენ ვიყავით – რუსეთის განაპირა მხარეებში ნაგულისხმევნი!..

მურმან ლებანიძე გამოვიდოდა ტელევიზიით 9 სექტემბერს, ჯუმბერ პატიაშვილს რომ ახლდა ბათუმში. და ახლა არმაზ სანებლიძეს აძლევდა ინტერვიუს და დითირამბებადაც იღვრებოდა:

– ერი და ბერი ახლა ერთნაირად ფიქრობს, – სავსებით ნათლად და გასაგებად იტყოდა და... მაინც განმარტავდა:

– ერი ერია და ბერი კი ჩვენი მთავრობა, უფრო სწორად – ჩვენი მთავრობის ხელმძღვანელი.

შეშფოთდებოდა, მთავრობას ზოგადად რომ ახსენებდა: ემანდ მთავრობის ყველა წევრმა არ გადაინაწილოს ეს შეფასებაო, – და ამიტომაც ბეჭდით დაბეჭდავდა პირველკაცის სახელს.

ალექსანდრ პუშკინი 30 წლის ასაკში და შესაძლოა უფრო ადრეც იუკადრისებდა პაჟობას და... ამ პარალელს რომ გაავლებდა გუნებაში უნებურად რეზო ჭეიშვილი, როგორ არ გაანდობდა დღიურს გულისნყრომას:

ამისათვის ცოტა ნაგვიანევი ხომ არ არის ეს როლი, რას დასდევს სიბერეშიო?!.

ამავე დღეს თამაზ წივწივაძის მწვავე კრიტიკული წერილი გამოქვეყნდებოდა „ლიტერატურულ საქართველოში" დავით კვიცარიძეზე. იქნებოდა ერთი გამოცოცხლება ამათ შენობაში. საერთოდაც რომ უყვარდათ კაცის განადგურება და სეირის ცქერა, მითუმეტეს ეს კაცი არავის ჩაჰქროდა გულში, სულაც ჯიბის ქურდად აღიქვამდნენ, ბიჭიკოს, მებუფეტეს, ხორცს რომ ართმევდა თურმე... და რამდენი ამისთანა მოეთვალათ.

ლევან სანიკიძე იქნებოდა ჩამოსული და რეზო ამ წერილს რომ უხსენებდა, ის გაიკვირვებდა: არაფერი ვიცოდი, არ გამიმხილაო.

არც რეზოსათვის გაემჟღავნებინა წინასწარ, მაგრამ ტარიელ ჭანტურიას ეცოდინებოდა და... ეღიმებოდა რეზოს: გინდ ტარიელს ცოდნოდა და გინდ მთელს საქართველოსო.

წყალტუბოში ჩასულიყო ალმანახის გავრცელების თაობაზე, ორშაბათს ტყიბულს ეპირებოდა და ერთ-ორ რაიონსაც მოივლიდა ხუთშაბათამდე „განთიადის" გულისათვის.

ახლა „ვზგლიადი" გადიოდა ტელევიზორში. სერიოზულ წერას ვეღარ ახერხებდა და მაყურებლადაც არა სურდა ქცეულიყო მთლიანად. თან წერდა, თან უსმენდა...

კი მაგრამ... როგორ ახერხებდა ორივეს?

ყოველთვის ხომ არ იქცეოდა ამგვარად, ათასში ერთხელ კი ყოველგვარი ექსპერიმენტი შეიძლებოდა – ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი რა, მხატვრულზე ნაკლები გახლდათ?!.

ქუთაისში, რესტორნებშიც კი თამაზ წივწივაძის ამ წერილზე ილაპარაკებდნენ. სხვაგან, სხვა ქალაქსა და ქვეყანაში დავით კვიცარიძის გაკრიტიკება არ დააინტერესებდათ...

რა ცხოვრება იყო ქუთაისში და... კარჩაკეტილობა ოჯახებისა... მიდიმოდიოდნენ ერთმანეთთან, სტუმრობა კი აქაც და ყველგანაც, მთელს საქართველოში, ყველგან სმასა და სადღეგრძელოებს უკავშირდებოდა. თუ არ სვამდნენ და რას შვებოდნენ?

ტელევიზორს უყურებდნენ, რადგანაც ერთსადაიმავე ამბავს ჰყვებოდა ყველა მეორე დღეს.

იქნებ არსებობდა რაიმე პრივილეგირებული კასტა – არისტოკრატულის სახით და რეზომ არ იცოდა?

არ უნდა ყოფილიყო ასე, პრივილეგია აქ ფულსა და ცოტაოდენ სიმდიდრეს გულისხმობდა.

პარტიულ-თანამდებობრივი კლანიც მოიპოვებოდა ცხადია, თუმც სხვებისაგან ცხოვრების ნირით მაინცდამაინც არ განსხვავდებოდნენ.

სადღაც თამაშობდნენ, სადღაც შიშობდნენ, სადღაც ბრუვდებოდნენ ბოლით, ნამლით, ნემსით... ვიწრო ან მოსაწყენ წრეებად და მცირერიცხოვან ჯგუფებად იქნებოდნენ ისინიც დანაწილებულნი. რას აკეთებდა ახალგაზრდობა?

გრილი და თბილი საღამო იდგებოდა. ფეხით გამოჰყვებოდა, გაუხვევდა, გამოუხვევდა ცენტრში რამდენიმე ალაგას... სულ რამდენიმე ჯგუფს წააწყდებოდა. ერთი ჯგუფის ლაპარაკსაც მიუგდებდა ყურს. ბიჭობაზე, ღალატზე, სულმოკლეობაზე ექნებოდათ საუბარი. თვით კაკოც, მსოფლიო ჩემპიონობის კანდიდატი, დიდ კინოთეატრთან კიბეზე იქნებოდა ჩამომჯდარი რამდენიმე ბიჭთან ერთად. რეზოს დროს გადატენილი გახლდათ ხალხით, ახლა აქა-იქ... სად წავიდოდნენ დაღამებულს?.. რესტორნები იკეტებოდა, კინოთეატრში არ შედიოდნენ, ოჯახებში – ვიდეოს საყურებლად? მოზრდილები, რეზოს ხნისანიც კი კვირადღის ნაშუადღევსვე დაბანაკდებოდნენ რესტორნებში, და 9 საათისათვის წავიდოდნენ სახლებისაკენ ყანყალით... კაცი ქალს, გოგო ბიჭს არ დაჰყვებოდა და არ ელაპარაკებოდა.

რას აკეთებდა რეზო ჭეიშვილი მაგალითად შარშან?

სვამდა და ჩაბმულიყო ორომტრიალში. სიამაყით დასძენდა: პირიქით, მე გამოვაცოცხლე მაგენი, აქ მხიარულება იყო. ქალიც მოდიოდა, კაციც, ბუხარშიც ენთო ცეცხლი. გასვლებიც ბევრი იყოო.

მაგრამ... საქმე რომ არ იძვროდა?!.

თუ არ წაიკითხავდა, თუ არ დაწერდა, სამსახურს აღარც მიათვლიდა, როგორ და რითი უნდა ეარსება?

ცოტას კითხულობდნენ აქ და აგზაკვალიანებდა ზოგიერთს. „პრავდაში“ ტროცკიზე ეწერებოდა, „ლიტერატურულ საქართველოში“ – მოლოტოვზე, „ნოვი მირში“ – ბერია-ქობულოვზე... იქ ეს იქნებოდა, აქ – ის.

კითხულობდა, ასწორებდა, სამსახურის „ხლამსაც“ ათვალიერებდა, ზოგიერთს უკირკიტებდა.

„რკინის სახკომის“ მასალებსაც აგროვებდა, წერით მძიმედ წერდა...

შუადღით რესტორანში შეიყვანდნენ, მაგრამ შესვლამდე და გამოსვლის შემდეგ 1931 წლის „კომუნისტის“ მთელ კომპლექტს გადაიკითხავდა, „ზა-

რია ვოსტოკაში“ დაბეჭდილ ისაკი ჟვანიას მოზრდილ წერილსაც დაამუშავებდა და უკმაყოფილო დარჩებოდა, რადგანაც 20-იანი წლების საქართველოს რუსული პრესა ჯერ არ გადაეკითხა. სახათაბალო საქმე გახლდა და არ უნდა გამორჩენოდა არგამოსარჩენი...

ალმანახის გავრცელების საქმე? ხვალ ალბათ ტყიბულში მოუწევდა წასვლა...

ბიჭვინთას რომ მიაკითხავდა დასასვენებლად, 20 სექტემბერს, ისე კარგად იგრძნობდა თავს: დღიურს არც შევავსებო, – მანამდე რომ დაიქადნიდა, გუნება საგრძნობლად გამოუკეთდებოდა, რადგანაც გემის კაპიტნის სამყოფელს მიამგვანებდა თავის ბინას. აქ ორი წლის ჩაგდებით ისვენებდა ხოლმე, ამ ოთახში. ზღვა ხმაურობდა და მომწვანო ფერები, ტყის, ზღვის, წყლისა გადადიოდა ერთმანეთში. თვალი ისვენებდა ფერთა ამ ლივლივით.

სიყვითლე ჯერ არ შემოსულიყო.

წლის ეს დრო სჯობდა, როგორც იცოდა და ცნობილი როგორც გახლდათ. არადა ბავშვების გამო დადიოდა აგვისტოში. ახლა გადაწყვეტდა, რომ: წელიწადში სამი კვირა მაინც გამოეყო საზღვაოდ, და ეს წესად დაედო.

თამაზ ჩხენკელი და თამაზ ჭილაძე – მაგალითად – ხანგრძლივი დროით რჩებოდნენ აქ. ჭილაძე მარტოხელა გახლდათ და გასაგები იყო, თუმც არც მეორე თამაზს აწუხებდნენ დიდად მისიანები, დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა ამის გამო.

ქალებიც ნაკლებ საფიქრალ-სადავიდარაბონი იყვნენ, ვიდრე ბიჭები, მამაკაცები.

რეზოს გვერდით ოთარ ჭილაძე იმყოფებოდა. მთელი აპარტამენტი ეკავებოდა. არაფრად არ ჭირდებოდა ერთ კაცს, მაგრამ სხვაგვარად როგორ დაიკმაყოფილებდა პატივმოყვარეობასა და ამბიციებს?!.

საბეჭდ მანქანას აჩხაკუნებდა უხეიროდ.

მანქანაც ისე დაჰყავდა, როგორც ბეჭდავდა.

და ბოლობოლო: მწერალიც ეგეთი გახლდათ, რეზოს ამაში ეჭვიც არ ეპარებოდა.

პოეტი ბუნებით უფრო უნდა ყოფილიყო.

მისი ძმაც ლიტერატორი გახლდათ და არა მწერალი.

და ეს იმიტომ, რომ რეზოსეული მხატვრულ-ესთეტიკური ფორმულით:

მწერალი დამკვირვებელი უნდა ყოფილიყო, დამამახსოვრებელი და მთხრობელი გამორჩეული. ეს სამი თვისება, სხვა ყველაფერთან ერთად, აუცილებლად უნდა ჰქონოდა მომადლებული.

პოეტურობაც ადამიანისვე ბუნებაში, ხასიათში, გუნებაში სუფევდა.

ეტყობოდა ყოველთვის, ესა თუ ის ადამიანი პოეტი იყო თუ მელექსე. ჩვენში კი უმრავლესობა მელექსე გახლდათ – აბსოლუტური უმრავლესობა.

24 სექტემბერს „რკინის სახკომი“ ედებოდა წინ და ახლა მიადგებოდა სწორედ მთავარს: „ქართულ ინციდენტს“.

27 სექტემბერს ბიჭვინთაში ჩაუჯდებოდა მუშაობას და უკვე – როგორც დღიურში ჩაინიშნავდა – ახრჩობდა ორჯონიკიძეს...

საჭირო იყო, არ იყო საჭირო?..

შესაძლოა აუცილებელიც კი ყოფილიყო. ჩქარობდა. არ გახლდათ დარწმუნებული, რომ ეს დრო არ შეიცვლებოდა.

– ყველანი ვჩქარობთ.

რუსული ჟურნალ-გაზეთები მოსწორებაზე იქნებოდნენ. ბარემ ყველაფერი ერთად ვთქვათ, ნათქვამი რომ დარჩესო, ფიქრობდნენ ალბათ ამის შეტყობით...

თვითგამოცემებიც, „სამიზდატებიც“ მომრავლდებოდა... წერდნენ, რაც სურდათ და... არაფერი აღმოაჩნდებოდათ სათქმელი...

ზღვა ისევ იმფერი იქნებოდა... სამად განაწილებული, მხოლოდ ახლა შეუმჩნევლად გამიჯნულიყო ფერები... სწორედ ახლა გაგრის მხრიდან მოყვითალო ზოლი შემოვიდოდა, გასამკუთხედდებოდა სიყვითლე, შეჩერდებოდა... თითქოს უკან წასვლას აპირებსო...

თითქოს სხვა დროსაც ენახა ეს პეიზაჟი რეზო ჭეიშვილს.

1 ოქტომბერს იმპერატორის გვირგვინს დაადგამდნენ მიხაილ გორბაჩოვს. „დემოკრატიას“ იძახებდა და... დიქტატორის უფლებით კი აღიჭურვებოდა. თუ გულში ქვეყნის, წყობის დარღვევა ჰქონდა ჩადებული, რაც ცოტა საეჭვო იყო და გამორიცხული კი არ გახლდათ, მაშინ სულ „ტყუილი ბზუილი“ ყოფილიყო ყველაფერი.

იგივენი და იგივენი:

ასე მოიქცეოდა ნიკიტა ხრუშჩოვიც, ამას ჩაიდენდა სინოიაც ანუ ლეონიდ ბრეჟნევიც, დმიტრი ჩერნენკო და ანდროპოვი ვერ მოასწრებდნენ, „დროში დაიწვებოდნენ“...

1938 წლის მიუნხენის ამბებს აჩვენებდნენ ტელევიზიით. ადოლფ ჰიტლერი და ბენიტო მუსოლინი, ცალკერძ ნევილ ჩემბერლენი, ედუარდ დალადიე – აქეთ... გამომშრალი, ყოველისმნახველი დიპლომატების პოზით... თავს იტყუებდნენ და ატყუებდნენ თითქოს ერთმანეთს... უყურებდა და: თამაშობენო, – ფიქრობდა. ეკრანზე ლანდები ტრიალებდნენ, ლანდები და ხმები დარჩენილიყო და ამას რეზო სულების გამოძახებას ეძახდა... ითამაშებდნენ, ვიდრე სულებად გადაიქცეოდნენ, და წავიდოდნენ

რა დაუჯდებოდათ მათი ეს თამაში სხვებს?..

რაღაც გავაკეთეთო, ირწმუნებდნენ თვითონ და გაქრებოდნენ ლანდებად, პოლიტიკა, პოლიტიკოსთა მეცადინეობა-მოღვაწეობა თამაში გახლდათ მართლაც...

სხვების ცხოვრება რაღა იყო?

თამაში ისიც.

თუმც ფილოსოფია აზრის განვითარებას გულისხმობდა თითქოს, აზრის მოუდუნებლობის სამსახურში იდგებოდა...

მწერალი მისი დროის მემატიანე გახლდათ, ჟამთააღმწერელი...

მეცნიერი – პროგრესის, ექსპერიმენტის მონაწილე...

პოლიტიკას პატივმოყვარეობის, ეგოიზმისა და ყოველგვარი მანკიერების გამოვლენის საშუალებად მიიჩნევდა და სხვა რა შეიძლება ყოფილიყო, თუ არა თამაში?!.

ორ კვირაზე მეტს ზღვაზე არ უნდა გაჩერდეო, – ჩაინიშნავდა 2 ოქტომბრის დღიურში, უკვე რომ გაბეზრდებოდა იქ ყოფნით, თუმც ამინდი შესანიშნავი იდგებოდა.

შეუყვებოდა ტყის ბილიკებს და მიადგებოდა პატარა სოფელს, ძველს, თუმც ნამეტანი თანამედროვე ყაიდაზე გაწყობილს, ტყე იქნებოდა მაღალი, საოცრად მშვიდი და წყნარი – იელი, შქერი და დალიანდაგებული წითელი მიწა ტყისპირებზე.

– ზუსტად ოკრიბული გარემოა, – აღმოხდებოდა.

გვიმრის ყანა და ხიმის ღობე აკლდებოდა იქაურობას, თუმცაღა სხვაფრივ გარემო ოკრიბული იქნებოდა მართლაც. ნეშომპალასა და შორიდან მოდენილი ნაკელისა და კვამლის მსუბუქი სუნი რომ არა, ზღვა არ შეიგრძნობოდა არსაიდან.

საბოლოო ვარიანტი ჯერ ადრე იქნებოდა, მაგრამ 13 ოქტომბრისათვის „რკინის სახკომს" ასე თუ ისე დაამთავრებდა... ხელნაწერის 200 გვერდს გადააწყობდა ხუთ კვირაში. ფაქტებისა და ციტატების შეჯერება შეაწუხებდა და წაართმევდა დიდ დროს... ისე კი ბიჭვინთაში დასვენებისათვის შეიძლება „ნაყოფიერიც" კი ეწოდებოდა.

„რკინის სახკომი" რა შუაში იყო, ვეღარ გაეხსენებინა. სადღაც ამოეკითხა და შემდეგ ვეღარ მიაგნებდა... სათაური შეიცვლებოდა ალბათ... ან იქნებ დაეტოვებინა კიდეც...

14 ოქტომბერს „ლიტერატურულ საქართველოში" შეიძლება გამოქვეყნებულიყო მისი სტატია და... ახლა ფიქრობდა: აღარ იყო საჭიროო. აქამდე დააგვიანდებოდა და აღარ ღირდა, ან თავი უნდა შეეკავებინა და ან ჩაესწორებინა საფუძვლიანად. თავს ამუნათებდა, მაგრამ ვეღარაფერი შეიცვლებოდა.

14 ოქტომბერს სტუდენტები ესტუმრებოდნენ: პოლიტექნიკურში ვსწავლობთო.

აინტერესებდათ:

რა შედეგი მოჰყვა „განთიადის" მეოთხე ნომერში გამოქვეყნებულ მასალას ნამოხვანჰესის მშენებლობაზეო?

– ის შედეგი მოჰყვა ჯერჯერობით, რომ თქვენ მოხვედით, თქვენსავით კიდევ შეწუხდება ვინმე და ესეც საქმეა...

ასეცაა ალბათო, – გუნებაში დასძენდა.

ოთხნი იქნებოდნენ: მეორე-მესამე კურსის სტუდენტები. რეზო ელაპარაკებოდათ, ბევრს ეტყოდათ, საკმაო ინფორმაციასაც მიაწვდიდათ. წერილის ავტორებთან, ილიას საზოგადოების წევრებთან მიასწავლიდათ. დაარიგებდათ და შეაგულიანებდათ კიდეც:

– ამოიღეთ თქვენც ხმა.

დაღონებულები წავიდოდნენ...

– დრო არ გეკარგება? – ჰკითხავდა ელგუჯა მაღრაძე ქუთაისში წამოსვლის წინ.

ეკარგებოდა რომელია... სამაგიეროდ მარტოობა შველოდა თითქოს საღამოობით... და მაინც თბილისის იმ ხმაურსა და დავიდარაბაში უფრო მუშაობდა, ვიდრე აქ... აქ ჟურნალზე უფრო ფიქრობდა...

18 ოქტომბერს პირველ სალანძღავ წერილს მიიღებდა ამ სტატიის გამო ვიღაც ქუთაისელ-თბილისელი, წერა-კითხვის ცუდად მცოდნე ქალისაგან, გაბოროტებით რომ იწერებოდა... ვიღაც-ვიღაცები, შესაძლოა „ძმათაგანიც“ გაწყრომოდა და... ამით დამთავრდებოდა... ადრინდელის მსგავსი გამოხმაურება აღარ იქნებოდა. ეჩვეოდნენ ნელ-ნელა სტალინის „გინებას“.

წინ ედებოდა „რკინის სახკომი“ და ვეღარ მუშაობდა... საჭიროც იყო ცოტა ხნით თვალის მოშორება, თუმც სხვა რამეზეც შეიძლებოდა გადართვა. ორი მოთხრობა – ერთი დიდი და ერთიც პატარა – ექნებოდა გადასაწერ-გადასათეთრებელი.

19 ოქტომბერს ცუდად ეძინებოდა და გვიანობამდე შეჰყვებოდა ვიკტორ ნოზაძის „მიჯნურმეტყველების“ კითხვას. დიდძალი მასალა დაელაგებინა უსისტემოდ თუ სისტემიანად. ვერაფერს იტყოდა... უგულოდ კი კითხულობდა, უხეირო, მოუქნელი ქართული აღქმას უძნელებდა.

ისედაც გაღიზიანებული იქნებოდა იმ დღეს, დავით კვიცარიძე რომ დაუჯდებოდა კაბინეტში. გვერდით ოთახში ცხელი ღომი და სულგუნი ელოდებოდა რეზოს და... ითმენდა. არც ეძახდნენ, არც მიდიოდა თავისით კვიცარიძე, და ლაპარაკ-ლაპარაკში გიორგი ციციშვილის ნათქვამსაც ამცნობდა:

– ოთხს – მუხრან მაჭავარიანს, ჯანსულ ჩარკვიანს, თენგიზ ბუაჩიძესა და ელგუჯა მაღრაძეს – დაასახელებენ, ერთ-ერთს ავირჩევთ და წავა წინ საქმე...

დიდი გაუბედავი კაცი აღმოჩნდა პატიაშვილიო, – თავისას ფიქრობდა რეზო ჭეიშვილი, – ჭადრაკის გაქვავებული ფიგურების გადაადგილებაც უჭირს, არადა ამოძრავდებიან ნელ-ნელა, მეტ-ნაკლებად, და ამის შემდეგ სულ დაებორკება ხელ-ფეხიო.

27 ოქტომბერს „საუნჯის“ რედაქციაში რომ შეიყრებოდნენ, მუხრან მაჭავარიანს უჭერდნენ მხარს თითქოს.

ვნებათაღელვა არა ცხრებოდა. ზუზუნებდნენ მწერალთა კავშირში, იკრიბებოდნენ სხვადასხვა ადგილებშიც. გაჰქონდათ და გამოჰქონდათ ბოლო ცნობები, ჭორები, ნათქვამ-გაგონილები.

28 ოქტომბერი დატვირთული დღე აღმოჩნდებოდა.

ნარგიზა მგელაძეს ესტუმრებოდა „თბილისის“ რედაქციაში და ორშაბათისათვის შეპირდებოდა წერილის მიტანას. მოასწრებდა? ხვალ კახეთს ეპირებოდა წასვლას. თუ არ დაწვებოდა და თავწაღუნული იმუშავებდა – და ჩაიღიმებდა: ლენინივითო – გაასრულებდა კიდეც საოქტომბრო საწუხარს, მაგრამ... თავიც რომ აღარ ჰქონდა?!.

პუბლიცისტების სექტა რეზოსაც დაასახელებდა თურმე... ასე სათითაოდ, ვისაც რა მოგუნებებოდა, ის წამოეძახა. მანამდე სექციები სამ-სამ კაცს გამოაცალცალკევებდნენ: მუხრან მაჭავარიანის, ჯანსულ ჩარკვიანის, აკაკი ბაქრაძის გარშემო იტრიალებდნენ ძირითადად... არჩილ სულაკაურიც დასახელდებოდა – მცირეოდენი შანსით. ლაშა თაბუკაშვილი უარს განაცხადებდა მონაწილეობაზე. სამაგიეროდ: იგლიჯებოდნენ – მიშველაძენი, ფანჯიკიძენი და სხვანი მათნაირნი.

1 ნოემბერს კიდევ რუზრუზი იქნებოდა მწერალთა კავშირში. რეზო რომ კინოსტუდიაში იჯდებოდა, იქ ყიყინებდნენ თურმე სხვადასხვანიც და სხვადასხვანის წარმომადგენელნიც, ბოლოს ჯანსულ ჩარკვიანის კაბინეტში მოიყრიდნენ თავს.

ჯანსულ ჩარკვიანი ზვიად გამსახურდიაზე იტყოდა:

– მაგნაირი კაცი სად არის!..

და ძმები გახდებოდნენ ერთბაშად. არადა: რეზოსაც ახსოვდა, როგორ აგინებდნენ ერთმანეთს დედ-მამას.

პროზის სხდომაზე საერთო კრების მოწვევა გადაწყდებოდა და... ჯანსულის აქციებიც დაიწევდა არჩევნებში. გამგეობაში – რეზო კი ეჭვობდა – სხვაზე მეტ ხმას დააგროვებდა თითქოს.

მუხრან მაჭავარიანი გამარჯვებულის სახით გამოცხადდებოდა.

გია ლომაძე რაღაცას იყნოსავდა: სასწორი ამათ მხარეს იხრებაო, – და ამათკენ დაიწყებდა სიარულს. თევზს შეახარბებდათ და... კიდეც მას ეწვეოდნენ ვახშმად. თევზი მართლაც კარგი გამოდგებოდა...

1 ნოემბერს ქუთაისში რომ ჩავიდოდა, „რკინის სახკომს" მიატოვებდა და წერილს წამოიღებდა მარტო. ექვსამდე აქ რჩებოდა და მანამდე გაამზადებდა, რადაც უნდა დაჯდომოდა... სამი დღე „განთიადის" მე-6 ნომრის ჩაშვებას მოუნდებოდა და დღისით ამ პატარა წერილზე იმუშავებდა, რომელშიც ბევრის ჩატევას აპირებდა...

„თბილისის" ფურცლებზე რომ დაიბეჭდებოდა ეს წერილი თუ ინტერვიუ, ყურადღებას მიიქცევდა. ურეკავდნენ... მთავრობა, თუკი ღირსად ცნობდა, 21 ნოემბერს გამოეხმაურებოდა...

აწონიდა, დაწონიდა და გადაწყვეტდა:

აწი უნდა მოვეშვა ამ წერილომანიას და მივხედო საქმესო.

25 ნოემბერს ძალიან აღარ ენდომებოდა აქ ყოფნა – სამსახური და საწვრილმანო მწერალთა კავშირი. ქუთაისიც აღარ ენდომებოდა... და გალაკტიონური ნამოუტივტივდებოდა: მწუხარე არის ვით შემოდგომაო... უკუნეთი, სიბნელე სუფევდა აქ, იქაც და სხვაგანაც, და მაინც აქ... მძიმე და მძიმე დღე იქნებოდა...

ეს იმიტომ, უსიამოვნებანი შეემთხვეოდა ისეთი, არც დავიწყება რომ არ შეიძლებოდა და არც გამოსწორება.

10 ნოემბერს, ხუთშაბათ დღეს – ხომ არ ეშლებოდა? – გაიმართებოდა საქართველოს მწერალთა კრება.

აირჩევდნენ თავმჯდომარედ მუხრან მაჭავარიანს – დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ...

უბრალოდ და იოლად არ გავიდოდა სათავეში.

ჯანსულ ჩარკვიანი და მუხრანი დაუპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. ჯანსული იომებდა, იომებდა, მაგრამ...

– ჩვენი ტაქტიკა სწორი აღმოჩნდა.

მთავრობასაც მუხრანი ენდომებოდა, მაგრამ იგი (მთავრობა) არჩევნებში არ გაერეოდა.

რეზო ჭეიშვილისათვის დარჩებოდა დაფარული კულუარული ამბები, თორემ გარეულიყო რომელია – მთლად თავის ნებაზე მოაკვარახჭინებდა ყველაფერს და არჩევნებს სპექტაკლივით გაათამაშებდა.

ხმებს კი რეზოც ითვლიდა სხვებთან ერთად და სიას თანაც წამოიღებდა.

მიიჩნევდნენ, რომ: არჩილ სულაკაურს შეცდომა მოუვიდოდა, მონაწილეობას რომ მიიღებდა, რევაზ მიშველაძეზე კი აღარც ღირდა ლაპარაკი:

– ყველაფერ უბედურებასთან ერთად სულელიც აღმოჩნდა.

აირჩევდნენ თავმჯდომარეს და დადგებოდა ჯერი მდივნებზე.

კრების თავმჯდომარეობა უკვე მუხრან მაჭავარიანს დაევალებოდა და... იქვე უღალატებდა წინასწარ ნათქვამს, წინასწარ შემუშავებულ გეგმას. ისე გააბრუებდა ეს წარმატება, რომ სიტყვის გაცემას აღარაფრად ჩააგდებდა.

ადრე აცხადებდა:

– თუკი ამირჩევენ, ვიტყვი: მე არ შევასრულებ ჩემს მოვალეობას, თუ ყოფილი მდივნები არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ-მეთქი.

ახლა კი:

– დაასახელე, შენ ვინ გინდა, – დაუძახებდნენ ქვემოდან.

და პასუხად:

– მე ვასახელებ ექვსივე მდივანს, ექვსი თქვენ თქვით, სულ თორმეტს ვუყაროთ კენჭი...

სამი იყო ასარჩევი და გარდა იმისა, რომ თორმეტ კანდიდატს გახდიდა, სხვა ვერაფერს მოიფიქრებდა საზრიანს.

ჭაბუა ამირეჯიბი გამოვიდოდა ამასობაში და არევდარევდა ისიც დალაგებულ რაზმს კანდიდატებისა:

– რა პირით, რა ზნეობით, რა ნამუსით იყრის მდივნობაზე კენჭს ის ადამიანი, ვინც თავმჯდომარესთან ბრძოლაში დამარცხდა.

ამერიკის არჩევნებსა და საარჩევნო სისტემის თავისებურებასაც კი მოიშველიებდა. არსად ჭაბუას სახელი არ გახმიანდებოდა და თავსაც ამით გამოაჩენდა. ცოტა არაყიც გადაეკრა ბუფეტში მალულად, გურამ სხირტლაძესთან ერთად. ხალხი რომ მის სიტყვებზე ტაშს დაუკრავდა, ჯანსული ანერვიულდებოდა, ბოლოს სულაც დაჰკარგავდა წონასწორობას და უარს განაცხადებდა კენჭისყრაზე. თამაზ ჭილაძეც აჰყვებოდა. არჩილ სულაკაური ჭაბუას გამოსვლამდე უკვე იტყოდა უარს მდივნად კენჭისყრაზე და ამ გამოსვლის შემდგომაც იმავეს გაიმეორებდა.

უხერხული ვითარება შეიქმნებოდა და რეზო ჭეიშვილიც მოხსნიდა თავის კანდიდატურას, მაგრამ თამაშიდან თავის გასვლას დაასაბუთებდა კიდეც, რათა ეს ყველაფერი უნებურად პროტესტს არ დამსგავსებოდა.

რეზოს დაასახელებდა კამილა კორინთელი და ამას დღემდე არ ეცოდინებოდა ზუსტად, თუ რატომ გამოედო თავი ამ პოეტსა და მთარგმნელს მისი გულისათვის.

ზურაბ კუხიანიძეს უნდა ეთქვა სიტყვა კამილას შემდეგ და ჩამობრუნდებოდა სცენიდან: მეც ამას ვამბობდიო.

იორამ ქემერტელიძეც რეზოზე აპირებდა შეჩერებას – ეს როგორც შეატყობდა – მაგრამ მუხრანი იქით აღარ გაიხედავდა.

დარჩებოდნენ თერთმეტნი.

და ამ თერთმეტიდან სამი – წინასწარი შეთანხმებისა და მოლაპარაკების შემდეგ – დააგროვებდა საჭირო ქულებს.

რომ მოეფიქრებინა რეზოს და იმ წამსვე (წუხილით დასძენდა: ამას გამოცდილება უნდაო!) დაესახელებინა თავის მაგივრად ნოდარ წულეისკირი, და თუ იგი უარს იტყოდა, მისი რეგიონის რომელიმე წარმომადგენელი შეერჩია, ხუტა ბერულავა „ოფსაიტში" დარჩებოდა – ხმებს გაუყოფდა მისი კუთხის კაცი.

– ეგ ეგრეა და რატომ და რისთვის მოხდებოდა ამნაირად, სალაპარაკოც არ არის.

დამთავრდებოდა კრება გვიან.

ჯანსულ ჩარკვიანი ძალიან შეეცოდებოდა, არჩილ სულაკაურიც (არჩილი მაინც აღიდგენდა რეპუტაციას ნაწილობრივ), და რევაზ მიშველაძეც კი...

ირაკლი ბაზაძეს ვახშამი ექნებოდა გამზადებული და იქ წავიდოდნენ. ენვერ ნიჟარაძე და მუხრან მაჭავარინი იმდღევანდელ აღზევებაზე ფიქრობდნენ და დიდხანს აღარ გაჩერდებოდნენ ვახშამზე.

12 ნოემბერს დიდი დემონსტრაცია გაიმართებოდა იპოდრომზე – ხალხი ბევრი, გამოსვლები კინაღამ უაზრო და უმისამართო, და მაინც საჭირო ალბათ...

ცუდი ამბები ჩამოდიოდა ქუთაისში თბილისიდან... 25 ნოემბერს ზვიად გამსახურდია გამოჩნდებოდა გიჟის თვალებით... გიგა ლორთქიფანიძე ლაპარაკობდა უნივერსიტეტში... ნაცნობი სახეები უკან... ყველას ეგონებოდა თავი ყველაზე მეტის მცოდნე...

ირეოდა ქვეყანა, ცუდი, მწარე კვამლის სუნი ასდიოდა ყველაფერს...

27 ნოემბერს გაიმართებოდა ილიას საზოგადოების ქუთაისის განყოფილების დამფუძნებელი კრება. თბილისიდან ჩამოვიდოდა ჯუმბერ კოპალიანი, ეს დმანისელად რომ მოიხსენიებდა, და თან მოჰყვებოდნენ სოხუმელები: ბორის კაკუბავა და ნუგზარ მგალობლიშვილი. კარგ შთაბეჭდილებას დატოვებდნენ. კაკუბავა გაეგონა, თუმც პირადად არ ეცნობებოდა. სხვა ორი – არც ენახა და არც სმენოდა.

კერძო ბინაში ჩატარდებოდა შეკრება. ახალგაზრდებით გადაივსებოდა, არც ეტეოდნენ... უბინაობის გამო სხვებისათვის ვერ გაეგებინებინათ და ყველა მსურველი ამიტომაც ვერ მოეყვანათ.

რეზო ჭეიშვილს საპატიო წევრად აირჩევდნენ.

– თუ არის თანახმა? – ეკითხებოდნენ ერთმანეთს ჩუმად.

– წინააღმდეგი არ ვიქნები, – ადრევე ეტყოდა მასპინძელს – მერაბ გვაზავას – სასაფლაოზე.

დამფუძნებელ კრებაზე ეთბილებოდა, ილაპარაკებდნენ გაბმულად, მოსაწყენად და რეზო ძილს ვერ ართმევდა თავს. ახლაც არა შორდებოდა ეს ძილქუში...

11 დეკემბერს კიდევ ნაუმატებდა „განთიადის“ ფორმებს, კიდევ რაღაცას შემატებდა. მწერალთა ახალ ხელმძღვანელობას რეზოს მთლიანად – თავმჯდომარედაც და რედაქტორადაც – აქ გადმოსროლა გადაეწყვიტა. ამის ვარაუდით, არ გამოვიდოდა. და ძალდაუტანებლად უნდა წამოჰგონებოდა ის სტრიქონები, როსტომ რაჭის-ერისთავის სახელით რომ შემოგვრჩენოდა: ესე ასრე არ იქნება, ბასილა და კვირიკაო, მინდორს მაძლევ, ციხეს მართმევ, დავჯდე, უნდა ვირიკაოო?..

დაესწრებოდა ცენტრალურ კომიტეტში „აქტივს“... თანდათან გაირკვეოდა და გამოიკვეთებოდა სომხეთის ტრაგედია, თავდაპირველად მხოლოდ მიწისძვრა – რასაც გვანახებდნენ – რომ გვეგონებოდა – ცოტა მეტი, ცოტა ნაკლები – და მეტი არაფერი.

14 დეკემბერს გულს შეაწყდებოდა:

სად წავიდე, სად გადავვარდე, აღარ ვიცი... თანდათან მირთულდება ცხოვრება... ჩემს საქმეს ვერ ვაკეთებ, თორემ ყველაფერს გავუძლებდიო...

შვილიშვილები უნდა დაეფიცა: იანვარ-თებერვალსაც აღარ შეხედავდა, ვიდრე „რკინის სახკომს“, ორ ნოველასა და „ჩემ მეგობარს ნოდარს“ არ მიხედავდა, სუფრას არ გაეკარებოდა!..

გუშინწინ – სხვა გამოსავალსაც ვერა ხედავდა – გაეტეხა ისედაც ფიცი. და „გამზრდელის“ სტრიქონები ამოუტივტივდებოდა თვითყვედრებად: რომ გატეხე, ის გეყოფა სიკვდილამდე შენ საკვნესადო!..

რეალური ვითარებაც ამას ითვალისწინებდა და მწერალთა კავშირის გადაწყვეტილებითაც:

რეზო ქუთაისის მწერალთა განყოფილების თავმჯდომარედ თუ მდივნად უნდა დამდგარიყო.

პატივმოყვარე ვარ ალბათ მეცო, – გაიფიქრებდა 16 დეკემბერს, მაგრამ იმასაც შეატყობდა, რომ: არავითარ პატივმოყვარეობაზე ეს ვითარება არა მოქმედებდა. არც სურდა, გრძნობდა, არც რაიმედ ვარგოდა ქუთაისის განყოფილების ხელმძღვანელობა. იფიქრებდა, იფიქრებდა და... ბოლოს მაინც მერკანტილურად მიუდგებოდა ამ საქმეს: იქნებ ბინა შეესყიდინებინათ და ამას თავისი და-ძმისათვის გადაეფიქრებინა ბინის გაყიდვა. ერთადერთ გამოსავლად ესღა რჩებოდა მგონი.

– ორი წელი გაჩერდი, – სთხოვდა მუხრან მაჭავარიანი.

ამ ორ წელიწადში ჟურნალსაც – უფრო სწორად ალმანახსაც – რაიმეს შემატებდა და სახლსაც გადაარჩენდა.

ეს ყველაფერი კი მაინც დროს წაართმევდა, მაინც ბევრ რამეს დააკარგვინებდა... არადა: ამ წლებში და ახლა აპირებდა მთავარის დაწერასა და გაკეთებას.

ძალზე ადრე ძალიან ახალგაზრდა მუხრანი – რეზოსდა გასაოცებლად – იტყოდა:

– პოეტი ერთხელ რომ დაწერს, წერს შემდგომ იმავეს, იმავე ვარიაციებს იმეორებს... მეც ასე ვარ და სხვებიც ასე იქნებიან...

მაშინ მუხრან მაჭავარიანი 30 წლისა უნდა ყოფილიყო, ან არცა...

თუკი ეს მართალი გახლდათ, თუკი მუხრანი სიმართლეს ღაღადებდა იმ-ჟამად, ეს სიმართლე – რეზოს ვარაუდით – ალბათ პოეტებს ეხებოდათ, მხოლოდ: მცირეოდენი კორექტივებით.

და თავის დაკვირვებას გააცხადებდა:

1927 წელს დამთავრდა ფაქტობრივად გალაკტიონიო.

რამდენიმე ლექსი დაწერა მას მერე მხოლოდ, და:

ამიტომაც იმ ასაკში თუნდ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ დამდგარიყო, გინდაც ცენტრალური კომიტეტის მდივნადო...

უკეთესი იქნებოდა გაცილებით მისი შემოქმედებისთვისაც და ჯანმრთელობისთვისაც.

ოღონდ ესეცაა: რომანტიკულ ელფერს დაჰკარგავდა რამდენადმე.

რეზო ჭეიშვილი როგორღა მოქცეულიყო?

ჩათრევას ჩაყოლაო... არა, ეს არ გამოდგებოდა. და დაელოდებოდა მოვლენებს მაინც.

ქუთაისიდან რომ წამოვიდოდა 20 დეკემბერს, რიკოთზე ტყე იქნებოდა შეფიფქული, ტოტები მოარშიებულიყო თეთრად და ლამაზად... ზღაპარივით ახლომდებარე, შორეული და მომაჯადოებელი...

ტყესაც რა შთამბეჭდავად დაახასიათებდა ერთი მოქნევით: ზღაპარს რომ შეადარებდა.

და ზღაპარსაც რა ორიგინალურად და ღრმააზროვნად წარმოსახავდა:

ერთდროულად ახლომდებარედაც რომ აღიქვამდა და შორეულადაც, მომაჯადოებლად ხომ თავისთავად.

რას ინატრებდა და:

შემიყვანა ახლა იმ ტყეში, იმ სიჩუმ-სიმყუდროვეშიო.

რა ძნელი ეგ იყო?..

მიჰყავდი მძღოლს სამსახურისას, ეჯექი გვერდით გაფუყული, დაიცდიდა და დაგელოდებოდა, მაგრამ... გაოცდებოდა და შეეცოდებოდი კიდეც...

არა ღირდა!..

ან მარტო უნდა ყოფილიყავი მართლაც და ან შენი ჭკუის კაცთან გემგზავრა ამ დროს...

ასე იქცეოდა და ასეც მოიქცეოდა კვლავ...

როგორ გაეხედნა და როგორ მოემსახურებინა ეს ათი წელი თავისი „ნივა“. დაატარებდა მთვრალსა და ფხიზელს გზასა და უგზოზე... რეზოს კი არ დაჰყავდა მანქანა, მანქანას დაჰყავდა რეზო ცხენივით...

მანქანაც უცნაური უნდა ჰყოლოდა, თავისთავად გაუცნაურებულიყო რეზო ჭეიშვილის გადამკიდე, და ამიტომაც ეტარებინა ასე უხიფათოდ გზაზეც და უგზოზეც...

რა იყო მაინც ცხოვრება – ტყეშიც ველარ შესულიყავი შენს ნებაზე და გემოზე, ველარ ჩაფლულიყავი ზღაპარში, ასე ახლომდებარესა და ასე შორეულში... და ხილვადღა გამოგყვებოდა თეთრად და ლამაზად მოარშიებული ტოტები...

ორი ფორმა დაემატებოდა „განთიადს“, მოინდომებდა და კიდეც გაკეთდებოდა. თუ ხელს არაფერი შეუშლიდა, ამასაც ერთგვარ გამარჯვებად მიითვლიდა.

ეპარებოდა სასმელს და როგორ წავიდოდა მისი საქმე, ვერ იტყოდა. ერთ წელიწადს შეიკავებდა რაღაცნაირად თავს... ახლა უჭირდა, ახლა აღარ ეცლებოდა სხვა რამისათვის სწორედ... კითხვით კითხულობდა მაინც, ნახულობდა სიზმრებს და... ველარ იმახსოვრებდა... ეს უკვე აღარ მოსწონდა, სიზმარეთის ქვეყანა მის მიღმა რომ რჩებოდა...

27 დეკემბერს ივან ბუნინის ტომი ედებოდა თავთით... საგულისხმო აღმოჩნდებოდა ეს წიგნი. რეზოსავით უკვირდა იმასაც:

როგორ დაწერა ისე ახალგაზრდა ანტონ ჩეხოვმა იმდენი და იმნაირიო.

მიხაილ ლერმონტოვისაც უკვირდა:

რამ დააწერინა ამ ხნისას „ტამანიო"?

და ეთანხმებოდა რეზო:

ეს მართლაც საკვირველიაო...

დრო მიდიოდა, წლები მიექანებოდა და რეზო 1989 წლის 4 იანვარსაც მიადევნებდა თვალს თავისი წილი დროის ბრუნვას.

სხვაც ბევრი დაუგროვდებოდა გასახსენებელიც, უკვე ჩასაწერიც, დასაწერიც.

ძილსაც გრძნობდა, თუმც – ეს პირველი შემთხვევა გახლდათ – იფიქრებდა, რომ ვეღარასოდეს დაწერდა ამათ მსგავსს:

„რასემონი" იქნებოდა,

„ვაიმე, ჩემო ვენახო",

„მეოთხე სიმფონია"

თუ „გუია ა."

თუნდ სახელდახელოდ შედგენილ სიაში როგორ უნდა გამორჩენოდა „გია" და „კვამლი"? ანდა „მიწების განაწილება" არ უნდა ყოფილიყო ამ ჩამონათვალში მოხვედრის ღირსი?..

ძალიან დააგვიანდებოდა „განთიადის" პირველ ნომერს, რეზოს ბიოგრაფიულ რომანს სერგო ორჯონიკიძეზე: „რკინის სახკომს".

დიდზე დიდი იშვიათობა რომ გახლდათ ამ ჟანრის ქმნილების მთავარ გმირად უკეთური, სახელგატეხილი ადამიანის შერჩევა?

მითუკეთესი!..

თანაც ამაზე ხომ არც ეფიქრა, მაინცდამაინც დიდი იშვიათობა რაც არის, სწორედ იმას გამოვედევნოო. ის კი არა: მცირე ჩანახატს ნოველადაც არა ვარაუდობდა და... ეს სადამდე გადაეჭიმებოდა.

არა მაინც რა უცნაური და აუხსნელი მოვლენაა ეს შემოქმედებითი ძიებანი, საიდან სად რომ შეუძლია გადაგტყორცნოს.

ბიოგრაფიულ რომანზე არც ეფიქრა და... უეცრად ახალ მიდრეკილებას დაუდებდა სათავეს ქართულ ბიოგრაფიულ რომანისტიკაში, წლების შემდგომ გამგრძელებელნიც რომ გამოუჩნდებოდნენ: ჯერ მარტო ელგუჯა თავბერიძე აშორდიებზე: სოლომონსა და თადაზე – შექმნილი ქრონიკებით: „აირევი ივერია" და „თოვლი აგვისტოში" – კვალში რომ ჩაუდგებოდნენ „რკინის სახკომს". და იასე ფალავანდიშვილის ცხოვრების ქრონიკაც – „იასე იანუსი" – თქვენი მონა-მორჩილისა ამავე გზა-ბილიკს უნდა გაჰყოლოდა.

დროს რატომ ჰკარგავს, რატომ ცდებაო, – წუხილს გამოთქვამდნენ ისინი, რომელთაც არ გაეგებოდათ ბიოგრაფიულ რომანისტიკაში ამ მიდრეკილების მნიშვნელობა, ანდა იმ მხრივ შეფიქრიანებულიყვნენ: ემანდ სერგო ორჯონიკიძის რეაბილიტაცია ხომ არ განუზრახავს რეზო ჭეიშვილსო.

რას იზამ: ეჭვი იმისთანა რამაა!..

ნეტა რა გამოვა, მართლა ღირდა თუ არაო, – ეს განცდა თვითონ ხომ არ მოასვენებდა და არა, მითუმეტეს დაბეჭდილი – როგორც სჩვეოდა – ძალზე ჩვეულებრივი მოეჩვენებოდა, დროის დაკარგვად რომ დაენანებოდა ეს რაღაც „რკინის სახკომი“.

თავი მესამე

„ყველა ჩემი ნაწარმოები დაუმთავრებელია“

8 იანვარს კვლავ აპირებდა დაერეკა ტაქსაფონიდან. ბინიდან შეკვეთებს არ იღებდნენ, და თურმე ქუჩიდან – კი. და შესანიშნავადაც ირეკებოდა. მიხეილ ქვლივიძეს ესწავლებინა ეს ტაქსაფონი „ვორონცოვზე“, პლეხანოვის – ამჟამად უკვე დავით აღმაშენებლის – პროსპექტის ბოლოს. სწორედ დღეს შემოეველო რეზოსთან ვაჟთან ერთად – ლამაზი და ჭკვიანი ბიჭის შთაბეჭდილებას დატოვებდა მასზე გიორგი, მიხეილის სიბერის შვილი.

– გოგოები გამირუსდა, ამან რუსული არ იცის, – გახარებული ეტყოდა მიხეილი, ლექსებს რომ დაუტოვებდა და თვითონ „მზიურში“ გადავიდოდა.

11 იანვარს თენგიზ ბუაჩიძესთან შეიყრებოდნენ: ელდარ შენგელაია, თენგიზ აბულაძე – ფეხად გამოასწრებდა რეზო – და გურამ მამულია. შეადგენდნენ ძალზე ლაკონიურ დეკლარაციას, რომელიც წესით, თუკი ხელს არაფერი შეუშლიდა, ხვალ უნდა გამოქვეყნებული „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე.

ხელს მოაწერდა მუხრან მაჭავარიანიც, რომელიც ამ საქმეს არავითარ მნიშვნელობას არ მიანიჭებდა. ხელს მოაწერდნენ ავთანდილ წულაძეც და ელიზბარ ჯაველიძეც, რომელსაც რეზო შეატანინებდათ ხელმომწერთა სიაში.

რეალურად გასაკეთებელი, განსახორციელებელი და საგულისხმო, საჭირო საქმე ჩანდა, თუ რეზო ჭეიშვილი არა ცდებოდა.

14 იანვარს მიხაილ გორბაჩოვი რომ გამოვიდოდა ტელევიზიით, რა სურდა, ვერ გაიგებდა რეზო, და რას ლაპარაკობდა – იმასაც ვერა.

დასკვნას კი ამას გამოიტანდა იმ გაურკვეველი ტირადიდან:

იმდენს იღებთ, რასაც მუშაობთ, და აწი და დღეის ამას იქითაც იმდენს მიიღებთ, რამდენსაც იმუშავებთ. „ურგნილოვკა“ არ იქნებაო...

რუსების გასაგონად გახლდათ – როგორც ჩანს – ნათქვამი. მათი ოცნება ხომ ეს იყო და ეს რჩებოდა: ერთმანეთზე კარგად არ ვიცხოვროთო. ვინც ბევრს იშრომებდა, ბევრსაც რომ მიიღებდა, ოოო – ეგ უკვე არა, ამის ატანა მათ არ შეეძლოთ და ვერც დააძალებდი.

15 იანვარს ჩაინიშნავდა, გურამ მამულია და ჩინო რომ ესტუმრებოდნენ, გრიგოლ აბაშიძის ვაჟი:

– დეპუტატად უნდა დაგასახელოთ უმაღლეს საბჭოში.

ეს ივარაუდებდა: ალბათ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სახელითო.

რეზოს გარდა კიდევ რამდენიმე კაცზე ფიქრობდნენ და: თქვენ ვის გვირჩევდითო? – ამასაც დაეკითხებოდნენ. და რეზო ნოდარ წულეისკირსა და მერაბ კოკოჩაშვილს ურჩევდათ.

მთლად რეალურ საქმედ ვერ მიიჩნევდა, თამაშს უფრო ჰგავდა, მაგრამ საჭიროს კი. ნიშნავდა, რომ: ოპოზიციასაც – თუ ის საზოგადოება ოპოზიცია იყო მხოლოდ – მოეპოვებოდა თავისი აზრი, თავისი შეხედულება... რეზო ჭეიშვილის პირადი პატივისცემითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული ის დემარში...

16 იანვარს შეხვდებოდა გივი აბზიანიძეს. ფეხით ჩავიდოდა ქალაქკომამდე თოვაში, უგზოზე. ელოდა ქალაქკომის მდივანი. კარგა ხანს ილაპარაკებდნენ. რეზოს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ: ქალაქისათვის საჭირო კაცი უნდა ყოფილიყო, რაც მთავარია, გული შესტკიოდა, სურდა რაღაც, უხაროდა. დამოძღვრილიც იქნებოდა ოტია იოსელიანისგანაც, სხვებისგანაც. რეზო თავისას ეტყოდა. იმას ცოტა არ იყოს ყურისგდება უჭირდა... ცოტა დაბნეულადაც გამოიყურებოდა. ჭორები უფრო აინტერესებდა მისი პერსონის ირგვლივ. თუ რაიმეს ამბობდნენ – ცუდს კარგი ერჩივნა ცხადია – ის აღელვებდა ყველაზე მეტად.

სტუმრად რომ მოუწევდა ყოფნა და ძალიან გვიან წამოვიდოდა ფეხით, მარტოდმარტო ივლიდა ქუჩებში თეთრი, ნაქსოვი ქუდით. მიუყვებოდა იმ გზებს, იმ ჩასახვევებს, სკოლიდან რომ ბრუნდებოდა 35-36 წლის წინათ. ძალიან კი დასველდებოდა წყლიან თოვლში, თოვლჭყაპში და... ვინ უნდა წამოჰგონებოდა, თუ არა აკაკი: „ფეხებამდე მასხარაო" შეიძლება ეთქვათ ჩემზეო...

19 იანვარს ჭექა-ქუხილი იქნებოდა ქუთაისში, შემდეგ მსხვილი თოვა დაიწყებოდა. მის მძღოლი იტყოდა:

– ბდგვენა იყო.

და მაშინვე მიაქცევდა ყურადღებას რეზო ამ გამოთქმას, გაიმეორებდა: ბდგვენა, ბდგვენაო, – და მოიწონებდა:

– კარგი სიტყვაა, ბგერათა დამთხვევაა ქუხილთან და ადრინდელია ამიტომ... მეხი და ბდგვენა.

გზები ისევ ჩაიკეტებოდა. ტელეფონი არ მუშაობდა, გუშინ ღამით შუქიც გაქრებოდა... წვრილ-წვრილ და პატარ-პატარა ინტრიგებშიც გაეხვიათ თანდათან, ახლა მჟღავნდებოდნენ... სასაცილოც იყო და სამწუხაროც, და უხაროდა მაინც: სულ აქ რომ არა ვარ, ეს მშველისო. პატარა ჭორებში, ბინძურ ჭორებში გახვევდნენ თუ არა, გასაქცევი ჰქონდა აქედან. ხან ცოლს ენატრებოდა, ხან აქ ზოგიერთს და... მიჭენაობდა ეს ზამთარიც და ცხოვრებაც.

თოვლიან საღორიას რომ გახედავდა 25 იანვარს, მოეჩვენებოდა, რომ არსად დადიოდნენ აქაური მოქალაქენი: არც სხდომები, არც კლუბები, არც სათამაშო სახლები, „კაგებესაც" დაენებებინა მგონი ღამის ცხოვრებისათვის თავი. ყველა თავის ნაჭუჭში, ყველა თავის ჯავშანში – ოჯახში ჩაკეტილიყო. უყურებდნენ ტელევიზორს და იძინებდნენ ცალ-ცალკე...

მოსიარულე ტელევიზორი გამოიგონეს ამერიკაშიო, – გადმოსცემდნენ ამ დილით ტელევიზიით. წახვიდოდი თურმე და... წამოგყვებოდა...

და სხვას დაე თავისი სცოდნოდა, მაგრამ სულაც არ გაუკვირდებოდა რეზო ჭეიშვილს:

ეგაა ჩვენი საუკუნე, ეგრეც იყო მოსალოდნელიო.

21 იანვარს ღამით ჩაუჯდებოდა წერას და 5 საათზეღა დაწვებოდა. მერე კითხვას ისე შეჰყვებოდა, რომ როდის ჩაეძინებოდა, აღარც ეცოდინებოდა. ახლაც სუფრიდან დაბრუნდებოდა პირველის 13 წუთზე და კვლავ სამუშაოდ გაემზადებოდა. დაწერილს ჩაასწორებდა, ჩაემატებინა იქნებ კიდეც... მუშაობდა და ვეღარ ასწორებდა.

27 იანვარს თოვას ელოდნენ და... არ ითოვლებდა. ჩარჩებოდა ქუთაისში და იქიდან წასვლაც აღარ ენდომებოდა. ეგებ გადაეთეთრებინა როგორმე 1 თებერვლამდე „რკინის სახკომი".

გადაბეჭდვა. სტამბა. რთულ დღეში იმყოფებოდა ტექნიკურად, ყოველნაირად. გადაეტანა? აზრი აღარ ექნებოდა. გაგრძელებებით დაებეჭდა? სხვისთვის უნდა წაერთმია ადგილი „განთიადის" მეორე ნომერში.

საბოლოოდ რჩებოდა თუ მიდიოდა აქედან, ესეც აღარ ეცოდინებოდა... გუშინ და დღეს მარტო დარჩებოდა და ახლა უკვე მოიწყენდა. ზოგიერთი ხელს არ უშლიდა, უფრთხილდებოდა: მუშაობსო. ზოგს გააგდებდა სრულიად სამართლიანად და ახლა შინაგანად – კმაყოფილი უნდა ყოფილიყო თითქოს – დარდობდა. შეეჩვეოდა, როგორც ჩანდა...

გამოგზავნიდა რედაქციაში ვლადიმირ უსპენსკი ჟურნალს „პრასტორი". წინა ორი ბიჭვინთაში წაეკითხა. ეს მესამე ნომერი იქნებოდა. გაჰყვებოდა კითხვას და თავზარი დაეცემოდა... სისულელეაო, ესეც დაცდებოდა... წინა ორში მოტყუვდებოდა, სხვასაც ეს დაემართებოდა, რიგით მკითხველს ესეც დააინტერესებდა, მაგრამ რეზო ჭეიშვილის მხრიდან სირცხვილი გახლდათ ამის გამოქვეყნება... სამსახურსაც გაქცეოდა თითქოს... ადამიანებს როცა ასერიგად უჭირდათ, საარსებო მინიმუმსაც რომ ვერა ღებულობდნენ, რათა პასუხისმგებლობაზე უნდა გელაპარაკა მათთან...

არ იყო ეგ მწერლის საქმე. მწერალს უნდა ეწერა, მაგრამ ამ საქმესაც არ უნდა მოწყვეტოდი ალბათ. წერდა და ტელევიზორსაც უსმენდა ყურადღებით... და მაინც ორი საქმე ერთდროულად არ გამოდიოდა. ერთი ეტყოდა:

– მძღოლი რომ ქალის მუხლებს წაეტანება, ორივე საქმეს – მანქანის მართვასა და არშიყს – უხეიროდ აკეთებს...

29 იანვარს თბილისში ეპირებოდა წამოსვლას, მაგრამ გადაიფიქრებდა – უნდა მორჩენილიყო ბიოგრაფიულ რომანს სერგო ორჯონიკიძეზე. დღეში 20 გვერდი გადაეთეთრებინა და... მეტი აღარც დარჩენილიყო.

დღეს სხვათა შორის იმ ახალ რომანზე დაიწყებდა ფიქრს, კარგა ხნის წინათ რომ ჰქონდა განზრახული.

29 იანვარს კი უნდა წამოჰგონებოდა, სამი რამისა რომ ეშინოდა ბავშვობისას, კონკრეტულ შიშებს არა გულისხმობდა ცხადია.

რა სამი რამისა და:

ენის გაქრობის.

ერთი ენა დარჩება ბოლოსო, რომ ირწმუნებოდნენ, ეს ენა რომ ქართული არ იქნებოდა, ამდენი კი ეცოდინებოდა, მაგრამ ეს „ერთი ენა“ მაინც შორეული ჩანდა, მზის გაქრობასავით, ასე რომ: იმედი არგაქრობისა უღვიოდა მაინც, და ნაკლებად ამიტომაც დარდობდა

კომუნიზმის აშენების.

ყველა ერთნაირად ვიცხოვრებთ, აქედან გამომდინარე ყველა ერთნაირად ვიქნებითო, რომ ჩასჩიჩინებდნენ. არ ანუგეშებდა ეს ფორმულაც: მუშაობა შესაძლებლობის მიხედვით და მოთხოვნა მოთხოვნილებისა თუ სურვილის მიხედვითო. კოშმარი ჩანდა კომუნიზმი, მაგრამ ხვდებოდა, ვერ აღასრულებდნენ ამ მიზანს, ვერ შეძლებდნენ „აშენებას“. ეს მიხვედრა ინსტინქტური უფრო იქნებოდა. თვითონ რომ ვერ მოესწრებოდა, ეს კი ორჯერ ორივით ეცოდინებოდა, მაგრამ ნუგეშად არა კმაროდა.

სოფლისა და ქალაქის გაერთიანების.

მათ შორის საზღვარი წაიშლებაო, რომ ამტკიცებდნენ. ეს უკვე რეალური ეგონებოდა და აწუხებდა და... არამცთუ იმჟამად, ახლაც არანაკლებ უღონებდა გულს ეს პერსპექტივა, და სულმოკლე, უგემოვნო, ხარბ ადამიანთა ნატვრად მიიჩნევდა ამგვარ სწრაფვას.

10 თებერვალს ისევ ითოვლებდა ქუთაისში. ენვერ ნიჟარაძე ჩამოსლიყო თბილისიდან და რევაზ ნაჭყებია დაურეკავდა:

– „გოგისვანიძეებთან“ მოვალთ, მარტოს გვინდა გელაპარაკოთ.

ვიდრე ის დაურეკავდა, რეზოს თბილისი ექნებოდა შეკვეთილი, თამაზ წივწივაძის ამბავი აინტერესებდა. აირჩიეს მდივნადო, ხმა ჩამოვიდოდა. და გააუქმებდა დაკვეთას – ენვერზე უკეთ ვიღა ეტყოდა.

– დავწერეთ განცხადება და შეიშალა ხალხი, ცეკამ ვერ გაბედა დანიშვნა. მუხრანი გლახა დღეშია.

იმ დღეს წამოსულიყო ზუსტად და შუადღით დალაპარაკებოდა მუხრანს. არაფერი ეთქვა. ამნაირ შეცდომას ვერ მოუწონებდა: გურამ ფანჯიკიძემ და ხუტა ბერულავამ როგორ უნდა გაჯობონ ჭკუითო. მწერლების პლენუმის მოწვევას მოითხოვდნენ.

იორამ ქემერტელიძე და ლევან მალაზონია ჩამოვიდოდნენ და ერთად ააკითხავდნენ გელათს. რეზოს სიტყვაც უნდა ეთქვა, მაგრამ აღარ იტყოდა და იქნებოდა ახლა ერთ თავისმტვრევაში: სწორად მოვიქეცი თუ არაო. ვითარება კი მართლაც არ იქნებოდა შესაფერისი.

საქართველო დავით აღმაშენებლის დღეს ზეიმობდა და ქუთაისში, გელათში არ მოდიოდა არავინ.

და მწარედ გაეღიმებოდა:

წამოსულიყო აბა ჯუმბერ პატიაშვილი, კისრისტეხით წამოჰყვებოდა ყველა. ვინ როგორ გამოჩნდეს, ვინ ვის გვერდით დადგეს ხალხის დასანახად, ამაზე ფიქრობენ მხოლოდო.

11 თებერვალს ახალ მაგიდასთან იჯდებოდა და იქ შეავსებდა დღიურის ფურცლებს და: არავინ უნდა შემაწუხოს, უნდა მომცენ მუშაობის საშუა-

ლებაო, – ასე გადაეწყვიტა და სხვებიც ასევე უბეჯითებდნენ... არადა: ზარს მაინც ელოდებოდა, ნატრობდა, იქნებ ვინმემ მომიკითხოსო.

აქ ალბათ მწერალთა კავშირის განყოფილებასაც ჩააბარებდნენ. ეგ აღარ ენდომებოდა, სანახევროდ კი იქნებოდა თანახმა, რატომაც არა. თბილისიდან სულ რომ არ გამოეგდოთ, ამნაირი პოზიციის შენარჩუნებას აპირებდა.

იმ სახლის გახსნაზე თავის დროზე არც მიიწვევდნენ, არც დაპატიჟებდნენ.

ახლა კი შეიძლება სახლი მთლიანადაც ჩაებარებინათ მისთვის...

ქუთაისში მისი დაბინავება ჯერ ნაადრევი გახლდათ, ისე კი საჭირო იქნებოდა...

ბევრ რამეს გააკეთებდა.

ახლაც იქნებოდა გამკეთებელი, განა არა, მაგრამ ასე გაორცხოვრებიანებული (მოხდენილ ნეოლოგიზმს მოიფიქრებდა) როგორ უნდა ყოფილიყო?!.

კამპანიას გააჩაღებდნენ „ჩვენ, მესხების“ წინააღმდეგ. სტალინის გამართლებას ლამობდნენ უპირველეს ყოვლისა... სტალინელები გამარჯვებას იზეიმებდნენ, როდესაც მესხები სამშობლოს ვეღარ დაუბრუნდებოდნენ. – მართალი იყო სტალინიო, – ნიშნსაც მოგიგებდნენ... ასე იყო საჭიროო, გაგიმეორებდნენ და გაგიმეორებდნენ...

12 თებერვალს თავს პირობას მისცემდა, რომ:

იქნებ ხვალ მაინც დაეწყო ბეჭდვა, თორემ ძალიან გაუძნელდებოდა მარტოობა.

მარტო დარჩენა... სერგო ორჯონიკიძესთან.

50 გვერდ ხელნაწერს გადადებდა და ისეთი განცდა და შთაბეჭდილება გაუჩნდებოდა: სისულელეაო. ასეთი რამ არასოდეს დამართოდა. ხელახალი გადაკითხვისას ჩვეულებრივი ეჩვენებოდა ხოლმე თავისი თხზულებანი, ეგ იყო და ეგ, მაგრამ ახლა კი მთლად...

„უკეთესად რომ გამეკეთებინა?“

ალბათ ვეღარც მოახერხებდა ამდენს.

ახედავდა, დახედავდა, გადაავლებდა მზერას, გადმოავლებდა და... მგონი აჭარბებდა: აღარც ისე ცუდი მოეჩვენებოდა.

და თავის ყოფასაც რომ გახედ-გამოხედავდა:

კაცმა არ იცის, ან უნდა წერო, ან უნდა იქეიფო, ან უნდა იმუშაო, ან თბილისში უნდა ცხოვრობდე, ან ქუთაისშიო...

ცოლიც და საყვარელიც შეიძლებოდა გყოლოდა ერთდროულად, ოღონდ...

და მკითხველი რომ გაიფიქრებდა: ნეტა ეს „ოღონდ“ რას ნიშნავს, რა შეიძლება მოჰყვესო, – ჭეიშვილური ღიმილით უნდა გადანათებულიყო ეს პასაჟიც:

ტელევიზორი მაინც უნდა გამორთოო.

როგორ უნდა გაგეგო ამგვარი გადასვლა?

რეზო ჭეიშვილის სტილური მანერის ნიუანსებს თუ შეიგრძნობდი, ამჯერად უნდა გაგძნელებოდა მისი ღიმილის სინატიფის შემჩნევა-დაფასება.

– უკანასკნელი ჯარისკაცი გამოვიყვანეთ ავღანეთიდან, – 15 თებერვალს გადმოსცემდნენ ტელევიზიით, სასულე ორკესტრის დაკვრაც რომ მოისმოდა, და დასძენდნენ:

– მუსიკა და ეს მარში გამარჯვებისა არაა, მაგრამ შეიძლება ეს იყოს გამარჯვებაში ყველაზე დიდი გამარჯვება.

ამას ეთანხმებოდა რეზო და ამ მოვლენას ღირსსახსოვრადაც მიიჩნევდა...

არსაიდან თავისი ნებით რუსები არ გამოსულიყვნენ და ამ ფაქტით – და მიხაილ გორბაჩოვის მოსვლით – იწყებოდა კიდეც მათი მზის ჩასვენება...

სამწუხაროდ იმას მიითვლიდა, რომ:

უფრო დიდი სიბნელე დაუპირისპირდებოდა ისლამის სახით.

შემდგომ წამოვიდოდა მეორე ფერი: სიყვითლე.

რუსეთი პატარა, ცივილიზებულ ევროპულ სახელმწიფოდ დარჩებოდა, ევროპულ პატარ-პატარა სახელმწიფოებზე მიმდგარად.

ჩვენი ხსნა?

ჩვენი ხსნა შავი ზღვა უნდა ყოფილიყო: მთა – საფრად, ზღვა – გახსნილ საზღვრად.

სომხეთი ჩვენს ხარჯზე ესწრაფოდა გაძლიერებას მაინცდამაინც. არადა: არც გააჩნდათ მეტი გზა. თურქეთი თუ არ დაემხობოდა, ვერავინაც ვერ გავიხარებდით...

ბეჭდავდა, მუშაობდა მძიმედ, იღლებოდა. ქუთაისში იმყოფებოდა. და აწუხებდა უთბილისობა.

19 თებერვალს რაღაც საშინელი ფორმატის წითელ წიგნს „ქართველი პოეტები სტალინს" მოატანინებდა თავის თანამშრომელს – თემურ ამყოლაძეს.

ირაკლი აბაშიძის ლექსი უნდა ყოფილიყო, თუკი არ ეშლებოდა: ზის სტალინთან ბოგომოლეცი და სიცოცხლის გახანგრძლივებაზე ესაუბრებაო.

ადრეც ექნებოდა წაკითხული და გაგებული ამდაგვარი კაცის გვარიც და მისით თუ მისი ინსტიტუტით სტალინის დაინტერესებაც.

– უღმერთოს, ურწმუნოს სიცოცხლის გახანგრძლივება უნდოდა. ვითომ ქალაქისთვის ზრუნავდა. თავისი ძალის, ავტორიტეტის მატერიალურად თავის სასარგებლოდ წარმართვა სურდა... ნლების გამორჩენა, – სულზე ზრუნვის მაგივრად.

და მწარედ ჩაიცინებდა:

ასე არა ვართ ყველაო!..

სტალინი, სხვისი სიცოცხლე რომ არად უღირდა, თავისას დაუწყებდა გაფრთხილებას ამ გზით... ამ გამოსავალს მონახავდა.

მესამე ზამთარს ატარებდა აქ და წინ და უკან, მესამე წელი იყო, რაც აქ მუშაობდა. და სამად შეესრულებინა ბარემ...

21 თებერვალს ვლადიმირ უსპენსკის IX ნომერს რომ გადაფურცლავდა, ჯერ მოისროდა: სისულელეაო, – მაგრამ შემდეგ მაინც ჩაითრევდა: მწერალი კი არა, ის დრო, ის სამყარო...

მერე კი იჯდებოდა და იფიქრებდა: რაშია საქმეო?

ძალიან ჩვეულებრივი ადამიანი იყო სტალინი და მაშინ იქნებოდა საინტერესო, რაც სტალინი გახდებდა ანუ ყალბ არაადამიანად გადაიქცეოდა. თან ყალბად და თან არაადამიანად. ეგრე გახლდათ დაახლოებით. ადრე კი, ჯუღაშვილობისას, გაცილებით საინტერესო იქნებოდა.

ყოყმანში ჩავარდებოდა: კარგს ვშვრები თუ არა, უსპენსკის „ბელადის საიდუმლო მრჩეველს" რომ ვბეჭდავო? – და თავს იმით გაიმართლებდა: მკითხველისათვის აუცილებია და ამის გამო შევირჩიე სწორედო.

22 თებერვალს დაიმედდებოდა, რომ:

ახრჩობდა მგონი „რკინის სახკომს". ერთი გაფხარკალებაღა უნდოდა და... ეგ უჭირდა ყველაზე მეტად. მორჩენილიყო იქნებ და წასულიყო თბილისში ბოლობოლო.

23 თებერვალსაც ცუდი ამინდი იქნებოდა, წყალთოვლობა ისევ. დაესწრებოდა აღმასკომის სხდომასაც. გაუკვირდებოდათ, რომ დაინახავდნენ. არადა სული ხელში ჩაედოთ:

– ახალი თავმჯდომარე მოვა და აუცილებლად უნდა მობრძანდეთ, ძალიან გთხოვთ.

შეეცდინათ და ეგ იყო.

თბილისიდან დარეკავდნენ:

– ელდარს შეხვედრა აქვს და: აუცილებლად ჩამოვიდესო.

ელდარს თუ შეხვედრა ჰქონდა, რეზო რატომ უნდა ჩასულიყო, განა რა სავალდებულო გახლდათ. ვერ ასწრებდა გადაბეჭდვას და ვერც წავიდოდა. პარასკევი ისევ აქ სჭირდებოდა.

ნერვიულობდნენ დავით კვიცარიძე და ძმანი მისნი. რა ხდებოდა, ვერ გაერკვიათ. რეზო არაფერს ამბობდა და იმათ მოკლავდათ ცნობისწადილი.

– აქაც ნიშნავენ, იქაც რჩება, ყველაფერი მაგას უნდა, – ბუზღუნებდნენ, ბრაზობდნენ. წამლავდა ჰაერს მწერალთა ქუთაისის განყოფილების ხელმძღვანელი და რეზო გადაწყვეტდა, ხვალ თუ მოიცლიდა, გავიდოდა და დაამშვიდებდა დავით კვიცარიძეს, მისი რომელიმე წარმომადგენლის თანდასწრებით ეტყოდა:

– არ მინდა, არაფერი მინდა, ერთიც თქვენ გქონდეთ და მეორეც, მხოლოდ ნუ ნერვიულობთ.

„განთიადის" ფორმების დამატება გაჭიანურებულიყო და დროზე უნდა მიეხედა საქმისათვის. წასვლის დროც იყო ატყობდა და ეს ყოფაც მოსწონდა. აქ მეტი თავისუფლება იქნებოდა, აქ თვითონ იქნებოდა, თვითონ მხოლოდ.

23 თებერვალი რადგანაც დამდგარიყო, წითელ დროშებსაც გამოკიდებდნენ. ეშინოდათ, არაფერი მოხდესო. ქუთაისში არც არაფერი მოხდებოდა ცხადია, მაგრამ თბილისში ხომ არ იყო ნეტა არასაჭირო ექსცესები? არასაჭიროდ მიიჩნევდა საპროტესტო გამოსვლებს. ტელეფონით კი ვერ დაერეკა და ვერა – ხან ჩაირთვებოდა და ხანაც გამოირთვებოდა... წეღან ავთანდილ ყურაშვილს რომ ელაპარაკებოდა, ახლა აიღებდა ყურმილს და... ჩაქვავებულიყო ხმა.

გათენდებოდა 7 მარტი.
ჩიტები იძალებდნენ ვერეს ხევში.
ძაღლიც აყეფდებოდა.
მოსულიყო გაზაფხული.

შაბათს, 2 მარტს, დაესწრებოდა სახალხო ფრონტის შეკრებას კინოს სახლში. ექსცესებისა და შეხლა-შემოხლის გარეშე ჩაივლიდა. შემდეგ გაიმართებოდა მიტინგი იპოდრომზე, მაგრამ იქ აღარ ნავიდოდა. ეკოლოგიურ საკითხებზე იქნებოდა ლაპარაკი, ეკოლოგიური პოლიტიკურში გადაიზრდებოდა ცხადია.

ეკოლოგიაც მთავრობასთან საკონფლიქტო ამბად ესახებოდათ და ცხვირწინ რა ხდებოდა, ვერა ხედავდნენ. რისთვის დაემგვანებინათ, რა დღე დაეწიათ თუნდ ამ ხევისათვის ჩვენს თვალწინ. აივნიდან თავს ვეღარც გადაჰყოფდი – ან ბოთლს გადაგალეწავდნენ, ან ძვალს, ან ნაგავს დაგაყრიდნენ.

დღეს „განთიადის“ ფორმების მომატება გადიოდა ბიუროზე და... ვერ გაეგო რეზოს, რად უნდოდა ორი ფორმის დამატებას პოლიტბიურო?

მუხრან მაჭავარიანის კაბინეტში იჯდებოდა გუშინ ყველა მდივანთან ერთად.

სახალხო და საზოგადო მოღვაწენი იყვნენ თითქოს და: რა მივითალოო, – ამაზე ფიქრობდნენ სინამდვილეში. სახელი, სახრავი და რაღაც საქმეც უკვდავებისათვის – ეგრე გახლდათ ყველა ალბათ პრინციპში.

ელდარ შენგელაიას საღამო ფილარმონიის დიდ დარბაზში ვერ ჩატარდებოდა ისე, როგორც საჭირო იყო. ალბათ უკეთესადაც შეიძლებოდა.

მთავლიტი ჯერაც მძლავრობდა. გააჩერებდნენ „განთიადის“ პირველ ნომერსაც. ისევ ცეკა და წვალება გახდებოდა აუცილებელი. ახლა ჩხუბი არ გამოადგებოდა. მთავარია დაბეჭდილიყო, რაღაც დათმობებით თუნდაც.

ქუთაისში ძალიან ნერვიულობდნენ თურმე.

– ვის ნიშნავენ კვიცარიელის ადგილას? თუ რეზო იქნება, ხმას არ ამოვიღებთ.

ამასაც ამბობდნენ, მაგრამ ნერვიულობით მაინც ნერვიულობდნენ. გადაწყვეტდა, რომ ჩასულიყო და დაემშვიდებინა ყველა. ბევრს აღარც მოსწონდა იგი. მიზეზად ის მოედოთ, ასე ზომავდნენ და ანგარიშობდნენ: რატომ ჩვენსავით არ იქცევა, ჩვენსავით რატომ არა ცხოვრობსო.

და მაინც: არც ყურადღება მოაკლდებოდა.

დადგებოდა 11 მარტი. განახევრდებოდა ეს თვეც და ვერ დაიწყებდა „ჩემ მეგობარ ნოდარს“... თვის მიწურულს უნდა ჩაებარებინა თითქოს, არადა ზღაპრად ეჩვენებოდა მისი მოსწრება. რომანი უნდა გადაეწერა, გადაეკეთებინა და გადაებეჭდა, როგორი საქმე იყო!.. ჟურნალი და სცენარები? ახლა და ანი აქაც ვეღარ გაძლებდა დიდხანს, შვილიშვილები ისე მოენატრებოდა.

დღეს წივწივაძეების მამის დაკრძალვა უნდა ყოფილიყო და რეზოსები, რეზოსიანები ჩამოვიდოდნენ. ქელეხი რაში გადაიზრდებოდა, კაცმა არ იცოდა. ისევ დრო დაიკარგებოდა, ისევ იქით და იქით გადაიწევდა მისი ორ-

ტომეული. ის პირველი წიგნიც – რომელიც ჩაებარებინა – წასაკითხი გახლდათ. ყველაფერი უნდოდა ერთად... ერთად კი არ გამოდიოდა...

– ჩვენ მაინც ჩვენსას ვიზამთ.

ამ ბოლო დროს ახალი იდეა აეკვიატებოდა, და თუ „ჩემ მეგობარ ნოდარს" მორჩებოდა, შეიძლება ის დაეწყო, ის უფრო საგულისხმო და სადღეისო აღმოჩნდებოდა.

ფორმაც საინტერესო უნდა ყოფილიყო.

გარეშე კაცის – ვითომდა გარეშესი – თვალით დანახული საქართველო: დაკვირვებანი ქართულ ხასიათზე, ქართულ ფენომენზე, დღევანდელ სოციალურ-პოლიტიკურ ყოფაზე.

„სელექციები" – პირობითად ჯერ ამ სახელწოდებას შეურჩევდა.

აკაკი წერეთლის ლექსებს წაიკითხავდა 16 მარტის ღამით, დაძინებისას.

მუხრან მაჭავარიანის ლექსებს ბეჭდავდა და: შოთას შემდეგ აკაკიო, – ამბობდა.

პირველი ნომრის ბეჭდვას დაიწყებდნენ, თუმც მთავლიტთან ჯერ არ მორჩენილიყო შეხლა-შემოხლა. დადგომოდა იქნებ საშველი და დაბეჭდილიყო.

დღეს კიდევ ერთხელ გადაავლებდა თვალს „რკინის სახკომს" და... რამდენიმე რამ მოეჩვენებოდა ზედმეტი.

და ახლა აეკვიატებოდა ის ფიქრიც:

ყველა ჩემი ნაწარმოები დაუმთავრებელიაო.

ყველა გასასწორებელი ეჩვენებოდა და იმიტომ.

ეგეცაა: ეგონებოდა, ამ სამტომეულში ჩავიდენ ამასო, – და... ვერ შეძლებდა, ვერ გაასწორებდა.

პირველ ტომს, „პირველი" რომელსაც ერქვა, დახვეწდა შედარებით, თუმც ბოლომდე – ვერა.

მეორე ტომის წაკითხვის თავიც არ ექნებოდა.

მესამე ტომი არც დაეწერა ფაქტობრივად...

ხვალ დილით თბილისს ეპირებოდა – უმძღოლოდ, უთანამგზავროდ. რუსთაველის საზოგადოების ყრილობა დანიშნულიყო ზეგ, ხვალ – რეგისტრაციაში უნდა გატარებულიყო. დასწრებას დააპირებდა რატომღაც და მიდიოდა კიდეც.

ყრილობა კი ჩაიშლებოდა ფაქტობრივად, მხოლოდ პრეზიდენტს აირჩევდნენ უწესრიგოდ. სხვა კანდიდატი გარდა აკაკი ბაქრაძისა, არც დასახელებულიყო.

მთავრობას სხვა ერჩია, საზოგადოება კაკოს მოინდომებდა და... ასეც მოხდებოდა, მაგრამ... კაკი ისე არასერიოზულად მოიქცეოდა, ხალხი შეეჭვდებოდა თავისი არჩევანის უეჭველობაში.

რეზო ჭეიშვილის შეტყობით:

ბევრი მიხვდებოდა – ყვარყვარესი არ იყოს – იგი არ გახლდათ ის კაცი, რომელიც ეგონათ.

რაც უნდა ყოფილიყო, თვითონ ფაქტს მისასალმებლად მიიჩნევდა:

მთავრობის ოპოზიცია შემდგარიაო.

უკმაყოფილოდ, გულდამძიმებულნიც კი დაიშლებოდნენ, მაგრამ უკეთესობის იმედი დარჩებოდა.

ფინალს მაინც კომედიას დაამსგავსებდნენ.

გამოვიდოდა სულელი ისაკაძე, უკვე მოხუცი, თუმც ახალგაზრდობისაც – 30 წლის წინათ – არა ყოფილა ნორმალური.

აკაკი ბაქრაძე შეაჯამებდა შეკრებას და... სამწუხაროდ არაფერი აღმოაჩნდებოდა სათქმელი. და რეზო გაკვირვებული და არც გაკვირვებული მოუსმენდა მის განცხადებას:

მოვიფიქრებ ჩემს სათქმელს, დავწერ და გამოვაქვეყნებო.

ფეხით წამოვიდოდა მუხრან მაჭავარიანსა და ჯურხა ნადირაძესთან ერთად, ირანი-ირაკლი ბაზაძეც რომ შეუერთდებოდათ და ლაპარაკ-ლაპარაკით გავიდოდნენ ვაკეში.

მუხრანი იტყოდა, პირველად რეზოს თანდასწრებით:

– არა ვარ ეს პოლიტიკური მოღვაწე და დამანებონ თავი.

თითო ჭიქა უნდა დაელიათ იმ დღის აღსანიშნავად და „მწვანე ველში", მეცხრე საავადმყოფოს წინ, სადაც გაშინაურებულიყო რეზო, დააპირებდნენ ადრევე შესვლას.

ქუთაისი წარმომადგენლობა, დავით კვიცარიძის მეთაურობით, იჯდებოდა შემოსასვლელში და რეზო და მუხრანი ცივად გამოტრიალდებოდნენ. ჯურხა და ირანი შებოჭიალდებოდნენ და იმათ ეტყოდნენ:

– რეზო და მუხრანი შემოვლენ ახლავე.

როცა მიხვდებოდნენ, შემომსვლელნი აღარ არიანო, გამოედევნებოდნენ და ვაკის პარკის რესტორანში გადაინაცვლებდნენ.

კვიცარიძეს განცხადების დაწერას დაავალებდა მუხრანი. ამ აქციას განცხადებისა ადრესატი რეზოს გადმოაბრალებდა და იმ დღეს მისი სიძულვილი გაუათკეცდებოდა ალბათ.

მამუკა მოიტანდა და რეზო დღესვე წაიკითხავდა ნოე ჟორდანიას უინტერესო წიგნს „ჩემი წარსული". გაუგებარი დარჩებოდა მისთვის, როგორ უნდა მოეხერხებინა იმ წარსულის, მოვლენების მონაწილეს, იმ კატაკლიზმების ზედაპირზე მოფარფატე ადამიანს ასეთი მშრალი წიგნის დაწერა!..

ისე კი დაენანებოდა, ადრე რომ არ ჩაუვარდებოდა ხელთ: ორიოდე ადგილს უთუოდ გამოიყენებდა „რკინის სახკომისათვის".

28 მარტს შაშვი აგალობდებოდა მის ეზოში, ქუთაისში. შაშვი აქ ადრე არ გალობდა, თუმც სახლები ცოტა იყო და ხალხი მეტი. ახლა სახლები გაბევრდებოდა – დიდროვნები, ხალხი კი დაცოტავდებოდა. თუმც რეზო თავისი სახლიდან ზომავდა და შესაძლოა არც იყო სწორი.

მუშაობდა დღისით, სვამდა საღამოთი, ახლა კი გააღვიძებდა ფიქრი, დარდი, ტკივილი.

ანა ახმატოვას ეთქვა – რეზოს ველარ გაეხსენებინა, სად წაეკითხა:

– ანტონ ჩეხოვი ახლოდან, ცხვირმიდებული ხედავდა ცხოვრებას, რუსეთის ყოფას.

და რეზოს თვალთახედვით: მართალი იყო ეს დაკვირვება და არც იყო მართალი.

თავისებურს გამოურევდა, პარადოქსული იერით აღბეჭდავდა თავის შეფასებას, რათა ამ გზით ჩაწვდომოდა იმ სიტყვების არსსაც და იმგვარი მწერლური პოზიციის – ცხვირმიდებული ხედვის – ფსიქოლოგიურ საწყისსაც და განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც.

ქალის თვალსაწიერიდან გააზრებულიყო მწერალი, ქალის ინტუიცია არა ღალატობდა და ამასთან... არც იცოდა ანა ახმატოვამ: ახლოდან ყურება გაცილებით ძნელი რომ გახლდათ.

დიდი ტალანტი იყო ფიოდორ დოსტოევსკიც, ლევ ტოლსტოიც, ასევე ეწერა ანა ახმატოვასაც, მაგრამ დაე სცოდნოდა ყველას რეზო ჭეიშვილის დამოკიდებულებაც.

დოსტოევსკისა და ტოლსტოის მწერლობა გაცილებით იოლი და მომგებიანი გახლდათ, ვიდრე ჩეხოვისა.

და უხილავ თანამოსაუბრეს მიმართავდა:

ეგ კი, ჩემო ძმაო, პარადოქსიაო.

სხვა ყველაფრისთვის რომ თავი დაგვენებებინა:

ჩეხოვს ვერ ეთქვა საბოლოო სიტყვა, რაც გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო.

დასანანი გახლდათ, რაკიღა მისი „საბოლოო სიტყვა“ სულ სხვა ძალისა და მადლისა იქნებოდა, მაგრამ მისი ბრალიც არა ყოფილა – ახალგაზრდა გამოეთხოვებოდა წუთისოფელს და ბევრ ბინასაც გამოიცვლიდა.

ეს რაღა შუაშია, ბინების გამოცვლა?

რეზო ჭეიშვილი სულაც არ უყურებდა ასე. მისი დაბეჯითებით: აქაც იყო რაღაც დასადგენი და დასკვნები გამოსატანი.

და უეცრად გაიფიქრებდა: ჩეხოვს რომ მივტირი, ჩემი საქმე როგორღააო?!.

56 წლისა ხდებოდა თვითონ – მოდიოდა მისი აპრილი – პირდაპირი და სიმბოლური მნიშვნელობითაც – და თავისი სათქმელი არ ეთქვა ჯერ.

ჩაფიქრდებოდა: იქნებ ვაჭარბებო?!.

მაშ რა იყო „რასემონი“, „ვაიმე, ჩემო ვენახო“, „მეოთხე სიმფონია“, „გუია ა“?

„გია“ და „კვამლი“ ვერ დაეფასებინა ჯეროვნად და ამიტომაც გამორჩებოდა ერთიცა და მეორეც ამ ჩამონათვალში, 4 იანვარს იმ გუნებასა და განწყობაზე რომ დამდგარიყო: ამათ ბადალს ვეღარაფერს დავწერო?..

ეთქვა და ეგ იყო თავისი სათქმელი.

თუმც რა გასაკვირია, რომ უკეთესი და უკეთესი მაინც მომავალში ეგულებოდა.

ახლა წვიმდა.

შაშვი გალობდა.

„განთიადს“ კითხულობდნენ ჯერჯერობით პარტიზანულად.

თანდათან აგორდებოდა პირველი ნომერიც და „რკინის სახკომიც“ მასთან ერთად.

მისი აპრილი კი მოდიოდა და... როდისღა უნდა მოესწრო თავისი სათქმელი, როდისღა უნდა ამოესუნთქა თავისი მწერლური მისიის აღსრულებით კმაყოფილს?!.

არც არასოდეს ალბათ, თუკი მართლაც გამორჩეული მისიით მოწოდებულიყო: რათა ახლოდან, ცხოვრებაზე ცხვირმიდებულს დაენახა და გაეაზრებინა საქართველოს ყოფა.

სხვებს დაე უფრო იოლი და მომგებიანი გზები აერჩიათ...

5 აპრილს განხილვას დაარქმევდნენ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში და „განთიადზე" ილაპარაკებდნენ. ის იქნებოდა ეს შეკრება, რაც უნდა ყოფილიყო, რასაც მოელოდა. აფხაზეთის ამბები აინტერესებდათ. იტყოდა რეზო, რაც იცოდა, და თავის გეგმასაც წაიკითხავდა. ამ გეგმას სამშაბათს დატოვებდა მუხრან მაჭავარიანთან. წაიკითხავდა და გადასცემდა თუ არა ვინმეს იმ სხდომაზე, ეს რეზოს უკვე აღარ ეცოდინებოდა.

ახლა რომ აკვირდებოდა, ჭკვიანურად ეჩვენებოდა, მეტიც – ერთადერთ გზას ჰგავდა „აფხაზეთის საკითხის" მოგვარების მცდელობისას: რეალურს და არა ილუზიურს.

განხილვას ბანკეტი მოჰყვებოდა, ბანკეტიდან ოტია იოსელიანთან წავიდოდნენ წყალტუბოში... ოტიაც გაშლიდა სუფრას, საუკეთესო რბილ და სურნელოვან ღვინოს დაუდგამდათ.

წასვლას ეპირებოდა ხვალისათვის თბილისში და... შეამჩნევდა, რომ ეზო მოუვლელი გახლდათ აქა-იქ. ვენახი მაინც აეკრა იქნებ.

„რკინის სახკომს" კითხულობდნენ.

5 მანეთად იყიდებოდა ჯიხურებში ნომერი. ნეტა თბილისში თუ გაეტანათ, იქაც წაეკითხა თუ არა მკითხველს? ჯერ არა ალბათ. აქ დიდი ამბავი ტრიალებდა და იქ რა მოხდებოდა, ეს აღარ ეცოდინებოდა.

– შავი დღე გაუთენეს თბილისს გუშინ.

10 აპრილს ჩაინიშნავდა, დღეს უკვე კომენდანტის საათი ჩამოყენებულიყო.

ქალაქში სამხედროები ბატონობდნენ.

ჩამოსულიყვნენ: ედუარდ შევარდნაძე და გიორგი რაზუმოვსკი.

დუმდა საქართველოს ტელევიზია.

გუშინ გვიან ტელევიზიით გამოვიდოდა ცოცხალმკვდარი ჯუმბერ პატიაშვილი.

ვინ იყო დამნაშავე?

რეზო ჭეიშვილი არავის დაინდობდა:

მთავრობა, წამქეზებლები და ჩვენც, პირუტყვებზე ლაპარაკიც ზედმეტიაო.

ჩამოვიდოდა გუშინწინ, შაბათს, „ქსანზე" შეჩერდებოდნენ, ისადილებდნენ და ქალაქში მოგვიანებით მოუხდებოდა შემოსვლა ამის გამო. წაიყვანდა მამუკას, უფრო სწორად თვითონ წაჰყვებოდა და რუსთაველზე ივლიდა შვილთან ერთად.

ხალხი ბევრი, ქუჩა განათებული, წესრიგი, სიწყნარეც კი... ლოზუნგები და მონოდებები უგნური, ნაჩქარევი, დღევანდელი დღისთვისაც კი შეუფერებელი, ბავშვურიც.

ესეც მისი ზოგადი შთაბეჭდილება, გარეგნული მოჩვენებითი სიმშვიდე მაინც 1956 წლის მარტის მწარე დღეებს რომ გაახსენებდა და მძიმე გულით დაბრუნდებოდა შინ. და შეფიქრიანებული იტყოდა:

– ძალიან არ მომწონს ეს ყველაფერი.

დაღლილობაზე სასმელი მაინც დაძალავდა და დაეძინებოდა. ეძინებოდა მშფოთვარედ, დროდადრო რაღაც ხმები მოესმოდა. დიდი ყვირილი შეაფხიზლებდასავით. ხმა უნივერსიტეტიდან ეგონებოდა, არადა ტელევიზიდან ყოფილიყო თურმე.

გამთენიისას მოვიდოდა ნათელა, სასწრაფო დახმარების მანქანით მოიყვანდნენ. მოიტანდნენ საზარელ ამბავს და... არ დაიჯერებდა რეზო, ვერც აღიქვამდა თავდაპირველად...

გუშინ საშინელი დღე იქნებოდა.

იქროლებდნენ მანქანები შავ-შავი დროშებით, ხმოვანი სიგნალებით, წივილ-კივილით.

ხალხი აგზნებული იქნებოდა, ახალგაზრდობა – შეშლილი...

– პატიაშვილი მკვლელი.

მიეწერათ კედლებზე, სააფიშო ფიცრებზე.

– გორბაჩოვი მკვლელი.

ესეც იყო... აქ უკვე პროვოკატორები, სტალინელები მოქმედებდნენ,

დილით ვარაზის ხევს აივლიდა, უნივერსიტეტის ეზოში ავიდოდა, მიტინგი დახვდებოდა, კვლავ ყვირილი, დაჩოქება... და ხალხი შეშინებული მაინც.

სულიკო ბაშინჯაყიანს – ამჟამად ჯაყელს – გადააწყდებოდა. კვლავ 1956 წელი მოაგონდებოდა. იმ წლის მარტში დაიჭერდნენ და სწორედ სულიკო ბაშინჯაყიანის – ჯაყელის – ბინიდან წაიყვანდნენ თუ აიყვანდნენ თუ... სულაც სულიკო დააჭერინებდათ მის თავს.

ის მაშინდელი დაჭერის ამბავი ასე გაიელვებდა „ჩემი მეგობარი ნოდარის" იმ ეპიზოდში, ია ვაჩაძის დაადების დღის აღსანიშნავ სუფრაზე რომ შეიყრიდნენ თავს და წვეულებას იას ბიძა – ბონდო დავლაშერიძე – უთამადებდა.

თამადა ჯერ დააპირებდა ცეკვას და მერე გადაიფიქრებდა, ვირი რომ ხბოებში გადაერია, ისე არ გამომივიდესო, შეეშინდებოდა, და იმ ვითარების შესაფერის სადღეგრძელოსაც ვერ გამონახავდა.

– მოდი დიდ სტალინს გაუმარჯოს! – წამოიძახებდა ნოდარი.

– ვახ შენი! – წამოცდებოდა გივის.

– რა გინდა, კაცო, ნუ დალევ თუ ასეა!

„ლომის ყბაში მაგდებს!"

– წამოვდგეთ მაშინ! – წამოიმართებოდა ბონდო და პირამიდის წვეტზე შემოდებული თავი გივის მისამართით ამოატრიალებდა ამოთეთრებულ თვალებს. მაგნიტოფონიც დადუმდებოდა და გოგონებიც სუფრისაკენ წამოვიდოდნენ რაღაცით შემკრთალნი.

– სტალინის სადღეგრძელოა! – აუხსნიდა ნოდარი კიჭის.

– შემივსეთ მერე მეც!

– გივია თუ ვიღაცაა, მართლა არ დალია? – ყველას გასაგონად უჩურჩულებდა ბონდო ნოდარს, სტალინის სადღეგრძელო რომ ჩამოთავდებოდა.

– როგორ არ დალია, მაგი, ჩემო ბატონო, – ტუჩებს მოიწმენდდა, – დაჭერილიც იყო ორმოცდათექვსმეტში სტალინის ამბებზე...

– რას ამბობ?!

დანაჭერს, ნაჯდომს, ნაპატიმრალს მიაგებდა ბონდო დავლაშერიძე ყველაზე დიდ მისაგებელს; რიდს, შიშსა და პატივისცემას ვერ მალავდა ამ ხალხისადმი.

– დაჭერილი ვიყავი რამდენიმე დღით მხოლოდ... – კიდევ რაიმე არ დაარეხვოსო, შეშინდებოდა და დაასწრებდა ნოდარს გივი.

– რაც ეს აწამეს!.. – მაინც წამოიწყებდა ნოდარი.

– მაწამეს არა ის, ცხრა მარტამდე დაგვაკავეს მე და კოკი პროფილაქტიკის მიზნით...

– მილიციამ აგიყვანათ? – თვალები აემღვრეოდა ბონდოს.

– კაგებემ... ორი ღამე გავათიეთ სულ და ცხრა მარტის ამბებშიც მოვყევით, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკებ...

სულიკო ბაშინჯაყიანი, გაჯაყელებული, კი უნდა გამომტყდარიყო მერე: კაგებეში ვმუშაობდიო.

მართლაც იქნებოდა, მაგრამ – რეზოს შეტყობით – მხოლოდ „ასვედომიტელად", შემდეგ კი იქიდანაც გამოაგდებდნენ ლაყბობისათვის. ამდენი ხნის შემდეგ რაღა სულიკოს უნდა გადაწყდომოდა, თუ ესეც ბედი არ იყო?!.

პარტბილეთებს ხევდნენ იმ დროს იმ ეზოში, რევაზ მიშველაძეც გამოიდებდა თავს, ცხადია მისებურად:

– სახლში დამრჩა, მოვიტან ბილეთს.

მტერი არააო! – ეცინებოდა გუნებაში რეზო ჭეიშვილს.

ლაშა თაბუკაშვილზე იტყოდნენ: დაიღუპაო!

არ დაიჯერებდა რეზო, მაგრამ ძალიან კი შეშფოთდებოდა, კინაღამ გადაირეოდა!..

11 აპრილს გლოვის დღე გამოცხადდებოდა ოფიციალურად და რეზოს როგორ არ ჩაეწერა დღიურში:

ჩვენთვის სულ გლოვაა გაუნელებელიო...

ყველაზე ლამაზი თვე ჩაემწარებინათ.

10 აპრილს სტიქიური კრება რომ გაიმართებოდა მწერალთა კავშირში, ნოდარ წულეისკირი საჯაროდ დაწვავდა პარტმანდატს.

ბევრი – მათ შორის რევაზ ჯაფარიძეც – პარტბილეთებს დასაწვავად ჩააბარებდა თვითონ ნოდარს.

– გადახიე! – ანიშნებდა რეზო.

ვერ გაბედავდა პარტიული ჭიაკოკონის მოწყობას ნოდარ წულეისკირი და კრებას დაეკითხებოდა:

– გადავხიო თუ არა?

– არა, როგორც წესია, ისე ჩავაბაროთ მთავრობას.

რა იცი რა ხდებოდა, ამიტომ დახევა და დაწვა რატომ ეჩქარათ ნოდარ წულეისკირივით, შენახულიყო ეს პარტმანდატები და... დაე მთავრობას თვითონ გადაეწყვიტა...

– მოსკოვში გავაგზავნოთ! – წამოიყვირებდა რევაზ მიშველაძე.

– იმიტომ, რომ უკან დაგიბრუნონ? – მიაძახებდა რეზო ჭეიშვილი, – დაწვა იმ კაცმა და დაწვი შენც!..

– სახლში მაქვს, არ წამომიღია.

დაწვავდა ხვალ, როგორ არა!..

რეზოც იტყოდა სიტყვას ტრიბუნიდან, ალბათ საჭიროსაც...

ბევრი ისევ სატანა და პროვოკატორი ეგონებოდა.

გუშინ კომენდანტის საათის ჩამოდგომის შემდეგ ესროლათ ახალგაზრდებისათვის, თავი გაეხვრიტათ ვახტანგ ქარსელაძის ბიჭისთვის, უმცროსისათვის, ჯერ ცოცხალი იყო, მაგრამ: ვერ გადარჩებაო, – ამბობდნენ.

როგორ წავიდოდა ჩვენი საქმე, ვის რა ეცოდინებოდა...

ცუდ სიზმრებს ხედავდა რეზო ჭეიშვილი...

გლოვის დღეს შავად ეცმეოდა. სხვები – გარეგნულად – დიდად არ გამოხატავდნენ მწუხარებას.

მუხრან მაჭავარიანის კაბინეტში სხვა რა დახვდებოდა: ყაყანი, ჩხუბი, უგნურება.

მთავრობის სახლის წინ უამრავი ყვავილი იქნებოდა დალაგებული სისხლიან მიწაზე.

რეზო, ლევან მალაზონია და იორამ ქემერტელიძე გ. ნარიმანაშვილს ააკითხავდნენ და ივახშმებდნენ კიდეც. ათის ნახევარზე აიშლებოდნენ და ფეხით წავიდ-წამოვიდოდნენ სახლებში. არა ტაქსი, არა მანქანა, ქუჩები დაცარიელებულიყო. ხალხი გარბი-გამორბოდა, ოღონდ კანტიკუნტად.

შინ მისულს ელდარ შენგელაიას ცოლი დაურეკავდა:

– სადაა ჩემი ქმარი?

– მოვა, – მიუგებდა, – ხუთ წუთში.

ქარსელაძის ბიჭი – გია – ვერ გადარჩებოდა. და გაავებული ახალგაზრდობა მის პანაშვიდებზე იკრიბებოდა პროტესტის გამოსახატად.

მძიმე დღეები გველოდა, დღეს თუ არა, ხვალ, ხვალ თუ არა, შემდეგ...

ღამისა თუ დილის 4 საათი ხდებოდა და ძლივს გამორთავდა ტელევიზორს. გადაცემები გრძელდებოდა – კვლავ ვიდეოკლიპები. 14 კი თენდებოდა, მაგრამ ძველით ახალი წელიც არ დგებოდა და... რატომ ათევინებდნენ მშრომელებს ღამეს, ვერ გაეგო.

მთავრობა გადადგებოდა: პატიაშვილი, ჩხეიძე – ორ კვირას იპრემიერმინისტრებდა – და ჩერქეზიასაც მიაყოლებდნენ. მიყვებოდა კიდევ: ფოფხაძე, ნიკოლსკი, არმაზი, ეს უკვე რეზოს ვარაუდით.

ედუარდ შევარდნაძე ჯარსაც კი გაამართლებდა. უმოწყალო დარბევას ბოლშევიკურ-კომუნისტურ ახსნას მოუძებნიდა.

ჩვენ მთავრობას შეაწმენდნენ ხელებს ჯერჯერობით, სხვა გამოსავალი არც ექნებოდათ.

გამოჩნდებოდა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები.

ლავრენტი ბერიას ჩეკადან მოიყვანდნენ 1931 წელს ქვეყნის ხელმძღვანელად, გივი გუმბარიძეს – კაგებედან: ეს სჯობია ისევ სხვასო.

მეტი კრიტერიუმი არც გაგვაჩნდა და...

– ჩვენ დაგვსაჯეს, ჩვენ დავისაჯეთ. ჯერჯერობით ეგრეა.

ნუთუ აქ დამთავრდებოდა ყველაფერი?

დიდხანს, თვეზე მეტს, ვერაფერს ჩაწერდა, ისეთი მძიმე დღეები ექნებოდა 21 მაისამდე.

23 აპრილს თბილისს გამოემგზავრებოდა ქუთაისიდან, მაგრამ მანქანა გაფუჭებული ექნებოდა და ავტობუსს გამოჰყვებოდა.

უკვე ცუდად გრძნობდა თავს. იმ დღეს ძლივს ადგებოდა, მთელ დღეს უამურად იქნებოდა, ღამით გული გაუხდებოდა ცუდად. გათენებას ველარ დაუცდიდა, იორამ ქემერტელიძეს ააკითხავდა – არ ეძინებოდა რატომღაც – და არაყს დალევდა რაღაც საშინელი გემოსი. თითქოს უშველიდა, მაგრამ ვერც უშველიდა. შინაც დალევდა დღისით – სასწრაფოს გამოძახებას მაინც დალევას ამჯობინებდა.

მეუღლე გაემგზავრებოდა კიევში – კაშპიროვსკისთან სამკურნალოდ.

იმ დღეს რეზო იწვებოდა უკვე, წამლებსაც დალევდა, მეორე დღეს ისე ცუდად გახდებოდა, ტელეფონთანაც ვერ მიდიოდა. გურამ რცხილაძე ამ დიაგნოზს დაუსვამდა:

– გაუვლის, ინტოქსიკაციაა, ნერვიული ამბავია.

გამთენიისას, ეს უკვე ორშაბათს, ისე ცუდად შეიქნებოდა, ერთი სიკვდილით მოკვდებოდა კიდეც. სისხლისაგან იცლებოდა თურმე. ადრეც ემართებოდა ამდაგვარი რამ და ექიმი, თუნდაც პროფესორი რომ ეკითხებოდა:

– მაინც როგორ გრძნობ თავს?

პასუხობდა:

– ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სისხლისაგან ვიცლები.

– არაფერია, გაივლის.

აღარ დალევ და მორჩებიო, აგრძნობინებდნენ. დანარჩენები, განსაკუთრებით ოჯახის წევრები, მხოლოდდამხოლოდ სასმელს აბრალებდნენ.

მისი დაბადების დღე რომ ორშაბათს დაემთხვეოდა, გულს შემოეყრებოდა. თავს იმით ინუგეშებდა: დიდი ორშაბათია, ვნების კვირის დასაწყისიო!..

შავი ორშაბათი დაღამდებოდა, როცა გონს მოიყვანდნენ.

„რა უნდათ, რაზედ მაწუხებენ, როდესაც მშვენივრად ვგრძნობ თავს!.."

მისი ვნების კვირა საავადმყოფოში ჩათავდებოდა. აღდგომასაც იქ გაითენებდა, უპარადო 1 მაისსაც... 9 მაისიც უპარადოდ ჩატარდებოდა, იმ ხანებში კი დიდი და მნიშვნელოვანი ამბები მოხდებოდა...

ტელევიზორი, პრესა – სულ 9 აპრილი, სულ ცრემლი.

ნელ-ნელა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ აღიდგენდა ღვინო-არაყში ჩამბალ დღეებს, გია ქარსელაძის დაკრძალვაზეც მოხვედრილიყო...

საავადმყოფოდან გამოსული დატვირთვით იმუშავებდა და თითქმის ბოლომდე – ფინალური სცენები დარჩებოდა – გადაამუშავებდა „ჩემ მეგობარს ნოდარს" – რაც არ ვარგოდა, გადაყრიდა, რაც ვარგოდა, დატოვებდა, ბევრს ხელახლა დაწერდა, გადაბეჭდვა გაუჭირდებოდა ძალიან, ატყობდა.

სამაგიეროდ მტკიცედ დაიბეჯითებდა, რომ:

ეს იქნებოდა ყველაზე საყვარელი და საინტერესო საკითხავი წიგნი ქართულ ენაზე – დღეს თუ არა, ხვალ...

რუსთაველის საზოგადოების ყრილობა დაენიშნათ 3 ივნისს. გაზეთის გამოშვებას აპირებდნენ და ტარიელ ჭანტურია დაავალებდა წერილის დაწერას. არ ეტყოდა უარს და ამიტომაც აღარ ჩამოიტანდა „ჩემ მეგობარ ნოდარს" დასამთავრებლად.

ეს დღე „განთიადის" მესამე ნომრის ჩაშვებასა და ამ წერილის დაწერას დაჭირდებოდა. არაფრით იმ დღეებს არ გამოხმაურებოდა და... გააგონებდნენ:

რატომ არ წერ?.. რატომ არ წერსო?..

არადა 40 დღე გასულიყო უკვე.

გუშინწინ სიონში მასთან ერთად გავიდოდნენ ტარიელ ჭანტურია, ჯურხა ნადირაძე, ლევან მალაზონია და ირაკლი ბაზაძე. ეკლესიას ეხვეოდა მრევლი უამრავი, უთვალავი – გაჭედილი ქუჩები, ეზო, სანაპირო, მწუხარება განუსაზღვრელი...

გუშინ მამუკას, შვილს, მანქანას გამოართმევდა და მუხათწყაროში ავიდოდა. ბალახგადავლილი – რეზო ბალახგადარებულის თქმას ამჯობინებდა – მოუვლელი ეზო დახვდებოდა. ნარგავები მუხის ჭიას დაეხრა. არ შეეძლო, მაგრამ გაიჭირვებდა, ხისა და ვენახის ძირებს შემოუბარავდა, მორწყავდა, საავე სათლს დააპრონიალებდა მოუშუშებელი კუჭის წყლულივით.

ახლა ქუთაისში იმყოფებოდა და აპირებდა 26 მაისს თბილისში ჩასულიყო, თუ აქ ძალით არ გააჩერებდნენ. გიზო ზარნაძეს გამოევლო და ორსიტყვიანი ბარათიც დაეტოვებინა მაგიდაზე, შემოსასვლელში.

დეპუტატები, თავიანთ თავს სახალხოებს რომ ეძახდნენ, გაემგზავრებოდნენ მოსკოვში, ყრილობაზე.

22 მაისს დაესწრებოდა კომისიის სხდომას ქუთაისში. კომისიის გადაწყვეტილებითა და თანხმობით უნდა გამართულიყო 26 მაისის ზეიმი. წინა სხდომას არ დაესწრებოდა და დღეს გაარკვევდა, რომ რაღაც სასარგებლო მოცულობის მუშაობა ჩაეტარებინათ. „სასარგებლო მოცულობის მუშაობას" ირონიულად თუ არა, სხვაგვარად როგორ იტყოდა – გაზეთის მოწინავესავით წერდა თუ რა?!. თავმჯდომარედ ოტია იოსელიანი აერჩიათ და რეზო ყურადღებას მიაქცევდა, მხოლობით რიცხვში რომ ლაპარაკობდა: ჩვენო, კი არ ამბობდა, არამედ – მეო...

– რად მინდა ახლა ამდენი დროშები.

– ბევრი ხალხი არ მჭირდება.

– ის მუსიკა არ ჩამირთოთ...

ერთმანეთს რასაკვირველია ყურს არ უგდებდნენ შეკრების მონაწილენი.

არაფორმალები მედიდურად და – როგორც გამოირკვეოდა – დიდი პრეტენზიებით იქნებოდნენ. ოტიას უნდა გაეხსნა საზეიმო თავყრილობა, როგორც კომისიის თავმჯდომარეს. ადგებოდა ერთი არაფორმალთაგანი და:

– ჩვენ დავადგინეთ – მე უნდა წავიყვანო კრება. ოტია მომცემს სიტყვას და დანარჩენი ჩვენ ვიცით.

კრებას ამბობდა, მიტინგს გულისხმობდა. ოტიას გაეხარდებოდა.

– აგაშენათ ღმერთმა, მაგ საქმეს თუ მომაშორებთ.

სხვას გულს შემოეყრებოდა.

თეიმურაზ ლანჩავა ადგებოდა და წავიდოდა:

– რაც მევალება, გავაკეთებ, კომისიაში აღარ ვიქნები.

რეზოც წამოვიდოდა: თბილისში ვაპირებ წასვლასო.

არა სწამდა რა არამარტო ეროვნულ-დემოკრატების, არამედ – არცერთის: მათი ეროვნული ენერგია ბოროტებაში გადაიზრდებაო. ჯერ ერთმანეთს დაერეოდნენ, შემდეგ სხვებს, მოიშორებდნენ ყველა „ხელისშემშლელს“, რაკიღა თვითონ არ გააჩნდათ სიკეთე, განათლება – ყველას არ ეხებოდა ცხადია – და არც შემოქმედებითი ნიჭი.

მხოლოდღა სურვილი თავის გამოჩენისა.

სახელს იშოვნიდნენ ძალადობით, თავს გამოიჩენდნენ სხვებივით, მათი წინაპარი სოციალისტებივით, თუნდ ნაციონალ-სოციალისტებივით, გერმანიისა და იტალიისა არ იყოს. ამ ქართველებს, ყველას სათითაოდ, თავი ყველაზე ჭკვიანი რომ ეგონა, უბედურებად მიიჩნევდა ამ უზომო თვითდაჯერებას რეზო ჭეიშვილი.

24 მაისს შეატყობდა, რომ: უნდა დარჩენილიყო.

გინდა თუ არა სიტყვა უნდა თქვა 26-შიო.

თუმც ეს უარს ეტყოდათ: მივდივარო, – მაგრამ მაინც შეიტანდნენ პროგრამაში. და ახლა ფიქრობდა: იქნებ მართლაც გამოვიდეო...

სიტყვას ხვალ საღამოს გაიაზრებდა, ამაღამ კი სტატია ექნებოდა დასაწერი რუსთაველის საზოგადოების გაზეთისათვის ტარიელ ჭანტურიას დაკვეთით. ძალიან მწარე რამის დაწერას აპირებდა და ამ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა.

კაშპიროვსკის აურევდნენ, ჩაუშლიდნენ სეანსსაც და ტელეგადაცემასაც. რეზოს ვარაუდით: შანტაჟს მოუწყობდნენ აქაური ექიმები. და ძალიან დაინტერესდებოდა, რა მომხდარიყო, მართლა შეშლილიყო ხალხი თუ არა?!.

ხვალ ყრილობა იხსნებოდა მოსკოვში. და საინტერესო ამბები უნდა ყოფილიყო თითქოს მოსალოდნელი. გამოჩნდებოდა ყველაფერი, ეს კი ყველას თვალწინ იქნებოდა გადაშლილი.

26 მაისს იწვიმებდა ქუთაისში, ჯერ ჟინჟღლავდა, მერე სულაც თქორავდა. ხან ისე იქნებოდა და ხანაც ასე.

სტამბიდან გამოიტანდა „განთიადის“ სასიგნალო ნომრებს.

ღამით დაწერილ სიტყვას გადაათეთრებდასავით სამსახურში და წავიდოდა თეატრში. 1 საათზე დაიწყებოდა მიტინგი მოედანზე. ესენი დადგებოდნენ თეატრის კიბეზე, კოლონებში, ხალხი ბლომად შეიყრებოდა, ქალები ჭრელ-ჭრელი ქოლგებით მოვიდოდნენ.

რეზო იტყოდა სიტყვას დალაგებულად, დროდადრო, რასაც არ მოელოდა, შეაწყვეტინებდნენ ტაშით. გარკვევით ისმოდა თურმე მოედანზეც და შემოგარენშიც გამაძლიერებელთა წყალობით.

3 საათზე გამოვიდოდა ქუთაისიდან.

შორაპანში ახალგაზრდები დროშებითა და ტრანსპარანტებით მიდიოდნენ, ოღონდ სად, ვერ გაარკვევდა.

სურამის ციხეზე იფრიალებდა სამფერი დროშა ლამაზად, სხვაგან – თითქმის არაფერი.

მცხეთაში ერთი საერთო საცხოვრებლის თავზე, სახურავზე ბიჭები გასულიყვნენ და ანტენებთან დროშას ამაგრებდნენ.

შესაღამოვებულზე თბილისში მიტინგი დაუხვდებოდა უნივერსიტეტის ეზოში. მიდიოდნენ და მოდიოდნენ ახალგაზრდები და მიჩამიჩებული მილიციელები მანქანებისა და ფეხოსანთა მოძრაობას აწესრიგებდნენ მონდომებით. დღის სინათლეზე ჩამოასწრებდა მაინც.

და როგორ არ ჩაენიშნა შთაბეჭდილებებით ავსებულსა და ანთებულს:

რა პატარა არის საქართველო და რა დიდი ამბები ხდებაო!..

31 მაისს კი დაიკვნესებდა:

უბედური საქართველო. როგორ წავა ჩვენი საქმე დღეს და ხვალ კი არა, საერთოდო.

მთელი მოსახლეობა ტელევიზორებს მისხდომოდა, ყრილობას უყურებდნენ, ნერვიულობდნენ, განიცდიდნენ.

ქალაქი პარალიზებული გახლდათ კვლავინდებურად.

სამსახურებშიც ტელევიზორებს მისჩერებოდნენ. ექიმებს ავადმყოფები ჰყავდათ თურმე მიტოვებული.

ყრილობა, ყრილობა...

როგორ ვძულდით მასას, ბრბოს, ესენი რომ „ნაროდს“ ეძახდნენ. სიბნელე, სიყრუე. რეზოს ის უკვირდა – ერთეულთა სახით – ამდენი მომხრე რომ აღმოგვაჩნდებოდა მაინც, ერთი ასს სჯობდა ასეთ დროს, მაგრამ ბრბო ტაშით ემხრობოდა სიბნელეს. თავს იჩენდა სიძულვილი, სიძულვილი – რუსის თანდაყოლილი გრძნობა – ყოველგვარი პროგრესულის მიმართ.

საქმეზე გავიდოდა მანქანით. უნივერსიტეტის ბაღი კვლავ გადაჭედილი იქნებოდა აღგზნებული ახალგაზრდებით, კვლავ დროშები იფრიალებდა.

ჩვენი დელეგაციის წევრები – ტელევიზორთანაც იგრძნობოდა – დაწყვეტილები იქნებოდნენ. თუ მათ მეცადინეობას, ნერვიულობას, საქმეს ან ინერტულობას შედეგი არ მოჰყვებოდა, თბილისში შესაძლოა უბედურება დატრიალებულიყო კვლავინდებურად. თუ აქამდე თავშეუკავებლობას დარჩენოდა ასპარეზი, ახლა სხვა... ახლა დიდი, პატარა, ქალი, კაცი, ბავშვი ერთ ჭკუაზე მომართულიყო.

და ასეთ დროს, ასეთ საპასუხისმგებლო თავყრილობაზე ჩვენი დელეგაცია ნაღდად მოუმზადებლად წასულიყო.

4 ივნისს – რაც მთავარი გახლდათ რეზო ჭეიშვილისათვის და მთავარზეც მთავარი:

ახლახან დაესრულებინა „ჩემი მეგობარი ნოდარის“ ახალი და ბოლო ვარიანტი. და ძალიან კმაყოფილიც დარჩენილიყო.

წერილსაც დაწერდა დღევანდელ საჭირბოროტო საკითხებზე და... ტარიელ ჭანტურია წაართმევდა:

– დაივიწყე მისი არსებობა.

არადა ახლა იყო საჭირო მისი დაბეჭდვა. ლენინის გამოსვენებას ეხებოდა მავზოლეუმიდან და... დაასწრებდა ერთი დელეგატი.

მავნეა ტარიელიო, – წუხდა, განიცდიდა.

– მე დაგაწერინე და ჩემთან უნდა იყოს.

მას დაეკვეთა მართლაც. „მამულის“ გამოსვლა კი რუსთაველის საზოგადოების ყრილობას უნდა დამთხვეოდა.

ხოლო ყრილობა: იქ არა თავდებოდა, მოსკოვში, და აქ არ იწყებოდა, თბილისში.

გიზო ზარნაძეც ესტუმრებოდა. 19 რიცხვისათვის აპირებდნენ სატელევიზიო შეხვედრას. ამ თარიღს თუ გადაცილდებოდა, სექტემბრამდე აღარც ეღირებოდა. არადა საჭირო გახლდათ...

ამჟამინდელი ვითარება, ამჟამინდელი სიტუაცია თვითვე ხდიდა საჭიროს რეზო ჭეიშვილის სატელევიზიო გამოსვლას. როდის ჩაწერდნენ ნეტა, როდის გადასცემდნენ?!.

ელდარ შენგელაია ცუდად გამხდარიყო ყრილობაზე, სასწრაფოს გამოძახება შექმნილიყო საჭირო. იმედო კახიანისაგან შეიტყობდა ამ ამბავს რეზო.

რევაზ თაბუკაშვილი და აკაკი ბაქრაძე გამოვიდოდნენ ტელევიზიით.

რეზო რა უცებ დაბერებულიყო, კაკოს კი ძალიან წითელი ცხვირი ექნებოდა, თითქოს საგანგებოდ შეუღებავსო, და ძალიან დამგვანებოდა კლოუნს, რაც კარგიც იყო თითქოს... რას ირწმუნებოდა, თან ლიტველ დეპუტატსაც რომ დაიმოწმებდა?

– იმიტომ არ გამოვედი ყრილობაზე, იმიტომ არ გამოვდივარ და არც გამოვალ, რომ აზრი არა აქვს, მაინც ვერაფერს გაიგებენ, არც მომისმენენ წესიერად...

და როგორ არ ჩაენიშნა დღიურში თავისი გაკვირვება რეზო ჭეიშვილს:

მთელი კავშირი რომ უყურებს და უსმენს, ეს არაფერი თითქოსო!..

დეპუტატების ამოსლოკინებაც კი აღიბეჭდებოდა პრესაში: გაზეთ „იზვესტიას“ ფურცლებზე. უსმენდნენ უცხოელები, უცხოელი კორესპონდენტები და... აზრი არა ჰქონდა ვითომ საქართველოს ისტორიასა და ანექსიაზე ლაპარაკს?..

აკაკი ბაქრაძე თავს იმართლებდა:

ლიტვის დელეგაციის წევრმა მითხრა, ეს ლექცია გამოვაო.

ლექციაა სწორედ საჭიროო, – ტელევიზორს ელაპარაკებოდა რეზო ჭეიშვილი.

ჩინეთში დაეხვრიტათ დემონსტრანტები, ახალგაზრდები, პირდაპირ მოედანზე, და იტყოდა აკაკი ბაქრაძე:

აქაც გაიმეორებენ ასეთ რამეს, საქმე საქმეზე რომ მიდგებაო.

არადა გაზეთში წერდა:

აწი ვეღარ გაბედავენო.

და რეზო ამ წინააღმდეგობის გამო მიადევნებდა:

არასერიოზული კაცია მისი სერიოზულობის მიუხედავად, თუმც გუშინ შედარებით დალაგებულადაც, მშვიდად ლაპარაკობდაო.

დასაწერი ჰქონდა წერილი... დროც აღარ რჩებოდა... ხვალ და ზეგ აუცილებლად უნდა მოესწრო... შეეძლო არც ეთქვა, მაგრამ გული კარნახობდა, რომ: უსათუოდ უნდა ეთქვა.

ეს ეხებოდა ქუთაისში ეკლესიის აგების რეზოსეულ წინადადებას, მოედნის რეკონსტრუქციას, დავით აღამაშენებლის ძეგლს... ამას დასაბუთება ესაჭიროებოდა, ჩაგულისყურება ესაჭიროებოდა ძირისძირობამდე. იქიდან აქეთ გადმოხტომაც უჭირდა ძალიან...

7 ივნისს დაამთავრებდა წერილს, დღეს გადაათეთრებდა. ამ დღიურსაც ავსებდა და: საჭიროაო, – გული ეუბნებოდა.

ტელეფონი კვლავ დუმდა და თბილისში ვეღარ დაერეკა...

სადაცაა დაიწყებოდა ყრილობა და ხალხი თავს შეიქცევდა.

რაო, დემოკრატობანას თამაშიაო?

თამაშიც გახლდათ და რეპეტიციაც... და ესეც საჭირო იყო.

ითამაშებდნენ და... შემდეგ მართლა იჩხუბებდნენ, ჩხუბს კი რაც მოჰყვებოდა...

დაშლისა და ახლი შექმნის პროცესი დაწყებულიყო და... ამას აწი რომ ვეღარაფერი შეაჩერებდა, ეჭვიც აღარ ეპარებოდა რეზო ჭეიშვილს, და ზეცას მიაჩერდებოდა სასოებითა და იმედით: ღმერთო, შენითა ვართო!..

12 ივნისს ხელში მოჰყვებოდა და კითხულობდა „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალს". კარგად გახლდათ დაწერილი, თუმც ნამეტანი გასუფთავებულიყო, მაგრამ ეს მხატვრულ ხერხად შეიძლება ჩათვლილიყო, და ასეც იყო.

ასე ფიქრობდა, როდესაც წერდა. განგებ ლაპარაკობდა შალიკო კარგი ქართულით, და მაინც ყურს მოჭრიდა ახლა რამდენიმე ფრაზა თუ წინადადება.

60 წელს უახლოვდებოდა და ასე ეგონებოდა: ჯერ არ დამიწერია, რაც უნდა დამეწერაო.

დრო რომ არა ჰქონდა, საამისოდ რომ ვერ იცლიდა, მუდამ რომ ჩქარობდა, ეს სხვა იყო კიდევ.

გადაიკითხავდა ხოლმე თავის ნაწერებს და... ბრაზდებოდა, ნერვები ეშლებოდა ხანდახან. გადახედილ-გადაკეთებული ექნებოდა, მაგრამ მაინც ჩარჩენილიყო ბალასტი შიგნით. ძალაუნებურად ითვალისწინებდა მკითხველს, მთავრობას, ვიღაცას, ვიღაცის გემოვნებას, კრიტიკას. სხვისთვის წერდა ადგილებს, სხვას უმტკიცებდა ცოდნას, ქართულ იდეურობას, კაცთმოყვარეობას, სიკეთეს თუ რაღას აღარ. ახლა კი ეს ყველაფერი გულს ურევდა.

და ამ თვალით გახედავდა „დონ კიხოტს":

თავისთვის რომ დაეწერა მიგელ დე სერვანტესს ეს რომანი, გაცილებით დიდი და საგულისხმო წიგნი დარჩებოდა კაცობრიობას. აქ კი ავტორი ვიღაცას უმტკიცებდა, ედავებოდა, უსაბუთებდა, ასწავლიდა, განუმარტავდა: ამის გაკეთებაც შემიძლია, იმისიცო, პოეტიც ვარ, მენოველეცო...

და დაიბეჯითებდა რეზო ჭეიშვილი:

– აწი მხოლოდ ჩემთვის უნდა ვწერო. ეგ იქნება საინტერესო.

კრებული „პირველი", პირველი ტომი ორტომეულისა, შეძლებისდაგვარად ჩაესწორებინა, მიზნისათვის მხოლოდ – სხვანაირად უკვე აღარც შეიძ-

ლებოდა – ნაწილობრივ მიეღწია... მომდევნო ტომზე ამდაგვარად ველარ ემუშავა და გული წყდებოდა. „მუსიკა ქარში“ ხომ შეიძლებოდა უკეთესად გამართულიყო, თუკი დროსა და ენერგიას არ დაიშურებდა.

ბოლო ტომი უკეთესი უნდა გამოსვლოდა:

„ჩემი მეგობარი ნოდარი“ მზად გახლდათ.

„რკინის სახკომიც“ – მაინც პუბლიცისტიკა იყო და მაინც – მზად იქნებოდა.

ჯერ რამდენიმე ნოველას დაწერდა და შეეცდებოდა შეენარჩუნებინა დონე „რასემონისა“ თუ „გუია ა.“-სი. „გუიაშიც“ გულს ეთანაღრებოდა ერთი ადგილი: ესა და ეს კაცი მხეტველად იდგა ქართულ ლიტერატურაშიო... იქ არ იდო ეს პასაჟი, სადაც უნდა დებულიყო.

შემდეგ უკვე დაიწყებდა თავისთვის წერას.

ისე კი, ახლა რომ იხსენებდა, რამდენჯერ აეცდინათ გზიდან და თვითონაც ვერ გამოეჩინა შესაფერისი სიმტკიცე. ხან ქართულში ედავებოდნენ, ხან გრამატიკაში, ხან რას უსწორებდნენ, ხან კიდევ რას... აქ კი არა ნებდებოდა, მართალიც რომ არ იყო, მაშინაც არა თმობდა თავისას...

და ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა, კინოფილმების განხილვას რომ მოაწყობდა მწერალთა კავშირი რატომღაც „იმელის“ შენობაში და რევაზ ჯაფარიძე – როგორ არ ჩაერთო: კინოში მისი პერსონის იგნორირებით განაწყენებულიო – წაიკითხავდა მოხსენებას. და „ჩემ მეგობარ ნოდარში“ ერთი კაცი მეორეს, სადღაც მესამე პლანზე რომ ეტყოდა: წადი შენიო... მომხსენებელი ლამის ქვეყანას დააქცევდა:

ეს როგორ შეიძლება, სად იყო ამ დროს კინოსტუდიის ხელმძღვანელობა, სამხატვრო საბჭო, სასცენარო განყოფილების უფროსი ამხანაგი მიშა მგალობლიშვილიო.

რა უბედურებაა ჩემს თავსო, – ფიქრობდა რომანისა და სცენარის ავტორი და თავის ყვედრება-გინებას მოჰყვებოდა.

ამავე თხზულებაში სტალინის გარდაცვალებისდროინდელი ქუთაისი რომ წარმოესახა: კარგად და გლახად – კინაღამ შეიშლებოდა კონსტანტინე ლორთქიფანიძე:

– რა უფლება აქვს მისით, სტალინზე როგორ წერს ამნაირად!..

მწერლობაში რომ შემოდიოდა, დასაწყისში ეფერებოდნენ, უქებდნენ კიდეც იმ ნაწერებს... შემდეგ, რა იყო შემდეგ? სიგლახის მეტი არა ეხსომებოდა რა. და ელიზბარ ჯაველიძე – ეს ახლახან – ქებას რომ არ მოაკლებდა „მეოთხე სიმფონიას“, რეზო მადლობას გადაუხდიდა საგანგებოდ, თუმც დაინახავდა, რომ: არ ესმოდა, არ ჰქონდა გაგებული და შესაძლოა წაკითხულიც კი ბოლომდე... ვერ შეეფასებინათ ეს თხზულება, ვერ დაენახათ ის ენერგია, სიმართლე, რაც შიგ ჩადებულიყო. ტექნიკა, წყობა წინადადებებისა, ალაგ-ალაგ კომპოზიციური ხვეულები და ათასი რამ ვერ შეემჩნიათ.

„ვისი ან რისი იმედი უნდა იქონიო?!.“

რუსულად ცუდად თარგმნიდნენ, საზღვარგარეთ – ცოტას ან სულ არა... თუმც ვისიც თარგმნილიყო, ვინ კითხულობდა... რეზო რა – კითხულობდა უკრაინელ, სომეხ, ლიტველ, ესტონელ თუ სხვა მწერლებს?.. ეწერებოდა:

თარგმნილია რუმინულიდან, უნგრულიდან, ჩეხურიდან, სერბიულიდან, მაკედონურიდან... დახედავდა ამ წარწერას და... დადებდა უკანვე წიგნს... რა აყიდინებდა. დაეძებდა ფრანგულიდან, ინგლისურიდან და ამნაირი ენებიდან თარგმნილს. იმასაც ჩხრეკდა, ამოწმებდა ანოტაციას, შიშობდა, ემანდ კომუნისტი მწერალი არ აღმოჩნდესო...

დაბრუნდებოდნენ დელეგატები მოსკოვ-კრემლიდან.

ელდარ შენგელაია არ ენახა.

მუხრან მაჭავარიანისათვის არაფერი ეკითხა.

რევაზ თაბუკაშვილს უსმენდა და თავისი მხრივ კი შეკითხვებით არ აწუხებდა...

აღარც სურდა მოსმენა, იმ დღეებისა და 9 აპრილის გახსენება. ქართულ ტელეგადაცემებს ველარ იტანდა – ერთდროულად ერთსადაიმავეს. მოსკოვზე ექნებოდა ჩართული.

ქუთაისში უწყობდნენ სატელევიზიო შეხვედრას. რაღაც ფერხდებოდა ალბათ. გიზო ზარნაძე არა ჩანდა. გადაიდებოდა ეტყობა. არადა ჰქონდა ნაღდად სათქმელი.

ზეგ წავიდოდა ქუთაისში, აიღებდა შვებულებას და გადაბეჭდავდა „ჩემ მეგობარ ნოდარს".

– ეს საქმეა.

სცენარებსაც თუ მოიშორებდა, ბედნიერი იქნებოდა.

დაჯდებოდა წერად.

მერე სადღა დაბეჭდავდა?!.

თუ ყველაფერს მოწყდებოდი, ისინი მთლად მოგწყვეტდნენ ყველაფრისაგან და დაგივიწყებდნენ ცხადია... დაბეჭდვაზე უარს ვერავინ ეტყოდა, მაგრამ... ეს შიშიც რომ ჩნდებოდა, ვაითუ ბეჭდვა-გამოქვეყნება გამიძნელდესო?!. ტყუილუბრალოდ ვითომ?!.

15 ივნისს გადაწყდებოდა, რომ:

საოპერო თეატრში უნდა შემდგარიყო მასთან შეხვედრა, დიალოგი ტელემაყურებელთან. რაღაც დიდ ხათაბალაში გადავარდნილიყო და... რატომღაც არა ღელავდა. ფიქრობდა, რომ კარგად ჩატარდებოდა, და თან წარმოდგენაც არ ენდომებოდა იმ ორშაბათისა. თუ უამრავი ხალხი მივიდოდა, სეირი ეგონებოდათ და გაწბილებულნი აითვალისწუნებდნენ. თუ არავინ მივიდოდა და... მთლად უარესი.

არადა: რომელი არტისტი ან ორატორი ის გახლდათ, დამდგარიყო მარტო და ელაპარაკა... თუ სცენას გაშინაურებოდა სხვებივით!.. ეს ორშაბათიც ხომ უბედურება იყო!..

გაგულაშვილი დაურეკავდა:

– „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი" ისრაელის ქართულ გაზეთში იბეჭდება.

ისე გამოიყვანდა, თითქოს მისი დამსახურება ყოფილიყოს.

– ეს წიგნი ისრაელში პაპიაშვილმა წაიღო, – ეტყოდა რეზო და იმას არ ესიამოვნებოდა ეს ცნობა რასაკვირველია.

დაიბეჭდებოდა გაგრძელებებით – ყოველ სამშაბათს, ედუარდ ამბოკაძის ნახატებით. წიგნი დაეშალათ და იქიდან გადაეღოთ. ისე მშვენივრად გამოსულიყო ილუსტრაციები, თითქოს ორიგინალიდან შეუსრულებიათო.

მოსაწვევებს დაარიგებდა დღეს, სხვა არაფერს გააკეთებდა... აფიშებს გააკრავდნენ. ყველაფერს უნდა მიჰყოლოდი შენ თვითონვე, როგორც ჩანს, როგორც ირკვეოდა და... ანკი რა გარკვევა უნდოდა ამას!..

როგორ ჩაივლიდა 19 ივნისის – იმ ორშაბათის საღამო?

დაბეჯითებით ვერა ეთქვა რა... რომ დამთავრდებოა, კმაყოფილი დარჩებოდა... მაგრამ სუფრაზევე შეეპარებოდა „სიკარგეში" ეჭვი და მას მერე სულ უკმაყოფილო იქნებოდა. შინ გვიან, ღამის ოთხის ნახევარზე დაბრუნდებოდა, მაგრამ ამ რვეულს არ გადაშლიდა. არ ენდომებოდა, თავისიც არ ექნებოდა... ნახავდა მერე გადაცემას, მოისმენდა, როგორ გამოჩნდებოდა, როგორ გახმოვანდებოდა, როგორ დამონტაჟდებოდა... რა გამოვიდოდა...

ასწორებდა და ბეჭდავდა „ჩემ მეგობარ ნოდარს". ცოტას გადაბეჭდავდა – 70 გვერდს – ბევრი გადასაბეჭდი დარჩებოდა.

არ დაესწრებოდა სახალხო ფრონტის ყრილობას. დელეგატი არ იქნებოდა და არც არავინ მიიწვევდა.

გამოვიდოდა გაზეთი „მამული", რეზოს წერილიც რომ იქნებოდა შიგ. ეძებდნენ, კითხულობდნენ ამ სტატიას.

– ეს კარგია.

მთელი ნომერიც კარგი გამოსულიყო...

26 ივნისის ამ ჩანაწერს პოსტსკრიპტუმად მიადევნებდა, რაც მთავარი იყო, დამავიწყდაო:

ხვალისათვის არჩევნები დანიშნულიყო ქუთაისის მწერალთა კავშირში. იქნებოდა ვნებათაღელვანი. ჩამოსულიყო ენვერ ნიჟარაძე. ხვალ გურამ ფანჯიკიძეც ჩამოვიდოდა. ღელავდნენ, ნერვიულობდნენ კანდიდატები... რეზოც ხომ ამისთვის ჩამოსულიყო ამჯერად...

ამ არჩევნებს როგორ შეაფასებდა და:

სანაგვე იყო და სანაგვედვე დარჩაო...

ყველა სათითაოდ გაამჟღავნებდა თავს და ესეც კარგი იქნებოდა... რას შეგვაგონებდა ანდაზა? სიბერემდე სიქაჩლეო... და ასე გამოვიდოდა, ასე იქნებოდა რეზო ჭეიშვილის საქმეც სწორედ...

მორალურად გახრწნილი საზოგადოება ცდილობდა ეხელმძღვანელა ასევე გახრწნილი საზოგადოებისათვის... მცირეს – დიდისათვის... ყოველნაირად ცდილობდნენ შეევიწროვებინათ ის ძალები, ის ადამიანები, რომელნიც ამ საზოგადოებიდან ამოვარდნილებივით გამოიყურებოდნენ. დღევანდელი ყოფა უმრავლესობისა, უმრავლესობის ნორმა ბუნებრივი მდგომარეობა გახლდათ. ქუთაისური არჩევნების, შეხვედრების გამო ვერ დაესწრებოდა სახალხო ფრონტის ყრილობას, ისე საინტერესო კი გახლდათ – რისი ფრონტი უნდა ყოფილიყო: თბილისისა თუ საქართველოსი... და საერთოდაც რას წარმოადგენდა ეს ფრონტი?!.

როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, თვითონ როგორ უნდა მოქცეულიყო ამ ვითარებაში:

თავისი საქმისათვის მიეხედა, თავისთვის ყოფილიყო თუ ებრძოლა, ეთქვა ის, რისი თქმაც სხვას არ შეეძლო? ნახევრად იქით, ნახევრად აქეთ – არ გამოდიოდა. თავის საქმეს მიხედავდა და – როგორც კი საშუალება მიეცემოდა – სიმართლესაც იტყოდა.

და ძალდაუტანებლად ამოუტივტივდებოდა მოკლე დიალოგი „ცისფერი მთებიდან“:

– კი მაგრამ, სოსო როგორ უნდა მოიქცეს?

– სოსო უნდა მოიქცეს ისე, როგორც იქცეოდა აქამდე!

მგონი ეგაა სწორიო, – დაიბეჯითებდა.

წუხდა, განიცდიდა, გამოსავალს ვერა ხედავდა, არადა: ძალიან ერთფეროვნად, ძალიან მკრთალად, უსიამოდ ცხოვრობდნენ ქართველები... მათი ძირითადი ნიშან-თვისება პატივმოყვარეობა გახლდათ, ან – როდესაც ეგ არა – მოსახვეჭელის მოხვეჭა და აბრეშუმის ნაჭუჭში ჯდომა, ვიდრე ააფრენდნენ მისნაირს, ან უკეთესს, ან უარესს.

ორს რომ 13 წუთი აკლდებოდა 28 ივნისის ღამით, „ჩემ მეგობარ ნოდარს“ ასწორებდა კვლავ. ხვალ თუ წასვლა მოუწევდა, ზეგ ბეჭდვას განაგრძობდა. რამდენი რამ ჰქონდა დაწყებული და დასამთავრებელი, და მაინც ამას უნდა მობრუნებოდა. ეთქვა და გაიმეორებდა:

– მშვენიერ საკითხავ ნიგნს დავუტოვებ შთამომავლობას.

24 ივლისს გაახსენდებოდა, რომ აღარაფერს იწერდა. ქვეყანა არეულიყო. თბილისი აჭრილიყო. ქუთაისიდან არაფერი ისმოდა. რას შვებოდა ნეტა ჟურნალი? ვერ რეკავდა, არც რეკავდა, სურდა გამოთიშვოდა იქაურობას. ჩაბრუნებაც აღარ ენდომებოდა ზოგჯერ, მაგრამ მაინც წლევანდელი წელიც და იქითური წლის ნახევარიც უნდა გაჩერებულიყო ჟურნალში როგორმე, და უნდა ეფიქრა დეპუტატობაზეც.

– ეგ საჭიროა, აუცილებელიც კი. ჩემნაირად განზე დგომა გამოსადეგი არ იქნება.

მაინც ბევრი ნახავდა – როგორც გამოირკვეოდა – მის სატელევიზიო გადაცემას. და თითო შენიშვნაც გასჩენოდა ყველას:

– ყველაფერი კარგი იყო, ეს არ უნდა გეთქვა მხოლოდ.

რომ დაეჯამებინა შენიშვნები, საინტერესო სურათი წარმოჩნდებოდა:

გამოდიოდა, რომ... არაფერიც არ უნდა ეთქვა.

ისე მაინც რამხელა ძალა ჰქონდა ტელევიზორს!..

რა მოეხერხებინა სცენარებისათვის?

აი ეს კითხვა აწუხებდა სხვაზე მეტად, რაც აწუხებდა.

აწუხებდა გარშემო ყველა, შეგნებულად თუ შეუგნებლად.

დრო აღარ ჰყოფნიდა, დრო, დრო!.. იღლებოდა და იოლადაც ეძინებოდა.

მოძრაობა არ აკლდა: ზევით, ქვევით, ქუთაისი, თბილისი, მუხათწყარო, წყნეთი, ბაზარი... ქუთაისში კი ერთს დაესაკუთრებინა თითქოს, მისი ჭკუით, და სხვას არ აკარებდა, არავისთან აახლოებდა...

„ეს რა უბედურებაა!..“

ისევ პუბლიცისტიკაზე, საჯარო გამოსვლებზე, დღევანდელ ვითარებაზე, საქართველოს ბედსა თუ უბედობაზე იფიქრებდა...

ასე ეგონებოდა: სხვაზე მეტი მე ვიცი, მაგრამ მეტსაც მე ვხვდები და არ ვამბობ, ვერ ვამბობო.

და გაელიმებოდა გუნებაში: ასე ეჩვენებათ ეტყობა სხვებსაცო.

აუცილებლად – სხვა გამოსავალი აღარ რჩებოდა – უნდა მოემთავრებინა სცენარი მიხეილ ჭიაურელისათვის. გასამზადებელი ექნებოდა მეორე წიგნი. ეს კიდევ „რკინის სახკომი“ და ჟურნალი... ადრე კი თენდებოდა, მაგრამ მალეც ღამდებოდა და ტელევიზორს მიჯაჭვულს დრო აღარ ჰყოფნიდა და აღარ საქმისათვის...

5 აგვისტოს ჩაინიშნავდა:

ადამიანი, რაც უნდა მარტივ და უმნიშვნელო როლს თამაშობდეს ცხოვრებაში, საზოგადოებას ვერ მოწყდება, ვერ გაეთიშებაო.

და წამოაგონდებოდა ავტობიოგრაფიული რომანის – „მუსიკა ქარში“ – ის პასაჟი:

ადამიანმა ძალიანაც რომ მოინდომოს, ვერც მარტო თავისთვის იცხოვრებს, ვერც მარტო სხვისთვისო.

8 აგვისტოს ქუთაისს რომ დაუბრუნდებოდა თვისა და ათი დღის განშორების შემდეგ, ოთახში ყველაფერი დაობებული დახვდებოდა. თემურ შაშიაშვილს დაელაპარაკებოდა ჯერ გასვენებაში და მერე მისივე კაბინეტში.

– მოგხედავთ, – მაშინვე დაპირდებოდა და ბინასაც შემოსთავაზებდა.

– სადაც ვარ, იქ გამირემონტეთ.

– ადვილია.

ალბათ მოუწევდა გივი გუმბარიძესთან შესვლაც „განთიადის“ გაჟურნალებაზე. როდემდე უნდა ყოფილიყო ალმანახი?!. მაინც ჟურნალად იხსენიებდა მკითხველი და ბარემ მართლა მოეპოვებინა ეს სტატუსი.

ჩამთავრდებოდა „ვრემია“ და იქნებ დაეწყო სცენარი „დონდინო“.

15 აგვისტოს ჩააკითხავდა არგვეთში მუხრან მაჭავარიანს. არ ეძინებოდა მასპინძელს, ზევით იქნებოდა, პარტყუნ-პარტყუნით ჩამოვიდოდა ხის კიბეზე... ისეთი ხმა ჩამოდიოდა, თითქოს ზრდადამთავრებული, ზომაზე მეტად მსუქანი ბავშვი ასკინკილით ჩამორბოდა. დაკვირვებით წაიკითხავდა ამათ წერილს.

– საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვს? – ჰკითხავდა რეზო.

– არა, მაგრამ შენთვის კარგი იქნება ეს? – დაინტერესდებოდა მასპინძელი.

– ჩემთვის ვაკეთებ ამას, – მიუგებდა სტუმარი.

– ხო, მართალია... „ცისკრის“ რედაქტორად ხომ არ წახვალ?

– არა, ჯერ არა, ყოველშემთხვევაში. ჯერ ეს საქმე მაქვს დასამთავრებელი და ქალაქსაც ვერ ვუღალატებ.

ასე ფიქრობდა ახლაც. მასპინძელი ავიდოდა ისევ ზევით და ჩამოიტანდა კალმისტარს, რეზოსი ვერ მოანერდა თითქოს. დასვამდა ფაქსიმილეს. ნაწყენიც ყოფილიყო თურმე მასზე და ახლაღა გაუმჟღავნებდა:

– ასე და ასე გითქვამს... ჩვენ გვაგინე თურმე ტელევიზიით.

– შენ მოისმინე?

– არა, სხვებმა მომიტანეს ენა, გამახელეს, ასე და ასე თქვაო.

– მთლად ეგრე არა, მაგრამ დაახლოებით ეგრე კი ვთქვი, – მიუგებდა და დაასაბუთებდა კიდეც თავის სიმართლეს, თუმც უხერხულობას ვერ გაფანტავდა. საუზმეზე დასხდებოდნენ და ირაკლი ბაზაძე ეტყოდა მუხრანს:

– „ცისკრის" რედაქტორად მე გამოვდგები.

– შენ სადაც ხარ, იქაც არ უნდიხართ.

ირაკლის არ ეწყინებოდა:

– მართალია, არ ვუნდივარ, პრინციპული ვარ და იმიტომ.

17 აგვისტოს გივი გუმბარიძეს ეახლებოდა. 12 საათზე დაიბარებდნენ. იკითხავდა ქვეყნის ახალი ხელმძღვანელი:

– ვინაა?

მოახსენებდნენ ამის ვინაობას.

– მოითმინოს.

დაალოდინებდა და ამასობაში ელდარ შენგელაიაც მოვიდოდა. წინა დღით ერთად მისვლაზე შეთანხმებოდნენ. შეეგებებოდათ კარებთანვე პირველკაცი.

რეზო იქაურობას კარგად გაზომავდა და დაიმახსოვრებდა ძალაუნებურად. ელდარს შვილიშვილი შეძენოდა წინა დღით და, რომ იტყოდა, მიულოცავდა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი:

– დიდი ამბავია.

– მართალია, – დაუდასტურებდა რეზოც, – ცოტა არეულ დროში მოვიდა, მაგრამ რა უჭირს.

– სახალხო ფრონტი დაალაგებს ყველაფერს, – გაიცინებდა დამხვდური.

ალმანახის გაჟურნალებას იოლად გადაწყვეტდა და... რეზო შეშფოთდებოდა კიდეც: ძნელ საქმეს თანხმდება და არ იცის ალბათ, გაუკეთებელივით რომ არისო.

თავის განყოფილებასა და მინისტრთა საბჭოს დააწერდა:

დადებითად გადაწყვიტეთ და მომახსენეთ.

ქუთაისის დედაქალაქობის 1000 წლისთავი ანეკდოტი ეგონებოდა. რეზო აუხსნიდა საფუძვლიანად, დაბეჯითებით ელაპარაკებოდა და... დააფიქრებდა. იმ ადგილას ხაზს გაუსვამდა და რაღაცას მიაწერდა.

– ბოლოს რომ ორი ფორმა დაემატა, ექვსი თვე დაჭირდა მიწერ-მოწერა ამის გადაწყვეტას და თქვენ თუ არ ჩაერიეთ ამ საქმეში, მაინც არაფერი გამოვა.

დაპირდებოდა ამის მოგვარებასაც გივი გუმბარიძე და იმ არეულობაში ეს დაპირებაც არ დაავიწყდებოდა, როგორც რეზო შეატყობდა.

შემდეგ ელდარი დაელაპარაკებოდა 9 აპრილის კომისიასა და მაღალ ინსტანციებზე: ამან ისე თქვა, იმან ისე და იცოდეო. ლიგაჩოვმა ნამეტანი ახალგაზრდად ჩაგთვალაო. მე სხვანაირად მელაპარაკეთო... ამ პოზიციებით ისაუბრებდნენ.

დაურეკავდა ქალი:

– მალაქია ტოროშელიძის ქალიშვილი ვარ და თქვენთან ლაპარაკი მინდა.

„რა უნდა უნდოდეს? ორჯონიკიძესთან იქნება დაკავშირებული უეჭველად“.

შეხვდებოდა მწერალთა კავშირში. ნაწყენი აღმოჩნდებოდა „ლიტერატურულ საქართველოზე“. მოუთხრობდა საინტერესო ამბებს. წააკითხებდა მალაქიას დღიურებსაც...

– გამოვიყენებ, – კმაყოფილი დარჩებოდა ამ შეხვედრით რეზო ჭეიშვილი.

20 და 21 აგვისტოს წაიმუშავებდა ელდართან ერთად. ორჯერ შეხვდებოდა მიშა ჭიაურელსაც.

სტუდიაში გაიცნობდა სოხუმიდან ჩამოსულ საინტერესო მანდილოსანს. ცოტას კი პოზიორობდა, მაგრამ მამალი და მებრძოლი ქალი ჩანდა. ეს ურჩევდა:

– რუსთაველის საზოგადოებას დაანებეთ თავი და სახალხო ფრონტი დაამკვიდრეთ.

ასეც აპირებდნენ როგორც ირკვეოდა.

21-შივე ელდარი გერმანელებს შეხვდებოდა და წინასწარ ხელშეკრულებასაც გაუფორმებდნენ. სცენარის ფულის გადახდასაც – ნაწილისა – შეპირდებოდნენ. ელდარი პირდაპირ ეტყოდათ:

– ჩამოვალ და იქ მომეცით, აქ წაგვართმევენ, არ მოგვცემენ.

– ვიცი, – უთქვამს იქაურს. სცოდნოდა კარგად კომუნისტური მორალი.

სამსახურში მისულს ბინძურ წერილებს დაახვედრებდნენ. არ ისვენებდნენ, ვერ ისვენებდნენ სტალინელები, არ ასვენებდათ გამჩენი.

სოსო ხარაბაძეს ეტყოდა ამას წინათ:

– ვიდრე ერთი სტალინელი დარჩება, საქართველოს არაფრის ღირსი არ იქნება!..

და დღიურში დასტურსაც დასცემდა თავისივე ნათქვამს: ეგრეცააო!..

25 აგვისტოს წერდა უკვე დაწერილ სცენარს, არაფერს ტოვებდა იმათ დაწერილს და გამოდიოდა რაღაც... დღეს გადაიაზრებდა ბოლომდე და მიხვდებოდა: ღირდა წვალებად.

27 აგვისტოს „ნინოს“ წაიკითხავდა, კაი დროს გაახსენდებოდა. უგემოვნებისა და უნიჭობის ეს საზომი, ეტალონი, ეს ნაგავი 130 000 ტირაჟით გამოდიოდა თურმე და... ადასტურებდა ჩვენი განათლებისა და კულტურის დონეს!..

ჯუნაზე იქნებოდა გადმოცემა ტელევიზიით, ჯუნა დავითაშვილზე – ექსტრასენსზე.

როგორ ნათლად ამოესახებოდა თვალწინ კაფე ახლანდელ მოედანზე, ჯუნა სადაც მუშაობდა ოფიციანტად. კაფე იდგა დღევანდელი „ივერიის“ წინ, ზუსტად შადრევნის ადგილას. ჯუნა კი ყურადღებას იქცევდა და შეუძლებელია იგი არ დამახსოვრებოდა იმათ, რომლებიც იქ ხშირად დადიოდნენ. 15 წლის წინათ ან ცოტა უფრო გვიანაც დაანგრევდნენ ამ კაფეს... ერთხელ კი: ვიღაცა ერთ დღეს ქუჩიდან, შესაძლოა მანქანიდანაც ისროდა ტყვიას, რომელიც – როგორც შემდგომ გაირკვეოდა – მოხვდებოდა შუშის კედელს, გახვრეტდა და დაეტაკებოდა იმავე სისქის ღია კარის შუშას, სადაც რეზო ჭეიშვილი და ანზორ სალუქვაძე ისხდებოდნენ.

ამ ფაქტს გამოიყენებდა მოთხრობაში „გია“.

გია გომარელს დალაქავებული საწვიმრის ჯიბიდან რევოლვერი უნდა ამოეღო და მოპირდაპირე სახლის უზარმაზარი ვიტრინისათვის ესროლა.

სამნი იდგებოდნენ კაფესთან. მოზომილ ტერიტორიაზე ეფიცხებოდნენ მზეს და ცინიკურად აყოლებდნენ თვალს მათ სამფლობელოში კანონიერად მიმავალ-მომავალ მოქალაქეებს.

– ეე!.. – ამოიძახებდა ერთ-ერთი მათგანი სროლის ხმაზე.

ერთი საერთოდ ვერ გაიგებდა, რა მომხდარიყო, ერთს კი მკვდრისფერი დაედებოდა: კიდევ არ შემობრუნდეს ვიღაცაა, კიდევ არ ისროლოსო.

– სტარტოვკა იყო ტო?! – იკითხავდა დაბნეული პირველი.

ტყვია კი სქელ მინას გახვრეტდა და დარბაზში დავარდებოდა კუთხის მაგიდასთან, სადაც სამსახურიდან შესვენებაზე გამოსული ორი თანამშრომელი ისაუბრებდა მეექვსე ბოთლ შამპანურის წრუპვით.

– ხედავ შენ? – იტყოდა ერთი და ნატყვიარს მიაჩერდებოდა.

– ჩვენ გვესროლეს ვითომ? – შეეჭვდებოდა მეორე.

ტყვიასაც იპოვნიდნენ თეთრი, სიფრიფანა ფარდის ძირას. ავტოინსპექტორი. რომელიც ამ ამბავს შეესწრებოდა, დაბეჯითებით მოჰყვებოდა მტკიცებას: მსროლელი თავქუდმოგლეჯილი შევარდა ბაღშიო, – თუმც ბაღში შევარდნილი კაცი არავის შეუნიშნა. დაინახე შენო? – ჰკითხავდნენ ავტოინსპექტორს, და ის პასუხად: არ დამინახავს, მაგრამ ჩემი ვარაუდით ბაღში შევარდა, დადევნებას აზრი აღარ ჰქონდა, პოსტის მიტოვების უფლება არ მაძლევდა ამის საშუალებას და თანაც ნამეტანი მაგრად გარბოდაო.

გია ბაღში არ შევარდებოდა, არც გაიქცეოდა; სასწორზე შედგებოდა, ვიდრე ფერნასული მწონავი აწონვას მოასწრებდა, სასწორის ქუდზე ხურდა ფულს დატოვებდა და ფეხაუჩქარებლად წავიდოდა იქით, საითაც ავტოინსპექტორის აზრით (დანახვით მართლაც არ დაენახა) უნდა წასულიყო.

ანზორი რომ წაიკითხავდა, კიდეც შემოეხმიანებოდა.

28 აგვისტოს, ორშაბათს, მარიამობა დღეს ნიკორწმინდაში წავიდოდა. ხალხი ბლომად დახვდებოდა. გაბოლილი იქნებოდა ეკლესია პარაფინის სანთლებით. სამრეკლოსთან მიტინგი გაიმართებოდა შაორის დაშრობაზე. მოადგებოდა მიტინგის თავმჯდომარე: გინდა თუ არა სიტყვა თქვიო. არ იტყოდა და სწორადაც მოიქცეოდა, რაკიღა არ გახლდათ შესაფერისი სიტუაცია. გამოცხადებით გამოაცხადებდნენ:

– ჩვენთან იმყოფება რეზო ჭეიშვილი, სიტყვას არ ამბობს, მაგრამ ჩვენია.

ეს არ მოეწონებოდათ მომიტინგეებს და რეზოც აღარ გაჩერდებოდა იქ.

ღელიაღელეში ტბა დახვდებოდა, სასაფლაო და ამ საუკუნის დამდეგს აშენებული, გაუქმებული უზარმაზარი ბაზილიკა. ერთი მხარე დაწეულიყო, კედელი გარღვეულიყო შუაზე და მაინც შეიძლებოდა აღდგენა. ამნაირ ნათელ, უზარმაზარსარკმლებიან – თითქოს საზაფხულო – ეკლესიას პირველად ნახავდა.

მამა უმტკიცებდა:

ჭეიშვილები ჯერ ცუცხვათში ჩამოვსახლდით ჭელაშვილებად, შემდეგ ჭეიშვილები გავხდითო...

გადმოცემის ხსოვნა მარადიული რომ არის, ბენიასაც გადმოცემით ეცოდინებოდა ეს ამბავი, თუმც რეზო ამ ვერსიის სისწორეში დარწმუნებული არ იქნებოდა და უარყოფაც არ შეეძლებოდა.

ძალიან მოეწონებოდა სოფელი, თითქოს იქაურობასაც იგრძნობდა. ჰგავდა კიდეც სივრცით ცუცხვათს. ქვიტირთან კი საერთო არაფერი გააჩნდა. მერე მღვიმეში ჩავიდოდა, საყინულეს რომ ეძახდნენ, დახვდებოდათ კიდეც შიგნით ყინული.

მარიამობის წირვა-ლოცვის გადმოცემა იქნებოდა თბილისიდან. იქადაგებდა კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე.

„ადრე ვინ მოგასმენინებდა ამას".

ახლა „ავე მარიას" მღეროდა ქალი მოსკოვიდან, ოღონდ ის კონცერტი იქნებოდა და არა ლოცვა!..

კარგი დღე იქნებოდა. საქმეც წაიწევდა წინ.

1 სექტემბერს „მამულის" მესამე ნომერს გადმოსცემდნენ... მოლდავეთში მოლდაური გამოეცხადებინათ სახელმწიფო ენად ბოლოსდაბოლოს.

„მამული" საინტერესო გახლდათ, მაგრამ ხანდახან ისეთი არასერიოზული რაღაცებიც გამოვარდებოდა – ტარიელ ჭანტურიას სტილისათვის ნიშანდობლივი – გაგიკვირდებოდა. წერილიც სერიოზული დაეწერა, აკადემიურად მსჯელობდა თითქმის და... უეცრად: „ხაჟალია, დაარტყი პენალიო..."

პოსტსკრიპტუმში სერგო ორჯონიკიძის გასვენების სურათს აღიდგენდა გონების თვალით, სტალინს ნეტარება რომ გადასდიოდა სახეზე... კმაყოფილი იქნებოდა, თავს რომ მოაკვლევინებდა. ასე მოეჩვენებოდა რეზოს და ასეც დაწერდა „რკინის სახკომში". დაუკითხავად, უმიზეზოდ რომ მოერტყა ტყვია შუბლში სერგოს, სტალინი გადაირეოდა, რეზოს ეჭვიც არ ეპარებოდა. ნიკიტა ხრუშჩოვის ჩანაწერებს კითხულობდა. რომელიღაც გენერალს თითქმის უმიზეზოდ მოეკლა თავი და ამ საქციელს სტალინი ძალიან შეეფიქრიანებინა თურმე.

ადოლფ ჰიტლერის თვითმკვლელობა მოთმინებას დაუკარგავდა.

– სვოლოჩ! – იტყოდა.

სიკვდილს რომ აცნობებდნენ, გაახალგაზრდავდებოდა ალბათ სიხარულით. დიდხანს, ხანგრძლივად რომ ელოდა ამ დღეს, მოლოდინი გაუმძაფრებდა მართლაც სიხარულს.

ინტერვიუ „ბალახვანი" გასაკეთებელი ექნებოდა, გადასაბეჭდი ისიც. და 15 სექტემბერს გახარებული ჩაინიშნავდა: ბევრი რამ გავაკეთე ამ ეტაპზე „განთიადისათვისო".

21 სექტემბერს გადაათვალიერებდა ფოსტას და ერთი სასიყვარულო წერილიც ამოჰყვებოდა ხელს. სიყვარულს უხსნიდა ვიღაც და მის შემოქმედებაზე ლაპარაკობდა საკმაოდ დალაგებულად და ჭკვიანურადაც. სულ არ გეგონებოდა ამ დროს არანორმალური. ზეპირად ეცოდინებოდა – ადგილი შესატყობი გახლდათ – მოთხრობები, „მუსიკა ქარში". „რკინის სახკომისათვის" გული ვერ დაედო, ვერ წაეკითხა. და ეს ძალზე ნიშანდობლივი იქნებოდა ქალისათვის. ამას ადრეც მიაქცევდა ყურადღებას რეზო, ადრეც

დააკვირდებოდა ამ მოვლენას: ნამდვილი და დოკუმენტური ამბავი არ მოსწონდათ ქალებს, ყალბი და გამოგონილი მოსწონდათ სამაგიეროდ, სინამდვილეს წარმოსახვა ერჩივნათ...

26 სექტემბერს მორჩებოდა ინტერვიუს. შემდეგ სცენარსაც. შესაძლოა ამ კვირას დაემთავრებინა კიდეც. შემდეგ უკვე ელდარის დროც დადგებოდა – ბევრი სამუშაო აღარ დარჩენილიყო, შემდეგ „რკინის სახკომი“ საწიგნედ და... შემდეგ მიჰყოფდა ხელს მწერლობას.

„მამულში“ გამოქვეყნდებოდა აბზიანიძე-როდიონოვის ფოტოსურათი და მცირე და ირონიული კომენტარები. დაურეკავდა რეზო და ის სთხოვდა: მოდიო. მივიდოდა, ისაუბრებდნენ და დაამშვიდებდა მგონი. ეს კი გაუკვირდებოდა: მასაც რომ გარევდა ამ საქმეში. „ქუთათურები“ მოეწერებოდა იმ მასალას, თუმც რეზოსათვის ძნელი ამოსაცნობი არ იქნებოდა, ამ მინაწერის მიღმა ტარილ ჭანტურია რომ იფარებოდა, ფოტოსურათი კი – მიუხედავად დაბალი ხარისხისა – მომავალს შემოუნახავდა ინფორმაციას, თუ როგორ შეხვედროდნენ ერთმანეთს 9 აპრილის ტრაგედიიდან არცთუ დიდი ხნის შემდგომ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გივი აბზიანიძე და ამიერკავკასიის ოლქის ჯარების მთავარსარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი იგორ როდიონოვი, და სასიამოვნო სერობაც არ მოეკლოთ.

– ერთი მტერი მოქმედებს, აღმასკომიდან შენი გაყვანა უნდათ და ქუთაისიდან გადაყვანაც.

„ვიზე მიანიშნა ნეტა – ძმები და ფანჯიკიძე გასაგებია...“

ჭილაძეებზეც მიიტანდა ეჭვს.

– იყავი აღმასკომში, რაღაცაში მჭირდები მე თვითონ, რაღაც მინდა გაგიკეთო.

დეპუტატობის კანდიდატობაზე მიანიშნებდა, ეს შემოთავაზება იოლი მისახვედრი იქნებოდა...

ვაჟა ლორთქიფანიძეს დაურეკავდა, პირდაპირ აიღებდა ყურმილს და ისე. თემურ შაშიაშვილს ეს არ გააჩნდა, ვიღაცას ეუბნებოდა ხოლმე: შემაერთეთ თბილისში ამას და ამასო. გივი აბზიანიძე კი პირდაპირ კრეფდა ნომრებს...

კმაყოფილი დარჩებოდა რეზო, რომ დაელაპარაკებოდა ქალაქკომის მდივანს, ორშაბათამდე აღარ ნავიდოდა... გადაებეჭდა იქნებ სცენარიც... და თავს ვერ შეიკავებდა ამ ჩხვლეტისაგან: ტარიელი მორიელია მაინცო!..

7 ოქტომბერს იფიქრებდა, რომ: დეპუტატობა, წინასაარჩევნო კამპანიაც შეიძლებოდა მოესინჯა.

სარედაქციო კოლეგიასაც ადგენდა გუნებაში და ხვდებოდა – არცთუ აშკარად– ებმეოდა ინტრიგებსა და უდღეურ დაჯგუფებებში... ენის მიტან-მოტანასაც აქცევდა ყურადღებას, არადა ეს ყველაფერი არ გახლდათ მისი საქმე...

10 ოქტომბერს წუხილს გამოთქვამდა, წიგნის კორექტურის წაკითხვასაც რომ ველარ ასწრებდა, სამი ფორმა წაეკითხა მხოლოდ...

პერიოდიკას მაინც ადევნებდა თვალს და ამონაწერებსაც აკეთებდა შიგადაშიგ: „რკინის სახკომისა“ და „კუდიანი ვარსკვლავისათვის“.

მეორე დღეს „თბილისში" გამოქვეყნდებოდა მისი პატარა საუბარი „განთიადზე". მადლობას გადაუხდიდა ყველას, მათ შორის გივი გუმბარიძესაც პირადად.

13 ოქტომბერს გივი აბზიანიძე დაუძახებდა – შეწუხებული იქნებოდა, განიცდიდა იმ პუბლიკაციას. ეტყოდა რეზო:

– არ უნდა გადაგეღო ფოტოსურათი რადიონოვთან, ეგ შეცდომა არ უნდა მოგსვლოდა.

– ამისათვის მნიშვნელობა არ მიმინიჭებია.

ბევრ საინტერესოსაც ეტყოდა ამასთან დაკავშირებით...

– სხვა ძალები მოქმედებენ, ძლიერდებიან. მესამე ძალა...

– მესამე კოლონა, – უკარნახებდა რეზო.

– ეს კოლონა მოქმედებს ფულით, ყალბი პატრიოტობით, ძმაკაცობით, ხელოვანი ხალხის, მწერლების მხარდაჭერით... მწერლები, კინაღამ უმრავლესობა, ნაყიდია... დარჩა არაფორმალები, პარტიული აპარატი, ხან ერთს მიემხრობიან, ხანაც მეორეს, საჭიროებისდა მიხედვით.

დღეს დაიღუპებოდა მერაბ კოსტავა, ახლობლები ყეენას რომ ეძახდნენ. ქუთაისიდან გასულიყვნენ „ნივით" ის, თამარ ჩხეიძე და ზურაბ ჭავჭავაძე და მოლითში შეჯახებოდნენ საბარგო მანქანას. დაიღუპებოდა მხოლოდ მერაბი.

უბედური კაცი აღმოჩნდებოდა ყოველმხრივ.

მის ინტელექტსა და ნიჭიერებაში, თუნდაც სწორ პოლიტიკურ ორიენტაციაში ეჭვი ეპარებოდა ყოველთვის რეზო ჭეიშვილს; მაგრამ მისი მამულიშვილობის, ვაჟკაცობისა და პატიოსნებისა სწამდა, თუმც პირადად არ იცნობდა.

ბევრი გაეკეთებინა პირდაპირობით და თუნდაც გვარით:

ამას მნიშვნელობა ჰქონდა, მეტი ფასი დაედებოდა სიკვდილითაც.

სამსხვერპლოდ ყოფილიყო განწირული და:

დაე ნათელში ყოფილიყო!

რედაქციაში მოიტანდნენ ამ ამბავს. რეზო მაშინვე დარეკავდა მილიციაში გივი ლობჟანიძესთან და მართალი აღმოჩნდებოდა ეს ტრაგიკული ცნობა.

ბენია ჩამოიჭრებოდა:

– რადიოში გამოაცხადეს, დაიღუპა დიდი მამულიშვილიო. მოკლეს, არ უნდა ლაპარაკი.

ივარაუდებდა რეზო, რომ:

ბევრი ქორწილი ჩამწარდებოდა, რადგანაც ახალგაზრდები უფრო მიიტანდნენ გულთან ამ ტრაგიკულ ამბავს.

თარსი დღე აღმოჩნდებოდა მართლაც.

იორამ ქემერტელიძე დაენიშნათ „ცისკრის" რედაქტორად. ოთხშაბათს ჰქონოდათ სამდივნო. სამშაბათს მუხრან მაჭავარიანს მიაკითხავდა რეზო, რაღაც დამნაშავესავით შემოჰყურებდა დამხვდური. იფიქრებდა სტუმარი, დააპირებდა კიდეც ეკითხა: გლახა ენა ხომ არავინ მოგიტანაო?.. ეტყობა იორამის დანიშვნას მალავდნენ, ოღონდ თუ რატომ, ვერ მიხვდებოდა რეზო. მას რომ შესთავაზებდა მუხრანი ამ თანამდებობას, აკი მტკიცე უარს მოახსენებდა...

იმავე დღეს მუხრანი და ენვერ ნიჟარაძე მიფრინავდნენ ისრაელში... შეთქმულებად ისხდებოდნენ. ხუტა ბერულავა არ გამოვიდოდა კაბინეტიდან... არაფერი დაცდენოდათ, ფიქრობდნენ, და ალბათ დიდ წინააღმდეგობას წააწყდებოდნენ, მართლაც რომ გამჟღავნებულიყო წინასწარ. პრეზიდიუმსაც ფაქტის წინაშე დააყენებდნენ. რეზოს გაუკვირდებოდა და... გახარებით რომ გაეხარდებოდა, ცხადზე უცხადესია...

მოშიმშილეები ისხდებოდნენ კინოს წინ დიდი ტრანსპარანტით:

– არცერთი ქართველი ოკუპანტების ჯარში.

კაციშვილი ყურადღებას არ აქცევდათ. ეს რა დრო მოსულიყო. წინა დღეს სამ მთვრალს ჩხუბი აეტეხა მოშიმშილეთათვის და მილიცია მთვრალებს გააძევებდა. არადა: რამდენიმე თვის წინათ პირიქით მოხდებოდა...

კორექტურას კითხულობდა პირველი ტომისას 21 ოქტომბერს და... უკმაყოფილო დარჩებოდა. კვლავ ვერ დაატყობდა ხელს რომანს „მუსიკა ქარში", ბოლო გამოცემისას აპირებდა კი და... შესაფერის დროს ვერ გამონახავდა.

ახლა ნათლად ხედავდა:

თხზულება არ მოქცეულიყო ფოკუსში.

მცირე კორექტივით დადგებოდა ყველაფერი თავის ადგილას. იოლად შეეძლო და არ იზამდა. ახლა გული წყდებოდა ნამეტნავად. გვიანი იყო, მაგრამ აუცილებლად მიუბრუნდებოდა, როდესაც სამივე წიგნს:

„მუსიკა ქარში", ჯერ არდაწერილი რომანი და „ჩემი მეგობარი ნოდარი" – ერთ კრებულად გამოსცემდა.

აი მაშინ გაასუფთავებდა.

რატომ?

ბევრი ტყუილი იქნებოდა შიგ – არ უნდა ყოფილიყო. ზედმეტსიტყვაობაც ყურს ჭრიდა უკვე. ბევრი აღტაცება იტრიალებდა და ბევრი ქარი... გასადავება, დღევანდელი თვალით გადახედვა ესაჭიროებოდა.

დღეს ასაფლავებდნენ მერაბ კოსტავას მთაწმინდაზე.

რეზოს თვალში:

ბოლშევიკური მეთოდებით მოქმედებდნენ ეს არაფორმალები. ბრბოს მხარდაჭერით სარგებლობდნენ და დაშინებული ჰყავდათ უკვე წესიერი ნაწილი მოსახლეობისა, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, როგორც ფიქრობდა თვითონაც და ვარაუდობდა.

მანიაკებს – ყველას არ ეხებოდა ეს შეფასება – აეყოლიებინათ ხალხი.

– გურამ პეტრიაშვილი რომ ლიდერი გახდება, რაღაზე უნდა ლაპარაკი.

როგორ ამბობდა „ყვარყვარე თუთაბერში" ვილაც?

მთავრობას ღონე სულ აღარა აქვს, ათასი პარტიაა და ყველას ერთმანეთი ეზარებაო.

ეგრე იყო ზუსტად დღესაც.

ცეკას დაეთმო პოზიციები და გაყუჩებულიყო დროებით. „კაგებე" შემალულიყო, შეეწია საცეცები...

რღვევის პროცესი ამჯერადაც მტკივნეული იქნებოდა ცხადია... რღვევის, ნგრევის, გადაფარების, გამოღვიძების...

გადიოდა თვეები და ბიურო არა და არ გაიმართებოდა, არ მიეცემოდა მსვლელობა „განთიადის“ გაჟურნალების პროცესს... ელოდებოდა ყოველ სამშაბათს და ნერვიულობდა უკვე... მწერალთა კავშირი ხუტა ბერულავას ჭკუაზე დარჩებოდა... თვითონ ბატონი ხუტა მარტო შერჩებოდა შენობას ამჟამად, იქნებოდა და ინეტარებდა...

მერაბ ელიოზიშვილი დაურეკავდა:

– მოთხრობა მომეცი „ღირღატასათვის“.

ასე დაერქმია გორის ალმანახისათვის. ყდა დაეხატინებინა მერაბ ბერძენიშვილისათვის, და გაუკვირდებოდა რეზოს: ბერძენიშვილი რად სჭირდებოდა ყდასო?!. იმათი თელავი, იმათი ზუგდიდი. გადაქალმანახდებოდა უნიჭო მწერალთა საბუდრებად. ამისთვის დაგემატებინა გაზეთები. ვისაც რა სურდა, იმას უშვებდა, ვისაც რა სურდა, იმას ბეჭდავდა და... კარგიც იყო ერთი შეხედვით ეს ყოველივე.

გურამ პეტრიაშვილი დადიოდა თურმე და სააგარაკო ბინებს უმოწმებდა ხალხს ქალაქგარეთ. ერთხელ გაელანძღა რეზოს სახალხოდ. ახლა გალანძღვა აღარ ეყოფოდა. უნდა დაგეყვავებინა როგორც გიჟისათვის, ანდა გეცემა?!..

ისე აჭრილიყო ქვეყანა, გაკიდეგანება მოუნდებოდა, ქუთაისში ერჩიენებოდა.

24 ოქტომბერს დაურეკავდა თემურ შაშიაშვილი. შემდგარიყო ბიურო, გაეტანათ და მიეღოთ ამათი სატკივარი. ნერვიულობდა და ბიუროს არ ელოდა. და უეცრად ეს სასიხარულო ამბავი.

– გავიმარჯვე!

გაზეთ „ქუთაისში“ ინტერვიუ დაიბეჭდებოდა რეზოსთან. ეს პირველი შემთხვევა იქნებოდა, რეზოს არ დაეწერა და არც ჩარეულიყო. დაწვრილებითა და დაბეჯითებით კარნახობდა მხოლოდ და... მშვენიერი კი გამოსულიყო. დიდი და კარგი საქმე აღმოჩნდებოდა.

ხვალ ელდარ შენგელაია აპირებდა ჩამოსვლას. 30-ში რუსთაველის საზოგადოების შეკრება გაიმართებოდა და რეზო უნდა აერჩიათ თითქოს თავმჯდომარედ. ჯერჯერობით ასე გადაწყდებოდა... რეზო ყოყმანობდა კიდევ.

იქნებოდა კაცხში. მაკა გააგებინებდა და ნაჰყვებოდა სოფლის ყრილობაზე. დაიშლებოდა კოლმეურნეობა... ამას თუ მოესწრებოდა, არ ეგონებოდა. ამ პროცესს „გლეხურ მეურნეობაზე“ გადასვლას უწოდებდნენ. ძალიანაც კარგი!.. მთელი ხარაგაულის რაიონი იშლებოდა პირწმინდად. ექვსი რაიონი იქნებოდა ამ დღეში – რაჭა, ჯავა... საგულისხმოდ, დასამახსოვრებლად ჩატარდებოდა კრება.

მოდიოდა 7 ნოემბერი და... სამხედრო პარადის ჩაშლას აპირებდნენ.

– ტანკებს უნდა დავუწვეთ, – შუკო ჯიქიას ეთქვა.

ეს არ იქნებოდა კარგი და... კარგიც იქნებოდა თითქოს...

კვლავ ჭეიშვილურს გამოურევდა.

ჟურნალზე გახდებოდა აწი სარბენი – ქაღალდი, ფული, შტატი, ყდა... სათაური...

ამერიკაში გამგზავრება მიწისძვრების გამოისობით გადაიდებოდა. ინდიანას შტატის რომელიღაც ქალაქში ეპირებოდნენ. გადაეღო ფოტოსურათები და ამიტომაც ჩამოსულიყო: ორშაბათს ან სამშაბათს აქ უნდა იყოს აუცილებლადო. ერთ ფოტოს აქ დადებდა. დახედავდა და გაიფიქრებდა: დავბერებულვარო!..

28 ოქტომბერს დიდ ჯიხაიშს ესტუმრებოდა – ნიკო ნიკოლაძეობაზე. აუვლიდა, ჩაუვლიდა ხოლმე იმ ეზოს, შიგ კი არ იქნებოდა არასოდეს ნამყოფი. მყუდრო, პატარა სახლი. რაღაცით მოაგონებდა ლუტოვნო-სპასკოეს:ტურგენევის სახლს. იქ ერთი ტახტი იდგა და: დაწვები და დაგეძინება, რა დროც უნდა იყოსო, – წამოაგონდებოდა ახლა იქ გაგონილი. ნივთი, სახლიც – მის თვალთახედვაში – სიმშვიდისათვის, დასვენებისათვის არსებობდა. ეზო დიდი გახლდათ და ძვირფასი. არ უშვებდნენ, ატყდებოდა ერთი ქიჩავი და... დაიძვრენდა თავს მაინც...

30 ოქტომბერს რომ დაინიშნებოდა რუსთაველის საზოგადოების პლენუმი თუ რა ერქვა, ესეც არ ეცოდინებოდა. თავყრილობა – ქუთაისის განყოფილების. ჩამოწერდა თეზისებივით. სიტყვის თქმა მოუწევდა და რა მოხდებოდა, კარგად იცოდა, თუმც რაღაცას მიაწყ-მოაწყობდა, მიაბ-მოაბამდე წინასწარ.

შემდეგ გივი აბზიანიძესა და ელდარ შენგელაიას წაჰყვებოდა გეგუთში, ციხე-დარბაზს დაათვალიერებდნენ. აქიდან – წყალტუბოში, იქაც რაღაცებს ნახავდნენ. შემდეგ სადღაც შევიდოდნენ. ეგონა: უნდა ვისადილოთო, – და საუნა, ფინური აბანო აღმოჩნდებოდა. გამოეცლებოდათ: სიტყვა მაქვს მოსაფიქრებელიო.

„აბანო გამიმართეს დიდკაცურად!.."

შავი 7 ნოემბერი დადგებოდა „ამგენისათვის": მოწყენილობა, უხალისობა იქაც კი. არ აპირებდა არაფრის ჩაწერას, მაგრამ მნიშვნელოვანი დღე აღმოჩნდებოდა: არ გაიმართებოდა არანაირი პარადი: არც ჩვენთან, არც სომხეთში. სხვაგან – კი. ესტონეთშიც გაიმართებოდა რაღაცნაირად, გაისეირნებდნენ მხოლოდ თითქოს, ტელევიზიით ასე გამოჩნდებოდა და...

სომხეთში ყვავილებს მიართმევდნენ ლენინს. ჩვენთანაც, ოღონდ უფრო უღიმღამოდ. რამდენიმე შეშინებული მოსწავლე გოგონა – რეზოს შეტყობით: არაქართველები – გვირგვინებით „შეამკობდა ქვის ლენინს". ეს იქნებოდა და ეს... რაღაც უსიამოვნო გრძნობა დაეუფლებოდა, შეეშინდებოდა კიდეც თითქოს... ჩაყლაპავდნენ ამ ამბავს, ამ ფაქტს? არ ეგონებოდა... ან საერთოდ შეწყდებოდა ეს პარადები – ეს უფრო დამაჯერებლად მოჩანდა – ანდა გვაჭმევდნენ ჯაბუნაკს, რაღაცას შეგვამთხვევდნენ, ეკონომიკურად დაგვსჯიდნენ...

კითხულობდა „ჩემი მეგობარი ნოდარის" კორექტურას, მოეწონებოდა. ალაგ-ალაგ ძალიანაც მოეწონებოდა. საერთოდაც მოსწონდა. კარგი წიგნი გამოვიდოდა.

წერდა და წერდა ისევ და ისევ სცენარს „ასკილის წითელი ყვავილი". რომანს დააწერდა და ეგრეც იქნებოდა. სამაგიეროდ კი მომხიბლავ პერსპექტივას გრძნობდა უტილიტარული თვალსაზრისითაც.

მეორე დღეს გამოირკვეოდა, რომ:

მარტო საქართველოსა და სომხეთში კი არ იტყოდნენ უარს ზეიმსა და პარადზე: მოლდავეთში დემონსტრაციას სახალხო ფრონტი ჩაუდგებოდა სათავეში და მიტინგად გადააქცევდა ზეიმს. ტალინში მართლაც სასეირნოდ გამოვიდოდნენ მხოლოდ. რიგაში სურვილისდამიხედვით გამოვიდოდნენ. ვილნიუსშიც არ შედგებოდა. „ბურდა-ვალას“ იძახებდნენ: ბაქოშიც, ტაშკენტშიც, ალმაატაშიც, ფრუნზეშიც (კარგი სახელი ჰქვიაო, – ირონიით ჩაურთავდა), აშხაბადშიც... მინსკსა და კიევში ადრინდელივით იქნებოდა. და გაიხარებდა რეზო ჭეიშვილი: კარგია, მარტონი რომ არ აღმოვჩნდითო...

16 ნოემბერს გაიცნობდა ქუთაისის რუსთაველის საზოგადოებას. დაესწრებოდა ებრაელ-ქართველთა მეგობრობის რაღაცის ასოციაციის შეკრებას, რომლის დარბაზის წევრადაც აერჩიათ. ადრევე აღმასკომის დადგენილება დაუხვდებოდა, რაღაც კომისიის წევრი გამხდარიყო და ზედამხედველობა ევალებოდა პირადად მას. ისტორიულ ძეგლებს შეეხებოდა და ამ საქმისათვის მართლა გადადებდა თავს. მაგრამ ყველაფერს ვით გაწვდებოდა?!

წინ ედებოდა მოთხრობა „დონდინიო“ – დასამთავრებელი.

ხვალ კოლეგიასავით იწვევდა. უნდა შეეყარა ხალხი და დაედგინა ბოლო-ბოლო სახელი ახალი ჟურნალისა. ხელი ცოტას მოეწერა ქუთაისშივე, შარშან მეტი იყო ხელისმომწერი. ცოტა – ქუთაისს გარეთ. ახლა იქით იქნებოდა ცოტა მეტი.

დღეს მოადგებოდნენ:

– „მოამბისათვის“ უნდა გადაგიღოთ.

– რაღა დროისაა, დამთავრდა ხელმოწერა.

ქალი მოეწონებოდა და დათანხმდებოდა მაინც. საყვარელიძე იქნებოდა გვარად. სახელიც მოეწონებოდა, ახლა ველარ იხსენებდა. უცხო, მაგრამ ლამაზი სახელი იქნებოდა.

19 ნოემბერს იმედით აღივსებოდა:

ბევრი რამის გაკეთება შეიძლება ქუთაისში, ახლა ისეთი დროა, შეიძლებაო.

ჯერ ვიღაც-ვიღაცები უნდა გამდიდრებულიყვნენ, ფული დატრიალებულიყო და სასიკეთოდ წადგომოდა აქაურობას. სათანადო რწმუნებებიც მოეპოვებოდა რეზოს უკვე ამისათვის.

24 ნოემბერს, ღამის სამ საათზე – ძილგატეხილი კაცისათვის – მისწრება იქნებოდა უმაღლესი საბჭოს სხდომა. ევგენი ევტუშენკო ილაპარაკებდა ბოლოში და გამორთავდა კიდეც ტელევიზორს რეზო. მანამდე იქნებოდა „ვზგლიადი“, ალაპარაკებოდნენ ვასილევს, „პამიატის“ ლიდერს – სუფთა გაუგებრობას, პირწმინდად რუსულ მოვლენას, არაფერი რომ არ ექნებოდა საკუთარი – არც აზრი, არც შესრულება, არც მანერა, არც სახე, არც სამოსი. სრულიად არაფერი... რაღაცის ნაზავი, წაბაძვაზე აგებული ბიოლოგია. აბსოლუტურ მონარქიას მისტიროდა და იძახებდა: რუსული სული არ უნდა დაიკარგოსო. და როგორ არ გასცინებოდა რეზო ჭეიშვილს: რუსები იყვნენ თითქოს მათი მონარქები. მეფეთა პორტრეტებს რომ გადაავლოს თვალი, კედლებზე რომ უკიდია, ბევრს წვეთიც არ აღმოაჩნდება რუსისაო...

23 ნოემბერს დაესწრებოდა აკაკი წერეთლის საიუბილეო კომისიის სხდომას. კომისიის წევრი არ გახლდათ და ნეტა რატომ უნდა დაეძახათ მისთვისაც?!. ქუთაისს არ ახსენებდა ადამიანისშვილი. ყველაფერზე ილაპარაკებდნენ, გარდა ქუთაისისა. თითქოს ამ ქალაქთან საერთო არც არაფერი ჰქონოდა აკაკის. სიტყვის თქმას დააპირებდა, აწევდა კიდეც ხელს არეულობაში და:

– მოითმინეთ, ამხანაგო! – დაუძახებდა ოთარ ჭითანავა.

სხდომის დამთავრებამდე მოუსმენდა, თუმც თემურ შაშიაშვილი რამდენჯერმე სთხოვდა: თქვითო, – და იძულებული გახდებოდა თემური და თვითონ წამოდგებოდა განმარტებისათვის...

სხდომა კი ცუდ, ამხანაგი ჭითანავა ძალიან ცუდ შთაბეჭდილებას დატოვებდა რეზოზე, და რაღაცით უთუოდ გამოეხმაურებოდა ამ ფაქტს, დაწერდა, დაბეჭდავდა მალე...

ქალაქი აჭრილ-არეული იქნებოდა ამ დღეს. მწერალთა კავშირში აპათია დაისადგურებდა: „განთიადს“ სახელს უცვლიანო... შეუცვალეს უკვეო... – და სპაზმები მოუვიდოდა გურამ ფანჯიკიძეს. ეს დაამშვიდებდა: არ არის ეგრეო!..

სამშაბათისათვის დაანიშნინებდა სამდივნოს სხდომას. თურმე სარედაქციო კოლეგიაც შეედგინათ რეზოსათვის თავიანთ ხოშზე. სწორედ ამ ჟარგონულ გამოთქმას ამჯობინებდა გაღიზიანებულიც და გამხიარულებულიც: მოვკვდი კინაღამ სიცილითო.

ახლა ისე იქცეოდნენ, თითქოს რაიმე წვლილი შეეტანოთ ამ ალმანახის გაჟურნალებაში: ხელს უშლიდნენ მხოლოდდამხოლოდ. ოღონდ დიპლომატიის გზას ამჯობინებდა რეზო:

მეც ასე ვიქმ – დრომდე – თითქოს ერთობლივად ვიღვწოდით ამისათვის. საქმისათვის ეგრე აჯობებსო.

ხვალ, უფრო კი ზეგ უკვე უქუთაისობა შეაწუხებდა...

გამოვიდოდა მისი ორტომეულის პირველი წიგნი. წიგნად არც კარგი იქნებოდა და არც ცუდი და რეზოც ნამეტანი გულგრილად შეხვდებოდა ამ გამოცემას. უფრო დიდ და უფრო უკეთეს მეორე ტომს გამოსცემდა გაისად...

„პირველი“ და მესამე ტომები იქნებოდა კარგი, მეორისათვის ხელი დაეკლო.

„მეოთხე სიმფონია“ დაეჭვების ოდნავ გრძნობასაც არ გაუჩენდა: მაგარიაო, – ჟარგონულად შეაფასებდა კმაყოფილი, რომ: ბოლომდე ჰქონდა დამუშავებული და გულიც არაფერზე ეთანაღრებოდა.

30 ნოემბერს შინიდან რომ გამოვიდოდა და მანქანაში ჯდებოდა, ზვიად გამსახურდია შემოეფეთებოდა. რაო – ვერ იცნობდა რეზოს თუ... არ იცნობდა?

თუ არ სჭირდები, არც შემოგხედავსო, – გუნებაში ჩაიბურტყუნებდა რეზო ჭეიშვილი.

თბილისში რა ხდებოდა – ჩაიშლებოდა ოსური აქცია?

სოციალ-დემოკრატები – ელდარ შენგელაია გაანდობდა – უგნურებად ჩათვლიდნენ ამ აქციას. ზოგიერთი – გია ჭანტურია თუ ირაკლი შენგელია

– ამბობდა: საჭირო იყო მაინცო.

მიტინგები არა წყდებოდა, მაგრამ ხალხს აღარაფერი უკვირდა. ჩვეულებრივი ხდებოდა და თანდათან ძალზე ჩვეულებრივიც გახდებოდა ყველაფერი. ხალხს ველარ აღაგზნებდნენ ადრინდელივით აწი. ზოგს აპათია შეიპყრობდა, ბევრი სიმშვიდის გზას დაადგებოდა. ეს უდისციპლინო სტუდენტები, სწავლა რომ არ ენდომებოდათ (მეც ასე ვიყავიო, – ჩაურთავდა ღიმილით), იაქტიურებდნენ კარგა ხანს, შემდეგ კი გონს უნდა ეჯობნა ემოციისათვის...

ვერ იქნებოდა კარგად ეს დღეები. სუფრა ექნებოდა ირაკლი ბაზაძეს. რეზო იჯდებოდა წნევიანი, გაბურბუსალებული. ვინ და ვინ იქნებოდნენ?

დაეზარებოდა აღდგენა და ჩამოწერა და თავს დაიმშვიდებდა: ჩაწერილი ექნებათ, იმდენი იყო იქ ჩამწერი და ჟამთააღმწერელი. ჯურხა ნადირაძე ავსებს ვიცი დღიურებს. მგონი ირაკლიცო.

ინგრეოდა ეს სოციალისტური ლაგერიც – და პოსტსკრიპტუმს მიანდობდა ამ განსჯას: ასე ადრე არც ველოდით, ვერც ვიფიქრებდითო. დარჩენილიყო სამი მსხვილი გარეწარი: კასტრო, ჩაუშესკუ და კიმ-ირ-სენი... ამათაც მოელებოდათ ბოლო, რუმინეთიდან გარბოდა სპორტსმენი და პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვდა უნგრეთში: კამნენი – ტანმოვარჯიშე.

ლენინის ძეგლს ანგრევდნენ პოლონეთში. ძლივს გააკავებდა ხალხს პოლიცია, მთავრობა კი განაცხადებდა: ჩვენ თვითონ ავიღებთო!.. და ხალხი, ჯავარზე დამდგარი:

– ერთ კვირაში მოვალთ და აქ აღარ დავინახოთ...

უარყოფდნენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ როლს – ჩეხოსლოვაკიაშიც, პოლონეთშიც, ბულგარეთშიც კი: აღარ ვიხელმძღვანელებთ მარქსიზმ-ლენინიზმითო!..

ეს ჩვენი – მიხაილ გორბაჩოვს იგულისხმებდა – კი იტალიაში იმყოფებოდა, ისევ პერესტროიკაზე ილაპარაკებდა. პაპთან – რომელიც „შახტიორის“ ფეხბურთელებს მიიღებდა ამას წინათ – შესახვედრად ემზადებოდა. სატანასავით დაჰყვებოდა ცოლი... რაღაც ჰქონდა ეშმაკისა მართლაც... დიდ როლს თამაშობდა აშკარად ამ ნგრევაში რაისა გორბაჩოვა.

– მალე გადმოგცემთ გორბაჩოვ-პაპის შეხვედრას, – ახლა იტყოდნენ ტელევიზიით.

ნახავდა ამასაც!..

3 დეკემბერს წერილი ექნებოდა დასაწერი – ბაგრატის ტაძარზე, აკაკი წერეთელზე, ამდაგვარ თემატიკაზე... დაიწყებდა გადათეთრებას „დონდინოსი“ და მიატოვებდა... „განთიადის“ პირველ ნომერსაც ვერ ჩაუშვებდა – თბილისიდან იქნებოდა მასალები ჩამოსატანი ისევ...

დასასრულისაკენ გადაიხრებოდა თითქოსდა ქუთაისში მისი მოღვაწეობა, რომელსაც ასე განსაზღვრავდა: მარტოობის სამი წელიო...

კარი მეშვიდე

თავი პირველი

არსაიდან არსაითში

მაღალ დონეზე რომ გადაუხდიდნენ გალაკტიონ ტაბიძეს იუბილეს თუ რაც ერქვა, 1984 წლის 10 დეკემბრის დღიურში გამოეხმაურებოდა ამ თარიღს რეზო ჭეიშვილი: მრავალი წერილი რომ დაისტამბებოდა და მათ შორის – ზოგი კარგიც.

საგანგებოდ გამოარჩევდა მურმან ჯგუბურიას ძალიან თამამ განცხადებას „მშვიდობის წიგნზე", „ცისკრის" მე-11 ნომერში დაბეჭდილს.

დაინტერესდებოდა, გადმოიღებდა გალაკტიონის მეთერთმეტე ტომს და შეუდგებოდა კითხვას. გაუძნელდებოდა მთლიანად დათანხმებოდა მურმანს, მაგრამ საწინააღმდეგო აზრის, პროტესტის სურვილიც არ გაუჩნდებოდა.

– ისე მართლაც რაღაცაშია საქმე.

ყოველთვისაც მოსწონდა, ადგილები აოცებდა ყოველ შემთხვევაში, თუმც დანარჩენთა ქირქილი უბორკავდა ენას. ახლა კი შეეძლო დღიურისათვის მიენდო, გალაკტიონის თანამედროვენი აშკარად რომ ცდებოდა იმ წიგნის შეფასებაში – ხელაღებით როდესაც უარყოფდნენ – ცხადზე უცხადესი შეიქნებოდა მისთვის.

ის კი არა მშვენიერი ქვესათაურებიც მოხიბლავდა – სარჩევში გამოტანილი.

მის ნებაზე რომ ყოფილიყო, ცალკე გამოსცემდა ამ წიგნს: სარჩევის მიხედვით დაასათაურებდა და მოხატავდა ზღაპრულად ჰენრი ლონგფელოს „ჰაიავათას სიმღერასავით". და რომ წარმოიდგენდა: სულ სხვაგვარად აჟღერდებოდა ეს პოემაო, – ერთბაშად სინანულს იგრძნობდა: ნეტა ადრე გამხსენებოდაო.

1985 წლის 16 მარტს გადააფასებდა თავის აღტაცებულ შეხედულებას „მშვიდობის წიგნზე":

დავეთანხმე მურმან ჯგუბურიას ამ პოემის სიდიადეზე, მაგრამ არ ვიყავი მართალიო.

გაღიზიანებულიყო:

და მაინც ძალიან ცუდად და არასწორად იცხოვრა გალაკტიონ ტაბიძემო.

ცხოვრების სტილი ცხოვრების სტილად და... ეს პოემა თუკი მხატვრული ძალით შედევრი გახლდათ?

ვერა, ვეღარ გაიზიარებდა ამ შეხედულებას იმ უბრალო მიზეზით:

ეს წიგნიც მთავრობის საამებლად, სხვა პოეტების გულის გასახეთქად, თავის სადიდებლად და საპრემიოდ უნდოდა და ეგ იყოო...

და ხელს ჩაიქნევდა:
აღარ ღირს ამაზე ფიქრიცო...
ხოლო მანამდე:
ღამღამობით რომ კითხულობდა აკაკისა და გალაკტიონს, 1983 წლის 15 იანვარს ჩაინიშნავდა ასეთ გულმოდგინე მობრუნებას ამ პოეტებთან. მშვენიერი ერთტომეულები გახლდათ. ერთიცა და მეორეც კარგად შეედგინათ, თუმც ერთგანაც – შემდგენელი ვახტანგ ჯავახაძე – და მეორეგანაც – შემდგენელი მურმან ლებანიძე – შეცდომები შეიმჩნეოდა.
– გალაკტიონი სამოთხრობედ მჭირდება.
ნეტა ამისათვის ჩაჯდომოდა იმ ერთტომეულს თუ ერთტომეულის გაცნობას ეკარნახა თემა მომავალი ნოველისათვის?
ალბათ გაცნობას ეკარნახა, თორემ საგანგებოდ რომ ჩაჯდომოდა სამოთხრობე განწყობილების შესაქმნელად, მაშინ აკაკის ერთტომეულსაც ხომ არ შეუნაცვლებდა დროდადრო.
თემა ნაპოვნი გახლდათ და: ერთ თვეში – ამდენიც აღარ რჩებოდა – უნდა დაწერილიყო მოთხრობა პოეტზე, ეს ერთი, და კიდევ ორიც სხვა ნოველა. ალბათ ამდენს ვეღარ გაწვდებოდა. სცენარი გადასაბეჭდი გახლდათ შავადაც და თეთრადაც, „მუსიკა ქარში" – ჩასაწებებელი, კორექტურა გასაკეთებელი, ეს სამსახურიო, ეს ათასი სხვა რამ კიდევო.
რა გინდოდა, რომ გელონა?
ტელევიზორში უყურებდა ორსერიან ფილმს „ქორწინება იმერულად", ალექსანდრე ებანოიძის რომანის მიხედვით გადაღებულს. ამას ეთარგმნა შეძლებისდაგვარად, გადაქართულებასაც აპირებდა და: ზოგან გამოვიდოდა და ზოგან – არა. თავი არ მოუკლავს, რაც მართალი მართალია.
ნოველა „რასემონის" ორ დასაწყისს დაწერდა: თითო გვერდს. ერთს – 23 იანვარს, მეორეს – მეორე დღეს. ერთს დახევდა, მეორეს დაკეცავდა და დიდი ფიქრის შემდეგ გადადებდა: არაფერი გამოვაო, – დაასკვნიდა და ამიტომაც ძალზე გვიან დაწვებოდა. იბორგებდა. აპირებდა დღეს კვლავაც შედგომოდა წერას, რადგანაც ჩვევად არა ჰქონდა დაწყებულის მიტოვება, ბოლომდე არმიყვანა.
ფაქტობრივად მხოლოდ ერთი ამდაგვარი მოთხრობა მიეტოვებინა, რადიაციით თვითმკვლელობის სიუჟეტზე გაშლილი, საერთოდ ცოლქმრული ცხოვრების აუტანელ შეუთავსებლობაზე სურდა რაღაც ეთქვა. მიატოვებდა და თუ ოდესმე მიუბრუნდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ის მეცნიერული ქარგა, რის სამოსელშიც აპირებდა შეფუთვას, უკვე მოძველებულიყო ალბათ.
„რასემონს" კი ამაღამ დაეძგერებოდა, სწორედაც რომ დაეძგერებოდა, ისეთ გუნებაზე დამდგარიყო.
უკვე ხედავდა მთლიანობაში და ბოლომდეც მიიყვანდა.
20 თებერვალს უნდა ჩაებარებინა.
მოსწრებაზე იყო, რაკიღა სცენარიც უნდა გადაებეჭდა, რაც სამ დღეს წაართმევდა, და უნდა ჩაეწებებინა, ჩაესწორებინა მსუბუქად „მუსიკა ქარ-

ში“. სხვა რა გამოტყვრებოდა, არ იცოდა და: ღმერთი მოგვცემს გამარჯვებასო, – „არსენას ლექსის“ სტრიქონს თავის თავზე მოირგებდა.

წამოფიფქვას რომ აპირებდა თბილისში, რატომღაც თავს შეიკავებდა, სხვაგან კი ყველგან ჩვენს მამულში ითოვლებდა. ქუთაისშიც ჩასასვლელი იქნებოდა – მოხუცებს დახედვა ესაჭიროებოდათ.

„მუსიკა ქარშიო“ და: მის სასიგნალოებს ელოდებოდა, შეიძლება ხვალისთვისაც ყოფილიყო. დიმიტრი ერისთავის მიერ დახატულს ყდას ნახავდა – აქამდე არ ენახა – და მოეწონებოდა. ილუსტრაციებზე მეტად მოეწონებოდა – და არა მოეწონებოდასავით, როგორც ამჯობინებდა ხოლმე თავისი შეფასების გამოხატვას.

28 იანვარს დაამთავრებდა „რასემონს“, პატარა გამოვიდოდა, გადაწერდა და გადაბეჭდავდა და ამ პროცესში გაიზრდებოდა, ოღონდ ძალიანაც არა.

მისი გადათეთრების თარიღსაც საგანგებოდ აღბეჭდავდა დღიურში: 5 თებერვალს. ჟურნალი ჟურნალად და: წიგნშიც უნდა შეეტანა აუცილებლად, როგორმე უნდა მოეხერხებინა.

8 თებერვალს მოთხრობების კრებულის ანოტაციას რომ გადაბეჭდავდა შავად, თამამი განაცხადით და გალაკტიონური დაბოლოებით: მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინიაო.

და რაც მთავარია: გადაბეჭდავდა „რასემონს“ – იმასაც შავად.

ანოტაციას დილით გადაათეთრ-გადაბეჭდავდა, მოთხრობას – კვირას დღისით მიხედავდა.

და ისეთ კმაყოფილებას იგრძნობდა, იშვიათად რომ სჩვეოდა:

ერთიც კაია და მეორეცო.

12 თებერვალს გადაწყვეტდა, რომ: მეორე დღეს გადაებეჭდა „რასემონი“.

– მეტი აღარაფერი ჭირდება. როგორც მინდოდა, ისეთი გამოვიდა.

უტრიალებდა, უტრიალებდა, ვეღარც ვეღარაფერს დაამატებდა, ვეღარც გამოაკლებდა რაიმეს.

თებერვალი ნახევრდებოდა და ისევ თბილოდა. ნოველის გადაბეჭდვის შემდეგ იმ შაბათ-კვირას სცენარსაც რომ მიაყოლებდა, მერე დაისვენებდა და ერთკვირიან ტურნესაც მოაწყობდა დასავლეთში: სულდამშვიდებული.

13 აპრილს გამოვიდოდა „ცისკრის“ ახალი ნომერი, მისი ეს მოთხრობაც რომ დაბეჭდილიყო: „რასემონი“. გადაიკითხავდა და:

– კარგადაა დაწერილი, თუმცა მოთხრობა კარგია თუ ცუდი, თავადაც ვერ გამირკვევია. ჩემთვის რაღაც უცხოსავითაა... ვითომ?

ჩვეული ყოყმან-ჭოჭმანი, ჩვეული გულაცრუება, ჩვეული მობღაუჭება რაღაც იმედს, ეგებ მთლად ასე უნუგეშოდაც არ იყოს საქმეო.

ერთადერთი, რაც არ აეჭვებდა, თავისი სამწერლო ტექნიკა გახლდათ, ამ ნოველაშიც სრულყოფილად რომ ეჩინა თავი.

მეტი აღარაფერი ჭირდება, როგორც მინდოდა, ისეთიც გამოვიდაო...

მერე კი დაეწანებოდა და ძალიანაც დაეწანებოდა, გალაკტიონის XII ტომს რომ გადაიკითხავდა და მის ჩანაწერებში იმ ორ მომენტს აღმოაჩენ-

და და... უკვე სხვა თვალითაც შეხედავდა ორივეს, მანამდე დავიწყებული რომ ექნებოდა.

არადა: ნაეკითხა თავის დროზევე, როგორ არ წაეკითხა, მაგრამ...

ერთი დეტალი ის:

ყოველი ტროლეიბუსის გავლისას მისი სახლიდან სახელგამამდე გადაჭიმული სინა რომ ძაგძაგებდა და ხმაურობდა საზარლად.

და მეორე კი:

ორი ხულიგანი რომ იდგებოდა ქვემოთ და არა და არ დაამთავრებდნენ ძახილს:

– გალაკტიონ! გალაკტიონ! გალაკტიონ!..

„აფსუს, ნეტა ადრე გამხსენებოდა!..“

ახლა რომ ჩაემატებინა?

ასე პირდაპირ ხომ არ ჩართავდა, ხელოვნურად ჩაკერებული გამოჩნდებოდა, რაღაც-რაღაცები უნდა გადაემუშავებინა თხრობაში, რათა ბუნებრივად მორგებოდა ეს მომენტები. საამისოდ კი აღარ გაემეტებოდა „რასემონი“– ადგილების გადასაკეთებლად, ემანდ რაიმე არ წავახდინოო.

„აფსუს, ნეტა ადრე...“

სამწერლო ტექნიკა სრულყოფილად კი გაემჟღავნებინა თხრობისას, ფარულ, ფაქიზ ნიუანსებსა და დეტალებზე აგებული, მაგრამ თუ მიაქცევდა ვინმე შესაფერის ყურადღებას ამგვარ დეტალებს, რაღაც განსხვავებულს უთუოდ რომ აგრძნობინებდათ კრიტიკოსებსაც და ლიტერატურის მოყვარულთაც, მაგრამ საიდან მოდიოდა ეს განსხვავება, აღარ ჩაუკვირდებოდნენ ხოლმე.

„ვის აინტერესებს ეს დეტალები“.

თურმე არც ასე უნდა ყოფილიყო საქმე, რადგანაც აგერ ლევან ბრეგაძე 1983 წლის „ცისკრის“ პროზას რომ მიმოიხილავდა და გამოარჩევდა „რასემონს“, გროტესკის უკიდურესი სახეობის – აბსურდის ლიტერატურის მშვენიერ ნიმუშს, რომელიც კრიტიკულად წარმოაჩენდა ადამიანთა ერთ ფრიად უცნაურ თვისებას, – სიცოცხლეში ღირსეულად არ დაეფასებინათ, სითბო და გულისხმიერება მოეკლოთ მათ გვერდით მცხოვრები დიდი პიროვნებისათვის, სიკვდილის შემდგომ კი გაელმერთებინათ და გაეფეტიშებინათ, სწორედ მისი სტილური თავისებურებების ნათელსაყოფად მოიხმობდა თუნდ ორიოდ ფრაზას, როგორც ერთი მოწმის მოგონებიდან:

– მე თავად არ ვიცნობდი. მწერალს, დიახ. მითხრა მამიამ ადრევე, როგორ არა, იცნობდიო... თურმე ერთხელ შეხვედრა მოვუწყვეთ ინსტიტუტში. შეხვედრა მახსოვს, მწერალი – არა.

ისე მეორე მოწმისა:

– უბილეთოებს იჭერდნენ, ქალაქგარეთ უკაცრიელ ადგილებში გაჰყავდათ და უფეხბურთოდ ტოვებდნენ. იმ იმაში მოვხვდით ჩვენ და მწერალიც. გვითხრა, მიცნეს და მაინც თქვენთან ერთად წამომიყვანესო... ცემდნენ კი, როგორ არ ცემდნენ ზოგიერთები პატივს.

და თავის მხრივ დასძენდა:

ეს ფრაზები ტიპოლოგიურად ახალია ჩვენს მწერლობაშიო.

ღრმა და მახვილგონივრული დაკვირვება, მზამზარეული თეზისი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიისა თუ სულაც სამეცნიერო ნარკვევისათვის, მასალების მოძიება-ჩალაგებაღა რომ გევალებოდა... მაშინვე თუ ვერა, ოდესმე ხომ მაინც გამოჩნდებოდა ეს მომძიებელ-ჩამლაგებელი, ლიტერატორიც და ლინგვისტიც ერთსადაიმავე დროს.

ძაგძაგებდა და ხმაურობად საზარლად სახლიდან გამომცემლობამდე გადაჭიმული სინა.

და იდგა ქვემოთ ორი ახალგაზრდა და შემოჰყიჟინებდა:

– გალაკტიონ! გალაკტიონ! გალაკტიონ!

„ოჰ, ეს ხულიგნები, სიცოცხლეს მოგაძულებენ...“

ეგონებოდა: განზრახ მომიგზავნეს გასანერვიულებლადო.. არადა: შესაძლოა მკითხველებიც იყვნენ, მისი პატივისმცემელნი, ოღონდ ცოტა შეჟინჟღილებულნი, და თავიანთ აღტაცებას ასე გამოხატავდნენ.

„ნეტა ადრე გამხსენებოდა...“

თვითონ რომ ეთანაღრებოდა გულს, თორემ განა რა აკლდება ჩვენი ნოველისტიკის ამ შედევრს უამდეტალებოდ?

თუ რაიმე გაუნელებდა, ცოტაოდნავ, მაგრამ მაინც, გამოქვეყნებით გამოწვეულ სიხარულს:

მისალოცი სისულელეც რომ დაებეჭდათ.

შეეძლო ხელი შეეშალა და არ გამოექვეყნებინა, და ისევ თავის თავმიცემულობას დააბრალებდა მის მიბეჭდვას ნოველის თავში.

სტანდარტული ადრესიც მოუვიდოდა მოსკოვიდან. გადაგდება უნდოდა, ახლაც აპირებდა გადაგდებას, მაგრამ დაე დარჩენილიყო მის არქივში, განა რას დაუშავებდა. ალბათ ვიღაც სადღაც რაღაცას კიდევ მოულოცავდა სამონყალოდ. და თავის თავს შეჰღიმებდა: ჩვენ ვიყვეთ კარგად და ეგ არაფერი, რეზო ბიძიაო.

კარგად ყოფნას რას ეძახდა?

რას და:

პურის ფული, შერყეული ჯანმრთელობა, ცოტაოდენი სიხალისე და სიყვარულის სურვილი ჰქონოდა...

18 აპრილს გივი ძნელაძესთან ერთად ავლაბრის ბაზარში ლუდს დალევდა და სოსისსაც მიაყოლებდა. გაპუტკუნებული, სუფთად ჩაცმული დახლიდარი მთვრალს ემგვანებოდა და მკვახედაც ელაპარაკებოდა კლიენტებს, თუმც – ამის შეტყობით – ავი არ უნდა ყოფილიყო.

მოინახულებდნენ ჯანსუღ ჩარკვიანს. ის უკვე იწვებოდა:

– ზეზე ვარ ხოლმე, მაგრამ დავიღალე და დავწექი. თქვენ ნასვამებს ჰგავხართ.

– მხოლოდ ლუდი, – აუხსნიდნენ, – ისიც უვარგისი იყო.

მაინც გული დაწყდებოდა, რაკიღა გიჟდებოდა ლუდსა და სოსისზე:

– მაგის სმას მაინც არ მოვიშლი, რაც უნდა დამემართოს.

ახალწაკითხული ექნებოდა „რასემონი“, „ცისკარიც“ საწოლზე ედებოდა, აღტაცებული შეუქებდა და უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა. მის ყველა ბოლოდროინდელ მოთხრობასაც გაიხსენებდა და:

– დიდი კაცი ხარ.

წყენას გამოთქვამდა ოთარ ჭილაძეზე.

სამ-სამ სირჩა კონიაკს დალევდნენ, ილაპარაკებდნენ და გამოემშვიდობებოდნენ მასპინძელს.

25 ივნისს სხვა წიგნებთან ერთად გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსების კრებულსაც შეიძენდა: „შენ უკვდავების ხარ ბინადარი“. მშვენივრად გამოცემულს. იუსტიციის მინისტრს შეედგინა რატომღაც.

ვიღა აღარ ჩაყრილიყო შიგ. ვინ იყო, ჩვენში დარჩენილიყო – შემთხვევით ამ გვერდზე გადაშლილა – ივანე მუჟაიძე? თუში ყოფილიყო, ისე კარგი კაცი კი ჩანდა.

5000-იანი ტირაჟით გამოეცათ. რა აზრი ჰქონდა ასეთ გამოცემას, თუ კომერციული თვალსაზრისით არ გაპირობებულიყო?

იუსტიციის მინისტრს შეედგინა რატომღაცო...

მაგრამ თუ ის მინისტრი წიგნიერი გახლდათ, იუსტიციისა ყოფილიყო თუგინდა: ალექსანდრე შუშანაშვილი. კალამიც რომ უჭრიდა და გალაკტიონის პოეზიითაც გატაცებულიყო და მისი ტრაგიკული ხვედრიც აღელვებდა, ამიტომაც გამოსცემდა მოგვიანებით საგამოძიებო დოკუმენტებზე აგებულ წიგნაკს გალაკტიონის თვითმკვლელობის ირგვლივ.

სხვათა შორის: აღელვებდა წინამურიც ტრაგედიაც და ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გარშემო საგამოძიებო მასალებსა და სასამართლო წარმოების ოქმებსაც რომ მოკრებდა, ერთ დოკუმენტური აღნაგობის წიგნს – ამას უკვე მოზრდილს – ამ მოვლენასაც მიუძღვნიდა.

უნებურად გასდებდა ხიდს ამ ორ ტრაგიკულ აქტს შორის, შემდგომ თეიმურაზ დოიაშვილს სულაც დაბეჯითებით რომ უნდა განეცხადებინა:

1959 წლის 17 მარტის ტრაგედია უშუალო გაგრძელებაა 1907 წლის 30 სექტემბრისა – 17 მარტსაც არსებითად მკვლელობა აღსრულდა და არა თვითმკვლელობაო.

23 ივლისს აკირო კუროსავას „რასემონს“ აჩვენებდნენ ტელევიზიით, დიდად გახმაურებულ ფილმად და შედევრად რომ მოიხსენიებდნენ, მაგრამ რეზო ჭეიშვილის თვალში შედევრი პირველწყარო გახლდათ – აკუტაგავას მოთხრობა „უსიერ ტყეში“ – და არა ეს ფილმი.

სავსებით იზიარებდა იმ მოსაზრებას, ფილმი რომ ძველდებოდა და არამარტო ტექნიკურად, თუმც შეეჭვდებოდა: თუ ხელოვნებაა, რატომ უნდა ძველდებოდესო?!. ჭეშმარიტი კინოსურათები არც ამ პროცესს ემორჩილებოდნენ მეტ-ნაკლებად და... ფილმი მაინც ძველდებოდა. აგერ აქაც: ბევრი რამ მოძველებული და პრიმიტიული ჩანდა, თუმც ბევრი კარგიც რომ შეიმჩნეოდა?!.

აკუტაგავას დიდ მწერლად მოიხსენიებდა და გაკვირვებას გამოთქვამდა, როგორ მოესწრო ასე ახალგაზრდას ამდენი, როცა დაამთავრებდა – ოცდათხუთმეტი წლისა, მაშინ უნდა დაეწყო, რადგანაც სწორედ მაშინ, იმ ასაკში იწყებენ ხოლმე ნამდვილ პროზას...

რაღა შორს წასულიყო:

თვითონ რეზო ჭეიშვილიც ანი აპირებდა იმ ნამდვილ ღირებულების შექმნას, რისთვისაც მონოდებულიყო.

საინტერესოდ რომ ეჩვენებოდა მწერების ცხოვრება – მათი ზნე, ჩვევა და სარწმუნოება – და კითხულობდა და ეძებდა წასაკითხს, 1984 წლის 20 თებერვლის ჩანაწერი სულაც ამისათვის უნდა მიეძღვნა.

ქართულად მთელი კლასი ნემსიყლაპიებად მონათლულიყო და „წყლის ნათლიას" რომ ახსენებდა „რასემონში", ამ კლასის ერთ-ერთ წარმომადგენელს იგულისხმებდა თავისი ვარაუდით. და ალბათ სწორადაც მოიქცეოდა...

ქართული ლიტერატურა უნდა ამოექექა, თუკი არსებობდა. უხერხემლოთა ზოოლოგია ბევრს არას მისცემდა. ნეტა პოპგამოცემები არსებობდა კი?

ბავშვობისას ჩაუვარდებოდა ხელთ ერთი წიგნი, ამდაგვარი ხასიათისა, მოყვითალო-მოყავისფრო მუყაოს ყდა ექნებოდა. მწერების შესწავლის ისტორია მოთხრობილიყო, თუ არ ეშლებოდა. აგონდებოდა სიცხის, კუტკალიების, თაკარა მზისა და ველების შეგრძნება, შთაბეჭდილება.

ვილაც ინტელიგენტი კაცი – როგორც ირკვეოდა: მეცნიერი – იჯდებოდა მზეში და სოფლელთა გასაოცებლად დააკვირდებოდა მწერების ცხოვრებას...

შარშანწინ ორხევში, პატარა ტბასთან, საშინელ სიცხეში თვითონაც დაჩერდებოდა ერთ ნემსიყლაპიას, მომწვანო ფერის, ორფრთიანი მწერი დასრიალებდა გუბის ზედაპირზე და სწორედ მას წარმოიდგენდა წყლის ნათლიად, რომელიც „მშრალ სამარეს" დასტრიალებდა თავს.

22 აპრილის დღიურს გალაკტიონის ამ სტრიქონებით რომ დაიწყებდა: ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არიო, – შეფიქრიანდებოდა, რამდენად სწორად ჩაწერა, მაგრამ ამ ლექსის ძებნას რომ შეუდგებოდა, ვერ ნახავდა. შიგადაშიგ სხვა ლექსებსაც გადაათვალიერებდა და გაიხსენებდა: რა კარგი იყო ქუჩა ბალახვნის, ხმები ისმოდა მრავალი არღნისო.

ბალახვანს მართლაც ბალახვნის ქუჩა რქმეოდა თურმე – დუქნები, ეტლები, არღნები. მამაც ასე-ამგვარად აღუწერდა ზუსტად. ასე სხდებოდნენ თურმე სასადილოში, გააჩერებდნენ ეტლს, დადგებოდნენ დახლთან, გაახსნევინებდნენ ღვინოს – „დუჟინს", „ნახევარდუჟინს", დააკვრევინებდნენ არღანს, თითო-ორ ჭიქას დალევდნენ, დანარჩენს დატოვებდნენ და განაგრძობდნენ გზას მეორე დუქნისაკენ ანდა სხვისაკენ.

აგერ მიჰქრის ეტლი ხონის გადასახვევთან, უკრავს არღანი და ორი გიჟი მღერის მთელი ხმით.

და ვინ არიან ეს გიჟები?

ვანო სარაჯიშვილი და გალაკტიონ ტაბიძე.

კინოეპიზოდიაო, – აღტაცებას ვერა ფარავდა რეზო ჭეიშვილი, – სწორედაც ასე უნდა დაიწყოს ფილმიო...

აღდგომა რაკილა იდგებოდა, მცხეთას მოინახულებდა მთელი ოჯახი. ისინი სანთლებს დაანთებდნენ, ეს მოერიდებოდა დანთებას – ცუდად ჰქონდა დაცდილი. დააცქერდებოდა საფლავის ფილებს და წაიკითხავდა წარწე-

რებს. ახლა ღამე ჩამოწვებოდა. შინ იჯდებოდა და კალამი ექნებოდა მომარჯვებული.

ყველაფერი იყო ძლიერ კარგად.

ძლიერ ცუდად იყო ყველაფერი!..

23 აპრილს ამ სურვილს გაანდობდა დღიურს, ორი წერილის დაწერას რომ აპირებდა ერთს – პოეზიაზე, და მეორეს – პროზაზე.

ის პირველი სტატია აკაკისა და გალაკტიონს დააწყვილებდა...

აკაკის ბოლოდროინდელ ლექსებზე უნდა ყოფილიყო, მის გაორებულ მსოფლმხედველობაზე: არც მიწისა ვარ, არც ცისაო... საიდან მოველ, არ ვიცი, საით მივდივარ, არც ისა, მიწისაცა ვარ, ცისიცა, არც მიწისა ვარ, არც ცისაო...

და გალაკტიონის გაუგებარ (ალაგ-ალაგ) ფრაზეოლოგიასა თუ სტრიქონებზე. თუნდ: უდაბნო ლურჯად ნახავერდებიო...

რევაზ თაბუკაშვილი ჰკითხავდა თურმე ერთხელ:

– რას ნიშნავს ეს „უდაბნო ლურჯად ნახავერდები“?

და გაგულისდებოდა გალაკტიონი და აღელვებული ჩაილაპარაკებდა:

– ნუთუ ასე გაუგებარია, ნუთუ ასე გაუგებარია!

ამისდამაგვარი რამდენი მოეძებნებოდა. თუნდ: გედი, დაჭრილი ოცნების ბაღითო...

არადა: ესენი უფრო ნათელი და გასაგები გახლდათ რეზო ჭეიშვილისათვის, ვიდრე სხვების სავსებით ნათელი და გასაგები, ოღონდ გულსმიუკარებელი სტრიქონები.

შემდეგ: როგორ უსწორებდნენ – ერთხელ აკაკი შანიძეც – როგორ აიძულებდნენ, „გასაგებად“ ეთქვა ყველაფერი.

მეორე სტატია კი დააწყვილებდა სერვანტესსა და დავით კლდიაშვილს, ოღონდ დაწყებით... როსტომ წერეთლის იმ სიტყვებით დაიწყებოდა, ასერიგად რომ მოსწონდა რეზო ჭეიშვილსაც და მოუწყინრადაც იმეორებდა: კაცი სიმშვიდისა და მოსვენებისათვის არის გაჩენილიო.

რაღა ბუდისტური მსოფლშეგრძნება და რაღა როსტომ წერეთლისეული!..

ხოლო ის დაწყვილება ამჯერად ამ კუთხით წარმოჩნდებოდა:

სანჩო პანსა შესანიშნავ ადგილებს რომ ირჩევდა პურის საჭმელად და მოსასვენებლად.

და კლდიაშვილის გმირებიც: ნასადილევს მუთაქაზე რომ წადებდნენ თავს (აქ ჩაერთვოდა პასაჟი აკაკის „ჩემი თავგადასავლიდან“: ნასადილევს ძილი უყვარდათ ძველადო). კირილე მიმინაშვილის მამიდის სახლში ნაქეიფარ-ნავახშმევნი ხისქვეშ რომ გაითენებდნენ, ჩოხებს ამოიდებდნენ თავქვეშ და სხვა...

18 მაისს ნოდარ ტაბიძის „გალაკტიონს“ რომ წაიკითხავდა, საგულისხმოდ მოეჩვენებოდა, მაგრამ ის, რაც უფრო აინტერესებდა, ალბათ სხვა წიგნში უნდა ყოფილიყო. სად წაეკითხა აბა ის ნაწყვეტები? ეს თეორიული მსჯელობანი და გამოკვლევები რეზოს აბა რაში სჭირდებოდა, უშუალოდ მოგონება – რაშიც ავტორი კეთილსინდისიერებასა და გულწრფელობას ამჟღავნებდა – აინტერესებდა თუ აინტერესებდა.

28 ოქტომბერს ნინო ტაბიძე-მაყაშვილის წიგნს წაიკითხავდა: „ტიციანი და მისი მეგობრები“. რაღაც კარგი, რაღაც ცუდი და მოულოდნელი აღმოჩნდებოდა ამ ქალის ყოფა-ქცევაში, ხასიათში და იმ ხალხის – ვინც მის გარშემო ტრიალებდა – ცხოვრებაში. უცნაური იქნებოდა და ტრაგიკული მათი ბედიც.

– გალაკტიონი დაუმალეს რუსეთს, – იტყოდა იმ დღეს ტარიელ ჭანტურია.

ერთხელაც არ ახსენებდა – როგორც პოეტს – მართლაც ეს ქალი.

თურმე შეიძლებოდა, რომ: თვით გალაკტიონ ტაბიძეც კი არ გეხსენებინა ტიციანისა და მისი მეგობრებისადმი მიძღვნილ წიგნში.

და ამის შემდეგ კიდევ რაიმე გაგვკვირვებოდა.

1986 წლის 22 ივნისს ჩაიწერდა შთაბეჭდილებას „კრიტიკის“ მეორე ნომერზე და არ მოერიდებოდა ემზარ კვიტაიშვილს, რაკილა არ მოეწონებოდა მისი პასუხები, უფრო სწორად პასუხების ბოლო ნაწილი, სადაც იგი გალაკტიონზე ლაპარაკობდა და მხარს უბამდა იმ უსისტემოდ განსწავლულ ავტორს კითხვარისას.

– მაინც აყვა ლეონიძეების საგვარეულოს, ყოვლად უიმედო, გაუგებარ უნიჭობას.

გალაკტიონს გინება რომ არ დაჰკლებია არც სიცოცხლეში და არც მის შემდგომ?

ირონია შეერეოდა რეზო ჭეიშვილის ხმას:

აკი ბევრსაც მოეტეხა რქები, ბევრიც გადასულიყო ლიტერატურის სცენიდან უკვალოდ ამის გამო.

ეს სავალალოდ ეჩვენებოდა და... ემზარის გულწრფელობაშიც ეპარებოდა ეჭვი, თორემ აგერ ტიციან ტაბიძეს, სადღეგრძელოების პოეტთა წარმომადგენელს, აკაკი „ეომეოს“ მგოსანი ეგონა. და ასევე ეგონებოდათ დღესაც ზოგიერთებს...

– უნიჭობა სიკეთესაც გადაასხამს ბევრჯერ თავსლაფს.

ჩაუფიქრდებოდა კი ვინმე ამ რჩევასა თუ შეგონებას? იმოქმედებდა კი ვინმეზე ეს გაფრთხილება? უნიჭობა სიკეთესაც რომ გადაასხამდა თავსლაფს, ეს თუ არ ანაღვლებდათ, გალაკტიონის მაგინებელნი, რქებმოტეხილნი, უკვალოდ რომ გადასულიყვნენ ლიტერატურის სცენიდან, ამას მაინც უნდა მიეხვედრებინა რაღაც მათთვის... ეჰ, რას იზამ – ძნელი გახლდათ უმწეობის შეგრძნება იმ გრანდიოზული შენობის წინაშე, გალაკტიონ ტაბიძის უჩვეულო ხილვებსა და წარმოსახვებს რომ აეგო, და ამ შეგრძნების გაქარწყლებას გალაკტიონის გაცამტვერებით ამაოდ ლამობდნენ... და იმსხვრეოდა რქები რქებზე, და ან სულ აღარ და ან კნინადღა თუ მოჩანდნენ ლიტერატურულ სცენაზე, სადაც – მათი წარმოდგენით – მარტოც ვერ ეტეოდნენ...

1987 წლის 19 ივნისს ადრე რომ გაეღვიძებოდა, ძილის შებრუნებას ვერ შეძლებდა და იკითხავდა დიდხანს კრებულს „მოგონებები ილიაზე“. კარგად შეედგინათ, თუმც – ამის შეტყობით – უკეთესადაც შეიძლებოდა. ესეც რომ გაკეთებულიყო, საქმედ ჩამოართმევდათ. ზოგიერთი მოგონება წა-

კითხული არა ჰქონიყო, ზოგიც ცუდად ან სულაც აღარ ემახსოვრებოდა. უკვე ამ წიგნითაც შეიძლებოდა ილიას პორტრეტის წარმოსახვა, ჩამოყალიბება.

ზოგჯერ ერთმანეთსაც რომ ეწინააღმდეგებოდნენ მთხრობელები?

ეს გარემოება ანკი როგორ გამორჩებოდა რეზო ჭეიშვილს, ნიმუშად კი გაიხსენებდა გაბრიელ ქიქოძის დაკრძალვას გელათში.

ექვთიმე თაყაიშვილი სხვანაირად იგონებდა.

შალვა დადიანი – სხვანაირად.

თუმც მთავარი ის გახლდათ, რომ: შეიძლება, შეიძლება კი არა, ასეც იქნებოდა, არც ერთი ტყუოდა და არც მეორე. ეს კია, ექვთიმეს შალვა არ ახსოვდა და შალვას – ექვთიმე იმ სამგლოვიარო დღეს.

იგულისხმებდა, მაგრამ ჩაწერით აღარ ჩაწერდა:

აკუტაგავას „უსიერი ტყისა" არ იყოს და ჩემი „რასემონისაო"!..

3 ნოემბრის ბნელ ღამეს გალაკტიონიც ველარ უშველიდა. კითხულობდა და გაკრიალებული ეჩვენებოდა... მიუხედავად მისი მძიმე და დაუწყობელი ცხოვრებისა, ლექსები – რჩეული – დაწყობილიც გახლდათ და დალაგებულიც.

ვიღას უნდა გადაეჭარბებინა თითქოს?

შეიძლებოდა თურმე...

დავით გურამიშვილი – აკაკი წერეთელი – გალაკტიონ ტაბიძე...

კიდევ ერთხელ უნდა მოლანდებოდა ეს სამი სახება ერთდროულად, როგორც სულიერი ნათესავები და ქართული პოეზიის მწვერვალები... მაგრამ ვარაუდით ივარაუდებდა, რომ: ადრე თუ გვიან მოვიდოდა ვიღაც გიჟი და სულ დაანგრევდა იმ ფორმებს, იმ სიტყვაკაზმულობას.

ანუ: მნგრეველი უნდა მოსულიყო.

ტერენტი გრანელი ვერ გამოდგებოდა ამნაირი...

გიჟი რომ გახლდათ, რეზოს მტკიცე რწმენით?

მაგრამ სულ მაინც არა. და ბედიც არ დააცლიდა.

ასე რომ:

ელოდებოდა ახალ დიდ პოეტს... ალბათ არსებობდა უკვე, თუ რეზოს მზერით შემორკალურ შემოქმედთა შორის არა, მათ გარეთ მაინც... არსებობით არსებობდა ალბათ ფიზიკურად...

11 ნოემბერს რაღაცის თქმას მოინდომებდა გალაკტიონზე. ეს ორი-სამი დღეა კითხულობდა და იმიტომ...

და ჭეიშვილურს ჩაურთავდა:

მგონი ვერ ვიხსენებ იმას, რაც მთავარია, ანდა სულაც არ არის მთავარიო.

12 ნოემბერს კვლავ გააგრძელებდა მისი ლექსების კითხვას, კვლავ მოინდომებდა რაღაცის თქმას... აღმოჩნდებოდა, რომ ისეთი არაფრის, მაგრამ როდემდე შეენახა გულში:

1927 წლის შემდეგ სულ რამდენიმე ლექსი აქვს დაწერილი. მის არქივშიც, რამდენადაც ვიცი, ბევრი არაფერი აღმოჩნდა. ეპოქაზე დაწერილმა

ლექსებმა, ეპოქალური რომ ეგონა ალბათ, ეპოქამ და სასმელმა გამოათაყვანა ბოლობოლოო...

თვითონ რეზოც ხომ არ შემატებოდა უნებურად გალაკტიონის მძრახველებს?

1927 წლის შემდეგ სულ რამდენიმე ლექსიო... ეპოქამ და სასმელმა გამოათაყვანაო...

თუმც მანამდე შექმნილს კვლავაც უფასებდა და ძალიანაც უფასებდა, მაგრამ 1927 წელი ვითომ მართლაც ასეთ საბედისწერო მიჯნად დადებულიყო გალაკტონის ცხოვრებაში? ვითომ რამდენიმე ლექსს იქით ვეღარ გაეღწია?

არადა:

ერთი მოზრდილი პოეტური კრებული ამ მიჯნის შემდგომაც შედგებოდა, მითუმეტეს – სრულიად ახალი მელოდიები და ფერები შემოიჭრებოდა გალაკტიონის არსებაში, ის ახლებური ნაკადი, რაც მანამდე არ განეცადა და არც მის ლექსებს დატყობოდა, მიუხედავად ასეთი მრავალფეროვნებისა და მრავალგანზომილებისა. ეს ნაკადი დარჩენილიყო მიუკვლეველი და... აჰა ისიც ეპოვნა და უჩვეულო სიცოცხლე მიენიჭებინა მისთვისაც.

ეპოქა მძიმე დაღს რომ დაასვამდა მის ფსიქიკასაც და შემოქმედებით გზა-მოღვაწეობასაც, ეს კი თავისთავად, მაგრამ ისეც ვერა, იმ საბედისწერო მიჯნამდელი პოეტური მემკვიდრეობის ამარა დარჩენილიყო... თან სასმელსაც ხომ თითქმის აღარც ეკარებოდა, თითქმის კი არა, სრულიადაც – მხოლოდ თამაშობდა მთვრალს – ეგ იყო და ეგ, შეექმნა ეს ლეგენდა, რათა ხელისუფლება აღარად ჩაეგდო და არც რკინის ხელით მიწვდომოდა ყელში – გადასასახლებლად თუ სულაც დასახვრეტად... ისველებდა წვერს ხან ღვინით, ხან არყით, ხანაც კონიაკით, რათა სუნი ეგრძნოთ გარშემომყოფთ და შებრალებოდათ: ამქვეყნად აღარც არის, ეს რარიგ მოსწონს ფსკერის ცხოვრებაო, რაღა ეშველება ახლა ამასო!..

1988 წლის 29 თებერვალს რომ ჩამოვიდოდა ლიკანიდან, „კარგ ამბებს“ დაახვედრებდნენ: რევაზ ამაშუკელი გამოსულიყო წუხანდელ „მოამბეში“ და მკაცრად ესაყვედურა „განთიადის“ ბოლო ნომერში გამოქვეყნებული კოლაუ ნადირაძის ინტერვიუსათვის, რომელშიც მხცოვან პოეტს საჯაროდ ამოენთხია ამდენი წლის დაგროვილი ბრაზი და გაგულისება გალაკტიონზე: ლიტერატურული ქურდობაც დაეწამებინა მისთვის და ბოდვებითა და აბდაუბდით გადავსებაც ლექსებისა.

თინა ჩხაიძემ ეს რატომ ჰკითხაო, კოლაუმ ეს რატომ თქვაო, რეზო ჭეიშვილმა – ჩემმა ძმამ და პირის ზიარებამ – ეს როგორ და რატომ დაბეჭდაო, – იბობოქრებდა ამაშუკელი, ამის შემტყობი მისი სეხნია სამაგიეროს გადახდის გუნებაზე რომ დადგებოდა: მაგას მოვუვლიო.

თან მის გაღიზიანებას ისიც უნდა დართვოდა, ამ საღამოს ლადო ასათიანის საღამოს რომ აჩვენებდნენ ტელევიზიით და... მისი სიტყვა დაჩეხილი, საზიზღრად შემოკლებული აღმოჩნდებოდა...

– მთავარია, შევინარჩუნო სიმშვიდე და ვიმოქმედო.

ამ სიტყვას აუცილებლად მიაწვდიდა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას. თუ შეყოყმანდებოდნენ – თავისთან, დაგვიანებით, მაგრამ „განთიადის“ მეორე ნომერში გაუშვებდა.

– თუ მანამდე გამაჩერეს...

სცენარს გადადებდა, სიტყვას გადაბეჭდავდა და დაწერდა ახალსა და მნიშვნელოვანს. დაბეჭდვას ვერ მოახერხებდა? გაავრცელებდა... დიახაც გაავრცელებდა...

დაე ეს დღე, ეს ჩამთავრებული თებერვალი ყოფილიყო მოწმე ამ პირობისა...

1 მარტს შავად დაწერდა პოლემიკურ წერილს „საგანგაშო ზარი შემოკრულია“ და ჯერ არც წაეკითხა, თუმც ღამის 12 საათი ხდებოდა უკვე.

მოეჩვენებოდა, რომ ტყუილად ეწვალა – არც არავინ დაუბეჭდავდა და არც არავინ წაიკითხავდა. ის კითხვაც კი დაებადებოდა: ჭირდება კი ვინმესო?

ის ეჭვიც აეკვიატებოდა: შეიძლება სწორიც არა ვარო...

თავისთან დაებეჭდა? იქნებ მეორე ნომერშიც. პირველ გვერდზე ნამეტანი გამოვიდოდა.

უკვე დაერეკათ ქუთაისის მთავლიტისათვის: რატომ ფხიზლად არა ხართო!.. აწი და აწი სხვანაირად მოვიქცევითო.

თბილისში ჯერ არც გაყიდულიყო ჟურნალის ეს ნომერი და ატეხილიყო თურმე ერთი მითქმა-მოთქმა.

ცოლს დაელაპარაკებოდა, ის ეტყოდა: ასეაო, – და კიდეც მოიშლებოდა რეზო, აღარ დაეძინებოდა. დილით თავის ტკივილი აჰყვებოდა...

წამოეყოთ თავი, დაეწყოთ უკვე კბენა.

ვითომ მასზე ძალიან უყვარდათ გალაკტიონი? „რასემონი“ მაინც გახსენებოდათ, თუნდ ფინალი ამ ნოველისა: ერთ ქალს ბიჭუნა რომ უნდა აესვა ღობეზე: ნუ გეშინია, არ გადმოვარდები, დახედე, ცოცხალი ვერ გაჩვენე და მკვდარი მაინც ნახე, როგორიაო.

2 მარტს კვლავ ჩაუჯდებოდა წერილს, რაშიც სულაც არ გაწაფულიყო. დასჩერებოდა და სხვა რამესაც ვეღარ აკეთებდა... სცენარიც გადაიდებოდა, არევდა ტელევიზია, და ეს შემოტევა შემთხვევითობად სულაც არ მოეჩვენებოდა: დამიწყეს ჩხვლეტა ნელ-ნელაო...

11 მარტის „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე რევაზ თვარაძის მწვავე გამოხმაურება შერჩებოდა ხელთ, „ღია წერილის“ სახელწოდებითა და მკაცრი მუნათით.

როგორ იხსენიებდა რევაზ თვარაძე ამ დიალოგს კოლაუ ნადირაძესთან?

ცოცხალი, ბუნებრივი, ძალდაუტანებელიო.

რეზო ჭეიშვილი კი თავის მხრივ დაუმატებდა:

გულწრფელი, მიუკიბ-მოუკიბავი, უჩვეულოო.

მკითხველის ცხოველ ინტერესს, ვნებათაღელვასაც რომ გამოიწვევდა, ამას გრძნობდნენ და ელოდნენ კიდეც, და – მათდა სასიხარულოდ – ასეც მოხდებოდა.

ამ ყოველივეს განაცხადებდა პოლემიკურ სტატიაში „პასუხად რევაზ თვარაძეს", თუმც ერთგვარ მობოდიშებასაც დაისაჭიროებდა:

სამწუხაროდაცო.

შეეძლო – და ალბათ აუცილებელიც გახლდათ – ზოგიერთი ადგილის შერბილება, ჩასწორებაც... მაგრამ მთავარია, რომ: მკითხველი მაინც გულგრილად ვერ გადაავლებდა თვალს ამ საუბარს; ისევე, როგორც არ აჰყვებოდა ფეხის ხმას, წინასწარ – აბსოლუტურ უმრავლესობას ინტერვიუ წაკითხული არც ჰქონდა – რომ არ ატეხილიყო საგანგაშო ზარების რეკვა.

საგანგებო ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ:

რაც სხვაგან, სხვა ქვეყნებში მიღებულიყო, სხვა მკითხველისათვის ჩვეულებრივი მოვლენა გამხდარიყო, ჩვენთვის მიუღებლად, გაუგებრად, აღმაშფოთებლად რჩებოდა და – როგრც ახლა გამორკვეულიყო – თავზარდამცემადაც კი.

აი რას წერდა მორის-ედგარ კუანდრო ერნსტ ჰემინგუეიზე:

– იცით, ყველაზე უფრო რით მაღიზიანებს? გულში მჯიღს რომ იცემს და გაჰყვირის: მე, ჩემო ბატონო, არასოდეს მშინებიაო. არადა შიშისაგან სული ძვრებოდა.

– მოტყუებული მკითხველი ვერც კი მიმხვდარა, ჰემინგუეი რომ დამარცხებულთა მწერალი გახლავთ.

– დონდლოებს საქმიან და გაბედულ ხალხად ასაღებდა, ცვედანებს კი – დონ ჟუანებად. მოკლედ რომ ვთქვათ, მუჭა-მუჭა გვაყრიდა ყალბ ფულებს.

კუანდროს შემოტევას კიდევ იოლად გადაიტანდა „მშვიდობით, იარაღოს" შემოქმედის თაყვანისმცემელი, მაგრამ აი:

– ჰემინგუეის სამყარო შემოზღუდულია, – საქვეყნოდ განაცხადებდა უილიამ ფოლკნერი. მართალია ამ სიტყვების განმარტება, გაშიფრვა მოუხდებოდა მოგვიანებით, თუმც ადრე ნათქვამს არც ის შეენუხებინა და – რეზოს შეტყობით – არც ჰემინგუეის თაყვანისმცემელნი გადაერია.

– მიყვარსო, – იტყოდა იგივე ფოლკნერი ბალზაკის გმირებზე, მაგრამ...

– არა თვით ბალზაკი, რადგან ზოგიერთი მისი ნაწარმოები უვარგისად მიმაჩნია.

ბალზაკი გმირები რომ უყვარდა და თვითონ ბალზაკი – არა, რაღაც უცნაურობად სულაც არ გამოიყურებოდა ქართველი მწერლის თვალში: კაცია და გუნებაო!..

მაინც როგორ უნდა გაგვეგო ამერიკელი მწერლის ეს სიტყვები?

ვისაც როგორ გვსურდა, ისეც ალბათ!..

ბალზაკის ზოგიერთ ნაწარმოებზე ასე ხელაღებით უვარგისის თქმა?

ამგვარად ფიქრობდა და არც არავის მოერიდებოდა ამ მკაცრი შეფასების გამჟღავნებისას ფოლკნერი, რადგანაც მოწონება-არმოწონების უფლება ადამიანისათვის, მითუმეტეს მწერლისათვის, არავის ჩამოერთმია. და უკვე პირადადაც მიმართავდა ადრესატს:

– ბატონო რევაზ, მე რა სახსენებელი ვარ, მაგრამ ფოლკნერს არ ვეთანხმები, რადგანაც სწორედ ფოლკნერის ნაწარმოებები მგონია უვარგისი. ნუ

შეშფოთდებით... ეს კერძო, თუ თქვენ გნებავთ, მცდარი მოსაზრებაა და გამოხატავს მწერლის, უფრო მკითხველის, დამოკიდებულებას ფოლკნერის შემოქმედებისადმი.

ყისტს წაჰკრავდა მოიარებით, რაკიღა რევაზ თვარაძეს ეთარგმნა ამერიკელი მწერლის ორი რომანი: „სოფელი" და „ქალაქი" და განეზრახა ტრილოგიის მესამე ნიმუშის გადმოქართულებაც: „კარმიდამოსი". ამაოდ დაშვრიო, მიანიშნებდა თუმც უამისოდაც არ გახლდათ მაღალი შეხედულებისა უილიამ ფოლკნერის მხატვრულ მემკვიდრეობაზე.

ანდა აგერ რას ამბობდა გაბრიელ გარსია მარკესი, რომელსაც მარიო ვარგას ლიოსას ესაუბრებოდა, ხორხე ლუის ბორხესზე:

– ამ მწერალს ვერ ვიტან, მაგრამ მხიბლავს ის ვიოლინო, რომელზედაც უკრავს...

კონსტანტინე გამსახურდიას ალბათ უფლება ჰქონდა ჯოვანი ბოკაჩო მაინცდამაინც დიდ მწერლად არ ელიარებინა და არც მისაბაძად მიეჩნია, ის ბოკაჩო, რომელსაც იხსენიებდნენ იტალიური მხატვრული პროზის ფუძემდებლად, ისევე როგორც დანტე ალიგიერსა და ფრანჩესკო პეტრარკას – იტალიური პოეზიის მამამთავრებად.

შეეძლო შეეხსენებინა ლევ ტოლსტოის მკაცრი, სუბიექტური გამონათქვამები უილიამ შექსპირის შემოქმედებაზე, ფიოდორ დოსტოევსკისა და ივან ტურგენევის მტრული ურთიერთდამოკიდებულება... ან რატომ უნდა მიგვეჩქმალა, რა დაეწერა ივანე მაჩაბელს ილია ჭავჭავაძეზე, ილია ჭავჭავაძეს – ჩახრუხაძეზე, ნიკო ნიკოლაძეს – ილიაზე, და პირიქითაც.

– ვაჟა-ფშაველა ჩამორჩენილი ადამიანი იყო, – ოფიციალურად განეცხადებინა სახელოვან კრიტიკოსს გერონტი ქიქოძეს.

ამგვარივე შეცდომა იპოლიტე ვართაგავასათვის სულაც სიკეთედ მიეთვალათ: იგი რომ არა, ქართულ მწერლობას არ შეემატებოდა ისეთი შედევრი, როგორიცაა ვაჟა-ფშაველას „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასიო".

და მიადევნებდა რეზო ჭეიშვილი:

სწორიცაა, შეიძლება კეთილსინდისიერად ცდებოდნენ იმ დროს იპოლიტე ვართაგავაც და გერონტი ქიქოძეც, მაგრამ შეცდომისათვის არც სიცოცხლეში წაუყრიათ მათთვის მიწა და არც სიკვდილის შემდეგ შეურისხავთ. მურმან ლებანიძემ სწორედ დასაფლავების დღეს იპოლიტე ვართაგავას „ჩვენი ეროვნული მწერლობის პატრიარქი" უწოდაო.

ან კიდევ როგორი ბრალდება წაეყენებინა აკაკი წერეთელს გრიგოლ ორბელიანისათვის მას შემდეგ, რაც უკიჟინებდა: არც ისტორიული დაუტოვებია რა, არც ქვეყნისათვის რამე გაუკეთებია და არც მწერლობისათვის დაუჩნევია კვალიო. თითქოს ეს ყოველივე არა კმაროდა გასაქიაქებლად, ესეც რომ არ დაერთო:

იმდენად სწამდა საქართველო მხოლოდ, რამდენადაც საჭირო და გამოსადეგი იყო მისთვის და მისიანებისათვის, და თუ ეს არ იქნებოდა, ქვა ქვაზეც ნუღა ყოფილიყოო!..

და თავისი მტკიცების გეზს მიჰყვებოდა რეზო ჭეიშვილი:

არც გრიგოლ ორბელიანის დისკრედიტირება მომხდარა ამის გამო, არც აკაკის სახელს მიდგომია ჩრდილი და არც თავზარი დასცემიათ იმდროინდელ ქართველ მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს, ერისკაცებსო.

მასალა კიდევ ბევრი იქნებოდა მოხმობილი ამ საპასუხო წერილში ნათელსაყოფად იმ გარემოებისა, რომ:

მწერლებს, მოღვაწეებს ჰქონდათ მცდარი, მიკერძოებული, უსაფუძვლო მოსაზრებების გამოთქმის უფლება და სუბიექტურ შეხედულებათათვის გზის გახსნა სულაც არა ნიშნავდა რედაქციის მხრივ ამათუიმ პიროვნების დისკრედიტირებას, მისი გაბიაბრუების მცდელობას.

გალაკტიონის სახელს განა რა შეიძლება დაჰკლებოდა, თუკი „ცისფერყანწელთა" უკანასკნელი მოჰიკანი სიცოცხლის მიმწუხრზეც ვერ გადალახავდა ჯგუფური ინტერესების საზღვარ-სამანებს და ვერა და ვერ შეეგუებოდა „მთაწმინდის მთვარის" შემოქმედის ასერიგ აღზევებასა და გადიადებას.

ასეც გაიაზრებდა და განმარტავდა ამ დიალოგისათვის გზის გამხსნელი:

კოლაუ ნადირაძის საუბარიც 20-იანი წლების მჩქეფარე პოეტური, ლიტერატურული ცხოვრების ვნებათაჭიდილის გამოძახილიაო.

და პოლემიკურ სტატიას ბელეტრისტული ჩანართით გაალამაზებდა:

ზის საუკუნეს მიტანებული ადამიანი, თხრობს; ცისფერი ორდენის ბოლო წარმომადგენელი იხსენებს, წვალობს, ავიწყდება, ბინდი ეფარება მახსოვრობას, წარსულის მოგონებათა ცისფერ მდინარებას. გადის დრო, მოგონება ისტორიას უერთდება, საუბარი კვამლსა და ნაცარში იბურებაო.

და ნიკო ლორთქიფანიძის სტრიქონებს რომ მოიშველიებდა:

– ტალახისა და ჭუჭყის ღელვა-ტორტმანში ჩემი ტვირთი ისე გავატარე, რომ არც ფეხი, არც ხელი არ გამისვრია და ისე მოვიტანე, რაც კი შემეძლო, სამშობლოს სამსხვერპლოზე!

ყველას შეახსენებდა, რომ:

„ტალახისა და ჭუჭყის ღელვა-ტორტმანში" გამოეველო დიდი გზა ქართული ლიტერატურის ერთ მესიტყვესა და მეისტორიეს კოლაუ ნადირაძეს, წინააღმდეგობით ჩახერგილ, რთულ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაში არც პრინციპს რომ არ უღალატებდა, არც ერთხელ ნათქვამ სიტყვას გადაეიდოდა და ეს უნდა გაეთვალისწინებინა მკითხველს.

დრო კი ყველაფერს გაასწორებდა, დრო ყველასა და ყველაფერს მიუჩენდა თავთავის ადგილს.

ვინც რეზო ჭეიშვილს გალაკტიონის სახელის დამცირებას უკიჟინებდა, დაე ნუ დაივიწყებდა, რომ „განთიადის" რედაქტორად მისი მოღვაწეობა დაიწყებოდა ვახტანგ ჯავახაძის აპოლოგიის „უცნობი" გამოქვეყნებით: 1987 წლის მესამე ნომერში, არა სტატიისა თუ ნარკვევის, არამედ – მთელი წიგნის, რომელსაც – გალაკტიონის ერთი ლექსის კვალობაზე – „ქებათა ქება გალაკტიონ ტაბიძისა" შეიძლება დარქმეოდა.

რვა საავტორო ფორმაზე მეტი „უცნობი" თავისუფლად შეიძლებოდა ხუთ ნომერში გადანაწილებულიყო, მაგრამ რედაქტორს არ დაეყო და დაებეჭდა

მთლიანად, რათა შთაბეჭდილება არ განელებულიყო და მკითხველს ლოდინი – რაკილა ალმანახი ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა – არ გაძნელებოდა.

იქვე იმასაც მიანიშნებდა, რომ:

კიდევ... იყო მიზეზი სიფრთხილისა, ბეჭდვის ჩაშლის შიშისაო...

ამაზე ამჟამად არას იტყოდა, და თუმც ქვეტექსტი აგრძნობინებდა მკითხველს, რომ ოდესმე შესაძლოა გაეშიფრა ნაგულისხმევი, მაგრამ ეს დრო არასოდეს დადგებოდა. თუმც დაფარული მაინც არ დარჩებოდა ის მთავარი მიზეზი, ნაწილ-ნაწილ დაბეჭდვისას, ადვილი შესაძლებელი რომ გახლდათ, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ „უცნობის“ დასაწყისი შერჩენოდათ ხელთ ავტორსაც და რედაქტორსაც.

რა საშიშროება იყო მოსალოდნელი ამისთანა?

რა და:

ერთხელ უკვე ჩაშლილიყო ამ მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების პუბლიკაცია ჟურნალის ფურცლებზე, არჩილ სულაკაური ორ ნომერში რომ აპირებდა „მნათობში“ გამოქვეყნებას და აწყობილ-დაკაბადონებულ „უცნობს“... ცენზურა ულმობლად ამოაგდებდა ჯუმბერ პატიაშვილის გადაწყვეტილებით.

რას ერჩოდა ჩვენი რესპუბლიკის ახალი ხელმძღვანელი ამ ვახტანგ ჯავახაძეს და ან მის აპოლოგეტურ ქმნილებას?

ირაკლი აბაშიძე შეიტყობდა, ამ თხზულებაში უხვადაა გამოყენებული გალაკტიონის დღიურის ფურცლები და ჩანაწერებიო, და დაფრთხებოდა და ძალიანაც დაფრთხებოდა: ჩემზე მწარე-მწარე სიტყვები იქნება ჩაწერილიო, – და შეშფოთებული მივარდებოდა ჯუმბერ პატიაშვილთან: არიქა მიშველე, ჩემი სახელის გასატეხადაა გამიზნული ის პუბლიკაციაო. ჯერ ჯანსულ ღვინჯილიას კრიტიკული სტატიაც ვერ მოენელებინა და... ახლა კიდევ ეს, თანაც ვისი – სულაც გალაკტიონის სახელით.

თავს დაიზღვევდა, თორემ „უცნობში“ სახელდებთი არსად მოიხსენიებოდა ირაკლი აბაშიძე.

„მნათობის“ ამ მწარე გამოცდილებას რომ გაითვალისწინებდა რეზო ჭეიშვილი, ამიტომაც ჩადებდა მთელს წიგნს ალმანახში. ერთი იმდენი გაეძვრინა როგორმე, თორემ მერე რაღას იღონებდნენ – თავით ბოლომდე იქნებოდა გამომზეურებული. თანაც მოერიდებოდა წინასწარ აჟიოტაჟს, გაასაიდუმლოებდა მოსალოდნელ პუბლიკაციას, და დაიმედებული ირაკლი აბაშიძე აღარც ელოდა, ვახტანგ ჯავახაძის „უცნობი“, მოგვიანებით შევსებული სულაც ბიოგრაფიული რომანის სახეს რომ შეიძენდა, თუ გამოაღნევდა ულმობელ საცეცებს.

ამ პუბლიკაციის წყალობით კიდევ ერთი ნათელი სხივი უნდა შემატებოდა რეზო ჭეიშვილის ბიოგრაფიას, პოლემიკური წერილის ფინალში რევაზ თვარაძეს რომ პირდებოდა, ბევრი დიდებული, საშვილიშვილო, ეროვნული საქმის აღმსრულებელს: ალმანახის კარი თქვენთვის ყოველთვის ღია იქნება და ჩვენი ყველა მუშაკი და კეთილისმსურველი მიესალმება „განთიადში“ თქვენს თანამშრომლობასო.

თავის მხრივ კი... მეტ სიფრთხილეს გამოიჩენდა ამიერიდან, თუმც პრინციპს სიმართლისას, გულახდილობისას, პირდაპირობისას არ უღალატებდა.

ხოლო პასუხს გალაკტიონის სიტყვებით დაასრულებდა:

– ცხოვრებაცა და კრიტიკაც ისეა მოწყობილი, როგორც არის, და არა ისე, როგორც უნდა იყოს.

რას ვიზამთო, – დასძენდა რეზო ჭეიშვილი.

ნეტა თუ დადგებოდა ოდესმე ის დრო, როდესაც ცხოვრებაც და კრიტიკაც ისე მოეწყობოდა, როგორც უნდა ყოფილიყო?!.

* * *

ვერ შეაჯერებდა გულს „რასემონით" და მხატვრულ-მემუარულ თხრობად გაშლილა გალაკტიონის პორტრეტულ შტრიხებს იმ ორიგინალური აღნაგობის „წიფობისთვეში", რომანიც რომ შეიძლებოდა დარქმეოდა მოდერნიზმისა თუ პოსტმოდერნიზმის მეთოდ-პრინციპთა გათვალისწინებით.

არანაკლებ საოცარი გასრულებულიყო წლები.

გალაკტიონის თანამედროვე თუ არა, თანამოქალაქე ხომ მაინც გახლდათ დროის ერთ ნაწილში. ხედავდა და არ უკვირდა. დიდად უჩვეულოს ვერ ხედავდა ამ ხედვაში. უჩვეულო ჩვეულებრივი დროისაგან დროებითი, თუმც კანონიერი ეგონებოდა... ალბათ.

ადრე ღამდებოდა და ელექტრონში ითოვდებდა ლურჯად.

მოღნიოშებულ ჩარდახ-მოსაცდელში იდგებოდა მარტოსული.

ის იქნებოდა!

ელოდებოდა ტრამვაის, ბოლო გაჩერებაზე, ვაკეში.

აპრიალებულ რელსებს ადნებოდა ფიფქები და ორვაგონიანი, ცარიელი სინითლე მორკალავდა წრეს ხრჭიალით. ის ჩამოწეულ ლურჯ-თეთრ ცას უყურებდა და არა ვაგონებს.

გაატარებდა იმ ტრამვაის და სხვას დაელოდებოდა. მომდევნოშიც არ ავიდოდა და... რეზო ჭეიშვილიც სადღა ნავიდოდა.

აგვიანდებოდა არსად, და არსაიდანაც მოსულიყო.

ჩამოდიოდნენ დაგვიანებული, თავწახრილი, შეფიფქული მგზავრები. ჩარდახში მდგარ ზევით მაცქერალ პოეტს შეავლებდნენ თვალს, ცნობდნენ, ვერ ცნობდნენ. მაშინ რა ეცოდინებოდა რეზოს, ერთმანეთს რომ არიდებდნენ მზერას. მათი ურთიერთობა ფამილარობაში (გულგრილობაში – კი) არ გადადიოდა.

თითქოსდა ისეთიც რა – მაგრამ რეზო ჭეიშვილის ხსოვნაში მთელი სიმძაფრითა და სისავსით აღიბეჭდებოდა და ძვირფას მოგონებად გამოყოლილი მკითხველისთვისაც საგულისხმო ეპიზოდად შეერეოდა თხრობას, რომელიც ასევე თითქოსდა ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული სურათით უნდა გაგრძელებულიყო, სინამდვილეში – არანაკლებ ძვირფასით:

სამაიას ბაღში რომ იდგებოდა ბორცვზე მზის ჩასვლისას წვეროსანი, დიდპორთფელიანი, მაშინაც რომ ვერ ამჩნევდნენ თითქოს: რავა ხარ, შე კაცოო,

– არავინ ეუბნებოდა. ჩრდილებში, ღრუბლიანში, ნისლში ნეგატივებად მიცორიალობდნენ და ემგვანებოდნენ ერთმანეთს ერთნი და მრავალნი.

პოეტი მარტო იდგებოდა.

და კიდევ იმ ვითომდა რიგითი სურათით, არანაკლებ მძაფრად აღბეჭდილით უმცროსი თანამოკალმის ცნობიერებაში:

„ქვანახშირის სახლის" ქვედა სართულში, საფოსტო კუნჭულში რომ დადგებოდა სველი პალტოთი, ზორბა კაცი ცხენის სუნთქვას შემოიტანდა; იდგებოდა საწერ მაგიდასთან, სუნთქვით შეიშრობდა თოქალთოს. აიღებდა სატელეგრამო ქაღალდს, წაიხრებოდა, გადააწვებოდა მაგიდას და აუჩქარებლად, გარკვევით, თითქოს ჩამარცვლით დაიწყებდა წერას.

ჩახედავდა რეზო ჭეიშვილი – არ დამალავდა მკითხველთან – სულწაწეული.

წერდა...

მოიბოდიშებდა იქვე ამ სიტყვისათვის მოგონების ავტორი და უფრო ზუსტ შესატყვისს შეარჩევდა: ხატავდა რუსულადო.

აფხაზეთში აგზავნიდა დეპეშას ვრცელს, აჭრაჭუნებდა ჯმუხ მაგიდას, სასტუმრო „რიცაში" ულოცავდა ვიღაცას რაღაცას.

რამდენიმე ლექსს რომ მიუძღვნიდა იქაურობას, რეზო ჭეიშვილი ამჯერად გამოარჩევდა ორ სტრიქონს, როგორც სხვაგვარად დამაფიქრებელს: ორ საწყისს ინახავს ახალი ათონი, აქ გული მონაა და თანაც ბატონიო...

მეხსიერებაში წამოტივტივებულ სურათებს გალაკტიონის ლექსების სტრიქონებიც შეერეოდა და დღიურებისაც, და კიდევ – პირადი წერილებისაც, მოხდენილად რომ აიკინძებოდა ეს ყოველივე „წიფობისთვის" ყველაზე ვრცელ მონათხრობად, გალაკტიონის ორიგინალურ პორტრეტად, თან რომ ჰგავდა და არც ჰგავდა ნოველას, მის ვრცელ ექსკურსად კი ნამდვილად გამოდგებოდა და ასეც შეიძლება ვიგულისხმოთ, თუმც „წიფობისთვიდანაც" არ ამოვაკლოთ.

ისე არც აქ მოიძებნებოდა ადგილი გალაკტიონის ჩანაწერების იმ პასაჟებისათვის, ტროლეიბუსის სინა საშინლად რომ ძაგძაგებდა, ორი ხულიგანი კი ამოჰკიოდა ქუჩიდან: გალაკტიონ! გალაკტიონ! გალაკტიონო!.. ხულიგნები თუ?.. პოეტზე კი თავზარდამცემად იმოქმედებდა ის ძახილი, ვერსად რომ ვერ დაემალებოდა.

არსაიდან მოდიოდა.

და გზაც არსაით ედებოდა.

„მნათობის" რედაქცია ტაქტიანად რომ გამოატანდა უკანვე პოემას „მშვიდობის წიგნი", ანუ თავაზიანად აუწყებდნენ: ამ სახით გამოქვეყნება ჩრდილს მიაყენებს თქვენს დიდ სახელსო, – რეზო ჭეიშვილს როგორ არ მიედევნებინა: თითქოს ჩრდილს (ლანდს – კი) უფრთხოდნენ მისასო.

პირველი პოეტური კრებული – 1914 წელს გამოცემული ქუთაისში – განსაკუთრებულ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოვლენად რომ ესახებოდა ჭაბუკ პოეტს:

– მე ვფიქრობდი ამ წიგნით ქვეყნის აფეთქებას...

ლიტერატურული პორტრეტის ავტორი დასძენდა:

ბოლო დიდი ნაწარმოებითაც, თუ სამყაროს არა, ქვეყნის აფეთქებას აპირებდა, თუმც წიგნი მშვიდობას ეხებოდა და არა ომს. 12 წლის შრომა, წვალება, იმედი დაიფუშა, გაქრაო...

რაღა რჩებოდა?

რეზო ჭეიშვილი ჩვეული შეუფერადებლობითა და შეუვალობით დაწურავდა ორიოდე სტრიქონში გალაკტიონ ტაბიძის გამოუვალ ყოფას საბედისწერო გაფრენის წინ:

კლინიკაში ადგილი არა აქვს, შინ მიბრუნების, გინდა თუ არა, მანდ უნდა იწვეო, შანსი არ რჩებოდაო.

და იმ ფუჭ, თუმც ენერგიულ მცდელობასაც, როგორმე გამოერიდებინათ მის ნეშტი რჩეული სავანისათვის:

მთაწმინდაზე სამთაწმინდე მწერლები საქმიანი იერით, თითქო შეთქმულებააო, მარხავენ შალვა დადიანს. მისთვის ადგილს არ ტოვებენო.

– გალაკტიონ! გეხვეწები, თავს უშველე. გაშორდი თბილისს, მოშორდი ამ საძაგელ ხალხს, რომელსაც მიზნად დაუსახავს შენი დაღუპვა, ღვინოში ჩახრჩობა, – ენუკვოდა და ემუდარებოდა ძმა, აბესალომი.

მაგრამ...

როგორც ქრისტეს გალილეა აერჩია, გალაკტიონსაც თბილისი აერჩია ბებერი!..

რეზო ჭეიშვილის მტკიცებითა და დასტურითაც:

სხვა პოეტს მიწაზე არ ღირსებოდა იმხელა პროცესია. ეს არ ყოფილა პროტესტი არსებულის წინააღმდეგ, არც ორგანიზებული გასვენება... და მაინც ბოლო გზა ზევით, ზევით, სულ ზევით მიიწევდა. ხალხი – ჭირისუფალი – სერპანტინად შემოეხვეოდა მთაწმინდის კალთებს, სასახლე ხალხს ზემოთ გამოჩნდებოდა ბურში, უსახურ ტაროსში, მარტში. გააცილებდნენ არტისტული ყვავილების შემოქმედს დიდებით! დიდებას ხელშესახებად რომ დაეძებდა, ისიც შორიახლო დაჰყვებოდა და მუდამ მასთან იქნებოდა. გრძნობით კი გრძნობდა მის სიახლოვეს გალაკტიონი, მაგრამ დანახვით ვერა ხედავდა, რადგანაც... სხვაგან, სხვაგან, სხვაგან დაეძებდა: სულ და განუწყვეტლივ...

რიონის სუნთქვაში, დანისლულ ჭალებში, ცისფერ იალქნებში, ალბატროსთა ფრთების ლივლივში, დედაზე, დედის ფიქრში უნდა დარჩენილიყო.

და იმგვარი ფინალი გამოეძებნებოდა ლიტერატურულ პორტრეტს, ნოველას რომ დაშვენდებოდა, და მხოლოდ იმიტომ არ გადაინაცვლებდა იქით, რომ „რასემონი“ არავითარ რედაქციულ ჩარევას არ დაისაჭიროებდა და ფინალური აკორდიც ისეთი მძლავრი და შთამბეჭდავი მოებმოდა, მის შეცვლას როგორღა იფიქრებდა რეზო ჭეიშვილი.

არადა ესეც რაოდენ შემძვრელია, იდუმალის ტვიფარით აღბეჭდილი:

– ბინდდებოდა, ხვილიფებში ციებიანი ჭინკები იწყებდნენ ტირილს და დედა-შვილის მარტოობაში ილეოდნენ საუკუნენი.

თავი მეორე

„გიორგი მერჩულე“ და ცხენიანი კაცი

რა საძაგლობამდე, გულის არევამდეა მისული ყველაფერიო, – 1983 წლის 6 აპრილის დღიურს გაანდობდა რეზო ჭეიშვილი, – სასაცილო ან სატირალიც რომ არ იყოს, ძნელად შევეგუებოდი სინამდვილესო.

პავლე ინგოროყვას – 90 წლისა ხდებოდა – აძლევდნენ თურმე აკადემიკოსობას.

უნივერსიტეტში – იქ რატომ, ეს ვეღარ გაეგო რეზოს – უყრიდნენ კენჭს და სამი კაცი იქნებოდა წინააღმდეგი.

– 130-დან სამი, – ეტყოდა ყარამან (შინაურობაში: გუგული) მგელაძე, რეჟისორი და პავლე ინგოროყვას სიძე, – ალექსანდრე ბარამიძე, შოთა ძიძიგური და...

ეს მესამეს ვეღარ დაიმახსოვრებდა და ვეღარც დღიურში შეიტანდა მის ვინაობას, არადა: თამაზ გამყრელიძე.

პავლე აღარ იყო თურმე ამქვეყანას, ჩავარდნილიყო და დღეს თუ ხვალ დროებითი საცხოვრებლიდან სამუდამო სამყოფელში გადაბარგდებოდა და: რაღად უნდა აკადემიკოსობა, თან წაიღებს ვითომ? – ჩაიღიმებდა რეზო ჭეიშვილი, რომელმაც არ უწყოდა, რომ პავლე აქ არაფერ შუაში გახლდათ.

თვითონ წამოეწყო ეს ამბავი თუ რა: ოდესღაც რომ ჩაუშლიდნენ სამეცნიერო აკადემიის წევრად მიღებას, აღარც მოინდომებდა მას შემდეგ, მითუმეტეს – ამჟამად, ლოგინად ჩავარდნილი და მართლაც უფალთან შესახვედრად გამზადებული.

არც ყარამან მგელაძის თავგამოდებით მოხდებოდა ის კენჭისყრა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, პავლე ინგოროყვას რომ წამოაყენებდნენ აკადემიკოსობაზე და დიდ ალიაქოთსაც გამოიწვევდა ეს წამოწყება. სამი შავი კენჭი კი რას შეუშლიდა საერთო მხარდაჭერას, მაგრამ მერე ჩაერეოდა ენერგიულად ხელისუფლება და ძალით აღკვეთდა ამ წამოწყებას.

მისი სიძეც მხოლოდღა მერე გაიგებდა ამ ყველაფერს და, რომ გახარებოდა, რატომ გაემტყუნებოდა.

რეზო ჭეიშვილს ღიმილი არ მოცილდებოდა:

პავლეს თუ არა, ყარამანს გამოადგება, უკეთესად დაკრძალავს, ასე ჰგონიაო...

და შავი კენჭის ჩამგდებებზე ხომ სულაც სიცილის გუნებაზე დადგებოდა და იხითხითებდა: მაინც რავარები არიან ეს აკადემიკოსი ბარამიძე და აკადემიკოსი ძიძიგურიო. თამაზ გამყრელიძე ასე შემთხვევით გადაურჩებოდა ირონიულ ისარს, რაკიღა მისი გვარი არ ჩარჩებოდა მეხსიერებაში დღიურის ავტორს, თორემ სახითხითოს ის კი არ აძლევდა? აკადემიკოსი გამყრელიძე... „გადანახული ჩანაწერების“ კომენტარ-ექსკურსებში რომ მაინც ამოჰყოფს თავს...

დღეგრძელ მწერლებს რომ ჩამოთვლიდა, პაელე ი ნგოროყვასაც ჩართავდა ამ ჩამონათვალში, 90 წლისა რომ ხდებოდა... და აი მისი დასაფლავებაც უნდა ჩაენიშნა. დღიურის თარიღს ხომ ისედაც აღნიშნავდა, მაგრამ ტექსტიც საგანგებოდ გამოკვეთდა: წელი 1983, 24 ნოემბერიო. ეგაა: სასაფლაოსაკენ – დიდუბეში – აღარ გაჰყოლოდა, არ ეცლებოდა. და ვერც იმ გაბედული, თავზეხელაღებული აქციისას შეიტყობდა: ქაშუეთის ზარების რეკვისას და პაელე ინგოროყვას სასახლის ხელით წასვენებისას პანთეონამდე.

არ ეყვარებოდა პანაშვიდებზე მკვდრის დახედვა, მაგრამ პაელეს მაინც დახედავდა: დაჩიავებული, მშვიდი, წვერულვაშდაყენებული, სიმპათიური ბერიკაცი აღმოჩნდებოდა.

სულ არ ახსოვდა ამდაგვარი:

გამხდარი, უწვერულვაშო, დაუდევრად ჩაცმული, სათვალით, კანდამჭკნარი, დიდპორტფელიანი, არცთუ ისეთი მომხიბვლელი (გარეგნულადო, – ჩაურთავდა) გახლდათ სიცოცხლის მიმწუხრზე „რუსთველიანას“ შემოქმედი.

მხოლოდ ერთხელ, კარგა ხნის წინათ ექნებოდა მასთან საუბრის ბედნიერება.

პოლიკარპე კაკაბაძე დაპატიჟებდა მას და მიხეილ მგალობლიშვილს და პაელესაც წამოიყვანდა. გაუვლიდნენ ალექსანდრე ქუთათელსაც, მაგრამ ის შინ არ დაუხვდებოდათ.

ისხდებოდნენ ეს ოთხნი ფუნიკულიორზე, სუფრა – მოსაწყენი, რეზოსათვის ყოვლად შეუფერებელი რასაკვირველია.

ილაპარაკებდნენ აქეთურზეც და იქითურზეც, ოღონდ ფრთხილად.

შეკამათებისა ეშინოდა ორივეს, როგორც ეს შეატყობდათ.

ეტყოდა კიდეც პაელე პოლიკარპეს:

– დავანებოთ ამაზე ლაპარაკს თავი, თორემ ვაწყენინებთ ერთმანეთს.

და პოლიკარპეც გაჩუმდებოდა...

აქ კი ცხედრის გამოსვენებამდე სიტყვებს იტყოდნენ: ნოდარ დუმბაძე, შოთა ძიძიგური, გიორგი ნატროშვილი, რომლისთვისაც აღარ მოესმინა. ძიძიგური რას იტყოდა სახარბიელოს და... ნოდარის გამოსვლასაც უხეირობად შეაფასებდა. რას გაიძახოდა? სულ ცხარე ცრემლებით დაგტირიანო, არა?.. არადა კურცხალიც არ გადმოვარდნია არავისო, – წაკბენდა.

კურცხალის გადმოვარდნისა რა მოგახსენოთ, მაგრამ არაერთი ადამიანი გააცნობიერებდა, რამხელა პიროვნება გაცლოდა წუთისოფელს.

ქელეხზე კი დიდი სმა-ჭამა გაეჩაღებინათ – ამას მეორე დღეს ჩაინიშნავდა.

რევაზ ჯაფარიძე აღშფოთებული იკითხავდა, მზერას რომ მიმოატარებდა გარშემო:

– სად არის ქართველი ინტელიგენცია, ამ ხალხს რა უნდა მაგალითად აქ?

– ესენი ნათესავები არიან, – აუხსნიდნენ და დაუსაბუთებდნენ კიდეც მათი იქ ყოფნის აუცილებლობას, მაგრამ დამშვიდებით კი ვერ დაამშვიდებდნენ:

– მერე რა უნდათ აქ, რატომ სხედან?..

27 ნოემბრის დღიურში კი აღიდგენდა, პავლე ინგოროყვას გასვენებაში მწერლებს რომ დააკვირდებოდა და: მომტყდარნი, მობერებულნი და დაავადებულნი მოეჩვენებოდა, უმრავლესობა, ვინც იქ ტრიალებდა და მუშაობდა კიდეც, რამდენიმე დეგენერატის გარდა – იქაურებს გულისხმობდა – ცუდად გამოიყურებოდა... რევაზ მიშველაძეს, ლადო მრელაშვილსა და შოთა ნიშნიანიძეს უნდა დარჩენოდათ თითქოს აქაურობა – გული არ გაგისკდებოდა ამის წარმოდგენაზე?!.

ამირან გაბესკირია განგებ იაქტიურებდა – ამას ასე მოეჩვენებოდა – ნახეთ, რა კარგად ვარო. იცოდა, როგორ შეჩერებოდნენ მის ადგილს და: ჯერ არაფერი შეგეშალოთო, აგრძნობინებდათ; ხელმძღვანელობდა პანაშვიდის მსვლელობას და თავს ყოჩაღად აჩვენებდა ირგვლივმყოფთ: ჯერ არა ვარ დასაკარგავი, თქვენზე უკეთესად თუ არა, არც თქვენზე უარესად გამოვიყურებიო.

ერთ ახალგაზრდასაც უწინასწარმეტყველებდა მდივნობას: ამნაირი ენერგიით მდივნობასაც მიაღწევსო. ამ ტურში – ალბათ აქტიურობის გამო – მწერალთა კავშირის წევრიც ვერ გახდებოდა და ჯანმრთელობაც უმტყუნებდა. ხშირად არა, მაგრამ ამდაგვარ რამეებშიც ცდებოდა ხოლმე რეზო. საწყალი არლი თაყაიშვილი თუ ტრაგიკულად დაიღუპებოდა, არაფრით არ ეგონებოდა. ეგონებოდა კი არა, პირიქით: საჯაროდ ამიტომაც ხუმრობდა:

– არლი რომ ჩაჯდება, იმ თვითმფრინავით მეც ვიმგზავრებ, დარწმუნებული ვარ, არაფერიც არ მოხდება.

ანკი რა უნდა მომხდარიყო, მაგრამ რეზოს კი ისე უკანკალებდა ხოლმე გული თვითმფრინავის ხსენებისასაც, რომ...

ახლა არლი გურამ პატარაიასთან დაკავშირებით გაახსენდებოდა – დღეს იქნებოდა მის პანაშვიდზე და იმიტომაც.

კარგა ხანს იმუშავებდნენ ერთ სცენარზე: „თოჯინები იცინიან“ – და რეზოს შეტყობით: რაღაც მეორე იმდაგვარ სცენარსაც წერდნენ. ეს პროცესი კი წლების განმავლობაში გაგრძელდებოდა. სულ ერთად ივლიდნენ, იმეგობრებდნენ, თუმც არაფერი საერთო არ ექნებოდათ ერთმანეთთან თითქოს. ახლა აღარც ერთი იქნებოდა და აღარც მეორე.

რიგით მოვლენად აღიქვამდა პავლე ინგოროყვას გარდაცვალებას „მეოთხე სიმფონიის“ შემოქმედი – არა რაღაც დიდი კარიბჭის გახურვად. არავინ ეტყოდა თუ ყურადღებასაც არ მიაქცევდა, ქაშუეთის ზარებს რომ დავრეკავდით უჩა შერაზადიშვილი და თქვენი მონა-მორჩილი – უჩვეულო მოქმედება საბჭოთა სინამდვილეში, თანაც რა დროს: ახალი მომხდარია

თვითმფრინავის ბიჭების ტრაგედია და უშიშროებაც და მილიციაც კიდევ უფრო მობილიზებულია და გაფაციცებული – და დიდუბის პანთეონამდე კი ხელში ატატებულს მივაცილებდლით მის სასახლეს, მიუხედავად იმისა, რომ ერთი-ორჯერ კინაღამ ხელიდან გამოგგვლეჯდნენ ჩეკელები, რათა მანქანით გაეტაცათ და სამგლოვიარო-საპროტესტო მსვლელობა ერთბაშად აღეკვეთათ.

ცხედარს რომ დახედავდა, ესეც დიდი პატივისცემის გამომჟღავნება იქნებოდა მისი მხრიდან, რაკიღა გაურბოდა გარდაცვლილთათვის დახედვასაც კი.

ისე აგერ ოთხკაციან სუფრაზეც იჯდებოდა მის გვერდით და... მოწყინდებოდა. როდის დამთავრდებაო, ფიქრობდა, და თუ არ მიატოვებდათ, თანამეინახეთა ასაკს გაუწევდა ანგარიშს, ეგ იქნებოდა და ეგ.

პავლე ინგოროყვას გვერდით მოუწევდა ყოფნა და... არას ჰკითხავდა საქართველოს წარსულზე.

და მერე რა ვითარებაში – ისტორიული თხზულებების დაწერას რომ ესწრაფოდა – მოთხრობებისაც და რომანისაც – და საამისოდ გულდასმითაც ემზადებოდა. მკვლევარივით ეცნობოდა და უკვირდებოდა ისტორიულ მასალებს, რათა წვრილმანებიც არ გამორჩენოდა, ის წვრილმანები, რომელნიც შესაძლოა სულ სხვაგვარად აკიაფებულიყვნენ. სტილურ მანერას ხომ ირჩევდა და ირჩევდა, ხედვის კუთხეს ამოწმებდა და ამ ძებნა-ძებნაში თითქოს უცნაურად, არადა სავსებით ბუნებრივად გაერთიანდებოდნენ მის მზერაში: იასე ბარათაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი და ნიკო ლორთქიფანიძე – როგორც სანდო და საიმედო მეგზურნი ისტორიის სიღრმეში შესაღწევად.

და ხელიდან გაშვება ამისთანა შესაძლებლობისა?!.

ის კი არადა: წესითა და კანონით საგანგებოდაც უნდა მიეკითხა და რაღაც-რაღაცები დაეზუსტებინა თუ სულაც შეეტყო მისგან, იმ პავლე ინგოროყვასაგან, ხელისგულზე რომ ედო ჩვენი წარსულიც და ისტორიული გეოგრაფიაც და შეეძლო წარმოსახვაში ნაბიჯ-ნაბიჯ მოეტარებინა რეზო ჭეიშვილი იმ სანახებისათვისაც, მოთხრობებისა თუ რომანის სამოქმედო არედ რომ დაეგულებინა.

და რაც მთავარია:

ისტორიის სული განეცდევინებინა, იქიდან მონაბერი სიო შეეგრძნობინებინა ძალუმად და კიდევ უფრო აღენთო. ანთება არ აკლდა რეზო ჭეიშვილს? რაღაც ნაბიჯი ხომ მაინც ვერ გადაედგა, იწყებდა და ველარ იწყებდა, დღეს დათქვამდა და... გადადებდა უკეთესი განწყობილების მოლოდინში, მაგრამ არა და არ მოდიოდა ის უკეთესი განწყობილება, ის სასურველი წამი, როდესაც თანადროულ სივრცეს გაარღვევდა და ისტორიას სიღრმეებისაკენ შეჰყვებოდა.

დავანებოთ ამაზე ლაპარაკს თავიო, – სთავაზობდა პავლე ინგოროყვა პოლიკარპე კაკაბაძეს და: ნეტა საერთოდაც მორჩებოდნენ ლაპარაკს და ავიშლებოდეთო, – ნატრობდა მათი უმცროსი თანამეინახე, უეცრად ის სა-

ფიქრალ-სადარდებელიც რომ წამოეშლებოდა: რა გამიხდა ისტორიული მოთხრობის დაწერა მაინც, თუ რომანისა არა, ამდენი ყოყმან-ჭოჭმანიც არ ვარგა, მხოლოდღა დააზარალებს საქმესო.

მთლად ისეც არ შეჰყურებდა პავლე ინგოროყვას, როგორც არაერთი მისი თანამოკალმე, სასაცილოდ რომ გაეხადათ – წაუკითხავად ცხადია – მისი ნაწერები, ერთიერთმანეთზე ღირებული და ძვირფასი დაკვირვებანი და აღმოჩენები, არიადნეს ძაფივით სასიცოცხლო მნიშვნელობისა, თუკი ისტორიის გზა-ბილიკებზე ფეხის დაბიჯებას აპირებდი, და... იმავდროულად თუკი საქართველოს ამოგებულ სახელმწიფოს გაჰყურებდი ოცნებისა და იმედის თვალით; და იმ აბსურდული სინამდვილიდან გაღწევას ლამობდი, სულიერად მაინც, იმ დამთრგუნველი გარემოდან, რომელში ყოფნის ტრაგიზმსაც ასე გულისშემძვრელად გისურათხატებდა და ასე დაუნდობლადაც გახლიდა სახეში რეზო ჭეიშვილის მხატვრული სამყაროც...

თუნდ აგერ:

1987 წლის 8 მაისს „ქართული მწერლობის“ 30 ტომად გათვალისწინებული სერიის პირველ ტომში ლეონტი მროველის ისტორიულ მატიანეს რომ გაეცნობოდა, „ქართლის ცხოვრების“ განუყოფელ ნაწილს, ადგილებს განსაკუთრებით ჩაუკვირდებოდა და: რამდენ სიმართლესა და რამდენ ყურმოკრულ ამბავს რომ ივარაუდებდა შიგ, მწუხარედ დასძენდა: რა ბედის ქვეყნის ნაწილი იყო ეგ ქართლიო...

და სკეპტიკურ გუნებაზე დამდგარი იმასაც კი გაიფიქრებდა:

იქნებ მართალია ის ბნელი სტალინი, როცა თქვა, საქართველო ერად მხოლოდ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდაო. თუ მის უწიგნურობას გავყვებით, საბოლოოდ ერად შეიძლება დღესაც არ ვიყოთ შემჭიდროვებულიო.

იმ ყალბი პოლიტიკური ფორმულის გამზიარებელი რომ არა ყოფილა, იმითაც დაადასტურებდა, „უწიგნურობას“ რომ უხსენებდა წითელ იმპერატორს, მაგრამ... თავისი სკეპსისისათვის როგორღა შეიძლება მოევლო?..

კიდევ კარგი, რომ აღარ გააგრძელებდა მსჯელობას, თორემ ვაითუ ნიჰილიზმიც მორეოდა – თუნდ წამიერად, მაგრამ მაინც – და მისი ტირადა თეიმურაზ ხევისთავის სწორედაც ნიჰილიზმის გაჟღენთილ მონოლოგებსაც დამსგავსებოდა.

ეს კი არ დაემართებოდა და არამცთუ ნიჰილიზმი, სკეპსისიც ვერას დააკლებდა, ლეონტი მროველის ისტორიულ თხზულებაში ყურმოკრული ამბები რომ არ მოსჩვენებოდა. მოჩვენებით კი არაფერი მოეჩვენებოდა, პავლე ინგოროყვას მონოგრაფიებს რომ გაცნობოდა გულდასმით: გნებავთ „ლეონტი მროველს“, გნებავთ „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვას“, გნებავთ „მოქცევაი ქართლისაი“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სიას“.

მაშინ ხომ თვალნათლივ დაინახავდა და დაიდასტურებდა, რომ:

ლეონტი მროველი ზეპირგადმოცემებს კი არ ემყარებოდა უმთავრესად, არამედ მანამდე არსებულ საისტორიო წყაროებს, აწ დაკარგულთ, მაგრამ სწორედაც მისი წყალობით შემონახულს და მოღწეულს ჩვენს დრომდე,

თვით ივანე ჯავახიშვილიც (სხვები ხომ რაღა!..) სწორედ სკეპტიკური განწყობილებით რომ უარყოფდა ლეონტი მროველის თხზულების ამ ნაწილის სანდოობას, პავლე ინგოროყვა კი სულაც გზამკვლევად დასახავდა ისტორიის შორეული სიღრმეებისაკენ, რაკილა შედარებითი მეთოდის გამოყენებით სრული დამაჯერებლობით ცხადყოფდა იმ გამქრალი ისტორიული ქრონიკების არსებობასაც და იმ ისტორიული ცნობების უეჭველობასაც.

რეზო ჭეიშვილის დღიურში აღარ, მაგრამ ორიგინალური აღნაგობის „წიფობისთვის“ ერთ დოკუმენტურ ნოველასა თუ ლიტერატურულ პორტრეტში, ჯუანშერ ჯურხაძეს რომ მიეძღვნებოდა, უნდა ეელვა პავლე ინგოროყვას სახელსაც, თანაც ისე მოხდენილად, ღიმილითაც რომ განათდებოდა ის პასაჟი.

რეზოს თაობის ხალხს ახალგაზრდაც კარგად დაამახსოვრდებოდათ იგი – წელში გამართული ჯუანშერი, დაჭიმული, ელასტიკური კისრითა და ქედით. მხრებიდან გადმოსული ბეჭებით, გრძელი კიდურებით, დიდი ხელებით, დალაგებულ-დაწყობილი სახის მშვიდი ნაკვთებით, დიდი, უბოროტო, ოდნავ იჭვიანად მომზირალი თვალებით. ზემელზე თუ არ გენახათ, სხვა უბანში შეხვდებოდით დინჯად, მიწაზე დანდობილად მოსიარულეს. თუ არადა: ზვიად სპასალარად მაინც გეყოლებოდათ ნანახი კინოფილმში „დიდოსტატის მარჯვენა“.

რას გაძლევენ ამ როლის შესრულებისთვისო? – სულ ეკითხებოდნენ.

რა უნდა მიეცათ, რასაც მისცემდნენ, იმაზე მეტი: ორი წელი, თუ მეტი არა, ჯაჭვის პერანგი ეცმეოდა, ხან ჩაჩქანი ეხურებოდა, ხანაც მუზარადი, ბედაურზე იჯდებოდა და ხმალსაც ატრიალებდა... იჯერებდა გულს და რას იჯერებდა!..

პედაგოგად იმსახურებდა მთელი ცხოვრება, ოღონდ როდესაც ივლიდა, თვითონ რომც არ გაემხილა ჯუანშერს, ალღოთი და იდუმალი ხედვით მაინც ამოიცნობდა რეზო ჭეიშვილი: საქართველოს ისტორიას იფიქრებდა, ფიქრში მტერს აჩეხავდა. ხმლის წკრიალი, მუზარადის მუზარადზე ხეთქება, აბჯრის ჩხარუნი, ცხენთა ჭიხვინი ჩაესმოდა გამუდმებულ-გაუნელებლად.

რაო, სხვა დროში ვიმყოფებოდით?

იმ დროშიც ხომ ვიყავითო, – ამ ფრაზით უნდა შეეკრა ლიტერატურული პორტრეტი, აგებული ჯუანშერ ჯურხაძის ნაამბობებზე, ეს თან გულისყურით რომ ისმენდა და თან აღტაცებული მისჩერებოდა, როგორც ფიცის კაცისა თუ მეომარი მხედრის ჯიშის ხორცშესხმას.

ნაამბობებში ჟორჟიკა იაშვილის სახესაც უნდა შემოენათებინა, რეზო ამ ხელსაყრელი შემთხვევით რომ ისარგებლებდა და ჩაურთავდა:

– „გიორგი მერჩულე“?

– პავლე ინგოროყვას წიგნზე მეკითხებით? მაგ წიგნი მგონი გოგია გელოვანმა აჩუქა. ახლა რა ვუყო ამასო, უკითხავს, ავწიო, დავწიო თუ რა ვქნაო. სავარჯიშოდ მაძლევთო? – მოუგონეს, თორემ სინამდვილეში თვითონ მოიძია, მეც მთხოვა, მიშოვეო.

რეზოს როგორ სმენოდა ეს ამბავი?

ერთი წლის თავზე ეკითხა მჩუქებელს:

– ჟორა ბატონო, წაიკითხეთ თუ არა?

და პასუხად:

– ასე ელვისსისწრაფით რა წამაკითხებდა, ცხენიანი კაცი ვერ გადაახტება, იმხელაა...

– ეგ ვერსია სჯობს, – იცინებდა ჯუანშერ ჯურხაძე და თავს შეუწყრებოდა, – არ ვარგა ამდენი სიცილი, რაღაც მეწყინება.

ანეკდოტად ატრიალებდნენ ერთ ვერსიასაც, მეორესაც, არადა გულით მოკიდებოდა ჟორჟიკა იაშვილი ამ ბუმბერაზ წიგნს. თვითონვე დაეძებდა და ხელთ რომ იგდებდა, მალევეც წაიკითხავდა ცხადია. გარიდებით ანკი რატომ გაერიდებოდა?!.

მეგობრულად ეხუმრებოდნენ, სახალისოდ გაიხსენებდნენ ხოლმე დროდადრო:

ავწიო, დავწიო თუ რა ვქნა, სავარჯიშოდ მაძლევთო?

ცხენიანი კაცი ვერ გადაახტება, იმხელააო...

მსგავსიც არაფერი ეთქვა, მაგრამ მაინც ის აერჩიათ ანეკდოტის პერსონაჟად.

სიხალისესა და ხუმრობაში გამოახვევდნენ თავიანთ აღტაცებასაც ამხელა წიგნის ხილვით, ბაჯაღლო ოქროს რომ დასდარებოდა თავიდან ბოლომდე, რაკიღა საქართველოს ისტორიულ საზღვრებს, მის ტერიტორიასაც შემოსწერდა და კულტურის რელიეფურ, სისხლსავსე სურათსაც წარმოსახავდა, სიმხნევით, ეროვნული ენერგიის რწმენით რომ გავსებდა.

ეგაა: ცხენიანი კაცი ვერ გადაახტებოდა.

და სიამოვნებდა და რარიგ სიამოვნებდა ჯუანშერ ჯურხაძესაც პავლე ინგოროყვასა და მისი „გიორგი მერჩულეს" ხსენება, რაკიღა მასავით ჩაძირულიყო საქართველოს ისტორიის ტალანებში და თვალდათვალ ხედავდა და საკუთარ თავზეც განიცდიდა ხმლის წკრიალსაც, მუზარადის მუზარადზე ხეთქებასაც, აბჯრის ჩხარუნსაც და იმ ბედაურთა ჭიხვინიც ჩაესმოდა, ის ძველი ქართველები რომ შემსხდარიყვნენ, ქვეყნის ხსნისათვის ბრძოლაში გადაშვებულიყვნენ და... თვალსაწიერიდანაც გამქრალიყვნენ... ოღონდ ყველას თვალსაწიერიდან არა.

რას არ მოგიგონებენო, – იცინებდა ჟორჟიკა იაშვილიც, ერთიხანობა გულზე ახუტებული რომ დაჰქონდა ის ბუმბერაზი წიგნი, იმ ძველ ქართველთა შესაფერი, უშუალო ნაყოფი იმ ძველი და ამ ახალი კვეთება-ორომტრიალისა, მაშინ – გარეგნულისაც, ამჟამად – უმთავრესად სულში გადატანილის, ეგაა: ის ველარ დაეშალათ, გეზორიალა ისტორიის ლაბირინთებში და ერთიანად ჩაძირულიყავი ხმლის წკრიალსა და მუზარადის მუზარადთან ხეთქებაში... და იმგვარ ციხესიმაგრედ აღგემართა წიგნი, ცხენიანი კაციც რომ ვერ გადაახტებოდა.

* * *

1993 წლის 10 ნოემბერს მწერალთა კავშირში გაიმართებოდა კომისიის სხდომა — პავლე ინგოროყვას დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

განაცხადებდა რეზო:

— ღირს თუ არა „გიორგი მერჩულეზე“ ლაპარაკი საჯაროდ, სატელევიზიოდ? დღევანდელი სიტუაციის მიხედვით იქნებ ფრთხილად ვილაპარაკოთ, ანდა პირიქით.

ჭეიშვილურს გამოურევდა.

შემოსძახებდნენ აქეთ-იქიდან:

— პირიქით, ახლაა დრო.

— თავის დროზე ვერ ვთქვით.

არადა — რეზოს მოსაზრებით ანუ ანტიინგროყული განწყობილების კვალობაზე — ამ წიგნში ვერ იყო ყველაფერი მთლად დალაგებულად. გამოქვეყნებისთანავე გამწვავდებოდა ურთიერთობა აფხაზ-ქართველებს შორის. და ირონიულად დასძენდა: ჩვენ ხომ ყოველთვის მართლები ვართო!..

სინამდვილეში კი:

„გიორგი მერჩულეს“ გამოქვეყნებისთანავე ურთიერთობა გამწვავდებოდა არა იმდენად აფხაზებსა და ქართველებს შორის, რამდენადაც რუსეთის იმპერიული მისწრაფებებისათვის აღმოჩნდებოდა ეს ბუმბერაზი წიგნი სილის გაწვნა, რასაც უმაღლესი ხელისუფლება არ მოითმენდა და რისხვასაც დაატეხდა თავს პავლე ინგოროყვას, სასწრაფოდ დაწყებული დაუნდობელი შემოტევები „გიორგი მერჩულეს“ ამ ნაწილის აკრძალვით რომ დასრულდებოდა: ისტორიულ-გეოგრაფიული ძიებების, მტკიცებებისა და უდავო ჭეშმარიტების დადგენა-გამორკვევის უარსაყოფად — ნაცვლად მეცნიერული გამოკამათებისა — სადამსჯელო ოპერაციებს რომ მიმართავდნენ.

მხოლოდ ამჟამად 30 ნოემბერს, ამ წლის შემდგომის ბოლო დღეს, კიდეც გაიმართებოდა პავლე ინგოროყვას 100 წლის საიუბილეო საღამო გაყინულ დარბაზში. მოვიდნენ რეზოსიანები, „მეცნიერები“ არ გამოჩნდებოდნენ. იქნებოდა ტელევიზია და გადასცემდნენ ალბათ.

შეფი ანუ გურამ ფანჯიკიძე ბათუმში გაფრინდებოდა და რეზოს მოუხდებოდა საღამოს წაყვანა. ავად თუ კარგად გაასრულებდა და ოჯახიც კმაყოფილი დარჩებოდა. გუგული მგელაძესაც — პავლე ინგოროყვას სიძეს — ათქმევინებდა ძალით ბოლო სიყტვას.

გვიანი ღამით ისევ გადაშლილი ედებოდა „გიორგი მერჩულე“ და თავის ზოგად შთაბეჭდილებას ასე გამოთქვამდა:

სწორია ბევრგან, ზოგან არაა სწორიო.

მაგალითისათვის მოიხმობდა ამ ფრაგმენტს:

— ეს ტერიტორიული ერთეული — „აფხაზეთის საერისთავო“ ანუ „აფხაზეთი“ ვიწრო მნიშვნელობით, — არ იყო შემთხვევითი, დროებით შეკონინებული ადმინისტრაციული ერთეული, არამედ წარმოადგენდა მყარს გეოგრაფიულ მთლიანს, რომელსაც არ შეუცვლია თავისი ადრინდელი ტერიტორიული მოცულობა მას შემდეგაც, რაც იგი შევიდა ჯერ დასავლეთ საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოს შემადგენლობაში, ხოლო შემდეგ — გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ვარაუდობდა პავლე, რომ — ნიკოფსიიდან კელასურამდე ასევე — VIII საუკუნემდე — ჩამოსახლებულიყვნენ ჯიქები და მიერთებოდნენ აფხა-

ზებს, სანიგებს (ჰენიოხები) აფსილები (აფსუებიო? — თავის მხრივ ჩაურთავდა რეზო) და მისიმიანები...

კელასურის კედლიდან აქეთ ყოფილიყო „ბუფერული ზონა“ (ოჩამჩირე, გულრიფში. და დაინტერესდებოდა რეზო: გალიცო?) მდინარე ღალიძგამდე... სავარაუდო გახლდათ და მართალიც ეჩვენებოდა, რომ: „ბუფერული ზონა“ ლაპარაკობდა მეგრულად.

და... საკუთრივ აფხაზეთი?

მთა აფხაზეთი — ქართულადაც. დანარჩენები, ჯიქეთის ჩათვლით, მეგრულ-ლაზურ-სვანურადო.

დასკვნები საეჭვოდ ეჩვენებოდა რეზოს, დაუსაბუთებლად.

აფსილები: მესხ-კოლხთა ნარევი ტომიო.

ამ მოსაზრებასაც ეჭვით შეხედავდა.

ტოპონიმიკის განხილვა და ანალიზი უკვე არამყარი ეჩვენებოდა.

— გეოგრაფიულ სახელწოდებათა შორის ჩვენ ვერ ვპოვებთ ვერც ერთ სახელწოდებას, რომელიც იხსნებოდეს ჩერქეზული ჯგუფის ენით.

დაეჭვებული აქნევდა თავს აქეთ-იქით რეზო.

სუფსას ჩაუკვირდებოდა, მდინარის სახელწოდებას, პავლე ინგოროყვასეულ ეტიმოლოგიას მიადევნებდა თვალს: ფსელი — ფსა — წყალი. თავის მხრივ კი დასძენდა: აქედან თვითონ აფსუა და სხვაო. და ნიკო ბერძენიშვილს დაიმოწმებდა, ოღონდ ზეპირად და შეუმოწმებლად: ამ ფაქტორს, თუ არ მეშლება, არ უარყოფსო.

და თითქოს გამოიჭერდა „გიორგი მერჩულეს“ შემოქმედს:

თავად ყვა? ინგოროყვა? როყვა და ასე შემდეგო?

ეჭვები, რომელთაც რეზო ჭეიშვილი გამოთქვამდა, ნებისმიერი მკითხველის უფლებამოსილ შთაბეჭდილებებად აღიქმება და არა უფრო მეტად. და უფრო მეტი არც „მეცნიერული“ კამათი ყოფილა მასთან, ყოვლად ზერელედ და დაუსაბუთებლად რომ ცდილობდნენ მის შეხედულებათა, მიგნებათა, აღმოჩენათა, მტკიცებათა გაბათილებას.

ხოლო ინგოროყვას გვარის წარმომავლობაზე რომ გადაუკრავდა რეზო, მართალია ოდესღაც ეს გვარი, საერთოდაც ეს დაბოლოება ყვა, აიხსნებოდა ჩერქეზული ენის მოშველიებით: ასე განმარტავდა თვითონ პავლე ინგოროყვაც, ამასვე ირწმუნებოდა სიმონ ჯანაშიაც და იზიარებდნენ მეცნიერებიც და მწერლებიც — მაგრამ უნდა დამდგარიყო დრო, როდესაც გამოჩნდებოდა უფრო მართებული და დამაჯერებელი ახსნა:

როგორც მერაბ ჩუხუა მიაკვლევდა, ყვა გახლდათ წარმოებული „ყმისაგან“ ანუ „ძისაგან“, ეს კი ნიშნავდა, რომ ეჭვი აღარ უნდა გამოეწვია მის ქართულ წარმომავლობას.

გვარი ინგოროყვა არ გახლდათ ჩერქეზული წარმოშობისა.

არც როყვა ცხადია.

და საერთოდაც „თავად ყვა“ არ გამოდგებოდა საირონიოდ.

პავლე ინგოროყვაც ივარაუდებდა მისი გვარის პირწმინდად ქართულ წარმომავლობას, ძალდაუტანებლად რომ უარყოფდა თავის ადრინდელ მო-

საზრებას, მაგრამ რაკიღა აღარ დასცალდებოდა ამ გადასინჯული შეხედულების დასაბუთება, ახალი თაობის ენათმეცნიერი ითავებდა ამ თემაზე სავსებით დამაჯერებელი ნარკვევის შექმნას.

თუმც ეს მოხდებოდა რამდენიმე ათწლეულით გვიან, რაც რეზო ჭეიშვილი იმ გადაკვრას შეიტანდა დღიურში. ასე რომ, მას ეს „შეცოდება" მაინც-დამაინც „დამამძიმებელ გარემოებაში" არ ჩაუდენია.

პავლე ინგოროყვაზე ლიტერატურული სილუეტის შექმნას რომ მოინდომებდა, იქვე უარყოფდა ამ განზრახვას: ერთადერთი შეხვედრა მასთან მეტად უკმარი მოეჩვენებოდა საგულისხმო ფსიქოლოგიური შტრიხების მოსახაზად, თუმც დღიურში შეტანილ ეპიზოდად ხომ მაინც შემოგვრჩებოდა.

და ჯუანშერ ჯურხაძის პორტრეტული შტრიხების გამოკვეთისას კი ძალიან წაადგებოდა „გიორგი მერჩულეც" და მისი ბუმბერაზული აღნაგობაც — გარეგნულადაც, ჩვენც სხვა რაკურსით რომ გაგვინათებს ის მოგონება ამ წიგნის ეროვნულ მნიშვნელობასა და სიმაღლეს, ბედაურზე ამხედრებული კაციც რომ ვერ უნდა გადაევლოს მის ზღუდე-გალავანს, ჩვენი ისტორიული საზღვრების ირგვლივ შემორტყმულს.

* * *

პავლე ინგოროყვაზე გადაცემა რომ იქნებოდა ტელევიზიით 1998 წლის 15 ოქტომბერს, რეზო გაღიზიანებული ჩაინიშნავდა:

დროდადრო გაახსენდებათ, ცაში აიყვანენ ხოლმეო.

გაიხსენებდა თვითონაც, რაც ჩაეწერა. შეეძლო ლიტერატურული პორტრეტის გაკეთებაც შეკვეთით, მაგრამ ჭირისუფალი არ ანდობდა ამ საქმეს.

ეს რეზოსეული პორტრეტი იქნებოდა, იმათთვის — მიუღებელი, სამაგიეროდ — მართალი.

რამდენიმე ეპიზოდი ჩაწერილიც უნდა ჰქონოდა.

ადრე რომ იფიქრებდა პავლე ინგოროყვას პორტრეტული შტრიხების მოხაზვას, აკი მაშინვე უარყოფდა ამ განზრახვას, ის ერთი არაფრისმთქმელი შეხვედრა შესაფერის მასალად არ გამოადგებოდა. ახლა სხვა გუნებაზე დამდგარიყო და მეხსიერების ტალანებიდან რაღაც-რაღაც მარცვლების გამოჩხრეკას კიდევ შეძლებდა.

უპირველესად კვლავ იმ ოთხკაციან სუფრას უტრიალებდა, ბერიკაცებთან რომ მოხვდებოდა ფუნიკულორზე: პოლიკარპე კაკაბაძესთან, მიხეილ მგალობლიშვილსა და პავლე ინგოროყვასთან ერთად და... მოწყენისაგან აღარ ეცოდინებოდა, რა ეღონა.

შემდეგ — უკვე მიცვალებული...

მანამდე ვერის ბაზართან, იქ, იმ მიდამოებში დიდი პორტფელით.

და ერთიც: განხილვა-განქიქება „რუსთველიანასი". შემართული კაცი ყოფილიყო (ზოგჯერ), იქ კი დაბეჩავებული გამოჩნდებოდა.

ჩაწერილ-გადაღებული რაც ენახა რეზოს, უფრო სწორად: რუსულად რომ ლაპარაკობდა (ამას ჯერ შალვა ნუცუბიძე ეგონებოდა) რუსთველზე,

„ვეფხისტყაოსანზე. ბარათაშვილის მკვლევარი, გალაკტიონის მეხოტბე და თაყვანისმცემელი.

რეზოსათვის... ცოტა სასაცილო პერსონაჟი.

ეს არ უნდა გაკვირვებოდა არავის. სმენოდა, ორი ჰალსტუხით რომ გამოვიდოდა გარეთ. ერთით იწვებოდა, მეორეს — იმ დილით გაიკეთებდა. კინოფილმში გამოიყენებდა ამ დეტალს რეზო.

კვლევას, ქართულ მწერლურ კულტურას შეწირული. მისნაირების გარეშე კულტურა არ არსებობდა. ესენი იყვნენ საფუძველნი: თუნდ კარპეზ დონდუა, იუსტინე აბულაძე, თუმც რეზო მათ პირადად არ იცნობდა.

პავლესათვის გალაკტიონი გენიოსი გახლდათ.

გალაკტიონმა იცოდა, გრძნობდა, რომ პავლეს, პავლესნაირთა გარეშე იგი არ იარსებებდა, მაგრამ არ ამხელდა, ეგონებოდა, პავლემ არ იცის ესო.

პავლემ — შესაძლოა არაცნობიერად — იცოდა, მაგრამ არ ისიგრძეგანებდა, რადგანაც ეს მისთვის არ გახლდათ მთავარი.

ასე და ამგვარად: თავისი დავთრისათვის უნდა გადაეხედა რეზოს და შესაძლოა ერთი დეტალიც მიემატებინა: სტალინსა და მალაქია ტოროშელიძეს რომ წაეწინებოდათ ნასადილევს...

სულ სხვა ამბავია გახსენებული და პავლე ინგოროყვა რალა შუაშია?

თითქოს არც არაფერში.

მაგრამ ის ორი სახელი შემთხვევით არ უნდა წამოჰგონებოდა რეზოს და ასოციაციურად გამოეწვია პავლეზე ფიქრს: სტალინის მოთხოვნით — ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა ბოლშევიკურ ყაიდაზე რომ არ უნდა დაწერილიყო მწერალთა საკავშირო ყრილობისათვის და უძველესი ხანიდან წარმოსახულიყო მისი სრული სურათიც და მსოფლიო მნიშვნელობაც, აკი შესაფერისი ტექსტის შედგენა პავლე ინგოროყვას დაევალებოდა, ყრილობაზე მის მიერ მომზადებულ მოხსენებას მალაქია ტოროშელიძე რომ გაახმოვანებდა.

თავი მესამე

ლეონიძეთა კვალზე: ოფშკვითიდან პატარძეულამდე... ანდა პირიქით

თავისი გვარის ფესვებს მოუწყინრად და შორსა და შორს ჩხრეკდა გიორგი ლეონიძე და სულაც შავშეთამდე ჩასდევდა, ტბეთის ტაძრის სიახლოვეს ეგულებოდა წინაპართა სამოსახლო, საიდან დაძრული ლეონიძეებიც XVI საუკუნის მიწურულს თავთავიანთ გზასავალს აირჩევდნენ და შეეფარებოდნენ იმერეთს, ქართლსა თუ კახეთს.

ძველ მესხეთში ჩარჩენოდა ფესვი და პატარძეულის მკვიდრი მოსახლის სახელს გაურბოდა.

შესაძლოა ასე ძალიან არც გამოედო თავი მესხეთში წინაპართა კვალის საძებნელად, შოთა რუსთველის მესხობის ვერსია რომ არ დაეჯერებინა.

პავლე ინგოროყვას ჰერეთის რუსთავში გადმოჰქონდა რუსთველის დაბადების ადგილი, მაგრამ უმცირესობაში რჩებოდა და ეპიკოსის მესხური წარმოშობის თეორია უფრო გამჯდარიყო ქართველობის გულსა და გონებაში, ამ თეორიას უფრო შესჩვეოდნენ და... გალაკტიონიც იქ, მესხეთში დაეძებდა თავის პოეტურ ფესვებს, რუსთველს რომ უყელყელავდებოდა.

გიორგი ლეონიძე პოეტურ ფესვებსაც თვისას მესხეთში ეძიებდა და – მეტი დამაჯერებლობისა და სიმკვეთრისათვის – წინაპართა ძვალშესალაგადაც ის მხარე მოენიშნა. და რუსთველთან სიახლოვის გაბმასაც აქედან ლამობდა.

რეზო ჭეიშვილი – რა გასაკვირია – ლეონიძეთა იმერული შტოთი დაინტერესებულიყო, ოფშკვითური ხაზით, უშუალოდ საიდანაც გადასახლებულიყვნენ გოგლას მამა-პაპა პატარძეულში. და თვითონ გოგლაც საგანგებოდ სწვეოდა იქაურობას ფესვების მოჩხრეკის გზაზე, ახლა რეზო გონერისთან – თავის მოგვარესთან ერთად – რომ მიივლ-მოივლიდა ოფშკვითს 13 სექტემბერს, აგვისტოდან გადმოყოლილ სიცხეში.

ხმელ თემშარაზე ავტომანქანას მისდევდა ბორიაყი, გზის გაღმა-გამოღმა კი ორი ამომშრალი, გატყლაპოებული რუ-ნარვალი გაწოლილიყო. და შუადღის ძილად მივარდნილიყო სოფელი.

37 წლის წინათ რომ ესტუმრებოდა აქაურობას გოგლა, ოფშკვითში სულ 14 კომლი ლეონიძე ესახლებოდა, ბოლო წლებში კიდევ კლებაში რომ წავიდოდნენ და სულაც განახევრდებოდნენ.

რომელ ოჯახს სტუმრებოდა?

რომელს და... ყველა ოჯახს თურმე.

სადღეგრძელოებსაც ეტყოდნენ, ლექსებსაც ჩამოურაკრაკებდნენ... მოიწყენდა მაინც და გასეირნებას მოისურვებდა, გზად ძელქვის ძირას დაჯდებოდა და ალაპარაკდებოდა:

– ჩვენ აჭარიდან ვართ, ისე თქვენ უფრო მოგიახლოვეთ, გვრემანი, შავგვრემნები ხართ ჩემსავით. ლიონიძეები უნდა იყვეთ. სოლომონიც, ცნობილი სოლომონი, მეფის კანცლერი, ლიონიძედ, რუსთ წერილებში კი ლიონოვად იხსენიება. ახლა მე შეიძლება ჩემი პაპის დარგული ძელქვის ძირში ვზივარ.

– რატომ თქვა, ვერ გეტყვითო, – განუცხადებდათ გოგლას ერთ-ერთი მაშინდელი მასპინძელი ჭეიშვილებს, თუმც რეზოს შეტყობით: ძალიან კარგადაც უნდა სცოდნოდა, რატომ ეთქვა, რაც ეთქვა, და რატომ ამოეოხრა ძელქვასთან იმ დღეს გიორგი ლეონიძეს ანუ ლიონიძეს.

პატარძეულში მისი ბუდის ლეონიძეებს შავმღვდლიანთ ეძახდნენ თურმე.

მეორე დილით ჭეიშვილები ქედაში ეპირებოდნენ, ფრიდონ ხალვაშის საიუბილეო საღამოზე, ზეგ კი სოფელ ერგეში გიორგი ლეონიძის დაბადებიდან მეასე წლისთავის აღნიშვნას აპირებდნენ ლეონიძენი... იმ ზეიმსაც უნდა დასწრებოდნენ რეზო და გონერი და აქაური, ოფშკვითელი ლეონიძეებისაგან სურდათ წაეღოთ მოკითხვა და სალამი იმ შტოსთან.

იქაურობას, აჭარლობასაც რომ იჩემებდა გოგლა, ამიტომაც ამოეფრიალებინა გადახსნილი გულიდან ის სტრიქონებიც:

ლეონიძეთა შორის ვიყავი, ჩქეფდა ჭოროხი, ტყე შრიალებდა, სახლიკაცების ნახვით ვიხარე, რა საქმე მქონდა ძველ იარებთანო...

ოფშკვითური ვიზიტის წინ გელათის მონასტერს უნდა სტუმრებოდა და გამოტეხილიყო:

– პირველადა ვარ გელათში.

და ამის გაგონებისას პეტრე ჭაბუკიანი კინაღამ (არცთუ კინაღამო, იქვე მიადევნებდა რეზო) წაიქცეოდა.

– სამაგიეროდ, – თავს გამოიდებდა სტუმარი, – შევალთ ტაძარში და გაჩვენებთ, ვინ სად, რომელ მხარეს, რომელ ეკვდერშია დაკრძალული, რომელ კედელზე რომელი ისტორიული პირია გამოსახული...

და ასეც რომ მოიქცეოდა, გააოცებდა მასპინძლებს, აბა რა იქნებოდა, და პეტრე ჭაბუკიანის გულსაც სამუდამოდ მოიგებდა. ერთგვარადო, – ჭეიშვილურად რომ არ დაერთო, ისე როგორ იქნებოდა!..

გამორკვევით კი გოგლას შვილიშვილისაგან, გიორგი ქავთარაძისაგან, უნდა გამოერკვია, რომ:

პაპა გოგლასი – სიმონი – ოფშკვითიდან წამოსულიყო თუ წამოეყვანათ და მიებარებინათ დავით გარეჯის მონასტერში. ამის დამადასტურებელი საბუთი კი ინახებოდა, მაგრამ საბუთიდან ეს ტოპონიმი – ოფშკვითი – სიმონს ამოეფხიკა.

მალავდა რატომღაც თავის იმერულ წარმომავლობას.

და არც გოგლა ამახვილებდა ამაზე ყურადღებას.

ახლა კი შვილიშვილი სთხოვდა რეზოს:

– თქვენც თუ არ იტყვით, კარგი იქნება...

ეს კი შეპირდებოდასავით, მაგრამ როგორ დაფარავდა და გაასაიდუმლოებდა, როდესაც სწორედ ამის გამო – გოგლას ოფშკვითური წარმოშობის დასადგენად – გამოედო თავი, გამჟღავნების გასამართლებლად კი ის მოტივი ექნებოდა: მე თუ არა, სხვა იტყოდა, თუ უკვე ნათქვამი არააო.

ქუთაისის ცენტრალურ არქივში რომ ინახებოდა ჩვენი ახალი ისტორიის ფასდაუდებელი საერო და საეკლესიო საბუთები, მათ შორის მოიპოვებოდა ოფშკვითის ეკლესიის საარმსარებლო „წიგნიც“ 1841 წლისა.

და იქ ამოიკითხავდა რეზო, რომ:

სიმონ ლიონიძე – მღვდლის ძე – იმ დროს 17 წლისა ყოფილიყო.

და რეზო რომ გაითვალისწინებდა, პოეტის მამა – ნიკო – 1864 წელს რომ დაბადებულიყო, დაიბეჯითებდა, სიმონი საკმაოდ გვიან რომ დაოჯახებულიყო, თუკი ეს სიმონი ის „შავი სიმონი“ გახლდათ:

– რომელმაც ოფშკვითელობა უარჰყო და ჩვენ თავსატეხი მოგვიმატა.

ლეონიძეები შავშეთიდან ვართო...

XVI საუკუნის მიწურულს ძველი მესხეთიდან გადმოვსახლდით იმერეთში, ქართლსა თუ კახეთშიო...

ყურადღებას მიაქცევდა რეზო, რომ ლექსს – „ლეონიძეთა შორის ვიყავი" – თან ერთვოდა დაუმთავრებელი ავტობიოგრაფიის ამ პასაჟის ანალოგიური სქოლიო, სადაც... იმერეთი აღარ იხსენიებოდა და XVI საუკუნე XVII-თი შეცვლილიყო, და შესაბამისად – შავშეთიდან ლეონიძეთა ჩამოსახლების დროც შემცირებულიყო.

ოფშკვითური წვეულებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ქუთაისელ მასპინძლებს, კერძოდ დავით კვიცარიძეს, გიორგი ლეონიძე მადლობის ტელეგრამას რომ გამოუგზავნიდა ამგვარი „ავტოგრაფით“: თქვენი ოფშკვითელი ლომიო?

რეზო ამ სალაღობო ფაქსიმილეს ახსნიდა, როგორც თავაზიანობის გამომხატველ ჟესტს: ლომობით გასულდიდებულს – იმდღევანდელი სიხარულის სანაცვლოდ და არა აღიარებით.

– ეძახდა სამხრეთი, – ტბეთის სალოცავი, წინაპართა (?) საძვალე. გულისყურიც იქით ჰქონდა და „სახლიკაცებს“ დასამხარში ეძებდა და არა იქ – სადაც ეგულებოდა. არ უარყოფდა იმერეთს, რაიც იმდროინდელი სტუმრობითაც დასტურდება... თუმც პაპის ნაჭამი ოფშკვითური ტყემალი მაინც კვეთდა კბილს.

ქართული ლიტერატურისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის გამოჩენილ მკვლევარადაც მოიხსენიებდა დიდ პოეტს, საქართველოს ისტორიის დიდ მცოდნედა და ჭირისუფლადაც: ვსეხსვიატსკოეში საბას საფლავს რომ დაეძებდა და იასაში – ბესიკისა.

და... დავით აღმაშენებლის სამარესთან კი იმ დღემდე მუხლი არ ჰქონოდა მოხრილი. და ეს იმ კაცს, რომელსაც სხვაზე უკეთ, სხვაზე უმჯობეს მოეხსენებოდა ეკლესიის, მონასტრის ფასიც.

– ახალგაზრდობაში კათოლიკოსობაზე ვოცნებობდი, – გაემხილა შვილიშვილისათვის.

და შესაფერისი სახელიც კი ჰქონოდა შერჩეული სასულიერო კარიერის გზაზე შედგომის შემდეგ: გიორგი ბროლა.

ეჭვიც არ შეეპარებოდა რეზოს:

მღვდელწინაპრიანი, სასულიერო სემინარიაში აღზრდილი, სასულიერო პირობას (წოდებას) რომ არ იუცხოებდა და კათოლიკოსობა საქართველოსი ბავშვს მართლაც საოცნებოდ ექნებოდა გადაქცეული, და არც ბროლას წამოისროდა ტყუილუბრალოდ.

მამა არ ეხსომებოდა, და პაპაც, ოფშკვითელობა რომ ეუკადრისა, ხომ დავით გარეჯის მონასტერში გამწესებულიყო და საღმრთო საქმეზეც იქნებოდა თავდაპირველად გადაგებული; ბევრისგან თუ ბევრთაგან სახელ ოფშკვითელობისათვის გაკილულიც...

ის ლექსი რომ უყვარდა გოგლასი:

მე საწყალობელს, მე ხელუღირსს, ცოდვა მერია, საგალობელი მრავალთავი დავიღიღინო. უცალო ვიყავ, უფრო ღამით დამიწერია, შეუნდოს ცოდვა, ვინც წერის დროს მიგზავნა ღვინო, ვინც მომაშველა ნასუფრალი პურის ნაწილი... ხელი დალპების, ხოლო მწერლის რჩება ნაწერი! მე ჟამთა ზღვაში წიგნი ჩავდგი, როგორც ფაცერი, ზედ მარგალიტით გავიშუქე ხსოვნის მანძილიო...

წიგნში ჩახედვა აღარც დასჭირდებოდა, ზეპირადვე დაიმოწმებდა, დროულად რომ წამოუტივტივდებოდა ხსოვნაში.

პოეტს როგორც კი იქაურობისათვის გადაეხედა, საოფშკვითეთისათვის, სვიმონ მეფე გახსენებოდა უმალვე:

– სადღაც აქ დასცა საბედისწერო სამეფო კარავი...

რეზო კი თავისებურად მიადევნებდა:

მუდამ გათრიაქებული მეფე ქართლისა, გორის ციხის გალავანს წიწმატისათვის რომ შეაწყვიტა სპა თვისი, გულზვიადობამ დაღუპა და არა თრიაქმა, თუმც თვისება ჩვევას არ გამორიცხავდა, ერთი აძლიერებდა მეორეს და არ აბათილებდაო.

რას ევედრებოდა დადიანი?

– გვიმონე ორნივე და მიეც როსტომს იმერეთი და ვიყვნეთ მორჩილ შენდა საუკუნოდ...

იუკადრისებდა მეგრელთაგან წინააღმდეგობას სვიმონი და მუქარას შეუთვლიდა: გადმომეცი როსტომი და დავიცავ შენს ქვეყანას უვნოდ, თუ არადა დამხვდი ბრძოლადო.

დამთმობას არა ჰგავდა დადიანი, სპას რომ შემოიკრებდა, როსტომსაც თან იახლებდა და „რაოდენითამე იმერლითა“ კიდეც დაესხმოდა გარიჟრაჟზე სვიმონ მეფეს თავს ოფშკვითში, სძლევდა და გააქცევდა ქართლში...

1590 წელს რომ უნდა მომხდარიყო ეს დრამატული ამბავი, რეზო ამ ფონზე თავისას იანგარიშებდა:

კაიხნის ჩამოსახლებულნი უნდა ყოფილიყვნენ, სხვათა და სხვათა მსგავსად, ლიონიძენი ოფშკვითსო.

ოქონის ხატის თავგადასავალიც გაეხსენებინა იმ დღეს პოეტს:

სწორედ იმ ომში მოეკლათ ხატთმცველი გარსევანიშვილი და სასწაულმოქმედი ხატი ბრძოლის ველზე „დარჩომოდათ“ აოტებულთ. და ხატი დაბრუნებუოდა დიდი ბაგრატის ნაშიერს პატარა ბაგრატს – მეფეს იმერეთისა.

იმ მონათხრობით გიორგი ლეონიძეს მასპინძლებიც რომ გაეოცებინა და სტუმრებიც, ოფშკვითში რა გვარის კაცებიც ცხოვრობდნენ ლიონიძეთა გარდა – ესეც სცოდნოდა ცხადია. და რეზოს შეტყობით: არა-შემთხვევით.

კახეთი რომ ეყვარებოდა და პატარძეულის პიტნის სურნელიც შემოეტანა პოეზიაში, ქართლიც ეყვარებოდა იმერეთზე ბოლოს და მთელი საქართველოც რაღა თქმა უნდა, და მესხური ფესვები კიდევ სხვაგვარად აკი იმიტომაც ეამაყებოდა: მესხი ვარ! ვენთე მე სხივი, მესხმა შესხმა ვთქვი ახალი, მტერი დამესხა, დავძლიე, ვიყავი სახელმაღალიო, – შოთა რუსთველის სულიერ ჩამომავლობაზე რომ სდებდა თავს და – გალაკტიონზე ნაკლებ ვითომ რატომ უნდა გაედო ხიდი ქართული პოეზიის მწვერვალთან:

მესხმა შესხმა ვთქვი ახალიო...

ძველი შესხმა თუ „ვეფხისტყაოსანი“ გახლდათ, ახალ ეპოქას ახალი ეპოსიც უნდა დამშვენებოდა და მისი შემძლე სხვა ვინ შეიძლება ყოფილიყო, თუ არა გიორგი ლეონიძე, „სტალინის ბავშვობა და ყრმობა“ რომ წარმოედგინა „ვეფხისტყაოსანს“ შეტოლებულ ეპიკურ ქმნილებად.

რეზო ჭეიშვილიც საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ:

ბევრი თუ უგულოდ დაწერდა წითელი იმპერატორის სადიდებელ თხზულებას: ვთქვათ კონსტანტინე გამსახურდია „ბელადს“.

გიორგი ლეონიძე – გულით.

და ბარემ ესეც დაერთო:

კამერული პოეზიის ჩარჩოების რღვევაში მისი რამდენიმე თანამოძმე რომ დაეცემოდა, გიორგი ლეონიძე „კარგსაც ააგებდა“ და მკლავსაც – თავსაც – შეირჩენდა.

„კამერული პოეზიის ჩარჩოების რღვევას“ რეზო პირდაპირ გადმოიტანდა სერგი ჭილაიას მოხსენებიდან, პოეტის საიუბილეო საღამოზე რომ წაიკითხავდა და მერე „კომუნისტის“ 1952 წლის 2 აპრილის ნომერშიც გამოუქვეყნებდნენ.

და ეს საბჭოთა კრიტიკოსი ამტკიცებდა, რომ:

ახალი ეპოქის, სტალინის ეპოქის გარეშე გიორგი ლეონიძე უმნიშვნელო დეკადენტ პოეტად დარჩებოდა. არადა საბედნიეროდ დააღწევდა თავს ძველ იდეურ ტვირთს და ცისფერყანწელ პოეტთა შორის ერთი პირველთაგანი მიაშურებდა საბჭოთა ლიტერატურის პოზიციას.

და ეს მოხდებოდა სწორედ კამერული პოეზიის ჩარჩოების გარღვევით.

პოემამდე ისეთი ლექსი მიეძღვნა ბელადისათვის, თვით ადრესატიც აელელვებინა, რაკილა პოეზიის მაღალი ნოტი აღებული გახლდათ და დაწევა აღარ ეგებოდა.

იმ სტრიქონს:

სტალინის სახე ჰკიდია ქოხებში, როგორც ხანჯალიო!

როგორც გინდოდა ისე გაიგებდი, მაგრამ – რეზოც აღიარებდა – რომ: სიდიადეს ვერ დაუკარგავდი. თუმც პროზაიკოსს ერჩივნა სახრჩობელა ან ნაგანი ყოფილიყო დაკიდებული, მაგრამ ამას სურვილად იგულისხმებდა და არა რჩევად ან მითითებად.

აგერ თვითონ გოგლა არ მიმართავდა ლიახვის პირას მდგარ ოლეს: დგეხარ, როგორც სახრჩობელა, – თვით გახრჩობენ მთებიო?..

დავით კვიცარიძე რომ გაიხსენებდა:

ოფშკვითამდე წყალტუბოში გავისეირნეთ, მეექვსე – სტალინის – აბაზანა ვნახეთ. გვეგონა, პოეტი სტალინის შესახებად გვეტყოდა რაიმეს, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ არაფერი თქვაო.

ეცინებოდა რეზო ჭეიშვილს:

საინტერესოა, ნეტა რას ელოდნენ! მარმარილოს აუზს, რომელშიც რამდენჯერმე ჩაჰყო ფეხები ბელადმა, რა ნეტარი ასოციაციები უნდა აღეძრა პოეტისათვის. მუხლს ვერ მოიყრიდა სასაპნესთან და წყალტუბოში დიდი სტუმრის ვიზიტს – მასპინძლებმა მეტი იცოდნენ – ვერ აღწერდაო.

სტალინი ცოცხლად ნანახი არც ეყოლებოდა.

შვილიშვილი როგორც ირწმუნებოდა:

ერთხელ მისცემოდა იმისი უდიდებულესობის ხილვის საშუალება, მაგრამ... ბუკინისტურ მაღაზიაში შეყოვნდებოდა, შეხვედრაზე დაგვიანებით მივიდოდა და რა თქმა უნდა აღარ შეუშვებდნენ.

ლეგენდას უფრო ჰგავს?

ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა რეზოსთვისაც, თუმც ცნობის სისწორეში, მითუმეტეს ბუკინისტური წიგნებისადმი პოეტის სიყვარულში ეჭვის შესატანად არავითარი საფუძველი არ ექნებოდა.

იმ გარემოებასაც მიაქცევდა ყურადღებას:

დავით გურამიშვილსა და ვაჟა-ფშაველას პოეტურ წინაპრებად რომ მიიჩნევდა, თუმც აკაკის (ნახევრად) აღმერთებდა:

სიმღერის მეფევ, ლექსის მეუფევ, წინამეტყველო ნახევრად ღმერთოო...

ეს „ნახევრად" რა არის, არა?

გალაკტიონი კი პირდაპირ ღმერთთან აიგივებდა!..

რაც უნდა იყოს, რეზო ჭეიშვილის რწმენით:

რჩეულთა რჩეულთ, თუმცაღა მოკვდავთ, იშვიათად თუ ღირსებრდათ ისეთი სტრიქონები, ისეთი ლექსები, როგორთაც აკაკი გიორგი ლეონიძისაგან ისახსოვრებდა.

ცისფერყანწელთა ორდენის ერთ-ერთ აქტიურ წევრობად განსაზღვრავდნენ მის ადგილს ამ საძმოში, მაგრამ – რეზო ჭეიშვილის თვალთახედვით – გიორგი ლეონიძე მაინც ცალკე იხსენიებოდა და ყანწელები – ცალკე, და მისთვის გაურკვეველი დარჩებოდა: რა სულიერი და მატერიალური, თუნდ მეტაფიზიკური ურთიერთობა აკავშირებდათ ერთმანეთთან... აღარც გაჰყვებოდა ამ ხაზს – ბოლოსდაბოლოს ოფშკვითური პერიპეტიების მიგნებაწარჩენით იფარგლებოდა და არა 20-30-იანი წლების ლიტერატურულ მიმართულებათა კვლევით.

1921 წლის მარტის კალანდებზე ბათუმიდან გამოქცეული თუ გამოშვებული ჭაბუკი ჯარისკაცი გიორგი ლეონიძე სერგო კლდიაშვილს ქუთაისში შეხვდებოდა; არ გაჰყოლოდა – მიჰყავდათ თუ არა, ძნელი სათქმელია – მენშევიკურ მთავრობას ემიგრაციაში.

სხვა ცნობით:

იგი იმ დროს – დღეები ემთხვეოდა – ტფილისში იმყოფებოდა.

რომელი გადმოცემა უნდა ყოფილიყო ამ ორთაგან უფრო სანდო?

შესაძლოა... ერთიც სანდო გახლდათ და მეორეც.

ბათუმიდან ჩამოყოლილი საბრძოლო იარაღი – ვინტოვკა – როგორ მოეშორებინა?

ვერის მაშინდელი ხიდიდან გადაეგდო მდინარეში.

და იბურებოდა საბურველით: ჰქონდა თუ არა მართლა ის „ვინტოვკა“, მდინარე ვერეში რომ მოესროლა, თუკი მოესროლა; და ქუთაისში შეხვედროდა თუ არა სერგო კლდიაშვილის გარდა სხვა ყანწელებსაც.

– შენ უფრო დიდი პოეტი ხარ თუ გალაკტიონი? – დაინტერესდებოდა შვილიშვილი, და გოგლა პასუხად:

– გალაკტიონიც დიდი პოეტია, ძალზე ფაქიზი პოეტური ბუნების, პოეზიის გედია!

და იქვე ესეც უნდა მიედევნებინა:

– მე ლომი ვარ, ლომი! ჩემს ფასს მხოლოდ ჩემი ასი წლის იუბილეზე გაიგებ...

ლომი პოეტს ტყუილუბრალოდ რომ არ ეხსენებინა – რეზო ჭეიშვილის შეტყობით – ამით საკუთარი სიძლიერის, მიწიერების, მიწაზე მყარად დგომისათვის გაესვა ხაზი.

გედობა, მითუმეტეს – დაჭრილი გედობა, როგორც ჩანს არა ხიბლავდაო, – ჩაიღიმებდა ესეის ამ ადგილას, და თავისთავად რომ წამოაგონდებოდა აკაკისა და ვაჟას სტრიქონები, ბარემღა ჩაინიშნავდა იმათაც.

არც მიწისა ვარ, არც ცისაო, – ირწმუნებოდა ერთი.

მაღლა ვიფრინე, როგორც გავაზიო, – ირწმუნებოდა მეორე.

და... გიორგი ლეონიძეს როგორღა გამოეთქვა თავისი მხატვრულ-ესთეტიკური მრწამსი, როგორ ჰქონოდა წარმოდგენილი თავისი პოეტური ხატი?

მშობელ მიწაში მიდგას ფესვებიო.

ეს მომენტი, გიორგი ლეონიძის ანთეოსობაო – თან ღიმილსაც ჩაატანდა რეზო ჭეიშვილი – დანახული და შეფასებული ჰქონდათ მის თანამედროვეთ საკმაოდ ადრეო.

მიხეილ ჯავახიშვილი იყო და:

ქართულ მიწაში ყელამდე ჩაფლული პოეტიო.

გრიგოლ რობაქიძე იყო და:

გიორგი ლეონიძეს არ ეჭირვება მიწასთან დაბრუნება, იგი თვითონ არის მიწაო.

რამდენად გულწრფელნი იყვნენ, პოეტს რომ ამიწებდნენ, და რამდენად ხიბლავდა პოეტს მიწიერება, ამის გამორკვევას სხვა დროისათვის გადადებდა რეზო ჭეიშვილი.

ნეტა არ გადაედო. მაშინ ხომ დაუწერელიც არ დარჩებოდა.

ისე მიხეილ ჯავახიშვილის იმ ფრაზით – ქართულ მინაში ყელამდე ჩაფლული პოეტიო – უკვე გაეხსნა ოთარ ჩხეიძეს გიორგი ლეონიძის პიროვნული ხასიათიც, პოეტური ბუნებაც და თავისებურებაც.

რას ამტკიცებდნენ შინაურები – გოგლა ხათრიანი კაცი იყოო?

რეზოს ომახიანი რომ ეგონებოდა, იმიტომაც, მისი აღნაგობა, ენერგია, საზოგადოებრივი მოღვაწეობის ინტენსივობა, თამადობა თუნდაც – ამასაც მნიშვნელობა ენიჭებოდა მის თვალში – სხვა ვარაუდის საშუალებას არც მისცემდა.

სახლის ზარს ჩქარ-ჩქარა და ხანგრძლივად რომ რეკავდა, ეს ხათრიანი კაცის საქციელზე არ მიგვანიშნებდა, რაკიღა ზარის დარეკვით პიროვნების ხასიათი ამოიცნობა... თუმც რეზოს ეს ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი რამდენიმე პირობითობას შეიცავდა და – ესეც არ ყოფილიყო – შემართება ხშირად ცხოვრების პირობებით გამოწვეული აუცილებლობაც ხომ ხდება, არა თანდაყოლილი, არამედ შეძენილი თვისება.

ბავშვობისას, სტუმრების დანახვისას, სიმორცხვისაგან მაგიდის ქვეშ შეძვრებოდა ხოლმე, ანდა ხეს ეფარებოდა.

და რეზოს როგორ არ ჩაერთო.

სიბერემდე თუ სიბერეშიც უყვარდა გახსენება „არსენას ლექსის“ იმ სტრიქონისა: ერთი გავარდნილი კაცი ტყეში ეფარება ხესაო, – სხვათა შორის: გალაკტიონსაც რომ არა წყინდებოდა ამ სტრიქონის გამეორება და სულაც ლექსებში მოიხმობდა ხოლმე ალუზიად თუ ციტატად.

რეზო კი თავის ფსიქოლოგიურ დაკვირვებას განაგრძობდა:

ბავშვობისდროინდელი, ბავშვობისას გამჟღავნებული ხასიათი დიდობაში, ხშირად ხელოვნურად, იბჟუტება, ინავლება, თუმც არ ქრებაო.

ორად ორი შეხვედრა თუ ექნებოდა გოგლასთან, ისიც წამიერი.

დაწერდა და გამოაქვეყნებდა „ორი შეხვედრის“ სახელწოდებით, მაგრამ რაღაცას ვერ დაინახავდა და გულს დააკლდებოდა.

სრული, დიდი, ნაცრისფერი პალტო ეცმეოდა ერთხელ.

მეორედ – ზოლებიანი ლურჯი, ოდნავმწვანეგადარეული კოსტიუმი.

– ქუთაისი, – ეტყობა რეზოს იმ დაუვიწყარ ფრაზას, – აულაგებელი სუფრაა.

თვითონ მისი სუფრა იმჟამად?

ალაგებული ყოფილიყო და ეგაა:

როცა „სათითურით“ ღვინოს სვამდა, ჩავარდნილი ხმით სადღეგრძელოს ამბობდა მხოლოდღა მოვალეობის მოხდის მიზნით, სიკვდილი შორიახლო ედგებოდა თურმე. იგრძნობდა და... ვერ კი დაინახავდა...

„ნატვრის ხეს“ რეზო ჭეიშვილიც შეუფასებდა როგორც:

მისი პოეზიის ტოლფას პროზას.

და სამწუხაროდ მიითვლიდა, მეტს რომ ვერ მოასწრებდა ამ ჟანრში გიორგი ლეონიძე.

ეგაა: ვერ გაიზიარებდა რეზო, თითქოს „ნატვრის ხის“ ბადალი პროზა XX საუკუნის ქართულ მწერლობაში არ მოგვეპოვებოდეს.

ამ საუკუნის ქართულ პროზას ჰაიჰარად ნურავინ წამოჰკრავდა ხელს, რადგანაც ის მართლაც მსოფლიო მწერლობის სტანდარტებს უახლოვდებოდა ყველა განზომილების კვალობაზე.

და დაბეჯითებით შეეძლო განეცხადებინა:

XX საუკუნის ათიოდე ქართველი პროზაიკოსი მსოფლიო, თანამედროვე მწერლობის თავმწერალთა შორის დგას და გიორგი ლეონიძე „ნატვრის ხით“ სხვისი დამცრობის ხარჯზე არ საჭიროებს ამაღლებასო.

სხვა მხრივ კი:

თუ საქართველო იქნებოდა, არც გიორგი ლეონიძის შემოქმედებას მოაკლდებოდა ელვარება.

– რანაირი კაცი იყო მამაჩემი? – ეკითხებოდა გოგლა ღრმად მოხუც და სიტყვაძუნწ ბიძამისს, ალექსანდრე გულისაშვილს.

– ტყე უყვარდა! – მოუჭრიდა ის მოკლედ.

– და პაპაჩემი?

– მასაც ტყე უყვარდა!

გოგლას ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა:

ამით ბიძამისს სურდა ეგრძნობინებინა მათი სხვანაირობა ანუ მათი რომანტიკულობა, პოეტურობა. პაპის პოეტურობა ცოტა დააეჭვებდა, რადგანაც დიდი მცდელი კაცი ყოფილიყო... თუმც თავისუფალ დროს კი სულ ტყეში აფარებდა თავს.

ჩაუფიქრდებოდა და ჩაუფიქრდებოდა რეზო ამ სტრიქონებს:

მასაც ტყე უყვარდაო...

თავისუფალ დროს სულ ტყეში აფარებდა თავსო...

და შეეცდებოდა ამოეცნო:

მზეს ემალებოდა თუ ადამიანს? ან იქნებ ბუნების სილამაზითაც ტკბებოდაო?..

ალექსანდრე გულისაშვილის ნათქვამში რაღაცას ირონიასავითაც დაიჭერდა და არც გოგლას სიტყვებს მიიჩნევდა ორაზროვნებას მოკლებულად.

XVIII საუკუნის ერთ სიგელსაც – 1776 წლისა – შემოიტანდა მიმოქცევაში, ერეკლე მეფე რომ მიმართავდა ზაალ ზეგნის მოურავს:

– იმერელი ჩიკორიძეები გვთხოვენ, პატარძეულში დაგვასახლეო. ბარში თუ არ გეგულებათ სამოსახლო, ტყე ხომ ბევრი გაქვთ.

და იყვირებდა რეზო:

ტყეო!..

და ივარაუდებდა, რომ:

ოფშკვითიდან უნდა ყოფილიყვნენ პატარძეულში ჩამოსახლებულნი ლალიაშვილებიც და ინანეიშვილებიც – ისინი მახლობელ სოფელში.

და... სამიგრაციო ვარაუდებს მოეშვებოდა და თხრობაში ჩართავდა ქუთაისის სახელმწიფო არქივის დირექტორის, ისტორიკოს მერაბ კეზევაძის მიერ მომზადებულ მასალას: „სიმონ ლიონიძე – ოფშკვითელი მღვდელი“, რეზოს თხოვნით რომ დაეწერებოდა, რათა ამ სტატიაში ჩართულიყო ისე, რეზო როგორც გადაამუშავებდა.

არადა:

ხელსაც არ ახლებდა იმ მცირე ნარკვევს, უაღრესად ტევადს, ცნობებითაც დახუნძლულს და ზოგადი სურათის სახიერად გამომკვეთსაც. არ ახლებდა და: ასე პირდაპირვე შემოიტანდა თხრობაში, როგორც მერაბ კეზევაძის დამოუკიდებელ ნაშრომს.

ეგაა: ორიოდ სტრიქონსაც მიადევნებდა, რომ:

ნარკვევში მოხმობილი დოკუმენტის რუსულ ტექსტში ლიონიძე ერთგან ლეონიძედ შეცვლილიყო, ცენტრალური არქივის სანოტარო მასალებში კი პოეტის ოფშკვითელი პაპა 1871 წელს ლევანიძედ იხსენიებოდა და პატარძეულის ხარების ეკლესიაში წირავდა.

იმავე წელს ჩაენაცვლებოდა მღვდელი ლუკა ბაქრაძე და სიმონი უკვე აღარ ჩანდა.

ათი წლის თავზე, 1881 წელს, ბერთუბანში ნიკოლოზ სვიმონის ძე ლევანიძე – პოეტის მამა – მონათლავდა ანა უნაფქოშვილს, 1892 წელს კი პატარძეულის ხარების ეკლესიაში სიმონ მღვდლის ასული ანასტასია ლეონიძე – უკვე ლეონიძე! – მონათლავდა ამავე სოფლის გლეხს.

ძებნას კვლავაც რომ გააგრძელებდა რეზო ჭეიშვილი, XIX საუკუნის ბოლო წლების – 1896, 1897, 1898 – სოფელ პატარძეულის მეტრიკული ჩანაწერების წიგნები საქართველოს ცენტრალურ არქივში არ აღმოჩნდებოდა.

და ამიტომაც სვიმონი – რომელსაც ტყეში თავის შეფარება ჰყვარებოდა – როდის მიიცვლებოდა, დადგენა გაძნელდებოდა.

ისე კი ღმერთს მიენდობოდა მკვლევარის მანტიამოსხმული პროზაიკოსი: დაუდგენელი არაფერი დარჩებაო.

ბარემ ჩაერთოს აქვე, მოგვიანებით იოსებ მჭედლიშვილის „დღიური“ რომ გამოქვეყნდებოდა, 1924-41 წლების მომცველი, იქ აღნიშნული რაც იქნებოდა:

გოგლა ლეონიძე კი არა, ლევანიძეა. იგი შვილია ოსეთიდან გადმოხვეწილი მღვდლისა – ნიკო ლევანიძისა. ეს მე კარგად ვიცი, რადგან თვითონაც პატარძეულელი ქალის შვილი ვარო.

მოიშველიებდა განაგონსაც, კონსტანტინე გამსახურდიას რომ ეთქვა:

გავსინჯე ძველ არქივში და გიორგი ლეონიძე ლევანიძედ წერიაო.

თავის ძველ ლექსებში გოგლა ერეკლე მეფის მსაჯულს – სოლომონ ლეონიძეს თავის წინაპრად რომ აცხადებდა, იოსებ მჭედლიშვილი ამ მოსაზრების გასაბათილებლად დაიმოწმებდა ივანე ჯავახიშვილის ცნობას:

სოლომონ ლეონიძით გათავდა სოლომონის შთამომავლობაო.

ჯერ მარტო იოსებ მჭედლიშვილის „დღიურის“ ეს პასაჟი ცხადჰყოფს, რაოდენ საჭირო და საშური ყოფილა რეზო ჭეიშვილისეული კვლევა-ძიება, გიორგი ლეონიძის გენეალოგიურ შტოს რომ შეჰყოლოდა და მერაბ კეზევაძეც დაეინტერესებინა. გზადაგზა კი რამდენი რამ გადმოშლილიყო...

* * *

ქუთაისი აულაგებელი სუფრააო...

ეჰ, ეს ქალაქი კი მართლაც გახლდათ აულაგებელი სუფრა, მაგრამ...

თვითონ გიორგი ლეონიძის სუფრა ალაგებულიყო უკვე.

„სათითურით“ შესმული ღვინო.

ჩავარდნილი ხმით ამოთქმული სადღეგრძელო, მოვალეობა რომ არა, სრულ მდუმარებას რომ ამჯობინებდა სუფრასთან მჯდარი.

სიკვდილი ედგა უკვე შორიახლო.

გრძნობით კი იგრძნობდა, მაგრამ დანახვით ვერა ხედავდა.

და აღარც თავისუფალი დრო რჩებოდა და აღარც ტყე მოჩანდა სადმე, თავის შესაფარებელი... მისი მამაც და პაპაც, წუთს იშოვნიდნენ თუ არა, იქით რომ გარბოდნენ სულის მოსათქმელად...

თავი მეოთხე

ხანმოკლე ეფემერა

ძალიან ეცხელებოდა 1981 წელს 13 ივნისს – პირველი ცხელი დღე დადგებოდა თბილისში.

შოთა ჩანტლაძის დაბადების დღე ყოფილიყო. დაურეკავდა რეზო ჭეიშვილს ლევან მალაზონია და ერთად ავიდოდნენ იმის საფლავზე. დედამისი დახვდებოდათ, ისიც შინ მიდიოდა უკვე და ახლა ამათ დანახვაზე შებრუნდებოდა. საფლავი მშვენივრად მოვლილი დახვდებოდათ, ყვავილებით სავსე. ვის მოეტანა ნეტა? ამხანაგებიდან არავინ ყოფილიყო.

შინ შეიპატიჟებდათ. 80-ს გადაცილებული ქალი მშვენივრად გამოიყურებოდა, ყოჩაღადაც, და რეზო ჭეიშვილი ამას რომ ეტყოდა, მოიწყენდა: არ უნდა ვიყო ასეო. საღად, დამოუკიდებლად მსჯელობდა და ეს გაიფიქრებდა: შოთა დედას ნამგვანებაო. მამა რომ არ უყვარდა, იცოდა. ერთხელ ისიც ეთქვა რეზოსათვის: რა საერთო აქვს დედაჩემთან, დღემდე ვერ გამიგიაო.

შოთას ლექსების ახალი წიგნი გამოდიოდა, და ტარიელ ჭანტურია ეტყოდა:

– შესანიშნავი ლექსები აქვს.

– ამდენი ხანი დაგჭირდათ, ეს რომ გაგეგოთ? – რეზო რომ შეაგებებდა პასუხად, ის გაიცინებდა და არაფერს მიუგებდა, თვით ტარიელიც კი.

უიღბლო კაცი რომ იყო შოთა, მის სიცოცხლეშივე ვიცოდიო, – განაგრძობდა ფიქრს, – მთელი მისი აღნაგობა, დაპროგრამებული გენებით, იყო უიღბლო და ხელმოცარულიო.

საოცარი იყო, მაგრამ ასე კი.

მაინცდამაინც 13 რიცხვში რომ დაიბადებოდა, ნეტა აქედან ხომ არ დაიწყებოდა ყველაფერი?

სხვა ახსნას უფრო მოუძებნიდა რეზო ჭეიშვილი:

ვიდრე დაიბადებოდა, უკვე იყო უიღბლო და კიდეც გაჩნდა 13-შიო.

ესეც მისი უბედობის საწყის-სათავე: ჯერაც დაბადებამდელი...

ერთხელ მთელ ღამეს გაათენებდნენ ლაპარაკში. მეტეხთან, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე პატარა სკვერი იყო, შემდეგ რომ მიანგრევ-მოანგრევდნენ, ჯვარიც ახსოვდა, რა ადგილას იდგა.

გათენებულზე ეს შესთავაზებდა:

– ხურდა ფულები გადავყაროთ წყალში.

იმას გაეხარდებოდა რატომღაც, მაგრამ ხურდა არ აღმოაჩნდებოდა და რეზო, რაც ჰქონდა, გაუყოფდა. გადაყრიდნენ წყალში და: შოთას ნასრო-

ლი... ყველა უკლებლივ ნაპირზე დაცვივდებოდა. არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა წყალში მათი ჩაყრა, მაგრამ მაინც ნაპირზე დაცვივოდნენ. მოიწყენდა შოთა. ამასაც წაუხდებოდა გუნება და... მაშინ გაუელვებდა: ეს რა უბედო კაცი ყოფილაო!..

დღეს მის ბიუსტს შეათვალიერებდა და ნახავდა, რომ არა ჰგავდა მოდელს. ადრეც ჰქონდა ყურადღება მიქცეული, ახლა კი ამასაც, ამ სრულ განსხვავებას, მის უიღბლობას მიაწერდა.

ძალიან ცხელოდა, ძალიან. შოთა 53 წლისა გამხდარიყო. 13 წელი ხდებოდა ნოემბერში მისი გარდაცვალებიდან.

მიცვალებულთა მოსაგონარი დღე ყოფილიყო კალენდრით.

და რეზო ჰკითხავდა ფრთხილად შოთას დედას: იმქვეყნად თუა რამეო?

– არაფერი, – აღიარებდა ის გულწრფელად, – ასეთ დღეში ვარ, სასაფლაოზე ვცხოვრობ, შოთას საფლავზე მინდა მოვკვდე და მაინც არაფერი მწამს, არც ადრე მწამდა, არც ახლა მწამს.

მღვდელს რომ მიეყვანდა ზვიად გამსახურდია შოთას გასვენების დღეს, ისიც არ ენდომებოდა, მაგრამ უარს ვერ იტყოდა: დაე იყოს ასე, რაკიღა ზვიადს მოუნდომებიაო.

უჩვეულოდ გამოიყურებოდა: შოთა ჩანტლაძის ცხედარი და მღვდელმსახურული რიტუალის აღსრულება?

უჩვეულობა, უცნაურობა დასდევდა თან სიცოცხლეში და – როგორც ჩანდა – აღსასრულის შემდგომაც არ მოეშვებოდა.

ხელი ეცმადუნებოდა რეზოს მეტის ჩასანიშნად დღიურში, არ ეკუთვნოდა თუ რა მისგან შოთას, მაგრამ შემდგომისათვის გადადებდა. სახელდახელო ჩანაწერად ესეც იკმარებდა, მის პიროვნულ ბუნებასა და ცხოვრების ყაიდას კი უფრო ღრმად ჩაკვირვება და ფსიქოლოგიური განსჯა-ახსნა ესაჭიროებოდა, მითუმეტეს – დროის, ეპოქის სული და ხასიათიც გათვალსაჩინოვდებოდა შოთა ჩანტლაძის ცხოვრების ყაიდის ფონზე, დრამატული, მოუწყობელი ცხოვრებისა.

ის მაინც რა იყო, მტკვარში გადაყრილი ხურდა ფულიდან ერთიც რომ ვერ ჩააღწევდა მდინარემდე. ბავშვსაც რომ გადაეყარა, უკლებლივ წყლის ფსკერზე აღმოჩნდებოდა ყველა მონეტა, მაგრამ... თუკი დაბადებამდეც უიღბლო ხარ და საგანგებოდ უნდა დაიბადო 13-ში, რათა ეს შენი უიღბლობა გარეგნულადაც დაადასტურო?!.

ისე როგორ გაუშვებდა მის სულს ზვიად გამსახურდია, ქრისტიანული წესით არ შესრულებულიყო ეს საიდუმლოებრივი აქტი.

გარს უვლიდა ცხედარს მღვდელი და ბუტბუტებდა ლოცვებს.

„ღვთის წიაღში დაივანაო", რაღაც ამგვარი ფიქრი უტრიალებდა ზვიად გამსახურდიას, ფიქრს ფიქრი რომ მიედევნებოდა, „ირლანდიური საგები" დროზეა გამოსაცემიო".

დედას კი არა სჯეროდა და არა, იქ თუ შეიძლებოდა არსებულიყო რაიმე.

არც დარჩებოდა მისი პორტრეტი დაუხატავი რეზო ჭეიშვილს, საკმაოდ ვრცელიც რომ გამოუვიდოდა, მოგონებებს ფსიქოლოგიური დაკვირვებე-

ბი რომ შეერეოდა და დაკვირვებებს – ლიტერატურული განსჯა, ყოველივე კი ამ სათაურქვეშ რომ უნდა გამთლიანებულიყო: „სქოლიო" – შოთა ჩანტლაძის საანთოლოგიე და ქრესტომათიული მინიატურის სახელწოდებას რომ იმეორებდა, ქვესათაურად კი „პოეტის სიკვდილსაც" წააწერდა და ამ განწყობილების ირგვლივ იტრიალებდა აშკარად თუ შეფარულად მთელი თხრობა.

ეს ქვეყანა როგორ აირიაო, – ღმერთს მისჩერებოდა გაოგნებული და შეწუხებული პოეტი, რომელსაც არც მანამდე მიაჩნდა ქვეყანა მაინცდამაინც მთლად დალაგებულად, და უეცრად უნდა შემოჭრილიყო სოფლის სამდურავში ის სტრიქონები: თბილისში ეხლა ქუთაისის ჰაერია და ქუთაისში თბილისის ჰაერია დაბანაკებულიო... – რეზოს რომ ღრმადაც ჩააფიქრებდა, რაკიღა ლექსი არ ეძღვნებოდა საკუთრივ ქუთაისს, თუმც ქუთაისი სულ უმიზეზოდაც არ უნდა ყოფილიყო ნახსენები – რაღაც ნოსტალგიისმაგვარიც კი გამოჭვიოდა იმ სტრიქონებიდან.

ერთხელ, რეზო ჯერაც სტუდენტი იქნებოდა, შოთას უნდა ეკითხა მისთვის:

– მამაშენს ბენედიქტე ჰქვია?

დაუდასტურებდა და გაუკვირდებოდა ეს შეკითხვა, არადა თურმე შოთას მამა ანანია დაინტერესებულიყო რეზოს პერსონით: ამა და ამ კაცის შვილი ხომ არ იყო – და ზუსტად მიეთითებინა ბენედიქტეს ტრესტის აბრევიატურაც, თანამდებობაც და სამსახურის – ქუთაისის ფილიალი – მისამართიც.

რეზოს გაოცებული სახის შემხედვარე შოთა ჩაიქირქილებდა, მოიფშვნეტდა ხელებს და მოულოდნელად დამშვიდდებოდა:

– მამაჩემი თურმე მამაშენთან მუშაობდა მამაშენის სამსახურის დაწყებამდე. მამაჩემი როცა დაიჭირეს და გამოუშვეს, მამაშენმა მამაჩემს სამსახურში დაბრუნების უფლება აღარ მისცა. მამაშენმა მამაჩემი თბილისში გადმოისროლა.

დაახლოებით ეგრე მომხდარიყო მართლაც. ანანიას რომ დაიჭერდნენ და გაასამართლებდნენ, იძულებით მუშაობას მიუსჯიდნენ, ციხეს აცდებოდა, მაგრამ სამუშაოს დაკარგავდა ბენედიქტე ჭეიშვილის გამო თითქოს. ბენედიქტეს კაცის მიღება-გაგდება არ ეკითხებოდა მართალია, მაგრამ რეზო რომ შეამოწმებდა, რაღაც ამისდამაგვარი კი მომხდარიყო. და გაელიმებოდა: რა პატარაა მართლაც ეს საქართველოო. სადაურსა სად წაიყვანო, ხომ ვერ იტყოდი ასეთ შემთხვევაში. რა თბილისი და რა ქუთაისი – ხელისგაწვდენა თუ აშორებდათ.

თბილისში ახლა ქუთაისის ჰაერი ტრიალებდა და ქუთაისში კი თბილისის ჰაერი დაბანაკებულიყო.

შოთა ხშირად და კარგახანს ახსენებდა ამ ამბავს სხვების თანდასწრებით:

– მამამისი რომ არა, ახლა შეიძლება ქუთაისელი ვყოფილიყავ, ნაღდად ქუთაისელი ვიქნებოდი...

არ იქნებოდაო, – თავისას ფიქრობდა რეზო, – გურული თბილისელობა არგუნა ბედმა და ისევეც დარჩებოდა: დარჩა კიდეცო.

– არ წავიდეთ ქუთაისში?

– წავიდეთ რა!

– როდის წავიდეთ, ბიჭო, ქუთაისში?

– როცა გინდა.

– წავიდეთ?

– წავიდეთ.

და ბოლობოლო წავიდოდნენ მართლაც ღამის მატარებლით.

ბაღის ბოლოს, ძველი თეატრის წინ ნაცნობ-მეგობართა დიდ ჯგუფს შეუერთდებოდნენ. ყურს დაუგდებდა შოთა ბაღისკიდის ღადავს, იცინებდა ყურადღებადაფანტული, რადგანაც გულისყური სხვაგან ექნებოდა – ნატვრადმოსაგონარ ჯაჭვის ხიდს, მწვანე ბაზარს დაუტრიალდებოდა გონებით, იქ ენდომებოდა, სადაც ბავშვობის ერთი სრული და გრძელი წელიწადი გაეტარებინა.

– წავალ, დროა, – ეტყოდა ჩუმად, – ჩემს ნასაცხოვრალს ვნახავ.

– წამოგყვები, – მისი მარტო გაშვება არ ენდომებოდა რეზოს, მაგრამ ის იუარებდა:

– არ მინდა, თვალდახუჭული მივაგნებ.

და მიხვდებოდა რეზო ჭეიშვილი:

მარტო სურდა შოთა ჩანტლაძეს ბავშვობასთან მიახლოება, ჩარაზულ ფანჯარასა და კართან დგომა და დაუკაკუნებლობა. თუ აკაკუნებ, გიღებენ კიდეც. და შოთას სწორედაც რომ არა სურდა გაღება.

– ვინაა ეგ კაცი? – ჰკითხავდნენ რეზოს, მისი სტუმარი რომ გაეცლებოდათ. ეს ზომიერად შეაქებდა, მის კეთილისმყოფელთ, უკვე ცნობილ პირებს, სხვათა შორის ახსენებდა და შოთას ავტორიტეტს ასწევდა. შემდეგ კი გაიფიქრებდა გუნებაში ჩაბრუნებული ღიმილით: ამისათვის ხომ არ დამტოვაო.

და ძალაუნებურად წამოაგონდებოდა დავით კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“, და პორფირი ბაიაშვილი და მისი მაღვალაკური საქციელი – ოტია ქამუშაძეს ეკლესიის გარშემო შემოკრებილ მრევლში რომ შეუშვებდა: მაღალი, ყაბალახიანი გლეხი მომიძებნე, მელოდება და დროზე მნახოს, ვიდრე წავსულვარო. ოტია არარსებულ ყაბალახიანს დაუწყებდა ძებნას და ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილთ ქალაქიდან ამოსული ცნობილი „ადუკანტის“ ავანჩავანს გააცნობდა.

რეზოს მოსაგონარში ამ ვერსიის შებრუნებული ვარიანტი წარმოჩნდებოდა, თუმც – მისი შეტყობით – შოთას იმ დროს არც ერთი უნდა გახსენებოდა და არც მეორე. დაღონებული დაბრუნდებოდა და კარგახანს არ გახსნიდა კრიჭას, მერე კი ბევრსაც იხითხითებდა და იმსაღამოსდროინდელ ამბავს საგზლადაც გამოიძღვანიებდა.

შოთა ჩანტლაძის ფართოდ გაშლილ ურთიერთობათა ფსიქოლოგიურ სარჩულს კი ამგვარად გახსნიდა და ახსნიდა კიდეც:

ყურისმგებლები ჰყავდა, მიმდევრები – არა, ნამონაფრები, მოწაფეები და მოძღვარი ბოლომდე არ ენდობოდნენ ერთმანეთს; ურთიერთპატივისცემას არასერიოზულობის ელფერი დაჰკრავდა რამდენადმე. იმათ შოთას გენიოსობისა არა სჯეროდათ, შოთას – იმათი სიბითურისა, თუმც იმ წრეში უპერსპექტივო ინტელექტუალს ძნელად იპოვიდითო.

ამ ზოგად მონახაზს იმ შტრიხებითა თუ დეტალებითაც შეავსებდა:

უწიგნურობა შოთას ენას რომ არ უბორკავდა და აზრს არ უხშობდა, პირიქით – ორიგინალობაში ეხმარებოდა.

მისი იარაღი იყო ირონია და არა ცინიზმი, როგორც ბევრს ეჩვენებოდა.

მოსწავლეებისაგან მეტს სწავლობდა, ვიდრე მოსწავლეები მისგან.

და შემფასებელი იყო, მაგრამ არა მოძღვარი.

კიროვის – მაშინ როგორც ეძახდნენ ვერის პარკს – ბაღში ლამპიონები გათენებამდე არა ქრებოდა, თუმცაღა ღამის ორი საათისათვის, აგვისტოშიც კი, ცარიელდებოდა არენა ფეხბურთის გულშემატკივრებისაგან. შოთა ბოლოს გადიოდა და ბოლოს გავიდოდა რეზოც, შუაღამის სამი რომ დაიწყებოდა. რეზო არა ჩქარობდა, შოთასაც არ ეჩქარებოდა; მივიდოდნენ ვერის აფთიაქამდე, გამობრუნდებოდნენ და ივლიდნენ ვერის ბაღამდე, საიდანაც მოგზაურობას დაიწყებდნენ, წინ და უკან ისევ შოთას სახლისაკენ ლაპარაკ-ლაპარაკითვე შემობრუნდებოდნენ, გამოჰყვებოდა უმცროს მეგობარს, მაგრამ კალანდაძის ქუჩის ასახვევშივე შედგებოდა. და იმღამინდელი თევის ლიმიტი ამოწურული იქნებოდა თითქოს...

ლექსში მოენატრებოდა კიბეც და გაშლილი ლოგინიც და ტკბილი წამებიც დაწოლის, დანვებოდი და ძილი და სიზმრებიც მოგივიდოდა... მაგრამ ყოფით სინამდვილეში ამჯობინებდა მაინც სიარულს და თათრის მოედნისაკენ წაყიალებას, გამოსავალიც მაშინვე რომ მოიძებნებოდა სწორედაც შესაფერისი: ხაში და დილის არაყიო!..

მაშინ მოხდებოდა სწორედ, ხურდა ფულს რომ გადაყრიდნენ მტკვარში სიმბოლურ-რიტუალური მიზნით და... შოთას გაუცვივდებოდა ხელიდან ხურდა და მდინარემდე ვერ ჩააღწევდა ვერცერთი მონეტა.

რამდენიმე დღის შემდეგ ყოფილ თანაკურსელებთან რომ გაიხსენებდა ამ ეპიზოდს, ერთი, შემთხვევით რომ შეესწრებოდა ამ საუბარს, ყურისმომჭრელი დასავლური აქცენტით ჩაილაპარაკებდა:

– უიღბლო ყოფილა მაგი!..

იქ არას იტყოდა რეზო, ესეიში კი ჩაურთავდა შოთას იმ სტრიქონებს: ახლა ცოცხალი სიკვდილისაკენ რომ მიეჩქარებოდა, ფინიში მოჩანდა და ეგონა, ვერავინ მომასწრებსო. მიაქანებდნენ ასფალტები და მანქანები და მიჰკიოდნენ სიკვდილისკენ, საიქიოსკენ. და ეს განწყობილება ძალდაუტანებლად რომ უნდა შეკრულიყო და შეიკვროდა კიდეც ამ ტაეპებით: სწორი მაქვს ალღო და სიკვდილის წამი მენიშნა, ამ თაობიდან მე პირველი მივალ ფინიშთანო.

სტუდენტობისას გამართულ ლექსებს რომ წერდა, 50-იანი წლების შემდგომ, ვიდრე ლექსებს მიატოვებდ, თითქმის ათი წელი ნაყოფიერად იღვა-

წებდა, და რატომ არ გახდებოდა პროფესიონალი პოეტი კი არა, პროფესიით პოეტი, რეზო ჭეიშვილს დასადგენად ესახებოდა.

ფიქრით მაინც ასე ფიქრობდა:

დააგვიანა. ერთი ნაბიჯიღა ჰქონდა გადასადგმელი და ვერ გადადგა თუ არ გადადგა, რუბიკონი ვერ გადალახაო.

სტუდენტობაში დაწინაურებულთ ვეღარ აედევნებოდა. გაუძნელდებოდა სტანდარტებით – უიდეო და იდეური ლექსების დალაგებით, გამწევი ორთქლმავლის ჩაბმით – პერიოდულ პრესაში აღზევება. ამასაც დაგვიანებულად მიიჩნევდა, თორემ:

ჩვენში დარჩეს და, ისეთი არაფერი ჰქონდა იმხანად დაწერილი, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, რომლის დაბეჭდვაც – ზემოთნახსენებ ხერხთა გამოყენებით – შეუძლებელი ყოფილიყოო.

„მილიციელი და პოეტი“ მოთხრობად ჩაითვლებოდა ჟანრული თვალსაზრისით, თუმც რეზოსათვის უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ, ვიდრე მოთხრობა.

სტუდენტობის წლების გახსენება იყო ყველაფერთან ერთად, ღამის კიროვის ბაღი იხატებოდა იქ, 12 საათსა და 30 წუთზე რომ უნდა შემწყდარიყო წესითა და კანონით ცხოვრება ბაღური. მეც კაცი ვარ, ანგარიში გამიწიეთო, თხოვდა ახალგაზრდებს მათივე თანატოლი მილიციელი.

– სირცხვილია, გვიანია, ნავიდეთ!

– წადით.

შეხსენება გახლდათ კანონისა და არა დროისა, რადგანაც მთავარი იყო არა დრო, არამედ კანონი, მუდამ და ყველგან რომ ახსენებდა თავს პოეტს. ლაპარაკით მიდიოდნენ და გასასვლელამდე სიარულს ანდომებდნენ: ზუსტად 30 წუთს.

30 წუთში ვფარავდით მანძილს სკამიდან კარამდეო, – პირად განცდებსაც რომ შეურევდა რეზო თანამოკალმის თხრობას, ერთს მისებურად ჩაიღიმებდა: გასახსენებლად შორია, სასიარულოდ მოკლეო.

იქ კი, მოთხრობაში:

რა ჩემი ბრალია, ძმაო, კანონი ასე მავალებსო, – თავს რომ იმართლებდა მილიციელი, ამუნათებდნენ:განა ყველაფერი უნდა გააკეთო, რასაც გავალებენო?..

რას წარმოადგენდა მაინც კანონი?

ბევრ რაიმეს, მათ შორის იმ კანონებსაც რომელთა დაცვაც ბაღში ევალებოდათ.

და – რეზოს დაკვირვებით – ასე გრძლად და არც მთლად შინაარსიანად გრძელდებოდა თხრობა, ყველაფერი მარტივი რომ გახლდათ, ნათელი და გასაგები, რადგანაც ერთი სახელმწიფოს წარმოადგენდა და მეორე – მოქალაქეს სახელმწიფოსი, მაგრამ ამდენი რა საჭირო იყო – ისიც იმ სიცხეში, სიზმრის „პაპანაქებაში“.

ქუჩა უეცრად აივსებოდა ხალხით, სახლებიდან ქუჩაში რომ გამორბოდნენ. ქალაქს მოედებოდა მილიცია. იქროლებდნენ სახანძრო მანქანები.

იკივლებდნენ სირენები შემზარავი საამო ხმით. მილიციები, ქალაქში მორბენალნი, რევოლვერებს დაუმიზნებდნენ მზეს და იყვირებდნენ და იყვირებდნენ:

– შეჩერდი, მზეო, გესვრით!..

მეორე დღეს პოეტს მილიციის განყოფილებაში უნდა გამოღვიძებოდა. მილიცია რეალობა იქნებოდა. პოეტის წარმოსახვაში: სულაც კეთილი. და პოეტი და მილიციელი რომ დაძმაკაცდებოდნენ, ბოლოს მაინც უნდა ამოტივტივებულიყო საბედისწერო შეკითხვა, რომლის გადავადების ან სულაც გადავიწყებისათვის ეფერებოდა, ლამის ელაქუცებოდა პოეტი-მოქალაქე მილიციელს:

– ბოდიში, მაგრამ სად მუშაობთ თქვენ?

და მკითხველი უთანაგრძნობდა პოეტს: ძნელია ამ თავაზიან, თუმც ფრიად უტაქტო და უსიამო შეკითხვაზე პასუხის გაცემაო.

მისი გარდაცვალებიდან ბევრი წლის შემდეგ მელიქიშვილის ქუჩაზე მრავალბინიანი ძველი სახლის კედელზე გააკრავდნენ დაფას წარწერით: აქ ცხოვრობდა ცნობილი პოეტი შოთა ჩანტლაძეო, – სულაც არ გახლდათ ცნობილი და ამ დამამცირებელი „ცნობილის" მიმართ იქვე გაამჟღავნებდა რეზო ჭეიშვილი უარყოფით დამოკიდებულებას, სხვებსაც მიიმხრობდა და წარწერა – სულ მალეო, ვერ იტყოდი, მაგრამ – შეცვლით შეიცვლებოდა. და დარჩებოდა მტვრიანი, თუმც სავსებით უპრიანი: აქ ცხოვრობდა პოეტიო. ყოველგვარი ზედმეტობის, ყოველგვარი ეპითეტის გარეშე.

პირველ და „ცნობილ" დაფას საჯარო გახსნის პატივი ერგებოდა. მცირერიცხოვანი მიტინგი გაიმართებოდა ჭუჭყიან ტროტუარზე, მტვერში, ბულში, ხვატში, ხმაურში. ადგილობრივ მცხოვრებთ თავყრილობა გააოცებდათ და არა დაფა. იტყოდნენ სიტყვებს ხმაურში, ერთი, საკუთარი ხმაც რომ არ ესმოდა, ვრცლად, თუმც უპერსპექტივოდა ილაპარაკებდა პოეტის უკვდავებაზე, იძაგძაგებდნენ შუქნიშანთან გაბოლილი ავტობუსები, აღარ იხრჭიალებდა არც უსახელურო და არც სახელურიანი ტრამვაი, რომელსაც დაფა-პოეტი მოსაწყენ თეთრ ბალადას მიუძღვნიდა, მაგრამ ხმაური კი იდგებოდა, კაი ხმაური!..

ჭეიშვილური სურათი იხატებოდა, ტრაგიკომიკურობით აღბეჭდილი, დეტალიზებისა და ნატურალიზების გამოისობით დროის უკუღმართ მაჯისცემასაც რომ აირეკლავდა, და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს „რასემონისა" თუ „გუია ა.-ს" ფრაგმენტს ეცნობოდეთ, შემთხვევით გამორჩენილსა თუ უნებლიეთ გადახაზულს.

და დაე შეგვეტყო ისიც:

მომავლის იმედზე დარჩენილს შეწყვეტილი რომ ექნებოდა ლექსების წერა გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე. – მე პოეზია ამოსუნთქვით წელში გავტეხეო, – რომ აღენიშნა, რეზოს ვარაუდით: საკუთარ პოეზიაზე ეთქვა და ერთ-ერთი ბოლო ლექსი მართლა გაეტეხა, უფრო სწორად – გაეწყვიტა მრავალწერტილებით: იწყებოდა გენერლით, მთავრდებოდა პატარაიათი და წერტილებში იკარგებოდა კვლავ გენერალი, რომელიც საკუთარი

ქალაქიდან გასახლებას „პირდებოდა“: ლირიკულ გმირსაც და ამ გმირის ალტერ ეგოსაც.

ერთ კერძო წერილში დაწერდა შოთა:

– ვეძებ მათში საკუთარი თავის ნასახს...

და მართლაც ეძებდა თუ საკუთარი თავის „ნასახს“ არა, რაღაც იმდაგვარს სხვაში. ეს ადრეც ექნებოდა შემჩნეული რეზოს და ეს ფრაზა, მოგვიანებით რომ ამოიკითხავდა სხვისი სამზეურიდან, სერიოზულად ჩააფიქრებდა.

რას ეძებდა და ვისში?

აგონდებოდა რეზოს ერთი ახალგაზრდა მხატვარი – ვინაობას არ გაგვიმხელდა – შოთა გენიოსს რომ უწოდებდა ღიმილით და ხშირად სავსებით სერიოზულადაც.

საკუთარი თავის ანარეკლს პოულობდა თუ არა მასში?

ამის თქმა გაუძნელდებოდა რეზოს, მაგრამ უმწიფარი ხელოვანის მასწავლებლობა რომ სურდა, ეს კი თვალნათლივი იქნებოდა ყველასათვის. ეიმედებოდა და ქებას ამიტომაც არ დაიშურებდა. იმ ყმაწვილთან სხვანაირი ჩანდა – ასეთ სერიოზულობას სხვების გვერდით არ იჩენდა.

ეს პასაჟი განსაკუთრებით საგულისხმო იმიტომაც არის, რომ:

თავდაპირველად რაღაც ამდაგვარი დამოკიდებულება – საკუთარი თავის აღმოჩენისა სხვაში – ექნებოდა თითქოს რეზო ჭეიშვილისადმიც, რაღაც მომენტში იწამებდა და... იმედიც გაუცრუვდებოდა. მისი გზაზე დაყენების ინტერესი გაუძნელდებოდა სულ მალე. კინოსტუდია დააშორებდა რეზოს შოთასაც და შოთას ანტურაჟსაც, თუმც შოთაც შეიცვლიდა თაობას და ახლა უფრო ახალგაზრდები იტრიალებდნენ მის ორბიტაზე – რეზოსა და რეზოსნაირებზე ურჩი და ძნელადაღსაზრდელები. უფრო ჭეიშვილური იქნებოდა: ძნელადაღსაზრდელი აღსაზრდელები, მექანიკურად „ახალგაზრდებს“ რომ გაიმეორებდა. მითუმეტეს, რომ: ისინი უკვე ერთმანეთს ასწავლიდნენ და ერთმანეთისაგან არას სწავლობდნენ. ამ ერთი ტევადი ფრაზით მოხაზავდა (ჟარგონულად რომ ითქვას: მოუხაზავდა კიდეც) იმ გუნდის ფსიქოლოგიურ პროფილს. და სწორედ ერთი იმათგანი, უფრო სწორად – ერთი იმათგარეძმათაგანი შეატყობინებდა შოთას ავადმყოფობის ამბავს.

– მძიმედაა, ჩვენ სულ იქა ვართ. ძველი, ახალი და უახლესი ძმაკაცები იმ ტრიალებენ.

წავიდოდა როგორც ჩანს უდროო დროს, შუადღით და გარეთავმდგმურთ ველარ გადააწყდებოდა. ერთი პალატის მაღალ, მძიმე კარზე მიუთითებდნენ: იქ არისო. ოღონდ გააფრთხილებდნენ: არ შეხვიდეო. უჩვეულო სითეთრე და სიმშვიდე სუფევდა ირგვლივ და მიხვდებოდა: მართლაც არ შეიძლებოდა სითეთრეში შესვლა... და კიდეც გამოვიდოდა თვალებგაშტერებული და გადაფითრებული დედა, ფრთხილად, უხმოდ რომ ჩამოიხოკავდა ორივე ლოყას, შემოხედავდა, მაგრამ ეს ვერ მიხვდებოდა: იცნობდა თუ არა. და დაიდასტურებდა: გაუხარელი, უშვილძიროდ გადაგებული მოსწრება შვილი რომ უკვდებოდა.

დედას ღამენათევი პოეტი გამოჰყვებოდა წითელ, გრძელ კაბაზე მოცმული ნათხოვარი მოკლე ხალათით. კარს ნელა, საიმედოდ მიხურავდა, ოღონდ არა იმიტომ, რომ რეზოს დაინახავდა:

– წარმოგიდგენია? – შეჩერდებოდა, – შოთას მარტოობის დიდი კულტურა აღმოაჩნდა.

ვინაობა არც ამჯერადაა გამჟღავნებული, თუმც დიდი რამ მიხვედრა არ ესაჭიროება: ღამისთევა და წითელი კაბა – ერთიმეორისათვის სრულიად შეუფერებელი – და კიდევ ის თეატრალიზებული ფრაზა, რომელიც წინასწარვე ექნებოდა მოფიქრებული და ხელსაყრელ დროს ელოდა მის წარმოსათქმელად, ძალდაუტანებლად წამოატივტივებს ჩვენს ცნობიერებაში იზა ორჯონიკიძის კოლორიტულ სახებას.

მარტოობის დიდი კულტურა აღმოაჩნდაო...

ამ აღმოჩენით დაბნეულს დატოვებდა რეზოს, შებრუნდებოდა და იმჯერზე კარი ღრიჭოდ დარჩებოდა.

„იმიტომ არა, რომ კარგაღმა დამიგულა...“

შოთა რას დაელუპა და, რეზოს შეტყობით:

საკუთარი სხეულის უპატივცემულობას. სხვის ბინაში დაემალებოდა სიკვდილს, რომელსაც იმნაირად, ყოველ შემთხვევაში გახეთქილი ბრმა ნაწლავზე სათბურდადებულნი არასოდეს დამალვიან.

მეორე დილითვე დარეკავდნენ სამსახურში: გარდაიცვალაო.

– ვა! – იტყოდა ყურზე ყურმილმიდებული რეზო ჭეიშვილი; სიკვდილი მაინც მოულოდნელი აღმოჩნდებოდა მისთვისაც.

– მოკვდა შოთა, კაცო? – იკითხავდა რევაზ ინანიშვილი.

ფეხით წავიდოდნენ, გადაივლიდა ეს ორი რეზო „პლეხანოვს“ და მივიდოდნენ...

აღარავინ დაუხვდებოდათ მიცვალებულის მეტი.

იმათ, რომელნიც აქტიური ჭირისუფლები უნდა გამხდარიყვნენ იმ დილიდან, უკვე მოესწროთ გამოთხოვება ცხედართან. თვალების დახუჭვა, ფეხების გასწორება... ერთს – გულისწასვლის ინსცენირებაც. და არც ეს უნდა იყოს ძნელი მისახვედრი: იმ ღამენათევ წითელკაბიანს.

ხელმეორედ დაიწყებდნენ შეგროვებას დილაგადასულზე. თალხი დღე იდგებოდა. მოდიოდნენ, დგებოდნენ. და ცალ-ცალკე რომ ხვდებოდნენ ერთმანეთს ადრე, ერთად შეგროვდებოდნენ ამჟამად. და ერთმანეთი გაუკვირდებოდა:

– ეს კაცი მე, ლიჩნად, შოთასთან სხვა დრო არ მინახავს!..

მაინც იდგებოდნენ.

გრძნობდა რეზო მანამდეც რაღაც ამდაგვარს, იგრძნობდა კიდევ უფრო მკვეთრად იმ წუთებში, მოგვიანებით კი ღრმა ფსიქოლოგიური დაკვირვების ბრძმედში გამოატარებდა და ივარაუდებდა თუ განჭვრეტდა, რომ:

შოთა ჩანტლაძეს სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე განეცადა თავმოყვარეობის ნაწილობრივი დევალვაცია, მიხვდებოდა „მის ფეხთით“ აღარავინ „დაეცემოდა“ და... კიდეც მოეშვებოდა; სახელი შემოქმედებას

აჯობებდა მისას! და ეს დააბნევდა; მოგონილ ამბიციას, შესაძლებლობათა გაზვიადებას, საკუთარი პერსონის სიდიადის მისტიფიკაციას ყოველდღიურობა, არსებობისათვის ზრუნვა შეჭამდა და...

ითხოვდა რეზო ჭეიშვილი იმის სულის ტალანებში ჩასახედად: წაგვეკითხა „სქოლიო“ – შოთა ჩანტლაძის საუკეთესო პროზა.

ითხოვდა განმეორებითაც.

ბოლომდე გულწრფელი გახლდათ თუ არა შოთა, მის უმცროს თანამოკალმეს გაუძნელდებოდა ამის გარკვევაც და ახსნაც, მაგრამ ამ მინიატურის მთავარ გმირს კი მოსწონდა სქოლიოც და სქოლიოში ყოფნაც, სადაც სუფევდა სიმყუდროვე და მარტოობა, და ყოველივე განმსჭვალულიყო არაჩვეულებრივობით.

ჩვეულებრივობის პერსპექტივას გაენადგურებინა იგი და... კიდეც ჩავიდოდა ქვევით, სულ ქვევით, სივიწროვესა და მარტოობაში.

– ახ, რა კარგია სქოლიო! ზევით სიბრძნე და სიმძიმე, ზევით შფოთი მრავალმნიშვნელოვანი. ხოლო სქოლიოში სითბო და სიმყუდროვე, როგორც სამარეში, და ოდნავი შიში, ვაითუ ჩამოინგრეს სქოლიოს ჭერი და თავზე დაგაწვეს ცოცხალი და შფოთიანი ამბები, რომელიც სქოლიოში მყოფს არაფრად მიგაჩნია.

და კიდევ ერთხელ ითხოვდა: წაგვეკითხა სქოლიო – ამჯერად წინწკლების შეუმოსავად დაწერდა ამ სიტყვას რეზო და... განა სულერთი არ იყო? გინდ წინწკლებით და გინდ უწინწკლებოდ...

პანაშვიდებზე ჭედვა იქნებოდა, ხალხით გადაივსებოდა ძველი სადარბაზო, კიბეწვრილის ხვეულები, სახლის შესასვლელ-გამოსასვლელები.

გვიანობამდე დარჩებოდნენ შოთას ხანმოკლე ეფემერის რამდენიმე თაობის პერსონაჟები – ფილოსოფიური გამომეტყველებით იდგებოდნენ ისინი, რომელთაც მომავალი საქართველოს ისტორიაზე, ერის სულიერებაზე უნდა ეზრუნათ.

პროცესიის კავალკადა გაიჭიმებოდა ვაკეში უნივერსიტეტის კედლებთან. პოეტი გაჰყავდათ. კუბო მიცურავდა შორს, კვამლისფერ სივრცეში. მჩატედ წაიღებდნენ მძიმედ სატარებელს. და უახლოესთ ერთგვარი სინანულით, თუმც უკვე თამამად შეეძლებოდათ ეთქვათ:

– შე კაი კაცო, ლექსების წერას რომ გადაგაჩვიეთ, მაშინ მოკვდი!

ბოლო მონაკვეთი ლიტერატურული პორტრეტისა და ფინალი ხომ მთლად ნოველისა იქნებოდა, ვრცელი კრიტიკულ-ანალიტიკური ექსპოზიცია რომ არა და ცოტა სხვაგვარი მდინარება – „რასემონისა“ და „გუია ა.-ს“ რიგში ჩადგებოდა ისიც, სათაურს ძებნა რომ არც დასჭირდებოდა: „ხანმოკლე ეფემერა“.

კი მაგრამ... ეფემერას რაღა ეპითეტი ესაჭიროება – ის ხომ ისედაც ხანმოკლეს ნიშნავს? მოჩვენების გადაელევებას.

მაშ რა გამოდის: ხანმოკლე ხანმოკლეობა?

ჯერ ხანმოკლეობა რაღაა და... ისიც კიდევ უფრო გახანმოკლებული!..

რაღა შეიძლება დარჩეს?

ეგაა სწორედ, რომ: აღარც არაფერი.

ის კი არა, სხვას ეგებ მეტიც მოენდომებინა და სახელწოდებად ეს ემჯობინებინა: „ხანმოკლე, ხანმოკლე ეფემერა“.

უკეთესიაო, შემოგვესმოდა დასტური სქოლიოდან, მანამდე სამარეს რომ უწოდებდნენ.

იკმარებდა ლიტერატურულ პორტრეტად, ხელს აიღებდა თითქმის გამზადებულ ნოველაზე და შოთა ჩანტლაძეს ერთხელ გაპერსონაჟების ამარა დატოვებდა.

თუმც პერსონაჟიც არის პერსონაჟიც.

„დალი“ და: გადიმიტრებული შოთას გარეშე?

მართალია გარეთა ფონს უფრო ქმნიდა, მაგრამ თავით ბოლომდე გამოსდევდა თხრობას და თუ რაიმე ჰქონდა სათქმელ-გასამხელი მკითხველისათვის რეზო ჭეიშვილს, დიმიტრის ათქმევინებდა.

– წამოდი, დიმიტრი გაგაცნობ, – ეტყოდა კიმოთე-კიმი ელგუჯას, რომელიც იმ წუთას შინ წასვლას აპირებდა და გადაწყვეტილი ჰქონდა, აღარსად შეჩერებულიყო.

„ვინ არის ნეტა დიმიტრი?“ – უნდა გაეფიქრა ელგუჯას და ეს განაფიქრია, მკითხველის ცნობისწადილს რომ გააღვივებდა, მთლად უბრალო პერსონაჟი არ უნდა იყოსო.

ჩრდილში მარტოდმარტო იჯდებოდა ვიღაც გამხდარი კაცი, რომელიც ელგუჯას შორიდან ყმაწვილი უნდა ჰგონებოდა. ხნოვანებასა და სიდარბაისლეს უცნობს მართლაც ვერ მიაწერდით, მაგრამ სკოლის მოწაფესაც ვერ მიამსგავსებდით, თუმც ბიჭურად შეკრეჭილი თმა და იერი ადვილად შეგაცდენდათ, მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტი კარგა ხნის დამთავრებული ექნებოდა.

დიდხანს რომ უბერავდა დიმიტრი გადაყვითლებულ თითებს სულს, რას იშორებდა, ელგუჯას ვერაფრით ვერ უნდა გაეგო. მერე კი იმას მოულოდნელად უნდა ეკითხა:

– ეს კაცი ლექსებს წერს?

– რაზე ატყობ? – გაიცინებდა კიმოთე-კიმი.

დიმიტრის შარვალზე უნდა ჩამოესვა ხელი, გულდაგულ მოეშორებინა რაღაც ნამცეცები და კვლავ ელგუჯასაკენ აეხედა:

– არ ეტყობა, საწყალი... ნახე როგორ გაწითლდა, ეს რა იქნება, არავინ არ იცის. უკვდავებას მოიპოვებს, როგორც არაფერი!..

ელგუჯა აილეწებოდა. ხანდახან მართლაც წერდა ლექსებს და საიმედოდ ინახავდა. ლექსები მანდიკორში ექნებოდა გადამალული და... გულზე მოეშვებოდა, როცა მიხვდებოდა, რომ მისი პოეტობის ამბავს ნახევარი თბილისიც ვერ გაიგებდა.

ამ პასაჟში პირდაპირ გადავიდოდა ყოფითი რეალობიდან შოთას გაცნობის ეპიზოდი, ის უნებლიეთ წინასწარმეტყველურ სიტყვებს რომ წარმოთქვამდა: უკვდავებას მოიპოვებს, როგორც არაფერიო, – თუმც იმჟამად რეზო მხოლოდ ლექსებს წერდა და საიმედოდაც ექნებოდა გადამალული...

და არამცთუ არ გამოაჩენდა, დავიწყებითაც დაივიწყებდა, ოდესღაც პოეტობაზე თუ ოცნებობდა.

ეს სიტყვა ექნებოდათ აჩემებული დიმიტრისაც და მის პროტოტიპსაც, ეს მიმართვა: უკვდავო!.. – ირონიით გაჟღენთილიც და... რაღაცის მიმანიშნებელიც იმავდროულად, ან რაღა „რაღაცის", გაგრძნობინებდა და ჩაგაგონებდა: აგერ ვარ უკვდავი და არაფერი შეგეშალოთო...

ლექსებს რომ არა ბეჭდავდა, ამითაც იდუმალების შარავანდში ეხვეოდა და მაღლდებოდა ერთხანს დამწყებ პოეტ-პროზაიკოსთა თვალში, მართლაც უჩვეულოდ რომ გამოიყურებოდა საერთო ფონზე ეს დაუბეჭდაობა... აჯერებდათ და ვერ აჯერებდათ, თავზე ახვევდათ და ვერ ახვევდათ, თუმც თავისთვის კი დაეგულებინა გენიოსობასა და უკვდავებაზე ოცნება თავშესაფრად და სულის მოსათქმელად, ვიდრე სამუდამო სითბოსა და სიმყუდროვეს ჰპოვებდა სქოლიოში.

– უკვდავო! – ეს მიმართვა გადასდევდა „დალის" სიუჟეტის მდინარებასაც, უამსიტყვოდა დიმიტრი უკვე არსად რომ აღარ გამოანათებდა, რაკიღა: გინდ აღარც ეთქვა, მკითხველი ძალაუნებურად მიადევნებდა თვითონვე.

დიმიტრი იმით გამოირჩეოდა, რომ ბევრად უმცროსებთანაც ახერხებდა მეგობრობას.

როგორც ოსტატი შეგირდებს, ისე თანდათან ჰკარგავდა ძველ ამხანაგებს. ხანი რომ გადიოდა, მეგობრებს თავთავისი გზა უჩნდებოდათ, დიმიტრი კი კვლავ დიმიტრიდ უნდა დარჩენილიყო:

კატეგორიულად უარეყო თანამდებობა, საყოველთაოდ გავრცელებული აზრები და შეხედულებანი, კარიერა, ფუჭი სახელი და ფული, რომელიც არც არასოდეს აწუხებდა.

არაფრის დათმობას არ აპირებდა და თავიც ამით მოჰქონდა.

სინამდვილეში სიკეთით, კაიკაცობით უფრო ინადირებდა სხვების გულს, ვიდრე საკუთარი ფილოსოფიით.

მერე მის ოთახშიც უნდა მოხვედრილიყო ელგუჯა, თენგიზი რომ შესთავაზებდა, მუსიკის მოსასმენად დიმიტრისთან ასულიყვნენ. მასპინძელი არ აღმოჩნდებოდა უცხვირპირო და უკარება, თუმც ერთი შეხედვით შესაძლოა უარესიც გგონებოდა.

იქაურობა ფირფიტებითა და დახვეული ფირებით იქნებოდა გადავსებული. დიმიტრის უმდიდრესი მუსიკალური ჩანაწერები მოეპოვებოდა, მთელი ხელფასის ნახევარს ამ საქმეს რომ ახმარდა და არც ნანობდა. კლასიკური და ულტრათანამედროვე მუსიკით გატაცებულიყო და მხოლოდ რჩეული მუსიკოსები ახერხებდნენ ამ ოთახში მოხვედრას. ბევრი აღიარებული ავტორიტეტი, განსაკუთრებით ქართველი კომპოზიტორები და, აქვე შეიძლება თქმულიყო, მწერლებიც, დიმიტრის სიცილის გუნებაზე აყენებდა. ქართული ხალხური სიმღერების გარდა არაფერი მშობლიური არა სწამდა, ამ სიმღერებს კი თავს ევლებოდა, ახარისხებდა, ადარებდა ერთმანეთს, რაღაც ნიშნების კვალობაზე ყოფდა და ამრავლებდა. თვითონ კი

ამ მხრივ ბედს დაეჩაგრა. სმენა ჰქონდა თუ არა, ძნელად დაადგენდი, მაგრამ სიმღერა აშკარად არ ეცოდინებოდა.

იმჟამად ფიხტეს ერთ-ერთ ნაკლებადცნობილ შრომას, რომელსაც მუსიკასთან არაფერი გააჩნდა საერთო, თარგმნიდა, კომენტარებს ურთავდა და ამ საქმიანობით იქნებოდა გატაცებული.

და ლაპარაკ-ლაპარაკში ესეც უნდა ეთქვა ელგუჯასათვის:

– რა ხართ ეს მანდიკორელები, უნდა დაგვიპყროთ ხომ? რა კარგები ხართ!.. შენ პირველი კაცი გახდები ხუთ წელიწადში, დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა!

უნდა დაგვიპყროთ ხომ?

ამ ფრაზას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა ოტია პაჭკორია და „დალის“ მხატვრულ-იდეური მრწამსის გახსნასაც აქედან შეეცდებოდა, დიმიტრის ერთ-ერთ საინტერესო პერსონაჟად რომ მოიხსენიებდა, ჩვეული ირონიითა და მიხვედრით რომ უნდა გაემჟღავნებინა რომანისტის ჩანაფიქრი.

ვინ იცის რამდენი ჭაბუკი ჩამოსულიყო მანდიკორიდან, აიადან, საკალანდარიოდან, საბალახოდან (რეზო ჭეიშვილის გმირებს ნოდარ წულეისკირისა და ვოვა სიხარულიძის პერსონაჟებსაც დაუსართავდა მეტი განზოგადებისათვის)... ქალაქი ჯერ გამოცანად მოსჩვენებოდა, შემკრთალი შეჩერებულიყო მის ბჭესთან. შემდეგ კი ჩამოყოლილი რიდი და მოკრძალება შეცვლოდა უნდობლობითა და ანგარიშგების სურვილით. ყოველ მათგანში მეტ-ნაკლებად იცოცხლებდა „დამპყრობლის“ ინსტინქტი და... სწორედ აქ უნდა გვეძია თავიდათავი მიზეზი.

ვინ იყო თბილის-ქალაქის დამპყრობელი?

და რეზო ჭეიშვილი თვითონვე რომ გამოჰყოფდა ამ პრობლემას, აგერ დიმიტრი უნდა ეთქვა ის ღრმააზროვანი სიტყვები:

– უნდა დაგვიპყროთ ხომ?

რაკიღა მას შეიძლება სცოდნოდა, რატომ იცვლებოდა მისი ქალაქის იერი, რისთვის ჩამოდიოდნენ ეს მოკრძალებული „დამპყრობლები“ და რა ედოთ გულში.

და გააგრძელებდა დიმიტრის სიტყვებს კრიტიკოსი და თავის მხრივაც ჩაუკვირდებოდა და ჩაუფიქრდებოდა: საიდან ჩნდებოდა სილამაზის ფლობის ეს დაუოკებელი ჟინი, რატომ ეძალებოდა მეშჩანური, არაპოეტური, უბირი იმ სამყაროს, რომელსაც „ტროლის სარკეში“ ხედავდნენ?!. რატომ იჭრებოდა ყოველდღიურობაში რაღაც გარდუვლად საბედისწერო და უკავშირდებოდა სწორედ მას, ვისაც იგივე დიმიტრი ირონიული ღიმილით უთვალთვალებდა და უწინასწარმეტყველებდა, რომ: ხუთი წლის შემდგომ პირველი კაცი გახდებოდა?!.

ასე უნდა გამოკვეთილიყო ბალზაკური პრობლემა ქართულ-თბილისურ სინამდვილეში და ელგუჯა ვაშაძეც – ნოდარ გერაძისა არ იყოს – ვოტრენული და რასტინიაკური ყაიდის პერსონაჟთა მწკრივში მოხვედრილიყო. ეს მინიშნება უნდა გაძლიერებულიყო „ადამიანური კომედიის“ შემოქმედის თითქოსდა სასხვათაშორისო, არადა ღრმააზროვანი ხსენებით, დაბალი ტა-

ნის, სხარტი ლექტორი საქმიანად რომ დადგებოდა კათედრაზე და არეულ-დარეულ აუდიტორიას მდუმარედ გადაავლებდა თვალს და, სიწყნარე რომ ჩამოდგებოდა, მაშინღა განაცხადებდა გარკვევით:

– დღეს ჩვენ გადავდივართ დიდი ფრანგი მწერლის ბალზაკის შემოქმედებაზე და წინასწარ შევთანხმდეთ, რომ ონორე დე ბალზაკი ნიჭიერი კაცი იყო.

და ის ფილოსოფიური ფორმულაც დიმიტრიმ უნდა წარმოთქვას, ამ რომანში ერთი-ორ ელემენტად რომ გაიბნეოდა, მაგრამ დადგებოდა დრო, როდესაც რეზო ჭეიშვილის ბელეტრისტული ძიებანი და მხატვრული სივრცე ერთიანად ამ მრწამსს დაეყრდნობოდა:

– ყველაფერი სისულელეა, ყველაფერი სულელური ხუმრობაა და მეტი არაფერი...

ესეც ის აბსურდული რეალობა, რომელი განზომილების სრულყოფილი და შთამბეჭდავი გამოხატვითაც ამხელა სულიერი მონაპოვარი უნდა დაეტოვებინა შთამომავლობისათვის რეზო ჭეიშვილს.

– შენი ანდაზები წავიკითხე ჟურნალში! – დაუძახებდა შერმადინი, – კი მაგრამ, რა გეანდაზება?..

– ჯერ ერთი, ანდაზები არ იყო ის...

– აბა რა იყო, სიბრძნე-სიცრუისა?

– მახვილგონივრული თქმები, – თვითონვე უნდა გასცინებოდა დიმიტრის.

ყოფით სინამდვილეში „ნიანგის“ ფურცლებზე დაბეჭდილი შოთა ჩანტლაძის ნაკვესები იგულისხმებოდა.

დიმიტრი ინტენსიურად ჩაუჯდებოდა მუშაობას, ღამეებს გაათენებდა და ფიხტეს, შელინგს, ბერკლის, იუმს, რატომღაც ბოგდანოვსა და ფროიდს, რომლისაც არაფერი სწამდა, ერთმანეთს შეუდარებდა, ერთი საერთო მარცვალი ექნებოდა ნაპოვნი. მართალია ბუნდოვან, მაგრამ – მისი ფიქრით – ლოგიკურ დასკვნამდე მისულიყო და ახლა ისღა დარჩენოდა, ყველაფრისათვის თავი მოეყარა და გაეანალიზებინა.

ამ ინტერესებითა და ფიქრებით მოცული დიმიტრისათვის ბაღში ასეთი სცენა უნდა მოეწყოთ, ვირზე შეესვათ და სქელი ქამრით მისთვის ფეხები გაეკრათ ვირის მუცლის ქვეშ. მერე ისე მოხდებოდა, რომ ვირს წიხლს ჰკრავდნენ. ცხოველი დაფეთდებოდა და ტლინკებს აჰყრიდა. შეშინებული დიმიტრი სახედარს კისერზე შემოეხვეოდა. ბიჭები ვირს ეცემოდნენ, მაგრამ პირუტყვი მთლად გადაირეოდა. შეიქნებოდა სიცილ-ხარხარი... როდის-როდის ჩამოსვამდნენ დიმიტრის ვირიდან. სეირის მაყურებლები ახლა ჩუმჩუმად იცინებდნენ, დაგვიანებით მოსულნი კი ერთმანეთს დაუწყებდნენ გამოკითხვას: რა მოხდაო?.. რაკიღა ჰაერი კვლავაც მხიარულებით იქნებოდა დამუხტული.

დიმიტრი ასე სასტიკად არასოდეს გაბრაზებულიყო. ასეთი შეურაცხყოფაც არავის მიეყენებინა მისთვის. აღარც ეცოდინებოდა, რა ეღონა, თავი როგორ დაეჭირა ნასიამოვნები ხალხის წინაშე. წასვლაც არ ენდომებოდა, იჯდებოდა და თუთუნს გააბოლებდა, თითქოს უდარდელადაც იმზირებოდა, მაგრამ ვის რა ეცოდინებოდა, გულს რა დარდი ექნებოდა შემოწოლილი.

ყველაფერი ამაოებათა ამაოება გახლდათ; ადამიანის სიცოცხლეც მართლაც სულელურ ხუმრობას ჰგავდა და მეტს არაფერს.

ვირზე შესმას რომ ვერ მოინელებდა, ვერის ბაღში სიარულსაც მოერიდებოდა. საერთოდაც ძალიან მოტყდებოდა, ძველებურად აღარაფერი გაახალისებდა და ცოლის შერთვაზე დაიწყებდა ლაპარაკს. სწორედ იმ ამხედრების დღიდან უნდა დაწყებულიყო მისი ცხოვრების ახალი ეტაპი, ბუნებრივი შერჩევისა და გამრავლების უტყუარ იდეამდე რომ უნდა მიეყვანა.

დავით წერედიანის ჩანაწერების ციკლში „თემა და ვარიაციები“ რამდენიმე ვარიაცია მიეძღვნებოდა შოთა ჩანტლაძეს, რომლის ლექსის გენიალობაშიც ეჭვს თუ შეიტანდი, მოკლე და ამომწურავ პასუხად მიიღებდი:

– რა გესმის, შე ბითურო!

და გენიოსობისათვის ტანჯვასაც მიიღებდა, ჯალათები ხეზე რომ ჩამოკიდებდნენ, მაგრამ მაინც ვერ გატეხდნენ, ვერ ათქმევინებდნენ, არა ვარ გენიოსიო.

– გენიოსი ვარ, მე თქვენი...

ჩანაწერების ავტორს ძალაუნებურად რომ წამოუტივტივდებოდა ამ სურათის კვალობაზე ზვიადაურისეული: ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადაო...

რა უნდა ექნათ – ფრთხილად ჩამოხსნიდნენ. მართალი ჯალათები ხომ არა ყოფილან, ჩვეულებრივი ბიჭები იყვნენ, ეგაა ცოტა გადაამლაშებდნენ.

მაინც შეურაცხყოფად მიიღებდა. პარკისაკენ, სადაც ეს ამბავი მოხდებოდა, პირს აღარც იზამდა აღარასოდეს.

ეს ყოფითი ეპიზოდი შეიმოსებოდა იმ საბურველით, „დალის“ ავტორი როგორც გადაასხვაფერებდა, ხელიდან კი არაფრისდიდებით არ გაუშვებდა. რომ არც მომხდარიყო, რაღაც ამდაგვარს თვითონ შეთხზავდა უსათუოდ დიმიტრის მრწამსისა და მტკიცების დასტურად და თვალსაჩინოებისათვის, ამაოებათა ამაოებას რომ არაფერი ეშველებოდა, და ადამიანის სიცოცხლეც სხვა არა იყო რა, თუ არა სულელური ხუმრობა.

განა სხვას რას ირწმუნებოდა უილიამ შექსპირი თუნდაც?

ანდა თუნდ უილიამ ფოლკნერი?

სულაც არ გაახარებდა მათთან უნებლიე გადაძახილი რეზო ჭეიშვილს, რაკიღა შექსპირს ტოლსტოის გადასახედიდან უმზერდა, ფოლკნერს კი – თავისი გადასახედიდან, ტოლსტოისაზე ნაკლებად რომ სრულებითაც არ მიიჩნევდა ამ სამზერს. და ავტორიტეტად არც ერთს აღიარებდა და არც მეორეს.

კუბო კი გაცურდებოდა შორს, კვამლისფერ სივრცეში.

მჩატედ წაიღებდნენ მძიმედ სატარებელს – და ასე გაიყვანდნენ სცენიდან – უფრო ზუსტად: ლიტერატურის კულისებიდან – პოეტს, რომელიც მაინცდამაინც მაშინ უნდა გარდაცვლილიყო, ლექსებს წერას რომ გადაეჩვეოდა!..

...რა უცნაურად გადმომხობოდა მაინც ეს კვამლისფერი ზეცა ქარში აცურებულ სასახლეს...

თავი მეხუთე

გზა ზიგზაგური ნოდარ დუმბაძისა

1980 წლის 26 იანვარს ნოდარ დუმბაძეს რომ ნახავდა, ძალიან მოტეხილი მოეჩვენებოდა და 28 იანვრის დღიურში გაკვირვებას გამოთქვამდა რეზო ჭეიშვილი:

50 წლის კაცი რატომ უნდა გამოიყურებოდეს ამნაირადო?!.

50 წელი პირობითად ითქმის, მაგრამ თუ მაინცდამაინც დაზუსტებას მოვინდომებთ: 52 წლისა იქნებოდა იმჟამად ნოდარ დუმბაძე. ასაკი ვერას დააკლებდა და ვერც მოტეხდა, მაგრამ გულის სნეულება კი სულ უფრო და უფრო მწარედ აღებეჭდებოდა სახეზე, საბოლოოდ კიდეც გული რომ იმსხვერპლებდა.

იყო დრო, როდესაც საკმაოდ ახლოს იქნებოდნენ ნოდარ დუმბაძე და რეზო ჭეიშვილი – სამსახური დააახლოებდათ: კინოსტუდია, დღედაღამ იქ რომ უწევდათ ყოფნა; და ამას გარდა სამსახურს გარეთაც ხშირად მოუწევდათ ერთად წასვლა-წამოსვლა – ჭირსა და ლხინში, და სხვადასხვა შეხვედრებზეც. ის კი არა, ნოდარი მანქანის მართვას რომ ისწავლიდა, სწავლის პროცესშიც დაჰყვებოდა რეზო და მერე ერთადაც იმგზავრებდნენ ხოლმე...

არსებითად იქიდან უნდა დაწყებულიყო ნოდარ დუმბაძის წინსვლა – წინსვლა სულაც ტრიუმფალური – კარიერულ კიბეზეც და ლიტერატურულ ასპარეზზეც, არც პოპულარობა და სახელი რომ არ დააკლდებოდა და არც პრემია-ჯილდოები.

აღტაცებული იქნებოდა ხალხი.

მოწყალებად დაიღვრებოდა მთავრობა.

რეზო ჭეიშვილი კი წლების განმავლობაში ვერა და ვერ მოიცილებდა ახალგაზრდა მწერლის სახელსა და ნიჭიერის ეპითეტს, ისე რომ გაღიზიანდებოდა ამ ეპითეტის გაუთავებელი ხსენებით, უკვე დამღასავითაც აღიქვამდა.

ნოდართან ურთიერთობა გაუიშვიათდებოდა, თუმც თუ ვინმე ადევნებდა თვალყურს, და აფასებდა რეზო ჭეიშვილის მხატვრულ ქმნილებებს, ერთ-ერთი ნოდარიც იქნებოდა, ხმა რომ მოსდიოდა დროდადრო რეზოს: აქ გაქო და იქ გაქოო.

და აი კარგა ხანია რომ არ ენახა, მითუფრო მძაფრად იმოქმედებდა მასზე ის შეხვედრა, დაბერებული რომ მოეჩვენებოდა, ასე ნაადრევად მოტეხილი.

ჯანმრთელობის განსახიერებად მიიჩნევდა ახალგაზრდობისას, გუნებაში შენატროდა კიდეც: რა იქნებოდა, მეც მქონოდა ამასავით რკინის სხეული და... უცრად ასე...

და მის ცხოვრებას რომ გახედავდა:

ტეხილებით, აღმა-დაღმა მიდიოდა, ადიოდა ზენიტზე და რაღაც ემართებოდა, ბედი და უბედობა არ ასვენებდა. მაინც იერარქიებზე, საფეხურებზე ფიქრობდა. არ ყოფილიყო მისი ცხოვრება მისი ბუნებრივი მდგომარეობა. სხვანაირად არ შეეძლო ეტყობა და... რეზო ჭეიშვილიც არაფერში ამტყუნებდა.

1981 წლის 27 დეკემბრის დღიურში უფრო გაშლიდა დახასიათებას და მინიშნებებსაც გახსნიდა, სილუეტის მოხაზვას ასე რომ დაიწყებდა: საინტერესოდ შემოვიდოდა მწერლობაში, მოვიდა და მოიტანა ახალი, სუფთა, მართალი და სადა. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს" ვგულისხმობ უპირველესად. მოუწონეს, სამაგიეროდ დამსახურებისდამიხედვით, ზომიერად მიუზღესო.

შემდეგ რაღა მოხდებოდა?

აღებულ კურსს, ნაცად, გამართლებულ გზას გაჰყვებოდა თითქოს, ეს – ერთი შეხედვით, სინამდვილეში კი საწინააღმდეგო გზით წავიდოდა.

მიზნად დაისახავდა: ეამებინა ხალხისთვისაც, მთავრობისთვისაც, ქურდებისთვისაც და მილიციელებისთვისაც.

მთავრობას კბენდა და ხალხს აცინებდა, მაგრამ მისი კბენა ღიტინს ჰგავდა და მთავრობაც იფხრიწებოდა.

ანუ: ხალხზე, მთავრობაზე, ქურდებსა და მილიციელებზე აეღო გეზი. რაც უნდა პარადოქსულად მოგჩვენებოდა, ფაქტი ფაქტად რჩებოდა.

ესეც არაფერი. მთავარი და უცნაური ის გახლდათ, რომ:

მიზანს კიდეც მიაღწევდა და სამუდამოდაც მოინადირებდა ხალხის, მკითხველის, მთავრობისა და ადმინისტრაციული მუშაკების (ჯარებსაც გადაწვდებოდა) გულს.

სიცოცხლეშივე ცხონდებოდა.

ეთქვა და ამბობდა კიდეც:

– პირველმა მე მოვახერხე რელიგიისა და პარტიულობის შერწყმა.

და თავს ვერ შეიკავებდა ირონიული ჩაკვრისაგან რეზო:

ისევე სჯერა ალბათ რელიგიის, როგორც საიქიოსი და კომუნიზმისაო.

1982 წლის 18 მარტს ჩაინიშნავდა, ნოდარ დუმბაძე რომ მოენახულებინა წინა დღეს „ლეჩკომბინატში". მთელი აპარტამენტი ეჭირებოდა მეორე სართულზე. პოლიტბიუროც სტუმრებოდა თურმე და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეც მოსულიყო მის მოსანახულებლად.

1983 წლის 16 მარტს მწერალთა კავშირს რომ მიაკითხავდა, ნოდარი კარგად დაუხვდებოდა.

10 ივლისს სახელდახელოდ ჩაინიშნავდა, რომ:

ახლა ანზორ სალუქვაძესთან უნდა გაეარა, რათა ნოდარს სტუმრებოდნენ საგურამოში.

17 ივლისს ნოდარის მონახულების შთაბეჭდილებებს გაიხსენებდა.

იქ დახვდებოდათ ირაკლი აბაშიძე ვიღაც სომეხ მწერალთან – სუფთა სომეხს რომ არა ჰგავდა – ერთად. როდესაც ირაკლი გაიგებდა – საკმაოდ მოგვიანებით – რეზო ჭეიშვილის ვინაობას, ძალიან მოეფერებოდა. ეს მოხდებოდა მეორედ. პირველი შეხვედრა აღარც ახსოვდა თურმე. ბოლოს ეტყოდა:

– ერთი ქუთაისში წამიყვანე.

და ამას გუნებაში გაელიმებოდა: ვითომ წამყვანი აკლდეს ან ჭირდებოდესო.

ნოდარი ვერ იქნებოდა კარგად. იქაც ცხელოდა და იქაც უჭირდა გაძლება, როგორც ეტყობოდა. რეზოზე იტყოდა:

– რამდენი ვინმე გადავიკიდე ამის გულისათვის.

– რატომ? – იკითხავდა ირაკლი.

– მიყვარს და: რატომ გიყვარსო.

სინამდვილეში რამდენჯერმე ეხსენებინა კარგად და ამაზე ესაყვედურათ – რეზომდეც მოსულიყო ხმა – ზოგიერთებს, მიუხედავად იმისა, რომ: რეზოს სიყვარულითა – სხვებისა არ იყოს – და ქებით მაინცდამაინც არასოდეს იკლავდა თავს.

ნოდარი მართლა ცუდად იყო, რეზო კი ძალად იხდიდა თავს ცუდად. ეს დღეები ეგდო შინ და სულს ღაფავდა ამ სიცხეში. აქამდე დღიურის გადაშლის თავი და ხალისიც არ ექნებოდა. ნაკვეთში ავიდოდა ოთხშაბათს, მუხათწყაროში, ტყეში წამოწვებოდა და... ვერ გაჩერდებოდა, იქაც ეცხელებოდა, თანაც სიმაღლე იმოქმედებდა. სამშაბათს ქვიშხეთში იქნებოდა დაკრძალვაზე და იქაც ეცხელებოდა. და დღესაც იწვოდა ქვეყნიერება, თუმც მხოლოდ – რაღა მხოლოდ – შუადღე მოსულიყო.

14 ივნისს რევაზ მარგიანს დაასაფლავებდნენ. მთავრობა – შეოს, ასე მოიხსენიებდა ედუარდ შევარდნაძეს, მეთაურობით – იდგებოდა და გამოსვენებას დაელოდებოდა. სვანებსა და საქართველოს ერთიანობას, სიმტკიცეს (და ჩაურთავდა: ამდენს კი ხვდებიანო) სცემდნენ პატივს.

ნოდარ დუმბაძე ამოუდგებოდა მთლად უფროსს გვერდით და საუბარს (ალბათ საქმიანსო, – ესეც როგორ არ ჩაეკრა შეფარული ირონიით) გაუბამდა. შეხედავდა ნოდარს და... ცუდად გახდებოდა: სამარიდან ამოღებულს ჰგავდა. მართლაც ცუდად უნდა ყოფილიყო და ამას უკვე ყველა ამჩნევდა.

22 ივნისს რომ ნახავდა, უამურ გუნებაზე დადგებოდა.

– ვერა ვარ კარგად, დავძაბუნდი, – თვითონვე ეტყოდა ნოდარი.

სამსახურში ერთობოდა, ავადმყოფობას ეთიშებოდა იმ რიარიაში და ეს შველოდა რამდენადმე.

20 აგვისტოს ჩაინიშნავდა, რომ: სულ ახლახან ენახა ნოდარი.

– როგორა ხარ?

– ახლა კარგად, გუშინ ცუდად ვიყავი.

ვკვდებოდი და ახლა აღარ ვკვდებიო, – ეს ასე აღიქვამდა იმ პასუხს და ისეთი განცდა გაუჩნდებოდა: უკანასკნელად ვხედავო. და დასცდებოდა

დღიურის შევსებისას: ამნაირი სიცოცხლეც შევარცხვინეო. ბედნიერი ყოფილიყო მართლაც ზერო – არც შეწუხებულიყო და არც არავინ შეეწუხებინა სულის ამოსვლამდე. ხვალ იყო იმისი დაბადების დღე და რეზო გადაწყვეტდა: საფლავზე გავალო.

მამუკაზე, შვილზე, ცუდ სიზმარს ნახავდა, დაიწყებდა რეკვას ბიჭვინთაში და ვერ დარეკავდა. ჩააკითხავდა ორ დღეში და ეგ იქნებოდა.

კვაჭიელასაც გადააწყდებოდა, ნოდარ გერაძის პროტოტიპს, ფეხბურთზე რომ მიდიოდა და ამასაც წაიყვანდა. სტადიონზე პრესისა თუ ტელევიზიის წარმომადგენელი გამოეცნაურებოდათ, მაკა კილაძე, და ერთად ავიდოდნენ ბაგრატის ტაძარზე. მიივლ-მოივლიდნენ ახალგაწმენდილ ადგილებს. ნახავდა არქეოლოგ ომარ ლანჩავასაც.

– ხშირად ამოგაკითხავ, – შეპირდებოდა.

– მიგულე ყოველნაირ მასპინძლად, – თავისას აღუთქვამდა ისიც.

მართლაც საგულისხმო გათხრებად მოეჩვენებოდა – სადაც ბარს დაჰკრავდნენ, რაღაც ამოდიოდა, და გუნებაში ჩაითქვამდა: მართლაც ხშირად უნდა ჩავაკითხო. მოვა დრო, იქ გავათენებ და დავაღამებო.

ახლა გათხრებზე ცოტა პარტიზანულად მუშაობდნენ და ეს არ მოეწონებოდა.

თბილისში უკვე აცხებოდა ხელახლა...

და კიდევ ერთხელ დანანებით:

ნოდარი ცუდად არიო...

ერთნაირად მიდიოდა ყველა, ვინ რას ჭამდა და ვინ რას სვამდა, არავინ კითხულობდა. გინდ მოგეველო თავისათვის და გინდაც ნუ მოუვლიდი. ცოტა იქით და ცოტა აქეთ – ეს იყო და ეს სულ.

გიგასაც ნახავდნენ, ლორთქიფანიძეს, რეზო და ლევან მალაზონია იქნებოდნენ, და ბახტურიძეც. რომ გამოდიოდნენ, ტარიელ ჭანტურია შეხვდებოდათ „ლეჩკომბინატის“ კართან, შემოსჩივლებდათ:

– არ მიშვებენ.

– რას მეუბნები, – გაიკვირვებდა რეზო, მისცემდა 3 მანეთს შემშვებს და ისიც ამათ გამოუშვებდა და ტარიელს შეუშვებდა.

13 სექტემბერს თვითმფრინავის ბიჭების შეწყალება-არშეწყალება და ნოდარ დუმბაძის ავადმყოფობა იქნებოდა სალაპარაკო. ნოდარი თითქოს შედარებით უკეთესადაც იქნებოდა. ოთარ ნოდიას მოენახულებინა და ცუდ გუნებაზე იქნებოდა: ანდერძი დამიბარაო...

რა ანდერძი იგულისხმებოდა, რეზო მაშინვე მიხვდებოდა: ქალიშვილებს – ორივე იქ, სანოდიოში (ლიტერატურულ ჟარგონზე როგორც ეძახდნენ მთარგმნელობით კოლეგიას) მუშაობს, მსახურობენ – მიმიხედეო, ეტყოდაო...

და აი 14 სექტემბრის ჩანაწერში, მას შემდეგ, რაც ალექსეი ტოლსტოის მიერ „პინოქიოს თავგადასავლის“ გადმოკეთება-გადმორუსულებას ჩაუკვირდებოდა, აღნიშნავდა, რომ:

გარდაიცვლებოდა ნოდარ დუმბაძე.

ხომ ელოდნენ, მაგრამ მაინც მოულოდნელი ეჩვენებოდა. ასე მალე თუ აღესრულებოდა, ნამდვილად ვერ იფიქრებდა. ოცი დღის წინათ რომ ნახავდა, მიხვდებოდა: უკანასკნელად ვუყურებო.

ნანული, ნოდარის მეუღლე, შემოსტირებდა:

– გუშინ გახსენებდა.

ცნობისწადილი კი ნაძლევდა, შეეტყო, მაგრამ თავი უნდა შეეკავებინა, აბა ხომ არა ჰკითხავდა: სიკვდილის დღეს რასთან დაკავშირებით მახსენებდაო.

გუშინ სამსახურიდან ძალიან გვიან გამოვიდოდა, და უკვირდა და ვერ აეხსნა: როგორ არავინ დარეკაო?!.

სხვა თუ არაფერი, სანოდიოში, სადაც მანანა და ქეთინო მუშაობდნენ (მანანა მგონი არაო, – ჩაურთავდა), როგორ ვერ გაეგოთ მაშინვე. შემდეგ იორამ ქემერტელიძეს წაიყვანდა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“. იქაც არაფერი ეცოდინებოდათ. შემდეგ „ქალაქურში“ ისხდებოდნენ: რეზო, იორამი, ოთარ მამფორია, ლევან მალაზონია, გურამ სხირტლაძე, ბიძინა მინდაძე და ვინმე ჭავჭანიძე... ეს და იორამი ადრევე წამოვიდოდნენ. დალევით არ დალევდნენ.

ეს უყურებდა ტელევიზორს, „ვრემიას“, შემდეგ კიდევ რაღაცას... დარეკვით არავინ დაურეკავდა, თუმც ტელეფონიც ცუდად მუშაობდა...

დილით მამულში წავიდოდა, მუხათწყაროში. შუადღით კარლო ამოივლიდა შაბიამნისფერი მანქანით და შორიდანვე მოაძახებდა:

– ნოდარი რომ მოკვდა, თუ იცი...

ჩამოვიდოდა, გამოიცვლიდა ტანსაცმელს, ბენზინს ჩაასხამდა, ავიდოდა ოჯახში და 8 საათამდე, უფრო გვიანობამდეც დარჩებოდა.

ხალხი ცოტა იქნებოდა... სეირის მაყურებლები არ გამოჩნდებოდნენ. რამდენჯერმე რომ გავრცელდებოდა ნოდარის სიკვდილის ხმა, ახლა ნამდვილად საეჭვო ეგონებოდათ ალბათ. ასე ახსნიდა და სხვა ახსნას ვერც მოძებნიდა.

ქვევით მილიცია იდგებოდა უსაქმოდ. გურამ ენუქიძე და სოლიკო ხაბეიშვილი ელაპარაკებოდნენ ნანულის. ეს ნანულის მიუსამძიმრებდა და ამ დარბაისელ ხალხს ხელსაც არ ჩამოართმევდა.

თავს იმართლებდა: ყოველთვის ვიბნევი ამნაირ სიტუაციაშიო.

ძალიან ეწყინებოდა, ასე რომ გაწვალდებოდა ნოდარი. ეცოდებოდა. რა შეიძლება თქმულიყო თუნდაც მის შემოქმედებაზე?!.

დადიოდა, ფიქრობდა, ყველაფერს იხსენებდა, ავსაც და კარგსაც. ხან რომ ახარებდა და ხანაც აღიზიანებდა.

ხალხსა და მთავრობას ერთნაირად რომ მოეწონებოდა, ესეც სიმპტომატური ეჩვენებოდა ნოდარ დუმბაძის ხასიათისა და შემოქმედებითი მრწამსისათვის, სტილისა და პიროვნებისთვის თუნდაც.

კარგიც იქნებოდა და გლახაც იმ მომენტში რასაკვირველია.

საოცრად სწრაფად და უნარიანად აუღებდა ალღოს დროს, სიტუაციას, მასობრივი მკითხველის გემოვნებას.

გაუსწორდებოდა, გაუსწრებდა მკითხველისა და მთავრობის გემოვნებას და შედგებოდა...

სულის, თავისი სულის ტრაგედიას ვერ აღწერდა...

უფრო რთულად იქნებოდა საქმე მის სულში, მის სხეულში, მის გარშემო... გრძნობით იგრძნობდა, როგორ არა, მაგრამ სულ კომპრომისს კი დაეძებდა...

და დატოვებდა მშვენიერ, თუმც არათანაბარ, არამთლიანი ძალის ნაწარმოებებს...

ხელახლა გადაიკითხავდა ახლახან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“, კარგი იყო ალბათ „თეთრი ბაირაღებიც“, „მარადისობის კანონიც“ და რამდენიმე მოთხრობაც... ბაბუა და შვილიშვილი, შემდეგ ძაღლის მოკვლა. რა სათაური ჰქონდა ამ მოთხრობას, ვეღარ გაიხსენებდა, თუმც მშვენიერი კი გახლდათ...

რა სათაური ჰქონდა და: ასე უბრალოდვე – „ძაღლი“, თუმც სარჩევში აღარ ჩახედავდა დასაზუსტებლად და ამ გამჭვირვალე მინიშნებას იკმარებდა.

სხვათა შორის:

როდესაც ვახტანგ ჭელიძე ესეიში „ნოდარ დუმბაძის ორი გახსენება“ შეეხებოდა მწერლის ნოველების წიგნსაც, სულ ერთი წლის განმავლობაში დაწერილს, ამ ზოგადი შეფასების შემდგომ: წარმოგვიდგა ახალი მწერლური ძალით, როგორც მოთხრობის კარგი მხატვარი. სწორედ რომ მხატვარი, რადგან მოთხრობებში დახატულ გმირებსა თუ ცალკეულ სურათებს მკითხველი ისეთი თვალსაჩინოებით აღიქვამს, როგორც მხატვრის ტილოზე გაცოცხლებულსო, – სანიმუშოდ და განსაკუთრებულად გამოარჩევდა სწორედ ამ ნოველას: „ძაღლი“ – სათაურის მიუხედავად უაღრესად ადამიანურ მოთხრობას, ყველაზე გულისშემძვრელად კი იმ სურათს, როცა შინიდან გაგდებული ძაღლი, რომელიც უკვე ყველას დაღუპული ჰგონია, თავისი პატრონის, მოხუცი ადამიანის კუბოსთან მიდის, როგორც უახლოესი ადამიანის დასატირებლად შორიდან მოსული ჭირისუფალი.

და დასძენდა, რომ: ეს სურათი დახატული გახლდათ ჭეშმარიტი მხატვრის თვალითა და შთამბეჭდაობით.

ხოლო „გადანახულ ჩანაწერებში“:

მეტის გაკეთება შეეძლო და რაც გაეკეთებინა, ისიც მეტი გახლდათო.

ჭეიშვილური ფრაზა – ბევრგვარად დამუხტული, უფრო მეტს რომ გაგრძნობინებს, ვიდრე უშუალოდ ამოიკითხავ.

ესეც როგორ არ ეთქვა:

ჩვენზე მეტად იგრძნო დრო, მოიტანა ჩვენზე მეტი სიახლე და ჩვენზე მეტადაც იჩქარა სამწუხაროდო.

ნოდარ დუმბაძის შემოქმედებასაც და ცხოვრებასაც დაკვირვებით, ცივი გონებით ესაჭიროებოდა თვალის გადავლება, – და სალიტერატურო კრიტიკას მიანდობდა ამ საქმეს რეზო ჭეიშვილი.

ჩანაწერი კი იმ სტრიქონს უნდა შეეკრა, შუა სექტემბერი რომ იდგა და ჭრიჭინობელების ხმა ისმოდა...

17 სექტემბერს ჩაინიშნავდა, თამაზ ბიბილური რომ დაურეკავდა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციიდან:

– აუცილებლად უნდა დაწერო და მოიტანო ხვალვე ნოდარზე გამოსათხოვარი პატარა წერილი.

– ვნახოთ, თუ შევძელი.

– არავითარი ვნახოთ.

შემდეგ ემზარ კვიტაიშვილი მიაკითხავდა და იმავეს გაუმეორებდა. ეს შეატყობდა: გაზეთის აზრიც იცისო. ერთი გაფიქრება გაიფიქრებდა: ვახტანგ ჭელიძე რატომ არ შემეხმიანაო, – მაგრამ იქვე გააქარწყლებდა ამ ეჭვს: თამაზი მისი დავალებით რეკავდა ალბათო...

უნდოდა, რომ დაეწერა, განა არა. იჯდებოდა, იჯდებოდა, მაგრამ ვერაფერს დაწერდა.

გიორგი ნიშნიანიძე აჰყვებოდა მამულში, თავისი საქმე ექნებოდა და აემგზავრებოდა რეზოს. და ლაპარაკში ამასაც ეტყოდა:

– ნოდარმა იმდენი რამ გადაიტანა, მაინც სადღაც განწმენდილი წავიდა.

ამას მოეწონებოდა ეს აზრი და მაშინვე ჩაებღაუჭებოდა: გამოვიყენებო, – მაგრამ რას ეყოფოდა.

ჩაუკვირდებოდა, ჩაუკვირდებოდა და... შეეჭვდებოდა: მართალია კიო?..

უკეთესიც ჰქონდა მოფიქრებული, მაგრამ შიშობდა, არაბუნებრივი არ გამოსულიყო.

გუშინ მამულში შოთა ნიშნიანიძესაც დაინახავდა, ჯემალ ჩახავას მოჰყოლოდა და იქაურობას ათვალიერებდა... ხოზე ადეიშვილიც იქ იქნებოდა და ეს სულაც არ გააკვირვებდა დღიურის ავტორს: ნოდარი აღარ არის, აღარაფერში გამოადგება და ნიშნიანიძეზე იღებს ორიენტაციასო.

ნიშნიანიძის გვარს რუსული შრიფტით რომ დაწერდა, ამითაც გააძლიერებდა ირონიას, რასაც გაძლიერება არც ესაჭიროებოდა, რაკიღა ასეთი სილუეტი დაიხატებოდა:

შავი პიჯაკითა და დეპუტატის ნიშნით დადიოდა იმ ხვატსა და პაპანაქებაში და თან ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ძალიან შეწუხებულს, ნოდარის დაკარგვით დადარდიანებულს აღარაფერი ახარებდაო.

– რა დროს ეს არი, ახლა აქ რა უნდა მინდოდეს, – ეტყოდა თითქოს, როცა რეზოს გამოელაპარაკებოდა.

გვიანი ღამე დადგებოდა და ეს კვლავ ბჭობაშიხქნებოდა: დავწერო თუ არ დავწეროო?.. – ვერა და ვერ გადაეწყვიტა.

19 სექტემბერს მიიტანდა ნოდარზე წერილს მწერალთა გაზეთის რედაქციაში და დღესვე ენდომებოდა სტამბაში კორექტურის ნახვა. არ უყვარდა ასე ნაჩქარევად რაიმეს დაწერა და ეშინოდა, სანტიმენტალიზმი ხომ არ გაჰპარვოდა, მეტი ხომ არ ეთქვა ან რაიმე ხომ არ დაეკლო.

– სულ ნოდარზე ვფიქრობ. არ მეგონა, თუ ასე მიყვარდა.

ერთად მუშაობდნენ კინოსტუდიაში რამდენიმე წელი. რეზოსიც – და ალბათ სხვისიც – საუკეთესო წლები იქნებოდა ის დრო.

მაინც ვინ და ვინ მოიყრიდნენ ერთდროულად თავს:

ვახტანგ ჭელიძე, აკაკი ბაქრაძე, ნოდარ დუმბაძე, სიმონ ჩიქოვანი, თვითონ რეზო, ანზორ სალუქვაძე, გიორგი ხუხაშვილი, ოთარ კუპრავა, მოგვიანებით მოვიდოდა რევაზ ინანიშვილი.

მოწვეული წევრები:

კონსტანტინე ლორთქიფანიძე, მუხრან მაჭავარიანი, გურამ ასათიანი... ვიღაც გამორჩენოდა თითქოს...

არამწერლები:

მიხეილ მგალობლიშვილი, ალექსანდრე მახარაძე, გივი ბარათაშვილი, მერაბ სარალიძე.

იყო თუ არა მოწვეული წევრი ედიშერ ყიფიანიც? ვერ იხსენებდა...

დროის გარკვეულ მონაკვეთში – რამდენიმე წელი – ეს პირნი ყველა სხდომაზე – სხდომები, განხილვები ძალიან ხშირი იქნებოდა – ერთად გროვდებოდნენ. მათ გარშემო კიდევ სხვა მწერლები, ავტორები, მეგობრები იყრიდნენ ხოლმე თავს.

ნოდარი გამოიყვანდა პირველი მანქანას „გაზ-21“. გაკვეთილებზე – ტარებაზე – რეზოც დაჰყვებოდა ხანდახან. ქუთაისში წავიდოდნენ, როდესაც მართვის უფლებას აიღებდა და საჭეს დაეუფლებოდა. მათი მარშრუტები იქნებოდა: ქუთაისი, ლაგოდეხი, ხაშური და კიდევ სხვა...

და წამოაგონდებოდა სიმონ ჩიქოვანის იუბილე... ჰყავდა თუ არა მაშინ მანქანა, ვეღარ გაეხსენებინა... წავიდოდნენ მატარებლით: რეზო, მერაბ სარალიძე, გურამ ასათიანი, ნოდარი, მიხეილ ქვლივიძე... და თავში შემოირტყამდა ხელს: მიშა გამომრჩა იმ სიაში, კოლეგიის წევრი იყო დიდი ხანიო... კიდევ ვინ? არჩილ სულაკაური ქუთაისში შემოემატებოდათ.

დასაზუსტებლად უნდა ენახა იმდროინდელი ფოტოსურათი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ეზოში რომ გადაიღებდნენ.

...და ედიშერ ყიფიანი.

ამ ფოტოზე გურამ ასათიანს ვერ იპოვნიდა და იფიქრებდა: ალბათ ეძინა. ღამენათევი პირველ-ორ საათზე დგებოდა ხოლმეო.

გურამი არ იქნებოდა, მაგრამ წინა პლანზე იმ დროს ადგილობრივი მკვიდრი, მაგრამ არა აბორიგენი – რაჭიდან გახლდათ ჩამოსული – ლევან სანიკიძე მოჩანდა, დანარჩენთა გვარ-სახელები არ ეცოდინებოდა, მხოლოდ მეძველია-უფროსს იცნობდა უკანა პლანზე, შემთხვევით მოხვედრილიყო კადრში.

მოპატიჟეები იტრიალებდნენ ინსტიტუტის ეზოში, რამდენიმე დასტა საგანგებოდ იქნებოდა მოსული ნოდარ დუმბაძის გულისათვის.

– გავვარდეთ გელათში, ჩამჭვრიტესთან, ვისადილებთ, არ დავლევთ, აქაურ ფინალსაც მოვუსწრებთ.

ამ „არ დავლევთზე“ ერთნაირად ელიმებოდა ყველას, სიმონ ჩიქოვანს ვინც ჩამოჰყოლოდა.

იდეაც ერთნაირი რჩებოდა, დუქან-რესტორანთა სახელწოდებანი იცვლებოდა მხოლოდ. ნოდარი თავს იკავებდა და თანამგზავრებს მისჩერებოდა:

– რა ვქნათ?

მათ უარსა თუ თანხმობას ელოდა. არადა ცთუნებაც დიდი გახლდათ: ნიფობისთვეში მზის ჩასვლამდე გელათისაკენ განავარდება.

– არ გამოვა, – გატყდებოდა ბოლოს ნოდარი, – ბატონ სიმონთან ჩამოვედით და ბოლომდე უნდა ვცეთ პატივი.

რამდენიმე დღეს დარჩებოდნენ მაშინ ქუთაისში. იქნებოდა ქეიფი, დროსტარება, სიცილ-ხარხარი. შესაშურად გახლდათ მაშინ ნოდარი. კიდევ რამდენი იყო ამნაირი დღე, ვინ მოთვლიდა.

შემდეგ ნოდარი „ნიანგს" დაუბრუნდებოდა და ნელ-ნელა დაშორდებოდნენ ერთიმეორეს... დაკარგვით არ დაჰკარგავდა, მაგრამ ძალაუნებურად დაშორდებოდა... თუმც ამ ბოლო დროს ხვდებოდა ხოლმე. ხვდებოდა და ერიდებოდა.

უკვე სხვა ფსიქიკა, სხვა აზრები და შეხედულებანი. მათი მსოფლმხედველობა, განსაკუთრებით პოლიტიკაში, აღარ ემთხვეოდა ერთმანეთს...

რაღაცასაც კიდევ იხსენებდა და... ხელი შეეშლებოდა – სიკო შემოვიდოდა...

ნოდარს თითქოს „მზიურში" ასაფლავებდნენ. გამოექვეყნებინათ, უფრო სწორად გამოეცხადებინათ ტელევიზიით.

ზევით – ანუ ოჯახში – ქვეყანა იქცეოდა თურმე. ნანულისა და ქალიშვილებს „მზიური" არა სურდათ, რაც რეზოს სავსებით ბუნებრივად ეჩვენებოდა.

შეცვლიდნენ ვითომ დადგენილებას?

გუშლამ პანაშვიდიდან გამოსული რეზო დამკრძალავი კომისიის წევრებს გადააწყდებოდა – ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ ენუქიძე და სხვები „მზიურის" შესასვლელთან ტრიალებდნენ. ამას ჩასვლა ენდომებოდა, მაგრამ რაკიღა კუს ტბაზე ელოდებოდნენ, ჩქარობდა. ცოლს შინ დატოვებდა. გიორგი ხორგუაშვილსა და იორამ ქემერტელიძეს აიყვანდა ზემოთ. დახვდებოდნენ: მუხრან მაჭავარიანი, ჯურხა ნადირაძე, მურმან ჯგუბურია, ლევან მალაზონია, გივი ძნელაძე... გაეხარდებოდათ ამათი დანახვა.

მუხრანი გათენებას დააპირებდა ძველებურად.

როგორც იქნებოდა თავს დაიძვრენდნენ და გამოეცლებოდნენ, დარჩენით კი დარჩებოდნენ: მუხრანი, ჯურხა, გივი და ბოლომოღებული მურმანი. რას იზამდნენ, რას მოიმოქმედებდნენ, ამას უკვე აღარ ეცოდინებოდა:

პოსტსკრიპტუმში მიადევნებდა, სტამბაში გავარდნას რომ აპირებდა, თუ შეუშვებდნენ. რედაქციაში დარეკავდა და ვახტანგ ჭელიძეს იკითხავდა. უპასუხებდნენ:

– ჩამოვიდა და ისიც სტამბაშია.

საგანგებო ნომერი გამოდიოდა და... ეს შეფიქრიანდებოდა: რაღაცას ამომიღებს, ვიცი... რელიგიური განწყობილება მოეჩვენებაო...

21 სექტემბრის დღიურში საგანგებოდ ჩაინიშნავდა იმ დიდ სიხარულს, როდესაც დაინახავდა, რომ მწერალს, მისი თაობის მწერალს ამხელა პატივს მიაგებდნენ. ხალხი მოზღვავებულიყო გუშინდელ დღეს დაკრძალვაზე, ძლივს შეაღწევდნენ მწერალთა სახლში მწერლები: თვითონ და ტარიელ ჭანტურია – სხვას აღარც დაასახელებდა.

გზები გაკრულიყო მილიციითა და კომკავშირლებით. ორგანიზებულად მოიყვანდნენ ხალხს საწარმოო-დაწესებულებებიდან, თითქოს – და ეს რე-

ზოს თვალში ამაზრზენად გამოჩნდებოდა – დასწრებას სავალდებულოდ გახდიდნენ, მაგრამ ხალხი არ დაიშლებოდა – მიჰყვებოდნენ და მიაცილებდნენ ცხედარს.

მოედანზე რომ ჩამოვიდოდნენ, რეზო ველარც მოჰკრავდა სასახლეს თვალს. და მაშინ მიხვდებოდა: უკანასკნელად ვხედავ და ვეთხოვებიო.

იქვე დაშორდებოდა, მეტზე წასვლას აზრი აღარც ექნებოდა.

„საუნჯესთან" უნდა მოეყარათ თავი. ასე დათქვამდნენ და ასეც მოხდებოდა...

გამოსვენებამდე ვახტანგ ჭელიძე გამოარჩევდა სხვებისაგან. გადაჰკოცნიდა და მადლობას ეტყოდა წერილისათვის.

ყველას ჯობიაო, – სხვებიც ეტყოდნენ.

ბუნებრივიცააო, – ამაყად გაივლებდა გულში. რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ჯობია-არჯობიას? თითქოს არც არავითარი, მაგრამ... მართლაც უმჯობესად რომ მიიჩნევდა თვითონაც?!.

ედუარდ შევარდნაძეთი დაწყებული სულელი (ამ მწარე ეპითეტით მოიხსენიებდა და სრულიად უმართებულოდ) გიორგი გაჩეჩილაძით დამთავრებული (შემთხვევას იშოვნიდა და ამ გაოცებასაც ჩაურთავდა: როგორ თამაშობს ეს კაცი პოკერსო?) არცერთი არ ექნა ღმერთს მასთან შედარებით...

დაწერდა ამას და... ცოტა, სულ ცოტა შეეუხერხულებოდა: არ ვარ მართალი... ყველა კარგია. ჩემსავით ვერ თქვეს, თორემ ყველაც კარგიაო.

რეზო, მუხრან მაჭავარიანი, გივი ძნელაძე, ლევან მალაზონია და გია ლომაძე (ჩვენი დამმარხავიო, – ჩაურთავდა, რაკიღა ყველაზე უმცროსი და საგრძნობლად უმცროსიც გახლდათ) ლისის ტბაზე ავიდოდნენ, იქ გაშლიდნენ სუფრას და იქიდან შეუთვლიდნენ შენდობას ნოდარს.

მშვენიერი, მყუდრო საღამო იქნებოდა. როცა ჩამოღამდებოდა, კატარღასაც შეაცურებდნენ ტბაში. მუხრანი დაიჟინებდა:

– შუა ტბაში უნდა დავლიო შესანდობარი.

და ასეც მოიქცეოდნენ.

ვიღაც ახალგაზრდა გამოეცნაურებოდათ: არქიტექტორი ვარო, – და გაუმასპინძლდებოდათ. გურულად წარუდგებოდათ, თხილი ექნებოდა და არაყი. ლევანი დაიჟინებდა: კაგებეაო, – და რეზო ორჭოფულად ეთანხმებოდა დღიურის ფურცლებზე: შეიძლება მართლაც ის იყოო.

დილით თავის ტკივილით გაეღვიძებოდა. ნოდარის საფლავი უნდა ვნახოო – ჩაეჭედებოდა გონებაში და როცა თავისიანებს გაიგულებდა, აიღებდა ჯოხს, დაიხურავდა სამხედრო ფაფანაკს, წაიყვანდა ძაღლს და წავიდოდა. საფლავს უკითხავადაც მიაგნებდა. ხალხი იდგებოდა შორიახლო, ჭირისუფალთაგან – არავინ. ორი გრძელი, მწვანედ შეღებილი სკამი იდგებოდა საფლავთან, ლიმონათის ბოთლი და ბროლის ბოკალი – სკამზე. დაჯდებოდა, ჯოხს დაებჯინებოდა მოხუცივით და კარგახანს დაჰყოფდა.

იგრძნობდა, როგორ მიაჩერდებოდნენ: ნეტა ვინ არისო?..

12 საათი იქნებოდა ალბათ. შემდეგ საბარგო მანქანა მოვიდოდა, არყის ხის მორებით დატვირთული. მიხვდებოდა: საფლავის შემოსაზღუდად მოი-

ტანესო. საბარგოს კიტი მოჰყვებოდა. მუშებს ერთი ნაცნობი სახის კაცი შემოუძღვებოდა.

„ვიცნობ, ვიცნობ, ვინ არი?“ – ფიქრებში ჩაიძირებოდა. ისიც შეათვალიერებდა და, როგორც რეზოს მოეჩვენებოდა, თვალს მოარიდებდა, თუმც ქუდჩამოფხატულს ნამდვილად ვერ იცნობდა. ესეც გვიან მიხვდებოდა, მუხათგვერდის სასაფლაოს დირექტორი რომ იყო, ზეროს საფლავის ძებნისას გაცნობილი კაცი.

ნეტა ზეროს საფლავის ძებნა და ამ დირექტორთან შეხვედრა ხომ აირეკლებოდა მოთხრობაში, თვითონ მერე რომანსაც რომ შეარქმევდა: „მეოთხე სიმფონია“?

ნოდარ დუმბაძის საფლავის ადგილს არ დაიწუნებდა, სახლთანაც ახლოს იქნებოდა, მაგრამ მაინც წარმოუდგენელ სისულელედ მიიჩნევდა ამ კაცის აქ დაკრძალვას და დაბეჯითებით განაცხადებდა:

მოვა დრო და გადაასვენებენ, ეჭვიც არ მეპარებაო...

ოღონდ დიდუბის პანთეონში თუ მთაწმინდაზე – ანუ მისი სატირული ნოველის „მიწების განაწილება“ ტოპონიმთა მიხედვით: ბედუბესა თუ წმინდაგორაზე – ამას უკვე აღარ დააზუსტებდა.

30 სექტემბერს ცოლი მოიტანდა ამბავს უნივერსიტეტიდან, ლაპარაკი და კამათი გამართულიყო. ზოგი ამტკიცებდა და გულისწყრომასაც გამოთქვამდა:

– ნოდარ დუმბაძე ლეო ქიაჩელზე დიდია და რატომ ზევით არ აასვენეს ქიაჩელივით?

ზოგიც გაცხარდებოდა:

– არ არის იმაზე დიდი.

და დაინტერესდებოდა მეუღლე:

– შენ რაღას იტყვი.

ორჭოფულ პასუხს გასცემდა რეზო ჭეიშვილი:

– ან არის, ან არა.

დღიურში კი ჩაინიშნავდა, რომ:

მშვენიერ გზაზე იდგებოდა ადრე ნოდარი: „გიგილო“ გაგვეხსენებინა თუნდაც, ანდა „ომარ ხალიანი“, ზეპირადაც რომ იცოდა ზოგიერთი სტრიქონი, ერთ-ორ თხზულებასაც მოინიშნავდა გუნებაში.

მაგრამ... „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში“ გაურევდა კონიუნქტურას და... მიხვდებოდა: ეს გახლდათ ყველაზე სარფიანი, სასარგებლო, მისი გურულობაც დაესართებოდა მის მიხვედრილობას და... უმატებდა და უმატებდა.

გურულობის ხსენება იქნებოდა და:

არაფრით არ ეგონებოდა, არ ამბობდა და არც უშვებდა ფიქრადაც კი, რომ გურული სხვა გახლდათ და ვთქვათ კახელი სხვა... იმერელსა და გურულს შორის თუ რაიმე განსხვავება არსებობდა, ვერ დაეჯერებინა, არც ახლა სჯეროდა, მაგრამ... არსებობდა კი!.. გინდ დაგეჯერებინა და გინდ არა: არსებობდა და... რა გინდა გეღონა?!.

– ნამდვილად სხვა ხალხია... უცნაურია, მე და ჩემმა ღმერთმა.

რას გულისხმობდა „ნამდვილად სხვაში“ და „უცნაურში“?

რას გულისხმობდა და:

კორნელი კეკელიძეზე ამბობდნენ: სასულიერო პირი იყო ადრე, ამათი არა სწამს არაფერიო და... სიკვდილის წინ, იუბილეზე, სულ პარტიასა და ხელისუფლებას იძახებდა.

აკაკი შანიძე თავის 90 წლისთავზე ლეონიდ ბრეჟნევისა და ედუარდ შევარდნაძის ხსენებას არ მოეშვებოდა.

ყოვლად კარგი კაცია ანზორ ერქომაიშვილიო, ამბობდნენ... გუშინ კი გამოვიდოდა ტელევიზიით და უადგილოდ გაიხსენებდა ხელისუფლებას, შევარდნაძეს... ერთხელ, მეორედ და... რეზოს მის გულწრფელობაში, რაზედაც იგი აქცენტს აკეთებდა, შეეპარებოდა ეჭვი, თუმც არც იმას გამორიცხავდა, რომ: შესაძლოა მართლაც გულწრფელი ყოფილიყო...

ანდა ანზორ სალუქვაძე – ამ ბოლო დროს აშკარად პარტიისაკენ რომ იხრებოდა და იქაჩებოდა...

და... ჭაბუა ამირეჯიბი?.. მაგრამ ისიც ხომ გურული არ გახლდათ... თუმც დედა ჰყავდა გურული...

აღარაფერს იტყოდა სხვებზე. ამ ტირადას კი ამ ფრაზით შეაჯამებდა თუ დააგვირგვინებდა: ყველას თავისი სიმართლით გაუმარჯოსო!..

24 სექტემბერს რომ იკითხავდა: სხვა რაა ახალიო? – თვითონვე გასცემდა პასუხს: არაფერიო.

ნოდარის ადგილზე ხან ერთს ნიშნავდნენ, ხან მეორეს, ხან მესამეს და ხანაც მეოთხეს. ოთხზე ზევით არ ადიოდნენ ჯერჯერობით: გიორგი ციციშვილი, ჯანსულ ჩარკვიანი, შოთა ნიშნიანიძე, არჩილ სულაკაური.

2 ოქტომბერს ალიონა დარახველიძე ეტყოდა, აღტაცებული და ანერვიულებული მისი წერილით:

– რა კარგად, რა მკაცრად და რა თბილად თქვი ნოდარზე.

– სიმკაცრე არ არის, – შეედავებოდა რევაზ კვესელავა, მაგრამ ის არ მოუსმენდა... თავისას ანკი ვინ გადაათქმევინებდა...

ალექსანდრე მახარაძე შეეჩეხებოდა და... რეზო ისევ არ მიესალმებოდა... ალბათ ნამეტანი მოსდიოდა, მაგრამ არ შეეძლო სხვანაირად და რა ექნა. არც სძულდა, არც უყვარდა და მაინც...

ნოდარ დუმბაძესთან დაკავშირებით შეუწყრებოდა. ნოდარი ძალიან ადრე სადღაც შეაქებდა რეზოს და საშა მახარაძე ყელში წვდომოდა:

– შენ ვინ გეკითხება, აპეკუნად რომ უდგები, ნიჭიერს რომ უწოდებ იმ კაცს...

რეზო ჭარხალაშვილი მიუტანდა ენას (რა საშინელი ჩვევააო, – ენის მიტანას კი არ ამართლებდა) და მას შემდეგ – მანამდეც გაწყვეტილი იქნებოდა ურთიერთობა – ამოიგდებდა გულიდან იმ კაცს. და ეს მოხდებოდა 10-12 წლის წინათ.

8 ნოემბერს მოიქუთაისებდა და კინაღამ გადაჰყვებოდა... ჯერ ისედაც არ მოაკლდებოდა სუფრები და რესტორან „ცისკარაში“ ხომ ძალით მოიკ-

ლავდა თავს... როგორ ჩამოვიდოდა თბილისში, ვეღარც გაიხსენებდა. ნოდარ დუმბაძის ორმოცზე ბევრ ნაცნობს ნახავდა. იქ კიდევ მთავრობა. მიხვდებოდა, სუფრაზე დაჯდომას ვერ შეძლებდა, და „არაგვიდან" გამობრუნდებოდა.

ელდარ შენგელაიასათვის უნდა დაერეკა 27 დეკემბერს და ეცნობებინა, რომ: გორში ვერ ნაჰყვებოდა... სურდა ინტენსიურად ემუშავა და ამ წლის თარიღი დაეწერა ახალი მოთხრობისა თუ... სულაც რომანისათვის... ძალიან შორს კი მირეკავდა...

1985 წლის 1 მარტს შეფიქრიანებული ჩაინიშნავდა, რომ:

მოგონება – რა დაეწერა, არ იცოდა – ნოდარ დუმბაძეზე მარტში უნდა ჩაებარებინა ნანულისათვის, მისი მეუღლისათვის...

16 მარტს ცოტა არ იყოს გაღიზიანებული გადაწვდებოდა რევაზ ჯაფარიძის წერილებს. რაზე გინდა რომ აღარ წერდა მოკითხვის ბარათებივით, მართლა პირადი წერილებივით... გადიოდა და გამოდიოდა თავისი პრიმიტიული, ყურმოკრული აზროვნებით.

გაღიზიანება იმისაა:

თვითონ ადვილად რომ ვერ დაწერდა პატარა მოგონებას ნოდარზე, კიდევ და კიდევ უტრიალებდა, რათა ზედმეტი არაფერი ყოფილიყო. გადაწერდა, გადაბეჭდავდა და შეინახავდა, რათა კიდევ გადაეხედა.

14 აპრილს, გვიან, ვიდრე წერად დაჯდებოდა, არქივს გადაქექავდა. „ცისკრის" ძველ ნომრებს გასინჯავდა. შენახვით შენახული ჰქონოდა – ყველა თუ არა, მთავარი ნაწილი.

1959 წლის მე-4 ნომერი. რეზოს ორი მოთხრობა და ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი". რეზოსი – „ჭაშნიკის" რუბრიკით, ნოდარისა – პეტიტით აწყობილი „სატირისა და იუმორის" განყობილებაში, როგორც სანიანგო მასალა... რეზოს ის ორი მოთხრობა – „მე-13 სკოლა" და „სახლი" – იქვე ჩარჩებოდა, ჟურნალის ფურცლებზე, არცერთ კრებულში აღარ შეიტანდა, და ნოდარის ერცელი მოთხრობა კი დიდ გზაზე გადავიდოდა, იქ არ დარჩებოდა.

სამაგიეროდ ნოდარი დარჩებოდა სწორედ იმ ნაწარმოებით.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა აქედან? განსაკუთრებულის ჯერ-ჯერობით არაფრის...

მანამდეც, „პირველ სხივშიც", ერთად დაიბეჭდებოდნენ, ნოდარი – ლექსებით და რეზო – მოთხრობებით. სწორედ იმ მოთხრობებით მოაკერებდნენ ნიჭიერის იარლიყს, რომელიც დიდხანს გაჰყვებოდა, გაანელებდა თავისი სიზარმაცით, კინოსთან სიახლოვითა და სხვა ფაქტორებით, ვიდრე ხელახლა სერიოზულად მიუბრუნდებოდა ისევ ამ საქმეს.

ეს მოხდებოდა რომანის – „მუსიკა ქარში" – და მოთხრობების – „კვამლი" და „ჭა" – წყალობით. მანამდეც ექნებოდა თუმც შუალედური მომენტი, რომელიც რომანს – „ქალაქში დინოზავრები დადიან" – უკავშირდებოდა... და ეს ფაქტი ასე დაწყობილად არა, მაგრამ დაახლოებით ამგვარად სხვებსაც შეემჩნიათ, მაგალითად გურამ ბენაშვილს.

14 აპრილს ნოდარზე მოგონებას მოათავებდა, პატარას, ისიც გადასაბეჭდი იქნებოდა. ახლა დაურეკავდნენ სწორედ „მერანიდან".

19 მაისს გადაბეჭდავდა, გადაიკითხავდა, ჩააკორექტურებდა და ახლა მამუკა კითხულობდა პირველი, მისი ვაჟი.

ეს მოსაგონარი წერილი უნდა მიეცა დილით, ხუთიოდე გვერდი, და ვერ გადაბეჭდავდა. ორ საბეჭდ მანქანას – ერთს თავისას და ერთსაც იორამ ქემერტელიძისას – დაშლიდა და ორიდანაც ვერ ააწყობდა ერთს...

თორმეტი საათიდან თორმეტ საათამდე უკირკიტებდა შესვენებებით, თავისას ვერა, მაგრამ იორამისას დაუბრუნებდა საწყის მდგომარეობას, პოზიციას... და ხვალვე დაიწყებდა ბეჭდვას ალბათ...

15 ივლისს ნოდარ დუმბაძის მემორიალურ დაფას გახსნიდნენ. გზა ჩაკეტილი იქნებოდა. ეცოდინებოდა და ზევით ავიდოდა. გააჩერებდა მანქანას და მთავრობასაც დაინახავდა. წინა დღით ფრენბურთს დაესწრებოდნენ ერთობით.

რეზო ამაშუკელი იდგებოდა ცალკე.

– შენ მაინც ჩამოგართმევ ხელს, – ეტყოდა ეს რეზო და ის ისე ხმამაღლა გაიცინებდა, ყურადღებას მიიპყრობდა. მთავრობა კი მართლაც ყველას ჩამოართმევდა ხელს... რეზო ჭეიშვილის გარდა.

ჭაბუა ამირეჯიბი – მაგალითად – შიგ მთავრობაში იმყოფებოდა.

ბოლოს დაიმარტოხელებდა რეზოს და:

– ძალიან მაგარი ხარ!..

ესეც შეაქებდა:

– რადიოში მოგისმინე, მომეწონა...

და დღიურში ასე გააგრძელებდა:

მართლა მოვუსმინე, მართლა მომეწონასავითო...

გიორგი ხარაბაძე ერთ კაცს დაანახვებდა და:

– შევარდნაძის მცველი იყო, ლანდივით დაჰყვებოდა, ახლა ამაზე მიამაგრეს და ზედაც არ უყურებს. შეხედე, სულ წავიდა.

მართლაც მიატოვებდა მგონი.

ეს „მართლაც" და „მგონი" ჭეიშვილურად დაუმეზობლდებოდნენ ერთმანეთს ამჯერადაც.

სიტყვებს წარმოთქვამდნენ: ვახტანგ ჭელიძე, არჩილ სულაკაური, თეიმურაზ დოიაშვილი, გურამ გვერდწითელი...

შემდეგ საფლავზე ჩავიდოდნენ. ჩაწერილები იქნებოდნენ თავზესაყარად. შეეხვეწებოდა ოთარ მამფორია:

ავბრუნდეთ.

მაგრამ ეს არ შეჰყვებოდა. ჩაჯდებოდა მანქანაში და წამოვიდოდა.

სხვა რა ხდებოდა ახალი?

ყველაფერი ძველებურად რჩებოდა – სვამდნენ, ჭამდნენ, ქეიფობდნენ და იხოცებოდნენ კვლავ.

30 სექტემბერს იორამ ქემერტელიძის კაბინეტში წაიკითხავდა „ქართული პროზის" გეგმას, პროსპექტსა თუ მაკეტს.

– იროდიონ ევდოშვილი არ გექნებათ შეტანილი, – ეს ეჭვს გამოთქვამდა და... ისიც აღმოჩნდებოდა სხვებთან ერთად.

მხოლოდ 30 ტომი გაეთვალისწინებინათ ჯერჯერობით.

შემდეგ ახალი გეგმა შედგებაო, – ამცნობდნენ და გაუკვირდებოდა რეზო ჭეიშვილს: ახალი არ უნდა ყოფილიყო წესით საჭირო, რადგან ტომებში წასული მწერლები იყვნენ მხოლოდ და წასულებს წასულები მიემატებოდნენ და მიემატებოდნენ, ვიდრე ტომების გამოცემა გასრულდებოდა.

მაგალითისათვის: ამ ოცდაათს უკვე მიემატებოდა ნოდარ დუმბაძე, ვინც თავიდან გათვალისწინებული არ იქნებოდა ცხადია.

– დუმბაძეს სხვა მიყვება და ასე მიყოლებით გავლაგდებით, გავალთ სცენიდან, სამაგიეროდ „ქართული პროზა" არასოდეს დამთავრდება.

იროდიონ ევდოშვილი გაახსენებდა ამ ყოველივეს. როგორც პოეტს, ბითურად მოიხსენიებდა, თუმც საბავშვო მოთხრობებს დაუფასებდა: კარგი ჰქონდა და დარჩა კიდევაცო.

მისი მოთხრობების თეთრყდიანი წიგნი წამოაგონდებოდა, დიდი სიამოვნებით რომ კითხულობდა ბავშვობისას, მერე კი სადღაც დაეკარგებოდა.

30 ტომად შემოერკალათ პროსპექტი თუ მაკეტი და... უკვე უნდა გასულიყვნენ მის მიღმა, და გამრღვევი ამ რკალისა ნოდარ დუმბაძე უნდა აღმოჩენილიყო, რეზო ჭეიშვილსაც გული რომ წყდებოდა, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" გზა რომ აღარ გაეგრძელებინა სარფასა და სარგებელს გამოკიდებულს... და არც დაეკლო ამქვეყნიური დიდება, ერთდროულად – მთავრობისა და მკითხველის სიყვარული... მკითხველის სიყვარულიც, აბა!..

1986 წლის 9 იანვარს აღნიშნავდა, რომ:

ემზარ კვიტაიშვილის დაჟინებული თხოვნით წაიკითხავდა მაკანინის ერთ მოთხრობას, პოვესტად რომ ითქმოდა: „პირველი სუნთქვით". ინტერესით გავიდოდა ბოლოში და ამას მწერლის დამსახურებას მიაწერდა ცხადია. ჯერომ სელინჯერისა და „დაჟე" ნოდარ დუმბაძის გამოძახილად მიიჩნევდა. საერთოდ კი რეპორტიორის შთაბეჭდილებას უფრო დატოვებდა...

თუ თხრობის ეს მანერა ხერხი გახლდათ, რაც ადვილი შესაძლებელი იყო, მაშინ სხვანაირი თვალითაც შეიძლება დაგვენახა. ისე კი მარტო ამ ერთი ნიმუშით მსჯავრის გამოტანა არ შეიძლებოდა. სხვებსაც წაიკითხავდა, სანიმუშოდ რომ გადმოეცათ. ვალენტინ რასპუტინზე უკეთეს მწერლად რომ გამოეცხადებინათ, ეს კი გაუკვირდებოდა.

10 იანვარს „აბესალომ და ეთერის" ახალ დადგმას რომ დაესწრებოდა ოპერაში, მის გვერდით მოხვდებოდნენ – უფრო სწორედ მე მოვხვდი მათ გვერდითო, დააზუსტებდა – თემიკო ჩირგაძე და ვაჟა ჟღენტი.

ეშინოდა ამ კაცისა – ვაჟა ჟღენტის – რეზოს.

მიზეზი რა იყო და:

გურამ ასათიანის სანახავად რომ მივიდოდა, იქ ის კაცი დახვდებოდა. და გურამი მალე გარდაიცვლებოდა.

მომაკვდავ ნოდარ დუმბაძესთანაც ეგ დახვდებოდა.

– ახლა მე, გიგამ და ვაჟამ სიმღერა ვთქვით სამ ხმაში, – ეტყოდათ ნოდარი. დარჩებოდა კიდეც ეს სიმღერა.

ოტია პაჭკორიას შეტირილზე რომ მივიდოდნენ, იქაც საქმიანად შევიდოდა ვაჟა ჟღენტი: თავი აქეთ უქენითო, – იტყოდა, სასახლეში რომ ასვენებდნენ ცხედარს, და წავიდოდა.

სხვებს რომ ჭირისუფლობდა, ამის მომსწრეც არაერთხელ იქნებოდა რეზო, და: კარგი თვისებააო, – განა ამ თავგამოდებას უწუნებდა.

არ მოეწონებოდა მხოლოდ, რომ: თემიკოს გვერდით დაინახავდა. რაღაც ავისმომასწავებლად ენიშნებოდა და: ნეტა არ ამიხდებოდესო, – რაღაც ამისდამაგვარს უსათუოდ გაიფიქრებდა.

იმავე წლის მიწურულისათვის 15 ოქტომბერს ღრმა ტკივილსა და სინანულს გამოხატავდა სერგო კლდიაშვილის გარდაცვალების გამო, და კიდევ ერთხელ რომ მიადევნებდა მზერას მის ცხოვრებას, როგორ არ აღენიშნა საგანგებოდ: უხმაუროდ, თითქმის შეუმჩნეველად განვლო, დაამთავრა სიცოცხლე ნამდვილმა მწერალმაო...

და მერამდენედ ჩაუფიქრდებოდა წუთისოფლის უკუღმართობას:

რა ბედს, რა ხვედრს არგუნებს მაინც დრო ადამიანებს... რამდენ ნაგავს და არარაობას განადიდებს, აღაზევებს დროებითო...

ამის შეტყობით:

დავითის შვილობაც შეუშლიდა ხელს ცხადია და სხვა რამეც...

ამ „სხვა რამეს" აღარ განმარტავდა, თუ რას იგულისხმებდა. ისე დავითის შვილობა ხელის შემშლელად რა – ცოტა იყო?..

სხვაზე განათლებული და სხვაზე მწიგნობარი რომ გახლდათ სერგო კლდიაშვილი, ყველა ხედავდა და რეზო კიდეც დაუფასებდა წიგნიერებას. მიზეზზე კიდევ იფიქრებდა, იფიქრებდა... იმ მხრივაც დაინტერესდებოდა: აქამდე თუ მიყრუებულიყო რაღაც-რაღაც მოტივებით, გარდაცვალების შემდგომ ხომ არ მოელოდა სახელის აღზევება?!.

ალბათ არა, რადგანაც:

ახალი სიტყვა – თუნდ ფორმალურად – ვერ ეთქვა როგორც ჩანს...

და გულდაწყვეტას ის გაკვირვებაც უნდა შემატებოდა:

ნოდარ დუმბაძეზე უკეთესი მწერალი ჩრდილში დარჩა ამის გამო, ნოდარმა კი დროს უპასუხაო.

ვერა და ვერ აეხსნა, პოლიტიკურ-ლიტერატურულ კონიუნქტურას ასე რომ გაემართლებინა „მზიანი ღამის" შემოქმედისათვის.

ვისთვის როგორ და: აგერ რეზოს თვალში სერგო კლდიაშვილიც ნოდარ დუმბაძეზე უკეთეს მწერლად გამოიყურებოდა.

ვერ გაიგებ ვერაფერსო, – წუხილს გაღიზიანება შეერეოდა, გაღიზიანებას – წუხილი. სერგო კლდიაშვილის ჩრდილში დარჩენა კი არა, აგერ: მიხეილ ჯავახიშვილი მიევიწყებინათ და... ნოდარ დუმბაძის გმირებს ძეგლს უდგამდნენ, თუმც სიმართლე რომ თქმულიყო: მისი პარტიულობისა და არა მწერლობისათვის.

მთლად დავიწყებულსაც ვერ ვიტყოდით მიხეილ ჯავახიშვილზე, მაგრამ შესაფერისი დაფასება რომ აკლდა, რად უნდა ლაპარაკი, ბოლოსდაბოლოს

მისი ქანდაკება არ მოგვეპოვებოდა და ნოდარ დუმბაძის პერსონაჟებსაც კი მემორიალად აქცევდნენ.

1989 წლის 3 ნოემბერს „საბრალდებო დასკვნას“ რომ უყურებდა ტელევიზიით, ისე შერცხვებოდა რეზოს... თვითონ რა შუაში იყო, მაგრამ ისე შერცხვებოდა იმ სცენის შემყურეს, ქურდი ლიმონა ბესიკის „ტანო ტატანოს“ რომ წაუკითხავდა ნუნუ ექთანს...

ზუსტად ეს განცდა დაებადებოდა მაშინაც, ნოდარ დუმბაძის რომანის – „თეთრი ბაირაღები“ – თარგზე შექმნილ ამ სპექტაკლს რუსთაველის თეატრის სცენაზე რომ ნახავდა. სურვილიც კი გაუჩნდებოდა კახი კავსაძისათვის ეკითხა:

– არა გრცხვენია?

აღარ ეტყოდა.

ოთარ მელვინეთუხუცესსაც მოერიდებოდა.

ახლა აქ სხვა თამაშობდა, გაცილებით სუსტად, მაგრამ უფრო ბუნებრივად თითქმის.

ავადხსენებული ეპიზოდი რომ მოაწევდა, ვერ გაუძლებდა და გარეთ გავიდოდა რეზო ჭეიშვილი, ეგონებოდა, უკვე ჩაელილი იქნება ის სცენაო, შემოვიდოდა და... ის დახვდებოდა მაინც...

„თეთრი ბაირაღების“ გამოქვეყნებისთანავე გააგონებდნენ ნოდარ დუმბაძეს ამ სცენის გადამლაშებულობას.

ვერ შეელეოდა მაინც.

რაღაც-რაღაცები მოეწონებოდა ამ ახალი ვერსიის ყურებისას რეზოს, განა არა... მაგრამ თავს დაძრახავდა:

არ ვიცი, ეტყობა მე არ უნდა შევაფასო. მეჩვენება, რომ ობიექტური ვერა ვარო...

მიკერძოებულობას იმიტომაც უკიჟინებდა თავს, რაკიღა აღტაცებული არ გახლდათ ნოდარ დუმბაძის ცხოვრების წესით, მწერლური ტალანტი პოლიტიკური და ლიტერატურული კონიუნქტურისათვის რომ შეეწირა ამქვეყნიურ წარმატებებს, დიდებას გამოდევნებულს.

– ალღო აუღო ცხოვრებას მწერლობით და ამით იცოცხლა.

ალღო კი გაუმართლებდა, მაგრამ...

სხვადასხვა დროს ეს საყვედური თუ გულისტკივილი უკვე გაემჟღავნებინა დღიურის ფურცლებზე, ამუნათებდა და თანაუგრძნობდა კიდეც ხელოვნურად შემოზღუდული ტალანტის გამო, გაცილებით მეტი და მნიშვნელოვანი მხატვრული ღირებულების შექმნა რომ შეეძლო და ცოტა კი ეკმარა, არადა ის ცოტაც ისე ქუხდა, ისე ტრიალებდა და გადიგამოდიოდა ნოდარ დუმბაძის გარდაცვალების შემდგომაც, ატყობდა, კიდევ კარგა ხანს გასტანდა მისი სახელის ზეგავლენა ლიტერატურაშიც, თეატრშიც, კინემატოგრაფშიც...

და კვლავინდებურად აჰყვებოდა მკითხველიც და მაყურებელიც.

და კვლავინდებურად მწყალობელი იქნებოდნენ მთავრობები ახალახალნი და ერთმანეთის მოქიშპენი, მაგრამ ნოდარ დუმბაძის მიმართ ერთნაირი პატივისცემით განმსჭვალულნი.

1988 წლის 3 მაისს რევაზ მიშველაძის ზოგად პორტრეტს რომ შემოხაზავდა ორიოდე შტრიხით და იმასაც აღნიშნავდა: აღიზიანებენ, რეზო ჭეიშვილის გავლენის ქვეშააო, – გაიხსენებდა ნოდარ დუმბაძის ფრაზასაც, ამ ლიტერატურულ ფორმულაში რომ მოაქცევდა იმის ფართიფურთს:

– ჭეიშვილის ჭაჭაზე დაყენებული არაყია რევაზ მიშველაძე.

და აღტაცებულიც დარჩებოდა თავისი მახვილგონივრულობით.

არადა:

რეზო ჭეიშვილსაც არ ეჭაშნიკებოდა ეს ნათქვამი იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ: ჭეიშვილი ყურძენიც გახლდათ გურიაში; და ისე გამოდიოდა: ამ ყურძნის ჭაჭა რაა და იმ ჭაჭაზე დაყენებული ღვინო რაღა იქნებაო.

– ვიდრე ენას მოგიტანდნენ, გეტყვი, მე ვთქვი, – გააფრთხილებდა ნოდარი.

ენა მიტანილი ექნებოდათ უკვე.

ახლა კი ხელმოწერა გამართულიყო ნოდარ დუმბაძის ოთხტომეულზე და... გარდაცვლილადაც ვერ წარმოიდგენდა მას რეზო ჭეიშვილი...

იმავე წლის 14 ივლისს კვლავ უნდა წამოჰგონებოდა.

ბასტილიის აღების დღე გახლდათ.

და ნოდარ დუმბაძის დაბადების დღეც – 60 წელი შეუსრულდებოდა.

„გახდაო" – ასე ჩაწერდა დღიურში და არა: „გახდებოდაო"!..

ხშირად უყვარდა ხოლმე თქმა:

– ბასტილიის აღების დღეს ვარ დაბადებული.

თუმცაღა ძველი, იმდროინდელი და ახალი სტილი ემთხვეოდა თუ არა ერთმანეთს, რეზოს ამდენი აღარ ეცოდინებოდა. ალბათ არაო, – ვარაუდით ივარაუდებდა.

გადმოცემა უნდა ყოფილიყო მოსკოვიდან ნოდარზე. ამ დილით მოჰკრავდა ყურს ტელევიზორში...

* * *

ხოლო წერილების, გამოსათხოვარი სიტყვების, მოგონებებისა და ლექსების კრებულს ნოდარ დუმბაძეზე – „მზიანი გულის მწერალი" – 1986 წელს გამოცემულს „მერანის" მიერ, რეზო ჭეიშვილის ის მცირე თხზულებაც დაამშვენებდა, თავშეკავებულ სათაურს რომ ამჯობინებდა: „მოგონებასავით" – თვალწინ კი უპირველესად ამოესახებოდა კინოსტუდია და ის დრო, როდესაც თანამოკალმის ორი რომანიდან ერთის – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" – ეკრანიზაცია უკვე მოთავებულიყო, მეორისა კი – „მე ვხედავ მზეს" – სწორედ მაშინ მთავრდებოდა.

ნაჭერ-ნაჭერ, ნაწილ-ნაწილ უყურებდნენ იმჟამად მხატვრულ სურათებს, უყურებდნენ მასალებს, სინჯებს, მულტფილმებს, დიაფილმებსაც კი. იხილავდნენ და ამტკიცებდნენ ყველაფერს, რისი განხილვაც და დამტკიცებაც შეიძლებოდა, მონაწილეობდნენ სამხატვრო საბჭოს – სახელმწიფო სათათბიროს რომ ჰგავდა – მუშაობაში, გვიან ღამემდე ისხდნენ საპროექციო დარბაზებში, დავობდნენ, კამათობდნენ, ცხარობდნენ.

ღირდა ჩიტი ბრდღვნად ვითომ?

მაგრამ ასეთი გახლდათ მაშინდელი მუშაობის სტილი და მათაც, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, იმდროინდელი მუშაობა და იმდაგვარი სამსახური მოსწონდათ სწორედაც.

ღამის ტეხვა, დავა-კამათი (იყო თუ არა საჭირო, ძნელი სათქმელიაო, – ჩაურთავდა) არა ღლიდათ, არა წყინდებოდათ.

დრო კი მიდიოდა და... მათ ნამდვილ გასაკეთებელს ვინ გააკეთებდა, არ ანგარიშობდნენ, იმ დაკარგული შემოქმედებითი წლების ანაზღაურებაზეც არ ფიქრობდნენ, რადგანაც ეს ცხოვრებაც გრძელი, უსასრულო და უთავბოლო ეგონებოდათ.

ნოდარი სისხლხორცეულად დაკავშირებოდა სტუდიას და იშვიათად თუ ნახავდნენ იმ ტერიტორიის გარეთ.

იქ ათენებდა და აღამებდა, სტუდიის ცხოვრებით ცხოვრობდა.

და მერე უნდა მიმხვდარიყო რეზო ჭეიშვილი, რომ:

ეს თვისება მარტო კინოს სიყვარულით არ ყოფილა გამოწვეული, ჩვევად მოსდგამდა თურმე ნოდარს.

როდესაც აქედან კულტურის სამინისტროს რომელიღაც სამმართველოში გადავიდოდა – უფრო სწორად: ვახტანგ ჭელიძეს გადაჰყვებოდა – მაშინ უფრო განუმტკიცდებოდა ეს აზრი რეზოს.

რამდენიმე დღის შემდეგ მიაკითხავდა და ნახევრადბნელ ოთახში დაუხვდებოდა, ძველთაძველ მაგიდასთან მოკალათებული. მოწყენილი და შეწუხებული მოეჩვენებოდა.

– აქაც შეიძლება დიდი საქმეების გაკეთება, – აუხსნიდა ნოდარი და... ვერ დაარწმუნებდა, რადგანაც თვითონვე არა სჯეროდა თავისი ნათქვამი.

არ შვენოდა კანცელარია, მაგრამ ვიდრე იქნებოდა – ცოტა ხანს დარჩებოდა – იქაურობას არ მოშორდებოდა, იქაურ კოლექტივში გაითქვიფებოდა.

და დაიბეჯითებდა რეზო: სხვანაირად არ შეუძლიაო.

„ნიანგს“ რომ ხელმძღვანელობდა – „ნიანგით“ იარსებებდა.

მწერალთა კავშირში – მწერალთა კავშირის ცხოვრებით იცხოვრებდა.

მათთან ყოფნისას, ამ სხვადასხვა გარემოში გათქვეფისას დიდი ტრავმის, დიდი შინაგანი ტკივილის დაღი აჩნდებოდა მაინც, იმ გაუნელებელ ტკივილსა და დარდს ატარებდა თან, სხვას არ უზიარებდა და შესაძლოა ამიტომაც ეგონებოდა ბევრს უდარდელი და ბედნიერი.

რაღა შორს წასულიყო რეზო:

თვითონაც გარეგნულად მხიარული, მომღიმარი, მზემოკიდებული და ძალზე ჯანმრთელი იმდროინდელი ნოდარი აგონდებოდა ხოლმე. ან იმ ეპიზოდს, იმ უცნაურ საქციელს რა დაავიწყებდა:

ერთხელ „უსკუპიათი" ადგილიდან – რითაც ძალიან გააოცებდა – შეხტებოდა მაგიდაზე. რეზოც მიბაძავდა და... ვერ შეძლებდა. ჩემმა უფროსმა როგორ უნდა მაჯობოსო, გაბრაზდებოდა და მონდომებითა და მოთმინებით შეუდგებოდა საწადელის აღსრულებას.

ნოდარი უყურებდა და გაბმულად იცინებდა.

ჩაბჟირებული სიცილი რომ იცოდა, გადამდები, ამას სხვებიც მიაქცევდნენ ყურადღებას.

მაგრამ სჩვეოდა სხვანაირი სიცილიც: როდესაც რაღაც სასაცილოს ჰყვებოდა, ამოიჩემებდა ერთ-ერთ მსმენელთაგანს, სახეს სახესთან მიუტანდა, მიაჩერდებოდა, მონუსხავდა და კარგი ლოტბარივით თავის ხმაზე აცინებდა იმასაც. თითქოს ჰიპნოზს უკეთებსო.

მანქანის გამოყვანას აპირებდა იმ ხანებში, ტარებას კერძო მასწავლებელთან სწავლობდა და დაჰყვებოდა რეზოც ხანდახან. ერთგულად, მუყაითად ეუფლებოდა მართვას, დამჯერი და გამგონი, შესაშური მოთმინებით იტანდა ბევრად უმცროსი მძღოლის საკმაოდ მკაცრ შენიშვნებსაც და საყვედურებსაც.

დიდ და ძვირფას შეხვედრას რომ მოუწყობდნენ ერთხელ გორში, თან ახლდებოდნენ: რეზო, გიგლა ხუხაშვილი და ოთარ იოსელიანი.

საჩუქრებითა და გზაში ყელის გასასველებლით გამოისტუმრებდნენ გორელები. გვიანი ღამე იდგებოდა, მაგრამ გზად გაჩერდებოდნენ მაინც და მთვარიანში – თითქოს სმა-ჭამა ჰკლებოდეთ – სტუდიის მანქანის კაპოტზე გაშლიდნენ გამოტანებულ პურმარილს. და ნოდარი ნაჩუქარ ლარნაკებსაც გამოფენდა:

– ამით დავლიოთ.

იმით რა დალევდა – სათლი ჩადიოდა თითოში. და ოთარ იოსელიანი ეტყოდა:

– ნივთომანიისა და ბროლომანიის წინააღმდეგ მე ფილმებს ვიღებ და შენ სად მოგაქვს ეს სიმდიდრე?!.

და ნოდარი... აიღებდა და უზარმაზარ სასალათეს დააფშვნიდა ასფალტს სადღაც ოკამის მისადგომებთან. პირველს მეორეს მიაყოლებდა, მეორეს – მესამეს და... ეცემოდნენ რეზო და გიგლა და ერთ თუ ორ ლარნაკს გადაურჩენდნენ როგორც იქნებოდა. მთვარის შუქზე იბრჭყვიალებდა ღამეში ბროლის ნამსხვრევებით მოფენილი ასფალტი. და ოთარ იოსელიანის საზეიმო ხმას რა დაავიწყებდა რეზოს:

– რაზბეი, ნოდარ, რაზბეი!..

მეორე დღეს ყასიდად უსაყვედურებდა ნოდარი:

– რატომ არ გამაჩერე, კინაღამ მოკლა შინ ნანულიმ!..

იუკადრისებდა დამუნათებას რეზო:

– სულხან-საბას ბუნაგში შესული კაცისა და დათვის არაკისა არ იყოს, ის ერთიც არ მიგყვებოდა, მე და გიგლა რომ არა ვყოფილიყავით.

იცინებდა ნოდარი და წინაღამინდელ ამბავს გაიხსენებდა სხვების თანდასწრებით – აღტაცებული თავისი საქციელით.

სად აღარ მოუწევდათ ერთად მგზავრობა ჭირსა თუ ლხინში, შეხვედრებზე – კახეთში, ქვემო ქართლში, მაგრამ განსაკუთრებით მაინც მოქუთაისება დაამახსოვრდებოდა: სიმონ ჩიქოვანის იუბილეზე.

იმ ფოტოსურათს რომ გაიხსენებდა მოგონებაში, დღიურშიც რომ არ გამორჩებოდა, ამჯერად ნოდარ დუმბაძეს გამოარჩევდა წინა პლანზე: შავულვაშასა და შავთმიანს, ცალ ხელში ქუდი და მოუშორებელი სიგარეტი

რომ ეჭირებოდა, და ცალი ფეხის ქუსლს იქნებოდა დაყრდნობილი, თით-ქოს სათამაშოდ, სალაღობოდ გამზადებულაო.

ცხოვრებას – იმ ხალხური ლექსისა არ იყოს – აგორებულ ქვას შეადარებდა რეზო ჭეიშვილიც, ადრე თუ გვიან რომ უნდა გაჩერებულიყო, თუმც ჩვენც ხომ გაძლებაზე უნდა ვყოფილიყავით ამქვეყნად, ვალდებულნიც – გაგვეძლო და ისე შევხვედროდით განსაცდელს, ნოდარი როგორც შეხვდებოდა, ნოდარი როგორც შეძლებდა.

ბევრი გაეკეთებინა, ბევრი გასაკეთებელი დარჩებოდა მაინც.

დამსახურებული, მაგრამ ნაადრევი დიდება, ანდამატივით ხასიათი პატივისმცემელთა ჯარს მოუმრავლებდა, უამრავი ადამიანი, რომელთაც ლიტერატურასთან საერთო არა ექნებოდათ რა, დაეხვეოდა ფარვანასავით და... ეს კი (ჩემი მცდარი აზრითო, – თავს დაიზღვევდა ყოველი შემთხვევისათვის) საბოლოოდ შეარყევდა ნოდარ დუმბაძის რკინის ჯანმრთელობას. ასე რომ არ ყოფილიყო, იგი კიდევ მრავალი ნაწარმოებით გაახარებდა მკითხველს და იმჟამადაც ცოცხალი იქნებოდა.

ხოლო ის დღეები, წუთისოფლისათვის ხანმოკლე, კაცის ეფემერიდისათვის ხანგრძლივი დღეები ერთი ბედნიერი ხანა ეგონებოდა რეზო ჭეიშვილს თავისი ამქვეყნიური არსებობისა.

* * *

იუმორისტულ წიგნშიც „კურუ" ჩახატავდა მის სილუეტს – აბა იუმორისტული თხზულება ყოფილიყო, ამ ჟანრის ფოიერვერკის გადმოღვრა ნაცნობ თუ უცნობ პირთა ანეკდოტებსა და ფრთიან, მახვილგონივრულ ფრაზებზე დაყრდნობით და... უნოდარდუმბაძეოდ?!.

როდესაც გათავმჯდომარეებოდა, ამ თანამდებობას ადრინდელი ცენზი აღარ ექნებოდა, მაგრამ თვითონ ნოდარს მოჰყვებოდა სახელი და მკითხველის სიყვარული მწერლობით და არა თანამდებობით.

და ერთგვარ სიახლედაც ამას მიიჩნევდა რეზო ჭეიშვილი.

ირაკლი აბაშიძე – პოეტი – მხოლოდ მწერალთა კავშირის კი არა, უმაღლესი საკანონმდებლო საბჭოს თავმჯდომარეც გახლდათ – პოეტობის გამო კი არა, განაწესის მიხედვით. მწერალთა თავმჯდომარე ნომენკლატურით ითავსებდა ამ პოსტსაც. სხვა დრო, სხვა პოლიტიკურ-პარტიული ხანა იდგებოდა მაშინ და იმიტომ.

მართალია დანიშნავდნენ, ფორმალურად კი: ვითომდა აირჩევდნენ, მაგრამ არც რეზოს და არც არავის ეეჭვებოდა: ნამდვილად რომ ჩატარებულიყო არჩევნები, ვინ შეიძლება ყოფილიყო წინააღმდეგი – სახელი აკლდა, ნიჭი თუ ავტორიტეტი?..

მისი გარდაცვალების შემდგომ გაუვიდოდა ყავლი ამ პოსტს, დაქვეითდებოდა და დავიდოდა, დაიყვანდნენ კიდეც ნულზე.

დრო მოიტანდა?

რეზო ჭეიშვილის შეტყობით: მარტოდენ დროისათვისაც არ უნდა დაგვებრალებინა ყველაფერი.

ედუარდ შევარდნაძის ეპოქა იდგებოდა – მისი მმართველობის პირველი ხანა – და ნოდარი ხუმრობდა თურმე:

– მამა (მჟავანაძე) წავიდა და ძმა (შევარდნაძე) მომივიდა...

და ესტუმრებოდა ერთი ახალგაზრდა პროფესორი, მისი მტერი და უკვე მოყვარე, ნოდარის მაგინებელი და უკვე მაქებარი, და ეტყოდა...

„პროფესორი“ ბუნდოვანი მინიშნებაა, უფრო გამჭვირვალე იქნებოდა: მწერალი-სპეციალისტი და „მარადისობის კანონის“ პერსონაჟი, კიდევ უფრო გამჭვირვალე კი: რევაზ მიშველაძე. ხოლო რომ ესტუმრებოდა, პირის მოწმენდას შეეცდებოდა:

– მე და შენი დაშორება მამაშენის (მჟავანაძის) ბრალია. ჩვენ შორის ძმები, და-ძმები ჩადგნენ, ჩემო ნოდარ, თვარა ჩვენ რა გვქონდა გასაყოფი, მითუფრო და მითუმეტეს – სამტრო. დავივიწყოთ ყველაფერი, ჩემო ნოდარ, აწი მე გვერდით უნდა დაგიდგე!..

რეზო ჭეიშვილი ჯერ ნოდარ დუმბაძის ფიქრს გაახმოვანებდა:

– გინდა გვერდში დამიდექი, გინდა გვერდზე, გვერდზე აჯობებს, მხოლოდ მოგვერდი არ გინდა, არც იფიქრო...

მერე იმ სიტყვებსაც დაიმოწმებდა, რასაც ხმამაღლა მოახსენებდა ადრინდელ მაგინებელსა და მერე ვითომ მაქებარს:

– მე ახლა, ძამა, ისეთი მდგომარეობა მაქვს, ჩემით თუ მოვიჭამ, თვარა სხვა ვერავინ მომაჭამს!..

დაიმოწმებდა უფრო პირდაპირაც და უფრო მწვავედაც, ვიდრე აქ ვიმეორებ, რაკიღა ჩემი მხრივ არ მინდა გავიმეტო ის მწერალ-სპეციალისტი. სულ ვერ ავცდებოდი თხრობისას, თორემ მე ნამდვილად აღარ გავაპერსონაჟებდი.

* * *

დამსახურებულმა, მაგრამ ნაადრევმა დიდებამო...

ამ ფრაზაში შეაფარებდა, ძალზე შორეულად, შეიძლება ამოუცნობად მიანიშნებდა, მშვენიერ გზაზე რომ იდგებოდა ნოდარი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისას, მაგრამ... კონიუნქტურას რომ გაურევდა და მიხვდებოდა: ეს არის ყველაზე სარფიანი და სასარგებლოო, – მერე და მერე რომ უმატებდა და უმატებდა...

ხალხიც მადლიერი ეყოლებოდა.

და მთავრობაც მადლიერი.

მაგრამ ის გზა პროზისა, ის ნამდვილი, ჭეშმარიტი გზა კი...

გადარჩევით მაინც გადაირჩევა ის მხატვრული ღირებულება, წარმოუდგენელი რომ იქნება ნოდარ დუმბაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის, მისი სულიერი მონაპოვრის გარეშე ქართული მწერლობის ისტორიაც და მდინარებაც, ყოველთვისაც რომ მოინატრებს მკითხველი მის თავისებურ იუმორს, ლაღს, დაუოკებელს, ხალასსა და უხინჯოს, მოინატრებს იმ კომიკურ ნიღბებს, ასე ძალუმად რომ აჩნევია ახლებური ტვიფარი.

* * *

ეს ორი სახელი კიდეც რომ დაწყვილდებოდა გარკვეული გადმოსახედიდან?

ტარიელ ჭანტურია გააცხადებდა, რასაც ბევრი ფიქრობდა, მაგრამ საჯაროდ თქმისაგან თავს იკავებდნენ რატომღაც:

– ნოდარ დუმბაძემ რეზო ჭეიშვილთან ერთად ქართული ლიტერატურული იუმორი აიყვანა ისეთ სიმაღლეზე, საიდანაც იგი მსოფლიოს ყოველი კუთხიდან უნდა დაინახონ.

ეს მაშინ, როდესაც ერთი ბუნებისა გახლდათ ორივეს იუმორი, თავთავისებური, მაგრამ ერთი ბუნებისა, ვიდრე რეზო ჭეიშვილი სატირიკოსის ტალანტს აღმოაჩენდა თავის სულში და მთელი არსებით გადაეშვებოდა იმ უჩვეულო, უცნაურ, გამაოგნებელი ხილვებითა და განცდებით აღსავსე სივრცეში, საითკენაც მოიკვლევდა თურმე გზას... ეგაა: ცალკეულ მხატვრულ მიგნებებსა და ხერხებს აწ უკვე ერთიან სისტემად აქცევდა, „კვამლად" გაბურულ, „მეოთხე სიმფონიით" გაჟღენთილ სისტემად...

* * *

15 ივნისს, 1992 წლისა, დაესწრებოდა ნოდარ დუმბაძის ფონდის დაარსებას ფილარმონიის დიდ დარბაზში. სხდომაზე კი აღარ დარჩებოდა, ვეღარ გაუძლებდა.

საღამოს გაუძღვებოდა გიორგი ქავთარაძე, წაიკითხავდნენ ცალკეულ ნიმუშებს და... ყალბი ნოტები გაუხვრეტდა ყურს რეზოს. კარგად გაითამაშებდა მარჯანიშვილის თეატრი სცენას „საბრალდებო დასკვნიდან": ტიგრანა, დევდარიანი, ჭეიშვილი და სხვები. და ეს იქნებოდა ერთი ნათელი წერტილი იმ თავყრილობისა...

ყალბი დიდებით განვლილი კაცის ცხოვრებას დაინახავდა... ალბათ უკანასკნელად. და ეს იქნებოდა ის ერთადერთი მწერალიც, რომელსაც ბესო ჟღენტი კონიუნქტურისათვის — სოსოიას რუსი — ებრძოდა...

კომკავშირზე, პავლე კორჩაგინზეც მრავალი სიტყვა დაეხარჯა. სისულელედ ეჩვენებოდა ეს ყველაფერი რეზოს, გახსენებად რომ არა ღირდა. მაგრამ სამწუხაროდაც მიიჩნევდა.

და კვლავდაკვლავ ის მოსაზრება გაუბურღავდა გონებას:

შეეძლო უკეთესად დაეხარჯა ნიჭი, უკეთესადაც ეცხოვრაო...

14 ივლისს, ნოდარის დაბადების დღეს, დაურეკავდა ნანული, იმისი მეუღლე, და რეზოც მივიდოდა საფლავზე. იქნებოდნენ სხვებიც, არცთუ მრავალნი. იდგებოდნენ, დაიშლებოდნენ.

— არ ნახვიდეთ, — წამოსვლისას წამოეწეოდათ ქეთინო, ნოდარის ქალიშვილი, — დედაჩემი გაგიჟდება.

— დედაშენი მაშინ არ ჩაყოლია და ახლა ჩაყოლით რჩება? — ჰკითხავდა ჯანსულ ჩარკვიანი. ეტყობოდა, რომ ვერ იყო გუნებაზე. და რეზო დარწმუნებული იქნებოდა: ედუარდ შევარდნაძეს ელოდაო.

გურამ ფანჯიკიძე უარს იტყოდა: წინასწარ რატომ არ გამაფრთხილესო.

ტარიელ ჭანტურიაც უარზე დადგებოდა, თუმც, რეზოსი არ იყოს, ჩოხაც არავის შემოუხევია მისთვის.

მანქანით რომ აივლიდა, ჯანსულ ჩარკვიანი მიჰყვებოდა მხოლოდ შინაურებს.

სხვა? სხვა არც არავინ. გამოჩენილ-გამოჩენილი ხალხი, ნოდარ დუმბაძეს ასე რომ უყვარდა, არც კი მობრძანებულიყო.

1993 წლის 18 ივლისის დღიურში აღინიშნებოდა, რომ:

ნოდარ დუმბაძის საღამოს დაესწრებოდა ორი ნანული — ერთი შევარდნაძისა და მეორე დუმბაძისა. შევარდნაძის მეუღლეს პირველად ნახავდა რეზო, რომლის შეტყობინებაც: ცოლები ქმრების პროვინციულ წარმომავლობაზე მიანიშნებდნენ. მეუღლე პირველისა შესაძლოა ლამაზიც კი იყო თავისებურად. ცუდი ქალიც არ უნდა ყოფილიყო. და იქვე მიადევნებდა: ამის თქმის უფლებაც არა მაქვსო.

საღამოზე თვითონაც იტყოდა სიტყვას მოუმზადებელი, და ინანებდა მერე.

და დაიქადნიდა გუნებაში:

ერთხელაც იქნება სიმართლეს ვიტყვი, მიცვალებულის „ოკრუჟენიე" ამას იმსახურებსო.

საფლავზე ედუარდ შევარდნაძეც მოვიდოდა. პირადადაც მოიკითხავდა რეზოს. შემდეგ — სახლში, სუფრისაკენ. აიხვეტებოდნენ ძველებურად — რაიკომი და ტრესტებიო. მწერლები, ზოგიერთის გარდა, შინ წამოსვლას ამჯობინებდნენ, მათ შორის რეზოც.

შევარდნაძე მოულოცავდათ წერილობით. კარგი წერილი გამოდგებოდა სხვათა შორის, ნოდარ დუმბაძის კლასიკოსობაზე (შეიძლება აქაც მართალიაო, ამის ჩართვას აუცილებლად მიიჩნევდა) რომ არ გაემახვილებინა ყურადღება, კარგი იქნებოდა რეზოს მოსაზრებით.

თვითონ თან აღიარებდა კლასიკოსად, თან არ ემეტებოდა... თან არ ემეტებოდა, თან აღიარებდა...

და უპირველესად მაინც სინანული იპყრობდა ნოდარ დუმბაძის ყოველი გახსენებისას, მეტი რომ შეეძლო, გაცილებით მეტი და... ცხოვრების წესის, არჩევანის გამოისობით უფრო მოკრძალებულს დასჯერებოდა — პოპულარობისა და კარიერისათვის შეეწირა ის ტალანტი, რაც ბოლომდე დახარჯვისას სულ სხვა ძალით იფეთქებდა და საჭოჭმან-საყოყმანოც არც აღარავის დარჩებოდა: გახლდათ თუ არა ნოდარ დუმბაძე ქართული ლიტერატურის კლასიკოსი...

* * *

ქუთაისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობას რომ შესთავაზებდნენ და ერთიხანობა ფეხს აითრევდა, მიუხედავად თეატრით დიდი გატაცებისა, 1997 წლის 24 თებერვალს გულს მოიცემდა: თეატრს იოლად შევეთვისებიო.

რას გააკეთებდა? ჯერ რა იცოდა, მაგრამ შეჩვევით თუ შეეჩვეოდა იქაურობას, გაკეთებითაც გააკეთებდა, რატომაც არა.

და წამოაგონდებოდა ნოდარ დუმბაძის ერთი რობაი იუმორისტული ნოველიდან „ომარ ხალიანი".

ისე არ წავალ, მიწას კვალი არ დავაჩინო,
ჯერ უნდა ღვინო დაძმარებას გადავარჩინო.
ამ ქვეყნად მოსვლა არავისთვის არ მითხოვია...

მეოთხე სტრიქონს აღარ მოიხმობდა, რაკიღა რეზოს ამჟამინდელ განწყობილებებთან არაფერი აკავშირებდა: და სანამ წავალ, მამაჩემმა უნდა მარჩინოსო!..

ზეპირადაა დამოწმებული და... ერთადერთი, მცირეოდენი ცვლილება განეცადა ნოდარ დუმბაძის რობაის რეზო ჭეიშვილის ხელში. დედანში ეწერებოდა: მე ქვეყნად მოსვლაო... — და დღიურში კი ასე გადმოსულიყო: ამ ქვეყნად მოსვლაო...

ზეპირად ეს ერთი ნიმუში არ ეხსომებოდა მხოლოდ, ეტყობა იმ ციკლს მოეხიბლა და, რომ დასჭირებოდა, სხვებსაც ძალდაუტანებლად აღიდგენდა გონებაში, წიგნში ჩახედვას ზედმეტადაც რომ მიიჩნევდა.

27 თებერვალს „მარადისობის კანონს" მოუსმენდა ტელევიზორში. სმენა ერქვა, აბა სხვა რა: ტელევიზორი ზალაში იდგა, ეს სითბოში იჯდებოდა და აქედან მოუსმენდა...

როგორ შეაფასებდა ამ გადასახედიდან დადგმის პირველწყაროს და:

სუფთა იმდროინდელი კონიუნქტურა, ეშმაკურად (ნიჭიერად კი არა, ეშმაკურადო, — ხაზგასმით ჩაურთავდა) შეკეთებულ-შემოკეთებული, და პროვინციალიზმიცო...

ჭაბუა ამირეჯიბი — ნოდარსაც ასე სჩვეოდა — ჩაყრიდა ხოლმე, რაც იცოდა, რაც გაეგონა, საკუთარ აზრებს, მცირე ცოდნას მიაწერდა თავის გმირებს — ხასიათს, პიროვნებას არ ითვალისწინებდა. მსჯელობდნენ, კამათობდნენ, აფრქვევდნენ ჭაბუას ფილოსოფიას და ეს ნამეტანი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა — ლიტერატურულ სნობებზე.

შენსას შენს გმირებს მიამატებდი ცხადია (ასე იქცეოდა რეზოც), მაგრამ მწყემსი, მილიციელი, ქურდი და ინტელექტუალი ხომ უნდა განგესხვავებინა?!.

ნოდარ დუმბაძეს ისეთი გმირები ჰყავდა, როგორიც ჭირდებოდა მთავრობას, ცენტრალურ კომიტეტს... ქურდულ — ისიც ცრუ — ფილოსოფიას ტენიდა (სწორედ ამ ჟარგონულ გამოთქმას ამჯობინებდა რეზო) საზოგადოებას — ქურდულსა და კომუნისტურს... მსჯელობდა რელიგიაზე, ქრისტიანობაზე, რაზეც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, და ათასი კიდევ სხვა... თუმც ეს სულაც არ აწუხებდა რეზოს.

მასთან: ნოდარი ნოდარი გახლდათ და არა სავლე წერეთლის ასპირანტი.

1998 წლის 10 ოქტომბერს ჩოხატაურში განზრახულიყო ნოდარ დუმბაძის დაბადებიდან 70 წლისთავის აღნიშვნა, 15 ოქტომბერს — უკვე თბილისში.

აპირებდა რეზო: ეთქვა თავისი სიტყვა, თავისი შეხედულების წინააღმდეგ გამოსულიყო. ევალებოდა თანამდებობით, თუმც არავინ ავალდებულებდა. არ გამოჩნდებოდა და... სხვანაირად გაიგებდნენ: არ გამოუშვესო.

იმ კაცად, იმ მწერლად რომ არ მიიჩნევდა ნოდარ დუმბაძეს, ვერ იტყოდა საჯაროდ, ვერც — უჯაროდ... ჩოხატაურში ალბათ ვერ წავიდოდა — მარტო პრინციპის გამო კი არა, ობიექტური მიზეზებითაც — ოჯახური მდგომარეობის, თორემ წასვლა-მოსვლა არ ეზარებოდა, არც უჭირდა...

15 ოქტომბერს ნოდარ დუმბაძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო რომ გაიმართებოდა, რეზოს სიტყვა უნდა ეთქვა. შეთანხმებით კი შეუთანხმდებოდნენ, მაგრამ: ღირდა, არ ღირდა?! — ფიქრობდა.

„ჭირისუფალს, ნანულისა და ქალიშვილებს, ვუნდებვარ, არ ვუნდებვარ?!.“

წინა დღეს ტელეფონი გაეთიშებოდა და ველარავის დაუკავშირდებოდა.

მერე იფიქრებდა: მოდი დავწერ ამ სიტყვას და თუ გამომადგება, ხო კაი, თვარადა ო'კეიო. სიტყვებით თამაშის გუნებაზეც რომ დადგებოდა!..

გაათენებდა და დაწერდა.

დილით თამაზ წივწივაძე ეტყოდა:

— მე გავხსნი საიუბილეო საღამოს ზუსტად ისე, როგორც შენ მითხარი.

— კეთილი და პატიოსანი.

— მაგრამ... გიგა ლორთქიფანიძე აპირებს გამოსვლას და ადგილი აღარ რჩება.

ჯერაც არ გამოსულაო, ჩაიცინებდა რეზო. თქმით კი ეტყოდა კმაყოფილი და გახარებული:

— აგაშენებთ ღმერთი.

თავის თავს უნდა შეწინააღმდეგებოდა ტრიბუნაზე მდგარი. რასაც არა ფიქრობდა, ის უნდა ეთქვა და... ასე მოულოდნელად გათავისუფლდებოდა ამ სიყალბისაგან...

სიტყვა კი... სიტყვა აგერ ჰქონდა და ანი ყურს, როგორც უნდოდა, ისე გამოაბამდა.

* * *

საავიზო რეჟიმის დაწესება რუსეთთან ძალიან გაახარებდა რეზოს და 2000 წლის 6 დეკემბერს ამ განწყობილებას ფურცელზეც გადაიტანდა:

რაც ხდება, კარგია, ფაქტი ყურადსაღებია — საქართველოს დამოუკიდებლობის თვალნათელი, სახიერი აღიარებააო.

გაიგებდნენ რუსები, რომ: სხვა ქვეყანაში მოდიოდნენ.

და რაც მთავარია, ქართველები მიხვდებოდნენ: საქართველო საქართველო რომ გახლდათ.

და წამოაგონდებოდა, ნოდარ დუმბაძეს რომ უყვარდა ეს სიმღერა, მწარეზე მწარე ამონაკვნესი:

და რომ ჩაფიქრდებოდა რეზო, დაიბეჯითებდა, რომ:

ამ დღის წარმოდგენა ნოდარს და არც სხვას მაშინ, მაშინ კი არა, უფრო გვიანაც, არ შეეძლებოდათ, და... მართლაც შეუძლებელი გახლდათ.

ნოდარი რამდენი ხნის წინათ გარდაცვლილიყო?

უკვე 16 წელსაც ჩაევლო.

1998 წელს გადაეხადათ დაბადებიდან 70 წლისთავი ფილარმონიაში. რეზო აპირებდა სიტყვის თქმას, დაწერითაც დაწერდა, თუმც მერე აღარ მოინდომებდა. ახლა მოძებნიდა იმ ხელნაწერს, გადაიკითხავდა და... მოეწონებოდა კიდეც.

დაუცდიდა 75 წლისთავის აღნიშვნას და ბარემ იმ საღამოზეც წაიკითხავდა, ვიდრე გამოაქვეყნებდა.

2009 წლის 14 სექტემბრის დღიურში ჩაინიშნავდა, რომ:

ნოდარ დუმბაძეს გადაასვენებდნენ და მთაწმინდაზე დაკრძალავდნენ, და როგორც რეზო შეიტყობდა: ვასილ ბარნოვის სიახლოვეს.

და ფრჩხილებში მიუწერდა:

– ძალიან უყვარდა ცხონებულს.

ერთი შეხედვით შესაძლოა ვერც ამოიცნო, წრფელად არის ნათქვამი თუ ირონიით, მაგრამ რაკიღა მოგვეხსენება რეზო ჭეიშვილის დამოკიდებულება ნოდარ დუმბაძისადმი, და მთლიანი კონტექსტიდანაც ასევე გამოსჭვივის: ირონიაა, მხოლოდ ირონია.

ნოდარ დუმბაძის სტილისტიკის მწერალს ადვილი შესაძლებელია დიდად არა ჰყვარებოდა ვასილ ბარნოვი, აგერ თვითონ რეზოც როდის უნდა მიმხვდარიყო „მიმქრალი შარავანდედის“ შემოქმედის განსაკუთრებულობას. და ახლა შეფარულად ნიშნს უგებდა ლიტერატურულ რაყიფს: ეგეც შენ, ხომ მოხვდი მაინცდამაინც ვასილ ბარნოვის გვერდითო.

ქეც გასულიყო 25 წელი ნოდარი გარდაცვალებიდან და კანონსაც ასე დაედგინა: მთაწმინდაზე გადასვენება 25 წლის შემდეგო.

მაინც იანგარიშებდა რეზო, ზეპირ გამოკლებას არც დაჯერდებოდა და, დაბეჯითებისათვის, ქვეშმიწერით გამოაკლებდა 2009-ს 1984-ს. 25 გამოდიოდა სხვაობა.

როგორ და რანაირად უნდა მომხდარიყო ეს აქცია?

და რეზოს ვარაუდით:

დაიყრიდნენ თავს ერთად უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორესთან ედუარდ შევარდნაძე, ჯანსულ ჩარკვიანი და თამაზ წივწივაძე... თუმც თამაზზე შეფიქრიანდებოდა და ბოლოს მაინც ასე გადაწყვეტდა: არა მგონიაო. ის ორი კი ნამდვილად მისულიყო და ამ სამ ადამიანს დაედგინა და განესაზღვრა თავიანთი გემოვნების მიხედვით.

არ უჯდებოდა გონებაში რეზოს მათი ეს გადაწყვეტილება, თუმც შეცდომად მიიჩნევდა ნოდარის დაკრძალვას ბაღში მარტოდმარტო.

მგონი მანამდეც ჩაეწერა, „მზიურის“ ბაღში დამარხვის გადაწყვეტილებას რომ არ იზიარებდა.

და ახლა — ყველაფერთან ერთად — იმის გაცნობიერება-გათვალსაჩინოებაც ააფორიაქებდა: მართლაც რა უცბად გავარდნილიყო დროთა რბოლიდან საუკუნის მეოთხედი — 25 წელი.

ისე ცხედარიც კი რა მოხერხებულობას იჩენდა. არ ეჭაშნიკებოდა „მზიურის“ გარემოში წოლა და კიდეც ამოაღწევდა — თანაც დიდუბის პანთეონამდე კი არა, სულაც მთაწმინდამდე, თორემ თეატრი და კინო კვლავაც დაპყრობილი რომ ეყოლებოდა, ეს თავისთავად და შეტოქება არც უნდა გეფიქრა.

კარი მერვე

თავი პირველი

როლი სცენაზე,
როლი ცხოვრებაში

– ცხოვრება სცენაა, – ეჭვიც არ ეპარებოდა რეზო ჭეიშვილს.

ცხოვრების სცენას უიგივებდა თუნდ უილიამ შექსპირიც, მაგრამ რეზო რას დაგიდევდა შექსპირულ მეტაფორებსა თუ სიმბოლიკას, რაკიღა – ტოლსტოის კვალობაზე – ათვალწუნებით შეჰყურებდა „ჰამლეტის“ შემოქმედის მონუმენტურ ფიგურას და ვერა და ვერ აეხსნა მისი უზომო სახელდიდების მიზეზ-სათავე.

„ხელსაყრელი პირობების გამო დარჩა ისტორიას“.

ცხოვრება რომ სცენა გახლდათ და თეატრი, განა რა აღმოჩენა უნდოდა – მისი დაკვირვებითაც, მისი სამზერიდანაც ასე მოჩანდა სწორედ და რომანში „ჩემი მეგობარი ნოდარი“ მთავარ გმირს მიაწერდა ამ ფიქრებს, სასაფლაოდან დაბრუნებისას ბავშვობის ამხანაგი ყვავაძე რომ ახსენდებოდა, რომელიც ქალების როლებს ასრულებდა შინაურ წარმოდგენებში, სხვათა შორის შექსპირის დროს როგორც ხდებოდა – ქალებს არ შეიძლება სპექტაკლში მონაწილეობა მიეღოთ და ამიტომაც მათი როლებიც კაცებს უნდა ეტვირთათ – ჰამლეტიც კაცი უნდა ყოფილიყო და... ოფელიაც თუნდ, ოტელოც და... დეზდემონაც, მეფე ლირიც და... მისი ქალიშვილებიც, მაკბეტიც და... ლედი მაკბეტიც.

– ...ყველა თავის როლს თამაშობს წარმოდგენაშიც, ცხოვრებაშიც... ვის შეუძლია მოსახდენი წინასწარ განსაზღვროს, გაიანგარიშოს. ყველა თავის როლს თამაშობს წარმოდგენაშიც, ცხოვრებაშიც. ზოგი დიდს, ზოგი პატარას, ზოგი უმნიშვნელოს, მაგრამ აუცილებელს!..

არა, ზოგს მაინც რა ბედი ჰქონდა, როგორ უმართლებდა!.. იქნებოდი უილიამ შექსპირი, ერთი უნიჭო მსახიობი, რომელიც თეატრის რეპერტუარის შესავსებად წერდი ტრაგედიებსაც და კომედიებსაც, მეტი კი არავინ, და არც რაღაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდი ამ პიესებს, მაგრამ ჩავარდებოდი ხელსაყრელ პირობებში და... შერჩებოდი სამუდამოდ ისტორიას, ძვრასაც ვერ გიზამდა თუნდ თვით ლევ ტოლსტოიც, თუგინდ ორივე ხელითაც მოგბღაუჭებოდა კვარცხლბეკიდან ჩამოსაგდებად.

ყველა თავის როლს თამაშობდა... უილიამ შექსპირიც, ლევ ტოლსტოიც... ყველა, ყველა...

ეგაა, სტატისტები მომრავლებულიყვნენ და ძალიანაც მომრავლებულიყვნენ, მასობრივი ადამიანის სახე რომ შეეძინა თვითეულს და სახიფა-

თონიც ამიტომ გამხდარიყვნენ, თორემ სტატისტს განა როდის შეძლებოდა სპექტაკლის მდინარების დაბრკოლება.

იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობაში კი, სადაც რეზო ჭეიშვილიც ალმოჩენილიყო, არამცთუ დაბრკოლებას დაბრკოლებაზე ქმნიდა სტატისტი, შესაძლოა ცხოვრება-სპექტაკლის მდინარე საერთოდაც შეეცვალა, კიდევ უფრო დაეკნინებინა, კიდევ უფრო გაემრუდებინა, თორემ სხვაგვარად სახიფათო ანკი რა შეიძლება ყოფილიყო, თვით უმნიშვნელო როლსაც კი – ბუნებრივი მსვლელობისას – სწორედაც აუცილებელი მნიშვნელობა რომ ენიჭებოდა.

სადღა იყო ეს ბუნებრივი მსვლელობა, ბუნ,ებრივი მდინარება, თორემ...

* * *

1979 წლის 11 დეკემბერს რეზო ესაძე დაუწყებდა დარწმუნებასა და შთაგონებას: გინდა თუ არა შალიკო ხვინგიაძეზე სცენარი უნდა დამიწეროო, – და თავის ვარიანტებსაც შესთავაზებდა.

რაც მთავარია: გურული უნდა იყოს, სხვანაირად ვერ გადავიღებო.

ეს მაინც ვერ დაუჯერებდა, ფილმის გადაღებას მართლა თუ მოაბამდა თავს რეზო ესაძე: დღეში ცხრა პარასკევი აქვს მაგასო.

პიესის დაწერას კი მართლაც აპირებდა. კარგადაც ჩაეფიქრებინა და, როგორც კი მოიცლიდა, დაწერდა.

1980 წლის 3 მარტს დაბეჯითებით აღნიშნავდა:

სასწრაფოდ უნდა დავწერო პიესა „შალიკო ხვინგიაძეო".

7 მარტს კი შვებით ამოისუნთქებდა, რომ დაამთავრებდა ამ პიესას. ორი დღის თავზე ამასაც ჩაინიშნავდა: მალე გადავბეჭდავო. დიდი ხანია უტრიალებდა და უცბად კი დაწერდა.

– მგონია, კარგი გამოვიდა, იქნებ ამან მაინც გაამართლოს, თუ არა და დიდად არც ამას ვინაღვლებ. ისე, დარწმუნებული ვარ, ახლა თუ არა, ოდესმე დაიდგმება, წარმატებითაც.

პირველი პიესა სკოლაში დაეწერა – „ტარიელ გოლუა" გაესცენიურებინა მისებურად. „ვეფხვისა და მოყმის" ლექსს ჩაუმატებდა ერთ ალაგას და... ახლა ეღიმებოდა: რა შუაში იყოო?

საერთო რვეულში გადაათეთრებდა და ახლა მოიკითხავდა: ნეტა თუ არის სადმე ის რვეულიო? უნივერსიტეტში პირველ კურსზე, პირველ სემესტრში ფარნაოზ ერთელიშვილი სტუდენტებს მათი სურვილებისდაგვარს რაღაცას რომ დააწერინებდათ, ამას გულწრფელად ეღიარებინა: პიესების წერას ვაპირებო, – და ილია ჭავჭავაძის ციტატაც დაემოწმებინა: დრამის შექმნა ერთობ ძნელიაო, – თუ რაღაც ამდაგვარი.

რამდენიმე დღის შემდეგ ლექტორი მათ ნაშრომ-თხზულებებს რომ მოუტანდათ, რეზო ჭეიშვილის დრამატურგობის ოცნებას მსხვილი წითელი ხაზი ექნებოდა გასმული.

შემდეგ პიესას კულტურის სამინისტროს დაკვეთით დაწერდა – „სოფლის პატიოსნებას". დაწუნებით თითქოს არ დაუწუნებდნენ, სრულ ჰონო-

რარსაც გადაუხდიდნენ. ახალ ვარიანტსაც დაწერდა და ორივე ვარიანტი... სადღაც გაიბნეოდა. მხოლოდ ხელნაწერი დარჩებოდა, განსხვავებით „ცისფერი მთების" პერსონაჟისაგან, იმ სოსო კენჭაძისაგან, რომელსაც ხელნაწერიც აღარ შერჩებოდა, გაბნევით კი თორმეტ ეგზემპლარს გაუბნევდნენ და ერთსღა წააწყდებოდა მოგვიანებით და შემთხვევით, იმასაც ფინალ-მოწყვეტილს და... მისი წამოღების სურვილი აღარც გაუჩნდებოდა.

მეორე პიესას თავისი ინიციატივით დაწერდა, სცენარის – „განთიადის წინ" – მიხედვით. ქ. შ.....შვილი შეუქებდა, მაგრამ ამით საქმე წინ არ წავიდოდა. რუსთაველის სალიტერატურო ნაწილი გამგე დაურეკავდა:

– ძალიან მომწონს, მაგრამ სცენარს ჰგავს, სცენარად გადააკეთე.

– სცენარი დადგმულია უკვე.

– მაშინ რეჟისორებს წავაკითხებ.

რა ბედი ეწეოდა, აღარ იცოდა. არც კითხულობდა. პატიოსანი, მოუსყიდველი კაცის სახელი ჰქონდა, ღვთის მადლით, და რომ დაედგათ, აშკარა კონიუნქტურა გამოვიდოდა ამათ სასარგებლოდ.

მესამე პიესას მარჯანიშვილის თეატრი დაუკვეთავდა, უფრო სწორად – რევაზ თვარაძე, თეატრის დირექტორი. წაუკითხავდა მას და ერთ რეჟისორს და... შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა: ბევრი ლაპარაკია შიგო.

შემდეგ გადააკეთებდა და ოტია იოსელიანი წაიღებდა რუსთაველის თეატრში. აკაკი ბაქრაძე, თეატრის დირექტორი, ეტყოდა:

– თუ კარგმა რეჟისორმა არ დადგა, არაფერი გამოვა.

მართალიაო, ეს ეთანხმებოდა გუნებაში.

მერე რობერტ სტურუა წაიკითხავდა და, როგორც მიმომხილველები აღნიშნავდნენ, ძალიანაც მოეწონებოდა. ავტორს არას ეტყოდა. დადგმაზე ბაიბურიც არ იქნებოდა. ვიღაც რეჟისორი წაიღებდა, რაღაცებს დაელაპარაკებოდა ახლა უკვე ის...

სამოთხრობო თემა გახლდათ, და ამაზე ლაპარაკს აღარც გააგრძელებდა.

ახლა ამ პიესას – „ცისფერი მთები" – წიგნში ბეჭდავდა და მისი ავკარგის განსაზღვრას მკითხველს მიანდობდა.

პიესის მიხედვით სცენარს დაწერდა და კონკურსზე პირველ ადგილს მოიპოვებდა. ახლა ის და ელდარ შენგელაია საბოლოო ვარიანტს ამუშავებდნენ და... ვნახოთ, რა გამოვიდოდა.

მეოთხე პიესას – „ქალაქში დინოზავრები დადიან" – ქუთაისის თეატრი დაუკვეთდა, კერძოდ გიორგი ქავთარაძე. რასაკვირველია მასაც მოეწონებოდა სამიოდე წლის წინათ. მას შემდეგ დგამდა და დგამდა და... ვერ დაედგა და ვერა.

„შალიკო ხვინგიაძე" მეხუთე პიესა გახლდათ მისი ხელიდან გამოსული.

„ტარიელ გოლუასაც" თუ მიათვლიდა, ბავშვობისდროინდელ მცდელობას, მეექვსეც კი იქნებოდა. ისე ის მცდელობა რატომ უნდა ამოეგდო სათვალავიდან?!.

თუკი ვერ მოიძევდა ხელნაწერს?

თავისთვის გუნებაში ხომ მაინც შეეძლო, რომ დებიუტად ეგულისხმა. თუმც იმედს მობღაუჭებით მოებღაუჭებოდა: ნუთუ არსად აღმოჩნდებაო?!.

1984 წლის 30 სექტემბერს აღნიშნავდა, რომ:

ლეო ქიაჩელის დღეები დადგებოდა. და სახლ-მუზეუმსაც გაუხსნიდნენ, ტელევიზია როგორც აჩვენებდა.

სიტყვას მისცემდნენ რევაზ ინანიშვილს და... ეკრანს მიჩერებული მისი სეხნია გაკვირვებას გამოთქვამდა ასეთი გადაწყვეტილებით: შეუძლებელია რეზოს ლეო ქიაჩელი უყვარდეს, არა მგონია ახლოს იცნობდეს მის შემოქმედებასო.

ხუტა ბერულავასაც მოჰკრავდა თვალს და... დღიურში მაინც როგორ არ წაეკრა ქიმუნჯი:

სადაც ხუტაა, იქაა რეზოცო.

რეზო ჭეიშვილისათვის უფრო უპრიანი იქნებოდა იმ თავყრილობაზე გამოსვლა, რადგანაც ლეო ქიაჩელის ნაწარმოებებს ძალიან ახლოს და კარგადაც იცნობდა ერთ დროს... ერთ დროს რა: ახლაც იცნობდა, მოსწონდა და უყვარდა კიდეც პრინციპში.

და არამცთუ წამოაგონდებოდა, სკოლაში ყოფნისას „ტარიელ გოლუა" რომ გადაეკეთებინა პიესად, არამედ მოინატრებდა და თავსაც დაამუნათებდა კიდევ ერთხელ: სად დაიკარგა ნეტა ის ხელნაწერიო?..

ეს უნდა გამოსულიყო სიტყვით, ეს უნდა ყოფილიყო უშუალო მონაწილე მუზეუმის გახსნისა და... ის გამოვიდოდა – ბუნებრივი არაბუნებრივით შეიცვლებოდა, თუმც იმ ლოგიკით, რაც იმ გარემოში სუფევდა, გასაკვირიც რა უნდა ყოფილიყო.

სადაც ხუტააო...

თუმც ვიღაცებს ეს ორი რეზო ერთმანეთშიც კი ერეოდათ, იმ ქუთაისელი თედორაძისა არ იყოს, რომელიღაც ქარხნის დირექტორისა და მისი კბილასი, რესტორანში რომ შეხვდებოდა და ის, ნამეტანი მთვრალი, ქებას დაუწყებდა და ამასაც ეტყოდა:

– ლენინურ პრემიას რუსთაველისა ჯობია!..

„რეზო ინანიშვილში ავერიე მგონი..."

სად დაკარგულიყო ნეტა ის ხელნაწერი?.. ისეთიც განა რა, მაგრამ ამას კი ძალიან ენანებოდა, რაკიღა დრამატურგობაზე პირველად მაშინ წაცდენოდა ხელი.

იქნებ მხოლოდ თვალს მიფარებოდა?

ნუგეშის მარცვლისდაგვარი რაღაც იფარებოდა ამ ფიქრში, მაგრამ თუკი ხელთ ვეღარ მოიპოვებდი, გინდ თვალსმიფარებული დაგერქმია და გინდ სამუდამოდ დაკარგული, რა ბედენა იყო!..

გავიდოდა თითქმის სამი წელიწადი და: 1987 წლის 29 მაისს სამსახურში, ქუთაისში, ესტუმრებოდა სიმონ ფიჩხაძე, რომელსაც ძლივს იცნობდა – არ მოელოდა და ალბათ ამიტომ, თორემ არ უნდა ყოფილიყო ძნელი საცნობი. რეზოს კლასში არა, მაგრამ მის სკოლაში კი ისწავლიდა. თეატრი ეყვარებოდა და იამხანაგებდნენ ამის გამოისობით ერთ დროს. ერთადაც აბარებ-

დნენ უნივერსიტეტში ერთ წელს, რეზო რომ მოეწყობოდა მაშინ და სიმონი კი – ვერა. ჯარში ნაიყვანდნენ მერე და მისი ცხოვრებისათვის უკვე თვალი აღარ მიედევნებინა.

მის შემდგომ კი გასულიყო ბარე 33 წელი.

მოვიდოდა და... მოუტანდა სკოლაში დაწერილი პიესის – „ტარიელ გოლუა" – ხელნაწერს.

ეს იმწამსვე იცნობდა თავისი ხელით გადათეთრებულ საერთო რეულს – ინსცენირებას ლეო ქიაჩელის მოთხრობისა, რომანადაც რომ იხსენიებდნენ,

გული რომ გაუჩერდებოდა, ეს თავისთავად, და გაოცებით ამ მხრივაც როგორ არ გაოცებულიყო რეზო ჭეიშვილი: ეს რამდენი ხანი შეუნახავსო.

დანიელ ხანანაშვილი ეტყოდა და ალბათ კიდეც შეუსრულებდა დაპირებას, როცა საჭიროდ ცნობდა:

– მე გაჩვენებ VII-VIII კლასებში ჩაწერილ შენს დღიურებს. შენახული მაქვს.

ამჯერად სხვა რამ გააოცებდა რეზოს:

მაშინ არა წერდა, მითუმეტეს – დღიურებს არ ავსებდა. და... წარმოდგენაც არ შეეძლებოდა, რა ექნებოდა გადანახული თანაკლასელს.

„ჩემი გადარევა რომ უნდათ, აშკარაა".

სიამოვნებისაა ეს განაფიქრი, თორემ გადარევა რატომ უნდა ნდომებოდათ, მითუმეტეს – „ტარიელ გოლუას" ინსცენირება ხელში ეჭირებოდა, ის რეული, ასე რომ მისტიროდა და თავის პიესებს მიათვლიდა, რომც არ ეპოვნა, მაინც... და ახლა მთლად ფურცელმოუკლებლად დაებრუნებინათ.

ნეტა ის დღიურები რაღა უნდა ყოფილიყო?!.

ისე თავისებურად სიმბოლურია, რომ „გადანახული ჩანაწერების" ეს რეული მაინცდამაინც ახლა უნდა მოთავებულიყო, ახლა უნდა გამოსვლოდა წირვა, თანაკლასელის ამ დაპირებას რომ გადაიტანდა ფურცელზე.

...ეს მაინც რა იყო: არ დაკარგულიყო, არა, მისი პირველი დრამატურგიული ცდა, მოსწავლეობისდროინდელი, დროებით თვალს მიფარებას კი რა უშავდა...

* * *

1979 წლის 15 თებერვალს ნახავდა კინოფილმს „კლეოპატრა". და შეიძლება იმიტომ, რომ ოფიციალურადაც და კერძო საუბრებშიც არ აქებდნენ, ან სულაც აგინებდნენ... ძალიანაც მოეწონებოა.

რას გაიძახოდნენ მის დასამცირებლად: ბუტაფორიააო?

როგორ არ გაღიმებოდა, რომ: ასეთ „ბუტაფორიას" ჩვენში ალბათ ვერც ვერასოდეს გადაიღებდნენ.

ელიზაბეთ ტეილორი ძალზე შთამბეჭდავად რომ წარმოუდგებოდა, იმასაც დასძენდა: რაღაც აქვს საოცარიო.

ეს საოცრება იმით გამოიხატებოდა, რომ:

დიდ სიმართლესა და სიყალბეს შორის ედო ზღვარი. მთავარია რომელს დაიჭერდი.

გარეგნულად და პლასტიკურად უბადლო გახლდათ, კოსტიუმებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტიც იყო – მართლაც ბრწყინვალედ რომ გამოიყურებოდა.

დიდ სიმართლესა და სიყალბეს შორის ედო ზღვარიო...

საგულისხმო დაკვირვებაა, ცხადია არა მარტოდენ კინემატოგრაფიული, არამედ ლიტერატურული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც.

სიყალბეც შეიმჩნეოდა, განა არა, მაგრამ მას აწონასწორებდა და სულაც გადაფარავდა დიდი სიმართლე, და შენზე ეკიდა, თუ რომელს დაიჭერდი.

და ესეც ის საოცრება, რომელსაც გრძნობ და ახსნით კი ვერ აგიხსნია... თუმც ახსნას რას დასდევ, როდესაც განცდით განიცდი და იმ უღრმესი შთაბეჭდილებითაც გაივსებს, ნამდვილი ხელოვნება რომ იწვევს.

სიყალბეს შესაძლოა მთლად ვერც დააღწიო თავი?

მაგრამ... დიდი სიმართლის ზღვარს გადალახავ, მის წიაღში შეაღწევ თუ არა, რაღაც საოცარის შარავანდი შემოგეხვევა და კიდეც მიგაღწევინებს მისაღწეველს...

ზოგადთეორიულ მსჯელობებს ხომ არ ასდევდა რეზო ჭეიშვილი, ელიზაბეთ ტეილორს შეჰყურებდა და უკეთესი თვალსაჩინოებაც რაღა გვენება, როდესაც დიდი სიმართლის წიაღში შეღწევის მექანიზმს გვიხსენებდნენ და გვარწმუნებდნენ რაღაც საოცარის შარავანდის ძალმოსილებაში.

ვიღაცა სიყალბეს მიაქცევდა მეტ ყურადღებას?

სიყალბის მეტი რა გვეხვია გარშემო, ყოვლად ამაზრზენი და თავზარდამცემი, დამთრგუნველი და გაუსაძლისი, და... რაღა სიყალბე გვეძია მაინცდამაინც ელიზაბეთ ტეილორის თამაშში, როდესაც შეიძლებოდა დიდი სიმართლის მადლი განგვეცადა და მის მომხიბვლელობაში ჩავძირულიყავით.

წასულიყო ის დრო, როდესაც რეზო ჭეიშვილი რიგით მაყურებლად შეჰყურებდა კინოეკრანს. ახლა უკვე შეეძლო შიგნიდანაც განეცადა ეს ყოველივე, როგორც ფილმის შექმნის პროცესის უშუალო მონაწილეს.

იმავე წლის 26 ოქტომბერს დაასრულებდა გადაბეჭდვას – ბეჭდვისას ასწორებდა და აშალაშინებდა – სცენარისა „გასტროლები ოკრიბაში". სათაურს პირობითად შეარჩევდა. დაიწერებოდა რომანის – „ქალაქში დინოზავრები დადიან" – მიხედვით.

ადრე ამავე სათაურით პიესასაც დაწერდა და ჩააბარებდა თეატრს, მაგრამ დადგმას არ დაადგებოდა საშველი.

სცენარის წერისას – ძალიან მალე კი მიახრჩობდა – წიგნში, პირველწყაროში, აღარც კი იხედებოდა. წიგნში დიალოგების ძებნას თავიდან დაწერას ამჯობინებდა და ასეც მოიქცეოდა.

ერთი და იგივე ეპიზოდი რომანში, პიესასა და სცენარში სხვადასხვანაირად უნდა ყოფილიყო, თუმც ეს არც ისეთი იოლი შესამჩნევი გახლდათ ხოლმე.

აღარაფერს ამბობდა რომანზე „ჩემი მეგობარი ნოდარი" – პირველწყაროს პირველწყაროზე.

რეჟისორს ეტყოდა:

– მინდა ვარდენ ჟორჟოლაძის როლში იპოლიტე ხვიჩია ათამაშო.

– სადღა შეუძლია, ფეხზე ძლივს დადის, – მიუგებდა ის.

– სწორედ ამიტომ, – მაშინვე შეაგებებდა, და ახლაც ფიქრობდა, რომ საგულისხმო გადაწყვეტილება იქნებოდა: მოქეიფე, მსროლელი, ძველი დამრტყმელი ვარდენი და... სასაცილო აღნაგობის, სევდიანი იპოლიტე.

მისი საყვარელი მსახიობი გახლდათ. ალბათ იპოლიტეს ყველა როლი ჰქონდა ნანახი ქუთაისის თეატრში.

მოწაფეობისას სულ ამ თეატრის მსახიობებთან იტრიალებდა, არამცთუ რეპეტიციებს დაესწრებოდა, არამედ სალობიეშიც დაჰყვებოდა ბაყუჩია მეგრელიშვილს, შოთა პირველსა თუ სხვებს. იპოლიტესთან ასე ახლოს არ იქნებოდა, ოღონდ იმთავითვე დიდად აფასებდა მის კომედიურ ნიჭს. ემზარ კვიტაიშვილთან ერთად ამასაც გაიხსენებდა, თუ რა წარმატებულად ითამაშებდა დახუნდარა ტურაბელიძის როლს „კოლხეთის ცისკარში“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანის გასცენიურებით რომ დაიდგმოდა.

ნაბახუსევზე დახუნდარა-იპოლიტეს იღლიაში ჭილოფი ექნებოდა ამოდებული და მუხლებაკანკალებული ჩეროს ძებნაში იტრიალებდა, რათა წამოგორებულიყო და ხვრინვა ამოეშვა.

ჰოი რა ტაშისცემა ატყდებოდა დარბაზში.

ისეთი უცნაური მოძრაობებით გამოირჩეოდა, ისე დაირწეოდა და იბანცალებდა, რეზოც სიცილით გაიგუდებოდა და ინატრებდა: ეს ეპიზოდი ფირზე რომ გადაიღოს ვინმემ, უკეთესი სანახავი აღარც მოგინდებაო.

თბილისში იპოლიტეს გაკინომსახიობება რეზო ჭეიშვილის სამსახურის დაწყებას დაემთხვეოდა კინოსტუდიაში.

იოლად აუღებდა კინოს ალღოს, მაგრამ რეჟისორები პროვინციელი მსახიობის დაღს მიაკერებდნენ, ერთი მხოლოდ გია დანელია აუღებდა ალღოს და ათამაშებდა სწორედ ფილმში „არ იდარდო“. დანარჩენი რეჟისორები, მათი გვარების დასახელებასა და ჩამოთვლას დღიურის ფურცლებზეც მოერიდებოდა, სულ იმუქრებოდნენ: მაგას თავის ნებაზე არ გავუშვებთო, მაგას ის ხომ არ ჰგონიაო, ვათამაშებ, მაგრამ სხვანაირად, მის ნებაზე არაო, აქ კინოაო...

– ასე ჩაფლეს ადამიანში, რაც კარგი და საუკეთესო იყო.

მთავარი ისაა, რომ... მსახიობსაც დააჯერებდნენ ამ დებულების უცთომელობაში და: ახლა მიეხვედი, კინო რა ყოფილაო, – თვითონაც ამას იტყოდა.

და გული წყდებოდა რეზო ჭეიშვილს, რომ:

ის, რაც მთავარი, ძირითადი იყო იპოლიტე ხვიჩიას ქცევაში, ბუნებაში, გარეგნობაში, ხასიათში, სწორედ იმის მოსპობას გადაწყვეტდნენ თავდაპირველად.

რეზოსნაირი კაცი რომ შეხვედროდა რეჟისორად, რის გამოც გადმოიყვანდნენ ქუთაისიდან და გააკინომსახიობებდნენ, სწორედ იმას გაუღრმავებდა, გაუშალაშინებდა და თუნდ ჩამოაშორებდა პროვინციალიზმს, მართლა რომ დაჰკრავდა მის შემოქმედებას, და ეს სავსებით ბუნებრივი გახლდათ იმ ყოფაში, იმ ატმოსფეროში, იმ დროს.

ფიქრობდა, რომ შესწევდა საამისო ძალა, ოღონდ რა შეეძლო სცენარისტს და არა რეჟისორს, რომელნიც რატომ ბრაზობდნენ, ვერ გაიგებდი, არადა თითქოს შეთანხმებულანო, ისე იქადნიდნენ: თავის ნებაზე არ გავუშვებთო.

და კიდეც მეთოდურად დაუწყებდნენ გადასხვაფერებას, დაჟინებთი მოინდომებდნენ, რომ დაემგვანებინათ ასისა და ათასისათვის.

და კიდეც რომ მიაღწევდნენ ნაწილობრივ, ეს „ნაწილობრივაა", იპოლიტე ხვიჩია მაინც რომ შეინარჩუნებდა რაღაც თავისებურს, განსხვავებულს, სწორედ და მხოლოდ იპოლიტესებურს.

იმის ამოშლასაც მოუნდომებდნენ, მაგრამ ამდენს უკვე ვეღარ შეძლებდნენ.

არადა... რეზოსნაირი კაცი უნდა შეხვედროდა, რეზოსნაირი, ოღონდ – რეჟისორი... ახლა გულნაკლული რომ შესცქეროდა ეკრანზე და სევდიანად ახსენდებოდა მისი თეატრალური როლები, ის ფრქვევა ნიჭიერებისა, ახლა ჩარჩოში რომ მომწყვდეულიყო. მაყურებელს ეს ჩარჩოში მოქცეულიც ხიბლავდა იმ გამონაშუქის წყალობით, თეატიდან რომ მოჰყვებოდა, და... ჰოი რა კინოროლებს დატოვებდა, ერთიერთმანეთზე უკეთესს, თავის ნებაზე რომ მიეშვათ და რაც კარგი და საუკეთესო იყო მასში, ასე არ ჩაეფლათ და რაღაც სტანდარტისათვის არ მოერგოთ.

იპოლიტე ხვიჩიას უთანაგრძნობდა და... ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ თვითონ მწერლად დაბადებულიყო და არა მსახიობად. მწერალსაც ემუქრებოდა, განა არა, კარგისა და საუკეთესოს ამოშლა-ამოძირკვა, მეთოდური გადასხვაფერება, ასსა და ათასთან გათანაბრება, მაგრამ ნებისყოფა თუ გექნებოდა საკმარისი, გაუძლებდი ამ შემოტევებს, ბოლოსდაბოლოს დასაწერს დაწერდი და დაელოდებოდი ხელსაყრელ ვითარებას მათ გამოსამზეურებლად, ისე არ იყავი დამოკიდებული რედაქტორებზე, როგორც მსახიობი რეჟისორზე, თორემ რეზო ჭეიშვილსაც დაემუქრებოდნენ თუ დაემუქრებოდნენ: მაგას ის ხომ არა ჰგონია, დავუბეჭდავთ, მაგრამ სხვანაირად, მის ნებაზე არაო...

3 დეკემბერს მარჯანიშვილის თეატრის იუბილეს გამართვას გადაწყვეტდნენ.

2-ში ტელევიზიით გამოვიდოდა თითქმის ყველა, ხვალ ფილარმონიის დიდ დარბაზში იზეიმებდნენ და ამასაც გადმოსცემდნენ ცისფერ ეკრანზე უეჭველად.

თეატრში – მითუმეტეს მარჯანიშვილში – თითქმის აღარ დადიოდა, რაკიღა თეატრი კი არა, ბალაგანი გამხდარიყო, ამ სიტყვის ცუდი გაგებით. შოშია ჩხეიძის თეატრს ეძახდა, რადგანაც შოშიასა და გიგა ლორთქიფანიძის ალიანსი და მათი ერთობლივი გემოვნების სინთეზი ბატონობდა იმ შენობაში. ტელევიზორში უყურებდა მხოლოდ მათ სპექტაკლებს და... მათ მაგივრად რცხვენოდა.

ადრე კი, 50-იან წლებში, სპექტაკლი არ ჩაეგდო. უშანგი ჩხეიძეს არ მოსწრებოდა და გიორგი შავგულიძე, ვასო გოძიაშვილი და კიდევ სხვები საინტერე-

სო მსახიობებად ეჩვენებოდა, თუმც რაიმე მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი სპექტაკლი მინახავსო, ახლა რომ უკვირდებოდა, ვერ იტყოდა.

„კოლმეურნის ქორწინება“ გიორგი შავგულიძის ფოიერვერკი გახლდათ. თვითონ სპექტაკლი – არც არაფერი. „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ მაშინ მოსწონდა, ახლა ვეღარას ამბობდა. „ლუარსაბ თათქარიძეში“ ვასო გოძიაშვილი იქნებოდა კარგი, „მარიამ სტიუარტში“ – სესილია თაყაიშვილი... „ურიელ აკოსტაში“ სერგო ზაქარიაძე და პიერ კობახიძე მაშინაც კი ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდნენ მასზე. „კეისარი და კლეოპატრა“ უფრო გააოცებდა, როგორც წარმოდგენა. კარგი იყო თუ ცუდი, ამის განსჯაც აღარ შეეძლო.

ხარიტონი კი – გიორგი შავგულიძის ის როლი „კოლმეურნის ქორწინებაში“ – მაინც ყველაფერზე ნათლად ჩაებეჭდებოდა მეხსიერებაში და იმ პერსონაჟისნაირი შეიძლება მას შემდეგ არც სცენაზე და არც კინოში – ამის საშუალება კი ჰქონდა – აღარ ენახა.

ემზარ კვიტაიშვილი ზღვარგადასულ აღტაცებად მოიხსენიებდა, ადრეული ზაფხულის იმ საღამოს, ერთად რომ ნახავდნენ გიორგი შავგულიძე-ხარიტონს. თვითონ ლამის სკამიდან გადავარდებოდა რამდენჯერმე და რეზო მუჯლუგუნს წაჰკრავდა, მოქაჩავდა:

– ცოტა თავი შეიკავე, ხალხი გიყურებს.

დროდადრო კი ეტყოდა:

– ასეთი რამ პიესაში არ არის, მაგის მოფიქრებულია.

ერთი ეპიზოდში გალიფეს ჯიბიდან პაპიროსის კოლოფს ამოიღებდა, ვითომ სთავაზობდა გარშემომყოფთ, მაგრამ ისე ელვისებურად ჩამოატარებდა, ვერავინ მოასწრებდა ხელის გაწვდენასა და აღებას, ხარიტონი კი წამსვე იტუცებდა ჯიბეშივე. მერე სხაპასხუპით ჭკუას არიგებდა ბრიგადირს, გვერდით მდგომ ახალგაზრდა ქალსაც მიუბრუნდებოდა: ხომ კმაყოფილი ხარ, ვერიჩკა, გენაცვალე ახსნა-განმარტებითო? – ჰკითხავდა და გავაზე მსუბუქად წამოჰკრავდა ხელს, გაეთამაშებოდა.

იმღამინდელი წარმოდგენის ტრიუმფით დამთავრებისთანავე რეზო გაიხსენებდა უილიამ შექსპირის „ანტონიოს და კლეოპატრას“:

– შავგულიძე იქ იულიუს კეისარს თამაშობდა. ისე განსხვავდებოდა ხარიტონისაგან, როგორც ცა და მიწა. გაოგნებული ვუყურებდი, როგორი დგომა, რა მეფურად მოღერებული კისერი ჰქონდა, სახეზე ნაკვთიც არ ერხეოდა, თვალი ვერ მოვაშორე...

და ემზარს მოგვიანებით ნოდარ გურაბანიძისაგან უნდა მოესმინა, თუ როგორ ემზადებოდა გიორგი შავგულიძე კეისრის როლისათვის:

თმას ოქროსფრად თვითონვე იღებავდა. თამაშის შემდეგ საღებავის მოშორება ძნელდებოდა და აცეტონის ხსნარის მოშველიება ხდებოდა საჭირო. როდესაც ურჩევდნენ: რას ეწვალები, პარიკი გაიკეთეო, – მიუგებდათ: პარიკს არაფრისდიდებით არ გავიკეთებ, რომის იმპერატორთა ქანდაკებები, ბიუსტები მინახავს მუზეუმში და პატარა, მოხდენილი თავები აქვთ, პარიკი რომ ჩამოვიმხო, ყველაფერი გაფუჭდებაო.

და დასძენდა თვალსაჩინო თეატრმცოდნე:

– ჭეშმარიტად დიდი ნიჭის მსახიობს უნდა ეთქვა და გაეკეთებინა ასეთი რამ.

„ყვარყვარე თუთაბერის“ არცერთ წარმოდგენას – სხვადასხვა დადგმას – უნახავს არ გაუშვებდნენ. ყოველი მათგანი რაღაცით იქნებოდა გამორჩეული.

აგერ თუნდ დოდო ალექსიძის დადგმა, სადაც ყვარყვარეს როლს ჩინებულად განასახიერებდა ხაკისფერ მხედრულ ფორმაში გამოწყობილი ეროსი მანჯგალაძე, რომლის მიმართაც რეზო ყოველთვის უსაზღვრო სიყვარულს გამოხატავდა.

ერთ-ერთი სცენის სიღრმეში გამოჩნდებოდა ჭერისაკენ აყირავებული წარწერა: „რევკომი“. ეროსის წელზე ნაირ-ნაირი ყუმბარა ეკიდებოდა და მედიდურად დაიჯგიმებოდა. მის წინ კაკუტა, ჩუქარა და ლირსა გამწკრივდებოდნენ. უეცრად ყვარყვარეს ერთი ყველაზე დიდი, მწვანე ყუმბარა მოწყდებოდა და გაგორდებოდა. სპექტაკლში გათვალისწინებული არ იქნებოდა, უნებურად მოხდებოდა. ეროსი არ დაიბნეოდა, ისტერიული ხმით შეჰყვირებდა: ახლავე დაწექითო! – და სამივე იატაკს განერთხმოდა.

რეზო, საერთოდაც მიჩვეული ეროსის დაუშრეტელ იმპროვიზაციებს, ამაზედაც ბევრს იცინებდა.

ტიტე ნატურარი ყვარყვარეს დითირამბს რომ აღუვლენდა:

– მე წინასწარმეტყველივით ვხედავ თქვენს სახეში უდრეკ ძალას, რომელიც დაეუფლება დიდ სახელმწიფოს... თქვენ იქნებით სახელმწიფოს უფალი, მაგრამ დაგჭირდებათ გვერდით პოლიტიკოსი, მეცნიერი. ასეთი მე ვიქნები. თქვენ მაგრად დაიჭერთ ხელში მოთრგუნვილ ქვეყანას, მე კი მას სამოთხედ გადავაქცევ. მე ახლავე შემიძლია დავჯდე და თვალდახუჭულმა დავწერო ბედნიერი სახელმწიფოს სრული კონსტიტუცია.

ყვარყვარეს პოლიკარპე კაკაბაძე პასუხად ათქმევინებდა:

– სუფთად დაწერე და მაჩვენე!

ეროსი მანჯგალაძე ამ ფიცხელ განკარგულებას ასე შეცვლიდა:

– მსხვილი ასოებით გადაწერე და მიჩვენე!

რეზო მოიწონებდა ამ იმპროვიზაციას.

რობერტ სტურუასეული დადგმის ყურებისას ყვარყვარე-რამაზ ჩხიკვაძე რომ დაიკვეხნიდა:

– მე ისე წმინდა ვარ, როცა ხატზე დავიხრები, ზოგი ხატი აქეთ ასწრებს ჩემს კოცნას.

რეზო მაშინვე მიუბრუნდებოდა ემზარს და გადმოუჩურჩულებდა:

– რა ოსტატურად არის ჩართული. ამას ლიპარიტე კიკოტე ეუბნება მოღალატე დიდებულებს.

„კახაბერის ხმლის“ გიგა ლორთქიფანიძისეული დადგმა რომ მოხიბლავდათ, რეზო ყურადღებას მიაქცევდა, სამშობლოსა და ძმის მოღალატის, საქართველოში თათრების ჯარით შემოჭრილი ბახტანგ ხანის პიროვნებაში სტალინის ხასიათის შტრიხები რომ ჩანდა.

როდესაც ათაბაგი შანშე, გაქნილი და მოხერხებული, მოუყვებოდა, ვიღაც უგულო როგორ აუშლიდა ბუდეს სოფლის საყვარელ გულთმისან ჩიტს და გადმოყრილ ხუთ ტიტველ ბარტყს კი გოშია გადასანსლავდა, რის გამოც გაუბედურებული ჩიორა დაიღუპებოდა, ბახტანგ ხანი აქვითინდებოდა, და რეზო ზეპირად წარმოთქვამდა მის დემაგოგიურ შეშფოთებას:

– ჩემს სამშობლოში, სადაც მე უფლად ვარ, ასეთი საცოდაობა როგორ უნდა ადუღდეს, რომ ჩიტი დარდით მოკვდეს, რა უბედურება დატრიალებულა ქართულ მიწაზე, რა გულმა აიტანოს!..

და ეს ის კაცი, რომელიც უამრავ უდანაშაულო ადამიანს ისე გაუჟლეტდა, ოდნავადაც არ აუთრთოლდებოდა გული.

და რეზოსაც როგორ არ ეთქვა:

– ტირანებს შიგადაშიგ გული უჩუყდებათ, თვითონ სტალინმა ყმაწვილობისას ვარდის კოკორსა და ცაში მონკრიალე ტოროლაზე ლექსი დაწერა, ივერთ მხარესაც რარიგ ეფერებოდა, მერე კი, ძალაუფლება რომ იგდო ხელთ, ისე ჟუჟავდა ათასებს, თვალსაც არ ახამხამებდა.

განსაკუთრებულ აღტაცებას გამოთქვამდა როსტომ ბრძენის სახით:

– ასეთი უცნაური ტიპი არსად შემხვედრია, თითოროლა სიტყვას გადმოისვრის და სოფლელებზე ჭკუით დაყურსულის შთაბეჭდილებას ახდენს. მის პასუხებში ერთადერთი მოკლეზე მოკლე სიტყვაა „კი" – და ამით ყველაფერს გამოხატავს. იშვიათად, თუ დაჭირდა, წინადადებასაც გაიმეტებს. ჭკუა, გამჭრიახობა არ აკლია, მაგრამ ლუკმა-პური სულ საძებრი აქვს. საქართველოში ამისთანა რამე არავის გაუკვირდება.

ლიპარიტე როსტომ ბრძენს ნართაულად უამბობდა, როგორ მიაგნებდა ერთი კაკლის ხესთან გმირი კახაბერის საიდუმლო სამყოფელს. და ამ ადგილის მიუვალობას ასე ხატავდა:

– ის კაკალი ისეთ უდაბურში დგას, ყვავი ნიგვზის მწიფობის დროს ძლივს აგნებს.

და რეზოს ენით აღუწერელ სიამოვნებას ჰგვრიდა ამ სტრიქონების წაკითხვა, თითქოს ზღაპარში მოხვედრილიყოს, ისე ნეტარებდა.

ამასაც ეტყოდა ემზარს:

– „კახაბერის ხმალი" XIV საუკუნის საქართველოს სიდუხჭირეს, ძნელბედობას ასახავს, ქრისტიანობის ეპოქაა, ეკლესიაც იხსენიება და წმინდა წერილიც არაერთგანაა დამოწმებული, მაგრამ პიესაში წარმართული სული მძლავრად ტრიალებს.

და ამ დაკვირვების ცხადსაყოფად მიუთითებდა ერთ ავტორისეულ რემარკას, სადაც განთიადის სურათი იყო წარმოდგენილი:

– გოსტაშაბი გააღებს კარს, სალამს აძლევს შემოჭრილ მზის ნათელს და მიდის.

და დასძენდა:

– ამ დროს პიესის გმირი შუბლზე მარჯვენა ხელს მიიდებდა.

რეზო ჭეიშვილის პროზაზე, სადაც თეატრის უცნაური და მომნუსხველი სამყაროა დახატული, კიდევ ცალკე უნდა დაიწეროსო, – ენანებოდა ეს ნაკადი მისატოვებლად ემზარ კვიტაიშვილს.

1980 წლის 11 მაისს გარდაიცვლებოდა რეზო ებრალიძე.

რეზო თაბუკაშვილს ეთქვა რამდენიმე დღის წინათ: მგონი რეზოების წელიწადიაო!..

რეზო ჭარხალაშვილის შეცხადებაზე იქნებოდა და ფულსაც დადებდა... სამი თვის თავზე თვითონაც წავიდოდა...

ღმერთო, ნუ გაასამებო! – უზენაესს შესთხოვდა რეზო ჭეიშვილი.

გვიან კი მიაწერდა, რომ:

მართლაც მალე მიიცვლებოდნენ: რეზო ნანავა – ჭარხალას ძმაკაცი, თვითონ რეზო თაბუკაშვილი და რეზო ინანიშვილი.

რეზო ებრალიძის ქელეხზე რომ ისხდნენ, ოთარ მამფორიას – ცხენს რომ ამგვანებდა ხოლმე, განსაკუთრებით პროფილიდან, ცხენის თავი და თვალები აქვს აშკარად, ლამაზი ცხენისო – გვერდით ვიღაც მამაკაცი იჯდებოდა, მასზე უფროსი და ისიც ლამაზი გარეგნობის. გამხდარი, მაღალიც, შემთხვევით შემოსულ ადამიანსაც ჰგავდა და მაინც არაფრით მიიქცევდა რეზო ჭეიშვილის ყურადღებას. ვინმე შათირიშვილი აღმოჩნდებოდა. და აი ოთარი ეტყოდა მასზე:

– ეს არის ჭიპილია, ჭიპილიას მარში ამაზეა დაწერილი.

რეზოს გაუკვირდებოდა და ლამის არც დაუჯერებდა.

– ხომ შენ ხარ, კაცო? – მიუბრუნდებოდა ოთარი ახლა იმას, რომელიც დაუდასტურებდა: მე ვარ, კიო, – და გაიცინებდა.

რეზოს დაწერილი ჰქონდა უკვე მისი მარშის მოტივებზე პიესა და... რაღაც არ მოეწონებოდა ეს შეხვედრა. ის შათირიშვილი თუ ჭიპილია მალე წავიდოდა. ვიტრინის შუშიდან მოჩანდა, როგორც მიდიოდა მარტო. ვერც მოსვლას გაიგებდა ვინმე მისას და ვერც გასვლას...

ეს ვითომდა სასხვათაშორისოდ ჩაგდებული ფრაზაა, უბრალო ჩანაწერს ლამის ნოველადაც რომ აქცევს.

ისე რა საგულისხმოა, ძალიან რომ არ ეჭაშნიკებოდა თავისი პიესის პროტოტიპთან შეხვედრა, სხვაგვარად ჰყავდა წარმოდგენილი და ძალიან აცდებოდა ერთმანეთს წარმოსახვა და ყოფითობა...

ვერავის უნდა გაეგო იმისი ვერც შემოსვლა და ვერც გასვლა, ჭიპილიასი, მარშიც რომ მიძღვნოდა.

ხოლო 16 ივნისის დილით სტუდიის კართან ლევან ჭელიძე დახვდებოდა და პირდაპირ მიახლიდა: ახალი ამბავი თუ იცით? სხვებიც იდგებოდნენ და იყაყანებდნენ ჩვეულებისამებრ შორიახლო. საინტერესოს არაფერს მოელოდა და გაჩერებაც არ ენდომებოდა, მაგრამ ის მაინც ჩამოურაკრაკებდა და მათ შორის: პავლე ჩარკვიანი დარჩა შვეიცარიაში.

პავლეს დარჩენაზე მთელი სტუდია ილაპარაკებდა. ზოგიერთი უკანასკნელი სიტყვებით მოჰყვებოდა მის გინებას, ზოგიერთი – ცოტანი, ასეთებიც გამოერეოდნენ – შეაქებდა კიდეც.

ერთხელ, ძალიან ადრე, თბილისის „დინამოს" ძველ სტადიონზე როსტოვისა და თბილისის დუბლშემადგენლობების თამაშს რომ დაესწრებოდა რეზო, იტყოდა:

– ახლა რომ როსტოვის გუნდის მეკარედ პავლე გამოვიდეს, არ გამიკვირდება.

ამ ნათქვამსაც გაიხსენებდნენ. მიუხედავად ამისა ძალიან ურწმუნოდ დაუგდებდა ყურს ამ მითქმა-მოთქმას, რომლის სიმართლეშიც თითქმის აღარავის შეეპარებოდა ეჭვი.

მოგვიანებით ახალი ცნობა მოვიდოდა: დარჩენით მართლაც დარჩენილიყო, მაგრამ... ავადმყოფობის გამო, ცუდად გამხდარიყო და თვითმფრინავიდან გადმოსულიყო, თვითმფრინავი კი აფრენილიყო, პავლეს ხომ არ დაელოდებოდა. დანარჩენი უკვე მეორე დღეს გაირკვეოდა.

რეზოს საკვირველად ის მოეჩვენებოდა, რომ:

პავლე ჩარკვიანი მოულოდნელად გახდებოდა პოპულარული, რასაც ამდენ ხანს ვერაფრით მიაღწევდა თვით კინოსტუდიაშიც კი, სადაც თითქმის ოცი წელი მოუწევდა მოღვაწეობა.

ისეთი ზიზღით იხსენიებდა ზოგიერთი, რას ჰქვია, შვეიცარიაში დარჩაო, რომ – ამის შეტყობით – ჩამოსვლაც აღარ ღირდა ალბათ. მაგინებლებს თვალს ვერ გაუსწორებდა, მაქებრებს ცივ წყალს გადაასხამდა.

მართლაცდა:

რატომ აგინებდნენ? რა უნდოდათ? რა დაკლებოდათ პავლეს წასვლით? რა სახალხო ეროვნული ქონება იმას გაეტაცა ირანის შაჰივით?

შეიძლებოდა ამის ახსნაც.

მოთხრობის სიუჟეტიც კი ჩაეწერა ამდაგვარ ფაქტზე.

საბოლოოდ ეს სიუჟეტი ამდაგვარ ფაქტზე ეპიზოდად ჩაერთოდა მოთხრობას „კვამლი“, როდესაც გურამ ნკავაძე მეორე სართულის დერეფანთან, კიბის ბაქანთან და ბაქანზე ამავე შენობაში მოთავსებული კვლევითი ინსტიტუტის შეწუხებულ თანამშრომლებს დაინახავდა და მიხვდებოდა, რაღაც მომხდარიყო. მაინც უკითხავად დააპირებდა ჩავლას, საერთო სალამს იტყოდა და მოეჩვენებოდა, კვლევითი ინსტიტუტის ურთი თანამშრომელი რაღაცის თქმას აპირებდა. შეჩერდებოდა. და კაცი, რომელიც რაღაცის თქმას დააპირებდა, ჯერ სიგარეტს მოითხოვდა. გურამ ნკავაძე გახსნილ კოლოფს გაუწვდიდა თუ არა, ერთდროულად გადმოუყოფდა ხელს რამდენიმე.

– შენ ჯერ არაფერი გაგიგია? – გამომცდელად ჰკითხავდა, როცა ნაფაზს დაარტყამდა.

– არა, რა უნდა გამეგო?!

– ანდროს ხომ იცნობდი?..

– ტერეშელიძეს? რას ქვია ვიცნობდი!..

– გარდაიცვალა წუხელი.

როცა ეს ცნობა სასურველ ეფექტს მოახდენდა, კმაყოფილი კაცი განაპირდებოდა, მოაჯირს მოკიდებდა ხელს და ქვევით ჩაიხედავდა, ვინ ამოდის, დავინახო, ახალი ამბის თქმა არავინ დამასწროსო.

მერე კიდევ:

– გაიგე ანდროს ამბავი, ტერეშელიძის?

– გავიგე.

– საწყალი ანდრო.

– სვამდა ანდრო?

– ისე რა, ჩვეულებრივად... ნახე ფეხბურთი გუშინ?

მერე კიდევ:

– გაიგე ანდროს ამბავი?! – დაუძახებდა ჭადრაკის დაფაზე თავდახრილი, თუთუნის კვამლში გახვეული საყვარელიძე.

– გავიგე კი.

– მართლა მოკვდა, კაცო?.. აზრზე ხარ შენ!.. ფეხბურთი ნახე?

– წუხელის პირველის ნახევარზე გამხდარა ცუდად და გათავებულა, – ამოილაპარაკებდა უმცროსი მეცნიერ-მუშაკი.

– სვამდა?

– ისე რა, ჩვეულებრივად...

– ნახე გუშინ ფეხბურთი?

– ვნახე კი, რა იყო, რა თამაში იყო?!.

10 სექტემბერს დაამთავრებდა ფაქტობრივად „ცისფერი მთების“ სცენარს და ამოიხვნეშებდა: გამაწამა ელდარმა, ვნახოთ რა გამოვაო.

და შვებამოგვრილი გადაწყვეტდა წასვლას სათევზაოდ და სოკოს საძებნელად.

სოკოს ძებნა სხვაგანაც ამოჰყოფდა თავს დღიურის ფურცლებზე:

1981 წლის 6 ოქტომბერს, წვიმიან დღეს, სექტემბერი ცხელი რომ გამოდგებოდა. მის მიწურულს წაჰყვებოდნენ ქუთაისიდან ოკრიბის ტყეში სოკონითელზე. უწვიმარი იქნებოდა, სეზონიც გადასული და ვერაფერს მოიძიებდა. თუმც თავსაც არ მოიკლავდა. მაინც ზაფხულის სიცხე იდგებოდა, ჩაციებულ ღვინოს შეუყვებოდნენ და შიშველ ფეხებს ღელის წყალში ჩააწყობდნენ.

ვნახოთ რა გამოვაო...

როგორც ჩვეოდა, ამჯერადაც უკმაყოფილო დარჩებოდა გადაკითხვისას, ძალზე ჩვეულებრივი მოეჩვენებოდა სცენარი და... ფილმად განა რა შეიძლება გამხდარიყო.

ვერ წარმოიდგენდა, ეს ვრცელი მოთხრობა, დაუმთავრებელ რომანადაც ნაგულისხმევი, ეს სცენარი, ეს კინოფილმი ასე თუ გადაეჯაჭვებოდა მის სახელსა და მის ბიოგრაფიას.

გაცილებით უფრო იმედიანად იქნებოდა, წლების შემდგომ „ასკილის წითელ ყვავილს“ რომ გაამზადებდა სცენარად, წინასწარვე დატკბებოდა მოსალოდნელი ტრიუმფის შეგრძნებით, თუმც...

მაგრამ ძალიანაც ნუ გავუსწრებთ თხრობის მდინარებას.

ჯერ მხოლოდ „ცისფერ მთებს“ ატრიალებდა ხელში და ესღა ანუგეშებდა, რომ:

პირნათელი გახლდათ ელდარ შენგელაიას წინაშე. რასაც დაპირებოდა, კიდეც მოება თავი, ძალ-ღონე არ დაეზოგა და თუ იმ რანგისა ვერ აღმოჩნდებოდა სცენარი, რეჟისორი რომ მოელოდა, საყვედურით ვერ უსაყვედურებდა, რაკიღა ბოლომდე მიეყვანა.

3 ნოემბერს ნახავდა კინოფილმს „ლონდრე“ და გაახსენდებოდა თამაზ მელიავა.

წამოაგონდებოდა სცენარსა და ფილმზე მუშაობის დრო. რამდენი წელი გასულიყო ნეტა მას შემდეგ? ალბათ 10, შეიძლება მეტიც. არადა თითქოს გუშინ ყოფილიყოს.

რამდენი რამე დაეკლო ამ მშვენიერი ფილმისათვის. ჯერ იყო და: ნეგატივს დაჰკარგავდა, ქართული ვარიანტის ნეგატივს და რუსულიდან გადაახმოვანებდა კარგა მოგვიანებით. უკვე მუშაობა აღარც უნდოდა, არც შეეძლო და ფილმის გადაღების სურვილიც აღარ ჰქონია.

„ლონდრე“ კი რეზო ჭეიშვილის თვალში, მშვენიერი, ლამაზი ფილმი გახლდათ, და გული წყდებოდა: მივიწყებულია და დაუფასებელიო.

1992 წლის 20 მარტს კიდევ ერთხელ მოუწევდა ამ ფილმის ნახვა ტელევიზორში და ეს კი გაუკვირდებოდა: რედაქტორი ვყოფილვარ და არ მახსოვდაო, — მაგრამ მოწონებით ძველებურად მოეწონებოდა: ლამაზი ფილმია, მივიწყებული, არდაფასებულიო.

ცალკეულ სისუსტეებსაც შეამჩნევდა და ბლომადაც, მაგრამ კვლავ გაიმეორებდა: საერთოდ ლამაზია და კარგიო. და წამოაგონდებოდა, რომ ეს უკვე ჩაწერილი ჰქონდა ადრეც.

1983 წლის 22 დეკემბერს თამაზ მელიავას გაიხსენებდნენ ტელევიზიაში. და რეზოს გულისწყვეტით წამოუტივტივდებოდა ის დღეები – 60-იანი წლების დასაწყისი. უკვე მსმელის სახელი ექნებოდა თამაზ მელიავას, უკვე დაწყებულიყო მისი პიროვნების რღვევისა და დაშლის პროცესი. არადა პირველ სრულმეტრაჟიან ფილმს იღებდა მხოლოდდამხოლოდ.

რეზოს თვალში: ეს საინტერესო პიროვნება კინემატოგრაფისტებს ჩაგრავდა აშკარად. ახლა საქებარ სიტყვებს არ დაიშურებდნენ და მასწავლებელსაც უწოდებდნენ, მაგრამ – ამის შეტყობით – საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, არცერთი არ აღიარებდა, ჩემზე უკეთესი რეჟისორი იყოო.

თამაზს ყველასათვის ექნებოდა უპირატესობის გამომხატველი რაღაც: რეჟისორისათვის – ლიტერატურა, ლიტერატორისათვის – კინო და თეატრი, გაუნათლებლისათვის – განათლება, ასაბიისათვის – სმა, მსმელისათვის – თუნდ წიგნის კითხვა...

არაფერში არ იყო პირველი?

მაგრამ პირველობისათვის გადანახული ჰქონდა ისეთი რაღაც, რაც მის უპირატესობას დიდად წარმოაჩენდა ხოლმე.

აგერ რეზოსათვის იგი არა ყოფილა ავტორიტეტი მწერლობის, კერძოდ პოეზიის სიყვარულით. არც – ესეც უცნაური ეჩვენებოდა – კინორეჟისორობითა და ხელოვნების ტრფიალით. სამაგიეროდ: სხვა რამით, თუნდ რუსულის ცოდნით, გურმანობით, არტისტობით ჩაგრავდა ცხადია და ყოველი ამგვარი გამოვლინებებისას აღტაცებით ამიტომაც შეჰყურებდა.

პრინციპულად არ ეთანხმებოდა თუნდ სმაში:

თამაზი კონიაკს სვამდა, რეზო თავგადადებული მეღვინე გახლდათ.

მაგრამ სუფრის ეტიკეტის ცოდნაში ახლოსაც ვერ მივიდოდა მასთან.

აგერ მაშინაც.

„პახმელიისას“ ივერიის აივანზე თამაზი ითხოვდა: მე მაცალეთო, – და ისეთ სანაქებო სუფრას გააწყობდა, გააოცებდა. ეს რომ მოსკოვში მომხდარიყო, არ გაუკვირდებოდა, ჩვეულებრივ ამბადაც კი მიიღებდა. მაგრამ „ივერიაში“ საიდან უნდა გაეჩინა და დაემზადებინა ისეთი „დელიკატესები“, ვერც ვერასოდეს მიხვდებოდა. თანაც ასწავლიდათ, რა რის შემდეგ და როგორ უნდა ეჭამათ.

დღიურის ამ ჩანაწერშიც კვლავ გაიმეორებდა, რომ:

გადაეღო ძალიან ლამაზი და მშვენიერი ფილმი „ლონდრე“, ხეირიანად რომ ვერ დაინახავდნენ, ვერ შეაფასებდნენ და... თვითონაც მოეშვებოდა. მეტის გაკეთებას ვეღარც შეძლებდა, თუმც დროც ექნებოდა და საშუალებაც და, როგორც იტყოდნენ ხოლმე, „ხელშეწყობაც“. ტელევიზიაშიც მიიპატიჟებდნენ, თითქოს დაიწყებდა კიდეც, რაღაცას წარმოებაშიც ჩაუშვებდა, მაგრამ... მიხვედრილი მიხვდებოდა უკვე, რომ გადაღება აღარ ენდომებოდა.

„მთვარის მოტაცებას“ რომ იმედიანად დაიწყებდა?

მაგრამ ბოლოს მაინც ხელს ჩაიქნევდა და... გადაყვებოდა კიდეც...

ნიჭიერი პიროვნება კი გახლდათ აშკარად, მაგრამ ეს ნიჭი რომელიმე ერთი დარგისაკენ არა ყოფილა მისწრაფებული.

ყველაფერში იქნებოდა კარგი, ოღონდ არა პირველი.

ამას ნეტა თვითონაც თუ გრძნობდა?

რეზოს შეტყობით: თითქოს გრძნობდა, და ამიტომაც იყო, რომ ისე ცხოვრობდა, როგორც უნდა ეცხოვრა...

მასწავლებლობა, მენტორობა (ვაითუ მკითხველისათვის ყური მოეჭრა ამ სიტყვას, ამიტომაც ჩაურთავდა: კარგი გაგებითო) იქნებოდა თითქოს მისი მოწოდება და ამას მოახერხებდა კიდეც.

მისი დიდბუნებოვნების წარმოსაჩენად რეზო ჭეიშვილი ამ დაკვირვებას მოიშველიებდა: ჯანმრთელობას რომ გაფრთხილებოდა, თამაზის ჭკუისასწავლებელი ირონიები და ხუმრობები არ მოწყინდებოდათ მის გარშემო მყოფ ადამიანებსო.

20 აპრილს, 1981 წლისა, ნახავდა კინოფილმს „იყო შაშვი მგალობელი“. 11 წლის წინათ ყოფილიყო გადაღებული. თვითონაც მოჩანდა შიგ გაელვებებით და დაინტერესდებოდა: როგორი ვიყავი თუნდ 11 წლის წინათო.

ფილმი ფილმად მოეწონებოდა, მაგრამ... ბევრ შეცდომასა და ფალშსაც აღმოუჩენდა, ჩვეულებრივი თვალისათვის ალბათ შეუმჩნეველს.

მთავარი გმირი სხვა იყო და... სხვას თამაშობდა. მისი (გელა კანდელაკის) გარეგნობა და ხასიათი არასგზით არ ემთხვეოდა რეჟისორის სურვილებსა და მიზანს. სწორედ ეს ვერ გაეთვალისწინებინა ოთარ იოსელიანს თავის დროზე. ჭკვიან კაცად მიიჩნევდა ოთარს და ამიტომაც ჩაინიშნავდა: დარწმუნებული ვარ, ახლა ამას თვითონვეც ხვდებაო.

„პასტორალი“, ბევრს რომ არ მოსწონდა, ოსტატობის მხრივ თითქმის უნაკლოდ გახლდათ შესრულებული – ერთი სტილი დაცულიყო დასაწყისიდან დასასრულამდე.

„რაიკომის მდივანს“ მისცემდნენ პირველ პრიზს, სხვა ორ ფილმთან ერთად, საკავშირო კინოფესტივალზე. გამოაფენდნენ პრიზებს, კიდევ იქნებოდა რაღაც-რაღაცები, და სტუდიის საპროექციო დარბაზში შეხვედრას მოუწყობდნენ გადამღებ ჯგუფს.

გამოვიდოდა ლანა ღოღობერიძე, ჟიურის წევრი ყოფილიყო, და აქებდა და ადიდებდა ფილმს:

მთელი ჟიური აღტაცებული იყო. პირველ პრიზზე ლაპარაკიც არ ყოფილა. ეს ჯილდო ეჭვს არ იწვევდა და ჟიურის წევრები წინდაწინვე, ჩუმად, საჯაროდ არ შეიძლებოდა, მილოცავდნენ გამარჯვებას. მე კიდევ სიხარულს ვერ ვმალავდი. გაგიჟდნენ, ისე მოეწონათ არნივის დაჭერისა და გაშვების ეპიზოდიო.

ეს სცენა რეზო ჭეიშვილს ნანახი ჰქონდა და... როგორ არ გაეფიქრა: კარგად ყოფილა საქმეო, – ამას კი ჩაიწერდა 21 მაისს.

ტელევიზორში ნახავდა ამ ფილმის სატელევიზიო ვარიანტს, ოთხივე სერიას. ცუდი ფილმიაო, – მეტი რაღა ეთქვა, მაგრამ ამასაც დასძენდა: თუმცა არის მასში რაღაც ხალხისათვის საჭირო და სასარგებლოცო.

ეკლექტიზმი მოიცავდა ყველაფერს: მერე ეს უგემოვნობა, ზოგან უსუსურობაც, ნატურალიზმი, რეჟისორისათვის დამახასიათებელი რაღაც პრიმიტიული სიმბოლოები, ბუნებრივი, პროფესიული მონტაჟი და კარგი ადგილებიც ალაგ-ალაგ, სამწუხაროდ – ცოტა.

ამ თემიდან რომ ასე თუ ისე სასარგებლო – ეროვნულ მოტივს იგულისხმებდა – გამოეძვრინა რეზო ჩხეიძეს, ამას დაუფასებდა მისი სეხნია.

8 ივლისს ოთარ აბესაძეზე იქნებოდა გადაცემა ტელევიზორში. რამდენიმე კაცი ილაპარაკებდა, მათ შორის – მერაბ კოკოჩაშვილიც და ოტია იოსელიანიც. არსებითს ვერაფერს იტყოდნენ და... რეზო ჭეიშვილი მაინც-დამაინც არც გაამტყუნებდათ:

ძალიან ძნელია მართლაც რაიმეს თქმა. გულახდილი ასეთ შემთხვევაში ვერ იქნებოდნენ, ცხადია ანალიზის დროც არ არის ტელევიზიაში, ანალიზისა, თუკი ამის უნარი აქვთ, თუ ამაზე უფიქრიათ ადრევე. ამიტომაც მისი ხასიათისა და შემოქმედების მხოლოდ ერთ გარემოებას გაუსვეს ხაზი და... სწორადაც მოიქცნენო.

საქარელი ბავშვი პირდაპირ მოსკოვში რომ მოხვდებოდა, სკოლიდან – უმაღლესში, გარდამავალი პერიოდი არ ექნებოდა გაელილი და ეს იმოქმედებდა უარყოფითად მის შემდგომ ცხოვრებაზეც და შემოქმედებაზეც. აღარც მოსკოველი იქნებოდა, აღარც საქარელი და... ამის შეტყობით: თბილისელიც ვერ გახდებოდა სამწუხაროდ.

მძიმე ხასიათის კაცად დაამახსოვრდებოდა, ძალიან რომ უჭირდა გარშემომყოფებთან ურთიერთობა. თავდაპირველად ყოყოჩობდა, დიდი წარმოდგენისა რომ იყო თავის თავზე, და არც ისე დიდი გახლდათ, როგორც სხვები მიიჩნევდნენ, და ბევრად მოკრძალებულ ადგილსღა იმეტებდნენ მისთვის, მაგრამ ამ უარყოფით თვისებას ვერა ფარავდა და ბევრს აღიზიანებდა, ცინიკოსსაც ამიტომ ეძახდნენ.

ვიდრე უმართლებდა და მის ფილმებს თითქოს არა უშავდა, ამ უხიაკ ხასიათსაც იტანდნენ, მაგრამ როდესაც ფილმებიც უმტყუნებდა, უკვე გაიმეტებდნენ. ძალიან განერვიულებული დაიარებოდა ბოლო დროს – ამის შემჩნევა რეზო ჭეიშვილს არ გაუძნელდებოდა. მატერიალურად გაუჭირდებოდა ძალიან და... ყველაფერს ველარ გაუძლებდა – მეგობარი, ამხანაგი, ძმაკაცი, თუნდ მოჩვენებითიც, არ აღმოაჩნდებოდა. და ჯგუფის წევრებიც რომ გაურბოდნენ ბოლოს, დაე ეს გარემოებაც აღნიშნულიყო დღიურის ჩანაწერში.

შრომისმოყვარე კაცი რომ იყო და ეგონა, ადამიანებთან მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა უნდა ჰქონოდა, ამას ჩამოართმევდა რეზო შეცდომად: აქ საქართველოა, სხვა ზნე, სხვა ხასიათი, ასე არ გამოდისო.

მისი თაობის რეჟისორი გახლდათ ფაქტობრივად. ხშირი ურთიერთობაც ჰქონდათ. ფილმის – „მალე გაზაფხული მოვა" – რედაქტორიც რეზო იქნებოდა. კარგად იქნებოდნენ ერთმანეთთან, იოტისოდენა წყენაც არ ახსოვდა მისგან, მაგრამ... ერთადერთი რეჟისორი გახლდათ კინოსტუდიაში, ვისთანაც ჭიქა ღვინო არ აეწია. ამის თქმა დარწმუნებით შეეძლო. და ვარაუდს გამოთქვამდა: ის რომ პურისმჭამელი კაცი ყოფილიყო, თუნდ სხვის ხარჯზე მოქეიფეც, ყველაფერს აპატიებდნენ, ყველაფერს დაუთმობდნენ, თვითონაც ასეთ ნერვიულობაში აღარ ჩავარდებოდა და... დღესაც ცოცხალი იქნებოდაო.

ნაწყვეტს რომ აჩვენებდნენ ფილმიდან სერგო ზაქარიაძის მონაწილეობით, გაახსენდებოდა, ამ ფილმის განხილვაზე, სამხატვრო საბჭოზე, პირველ სიტყვას მას მისცემდნენ, რეზოს, და მსახიობებს რომ დაახასიათებდა, ზაქარიაძეზე იტყოდა:

– ერთადერთი ნაკლი ის აქვს, რომ ნამეტანი კარგია.

ჭეიშვილური პარადოქსი!..

სერგო შემოწყრებოდა და: იქ რომ ყოფილიყო, რეზო ამის თქმას ვერც გაბედავდა. დაგვიანებით შემოვიდოდა. მანამდე სესილია თაყვანიშვილს შეაქებდა და დღიურშიც ჩაინიშნავდა: ნამდვილად კარგია, დიდი მსახიობია სესილია და, დაკვირვებული ვარ, ცუდი რეჟისორის ხელში საშინლად ცუდი, პროვინციული გამოდის, კარგ რეჟისორთან – კარგი, და ამ ქალის სახის სიკარგეც ოთარ აბესაძის დამსახურებააო.

ხოლო რა შეიძლება ეთქვა სერგო ზაქარიაძეზე?

მისი არც ადრე სწამდა და არც ახლა. დიდი მონაცემების აქტიორი უგემოვნო, უნიათო რეჟისორების ხელში აღზევდებოდა და აღარავის უჯერებდა. გია დანელია მოთოკავდა შეძლებისდაგვარად და იქ, იმ სურათში – „არ დაიდარდო" – ყველაზე კარგი იქნებოდა. კინოს სიმართლე, ნატურალიზმს გაიგივებული სიმართლე რომ უყვარს, მისკენ მიისწრაფოდა თითქოს სერგოც, მაგრამ ზომა არ იცოდა და: აჭარბებსო, – ასეთ არტისტზე ამბობდნენ ხოლმე პროვინციაში.

რას იტყოდა მეფე ლირზე სერგო ზაქარიძე?

მე ეს სახე ყოფითად უნდა გადავწყვიტო, ყოფითად უნდა ვითამაშოო.

მაგრამ...

შექსპირი ხომ ის ავტორი გახლდათ, რომელიც არამცდაარამც ყოფითად არ უნდა „გადაგეწყვიტა"... ხოლო ზაქარიაძე ის არტისტი, რომელსაც ყოფითად თამაში არ შეეძლო – და ის როლი ამიტომაც არ გამოუვიდოდა.

და დაურთავდა რეზო:

რა უბედურება იყო მისი დამარხვა მთაწმინდაზეო.

ამ წუხილსაც რომ გამოთქვამდა:

საერთოდ რას დაამგვანებს იქაურობა. თუმცა ადრეც ასე ყოფილა და აწიც ასე იქნება ალბათო.

თვითონ რაც შეეძლო, იმას კი აღასრულებდა ჩვეული ხელოვნებით: წმინდაგორად სახელდებულს რომ გამოიტირებდა მთაწმინდის პანთეონს „მიწების განაწილებაში", მის დამცრობა-დაკნინებას, მის მიმსგავსებას ჩვეულებრივ სამაროვანთან.

„ნიფობისთვეში" მის ლიტერატურულ სილუეტსაც რომ ჩახატავდა სათაურით „სერგო", ფინალურ მონაკვეთს ააგებდა იმის გახსენებაზე: ბრწყინვალედ რომ შეესრულებინა მინაგოს როლი ფილმში „მალე გაზაფხული მოვა"... გაზაფხულიც მალე მოვიდოდა და სერგოც მალე გარდაიცვლებოდა ულოგიკოდ და მოულოდნელად. მადლიერი მაყურებელი კი საკადრისად დაიტირებდა დიდ არტისტს... გრანდიოზულ პროცესიად გაჰყვებოდა უკანასკნელ აღმართზე...

ახსოვდა: დისციპლინირებული, მომთხოვნი, პუნქტუალური დიდი, ჩქარი ნაბიჯებით როგორ გადიგამოდიოდა პავილიონიდან დირექციაში, სასცენარო განყოფილებიდან პავილიონში, ხმის ჩამწერ სტუდიაში და სხვაგან. ტანდიდი კაცი მჩატედ ატარებდა საკუთარ სხეულს და ფიზიკური წრთობის კვალიც აჩნდებოდა. ღიანაცრისფერი პალტოთი, ზედაღილჩახსნილი მუქი პერანგითა და სვანური ქუდით აგონდებოდა.

კინოსტუდიის მაშინდელი დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი მიხეილ კვესელავა „ჯარისკაცის მამის" ჩაშვებამდე წარმოებაში მოითხოვდა ორნაწილიანი ვიდეოფილმის გადაღებას. ეს უნდა ყოფილიყო პირველი ფართოფორმატიანი ფერადი ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი რევაზ ჩხეიძისა და სერგო ზაქარიაძის მონაწილეობით.

სცენარის მომზადება დაევალებოდათ ანზორ სალუქვაძესა და რეზო ჭეიშვილს, როგორც შტატის სცენარისტებს, ამდაგვარი ექსტრემალური ვითარებისათვის მოწვეულ პირებს... გადასცემდნენ „ცისკარს" – იქ დაბეჭდილი იუზა ყაჭეიშვილის მოთხრობა უნდა გაესცენიურებინათ. გადაღებისა რა ეთქვა და გასცენიურება არ გახლდათ რთული, ერთ ეპიზოდზე უნდა აგებულიყო მოკლე ამბავი, დანარჩენს კი თვალწყალდასალევი ზღვის ხედები, ლამაზი, შიშველი (ნახევრადშიშველი) გოგო-ბიჭები შეავსებდნენ.

ერთი ზაფხული დასჭირდებოდა „ზღვის ბილიკის" გადაღების პროცესს და თბილისში ჩამოვიდოდა მასალა იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ორნაწილიან სარეჟისორო სცენარ-ჩანაფიქრს სჭირდებოდა. ეს გარემოება და კიდევ უფრო საგეგმო-საწარმოო პრობლემა სრულმეტრაჟიანი ფილმის შექმნის იდეას ნამოჭრიდა. გამოირკვეოდა, რომ რომელიღაც ჯგუფი – მგონი „თეთრი ქარავანისა" – ვერ აბარებდა ფილმს, ეს კი მარტო გეგმის ჩავარდნას კი არა, ერთეულის გადაკარგვასა და მოსკოვის საფინანსო-ადმინისტრაციული ოლიგარქიის რეაქციას გამოიწვევდა: ვიღაც გადაყვებოდა უსათუოდ ამ ამბავს.

საშველი გამოჩნდებოდა: მოკლემეტრაჟიანი – ნოველა – გადაიქცეოდა სრულმეტრაჟიანად – რომანად: სინამდვილეში სქემად, სიუჟეტი მოსაწყენ პროცესად.

სხვა გზა აღარ რჩებოდა და რევაზ ჩხეიძე იძულებით დათანხმდებოდა ამგვარ გადაკეთებას.

ნაწარმოების ხელოვნური გაზრდა დამატებით სირთულეებს გამოიწვევდა – ხელახალ სამონტაჟო გადაღებებს, იქაური ტერმინით – „დასიომკებას“, დიალოგები, რაც ფაქტობრივად არც იქნებოდა სცენარში, შეიცვლებოდა დიქტორის ტექსტით, რომელიც ძნელად, რთულად და ნერვიულად ჩაიწერებოდა. ერთს – რეზოს დაწერილი არ მოეწონებოდა, მეორეს – მისი თანაავტორისა, მესამეს – არც ერთისა და არც მეორესი. მოიწვევდნენ ედიშერ ყიფიანს, რომელსაც არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა გახმოვანებაში. ბოლობოლო რეზო მუშაობაზე უარს განაცხადებდა, თავისი ჭკუით, საკმაოდ დელიკატურად: სადიქტორო ტექსტი არ არის ჩემი ამპლუაო. მისი არ გახლდათ და სხვისი გახდებოდა და მუშაობა რუსულ ვარიანტზე გაგრძელდებოდა. ეს კვლავ ხელახალ გადაღებებს მოითხოვდა და სერგო ზაქარიაძე კვლავაც მთავარი გმირის წვერით – ბლანჟეთი – და ხასიათით ივლიდა...

სცენარი „ჯარისკაცის მამაც“ დამთავრდებოდა, და დარჩებოდა განხილვებისა და სხვადასხვა ინსტანციაში დამტკიცებათა გრძელი, დამქანცველი და დამამცირებელი პროცესი...

ერთი სამუშაო-საშინაო განხილვა მიხეილ კვესელავას კაბინეტში გაიმართებოდა ავტორის – სულიკო ჟღენტი თბილისში არ იმყოფებოდა – გარეშე: დამდგმელი რეჟისორის, მთავარი როლის შემსრულებლისა და სასცენარო განყოფილების რამდენიმე რედაქტორის მონაწილეობით. ავტორის გარეშე მსჯელობა რეზოს უაზრო ეჩვენებოდა, დააძრობდა სიგარეტის ღერს კოლოფიდან ყველას დასანახად და თითქოს გასაბოლებლად – ხერხია ერთგვარიო, დასძენდა – და სულისმოსათქმელად დადგებოდა შენობის ინტერიერში, კიბესთან.

ცოტა ხანში გამოალაჯებდა ბატონი სერგო, აუვლიდა გვერდს, ჩაათავებდა რამდენიმე საფეხურს და მოტრიალდებოდა მოულოდნელად, და კი არ მიმართავდა, არამედ უყვირებდა და უყვირებდა რეზოს:

– შენ ჩემი არაფერი მოგწონს... არც ჩემი სიარული გეხატება გულზე, არც ჩემი ჩაცმულობა, არ მეკადრება შენგან, სტუდენტებს ვზრდი შენნაირებს!..

რა სიარულსა და ჩაცმაზე იყო ლაპარაკი, ვერც რეზო გაიგებდა და ვერც მასთან მდგარი რამდენიმე კაცი.

არასოდეს არაფერი ეკადრებინა მისთვის, შენიშვნა არ მიეცა სხვისი თანდასწრებით ჩაცმაზე... პორტის მუშა უნდა ეთამაშა და... ინტელიგენტი გახდებოდა... მგონი კი ეთქვა სადღაც რაღაც რეზოს ამის თაობაზე...

ის ჩაცმულობა – ბლანჟე, „ბაბოჩკა“ და მანჟეტები – შეცვლიდა პერსონაჟს, მაგრამ რეზოსათვის არც შეცვლა ეკითხათ და არც ნებართვა აეღოთ... დიქტორის ტექსტი ვერ დაეწერა, ეგ იყო და ეგ...

მისგაისობით რომ გულნატკენი წავიდოდა სერგო ზაქარიაძე, ის ეწყინებოდა, თორემ შეურაცხყოფილი კი არ დარჩენილა. თანაც მაშინ თეატრალური არტისტის ბუნებას არ იცნობდა, თორემ რომ სცნობოდა, შესაძლოა გაკვირვებითაც არაფერი გაკვირვებოდა.

ის დღე იყო და სერგო ზაქარიაძეს თვალში ეკლად აღარ შეესობოდა, ყოველნაირად აარიდებდა თავს, თუმც ფილმის ჩაბარებისა და მიღების პროცედურებს, ეს აუცილებელი გახლდათ („ჯარისკაცის მამას" გულისხმობდა), ესწრებოდა ხოლმე. ფილმს დიდი წარმატება შეხვდებოდა გასინჯვისა და წინასწარი ნახვების დროს. კრემლის მამებთანაც წარმატებით ჩაივლიდა გამოცდა. მთავარი მაინც ის იქნებოდა, რომ ფილმს ხალხი მიიღებდა და შეიყვარებდა ქართული კულტურისა და მსოფლიო კინოხელოვნების ნაწარმოებს.

ერთ დღეს უნდა დაებარებინა კულტურის მინისტრს ოთარ თაქთაქიშვილს და განეცხადებინა მისთვის და ედიშერ ყიფიანისათვის:

– ჩამოდის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, ეწყობა საქართველოს მშრომელთა აქტივის საზეიმო შეხვედრა. მისასალმებელ სიტყვას ამბობს სერგო ზაქარიაძე, სიტყვას წერთ თქვენ. დავალება პარტიულია.

– მე არ გამოვდგები, – რეზოს ამ სიტყვებზე გაოცებულს უნდა შემოეხედა უდროოდ (არა ამ ფაქტის გამოო, – ჭეიშვილური უნდა ჩაერთო მოგონებაში) შეჭაღარავებულ, დარბაისელ მინისტრს, – რუსულ ტექსტს სხვა ავტორი სჭირდება, ჩვენ, – აქ ედიშერიც თავს დაუქნევდა, – ვერ შევძლებთ.

– ვესალმებით ქართულდა. სინქრონულ თარგმანს მიაწვდიან ადგილზევე, ტექნიკის საშუალებით...

ცალი ყურით მოუსმენდა ქართულს, ცალითაც – რუსულს; ეს პროცესი გაგრძელდებოდა ოც წუთს, დიდი-დიდი – ნახევარ საათს.

ეს ყველაფერი კი გასაგები იქნებოდა რეზოსათვის, მაგრამ სერგო ზაქარიაძემ თუ იცოდა, ტექსტის ერთ-ერთ შემდგენლად რეზო ჭეიშვილი რომ შეერჩიათ?!.

– იცის რომელია, კანდიდატები შეარჩია თვითონვე პირველის – ვასილ მჟავანაძის კაბინეტში. აი მისი ხელი!

თაბახის თეთრ ფურცელზე ჯერ რეზოს გვარი ეწერებოდა, შემდეგ – ედიშერისა.

– დღესვე კი არა, ახლავე უნდა შეხვდეთ, შინ გელოდებათ!

რეზოს მაინც უკან რჩებოდა ფეხები, მაგრამ... მასპინძელი ჩაციებულ კონიაკსაც გამოუდგამდათ.

– დავილოცოთ მხოლოდ, რადგან ამ წუთიდანვე ვიწყებთ და ვწერთ ტექსტს.

– ხვალიდან, – დაამშვიდებდნენ ესენი, თუმც მესამე ბოთლ კონიაკზე თვითონ სტუმრები იტყოდნენ უარს.

გაათენებდნენ იმ ღამეს და გაამზადებდნენ სიტყვა-სადღეგრძელოს ხალხური პოეზიისა და სიმღერების ფონზე, სტუმარ-მასპინძლის ადათ-წესების ვარიაციებზე. დღენახევარს დაიტოვებდა ბატონი სერგო სამუშაოდ, გასაცნობად, თავისი აზრის გამოსათქმელად. გავიდოდა ერთი დღე, მეო-

რე, ხმას არ მოაწვდენდათ და შეეჭვდებოდა რეზო: ან არ მოეწონა, ან ღონისძიება გადაიდო, ან... ანო...

მესამე დღეს ადრე გავიდოდა სამსახურში, რატომღაც ჩვეულებრივ, ყოველდღიურ რია-რიას ვერ იგრძნობდა. დიდი ჰოლი თუ მოსაცდელი, საქმეშემოლეული თანამშრომლებითა და უპერსპექტივო ავტორებით რომ ივსებოდა ხოლმე, ცარიელი დახვდებოდა. და... ჩქარი დიდი ნაბიჯებით, ოდნავ ქედწამოხრილი გამოჩნდებოდა სერგო ზაქარიაძე.

განმარტოვდებოდნენ ერთ-ერთ ოთახში, თითებს ერთმანეთს გადააჭდობდა მსახიობი, დახრიდა თავს, იბუტბუტებდა ცოტა ხანს და... დაიწყებდა ხმით, მიმიკით, ჩავიდოდა ბოლომდე შეუფერხებლად; არ გამორჩებოდა ამათი ტექსტის არცერთი სიტყვა, არცერთი წერტილი – პაუზების მიხედვით – და არცერთი მძიმე.

– როგორია?! – ცალთვალმოჭუტული მოაჩერდებოდა, ტექსტი ხომ არ შემშლიაო, თითქოს მხოლოდ ეს აინტერესებდა.

რეზოს რომ გააოცებდა, მიხვდებოდა, გაუღიმებდა და მაგრად ჩამოართმევდა ხელს და პალტოს კი არ ჩაიცვამდა ანდა მოირგებდა, სრიალით გადაიჯენდა განიერ მხრებსა და ხარის ზურგზე. ნაბდის, სვანურ ქუდს კი გაისწორებდა საგულდაგულოდ ფანჯრის შუშაში... დატოვებდა ორ მოსაწვევს და წავიდოდა ისევე სწრაფად, როგორც მოვიდოდა.

ლიტერატურული პორტრეტი ისე გადაეზრდებოდა ნოველად, თვითონაც ვერ შეატყობდა რეზო ჭეიშვილი!..

ხოლო 6 ნოემბერს ხელმეორედ რომ უყურებდა „ჯაყოს ხიზნების" სატელევიზიო დადგმას, ადრინდელზე უფრო მოეწონებოდა, მანამდე მიხეილ ჯავახიშვილის საიუბილეო საღამოს აჩვენებდნენ. დილით თემურ ჩხეიძის მამის გარდაცვალების ამბავს გაიგებდა. თემურ ჩხეიძის მამის და არა: ნოდარ ჩხეიძისო.

ის იცინოდა ხოლმე, ნოდარი: ჯერ გიორგი ქუჩიშვილის შვილს მეძახდნენ, მერე თემურ ჩხეიძის მამა გავხდი და... მე თვითონ სადღა ვარო. და აგერ „გადანახულ ჩანაწერებშიც" ასევე: თემურის მამაო.

გიორგი ციციშვილი რომ წაიკითხავდა მოხსენებას საიუბილეო საღამოზე, „ჯაყოს ხიზნებზე" გაამახვილებდა ყურადღებას, დაიწყებდა დაცვას და ამ სატელევიზიო სპექტაკლსაც გაიხსენებდა. და რეზო ჭეიშვილი ჩაუფიქრდებოდა:

დღემდე რომ კამათობენ ამ მოთხრობასა თუ რომანზე, დღემდე რომ აპეკუნი სჭირდება, რაღაცაში უნდა იყოს საქმეო.

მიზეზად მიიჩნევდა:

ბოლომდე რომ არ არის ნათქვამი, რის თქმასაც აპირებდა მწერალი, ცხადზე უცხადესიაო.

გამართლებით გაამართლებდა:

უნდა გავითვალისწინოთ ის დრო, ის ატმოსფეროო.

და მაინც იყო კიდევ რაღაც...

ეს „რაღაც" რას გულისხმობდა?..

„დათვი რომ მოგერევა, ბაბა დაუძახეო“ და „ჩათრევას ჩაყოლა სჯობსო“ – ამ ორ ანდაზას მიუსადაგებდა თეიმურაზ ხევისთავის ხასიათს, მწერლის კონცეფციას. ამაზე მიანიშნებდა ნაწარმოები და მომხსენებელიც ახსენებდა რაღაც ამდაგვარს. და ჭეიშვილურად ჩაურთავდა: ანდაზებს არა ვგულისხმობ, კონცეფციაზეა ლაპარაკიო.

მიხეილ ჯავახიშვილი – ამის შეტყობით – მიიჩნევდა, რომ ინტელიგენცია ძალაუნებურად უნდა დამდგარიყო ამათ პოზიციაზე, გამარჯვებული ბოლშევიკებისა, თორემ კიდევ უარესი მოხდებოდა, უარესი უბედურება დაატყდებოდა თავს საქართველოს. ამაში ხედავდნენ ისიც და მისი მეგობრებიც, როგორც ჩანდა, ხსნას და თავიანთ აქტიურობასაც ამით ამართლებდნენ; უმოქმედობასა და განზე დგომას უკიჟინებდნენ – დასცინოდნენ კიდეც – ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელს. მათი თანადგომა – მოჩვენებითი თუ ფორმალური – სამწუხაროდ კრახით, უბედურებით უნდა გასრულებულიყო, თუმც მათეულ პრინციპს რეზო ჭეიშვილიც სწორად მიიჩნევდა.

ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ:

თეიმურაზ ხევისთავის ხასიათში, ჯაყოს წარმოშობა-სადაურობაში და სხვაში და სხვაში რაღაც შეცდომები და უზუსტობები მოსვლოდა მწერალს, მაგრამ ამ ჩანაწერში ზედმეტად მიიჩნევდა ამის თაობაზე მსჯელობას. სხვა შემთხვევა კი აღარ მიეცემოდა, არადა რაოდენ საგულისხმო იქნებოდა ეს რომანი რეზო ჭეიშვილის განსჯა-ანალიზის შუქში.

15 ოქტომბერს დაასაფლავებდნენ გიორგი მდივანს. რუსთაველზე ჩაივლიდა 3 საათზე, 4 დაწყებულიყო. უამრავი ინსპექცია, მილიცია, ქუჩები ჩაკეტილიყო. რაშია საქმეო? – გაუკვირდებოდა, და თურმე გასვენება ყოფილიყო რუსთაველის თეატრიდან 4 საათზე. ჩაივლიდა. ხალხი არ იქნებოდა. შემდეგ და შემდეგ შეემატებოდნენ ალბათ, მაგრამ ინსპექციას ხომ ტყუილად მოაცდენდნენ.

ვინ იყო ეს გიორგი მდივანი?

ვერ გაეგო რეზო ჭეიშვილს.

კაცმა რუსული არ იცოდა და... რუსი მწერალი კი გახდებოდა. ამავე ენერგიითა და მონდომებით შეეძლო გამხდარიყო მათემატიკოსიც, ფიზიკოსიც, აუცილებლად გაძვრებოდა აკადემიის ნამდვილ წევრადაც. მხატვარიც შეეძლო გამხდარიყო და კომპოზიტორიც.

ორიოდ სტრიქონით რაოდენ სახიერად და შთამბეჭდავად წარმოჩნდება გაქნილი ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტი, ტიპური საბჭოთა პროდუქტი, აბსურდული რეალობის ღვიძლი ღვიძლთაგანი. კიდეც ამოზრდილი იმ რეალობიდან და კიდეც განმსაზღვრელი მისი – ამ ეპოქის – სულისკვეთებისა თავისნაირებთან ერთად.

რეზო სტუდიაში რომ მივიდოდა, იმ წელს დაამთავრებდა შოთა მანაგაძე „კეთილ ადამიანებს“. გიორგი მდივანი „საბუდარელი ჭაბუკის“ ავტოროზე უარს რომ იტყოდა თავდაპირველად, ეს უკვე შეეტყო.

დაწყებულ სცენარებს მაჩეჩებენ, მე ვწერ თავიდანო, – აწუწუნდებოდა შოთა მანაგაძე ჩვეულებისამებრ. ასევე ვიღაცის დაწყებული სცენარი აღმოჩნდებოდა „ხევსურული ბალადაც“. იმასაც შოთას მიაჩეჩებდნენ. გასინჯვაზე

ჩამოვიდოდა. გიორგი გაბადრული იჯდებოდა. აქებდნენ და ადიდებდნენ. ჩვენც არ დაგვიკლია ხელიო, – ირონიულად ჩაურთავდა დღიურის ავტორი. გულკეთილი და ხელგაშლილი კაცის სახელი კი ექნებოდა სხვათა შორის. განხილვა რომ დამთავრდებოდა, როგორც ადრე ხდებოდა ხოლმე, ვარიანტზე (იქვე ფრჩხილებში განმარტავდა ამ ჟარგონულ გამოთქმას: დალევაზეო) შეიქნებოდა ლაპარაკი. ფული არ გააჩნდათ და ედიშერ ყიფიანი იტყოდა:

– თუ გინდათ მე ვეტყვი გიორგის, ატეხილები რომ ხართ, და ფულს მოგვცემს, ისეა გახარებული.

მართლაც მივიდოდა და ეტყოდა. და რეზოს სულ უკვირდა: ასეთმა მორიდებულმა ადამიანმა, ედიშერი რომ არის, ეს როგორ იკისრაო. მიადევნებდა თვალს და... სახეზე ანითლებულსაც მალე დაინახავდა. ვინ და ვინ იყვნენ მაშინ და: ნოდარ დუმბაძე, მიხეილ ქვლივიძე, ანზორ სალუქვაძე, მერაბ სარალიძე, თუ არ ცდებოდა – გურამ ასათიანიც, და შესაძლებელია არჩილ სულაკაურიც.

არჩილი იმ სცენარზე იყო მიმაგრებული, თორემ მათთან არა მუშაობდა. რამდენს იწვალებდნენ რეზო და ანზორი ფასანაურის სასტუმროში არჩილთან ერთად, „ხევსურული ბალადის“ ის ვითომსცენარი რომ რაიმეს დამგვანებოდა.

მაშინ კი გიორგი მდივანი უარს ეტყოდა ედიშერს. თხოვნას არასერიოზულად მიიღებდა და სიცილით მიმართავდა: რამდენი პრემიერა მე მექნება, იმდენი პურმარილი რომ ვიკისროო...

მწარედ ელიმებოდა დღიურის ავტორს: ერთი ასი მანეთი რომ ამოეღო: წადით, ბიჭებო, ჩემს სახელზე თითო ჭიქა დალიეთო, – ხომ სამახსოვროდ და სალაპარაკოდ გვექნებოდა აქამდეო!..

ამ ერთი დეტალითაც უკვე საცნაური ხდება ადამიანის ხასიათი. მეტი აღარ არის რაიმე საჭირო და არც დღიურშია გახსენებული სხვა ეპიზოდი, სავსებით კმარა თვითკმაყოფილებით სავსე სილუეტისათვის მზერის შევლება, რათა გაიზიარო რეზო ჭეიშვილის ამ ჩანაწერის ფინალური ირონია.

როგორ იცხოვრა? როგორ გაატარა წუთისოფელი? – ამ რიტორიკულ კითხვებზე – იმ ნაამბობის ფონზე, თორემ სხვა შემთხვევაში რიტორიკული რატომ იქნებოდა – მოხდენილად მოადევნებდა: კაცობაში – ვერ გეტყვითო.

მეტი რაღა უნდა ეთქვა, ისეთ მეტყველ სურათს გადაგვიშლიდა.

ხოლო მწერლობაში?

ცარიელი ქვაბის რაჩხარუჩხით ჩაევლო.

ასეთივე რაჩხარუჩხით ანკი რატომ არ გახდებოდა მათემატიკოსიც, ფიზიკოსიც, მხატვარიც თუ კომპოზიტორიც, ანდა რა დაუშლიდა, აკადემიის ნამდვილ წევრადაც გამძვრალიყო. რუსი მწერლისა და სცენარისტის სახელს დასჯერდებოდა, რას აქნევდა, რუსული რომ არ იცოდა, ანდა სცენარის დაწერის ინჩიბინჩს ვერასოდეს რომ ვერ გაიგებდა.

7 დეკემბერსრაღაც დოკუმენტურ ქრონიკალურ ფილმს რომ აჩვენებდნენ ტელევიზიით, პოტსდამის კონფერენციას, და იქ სტალინი გამოჩნდებოდა, იქ ჰარი ტრუმენი... და კიდევ ჰერმან გერინგი –ნიურნბერგის

პროცესზე, სასამართლოს მსვლელობისას რომ იცინოდა, ვერ იტყოდი, ისტერიულადო – გულიანად და ხანგრძლივად, რეზო ჭეიშვილს ამ ეპიზოდის გახსენებისას და ჩაწერისას მოაგონდებოდა მიხეილ კვესელავა – ნიურნბერგის პროცესის მონაწილე თარჯიმნის ამპლუაში და... უეცრად გაახსენდებოდა, რომ უკვე მკვდარი იყო. გარდაცვლილიყო დღეს თუ გუშინ, მაგრამ კინოსტუდიაში შეტყობით დღეს შეეტყო.

არ გახლდათ ურიგო ადამიანი, ურთიერთობაში კარგი კაციც და... ეწყინებოდა მისი სიკვდილი. ძალიან ახლოს იცნობდა ერთ დროს: კარგ მთხრობელს, საინტერესო მოსაუბრეს, დილეტანტს რასაკვირველია, მაგრამ ერისათვის სასარგებლოსა და საჭიროს.

ბევრი რამის გახსენება შეეძლო.

1961 წლის 7 აპრილიდან 70-იან წლებამდე თითქმის. ძველი კინოსტუდია. მეორე სართული. სასცენარო განყოფილება. რამდენი წასულიყო: მიხეილ მგალობლიშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ კუპრავა.

რეჟისორები ძალიან ბევრი: დავით რონდელი, შოთა მანაგაძე, სხვები და სხვები და... უკვე მიხეილ კვესელავაც, ბევრი რომ ვერ დაიქადნიდა ასეთი კოლორიტული და მღელვარე ბიოგრაფიით, არადა ისეთი მორიდებით დაატარებდა იმ წლებს, როგორც თავის ასერიგად ღრმა და მრავალმხრივ ერუდიციას.

კინოსტუდიაში საიდან მოხვედრილიყო?

თქვენ ის თქვით, სიმონ ჩიქოვანი საიდან მოხვედრილიყო, დევნა-შევიწროების შემდგომ ერთგვარი თავშესაფარი რომ აღმოჩნდებოდა ეს გარემო მისთვის, სულს რომ მოათქმევინებდა „მნათობის“ რედაქტორობიდან გამოძევების მერე, იქ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან დაქვეითების შემდეგ რომ გამწესდებოდა.

„წიფობისთვის“ პერსონაჟი ისიც უნდა გამხდარიყო, ოსტატის ხელით დახატული რომ შემოგვრჩებოდა ერთი ფრიად საგულისხმო ეპიზოდი სიმონ ჩიქოვანის ქუთაისური იუბილიდან.

საიუბილეო სამი დღე, როგორც ამბობდნენ ხოლმე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბებდა – ქუთაის-ქალაქი, პედაგოგიური ინსტიტუტი და საშუალო სკოლა მშვენიერ საღამოებს გაუმართავდნენ პოეტს. თეატრში, ფარდის გახსნამდე, სუნთქვააჩქარებული, ცოტა ნარბენი სერგო ზაქარიაძე შემოალაჯებდა:

– არ გახსნათ, ფარდა არ გახსნათ, – დაიძახებდა და მოფარებულში დაჯდებოდა. გუნებაში მოუწონებდა ამ საქციელს რეზო.

„მისი შემოვარდნით გამოწვეული ეფექტით იუბილარისადმი მიმართული ყურადღება არ წაიღო“.

სკოლა – რეზოს მიხვედრით – სხვაზე მეტად ისახელებდა თავს. ბავშვები, განსაკუთრებით პატარები, დაამშვენებდნენ შეხვედრა-წარმოდგენას. ბანკეტზე სიმონ ჩიქოვანი დალევით არ დალევდა, მხოლოდ გემოს გაუსინჯავდა ღვინოს და... სავსე ჭიქას „შეუვსებდნენ“ ხოლმე იმწამსვე.

– არა დაქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა, არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა, – გაიმეორებდა შიგადაშიგ თავისთვის. იუბილარის გვერ-

დით მოხვდებოდა რეზო ჭეიშვილი სრულიად შემთხვევით და ეს ჩურჩული თუ ლოცვა ჩაესმოდა დროდადრო.

გარინდებული, საკუთარ სულს მიყურადებული სიმონ ჩიქოვანი მაინცდამაინც და სწორედაც ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონებით გაესაუბრებოდა იდუმალებას.

და როგორც გინდათ, ისე ახსენით:

გიორგი შატბერაშვილი უნებურად რომ შეესწრებოდა გალაკტიონ ტაბიძის ჩურჩულსა თუ ლოცვას, გარინდებული, საკუთარ სულს მიყურადებული შემოქმედი „ეფემერისა“ მაინცდამაინც და სწორედაც ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონებით გაესაუბრებოდა იდუმალებას: ო, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეულიო...

და იფიქრებდა მისი უმცროსი თანამოკალმე:

მუსიკა გალაკტიონის სულისა ბარათაშვილი პოეზია იყოო.

რაღაც ამდაგვარს აღარ დასძენდა რეზო ჭეიშვილი იმ სურათის გახსენებას, იმ ჩურჩულ-ლოცვისას, მაგრამ იმ წუთების ნამოგონება თვითონვე გვიბიძგებდა გიორგი შატბერაშვილის იმ დაკვირვების განმეორება-განზოგადოებისაკენ:

მუსიკა სიმონ ჩიქოვანის სულისაც ბარათაშვილის პოეზია გახლდათ.

სუფრა იხმაურებდა. მოულოდნელად შუქი გამოირთობოდა, დარბაზი ჩაწყვდიადდებოდა და, ერთბაშად მიჩუმდებოდა ყველა.

– რა მოხდა? – იკითხავდა სიმონ ჩიქოვანი, სიჩუმე ეუცხოებოდა, სიბნელეს ვერ გაიგებდა.

ვიღაც შორიდან დაიძახებდა:

– დენი წავიდა.

სიმონი სათვალეს შეისწორებდა, თითქოს დენს ეძებსო, ასანთის შუქში გამოჩნდებოდა ლანდად. და მიხვდებოდნენ რეზოც და სხვებიც:

დღისა და ღამის, სინათლისა და სიბნელის გარჩევის ნეტარი ძალი წართმევიაო.

და უსიამოვნო იქნებოდა ამის მიხვედრა კი არა, – შეგრძნება.

დუმილს ჟრიამული, ბნელს ნათელი მოჰყვებოდა.

– მოვიდა? – ხმაურზე მიხვდებოდა სახელოვანი პოეტი, შუქი ანთებულაო. მხოლოდ მისთვის აღარ.

იდგებოდა. სინათლე თვალს არა ჭრიდა და თვალები ხელისგულით ექნებოდა მაინც მოჩრდილული. დაწყებულ საუბარს გააგრძელებდა ხმადაბლა სინათლეში.

არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა, არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისაო...

ნეტა ნიკოლოზ ბარათაშვილი ვის სტრიქონებს იმეორებდა ყველაზე იდუმალი განდობის წუთებში ლოცვა-ჩურჩულით, რა გახლდათ მუსიკა მისი სულისა?!.

თავი მეორე

ეს უმადური ხელობა

1982 წლის 3 იანვარს ბოლო რედაქტირებას რომ გაუკეთებდა „ცისფერი მთების" სცენარს, უკვე ის გრძნობა დაეუფლებოდა: მოვრჩები და მოვისვენებო.

დასრულების შემდგომ ბოლო რედაქტირებამდე საკმაოდ გაჭიანურებოდა დრო, მაგრამ ამას გასწორების ჟინი არ მოეშვებოდა და ჯერ სად იყო, გადაღების პროცესშიც არაერთხელ მოუწევდა ჩარევა სცენარის ტექსტში, დიალოგებში ახალ-ახალ შესწორებებს რომ შეიტანდა.

მითუმეტეს რეჟისორიც ისეთი შეხვედროდა, თავისი მოსაზრებანი რომ არ ელეოდა და მისი დაკვირვება-შენიშვნებიც ხომ უნდა გაეთვალისწინებინა წარმოებაში ფილმის ჩაშვებამდე და ჩაშვების მერეც.

მოვრჩები და მოვისვენებო...

თავს იტყუებდა... იმხნევებდა ვთქვათ თუგინდა.

სიამოვნებით კი სიამოვნებდა ელდარ შენგელაიასთან მუშაობა, განსაკუთრებით სწორედაც წარმოებაში ფილმის ჩაშვების შემდგომ, რადგანაც ერთადერთ რეჟისორად მიიჩნევდა, ვინც ავტორს ყურს უგდებდა და ავტორის დაფასებაც იცოდა.

ერთადერთიო აბა!..

სცენარისტობა კი მაინც უმადურ ხელობად ესახებოდა, თითქმის — აღარაფერი აკლდა ამის განცხადებამდე — დამამცირებლადაც. კინო უყვარდა — ბოლოსდაბოლოს თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ამ გარემოში გაეტარებინა, სამსახურებრივადაც გრძნობდა ვალდებულებას, თორემ ახლოსაც არ გაეკარებოდა სცენარს.

არადა: რომ აღარ დაეწერა კინოდრამატურგიის ნიმუშები, სამსახურისთვისაც უნდა დაენებებინა თავი, ხელფასიდანაც უნდა მოხსნილიყო. ჯერ ნაადრევი ეჩვენებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა, თორემ ბოლოს მაინც ასე რომ მოიქცეოდა, არამარტო გრძნობდა, სულიც ესწრაფოდა...

მადლიერებით კი მადლიერი როგორ არა ყოფილიყო:

არამარტო თავშესაფარი გასჩენოდა ამდენი ხნის განმავლობაში, სცენარისტის ხელობაც მოესინჯა და წარმატებითაც დაუფლებოდა, ის კი არა, ზოგიერთი თვისება ამ ხელობისა თავის ბელეტრისტულ ქმნილებებშიც გადმოეტანა და მარჯვედაც მოერგო იმ სტილისტიკისათვის, თვითონ ახლებურად რომ წარმოუდგებოდა:

ხედვაც, კადრირებაც და შესაფერისი რიტმიკაც, ძალზე სწრაფი და ერთბაშადმონაცვლე, დავალებული იქნებოდა სცენარისტის საქმიანობით,

თავისთავად როგორი გამაბეზრებელიც უნდა გამხდარიყო ეს ხელობა რეზო ჭეიშვილისათვის.

დადგებოდა დრო, საკმაოდ მკვეთრადაც რომ იჩენდა თავს ეს სტილური ვარიაცია მის მხატვრულ ძიებებში.

ხოლო იმავე 3 იანვარს, ტელევიზორში გამოაცხადებდნენ, რომ: ჯანსუღ ჩარკვიანისა და ჭაბუა ამირეჯიბისათვის „კაგებეს“ თანამშრომლებთან ერთად გადაეცათ ჯილდოები.

ოთარ სეფიაშვილი თავის გადაცემაში — „ილუზიონი“ — იტყოდა: 36 საათი სჭირდება ადამიანს დღელამეში (და ჩაურთავდა: ეს ცნობა შესაძლოა მოძველებულიც კი არისო), ყველა ის კინოსურათი რომ ნახოს, რომელიც მსოფლიოში გამოდისო.

ამ დღესვე რეზო ჩხეიძე ტელემაყურებელს მიაწვდიდა ინფორმაციას ქართულ კინოზე და უამრავ ფილმსაც ჩამოთვლიდა.

ამის დაკვირვებით:

ქართველი მაყურებელიც ყველა ქართული ფილმის ნახვასაც კი ვერ ასწრებდა, და აღარც ცდილობდა. ხოლო ადრე ქართული ფილმის გამოსვლა მოვლენასავით იყო. ყველა ვალდებულად მიიჩნევდა თავს, ენახა, არც გინება აკლდებოდა, არც ქება, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ყოველი კინოსურათი მსჯელობის საგანი ხდებოდა გამოსვლისთანავე.

ამის მომსწრეც გახლდათ რეზო ჭეიშვილი და მონაწილეც.

ახლა იქ იმყოფებოდა, კინოსტუდიაში და... სურათები მისი ყურადღების გარეშე მირიხინობდნენ.

რეჟისორთა სრული ჰეგემონია.

აღარც რედაქტორი ესაჭიროებოდათ, სრულიად რომ გაერიყათ.

ყველა ფილმს იღებდა, ყველა სცენარს წერდა.

რაღა შორს წასულიყო: რეზოს სცენარის მიხედვით გადაიღებდა ფილმს დევი აბაშიძე, ხვალ პრემიერა რომ დანიშნულიყო. ეძახდნენ მასაც და... არ აპირებდა წასვლას. გულიც გაუსკდებოდა, რომ ენახა. ინატრებდა: ნეტა ჩემი გვარი მაინც არ ეწეროსო. ფრაგმენტები ენახა ტელევიზორში და... გული შეწუხებოდა.

ადვილი მისახვედრია რატომაც. „გამოაღეთ ფანჯრები“ ვითომ მისი სცენარი იყო, მაგრამ თუკი რეჟისორი ოდნავადაც არ გაითვალისწინებდა მის ზოგიერთ რჩევას, მერე კი ახლოსაც აღარ გააკარებდა გადაღების პროცესს, სრულიად აცდენილი გამოვიდოდა კინოფილმი რეზო ჭეიშვილის ჩანაფიქრისაგან, გარეგნული სქემის გარდა აღარაფერი რომ აღარ დარჩებოდა შიგ რეზოსეული, და ნეტა მაყურებელს მაინც აღარ შეეტყო სცენარისტის ვინაობა.

რეჟისორების ჟამი დამდგარიყო: თეატრშიც ისინი გამეფებულიყვნენ და კინემატოგრაფშიც.

17 ივნისს და იმასაც ტელევიზიით უყურებდა მისი და აღარც მისი სცენარით გადაღებულ ამ კინოფილმს. დაპირდებოდა დევი აბაშიძეს: ტელევიზორში ვნახავო, — და მართლაც — ამდენი ხნის შემდეგ — ისე ნახავდა, როგორც იტყოდა.

— სათაური მოვიფიქრე, „გამოაღეთ ფანჯრები", — მიაძახებდა ერთხელ და, ეს რომ დაუწუნებდა, რეჟისორი თავს ამით იმართლებდა:

— მოსკოვისთვის გავაკეთე.

— რუსულად დატოვე, ქართულად სხვანაირი, უკეთესი მოვიფიქროთ.

რუსულადაც იმას დატოვებდა და ქართულადაც.

სინჯებს არ აჩვენებდა, არც გადაღებულ კადრებს. ერთხელ მანქანით დაემგზავრებოდა და მაშინღა მოასმენინებდა სიმღერებს რეჟისორი. „მრავალჟამიერის" გარდა ამას არცერთი არ მოეწონებოდა, რადგანაც გაკრიალებული, პროფესიული ესტრადის შთაბეჭდილებას დატოვებდა ყველა შესრულება. ეწყინებოდა რეჟისორს. სიმღერები თითქოს ახლა უკეთესი მოეჩვენებოდა რეზოს, მაგრამ... ფილმი არ შედგებოდა და არა, და რარიგ დაეწანებოდა: რა მასალა, რა საფუძველი და საშუალება ჰქონდა ხელთო.

არადა შეეძლო კარგი ფილმის შექმნა.

— ერთი კაცი ფილმს ვერ აკეთებს, — წინასწარვე გაეფრთხილებინა რეზოს.

დათანხმებით კი დაეთანხმებოდა რეჟისორი, მაგრამ რა გამოვიდოდა: გახმოვანებაზეც არ დაუძახებდა. იცოდა და გრძნობდა: ნახელავს არ მომიწონებსო, — და ამიტომაც გაურბოდა. მოსაწვევებს რომ მისცემდა პრემიერისათვის, ეს ეტყოდა:

— ამ მოსაწვევებს ჩემებს გადავცემ, ფილმს კი ტელევიზორში ვნახავ, როცა იქნება.

ცოტა მეტსაც აკადრებდა რამდენიმე კაცის თანდასწრებით. ის ენას ვერ მოიბრუნებდა. ხუმრობაში დააპირებდა საუბრის გადატანას და... ესეც ხელს არ შეუშლიდა მაინცდამაინც.

ეს უკვე მეორე ფილმი გადაეღოთ „ჩემი მეგობარი ნოდარის" სიუჟეტურ ქარგაზე და... ამას კიდევ უფრო არ გაემართლებინა. ჯერ ისიც შეიძლება უკეთესი ყოფილიყო და თურმე რას ჩიოდი, როდესაც კიდევ უარესადაც გადავიდოდა ეკრანზე, ვეღარც მიუზიკლი იქნებოდა, გაკრიალებული სიმღერები სულაც ყურს რომ მოჭრიდა მსმენელს.

მისჩერებოდა გულდაწყვეტილი ცისფერ ეკრანს და: რა სჭირთ ამ რეჟისორებსო, — ფიქრობდა. შენიშვნებს გაუზიარებდა, დაძალებით ხომ არაფერს დააძალებდა... მაგრამ იმათ მხოლოდღა ნედლეულად მიაჩნდათ სცენარი და სცენარისტს ფილმის გადაღებაში როგორ გარევდნენ.

6 იანვარს იყიდდა საბჭოთა კავშირის მწერალთა ცნობარს და აღმოჩნდებოდა, რომ: 8635 წევრი ყოფილიყო დაახლოებით. რომ დაეზუსტებინა, მეტიც გამოვიდოდა, ლაპარაკიც არ უნდოდა. ახალმიღებულები — მარტო ჩვენთან რამდენი შეერეკათ ამ ზაფხულს — მითვლილი არც გახლდათ.

და პირველად იმას წარმოიდგენდა და სიამოვნებისაგან დადნებოდა: რამდენს იშაყირებდა გივი კვერენჩხილაძე, ეს წიგნი-ცნობარი რომ ენახა.

ზინა კვერენჩხილაძე, მისი და ენახა წინა დღით ვახტანგ ნინუას გასვენებაში. და დასცდებოდა დღიურში: ძნელია ამ ქალთან ლაპარაკიც კიო.

— რაღაც იცი და მალავო, — ეთქვა ზინასათვის.

— ნეტა მასე იყოსო, — იმას პასუხად.

— ასე უკვალოდ კაცი შეიძლება გაქრეს? — გაოგნებას ვერ დაფარავდა რეზო.

— ასეა, — იმასაც სხვა რა ეწამებინა.

რა უცნაური ამბავიაო, — ჩაინიშნავდა დღიურში და... კიდეც შესაფერისად განაზოგადებდა:

მხოლოდ ამ საზოგადოებაში, ამ წყობაში, ამ ფორმაციაში — ამას დაუმატე დროის მოტანილი გულგრილობაც — შეიძლება მოხდეს ამნაირი რამო.

ცხელოდა კინალამ, ისეთი ამინდი იდგებოდა. კარმოღებულ ოთახში იჯდებოდა. კვატების ტატყანი მოესმოდა საიდანღაც... და მერე და მერე მიხვდებოდა, ყვავები ყრანტალებდნენ თურმე, ამას იხვები რომ ეგონებოდა.

7 იანვარს ჩაწერდა, რომ:

ორშაბათს შეკრებდა პირველად „ცისფერი მთების“ ჯგუფს ელდარ შენგელაია.

უკვე აგორდებოდა. დაიწყებოდა და... უნდა დამთავრებულიყო. სექტემბერ-ოქტომბერში შეუდგებოდა გადაღებას. მანამდე: კინოსცენარი — სარეჟისორო, წინამოსამზადებელი, მოსამზადებელი დრო. და: ვნახოთ, რა გამოვაო ბოლოშიო, — იმედით მიაჩერდებოდა ჯერ მაინც ბინდბუნდში ჩაძირულ მომავალს.

26 იანვარს მოულოდნელად გარდაიცვლებოდა ეროსი მანჯგალაძე.

დაახლოებით 3 საათზე ნახავდა რეზო ჭეიშვილი რობერტ სტურუას, მამის (მამასაც და შვილსაც აკი ერთიდაიგივე სახელი ერქვათ), გასვენებაში. დაუძახებდა ეროსი და დაელაპარაკებოდა. შემოსჩივლებდა:

— რას მიშვება ეს რეზო ესაძე, ვერაფრით პიესა ვერ გამოვართვი. თვითონ აპირებს დადგმას რუსთაველის თეატრში.

ეს ეტყოდა:

— „შალიკო ხვინგიაძე“ საკონცერტო შესრულებითაც შეიძლებოდა დადგმულიყო ფილარმონიაში, რომელიმე ორკესტრთან ერთად.

დაფიქრდებოდა ეროსი: დავხატავთ ჩვენ მაგას, — ეტყოდა. ცოტა ხანს იდგებოდნენ. შემდეგ ეს დიმიტრი ერისთავს დაინახავდა და იქით გადაინაცვლებდა.

გასვენების შემდეგ სასიხარულო ამბავი — სუფრა. შემდეგ ელდარ შენგელაიასთან კვლავ სუფრა და... შემდეგ კი... ჯანსულ ჩარკვიანი შეატყობინებდათ სხვათა შორის ამ სამწუხარო ამბავს. და კიდეც ჩამწარდებოდა ყველაფერი რეზოს. ყველა მოიშხამებოდა და სუფრაც ჩაიშლებოდა.

ძალიან დაწყდებოდა გული, რადგანაც ბევრი რამის გაკეთება შეეძლო ჯერ კიდევ ეროსი მანჯგალაძეს.

— შეუცვლელი არტისტი იყო. თეატრი, კინო, ტელევიზია, დიქტორი, რეპორტიორი და სუფრის, ლხინის კაცი.

წამოაგონდებოდა ქუთაისი, 1967 წელი, გელათი. ზაფხული. ღვინოს აიტანდნენ ფაცხაში. ეს გურამს გაგზავნიდა სასტუმროში ეროსის დასაძახებლად. წავიდოდა და მართლა ამოიყვანდა.

— რეზომ გაახლათ ჩემი თავი, – ასე ეტყოდა.

ჭეიას მონათხრობი იმდენს აცინებდა ეროსის, უკვე რომ აღარ შეეძლო. რამდენი შემოხვდებოდა რეზოს, პირველად ჭეიას ახსენებდა: ვინ ყოფილა ეს კაციო. შემდეგ ჯერ იმის სიკვდილს შეიტყობდა ეროსი და მერე გურამისაც და ვერ გაეგო, რას უნდა მოეკლა ეს ხალხი... და ახლა აღარც თვითონ უნდა ყოფილიყო... არადა თხუთმეტი წელიც არ გასულიყო მას შემდეგ.

29 იანვრის ჩანაწერი გვაუწყებდა, რომ:

პომპეზურობით, შესაბამისი ცერემონიით, შეიძლება ითქვას ლამაზად, საზეიმოდ დაასაფლავებდნენ პირველს: ლეონიდ ბრეჟნევს სახელდებით არ მოიხსენიებდა. შედეგი, რაც მის სიკვდილს მოჰყვებოდა, იქნებოდა ის, რომ: დაწვრილებით აჩვენებდნენ ტელევიზიით ყველაფერს, წერილმანებსაც, კულისებსაც კი, რეზოსათვის ყველა დეტალი ფრიად საგულისხმო რომ იქნებოდა.

დიდი დრო და ენერგია შეელია კოლაუ ნადირაძეს გალაკტიონ ტაბიძის გინებისათვის, და დღიურის ავტორს უკვირდა 1 მარტის ჩანაწერში: რატომ გამახსენდაო?

სხვა რამისათვის შეეხარჯა ეს ღონე, არ აჯობებდაო? — ენანებოდა, — ანდა სულაც არ ამოელო ხმა, არც თავის თავზე ეთქვა, არც სხვაზე, თუნდაც მუხრანზე... რა მოიმკოო?

85 წლის კაცს უფერულ „საღამოს“ გადაუხდიდნენ. ჯერ მარტო აფიშის ხილვა დააყენებდა ცუდ გუნებაზე რეზო ჭეიშვილს: კოლაუ ნადირაძე, ცნობილი პოეტიო.

და უკვირდა: რაღას დათანხმდა? პოეტი ნადირაძე არ უნდა ყოფილიყო საკმარისი? ან რა წიგნები გამოუცეს, ყოვლად უხარისხოო.

წუხელის და დღესაც ნიკო ნიკოლაძის ნაწერების პირველ ტომს კითხულობდა და... რაღაც ანალოგიას გაავლებდა ამ ორ პიროვნებას შორის. დიდხანს იცოცხლებდა ნიკო ნიკოლაძეც, ბევრს შეესწრებოდა, ბევრს ნახავდა, ბევრს ისწავლიდა, ბევრს ასწავლიდა, ბევრს დაწერდა — ოცი ტომი გამოვაო, წინასიტყვაობაში ამოიკითხავდა, სრულად რომ გამოვცეთო.

ვიღას ახსოვდა ეს ღვაწლმოსილი კაცი — დიდი გაგებით?

ორიოდე სტრიქონით წარმოსახავდა:

გარიყულ კაცად. დიდ ბელეტრისტად, პოლემიკოსად, სოციოლოგად, პოლიტიკოსად, გავლენიან პირად... ერისათვის საჭირო და სასარგებლო კაცად. რუსეთსა და ევროპაში ამდაგვარი გამავლობა — ნიკო მარის გარდა — რ ექნებოდა არავის ქართველთაგან.

არადა:

ერთი მოთხრობა — „ამოდის, ნათდება“ — ან ერთი ლექსი „სამშობლო ხევსურისა“ — დაეწერა, გაცილებით უკეთესი იქნებოდა მისი სახელისათვის, თორემ თავისი როლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მან უფრო კეთილსინდისიერად შეასრულა ალბათ, ვიდრე სხვამო.

რა მშვენივრად აღეწერა ადრინდელი ქუთაისი. ძვირფასი ეთნოგრაფიული და — რაც გინდოდა დაგერქმია — მასალა გახლდათ პირადად რეზო ჭეიშვილისათვის.

მომაკვდავი ბაბუა რომ მოჰყავდათ მოსალოცად, როგორ მოაჭრიალებდნენ ღონიერი კამეჩები დიდ ურემს... წინ ჭარმაგი მეურმე, უკან — დედაკაცი (მამიდა) და ბავშვი, ორლობეები, შუკები... როგორ ნათლად ხედავდა თითქოს ყველაფერს მკითხველი იმ აღწერის წყალობით... შემდეგ ახალი კადრი უნდა მოჰყოლოდა — მწვანეყვავილას სასაფლაო, სიცხე და ჭიჭინობელები...

ქართულად გამოიცემოდა ბერტოლტ ბრეჰტის „პატარა ორგანონი თეატრისათვის", და 7 ივლისს ჩაინიშნავდა: რამდენად სწორი სათაურია, ვერ ვიტყვი, კიდევ კარგი პატარა ორგანოები რომ არ დაწერესო. საგულისხმოდ მოეჩვენებოდა ბრეჰტის შეხედულებანი. რას ამბობდა: თეატრი გართობააო. და ესეც ეთანხმებოდა: მართლაც ასეა ალბათ, პირველ რიგში — გართობაა მართლაც, შემდეგ — სხვა რაიმე. პირველი დანარჩენებს არ გამორიცხავსო.

ამოიწერდა:

— მსახიობმა არ უნდა მოატყუოს მაყურებელი — თითქოსდა სცენაზე იმყოფება არა ის, არამედ გამოგონილი პერსონაჟი.

და წამოაგონდებოდა თავისი ის გაკვირვება, „ოტელოს" რომ ნახავდა პირველად და: პირველი მოქმედებისა თუ პირველი სურათის შემდეგ — ტაშის ხმაზე — ფარდის წინ რომ გამოვიდოდნენ აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე. არა ოტელო და იაგო, არამედ ხორავა და ვასაძე. არადა ამის წარმოდგენაში: ჯერ უნდა შეესრულებინათ თავთავისი როლი, დახოცილიყვნენ და ამის შემდეგღა წარმოდგომოდნენ მაყურებელს.

თბილისში ალბათ ასეაო, გაიფიქრებდა, და შემდგომ იქაც რომ ვერა ნახავდა იმდაგვარ რაიმეს, ახლაც უკვირდა. რომელი წელი იყო — 1951 თუ 52? ჯერაც სკოლაში სწავლობდა. რამხელა ზეიმი გახლდათ რუსთაველის თეატრის ჩამოსვლა ქუთაისში. დღემდე ახსოვდა ის სპექტაკლები და ის თეატრები: რუსთაველი, მარჯანიშვილი, მუსკომედია...

გრიბოედოვის თეატრიც სხვათა შორის: სპექტაკლით „თოლია" — განწყობილება სევდიანი, მაყურებელი ცოტა.

ღამით ისე გრილოდა, ველარ გაეგო: რანაირი ივლისიაო.

9 სექტემბერს დილისათვის რომ აპირებდა ქუთაისში გამგზავრებას, ალბათ ველარ მოახერხებდა, რადგანაც თავიდან ჩაუჯდებოდა „ცისფერ მთებს" — სცენარსა და პიესას — რასაკვირველია მოთხრობას — აერთიანებდა. ცხელოდა და მუშაობა უჭირდა. „დაუმთავრებელი" ან „დაუსრულებელი" რაღაც ამგვარი სურდა დაერქმია ქვესათაურად. ძალიან ეზარებოდა, მაგრამ მაინც არ ეშვებოდა.

22 სექტემბერს ჩამოვიდოდა ქუთაისიდან, სადაც თორმეტიოდე დღეს დაჰყოფდა. იმუშავებდა შედეგიანად. დაწერდა და შავად გადაბეჭდავდა მოთხრობას „ცისფერი მთები", 113 გვერდი რომ მოიყრიდა თავს. ხელნაწერს შეინახავდა. „უკანასკნელი ვარიანტი" — ასე მიაწერდა საქაღალდეს, და იმედს გამოთქვამდა, ასეც იქნება ალბათო. მთლად დარწმუნებული კი მაინც ვერ იქნებოდა.

4 ოქტომბერს ელდარ შენგელაიას ინახულებდა სტუდიაში. ის უკვე მსახიობებს არჩევდა: სინჯების გადაღებას ვიწყებო. მსახიობებს ძალიან მოსწონდათ სცენარი. სცენარი ყველას მოსწონდა, თანაც ძალიან და... ეს აშინებდა: თუ ამანაც არ გაამართლა, საერთოდ დავანებებ სცენარების წერას თავსო.

სცენარებსაც და სტუდიაში მუშაობასაც. ხელფასი? შეძლებდა კი მხოლოდ ლიტერატურული შრომით ცხოვრებას? თუ სხვაგან ეძებნა სამსახური?

27 ოქტომბერს კინოფილმს ნახავდა ელდართან. ჯგუფი უყურებდა სიმშვიდესა და საუკეთესო დარბაზში: ფედერიკო ფელინის „ამარკორდს". ძალიან მოეწონებოდა, ძალიან. სურათებიანი წიგნივით წაიკითხავდა ფილმს.

2 ნოემბერს ნახავდა სინჯებს „ცისფერი მთებისა". მთავარი გმირები ჯერ კიდევ საძებარი იყო, ქალი — განსაკუთრებით. ვასო კახნიაშვილი არ მოეწონებოდა და: ჩხაიძე გასინჯეთო, — ურჩევდათ. მარკშეიდერი კარგი იყო — ივანე საყვარელიძე და დირექტორი — ეს რომ რამაზ ჩხიკვაძეს ვარაუდობდა — თემო ჩირგაძე: ალბათ ისიც კარგი გამოვიდოდა. შეიძლება ახალი სიტყვაც ეთქვა კინემატოგრაფში. რას წარმოიდგენდა რეზო, ეს ვარაუდი თუ აუხდებოდა.

დასაწყისისათვის ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა. გამოჩნდებოდა, შემდგომ რა იქნებოდა.

1983 წლის 4 იანვარს მრავალგზისი თხოვნის შემდეგ „საბჭოთა ხელოვნებაში", სადაც არასოდეს არაფერი დაებეჭდა, მიიტანდა სცენარს „ცისფერი მთები". გინდა თუ არა, უნდა დავსტამბოთო, სთხოვდნენ და: დაე დაესტამბათ, თუკი ასე სურდათ.

წარადგენდა იმ ვარიანტს, რომელსაც სამხატვრო საბჭო მიიღებდა და ძალიანაც მოიწონებდა. იმის შემდეგ უმნიშვნელო ცვლილებებით, მაგრამ მაინც მოამზადებდა ერთ ვარიანტსაც, რომელსაც ველარსად ალმოაჩენდა. კინოსცენარსა და სარეჟისორო სწვალება, სწორება, ამობეჭდვა ესაჭიროებოდა და... თავს გაანებებდა. სად ჰქონდა ამისი დრო. არა, მაინც რამდენი ემუშავა ამ ნაწარმოებზე?!.

ელდარ შენგელაია ხშირად იმეორებდა:

— რეზოს მოთხრობის მიხედვით დავწერეთ სცენარი.

მოთხრობის შემდეგ რომ პიესა დაიწერებოდა — რის საფუძველზეც შეიქმნებოდა სცენარი — ამას არ იხსენებდა თუ... ვერ იხსენებდა?!.

პიესას თითქოს მარჯანიშვილის თეატრი, უფრო სწორად თეატრის იმჟამინდელი დირექტორი რევაზ თვარაძე დაუკვეთავდა. 1975 წლის გაზაფხული იქნებოდა ანდა შემოდგომა, დირექტორის კაბინეტში რომ ნაიკითხავდა და რეჟისორი გაჩავაც დაესწრებოდა.

არ მოეწონებოდათ.

თქმით არ ეტყოდნენ, თუმც არც არაფერს დაუფარავდნენ მაინცდამაინც.

რამდენადაც ახსოვდა, იმ ვარიანტში „გრენლანდიის პეიზაჟი" თითქოს არ იყო. მომდევნო ვარიანტში — წანაკითხი შავი გახლდათ — შეიტანდა ამ

სცენებს, დატოვებდა თეატრში. — დავდგამთო, — აქეთ-იქიდან უგულისყუროდ ეტყოდნენ და სასიკეთო შედეგი არ მოჰყვებოდა ცხადია.

მერე რევაზ თვარაძესაც გაათავისუფლებდნენ დირექტორობიდან და ეს ახალ ვარიანტს დაწერდა, რომელიც თვითონვე მოეწონებოდა, და შეგზავნიდა რუსთაველის თეატრში.

— კარგია, — იტყოდა აკაკი ბაქრაძე, — თუმცა თუ კარგად არ დაიდგა, კარგი არ გამოვა.

რობერტ სტურუა ელდარ შენგელაიას შესთავაზებდა: შენ დადგი თუ გინდა თეატრშიო, — და ელდარი ერთი შეგულიანება შეგულიანდებოდა კიდეც: სცენარიც დავწეროთო, — ავტორს შესთავაზებდა, — და თუ არ გამოგვივა, პიესა ხომ აქა გვაქვს, პიესას დავდგამო.

დაწერდა განაცხადს და... ელდარი უხალისოდ მოაწერდა ხელს.

დაწერდა სცენარს, ჩააბარებდა საკონკურსოდ და ლეწავდნენ — ამ ჟარგონულ გამოთქმას ამჯობინებდა ამ შემთხვევაში, რაკიღა ჟიურის გადაწყვეტილებაში ელდარის მიმართ ხათრი უფრო იჭარბებდა — პირველ პრემიასა და სოლიდურ ფულად ანაზღაურებას.

პიესას კი არ დაადგებოდა საშველი და...

რესტორან „ხვამლის“ კუპეში რომ წაუკითხავდა გიორგი ქავთარაძეს, ის კინაღამ დაიხრჩობოდა სიცილით მოსმენისას, ძალიან მოეწონებოდა, ოღონდ გულახდილად მოახსენებდა:

— ჩემი საქმე არ არის, ვერ დავდგამ.

ასეც ეცოდინებოდა და არც ემეტებდა საქუთაისისთეატროდ, რუსთაველის გარდა ჭეშმარიტად არავისთვის ემეტებოდა.

როცა დაატყობდა, თეატრებიდან საშველი არ არისო, წიგნში შეიტანდა — იქ რაღა დაუდგებოდა წინ.

სცენარი კი, რომელზედაც კიდევ არ იყო საბოლოოდ მუშაობა დამთავრებული, რამდენჯერმე გადაკეთდებოდა და გადახალისდებოდა.

რამდენი ემუშავა.

ბოლოს ვრცელი მოთხრობაც შეიქმნებოდა.

შვიდი წლის განმავლობაში შიგადაშიგ ეწერა, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად.

კიდევ იტყოდნენ მასზე: დროს ტყუილუბრალოდ ფლანგავს, არ მუშაობსო?!.

და ქადილით გახედავდა არაკეთილისმსურველთ: ბოლოს დამითვალონ ნიწილები, გალაყებულ და გაფუჭებულ კვერცხებს აღარც ვანგარიშობო.

გადასაბეჭდი — შავად, თეთრად — ჰქონდა სცენარი.

ამის მერე „ცისკრის“ მე-4 ნომრისათვის უნდა წარედგინა მოთხრობა ან მოთხრობები — არაუგვიანეს 20 თებერვლისა. წერა ჯერ არ დაეწყო და არც მოეხაზა — მთლიანობაში — რის გაკეთებასა და შექმნას აპირებდა.

11 იანვარი რომ მიილეოდა, ჩვეულებრივი თბილისური იანვრის დღე, ხვალიდან აპირებდა შედგომოდა მუშაობას. ეს დღეები ცუდად გრძნობდა თავს, უგუნებობა ჯერაც არ გასვლოდა. შინ რომ მჯდარიყო და გარეთ არ გამოსულიყო, შეიშლებოდა ალბათ.

ელდარი დაიწყებდა მუშაობას და დღეს პირველი გადაღებაც ექნებოდა სანოდიოში „ცისფერი მთებისა“.

15 იანვარს დააკვირდებოდა და:

იღებდა ზოგიერთ — თუმც რაღა ზოგიერთ, ერთადერთ — ეპიზოდს. სასადილოს. დღეს ალბათ იროდიონის ოთახზე გადავიდოდნენ. ხედავდა, როგორ ცოცხლდებოდნენ მისი გმირები და გული უგრძნობდა: რაღაც საგულისხმო გამოვა უეჭველადო.

თემო ჩირგაძე თუნდ იმ დღესაც რომ ითამადებდა ელდარ შენგელაიას დაბადების აღსანიშნავ სუფრაზე — 1983 წლის 26 იანვარს — რამდენს აცინებდა ხალხს. და რეზო დაიბეჯითებდა: ამნაირი მოქეიფეებიც კი, რამაზ ჩხიკვაძე, დოდო აბაშიძე და ჯანსულ კახიძე რომ არიან, ვერ უბამენ მხარსო.

— აშკარად მაგარია, ძლიერი იმიტატორი, უფრო სწორად — იმპროვიზატორი, ზომიერია, პაუზის ფასი იცის.

ადრე ენდომებოდა წამოსვლა, მაგრამ გვიანობამდე შეიყოლიებდა თემო ჩირგაძის ღადავი ანუ ღადაობა.

შეიძლება ახალი სიტყვაც ეთქვა კინემატოგრაფში?

რატომაც არა... რატომაც არა...

8 თებერვალს კინოსტუდიაში მისული გადააწყდებოდა, რომ ფილმს უკვე პავილიონში იღებდნენ. დაიდგამდა მოშორებით მაგიდას და, გააკეთებდა ტექსტებს: ალაგ-ალაგ. ელდარს მოეწონებოდა. რეზო ერთი ეპიზოდის გადაღებასაც უყურებდა.

11 თებერვალს ტელევიზიისათვის ჩაწერდა მისალმებას ელდარზე. — კარგი იყოო, — ეტყოდნენ. ახლა მიხვდებოდა: საძაგლობააო. ეს იმიტომ: ჩემს თავზე ვილაპარაკე მე მგონია და არა ადრესატზეო. ხვალვე აპირებდა დარეკვას, რათა თავიდან ჩაეწერათ, ანდა ამოეღოთ ყოველ მიზეზგარეშე.

არ იზამდნენ არაფრისდიდებით, თავიდან აღარ ჩაწერდნენ.

მიუჩვეველი რომ იყო ტელეკამერას, თორემ საორხელოდ არ გაიხდიდა საქმეს, საბოლოოდ მაინც გულნაკლულს რომ დატოვებდნენ.

26 თებერვალს ტელევიზიით რომ ნახავდა სატირის თეატრის მიერ დადგმულ „რევიზორს“, მოეწონებოდა პრინციპში. დასაწყისისათვის ცუდად განეწყობოდა, მესამე-მეოთხე მოქმედება უკეთეს შთაბეჭდილებას დაუტოვებდა და ფინალური სცენა — ნაკლებს.

გაახსენდებოდა, ქუთაისის თეატრში რომ ნახავდა ამ სპექტაკლს დიდი სიამოვნებით. ნიკოლაი გოგოლის ეს პიესა წაკითხული არ ექნებოდა და მისი შეტყობით: მგონი ეს უკეთესიც აღმოჩნდეოდა. ვეღარ მოეგონებინა: 1950 ნელი უნდა ყოფილიყო თუ 51.

თეატრში ნანახი ყველა სპექტაკლის პროგრამა შენახული ექნებოდა საგულდაგულოდ. ქაღალდის ყუთს, სადაც ის პროგრამები და ამდაგვარი რაღაცები ეწყობოდა, კალანდაძის ქუჩის სახლის სარდაფში ჩაიტანდა. გადააქოთებდა რამდენიმე წლის წინათ იქაურობას, ვეღარ მოიძევდა და გულიც დაწყდებოდა.

იმავე თუ მომდევნო წელს ამ სპექტაკლს მარჯანიშვილის თეატრშიც ნახავდა — თბილისში პირველ ჩამოსვლაზევე. დღევანდელ დღესავით დააამახსოვრდებოდა ყველაფერი. სპექტაკლს უყურებდა ადრინდელზე მეტი ცნობისმოყვარეობით და ნაკლები აღტაცებით.

შემდეგ ნახავდა ორსერიან კინოსპექტაკლს — მოსკოვისა თუ ლენინგრადისა — და ძალიან მოსაწყენი მოეჩვენებოდა, ბოლომდე ძლივს გაუძლებდა. საერთოდ ჰქონდა და უნდა ჰქონოდა თითქოს ამ პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლებს მოწყენილობის იერი, სიხალისე აკლდებოდათ.

საუკეთესო დადგმები შესაძლოა გამონაკლისი ყოფილიყო.

1973 წლის ნოემბერში რომ ნახავდა — მარტოდმარტო — მოსკოვის „მცირე თეატრის" დადგმას, იქაც რაღაც სიცივეს იგრძნობდა. ხლესტაკოვი კი მოეწონებოდა, მაგრამ რასაკვირველია უკეთესს ელოდა. ამ როლის შემსრულებელი ველარ გაეხსენებინა. თუ პროგრამას მოიძევდა, ნახავდა. რატომ და: შენახული კი ექნებოდა დიდხანს.

გვიანი ღამე იდგებოდა და თავს იქცევდა და ეგაა.

ეს დღეები ტყუპისცალივით დაემთხვეოდნენ შარშანდელს, დაემთხვეოდნენ თითქმის ზუსტად.

— ჭკუა ვერ ვისწავლე და ვერა, — გაიფიქრებდა და... მისებურად ჩაიღიმებდა გუნებაში, — თუმცა რომ ვისწავლო, რა გამოვა!..

ჭკუა — პრაქტიკული, ცხოვრებისეული თვალსაზრისით — თავისთავად და უმტკივნეულოდ არ მოგემატებოდა, აუცილებლად — რაღაცის ხარჯზე... იმ რაღაცას გამოდევნიდა შენი არსებიდან და მას ჩაენაცვლებოდა სწორედ პრაქტიკული გონება... არადა ის რაღაც — მისთვისაც აუხსნელი — უფრო ეძვირფასებოდა რატომღაც... და ჩაღიმებაც ამისი უნდა ყოფილიყო...

25 მარტს მიხეილ ჭიაურელი-უმცროსი ესტუმრებოდა. სცენარი იქნებოდა გასასწორებელ-გადასაბეჭდი...

5 აპრილს რევაზ ჩხეიძეს რომ დაელაპარაკებოდა ამ სცენარზე, ის შეპირდებოდა: წავიკითხავ მალეო, — და ესეც დღიურში ჩაინიშნავდა:

— კარგი კაცია როგორც ჩანს, როცა ადამიანს კოლეგის ნამუშევრით აღტაცება შეუძლია, დიდი ბედნიერებაა.

ეს მაშინაა — „ცისფერი მთების" მასალასაც რომ ნახავდა 1000 მეტრამდე.

გიგა ლორთქიფანიძეც აღტაცებული დარჩენილიყო ამ ჩვენებით.

17 აპრილს ტელევიზორში რომ უყურებდა მშვენიერზე მშვენიერ კინოსურათს „პოლიციელები და ქურდები", რარიგ აღტაცდებოდა: როდისაა გადაღებული და ჯერაც არ დაუკარგავს პეწი და ელვარებაო.

სულ რაღაც სამი თვით მიდიოდა ადამიანი ციხეში და: რამდენი სევდა და წუხილი იგრძნობოდა ამ მოქმედებაში.

ცრემლიც მოერეოდა რეზოს.

და ძალაუნებურად შეადარებდა იმ ფილმებსა და სპექტაკლებსაც, რომლებსაც: უყურებ ტრაგედიას ეკრანსა თუ სცენაზე და... გულგრილად ზიხარ — მიცვალებულთა, მოკლულთა, მკვლელთა, დახვრეტილთა, დახრჩობილთა ზედახორაა და... ვითომ არც არაფერიო.

ამერიკული კინო ახსენდებოდა უპირველესად.

და სრულიად დაუმსახურებლად მიიჩნევდა: კინო ესაააო, — რომ გაიძახოდნენ.

თუ ხელოვნება არ იყო, კინო როგორღა იქნებოდა.

და თავს ვეღარ შეიკავებდა:

მძულს ამერიკული კინოც და ყველაფერიც ამერიკულიო.

როგორ ჰყვარებოდა ქვეყანა — აბა ერი ის არ გახლდათ — რომელიც ძალმომრეობას ქადაგებდა, აჩვენებდა, პროპაგანდას უწევდა.

ერთი ნაგვის ორი გორა იყო აქაც და იქაც...

და მაინც: თავისუფალი აზროვნება ბევრ რამეს ყანთრავდა თავის სასარგებლოდ.

ამ ათიოდე წლის წინათ ერთი პროფესორი ეტყოდა ლენინგრადში:

— ამერიკელებმა თქვეს, კიბოს პრობლემა მხოლოდ ამ საუკუნის ბოლოს გადაწყდებაო.

ამდაგვარ ნათქვამს ხშირად რომ გაიგონებდი მეცნიერების ყველა სფეროში, ეს მოწმობდა და ადასტურებდა, რომ: მაინც ამერიკელებისა ეიმედებოდათ.

პაწია ბუკლეტს დავით რონდელზე ადრევე რომ იყიდდა და მანქანის ბუჯერში შეინახავდა, 18 აპრილს საქმე არ ექნებოდა — გუბაზის გამოსვლას ელოდებოდა კომისარიატიდან — სათვალეს გაიკეთებდა და კითხვას შეუდგებოდა. დაათვალიერებდა ფოტოებსაც, თვით დავითის პორტრეტსაც.

— რა ნაცნობი და ერთ დროს რა ახლობელი სახე იყო, — აღმოხდებოდა.

სტუდიაში რომ მივიდოდა 1961 წლის მარტში, „ენგურის ნაპირები“ ექნებოდა დამთავრებული რონდელს. მიხეილ კვესელავა გახმოვანებაზე მიამაგრებდათ: დაეხმარეთო. მიხმარებით არაფერი გამოვიდოდა, სამაგიეროდ დაახლოვდებოდნენ.

ამის შემდგომ რეზოსა და ემზარ კვიტაიშვილის სცენარის — „სამი ასული“ — გადაღებას მოინდომებდა, მაგრამ... ორ შაურად გაყიდვა რომ სჩვეოდა ახლობლებისაც, იმ სცენართან დაკავშირებითაც ასე მოიქცეოდა, თუმც ამას გულში ხინჯი არ ჩარჩებოდა.

სასიამოვნოდ დაამახსოვრდებოდა მასთან ურთიერთობა, განათლებული გახლდათ, კარგი მოსაუბრე, იუმორის პატრონი, ენა ებმოდა და... ეს უფრო სიმპათიურსაც კი ხდიდა რატომღაც.

როცა შეიტყობდა: მოკვდაო, — თავზარი დაეცემოდა და შეეცოდებოდა: როგორ გადაიტანა სიკვდილი ასეთმა მშიშარამო.

მშიშარა იყო ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც.

მასთან ერთად მოუწევდა მუშაობა ფილმებზე: „პიერი — მილიციის თანამშრომელი“ და „ჩემი მეგობარი ნოდარი“. „დაკარგული სამოთხის“ ხელახლა გახმოვანებაშიც მიეხმარებოდა... ამასობაში წელი წელს გაჰყვებოდა და: დავით რონდელი „დაკარგულ სამოთხეს“ ვერა და ვეღარ გასცილდებოდა.

არც იყო საჭირო გადაცილება?

მაგრამ... რომ ვეღარც მიუახლოვდებოდა?

მოუყვებოდა, როგორ დაიბარებდა ერთხელ ლავრენტი ბერია გადაღების დროს, დაიბარებდა ღამით, მოსაცდელში სინათლეს არ აუნთებდნენ — 37 წელი იდგებოდა — და შიშისაგან კაბინეტის კარს ვერც მიაგნებდა. ხელისცეცებით გაუყვებოდა კედელს. რაღაცას წამოედებოდა და წაიქცეოდა ამოდენა კაცი. მას შემდეგ შიშის გრძნობა აღარ გაუნელდებოდა. 37-ისა და ომის, სტალინის ეპოქის ტრანსიდან ვეღარ გამოვიდოდა. ომის დროსაც და შემდგომაც კინოსტუდიის პარტკომი იქნებოდა და ამ თანამდებობის შესაფერისად გასაგებია, რა და რა ორგანიზაციებთან იქნებოდა დაკავშირებული.

გაიგებდა, დრო რომ შეიცვლებოდა, შემოქმედებით გადახალისებასაც დააპირებდა, გაირჯებოდა კიდეც საამისოდ და... არაფერი გამოუვიდოდა, ისევ ის წყეული არტახები ბოჭავდა და, რეზო ჭეიშვილისათვის რომ გეკითხათ: ბოლობოლო არც ყოფილა კინორეჟისორად დაბადებული.

ერთხელ ქუთაისში, ნამდვილ სასადილოში, ლომბარდის შენობაში „ჩემი მეგობარი ნოდარის" სასადილოს სცენას რომ იღებდა, ესენი, რამდენიმე კაცი, სამზარეულოში შეუდგებოდნენ ქეიფს, ამასაც შეუვსებდნენ შიგადაშიგ ჩაის ჭიქას, დათვრებოდა და ასე იმუშავებდა დილამდე.

რომ გაგეხარდებოდათ, ისე ბუნებრივად თითქოს მაშინ გაიხსნებოდა.

ის სცენა მართლაც კარგი გამოუვიდოდა, თუმც ძალიან შემოკლდებოდა და დაიჩეხებოდა საბოლოოდ.

გადათვლიდა დავით რონდელის ფილმებს და: 13 სრულმეტრაჟიანი მხატვრული სურათი რომ გამოვიდოდა, ამასაც მის უილბლობას მიაწერდა: რაღა მაინცდამაინც ცამეტიო!..

რომ წამოეშლებოდა და წამოეშლებოდა მასთან ურთიერთობის ცალკეული სურათები, ძალდაუტანებლად იფიქრებდა: ბევრი კარგისა და საინტერესოს მოგონება შეიძლებაო.

და ერთხელ კიდევ გაიმეორებდა, ძალიან რომ შეეცოდებოდა სიკვდილისათვის.

რაკიღა ამ ჩანაწერში სილუეტი მოიხაზებოდა და ნოველის ნიშნებიც იჩენდა თავს, შეგნებულად თუ ქვეშეცნეულად, მაგრამ ნოველური აკორდით კი დააგვირგვინებდა:

— როგორ გადაიტანა სიკვდილი-მეთქი.

15 მაისს დაიჩივლებდა:

მიშას სცენარი მაქვს გასასწორებელი, გადასაბეჭდი, მიდევს წინ, დავჩერებივარ და ვერაფერს ვაკეთებო.

17 მაისს კვლავ დაიჩივლებდა:

ვერა და ვერ დავიწყე სცენარის გადაბეჭდვაო.

ორმოცები, დღეობები, წლისთავები, ნიშნობები და ამისთანები თავისას წაიღებდა და...

დღისით დაჰქროდა კომისარიატიდან ჰოსპიტალში, ჰოსპიტალიდან კომისარიატში, ერთი სამსახურიდან მეორეში.

სცენარს კი... სცენარს — თუკი მოახერხებდა უიმისოდ თავის გატანას — მართლაც აღარ დაწერდა.

თუმც ეს მაინც წამიერი განწყობილება აღმოჩნდებოდა, რადგანაც 20 მაისს გულმშვიდად ჩაწერდა:

ახლა სცენარს ვასწორებო.

კინოდრამატურგიას ასე ადვილადაც ვერ ჩამოშორდებოდა.

25 მაისს სტუდიას რომ მიაკითხავდა, ნიკოლოზ სანიშვილი დახვებოდა მოწყენილი. 80 წლისა რომ გასრულდებოდა, ადრინდელ რიხსა და სიხალისეს დაჰკარგავდა. ერთი ფილმის გადაღებას კიდევ მოასწრებდა. 22 წლის წინათ კი საყვარლებს იცვლიდა ზედიზედ. ის და სიკო დოლიძე შემორჩებოდნენ კინოს — სინემას. სიკო სულ ავადმყოფობდა თითქოს, გულს უჩიოდა.

ოცი წლის წინათ რეზო მოსკოვის მატარებელში დაემგზავრებოდა სიკოსა და დავით რონდელს, სიკო რომ გავიდოდა, დავითი მაგიდის უჯრას გამოსწევდა და წამლებს დაანახვებდა ქირქილით: ორ კოლოფ წამალს ყლაპავს დღეშიო.

არადა: იმ წამლებით გაისტუმრებდა სწორედაც იმქვეყნად უამრავს.

ღვინოს არა სვამდა, პაპიროსს არ ეწეოდა სიკო დოლიძე. რონდელი არც ერთს იკლებდა და არც მეორეს და:

— შურს ჩემი, ჯანმრთელი რომ ვარ. ფეხით დადიხარ და იმიტომო, მეუბნება. თამადად თვითონ დგება ბანკეტებზე, ღვინოს მე მასმევს, ან თამადად დამნიშნოს, ან დალიოს, უთხარით, ბატონო, გთხოვთ.

— კი ბატონო, — შეპირებით კი შეპირებოდა რეზო, მაგრამ როგორ ეთქვა იმ ხნის კაცისათვის: ან დალიე და ან რონდელი დანიშნე თამადადო.

და წამოაგონდებოდა, როგორ გამოვიდოდა ბესო ჟღენტი მწერალთა კავშირიდან, კიბეზე შეჩერდებოდა წაჭუტული თვალებით, ლურჯი მაკენტოჟი ეცმეოდა. სახეზე მაინცდამაინც ისეთი არაფერი ეტყობოდა... და გივი ძნელაძე რომ ჰკითხავდა თავაზიანობისათვის:

— როგორ ბრძანდებით, ბატონო ბესო?

და ის პასუხად:

— ძალიან ცუდად.

მიხვდებოდა რეზო ჭეიშვილი, წასული რომ იყო ხელიდან და იტყოდა კიდეც: გამოსული აქვს წირვაო.

შეცოდებით არ შეეცოდებოდა, რაც თავისათვის ვერა და ვერ ეპატიებინა.

იმ წამლებით გაისტუმრებდაო...

1 ივნისს შეფიქრიანებული ჩაინიშნავდა, რომ:

ერთი ეპიზოდი ჰქონდა სცენარში ჩასამატებელი — სათაური ჯერაც ვერ შეერჩია — და ხვალ ბეჭდვა უნდა დაეწყო, არადა დღისით წვრილმანი, გადაუდებელი საქმეებიც არ ეშვებოდა.

3 ივნისს დაიწყებდა ბეჭდვას ზანტად და უხალისოდ.

ბოლობოლო გადაბეჭდავდა და 6 ივნისს ჩააბარებდა სცენარს: „ჭიდაობას რა უნდა“ — არჩევდა, არჩევდა და ამ სათაურზე შეჩერდებოდა, ოღონდ დარჩებოდა თუ არა საბოლოოდ, ჯერ არ ეცოდინებოდა.

რევაზ ჩხეიძე იტყოდა:

— ტრაგიკომედიაა.

მართლაც ასეაო, ეთანხმებოდა.

ისეთი ხასიათები გამოეგონებინა — ამ შემთხვევაში ზუსტი გამოთქმა გახლდათ — რომ სასცენაროდ დაეწანებოდა კიდეც, ნამდვილად დაეწანებოდა: ტიპაჟი იყო და — საკმარისზე მეტი, ეპიზოდები იყო და — დახვავებული, მთავარი გმირები იყო და — მთლად კაი, დიალოგები იყო და — მშვენიერი...

იტალიური კინოს ბადალიაო, — აღფრთოვანებისაგან აღარ იქნებოდა, შეიძლება გამოვიყენო სადმე სხვაგანაც ეს ხასიათები, შეიძლებაო...

მაგრამ აი 17 ივნისს სიკო დოლიძის გარდაცვალებაც უნდა გამოეცხადებინათ და ამას ისეთი შთაბეჭდილება დარჩენოდა: ერთ-ერთი ბოლო ფოთოლთაგანიც ჩამოვარდა თითქოს ძველი ხიდანო.

ამ 23 წლის წინათ — როდესაც რეზო ჭეიშვილი კინოსტუდიაში მივიდოდა — სიკო დოლიძე თუმც ჯანმრთელობას უჩიოდა, მაგრამ მხნედ, ლამაზად, ენერგიულად, თავდაჯერებულად გამოიყურებოდა. 60 წლისა, შეიძლება ცოტა უფრო გვიანაც, შეირთავდა ცოლს და მაშინაც მშვენივრად გამოიყურებოდა. ძალიან უვლიდა თავს, მაგრამ დამდგარიყო მისი ჟამიც, თუმც აგერ მისი კბილა ნიკოლოზ სანიშვილი ჯერაც სამი კინოსურათის გადაღებას აპირებდა ერთმანეთის მიყოლებით.

რამდენჯერმე რომ დარეკავდნენ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციიდან: სიკო დოლიძეზე რამე დაგვიწეროსო. — რაღა დროსიაო, — ნაიბუზღუნებდა, მაგრამ ადრეც რომ ეთქვათ, მაინც ვერ დაწერდა. სიკო სასიამოვნო პიროვნება გახლდათ, კარგის მეტი რეზოსთვისაც არაფერი გაეკეთებინა... და მაინც ვერ დაწერდა. დავით რონდელზე შეეძლო დაეწერა. იმას უფრო გაეღიზიანებინა, ნერვებზეც მოეშალა, მაგრამ: პიროვნება იყო რაღაცნაირი... საინტერესო.

ჩაავლებდა მეორე დღეს თვალს ამ სტრიქონებს და:

გუშინ ნასვამი ვიყავი, თუმც საერთოდაც ძალიან გაკრულად, გაურკვეველად ვწერ მე მგონიო.

კალიგრაფიას იგულისხმებდა და არა შინაარსს.

რეზო ინანიშვილისა არ იყოს.

ეს რეზო იმ რეზოს გამომცემლობაში გაიცნობდა, თუმც გაუცნობლად მანამდეც ეცნობებოდა; იმხანებში მწვანე შლაპით დადიოდა რატომღაც ის რეზო.

მწერლობაში ახალგაზრდობდა, საწიგნეთში დიდობდა ინანიშვილი.

ესეც ჭეიშვილური ფრაზა, პარადოქსული, ოღონდ ამჯერად ღიმილით გადაბადრული, რასაც ჩვეულებრივი ეპითეტებიც უნდა მოჰყოლოდა: სიტყვასაც უქებდნენ, საქმესაცაო. რეზო ჭეიშვილის პირველი წიგნ-ბრო-შურის გამოქვეყნების საქმეშიც დაიდებდა წილს.

— რა კარგი წერა გცოდნია, — შეაქებდა.

ამას ენა კინაღამ ჩაუვარდებოდა სიხარულით.

— რა კარგად დაგიწერია... — ჩააჩერდებოდა თაბახის ფურცელ-განცხადებას, გეგმაში წიგნის შეტანის თაობაზე რომ დააწერინებდნენ. კალიგრაფია მოეწონებოდა და არა წიგნი.

— ...კარგი ხელია, გაკრული... — არ დასცინოდა, თუმც ამას იქამდე ეგონებოდა: ვჯღაბნი და არამარტო განცხადებებსო.

ამ ეპიზოდს პირდაპირ შეიტანდა პორტრეტულ მონახაზში, „წიფობისთვეში" რომ ჩაურთავდა — აბა რეზო ჭეიშვილის მემუარული ყაიდის ჩანაწერები და: ურევაზინანიშვილოდ?!.

სასცენარო განყოფილებაში დაახლოვდებოდნენ. დიღმის სტუდიაში რომ გადავიდოდნენ, ადმინისტრაციული შენობის სასცენარო ფართის ყველაზე დიდ და ნათელ ოთახს დაუთმობდნენ. ფანჯრიდან ეზოს ვიწრო ზოლი, ალვები, დიღმის გორები მოჩანდა. ეს რეზო თავისი სეხნიის მაგიდას ფანჯრისაკენ მისნევდა: აქ დავჯდებიო. მოეწონებოდა ეს შეთავაზება ინანიშვილს. დაჯდებოდა, „ბათინკებს" სკამის ფეხებს შემოაკვანტილებდა, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნობოდა და თავს დიღმისაკენ შეატრიალებდა.

— მშვენიერი ლანდშაფტი ჩანს, — აუწყებდა ცოტა ხნის შემდეგ და უხალისობას რომ შეატყობდა, ურჩევდა, — შენი მაგიდაც აქ გადმოდგი, ერთად ვუყუროთ პეიზაჟებს.

— არ გამოვა, კონსტანტინოვიჩ.

— რატომ, ბენედიქტოვიჩ, გამოუსვლელი რა ჭირს აქაურობას.

— პროპორცია დაირღვევა, ზიარი კაბინეტი დაუშნოვდება.

— მაგაში მართალი ხარ, — დათანხმებით დაეთანხმებოდა, მაგრამ ადგილების შეცვლას შესთავაზებდა. უარს რომ მიიღებდა, სხვა გამოსავალს გამოძებნიდა, — მაშინ, როცა არ ვიქნები, გადმოჯექი, თან იკითხე, თან წერე, თან პეიზაჟები ათვალთვალე.

ერთი ხედი ილანდებოდა ფაქტობრივად. შეთანხმდებოდნენ და... იმ დღის შემდეგ იმ ოთახში მგონი ერთად ველარავინ ნახავდათ, ყოველ შემთხვევაში ჩემსა და შენს რომ არ გაარჩევდნენ, კარგად ეხსომებოდა რეზო ჭეიშვილს.

საბჭოთა არმიის თადარიგის ოფიცერი იქნებოდა ისიც დანარჩენებივით, მათზე უფროსი. სამხედრო შეკრებებს ემალებოდა ყველა, რევაზ ინანიშვილის გარდა, რიგგარეშეც რომ იმაღლებდა ცოდნას რუსის ჯარში. პლეხანოვის უბნის კომისარიატთან ცხოვრობდა და ზოგჯერ სხვის მაგივრადაც გადიოდა ორ-სამკვირიან წრთვნას. მოხალისეობის რა ხუშტური მიაქანებდა იქით, ვერც ვერასოდეს გაიგებდა მისი უმცროსი სეხნია. არადა გასაწვევი კაცი რომ დააკლდებოდათ, ეზოდან ფანჯარაში ასძახებდნენ:

— ინანეიშვილი, ნა ვიხოდ!

— სეიჩას, ნაჩალნიკ, — პასუხობდა ისიც და „კატილოკს" დაეძებდა.

მთლად ასეც არ იქნებოდა ცხადია, და ეს რეზო მოუგონებდა, უფრო ზუსტად — გაუზვიადებდა იმ რეზოს, გარშემო ყველას რომ აცინებდა და თვით ამ ანეკდოტის გმირი სხვაზე მეტად და გულიანად იხითხითებდა.

— მართლა იმერელი ინანეიშვილები ვყოფილვართ თავდაპირველად, — ამბობდა და კახელს წარმოშობით საეჭვო იმერლობა მოსწონდა და არ ეამაყებოდა.

ხუმრობის ფასიც იცოდა, ზომაც და თვითირონიის უარმყოფელიც არ ყოფილიყო, — ამგვარ მოწმობას იუმორით სავსე თანამოკალმისაგან ის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რომ იუმორი არსად გაიელვებს

რევაზ ინანიშვილის ნოველებსა და მინიატურებში. ამ ყაიდის მწერლებს ზოგს ყოფით ცხოვრებაშიც არ ახასიათებს იუმორის ნიჭი, რევაზს კი ყოფიდან ველარ გადაჰქონდა ფურცელზე, ლირიზმსა და დრამატიზმს შორის რომ მიმოიქცეოდა, თორემ აგერ...

მისი ლაპარაკის მანერას აი ასე წარმოგვიდგენს პორტრეტული მონახაზი: გაბმულ კამათში რომ ჩაერთვოდა, ტემპს აგდებდა, თუმც უებრო მთხრობელი გახლდათ და დიდი იუმორის პატრონიო.

მწერალთა მაშინდელი ხელმძღვანელობა საკავშირო მწერალთა ყრილობაზე რომ არ წაიყოლებდა მოსკოვს, ორმოცკაციან საპატიო სიაში არ მოახვედრებდა — რეზო ჭეიშვილის რწმენითა და დასტურით — ერთ უპირველეს მწერალს, გულს ატკენდნენ, მაგრამ წყენას ვერ ჩაუტოვებდნენ, რაკიღა შურისმაძიებელი კაცი არა ყოფილა.

მწერალთა კავშირის მდივნად რომ აირჩევდნენ ბოლოს?

ნიჭის საზღაურად კი არა, გეოგრაფიულ-ეთნიკური ნიშნისა თუ ფაქტორების გამო.

სხვა სამსახურებს რომ მიაშურებდნენ, კინოსტუდიას არკი მიატოვებდნენ; რევაზ თაბუკაშვილის სასცენარო სახელოსნოში იკრიბებოდნენ სამშაბათობით და წყნარ ამინდში ალვების ხეივანში ისეირნებდნენ საჯინიბოებთან ახლო.

ჯანი უმტყუნებდა, სენი აჯობებდა, სისუსტე მოერეოდა ნელ-ნელა, ჩათვლემდა ხოლმე წითელ, გაცრეცილ სავარძელში მოკუნტული; ძილ-ღვიძილში ჩაერთვოდა და გამოეთიშებოდა ხოლმე საუბარს.

იმ დღეს მანქანით რომ წაიყვანდა, გზაშიც თვლემაში იქნებოდა ჩაძირული და რეზო ჭეიშვილის ხმამაღალი ლაპარაკი ნაწყვეტ-ნაწყვეტ თუღა ჩაესმოდა. უგზოზე რომ არიხინდებოდნენ, სავსებით შეფხიზლდებოდა თითქოს, ლოყებზე ჩამოისვამდა ორივე ხელს და მზერა გაეყინებოდა:

— მართალი ხარ, გლახა დრო ჩამოდგება, ნუგზარ ერისთავის დროსაო, ხომ გაგიგონია?..

დროზე, არც კარგზე, არც ავზე, არ ყოფილიყო ლაპარაკი, ნუგზარ ერისთავი საერთოდ არ ეხსენებინათ და ვის შეეპასუხებოდა, ვერას მიხვდებოდა ეს რეზო.

ორი მძიმე წლის შესაყარ დროში დაკრძალავდნენ თვენახევრის შემდეგ: 1991 წლის 31 დეკემბერს. საქელეხო სუფრაზე დღისსულს დასხდებოდნენ ჭირისუფალნი. დაღამებისა ეშინოდათ და რცხვენოდათ, ღამისა კი არა, სროლის.

უსიხარულო წელი მთავრდებოდა და მოდიოდა უსიხარულოვე.

სამხედრო გადატრიალების მოწმენი უნდა გავმხდარიყავით სულ რამდენიმე დღეში.

არ თოვდა.

არც ცივი ქარი იქროლებდა.

ცა იქნებოდა ტყვიისფერი, დღე — იმ ცისფერი.

რევაზ ინანიშვილის თაობა ისხდებოდა გრძელ, ასაკეც სკამებზე, ნაცრისფერ, გაცრეცილ ასაშლელ მაგიდებთან. ერთმანეთს შეჰყურებდნენ

შფოთით. ზოგისა ფერი არ მოეწონებოდათ, ზოგისა — მზერა, ბევრი აკლდებოდათ, რამდენიმე სულაც ეზედმეტებოდათ.

თოფის ხმას ბათქი შეცვლიდა, ქვემეხებს გაისროდნენ. შებინდული ფუნიკულიორის ანძის წილი ცა განათდებოდა, მეწამულს გადაიკრავდა ზოლად ზე-ცის კიდე.

სროლა გრძელდებოდა...

დიმიტრი ერისთავი გამოჰყვებოდა, სუფრებს რომ გასცილდებოდა რეზო:

— თუ ძმა ხარ შინ წადი, სხვაგან არ გადაუხვიო.

— არა, — მიუგებდა, — ასე გადავალ ზემოდან, ჩვენც, ისინიც... სხვებიც...

ამათი გადარჩენის დრო გახლდათ. რევაზ ინანიშვილი დაებინავებინათ უკვე.

ალექსანდრე ყაზბეგი — როგორც თანამედროვენი იხსენებდნენ — წერდა ყარანდაშით, ბატიფეხურით, უპუნქტუაციოდ. სასვენ ნიშნებს საერთოდ არ იყენებდა.

ამ აჩრილის გამოხმობის ფონზე მოუნდებოდა მოგონების ავტორს თავისი სეხნიის კალიგრაფიისა და წერის მანერის დახასიათება: სასვენ ნიშნებს რომ იყენებდა, წერდა ფანქრით, სუფთად, კვამლისფრად, სიტყვადაწურულად, ფრაზაგანათებულად, წინადადებებდალაგებულად; წერდა ტკივილით, სიყვარულით, ღიმილით, უფერული ცხოვრებით, მწირი ყოველდღიურობით შეფიქრიანებული.

რას წუხდა აკაკი წერეთელი საერთოდაც და ალექსანდრე ყაზბეგს რომ დაიტირებდა, იმ მძიმე წუთებშიც?

სიცოცხლეში ვერ ვაფასებთ დიდ ადამიანს, სამაგიეროდ მზე და მთვარეს დავახლით კუბოზე სამარისპირსაო.

რევაზ ინანიშვილს ესეც არ ეღირსებოდა. არც მზეს დაახლიდნენ მის სამარესთან, არც მთვარეს, ტყვიას კი ვახლიდით ერთმანეთს რუსთაველის გამზირზე იმ დღეს.

ქვაც არ დაედებოდა გულზე კარგახანს დიდუბის სასაფლაოზე. დროის სრბოლასთან მართლაც რა არის რამდენიმე წელი, გინდ საუკუნეც, მაგრამ რევაზ ინანიშვილი მიტოვებულს რომ ჰგავდა საძმოში? საფლავები გამშვენიერდებოდა მის გარშემო, მისი უქვო, უჯვარო სამარე მიფარებულში, დიდი ნეკერჩხლის ძირას მყუდროში, ზაფხულ ჩრდილში, ზამთარ თოვლსაბნიანში რჩებოდა.

და როგორ არ მიედევნებინა, რომ:

ეგნატე ნინოშვილის უბედობა აწუხებდა აწ უკვე საფლავის ბინადრად ქცეულს.

თავისთავად მოტივტივებდა ცნობიერებაში ის უცნაური მინიატურა „ჯარგვალე", რომელიც ეგნატეს პირადი წერილის ფრაგმენტზე აიგებოდა, მერე კი მოჰყვებოდა უმთავრესად ენციკლოპედიის სტილით შესრულებული აბზაცი, 34 წლის ასაკში აღსრულებული ამ მწერლის უკეთეს მოთხრობათა ჩამონათვალი, უეცრად და ერთბაშად რომ უნდა განათებულიყო ყველაფერი და რევაზ ინანიშვილის მადლით აღბეჭდილიყო, და უცნაური

ყაიდის სტრუქტურა მინიატურად უნდა გადაქცეულიყო, ამ ჟანრის შედევრთა შორის რომ დავიგულებდით:

— თუმცა სულ დამავიწყდა მეკითხა: გიყვართ, საერთოდ, მოთხრობები, თუ არა?

თვითონ მეტხანს იცხოვრებდა, მეტსაც მოასწრებდა. თხზავდა მოკლედ, თუმც კი ბევრს დაწერდა, პატარაში იმდენს დაატევდა, ვერ ჩამოთვლიდი.

გადაგვირჩევდა, თუკი ინტერესს შეგვატყობდა, რეზო ჭეიშვილი უკეთეს ნიმუშებს თანამოკალმისას, მაგრამ... ადრე უნდა ეკითხა და ბარემ ახლა მაინც გამოიჩენდა ცნობისმოყვარეობას, ამ სტრიქონით რომ შეჰკრავდა თხრობას და ლიტერატურულ პორტრეტს ნოველად გადააქცევდა:

— გაინტერესებთ, კითხულობთ რეზო ინანიშვილის მოთხრობებს?

* * *

ერთ ლიტერატურულ თავყრილობაზე მწერალთა სასახლეში გურამ პეტრიაშვილი კინომცოდნეების წინააღმდეგ გაილაშქრებდა და ამასაც იტყოდა:

— სულ ვეუბნები, სულ ვიმეორებ, კინომცოდნეებად რომ თავი მოაქვთ: კინოსტუდიაში ორი მორიდებული კაცი რომ დაიარება, თავისთვის რომ დაბაჩუნობენ — რეზო ინანიშვილი და რეზო ჭეიშვილი — იცით, რომ დიდი მწერლები არიან, მსოფლიო მწერლები?

დარბაზი ახმაურდებოდა და გურამი ერთბაშად მოუნაცვლებდა სიტყვას:

— იმათ ასე უნდა უთხრა, იქნებ რამე გააგებინო... „დიდს" რომ ვამბობ, ამით მწერლისა და მწერლობის პრესტიჟს ავწევ ხოლმე, ადვილად რომ არ წამოჰკრან ხელი.

შეხვედრა რომ დასრულდებოდა, გურამი მომძებნიდა, სხვებს გამომარიდებდა და მეტყოდა:

— რაიმე გადავაჭარბე?

მაშინვე მივუხვდებოდი, იმ გრძელი, კომპოზიციურად არცთუ მთლად დალაგებული სიტყვის რა ადგილსაც გულისხმობდა, და:

— არაფერი გადაგიჭარბებია.

— არიან ხომ დიდი მწერლები, მსოფლიო მწერლები?

— როგორ არ არიან... რა ჩვენი დასტური უნდათ...

— ერთი რეზოც და მეორეც.

— ერთი და მეორეც...

— აგაშენა ღმერთმა... ფიქრით სხვებიც ფიქრობენ, ასევე, განა არა, მაგრამ არ გამოტყდებიან.

— იმათ ჩვენ სად ვუყუროთ.

— არც ვუყურებთ.

და მიდის კმაყოფილი, გახალისებული.

მე კი კინაღამ დამავიწყდებოდა მეკითხა თქვენთვის:

გაინტერესებთ, კითხულობთ, გიყვართ ლიტერატურა?

ანდა:

ძილს ხომ არ გიფრთხობენ დიდი სახელები?

ან კიდევ:

თუ გჯერათ და გწამთ მსოფლიო ორბიტაზე ქართული მწერლობის გატანისა, საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების უშუალო მონაწილენი რომ შევიქნებით ადრე თუ გვიან?

ისე ჯერ ერთი შეკითხვა თქვი და მერე კიდევ: ამდენს რომ დაგაყრიან ერთბაშად.

* * *

საგულისხმო კი იქნებოდა რეზო ჭეიშვილის მიერ გადარჩეული რევაზ ინანიშვილის ნაწერებიც და რევაზ ინანიშვილის მიერ შერჩეული რეზო ჭეიშვილის თხზულებანიც, თორემ მწერლებს ნაკლებ ენდობი თავიანთი ნაწერებიდან უკეთესის გამოცალკევებაში.

წინამორბედთა თუ თანამოკალმეთა რჩეულებს ბევრად უფრო სანდოდ და საიმედოდ შეადგენენ, დრო-ჟამს რომ გაუძლებს და გაუბზარავ სურათსაც წამოგვისახავს... და ნეტა ჩამონათვალს მაინც გვიბოძებდნენ, გზამკვლევებად რომ წაგვადგება და დროს აღარც დაგვიტოვებს იმაზე საფიქრებლად, მართლა გვიყვარს თუ არა ლიტერატურა.

21 ივნისს წიგნის მხატვრობას რომ ნახავდა, ძალიან მოეწონებოდა და გადაწყვეტდა: უნდა დავურეკო გოგი წერეთელსო.

25 ივნისს ტელევიზიით უყურებდა ალექსანდრ ვოლოდინის დრამას, სამსახურებრივ თუ საწარმოო სპექტაკლს, გადმოქართულებულს ამისა და ამის მიერ, როგორც ტიტრებში ეწერებოდა და რეზოს ის ანდაზა მოადგებოდა პირზე: ეგრე არ არის თაყაო, რადგანაც: სკვარცოვს თუ მიქელაძით შეცვლიდი, ეს გადმოქართულებას არა ნიშნავდა, არადა ბევრს ასე ეგონა სწორედ.

რუსული, მითუმეტეს ფსევდორუსული, ამბისა და ხასიათების გადმოქართულება თითქმის შეუძლებელი გახლდათ რეზო ჭეიშვილის აზრით.

იქ — რუსეთში — ყველაფერი ნათელია ხოლმე თითქმის, ხასიათები სწორხაზობრივად ვითარდება, მოქმედი პირები რასაც ფიქრობენ, იმასვე ლაპარაკობენ, გულახდილნი ხდებიან რაღაც მომენტშიო...

ქართული სინამდვილე, ქართული ხასიათი კი:

ღრმა გახლდათ, რთული, მრავალნიუანსობრივი.

ამავე თემაზე იყო კინაღამ მისი „ცისფერი მთებიც“ და შესადარებლად — ვოლოდინების, როზოვებისა და კოროსტილოვების პიესებთან — უპრიანი გახლდათ თვალსაჩინოებრივი თვალსაზრისით.

ჩაინიშნავდა და... ფრაზა დიდად არ მოეწონებოდა: კარგად ვერ ვთქვიო.

უფრო კარგად ანდაზას გამოეთქვა:

თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო.

გული წყდებოდა და დღიურს მიანდობდა:

არ მომწონს, თეატრებმა რომ გვერდი ამიარა. დღევანდელი შეხვედრაც არ შედგაო.

რა შეხვედრა უნდა შემდგარიყო და:

წინა დღით დაურეკავდა გია ანთაძე, რუსთაველის თეატრის რეჟისორი ყოფილიყო და ეს აქამდე არ იცნობდა. სამწუხაროდო, დაურთავდა, ამ უცნობლობას. ის კი:

— მე და რობერტ სტურუას გვინდა მოსვლა, რალაც გვინდა შემოგთავაზოთ.

ნეტა რას იტყოდნენ, რას შემოსთავაზებდნენ?

გუნება ცოტა გამოუკეთდებოდა: ადრე თუ გვიან ასეც უნდა მომხდარიყო, — ხოლო მისი გადაწყვეტილება, რომ არასოდეს პირველს აღარ დაეჭირა მათთან კონტაქტი — არც იჭერდა ფაქტობრივად — ძალაში რჩებოდა.

ელდარი ესტუმრებოდა 2 ივლისს და ახარებდა:

— სესილია გამოვიდა, მომავალ კვირას გადაღებასაც შეძლებს.

მეოთხე მოქმედებაღა (ზაფხული) დარჩენილიყო.

ფინალი გახლდათ ისევ მოსაფიქრებელი.

ფინალი თუ ძალიან კარგი არ იქნებოდა, წყალში ჩაიყრებოდა ყველაფერი. არადა: ყველა ფინალს მისჩერებოდა, ყველა იქ ეძებდა ძაღლის თავსაც და საფრთხესაც.

5 ივლისს სტუდიაში მოუწევდა ყოფნა, სამონტაჟო მაგიდასთან — გასახმოვანებელი ტექსტის გასასწორებლად...

და აი რობერტ სტურუას ზარი:

— „გაყრა“ გვინდა დავდგათ, 14 იანვარს ახალგარემონტებული თეატრი უნდა გავხსნათ ამ პიესით და არჩევანი შენზე შევაჩერეთ, თუ დაგვიწერ. პასუხს ახლავე ნუ მოგვცემ, შემდეგ გვითხარი.

ეს გაოგნდებოდა:

დაწერილ პიესას თავიდან ხომ არ დავწერ, რას ითხოვენ, ჯერჯერობით არ ვიციო.

სუსტი პიესააო, — რობერტ სტურუას ეს აზრი ჰქონდა გიორგი ერისთავის ამ კომედიაზე და რეზო ჭეიშვილი თავისას გაიფიქრებდა: „ხანუმას“ ვარიანტია, რომელშიც არ გავერევიო.

სხვა რა მოხელე უნდა ყოფილიყო, აღარ იცოდა.

შეეძლო სცენარად გადაეკეთებინა, ეს სხვა იყო, თორემ პიესა პიესად როგორ უნდა გადამუშავებულიყო?

როგორც „ყვარყვარე“?

ესეც დაუშვებელ ხერხად მიაჩნდა.

რუსებს აზრადაც არ მოუვიდოდათ „რევიზორის“ ხელახლა გაპიესება. ვთქვათ, ნიკოლაი გოგოლის ეს კომედია კლასიკა გახლდათ, „ყვარყვარე“ და „გაყრა“ კი არ იყო კლასიკა, მაგრამ ისინი დენის ფონვიზინის „უმწიფარსაც“ არ შეეხებოდნენ ამნაირად.

— წაიკითხე პიესა, — სთხოვდა რეჟისორი.

წაიკითხავდა ცხადია, თუმც ისედაც თითქოს ზეპირად ახსოვდა გიორგი ერისთავის ეს კომედია.

8 ივლისს უნდა შეხვედროდა — თავდაპირველად უნდა დაკავშირებოდა ტელეფონით რობერტ სტურუას. სამსახურში ვერ გაჩერდებოდა და შინაც გვიან მოუწევდა შემოსვლა.

23 ივლისს უკვე ეს კვნესა თუ ჩივილი აღმოხდებოდა:

რა დაწერს ხელახლა „გაყრასო“?!.

25 ივლისს უკვე ეს:

ეს „გაყრა“ ვერ მოვძებნე, თუმც წიგნები გადავაწყე და გადავაადგილე. ვერც ვიშოვნე, არ მიძებნია და რას ვიშოვნიდიო.

29 ივლისს რომ გადაიღებდნენ საკუთარ ოთახში, კაბინეტში: ტელევიზია ამზადებდა გადაცემას, რომლის ავტორიც იქნებოდა ირინე ტალიაშვილი, რეჟისორი — ავთანდილ დიდებულიძე. როდესაც ადღეგრძელებდა სტუმრებს — შამპანურებს გახსნიდა სახელდახელოდ — „გაყრა“ გაახსენდებოდა, მოაგონდებოდა, რომ რეჟისორ გია ანთაძეს უნდა შეხვედროდა „საუნჯის“ რედაქციაში და დაარეკინებდა მეუღლეს, რათა გაეფრთხილებინათ: არ უხერხდება მოსვლაო.

1 აგვისტოს ის რომ შემოეხმიანებოდა:

— მე და რობერტ სტურუა გირეკავდით გუშინ მთელი დღე.

— გავაკეთებ, — ეს დათანხმდებოდა. ტელეფონშიც შეატყობდა, რარიგ გაახარებდა.

7 აგვისტოს რომ წაიბუზღუნებდა: „გაყრის“ დამკვეთნი აღარ მაკითხავენო, — მერე იფიქრებდა, რომ შეიძლება კიდეც რეკავდნენ, მაგრამ შინ ტელეფონი არა მუშაობდა და სამსახურში კი დიდიხნით ვერა ჩერდებოდა. და თავს შეუწყრებოდა ბუზღუნისათვის.

29 ივლისს სამხატვრო საბჭო რომ იქნებოდა დანიშნული: ამის სცენარის განსახილველად. წინასწარვე დარეკავდა: დამაგვიანდებაო. ეს იმიტომ: სატელევიზიო გადაცემისათვის რომ ჩაინერდნენ შინ. და ახლა სხდომას ძლივს რომ მიუსწრებდა, თითქმის დასასრულს. რევაზ ჩხეიძე აჯამებდა შედეგებს და ახალშემოსულს მიაძახებდა:

— ნამეტანი გაქეს.

იოლად, უდავიდარაბოდ მიიღებდნენ სცენარს.

ამას წინათ კი კაბინეტში ასეთი სცენა გაიმართებოდა:

მიხეილ ჭიაურელი-უმცროსი მოითხოვდა სცენარის თანხის მესამედს.

რეზო ჭეიშვილი შესთავაზებდა ნახევარს.

ამირან ჭიჭინაძეს პირიქით მოეჩვენებოდა და, როდესაც მიხვდებოდა, რაზეც იყო ლაპარაკი, გაოცებას ვერ დაფარავდა:

— პირველად ვისმენ ამნაირ რამეს.

პირველად მოისმენდა, აბა რა იქნებოდა, სხვები სულ წართმევა-წაგლეჯვაზე იქნებოდნენ და ამაზე მოუვიდოდათ ხოლმე დაკა-დაკა, ამათ კი — ერთმანეთისათვის ემეტებოდათ და... კინაღამ ამის გამო წაეკიდებოდნენ ერთიმეორეს, შენ მეტი გეკუთვნისო.

ელდარ შენგელაია უკვე ამთავრებდა ფილმს ამის სცენარით, ეს მიხეილ ჭიაურელი ახლა იწყებდა და რეზო გადაწყვეტდა: ერთი განაცხადიც დაეწერა და ცოტა ხანი — რამდენიმე წელი — კიდევ შეეყოლიებინა ხელფასით სტუდიაში თავი.

მოივლიდა საჩხერეს, მანამდე ქვიშხეთს: პირველ დღეს ჯურხა ნადირაძე იქნებოდა მასპინძელი, მეორე დღეს — მუხრან მაჭავარიანი თავის მშვე-

ნიერზე მშვენიერ სახლ-კარში, კარგადაც მოვლილში. იმ დღეს ფაცხის მოწვნას აპირებდნენ და იელისა და შქერის წნელები ექნებოდათ მოტანილი.

ჯურხა საინტერესო სამარხს მიაგნებდა, განსაცვიფრებელ რაღაცებს შეიძლება ამოეყოთ მიწიდან თავი.

სტუდიაში რომ შეივლიდა 20 სექტემბერს, დიდი თავყრილობა ექნებოდა მწერალთა კოოპერატივს. გურამ დოჩანაშვილი და ლაშა თაბუკაშვილი არ იქნებოდნენ მხოლოდ — განაცხადებს აწერინებდნენ. და რეზო გადაწყვეტდა ერთი განაცხადიც დაეწერა მიშა ჭიაურელისათვის და ცოტა ხნით შეექცია თავი.

3 ივლისს სტუდიას მიაკითხავდა, მიშა ჭიაურელს ნახავდა და ანერვიულებულს დატოვებდა, არ იცოდა, 1985 წლის გეგმაში რომ გადაეგდოთ. გიორგი შენგელაია დაპირებოდა დახმარებას:

— ელდარსაც ჩავრევ ამ საქმეში და მეც გავინძრევი, როგორმე წელს რომ ჩაეშვას წარმოებაში.

არადა სცენარი მოსწონდა და რარიგ მოსწონდა. რა თვითონ და რა სხვებს!.. ურჩევდნენ კიდეც:

— ასე ნუ დატოვებ, მოთხრობად გადააკეთე.

25 ივლისს სინჯებს რომ აჩვენებდა რეჟისორი სამხატვრო საბჭოს, მოეწონებოდათ... და რეზოც ამოისუნთქებდა: რამდენიმე დღეში წავალთ ბიჭვინთაში და დავისვენო უნდაო.

9 სექტემბერს შინ ესტუმრებოდა მიხეილ ჭიაურელი-უმცროსი და ილაპარაკებოდნენ მომავალ ფილმზე. ის შეწუხებული იქნებოდა და შეფიქრიანებული. რეზოს ამ დილით, თურმე შუადღეზე, თემო ჩირგაძე ენახა და იმას:

— ვერ ვითამაშებ.

რეზო ასე იოლად არ მიიღებდა მის უარს:

— სცენარი წაიკითხე მაინც.

— წავიკითხავ.

და რაკილა შეიპირებდა, ცოტა იმედიანად გამოემშვიდობებოდა.

24 სექტემბერს დაურეკავდა მიშა ჭიაურელი:

— ძვირი ჯდება ჩვენი ფილმი, რაღაცები უნდა გადაკეთდესო, ჭოლას უთქვამს. ნოემბერში ვეშვები.

ეს ფილმი კი ჩაეშვებოდა წარმოებაში, მაგრამ რეზოს სცენარი აღარ ექნებოდა ჯერჯერობით, თორემ...

23 ოქტომბერს რომ ნახავდა მიშას, უგუნებოდ დახვდებოდა რეჟისორი. რაღაცას უჩმახებდნენ — მაინცდამაინც ამ ჟარგონულ გამოთქმას მოიშველიებდა — კიდევ. არა და არ დაადგებოდა ამ კაი სცენარის ჩაშვებასაც საშველი.

თავი მესამე

ტრიუმფი „ცისფერი მთებისა“

ამასობაში თავის გზას მიუყვებოდა „ცისფერი მთები“.

28 მარტს რომ დაელოდებოდა ელდარ შენგელაიას, დამხმარე დიალოგები გაეკეთებინა ორი სცენისათვის — დირექტორის კაბინეტისა და მოსაცდელისათვის. არცერთი კადრი არ ენახა.

— ამ კვირას გაჩვენებ აუცილებლად, — შეპირდებოდა რეჟისორი.

ძალიან აინტერესებდა. 1000 სასარგებლო მეტრამდე გადაეღოთ კიდეც...

ამ მასალას 5 აპრილს აჩვენებდა მასაც და სხვებსაც. ამასაც მოეწონებოდა და სხვებიც მოიწონებდნენ, როგორც დასრულებულ ფილმს, ისე უყურებდნენ. რეაქციები, რასაც ესენი ელოდნენ, ზუსტად ისეთიც აღმოჩნდებოდა.

შეატყობდა: ფილმი გამოდისო.

სხვა რამითაც იქნებოდა გახარებული: წიგნსაც შეუქებდნენ, სთხოვდნენ კიდეც...

მართლაც არ ეგონა, ფილმი თუ ასეთი კარგი საყურებელი იქნებოდა.

მთავარი გადაღებული იყო — ანუ: ფილმი შედგებოდა...

მასალებს რომ წაიღებდა მოსკოვში ელდარ შენგელაია, 18 აპრილს მოელოდნენ მის დაბრუნებას.

გამოეძახათ იმპერიის ცენტრში: გვაჩვენეო.

ფრთხილობდნენ, ფხიზლობდნენ. თითქოს არაფერი უნდა მომხდარიყო, მაგრამ ვინ რა უწყოდა წინასწარ, ყველაფერიც იყო მოსალოდნელი. და ღელავდნენ. რეზო გაღიზიანებასაც ვეღარ ფარავდა:

რამდენი უსაქმური, არამკითხე და უნიჭო აფათურებდა ხელს კინოში. მაინც კეთდებოდა რაღაც-რაღაცები დიდი ენერგიის, ნერვებისა — რეჟისორებს გულისხმობდა — და მოთმინების ხარჯზე. ტელეფილმებში, საერთოდ ტელევიზიაში ხომ სრული სიბნელე სუფევდა, წყვდიადი.

15 მაისს რომ ესტუმრებოდა ელდარი, მასპინძლის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ასე გამოეხმაურებოდა:

— არაფერი არაა გასაკვირი, 50 წლის შემდეგ სიკვდილიც ბუნებრივია, ესენი არიან უცვლელად, თორემ ყველაფერი ცვალებადია, ესენი არ მიდიან, ჩვენ წავალთ და ის იქნება...

სესილია თაყვანშვილზე ეტყოდა: არა უშავს, გადაიღებს ალბათ დარჩენილ ეპიზოდებსაც. ეს რომ შესჩივლებდა შვილზე: გუბაზი გაჰყავთ ხვალ სამხედრო კომისიაზე, და პატარა იმედი, იმედის ნატამალიო, ვერ იტყვი,

მაგრამ იმედის რაღაც ნაწილია დარჩენილიო, — სტუმარი ასე „ანუგეშებდა“: მალე ქალებსაც გაიწვევენო, — და ესეც დაეთანხმებოდა: ასეც მოხდება, პოლიტიკური სახელმწიფო მთლიანად გასამხედროვდება ადრე თუ მალეო...

რუსთაველის პრემიაზე წარადგენდა „ცისკარი“ და:

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, თუმცა აქამდე, წესისა და რიგის მიხედვით რომ რიგდებოდეს, არც კი მეკუთვნოდა, კაცმა რომ თქვასო.

— წიგნი დავხატე, როგორც შევძელი, მგონი ცდა არ დამიკლია, — ეტყოდა 17 მაისს გიორგი წერეთელი.

აღფრთოვანებულიყო იმ წიგნით, თუმც... წიგნი არ წაეკითხა ჯერ.

„კვამლს“ მისცემდა და „მუსიკას ქარში“.

წიგნი კი — „ცისფერი მთები“ — ფაქტობრივად არავის წაეკითხა მთლიანად, თვით რედაქტორსაც კი.

— იქით და იქით, — ეტყოდა, — არცერთი შენიშვნა არა მაქვს, ერთი სიტყვაც არ გამიხაზავს.

და ეს მიხვდებოდა: რას გახაზავდა, წაკითხვა ვერ მოუსწრია ბოლომდეო.

30 მაისს ელდარს რომ დაელაპარაკებოდა, დაიმედებული იქნებოდა სესილიაზე, არადა თურმე: ვერ არის კარგად, კუჭიდან აქვს გართულება, ხვალ კონსილიუმი ნახავს და შეიძლება გაირკვეს რაიმეო.

1 ივნისს განახლდებოდა „ცისფერი მთების“ გადაღება სანოდიოში.

ამას კი დილიდანვე უნდა ჩაემთავრებინა და გადაეცა ივლინ ვოს „უკეთურთა მოდგმა“, ჯულიეტა მჭედლიშვილის მიერ თარგმნილი. საინტერესო მწერლად მოეჩვენებოდა, ცინიკოსად, მხოლოდ არა ღვარძლიანად, დიდ ოსტატად. რედაქტორის თვალით რომ უნდა წაეკითხა, ეს არ მოსწონდა. გემოს ვერ ატანდა თხრობას, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე — უმთავრესად და არა ყოველთვის.

მართალია ივლინ ვოც იოლი გზით მიდიოდა, მაგრამ ის გზაც, ის ფორმაც თავისთავად საინტერესოდ ეჩვენებოდა, ამ შეფასებასაც რომ დააცდენინებდა ეს რომანი: მაგარიაო!..

და კიდევ:

— მე ალბათ ბევრ რამეს მასწავლის ის კაცი, და მაინც „ცისფერი მთები“... მისგან დამოუკიდებლად მაქვს დაწერილი. ადრევე რომ მქონოდა წაკითხული, შეიძლებოდა რაღაც ზეგავლენაც მოეხდინა, მოთხრობა ალბათ უკეთესი გამოვიდოდა, ფაქტი კი ცუდი იქნებოდა თავისთავად.

და კიდევ ერთხელ ჩაუკვირდებოდა, რომ:

ზოგჯერ ნაუკითხაობა სჯობდა წაკითხვას, ანდა — უწიგნობა წიგნურობას... მაგრამ მხოლოდ ზოგჯერ.

23 ივნისს ისევ შეხვედრასავით გაიმართებოდა. პარტაქტივს აჩვენებდნენ „ცისფერ მთებს“.

აკაკი დვალიშვილი სთხოვდა, კულტურის მინისტრის მოადგილე: მოდიო, — და მივიდოდა ესეც. აღარ ენდომებოდა სულელურ ყოფაში თავის ჩაგდება და მაინც გავიდოდა სცენაზე. აკაკის მოხსენებასავით შეეთხზა რაღაც

და წაიკითხავდა. ეს დარბაზს დაუწყებდა თვალიერებას და მოულოდნელად დაინახავდა ჩვენს მთავრობას, შუა რიგში, შემაღლებულზე ისხდებოდნენ.

პირველი თურმე მესამედ უყურებდა, შეიძლება – მეოთხედაც...

და რეზო ჭეიშვილს უნებურად სტალინი რომ წამოაგონდებოდა, ირონიულად გაიფიქრებდა ედუარდ შევარდნაძეზე:

– „ჩაპაევია“ თუ რა არი, ვერ გავიგე!

ფილმს კი რაღაც ინსტიტუტში და შემდგომ გლდანის ახალგახსნილ კლუბშიც აჩვენებდნენ ბანკეტითურთ.

14 სექტემბერს ტომეულების გეგმა ექნებოდა დასაწერი. წუხანდელი ღამენათევიც იქნებოდა. დღეს გურამ დოჩანაშვილის რეჟისორი — დილარიძე თუ დულარიძე — სცენარს წაუკითხავდათ და ეს ძილს ძლივს გაართმევდა თავს. ფეხზე დამდგარს რომ არ ესმინა, ჩაეძინებოდა. რევაზ თაბუკაშვილიც ჩაყვინთავდა ტექნიკურად...

„გაყრის“ რეჟისორიც შეახსენებდა თავს და ეს კვლავ საგონებელში ჩავარდებოდა: გავაკეთო, არ გავაკეთო? როდის? ღირს თუ არაო...

სპექტაკლს უყურებდა ტელევიზიით — „შეშლილი ახალი წელი“... ვისი იყო, არ ეცოდინებოდა, ვის დაედგა, ვის დაეწერა, მოწონებით მოეწონებოდა ასე თუ ისე.

4 ოქტომბერს ნახავდა სამ „მოქმედებას“ სურათისა „ცისფერი მთები“, გახმოვანებულსა და შავად დამონტაჟებულს.

„მარტომ არ უნდა უყურო ასეთ რამესო“, გაიფიქრებდა, კრიტიკული თვალი კი საჭირო გახლდათ, თუმცაღა შესამოკლებელი, შესაჭრელ-შემოსაჭრელი იქნებოდა არამარტო სიგრძის, არამედ სხვა რამის გამოც. სვიმონ მენაბდის სცენა მთლიანად უნდა ამოღებულიყო. როდესაც წერდა, მაშინაც ეცოდინებოდა — სწორედაც ეცოდინებოდა, მხოლოდ კი არ იგრძნობდა — ზედმეტი რომ აღმოჩნდებოდა.

გახმოვანება სრულყოფილად ვერ გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც მოეწონებოდა.

მეოთხე „მოქმედება“ კიდევ უფრო უნდა აქაჩულიყო. თუ კარგად შეიკვროდა, კარგად გახმიანდებოდა, კარგი მუსიკა მიესადაგებოდა და „უდაჩნი“ ფინალიც გამოებმოდა, შეიძლებოდა სენსაციური რაღაცაც შემდგარიყო.

და რომ ჩამოთვლიდა: ივანე საყვარელიძე, თემო ჩირგაძე, გრიგოლ ნაცვლიშვილი, ცეცილია თაყაიშვილიო — ყველას სადღა გაწვდომოდა, მაგრამ იგულისხმებდათ კი: მაგრები არიანო, — ჟარგონით გამოხატავდა აღტაცებას.

აგრილდებოდა კი არა, აცივდებოდასავით, რუსეთში მოგზაურობის — იასნაია პოლიანას მონახულების — შთაბეჭდილებები გაფერმკრთალდებოდა ნელა და დროულად, და გრძნობდა, ახალ სამუშაოზე უნდა გადართულიყო. თუკი რობერტ სტურუა არ დარეკავდა, „ბედის ტრიალს“ დაიწყებდა უეჭველად.

6 ოქტომბერს რომ ნახავდა ელდარს კინოსტუდიაში, ნგრევის ეპიზოდის პავილიონს ამზადებდა, ათვისებას უპირებდა.

7-ში ელდარი შინ ესტუმრებოდა. ფილმსა და გადაღებულ მასალაზე ილაპარაკებდნენ, ტექსტებს ჩაასწორებდნენ. კვლავაც არავითარი სხვაობა არ

აღმოაჩნდებოდათ შეხედულებებში, შეფასებაში, გემოვნებაში, ერთსა და იმავეს იმეორებდნენ...

ეს ფილმი თუ არ გამოვიდოდა (დიდი გაგებით), საბოლოოდ ჩაიქნევდა ხელს და კინემატოგრაფსაც ჩამოშორდებოდა საბოლოოდ.

9 ოქტომბერს სტუდიაში შეხვდებოდნენ ერთმანეთს. მაგიდაზე ნახავდნენ სამ მოქმედებას. წვრილმან შენიშვნებს ჩაუკვირდებოდა. შესამოკლებელიც ბევრი არაფერი აღმოჩნდებოდა.

საინტერესო სანახავად მოეჩვენებოდა კვირა-უქმე დღეს სტუდია. სამონტაჟო საამქრო თუ იქნებოდა — განსაკუთრებით წლის მიწურულს — ამოქმედებული.

დღეს სიწყნარე სუფევდა. ხმის ჩამწერი დარბაზებიც გამოკეტილი დახვდებოდათ. სამონტაჟო ოთახებიც გამოყრუებული.

ნოდარ მანაგაძე იმუშავებდა მხოლოდ მეზობელ ოთახში, თბილი, ბეწვის უშველებელი ჟილეტი ეცმეოდა მამამისის. შოთა მანაგაძესაც ასე რბილად, შემპარავად სჩვეოდა ამგვარ სიტუაციაში ამ შენობაში სიარული... ნოდარი თითქოს არა ჰგავდა მამას, მაგრამ ისევე დადიოდა, ისევე ეცვა, იმავე საქმეს ადგა...

არაფერი იცვლებოდა თითქოს, ერთი მიდიოდა, მეორე რჩებოდა, უმტკივნეულოდ გრძელდებოდა, რაც იყო, რაც იქნებოდა, რაც უნდა ყოფილიყო... დერეფნის კედლები კი მიცვალებულთა სურათებით ივსებოდა, პორტრეტი პორტრეტს ემატებოდა... რამდენიმე პირი რეზოსთვისაც უცნობი გახლდათ... მომდევნო, ამის შემდგომი თაობის წარმომადგენლები ალბათ ნახევარზე მეტს ვეღარც ამოიცნობდნენ. მას მერე კიდევ უარესი მოხდებოდა და უარესი და უარესი...

— რატომ ჰკიდია? — უსათუოდ იკითხავდა ვთქვათ აკაკი ბელიაშვილის სურათზე ერთ-ერთი იმათგანი, თუკი საერთოდ მიხვდებოდა, რომ ამ პორტრეტზე ბელიაშვილი გამოსახულიყო.

მიხეილ მგალობლიშვილის სურათიც უნდა ყოფილიყო წესით სადმე... და გადაწყვეტდა, რომ ელდარისათვის ეთქვა...

მშვენიერი, მზიანი დღე იდგებოდა, დღე, რომელიც არ დაავიწყდებოდა.

ეზოში, შადრევანთან ცხენები რიგრიგობით დალევდნენ წყალს: შავი ულაყი, თეთრი ფაშატი და კვიცი. შესაძლოა საგანგებოდ მოეშვათ და ამიტომაც ავიდოდა დიდი ჭავლი მოშორებით, თალარში ყურძენს მოკრეფდნენ. ომარი, ოპერატორი, ჩანთით მოუტანდა ელდარს მაჭარს, თავის ნაკვეთში, ლოჭინში მოწეული ყურძნისას. შინ რომ მივიდოდნენ, ელდარი დააპირებდა ის ნაჩუქარი მაჭარი რეზოსათვის დაეტოვებინა, მაგრამ ეს არ იზამდა...

ცხენები ლამაზები იქნებოდნენ: ულაყიც, ფაშატიც და კვიციც.

დღეს კი მზიანი, გრილი და უქარო.

25 ოქტომბრის გუშინდამ გახმოვანებას დაესწრებოდა. მიეხმარებოდა ასისტენტებს ტექსტის დადგენაში, რაღაცებს იქვე დაუმატებდა. დაიხრჩობოდნენ და გაიგუდებოდნენ სიცილით.

გოჩორაძე მკვდარი ყოფილიყო, ერთი თვის წინათ გარდაცვლილიყო, არ იცოდა ან აღარ ახსოვდა, თორემ როგორ ურჩევდა ელდარს იმ ეპიზოდის ამოღებას. ახლა უხაროდა: კიდევ კარგი დარჩა ნაწილიო. ისე გაახმოვანებდა ლეო ანთაძე, ვერავინ მიხვდებოდა, თუ თვითონ გოჩორაძე არა ლაპარაკობდა. ხმებიც დაემთხვეოდა როგორც ჩანს.

ერთი სიტყვით: კარგი ფილმი უნდა შემდგარიყო.

დღეს ფინალზე იდავებდნენ, ძალიან გაცხარებით უმტკიცებდა რეზო თავისას ელდარს და... ისეთი განცდა დარჩებოდა: მგონი დავაჯერეო.

რას უმტკიცებდა, რისი ეშინოდა და:

— სცენარის, თუ რაცაა, წაკითხვა-არწაკითხვამდე არ დავიყვანოთ ყველაფერი, სახლის, ქვეყნისა და სამყაროს ნგრევის შთაბეჭდილება უნდა დარჩეს მაყურებელს.

ასე „დაენგრილმანებინა", მხოლოდ მამულის გაყოფამდე დაეყვანა „სამანიშვილის დედინაცვლის" მოქმედება ელდარ შენგელაიას და იმ კინოსურათისათვის ძალიან ბევრი დაეკლო, მაშინ, როცა გრანდიოზული, სიმფონიური ფინალი მოერგო „შერეკილებისათვის".

შეფიქრიანებულიც წამოვიდოდა და დაიმედებულიც რეზო ჭეიშვილი:

მოკლედ ვნახავთ მალე, რაც გამოვაო...

26 ოქტომბერს ელდარი ნგრევის სცენებს რომ აჩვენებდა, კინაღამ გაიგუდებოდნენ სიცილით ეს და ლორთქია — გურამ ლორთქიფანიძე.

ამ თვის ბოლო დღე დადგებოდა — წვიმითა და უამინდობით, და ინატრებდა გამოდარებას, მზიანი დღეები რომ წაწყობოდა ერთმანეთს. გაღიზიანებული ფილმს გადაწვდებოდა, მის დამთავრებასაც რომ არა და არ დადგომოდა საშველი... ძალიან უნდოდა გადაწერილიყო და ერთი ასლი მაინც დაბეჭდილიყო როგორმე...

1 ნოემბერს გახმოვანებაზე მივიდოდა, რამდენიმე უმნიშვნელო ნაჭერს გაახმოვანებდნენ მხოლოდ. ჩაიშლებოდა ფაქტობრივად. გადამღები ჯგუფი ელოდა მზეს და ეს ღმერთს შესთხოვდა: დარი ჰქენიო!..

4 ნოემბერს დილიდან ცა მოწმენდილი იქნებოდა, მზე გამოანათებდა და ეს გათენებიდან ზევით იხედებოდა: არ მოიღრუბლოსო. ელდარის მაგივრადაც ღელავდა. გადაეღო ის ობიექტი, ეგაა ბოლომდე ვერა.

გრიშა ნაცვლიშვილი შეეცოდებოდა, რომ შემოსჩივლებდა:

— სასტუმროში ვარ, ხან საერთოშიც, ერთხელაც დერეფანში მეძინა.

არადა რას იღებდა, რა შემოსავალი ჰქონდა?.. სიბერეში აღმოაჩენდნენ. რეზოს შეტყობით: აწი და აწი, ამ ფილმის გამოსვლის შემდეგ კი მიიწვევდნენ, მაგრამ რაღა დროსი...

დღეს გრიშას როლის შემსრულებელი მეზვრიშვილი აემგზავრებინა. ფასანაურელი აღმოჩნდებოდა. ადრე აღმასკომის თავმჯდომარე ყოფილიყო, მერე — კომისარი.

და თავის დაკვირვებას ამჯერადაც შეამოწმებდა რეზო ჭეიშვილი მთიულურ ზრდილობაზე:

სულ სხვანაირია მათი ზრდილობა, ხათრიანი, ზედმეტად მორიდებულნი არიანო.

იმერელი ზრდილობაში სხვანაირი გახლდათ (მეგრელზე აღარაფერს იტყოდა): ნასწავლი, შეძენილი, გამომუშავებული. იმერული: ბატონო და შენი ჭირიმე; მეგრული: პატენი და სკანი გულუაფირო. და მაინც... სითავხედე ჭარბობდა ყველაფერ სხვას.

მთიული — და არა მთიელი — მორიდებული გახლდათ.

ბელინსკის გადასახვევს რომ მიუახლოვდებოდნენ, მეზვრიშვილი ეტყოდა:

— თუ შეანელებთ სვლას, ბატონო რეზო, ჩავალ..

ეს ფრაზა ამრეკლავი იქნებოდა მთიულური ხასიათის იმ თვისებისა, ასე რომ ხიბლავდა ნასწავლთან, შეძენილთან, გამომუშავებულთან შედარებით.

5 ნოემბერს თვითონაც გახმოვანებაზე იქნებოდა. თითო სიტყვა და სიცილი ექნებოდათ გასახმოვანებელი: დოდო ჭიჭინაძეს, ლია ელიავასა და მედეა ჯაფარიძეს.

როგორ უხაროდათ მაინც. ერთობოდნენ — ეს იყო მათი ცხოვრება.

სესილია თაყაიშვილს მოიყვანდნენ წინადღეს. დამჯდარი გაახმოვანებდა რამდენიმე ფრაზას და... წასვლა აღარ ენდომებოდა: ის ნაჭერიც ჩავწეროთო, — სთხოვდა ელდარს, მაგრამ პარტნიორი აღარ ეყოლებოდა და წაიყვანდნენ.

ზუსტად და სწორად რომ ახმოვანებდა, რეზოს მოწონების სიტყვას დაადენინებდა: რას ნიშნავს პროფესიონალიზმიო, — ოღონდ დღიურში ვის მორიდებოდა და: სხვაფრით ცოტა გამოჩურჩუტებულა. სამწუხაროდ ესაა ალბათ მისი ბოლო როლიო.

ერთი გაცინებისა და ერთი რეპლიკისათვის იქნებოდა მოსული ლიკა ქავჟარაძეც. და მისი სილამაზის შემხედვარეს როგორ არ დაწყვეტოდა გული: ამნაირი ფაქტურის აქტიორი რომ ჰყავდეთ ევროპაში, მსოფლიოში ცნობილი კინოვარსკვლავი იქნებოდა. ერთ დღეს არ გააცდენინებდნენ ამერიკისა და ევროპის კინოკომპანიებიო.

24 ნოემბერს ფილმს ნახავდა ორ ფირზე, შავად გადაწერილს. ცუდი მაყურებელი შეიკრიბებოდა — დირექცია, ღამის დარაჯები და რამდენიმე შემთხვევითი პირი — და ცოტა ცივადაც უყურებდნენ.

— ეს უკეთესიაო, — უკმაყოფილო არ დარჩებოდა ჭრელი აუდიტორიით, — უფრო საღი თვალით შეიძლება შეჭრა-შემონტაჟება და, თუ როგორმე ელდარი დავითანხმე, ფინალური სცენის გადაღებაც შეიძლება ხელმეორედო!..

ნაღდად კარგი გახლდათ და სულაც სენსაციურ კინოფილმადაც მოიხსენიებდა.

გამოჩნდებოდა, თუკი არ ცდებოდა შეფასებაში!..

მეორე დღეს ელდარი დარეკავდა მოსკოვიდან. ძალიან კარგად, მაღალ დონეზე მიეღოთ ფილმი. ყოფილა მოლოცვები, მოლოცვები, და არავითარი შენიშვნები.

და ესეც მიულოცავდა აქედან.

29 ნოემბრის ჩანაწერში გურამ პატარაიას დასაფლავებას რომ ახსენებდა, მიადევნებდა, ელდარის ნახვა რომ უნდოდა და ვერა და ვერ მოეხელთებინა. კარგი ამბავი ჩამოეტანა. ძველი ფინალის გადაღების ნება და შესწორებების უფლებაც მიეცათ.

და რეზო ჭეიშვილს ვეღარ გაეგო, რა ხდებოდა!..

წამოაგონდებოდა ავტობიოგრაფიული რომანის ის ნოველა — „ომარ და ბიქტორ კიბის მოხელეები იყვნენ“ — რომელშიც ეწერებოდა: მეთერთმეტე არმიიდან გამოქცეულ დეზერტირებს ჰგავდნენო.

რედაქტორი ყურადღებას არ მიაქცევდა, მაგრამ რეზო პირველივე კორექტურისას ამოიღებდა. საქმე რისთვის გავართულო, მთავლიტი მაინც არ გაუშვებსო!.. მართალიც გახლდათ: უსათუოდ ამოიღებდა და ისედაც გაჭიანურებული ბეჭდვა კიდევ უსაშველოდ გაჭიანურდებოდა. ანკი ვინ დაგიტოვებდა, ვინ შეგარჩენდა გამამთავისუფლებელი მეთერთმეტე არმიის დეზერტირთა ხსენებას.

იქ კი ამოიღებდა, მაგრამ გადანაბეჭდ ეგზემპლარში — მეორე პირში — რომელსაც მთარგმნელებს გაატანდა, არ ამოშლიდა. შეგნებულად კი არა, როგორმე გაპიარების მიზნით, არც გახსენებოდა, სიმართლე რომ თქმულიყო. გადაშლიდა რუსულ გამოცემას და... კიდეც გადააწყდებოდა ორიგინალში გამქრალ სტრიქონს იმ უბრალო მიზეზით, რომ: იმათ მეთერთმეტე ანუ „გამათავისუფლებელ“ არმიაზე იქ წარმოდგენაც არა ჰქონდათ. მაგრამ ხომ აშკარა გახლდათ, რომ მაინც საბჭოთა ჯარი იგულისხმებოდა? და მერე? სად საბჭოთა ჯარი და სად დეზერტირები?

და გამხიარულდებოდა რეზო ჭეიშვილი:

მოადუნეს იმათაც ყურადღებაო.

მეტი სამხიარულოც რაღა გენება, თვით მრისხანე მთავლიტ-ცენზურა, მწერლობის სულისამომხდელი, სიფხიზლეს რომ მოადუნებდა.

ფილმთან დაკავშირებით გაახსენდებოდა ეს ყოველივე, თუმც... თუმც იქ რაღაც სხვა ხდებოდა, გასაკვირი ავტორისათვის:

ჩვენ ვერ გავბედეთ და თვითონვე შემოუთავაზებიათ ფინალი, რომელიც სცენარში საცდელად გვქონდა დატოვებულიო.

10 დეკემბერს სტუდიაში მივიდოდა გახმოვანებაზე, და ლიტერატურაზე საუბარს დაუგდებდა ყურს.

სესილია თაყაიშვილი მკითხველი ყოფილიყო, რევაზ თაბუკაშვილის დონის მკითხველი. გასაკვირად მოეჩვენებოდა რეზოს, თუმც იქვე გაიფიქრებდა: რატომ უნდა იყოს გასაკვირველიო?..

მსჯელობდნენ და ყურს დაუგდებდა.

რასულ გამზათოვს ლექსებს უთარგმნიან და უკეთილშობილებენ, მაგრამ მაინც რამხელა მწერალიაო.

ეს შეფიქრიანდებოდა, ძალიანაც დაეჭვდებოდა გამზათოვის „რამხელა მწერლობაზე“, მაგრამ ჩინგიზ აიტმატოვს კიდევ უფრო აზიდავდნენ ცაში: ის არის, ვინც არის, აბა ნოდარ დუმბაძეს კი არა ჰგავსო.

გუნებაში ჩაეღიმებოდა რეზო ჭეიშვილს:

აიტმატოვის სამშობლოში შეიძლება დუმბაძეს აქებენ და აიტმატოვს აგინებენ, არადა როგორ დაირიგეს დიდი მწერლების სახელები საშუალო ნიჭისა და უნარის ლიტერატორებმაო...

ეგებ თვითონ ცდებოდა და ზედმეტ სიმკაცრეს იჩენდა?

აიტმატოვზე უკეთესი მწერალი რომ გახლდათ თვითონ, ეჭვიც არ ეპარებოდა.

და ამასობაში სესილია თაყაიშვილი, თავგამოდებით რომ მსჯელობდა მწერლობაზე, ამის შესახებ იკითხავდა ხმადაბლა: ვინ არისო?

— ავტორია.

— რა გვარი?

— ჭეიშვილი.

— ჭეიშვილი? ჭეიშვილი, ჭეიშვილი... — ჩაფიქრდებოდა და... არაფერს ეს გვარი არ ეტყოდა.

ყაისინი ყულიევი რომ ეხსენებინათ ან კიდევ უარესი?

ამის შეტყობით: რას ლაპარაკობთო! — წამოიყვირებდა გაოცებული სესილია.

რეზო ესაძე შემოსთავაზებდა სამსერიანი სატელევიზიო ფილმის — „ტარტარენ ტარასკონელი“ — სცენარზე მუშაობას.

დათანხმდებოდა:

რაღაც ხომ მაინც უნდა გაეკეთებინა და სხვა აღარაფერს მოჰკიდებდა ხელს.

ახლა წაეკითხა მის მიერ დაწერილი განაცხადი და გადაწყვეტდა, დაერეკა. ხუთ სერიას ვარაუდობდა თავიდან რეზო ესაძე და გადაეთქმევინებინათ და სამ სერიაზე ჩამოეყვანინებინათ. ის კი არა, ორსაც დააჯერებდნენ, ეს როგორც მიხვდებოდა.

14 დეკემბერს ქირურგს გაესინჯებოდა, მიუსვ-მოუსვამდა ხელებს მუცელზე და: ყველაფერი თავის ადგილზეაო, — ეტყოდა, — კუჭი კუჭის ალაგასაა, ღვიძლი საღვიძლეში დევსო... — ჩამოუთვლიდა და, — კოლიტი და გასტრიტი, მეტი არაფერიო.

მეტი რაღა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვიღა დაეძებდა. სიტყვა მაინც დაამშვიდებდა და ახლა ამ საღამოს თავსაც უკეთ იგრძნობდა.

დიეტა და ვარჯიში — შემდეგ გამოჩნდებოდა, რას უშველიდა. სხვა რა გზა დარჩენოდა, უნდა დალოდებოდა შედეგებს.

როგორ უნდოდა, კინოფილმში — „ცისფერი მთები“ — სევდიანი ფინალი გამოსულიყო, მაგრამ ვერა და ვერ გადმოხრიდა რეჟისორს თავისკენ.

ნგრევის შემდეგ დირექტორი და სოსო უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს.

16 დეკემბერს ნახავდა ამ სცენისათვის დაწერილ ტექსტს. აღარ მჭირდებაო, და დახევდა. გაახსენდებოდა საღამოს, შეენანებოდა, ამოიღებდა ნაკუწებს საქაღალდე კალათიდან, შეაკონწიებდა და აღადგენდა, და დღიურშიც შეიტანდა, აქ მაინც დარჩენილიყო, ემანდ კიდევ თუ შემოეხეოდა.

— სოსო, ნგრევის დროს ფერები ხუნდება. ამ პროცესს — შენების და ნგრევის — გათვალისწინება უნდა. მარტო აქ კი არა, მარტო ჩვენთვის კი

არა — საერთოდ... ორი სათაური, ადრევე გითხარი და ახლაც გიმეორებ, არ არის საჭირო. მე თავისთავად ცისფერს კი არ ვენინააღმდეგებოდი, ანდა ტიან-შანთან კი არ მქონდა სადავო, ზედმეტია ერთი-მეთქი, ვამბობდი... შენ თუ გაგეხარდებოდა, კიდევ დაგესართებია, მაგას არ ვინაღვლიდი, შენც იცი. საერთოდ კი რისი უფლება და საშუალება გქონდა, თავიდანვე რომ გცოდნოდა, კარგი იყო, თუმცა აწი თუ გეცოდინება, არც ეს იქნება ურიგო... შენ, სოსო, იმას კი აკეთებ, რაც შეგიძლია, მაგრამ იმას კი არ კითხულობ, რა შეიძლება, იმას კი ითხოვ, სავსებით სწორად, რაც გეკუთვნის, თუმცა რისი მოცემა შეგვიძლია, არ გაინტერესებს. რიგრიგობით გავდივართ და გავალთ კომედიიდან და ყველას ჩვენი სიმართლით გაგვიმარჯოს, ჩემო სოსო...

გამოიყენებდა, ისე არ დატოვებდა. სხვას აღარ მიუბრუნდებოდა, მაგრამ „ცისფერ მთებს" კიდევ გაეთამაშებოდა. რუსულ თარგმანში, თუ ვინმე დააპირებდა თარგმნას, ახლავეც შეიტანდა, თუმც ამ ტირადის ნამსხვრევები იყო კიდეც შიგ...

19 დეკემბერს ინგმარ ბერგმანის ფილმს ჩამოიტანდნენ და კიდევ ვიღაცისას. აჩვენებდნენ კინოს სახლში. არ წავიდოდა. ბიჭებს გაუშვებდა, მეუღლე შეხვედრაზე წავიდოდა და... იქნებოდა შინ მარტო. ასე ამჯობინებდა რატომღაც — დაისვენებდა. არადა: წვეულებაზე ეპატიჟებოდნენ და რაც მთავარია უნივერსიტეტში მიიწვევდნენ სხვებთან ერთად.

„ფილოლოგის დღე" — აფიშები, მზადება, პატიჟი.

კოლაუ ნადირაძე, ნიკა აგიაშვილი, მუხრან მაჭავარიანი, რეზო ჭეიშვილი, ბაჩანა ბრეგვაძე, ემზარ კვიტაიშვილი. კიდევ ვიღაც ხომ არა?..

ბაჩანა დაურეკავდა:

— ვერ მოვდივარ.

ესეც თავს შეიკავებდა რატომღაც, თუმც წასვლაც შეიძლებოდა. პოეტები ლექსებს წაიკითხავდნენ და... ამას რაღა უნდა გაეკეთებინა?..

მერე კიდევ:

ფილოლოგები, მეგობრები, თანაკურსელები, მისი ლექტორები და... მისულიყავი ახლა იქ საპატიო სტუმრად.

ფილმი რომ მიეტანათ, მაშინ სხვა იქნებოდა.

კინოს სახლში კი მეორე დღეს წავიდოდა, რადგანაც ბერგმანი არ აინტერესებდა — მოსაწყენი ეჩვენებოდა და იმიტომ.

და თავის მხატვრულ-ესთეტიკურ მრწამსს გამოთქვამდა უნებურად:

ხელოვნება მოსაწყენი არ შეიძლება, სატირალი და სატანჯველი შეიძლება, მოსაწყენი — არაო.

კარლ მარქსის „კაპიტალის" კითხვა ხომ ტანჯვა გახლდათ... მთქნარებას მაინც „კაპიტალის" კითხვას ამჯობინებდა.

ის კი არა: „ჰაკი აძბას" არ უყურებდა ტელევიზიით, ნამეტანი სერიოზულად დაედგა თემურ ჩხეიძეს — ეს ფრაგმენტებიდან ეცოდინებოდა.

სამსახურში მისულს — „საუნჯის" რედაქციაში — ზურაბ კუხიანიძე მიაკითხავდა და არცთუ სასიამოვნო ამბავს ამცნობდა:

რეზოს წიგნისათვის გაგზავნილი ქალალდი ვაგონიანად დაკარგულიყო.

— ვეძიეთ პარასკევს და ვერ ვნახეთ, გამოგზავნილია, მაგრამ არ ჩამოსულა.

საქმე იყო ახლა ეს?!.

1984 წლის 5 თებერვალს ჩაინიშნავდა, რომ:

ძალიან მოსწონდა ეს სახელი: იო. გამოეყენებინა უნდა სადმე. ვულკანოლოგისათვის უნდოდა დაერქმია ეს სახელი „ცისფერ მთებში“... თუმც ჯერაც არ იყო გვიან...

ვულკანოლოგი თუ მარკშეიდერი უსახელოდ დარჩებოდა, ამ სახელს კი, ასე ძალიან რომ მოსწონდა, ერთი ნოველის სულაც სათაურში გაიტანდა: „იოსები (იო)“.

ნოველა მთავარი გმირის გარდაცვალებით დაიწყებოდა, ჯავრს რომ გადაჰყვებოდა ფეხშეშლილი. ქალიშვილი გაუთხოვდებოდა რუსეთში, ბიჭი ცოლს გაჰყვებოდა ნამდვილ საზღვარგარეთში, თვითონ რამდენიმე ქალაქს გამოიცვლიდა სამშობლოში სახლდაკარგული. ცოლი დაუსნეულდებოდა. — რა ეშველებაო, — დადარდიანდებოდა და... თვითონ გახდებოდა სადარდებელი, მალე რომ მოკვდებოდა.

ჭეიშვილური დიალოგი უნდა გამართულიყო იყოს დაკრძალვისას, აბსურდულ-გროტესკული, ტრაგიზმში შემოჭრილი იუმორი, შავებში გახვეული ქვრივი, სიცხეს რომ ვერა და ვერ გრძნობდა და სამარეს გაარიდებდნენ ხელკავით, ვერ მიხვდებოდა, რატომ მიჰყავდათ, და შედგებოდა, სხვის ნებას დაჰყვებოდა, მაგრამ შორს არ წავიდოდა. და ხრიალით რომ დაეყრებოდა ფხვიერი მიწა კუბოს, ქვრივი ამ ხმას უყურებდა და არ აყურებდა.

ხმას უყურებს და არ აყურებს?

ნეტა მთარგმნელი რომ გადაიტანდა ამ ფრაზას — შეასწორებდა უეჭველად, თუკი ჭეიშვილური წინადადების თავისებურებას ვერ ჩაწვდებოდა და ამ სტრიქონსაც ენის — და არამარტო ენის — დადგენილ ნორმებს შეუსაბამებდა.

და ხმას რომ უყურებდა და არ აყურებდა, ესეც უნდა ეთქვა განსვენებულზე: დარდმა დალია, გაახმო, თვარა კბილები მთელი დარჩაო.

— რას ამბობ? — გაიკვირვებდა მეგვერდულე, მსუქანი, ფერხორცოვანი ქალი, რომელსაც ასევე შავები ეცმეოდა.

— შვილიშვილებს გეფიცები, ყველა კბილი ჯანმრთელი ჰქონდა. ვაშლს დანით კი არ ჭრიდა, კბიჩავდა ბოლომდე.

— რაო, რაო, რა თქვა? — დაინტერესდებოდნენ ახლომახლო.

— არცერთი კბილი არ აკლდაო.

— ნუ ლაპარაკობ!

— ყველა ჯანმრთელი თანაც, — დაადასტურებდა ქვრივი.

— ყველა კბილი მთელი ჰქონია...

— ნამდვილად, — ქვრივს ჩურჩულიც ესმოდა, — ნამდვილია!

სამარეს დაზვინავდნენ, ყვავილებს დაალაგებდნენ კონებად, ღეროებს შემოცლილ ცელოფანის ფურცლებს გაიტანდა ქარი ფხოკიალ-ჭრაჭუნით.

— მაგული, ერთი ამიხსენი, — ხმაში სიბრაზე გამოერეოდა, — რა მნიშვნელობა აქვს, იოსებს, იოს კბილები მთელი ჩაჰყვა თუ არა მიწაში?!

— რატომ არა აქვს, აბა ისაა კარგი, მე რომ პროთეზი მაქვს და ლაპარაკი მიჭირს, ჭამაზე აღარაფერს ვამბობ...

ხალხი გაიკრიფებოდა, ლაპარაკ-ლაპარაკით გავიდოდნენ და ჭირისუფლებიც გაჰყვებოდნენ.

მესაფლავე პირველი (და არა: პირველი მესაფლავე — როგორც ყველა სხვა მწერალი დაწერდა) თოკებს ჩაგორგლავდა გვერდებშეზნექილ სათლში, თოხ-ნიჩაბს მესაფლავე მეორე გაიდებდა ბეჭზე.

ყვავები აფუილდებოდნენ და ცხელ ქარს გაჰყვებოდნენ.

მზე გაწითლდებოდა და ჩავიდოდა.

და დარჩებოდა მკვდარი მიწაში ჯანსაღი კბილებით.

ავტორი რომც არ იცოდე და მარტო ამ ფინალურ სტრიქონებს ჩახედო, მაშინვე მიხვდები, რეზო ჭეიშვილის ნოველა უნდა იყოსო. მისი მიმბაძველი ამის განმეორებასაც ვერ შეძლებდა, არამცთუ გაცილებით უფრო შთამბეჭდავი ფინალებისა.

9 მარტს ფილმს უყურებდა დინა დურბინას მონაწილეობით: „ჩემი მსახურის და". ეს ფილმი მგონი არც ჰქონდა ნანახი, ნამდვილად არა. თვითონ ფილმი სუსტი გამოდგებოდა, მაგრამ ქალი მაინც კარგი იქნებოდა.

ეს ადამიანი გახლდათ რეზო ჭეიშვილის პირველი სიყვარული.

„მსახიობი ქალის საიდუმლო"...

ყოველ საღამოს უყურებდა ამ კინოფილმს და შემდეგ უსაშველო ოცნებებში ჩაძირული და ჩაფლული იძინებდა.

აგროვებდა ამ ქალის ფოტოსურათებს, „ატკრიტკებს". ბევრი დაუგროვდებოდა, სტუდენტობისას დაეფანტებოდა და დარჩენილებს გადაყრიდა, ერთს დაიტოვებდა და ახლაც ექნებოდა შემონახული.

იმ გრძნობის, იმ დღეების — რაზედაც რომანი უნდა დაეწერა — აღდგენა კი თითქმის შეუძლებლად ეჩვენებოდა.

უნდა დაეზუსტებინა, როდის გადიოდა ის სურათი — 1947-ში თუ 48-ში?.. შესაძლოა ცოტა უფრო გვიანაც... არა, ზუსტად 47-48-ში ალბათ. ვაჟთა მესამე სკოლის პერიოდში.

შემდეგ ერთი წლით თავისზე უფროს ტ. ლ-ძეს მიამგვანებდა დინა დურბინას და ის შეუყვარდებოდა შორიდან...

რუსთველურ სტრიქონს იგონებდა და ვეღარც იგონებდა განცდებში გახვეული:

შორით კვდომა, შორით რაღაცაო...

15 მარტს საღამოს აჩვენებდნენ „ცისფერ მთებს". შინაურული ნახვა იქნებოდა. 10-15 კაცს ვარაუდობდა ელდარ შენგელაია და... გადაივსებოდა მცირე დარბაზი, ადგილი აღარ დარჩებოდა დასაჯდომი, 200 კაცი იქნებოდა სულ ცოტა.

კარგად მიიღებდნენ ფილმს და თვითონ რეზოსაც მოეწონებოდა.

შეცდომასაც შეამჩნევდა, როგორ არა, მაგრამ მაღალ დონედ შეაფასებდა რეჟისორული, კინემატოგრაფიული თვალსაზრისით...

ლიტერატურული საფუძველი რაღას წარმოადგენდა?

ღამით ამაზე იფიქრებდა:

ხომ არ შევიყვანე ეს კაცი შეცდომაშიო?!.

ეს იმიტომ, რომ: აქ არც რეალური მოქმედება გახლდათ, არც მთლად პირობითი, არც სატირა თითქოს და არც კომედია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

ვთქვათ, ახალი ჟანრიც გახლდათ.

მითუკეთესი, თუკი ასე იქნებოდა, ეს არც აღელვებდა...

ადრესი არ დაკონკრეტებულიყო, მისამართი ზუსტად არ მითითებულიყო...

მეტი წინაპირობა — რისკენაც იქაჩებოდა — უნდა ყოფილიყო ცხადია, მაგრამ შესაძლოა ასე უკეთესიც გამომდგარიყო... გაირკვეოდა მალე...

ასე გუმანობდა: მოსკოვსა და უცხოეთში უკეთესად მიიღებენ, ვიდრე აქო.

„ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი" აწი იწყებდა დამოუკიდებელ ცხოვრებას.

ხვალ შესაძლოა მთავრობას ენახა, 20 მარტს პრემიერა დანიშნულიყო მოსკოვში. 30-31-ში აქ აჩვენებდნენ, აპრილში — ფილარმონიაში. შემდეგ შეხვედრების ციკლი დაიწყებოდა.

ზუსტად იცოდა, რაც მოხდებოდა.

21 მარტის დღიური გვამცნობდა, რომ:

წუხელ ამ დროს — ახლა ორის ნახევარი იყო — დარეკავდა ელდარი:

— ახლა, ამ წუთას შენს სადღეგრძელოს ვსვამთ, სასტუმროში ვზით. გასაოცებლად კარგად მიიღეს ფილმი და გილოცავ, გაცილებით უკეთესი რეაქცია იყო დარბაზში, ვიდრე მანდ.

მანამდე, ვიდრე იქ გადაფრინდებოდა, ედუარდ შევარდნაძეს დაერეკა კინემატოგრაფისტთა კავშირში, ფილმი ექო, მადლობაც ეთქვა ელდარისათვის, და:

— განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ მაგ სურათს...

ერთი მხრივ გაეხარდებოდა რეზო ჭეიშვილს, მეორე მხრივ კი... არ ესიამოვნებოდა: რატომ უნდა მოწონებოდათ ამგნებსო?..

შემდეგ რიგრიგობით დაელაპარაკებოდნენ: იმედო კახიანი, გურამ ლორთქიფანიძე და თემო ჩირგაძე, ამისთვის უკვე ვაჟა ზაზაევიჩი.

30 მარტს რომ იქნებოდა ფილმის ჩვენება, კარგად მიიღებდნენ, აღფრთოვანებულსაც ბევრს ნახავდა, ბევრიც დაურეკავდა, მაგრამ... ამას მაინც მოეჩვენებოდა: ჩვეულებრივად უყურესო.

მეორე გული ეტყოდა: აბა როგორ უნდა ყოფილიყო, კაცმა რომ თქვასო.

ოფიციალური პრემიერა მეორე დღეს დანიშნულიყო და ხვალ გამოჩნდებოდა, ხვალ უფრო უკეთესსაც ელოდებოდა!..

ფილმი რომ დამთავრდებოდა, ცოტა ხანს შეიქცევდნენ კავშირშივე თავს. დაიშლებოდნენ. ეს მოვიდოდა შინ, სადილის ნარჩენებს შეექცეოდა და... ელდარიც დაადგებოდა თავზე, ვერ გაჩერებულიყო შინ ეტყობოდა. კარგახანს ისხდებოდნენ მარტონი.

ყველა აქებდათ, ქალიც, კაციც, დიდიც, პატარაც... და მაინც რაღაცაში ეპარებოდათ ეჭვი.

საზღვარი დარღვეულიყო და იმიტომ.

ცუდი რომ ყოფილიყო, რომ არ მოსწონებოდათ... მაინც ამნაირად მოულოცავდნენ.

ასე ეგონებოდა რეზო ჭეიშვილსაც.

ასე ეგონებოდა ელდარ შენგელაიასაც.

არადა: ეს არ გახლდათ ისეთი ფილმი, მაინცდამაინც რომ ყველას მოსწონებოდა.

2 აპრილს უკვე დაღლილობასაც იგრძნობდა ამ ფილმით — ლაპარაკი, ქება-დიდება (გულწრფელიც და არაგულწრფელიც), აჟიოტაჟი. ცოლი დღემდე ანერვიულებული და აღგზნებული იქნებოდა და რეზო აუკრძალავდა ფილმის ხსენებასაც კი. სამდღიანი პრემიერები, ბანკეტები და მითქმა-მოთქმა.

ამ ეტაპზე რომ არ დამთავრდებოდა ყველაფერი, კარგად ეცოდინებოდა.

კიევში მიჰქონდა ამ დღეებში ელდარს, შემდეგ კი აქ დაიწყებდა ტრიალ-ბზრიალს.

სხარტ გამოთქმაში რაოდენ ტევადად ჩაიწნეხებოდა ელდარ შენგელაიას პიროვნული ხასიათის ერთი უმთავრესი თვისებაც და ცხოვრების წესიც: ტრიალ-ბზრიალი.

ნოდარი იტყოდა, ნოდარ დუმბაძე:

— „რევიზორივით“ რეზონანსი ექნება.

აღფრთოვანებული იქნებოდა. გადაჭარბებითაც შეაქებდა ალბათ, მაგრამ სიმართლის ნატამალი, ნატამალი კი არა, სიმართლის დიდი ნაწილიც გამოეხვეოდა შიგ.

სხვას რომ თავი დავანებოთო, — ამაყად მიმოიხედავდა გარშემო რეზო ჭეიშვილი, — ჩვენს სინამდვილეში ამოდენა სიმართლეც კი არავის მიუნიშნებიაო.

თავს მაინც დაიზღვევდა: მე მგონიო.

ზაირა არსენიშვილი შეხვდებოდა კინოსტუდიაში 21 მაისს, კიევში ყოფილიყო ფესტივალზე და:

— რაღაც სასწაულებრივად მიიღეს თქვენი ფილმი, 200 კაცი, ჟიურიც, ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს დიდხანს, დიდხანს.

22 მაისს სესილია თაყაიშვილის გარდაცვალების ამბავს შეიტყობდა და ეწყინებოდა. გახმოვანებაზე რომ მოჰყავდათ, ყურებით უყურებდა, მაგრამ არ ეცნაურებოდა, არ ეზედმეტებოდა, არ ანუხებდა, შეხვედრებზეც ერიდებოდასავით: ახლა არ შეეძლო განემარტა — რატომ...

25 აპრილს ფილარმონიაში მოეფერებოდა მხოლოდ. შეატყობდა, გაეხარდაო. „ყვარყვარე“ ენახა ტელევიზიით სესილიას და ეთქვა:

— რეზო ჭეიშვილი რატომ გაერია ამ საქმეში. რა მისი ბრალია, მე ვუთხარი, იმან კარგი სცენარი დაწერა. ალბათ ასე იქნებოდა.

ღმერთო, გამახსენეო, — მეხსიერებას დაძაბავდა დღიურის ავტორი, — ვინ მომიტანა ეს ამბავიო?

ნელის რომ დაელაპარაკებოდა, შეიტყობდა, რომ: ელდარ შენგელაიას დაერეკა და პარასკევს გადმოფრინდებოდა, სესილიას დაკრძალვას ჩამოუსწრებდა.

30 აგვისტოს სხვა გზას ვეღარ დაინახავდა: სურდა-არ სურდა, „გაყრა“ უნდა დაეწყო.

9 სექტემბერს „ქართული პროზის“ VII ტომს რომ წაიკითხ-გადაიკითხავდა, ახალსა და საინტერესოს ვერაფერს წააწყდებოდა, მაგრამ ანტონ ფურცელაძის სომხურ-ქართული დიალოგები დააინტერესებდა და იფიქრებდა, რომ: ეგებ გამოეყენებინა „გაყრაში“, რომლის წერა, 15-ში რომ უნდა ჩაებარებინა, ჯერაც არ დაეწყო.

17 სექტემბერს გვიან ღამით იმის ბჭობაშიც რომ იქნებოდა, დაეწერა თუ არ დაეწერა ასე სახელდახელოდ გამოსათხოვარი სტატია ნოდარ დუმბაძეზე, ბოლო აკორდად იმ ჩანაწერისა ამ სტრიქონს დასვამდა:

„გაყრა“ ნამდვილად არ დამიწყიაო.

25 დეკემბერს შეიტყობდა, რომ ვასილ ჩხაიძე გარდაცვლილიყო — საინტერესო და უცნაური კაცი. როგორ აღმოეჩინა ელდარ შენგელაიას აცანაში, რეზოს ეს კი ეცოდინებოდა, მაგრამ ამ დღეს კიდევ ერთხელ მოაყოლებდა. საოცარი სურათი გახლდათ და დასამახსოვრებელი უეჭველად. ამათ ფილმში ითამაშებდა ბოლოს და მორჩა.

კარგი საქმე ჩაედინათ, აცანადან რომ წამოეყვანათ?

მართლაც: იქნებოდა, იცხოვრებდა თავისთვის იმ სოფელში და რაიონს ვერ გაცდებოდა, და შეიძლება ახლაც ცოცხალი ყოფილიყო, შეიძლება ნაკლები ეცოცხლა, შეიძლება — მეტი. ცოტა იქით, ცოტა აქეთ და... მაინც გაამართლებდა რეზო ჭეიშვილი მის წამოსვლას და დასძენდა: დასანანია ამნაირი კაცის უხმაუროდ წასვლაო.

პროვინციის თეატრებს — ლანჩხუთი იქნებოდა თუ ფოთი — მიივლ-მოივლიდა, თავს ვერაფრით გამოიჩენდა, ჩამყუდროვდებოდა აცანაში და ასწავლიდა გერმანულს, მაინცდამაინც გერმანულს. და უკვირდა რეზოს: რად უნდოდათ იმ სოფელში გერმანულიო?..

„არაჩვეულებრივი გამოფენის“ გადაღების დროს გერმანელ ტურისტებში რომ გაერეოდა და დაიწყებდა ხელების შლასა და გერმანულად ლაპარაკს, ელდარი ჰკითხავდა ჩუმად გიდს:

— როგორ ლაპარაკობს, იცის თუ არა ეს ენა?

და ის პასუხად:

— გერმანულად ლაპარაკობს აშკარად, მაგრამ რომელ დიალექტზე, არ ვიცი. გაოცებულები უსმენენ და ვერაფერს გებულობენ.

1984 წლის 27 იანვარს სამუშაოდ რომ განეწყობოდა კვლავინდებურად, მიაგნებდა, რომ „ტარტარენ ტარასკონელიც“ ჰქონიყო ქართულად, და გადაწყვეტდა, მეორე დღესვე გადაეკითხა. დიდი თაყვანისმცემელი არ გახლდათ ალფონს დოდეს ამ წიგნისა, მაგრამ გამოდნობით რაღაც გამოდნებოდა: ალბათ და მაინც.

საკინოე წიგნი გახლდათ სწორედაც.

რეზო ესაძე ასე რომ აპირებდა: უნდა გადაქართულდესო?

კი მაგრამ: როგორ?

არა, შეძლებით შეიძლებოდა, მაგრამ რა საჭირო იყო? აუცილებლობა არ მოითხოვდა ყოველ შემთხვევაში.

26 იანვარს გაზეთი გამოვიდოდა: „ქართული თეატრის დღე". ნაიკითხავდა, რაღაცები გაახსენდებოდა და გული დაწყდებოდა, ასეთნაირად რომ ჩამოშორდებოდა თეატრს.

თეატრი ახლა ასე გაყოფილიყო: თბილისი და პროვინცია. ადრე კი — წანაკითხიდან — პროვინციაში იყო თეატრი და თბილისიც პროვინციისათვის არსებობდა. ახლა პროვინციაში თეატრი აღარ იყო და... თბილისი გადაქცეულიყო თეატრალურ პროვინციად.

ნამდვილ ქართულ, დუხჭირ, ეროვნულ, თეატრალურ ცხოვრებას დაშლა აეწყო ალბათ, ქუთაისში რომ მარჯანიშვილის თეატრი დაიშლებოდა. სხვა მოსაზრებანი და არგუმენტებიც მოეპოვებოდა... მაგრამ დღიურში სად გამოდევნებოდა. სტატია რომ დაეწერა, მაშინ კი ჩამოაყალიბებდა პუნქტ-პუნქტად.

წინა დღით რატომღაც დაინტერესდებოდა, რამდენი წლისა იყო ვერიკო ანჯაფარიძე. ახლავე ნახავდა, თუ ის წიგნი არ აორთქლებულიყო. ვერ მოძებნიდა და ხვალისათვის გადადებდა.

ბიჭვინთაში მიიპატიჟებდნენ და: ცოტა ქე შეგულიანდებოდა, რაკიღა ნახევრადლუქსს გამოუყოფდნენ. მაგრამ 7 თებერვალს მიხვდებოდა რომ ვეღარ წავიდოდა. გადაბეჭდვა რომ ანგარიშშიც არ ჩაეგდო, იმ თვეში პრემიერა დანიშნულიყო ფილმისა, რომელსაც ამდენი ხანი მოუთმენლად ელოდებოდა. ელდარი არ დაურეკავდა და ესეც ვერ დაუკავშირდებოდა: ტელეფონი უნდა ჰქონოდა გაფუჭებული.

15 თებერვალს დაურეკავდა ელდარი. მოსკოვში გაეგზავნა ფილმი გასასწორებლად და გადასაბეჭდად. რეზოს როგორ ეგონა, ჯერ კიდევ ადრე რომ შედგებოდა პრემიერა, და ახლა 25-შიც საეჭვო გახდებოდა.

18 თებერვალს რეზო ესაძის ნახვას აპირებდა. წაიკითხავდა „ტარტარენ ტარასკონელს" და — ვერ დადგებოდა მაინცდამაინც კარგ გუნებაზე: რა არის, რა უბედურებაა, რა უნდა გამოვიყვანო აქედან? კარგი რომ ყოფილიყო ფრანგებს ვინ მოასწრებდა გადაღებასო?

თუმც შესაძლოა გადაღებულიც ჰქონდათ. ეს კი ვერ აეხსნა, რითი გაეთქვა ამ რომანს ამხელა სახელი? ქუდებს რომ თოფს ესროდნენ, ღმერთმანი, ალბათ ამით. სხვა რა მოიპოვებოდა შიგ საგულისხმო? რამდენიმე ეპიზოდი: ქუდებზე ნადირობა, აქლემი, ლომის მოკვლა, ალბათ კუნძულიც.

ახალი „ტარტარენ ტარასკონელი" უნდა დაეწერა და ჩაებარებინა რეზო ესაძისათვის? ხომ იცოდა წინასწარვე: წაიყვანდა და... აღარ მინდა გადაღებაო, იტყოდა მერე. დაეწყო თვითონ, მწერლობაზეც რომ თავს დებდა. დაეწერა ერთი ვარიანტი და შემდეგღა შეუერთდებოდა რეზო ჭეიშვილი. მაგრამ იზამდა ვითომ ამას რეჟისორი?

15 მარტს ელდარს უნდა ეჩვენებინა ფილმი პატარა დარბაზში შინაურებისათვის.

„გაყრა" ამოტივტივდებოდა ისევ — 18-ში უნდა შეხვედროდა გია ანთაძესა და რობერტ სტურუას. არ მიაჩნდა თავის საქმედ, მაგრამ უნდა გაეკეთებინა. 18 კვირა გახლდათ.

შაბათს რეზო ესაძე მოაკითხავდა, მაგრამ „ტარტარენ ტარასკონელზე" უარი უნდა ეთქვა... წელს სცენარისათვის ვეღარ მოიცლიდა ალბათ...

19 მარტს ესტუმრებოდა თავისი სეხნია, შემოუვლიდნენ ჯურხა ნადირაძე და გივი ძნელაძეც. პატარა სუფრაც გაიწყობოდა მცირე ხნით. უარი უნდა ეთქვა „ტარტარენზე", მაგრამ... მიკიბ-მოკიბავდა და ვერ ეტყოდა.

— შემოდგომამდე არ მეცლება, — ამის თქმას კი მოახერხებდა.

დილით რობერტ სტურუას უნდა შეხვედროდა და... ის თურმე ავად გამხდარიყო.

ახლახან დაბრუნებულიყო კინოდან. რევაზ თაბუკაშვილის ორი ფილმი ენახა და პრინციპში ორივე მოეწონებოდა. გუნებაში უსაყვედურებდა: ადრე რომ გეჩვენებინა, ბევრი რამ გამოსწორდებოდაო. ახლა რაც იყო, ეგ იყო... ამ ფილმების საჭიროებას კი აღიარებდა: ყოველ შემთხვევაში არაფრიდან რაღაცაა გაკეთებული თითქოსო... მაგრამ მიიჩნევდა, რომ: იმ არაფრიდანაც მეტის ამოქაჩვა შეიძლებოდა, თუნდ მერი შერვაშიძისა და მელიტა ჩოლოყაშვილისაგან.

ისე ფაქტი მაინც დიდებული გახლდათ:

ორი მშვენიერი ქალის ხატება დარჩებოდა შთამომავლობას.

* * *

კინოსტუდიაში მისულს 1983 წლის 22 მარტს რევაზ თაბუკაშვილი დახვდებოდა, პარიზიდან ჩამოსული. ციურიხი, ბელგია, მონაკოც მოევლო.

„ისე დადის, როგორც მე სამტრედიაში – კარგა ხანია არა ვყოფილვარ – და ქუთაისში".

ფილმიც გადაეღო და ჩვენებას პირდებოდა თანამშრომლებს.

მერი შერვაშიძე 99 წლისა ყოფილიყო და:

– დედოფალივით მომხიბვლელია ისევ.

„საინტერესოა, მართლაც როგორია?!."

სხვა ქალებზეც ილაპარაკებდა – ქართველოლოგებსა და სხვებზეც.

„საუნჯეში" უნდა გასულიყო და ადრე წამოვიდოდა სტუდიიდან.

* * *

ფილმის შემდეგ შეხვედრა გაიმართებოდა... სხვებსაც დააძალებდნენ და რეზოსაც: გინდა თუ არა სიტყვა თქვიო. და ახლა დღიურს ებურტყუნებოდა: აცალე რა ხალხს, ნახოს ფილმი და წავიდეს შინ, რაღად მინდა სცენიდან ვიღაც სულელის ბლუკუნის ყურისგდებაო.

ისევ იწვიმებდა, ისევ მოიღრუბლებოდა და გაავდარდებოდა. ფილმებსაც რომ უყურებდა... მდინარეს ხედავდა და ზღვას. პირი უშრებოდა, რაღაც სასმელი ენდომებოდა, წყალი ენდომებოდა, წყუროდა და არც

წყუროდა და... შემდეგღა მიხვდებოდა: სული უწუხდა, გაზაფხულის მოახლოებას გრძნობდა, ქალაქიდან გასვლას ესწრაფოდა...

ასე ემართებოდა ყოველი აპრილის დამდეგს...

27 მარტს ოპერაში შეხვდებოდა რობერტ სტურუას. გია ყანჩელის ოპერის რეპეტიციის ნაგლეჯს დაესწრებოდა. თავისდასამარცხვინოდ აღმოაჩენდა, რომ აღდგენილი ოპერის თეატრი მგონი არც ენახა... არ ენახა მართლაც.

უზარმაზარი სცენა, უამრავი მონაწილე, და ბავშვების გუნდიც. და გია ანთაძეს ჰკითხავდა:

— რა აჩერებთ ამ ხოროს მონაწილე ვაჟებს, ქალები გასაგებია, მაგრამ ვაჟებს რა აჩერებთ?

პერსპექტივა — არავითარი. და ხელფასი? თურმე რის ხელფასი და რა ხელფასი — ჯიბის ფულადაც არ ეყოფოდა ადამიანს, ოჯახის რჩენაზე ხომ ლაპარაკიც არ უნდა ყოფილიყო. გასამხელად ეს თანამდებობა არ ვარგოდა და სცენიდან არ ჩანდი, ვინც ხშირად დადიოდა, ისიც ვერ დაგინახავდა მაყურებელთა დარბაზიდან. სხვა გუნდები მაინც სხვა იყო — კაპელა, ხალხური შემოქმედება... იქ კონცერტებიო, იქ გასტროლებიო...

რობერტ სტურუა ეტყოდა:

— თეატრთან მწერლების ხუთკაციანი ჯგუფი მინდა მოვიწვიო, ხელფასითა და პირობებით. მთავრობაში დავაყენე ეს საკითხი.

— კარგი გიქნია, — სხვა ანკი რა შეიძლება ეთქვა რეზო ჭეიშვილს.

9 აპრილს გადაწყვეტდა, რომ:

გაეერთიანებინა — ორ ნაწილად — „ბერსათრიელი", სცენარი ლიბრეტოს უფლებით, და ნოველა „ნობელი", რაღაც საგულისხმოს რომ ჩაიფიქრებდა, გრანდიოზულის პაროდირებასაც კი, თანამედროვეობაზე, კაცობრიობის უაზრობაზე, მიწებისა და საზღვრების გადანაწილებაზე, აფეთქებაზე...

12 აპრილს ტელესტუდიაში ექნებოდა შეხვედრა „ცისფერი მთების" ჯგუფს, 25-ში უნივერსიტეტში, შემდეგ — ფილარმონიაში. და გუნებაში ელიმებოდა: ნახა მთელმა თბილისმა და რაღა უნდა ეკრანებზეო!..

15 აპრილს გაიხსენებდა, ელდარ შენგელაია რომ აქებდა გია ყანჩელის ოპერას.

რობერტ სტურუა დაინტერესდებოდა, რეზოსაც ენახა თუ არა.

— მომეცით ბილეთები და, — ყანჩელიც იქვე იდგებოდა, — ვნახავ.

დაიჩივლებდა კომპოზიტორი:

— ასი ბილეთი ვითხოვე და არ მომცეს.

და რეზო:

— მაგ ოპერაში ოღონდ ბილეთები გახდეს საშოვნელი, ოღონდ ხალხი ივლიდეს და სულ არ შევალ შიგ.

20 აპრილს კიდევ ერთხელ რომ გადახედავდა თავის შემოსავალს, გაიხსენებდა, რომ: 1970 წლიდან იწერდა. შეჯამებისას მოსდიოდა შეცდომა, თორემ ჩაწერა არ ავიწყდებოდა. იქიდან აქამდე კაპიკ-კაპიკ აღენუსხა სუფთა შემოსავალი, რაც ხელზე აეღო. რაც გამოეწერათ კი არა, რაც მიეცათ.

მაინც ბუღალტრის შვილი რომ გახლდათ.

ამ შვილობის გამოისობით მოხდებოდა, „ლუკა პაჩოლის ცხოვრების უკანასკნელ წლებს“ რომ შექმნიდა და მთავარი გმირის, უფროსი ბუღალტრის — გრიშა ნემსაძის — პროტოტიპად მამამისს გამოიყვანდა: ბენიამინს, ბენიას.

ემზარ კვიტაიშვილი აჩუქებდა ლუკა პაჩოლის ტრაქტატს ღვთაებრივ პროპორციაზე, რომელსაც რეზო ნოველაშიც ახსენებდა, როგორც დიდი მათემატიკოსისა და პირველი საბუღალტრო წიგნის ავტორის უკანასკნელ დიდ და მნიშვნელოვან ნაშრომს — პროპორციებად დამყოფს სილამაზის პრეტენზიის მქონე სულიერი და უსულო საგნებისა.

და სიკვდილის წინ გრიშას ზმანებაში უნდა გამოცხადებოდა არა კაპიტალური შრომების ავტორი სივერსი, რომელსაც მარტივი ბუღალტერია ორმაგ ბუღალტერიაზე გადაეყვანა; არც მამა — ეკონომისტი ყარამან ნემსაძე; არც „ის“, ვინც უყვარდა; არც ქირურგი, რომელსაც პოლიპები ამოეღლიტა მისთვის და არც ნეაპოლელი ანგარიშმწარმოებელი ბენედიქტე კოტრული, არამედ სწორედ ეს — შავ მანტიაში გამოწყობილი წარბშეკრული ადამიანი, რომელსაც მანტიისავე ჩაბალახი ეხურებოდა და წელზე უბრალო, სელის თოკი ექნებოდა შემორტყმული. და ასკეტურად, სადად, მაგრამ პროპორციულად ჩაცმული კაცი იდგებოდა მდუმარედ და სევდიანი, ჭკვიანი თვალებით სადღაც გაიცქირებოდა, უყურებდა თითქოს ყველაფერს ერთად და — არაფერს კონკრეტულად.

ჭეიშვილური ხედვა და ფრაზა ადრეულ ნოველებშიც ხელშესახებად რომ იჩენდა ხოლმე თავს, განსაკუთრებით — რა გასაკვირია — ფინალში, და ლუკა პაჩოლიც მხოლოდ ასე შეიძლება იყურებოდეს: ყველაფერს თითქოს ერთად რომ აღიქვამს და კონკრეტულად კი — არაფერს.

უმაღლესში ჩაბარებისას ბოლო გამოცდა გეოგრაფიაში რომ ექნებოდა, მას და ემზარ კვიტაიშვილს ერთნაირი ქულები აღმოაჩნდებოდათ. რეზოს ბლოკნოტი ეჭირებოდა ხელთ და ნიშნებს დააჯამებდა და აღნუსხავდა.

— გამოადგა ბუღალტრის შვილობა, — ამ სურათს მოგვიანებით სევდიანი ღიმილით გაიხსენებდა ემზარი, და კიდევ რეზოს იმ სიტყვებს:

— თუ ფრიადები მივიღეთ მე და შენც ჩარიცხულები ვართ, თუ არადა მოგჭამა ჭირი.

და მართლაც მადლმოსილ პიროვნებად როგორ არ დამახსოვრებოდათ ილია აფხაზავა, რომელიც ფრიადებს დაუწერდათ და... კიდეც გასტუდენტდებოდნენ.

ბუღალტრის შვილობა აქ გამოადგებოდა თუ გამოადგებოდა, დაუზარლად და კაპიკ-კაპიკ რომ აღნუსხავდა სუფთა შემოსავალს, ხელზე რაც აეღო. ჩაწერა არ ავიწყდებოდა, ხოლო შეჯამებისას შეცდომები რომ მოსდიოდა, ბოლოსდაბოლოს ბუღალტრის შვილი გახლდათ, ბუღალტერი ხომ არა.

და ვინ იცის ლიტერატურაზე გაღიზიანების, გულაღრენილობისა თუ ხელჩაქნეულობის წუთებში ეს ანდაზაც მოადგებოდა ხოლმე პირზე: მამა მყავდა ხარაზი და ნალბანდობას რა მრჯიდაო!..

იფიქრებდა ვითომ?

რატომაც არა. ის კი არა, ეს ანდაზა შექმნილი რომ არა ყოფილიყო, თვითონ შეთხზავდა.

და მამა რომ ჰყავდა „ხარაზი", კაპიკ-კაპიკ იმიტომაც ჩამოეწერა სუფთა შემოსავალი, სხვა ყველაფერიც რომ დავიწყნოდა, ეს ჩაწერა რომ არ ავიწყდებოდა და არა.

გულისხმობდა ანუ გუნებაში ანგარიშობდა და უხაროდა, პარტიის საწევროს რომ არ იხდიდა. ცდილობდა და იტყაპუნებდა მათ ლუკმას და კმაყოფილიც რჩებოდა.

ბოლო წიგნში 4000 მანეთი — მგონი მეტიც — დაექვითებოდა და — ამათი წეს-კანონით — იმ წაგლეჯილი ფულიდანაც უნდა გადაეხადა პარტიის საწევრო. რატომ, რისთვის, რა საბუთით? მართლაც გადაირეოდი კაცი.

დარჩენილი წიგნის ფული გადმოერიცხათ, სატირაჟო ასაღები ექნებოდა, „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი" გამოდიოდა „ნაკადულში", სამფორმიანი მოთხრობა იბეჭდებოდა „ცისკარში", რაღაც ნაშთი დარჩენილიყო მიხეილ ჭიაურელ-უმცროსისათვის დაწერილი სცენარიდან, ასე რომ: რაღაც გროვდებოდა, სამაგიეროდ გაისისათვის არაფერს ელოდებოდა: წიგნიც არ იყო არსად გეგმაში. სცენარის დამწერსაც აღარ ჰგავდა. და პიესა, პიესა ხომ მაინც? თუმც განა რა შეხვდებოდა იქიდან.

ასე რომ: 1985 წელი ჩავარდნოდა და ეგაა.

არც 86 წელი ეხატებოდა პერსპექტიულად.

თავს ამითღა ინუგეშებდა:

მთავარია კარგად ვიყვეთო.

შემდეგ ის ორტომეულიც მოუსწრებდა სულზე.

შემდეგ 60 წელიც წამოეწეოდა (ოლონდ ჩანიშვნით კი ჩაინიშნავდა: თუ ვიცოცხლე მანამდეო) და რაღაცას გამოუცემდნენ.

შემდეგ 65.

შემდეგ...

და ასე იქნებოდა დასასრულამდე, კომედიის გასრულებამდე.

რიგრიგობით გადიოდნენ და გავიდოდნენ კომედიიდან.

და ყველას თავისი სიმართლით გაუმარჯვდებოდა: სოსო კენჭაძესაც და რეზო ჭეიშვილსაც.

ანკი რას გაეყო პერსონაჟი და მისი შემოქმედი.

25 აპრილს ფილარმონიაში აჩვენებდნენ „ცისფერ მთებს". ხალხი ბევრი დაესწრებოდა და რაღაც საზეიმო განწყობილებასავითაც დაეუფლებოდა დარბაზს. სცენიდან რომ გახედავდა, გადაჭედილი იქნებოდა იქაურობა. უზარმაზარ დარბაზს ვერც იმყოფინებდნენ და კიბის საფეხურებზეც ისხდებოდა ხალხი.

დიდი წარმატება ერგებოდა თემო ჩირგაძეს. სიტყვასაც იტყოდა.

რეზო უკვე გადაიღლებოდა.

28-ში, ანუ ზეგ, უნივერსიტეტში ელოდნენ, 29-ში — მათემატიკის ინსტიტუტში.

გავასწრო დროზე ჯობიაო, — ფიქრობდა.

არადა მართლაც გასწრება, თბილისიდან გასვლა სჯობდა.

წუხელ სტუმრები ეწვეოდნენ: გურამ ფანჯიკიძე, მუხრან მაჭავარიანი, გივი ძნელაძე, ელდარ შენგელაია, ტარიელ ჭანტურია, თამაზ წივწივაძე, ლევან მალაზონია, კარლო და თვით ქლიბაძე.

დალევდნენ — ზომიერად — მშვენიერ ღვინოს. გიორგი თურმანაული გარდაცვლილიყო და ისინი ხვალ ეპირებოდნენ მაღაროსკარში, რეზოს კი ვერ გადაეწყვიტა: წასულიყო თუ არა. იქაც სუფრა, იქაც ჭამა დახვდებოდა.

არადა: უნდა დაეწერა „ბოსტოია“.

დღეს თამაზ წივწივაძის ნათქვამი შეაგულიანებდა:

— ბოსტოია კი არა, ბონდოუკამ თქვაო, ასე ყოფილა.

მოეწონებოდა ეს „ბონდოუკა“, რადგანაც „ბოსტოია“ რაღაც ეხამუშებოდა.

საავადმყოფოში იქნებოდა, წიგნებსა და მოსაწვევებს დაარიგებდა. რეანიმაციის სამფლობელოს რომ მიადგებოდა, აღელდებოდა და კინაღამ ცუდად გახდებოდა.

იმ ნოველის გადაბეჭდვაც კი ვერ მოესწრო. უნდა შეეძახა თავისთვის და გაემზადებინა 1 მაისამდე.

26 აპრილს მაინც ჩავიდოდა მაღაროსკარში გიორგი თურმანაულის დაკრძალვაზე. არც ეკუთვნოდა ჩასვლა, მაგრამ რაკიღა მისიანები მიდიოდნენ, ესეც წავიდოდა.

კარგი კაცი იყო ალბათო, — ფიქრობდა, რადგანაც ამ აზრისა გახლდათ: ნაქებია მთიულეთშიო.

რეზო მხოლოდ ორჯერ შეხვდებოდა და თავდაპირველად ვერც დატოვებდა სასურველ შთაბეჭდილებას. გოგოლაურის ოჯახში იქნებოდნენ და ღამესაც იქ გაათენებდნენ.

იმას რეზოს წერილი — „ოკრიბა“ — წაეკითხა და მასზე ესაუბრებოდა, ამასაც დასძენდა:

— თხილის ხეები ჩვენს ტყეში, მწვერვალებზე ახლაც არის, თუ საგანგებოდ ჩამოხვალ, წაგიყვან, გაჩვენებ.

და ახლა რომ უფიქრდებოდა: მართლაც შეიძლებოდა ჩასვლა.

მეორედ „ცისკარში“ შეხვდებოდა და მიხვდებოდა, რომ ყველაფერთან ერთად ფრიად მორიდებული ადამიანიც ყოფილიყო გიორგი თურმანაული.

მთავლიტს კი „ცისკარი“ გაეჩერებინა, რეზოს მოთხრობაც მოეხაზათ ალაგ-ალაგ. ეს დაელაპარაკებოდა ელგუჯა მაღრაძეს და ის იუარებდა.

— მე არა ვიცი რა.

ხვალ გაირკვეოდა, რა იცოდა და რა — არა, და რას გააკეთებდა რეზოს სასარგებლოდ, და მთავრობის საზიანოდ.

ანდა პირიქითო — ეს ჭეიშვილურიც რომ არ გამოერია, ისე როგორ იქნებოდა!..

29 აპრილს მიაკითხავდა მთავლიტს. შეედავებოდა ცენზორებსაც, ელგუჯასაც, და როგორ არ წამოცდენოდა:

— რა სიბნელეა, რა საშინელება!..

დაუჩეხავდნენ მაინც, თუმც რაღაც-რაღაცებს შეინარჩუნებდა და დაწყნარდებოდა — იმიტომ კი არა, რომ გაიმარჯვებდა, არამედ: ხელს ჩაიქნევდა. რაც იყო, ეგ იყო. თავს კი ამითღა ინუგეშებდა: წიგნში ჩემსას გავაკეთებ მაინცო...

ამ დღესვე მივიდოდნენ ის და ელდარი მათემატიკის ინსტიტუტში შეხვედრაზე. იქ დახვდებოდნენ — მაყურებლებად — ბაჩანა ბრეგვაძე, გიგუშა შაჰნაზარი და გიორგი ნიშნიანიძე. საინტერესო კითხვა-პასუხიც გაიმართებოდა. ზოგიერთი გაღიზიანებას ვერ დაფარავდა... შემდეგ თითო ჭიქა შამპანურიც...

„ქართული პროზის“ მეექვსე ტომს წაიკითხავდა 1984 წლის 17 მაისს.

მოხდებოდა ისე, რომ: „კალმასობა“ რუსულად წაეკითხა ადრევე და ეხსომებოდა ასე თუ ისე. ახლა კვლავ გადააბულბულებდა. თვით ბერის სახე გამოკვეთილი გახლდათ, ადვილად დასანახი. სხვა ისეთი არაფერი მოეჩვენებოდა. იუმორიც ნაკლები იყო.

თენგიზ აბულაძე უტრიალებდა იოანე ბატონიშვილის ამ თხზულებას და რეზოს გაყვანასაც აპირებდა საქმეში:

— ფილმი უნდა გადავიღო საქართველოზე და იმერული ნაწილი შენ უნდა დაწერო.

გიორგი ავალიშვილი — ცოტა ენის სიმძიმე არ ეჭაშნიკებოდა მისი თხზულებისა „მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე“ — თითქოს უფრო საინტერესოდ მოეჩვენებოდა. ქუთაისის თუ მისი შემოგარენი კარგად იყო დანახული. ბრწყინვალე გახლდათ: ბერიკაცი რომ მშვილდ-ისრით თევზს იჭერდა წყალწითელაში.

ერთ გარემოებასაც მიაქცევდა ყურადღებას:

ორივესათვის სომეხი უფრო ახლობელი იყო, სომეხი უფრო ექართულებოდათ, ვიდრე „იმერელი“.

ნიკო ნიკოლაძის მოგონება ქუთაისზე სასცენაროდ, სხვა რამისთვისაც ექნებოდა შეგულებული, დამახსოვრებული და გადანახული.

21 მაისს რომ გაახსენდებოდა: სექტემბერში „გაყრა“ უნდა ჩავაბაროო, — ამოიკვნესებდა: ამ „გაყრამაც“ შემაწუხა, რა გაყრა, რის გაყრაო.

მუცელს დღეს ისევ შეეხსენებინა თავი, მხოლოდ არა ადრინდელივით. ჭამისათვის მოეკლო, ვარჯიშისათვის მოემატებინა და... ქე გახლდათ თითქოს უკეთესად.

3 ივლისს გააბაბანებდა:

„გაყრის“ ჩაბარების ვადაც მოვიდაო...

1 აგვისტოს ცალკე გამოცემულს რომ ნახავდა ნიკო ნიკოლაძის „მემუარებს“, პირველად სხვას რას, ამას გაიფიქრებდა:

მრავალსერიანი სატელევიზიო სცენარის მასალად გამოდგებაო.

პირველ ორ სერიას ადვილად დაწერდა, დანარჩენს სხვას დაუთმობდა.

ეგებ უკვე დაეწერა განაცხადიც...

ვერ იცლიდა, ვერ მუშაობდა.

„გაყრის“ ჩაბარების დროც მოდიოდა.
არაფრით არ იზამდა, „მწერები“ წელს რომ არ დაემთავრებინა.
ეს აზრი აწვალებდა, ეს შეგრძნება ღრღნიდა:
დღეს ვართ, ხვალ — არა... და უნდა დავეშუროთო...

* * *

იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ გადაღება კინოფილმად სხვას არც მოაფიქრდებოდა, გარდა თენგიზ აბულაძისა.

სად მიაგნო მაინც, სად ივარაუდა, რომ: ფილმად გამოდგებოდა?

არადა: გამოდგება რომელია!.. თუმც ახლა უკვე ადვილია დადასტურება.

იმერული ნაწილის სცენარისტად რეზო ჭეიშვილს რომ შეარჩევდა, ამას დიდი რამ დაფიქრება აღარც დაჭირდებოდა.

„ვედრების“ გადაღება მისი იდეა არა ყოფილა, მზამზარეულ სცენარს გააცნობდნენ ანზორ სალუქვაძე და რევაზ კვესელავა, მაგრამ რომ დაინტერესდებოდა და ხელიდან არ გაუშვებდა?

და მერე გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხესაც“ ამოუყენებდა გვერდით კინოვერსიად.

აპირებდა ვახტანგ ჯავახაძის ბიოგრაფიული რომანის — „უცნობი“ — თარგზე ფილმის გადაღებასაც.

და აგერ თურმე იოანე ბატონიშვილის „კალმასობაც“ აღანთებდა ამ თვალსაზრისით, რეზო ჭეიშვილსაც რომ განაწყობდა საამისოდ.

და ისე მოხდებოდა, რომ: რეზოს ერთი ნოველის პერსონაჟად წარმოდგებოდა თენგიზ აბულაძე, პროტოტიპად რომ აღარც ითქმის, ისე პირდაპირ გადავიდოდა ის ეპიზოდი მხატვრულ ქარგაში.

ანეკდოტივით ჰყვებოდნენ და ანეკდოტადაც შეიტანდა იუმორისტულ წიგნში „კურუ“, იქვე მეორე ასეთივე ამბავს რომ მიადევნებდა, ვასილ მჟავანაძე — ახალგაცეკასმდივნებული — კინოფილმ „ჭრიჭინას“ რომ მოიწონებდა და ერთადერთ შენიშვნას მაინც გამოთქვამდა: ცოტა წყალი აკლიაო. და დატოვებდა გახარებულ, თუმც საგონებელში ჩავარდნილ რეჟისორსა და ხელმძღვანელობას. რას ნიშნავდა „წყალი აკლია“ ვერავინ გაიგებდა. ზოგი რა ვარაუდს გამოთქვამდა და ზოგიც რას. ესაო და: წყალი არ გაუვა, ისეთი ფილმიაო... ესაო და: პირიქითო...

და ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ფინალს მიადგამდნენ ფინალს:

გადაიღებდნენ ეპიზოდს მტკვრისპირას სიმღერით და მიაკერებდნენ დამთავრებულ კინოფირს. რომ ვერ ვიგებდით, რას გამოეწვია ეს უადგილო მტკვრისპირული სცენა, თურმე ვასილ მჟავანაძის ნაკლულ ქართულს: ცოტა მარილი აკლიაო, — ამის თქმა ენდომებოდა, მაგრამ იდიომატიკაში გაიჭედებოდა: წყალსა და მარილს აურევდა — მეტაფორულად ცხადია — ერთმანეთში.

ხოლო თენგიზ აბულაძეს გაბადაძედ ჩახატავდა ნოველაში „სალადაძე“, იმ ნამდვილად მომხდარ ამბავს რომ შემოახვევდა ჭეიშვილურ საბურველს

და სიზუსტეზეც თავს დადებდა, ეგაა: ვითომდა წელი, თვე, მითუმეტეს დღე და რიცხვი არ ემახსოვრებოდა. და გვარ-სახელებსაც ვეღარ მოიგონებდა წესიერად თითქოს.

მიხვედრით კი იმით უნდა მივეხვედრებინეთ ამ ეპიზოდის თარიღს, დასაწყისში რომ აღნიშნავდა:

— თეთრი ბჟოლა რომ ნაადრევად შეიმთვალა, იმ წელიწადს...

ფინალში კი ერთხელ კიდევ უნდა დაედასტურებინა:

— ალიბუხარი რომ ნაადრევად დამწიფდა, მაშინ მოხდა-მეთქი ეს, ადრევე გითხარით.

გამჭვირვალეა, არა, აბსურდულ ეპოქაზე მინიშნება?!.

მოხდენით რა მომხდარიყო და:

შეაჩერებდნენ გაბადაძის — ანუ თენგიზ აბულაძის — ახალდასრულებულ, კინოსამყაროში უკვე გახმაურებულ ფილმს, „ვედრება“ რომ იგულისხმებოდა.

ივიკო — ანუ: დევი სტურუა — რომელიც მაშინ მათ დარგს განაგებდა, როგორც ცენტრალური კომიტეტის მესამე მდივანი, პირად პასუხისმგებლობას აარიდებდა თავს:

— ფილმის ბედ-იღბალს სალადაძის გარეშე ვერ გადავწყვეტ.

როგორ და რანაირად მოახერხებდნენ, ძნელი სათქმელი გახლდათ, მაგრამ მოყვანით მოიყვანდნენ სალადაძეს — ანუ: ვასილ მჟავანაძეს — რომელსაც გრძელი, შავი მანქანით შემოაგრიალებდნენ ეზოში გადაშუადღებულს.

გაბადაძე მორყეულ სკამებს გაატანინებდა მანამდე საპროექციო დარბაზიდან და: ჭრაჭუნი, გადალაპარაკება და ჩახველებაც კი ყურადღებას დაუფანტავს სალადაძესო, — გააფრთხილებდა დანარჩენებს.

დარწმუნებული იქნებოდა, რომ:

ფილმი გულს აუჩვილებდა ხელმწიფისტოლ სტუმარს და ამის გამო იგი — თვით სალადაძე — ყურადღებას აღარ მიაქცევდა ნაწარმოების აზრს, რომელიც დაფარულად გახლდათ თურმე ჩადებული სურათში. თუკი ამხანაგი სალადაძე მშვიდად, გამაღიზიანებელ რეცეპტორთა გარეშე ნახავდა ამ გახმაურებულ სურათს, ყველაფერი კეთილად დაბოლოვდებოდა. იგი — სალადაძე — გამხიარულდებოდა, იცინებდა, მალულად მოიწმენდდა შიგადაშიგ ცრემლს, ვერ ამოიცნობდა, რასაკვირველია, შიგ ჩადებულ აზრს (ის ხომ ისედაც არ ჩანდა) და მოჯადოებული, აღტაცებული ფილმის დამდგმელს კოლექტივს (დამდგმელ რეჟისორს ფაქტობრივად) გამარჯვებას მიულოცავდა და შემდგომ წარმატებებს უსურვებდა.

ლურჯი, ბზიალა საწვიმრის შარიშურით, ვაქსით აპრიალებული ფეხსაცმელების წკაპა-წკუპით უნდა შემოსულიყო დარბაზში მჟავანაძე-სალადაძე, ძვირფასი საწვიმარი გადაეძრო სწრაფად, კოხტად მორგებული ლეგა ფერის კოსტიუმის ამარა დამჯდარიყო მითითებულ ალაგას და სუფთა მაგიდისათვის გაებერა რატომღაც სული.

„აი ვის ხელშია ჩემი ბედი!“ უნდა გაეფიქრა გაბადაძეს და დაინტერესებულიყო, როგორი შთაბეჭდილება მოეხდინა შესავალს, საექსპოზიციო ნა-

წილს თუნდაც. კუშტად იჯდებოდა ჭარმაგი, ლოყებშეკვერცხილი ხელმწიფისტოლი კაცი და საპროექციო აპარატიდან გამოვარდნილი შუქის ქვეშ სხვადასხვა ტონალობაში აუპრიალდებოდა სუფთად აპარსული სახე, შემელოტებული თავი. ძნელი გასაგები იქნებოდა, მოწონდა-არ მოწონდა დასაწყისი; ტიროდა, იცინოდა თუ აღტაცებაში მოდიოდა გუნებაში.

— ერთი რამე მაინტერესებს! — წამოიძახებდა პირველი ნაწილის ჩამთავრებისას.

— დიახ? — საპასუხოდ გაემზადებოდა გაბადაძე.

— რატომ აქვთ ამ ახალგაზრდებს წვერი მოშვებული?

რაზე ფიქრობდა თურმე!

— ესენი ოპერატორები არიან... — იმარჯვებდა დირექტორი, რომლის განმარტებასაც ხანგრძლივი პაუზა უნდა მოჰყოლოდა, ვიდრე მჟავანაძე-სალადაძე დაინტერესდებოდა: აუცილებელია ოპერატორებისათვის წვერიო?

და მერეც ასე უნდა გაგრძელებულიყო. მაღალი სტუმარი ეკრანს ყოფილიყო მიჩერებული, შეკითხვები კი მხოლოდ ოპერატორების წვერის ირგვლივ დაესვა და აზრი, ფარულად რომ ჩადებულიყო ფილმში, ვეღარ გამოეტანა, ვეღარც სიუჟეტს მიჰყოლოდა, ვეღარც დიალოგები მოესმინა და ვეღარც დამდგმელი რეჟისორის ფანტაზიითა და ოსტატობით დამტკბარიყო ცხადია.

და ოპერატორთა გამართლებას რომ შეეცდებოდნენ: მთაში იღებდნენ, ალპურ ზონაშიო, — ეს განმარტება სულაც არ აღმოჩნდებოდა დამაჯერებელი ხელმწიფისტოლა სტუმრისათვის:

— რა შუაშია მთა და ალპური ზონა, სწორედ მაგ ალპურ ზონაში ცხვრებს ვპარსავთ ჩვენ, ცხვრებს!

ჩამთავრდებოდა „ვედრება“ და თითები მაგიდაზე უნდა აეთამაშებინა მჟავანაძე-სალადაძეს:

— ადრევე გამაფრთხილეს, გზაშიდაც მითხრეს, არ ვარგაო ეგ ფილმი...

„ხომ ვიცოდი, მე დამბრალდებოდა!“ — კუნძივით სკამი უნდა აეჭრაჭუნებინა ივიკო-დევი სტურუას.

ხოლო მაღალი სტუმრის საბოლოო სიტყვას უნდა დაემშვენებინა აბსურდული ლიტერატურის ნებისმიერი ქრესტომათია, როგორც თვალსაჩინოსა და სანიმუშოს:

— დიახ, როცა წინასწარ გეტყვიან, არ ვარგაო, უფრო მოგეწონება ჩვეულებისამებრ... დიახ. წვერს ზამთარში მოვიპარსავთ და ზაფხულში მოვუშვებთო, ასე თქვეს. პირიქით აჯობებდა, ჩემთვის რომ ეკითხათ. ამას არცა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. დიახ. ფილმი მიგინეს, რასაკვირველია; არ მოგეწონებაო, დამაბარეს და მე მართლა არ მომეწონა, დიახ. ეს არაფერს ნიშნავს. მე რაც არ მომწონს, ის კარგია თურმე ზოგჯერ. „ბაზალეთის ტყემ“ მომხიბლა და ნაგავიაო, ამიხსნეს. ამაზე იძახით, კარგიაო, და თუ კარგია, კარგად იყავით... ეს ფილმი, ამ ახალგაზრდების წვერების არ იყოს, ამაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ვერც დაგვაქცევს და ვერც აგვაშენებს...

დასავლელ მწერალს ასეთ დროს ფანტაზიის ამოქმედება დასჭირდებოდა და საკმაო შრომა-გარჯაც თუნდ ამგვარი აბზაცის შესაქმნელად, რეზო ჭეიშვილისათვის კი სავსებით კმაროდა, მეხსიერებაში ღრმად ჩაებეჭდა ვასილ მჟავანაძის გამოსვლა და ოდნავ, სულ ოდნავ გაეკრა ხელი ნოველაში გადატანილი ლამის სტენოგრაფიული ჩანაწერისათვის.

არ არსებობს ასეთი კინოფილმი „ბაზალეთის ტყე"?

სინამდვილეში ხელმწიფისტოლა სტუმარს უნდა დაესახელებინა კინოსურათი „ნინო", რომლის ყურებისას — გამოტყდებოდა — იტირებდა კიდეც, და მერე კი აღმოჩნდებოდა, რომ ყოვლად სუსტი ფილმი ყოფილიყო.

ისე „ბაზალეთის ტყე" მარჯვედაა გამოძებნილი, ტბა ტყით შენაცვლებული. თითქოს არაფერი და... მკითხველის ცნობიერებაში „ბაზალეთის" ხსენება „ტბას" რომ წამოატივტივებდა და ხელთ კი „ტყე" შერჩებოდა, ამითაც იგრძნობდა სრულ აცდენასა და გადახვევას ილია ჭავჭავაძის ანუ ეროვნული გზიდანაც. თანაც რარიგ გამეტებულიყო საბჭოურ-კომუნისტური სამზერიდან ის გზასავალი: ნაგავიაო!..

პიროვნულად კეთილი კაცი მაინც გახლდათ ვასილ მჟავანაძე და ამიტომაც ვერ გამოიყენებდა კრემლი ქართული ადათ-წესების წინააღმდეგ უსასტიკესი ბრძოლისათვის, ამიტომაც შეელეოდნენ (მიუხედავად მისი დამსახურებისა ნიკიტა ხრუშჩოვის გაბაწვრასა და სახელმწიფო გადატრიალებაში) და კიდეც შეარჩევდნენ პირველკაცად გაცილებით უფრო შესაფერის კანდიდატს, რომელსაც სულაც უნდა დაეკლა ერი და ისე ევლო აღზევების გზით: იმ ედუარდ შევარდნაძეს, რომლის ეპოქაც ასე თვალნათლივ, ასე შემძვრელად და თავზარდამცემად უნდა შემოგვრჩენოდა რეზო ჭეიშვილის მწერლური ხელოვნების, მისი აბსურდულ-გროტესკული სამყაროს წყალობითაც.

ნგრევის დროს ფერები ხუნდებოდა და ამ პროცესს — შენებისა და ნგრევისა — გათვალისწინება ესაჭიროებოდა.

რიგრიგობით გადიოდნენ და გავიდოდნენ კომედიიდან.

და ყველას თავისი სიმართლით გაუმარჯვდებოდა, ეგაა: არ ეცოდინებოდათ, სად ჰქონდათ ეს სიმართლე, ანდა სად ეძებნათ მაინც...

თავი მეოთხე

ლანდები — მისი კალმის მომლოდინენი

რა აღარ იხსნებოდა, რა აღარ ირკვეოდა, რა აღარ ამოდიოდა მზის სინათლეზე.

დამთრგუნველი იყო ეს ყოველივე?

რას იზამ — სამაგიეროდ ეპოქის სულიც და პანორამაც ბოლომდე ცნაურდებოდა, ყველასათვის თვალსაჩინო ხდებოდა და ტრაგიზმიც, ულმობელობაც, აბსურდულობაც, გროტესკულობაც ხელშესახებად დასტურდებოდა.

ეს გარემოება თავისთავად იწვევდა მხატვრულ-დოკუმენტური ჟანრების მომძლავრებასაც და მხატვრულ ქმნილებებში დოკუმენტური ფონის გამკვეთრებასაც.

5 სექტემბერს აკაკი ვასაძის მოგონებათა წიგნს წაიკითხავდა. ხშირად ახსენებდა ავტორი მტრებს, მოშურნეებს...

თამარ წულუკიძის მემუარულ წიგნს კი ბიჭვინთაში გაეცნობოდა. ის პირდაპირ აკაკი ვასაძეს ადებდა ხელს სანდრო ახმეტელის დაღუპვაში.

როდესაც მიხეილ მგალობლიშვილს რეაბილიტაციის საბუთს მისცემდნენ, 1937 წლის საბრალდებო დოკუმენტებსაც გააცნობდნენ და აჩვენებდნენ დასაჭერი ხალხის სიას: აკაკი ვასაძისა და მაშინდელი დირექტორის ხელმოწერით.

უმრავლესობას იმ სიით მითითებულთაგან დაიჭერდნენ, გადაასახლებდნენ და დახვრეტდნენ კიდეც, ზოგიერთს კი — მათ შორის დოდო ანთაძესა და შალვა დადიანს — საერთოდ არ შეეხებოდნენ.

როგორც კი სამხედრო პროკურატურიდან გამოვიდოდა მიხეილ მგალობლიშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე შეხვდებოდა და მას მოუყვებოდა, რაც ენახა და რაც წაეკითხა.

აღელვებული პოლიკარპე მწერალთა კავშირში გაიქცეოდა და საქვეყნოდ გაავრცელებდა ამ ამბავს.

მეორე დღეს თეთრწყაროსა თუ ბოლნისში — სადაც მიხეილი ცხოვრობდა და მუშაობდა — დოდო ანთაძე ავარდებოდა მანქანით და შორიდანვე დაუძახებდა:

— მიშა, მითხარი, რა სიაში ვიყავი და რატომ არ დამიჭირეს?

რა სიაში იყო, ამას კი დაუზუსტებდა, მაგრამ რატომ არ დაეჭირათ, ეს აბა საიდან ეცოდინებოდა... რეჟისორს კი ისე აუკანკალდებოდა გული, თითქოს ესაა უნდა მოადგნენ, ის გამორჩენა არ აპატიონ და კიდეც გაუყენონ შორეულ გზასო...

14 სექტემბერს ალექსეი ტოლსტოი გაახსენდებოდა და მის მიერ გადმოკეთებული და არა გადმორუსულებული „პინოქიოს თავგადასავალი" და — მშვენიერ საქმედ შეუფასებდა: ლამაზი და კარგი საბავშვო წიგნი გამოაცხოო.

დედანს, პირველწყაროს ჯობიაო, — ვერ იტყოდა, მაგრამ არც ჩამოუვარდებოდა.

ერთი მშვენიერი ხერხი გამოეყენებინა.

და ამას რეზო ჭეიშვილი ინსცენირების საუკეთესო და თვალსაჩინო ნიმუშს დაარქმევდა.

„პინოქიოს თავგადასავალში" ჯენეტოს ბინა და კედელზე აკრული ხალიჩა იყო დახატული: ხალიჩაზე ცეცხლი მოჩანდა, ცეცხლზე ქვაბი იდგა...

სწორედ ამ ხალიჩას ჩაეჭიდებოდა ტოლსტოი.

ხალიჩის იქით თურმე კარი გახლდათ, კარს იქით — ძვირფასი თოჯინების თეატრი, გასაღები კი დაკარგულიყო. აქედან დაიბადებოდა სათაური „ოქროს გასაღები".

სწორედ ამიტომ ჩუქნიდა ყარაბას-ბარაბასი ბურატინოს ხუთ ოქროს: შენს მამილოს მიუტანე, იმ ოთახს მოუაროსო...

უფრო ვრცლად და გასაგებადაც შეეძლო დაეწერა დღიურში თავისი მოსაზრებანი, თუმც თითქოს ჩაეწერა კიდეც ადრე და ახლა მეტს რატომღა გარჯილიყო.

24 სექტემბერს მიხეილ ჭიაურელ-უმცროსი რეზოს სცენარის მიხედვით გადაღებული ფილმის ჩაშვებას წარმოებაში ნოემბრის თვეში რომ ივარაუდებდა, ეს უკვე მიხვდებოდა: შემდეგი სცენარი აღარ მექნებაო.

ელდარ შენგელაიაც აღარაფერს ფიქრობდა ამ მხრივ. პიესას უტრიალებდა, დადგმა სურდა რუსთაველის თეატრში.

თუმც „ცისფერ მთებსაც" ხომ ამით დაიწყებდნენ: პიესად განიზრახავდნენ და არა სცენარად.

და ახლა ელდარი „ცისფერი მთების" გასპექტაკლებას აპირებდა რუსთაველში.

პრინციპში თეატრი ერჩიენა კინოს ამჟამად რეზო ჭეიშვილს, მაგრამ ეს საქმეც არ გამოვიდოდა, ხვდებოდა.

რატომ ასე სკეპტიკურად?

თეატრში ბედი არა წყალობდა და არა.

უნდოდა დადგმულიყო რაიმე, იმიტომ კი არა, რამეს გამორჩენოდა — არც სახელს ესწრაფოდა და არც ფულს. თეატრს, თეატრალურ სამყაროს ძალიან დაშორებოდა და გული წყდებოდა.

„გაყრა" არ დაეწყო და გამყრელებიც აღარ გამოჩნდებოდნენ, ახლა ამას გაუხდებოდნენ საძებარნი, იქნებ მართლა აღარ სურდათ და... მოისვენებდა, სხვა რამეზე შეუდგებოდა მუშაობას გულდამშვიდებით...

25 სექტემბერს სტუდიაში უყურებდნენ „ცისფერ მთებს" მადლენი, მანანა და ვიღაც ფრანგები. ამას ჯერ გული მოუვიდოდა, მაგრამ შემდეგ იფიქრებდა: თუ ვინმე უცხოელია, არა უშავსო.

შემდეგ სხდომა გაიმართებოდა და... აგინებდნენ პედერასტ სერგო ფარაჯანოვს. და დღიურში ჭეიშვილური გამოერეოდა: პედარასტია ალბათ სწორი გამოთქმაო. ისე ვაჟა გიგაშვილი ფიდარასტს იძახებდა. დევი აბაშიძეზე იტყოდნენ: ცუდად გახდაო... ის საშინელი ფილმი „სურამის ციხე“ გადაიღოო...

დროს იხელთებდა ლევან ჭელიძე და ელდარ შენგელაიას აგინებდა, ნანა მჭედლიძეს აქებდა. შემდეგ ნანასაც ნახავდა რეზო და გაოცდებოდა: დედაბერს დამგვანებიაო.

შეიტყობდა ათასგვარ ჭორს რევაზ ჩხეიძეზე, მის ოჯახზე, ცოლებზე, ვ. გუნიას კაბინეტ-სამფლობელოზე.

9 ოქტომბერს სტუდიას მიაკითხავდა. თითქმის ყველა — იშვიათი შემთხვევა იყო — შეიკრიბებოდა. იქნებოდა სულელური ყიყინი და კამათი... გახსენებაც აღარ ენდომებოდა.

„გაყრას“ დაიწყებდა.

არ ენდომებოდა გამხელა და მაინც ჩაწერდა. ასე ეგონებოდა: ვერასოდეს დავამთავრებო. ეს თვეც უქმად წავიდოდა ალბათ, მაგრამ ამ თვეშივე სურდა დასრულება.

19 ოქტომბერს „ცისფერი მთების“ პრემიერა დაინიშნებოდა ბაქოში. ელდარი მიეძალებოდა: წამოდიო. მაგრამ ვერა გრძნობდა თავს ფორმაში. ისე გასუქებულიყო, ტანსაცმელი აღარ ეტეოდა. რა ჰქონდა და... ისიც აღარ ერგებოდა. გუნებაზეც ვერ იქნებოდა. ბაქო არ ენახა და — თუკი ამ ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლებდა — ნახავდა და ეგაა, მაგრამ ეს სმა-ჭამა, შეხვედრები...

ელდარისა და თემო ჩირგაძის გვერდით თავისი რუსულით მუნჯადაც დარჩებოდა. ამიტომაც არა ღირდა. ბაქოს სხვა დროსაც ნახავდა. ახლა გაძლებდა ეს ქალაქი რეზო ჭეიშვილის უნახაობით.

27 ნოემბერს უკვე „ამირანში“ — ფილარმონიის შენობაში — გაუშვებდნენ ფილმს.

ელდარი ამასობაში შემოივლიდა მთელს საბჭოეთს.

სურდა რუსული ასლი ეჩვენებინა პირველისათვის.

— როგორც მზად იქნება, მიჩვენე, სუზდალში უნდა წავიღო, — ეტყოდა ედუარდ შევარდნაძე. ახლა ძმა მოუკვდებოდა, ევგრაფი, და ეს საქმეც შეყოვნდებოდა.

ელდარი წავიდოდა ბაქოში, ევგრაფის გასვენებას არ დაესწრებოდა, რადგანაც პირველს ეთქვა:

— არ დაგინახოთ იქ ჩამოსული...

ჯანსული მაინც მიდისო, — სუფრაზე იტყოდნენ.

მუხრან მაჭავარიანი ყოყმანში ჩავარდებოდა: წავიდე თუ არაო.

გიორგი ბედინეიშვილი წააქეზებდა: ერთად წავიდეთო.

რეზო ურჩევდა მუხრანს:

— ახლანდელ სიტუაციაში იქ წასვლა შენთვის საზიანო იქნება.

ის არას მიუგებდა ამაზე, მაგრამ სხვა საბუთს მოიშველიებდა ედუარდ შევარდნაძის დასამუნათებლად:

— დედაჩემის გასვენებაზე არ მოვიდა, დედა მეტჯერ აღარ მომიკვდება. კონია ლორთქიფანიძის ცოლის დაკრძალვაზე კი მივიდა.

რეზო ველარ ეტყოდა: ცოლი სხვააო...

23 ოქტომბერს რობერტ სტურუა გამოვიდოდა ტელევიზიით და:

— „გაყრით" გავხსნით ახალ თეატრს.

იტყოდა ბოლოსდაბოლოს და ესეც გააგრძელებდა ამ პიესაზე მუშაობას ნელი ტემპით.

ნამეტანი პურმარილიანი, ხვავრიელი შემოდგომა დაუდგებოდა, მაგრამ ამ მოუცლელობაშიც ასწრებდა რაღაცას, შიგადაშიგ „გაყრასაც" წამოჰკრავდა ხოლმე ხელს.

„გაყრას" აღარ დაეძებდა, „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავლისათვის" უნდა მიეხედა. არადა რარიგ კმაყოფილი დარჩენილიყო ამ მოთხრობის გადაკეთებით:

— შესანიშნავი პიესა გავაკეთე.

თუმც მის გარდა — ვის აკითხებდა რო?! — მის სიკეთეს ვერ ამჩნევდა ვერავინ. ზურაბ ქაფიანიძე სთხოვდა რაღაცას. მიეცა ეს პიესა? არ მიეცა?.. ნეტა საკონცერტო შესრულებით დაიდგასო, ფიქრობდა, მაგრამ რამდენად უპრიანი იქნებოდა ამ ყაიდის დადგმა, აღარ იცოდა.

ხვალ „გაყრას" უნდა შევუბეროო, — თავს შეპირდებოდა 8 ნოემბერს, — დღევანდელ დღესაც ჩავაგდებ და ხვალ რაღაცას ვისაშველებ, ან თავს დავიბრიდავო... ჟარგონულ გამოთქმებს ამჯობინებდა მეტი დამაჯერებლობისათვის, ერთბაშად ორს გამოიყენებდა, საერთოდ ნაკლებ რომ სჩვეოდა, ნაკლებ ადგებოდა პირზე ჟარგონი წერისას — მხატვრულ ქმნილებებშიც გაურბოდა და დღიურის შევსების დროსაც.

მეორე დღეს უკმაყოფილო არ დარჩებოდა: „გაყრასაც" მივახრჩობ შავად ამაღამვეო.

14 ნოემბერს იმედს რომ გამოთქვამდა: „გაყრას" ქე გამოვუყვან წირვას ხვალ-ზეგო, — შეფიქრიანდებოდა:

თუ შაბათს შეხვედრა-ბანკეტი იქნებოდა, იმ ხუთშაბათამდე ალბათ ბეჭდვასაც ვერ მორჩებოდა.

არ დავიწყებოდა: ხვალ მამულშიც უნდა ასულიყო, ხელოსანსაც დაერეკა.

და დაიკვნესებდა თუ სულაც ამოიგმენდა:

დრო, დროო...

23 ნოემბერს კვნესა ლამის გმინვაში გადაუვიდოდა:

ისევ მიდის ეს ცხოვრება, უქმი შემოქმედებაშიო.

25 ნოემბერს მიმოავლებდა მზერას თავისი ყოფის მდინარებას და:

შინ და გარეთ ველარაფერს ასწრებდა. შეიძლებოდა ალბათ მოსწრება სწორი დისციპლინით მის პირობებშიც კი.

— თუმცა ჩვენი ყოფა და ხასიათით?..

კრებებზე არ გამოდიოდა, მოხსენებებს არ წერდა, რეცენზიებს არ აქვეყნებდა და ესეც შველოდა, სამსახურში უმუშევარი იყო და ესეც ეხმარებოდა.

— თვარა ჩემი მტერი იქნა.

ჩამოწერდა გეგმას თუ გეგმა-ვალდებულებას, „ცისფერი მთების“ იმ ფინალური პასაჟისა არ იყოს:

ხვალ ელდარ შენგელაიასთან უნდა დაერეკა — ჩამოსული იქნებოდა.

ჯერ კინოსტუდიაში უნდა მისულიყო, მერე გუბაზის საქმე და... მაინც უნდა შედგომოდა „გაყრის“ ბეჭდვას.

ეს თვე ასე ჩამთავრდებოდა. შემდეგ დაიწყებდა ვარჯიშსა და „მწერებზე“ მუშაობას, დეკემბერს იმას შესწირავდა... და შავად მაინც დაამთავრებდა.

ველარაფერს რომ ვერ ასწრებდა?

დაენებებინა სამსახურისათვის თავი?

იქნებ ასე მკვეთრი გადაწყვეტილებაც არ მიეღო და ერთი თვით წასულიყო სადმე?

28 ნოემბერს გაზეთ „თბილისიდან“ დაურეკავდნენ: ანა კალანდაძეზე ორიოდე სიტყვა დაგვიწერეო. ისე დაიბნეოდა, უარს ვერ მოახერხებდა და ახლა გვარიანად შეფიქრიანებული იქნებოდა.

ელდარს დაელაპარაკებოდა და აღმოჩნდებოდა, რომ „ცისფერ მთებს“ სახელმწიფო პრემიაზე უპირებდნენ წარდგენას. თემო ჩირგაძეზე ვერ შეთანხმებულიყვნენ მხოლოდ: არაპროფესიონალია და არ შეიძლებაო.

თუ ელდარი თავისას ვერ გაიტანდა, ვასო კახნიაშვილი ჩავარდებოდა ჯგუფში და მადლი იქნებოდა. ექვსი კაცი გროვდებოდა ჯერჯერობით, და მათ შორის სესილია თაყაიშვილსაც გარევდნენ, სიკვდილის შემდგომ.

ამ გახსენებაზე: ხვალ გასვენებაში უნდა ყოფილიყო, შემდეგ — პანაშვიდზე...

1 დეკემბერს იმედს გამოთქვამდა, რომ „გაყრის“ გადაბეჭდვას მორჩებოდა, ხუთად ხუთი გვერდი დარჩენოდა, პირდაპირ თეთრად ბეჭდავდა. ზეგ გია ანთაძეს გაატანდა და... რაც უნდოდათ, ის ექნათ. კარგი კი გამოვიდოდა მისი ვერსია.

ერთიც კიდევ:

„ვაიმე, ჩემო ვენახო“ შარშან ამ დროს დაწყებული არ ექნებოდა, არც პირველში და არც ორში, ალბათ სამში მოეკიდა ხელი და მაინც შარშანვე დაემთავრებინა შავად. ორში ან სამში დაიწყებდა ახლაც აუცილებლად „მწერებს“, მაგრამ წელსვე დაამთავრებდა თუ არა, ვერ იტყოდა...

2 დეკემბერს საღამოს წამოთოვდა და ახლაც ფიფქავდა. ვიღაცა „სასწრაფოს“ გამოუგზავნიდა და გაღიზიანებული: ამაზე უკეთესი არაფერი შესულიყოს მის ოჯახშიო, — ლოცვა-კურთხევას შეუთვლიდა.

გია ანთაძე მიაკითხავდა და „გაყრას“ წაიღებდა. შემდეგ დარეკავდა რობერტ სტურუა:

— ხვალ 2 საათზე დაბარებული ვარ, დამირეკე და შემდეგ იქნებ მოვიდე, თუ არადა უჩემოდ წაიკითხეთ.

ოთარ მამფორია სთხოვდა, გაუჭირდებოდა, მაგრამ მაინც ამოთქვამდა 60 წელს მიახლოებული:

— რაღაც იქნება დაწერო ჩემზე... გაზეთი აპირებს მოსალმებას და შენი წერილი მირჩევნია.

შეპირდებოდა.

კარგი წერილი გამოქვეყნდებოდა „სოვეტსკაია კულტურას“ ფურცლებზე მათი ფილმის შესახებ — ვინმე აფანასიევისა. „კომუნისტი“ გადმობეჭდავდა ალბათ.

3 დეკემბერს იქნებოდა რუსთაველის თეატრში — ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე კლუბი რომ იყო, დიდი კლუბის შენობა. გარედან კიდევ არა უშავდა, შიგნიდან — უგემოვნო და უხარისხო.

რობერტ სტურუას კაბინეტში წაიკითხავდა „გაყრას“. სტურუასა და ანთაძესთან ერთად ლილი ფოფხაძეც დაესწრებოდა — სალიტერატურო ნაწილის გამგე. დაღლილები იქნებოდნენ, დილიდან რეპეტიცია ჰქონოდათ. რობერტს ეყვინთებოდ-ეძინებოდა, ეს როგორც შეატყობდა. მიიღებდნენ ჩვეულებრივად, როგორც უნდა მიეღოთ, ისე...

— რაღაც კიდევ გავაკეთოთ.

— გავაკეთოთ, — დაეთანხმებოდა და გაიფიქრებდა რომ: ვისაც პირველწყარო არ ახსოვდა, ვერც მიხვდებოდა, რა სამუშაო ჩატარებულიყო.

დაიწყებდნენ ალბათ, მაგრამ წონა არ ექნებოდა სპექტაკლს, თუკი პირველხარისხოვან მსახიობს არ აიყვანდა. არადა ყველა დაკავებული ეყოლებოდა რობერტ სტურუას.

„ას ერგასის დღის“ დადგმას აპირებდა მიხეილ კვესელავას სამტომიანი მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების მიხედვით და დადგამდა კიდეც. და რეზო გაიფიქრებდა: როგორც ჩანს კაცი დიდხანს არ უნდა გააჩერო ერთ ალაგას, წაიყვანო უნდა და შემდეგ ისევ დააბრუნოო.

არ ეჭაშნიკებოდა, რუსთაველის თეატრი კვლავ რომ გასტროლებზე მიდიოდა — ამაღამ ჩრდილო და ცენტრალურ ამერიკაში. „მეფე ლირის“ დადგმისთვისაც დაენებებინათ თავი.

6 დეკემბერს ელდარი რაღაც ანკეტებს — რაღა რაღაცას! — მოიტანდა შესასწორებლად. საშინელი მოეჩვენებოდა თავისი ფოტო რეზოს: ღმერთმა იცის, როდინდელიაო. „პიერი — მილიციის თანამშრომელი“ მისეულად ეწერებოდა ანკეტაში და წაშლიდა. არადა მართლა უნდა ყოფილიყო წესით თანაავტორი... არაფრით არ იზამდა, გვარს არ დააწერინებდა ტიტრებში. ასე რამდენჯერ მოქცეულიყო...

იპოლიტე ხვიჩია რომ გარდაიცვლებოდა, 1985 წლის 5 იანვარს რეზო პატარა წერილის დაწერას მოინდომებდა და გადაიფიქრებდა. დღიურის რომელიღაც რვეულში — რა ბევრი ეგაააო, ჩაურთავდა — ჩაწერილი ჰქონდა მასზე რაღაც და იმის გადმომღერებას დააპირებდა, მაგრამ გადადებდა: სხვა დროს გავაკეთებო.

მათ ფილმზე ყველა, თითქმის უკლებლივ, ერთსადაიმავეს კითხულობდა:

— როგორ გაუშვეს, როგორ მოხდა რომ გაუშვეს?

16 იანვარს ელდარი გაფრინდებოდა მოსკოვში. დისკუსიას მართავდა მათ სურათზე „ეკრანი“. ბულგარეთში დიდი წარმატებით გასულიყო, უამ-

რავი ქვეყნის წარმომადგენელს ენახა და მიეწვიათ ფესტივალებზე. და ელდარი პასუხად:

— ეს მე არ მეხება, ჩვენს მთავრობასა და კომიტეტს უნდა მიმართოთ.

და უკვირდა და გაკვირვებოდა რეზო ჭეიშვილს:

დავიჯერო, მართლა არ იციან, ეხება თუ არა რეჟისორს, კერძო პირს, პიროვნებას ჩვენში რაიმეო?

18 იანვარს შამათავას, სახელი კინაღამ დაავიწყდებოდა, ოთარი, ოთარ შამათავას სცენარს დაპირდებოდა:

— მარტის შუა რიცხვებში გამომაკითხე.

სხვებს უარს ეტყოდა, მაგრამ ამას თეატრის ცხოვრებაზე უნდოდა და რეზოსაც იმედი მიეცემოდა: ამ თემაზე ალბათ იოლად გავაკეთებო...

და: ამასობაში ელდარიც გამოფხიზლდებაო, — გაიფიქრებდა.

19 იანვარს ელდარი დაურეკავდა მოსკოვიდან:

— იტალიური კინოს სიმპოზიუმია და უნდა ფილმი ვაჩვენო.

16 მარტს ელდარი შინ ესტუმრებოდა, ეიმედებოდა, რომ მაისში რემონტს მორჩებოდა, და მასპინძელს შესთავაზებდა:

— რამე დავიწყოთ.

კიდევ რას შეიტყობდა სტუმრისაგან და:

ჯუმბერ პატიაშვილს — ძალიან მალე აქაპირველი რომ შეიქნებოდა, ედუარდ შევარდნაძის გადაყვანის შემდგომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად — ეთქვა ელდარისათვის:

— ამ გაზაფხულს თუ ამ შემოდგომაზე თქვენი ფილმი ნახა მიხაილ გორბაჩოვმა, ძალიან მოეწონა და: გადაეცით მადლობა ავტორებს გაბედულებისთვისო, — ასე თქვა. ცოლი კიდევ ნახევარი საათი გველაპარაკა ამ ფილმზე...

რაისა გორბაჩოვაზე დღიურში ჩაინიშნავდა რეზო: განათლებული ცოლი ჰყოლიაო.

სხვა რა ხდებოდა ახალი?

არც არაფერი.

მკვდრებს მარხავდნენ.

ცოცხლებს ელოდნენ.

როგორ შემოგვინახავდა ახალი აღთქმა იესო ქრისტეს სიტყვებს მსგავს ვითარებაში?

აცალეთ მკვდრებს, დამარხონ თავიანთი მკვდრებიო.

მსგავსი ვითარება სულაც არ არის?

ზუსტად კი მიესადაგებოდა იმ პოლიტიკურ პროცესებს, რაც წითელ იმპერიაში ხდებოდა.

20 მარტს შეიტყობდა, რომ: მსახიობი გია ფერაძე მოჰკლავდა თავის ცოლს, ჯუნა მიქატაძის ქალიშვილს. დააქცევდა იმ ოჯახს და თავსაც დაიღუპავდა. ესეც თბილისის ბოლო სენსაცია, თუმც ამდაგვარი ამბები სენსაციად უკვე მართლაც აღარ აღიქმებოდა.

თბილისის ხსენება იმ მხრივ დააფიქრებდა, რომ: ეს უკვე დიდი ქალაქი გახლდათ.

უფრო დიდიც გახდებოდა იმ საუკუნის დამდეგისათვის.

შემდეგ უნდა შეეჩერებინათ ზრდა როგორმე.

— თბილისი იქნება, ჩვენ აღარ ვიქნებით.

ამჟამად მისი თაობა ბატონობდა ყველა სფეროში და ერთი ათიოდე წელიწადი ასეც გაგრძელდებოდა კიდევ. ათი წელი კი ათი წამივით, ათი სიზმარივით გაირბენდა... შემდეგ სხვები მოვიდოდნენ და სხვები და სხვები და სხვები და...

1 მარტის დღიურში რომ ჩაინიშნავდა:

ერთი კვირაში რეჟისორი — გვარიც დამავიწყდა და სახელიც — მომაკითხავს... ელდარმაც მთხოვა და იმიტომაც დავპირდი, ვნახოთ, რას მოიტანს... იქნებ გავუკეთო... ყოველ შემთხვევაში უარს ვეღარ ვეტყვიო.

25 მარტს ეს სტრიქონები წაცდებოდა:

ყველაფერი ჩაედინა, რათა წერა არ დაეწყო სცენარისა, რომელსაც რამდენიმე დღეა უტრიალებდა.

28 მარტს შეიტყობდა, რომ:

სამხატვრო საბჭოს მიეღო ჯუღელისა და აბაშიძის სცენარი, სადაც რეზოს გვარიც წერებულიყო თურმე. მონაწილე არ გახლდათ, თუმც კონსულტაციას მართლაც გაუწევდათ.

— შენი გვარიც რომ არ მიგვეწერა, არ მიიღებდნენ, — ასე აუხსნიდნენ თავიანთი მოქმედების მიზეზს.

რევაზ თაბუკაშვილი კარგ ამბავს ჩამოიტანდა. საგანგებოდ რომ შეჰყრიდა თანამშრომლებს და ხელფასების მომატებას დაჰპირდებოდა, მართლაც შეესრულებინა დანაპირები და რეზოს სხვა რა ეთქვა გახარებულს: ააშენა ღმერთმაო!..

თვითონ მისი სეხნია პარიზში მიემგზავრებოდა კალისტრატე სალიას არქივის ჩამოსატანად... გემების გაგზავნ-გამოგზავნითა და რეზოსათვის გაუგებარი საქმიანობით იქნებოდა დაკავებული და ჩქარობდა. და ამას დაუბარებდა:

— მაისის ბოლომდე ვერ ჩამოვალ და მიხედე აქაურობას.

გუშინვე ძველ სტუდიაში შეივლიდა, არქივში ექნებოდა საქმე და თავიანთ ძველ სამყოფელში გაივლ-გამოივლიდა. ძალიან პატარა მოეჩვენებოდა.

„როგორ ვეტეოდით ამდენი ხალხი?!“

იქ გაივლიდა მისი ცხოვრების საუკეთესო წლები.

მართლაც დიდი ჟრიამული იდგებოდა იმ დერეფანში:

მსახიობები, რეჟისორები, მწერლები, მოხალისეები, უსაქმურები, გამვლელ-გამომვლელნი.

იმჟამად სიცარიელე სუფევდა... და სიცარიელე აპატარავებდა მართლაც შენობას და სივრცესაც ალბათ...

არქივის პავილიონი ერთ-ერთ შენობაში გადაეტანათ და იქ შევიდოდა. დახვდებოდა ქალი, რომელიც 20-25 წლის წინათაც აქ მუშაობდა. შეცვლილადაც არ მოეჩვენებოდა. ისიც იცნობდა, მხოლოდ გვარს ვერ გაიხსენებდა რეზოსას, როგორც ეს მიხვდებოდა.

ნოდარ დუმბაძეზე პატარა მოგონება დაეწერა ნანულის თხოვნით, და თარიღების დაზუსტება ენდომებოდა: რომელ წლებში და ვინ და ვინ მუშაობდნენ ერთად, აინტერესებდა.

— სასცენაროს მასალები ჩავაბარე ცენტრალურ არქივს, — ეთქვა გველუკაშვილს.

კადრების საბუთებს ნახავდა და ნოდარის მუშაობის წლებს დაადგენდა: მოსულიყო 1962-ში და წასულიყო 1965 წლის იანვრის თვეში, თუ არ ცდებოდა. თითქმის სამი წელი ემსახურათ ერთად.

გაიხსენებდა იმ წლებს და გულს ნაღველი შემოაწვებოდა. მოგონებები მიემატებოდა მოგონებებს, წარსულის სურათები — წარსულის სურათებს, ლანდები — ლანდებს...

სპარტაკ ბაღაშვილი წინ გაწვდილი ხელით, თვალებმოჭუტული, ხავილით მომავალი, მიხეილ ჭიაურელის ოთახში შემოსული მოსალმებამდე იწყებდა ლაპარაკს, შლაპასა და ჩინურ პლაშჩს მიაკიდებდა არარსებულ ლურსმანს კედელზე, და ძირს რომ დაცვივდებოდა ერთიც და მეორეც, შენ უნდა აგელო...

ფრთხილად მომავალი, აკურატულად კი არა, სოლიდურად ჩაცმული დავით რონდელი.

შოთა მანაგაძე — მუდამ უკმაყოფილო, ტრაბახითა და წუწუნით მოლაპარაკე.

კონსტანტინე პიპინაშვილი — უმიზეზოდ მომღიმარი, ენერგიული.

სერგო ზაქარიძე.

მიხეილ კვესელავა — სახეზე წამოწითლებული, ხარის ქუდითა და ლილისფერი თვალებით.

ოთარ კუპრავა, გურამ ასათიანი, თამაზ მელიავა... ედიშერ ყიფიანი.

ოთარ რაზმაძე — მთვრალი და გაშეშებული. ქუჩაშიც შეშდებოდა ხანდახან და ტანზე ხდიდნენ იმ დროს.

მიხეილ მგალობლიშვილი.

1936 და განსაკუთრებით 1937 წელს მეტად რომ გახშირდებოდა პასუხისმგებელ მუშაკთა დაპატიმრება, როგორც ხალხის მტრებისა, პირადად მიხეილიც და მისი ნაცნობ-მეგობრებიც მიიჩნევდნენ, რომ ყველაფერი ეს სამართლიანი უნდა ყოფილიყო, რადგანაც უდავოდ აღიარებულიყო, რომ: შინსახკომი მხოლოდ მაშინ აპატიმრებდა კაცს, როცა საქმე საბოლოოდ გამოძიებული და ბრალდებაც დამტკიცებული გახლდათ. ასე სჯეროდათ, ასე სწამდათ. ბევრ ახლო ნაცნობს დააპატიმრებდნენ, რომლებზედაც ძნელად დაიჯერებდი ასეთ ბრალდებას, მაგრამ ამბობდნენ:

— ალბათ იყო, ძმაო, გარეული რაიმეში, აბა ტყუილად ხომ არ დაიჭერდნენ, ვის უნდა აინტერესებდეს ეს?

მაგრამ როდესაც ვალიკო ბოკუჩავასაც დაიჭერდნენ, მაშინ უკვე დაეჭვდებოდა მიხეილი მასობრივი რეპრესიების სიმართლეში და იტყოდა: ხალხის ტყუილად დაპატიმრება დაუწყიათ და შეიძლება მეც დამაპატიმრონო.

როგორც საკუთარ თავში, ისე იქნებოდა დარწმუნებული ვალიკოს პატიოსნებასა და უდანაშაულობაში. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლო-

ბაში ამ სამ კაცს — მიხეილს, ვალიკოსა და ბორია გორდელაძეს — ცალცალკე არც ეფიქრათ და არც ესადილათ, მგონი ჩაისაც ერთად სვამდნენ, და თუ ვალიკო რაიმეში შეიძლება ყოფილიყო გარეული, მიხეილიც იქ უნდა ყოფილიყო ისე, რომ თვითონაც არ ეცოდინებოდა.

რას განაცხადებდა კარლ რადეკი საჩვენებელ სასამართლო პროცესზე?

— მე მეცოდებიან ის მილიონები, რომლებიც ჩვენთან იყვნენ და ამის შესახებ ზოგჯერ თვითონაც არ იცოდნენ.

„ალბათ ჩვენც ამ მილიონებში ვართ".

აღმოჩნდებოდა, რომ ბორია გორდელაძეც წუხელ დაეპატიმრებინათ და ამის შეტყობა მიხეილს სულმთლად შეშლიდა. ბოლო ხანებში მას ისე დაიახლოვებდა ლავრენტი ბერია, სულ ერთად იქნებოდნენ: თეატრში თუ სხვა საზოგადოებრივ ადგილას, სახლში ბილიარდს თამაშობდნენ და ხალხი უკვე ალაპარაკდებოდა: გორდელაძემ მერკუროვი გამოთიშაო... და ამ დროს დაპატიმრება და ისიც — მიხეილს ეჭვიც არ ეპარებოდა — სრულიად მართალი და იშვიათად გულწრფელი კომუნისტისა, თავდადებული, პარტიის საოცრად ერთგული ყოფილი მუშის, პარტიის მიერ გაზრდილი კაცის...

არა, აქ რაღაც ყველაფერი არ არის თავის ადგილზეო, — სხვა რაღა შეიძლება ეფიქრა მიხეილ მგალობლიშვილს, რომელიც ამის შემდეგ რამდენიმე თვე შიშში იქნებოდა: აი და აჰა მეც უსათუოდ მომადგებიანო, — და დასტა ორდერებით ხელში რომ დაუკაკუნებდნენ კარს, კიდეც ამოჰყოფდა თავს ორთაჭალის ციხეში, სადაც საკანში მყოფი უფრო გამოცდილი ამხანაგები აუხსნიდნენ, რომ: არავინ არავითარ კონკრეტულ ბრალდებას არ წაუყენებდა. უნდა ეპასუხა ორ კითხვაზე: ვის ჩაება იგი კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში და თვითონ ვინ ჩაება.

კონტრრევოლუციის წევრი რომ იყავი, ეს თავიდანვე დამტკიცებულად მიიჩნეოდა. ბევრიც მოხვდებოდა, ვიდრე დამაკმაყოფილებელ პასუხს არ ამოართმევდნენ. როდესაც ამ კითხვებზე პასუხს გასცემდი და პიროვნებებსაც დაასახელებდი, მერე თვითონვე მოჰყვებოდი, რა მავნებლური საქმეებიც გეკეთებინა. ზოგიერთი რამის შეთხზვაში ისინიც დაგეხმარებოდნენ, მაგრამ ძირითადად ყველაფერი მაინც შენვე უნდა მოგეყოლა.

— სცადე, უდანაშაულო ხალხი არ ჩაყარო ტყუილუბრალოდ, — ეტყოდნენ ვალოდია გელაშვილიც, დათიკო ტაბიძეც, მიხაკო ჩხენკელიც და სხვებიც — ვიდრე შეძლო, გაუძელი რეპრესიებს, როცა აღარ შეგეძლება, ეცადე, რაც შეიძლება ნაკლები ხალხი შეიწირო, — ცრემლებით გააცილებდნენ... და მერე აღარც აღარასოდეს შეხვდებოდნენ...

ციხე-კატორღაგამოვლილი კინოსტუდია „ქართულ ფილმში" ერთხანს კვლავ მთავარ რედაქტორად იმუშავებდა, შემდეგ კი სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელ მდივნად გადაიყვანდნენ და სიცოცხლის ბოლომდე ამ თანამდებობას შერჩებოდა.

1963 წელს დაწერილ სტატიაში „ქართული ფილმი" ახალ ეტაპზე" ნიჭიერ ახალგაზრდა მწერლებს როდესაც ჩამოთვლიდა, პირველივე ნაბიჯებით რომ მოიტანდნენ ლიტერატურაში ცინცხალ ნაკადს და ყურადღებასაც მი-

იპყრობდნენ, და აგერ კინოსცენარებიც შეექმნათ, ამ სიაში რასაკვირველია რეზო ჭეიშვილიც მოხვდებოდა.

ხოლო როდესაც — ეს უკვე 1966 წელს — დაწერდა დასკვნას სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის — „ჩემი მეგობარი ნოდარი“ — სცენარზე, აღნიშნავდა, რომ:

გმირების სულიერი სამყარო დამაჯერებლად და მართლად გამოიყურებოდა.

სცენარში შემოყვანილი ახალი პერსონაჟი, მოხუცი მეცნიერი პეტრე ჭაბუკიანი თითქოს სიმბოლურ ძაფს ავლებდა ამ ქალაქის — აიას ანუ ქუთაისის — წარსულსა და დღევანდელობას შორის. ჭაბუკიანის სახით ავტორები ახალგაზრდებს შეახსენებდნენ რომ თავიანთ წინაპართა ღირსეული მემკვიდრენი უნდა ყოფილიყვნენ.

საგანგებოდ აღინიშნებოდა, რომ:

სცენარში იგრძნობოდა ეროვნული თავისთავადობით შეფერილი თბილი იუმორის ნაკადი, რომელიც ლირიკულ და სევდიან მოტივებთანაც კი მეზობლობდა და საერთო დამაჯერებელ ემოციურ ტონალობასთან შერწყმით თავისებური მშვენიერება შემოჰქონდა. და ეს კი საშუალებას იძლეოდა ფილმის ჟანრი ლირიკულ კომედიად განსაზღვრულიყო.

სცენარის დიალოგები გამოირჩეოდა სიცოცხლით, კოლორიტულობითა და სახეობრიობით.

და ყოველივე ამის გათვალისწინებით კოლეგია მიიჩნევდა, რომ:

სცენარი „ჩემი მეგობარი ნოდარი“ („ქალაქში დინოზავრები დადიან“) კარგი ლიტერატურული საფუძველი გახლდათ მომავალი ფილმისათვის, და რეკომენდაციას უწევდა მის ჩაშვებას სარეჟისორო ეტაპზე.

1988 წლის 16 მარტის დღიურში აღნიშნავდა, რომ:

მიხეილ მგალობლიშვილის მემუარული თხზულება „1937 წელი“ ქვეყნდებოდა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე. ინტერესით კითხულობდნენ, მაგრამ: რა საჭირო იყოო, — იძახდნენ ზოგიერთები. ქალებს არ მოეწონებოდათ, და ამ ფაქტს ასახსნელად მიიჩნევდა რეზო ჭეიშვილი, იმათ უკმაყოფილებას: მხატვრული არაა, ასეთი უნიჭობა ვის სჭირდებაო...

რაც იქ მოთხრობილიყო, რეზოს ყველაფერი დაწვრილებით ეცოდინებოდა, დეტალურად ემახსოვრებოდა ყოფილი კატორღელის ზეპირი ნაამბობებიდან. რა გამორჩენილიყო და გამოტოვებულიყო, იმასაც ხედავდა.

დღეს ოტია იოსელიანი ესტუმრებოდა და გაიხსენებდნენ ბატონ მიშას: რას იფიქრებდა, როგორ წარმოიდგენდა, თუ ოდესმე, მითუმეტეს ასე მალე გამოქვეყნდებოდა ეს ჩანაწერებიო...

ვასო ჩორგოლაშვილი ხომ ეგ გახლდათ!..

რეზოს ეს არ ეთქვა, არ გაემჟღავნებინა, არც აშკარად მიემსგავსებინა, მაგრამ მიხვდებოდნენ:

— ეს ხომ ძია მიშაა!..

არც არავის დაეთანხმებოდა, არც უარყოფდა...

კოლორიტულ პერსონაჟად გამოიკვეთებოდა „დაუმთავრებელი“ რომანის ფურცლებზე, სცენარსა და კინოფილმში კი სულაც კომპოზიციურ ჩარჩოს შექმნიდა — დაწყებითაც მისით დაიწყებოდა და დამთავრებითაც მისით დამთავრდებოდა სიუჟეტური ქარგა: მისი წუხილით, უნიჭო მხატვრისა და ისიც ასლი „გრენლანდია“ ვერაფრისდიდებით რომ ვერ გაეტანინებინა ამ ოთახიდან, და მისი გმინვით, სასომიხდილით, ვერც ვერასოდეს რომ ვერ მიაღწევდა მის გატანას.

სწორედაც ის უნდა მდგარიყო ღრმა სიმბოლური მინიშნების — სრული უმწეობისა და ამაოების შეგრძნების — შუაგულში.

ვინღა დარჩენილიყო ახლა იმ თაობიდან?

ნიკოლოზ სანიშვილი მხოლოდ...

ლევან (ლელიკო) ხოტივარიც...

რამდენს ვერ იხსენებდა... არც სურდა გაეხსენებინა...

3 აპრილს ელდარ შენგელაიას მიაკითხავდა. გულს შემოეტია და იწვებოდა... გვიანობამდე ისაუბრებდნენ, სცენარის რაღაც არაკს — საგულისხმო ამბის აგება, დიდი კუდის გამობმა შეიძლებოდა — მოხაზავდნენ. უნდა ჩაეწერა, რომ არ დავიწყებოდა.

თენგიზ ვაჩნაძე და მისი მეუღლე დახვდებოდნენ იქ.

შემდეგ გიორგი შენგელაია და მისი პატარა ცოლი მოვიდოდნენ, შემდეგ დედინაცვალზე უფროსი ნიკუშა შემოვიდოდა, გიორგის ვაჟი.

უცნაური მოეჩვენებდა რეზოს: მე და ჩემმა ღმერთმაო, — ესეც წაცდებოდა, როდესაც მისი წიგნების სათაურებს დაიწერდა გიორგი:

— უნდა ვნახო, ერლომ ახვლედიანი აქებს ნამეტანი.

მწერლისაგან მწერლის ქება რა გასაკვირველი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რეზო არ ელოდა და გაეხარდებოდა კიდეც.

ელდარი სირიასა და ეგვიპტეში მიემგზავრებოდა „ცისფერი მთებითურთ“. ფესტივალზე არ უშვებდნენ, ყადაღა დაედოთ ამ ფილმისათვის: მხოლოდ შიდამოხმარებისათვისო.

— მაგრად უნდა ველაპარაკო ერმაშს, — დაიქადნიდა სტუმრებთან, — გორბაჩოვიც უნდა ვახსენო, ჩვენსას უკვე ვუთხარი...

ედუარდ შევარდნაძესთან უკვე მოესწრო დაჩივლება.

მაგრამ წასვლა რომ არ მოუხერხდებოდა, 9 აპრილის დღიური გვამცნობდა.

ახლა საავადმყოფოში იწვებოდა, „ლეჩკომბინატში“, არც მთლად უსაფუძვლოდ ალბათ, თუმცაღა არც არაფერი სჭირდა რეზოს შეტყობით.

გუშინ საღამოს მიაკითხავდა და ოთარ მეღვინეთუხუცესი ჩაასწრებდა ფეხად. დაემტკიცებინათ „დონ კიხოტზე“, ოღონდ ორივეს — სერვანტესაც და დონ კიხოტსაც — ითამაშებდა თუ არა, არ ეცოდინებოდა. ერთი — სერვანტესი — შესაძლოა კახი კავსაძეს ეთამაშა.

შესაფერის კანდიდატურად მიიჩნევდა რეზო, აქ — საქართველოსა თუ რუსეთში — უკეთესს ვერც ხედავდა, მაგრამ ფილმი არ შედგებოდა მისი ვარაუდით, რადგანაც: რევაზ ჩხეიძის შესაძლებლობები ამ დონეს, „დონ კიხოტისას“, არ ითვალისწინებდა.

თუმც თავისთვის გუნებაში იმედს მაინც არ გადაიწურავდა:

ვნახოთ, იქნებ მოხდეს სასწაული.

გუშინვე — ალბათ ამასთან დაკავშირებით — გაახსენდებოდა დავით რონდელი. ეგონა: „პიერი — მილიციის თანამშრომელს“ — კარგად გააკეთებს... ძლიერ შესაფერისი სცენარი იშოვნაო. არ გამოვიდოდა.

შემდეგ თავის სცენარზე — „ჩემი მეგობარი ნოდარი“ — დაამყარებდა იმედს გულუბრყვილოდ. იმას უფრო ქართულად, ქუთაისურად, რონდელის შესაფერისად მიიჩნევდა. ეტყოდა კიდეც სუფრაზე:

— ეს ყოფილიყოს თქვენი „დაბრუნებული სამოთხე“.

„დაკარგულიდან“ „დაბრუნებამდე“ დაულოცავდა გზას. და არც ის რომ არ გამოვიდოდა, რეზო ჩაიქნევდა ხელს და „დაკარგული სამოთხის“ რონდელისეული სიდიადე ისევე საიდუმლოდ დარჩებოდა მისთვის.

შემდეგ მოვიდოდა გიორგი ანდრონიკაშვილი. მანამდე რეზო პეტრე გილაშვილს მოჰკრავდა თვალს, კატასავით ფრთხილად რომ გაუხვევდა სხვაგან. გოგი თენგიზ აბულაძის ფილმს აქებდა და ადიდებდა, „მონანიებას“.

— ედუარდსაც მოეწონა, ავთანდილ მახარაძე გადასარევია. ახლა ვფიქრობთ, როგორ გავუშვათ ეკრანზე.

რეზოს გაეხარდებოდა, ასე რომ წუხდნენ და აზროვნებდნენ ცენტრალურ კომიტეტში.

გიორგი შენგელაიაც რომ მოვიდოდა, ანდრონიკაშვილი იტყოდა:

— გიორგის ფილმი ჯერ ვერ გავა ფერაძის გამო... შემდეგ ვნახავთ.

იგულისხმებოდა „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, რომელშიც გია ფერაძე ლეკო თათაშელის როლს თამაშობდა, პატიმრის გამოჩენა ეკრანზე კი — საბჭოთა მოთხოვნების თანახმად — ყოვლად წარმოუდგენელი გახლდათ. და რეზოც თავისთვის ივარაუდებდა: კარგა ხანი დაჭირდებათ ცდაო.

რევაზ ჩხეიძის ქალიშვილსაც ახსენებდნენ, თამარს.

31 დეკემბერს დაებარებინა ალექსის ინაურის, უშიშროების შეფის, მოადგილეს, რეჟისორი და შეეხვედრებინა ქალიშვილისათვის.

წინასწარ ეტყოდა:

— დაწეროს ორი სიტყვა: შემიკვეცეთ სასჯელიო. პატიებასაც ნუ ჩაწერს: გთხოვთ შემიკვეცოთო. და ახლავე წამოვა შინ.

ამასაც არ დაწერდა თამარი:

— მე არაფერში არა ვარ დამნაშავე და რატომ უნდა დავწერო?!.

რევაზ ჩხეიძეს ეთქვა:

— ჩემს ბოლო ფილმს ვიღებ...

მართლაც სადიზმი გახლდათ მამა-შვილის შეხვედრა ახალწლის წინა ღამეს.

პოსტსკრიპტუმში იმასაც აღნიშნავდა, კინოსტუდიაში მათ განყოფილებას ორი ახალი წევრი რომ შეემატებოდა: ირაკლი სამსონაძე და შადიმან შამანაძე, და დასძენდა:

— დავიმახსოვროთ ეს გვარ-სახელები.

11 მარტს მოინახულებდა ოთარ შამათავა და მომავალ სცენარზე შედგებოდა პირველი საუბარი... არ ეიმედებოდა რეზოს და, რაღაცას კი მოხა-

ზავდნენ. გმირს დაიჭერდნენ თითქოს და მთავარიც ეს გახლდათ. კუკური ლომთათიძე — ეს იყო მხოლოდ.

დასაწყისისათვის არა უშავსო, — ამაზე იტყოდნენ ხოლმე.

16 მარტს წაიკითხავდა კარლო გოცის „ტურანდოტს". გაიხსენებდა ვახტანგოველთა წარმოდგენას და ახლა მიხვდებოდა, რომ: სწორად დაედგათ...

რამდენი სითბო და გულუბრყვილობა იყო მართლაც შიგ.

17 აპრილს გვიანობაზე მაინც წაიმუშავებდა სცენარზე: ახრჩობდა თითქოს.

21 აპრილს კიდეც დაამთავრებდა „ტურანდოტის" სცენარს შავად. მეორე დღეს გადმოიღებდა გადათეთრებულ „მეოთხე სიმფონიას" და გადაათვალიერებდა. 27 თებერვალს დაემთავრებინა და... აქამდე გადამალული ექნებოდა... ორი თვე დაესვენებინა და ორ დღესაც მიუმატებდა... თუ ადიგენში არ წავიდოდა, გადაბეჭდავდა „ტურანდოტს" შავად და... შემდეგ მოთხრობები, საწიგნე მასალა, წიგნი და... მერე დასვენების ნებაც ქე ექნებოდა...

26 აპრილს ელდარი დაურეკავდა. დღეს შეეტყობინებინათ, რომ მათი სურათი, თანაც ქართული ასლი, კანში წაეღოთ... ფრანგებს გაეთხოვათ. მართალია საკონკურსოდ არ მიეცათ, მაგრამ საჩვენებლად გაეტანებინათ. ამ ცნობას გაეხალისებინა რეჟისორი:

— მთელი მსოფლიოს სპეციალისტები ნახავენ, ეს ჩვენება საკონკურსოზე უფრო პრესტიჟულია, ვნახოთ, რა მოხდება.

რაც მომხდარიყო, ეს უკვე თავისთავად კარგი გახლდათ. წინა დღეს ფიქრობდა სხვათა შორის რეზო: რატომ არსად მიაქვთ, რატომ არაფერი ისმისო?!.

და დღეს ამ სასიხარულო ამბავს შეიტყობდა.

ხვალიდან „ტურანდოტის" შავად გადაბეჭდვას ჩაითქვამდა...

5 მაისამდე კიდეც მოათავებდა.

კინოსტუდიაში რევაზ ჩხეიძეს შეხვდებოდა, გადაღებაზე შედიოდა პავილიონში.

— დიდი ხანია არ მინახიხარ, — ის რომ ეტყოდა, ეს თქვენობით მიმართავდა.

კონტაქტს ვერ ვამყარებო, — არ უჯდებოდა ჭკუაში.

ვერც ადრე ამყარებდა.

14 მაისს ოთარ შამათავა მიაკითხავდა და კარლო გოცის სქელ წიგნს წაიღებდა.

— რას იფიქრებდა გოცი, — ეტყოდა რეზო, — რომ რამდენიმე საუკუნის შემდეგ საქართველოში „ტურანდოტს" ამოქექავდნენ კინოფილმისათვის.

კარლო გოცი კი არა, „დონ კიხოტის" საქმე ეჩვენებოდა მართლა უცნაურად. არამცთუ სერვანტესი, ნათელმხილველიც ვერ წარმოიდგენდა, საქართველოში თუ შეუდგებოდნენ ამ წიგნის ეკრანიზებას ცხრა სერიად.

27 მაისს „ტურანდოტს" გააცნობდა თავისი სახელოსნოს სტუდიაში. ნახავდა ელდარსა და სხვებს.

5 ივნისს დაიწყებდა „ტურანდოტის" ბეჭდვას — ნელად და მძიმედ. იღლებოდა, დატვირთვას ვეღარ უძლებდა.

მათი გაერთიანება ილიაზე წერდა სცენარს, ესეც ერთი მონაწილე უნდა ყოფილიყო, მაგრამ რაღაცნაირად — მხოლოდ ამ ეტაპზე — დაიძვრენდა თავს... ერთი სცენარიც ექნებოდა დასაწერი და კიდევ რაიმე თუ არ გამოტყვრებოდა — ძალიან რთული — გეგმაც გაესრულებინა იქნებ.

8 ივნისს ბეჭდავდა „ტურანდოტს“ უგულოდ, უხალისოდ. ორშაბათისათვის დაესრულებინა იქნებ როგორმე...

12 ივნისს „ტურანდოტს“ ჩააბარებდა და რუსთაველის თეატრიდან შეახსენებდნენ ისევ თავს. „გაყრა“ ამოტივტივდებოდა.

— რაღაც-რაღაცები გვინდა გავაკეთოთ.

— ჯერ თქვენ შეთანხმდით და შემდეგ დამიკავშირდით, — ეს განუცხადებდათ.

მიიღებდნენ „ტურანდოტს“ და სამხატვრო საბჭოსათვის გაამზადებდნენ, გაამრავლებდნენ. ეს შენიშნავდა, რომ: წაეკითხათ და მოსწონებოდათ.

— „ცისფერ მთებს“ ჰგავს, — იტყოდნენ.

სტილისტურად მართლაც ჰგავდა და რეზო გაიხარებდა:

ახალი სტილი მკვიდრდება და კარგია, გაიგო მაყურებელმა ჩემი ირონია და გაორებული ადამიანის ფსიქოლოგიაც ნანილობრივო.

მკითხველს უფრო ადრე გაეგო, ნამდვილ მკითხველს, იმთავითვე რომ აჰყვებოდა რეზო ჭეიშვილის ორიგინალურ ძიებებს და ირონიის, პაროდიის, სატირის, გროტესკის იმ ნაკადსაც იგრძნობდა, ჯერ მაინც მკრთალად რომ მოჩანდა და შიგადაშიგ იელვებდა, ვიდრე ერთ მთლიანაობად გამოიკვეთებოდა და მწერალი კიდეც მოინდომებდა იმ საზღვრის გადაბიჯებას, რომლის იქითაც სხვა განზომილება იწყებოდა, ის დიდი პროზა, რომელზეც მანამდე თუ ფრთხილად შეიძლებოდა ლაპარაკი, ახლა უკვე დაბეჯითებით ითქმოდა — უდავოდ და უთუმცაოდ.

არამცთუ გაიგებდა მკითხველი, შეითვისებდა და შეისისხლხორცებდა რეზო ჭეიშვილის ირონიასაც, გროტესკ-სატირიანად, და გაორებული ადამიანის ფსიქოლოგიასაც.

უკვე მაყურებლის დროც დამდგარიყო.

და ისიც მიმხვდარიყო.

და კიდეც მოიპოვებდა „ცისფერი მთები“ იმ გამოხმაურებას, რაც ასეთიგად ეიმედებოდა მწერალს, თუკი სცენარი შესაფერისადაც ამეტყველდებოდა კინემატოგრაფიულ ენაზე.

9 ივლისს პავლე ჩარკვიანი გაუმჟღავნებდა:

— „ჭა“ მინდა გადავიღო.

— დაწერე და გადაიღე, — საწინააღმდეგო ანკი რა უნდა ჰქონოდა, თუმც სცენარის დანერას მასვე მიანდობდა.

27 ივნისს იმედს გამოთქვამდა, რომ:

ოთხშაბათს სამხატვრო საბჭოს სხდომა რომ უნდა გამართულიყო, „ტურანდოტს“ მიიღებდნენ ალბათ.

9 სექტემბერს პიესას — „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი“ — დაუტოვებდა ოთარ მეღვინეთუხუცესს. ჩამოსული უნდა ყოფილიყო უკვე·

ელოდა ზარს, ის კი არა რეკავდა. შეუძლებელი იყო არ მოსწონებოდა — წესით... იმას კი არა, რეზო ჭეიშვილს მოსწონდა თვითონ.

სტუდიას მიაკითხავდა და: არც არავინ და არც არაფერი დახვდებოდა ახალი.

10 ოქტომბერს ელდარს დაელაპარაკებოდა და:

— არ მოგვცემენ პრემიას, იმედი არა მაქვს.

ამას ცუდად ენიშნებოდა.

მაგრამ 23 ოქტომბერი სულ სხვას ამცნობდა:

პრემიას აძლევდნენ მგონი. ხელმოსაწერად შეეტანათ ხელმწიფესთან. 2 ნოემბერს ოფიციალურადაც გამოქვეყნდებოდა.

არადა: 1 ნოემბერს უკვე მოულოცავდნენ ოფიციალურად.

თერჯოლაში იქნებოდნენ 2 ნოემბერს მიპატიჟებულნი. „ცისფერი მთებიც" უნდა ეჩვენებინათ თურმე. ელდარი ერევანში წასულიყო. და რეზოს ცნობისწადილი არ ასვენებდა: რა ისმის მოსკოვიდანო.

6 ნოემბერს „ვრემიაში" აჩვენებდნენ და მიულოცავდნენ... და დაიწყებოდა მოლოცვები ტელეფონით ინტენსიურად და უცებ მიწყდებოდა...

ელდარი დაურეკავდა: მივდივარ მოსკოვს, სირიაში, მგონი აბისინიაში და რატომღაც — სვერდლოვშიო.

7 ნოემბერს რუსთაველის თეატრში ნახავდა რობერტ სტურუას ახალ სპექტაკლს „ას ერგასის დღე" — კარგი იყო თითქოს, მაგრამ ბოლომდე კარგიც ვერა. არც იქით და არც აქეთო, რომ ითქმოდა, ისეთი. თითქოს გადაჩვეოდა როგორც ჩანს თეატრს. პრინციპში ალბათ საჭირო სპექტაკლი გახლდათ, თუმც არაფერი ბოლომდე — ბოლომდე ვინ მიგიშვებსო, ამჯერადაც კვნესასავით აღმოხდებოდა — ნათქვამი არ იქნებოდა. მოეწონებოდა რამაზ ჩხიკვაძეც, კახი კავსაძეც, სხვებიც...

21 ნოემბრის ჩანაწერი აღბეჭდავდა, როგორ ესტუმრებოდა გუშინღამ გურანდა გაბუნია, ოთარ მეღვინეთუხუცესის ცოლი, ქალიშვილითურთ, და მოულოდნელად როგორ მოვიდოდა ქირურგი ქოიავაც — გუბაზს ოპერაციას ვინც გაუკეთებდა — ცოლთან ერთად.

რეზო და ოთარ შამათავა მუშაობას აპირებდნენ, მაგრამ აბა როგორღა შეძლებდნენ. ოთარი გამოემშვიდობებოდა და ესენი ჩაიზე შეიქცევდნენ თავს. გაჭირვებაზე ილაპარაკებდნენ.

— შარშან საახალწლოდ ვიღაც კახელმა მეღვინემ ბევრი საჭმელი და ღვინო მოგვიტანა, — მოჰყვებოდა გურანდა.

ერთი გოგონა ჰყავდათ და თვითონ — წამყვანი არტისტები — მუშაობდნენ თეატრში, კინოში და წესით თავზე უნდა გადასვლოდათ ხელფასი. „დათა თუთაშხია" რომ გადიოდა, მოსკოვი პარალიზებული ყოფილიყო თურმე იმ დროს. ყველა ტელევიზორებისაკენ გარბოდა და ამ მრავალსერიანი კინოსურათის მთავარი როლის შემსრულებელს მართლაც რატომ არ უნდა ჰქონოდა სამყოფი ფული?!. ანდა ქირურგი სხვას რატომ უნდა შესჩერებოდა ხელებში?!..თითქოს ყოველდღე რომ აკეთებდა კუჭის ოპერაციას, რეზოს იქ ყოფნისას, ზოგი აძლევდა ფულს და ზოგიც — არა, ზოგიერთისა-

გან არ აიღებდა. აგერ რეზო გადააკვდებოდა, მაგრამ არაფრისდიდებით არ გამოართმევდა.

— ხელფასს ზევით 400-500 მანეთი მრჩება, — იტყოდა ბოლოს, როდესაც გაშინაურდებოდნენ.

ოთარს 3000 მანეთი რომ უნდა აეღო რეზო-ელდარის ფილმში — შადურის როლს ასრულებდა — გურანდას ის თანხა უკვე გადანაწილებული ექნებოდა:

— საწყალმა არც იცის, ის ფული რომ დახარჯულია.

28 ნოემბრის ჩანაწერი ელდარის ფათერაკს გვამცნობდა, სირიაში ჩემოდანს რომ დაჰკარგავდა და დედისერთა კოსტიუმსაც მასთან ერთად. მოინახულებდა ლევან საღარაძეს, მილიონერს, რომელიც... კალმისტარს აჩუქებდა — ეგ იქნებოდა და ეგ. იქიდან გაემგზავრებოდა სვერდლოვში. 29 ნოემბერს ეპირებოდა წალენჯიხაში და მისუკან მოსკოვში, სადაც რეზოც უნდა წასულიყო. კოსტიუმი კი ორივეს, საკრემლე კოსტიუმი, საყიდელი ექნებოდა...

არც ადრე ენდომებოდა წასვლა და არც ახლა. არადა აუცილებლად უნდა გამგზავრებულიყო. წავიდოდა, რაც იქნებოდა, იქნებოდა. ამდენი საქმე ერთდროულად ალბათ ჯერ არ დაგროვებოდა. ბევრი დაყროდა თავზე და... ვერცერთს ვერ აკეთებდა.

მოვიდოდა ბულგარეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოსალოცი ტელეგრამა, რატომღაც სხვა მისამართით გამოგზავნილი. ვინ მოიტანდა და როგორ, საიდან ეცოდინებოდა. ეტყობა ამ პრემიას რაღაც მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც მწერალთა კავშირი არ შეეხმიანებოდა და არც თავი-თავი მწერლები შემოჰყურებდნენ კარგი თვალით...

12 დეკემბერს რეზო ესაძე შეხვდებოდა ჭყონიას პანაშვიდზე. ეს აღარ დაიცდიდა, თორემ ის კამათს დაუწყებდა.

— ფინალი ჩაგიტკბილებია, — ეტყოდა რეზო თავის სეხნიას და იმას — რა გასააკვირია — არ ესიამოვნებოდა.

— პირიქითაა, — დაუძახებდა რამდენჯერმე.

პირიქით რატომღა იყო, ამას ვერ გაიგებდა. არადა მართლაც ჩატკბილულად აღიქმებოდა. მიჩათლახებული ცხოვრება სურდა ეჩვენებინა და აღწევდა კიდეც ამ მიზანს ნაწილობრივ. მოსკოვი კი ამ სურათში მხოლოდ ქართველთა სიგლახეს, სიმხეცესა და სიპირუტყვეს დაინახავდა და არა წყობის კრიტიკას. ამიტომაც გაუშვებდნენ ეკრანებზე რეზო ესაძის ამ ფილმს, ამაში ეჭვიც არ შეეპარებოდა რეზო ჭეიშვილს.

ქართველები მადლობას ეტყოდნენ, მთავრობა არ მოუწონებდა, თვით სურათიც თავფინალმოუბმელი გამოდგებოდა. ისედაც... გადაჭარბებულ-გაზვიადებულიც.

გაზვიადებული მხატვრული ხერხის, თუნდ გროტესკის თვალსაზრისით კი არა, სინამდვილის ჩვენების პრეტენზიით. ეს კი ცუდი გახლდათ. არა, ადგილები ძალიანაც მოეწონებოდა და შიგადაშიგ გულითაც იცინებდა...

რევაზ თაბუკაშვილის ფილმს ნახავდნენ 17 დეკემბერს ფილარმონიის დიდ დარბაზში. მოეწონებოდათ. შემდეგ კი — ჩვეულებისამებრ — გაიმართებოდა თაბუკაშვილისეული ფინალური აკორდი: შეჯამება-შეფასება და

— გინდა თუ არ გინდა — სიტყვის თქმა. გამოვიდოდნენ: მარიკა ლორთქიფანიძე, ვახტანგ ბერიძე, ავლიპ ზურაბიშვილი. შემდგომ — იოსებ მეგრელიძე და მზექალა შანიძე. ჯუმბერ პატიაშვილიც იქ ყოფილიყო, თუმც დღიურის ავტორს არ დაუნახავს. და ეტყოდა ფილმის ავტორს ერთგვარი საყვედურით აქაპირველი:

— ეს ნამეტანია.

და პატიაშვილის ამ საყვედურის გამო შეწუხებული დახვდებოდა მეორე დღეს რევაზ თაბუკაშვილი სტუდიაში მისულ მის სეხნიას, რომელიც ასევე არ მოუწონებდა იმ დაუსრულებელ მისალმებებათა ნაკადს:

— ნამეტანი გამოვიდა, არ იყო საჭირო ამდენი გამოსვლა.

თავს დაუქნევდა:

— მართალი ხარ.

იქ ეს მეტს აღარას ეტყოდა, დღიურში კი ჩაიწერდა:

კარგია ეს ფილმი, ღორებს უნდა აჩვენო ძირითადად. რა შუაშია ძირითადად? ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს ღორები შეადგენენ ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. იმათ უნდა ნახონ რასაკვირველია.

არადა იშვიათად, ძლიერ იშვიათად კარგავდა წონასწორობას რეზო ჭეიშვილი.

27 დეკემბერს „ვრემიაში" აჩვენებდნენ, უცხოელ დიპლომატებს რომ შეხვდებოდნენ ხელმძღვანელები და... კრემლი გაახსენდებოდა.

თითქოს აღარაფერი ახსოვდა და... უცბად აღიქვამდა იმას, რასაც ნახავდა, ატმოსფერო იქაური, და რაც სხვაზე მეტად გააოცებდა, ორი მუშის ხმამაღალი ლაპარაკი ჩაესმოდა. საწყობისმაგვარი ფარდულიდან იხედებოდნენ, ერთი შიგ დარჩებოდა, მეორე გარეთ გამოვიდოდა...

დენი რომ გამოირთო, რისი ბრალიაო.

ის სად წავიდა, იმან რატომ მიატოვა აქაურობა, ახლა გასწორდა მე მგონიო.

კინოსტუდიის ეზოში ეგონებოდა თავი, მხოლოდ ერთი წუთით, მაგრამ მაინც.

გადაულებელი ფილმის კადრადაც გამოდგებოდა.

დაუდგმელი სპექტაკლის რომელიმე სცენაშიც ურიგოდ არ გაიელვებდა... დაუდგმელის, თორემ სცენაზე აღწევას ამაოდ ნატრობდა რეზო ჭეიშვილი... სხვათა — გიორგი ერისთავისა ან კარლო გოცის — პიესათა გადაკეთება-გადმოკეთების იქით არც უპირებდნენ გაშვებას ჯერჯერობით... მხოლოდ ჯერჯერობით ვითომ? მერე ხომ რა!.. კალთებს დააგლეჯდნენ სწორედ!..

ცხოვრების კომედიაში რეზოც თამაშობდა თავის როლს, მაგრამ მის კომედიებში არ უწევდა თამაში არავის.

იმ წყალობას თუ მაინც არგუნებდა ბედი, ფარნაოზ ედიბერიძე რასაც ეღირსებოდა: გადავარსკვლავებულ ცას რომ იხილავდა დღისით-მზისით, თუნდაც ორმოში ჩავარდნილი.

თავი მეხუთე

მოჯადოებული წრე

1986 წლის 2 იანვარს რომ აჩვენებდნენ „ცისფერ მთებს“, ამ ფრაზით გამოხატავდა კმაყოფილებას:

კარგად უყურა, ვინაც ყურება მოახერხაო.

ელდარ შენგელაია გაემგზავრებოდა ინდოეთში.

„ცისფერ მთებს“ მეორედაც აჩვენებდნენ ტელევიზიით.

რას წარმოიდგენდა რეზო ჭეიშვილი, რომ დადგებოდა დრო, როდესაც გაჩნდებოდა მრავალი ტელეარხი და ყველა წაილეკებოდა ელდარ შენგელაიას სამი ფილმით: ამ კინოსურათის გარდა „შერეკილები“ და „არაჩვეულებრივი გამოფენაც“ რომ იტრიალებდა გაუთავებლად. სხვების გამოჩენას უფრო მოერიდებოდა, მათ შორის რეზოსთან კიდევ ერთი ერთობლივი ნამუშევრისა, „ექსპრეს-ინფორმაციად“ სახელდებულის.

ჯერჯერობით კი:

7 იანვარს რევაზ ჩხეიძის კაბინეტში რომ მოუწევდა ყოფნა რეზო ჭეიშვილს, დღიურში ჩაინიშნავდა:

როგორც ვატყობ, ავიკიდე მძიმე ტვირთი და სცენარი ილია ჭავჭავაძეზე ჩემი დასაწერი იქნებაო.

დამდგმელ-რეჟისორად მერაბ კოკოჩაშვილი ივარაუდებოდა.

– აკაკი ბაქრაძის წიგნი დავუდოთ საფუძვლად, – ეს შესთავაზებდა, თუმც გუნებაში მაინც გაჰკრავდა, რომ კაკოსთან მუშაობა გაუჭირდებოდა.

– სამუშაო დრო მრჩება, თვის ბოლოს დავსხდეთ და დავიწყოთ, – შესთავაზებდა ელდარი.

მოახერხებდა ორივე კინოფილმის სცენარზე მუშაობას, მაგრამ მესამეს, მის ნამდვილ საქმეს, რა ეშველებოდა?!.

შოთა ნიშნიანიძეს მოხსნიდნენ, ასე დაესკვნა მუხრან მაჭავარიანს, და გადაადგილებ-გადმოადგილებებიც დაიწყებოდა უეჭველად.

მიშა ჭიაურელის მასალა უნდა ენახა და... გადაავიწყდებოდა და ისე წამოვიდოდა, თუმც დროც აღარ რჩებოდა თითქმის.

აკაკი ბრეგაძეზე ჰქონდა რაღაც პატარა დასაწერი და მისთვისაც ვეღარ მოება თავი.

„ტურანდოტი“ მისახრჩობი რჩებოდა.

ნოდარ ახალკაცს უნებლიეთ წაადგებოდნენ თავზე საფეხბურთო ბაზაში: „ცისფერ მთებს“ რომ უყურებდა. და ამ დეტალის გამოტოვება როგორ შეიძლებოდა დღიურში.

10 იანვარს ნახავდა „აბესალომ და ეთერის“ ახალ დადგმას ოპერის თეატრში. აქებდნენ და... ამას კი თავდაპირველად არც მოეწონებოდა. პირველი ორი მოქმედება შეემოკლებინათ და გაემთლიანებინათ. მხატვარი და გუნდი, კოსტიუმები განსაკუთრებით, იქაც მოეწონებოდა, მაგრამ ცუდად განეწყობოდა რატომღაც. მერე და მერე ყველაფერი გასწორდებოდა და კიდეც მიხვდებოდა, რომ: ასეთი მთლიანი და ლამაზი დადგმა ამ ოპერისა არასოდეს ენახა, და არც სხვას ალბათ.

სამი მოქმედება სამ ფერში: I – ბოტიჩელი (ოქრო, სიყვითლე), მურმანი – მწვანე სამოსით; II – წითელ-შავი, ხევსურულ-სტილიზებული ტანსაცმლით; და ბოლო – ცისფერი, რბილი და თბილი ფერი.

კარგი იქნებოდა გუნდები და ჯანო ანუ ჯანსულ კახიძე – თან რომ დირიჟორობდა, თან მღეროდა და თანაც ცეკვავდა... მოეწონებოდა მაია თომაძეც.

9 იანვარს ნახავდა კინოფილმის – „ჭიდაობას რა უნდა“ – მასალას. წინასწარ შეუქებდნენ და... ეს უკმაყოფილო დარჩებოდა, მეტს ელოდა და იმიტომაც... ფილმი ალბათ შედგებოდა, მაგრამ უკეთესიც შეიძლებოდა ყოფილიყო. კიდევ ბევრი რამ გამოსწორდებოდა, თუკი რეჟისორი დაუჯერებდა...

მანამდე აკაკი ბაქრაძესა და მერაბ კოკოჩაშვილთან ისაუბრებდა... გადაწყდებოდა: რეჟისორობას თაობდა მერაბი, სცენარი რეზოს უნდა მოემზადებინა. დარჩენით ველარ დარჩებოდა და რას ილაპარაკებდნენ რევაზ ჩხეიძესთან ეს ორნი, აღარ ეცოდინებოდა. დარეკავდა და გაარკვევდა...

შინ რომ მივიდოდა, გრძნობდა, რაღაც უხაროდა.

ნეტა რა? – დაფიქრდებოდა.

იცოდა ასე – გუნება გამოუკეთდებოდა ხოლმე და მერეღა იხსენებდა, რას გაეხარებინა იმ დღეს, რითი დარჩენილიყო კმაყოფილი...

დღესაც გაიხსენებდა: ფილმის მასალას და კერძოდ ქალებს გაეხარებინა. ორი ქალი: რუსი (მშვენიერი) და ჩვენი ლიკა ქავჟარაძე – თანწყობას ჰქმნიდნენ რაღაც სასიამოვნოს... კარგადაც იყვნენ ჩაცმულნი... სხვა კიდევ რა? სხვა... არც არაფერი, მაგრამ ეს რა – არა კმაროდა სიხარულისათვის?..

12 იანვარს ოთხს აკლდებოდა 20 წუთი და... აწი რაღა დააძინებდა. „ქართული სამართლის ძეგლების“ მესამე ტომი გაუადვილებდა ამ საქმეს.

ახლა დაემთავრებინა სწორედ „ტურანდოტის“ მეორე და მისთვის ბოლო ვარიანტი.

დაიწყებდა ალბათ მუშაობას „წიწამურზეც“.

იმავდროულად – ელდარ შენგელაიასთანაც.

23 იანვარს შადიმან შამანაძე წააკითხებდა პიესას „მხოლოდ ერთხელ, ისიც ძილში“, ოთხი ქალის ლაპარაკით იქნებოდა დანახული ქვეყანა. ამის შეტყობით: სცენის შეგრძნების უნარი ჰქონდა აშკარად შადიმანს, თუმცაღა არსებობით არსებობდა ამდაგვარი პიესები. კნუტ ჰამსუნისა მაგალითად, პოლიკარპე კაკაბაძესაც ჰქონდა „სამი და“, თუ მეხსიერება არა ღალატობდა.

რაღაც აკლდა პიესას, რაღაც ჭირდებოდა. არ უნდა აჩქარებულიყო შადიმანი. კიდევ შეიძლებოდა გაუმჯობესება.

ელდარი ამცნობდა ტელეფონით:

– ძალიან მოეწონათ ინდოეთში ჩვენი ფილმი. ჩვენზე გადაგიღიათო, ასე მეუბნებოდნენ.

ყრილობის შემდეგ იუგოსლავიაში მიჰქონდა, შემდეგ – ავსტრიაში. და როგორ არ ეთქვა ელდარისათვის რეზოს:

– შენ ფილმს ვეღარ გადაიღებ აწი, ასე თუ იარე.

27 იანვარს პატარა მოთხრობას ამთავრებდა საგაზეთოდ. გამოჩნდებოდა, რა გამოვიდოდა. შემდეგ სცენარი ილიაზე. ის კი მეტად საპასუხისმგებლო საქმე გახლდათ.

თავიდან ბოლომდე რომ გაიაზრებდა, საშინელი საბრალდებო საქმე შედგებოდა...

ჯონ კენედის ცოლი დალასიდან ვაშინგტონს რომ ჩაფრინდებოდა, სისხლიანი სამოსით ჩამოვიდოდა აეროპორტში უამრავი რეპორტიორისა და სეირის მაცქერალის თვალწინ. სთხოვდნენ: გამოიცვალეთო, – მაგრამ არაფრისდიდებით არ იყაბულებდა:

– ნახონ, რა ჩაიდინეს.

და ამ ეპიზოდით გულშეძრული რეზო ჭეიშვილი ამავე სულისკვეთებით აღივსებოდა: მასაც და მთელს შემოქმედებით ჯგუფსაც უნდა ეჩვენებინა ქართველებისათვის, რა ექნათ, რა ჩაედინათ სიბნელისა და უგნურების ფონზე.

იმავე დღეს მიშა ჭიაურელის მასალასაც ნახავდა, შთაბეჭდილება იგივე დარჩებოდა. მეორე დღეს არ დაუხვდებოდა სტუდიაში. მიხმარება სჭირდებოდა აუცილებლად. თუ ტაქტიანად არ მიუდგებოდი, მოგიშორებდა და საქმეც წახდებოდა. ახლა გადამწყვეტი ეტაპი დამდგარიყო.

წუხელ არ დაეძინებოდა და ლაშა თაბუკაშვილის პიესას – „ათვინიერებენ მიმინოს“ – ნაიკითხავდა:

ალაგ-ალაგ წვიმა, ალაგ-ალაგ მოღრუბლულობა და დარი დახვდებოდა. გულწრფელიც, გულუბრყვილოც ჩანდა ავტორი. განსწავლულობა გავლენაში გადაზრდილიყო და რეზო მაინც ჩაამთავრებდა.

ახლა ფრანგული ფილმიც დამთავრდებოდა: „ლამაზი მეგობარი“ – გი დე მოპასანის იმ რომანის მიხედვით, რეზოს ასე მოგვიანებით რომ ჩავარდნოდა ხელთ და მოხიბლულიყო. მშვენიერზე მშვენიერი აღმოჩნდებოდა ფილმიც. ორ სერიას ნახავდა. ხვალ მესამე უნდა ყოფილიყო...

ახლა მოთხრობის დაწერას აპირებდა და...

– მტერი არაა, ვერ მოვასწრო...

2 თებერვალს 2 საათზე ბანკეტი უნდა გამართულიყო სტუდიაში. მხოლოდ სტუდიის ხალხი ეყოლებოდა ჯგუფს „ცისფერი მთებისა“, ლაურეატებს უფრო სწორად, დაპატიჟებული და... იქნებოდა რია-რია...

8 თებერვლის დღიურის პოსტსკრიპტუმში ჩაწერდა, რომ:

ერთი კინომოყვარული დადიოდა სტუდიაში. რეზოს მისი სახელიც დაავიწყდებოდა და გვარიც. სადღაც რომელიღაც ქარხანაში აპირებდა გადაღებას ნო-

ველისა „მინების განაწილება". სცენარსაც აჩვენებდა. ნოველა იქნებოდა გადმონერილი და რეზო აღარ წაიკითხავდა. გამხდარი, ფერდაკარგული ბიჭი გახლდათ, პორთფელ თუ საქაღალდეამოჩრილი დადიოდა სტუდიის დერეფნებში და ამას ვერ აეხსნა: იქ თუ უნდა გადაიღოს, აქ რაღას დაეძებსო...

ილიაზე სცენარი – „ილიას მკვლელობის საქმე" შინაურული სათაურით – აღარ შედგებოდა ალბათ. ჩაიშლებოდა ეს წამოწყებაც, როგორი შთაბეჭდილებაც დარჩებოდა 18 თებერვალს.

ოთარ შამათავა დაურეკავდა და გუნებას წაუხდენდა. უჩმახებდნენ – ჟარგონულ გამოთქმას მოიმარჯვებდა გაგულისებული – თურმე „ტურანდოტზე". არა სურდათ მიღება. უცნობი რეჟისორისათვის არ ემეტებოდათ სცენარი კი არა, ფილმი...

ხელის შეშლის მეტს იქ ხომ არაფერს აკეთებდნენ.

აქ აპირებდა ერთ-ერთი წევრი ჩამოსვლას და – ატყობდა – ცხარე ლაპარაკი მოუვიდოდა მასთან. თუ არ ჩამოვიდოდა და იქ მისწერდა – რაც არ გაეკეთებინა, იმას გააკეთებდა.

24 მარტს ელდარი ესტუმრებოდა და ავსტრიის ამბებს მოჰყვებოდა, საკავშირო ყრილობასა (ძირითადად მეძინაო, – გამოტყდებოდა) და გუშინწინდელ პლენუმზე ილაპარაკებდა.

კბილი გაეკრა პირველს რედაქციების, გამომცემლობებისა და სხვებისათვის. ამხანაგი ენუქიძეც ვერ მოეხსენიებინა მთლად კარგად.

31 მარტს მერაბ კოკოჩაშვილი დაურეკავდა. აღარ ექნებოდა იმედი ილიაზე ფილმის დადგმის ნებართვისა. რეზო მთლად ასე უნუგეშოდაც არ დახვდებოდა:

– ელდარი უნდა შეხვდეს პირველს, ამ საკითხზე უნდა ესაუბროს და დაველოდოთ შედეგს.

– დაველოდოთ, – უხალისოდ დაეთანხმებოდა ის.

გამოტეხით რომ ეთქვა, რეზოსაც აღარავითარი სურვილი აღარ ექნებოდა იმ სცენარზე მუშაობისა. აღარც იმედი შერჩენოდა მისი ხორცშესხმის, აღარც დრო, აღარც ხალისი. ჩაეკლათ უკვე ეს ყველაფერი.

რევაზ ჩხეიძეც რაღაცას მალავდა – თვითონ წამოეწყო და თვითონვე ასამარებდა.

ეგებ არცა?.. ამას კი ეს შთაბეჭდილება რჩებოდა და...

ტონინო გუერას წიგნი ედებოდა წინ, იტალიელი მწერლისა და სცენარისტის. წუხელაც წაიკითხავდა, რამდენიმე მოთხრობას ჩაამთავრებდა. მწერალი ბევრი ვერაფერი აღმოჩნდებოდა. და... სცენარისტი? მის სცენარებს არ გაკარებოდა ჯერ: ბოლოსათვის მოიტოვებდა.

ჯერ ფედერიკო ფელინი ეწერებოდა იმ ორი კინოფილმის – „ამარკორდი" და „და მიცურავს გემი" – და შემდეგღა გუერა, და ამგვარი თანმიმდევრობა გააკვირვებდა რეზოს. აქ იმყოფებოდა გუერა, თბილისში, ელდართან. რეზო არ გაცნობოდა, სურვილიც არ გასჩენოდა ამდაგვარი.

7 აპრილს გახმოვანებას დაიწყებდა მიშა ჭიაურელი. დღესვე 17 ნაჭერს – ერთს რეზოს წამოსვლის შემდეგ დაუმატებდნენ – ჩაწერდნენ, რაც – ამის დაკვირვებით – სარეკორდო გახლდათ მხატვრული ფილმისათვის.

ამ რამდენიმე კვირის წინათ ჯგუფის ოთახში შეიხედავდა, მეორე რეჟისორი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი შაშს რომ თამაშობდნენ.

– რას შვებით?

– დავამთავრეთ გადაღება.

– ძალიან იოლად დაგიმთავრებიათ, – ჭეიშვილურ ირონიას გაურევდა, თუმც იმათ ეგონებოდათ: გვაქებსო, – და გაიბღინძებოდნენ:

– აბა, ჩვენ თვითონაც გვიკვირს!..

გახმოვანებაც ძალზე იოლად დაიწყებოდა და – მიუხედავად ამისა – ფილმი მაინც გამოვიდოდა. მთლად ის არა, რაც უნდა ყოფილიყო, რაც რეზოს უნდოდა, მაგრამ გამოვიდოდა ასე თუ ისე... რაღაი აქამდე მოსულიყო, ახლა ვეღარ უგანებდა, უნდა დასწრებოდა გახმოვანებას ბოლომდე. სხვანაირად არც შეეძლო – საჭირო გახლდათ იქ მისი ყოფნა. ტექსტს მაინც გააჩერებდა რაღაც კონდიციამდე – ხელობას ვერ წაიხდენდა.

არადა ათასი საქმე დაეყრებოდა, აქედან – სამი ძირითადი, საშური და პირველადი:

ეს წიგნის ჩაშვებაო,

ეს გახმოვანებაო,

და ეს სამუშაოს დაწყებაც და არშეჩერებაც ზევით, მუხათწყაროშიო.

დანარჩენის გახსენებაც აღარ სურდა. დროც რომ აღარ ჰყოფნიდა და აღარ!.. დაძინება არ უნდოდა, უძილობას ნატრობდა, საწოლში რომ წიგნს დაიჭერდა და უფრო ეძინებოდა.

10 აპრილის „კომუნისტში" მარინე კერესელიძის – ვინმედ რომ მოიხსენიებდა – წერილს ნახავდა ქართულ კინოზე. ქალებს პრეტენზიები რომ გაუჩნდებოდათ კინემატოგრაფიაზე, ერთი იმათგანი ეგონებოდა... ეგეც იყო ალბათ, თუმც აქ უფრო მაღალი დონე ჩანდა. დაფიათებული ეყოლებოდა „ქართული ფილმი" სწორად და სამართლიანად, თუმც არა მთლიანად და თანმიმდევრულად. ყველაფერს მაინც არ ამბობდა.

იური კვაჭაძის ფილმს აგინებდა და სცენარის ავტორს, ალექსანდრე ჩხაიძეს, აქებდა (თავშეკავებულად) თუ ამართლებდა. არადა – რეზოს შეფასებით – ერთი იყო ფილმიც და პიესაც.

წერილში ჩამოთვლილი ფილმები ელდარ შენგელაიასაც ენახა ერთდროულად და თავზარდაცემული შემოხვდებოდა:

– ეს რა სუსტი ფილმები გვქონია.

იტყოდა ალბათ ამ კრიტიკულ შეფასებას ყრილობაზეც, რომელიც ზეგ იხსნებოდა. რეზოს მოსაწვევები არ მოსვლოდა, არც დაერეკათ, წავიდოდა თუ არა, ისიც არ ეცოდინებოდა.

არ დაესწრებოდა, არც იცოდა – რატომ. ერთდღიან შეკრებას რომ გამოაცხადებდნენ, ესეც იმოქმედებდა ალბათ. დიდ მნიშვნელობას კი მიანიჭებდნენ ამ ყრილობას წინასწარი აჟიოტაჟის შექმნით.

„ვრემიაში" ათქმევინებდნენ სიტყვას ელდარს და... რონალდ რეიგანს აგინებინებდნენ.

გრძნობდნენ, ხედავდნენ, რწმუნდებოდნენ – უამბოდ არ ჩაივლიდა იმისი პრეზიდენტობა.

ყეფით შეჰყეფდნენ, ეგ იყო და ეგ!..

სხვა რა მოხდებოდა, რეზოს წარმოდგენა არ ექნებოდა...

კრიტიკულად კი აპირებდა გამოსვლას ელდარი, „კომუნისტში“ წერილი რომ დაბეჭდილიყო, იმნაირად ალბათ. მაინცდამაინც არ მოეწონებოდა ის წერილი რეზოს, რაკიღა მეტი ტაქტი, მეტი მორიდება მოეთხოვებოდა ავტორს. ობიექტურად გაანალიზებულიყო ვითომ ყველაფერი და... ეს ობიექტურობაც სუბიექტური გამოდგებოდა მაინც.

11 აპრილის „თბილისში“ ანკეტური წერილები დაებეჭდათ. შეკითხვებზე პასუხობდნენ ცნობილი პირები, თუ რომელი ფილმი მოსწონებოდათ განვლილ – ალბათ ბოლო ხუთ წელიწადს – პერიოდში. „ცისფერ მთებს“ დაასახელებდა ერთის გარდა ყველა. ის ერთი, თამაზ ნატროშვილი, „ბელურების გადაფრენას“ ასახელებდა, თუმც რეზო-ელდარის ფილმზეც ლაპარაკობდა.

რეზოს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა: ვიღაცას – შეიძლება ელგუჯა მაღრაძეს – უსწორებდა ანგარიშს.

ქვეტექსტურად იგულისხმება თამაზ ნატროშვილის მძაფრი კრიტიკული წერილი ელგუჯა მაღრაძის ბიოგრაფიულ რომანზე, თეიმურაზ პირველს რომ მიეძღვნებოდა. წიგნში ქეთევან წამებულის სახება არცთუ სახარბიელოდ რომ წარმოჩნდებოდა, ეკლესიაც ამას წმინდანის შეურაცხყოფად მიიღებდა და ავტორს შეაჩვენებდა.

მუხრან მაჭავარიანს დაურეკავდნენ და მოასმენინებდნენ ამ შეჩვენებას, და ის რეზოს ეტყოდა აფორიაქებული:

– საშინელი წყევლა-კრულვის ტექსტი წამიკითხეს, ისე იმოქმედა, მუხლები მიკანკალებდა აქ მოსვლამდე.

16 აპრილს გახმოვანებას – რამდენიმე ნაჭერის ჩაწერას – დაესწრებოდა ზედამხედველად, დამხმარედ თუ მშველელად. მისი ტექსტი მისადვე რჩებოდა ასე თუ ისე... მოვიდოდნენ ლიკა ქავჟარაძე და სოფია. პირველად ახმოვანებდა თურმე ორივე. სოფიკოს მიულოცავდა დასაწყისს რეზო, ლიკასაკენ არც გაიხედავდა, დარწმუნებული მის საგამხმოვანებო პროფესიონალიზმში. უცნაური, საინტერესო აღნაგობის ქალი ჩანდა, გულკეთილობაც ეტყობოდა.

19 აპრილს ისე ამოსკდებოდა გულიდან: როგორ მინდოდა დამეწერა სცენარი ილია ჭავჭავაძეზეო, – ვეღარ მოითმენდა და: ოფიციალურად დანერაში თუ შეუშლიდნენ ხელს, დღიურთან რა ხელი ექნებოდათ – ამიტომაც აქ მაინც ჩაინიშნავდა ზოგად სქემას, რომლის კვალობაზეც ჯერ მხოლოდ ლიბრეტო თუ დაიწერებოდა, მაგრამ ესენი – და პირადად რეზო – სცენარისთვისაც მზად გახლდნენ უკვე.

ვინ დაანებებდათ, თორემ!..

ელდარი ესპანეთში წაიღებდა „ცისფერ მთებს“, მაგრამ რეზოს ეს სტრიქონები უნდა შეეტანა 22 აპრილის ჩანაწერში:

ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში არ ნახავენ, ფასი აღარ აეწევა მეტადო.

მეორე დღეს დაწოლის წინ „ლიტერატურის მატიანეს“ გადაშლიდა. საინტერესოდ მოეჩვენებოდა... ომამდე, ალბათ 1940 წელს უნდა ყოფილიყო გამოცემული – ყდა და ფორზაცი მოძრობოდა. ვისი ნაქონი იყო, ღმერთმა იცოდა, რეზოს აკაკი ბაქრაძისაგან ენათხოვრა, სცენარზე მუშაობას რომ აპირებდა. ახლაც გამოდიოდა ალბათ ამდაგვარი წიგნები. ქუთაისში რეზოს დეიდას ჰქონდა „ლიტერატურული მემკვიდრეობა“. მახსოვრობა თუ არა ღალატობდა, ზუსტად ასე უნდა რქმეოდა. ამდაგვარი შინაარსისა და შედგენილობის წიგნი გახლდათ ისიც: დავით კლდიაშვილის დაუმთავრებელი მოთხრობები, „სამანიშვილის დედინაცვლის“ ადრინდელი ვარიანტი... ვაჟას დიდი სურათი, გრძელი სურათი უფრო სწორად, კომბალი ეჭირებოდა ხელში თუ ჯოხი?..

დაიკარგებოდა ის წიგნი. ბავშვობის შემდეგ აღარც აეღო ხელთ, მაგრამ ხსოვნით კი ეხსომებოდა...

აქ, „ლიტერატურის მატიანის“ ამ წიგნშიც ბევრი ყურადსაღები ამბავი მოთხრობილიყო. ალექსანდრე ჭავჭავაძის ერთ ლექსს მიაქცევდა ყურადღებას, თუკი მართლა მისი იყო: რას კითხულობ, შენ ეს ღვინო დალიე, სხვასაც სწყურის, ნუღარ გაახვალიეო...

26 აპრილს გახმოვანებაზე მოიყვანდნენ თურქ ქართველებს – სამ ყმაწვილს – და ალჟირელ ფრანგებს: გოგო-ბიჭებს. სწავლობდნენ მგონი ყველანი. ალჟირელებიც იყვნენ და წმინდა სისხლის ფრანგებიც. საოცრად მორიდებულად და თავაზიანად მოიქცეოდნენ, ისხდებოდნენ გუგულებივით, გაერთობოდნენ, იცინებდნენ, რეჟისორის ყველა ბრძანებას უყოყმანოდ შეასრულებდნენ.

გული მოეყვანა გუშინ ოთარ მელვინეთუხუცესს:

– ხმაურია, სკამები ჭრიჭინებს, გავიდნენ ყველანი გარეთ, ისე ვერ ჩავწერ.

გადაუთარგმნიდნენ – რუსული იცოდნენ, მორჩილად წამოიშლებოდნენ და შრიალით გავიდოდნენ.

30 აპრილს ნახავდა შადიმან შამანაძის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს: „მხოლოდ ერთხელ, ისიც ძილში“. პიესა მოსწონდა, სპექტაკლი ნაწვალებს ჰგავდა. მსახიობები, ერთის გარდა, ვერ ტოვებდნენ სასურველ შთაბეჭდილებას... საერთოდ კი ძალიან სერიოზულად, ტრაგიკულად თამაშობდნენ ამ კომედიას, სტილისტიკა ვერ შერჩეულიყო შესაფერისად და მოსაწყენი გამოვიდოდა ამიტომაც ნარმოდგენა...

შეიძლება – და დარწმუნებულიც იქნებოდა რეზო – უკეთესად დადგმული ეს სპექტაკლი დაჯდებოდა, როგორც ამბობდნენ ხოლმე, გამოკეთდებოდა, მაყურებელი კი მაინც არ ეყოლებოდა ალბათ...

პოლიკარპე კაკაბაძეს რომ უკიჟინებდნენ: „სამი ასული“ მორის მეტერლიკისაგან მოიპარაო, – ეს დადგმა იმათ ჰგავდა, თუმც როგორც შადიმანი ეტყოდა: არც ერთი პიესა წაეკითხა და არც მეორე, არც ქართველისა და არც ბელგიელის.

1 მაისს მეზობელი დაურეკავდა, ღვთისმოსავი ქალი:

– ვიდეოზე „ქრისტე“ უნდა გაჩვენოთ.

8 მაისს „ჭიდაობას რა უნდას“ რომ ნახავდა ორ ფირზე, უკმაყოფილო დარჩებოდა. რაღაც იმედი რჩებოდა კიდევ... კიდევ შეიძლებოდა თითქოს რაღაცის გამოსწორება. ჯერაც ვერ გაეგო, რატომ მოსწონდათ და რა მოსწონდათ ზოგიერთებს შიგ. ნაწილ-ნაწილ უნდა ენახა კიდევ. ხმებით, მუსიკით, მონტაჟით სულ სხვა იქნებოდა, მაგრამ დიდი ფილმი, დიდს ვიღა დაეძებდა – კარგი ფილმი შედგებოდა?..

14 მაისს კინოყრილობა გაიმართებოდა მოსკოვში. ამას წინათ ელდარს ესპანეთში დაინახავდა და მათ ფილმსაც ახსენებდნენ.

21 მაისს უკვე ნაწილ-ნაწილ ნახავდა რეჟისორთან ერთად „ჭიდაობას“. გუშინ სხვებსაც ენახათ, განეხილათსავითაც რევაზ ჩხეიძის კაბინეტში. მოეწონებოდათ ზოგიერთებს. იმავ დღეს მიეჭრ-მოეჭრა მიშა ჭიაურელს, დღეს რეზო მთლად დააგზაკვალიანებდა და... ივარაუდებდა: ფილმი გამოდისო... რა დონისა იქნებოდა, გაუძნელდებოდა წინასწარ თქმა, მაგრამ ერთი სასიამოვნო ფილმი კი უნდა ყოფილიყო უეჭველად...

წინა დღის ნახვა-განხილვას – ორ ფირზე – დავით გობეჯიშვილი და მისი მწვრთნელი გურამ საღარაძეც დასწრებოდნენ. რა შთაბეჭდილება მოეხდინა მთავარ გმირზე – გობეჯიშვილი მოეწვიათ ამ როლის შემსრულებლად – რეზო ვერ დაადგენდა, საღარაძეც არ გადარეულიყო, როგორც შეატყობდა, თუმც ქება არ დანანებოდა. პირდაპირ კინოსტუდიიდან გაემგზავრებოდნენ ორჯონიკიძეში საბჭოთა კავშირის პირველობაზე:

– ახლა გაორმაგებული ენერგიით მივდივართ, აუცილებლად ოქროს მედალს ავიღებთ.

27 ივლისს თამაზ მესხს უარს ვერ ეტყოდა და თითქოს – ასე ახსოვდა – დაპირდებოდა პიესის დაწერას ილიაზე. რატომ, რისთვის, სად რჩებოდა ან დრო, ან ხალისი, თანაც – რუსთავის თეატრიც არ უჯდებოდა ჭკუაში: რის რუსთავი, რის ერეკლეო!..

გიორგი ხარაბაძის მამის დაკრძალვაზე რომ მივიდოდა 3 აგვისტოს, აერეოდა მისამართები, ეს უკვე მერამდენედ, და სხვის მკვდარს გაჰყვებოდა...

მეორე დღეს მგლოვიარე გოგია – გუშინ მამა დაემარხა – ძველებურად იყვირებდა, იხუმრებდა იშაყირებდა.

8 აგვისტოს რამაზ ჩხიკვაძეს შეხვდებოდა შემთხვევით. ეს საშარვლე მატერიას ათვალიერებდა, ის სათვალის შუშებს ცვლიდა „ოპტიკაში“, ვაკეში.

– მეც მჭირდება, – ეტყოდა რეზო და ის შეიყვანდა ექიმთან.

– პლუს ორს ვხმარობ და მგონი ორნახევარია...

– ორი და 75 გინდა, – დაასკვნიდა ექიმი და ესეც ამ რჩევით გააკეთებინებდა. ახლა იმ ძველსა და ახალს შორის – ძველით წერდა, ხედვით მშვენივრად ხედავდა – თითქმის ვერ შეამჩნევდა სხვაობას.

მანქანით წამოიყვანდა რამაზს შინისაკენ. მანამდე ის ნუცუბიძის პლატოსაკენ გადაახვევინებდა, კერძო სახლის მშენებლობა დაეწყო მშვენიერ ალაგას. ძველი ბინა გადაეცვალა, ბიჭისათვის დაეტოვებინა, ახლა ახალს აშენებდა მგონი სამ სართულად.

„რად უნდა?!."

„მეფე ლირზე" ილაპარაკებდნენ:

– პირველი სურათი გავიარეთ მხოლოდ.

– შენ კარგი, მაგრამ სტურუას რა მიზანი აქვს, რატომ დგამს „მეფე ლირს"?..

ის გაჩუმდებოდა. მანამდე ამაზე არ ეფიქრა და ასე ერთბაშად პასუხი გაუძნელდებოდა. და ისევ რეზო:

– თუ თანამედროვეობას არ დაუკავშირდა რაღაცნაირად, რად უნდა, მითუმეტეს „რიჩარდ მესამის" შემდეგ. ალბათ რაღაც აქვს განზრახული.

– ალბათ, – მიუგებდა შეფიქრიანებული რამაზი.

9 აგვისტოს „დათა თუთაშხიას" კიდევ ერთ სერიას უყურებდა ტელევიზორში ნაგლეჯ-ნაგლეჯ. ზოგიერთი ადგილი – ასეთი ძალიან ცოტა აღმოჩნდებოდა – მართლაც კარგი იქნებოდა. დღეს ასეთი სცენა წისქვილში გათამაშდებოდა ბორის წიფურიას მონაწილეობით, ადრე – იპოლიტე ხვიჩიას სოლონომრით. ალაგ-ალაგ რამდენიმე პერსონაჟიც გამოანათებდა: გურამ ფირცხალავა, დოდო აბაშიძე, სესილია თაყაიშვილი რასაკვირველია, სხვებიც...

დღისით მუხათწყაროში ამჯობინებდა ყოფნას, დასაკეცი საწოლი ჰქონდა და იწვებოდა, ხანაც იმუშავებდა. ერთ კვირას დაახლოებით სიცხე ექნებოდა, ფილტვების ანთებისაც ეშინოდა, მაგრამ არც სიცხეს იზომავდა, არც წნევას (თავიც სტკიოდა), იღვრებოდა ოფლად, ხან სცხელოდა, ხან სციოდა, მაინც სვამდა, მაინც თავისი მანქანით დაჯაყჯაყებდა, ფილტვებს შეშუპების საშუალებას არ აძლევდა. გუშინ არა ეშავრებოდა რა, დღეს კიდევ უკეთესად იქნებოდა. ახლა ერთი კინოფილმის ფრაგმენტებს აჩვენებდნენ კომენტარებით, მონაწილეთა მონაწილეობით. თვით წარმოდგენა ავტორებ-აქტიორებისა ყალბ-გულწრფელი. და ფილმიც – ეჭვიც არ შეეპარებოდა – სიყალბის სიგულწრფელეზე იქნებოდა აგებული.

2 სექტემბერს დილითაც ააკითხავდა მუხათწყაროს, რამდენჯერმე გაუჩერდებოდა მანქანა და განერვიულდებოდა. შეაკეთებდა რაღაცნაირად და სტუდიამდე ჩავიდოდა... ჩარიხინებად რომ უფრო ითქმოდა...

რევაზ ინანიშვილი რაღაც შენიშვნას მისცემდა დაღლილსა და ნერვებმოშლილს – წითელი სქელძირიანი ფეხსაცმელები და სქელი მწვანე წინდები ეცმეოდა.

რევაზ თაბუკაშვილი სიცილიის ამბებს ჰყვებოდა – სიცილია, ფლორენცია, როგორ გადასულიყო ფლორენციიდან გენუაში, გენუადან ფლორენციაში და ასე შემდეგ. ამას ჰკითხავდა: სად დაისვენეო?..

იქ ვეღარ გაძლებდა, დაიბარებდა: მალე მოვალო, – და ჩავიდოდა ქვევით, ძლივს აამუშავებდა მანქანას, გარაჟამდე მირახრახდებოდა, შევიდოდა ფეხით ეზოში და... მეძუძური ძაღლი უკბენდა კოჭზე, სისხლს ვერ დაადენდა, შარვალსა და წინდას კი შემოახევდა...

19 სექტემბერს საბოლოოდ ირწმუნებდა, რომ: რობერტ სტურუას ხელი აეღო – როგორც ჩანდა – „გაყრის" დადგმაზე. და გაგულისებული გადაწყვეტდა, რომ დაერეკა და საკადრისადაც დალაპარაკებოდა...

26 სექტემბერს კიდევ ერთხელ დაწყდებოდა გული, „გაყრის“ დადგმა რომ ჩაიშლებოდა. როგორ ვენდე სტურუასო, – იჯავრებდა, მაგრამ... როგორ უნდა მოქცეულიყო ნეტა?

ის დაბეჯითებით არწმუნებდა: ამით უნდა გავხსნა ახალი თეატრიო, – და რეზო ხელწერილს ხომ არ ჩამოართმევდა.

7 ოქტომბერს პირველად დასხდებოდნენ მომავალ სცენარზე სალაპარაკოდ ის და ელდარი. რაღაცას მოხაზავდნენსავით... გამოვიდოდა ვითომ რამე? თემა სერიოზული გახლდათ და ფრიად თანამედროვე.

ჯერ მაინც პატარა მოთხრობა უნდა დაეწერა...

შემდეგ თამაზ მესხიც შეახსენებდა თავს რუსთავის თეატრიდან. და... მართლა ეფიქრა თუ არა პიესაზე?..

ელდარი ერევანში წავიდოდა, ეგებ უკვე ჩამოსულიყო კიდეც, მაგრამ მისი მანქანა ჯერაც – 12 ოქტომბერს – რეზოსას იდგებოდა. ილიაზე პიესის დამკვეთი – გაზეთში უკვე გაეცხადებინა ეს ჩანაფიქრი – შეახსენებდა საღაცაა თავს. მოასწრებდა? ჯერ ისიც არ ეცოდინებოდა, რა და როგორ დაეწერა: მოთხრობა, წიგნი, სცენარი, პიესა... ძილსა და ფიქრში კი სულ აგურებს აწყობდა და ალაგებდა...

ინგმარ ბერგმანის ფილმს ნახავდა 3 ნოემბრის საღამოს. კინოთეატრიდან რომ გამოვიდოდა, გურამ დოჩანაშვილი შეხვდებოდა, მომდევნო სეანსზე შედიოდა და: როგორი ფილმიაო? – რეზოს შთაბეჭდილება დააინტერესებდა.

– თუ ბოლომდე გაუძლებ, კარგია, – მიუგებდა და მოეწონებოდა თავისი პასუხი, ყველაზე ზუსტ შეფასებად მიიჩნევდა.

ფილმი სამ საათს გრძელდებოდა, თუ მოცლილი იყავი, არაფერი გაწუხებდა, არსად გეჩქარებოდა, არა გციოდა, არა გცხელოდა, იჯდებოდი და უყურებდი, დატკბებოდი კიდეც: ფერწერული კადრები, ლამაზი და მშვენიერი პლანები, ფირი – შესანიშნავი, ხალხი – აქტიორები – ლამაზი... მაგრამ ფილმის ცქერისას რომ არც გეცინებოდა და არც გეტირებოდა, გლახად იქნებოდა საქმე. რაზე იყო მაინც ეს კინოსურათი? სოციალური შიგ არაფერი მოიძევებოდა. ყველა კარგად, ბედნიერად, მათი თვალსაზრისით, ცხოვრობდა ეტყობოდათ. მორალურ-ფსიქოლოგიური კატეგორიებით იქნებოდნენ შეპყრობილნი, ყალბი ცნებების დემონსტრირებაც ხდებოდა შიგადაშიგ. კარგი სურათი გახლდათ ერთი შეხედვით... და მაინც ეს ანდაზა ახსენდებოდა: ქვეყანა იქცეოდა და ციბაძე ბუქნას შვებოდაო.

ქვეყანა იქცეოდა მართლაც შესვლაზე და... მიუხედავად ამისა ბევრი ბოლომდე – წამხედურებასაც უღალატებდნენ – მაინც ვერ გაჩერდებოდა. ამ ხალხის – თუნდაც შვედებისა – საქმე უკვირდა და გაჰკვირვებოდა რეზო ჭეიშვილს.

12 ნოემბერს ის და ელდარი შეუდგებოდნენ თითქოს მუშაობას.

ეს „მეოთხე სიმფონიისაკენ“ გაიქაჩებოდა, ის თავს შეიკავებდა, თუმც მთლად უარსადც არ იტყოდა...

რამდენიმე სამოქალაქო საქმის ამოღებას მოინდომებდნენ სასამართლოს არქივიდან. რეზო დაისაჭიროებდა მომავალი სცენარისათვის...

– საშვი მინდა სოლიკო ხაბეიშვილის პროცესზე და ეგებ გამიხერხო, – სთხოვდა ელდარს.

– ცენტრალურ კომიტეტში უნდა მიხვიდე, – ურჩევდა ის, თუმც რეზოს ასე გახმაურებაც არ ენდომებოდა... პატივცემულ ცენტრალურ კომიტეტს კი თავის გასამართლებაზეც ვერ შეაწუხებდა, არამცთუ შერისხული გუშინდელი ერთ-ერთი მბრძანებლისა.

ედუარდ შევარდნაძის ხაზინადარის, სოლიკო ხაბეიშვილის, დაპატიმრება იმჟამად ბევრს მხოლოდ ჯუმბერ პატიაშვილის პირადი ინიციატივა და „შურისძიება“ რომ ეგონებოდა, კონსტანტინე გამსახურდია-უმცროსი ისტორიულ ნარკვევში „დინების საწინააღმდეგოდ“ განუმარტავდა იმ მკითხველს, რომელშიც ნაკლებ ერკვეოდა საბჭოთა სისტემის არსში, რომ:

ცენტრალური კომიტეტის მდივნის დაპატიმრება თბილისის დონეზე არა წყდებოდა. ხაბეიშვილის დატუსაღება ბრძანებული უნდა ყოფილიყო კრემლიდან, პირადად ედუარდ შევარდნაძისა და მიხაილ გორბაჩოვის მიერ, როგორც პროფილაქტიკური ღონისძიება, რამდენადაც მას ბევრი რამ მოეხსენებოდა თავისი დაწინაურებული უფროსის სასარგებლოდ წარმართული ფინანსური „ოპერაციების“ შესახებ.

ზვიად გამსახურდია 1986 წლიდან მოსკოვიდან მიიღებდა წინადადებას:

შეესწავლა და გაეშუქებინა სოლიკო ხაბეიშვილის საქმე ისევე, როგორც გაეშუქებინა 70-იან წლებში ცირეკიძე-უსუპიანის საქმე.

მაგრამ ამ შემოთავაზებაზე იგი მტკიცე უარს განაცხადებდა.

სულ ტყუილად – შემომთავაზებლებს კი თავისი ენებათ, მაგრამ მთავარია ხელი მიწვდენოდა ზვიად გამსახურდიას ამ ძიებისა და სასამართლოს მასალებზე და... ჩინებულ დოკუმენტურ მოთხრობად აქცევდა იმ ყოველივეს, საბჭოთა სისტემის არსს ერთხელ კიდევ და ნიუანსობრივად რომ გამოამზეურებდა.

ერთი კარგი, მრავალმხრივ გასათვალისწინებელი თხზულება გვაქვს დაკარგული და ეგაა.

ხოლო რეზო ჭეიშვილს თამაზ მესხის შეახსენებდა თავს და:

– დეკემბრის პირველ რიცხვებში შევხვდეთ, – ეს შესთავაზებდა.

„იმას რაღა ვუყო!..“

გაუჟიჟილს გატეხილი რომ სჯობდა, როგორ არ იცოდა, მაგრამ მაინც ვერა და ვერ ესწავლა ჭკუა.

ერთ საქმიან წერილს მიიღებდა მოსკოვიდან. ვიღაც – მოიბოდიშებდა: უკაცრავად, ვინმე უნდა მეთქვაო – კუშნირსკი მიხაილ რაზარევიჩი სთხოვდა, „ცისფერი მთები“ გამაპიესებინეო:

– დარწმუნებული ვარ, წარმატება ამგვარი კომედიისა გარანტირებული იქნება...

გაეგო უნდა, ვინ იყო, რა კაცი...

თვით ფილმი კი, როგორც მადლენა წულაძეს ჩამოეტანა ამბავი, პარიზში გადიოდა დიდი წარმატებით. მასობრივ ეკრანზე გასულიყო – აბა!.. ამდაგვარი შემთხვევა ქართულ ფილმს ჯერჯერობით არა ჰქონოდა. საბჭოთა

ფილმებიც იშვიათად თუ მოხვდებოდნენ პარიზის ეკრანებზე. ოთარ იოსელიანის „პასტორალი" მხოლოდ ერთ მცირე დარბაზში ტრიალებდა თურმე.

18 ნოემბერს მივიდოდა უმაღლეს სასამართლოში გ. დევდარიანთან, რომელიც დაახვედრებდა რამდენიმე „საქმეს". შეუშვებდა ცალკე ოთახში. შემდეგ ჩაკეტავდა კაბინეტს და სოლიკო ხაბეიშვილის სასამართლოს აყურებინებდა ტელევიზორით.

დამძიმებული გულით გამოვიდოდა რეზო, „საქმეებსაც" აღარ ჩაუჯდებოდა.

– ორშაბათს მოვალ კიდევ, – დაიბარებდა და წამოვიდოდა. ათარბეგოვის ქუჩიდან, უფრო ზუსტად – ლალიძის წყლებიდან მოედნამდე ფეხით ვერ მივიდოდა. გააჩერებდა მანქანას და ასეღა მიაღწევდა „საუნჯის" რედაქციამდე. ყველა იქ დახვდებოდა. სასამართლოს ამბებს მოჰყვებოდა, მერე კი ინანებდა: ალბათ არ უნდა მეთქვაო... ძალიან კი დააინტერესებდათ ყველაფერი.

შვიდის ნახევარზე პრემიერა უნდა ყოფილიყო ფილმისა „ჭიდაობას რა უნდა" და დროის მოკვლას ცდილობდა.

ფილმს მაყურებელი მიიღებდა, ყოველ შემთხვევაში ეს გაღიზიანებულს ვერავის დაინახავდა, ვერავის შეამჩნევდა... შემდეგ სუფრა ბურჯანაძეებჭიაურელთან, ხალხი მრავალი, თამადად – მიშიკო შენგელაია, ოთარ მელვინეთუხუცესი ცოლით, გურამ საღარაძე და სხვანი და სხვანი... ახლა იქიდან მოვიდოდა სწორედ და – ამის შეტყობით – უკვე შუაღამეც უნდა ყოფილიყო.

29 ნოემბერს ბროშურა თუ ბუკლეტი ჩაუვარდებოდა ხელთ ალექსანდრე წუწუნავაზე. 1955 წლის შემოდგომაზე გარდაცვლილიყო არცთუ მთლად მოხუცი და ეს გააოცებდა რეზოს, რომელსაც არ ემახსოვრებოდა არც მისი გარდაცვალება და არც დაკრძალვა, თუმც იმჟამად მეორე კურსზე იმყოფებოდა – შემოდგომა იდგებოდა თანაც – და თეატრალურ ცხოვრებაში საკმაოდ გათვითცნობიერებულ კაცად მოჰქონდა თავი.

ეტყობა თვითონვე არ მიენიჭებინათ ამ ფაქტისათვის მნიშვნელობა, თვითვე ჰყავდათ მივიწყებული, როგორც ახლა ხვდებოდა.

არადა: რა დიდი და მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ იმდროინდელ ქართულ ხელოვნებაში ალექსანდრე წუწუნავა, რა დიდი ღვაწლი ჰქონდა ეროვნული ოპერისა და კინემატოგრაფის განვითარებაში.

ახსოვდა:

სტუდიაში რაოდენ აღტაცებულნი ნახავდნენ ფილმს „ჯანყი გურიაში", როდესაც ხელახალ გახმოვანებას დაუპირებდნენ. დიდებულ მასობრივ სცენებს ტელევიზიითაც აჩვენებდნენ, მაგრამ ტელევიზორში ამას ვერ აღიქვამდი. მასა, ტიპაჟი, ჩაცმულობა, ნატურა – ამის აღდგენა ან განმეორება შეუძლებელი გახლდათ.

2 დეკემბერს გია დანელიას ფილმს ნახავდა სტუდიაში, „ქინძაძა" ერქვა თუ „ქინძინძა". მთავარ როლში, ერთ-ერთში, ქართველს იხილავდა, ავტორები – ქართველები, ქართული სიტყვებიც (მაიმუნო ვირიშვილო) მოისმოდა და ირონიულად დასძენდა რეზო ჭეიშვილი:

– შევაწუხეთ ამ ერთი მუჭა ქართველებმა რუსეთი.

ეს ფილმი კი, ორი სერია, სუსტზე უსუსტესი გახლდათ, პირწმინდა სისულელე. ეტყოდნენ წინასწარვე: არ ვარგაო, – და არ დაიჯერებდა: მთლად ასე არ იქნებაო, – და მთლად ასე აღმოჩნდებოდა. გუშლამ კი თავს იმტვრევდა თურმე მაყურებელი ფილარმონიის უზარმაზარ დარბაზში.

თენგიზ აბულაძის ფილმსაც – „მონანიება" – გააშიშვლებდა ტელევიზია. მოსწონდათ მანამდე და... უკვე აღარ მოეწონებოდათ. თუმც მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას, საჭიროებას არავინ უარყოფდა.

ელდარი ჩამოვიდოდა მოსკოვიდან და კვლავ მოსკოვს ეპირებოდა.

– 7-ში ან 8-ში ჩამოვალ და ჩავუჯდებით სამუშაოს, სხვა ყველაფერი გვერდზე მაქვს გადადებული, – დაუბარებდა რეზოს.

„მერამდენედ ამბობს ამას?!."

„ცისფერი მთები" კი ნიუ იორკში ენახათ და რაღაც პრიზიც მიეცათ. აკაკი ბრეგაძე დაურეკავდა და ამცნობდა, რომ: ტელევიზიაში გამოეცხადებინათ ეს ამბავი. რეზოს არაფერი გაეგო და ელდარსაც არაფერი ეცოდინებოდა.

ერეკლე ბადურაშვილი რეზოს ერთ-ერთი ნოველის დადგმას მოინდომებდა „დებიუტში". ესტუმრებოდა კიდეც რეზოს და მოილაპარაკებდნენ.

მანქანა გაუფუჭდებოდა კვლავ. მთლად გაითიშებოდა ელექტრობა, არადა რამდენი საქმის გაკეთება დაეგეგმა ხვალისათვის.

8 დეკემბერს სტუდიაში ჩაატარებდა „მეცადინეობას". მეორედ დააწერინებდა და წააკითხებდა ლიბრეტოს ს. გოგიას... ეს მეორე მოეწონებოდა... ის რაღაც ეპიზოდებს გაიხსენებდა და მოჰყვებოდა შემდგომ კატორღული ცხოვრებიდან. ხუთი თუ ექვსი წელი გაეტარებინა პოლიტიკურ პატიმრად, ახლა დადიოდა უმუშევარი და უსახსრო. სულ რამდენიმე ზონა – მისი ვარაუდით: 5-6 – ყოფილიყო, სადაც დაახლოებით 1000 პატიმარი იქნებოდა შეყრილი, მეტი არა... დანარჩენებს ზოგს ხულიგნობაზე, ზოგს ქურდობაზე, ზოგსაც ბანდიტობაზე – თვითმფრინავით გაქცევის მცდელობაზე – სვამდნენ თურმე... ეს ხომ ამათაც ეცოდინებოდათ.

თამაზ მესხი დაურეკავდა და... ეს პიესის დაწერაზე უარს ვერ ეტყოდა ისევ.

14 დეკემბერს საინტერესოდ მოეჩვენებოდა ირაკლი სამსონაძის, გივის ვაჟის, სცენარი, თუმც ზუსტი ჟანრობრივი განსაზღვრებით არც სცენარი იქნებოდა და არც მოთხრობა ჯერჯერობით. უნდა გასაუბრებოდა აუცილებლად, უნდა წახმარებოდა, და კიდეც შეუთანხმდებოდა, რომ: ხვალ ან ზეგ შეხვდებოდა.

ელდარი დაურეკავდა მოსკოვიდან. ჩამოვიდოდა და ესეც უნდა დახვედროდა, მაგრამ რა შეიძლება გაეკეთებინათ, როდესაც დაწყებაც ვერა და ვერ მოეხერხებინათ სცენარისა აქამდე...

ლადო მინაშვილი ესტუმრებოდა და მიუტანდა წიგნს ილია ჭავჭავაძეზე. სხვაგვარად ჩაუჯდებოდა, სხვაგვარად დაუკვირდებოდა, რაკილა სცენარზე ფიქრი კვლავინდებურად უტრიალებდა გონებაში, თორემ პიესის დაწერაც ხომ კარზე მოდგომოდა.

1987 წლის 5 იანვარს ერეკლე ბადურაშვილი კვლავ რომ მოადგებოდა: უჩემოდ ვერ გააკეთებს ვიცი და უნდა დავუწერო სცენარი ჩემივე ნოველის მიხედვითო, – გადაწყვეტდა რეზო. „მხატვარ იაშას" შეარჩევდა რეჟისორი, სცენარს კი გადაბეჭდვიანად ორი დღე დასჭირდებოდა.

თამაზ მესხი დაურეკავდა და... უარის თქმას არ აცლიდა.

„უნდა გავუკეთო, რა ვქნა!.."

აქეთ ელდარი, იქით ქუთაისი და ჟურნალი „განთიადი"...

თავის თავს აღარც ჩიოდა რეზო ჭეიშვილი!..

22 იანვარს უკმაყოფილო არ დარჩებოდა იმ სცენარით, ერეკლე ბადურაშვილს რომ გაუმზადებდა. რამხელა შესაძლებლობანი ყოფილიყო ჩადებული იმ ნოველაში, თვითონაც არ ეცოდინებოდა. არამცთუ მოკლემეტრაჟიანი, სრულმეტრაჟიანი ფილმიც მშვენივრად გამოვიდოდა.

„რაღაი რაიმე გავაკეთე და რაღაი რაიმე დავიწყე, რაღას დავეძებ".

არადა არეულიყო და დარეულიყო მთლიანად, უკვანტო საკვანტავად გაეხადა ძალით.

პაატა გუგუშვილის „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა" ედებოდა წინ. ამ ბნელით მოცული ისტორიის, პარადოქსებით გატენილი დოკუმენტების ამოქექვა დიდი საქმე გახლდათ მართლაც. ახლა ვერ მოასწრებდა ასე სახელდახელოდ, მაგრამ აუცილებლად გაამზადებდა „ილიას მკვლელობის საქმეს". ეს იქნებოდა სწორედ პიესა, დიალოგები სცენებად, სასამართლოს სცენებად.

უკვე ხედავდა მთლიანობაში, მაგრამ დოკუმენტების შესწავლას ვერ ასწრებდა შემოდგომამდე. სცენარი რომ არა ყოფილიყო გამოჩრილი!.. მაინც ვერ მოასწრებდა – ჟურნალი, მასალები, ავტორები, ქუთაისი...

19 თებერვალს საინტერესო წიგნს აჩუქებდა ზურაბ კუხიანიძე: ფედერიკო გარსია ლორკას მკვლელობაზე. წუხელ ადრე დაწვებოდა, ძალიან ადრეც გაეღვიძებოდა და იკითხავდა და იკითხავდა... ადრევე დავით კვიცარიძე ეტყოდა:

– სკოლაში გაკვეთილი უნდა ჩავატაროთ ილია ჭავჭავაძეზე და ერთერთ სკოლაში გაკვეთილი შენ დაივალე.

უარით არ გაისტუმრებდა, რაზეც მუშაობდა – ილიას მკვლელობაზე – იმაზე ილაპარაკებდა ალბათ. წამოიღებდა კიდეც წიგნებს ხელახლა გადასათვალიერებლად.

აქეთ – ლორკა, იქით – ილია: დაემთხვეოდა ერთმანეთს.

21 თებერვალს ელდარ შენგელაია და თემიკო ჩირგაძე გაფრინდებოდნენ ალბათ უკვე მოსკოვიდან სინგაპურში.

სოლიკო ხაბეიშვილის პროცესს აჩვენებდნენ ტელევიზიით.

ოთხთვიანი პროცესი დაემონტაჟებინათ – ცხადია ტენდენციურად – ორსაათნახევრად. საინტერესო აღმოჩნდებოდა მაინც. როგორ გაშიშვლებოდნენ და როგორ გამჟღავნდებოდნენ!..

ჭკვიანი და ძლიერი პიროვნების შთაბეჭდილებას დატოვებდა ბრალდებული.

იბრძოლებდა და თავსაც გადაირჩენდა. ჭკვიანურად მოიქცეოდა!.. არავის გაედებოდა და ზედაპირზე – როგორც ამათ ენდომებოდათ – იტივტივებდა...

ჯერ ხაბეიშვილის ეპოქას, შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებას აჩვენებდნენ: ვითომდა – ასეთი ადამიანებიც გვყავსო.

ექვთიმეს რომ XIX საუკუნის პატიოსნება მოჰყვებოდა, არც კი ეცოდინებოდათ.

ამ გათახსირებულ დროს კი რა შეაჩერებდა, რა ტელევიზია, რა სასამართლო უშველიდა.

სასამართლოს ჩვენებამდე პლენუმს აყურებინებდნენ და საგანგებოდ გამოჰყოფდნენ კანდიდ ჩარკვიანს. ჯუმბერ პატიაშვილი გადასცემდა ორდენს პირადად. ტრიბუნაზე აიყვანდნენ და ალაპარაკებდნენ. დაჯილდოებულს პატიოსნების განსახიერებად წარმოადგენდნენ. და თავს ვერ შეიკავებდა რეზო: ეს ბერიას თანამებრძოლი, ქრთამს არ იღებდა ალბათ, მაგრამ სისხლის სმაში მონაწილეობდაო...

ის შეოც – ასე მოიხსენიებდა ედუარდ შევარდნაძეს – ვერ იქნებოდა გუნებაზე. ერაყის ელჩს გააცილებდა დაღვრემილი. სახეზე ეწერებოდა ამჯერადაც ყველაფერი.

მშვენიერ სპექტაკლს ნახავდა მაინც.

სხვაგან რას ვეძებთ, ეგ უნდა გავაკეთოთო! – აღარ იცოდა, ეცინა თუ ეტირა.

თენეიშვილი, ბუჩუკური, ფრუიძე (ქუთაისის ღვინის ქარხანა). ბუჩუკური (სათვალით), უბირია... უფრო გენიალური ტიპაჟი რაღა გინდოდა!.. როგორ ამშრალებდნენ ხელებს ერთმანეთს!..

ფიქრობდა: მივალ, ბევრ რამეს გავიგებ პაატა გუგუშვილისაგანო!..

მომკვდარიყო, როგორც 1 მარტს შეიტყობდა. წინა დღით ჯანსუღ ჩარკვიანი ანეკდოტებს ჰყვებოდა პაატასთან დაკავშირებით. უკვირდა რეზოს: ეს რა ძველთაძველი სახუმარო გაიხსენაო. გაეჭრა მის ოხუნჯობას. თურმე მკვდარი ყოფილიყო უკვე, ანდა მეორე დღეს გარდაცვლილიყო იმ ანეკდოტების გმირი.

სოლიკო ხაბეიშვილის სიტყვასა თუ საჩივარს წაიკითხავდა 2 მარტს. სტენოგრაფიულ ჩანაწერად მისცემდნენ და ეგრეც უნდა ყოფილიყო. აშკარად იმ კაცის დაწერილი თუ მონათხრობი გახლდათ.

„ეს უეჭველია".

სტილსაც იცნობდა და მანერასაც. ძნელი საქმე იკვეთებოდა აშკარად. თვით სიტყვა კი ჭკვიანი კაცის წარმოთქმული იყო. ადრეც ეთქვა და ახლაც იმეორებდა: თავი გადაერჩინა ხაბეიშვილს. ბევრი რამეც მინიშნებულიყო იქვე... ბევრი რამეც გაირკვეოდა სულ მალე, ბევრ რამესაც აეხდებოდა ფარდა...

თბილისში ახალი ის იქნებოდა, რომ: „დონ კარლოსი" დაიდგმებოდა და მიაწყდებოდა კიდეც ხალხი. ცოლი ბილეთებს იშოვნიდა და არ წაჰყვებოდა რეზო, არც სურვილი ექნებოდა, თორემ მოცლით ხომ არც ეცლებოდა. ხაბეიშვილის სასამართლო პროცესი უნდა ენახა ხელახლა. „დონ კარლო-

სი" კი გრძელი გახლდათ და მოსაწყენი. ელდარი, რომელიც სამხატვრო საბჭოს წევრი იყო, ეტყოდა:

– გასინჯვაზე ბოლომდე ძლივს გავძელი.

სასამართლო პროცესი კი გიზოს ექნებოდა ჩაწერილი და იმედო კახიანთან ნახავდნენ ხელახლა.

დაიწყებდა ალბათ სცენარს დღეს ან ხვალ. ყველაფერი ნათელი იქნებოდა მისთვის, სურათებს, ეპიზოდებს ხედავდა, მაგრამ მთავარი გმირი რომ ციხეში იჯდებოდა, ეს ეუხერხულებოდა. იქნებ სხვა – თუნდ გამომძიებელი – გაეხადა მთავარი? გამოჩნდებოდა, მომავალი დაანახვებდა.

ელდარი „ცისფერი მთებითურთ" ამერიკაში – რომელ ქალაქში, არ იცოდა – მიემგზავრებოდა. იქ უნდა შეხვედროდა – რეზოს ღრმა რწმენით – ყველაზე დიდი წარმატება. სინგაპურიდან – ასეც უნდა ყოფილიყო ალბათ – ამის ვარაუდით, ხელცარიელი ჩამოსულიყო. შეკითხვით არას ეკითხებოდა რეზო.

„მხატვარი იაშას" სცენარი მოსწონებოდათ და ზაფხულში ჩაუშვებდნენ ფილმს წარმოებაში.

ამ წლის ბოლოსვე უნდა ჩაშვებულიყო „ტურანდოტიც".

12 მარტს იპოვნიდა ელდართან ერთად ჩაფიქრებული კინოსურათის – რომლის პირობითი სათაურიც გახლდათ „პროცესი" ან „განაჩენი" – ფინალს, სადაც უნდა თქმულიყო:

– სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად!

– სასამართლო მოდის!

და ზავავები და წყალდიდობანი უნდა გამოჩენილიყო.

– ეს იყოს დასასრული, – შესთავაზებდა ელდარს და ისიც შეფიქრიანდებოდა:

– კარგია.

დაეთანხმებოდა ბოლოს. შესაძლოა მართლაც ამით დაემთავრებინა და... ატყდებოდა კიდეც ერთი ამბავი ამ „რეჟისორული მიგნების" გამო...

აღარც დაწერდა ალბათ ამის შემდეგ რეზო ჭეიშვილი ორიგინალურ სცენარს. თავისივე ნაწარმოების ეკრანიზაციას თუღა მოჰკიდებდა ხელს, ანდა სულაც სხვას გააკეთებინებდა.

სამსახური? სამ წელიწადს მაინც ეყოფოდა, რაც გაეკეთებინა – „მხატვარი იაშა" იქნებოდა თუ „ტურანდოტი" – და რის გაკეთებასაც აპირებდა. მერე გამოჩნდებოდა გამოსაჩენი.

5 აპრილს ელდარი ჩამოვიდოდა ამერიკიდან. ლოს-ანჯელესის, ჰოლივუდისა და ამერიკის შეერთებული შტატების ამბებს მოუთხრობდა. რეზო თავისას ეტყოდა.

8 აპრილს მოხაზავდა და დაიწყებდა უკვე სცენარს. შეთანხმდებოდნენ თითქოს. მთავარი დაწყება იყო. ჯერჯერობით სათაური მოსწონდა: „ასკილის წითელი ყვავილი".

ზურაბ კუხიანიძესთან ერთად კინოთეატრში ნახავდა ფედერიკო ფელინის სურათს „მიცურავდა გემი". ათ წუთს დააგვიანებდნენ და... მაყურებლები გარეთ გამოდიოდნენ უკვე. გადიოდნენ და გადიოდნენ, ესენი რომ

შევიდოდნენ. ბოლოს ცოტანიღა დარჩებოდნენ. მართლაც მოსაწყენი აღმოჩნდებოდა. ამას ჩათვლემდა კიდეც რამდენჯერმე. გადაჩვეულიყო კიდეც ალბათ კინოთეატრს. ტელევიზორთან რული არ ეკარებოდა ხოლმე.

ეს შენელებული კინოსურათი კი კარგი გახლდათ, მაინც დიდი ოსტატობითა და ნიჭიერებით გადაღებული. სიუჟეტი – უცნაური და საკინოო, შიგა დახლართულობა კი – უინტერესო. საათნახევარში ჩაჯდებოდა მშვენივრად, გაჭიანურება აღარ დაეტყობოდა.

წინა დღეს გურამ ენუქიძესთან რომ იმყოფებოდა, ნუგზარ ფოფხაძესაც იქ ნახავდა და „განთიადის“ ტირაჟის საკითხსაც – მეტს არაფერს – გადაწყვეტდა. შემდეგ გოგი ჩარკვიანთან ჩავიდოდა.

მოუხშირებდა იქ სიარულს, მაგრამ თავისთვის ხომ არა – სურდა რაღაც შეემატებინა ჟურნალის საქმისათვის. გამოესწორებინა, გაედიდებინა, გაეხშირებინა და კიდეც გადაებარებინა საიმედო ხელისათვის.

და... თეატრსაც უტრიალებდა გონებით.

შორეული და განუხორციელებელი ჩანდა ეს ფიქრი, მაგრამ შეუძლებელიც არაფერი უნდა ყოფილიყო.

ქუთაისის თეატრი რომ ჩაებარებინა ორი-სამი წლით, მხოლოდდამხოლოდ რამდენიმე, სწორედ ამ ორი-სამი, წლით. ეს იქნებოდა ექსპერიმენტი – მხოლოდ ქართული რეპერტუარით, პიესები მისი ან მისი დამუშავებული... აი ეგ იქნებოდა საქმე!..

რეზო ჭეიშვილის თეატრის დაარსებას აპირებდა.

იმ ორ-სამ წელიწადში მკვიდრ საფუძველზე დააყრდნობდა – თავისი ფიქრით – და კიდეც გამოეცლებოდა და გადააბარებდა სხვებს, რომელნიც ამ გზას აღარ გახრიდნენ.

აუვიდოდა დამოუკიდებელ თეატრს მისი პიესები?

დაარსებულიყო ოღონდაც და გადადებდა თავს, მოთხრობებსა და რომანებს სულ პიესებად აქცევდა.

ყველგან ნოდარ დუმბაძის თეატრი რომ მოდებულიყო, ამისიც ყოფილიყო ერთი, ერთადერთი.

რეჟისორებს არ აფიქრდებოდათ მისი არსებობა, ან თუ აფიქრდებოდათ, თვითონვე ივიწყებდნენ შემოთავაზებას?

ამიტომაც რეზო ჩააბამდა იქით რეჟისორებს ამ საქმეში, მთავარია ქუთაისის თეატრი მიენდოთ მისთვის ორი-სამი წლით, მხოლოდდამხოლოდ ორი-სამით...

იმ ანდაზის პერსონაჟივით მოსდიოდა: სოფელში რომ არ აყენებდნენ, ის კი მამასახლისობას ითხოვდა და ნაკლებ ადგილს არც ჯერდებოდა.

12 საათი ხდებოდა. რეზოს პატარა, წითელ ტელევიზორში ქართულად – სწორედაც ქუთაისზე – იმღერებდნენ.

ესეც სასიკეთოდ ენიშნებოდა: რაღა მაინცდამაინც ახლა ქუთაისზეო?!.

9 აპრილს ნიკოლო პაგანინზე რომ ჩაუჯდებოდა კითხვას, წამოუტივტივდებოდა: რამდენი რამ – შესაძლოა ერთადერთი რომანი – წაეკითხა ბავშვობაში და აღელვებდა ბედი უცნაური – შეიძლება ჩვეულებრივი – ხელოვანისა.

ახლა კი არ შეეძლო არ ამოეწერა სიტყვები ფერენც ლისტისა, ნეკროლოგში რომ ჩაეწერა თავის დროზე, ნიკოლო პაგანინის გარდაცვალებასთან ერთად რომ ჩაიფერფლებოდა მძლავრი სული:

– მაგისთანა რჩეულ შვილი ბუნება სწრაფადვე უკან იბრუნებს. მასთან ერთად მინაცრდა ხელოვნების უნიკალური ფენომენი, მის გენიას არა ჰყოლია არც მოძღვარი და არცა ბადალი, იყო იმდენად უზარმაზარი, რომ მიმბაძველიც ვერ გამოუჩნდა. მის ნაკვალევზე ვერ გაიელის ძეხორციელი. მის სახელს ვერავითარი ძალა ვერ შეედრება. მისი სახელი იმ ვარსკვლავედშია, რომელთაც ცალკე წარმოთქვამენ მხოლოდ.

რითი უნდა ახსნილიყო მისი დიდების ათინათი, უსიტყვო მეფური პატივი, საყოველთაო აზრს სიცოცხლეშივე რომ მიეგო, უზარმაზარი მანძილი, რაც მეფურ პატივს წარმოეშვა მასა და ვირტუოზის კვალში ჩამდგართა შორის, და რაც არ ღირსებოდა ასე ჭარბად არცერთ არტისტს?

რითი და: ზღაპრული გენიით, უფრო მეტად კი ამოუცნობი ფაქტორებით.

და დიადი რომ გახლდათ ნიკოლო პაგანინი, დაე ისიც გაგვეთვალისწინებინა, ლისტი რომ შეგვაგონებდა რიტორიკული შეკითხვით:

მერედა იცით, რა უჯდება ადამიანის ეს სიდიადე?..

25 მაისს მტკიცედ გადაწყვეტდა, რომ:

ხვალ აუცილებლად, ყოველმიზეზგარეშე შედგომოდა წერას „ასკილის ნითელი ყვავილისას“.

7 ივნისს ერეკლე ბადურაშვილი დაურეკავდა და აცნობებდა, რომ: ამ დღეებში გაჰქონდათ მათი სცენარი სამხატვრო საბჭოზე.

ოთარ შამათავას ფილმიც ჩასაშვები იყო, წელსვე ვარაუდობდა რეჟისორი ამ პროცესის დაწყებას. რეზოს ველარც კი გაეხსენებინა, რა ეწერა ამ „ტურანდოტში“.

ორ პიესას – „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალსა“ და „გაყრას“ – ქუთაისის თეატრში წაიღებდა ვინმე ჯინჯიხაშვილის ქალი. უხალისოდ გაატანდა. არც სურდა და არც დადგამდნენ – იცოდა, კი არ ვარაუდობდა.

ხოლო პავლე ჩარკვიანი მისი ორი ნოველის მიხედვით გაკეთებულ ორ სცენარს რომ აჩვენებდა (მესამე არ ენახა რეზოს, მაგრამ იქ, „წარსულის სურათებში“ არაფერი შეცვლილიყო), ერთი სრულმეტრაჟიანი ფილმი კი უნდა შემდგარიყო. სამ ნოველას ერთი კინოსურათი უნდა გამოეძერწა.

10 ივლისს გაეიზიანდებოდა, რომ: ვერა და ვერ მიეხრჩო სცენარი. ელდარის ზარს უფრთხოდა. მოსკოვში ეგულებოდა, კინოფესტივალზე, თვითონ არ ურეკავდა: ვაითუ შინ დამიხვდესო. აწი წინ წავიდოდა ალბათ და სამ-ოთხ დღეში მიახლაფორთებდა რაღაცას შავად.

30 ივლისს თეატრიდან დაურეკავდნენ და დაიბარებდნენ: როგორც ჩამოვა, შეგვეხმიანოსო, – მაგრამ ეს არც მიეკარებოდა ტელეფონს. თუკი მართლა სჭირდებოდათ, ისედაც მოძებნიდნენ.

ღამის სამის ნახევარი იდგებოდა 16 აგვისტოსი. ჭრიჭინი გაუდიოდათ ჩაწყვდიადებულ ვერის ხეში ჭრიჭინებს. გუშინ ჩამოვიდოდა მოგვიანებით. დაღლილს მალეც ჩაეძინებოდა. ამ საღამოს კი მიაყრიდა სცენარის ეპიზო-

დებს ერთმანეთს, რაკიღა გონებაში დალაგებული ექნებოდა. ნამეტანი შავად დაასრულებდა, თუმც ამ სახითაც საინტერესო იქნებოდა მაინც.

21 აგვისტოს „ჭიდაობას რა უნდას" წაღებას გადაწყვეტდნენ ქუთაისში 27-ისათვის, კინოს დღე რომ დარქმეოდა.

24 სექტემბერს სცენარის გადაბეჭდვასა და „განთიადის" მეექვსე ნომერზე იფიქრებდა ერთდროულად.

2 ოქტომბერს გიორგი ხარაბაძის მიერ წაკითხულ დავით კლდიაშვილს მოუსმენდა ტელევიზორეთში. ადრეც გაეფრთხილებინა: ვკითხულობ და იცოდეო. მაშინ ვერ მოეხერხებინა მოსმენა, ახლა უყურებდა და ძალიან კმაყოფილიც დარჩებოდა:

– ყოჩაღ!

8 ოქტომბერს „ბედნიერ შეხვედრას" აჩვენებდნენ ტელევიზიით და... ამას გაახსენდებოდა ის დრო: 1948 წელი. აღტაცებული გახლდათ ამ ფილმით მაშინ. ბაღის ეზოში ავიდოდა და იტყოდა: ამნაირი და ამნაირი ფილმიაო. – კარგი არ იქნებაო, – ერთი არ დაუჯერებდა, – კარგი „ქეთო და კოტეაო", – და რაღაც სხვასაც დაუსახელებდა. და რეზოს გუნებაში გაეცინებოდა: ნახავ და ასე აღარ ილაპარაკებო.

რა მოეწონებოდა თვითონ?

ის, რაც სხვას: სილამაზე ბუნებისა, ადამიანების, სისუფთავე, სიუხვე, ბედნიერება... მოეწონებოდა ის, რაც აკლდა თვითონაც, სხვებსაც, რაც არ იყო, რაც არ არსებობდა.

რატომ უყურებდა ამას წინათ ასეთი ინტერესით?

გიორგი შავგულიძის ცეკვას, ძაგნიძე-ჩხიკვაძის დუეტის სიმღერებს ელოდა, ცნობისმოყვარეობაც შეიყოლიებდა ცხადია.

მაშინ, იმ დროს კი – ახლა რომ უკვირდებოდა – სხვა განზომილებაში ხედავდა, სხვა კუთხით აფასებდა, სიყალბეს, სისულელესა და უნიჭობას აპრიორულად იღებდა ისიც და სხვანიც, მოზრდილები, დიდები.

ლამაზი ქალები, ლამაზი მამაკაცები, ჩაცმულები, დახურულები, არც სიცხე აწუხებდათ, არც სიცივე... ეგ მოეწონებოდა მაყურებელს. მსახიობებს გარეგნულად ადარებდნენ ერთმანეთს, ვარცხნილობას, კოსტიუმებს აფასებდნენ, მელოდიებს იმახსოვრებდნენ... უცხო, ახალი პირის გამოჩენა – თუნდ ეპიზოდებში – შესამჩნევი გახლდათ.

კინო და კინოში მოღვაწეობა დიდ პატივად მიიჩნეოდა. იყიდებოდა „ატკრიტკები", ნარდზე ახატავდნენ მსახიობებს, საპარიკმახეროებსაც მათი ფოტოსურათებით ამკობდნენ.

ბედნიერი ცხოვრების ილუზია რატომ არ აღიზიანებდათ?

რეზოს შეტყობით: მომავალს ხედავდნენ, ჯეროდათ, სწამდათ, უკეთესს ელოდნენ, უკან მოეტოვებინათ – აღარ განმეორდებოდა ეგონათ – ომისა და ადრინდელ უბედურებათა სურათები, მერმისის შიში არ დასადგურებულიყო დღევანდელივით.

მაშინდელი სოფელიც კარგად ემახსოვრებოდა. ომიდან დაბრუნებულები სამხედრო სამოსის ნარჩენებით დადიოდნენ კვლავინდებურად, ღირსე-

ბას ინარჩუნებდნენ, უპირატესობას გრძნობდნენ სხვებთან შედარებით. სხვებიც – ვინღა იყო ეს სხვა? ქალები, ბავშვები, მოხუცები, დეზერტირები – აფასებდნენ. ისინი კი ისევ ელოდნენ. რას? თვითონაც არ ეცოდინებოდათ გარკვევით – ყოველდღიურობას, სინამდვილეს, რეალობას ვერ ეგუებოდნენ თითქოს, გათქვეფილიყვნენ საყოველთაობაში და უპრეტენზიოებად ქცეულიყვნენ: გლეხად, მუშად თუ ვაჭრად – ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტათ.

სხვათა შორის ეს იმ „ბედნიერ შეხვედრაშიც" ცნაურდებოდა.

და... სტალინიზმის სული?

ის მკვეთრად იგრძნობოდა და ტრიალებდა ყველა წვრილმანში და თავისთავად გადმოვიდოდა კინოფილმშიც. სხვანაირად მართალია, მაგრამ ცხოვრებაშიც ეგრე გახლდათ. პარტიული „სვოლოჩები" კი ნელ-ნელა იკავებდნენ პოზიციებს, თანამდებობებს, ნელ-ნელა და მეთოდურად ავიწროებდნენ დემობილიზებულებს...

გადააელებდა თვალს და გულს დააკლდებოდა:

უკეთესად ვფიქრობ, ვიდრე ვწერო...

მიშა ჭიაურელი რომ მოაკითხავდა და სცენარივით რაღაცას მოუტანდა: არ ვარგაო, – გააფრთხილებდა წინასწარვე. წაიკითხავდა ესეც და... მართლა არ ევარგებოდა... რა სურდა, მიხვდებოდა, მაგრამ როგორ და რანაირად უნდა მობმოდა თავი, ამას უკვე ვეღარ გაიგებდა რეზო და რეჟისორიც ვერაფერს შეასმენდა. 11 ოქტომბერს ჩაუფიქრდებოდა და... თუ იოლი სამუშაო აღმოჩნდებოდა, ეგებ მოეკიდა მაინც ხელი გადაკეთება-გადამუშავებისათვის.

გულის უკმარისობას გრძნობდა, მოდუნებულიყო, თითქოს სტიმულატორი – ოლონდ არა წამალი – სჭირდებოდა.

ორ სპექტაკლს ნახავდა ქუთაისის თეატრში: „ოთარაანთ ქვრივი" – ვახტანგ ტაბლიაშვილის დადგმით – რამდენიმე დღის წინათ, და 18 ოქტომბერს კი „ეზოში ავი ძაღლია". მძიმე შთაბეჭდილება დარჩებოდა. ესეც არაფერი, რომ სუსტი იქნებოდა ერთიცა და მეორეც. შესაძლოა ამნაირი სუსტი და ამ დონის სპექტაკლები მოსწონდა კიდეც მაშინ... შესაძლოა და... მაინც არ უნდა ყოფილიყო ასე: მაშინ მაინც სხვა გახლდათ, რაღაცის, ვიღაცის ნიჭი გაიელვებდა... მუსიკა, ორკესტრი. ახლა აღარც მუსიკოსები მონაწილეობდნენ. შენობაც დიდი იყო, არაკომპაქტური, ცივი...

მისი თეატრი მაინც იქ დარჩენილიყო, ძველ ალაგას...

25 ოქტომბერს პირველი საქმიანი ლაპარაკი ექნებოდა ელდართან. შეუდგებოდნენ ალბათ პრაქტიკულ მუშაობასაც. რაც დაეწერა, კარგი იყო, მთავარია, რომ ელდარს მოეწონებოდა. დანარჩენზე – თუკი რეჟისორი არ გააწბილებდა – მორიგდებოდნენ. რეზო მაინც ორ სერიად ვარაუდობდა.

11 ნოემბერს ელდარი გაუმჟღავნებდა ჩანაფიქრს:

სურდა გადაეღო ჭუჭყიანად, არეულ-დარეულად, თითქოს ყანყალებდა აპარატი...

ძალიან მოეწონებოდა რეზოს გადაღების ეს მანერა და თავის მხრივ დაურთავდა:

– ზევიდან და დიდი პლანებით, პანორამებით, სადგურებით, საწყობებით...

თითქოს უქმად გაელია ეს წელი და... ეს სცენარი კი ხუმრობა აღარ გახლდათ... მაინც უხაროდა სადღაც...

აქვე დაუმატებდა: ორშაბათს ერეკლე ბადურაშვილის ფილმიც რომ ენახა – გახმოვანებული, ფრიად სასიამოვნო აღმოჩნდებოდა – არც მოელოდა, დიდ შთაბეჭდილებას დაუტოვებდა... გახმოვანების ტექსტსაც გადახედავდა და რაღაც-რაღაცებს ჩაუმატებდა, ხელახლაც დაუწერდა, იქნებ ჩაესწრო კიდეც.

26 იანვარს, ეს უკვე 1988 წლისა, ესტუმრებოდა შინ ახალგაზრდა რეჟისორი და მოსანვევებსაც დაუტოვებდა...

უქებდნენ ფილმს და პრემიერაზე გამოჩნდებოდა, რა ჰქონდა საქებარი.

ელდარი ამერიკელ სტუმრებს მასპინძლობდა... თუ ჯერ კიდევ ელოდა... რეზოს ამდენი აღარ ეცოდინებოდა...

29 იანვარს პანაშვიდზე იქნებოდა წასასვლელი და წინა დღეს ივარაუდებდა: ფილმის პრემიერას ვერ დავესწრებიო.

მოაკითხავდა ოთარ შამათავაც:

– უკვე ჩაშვებულია და სცენარს უნდა გადავხედოთ, ჩავამატოთ, ჩავასწოროთ.

რეზო დაყაბულდებოდა, ანკი რატომაც არა.

ყარამან მგელაძე ურეკავდა – ძველთაძველი სცენარის ამოქექვა, აღორძინება ექნებოდა გადაწყვეტილი.

მიშა ჭიაურელი აღარ ჩანდა. მანქანას გამოაყვანინებდა ელდარი და რეზო ახლა ხვდებოდა, ფარულადაც გარიგებოდა: ჩემს ავტორს აღარ მოაკითხო, აღარ გამიცდინო, ჩამოეხსენი ამ კაცს და მოგცემთ ავტოსაო.

ეგრე იქნებოდა ნაღდად, სხვანაირად ამის ახსნა შეუძლებელი გახლდათ.

თუ ვინმეს, ელდარ შენგელაიას იცნობდა კარგად, და ის რა – რეზოს გამოაპარებდა რაიმეს?!.

პავლე ჩარკვიანი მის ერთ ნოველას რომ გაასცენარებდა, რეზოს ეს არ აწუხებდა. თუკი გადაჭრიდა პავლე, თვითონვე კერავდა ხოლმე. ესეც კარგი გახლდათ ერთი მხრივ.

1 თებერვალს რომ წაიმუშავებდა ელდართან ერთად, საქმეს წინ მაინც ვერ წაიგდებდნენ.

24 აპრილს მაინც რომ შეიყოლიებდა ტელევიზორი, „არ იდარდოს“ ნახავდა ისევ და კიდევ ერთხელ დასცდებოდა: რა მშვენიერი ფილმიაო.

სერგო ზაქარიაძეს იხსენებდა, რომ უყურებდა, თვითონვე ახმოვანებდა, თუ რეზოს არ ეშლებოდა. გაუკვირდებოდა კი. სამხატვრო საბჭოზე, კინოსტუდიაში, ნახევარ-გაბმულად არა – რუსულად ლაპარაკობდა და: ჩემი რუსულითო, – უმატებდა, ხაზს უსვამდა თავის ურუსულობას და... რეზოს პირადად აბნევდა.

მიხეილ მგალობლიშვილი ეტყოდა ჩუმად:

– რას გვამადლის ამ თავის რუსულს, ვერ გავიგე... კარგად იცის და რატომ ამბობს ასე, არ ვიცი.

გაკვირვებას ვერ დამალავდა, რეზო კი დღიურში დასძენდა: მიშას არ შეეშლებოდაო.

ვინ აღარ იყო სამზეოზე ამ ფილმიდან!

ჩამონათვალს რომ შეადგენდა, იქ აღმოჩნდებოდნენ: იპოლიტე ხვიჩია, კოტე დაუშვილი, ქობულაძე, ნიჟარაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ცეცილია თაყაიშვილი... და ღმერთს შესთხოვდა დანარჩენების კარგად ყოფნას!..

12 მაისს ელდარს შეუთანხმდებოდა საბოლოოდ – ერთი ვარიანტი უნდა გაეჭიმა, მეტი გზა არ იქნებოდა. შიგადაშიგ ჩასწორდებოდა და ალაგ-ალაგ გადაკეთდებოდა.

ერთი საგულისხმო დეტალი მოაფიქრდებოდა და ტელეფონით ვეღარ და ვეღარ დაიჭერდა რეჟისორს.

„ასკილის წითელი ყვავილი" სულ უფრო და უფრო რომ მოსწონდა, დაიბეჯითებდა, რომ: არ შეიძლებოდა მისი დაკარგვა და სულ იოლად გადაკეთდებოდა რომანადაც... ჯერ მაინც ადრე იქნებოდა ალბათ...

არტემის საქმე უნდა დაეწყო წელსვე... ეგ იყო საჭირო. უნდა დაეკავშირებინა ალბათ... „ალბათ" კი არა, აუცილებლად...

ელდარ შენგელაია „დონ კიხოტის" ცხრა სერიის მასალას რომ ნახავდა, 25 მაისს შემოსჩივლებდა რეზოს:

– გამოვშტერდი ყურებით და უგემოვნების ხილვით.

დავით აღმაშენებელზე აპირებდა ამის შემდეგ ფილმის გადაღებას რევაზ ჩხეიძე.

და ვერა და ვერ აეხსნა რეზო ჭეიშვილს:

„რაიკომის მდივნის" ავტორს რა ესაქმება ან ერთთან ან მეორესთანო?

გაოცებისაც არის, აღშფოთებისაც ეს რიტორიკული შეკითხვა.

გაოცება და აღშფოთება ასევე ერთდროულად გამოსჭვიოდა აკაკი ბაქრაძის სიტყვებიდან, ჯანსულ ღვინჯილიაზე რომ იტყოდა:

გიორგი სააკაძეზე წიგნის დამწერმა როგორ დანერა წიგნი დავით აღმაშენებელზეცო?

მართლა მიამიტურად განსჯიდნენ ამ შემთხვევაში თუ გარეგნული წინააღმდეგობის, ასერიგად მკვეთრი წინააღმდეგობის წარმოსაჩენად ესაჭიროებოდათ ეს შეპირისპირება?!.

დავით აღმაშენებელიც ხომ ისევე გულისხმობდა რევაზ ჩხეიძის თვალში ედუარდ შევარდნაძეს, როგორც რაიკომის მდივანი გიორგი თორელი?

და ჯანსულ ღვინჯილიას მზერაშიც დავით აღმაშენებელიც ხომ ისევე გაიგივებოდა ედუარდ შევარდნაძეს, როგორც გიორგი სააკაძე?

მათთვის მოშლილიყო, გამქრალიყო გარეგნული წინააღმდეგობა და, როგორც ხედავდნენ, ისევეც გაიაზრებდნენ – შეჰხაროდნენ და შეფრფინავდნენ „მსოფლიო პოლიტიკოსს" და აღტაცებას ამითაც გამოხატავდნენ, ამგვარი გაიგივებებით, დავით აღმაშენებლამდეც რომ ატყორცნიდნენ.

აბა ჭაბუა ამირეჯიბისა და მუხრან მაჭავარიანისთვისაც გეკითხათ: შეიძლება თუ არა დავით აღმაშენებელთან ედუარდ შევარდნაძის შეტოლებაო?!.

31 მაისის საღამოს სიმონეთში რომ მოუწევდა სტუმრობა, ტელევიზორში „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალს“ აჩვენებდნენ. მანამდე აბრკოლებდნენ მის ჩვენებას ამ სრულიად არადამაჯერებელი მოტივით: ღვინის სმა და სადღეგრძელოებიაო. ახლა რასთან დაკავშირებით აეხსნათ აკრძალვა, ვერ მიმხვდარიყო რეზო.

ეროსი მანჯგალაძის გამო ამათი სუფრა აიშლებოდა – ტელევიზორთან გადაინაცვლებდნენ. ხმა ცუდად ისმოდა, ხან – სულ არა და წასვლას აიჩემებდა ძალისძალით, რადგანაც სხვები კვლავ სუფრას მიუბრუნდებოდნენ. წამოიყვანდა ყველას და შინაც ამ ტელესპექტაკლს მიუსწრებდა. შუაში შეეჭრათ – უკანასკნელი ცნობებით ალბათ – და ორ ნაწილად გაეყოთ, როგორც გაირკვეოდა. ხმამაღლა იქნებოდა ტელევიზორები ჩართული და ყველგან ეროსის ხმა გაისმოდა.

და ერთხელ კიდევ დაენანებოდა რეზო ჭეიშვილს:

ეს კაცი როგორ უნდა მომკვდარიყოო!..

და სხვა მხრივაც დაწყდებოდა გული:

ათასჯერ უკეთესი პიესებიც დაეწერა, ეს სპექტაკლი არაფერი გამოჩნდებოდა იმათთან შედარებით, რომელთა განხორციელებასაც არ ადგებოდა და არა საშველი.

და თეატრში მისი მოღვაწეობის დროც არა და არ დგებოდა.

14 ივნისს ფინალური სცენები დარჩებოდა სცენარიდან, დანარჩენებს წაიღებდა გადასაბეჭდად ამ დილით ელდარი. ამაღამ ავად თუ კარგად ამასაც მორჩებოდა და... საბოლოოდ კი არა, მაგრამ ცოტა ხნით დაისვენებდა ამ სცენარისაგან. განიხილავდნენ, წაიკითხავდნენ ალბათ. ერთი თვით მაინც გაეთიშებოდა და ესეც საქმე იქნებოდა.

4 ივლისს პავლე ჩარკვიანი მოაკითხავდა და სცენარსა და მასალაზე დაუწყებდა წუწუნს. და რეზოს წამოაგონდებოდა, უნივერსიტეტში პავლეს წუწუნავას რომ ეძახდნენ.

მიშა ჭიაურელიც ესტუმრებოდა და მზა სიუჟეტს – არცთუ ცუდს – მოუტანდა:

– ორ კვირაში დაწერ, მოიცალო იქნებ როგორმე.

– წაკითხვით წავიკითხავ, სხვას ჯერჯერობით ვერაფერს დაგპირდები, – ამ სიტყვებით გაუშვებდა.

8 აგვისტოს სატელევიზიო ფილმის – „ვერდი“ – მეექვსე სერიას ნახავდა და მოეწონებოდა: გიყვებოდნენ და დასურათებულ წიგნს გიკითხავდნენ თითქოს.

შემდეგ ინგლისურ ფილმსაც ნახავდა, მესამე სერიას, ბუნებისმეტყველებაზე: სიცოცხლის წარმოშობა, სიცოცხლის ფორმები და რაღაც-რაღაც... საოცარი ერთგულებით, მოთმინებითა და პროფესიონალიზმით გადაეღოთ. თუ ბუნების სიყვარულივით რაიმე არსებობდა შენში, თვალს ვერ მოაცილებდი ეკრანს.

ბუნების სიყვარულივითო...

და თვითონ რეზო შიგნიდან განიცდიდა ბუნებას, სულაც ერწყმოდა ხოლმე მის სტიქიონურ ძალმოსილებასა და ყველაზე მძაფრ გამოვლინე-

ბებს, შეიგრძნობდა უმცირეს ნიუანსებამდეც და რა გასაკვირია, ასე რომ მიეჯაჭვებოდა ეკრანს. და დაუფასებდა გადამღებ ჯგუფს იმ თავდადებას, ურომლისოდაც არსად არასოდეს შექმნილიყო ნამდვილი სულიერი ღირებულებანი და აგერ სიცოცხლის წარმოშობის საიდუმლოს ძიებისას რა მომნუსხველი შთაბეჭდილებისთვის მიეღწიათ.

„კომუნისტის“ რედაქციაში უნდა გაეგო ელდარ შენგელაიას დაჯილდოების ამბავიც. ლიკანში გაეგზავნათ ინტერვიუსათვის თანამშრომელი.

– აქ არის, – ეტყოდათ რეზო.

– ვრეკეთ, ვერ ვნახეთ.

მოგვიანებით მაინც რეზო დაიჭერდა, ის-ისაა რომ შევიდოდა შინ, და პირველიც იგი მიულოცავდა. იმათ არ თვლიდა, რომელთაც წინასწარ იცოდნენ ელდარის სახალხო არტისტობა. არადა: წინა დღეს რეზოსათვის არ გაემხილა.

ისევ დაურეკავდნენ პავლე ჩარკვიანიც და მიშა ჭიაურელიც...

14 აგვისტოს ბერძნულ კინოფილმს უჩვენებდნენ ტელევიზიით: „სირტაკს“. არ აპირებდა ყურებას და შეჰყვებოდა თითქმის ბოლომდე. უფრო მოეწონებოდა, ვიდრე თავის დროზე ეს კეთილი ფილმი, დიდი წარმატებით რომ გადიოდა თბილისში...

ელდარი მოიტანდა კასეტას საზღვარგარეთული ფილმისა და საგანგებოდ აჩვენებდა. მხოლოდ ეს ორნი უყურებდნენ. დონე მაღალი აღმოჩნდებოდა მართლაც, შესანიშნავად გადაღებული, ოპერატორი იქნებოდა და – კარგი, მხატვარი იქნებოდა და – კარგი... მაგრამ ემოციებისაგან დაცლილიყო. სქესობრივ სიშიშვლეს იქით უხამსობას აღარ ეძახდნენ, მაგრამ... ტუალეტში ჯდომაც ესთეტიკა გახლდათ? ეს რა ხდებოდა. სიბინძურე ბევრი იქნებოდა ამ ფილმშიც.

პავლე ჩარკვიანი აჩვენებდა „ჭის“ მასალას. არ დატოვებდა ცუდ შთაბეჭდილებას. ურჩევდა რაღაც-რაღაცებს. გზაზე დააყენებდა თავისი ჭკუით, და ისე თუ დაალაგებდა და კარგადაც გაახმოვანებდა, უნდა გამოსულიყო რაღაც.

მუხათწყაროსაც ააკითხავდა და სცენარზეც წაიმუშავებდა.

27 აგვისტოს ელდარი დაურეკავდა:

– კიდევ ჩავასწოროთ ბარემ, ჩემი მოსაზრებები მაქვს.

გულს შემოეყრებოდა რეზოს და აბუზღუნდებოდა დღიურში და რას აბუზღუნდებოდა:

ექნება, რა გამოულევს. მაგის მოსაზრებებს თუ ვუყურე, აღარაფერი მიკეთებია ამქვეყნად მეტი და ეგაა... გაჭირვებას რა ვუთხარი, თორემ როგორ გავეკარებოდი ახლა, ამ ასაკში, ორიგინალურ სცენარსო!..

არადა: ისევ უნდა მიბრუნებოდა, მეტი რა გზა ჰქონდა. შიგ ჩახედვაც აღარ ენდომებოდა, ეზიზღებოდა კიდეც უკვე. ისე... ძლიერი ფილმი უნდა გამოსულიყო, და გამოვიდოდა კიდეც, თუ მიჰყვებოდა ბოლომდე.

სახელსაც მოუტანდა რეჟისორს.

და თვითონ... რეზო ჭეიშვილს?

ვაი, რომ არც არაფერს.

თუმც... ვინ იცის ისე წასულიყო საქმე, სულაც და სწორედაც ამ ფილმით შერჩენოდა ისტორიას.

შენ გინდ გეცინა და გინდა არა წუთისოფლის უცნაურობასა და მახეებივით დაგებულ პარადოქსებზე.

მართლა გაუჩნდებოდა ეს ფიქრი, რაც სავსებით შესაძლებელია კიდეც ამხდარიყო.

ამ ფილმის სცენარისტად შემორჩენილიყო მისი სახელი!..

და ეს ვისი – ბელეტრისტული შედევრების – არაერთის – შემოქმედის...

ირონიულად ჩაიღიმებდა:

მიუხედავად ამ სიკეთისა, არ მინდა სცენარიო.

ადრე სარეჟისორო სცენარზე რეჟისორთან ერთად ჯდომას მიიჩნევდა წამებად, ახლა ყოველნაირად გაუსაძლისი ეგონებოდა ეს ხელობა.

27 ოქტომბერს ვერ მივიდოდა რადიოში, სადაც უნდა მოესმინა ინსცენირება მისი მოთხრობის – „ბიჭიკოს ავადმყოფობის ისტორია" – რადიოდადგმისა. საინტერესოდ და გაბედულად კი გაეკეთებინათ.

კინოსტუდიაშიც ვერ მოახერხებდა შევლას, პავლე ჩარკვიანი სადაც ელოდებოდა – გახმოვანებაზე უნდა წაშველებოდა.

21 ნოემბერს ამერიკიდან და საფრანგეთიდან დაბრუნებული ელდარ შენგელაია ესტუმრებოდა და შემოსჩივლებდა:

– გადავიღალე სასტიკად.

და სახეზეც შეეტყობოდა დაღლა.

ქორწილში ყოფილიყო დაპატიჟებული და ცოლიც ურეკავდა დროდადრო. და რასაც მოასწრებდა ამ მოკლე დროში, მოუყვებოდა. დანარჩენს შემდგომისათვის დაპირდებოდა. სალაპარაკოს ანკი რა დალევდა. დიდი ტურნე, დიდი და სასარგებლო ვოიაჟი ჩაეტარებინა. ლექციებს კითხულობდა ამერიკის ქალაქებში და აჩვენებდა ფილმებს. ძირითადად მაინც „ცისფერი მთები" რომ იტრიალებდა.

24 დეკემბერს ლიანა ელიავა, კინორეჟისორი, რომ შეხვდებოდა სტუდიაში. გული შეეკუმშებოდა: მტერია ასაკი ქალისა... ჰკარგავს სინათლესა და უპირატესობას ყოველგვარსო...

რეზო ჭეიშვილის ეკიპაჟის წევრადაც მიიჩნევდა თავს ლიანა... შემდეგ გაკიდეგანდებოდა, უიმედოდ შეუყვარდებოდა ერთი კაცი და... სულ სხვაზე გათხოვდებოდა...

12 იანვარს „ხარება და გოგიას" ნახავდა ტელევიზორში, გიორგი შენგელაიას ფილმს, ეკრანზე რომ არ ენახა. ტელეეკრანზე სხვის ნაშრომ-ნაწვალებს – როცა ეგ საქმე იცი – არ უნდა უყურო, პატივი უნდა სცე რეჟისორსაცო და სხვასაცო, – ყოველთვის უბეჯითებდა თავს, მაგრამ ნახავდა მაინც და თავის დასკვნებსაც გამოიტანდა. კარგიც იქნებოდა და ცუდიც ფილმი. ბევრი რამ შეიმჩნეოდა კარგი, მაგრამ ბევრ ცუდსა თუ უსახოს ვერა ფარავდა, მთლიანად ვერ აბათილებდა. ბოლომდე არ გახლდათ სათქმელი მიყვანილი. მწერალი არა ჩანდა. სიტყვა გაშინაურებულიყო, გაუბრა-

ლოებულიყო, ამიტომაც ვერ გადაილახებოდა ზღვარი, რომლის იქითაც ხელოვნება იწყება ნამდვილი.

ერთადერთი, რაც ძალიან მოეწონებოდა, ფინალური სცენა აღმოჩნდებოდა:

შთამბეჭდავიაო!..

2 თებერვალს ტელევიზორში „აბესალომ და ეთერს" გადმოსცემდნენ. უსმენდა მუსიკას – სითბოში, მარტოობაში. გუშინ და დღეს ჩიტები ეძახდნენ ერთმანეთს, მრავალი სხვადასხვაფერად ლამაზი ჩიტი, ეზოში – შაშვებიც. გუშინ ტყემალზე სამი შაშვი იჯდებოდა, ორი – შავი, ერთი – მონაცრისფრო. შაშვები ჩაუნისკარტებდნენ ერთმანეთს და სხვადასხვა ტოტზე გადასხდებოდნენ. შუაში დედალი იჯდებოდა და ასე იქნებოდნენ კარგა ხანს.

შაშვი ეზოში კი არა, ტყეშიც არ ყოფილიყო ადრე, რეზოს ბავშვობისას და შემდგომაც.

გურამ თუთბერიძე წაიყვანდა სანადიროდ – ძაღლითა და თოფ-იარაღით გოდოგანთან, წყალწითელას ჭალაში, „პროპკის ტყეში". შაშვი სასროლად კი არა, დასანახავადაც არ მიიკარებდა.

25 აგვისტოს ჩაინიშნავდა, რომ: ელდარ შენგელაია აპირებდა ჩამოსვლას და რეზო ნალენჯიხაში უნდა წაჰყოლოდა... სცენარის საქმე კი კარგად მიდიოდა... იწერებოდა...

15 სექტემბერს იდიოტურ სცენარსაც დაამთავრებდა, არაიდიოტურს დაამსგავსებდა. „დონდინიოს" დაარქმევდა, ახლა უკვე უნდა გადაებეჭდა.

30 სექტემბერს რომ გადაბეჭდავდა და გადაათვალიერებდა ამ სცენარს, ისე მოეწონებოდა, რომ დაენანებოდა კიდეც სასცენაროდ...

5 ივლისს „ლუარსაბ თათქარიძის" სატელევიზიო დადგმას უჩვენებდნენ.

რას ერჩოდნენ ამ ლუარსაბს, ვერაფრით ვერ გაეგო რეზო ჭეიშვილს.

ვისაც არ შეეძლო, მაინცდამაინც იმას უნდა გამოეკრა ხელი. ვასო გოძიაშვილის ლუარსაბიც ენახა ძალიან დიდი ხნის წინათ... ყველა ერთ თარგში... იოლად, გაშარჟებულად...

არადა – რეზოსათვის რომ გეკითხათ – ილია ჭავჭავაძეს არც დაეწერა რამ უკეთესი...

მიშა ჭიაურელს გაატანდა სცენარს და გააფრთხილებდა:

– მეტი მანდ აღარაფერი მესაქმება.

ოთარ შამათავს დაემთავრებინა გადაღება, ნეტა რა გამოსულიყო? რევაზ ჩხეიძესა და გიორგი შენგელაიას ენახათ და მოსწონებოდათ. ერთი ნაჭერიც არ დაელანდა რეზოს, ატყობდა: გახმოვანებასაც გამომაპარებსო, – და ეს ძალიან ცუდად ჰქონდა დაცდილი.

ელდარი მოსკოვში იმყოფებოდა და ამას სცენარის მოსახრჩობი დრო რჩებოდა. ძველ ვარიანტებსაც გადაათვალიერებდა, დასჭირდებოდა, და თავის თავზე გაბრაზდებოდა: ეს რამდენი მიმუშავიაო.

გასულიყო აწი იქნება სწორებ-სწორებით ბოლოში და გადაღების დაწყებამდე სცენარს აღარც გაეკარებოდა.

შემდეგ: „რკინის სახკომის“ სწორება, ახალი მასალები – საბოლოოდ აქ იქნებოდა – მესამე ტომისათვის, და ამის გასრულების შემდგომ რეზო ჭიშვილის მწერლობის მეორე ეტაპიც დაიწყებოდა.

ეს კი ამ წელიწადსვე უნდა მომხდარიყო...

10 ოქტომბერს მივიდოდა სტუდიაში გაერთიანებულ სხდომაზე დაგვიანებით...

რევაზ თაბუკაშვილი ჩამოსულიყო, უკვე ცუდად გახლდათ, სიარულიც უჭირდა. რეზოს რომ ეტყოდნენ: ჯოხით დადისო, – ეწყინებოდა. უარესს ელოდა და უკეთესს რომ ნახავდა, გაიხარებდა. გადაკოცნიდა კიდეც. ის თავს მოარიდებდა:

– არ შეიძლება.

– გრიპი არა მაქვს, – ეტყოდა რეზო, ვითომ ვერ მიხვდებოდა, რატომ არიდებდა თავს მისი სეხნია...

ლაშა ეტყოდა:

– ასე აიხირა და ჩვენც არ გვიკარებს.

ადრეც ასე მოიქცეოდა რევაზ თაბუკაშვილი და ეცოდინებოდა მის სეხნიასაც, მაგრამ მაინც ამგვარად ამჯობინებდა: ვაითუ უკანასკნელად ვხედავო.

მხნედ იყო თითქოს, ებრძოდა საკუთარ თავს. ადრე, როდესაც კატასტროფას არა გრძნობდა, მოსწონდა კიდეც ეს პოზიცია, ამნაირი პოზა, არც ახლა მოკლებოდა მისი საქციელი არტისტიზმს (ეგ ბუნებაა პიროვნებისო, – ჩაურთავდა), მაგრამ მართლაც ცუდად გახლდათ... შესაძლოა მასალაც ველარ ენახა. მიემგზავრებოდა კვლავ, ალბათ პარიზში. ეს აღარც ჰკითხავდა: სად მიდიხარ ამჟამადო?.. – საწყენი იყო, სანაღვლო, აწი და აწი იქნებოდა იგი ცოდვა, თორემ მოსახდენი რომ მოხდებოდა, როდესაც გაასწორებდა ანგარიშს საწუთროსთან, იმნაირი განშორება იქნებ კარგ ვაჟკაცსაც შეხარბებოდა...

საქართველოს ცენტრალური კომიტეტი დაშლილიყო ალბათ, გავიდოდა ორი თვე და ბიურო არ გაიმართებოდა. ყოველ სამშაბათს ელოდებოდა უშედეგოდ, საქმე წინ მიდიოდა და არც მიდიოდა...

მუხრან მაჭავარიანის კაბინეტიდან დაელაპარაკებოდა იოსელიანს, ლორთქიფანიძეს ვერ დაიჭერდა. ყველაფერს ვერც ეტყოდა ზოგიერთი იქ მჯდომი მწერლის გასაგონად. 17-ში ბიურო იქნება და მანამდე ცნობა არ გვინდაო, – ურჩევდნენ. არადა: „თბილისში“ დაბეჭდილიც იქნებოდა ალბათ... რაც იყო, ეგ იყო...

11 ოქტომბერს ის ანდაზა მოადგებოდა პირზე: ბავშვი არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდნენო. ჟურნალის სახელწოდების შეცვლაზეც ფიქრობდა. აბრამზე გაახსენდებოდა: ღირდა თუ არა, აღარც იცოდა... „ცისკარი“, „განთიადი“... განა ერთსადაიმავეს არა ნიშნავდა?!.

პეტრე გრუზინსკიზე იქნებოდა გადაცემა 8 ნოემბერს. პეტრეს მისივე მანქანაში გაიცნობდა, „ვოლგა“ ეყოლებოდა: 21. რეზო და ანზორ სალუქვაძე ჩაუსხდებოდნენ და გაჩერდებოდნენ ოპერასთან... არა ჰგავდა ქართველს ერთი შეხედვით. რაღაც ჰქონდა ბოშის... შავი, სწორი და სქელი

ქოჩორი, თვითონაც შავი. მომღიმარი, დიდი თვალები. საჭესთან რომ იჯდებოდა, რეზოს ტანდაბალი ეგონებოდა. პირიქით კი აღმოჩნდებოდა – თხელი, ტანადი, თუმც მაღალიც არ ეთქმოდა. გვარიც ხელს უწყობდა რაღა ლაპარაკი უნდოდა და ქალებშიც გარკვეული წარმატებით სარგებლობდა, თუმც ამ საქმეზე თავდადებულ კაცსაც არა ჰგავდა...

კომპოზიტორები, მსუბუქი ჟანრის (ყოველნაირი გაგებითო, – ჭეიშვილურს ჩაურთავდა) კომპოზიტორები ეყოლებოდა ძმაკაცებად... მის საძმოში ისინი უმრავლესობას შეადგენდნენ. რეზო და ანზორი (ანზორი კარგა ხანს) მეგობრობდნენ მასთან იმ ხანებში – 60-იან წლებში. რეზო კვესელავაც, ირაკლი გოცირიძეც და სხვანიც... ეს მეგობრობა არ იქნებოდა ხანგრძლივი და ღრმა.

– მუხრანი ჩემი მეგობარია, – იტყოდა ხოლმე და უკვირდა რეზოს. არა ჰგავდნენ სამეგობროდ დაბადებულებს და თანაც ერთად ისინი არც არასოდეს ენახა.

მუხრანიც იტყოდა აგერ, ამ ორიოდე წლის წინათ:

– მე და პეტრე ძმაკაცები ვიყავით.

რეზოს უძნელდებოდა თქმა, მაინც როგორი მეგობრობა ექნებოდათ. და გაეღიმებოდა, ამ თვალით რომ გაზომავდა მუხრანის პიროვნულ ხასიათისა და ცხოვრების წესს:

არცა ჰყავს მეგობარი ორმხრივი მნიშვნელობითო...

უახლოვდებოდნენ და შორდებოდნენ, ზოგიერთ გამონაკლისს არა გულისხმობდა. გივი ძნელაძე გამოდგებოდა მაგალითისათვის. მაგრამ ეს თუ მეგობრობა გახლდათ, საკითხავი ეს იყო თუ იყო. ვინც დაჰყვებოდა, დასდევდა, არა შორდებოდა, ის გახლდათ მისი ახლობელიც. რეზოსა და მუხრანსაც ხომ სამსახური – ჟურნალ „საუნჯის“ რედაქცია – დააკავშირებდათ და არა მწერლობა, თუმც შორებლები, მიუხედავად ასაკობრისი სხვაობისა, არასოდეს ყოფილიყვნენ.

ახრჩობდა სცენარს, ხვალ ან ზეგ უქუთაისობა დაეტყობოდა უკვე. არადა აქ ექნებოდა მრავალი საქმე ჯერჯერობით.

რევაზ თაბუკაშვილი ჩამოვიდოდა, მაგრამ რეზო ვერც 15 ნოემბერს მოახერხებდა სტუდიაში შევლას და ვერც მეორე დღეს.

30 ნოემბერს რევაზ თაბუკაშვილი ძალიან ცუდად იქნებოდა, გაღიზიანებულ-განერვიულებულიც ყველაფერთან ერთად. ფეხზე ძლივს იდგებოდა სამშაბათს რეზო ჭეიშვილიც. ფილმი უნდა ენახათ იმ დღეს უმცროსი რეზო თაბუკაშვილის მონაწილეობით, მაგრამ სამდივნოც იქნებოდა იმავე დღეს და ეს ვეღარ გაჩერდებოდა. დაიბარებდა გადასაცემად: არ იყო კარგად და ნავიდაო. ეგრე იქნებოდა მართლაც. ვიდრე მანქანა მოაკითხავდა, სტუდიის ეზოში ივლიდა ბევრს და გამოკეთდებოდა ცოტათი...

ელდარი შემოეხმიანებოდა: კიდევ გვაქვს სამუშაო იმ წლიდანო.

რეზოს რა ექნებოდა საწინააღმდეგო.

კინემატოგრაფში კი დაებეგებინა თავისი ადგილი, თავისი სიტყვაც ეთქვა, თავისი კვალიც დაეჩნია.

ქართული კინოკომედია და... ურეზოჭეიშვილოდ?!.

მაგრამ თეატრის სცენაზე კი ვერ აეღწია მის პერსონაჟებს. რაღაც მოჯადოებული წრე რომ არა, „გაყრა" ხომ მაინც უნდა დადგმულიყო, ძალისძალათი რომ დააწერინებდა რობერტ სტურუა და ქვეყანასაც შეჰყრიდა: გიორგი ერისთავის კომედიის ახალ ვერსიას ვდგამ და თეატრის შენობასაც ამ დადგმით გავხსნიო!..

ეგებ ქუთაისში მაინც გარღვეულიყო როგორმე ეს მოჯადოებული წრე, ორი-სამი წლით მაინც რომ მიენდოთ მისთვის სცენა, სულაც ახალ თეატრს ჩაუყრიდა საფუძველს. მთელი არსებით გადაერთობოდა პიესებზე და... შექსპირს თუ გამართლებოდა, თუმც შექსპირს სად გამოსდევნებოდა, დავით კლდიაშვილს, ნოდარ დუმბაძესა თუ თუნდ ოტია იოსელიანს თუკი გამართლებოდათ, ნუთუ რეზო ჭეიშვილს სამუდამოდ უნდა შეკვროდა თეატრალური ბედი?!. ოღონდაც ერთი ჩარღვეული ადგილი ეპოვნა და ალექსანდრე ყაზბეგზე ნაკლებად კი არ დაახვავებდა პიესებს პიესებზე.

ვიღაც ვიღაცას შველას სთხოვდა, გამკითხავს უხმობდა ქარწვიმაში დარჩენილი მგზავრი.

რკინის უზარმაზარ ჭიშკარზე ხათქახუთქით მიეხლებოდა ჯაჭვი ჯაჭვს და რკინა რკინას.

მოხეტიალე დენი უნდა ეძებნა მწუხარე ქალს.

ერიჟრაჟა და გამოედარა კიდეც, აღარ ეწვიმა და ამოენათებინა მზეს, ხმაურით გამოეღვიძა ქალაქს და მის ხმას ამოეღწია არსენალის მთაზე.

კარი მეხსრე

თავი პირველი

1992 წელი

ახალი თემა მოჰყვებოდა ხელთ, მოულოდნელად და უცნაურად, თუმც... ეგებ არც უცნაურად?

მაგრამ ამთავითვე უნდა გამოსცლოდა, დაწყებულის მიტოვება რომ არ დანანებოდა.

მისატოვებლად რატომ უნდა გახდომოდა?

რატომ და:

1992 წლის 4 აპრილს შეიტყობდა გურამ თუთბერიძის გარდაცვალებას, 40-41 წელი ვისთანაც მეგობრობდა. დაკრძალვის წინა დღეს გადაათვალიერებდაა ფოტოსურათებს და ერთი ადრინდელი — ყრმობისდროინდელი — მიიქცევდა ყურადღებას. იქიდან შეეძლო დაეწყო, გონებაში უკვე აღდგენილი ჰქონდა, და აღეწერა, დაეწერა — არადა ეს რთული იქნებოდა და შეუძლებელი, რადგან შთამომავლობა რჩებოდა — ცხოვრება კაცისა, რომლის ცხოვრებაც არ შედგა... სწორად მიდიოდა და შეეშლებოდა ხელი, ბეწვის ხიდზე შედგებოდა, შემდეგ დაიშლებოდა ხიდი, ბონდი თუ სხვა. საფუძველშივე რომ იდებოდა სიყალბე, ოჯახური, ეს განაპირობებდა ტრაგედიას.

გურამი კუკიაზე დაიმარხებოდა, საფლავებსა და საფლავებს შორის გამოიძებნებოდა, იყიდიდნენ სინამდვილეში, გადამალული ადგილი. და ეს იქნებოდა მისი ცხოვრების ტრაგედიის დასასრული. უკანასკნელი სურვილი: ქუთაისში დამმარხეთო, — არ აუსრულდებოდა. და ენანებოდა რეზოს, მუხათგვერდის სასაფლაო რომ არ ერგუნებოდა გურამს: ის სივრცე, ის თავისუფლება. თანაც იქ განისვენებდნენ: ზეროც, ომარიც, ქლიბაძეც...

თვალწინ ამოსახოდა გურამის ცხოვრება. რატომ, რის გამო გაუკუღმართებულიყო ეს ცხოვრება, იცოდა, ხედავდა. დაწერა, თქმა არ შეეძლო — არც ახლა, და არც შემდგომ.

შეცვლა არ ივარგებდა, არ გამოვიდოდა. შთამომავლობისათვის დაეტოვებინა? რას იტყოდა გურამის შთამომავალი... მძიმე იქნებოდა!..

16 აპრილს თემურ ჩხეიძეს მოუსმენდა ტელევიზიით, გულისწყვეტით რომ ლაპარაკობდა:

„ჯაყოს ხიზნებში“ — ტელესპექტაკლს გულისხმობდა — ჯერ თეიმურაზ ხევისთავს თანაუგრძნობდნენ, შემდეგ ჯაყოს მხარეს დადგნენო.

ძალიან გაკვირვებული იქნებოდა რეჟისორი.

რეზო კი მიიჩნევდა, რომ ამ ფაქტის ახსნაც შეიძლებოდა.

ჯაყოს არავინ შეიყვარებდა, მაგრამ თეიმურაზი რაღა შესაყვარებელი იყო, ნაკაცარი კი არა, არაკაცი.

უილიამ შექსპირის ტრაგედიები (სპექტაკლები) გაახსენდებოდა. ვთქვათ „ჰამლეტი" — კინო, კინოსპექტაკლები, სპექტაკლები — ნოდარ ჩხეიძე, გიორგი გეგეჭკორი. არავითარი ადამიანური, დღევანდელი თვალსაზრისით, ემოციები. მხოლოდ მსახიობი (როგორ ასრულებდნენ), მხატვარი და თვით დადგმა... აკაკი ვასაძისა — მეტი ტექნიკა, აკაკი ხორავასი — მეტი ემოცია... დეზდემონას — შურა თოიძე რომ თამაშობდა — სინაზე.

ლორენს ოლივიესიც... სიცარიელე...

ანტონ ჩეხოვის სევდა, მოწყენილობა ყოველ შემთხვევაში, უფრო გადამდებიც ეჩვენებოდა, თუკი გაუძლებდი...

როდესაც წაიკითხ-გადაიკითხავდა ვინმე ლ. ალიუშინის წიგნს ანტონ ჩეხოვზე. ვერ იქნებოდა ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც საინტერესოდ მოეჩვენებოდა რაღაცით. ბევრი რამ მისი ბიოგრაფიიდან აქამდეც ეცოდინებოდა, ბევრს აქედან შეიტყობდა.

საოცარი გაჭირვებით ეცხოვრა სიყმაწვილეში. სამაგიეროდ მალე ეშოვნა ლიტერატურულ-თეატრალური სახელი, ფული, და მალევე დაესრულებინა ცხოვრებაც.

ბიოგრაფია მისი ოჯახისა უფერული გახლდათ, თუმც არცთუ ჩვეულებრივი. თითქოს ებრაულ ბუნებასა და ცხოვრებისადმი ებრაულ მიდრეკილებას ამჟღავნებდნენ. ვაჭრები, ერთი ძმა – მკინძავი, შრომისმოყვარეობა, მიდრეკილება სწავლისადმი, მუსიკისადმი, ხელოვნებისადმი ზოგადად და ყველაფერ ამის გამოყენება უტილიტარული მიზნებისათვის. საცხოვრებელი ბინების განუწყვეტელი ცვლა და სხვა.

წიგნს ბოლოს მაქსიმ გორკის წერილი დაერთვოდა და ეს სტრიქონები ბევრად ემჯობინებოდა თვით წიგნს. კარგად შეფასებულიყო რუსი ჭირისუფალი ამ წერილში.

ონორე დე ბალზაკსაც მიეღწია სურვილისათვის – ფულისა და სახელისათვის, და... მიცვლილიყო კიდეც, თუმც იქ – რეზოს დაკვირვებით – სულ სხვა მოვლენასთან უნდა გვქონოდა საქმე.

ბალზაკის ბუნებისა და ცხოვრების წეს-მანერის მიხედვით თუ ვიმსჯელებდით: მაინც უნდა არევდარეოდა და აწეწოდა კანონით ცხოვრება.

ჩეხოვს კი კომედიის გახანგრძლივება და ფარდის მშვიდად ჩამოშვება შეეძლებოდა.

მის ნებაზე არ გახლდათ, თორემ...

„პოლიციელები და ქურდები" — ამდაგვარი ადამიანური ფილმებიც მრავლად მოიპოვებოდა.

რობერტ სტურუა?

აღტაცება, გართობა, სანახაობა...

ცრემლი არსად, წუხილი არსად...

სიცარიელე ყველგან.

დავით კლდიაშვილიც ვერ გადაეტანათ, ამ თვალთახედვით, ბოლომდე...

თუნდაც დარისპანი... არ გახლდათ გაგებული ბოლომდე. ან მთლად ჩააშავებდნენ, ანდა გააშარჟებდნენ... თანხვდომაც იქნებოდა ალბათ ზოგჯერ... ვის როგორ ესმოდა...

რეზოსას ვინ გაიგებდა.

ვინ?

ვერც ვერავინ...

„შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი“ გადაეკეთებინა პიესად.

ფინალური სცენა, ზღვა სევდა, სიხარულნარევი წუხილი, სისუფთავე, სისპეტაკე...

ვის წაეკითხა, ვის ჩაეხედა...

იცოდა მისი ვინმემ?..

არავინ, არავინ...

18 აპრილს აკაკი ხორავაზე იქნებოდა გადაცემა. და აკაკი ვასაძე ილაპარაკებდა.

დიდი არტისტები იყვნენო, — გაიფიქრებდა, — სცენისაც და ცხოვრებაშიც არტისტები... აუცილებელიც კია... ბუნებითაც არტისტები. ასეთები ცოტანი იყვნენ და არიანო.

მაინც, მაინც?

გარდა ამ ორისა: ვასო გოძიაშვილიც, გიორგი შავგულიძეც, ეროსი მანჯგალაძეც, რამაზ ჩხიკვაძეც. და... სერგო ზაქარიაძე?

იყო ისიც — ცხოვრებაში.

აქტიორული მონაცემები ცხოვრებისეული — სიმღერა, ცეკვა, იმიტაცია, ხუმრობა — ნაკლები. სამაგიეროდ: ყოველდღიურობაშიც თამაშობდა საკუთარ თავს, თავის თავში — სხვას, ზემოქმედებას ახდენდა სხვაზე, თრგუნავდა. და საამისოდ შეიძლება გაგხსენებოდა რევაზ ჩხეიძის მაგალითი.

სხვა კიდევ ვინ?

მიხეილ ჭიაურელიც არტისტული იყო ბუნებით, ტალანტი — ნაკლები.

ძია მიშაო! — ძალდაუტანებლად მოწყდებოდა ეს შესიტყვება გულიდან და ასევეც ჩაინიშნავდა დღიურში, და მიადევნებდა, რომ: კარგად იცნობდა ერთი პერიოდი და დაკვირვების საშუალებაც ჰქონდა.

და აკაკი ხორავამ გიჟუა რომ ითამაშა 70 წლისამ?

საკვირველი იყო, მაგრამ საჭირო და აუცილებელი არა ყოფილა. სპორტული დისციპლინით თავიდანვე მოიკოჭლებდა.

და უეცრად ეს აზრი წამოჰკრავდა რეზოს:

სენატორი ან პრეზიდენტი რომ გამხდარიყო, შესანიშნავად შეასრულებდა ამ როლსაც, როლებსაცო...

ყველა ადამიანი რომ თავის როლს თამაშობდა ცხოვრების კარნავალში, ზოგი დიდს, ზოგიც პატარას, მაგრამ აუცილებლად კი უწევდა თამაში?

ეს კიდევ ცალკე, ამჯერად კი რეზო გულისხმობდა მხოლოდ იმ მსახიობებს, რომელთაც ცხოვრება და სცენა არც განერჩეოდათ.

23 აპრილს ამერიკის საელჩოს პრეზენტაციას გადმოსცემდნენ — ედუარდ შევარდნაძე ილაპარაკებდა... რა დრო დამდგარიყო: ამერიკის ელჩი — საქართველოში, ჩვენი სრულუფლებიანი ელჩი — ამერიკის შეერთებულ შტატებში. დიდი ამბავი იყო, დიდი!.. შევარდნაძე ქართულად ელაპარაკებოდა ამერიკელებს... სულ სხვა განზომილებაში მოქცეულიყო, ანდა მოექცეოდა, ჩვენი პოლიტიკური აზროვნება, ფსიქოლოგია...

რეზოს დაბადების დღეს — 24 აპრილს — შესანიშნავი ამინდი დადგებოდა, მზიანი. ნაშუადღევს ავიდოდნენ მუხათწყაროში, გამგეობის სხდომის შემდეგ. სამსახურს დაუკავშირებდა მაინც: გურამ ფანჯიკიძე, ელგუჯა მაღრაძე, გურამ გვერდწითელი, ტარიელ ჭანტურია, ემზარ კვიტაიშვილი, ირაკლი ბაზაძე, ლევან მალაზონია, იორამ ქემერტელიძე, ხოზე ადეიშვილი, თემურ გრძელიძე.

ძაღლები მივიდოდნენ ბოლოს. და ჩაიღიმებდა: პირდაპირი გაგებითო!.. დიდ-დიდი ნაგაზები. მეორე დღესაც ააკითხავდა აგარაკს, მიალაგ-მოალაგებდა და მოასუფთავებდა იქაურობას.

კვლავ მზე... მიწის დღე...

სადღა იყვნენ ძმაკაცები? ძველები — ზოგი მიწაში, ზოგიც, მოუძლურებული, ქუთაისში...

26-ში ბრწყინვალე აღდგომა უნდა გათენებულიყო!..

და გაახსენდებოდა კალანდაძის ქუჩაზე ცხოვრებისას საერთო გასასვლელ-გამოსასვლელი რომ ექნებოდა ერთ მეზობელთან, კინა ერქმეოდა იმ ქალს და... შვილიშვილებს კვერცხებს არ უღებავდა. რატომ და: კვერცხებს კომუნისტური მსოფლმხედველობის გამო უცხადებდა უნდობლობას. ბავშვები რომ შეაწუხებდნენ, იტირებდნენ ალბათ, მეორე წელს მწვანედ შეუღებავდათ, მერე კი უკვე წითლადაც — ბედს დამორჩილდებოდა.

იმ ქუჩაზე კი, იმ სახლში თორმეტიოდე აღდგომას დაესწრებოდა რეზო, თუ არა ცდებოდა. ბევრი აღდგომა აგონდებოდა, ბავშვობისდროინდელიც... ომის დროს ძალიან უსახოდ, ბედკრულად ტარდებოდა.

წითელ პარასკევს კი ყოველთვის დალევა უწევდა და სულ ახსენდებოდა „არსენას ლექსიდან": დღეს მე ღვინოს როგორ დავლევ, წითელი პარასკევიაო...

ასევე დაემართებოდა გუშინაც, თუმცაღა თვითონ არ დაულევია, დალევის სუფრა ექნებოდა მხოლოდ. დაემთხვეოდა თუ არა ოდესმე აღდგომა 24 აპრილს, ვეღარ იხსენებდა... სულ „ვოკრუგ და ოკოლო" — განგებ თითქოს... შეიძლებოდა დაზუსტება...

ომარ გვასალია დაღუპულიყო. გასვენებაში უნდა მისულიყო და გადაავიწყდებოდა, და გული წყდებოდა: იშვიათად დამმართნია ეგო.

აკაკი წერეთლის იუბილე დაედგინათ ივნისში და თავს პირობას მისცემდა: უნდა გავისარჯოო.

27 აპრილს იმ შთაბეჭდილებას ჩაიწერდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე:

ილია მეორეს არტისტიზმი აკლია, არადა ესეც საჭიროაო.

კარგად, დაკვირვებულად ილაპარაკებდა სააღდგომოდ, ემოცია აკლდა თუმცაღა...

და ძალაუნებურად გაავლებდა პარალელს:

რევაზ თაბუკაშვილს ჭარბად მომადლებოდა ის, რაც ილია მეორეს აკლდა, მაგრამ რეზო ილიაობას ვერ შეძლებდა, არ ეკუთვნოდა და იმიტომ...

მიცვალებულთა დღეს მეუღლის საფლავს ააკითხავდა — ფისო ჩოხელის. ყველაზე კარგ სასაფლაოდ ამას მიიჩნევდა თბილისში. საბურთალოს პანთეონიც კარგი იყო, მაგრამ ეს ჯობდა — მშრალი, მაღალი, მყუდროც. სიმწვანე აკლდა და ესეც იქნებოდა, თუ აუცილებელი გახლდათ.

ქართველებს, მისიანებს პრესტიჟულად არ მიაჩნდათ — ყველას დიდუბეში ჩაკვეხება სურდა. ბევრი უღირსი მოგროვილიყო მართლაც უკვე, მაგრამ დიდუბეში — მეტი.

„ჩემი სამარეცაა ვითომ? კაცმა არ იცის... სხვა ცხოვრება დამეწყება, სხვა მეწყვილით და ეგ ადგილი ვაკანტურად იქცევა? ქლიბაძე პირველ ცოლთან დამარხეს. არ მინდა იქ დამარხვა, საერთოდ არსად არ მინდა“.

და ამ ფიქრებს ძალდაუტანებლად შეერეოდა ის ფიქრიც:

დამწვან იქნებ და ფერფლი მოაფრქვიონ წყალწითელას ხეობას, მეორე სათავიდან მოწამეთამდეო.

ფიქრი თუ... სულაც ნატვრა?!.

„ქართლის ცხოვრებას“ დაუბრუნდებოდა. წაიკითხავდა აქა-იქ. საბეჭდი მანქანა, ქუთაისიდან ჩამოტანილი, შეხვეული ედებოდა ჯერაც.

„კუდიან ვარსკვლავსაც“ ჩაუჯდებოდასავით. სამსახური შეუშლიდა ცხადია ხელს.

ქუთაისი, მუხათწყარო, წიგნები.

ყველაფრისაგან რომ გათავისუფლდებოდა, მერე დრო დარჩებოდა?

დარჩებოდა, მაგრამ... ვეღარ გამოიყენებდა...

ეს კი რანაირი 1 მაისი უნდა დამდგარიყო — არც ზეიმი, არც დასვენება, არც დემონსტრაცია, არც პარადი.

რა იყო ადრე: რა დროშებს, რა ზეიმებს ვიყავით შესწრებულნი.

1947 წლის საპირველმაისოდ დედა შეუკერავდა შარვალს. კერვა იცოდა, ეგაა დრო არა ჰქონდა ხოლმე და გაგაწამებდა. მოუთავებდა, როგორც იქნებოდა. აბრეშუმის მოყვითალო პერანგი ექნებოდა რეზოს, ახალი, შეუკერავდნენ თუ უყიდდნენ, რაც ნაკლებ სარწმუნოდ ეჩვენებოდა, აღარ ახსოვდა. შარვალ-„საროჩკას“ მიიზომებდა, დააწყობდა საწოლთან. ფეხსაცმელები ძველი ეცმეოდა, მაგრამ რა უჭირდა. ელოდებოდა გათენებას. არ დაეძინებოდა და თითქმის გაითენებდა. და ეს იქნებოდა მისი პირველი უძილობა.

გამოეწყობოდა, წავიდოდა მარტო. სკოლაში რატომ არ მივიდოდა, ახლა უკვე ვეღარ გაიხსენებდა. შემოხვდებოდა ზერო, მეზობელი, მაშინ არ ძმაკაცობდნენ. შემოუერთდებოდათ კიდევ ვიღაც, მათზე პატარა, ავიდოდნენ თეატრის მოუთავებელ შენობაში და იქიდან უყურებდნენ პარადს. ციოდა, გამოუძინებელს აღარც ტანსაცმელი უხაროდა.

შემდეგ ამოვიდოდა დიდი მზე და დაცხებოდა კიდეც. მობრუნებული უძილობას აღარც გრძნობდა. შინაც არ შევიდოდა. ბავშვები გარეთ იქნებოდნენ გამოფენილნი. ტყემლები კვირტში გამოსულიყვნენ. ბურთს ითამაშებდა ახალი ტანსაცმლითა და ძველი ფეხსაცმელებით.

მინიატურასავით ჩაერთვოდა ეს გახსენება, მინიატურის კომპოზიციურ ჩარჩოს კი მოხაზავდა ის თითქოსდა რიგითი ფრაზა: ახალი ტანსაცმლითა და ძველი ფეხსაცმელებითო.

ახლა კი, ამ 1992 წელს, ყურადღებას მიაქცევდა, რომ:

რუსები შარშან ამ დროსაც ზეიმობდნენ.

ახლა ბაიბურიც აღარ ისმოდა ტელევიზორში.

ერთი უნდა ჩაერთო ხელახლა!..

4 მაისს ჩაინიშნავდა სულხანის დაჩივლებას:

დედაჩემი და ჩემი და ვამპირები არიან, ენერგიას მართმევენ, ჩემი ოთახის კარს განგებ ტოვებენ ღიად, ჩემი ენერგია რომ წაიღონო.

და დასძენდა ამასაც:

თუმცაღა შეიძლება ეს არც კი ჰქონდეთ გაცნობიერებულიო.

თვითონ სულხანი (შავლეგო) რაღაც ენერგიას მართლაც გასცემდა, რეზოს კი არ აწუხებდა არც მისი ენერგია, არც მისი უენერგიობა.

ეს მომენტი შესამჩნევი გახლდათ მისთვისაც. ზოგიერთს ვერ უძლებდა... მეგობარი იყო მისი ოტია პაჭკორია, სტუდენტობიდან ახლობელი. ვერ უძლებდა. ოტიასთან მარტო დარჩენა უჭირდა, მალე ღლიდა, თავის ატკივებამდე. სხვებიც თუ იყვნენ ახლომახლო, თუნდაც ერთი, ოტიას ენერგია ამას ველარაფერს აკლებდა — სხვებზეც ნაწილდებოდა, როგორც ირკვეოდა.

ეს ფაქტი გახლდათ.

თამაზ ჩხენკელიც თრგუნავდა ადრე, ახლაც, მხოლოდ ძველებურად — უკვე ველარ.

იმასაც ვერ უძლებდა, ვინც მისგან მოელოდა, მას ელოდებოდა.

შეუძლებელი იყო მისთვის გიული ჭოხონელიძესთან მარტო დარჩენა — არ ლაპარაკობდა და დაძაბულს გტოვებდა, და არამარტო სიჩუმით.

უმრავლესობას არც მიჰქონდა შენგან ენერგია და არც მოჰქონდა.

ქალებზე ცოტა სხვანაირად ვრცელდებოდა ეს პროცესი.

ფისო პირდაპირ განმუხტვას აწყობდა — განიმუხტებოდა, გადმოაბარებდა ქმარს ნერვულ იმპულსებს და წყნარდებოდა.

წუხელ რომ ეციებოდა, უკვირდა რეზოს: ეს რანაირი გაზაფხულიაო!

ახლა აცხებოდა ულოგიკოდ, უეცრად. ცხოვრება მშვიდდებოდა და ძვირდებოდა შესაბამისად.

დღეს გურამ ფანჯიკიძის დახეულ-დაფლეთილი ტომები შემოეყარათ, შემოეტანათ კაბინეტში.

— მე რას დამილაგეთ? — ეტყოდათ რეზო.

აკაკის იუბილისა თუ იუბილეების გამო დაიბარებდნენ ხვალისათვის სახელმწიფო საბჭოში.

— ცირკსაც ნახავ თან, — ვახტანგ გოგუაძე შემოახარბებდა.

ნახავდა ცხადია. რა უნდოდა იმდენ მწერალს იქ, ესეც უნდა ეკითხა, ოფიციალურადაც.

არჩილ სულაკაურიც იქ უნდა ყოფილიყო.

ერთხელ მთვრალი არჩილი პურის ნაჭერს ესროდა სხვა სუფრას რესტორან „თბილისში". კინაღამ სცემდნენ რეზოსა და ედიშერ ყიფიანს.

— თუ მწერალია, წავიდეს და წეროს, — გააფრთხილებდათ ერთი ავად.

ესა და ედიშერი გაეცლებოდნენ იქაურობას. და მთავარი დამნაშავე სად დაიმალებოდა, ვეღარც გაიგებდნენ...

7 მაისს დაესწრებოდა სახელმწიფო საბჭოს სხდომას. დაძაბული იქნებოდა იქაც სიტუაცია.

ჯაბა იოსელიანი გამოვიდოდა მკვეთრად, მკაცრად, რამდენადმე დაუფიქრებლადაც. თავის მოკვლასაც კი ახსენებდა. არ უნდა გადაცემულიყო ეს გამოსვლა ტელევიზიით.

კარგ სიტყვას იტყოდა მოულოდნელად იზა ორჯონიკიძე და თვითონ ედუარდ შევარდნაძე. ბევრი მწერალი იქნებოდა და ესენიც შეემატებოდნენ დროებით: ფანჯიკიძე-ჭეიშვილი.

ვახტანგ გოგუაძეს ჰკითხავდა:

— რა უნდა ამდენ მწერალს ხელისუფლებაში?

და ჩამოუთვლიდა:

ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ გეგეშიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ კვაჭანტირაძე, ნაირა გელაშვილი, იზა ორჯონიკიძე, იგორ... გაქართველებული რუსი, გვარს ვეღარ გაიხსენებდა, გიგუშა შაჰნაზარი, ჯემალ აჯიაშვილი.

კიდევ ვინ?

აკაკი ბაქრაძე.

მწერლობის მაძიებლებს აღარც ჩამოთვლიდა...

დაიღლებოდა რაღაცნაირად. არაფერი გაუკეთებია, უსმენდა მხოლოდ და... შინ რომ მოვიდოდა, დაღლას იგრძნობდა, მოთენთილობას. ინერვიულებდა კიდეც შინაგანად, როგორც ჩანდა.

დღეს თურქი ქართველი გაეცნო. ის გასცნობოდა უფრო სწორად.

პოეტი ყოფილიყო, ქრისტიანი თანაც, სადღაც სამსუნთან ქართულ სოფელში ცხოვრობდა. მშვენივრად ლაპარაკობდა იქაურ ქართულს.

— ჩემნაირი მილიონნახევარი იქნება. ლაზებ-ჭანებიანად, ისინი ქართველებად არ მიიჩნევენ თავს, 5 მილიონზე მეტიც გამოვალთ.

რეზო ხვალისათვის დაიბარებდა: გავაცნობ დანარჩენებსაცო.

ქუთაისიდან ჩამოვიდოდნენ ავთანდილ ყურაშვილი და ელგუჯა თავბერიძე და აცნობებდნენ: იქაც არეულობააო.

გამოეცოცხლებინა გურამ პეტრიაშვილს საქართველო. მისი ეს სატელევიზიო გამოსვლაც დაგეგმილი ყოფილიყო.

— მიტინგებზეც მაგინებენ, მთათხავენ, — იტყოდა ედუარდ შევარდნაძე.

და დღეს იგი რეზოს უკვე შეეცოდებოდა...

საქართველოში საქმეები ცუდად მიდიოდა...

ზვიად გამსახურდიას ცუდად მოიხსენიებდა: საკუთარ ხალხს ებრძვისო. ხალხი კი... ხალხი ხალხს არა ჰგავდა, კაცი — კაცს, ქალი კიდევ — ქალს...

ცხოვრება ძვირდებოდა დღითიდღე. და რეზოს ბაზარში ვაშლი ვეღარ ეყიდა. ახალი ვაშლი შემოვიდოდა სადაცაა, სამაისო, და ძველს 40 მანეთად, მეტადაც აფასებდნენ. ერთი ქალი თაფლს ყიდდა და: 300 მანეთი უნდაო. მაისის ბოლოს, ივნისის ჩამოდგომამდე ქუთაისში ვაშლი უკვე შეითვალებოდა ხოლმე. მკვახესაც მშვენივრად მიირთმევდა — მჟავე მოსწონდა — და შეწითლებულსაც. საუკეთესო — ბაღის ვაშლს ეძახდნენ — ვაშლები ედგათ, საადრეო ვაშლები. ყველა ძირი ახსოვდა — სად რომელი დარგულიყო, რომელი რამხელა გაზრდილიყო. 12 ძირი უნდა ყოფილიყო, თუ არა ცდებოდა. ორი სხვა ჯიშისა, თუმც ისინიც საადრეო. ნიგოზი არ გაახარებდა ერთი-ორს, შემდეგ თვითონ ნიგოზს გადაბელავდნენ, გახმებოდა. ვაშლები ჰყვაოდნენ თეთრად, მოლურჯოდ თუ მოცისფროდ, ბევრს ისხამდნენ. ქარი ქროდა, მაგრამ მაინც ბევრი რჩებოდა ტოტებზე.

ეზოს რომ ჩამოაჭრიდნენ, რამდენიმე ხე იქ მოჰყვებოდა. სამი ხე გვიანობამდე შემორჩებოდა. ქერქში ჭია გაჩნდებოდა. ვერ მოუვლიდნენ, ვერ უწამლავდნენ. ერთი, ოღონდ სხვა ჯიშისა, წამოიზრდებოდა... ხელახლა თავისით ამოსული ტყემლები, დაფნა, ადესა გაბურდავდა იქაურობას. ახლა, გაჭირვებისას, თალარიც გაფუჭდებოდა — თოვლი კინაღამ დაღუნავდა რკინებს. გასხლიდნენ, აჭრიდნენ, გააჩრდილებდნენ ანუ ჩრდილს შეამცირებდნენ. მწვანილსა და კარტოფილს დათესდნენ ხელისგულისდადება მიწაზე, ომის დროს ექნებოდათ ბოსტანი — მხოლოდ ეზოს ბოლოში.

ნამდვილი სამუშაოსათვის ვეღარ მოეკიდა ხელი და ვეღარ.

გრიგოლ აბაშიძე ეტყოდა:

— ნუ გადაყვები სამსახურს, ასე ადრე ნუ მოდიხარ. წერა არ მიატოვო.

მისი ნოველები წაეკითხა და ამიტომაც ურჩევდა.

შეწუხებული კი მოეჩვენებოდა იგი რეზოს.

რაც შეეხება სამსახურს, დროს ართმევდა, ფიზიკურად ისე არა, როგორც ფსიქოლოგიურად. ჯერ ვერ შეეჩვეოდა მაინც იქაურობას. ვერ ეთიშებოდა იქიდან გამოსული იქაურობას. ეს გაივლიდა. ერთი მდგომარეობიდან მეორეში იოლად გადადიოდა ხოლმე. ეს გამომუშავებული ჰქონდა ყოველ შემთხვევაში.

რედაქციიდან შინ თითქმის არასოდეს წამოუღია სამუშაო, შინ მისულს კი სამსახური არ მოლანდებია.

8 მაისს გამგეობის სხდომა გაიწელებოდა, დაიღლებოდა კიდეც რეზო, მაგრამ დამთავრდებოდა თუ არა, გამოერთობოდა იმ სიტუაციასაც, მაგრამ იქაურობა ახსენდებოდა მაინც...

იყო კი ეს მისი საქმე?

ისე ჟურნალს მეტი ზრუნვა სჭირდებოდა ახლა: უქაღალდობაში, უფულობაში.

— სად ვიშოვნო ქაღალდი? — ავთანდილ ყურაშვილი შემოსჩიოდა.

რეზოს მიერ ჩაშვებული „განთიადის“ 1-2 ნომერი, მორჩენილ ქაღალდზე დაბეჭდილი, გამოვიდოდა და დაიწყებოდა ახალი ერა...

13 მაისს გია ჭანტურია მძიმე სურათს დახატავდა და საყოველთაო მობილიზაციას მოითხოვდა. რეზოს ფიქრით: აქამდე არ მივიდოდა საქმე. მოწონებით კი ის მოეწონებოდა: ზვიად გამსახურდიას რომ ჩამოხდიდა ქაღალდის ნიღაბს, — და დასძენდა: საჭირო გამოსვლა ჰქონდაო.

ედუარდ შევარდნაძე გაღიზიანებული გახლდათ აშკარად. ნოდარ ნათაძის ხმას გამოჰყავდა წონასწორობიდან და თავს იკავებდა როგორღაც. ამ წუთისათვის გორში იყო უკვე. ცხინვალის მისადგომებთან. ჯაბა იოსელიანიც იქ იმყოფებოდა. ვითარება უაღრესად რთული გახლდათ, ურთულესი.

მიაჩნდა, რომ: ზვიად გამსახურდია განაგრძობდა ომს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

აკაკის იუბილე ახლოვდებოდა. ჩვენი, უფრო სწორად ჩემი წამოწყებულიაო, — სიამაყით ჩაურთავდა და მიიჩნევდა, რომ: უნდა ჩატარებულიყო ამ ვითარებაშიც კი. თუმც არ იქნებოდა იოლი საქმე.

ოთარი გამოჩნდებოდა, მამფორია, და ვერ იქნებოდა კარგად აშკარად.

17 მაისს ჩაინიშნავდა, რომ:

ედუარდ შევარდნაძე აქტიურობდა, ქულებსაც აგროვებდა და საქმესაც უძღვებოდა. ეხმარებოდნენ უნიათოდ, ვისაც დახმარება ევალებოდა. ვინც მხარს უჭერდა — ჩვენ თუ სხვებიო, ჩაურთავდა — ესენი განსაზღვრავდნენ ამჟამინდელ ვითარებას. და თუ ესენი გამოეცლებოდნენ, ისინი დაიქცეოდნენ. ამას ვერ გრძნობდნენ. შევარდნაძე კი გრძნობდა. ინტუიცია, ალღო არა ღალატობდა.

სხვა არაფერი იყო საინტერესო.

გურამ ფანჯიკიძის მანქანას წაიყვანდნენ ბანდიტები. რეზოსაც წაართმევდნენ — ეგრე გამოვიდოდა.

უჟმური ამინდი იდგებოდა, უჟმურად მოდიოდა გაზაფხული — ისედაც და ასედაც.

21 მაისს მუხათწყაროში ავიდოდა და წაიმუშავებდა. კარგი — იმ დროისათვის მაინც უჩვეულო, გრილი — ამინდი იდგებოდა. შემდეგ აცივდებოდა.

ელდარ შენგელაია ჩამოვიდოდა ამერიკიდან. ტელეფონით დაელაპარაკებოდა:

კულტურის საბჭოში ხარ და უნდა მოხვიდეო.

მურმან ლებანიძეც დაურეკავდა:

რუსთაველის პრემიების დარიგებაა ხვალო.

21 მაისს მიუბრუნდებოდა ხელმეორედ ფარდობითობის თეორიას. დაინტერესდებოდასავით ხელახლა. და ყურადღების მობილიზებას, კონცენტრირებას ვერ შეძლებდა მაინც...

რუსთაველის პრემიების მინიჭების ცერემონია არა ჰგავდა ალტერნატიულ არჩევნებს, მაგრამ რიღაცით დაემსგავსებოდა მაინც. ჭაბუა ამირეჯიბსა და გრიგოლ აბაშიძეს (სიკვდილის შემდეგ) მისცემდნენ ღიად, დანარჩენებს

— ფარულად. ვერ გავიდოდნენ: მხატვრები (ჯიპსონ ხუნდაძე, ვახტანგ ქოქიაშვილი), კოტე მახარაძე,რეზო ამაშუკელი.

ლაურეატები გახდებოდნენ: თამაზ ჭილაძე, პაატა ბურჭულაძე (11 ტური), ტარიელ ჭანტურია (11 ტური), კამერული კვარტეტი და ნინო ანანიაშვილი.

თვითონ მონაწილენი — თამაზ ჭილაძე, ტარიელ ჭანტურია, რეზო ამაშუკელი, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, ძმა თამაზისა — მონაწილეობდნენ, და ხმას აძლევდნენ საკუთარ თავს და შლიდნენ სხვებს...

თავის თავთან მაინც იქნებოდა რეზო მართალი.

— ყველა მწერალს ვაძლევ ხმას, — განაცხადებდა და ასეც მოიქცეოდა.

წაშლიდა 1 ტურში ჯიპსონ ხუნდაძეს, რადგანაც ვახტანგ ქოქიაშვილისათვის უნდა დაეჭირა მხარი (სთხოვდნენ და გააფრთხილებდნენ) და რა საჭირო იყო ერთის წაშლა მეორის ხარჯზე, რატომ ჩაიდინა ეს, ვერ გაიგებდა. ხმის ყველა დამგროვებელს აძლევდნენ პრემიას. წაშლიდა (არც ეს უნდა ჩამედინაო, წუხდა) ნინო ანანიაშვილის გამო კოტე მახარაძეს.

განცხადება დაიწერებოდა „ოსეთში" მომხდარი ფაქტის გამო. სადავო იქნებოდა რაღაც-რაღაცები და სხვა.

შემდეგ სახელმწიფო საბჭოს კულტურის კომისიის სხდომას დაესწრებოდა...

პოსტსკრიპტუმად მიადევნებდა, რომ:

ციფრები არ წყალობდნენ, მათემატიკური მონაცემები (აბსტრაქტული აზროვნება) არ უვარგოდა. გამრავლების ტაბულას ვერ დაიმახსოვრებდა პირველ-მეორე კლასში. რადგან არც არავინ წვრთნიდა, არც არავინ ავითარებდა ამ მხრივ — უცოდინარი დარჩებოდა. მიმატებას, გამოკლებას, გამრავლებასაც წვალებით აითვისებდა, მაგრამ ალგებრა აუბნევდა თავგზას საბოლოოდ. განტოლებებს საერთოდ ვერ გაიგებდა. ალგებრაზე რომ გადავიდოდნენ მეექვსე კლასში, სკოლაში არ ივლიდა და ეს საგანი ჩინური აღმოჩნდებოდა მისთვის.

ახლა იფიქრებდა: ხელახლა შემიძლია დავიწყო სწავლა მათემატიკის, a-სი და b-სი, განტოლებებისაო. ეს აეკვიატებოდა და დღიურზე მოაბრუნებდა. არადა მართლა ეგრე იყო, ატყობდა... ახლა ტელეფონის ნომრებსაც კი იმახსოვრებდა. თუ დაიმახსოვრებდა — იმახსოვრებდა. ადრე ესეც არ შეეძლო.

მასწავლებელსაც მიაბარებდა დედა. სკოლაში დაარწმუნებდნენ: აუცილებელიაო. ივლიდა მეზობელთან, თხელფარდებჩამოფარებულ ფანჯარასთან ისხდებოდნენ სიგრილეში. ახლა იმ ქუჩაზე ისეთი მოძრაობა და ხმაური იქნებოდა, რომ ფანჯრები იმ მხარეს საერთოდ აღარ იღებოდა. ძველი, ერთსართულიანი, მოვარდისფრო ქვით მოპირკეთებული სახლი გახლდათ, 1914 წელს აგებული. წინ ერთი სართული ექნებოდა, ეზოს მხრიდან — მაშინ არ აკვირდებოდა — ორი, და შეიძლება სამიც. მასწავლებელი, ომში ნამყოფი, სქელულვაში, ფეხგაშეშებული, ჩასიძებული კაცი, 30 წელზე მეტისა არც იქნებოდა ალბათ; მაშინ კი რეზოს ძალიან ხნიერი ეგონებოდა. პატარა მაგიდაზე რვეულები და სიგარეტები („პრიმა") ეწყობოდა. აბოლებდა გადაბმულად, თუთუნის სუნად გახლდათ წასული, ბოლს „სვამდა" მართ-

ლაც... ის კაცი — შემდეგ კლასის პედაგოგადაც მოევლინებოდა — გაათვითცნობიერებდა, გეომეტრიით დააინტერესებდა კიდეც და ეგ იყო. უცდენდა, გულს ვერ უდებდა სწავლას. ბოლოს მიატოვებდა... ახლა რომ თავიდან დაეწყო ყველაფერი, მის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

ხვალ მარხავდნენ სარგის ცაიშვილს.

დღეს კარგი ამინდი იდგებოდა. გრილოდა მაინც. თესვის დრო არ გასულიყო... ამნაირი უსიცხო გაზაფხული არ ახსოვდა.

გასვენებებში ვხვდებით ერთმანეთს ერთიდაიგივე ხალხი, ეგრეთწოდებული ინტელიგენციაო, დანანებით რომ ჩაინიშნავდა მეორე დღეს, მიადევნებდა, რომ: სარგის ცაიშვილის დაკრძალვაზე შეხვდებოდა თემო ჩირგაძეს, რომელიც კარგახანია არ ენახა. სასაფლაოზე აღარ წავიდოდა, თუმც ქელეხზე დარჩენასაც სთხოვდნენ წინასწარ.

ჯანსულ ჩარკვიანზე გაღიზიანდებოდა:

მაინც ვერ ენდობი ბოლომდე. თავით რომ მარილი დაუნაყო, რაღაც მომენტში გიმტყუნებსო...

სხვას ჯობდა და მაინც უყვარდა, მაგრამ — რატომ? რამდენიმე დღე იფიქრებდა ამაზე.

დღეს არეულობას ელოდნენ და სიწყნარე იქნებოდა. ეს დღეც მშვიდად ჩაივლიდა. გამოჩნდებოდა, რა მოხდებოდა 26-ში. ზეგ ჯეიმზ ბეიკერი უნდა ჩამოსულიყო და ხომ უნდა შეეშალათ ხელი! რათა არ დავემონებინეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს.

26 მაისი ჩატარდებოდა, როგორც რეზო ხვდებოდა, ნორმალურად. როგორც დროსა და ვითარებას შეეფერებოდა — იმნაირად.

ზევით ააკითხავდა, მუხათწყაროში, იქვე იჩალიჩებდა და ტელევიზორსაც მოუსმენდა, დღევანდელ მოვლენებს დააკვირდებოდა... გაემგზავრებოდა ბეიკერი, ჩვენ კმაყოფილები დავრჩებოდით. „ოსეთში" უბედურება იყო კვლავ. გაზს გამორთავდნენ. ქალაქში ცოტა პური ცხვებოდა. ოჯახები, მათ შორის რეზოსიც, უპუროდ დარჩებოდნენ. შემოტევები იყო ყოველნაირად. შინაური თუ გარეული ერჩოდა საქართველოს. ექსპრეზიდენტი წარმატებით, მეტ-ნაკლებით, ებრძოდა თავის ხალხს.

29 მაისს ამ სიტყვის მნიშვნელობა დააინტერესებდა: ყაირი. ცხენის, ხარის დასაბეჭდი ლურსმანი აღმოჩნდებოდა, და ივარაუდებდა, რომ: ესეც თურქულიდან იქნებოდა შემოსული. თურქული და არაბული გახლდათ თითქმის ყველა ქართული სიტყვა — ძირითადი ლექსიკა — რომელიც ყ-ზე იწყებოდა. ნეტა ყანა და ქვეყანა თუ იყო ქართული? და ცნობისწადილი გაუმძაფრდებოდა:

რა ენაზე ვლაპარაკობდით, ნეტა ვიცოდე, სპარს-არაბ-თურქობამდეო?

ყალყზე — ესეც თურქული ყოფილიყო.

დღეს გორში ჩავიდოდნენ გურამ ფანჯიკიძე, დავით მჭედლური და რეზო. არჩევნები, სუფრა, ბევრი საჭმელი და ცუდი ამბები...

სტადიონზე დაეწვათ, ბენზინი გადაესხათ, ორი ქართველი მკვლელი, ავაზაკი. ერთი იქვე მოკვდებოდა, მეორე იფართხალებდა, გაქცევას შეეცდებოდა, ვიღაც დანას გამოუსვამდა ყელში, შემდეგ გვარდიელი ტყვიას და-

ახლიდა, რომ არ ეწვალა... და ბავშვები უყურებდნენ ყოველივე ამას. შეიშლებოდი ადამიანი!

თბილისში რომ შემოვიდოდნენ, „ივერიასთან" ფიატი წამოეწეოდათ: გვერდზე მიაყენეთო.

— არ მიაყენო, — ეტყოდა მძღოლს რეზო და იქვე, შუა მოედანზე გააჩერებინებდა. ორი ბიჭი გადმოვიდოდა, მოუბოდიშებდნენ:

— ვიღაცამ დაგვარტყა, ვეძებთ, უნდა მივაბრიდოთ.

მძღოლი აინუნშიაც არ ჩააგდებდა ამ ამბავს. უცხოთა ვერსიას — დამნაშავეს რომ ეძებ ანგარიშის გასასწორებლად — ჭეშმარიტებად მიიჩნევდა.

როდის დალაგდებოდა, როდის დაწყნარდებოდა საქართველო?

და გულმოსული:

ეს რა საზიზღარი ხალხი აღმოვჩნდითო!..

„ოკულტიზმის" კითხვას შეუდგებოდა. ხვალ იქნებ „კუდიანი ვარსკვლავის" ბეჭდვაც დაეწყო შავად.

30 მაისს გურამ დოჩანაშვილი მიაკითხავდა. ჯერ დაურეკავდა. გუშინაც ეკითხა. წაიყვანდა შინ. ირაკლის დაბადების დღე ყოფილიყო გუშინ.

24 წლისა გახდებოდა თურმე, ის საბედისწერო გადმოვარდნა რომ არა აივნიდან.

მწუხარება — აუწერელი.

გურამი სვამდა, უჭირდა.

რეზოს ბოლოდროინდელ ნოველებს შეაქებდა, ზეპირად ეცოდინებოდა კინაღამ, და უხერხულობაში ჩააგდებდა. რეზოს არ შეეძლო ამ დონეზე სხვისი რამ დაემახსოვრებინა და გაეთავისებინა. მახსოვრობის გამო იყო და კაი კაცობის — უბრალოდ ასეთი რამ არ შეიძლება მომხდარიყო.

დაიწყებდა შავად ბეჭდვას „კუდიანი ვარსკვლავისა". რახანია საბეჭდ მანქანას არ გაჰკარებოდა და გაუჭირდებოდა, ადვილად დაიღლებოდა. ხუთშაბათს ქუთაისში აპირებდა გამგზავრებას და უკვე ეშურებოდა...

5 ივნისს საიათნოვას დაბადებისა თუ სახელის ხსენების დღე აღინიშნებოდა. მივიდოდა გურამ ფანჯიკიძესთან ერთად. დახვდებოდნენ სომეხი მწერლები, სომეხი სტუმრები და ადგილობრივი მოსახლეობა — ქართულად მოლაპარაკე სომხობა. ებრაელებიც ალბათ და ქართველებიც ცოტა. გივი იქნებოდა, შაჰნაზარი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი.

მოვიდოდა ედუარდ შევარდნაძე, მოჰყვებოდნენ ვიღაცები გამომშვიდობებისას...

ზვიად გამსახურდიას თაყვანისცემაში პათოლოგიას ხედავდა რეზო, კაცთმოძულეობასაც.

აქ, ედუარდ შევარდნაძისათვის ხელზე კოცნაში — სხვას. იმედისა და შველის შეგრძნება იქნებოდა. შველას სთხოვდნენ...

9 ივნისს ნარგიზა მგელაძე ჰკითხავდა:

— როგორ გრძნობ თავს ახალ თანამდებობაზე?

— როგორც გიორგი სააკაძე, — მიუგებდა.

— სააკაძესავით იბრძვი? — ის ასე გაიგებდა.

არადა: დიდგვაროვნების შურსა და ღვარძლს გრძნობდა, მეფე სიძედ გახდომოდა თითქოს... ინტერვიუ ჰქონდა დასაწერი „ლიტერატურული საქართველოსათვის“ და იქ იტყოდა ამასაც...

13 ივნისს გაიკვირვებდა დათო მაღრაძის დანიშვნას კულტურის მინისტრად: სრულიად ახალგაზრდა, სრულიად უსაფუძვლოდო.

და ძალიან გაგულისდებოდა, სპეკულანტი ლევან სანიკიძე წერილს რომ დაწერდა სტალინის გადმოსვენებაზე:

ასეთმა სპეკულანტმა ქართველებმა მიიყვანეს საქართველო, ქართველები აქამდე, ამ უბედურებამდე. პროვინციელი მექრთამე-სპეკულანტის საქართველო დაღუპვის ღირსიაო...

16 ივნისს ედუარდ შევარდნაძე შეხვდებოდა შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლებს. ყველა ითხოვდა ფულსა და ყურადღებას. არა გვაქვს და რას გვთხოვთო, პასუხობდნენ, და რეზო გაოცებასაც გამოთქვამდა და გულისტკივილსაც, კომუნისტური აზროვნებისაგან რომ ვერ დაგვეხსნა თავი. მაშინ „მემსახურე და მოგივლის“ ვარიანტი არსებობდა, ახლა აღარ იყო ეს მდგომარეობა, და მაინც იგივე პრეტენზიები იჩენდა თავს.

ერთიდაიგივე ხალხი ტრიალებდა კვლავდაკვლავ შევარდნაძის გარშემო. ამ კვირას „ლიტერატურულ საქართველოში“ რეზოს ინტერვიუ იქნებოდა და ცოტას ესეც მოეფერებოდა: გვყავს კაცი, რომელიც, გამოგვადგებაო, — აღნიშნავდა.

იქცეოდა ქვეყანა, მაგრამ შევარდნაძე იმედიანად გახლდათ.

— უფრო იმედიანად ვარ, ვიდრე ადრე.

ვიღაც გაეხუმრებოდა:

— კომუნისტები მთლად სულელები კი არ იყვნენ...

და გაიცინებდა ხელისუფალი.

18 ივნისს ლადო ასათიანის საღამო გაიმართებოდა — კარგად, თბილად და მშვენივრად.

ზეგ აკაკის ძეგლის გახსნა უნდა ყოფილიყო და საიუბილეო საღამო — ოპერაში. რეზოს სიტყვა ჰქონდა მოსამზადებელი, მაგრამ ჯერ თავი არ შეეწუხებინა. თითქოს სასკოლო თემა დაევალებინოთ, ისეთი შეგრძნება ექნებოდა. გადმოელო აკაკის ტომები, მაგრამ თავი აღარა ჰქონდა აღარაფრის.

ნაირა გელაშვილის წერილს წაიკითხავდა „თბილისში“ და მოეწონებოდა: კარგია, მკაცრი, და სწორიო.

20 ივნისს აკაკის ძეგლის გახსნაზე, სტადიონთან, მივიდოდა ედუარდ შევარდნაძეც სიცხეში. რეზოს მოუწონებდა გამოსვლას:

— კარგი სიტყვა თქვი.

არ იქნებოდა ცუდ გუნებაზე.

ოპერაშიც მივიდოდა და შუა წარმოდგენიდან გაიყვანდნენ, როგორც რეზო მერე მიხვდებოდა: სერგეი რუცკოის განცხადების გამო.

აჩქარდა თვითონაცო, — შეფიქრიანდებოდა რეზო, — აჰყვა სულსწრაფობით ირაკლი წერეთელს, ნოდარ ნათაძეს, სხვებს. სწორად სჯიდა და აჩქარდა. ახლა რა გვეშველება, წარმოდგენაც აღარ მაქვსო!..

30 ივნისს გიორგი ნიშნიანიძე დაელაპარაკებოდა „კუდიან ვარსკვლავზე“:

უბედურება მოაქვს და თანაც მიაქვს, შხამებს აკრეფს მთლიანად დედამიწიდან, წავა და წახვეტავსო.

მეორე ტომის კორექტურას წაიკითხავდა და პირველი შემთხვევა იქნებოდა, როცა თავისი თავით უკმაყოფილო არ დარჩებოდა. ის კი არა — შესაძლოა რაღაც აკლდა, რაღაც ზედმეტიც იყო აქა-იქ — მოეწონებოდა კიდეც.

2 ივლისს ფეხით მიმავალს აეკვიატებოდა გონებაში ნოველა. და გადაწყვეტდა მის ჩანიშვნას დღიურში, რათა მერე მართლა დაეწერა, ანდა... არც დაეწერა.

6 ივლისს ბორის ელცინის გამოსვლას რომ მოუსმენდა ტელევიზიით, კიდევ ერთხელ შეიგრძნობდა მთელი არსებით, რომ: რაც შეიძლება მალე უნდა გავყროდით რუსეთს, სადაც ცუდი ამბები იყო მოსალდნელი. რუსული მოდელის, მომავალი განვითარების პროგნოზირება შეუძლებელი ჩანდა. რა გველოდა, არც ჩვენ ვიცოდით: როგორ, რანაირად, ვის ხარჯზე უნდა გვეცხოვრა მატერიალურად, სხვა ყველაფრისათვის თავიც რომ დაგვენებებინა. მწერლობა უფულო ხელობად ქცეულიყო უკვე... შევეგუებოდით კი ახალ სტრუქტურებს, ახალ ყოფას?

წინ ედებოდა უცნობი ქალის ჩანაწერები, დღიურები, წერილები მისამი. ვინ იყო, ვინ, ამჟამად სად იმყოფებოდა? ვინაობა არ გაემხილა, რეზო ვერ მიაკვლევდა, თუმცაღა ძლიერადაც არ შეეწუხებინა თავი. ამ მასალიდან კი რაღაც საინტერესოს გამთლიანებას დააპირებდა.

7 ივლისს 12 საათისათვის მიაკითხავდა ძველ სამსახურს. შეიარაღებული ხალხი დახვდებოდა. ზოგიერთი — მისი ხნისანიც. ისევ თავის ძველ კაბინეტს მიაშურებდა. კარი ვერ გაელოთ და ფანჯრიდან გადასულიყვნენ.

— რა ხდება? — ჰკითხავდა შედანიას.

ასეა და ასე საქმე წალენჯიხაშიო, — აუწერდა ვითარებას ის, და ყველაფერს მართალს ეტყოდა, როგორც საღამოს გაირკვეოდა.

თავისი წიგნის 500 ეგზემპლარს ჩაიწყობდა მანქანაში. დილით აპირებდა გასვლას და ნატრობდა: გზაზე შფოთი არ შემხვდესო. მის დაფხავებულ ავტოს წესით არც უნდა დახარბებოდნენ...

რა გვეშველება? — ისევ ის კითხვა უტრიალებდა გონებაში.

ნოდარ ნათაძის წერილს წაიკითხავდა „ლიტერატურულ საქართველოში“ და გულს შემოეყრებოდა. და დაიწყებდა ფიქრს: როგორ მოვახერხო, რომ არ ვიცხოვრო საქართველოში, როგორ გავხიზნო ოჯახი, შვილები, შვილიშვილები უცხოეთში, საქართველოდან შორსო...

10 ივლისს წიგნებს ჩამოუტანდნენ. ჩატვირთავდნენ საწყობში. რეზოც გამოიღებდა ხელს. ავთანდილ ყურაშვილსა და ელგუჯა თავბერიძეს ევარგათ — პატივი ეცათ მისთვის ჭეშმარიტად. ნაწილი შინ ჰქონდა და: სად მივიტანო, სად გავასაღო, — ანგარიშობდა.

ეჩვენებოდა, რომ არ გაიყიდებოდა. და ეს მოჩვენება რეალური გახლდათ. წიგნი აღარ გადიოდა, თან რეზოსაც ძვირი გაეხადა... თავისი წიგნი,

რაც კი გამოეცა, არ გაყიდულიყოს, არ ახსოვდა. ეგეთი შემთხვევა, რომ იტყოდნენ, არა ყოფილიყო. არა ყოფილიყო და... იქნებოდა. „რკინის სახკომი“ კი პოლიტწიგნის შთაბეჭდილებას ტოვებდა — და ასეც იყო.

დააწერდი „რომანს“ და: მაშინ კი წავიდოდა მისი გასაღების საქმე რიგზე. რომანი იყიდებოდა ჯერჯერობით...

ეს რვეული თავდებოდა. ახალი აღარ მოიძევებოდა. ამ ფერისა აღარც იყიდებოდა. ნაკლები ხარისხისა 21 მანეთი ღირდა. წიგნში, ნაწვალებში, 20 მანეთის აღებას აპირებდა და ცარიელ რვეულში 21 მანეთი უნდა გადაეხადა.

ტარიელ ჩარქსელანი ლექსების წიგნუკას რომ გამოსცემდა საბჭოთა ეპოქაში, 10 კაპიკი ეღირებოდა. და ბიძას ეთქვა, სვანეთიდან ჩამოსულ ბიძას:

— ცარიელი რვეული 12 კაპიკი ღირს და შენ რა დაწერე ამნაირი, 10 კაპიკად რომ შეგიფასეს?

გიორგი ხარაბაძეს მიესალმებოდა დღევანდელი „ლიტერატურული საქართველოდან“, დაბადების 50 წლისთავს მიულოცავდა. მოსწონებოდათ მისი მისალოცი წერილი.

კორექტურას ამთავრებდა მეორე ტომისას. სექტემბერში მორჩებოდა „კუდიან ვარსკვლავს“. შემდეგ — კინომოთხრობებს: „ტურანდოტი“, „ასკილის წითელი ყვავილი“, „გათენების წინ“...

შემდეგ უკვე „გულო ჯანდიერი“ და... ისტორიული „თამარ ცბიერი“ ბოლოსდაბოლოს. აღარ მოჰკიდებდა სხვა რამეს ხელს...

მშვიდობა ყოფილიყო ოღონდაც...

13 ივლისს კახეთს ესტუმრებოდა გომბორით. რახანია იქით აღარ ყოფილიყო. აღარ გაახსენდებოდა, თარსი დღე რომ იყო, თორემ შესაძლოა გადაედო კიდეც მგზავრობა. ხვალ არა და ზეგ ქუთაისში მოუხდებოდა წასვლა. ბათუმს ეპირებოდა და გადადებდა. საერთოდ კი, ამ ბოლო დროს განსაკუთრებით, ცოტას დადიოდა თვით საქართველოშიც.

ზურაბ ნემსაძე არ უნდა ყოფილიყო კარგად. არჩილ სულაკაურიც. დაჭიანების, დაჭკნობისა არა, ჭკნობა შემდეგ მოვიდოდა, პროცესი იწყებოდა, სამოცს რომ მიუახლოვდებოდი, გინდაც გადაცილებოდი.

17 ივლისს დღიურს გაუმხელდა განზრახვას:

დისკუსიის გამართვა ქართული ენის ლექსიკის საკითხებზე.

სადისკუსიო-მოსაწვევი თეზისი მოსაფიქრებელი გახლდათ და დასაწერი.

ლექსიკა ქართული — სალიტერატურო ნორმებითა და ლექსიკონებით — ღარიბი გახლდათ. და გასარკვევი იყო, რამდენი შეიძლება ყოფილიყო ძირეული ქართული სიტყვების ლექსიკური მარაგი; და შესადარებელი გახლდათ სხვა ენებთან.

აქედან გამომდინარე:

უნდა გამდიდრებულიყო ენა: დიალექტებით, კუთხური სიტყვებით, რომელთაც შესატყვისი არ მოეპოვებოდათ სალიტერატურო ენაში, სინონიმებით, ომონიმებით, რაც მთავარია — მეგრული ენით, ნაწილობრივ სვანურითაც (მა-

გალითად: ბულბული — მაფშალია...). და ეს უნდა გაეკეთებინათ მეგრული წარმოშობის მწერლებს.

და სასწრაფოდ უნდა გამოცემულიყო ამგვარი სიტყვების ლექსიკონიც.

თამამად უნდა გვეწარმოებინა სიტყვები. მაგალითად: სიმონ! ამ სიტყვის დღევანდელი ირონიული მნიშვნელობა გასაგები იყო. აქედან: სიმონეთი (არა უშავდა რა, სოფელი სოფლად დარჩებოდა), სასიმონეთი, სიმონები... არამარჯვე მაგალითი გახლდათ, მაგრამ ამნაირ სიტყვებს უნდა გაედევნათ კალკები, სხვათა ენები, საერთაშორისო — შესაძლებლობის ფარგლებში — ტერმინები...

რაც მთავარია: მეგრულის შერწყმა ქართულთან...

შორსგამიზნული გახლდათ ეს ჩანაფიქრი და აუცილებელიც — მისი რწმენით... ამაზე სურდა დაეფიქრებინა მრავალი...

საღამოს ექვს საათზე ქუთაისში ეცხელებოდა. დილით იწვიმებდა კიდეც. ზაფხული ძალაში შესულიყო, მაგრამ ადრინდელს აღარა ჰგავდა: გაძლება შეიძლებოდა...

თბილისშიც გაიძლებოდა, არ დახვდებოდა სულისხუთვა ადრინდელივით. და 21 ივლისს ჩაწერდა, რომ: წიგნები არ იყიდებოდა ჯერჯერობით. და რეზოც არიგებდა, კარგავდა კიდეც. ზურაბ კუხიანიძე შემოსჩივლებდა, რომ: მისი კაბინეტი გაეტეხათ და წაეღოთ 40 ცალამდე. აქაც გახსნილი დახვდებოდა რეზოს ერთი შეკვრა. სხვა ცალები — ზემოდან რომ ეწყობოდა, — ადრევე გაქრებოდა. ვალი დაედებოდა, არ უნდოდა ლაპარაკი. საყიდლად ეძვირებოდათ, საკითხავად ეიოლებოდათ მკითხველებს. არამკითხველს, დამწერი რომ არც აინტერესებს, პოლიტიკური ლიტერატურა ეგონა და არც ყიდვა სურდა მისი და არც წაკითხვა.

არც სხვისი სიხარულით ვარსებობდით და კმაყოფილნი ვიყავით...

ამნაირ რვეულში კი პირველად იწერდა დღიურებს — ესეც საბაზრო ეკონომიკის დაწყების შედეგი.

სტალინის სახელის მოტრფიალენი დაეხვეოდნენ 22 ივლისს.

ალეკო ხომერიკი დაიცავდა მომღერლის დონეზე და მხარს აუბამდნენ: გურამ ფანჯიკიძე, ელგუჯა მაღრაძე და დავით მჭედლური.

ლევ ტოლსტოი ნაპოლეონის გაბითურებას რომ მოინდომებდა, არა გამოუვიდოდა რა. ადამიანებს, მკვლელებისა და ყაჩაღების ხსენება რომ აღაფრთოვანებთ, ვერაფერს შეასმენდა, თუ რეზო არა ცდებოდა.

შენი რომ არაფერი გაქვს, სხვისი გაოცებს. კაცი, რომელიც პიროვნებად ვერ ჩამოყალიბდა და ვერც ჩამოყალიბდება, სხვისით ცხოვრობს, სხვისი უკვირს — სიგლახე, სისასტიკე, მოძალადეობა გმირობა ჰგონია; კარგი კაცობა, კეთილშობილება სისუსტედ ესახებათ, ღირსებად არ მიაჩნიათო, — ნუხდა და განიცდიდა.

ლევ ტოლსტოის ნაპოლეონის სამხედრო ხელოვნებაში რომ ეპარებოდა ეჭვი, რეზო ამას უმართებულო შეხედულებად ჩამოართმევდა, მაგრამ ის სიამოვნებდა, სტალინის გენიოსობას ვერაფრისდიდებით რომ ვერ დაიჯერებდა ტოლსტოი.

როგორ ამბობდა?

ადამიანის ბედი ადამიანზე არ არის დამოკიდებული, რადგანაც ამ პროცესს უზენაესი განაგებსო.

და ამას მართალ დებულებად მიუთვლიდა ლევ ტოლსტოის რეზო ჭეიშვილი და გადაწყვეტდა, რომ „ომი და მშვიდობის" მეორე ტომისათვის გადაეხედა ხელახლა.

ირწმუნებოდნენ: ყველაზე დიდი და ძლიერი იმპერია შექმნა სტალინმაო.

რეზოსთვის კი ეს ტყუილი გახლდათ:

რუსეთის იმპერია, ძალიან ძლიერი, შექმნილი იყო. რუსეთის სულიერი პოტენციალი იმ დროისათვის მაღალი გახლდათ: მწერლობა, მუსიკა, ხელოვნება საერთოდ... სამხედრო არისტოკრატია და სხვა და სხვა აღმავლობას განიცდიდა. კომუნისტებმა, განსაკუთრებით სტალინმა, რუსეთი სიბნელისაკენ შეაბრუნეს კვლავ, თუ ასი წლით არა, 50-ით უკან დახიესო.

იმპერია დასაშლელად შეემზადებინა, რადგანაც ფურთხით შეეკოწინებინა, შეექმნა ბუტაფორიული რესპუბლიკები და კონსტიტუციით — როცა უნდათ, გავლენ საბჭოთა კავშირიდანო — ეღიარებინა მათი დამოუკიდებლობა, ეგონებოდა, დამოუკიდებლობაზე ფიქრსაც ვერავინ გაბედავდა. ეგრეც იქნებოდა დრომდე და მომენტამდე, მაგრამ გაბედავდნენ და.. იმპერიაც ძალიან მალე — განა რა იყო ისტორიისათვის 70 წელი — რღვევას დაიწყებდა, ნაკერებში ფხრიწინს.

რუსეთის სიძლიერის ნიშანი ტერიტორიული მთლიანობა გახლდათ, რომელიც მტკიცდებოდა და იზრდებოდა, როგორც ერთი მთელი, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვათა კოლონისტური ზრდის საწინააღმდეგოდ.

სტალინის მემკვიდრეები, ნიკიტა ხრუშჩოვი განსაკუთრებით, მათდაუნებურად ამ პროცესს დაარღვევდნენ და შორს, კუბასა და ვიეტნამში, დაიწყებდნენ ხელების ფათურს და... მსოფლიოს კიდეც გამოაფხიზლებდნენ, სხვა სახელმწიფოები უკვე გაფრთხილდებოდნენ.

შორს წაიყვანდა ეს ლაპარაკი რეზოს, ამიტომაც მოკლედ მოჭრიდა, რომ:

რუსეთს სტალინის დასამადლებელი არაფერი სჭირდა.

გერმანიასაც იმ ომში — მსოფლიოს, ებრაელებსა და კომუნისტებს რომ დაუპირისპირდა — გამარჯვების არავითარი შანსი არ გააჩნდა. იგი დამარცხდებოდა და ისევე განადგურდებოდა, როგორც განადგურდა, სტალინი სულაც რომ არ დაბადებულიყო.

ქართველების გაჟლეტა კი — სხვებზე რომ აღარაფერი თქმულიყო — პირდაპირ უკავშირდებოდა სტალინს: 1924 წელი იქნებოდა, 1937 წელი თუ სამამულოდ გამოცხადებული მეორე მსოფლიო ომი...

გია ლომაძეს გაზეთი გამოეშვა: „ბანკი". რეზო ქუთაისში ინახავდა პირველ ეგზემპლარებს. აქ ედო „შარავანდიც", რომელსაც გურამ ფანჯიკიძე — რედაქტორი — წერდა თავიდან ბოლომდე.

მამულს მივხედავო, ფიქრობდა, მაგრამ ეს უბენზინობა შებორკავდა, თანაც თენთავდა ზევით-ქვევით სიარული.

27 ივლისს დღიურში ის განწყობილება უნდა ასახულიყო, სახელმწიფო საბჭოში რაც გამეფებულიყო:

ცუდად იყო საქართველოს საქმე, საშველი აღარ ჩანდა უკვე. ზვიად გამსახურდიას სიკვდილი თუ იქნებოდა ერთადერთი გამოსავალი და მოკვდებოდა კიდეც სულ მალე, ამ წელს ვერ გადაიტანდა. კანონზომიერებას ბუნება გვთავაზობდა, გამოუსვლელიდან გამოსავალსაც ის მოგვაძებნინებდა ხოლმე ყველაზე კრიტიკულ მომენტში.

დაგვემახსოვრებინა ეს დღე!..

მეორე დღეს მისი ბინიდან არც ისე შორს, ვაკეში, რაღაც აფეთქდებოდა, შემდეგ — უფრო ახლოსაც, შესაძლოა ზოოპარკის ტერიტორიაზე. სროლას ყური მიეჩვეოდა და... სწორედ ბრმა ტყვია იმსხვერპლებდა წინა დღით ერლომ ახვლედიანის ცოლს.

გარდაიცვლებოდა ცინუკი დადიანი: სათნოების სახლში მოკვდაო, — მის უპატრონობას მიანიშნებდნენ.

4 აგვისტოს გამყიდველი ეტყოდა, რომ: წიგნი არ იყიდებოდა და მძიმედ საღდებოდა, მძიმედ, მძიმედ... წიგნის ბუმი რომ იყო — გრძნობდა რეზო: დროებით — მაშინ თვალსადახელშუა გაქრებოდა. ახლა ყველაფერი ეძვირებოდათ, რაც სავსებით ბუნებრივი ეჩვენებოდა. რისი ყიდვაც აუცილებელი არ გახლდათ, შეიძლება მართლაც აღარ გეყიდა.

იმავე დღეს დიდი ზეიმი გაიმართებოდა. ტელევიზორში ყურებას ამჯობინებდა მოედანზე დგომას და, სწორადაც მოიქცეოდა. მაგრამ ელგუჯა ამაშუკელის სახელოსნოში, სადაც თემურ შაშიაშვილი დაპატიჟებდა, ადრე მოუწევდა მისვლა. რომელიღაც ინსტიტუტის შენობაში გამოეყოთ მისთვის სამუშაო ადგილი. ზეიმი გრძელდებოდა თურმე, აქ კი არც ტელევიზორი იდგებოდა, არც რადიო. შემოუვლიდნენ გარშემო დავით აღმაშენებლის ძეგლს, დაათვალიერებდნენ და შთამბეჭდავი მოეჩვენებოდა. ფოტოსურათებზე არა ჩანდა ასეთი. მოეწონებოდა ერთ ნახვაზე. ცხენი გორგასალისეული გახლდათ, ხმალი და ჯვარი — ტრადიციული. და მაინც შთამბეჭდავი. შესაძლოა სივიწროვის გამოისობითაც.

მოვიდოდნენ, როგორც იქნებოდა, მოშავდებოდნენ — ბიძინა კვერნაძის იმ გახმაურებულ კალამბურს გამოიყენებდა — მანქანებით, რეზოც გამოიდებდა თავს და მასპინძელივით მიეგებებოდა ედუარდ შევარდნაძეს, ილია მეორეს, თენგიზ სიგუასა და სხვებს. რაღაცას ილაპარაკებდა კიდეც. აღტაცებული, დაღლილი, გაბრუებული შევარდნაძე ყურადღებით უსმენდა და... არაფერი ესმოდა, როგორც რეზო შეატყობდა.

არ მოეწონებოდა საკუთარი თავი, ცუდ გუნებაზე დადგებოდა. მერაბ ბერძენიშვილის სახელოსნოში წასვლის სურვილს აღარ გამოიჩენდა, კიდევ კარგი აღარ აედევნებოდნენ შავ-შავებს — მურმან ლებანიძეს კი ძალიან ენდომებოდა — და დარჩებოდნენ. და იქაური თანამშრომელი მშვენიერ კახურ ღვინოს გამოიტანდა.

12 აგვისტოს არ მოეწონებოდა ედუარდ შევარდნაძის მიმართვა ხალხისადმი: ქუჩებში გამოდითო, — შეცდომად ჩამოართმევდა: იგივე გაიმეორა?! ვნახოთ, ვინ გამოვაო!

მთვრალი გურამ დოჩანაშვილი საყვედურებით აავსებდა — და არამარტო ის: გამომიყვანეთ გამგეობიდანო. გეგონება ვინმე-ვინმეს ექაჩებოდა.

სასაცილოდ ეჩვენებოდა რეზოს, მას რომ თანამდებობის პირად მიიჩნევდნენ. განა რა ეხებოდა ამჟამად მწერალთა კავშირის მდივანს: სიტყვა, გახსენება და ამისთანები.

ამ ფუნქციადაკარგულ მწერალთა კავშირს ანკი რისი გაცემა შეეძლო. ბინები და მანქანები აღარ რიგდებოდა, თაფლაკვერები აღარ ცხვებოდა.

პასუხი უნდა გაეცა იორამ ქემერტელიძისათვის, გურამ დოჩანაშვილისათვის. მერაბ ელიოზიშვილს ღირსად არ ჩააგდებდა: რეგვენის თავში არაფერი შევაო.

ახლა კი ხვდებოდა რეზო, რატომ უფრთხოდა ამ დაწესებულებას შოთა ნიშნიანიძე. რა მიხვედრა უნდოდა. იცოდა, მაგრამ ვერა გრძნობდა. რაც შოთას შეურაცხყოფა გადაეტანა ამ შენობაში. ახლა გათავისუფლებულივით გრძნობდა თავს და პირზე ღიმილი არა შორდებოდა. ცოტას თამაშობდა, რად უნდა ლაპარაკი, მაგრამ გულწრფელიც იყო სადღაც.

მუხრან მაჭავარიანი, ხუტა ბერულავა, ენვერ ნიჟარაძე, ჯანსულ ჩარკვიანი, რამდენიმე კაცი კიდევ, დაკარგულ დიდებას მისტიროდნენ, იმ დღეებს ვერ ინელებდნენ, შოთა ნიშნიანიძე კი სადღაც კმაყოფილი გახლდათ, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან რომ გამოესტუმრებინათ.

რეზოს ეგონა, რომ შეეჩვეოდა აქაურობას, მაგრამ აქეთ გული არ მოუწევდა. სამსახურში მისვლა თუ არ უხაროდა ხოლმე, სურვილით კი სურდა. სხვანაირი შემთხვევა არა ჰქონოდა. ახლა დილა იყო 14 აგვისტოსი და ფეხათრეულივით გრძნობდა თავს უკვე.

ფერისცვალებას ბოლო გვერდებს გადაბეჭდავდა „კუდიანი ვარსკვლავისა" და სექტემბერში სულ მორჩებოდა. კინაღამ ყველა პოლიტიკური ბლოკი დაასახელებდა კანდიდატად მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებზე. ეგონათ: დახვეტავდა ხმებს ქუთაისში.

— პირველ ნომრად ხარ დასახელებული, — ერთსადაიმავეს უმეორებდნენ.

ხუთკაციანი „კომანდის" შეკვრა დაევალებოდა ბოლობოლო. დეპუტატობისაკენ გული არ მიუწევდა. ელდარ შენგელაიას ვერ ეტყოდა უარს, თუმც ჯერაც არ იყო გვიან. საქართველოში კი არეულობა გრძელდებოდა, ქაოსი, ომი აფხაზეთში, სამეგრელოშიც...

ბევრი ახალგაზრდა შეეწირებოდა ამ ომს, ბევრი ოჯახი გაუბედურდებოდა. რამდენიმე წლის შემდეგ დაწყნარდებოდა, დალაგდებოდა ყველაფერი, სრული სიმშვიდე კი არასოდეს დადგებოდა საქართველოში. უფრო იმედიანად ველარ გაჰყურებდა მომავალს.

კომუნისტებს რომ მოეხერხებინათ სტაბილიზირება, ყველაზე რთული სიტუაციებიდან თავის დაღწევა, მშვიდობის დაკონსერვება თითქმის მთელი 40 თუ მეტი წლის განმავლობაში. შემდეგ ავღანეთი შემოეპარებოდათ, მაგრამ ბევრი არაფერი დაეტყობოდათ. რუსეთი ანუ საბჭოთა კავშირი ინარჩუნებდა მშვიდობას, ომსა და კონფლიქტებს გაურბოდა. გადარჩებოდა: ბალტიისპირეთი, უკრაინა, ბელორუსია, შუა აზიის ყოფილ რესპუბლიკებში — ბევრგან დაწყებული — ახლაღა იწყებოდა ეროვნული მოძრაობა.

არჩევნებში მიეღო თუ არა მონაწილეობა? სამიოდე დღე დარჩენოდა საფიქრალად. დახმარება სჭირდებოდა აშკარად.

„კუდიანი ვარსკვლავი" მზად გახლდათ, შავად გადაბეჭდილს გადადებდა დროებით და სექტემბერში გაამზადებდა დასაბეჭდად.

ერთს გადაუელიდა ზედაპირულად და ნამეტანი კმაყოფილი დარჩებოდა. ეს შესაძლოა არც იყო კარგი, თუმც გამოჩნდებოდა...

ახალზე ფიქრობდა.

ჯერ „უცნობი ქალის ჩანაწერები" — იგივე „გულო ჯანდიერი" — შემდეგ კინომოთხრობებს გაამზადებდა, ეს აუცილებელი გახლდათ, თორემ აებნეოდა და აებურდებოდა ნაწვალებ-ნაჯახირევი „ასკილის წითელი ყვავილიც" და სხვაც. ამასობაში, თუ ვიქნიო, — ჩაურთავდა, ჩამოდგებოდა მისი 60 წელი და შეუდგებოდა ისტორიულ რომანს კოდური სახელწოდებით „დ. ც.", „დარეჯან ცბიერად" რომ იშიფრებოდა.

23 აგვისტოს ილია ჭავჭავაძესავით დაიგმენდა:

კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო.

ეგრე იყო ახლა საქართველოს საქმე.

და მიიჩნევდა, რომ: ჩვენი სიძლიერე — XII საუკუნეში — ძალადობაზე იყო დამყარებული და არა შეგნებაზე, ხალხის სურვილზე. ახლა რა იყო და მაშინ რა იქნებოდა.

თუ დროს გავყვებოდით და დროით — ისტორიით — დავიანგარიშებდით: ჩვენი ბუნებრივი მდგომარეობა გახლდათ აშლილობა, დაქსაქსულობა და შინაომები. რუსეთს დავეწყნარებინეთ, მონღოლებსაც მოეტანათ მშვიდობა, დარწმუნებული იყო რეზო. ჩვენი ისტორიისა, დაწერილი „ისტორიისა" ნაკლებად სჯეროდა.

შეავსებდა უკვე, სურვილის საწინააღმდეგოდ, საარჩევნო ანკეტას და მიადევნებდა: რა გვეარჩევნებაო? არც ჩატარდებოდა ალბათ. ჩვენ უკვე ომში მივტოპავდით. რას გადაწყვეტდნენ ნეტა დღეს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე?

არ უნდა გარეულიყო ამ არჩევნებში, რწმუნდებოდა. ცივი უარი უნდა ეთქვა დასაწყისშივე. ხშირად ამას ვერ ახერხებდა, და აჰა...

27 აგვისტოს ჩაატარებდაა კრებას მწერალთა კავშირში. ყველა მოვიდოდა. რევაზ ჯაფარიძე დაივალებდა განცხადების გაკეთებას, უფრო სწორად — დაწერას. თენგიზ ბუაჩიძის კაბინეტში ჩაასწორებდნენ, ხვალ მწერალთა გაზეთში გამოქვეყნდებოდა. შემდეგ — ტელევიზია, რადიო...

შემრიგებლურ სიტყვას იტყოდა რეზო ჭეიშვილი. მწერალს რა ევალებოდა ამ სიტუაციაში, განსაზღვრავდა თავისი ჭკუით. იცოდა, ეფექტს ეს არ მოახდენდა და ასეც მოხდებოდა. კრება ასაღელვებელს ელოდა. სხვები, რასაკვირველია ჯანსულ ჩარკვიანი, შეეცდებოდნენ ორატორული ნიჭის ამოფრქვევას...

რევაზ ჯაფარიძის სიტყვა კი, შეიძლება თქმულიყო, ამისი მითითებით დაიწერებოდა...

კარგს რას უნდა დავლოდებოდით? რისი იმედი უნდა გვქონოდა — ღვთისა? ისტორია არ გაგვწირავდა, მაგრამ ეს არეულობა, სისხლისღვრა

სადამდე უნდა გაგრძელებულიყო? შევძლებდით კი დამოუკიდებლად არსებობას? ეკონომიკის აღორძინებას, წესრიგის დამყარებას, ჯარის გაწვრთნასა და ყოლას? სხვისი ზედამხედველობისა და სხვისი დიქტატის გარეშე ვით ვიარსებებდით? ედუარდ შევარდნაძესაც ხომ პირველად უხდებოდა დამოუკიდებლად, ერთპიროვნულად მუშაობა, მართვა... სხვის სამსახურში, სხვის ომში მაგრები ვიყავით! ეს ცხადი გახლდათ რეზოსათვის.

ზაფხული უფრო მშვიდად ჩაივლიდა, ეგონებოდა. შემოდგომისათვის ელოდა ვითარების გამწვავებას, შეიძლება ამაზე უარესსაც, ვერ მოვისვენებდით, ვერა...

თამაზ კვაჭანტირაძე მსჯელობდა ტელევიზორში, საუნივერსიტეტო-სალექციო არტახები ვერ დაეხია. ერეკლე მეორეს ჯაჭვის პერანგი გაეფხრიწა და უკვირდა რეზოს: ამ კვაჭანტირაძეს რა სჭირსო?!.

და თავისას ინატრებდა:

ამსვა-დამსვა და ქუთაისში ჩამსვა, მთლად მირჩევნია ყველაფერსო.

რევაზ მიშველაძეს ბომბს დაუკიდებდნენ კარის სახელურზე. დასაჯერებელი იყო? თუმც სახლიც ამნაირად არ დაეწვათ მისთვის?.. ამჯერზე ნამეტანი შეწუხებულიც ჩანდა, შეშინებულიც.

მარიამობა დამდგარიყო და ტელეგადაცემებიც სამარიობოდ გადაწყობილიყო. ახლა გალობდნენ.

ამ საუკუნის 98-ე მარიამობა ჩამოდგებოდა 6 წლის შემდეგ. კარგი წლები იქნებოდა: 93 (შედარებით უკეთესი), 95 და 97... 99-ში სხვა სტანდარტებს დავუწყებდით პრიტინს უშედეგოდ, მერმეთ ღმერთი შეგვეწეოდა!..

31 აგვისტოს საარჩევნო ყრილობა დაენიშნა „ერთობას“. და აუცილებელი გახლდათ რეზო ჭეიშვილის პერსონის გამოცხადებაც. ჩატარდებოდა კი არჩევნები? ან — კი, ან — არა!.. ედუარდ შევარდნაძე ცალკე იყრის კენჭს პრეზიდიუმის თავმჯდომარედო, დაედგინათ, და რეზოს მოეწონებოდა ეს გადაწყვეტილება: კარგად მოუფიქრებიათო. ასე ჩამოაშორებდნენ სახელმწიფოს მეთაურს „მშვიდობას“ და ბევრს დაეხეოდა „ფლაგი“ ამით.

რა სურდა, რას ელოდა რეზო? გული ცუდს არ უგრძნობდა რატომღაც.

შემოვიდოდა მძიმე და ბნელი სექტემბერი. რა დღე უთენდებოდა საქართველოში მრავალს და მრავალს, რა გველოდა კიდევ, რა უბედურება ტრიალებდა ჩვენს თავს. კარგად არც გაგვესიგრძეგანებინა. ბევრ, ჩვენთვის ბევრს, ახალგაზრდას ჩამოასვენებდნენ დღეს, ბევრს, მგონი ასამდე, დაჭრილსაც ჩამოიყვანდნენ. სასაკლაოდ ექციათ მანდარინის ბაღები აფხაზეთში. და დაიგმენდა რეზო: უბედურო საქართველოვო!..

ელდარ შენგელაია მგონი ავსტრიაში იმყოფებოდა. ირაკლი ბადურაშვილი ეტყოდა:

— სტუდიაში ვიყავი, ცარიელია იქაურობა, ადამიანისშვილი არ ჭაჭანებს. მხოლოდ ერთი ქალი ამონტაჟებს თქვენს სურათს.

შავი სამუშაო დაეტოვებინა ალბათ ელდარს. ფილმი კი — ასე ფიქრობდა რეზო — არ შედგებოდა, გული ამას უგრძნობდა. უპატრონოდ, რაღაცნაირი გაგებით, გასრულდებოდა, და აწი აღარაფერი ეშველებოდა. სამი,

უკიდურეს შემთხვევაში ორი, წლის წინათ უნდა გასულიყო ეკრანზე და სხვა ჟღერადობისა იქნებოდა. დროს გაესწრო რეჟისორისა და სცენარისტისათვის, დრო უფრო საინტერესო და დინამიური აღმოჩნდებოდა, ვიდრე მათი ფანტაზია. ელდარს საკინოედ არ ეცლებოდა, არც რეზოს მიაკარებდა ამ ახალ კინოფილმს. გახმოვანებითაც ურეზოოდ გაახმოვანებდა.

— შავია, — ეთქვა რეზოსათვის, — ვნახავთ და ხელახლა გადავახმოვანებთ.

მაგრამ ამას არა სჯეროდა ხელახლა გადახმოვნებისა.

„კუდიან ვარსკვლავში" ერთი-ორი ნოველა მორჩებოდა ზედმეტი. ერთის გამოყენება შეიძლებოდა, ერთს შავად დაწერდა და აღარ მიუბრუნდებოდა. მოგონებიდან — პატარა ეპიზოდი „შარავანდისათვის"... იოლი იყო, მაგრამ მიმდგარიყო და ეწერა და ეწერა ზოგიერთებივით?

დავით კლდიაშვილზე აპირებდა დაწერას — ძველს ახალი დაემატებოდა, ყველა დეტალი თუ ახალი თავი მოფიქრებული ჰქონდა. ამასაც ჩაჯდომა და გულისყურის დატანება უნდოდა.

დილით ვარჯიში, საჭმელზე ფიქრი, სამსახური, შემდეგ ტელევიზორი. ყური ახლაც იქით ექნებოდა. დრო დამდგარიყო ასეთი. სულ ველოდით, ველოდებოდით — მაგრამ კარგს არაფერს.

კინომოთხრობები იოლი ეჩვენებოდა. „უცნობი ქალის ჩანაწერებს" ქუთაისში დაიწყებდა, შვებულებისას, „კუდიანი ვარსკვლავის" გადაბეჭდვამდე.

60 წელი დაუდგებოდა და... კიდეც უნდა შედგომოდა „დარეჯან ცბიერ"-ს.

სიცხე არ დაიკლებდა შემოდგომისას. ბევრი ჭრიჭინა იჭრიჭინებდა... და ჩამოჰქონდათ და ჩამოჰქონდათ გვამები აფხაზეთიდან. ვიღუპებოდით და ეგაა!..

ედუარდ შევარდნაძე მოსკოვში იმყოფებოდა და 3 სექტემბერს უნდა შეხვედროდა ბორის ელცინს. სამათხოვროდ გაგვიხდიდა რუსეთი ისევ საქმეს.

თუკი მთელი ქრისტიანული სამყარო ამოგვიდგებოდა გვერდით, შეგვაიარაღებდნენ და დასავლურ სახელმწიფოდ გადაგვაქცევდნენ, ჩავებმებოდით მუდმივ და გაუთავებელ ომებში. გვეომა უნდა ქალიან-კაციანად, სხვანაირად ვერ მოვიქცეოდით!

შევსულიყავით „ესენგეში"? შევიდოდა აგერ სომხეთი და... განა რა ეშველათ? ჩვენ ვინ გვიშველიდა? გამოსავალსაც ვეღარ ხედავდა რეზო.

4 სექტემბერს გახარებული ჩაიწერდა, რომ:

მოლაპარაკება სასიკეთოდ დასრულდებდა. ეს სრულ გამარჯვებასაც კი ნიშნავდა, მაგრამ... როგორ განვითარდებოდა მოვლენები? ძნელი სათქმელი გახლდათ. პირველი, შესაძლოა გადამწყვეტი რაუნდი, მოგებული ჩანდა. დიდ ფორას ნიშნავდა. შევარდნაძეს განემტკიცებინა პოზიციები.

მისი ინტერვიუ წაეკითხა ემზარ კვიტაიშვილს „მოწამეთაში" — ყველაფერს კითხულობსო, ჩაურთავდა რეზო — და ეტყოდა:

— შევარდნაძეზე ამბობ, კულტურას გადარჩენა არ ჭირდებაო.

ედუარდ შევარდნაძე დაენიშნათ ქართული კულტურის გადარჩენის თავმჯდომარედ და გაღიზიანებულიყო რეზო: რა სჭირს ჩვენს კულტურას შევარდნაძის გადასარჩენიო!..

ქართული კულტურა იყო — თუკი იყო — და დარჩებოდა კიდეც. ასეთი პრეტენზიული და სულელური სახელწოდების თანამდებობა არ უნდა გებოძა ადამიანისათვის. ქართული კულტურის აღორძინების — ეს უარეს შემთხვევაში — თავმჯდომარე შეიძლებოდა დარქმეოდა.

ჯანსულ ჩარკვიანი გამოვიდოდა კვლავ ტელევიზიით და: ბნედას შეჰყრის მალე მსმენელს და მაყურებელსო, — თავს ვერ შეიკავებდა რეზო.

5 სექტემბერს ტელევიზიით შევარდნაძის საარჩევნო კამპანიის საინიციატივო ჯგუფში დაასახლებდნენ... ხელი რომ მოეწერა უსათვალოდ რაღაც ამდაგვარი ქაღალდისათვის, გაახსენდებოდა. მწერალი ესა და ესო, ხოლო თანამდებობა, სხვებისაგან განსხვავებით, არ ეწერებოდა. ჯერ გაუკვირდებოდა და შემდეგ მოეწონებოდა: მწერალი რეზო ჭეიშვილი — საკმარისია და უკეთესიცააო. იქ ორგანიზაციას კი არა — მწერალთა კავშირს, საკუთარ თავს წარმოადგენდა მხოლოდდამხოლოდ.

10 სექტემბერს მაყვალა მრევლიშვილს დაკრძალავდნენ მშვიდად, უხმაუროდ, პატივისცემით, გული არავის აუჩვილდებოდა ცხადია. პურმარილსაც გაუმართავდნენ მოკრძალებულს. ინტელიგენცია — თავდაჭერილი, დღევანდელ ვითარებაში გარკვეული. დღეც იქნებოდა თბილი, მზიანი, უნიავო. სხვა არაფერი საინტერესო.

ვახტანგ გოგუაძეს დაელაპარაკებოდა სამიტინგო ალაგზე — ტელევიზიაზე, მათ უნიათობაზე, პროვოცირებულ გამოსვლებზე. და დაეთანხმებოდა პარლამენტის თავმჯდომარე:

— ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებს არჩილ გოგელია, ამოიღეთ ხმა, ჩვენც გაგვაკრიტიკეთ, საჭიროა.

რასაც რეზო ისედაც აპირებდა, იმას ეტყოდა ისიც, მაგრამ... საამისოდ სხვას ვერავის აიყოლიებდა. მწერლები ერთმანეთთან ანგარიშსწორებას უნდებოდნენ, პირადი, ვიწრო, დამრგვარებული ინტერესები ამოძრავებდათ. იჯერებდა და ვერ იჯერებდა. ამიტომაც ვერ იტანდა იქაურობას. დრო იცვლებოდა, ქაოსი, ერთმანეთზე — მსოფლიო მასშტაბით — გადაჯაჭვული მოვლენები. ესენი? ისევ ისე, ძველებურად.

გუშინდელ გამგეობაზე გურამ ფანჯიკიძე განაცხადებდა:

— ფული ვიშოვნე და დავაარსოთ პრემიები.

დაეთანხმებოდნენ. გადაწყდებოდა: ილიასი და აკაკისა. ვაჟამ რაღა დააშავაო? ვიღაც წამოიძახებდა. მედლებით, დიპლომებით გაფორმდებოდა.

— ჩამოიკიდებთ მკერდზე და ივლით რაკასოვსკივით, — ეტყოდა რეზო ერთს იქვე.

არარსებულზე კინაღამ დაეჭამათ ერთმანეთი და ხვალ რას აპირებდნენ?!.

დღევანდელობაზე მოინდომებდა თვითონ რაღაცის თქმას, წამოეჭრა საკითხი მწერლებისა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებაზე,

მაგრამ ბოლოს მაინც აღარ ამოიღებდა ხმას და მიიჩნევდა, რომ იმ ვითარებაში სწორადაც მოიქცეოდა.

ასეთი გახლდათ მწერალთა კავშირი — როგორიც ეგონა, როგორსაც უყურებდა გარედან. ის ხალხი, რომელიც აქ ტრიალებდა, საკუთარს იქით ვერაფერს ხედავდა, მხოლოდ საკუთარი პერსონა, ერთმანეთისათვის სამაგიეროს გადახდა: ჩემი ნიგნი, ჩემი, ჩემი...

გიორგი ნიშნიანიძე ურჩევდა:

— შემოიკრიბე პატიოსანი ადამიანები და თქვით რაიმე, მიმართეთ ხალხს, სიკეთისაკენ მოუწოდეთ.

იმ დაწესებულებაში ეს არ გამოვიდოდა. რეზო რომ ყოფილიყო აქ მთავარი, შეიძლება მოეხერხებინა რაღაც ამისმაგვარი, ახლა ეს შეუძლებელი გახლდათ.

გიორგი ნიშნიანიძე თავის მხრივ მაინც დაუსახელებდა პატიოსან ადამიანებს, რომლებზე დაყრდნობაც შეიძლებოდა: თამაზ ჩხენკელი, ზურაბ კიკნაძე, ბაჩანა ბერგვაძე, ემზარ კვიტაიშვილი...

მართლაც შეიძლებოდა გაერთიანება ერთი ჭკუის ხალხისა, მაგრამ... იმას სხვა მიზნები, სხვა ამოცანები, იმას სხვა... რეზოს თვითონ სხვა რამ ამოძრავებდა...

რევაზ ინანიშვილის ოჯახი ითხოვდა დახმარებას: საფლავის გასაკეთებელი ფული არ გაგვაჩნიაო.

12 სექტემბერს დაკრძალავდნენ ლევან აბაშიძეს. მწუხარება იქნებოდა აუწერელი. რამდენი ადამიანი, რამდენი ოჯახი გამწარებულიყო! ხალხი ბევრი იქნებოდა. ინტელიგენცია. სიწყნარე, ჭირისუფალნი თავდაჭერილნი. ახალგაზრდები. მეომრები. სროლა. ზალპი სამარესთან.

ზვიად გამსახურდიას მომხრეებს, რეზოსი და სხვათა შეტყობითაც, რესტავრაციის იმედი ჰქონდათ. მუხრან მაჭავარიანი თვითიზოლაციაში იმყოფებოდა.

როდის დამყარდებოდა მშვიდობა? რა დროისათვის შეიძლებოდა ევარაუდა ადამიანს?

გიგა ლორთქიფანიძე იტყოდა:

— შევარდნაძემ გამიხმო და მითხრა: მაცალეთ არჩევნებამდეო...

სირბილე ესაყვედურათ მანამდე.

ვთქვათ და ვაცალეთო, — გაიფიქრებდა რეზო, — შემდეგ რა იქნება, დააწყნარებს ამ ქვეყანასო?

შეუძლებელი ეჩვენებოდა დიქტატურის, ერთმმართველობის გარეშე. ეყოფოდა კი ჩვენი ერთმმართველობა? თუ... ისევ უნდა აღმდგარიყო იმპერია? ისევ უნდა მოსულიყვნენ კომუნისტები? რევოლუციამდე — რეზო რომ აკვირდებოდა — აჭრილ-აფორიაქებული გახლდათ რუსეთი, 1907 წელს დააწყნარებდნენ რეპრესიებით და მაინც ვერაფერს გახდებოდნენ. ომი. რევოლუცია. სამოქალაქო ომები, ქაოსი და... როდის-როდის უნდა გამოჩენილიყო სტალინი. ისე უანგარიშოდ, ისე დაუნდობლად ეხვრიტა საკუთარი ხალხი, რომ ახალ პოლიტიკურ წყობას ომიც ვერ მოშლიდა. ტანკს

უვარდებოდნენ და სიმართლის თქმას კი ვერა ბედავდნენ. მოვიდოდა სიტყვის თავისუფლება და მოჰყვებოდა ფეხდაფეხ ანარქია.

ფინალი უნდა ყოფილიყო ცივილიზაცია, ევროპული ყოფა-ცხოვრების წესი და კანონი, შინაგანი კულტურა, დისციპლინა. ჩვენთან როდისღა იქნებოდა? ანკი იქნებოდა კი საერთოდ?

რა მოხდებოდა და რა გვეშველებოდა? ისტორია ციკლურად მეორდებოდა: ანარქია, ძლიერი ხელისუფლება, ტოტალიტარიზმი. ისევ ქაოსი, ისევ ის? შვეიცარიას, დანიას, შვეციას დავემსგავსებოდით ოდესმე?

შავად გადაბეჭდავდა „კუდიან ვარსკვლავს“ და ასწორებდა ხანდახან, საფუძვლიანად მოგვიანებით ჩაუჯდებოდა. შვებულების შემდგომ დაიწყებდა ნამდვილ ბეჭდვას. მანამდე დაისვენებდა. ქუთაისში იმ ქალის ჩანაწერებზე წაიმუშავებდა. 16 სექტემბერს თეატრის ხალხს უნდა შეხვედროდა... და გაიფიქრებდა: არის კი საჭიროო?!.

კოპერატივის კრებას ჩაატარებდნენ. ბინები, როგორც ხოზე ადეიშვილი აუხსნიდათ, დაჯდებოდა მილიონი და დამთავრებით არ დამთავრდებოდა, ცარიელ კედლებს, გადახურულს, ჩააბარებდნენ მილიონად, თუკი ფული კიდევ არ გაბითურდებოდა. კარგი იმედი იყო, ვერაფერს იტყოდი!..

17 სექტემბერს ედუარდ შევარდნაძე სოხუმში ჩაფრინდებოდა და გამოეცხადებოდა იქაურ საზოგადოებას.

წინა დღით კი გურამ ფანჯიკიძე გამართავდა მწერალთა და თეატრის მუშაკების შეხვედრას. თვითონ კმაყოფილი დარჩებოდა და რეზო ვერც მეორე დღეს შეატყობდა უგუნებობას. თამაზ ჭილაძე რომ გამოვიდოდა, დარბაზში თითქმის აღარავინ იქნებოდა, და დაიწყებდა მტკიცებას: ქართული კინო ვერ მოვა ქართულ თეატრსა და ქართულ მწერლობასთანო. სიტყვა წინასწარ ექნებოდა მოფიქრებული, მაგრამ მსმენელი აღარ დაურჩებოდა.

კინოში ვერ ივარგებდა და ეს ვერ მოენელებინა. ძმათა პრეტენზიებსაც შეეკვეცებოდა დროებით ფრთები. ძალიან ამადლიდნენ ყოველთვის თავს ხელისუფლებას, ეროვნულსაც (ამ სიტყვას რეზო წინწკლებით შემოსავდა). დიდუბის საფლავს მოიპოვებდნენ ბრძოლით, ოთარის ცოლს — თამაზის რძალს — დაკრძალავდნენ დიდუბეში და დიდსა და პრეტენზიულ — სისადავის პრეტენზიითაც — საფლავს გაუკეთებდნენ, მოუხერხებელ ალაგას, სივიწროვეში დაამკვიდრებდნენ. სამოთახიანი ლუქსი ექნებოდა ბიჭვინთაში ერთ ძმას — მარტოსულს. სხვას — ოჯახით — ერთი ან ორი ოთახი.

— რას ვითხოვთ, ისეთს, რაც არ მეკუთვნის? მესმის, არ მეკუთვნოდეს. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ სხვას არ ეკუთვნის. მაგრამ ჩემს ხარჯზე? კი ბატონო, მაგრამ რატომ? — ასეთი გახლდათ მათი ლოგიკა...

სხვა? ყველაფერი გლახად იყო და ყველაფერი კარგად. გალაკტიონურს შემოურევდა. თანაც ნუნუს აზრიც აღარ ჰქონდა. შარშან ამ დროს — 17 სექტემბერს — მიჰქონდა წერილი. 18 რიცხვი ჩამომდგარიყო და ეგულისხმა უნდა, რომ ერთი წელი გადაგორებულიყო მშვიდობით...

20 სექტემბერს კინოფესტივალის გახსნას დაესწრებოდა. არა ეშავებოდა რა — დღევანდელი პირობებისათვის კარგადაც ჩატარდებოდა. კონცერ-

ტი რიგიანი. ეკრანზე უსისტემოდ დამონტაჟებული ნაგლეჯები კინოფილმებიდან. მაინც რიგიანი. მაყურებლის თვალწინ ჩაივლიდა კინომოგონება. რეზოს თაობისათვის კინო გახლდათ მთავარი. მეოცე საუკუნე — ელექტრონი. სინემა. ტელევიზია. მწერლობის უპატივცემულობა აქაც გამოჩნდებოდა. ელდარ შენგელაიასთან დააპირებდა დალაპარაკებას. ნელი ეტყოდა:

-- ვნახე თქვენი ფილმი, ჯანსუღ კახიძეს აჩვენა სამუსიკედ.

ეს არ მოეწონებოდა რეზოს და მიუგებდა კიდეც:

— უჩემობა არ ივარგებს, ცუდად მაქვს დაცდილი.

თამაზ ჭილაძე რომ განაცხადებდა ოფიციალურად: კინო ვერ მოვა ქართულ თეატრსა და მწერლობასთანო, — არ უნდა ყოფილიყო მთლად მართალი. ისე კი კინო რომ თანდაათან შორდებოდა ლიტერატურას, ლაპარაკი არ უნდოდა.

ქუთაისელები ჩამოვიდოდნენ 21 სექტემბერს და გადაიღებდნენ, ჩაწერდნენ რეზოს საშაშვიაშვილოდ. საინიციატივო ჯგუფი გახლდათ. „ერთობას" არც დარდობდა, არც აინტერესებდა ეს „ერთობა". აქვე მოვხსნი კანდიდატურასო, — დღეს გაბრაზდებოდა. შემდეგ მალევე გადავარდებოდა გულიდან გაბრაზება და ახლა აღარ იცოდა, მოხსნა ჯობდა თუ მონაწილეობა. ქუთაისში ეპირებოდა გამგზავრებას და ეს იქნებოდა მისი შვებულება. ნაღდად დაისვენებდა და წაიმუშავებდა კიდეც, აქ წერილ-წერილი „გასახსენებელი", იქ „უცნობი ქალის ჩანაწერები"... „კუდიანი ვარსკვლავი"... ერთი კვირა ეყოფოდა. ან ეყოფოდა, ან არა. დღეში 15 გვერდი საშუალოდ. დრო იყო, 30-ც არ უჭირდა.

სახელმწიფო საბჭოს კულტურის კომისიაზე დაუძახებდნენ და არც მივიდოდა.

25 სექტემბერს იყიდდა ალფრედ ედმუნდ ბრემის „ცხოველთა ცხოვრებას", რუსულ გამოცემას 1922 წლისა. გადამუშავებული და შევსებულიაო. რაც გარდაიცვლებოდა ავტორი, მას შემდეგ „ამუშავებდნენ" გერმანელები, ახლა რუსებსაც მიეყოთ ხელი. ძველი გამოცემებიც ახსოვდა. გადაეთვალიერებინა და შეევლო ხელი მხოლოდ. ეს იქნებოდა მისი უსაყვარლესი წიგნი, მაგრამ არა ჰქონდა და რჩებოდა უბრემოდ.

ივანე ჯავახიშვილის I ტომს გამოიტანდა. უკირკიტებდა, აინტერესებდა. რამხელა შრომა ჩადებულიყო შიგ. შრომა და ენერგია? რაღაც სხვაც. გულმოდგინება, თანამიმდევრულობა, შეწირულობა. ყველაფერი უნდა დაგეთმო, ამდენი რომ შეგძლებოდა — განათლებისა და ნიჭის აუცილებლობით.

იყვნენ ასეთი ადამიანები: თეოდორ მომზენი, ჭარიანი სომხეთში — გვარი თუ არ ეშლებოდა, და სხვებიც.

ესენი განსაკუთრებული, ჭიანჭველას ძალით დაჯილდოებული ადამიანები იყვნენ. თვითონვე შეედარებინა თავი ივანე ჯავახიშვილს ჭიანჭველასათვის. ჩაეწერათ საბედნიეროდ. ძეგლს რომ უყურებდა უნივერსიტეტის ეზოში, მაღალი მამაკაცი ეგონებოდა რეზოს, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა. პირიქით ყოფილიყო. ხოლეში მის პლაშჩს აზომავდა თვალდათვალ და... გაუკვირდებოდა.

— ტანდაბალი კაცი იყო, — აუხსნიდა გიორგი ხორგუაშვილი.

მშვენიერი ადგილი დახვდებოდა იქ და — სახლი.

ხელმოწერაც მოსწონდა მისი. აწერდა „ივანე ჯავახიშვილი“ გარკვევით, ლამაზად, თუმც არც თავმდაბლურად.

არ მოსწონდა — რა ამის პასუხი იყო — ილია ჭავჭავაძის ფაქსიმილე. და იფიქრებდა: უყვარდათ თავადიშვილებს, როგორც ჩანს, ხელხლართვაო.

26 სექტემბერს ტელევიზიით კინოფესტივალის დახურვას აჩვენებდნენ. არიგებდნენ ფულებს ამ შიმშილობის დროს. ახალგაზრდობა იხოცებოდა, არ გააჩნდათ იარაღი. და რეზოს, გაღიზიანებულს, დასცდებოდა: უზნეობისა და უორგანიზაციობის ზეიმიაო.

— 30 ათასი ამას. დარბაზში არაა, სადაა? წაიღოს დიპლომი!

და მწარედ ეღიმებოდა რეზოს: რა შავქვად უნდა! ფული მიეცით... არააო!..

გრანპრის მიიღებდა თემურ ბაბლუარი — „ოქროს არწივს“. კარგი სახელწოდებააო, მოწონების სიტყვებს ჩაწერდა დღიურში, არწივიც კარგია, ცხადია ნივთზეა ლაპარაკიო. ჭეიშვილურს გამოურევდა.

თემურ ბაბლუანი გამოასწორებდა ვითარებას, ფესტივალს სამარცხვინოს არ გახდიდა. სვანურ ეშმაკობასაც გაურევდა. ფონდს შექმნიდა, კარგი გამოვიდოდა. საჭირო. თვითონაც ისარგებლებდა, სხვასაც დაეხმარებოდა რაღა თქმა უნდა.

და ახსენდებოდა რეზოს, რესტორნიდან როგორ მოხვდებოდა საავადმყოფოში, პირდაპირ რეანიმაციაში, და სექტემბრის მეორე ნახევარსა და მთელ ოქტომბერს ორ საავადმყოფოში გაატარებდა. შემდეგ — ომი, სიცივე, შიმშილი... და მოულოდნელად მწერალთა კავშირის მდივნის პოსტზე აღმოჩნდებოდა.

ქუთაისიდან კი მაინც უნდა წამოსულიყო — ეს გადაწყვეტილი ექნებოდა.

წამოიწყებდა ნოველას „ავტოინსპექტორი ვწძთ“ და ამით გაასრულებდა პატარა ციკლს საერთო სათაურით: „გახსენება“.

„როგორ დავანებე სიგარეტს თავი“,

„საყვარელიძე პავლე“,

„პოლიტბიუროს სხდომაზე“,

„ორი შეხვედრა გიორგი ლეონიძესთან“,

„ფრანგულის სპეციალისტი“,

„ავტოინსპექტორი ვწძთ“.

დაემატებოდა: „ხიბაროები ამაზონის ჯუნგლებში“.

თბილისში გაასრულებდა, რადგანაც ბოლო ნოველისათვის ერთი დოკუმენტური წიგნი სჭირდებოდა.

ქუთაისში დაიწყებდა „უცნობი ქალის ჩანაწერებს“, თუმც ამ სათაურს ალბათ შეცვლიდა.

წინასაარჩევნო კამპანიისათვის უნდა მიეხედა ასე თუ ისე. დიდი მუშაობაც იყო საჭირო. ამისათვის პირადად მას არც დრო გააჩნდა, არც ფული და არც ხალისი.

ჯერჯერობით დაწინაურებულიყვნენ: „მწვანეები“, „11 ოქტომბერი“ (სხვაზე მეტი შანსი ექნებოდათ), „მშვიდობაც“... „მწვანეები“ გაუგებარი ეჩვენებოდა, „ერთობის“ ყოფას ჭაკობასთან გაათანაბრებდა ჯერჯერობით. ვარაუდობდა, რომ: პარტიები ვერ აიღებდნენ ხმებს.

სწორედ ახლა ირაკლი წერეთელი ილაპარაკებდა ტელევიზორში, და სხვათა შორის ნორმალურად. გაუვლიდა ასაკი და დაჯდებოდა, — რეზოს შეტყობით, — მამისა და წინაპრების ენერგია არ გაჰყვებოდა დიდხანს.

1 ოქტომბერს კვლავ ცუდი ამბები ჩამოვიდოდა აფხაზეთიდან, სამეგრელოდან, „ოსეთიდან“. რა იყო მოსალოდნელი კარგი? ნოდარ ნათაძე, გია ჭანტურია და სხვები ლაყბობდნენ ტელევიზორში და ამას მეორე ოთახიდან ესმოდა მათი ხმა.

პროგნოზებს თვითონ გააკეთებდა. ქუთაისის თუ ქუთაისურ ტელევიზიაში გამოვიდოდა, ორგვერდიან გაზეთსაც ჩაუშვებდა პროგნოზის გამოსათქმელად:

1992 წელი — კრიტიკული, მომდევნო — გარდამავალი, 1995-დან უკეთესობა იქნებაო.

ამას იმეორებდა და ყურადღებასაც არ აქცევდნენ ზედა ეშელონებიდან.

— მაგი ხომ ისედაც ვიცოდითო, — ტარიელი გეტყოდა, ჭანტურია, აუცილებლად. ტარიელმა ხომ ყველაფერი იცოდა, და არამარტო ტარიელმა. ჩვენ, ქართველებმა, ყველამ ყველაფერი ვიცოდით. სიგლახეშიც მაგრები ვიყავით და უზნეობის გამო ვისჯებოდით. პურზე რიგები იდგებოდა, ხალხი შეწუხებულიყო, თუმც უიმედობა, სასოწარკვეთა არ იგრძნობოდა ამ ქუთაისში.

იჯდა, წერდა. ძალიან მოსწონდა და უყვარდა აქაურობა. აქ შეიძლებოდა მუშაობა, ისვენებდა კიდეც. პატარ-პატარა ნოველების მერე მიადგებოდა „უცნობი ქალის ჩანაწერებს“. ძალიან საინტერესოდ ეჩვენებოდა. რატომ ენდო მისთვის იმ ადამიანს ჩანაწერები, დღიურის ნაგლეჯები, მთლად ნათელი არ იქნებოდა მისთვის.

ნოდარ დუმბაძისათვის მინდოდა გადამეცაო, — იწერებოდა ქალი, და რეზოს ვერ აეხსნა: ან ეს რატომ უნდოდა, გაუგებარიაო.

მასალა ცოტა იყო, მაგრამ რეზოსათვის საკმარისი, მნიშვნელოვანიც. ათვალიერებდა, არკვევდა, ანგარიშობდა გამომძიებელივით. ჯერ ვინაობას — ქალი გამხელას არ ინებებდა — ადგენდა, აზუსტებდა. თავი დაემალა, მაგრამ კუდი დაეტოვებინა და რეზო ადვილად გამოათრევდა, მაგრამ საჭიროდ არ მიიჩნევდა. რაც იყო, იმაზე ააგებდა ყოველივეს. დანარჩენი ხელს შეუშლიდა კიდეც.

მაინც გაარკვევდა: ნათელი ხინგავა, ქმარი გიგლა, ალბათ გუმბერიძე. მეგრელია ყოველმიზეზგარეშეო, — ფიქრობდა, — არ შეიძლება მეგრელი ქალი არ იყოსო! და ეს — ლექსების ნაგლეჯების მიხედვით. მთავარი პერსონაჟი კი... ტაგუ მებურიშვილი უნდა ყოფილიყო.

ქალი — ერთი მხრივ: შვილები, ოჯახი, ქმარი, სკოლა; მეორე მხრივ: ძველი შეყვარებული.

დანარჩენი მეორეხარისხოვანი გახლდათ.

პოლიტიკა, ეკონომიკა, ეროვნული მოძრაობა, ინგრევა ქვეყანა, თავისუფლებისათვის იბრძვის მისი ქვეყანა, სამშობლო, ომი საქართველოს მთლიანობისათვის.

ქალი მისით, მისი ინტერესებით, ოცნებით ცხოვრობდა, ითხოვდა სიყვარულს. ქალური და დედური საწყისები ებრძოდა ერთმანეთს.

და დასძენდა: ეგ ყველაფერი ეგრეა მართლაცო.

საშინელი ამბები ჩამოდიოდა აფხაზეთიდან. ბიჭები მიჰყავდათ ავტობუსებით, ქალაქის მოედანზე ყოფილიყვნენ დაბანაკებულნი, საჭმლის ნამუსრევს ნახავდა რეზო, რომ ჩაივლიდა. ფრონტზე, სასაკლაოზე რეზერვის მობილიზაციას აცხადებდნენ. ჯარი არა გვყავდა. სადამდე შეიძლებოდა მოხალისეთა იმედად ყოფნა! ტელევიზორი აგიჟებდა უკვე. კარგი არაფერი ისმოდა და კარგახანს ვერც გაიგონებდი...

დაამუშავებდა უცნობი ქალის გამოგზავნილ ნაწერებს და სრული წარმოდგენა შეექმნებოდა იმ ქალზე, იმ ოჯახზე, ქმარზე. ქალის თვალით დანახულ ქმარს რეზოც სხვანაირად ხედავდა. საინტერესო ეჩვენებოდა ძალიან და შეეძლო დაეწყო კიდეც.... საჭიროც იყო, გრძნობდა. თუმც მიტოვება მოუხდებოდა. მალევე არჩევნები მოვიდოდა.

ომი ომისათვის დაემსგავსებინათ სამწუხაროდ.

თბილისში მოუხდებოდა მალე წასვლა და იქ ბეჭდვა. სამსახურში გასვლამდე უნდა მოემთავრებინა. აქეთ როსლა ჩამობრუნდებოდა, აღარ იცოდა. ზამთარში — აუცილებლად. სიცივესა და სითბოში — ცეცხლისპირს უნდა ემუშავა.

ამასობაში 60 წლისა გახდებოდა.

რაღაცას იქადნებოდა ამ დროისათვის, მაგრამ ჩანაწერებში ვერ მიაგნებდა. თავიდან უნდა გადაეხედა. ქსეროქსზე უნდა გადაეღო ყველა რვეული და სადმე საიმედოდ, თუნდ ლიტერატურის მუზეუმში დაებინავებინა. დრო იყო, ამის საჭიროებას ხედავდა.

გვსჯიდა რუსეთი. გაგვიჩხერდნენ აფხაზეთს. „ოსეთში" ამნაირად არ იზრუნებდნენ. ედუარდ შევარდნაძის პერსონაც არ აძლევდათ მოსვენებას და ესეც გათამამდებოდა, აჰყვებოდა ირაკლი წერეთელს, წერეთელ-ნათაძისთანა სულელებს, არადა, რუსეთთან ახტომა — რეზოს დაბეჯითებით — ჯერჯერობით არ შეიძლებოდა. ახლა გვაჩვენებდა, უმისობა, ურუსეთობა რომ არ შეგვეძლო. რუსეთი მოვიდოდა თავის დროზე კავკასიაში და გადაგვარჩენდა (ამის აღიარება არა გვსურდა). წავალ და დაიღუპებითო, — გვეუბნებოდა.

ხვალისათვის საგაზეთო ინტერვიუში აპირებდა ამ სიცხადის ჩამატებას. „ერთობა" ხვალისათვის უნდა გამოსულიყო, დილისათვის ანაბეჭდებს ელოდებოდა.

ედუარდ შევარდნაძე: ჩიხში ვართო, — იმეორებდა. გამოსავალი არ იყო თითქოს, მაგრამ — რეზოს რწმენით — გამოსავალი გამოჩნდებოდა, რადგანაც გამოუვალი არა ყოფილა არასოდეს. რაღაც სხვანაირი, უფრო მოქ-

ნილი პოლიტიკა იყო საჭირო. რუსეთი უნდა გაგეხადა მოკავშირედ. მოკავშირედ გამოგიყენებდა და შენც უნდა გამოგეყენებინა, სხვა გამოსავალი არ არსებობდა.

5 ოქტომბერს ათვალიერებდა დღიურებს იმ მიზნით, როდის და რა თვეებში ხდებოდა ცუდად. თებერვლის ბოლო რიცხვები, მარტის დასაწყისი — ეს კანონზომიერება გამოიკვეთებოდა. დანარჩენი? ულოგიკობა გაბმულ სმასთან იქნებოდა დაკავშირებული. საერთო დაკვირვების კვალობაზე: გაზაფხული, ადრიანი შემოდგომაც...

უკეთესად უძლებდა სმა-ჭამას ზაფხულში, ზამთარში, სიცხე-სიცივეში... გამონაკლისები იქაც ყოფილიყო. მგონი სამედიცინო ლიტერატურაშიც ეთქვათ, წაეკითხა — არა საფუძვლიანად — თებერვლის ბოლო, მარტის დასაწყისი სახიფათოაო...

ოტია იოსელიანთან აივლიდა და გაივლიდა. ის გამოვიდოდა ყანიდან და აუძღვებოდათ ოდა-სასახლეში.

ჯემალ გედენიძესთან ერთად იქნებოდა რეზო. სულიკო ვაშაკიძე (ოპერატორი) და ასისტენტი მისი. გადაიღებდნენ ორი მწერლის საუბარს. საჭირო დიალოგი შედგებოდა, თუკი გადმოსცემდნენ. აფხაზეთის ბოლო ტრაგიკული ამბები ცნობილი არ ყოფილა იმ მომენტში. და რეზო იტყოდა:

— შევარდნაძე არ უნდა აჰყოლოდა წვრილ-წვრილ პოლიტიკანებს, აჰყვა და დაგვღუპა. ან იქნებ აგვაშენა? აქ რომ არ დამთავრდება ყველაფერი, ნათელია.

რუსეთი გაგვჯოხავდა, მაგრამ მათი აღსასრულის დღეც დადგებოდა ადრე თუ გვიან.

შინ დაბრუნებულს სიმღერის ხმა მოესმოდა სამეზობლოდან, ორი სახლის გადაღმა მღეროდნენ ამ უბედურ დღეს. ჯერ გაღიზიანდებოდა, მაგრამ მერე იფიქრებდა: მგონი ახალგაზრდები არიან, შეიძლება ომშიც კი მიდიან და ნუ განვსჯითო!..

გამოუშვებდა ორგვერდიან გაზეთ-პროკლამაციას: „ერთობა“. გაზეთ „ქუთაისისათვის“ ინტერვიუს რომ გაამზადებდა, კითხვებსაც თვითონ დაწერდა და პასუხებსაც, ისევე, როგორც „ერთობაში“. ასეც ხდებაო, — თავს იმართლებდა.

ნოველას რომ გამოაცხობდა: „ფრანგულის მასწავლებელი“, გადაშლიდა 6 ოქტომბრის „ლიტერატურულ საქართველოს“ და ნეკროლოგს დააკვირდებოდა. მგონი ეს ქალი უნდა ყოფილიყო ნოველაში გამოყვანილი ფრანგულის სპეციალისტი: თინა სარჯველაძე.

მეორე დღეს დაიწყებდა „გულო ჯანდიერს“, იგივე „უცნობი ქალის ჩანაწერებს“, და იგრძნობდა, რომ: შორს ვერ წავიდოდა ალბათ ამჯერზე, რადგანაც სხვა ჰქონდა დასამთავრებელი. თბილისში შვებულების გასრულებამდე აპირებდა ჩასვლას და პირდაპირ ბეჭდვის დაწყებას.

ქუთაისური ქარი გააციებდა და წნევაც აუწევდა საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან შეხვედრისას, დავით ყურაშვილთან ერთად რომ მოუწევდა იქ მისვლა, როგორც დეპუტატობის კანდიდატს. ქალები მოშლიდ-

ნენ. და უფრო ცუდად გახდებოდა. იმ ორგვერდიან გაზეთს — 1200-1500-მდე ცალს — კინაღამ მთლიანად დაარიგებდნენ იმ დღეს, ხვალისათვის ცოტაღა დარჩებოდა და... მოვიდოდა ეს არჩევნებიც...

11 ოქტომბერი ჩამომდგარიყო უკვე, მოსულიყო ეს არჩევნებიც და ეგაა. „გაეხდები თუ არა დეპუტატი?!“

მთელ დღეს იწვიმებდა ქუთაისში, ეტყობა მთელ საქართველოში წვიმდა და... როგორ არ ამოეკვნესა: სადღაა ეს მთელი საქართველოო?!.

გული ეუბნებოდა: ვერ გახდები დეპუტატიო. ბლოკი რომ დამარცხდებოდა, ლაპარაკი არ უნდოდა.

აკაკი ბაქრაძეს მწარედ გაკენწლავდა: კვლავ გამყიდველის როლს თამაშობსო.

ჯერ ისე იყვნენ შეთანხმებულნი: ის „ერთობას“ უნდა დახმარებოდა. ნაცვლად ამისა: გადავიდოდა „11 ოქტომბერში“ და ტელევიზიით — რაც აკრძალული უნდა ყოფილიყო — უწევდა პროპაგანდას ამ ბლოკს. დაქირავებული ადვოკატივით იქნებოდა!.. რატომ უნდოდა ნოდარ ნათაძის კომანდა, ნათაძისნაირები მოქცეულიყვნენ სათავეში? წარსული გამოცდილება არაფერს ნიშნავდა მისთვის? ხომ გაყიდდა პირველ არჩევნებში თავის — რუსთაველის — საზოგადოებას: ერთ მანდატსაც ვერ მიიღებდა. ახლა მრგვალებსა თუ ბრტყელებს უჭერდა მხარს...

ელდარ შენგელაიას არ ეკისრა ამათი ლიდერობა და ამიტომ „მშვიდობაც“ დამარცხდებოდა. აქ რეზო არ განძრეულიყო, რადგანაც მხარდაჭერა არა ჰქონოდა.

ლანა ღოღობერიძე გააფუჭებდა საქმეს. ბლოკი „აღორძინება“, ვალერიან ადვაძისა, ჯანსულ ჩარკვიანისა და ჭაბუა ამირეჯიბს არ გამოაჩენდა: საქმეს გაგვიფუჭებსო.

ბლოკი „ერთობა“ კი ლანა ღოღობერიძეს რომ წამოწევდა, ეს აღმოჩნდებოდა დიდი შეცდომა (ლანა ამას ვერ მიხვდებოდა). რეზო ამის თაობაზე დაელაპარაკებოდა კიდეც ელდარს, მაგრამ რაც იყო, ეგ იყო. დამთავრდებოდა წინა კამპანიაც. საშპალეროდ დარჩებოდა აფიშები — შეეძლო გაეყიდა კიდეც.

12 ოქტომბერს, საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, უკვე გამოცხადებოდა ედუარდ შევარდნაძის დამაჯერებელი გამარჯვება, ქუთაისში კვლავ თემურ შაშიაშვილი გაუფროსდებოდა, მე-13 ნომრით იბრძოლებდა და „გადაუჯოგრავდა“ დანარჩენებს. როგორც ირკვეოდა, არც რეზოს ბლოკი დამარცხებულიყო.

სოხუმთან გლახა ამბები ხდებოდა. უტევდნენ ქალაქს. ოჩამჩირე-სოხუმის რკალზე მიმდინარეობდა ომი. უკან გალი, ზუგდიდი... მეგრელები იქიდან იბრძოდნენ: დუდაევ-გამსახურდიას სცენარით. ეჭვი არ ეპარებოდა რეზოს, რომ: დაგვიქვითავდნენ რაღაცას და მოვუწერდით ხელს. შემდეგ: აფხაზეთ-სამეგრელოს ფედერაცია. აქამდე მივსულიყავით.

ის პრობლემები, ახლა კიდეც რომ მოგვარებულიყო, კვლავ წამოიჭრებოდა მომავალში. იქნებ შეგვემუშავებინა ფედერაციული მმართველობა:

გურია, სამეგრელო, იმერეთი, კახეთი, აფხაზეთი, აჭარა და ასე შემდეგ — ფედერაციული მთავრობით. ამტკიცებდნენ: ეს მრავალ პრობლემას მოაგვარებსო, აფხაზეთისა და სხვების სახელმწიფოებრივ მისწრაფებებს გააბითურებსო.

თბილისში უნდოდა უკვე წასვლა და იქნებ მანქანაც გამოეგზავანათ.

15 ოქტომბერს უეცრად და რატომღაც იდიოტობად მოიხსენიებდა რვეულების შევსებას. არადა: უყვარდა თვალის გადავლება, განვლილი დღეების ხელახლა გადაფურცვლა, ფირის უკან დაბრუნება. ეგაა სკეპტიციზმი იჩენდა თავს და მკვეთრადაც იჩენდა: სხვას ვის დააინტერესებსო?..

წიგნს უდგებოდა შავი ხანა. და ქართულ მწერლობას? ის უკან და უკან მიდიოდა, არა იმიტომ, რომ არ იწერებოდა ან ვეღარ წერდნენ მწერლები, არამედ დროის უკულმართობის გამო...

ტელევიზია, პოლიტიკა, ლაყბობა, ვაჭრობა, ბიზნესი, სროლა... და კითხვის ადგილი კი სადღა?

„ჩვენ ვწერთ, ჩვენ ვკითხულობთ, მხოლოდ ჩვენ წავიკითხავთ...“

თუმც ერთი ჭირი მარგებელი რომ გახლდათ, მწერლობაც გაიცხრილებოდა, ნახირი დაიშლებოდა, დაიფანტებოდა, უნიჭონი, უუნარონი ჩამოშორდებოდნენ, ახლები აღარ მოვიდოდნენ. ფული არ იქნებოდა, სახელი და სახრავი — არადა რაღა ენდომებოდათ?

სახელმწიფოს ახლა უნიჭო ჟურნალისტები, რეპორტიორები სჭირდებოდა, მხატვრული სიტყვისა — ლექსისაც — აღარ ეშინოდა. ვეღარც თეატრი, ვეღარც კინო ვეღარ მოახდენდა პოლიტიკურ ცხოვრებაზე ზეგავლენას. ხელოვნება გახდებოდა სამოწყალო... კინო კიდევ ჰადაჰა... მცირეეროვანი მწერლობა ვის დაჰკარგვოდა... და სამწუხაროდ და ძალზე სამწუხაროდაც მიითვლიდა ამ რეალობას რეზო ჭეიშვილი!..

შემორჩებოდა და დაწვავდა ნელ-ნელა საარჩევნო ფურცლებს, სადაც მისი ბიოგრაფია და საარჩევნო პროგრამა ეწერებოდა მოკლედ. ორ ცალს გადაინახავდა — სამახსოვროდ. რა არჩევნები ატყდომოდა, რა ეარჩევნებოდა!.. არ იყო თითქოს მისი საქმე და რაღაც აწუხებდა მაინც. მარტო მწერლობის დრო აღარ გახლდათ, გრძნობდა. ყველა გრძნობდა, რაღაც სხვაც რომ იყო საჭირო მისი საქმის გარდა... იყო და კიდევ ელოდნენ! ისევ დაიღვრებოდა სისხლი, დაიღვრებოდა და დამთავრდებოდა!..

რაღაც ასტეროიდი გვიახლოვდება ფინთადო, იაპონელები შეშფოთებულიყვნენ...

17 ოქტომბერს ყურადღებას მიაქცევდა:

თავდაცვის საბჭო თუ კომიტეტი რომ შეიქმნებოდა, ედუარდ შევარდნაძე სხვანაირად ალაპარაკდებოდა, უფრო მკაცრი, კონკრეტული გახდებოდა, გადამჭრელი ზომების მიღებას დააპირებდა ყველა საქმეში. უპირველესად თავისი ძალაუფლების განმტკიცება-გაზრდაზე იფიქრებდა და სწორიც იქნებოდა, რეზოს მოსაზრებით...

23 ოქტომბერს პროლეტარიატის დიქტატურის მოთხოვნიდან რომ გამოადევნებდა თვალს საბჭოთა კავშირის მმართველობას, მოადგებოდა მი-

ხაილ გორბაჩოვს, რომელიც მისი ჭკუის რამდენიმე პოლიტკონსტრუქტორთან ერთად დაიწყებდა სახელმწიფოს „გადემოკრატიულებას“, გაკულტურებას, გაევროპულებას და... როგორც მოსალოდნელი გახლდათ, თავზე დაემთხვეოდა ყველაფერი. ამას არც ელოდნენ, არადა ეს პროცესი გრძელდებოდა, სურდათ და ვეღარ აჩერებდნენ... დიდ როლს თამაშობდა ერთი კაცი — ბორის ელცინი. ეს აღარ იყო სიჯიუტე ან ახირება; იგი ვეღარ ჩერდებოდა და აწვებოდა იქით, საითაც გაუტევდა თავდაპირველად. თუ ელცინს დროზე ადრე მოიშორებდნენ (საბედნიეროდ ეგ არ მოხდებაო, ჩაურთავდა), დაიწყებოდა უკუპროცესები, რესტავრაციის ცდები, და როგორ განვითარდებოდა შემდეგ მოვლენები, ძნელი წარმოსადგენი გახლდათ...

27 ოქტომბერს „ერთობა“ რომ შეიკრიბებოდა, შეხვედრა ექნებოდათ ედუარდ შევარდნაძესთან. მივიდოდნენ ნახირივით. შემოვიდოდა პირველკაცი და მოჰყვებოდა მის გამოჩენას ტაში და ფეხზე ადგომა.

— სტალინია თუ ვინაა? — წამოიძახებდა რეზო, მაგრამ შემდეგ თვითონაც წამოდგებოდა, რათა ერთადერთი არ დარჩენილიყო და უზრდელობა არ დაეწამებინათ. ისე გამოვიდოდა, რომ: პარლამენტის თავმჯდომარეობას მიულოცავდნენ წინასწარ. ამით შეიძლებოდა მათი საქციელის გამართლება მხოლოდ. ძველი გვარდია იაქტიურებდა.

— ჰონორარების საკითხი უნდა გადაისინჯოს მთავრობაში, — ვიღაც იტყოდა და: გადაწყვიტე შენო, — გაიფიქრებდა რეზო. ვეღარ გაეგოთ, რომ ყველაფერი უკვე მათივე გადასაწყვეტი გახლდათ. კვლავინდებურად მთავრობისაკენ, ცენტრალური კომიტეტისაკენ იხედებოდნენ.

გადაწყვიტოსო. მოგვცესო. გვასწავლოსო. გვასვას-გვაჭამოსო. და ასე ამნაირად.

სამსახურში გავიდოდა. რამდენიმე დღეში, შესაძლოა ზეგაც, პარლამენტი შეიკრიბებოდა და გაირკვეოდა, რა საქმიანობაში ექნებოდა თავი გაყოფილი რეზოს... იქაც, იქაც... სხვანაირად არ გამოვიდოდა. მთლიანად იქ — რიგით წევრად — თუ აქ, სადაც იყო? ერთი ორგანოც არჩევითი გახლდათ და მეორეც. ადგილის დამკარგავ კაცს რაღა უნდა ეღონა?!. პურიც გაძვირებულიყო ამ დღეებში...

31 ოქტომბერს საგურამოში მოუწევდა ყოფნა — დავით გურამიშვილის დაბადების 200 წლისთავის აღსანიშნავად. ხვალ კასპი და ლამისყანა ელოდათ. ვითარება იგივე იქნებოდა ალბათ. სიტყვა უნდა მოეფიქრებინა დილისათვის. თუ ამინდიც ამნაირი დაესწრებოდათ, შემოდგომის მართლაც მშვენიერი დღე, ხომ კარგი იქნებოდა და კარგი!..

გამზადებულიყო საბეჭდავად. დრო სადღა გამოენახა... ზოგიერთს, ნახევარს მაინც, არ გადაბეჭდავდა. არ შეეძლო. ერთ გვერდზე ერთი წინადადება რომ გაესწორებინა და ერთი სიტყვა მაინც შეესწორებინა, კმაყოფილი დარჩებოდა. ამიტომაც უნდა გადაბეჭდილიყო. ეს — ანკეტა უნდა შეევსო ჯანსულ ჩარკვიანისათვის. ეს — ირაკლი აბაშიძეზე შეეპირებინა, იძულებით, რევაზ მიშველაძეს. წვრილ-წვრილი ნოველები, საერთო სათაურით „გახსენებები“, „ლიტერატურული საქართველოსათვის“ სჭირდებოდა.

პარლამენტი როდის დაიწყებოდა, არ ეცოდინებოდა.

ჩაფიქრებულიყო მესხეთში სტუმრობა — იმ კვირისათვის იგულისხმებოდა, იმის შემდეგ, 14 ნოემბერს, ვანი. გალაკტიონის იუბილე სახათაბალო გახლდათ. ვითარება როგორი იქნებოდა საქართველოში, იმის მიხედვით გადაწყდებოდა.

ცალი ყური ტელევიზორისაკენ ექნებოდა. ინგუშები და ოსები დასცხებდნენ ერთმანეთს და ეს ცოტას გვიშველავათებდა ალბათ. ბორის ელცინი თუ გაიმარჯვებდა, არა გვეშავებოდა რა! ჯორჯ ბუშის საქმეებიც გამოსწორდებოდა რამდენადმე — ესეც ჩვენი სატირალი გამხდარიყო!

მსოფლიო მრავალი ნგრევის მოწამე გავხდებოდითო, — გალაკტიონის სტრიქონი ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა.

4 ნოემბერს პარლამენტის პირველი სხდომა საინტერესო გასართობად მოეჩვენებოდა. და მაინც ძნელი გასაძლები იქნებდა. რეზოსთვის კი შეუძლებელიც შეიქნებოდა იქ ჯდომა. იჯდებოდა და... თავის დაღწევაზე იფიქრებდა. მაინც დროზე აპირებდა ხვალ მოსვლას — იქნებ მისი ხმაც წადგომოდა ედუარდ შევარდნაძეს... ებრძოდნენ უკვე წვრილ-წვრილი ოპოზიციონერები კმაყოფილი სახეებით. და გაგულისებული ამასაც ჩაწერდა: რამდენი გველია შემომძვრალიო!..

აირჩევდნენ ამერიკაში პრეზიდენტად ბილ კლინტონს და... რეზო უკვე ცუდ გუნებაზე დამდგარი შევიდოდა სესიაზე... უბედურებად მოეჩვენებოდა ეს არარაობა — კლინტონი. ცოლი უფრო ჭკვიანიაო, განაცხადებდნენ. და რეზოც გაიზიარებდა ამ აზრს და დასძენდა: შესახედავადაც, სხვაზე არაფერს ვამბობ, კარგი ქალიაო... ფიქრობდა, რომ კლინტონი ერთი გორბაჩოველცინთაგანი გახლდათ ბუნებისაგან მოვლინებული — ამერიკაც ხომ უნდა დაენგრია და დაეშალა ვინმეს!.. ეს პროცესიც გარდუვალი ეგონა. კლინტონის არჩევას ტრაგედიას შეადარებდა, ოღონდ არ ეცოდინებოდა, რატომ იყო ასე დარწმუნებული. ასეთი უსიამოვნო ფიზიონომიის ადამიანი არ ენახა. თითქოს ლამაზი გახლდათ კიდეც. თვალს ვერ უსწორებდა ტელევიზორშიც, უხსენებელს რომ თვალს აარიდებენ, ისე იქცეოდა... და აქ კიდევ ერთხელ უნდა გადაეკრა ზვიად გამსახურდიაზე ძალიან ცუდად...

დრო აღარ რჩებოდა, წანწალში დრო მიდიოდა... ფიქრშიც... სიტყვა ხომ უნდა მოეფიქრებინა გალაკტიონზე — ან იქ სათქმელი, ვანში, ან აქ გამოსადეგი. და „კუდიან ვარსკვლავს“ ვიღა გადაბეჭდავდა?!.

12 ნოემბერს შეშლილი სახე ექნებოდა შევარდნაძეს. სოხუმიდან დაძმარებული ჩამოვიდოდა. გაბოროტებულიყო უკვე. სრული ძალაუფლების აღება სურდა. და: აუცილებელიცააო, — იზიარებდა ამ განწყობილებას რეზო. თენგიზ კიტოვანი უშლიდა ხელს და როგორ მოეშორებინა, ამაზე ფიქრობდა და ნერვიულობდა ალბათ. ერთად გამოვიდოდნენ — რეზო როგორც მიხვდებოდა — კაბინეტიდან, ერთი პრეზიდიუმში დაჯდებოდა, მეორე — დეპუტატებთან.

გალაკტიონის 100 წლის იუბილე ჭყვიშშიც აღინიშნებოდა და თბილისშიც, ოპერის თეატრში. ხალხი მოვიდოდა 17 ნოემბერს, მოუსმენდათ, სა-

ზეიმო ნაწილს კი, მოსაწყენი გამოვიდოდა, გამოერიდებოდა. რეზოც იტყოდა სიტყვას. უკმაყოფილო არ დარჩებოდა: კარგი გამოვიდასავითო. ჩასასწორებელ-გადასაბეჭდი კი იქნებოდა.

მეორე დღეს ჭაბუა ამირეჯიბის ვაჟი დაილუპებოდა აფხაზეთში. ედუარდ შევარდნაძეს გაიყვანდნენ სხდომიდან. ატყდებოდა ჩოჩქოლი: რა ხდებაო?.. რაც უცნაური მოეჩვენებოდა რეზოს: იმ დღეს გამხდარიყო ჭაბუა 71 წლისა. მიულოცავდნენ ოფიციალურად და ეს სამგლოვიარო ამბავიც მოვიდოდა. დამთავრდებოდა სხდომა. ყველა თვალს არიდებდა. საშინელი ვითარება შეიქმნებოდა. რეზოს შეეფეთებოდა გასვლისას, ეს მოერიდებოდა, მაგრამ ის შორიდან დაუძახებდა, მანქანასთან იდგებოდა:

— ხომ არ მოდიხარ?

— ელდარს ველოდები, — ეს თავს დაიძვრენდა.

თენგიზ ბუაჩიძე ჩაუჯდებოდა, მაგრამ თქმით არც ის ეტყოდა ცხადია.

ცხედარსაც არ იძლეოდნენ. ორი ამხანაგი გადასულიყო მოსალაპარაკებლად და... ისინიც ჩაეხოცათ...

ძალიან შეეცოდებოდა ჭაბუა:

საიდან არ გამოძვრა, რას არ გადაურჩა, კიბოს ჩათვლით, და ბოლოს ეს დაემართა, ვილუპებით და ეგ არისო!..

20 ნოემბერს სესიაზე თავს ისე იგრძნობდა, თითქოს უცხო სამყაროში მოხვედრილიყო. შთაბეჭდილება ხომ არ შეექმნა, ვითომ თვითონაც მუშაობდა? რა გამოვიდოდა? ეს შეუძლებელი ჩანდა, მის ძალებს აღემატებოდა... და ასაკსაც დააბრალებდა.

აღარ იყო მწერლობა, აღარც მწერლობის რიდი და სიყვარული.

ადრე სხვანაირად გახლდათ:

არსებობდა პარტიული ფენა და არსებობდა ინტელიგენცია: მწერლები, რეჟისორები, მხატვრები, არტისტები, მუსიკოსები, სხვები და სხვები. ისინი ცალკე, ესენი ცალკე, მაგრამ შიში, რიდი, პატივისცემა ექნებოდა მათი პარტიულ ფენას... სჭირდებოდათ კიდეც ესენი ფულსა და სხვა ატრიბუტებთან ერთად...

ფული, უფლება, თანამდებობა — ერთ მხარეს, და სახელი კი — მეორე მხარეს.

ეს ზღვარი უკვე წაშლილიყო.

სახელიც პარტიულ კარიერისტებს დარჩენოდათ, ხალხიც მათ უფრო იცნობდა. ტელევიზიაც მათ ემსახურებოდა ფაქტობრივად. მიტინგები, სესიები... წიგნს აღარავინ კითხულობდა, თეატრებში აღარავინ დადიოდა, კინოს აღარავინ ეხარბებოდა... დარჩენოდათ ბურთი და მოედანი. აწი ფულის გამატერიალებაზე, სახელის განივთებაზე, რეალიზაციაზე დაიწყებდნენ ზრუნვას. მწერლები ქალალდის ფულზე, კუპიურაზე დასახატად თუღა დასჭირდებოდათ...

შეეკვეთათ ქართული ფული. ყველაზე მსხვილ კუპიურაზე ეხატა რუსთველი, შემდეგ: ილია, აკაკი. თუ ჭკვიანად იქნებით: ვაჟაც გამოიხატებაო.

რუბის რომ ოსვალდი — კენედის მკვლელი — გაესაღებინა, თავის პრეზიდენტების სიყვარულით ემართლებინა: ამერიკის პრეზიდენტის მკვლელს

ცოცხალს ვერ დავტოვებდიო. დაეკითხათ დაი რუბისა: მართლა ასე უყვარდა თქვენს ძმას პრეზიდენტებიო? ძალიანო, მიუგია, მხოლოდ დოლარებზე დახატულიო...

— ქართულ ფულს დავარქვით ლარი, რუსთაველს აქვს ნახმარი და აქედანაა: სალარო, მოლარე, — აუხსნიდათ თენგიზ სიგუა.

ამ საქმეში ერკვევაო, — ჩაეღიმებოდა რეზოს, — სხვებზე, რომელთაც ყველაფერი იციან, მაგალითად კოტე კაბაშვილზე, აღარც კია ლაპარაკიო.

ჭაბუა ამირეჯიბი აღარ გამოჩენილიყო. ჯანსულს ჰკითხავდა რეზო, კაცს, რომელსაც ამნაირები არასოდეს ეშლებოდა:

— თუ იყავი?

— არა, ტო, რა აზრი აქვს?!.

არადა ერთად გადეპუტატებულიყვნენ, ერთად ისხდნენ პარლამენტში. გულგრილობა? სხვისი სატკივარი სხვას აღარ სტკიოდა?!. ვერავის გაამტყუნებდა რეზო: დრო მოვიდა ამნაირიო...

29 ნოემბრის ღამის 4 საათზე გამოერკვეოდა, რომ ისე გაპარულიყო დრო, ვერ გაეგო. გადაბეჭდავდა და ასწორებდა „კუდიან ვარსკვლავს". რაღაც-რაღაცებს ამოიღებდა და გაუჩნდებოდა ფიქრი, რომ ამოსაღები სხვაც იყო. რომანი ამორფული გამოვიდოდა, თუმც ეს ხომ წინასწარვე გაეთვალისწინებინა. აპირებდა, რომ „ტრაქტატი" მიეწერა ქვესათაურად, მაგრამ გადაიფიქრებდა. რა გამოსულიყო, არ იცოდა, მაგრამ უტრაქტატობა სჯობდა. თანადროულ განწყობილებას ამგვარი რამ შეეფერებოდა. ცდა არ დაეკლო, მაგრამ გამოქვეყნება კი არ უნდა ეჩქარა... მოკლედ: რაც იყო, ეგ იყო.

ელდარ შენგელაია ფილმს ამთავრებდა და რეზოს არა ჰქონდა იმედი წარმატებისა. ელდარიც ასე ანგარიშობდა, რეზო როგორც შეატყობდა.

„გახსენებანში" გალაკტიონის პორტრეტიც ხომ არ ჩაემატებინა? თუმც არ ღირდა ჯერ.

კინომოთხრობები გამოსაცემად!.. ერთი სული ექნებოდა, როდის მიუბრუნდებოდა „ასკილის წითელ ყვავილს"... მერე კიდევ „უცნობი ქალის ჩანაწერები" და სტატია დავით კლდიაშვილზე.

4 დეკემბერს აეკვიატებოდა, არ მოშორდებოდა — აკვიატებას რომ პერსევერაცია ერქვა ლათინურად, ამასაც ჩაინიშნავდა — ის სტრიქონები: ძვირფასო ჰექტორ, ომში წასვლა ნუ გეჩქარება, ვინღა ასწავლის შენს პატარას ღმერთების პატივს, ვინღა ასწავლის მშვილდისა და ისრის ხმარებასო, — და ბოლოში მიამატებდა ნოველას „ავტოინსპექტორი ვწძთ".

აფხაზეთს „ცისფერ წუხილს" დაარქმევდა.

„კუდიან ვარსკვლავს" მოუწონებდნენ ამჯერობაზე და რეზო იმედოვნებდა, რომ: შემდეგაც ასე იქნებოდა.

6 დეკემბერს წამოაგონდებოდა ის ნათქვამი:

— რვა ტომი გამოგივა.

— მაგდენი არა, — ეს იუარებდა.

— ვარიანტებით.

ვარიანტებითა და კინოსცენარებით მეტიც გამოვიდოდა, თუმც ტომებსაც გააჩნდა. და ინატრებდა: ის ვარიანტები, დაბეჭდილები, მომასპობინა და არ მინდა მეტი არაფერიო!.. გადალაგება-გადათვლა ჯერ ნაადრევად ესახებოდა. კინომოთხრობებს გაამზადებდა სასწრაფოდ. შემდეგ: რომანი, ნოველები და... დაიწყებდა ბოლოსდაბოლოს „დარეჯან ცბიერ"-ს.

მეტის აღარაფრის გაკეთება არ იქნებოდა!..

გამოუშვებდნენ გაზეთს „ტორონჯი" მეგრულად და რეზო 12 დეკემბერს ამ ცუდ ნიშანს რომ აღნიშნავდა დღიურში, იქვე იმასაც გაამხელდა, რაღაც სასიკეთო რომ ჩაეფიქრებინა ამ თემაზე. უნდა გადაედო ყველა სხვა საქმე და წამოეჭრა იდეა მეგრულ-ქართულის, ნაწილობრივ სვანურისაც, შერწყმის თაობაზე.

თავი მეორე

1993 წელი

1993 წლის 1 იანვრიდან რომ გამოხედავდა შარშანდელ წელს:

ფაქტობრივად „კუდიანი ვარსკვლავისათვის“ მოენდომებინა, 7 ნოველისებურიც მოეთავებინა, პატარ-პატარა სიტყვები, მისალმებები... „უცნობი ქალის ჩანაწერები“ დაწყებულად არ ეთვლებოდა — ერთი გვერდი, ცოტა მეტი...

11 იანვარს აღმოაჩენდა, რომ:

სიტყვა არ იწყებოდა ქართულში ჭეი-ზე ჭეიშვილის გარდა. ყველა ლექსიკონს გადააქოთებდა და: ჭეი არსად ამოჰყოფდა თავს. საკვირველი ეჩვენებოდა ნაღდად. გვარი შეხვდებოდა ერთხელ: ჭეიძე — განცხადებაში და ამოიწერდა, მაგრამ შემოკლებულ ჭეიშვილად მიიჩნევდა. ჭეო იქნებოდა, და ჭეი-ზე კი: არაფერი. არც იქაური, აქაური, უცხო სიტყვებიც არა.

18 იანვარს ჩაინიშნავდა, რომ:

ხვალ ნათლისღება თენდებოდა — ზვიად გამსახურდიას მიერ მოგონილი დასვენება.

უცნაურ მოთხრობას წერდა ნამდვილი ფაქტისა და გაზეთში გამოქვეყნებული (ნოემბერი, 1992) მასალის მიხედვით. საჭირო იყო კი? სურდა დაეარსებინა ლიტერატურული გაზეთი — არადა დაარსებული გახლდათ.

ჩაებარებინათ ის გამოცემა და ეგ იქნებოდა მისი საქმე.

ახლის დაარსება რთული იქნებოდა — თანამშრომლებსა და თანამზრახველებს სად ახვეტავდი, სხვისთვის რომ თავი დაგენებებინა. გაზეთის ერთი მესამედი შეეძლო დაეწერა კვირაში ერთხელ. არ სვამდა და მოახერხებდა. სმა, სუფრები და გაზეთი ძნელი შესათავსებელი გახლდათ.

დაწერდა იმ ნოველას: „Ნ-0-157“ — და მოიწონებდა: კარგიაო!..

ელდარ შენგელაია ჩამოფრინდებოდა და ახალი ფილმის პრემიერის გამართვას გადაწყვეტდა ფილარმონიის დიდ დარბაზში: 26-ში, თავისი დაბადების დღეს.

ჩამოუთვლიდა რეზოს იმ მწერლებს, რომელთაც პატიჟებდა — ცნობილნი და სახელოვანნი, თუკი არსებობდნენ, გახსენებოდა. ვისაც კინო არ უყვარდა, არ ესმოდა, მათაც პატივს სცემდა: ისინი სად არიანო?

და რეზო გულისტკივილით გაიფიქრებდა:

ამ კაცსაც დაეწყო მგონი სტერეოტიპული აზროვნებაო...

ეგ გამოსწორდებოდა, ფილმს თუ ეშველებოდა რამე. რეზო კი მისგან მაგარ „პოვესტს“ გამოიყვანდა.

24 იანვარს გადაწყვეტდა, საქმესაც გაიჩენდა:

„გათენების წინ“, „დონდინიო“, „ტურანდოტი“ და „ასკილის წითელი ყვავილი“ გადაეწერა და გადაებეჭდა.

სად ჰქონდა დასაკარგი ნაწარმოები!

„გათენების წინ“ პიესადაც გადაეკეთებინა და გულს შემოეყრებოდა. წუხელ სანთლის შუქზე წაიკითხავდა და: ეს რამ დამაწერინაო?!.

საუკეთესო ეპიზოდებს ამოკრეფდა ერთისგანაც, მეორისგანაც, დიდ დროს ვერ დახარჯავდა, მაგრამ კარგს გამოიყვანდა. დანარჩენებისგანაც გამოადნობდა რაღაცას.

23 იანვარს ნახავდა „მოცარტსა და სალიერს“, ჩეხი კინორეჟისორისა. და დღეს სახელდახელოდ ინიშნავდა შთაბეჭდილებას: რომ უქებდნენ, მართალი აღმოჩნდებოდა. ამ ყაიდის ფილმები დაშაქრული, ყალბი და მოგონილი გამოდიოდა. ეს ნამდვილი გახლდათ. ნამდვილსა და მოგონილს შუა დიდი მზღვარი იდებოდა ყოველთვის, თუმც ამის შემჩნევა არ გახლდათ იოლი: ვისთვის — კი, და ვისთვის — არა. ნამდვილის შექმნას ტალანტი სჭირდებოდა. ერთისთვის, ერთეულთათვის თითქოს იოლი იყო, დანარჩენთათვის, უმრავლესობისათვის — შეუძლებელი.

ერთ კადრს ნახავდა რეზო, პირველივე ფრაზებს მოისმენდა და... იცოდა უკვე: ნამდვილი იყო თუ არა. არანამდვილი სიყალბედ მიაჩნდა, უნიჭობად, პროვინციის დრამწრედ... ხალხი კი ვერ ერკვეოდა... თუმც საბოლოოდ — დროისა და პიროვნებათა დახმარებით — ჭეშმარიტების მხარეზე დგებოდა. მხოლოდ კარგი, ნამდვილი რჩებოდა მის მახსოვრობაში, ეს კი — სხვისი დამსახურებით ბოლოსდაბოლოს.

სამ ქართულ ფილმს აღიარებდა შედევრად რეზო ჭეიშვილი:

„დაკარგული სამოთხე“,

„არ იდარდო“,

„შერეკილები“.

და მიიჩნევდა, რომ: ამ ფილმებით უნდა ეამაყა ქართულ კინოხელოვნებას. და იქვე მიადევნებდა: არამარტო ამ ფილმებითო.

ხვალ, არა — ზეგ აჩვენებდა ელდარ შენგელაია რეზოს ნაწვალებსა და მის ნაცოდვილარს: „ასკილის წითელი ყვავილი“ — რეზოსი, „ექსპრეს-ინფორმაცი“ — ელდარისა. წინასწარი აჟიოტაჟი ატეხილიყო უკვე.

და აი 27 იანვარს შუაღამეს რომ ასწორებდა, უფრო სწორად — აკორექტურებდა „კუდიან ვარსკვლავს“, ფიქრობდა ფილმზე, რომელიც დღეს ენახა.

ის... ვერ შედგებოდა.

ასეც ელოდა, ასეც მოხდებოდა და... გული წყდებოდა, სხვა რაღა შეეძლებოდა...

„რისთვის ვიწვალე?!“

გაეცებინა ელდარს. რეზო აქეთ ექაჩებოდა, ის — იქით და... სულ იქით გადაექაჩა ბოლობოლო.

„რისთვის მეთანხმებოდა, რატომ მაწერინა?..“

ეთქვა კიდეც თავის დროზევე:

— შენ ამას შეკვეცავ და ფილმი არ შედგება.

— არა, — ის მიუგებდა, — დიდ ფილმს გადავიღებ.

— ეს არის ორი სერია, — უბეჯითებდა რეზო, — ერთამდე დაიყვან და გამოვა ფრაგმენტული. ერთი სერია თუ გსურს — სხვა გადაიღე.

ვერაფრისდიდებით ვერ შეაგნებინებდა.

არა გამოვიდოდა რა, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ.

მამა ეტყოდა, ბენო, ბენედიქტე:

— საზოგადოება მომეწონა.

ხალხი მართლაც რჩეული მოიყრიდა თავს. ის, ბენო, ჯაბა იოსელიანს დაინახავდა, ედუარდ შევარდნაძეს დაინახავდა და — გაოცდებოდა. და... ფილმი?

— რა იყო იქ მოსაწონი? — იკითხავდა ბენო და დასძენდა, — ვერ გავიგე.

ზოგიერთს თითქოს მართლაც მოსწონებოდა, მაგრამ ეს საქმეს ვერ უშველიდა. და რეზოს გააოცებდა ის, რომ: მსახიობებიც ვერ იყვნენ ისეთები, როგორებიც უნდა ყოფილიყვნენ. ადგილები იქნებოდა სანიშვილი-დოლიძის დონეზე. ბუტაფორია. ზურაბ ყიფშიძე თუ ივლიდა და იდგებოდა კარგად.

ნამეტანი გულდაწყვეტილი დარჩებოდა და არ წავიდოდა ბანკეტზე. არა კი არა, ვერა, ვერ შეძლებდა. ხვალ რას ეტყოდა ელდარს, ესეც აღარ იცოდა...

გერმანიაში მიჰქონდა „ექსპრეს-ინფორმაცია“ შაბათს. იქ შეიძლება... თუმც არა. რაც კარგი იყო: ლურჯები, მწვანეები — იმათთვის გაუგებარი დარჩებოდა სრულებით.

სალაპარაკო და საკამათო კი იქნებოდა... ეგრე მოხდებოდა. ესეც ხომ ღირსება გახლდათ — ამ მოსაზრებას მოეჭიდებოდა, თუმც იგრძნობდა, ამაოა ყოველგვარი თავისმოტყუებაო... რეზო კი ყველაფერს გადადებდა — ისეთ განწყობილებაზე დადგებოდა — გადაწერდა, გადაბეჭდავდა და ჟურნალშიც გამოაქვეყნებდა პირდაპირ თავისივე სათაურით: „ასკილის წითელი ყვავილი“. სათაურიც რომ არ დაეტოვებინა რეზოსი, უკვე აქედანვე ჩანდა, საით მიდიოდა ელდარ შენგელაია.

რაც იყო, ეგ იყო!..

და უკეთესს არას უკარნახებდა პრემიერის შთაბეჭდილება რეზო ჭეიშვილს:

ჩემი მოღვაწეობაც გასრულდა კინოშიო.

* * *

ისეთი მხიარული განწყობილება იდგება ფილარმონიის დარბაზში, ისეთი მოლოდინი... დაიწყებოდა ფილმი და ატყდებოდა ტაში.

გამოჩნდებოდნენ ზურაბ ყიფშიძე და ნინელი ჭანკვეტაძე და: ტაში.

გამოჩნდებოდა თემო ჩირგაძე და: ტაში და სიცილი...

მაგრამ... ნელ-ნელა მინავლდებოდა მხიარული განწყობილება, გაჩუმდებოდა, გატვრინდებოდა დარბაზი, ჩქამიც კი აღარ გაისმოდა... მოაწევდა ფინალური სცენა და... სრული დუმილი იქნებოდა დასადგურებული.

მოთხრობაში „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“ გურამ დოჩანაშვილს ასეთი ფრაზა აქვს:

— ეს ნამეტანი იყო უკვე, მთელი დარბაზი გრანდიოზულ საცივგადასხმულივით იჯდა...

სწორედ ეს „ნამეტანი“ განმეორდებოდა იმ საღამოს ფილარმონიაშიც: მთელი დარბაზი გრანდიოზულ საცივგადასხმულივით ვიჯდებოდით.

დამთავრდებოდა „ექსპრეს-ინფორმაცია“ და... ზრდილობისთვისაც არავინ დაუკრავდა ტაშს. უჩუმრად გამოვილალებოდით.

აგერ რეზო ჭეიშვილი ბანკეტსაც კი გაერიდებოდა, ისე დაწყდებოდა გული.

და იმ წუთას სხვა ვეღარაფერს რომ აწამებდა, თავის მოღვაწეობას გასრულებულად მიიჩნევდა კინემატოგრაფში.

* * *

4 თებერვალს ქუთაისში რამდენიმე დღე გაეტარებინა უკვე ბუხართან. შეშა ბევრი დაეწვა. სახლი გატეხილი დახვედროდა, წაღებული კი არაფერი იქნებოდა. ეს გააოცებდა. ვინ შეიძლება ყოფილიყო თუ ყოფილიყვნენ? რას ეძებდნენ? ტელევიზორი და რადიატორი ელექტრონისა იუზასთან გადაენახა. იუზას თავს დასხმოდნენ. დაეცხრილათ სახლი მისი, დაეხვრიტათ კარი, სქელფიცრიანი, დაეზიანებინათ, კედლები, შუშები.

ქუთაისში ძაღლი პატრონს ვეღარ ცნობდა: ვინ ვის ძარცვავდა, ვინ ვის პარავდა. ძარცვავდნენ ქურდებსაც, ჰკლავდნენ ერთმანეთს, დათარეშობდნენ. ვინ ვის რაზმში იყო (სხვანაირად ვერ იტყოდი), ვინ ვისი ბელადი — ძნელად გაიგებოდა. როგორც აუხსნიდნენ: მილიცია და პროკურატურა თავს ძლივს იცავდნენ, თავიანთ თავს.

მძიმე სხდომა ექნებოდათ გუშინ — საშინელი, საზიზღარი. „ზრდილობის გაკვეთილებს“ ჩაატარებდა „გენერალი“ გია ყარყარაშვილი და რეზოს სხვა რა ჩაენიშნა: სულ ვგრძნობდი, ვხვდებოდი, ვინც იყოო...

7 თებერვალს აფხაზეთის საფიქრალ-სატკივარი არ მოასვენებდა.

როგორ მოგვარდებოდა, რანაირად გადაწყდებოდა აფხაზური სამართალი: აღდგეს ავტონომიაო. ის მოიპოვებდა ნაღდ ავტონომიასაც და რესპუბლიკასაც. საზღვარი გადმოვიდოდა კვლავ ენგურზე, ჩვენ დაგვრჩებოდა „ტერიტორიული ხელშეუხებლობა“ და „მეგობრობა“. ისინი მოაგვარებდნენ თავიანთ პრობლემებს, ჩამოასახლებდნენ თურქ აფხაზებს, ადიღეელებს და ასე შემდეგ. ჯერ არ ებრძოლა უმცირესობას, რომ რაიმე არ მოეპოვებინა. რაც უნდა სავალალოდ დამთავრებულიყო მათი ბრძოლა, რაღაცით გაიმარჯვებდნენ და ეს ცხადი გახლდათ რეზოსათვის — ხვდებოდა, იცოდა. სხვებიც მიხვდებოდნენ.

უარესიც იყო მოსალოდნელი: აფხაზეთის მხარეში შემცირდებოდა ქართული დიასპორა: ლეჩხუმი, რაჭა, იმერეთი. და ბოლობოლო საქართველო დაკარგავდა სამეგრელოს. ეს ნათელი გახლდათ რეზოსათვის. ამიტომაც ერჩივნა შექმნილიყო დამოუკიდებელი, თავდაპირველად ბუფერული სა-

ხელმწიფო: აფხაზეთი — გუდაუთიდან იქით. ცოტას რუსები უწყალობებდნენ და ისიც საჩვენო იქნებოდა.

წერდა და... ვერ ამბობდა, სიტყვა ვერ დაეძრა „ქართველებთან" ამ მოსაზრებაზე. — აფხაზეთი ჩვენია, ჩვენი ტერიტორიაა, ისინი ჩამოსულები არიან, მაგათ უნდა გადავუაროთო...

არიან გონიერი ქართველებიცო, — ეს მოსაზრება ანუგეშებდა და აიმედებდა.

12 თებერვალს გამოქვეყნდებოდა „ლიტერატურულ საქართველოში" „Á-0-157". დღისით წაკითხული არ ექნებოდათ, აქამდეც. ახლა ნამეტანი ღამე ჩამომდგარიყო. არავინ გამოხმაურებოდა. არადა დროული გახლდათ ამ ნოველის შექმნა. რეზოს მოსწონდა და სხვისა არ იცოდა!..

საქართველო მძიმედ დასნეულებულიყო. ამბები, სიტუაციები ტიპურად მეორდებოდა. აღარაფერი გვაკლდა დაშლას, დანაწევრებას, შემდეგ გაგვაერთიანებდნენ თუ... გაგვიერთიანებდნენ...

ძალიან უჭირდა, მაგრამ უნდა შედგომოდა წერას „ასკილის წითელი ყვავილისა".

რუსთავში მოუწევდათ ჩასვლა. მწერალთა კავშირისაკენ იგლიჯებოდა მაინც მრავალი, მისი წევრობა სურდათ და: 150 კაცამდე იქნებოდა მსურველი. და გუშინდელი სტუმრობაც, ახლა ხვდებოდა, ამ საკითხთან ყოფილიყო დაკავშირებული.

დღეს რადიოს ვერ მოუსმენდაა — არა ჰქონდა და... აპირებდა დაეწყო ზეპირი ნოველების კითხვა რადიოში. გამოვიდოდა ყოველ პარასკევს. გამეორდებოდა კვირას.

იმავდროულად „მუსიკა ქარში" ხმიანდებოდა ძველი ჩანაწერით — გიზო სიხარულიძისა. კარგად კითხულობდა.

აგროვებდა რეზო მტერს. ვკარგავ მეგობრებსო, ვერ უმატებდა. მეგობრებს პირდაპირი გაგებით კარგავდა. ვინცა ჰყავდა — მისი არა შურდათ, ნამდვილსა და არამწერალს არა შურდა — აგერ თუნდ ლევან მალაზონიას არა შურდა, სხვასაც.

და ჩაეღიმებოდა: რა მჭირს — ჯერ ერთი — შესაშურიო...

რა გაქვს საქები — ტანი თუ სახეო, — აკაკი წამოაგონდებოდა.

მკითხველი კი... მკითხველი აღარც მოიძებნებოდა...

სცენარებს აღარ აცხობდა... წიგნად გამოსცემდა გადარჩეულებს, მაგრამ: რაფრად, რანაირად და როსღა.

მეორე დღეს ემზარ კვიტაიშვილი დაურეკავდა და ახალ მოთხრობაზე გაუბამდა ლაპარაკს.

დაიწყებენ სიმბოლოების ძებნას, თუ მოიცალეს, თუ ჩაუღრმავდნენო, — გაიფიქრებდა რეზო და მწარედ ჩაეცინებოდა: კიდევ კარგი აღარ კითხულობენ, აღარც მხატვრული ნაწარმოები აინტერესებთ, აღარც პუბლიცისტური... მოსწონთ პირდაპირი მისამართით გინება და ტელევიზია. საერთო საქმე კი უფროდაუფრო ცუდად მიდის, ცუდად ვითარდებაო.

მონობაში ჩამოყალიბებული ერი თავისუფლებისაკენ ვერ წავიდოდა, სახელმწიფოს ვერ ჩამოაყალიბებდა, ამის უფლება არა ჰქონდა, ღირსიც არ გახლდათ — დღემდე ამომგდებს მისტიროდნენ — და არ უკვირდა ასეთი დაბნეულობა რეზოს.

და ისეთ გუნებაზე დადგებოდა:

შევარდნაძე საქართველოს ვერ უპატრონებს, საჭიროა ბერია და რუსის ჩექმა — სხვა გამოსავალს ვერა ვხედავო...

15 თებერვალს რადიოში ჩაწერდა 3-4 ნოველას ზეპირად. რაღაცას გამოაკლდებოდა, სადღაც დაიგვიანებდა ამასობაში.

მთავარი ვერ დაეწყო...

ეზმანებოდა და... ვერ იწყებდა და ვერა...

არსენა დონ კიხოტიაო, — ეს აზრი კიდევ ერთხელ წამოუტივტივდებოდა 16 თებერვალს: როდის შევამჩნიე ეგ მე, ჩავიწერე კიდეც სადღაც!..

რუსი იგონებდა არსენას: „რაზბოინიკ არსენ...“ აღწერდა მის ჩაცმულობას, აღჭურვილობას და: უზარმაზარი შუბი ეჭირა ხელშიო.

იმდროინდელ შუბოსანს — XIX საუკუნის პირველი ნახევარი — გაეოცებინა რუსი ჩინოვნიკი...

სად წაეკითხა, აღარ ახსოვდა, ველარც მივაგნებო, წუხდა.

ან კიდევ — ილია ორბელიანთან შეხვედრა საყდრის ეზოში, კონფლიქტი, დამბაჩის დამიზნება. კნეინას მანდილი ჩარეულიყო მგონი მაშველად. არსენა რაინდულად იტყოდა მადლობას და გაეცლებოდა იქაურობას.

„არსენას ლექსიც“ საამისო გახლდათ... გააჩნია როგორი თვალით შეხედავდი...

დონ კიხოტური ბევრი იყო არსენაში: მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდა...

არსენ, როგორ გიღალატებ, სამი შვილის მომნათელელსაო, — და მაინც უღალატებდა ფარსადანი, არსენა კი: ახლა მოვკლა ნათლიმამა, რაღა ღმერთი გამიწყრესაო?!.

ჭაბუა ამირეჯიბი „გააკეთებდა“ ქაართველ დონ კიხოტს, აბრაგს. არსენა არ გახსენებოდა? სად არ გაეკვეხებინათ (მაინცდამაინც და სწორედ ამ სიტყვას ამჯობინებდა რეზო) არსენა: ეს დრამაო, ეს კინოო, ეს რომანიო... დონ კიხოტის თვალით კი არავის შეეხედა აქამდე...

19 თებერვალს ის ანდაზა რომ გაახსენდებოდა: სიბერემდე სიქაჩლეო, — ედუარდ შევარდნაძეს მიუსადაგებდა: ახლაც სწავლობსო.

დღეს რეზოს პერსონით დაინტერესდებოდა, როგორც ეს შეატყობდა. იფიქრებდა: მონიტორში ხომ არ გამომაჩინესო. ჩაიწერდნენ დღეს და ეტყოდნენ: ხვალ იქნებიო. ეგებ „Б-0-157“ წაეკითხა საქართველოს პრეზიდენტს? შეიძლებოდა. ტელევიზორიდანაც ხვდებოდა ხოლმე რეზო, რას ფიქრობდა შევარდნაძე და ახლოდან, სხდომათა დარბაზიდან, მითუმეტეს. დღეს უფრო მოეწონებოდა მისი თავდაჭერილობა, ბუნებრიობა, ღირსების შენარჩუნება. ჩანდა ალღო აელო აქაურობისათვის. აქამდე უჭირდა რაღაც სიახლეები. შეამჩნევდა ერთი სიტყვით...

სერიოზულ პირს უკვე ხმა აღარ ამოეღებოდა პარლამენტში, აღარც უნდა გეკადრა ზოგიერთებთან გაშინაურება... აღარც იღებდა ხმას რეზო და ეგ იყო... ასევე: თამაზ გამყრელიძეც, თენგიზ აბულაძეც, თვით ჯუმბერ პატიაშვილიც... რამდენიმე კაცი კიდევ.

ეს დრო კი მიდიოდა, არ ჩერდებოდა, არ ნელდებოდა, აჩქარებაც არ ეტყობოდა. დროც ტრიალებდა!..

4 მარტს „დათა თუთაშხიას“ აჩვენებდნენ ტელევიზიით. დუქნის სცენას. გოგონა იხდიდა ტანზე ფულის გულისათვის, მერე გიჟდებოდა ოფელიას მსგავსად. დათა კი ამბობდა: ჩემი საქმე არ არის ესო!..

სცხვენოდა რეზოს, ასეთ სცენას რომ უყურებდა. იმიტომ კი არა, რომ ეს სცენა თუ ეპიზოდი მკაცრი იყო და დაუნდობელი. იმიტომ სცხვენოდა, რომ უნიჭოდ გახლდათ მოფიქრებული, ყალბი.

ამგვარივე ემართებოდა ნოდარ დუმბაძის „საბრალდებო დასკვნის“ ყურებისას — ლიმონა, სახელიც მოპარული იყო რუსულიდან, ბესიკის „ტანო ტატანოს“ კითხვას რომ გააჩაღებდა საკანში. ხალხი ნამდვილსა და ყალბს ვერ ასხვავებდა, და ეს რეზოს გასაგებად ეჩვენებოდა:

ხალხი ხალხია, მართლის, სწორის მთქმელი ხომ უნდა ჰყავდეს? უბედურება კრიტიკის უქონლობაა, კარგისა და ცუდის გამრჩევი რომ აღარ იპოვება, სამწუხარო ის არისო.

დიდი წვლილი მიუძღოდა ტარიელ ჭანტურიას ამ წიგნისა და ამ ავტორის გაფეტიშებაში. იყო ნორმალურად დაწერილი ადგილებიც, მთლიანობაშიც არ უნდა ყოფილიყო ცუდი, და მაინც ქართველი სნობების განდიდებული გახლდათ „დათა თუთაშხია“.

8 მარტს სოხუმის თეატრის სპექტაკლს აჩვენებდნენ ტელევიზიით: „ყვარყვარეს“. ადრეც ენახა. ახლა წერდა და ისმენდა. ადგილები საინტერესო ეჩვენებოდა, დასაწყისი — კარგი. შემდეგ დეფორმირდებოდა, ყველაფერი შიგ იქნებოდა ჩაყრილი. ალაგ-ალაგ რეზოსეული ინტონაციებიც — კინოფილმიდან — გადმოსულიყო.

ინტერვიუში ჩაეწერინებინა:

— მხოლოდ ყვარყვარე-ყვარყვარიზმის თემაზე გავაკეთებ ხელახალ სცენარს, იმასაც — თუკი ელდარ შენგელაია გადაიღებს.

საჯულისხმო სვლასაც მოიფიქრებდა. არ სურდა გაემხილა ჯერ... თუმც დღიურში რომ ჩაეწერა, რა მოხდებოდა?

სევასტი უნდა დაეჭირათ ყვარყვარეს მაგივრად. ყვარყვარეს, როგორც პიესაშია, უნდა გადაეცვა თათრის ტანისამოსი, სევასტის — ყვარყვარესი. ჩაბარდებოდა, როგორც ყვარყვარე თუთაბერი. ნამდვილი ყვარყვარე ოსმალეთშიაო, ხმა უნდა დარხეულიყო. უნდა სცოდნოდა — ყველას არა — რომ ეს კაცი არა გახლდათ ყვარყვარე...

და წისქვილი უნდა ფქვავდეს სულ, სარეკელა უნდა რაკუნებდეს. გადაუგდებ წყალს — გაჩერდებოდეს, გადმოუგდებ — დაბრუნდებოდეს დოლაბი...

საინტერესო სცენარს გამოაცხობდა, თუკი საშუალება მიეცემოდა.

10 მარტისათვის გაამზადებდა სიტყვას საპარლამენტოდ და... აღარ იტყოდა. დაწერდა და წინ ედებოდა. გადაწყვეტდა: „ქართულ ფილმში" დაებეჭდა ინტერვიუსთან ერთად. პარლამენტში ხმის ამოღება ეუხერხულებოდა, იმ ხალხთან — ყოველდღიურ გამომსვლელებთან — თავის გაყადრებასა თუ ალიანსში შესვლას ღირსების დაკარგვად მიიჩნევდა. ეს ხშირად ემართებოდა: უცოდინრებთან, უწიგნურებთან, ბავშვებთან არ ჩაერთვოდა ხოლმე კამათში, მათთან „გატოლებას" — ზოგიერთებს რომ არ უჭირთ — ვერ ახერხებდა. ამ დროს დამტუქსავის, ჭკუის დამრიგებლის, მენტორის როლში თუ გამოვიდოდა. პარლამენტში ამის უფლება ჯერ არ მოეპოვებინა, და შესაძლოა — ვერც ვერასოდეს.

17 მარტს ძლიერი ომი იქნებოდა აფხაზეთში. დაიწყებოდა ისტერია რუსეთის წინააღმდეგ, შევარდნაძესაც ჩაიყოლიებდნენ, როგორ გამოძვრებოდა აქედან? საყოველთაო მობილიზაცია — ემზადებოდნენ ამისათვის — რეზოს უაზრობად ეჩვენებოდა, დაღუპვად, ეიმედებოდა მაინც, რომ გაშველდებოდნენ — ოღონდ როგორ და რანაირად, ეს უკვე აღარ ეცოდინებოდა.

ხვალ მწერალთა კავშირის გამგეობის სხდომა დანიშნულიყო.

ლევან მალაზონია დაურეკავდა, ღრიალებდა ტელეფონში:

— წამოდი მაგ სანაგვედან, წუმპედან, რა გაჩერებს მაგათ გვერდით, ხალხი გლანძღავს. პარლამენტში ერთი-ორი კაცი მაინცაა, მანდ გაჩერდი.

გაბრაზდებოდა რეზო, თუმც გაფიქრებით გაიფიქრებდა: მართალს ჰგავსო.

ისე კი პარლამენტი უფრო უშლიდა ნერვებს — ერთობოდა კიდეც — ვიდრე მწერალთა კავშირი. პრინციპში ერთგანაც უჭირდა და მეორეგანაც.

და დაიგმენდა:

სად წავიდეო?

ვინ როგორ წავიდოდა, ვინ ვის გაასწრებდა ამ დამპალი ქვეყნიდან.

აფხაზეთიდან შემაშფოთებელი ცნობები მოდიოდა...

23 მარტს გადარჩებოდა ბორის ელცინი და ეს რაღაცას ნიშნავდა. ნუ იტყოდა ვინმე: საპრეზიდენტო კაცია მაინცდამაინცო. ვერც უნდა შეენარჩუნებინა პოსტი, მაგრამ ისტორია (ის კანონზომიერების მონააო, ჩაურთავდა) ათამაშებდა ადამიანებს. ერთ იქაურ დეპუტატს ეთქვა:

— მაგ კაცს ნგრევა შეუძლია მხოლოდ.

და ეთანხმებოდა რეზო თავის რუს კოლეგას:

ნგრევისთვისაა სწორედ იქ ელცინი, ნგრევისათვის გვჭირდება ჩვენც და მსოფლიოსაც და ისიც ანგრევს, ღვთის ნებით, განგების ნებით (თუ ვისითო? — ამ შეკითხვასაც ჩაურთავდა). რაც მოსახდენი იყო, მოხდებოდა, სხვა ელცინი გაჩნდებოდა და დასანგრევი დაინგრეოდაო.

მოსახდენისა სწამდა რეზოს:

როგორც ვარსკვლავებს ვერ შეუცვლიდა ადამიანი მიმართულებას, ისე ცხოვრების ლოგიკას, სიცოცხლის ბუნებრიობას ვერ გაამრუდებდა...

რაც არ უნდა მომხდარიყო, არც მოხდებოდა.

მოეჭამათ თავიანთი წუთისოფელი მონღოლებსაც... სხვა დრო, სხვა პირობები იყო თითქოს მაშინ. არ გამოდგებოდა სწორი. საბჭოეთი — მონღოლთა ბატონობასთან შედარებით — უფრო უდღეური აღმოჩნდებოდა. არადა კატასტროფა თუ მოახლოებულიყო, არ იგრძნობოდა.

6 აპრილს გამოვიდოდა ბოლოსდაბოლოს „ცისკარი", შარშან დეკემბერში რომ უნდა გამოსულიყო წესითა და კანონით.

„კუდიან ვარსკვლავს" ჩასჩერებოდა, კითხულობდა. სრულიადაც არ მიიჩნევდა ჩვეულებრივად, და რაც მეტს ჩააჩერდებოდა, არაჩვეულებრივსაც ველარ აღმოაჩენდა, ისე ატყობდა.

დაიწყებდა, უფრო სწორად განაახლებდა რადიონოველების ჩაწერა-გადაცემას...

ერთს გადასცემდნენ პაუზის შემდეგ, სამი გამზადდებოდა... ორი ხვალვე შეეძლო ჩაეწერა, დანარჩენი მოფიქრებული ექნებოდა...

16 აპრილს ყარამან მგელაძე შეხვდებოდა და:

— არ ჩაწერო რადიოში, ცუდად კითხულობ.

ამას გულს შემოეყრებოდა, ის განაგრძობდა:

— სხვები გეტყვიან, კარგიაო. მე გეუბნები: არ ვარგა.

მსახიობებს ადარებდა თუ თვითონ ამბავი არ მოეწონებოდა, რეზო ვერ გაიგებდა, ანუ: ცუდად კითხულობდა თუ ცუდს კითხულობდა? ეტყობა: ერთიცა და მეორეც. სწორედ დღეს ჩაეწერა ორი ნიმუში. იქ ქე მოსწონდა, მაგრამ გარეთ ველარ უსმენდა. რადიო არა ჰქონდა და არც ეძებდა. გადაწყვეტდა, რომ მომდევნო გადაცემისათვის მოესმინა საგანგებოდ.

რეჟისორი მსახიობებს რომ ადარებდა და მათი სიყალბის ფონზე დაუწუნებდა დეკლამაციას, ეს რეზოს კარგიც მოეჩვენებოდა, მაგრამ ყარამან მგელაძეს სხვა რამეც აწუხებდა.

— დაწერო, უნდა დაწერო, — „ქართულ ფილმში" გამოქვეყნებულ მასალას შეუქებდა, — ამეხილა თვალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, მივხვდი, რაც მაწუხებდა, შენ თქვი მხოლოდ სიმართლე, შენ სხვანაირად არც შეგიძლია.

ნოველას დაწერდა — „ხიბარო" — და „კომუნისტში", კვლავინდებურად ამ სახელს ეძახდა „საქართველოს რესპუბლიკას", მოინდომებდა დაბეჭდვას პატარა ინტერვიუსთან ერთად. გადასაბეჭდი იყო და ეზარებოდა დაჯდომა.

და ამავე დღეს, 20 აპრილს, შეშფოთებულნი იქნებოდნენ თენგიზ კიტოვანის ორჭოფობით, გაუგებარი საქციელით, გვარდიელების ნადირობით ნარკოტიკებზე.

ავის ნიშნებს იგრძნობდა ემზარ კვიტაიშვილი, მოწყენილი, მოღვერილი იქნებოდა და რეზო გაიფიქრებდა: ინსტინქტით გრძნობს ხშირად სიავესო.

ედუარდ შევარდნაძე კი თურქეთში რომ გაემგზავრებოდა ოზალის დაკრძალვაზე, რეზო კბილს გაჰკრავდა: სათურქეთოდ აქვს საქმეო?!.

23 აპრილს გიორგი გურჯიევის ლექციების თარგმანს წამოიღებდა „საგანთიადედ", ლაშა დადიანს რომ ეთარგმნა მშვენივრად. „განთიადს" კი

უკუსვლა დაეწყო, კვლავ გაალმანახებულიყო და დაენანებოდა რეზოს. თარგმანს აქ დატოვებდა, ეგრე ამჯობინებდა.

ლექციაში კი თავისთვის რაღაც ფრიად საინტერესოსაც აღმოაჩენდა:

თუ ღმერთს თავის ხატად შეექმნა ადამიანი, ადამიანები — სამყარო, შემოქმედი პატრონობდა ყველასა და ყოველივეს და უპირველესად ადამიანს, ადამიანს უნდა შეძლებოდა თავის მოვლა, თავის მართვა, უნდა გამხდარიყო თავისი თავის ღმერთი...

დაახლოებით ასე ეწერებოდა და კვერს დაუკრავდა რეზო: ეგრეა ზუსტად, მისაღებიაო:

შენი თავის, სულის, საქციელის ფლობა უნდა შეგძლებოდა, გამგებლობა; შინაგანი პოტენცია — ღვთის წყალობით — მატერიალური და სულიერი რესურსები უნდა გამოგეყენებინა, უნდა გამოგეზარდა...

28 აპრილს დიდი შეხლა-შემოხლა იქნებოდა პარლამენტში.

ჭაბუა ამირეჯიბი დაიჩივლებდა:

— მკლავი წამერთვა.

მარცხენა ბეჭსა და ხელს მოისინჯავდა. წინა დღეებში დამართნოდა.

— გაიველის, — დაამშვიდებდა ვითომ რეზო და კიდევ ამდაგვარის თქმა ენდომებოდა, მაგრამ შესაფერისი მომენტი აღარ დაურჩებოდათ, რადგანაც ვაჟა ადამია დაუძახებდა ზემოდან:

— მოგივლი მე შენ, სხვანაირად დაგელაპარაკები.

და რეზო დღიურში ჩაინიშნავდა ვაჟა ადამიაზე:

პრეზიდენტს არ ეპუებოდა და სახელი იშოვნა, ჯაბასაც შეუტია და ჭაბუასაც — სახელის შოვნის მიზნით ცხადიაო.

ქუთაისში, რეზოს საძმოში, ბიჭები დაიწყებდნენ მსჯელობას:

— მართლა ჭაბუა ამირეჯიბის დაწერილია „დათა თუთაშხია“ თუ არა?

გურამ კოხრეიძე გაიოცებდა:

— შიგ არა წერია: სხვისი დაწერილიაო? მე ასე მახსოვს, თვითონ ამბობს: ვნახე და ვაქვეყნებო.

— ეგ ხერხია, — აუხსნიდნენ.

— რანაირი ხერხია? — ვერ გაიგებდა.

რუსთველს მოიშველიებდნენ: ესე ამბავი სპარსულიო, — და ვერ დააჯერებდნენ: მაგი სხვააო.

და რეზო ჩაფიქრდებოდა:

იქნებ არცაა „ხერხი“, იქნებ მართლაც ნახა და გარდაჰქმნა თუ გარდათქვაო?

რეზოსაც ხომ ჰქონდა „პაპიაშვილის ბრალდების საქმე?“ ესეც ხერხი იყო? მას ხომ მართლაც მოჰყვა ხელში ქუთაისის არქივში ერთდღიანი ქექვის დროს ის მოხსენება თუ ახსნა-განმარტება. დაიმახსოვრებდა და შეაკეთ-შემოაკეთებდა. და ასე აქცევდა ნოველად.

მეტიც:

მიწისმზომელს — ვითომ იმას ენახა — დაურთავდა წინ, ეს კი სულაც აღარ იქნებოდა საჭირო, თუმცაღა ამ მიწისმზომელით სხვა ნოველების დაწერასაც აპირებდა. ეს იყო და ეს.

ზოგს ტყუილი და ხერხი ჰგონია ხოლმე, მკითხველს შეეძლო ისეც ეფიქრა და ასეც.

გინდაც მართლა მომხდარად ჩამოერთმიათ, გინდაც გამოგონილად.

იგივე გამოვიდოდა „გულო ჯანდიერიც“.

აპირებდა გამოეყენებინა გამოგზავნილი წერილები, დღიურები და... ის მაინც რეზოს დაწერილი იქნებოდა, მხოლოდდამხოლოდ რეზოსი.

გინდაც გაეგონა, გინდაც რვეულებად ენახა — ეს ხომ ერთსადაიმავეს ნიშნავდა.

მეტიც:

მოგონილი შესაძლოა უფრო „ზუსტადაც“ გადაგეტანა ფურცელზე, მეტი დოკუმენტურობა მიგენიჭებინა. აქ პირიქით მოხდებოდა — ჩანაწერები ბიძგად ეყოფოდა, თუმცაღა ისიც სიმართლეა, რომ არ ჩავარდნოდა ხელთ — რომ არ გამოეგზავნათ — ეს მასალა, თავის დღეში ამნაირი ნაწარმოების — ანი რომ უნდა შექმნილიყო — შეთხზვა არ მოაფიქრდებოდა.

ასე რომ: პატივცემულ გურამ კოხრეიძეს არც ისე დიდი სისულელე ეთქვა, როგორც მოეჩვენებოდათ.

„ვაიმე, ჩემო ვენახოც“ ხომ ნამდვილ საბუთებზე, ოქმებზე, საჩივრებზე, დადგენილებებზე, გადაწყვეტილებებზე აგებულიყო.

„ასკილის წითელი ყვავილი“ კი სუფთა ფანტაზია გახლდათ...

6 მაისს იწვიმებდა და ალბიონს დაემსგავსებოდა თბილისი. პარლამენტში კი დიდი მღელვარება იქნებოდა. მოლოდინი გამართლდებოდა და არნახულ ერთსულოვნებას გამოიჩენდნენ, რადგანაც ყველა იგრძნობდა პასუხისმგებლობას.

დაინიშნებოდა და პარლამენტი დაამტკიცებდა თავდაცვის მინისტრად გია ყარყარაშვილს. რეზოს არც ეს კაცი ეხატებოდა გულზე, მაგრამ სხვა გამოსავალი არა ჩანდა, სხვა ვარიანტიც — არა.

სწორად მოქცეულიყო შეფი ამ ეტაპზე, ამ ორს, კიტოვან-ყარყარაშვილს, რომ გათიშავდა და ერთმანეთს დაუპირისპირებდა. ჯაბა იოსელიანიც ივაჟკაცებდა — გაეცლებოდა თითქოს ისიც. თუ სხვა რამ გართულება არ მოჰყვებოდა ამ გადაწყვეტილებას — ძალაუფლება აეღო ხელთ ედუარდ შევარდნაძეს.

თენგიზ სიგუაც ადრე თუ გვიან წავიდოდა, და შემდეგ თვითონ მეთაურიც — როგორც დაეწერა, როგორც ეთქვა რეზოს წინასწარვე საარჩევნო პროგრამაში. ესეც ეთქვა, რაც უკვე მოხდებოდა, გამოექვეყნებინა კიდეც.

ფუტუროლოგობაზეც დასდებდა თავს.

13 მაისს შეფიქრიანდებოდა, რადიოში რომ აღარ ეძახდნენ. უნდა შეეხსენებინა თავი — დაწყებულის გაწყვეტა ეუხერხულებოდა.

მეორე დღეს გამოქვეყნდებოდა საუბარი რეზოსთან სამწერლო გაზეთის ფურცლებზე: „დრო და ცხოვრება, უკუსვლით წინ სიარული“ — და კმაყოფილი დარჩებოდა. თავს რომ დაადგებოდა სტამბაში — შეიძლება იმიტომ? არა: შენარჩუნებულიყო მართლაც ხასიათი, განწყობა, დამოკიდებულება მოვლენებისადმი.

ცხოვრება უკუნეთში იმყოფებოდა.

პერსპექტივა უსიხარულობის გარდა არას გვიქადდა.

პრემიებს დაარიგებდა ვიღაც „ბანი და კომპანია“.

— ლიტერატურაში არ გაიცემა, მაგრამ თუ ჭკვიანად იქნებიან, გაისად წავუმატებთ კიდეც თანხას და გავცემთ, — სიკო დოლიძის ქალიშვილი ბრძანებდა.

მწარე ირონიით გაიჟღინთებოდა ეს ფრაზა, რადგანაც რეზო ქეთი დოლიძის რეჟისორობას არად, სრულიად არად ჩააგდებდა და სიკო დოლიძის ქალიშვილის ტიტულს აკმარებდა.

დასჭექდა ჯანსუღ ჩარკვიანი:

— რეზო ინანიშვილს მივცეთ, დიდი მწერალი იყო.

მაგრამ ყურსაც არავინ ათხოვებდა.

— გაისად ფულსაც გავზრდით, — დაამშვიდებდა მამამისის, ესე იგი სიკოს, ქალიშვილი ჯანსუღს.

რეზოს საუბრისათვის ბევრს მიექცია ყურადღება. კითხულობდნენ ამ გაზეთს როგორც ჩანდა. თამაზ წივწივაძეს კი — ირკვეოდა — არა ჰყავდა მეგობარი, კეთილისმსურველი, მრჩეველი. აუტანელი იყო უკვე მისი „კუთხის“ ზოგიერთი კუთხე.

კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლთან გავიდოდნენ. კობა იმედაშვილი ატეხდა რეკვას:

— არიქა, მწერლებო, შევარდნაძე მოდის და ძეგლთან დახვდით.

გურამ ფანჯიკიძე ვერ წამოდგებოდა, ბევრი ესვა, და ესენი ქეც დახვდებოდნენ. და გაეხარდებოდა იმას. თუმც სულ ცოტანი იქნებოდნენ. მიტინგი-დემონსტრაცია შემდეგ გაიმართებოდა.

ჭაბუა ამირეჯიბს მივეფერეთ დღესო, — 19 მაისის დღიურში ჩაიწერდა და... ამ ყოყმანსა და ეჭვებსაც გაამხელდა:

სწორი ვიყავით თუ არ ვიყავით? ვინც ვთქვით და არ ვთქვით. იქნებ მართლაც დიდი მწერალია და დიდი — არა მგონია — წიგნიც აქვს დაწერილი? ღმერთმა ჰქმნას! შემდეგ განსჯიანო.

ცხოვრება აუტანელი და დინამიური გახლდათ, გაჩერებისა და თვლემის საშუალებას არ გაძლევდა. და მაშ რატომ იყვნენ ბურანში ახალგაზრდები? გაბრუებულნი, მოთენთილნი და ძალად აღგზნებულ-ანერვიულებულნი? ცუდი აღზრდა, უკუღმართობა, ნარკოტიკი — გაქცევა სინამდვილიდან.

22 მაისს სამ ნოველას ჩაწერდა რადიოში. ერთს — „ხიბარო“ — დაწერილს წაიკითხავდა, ორს — „გურმანი“ და „ქართველები სანკტპეტერბურგში“ — ზეპირად მოჰყვებოდა. ამჯერზე კმაყოფილი დარჩებოდა. რამდენი ჩაეწერა სულ? და შეეცდებოდა გაეხსენებინა ამ სამის გარდა:

„როგორ დავანებე სიგარეტს თავი“, „პოლიტბიუროს სხდომაზე“, იუმორზე, „ფრანგულის მასწავლებელი“, „მერი“, სპორტზე, 1956 წელი, „სასამართლოზე“.

ადგილს დატოვებდა მეორე გვერდზე და აღნიშნავდა, რასაც ჩაწერდა რადიოში აწი.

„ჯეკი“, „პაპუნა“, „ბუდუ ქვარიანი“, „ხვილიფონდრე“, „ოთხი შეხვედრა ადვოკატ ჭონქაძესთან“, კინო და თეატრი, „ჭეია ბლოკი“, „წერეთელმა დაგვიბარა“, „სევერიან ვახვახიშვილი“, „აღდგომას მოკლეს ურია“, საუბარი „ხორაგაულის რესპუბლიკა“, 9 მარტი, „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი“ „მინა მაღალთაძე“, იუმორი და ომი, „ძია კოტე“.

25 მაისს შეხლა-შემოხლასავით იქნებოდაპარლამენტში კვლავ. ჯაბა იოსელიანი ძალიან გაუშინაურებდა იქაურობას, და თანდათან დაკარგავდა კონტროლს საკუთარ თავზე.

28 მაისს „ასკილის წითელ ყვავილს" გადაუვლიდა (ამ ჟარგონულ გამოთქმას ამჯობინებდა), ცოტაღა დარჩენოდა და გადაბეჭდავდა. წიგნებს არ ადგებოდა საშველი. რაც იყო, ისიც არ ეყიდებოდა. საკითხავად არავის ეცალა, ყიდვაც გადასულიყო მოდიდან.

გუშინ მიხეილ კვესელავას მოსაგონარ საღამოს რომ გამართავდნენ, ხალხი იქნებოდა ცოტა, სამაგიეროდ თბილი და გულწრფელი გამოვიდოდა. ისევ მოუწევდა ალბათ რეზოს რამდენიმე სიტყვის თქმა.

ჯაბა იოსელიანი კარავს დასცემდა გუშინ ოპერის ბაღში საშიმშილოდ. ეახლებოდა ედუარდ შევარდნაძე. ირბენდნენ დეპუტატები პარლამენტიდან ოპერამდე. ხვალ 1 საათზე ესენი უნდა შეკრებილიყვნენ, 3 საათზე — მხედრიონელები. გადაწყდებოდა ალბათ მაგათი საქმე — ან ისე, ან ასე. „დადებითადო" — აღარ გამოდიოდა. პარლამენტის შტურმით აღების გეგმა არ უნდა ჰქონოდათ. თუმც გამოჩნდებოდა ყველაფერი.

ჩაებმოდნენ ეროვნულ-დემოკრატები ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. დაიწყებდნენ შევარდნაძით — რაც მოსალოდნელი გახლდათ. მღვრიე წყალში თევზი იოლად მოჰყვება ბადესაო.

3 ივნისს ედუარდ შევარდნაძეს ირაკლი წერეთელი გამყიდველს უწოდებდა და მოითხოვდა მის გადადგომას. და რეზო დასძენდა: თუ ისევ აჰყვება წერეთელს და უპასუხებს, მართლაც დროა გადადგესო. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ: იგი ხელისუფლების განმტკიცებისათვის არ იბრძოდა — რას ელოდებოდა, გაუგებარი გახლდათ — და წაიმტვრევდა ფეხს, ანდა თვითონ უშველიდა თავს და ჩვენ კი გაგვწირავდა.

ეიმედებოდა, რომ „ასკილის წითელ ყვავილს" ბეჭდვის დროს გაჩარხავდა, არ აჩქარდებოდა.

ყველა ვარიანტს მისი ეპიზოდებისა ვერც აღმოაჩენდა და არც ჩათვლიდა სავალდებულოდ. ისედაც საკმარისი აღმოჩნდებოდა ბოლო ორ ვარიანტში. 4 ივნისს კაბინეტში ნუგზარ შატაიძე და მიხეილ ანთაძე ესტუმრებოდნენ და „კუდიან ვარსკვლავს" შეუქებდნენ... ვიღაც კითხულობდა მაინც!..

12 ივნისს ის განცდებსა და შთაბეჭდილებას ჩაინიშნავდა, ეს დღეები უილიამ შექსპირის კითხვას რომ ჩაუჯდებოდა. წუხელ ძილი გაუტყდებოდა და თითქმის თავიდან წაიკითხავდა „ვენეციელ ვაჭარს", რომელსაც ვერასოდეს გულს ვერ უდებდა. ბერტოლტ ბრეხტს ჰქონოდა ნათაქი იქიდან პრინციპი იგავის გაზღაპრებისა. არაკი — აქაც, იქაც. რეზოს კი მანამდე იმ ბრეხტის მოგონილი ეგონებოდა.

ივანე მაჩაბლის თარგმანებიდან „ეგ", „ეგა" და სხვა ნაწილაკები თუ შორისდებულები ჭაბუა ამირეჯიბთან გადასულიყო. ვისია, ვისგანააო: რომ უკვირდათ, თურმე საიდან. კონსტანტინე გამსახურდიას ო-ც აქედანვე.

სხვათა შორის რეზოსაც მოეხშირებინა: ეგ და ეგა.

შექსპირს კი კარგახანია აღარ გაჰკარებოდა. მაჩაბლის თარგმანებს ადრინდელივით კითხულობდა, აღიქვამდა. აღიზიანებდა და ახლა სიყმაწვილისდროინდელ აღქმას — ის უფრო ნაღდი ყოფილიყო — მიუბრუნდებოდა. ეგ იყო თეატრი ადრე — ყალბი და ლამაზი პათეტიკა.

სიტყვას ამზადებდა დასაბეჭდად და მორჩა, პოლიტიკაში წერილობით აღარ გაერეოდა.

რაღაც ეპიგრამები დაიბეჭდებოდა რეზოსა და ტარიელ ჭანტურიაზე „სამრეკლოში". რეზო არაფრად ჩააგდებდა, ტარიელი კი ძალიან დაინტერესდებოდა. გადარეკავდა, გადმორეკავდა, ბოლოს გურამ გოგიაშვილი წაუკითხავდა ყურმილით რაღაც უნიჭობებს.

პრემიებს რომ გასცემდნენ, გამგეობაში იგივე და იგივენი იქნებოდნენ და იმავ ფსიქოლოგიით. გულისამრევი იქნებოდა ყველაფერი, თუმც — რეზოს მეცადინეობით — ბაზარს არ დაემსგავსებოდა...

მწერალთა გაზეთის ამბავი კი მართლაც ედარდებოდა. დააპირებდა დაერეკა თამაზ წივწივაძესთან და შეეთავაზებინა 10 ცალის გავრცელებაში დახმარება. ამ მეცადინეობასაც არ მოჰქონდა ნაყოფი და... მიეშვა ნებაზე სჯობდა ალბათ.

ჩაუჯდებოდა პლუტარქეს კითხვას. მოინიშნავდა მის „პარალელურ ბიოგრაფიებში" ნოველას. და შემდეგ იფიქრებდა:

ხომ არ ამოვკრიფო ამდაგვარი ნოველები ლევ ტოლსტოის მსგავსად და ხომ არ გამოვაქვეყნოო?!.

„ლიტერატურული საქართველოს" 9 ცალს გაავრცელებდა პარლამენტის სხდომათა დარბაზში. გენო კალანდიას თვითონ ეყიდა, როგორც ყოველთვის გაზეთებით იქნებოდა მოსული. რეზო ერთ ცალს ედუარდ შევარდნაძეს დაუდებდა მაგიდაზე. ის წამოდგებოდა და ხელს ჩამოართმევდა შორიდან.

— თუ მოიცლით? — ეს ჰკითხავდა.

და ის პასუხად:

— მხოლოდ ამ გაზეთისათვის ვიცლი.

22 ივნისს გადაწყვეტდა, რომ: რადიონოველებისათვის უნდა მომზადებულიყო უკეთესად და სხვა ნოველებისათვის ჯერჯერობით დაენებებინა თავი. „ასკილის წითელი ყვავილი" გადასაბეჭდად მზად იყო უკვე, და შვებულებას კი მოახმარდა „უცნობი ქალის ჩანაწერებს".

სოხუმში უბედურებააო, გამოცხადდებოდა და აღელდებოდა პარლამენტი. დაიწყებოდა ყვირილი, მუქარა ცარიელი. და ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა „დაკარგული სამოთხე", გენიალურად რომ წარმოჩნდებოდნენ ქართველები ამ კინოფილმში.

— აიტ! — ყვიროდნენ უგულოდ ყველასა და ყველაფერზე. საქმე არა! ფაფხურს იქით არ მიდიოდნენ, ვერ მიდიოდნენ. ხმის ამოღებისა სცხვენოდა უკვე — დონე დაბალი იყო ნამეტანი.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტი დაამტკიცებდა პრემიის მაძიებელთა ერთ-ერთ კანდიდატად, მაგრამ გარკვეული მოსაზრებით ადრევე განეცხადებინა უარი ამ პატივზე, თუმცაღა წერილობით განცხადება არ გაეკეთებინა და ამიტომაც აღმოჩნდებოდა საერთო სიაში. ახლა კი სამწერლო გაზეთის ფურცლებიდან აცნობებდათ, რომ: ამ ციკლში არ მონაწილეობდა და უარს აცხადებდა კენჭისყრაზე.

კვლავ მიუბრუნდებოდა „ქართლის ცხოვრებას", უკვე დეტალებით დაინტერესდებოდა იმ თხზულებაში: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი".

— დამარხეს თამარ ახალსა მონასტერსა გელათს.

ოდესღაც, რაღა ლაპარაკი უნდოდა, ხომ იქნებოდა გელათი ახალი.

და რეზოს რწმენით:

ყველაზე ნაღდი დოკუმენტიც ეგ უნდა ყოფილიყო — რუსუდანის მეფობისას დაწერილი.

იოანე შავთელს ეგრძნო და ეწინასწარმეტყველა ქართველთა გამარჯვება ბასიანთან. მხოლოდ პოეტს გამოცხადებოდა. თუმც მთლად გარკვეული არ იქნებოდა რეზოსათვის ყველაფერი.

— რამეთუ მას ოდენ აუწყა, ვითარმედ ჟამსა ამას მოსცნა ღმერთმან...

და:

— არამედ ევლოგი არავის არ გამოუცხადა საიდუმლო თვისი, თვინიერ იოანე შავთელის...

ვნებათაღელვა პარლამენტისა გულგრილობაში გადადიოდა თანდათან.

1 ივლისს სიტყვა უნდა ეთქვა პარლამენტში, მაგრამ აირეოდა იქაურობა, როგორც ყოველთვის, და გადაიფიქრებდა. ანიშნებდა ვახტანგ გოგუაძე, გამოდიო, მაგრამ ეს უარს იტყოდა და სწორადაც მოიქცეოდა. რევაზ ჯაფარიძეს კინაღამ უსტვენდნენ. გადაღლილიყო და გათავხედებულიყო დარბაზი.

— თუ არ გინდა მთლიანად გავირიყოთ, ასე მოვიქცეთ, — შესთავაზებდა შეფს.

ჭკუაში დაუჯდებოდა მისი შეთავაზება გურამ ფანჯიკიძეს.

— ვიტყვით ჩვენს სათქმელს, — მაგრამ იტყოდა კი?

ვის რა უნდა ეთქვა, ყველას თავისი პერსონა აწუხებდა... მე-მე-ს ძახილს მოჰყვებოდნენ... საქონელი გახლდათ ზოგიერთი, ფრიად სამწუხაროდ...

მძიმე განწყობა იქნებოდა 2 ივლისს პარლამენტში. ედუარდ შევარდნაძე მოეწონებოდა რეზოს, მშვიდად და გონივრულად რომ შეაფასებდა მდგომარეობას და მითითებასაც გონივრულს დატოვებდა. თენგიზ კიტოვანი აგინებდა ხალხში, დეპუტატებში, დეპუტატებსაც აგინებდა: თქვენ ჩამოიყვანეთო. არადა მისი ჩამოყვანილიაო, ირონიულად ეღიმებოდა რეზოს. კიდევ რას გაიძახოდა? ეს კაცი სატანააო!.. და კვლავ ირონიული ჩაკვრა: ადრე ზვიად გამსახურდიას იხსენიებდა ამ სიტყვებითო.

სხდომაზე ხმა ვერ ამოეღო, მიმხვდარიყო, ვისი ადრესითაც ლაპარაკობდა შევარდნაძე:

— ომში წავალ ჯარისკაცად!

და ტაშსაც დაიმსახურებდა. ოღონდ წავიდესო, გაიფიქრებდა ყველა. და რეზოს ეჭვიც არ ეპარებოდა: წავაო!..

შეხვედრა შევარდნაძესთან გადაიდებოდა — იგი უკვე სოხუმში იმყოფებოდა.

ტელევიზიით გამოვიდოდა თემურ შაშიაშვილი:

— ქუთაისის 1000 წელი 1995 წელს უნდა აღვნიშნოთ.

და ბაგრატის ტაძარსაც ახსენებდა.

სუფთად ჩემი იდეააო, — ჩაინიშნავდა რეზო. იმას 3500 წელი ენდომებოდათ და: სისულელეაო, — რეზო პირდაპირ მიახლიდა და წამოაყენებდა 1000 წელს.

მეორე დღეს მარჯანიშვილის თეატრში უყურებდა გორის თეატრის წარმოდგენას: „საბრალონი“, მამუკა სალუქვაძის ტრილოგიას. ზოგიერთი უყურებდა ერთლოგიას, ზოგი — ორლოგიას, რეზო დიდი ყოყმანის შემდეგ ტრილოგიის ბოლომდე დარჩებოდა და აღარც ინანებდა. ბოლო აქტი ემჯობინებოდა ყველას. ეგაა — რა საერთო ჰქონდათ ერთმანეთთან, მისთვის გაუგებარი დარჩებოდა. სათაურიც უსუსური მოეჩვენებოდა. მოეწონებოდა ვიღაც-ვიღაცები. ქალები განსაკუთრებით — სიდედრს ვინც თამაშობდა და მსახიობს ვინც თამაშობდა ბოლო აქტში, ახალგაზრდა არტისტი — იესო, სხვაც... მოულოდნელიც კი იქნებოდა ბევრი რამ.

აფხაზეთში საშინელი ომი გრძელდებოდა, თბილისი მოღალატეებით გადაივსებოდა. ვახტანგ გოგუაძის გამოსვლა მოეწონებოდა ტელევიზიით, გულახდილი და საზრიანი მოეჩვენებოდა... მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო თითქოს მისგან და მაინც გაუკვირდებოდა. შევარდნაძესაც კარგად შეაფასებდა.

საბეჭდავად ვერ დაჯდებოდა. დღეს პირველად — რაც ნოველებს ჩაწერდა — მოუსმენდა თავისას... „ბუდუ ქვარიანს“ კითხულობდა. დაბალზე გახლდათ ჩაწერილი, ისე არა ეშავებოდა რა. მოეწონებოდა. რადიოხაზი შემოეყვანა, რეპროდუქტორიც ეშოვნა (ლევან მალაზონიას მიეცა — რა ეშოვნა!..) „პარჩაკული“ (ამ ჟარგონულ გამოთქმას ამჯობინებდა). ერთხელ წყალწყალა ღვინო რომ ეყიდინებინათ, იმას ემგვანებოდა.

აფხაზეთში ომი მძვინვარებდა.

12 ივლისს გარდაიცვლებოდა მორის ფოცხიშვილი. იწვალებდა და მოკვდებოდა. მცხეთაში იკრძალებოდა ხვალ, სამთავროს გალავანში მოინდომებდნენ. გამოარჩევდნენ.

„საჭიროა? კარგია? არ ვიცი!“

ბევრი ზრუნავდა სამუდამო განსასვენებელზე წინასწარ, აშკარად, არ სჯეროდა და ნამდვილი აღმოჩნდებოდა. რეზოსაც კი შეეპარებოდა ამდაგვარი გრძნობა და... უცნაური მოეჩვენებოდა.

თამაზ მელიავა ეტყოდა ერთხელ, კინოდარბაზს იგულისხმებდა:

— მე აქედანაც არ გამასვენებენ, ეს თენგიზ აბულაძის პრივილეგიაა.

თამაზს აქედან გაასვენებდნენ ზუსტად, სულ მალეც, თენგიზი კი, ჯვარი სწეროდა, ნამეტანი დარეხვილად (მაინცდამაინც ამ ჟარგონულ გამოთ-

ქმას მიუსადაგებდა) გამოიყურებოდა პარლამენტის სხდომებზე. იმ დღეს ეტყოდა რეზოს:

— შენ გაიზარდე, სიმაღლეში წახვედი.

. მე კი არ გავიზარდე, შენ დაპატარავდიო, ეს ველარ მიუგებდა.

დაიწყებდა „ასკილის წითელი ყვავილის" გადაბეჭდვას — არც ჩქარობდა და არც უჭირდა.

რევაზ თვარაძე ილაპარაკებდა ტელევიზიით და ერთ საყურადღებო რამეს იტყოდა:

— ჩვენი სუფრა, მცირერიცხოვანი განსაკუთრებით, სიყვარულისაა.

ეს ეგრეაო, თავის მხრივაც დაუდასტურებდა რეზო.

— რელიგიურიცაა.

ეს უკვე რაღაც ახალი გახლდათ.

რევაზ თვარაძე მაცხოვრის იმ სიტყვებსაც გაიხსენებდა:

რამდენიმე კაციც რომ შეიკრიბოთ, თქვენთან ვიქნებიო.

და ესეც მოეწონებოდა.

13 ივლისს მორის ფოცხიშვილი წაიკითხავდა ლექსებს ტელევიზიით — თითქოს არც მომკვდარიყოს, თითქოს არც დაესაფლავებინოთ. რეზოს ეჩვენებოდა, რომ მორისი ამზეურებდა თავის სისუსტეს, ავადმყოფობას. დღეს კი იფიქრებდა, რომ: მეტ სითბოსა და ყურადღებას იმსახურებდა. ეს იოლი გახლდათ რეზოსათვის და... არა ხერხდებოდა. ლექსებს უგზავნიდა დროდადრო ქუთაისში. ბარათს ხატავდა, კი არ წერდა.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე წირავდა სამთავროს საყდარში. ჰერმან ვედეკინდი, 83 წლისა, გერმანიიდან ჩამოვიდოდა გასვენებაში. რამდენიმე სიტყვასაც დაჭექავდა.

ჯანსუღ ჩარკვიანი დაიძახებდა:

— სდაიუს!

და თავისიანებს მოუბრუნდებოდა:

—ახლაც მეშინია მათი ხმის გაგონების.

გია ყარყარაშვილის ულტიმატუმსაც მოუსმენდა:

ხვალ 12 საათამდე დაუთქვამდა აფხაზებს ცეცხლის შეწყვეტის დროს.

ნეტა რისი იმედით!..

და ახლა რომ გამოვიდოდნენ გია ყარყარაშვილიც და ირაკლი ბათიაშვილიც მუქარით, ნეტა რას მოასწავებდა ეს?

29 ივლისს შევარდნაძის პორტრეტს აჩვენებდნენ რუსეთიდან ტელევიზიით — გაუბედურებულს, მოტეხილს. რამდენიმე დღის წინათ სხდომათა დარბაზში უკვე დაბერებულად გამოიყურებოდა.

2 აგვისტოს რევაზ თაბუკაშვილის დაბადების დღე ყოფილიყო. სიკვდილამდე ალბათ ორი თვით ადრე მოენახულებინა. უკვე აღარც იქნებოდა ამქვეყანაზე. ლაპარაკისას ეძინებოდა, ითიშებოდა. ბუნებრივ მდგომარეობაში კი იხილავდა — აღარ თამაშობდა.

რეზოს დაკვირვებით და შეტყობით:

იგი ბუნებით არტისტი გახლდათ და მისი ყოფა, მოქმედება პოზასაც არა ყოფილა მოკლებული. ეძებდა და ვერ იპოვნიდა კარგ ადგილს, რომელიც

მას ეკუთვნოდა. უილიამ შექსპირის სონეტებს თარგმნიდა მხოლოდ მაღალ დონეზე. ეს არ კმაროდა. უნდოდა სახელი. ესეც მოვიდოდა — ეროვნულ ჰალუცინაციებს მოჰყვებოდა. უფრო გამოიჩენდა თავს, რომ ეცოცხლა. ახლა ამათ მხარეს იქნებოდა. ალექსანდრე ჩიკვაიძის ადგილი, ანუ საგარეო საქმეთა მინისტრობა, მისი უნდა ყოფილიყო. სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, სწორად დაიწყებდა და... სხვაგან წავიდოდა — არა მისი სურვილით. გულიანი სიცილი სჩვეოდა. რეზოს უყვარდა, თუმცაღა მისგან რაღაც განსაკუთრებული სიკეთე არ ახსოვდა. წყენა კი იოტისოდენაც კი არ ჩარჩენოდა გულში მისგან. სტუდიაში მოღვაწეობა (ისევე, როგორც ალბათ ჩემიცო, ჩაურთავდა) დაკარგულს უდრიდა. დოკუმენტურ სტუდიას არა გულისხმობდა.

მათი შემოქმედებითი გაერთიანებიდან: გარდაიცვლებოდა რეზო ებრალიძეც, რეზო თაბუკაშვილიც, რეზო ინანიშვილიც და — გასამდებოდა. დარჩებოდა რეზო ჭეიშვილიღა და 1992 წლისათვის აღარც იარსებებდნენ.

7 აგვისტოს შესაძლოა მზადაც იყო სასიგნალო ცალი ახალი წიგნისა, მაგრამ აღარც უხაროდა. ახლები საწიგნედ გაემზადებინა, იქ კი განვლილი გზა გახლდათ. ფულიც რომ არ იყო? ამხელა წიგნით უნდა გეცხოვრა ადამიანს ერთი წელი თუნდაც. ახლა კი რა მოუწევდა დაახლოებით, აინტერესებდა.. 100 დოლარი ალბათ არა. და მწარედ ჩაეცინებოდა: ნამეტანი ბევრი მოვინდომეო!..

წერილი თუ მილოცვა დაებეჭდათ ალექსანდრე გვახარიასი. რეზო პირადად არ იცნობდა, მაგრამ ემზარ კვიტაიშვილი ირწმუნებოდა: ნამეტანი კარგიაო.

„ლიტერატურული საქართველო" არ ექნებოდა ჯერ. თენგიზ სიგუას რომ შეეჯახებოდა, უკვე ყოფილ პრემიერ-მინისტრს, გაზეთი გადაავიწყდებოდა. აუცილებელი იყო ხსენება, „განთიადს" კი ურეკლამებდა...

8 აგვისტოს ქეც დაიწყებდა „ყაჩაღებს" — ეს იგივე „განთიადის წინ" გახლდათ — მაგრამ ამ სიცხეში რავარი დასაწერი უნდა ყოფილიყო.

პარიზში რჩეული საზოგადოება (რაღაი პარიზი იყო და „იუნესკო", რჩეული ვუწოდოთო, მსუბუქი ირონიით ჩაჰკრავდა) უყურებდა ქართულ კონცერტს ხორუმის ცეკვისას ერთი მეორეს ზურგზე რომ შეახტებოდა, ტაშს დაუკრავდნენ. ფეხებით შეადგებოდა მხრებზე კაცი კაცს და: ტაში მხურვალე.

„ოტელო" გაახსენდებოდა, ბალეტი.

ინგრეოდა ოპერა რეზოს ახალგაზრდობისას — 50-იანი წლების მიწურულს. შესვლა ჭირდა, პრემიერის ყურება, — როგორ მოხვდებოდა შიგ რეზო, ვეღარც გაიხსენებდა, — გმირობას უდრიდა.

და ყველაზე დიდი ტაში... ყველაზე უგემოვნო ნომერს, მერაბ კიკალეიშვილის გველივით ხოხვას, ხვდებოდა წილად? გულწასული ოტელო აგდია და კიკალეიშვილი მიხოხავს „კაკ ზმეი" და... ტაში და ოვაცია. უგემოვნო სცენების მეტი რა იქნებოდა იმ დადგმაში, მაგრამ ეს აღმოჩნდებოდა მწვერვალი.

დღემდე ახსოვდა, გულში ხინჯად ჩარჩენოდა და... ამ პარიზშიც იგივე მომხდარიყო თითქმის.

ზურგზე პარიზელი ფრანგიც შეახტებოდა პარტნიორს, მხრებზე ფეხებითაც დაადგებოდა უკეთესად ჩვენზე, მაგრამ ქართულს ვერ იცეკვებდა...

ღმერთების ცეკვააო, — თავს ვერ შეიკავებდა რეზო.

უნაკლოდ ითამაშებდა იმ დღეს ვაჟი. ჩვეულებრივად მიიღებდნენ. შენც უნდა მიგენიჭებინა — როგორც ჩანს -- მეტი მნიშვნელობა, საწარმატებო ფონიც უნდა შეგექმნა. ამას მოფიქრება უნდოდა, ბრბო კი პარიზშიც ბრბო გახლდათ, რანაირ დარბაზშიც გინდა დაგესვა.

გაზეთ „ოკრიბას" მეორე ნომერში ვახტანგ გოგოლაშვილის 7 მშვენიერ მოგონება-მინიატურას გაეცნობოდა სოფელ კურსების მონატრებაზე. რეზოს თვითონაც მოენიშნა 5 მოგონება-მინიატურა ამ სოფელზე. გაოცდებოდა ვახტანგი, რომ გაეგო ამ ჩანაფიქრის არსებობა. უხერხული ეჩვენებოდა გამოქვეყნება და არც წერდა ჯერ.

იქვე ჩაეინიშნა „გაბო" -- დასრულებულიყო ცხოვრება კაცისა, სხვას რომ არა ჰგავდა... მონახაზი გამზადებულიყო, გადააზრებულიც კარგად ექნებოდა. იოლად დაასრულებდა. გარდაცვლილიყო 1988 წელს? მას შემდეგ ამოეკვეთა ალბათ ფეხი რეზოს კალანდაძის ქუჩის სახლიდან. ახლა სარდაფს დაცლიდნენ. მისი „კაბინეტის" ფანჯარა ღია იქნებოდა. კიბე. კარი ეზოდან.თითქოს გუშინ მიეტოვებინა იქაურობა. შეივლიდა ხოლმე დროდადრო, გვიან-გვიან, მაგრამ მაინც შინაურულად ითავისებდა საერთო გასასვლელ-გამოსასვლელებსაც. იმ დღეს, ხუთი დღის წინათ, სარდაფი შეიყოლიებდა. სახლში შესვლის, შეჭვრეტის სურვილი არ გაუჩნდებოდა. ახლა გაახსენდებოდა იქაურობა, აღიდგენდა იმ გატარებულ წლებს და... სევდა მოეძალებოდა, დაღონდებოდა. სიხარულებიც იქნებოდა, კი... ბევრი ზრუნვა, წუხილი, ფიქრი, შფოთი, ნერვიულობა და... მომავალზე იმედიანი ფიქრი... ნათელ მომავალში ეჭვი არ ეპარებოდა, არ ეჩქარებოდა, დრო არ გაურბოდა, სივიწროვე აწუხებდა, სიღარიბეც... ის დღეები ახლა უფრო შეაწუხებდა, ამ წუთას...

ბოლო შეხება იქაურობასთან, ერთი შესვლა მოუწევდა კიდევ ალბათ... რაც იქ შეშა ეხერხა... მაგიდის ფეხზე თოკი რა არისო? — ჰკითხავდნენ და: ქათამი იქნებოდა მიბმულიო, — მიუგებდათ.

მუშაობდა დუნედ „ყაჩაღებზე". რაღა დროისა იყო, მაგრამ არ უნდოდა მიეტოვებინა სცენარად... ყველას, რომელიც ორიგინალური გახლდათ და ინსცენირებული, მიხედავდა... ისინი ლიტერატურა იყო და ლიტერატურადაც დატოვებდა.

13 აგვისტოს წაიკითხავდა „ძენის ოსტატებს", სამსახურში ედებოდა გადაბეჭდილი ეგზემპლარი. ლაშა დადიანის მიერ თარგმნილი. ერთ მომენტს იგუმანებდა გამოსაყენებლად „უცნობი ქალის ჩანაწერებში". ეს იქნებოდა ბოგირი, ბონდის ხიდი... იქაური სიბრძნე გათამაშდებოდა მატერიალურად, ცხადად და სიზმრად. მალე იქნებოდა ესეც, თუ დასცალდებოდა, ბევრიც იქნებოდა!..

15 აგვისტოს ჩაწერდა მიხეილ კვესელავაზე. მერე რეზო კვესელავასთან ისაუბრებდა კარგახანს...

საწყალ ზურაბ ნემსაძეს (თედორიჩს) ჰქონოდა ფენომენალური მახსოვრობა, ყველაფერი ახსოვდა თითქმის. სამაგიეროდ რეზოს მეხსიერება იყო და რჩებოდა სხვანაირი. რაც ახსოვდა — ზედმიწევნით ზუსტად, დეტალებით...

მაგალითისათვის: ზურაბ ნემსაძე მთელი წლის ყველა დღეს გაიხსენებდა, რეზო — მხოლოდ რამდენიმეს, მაგრამ იმაზე უკეთესად.

ძლიერი სიმთვრალეც ასეთი ექნებოდა — გათიშვებითა და თეთრი ლაქებით, ალაგ — არაფერი, ალაგ — ყველაფერი. როდის ადგებოდნენ სუფრიდან, როდის გამოვიდოდნენ გარეთ — თეთრი ფურცელი... მანქანაში როგორ ჩაჯდებოდა, შინ როგორ მივიდოდა: ეს უკვე ნაბიჯ-ნაბიჯ, წუთ-წუთ აღნუსხული. წინა არ ემახსოვრებოდა და ბოლოს იხსენებდა, ანდა პირიქით, ხან ისე, ხანაც ასე...

ემზარ კვიტაიშვილი მიუტანდა პოემას კვიპაროსზე... შესავალი პროზად, შემდეგ ლირიკული პოემა... მოეწონებოდა რეზოს... მაღალი ოსტატობით იქნებოდა დაწერილი, გრძნობით, განცდით... მაგრამ სიცივე იდგებოდა შიგ...

„ყაჩაღებს" ახრჩობდა უგულოდ.

10 სექტემბერს დაამთავრებდა და ბოლოთქმასავით მოაბამდა კიდეც. ქუთაისის კაბინეტის მაგიდის მარცხენა უჯრაში შეინახავდა პიესას, არ დაწვავდა: იყოს მაინცო.

სცენარიდან, პიესიდან გამოვიდოდა მესამე. აქედან სპექტაკლიც გამოვიდოდა, ფილმსაც გადაიღებდნენ ხელახლა... სცენარისა და პიესისათვის, თუკი ხელმისაწვდომი გახდებოდა ოდესმე, ხელი არ უნდა ეხლო რეზოს კარგისმდომელს.

29 სექტემბერს ედუარდ შევარდნაძეს მოუსმენდა და... ისევ ისე: შევრიგდეთო, მოვრიგდეთო... შემდეგ ვიტყვი ყველაფერს, შემდეგ ყველაფერს გაიგებთო...

და გულს შემოეყრებოდა რეზოს: განა როდისღა? მემუარებს რომ გამოაქვეყნებსო?

სასონარკვეთილებაში ჩაცვივდებოდა ხალხი.

ლადო სულაბერიძეს გული გაუსკდებოდა.

ჟიული შარტავას ჩამოასვენებდნენ სოხუმიდან... შეეცოდებოდა....

გურამ ფანჯიკიძე ჩამოვიდოდა. მეორე დღე იყო და გონს ვერ მოსულიყო ხეირიანად. კანკალებდა შესამჩნევად.

ქართველებს კი კვლავ გვხოცავდნენ. სისხლისაგან ვიწრიტებოდით. ეს შევარდნაძე ისევ შერიგებაზე, გაგებასა და რაღაც ამდაგვარ სისულელეებზე (არ მოერიდებოდა ამ ეპითეტს მისთვის ასერიგად პატივსაცემი პიროვნების მიმართ) ლაპარაკობდა. საერთაშორისო არენაზე გამოვეჩინეთ, ეს სიმართლედ ეჩვენებოდა რეზოს, მაგრამ... მაგრამ მაინც უნდა წასულიყო ხელისუფლებიდან ცოტა ხნის შემდეგ.

რეზო კვესელავას კი მშვენიერი წერილი დაესტამბა „კუდიან ვარსკვლავზე" „ქართულ ფილმში".

* * *

რეზო კვესელავა, კინოსცენარისტი, მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის პროზაშიც გამოიჩენდა თავს და ლიტერატურის კრიტიკოსის უნარსაც ძალუმად და შთამბეჭდავად გაამჟღავნებდა.

ორჯერ წაეკითხა „კუდიანი ვარსკვლავი", ალაგ-ალაგ — რამდენჯერმეც, და ყველას ურჩევდა, რომ გასცნობოდნენ ამ რომანს, რეზო ჭეიშვილს უკვე სხვა ასპექტში რომ ეჩვენებინა ქართული სიტყვის გამომსახველობითი ძალა.

ნანარმოების შინაარსობრივ-სტილისტურ თავისებურებად შეიძლება ინტელექტუალიზმი დაესახელებინა. მწერალი ფიქრობდა ცხოვრების აზრზე, ადამიანის დანიშნულებაზე. ფიქრობდა იმ საშიშროებაზე, რაც კაცობრიობისათვის შეექმნა რელიგიური ცნობიერებიდან მოწყვეტას; და ამიტომაც შეგვახსენებდა, რომ:

ტრიალებდა გაპირუტყვებისა და სიძულვილის კარგად დაზეთილი ბორბალი.

ძნელი იყო ამ თემაზე წერა ალექსანდრე სოლჟენიცინისა და ნადეჟდა მანდელშტამის შემდგომ, რომელთაც განეცადათ დევნაც, გადასახლებაც, სიკვდილიც და რომელთაც განცდილის გამოსახატავად ნიჭიც ჰყოფნიდათ და გამბედაობაც?

მაგრამ რეზო კვესელავა დაბეჯითებით აცხადებდა:

როცა „კუდიან ვარსკვლავს" კითხულობდი, ყველაფერი, რაც სხვებთან დაგმახსოვრებოდა, უკანა პლანზე გადადიოდა და შენს ცნობიერებას იპყრობდა ახალი მხატვრული რეალობა, საგნები — ახალი რაკურსით!..

რეზო ჭეიშვილმა იცოდა, რას წარმოადგენდა ენა, სიტყვა, მეტაფორა, აზრისა და ინტონაციის ცვალებადობა. ხედავდა მიზანს და არჩევდა საშუალებებს.

რა საშუალებანი იყო ეს?

რეზო კვესელავა ჩამოთვლიდა:

იუმორს, ირონიას, სარკაზმს, და ამის პარალელურად: სევდასა და პოეზიას.

შთაბეჭდილება ისეთი დარჩენოდა, რომ:

მწერალს სიტყვები ეპოვნა არა ენის ნეიტრალურ წყაროებში: სახელმძღვანელოებსა და ლექსიკონებში, არამედ — ადამიანებს შორის საუბრისას, დაფიქრებისას, წამოცდენისას.

ერთ კოლეგას შეენიშნა:

რეზო ჭეიშვილის სიტყვა დაუღლელიაო.

რეზო კვესელავას მოეწონებოდა ეს მახვილგონივრული დაკვირვება და თავისი მხრივ დაურთავდა თუ განმარტავდა:

დაუღლელია იმიტომ, რომ უშუალოა, სიცოცხლის წყაროა. სიცოცხლეს კი შემეცნებით ვერ ამოწურავ, ის დაუსრულებელიო.

ამიტომაც ვაწყდებოდით რომანში, როგორც ცოცხალ ორგანიზმში, მრავალ მოულოდნელობას. და ისტორიული მასალაც, რომელიც დაწვრილე-

ბით განხილულიყო, რეზო ჭეიშვილთან სულ სხვა, მოულოდნელი ასპექტით წარმოგვიდგებოდა. ველი დანაღმულიყო. არ იცოდა, სად რას წააწყდებოდი. ელოდებოდი ერთს, იმკიდი მეორეს. რომანის დრო და სივრცეც მუდმივ ცვალებადობაში გახლდათ: დრო დროში, სივრცე სივრცეში ისე იჭრებოდა, როგორც ეს ფიქრში ხდება ხოლმე.

და მოიხმობდა თვალსაჩინოებისათვის საგულისხმო ამონარიდს:

— ვართ ქუთაისში. ბაბუა ეუბნება შვილიშვილს: „ქალები იმასაც უყვარდა, ტანად პატარა იყო, მაგრამ ის ჰქონდა გრძელი — თითები. დააკვირდი თუ გინდა. სანამ არ გამოუგდიათ მავზოლეუმიდან". დავხედე, იწვა გულმოსული, ამოკენკილი სახით, მოწითალო თმით. პაპაჩემის დანაბარები არ გამხსენებია. გულზე დამწყვდეული სანთლისფერი ხელები აიყვანა მეხსიერებამ. სადიაკვნე, პირჯვრის საწერი თითები ჰქონდა. ქალის თმა, კაცის თითებით. ქალი და კაცი ატრიალებს დედამიწას.

რათა მეტად მნიშვნელოვან ნიაუანსებზე მიექცია მკითხველის ყურადღება:

ერთ წინადადებაში შეცვლილიყო დრო და სივრცე. ეს ასოციაციური თხრობა გახლდათ და რომანის სტრუქტურა ასე აგებულიყო. მაგრამ ფრაგმენტი სხვა კუთხითაც იქნებოდა საინტერესო. „თითები" ბაბუასთან ორი მნიშვნელობით გამოიყენებოდა: პირდაპირი და გადატანითი. შვილიშვილს მესამე მნიშვნელობაც დაემატებინა: თითები — სადიაკვნე, თითები — პირჯვრის საწერი. და კონტექსტში მივიღებდით იშვიათ პროფანაციას: დიქტატორის თითები (ორივე მნიშვნელობით) დაუკავშირდებოდა საეკლესიო სიმბოლიკას: სადიაკვნე და პირჯვრის საწერ თითებს!.. ეს სტილი გახლდათ. დეტალი განზოგადებულიყო: ქალის თმა, კაცის თითები. ქალი და კაცი ატრიალებდა დედამიწას.

და რეზო კვესელავას მიაჩნდა, რომ:

ეს მცირე ფრაგმენტიც საკმარისად მიანიშნებდა მისი სეხნიის სტილის ორაზროვნებაზე.

სიმსუბუქე მოჩვენებითი გახლდათ. თუ ტექსტს ჩავუღრმავდებოდით, უამრავ ნიუანსს აღმოვაჩენდით. აპრიორული წარმოდგენები წარამარა დაიმსხვრეოდა. ზოგჯერ ბოლო სიტყვა მთელ წინადადებასაც შეცვლიდა...

— ბუდუ ქვარიანი გაჩნდა ჩემთვის და მე — მისთვის, — ერთგან რომ იტყოდა მწერალი, რეზო კვესელავას არ ეცოდინებოდა, თუ ვინ იყო ამ პერსონაჟის პროტოტიპი, მაგრამ ეცოდინებოდა, რომ იგი ახლობელი ადამიანი გახლდათ.

მეტიც: მასში იცნობდა თავის თავსაც და თავის თანატოლებსაც, მათ მაშინდელ სურვილებს, მოუსვენრობას, დაბნეულობას. დაპირისპირებას დროსთან, წყობილებასთან.

ბუდუ ქვარიანი იგემებდა ცხოვრების სიმწარეს — ცოტა სიტკბოსაც — და მისი უკანასკნელი მონაპოვარი იქნებოდა: მთავარია ურთიერთგაგებაო. წარმოსახვის უნარი ექნებოდა. პოპულარობასაც მოიპოვებდა, შეეძლებოდა კარიერის შექმნაც. დაამთავრებდა იმით, რომ გასვენების კაცი გახდებ-

და. ყველასთან იმეგობრებდა, ყველას შეეშველებოდა, გარდაიცვლებოდა კი მარტოობაში. და ის სამი სტრიქონი, მწერალი რომ შეუთხზავდა, ბევრი მათგანის — იმ თაობის — ეპიტაფიადაც გამოდგებოდა:

ახლა უკვე ზამთარია, მარტოობა ჭირს, შენს საფლავზე ღამეა და ცივი ქარი ქრის. ბუდუია ქვარიანო, ვის ასვენებ, ვისო.

რას ამტკიცებდა მწერალი?

რისი დამტკიცება შეუძლია მწერალს, თუ არა საკუთარი მხატვრული შესაძლებლობებისაო, — თითქოსდა ტრივიალურ მოსაზრებას გვიზიარებდა კრიტიკოსი, თუმც ერთბაშად უნდა შემოეტრიალებინა ხედვის რაკურსი: მაგრამ თუ მაინც აუცილებელია რაიმეს მტკიცება, ალბათ იმისა, რომ ძნელია ადამიანად ყოფნა ადამიანებს შორისო.

რეზო კვესელავა ისე უნიკალურად მიიჩნევდა რეპრესირებულთა თავგადასავლებს, უილიამ შექსპირიც რომ ვერ მოიფიქრებდა ამაზე უმძაფრესსა და ფანტასტიკურს.

მწერალი ძირითადად ინარჩუნებდა მთხრობელის ინდივიდუალობას, ინტონაციასა და ლექსიკას. ზოგიერთ მთხრობელს — რეზო კვესელავასაც მოესმინა მათთვის — სწორედ ინტონაციითა და ლექსიკით იცნობდა.

იოსიფ ბროდსკის ერთხელ ჰკითხავდნენ:

— როცა თქვით, ამ ცხოვრებაში ადამიანზე საშიში არაფერიაო, რას გულისხმობდით?

და მიუგებდათ ნატანჯი და ნაუბედურალი პოეტი:

— კაიხანი გავატარე შორეულ, ტყიან რაიონებში, ეგრეთწოდებულ ტაიგაში. აღმოსავლეთ ციმბირში. ბევრჯერ მინახავს იქ მგელიც და დათვიც. მხოლოდ ერთხელ წავაწყდი ტყეში ადამიანს და შიშმა ამიტანა.

რა გამოდიოდა მართლაც: ადამიანი ტყის ნადირზეც საშიში ყოფილიყო?!.

ბროდსკის მაგალითი უკარნახებდა რეზო კვესელავას, რომ კარგად დაემახსოვრებინა რეზო ჭეიშვილის პერსონაჟი, რომელიც სულ იქ იდგა ლურჯი საწვიმრით, აბოლებული „ბელომორკანალით“ და მზად გახლდათ თანაგრძნობისათვის.

ხსნა შესაძლოა იქიდან მოსულიყო, საიდანაც არ ველოდით!..

და ებადებოდა კითხვა ესეის ავტორს:

გაგვეძლო მონობისათვის, მაგრამ გავუძლებდით კი თავისუფლებას?

„კუდიანი ვარსკვლავი“ გვეუბნებოდა:

ხსნა არის ყველგან და — არსადო...

ყველგან — თუ ენაფებოდი ცხოვრების წმინდა წყაროს და მზად იყავი თანაგრძნობისათვის.

და არსად — თუკი უგრძნობელობის გზას დაადგებოდი. ვაჟა-ფშაველას გაფრთხილებისა არ იყოს: მკვდარია უგრძნობი კაცი, უსაზარლესი მკვდარზედაო.

ხსნა სუფევდა „ბელომორკანალით“ აბოლებულ კაცში, ვის შესახებაც ყოფილი პატიმარი იტყოდა:

გამიჭირდება თუ არა, გამახსენდება ხოლმე ის კაციო.

და ის ერთი კაცი გადასწონიდა გადასახლების ათას უსამართლობას.

ალბათ ასეთ კაცს გულისხმობდა ფიოდორ დოსტოევსკი, როდესაც იტყოდა:

სილამაზე იხსნის ქვეყნიერებასაო.

იოსიფ ბროდსკი ნაწილობრივ დაეთანხმებოდა დოსტოევსკის:

არა მგონია, ქვეყნიერება აწი რამემ იხსნას, მაგრამ ცალკეული ადამიანის ხსნა შესაძლებელიაო.

და რეზო ჭეიშვილიც მხოლოდ ერთეულებზე აკეთებდა აქცენტს.

ესეის ავტორი საგანგებოდ დაუკვირდებოდა სილამაზის იმ კონკრეტულ სახეს, მწერალს რომანის დასაწყისშივე რომ წარმოედგინა:

„ჩამოდიოდა დიდი მზე, მოშრიალებდნენ ლურჯი ჩრდილები. ბნელდებოდნენ მთები. გაილანდა წითელი კაბითა და ცისფერი კოფთით, ჩალის თმითა. კიბე იყო მიდგმული ვაშლის ხეზე და იდგა კიბეზე წითელ ვაშლებში. ალისფერ-მწვანე ფარდაზე ირხეოდა და იყო სულ ახლო, და მიუწვდომელი ზმანებასავით გაბრწყინებული...

შენ ხარ ნაწილი მთელისა, ერთიანისა, დიდისა, შენშია ის და შენა ხარ მასში — მუდმივსა და დაუსრულებელში. ნაწილი ხარ წამისა და მარადიულობის“.

და ამ ფრაგმენტს დაურთავდა, რომ:

ამით იწყებოდა რომანი და ამითვე მთავრდებოდა; მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ შეიცვლებოდა, იმპერიაც თვალწინ დაიმსხვრეოდა და ომებიც ძლიერ შეგვარყევდა, ახალ იმედებს ახალი უიმედობაც მოჰყვებოდა, ის უცვლელი დარჩებოდა: ის — წმინდა სილამაზის გენია, ის — ნაწილი წამისა და მარადისობისა.

„იდგა კიბეზე ალისფერკაბიანი, წითელი ვაშლებით მოჭიქულ მწვანე კრეტსაბმელთან. იყო ხე ვაშლისა, ჩალისფერი თმა ჰქონდა და იყო შორს...

წინარე ყოფისა გერგუნა და ვიხილე სამგზის, ერთხელ — ცხადში.

ამისთვის გმადლობ,

ყველაფრისათვის!“

და „კუდიანი ვარსკვლავით“ მწერალი რომ შეძლებდა თავისი თაობის სევდისა და სიხარულისათვის წარმავლობა აეცილებინა, რეზო კვესელავა სწორედ თაობის სახელით მიმართვდა მას:

გმადლობთო!..

და შეჰყურებდა დღევანდელ რეზო ჭეიშვილს, რომელიც:

იცვლიდა პორტრეტს, იცვლიდა აზროვნების სტილს.

და დასძენდა ღრმააზროვან, მოხდენილ გასრულებად მსჯელობისა, კომპოზიციური მთლიანობის შემკვრელ-დამაგვირგვინებელ აკორდად:

კიდევ კარგი, რაც დაწერა, მაშინ დაწერა, ვიდრე ფერისცვალება მოხდებოდაო...

და ის კი იდგებოდა კიბეზე... და ირხეოდა ალისფერ-მწვანე ფარდაზე, და იქნებოდა სულ ახლოც, და მიუწვდომელ ზმანებასავით გაბრწყინებულიც...

და გახდებოდი შენც ნაწილი მთელისა, ერთიანისა, დიდისა, შენში იქნებოდა ის და შენ იქნებოდი მასში — მუდმივსა და დაუსრულებელში. ნაწილი იქნებოდი წამისა და მარადიულობისა.

ხსნა კი იქნებოდა ყველგან და არსად... არსად და ყველგან...

* * *

1 ოქტომბერს ასე ჩაინიშნავდა დღიურში:

შემოსულა წიფობისთვე. ორწიფობას მოწამეთაში ძველი სტილით იხდიდნენო.

რადიოგადაცემისას ამის შესახებაც ჰკითხავდნენ:

თქვენი პროგნოზები, ცუდად რომ დამთავრდებოდა აფხაზეთის ომი, გამართლდა, აწი რა იქნებაო?

კვლავ ცუდად მოიხსენიებდა ზვიად გამსახურდიას, თავისი სახელით არც ამჯერად, კვლავ შეურაცხმყოფელი ეპითეტით: გამონახავს ვლადისლავ არძინბასთან, თუ გამონახული არა აქვს, საერთო ენას, სამეგრელო-აფხაზეთის სამეფოს, სამთავროს თუ ფედერაციის ჩამოყალიბებას შეეცდებიან, ფოთის აღებას დააპირებენო.

ათას სისულელეს ჩაიდენს მართლაც, მისი დღეები კი მაინც დათვლილიაო, აღინიშნებოდა დღიურში.

და ისე გაიხარებდა, რა თავზარი დაეცემოდა იმას, დამხობილ და განდევნილ პრეზიდენტს, როდესაც შეიტყობდა, ჯაბა იოსელიანი დაუნიშნავთ საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარედო, რეზო თავს რომ ვერ შეიკავებდა აღტაცებისაგან: საჭირო იყო, ველოდი, გაუმარჯოს კოროლსო!..

2 ოქტომბერს დაასაფლავებდნენ ლადო სულაბერიძეს, საქელეხე სუფრა ხმაურიანი აღმოჩნდებოდა, არეული, თითქოს თვითონ ლადოც მჯდარიყოს იქ. იმნაირი სუფრებიდან ახსოვდა სწორედ. მურმან ლებანიძე უთამადებდათ.

Მეორე დღეს კრება გაიმართებოდა მწერალთა კავშირში და იქ მკაცრად გამოვიდოდა რეზო: ან მოუაროს საქართველოს, ან წავიდესო!.. გადაიღებდნენ და ცალკეც ჩაწერდნენ. იმავეს გაიმეორებდა, უფრო მკაცრადაც, და საჭიროდ მიიჩნევდა ამ განცხადებას. თუმც ტელევიზია არ გადასცემდა და მაინცდამაინც არ გაუკვირდებოდა, რომ მოერიდებოდნენ მის გადაცემას.

მოსკოვში ომი რომ ატყდებოდა, იმარჯვებდა ბორის ელცინი და ამას რეზო ნაკლებ ბოროტებად მიიჩნევდა: ჩვენი ხსნა იქ შეიძლება იყოს ჩამარხულიო.

გარკვეული წრეების განწყობილება კვლავაც პირდაპირ გადმოვიდოდა დღიურის ფურცლებზე, ზვიად გამსახურდიას მხოლოდღა უხსენებლად რომ იხსენიებდა და მოელოდა გულისფანცქალით: როდის გაუჭეჭყავდნენ თავს, და ამას ან მისიანი იზამდა და ან სხვისიანი ანუ არამისიანი.

ან მისიანი იზამდა ამასო...

ეს სავსებით მოსალოდნელი ეჩვენებოდა, აქეთ უფრო იხრებოდა... და კიდეც... კიდეც...

ზვიადის ერთ ბრმა თაყვანისმცემელს „მარსიანი" რომ ექნებოდა ფსევდონიმად: კარგიაო, — ეღიმებოდა ირონიულად.

7 ოქტომბერს გამოიტანდა თავის თხზულებათა მეორე ტომის სასიგნალო ეგზემპლარს, დაიდებდა წინ და დააცქერდებოდა გულგრილად.

ცოლი, ახალ წიგნს რომ დაინახავდა, შეიცხადებდა ხოლმე... ესეც აღარ იყო... ჰყავდა შემცხადებლებიც, მაგრამ ეს სხვა გახლდათ... დროც სხვა... შინ? შვილიშვილებს თუ ეყვარებოდათ მისი წიგნები? რეზიკოს იმედი უფრო ექნებოდა...

შევდივართ ესენგეშიო, — გამოცხადდებოდა.

შეშფოთებული იქნებოდა ხალხი და რეზოს ცეცხლი მოეკიდებოდა გულზე: უარესში შევლენ ცოტა ხანშიო!..

ბაზარი შეშლილიყო, მყიდველი — გალენჩებული, უიმედობა დასადგურებულიყო, და რეზოს კოტე მარჯანიშვილის იმ წარმატებული სპექტაკლის სათაური რომ წამოაგონდებოდა: ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთო! — მის კვალობაზე ასეთი პერიფრაზი გაიმართებოდა:

ჰოპლა, ჩვენ ვშიმშილობთ!

მართლაც რომ: ჰოპლა, ჰოპლა და ჰოპლა...

მეგრელთა ლეგიონები უტევდნენ სამტრედიას.

მისი სამი ტომი კი... ცოტა იყო ვითომ?

90 ფორმა დაახლოებით... დაახლოებით კი არა — ეგრე. „დალი" — ტომებში არ შესულიყო — 12 თაბახს მოიცავდა. სხვები, წიგნში არშესულნი, ბოლოდროინდელნი: 30 თაბახს, ცოტა მეტს, ცოტა ნაკლებს, ანუ: 135 თაბახი პროზა 60 წლის ასაკში. არ მოეჩვენებოდა ცოტად, მაგრამ არც ებევრებოდა!..

სრული კრებული, ვთქვათ:

წერილები პატარ-პატარანი, მცირედნი, ვარიანტები ბლომად. კინაღამ 8 ტომიც გამოვიდოდა, თვითეული 30 თაბახიანი... ანუ რა: 240 თაბახი დაახლოებით?

არც ეს უნდა ყოფილიყო ცოტა, მაგრამ ბევრიც არა!..

9 ოქტომბერს ესენგეში ამოვყოფდით თავს პრაქტიკულად. ასეთი ოპერატიული და კატეგორიული ედუარდ შევარდნაძე არასოდეს ყოფილიყო. დაჰკრავდა და გადაჭრიდა როგორც იქნა!

მოუწონებდა — როგორც დღიურის ინტონაციიდან გამოსჭვიოდა — ამ გადაწყვეტილებას რეზო...

დაურეკავდა ქალი:

— მკითხველი ვარ, მიყვარხართ, როგორც მწერალი.

— ძალიან კარგი, — მადლობელი დაურჩებოდა რეზო.

ორწიფობა 15 ოქტომბერს დადგებოდა: 2 წიფობისთვე, ძველი სტილით, ორ მოწამესაც უკავშირდებოდა: დავით და კონსტანტინე მხეიძეებს.

ოკრიბაში, კონსტაილეს ამბობდნენ, არჩილ ჯორჯაძის დები დამხრჩვალიყვნენ წყალწითელაში ამ დღეისსწორს. მერამდენე წელი იყო ნეტა? გადაწყვეტდა დაეზუსტებინა. წინა საუკუნის 80-იანი წლები უნდა ყოფილიყო...

შარშან ამ დროს ქუთაისში ყოფილიყო და ახლა გაკვირვებას გამოთქვამდა: მოწამეთაში რატომ არ ავედიო?..

18 ოქტომბერს დიდი თავყრილობა გაიმართებოდა ფილარმონიის დარბაზში. ვერც შევიდოდა შიგნით და უმრავლესობაც გარეთ დარჩებოდა მასავით. შევარდნაძე სიტყვას რომ იტყოდა, რეზო ასე შეაფასებდა:

ადრინდელს ჯობდა და მეტი არა, არაა ტრიბუნიო.

ელდარ შენგელაია მოქუთაისებას რომ აპირებდა, ეტყოდა რეზო:

— წავიდეთ, ნუღა გადადებ, ომის დამთავრებას ნუღა დაველოდებით.

ომს ზვიად გამსახურდიას მომხრეებთან სამხედრო დაპირისპირებას უწოდებდა, ელდარი ასე რომ განსაზღვრავდა მის მოსალოდნელ შედეგს:

— რუსეთი ჩაერევა ჩვენს ომში და ეგ თუ გადაგვარჩენს.

რუსეთი თუ გადაგვარჩენსო განა?

მერამდენედო — გაიფიქრებდა რეზო, — ეგ ყოფილა ჩვენი ბედი და მეტის ღირსიც არა ვართ... სხვა სანუგეშო არაფერიაო...

და 21 ოქტომბერს რარიგ გაიხარებდა...

მკვეთრად შეიცვალა საბრძოლო ვითარება ჩვენდა სასიკეთოდ. გვიშტიბის ომად მოინათლება ალბათ გარდატეხის დღეო...

ჩვენდა სასიკეთოდო განა?

პირდაპირ იჭრებოდა დღიურში ეს მაშინდელი სამთავრობო განწყობილებაც, ედუარდ შევარდნაძის მომხრეთა ხედვა და შეფასება.

მეორე დღეს ძველ ჟურნალებს გადაქექავდა. რა სიხარული გახლდათ დაბეჭდვა — ჩაჰყურებდა, კითხულობდა თვალმოუშორებლივ თავისივე დაწერილს. ახლა წიგნიც აღარ ახარებდა... წინ ედებოდა ამა წლის მეოთხე ნომერი „მნათობი“ და: რა არის, რა უბედურებაა მართლაცო, — დასცდებოდა.

თავის სიმდიდრედ თავის ამ დღიურებს აღიარებდა.

სახლს თუ დამინვავენ ქუთაისში, არ არის გამორიცხული, რვეულებს ვინ გადამირჩენსო? — დარდობდა.

სადგური ახლოს, მოედანი, ატყდებოდა სროლა ცხადია. სროლისას კი ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ომი შორს გადაინაცვლებდა, მაგრამ ცეცხლგამძლე სეიფი უნდა ეშოვნა მაინც, თემურ შაშიაშვილისათვის ეთხოვა.

„ძენის ოსტატებს“ კითხულობდა, იტაცებდა ინდური ფილოსოფია — ოღონდ პირწმინდად ფილოსოფიის გაგებით არა.

ღმერთის გარდაცვალებას რომ ახსენებდნენ, რეზოს აზრით: უნდა გარდაცვლილიყო დედამიწა და არა ღმერთი... ყველაფერი წარმავალი გახლდათ, ცვალებადი, ყოვლისშემქმნელი — მარადიული... ის ქმნიდა, აფრქვევდა, ასხივებდა უწყვეტად...

ჩვენ წავიდოდით, საიდანაც მოვსულიყავით.

არ ვიყავით და არც ვიქნებოდით.

და... თუ ვიყავით, ვიქნებოდით კიდეც!..

29 ოქტომბერს ჩაწერდა რადიოში „იუმორსა და ომს“, ადრე — „ძია კოტეს“... იმის წინ საუბარი დაიბეჭდებოდა „საქართველოს რესპუბლიკაში“ გახსენებით. შეეტანა უნდა დავთარში.

ტელევიზიის შენობაში დეპუტატებს უსაშვოდ არ უშვებდნენ. არჩილ გოგელია შეეფეთებოდა, იმჟამად ტელევიზიის ხელმძღვანელი, და აუხსნიდა:

— შევარდნაძის ბრძანებაა, რათა ღია ეთერში არ შეიჭრას რომელიმე, მაგალითად პუპუზა.

ნოდარ ნათაძეს ამ მეტსახელით მოიხსენიებდა.

— პუპუზა გააკავეთ მაშინ, — შეედავებოდა რეზო, — ჩვენ რას გვერჩით...

და გაგულისდებოდა დღიურის შევსებისას:

ან საცოდავ პარლამენტთან რა უნდათ! პარლამენტმა აირჩია ამხანაგი გოგელია და პარლამენტივე მოაშორებს, მამამისსა აქვს ცხონებაო...

ომი გრძელდებოდა. ხალხი შიმშილობდა. უკეთესად შეეძლო ჩაწერა, მაგრამ ველარ გაიხსენებდა, გამორჩებოდა რაღაც-რაღაცები. თავს დაიმშვიდებდა: არა უშავს, სხვა დროს იყოსო.

რას ინატრებდა და:

ნეტა ამსვა-დამსვა და ქუთაისში ჩამსვა, ჩემს სახლში დავისვენებდი ნაღდად. დასვენება რაღაც ჰქვია, ეგაა... შინ ძილი და კოტრიალი ჯობსო...

4 ნოემბერს წამოაგონდებოდა:

მთვარეზე რომ დასვამდნენ ხომალდს ამერიკელები, 1969 წლის ზაფხულში, იმხანად თვითონ ლენინგრადში იმყოფებოდა, ახლა ისევ პეტროგრადი თუ სანკტპეტერბურგი რომ დაერქმიათ. არ უჩვენებდნენ საბჭოთა ხალხს საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლები. მხოლოდ „ვრემიაში“ დაუთმობდნენ რამდენიმე სეკუნდს. და ეს იქნებოდა გაუგონარი სისაძაგლე. იმ ზაფხულის ლენინგრადი, თუმც ცუდ საქმეზე მოუწევდა იქ ჩასვლა, მაინც კარგად ახსენდებოდა...

მთვარის „გარდაცვალებასაც“ იქ გაიგონებდა.

„აპოლონ-11“ დაჯდებოდა მთვარეზე. მოსწონდა ეს რიცხვი: 11. აგრეთვე: 1, 7, 9. „აპოლონ-1“ დაიღუპებოდა, „აპოლონ-13“ დაითარსებოდა. დანარჩენები მშვიდობითა და პროგრამით წავიდ-წამოვიდოდნენ. არ არსებობდა ვითომ გლახა 13? არადა არსებობდა. ტრაგიკული არ უნდა იყოსო? ფარსი გახლდათ აშკარად.

8 ნოემბერს იწვიმებდა ქუთაისში, თბილი წვიმა იქნებოდა.

ადამიანი ხსოვნა გახლდათ და მოგონება. ფერფლი და კვამლიო — მარკუს ავრელიუსის „ფიქრებიდან“ დაამახსოვრდებოდა. ვერ იტყოდა: მაინცდამაინც უნაკლო შედარებააო. ხსოვნა და მოგონება სხვაგვარად წარმოუდგებოდა. ქრებოდა ადამიანი და ისიც, მოგონებაც, ქრებოდა ან ისტორიად იქცეოდა. ადამიანი არ იყო სხეული, რადგანაც სხეული, მიწაში ჩაფლული, არაფერს გეუბნებოდა. იგი იქ იყო უფრო, სადაც იმყოფებოდა, სადაც დაეტოვებინათ, სადაც გახსოვდა. ფოტოსურათი მეტს გახსენებდა, რადგანაც იქ წამი გაქვავებულიყო. ადამიანი ხორცისა და სულის ერთობა გახლდათ, მაგრამ გარდაცვალების შემდეგ ირკვეოდა, რომ სხვა ყოფილიყო, ვიდრე მისი ძვალი, ხელი, ფეხი, გინდაც გული... თან დაჰყვებოდა რაღაც სხვა — ვთქვათ აურა — და ის იყო მთავარი, სადღაც ამიტომაც ტრიალებდა ახლობლისთვის.

შეიძლებოდა დალაგებით ჩაწერაც. თავისთვის მოინიშნავდა ჯერჯერობით.

ხვალემ იზრუნოს ხვალისაო, — ახსენდებოდა ხალხური სტრიქონი და იქვე მათეს სახარებიდან:

ამრიგად ნუ იზრუნებთ ხვალინდელ დღეზე, ვინაიდან ხვალინდელი დღე თვითონ იზრუნებს თავის თავზეო.

და ჩაუჯდებოდა და ჩაუკირკიტდებოდა ახალ აღთქმას და სტრიქონს სტრიქონზე ამოიწერდა..

14 ნოემბერს რომ წამოუტივტივდებოდა აკაკი წერეთლის: არ მშორდება მწუხარება და ჭირიო, — დაურთავდა, რომ: ის ლექსი საქართველოს ისტორიის ყველაზე მშვიდობიან დროს დაწერილიყო.

და აბა ახლა რაღა ითქმოდა? რა უნდა ეთქვათ მენშევიკთა საქართველოში, 1924-ში, უაზრო აჯანყებას რომ მოჰყვებოდა, 1937-ში, ქართველთა მიერ მოწყობილ სასაკლაოზე, 1941-45-ში, სხვის ომში? დღევანდელი ტელევიზიის ცქერა შეგშლიდა მარტო. თუნდ გადაცემა „საღამო მშვიდობისა“: ერთ ოჯახში ოთხი მიცვალებულის, ტყუპი ძმების, რეკვიემი...

გახუნებულიყო მართლაც მწერლობა, ნოველა, მოთხრობა...

დაწერდა თვითმხილველი, მონაწილე და... სასურველ ეფექტს მაინც ვერ მოახდენდა. რეპორტაჟი გამოვიდოდა და არა ისტორია. როცა ამბავი ისტორიად იქცეოდა, მხატვრული ძლიერებაც მაშინ მიენიჭებოდა. ეს უტყუარი გახლდათ.

როდის ეღირსებოდა მაინც საქართველოს მშვიდობა?

სადიკ აფგანის პროგნოზი სწორი უნდა ყოფილიყო:

1995 წლისათვის დასრულდება გარდამავალი პერიოდი ყოფილ საბჭოთა კავშირშიო...

ასეც მოხდებაო, — კვერს უკრავდა რეზოც.

შემდგომ წავალთ კლებაშიო.

ასე ეგონებოდა იმასაც და რეზოსაც!..

მეორე დღეს ნახავდა ტელევიზორში ფილმს „ჩემი მეგობარი ნოდარი“ და... გულს შემოეყრებოდა. არასოდეს ეჩვენებინათ და უხაროდა. გადაღების დამთავრებისთანავე ფიქრობდა: როგორ მოახერხა დავით რონდელმა ამ უსუსურობის შექმნაო.

არადა გადაღების პროცესი რაღაც იმედებს უსახავდათ...

ის ზაფხული კი, 1967 წლისა, მშვენიერი იქნებოდა, დასამახსოვრებელი, უდარდელიც კი; ქეიფი, სიმღერები, სიცილი, დროსტარება... სათაფლია, გელათი, ბაგრატი, სხვაგან და სხვაგან; ხალხი, ტიპაჟი... სად იყო ან შიში, ან სიფრთხილე, ან უბედურების ამბავი; უდარდელობა და უკეთესი მერმისის ილუზია... ფილმი გაუცრუებდა იმედებს, მაგრამ ტრაგედიად არ აღიქვამდა. ეგ იყო დავით რონდელი — რაც შეეძლო, იმას გააკეთებდა.

სცენარზე ხომ აწამებდნენ: დირექტორი, რედაქტორი, მოსკოველი შემფასებელი და თვითონ მოსკოვი?! მარტო სცენარის განხილვაზე სამჯერ ჩაიყვანდნენ მოსკოვში. იქანავებდა რონდელი ლერწამივით. რეზოს სიგლახეც

იქნებოდა ბევრი — აღიარებდა... საწარმოო თემა უნდა იყოსო, ავტოქარხანაა მთავარიო და ამისთანები. რონდელი ფილოსოფიურ დიალოგებს სთხოვდა იმდროინდელი საბჭოთა კინოს გავლენით. იძულებით ამატებდა რეზო პატარა სცენას ან დიალოგს იმ იმედით: ეპიზოდებში ჩაიკარგებაო. არადა: ეპიზოდები აღარ დარჩებოდა და მთავარი... ის იძულებით ჩამატებულები აღმოჩნდებოდა...

ტრამვად დაურჩებოდა მაინც... ცუდ დაღს დაადებდა რეზოს შემოქმედებას. გიორგი ხარაბაძეს ხომ დედას უტირებდა (არ მოერიდებოდა ამ მწვავე გამოთქმასაც), კინოში აღარ დაუძახებდნენ წლების განმავლობაში...

სახარებებს კითხულობდა კიდევ და კიდევ... ადარებდა, უდარებდა... ტექსტებსაც — ახალს, ძველს, სხვადასხვა გამოცემას — ამოწმებდა და თან როგორ არ ეთქვა: არ არის ჩემი საქმე, არც მეკითხებაო!..

ხვალიდან ძვირდებოდა პური და იაფდებოდა ცხოვრება. დენიც წყვეტილ-წყვეტილად მოგეწოდებათო, გამოცხადდებოდა. და რეზო ინატრებდა: გაზი თუ არ შეწყდა, ვინ დაეძებსო.

და გაიხსენებდა, რომ:

1957 წელს დამკვიდრდებოდა თბილისში, დაოჯახდებოდა და ჩაეწერებოდა მუდმივად და არა სამუდამოდ.

1967 წლის ზაფხულს გაატარებდა ფილმის გადაღებაზე ქუთაისში.

ღამისთევებიც ახსოვდა ქუჩაში, ტროტუარზე, ბორდიურზე იჯდებოდა ერთხელ ეროსი მანჯგალაძე შუაღამისას. სასადილოს სცენა — იქაც გაათენებდნენ. ღამის გადაღება იქნებოდა. რეზო და რამდენიმე კაცი მოფარებულში დალევდა. შემოიხედავდნენ მსახიობებიც, რეჟისორიც, დალევდნენ და განაგრძობდნენ „მუშაობას". ყველა მთვრალი იქნებოდა.

1977 წელს — არაფერი საყურადღებო.

1987 წელს — კვლავ წავიდოდა ქუთაისში ჟურნალის რედაქტორად. კაი 5 წელს მისვლა-მოსვლაში, თბილისი-ქუთაისი, გაატარებდა. ის ხანა კი უფროდაუფრო კარგად ახსენდებოდა, რაც დრო გადიოდა.

1997 წელს — კვლავ ქუთაისში?

გამოტოვებდა ალბათ და დაბრუნდებოდა 2007 წელს.

- მკილი კი კვლავ ხრავდა რეზოს. ვერადავერ წამოუწვებოდა, ვერ დაადებდა ფიცარს ყურს.

სამ პურს მისცემდნენ პარლამენტში. სად იშოვნეო? ეკითხებოდნენ. შინ გაოცდებოდნენ. ერგებოდა თურმე. მეორედ აიღებდა. გამყიდველი ეტყოდა გარეშე მთხოვნელს:

— ვინ თქვა, არ მოდიან დეპუტატებიო? ამ დღეებში ასპროცენტიანი წაღებაა...

18 ნოემბერს გაეცნობოდა ედუარდ შევარდნაძის დიალოგს ჟურნალისტ ქალთან: „ვინ ვართ ჩვენ".

ისეთი ხალხი იბადება საქართველოში, როგორიცაა სტალინი — კლასიკური დიქტატორი, და ისეთი დიდი ჰუმანისტი, როგორიცაა მერაბ მამარდაშვილიო.

კითხვის ნიშანს დაუსვამდა მამარდაშვილის ასე გამორჩევას რეზო ჭეიშვილი.

თუ გავქრებით, როგორც შუმერებიო?

არაო, მაშინ სხვა დრო (არ გინდა მიხვედრაო! — ირონიულად ჩაჰკრავდა რეზო) იყოო.

სამყარო თუ დაიღუპებაო?

ატომური საშიშროება აღარააო.

და წამოაგონდებოდა ოთარ მამფორიას ნაამბობი.

ერთი კოჭლი კაცი იყო ჩემს ბიჭობაში ქუთაისში. კაი სახიერი, სიტყვაპასუხიანი, სიმღერაც შეეძლო, მაგრამ როგორც კი საცეკვაოს დასცხებდნენ, გადახტებოდა და ჩამოუვლიდა მობრეცილი ფეხითო. გაჩერდი, მე შენი დედა, პირი ქვისკენ მიქნია, რა გეცეკვება, ხომ ხარ იმ სუფრას შეფარებული, ცეკვას ვინ გეძალებაო!..

— ვინაა მართლა ეს მამარდაშვილი? — სამი დღის შემდეგ დღიურს გაანდობდა ამ ეჭვსა და გულისწყრომას, — იქიდან გინებით გვტენიდნენ, აქედან ქებით ვისტუმრებთო?

დიდი დამსახურება მიუძღოდა იმის განდიდებაში ელდარ შენგელაიას.

გურამ დოჩანაშვილი ბეჭდავდა — რას, რომანს? — გაგრძელებებით „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე, წელავდა, როგორც ზოგიერთ სიტყვას, აღმოჩენა რომ ეგონა მწერლური. ვერ კითხულობდა რეზო, მაგრამ უნდა წაეკითხა ბოლობოლო.

რადიოში გადასცემდნენ ადრე ჩაწერილ „ოთხ შეხვედრას ადვოკატ ჭონქაძესთან“. აწი საინტერესო ნოველებს ჩაწერდა. სულ დარჩენოდა ექვსი გამოსვლა. ბოლო — 31 დეკემბერს, და კიდეც გაასრულებდა... შემდეგ დაუყრიდა თავს, უპატრონოდ არ მიატოვებდა...

ერთი საგულისხმო დაკვირვება გაუჩნდებოდა.

პილატე არამარტო ხელებს დაიბანდა, შეეცდებოდა, მოინდომებდა და ვერ გადაარჩენდა იესოს. შემდეგ აიგდებდა კიდეც იუდეველებს, მღვდელმთავრებს, როდესაც ჯვარზე გაკრულს მიაკრავდა ფირფიტას და დაანერდა: იესუ ნაზარეველი, მეუფე ჰურიათაი.

— ესე ფიცარი მრავალთა ჰურიათა აღმოიკითხეს, რამეთუ მახლობელ იყო ქალაქსა ადგილი იგი, სადა ჯუარს-აცუეს იესუ. და იყო წერილი ებრაელებრ და ჰრომაელებრ და ბერძნულ.

შეეხვეწებოდნენ: ნუ დაწერ ამგვარად... მე ვარ მეფე ჰურიათაი უფრო მოუხდებაო, — მაგრამ პილატე გადაწყვეტილებას არ შეცვლიდა:

— ჰრქუა მათ პილატე: რომელი დავწერე, დავწერე!

ამას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი დაურჩაო, — ეს მოსაზრება გაუჩნდებოდა რეზოს, — ოფიციალური წარწერა — ირონია გაუგებარია — მომნუსხველ შთაბეჭდილებას მოახდენდა ბნელ მასაზე, ბრბოზეო.

უსახურ საღამოს გაუმართავდნენ გალაკტიონს ფილარმონიის დიდ დარბაზში 22 ნოემბერს. უკითხავდნენ ლექსებს ჩურჩულ-ყვირილით, პაუზე-

ბით. ლექსებში ეძებდნენ შინაარსს. ლექსს რომ რიტმი აქვს და მახვილებიც კი, არ ეცოდინებოდათ არტისტებს.

24 ნოემბერს მოეწონებოდა ედუარდ შევარდნაძე, იფიქრებდა: აიღო ძალაუფლება და ეგაო.

მაგრამ მეორე დღეს, პარლამენტის პირველივე სესიაზე, ისევ დაკარგავდა წონასწორობას. ქუჩის პოლიტიკოსებს აჰყვებოდა ხოლმე... მართლა იშლიდა ნერვებს, თუმც ამასაც გამოიყენებდა... პარლამენტი კი, თუ ასე გაგრძელდებოდა, საბოლოოდ დაუკარგავდა ავტორიტეტს.

ხვალ უნდა ჩაეწერა რადიოში „ენუქას ანდერძი".

ძველი „ლიტერატურული საქართველო" მოჰყვებოდა ხელთ გუშლამ, წაიკითხავდა თავისივე ჩანახატებს: გიორგი ლეონიძეზე, პავლე საყვარელიძეზე, კონსტანტინე გამსახურდიაზე, გალაკტიონ ტაბიძეზე. იფიქრებდა: მივამატებ პოლიკარპე კაკაბაძესო, — და იოლი მოეჩვენებოდა. პავლე ინგოროყვაც? ერთხელ შეხვედროდა სულ, სუფრაზე, ფუნიკულიორზე... საკმარისად მიიჩნევდა. კიდევ ვინ? იანგარიშებდა, ახლაც ანგარიშობდა. ვინ იყო ამათთვის გამორჩეული პიროვნება. ჩამოთვლიდა გუნებაში. ცოტანი... ჩამონერდა ყველას...

მიხეილ ჭიაურელი? ვიღას ახსოვდა ახლა იგი. სერგო ზაქარიაძე — მართალს ვერ დაწერდა. აკაკი ვასაძე — შეიძლებოდა. აკაკი ხორავას არ იცნობდა. დავით რონდელი? საინტერესო იქნებოდა, მაგრამ სხვისთვის რას წარმოადგენდა! ამ რანგში ვერ გადიოდა. კონსტანტინე ლორთქიფანიძე — ეგ საინტერესო იქნებოდა... გიორგი ნატროშვილი — უკვე გაემზადებინა ერთი ეპიზოდი. შოთა ჩანტლაძე — ეგ უკვე მისიანი გახლდათ და ასე თუ მოჰყვებოდა — ნოდარ დუმბაძე, თამაზ მელიავა — მოგონებანი გამოვიდოდა. მინიატურები უნდა ყოფილიყო, ჩანახატები უფრო სწორად.

შე დიდო კაცო! — მთვრალ ოთარ ჭელიძეს ეცოდინებოდა ამგვარი მიმართვა.

ვინ იყო ეგ დიდი კაცი რეზო ჭეიშვილის მახსოვრობისა? იყო ალბათ და ეს ვერა ხედავდა, არა ჩანდა... იზრდებოდა ან იბადებოდა...

ჩაინიშნავდა იმ ნაამბობსაც:

ჩამოკონკილი ტერენტი გრანელი ზურგზე რომ შეახტებოდა დენდივით გამოწყობილ გრიგოლ რობაქიძეს რუსთაველის გამზირზე. ის თეთრი ხელთათმანებით გაიწმენდდა თურმე სერთუკსა თუ ფრაკს, წაიძრობდა იმ თათმანებს, ჩაჰყრიდა ქუჩის საფურთხელებელში და განაგრძობდა გზას უკანმოუხედავად...

26 ნოემბერს უმრავლესობის შეკრება გაიმართებოდა. შევარდნაძე დაწყობილად ილაპარაკებდა, დამშვიდებულადაც, მაგრამ შეცვლილიყო ძალიან.

— არ მეშინია სიკვდილის, — განაცხადებდა.

არ დაიჯერებდა რეზო: დებილებს არ ეშინიათ მხოლოდ, თუმც არც ეს იქნება სწორი, იმათაც ეშინიათ — ცნობიერადაცო...

შევარდნაძე სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებოდა განუწყვეტლივ... გადაღლილიყო აშკარად... თუ არ გაითიშებოდა, არც დაისვენებდა: გლახა რამ დაემართება, ისე მე ვიცოცხლოო, — გაიფიქრებდა რეზო.

და მიადევნებდა: კარგად მაქვს „კუდიან ვარსკვლავშიო“:

— ეხ, მიტუშა, მიტუშა, ჩემი ჭკუა მომცა და შენი ბოხოხი!

ვერადავერ დაეწყო ბეჭდვა. ხვალ ჩაიდგამდა ლობიოს და შეუდგებოდა...

27 ნოემბერს ჯაბა იოსელიანს დაუცლიდნენ კვლავ ლაღუმს ყურისძირში, და შეეჭვდებოდა რეზო: თვითონ ხომ არ მოუწყო თავს ამჯერზე, ვინაა აბა ასე თავმოძულებული, მოსაკლავად რომ დასდევსო?

ხომ აპირებდა რომანს ვარლამზე? მიხვდებოდა: ველარ მოვასწრებო, — და ხელს აიღებდა... ზეპირად იტყოდა რამდენიმე ეპიზოდს მაინც და ახლა დაებადებოდა აზრი გამთლიანებისა. ამგვარი ეპიზოდებით გაავსებდა ერთ წიგნს. შეიძლებოდა და კარგიც იქნებოდა. რამდენი უნდა მოესწრო. რაც დასახულიყო, და მორჩა: მეტს აღარ შეებმოდა.

ორი სცენარი უნდა გადმოღებულიყო პროზად („ტურანდოტი“ და „ფეხბურთი“), „გიული ჯანდიერი“ და „თამარ ცბიერი“ — საბოლოოდ. ზეპირი ნოველები ასაკრეფი გახლდათ, „კუდიანი ვარსკვლავი“ გასამზადებელი, შესავსები, პაპუნას ციკლი? მწერალ-მოღვაწეთა პორტრეტ-ჩანახატები?..

უგროვდებოდა მაინც...

მეორე დღეს ჩაუფიქრდებოდა, რომ:

ცდა არ დაგვეკლო „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციისათვის. საერთაშორისო ასპარეზზე მის გასატანად ვიღვაწებდით, ვეცდებოდით, მოვინდომებდით... შედეგმაც არ დააყოვნაო, ვერ ვიტყოდით. ილია ჭავჭავაძიდან ვასილ მჟავანაძემდე ივლიდა ეს საქმე... სტალინიც ვერ გვიშველიდა.

მოლა ნასრედინი უფრო ცნობილი გახლდათ — არც უკვირდა რეზოს — საზღვარგარეთ, ვიდრე — ომარ ხაიამზე რომ არაფერი გვეთქვა — „ვეფხისტყაოსანი“. პატარა ერის შვილის ქმნილება რომ იყო, მარტო ამით შეიძლებოდა ამ ფაქტის ახსნა? ვერ დაიჯერებდა. დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია“ გადმოეღო, რუსული თარგმანი, ეკითხა და ამიტომაც მისულიყო ამ ფიქრამდე.

ამ წიგნის — „ღვთაებრივი კომედიის“ — სიდიდე კი აღსაქმელი ექნებოდა, როგორც ჩანდა. დასაწყისი აღაფრთოვანებდა, პირდაპირ პირველივე სტრიქონი რომ გეჯახებოდა:

ჩემი ცხოვრების ნახევარგზაზე შემომაღამდაო.

აღარ გაახსენდებოდა, კონსტანტინე გამსახურდია, დანტეს ეპოსის ქართულად გადმომღები კონსტანტინე ჭიჭინაძესთან ერთად, ისე რომ მოხიბლულიყო ამ სტრიქონით, სულაც გაითავისებდა და კონსტანტინე სავარსამიძეს, თავის ალტერ ეგოს, ათქმევინებდა, როგორც შეფასებას პირადი თავგადასავალ-დრამატიზმისა, მასაც ცხოვრების ნახევარგზაზე რომ შემოაღამდებოდა.

დადგებოდა დეკემბერი და ჩაწერდა სამ ნოველას, თუმც ამ ჟანრს პირობითად უფრო მიუსადაგებდა. პირველი — „ეროვნული თავაშვებულობა“ — მოსმენისას ბევრი ვერაფერი აღმოჩნდებოდა ამორფულობის გამოისობით. ეს ორი კარგი უნდა ყოფილიყო. როდესაც ფურცელზე გადაიტანდა, ყველაც კარგი უნდა ყოფილიყო.

ტელევიზორში გამოვიდოდა ლანა ღოღობერიძე და ილაპარაკებდა ქართულ კინოზე... იძახებდა და იძახებდა, თითქოს კინო გადაგვარჩენდა, თუ კინო გვექნებოდა, აღარა გაგვიჭირდებოდა რა! არადა რეზოს აღარა სჯეროდა კინოსი, ქართულისა თანაც. ისევ სიზმარში, ბურანში ვიმყოფებოდით.

5 დეკემბერს შეხვდებოდა ნოდარ წულეისკირი:

—წერაქვში ვარ, კარტოფილი მომყავს, ვუსმენ რადიოს, შენს ნოველებს.

— მოდი მწერალთა კავშირში, — შესთავაზებდა.

— არა, გარიცხული ვარ.

— არავის არ გაურიცხიხარ, თვითონვე გახვედი, — სხვას არას შეახსენებდა.

— შენთან გასაყოფი არაფერი მაქვს.

— არც გქონია.

დღიურში კი ჩაინიშნავდა:

პატიოსანი კაცია, მწერალი. დაიწყოს უნდა შერიგების, სინანულის დრო, ერთნაირად გვიჭირს ყველას ბოლობოლო. ბევრი მოვა ჭკუაზე. ყველა ვაშაევებდით და მაინც ჩვენ უფრო სწორი ვიყავითო...

„შადრევნების ვედრება“ ერთი საუკეთესო რომ ეგონებოდა რევაზ თვარაძეს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში, რეზოც და ალბათ ბევრი სხვაც არ გაიზიარებდა ამ მოსაზრებას და 6 დეკემბერს ერთხელ კიდევ ჩაუკვირდებოდა ამ უჩვეულო პოეზიას.

რევაზ თვარაძეს კი 10 ლექსს რომ დაასახელებინებდნენ გაზეთ „კავკასიონში“, პირველად ამ ნიმუშს დასვამდა.

რეზოს აზრით: არც პირველი გახლდათ და არც მეათე „შადრევნების ვედრება“, მაგრამ ნიშანდობლივად მიიჩნევდა მის გამოყოფას, ყურადღების გამახვილებას მასზედ.

ფრანგულ სიმბოლიზმს დაესესხაო, ამტკიცებდნენ და რეზო ამაში სიმართლეს ხედავდა. მთავარი მაინც სხვა რამ იყო: იგი — შეიძლება ერთადერთიც — უყოყმანოდ დადგებოდა იმ მხარეს და იმთავითვე უარყოფდა ამისთანებს: ქართველო, ხელი ხმალს იკარო; ცხრა ძე ჰყავდა, ცხრა ვაჟკაცი დედასო; დავიღლები საქართველოს სიყვარულში, სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებო.

ფრანგული ქსოვილი ემჯობინებინა.

კიდევ სხვა: სადღეგრძელოს პოეტებს — აბსოლუტურ უმრავლესობას — არ გაჰყვებოდა.

კიდევ: ჩაკეტილი სივრცის — ბილიკები, კბოდეები, რიონი, შორს მთები, ზღვის სუნთქვა — შიში და თრთოლვა გამოჰყვებოდა. ამაზე — ეს უნდა ყოფილიყო მთავარი — არც გაემახვილებინა ყურადღება. სხვათა დიაპაზონისა შურდა აშკარად — ხაშში კეპის ჩახარშვა არ შეეძლო და რუსეთთან კავშირი ვერ დაემყარებინა (აქ რეზო ცისფერყანწელებს გადაჰკრავდა, უპირველესად კი მაინც ტიციან ტაბიძესა და პაოლო იაშვილს).

შემდეგ დროსაც ჩამორჩებოდა, ლექსს ვეღარ დაწერდა და ძველ დაწერილს გააფუჭებდა კიდეც.

სიამაყით მიითვლიდა რეზო, რომ:

გალაკტიონის გახსენების, მოგონების საღამოსათვის თვითონ მიექცია ყურადღება. სიტყვასაც იტყოდა და არ დაბეჭდავდა. ოთხ შეხვედრას რმო გამოაქვეყნებდა ჩანახატებად, გალაკტიონი იქაც მოენიშნა. და ეჭვიც არ ეპარებოდა, ვრცლადაც რომ მოუწევდა მასზე ლაპარაკი. მოვიდოდა ამის დროც.

ჯანსულ ჩარკვიანი ლექსებს უგონებდა უმრავლესობის უმცირესობას, თენგიზ კიტოვანს, და აცინებდა უმცირესობის უმცირესობას, მათ შორის ედუარდ შევარდნაძესაც.

„ყაჩაღები" კარგი უნდა გამოსულიყო... რომ ჰყოფნოდა ძალა და ხელმეორედაც შეძლებოდა გადაბეჭდვა, მთლად კარგი იქნებოდა, მაგრამ... ვერ შეძლებდა ალბათ.

ყველას ეშველებოდა, მაგრამ ჩვენს საშველს კი ცუდად ხედავდა სამწუხაროდ.

რად გადაქცულიყო „ლიტერატურული საქართველო" და რას დამსგავსებოდა ჩვენი პრესა. აი ესეც თავისუფლება პრესისა: საზიზღრობა, პროვინციალიზმი, უგემოვნობა, უკულტურობა, უზრდელობა, უწიგნურობა.

24 დეკემბერს გამოვიდოდა „დალი". როდის აეწყო და როდის დაბეჭდილიყო. ფულს მომიტანსო, ეიმედებოდა. კიდეც შეიძლებოდა. ახლა კი... ხვიშტი. რად უნდოდა, რომ გამოსცემდა!.. გადასასინჯი და გადასაყრელი ეჩვენებოდა ბევრი რამ, ეს კი მოსწონდა, ნაღდად მოსწონდა, რასაც აკეთებდა.

„ყაჩაღებზე" კვლავ დანანებით უნდა ჩაენიშნა: ხელმეორედ რა გადამაბეჭდინებსო. „ჭიდაობას რა უნდა" მოსწონდა — სახიერია, წასაკითხია, წაგაკითხებს თავს, თუ მტრულად არ შეხედავ, მოგეწონებაო. „ასკილის წითელი ყვავილი" და „ყაჩაღები" აჯობებდა ცხადია... კიდევ „კუდიანი ვარსკვლავი". ინატრებდა მის გამოცემას დროზე!.. კიდევ ნოველებისა — რჩეული შედგებოდა... მაინც არ იქნებოდა თავისი თავით კმაყოფილი. რადიონოველებსაც დააყენებდა გზაზე. დაბეჭდავდა ციკლად და ეგ იქნებოდა. აჯობებდა!..

და ნამოაგონდებოდა ნიკოლო მინიშვილის ის ლექსი, მოწონებით რომ აღნიშნავდა: მიიპარება ორლობეში ჩემი სოფელიო...

შობა დღეს გუშინწინდელი პრემიების დარიგება გაახსენდებოდა და მოჰკიდებდა დღიურს ხელს ამ დილაადრიან.

— რვა პრემიაა და ცხრა მსურველი, — მურმან ლებანიძე გამოაცხადებდა, პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე.

გურამ ფანჯიკიძე თანხას დააზუსტებდა და:

— ერთს მე გადავიხდი, ცხრავეს მივცეთ.

— სახელმწიფოს ჩვენი დასახმარებელი რა სჭირს! — მურმანი იხუებდა (მაინცდამაინც ამ სიტყვას ამჯობინებდა რეზო).

— მაშინ რა, — წარმოიშობოდა ასეთი აზრი, — ერთის გასაგდებად ვიკრიბებით?

მურმან ლებანიძეს ერთი კაცის გაგდება სურდა ზუსტადაც. ამას ეგონებოდა, რევაზ ჯაფარიძეს ერჩოდა, და თურმე — გიგლა ხუხაშვილს. არადა

იქ იქნებოდა მთელი ამათი ბრწყინვალება და... გაშავდებოდა მხოლოდდამხოლოდ გიგლა... იჩხუბებდა რეზო, არჩილ სულაკაური დაუჭერდა მხოლოდ მხარს... როგორ სერიოზულად შეკრებილიყვნენ და როგორი გულმოდგინებით შლიდნენ თურმე გიგლას — ძმები ჭილაძეები განსაკუთრებით...

სახელმწიფო პრემია დაერქმიათ. სახელმწიფო არ გაგვაჩნდა და პრემიებს ვარიგებდით. თავმოყვარე კაცი როგორ დააკარებდა ხელს... ადრე „ხუთწლედის მატიანე" ერქმეოდა, რევაზ ინანიშვილი რომ მიიღებდა.

— არ გეუხერხულება? — ეს ჰკითხავდა.

— რატომ? — გაიკვირვებდა ის, — მაინც პრემიაა.

რეზო დარწმუნებული გახლდათ: თვითონ არ მიიღებდა, ქვეყანა რომ დაქცეულიყო. საერთო სიაში თუ მოხვდებოდა, მაშინ — რატომაც არა... მაგრამ შერცხვებოდა... და მწარედ გადაჰკრავდა თანამოკალმეებს: ოღონდ რაიმე მიიღონ... კომკავშირის პრემიაზე როგორ იგლიჯებოდნენო...

რევაზ ინანიშვილს, 50 წელს გადაცილებულს, მწერალთა ყრილობაზე დელეგატად არ აირჩევდნენ. 30 თუ 40-კაციან სიაში არ ჩაწერდნენ... სტუმრად თუ წამოხვალ, წამოდიო, შესთავაზებდნენ. და... ესეც აიღებდა ჩემოდანს და გაჰყვებოდათ სამოწყალოდ: მაინტერესებსო.

შემდეგ მდივნად დანიშნავდნენ: კახელი არა გვყავსო. და — მეშვიდე მდივნად.

მე რა მეთქმისო, — თავის თავზე გაღიზიანდებოდა რეზო, — რა მინდა, სადაც ვარ? მართალია შემთხვევით მოვხვდი ამ თანამდებობაზე, თანაც სხვა დროში, სხვა სიტუაციაში, მაგრამ მაინცო.თავის სამართლებლად ეს საკმარისი არ ეჩვენებოდა.

მეორე დღეს ედუარდ შევარდნაძეს შეხვდებოდა, მთლად წითელი იქნებოდა და შეეცოდებოდა რეზოს: რა დღეშია ეს კაციო! რა ხალხი ახვევია: ნაბიჭვრები, ქურდები და ყაჩაღებიო.

თითქოსდა იმისივე შეკრებილი გუნდი არა ყოფილიყოს!..

ეტყოდა, რაც საჭირო იყო:

— თუ რადიკალურ, შენთვისაც კი მოულოდნელ ზომებს არ მიიღებ, არაფერი გამოვა.

დაელაპარაკებოდა ელგუჯა ამაშუკელის ძეგლის დადგმასა და ბაგრატის ტაძრის აღდგენაზე. ის თავს უქნევდა: ყოველნაირად თქვენთან ვიქნებიო.

კიდევ რას ეტყოდა რეზო და:

— ჩვენს სიმართლეს ჭარბობს აფხაზთა სიძულვილი ჩვენდამი. უფრო სწორად — ჩვენი სიმართლე იმ სიძულვილს ვერ გადაფარავს. ამას გარკვევა უნდა, შეთანხმება უნდა.

ეს სიტყვები ჩაივლიდა, ის მხოლოდ ამას იტყოდა:

— ჩვენ შევალთ აფხაზეთში, ან მშვიდობიანად, ან ძალით...

და რეზო მწარედ გაიფიქრებდა: აქ თუ ატყდა ომი, კარგად იქნებიან მზადო!..

თავი მესამე

1994 წელი

ახალწლის ღამეს ატყდებოდა სროლა და რა სროლა — მსგავსი რეზოს არასოდეს სმენოდა. შერყეულიყვნენ უცხოელები: რას ზეიმობენ ქართველები, რა უხარიათო!.. ჩამოაყენებს შევარდნაძე რუსის ჯარსო? ასე იზამს მართლაც და სხვა საშველი არ არისო, თავის მხრივ უდასტურებდათ რეზო.

დაასაფლავებდნენ ოთარ ნოდიას, მთარგმნელობითი კოლეგიის თავმჯდომარეს. საფლავზე სიტყვით გამოვიდოდა ნაირა გელაშვილი და განაცხადებდა:

— მწერალთა კავშირი ებრძოდა, სასამართლო მოუწყეს...

გაცოფდებოდა გურამ ფანჯიკიძე და ქელეხზე აღარ წავიდოდა. არ უნდა მოსულიყო დაკრძალვაზეც კი.

მწერალთა კავშირი — ჩემამდეო, საგანგებოდ ჩაურთავდა რეზო — მართლა ებრძოდა გააფთრებით, უსამართლოდ, უსინდისოდ. რატომ? რისთვის? პატარა, პაწაწინა ბოღმისა და გამორჩენისათვის, სულმოკლეობის საზეიმოდ.

ჯაბა იოსელიანის გვერდით მოხვდებოდა 1994 წლის 18 იანვარს, დიმიტრი ჯანელიძის დაკრძალვაზე, და ეტყოდა:

— მწერალთა კავშირის წევრი ხარ. მიგიღეთ ახლა.

იმას გაუკვირდებოდა, არა სცოდნოდა.

— ბოლოს მწერლობას დაუბრუნდები, — დასძენდა რეზო.

— ვერ მოვიცლი, — იმან.

და ჩაერეოდა ლაპარაკში გიგა ლორთქიფანიძე:

— მოუცლელობა, რასაც აკეთებ, ისაა, და რასაც არ აკეთებ, ის არის საქმე.

ამის შემდეგ კი პარლამენტში საშინელ დღეს დააყრიდნენ ჯაბას, გაუძლებდა და მაინც შეეცოდებოდა რეზოს: მაინც ბერიკაცია, ზღვარზეა, ჰადა-ჰაო!..

თვის მიწურულს „ასკილის წითელი ყვავილის“ ფორმებს მიუტანდნენ „მნათობის“ რედაქციიდან.

— მაინც აღარაფერი ჩასწორდება, — არჩილ სულაკაური ეტყოდა, — საბეჭდადაა მზად.

და ესეც აღარ დააკარებდა ხელს. გადაათვალიერებდა და იცინებდა კიდეც ალაგ-ალაგ... „ყაჩაღებიც“ გაემზადებინა უკვე — ბოლო ორ გვერდსღა გადაბეჭდავდა ხვალ... ესეც მოსწონდა და ისიც...

გადაბეჭდავდა „ყაჩაღებს“. ვითომ „აბრაგები“ სჯობდა სათაურად? არც ერთი ექნა ღმერთს და არც მეორე. ჩაასწორებდა და არ იჩქარებდა. კიდევ უნდოდა გაეკრა ხელი, კიდევ წაეკითხა. ისეთი განცდა გაუჩნდებოდა, რომ: ეს იქნებოდა, თუ ყველაზე უკეთესი არა, ერთ-ერთი საინტერესო თხზულება არამარტო მის შემოქმედებაში. ამიტომაც არ უნდა ეჩქარა.

— ხუთი მწერალი ხართ სულ, — მთვრალი პაატა კოლუაშვილი მივარდებოდა ზურაბ გოგიას ქელეხის შემდეგ, ნატანჯი, ნაპატიმრალი კაცისა, მწერლობასაც რომ მოეკიდებოდა, მერე პარლამენტშიც მოხვდებოდა და... ბრმა ბედისწერით დაიღუპებოდა ავტოავარიაში, — ოთარ ჭილაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ დოჩანაშვილი, ჯემალ ქარჩხაძე და შენ...

ბევრჯერ გაიმეორებდა და ეს თავს უქნევდა მხოლოდ, გულში კი გაიფიქრებდა:

ჩემი პრინციპი სხვაა, იმათი — სხვა. თუ იმნაირი ვარ, ჯობია დავანებო მწერლობას თავი დღესვე და დავწვა, რაც დამინერიაო.

წერდა, რათა სიხარული მოეტანა მკითხველისათვის, ან ეცინებინა, ან ეტირებინა, თავი წაეკითხებინა. უნდა სიხარულით ეკითხათ, კი არ უნდა დატანჯულიყვნენ. რეზო კი იტანჯებოდა იმათ ნაწერებზე — ჭაბუას გარდა — და უხაროდა ყოველი გახსენება: ჯონათან სვიფტის, მიგელ დე სერვანტესის, უოლტერ სკოტისა... მწერალი რომ კაცს დატანჯავდა, ის რა მწერალი უნდა ყოფილიყო. გაბრიელ გარსია მარკესი ნიჭიერი გახლდათ და ამიტომაც ასატანი, მისი და უილიამ ფოლკნერის მიმდევარნი კი — ულიმღამონი.

„ქალი სილაში“ როგორ მოსწონდა, კობო აბესი, აკუტაგავაც, სხვებიც... მრავალნი, ერთი შეხედვით, ცოტანი სინამდვილეში...

და ამ გადმოსახედიდან ისე მკაცრად მიმოავლებდა მზერას თავის ნამოღვაწარს...

ბევრი მაქვს მეც გადასაყრელიო.

არ ამთავრებდა ხოლმე და გულდაწყვეტილი რჩებოდა. ეს უნდა გადაებეჭდა. ხელახლა გადაბეჭდვა ეძნელებოდა, მაგრამ არ უნდა აჩქარებულიყო...

24 თებერვალიც დადგებოდა და... დაემარხათ საბოლოოდ ზვიად გამსახურდია. ჩეჩნეთს პატივით მიეღო საქართველოს პირველი პრეზიდენტი. გული დასწვოდა თურმე ჯოჰარ დუდაევს, ჩვენი დამოუკიდებლობის დაკარგვას განიცდიდა. ლექსი დაეწერა ჯანსუღ ჩარკვიანს, დაებარებინა თითქოს განსვენებულს: ჩეჩნეთში დამმარხეთ და ირაკლი გოცირიძე ჩამატანეთო...

ხელდახელ კინაღამ დაერეოდნენ დღეს პარლამენტში ერთმანეთს უზრდელები და ნაკლებზრდილობიანნი — ამგვარ განსაზღვრებას ამჯობინებდა, ჭეიშვილურს. ჩაიშლებოდა სესია და... ძალდაუტანებლად მოჰყვებოდა ენაზე ის ცნობილი რითმა: სად იყო ბესიაო?

და იმისი სახება რომ წამოუტივტივდებოდა, დღიურში მაინც ჩაინიშნავდა, რომ:

კარგი ორატორი იყო მართლაც ბესო ჟღენტი. ახლა აღარც იყო ამნაირი. ცოტა მონოტონურად მირეკავდა, მაგრამ საინტერესოდ, დაწყობილად, წამოყივლებით, უხდებოდა დაბალი ყივილი, ლაპარაკობდა. კარგად ცინებდნენ ზოგიერთები. ახლა აღარავის ახსოვდა. რეზო იჯდა მგონი მის ადგილას მწერალთა კავშირის მდივნად. ამას მართლაც ვერ წარმოიდგენდა. მის ადგილში და არა მის მოვალეობაში.

მართლაც ომი იქნებოდა 1 მარტს პარლამენტში — ესენგეში შესვლის რატიფიკაცია. გაიმარჯვებდა უმრავლესობა.

გალანძღავდა ქვეყნის მეთაურს თამარ ჩხეიძე, რეზო ბინძური წყლიდან ამოთრეულ ყვინჩილას რომ მიამსგავსებდა. დედას აგინებდნენ და ლანძღავდნენ ყველას, ქალს, კაცს, უფროსს, უმცროსს. კოშმარი იდგებოდა. თავატკიებული წამოვიდოდა შინ. სამაგიეროდ გაზაფხული მოდიოდა — ეს იყო მთავარი — კარგი. ეთბილებოდა.

ბაგრატის ტაძრის აღდგენის დაწყებას ართულებდნენ, როგორ ელოდა... აღდგენის შემდეგ ძეგლი აღარ იქნებაო, ვახტანგ ბერიძეს, ირაკლი ციციშვილსა და სხვებს ებრძანებინათ... რეზოსათვის ძეგლზე მეტი გახლდათ ის. მოუხდებოდა გამოსვლა და ლაპარაკი ამის შესახებ.

თენგიზ აბულაძე გარდაიცვლებოდა. იცოდა და არ ელოდა თითქოს. პარლამენტში ხელახლა დაუახლოვდებოდასავით. იჯდა და ხმას არ იღებდა, შესვენებებზე ილაპარაკებდნენ.

ზედ არ უყურებდნენ, თითქოს არც არსებობდა თენგიზ აბულაძე. და მწარედ ჩაურთავდა რეზო: პოლიტიკოსებისათვის, მრავლად რომ გვყავს ღვთის მადლით, ჩვენ ხომ არც ვარსებობთო!..

ახალ იარლიყს მიაკერებდნენ ოფიციალურად: მსოფლიო რეჟისორიო.

წერილის დაწერას შესთავაზებდა გაზეთი, ეს იფიქრებდა და... უარს იტყოდა მეორე დღეს. არ იყო და არც არასოდეს ყოფილიყო ამოდენა თუ იმოდენა წარმოდგენისა მის რეჟისურაზე, მის კინოზე. იხსენებდა და ადრინდელზე მეტად მოსწონდა „ვედრება“, „ნატვრის ხიდან“ — ადგილები. სილამაზის რაღაცნაირი შეგრძნება ჰქონდა თენგიზს, ფერის აღქმის, გაფერადების სურვილი. ხოლო შინაგან სითბოს, სიყვარულს, სიმართლის ღრმად წვდომის უნარს მოკლებულიყო... არ შეეძლო გადაეღო „შერეკილები“ და „არ იდარდო“. გარეგნულ ფორმებს ეძიებდა, თუმც მსახიობებთან მუშაობა შეეძლო. ისინიც თავისას — სესილია თაყაიშვილი, გრიგოლ ტყაბლაძე, სანდრო ჟორჟოლიანი — შეიძლებდნენ... ეს ყველაფერი ისტორია იყო უკვე და დღიურში მის ადგილს ვერ ხედავდა...

„კუდიან ვარსკვლავზე“ დაიწყებდა ფიქრს.

ადამიანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო უბედური, არც ბედნიერი. ეს იგივე გახლდათ — აღმართი მეტია თუ დაღმართიო?

ადამიანი უბედურიც იყო და ბედნიერიც, რამდენადაც ბედნიერი იყავი, იმდენადვე უბედურიც. ერთი შეხედვით თითქოს ასე არ იყო. ერთი ბედნიერი გახლდათ, მეორე — უბედური. ჩვენ ნაწილებს ვხედავდით და იმიტომ... გახედავდი თავიდან ბოლომდე გვარს, ჯიშს — ასეც იყო, ისეც. აღმართ-

დაღმართებით მოდიოდა შენი შტო, სისხლი, გენი, ჯიში. ყველა კი ერთმანეთს ჰგავდა...

ჩამოაყალიბებდა და მიხედავდა.

23 აპრილს, თავისი დაბადების წინა დღეს, კვლავ გიორგი გურჯიევს წაიკითხავდა სამსახურში. ჯერ ისეთი არაფერი, პრაგმატიკოსი ჩანდა, თუ სწორად უსადაგებდა რეზო ამ სიტყვას. ხშირად იშველიებდა შედარებებს საათებთან, მექანიზმებთან, ქანქარებთან... სულს მანქანებს ადარებდა — განგებ ცხადია... თავისი მოსაზრებანი უჩნდებოდა კითხვისას რეზოს.

უნდა გავამარტივოთ სათქმელი და საფიქრალიო, — ეს მოეწონებოდა.

ენაც აზრის გადმოცემის სრულყოფილი საშუალება არაა, ყველას სხვადასხვანაირად ესმის ერთიდაიგივე სიტყვები და წინადადებებიო, — ეს მოსაზრებაც მოეწონებოდა პრინციპში.

რიცხვითი გამოხატულება შექმნიდა სიზუსტეს. რიცხვების ენა ყველასათვის ერთნაირი, ერთნაირად გასაგები იქნებოდაო, — ამ შეხედულებას ცოტა დაეჭვებით შეხედავდა, მაგრამ მერე გადაწყვეტდა, რომ: ესპერანტოს აჯობებდა ნაღდად და პრაქტიკულადაც შეიძლებოდა ალბათ — ყველასათვის ერთნაირად გასაგები — დამხმარე ენის შექმნა.

28 აპრილს ჩაიწერდა, რომ:

გარდაიცვლებოდა თემურ მაღლაფერიძე, მოულოდნელად, სვამდა, ნერვიულობდა — როგორც ყველა — და ორიენტაციაც არ ექნებოდა მთლად დაკარგული... ერთად სწავლობდნენ, ერთად დაამთავრებდნენ უნივერსიტეტს. დიამეტრალურად განსხვავდებოდა მათი აზრები და შეხედულებანი ხშირად, კამათს არ ამწვავებდნენ, ერიდებოდნენ ალბათ ერთმანეთს. ბევრი რამის გახსენება შეეძლო... თუნდაც პრაქტიკის — ქალთა ლეგიონში რიგგარეთ — ზედაკურსელებთან — მოუწევდათ ლევან მენაბდის წყალობით მოგზაურობა... შემდეგ ლენინგრადი, მოსკოვი... შემდეგ სამსახური, მწერლობა, სუფრები...

ხვალ წითელი პარასკევი თენდებოდა. არ შეიძლება დალევაო, „არსენას ლექსიდან“ ახსოვდა მასაც, და ყოველთვის, დაკვირვებული გახლდათ, ამ დღეს უწევდა დალევა კი არა მხოლოდ, სულაც დათრობა...

წაიკითხავდა რაბინდრანათ თაგორის მოგონებებს... გაიხსენებდა აკაკის „ჩემ თავგადასავალს“. შედარებაც არა სჭირდებოდა, იმდენად მაღლა იდგებოდა აკაკი. ლევ ტოლსტოის „ბავშვობისა და ყრმობისათვის“ შეგეძლო მხოლოდ დაგეტოლებინა „ჩემი თავგადასავალი“, თუკი აუცილებლობა მოითხოვდა.

6 მაისს ჩაატარებდნენ პლენუმს მსახიობის სახლში. რეზო იტყოდა სიტყვას, ბევრ რამეს შეიძლება ვერც კი მოზომავდა. ბეჭდავდა მანქანაზე და გამოაქვეყნებდა. ეგრე სჯობდა. ფერების სეზონი გასულიყო, უკვე უნდა მოკითხვოდა ედუარდ შევარდნაძეს... გადასცემდნენ ალბათ... გამოჩნდებოდა, რა რეაქცია ექნებოდა...

ტელევიზიით აჩვენებდნენ „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალს“. ადრე საპირველმაისოდ გადმოსცემდნენ, ახლა 9 მაისს დაამთხვევდნენ და სწორა-

დაც მოიქცეოდნენ. გიზო ზარნაძე გაასცენიურებდა. არ ჩაერეოდა რეზო და... ახლა ნანობდა: ჩემდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდო... შემდეგ დაწერდა პიესას ეროსი მანჯგალაძის თხოვნით. არ დააყენებდნენ საშველს, როგორც თვითონ ეტყოდა და... გარდაიცვლებოდა მოულოდნელად მეორე დღეს. პიესა საინტერესო გამოვიდოდა, მაგრამ... ვის უნდოდა, ვის აინტერესებდა, როცა დღევანდელობა, ახალი უბედურება დაჩრდილავდა და დაასამარებდა ძველ ჭირსა და სატკივარს. ეს ვიღას სჭირდებაო, დაასკვნიდა და საბოლოოდ ჩაიქნევდა ხელს. თუმც ახლა ფიქრობდა: არც ეგრე უნდა იყოს საქმეო... უნდა გადმოეღო და წაეკითხა ხელახლა ამ მოუცლელობის ჟამს...

უცვლელად გადასცემდნენ ტელევიზიით შუადღეს გაერთიანებულ პლენუმს. არც მოეწონებოდა და ქეც მოეწონებოდა რეზოს თავისი პერსონა. საღამოს სხდომაზე დაიწყებოდა პარლამენტში მითქმა-მოთქმა და მოტირილი: დიქტატურას ნატრობენო.

მისი სიტყვა ხვალინდელ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდებოდა.

საქუთაისო მზადება არევდა, თორემ დაიწყებდა ბეჭდვას „ყაჩაღებისა“... აგვიანებდა, ნამდვილად აგვიანებდა ერთის გამო მეორეს...

17 მაისს მიიღებდნენ ქუთაისში სამწერლო გაზეთს და დაინტერესდებოდა რეზო: რა რეაქცია მოჰყოლოდა, ვის რა ეთქვა იქ. ერთი შეცდომა მოსვლოდა. ცდებოდა იცოდა, მაგრამ თავს ვერ დაიჭერდა.

დაეწერა:

მომავლის მწერალი ვარო.

იცოდა, ასე რომ იყო, მაგრამ მაინც არ ასვენებდა დღევანდელობისათვის თავის შეხსენების სურვილი. რომ ვერ ცნობდნენ გარეგნულად, ესეც მოსწონდა სხვათა შორის, და რეზო ჭეიშვილს რომ არ იცნობდნენ, ეს უკვე აღარ მოსწონდა...

შეგუებოდა უნდა სინამდვილეს... ვერა? თავისი წილის ნაწილის ამოგება თუ დანახვა სურდა. გალაკტიონს რომ ეთქვა: ჩემთვის დღესავით არის ნათელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობაო, — მთლად ნათელი არც ეს ეჩვენებოდა რეზოს, რადგან რაღაც-რაღაცები დასანერი ჰქონდა. თავის დღევანდელობაში მათ რეალიზაციას გულისხმობდა.

ედუარდ შევარდნაძე მიეყენებინათ კედელთან... იცავდა თავს...

ეს რვეული თავდებოდა და რჩებოდა აქ, ქუთაისში...

ყველა რვეული აქ შეკრებილიყო... თუ ხანძარი არ გაჩნდებოდა, წაღებით არ მიჰქონდათ, ქურდების ხელშენავლები გახლდათ...

22 მაისს ჯურხა ნადირაძის ორმოცი შესრულდებოდა. საჩხერეში, ჭორვილაში, იხდიდნენ. წერდა დღიურებს და არა მალავდა. ცოლი მოატირებდა რეზოს: სულ კარგი უწერია თქვენზეო. უკვდავების სურვილი არ ასვენებდა მასაც... უკვდავთაგან — მათი საშუალებით — უკვდავი სურდა გამხდარიყო. მუხრან მაჭავარიანის ფენომენს მიიჩნევდა შესაფერისად. რეზოზე, რაღაც ეტაპზე, ხელს ჩაიქნევდა და ეს გაიფიქრებდა: სწორადაც მოიქცა ალბათო.

წიგნი მოკვდებოდა, კინოც... ცუდი დრო მოვიდოდა...

26 მაისი მშვიდობიანად ჩაივლიდა. მთაწმინდიდან დაიწყებოდა, შეხვდებოდნენ ედუარდ შევარდნაძესა და სხვებს...

— ინდოეთში მკვდრების დასაწვავი შეშა არა ყოფნით და დაუწვავ ძვლებსა და ხორცსაც მდინარეში ყრიან, — შევარდნაძე მოასწრებდა ამის თქმას.

მივიდოდა ილია ჭავჭავაძის სამარეზე, ესენიც მიჰყვებოდნენ. შემდეგ იაკობ გოგებაშვილი, მერაბ კოსტავასკენ პირადად რეზო არც გაიხედავდა. ერთ ყვავილს მოიტოვებდა და აკაკი წერეთელს დაადებდა გულზე. ამჯერზე ისინი წამოჰყვებოდნენ, თუმც იმას არაფერი ავიწყდებოდა.

პარადი უკეთესი იქნებოდა ადრინდელზე, ბოლოში მიაკომედიებდნენ ქართველურად, მგარამ არა ეშავებოდა რა. აწი და აწი უკეთესი იქნებოდა. საქართველოც იარსებებდა მთლიანობაში, სრულ დამოუკიდებლობას კი უნდა გამოვმშვიდობებოდით.

12 ივნისს დღიურს მიანდობდა ზოგიერთ დაკვირვებას დოდო აბაშიძეზე, რომელიც კინოსტუდიაში გაატარებდა ცხოვრების, სიცოცხლის დიდ ნაწილს და... სხვაგან კი იქნებოდა, რეზოს როგორი შთაბეჭდილებაც რჩებოდა. არ ყოფილა დოდოს ახლობელი, უახლოესი მითუმეტეს, მაგრამ დაკვირვების დროც ექნებოდა და საშუალებაც. ერთხელ იგი კინოკავშირის თავმჯდომარეობას გადაწყვეტდა, სერიოზულადაც იბრძოლებდა და... მწარედაც დამარცხდებოდა. უღალატებდნენ მისიანები. ფიქრობდნენ — როგორც ჩანს — ამ კაცს აქ რა ესაქმებაო. შეიძლება რეზოსაც, შეიძლება კი არა, ეგრე იყო ეგონებოდა, მისი საქმე არაა თავმჯდომარეობაო. არადა პირიქით გახლდათ. იმ თანამდებობას არც დაჯერდებოდა, რაღაც საქმე, წინამძღოლობა სურდა. რეზოსთვისაც რამდენჯერ ეთქვა:

— პარტიაში შევედი, რადგან სადმე ვიმუშაო სხვაგან, სულ კინოში ხომ არ ვიქნები.

რაღაც სურდა, სხვაგან იყო — ძველბიჭებში, საქმოსნებში, წარმოდგენებში, ფანტაზიებში. არ მოსულიყო ჯერ მისი დრო. ვერ გამოავლენდა თავს ბოლომდე. ამ დღეებს უნდა შესწრებოდა. ჯაბა იოსელიანიც ხომ ასე მონახავდა თავს. დარჩებოდა ხელმოცარულ დრამატურგად, ნაქურდალ პროფესორად, 9 აპრილი რომ არა. იგი ახლაც არ იჯდა თავის ადგილას, მაგრამ თავს სრულად გამოავლენდა. დოდო აბაშიძეს მეტი სიკეთე ჰქონდა, არ ყოფილა გასვრილი... ბიუსტს რომ უდგამდნენ, ზოგისათვის ეს მასხრობა იყო, მაგრამ რეზო სხვა აზრისა გახლდათ: უნდა დაუდგა დოდოს და არა მსახიობსო.

14 ივნისს განცხადებას გააკეთებდა პარლამენტში და გავიდოდა უმრავლესობიდან. და კიდეც გაანაწყენებდა ვახტანგ გოგუაძეს. თან ეღიმებოდა რეზოს: ქაჩალმა არ მოიფხანა და მერე სულ მოიღლიტაო, ისე ხომ არ დამემართაო.

დადგებოდა ივლისი და გაიმართებოდა ქართულიკინოფილმების ჩვენება კინოს სახლში... შემდეგ მწერალთა კავშირში უნდა განეხილათ. სათქმე-

ლი რეზოსაც ექნებოდა. რა გეკინოვებათო? — იკითხავდა ვიღაც. ამას რეზოც ეკითხებოდა თავის თავს. კინოს სახლის წინ მიტინგს მოაწყობდნენ მომიტინგენი. რეზო „ყაჩაღებს“ გაატანდა ზაურ კალანდიას „ცისკარში“ გამოსაქვეყნებლად. „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდვას გადაიფიქრებდა და მიიჩნევდა: სწორადაც მოვიქეციო.

ორი კაპიკი ექნებოდა ბანკში შეტანილი და ვეღარ იღებდა... თავს ირჩენდა ამონაგებით და ესეც შეუწყდებოდა ატყობდა... იღუპებოდა ხალხი... შიმშილობდნენ... რთულდებოდა ყოფა, ძნელდებოდა. აფხაზეთშიც ვერ ლაგდებოდა ჩვენს სასარგებლოდ მოვლენები.

24 ივლისს შეიტყობდა, რომ სატურნს დაჯახებოდა რაღაც უბედურება მეტეორი, მაგრამ ნამეტანი დიდი — ჩიკაგოდან ტოკიომდე. ნეტა საიდან გაეზომათ, წყნარი ოკეანიდან თუ ატლანტიკიდან? ყურზე ხელი რომელი მხრიდან გვქონდა მოკიდებული? დედამიწის ხელაო — ამასაც იტყოდნენ — ჩვენსკენ მოდიოდა თავდაპირველადო — ამასაც ივარაუდებდნენ. კაი დღეც დაგვადგებოდაო, იჯერებდა და ვერც იჯერებდა რეზო. მეცნიერები მის დასაშლელადაც ემზადებოდნენო. და რეზო დაინტერესდებოდა: აჯახებდნენ წყალბადის რაკეტასო? სატურნს რაც დამართოდა, მილიონ წელიწადში ერთხელ ხდებოდა და მომხდარიყო კიდეც. იმ ერთ მემილიონედში მოვყოლილიყავით? და სუნთქვა შეეკვროდა რეზოს: დაეჯახება ერთხელ იქნება დედამიწასაცო.

და ნიკოლოზ ბარათაშვილი წამოაგონდებოდა: მაშინ ვინღა თქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოსო?!.

ანდა რეზო რისთვის ავსებდა ამ რვეულებს? მეტეორს ვინ დაეძებდა, ხანძარი ერთი, ღმერთი ნუ გაგვიმეტებდა, და მორჩა... ანდა ერთი შინაური ომი...

ჩატარდებოდა კინოს საღამო. კინოაკადემიკოსებთან გაიხსნებოდა კინოაკადემია. ესაო, განუცხადებდნენ, მეოთხეა მსოფლიოშიო. და რეზო ღიმილს მიადევნებდა: კარგები ვართო!.. მთავარ სიტყვას თვითონ იტყოდა, მოხსენებასავით... კმაყოფილი დარჩებოდა... იქნებოდა უფულოდ, უსახსროდ... ბანკი არ უბრუნებდა თავის შენატანს და ამონაგებს — ორიოდე გროშს. შვებულებაში ვერ წავიდოდა ცხადია... ქუთაისს ვერ მიდიოდა... ამნაირად იქნებოდა ამჯერზე გაჭედილი...

გურამ გეგეშიძის რომანს კითხულობდა, „სისხლის წვიმებს“. მოყოლით კარგად ჰყვებოდა, მაგრამ კარგად ვერა ხატავდა. თბილისს ჩამოსულივით ხედავდა... თუმცაღა წინა, მათი დაბადებამდელი თბილისი გახლდათ და იმ თბილისში ჩასულს ჰგავდა... რატომღაც რაჟდენ გვეტაძეს გაახსენებდა ეს წიგნი. გაიტაცებდა და გულსაც ვერ დაუდებდა: ამ პარადოქსით გამოხატავდა თავის შეფასებასა და შთაბეჭდილებას.

26 ივლისს „ვედრებას“ აჩვენებდნენ ტელევიზიით... კინო არაა, მაგრამ კარგიაო. ესეც რეზოს შეფასება. მაშინაც გააოცებდა გახმოვანება. მოულოდნელად ნორმალურად წაიკითხავდნენ ლექსებს ჩვენი მსახიობები. სტატიკური კადრები, პორტრეტები, ხმაურები, დიქტორის ტექსტები უმაღლეს დონეზე იქნებოდა და როგორ არ გამოეთქვა აღტაცება:

თენგიზ აბულაძის ოქრომჭედლური ნამუშევარია... ამას ვერ დავუკარგავო...

ორი დღის შემდეგ სახელმწიფო წარმომადგენლად გადაუწყვეტდნენ დანიშვნას სტამბაში — წიგნის ფაბრიკა... გურამ ფანჯიკიძე — კომბინატში, გურამ გვერდწითელი — პირველ სტამბაში... პრივატიზაციის პროცესში ჩაერთობოდნენ, ყველა სტამბა აქციონირებული გახლდათ, გაყიდული, და ამ ღონისძიებით, მთავრობას ასე მოეფიქრებინა, შეუნარჩუნდებოდა ქართულ მწერლობას სტამბები... რეზოს ახალი თანამდებობა კი, ჯერ ბრძანება არც დაწერილიყო, ფრიად მოულოდნელი იქნებოდა მისთვისაც... ატყდებოდა მაინც მითქმა-მოთქმა...

10 აგვისტოს პოლიკარპე კაკაბაძეზე იქნებოდა გადაცემა...

რა შეეძლო ეთქვა რეზოს — სიმართლე? სიმართლე კაია, მაგრამ გადარევდა იმის ნათესავებს, მსმენელი კი გაიგებდა. იმნაირი უმადური კაცის მნახველი არა ყოფილიყო რეზო. თავით მარილი რომ დაგენაყა, კარგს არ გეტყოდა. აქ აუცილებლად მიიჩნევდა დაზუსტებას: ვერ იტანდა ორგანულად შემოქმედსო... კარგი შეეძლო — იშვიათად — ეთქვა ვინმეზე, თუ ვინმე მის ნაწარმოებს დადგამდა და განასახიერებდაა კი არა, დაიდგამდა თავზე, თუ მის ტექსტს არ შეცვლიდა... დანა პირს არ უხსნიდა, როდესაც თავის პიესებს გასცენიურებულს იხილავდა ხოლმე. არაფერი უნდაო, — იჯდებოდა მოჯღუნული. ოპერა დაგედგა თუნდაც — არაფრის შეცვლას არ მიიჩნევდა საჭიროდ.

არადა აბურთავებდნენ მის პიესებს, თუნდ „ყვარყვარე თუთაბერს" — ვინ რას უმატებდა, ვინ რას უგონებდა, ვინ რას უწერდა და უთხზავდა, კაცი ვერ გაარკვევდა...

ეს იმიტომ, რომ წარმოდგენა არ ექნებოდა დრამატურგიაზე და „ყვარყვარე" ერთ სპექტაკლს ტექსტუალურად არა ყოფნიდა.. უმატებდნენ, ასხვაფერებდნენ. ზოგი ჰიტლერს ხედავდა ამ პერსონაჟში, ზოგი — მუსოლინის, ზოგიც — სტალინს... ვისაც რა ენდომებოდა. არადა: ნაცარქექიაზე დაეწერა, რომელიღაც საზღვარგარეთული პიესიდან ჰქონდა ნათაქი. რეზოს ეს ყურმოკვრით ეცოდინებოდა — შემოწმება არ ეცადა, სურვილიც არ გასჩენოდა... „რევიზორი" იყო კი...

პრინციპულიც გახლდათ პოლიკარპე კაკაბაძე და პრინციპისათვის არ ეღალატა — ამაზე უნდა თქმულიყო რეზოსაგან. იუმორი მომადლებოდა, უფრო ცინიზმი, ირონიაც. აგინებდა ყველასა და ყველაფერს. პუშკინსა და ლერმონტოვზე რომ იტყოდა: პოეტები იყვნენო, — გაოცდებოდა რეზო. საქართველოში ამისი ღირსი არ აღმოჩნდებოდა არავინ...

— გიორგი შავგულიძე მოკლეს, — იტყოდა, — ტროლეიბუსით გაიტანეს, რადგან ყვარყვარეს თამაშს აპირებდა.

გუნებაში ჰქონოდა თურმე და... ამის გამო დაეჯახებინათ ტროლეიბუსი...

ბოროტი არა ჩანდა, პირიქით — სიკეთესაც ასხივებდა თითქოს... ადამიანზე კარგის თქმა კი არ შეეძლებოდა... ავადმყოფი კაცი გახლდათ აშკარად.

— ჩემმა შვილმა ჰამლეტი უნდა ითამაშოს, — თეატრში მოიყვანდა.

რას მოითხოვდა და:

რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში მხოლოდ მისი პიესები უნდა დადგმულიყო. ნახევარი — მარჯანიშვილში, ნახევარი — რუსთაველში, შემდეგ კი უნდა გაეცვალათ რეპერტუარი...

13 აგვისტოს უყურებდა კინოფილმს „განძი" — კინოსტუდიაში ამის მუშაობის დაწყებამდე გადაეღო რევაზ ჩხეიძეს, ალბათ 1959-60 წლების მიჯნაზე. მაშინაც ეცოდინებოდა რეზოს, რა ხვითოც იყო, და ახლა ნამეტანი გაოცდებოდა. თუ გავუძლებ ბოლომდეო, ჩაითქვამდა და... გაუძლებდა როგორღაც. დამდგმელ რეჟისორზე კი არ იფიქრებდა, კინოსტუდიაზე მოუვიდოდა გული. ნუთუ არავინ გახლდათ მთქმელი, წინ გადამდგომი, მონაწილეებს, თუნდ კომპოზიტორს არა სცხვენოდათ? რეზოს მისვლის შემდეგ — რეზოსა და ანზორ სალუქვაძის მონაწილეობით — „ზღვის ბილიკს" რომ გადაიღებდა რევაზ ჩხეიძე, ნაგავი აღმოჩნდებოდა ეს კინოსურათი, მაგრამ ნაკლები ბოროტება. მიხეილ კვესელავას ბრალი იქნებოდა, იმას დაეძალებინა. რეზოს ძალიან სცხვენოდა — 1961 წელი იდგებოდა და განხილვებსა და პრემიერებს არიდებდა თავს... პირველი ფართოეკრანიანი ფერადი ქართული ფილმი კი იქნებოდა „ზღვის ბილიკი".

მიხეილ კვესელავას კინომოღვაწეობას შეაფასებდა როგორც: დაბალს. მასთან ერთად სერგო ზაქარიაძე და რევაზ ჩხეიძე — სულაც ნოლს ქვემოთ აღმოჩნდებოდნენ.

სერგო ზაქარიაძე მთაწმინდაზე დაემარხათ — დიდი სამარე, მერაბ ბერძენიშვილის მიერ გაწყობილი. რქებითა თუ ნიღბებით, რეზო რქებთან უფრო აიგივებდა,ფარავდა ილიას საფლავს კიბეზე ფეხამოდგმული კაცის თვალთაგან... პირველი შთაბეჭდილება ამგვარი რჩებოდა. ცხოვრებაში, ხელოვნებაში უგემოვნოს სამარეც იმდაგვარი იქნებოდა — პრეტენზიული, პომპეზური.

და გულისტკივილით დასძენდა:

ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი ქართველ მწერალთა და არტისტთა ალაგად აქციესო.

გიორგი გურჯიევს კითხულობდა, როგორც კი დროს მოიხელთებდა, სამსახურში. შინ არ მოჰქონდა რატომღაც. გერმანულიდან თარგმნიდა ლაშა დადიანი. რუსულად არ ყოფილიყო, ქართულად არ დაბეჭდილიყო.

საინტერესოდ ეჩვენებოდა მოსაზრება — როგორც ჭეშმარიტებას, ისე ასაღებდა გურჯიევი — სულების შესახებ...

ადამიანი უსულოდ იბადებაო... სული შემდეგაააო... ასტრალური სული მხოლოდ რჩეულს მოეპოვება, შემდეგ ისიც იშლებაო...

სხვა სულებიც არსებობდა... ასტრალური — ორეული... ვარსკვლავებთან შეიძლებოდა დაკავშირება: ნემეზიდა. ტყუპისცალები. ვარაუდი გამოითქმოდა — გალაქტიკებსაც ჰყავთ თუ აქვთ ტყუპისცალებიო...

იუზა ქუთათელაძე რომ შეხვდებოდა ხოლმე, მაშინ ოპერაში მღეროდა, ეკითხებოდა:

— რეზო, ახლა ჩვენ თბილისელები ვართ თუ ქუთაისელები?

გალაკტიონს ეწერებოდა ერთგან, თუ რეზოს არ ეშლებოდა: მე თბილისელიო.

ილია ჭავჭავაძე იყო თბილისელი?

ყვარელი, პეტერბურგი, და შემდეგღა თბილისი.

ნიკო მარი და ვლადიმირ მაიაკოვსკი საერთოდ აუვლიდნენ გვერდს თბილისს.

გალაკტიონი არ იყო?

სიმბოლისტები?

თბილისურ კოლორიტს წარმოადგენდნენ რუსებისათვის.

ზაქარია ფალიაშვილი და დავით კაკაბაძე არ იყვნენ?

ევროპული მასშტაბის პოზიორები: გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ნუცუბიძე?

და დავით აღმაშენებელი? ოთხი საუკუნის შემდეგ რომ გახადა თბილისი საქართველოს დედაქალაქი?

თუ ესენი არ იყვნენ თბილისელები, არც რეზო გახლდათ და არც სურდა ყოფილიყო.

7 სექტემბერს გადმოსცემდნენ:

გერმანიამ სატელევიზიოდ შეიძინა პავლე ჩარკვიანის ფილმი „ჭაო“.

რეზოს მოთხრობის საფუძველზე რომ გადაეღოთ, არ იტყოდნენ.

სასიხარულო ამბავი უნდა გაუწყოთო, — ასე გამოაცხადებდნენ და რეზო მიადევნებდა: რა სეირია! ეს სიხარული უნდოდა წაგებულ საქართველოსო?!.

გამოვიდოდა ფეხბურთელთა გუნდი მატრაბაზულად, თვითდაჯერებით, 11 თავდამსხმელით და წააგებდნენ „მოლდოვასთან“. ხალხით გაჭედილი სტადიონი. ღრიალი. რა გვიგავდა გაჭირვებულ-გამათხოვრებულ სახელმწიფოს! ჩამოსულებს სუფრებს უმართავდნენ კვლავ, ძეგლებს ვდგამდით, ქრთამებს ვაძლევდით — ყველა ადამიანი უმაღლესი განათლებით უნდა ყოფილიყო. ხე აღარ რჩებოდა, ტყეს ჩეხავდნენ და გაჰქონდათ, საქართველოს ანადგურებდნენ, ხდებოდა ის, რისიც რეზოს ყველაზე ძალიან ეშინოდა...

„გაყრას" შესთავაზებდა ოტია იოსელიანს, ქუთაისის თეატრი რომ ჩაბარდებოდა. რუსთაველის თეატრში არ აღმოჩნდებოდა ეს პიესა. ქუთაისში შეუთვლიდა, რას იცინებდა, თუ აქ ექნებოდა გადანახული. არადა მართლაც კარგად გაეინსცენირებინა. თეატრისათვის კარგი იქნებოდა.

ედუარდ შევარდნაძის ხმა ესმოდა და ამ ხმის გაგონება აღარ ენდომებოდა. ამ კაცის სანქციით ხდებოდა სწორედ ტყეთა ჩეხვა. გამგებლები: ბანდიტები, ყაჩაღები — ტკვერავდნენ, ღეჭავდნენ საქართველოს. და გამოსავალს ვეღარ ხედავდა რეზო!..

აქაურ ბიზნესმენებსაც გადაავლებდა თვალს... ერთი უბანი მილიონერთა უბნად ყალიბდებოდა ეტყობოდა.

შეიძლება ჩვენი დამოუკიდებლობაო? — ხრავდა და აწამებდა ეს ეჭვი.

„ყაჩაღებს" წაიღებდა გამოსაცემად ღრენია. ამ მეტსახელით (გია ხოფერიას რომ შეერქმია) ელგუჯა თავბერიძეს მოიხსენიებდა. აქ თუ გამოვიდოდა, ქუთაისში, რა ემჯობინებოდა, იქით კი დიდი წიგნი ჰქონდა შესადგენი.

ახლის დაწერას ველარ ახერხებდა...

ერთტომეული, სამტომეულის ბოლო და მეოთხე ტომი, ჯობდა ახლებით შეევსო.

„კუდიანი ვარსკვლავი“ — ჩასასწორებელ-ჩასამატებელი იყო.

„ასკილის წითელი ყვავილი“ — რეზოს გადასაბეჭდი, მცირეოდენი.

„ყაჩაღები“ — შეიძლება ჩაწებებულიყო.

და ნოველები ბლომად.

წვიმდა... და სიამოვნებდა, რომ წვიმდა!..

ქუთაისის თეატრის არქივში კი აღმოჩნდებოდა „სოფლის პატიოსნება“ — რეზოს ახალგაზრდობისდროინდელი პიესა. აქ არ გამოეგზავნა. რატომ არ გამოერთმია იქვე, ახლა უკვირდა. თვითონ ხომ აღარც შემორჩენოდა — მხოლოდ ხელნაწერი და ისიც შავი...

პიესად დაწერდა „ყაჩაღებსაც“, სცენარის შემდეგ...

ჩამოიყვანდნენ გვიან ღამით. ნახავდა ფილმს: „სოლომონ მეორის გადმოსვენება“.

პიესად გადაკეთებულ „ყაჩაღებს“ („გათენებამდე“ თუ „გათენების წინ“) მოუღებდა ბოლოს ბუხარში. ის არ ვარგოდა და ამიტომ აღარც იარსებებდა...

9 სექტემბერს ქუთაისში საშინლად ეცხელებოდა. დაკვირვებული იყო: ათ რიცხვამდე ცხელოდა ხოლმე აქაც, თბილისშიც, ზაფხული გრძელდებოდა და უცბად მოდიოდა შემოდგომა.

და ეცინებოდა და არც ეცინებოდა:

ჩემი დღიურები კი მეტეოსამსახურის მეისტორიეებსაც გამოადგებათო.

14 ნოველის პირველ პირებს აღმოაჩენდა და გაეხარდებოდა. მეორე პირები ჩაეშვა სტამბაში — წინდახედულად მოქცეულიყო; „ლენინიც“ აქ იყო, გამოდგებოდა, გადაბეჭდვა არკი აწყენდა, ოთხი ფორმა გამოდიოდა, ცოტა მეტი. რადიონოველებსაც მიამატებდა მონდომებული კაცი. და წიგნი, 20 საავტორო ფორმა, შედგებოდა ამგვარი სათაურით: „კუდიანი ვარსკვლავი. ყაჩაღები. ასკილის წითელი ყვავილი. ლენინი და სხვები“.

20 სექტემბერს აღმოაჩენდა, რომ არაფერი გაეკეთებინა, არა დაეწერა რა.

მიხეილ ქვლივიძეს ეთქვა:

— ამნაირი რამის, „ყაჩაღების“, დამწერმა ნახევარი წელი მაინც დრო უნდა ატაროს.

ასეც იქცეოდა, ისე ატყობდა თავს.

ისე რას ეძახდნენ ადამიანები დროსტარებას? ვის რა უხდებოდა და ვის რა შვენოდა.

მისახედი ჰყავდა ადამიანები... თვითონ უსახსროს სხვისი უსახსრობა აწუხებდა... უქონელს ვისთვის რა ერგო. გასაყიდი არაფერი იყო, თანაც არც იყიდებოდა... არ ეგროვებინა, არც ეფიქრა. კომუნისტებს უდარდელობისათვის მივეჩვიეთ: რაცა მაქვს, სულ მექნებაო, ვფიქრობდით, და უკეთესს კი და უარესს არ ველოდით და არა...

2 ოქტომბერს უბედურად მოიხსენიებდა იმ ერს, რომელსაც პარლამენტის გარდა სხვა გასართობი არ გააჩნდა. ტელევიზია პარლამენტზე დაბლა იდგებოდა, რადგანაც პარლამენტით საზრდოობდა... ეს იყო დაწესებულება, სადაც უცხოდ არა გრძნობდნენ თავს მათი წარმომადგენლები. სხვა რამ — როგორც ჩვენი ძმები იტყოდნენო, წაჰკრავდა ქიმუნჯს არქაისტებად შერაცხილ მთარგმნელებს — არ ხელენიფებოდათ.

არ გამორჩებოდა, ამ დღის ჩანაწერისათვის ორწიფობა რომ მიეწერა და დაერთო: მოწამეთაში 15 ოქტომბერსააო.

12 ოქტომბერს ის განცდა და მოსაზრება გაუჩნდებოდა:

ხომ შეიძლება არაფერი დავწერო, მხოლოდ დღიურები ვავსო. ესეც ხომ საქმეა, თანაც შეიძლება მთავარიცო...

არადა ვალებისათვის რა ეშველა? ძველი ძველადვე რჩებოდა, ახალსაც იღებდა...

ისეთი რამ ჩაეფიქრებინა, რომ ჩაწერისაც ეშინოდა, თავსაც არ უმხელდა...

„ჩემი ბიძია პაპუნა“ მოსწონდა, „უცნობი ქალის ჩანაწერები“ და „თამარ ცბიერი“, ისტორიული, არ გაესრულებინა? რადიონოველები? „პაპუნას“ მიემატებოდა... წვრილ-წვრილი საწუხარი არა შორდებოდა... ბოლო ჩანაფიქრი? წლების განმავლობაში მზადდებოდა... ჩანაწერებითაც...

9 ოქტომბერს ნიკო ნიკოლაძის იუბილე იქნებოდა დანიშნული და რეზოს, კომისიის წევრს, არც დაუძახებდნენ... გუშინ და ამ დილით ტელევიზიით გამოაცხადებდნენ: ვისაც გეკუთვნით ამ იუბილის მოსაწვევები, აიღეთო. მაგრამ... ვის ეკუთვნოდა და ვის არა? და გაღიზიანდებოდა: ცხვირმოუხოცავ პოლიტიკოსებს რომ ჩააბარებ ქვეყანას, ხალხსა თუ გნებავთ კულტურას, საქმე წავა კარგად, აბა რა იქნებაო!..

ერთი გვერდიც ვერ დაეწერა... იდიოტური (გაგულისებული ამ დამაკნინებელი სიტყვით მოიხსენიებდა იუმორისტულს) ჟანრის ჟურნალისათვის სჭირდებოდა მოთხრობასავით და ამის გამო იდგებოდა. რაღაც რომ უჩნდებოდა მოსასწრები, მთავარს ვეღარ უდებდა ხოლმე გულს, ოჩნდებოდა.

სოსო პავლიაშვილის სიმღერა ესმოდა: მადლობა ღმერთს, რომ თბილისელი ვარო!.. და გადარევას აღარაფერი დააკლდებოდა. და გადაწყვეტდა, რომ თბილისურ სეპარატიზმზეც დაეწერა უეჭველად.

ელდარ შენგელაიას მოუსმენდა ტელევიზიით, თავის კინოფილმებზე რომ ლაპარაკობდა. რეზო ვითომ არც არსებობდა, არადა რამდენი შრომა და იმედგაცრუება იქნებოდა იმ ფილმებში რეზო ჭეიშვილისა. ეს ბუნებრივი ეჩვენებოდა... იმ დღეებს, იმ შრომას უქმად არ მიიჩნევდა... სიხარულიც ყოფილიყო. საერთოდ კი კინოს მწერლის უმადურობად მიიჩნევდა.

17 ოქტომბერს ჩაინიშნავდა, რომ:

სოლომონ დოდაშვილი უნდა ჩამოესვენებინათ და დაეკრძალათ მთაწმინდაზე.

გაღიზიანდებოდა ყოვლად აუხსნელად:

ნახეს დრო! რა აუცილებლობა იყო ამისა ამჟამად და რა ნიშნის მიხედვით აჰყავთ იმსიმაღლეზეო?!.

არადა:

სოლომონ დოდაშვილი თუ არ არის ღირსი მთაწმინდისა, ეს მართლაც ილიამდელი ილია, მაშ ვინღა უნდა იყოს!..

საღამოს გაუმართავდნენ სამსონ სულაკაურსა და დავით კვიტაიშვილს. რეპრესირებული ხალხის გასახსენებელს აწყობდა ხოლმე დროდადრო რევაზ კვერენჩხილაძე... დავითზე თვითონაც დააპირებდა დაეწერა აუცილებლად. პატარა პორტრეტად ჩაიფიქრებდა.

ჯაკომო კაზანოვა ეთარგმნა მშვენივრად სოსო პაიჭაძეს. არც გაეგო რეზოს მისი გარდაცვალება... გადადებული რომ იყო საცოდავი, ეცოდინებოდა. გასვენება გამოეპარებოდა შვებულებაში მყოფს. ეს კაზანოვა კი საკმაოდ მოსაწყენი ეჩვენებოდა მისი პიკანტურობის მიუხედავად. რუსულად ვერ დაუდებდა გულს საფუძვლიანად და ქართულადაც გაუჭირდებოდა კითხვა...

გიორგი გურჯიევს რომანივით კითხულობდა და დაასკვნიდა, რომ კითხვას არ გადაჩვეოდა საბოლოოდ. კაზანოვასაც გადაათვალიერებდა დაძინებამდე. მაგას კი არა, „დიდ სჯულისკანონს" უტრიალებდა...

როგორი ინტერესით წაეკითხა თავის დროზე „16 წელი შინაპატიმრობაში" ალექსანდრე (აქი) ქურასბედიანისა. შემოკლებულ ვარიანტს დაბეჭდავდა კიდეც „განთიადში" და ეგრევე უნდა გამოცემულიყო წიგნადაც.

ძალიან არაბუნებრივად იცინოდა უკვე ედუარდ შევარდნაძე და ეს არ მოეწონებოდა რეზოს.

მოშიმშილენი გამრავლდებოდნენ. გადადგომას მოითხოვდნენ სახელმწიფოს მეთაურისა — და თუ აგორდებოდა ეს ტალღა, გლახად იქნებოდა საქმე...

21 ოქტომბერს ზურაბ კიკნაძესთან სტუმრობისას დაინახავდა მეზობლის სახლს განათებულს. სხვენში ცეცხლი გაჩნდაო, ეგონებოდა. იმნაირი არ ენახა არაფერი... ნაჭერ-ნაჭერ იქნებოდა გაბრწყინებულ-განათებული მთვარით. სხვა სახლებზე, ამნაირივე სახურავით — თუთიისა — რატომ არ იყო?

და ზურაბი იტყოდა:

— ხილვის შემსწრენი ვართ.

და ჩაფიქრდებოდა რეზო მის პიროვნებაზე: ღრმად რელიგიურია? ძნელი გასარკვევია, მაგრამ თავისაში დარწმუნებულია... სწამს? ნახევრადმეცნიერულად და ლოგიკურად და არა გრძნობისმიერად... ასეთი შთაბეჭდილება მრჩებაო...

დიამეტრალურად სხვადასხვა პოზიციაზე იდგებოდნენ ბევრში და რეზო კამათს მოერიდებოდა...

არა და არ გაუქრებოდა თვალთაგან ის განათებული სახლი და წამოცდებოდა: მარტო რომ დავრჩენილიყავი, ნაღდად შემეშინდებოდაო...

იმედითა ვართ, ბატონებო, მაინცო! — ეს კი 23 ოქტომბრის ჩანაწერში უნდა განეცხადებინა. სიღარიბეში გაზრდილიყო, სიღარიბეში შესულიყო, სიღარიბიდან რომ აპირებდა გამოძრომას. ქართველი მწერლისათვის ბუნებრივ მდგომარეობად მიიჩნევდა. ბოლოსდაბოლოს სხვას რაღა ეღონა?

რეზო ამაზეც კმაყოფილი გახლდათ, თავისაზე იყო და დარჩებოდა... თავისზე გაჭირვებულს კიდევ თვითონ სცემდა პატივს. სასმელს მცირესა და შესაფერის მისაყოლებელს — პურის ნატეხს — არ გამოილევდა...

3 ნოემბერს წიგნი, ძვირფასი გამოცემა, დახვდებოდა შინ, ვიქტორ რცხილაძეს ეახლებინა: „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ" — სვასტიკებითა და ფაშისტური სიმბოლოებით გაფორმებული. რა დრო დამდგარიყო!..

შალვა მაღლაკელიძის მოგონებანი იქნებოდა ძირითადად.

გულს დააკლდებოდა: შეეძლო ეხსენებინა, მე რომ დავბეჭდე „განთიადში".

იმ დროს კიდევ არა ბეჭდავდნენ ამდაგვარ ნაწარმოებებს, ჯაბა იოსელიანის „სანიტარული მატარებლის" ჩათვლით. ეგაა: დიდი მხატვრულ ღირსებისად არც ერთს მიიჩნევდა და არც მეორეს.

24 ნოემბერს უნდა ჩაეწერა რევაზ თაბუკაშვილის ნაამბობი:

გალაკტიონთან ერთად სურათი გადაეღო მოსკოვში. შემდეგ სიმონ ჩიქოვანი დაენახა და დაეძახა:

— ბატონო სიმონ, თუ შეიძლება ჩვენთან ერთად...

და ამის გაგონებაზე გალაკტიონი დამდუღრულივით გაქცეულიყო.

მისი ფიქრი ამგვარად ამოეცნო რევაზ თაბუკაშვილს:

თუ ჩემთან გინდოდა გადაღება, ჩემთან გადაგეღო, თუ ჩიქოვანიც გაკმაყოფილებს, ჩემთან რალა გინდაო...

და იქვე ნანა კანდელაკის ნაამბობიც უნდა ჩაენიშნა:

გამომცემლობის — „საბჭოთა საქართველო" — ოთახში შეიხედავდა გალაკტიონი. მიიწვევდნენ, მოეფერებოდნენ, გაახარებდნენ. ერთ-ერთი რედაქტორი ქალი მიახარებდა:

— ბატონო გალაკტიონ, თქვენი ბიძაშვილის, დიდი პოეტის ტიციანის წიგნი გამოდის, აი აქ მიდევს ხელნაწერი.

და აჩვენებდა ღიმილით. გალაკტიონს კი... სახე მოექუფრებოდა, წამოდგებოდა, აუკრავდა ხელს და თაბახის ფურცლებს მიმოფანტავდა მთელს ოთახში. გაშრებოდა სუყველა. ილია სიხარულიძე, განყოფილების გამგე, დაუძახებდა გაოგნებული:

— რა ჰქენი ეს, გალაკტიონ?

— თქვენთვის ყველა დიდი პოეტია! — ჩაილაპარაკებდა და გავიდოდა გაბრაზებული.

და წამოაგონდებოთდა, როგორ აუტეხდნენ ერთ ვაიუშველებელს კოლაუ ნადირაძის ინტერვიუს დაბეჭდვის გამო. თინა ჩხაიძეს რომ ჰქონოდა ადრევე კარგად და ორიგინალურად ჩაწერილი, მოაძებნინებდა რეზო და გამოაქვეყნებდა „განთიადში".

ჯერ რეზი თვარაძე ახტებოდა (ამ ჟარგონულ გამოთქმას არ მოერიდებოდა დღიურის ფურცლებზე), შემდგომ რეზო ამაშუკელი. პრესა და ტელევიზია დაესხმოდა თავს: ეს რა ჩაიდინა ჟურნალმა, ჟურნალის რედაქტორმაო. აქ უკადრისად მოიხსენიებდა „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორს ელიზბარ ჯაველიძეს: პასუხიც კი არ გამომიქვეყნაო...

ახლობლებისაგან გაუკვირდებოდა, ისინიც რომ ჰკითხავდნენ:

— რა საჭირო იყო?!.

და ელიმებოდა რეზოს: ახლა ეს ვისღა უკვირსო!..

არადა სულ რამდენიმე წელი გასულიყო მას შემდეგ.

რა საჭირო იყო და:

იმ ინტერვიუს მეშვეობით გაიგებდა ადამიანი, რა დღეში ჰყავდათ გალაკტიონი ცისფერყანწელებს. ხროვას ასხლეტილი მგელივით ეყოლებოდათ ათვალწუნებული; პურმარილითა და სადღეგრძელოებით მოპოვებულ სახელს გადააფარებდნენ, საქართველოს იქით არ გაუშვებდნენ აშკარად. კოლაუ ნადირაძის აღსარება კი ისტორია გახლდათ. ის ინტერვიუ დოკუმენტად დარჩებოდა, ანკი რა იყო დასამალი!.. და კვლავინდებურად გაკვირვებულიყო: რატომ არ უნდა დამებეჭდაო?..

ამას უწოდებდა სწორედ პროვინციალიზმს:

არ გვინდოდა, არა გვქონდა უფლება, არ გვეთქვა ან ერთნაირად გვეთქვა.

კაცს გამოეხატა თავისი აზრი, შეხედულება, და არამარტო თავისი.

არც ჟურნალს ეფიქრა ამნაირად (ბევრი სიმართლის მიუხედავადო, ჩაურთავდა რეზო), არც ჩამწერსა და არც რედაქტორს. ეს იყო კოლაუ, კოლია ნადირაძე. არ გვინდოდა კოლია?!. და ამიტომაც გამოექვეყნებინა რეზოს საპასუხო წერილი, მისი აზრით — კარგი და საჭირო წერილი.

13 დეკემბერს, იმ საწუხარს ჩაინიშნავდა, წიგნები დამტვერილი რომ ეწყობოდა წიგნის კარადის თავზე.

— კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს, — ეტყოდა იორამ ქემერტელიძე, — და დაამსხვრევს ამ დიდ და ძლიერ კარადასაც.

ადგილი აღარ იყო და კრიტიკულ ზღვარს მართლა მიაღწევდა თუ არა, ეს უკვე აღარ ეცოდინებოდა, რეზოს: წიგნს აღარ და ვეღარ ყიდულობდა... რაც ჰქონდა, ისინიც უფუჭდებოდა, თაროებს ვერ ელირსებოდა, ბევრ რამეს — ვერა, და მათ შორის საწიგნე-საჟურნალე თაროებსაც...

ხელში მოჰყვებოდა უილიამ ფოლკნერის რომანი „აბესალომ, აბესალომ!"

„იქნებ წავიკითხო?!."

ვერა და ვერა...

მას დაებეჭდა ამ რომანის ქართული ვერსია „საუნჯეში"? არა, მიტანით მისთვის კი მიეტანათ, ოღონდ მისი წამოსვლის შემდეგ გამოექვეყნებინათ.

მაშინაც ვერ დაუდებდა გულს და ალაგ-ალაგ თუ გადაიკითხავდა დღევანდელივით.

მოეწონებოდა ბუნების სურათები, ფერები, ბურუსი, ბოლი, ხნარცვი, ძაღლები...

მაგრამ არ გახლდათ მისი მწერალი და არა:

მაინც ეგ კაცი მძიმეა და ფრიად მოსაწყენი. ვისაც მაგის წიგნების კითხვის თავი აქვს დღევანდელ დღეს, აფერუმ მის მკითხველობასო.

25 დეკემბერს „სიცილიისათვის" გაამზადებდა მასალებს, მაგრამ ეს „სიცილია" ქე იხურებოდა. შვიდი კაცი ვერ მორიგებოდა ერთმანეთს და... გა-

ელიმებოდა მწარედ: საქართველოს რა მოარიგებს, ამდენი სამეფოსა და სამთავროს ქვეყანასო...

გადაბმულად რომ ეწერა, ვერ გამოლევდა, იმდენი მასალა დაგროვებოდა. რომელს მიდგომოდა, აღარც იცოდა — მოფიქრებულებსა და გუნებაში დალაგებულებს!..

„მოლა ნასრედინის ოხუნჯობანის“ მსგავსი წიგნის გამოცემას დააპირებდა და გარეკანს აქედანვე შეჰყურებდა: რეზო ჭეიშვილი, „სიცილიიდან“. ძირითადი დაწერილი იყო, მოფიქრებული; დაწყობა, დალაგება, გადაბეჭდვაღა უნდოდა მხოლოდ.

26 დეკემბერს მზე გამოანათებდა. მზიყურში დაჯდებოდა, მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“ მოჰყვებოდა ხელთ და იკითხავდა ხარბად, თითქოს ზეპირად არა სცოდნოდა. ფანჯრის შუშებიდან მზე გაათბობდა... რეზო დაუეჭვებლად განაცხადებდა:

— ეს ერთი მწერალი ჰყავს ამერიკას, შტატებს... მან აჩვენა ამერიკა, რომელიც შემდეგ სხვანაირი გახდა.

ახლა იქ, ახლა კი არა, კაიხანია მწერალი აღარ სჭირდებოდათ. ასევე არ დაჭირდებოდათ აქ. მოგონილ-მოხალისე-მოყვარული მწერლები ჰყავდათ, ხანდახან გამოამზეურებდნენ კიდეც სხვა ქვეყნებისათვის — ჩვენთანაც არიანო... ამიტომაც ამოტივტივებულიყვნენ ლათინური ამერიკიდან ნამდვილი მწერლები, მაგრამ ესეც დროებითი გახლდათ. დანარჩენი სამყარო ეგზოტიკად მიიღებდა იმათ ნაწერებს. გადავიდოდა მოდიდან. ისინიც გადავიდოდნენ... მოვიდოდა დრო კვლავ, დიდი ხნის შემდეგ, დრო სერვანტესისა და სხვათა... თანამედროვეთ ნამდვილი ხომ არც არასოდეს ელიარებინათ...

თავი მეოთხე

1995 წელი

1995 წლის დამდეგს მზე იქნებოდა და სითბო. შობა შემოთენდებოდა ჩვენებურად, ძველებურად და გაუგებრად. შემოსულიყო ახალი წელი — გაცილებით მძიმე და შავი, ვიდრე წინა სამი.

და დაინტერესდებოდა, თუ რამით იყო ნეტა ღირსსახსოვარი წინა ასწლეულსწორი საქართველოსათვის?

აკაკი წერეთელი, მაგალითისათვის, ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებითა და შეკრების ორგანიზაციით ყოფილიყო დაკავებული: „როგორ უნდა შევკრიბოთ ზეპირგადმონაცემები".

რაფიელ ერისთავს გადაუხდიდნენ იუბილეს...

სხვა წყაროები აღარ უძებნია, მაგრამ მაშინდელ სიმშვიდეში ეჭვი როგორ უნდა შეგეტანა. არც მსოფლიოში ტრიალებდაა კატაკლიზმები.

8 იანვარს ანა კალანდაძის ძმას დაასაფლავებდნენ ვერის სასაფლაოზე. იმ უბანში რომ ცხოვრობდა რეზო 60-იან წლებში, გაველურებულიყო იქაურობა, სასაფლაოც გაუქმებული. ახლა აღორძინებულიყო, გამშვენიერებულიყო, ჰაერიც კარგი... პრესტიჟული გახდებოდა ნამეტანი.

მიცვალებულს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ შეხვედროდა ანზორ მუსერიძისას.

— ქუთაისელი ვარ, — ის ეტყოდა.

— როგორ, — გაუკვირდებოდა რეზოს, — თქვენ ხომ ანა კალანდაძის ძმა ბრძანდებით.

— ეგ რას ცვლის, — მიუგებდა ის, — ქუთაისში ვცხოვრობდით.

ანას არასოდეს დაცდენოდა ეს. არც მის პოეზიაში გამკრთალიყო, არ გაჭიატებულიყო ქუთაისი. და ახლა კი ეტყოდა რეზო ანას:

— ვალში ხარ.

საშუალო სკოლაც იქ დაემთავრებინა, ოთარ მამფორიასთან ერთად სხვათა შორის.

— ვუყვარდი, — ოთარი გაუმჟღავნებდა ღიმილით, — ლექსებს არ აჩენდა მაშინ. თბილისში რომ გახმაურდა, რქები კინაღამ ამომივიდა გაოცებისაგან...

12 იანვარს თემურ ჩალაბაშვილი დაპატიჟებდათ: რეზოს, ემზარ კვიტაიშვილს, ტარიელ ჭანტურიას, ვახტანგ ჯავახაძეს, გივი გეგეჭკორს. ღვინო იქნებოდა კარგი და საჭმელ-სასმელი მწირი, თუმცაღა მჭამელებად მისულიყვნენ და არა მსმელებად. ცოტა ფანდური, ცოტა გიტარა — ფლაყვე ტაშის გარეშე — და მალევე აიშლებოდნენ. თემურს მოიხსენიებდა

საინტერესო ახალგაზრდად და საინტერესო პოეტად, თუკი არ ეშლებოდა. დანარჩენს მომავალი გამოაჩენდა. იქნებოდა ლაშა დადიანიც და ილაპარაკებდნენ გიორგი გურჯიევზე.

იანვრის ბოლო დღეს ჟურნალს — „თეატრი და ცხოვრება" — გადაავლებდა თვალს და ამოიკითხავდა:

ყვარყვარე — ყველაზე პოპულარული ლიტერატურული გმირი საქართველოში.

იქნებ ასეცააო, გაიფიქრებდა, მაგრამ... წამოეშლებოდა სახელები:

ლუარსაბი? და კიდევ — ჯაყო, დათა თუთაშხია, შალიკო ხვინგიაძე, მარკშეიდერი, პლატონ და ბეკინა სამანიშვილები, კაროჟნა, გვადი ბიგვა, არსენა (ხალხური იყო და მაინც ლიტერატურული)...

კიდევ? ბევრს მართლაც ვერ გაიხსენებდი, ზოგიერთ მწერალს საერთოდ არა ჰყავდა სახსენებელი პერსონაჟი; ვთქვათ — დახუნდარა (ვინღა იცოდა ახლა დახუნდარა ანდა მექი ვაშაკიძე?), სპექტაკლი და კინო ამკვიდრებდა და აპირობებდა პოპულარობის ფაქტორს და მაინც ყვარყვარეს დრო გახლდათ მგონი:

უშანგი ჩხეიძე, რობერტ სტურუა, გიორგი ქავთარაძე (რეზოსაც მიუძღოდა წვლილი კინოსცენარით) და ვასილ მჟავანაძე — მას დაარქმევდნენ ყვარყვარეს.

ჩამონათვალს კი მიამატებდა:

არზაყანს, თარაშ ემხვარს... ჰაკი აძბას, ზურიკელას...

კაცი რომ ლიტერატურული გმირისათვის შეედარებინათ, მართლაც ხუთ თითზე ჩამოითვლებოდა დღესდღეობით.

— შენც მყავხარ ტარიელი!

— ნამდვილი ჯაყოა!

— ვინ თქვა, არსენა მოკვდაო!

— კაროჟნაა!

— ლუარსაბია!

— შალიკოა, ხვინგიაძე!

— ერთი კარგი მარკშეიდერი არ უნდა გვყოლოდა?

— ბატონო დათა (ირონიულად)!

მეტი ამჯერზე არ ახსენდებოდა... თუმც ეს სულაც არ ნიშნავდა, თითქოს ნიკო ლორთქიფანიძე სხვაზე უკეთესი მწერალი არა ყოფილიყოს...

„სიცილია" რომ დაყვინავდა, რეზოს წინადადებით გადაწყდებოდა იუმორისტული გაზეთი ჩაედოთ გაზეთში: „ღადო" „ლიტერატურულ საქართველოში". პირველივე სხდომაზე იჩხუბებდა და მიიჩნევდა, რომ ცამდე მართალი გახლდათ, რადგანაც: შვიდი გენიოსი არა სჭირდებოდა ერთ გაზეთს. არც სექტანტები — სხვათა შორის.

„შალიკო ხვინგიაძის" ნამოწყება ჩაიშლებოდა — როგორც შეატყობდა.

15 მარტს ჩაინიშნავდა, რომ:

სიმღერის შემდეგ ანდაზებით შეგვეძლო გამოგვედო თავი. ანდაზები, ამისათვის სათანადო ყურადღება არ მიგვექცია ჯერ, ჭეშმარიტად მაგრები (ამ ჟარგონულ გამოთქმას მოიმარჯვებდა) მოგვეპოვებოდა...

— მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აგინებო.

რიგითი გახლდათ ჩვენთვის, მაგრამ სიბრძნე, მრავალი საუკუნის დაკვირვებისა და გამოცდილების ნაყოფი...

სათავისო ანდაზები უნდა ამოეკრიბა ერთ დღესაც, თუკი მოიცლიდა...

საბეჭდად ვერ დამჯდარიყო სიცივეში... „აფხაზეთი", „კურუ" და სერიოზული საქმე შემდგომ...

ცოლი აფრთხილებდა დროდადრო:

— დაანებე ბიჭობას თავი, წავიდა შენი დრო.

ვერ დაანებებდა, არც ბიჭობა მიეტოვებინა ჯერ... მისი შემოქმედებისათვის ბევრი დაეკლო იმას, ბევრსაც დააკლებდა... რას იზამ! თავს ზემოთ ძალა არააო, აკი თქმულიყო.

გაზეთ-ჩანართისათვის დღეს დაერქმიათ „ხვიშტი". კიდევ გადაიფიქრებდნენ... და ინატრებდა რეზო: ფული მომცა და მე ვიცოდე, რასაც გავაკეთებდიო!..

სულ არ ესაჭიროებოდა თანარედაქტორ-თანათანამშრომლები. რედაქტორი და ხელქვეითები — ბრძნულად იყო ყველაფერი დალაგებული!..

ელდარ შენგელაია, გურამ ფანჯიკიძე და რეზო ჩაიკეტებოდნენ 20 მარტს და:

მთაწმინდის პანთეონის 15-20 წლით დახურვაზე ილაპარაკებდნენ.

— პანთეონების საკითხიც მოსაგვარებელია, — იტყოდა ელდარი.

ერთი თვის წინათ რეზოს ეთქვა მისთვის:

— დავხუროთ 15 წლით, ზოგი ავასვენოთ, ზოგიც ჩამოვასვენოთ.

— მოვილაპარაკოთ.

ეს გურამს გაუმხელდა.

ამათგან უნდა დაწყებულიყო — ჯერ მწერალთა კავშირის გამგეობა, შემდეგ კულტურის კომისია და პარლამენტი... დაუჭერდნენ მხარს, ეიმედებოდა რეზოს, მთავარი იყო დოკუმენტი შედგენილიყო სწორად და ნათლად...

29 მარტს კამათი მოუხდებოდა ტარიელ ჭანტურიასთან მთაწმინდის თავიანთეულ ღონისძიებაზე.

— არაა საჭირო, — განუცხადებდა ტარიელი.

მე რომ მეთქვა: არაა საჭირო ამ კანონის მიღება-მეთქი, — ის იტყოდა: აუცილებელიაო, — დღიურს მიანდობდა ამ დაკვირვებას ტარიელ ჭანტურიას ხასიათის ამ თავისებურებაზე, — ნაღდად ეგრე იქნებოდაო!..

— ბევრი უნდა ჩამოსვენდეს, — სხვები მიემხრობოდნენ, — რა უნდა აბა იქ სიმონ ჩიქოვანს.

სხვაგანაც ასე იტყოდნენ.

სიცოცხლეში პოეტთა ელიტის წარმომადგენელი გახლდათ სიმონ ჩიქოვანი. ახლა აღარ იცნობდნენ. უნდა ყოფილიყო იქ თუ არ უნდა ყოფილიყო? ერთი ლექსი გაახსენდებოდა რეზოს იმისი პოემიდან დავით გურამიშვილზე. ალაგ-ალაგ წაშლოდა სტრიქონები გონებაში და წიგნს გადმოიღებდა სიმონისა. ქუთაისში რომ ახლდა, წიგნი იმდროინდელი იქნებოდა.

თვალში ველარ იხედებოდა 57 წლისა — ამჟამად ჩემზე უმცროსიო, ჩაურთავდა — და არ ამხელდა. ის ლექსი უნდა მოეძებნა, აღედგინა გონებაში. და კიდეც გადმოეტანა დღიურში თავიდან ბოლომდე, ასე რომ იწყებოდა:

უეცარად ომში მიხმეს, ტყეში იყავ, სოკოს ჰკრეფდი, ვინანე, მსხმოიარე ვენახი ხარ სიყრმის, ვერ გიპოვნე, სიმძიმილი ვინამეო!..

და ასე მთავრდებოდა:

მოძმეს მიეც სასოებით, მუზარადით შესვას ჩემი ვარამი. გამაგონე გლოვა განშორების, დამაფარე ივერიის ალამიო!

ჩაამთავრებდა და მუშტრის თვალით ჩაუკვირდებოდა.

„სოკოს კრეფა" არ გაეგონა.

ნაძალადევი სტრიქონებიც შეიმჩნეოდა.

ოფლიც ეტყობოდა... და მაინც კარგი გახლდათ!..

სხვა ლექსები? ვერ ლავესო, ჟარგონულად ამჯობინებდა შეფასებას.

ისე ინტელიგენტისა და გონიერი კაცის ნიმუშად აღიარებდა.

60-ისა რომ გახდებოდა, გადაცილდებოდა (ორი-სამი წელი უეჭველად მოპარული ექნებოდაო, ჩაურთავდა), მოაქუთაისებინებდნენ ტრიუმფით. რა ხნისა რა ხნიერი და ბებერი ეგონებოდა რეზოს მაშინ. ასეც გახლდათ რეალურად. შაქარი უღებდა ბოლოს, და მოუღებდა კიდეც მალე...

ერთადერთი პოეტი აღმოჩნდებოდა სიმონ ჩიქოვანი, რომლის ლექსსაც თავით ბოლომდე გადმოიწერდა დღიურში რეზო ჭეიშვილი. სხვებისას ფრაგმენტებს კმარობდა. ამ ერთადერთ შემთხვევაში კი...

ეს იქნებოდა ყველაზე ეფექტური და მკაცრი პასუხი მათთვის, მაინცდამაინც სიმონ ჩიქოვანის ჩამოსვენებას რომ სურვილობდნენ თუ სულაც ნატრობდნენ მთაწმინდიდან.

და ეს — შესანიშნავი პოეტის, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია XX საუკუნის ქართული პოეზია.

შესანიშნავი ესეისტის, ეს ჟანრიც რომ წარმოუდგენელია უიმისოდ.

და არანაკლებ შესანიშნავი რედაქტორის, გარდამტეხ როლს რომ შეასრულებდა 50-იანი წლების დიდ ლიტერატურულ-კულტურულ ფერისცვალებაში.

მაინცდამაინც მისთვის ენანებოდათ მთაწმინდის მიწა.

მისი სამარის ადგილი ეზმანებოდათ მაინცდამაინც თავიანთ განსასვენებლად. ისე მაინც რამდენი შეიძლება დატეულიყო იმ ერთ კენოტაფში?

„მიწების განაწილების" პერსონაჟები ხელახლა გამოცხადებოდნენ ყოფით რეალობაში: არიქა, რაღაც ჩვენთვის სასიკეთო შეიძლება მოხდესო!..

ამ თვალით, მხოლოდ ამ თვალით, პირადი ინტერესით ზომავდნენ ამ მეტად და მეტად მნიშვნელოვან და უეჭველად განსახორციელებელ პროცესს: კვლავ ამაღლებულიყო მთაწმინდის პანთეონის ავტორიტეტი, სახიერი შექმნილიყო ყველასათვის მისი განსაკუთრებულობა, ნაბიჯ-ნაბიჯ რომ კნინდებოდა და უფასურდებოდა. არა კმაროდა, კომუნისტებს რაც გაემასხრებინათ და წირვა გამოეყვანათ მისთვის?!. ახლა ხომ ველარავის გადავაბრალებდით რჩეულთა განსასვენებლის შებღალვას.

3 აპრილს უმრავლესობის შეკრებაზე ედუარდ შევარდნაძე — გაჟეჟილს გატეხილი სჯობიაო ალბათ — ამოღერღავდა, რასაც ფიქრობდა:

— საქართველო ფედერაცია უნდა იყოს, სხვანაირად საქართველოს მთლიანობა არ აღდგება. ფედერალური მოწყობა — აფხაზეთი, აჭარა, ოსეთი რესპუბლიკები იქნებიან....

მაგრამ: კახეთი? იმერეთი?

ამ კითხვას პასუხს აღარ — თუ ვეღარ — გასცემდა...

დაიყოფოდა ფედერალურ ერთეულებად საქართველო, მაგრამ კახეთს, იმერეთს, რაჭას, გურიას რა დაერქმეოდა — რესპუბლიკები? ეყოლებოდათ პრეზიდენტები თუ — ცალკერძ რესპუბლიკები და ცალკერძ რეგიონები?..

გაუჩენდა თავსატეხს თავისიანებსაც...

10 აპრილს გიგა ლორთქიფანიძე დაურეკავდა:

— ნამეტანი მომეწონა „ყაჩაღები", ფილმად მინდა გადავიღო.

— გადაღებულია, — ეს მიუგებდა.

ამაზე ის ცოტა შეყოყმანდებოდა, თუმც სურვილი არ შეეცვლებოდა, გაუნელდებოდა კია...

შეიყოლიებდა ეს „კურუ", „მოლა ნასრედინის ოხუნჯობანის" მსგავსი თხზულება. გაახსენდებოდა თუ ამოუტივტივდებოდა ტვინში ეპიზოდი —გაგონილი თუ ნანაკითხი, და იხსენებდა, ეძებდა, გადაბეჭდვას აგვიანებდა...

1 მაისისათვის მოათავებდა. შეეძლო მეტიც, მაგრამ უსაშველოდ გაუგრძელდებოდა.

გიგა თუთბერიძის მოთხრობებს კითხულობდა 6 მაისს. იგონებდა ამბებს, ტყუილებს, მაგრამ თხრობდა საინტერესოდ. ფორმა მცირე მოთხრობისა არ ითქმოდა მთლად ორიგინალურად, მაგრამ მაინც საგულისხმო ეჩვენებოდა ფრიად. ნიჭიერი კაცი ჩანდა, რომ არ დაღუპულიყო, უფრო გაიბრწყინებდა ალბათ. ზოგიერთი იქვე, ახალგაზრდობაშივე ამოწურავდა ხოლმე თავს. აქ ასე არ უნდა ყოფილიყო. ნახავდა კიდევ, ჯერ არ გასულიყო ბოლოში.

ივანე ამირხანაშვილის წერილი იქნებოდა დაბეჭდილი ბოლო „ლიტერატურულ საქართველოში" რეზოზე. კარგი იქნებოდა, მაგრამ თითქოს ნაძალადევი, მოვალეობის მოხდის მიზნითა და შეგრძნებით დაწერილს ჰგავდა. გურამ ბენაშვილსაც დაეწერა და დღეს თუ არა, ხვალინდელ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდებოდა. ტელეგადაცემაც, უსახური, იქნებოდა ამ დღეებში...

ეს „რია-რია" (საბოლოოდ ასე დაერქმეოდა იმ იუმორისტულ გაზეთ-ჩანართს „ლიტერატურულ საქართველოში") გადაებეჭდა იქნებ და დაჯდომოდა წლიურ მოხსენებას პროზასა და დრამატურგიაზე.

15 მაისს სამოხსენებოდ რომ ემზადებოდა, დაილაგებდა წინ ჟურნალ-წიგნებს. წაკითხულს ვეღარ იხსენებდა. გაუტყდებოდა გული და უარის თქმას დააპირებდა: არ არის ჩემი საქმე მოხსენება, აღარც მდივნობაო...

გუშინდელ წაკითხულს ვეღარ იხსენებდა — არამარტო სკლეროზ-ასაკისა გამო — და ადრინდელები — მიხეილ ჯავახიშვილი იქნებოდა თუ ლეო ქიაჩელი, ნიკო ლორთქიფანიძე თუ კონსტანტინე გამსახურდია, დავით

კლდიაშვილი თუ სხვები — იცოდა. გურამ გეგეშიძის „სისხლის წვიმები“ მოეწონებოდა, დაამთავრებდა, დახურავდა წიგნს და... ვერცერთ პერსონაჟს ვერ აღიდგენდა... ისე სხვებისასაც...

ამ სამი წლის პროზას — „მნათობი“, „ცისკარი“, „განთიადი“, „ლიტერატურული საქართველო“ — გადაიკითხავდა. ხვალინდელი დღეღა დარჩებოდა დასაწერად. მზად გახლდათ, თუ ჩაწერას მოასწრებდა. ალაგ ჩაწერდა, ალაგ ჩაინიშნავდა ალბათ... ხვალაც საქმე და ნახევარი დღე, არც კი ალბათ.

ჩააფიქრებდა მაინც ჯაბა იოსელიანის ავტობიოგრაფიული რომანი „მესამე განზომილება“: რაებს წერდა და იხსენებდა ყოველგვარი სინანულის გარეშე?

დაესწრებოდა მწერალთა ყრილობას ალბათ.

ნიჭი თუ ბოლავდა სხვაგან?

ისე რა! ალაგ-ალაგ... მოდიოდა ვინმე? ჰმ, ჰმ...

მოდიოდა ალბათ, შეიძლება მოსულიც გახლდათ...

დაბეჭდვით ვერ დაბეჭდავდა. დასაბეჭდ ტექსტს ხვალ ვერ დაწერდა. იმ დღის მერე კი აღარ მიუბრუნდებოდა...

„რია-რიას“ დაამაკეტებდნენ — რეზოს რიგი იქნებოდა. უკეთესი გამოვიდოდა ეს გაზეთ-ჩანართი, მოცლა რომ ჰქონოდა...

ქართული პროზა კი მაინც არსებობდა!..

რეზო ინანიშვილის დღიურის ჩანაწერს კი — სხვისაგან უკვე ეცოდინებოდა — დღეს თავისი თვალითაც ნახავდა „კვამლზე“:

ყოჩაღ, ჭეიაო!..

28 მაისს მიანიჭებდნენ რუსთაველის პრემიას. რეზოსა და სოსო კეჭაღმაძეს — ერთხმად, არცერთ შავს არ ჩაუგდებდნენ. დანარჩენებსაც ეყოფოდათ ხმები... როცა უნდოდა და როცა უხაროდა, მაშინ — ავტობიოგრაფიული რომანისათვის „მუსიკა ქარში“ — არ უყრიდნენ კენჭს. სამი წლის წინათ კი თვითონვე იტყოდა უარს, გამოიტანდა საბუთებს და ახლაც ამართლებდა იმ საქციელს... მწერლობიდან მხოლოდ რეზო მიიღებდა.

არადა რა წვალებით ღებულობდნენ, ხომ ახსოვდა... მაშინ მეტი გახლდათ მოთხოვნა და არჩევნებიც თუ კენჭისყრაც — ალტერნატიული... არა ყოფნიდათ ხმები და იქნებოდა ხოლმე ერთი გადატან-გადმოტანა, თხოვნა — დაგვიმატეთ ამისთვის, ამიტომ და იმიტომო...

6 ივნისს წამოაგონდებოდა ვალიკო თუმანიშვილის ნათქვამი, რომელიც უკვე გამოეყენებინა:

— ჩემი თაობის სუფრა ალაგებულია ან ახლა ლაგდება.

და მიადევნებდა:

იმ ხნისანი ვართ ზუსტად და ჩვენი სუფრაც ალაგდებაო.

სთხოვდნენ: მოხსენება ჩაგვაბარე, უნდა დავბეჭდოთო.

ჩაჯდომა უნდოდა და გასწორება. ეზარებოდა ცხადია, მაგრამ გამოქვეყნებაც ნამდვილად არ ენდომებოდა. დარჩენილიყო მასთან ხელნაწერად.

სხვას არას წერდა და გაგულისებული თავს არ დაინდობდა: ედგავარ ჯორივითო.

10 ივნისს დაიწყებდა „მოუცლელი კაცის ჩანაწერებს“. რაც დაიწყებოდა, ის დამთავრდებოდა კიდეც... რეზოსთან ასე ხდებოდა: ერთის გარდა — რადიაციაზე — დაუმთავრებელი არა შეენახა რა. საინტერესოდ ჩაიფიქრებდა და ეიმედებოდა, რომ კარგიც გამოვიდოდა. ამის დრო არ იყო თითქოს და მაინც ამას წამოიწყებდა — მთავარს გადადებდა...

„ქამუშაძის გაჭირვებას“ ნახავდა 12 ივნისს მარჯანიშვილის თეატრში — სუსტ სპექტაკლს, და ადგილები მოეწონებოდა მაინც. კარგი მსახიობი აღმოჩნდებოდა — იმიტატორი, მომღერალი, წარმოსადეგი — გურამ ჯაში. და იმედს გამოთქვამდა რეზო: კარგია და კარგი უნდა გახდეს, დადგესო.

მთავარ როლს, აკვირინეს, ელენე ყიფშიძე თამაშობდა და ამას ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა: მგონი მოთხრობა არ უნდა ჰქონდეს წაკითხულიო...

„თბილისური სეპარატიზმი“ ქვეთავი უნდა ყოფილიყო „მოუცლელი კაცის ჩანაწერებში“, დაეწერა თუ არა, შეეტანა თუ არა შიგ, ფიქრობდა...

ენციკლოპედიას გადაათვალიერებდა საგანგებოდ. ჩამოსული აღმოჩნდებოდა ყველა და ცალკეც შეიძლება გამოყოფილიყვნენ ის თბილისელები, რომელნიც თბილისში არ დაბადებულიყვნენ: ნატო ვაჩნაძე — ვარშავაში, ზურაბ ანჯაფარიძე — ქუთაისში, კოტე მარჯანიშვილი — ანაგაში, აკაკი ხორავა — ჩხორონყუს რაიონში...

სჭირდებოდა ეს მასალები. იძულებული გაეხადათ...

ამთავრებდა „მოუცლელი კაცის ჩანაწერებს“.

„ვეფხისტყაოსანი“ ედებოდა გადაშლილი. ბევრს კითხულობდა, უდარებდა, ცოტას წერდა, აპირებდა კიდევ უფრო გაეცოტავებინა.

ივნისს თვე არ ჯობიაო, 17-ში ჩაინიშნავდა, და იმ შესატყვისებსაც გაიხსენებდა: თიბათვე, ივანობისთვეო.

რატომ არა ჯობდა და:

თვე იყო —

თივის, თოხნის, წყალში ჩასვლის, ღვინის ჩაციების, ვნების, აზრის, გონების, ჭექა-ქუხილის! შემოქმედების...

სულიკო ხაბეიშვილს მოკლავდნენ 20 ივნისის დილას საკუთარ სახლთან — ოთხი ტყვიით, მეხუთე თავშიო — საკონტროლო. მოკლავდნენ მძღოლსაც. პოლიტიკური მკვლელობა გახლდათ აშკარად, ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ მიმართული. ხაბეიშვილი ხომ შევარდნაძის ფონდის პრეზიდენტი იყო და ახლა ამ სისხლიან აქტს ფულთან აკავშირებდნენ.

— რა ფერისა იყო ბოლოკი მიწაში? — ბარუხ სპინოზას ნიშნისმოგება გახლდათ თუ ანტიკური ფილოსოფოსებისა, რეზო ვეღარ გაიხსენებდა.

არადა ბოლოკი რაც ზევით იყო, ის ქვევითაც, და ჩვენი უცოდინრობის დასამტკიცებლად კი სხვა, უკეთესი მაგალითების მოტანა შეიძლებოდა.

27 ივნისს ოპოზიცია განაცხადებდა:

ჯერ პარლამენტი ავირჩიოთ და მერე პრეზიდენტიო.

საპარლამენტო უმრავლესობა იქადდა:

პირიქით მოვიქცევითო.

არ არსებობდა კონსტიტუცია, არ გააჩნდათ საარჩევნო კანონი... დიდი საპარლამენტო არეულობა იწყებოდა... თბილისში კი ძალიან ცხელოდა. რეზოს აღარც პარლამენტი უნდოდა, აღარც აქ გაჩერება — სადაც იმყოფებოდა.

„სად გინდა წახვიდე!"

1 ივლისს ერთხელ კიდევ გაიკვირვებდა ედუარდ შევარდნაძისას:

რამდენს ასწრებდა მართლაც, რამდენსა და რამდენნაირს. ფიქრი და ანგარიში შეეძლო, ეს კი იშვიათ შემთხვევად მოჩანდა.

ჯანსულ ჩარკვიანი ეტყოდა რეზოს:

— როგორც ბეჭდავ, მანქანაც ისე დაგყავს.

მანქანა, მანქანას გააჩნდა, კარგად დაჰყავდა, ბეჭდვისა კი რა ეთქვა. რახანია არ გაჰკარებოდა საბეჭდ მანქანას, ინსტრუმენტს კი ყოველდღიური ვარჯიში რომ ესაჭიროება, ეს ყველას მოეხსენებოდა.

ორი დღის შემდეგ „კუდიანი ვარსკვლავის" გადასინჯვას გადაწყვეტდა, უნდა გაემარტივებინა, გაერთულებინა. ბევრი რამ — მაგალითად „კურუ" — ამოვიდოდა მთლიანად. ფიქრობდა ღორებზე. რა შუაში იყო, თვითონაც ვერ გაეგო... ამოვარდნილიყო უნდა!

რითი დაეწყო, ვერ გადაეწყვიტა.

ნიგნი ჯერ თუ რომანი?

ნვრილ-ნვრილებს სათვალავში არ აგდებდა.

„რია-რიას" მასალები ჰქონდა დასაწერი.

„ეს საქმეა?!"

გურამ ფანჯიკიძეს შეედგინა პირველი ნომერი... მერე ტარიელ ჭანტურია, თამაზ წივწივაძე... მე-11 ან მე-12 ნომერი ამ იუმორისტული ჩანართისა რეზოს დასაწერი იქნებოდა... ჰქონდა კიდეც ნაწილი... არ ესაჭიროებოდა არავის შემოშველება...

8 ივლისს ერთხელ კიდევ დაეუფლებოდა გულგატეხილობა ქართველობაზე — ხანდახან სასოწარკვეთილებამდეც რომ მიდიოდა. და დაცდებოდა: გადაშენების, გადაგვარების პირას მისულ, ზნედაცემულ ხალხზე როგორ უნდა წერო, ან ამ ერის მწერალი რა მწერალი უნდა იყოსო!..

უყურებდა ფრანგულ კინოსურათს „ბიძაჩემი ბენჟამენი", და გაახსენდებოდა — ანკი რა გახსენება უნდოდა — „არ იდარდო", რეზო გაბრიაძისა და გია დანელიას ფილმი, და დაფიქრდებოდა, რამდენად უკეთესი, რამდენად უფრო ნიჭიერული და კეთილშობილური გახლდა ქართული კინოსურათი, უფრო ზუსტად — ფრანგული ამბავი ქართულზე დამყნობილი. ეს მარტო ავტორების დამსახურება არ უნდა ყოფილიყო — ადგილები გაბრიაძეს სულაც პირდაპირ ჰქონდა ნათაქი — არამედ ქართველი კაცის გენიის, ტალანტის გამოვლენა.

ქართველს ბუნებით არტისტად მოიხსენიებდა, ქუჩიდან აყვანილიც ვარსკვლავი რომ შეიქნებოდა, კეთილშობილებაც და ადამიანობაც მასში, მის ბუნებაში სუფევდა, ჩამარხული, დაფარული, დროდადრო რომ იფეთქებდა ხოლმე ეს თვისება, დროდადრო გამოვლინდებოდა... ამიტომაც სწამდა ჩვენი მომავლისა...

მომავალი შენიაო!

ილიას ლექსის ეს აკორდული სიტყვები და მიზანსწრაფვა ცოტა აეჭვებდა:

შენია ის, რაც ახლოა, ჩვენ კი მას ძალზე გვიან, სამწუხაროდ გვიან მოვიპოვებთო...

11 ივლისს ამ ფონდს რაღაც ფორუმი უნდა გაემართა მსოფლიო მასშტაბით. იწვევდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს, რათა ეჩვენებინათ, როგორი სტაბილური სახელმწიფო ჩამოეყალიბებინათ, შეექმნათ. კარგად აჩვენებენო! — მწარე ღიმილი აეკიდებოდა ბაგეზე რეზოს.

შევარდნაძე ისრაელში იმყოფებოდა. მაგის ჩამოსვლამდე ვიღაცას მოკლავენო, ამბობდნენ და... ა, ბატონო!

მურმან ლებანიძე და ტარიელ ჭანტურია რუსთაველის პრემიებს დაარიგებდნენ მწერალთა კავშირის შენობის სხვენში.

რეზო არ მივიდოდა და განაცხადებდა:

— საპარიკმახეროში პრემიას არ ავიღებ.

მიჰყვებოდნენ, მოჰყვებოდნენ და... დიდი უსიამოვნება შეხვდებოდა მურმან ლებანიძესთან ტარიელ ჭანტურიასა და ემზარ კვიტაიშვილის თანდასწრებით.

და რეზოსებურ ირონიას გამოურევდა:

მაგენი (მოწმეები) ამბავს (ერთ საათში ეცოდინება ყველას ყველაფერი) ხომ არ გაიტანდნენ გარეთ. სამარეა (მიწის დაყრაღა აკლიათ) ერთიცა და მეორეცაო...

შესაფერისადაც რომ დააგვირგვინებდა იმ დღის ჩანაწერს:

შენ დაუკაო!..

23 ივლისს ურუგვაის ნაკრები მოუგებდა ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდს და ამერიკის ჩემპიონი გახდებოდა. ისტერიაში ჩავარდებოდა ხალხი!.. აბა რა იქნებოდა!.. ეს საგანგებოდ მიაჩერდებოდა რუკას, რათა გამოერკვია, საიდან იყო ის ზღვაური, დროშებს რომ ატკაცუნებდა სტადიონზე.

მონტევიდეო!

მშვენიერი მიწა უნდა ყოფილიყო, ეჭვიც არ ეპარებოდა, ოკეანის უბეში და მდინარე ურუგვაის ნაპირებზე.

მოთხრობა ჰქონდა ამ სათაურით: „წვიმიანი დღე", ეპიგრაფად გალაკტიონის ამ სიტყვებს რომ წარუმძღვარებდა: ლურჯო მონტევიდეოო.

ახლაც კი მოსწონდა. ქუთაისში დანახულ ტირსა და წვიმის სევდას მონტევიდეოში გადაიტანდა. სხვანაირად არ დაუბეჭდავდნენ, ხოლო ბევრი, ბევრი კი არა, უმრავლესობა — მაშინ აკი კითხულობდნენ — იღბლიან ხერხად მიუთვლიდა. ახლანდელი ადამიანი ვერც კი წარმოიდგენდა, რა უნდა ყოფილიყო იქ დასაფარავი. ხერხიც იყო ცხადია, და საშუალებაც.

25 ივლისს სესია სესიურად ჩატარდებოდა: აყალმაყალით, ერთმანეთის შეურაცხყოფით. ძაღლი და მამალი, სულხან-საბას არაკისა, უკეთეს სოფელს ააშენებდნენ. ყეფდნენ, ყიოდნენ... მელა კი თავისას ექადნებოდათ: მე ხომ ჩემი დამემართა და თქვენ რა სოფელსაც ააშენებთო... და ესენიც რა სოფელს ააშენებდნენ, დავინახავდით ყველა!

ედუარდ შევარდნაძე სესიას ველარ უვლიდა, საქართველოსთვის მოევლო კი არა!.. მიკროფონის გამორთვისა ეშინოდა: არ ეწყინოთო.

„მოჭამა, თუ მოჭმული არ ჰქონდა, დრო თავისი და უნდა გავიდეს თამაშიდან".

კაცი რომ არა ჩანდა? თუმც კაცი გამოჩნდებოდა. შეუცვლელი ანკი ვინ ყოფილიყო.

აშენებდა დემოკრატიას, რომელიც არ აშენდებოდა. დემოკრატიას მრავალი სახელმწიფო დაენგრია, აშენებით — ვერცერთი აეშენებინა.

აშენებულ და ცივილიზებულ ქვეყანაში უნდა აგეშენებინა დემოკრატია და არა აუშენებელში...

ლოზუნგი არსებობდა, კონსპირაციული — ბოლშევიკების დროს: ვანგრიოთ და ვაშენოთ, მუშა არ გავაჩეროთო!.. — არადა აშენებდნენ, გლახად, მაგრამ აშენებდნენ.

გამზადებული ექნებოდა „მოუცლელი კაცის ჩანაწერები". სად დაებეჭდა, აღარ იცოდა. საგაზეთოდ დიდი იყო. გადაბეჭდვაც უჭირდა ამ სიცხეში.

ფეხით არჩევდა სიარულს რუსთაველის გამზირზე. პარლამენტთან, გამომცემლობა „მერანის" ახლოს ხვდებოდა ნაცნობებს... 29 ივლისს საგანგებოდ ჩაინიშნავდა, რომ:

ქუჩა გამოცოცხლებულიყო, გაევროპულებულიყო, გოგონების შეხედვას, კარგად ეცვათ ნახევრადშიშვლებს, არა სჯობდა არაფერი. ინტელიგენცია კი... ინტელიგენცია დაგლახაკებულიყო. ვინც წიგნს შერჩენოდა, სულ დაღუპულიყო. საცოდაობა იყო ზოგიერთთან ლაპარაკი, ზოგიერთის ყურება.

31 ივლისს გრიგოლ რობაქიძეს გადაიკითხავდა ამ სიცხეში — „გველის პერანგსა" და „ფალესტრას". და იფიქრებდა, რომ: საქართველოში თუ შეეძლო ამ კაცს ეშოვნა სახელი, მხოლოდდამხოლოდ საქართველოში.

„გველის პერანგის" კითხვისას ხან იფიქრებდა, რომ ამ ადამიანს არაფერი აკავშირებდა მწერლობასთან. ხან მწერალიც იყო — უფრო პოზიორი. თავის სოფელს ფერსათ-ბაღდათს რომ მიუახლოვდებოდა, ბუნებრივი ხდებოდა, იქაც — შიგადაშიგ. ევროპით — უცხო სიტყვებით, წანაკითხვის შთაბეჭდილებებითა და ფილოსოფიის ნატეხებით აკვირვებდა სნობებს: ავტო, ტაქსები, ელექტრონები და ათასი რამ, გეგონებოდა მარტო ის ნახავდა და საქართველოში არასოდეს ჩამოაღწევდა ის ყოფა.

ევროპაში — პროვინციელი, ფერსათში — დენდი.

სუფრიდან გადავარდა „ბენედიკტინიო". სიტყვა მოსწონდა უცხო. რა გადავარდნილიყო, იმას კი არა ჰქონდა მნიშვნელობა, არამედ როგორ ჟღერდა გადავარდნილი ნივთის სახელი, ეს იყო მთავარი. მზის თესლები, ურა კვიც-ცხენები, ხარი და სხვა. ერთიდაიგივე არაფრისმთქმელი სიტყვები, სიტყვები მხოლოდ, სიტყვები. კარგი იყო სოფელი, ბაბუა სარიდანი, მატასი. მატასი რომ ტანს იბანდა სპილენძის ტაშტში...

„ფალესტრა" კიდევ რა იყო, ღმერთმა თუ იცოდა... ლექსებშიც — სიტყვები, სიცარიელე.

დაუფასებდა სტალინზე დაწერილ კარგ ესეის, ხოლო სილუეტს ეგნატე ნინოშვილზე — სულაც სანიმუშოდ შემოინახავდა...

არ იყო ხელწამოსაკრავი კაციო, — 1997 წლის 19 ოქტომბერს ჩაინიშნავდა და გაოცებას გამოთქვამდა: სვირელ ყმაწვილს რომ მიეღწია ამ დონისათვის!..

ქუთაისში დაამთავრებდა სასულიერო სასწავლებელსაც და სემინარიასაც.

და რეზოს თვალში:

გრიგოლ რობაქიძე უფრო წარმოდგებოდა ქუთაისელად, ვიდრე გალაკტიონ ტაბიძე.

აკაკი ბაქრაძის ბიოგრაფიულ რომანს რომ ჩაამთავრებდა გრიგოლ რობაქიძეზე: „კარდუ" – სერიოზულ ნაშრომად მიიჩნევდა, მოეწონებოდა და 2000 წლის 14 მაისს ამ შთაბეჭდილებას რომ ჩაინიშნავდა – საქებარს, თვითონ რობაქიძეს დიდ პოზიორად მოიხსენიებდა, საინტერესო და ტრაგიკულ პიროვნებად, რომელიც საკუთარ მეს, ნატურას ვერ დააბანდებდა, ვერ დატევდა დაუტეველში.

როგორი წარმოუდგებოდა მისი სახება?

მთლიანი და ერთხაზობრივი – ცხოვრებაშიც, პოლიტიკაშიც, მწერლობაშიც, და მაინც განწილებული, თუმც არა გაფანტული.

არ დარჩებოდა მემკვიდრე ყოფაში და სამწუხაროდ – არც მწერლობაში. და მწერლობის ვერცერთ დარგში ვერ დაიკავებდა იმ ადგილს, რისი იმედიც და პრეტენზიებიც ჰქონდა: ვერც პირველი პოეტი გახდებოდა, ვერც პირველი პროზაიკოსი, ვერც ლიტერატორი და სხვისი უტყუარი შემფასებელი.

თუმც იგი – ესეც უნდა თქმულიყო:

რობაქიძე გახლდათ და სხვა არავინ, ერთადერთი რობაქიძეობაში...

შეპყრობილი განდიდებით, ოღონდ – არა განდიდების მანიით.

რაიმე განსხვავებაა განდიდების წყურვილსა და განდიდების მანიას შორის? რეზოს თვალი ამჩნევდა რაღაც სხვაობას, ნიუანსობრივს, მაგრამ მაინც...

კარგ ლიტერატორად მიიჩნევდა, რაკიღა ეგნატე ნინოშვილზე შესანიშნავი წერილი დაეწერა. და სხვებზეც.

არა ყოფილა მარტივი და არც ნამეტნავად რთული – როგორც თვითონ სურდა და როგორც ჩანდა ზედაპირული თვალით...

სვირელი ყმაწვილი ამ დონეს რომ მიაღწევდა, მაინც საკვირველი ეჩვენებოდა რეზოს. თუმც... არც იმ სფეროში იქნებოდა ერთადერთი. მეოცე საუკუნის პირველ წლებში, ათიან-ოციანში, ერთი მისნაირი „სოფლელი" ქუთაისით, ქუთაისიდან დაწინაურდებოდა და ერისკაცადაც იქცეოდა.

და გამჭვირვალედ მიანიშნ:ებდა იმ „ერთ მისნაირს", ამ სტრიქონებს რომ დაიმოწმებდა:

ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი,
მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი.

და... მიუხედავად განსაკუთრებული სიყვარულისა, ამჯერად ნესტარს წაჰკრავდა გალაკტიონს:

არც ესაა სწორი. ბევრი დაეცა (დაიღუპა), მაგრამ მხოლოდ „ის ერთი" არ გადარჩენილაო...

გაამზადებდა 3 აგვისტოსათვის „მოუცლელი კაცის ჩანაწერებს". გადაბეჭდვისას ჩასწორება, როგორც იქცეოდა ხოლმე, არა სჭირდებოდა. შეეძლო მბეჭდავისთვისაც გადაეცა, თუმც ამას ალბათ არც ახლა ჩაიდენდა.

1962 წლიდან თავისას, ზოგჯერ ორჯერაც, თვითონ ბეჭდავდა. განცხადებებისა და სასამსახურო ცნობა-საბუთების გარდა თავისი თანამშრომლებისთვისაც — მბეჭდავისათვის — არა მიეცა რა. ბავშვები, მისიც და სხვებისაც, დაკვირვებულიყო, საბეჭდ მანქანას საბეჭდავს ეძახდნენ და სწორიც იყო ალბათ.

ეზმანებოდა ახალ სამუშაოს. ხან სტალინზე აპირებდა დაწერას, ხანაც სამხარეო მოწყობაზე. ეს პოლიტიკაც არ ასვენებდა, ვერ იშორებდა იმ წვრილმანებს.

— მიხედე შენს საქმეს, — ფიქრობდა და... ვერ მიეხედა... წიგნი თუ არ გაიყიდებოდა, ხალისი და სიბეჯითეც გაქრებოდა. გვეკითხა თუ გვეწერა? კითხვაში არც არაფერს გაძლევდნენ, არც არაფერს გთხოვდნენ...

„ძველ ვოდევილებში" სამ მსახიობს შეესრულებინა — ვასო გოძიაშვილს, ირაკლი უჩანეიშვილსა და შოთა მშვენიერაძეს — მთავარი როლი. სამივე გარდაიცვლებოდა. თუ პირველ ხანში იყო შესული, მეორე და მესამე, განსაკუთრებით მესამე, ახალგაზრდებად შეიძლება ჩათვლილიყვნენ. 4 აგვისტოს სწორედ შოთა მშვენიერაძის ხსოვნის პატივსაცემად აჩვენებდნენ ტელევიზიით ამ სპექტაკლს. რაღაც სიახლეებიც, განსაკუთრებით ბოლო ნოველაში, შეეტანა ხასიათში.

ირაკლი უჩანეიშვილი განაცხადებდა: ვასო გოძიაშვილი ამ როლში არ მინახავსო.

გაკვირვებას გამოთქვამდა რეზო: ჯერ ერთი, რატომ არ ენახაო?! — და დასძენდა, რომ: ასლი გახლდათ გოძიაშვილისა, უფრო სწორად — ლანდი. ამღამინდელი შემსრულებელიც როლისა — ლანდი.

დრო არ აბერებდა ტალანტს. თანამედროვე ხერხები და შეხედულებანი ნიჭს ვერ ჩრდილავდნენ.

რომ იტყოდნენ: ის ასეთი და ასეთი იყო, განუმეორებელი, რა შედარებააო, — ვერ იჯერებდა რეზო, ვერ ითავისებდა ამ შეხედულებას: ადრინდელი შთაბეჭდილებაა, ცდება ან ტენდენციურია ეს კაციო, ფიქრობდა.

აი აქ თვალნათლივ წარმოჩნდებოდა სურათი.

სამივე აქტიორი სრულყოფილად — კოკასა შიგან რაცა დგასო, ამ პრინციპით — გამოვლენილიყო და... ცა და დედამიწა ჩამდგარიყო მათ შორის. ვასო გოძიაშვილის ორ ლანდად თუ გამოდგებოდა ბოლო ორი შემსრულებელი.

პარლამენტის სხდომაზე ნამეტანი გაბითურდებოდა ნოდარ ნათაძე. შევარდნაძე მთლად მოუთავებდა ხელს. მოეწონებოდა რეზოს ედუარდის პო-

ზიცია. ერთი ნიუანსი დააკლდებოდა, თორემ სრულყოფილი იქნებოდა იმ შემთხვევაში.

ლუიზა შაკიაშვილი უკივლებდა ზემოდან:

— რატომ აუდიტორია არ გაუჩერე?

— მეტი იარაღი არა მაქვს და ზარს კი ვრეკავდი.

უნდა დაემატებინა უთუოდ და უთუმცაოდ:

გამომსვლელის, ორატორის უპირველესი მოვალეობა მსმენელის გაჩუმებააო.

ახსენდებოდა, იორამ ქემერტელიძეს რაც გადახდენოდა. ქორწილში თამადად აირჩევდნენ და მეორე ჭიქაზევე აეჭრებოდა სუფრა.

— ხალხი გამიჩერეთ! — იყვირებდა რამდენჯერმე.

— ამათი გაჩერება რომ შემძლებოდა, მე დავდგებოდი თამადად, — დაუძახებდა ვილაც.

იასე ბარათაშვილს გადაიკითხავდა კიდევ. კვლავაც საოცარ წიგნად მოეჩვენებოდა, მაგრამ მხოლოდ შვილებისა და თავისი თავისათვის დაეწერა. იმდროინდელ პოლიტიკურ ცხოვრებასა და საომარ ბატალიებს გვერდს უვლიდა, რამდენადაც შეეძლებოდა.

ერეკლე — უფრო სწორად: ბატონი — წავიდა საომრადო... და მეტი არაფერი.

ბატონმა ჯარი შეკრიბაო... და მორჩა.

ქალაქში ბატონმა ჩამოიყვანა ლეკის ჯარი, იმის ჯარი, ამის ჯარი, დიდი მზადება ჰქონდა, ჩემთვის არ ეცალაო... და აქ წყდებოდა.

ეს ჯარი რომ შეეკრიბა, სად გაელაშქრა, რა ჩაედინა — ეს ავტორს არ აინტერესებდა.

გულდასაწყვეტი მოეჩვენებოდა და... შეიძლება თვითონ ამიტომაც მოუხშირებდა პარლამენტის ხსენებას... ოთხშაბათს განახლდებოდა. კონსტიტუციის მიღებას კი არა და არ ადგებოდა საშველი. რეფერენდუმი უნდა ყოფილიყო, სხვანაირად არ გამოვიდოდა. არჩევნებიც გადაიდებოდა, ასე ატყობდა...

7 აგვისტოს ტელევიზიით აჩვენებდნენ ნიკიტა მიხალკოვის ფილმს „მზით გათანგულნი". მიეძინებოდა რეზოს, მიეყვინთებოდა, აქეთ გამოვიდოდა, მაგრამ ხმა მოესმოდა. ფილმს მიეღო ამერიკის უმაღლესი პრემია „ოსკარი". რატომ და რაში, ჯერ ვერ მიხვდებოდა.

„გავალ და მივხვდები, თუ არ ჩამეყვინთა კვლავ".

სათაური მოეწონებოდა — „მზით გათანგულნი": კარგად მოუთარგმნიათო...

...საინტერესოდ განვითარდებოდა თითქოს, მაგრამ იმათ, გალმეურებს, ასე რად მოსწონებოდათ, ვერ გაიგებდა. ბევრი არაბუნებრივი — ყალბს ვერ იტყოდა — ადგილი, სცენა იქნებოდა შიგ. ბავშვის გათამაშებაც სპეკულატური უნდა ყოფილიყო თითქოს.

ქართულ ფილმებზე — თენგიზ აბულაძისა თუ გიორგი შენგელაიასი — მაღლა არ იდგებოდა. ბოლო სცენა კიდევ გიორგი შენგელაიას კინოსურა-

თის — „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ — უკანასკნელ ეპიზოდს ჰგავდა...

10 აგვისტოს კონსტიტუციის რაღაც პუნქტებს მიიღებდნენ ჯერჯერობით კანონების უფლებით. დიდი გაძლება აქვს შევარდნაძესო, ამბობდნენ, მაგრამ ეგ იყო ალბათ მისი სტიქია. ქართულ სუფრაზე შესაძლოა ამათ ეჯობნათ კიდეც, ის ვერ გაუძლებდა ბითურ სადღეგრძელოებს.

ბერი ეგნატაშვილს გადაიკითხავდა და... კოშმარად აღიქვამდა საქართველოს იმდროინდელ ისტორიას... არჩილსაც წაიკითხავდა ხელახლა და თეიმურაზ პირველსაც. ამ კაცზე — თეიმურაზს გულისხმობდა — უფრო ტრაგიკული პიროვნება — უჭკუო, მამაცი და ავანტურისტი — ვერც წარმოედგინა...

დაწერილიყო თუ არა ამ პიროვნებაზე ცალკე, თუნდაც მონოგრაფია? არ იცოდა.

ეს კი იცოდა, რომ:

უილიამ შექსპირი და, შექსპირი საიდანაც თაქავდა, იმათი ქრონიკები გაფერმკრთალდებოდა ჩვენს XVII საუკუნესთან...

11 აგვისტოს სიცხე გაუძნელებდა წერას. არა, მაინც რითი დაეწყო? ორი დასამუშავებელი იქნებოდა: „კუდიანი ვარსკვლავი“ და „ასკილის წითელი ყვავილი“ — ორიც დასაწერი: „იორამული“ და „გულო ჯანდიერი“. კენჭი უნდა ეყარა. ძალიან ალალადაც გაითამაშებდა და მაინც ისე დაეწყობოდა, როგორც სურდა, და ეს უცნაური მოეჩვენებოდა: „ასკილის წითელი ყვავილი“, „იორამული“, „კუდიანი ვარსკვლავი“ და „გულო ჯანდიერი“.

ვერ გაკონსტიტუციურებულიყვნენ საბოლოოდ და რეზო იტყოდა შევარდნაძეზე:

— უფრო დიდი სამუშაო ალბათ კაბინეტში აქვს.

— რატომ? — ვერ მიუხვდებოდნენ, რას გულისხმობდა, და განუმარტავდათ:

— აქ ისვენებს, ვერა ხედავთ?

იცინებდა გენო კალანდია და დასძენდა:

— ვეტყვი.

ნამეტანი რომ აქტიურობდა გენო, ზედა ეშელონებსაც დაახლოებოდა. ედუარდი კი ნამეტურ კაი გუნებაზე დამდგარიყო, ეს დღეები ხუმრობდა და, როგორც თვითონ ეჩვენებოდა, საქმეც მიჰყავდა წინ. ელდარ შენგელაიაც კი შეშფოთდებოდა. რეზო როგორც ამოიცნობდა, მგონი თავის დაძვრენას აპირებდა, ეს კონსტიტუცია მივიღოთ და მერე კისერიც გიტეხიათო, ფიქრობდა. მთლად ეგრეც არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ყოყმანით კი ყოყმანობდა ქვეყნის მეთაური. შეიძლება კენჭი მართლა არ ეყარა, არჩევნებშიც ვერ გაიმარჯვებდა პირველივე ტურში... სერიოზულ კონკურენციას ვერ გაუწევდნენ, თუმც ხმებს წაართმევდნენ სხვები.

საქართველოს შავბნელ ისტორიას კითხულობდა ღამღამობით: თეიმურაზ პირველი, არჩილი, იოსებ თბილელი, ბერი ეგნატაშვილი. იქით და იქით, სიღრმეში მეტი სინათლე სუფევდა, მეტი სიმშვიდე. სახელმწიფოს არსებო-

ბის უტყუარი დოკუმენტებიც მოგვეპოვებდა. „ქართული სამართლის ძეგლები" თითქმის დაემუშავებინა, შენაძენი ცნობიერებისა თუ ტვინის ერთ კუნჭულში შეენახა — წიგნები ხაზგასმული, გადაწყობილი.

დაიწყებდა თუ არა და როდის ამ ისტორიაზე — ქრონიკებზე მუშაობას? სულ რაღაც ელობებოდა, რაღაც უშლიდა ხელს... მაგრამ მაინც ეიმედებოდა, რომ დაადგამდა — როცა იქნებოდა — თავს...

24 აგვისტოს გამოიძახებდნენ თბილისში, სესიაზე. ყველას შეკრებდნენ, უმრავლესობის წარმომადგენლებს — განსაკუთრებით.

ბოლობოლო მიიღებდნენ კონსტიტუციას და როგორ არ აღენიშნა დღიურში ეს 24 აგვისტო 1995 წლისა, საღამოს ექვსს რომ აკლდა 5 წუთი:

ეს მაინც დიდი საქმეა, დიდი და მნიშვნელოვანი ფაქტიო.

მეორე დღეს კი ჩაინიშნავდა, რომ:

გამწერლებიდან დღემდე არ შემოლეოდა საქმე, საბეჭდავზე ვერაფერი მოეხსენებინა. ქაღალდის მარაგით დღემდე გაჰქონდა და კაიხანსაც გაიტანდა თავს. და როგორ არ განეცხადებინა დღიურისათვის სიამაყით:

ჩვენ ვცოცხლობთ! ჩვენ კიდევ ვწერთო!

დადგებოდა 29 აგვისტო და...

დაენგრიათ კინაღამ მთელი პარლამენტი.

ედუარდ შევარდნაძე ჰალსტუხსა და პიჯაკს რომ არ იშორებდა, „მაიკისამარა" ილაპარაკებდა ტელევიზორში.

„შემოახია ალბათ დაცვამ ტანსაცმელი".

სამი ავტომანქანა ერთდროულად აეფეთქებინათ პარლამენტის ეზოში. ნაღმებით გაწყობილი ავტომანქანები ელოდნენ შევარდნაძეს. ვისაც არ ეზარებოდა, შიგ იმყოფებოდა ხოლმე, შედიოდნენ და გამოდიოდნენ.

— უარესსაც ველოდი, ესაა მათი ბოლო გაბრძოლება, — მტკიცედ და კატეგორიულად ილაპარაკებდა ქვეყნის მეთაური, თუმც რეზო იჭვნეულად გადააქნევდა თავს. მაინც ამ კაცის გონიერების იმედი ექნებოდა. მთავარია უბედურებაში არ გადაზრდილიყო ეს ყველაფერი. პირდაპირ დაჯახებაც არ ივარგებდა.

კარგს რომ ვერას გაიგონებდა ადამიანი, ამას კი ხვდებოდა რეზო. და მაინც უკეთესის იმედით იქნებოდა...

21 სექტემბერს იხდიდა ქუთაისი თავის იუბილეს და ბევრი რამ კეთდებოდა ნაუცბათევად, თუმც რეზო არ ამტყუნებდათ: სხვანაირად არც გამოვიდოდაო.

თემურ შაშიაშვილი დაათვალიერებინებდა ყველა მშენებარე და შესაკეთებელ-შესალამაზებელ ობიექტს. შუა ივლისის შემდგომ აქ აღარ ყოფილიყო და ამ თვენახევარში ბევრი რამ სახელდახელოდ — და არა საშვილიშვილოდ — მოესწროთ.

როგორ დაამშვენებდა და მოუხდებოდა დავით აღმაშენებლის ძეგლი აქაურობას?

ჩამოსხმით უკვე ჩამოესხათ, კვარცხლბეკი, პოსტამენტი გაემზადებინათ.

დამარცხებულ ქვეყანას არ უხდებოდა ამდენი ამბიციები... და მაინც ეს ყველაფერი რეზოს საჭიროდ ეჩვენებოდა. რაც გაკეთდებოდა, რაც დაიდგმოდა, ის დარჩებოდა.

31 აგვისტოს დამდგარიყო და: ჯაბა იოსელიანის კაბინეტი გაეჩხრიკათ. ამ კაცის დიდების, დიდების კი არა, აღზევების ხანა დასასრულს მიახლოებოდა.

„დაველოდებით შემდეგ მოქმედებას...“

6 სექტემბერს პრეზიდენტობის ოთხ კანდიდატს რომ გაატარებდნენ რეგისტრაციაში, მათ შორის ჯაბა იოსელიანსა და აკაკი ბაქრაძესაც.

ჯაბა ციხეში უნდა იყოს და წავა კიდეცო, — ჩაინიშნავდა დღიურში, აკაკი ბაქრაძეს კი... არარაობად მოიხსენიებდა, საამისოდაც კი გაიმეტებდა. და აპირებდა ეკითხა მისთვის:

— კაკო! ვთქვათ გამოთაყვანდა ხალხი, იოლი შესაძლებელია, და აგირჩიეს პრეზიდენტად, მერე რას შვრები?!

როგორ ბედავდა, გასაშტერებელ ამბად ეჩვენებოდა!..

სამი დღის თავზე შესთავაზებდნენ:

ბაგრატის ტაძრის ფონდს ჩაუდექი სათავეშიო.

ეს შემოთავაზება ძლიერ შეაფიქრიანებდა, რადგანაც საშვილიშვილო საქმე გახლდათ. ტაძარი — თუკი ეწერა — უნდა აღმდგარიყო 2003 წელს, 8 წლის შემდეგ. რეზო იმხანად 70 წლისა შესრულდებოდა. თუ მივაღწიე იქამდეო, ჩაურთავდა. არადა ნაღდი საქმე იყო, რეალური და... ისევ აყრილიყო?..

თემურ შაშიაშვილი ეტყოდა: ბაგრატის ფონდის ამბავი საიუბილეო დღეებში ოფიციალურად გამოვაცხადოთ. ფორმალურად ილია მეორე იქნება მისი თავმჯდომარე, ფაქტობრივად — მე და შენო. თავის თავსაც არ გამორიცხავდა... ბოლომდე მაინც ვერ გაერკვეოდა რეზო თავის მოვალეობა-ფუნქციაში.

— შენი ავტორიტეტია საჭირო და იქაც იყავი, სადაც ხარ, დროებით.

ეს ფრაზა სულ დააბნევდა...

13 სექტემბერს თემურ შაშიაშვილი საიუბილეო თათბირზე გამოაცხადებდა:

— შევათანხმე უწმინდესთანაც და სახელმწიფო მეთაურთანაც, რომ რეზო ჭეიშვილი იქნება ბაგრატის ფონდის თავმჯდომარის მოადგილე.

სულ დაიბნეოდა საზოგადოება, რა იქნებოდა, ვინ იქნებოდა, ვერ გაიგებდნენ.

15 სექტემბერს „რია-რია“ გამოვიდოდა. ვიღაც ნაწყენი დარჩებოდა, ვიღაცას რაღაც არ მოეწონებოდა... ყველას გულს ვერ მოიგებდი, მითუმეტეს — საქართველოში, „უჩემოთ ვინ იმღერეთას“ ქვეყანაში. პოეტ არჩილს ეკუთვნოდა, თუ არა ცდებოდა, ეს სიტყვები. მშვენიერი თქმა გახლდათ და, რეზოს ვარაუდით, სხვა ერებსაც ექნებოდათ ამდაგვარი თქმები...

ტარიელ ჭანტურია ეტყოდა:

— მწვრთნელი გჭირდება მაინც. დიდი მოჭადრაკეა გარი კასპაროვი, მაგრამ მწვრთნელად პატარა მოჭადრაკე ზურაბ აზმაიფარაშვილი ჰყავს.

იმ დღეს სხვა ვერაფრის თქმას ვეღარ მოახერხებდა, მაგრამ რეზო გაიფიქრებდა: დანარჩენს მერე შემისრულებს, თუკი მივეცი საშუალებაო.

16 სექტემბერს მინისტრთა კაბინეტის სხდომათა დარბაზში ფულის გამოცვლაზე გააკეთებდა მოხსენებას (კანცელარიულად ჩაიწერდა რეზო) ედუარდ შევარდნაძე. შემოვიდოდა ლარი. და... რას გვიქადდა ეს ლარი? აღარც დაგვაქცევდა, ვეღარც აგვაშენებდა რეზოს ვარაუდით.

კითხულობდა ალექსანდრ გერცენს ქართულად — „ნამყო და ფიქრები". უდავოდ ნიჭიერ პიროვნებად, მწერლად მოიხსენიებდა, თანაც ბევრად უფრო საინტერესოდ, ვიდრე ივან ტურგენევი გახლდათ. გაიხსენებდა და ხელახლა გადაიკითხავდა „ნამყო და ფიქრების" მეორე თავს: „ენგელსონები". ტიპაჟი — ცოლი და ქმარი — დაეხატა ოსტატურად; ამბავი კი, რაც მართალია, გაჭიანურებულ-გაწელილი იქნებოდა...

19 სექტემბერს პარლამენტი ახალ, განახლებულ შენობაში გადავიდოდა. აკუსტიკა — საზიზღარი. ბოლოს დაჯდებოდა — როგორც იქნებოდა — ხმა. ახალი კი — არაფერი...

შევარდნაძე მალე დატოვებდა იქაურობას. რეზოს გამოარჩევდა და თავისებურად მიესალმებოდა. ნაღვლიანი სახე ექნებოდა და ამას შეეცოდებოდა მაინც...

ლარის ნიმუშებს ნახავდა. ილუსტრაცია სრულ წარმოდგენას ვერა ქმნის, მაგრამ ნამეტანი ცუდ გუნებაზე დადგებოდა, თუმცაღა ნიმუშები კარგახნის წინათაც დაეთვალიერებინა. მაშინ ვერ შეეფასებინა, როგორც ჩანდა. აღფრთოვანებული არ დარჩენილიყო, მაგრამ ამნაირი უარყოფითი დამოკიდებულებაც არ გასჩენოდა.

ნოდარ ჯავახიშვილი საგანგებო შეკრებაზე გამოვიდოდა სიტყვით: საქონელს — თავის ნახელავს იგულისხმებდა — შექება სჭირდებაო, და ფულს... პატარძალს შეადარებდა. ფერწერული საგანი ფულზე შეიძლება დაბეჭდილიყო? პროვინციულობა მჟღავნდებოდა. აპლიკაციები ჩვენ სახელმწიფოებრივ და სულიერ ჩამორჩენას მიუთითებდა. პორტრეტები, ჩუქურთმები, დავით კაკაბაძის ნახატი „იმერეთი. დედაჩემი" და სხვა.

„ელოდე აწი ახალ ფულს!"

მისი თაობა ამას ალბათ ვეღარ მოესწრებოდა. ეს ლარი კი უვარგისი გახლდათ. იქნებ ცოცხალი კუპიურების ნახვით გახარებულს შეცვლოდა აზრი?!.

„ღმერთმა ქნას!"

23 სექტემბერს დავით კლდიაშვილის ბიუსტი გაიხსნებოდა საფიჩხიაზე. მიტინგს რეზო გაუძღვებოდა. შემდეგ თეატრში პაოლო იაშვილსა და ტიციან ტაბიძეს გახსენების საღამო გაიმართებოდა და იქაც სიტყვით გამოვიდოდა.

24 სექტემბერს სუფრა სუფრას გადაებმოდა. გაცილება გურამ ფანჯიკიძისა... გიმნაზია. ჩინელები (და სიტყვათთამაშის გუნებაზე დადგებოდა: არა დიაჩინელებიო, — დავით ჩხეიძის, რეზო ჩხეიძის მამის, ლიტერატურულ ფსევდონიმს შემოაცურებდა: დია ჩიანელს). იქაც იტყოდა ირონიულ სიტყვას, ცოტა ზედმეტი მოუვიდოდა. წონასწორობა ალბათ მზექალა შანიძის ბუტბუტს დაეკარგვინებინა მისთვის.

— აკაკი მწერალი, პოეტი იყო და არა პედაგოგი, პედაგოგებთან გართულებული ურთიერთობაც კი ჰქონდა. პეტერბურგის უნივერსიტეტი არ დაუსრულებია... „გამზრდელს“ ირონიულ მიძღვნად წარუმძღვარა პედაგოგების მოხსენიება...

ცოტა ეუხერხულებოდა, მაგრამ დამხვდურთა საქციელი, განსაკუთრებით დირექტორისა — მწერალთა იგნორირება — კადნიერებად მოეჩვენებოდა...

შემდეგ იქნებოდა ბერიკონი, დიმი — სუფრა რეზო ჩხეიძის სანათესაოში, ჩხეიძეებისას...

ბაგრატის ტაძრისათვის კი უნდა მიეხედა — ასე ესურვა ალბათ განგებას...

წამოაგონდებოდა თბილისში დასახლების ხანა 1954 წლიდან. ვერეს ხეობას არ გასცილებოდა, გაღმა-გამოღმა იტრიალებდა. აწიც არ ენდომებოდა შორს წასვლა... და კვლავ იქით გახედავდა, რომ: ბაგრატის ტაძრის აღდგენისას, თუკი იცოცხლებდა რასაკვირველია — 70 წლისა მოიყრებოდა.

90 წელი წვალებ-ჯაბირით ცოცხლობდა თანამედროვე ადამიანი, მაგრამ ადამიანად აღარც ვარგოდა 90-ს გადაცილებული. საცოდაობა გახლდათ — გამონაკლისებს, იშვიათ გამონაკლისებს არა გულისხმობდა — მათი ყურება.

დია ჩიანელის მემორიალი გაიხსნებოდა 29 სექტემბერს საღორიის ტყეში, სტელა აღიმართებოდა ამის მიერ მითითებულ ადგილას.

გამოაცხადებდა რევაზ ჩხეიძე:

— რეზო ჭეიშვილმა დოკუმენტური მასალების შესწავლით დაადგინა ეს ადგილი.

მთლად ეგრეც არ ყოფილიყო.

ილია მეორე გადაიხდიდა აღაპს. სიტყვებითაც გამოვიდოდნენ. ედუარდ შევარდნაძესაც ელოდნენ, მაგრამ ვერ მოვიდოდა. დელეგაციებიც ორად იქნებოდა გაყოფილი და იდგებოდა ქუთაისში შვიდდღიანი — სამყაროს შექმნის ანალოგიითო, სარკაზმით ჩაურთავდა — რია-რია...

უცნაური ამბები ხდებოდა, როგორც 2 ოქტომბრის დღიური იუწყებოდა.

გაემგზავრებოდნენ მოსკოვს იგორ გიორგაძის დასაჭერად. ჯაბას საქმესაც გავარკვევთო, აცხადებდნენ. მხედრიონს დაატუსაღებდნენ, მაშველთა კორპუსს გააუქმებდნენ. თემურ ჟორჟოლიანს გასკვანჩავდნენ. დეპუტატებსაც დაერეოდნენ. ძალაუფლება პოლიციის ხელში გადადიოდა. ქურდის, ყაჩაღის, რეკეტიორის, მხედრიონელის როლს ერთდროულად შეასრულებდა პოლიცია... ბოლოს დაეჯახებოდა უშიშროებასაც.

პოლიციული სახელმწიფო ხომ არა ვხდებოდით?

ლარი შევიდოდა ძალაში დღეიდან. უმტკივნეულოდ ივაჭრებდნენ პირველივე დღეს ბაზარში. ამდენი ლარი და ამდენი თეთრიო, ისე მარდად იანგარიშებდნენ გლეხები, თითქოს ამ ფულთან ჰქონოდათ ჭიპი მოჭრილი...

ლარი რომ ლარობდა, 3 ოქტომბერს აღარ ენდომებოდა ამას ჭიჭინი. პარლამენტი კი აღარ პარლამენტობდა. ყველა უკვე მომავალი არჩევნებისათვის ემზადებოდა.

ჭაბუა ამირეჯიბს ეტყოდა გია ლომაძე:

— აქ ხომ არ მთავრდება, კიდევ ხომ იქნება პარლამენტი.

— იქნება, მაგრამ ჩვენ გაგვიდის ვადა.

— ხომ აგირჩევენ ხოლმე ორჯერ.

— ვნახოთ, არ ვიცი, — თავს გააქნევდა ჭაბუა.

ფეხზე ძლივს იდგებოდა და მაინც პარლამენტი ენდომებოდა, და რეზო ირონიულად გაიფიქრებდა: პარლამენტში აპირებს მაინცდამაინც სიკვდილსო?!

ოთხწლიანი უნდა ყოფილიყო ამ ჯერზე. ოთხ წელიწადში კი თავისთავად გადახალის-გადაირჩევ-განახევრდებოდა ბუნებრივი შეგუების პრინციპით... რამდენი წავიდოდა იმ ქვეყანას?! ედუარდ შევარდნაძეც ვერ გაუძლებდა ხუთწლიან ციკლს... პირველი ორი წელი კი აუცილებელი გახლდათ მისი პრეზიდენტობა...

პაოლო იაშვილის შემოქმედებითი საღამო — გარდაცვალებიდან 100 წლისთავი — ჩატარებით კი ჩატარდებოდა, მაგრამ უსახურად, უღიმღამოდ. პარტერი ემჯობინებოდა სცენას... რეზო მაყურებლობას ამჯობინებდა და, როგორც კმაყოფილებით გაიფიქრებდა, სწორადაც მოიქცეოდა...

დღეს კვლავ მარტო იჯდებოდა ჯაბა იოსელიანი. აგინებდნენ ისინი, გუშინ რომლებსაც ხელიხელგადახვეულებს უნდოდათ მასთან ყოფნა, კუდებიც, კუდებად ნამყოფებიც კი ლანძღავდნენ: ასეთი და ასეთი, ამნაირი მხეცი და გათახსირებული იყო მაგიო...

ხვალ რომ მზე ამოვიდოდა და გათენდებოდა, ისე ხედავდა და იცოდა რეზომ, რაც მოხდებოდა. ელოდა, თუმც არც ასე სწრაფად, არც ასე მოულოდნელად...

ერთი აფეთქება დააჩქარებდა პროცესებს.

კაცობრიობაც ხომ ნახტომებით ვითარდებოდა... ფეთქებადი ნახტომებით, იმპულსებით.

რისი თქმა სურდა ხაზგასმით:

ედუარდ შევარდნაძე გახდებოდა საქართველოს პრეზიდენტი, მხოლოდ ხუთ წელს ვერ მოათავებდა. პირველი ორი წელი დაგვემახსოვრებინა მაინც...

9 ოქტომბერს გავიდოდა ბაგრატის ტაძრის ფონდში. დაზვერავდა. ესეც ახალი სამსახური. თავს იჭვნეულად გადაიქნევდა. რანაირად შეეგუებოდა ამჟამინდელს? იქაც, აქაც — ნამეტანი არ გამოსულიყო...

სამომავლოდ? საბოლოო ნავსაყუდელი რა შეიძლება ყოფილიყო... გამოჩნდებოდა.

„ასე მეწერა ალბათ ბედით".

ბაგრატის „...საყდრის გარდაჭედვა" ედებოდათ ვალად დიდბერიძეებს, რეზოს კი, ნახევრად დიდბერიძეს, უფრო დიდი მისია ეკისრებოდა.

12 ოქტომბერს ქუთაისში იმყოფებოდა. ისთვლეო, — იმერულად მოუქცევდა. საარჩევნო ციებ-ცხელება იდგებოდა ტელევიზორში, რეზო ციებ-ციებას რომ უფრო შეარქმევდა ამ პროცესს.

მისდევ-მოსდევდა რეზო თემურ შაშიაშვილის აკადემიკოსებსა — მწარედ გადაჰკრავდათ: თბილისიდან ჩამორეკაო — და მათ ხელმძღვანელს ალბერტ თავხელიძეს. ისევ განაცხადებდა შაშიაშვილი რეზოზე: გადმოვიდა სამუდამოდ ჩვენთანო.

„მანამდე არ გეტკინა არაფერი!"

კიდევ გაუგებარი და გაურკვეველი რჩებოდა მანდ რაღაც რეზოსთვისაც, გაურკვეველ-გაუგებარი...

ლანა ღოღობერიძე ჩამოვიდოდა. ირბენდა, ირბენდა და ვერ გაუძლებდაე. შესჩივლებდა რეზოს:

ჩემი ფუნქცია ვერ გავარკვიე.

ვერც მეო, — ეს გაიფიქრებდა. ლანა კი ირბენდა, მოუსმენდა ქალაქის მერს... შემდეგ გაქრებოდა ნაწყენი.

— მაგას თურმე შეხვედრის გამართვა უნდოდა, — ეტყოდა თემურ შაშიაშვილი.

შეხვედრის გამართვა სურდა ცხადია, შეხვედრა და პრეზენტაცია თარგმანების წიგნისა. სახელი და სახრავი — მიკროგანზომილებით — შესაფერისი ეშოვნა...

ვარძიას მოივლიდა მეორე დღეს რეზო. და კიდევ: ასპინძას, წუნდას, ხერთვისს, თმოგვს. ქვების საუფლოს. ქვები, კლდეები. სულ ეგონებოდა: იქაური ვარ, იქიდან წამოსული ჯიშით, სისხლით, გენითო. ქვიანიდან ქვიანში? ქვიტირი! იქვე არ იყო მესხეთი? სოფელი მესხეთი — ქვიტირზე გადაბმული.

გეგუთი. რას უნდა ნიშნავდესო? — ჩაფიქრდებოდა. თითქოს ესეც ქვას უკავშირდებოდა: გუთ...

ხერთვისი შერთვისი გახლდათ.

ხერთვის — შეერთვის... ეს „ხ"-ც იბერიული უნდა ყოფილიყო... ხორხე... და დასავლეთშიც ამ ბგერას უმატებდნენ ალბათ, და არამარტო ზმნებს.

შესანიშნავი აღმოჩენა-გამოკვლევა ჰქონდა აკაკი შანიძეს ამ საკითხთან — ხანმეტთან — დაკავშირებით... საკვლევ-საძიებელი ბევრი რჩებოდა სამომავლოდ.

17 ოქტომბერს საათნახევრით დააგვიანებდა პარლამენტის სხდომა დაწყებას. დაწყება და მიკროფონების ოკუპაცია ერთი იქნებოდა: იგივენი და იგივენი. ვინც წინააღმდეგნი იყვნენ ამ კონსტიტუციის მიღებისა, მათ ბოლოს მოაწერონ ხელიო, — გამოითქმოდა ეს აზრი და: რას ჰქვია ბოლოსაო, — რავარი ყაყანი ატყდებოდა. და: დავრთოთ ნებაო, — გადაწყვეტდა უმრავლესობა... კიდეც დართავდნენ, თუმც ნებართვით მათი პრეტენზიები არ განელდებოდა.

— რა სინდისით აწერთ ხელს ამ საბოლოო ვარიანტს? — ჭაბუა ამირეჯიბი დაინტერესდებოდა.

ცოტა შერცხვათ, მეტი არაა ჩემი მტერიო! — თავისთვის ჩაეცინებოდა რეზოს.

იჯდებოდა პარლამენტში პიჟონივით. რა მინდა აქო, — ნერვიულობდა.

— მამა გარდამეცვალა, — გაანდობდა ბოლოს ელდარ შენგელაიას. ის გაოცდებოდა.

— არავის ვაგებინებ ჯერჯერობით. ველოდებოდი ხელის მოწერას. საათნახევარი დანყება დააგვიანეს... შემოვიდა თუ არა შევარდნაძე, მიკროფონებს ეცნენ... სავალდებულო პროცედურის ნაცვლად ერთიდაიგივე განცხადებები.

ფული ჰქონდა, კაპიკები, ბანკიდან გამოსატანი. პირველი საათიდან წყდებოდა ოპერაციები... არადაარ მოვიდოდა მისი ხელმოწერის დრო. ყველაზე მძაფრად იმ დღეს იგრძნობდა ალფაბეტის სისასტიკეს, ასო ჭ-ს უკანმდგომობის — ხანდახან ესეც გამომდგომიაო, ჭეიშვილურად ჩაურთავდა — სიგლახეს.

ყველაფერს მოასწრებდა ბოლობოლო.

23 ოქტომბერს დაასაფლავებდა მამას, ბენედიქტეს, ბენიას. არ დააკლებდა არაფერს. ჯერჯერობით ელუარდ შევარდნაძე გამოუგზავნიდა გულთბილ ბარათს. მისი ნდობით აღჭურვილი პირიც რეზო იყო მგონი. მგონი კი არა ნამდვილად, ეგრე ეტყოდნენ, თუ არ გადაიფიქრებდნენ.

ქალაქი სცემდა პატივს მამის დაკრძალვისას... გარეშენი უფრო დაეხმარებოდნენ...

ერთ ლარსაც კი არ აიღებდა სანათესაოსაგან.

— გადასახურავ-გადმოსახურავი არ ვიცი, — განუცხადებდათ. მის გაჭირვებას მაინც ვერ უშველიდა ის თანხა. ღვინო დარჩებოდა საუკეთესო, ორმოცსაც გადაუხდიდა იმ მონარჩენი ღვინით...

25 ოქტომბერსაც ქუთაისს შერჩებოდა. ახალი სამსახურისასაც ვერას გაიგებდა რას... სასაფლაოზე გავიდოდა გუშინ... ერთი ლექსი თუ შაირი აეკვიატებოდა, სწორედ რომ საიმისო:

გიტარა მაქვს აწყობილი,
ტარი აჭრელებული.
ქალის თხოვა მინდა, მარა
ქე ვარ გაჩერებული...

ვერ მუშაობდა, ვერ წერდა... ძნელი იყო და რთული ცხოვრება აქ. გუშინ ლექსი დაეწერა. ახლა დაწვავდა. ერთ სტრიქონს არა უშავდა, ერთს ან რამდენიმესაც...

ასე და ამნაირად ითენებდა ღამეებს.

წინ ედებოდა საქკონსტიტუცია.

ფიქრობდა, თვლემდა, იხსენებდა რამეებს,

ახურდავებდა დღეებს კონსტრუქციულად.

ლექსად არა (შოთა ჩანტლაძის ინტონაციებიც ისე ხელშესახებად, ისე კანთიელად მოისმის!), მაგრამ მოთხრობაში ჩასართავად კი გამოადგებოდა, წინ რომ ედებოდა საქართველოს კონსტიტუცია და დაახურდავებდა დღეებს კონსტრუქციულად.

7 ნოემბერს რუსულ კალენდარში ეს დღე ისევ წითლად იქნებოდა აღნიშნული. ასე იოლად ვერ შელეოდნენ.

ჰოი რა აღტაცება დაეუფლებოდა:

არჩევნებში გავიმარჯვეთო!..

შევარდნაძის ნდობით აღჭურვილი პირი რომ გახლდათ, ცოტა გაინძრევ-გამოინძრეოდა კიდეც.

და მადლიერებასაც გადმოაფრქვევდა:

ქართველი ხალხი — კრიტიკულ სიტუაციაში ჩაერთვის ხოლმე გადარჩენის ინსტინქტი — ბრძენი აღმოჩნდაო.

ერთ ისრაელ მესაათეზე ეტყოდნენ (შენც იცნობდიო, ამასაც დასძენდნენ): ისრაელში წასვლამდე თეთრი ხიდის მოაჯირს კოცნიდაო.

ცრემლი მოერეოდა რეზოს ამის გაგონებისას და... ასაკს დააბრალებდა.

მარტო პარლამენტს კი არა, მწერლობასაც შეშვებოდა, ასე ატყობდა და... რაღა შეტყობა სჭირდებოდა...

მოვიშვიდნოემბრეთო, ველარავინ იტყოდა. მოეჭამა ჭირი 7 ნოემბერს. არ შემდგარიყო 7 ნოემბერი...

მოვიდოდა თაობა, მოვიდოდნენ კვლავ, და არ ეცოდინებოდათ, რას ნიშნავდა 7 ნოემბერი — „მშრომელთა დღესასწაული...“

მოქალაქეთა გონიერება იზეიმებდა. ბოლშევიკებსა და სტალინელებს რომ არ დაუჭერდნენ მხარს, ეს მართლა გაუკვირდებოდა რეზოს. ამდენსაც არ ელოდა!..

21 ნოემბერს ბაგრატის ფონდის სიცარიელე ათქმევინებდა:

მე ჩაძირული გემის საპატიო კაპიტანი ან სტუმარი ვარო.

ცხოვრება თანდათან რთულდებოდა, კი არ ძნელდებოდა — ადრე ძნელდებოდა — რთულდებოდა...

28 ნოემბერს ქუთაისიდან რომ ჩამოვიდოდა, თბილისელ-ქუთაისელის ცხოვრებით მცხოვრები: იქ ვიქნები, იქ მირჩევნიაო, — ფიქრობდა, — დავწვები და ვიძინებ და ვიძინებო...

მაგრამ არ გამოდიოდა, სულ ტყუილ-ბზუილი გახლდათ. იქაც, აქაც. ადრე უკეთ კისრულობდა თუ ითავსებდა ამ მისიას, ახლა უჭირდა. კიდევ უფრო გაუჭირდებოდა. თავისი გმირი გაახსენდებოდა, ბატონი იროდიონი „ცისფერი მთებიდან“, ნაცვლიშვილი რომ ასრულებდა: გამაგებინეთ, მე აქა ვარ თუ იქ ვარო?!.

გამოვიდოდა „ლიტერატურნაია გრუზიას“ ბოლო ნომერი: 1995 წლის №1. 300 ეგზემპლარი. რეზოს ძველი, როდინდელი მოთხრობები დაებეჭდათ. არჩილ ქუთათელს საკურსოდ ეთარგმნა მოსკოვის ლიტერატურის ინსტიტუტში და მაშინდელი თარგმანი ახლაღა დაისტამბებოდა.

ჟურნალი „დილა“ — განახლებული, გამშვენიერებული. რედაქტორი — დოდო წივწივაძე, ფულის გადამხდელი — მურად წივწივაძე. რედაქტორად თავისი დის გამწესებელი — თამაზ წივწივაძე. ვიდრე ექნებოდათ ფული და ეყოლებოდათ დაბმული თენგიზ მირზაშვილი, ჟურნალს არა ეშავრებოდა რა. ეს ნომერი მოწონებთი მოეწონებოდა.

„გრაალი“, №2 — ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრის განზრახვა გახლდათ, ყოფილიყო ელიტური და ნიჭიერი. ეს ნომერი მცდელობას არა

ცილდებოდა, მაგრამ ხოში (ამ ჟარგონულ გამოთქმას მოიმარჯვებდა მეტი ექსპრესიისათვის) რომ გქონდა, მისასალმებელი იყო.

და საერთოდ ახალი ლიტერატურული ცხოვრება იწყებოდა — „მნათობი", „ცისკარი", „განთიადი" ხავსდებოდა. მოდიოდნენ ცოტანი, ნაკლებ ნიჭიერნი, წინარეს სიძულვილით, სამაგიეროდ სახელის აუცილებლობის გრძნობის სურვილით.

და უეცრად ჩაეცინებოდა:

5 დეკემბერი უნდა იყოს „პრესის დღე" — კომუნისტურადო.

5 დეკემბერს ჩაინიშნავდა:

იდილიური პარლამენტი, აღარავითარი შეხლა-შემოხლაო.

ახსენდებოდა, როგორ გაიძახოდნენ პარლამენტის სხდომების შესახებ: ეს რა საშინელებაა, რა საძაგლობაო, — და ტელევიზორ-რადიოს ვერა შორდებოდნენ.

უკვე დღევანდელი აღარ მოსწონდათ.

პარლამენტში კი კომიტეტებს ჩამოაყალიბებდნენ კომისიების ნაცვლად. 13 ადგილი „მოქალაქეებს", 2 ადგილი — „აღორძინებას", მათ მოკავშირეთ.

მომხდარიყო პირველი განხეთქილება. ეს დასაწყისი გახლდათ. დაჭამდნენ ერთმანეთს ერთი-ორი წლის შემდეგ, თუ უფრო ადრე არა. დაიწყებოდა დაფრაქციება, დაშლა, დაყოფა, დანაწილება.

მეორე დღეს ლაშა დადიანი მიაკითხავდა სამსახურში და მიუტანდა რეზოს ნაწარმოებებიდან ამოკრეფილი ეპიზოდებისა თუ სცენებისაგან შედგენილ... არც იცოდა რეზომ, რა დაერქმია ამ მასალისათვის. „საქართველოს ბუნებაში" აპირებდა დაბეჭდვას. ამას უხერხული მოეჩვენებოდა. მაშ იქნებ „განთიადში"? ენახა რეზოს ამნაირი წიგნი, ავტორს ვერ იხსენებდა. სადღაც უნდა ჰქონოდა. დაიწყებდა კითხვას, თავგზა აებნეოდა და მოისროდა კიდეც. უაზრობად მოეჩვენებოდა. ახლა? ახლა კი უფრო შემწყნარედ შეხედავდა ამ მცდელობას. ლაშას გამარჯვებას უსურვებდა, როგორც კარგ ყმაწვილკაცს!..

9 დეკემბერს რეზოსდა მოულოდნელად ქუთაისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობას შესთავაზებდნენ. თემურ შაშიაშვილი შეხვედროდა დასს. იქ ეთქვათ: ასე გვაქვს გადაწყვეტილიო.

დიდი ხანია ეს ლაპარაკი გრძელდებოდა, მაგრამ ასე რეალურად არ დამდგარიყო.

— თეატრი ხომ ჩემი ოცნება იყო, არის, მაგრამ ათად ხომ არ გავიჭრები, — ეტყოდა ქალაქის მერს, — კაკო ბაქრაძე კი პირდაპირ ითხოვს, მე დამნიშნეთო.

ესენი კი გადაწყვეტდნენ, მწერალი და ადგილობრივი ხელისუფალი: იყოს, დაინიშნოსო.

მაგრამ... თუ დასი არ მიიღებდა?

მაშინ ისევ რეზო უნდა მომზადებულიყო.

სანერვიულო არ ელეოდა...

არადა ძალიან მიეძალებოდნენ მეორე დღესვე:

— კაკოს არ შემოვუშვებთ, შენ უნდა იყო.

სეირიც ეგ გახლდათ!

ხუთი თუ ხუთიოდე უჭერდა მხარს აკაკი ბაქრაძეს. დანარჩენი? ხუთიოდე აქტიურობდა რეზოს სასარგებლოდაც სხვათა შორის. რამდენიმეს, რომლებიც ჯერ არა ჩანდნენ, გაეხარდებოდათ რეზოს გამოჩენა. არსებობდა ჯგუფი, და მრავალრიცხოვანიც ალბათ, რომელთათვისაც სულერთი გახლდათ, ვინ ეყოლებოდათ სამხატვრო ხელმძღვანელად.

ოპერის კოლექტივიც დრამატული თეატრის შენობაში გადადიოდა. იქნებოდა ინსტრუმენტების წრიპინი (საორკესტრო ორმო სადღა იყო!); ოპერა — თეატრი. საინტერესო უნდა ყოფილიყო იქ ყოფნა. დრო რომ ჰქონოდა, ისედაც არ იტყოდა უარს ამ მაცთურ წინადადებაზე...

კითხულობდა ქვეშაგებში, ძილის წინ ეტტი პირსის დეტექტივსა თუ ნახევრად დეტექტივს: „არა, არ არის დამნაშავე".

1887 წელს ეთარგმნა ანნა მესხს, რიონელი მესხების ერთი დიდი ოჯახის ერთ-ერთ ქალიშვილს.

ვინ იყო ნეტა ეს ეტტი პირსი? ქალი თუ კაცი? წერის მანერით უფრო ქალს მიამსგავსებდა რეზო. სადაური იყო — არ ეწერა. ყოველნაირად თავს არიდებდა, თავს არ იწუხებდა გამომცემელი ლილი ნუცუბიძე. ანას მამას რომ სიმონი ერქვა, ეს კი არ ავიწყდებოდა...

რომანი უსუსური აღმოჩნდებოდა, უსუსურზეც უსუსურიც... და მაინც იკითხებოდა... ყოველ შემთხვევაში რეზო წაიკითხავდა. მსოფლიოს ყველა ენაზე ყოფილიყო თარგმნილი. იქნებოდა, რატომაც არა. ამბავს თხზავდა, სიტუაციებს იგონებდა, ალაგებდა, ამძაფრებდა — ბევრს ინტუიტიურად, ბევრსაც ცივი გონებითა და ელემენტური ცოდნით, მკითხველს აბამდა... მაშინდელი, შემდეგდროინდელი მკითხველი დაინტერესდებოდა. ახლა ვეღარავის მოატყუებდა, თუმცაღა ბევრს (ჩემნაირ დურაქსაცო, ღიმილით ჩაურთავდა) წააკითხებდა თავს.

14 დეკემბერს ქუთაისის დრამატულ თეატრში პრემიერა გაიმართებოდა: „მარშალ დე ფანტიეს..." სისულელეებიო, თავის მხრივ ასე გაუმართავდა სათაურს. რევაზ გაბრიაძის ჩვეული მანერით დაწერილიყო: ყველასაგან თაქვა და თავისი შეტენვაც...

უსუსურობა აღმოჩნდებოდა და ბოლოში რაღაცის მიმსგავსება. ეყოლებოდა ალბათ მაყურებელი, მცირერიცხოვანი, მაგრამ მაინც. რეზოს სამხატვრო ხელმძღვანელობა კი არ მოხსნილიყო (როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენო, ღიმილით ჩაურთავდა) დღის წესრიგიდან.

არც ცარიელი ფონდი ენდომებოდა და არც ცარიელი თეატრი.

პარიზი აკავებდა — მაისში დაგეგმილიყო ქუთაისის დღეები — პარიზი ბოჭავდა, თითქოს სხვა სადარდო არა ჰქონოდა რა. ვისაც უხაროდა და უყვარდა „სამალიოტი", ის ჩამჯდარიყო შიგ, რეზო — არა.

პანტაპუნტით, თითქოს რეზოს ჯინაზე, ცვიოდნენ იმ დღეებში ძირს თვითმფრინავები.

მეორე დღეს ეახლებოდა მეუფე კალისტრატეს. მიართმევდა წიგნებს. ისიც აჩუქებდა სახარებასა — სტოკჰოლმში გამოცემულს — და ჯვარს.

— დილის ლოცვებს თუ იმეორებ? — ჩააცივდებოდა მეუფე.

— ცოტა მიჭირს, — დაიმორცხვებდა რეზო.

26 დეკემბერს უქეიფოდ იგრძნობდა თავს, ადრინდელივით არა, მაგრამ მაინც უქეიფოდ, ნამეტან ნაქეიფარს რომ შეეყრებოდა ხოლმე დროდადრო. სიცივე, უიმედობა.

რადიოშიც იტყოდა ამაზე საახალწლოდ, „კავკასიონსაც“ ამას დაუწერდა...

მძიმე ახალი წელი უთენდებოდა უმრავლესობას. უთანასწორობას — სიდუხჭირეს რომ მოჰყოლოდა — ვერ ეგუებოდნენ, ვერ შეეგუებოდნენ ბავშვები, მოზარდები. და დიდები? ერთი მალავდა, მეორეს უკვირდა, მესამე გულზე სივდებოდა... ბავშვი კი ვერ გებულობდა: იმას თუ აქვს, მე რატომ არა მაქვსო?.. ოფიციალურად ჯერ არც დაკანონებულიყო უთანასწორობა, არ გაფორმებულიყვნენ მდიდრები მდიდრებად.

თემურ შაშიაშვილი დარეკავდა:

— თეატრის ამბავი გადასაწყვეტია, აქ არიან წარმომადგენლები, გელიან, პასუხი გვითხარი.

— ჩამოვალ და დავილაპარაკოთ.

— კარგი, — ის მაშინვე დათანხმდებოდა.

გურამ ოდიშარიას კარგი წიგნი დაეწერა აფხაზეთზე, სოხუმზე. რეზოს „კუდიანი ვარსკვლავი“ რომ წაეკითხა, „ცისფერ წუხილს“ დაარქმევდა ამ წიგნს: ავტორის ნებართვით.

მოგონების — დარდის, სევდის, სინამდვილის აღქმის თავი არა აქვთ, არ იციანო, — გულისტკივილით ჩაიწერდა მეორე დღეს, — მოგონილი და ყალბი ურჩევნიათ: მთავარია დიდი მოცულობის წიგნი და სნობების შეფასება-რეკლამაო.

სერგო კლდიაშვილს ჩაყლაპავდნენ, გადასანსლავდნენ პოზიორები — კონსტანტინე გამსახურდია და გრიგოლ რობაქიძე. სერგო კი არა, ნიკო ლორთქიფანიძეს ლამის და დავით კლდიაშვილს კი ნამდვილად გადაყლაპავდნენ...

დავითი დაწერდა მოგონებებს, სერგო მამას — დავითს — გაიხსენებდა უკეთესად; დაწერილიყო აკაკის „ჩემი თავგადასავალი“. მიხეილ ჯავახიშვილს ვინ დააცლიდა...

კონსტანტინე გამსახურდია მოიცლიდა სამაგიეროდ და შეთხზავდა ბოდვას: პოზიორი, ბაქია, ცრუპენტელა, უნიჭო — ეს იქნებოდა „ლანდებთან ლაციცის“ ავტორი.

ბახტავარი ე., შუნიასარი: ეს წიგნუკა ესახსოვრა ნიკო კენჭოშვილს მისთვის 1983 წელს. ახლაღა მოჰყვებოდა ხელთ წიგნების გადაადგილებისას, 29 დეკემბერს.

„შუნია-შუნიატა“ მოძღვრება გახლდათ სიცარიელის შესახებ, „საარ“ კი არსი ყოფილიყო. პოემა იყო თუ ოდა მოძღვარ გურუზე. ამაოებათა ამაოების მოტივები ტრიალებდა შიგნით, თუმც არც მოსეს ახსენებდა, არც ძველ აღთქმას, არც ქრისტეს, მხოლოდ — ისლამსა და ჰინდუს.

— თუმც ვით ოდა, არც სულია მარადიული.

ამოიწერდა ამ პასაჟსაც:

— ჭეშმარიტ სიტყვას ქვეყანაზე არავინ ამბობს, ღაღადებს ყველა მხოლოდ თავის ჭეშმარიტებას, და ამ ქვეყნიდან ისე მიდის ყოველი კაცი, ჭეშმარიტება არ არისო, ვერ ამბობს მაინც.

ნაცნობი მოტივები შეინიშნებოდა.

თარგმანს მოიწონებდა.

საქართველოში კვლავ თბილოდა.

იოლად მოდიოდა უფერული, უსახო 1996 წელი.

არც სულია მარადიულიო...

და... დრო, დრო თუ გახლდათ მარადიული?

თუ არ იარსებებდა მატერია, დროც არ იქნებოდა. გარდაცვალებისა (განახლების) და დაბადების პროცესი იქნებოდა მარადიული.

მაინც დრო!

— კვლავდაბადების აღარა მაქვს შიში და ზარი!

მეორე დღეს თემურ შაშიაშვილი კვლავ შემოეხმიანებოდა:

— თეატრი გელის მოუთმენლად, წამოდი.

ეს წელი — 1995 — ღორისა იყო, არა?

ღორს რა მოეტანა, ვირთხა რა ხეირს დაგვაყრიდა: 1996 წელი.

ბაჩანა ბრეგვაძეზე იქნებოდა გადაცემა ტელევიზიით. კარგად, დალაგებულად ილაპარაკებდა, ღრმადმორწმუნე ადამიანის შთაბეჭდილებას დატოვებდა: არც დაბადებას გვეკითხება ვინმე, არც გარდაცვალებას, ყველაფერი ჩვენგან დამოუკიდებლად ხდებაო!..

ღვთის განგებით ახსნიდა ყოველივეს. არადა... არა სწამდა ღმერთი — რეზომ ხომ მაინც იცოდა!

ბოლოს პირველყოფილ ადამიანს ახსენებდა: ლაპარაკი არ იცოდა, დანაწევრებულ ბგერებს უშვებდა პირიდან, ღმუოდაო. ერთი სიტყვით: მარქსისტულ — დარვინისეულ — ევოლუციის იდეას აღიარებდა მისდაუნებურად.

მათი ის ერთობლივი მოგზაურობა წამოაგონდებოდა რეზოს: თბილისი — იასნაია პოლიანა. წერილობითაც შეიძლებოდა მისი გახსენება. კარგად მოსაგონარი დღეები გახლდათ.

ახალი წლის 4 იანვარი დაბურული იქნებოდა. უსიხარულო. თხელი ღრუბლებიდან გამოიხედავდა მზე გადაშუადღებულს. არ ეციებოდა. მზე არ იქნებოდა. გამოიჭიატებდა მხოლოდ.

და წამოუტივტივდებოდა გალაკტიონის სტრიქონები:

ახალ რაღა ვქნა, ცეცხლთან რიდება არ გენატრება დიდს და ხელოვანს, და არ გიშუქებს ჩუმი დიდება მყუდრო სიბერის გზას სახელოვანსო!..

იმას თავისი აწუხებდა და ტანჯავდა, ამას — თავისი, და აღარ იცოდა რა ელონა, ცეცხლთან რიდება არ ენატრებოდა დიდს და ხელოვანს, და არ უშუქებდა ჩუმი დიდება მყუდრო სიბერის გზას სახელოვანს...

თავი მეხუთე

1996 წელი

„ლიტერატურული საქართველოს“ ბოლო ნომერს გადაშლიდა 31 იანვარს და... არ მოერიდებოდა ამის თქმას: „ლიტერატურული საქართველო“ სუფთა ნაგავი იყო და რაღას გახდებოდა. პირველ გვერდს არა უშავდა, მაგრამ აღარ ჩაიხედებოდა. მწერლობის დისკრედიტაციას ამ გაზეთს მიაწერდა და დღიურს გაანდობდა, რომ: საფიქრებელი იყო ახალი ლიტერატურული გაზეთის შექმნა. მაგრამ... უარესი პროფანი რომ მოქცეულიყო სათავეში? გამოსავალი აღარ იყო? „მონამეთა“ ხომ არ აღედგინა და გაელიტერატურულებინა ქუთაისში? გადაირეოდა იქ სხვა.

ელდარ შენგელაიას ესტუმრებოდა მეორე დღეს კაბინეტში, შვიდი ტელეფონიდან ორი, უციფერბლატო, განსაკუთრებული დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო, როგორც მიხვდებოდა რეზო. ოთხციფრიანს აღარც იღებდა...

— არის? — ტელეფონით ეკითხა დილით.

— თქვენთვის არის, — მიუგებდნენ. ძველი თანამშრომლები წამოეყვანა.

— პიესას დაგიწერ, — შესთავაზებდა ელდარს, — ტექსტს მე დავასწავლი მსახიობებს, შენ მხოლოდ ჩამოდი და დადგი.

— შეიძლება, — მიუგებდა ის, თუმც რეზოს ეჭვი გაუჩნდებოდა: არა მგონია მოიცალოს საამისოდო.

სცენარი მაინც უნდოდა... ოთხ წელს მოანდომებდა სცენარის დამუშავებას, რეზო თუკი ეყოლებოდა. ამასობაში საპარლამენტო ვადაც გაუვიდოდა და მიუბრუნდებოდა გადაღებას.

ასე ფიქრობდა, — რეზოს ეს კი ეცოდინებოდა, თუმც... კაცი ბჭობდა, ღმერთი ეშმაკი იცინოდაო. ოთხი წლის შემდეგ ოცდამეერთეც შემოდგებოდა და...

„დავრჩებით თუ არა (ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება), არ ვიცით“.

ქუთაისში გარდაიცვლებოდა კარლო ხურციძე — საუკეთესო პიროვნება. მრავალმხრივ — განსაკუთრებით ფიზიკურად — განვითარებული კაცი. ამნაირებს კოლორიტებს ეძახდნენ ქუთაისში. ეს სიტყვა აღიზიანებდა, ახლა ეჩვეოდა.

რომანში „ჩემი მეგობარი ნოდარი“ მთავარი გმირის ხასიათის რამდენიმე თვისებას ამ კაცისაგან აიღებდა და ნოდარიას რომ ეგონა, ისეც არ იყო საქმე.

მსაჯობდა, თამაშობდა ფეხბურთს, კალათბურთს... ყომარსა და ამნაირებსაც... ერთხელ ქუთაისის „დინამოს“ სტადიონზე ადგილობრივ ტურნირში გამოდიოდა. პენალტი უნდა დაერტყა. გაექანებოდა და... კარში კი არ

დაარტყამდა, პასს გადასცემდა პარტნიორს, რომელიც ისე დაიბნეოდა, ბურთს დაკარგავდა. მსაჯიც გაშტერდებოდა, სიტუაციაში ვერ გაერკვეოდა. კარლო ახსნა-განმარტებებს მისცემდა მისიანებსაც და სხვისიანებსაც, პარტნიორს ნაეჩხუბებოდა: რატომ ვერ გაიტანეო!.. ის ხელებს გაშლიდა: რა ფოკუსს მიწყობ აქო!.. თამაშის შემდეგ გამაშებში გადამალულ ფეხბურთის წესების წიგნს დაუძრობდა მსაჯს. თერთმეტმეტრიანის გადაწოდება — მხოლოდ ერთხელ — შეიძლებოდა თურმე...

15 ივნისს სამ წიგნს შეარჩევდა:

ვახტანგ ჯავახაძის „უცნობი“, ჯაბა იოსელიანის „ლიმონათის ქვეყანა“ და ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალი“.

ეს წიგნები დააინტერესებდა. დააინტერესებდა ბიოგრაფიულობა, დოკუმენტურობა.

მოგონილი არ უყვარდა, მოგონილს არც კითხულობდა. „რკინის სახკომიც“ ამ ყაიდისა გახლდათ პრინციპში.

ვახტანგ ჯავახაძისეული გალაკტიონის აპოლოგია მაინც უპირველესად წარმოუდგებოდა.

არაერთხელ მოინდომებდა ჯაბასათვის ეთქვა, ხანდახან ოფიციალურადაც:

— დაწერე შენი ბიოგრაფია.

დაწერდა ისიც და ჭაბუა ამირეჯიბიც. რეზო დიდად კმაყოფილი რომ არ დარჩებოდა და: ცოტა მიაცვ-მოაცვეს (ამ მწვავე ჟარგონსაც არ მოერიდებოდა), ისე არა უშავთ რაო.

თურმე ამ დღეს მირქმა ყოფილიყო. ესტუმრებოდნენ: ავთანდილ ყურაშვილი, გონერი ჭეიშვილი და „კანეშნა“ — ლევან მალაზონია.

ცოტას დალევდნენ და... გალაკტიონის სტრიქონები წამოუტივტივდებოდა:

დავლიეთ გაგიხარია, ვამაყობთ საქართველოთიო!..

20 თებერვალს დღიურშიც აღიბეჭდებოდა, რომ:

ხოცვა-ჟლეტა კვლავ გრძელდებოდა ჩეჩნეთში.

— 50 წელი ვიომებთ, უკანასკნელ ჩეჩნამდე, — ჯოჰარ დუდაევი განაცხადებდა, მაგრამ განაცხადი განაცხადადვე დარჩებოდა. ეს სისხლიანი წლები კი ჭკუის სასწავლებლად ეყოფოდათ რუსსაც და ჩეჩენსაც... ეყოფოდათ კი? ალბათ. უკვალოდ არ ჩაივლიდა არაფერი. შამილისდროინდელი ბრძოლები — ტკბობა დამარცხებითა და გამარჯვებით — სხვა გახლდათ, ნამდვილად სხვა. ანგელოზის ადგილი აქ არ იქნებოდა.

თამაზ წივწივაძე დაურეკავდა და მოულოცავდა ქუთაისის თეატრის დირექტორობას.

— მე არაფერი ვიცი, — აირიდებდა მოლოცვას რეზო.

— ნამდვილად? — ის ცოტა კი შეეჭვდებოდა.

რა ხდებოდა მართლაც ქუთაისში?

22 თებერვალს უკვე ქუთაისის დრამატული თეატრის ხელმძღვანელი შეიქნებოდა.

და გალაკტიონურად შეფიქრიანდებოდა:

— ჰმ, ჰმ, ჰმ...

ამ დღეს მაინც ნამეტანი მოულოდნელი და უცაბედი იქნებოდა მისთვის — მეხივით დაატყდებოდა „ხელმძღვანელობა“ თავზე.

ხვალიდან შეუდგებოდა მუშაობას...

როგორ ეოცნებებოდა თეატრი, რარიგ ნატრობდა იქ შეღწევას და... კვლავაც გალაკტიონურ გუნებაზე იდგებოდა:

— ჰმ, ჰმ, ჰმ...

თემურ შაშიაშვილი ლაპარაკობდა შუაღამის ტელევიზიით, თეატრში კი კარგად წაიყვანდა სხდომას...

ორი დღის შემდეგ დაიმედდებოდა, რომ თეატრს იოლად შეეთვისებოდა. რას გააკეთებდა, ჯერ არ ეცოდინებოდა, მაგრამ შეეჩვეოდა და გაკეთებითაც გააკეთებდა.

26 თებერვალს ქარი რომ იქროლებდა ქუთაისში, სიხარულით გაეხარდებოდა რეზოს ეს თებერვლის ქარი. ტელევიზორეთში — რეზო როგორც მოიხსენიებდა — ლაპარაკობდა ედუარდ შევარდნაძე: გურამ ფანჯიკიძე ჩემი მეგობარიაო.

არ არსებობს ვარიანტიო, ჟარგონულად მოუქცევდა რეზო, ფანჯიკიძე მისი მეგობარი არ იყოსო. უფრო მეტიც: სძულს ფანჯიკიძე! ეს ნამეტანი კარგად ვიციო.

არც არაფერს კითხულობდა, არც არაფერს წერდა. სვამდა მხოლოდ. თეატრში იმყოფებოდა და ემზადებოდა.

შევარდნაძე კვლავ ლაპარაკობდა, იმოძღვრებოდა...

გინდ დაგეჯერებინა, გინდ არა. რეზო მაინც ამჯობინებდა — დაეჯერებინა!

მეორე დღეს თეატრის მუზეუმიდან ამოქექავდა თავის პიესას „სოფლის პატიოსნება“. თავზარი არ დაეცემოდა წაკითხვის შემდეგ, მაგრამ გაოცებას კი ვერ დაფარავდა: ასეთი უნიჭო ვიყავი იმ დროს — 1966 წელსო?!. არადა რაღაცაც იქნებოდა შიგ საინტერესოც... ფორმა? ერთი კუპლეტიც შეხვდებოდა და ის მოეწონებოდა, მხოლოდ ეგაა: თვითონ დაეწერა თუ არა, ვეღარ იხსენებდა:

მზე ჩადიოდა (ამჟამად „ნითლდებოდას“ ამჯობინებდა)
როგორც ტომატი,
ხელში მეჭირა მე ავტომატი...
ღრუბლები ჩანდნენ, როგორც ხინკლები,
დღესა ვართ, ხვალ კი აღარ ვიქნებით.

მიუხედავად ამ სიკეთისა, გაენადგურებინა თუ არა ეს ერთადერთი ეგზემპლარი? იფიქრებდა. ის კუპლეტი კი — ახლა იხსენებდა — მისი იყო და მისადაც დარჩებოდა. არ უნდა დაკარგობა შთამომავლობას! ხომ არ გაეგრძელებინა წარმატებით?!.

ნაიკითხავდა ვიღაცის ნაცოდვილარს „მკვლელობა სადგურზე“, შაური რომ იქნებოდა მისი ფასი. მტკნარი სისულელე! იკითხავდა ედუარდო დე ფილიპოს პიესას „ქურდი სამოთხეში“. არა უშავდა თითქოს.

„ყაჩაღების“ გადაკეთება მოუწევდა პიესად. არადა — პიესა იყო. ჯერ პიესა, შემდეგ სცენარი, რომანი. და... კვლავ პიესა?

შარშან ამ დროს კორესპონდენტის შეკითხვაზე:

— როგორ ებრძვით მარტოობას?

ეპასუხა:

— მარტოობით!

და ისე მოეწონებოდა ეს პასუხი, კვლავაც გაიმეორებდა: მარტოობას მარტოობითო!!! და სამი ძახილის ნიშნითაც შეამკობდა.

წამოიღებდა შინ და უკვე წაიკითხავდა გერცელ ბააზოვის პიესას — „მუნჯები ალაპარაკდნენ“ — იმ იმედით: ეგებ ებრაელთა სტუმრობისას გამოდგომოდა, 2 მაისს. არ გამოდგებოდა. რაც საინტერესო და საღადაო იყო, შეურაცხმყოფელი გახლდათ, და რაც პრობლემური — ვითომ სერიოზული — სიაბანდი. სიაბანდად შეიძლება გათამაშებულიყო, მაგრამ მაინც არ ივარგებდა...

3 მარტს წამოუტივტივდებოდა გალაკტიონის:

გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავისო?

და უხაროდა, რომ ენახა. მთებს ედო ხოლმე. მზის ჩასვლის შემდეგ ახალამწვანებულ ტყეს რომ დაათოვდა და მზე ბრწყინავდა... ამაზე მშვენიერი ფერი არც არასოდეს ენახა.

დღესაც ეს ფერი ედებოდა ტყეს, მხოლოდ სიმწვანე აკლდებოდა და აღარ იქნებოდა სრულყოფილი. ქუთაისიდან მოკრიალებული გამოჩნდებოდა მცირე კავკასიონი, კავკასიონიც, ხვამლი იქნებოდა სულ ახლოს —ნაქერალაც...

და ახლა ეს სტრიქონები ამოცურდებოდა მეხსიერების ტალანიდან, რითმა თვითონვე რომ გამოიძახებდა:

და მესიზმრება თამარის კაბა, ჩვიდმეტი წელი რომ ნაკერალა...

7 მარტს მოძებნიდა „გაყრას“ (გია ანთაძესთან) და ამოიტანდა; წერდა „ყაჩაღებს“, ემზადებოდა სათეატროდ... სიტუაცია მძიმე იყო, მაგრამ არა უიმედო.

„გავაკეთებთ რაღაცას...“

28 მარტს წაიკითხავდა „გაყრას“ — თავის მიერ გადაპიესებულ გიორგი ერისთავის პიესას. მოეწონებოდა. თავისას არ აქებდა ხოლმე და — პირიქით. ეს კი ნამდვილად მოეწონებოდა. სარეჟისორო ვარიანტი გახლდათ, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. თუმცა ეს გამოთქმა, ამნაირი ქართული ყურს ჭრიდა.

ახლა ხედავდა ხიმე ღობეს ოჯოლაში. მაღალ ხიმეს, შუკას, სოფელს...

„გაყრას“ კი რობერტ სტურუა არ დადგამდა, სხვასაც არ მისცემდა დადგმის საშუალებას. რამდენ ნაღდ ქართულს გადაუკეტავდა გზას. რევაზ მიშველაძეც კი მართალი იქნებოდა მაგ კაცთან. რაო — სტურუას ვერ მოეძებნა ქართული პიესა? არადა ის ხომ იყო, ის ხომ არსებობდა...

8 მარტი დამდგარიყო — ქალთა საერთაშორისო დღე, ვიღაც ცეტკინის მიერ დაარსებული. და ახლა მორჩილ და უმორჩილეს პარლამენტსაც რომ აღედგინა, რეზოს არ გაუკვირდებოდა: ეს პარლამენტი უარესსაც იზამსო...

9 მარტს 40 წლისთავი შესრულდებოდა 1956 წლის იმ ავბედითი დღიდან. არც გაახსენდებოდა, არც არავის შეეხსენებინა. მაშინ ვინმეს რომ ეკითხა მისთვის: რა იქნება 40 წლის შემდეგო? — ვერაფერს წარმოიდგენდა რეალურს; ვერას მიუგებდა კონკრეტულს. რაც იყო, ის რჩებოდა თითქოს — ნატყვიარები ჯერაც აჩნდა სასტუმრო „თბილისის“ კედლებს. ის დანგრეულ-გაუბედურებული გახლდათ მთელი ოთხი წელი, განახლება არც კი დაწყებულიყო.

დღეს უყურებდა „გუშინდელნს“ (მეორე ტაიმს) მძიმე გულით... სიღარიბე, უხალისობა პიესისეული კი არა (ჩეხოვისებური განწყობა ჩადებულიყო), თეატრისეული... რა უნდა გაკეთებულიყო ამ ძალებით, ამ შემადგენლობით, ამ რეჟისურით? რეზო ხომ არ დადგამდა, თუნდაც თავისას!..

დააწყებინებდა გადაბეჭდვას „ყაჩაღებისა", ნაწილ-ნაწილ აწვდიდა მბეჭდავს. 1962 წლიდან თავისი ნაწარმოები — საგაზეთო წერილსა თუ წერილებს თუკი არ ვიგულისხმებდით — სხვისთვის არ გადაებეჭდინებინა.

13 მარტს პრეზიდიუმი გაიმართებოდა მწერალთა კავშირში. რეზოს გაგარეულება თანდათან აღიზიანებდა შეფს — გურამ ფანჯიკიძეს.

რევაზ მიშველაძე ჰკითხავდა და მიულოცავდა თეატრის დირექტორობას.

— არა, — ეს მიუგებდა, — როგორ გეკადრება.

— აბა?

— ისე, დროებით, კონსულტანტად, — არავის პასუხობდა ამ თემაზე სერიოზულად.

ჯერ არ მისულიყო და... უკვე გამოსაქცევად ემზადებოდა...

ახლა კი უნდა მიეხედა „ყაჩაღებისათვის“...

მეორე დღეს კმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ:

„ყაჩაღების“ საქმე ძლიერ კარგად მიდიოდა.

ეს ფრაზა ირონიისაცაა და გულისტკივილისაც.

დაელაპარაკებოდა გიორგი ქავთარაძეს და: არ ეცლებოდა.

ხვალ აპირებდა გიგა ლორთქიფანიძესთან დაკავშირებას და: ვერ მოიცლიდა ის, რადგანაც 100-დოლარიანი აჭარა მთლად ერჩივნებოდა ყველაფერს.

არადა აქაურ, მისეულ რეჟისორას როგორ ნდობოდა?! ანდა (პარდონ) ისინი ვერ ენდობოდნენ.

ამ თემურ შაშიაშვილსაც დღეში ცხრა პარასკევი ჰქონდა და, რეზოს შეტყობით, ედუარდ შევარდნაძე მფარველობდა... ხალხი მხარს უჭერდა, მაგრამ მანამდე — თუ რეზოც გაწირავდა — გამოუყვანდნენ წირვას.

16 მარტს ქუთაისში საძაგელ ამინდს დატოვებდა. თეატრში სპექტაკლის მსვლელობისას სახურავი იგუგუნებდა ჩაგუდულად. ერემო სვანაძე იტყოდა დასის შეკრებაზე:

— ეს შენობა ეკლესიად გადავაკეთოთ.

და რეზოს დაიმოწმებდა: „სობოროს“ მაგივრად ავაშენოთ სხვა ეკლესიაო.

ეს რეზოს მართლაც ეთქვა, ერემო კი:

— რაღა საჭიროა აშენება, აშენებულია და გადაკეთება დაჭირდება მხოლოდ.

ფოთში, რამდენადაც შეეტყო, საკრებულო ტაძარი გადაეკეთებინათ თეატრად, ერემო კი — თუ რატომ, ამას ვერ გაერკვია — პირიქით იქცეოდა...

კომუნისტები საბჭოთა კავშირის აღდგენას მოითხოვდნენ და... როგორ წავიდოდა ჩვენი საქმე, კაცმა არ იცოდა.

უყურებდა დადგმას „ხეები ზეზეულად კვდებიან“. სხვას კიდევ ეს სჯობდა. ხალხს კი — მაყურებელს — არც ეს აინტერესებდა, არც ის... ამთავრებდა „ყაჩაღებს“ და თუ არაფერს გადაეყრებოდა, შეიძლება წაეკითხა კიდეც დასისათვის. მაზეგ, სამშაბათს აპირებდა.

მეორე დღეს არ შევიდოდა თემურ შაშიაშვილთან და: გაამართლებდა ამ გადაწყვეტილებას, რადგანაც გლახად აუხირდებოდა გუნებაში და უთუოდ შეეტაკებოდა ცხელ გულზე. აძალებდათ მათ შენობაში ოპერას და: რა ოპერა ატყდომოდა?!. უმუშევრობის, უსაქმურობის გამო ხდებოდა, თორემ რა თეატრების ჯავარზე დამდგარიყო: ახალგაზრდული თეატრიო, ნიღბების თეატრიო, სატირის თეატრიო, მინიატურების თეატრიც, მასწავლებელთა სახლის თეატრიც და... დღეს მოადგებოდა ერთი ამ თეატრიდან რეზოს: თქვენთან მინდაო.

21 მარტს წაიკითხავდა პიესას და მეორე დღეს ალბათ როლები უნდა გაენაწილებინა. რა გამოვიდოდა — რისგან რა — კაცმა არ იცოდა.

იმ სახლში კი, იმ შენობაში პირველად მოხვდებოდა — სამსართულიან ძველ შენობაში ზედ მოედანზე. წინ ედო სურათი — „სობოროდან“ ჯვრის ჩამოგდებისა (შეიძლება 1921 წელი იდგა) და ის სახლი გარკვევით მოჩანდა ცალი ყურით. თვით ფოტო ფრიად საინტერესო ეჩვენებოდა. კარგი გაბედვა უნდოდა აქედან ჯვრის ჩამოღებას. მიპორტყებულიყო ვიღაცა ჯვართან. ის ღობე-გალავანიც კი ახსოვდა სასტუმროს წინ, სკოლის გვერდით სკვერის ღობედ გადმოეტანათ რომელიღაც წელს — 60-იანში? — როცა ღობე-გალავნების აღებისა და ნგრევის მანია შეეყრებოდათ კომუნისტებს, იმ ნგრევაში მოჰყვებოდა ეს მშვენიერი „ზაბორიც“ და სად წაეღოთ და გადაექაჯათ, კაცს არ ეცოდინებოდა.

ეკლესიის ალაგას კი — უკვე 1927 წელს, თუ არ ეშლებოდა, იაკობ ნიკოლაძის ლენინს დადგამდნენ, მერე — სტალინს, სტალინის შემდეგ — აღარაფერს, და ახლა დავით აღმაშენებლის ძეგლი აღმართულიყო. ძველი სახლი ბევრი დაინგრეოდა. ახლა თეატრი იდგებოდა საყდარივით — ნამეტანი გამოჭენებულიყო... თეატრის სიმყუდროვე აღარ ექნებოდა.

რვა დღეს გაჭიმავდა ქუთაისში. განაწილდებოდა როლები და ზეგ უკვე, 26 მარტს, პირველი რეპეტიციაც ჩატარდებოდა.

და უეცრად რიცხვთა სიმბოლიკას უნდა ჩაკვირვებოდა:

22 იანვარს პირველი ღამე გაეთენებინა ამ ახალ ბინაში.

22 თებერვალს დაენიშნათ ქუთაისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად.

22 მარტს გაენაწილებინათ „ყაჩაღების“ როლები.

რა მოხდებოდა 22 აპრილს, არ იცოდა და... ცნობისმოყვარეობა კი ძლევდა.

24 აპრილს ხომ თვითონ იყო და მისი ქუთაისი!..

ძველ, ბავშვობისდროინდელ ნაწერებს გადააწყობდა, გადაყრიდა ნაწილს, რომელზედაც თვალი ექნებოდა ადრევე ფინთად დადგმული. დახევდა და ვერ დაწვავდა, ბუხარში ცეცხლის დანთებისა ეშინოდა. რაც დაეტოვებინა, იმას აღარ ახლებდა ხელს... თუმც რაღა გადარჩენილიყო!..

„მოგზაურობა ანუ გასტროლები ოკრიბაში“ — ხუთკარიანი პოემა: 1951 წლის 31 მარტი ეწერებოდა თარიღად. დააბრუნებდა, მაგრამ... მაინც არ აცდებოდა ცეცხლი...

„1951 წელს კაი მუტრუკი ვიყავი და ამნაირი სისულელე ვის დავუტოვო? ტექნიკა არაა და გასაგებია, მაგრამ გულწრფელობა? ეს სადაა? ამაშია საქმე!“

ერთი ადგილი მოეწონებოდა მხოლოდ: „სიზმარი“. მაგრამ... გაახსენდებოდა, რომ ნათაქი ექნებოდა, მგონი ჰაინრიხ ჰაინესაგან. და ამას არავინ უნდა შეეყვანა შეცდომაში.

ირონიულად გაუღიმებდა თავს: ეგრეა — რაც კარგია, სხვისი უნდა იყოსო...

და მაინც ქარი ჰქროდა.

ქუთაისში დაბრუნებულიყვნენ ქარები!

დაწერდა ამ ფრაზას და... აღტაცდებოდა. კარგ სათაურად მოეჩვენებოდა ეს:

„ქარების დაბრუნება“.

ოლივერ და მარჯორი უორდროპებზე წაიკითხავდა. ამრეზით უყურებდა გურამ შარაძის წიგნს (არ უყვარდათ მის კოლეგებს), მაგრამ შეყვებოდა და გაიტაცებდა საბუთები, ფაქტები... ცნობილი იყო, ასე იცოდა, ყველაფერი, მაგრამ ერთად დალაგებული სხვა აღმოჩნდებოდა.

„მამათა საქმეს“ კითხულობდა დაწოლისას, ღამით თუ ელვიძებოდა — უძილობა არ აწუხებდა — და რაღაც დასკვნებიც გამოჰქონდა ქრისტიანობის ისტორიიდან. დიდი ენერგიული კაცი ჩანდა ეს პავლე, რომელსაც ქრისტე არც ენახა... არადა რამხელა ტაძარი აეგოთ მის სახელზე ლონდონში!

იმ ჩიტებს კი მესკიები ერქვათ ჩვენებურად.

7 აპრილს თბილისისაკენ მგზავრობისას კვლავ გალაკტიონი უნდა წამოჰგონებოდა: ახლა ისევ ტიფლისი, პოეტების სამეფოო...

და ჩასცინებოდა: ვითომ, ვითომ პოეტებისაო...

წუხელ კვლავ წამოეწყო „უცნობი ქალის ჩანაწერები“ და მიეტოვებინა — შესავალს ვერ გაცდენოდა.

ბზობა და ხარება დამდგარიყო ერთად. რაღა წინა ღამეს გადაეთვალიერებინა — დაწვას უპირებდა — კარდინალ ლეო ტექსილის „სახალისო ბიბლია“ და „სახალისო სახარება“... გაეტაცა კითხვას მაინც. და თავს უსაყვედურებდა: ცოდვილია ადამიანი, მამაო!..

გუშინ უკვე ეზეიმათ აღდგომა კათოლიკეებს... შობას რომ აღვნიშნავდით 14 დღის დაგვიანებით, გასაგები იყო რეზოსათვის, მაგრამ აღდგომა რად იძლეოდა ერთკვირიან სხვაობას — გაუგებარი ეჩვენებოდა.

ამ საკითხზე მაინც შეთანხმებულიყვნენ: იესო ქრისტე როდის დაბადებულიყო და აღმდგარიყო. ეს მაინც გაერკვიათ ერთმანეთში: ორჯერ აღმდგარიყო?

დაბნევა უნდოდა კიდევ ისედაც დაბნეულ მრევლს? დაუჯერებელს უფრო დაუჯერებლად რატომ ატრიალებდნენ?

ეკითხა ილია მეორისათვის:

— ახალ კალენდარზე გადასვლას ხომ არ აპირებთ?

არც ეწყინებოდა, არც გაეხარდებოდა კათოლიკოს-პატრიარქს.

— იქნებ ისინი უნდა გადმოვიდნენ აქეთ? — კითხვას შემოუბრუნებდა.

როდის აღმდგარიყო ქრისტე — მარტში, აპრილში, მაისში? 8 აპრილს თუ 14-ში?

ერთი რომ იტყოდა: ვაშლიაო, მეორე: ცაცხვიაო, ორივე მართალი ხომ არ იქნებოდა? შეიძლება ორივე მტყუანი ყოფილიყო, მაგრამ ორივე მართალი — არა. ან ვაშლი უნდა ყოფილიყო, ან ცაცხვი.

შემოეთავაზებინათ კინოსცენარი გერმანელებისათვის, განაცხადი თუ გეგმა დაეწერა რეჟისორ შტეფან ტოლცს.

— ყველა უფლება სცენარზე ეკუთვნის შტეფან ტოლცს.

რეზოს რაღა — ვირის თავფეხი?

ეტყობა თავისითვე წამოჰკრავდა ის პასაჟი კინოფილმიდან: „რაც გინახავს, ველარ ნახავ".

— მა ჩვენ გოგიას რაღა?

— ვირის თავფეხი!..

1500 დოლარს შეპირებოდნენ, როცა დაწერდა. ეცოტავებოდა. ჩვენთვის ბევრიც იყო, საერთოდ კი — ცოტა. ამბავი უხეირო, თითიდან გამოწოვილს რომ ეძახდნენ — ისეთი. გასაგებად — ძნელი. ჩამოვიდოდა გერმანელი კინორეჟისორი, უნდოდა გადაეღო „ალიბაბა და 40 ყაჩაღი" — ახალი ვარიანტი... კი, კი... ყველაფერი იქნებოდა, არაფერი გაკეთდებოდა... მხოლოდ ეგ... ამაზე შეიძლება აგებულიყო — დაწერილიყო სრულიად ახალი ვარიანტი. თვით ავტორს მიეთითებინა: „ცისფერი მთების" გაგრძელება იქნება. იქ ინგრევა, აქ უკვე დანგრეულიაო...

9 აპრილს გაიტენებოდა ქუჩები პოლიციელებით. ვის ებრძოდნენ, რისი ეშინოდათ, ველარ გაეგო რეზოს. დედაენის ძეგლთან იკრიბებიან ცოტანიო. ვინ იყვნენ ან ეს ცოტანი? ხალხი მათ აღარ აჰყვებოდა.

„მოკვდა ის დრო".

მაძლარი ხალხი ყოფილიყო, ახლა ხვდებოდა, უფრო საშიში. მერამდენე წელი შესრულებულიყო იმ 9 აპრილიდან? შვიდი.

ახსოვდა ის კოშმარული ღამე. რვაში საღამოს, შებინდებისას — ნასვამი გახლდათ — მამუკასთან, შვილთან, ერთად ჩაივლიდა რუსთაველზე: სიწყნარე, სიმშვიდე და ფარული დაძაბულობა. და ეტყოდა შვილს:

— ეს საღამო ძალიან მაგონებს 1956 წლის 9 მარტის წინა დღეს.

„არ აგხდომოდეთ ამნაირად არაფერი!“

10 აპრილს შეხვედრას მოუწყობდნენ მწერალთა კავშირში ფეხბურთს: ნოდარ ახალკაცი (ფარსადანოვიჩი), ალექსანდრე ჩივაძე, რამაზ შენგელია, ვლადიმერ გუცაევი და სხვანი, არამინდვრისეულნი. სასაცილო იქნებოდა ეს ყველაფერი, და მაინც საინტერესო გამოდგებოდა.

ვერ დაიძინებდა და სამუშაოც ექნებოდა. ვეღარ მოიძევდა „ფრანგულის მასწავლებელს“ — საფრანგეთში წასაღები გაზეთისათვის სათარგმნელად. დაებეჭდა „დროშაში“, შეეტანა „კურუში“. ხელახლა ჩაესწორებინა, გადაებეჭდა „რია-რიასათვის“. ვეღარც „დროშას“ ნახავდა და ვეღარც „ლიტერატურულ საქართველოს“ თავის ჩანართითურთ. დედანს, ხელნაწერს, მძიმედ შავს, ძლივს მიაგნებდა ღამის 1 საათზე. დაჯდებოდა და სუფთად დაწერ-გადაწერდა ხელახლა... წაიღებდა შადიმან შამანაძე — ზურაბ კუხიანიძის ლექსებთან ერთად — მთარგმნელთან. სამაგიეროდ „მოცლილი კაცის ჩანაწერებს“ მისცემდა რეზო „კავკასიონისათვის“ — ის იქ ლიტერატურულ ჩანართს ხელმძღვანელობდა, ამას ამ ჩანართის არსებობაც რომ არ ეცოდინებოდა: „არილისა“.

„მოუცლელი კაცის ჩანაწერების“ ბეჭდვას უჯდა, გუშინ გამართავდა მანქანას, დღეს წაუვიდოდა კლავიშზე თითები. საბეჭდი მანქანა ძველი იყო რეზომდეც — 1962 წელს შეიძენდა — და ესეც წასულიყო სიბერისაკენ. ბეჭდვა აღარ უხაროდა. შეეწყვიტა კიდეც ფაქტობრივად. ხოლო ეს სამუშაო მოუცლელისა კი არა, საქმეშემოლეული კაცის საქმედ უფრო ეჩვენებოდა. ამაზე არ უნდა მოცდენილიყავი.

გამოძებნიდა „ტურანდოტს“, სცენარს, ძველ ვარიანტს. რას გაიხსენებდი. რაღაც-რაღაცები რომ აკლდა, თვალის ერთი გადავლებითაც შეატყობდა. შეიძლებოდა გაპიესება. ნუგზარ ლორთქიფანიძეს ეთხოვა: წამაკითხეო. წააკითხებდა, რატომაც არა.

წითელი პარასკევი დამდგარიყო. დალევა უწევდა ხოლმე ამ დღეს. ახლა იჯდებოდა მშრალზე და დაინტერესდებოდა: რას შვრებიან უჩემოდ ქუთაისის თეატრშიო?.. ვერ წასულიყო, აქაურ სამსახურსაც, საიდანაც თავს ირჩენდა, ვერ ტოვებდა ხელაღებით. ამათაც ზედამხედველობა სჭირდებოდათ.

იური გაგარინის კოსმოსში გაფრენის დღე იყო 12 აპრილი — და გუშინდელივით ახსოვდა რეზოს 1961 წლის ეს დღე — თვისა და 12 დღის დაწყებული ექნებოდა, 1 მარტს გააფორმებდნენ, კინოსტუდიაში მუშაობა, სასცენარო განყოფილებაში.

14 აპრილის „გმირობის“ (რატომღაც წინწკლებში ჩასვამდა ამ სიტყვას) აღსანიშნავად დედაენის ძეგლთან გაიმართებოდა თავყრილობა. მონაწილენი — მომღერალ-ორატორები, დაცვა, პოლიცია — გადააჭარბებდნენ მაყურებელს, რომელიც საერთოდ არ იქნებოდა. გამომსვლელები კი არა ჩერდებოდნენ და არა. შარშანდელისაგან განსხვავებით არა ჩანდა ოპოზიცია — იმათაც მოწყენოდათ. ედუარდ შევარდნაძე მოსეირნობდა, მოჰყვე-

ბოდა ასაბია და მოდიოდა ნელა, არხეინად. სიტყვები, სიტყვები, სიტყვები — ჰამლეტური წუხილისა არ იყოს — და არა საქმე: საჭიროებისათვის... ტიპაჟი ნაცნობი, ცნობილი...

პარიზის ნახვის ციებ-ცხელება შეეყრებოდა ქუთაისს: ვინ წავიდოდა, ვინ დარჩებოდა...

სხდომაზე გადაწყდებოდა: ვისაც ძალიან უნდა წასვლა, გაყიდოს 500 000 ლატარიის ბილეთიო.

თეატრში რეპეტიციები მიდიოდა დუნედ, მძიმედ, უხალისოდ... არაფრისაგან არაფერი გამოდის, თუ არ მეშლებაო, თეატრს იგულისხმებდა.

ცირა ყურაშვილი თავის მოთხრობასა თუ აღსარებას მიუტანდა. რედაქციის შეშფოთება გადაედებოდა რეზოს. ამდაგვარი რაღაც ადრე დაეწერა კინორეჟისორ ლიანა ელიავასაც. უფრო პრიმიტიულად და დაფარულად შეეთხზა. აქ სხვანაირად იყო საქმე! რა ეთქვა, რა ერჩია, აღარ იცოდა. ნიჭიერი ქალი იყო პრინციპში, პოეტი, მაგრამ აწეწილ-არეული ჩანდა, ისედაც ეტყობოდა.

იძულებული გახდებოდა დანიელა ურიას ლექსი შეეთხზა. ფოლკლორულს — შემორჩენილს — ვერაფერს მიაკვლევდა ჯერჯერობით. სხვისი წახმარებისათვის, სხვისი კარგისათვის — თუნდაც — რეზოსას ეჯობნა იქნებ...

23 აპრილს სენსაციური ცნობა მოვიდოდა მოსკოვიდან:

დაღუპულიყო ჯოჰარ დუდაევი — რომელიღაც სოფელში სარაკეტო დაბომბვისაგან.

შეიძლება არც დაღუპულიყო, მაგრამ რეზო ირწმუნებოდა: ნამდვილად დაიღუპებოდაო.

რა მოყვებოდა ამ ამბავს, რითი დამთავრდებოდა? დანგრეული აღდგებოდა, როცა იქნებოდა, დახოცილებს არაფერი ეშველებოდათ. დაელუპა ჩეჩნეთი, დიდი საქმეც გაეკეთებინა. არც ისეთი საშიში ყოფილიყო, როგორც ეგონათ, მასთან ბრძოლაც შეიძლებოდა თურმე. ჩეჩნეთი მარტო დარჩენილიყო ფაქტობრივად. ვერ ააბუნტებდა კავკასიას. რუსებს ვერ დაატოვებინებდნენ იქაურობას, თუმც — რეზოს რწმენით — ეს ადრე თუ მალე მაინც მოხდებოდა. ჩვენ დავიღუპებოდით ამ პროცესში. ცივილიზებული გამხდარიყო იქნებ ეს მხარე. მაშინ ურუსოდაც გავძლებდით. მაინც რა უბედურ ალაგზე დავმკვიდრებულიყავით?!.

1 მაისს ქუთაისში იმყოფებოდა და, ღამის თათბირი რომ დამთავრდებოდა, რეზო შეატყობდა: თავის ჭკუაზე რომ ეთათბირებინა თემურ შაშიაშვილს ედუარდ შევარდნაძე. პირველის ნახევარზე დაამთავრებდა სიტყვას საქართველოს პრეზიდენტი:

— ყველაფერი ძლიერ კარგადაა, განსაკუთრებით აქ — იმერეთში, ქუთაისში მითუმეტეს.

რეზო გაოგნებული დარჩებოდა:

გაგიჟება შეიძლებაო.

რაღაცას ხომ უნდა ჰქონოდა საზღვარი მართლაც!..

იმერეთი მთლად ჰყვაოდა თურმე ისედაც ბედნიერ საქართველოში.

ქუთაისი ხომ დუღდა და გადადუღდა!..

შეურაცხმყოფელად მოიხსენიებდა ტარიელ ჭანტურიას: ნაძირალაო — რადგანაც რაღაც ასოციაციას აყალიბებდა. გაესულელებინათ მანიაკი, სუფთა მანიაკი თამაზ წივწივაძე. სატყუარა გადაეგდოთ გურამ ფანჯიკიძისათვის. გაეჩერებინათ, მაგრამ ძლიერ შეფიქრიანებული კი დაეტოვებინათ.

ჟურნალიდან ამოჭრილი ფოტოსურათის რეპროდუქცია ედებოდა წინ რეზოს — თბილისიდან გამოაყოლებდა ხელს: კონსტანტინე ბალმონტი ბაგრატის ტაძარზე ქუთაისის ინტელიგენციასთან ერთად. „კაი ხალხი" — ასე დაესათაურებინა რეზოს. გალაკტიონი, პაოლო, ბალმონტი და სხვანი. ვალერიან გაფრინდაშვილი — სანდლებით. ოქტომბერიაო და: პალტოები ეცმეოდათ. ბალმონტი და გალაკტიონი პიჯაკებში, ერთს, როგორც ჩანდა, გიმნაზიის მოსწავლის ფორმა ეცვა. ის ახალგაზრდა გახლდათ და მხოლოდ შეშილიფებულიყო.

უნდა დაწოლილიყო და დაეძინა იქნებ დროზე, რათა თეატრში (შეიძლება არც შეეშვა უშიშროების სამსახურს დაგვიანებული საკუთარ, არც მთლად საკუთარ კაბინეტში) დახვედროდა უნდა საპატიო სტუმრებს: ედუარდ შევარდნაძეს, ზურაბ ჟვანიასა და თვით გურამ ფანჯიკიძეს...

ასე დაღლილი შევარდნაძე არც ენახა, 2 მაისს რომ ნახავდა. იმდენად დაღლილი არ ჩანდა, რამდენადაც აპათიური. გამოეთაყვანებინა თემურ შაშიაშვილს, წუხელ ღამის თუ ნაშუაღამევის თათბირი ჩაეტარებინებინა, დღეს მიარბენ-მოარბენინებდა.

— რა ვთქვა? — ვიღაცას ეკითხებოდა მთავრობისა და რეზოს გაერთიანებულ კაბინეტში ბიზნესმენთა, ვითომ ბიზნესმენთა თათბირის დაწყებამდე, — თარჯიმნის საქმე როგორაა?

— ერთმანეთს უთარგმნიან.

— აბა დაგვიკარგავს ერთი სამუშაო ადგილი.

იმავეს იკითხავდა, ტრიბუნაზე რომ შედგებოდა სტუმრებით გადაჭდილ დარბაზში, იმავეს უპასუხებდა, ადრინდელივით, შაშიაშვილი. იმავეს იხუმრებდა შევარდნაძე, ბოლო სიცილი მისი იქნებოდა, ვითომ მეც კი მომეწონა ჩემი ნათქვამიო. კაბინეტში რეპეტიცია გაეელოთ? ლოდინი თეატრში, შემდეგ გელათის მონახულება. ნაცნობები ბლომად. ძველებური სუფრიანობა აღარ. ვიღაც სადღაც აპირებდა ათესვას. „ბაგრატის ფონდი" ცალკე ითვლიდა სტუმრებს: ვინ წავიყვანოთ, გვენდომება თუ არა კიდევ რესტორანი „იმერეთიო"?!. — ანგარიშს მოჰყვებოდნენ. ამ სიტუაციიდან გამოსწევდა შინ და თავს იმ სენტენციით ინუგეშებდა: ხვალემ იკითხოს ხვალისაო!..

გამოადგებოდა იესო ქრისტეს შეგონება, ამას გალაკტიონის ლექსიდან რომ უფრო დამახსოვრებოდა. ამ დღის სურათი კი ისეა წარმოსახული, თუ მოინდომებდა, ასევეც შეიტანდა დოკუმენტურ მოთხრობაში, ხელის გაკვრაც აღარ დასჭირდებოდა.

5 მაისს ნახავდა რუსთაველის თეატრის სპექტაკლს „ბერნარდა ალბას სახლი". ხალხი ბლომად იქნებოდა. თბილისიაო და: შემოცვივდებოდნენ. ტაშსაც უკრავდნენ შიგადაშიგ, მართალია უადგილოდ, მაგრამ უკრავდნენ,

თავიანთ თეატრალობას ამზეურებდნენ. სპექტაკლი — შეკრული, დახვეწილი, და სიუჟეტი? ლორკასი იყო, თუ არ ეშლებოდა. არ ეშლებოდა, ნამდვილად ფედერიკო გარსია ლორკას ნახელავი გახლდათ, რეზოს უცნაური რომ მოეჩვენებოდა, უკვირდა, ეს რა დაწერა ახალგაზრდამო. პრინციპში... სისულელედაც მონათლავდა. ორი მოქმედება, საათნახევრის ხუნტრუცი და კვნესა-გმინვა მამაკაცის გამო. როგორ უნდოდათ ქალებს კაცი (!). ძნელი გახლდათ ამის წარმოდგენა, გათავისება, თუმცაღა თითოოროლა გასათხოვარი ცრემლსაც გადმოაგდებდა ალბათ.

19 მაისს ხალხური ლექსი წამოაგონდებოდა და ის ვარიაციაც, მწერალთა წრეში რომ ტრიალებდა:

სანამ ცოცხალ ვარ, ასე ვიქმ, ვახარებ ვარდსა, იასა, მოვკვდები, გაუხარდება ბესოს და ჭილაიასაო.

თვითონ კი ამგვარად გადაასხვაფერებდა:

სანამ ცოცხალ ვარ, ასე ვიქმ, ვახარებ ჩემსა ჭიასა, მოვკვდები, გაეხარდება მურმანს და ჭანტურიასაო.

22 მაისს სიმონ ჩიქოვანი უნდა გაეხსენებინათ. რეზოს ხნისა მიიცვლებოდა ალბათ. დაძაბუნებული, დაგლახავებული იქნებოდა მართალია, მაგრამ რა ხნიერი, რა მოხუცი ეჩვენებოდა მაშინ!.. ჩემი ხნისა მოიყარეო, რომ ეთქვა, ეს გაიფიქრებდა: რა მოაწევს მაქომამდეო.

და ახლა კი...

23 მაისის ჩანაწერში აღნიშნავდა, რომ:

ჩეჩნეთში ომი დასასრულს მიახლოებოდა. საუკუნის ბოლო. მთავრდებოდა ეს ასწლეული. ლიბერალიზაციის ზეიმი და ხელჩართული ომები, ხოცვა-ჟლეტა. ბოლო სოფელი ბამუტი აეღოთ რუსებს: 300 მოვკალითო, სამწუხაროდ 20 ჩვენიანი მოგვიკლეს და 50 დაგვიჭრესო. ეს დღეს. გუშინ, გუშინწინ კი ხიშტებს უყრიდნენ მუცელში ერთმანეთს. ბორის ელცინს გაენცხადებინა: შევხვდები მოლაპარაკების მაგიდასთან ჩეჩნეთის ხელმძღვანელობასო. მაგრამ ვიღას შეხვდებოდა, თუ აღარავინ იქნებოდა?!.

და წამოუტივტივდებოდა ბარათაშვილური: და ერთხელაც თუ სოფელს ბოლო უნდა მოეღოს, მაშინ ვინღა თქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოსო. ზეპირადვე ჩაინიშნავდა, აღარ შეამოწმებდა, ზუსტად როგორ ეწერა.

შარშან 28 მაისს ჩაეწერა:

— რა დავიწყო და რით დავიწყო, წიგნი გავამზადო თუ შევუდგე ახლის წერას?

გასულიყო ერთი წელი და... იგივე კითხვა უბურღავდა ტვინს. წიგნი ვერ გაემზადებინა, ვერც ვერაფერი წამოეწყო სერიოზული. „მოუცლელი კაცის ჩანაწერები" — დაებეჭდა კიდეც სანახევროდ — და პიესად გადაკეთებული „ყაჩაღები".

მაინც შემოქმედებითი კრიზისი გახლდათ.

გზაზე რომ გაკრულიყო, ამას დაეშალა, მაგრამ უკვალოდ არც ეს ჩაივლიდა. მორჩებოდა ყველა სამსახურს და ჩაუჯდებოდა ნამდვილ მწერლობას. სათქმელი არა ჰქონდა, სიუჟეტებს ვერ ალაგებდა თუ აღარ ახსოვდა?

ახსოვდა, ხედავდა!..

30 მაისს სიღნაღში მწერალთა განყოფილების დაარსების პრეზენტაცია რომ გაიმართებოდა, ასე გამოაცხადებდნენ:

— სიტყვა ეძლევა აკადემიკოს რეზო ჭეიშვილს.

ეს ძალიან იუცხოებდა.

— მაინცდამაინც ცეკა უნდა განიჭებდეს ამ ტიტულს? — გურამ ფანჯიკიძე დაუძახებდა.

— შევეჩვევი, — ეს მიუგებდა.

„რის აკადემიკოსი, რის ფლავი, რის ბოზბაში".

კიდევ აარსებდნენ რაღაც აკადემიებს და თბილისში ყოველი მეოთხე სრული ჭკუის ზრდადასრულებული მოქალაქე აკადემიკოსდებოდა.

ჭაბუა ამირეჯიბი იქ დაუხვდებოდათ, მკვდრისფერი ედებოდა უკვე, რეზოს კარგა ხანია არ ენახა და, რომ შეხედავდა, შეეშინდებოდა.

ზეიმებს არ იშლიდნენ: ამის დღეებიო, იმის დღეებიო. თემურ შაშიაშვილს გაესულელებინა ეს ნაკომუნისტარ-ნაკომკავშირალი გამგებლები. სრულიად ახალი თაობა უნდა მოსულიყო, ახალი აზროვნებით. მიშველაძე-სანიკიძის აკადემია კი — ვახტანგ გოგუაძეც აეყოლიებინათ — აშკარად შევარდნაძის წინააღმდეგ მომართულიყო.

1 ივნისისათვის დაწერდა პატარა ნოველას „თეთრი ფურცელი" — „კუდიანი ვარსკვლავისათვის". გუშინ და გუშინწინ — კიდევ ორს. დარჩებოდა ერთი და „პოლიტიკურ დეკამერონსაც" მორჩებოდა. გერმანელთა დაკვეთილ სცენარს ვერაფერს უხერხებდა. დაუბრუნებდა პატრონებს ალბათ... ვიდრე წიგნს არ ჩააბარებდა, ვერც ვერაფერს შეძლებდა, ვერ მოახერხებდა, ვერ მოახლაფორთებდა სერიოზულს ალბათ.

4 ივნისს გუნება გამოუკეთდებოდა:

„ყაჩაღების" რეპეტიციები მიმდინარეობდა ინტენსიურად; რაღაცას ემსგავსებოდა სპექტაკლი.

6 ივნისს კოლაუ ნადირაძეს გადაუხდიდნენ 10 წლის იუბილეს. თვითონ ამბობდა: 1893 წელს ვარ დაბადებულიო. 14 წლისა ვიყავი, ილია ჭავჭავაძის გასვენებაში რომ წამიყვანა მამამო.

ხალხი ცოტა იქნებოდა, გამომსვლელი — ბევრი. შეატოვებდნენ ბოლოს სხდომას თუ სესიას რეზოს.

გალაკტიონის ორეული არ შორდებოდა კოლაუს, სიცოცხლეშივე აგინებდა, აქებდა; ხან იტყოდა: ქურდია, უნიჭოო; ხანაც: გენიოსიაო. არც გენიოსობა სწამდა მისი, არც უნიჭობისა სჯეროდა და დადიოდა დაბნეული. ბოლობოლო დარჩებოდა ისტორიას ასე: კაცი, რომელიც აგინებდა გალაკტიონს.

ცისფერყანწელთა საერთო აზრსა და შეხედულებასაც გამოხატავდა.

ახლა გამოჩნდებოდნენ ნეოცისფერყანწელები (რეზო ამას იქაც იტყოდა), ცისფერყანწელთა ლანდები. გალაკტიონის რევიზიას აპირებდნენ.

— ლადო ასათიანს დავსვამთ თავის ადგილზე, — ტარიელ ჭანტურია (დღიურში ტუჭუდ-მოხსენიებული) განაცხადებდა.

და რეზო თავისას მიადევნებდა:

თუ ვინმეს ახსოვს მაგათი ერთი სტრიქონიც კი, ბარაქალა იმათო.

8 ივნისს დაასაფლავებდნენ გიორგი (იურა) ბაქანიძეს. და რეზო ისეთი სითბოთი და გულისტკივილით ჩაიწერდა: აი კეთილი, შრომისმოყვარე, სხვისი სიკეთისა და სიხარულის გამზიარებელიო. ნელა, მძიმედ, მაგრამ გულდაგულ იმუშავებდა სიტყვაზე, ქართულზე, და რამდენიმე კარგ მოთხრობასა და ძალიან კარგ თარგმანებს დატოვებდა. სიტყვებსაც ეტყოდნენ სამარესთან, სუფრაც გაიშლებოდა — „ცისკარი“ უჭირისუფლებდა.

13 ივნისს ჩაინიშნავდა, რომ:

უნდა დაარსებულიყო ახალი სალიტერატურო გაზეთი. „ლიტერატურული საქართველო“ დაეკარგა მწერლობას, მწერალთა კავშირს. რეზოს დაჟინება იქნებოდა ახალი გაზეთი, სათაურიც შეერჩია: „მწერალთა გაზეთი“. გურამ ფანჯიკიძე უკვე შეგულიანებული გახლდათ... ფული, ფარა იყო საჭირო, დანარჩენს მოუვლიდნენ.

15 ივნისს უყურებდა თავიდან ბოლომდე (ჯერ მაინც შავად მოხაზულ) „ყაჩაღებს“. გულს შემოეყრებოდა, მაგრამ არ გაამხელდა. შეჩერება აღარ შეიძლებოდა და უარესიდან უკეთესი გამოსავალი გამოძებნილიყო იქნებ, ეგებ მიეყვანინებინა ან თვითონვე მიეყვანა პირველ კონციდიამდე...

18 ივნისს მაგიდაზე გამოიყვანდა დასს და ჩაატარებდა რეპეტიციას კითხვით; გადაუვლიდნენ თავიდან ბოლომდე პიესას, რომელიც ზომაზე დიდი აღმოჩნდებოდა.

21 ივნისს დილაადრიან მივიდოდა თეატრში და თავიდან ბოლომდე გაივლიდნენ ერთ რეპეტიციას. მთავარი რეჟისორი კალიასავით იქნებოდა: მიხტოდ-მოხტოდა. რწყილი როგორ ეკადრებინა მისთვის რეზოს. პიესა კი ოთხი ძიძის — რეზოს ჩათვლით — ხელში რჩებოდა. გამოვიდოდა ასე? დაიქადნიდა: მაინც უნდა გამოვიდესო. მსგავს შეცდომას კი აღარ გაიმეორებდა. ისწავლიდა ჭკუას (ანი რაღად მინდაო! — მწარე ღიმილით ჩაურთავდა) და აღარ გაბითურდებოდა!

24 ივნისის დღიურს ამ სტრიქონით დაიწყებდა:

ოტარიდი — ერმი. მერკური.

და მიადევნებდა, რომ:

ასოციაცია „ოტარიდის“ მესვეურებს პლანეტა ვენერა ოტარიდი ეგონათ. გამოაქვეყნებდნენ „მანიფესტს“ და ოტარიდის ვენერობას ჩართავდნენ ტექსტში. ფირმის ხელმძღვანელს — ფინანსურად ვინც ედგა მხარში ამ გაერთიანებას — დაუჭერდნენ. ელიტარული მწერლობის ზედწოდებას ვერ გაარკვევდნენ. ჯერ ერთმანეთის ჭამა არ დაეწყოთ და უკვე იშლებოდნენ.

— მდივანი ხარ და არ შეიძლება ჩვენი ასოციაციის წევრი იყო! — გაანეცხადებინათ რეზოსათვის.

რომ „შეიძლებოდეს“ კიდეც, ჭანტურია-ლებანიძის ბლოკში შევიდოდიო?! — ამ გაოცებას აღბეჭდავდა დღიურის ფურცლებზე.

28 ივნისს იკითხავდა დოდო რცხილაძის რომანს, მოთხრობასა თუ ნარკვევს „თბილისი“ — ავტორის თხოვნით. ბევრ ნაცნობს აღმოაჩენ შიგო. ეს

არ უნდა ყოფილიყო რთული ამბავი. რეზოს სტუდენტობის — ცოტა გვიანდელი — დროინდელი თბილისური ყოფა აღწერილიყო, მისი მომდევნო თაობის — ზვიად გამსახურდიასა და ძმათა მისთა — ცხოვრება მოთხრობილიყო უხეშად, პირდაპირობით... ნაჯახით იქნებოდა ნაშალაშინევი. დაბეჭდილი იყო „რელიგიაში“, რომელსაც თვითონ ავტორი ედგა რედაქტორად.

4 ივლისს პრემიერა კარგად ჩაივლიდა. იქნებოდა ტაში, მოლოცვა.

შეხედვა აღარ ენდომებოდა მწერალთა კავშირში, მაგრამ რა ეღონა!.. პურის ფულს იქ იღებდა. თეატრის ხელფასი — შაშიაშვილის იმედად — არასაიმედო იყო. „ბაგრატის ტაძრის ფონდში“ მოიხსნებოდა ხელფასიდან, მაგრამ რას უშველიდა დაქცეულ ფონდს მისი ხელფასი.

დაესამარებინა ბაგრატის ტაძრის აღდგენის იდეა შაშიაშვილს.

„როგორ უნდა ეპატიოს!..“

თბილისსაც მეტი რა ენდომებოდა: გააჩაღებდნენ „საუკუნის მშენებლობას“ წმინდა სამების ტაძრის სახით... რა მნიშვნელობაც და ღირებულებაც ბაგრატის ტაძარს უნდა მისცემოდა, სხვას მიაკუთვნებდნენ. ესეც ერთი უგნურობა და პროვინციალიზმი...

24 ივლისს ოტარიდელები იქით შეუტევდნენ: რას გვემდურიო.

დაიქადნიდა გუნებაში რეზო: შეტევა როგორ უნდა, ნახავენო.

გურამ ფანჯიკიძე კოჭს უგორებდა დიდსა და პატარას, დავით მჭედლური ვინ იყო, რეზოს ვერ გაეგო, ელგუჯა მაღრაძე ვინც იყო, მოეხსენებოდა... მაგრამ მაინც დიდი გაძლება ესაჭიროებოდა ასეთი სამდივნოს გარემოცვაში.

იქით კი, ქუთაისში — მაინც იქით ერჩივნა — მსახიობები: დაბეჩავებულნი, მოწუწუნენი, ხელგამოწვდილნი, ერთს მეორისა არ უხაროდა, თუმც გახარებას ვინ დაეძებდა...

დედაზე — მოსამთავრებელი ექნებოდა, საიოლო ეჩვენებოდა. „კუდიანი ვარსკვლავი“ — საწიგნე და საჩქარო, მაგრამ გერმანელთა სცენარისათვის რა მოეხერხებინა?!. იქნებ ეს და მერე დანარჩენი, ანდა პირიქით?!. სათეატრო რეპერტუარისთვისაც ხომ უნდა მიეხედა...

26 ივლისის დღიურს შევარდნაძული ტირადით აღბეჭდავდა:

რამდენი მტერი და მაგინებელი ჰყავდა ამ კაცს საქართველოში! და უკვირდა ეს რეზოს, რაკილა მისთვის ბედი და იღბალი გახლდათ ასეთი პიროვნების ყოფნა სახელმწიფოს სათავეში, რადგანაც საქართველო ახლა ყალიბდებოდა სახელმწიფოდ, პროცესი ჩამოყალიბებისა გრძელდებოდა და შევარდნაძისთანა კაცი გვესაჭიროებოდა ახლა სწორედ. ბევრმა არ იცოდა, ბევრი ვერ ხვდებოდა, რომ ეს ეტაპი გასავლელი გვქონდა, ბეწვის ხიდზე გვიწევდა სიარული და ერთად უნდა გაგვევლო. ბელორუსია ჩაეყლაპა რუსეთს, ჩვენ უნდა დრო მოგვეგო, ბორის ელცინისა და „დემოკრატების“ მმართველობის გახანგრძლივებისათვის შეგვეწყო ხელი. ასე იქცეოდა ამერიკა, ევროპა, ამას აკეთებდა შევარდნაძე. დრო, დრო... დრო ჩვენსკენ იქნებოდა, თუ არ ავჩქარდებოდით და არც ჩამოვრჩებოდით მაინცდამაინც.

ცალკე აქვეყნებდა „მოუცლელი კაცის ჩანაწერებიდან“ დარჩენილ მასალას სათაურით „დედა“. ორ პატარა ნოველასაც ჩაამატებდა და ხვალ გადაბეჭდავდა.

— სიკვდილი სიზმრისაგან გამოღვიძებაა, — ამბობდა ლევ ტოლსტოი, თუმც ის არ გახლდათ პირველავტორი, თავდაპირველი მთქმელი ამ სიტყვებისა. თვითონვე ამოეწერა ინდური, ბუდისტური ფილოსოფიიდან (მოვძებნი სხვა დროსო, — ჩაითქვამდა რეზო). ანდრეი ბალკონსკის სიზმარს უკავშირებდა ამ აზრს. სიკვდილი ესიზმრება და ხვდება, გაღვიძება ხსნაა, ისევე როგორც სიკვდილია დიდი სიზმრისა და მოჩვენებისაგან გათავისუფლება.

სიზმარიც სიკვდილი, სიკვდილთან მიახლოებააო, — ზოგიერთი ამბობდა, მაგრამ რეზოს ეს სიმართლედ არ ეჩვენებოდა.

ადამიანი სიზმარში ვერ ხედავდა საკუთარ სიკვდილს, საკუთარ სხეულს, როგორც ეს კლინიკურად გარდაცვლილებს ემართებოდათ. შეიძლება გენახა — გაგხსენებოდა — ბავშვობა, იქ იქნებოდი, იმ ბავშვობაში, იმ ასაკში, მაგრამ შენს თავს, შენს გამოსახულებას ვერ იხილავდი.

ფიოდორ დოსტოევსკის აღეწერა ამნაირი სიზმარი (ვნახავ ამასაცო, — ჩაითქვამდა), მაგრამ ტყუილი გახლდათ, ყალბი, სინამდვილეს დაშორებული, როგორც ბევრი მისი ნაწარმოები...

ლევ ტოლსტოი მაქსიმ გორკის პირველი შეხვედრისას სიზმარზე ჰკითხავდა:

— რა გესიზმრება?

გორკი მოუყვებოდა სიზმარს და... ტოლსტოი იჭვნეულად გააქნევდა თავს. ტყუილს არ იკადრებდა იმ მომენტში გორკი, თუმცაღა... მისი სიზმარი მართლაც მოგონილს ემგვანებოდა.

ამოსაწერი და მისათითებელი იქნებოდა ამნაირი ადგილები.

11 აგვისტოს ჩანაწერი გვამცნობდა, რომ:

მერაბ აბაშიძეს გამოეტანებინა რომანი, გინდა თუ არა წაიკითხეო. ურეკავდა ყოველ მეორე დღეს... წაიკითხავდა რეზო და... რაც იყო, ის დარჩენილიყო, თან მგონი წანაკითხიც უნდა ჰქონოდა. ორჯერ წერდა ერთსადაიმავეს? თან იოლად. რეზო აგერ გადაკვდომოდა ბოლო წიგნს. ახლა „კუდიან ვარსკვლავს“ ამუშავებდა.

გონერი ჭეიშვილის მოთხრობა „რეპინაზე“, ახლა წაეკითხა: კარგი, ლამაზი, ნამდვილი, მაგრამ რად გინდა, ავანგარდისტებს არ მოეწონებოდათ...

ფერიცვალება დღეს ფიქრი ბავშვობაში წაიყვანდა. მორიდებული, მაგრამ სრულიად დამოუკიდებელი და გაბედულიც გახლდათ. 1942-43 წლებში, ცხრა-ათი წლისა, რიონში ჩადიოდა, ცურავდა. მარტოს აგზავნიდნენ სოფელში — მატარებლით, ფეხით...

თემურ შაშიაშვილი შეეფეთებოდა ამ ხვატ-პაპანაქებაში შავი კოსტუმით, ფოთში მიემგზავრებოდა.

— როდის მოიცლი ჩემთვის? — ეს ჰკითხავდა.

— როცა ჩამოვალ, მე თვითონ დაგირეკავ.

„იცის, ფულს ვთხოვ. ნახვაც არა სურს, რა ლაპარაკი უნდა, ჩემი“.

ახსენდებოდა, რომ:

ანტონ ჩეხოვი ხშირად არაფრისაგან ქმნიდა ნოველებს. ერთი არაფრის-მთქმელი სცენა, ეპიზოდი თუნდაც და... ნოველაც მზად გახლდათ. არ მიაჩნდა რეზოს აუცილებლად და არც სასურველად ამის გაკეთება. ცდილობდა ერთი ნოველისტი ჩვენში — არაფრისაგან არაფერს ქმნიდა. პუბლიცისტურ, საგაზეთო წერილებს ლექსავდა — ანოველებდა უფრო სწორად. რევაზ მიშველაძეს იგულისხმებდა საკმაოდ გამჭვირვალედ, დიდი რამ მიხვედრა რომ არ ესაჭიროებოდა. კაცია და გუნებაო, სიცილით დასძენდა. ცხადია მაინც ჩეხოვურად ამჯობინებდა.

„ჩვენნაირ ხალხს ვერ ნახავ, ასე მგონია“.

დიდგორობას ზეიმობდნენ, ეზეიმათ... შევარდნაძეს მოჰკრავდა თვალს. ცხენებით მოჭენაობდნენ აბჯარასხმული ქართველი მეომრები. ამ გაჭირვებაში რა გვეზეიმებაო? — ტელევიზორშიც აღნიშნავდნენ. გაჭირვებასა და სიღატაკეშიც შეიძლებოდა ზეიმი, ქეიფი, ქორწილი აუცილებელიც გახლდათ, მაგრამ ამ გაბითურებულ, დამარცხებულ ქვეყანას რა ედიდგორებოდა, რა აბჯარ-ხმალ-ეცხენებოდა, რა ეძეგლებოდა?.. ნამუსს, სირცხვილ-ნამუსს ხომ უნდა შეეწუხებინე ცოტაოდნავ მაინც!..

კონსტანტინე ოზგანის განცხადებასაც გამოაცხადებდნენ და... გულს შემოეყრებოდა რეზოს:

აფხაზეთი არასოდეს იქნება საქართველოს შემადგენლობაში, აფხაზი ხალხი ამას არ დაუშვებს, გავა ორი წელი და გვაღიარებენ დამოუკიდებელ რესპუბლიკადო.

საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ ამასწინანდელი შეხვედრის მონაწილენი: ვაჟა ლორთქიფანიძე, ბორის პასტუხოვი და სხვები. შევარდნაძესაც სხვისი ხელით უნდოდა ნარის გლეჯა...

უიმედობა დაეუფლებოდა რეზოს.

ჩეჩნეთიც მიყუჩდებოდა და... ესეც არ იყო ჩვენთვის კარგის ნიშანი.

შევარდნაძის საშინაო პოლიტიკა, რეზო აფხაზეთ-ოსეთს საშინაოდ მიიჩნევდა, წყალს მიჰქონდა, ასე ჩანდა.

30 აგვისტოს ჯაბა იოსელიანის „ლიმონათის ქვეყანას“ დაამთავრებდა, ბოლო ნომერი არ წაეკითხა. მომრავლებულიყო კატორღული ლიტერატურა: ჯაბა იოსელიანი, ჭაბუა ამირეჯიბი, დოდო რცხილაძე, გივი მაღულარია თავიანთსას ჰყვებოდნენ და სიკვდილით ამთავრებდნენ სიცოცხლეს (ჭაბუას ეს არ ეხებოდა, თუმც ფინალს კარგად ვერ გაიხსენებდა), თავიანთ თავს ჰკლავდნენ. ჯაბას ნამეტანი ინტერესით იკითხავდა და... იმედი გაუცრუვდებოდა ბოლოში. რეზოს, სიმართლე, ბიოგრაფია აინტერესებდა, ის შიგადაშიგ ქრისტიანულ იგავებს ურთავდა. მსჯელობანი, პოლიტიკური ექსკურსები ცოტა გრძელი გამოსდიოდა, მაგრამ ოსტატურად თხზავდა. ეს გააკვირვებდა კიდეც რეზოს. სტალინის ფიქრები და მსჯელობანი რუსულ ლიტერატურას (მწერალს გაიხსენებდა) ჰგავდა, მაგრამ ამას ნაკლად ვერ მიუთვლიდა. ციხე-ლაგერების ცხოვრება ძლიერი გახლდათ, მართალია,

შთამბეჭდავი ჭაბუასთან, მაგრამ ჭაბუა, დოდო რცხილაძისა არ იყოს, ნატურალისტი იყო, მიამიტი, სასაცილოც კი — ზოგჯერ.

პიესას ნახავდა ჯაბასი — ოჯახურ დრამას. გაიტაცებდა. იფიქრებდა: დავუდგამ თეატრში ტუსაღ კაცსო, შევიდოდა ეშხში და... მოულოდნელად დამთავრდებოდა. წყალი გადაესხმოდა თითქოს.

ზურაბ სამადაშვილი (ზაალი სხვააო, ჩაურთავდა) მოეწონებოდა. ნიჭიერი კაცი ჩანდა. იყვნენ, ჩანდნენ, ანათებდნენ პრეტენზიული ახალგაზრდები და მათ ლიტერატურას — არამარტო მათსას — ეპიგონური ელფერი დაჰკრავდა.

2 სექტემბერს კვლავ გალაკტიონი უნდა ამოსჩენოდა გონებაში:

შუაღამე იწვის, დნებაო...

თეატრში უიმედო განწყობილება სუფევდა, არეულობა, უხელფასობა, გაჩერება აღარ ღირდა, მაგრამ ეს საზოგადო უნდა მიეყვანა როგორმე ზამთრამდე... ზამთარში დადგებოდნენ და შესაძლოა თემურ შაშიაშვილიც მოშორებოდა აქაურობას. ერიდებოდა რეზო. არ უნდოდა, ბოლომდე რომ გაეწირა. ინტერვიუს მიცემას აპირებდა ცენტრალური გაზეთისათვის და, რაც სათქმელი ჰქონდა, იქ იტყოდა. წაქცეულს რომ წიხლს აჭერენ, ისე არ გამოსვლოდა. ამიტომაც იკავებდა თავს.

9 სექტემბერს ჯავრი მოერეოდა:

ვერ წერდა, ვერ მუშაობდა ანუ ვერ ბეჭდავდა, თორემ აქეთ-იქით წანწალი, სამსახურები, სმა და ქეიფი იყოლიებდა. დაფიქრების საშუალებას მისცემდა თავს და... დაფიქრებული დარჩებოდი. არ გამოდიოდა, არ კეთდებოდა, გვიანდებოდა, დრო გადიოდა, დასასრული გიახლოვდებოდა...

ლევან მილორავას მაინც დაებეჭდა გაზეთ „შანსში“ „პოემა-ოდა“ იზა ორჯონიკიძეზე. დაგვიანებულად მიიჩნევდა რეზო: ის დედაკაცი აღარავის ახსოვდა და ლანძღვითაც წარმოჩნდება ხელახლაო. გაუჭირდებოდა კია. აღიზიანებდა მართალია, მაგრამ რეზოსათვის არა დაეშავებინა რა, უფრო პირიქითაც... ამით არა საზღვრავდა, არ აფასებდა პიროვნებას, და მაინც...

11 სექტემბერს გაახსენდებოდა, როგორ გადაეკეთებინათ 60-იანი წლების დამდეგს: სტალინი ბელადია და მხატვარი უდიადესი — ამგვარად: სტალინი ბელადია და მხატვარი გუდიაშვილი. ტექსტი მგონი ხალხურიაო, დასძენდა.

სწორედ იმ დროს დამთავრებული ჰქონდა თუ არა უნივერსიტეტი, ლადო გუდიაშვილის გამოფენა რომ გაიხსნებოდა სამხატვრო გალერეაში? ეს დიდი მოვლენა იქნებოდა იმ დროს, იმ წლებში. დარჩენილიყო თუ არა მხატვარი უდიადესად, აღარც ეცოდინებოდა. ის შარავანდი აღარც კი ახლდა მის სახელს, შემოქმედებას.

სტალინზე დაასრულებდა, გადაწერდა ერთ ნაკვეთს — გვერდს, და ახლა ფიქრობდა: საჭიროა თუ არაო? დროს ართმევდა, თავს ატკიებდა. გაემარტივებინა უნდა.

კულტურის სამინისტროში დატოვებდა პიესას. შეპირდებოდნენ: მომავალ წელს (1997-ში) შეიძლება ჰონორარიც კი გამოგიწეროთო.

11 ოქტომბერს „ყაჩაღების“ ჩამოტანას ეპირებოდა, ფესტივალი რუსთავში გაიმართებოდა, მანამდე ცხრა ტურა იკივლებდა — სულ ცოტა.

14 ოქტომბერს გახსნიდნენ სეზონს. ბევრი ბავშვი და პედაგოგები (ცოტანი). ქალაქის საზოგადოებას სეზონი არ აინტერესებდა. არსებობდა კი ქალაქში საზოგადოება — რასაც შეიძლება ეს სახელი რქმეოდა — კულტურულისა და მოწინავის გაგებით? საზოგადოება იყო გასვენებაში. გასვენებაში, დაკრძალვაზე კიდეც უნდა ყოფილიყო ცხადია. ეს ტრადიცია არ უნდა მოსპობილიყო, არ უნდა განელებულიყო, მაგრამ ამჯერზე ქელეხს გულისხმობდა. ვინც, რაც ქელეხზე ცხადდებოდა უმტკივნეულოდ, თხოვნისა და მუდარის გარეშე, დაახლოებით 450-500 ადამიანი, ის სჭირდებოდა სწორედ თეატრს ყოველ სპექტაკლზე, კვირაში სამჯერ.

მსახიობებს დაკარგული ჰქონდათ პასუხისმგებლობის გრძნობა. გუშინ აურევდნენ და შეხლაც მოუვიდოდა მათთან. ეს იმოქმედებდა და მეორე მოქმედება გამოსწორდებოდა. საერთოდ კი სპექტაკლი გასასწორებელი იყო, დასახვეწი. ვინ იყო გამკეთებელი?!. ერთხელ ერთ მიზანსცენას ჩაიდებდნენ თავში და შემდეგ აღარაფერი ესმოდათ. ეტყოდი, აუხსნიდი, დაგეთანხმებოდა, მაგრამ თურმე არ ეყურებოდა, არ ესმოდა, არ ამახსოვრდებოდა.

რა პასუხს მოსთხოვდი, რას აძლევდი და რა უნდა წაგერთმია, რა უნდა დაგექვითა. „ეყურებას“ ახსენებდა და დაურთავდა, რომ: ეს სიტყვა სმენასაც ნიშნავდა და მხედველობასაც. ამის საილუსტრაციოდ მშვენიერ ძველ მაგალითს შეხვედროდა, ჩაენიშნა, ოღონდ არ ამოეწერა და ახლა უნდა მოეძებნა.

— გეყურება?

— სად იყურები?

სიტყვას იტყოდა შესაველად, დაწყების წინ. სეზონის გახსნას მიულოცავდა მაყურებელს და შეახსენებდათ — თეატრს, ისტორიასა და საიუბილეო თარიღებს ქუთაისის თეატრისა.

ინგა კაკიაშვილი რეზოს გამოეყვანა. მისი წინადადებით ეთამაშა მთავარი, სალომეს როლი. ახლა მაშიკოს თამაშობდა სპექტაკლში „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“. მშვენივრად, უკეთესად, ვიდრე რეზოსთან, რეზოს პიესაში. ეს გასაგები იყო — უჭირდა, მაინც მოყვარული გახლდათ, სტუდენტი არ ყოფილა თეატრალური ინსტიტუტისა და... უეცრად გახდებოდა პრემა მსახიობი. იქნებ თეატრალურ ინსტიტუტში განეგრძო სწავლა? საჭირო იყო? კაცმა არ იცოდა. საჭირო უნდა ყოფილიყო ალბათ მაინც. თბილისში თვალს გაახელდა...

21 სექტემბერს თეატრში თემურ შაშიაშვილის მორიგ ღონისძიებას დატოვებდა. იმას კლუბად მოსწონდა, თეატრად არ აინტერესებდა, არ ჭირდებოდა. ჩიტი ხელის აქნევას ელოდაო, ისე გახლდათ რეზოს საქმე. არ უნდოდა, რომ ეთქვათ: დადგა თავისი პიესა ოტია იოსელიანივით და წავიდაო. რამდენიმე პრემიერა მაინც რომ... მაგრამ აცლიდა ქალაქის ხელმძღვანელი?.. შურისმაძიებელი კაცი არ იყო რეზო, ყველამ იცოდა, მაგრამ ის სიმართლის თქმას აიძულებდა.

„ეს ხომ ისედაც აუცილებელია“.

საბაბი იყო, თორემ სამაგიეროს გადახდის სურვილი არ ამოძრავებდა!..

25 სექტემბერს დემნა შენგელაიას იუბილესა თუ ხსოვნის საღამოს გადაიხდიდნენ. დარბაზი — ხალვათი. მწერალთა კავშირის თანამშრომლები და ნათესავები ვერ უშველიდნენ. ახსოვდა კი ვინმეს, იცოდნენ კი დემნა?.. თავის დროზე, უფრო ახალგაზრდობაში, ქუხდაო, ვერ იტყოდი, მაგრამ პოპულარული იქნებოდა, პრეტენზიულიც. „სანავარდო“ მართლაც საინტერესო ნაწარმოები გამოუვიდოდა. „ბათა ქექია“? თავს შეიკავებდა რეზო შეფასებისაგან. „განძი“ არ ივარგებდა, კინოფილმად მთლად საშინელება გამოვიდოდა. სუფრაზე სათამადო სკამს რეზო ჩხეიძეს შეუნახავდნენ, მაგრამ იმ სკამზე ელგუჯა მაღრაძე მოთავსდებოდა ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე. მეკუთვნისო, იფიქრებდა.

რევაზ ჩხეიძე შეინარჩუნებდა თავის ღირსებას, მრავალი ნაკლის მიუხედავად ყველაზე კარგი და კაცური კაცის სახელს დაიმკვიდრებდა. ამ დღეს კი რამდენიმე საინტერესო, ფრიად საინტერესო ამბავს, ეპიზოდს მოჰყვებოდა დემნა შენგელაიას ტრაგედიასთან — 10 წლის ვაჟი, ერთადერთი შვილი რომ დაეღუპებოდა — დაკავშირებით. ახსოვდა, მაგრამ მაინც აუცილებლად უნდა ჩაეწერა რეზოს.

მწერალთა კავშირის რეორგანიზაციაზე იქნებოდა ლაპარაკი, მითქმა-მოთქმა: არადა არაფერი ხდებოდა, შეფს არც სურდა, რომ მომხდარიყო, გურამ ფანჯიკიძეს.

— დერჟატსა ნა პლავუ! — ეს გახლდათ იმისი დევიზი, თუმც ეს გამოთქმა (ქართულად ასე რომ გაიმართებოდა: ხავსს მოვეჭიდოთო!) ეცოდინებოდა თუ არა, რეზო თავს ვერ დასდებდა.

გაეცნობოდა კანადელი — ალბათ ებრაელი — ჰიუბერტ რივზის პასუხებს კორესპონდენტის — ასტრონომიაში გათვითცნობიერებული ჩანდა — შეკითხვებზე. ნამეტანი პოპულარული, ბესტსელერი ყოფილიყო მისი წიგნი ასტრონომიაზე, პოეტურად წარმოსახულიყო სამყაროს ამბები. ამ ინტერვიუში არაფერი აღმოჩნდებოდა რეზოსათვის ახალი და განსაკუთრებული, თუმც ავტორის მატერიალისტური გულახდილობა მრავალ ფიქრს აღძრავდა.

პლანეტა მარსზე სიცოცხლის, აქედან გამომდინარე ცივილიზაციის არსებობაც თუ დადასტურდებოდა, გაკვირვებული მიაჩერდებოდა ამ შესაძლო პერსპექტივას რეზო:

თავდაყირა დადგება ყოველნაირი რელიგიური, მეცნიერული, მორალური შეხედულებანიო.

27 სექტემბერს სოხუმის დაცემის, აფხაზეთის დაკარგვის სამი წლისთავი შესრულდებოდა. გლოვას არ ამბობდნენ: მოსაგონარიო, ხსოვნაო... რეზოს შთაბეჭდილებით: ამ სამ წელს სიმშვიდე მოეტანა მაინც, საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის — რაგინდ ფორმალურიც უნდა ყოფილიყო — შეეწყო ხელი.

ბაჩანა ბრეგვაძის ნათარგმნ და ნაჩუქარ „დონ კიხოტს“ კითხულობდა ალაგ-ალაგ. კარგი თარგმანი იყო რაღა თქმა უნდოდა, თუმც დიდ განსხვა-

ვებასაც ვერ პოულობდა ადრინდელთან (ნიკო ავალიშვილი რომ იქნებოდა მთარგმნელი და ნიკა აგიაშვილი რედაქტორ-სტილისტი) შედარებით. ამას საგანგებო შედარება ესაჭიროებოდა.

შედარების გარეშე რეზოს დაწერილ სცენარებშიც — „სამანიშვილის დედინაცვალი" იქნებოდა, „ყვარყვარე", „ბაკულას ღორები" თუ „გაყრა", ეს უკვე პიესად — ვერ მიხვდებოდა მკითხველი თუ მაყურებელი, რა იყო ჩამატებული და შეცვლილი, ვერ გაიგებდა.

„გაყრაში" კომისიონერს, „ყვარყვარეში" მწერალს, წმინდა მიხეილის ჯგუფში ვსწავლობდიო, რომ იძახდა, როლებად გახდიდა. კომისიონერი მხოლოდ ერთხელ იხსენიებოდა გიორგი ერისთავთან.

„ყვარყვარეს" გაპიესებას აპირებდა თავისებურად, თამამადაც იზამდა კიდეც და... ისე შეიფერებდნენ ჭირისუფლები, პოლიკარპე კაკაბაძის სიძე-ქალიშვილი — თითქოს არაფერი, ასეც უნდა ყოფილიყოო, დააქნევდნენ თავს.

მამას შექსპირს, მოლიერს (მოლიერს რა უშავსო! — ჩაურთავდა რეზო) ადარებდნენ და რუსთაველის — რობერტ სტურუასა — და სოხუმის — გიზო ჟორდანია — თეატრების დადგმებს ურიგდებოდნენ, გეგონება ხელახლა არა ყოფილიყოს დაწერილი და გადააზრებული მათი „ყვარყვარე". ესეც იყო: პირველწყარო ფანტაზიის უშრეტ საშუალებას, ფორმისა და შინაარსის გაღრმავების საშუალებას იძლეოდა.

„დონ კიხოტი" საკმაოდ მოსაწყენი ეჩვენებოდა, ჩანართებით გადატვირთული, „ხერხებითა" და ლექსებით გავსებული. შეიძლებოდა — ამას აკეთებდნენ კიდეც, თუ არ ეშლებოდა — ბალასტისაგან მისი გაწმენდა, გენერალური ამბის გაშიშვლება, გამომარგვლა.

ადამიანისშვილს კი სულ რაღაც ეღობებოდა სრულყოფის გზაზე. ბუნება — კანონზომიერებას გულისხმობდა ყოველთვის ამ სიტყვაში რეზო — თუ უფალი ბოლომდე არ გიშვებდა, არ გეხმარებოდა. „ვეფხისტყაოსანში" რომ ამდენი ცრემლადსისხლისღვრა და თავპირის ხოკვა ტრიალებდა, ამ აზრს არ ადასტურებდა?!. რამდენად სხივნათელი იქნებოდა ის დიდი წიგნი ცრემლის „ნთხევის" გარეშე!

დანტეს „ღვთაებრივი კომედია" გადატვირთულიყო ავტორისდროინდელი პრობლემებით; ადგილობრივი მნიშვნელობის ანგარიშსწორებებით... ეს უკარგავდა ალბათ სწორედ ღვთაებრიობას.

ასევე იყო ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობაც" — იმჟამინდელი ინგლისის სახელმწიფოებრივი წყობის კრიტიკა ვის ესაჭიროებოდა ახლა? და... მაშინ? არც იმ დროს განზოგადდებოდა სხვა, იმ მშვენიერ წიგნში აღწერილ ამბებთან შედარებით.

და ამოუჩნდებოდა მეხსიერებაში რუსთველური:

ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდაო.

გალაქტიკები, ვარსკვლავები, პლანეტები, თანამგზავრები, კომეტები ალბათ ქრებოდნენ — კვდებოდნენ — და იბადებოდნენ, დაბადება-გარდაცვალება-აღორძინების კანონი ყველაფერზე — სულიერზეც და უსულოზეც — ვრცელდებოდა...

სიცოცხლეც მოგზაურობსო, — ეიმედებოდა რეზოს და ამ იმედს ეჭიდებოდა და ელოლიავებოდა.

ერთგან ჩაქრებოდა და მეორეგან აღმოცენდებოდა. ტბა რომ შრებოდა, წვეთებს ხომ არ ითვლიდნენ.დაშრებოდა ტბა და... გაჩნდებოდა ტბა სხვაგან ან იქვეც — დაუთვლელი წვეთებით...

ცივილიზაციასაც შეცვლიდა ცივილიზაცია. ადამიანს ჯერხნობით ისეთი არაფერი შეექმნა, რაც ხელახლა არ შეიქმნებოდა.

ეს აზრი აწუხებდა და გამოაქვეყნებდა ადრე თუ გვიან. კრიტიკასაც, თუ ღვთის რისხვას არა, დაიმსახურებდა უეჭველია.

რუსეთის ტელევიზია სენსაციურს უწოდებდა ედუარდ შევარდნაძის ამდღეანდელ გამოსვლას:

თუკი რუსეთი საქართველოს მთლიანობის აღდგენას არ შეუწყობს ხელს, დატოვებს საქართველოს, სამხედრო ბაზებსო. თავის მთლიანობას ვერ ინარჩუნებს და შენსას რარიგ აღადგენსო! საქართველოს დამარცხებაში (ეს პირველად ითქმოდა) რუსეთს მიუძღვის წილიო, ის საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდაო.

დანარჩენი მომიტინგეები უფრო მწვავედ და რადიკალურადაც ლაპარაკობდნენო...

მეორე დღეს პოლიკარპე კაკაბაძეზე ფიქრობდა: არ იყო კარგი კაციო. სხვის გინებაში — თუნდაც ყურისგდებით — თუ აჰყვებოდი, თორემ სხვას ვერაფერს მოუნახავდი საერთოს; იმ დროს ერთობოდი, შენც პოლიკარპედ იქცეოდი და შერცხვებოდი — შენს თავთან — შემდეგ.

არც წყენა ჩარჩენოდა მისგან გულში, არც ცუდი მოგონება გამოჰყოლოდა. ორიგინალური, საინტერესო პიროვნება გახლდათ უდავოდ, მაგრამ მისი მემკვიდრენი გაღიზიანებდნენ — როგორც მამა და სიმამრი მათი აღიზიანებდა თანამედროვეთ — უცილოდ და სიმართლის თქმას მოგანდომებდნენ. თავით მარილი რომ დაგენაყა, მადლობას არ გეტყოდა; თუ არც ავს ამოღერღავდა შენზე და არც კარგს, თუ საერთოდ არ გახსენებდა, ეს იქნებოდა მისი წყალობა.

ესეც ვერ აეხსნა რეზოს:

დედა რომ ჭეიშვილი ჰყავდა, ერთხელ როგორ არ წამოცდაო?!.

ისე გაუყოფდა რეზოს სცენარის ფულს — პიესაში ცალკე გადაუხდიდნენ — წარბსაც არ შეიხრიდა... არადა სიტყვა რაა, სიტყვა არ ჩაემატებინა შიგ... მადლობას ვინ დაეძებდა, არ ვარგაო, მაინც ეთქვა!.. თუმც: არ ვარგაო, — რომ ეთქვა, ფული რაში უნდა აელო. მომწონსო — მაშინ თვითონ პოლიკარპე რაღა შუაში იყო...

პირფერობა და გულგარეთ ლაპარაკი რომ არ შეეძლო, ამას დაუფასებდა რეზო, მაგრამ სიძულვილის დაფარვასაც ვერ ახერხებდა.

სამად სამი ადამიანი ამშვენებდა მეოცე საუკუნის საქართველოს პოლიკარპეს აზრით:

პოლიკარპე კაკაბაძე, დავით კაკაბაძე და სარგის კაკაბაძე.

უნიჭობას ვერცერთს — განსაკუთრებით დავითს — ვერ დასწამებდი, მაგრამ... სხვებიც ხომ იყვნენ?

მე მგონი იყვნენო! — ელიმებოდა რეზოს.

30 სექტემბერს მშვენიერ გუნებაზე დაბრუნდებოდა ხარაგაულიდან, სადაც შეხვედრას მოუწყობდნენ: რეზოს, ოტია იოსელიანსა და ზურაბ კუხიანიძეს. მშვენიერი საღამო გამოვიდოდა ხალხით — ბავშვებით — გაჭედილ დარბაზში. სამსაათნახევარს — მეტსაც — გაგრძელდებოდა და ფეხს არ მოიცვლიდა არავინ. ერთი ნასვამი აიფხორებოდა რაღაც მომენტში და მიაჩუმებდნენ იმასაც. სიტყვის თქმა ენდომებოდა და არ გამოუშვებდნენ. ისე კი სამსაათნახევარი გაძლება არ გინდოდა!..

უყვარდა ის მხარე რეზოს. მშვიდი ალაგი. სახეშეშლილ და სახემოქცეულ, ნერვიულ ადამიანს ვერ დაინახავდი!..

თავის გამოსვლას რეზო გალაკტიონის სტრიქონებით დაასრულებდა, ხარაგაულის სევდიანი სადგურის წამოგონებით, მისი აცვენილი აგურით, ამ ყრუ სამკაულით... უშფოთველი ცხოვრება რომ მიედინებოდა გუგულივით წყნარად, და მოისმოდა მოახლოებული ორთქლმავლის გუგუნი...

ოქტომბრის დამდეგს რიონი იდინებდა წითლად. ამნაირი ფერისა რიონი არასოდეს ენახა. ადიდებულ წყალწითელას დაემგვანებოდა იმ დარში. მთაში წვიმდა ცხადია, მაგრამ მაინც რომელი შენაკადი — რაჭასა თუ ლეჩხუმში — გადარეულიყო?!.

მიხეილ ალავიძის გასვენებაში, სადაც რეზო სიტყვას იტყოდა მწერალთა კავშირისა და მწერალთა სახელით, ქუთაისის ვიცე-მერებს არტისტებისათვის რუსთავის თეატრალურ ფესტივალზე ჩასასვლელ დღიურ ფულს სთხოვდა: იმდენი მაინც გამიხერხეთ, ერთი ინჯრა საჭმელი შეჭამონო, — და დაპირდებოდნენსავით ისინიც. გამოჩნდებოდა ხვალ, რას გამოიმეტებდნენ.

დენს ჩართავდნენ. ზევით იქნებოდა, თორემ რეზომდე არც კი ჩამოაღწევდა. სანთლების შუქზე წერდა და ეს სანთლებიც ჩაიღვენთებოდა.

მერაბ კეზევაძე ჭეიშვილების „საქმეს“ გამოუძებნიდა. ქვიტირელი ჭელიშვილები ჩიოდნენ და იშველიებდნენ სოლომონ მეფის — ნეტა პირველი იგულისხმებოდა თუ მეორე? — სიგელს: გენათელის სამწყსოს გლეხები ყოფილიყვნენ, მწვანეყვავილას მონასტერზე მიმაგრებულნი, სხვაზე მეტს იხდიდნენ თურმე და: რაშია საქმე, გაგვაგებინეთო, — ითხოვდნენ.

ამერიკაში თურმე ჰკითხავდი სტუდენტს, მოზარდს: ვინ არის მარკ ტვენიო? — და არ ეცოდინებოდა, „ტომ სოიერის თავგადასავალი“ არ წაეკითხათ. უკვირდა რეზოს: რუსეთში რომ ლევ ტოლსტოი არ იცოდეს სკოლის მოსწავლემ, იგივეაო.

— მწერალი რომ არ გყავს, უბედურებაა, მაგრამ გყავდეს და არ იცოდე — გაცილებით დიდი უბედურება.

გაიხსნებოდა თეატრალური ფესტივალი რუსთავში. პირველ პიესად ირაკლი სამსონაძის ნაწარმოებს აჩვენებდნენ. ორ მოქმედებას ნახავდა რეზო, მესამეს რომ ველარ გაუძლებდა, მიხვდებოდა და კიდეც წამოვიდოდა. ამ პიესაზე, სპექტაკლზე ფიქრი გამოჰყვებოდა.

უნიჭო თამაზ ჭილაძესა და პოზიორ მიხეილ თუმანიშვილს გამოეთაყვანებინათ არასმქონე და არასშემძლე ახალგაზრდები. ჟიურის წევრებს დაა-

სახელებდნენ და... მტრისასო, დაცდებოდა რეზოს, ვინმეს რაიმე ხომ უნდა ეკითხებოდეს ბოლოსდაბოლოსო?!.

და დაინტერესდებოდა:

საერთოდ არის კი საქართველოში ავისა და კარგის გამრჩევი, მართლის მთქმელიო?!.

6 ოქტომბერი რუსთავში იქნებოდა ძალიან კარგი. „ყაჩაღებიც“ კარგად წავიდოდა. პირველ მოქმედებას ჩაუგდებდნენ კინაღამ, მეორეს გამოასწორებდნენ. იქნებოდა ტაშიცა და ოვაციებიც. შემდეგ ბანკეტი — ალაფურშეტის სტილში. დაესწრებოდა ქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელობა... თემურ შაშიაშვილს არ ეკადრა კახეთიდან ჩამობრძანება. და სარკაზმს არ დაიშურებდა რეზო: ერეკლე მეორის 100 მერომელიღაცა ზეიმს რომ არ დასწრებოდა, არ იქნებოდა, უიმისოდ არ ჩატარდებოდაო...

ინგა კაკიაშვილს რომ დაპირდებოდა თეატრალურ ინსტიტუტში გაგზავნა-მოწყობას, გადაირეოდა ჯეირან ფაჩუაშვილი:

— ჩვენთვის დაკარგული აღმოჩნდება, უკან აღარ დაბრუნდება.

ესეც შეიძლებოდა, თუმც იმდენს თუ მიაღწევდა, რომ უკან აღარ გამოუშვებდნენ, რეზოს ეს მისასალმებელიც ეჩვენებოდა: კარიერა რატომ უნდა გავუფუჭოთო?!.

მაგრამ იმ ინსტიტუტში ისწავლიდა კი, გაიზრდებოდა?.. პირიქითაც შეიძლება მომხდარიყო!..

16 ოქტომბერს წუხილს გაანდობდა დღიურს:

რა ეშველება თეატრს ამ არათეატრალურ ქალაქშიო!

ზოგიერთი გადაირეოდა ამის მოსმენისას:

არათეატრალური ქუთაისს ვით ეკადრებაო...

არადა ეგრე იყო... და ეს რეზო ჭეიშვილზე უკეთ ვის ეცოდინებოდა!..

გაგულისება კი 20 ოქტომბერს გენახათ:

— ღორულად მოექცნენ ქუთაისის თეატრს. იმ უნიჭო ჟიურისაგან კარგს არაფერს ველოდი, მაგრამ თუ ფეხებზე დაგვიკიდებდნენ, არ მეგონა!

ამბის გამომტანი ჯერ არ შეხვედროდა. ორი სპექტაკლი — რუსთაველისა და მარჯანიშვილისა — ნანახი არ ექნებოდათ ჯერ და... პრიზებს უკვე მიანიჭებდნენ.

რეზოს პიესა რომ არა ყოფილიყო წარმოდგენილი, შეიძლებოდა მიდგომმოდგომა. მაინც თავის გამოუცდელობას დააბრალებდა ბევრ რამეს. სიბერემდე სიქაჩლეო, აკი თქმულიყო. თუმცაღა თეატრში სიბერემდე კი არა, დავაჟკაცებამდეც არ მიელწია.

გულგატეხილი იქნებოდა და... დარჩენილიყო თუ არ უნდა დარჩენილიყო თეატრის სათავეში, აღარ ეცოდინებოდა!..

მის საზიანოდ მომართულიყო ყველაფერი. მის შემოქმედებას... მწერლობას აკლდებოდა. ფიზიკურადაც და მატერიალურადაც უჭირდა აქეთ-იქითურობა.

ქრისტოფორო კასტელის ალბომს რომ შეიძენდა საკმაოდ ძვირად — 25 ლარად — 1977 წელს გამოცემულს თავის დროზე რომ ვერ იშოვნიდა და ახლა ჩაუვარდებოდა ხელთ სრულიად უხმარი ეგზემპლარი, რარიგ გაიხარებდა:

— სამაგიდო წიგნია ჩემთვის...

27 ოქტომბერს აჩვენებდნენ პრემიერას: უკვე მესამეს — ედუარდო დე ფილიპოს „ქურდი სამოთხეში“. მშვენიერი სპექტაკლი გამოვიდოდა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე ვერ მიეყვანა, შესაძლოა ვერც გაეგო რეჟისორს — გურანდა იაშვილს, ავტორის ჩანაფიქრი. ხალხიც დაესწრებოდა პირველ დღეს.

რომის პაპი იოანე-პავლე მეორე მეცნიერებათა აკადემიას, რომისას, გაუგზავნიდა წერილს: ჩარლზ დარვინს გლახად ნუ უყურებთო. ბუნებრივი შერჩევის თეორია, ევოლუციის მეცნიერება ყურადსაღებიაო. ადრე პაპ პიუს მეთორმეტესაც ეთქვა იგივე, ოღონდ უფრო მოკრძალებულად.

„კუდიან ვარსკვლავში“ უამათოდაც ეწერებოდა რეზოს დაახლოებით იგივე. სახეობათა შერჩევას იტყოდა მხოლოდ. ეს ფაქტი გახლდათ, მაგრამ რეზოს „აირტონიზმი“ სხვა რამეს ითვალისწინებდა: თუ დადასტურდებოდა, რომ მარსზე არსებობდა სიცოცხლე — რაგინდ რა ფორმისა, იქნებ ცივილიზაციაც — რაც ადვილი შესაძლებელი გახლდათ, მაშინ სულ სხვა დასკვნებს გავაკეთებდით. და კუდიანი ვარსკვლავიც მალე ამოვიდოდა.

2 ნოემბერს ნახავდა გოგა ხაინდრავას ფილმს აფხაზეთის ომზე — ნახევრად დოკუმენტური ჟანრისას... ფილმი არ იქნებოდა ცუდი, საინტერესოც გამოდგებოდა... ვერ იტყოდი: პაციფისტურია მხოლოდო. უარესიც ალმოჩნდებოდა. სიამოვნებით იყიდიდნენ აფხაზები. გავაყრუებდით ქვეყანას ჩვენი სიმართლით, აფხაზთა სიმხეცით და... აქ პირიქით არ იქნებოდა?!. არც არაფერი აკლდებოდა: თურმე იცავდნენ თავიანთ მიწასა და სახლკარს. ისე კი შეიძლებოდა სასიკეთოდაც წაგვდგომოდა ოდესმე... შეიძლებოდა...

„გოგა კი უფრო ჭკვიანი მეგონა“.

12 ნოემბერს ჩავიდოდა ბათუმში პარმენ ლორიას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე. პარმენი გადავიწყებული ეყოლებოდა და გაახსენდებოდა ბავშვობაში წაკითხული ამ კაცის წიგნები: „დელი-მურადი“, „მევლუდი“, „ჩაი“... წინა დღით საჯარო ბიბლიოთეკაში შევიდოდა და გადაათვალიერებდა წიგნს „დაზგიდან დაზგამდე“. მიხვდებოდა: ავტობიოგრაფიული უნდა იყოსო... ალაგ-ალაგ მართლაც საინტერესო მოეჩვენებოდა. ნამდვილი ამბები თავმოყრილიყო... ერთ დეტალზე გაამახვილებდა ყურადღებას სიტყვით გამოსვლისას:

ყაზახ-რუსები ჭურიდან ჩექმებით იღებდნენ ღვინოსო.

შემდეგ დასძენდა:

— მწერალმა (ცხადია არა ყველამ) მხოლოდ ავტობიოგრაფიული ნაწარმოები უნდა წეროს.

გურამ ფანჯიკიძე ფეხბურთზე ილაპარაკებდა ძირითადად. გურამ გვერდწითელი ზოგად სურათს მიმოიხილავდა. სხვები იტყოდნენ: მკითხველი ჰყავდაო, — და ეთანხმებოდა რეზოც: ეგრე იყო ნამდვილადო.

ქუთაისშიც კარგ ამინდს დატოვებდა და აქ ხომ იქნებოდა და იქნებოდა დიდებულ-ბათუმური...

16 ნოემბერს გადაათვალიერებდა ძველ ჩანაწერებს. წინ ედებოდა მეთერთმეტე რვეული — 1989 წლისა. იხსენებდა. აღიდგენდა. ხედავდა გარდასულ დღეებს.

— დღიური სარკეა.

საგულისხმო, გასათვალისწინებელი შეფასება თუ განსაზღვრება გახლდათ ამ ლიტერატურული ჟანრისა.

ეწერებოდა ერთგან:

სამსახური გამექცა თითქოსო...

„განთიადს" გულისხმობდა. ფრაზას კი: სუფრა რომ გაექცეოდა თამადას — იმის ანალოგიით ჩაწერდა.

ჰქონდა ეგ მომენტები. ახლაც ექნებოდა. თეატრი რთული მანქანა აღმოჩნდებოდა...

რა შეიძლებოდა გამომდნარიყო ახლა ამ მისი თეატრიდან?

არაფრისგან არაფერი?!

21 ნოემბერს ჭაბუა ამირეჯიბს გადაუხდიდნენ 75 წლის იუბილეს გიგა ლორთქიფანიძის რეზიდენციაში: „მსახიობის სახლში". მიეფერებოდნენ. საღამოს დაწყებამდე გააფრთხილებდათ:

— ქება-დიდება არაა საჭირო, მხოლოდ ნაწარმოებებზე ილაპარაკეთ.

არ გამოვიდოდა ასე. ნამეტანი ქება კი ეტყობა მართლა ამოსველოდა ყელში...

თავმჯდომარე — გურამ ფანჯიკიძე — იტყოდა:

— გიგამ დაიბარა, პირველი სიტყვა ჩემს ცოლს მიეცით აუცილებლადო.

ისიც შემოვიდოდა, ვითომ ბეჩუნი, და ინდოურს შემოიყვანდა ფეხზე გამობმული თოკით, ვითომ ბატკანი იყო.

„სუფთა სულელი, უნიჭო და თავხედი".

ოთარ მელვინეთუხუცესი გამოვიდოდა ფამილარულად, ვითომ მისი და სამისო ყოფილიყოს აქაურობა...

„დანარჩენებს რა გვიშავდა".

სუფრაც, ტრაპეზიც ფეხზე მდგომთათვის. დოდო ჭიჭინაძე წამოვიდოდა მისკენ, აკოცებდა და შუქიც ჩაქრებოდა, ჩაწყვდიადდებოდა. და ეტყოდა რეზო:

— „როცა „დავით გურამიშვილსა" და „ბედნიერ შეხვედრას" ვუყურებდი, ამას როგორ ვიფიქრებდი — ეს ქალი, ღმერთქალი მაკოცებდა და დაბნელდებოდა იქაურობა!..

ქუთაისელი მოწაფეები — წმინდა ნინოს გიმნაზიისა — გამოსცემდნენ გაზეთს „ისრიმი", რომელიც ათქმევინებდა: მშვენიერი და ლამაზიაო. ამის სურვილი რომ გასჩენოდათ, ამისთვის რომ მოეცალათ, ჯერ მარტო ეს როგორ არ უნდა დაგეფასებინა: არ ვყოფილვართ მთლად დაღუპულებიო, — სიხარულს ვერ დაფარავდა რეზო. სათაური საბასაგან აეღოთ: უმწიფარ, შეუმთვალულ ყურძენს ნიშნავდა. სწორად მოეძებნათ და მიეგნოთ.

გაზეთს ამზადებდა და იმედოვნებდა, რომ თეატრისადმი მიძღვნილი ამ გამოცემით მაინც დააჩნევდა კვალს ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრს.

მოვიდოდა ეს 140-ც. ესეც ხომ რეზოს ახირება გახლდათ, იმისი არ იყოს, ინგა კაკიაშვილიც ხომ მას შეეგდო დიდ, მთავარ საროლეთში — სცენაზე.

დაილეოდა ამასობაში ეს 1996 წელიც.

რა დაეტოვებინა დედამიწაზე? განსაკუთრებული არც არაფერი. არც ყოფილიყო გათვლილი და მოსალოდნელი. და... საქართველოში? სიმშვიდე — წინა ხუთ წელთან შედარებით. ნგრევა, ქაოსი შეწყდებოდა, სიდუხჭირე დაისადგურებდა. ხალხი ეგუებოდა დღევანდელობას.

ედუარდ შევარდნაძე მწერალთა კავშირში მოვიდოდა პირველად — სხვა ორგანიზაციებზე ადრე და: სხვა დროსაც მოვალო, — ანუგეშებდათ.

კიდევ რას იტყოდა?

— ზოგიერთი ძალიან გამდიდრდება.

განსაკუთრებულ ყურადღებას არ მიაქცევდნენ ამ სიტყვებს, რაკიღა ეს აღარ ეთქვა: ზოგიერთი ნამეტანი გაიღლიტებაო...

ძალიან გამდიდრებულებს სახელმწიფოც უნდა გაემდიდრებინათ — ასეც მოხდებოდა ოდესმე — მაგრამ ძალიან გამდიდრებულები ჯერ არც კი ჩანდნენ ლანდებადაც.

„ჩვენი გამდიდრება, წარმოდგენა სიმდიდრეზე — პრიმიტიულია".

ამ ბინაში — ფანასკერტელის 13 ნომერში რომ გადასულიყო — პირველ ახალ წელს ითენებდა და იმედს გამოთქვამდა:

იგი ბედნიერი იქნებაო!..

31 დეკემბერი მოტანებულიყო, ღამის 11-ს აკლდებოდა 5 წუთი და... გასულიყო, გაფხრეწილიყო ეს 1996 წელიც.

უეცრად 2016 წელს გახედავდა აქედან და საგანგებოდ ჩაინიშნავდა, რომ: მანამდე ოცი წელიწადი უნდა გადაკეცილიყო...

და... ნეტა რას მოუტანდა ქვეყანას ეს ოცი წელიწადი?!. და თვითონ რეზო სად იქნებოდა მაშინ... მოესწრებოდა თუ ვერა... მოესწრებოდა თუ ვერა?!.

ღირდა გახედვად.

ფიქრადაც ღირდა...

თავი მეექვსე

1997 წელი

მოქუფრული დღე დადგებოდა 4 იანვარი. შემოჟინჟღლავდა შემოღამებულს. ახლა სადღაც წვიმდა, თოვდა. თბილოდა მაინც. გზები წამხდარიყო და მაინც წასვლა ენდომებოდა. შობა ეგებ ქუთაისში გაეტარებინა.

გარდაიცვლებოდა მამუკა სალუქვაძე — ნიჭიერი კაცი, ინტელიგენტი, უხერხემლო თაობის წარმომადგენელი. არ შეეძლებოდა გლეჯვითა და ხელების ჯიკავით წინსვლა. ეს ხომ პროვინციელთა ჩვევა და მოთხოვნილება გახლდათ. იბრძოლებდა და იომებდა (საკუთარ სენთან), როცა აზრი აღარ ექნებოდა...

ახალი — 1997 წელი — დაიწყებდა წრებრუნვას. არაჩვეულებრივს არა, მაგრამ კარგს კი მოელოდა. რეზო გამოჩნდებოდა.

ანუგეშებდა იმის შეგრძნება, რომ:

დრო მაინც ჩვენს სასარგებლოდ მოქმედებდა. მუდმივი შიში, დამოუკიდებლობას დავკარგავთო, თანდათან ნელდებოდა. ბოლობოლო ფსიქოლოგიურადაც შეურიგდებოდი ამ ფაქტს. მენშევიკებს მეტი საშუალება კი ექნებოდათ — რუსის ჯარი მთლად დატოვებდა აქაურობას — მაგრამ ვერ გამოიყენებდნენ ამ ხელსაყრელ ვითარებას. შინაგან სტაბილურობასაც ვერ მიაღწევდნენ; დროც — სულ სამი წელი და თვეები — არ აღმოჩნდებოდა საკმარისი. ახლა უკვე სრული ხუთი წელი გასრულებულიყო. 1991-ს არც კი მიათვლიდა. ის იქნებოდა გარდამავალი წელი: პირველი გარდამავალი. მეორე გარდამავალი ხანგრძლივი გამოდგებოდა, მაგრამ აუცილებელი. დავლოდებოდით მაინც უნდა იმ საუკუნეს!..

11 იანვარი მოაწევდა და გაზეთ „თეატრს" ამზადებდა, 16-გვერდიანს. ხათაბალა აღმოჩნდებოდა. გაზეთის პატრონს ხელი სხვა საქმისათვის აღარც უნდა მოეკიდა. ვერც შეძლებდა, ვერც მოახერხებდა... თავის დროზე, ჯერ კიდევ კომუნისტების მმართველობისას, დააარსებდა გაზეთს „მოწამეთა". წავიდოდა და გადაულოცავდა ელგუჯა თავბერიძეს. რამდენიმე ნომერს მიაჩალიჩებდნენ და მიაგდებდნენ.

ის იქნებოდა პირველი მრავალგვერდიანი გაზეთი ქუთაისში.

შეიძლებოდა განახლება.

— შაშიაშვილის ხელში არაფერი არ შეიძლება, — ეტყოდნენ, მაგრამ რეზო არ დაუჯერებდათ: თავს იმართლებენ, თორემ ძალიან კარგადაც შეიძლებაო. თანაც ეს შაშიაშვილი სულ ხომ არ იქნებოდა.

რედაქტორობას ვეღარ გაუძღვებოდა, მაგრამ ზედამხედველად, საერთო ხელმძღვანელად ივარგებდა.

პროფილი უნდა გამოძებნოდა სრულიად ახლებური: პუბლიცისტიკა, პოლიტიკა. ლიტერატურა — არა, ვიღას უნდოდა (თუკი უნდოდა, მის მეტი რა იყო!), ვიღას ჭირდებოდა. კრიტიკა? მხოლოდ ლანძღვას ჰქონდა გასავალი. ვიღაც უნდა გეთათხა, გელანძღა.

„სალანძღავი გაზეთი"? აი ეგ კი გაამართლებდა.

თამაზ წივწივაძე ხომ ამით გაითქვამდა სახელს. მიდგებ-მოდგებოდა, „მიფერთხ-მოფერთხავდა" და ვეღარ მოისვენებდა. ხმას აღარავინ სცემდა და გაოგნებული გახლდათ. მიელანძღა მთავრობა, თანამდებობის ყველა პირი. ერთადერთი პატიოსანი კაცი შევარდნაძეაო, ირწმუნებოდა. ეს პატიოსანი კაციღა დარჩებოდა (საბაბს ვერ უშოვნიდა თუ რა!) მისალანძღი და... ამასაც გარისკავდა. სხვანაირად ყურადღებას მკითხველისა და საზოგადოებისა ვეღარ დაიმსახურებდა...

რადიოში იტყოდნენ 19 ოქტომბერს:

ედუარდ შევარდნაძე რუსეთს დაემუქრაო.

კინაღამ დაიჯერებდა რეზო... და მერე თავის თავზე გაეცინებოდა:

ეს კაცი რადიკალურ ღონისძიებას კი არა, რადიკალურ — მუქარაზე ზედმეტია ლაპარაკი — განცხადებასაც ვერ გაბედავსო.

ვარდიკო და ედიკო: ღიმილ-ღიმილით გაათამაშებდა საქართველოს პრეზიდენტისა და სამხედრო მინისტრის სახელებს.

არადა: რუსს ისე უნდა მოქცეოდი, როგორც რუსს ეკადრებოდა —სწორედაც რუსულად!..

23 ოქტომბერს გაიხსნებოდა 1937-38 წლებში დაღუპულთა ხსოვნის ამსახველი მასალების გამოფენა ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში. შესანიშნავი დარბაზი დახვდებოდა, გამოფენა კი ნაჩქარევი, ღარიბული, და მაინც შთამბეჭდავი, ჭირისუფლებით სავსე... დაღუპულთა შვილები — გადაბერებულნი, ხანშიშესულნი, ქალები შავებში... ინანებდა, რომ არ გამოელაპარაკებოდა ერთ შაოსან ბებიას, კუთხეში რომ იჯდა და კანკალებდა. რაღაცას ჩაწერდა შთაბეჭდილებათა დავთარში და: განზრახული გადავარდებოდა. ხვალ ნეტა ის დედაკაცი დახვდებოდა იქ?

საქართველო ის ქვეყანა გახლდათ — ტიპური ქვეყანა — რომელიც მხოლოდ ჭირისუფლებით გამოხატავდა მწუხარებას იმ დღეებისა... დანარჩენებს, რომელთაც ის წლები არ შეხებოდათ, არ აინტერესებდათ. და თუ აინტერესებდათ, არა გაუბედურებულთა თანაგრძნობის გამო.

ცნობდა ზოგიერთი ტელეეკრანიდან. გული წყდებოდა რეზოს, მეტი — რაც ჩაწერდნენ და გადაიღებდნენ — რომ არ ეჩვენებინათ. დაბეჭდილ-გამოქვეყნებული რომ არა ჰქონდათ წაკითხული, უნდა შეგუებოდა ამ რეალობას.

— რა კარგად გამოხვედი! — ყველა ამას ეუბნებოდა, თითქოს მეტი არაფერი გაეკეთებინოს აქამდე...

შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერდა — კარგად ვერ დაალაგებდა იმ ზუზუნში, მაგრამ რისი თქმაც უნდოდა, იტყოდა:

— ვიდრე საქართველო არ აღიარებს, ვინ იყო ამ უბედურების სულისჩამდგმელი, რეპრესიების საშიშროება არ მოიხსნება...

არ აღიარებდნენ სტალინის დანაშაულს. ვითომ მისი სიავკაცე არა სჯეროდათ? სჯეროდათ და... ამიტომაც აღმერთებდნენ სწორედ...

მეორე დღეს ედუარდ შევარდნაძე ყურებჩამოყრილი ჩამობრუნდებოდა — ბორის ელცინს გაებუტებოდა. რა გაგრძელებას მოუძებნიდა ამ ამბავს, რას მოიმოქმედებდა სასარგებლოს?.. ვერაფერს, რეზოს ვარაუდით, ისეთს ვერაფერს.

„დემოკრატია დაემთხვლევა თავზე სულ მალე“.

წამოყოფდნენ უკვე თავს ნაძირლები. სამხედრო კონფლიქტამდე მივიდოდა თუ არა საქმე, აქეთ, ზურგში გართულდებოდა მდგომარეობა; დაიძრებოდნენ ქუთაისისა და თბილისის დასაპყრობად!.. ვითომ ჰო და ვითომ არა?!.

ჯეირან ფაჩუაშვილს დანიშნავდნენ ქუთაისის თეატრში რეზოს ადგილზე. ბევრი ვიბრძოლე შენთვისაო, ძლივს მოვახერხე ჩემთვისაო, ეტყოდა ალბათ ავალო ქაჯაიას — ძმასა და პირის ზიარებას...

და შეიცოდებდა თეატრს რეზო ჭეიშვილი იმის ხელში!..

თუმც ჯეირან ფაჩუაშვილი — მანამდე მხოლოდ თეატრის მხატვარი — ისეთ უნარს გამოიჩენდა დირექტორობისა და სამხატვრო ხელმძღვანელობისას, სასიკეთო კვალს დააჩნევდა თეატრის ცხოვრებას, და ქუთაისს ხელახლა მოუპოვებდა ჩინებულ კულტურულ კერას, თანდათან მთელი ქალაქი რომ ჩაერთვოდა ამ გარემოში და აღარც მაყურებელი მოაკლდებოდა ახალ-ახალ სპექტაკლებს. რომ დაეცლიათ, არტისტულ ქალაქადაც გადააქცევდა!..

26 ოქტომბერს არჩილ სულაკაური გარდაიცვლებოდა დილით, ზეზეულად...

იქნებოდა თბილისობა და გრიალი. ნაღდი თბილისელი კი იწვებოდა ზეწარწამოხურული. ვითომ არც წასულიყოს. გავიდოდნენ პატარა ოთახში. პოლიტიკაზე, რატომღაც არგონავტების მითზე, მედეაზე — ახალი ოპერა გაახსენდებოდათ — დაიწყებდნენ საქმიან ლაპარაკს, კინაღამ კამათსაც. ვინ იქნებოდნენ და: რეზო, თამაზ წივწივაძე, ტარიელ ჭანტურია, ელგუჯა მაღრაძე, ოთარ ჭილაძე, ვალიკო სულაკაური... მეტი არც არავინ...

„რამდენი ჩვენიანია, რომ იტყვიან, გადადებული და ის კვდება, ვის სიკვდილსაც არ ელი. ამიტომ არაა ჩვენი საქმე წამსვლელ-მომსვლელზე ლაპარაკი...“

5 ოქტომბერს „ალიასათვის“ ინტერვიუს რომ გაამზადებდა, რადიონოველასაც გაუგზავნიდათ — „გურმანს“, რომელსაც იმედო კახიანს მიუძღვნიდა.

16 ნოემბერი შემოთენდებოდა ქუთაისში. ჩამოიტანდა ხოლმე სამუშაოს, გაშლიდა ხელნაწერებს მაგიდაზე და... მორჩა. დღესვე ჩაალაგებდა „დიპლომატში“ და გაუტევდა თბილისისაკენ. იქ — სამსახური, და მაინც იქ უფრო ახერხებდა რაღაცას. აქ ყოველი დღე დატვირთულიყო საქმიანი უსაქმურობით.

საქმიანი უსაქმურობა — სწორედ რომ ჭეიშვილური პარადოქსი.

გუშინწინ ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 160 წლისთავი აღინიშნებოდა თეატრში. უსახური და უნუგეშო საღამო გამოდგებოდა. ასიოდე კეკელკაც დარჩებოდა დარბაზში ბოლომდე.

რეზოს გამოსვლა იქნებოდა საინტერესო და მოულოდნელი. მაყურებელი ვერ აღიქვამდა, ანკი სადღა იყო ეს მაყურებელი, მსმენელი?!. ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესზე გაამახვილებდა ყურადღებას. დასაწერი იყო ესეც.

სად არის ეს დროო! — დაიგმენდა, მაგრამ თავს შეუძახებდა: უნდა გამოიძებნოსო. ახალი პერსონაჟებიც უნდა ჩაემატებინა: აპოლონ ჯაფარიძე და დავით რონდელი. გადაღებული მასალაც სანახავი ექნებოდა იმ სასამართლო პროცესისა. რაღა დარჩენილიყო? თუმც რაც დარჩენილიყო!

17 ნოემბერს მთაწმინდას ააკითხავდა. იქნებოდნენ: მწერლები და ხელისუფლება — საეროც და სასულიეროც... პანთეონიდან ოპერაში... სიტყვები, დეკლამაცია, სიმღერები. რაღაც დონე იქნებოდა მაინც. ბიჭუნების გუნდი — კარგი. ზედა იარუსზე ცეცხლი გაუჩნდებოდა ელექტრონის მავთულებს. არავინ დაფეთდებოდა მაინცდამაინც. მალეც ჩააქრობდნენ.

მეორე დღეს ჩაიკეტებოდა სამდივნო, შეადგენდნენ სიებს და დაალაგებდნენ მწერლობას. სამოცდაათ წევრამდე დაიყვანდნენ. რეზო ვალდებული იქნებოდა, თორემ ამ საქმეში როგორ გაერეოდა. სუფთა ავანტიურად მოიხსენიებდა თამაზ წივწივაძის მხრიდან. რომ არც უკვირდებოდა, რა სახიფათო თამაშში ჩართულიყო?!.

ის სატელევიზიო გამოსვლა მაინც რამდენ ნაცნობსა და მოშურნეს გაუჩენდა მოულოდნელად.

— რა ამბავია ამდენი ინტერვიუ და ტელევიზია, ლაპარაკობენ უკვე, არ მინდოდა მეთქვა და მაინც გეუბნები, — გაუმხელდა ლევან მალაზონია.

ერთი-ორმა პირშიც მომახალაო, ვერ იტყოდა, მაგრამ მიანიშნებდნენ ღიმილით:

რაღაც მოუხშირეო.

გეგონება ტელევარსკვლავი გამხდარიყო. გაჩუმდებოდა და: რატომ ხმას არ იღებო? ხმას ამოიღებდი და: ეკლად დაესობოდი ზოგიერთს. არადა შემოუტევდნენ მართლაც გაზეთებიდანაც და ტელევიზიიდანაც...

დღეს უკვე ფეხებსაც გააფხარკალებდა: არ მინდაო. პირდაპირი, ცივი უარი ეუხერხულებოდა ხოლმე და აგერ...

შევარდნაძე გულდაარხეინებული მოეჩვენებოდა, ჯანმრთელად გახლდათ, გადატკიცოდა კანი შუბლსა და ლოყებზე. თავისი სიტყვით კმაყოფილი დარჩენილიყო, რეზო როგორც შეატყობდა.

— ილიას ოცნების, სურვილის აღსრულება განვიზრახე, სიკვდილით დასჯის გაუქმება, და აღვასრულე სხვების დახმარებით, — განაცხადებდა.

ერთხელ დაუწერდა რეზო:

ცოდვების მონანიება პრეზიდენტობის ვადის გასვლის შემდგომაც შეიძლება. საქართველო კიდევ ეკლესია არ არისო.

იმის ნაქებ დემოკრატიას გააბითურებდა:

ვირს პიტნა არ უყვარდა და ცხვირში ატენიდნენო.

თქვი და ისმინეო, — სინანულით დასძენდა „წერე და იკითხეს“ ანალოგით.

ფოტოს მისცემდა მურმან ჩაჩუა. ედუარდ შევარდნაძე ყვავილებით ართმევდა ხელს. ხელს სხვასაც ჩამოართმევდა რეზომდე, ყვავილებს ამას უწილადებდა, შემდეგ თამაზ-ბატონსაც მისცემდა, წივწივაძეს, დავით მჭედლურსაც... ეს მეორე შემთხვევა იქნებოდა.

აკაკის ძეგლთან — სტადიონთან — ერთადერთი ვარდი თუ მიხაკი ეჭირებოდა და რეზოს მოაწოდებდა: კარგი სიტყვა თქვიო. ეს არ მიიღებდა სერიოზულად. ვარდს კი აკაკის ძეგლის — მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილი — პედესტალზე შემოდებდა. მოეჩვენებოდა, რომ ნაადრევად. უტაქტოდ ხომ არ გამომივიდაო, შეფიქრიანდებოდა...

იმ ფოტოს კი ზოგიერთი — ფასს არ დაასახელებდა რეზო — მშვენივრად გამოიყენებდა.

შესაძლოა თამაზ წივწივაძესაც გულისხმობდეს, რეზოს ადგილას ამ ფოტოს თვითგანდიდების ტექსტით რომ მოავარაყებდა.

თბილისში არაფერი ხდებოდა.

ძალას იკრებდა პენ-კლუბი. და 26 ნოემბერს ჩაინიშნავდა გულმოსული: ვინ ჩემი ფეხებია ეს პენ-კლუბი, რად გვინდა ეს პენ-კლუბიო?!.

2 დეკემბერს მოივლიდა ზუგდიდს. თენგიზ კიკალიშვილი დადგამდა ილიას ძეგლ-ბიუსტს. შთამბეჭდავი გამოჩნდებოდა. თვითონ ზუგდიდი — უსახური, სევდიანი კი არა, რაღაც გაუხარელი.

„ხარ და არ გიხარია“.

დადიანების კარმიდამოც გაძარცულიყო. გრძნობდი, რომ ოდესღაც რაღაც იერი ექნებოდა ამ ქალაქს. რატომ, რისთვის გაეშენებინათ ქალაქი აქ, ესეც გაუგებარი ეჩვენებოდა. ერთდღიან გახედ-გამოხედვას ამის თქმის უფლება არ უნდა მიეცა, მაგრამ მაინც.

ყველა უცხო ქალაქს შორის სოხუმი ყველაზე იოლი დასამხრობი ეჩვენებოდა. ბათუმიც. სოხუმში ბევრი ევლო ფეხით და ახლაც იოლად გაიგნებდა გზას...

სამაგიეროდ საღამო ჩატარდებოდა შესანიშნავად. სიტყვას რეზო ზეპირად წარმოთქვამდა და... კმაყოფილი დარჩებოდა. შერცხვებოდა ქუთაისის — იმდღევანდელი უღიმღამო საღამოსი...

4 დეკემბერს ტერენტი გრანელის სამარეს მოინახულებდა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე და აღშფოთებს ვერ დამალავდა: რას დაამსგავსესო!.. მდიდარი ოჯახის აბაზანა-ტუალეტისათვის დაემგვანებინათ. არადა ეს სამარე იყო მყუდროში, ახლა ვიღაც მაისურაძე რომ მოეთავსებინათ მის გვერდით.

„გუია ა.“ აქაურობაზე დაინერებოდა. და მისი გახსენება რეზოს უეცრად ქადილის გუნებაზე დააყენებდა:

დაწეროს ვინმემ ამნაირი ნოველა! ვერ დაწერს... არ მეგულება დამწერიო...

მერე ისე მოხდებოდა, რომ რატომღაც გულს აიყრიდა ამ ნოველაზე, აღარ დაუჯდებოდა გონებაში, საფუძვლიან გადამუშავებას მოინდომებდა და... რაკიღა ვერ მოასწრებდა თუ გულს ველარ დაუდებდა, შვიდტომეულში საერთოდ აღარ შეიტანდა.

და მხოლოდ ელგუჯა თავბერიძესა და თქვენს მონა-მორჩილს გაგვიწევდა ანგარიშს, რათა „გუია ა.“ უსამართლოდ არ დამცირებულიყო და არც განდევნილიყო, და დაგვყაბულდებოდა — თუმც არცთუ ისე დიდი ხალისით — ჩაგვერთო მისი რჩეული ნოველების კრებულში „კვამლი და სხვა“.

რუსეთ-საქართველოს საზღვარი საკონფლიქტო ზონად რომ გამოცხადდებოდა, სიხარულით ჩაინიშნავდა დღიურში:

ამასაც ხომ მოვესწარით! ესე იგი ვარსებობთ! ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთო!..

აგერ-აგერ გასრულდებოდა ექვსი წელი. 1992 წელს არ მიათვლიდა. ექვსი წელი ცოტა არ იყო. ერთი ექვსიც და... ჩამოვყალიბდებოდით.

დაგვესწრო უნდა ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლისათვის. ცხრა წელი ხომ გავძლებდით და... ბარათაშვილური წამოუტივტივდებოდა: და მერე თუნდაც დაუგვიანდესო...

ვთქვათ და: მოსულიყვნენ იმ საუკუნეში, დასაწყისშივე. ჩვენიანი — ქართველი — იქ არ ეჯდათ და ანექსიასაც დააყოვნებდნენ... ეს დროც კი საკმარისი აღმოჩნდებოდა და ჩვენი გასახელმწიფოებრიობაც გაფორმდებოდა...

შემდეგ... ვინ იცოდა!

და გადასძახებდა მსოფლიოს გალაკტიონურად:

კვლავ ახალი ნგრევის მონამე გავხდებითო?

9 დეკემბრის დღიური გვატყობინებდა, რომ:

განცხადება გაეკეთებინათ — რეზო პირადად წაიმუშავებდა — „ლარსის ინციდენტთან“ დაკავშირებით. პარასკევს გამოქვეყნდებოდა ორგან, თუ არ გადაიფიქრებდა თამაზ წივწივაძე. რეზო იმ დროს ქუთაისში იქნებოდა.

საკმაოდ მკაცრი და პირდაპირი ბრალდება წაეყენებოდა რუსეთს.

შეიკრიბებოდნენ, ილაპარაკებდნენ. — არ გამოვა, არაა ალბათ საჭიროო, — იყოყმანებდა ზოგი. შოთა ნიშნიანიძეს მგონი... სულაც დაეძინებოდა. ისე წავიდოდა, ვერც გაიგებდა — ასე ჩანდა — რაზე იყო ლაპარაკი...

— მე რა შემხვდება, მე რას მომცემენ — რა ჯილდოს, რა ტემლაკებს, სახელი იქნება? — ასე ჭრიდნენ, ასე კერავდნენ.

და მარტო მწერლები?

„ვინაა მწერალი?“

ვიღაც ქალი დაურეკავდა პარიზიდან, ალბათ ებრაელი: ესა და ეს ჩამოდისო (ჩაიწერდა რეზო, თუ არ დაეკარგებოდა ქაღალდის ნახევი), თქვენი ნაწარმოებების თარგმანები აინტერესებსო.

ნაირა გელაშვილსაც გაახსენდებოდა:

— „რასემონი“ იბეჭდება გერმანულად და რაღაც ცნობებს მთხოვენ.

ჩააწერინებდა. და დღიურს გაანდობდა, რომ: არც მთლად ზუსტად.

პარასკევისათვის საპროტესტო აქციას დანიშნავდნენ რუსეთის საელჩოსთან:

მივიდეთ, სტუდენტებს მივუერთდეთო.

დარჩებოდა რეზო უქუთაისოდ, მაგრამ... კაციშვილი არ მოვიდოდა აქციაზე, თორემ ნახავდა!..

14 დეკემბრისათვის აფიშა იუწყებოდა, რომ ქუთაისის თეატრში წარმოდგენილი იქნებოდა სპექტაკლი „ხეები ზეზეულად კვდებიან“.

რეზო ათვალწუნებით შეხედავდა ჯეირან ფაჩუაშვილის წამოწყებულ საქმეს:

ან გაიყიდება ორი ბილეთი, ან — არა. მსახიობები გრიმს არ იკეთებენ. ელიან თუ ელოდებიან. ოცი კაცი თუ მაინც შეგროვდა, მაშინღა დაიწყებენ ჩაცმას. ეგრეაო!..

ხელფასი — არა, პენსია — არა!..

ფული რომ ეშოვნა, მინიმალური — შაშიაშვილის ხელში რას იშოვნიდიო, ჩიოდა და წყრებოდა — ეიმედებოდა, რომ თეატრსაც მოუვლიდა, ჩააგდებდა შესაფერის კალაპოტში.

მწერალთა კავშირის განცხადება გამოქვეყნდებოდა. მაინც მოესწროთ ჩასწორება დედლურად. რეზოსა და თამაზ წივწივაძის თხოვნა-ტელეგრამაც გამზადდებოდა ჯაბა იოსელიანზე, ეშმაკურად შედგენილი რეზოს მიერ. განცხადებაც ამისი გახლდათ, ვერ დაადგებოდა თავს და იდედლებდნენ, როგორც ელოდა. საკუთარი თავის, საკუთარი პერსონის იქით ვერ იხედებოდნენ.

„განთიადის“ ბოლო ნომერში კარგი წერილი გამოექვეყნებინა (წერა კი უჭირდა) თამარ ახვლედიანს აკაკი წერეთელსა და ქალებზე. მანამდე გვერდს უვლიდნენ საჩოთირო — აკაკი და ტასო ბაგრატიონ-მაჩაბლისა — თემას. ახლა აიშვებდნენ, მაგრამ გვიანღა იყო უკვე. ბნელით მოცულიყო (ნუთუ სამუდამოდო, — წუხილით ჩაურთავდა) ივანე მაჩაბლის გაქრობის ფაქტი. — ორმა პიროვნებამ — ილიამ და აკაკიმ — შეიწირა იგიო, — ახვლედიანის ქალი რომ შენიშნავდა, ეთანხმებოდა რეზო:

მართალია, შეიწირეს, ერთმა ომით, მეორემ მეგობრობით გაანადგურესო.

ახლა იუბილეს უხდიდნენ ივანე მაჩაბელს. თავმჯდომარედ ედუარდ შევარდნაძე დადგებოდა. შეება ეჟვანი მისთვის გურამ შარაძეს.

„ის კაციც რა იოლად თანხმდება ყველაფერზე“.

პრეზიდენტი როცა თავმჯდომარეობდა, იუბილისა და ადრესატის მასშტაბები იზრდებოდა. არადა: ვინ იყოო? — ათვალწუნებით კითხულობდა რეზო. მთარგმნელი, და კარგად ეთარგმნა შექსპირი. მერე რა მომხდარიყო ამისთანა? კარგად თარგმნიდნენ სხვებიც სხვა ენებზე. ირონიულად ჩაურთავდა: შექსპირს ჯობდა თურმე ალაგ-ალაგ. შექსპირი ყოფილა და მეტიცო! იმასაც ამბობდნენ: სულ არ უწერია შექსპირს, რაც მაჩაბელთანააო. და იჭვნეულად იქნევდა თავს რეზო: მაშ რისი მთარგმნელია. პროვინციალიზმი ამაზე შორს ველარ წავაო.

ივანე მაჩაბელს მაინც საინტერესო პიროვნებად მიიჩნევდა, ნიჭიერად და ტრაგიკულად — ილიასა და აკაკის ლანდებს შორის გასრესილად. ლანდებს კი არა — აჩრდილებს შორის გასრესილად.

და ეს მომენტი მოეჩვენებოდა უფრო საინტერესოდ!..

თავი მეშვიდე

1998 წელი

დადგებოდა 1998 — ვეფხვის წელიწადი.

ედუარდ შევარდნაძე ცოდვებს ინანიებდა თითქოს: ვისაც იჭერდნენ, ეს უშვებდა. ქვეყანა იძირებოდა კორუფციის ჭაობში და პრეზიდენტი ბაიბურში არ იყო თითქოს. როგორ დაეჯერებინა რეზოს, რომ: მართლაც განგებ მიეშვა აღვირი. დამუქრებოდა ვინმეს მაინც, ან თითი დაექნია!.. ერთი კომკავშირელი მოეხსნა, ან გაეგდო, ან დაეჭირა... ვის დაიჭერდა თვითონ კომკავშირელი. ძაღლი ძაღლის ტყავს ხომ არ დახევდა.

პრეზიდენტი რომ აღარ იქნებოდა, ცოდვებს ვითომ მერე მოინანიებდა?

ვერც ვერასოდეს მოინანიებდა და ვერც წარმოედგინა თავი არაპრეზიდენტად. წიგნს გამოსცემდა: „ჩემი გზა" — და ეწყობოდა მას შემდეგ დახლებზე. რეზოს არც ჩაეხედა შიგ, არც აინტერესებდა. ის კაცი არ გახლდათ, რომელიც სიმართლეს იტყოდა ბოლომდე, ამ ეტაპზე — მითუმეტეს... უნდა წასულიყო — ან ნებით და ან ძალით უნდა გაგეყვანა ისტორიიდან, მაგრამ... მის შემცვლელსაც რომ ვერა ხედავდა რეზო? თუმც გამოჩნდებოდა.

12 იანვარს შეუდგებოდა წერას: „9 მარტი" — „კუდიანი ვარსკვლავისათვის". კარგი უნდა გამოსულიყო. რაც ახსოვდა, რაც ენახა, იმას დაწერდა...

18 იანვარს „განთიადის" ბოლოდროინდელ ნომრებში დაბეჭდილ მასალებს შეაფასებდა როგორც საინტერესოს. და მიიჩნევდა, რომ: არ კითხულობდა არავინ (ვერ კითხულობდა), თორემ არცერთ ჟურნალს არ ჩამოუვარდებოდა, თუ არ აღემატებოდა. ტირაჟი — ცოტა, ფასი — დიდი. თბილისში ვერ ჩაეტანათ. ავტორები არ ყიდულობდნენ, ჰონორარის ფასში მიჰქონდათ.

ზაზა თვარაძის დიდ მოთხრობას წაიკითხავდა ერთგვარი ინტერესით. როგორც შეატყობდა, ადრინდელი დაწერილი უნდა ყოფილიყო. თბილისში გადაუდებდნენ ალბათ (ცივ უარს ვერ ეტყოდნენ) და აქეთ იმიტომაც წამოიღებდა. მთავარი გმირი — ეჭვიც არ შეეპარებოდა რეზოს — გიორგი მაჭუტაძე უნდა ყოფილიყო, მთარგმნელი.

ვერ ასრულებდა ვერც ამ სახეს და ვერც მოთხრობას. გოგი ამ დრო ცოცხალი გახლდათ და მოთხრობის ადრინდელობას რეზოს ეს აფიქრებინებდა. გადამუშავებას ავტორი არ მიიჩნევდა საჭიროდ, და რეზოს თვალში ეს დიდი ნაკლი იყო. დაწერდა ზოგიერთი და... გადანაბეჭდის კორექტურასაც არა კითხულობდა. ამნაირ მასალას უკან უბრუნებდა ავტორებს: ჯერ შენ წაიკითხე და შემდეგ მოიტანეო. ნოდარ დუმბაძის მთელი შემოქმედება, მათ შორის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონიც", კონიუნქტურა იყო. და არც

შეეცდებოდა — როცა ამის საშუალება მიეცემოდა — ამ თვალსაზრისით შესწორებას.

ზაზა თვარაძის მოთხრობას ეს არ ჭირდებოდა. ოსტატობა კი აკლდა. ანალიზის უნარი უფრო ჰქონდა, ვიდრე მხატვრული აღქმისა. საიმედოს ჯერჯერობით — ლექსები უფრო მოსწონდა მისი — ამ მოთხრობას, ადრინდელთაც, ვერ შეატყობდა რეზო, მაღალი პოზიციიდან ანგარიშობდა და იმიტომაც.

ზურაბ ჟვანია შეცვლიდა პოზიციას თემურ შაშიაშვილთან დამოკიდებულებაში, მასთან დაახლოებას შეეცდებოდა. არჩევნები მოახლოვდებოდა და მოქალაქეთა კავშირს მხარდაჭერა დასჭირდებოდა. ვერ ხვდებოდა, არ იცოდა, რომ პირველივე მოსახერხებელ ვითარებაში ნამოაძახებდა ყველაფერს ძველი კომკავშირელი. თვითონაც იცვლიდა პოზიციებს. ერთ მიკროავტობუს „ხვანჭკარას" გაუგზავნიდა (იმ „რაფის" მძღოლისაგან გაიგებდა რეზო) ასლან აბაშიძეს. დანასისხლად კი იყვნენ ერთმანეთთან.

სწავლობდა ჭკუას შაშიაშვილი, მაგრამ ვერ ისწავლიდა, რეზოს შეტყობით. გრიგოლ ორბელიანის იმ სტრიქონებისა არ ყოფილიყო: ვერ ისწავლა მესხიმ წერა, ვერა, ვერაო!..

ა დღეს და ხვალე!

„აქა ვართ ჩვენ, ისინიც აქ არიან!"

თებერვლის დამდეგს წამოაგონდებოდა, როგორ კითხულობდა ემილ ზოლას „ჟერმინალს" შუაღამით. სკოლაში სწავლობდა, თუმც არც ისე პატარა იქნებოდა. დედა შუქს ჩაუქრობდა: დაიძინეო. ეს სიბნელეში გამოძებნიდა ლამპას, მოუკიდებდა, დაიდგამდა თავთან და ჩაამთავრებდა რომანს.

მიიჩნევდა, რომ: ემილ ზოლა მწერალი გახლდათ. და მიადევნებდა, რომ ნაღდი მწერლები ჰყავდათ ფრანგებს იმ დროს, როდესაც ვიქტორ ჰიუგო პირველობდა:

სტენდალი, გუსტავ ფლობერი, გი დე მოპასანი და სხვანი, თუნდ იგივე ზოლაც.

ისინი ვერ იკადრებდნენ იმას, რასაც კადრულობდა ჰიუგო, იმ ხერხებით, სპეკულანტობით, ვერ მოიხვეჭდნენ სახელს... და დაინტერესდებოდა, რუსებს თუ ჰყავდათ იმნაირი მწერალი, როგორიც იყო თუნდ ჟორჟ სიმენონი, გინდაც ალექსანდრ დიუმა, ვიქტორ ჰიუგო, ნოდარ დუმბაძე — იოლად ფონს გამსვლელი ხალხი? ივანე ტურგენევი ვითომ? ტურგენევს მაინც მწერლად მიიჩნევდა.

იასნაია პოლიანად მომავალი — ბაჩანა ბრეგვაძის დაჟინებული თხოვნით — გადაუხვევდა ლუტინოვო-სპასკოეში, და მადლობელიც დაურჩებოდა. იქაც, ისევე როგორც ლევ ტოლსტოის კარმიდამოში, გამოსასვლელ დღეს მივიდოდნენ და დამთვალიერებლები მხოლოდ ეს სამნი იქნებოდნენ: რეზო, ბაჩანა და ლევან მალაზონია. სახლი აღდგენილი, მაგრამ ზუსტი ასლი, ძველი ექსპონატები — პატრონისა. გერმანელთა შემოსევისას გაიტანდნენ, გადამალავდნენ და დააბრუნებდნენ უკლებლივ. ეზო — დიდი, წყლით, არხით, ტბებით, კარის ეკლესია — დიდი და უშნო. სახლი ხის, ლა-

მაზი, კომპაქტური. დედა ჰყავდა დიდი მემამულე, თვითონ ივან ტურგენევი — გაევროპელებული რუსი.

დიდ და საინტერესო ქვეყნად წარმოუდგებოდა რუსეთი რეზოს. უფრო საინტერესოც გახდებოდა, საინტერესოც და თვითმყოფადიც, თუ ჩამოიშორებდა კოლონიებს საბოლოოდ. და ციმბირი? ციმბირი უნდა ჰქონოდა, ციმბირი მისი იყო და... მშვიდობაშიც მოეხმარა!..

მუშაობდა კიდეც. შავად აცხობდა ნოველებს „პოლიტიკური დეკამერონისათვის".

თანდათან ინტენსიურად ჩაუჯდებოდა სამუშაოს. დააჩნევდა ხელს „კუდიან ვარსკვლავს". იცოდა უკვე, საით მიდიოდა, რას აკეთებდა. ადრე წერა უჭირდა, ბეჭდვა უხაროდა. ახლა საბეჭდავს ველარ ეკარებოდა. ხელნაწერს, გადათეთრებულს — დღესაც ასე მოიქცეოდა — აძლევდა რედაქციას. კომპიუტერული სისტემა მოგვცემდა ამის საშუალებას. კალიგრაფიასაც გამოასწორებდა... 30 წელზე მეტი იყო, მბეჭდავისათვის აღარ მიეცა ხელნაწერი. თავის დაწერილს ველარ კითხულობდა და არც ცდილობდა გასაგებად ეწერა...

წერილს — „ჯანსუღ სხეულში ჯანსაღი სული" — მისდამოუღლელი რეზონანსი მოჰყვებოდა. თვითონ კი მოსწონდა, მართალია, მაგრამ არ ეგონა სხვაც თუ მიაქცევდა ყურადღებას.

დიდი გამოხმაურება მოჰყვებოდა მთელ მსოფლიოში 9 თებერვლის თავდასხმას ედუარდ შევარდნაძეზე; შეფასდებოდა როგორც სამხედრო თავდასხმა და არა როგორც ტერაქტი...

— ღმერთმა გადამარჩინა. ღმერთი ხედავს ყველაფერს და მიცავს მე, — იმეორებდა შევარდნაძე ქართულად და რუსულად.

უწმინდესიც (და ჩაურთავდა რეზო: რაღაც აქვს მართლაც წმინდა კაცისო) იმავეს ეტყოდა:

— ღმერთი გმფარველობს...

თუ ასე წავიდოდა საქმე, კი არა მფარველობდა, არამედ ცოდვას ცოდვაზე უმატებდა: შეინირავდა ორ ახალგაზრდას, ერთს სულ ბავშვს — 19 წლისას. ეს იყო გადარჩენა?!.

სიკვდილმისჯილები შევიწყალეო, — აცხადებდა პრეზიდენტი და ეთანხმებოდა რეზოც: ჯერ მორატორიუმი, შემდეგ — გაუქმება, ბევრი დაიხვრიტებოდა მართლაც, მას რომ არ ემეცადინაო. მაგრამ ესეც როგორ არ დაერთო: ვინც დახვრიტა, ვისი გადარჩენაც შეძლო, იმათი ცოდვა არ მოასვენებს მაინცო...

ისე ეს ცხრიანი რა საბედისწერო გამოდგებოდა?

9 მარტი, 9 აპრილი, 29 აგვისტო და 9 თებერვალიც... და 1999 წელი ხომ არ აღმოჩნდებოდა მთლად საბედისწერო?..

ერთი სული ექნებოდა, როდის დაიწყებდა „9 მარტის" გადათეთრებას.

უფროდაუფრო გართულდებოდა საქმე პრეზიდენტზე თავდასხმასთან დაკავშირებით. არენაზე გამოვიდოდა ერთ-ერთი შეშლილი რადუევი (სწორად წერდა თუ არა გვარს, რეზოს არც ეცოდინებოდა), რომელიც — დიპლომატიური ტერმინით რომ თქმულიყო — პასუხისმგებლობას იკისრებდა

მომხდარზე. რაღაც სხვა მომენტებზეც მიანიშნებდა და როგორ განვითარდებოდა მოვლენები, არავინ იცოდა. რეზოს ვარაუდით: ბევრს დაიჭერდნენ. არ გაემართლებინა „დემოკრატიას", მმართველის ლენჩურ ლიბერალიზმს.

ამ დილით საქართველოს ტელევიზია, პროგრამა „ალიონი", რუსეთს შეუტევდა, დაემუქრებოდა კიდეც:

— თუ აღვსდექით თქვენს წინააღმდეგ, ჩეჩნეთი მონაგონი იქნება.

მწარედ ეღიმებოდა რეზო ჭეიშვილს ამ ბაქიბუქზე.

რარიგ გაეხარდებოდა, გარკვევით რომ ითქმოდა:

— ბოლშევიზმი არის შავი ჭირი!

აქამდე თუ იყო მისული ან თუ მივიდოდა საქმე, არაფრისდიდებით არ ეგონებოდა.

ანი ყველაფრის „პატიებაც" შეეძლო!

ფიქრობდა შევარდნაძეზე: სტალინელიაო. ალბათ ესეც იყო, მაგრამ სტალინელთა წარმოდგენაში პირველი ბოლშევიკი ხომ სტალინი გახლდათ.

მუშაობას წუხელ ვერ შეძლებდა და დღევანდელი დღეც დაეკარგებოდა. არჩილ სულაკაურის გასვენებაში სიტყვას რომ იტყოდა, იმის გადათეთრებას აპირებდა...

აცხადებდნენ: თავდასხმის მონაწილენი დავიჭირეთო... დიდი ამბები იყო მოსალოდნელი...

22 თებერვალს ჩაინიშნავდა, რომ:

მუშაობდა დაქიჩმაჩებული, მაგრამ სულ მოლოდინში იქნებოდა, შეფერხდებოდა და კრიზისიც დაუდგებოდა. პურის ფული ექნებოდა მხოლოდ გარანტირებული და ისიც დროებით ალბათ. ხალხი სულს ღაფავდა. ითმენდა. განა როდემდე?!. რეზოს წერილი-გაფრთხილება ძალაში რჩებოდა. ვინ უყურებდა...

მოქალაქეთა კავშირის ყრილობას არ დაესწრებოდა. ედუარდ შევარდნაძის გამოსვლას გადმოსცემდნენ და... ნეტა ესეც არ მოესმინა. ისევ შერიგება, მორიგება, ცარიელი ლაპარაკი იქნებოდა, და სარკასტულად ჩაწერდა რეზო:

რა მონათლეს ამნაირი, რა დაანათლა ილია მეორემ. ნამეტანი კაცთმოყვარე გახდა, ნამეტანიო...

და მერე ამასაც მიადევნებდა:

პასტორი გახდა! ბერად უნდა შედგეს... დროაო!..

ახლოვდებოდა აპრილი, რეზოს დაბადების 65 წელი და იმ დროისათვის ვარაუდობდა ვრცელ პუბლიცისტურ-პოლიტიკურ საუბარს: აუცილებელიაო. „კუდიანი ვარსკვლავი" კი არ მთავრდებოდა და არა, არ ადგებოდა საშველი.

ძველები, ნარაიკომალ-ნაჩეკისტარები, ადგილებზე იმყოფებოდნენ. მექრთამეები, მექრთამეები ყველა რგოლში: კულტურა იქნებოდა თუ განათლება, სხვაზე ხომ არც უნდა გელაპარაკა. ყველა სახსარი მოშლილიყო. სრული კოშმარი. ყაჩაღობა, მკვლელობა გაძლიერდებოდა. ეს ჩვენი — ირონიულად მიანიშნებდა შევარდნაძეზე — ძველი ცოდვების გამოსყიდვას რომ აპირებ-

და, პოტიომკინის დემოკრატიის ბურანიდან ვერ გამოდიოდა... ბავშვებს — გეგა კობახიძესა და სხვებს — დაახვრეტინებდა და: აბა ეს კანონები რისთვის არსებობსო, — ამბობდა ტელევიზიით. თამარ მეფეც ასე მოიქცეოდაო, — გაიძახოდა. თემურ ჩიხლაძესაც, თვითმფრინავს რომ არც გაკარებოდა, მიახვრეტდნენ. დახვრეტდნენ იუზა კობახიძესაც — მექრთამეობისათვის — მექრთამეობის კლასიკურ ქვეყანაში... ახლა შეუბრუნდებოდა ტვინი და ყველა მკვლელსა და ნაძირალას შეივრდომებდა. მაშინაც უინტელექტობით მოუვიდოდა, ახლაც უინტელექტობით ჭირდა ყოველივე.

ბუნებრივ ნიჭსა და ინტუიციას ვერ დაუკარგავდა რეზო, მაგრამ დასძენდა: ვერც ერთს იყენებს ბოლომდე და ვერც მეორესო.

ლევ ტოლსტოის დღიურებს ათვალირებდა, ადრე მონიშნულ ადგილებს აკვირდებოდა. მრავალი დასკვნის გაკეთება და კითხვის დასმა შეიძლებოდა, თუ მოიცლიდა.

და დაიკვნესდა: დრო სად არიო.

„არილში" მშვენიერი ესეი გამოექვეყნებინათ არჩილ მეფეზე. ავტორი — მერაბ ღაღანიძე. ჩავლებული ექნებოდა ძირითადისათვის, რაც რეზოს აინტერესებდა — იმისათვის...

22 მარტს დღედაღამე გასწორებულიყო... გუშინ თუ დღეს?..

შვილიშვილს წაიყვანდა ვეფხ-ლომის ფიტულების სანახავად მწერალთა კავშირში. იქიდან ფეხით ივლიდნენ ვერემდე, წიგნების მაღაზიებს დაათვალიერებდნენ.

რას დამსგავსებოდა საწიგნეთი?!. წიგნი საცვლებთან ერთად იყიდებოდა. და ინატრებდა ერთ დიდ წიგნის მაღაზიას კლუბივით?!. იქ უნდა ჩატარებულიყო შეხვედრები, განხილვები, ჭადრაკის მინი-ტურნირები, პრესა-გაზეთებიც უნდა დაელაგებინათ და ათასი სხვა რამ. ეს სურდა. ეს იყო სარეზოო. ვიღა მოგცემდა შენობას ანი რუსთაველზე. „მერანი"? იქაურობაც დაეყოთ, დაენანილებინათ, დაემსგავსებინათ სკისათვის...

ცხრა „ოსკარს" მიიღებდა „ტიტანიკი" და სწორედ დღეს ნახავდა, 24 მარტს, ამ კინოფილმს რეზო შვილიშვილთან ერთად რესპუბლიკის მოედნის ქვეშ, კინაღამ გასაიდუმლოებულ დარბაზში.

ცხრაჯერ ჰკითხავდა მოლარეს: პორნოგრაფია ხომ არ არის შიგ? ბავშვის წაყვანა თუ შეიძლებაო? შეიძლებოდა თურმე.

ეჩხუბებოდა ლევან მალაზონია:

— „ტიტანიკის", გემის დაღუპვაა, ტრაგედიაა, რა პორნოგრაფია, რის პორნოგრაფია.

— აქტს სექსუალურს პორნოგრაფიას აღარ ეძახიან, — ეს ეტყოდა, — წარმოუდგენელია უამისოდ ამერიკული მხატვრული კინო.

დარწმუნებული გახლდათ და არც შეცდებოდა.

ის კი არა, მთვარეზე პირველი კოსმონავტების — ასტრონავტების — დაფრენა რომ გადაეღოთ, ეროტიკულ სცენებს ჩაურთავდნენ ყოველ მიზეზგარეშე — ეროტიზმსა და მანქანების მსხვრევას. მორალი იქ აღარც იყო და აღარც იქნებოდა. და მოენატრებოდა რეზოს იტალიური ნეორეალიზმი.

„პოლიციელები და ქურდები“. ქართული ფილმები, თუგინდ სისულელეც ყოფილიყო...

„ტიტანიკი“ თითქოს კარგი გახლდათ. კარგი — ამერიკულად, მათი გემოვნების, რეალიზმის მწვერვალიც იყო ალბათ. და მაინც ამერიკული. ამერიკულისა არაფერი სწამდა — დიდი, ბრჭყვიალა და ცარიელი კონსერვის კოლოფისა...

კაცობრიობა მაინც იქით მიდიოდა?

დროებითი ეჩვენებოდა რეზოს ეს სვლა...

საბჭოთა — რუსული — იმპერიის დაშლის შემდეგ ამერიკის ჯერიც დადგებოდა!..

31 მარტს ნიკო სამადაშვილის თუ ერთადერთ არა, ერთ-ერთ ღირსებად იმასაც მიიჩნევდა, ლექსების წიგნი რომ არ გამოექვეყნებინა. ამ ღირსებასაც დაიყვანდნენ ნოლამდე თამაზ ჩხენკელი, ზურაბ კიკნაძე და... მესამეს ვეღარ მოიგონებდა (თქვენს მონა-მორჩილს!)... სხვებიც: ყველამ წაკრა თითო ქიშტიო, — დავით გურამიშვილი როგორც იტყოდა...

ბაღდათელ კაპანაძეს — გიორგი კორნაპელს — გენიოსად გამოაცხადებდა ქუთაისში რამდენიმე ადამიანი: მომავლის პოეტია, საუკუნეების შემდეგღა გაიგებთო...

ვილაც ბარბაქაძე თვითონვე აღიარებდა თავისი პერსონის სიდიადეს...

არას მქონე და გამკეთებელი შოთა ჩანტლაძე: გენიოსი ვარო, — გაიძახოდა ვითომ ნახევრადხუმრობით... და ზოგს ახლაც მართალი ეგონებოდა...

გივი კვერენჩხილაძეს სხვა მოვლენად მიიჩნევდა — უფრო რთულად, სხვაზე ნიჭიერად და... არაფრის შემქმნელად... და დაინტერესდებოდა: სადაა ახლა, ღმერთმა იცისო!..

თბილისში ქარები იქროლებდა.

როდის დაწერდა, როდის დაიწყებდა „ქარების დაბრუნებას“?!.

ეიმედებოდა, რომ ეს რომანი ნამეტანი საინტერესო გამოვიდოდა!..

სხდომა 8 აპრილს უსიხარულოდ ჩაივლიდა, როგორც ელოდა. წამოჭრიდა რეზო პრობლემებს ფრთხილად და... ყურსაც არ შეიბერტყავდნენ. გამოვიდოდნენ: მე ასე ვარ, ასე ვგრძნობო... და ამისთანა სისულელეებით...

ფიქრობდა რეზო: ენათმეცნიერები არიან, სიფრთხილე გვჭირიაო... არაფერიც არ ყოფილიყვნენ... არც ისინი, არც სხვები... არც თამაზ ჭილაძე, დედას რომ იფიცებდა: გული მტკივაო... შუა სხდომაზე რეზო იტყოდა:

— აქ მოსულია ენის ინსტიტუტი და ენის პალატა, და თუ სპეციფიკური არაფერი გაქვთ სათქმელი, ცარიელ ლაპარაკს შევეშვათ.

ამ ხალხს სხვანაირად უნდა დალაპარაკებოდა დღეიდან. და თავს შეუწყრებოდა: შევარდნაძის ავადმყოფობა ხომ არ გადამედო — ვის ვერიდებიო!..

მანამდე მწერალთა სატკივარს არკვევდნენ — რეფორმებს — და ვერას გაარკვევდნენ. გადადებდნენ. დღეისათვის დარეკავდა, დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ. ეტყოდა თამაზ წივწივაძე:

— ყველაფერი კარგად იყო და სანიკიძემ და მიშველაძემ ჩაგვიშალეს. ვილაცამ გაგვცა!..

გაიოცებდა რეზო:

მწერალი და... გამცემი? მწერალი და... ენის მიმტანიო?..

აბა და!..

წითელი პარასკევი დადგებოდა. მოდიოდა აღდგომა და რეზოს 65. ამზადებდა საუბარს, პასუხობდა:

— ბელეტრისტობისათვის (რა ტერმინი იყო, არ ესმოდა) თავი არ დამინებებია. დაწყებული მაქვს რომანი „ქარების დაბრუნება“.

დაწყებული ჰქონდა კი?.. არადა ქარი იქნებოდა ქუთაისში, ქარები. ისინი დაბრუნებულიყვნენ.

8 მაისს რეზო და თამაზ წივწივაძე მონაწილეობას მიიღებდნენ თემურ შაშიაშვილის ღონისძიებაში, რაც დღიურში ირონიულად შაშღონისძიებად მოიხსენიებოდა. პატარა მარათონი და კონცერტი თეატრში: სახელმწიფო ანსამბლის 20 წელი... ისახელებდნენ თავს მოცეკვავეებიც, მომღერლებიც... ქუთაისის, ქუთაისის ეკონომიკის პირობაზე კარგი ანსამბლი გახლდათ — რა უშავდათ... დიდი ბანკეტი გაიმართებოდა საღამოს ფოლკლორის სახლში. გადაეფსკვნებოდნენ ერთმანეთს წივწივაძე და შაშიაშვილი. წივწივაძე — თავშეკავებულად, შაშიაშვილი — თავშეუკავებლად. დაინტერესდებოდა რეზო: როგორ გამისწორებენ თვალსო?!. რაც ამათ ერთმანეთი ეყოლებოდათ ნალანძღ-ნათათხი! პოლიტიკა იყო? თამაზი ითვისებდა ამ პოლიტიკას მომხმარებლური თვალსაზრისით. რეზოს თვალწინ ჩამოყალიბდებოდა და... მაინც შესასწავლი იქნებოდა მისი ფენომენი?

„ჩემგან! ღმერთმა დაწყევლოს!“

გელათის სასულიერო აკადემიის აკადემიკოსიც რომ გამხდარიყო თამაზ წივწივაძე, როგორ არ გასცინებოდა რეზო ჭეიშვილს:

რაც ერი, ის ბერიო!..

13 მაისს კვლავ ქარი იქროლებდა ქუთაისში. დაბრუნდებოდნენ ქარები. ეს ორი სიტყვა ხაზგასმით ჩაიწერებოდა, როგორც მისი მომავალი რომანისათვის შერჩეული სათაური, თან თავსაც რომ იმხნევებდა და აგულიანებდა.

ედუარდ შევარდნაძე ჩამოვიდოდა. გაკოჭავდნენ ქალაქს. ცენტრში მოძრაობას გააჩერებდნენ. მერიის ახლომახლო ფეხოსნებსაც აღარ გაატარებდნენ.

თეატრში შედგებოდა შეხვედრა. ძველებურად აღარ მიესალმებოდა რეზოს საქართველოს პრეზიდენტი. შესაძლოა კითხულობდა კიდეც მის დაწერილს — მაშინ გასაგები გახლდათ. თემურ შაშიაშვილი აყვავებულს დაახვედრებდა ქალაქს. ჰყვაოდა მრეწველობა, ხელოვნება და კულტურა თურმე. ღრმა პროვინციის გარდა ვერაფერს ხედავდა რეზო. ასეც იყო, მაგრამ საზოგადოება არ ახსოვდა ამნაირად გათახსირებული, დაბეჩავებული და გაფუჭებული. რა დრო დამდგარიყო!

წამუშავებით წაიმუშავებდა აქ ყოფნისას. ბევრს არას გააკეთებდა რას, მაგრამ მაინც...

უძნელდებოდა შეგუება სინამდვილესთან. ვერ დაბრმავდებოდა, ვერ დამუნჯდებოდა. და ძალდაუტანებლად წამოუტივტივდებოდა გალაკტიონური: ყველაფერი არი ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არიო!..

დავით კლდიაშვილის პრემია საკუთარი თავისათვის მიენიჭებინა თეიმურაზ ლანჩავას. იცინებდა რეზო: სხვას არ აძლევს და აბა რა ჰქნასო!.. და კვლავ იმ ანდაზას მიაყოლებდა: რაც ერიო, ის ბერიო!..

ბაგრატის ტაძარს უნდა მიბრუნებოდა...

ქალაქის ქუჩებისათვის, ერთი ქუჩისათვის უფრო სწორად, მიექცია ყურადღება.

ერთ დროს რუსთაველისა ერქმეოდა. ეპატარავებოდათ და... გახდებოდა გალაკტიონ ტაბიძისა. ახლა ტიციანისათვის მიეკუთვნებინათ. ამას და იმას შუა პეტრინის ქუჩა იქნებოდა და ვერ გაეგო რეზოს: რა შუაშია პეტრინი, მითხარითყენო!..

წამოაგონდებოდა ადრინდელი სახელები ქუჩებისა: ინგლისის, ოლდენბურგის, რესპუბლიკის...

მეორე დღეს დაელაპარაკებოდა ოთარ ჭელიძეს, რომელიც ცუდად იქნებოდა — ლაპარაკიც უჭირდა უკვე. გამოექვეყნებინა ავტობიოგრაფიული რომანი. რომანი კი?.. თუმც ბევრი საინტერესო რამ ჩაენიშნა შიგ. გაეწირა მურმან ლებანიძე, წმინდად დაექცია, დაელუპა: დავით კლდიაშვილის სიტყვებს მიამგვანებდა რეზო ამ ფრაზას.

22 მაისს უეცრად მოწყინდებოდა დღიურის წერა:

ჩემს გარდა — სანამ ვიქნები — ვის დაჭირდება ეს „საბორტო ჟურნალიო“?!.

ბათუმს ესტუმრებოდა ელგუჯა მაღრაძესა და თამაზ წიფწივაძესთან ერთად: ჯემალ ჯაყელის უღიმღამო იუბილეზე. უფრო ჭკვიანი — ყველაფერი ხომ შედარებითია — ეგონებოდა. ასლან აბაშიძე უგუნებოდ იქნებოდა. აგრძნობინებდა კიდეც თამაზს — რეზოსა და ელგუჯას არას ერჩოდა — სიბრაზეს. ერთმანეთისა კარგად ესმოდათ იმ წრეში, სადაც რეზო არ შესულიყო, არც არავის შეეყვანა და არც არავითარი სურვილი გასჩენოდა იქ ყოფნისა. გარედან მაყურებელი, მიყურადებული გახლდათ, როგორ არა...

ჯაბა იოსელიანის ავტობიოგრაფიული წიგნის — „მესამე განზომილება“ — პრეზენტაცია დაინიშნებოდა და რეზოსაც გამოუგზავნიდა ციხიდან ერთ ეგზემპლარს. მოასწრებდა კიდეც წაკითხვა-გადაკითხვას. ლევან მალაზონია გადაირეოდა:

— წვრილი შრიფტით ნაწერს რა წაგაკითხებს. ერთი თვე უნდა მაგას.

ერთ საღამოსა და ერთ დილას გაიჭირვებდა.

„არა, გადავყვებოდი ზედ!“

როდის დაანებებდა თავს სამსახურს, როდის ეწეოდა საქმეს? ეს წლები კი ადნებოდა... და კვლავ გალაკტიონის სტრიქონები წამოეშველებოდა: დრო არ უყვარს დიდხანს დგომა, მზე ყვავილებს ართმევს დიბას, მალე მოვა შემოდგომა და ყველაფერს გადათიბავსო...

ჯაბას წიგნის პრეზენტაციაზე გაიჭედებოდა მწერალთა სასახლის დარბაზი. ამდენი ხალხი თავის იქ ყოფნისას — მეშვიდე წელი სრულდებოდა — არ ენახა რეზოს. საინტერესო გამოსვლები იქნებოდა: ჯაბას ქება, მხედრიონის განდიდება, ამჟამინდელი ხელისუფლების გინება. რეზო მხოლოდ ჯაბას მწერლობაზე ილაპარაკებდა.

— შენ გამოხვედი კარგად, — უმტკიცებდა გურამ გეგეშიძე.

უკირკიტებდა რეზო კვლავინდებურად მასალებს: ტროცკი, მარქსი, ენგელსი... უმადურ თუ უსარგებლო შრომად და პერსპექტივად ესახებოდა.

მოხდებოდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, რაც მოსალოდნელი იყო აფხაზეთში. ისევ ის უგნური, გაუბედავი, ბრიყვული მოქმედება და... გალის რაიონს გადაწვავდნენ, გადაბუგავდნენ, ხალხს გამორეკავდნენ.

— ახლა ჩვენ გადავრეკავთ, — დაპირებას არ დაიშურებდა ედუარდ შევარდნაძე და ვერ აეხსნა რეზოს: ხალხი საქონელიაო?..

მესამე ძალა დაგვიპირისპირდაო.

ვინაა ეს მესამე ძალაო? — კითხულობდა რეზო და ეკრანს ედავებოდა: მესამეც დაგვიპირისპირდება და მეათეც, შენი მათხოვრული პოლიტიკა ამოუვიდათ ყელშიო.

რაო, გამბედავიაო?

რა გამბედავიც იყო, როგორ არ იტყოდა რეზო, მოიცლიდა ასახსნელად. ერთი რისკიანი ნაბიჯი არ გადაედგა ამ ხნის განმავლობაში. თვითმფრინავში ჯდომისა რომ არ ეშინოდა, ეს მიჩვევაზე იყო და არაფერს ნიშნავდა.

გაახსენდებოდა:

ავტობუსი კინაღამ რომ გადაუყირავდებოდათ სხვილოს ციხის მისადგომებთან. და მუხრან მაჭავარიანი არც შეკრთებოდა.

— ვერც გავიგე, რა მოხდა, — არ დამალავდა, — საერთოდაც ასე მემართება. სახიფათო სიტუაციას მაშინ ვხვდები, როცა უკვე ჩავლილია და ამიტომაც შეშინებას ვეღარ ვასწრებ.

ქუთაისში საზოგადოება ცოცხლობდა პატარ-პატარა ვნებებით, აგინებდნენ მთავრობას, შევარდნაძეს, შაშიაშვილს...

თეატრში „ჰამლეტი".

თუ ჩამოსულიყო რამაზ ჩხიკვაძე? რეზო დაინახავდა გურამ საღარაძესა და გიორგი ქავთარაძეს... დღეს ჰქონდათ პრემიერა და... რეზო არ დაინტერესდებოდა. ისე ნეტა საკონცერტო შესრულებით ჩამოსულიყვნენ თუ მართლა დაედგათ? სად? სარდაფის თეატრში? რაღა დროს რამაზ ჩხიკვაძის ჰამლეტი იყო. ფულის გასაკეთებლად ჩამოსულიყვნენ ქუთაისში და... როგორ არ გასცინებოდა რეზოს: ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო.

„საერთოდ რა უნდა ამ კაცს სარდაფში".

გლახა ხმები დადიოდა იმ შენობაზე... „მერნის" საწყობის მიერთება სურდათ. აქტიურობდა თურმე გიორგი ქავთარაძე. ის შენობა კი უკვე მწერალთა კავშირისა გახლდათ — ერთ მეშვიდედში რეზოც იჯდებოდა... თუ ყველაფერი კეთილად დამთავრდებოდა, საკუთრება გახდებოდა აქაურობა.

„თუ მოვიდნენ კომუნისტები, კარგად მეყოლეთ".

არასტაბილურს ხდიდნენ ვითარებას — არამარტო აქ, ყველგან. მუდმივ შიშში ამყოფებდნენ მსოფლიოს. კუბა და ჩინეთი იქნებოდა მათი დასაყრდენი. იქაც, ერთგანაც და მეორეგანაც, აირეოდა ყველაფერი... ჩინეთს რაღა გადააწყობდა, რაღა გადაალაგებდა?..

მუშაობდა რეზო. ისვენებდა, მშვიდადაც გრძნობდა თავს, შინ გაჩერებას მაინც ვერ ახერხებდა...

14 ივნისს გაახსენდებოდა, რომ ჰკითხავდა ჯანსუღ კახიძეს ერთხელ ბიჭვინთაში:

— როგორი მომღერალია ჰამლეტ გონაშვილი?

— რამდენიმე სიმღერას კარგად მღერის.

და ნიკო სამადაშვილსაც მოეძევებოდა რამდენიმე კარგი ლექსი, რეზოს ერთი მაინც ნაღდად რომ მოეწონებოდა: „ქურდი“:

ის ჩუმად წერდა, თითქმის მალულად, უყვარდა ნისლით ნალექი გზები, რომ მიიცვალა, უცბად, ქურდულად თან გაიტაცა თავის ლექსები. და მეგობრებმა გადააქოთეს მთელი ოჯახი: წალო, კარადა. ვერ მოისაზრეს, ვერ მოიფიქრეს, თუ მკვდარი ლექსებს მოიპარავდაო...

დიდ ნაწილს ტექნიკის-ლექსთგაწყობის — გამომუშავებას ანდომებდა თითქოს და არა თავისი განცდების გადმოცემას. ლექსში პიროვნება უნდა დაგენახა, ისე როგორც ფიროსმანის ფერწერაში ჩანდა ფიროსმანი (ნიკალა).

იყო ეგ მომენტი აქაც, 1984 წელს გამოცემულ პოეტურ კრებულში: „წუთისოფლიდან უკვდავებამდე“. გალაკტიონისა და ტერენტის სახეები, სტრიქონები. თუნდ ლექსში „ჩემი პორტრეტი“: ისე დავდივარ ამ ქვეყანაზე, თითქოს საკუთარ ცხედარს მივყვებიო...

ვის მოეხერხებინა პიროვნებისა და ლექსის იდენტიფიკაცია?

გალაკტიონსა და ტერენტის.

გალაკტიონს — ნაწილობრივ, ტერენტის — მთლიანად, სამაგიეროდ იგი ერთფეროვანი გახლდათ, გალაკტიონი — გასაცხრილი. შემდეგ მოდიოდნენ სადღეგრძელოს პოეტები: გიორგი ლეონიძე, ტიციან-ტიტე ტაბიძე, პავლე იაშვილი. სადღეგრძელოების დონე იქნებოდა მაღალი — ამას მიაღწევდნენ. კოლაუ ნადირაძე ამასაც ვერ შეძლებდა...

ჩამოდგებოდა 26 ივნისი და... იკივლებდა რეზო:

დიდუ! რა დრო გასულა?! 14 ივნისის შემდეგ არაფერი ჩამიწერია, დავღუპულვარ და ეგაო!..

გარდაიცვლებოდა გიორგი ნატროშვილი, მის ქელეხში მოუწევდა ჯდომა და... გაახსენდებოდა „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორად მყოფი. რედაქცია იმჟამად, ახლა დავით მჭედლურის კაბინეტი რომ იყო და კანცელარია, იქ მოთავსებულიყო. კაბინეტი აბანოს, რედაქტორი მექისეს ჰგავდაო, ვერ იტყოდა რეზო, უფრო კოლმეურნეობის მოანგარიშეს მიამსგავსებდა... უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული ექნებოდა და მიუტანდა ნოველას „მთვარიან ღამით“.

— წავიკითხავ, — ის შეპირდებოდა. სხვას რატომ არ გადასცემდა, ეს ვერ გაიგებდა. რამდენჯერაც მიაკითხავდა, იმდენჯერმე შემდგომისათვის დაიბარებდა. ბოლოს რომ ესტუმრებოდა: დამელოდე, ახლავე წავიკითხავო, — ის შეპირდებოდა და გამოვიდოდა რეზო გარეთ, აბა თავზე ხომ არ დაადგებოდა. თავისი ახლანდელი მისაღების კართან ვიღაც თავისავით გაჭირვებულს დაელაპარაკებოდა.

ხედავს, მოდის ბატონი გიორგი ფეხსაცმელების ფხოკიალით, ნივრისფერი ხალათი ეცმეოდა. რეზოს მოეჩვენებოდა, ფეხის თითები აქვს — იცო-

და, ომში რომ იყო ნამყოფი — წაჭრილი ორივე ფეხზეო. თაბახის ფურცლები, რეზოს ნოველა, ორი თითით ეჭირებოდა... ხაფანგში მოკლულ თაგვს რომ წამოიღებდა ადამიანი.

— რა არის ეს? — ეტყოდა, — თუ რამე შეგიძლია, სხვა დაწერე.

ამ სიტყვებით დაუბრუნებდა და რეზოს გაეხარდებოდა: კიდევ კარგი, სახეში არა მფერთხაო.

და ახლა იმის ქელეხში ჯდომა — მითუმეტეს: არ ეცლებოდა — რაღაც შურისძიებას, სამაგიეროს გადახდას ხომ არა ჰგავდა. ნამეტანი კი იქნებოდა, მაგრამ მაინც... ამაზეც ახლა გაჰკრავდა გულში, თორემ იმ წუთას — ღმერთი, რჯული — არც ეფიქრა.

დადგებოდა ივლისი. გაემგზავრებოდა თბილისში და... ხუმრობის გუნებაზე დადგებოდა:

წავიღე წიგნები და არა წერილიო.

5 ივლისს წამოაგონდებოდა, როგორ დააწერინებდნენ 1956 წლის აპრილში ჩვენებას, ახსნა-განმარტებას, „კაგებეში“.

— სად მოგიწერია ხელი? — ეტყოდა გამომძიებელი, — ბოლო გვერდი ნახევრად იქნებოდა შევსებული და ეს ხელს მოაწერდა ფურცლის ბოლოს, მთელ ნახევარ გვერდს ცარიელს რომ დატოვებდა, — ამ ცარიელ ალაგში ხომ შემიძლია, რაც მინდა, ის ჩაგიმატო?

მისი „კეთილშობილება“, უფრო კი „განსწავლულობა“ გააოცებდა რეზოს, რომელიც აწ უკვე, სადაც ნაწერი მთავრდებოდა, იქ მოაწერდა ხელს და თანაც სამგზის.

გულისყურით წაიკითხავდა პაველ სუდოპლატოვის წიგნს: მოგონებებს უშიშროების სამსახურზე. თვალებიც არ დაეთხრებოდა კარგი შრიფტის გამოისობით. ბევრ რამეს მოეფინებოდა ნათელი, თუმც რეზოს ახლაც ეგონებოდა: ყველაფერი ისედაც ვიცოდიო.

სუკზე საშიში და არასტაბილური ორგანიზაცია არ არსებობდა. სხვებს აშინებდნენ და შიშში ცხოვრობდნენ თვითონაც...

პანტაპუნტით დაცვიოდა მათი — უფროსების — თავები იმ წლებში... და გახლდათ რაღაც იმ დარგში მიმზიდველი (ანდა რომანტიკული), ადამიანური პატივმოყვარეობის დამაკმაყოფილებელი მომენტი: გასაიდუმლოებული ძალაუფლება!..

ქურდი რომ ქურდი გახლდათ, მეტი ექნებოდა აფიშირების, მისი „კაცობის“ გამოვლენის საშუალებანი. ჩეკა, ენკავედე, კაგებე (სუკი) სხვა იყო. ვერ ცნობ, მაგრამ გრძნობ, რომ ის შენი პოტენციური: სულთამხუთავია, მკვლელია, შიშია...

მოსწონდა თავისი ის თვისება: უმარტივესი კვანძის გახსნით რომ იწყებდა. ახლაც ასე უნდა მოქცეულიყო, სხვანაირად არ გამოვიდოდა. არ იყო მთლად სწორი. დაეჭიდებ-დაეპორწიალებოდა მთავარს (ეს — შემოქმედებაში) და მარტივები თავისთავად — არც საზიანოდ და არც სასიკეთოდ რეზოსი — გვარდებოდა.

ახლაც ასე უნდა მოქცეულიყო.

„კუდიანი ვარსკვლავი“ — მუჭით, დანარჩენები — თვითდინებით.

ხოლო ედუარდ შევარდნაძეს მოეჭამა თუ მოეძოვა თავისი წილი მინდორი პოლიტიკაშიც კი. და არათუ გადადგომას, ახალ არჩევნებში — 2000 წელს — აპირებდა მონაწილეობას. 24 ივლისის გამოსვლით დაადასტურებდა ამას.

შეხვედრას გაუმართავდნენ მწერალთა კავშირში თავდაცვის მინისტრს დავით თევზაძეს. შემოვიდოდა ფეხაკრეფით, მოულოდნელად, დროზე ადრე. იცინებდა, ცოტას ილაპარაკებდა. კაბინეტიდან ჩავიდოდნენ ქვევით, დარბაზში... პირველი სიტყვა რეზოსი იქნებოდა. ერთ შეკითხვასაც დაუსვამდა:

— არსებობს აზრი, საჯაროდ, ტელევიზიითაც გაცხადდა, რომ თევზაძის დანიშვნა არმიის მინისტრად ერთადერთი სწორი არჩევანი იყო. პირველად დანიშნა ნორმალური პიროვნება შევარდნაძემ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. რატომ დაუშვა ეს გამონაკლისი?

ის ჩაწერდა შეკითხვას. აიწურებოდა.

— იმისი პრეროგატივაა, — გაიცინებდა, რეზოს შეტყობით, ძალიან რომ უხდებოდა სიცილი.

— ესე იგი შევარდნაძე ნიშნავს კორუმპირებულ და შეუფერებელ მინისტრებს, თანამდებობის პირებს. თევზაძე გამონაკლისია. რატომ? თანაც იგი არ ცდება, — ამასაც იტყოდა რეზო.

ძველებურად რომ მირეკავდა თავისას შეო (ასე მოიხსენიებდა დღიურში): ჩვენ არა გვაქვს ეროვნული იდეოლოგიაო, — რეზო ამასთან დაკავშირებითაც იტყოდა:

— მართალია არა გვაქვს, მაგრამ პრეზიდენტს აქვს გზა, რომელიც ნამეტანი დაშორებულია ეროვნულ კონცეფციას.

ერთ ყურში შეუშვებდნენ, მეორე ყურიდან გაუშვებდნენ მის წუხილს. გამოვიდოდნენ სხვა მწერლები და: მე ესა ვარო, მე ისა ვარო, წიგნის გამოცემა მინდაო...

ტელევიზორშიც — კერძოდ „მოამბის“ გადაცემაში — ირონიულად მოიხსენიებდნენ ამ შეხვედრას. გაბრაზდებოდა თამაზ წივწივაძე და რეზოს ვერ აეხსნა: რა უკვირს ნეტა ვიცოდეო!..

აქეს და ადიდეს მწერლებმა დავით თევზაძეო, — ასე გადმოეცათ და ეთანხმებოდათ რეზო: ასეც იყო. აქეს და ადიდეს, ჩემს გარდა ყველამ. მრცხვენია, ამ მარაქაში რომ ვწერივარო!..

რა უნდოდა მაინც თავდაცვის მინისტრს მწერალთა კავშირში?

თუმც ამ ვადაგასულ, ყავლგასულ, ყველაფერგასულ ორგანიზაციაში სხვა რა შეიძლება მომხდარიყო?!. და თამაზ წივწივაძე ამ მხრივაც გააგრძელებდა გურამ ფანჯიკიძის მიერ დამკვიდრებულ „ტრადიციას“: კუდი ექიცინებინათ ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინაშე.

ლიტერატურა, წიგნი ამათ არ აინტერესებდათ და: ვილაც ხომ უნდა მიეწვიათ, ვილაცის საღამო ხომ უნდა გაემართათ დროდადრო... თან გული წყდებოდათ, სხვა დრო რომ დამდგარიყო და: მაამებლობასა და კუდის ქიცინს ის წყალობა კი კვლავ მოსდევდა თავმჯდომარეებისათვის, მაგრამ

ძველებური ძალაუფლება აღარ ეპყრათ ხელთ, რაღაცას აღწევდნენ, მაგრამ რაღაცას ვეღარ, შიშში ვეღარავის ამყოფებდნენ და... იმედიც აღარ ჩანდა იმ ძველი დროის შემობრუნებისა...

17 აგვისტოს სამუშაოს ჩაუჯდებოდა. პირობები საუკეთესო ექნებოდა, მაგრამ მაინც მძიმედ მოუხდებოდა წერა. ვეღარ უდებდა გულს. ასაკი წერაზეც ვრცელდებოდა, როგორც ჩანდა. ფიქრობდა: დავჯდები შინ სიბერეში და ვწერ და ვწერო. ეგრე არა ყოფილიყო თურმე. წერასაც ფიზიკური კონდიციები ესაჭიროებოდა.

ჯერ ერთი — ბერდებოდი!..

ეს გრაფომანები რომ წერდნენ სიბერეშიც? ჯანმრთელი გახლდათ გრაფომანი!..

სხვას, ზოგს, მწერალს სხვა პასუხისმგებლობა აწუხებდა. ეს მაინც — „კუდიანი ვარსკვლავი" — დამღლელი აღმოჩნდებოდა; ჯერ მარტო თარიღებისა და გვარ-სახელთა შეკრება მოგკლავდა. ერთს გაიხსენებდი და... მეორე გავიწყდებოდა...

20 აგვისტოსაც ძლივს დაჯდებოდა სამუშაოდ დაღამებულზე. გონერი ჭეიშვილი და ელგუჯა თავბერიძე ესტუმრებოდნენ და ელგუჯა საწერ ქაღალდს მიუტანდა. იცოდა, როგორი ქაღალდი მოსწონდა და უყვარდა რეზოს.

გაზეთში „კვირის ფოსტა" გამოკითხვის შედეგები დაიბეჭდებოდა. შეკითხვაზე: რა უფრო სანატრელია თქვენთვისო? — პირველ ადგილზე დააყენებდნენ ჯანმრთელობას, ბოლოზე — უკვდავებას. შუაში: ბედ-იღბალი, სიმდიდრე, ფული, ღმერთი. სიმშვიდე და ეკლესია ბოლოსწინა აღმოჩნდებოდა.

ეს შედეგები ნიშანდობლივი მოეჩვენებოდა:

მერკანტილური ხალხი, ერი ჯანმრთელობას დააყენებდა წინ... შემდეგ უკვე — სახელი, ფული... უკვდავება — ბოლოში, სულიერება — ბოლოსწინ...

ზარმაცი რომ არ ვიყო, ბევრს გავაკეთებდიო, — თავს დაიმუნათებდა. გადაბეჭდვამდე თუ მივიდოდა საქმე, მაშინ სხვა იყო — თავს უკვე აღარ ზოგავდა...

იგი ხომ მექანიკურად არა ბეჭდავდა. ასწორებდა, ფიქრობდა, იქვე, მანქანასთან წერდა... 10-12 საათიც მჯდარა, მცირე შესვენებებით, როცა ჯანი მოსდევდა... ახლა თითებიც აღარ ემორჩილებოდა. ამ ზაფხულს შალითა არც გადაეძრო საბეჭდი მანქანისათვის. დღეს წაევარჯიშა და რამდენიმე დღის წინათ... ეგ იყო...

25 აგვისტოს ზუგდიდში რწმუნებულისა და მერის სახლს რომ ააფეთქებდნენ, კონსტიტუციის დღეს — ისე, როგორც ადრე — დაამთხვევდნენ ამ აქტს. შეინირავდნენ ბავშვსაც და სხვასაც... დაიწყებდნენ უკვე რუსეთზე — არც მთლად უსაფუძვლოდ — გადაბრალებას. ზვიადისტების ჩადენილიაო, ეჭვიც არ ეპარებოდა რეზოს.

„შევარდნაძის პროვინციული დემოკრატიზმის შედეგია".

გაისის ნოემბერს მისცემდა ვადად და... ეშორებოდა ეს დრო. უფრო ადრე უნდა მოშორებოდა აქაურობას, მაგრამ დაე 1999 წლის ნოემბერი ყოფილიყო, ცოტა აქეთ, ცოტა იქეთ შეიძლებოდა.

კინოსცენარსა და პიესაში ექნებოდა:

— ცოტა აქეთ, ცოტა იქეთ...

მიხვდებოდა ჯანსუღ ჩარკვიანი:

— მურმან ლებანიძისაგან გაქვს: პატარა აქეთ, პატარა იქით — იმან იცის.

არ უარყოფდა რეზო. ერთი ნათელი წერტილი გახლდათ: იყო ის სპექტაკლი ამ თეატრისათვის, რეზოსავე ბრძანებით მოიხსნებოდა... ცოტა აქეთ, ცოტა იქით. ეს ფაქტი — და არამარტო ეს — ათქმევინებდა:

— ქუთაისი არ არის თეატრალური ქალაქი.

ეგ მართლაც ეგრე გახლდათ მის თვალთახედვაში და ვერც ვერავინ გადაათქმევინებდა.

ბათუმმა უნდა გადაიხადოს თეატრის 120 წლისთავიო, — ტელევიზია აუწყებდათ. და გაოცდებოდა რეზო: სად ჰქონდათ 120 წლის წინათ თეატრიო?!. ყველა ინსტანციაში თანხმობა ფეხებზე ეკიდათ (ამ ცხარე ჟარგონულ გამოთქმასაც არ მოერიდებოდა). დაე ეზეიმა ბათუმს. ქუთაისი არ იყო ალბათ ღირსი!..

თბილისის „დინამო“ რომ წააგებდა ბილბაოს „ატლეტიკოსთან“, რეზო გაიხსენებდა, რომ ნამყოფი იყო იქ — ერთი დღის ერთი გასეირნებით. ცნობიერებაში ჩარჩებოდა სამი რამ: ვილაცის სვეტი-მონუმენტი, ჩინური კვარტალი — მეძავებისა — და მკვდარი მდინარე ბილბაო, სულიერი რომ აღარ ჭაჭანებდა შიგ.

არგენტინაში ენახათ ყველაზე დიდი, ყველაზე სრული ჩონჩხი დინოზავრისა. სიგრძე — 14 მეტრი. 110 მილიონი წლისა. გამყინვარებას ვერ გაუძლესო, ეს ჰიპოთეზა დომინირებდა დღესდღეობით. არ იყვნენ სადღდამიწოდ შესაფერისნი თავიანთი დიდი მოცულობის გამო — ეს რეზოს მოსაზრება გახლდათ. შემცდარიყო ბუნება, უფალი. და დასძენდა, რომ: ბარუხ სპინოზა აიგივებდა ღმერთსა და ბუნებას.

1 სექტემბერს წამოაგონდებოდა 1940 წლის ეს დღე — პირველ კლასში რომ დასვამდნენ მეზობლის გოგონასთან ერთად.

აკაკი წერეთელს ეწერა:

იმდენი ბავშვი ერთად არასოდეს მენახა და გავცეცდიო.

რეზო არ გაცეცდებოდა, მაგრამ რაღაც უცხოსა და უჩვეულოში რომ მოხვდებოდა, იგრძნობდა. გაიყვანდნენ მეზობლის გოგონას, ციალას: ეს იმ ჯგუფშიაო. ატირდებოდა რეზო. რა ეღონათ, ერთმანეთს ეკითხებოდნენ მასწავლებლები სიების შემოწმებისას: ან ის უნდა დაებრუნებინათ უკანვე, ან ეს უნდა გადაეყვანათ იქ. თუმც არც ერთი მოხდებოდა, არც მეორე...

მოკლედ: ტირილით დაიწყებდა და კინაღამ — ატესტატს არ აძლევდნენ, მძიმე ავადმყოფობა რომ შეეყრებოდა — ტირილით დაამთავრებდა...

ჯაბა იოსელიანს ექნებოდა ამდაგვარ მომენტზე — მილიციელის დანახვისას რომ ატირდებოდა — ყურადღება გამახვილებული.

სკოლა — ერთხელ სწავლასაც შეეშვებოდა — არ უხაროდა... 1 სექტემბერი? აღარც ემახსოვრებოდა... ახალი სახელმძღვანელოები — „დედა ენა“,

„ლიტერატურის ქრესტომათია“ — ახარებდა, წიგნის სუნი მოსწონდა, სიფერადე... ფიზიკის სახელმძღვანელოც კი, ქიმიისაც. სქოლიოების, შენიშვნების კითხვა ეყვარებოდა. წამოუტივტივდებოდა შოთა ჩანტლაძის „სქოლიო“ — მშვენიერი და შეიძლება მისი ერთადერთი პროზაული ნაწარმოები. ამხანაგები ბევრი ეყოლებოდა. მასწავლებლები და იმდროინდელი სასკოლო სისტემა აძულებდნენ სკოლას... ალგებრა დააკომპლექსებდა — შემდგომ სიზმრებშიც რომ არ მოეშვებოდა ეს საგანი...

8 სექტემბერს დაეჭვდებოდა:

ხომ არ ვაღიზიანებდით მეზობელ ქვეყნებს კომკავშირული გამოხტომებით?!.

„ლიტერატურული საქართველო“ დაუგროვდებოდა წასაკითხად, გადმოსცემდნენ, გადაათვალიერებდა და... ნაგავი. რაც იყო, იმაზე უარესი — ისევ ის!..

„ცისკრის“ მე-7 ნომერი — იგივე. არაფერი. ცარიელი არაფერი.

11 სექტემბერს გადაიხდიდნენ გურამ ფანჯიკიძის წლისთავს. „რჩეულ საზოგადოებას“ (სიით) დაპატიჟებდა ოჯახი. პარასკევ დღესაც იმიტომ დაამთხვევდნენ, რომ შემთხვევითი ხალხი — დაუპატიჟებელი — არ მოხვედრილიყო სუფრაზე. მწერლები — ცოტა, სხვანი — ბევრნი. სუფრა „არაგვში“, ნორმალური, კომპაქტურად (მრგვალ-მრგვალ) მაგიდებად გაწყობილი...

„მხედრიონის“ ხელახალ აღორძინებაზე დაპატიჟებდნენ. წასულიყო-არ წასულიყო, ფიქრობდა... მხედრიონი უნდოდა კიდევ ამ გაჭირვებულ ხალხს!..

მურმან ჯგუბურია (სწორედ ის მივიდოდა მიუწვევლად) წერილს გამოაქვეყნებდა რეზოზე „თბილისში“. ზოგიერთები შეუქებდნენ, მაგრამ ამას არ მოეწონებოდა. ეტყოდა კიდეც, აუხსნიდა. ისიც დაეთანხმებოდა, სხვა რა გზა ექნებოდა, ვალის მოხდის მიზნით — სხვა რამის გამოც — დაწერდა უპასუხისმგებლოდ, ზერელედ. ეგონებოდა: ძალიან გავახარებ რეზოსო...

14 სექტემბერს გადიოდა „კუდიანი ვარსკვლავის“ ბოლოში და კიდევ რამდენი სამუშაო რჩებოდა. ფიქრობდა: სიცოცხლეში გამომაცემინა ათტომეულიო. 20 ფორმა თვითეული — ეს იქნებოდა რჩეული. გადახედვა დაჭირდებოდა საფუძვლიანი. ამას კი ერთი წელი უნდოდა.

24 სექტემბრის დღიურში აირეკლებოდა გურამ ასათიანის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის, გახსენების დღე. რეზოს სიტყვის თქმის სურვილი არ გაუჩნდებოდა და არც იტყოდა... უმიზეზოდ არ მოხდებოდა ეს და ამნაირი განწყობილება ბევრს დაეუფლებოდა, როგორც მიხვდებოდა. გურამ გვერდწითელს ძლივს დაძრავდნენ კათედრისაკენ, ძმები ჭილაძეები, რომლებზედაც გადაყოლილი იქნებოდა გურამ ასათიანი, გარეთ იდგებოდნენ...

დაახასიათებდა როგორც: საინტერესო პიროვნებას, ინტელიგენტს — არამარტო აღზრდით, ოჯახით, შთამომავლობით, არამედ გარეგნობითაც...

ბევრის თქმა შეეძლო... ახლობელ ადამიანად მიიჩნევდა... კინოსტუდია „ქართულ ფილმშიც“ ერთად მოუწევდათ მოღვაწეობა. ის მოწვეული რედაქტორი იქნებოდა.

პოკერის ტრფიალი — პირველ გაკვეთილს რეზო მისგან მიიღებდა.

არ გამოვიდოდა სიტყვით. არ დახატავდა გურამ ასათიანის თავისეულ პორტრეტს.

„ეს არ იყო კარგი!"

ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან 150 წლისთავს გადაიხდიდნენ 26 სექტემბერს. სამთავრობო სუფრა გუდაურში გაიმართებოდა. ედუარდ შევარდნაძე იტყოდა: მარტო მწერლებიო, — და ასეც მოხდებოდა. ერთ პატარა ოთახში შეიკრიბებოდნენ... კონიაკს სვამდა, წრუპავდა და დაეტყობოდა. კარგახანს გააჩერებდათ. პოლიტიკაზე არ ილაპარაკებდნენ, კრინტსაც არ დაძრავდნენ... ბევრსაც იცინებდა. რეზოს განსაკუთრებულად მოიკითხავდა და გამოარჩევდა... ეს ფიქრობდა: აღარ ვახსენებ, აღარც ვაქებ, აღარც ვაგინებო...

— ყველას უნდა უჩხვლიტო ხომ? — ჰკითხავდა შევარდნაძე.

კითხულობდა, ხვდებოდა, ახსოვდა... რეზოს აღარ ენდომებოდა, გული ეტკინა მისთვის.

მათი პირველი შეხვედრაც ამ სიტყვებით დაიწყებოდა. 1973 წელი იდგებოდა თუ 72? ის გააკრიტიკებდა. ეს ახსნა-განმარტებას (ასე ურჩევდნენ) დაწერდა. ის დაიბარებდა და ჰკითხავდა:

— გული ხომ არ გატკინე?

მანამდეც გახლდათ შენახვედრი, მაგრამ იმჟამად შევარდნაძე მილიციის შეფი იქნებოდა და არა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

მიიწურებოდა სექტემბერი და მოქალაქეთა კავშირი ქუთაისის საკრებულოს საარჩევნო სიაში ჩაწერდა: პირველ ნომრად. თავდაპირველად უარს განაცხადებდა რეზო, შემდეგ კი იფიქრებდა: იქნებ რაიმეში — ქუთაისში დამკვიდრების საბაბით — წამადგესო... და დაჰყვებოდა ელდარ შენგელაიას დელიკატურ რჩევასა და ვიტალი ხაზარაძის — თემურ შაშიაშვილის მტრის — პოლიტდიპლომატიურ თხოვნას.

სისულელე ხომ არ ჩაედინა? მოქალაქეთა კავშირი დამარცხდებოდა და რეზოს დაემართებოდა ის, რაც „მრგვალი მაგიდის" დროს მოხდებოდა.

განცხადებაში გარკვევით ჩაწერდა:

კენჭს ვიყრი მოქალაქეთა (და ირონიულად ჩაურთავდა: ზურაბ ჟვანია „მოქააქეს" ამბობსო) კავშირიდან, როგორც უპარტიოო.

ეს ანკეტაშიც ხაზგასმულიყო, მაგრამ რას შველოდა. მაინც კომპრომეტირებულ პარტიას მიაწებებდნენ.

„რაღაცაა ეგაა".

ქუთაისში გადაწერის საქმეს — რეზო თავს რომ ვერ მოაბამდა — მაინც გააკეთებდნენ... ეს სამომავლოდ...

დავით მჭედლური და ელგუჯა მაღრაძე დასცხებდნენ ერთმანეთს. „XX საუკუნე" გადიოდა მწერალთა კავშირიდან. დაწყებულიყო — ჯერჯერობით არაორგანიზებული — შემოტევა.

„თავი უნდა დავაღწიო ამ სიბინძურეს".

საარსებო მინიმუმზე ფიქრობდა... ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, თორემ თვითონ არაფერი, ის „საარსებო მინიმუმიც" არა სჭირდებოდა.

7 ოქტომბერს ქუთათურები ეტყოდნენ:

— ხმა დაგიყარეს, რომ მოქალაქეთა კავშირიდან იყრი კენჭს.

— სამწუხაროდ მართალია, — თავს იმართლებდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდებოდნენ მისი განმარტებით. პურის ფული არ ეთმობოდა და სამომავლო გზებს ეძებდა.

„ახალი ქართული გაზეთი" რეზოს ორ ძველ ნოველას დაბეჭდავდა: „ხიბარო" და „ბ-0-157". კითხულობდა ვინმე ამ გაზეთს? კითხულობდნენ ისინი, რომელთაც ეს განყოფილება — მწერლობა — არ აინტერესებდათ.

მთელი რუსეთი გაფიცულიყო. მოითხოვდნენ ბორის ელცინის გადადგომას. დღეს თუ არა, ხვალ გადააყენებდნენ.

სამუშაოს გულს ვეღარ უდებდა. ხსნიდა კროსვორდებს, კითხულობდა ლევ ტოლსტოის დღიურებს და მომაბეზრებელი ეჩვენებოდა განუწყვეტელი წუწუნი სიყვარულზე... მიყვარს, არ მიყვარს. „ლუბოვ" და „პრავდა"... მხატვრობაში „პრავდა", ცხოვრებაში, სულიერებაში — „ლუბოვ"...

ტოლსტოი ბრძენი იყო მაინც და დიდი მწერალი. სიბერეში დღიურს დღეჩაგდებით, თვეჩაგდებით, რამდენიმე თვის შუალედითაც ავსებდა. რეზო კი ყოველდღე ჯღაბნიდა. სამაგიეროდ არც შექსპირს აგინებდა, არც გოეთესა და არც ვაგნერს.

15 ოქტომბერს გაიხსენებდა, ჩაფიქრებული რომ ჰქონდა მწერალთა პორტრეტები...

ზოგი დაწერილი, დაბეჭდილიც. ზოგიც მოფიქრებული და ჩასაჯდომი. ჩამოწერდა და... სად წაელო ის სია, აღარ ეცოდინებოდა. ვერ მოიძევდა და...

ახლა შეეცდებოდა აღედგინა:

აკაკი წერეთელი — არც მიწისა ვარ, არც ცისა.

ლადო ასათიანი — „წერილი დედას", ეს ლექსი იქნებოდა საფუძველი.

ალექსანდრე ყაზბეგი.

გალაკტიონ ტაბიძე — ამოდის მთვარე და სამაიით...

გიორგი ლეონიძე — ერთი შტრიხით, დაწერილიყო.

კონსტანტინე გამსახურდია — დაწერილიყო.

ნოდარ დუმბაძე — სიმართლე.

შოთა ჩანტლაძე — არშემდგარი პოეტი.

დავით კვიტაიშვილი — ექიმი, ძალიან მოკლედ და მნიშვნელოვნად.

ანა კალანდაძე — გაკვრით.

ილია ჭავჭავაძე — ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესი-ფარსი.

საშა მახარაძე — საინტერესო კი იქნებოდა.

თარხან-მოურავი — კარიკატურა გიორგი სააკაძეზე. მშვილდ-ისარი. ლეკვი რომ ხორცის სუნს იკრავდა (მიკი).

დავით კლდიაშვილი — თავისთავად — მოცულობითაც დიდი (მზად გახლდათ, სწორედ აქედან იწყებდა).

ლევ ტოლსტოი ასე რომ ამთავრებდა დღის ყველა ჩანაწერს: ჯერაც ცოცხალი ვარო, — რეზოსათვის ეს ჯერ ადრე გახლდათ.

17 ოქტომბერს ანა კალანდაძე დაურეკავდა ორჯერ და თანაც შეშფოთებული:

— შოთაობაზე უნდა ვიყო აუცილებლად. თამაზ წივწივაძეს უნდა წავეყვანე, მაგრამ საბერძნეთში გამგზავრებულა.

— გავარკვევ ყველაფერს, თუ არადა მე წაგიყვანთ, — რეზომ, — არ ინერვიულოთ.

— აუცილებელია ჩემი იქ ყოფნა, თორემ არ შეგაწუხებდით.

საპატიო აკადემიკოსად ირჩევდნენ და არ ამხელდა, თუმც რეზოს ეცოდინებოდა. და გუნებაში ელიმებოდა: ამის აუცილებლობა სჭირს, მინდვრის, ჰაერის აკადემიკოსობისო.

— თამაზი საქართველოს დელეგაციას გაჰყვა აფხაზეთის იმდაგვარიე დელეგაციასთან მოლაპარაკებაზე. როგორც პოლიგლოტი, გამოიძახეს.

ანა კალანდაძე ვერ მიუხვდებოდა ირონიას, მიამიტურად დაიჯერებდა თამაზის პოლიგლოტობას, და დაინტერესდებოდა:

— რა ენა იცის?

— ძველბერძნული.

და ეცინებოდა გუნებაში: მართლაც რომ იცოდეს, რაში გამოიყენებდაო.

მურმან ჯგუბურიას შვილი დაჰყავდა ჩინურის შესასწავლად.

— ძველ ჩინურს ასწავლის, — დაიჟინებდა რეზო, თითქოს ახალი ჩინური მომთავრებული ჰქონოდა.

28 ოქტომბერს სიკვდილ-სიცოცხლეზე დაფიქრდებოდა იმ მხრივ, რომ: მიდიოდნენ ადამიანები, ნაკლებ ნიჭიერნიც, და სიცარიელეს ტოვებდნენ. მათ ადგილსვ ელარავინ ავსებდა. ეს არ იყო ანომალია, ბედსა და იღბალსაც ვერ დაარქმევდი. პიროვნება გახლდათ „დამნაშავე". განწყობილებაც რეზოსეული — სხვისეულიც — სუბიექტური თუ იქნებოდა. ასეთებად დაამახსოვრდებოდა: შოთა ჩანტლაძე, თამაზ მელიავა, გივი კვერენჩხილაძე, ნიაზ დიასამიძე თუნდაც, ზურაბ ნემსაძე... სხვებიც. ცოტანი...

სპარტაკ ბაღაშვილი — თითქოს დარჩებოდა მისი წილი აურა თუ რაც იყო... აღარ ჩანდა და არსებობდა... ეს აურა სიცოცხლეშიც თან დაჰყვებოდა ზოგიერთს: თუნდ დავით კვიტაიშვილს. ცხოველები ხედავდნენ და ბავშვები ამ აურას, ვიდრე „ცნობიერებაში" შევიდოდნენ.

არჩევნებში ღებულობდა მონაწილეობას: საკრებულო ქუთაისისა, ნებით შეება ეჟვანი. მოქალაქეთა კავშირის თავკაცად ჩაწერდნენ: პირველ ნომრად.

4 ნოემბერს ედუარდ ჩამფარცხებელი — რეზო როგორც შეარქმევდა — გაბრაზებული იქნებოდა კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილების გამო. როგორ იყო ის ანდაზა? ობოლო, ვის მოკლავო, და: ვინც გამზარდაო. ტარას ბულბაც ხომ ეტყოდა შვილს ნიკოლაი გოგოლის მოთხრობაში: მე გშობე და მევე მოგკლავო!

გვაკლდა თითქოს ორგანიზაციები და ინსტიტუტები კვლევითი, კიდევ რომ ამატებდა და ამატებდა. თუმც... ხელფასს არ უხდიდათ და... რა ენაღვლებოდა!..

„კუდიანი ვარსკვლავი" მიდიოდა ბოლოსაკენ. ნაწილ-ნაწილ, ნაჭერ-ნაჭერ შეაგროვებდა. არ გინდოდა აწყობა?!.

10 ნოემბერს ჯაბა იოსელიანს 11 წელს მიუსჯიდნენ, სხვებს — მეტსაც. დათო მაღრაძესა და მის თუ ლაშა თაბუკაშვილის „აკრუჟენიას" გამოსული ეგონებოდათ: სასამართლოდანვე გაათავისუფლებენო. ოფისში — პეტრიაშვილის ქუჩაზე ჰქონოდათ — ბომბს შეუგდებდნენ მხედრიონელებს, ხმა როგორც გავრცელდებოდა.

ჯაბას რეზო და თამაზ წივწივაძე მიეხმარებოდნენ პასიურად.

— გაითვალისწინეთ, რომ მწერალია, — მისწერდნენ სასამართლოს. ტექსტს რეზო შეადგენდა, თამაზს ხელს მოაწერინებდა.

ბოლო წიგნის განხილვას რომ მოუწყობდნენ მწერალთა კავშირში და ორივე შეაქებდა.

და ორივე მივიდოდა მხედრიონელთა მშვიდობიან-რევანშისტულ ყრილობაზეც — დემონსტრაციულად, ვერის ბაღში, ჭადრაკის სასახლის სააქტო დარბაზში...

გალაკტიონ ტაბიძის დაბადების დღეს რომ აღნიშნავდნენ 17 ნოემბერს ლიტერატორთა სახლში, თავყრილობას რეზო გაუძღვებოდა. კარგად, რიგიანად ჩატარდებოდა ყველაფერი — სუფრიანად. ტელევიზია გააბითურებდათ, როგორც ყოველთვის, ამ წამოწყების ინიციატორებსა და შემსრულებლებს, ვითომ არც ყოფილიყვნენ იქ. თავმჯდომარეს, თამაზ წივწივაძეს, კადრშიც არ აჩვენებდნენ.

უსაყვედურებდა ელდარ შენგელაიას:

— მოგეხმარეთ, გაგამარჯვებინეთ და ახლა აღარ გჭირდებით.

იმასაც თავისი დარდი ექნებოდა და ისედაც ერიდებოდა რეზოს. მის სეხნიასთან, რეზო გაბრიაძესთან ერთად მუშაობდა სცენარზე და ეგონებოდა, ეს რეზო ნაწყენი დამირჩაო.

კანონპროექტის გატანას მოინდომებდნენ პარლამენტში — შემოქმედებითი კავშირების შესახებ. გიგა ლორთქიფანიძეს მატერიალური რესურსები აინტერესებდა მხოლოდ, რეზოსა და სხვებს — კინოსა და მწერლობას — ორგანიზაციული საკითხები ამ ეტაპზე. კინემატოგრაფისტები კრების მოწვევასა და კავშირის დაშლას აპირებდნენ, ელდარ შენგელაიას კავშირისა და თავის შენარჩუნება ენდომებდა... რეზოსა და მისიანებს შემჭიდროება — პროფესიონალ მწერალთა ლიგის ჩამოყალიბება ენდომებოდათ.

— ეგ არ გამოვა, — გადაირეოდა ლადო ჭანტურია.

ამათ პროექტსაც, უფრო ელდარის კანონპროექტს, არ მოიწონებდა და შესთავაზებდათ: რაღაცას თვითონვე მოვიფიქრებო...

„არ გვინდა დაშლა-გაუქმება. არსებობისათვის ვიბრძვით!"

23 ნოემბერს დაინტერესდებოდა: ლადო ასათიანს ჰქონდა თუ არა ლექსი ქუთაისზე... მგონი პოემა, რომელშიც ქუთაისიც იქნებოდა და რომელსაც აღარ აქვეყნებდნენ... ორი დღის ჩამოსული თბილისსა და ფიროსმანს ვერა და ვერარ ამოიგდებდა თავიდან.

რაო, რას ამბობდა ტიციან ტაბიძე ერთ ლექსში? მტკვარი ახლოა, მინდა მტკვარში თავი დავიხრჩოო.

ირონიას ვერ იკავებდა რეზო:

რას იხრჩობდა მტკვარში თავს, ეზოს ყურთან ჰქონდა რიონი, და რიონი ქუთაისშიცო...

ქუთაისი — მხოლოდღა „მკვდარი ბრიუგე“ და მოგონება მოკლე...

გასაანალიზებელი ეჩვენებოდა ეს მოვლენა, რომელიც მხოლოდ პროვინციალიზმით არ აიხსნებოდა.

3 დეკემბერს ლარის კურსის დაცემა გაგრძელდებოდა.

საით, რა გზით, რა გეჭირდა, რა გვეშველებოდა. ხალხს უიმედობა დაუფლებოდა. რეზო ინტერვიუს ჩააბარებდა ვილენ მარდალეიშვილს „საქართველოს რესპუბლიკისათვის“. ამ თვის ნომერში უნდა ყოფილიყო, თუ სრულად დაიბეჭდებოდა, კარგი იქნებოდა. კარგი იქნებოდა და საინტერესოც დღეისათვის, შემდეგ, გვიან, ისტორიისთვისაც... ალბათ, ალბათ, ალბათ...

მუშაობდა. ბეჭდვასაც უნდა შედგომოდა ამ სიცივესა და უსინათლობაში...

6 დეკემბერს ილიასებურად ჩაწერდა:

რა გითხრათ, რით გაგახაროთო.

გადაბეჭდავდა ორ ნოველას და შეჩერდებოდა. შეისვენებდა იმ იმედით, როცა დენი ჩაირთვებოდა, შუქსა და სითბოში — ელექტროღუმელთან — განაგრძობდა. მაგრამ შუქი არ ჩაირთვებოდა და არა.

11 დეკემბერს ტერენტი გრანელის საღამოს გამართავდნენ ლიტერატორთა სახლში და რეზო გაუძღვებოდა. ჩამოსულნი იქნებოდნენ სამეგრელოდან. საღამოც კარგად, სუფრაც მშვენივრად ჩაიარ-გაივლიდა.

არჩევნებში გაიმარჯვებდა მოქალაქეთა კავშირი, მაგრამ საერთო ანგარიშში დამარცხდებოდნენ. დანარჩენებს სიძულვილი გააერთიანებდათ და არა სიყვარული. რეზოც დარჩებოდა რიგით წევრად. თანამდებობებს დაინაწილებდნენ და დაინაწილებდნენ კვლავ იგინი...

საკრებულოში გაჩერებას ცოტა ხანს აპირებდა.

უნდა დაანებო თავი მანამდე, სანამ შენი იქ ყოფნისა და არყოფნის საკითხი დადგებოდეს — ესეც რეზოს პრინციპი, რისთვისაც არასოდეს ეღალატა...

საკმარისი იყო, რაც მოეველო, ჟურნალები თუ კინო, პარლამენტი თუ თეატრი. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში ვეღარ დაიწყებდა მუშაობას. თავისი წილი მოეძოვა და... ეყოფოდა.

23 დეკემბერს კმაყოფილებას გამოთქვამდა, ქუთაისში ნაყოფიერად რომ იმუშავებდა და იმ დღეებს უქმად არ დაკარგავდა. მართალია ხელნაწერები დარჩებოდა, მაგრამ სამუშაო აქაც ბლომად იქნებოდა. ნაწილ-ნაწილ იწერდა, ასწორებდა, ბეჭდავდა... ასაკრეფად არ იქნებოდა იოლი, მაგრამ იმედოვნებდა, რომ ყველაფერს მოასწრებდა.

„ჩვენ ვიყოთ კარგად და ყველაფერი კარგად იქნება“.

24 დეკემბერს ოთარ ჭელიძეს გაასვენებდნენ მწერალთა სასახლის სარკეებიანი დარბაზიდან. მურმან ლებანიძე არ მოვიდოდა გასაგები მიზეზის გამო, ანუ ეცოდინებოდა — წაკითხული ნაღდად არ ექნებოდა — რა ეწერა იმ ავტობიოგრაფიულ რომანში. არ კითხულობდნენ არც „ცისკარს“ და არც

სხვა ჟურნალს, არც არაფერს, რეზო ჩხეიძესაც, ქელეხში თამადად რომ დადგებოდა, როგორც განსვენებულის ბავშვობის მეგობარი, არ ეცოდინებოდა ის ნაწარმოები, რომელშიც თვითონაც გახლდათ ერთ-ერთი პერსონაჟი...

მეორე დღეს დაარიგებდნენ სახელმწიფო პრემიებს. მურმან ლებანიძე კენჭისყრაზე ცხადია მივიდოდა და იბრძოლებდა კიდეც, რათა ზოგს მიეღო და ზოგსაც არ მიეღო პრემია, რომელიც თავისი — შეიძლება ასეცაააო, ჩაურთავდა ირონიულად რეზო — დაარსებული ეგონებოდა. საერთოდ მოსწონდა ეს პროცესი რეზოს... დროდადრო იკრიბებოდნენ სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები: არქიტექტორები, მუსიკოსები და სხვები...

31 დეკემბერს ნატვრით გახედავდა მომავალს: ნეტა თუ დადგება ჩვენი დრო ამგენთა ხელში! ჩემო კარგო ქვეყანავო!

განსაკუთრებული მღელვარებით ელოდებოდა სამი ცხრიანის გამოჩენას და... აჰა ეს წელიც დადგებოდა.

თავი მერვე

1999 წელი

10 იანვარს საღორიას ტყეში გავიდოდნენ საქეიფოდ. პიჯაკისამარა ისხდებოდნენ მუხის ქვეშ, კორდზე. მზე რომ ჩავიდოდა, მერელა მოიხურავდა ქურთუკს. მას შემდეგ ვეღარც მოიკეთებდა.

14-ში, ძველით ახალ წელს დაიწყება ზამთარიო, — იმედოვნებდნენ. არ დაიწყებოდა. თებერვალი ვერ იზამთრებდა, მაგრამ რაღაცას იზამდა, მარტიც მოიქნევდა კუდს, მინაც დალბებოდა, ყვავილებიც აღმოცენდებოდნენ.

„ყველაფერი ისევ ისე იქნება, ჩვენ კი აღარ ვიქნებით!“

ზოგი წუთებით, ზოგი საათებით, თვეებით, წლებით ითვლიდა სიცოცხლეს, ხეები — საუკუნეებითაც, უსულონი, მოძრავნი და მსუნთქავნი — მიწა, წყალი და ზევით და ზევით — ათასწლეულებით და იქითაც... მაინც ამაოებათა ამაოება იყო ყველაფერი... ყველაფერი წარმავალი...

და მარადიულიც იმავდროულად!..

ნათლიღებაც მოაწევდა.

საბორტო ჟურნალს ვავსებო, ერთხელ რომ ჩაეწერა და დღიური ეგულისხმა, ასეც იყო. ხომალდზე გრძნობდა თავს, დედამიწის ხომალდზე. ის მიჰქროდა. რეზო მგზავრი იყო...

გრიგოლ აბაშიძე ლექსს დაწერდა სიცოცხლის ბოლოს: არყოფნისაკენ მივექანებიო, — და კიდეც გაქანდებოდა არყოფნაში...

ლექსი-შედევრი ენოდებინა ერთ კაცს. მურმან ლებანიძეს იგულისხმებდა, მაგრამ სახელდებით არ მოიხსენიებდა. ის ლექსი თუ იყო მართლა შედევრი? მისი ღონისათვის — იგულისხმებოდა ერთიცა და მეორეც, პოეტიც და შემფასებელიც — შედევრი გახლდათ. კინეტიკურ-მექანიკურ ლექსად მიიჩნევდა რეზო: ცივია, თუმც საკმაოდ ექსპრესიულიო, — ამასაც დასძენდა. ისე გიორგი გურჯიევის ფილოსოფიაც მექანიზმებზე არ აგებულიყო? ქანქარებიო, ბორბლებიო...

23 იანვარს ძლივს მიუბრუნდებოდა სამუშაოს. ერთ ეპიზოდს გადაბეჭდავდა და ხვალინდელ დღეს გახედავდა იმედიანად: უფრო ნაყოფიერი უნდა იყოსო.

ორშაბათისათვის მისასალმებელი წერილი უნდა დაეწერა გიორგი ხორგუაშვილზე. სამსახური ფლანგავდა, ართმევდა დროს, მაგრამ სამსახურით ცხოვრობდა და არა მწერლობით. ქუთაისში მუქთი საკრებულო. იქნებ მომავალ არჩევნებშიც მიეღო მონაწილეობა რომელილაც სიით. მაშინ სამსახურს დაეხსნებოდა, დროც დარჩებოდა და საარსებო მინიმუმიც — თავშესაფარი.

გარდაიცვლება ნათელა შენგელია, მშვენიერი ქალბატონი, შესანიშნავი მომღერალი, „ბზიანეთის“ გმირი. ლიანა ელიავა გადაიღებდა მოკლემეტრაჟიან ფილმად ამ ნოველას და ითამაშებდა ლია ელიავა, რომელიც შარშან გარდაიცვლებოდა. ათკაცა კი, რომელსაც ნათელა შენგელია ხელმძღვანელობდა, აღარ არსებობდა პირდაპირი გაგებით. დარჩებოდა მხოლოდ კოკლი დევდარიანი. ამას აღნიშნავდა ქელეხზე რეზო. მიეძალებოდნენ და ესეც იტყოდა რამდენიმე სიტყვას, რომელსაც დღიურში აღარ გაიმეორებდა. 100 კაცი ჭამას შეწყვეტდა და მოაშტერდებოდა. და ეს გაიფიქრებდა: რა კარგი ვქენი, ქელეხშიც რომ წამოვედიო.

ხალხი კარგი, დღე კარგი, პურმარილი კარგი... და ნათელა შენგელია კი აღარ იქნებოდა.

გამოჩნდებოდა კინორეჟისორი ომარ სულამანიძე, რეზოს სცენარის იმედი რომ ექნებოდა. ამას მოშორებული ეგონა ეგ ხელობა და... კვლავ მოუწევდა გახსენება. რაღაც თანხას პირდებოდა და სხვა რა გზა იყო... არადა არ უნდოდა მომწყდარიყო ძირითადს — წიგნს. ბეჭდავდა და არა და არა თავდებოდა, ნამეტანი შორს გადიოდა. თანაც გაზეთი საქუთაისოდ — დიდფორმიანი. ეს რაღაც წამოეკიდებინა ამ უდროობაში!..

9 მარტისათვის მიიყვანდა თითქმის ბოლომდე „კუდიან ვარსკვლავს“ და... ისევ შედგებოდა — არ მოერიდებოდა ამ გამოთქმას — ჯორივით.

ეს სამი დღე საქუთაისე გაზეთზე გადართულიყო ინტენსიურად. რაღა გაზეთი, ჟურნალი იყო, ჟურნალი კი არა, სულაც წიგნი თავისი მოცულობით. კარგი და საინტერესო კი უნდა გამოსულიყო.

21 მარტს გაიხსნებოდა გალაკტიონის სახლ-მუზეუმი, კოკისპირულ წვიმაში ჩარდახს გაჭიმავდნენ სადარბაზოსთან. მოვიდოდა ედუარდ შევარდნაძეც. ხელები უკანკალებდა შესამჩნევად. რეზო გადასცემდა კითხვარს პასუხებისათვის „სამწვანეყვავილედ“.

— რამდენი დრო მაქვს? — დაუძახებდა ის.

— ერთი კვირა, — პასუხს დაასწრებდა თამაზ წივწივაძე.

ის თავს დაუქნევდა და გაიხარებდა რეზო: აუცილებელი იყო და მოვიპოვეო...

ბანკეტი „არაგვში“ გაიმართებოდა, მიადგებოდა მურმან ლებანიძე ჭიქით ფრთხილად, პირველ ნაბიჯს გადადგამდა შესარიგებლად და რეზოც რაღას იზამდა...

შინ მისული წამუშავებას მოასწრებდა, სინათლე ჩაუქრებოდა, მაგრამ ლამფის შუქზე განაგრძობდა მთავარს: „კუდიან ვარსკვლავს“.

აღარ დატოვებდა ამ რომანში ძველიდან ნაკუწების მეტს აღარაფერს. რაც დაბეჭდილიყო, 1993 ეწერებოდა, ტრაქტატად ჩაფიქრებულიყო, მაგრამ ბოლომდე არ გაჰყვებოდა ამ ხაზს. დარჩებოდა მაინც ძველი. ეს ახალი იქნებოდა, სულ სხვა. გაამთლიანებდა, აზრსა და სიუჟეტს დაუქვემდებარებდა. და მაინც საკმაოდ უცნაური — ფორმითაც, შინაარსითაც — რამ გამოვიდოდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონებს შეურჩევდა ეპიგრაფად:

და თუ სოფელსაც ერთხელ ბოლო უნდა მოეღოს, მაშინ ვინღა თქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოსო!

ესეც დიდებული გახლდათ, რუსთველური:

მე თუ მოვკვდე, ჩემი კერძო სოფელიცა გარდიფხვრებისო.

მაგრამ პირველი უფრო ესადაგებოდა.

თუმც... ორივეს დატოვებდა, რატომაც არა.

31 მარტს ზვიად გამსახურდიას — ირონიულად ჩაურთავდა: ამერიკის შეერთებულ შტატებს რომ ემუქრებოდა და მათი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის გადაყენებას ითხოვდაო — დაბადებიდან 60 წლისთავს გადაუხდიდნენ ოპერის თეატრში და სარკაზმსაც არ დაიშურებდა რეზო: გეგონება აკაკი წერეთელი იყოო.

არც ამ მწარე-მწარეს მოერიდებოდა: ზვიადისტები (სიბნელე) აფუთფუთდნენო...

ამ იუბილეს მიიჩნევდა ედუარდ შევარდნაძის გამოთაყვანებად, მაგრამ გამართლებასაც მოუძებნიდა:

სხვა გზაც არ ჰქონდა, ამ მომენტსაც თავის სასარგებლოდ გამოიყენებსო.

გაღიზიანებას ამჯერადაც გაამჟღავნებდა:

თუმც დროს, ასაკს — წლები მოპარული უნდა ჰქონდეს — ვერ მოუხერხებს ვერაფერს. ვნახავთ... დრო გვაქვს დალოდებისაო.

ქუთაისის საკრებულოდან გამოვიდოდა მეტად ლაკონიური განცხადებით.

აკაკი ბაქრაძე კი გავიდოდა მწერალთა კავშირიდან, იშოვნიდა შესაფერის დროს:

25 ლარი რომ დაგვინიშნეთ, თქვენი მათხოვარი ხომ არა ვარო, — ამდაგვარი შინაარსის განცხადებას გაუგზავნიდათ...

თამაზ წივწივაძის სარკასტულ — უფრო კი უზრდელურ — მინაწერს თითქოს არ გაამართლებდა რეზო, მაგრამ უფრო მკაცრად უნდა აღენიშნა თავისი დამოკიდებულება: დღიურში რაღას ერიდებოდა.

ლევან მალაზონიასთან ერთად ესტუმრებოდა ელიას მთას მშენებარე — საუკუნის მშენებლობად რომ იხსენიებდნენ — ეკლესიის სანახავად. ადგილი უსახური. თუ მთლად დაანგრევდნენ მთელს უბანს, შეიძლება დამსგავსებოდა რაღაცას.

და გაგულისდებოდა რეზო:

თითქოს აკლდა საქართველოს ეკლესიები. არ ეყო ილია მეორეს სვეტიცხოველი. ბაგრატის ტაძრის აღდგენა მიივიწყა, თავისი წამოიწყო. ესაა პროვინციალიზმი, თბილისი კერაა ამ ცნებისა... ისევ უნდა ვთქვაო.

შევარდნაძე მხოლოდ მისალმებას დაპირდებოდა გაზეთისათვის.

„ვილას უნდა მაგის მისალმება".

ასე აარიდებდა თავს მწვავე შეკითხვებს. რეზოს ხელნაწერი კი წაელო, მაგრამ ეს აღდგენით აღადგენდა და დაწერდა: აი ამას არ გასცა პასუხიო.

გაზეთისათვის უნდა მიეხედა, „მწვანეყვავილასათვის" — ასე განსაზღვრავდა სააპრილო ვითარებას.

3 აპრილს ხარაგაულს ესტუმრებოდა გურამ რჩეულიშვილის საღამოზე. ორ საათს იკითხავდა — ზეპირად — მოხსენება-კომპოზიციას იზა ვეფხვაძე, კარგად, ამაღელვებლადაც. და უკვირდა რეზოს, მითუმეტეს პირველად არა ხდებოდა: როგორ დაიმახსოვრა ან როგორ იმახსოვრებს ამოდენა მასალასო?..

რეზოც იტყოდა სიტყვას, შუქი ჩაქრებოდა, შემოუშვებდნენ დღის სინათლეს და უმიკროფონოდ მოახერხებდა რაღაცას.

იქნებოდა ქება-დიდება გულწრფელი.

„ის არ არი, რაც და ვინც ჰგონიათ“.

უნიჭობას ვერ დააბრალებდი გურამ რჩეულიშვილს. რეზოს პირადად გაორებული დამოკიდებულება ექნებოდა მისადმი.

10 აპრილს ჩაუფიქრდებოდა, რომ:

სამსახური უმთავრდებოდა სამწერლოში. 1961 წლის ჩათვლით მუშაობდა... 2001 წელს შეასრულებდა 40-ს... საკმარისი ეჩვენებოდა...

— ხომ მაქვს უფლება, ვიცხოვრო მწერლის ცხოვრებით!

„მწვანეყვავილა“ მზადდებოდა და მალე იქნებოდა. „კუდიან ვარსკვლავსაც“ დაამთავრებდა...

გაზეთი მოეწონებოდათ და რევაზ ჩხეიძე 16 ცალსაც გამოსძალავდა.

31 მაისს ჩიქოვანების ოჯახს მოუსმენდა და გულს მალამოდ მოედებოდა მათი ჰანგები. როგორ უნდოდა, რაღაც ამგვარი აღმოეჩინა ადამიანებში და წარმოეჩინა. სიწმინდეს, კეთილშობილებას, სულგრძელობას ეძებდა... სად იყო! იგონებდა, უმატებდა... არა კმაროდა...

„ლიტერატურულ საქართველოში“ მის „პოლიტიკურ დეკამერონთან“ ერთად გამოქვეყნდებოდა მურმან ლებანიძის ლექსებიც. ერთი ლექსის გამო შეიშლებოდნენ მეგრელები. შესაშლელიც ეჩვენებოდა რეზოს, მართალიც, და მაინც უჭკუო კაცის დაწერილს მიამგვანებდა.

რას ნიშნავდა „დედა მტკვარი“? რიონსა და სხვას და სხვას — ენგურს თურმე — ამ მტკვართან ხმა არ ამოელებოდა, ისევე როგორც მეგრულს — ქართულთან.

რატომ არა ჰქონდა თუნდაც რიონს მტკვართან — ნახევრად თათრულ მდინარესთან — ხმაურის — ხმის ამოღების — უფლება?!.

მეგრულ-ქართულის ურთიერთობას რეზო სხვა განზომილების საგნად მიიჩნევდა და... ამაზეც იტყოდა სულ მალე.

18 ივნისს მთელი დღე მოუნდებოდა „ყაჩაღების“ ჩაწებებას... დააკრავდა პრიალა ქაღალდებს და დაიწყებდა სწორებას. მიიყვანდა ბარემ ბოლომდე...

ჩამატება, სწორება მისი სტილი გახლდათ.

რაც ჩაებარებინა — კომპიუტერზე იწყობოდა — ისიც ენანებოდა, იქაც უნდოდა წაემუშავებინა, არადა ისედაც ბევრი დრო დაეკარგა... ეს მწერალთა კავშირიც დაიშლებოდა ამასობაში და წიგნს უფულოდ ვიღა გამოუცემდა...

ამზადებდა ახალ „მწვანეყვავილას“ — კვლავ ის უნდა ყოფილიყო: რეტრო და დღეს.

რას ირწმუნებოდა უოლტ უიტმენი?

მე იმიტომ ვწერ, რომ ნავსადგურში ერთი კაცი მიდიოდა, მეორე კაცი რჩებოდაო.

სად აღენიშნა, აღარ ეცოდინებოდა რეზოს, არც ეძიებდა. თვითონ კი მართლაც ამიტომ წერდა... ამიტომაც სცემდა...

სურდა გამოეცა და დაეკანონებინა.

ეს დიდ ენერგიას — თუმც ენერგია რა შუაში იყო — დიდ დროს წაართმევდა.

ეპიგრაფებად რუსთველისა და ბარათაშვილის სტრიქონებს რომ წაუმძღვარებდა „კუდიან ვარსკვლავს", უეცრად წამოუტივტივდებოდა გალაკტიონური: რუსთაველი მახსოვს ბავშვიო...

ბარათაშვილი ხომ ბავშვი იყოო, — დასძენდა თავის მხრივ და ამ ვარაუდსაც დაბეჯითებით გამოთქვამდა:

„ვეფხისტყაოსანიც" ახალგაზრდის დაწერილი იქნებაო.

„მწვანეყვავილა" კი ჟურნალად ივარგებდა... არა „დროშა": ქართულ-ებრაული — არამედ სწორედაც „მწვანეყვავილა": ქუთაისური — როგორც „ოგონიოკი". შიგ იქნებოდა ლიტერატურაც: ლექსი, ნოველა, ერთი დეტექტივიც — გაგრძელებებით... მომგებიანი უნდა გამხდარიყო კერძო დირექტორის ხელში, მაგრამ... ვინ იქნებოდა ეგ კაი — პატივმოყვარე — კაცი?!.

მოდიოდა ოქტომბერი და საქართველოში ქაოსი სუფევდა უკვე. ამდენი ნაძირალა ერთდროულად სამოქმედოდ არასოდეს გამოსულა ამ ქვეყნის ისტორიაშიო, რეზოს ეს შთაბეჭდილებაც კი რჩებოდა. ყველა და ყველაფერი მზად იყო დიქტატორული მმართველობისათვის. იგი მოვიდოდა, თუ მანამდე ანარქია — ეს ხომ საშინელება იქნებოდა — არ დაგვრევდა ხელს.

საქართველოს მართვა უკვე ციხიდანაც შეიძლებოდა, რეგიონებიდანაც, საზღვარგარეთს აღარც ახსენებდა. ვისაც რა უნდოდა, რისი ხოშიც ჰქონდა — ანკი ამ ჟარგონს რატომ მოერიდებოდა რეზო — იმას ჩადიოდა, იმას აკეთებდა, იმას მღეროდა და... კაცი არა ჩანდა გამკითხავი!..

„რა გვეშველება, არ ვიცი!"

17 ოქტომბერს კინოს სახლში აჩვენებდნენ გიორგი ხარაბაძის ფილმს „გალაკტიონი". მრევლი მეჩხერი. მოვიდოდა შევარდნაძე. ფილმი ვერ დატოვებდა სასურველ შთაბეჭდილებას, ბევრს გააღიზიანებდა, მათ შორის — შეეტყობოდა — საქართველოს პრეზიდენტსაც.

— თქვით, გინდათ თუ არა, — ჩააცივდებოდნენ მაყურებელს აზრის გამოსათქმელად.

ესენიც ნაძალადევად ილაპარაკებდნენ.

პრეზიდენტს წასვლა არ ენდომებოდა, მეორე „ტაიმს" ელოდებოდა.

— რა გაქვთ? — იკითხავდა კიდეც.

ისვენებდა, როგორც ჩანდა. შეცვლილიყო კიდეც ამ ბოლო დროს გერმანული ტრიუმფის შემდგომ. უკვე ზედმეტის უფლებას აძლევდა თავს. თუ სიბერით ემართებოდა, წასული გახლდათ მაგის საქმე!.. ნერვიულობდა, დაძაბულობაც არ ეშვებოდა, ემზადებოდა. აჭარა ეჩხირებოდა ყელში. მიეშვა

აქამდე აჭარული — ასლან აბაშიძეს გადაჰკრავდა გამჭვირვალედ — და ანი (რეზოს დაგვიანებული ეჩვენებოდა) რაღაც უნდა მოეფიქრებინა. და ფიქრობდა.

ფილმის რეჟისორიც და სცენარის ავტორიც ალეკო ცაბაძე გახლდათ. განდიდების მანიით შეპყრობილიყო. გალაკტიონი ვინ იყო, არ ეცოდინებოდა, მაგრამ დაიჩემებდა: ვიციო. ისე ხედავდა! და როგორსაც რეჟისორი ხედავდა, ამიტომაც აღარ გამოვიდოდა ფილმი საინტერესო. ვერ მოახერხებდა, ვერ გადმოსცემდა იმას, რასაც, ვისაც, როგორსაც ხედავდა.

რეზოს ისეთი განცდა დარჩებოდა, რომ: რეჟისორი და გალაკტიონის როლის შემსრულებელი ხელს შეუშლიდნენ ერთმანეთს. მეორე დღეს კი იტყოდა:

— ნახოს გარეშემაც, უცხომაც, და თუ ისინი — გალაკტიონს დავანებოთ თავი — უცნაურ პოეტს დაინახავენ, ფილმიც შემდგარად ჩაითვლება.

პრინციპში ასეც მოხდებოდა! ყველას თავისი გალაკტიონი ჰყავდა და სხვას დაე სხვანაირად გადაეღო.

რაც მთავარია, ახალი რომანი უნდა დაეწერა.

გამომცემლები ესტუმრებოდნენ:

— ათტომეულს ვცემთ, თქვენით ვიწყებთ და ახალი ნაწარმოები რომ მოგვცეთ.

— სად არის, თორემ...

შეწუხდებოდნენ, და ამას ბედად გაახსენდებოდა „ასკილის წითელი ყვავილი", ნლის მიწურულისათვის რომ შეპირდებოდათ. იმათ ეშორებოდათ და ეს ორ თვეს მოითხოვდა.

უნდა მოეშორებინა ყველა საქმე და ჩაჯდომოდა ახალს საფუძვლიანად...

ის აზრიც დაებადებოდა, რომ:

თავის სახლში გაეხსნა რედაქცია.

თუ მწერლობას მოუგდებდნენ, რეზოს სიცოცხლეში, რაიმეს, მაშინ, მაშინ, მაშინ მიხედავდა თავის მწერლობას. თითქოს დაექადნა:

— 70 წლისა დავანებებ თავს.

შეიძლებოდა!.. უსაქმოდ არ დარჩებოდა!..

ბევრი გასაკეთებელი რომ უგროვდებოდა, ოჩნდებოდა ხოლმე და ახლა სწორედ ეგ მომენტი დადგომოდა... გადაიტანდა. მთავარი წიგნი გახლდათ, შემდეგ „მწვანეყვავილა" და... პირდაპირ „ასკილის წითელი ყვავილი".

გააჯანჯლებდა მუშაობას „კუდიან ვარსკვლავზე", კინაღამ გამომცემლობასაც დააღალატებდა.

ამოყრიდა: ეჟოვს, ტროცკის, კუჭავას, ანი გახვეტავდა ბუხარინსაც, კიდევ ვიღაცას. მაინც ზედმეტი დარჩებოდა. ამ მანიპულაციებითაც კი შეიკვეროდა ნაწარმოები ასე თუ ისე, იმნაირად თუ ამნაირად. „ტროცკიც" და „ნეტარი ვასილიც" დამოუკიდებელი ნოველები იყო და რომანს უნდა ჩამოშორებოდნენ. „მამა გრიგორიც", რასპუტინზე, ზედმეტი ეჩვენებოდა, მაგრამ ის უკავშირდებოდა სიუჟეტს „ბაბუაჩემი" და ამიტომაც უნდა დარჩენილიყო...

27 ოქტომბერს მანანა ასათიანს ესტუმრებოდა ლევან მალაზონიასთან ერთად. ლადოზე ესაჭიროებოდა ცნობები. აპირებდა დაწერას, გადადებდა, გადადებდა და... ამასობაში მანანა თვითონ შეეხმიანებოდა რამდენჯერმე. საგულისხმო საუბარი გამოვიდოდა. ბევრ კარგ და საყურადღებო ცნობას ჩაინიშნავდა და დაიმახსოვრებდა...

„დავწერ, გავაკეთებ..."

ხვალ კაბინეტში უნდა სწვეოდა რეზოს. რაღაც დარჩებოდა სათქმელი — ლევანთან მოერიდებოდა თქმას.

4 ნოემბერს დამთავრდებოდა არჩევნები.

„ხალხი არც ისეთი შტერია, როგორც ჩანს".

მაგრად იმუშავებდნენ „მოქალაქეები", ცალკერძ — აღორძინების ბლოკი. ისინი მალე დაიშლებოდნენ. საკონსტიტუციო უმრავლესობა შეიქმნებოდა. ჯერჯერობით ორი პარტია დარჩენილიყო. სულს ღაფავდნენ — არც არაფერი ეშველებოდათ — ლეიბორისტები და მრეწველები. მაგრად დაბზრიალებულიყო ედუარდ ჩამფარცხველი და გაეყარა ენაგატლეკილები, თუმც შემცველელები გამოჩნდებოდნენ...

ჟან-ბატისტ მოლიერის პიესები ედებოდა წინ, 1937 წლის „ფედერაციის" გამოცემა. XIX საუკუნის სურნელი ასდიოდა თარგმანს, დიმიტრი ყიფიანისეულ ვერსიასაც არა უშავდა. გათანამედროვება შესაძლოა არც მოხდენოდა. და როგორ არ ეთქვა რეზოს:

რა მაღალ დონეზე იყო თეატრი, კერძოდ კომედია XVII საუკუნის პარიზში. ბრწყინვალე დრამატურგები იყვნენ იმ დროსო.

ამ დღიურების გადაკითხვა მოუწევდა, „ასკილის წითელ ყვავილს" რომ დაიწყებდა. ეს კი მალე უნდა მომხდარიყო!..

7 ნოემბერს კიდევ ერთხელ იგრძნობდა, რომ აღარ უნდოდა მწერალთა კავშირის მდივნობა. საკუთარი სახლი უნდა შეეძინა როგორმე... ქვედა სართულში, სადაც ამჟამად იმყოფებოდა, გახსნიდა რედაქციას. ზევით კი — თუ შეისყიდდა — იცხოვრებდა, გაატარებდა დარჩენილ სიცოცხლეს.

ის ანდაზაც რომ არ ეშვებოდა? კაცი ბჭობდა,ტშმაკი იცინოდაო!..

18 ნოემბერს ბაქო-ჯეიჰანის ხელშეკრულებას მოაწერდნენ ხელს. შევარდნაძე ილაპარაკებდა ამჯერზე რუსულად, ნამეტანი ქართული აქცენტით. როგორც იქნა ამოიღებდა ხმას რუსების წინააღმდეგ, იჟეჟებოდა და იტკეპნებოდა და... იტყოდა ბოლობოლო უგერგილოდ.

და გაიფიქრებდა რეზო, თან ირონიულად, თან თანაგრძნობით:

ასე უნდა ალბათ... ჩვენ ხომ არ ვიცით იმდონიო.

რუსი, როგორც ღორი, არა თმობდა მუხის ჩრდილსაც. ეუბნებოდი: არ არის შენიო, — და არ ესმოდა. რკოც აღარ იყო და რაღა უნდოდა? ფესვები უნდა ეჩიჩქნა — თავის პრეროგატივად მიიჩნევდა. შენი და ჩემი არ იცოდა...

— სალამი სინათლეს, დიდება დღეს!

რაღაც ამდაგვარი ინტონაციები უნდა ჰქონოდა გალაკტიონს რომელიღაც ლექსში...

წიგნი კი გამზადდებოდა საბეჭდად: „კუდიანი ვარსკვლავი“.

შეიკრიბებოდა პარლამენტი. ამდენი უსაქმური თაღლითი და გონებაშეზღუდული ჯერ არ შეყრილიყო ერთად ამ დონეზე.

საინტერესო მასალას მოაწვდიდა მანანა ასათიანი, ნაწილს ახლავე რომ გამოიყენებდა და დანარჩენს — შემდგომ.

ჩქარი მატარებლით მოუხდებოდა გამგზავრება ქუთაისში და კუპეში ვაჟი და გოგონა დახვდებოდნენ. ჯერ კინოფილმზე ილაპარაკებდნენ — „ცისფერ მთებზე“, და შეაქებდნენ. ეს იფიქრებდა: განგებ ხომ არაო, — და მალე მიხვდებოდა, რომ ვერა ცნობდნენ. შემდეგ ფრანგულ პოეზიასა და ინგლისურ პროზას მიმოიხილავდნენ. დაატრიალებდნენ ჩარლზ დიკენსის, შარლ ბოდლერის, სტეფან მალარმესა და სხვების სახელებს... ეს ძალიან გაოცდებოდა და იმედიც გაუღვივდებოდა ახალგაზრდების მიმართ: მთლად დაღუპული არა ვყოფილვართო...

3 დეკემბერს ნათია ამირეჯიბი „გაარჩევდა“ „ცისფერ მთებს“. ილაპარაკებდა გულგრილობაზე, აბსურდულობაზე. გარედან ხედავდა ყველაფერს. არსი გაცილებით რთული გახლდათ და მარტივი.

ნათიასათვის შეეძლო ეთქვა, რომ:

იმ მდგომარეობამდე მიიყვანდნენ 80-იან წლებში ადამიანებს. ისინი მიხვდებოდნენ, რომ თავი უნდა შეეექციათ არაფრისაგან არაფრის კეთებით. მთავრობამ იცოდა, ხალხი უნდა შეეჩერებინა ამ ხერხით. ეგრე იყო. იყვნენ. არ იყვნენ. აზრი არა ჰქონდა. შიგაც — წასაკითხშიც — არაფერი იყო. ამ სიტუაციაში იყვნენ კინოსტუდიაშიც და იყვნენ სხვები სხვაგანაც. მოიტანე, ბიჭო, თუ არა დიდი რამე მოიტანე; არ ვიცით, რაც მოიტანე! „ხომ უნდა შეიქციო თავი რაიმეთი“ — მუხრან მაჭავარიანის ეს სტრიქონი ზუსტად ესადაგებოდა იმ სიტუაციას.

— ჩვენ ლაპარაკში ფულს გვაძლევენ!

— პრემიასაც!

სოსოსაც აძლევდნენ რაღაცას.

ბოლო რეპლიკები, განხილვის შემდეგ:

— კი მაგრამ, სოსო როგორ უნდა მოიქცეს?

— სოსო უნდა მოიქცეს ისე, როგორც იქცეოდა აქამდე!

შემოდიოდა ახალი პერსონაჟი მარკშეიდერი. მოჰქონდა იგავ-არაკები. მოდიოდა იქ, სადაც — ერთი შეხედვითა და ლოგიკით — არაფერი ესაქმებოდა. რამდენი უნდა ევლო, რომ სამთო ხელობიდან იგავ-არაკებზე გადასულიყო და მიდგომოდა იმ დაწესებულებას, სადაც არ მიიღებდნენ, მაგრამ „უარსაც არ ეტყოდნენ“.

ირკვეოდა, რომ ის კაცი საჭირო იყო.

— დაცალეთ აქაურობა, — დაიძახებდა. არადა ამის დამძახებელიც ხომ არა ჩანდა.

ათასი კვლევითი ინსტიტუტი — მძიმე ტვირთად აწვათ ამჟამადაც ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებს — ინახავდა შტატებს მინიმალური დანახარჯებით, უფრო სწორად — შემოსავლების გადანაწილებით...

ფილმში: ვიღაც — აქაურთათვის ნამეტანი ნაცნობი — მოდიოდა და მოჰქონდა. მართლა მოიტანე? უკვირდათ და არც უკვირდათ. მოიტანდა. მერე რა, რომ მოიტანდა!.. გინდ მოგეტანა, გინდ ნუ მოიტანდი. ეს პროცესი, მოტანა-განხილვისა, რისთვისაც იქ იმყოფებოდნენ, მაინც არ შეწყდებოდა... რომ მოიტანდი, ვის ჭირდებოდა! ან რა უნდა მოგეტანა ისეთი? რასაც მოიტანდი, ისიც ხომ იცოდნენ. ერთი მუშა კითხულობდა თუ სურდა წაკითხვა... რატომ? იმიტომ, რომ თავისი საქმე არ გაეკეთებინა. ვინ გეკითხებოდა შენ — მოეტანა თუ არ მოეტანა, ანდა რა შენი საქმე იყო კითხვა... სოსოს უნდა მოეტანა და მოიტანდა კიდეც. სხვები ან წაიკითხავდნენ, ან არა, და იმიტომ კი არა, რომ ბიოლოგიურად გულგრილები იყვნენ.

იდგებოდა იმ დროს ნგრევის სუნი. და ამას იგრძნობდა რეზო. არამარტო იგი, ცხადია. რეალიზაცია მასთან მოხდებოდა, თუმც ფილმი რომ არა, ყველაფერი ჩაივლიდა შეუმჩნეველად. შემდეგ ვიღაც იტყოდა:

— კაცო, თურმე ეს ამბობდა, აქ წერია...

არ დაუთმობდნენ:

— მაგას ჩვენ ყველა ვამბობდით, ყველამ ვიცოდით!..

ეღიმებოდა რეზოს ამ სურათის წარმოდგენაზე:

ჩვენ ხომ ყველამ ყველაფერი ვიცითო.

გარდაიცვლებოდა აკაკი ბაქრაძე, ქუთაისში — დავით კვიცარიძე.

კაკოსთან რეზოს დამოკიდებულება წამხდარი იქნებოდა, დათიკოსთან — არანაირი.

სიტყვა უნდა ეთქვა აქაც და იქაც. შეიძლებოდა არიდება, მაგრამ ევალებოდა. რაღაც ხომ უნდა გაეკეთებინა სათანამდებობო, სასამდივნო. ჩათავდებოდა ვადა მისი სამსახურისა მაისში, 2000 წლისა, და გახდებოდა თავისუფალი მოქალაქე. გახდებოდა! რა აჯობებდა ამას... ფულიც რომ ჰქონოდა.

ბათუმშიც იქნებოდნენ გამოძახებულნი. ნეტა თამაზ წივწივაძე თუ წავიდოდა?!. ამ ორ გასვენებას, გასაგები მიზეზისა გამო, ვერ დაესწრებოდა. რევაზ ჯაფარიძის დაკრძალვის ცერემონიაში მონაწილეობის უფლებაც არა ჰქონდა, მაგრამ ჯაფარიძის ჭირისუფალი უფრო თვინიერი აღმოჩნდებოდა, ვიდრე სხვისა.

„დიდი და მძიმე ხელობაა კრიტიკოსობა. ესეც (ჩვენი) არ ისვენებს. არავინ თხოვს, არავინ უბრძანებს ხოლმე და გაედება ვიღაცას. ჯერ სახელს იხვეჭდა ამის ხარჯზე, ახლა თავს იცავს“.

კრიტიკოსობა დიდი და მძიმე ხელობა კი გახლდათ, მაგრამ: თამაზ წივწივაძე თითქოსდა თავისით, ლიტერატურული ინტერესებით „გაედებოდა“ ვიღაცასო, — მაინცდამაინც არ შეეფერება სიმართლეს. წერდა მხოლოდ „თხოვნითა“ და „ბრძანებით“, მხოლოდ წაქეზებით, მხოლოდ ანგარებით, მხოლოდ სარფისათვის... ასე გაჰქონდა ცხოვრება...

რეზო ყურადღებას მიაქცევდა, რომ:

ოციოდე ფობია არსებობდა სოციალურ-სამედიცინო ჩამონათვალის მიხედვით. და თამაზ წივწივაძეს პრესაფობია ჭირდა — ჩამონათვალში ესეც აღინიშნებოდა.

უსიამოვნო ამბები უნდა მიჰყოლოდა ერთმანეთს. ღამის 4 საათზე გარდაიცვლებოდა ირაკლი ბაზაძე. იმ საღამოს მოინახულებდა ლევან მალაზონიასთან ერთად და... უკვე აღარ იქნებოდა ამქვეყანას, იმწამსვე რომ მიხვდებოდა რეზო. ექიმი დაამშვიდებდათ, თითქოს ავადმყოფობის ეს ფორმა მკურნალობას ემორჩილებოდა, მაგრამ...

ამ ცუდი ამბის გაგებისას თვითონაც ცუდად გახდებოდა კინაღამ, თუმც მოულოდნელიც არ იქნებოდა.

18 დეკემბერს მურმან ლებანიძის შვილის — ფიქრიას — გასვენებაში ავიდოდა. მურმანს გაუკვირდებოდა, გაეხარდებოდა. თვითონ გადმოედგა რეზოსაკენ პირველი ნაბიჯი და ამასაც აღარ შეეძლო, მითუმეტეს — ამგვარ ვითარებაში, სხვანაირად მოქცევა.

დაინახავდა მუხრან მაჭავარიანსაც.

ხელის ჩამორთმევის მომენტი არ მიეცემოდა, თორემ — რას ერჩოდა — გადაკოცნიდა კიდეც... კიბის ხვეულში, ხალხის სერპანტინში დაინახავდა. ისიც შეამჩნევდა ალბათ.

„უკან რომ გამოვალ, ხელს მოვკიდებ, შევაჩერებ“.

მაგრამ ვეღარ შეხვდებოდა. ეზოშიც მოჰკრავდა თვალს და... კიდეც გაქრებოდა ერთ დროს მისი გადაბმული მეგობარი.

უცნაური ეჩვენებოდა, რომ:

1992 წლის მარტის შემდეგ შორიდანაც აღარ დაენახა. არიდებდა საზოგადოებას თავს მუხრანი, მაგრამ ერთხელ მაინც როგორ არ გადაწყდომოდა რეზო?!. ორიოდე წლის წინათ არგვეთაში ჩასულ რეზოსა და ლევან მალაზონიას რომ დაემალებოდა, მას შემდეგ ეს ხელს ჩაიქნევდა. მურმანთან, ყოფილ მეზობელთან, ისიც შესარიგებლად მივიდოდა. ეს ტრაგედია რომ არა, ადრე არ ააკითხავდა „იმდონ ჯარში“. ეს იოლი მისახვედრი გახლდათ...

მათი ურთიერთობაც, მურმან-მუხრანისა, გაფუჭდებოდა ამ მძიმე წლებში. ბევრს გათიშავდა და დააშორებდა — ოჯახის წევრებსაც კი — ეს დრო...

რეზოს კი — ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთო, დალოცავდა ამ დღიურის მომავალ მკითხველებს — აუხდებოდა გურამ ფანჯიკიძის გაფრთხილება:

— ჩვენ აქ მესაფლავეებად გადავიქცევით სულ მალე.

ჯერ კიდევ როდის უწინასწარმეტყველებდა ოთარ ჩხეიძე ამ ფუნქციას მატერიალურადაც და სულიერადაც გაკოტრებულ მწერალთა კავშირს: მხოლოდღა დამარხვა, მხოლოდღა მესაფლავეობა შერჩებოდათ საქმედ:

იწურებოდა დეკემბერი და ახალი იმედები უჩნდებოდა რეზო ჭეიშვილს ახალი წლისა და ახალი ასწლეულის მიჯნასთან:

კარგ ჟურნალს დავადგი თავი, თუ ვიქენითო...

იმედები იმედებად, რეალობა რეალობად: ბევრად მკაცრი და დაუნდობელი, ვიდრე იფიქრებდი და ივარაუდებდი; და მწერალთა კავშირს შეჩერებული და მისი წევრობის ნატრული კალმოსნებისათვის კიდევ უფრო გაუგებარი, რაკიღა ხელისუფლების წყალობის გარეშე ვერ წარმოედგინათ არსებობა და სუნთქვა, არადა ხელისუფლებას მწერლებზე მეტად ჟურნა-

ლისტები ესაჭიროებოდა და მათ მოსყიდვაზე უფრო ზრუნავდნენ... ტელევიზიების ხელში მოგდებას ესწრაფოდნენ... მწერლებისაგან შეთავაზებული მსახურება არაფრად უღირდათ და არც ფული ემეტებოდათ მათთვის — რაღა ესენი დაეფინანსებინათ და რაღა წყალში გადაეყარათ.

ჟურნალისტების ხანა დგებოდა — მათი გაყინჩვის, მათი მადის გაზრდის, მათი გაფუფუნების.

ტელეჟურნალისტები უფრო სარფიანად იყიდებოდნენ ცხადია, ვიდრე პრესის მუშაკები.

ოპერატიულობით ახლოსაც ვერ მივიდოდა მწერლობა ტელეჟურნალისტიკასთან, არამცთუ გაესწრო, და ოპერატიულობაზე მეტი ხელისუფლებას არც არაფერი ესაჭიროებოდა, ტელევიზიის ზეგავლენას მთლად სამთავრობო გადატრიალების ხელშეწყობა რომ შეეძლო, თუ მთლად გადატრიალება არა.

ეს დროც მოვიდლოდა რამდენიმე წელიწადში, ედუარდ შევარდნაძე ბაიბურში რომ არ იქნებოდა ჯერ და იქედნურად გაჰყურებდა 2009 წელსაც და... უფრო იქითაც...

თავი მეცხრე

2000 წელი

19 აგვისტოს, 1999 წლისა, ტელევიზიით რომ გამოვიდოდა ჯუმბერ ლომინაძე, მზის დაბნელებასა და საპარლამენტო არჩევნებზე ილაპარაკებდა. და განაცხადებდა ამასაც:

— ოცდამეერთე საუკუნე ჩამოდგება 2001 წლის 1 იანვარს და არა 2000 წლის 1 იანვარს, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ.

რამდენი ეკამათა რეზოს ამ თარიღზე — თუნდაც რამდენიმე წლის წინათ. შარშან თუ წელს ერთი სწავლული საწინააღმდეგოს უმტკიცებდა ქუთაისში, რეზოს ყოფილ კაბინეტში:

— ოცდამეერთე საუკუნე გაისად, 2000 წლის 1 იანვარს ჩამოდგება.

— არა, — უარზე დადგებოდა რეზო.

თორნიკე ერისთავი გააფრთხილებდა:

— ეს ცნობილი მათემატიკოსია.

უფრო სწორად სხვებს, რეზოს მომხრეებს ეუბნებოდა, ოღონდ ამის გასაგონად.

წავიდოდა ის მათემატიკოსი და, რეზოსდა გასაოცებლად, მალევე შემობრუნდებოდა.

— თუ ნოლიდან იწყებთ აღრიცხვას, მაშინ სწორი ხართ, მე ერთიდან ვანგარიშობ.

რეზო არსაიდანაც არ იწყებდა, რაც მიეყიდათ და რაც ეყიდა, ისეც ყიდდა.

— 20-ის შემდეგ იწყება 21 და არა 19-ის შემდეგ, — განუცხადებდა მათემატიკოსს, რომელიც ერთიდან ანგარიშობდა, ნოლი შეაფიქრიანებდა, თუმც ნათქვამს ვერ გადაათქმევინებდა.

2000 წლის 4 იანვარს ჩვეულებრივი მოღრუბლული დღე იდგებოდა, არც ეციებოდა, არც ეთბილებოდა წინა დღეებისაგან განსხვავებით, სულაც მზიანი რომ იქნებოდა.

ეს იქნებოდა ამ წლის პირველი ჩანაწერი.

რაო, არ მოაო?

აგერ თუ არ მოსულიყო.

ოცდამეერთე საუკუნეც მოვიდოდა, თუ მოსული არ იყო უკვე.

ვანო ზოდელავა გამოვიდოდა „სენსაციური" განცხადებით:

— პარლამენტში დავაყენებ საკითხს ედუარდ შევარდნაძისათვის არჩევნებში მესამედ მონაწილეობის უფლებაზე. წელს რომ აირჩევენ, ამაში ეჭვიც არ მეპარება, და 2004 წელს კვლავ ხუთი წლით უნდა გვეყოლოს.

ააშენებს ღმერთი! — ჩაიღიმებდა რეზო. 2009 წელს აპირებდა ამ დღიურების გასრულებას და ბოლო წერტილსაც 82 წლის (მოპარული 2 წელი რომ არც დაემატებინა) შევარდნაძეზე დასვამდა.

კი დაწერდა: სხვა პრეზიდენტს ვერ ვეღირსებიო, მაგრამ...

„რა იცი".

კიდევ რომ გაეხანგრძლივებინა 5 წლით?

„ეგეც აფერია!"

87 წლისა იქნებოდა, იმ ორ მოპარულ წელსაც თუ გავუხსენებდით: მაშინ სულაც 89 წლისა.

ამდენი ხნისა გახლათ — თუ იმასაც მოპარული არა ჰქონდა წლები — კონრად ადენაუერიც — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი.

ჩვენი სახელმწიფოს დელეგაცია ხვალ დილაალიონზე მიემგზავრებოდა ისრაელში. და ჩვენი ნაკომკავშირალ-ნაპარტიულები პრეზიდენტი განაცხადებდა:

— ჩავალ და ვილოცებ საქართველოსათვის, ქართველი ხალხისათვის.

„წავა, ილოცებს!"

ილია მეორე მგონი უკვე ჩასულიყო და ლოცულობდა კიდეც, შევარდნაძე კარგა ხანს უწმინდესსა და უსპეტაკესს რომ ეძახდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

საერთოდ უნდა გველოცა.

აუცილებელი გახლდათ.

სიკეთე (სიბოროტეც სხვათა შორის) მოქმედებდა, ჭრიდა, ზეგავლენას ახდენდა ადამიანებზე, უსულო, არაადამიანურ საგნებზეც კი!..

1 თებერვალს ჩაინიშნავდა, რომ:

საპრეზიდენტო არჩევნების დრო დგებოდა და ერთიხანობა ამით შეიქცევდა ხალხი თავს...

— ედუარდი უალტერნატივოა! — ავრცელებდნენ ხმას და თვითონვეც განეცხადებინა:

— ალტერნატივა არა აქვს ჩემს არჩევას.

ამას დაიხვევდა ხელზე ოპოზიცია და... პრეზიდენტი მიკიბ-მოკიბავდა რაღაცას ამ წინდაუხედავი განცხადების გამო ორშაბათის ტრადიციულ რადიოსაუბარსა თუ რადიომიმართვაში, რომელსაც „გლახის ნაამბობს" ეძახდნენ... ისევ წარმატებებზე ისაუბრებდა — რამდენადმე გაუბედავად — და წინა წლების სიტუაციებსა და ეკონომიკურ ყოფას კვლავინდებურად დღევანდელს ამჯობინებდა... მაგრამ საქმე ისევ და ისევ უკან რომ მიდიოდა, ხალხი გაბოროტდებოდა.

რეზოც ვერსად წასვლოდა რეალობას, რომ:

ამ კაცს ქვეყნის მართვა არ შეეძლო. და ამიტომაც დარღვეულიყო ყველა ზნეობრივი და სამართლებრივი კანონ-სამართალი...

სულიკო ჟღენტს რომ დაკრძალავდნენ 10 თებერვალს, მწერალთა კავშირიდან გამოასვენებდნენ და გამოსათხოვარი სიტყვით რეზო გააცილებდა.

— კარგი სიტყვა თქვი, — ეტყობა ბევრი.

მოეხადა საამქვეყნო ვალი სულიკოს და გაშორებოდათ. ბევრი თანატოლი გარდაცვლოდა რეზოს, თავისზე უმცროსებიც გამოეტირებინა და ასე ამნაირად არასოდეს ეგრძნო, მისი თაობის ამგზავრების დროც რომ ჩამომდგარიყო...

14 თებერვალს ეს შეკითხვა ააფორიაქებდა და აამღვრევდა:

იყო წმინდანი ილია ჭავჭავაძე ანდა „მართალიო"?

რას ნიშნავდა ეს „მართალი"? ეს ცნება ხომ შედარებითი გახლდათ. ივანე მაჩაბელთან მართალი იყო ანდა დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილებთან (ეკატერინე გაბაშვილის მიხედვით)? რომ არ მოეკლათ, არც წმინდანი იქნებოდა და არც წამებული... სახელმწიფოც პატივს სცემდა, მისი კლასიც — თავადაზნაურობა, სათათბიროს წევრადაც აირჩევდნენ, იყო მემამულე (არა მებატონე), არც რეპრესიებში მოყოლილიყო, არც შევიწროებული ყოფილიყო ხელისუფლებისაგან...

და დაინტერესდებოდა:

იყო კი დევნილი პიროვნული ნიშნით ვინმე საქართველოშიო?

დიმიტრი ყიფიანი ჩინოვნიკი გახლდათ, რუსოფილიც, თუმცაღა ეროვნულ, ქართულ პატრიოტიზმს შეენირებოდა.

და დაასკვნიდა:

ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის გამოკვეთილი გმირი კი არ გვყოლიაო.

რას უნდა გამოეწვია ასეთი ნიჰილისტური აზრები?

ათვალწუნებული — მეტი რომ აღარ ითქვას — დამოკიდებულება ზვიად გამსახურდიას მიმართ უკვე მის წინამორბედებზეც გავრცელდებოდა, მთელს იმ გზაზე, რომელზეც შედგებოდა სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემოქმედი...

გული აყროდა თანადროულ რეალობაზე და წარსულსაც ამიტომ გადაწვდებოდა ასე უსაფუძვლოდ, ასე მიკერძოებულად... ილია ჭავჭავაძისა და დიმიტრი ყიფიანისაც რომ აღარ სჯეროდა.

12 საათზე შუქი რომ ჩაუქრებოდა, ლამფას აანთებდა და მოემზადებოდა „მწვანეყვავილას" მესამე ნომრისათვის. ვაჟა ლორთქიფანიძე დაპირდებოდა ფულადი სახსრების გამოძებნას და აუსრულებდა. ასეც ელოდა. მატერიალური საფუძველი უკვე არსებობდა — დასაწყისისათვის საკმარისი... შემდგომ უკვე აღარ იცოდა.

„მათხოვრად ხომ არ გადავიქცევი ბოლობოლო".

იცოდა, ვინ დაწერდა, ვინ არ დააღალატებდა. ქუთაისელებისა ნაკლები იმედი ექნებოდა, მისიანებიც ზარმაცები იყვნენ. თემურ ამყოლაძე კი იყო პუნქტუალური კაცი. ბოლოსდაბოლოს ჟურნალის შევსება (უფრო საინტერესოც იქნებაო, ჩაურთავდა) მარტოც შეეძლო რეზოს. და იწყებდა წერად ამ ღამისად.

შოთა ჩანტლაძე ცოცხალი რომ ყოფილიყო, ეტყოდა:

— ო, რა ხარ, შე უკვდავო!

სასაცილოდ ეჩვენებოდა:

გენიოსად შთარაცხავდნენ შოთა ჩანტლაძეს და... არ ჯეროდათ. თვითონ იძახდა: გენიოსი ვარო! — მაგრამ არ ჯეროდა.

მაშ იწყებდა:

თვითონ — თავისით, და სხვები — მისი მითითებითა და დაგზაკვალიანებით.

შელავათებს არ აპირებდა.

ორი დღის შემდეგ კვლავ დაიჩივლებდა, რომ საქართველოში საქმე ძლიერ ცუდად იყო. შევარდნაძეს თუ ნამუსი ჰქონდა და ჭკუის ნატამალიც შერჩენოდა, უნდა წასულიყო, აეკრიფა გუდა-ნაბადი, ვიდრე დრო იყო.

მაგრამ 26 თებერვალს საპრეზიდენტო არჩევნებისას მოსალოდნელ დიდ ბრძოლებს რომ წარმოიდგენდა და ქაოსის შეგრძნებაც დაუქროლებდა, ძალზე შეშფოთდებოდა, ვაითუ ეს დროც სანატრელი გაგვხდომოდა, და გადაწყვეტდა:

— მაინც შევარდნაძეს უნდა დავუჭიროთ მხარი. იძულებულნი ვართა!..

დაჯდებოდა და დახაზავდა „საუნჯეს“ — რედაქციისა და შენობის კონფიგურაციას; ვინ სად იჯდებოდა და რას აკეთებდნენ ანუ... არ აკეთებდნენ: მუხრან მაჭავარიანი, რედაქტორი, და მისი ძმაბიჭ-გუნდელები: გივი ძნელაძ(), თამაზ წივწივაძე და რეზოც. ტიპაჟი — კაფკას სადარი სიტუაციაც, განწყობილებაც. აქედან, შორიდან კანთიელად გამოჩნდებოდა ეს ყველაფერი... და დაიქადნიდა გუნებაში: მოვიცლი საამისოდო...

20 მარტს კვლავ იმ გუნებაზე დადგებოდა, რომ:

მწერალთა კავშირი ადრე თუ გვიან მაინც დასაშლელი იყო და ბარემ დაშლილიყო, დალპობას ხომ არ უნდა დალოდებოდი. რაღაც ჩანაფიქრები კი ექნებოდათ მის ხელმძღვანელებს, მაგრამ გამოვიდოდა აქედან რამე? ყველას თავისი — მათ შორის რეზოსაც — ინტერესები ამოძრავებდა. რეზოს პირადად შიმშილისა ეშინოდა — თავისიანების გაჭირვებისა. ცხოვრება უკან, საქმეებიც უკან-უკან მიდიოდა ტაატით: როგორც რეზო ინანიშვილი იტყოდა...

16 მაისის დილანათელი რომ გათენდებოდა, ის ფიქრი აჰყვებოდა, ხვალ კენჭისყრა რომ უნდა გამართულიყო: საპრემიო-სარუსთაველო.

ნომინანტები აქტიურობდნენ ნამეტანი: ხმის მიცემას აღარ ჯერდებოდნენ და: მეც თუ მომეცი ხმა და იმასაც, რაღა ფასი აქვსო. არადა რეზოს 7 კაცის არჩევის, მხარდაჭერის უფლება ექნებოდა, 14-დან 7 უნდა ამოერჩია.

სავარაუდო სიას ჩამოწერდა:

ვახტანგ ტაბლიაშვილიო, რევაზ ჩხეიძეო, ლია სტურუაო, გენო კალანდიაო (იძულებული ვარო, ჩაურთავდა), ემზარ კვიტაიშვილიო (აგრეთვეო, დასძენდა), რევაზ გაბრიაძეო. ნანი ბრეგვაძესა და ოტია იოსელიანს კითხვის ნიშნებს დაუსვამდა...

„მძიმე სიტუაციაა, თუმცაღა იოლად (ტექნიკური თვალსაზრისით) გადასაწყვეტი...“

რადიო ჭადრაკის ამბებს გადმოსცემდა:

— ტურნირის უხუცესმა მონაწილემ ბუხუტი გურგენიძემ წააგო...

ჩემი ხმისაარ, — საგანგებოდ ჩაინიშნავდა რეზო, — შეიძლება ჯერ არც კი გამხდარა 67 წლისაო.

და: უხუცესი თურმე!..

მერცხლები გამოჩნდებოდნენ თბილისში. პირველად ახლა, ამ დილას — 17 მაისს — დაინახავდა თავისი სამუშაო ოთახის ფანჯრიდან. მოთხრობა ჰქონდა დაწერილი ამნაირივე სათაურით — მერცხლებზე — დიდიხნის წინათ. კარგი მოთხრობა თუ... ნოველა?..

კენჭისყრაში გაიმარჯვებდნენ:

ნანი ბრეგვაძე, კოკა იგნატოვი, ლია სტურუა, რევაზ გაბრიაძე, ვახტანგ ტაბლიაშვილი. რევაზ ჩხეიძესა და ემზარ კვიტაიშვილს თითო ხმა დააკლდებოდათ.

წავიდოდა ქუთაისში და ექნებოდა შეხვედრები პერსონაჟებთან — „მწვანეყვავილასათვის". წაიმუშავებდა. დაისვენებდა. აღარ მოუსმენდა ყაყანს, სიცრუეს, პროვოკაციებს საქართველოს ტელევიზიის არხებით...

8 ივლისს სიმონ ჩიქოვანის „60 ლექსს" გადმოილებდა — 1963 წლის გამოცემას: პოეტის საიუბილეოდ, 60 წლისთავზე... და დაამთავრებდა კიდეც მალე სიცოცხლეს სიმონი. სტალინი 10 წლის მკვდარი იქნებოდა უკვე, „ოტტეპელიც" დამდგარი ასე თუ ისე და... იქ, იმ წიგნუკაში არ იგრძნობოდა დროის ეს მკვეთრი ცვლილება. პოეტი კვლავ ძველი „წყობითა" და წარმოდგენებით აზროვნებდა.

დაიწყებდა რეზო წიგნში ძებნას პოეტურისა და გამორჩეულის.

ვერ ვნახე, დაკარგულიყოო, — აკაკის სტრიქონით გამოხატავდა თავის განწყობილებას, თუმც მაინც მიაგნებდა შიგ სათავისოსაც და გუნებაში კბილს მოჭრიდა ვიღაც-ვიღაცებს: არც ისეა საქმე, როგორც თქვენ ფიქრობთო.

ამ ღირსებას აღნიშნავდა სიმონ ჩიქოვანისას საგანგებოდ, რეზომდე რომ არც მიექციათ ყურადღება:

არა ჰგავდა, არ ბაძავდა გალაკტიონს, შეიძლება მიზანდასახულადაც — კაცის დანახვა რომ არ გინდა, ისე. შეგეძლო ჩაგეველო თავისუფლად, ან მისალმებოდი და ან არა, მაგრამ ვერ ახერხებდი და ძალაუნებურად სხვა მხარეს იხედებოდი.

უზომო მოეჩვენებოდა სიმონ ჩიქოვანის ამბიციები:

დავით გურამიშვილსა და ვაჟა-ფშაველას რომ მიიჩნევდა თავის უშუალო წინამორბედებად: მათი მომდევნო მე ვარ მესამეო...

ძმები ჭილაძეები ჩიქოვანის სკოლას წარმოადგენდნენ, მისი მანერით წერდნენ... სიცოცხლეში, ვიდრე თანამდებობა ექნებოდა, დიდადაც აფასებდნენ, შემდგომ — უკვე აღარ. მაინც სიმონისები გახლდნენ... და რეზო ასეთ გვარს შეურჩევდათ თამაზსა და ოთარს: ძმები სიმონიშვილებიო. უფრო მაინც გერები. შვილი იყო არჩილ სულაკაური, ღვიძლი შვილი — ვინმე გია მარგველაშვილი...

აკაკი წერეთელზე წერილის დაწერას კიდევ ერთხელ მოინდომებდა.

გაიხსენებდა:

პირველი ანდერძით ეს დიდგვაროვანი კაცი გელათში რომ დააპირებდა დაკრძალვას. და მიიჩნევდა რეზო, რომ ჰქონდა კიდეც ამის უფლება, როგორც დედით ბაგრატიონთა ჩამომავალსა და პოეზიის უგვირგვინო მეფეს.

მეორე ანდერძით უკვე საჩხერეში მოინდომებდა ძვალშესალაგს.

არ დაუჯერებდნენ, არ აღუსრულებდნენ და თბილისს არგუნებდნენ, მამადავითს, მთაწმინდას...

სტრიქონი სტრიქონზე მოიწევდა და მათ შორის ესეც:

რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერიაო...

და ჩაუფიქრდებოდა რეზო: იყო კი სატრფო მისი მტერიო?

მოხუცებულობისას გულგატეხილი დადიოდაო, აკი ასე იგონებდა ვასილ წერეთელი. მტრები ელანდებოდაო და უკვირდაო.

— არ იყო საკვირველი? — შეეპასუხებოდა რეზო მათ, რომელთაც აკაკი წერეთლის ეს გაკვირვება ვერ აეხსნათ და გადამეტებულ ეჭვიანობას მიაწერდნენ:

ცხოვრება მთავრდებოდა და მაინც არ იყო გაგებული, სათანადოდ დაფასებულიო...

გმირი არა ვარო, — ირწმუნებოდა და გმირს ელოდა, თავი იმის ხამლის შემკვრელად თუ მიაჩნდა.

და რეზო ამას პოეტის მოკრძალებული ბუნებით ხსნიდა:

უფრო თავმდაბალი იყო, ვიდრე ილია, ვაჟაც კიო...

ერთი ღმერთთან ლაპარაკით რომ იდებდა თავს და მეორე კი მიიჩნევდა, რომ ყველაზე ახლოს ის იდგა ღმერთთან თავის თანამედროვეებთან შედარებით.

დაიწყებდა პატარ-პატარა ნოველების წერას, ჯერ მხოლოდ ორს მოათავებდა, თუმც ჩაფიქრებით ბევრი ექნებოდა ჩაფიქრებული, საერთო სათაურიც ვერ მოეგონებინა და... საჭიროა კიო? — ეს კითხვაც აწვალებდა.

„მწვანეყვავილამ“ მოგჭამა ჭირი ალბათო, დაიჩივლებდა, არადა იქ გაცილებით საინტერესო რამეები უნდა დაეწერა, სწორედ საამგაზეთოდ ნაგულისხმევი: შოთა ჩანტლაძეზე, გიორგი ლეონიძესა და ოფშკვითზე.

მოინდომებდა მიბრუნებოდა და გამოეცა „ასკილის წითელი ყვავილი“ და „მედვედევის ტყე“ ერთად... და დიდი და სერიოზულიც დასაწყები ექნებოდა. მწერალთა ყრილობა მოდიოდა და ეგებ საყრილობო წერილი, ვრცელი, გაემზადებინა. ეგრეც უნდა მოქცეულიყო, როგორც ჩანდა.

საქმე იყო, მაგრამ სანერვიულო და საფიქრალი — უფრორე!..

რევაზ თაბუკაშვილს გაიხსენებდნენ აგვისტოს დასაწყისში და აჩვენებდნენ მიხეილ თამარაშვილის გადმოსვენებას. რეზოს სამჯერ თუ ოთხჯერ ენახა აქამდე ეს ფილმი, მაგრამ მაინც ინტერესით უყურებდა. რამდენი წვალება და ჩალიჩი დასჭირებოდა — შიგ ჩაერთო თავისი ცხოვრება და ჰობიც — ამ საქმისათვის. თბილისში სპექტაკლს მოაწყობდა — გასვენების ცერემონიას. ბუნებით არტისტი სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა.

ისე კომუნისტების დამხობას რომ არ მოსწრებოდა — რეზოს ეჭვიც არ ეპარებოდა თავისი სეხნიის კარიერულ წინსვლაში — საგარეო საქმეთა მინისტრობა არ აცდებოდა:

იმ თანამდებობაზე ალტერნატივა არ ეყოლებოდა და უკონკურსოდ ჩაიბარებდა იმ უწყებას...

„ნაღდად!..“

15 აგვისტოს ჩანაწერში ჟურნალ „ომეგას“ ახსენებდა და მოიწონებდა მის მაღალპოლიგრაფიულ დონესაც, კარგ ხარისხსაც!..

და ნამოუტივტივდებოდა გალაკტიონური: კუბო კი ღამით სავსეა იითო, — რათა მიედევნებინა: ტარიელ ჭანტურია კი შხამითო. ვეღარც იხსენებდა, მართლა თვითონ შეერქმია თუ არა მისთვის მორიელი. ამჯერად კი გულისხმობდა იმის ჩანაწერების ციკლს „დინოზავრიდან დიზაინამდე“, რომელსაც რეზო მოიხსენიებდა როგორც „დინოზავრიდან მაიმუნამდე“. და ირონიით ამასაც დასძენდა: თუ „ზ“-ები ძალიან არ ეთმობა, მაშინ იყოს „დინოზავრიდან შიმპანზემდეო“.

მიაქცევდა ყურადღებას მკითხველი „ომეგას“ ფურცლებზე გამომზეურებულ ამ ჩანაწერებს, ლიტერატორები — განსაკუთრებით მათი თაობისა და: გაოგნდებოდნენ, თუმც ყველა არა.

„აგინებს, შხამავს მკითხველს, უპირველესად მკითხველს — დიახ“.

შოთა ჩანტლაძეს ლანძღავდა და გალაკტიონს ათახსირებდა. შოთა ნიშნიანიძესა და მუხრან მაჭავარიანზე ამბობდა: „როცა გრიალებდნენო“. და არ ეთანხმებოდა რეზო: რას ნიშნავს ეს „გრიალებდნენო“? შოთა ნიშნიანიძეს როგორ შეიძლება „ეგრიალა“, როდესაც თავწაღუნული მუშაობდა და არ სვამდა, არც ქეიფობდა.

„სხვა სიტყვა მაინც შეერჩია, თუნდაც — უარესი“.

იმ პოეტსო — მუხრან მაჭავარიანს — სახელით იხსენიებდნენ, როგორც აკაკისო.

და ვერც ამას გაიზიარებდა რეზო: აკაკი ბევრს ერქვა და მაინც აკაკის ეძახდნენ, მუხრანი კი — თუ სოფელ მუხრანს ან მუხრანბატონს არ ვიგულისხმებთ — მწერლობაში არავის რქმევიაო. და ირონიას ამ ჩართვით გააძლიერებდა: მსოფლიო მასშტაბითო...

და ღიმილით მიადევნებდა: შოთა ნიშნიანიძეს კი შოთაობით, გასაგები და საპატიო მიზეზით, ვერავინ მოიხსენიებდაო.

პოეტს — ანუ მუხრანს — უნიჭო თანამოკალმეები, რომლებიც გარს ეხვივნენ, აგურს უზიდავდნენ, სუფრებს უშლიდნენო, ამ ფრაზას რომ ამოიკითხავდა, კრიტიკის საცერში გაატარებდა:

ვინ იყვნენ ასეთები: გივი ძნელაძე, იორამ ქემერტელიძე და თავად ჭანტურია. იგი აგურებს არ უზიდავდა, მაგრამ ქებით, დიდებით, პანეგირიკებით ემსახურებოდა და: თუ დაავიწყდა ეს, შეახსენებენო... — მუქარასაც გაურევდა.

ერთხელ ტარიელს თითქმის საჯაროდ განეცხადებინა:

გალაკტიონის ლექსების 95 პროცენტი ნაგავიაო.

აბა ეს კაცი მენაგვეაო, — ჩაილაპარაკებდა რეზო, ვახტანგ ჯავახაძე მანქანაში უჯდებოდა, ოღონდ ამას არ ეცოდინებოდა, ისიც გაიგონებდა ამ ნათქვამს თუ არა.

მუხრანი ნიჭიერ პოეტს ვერ იტანდაო, — ამ ფრაზის წაკითხვისას ჯერ ეს აზრი გაუჩნდებოდა რეზოს: საკუთარ პერსონაზე მიანიშნებსო, — მერე კი დაბეჯითებით განაცხადებდა: არადა იტანდაო!..

თანამედროვე პოეტები, ტარიელ ჭანტურიას კლასიფიკაციით, ასე ლაგდებოდნენ:

მურმან ლებანიძე, გივი გეგეჭკორი, ოთარ ჭილაძე, ლია სტურუა.

„და სამ ტარიელი, რაღა ლაპარაკი უნდა...“

კიდევ: ვახტანგ ჯავახაძე.

ემზარ კვიტაიშვილს ამოაგდებდა იმ კლასიფიკაციიდან ტარიელი. ერთ გარდაცვლილს დაიტოვებდა, დანარჩენებს — ცოცხლებს.

და რეზო კი დღიურის ჩანაწერს ასე დააბოლოვებდა:

დინოზავრიდან მაიმუნამდე, უფრო სწორად — შიმპანზემდეო...

კალენდარზე მიაქცევდა ყურადღებას, ეს რომ ნაპოლეონის დაბადების დღე ყოფილიყო თურმე. და მისი შეფასებისას გაიზიარებდა ლევ ტოლსტოის მოსაზრებას:

კაცუნები განადიდებენ ხოლმე კაცისმკვლელებსო.

ქვიშხეთშიც და ქუთაისშიც ინტენსიურად იმუშავებდა — ჩანახატებზე, ესკიზებზე, ნოველებზე: საერთო სახელწოდებით „გამოზოგილი“. მთლად არ მოსწონდა სათაურად და... ან გამოცვლიდა და ან ერთ სიტყვას კიდევ დაუმატებდა...

ჩათავდებოდა აგვისტო და... კვლავ ისტორიულ ჟამს ჩაუფიქრდებოდა, თუ როგორი ფონი უნდა ჰქონოდა იმ თხზულებებს, რომელთა დაწერაც ამდენი ხანია ეოცნებებოდა:

ისტორია არ უნდა აღდგენილიყო — ამის გარეშეც რომ არ იქნებოდა, ამასაც ხვდებოდა — მაგრამ დროისა და სივრცის (სივრცისაცო? — ჩაურთავდა) დაკონკრეტების გარეშე უნდა დაწერილიყო, თუ დასცალდებოდა. ორი მაინც უნდა მოესწრო: „XVII საუკუნის ქრონიკა“ და „დარეჯან ცბიერი“ — ეს კოდური მოხსენიების ნიშნად შეერჩია, სათაურად კი არა.

სექტემბრის დამდეგს საყრილობოდ მოემზადებოდა და აპირებდა დაესახელებინა რამდენიმე პროზაიკოსი: დავით კლდიაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ლეო ქიაჩელი, ნიკო ლორთქიფანიძე — და რამდენიმე პოეტი: გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, ლადო ასათიანი. ტიციან ტაბიძესა და გიორგი ლეონიძეს კითხვის ნიშნებს დაუსვამდა.

კიდევ ვინ შეიძლებოდა? სერგო კლდიაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, დემნა შენგელაია. კითხვის ნიშანს დაუსვამდა კონსტანტინე ლორთქიფანიძეს და დასძენდა:

გადაყვა იმ ერთ ნაწარმოებს, ნაწარმოებს კი არა, წინადადებებს და მორჩა. შექმნა დახუნდარა? ალბათ და მაინც ამაოდ დაშვრაო...

შემდეგ: შალვა დადიანი („კაკალ გულში“ და „გუშინდელნი“), პოლიკარპე (სახელით მოიხსენიებდა, მაგრამ დიდების ნიშნად კი არა, სხვას რომ არავის ერქვა არც მაშინ და არც მერე ეს სახელი), გაბერილი (თვითონვე გაებერა), ავტორიტეტით, ყველას მოძულე და მაგინებელი კაცი.

ვინ შეიძლება დაემატებინა კიდევ? ნოდარ დუმბაძე? ჭაბუა? — და შეჩქვიფდებოდა: ცოცხლებს ნუ შევეხებით, დაუკრეფავში ნუ გადავალთო...

12 სექტემბერს პარლამენტი დაიწყებდა შეტევას პრეზიდენტზე, რომელსაც ჯერჯერობით კრებითი სახელით — აღმასრულებელი ხელისუფლება — მოიხსენიებდნენ. და რა შეიძლება ამ შეტევას მოჰყოლოდა?

ძნელი საწინასწარმეტყველო ეჩვენებოდა.

ედუარდ შევარდნაძეს რომ გამოსული ჰქონდა წირვა, არ ეეჭვებოდა — ასაკიც, დროც მის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, მაგრამ რა ძალები მოვიდოდნენ, ვინ დაიჭერდა მის ადგილს? ნუთუ ჟვანია-სააკაშვილი? რეზოს ეს არა სჯეროდა. ისე კი გადაედგათ უკვე პირველი ნაბიჯები.

— სიტუაცია კრიტიკულია, — განაცხადებდა ზურაბ ჟვანია.

„ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები".

10 წლის წინათ გელათში, სასულიერო აკადემიის გახსნაზე (21 სექტემბერს) რეზოს სიტყვა ეთქვა და იქ ყოფილიყო ირაკლი აბაშიძეც. ამას არც ირაკლი ემახსოვრებოდა, არც აკადემია, არც თავისი სიტყვა. წინა დღით ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი რომ ეკურთხებინათ უნივერსიტეტად, ის კი ახსოვდა. იქაც იქნებოდა ირაკლი აბაშიძე. კრიალოსანს დაუნახავდა რეზოს და თავისასაც ამოიღებდა: მეც მაქვსო, — პატარას და ალბათ უკეთესი გიშრისას.

მარიამობადღეს ეს რუსთველური სტრიქონი მოადგებოდა ენაზე:

სცდების და სცდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისადო.

და მიიჩნევდა, რომ: სიდიადე ექსპრესიაში იყო — სცდების და სცდებისო — და არა აზრსა და შინაარსში.

29 სექტემბრისათვის 23 ნოველას — ჟანრობრივად ასე დააზუსტებდა: ნოველასა და ჩანახატს შუაო — დაწერდა კაი შავად და ერთი ამდენი დასაწერი ექნებოდა.

სამშაბათიდან უთუოდ გადადებდა ნოველებს გვერდზე და საყრილობო მოხსენებას ჩაუჯდებოდა. წერას კი არ ჭირდებოდა ამდენი დრო — 9 ოქტომბრამდე, მაგრამ აღარ უნდოდა სხვა რამეზეც ეფიქრა.

21 ოქტომბერს გაიმართებოდა მწერალთა კავშირის ყრილობა — შეხლა-შემოხლითა და ვნებებღელვით. რეზო ვერ მოზომავდა და მოხსენება დიდი გამოუვიდოდა... მაინც აჟიოტაჟს გამოიწვევდა. ზოგიერთი ვაჟბატონი გაუნაწყენდებოდა და მასმედია — განსაკუთრებით... ახარხარებდა (არ იყო ჩემი საქმეო, — ჩაურთავდა) ალაგ-ალაგ მსმენელს თანადროული სინამდვილის აღწერით (პარლამენტი, სამართალდაცვა-დაუცველობა...).

ხვალიდან დატოვებდა დიდ, ვრცელ კაბინეტს, რომელიც არ უყვარდა. იქვე იტრიალებდა მაინც ალბათ — ხელფასის, გროშების გამო — ამ ფლიდ ხალხში...

„აირჩევდნენ" (ასე წინწკლებში მოიხსენიებდა) მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ და მდივნად თამაზ წივწივაძესა და გურამ ბენაშვილს... გააბითურებდნენ (თავი გაიბითურაო, — ჩაურთავდა) რევაზ მიშველაძეს. გურამ გვერდწითელს გალახული, წიხლებჩაზელილი ძაღლივით ჩატოვებდნენ,

დატოვებდნენ თუ რას უზამდნენ, არა ეშავრებოდა რა... ისე კი რეზო ურჩევდა: ნუ ჩაეჩრები ამ პროცესებში, ნუ იაქტიურებო...

თამაზ წივწივაძეს ერთ ხაზზე ჰქონდა დაყენებული ყველა ინსტინქტი... მხოლოდ იგი. მწერალთა კავშირი ვარ მე, უნდა ვიყო (ეს მიზანი გახლდათ) მე... ეს კი სჯეროდა, მაგრამ გაცნობიერებით ვერ გაეცნობიერებინა...

ერთ ნოველას შემატებდა „გამოზოგილს" რეზო — „ჯეკი".

უნდა გადაეთეთრებინა მოხსენებაც. უგემურ პროცესად ეჩვენებოდა. გათამაშებული ლატარიის ბილეთივით ედებოდა წინ ხელნაწერი. წინასწარ ჩაენიშნა, რითი დაიწყებდა და რითი დაამთავრებდა!..

2 ნოემბერს უკან რომ გახედავდა ოქტომბრის თვეს, აღმოჩნდებოდა, რომ: მშრალად ჩაეტარებინა... არ დაელია, თუმც საშუალება კი ექნებოდა.

მოხსენების დაბეჭდვას გადადებდა მომავალი პარასკევისათვის და... დაფიქრდებოდა: საერთოდ რამდენი პარასკევი აქვს დარჩენილი ადამიანსო?

თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბება რამდენიმე ფაქტორს განეპირობებინა. მათ შორის ერთი ის, რომ: არ ეცოდინებოდა, რამდენი „პარასკევი" დარჩენოდა...

ადამიანი — ოფიციალური, ზოოლოგიის, მონაცემით — ცხოვრობდა 90 წელი, როგორც ყვავი და როგორც ნიანგი. სავალდებულო არ გახლდათ, მოსულიყავი იქამდე, ან ვერ გადაგეცილებინა. 90 წელს მიღწეული 100 წელს ნატრობდა, 100-სა — უფრო მეტს... არამარტო ნატრობდა, არამედ იმედოვნებდა კიდეც. პრეცედენტები რეალურს სცილდებოდნენ, 100-სა და 120-ზე მეტსაც. ამნაირებს ტრიგლოდოტებს უწოდებდა რეზო, ჯონათან სვიფტი „უკვდავებად" რომ მოიხსენიებდა.

კაცს რომ სცოდნოდა, თუნდ მიახლოებითაც, თავისი გარდაცვალების დღე, ბევრი კანონი ბუნებისა დაკარგავდა ძალას, სხვა ცხოვრება ან ქაოსი დადგებოდა მწყობრში (ეს ეწერებოდა კიდეც ერთგან), ამიტომაც იქნებოდა ალოგიკური „ხნიერობა" ტრიგლოდოტისა. ყველაფერი „დაანგარიშებულ-დათვლილი" გახლდათ. 90 წელი მაინც ეცოტავებოდა. მიგვემატებინა, ჩვენი ნება არ იყო?.. ვინ დაგვიშლიდა?..

„და ასე შემდეგ..." — ამგვარად დაესათაურებინა თორნიკე ერისთავს თავისი ლექსების პატარა კრებული, სამახსოვრო წარწერას კი ასე დაამთავრებდა: თქვენი უმრწემესი ტყის მეგობარიო...

გაისად, 29001 წლის იანვრის მეორე კვირასაც მოუწევდათ ტყეში პურისჭამა. ამინდი ხელს შეუწყობდათ, ღვინოც და ეიმედებოდა, რომ არც დაიკარგებოდნენ ტყეში...

5 ნოემბერს ბოლომდე გადაათვალიერებდა — ყრილობის მოხსენების წერისას რასაც მოასწრებდა — „ქართულ სახელმწიფოს აღმაშენებლის დროისათვის" და... მოშლიდა ეს წიგნი... ღირდა ცალკე ამაზე — საგაზეთოდან ამოიღებდა — გამოსვლა... თუმც არა სურდა ჩაეთრიათ პოლემიკაში წივწივაძესავით. სად იყო მაგის დრო!.. „ჯეკს" კი რომ გადაბეჭდავდა, კმაყოფილი დარჩებოდა: კარგიაო!..

7 ნოემბერი ჩამოდგებოდა. რეზოს მოხსენება იბეჭდებოდა და გრძნობდა: ისიც გაუუფასურდებოდა თამაზ წივწივაძის უჭკუობის გამო. სულ რომ

არ მოიტანდა კოკა წყალს, რეზოს კი ეცოდინებოდა, გრძნობდა... კიდევ უფრო გაღარიბდებოდა საახალწლოდ, საიმსაუკუნედ...

წერდა. დროც ჰქონდა, ძალაც.

„რად გინდა, ვინ რას გაძლევს, ვინ რას გიხდის...“

ეს რვეული აქ მთავრდებოდა, მომდევნოს დაეწერებოდა: დღიური XXVIII. და ეს იქნებოდა ყველაზე სავსე (გრძელი) რომაული (6) რიცხვი. გაისიდან დაიწყებდა კლებას, გაექვსდებოდა 2005 წელს, განმეორდებოდა 2009-ში და... გასრულდებოდა სარვეულეთიც.

პატარა სქემასაც შეადგენდა საილუსტრაციოდ 2000-დან 2009-ს ჩათვლით.

და წამოუტივტივდებოდა „არსენას“ ლექსის“ ის დრამატული სტრიქონები:

წუხელი სიზმარი ვნახე, ინით ვიღებავდი წვერსა, თუ ძალით არავინ მომკლა, ნებით გამოვიჭრი ყელსაო...

და მიადევნებდა:

თუ მიველით 9-მდე (2009-ს იგულისხმებდა), ეგრე იქნებაო.

შალვა დადიანთან ამოეკითხა:

მსახიობს აქვს ტექსტის გასწორების, ჩამატების თუ შეცვლის, უფლება. ერთხელ მსახიობმა კითხვაზე: როგორი მოსავალიაო? — უპასუხა: დალეშტრა, ბატონო, ავდარმა ყოლიფერიო. ისე მომეწონა, ჩემი ხელით ჩავწერე ტექსტში და გამოცემისას შევიტანე ნაბეჭდშიო.

აეკვიატებოდა ეს სიტყვა რეზოს და ჩახედავდა საბას ლექსიკონს:

ლეშტერი — სეტყვის ღვარი.

25 ნოემბრის „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე მისარგალებულიყო რევაზ მიშველაძე. ამის ხელიც ერია ერთ განცხადებაში და მისარგალების საჭიროებას კი ამგვარად განმარტავდა:

ნაძირალას სხვანაირად ვერ დაელაპარაკები. ყველაფერს ჩაყლაპავს, დუჟად მიფურთხებულს ჩამოიწმენდს, ვითომ არაფერი. სირცხვილის გრძნობა, ფიზიოლოგიური, საერთოდ არ გააჩნია. ამ მხრივ იგი შესასწავლია, კლინიკური გამოკვლევა არც ეყოფაო.

წიგნს რომ შეიძენდა დიქტატორებზე — ნაპოლეონი, ჰიტლერი, სტალინი — ავსტრიელი ებრაელისა, ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ ძალზე მიკერძოებულად წერდა სტალინზე. ეყრდნობოდა ტროცკის, ბაჟანოვს, ძირითადად — ავტორხანოვს, და იმეორებდა მათ ფაქტობრივ შეცდომებსაც.

ისე გაღიზიანდებოდა ავტორის ტენდენციურობით, ესეც კი დაცდებოდა: რამდენიმე ასეთი წიგნი და... სტალინელი გავხდებიო.

და დაინტერესდებოდა: რატომ აერჩია კობა მეტსახელად, პარტიულ სვირინგად?

გადმოიღებდა „მამის მკვლელს“ და გადაიკითხავდა.

„ქართველ ჰომეროსს“ — გრიგოლ ორბელიანისეულ შეფასებას — წინწკლებში რომ ჩასვამდა და კითხვის ნიშანსაც მიადევნებდა, ამასაც არ იკმარებდა და: ალექსანდრე ყაზბეგს ნამეტნავად სუსტ მწერლად მოიხსენიებდა,

„მამის მკვლელს“ კი — უნამეტნავესად სუსტ თხზულებად. კობასაც უსახურ პერსონაჟად. და ვერ ახსნიდა, რა შეიძლება მოსწონებოდა ამ ჩვენს კობას იმ კობასი.

თუ მაინცდამაინც:

სახელი თავისთავად მარტივი რომ იყო და მოსახერხებელხმოვნიანი.

მიზეზი აშკარაა რეზოს მიერ ალექსანდრე ყაზბეგის ასეთი ათვალწუნებისა:

მძაფრი ეროვნული სულისკვეთება და ანტირუსული პათოსი.

კვლავდაკვლავ ჩაუკვირდებოდა, ეს პერსონაჟი რითი იქცევდა ყურადღებას. რაღაც-რაღაცებით. და მაინც რომელი შეიძლება ყოფილიყო ამ „რაღაც-რაღაცებიდან“ იოსებ ჯუღაშვილისათვის მთავარი? ყველა იხოცებოდა და კობა, რაღაც მანქანებით, ცოცხალი რჩებოდა.

ეს იყო მთავარი ვითომ?!

შესაძლებლად მიიჩნევდა რეზო.

ეს ნიშნავდა, რომ: უნდა გებრძოლა სამართლიანობისათვის (ბავშვური რომანტიკაო, — ჩაურთავდა), უნდა მოგეკლა, გაგენადგურებინა, მოგეპოვებინა სახელი და ცოცხალიც უნდა გადარჩენილიყავი. აბა ისე რა აზრი ჰქონდა ბრძოლას!..

დატკბი შენი ნამოქმედარითო, — ეკლესიასტეც ხომ ამას შეგვაგონებდა.

„სხვა ისეთი არაფერი!..“

27 ნოემბერს აღმოაჩენდა, რომ რიონი ღელეს დამსგავსებოდა. თითქოს ახსოვდა ამნაირი სახისა ეს მდინარე ზამთარში, დეკემბერ-იანვარში, და არც ახსოვდა. ასეთი დამშრალი? წარმოუდგენელი ეჩვენებოდა. წყალი წასულიყო რიონჰესისაკენ? ადრეც ხომ იქით მიდიოდა.

ქუთაისში ღელედ გადაქცეულიყო.

დაღუპვის პირას მისულიყო ქალაქი.

საქართველოც, მაგრამ ნამეტნავად ქუთაისი.

ხალხი გარბოდა, ოჯახები გარბოდნენ თურქეთში, საბერძნეთში, რუსეთში — თავისთავად. რუსეთი სავიზო რეჟიმს აცხადებდა — თითქოს წავლეკავდით!..

რესტორანში მოხვდებოდა და დამკვრელებზე იკითხავდა: ვინ არიანო? არ ეცოდინებოდათ, რადგან ყველა ქუთაისელი მუსიკოსი, დამკვრელი გაქცეულიყო. ცისფერყანწელები ქუთაისს „მკვდარ ბრიუგეს“ რომ უწოდებდნენ, კიდეც მიატოვებდნენ. ბრიუგე კი, მკვდარი იყო თუ ცოცხალი, მაინც დარჩებოდა. ახლა დამკვრელი და მოქეიფე აღარ მოიპოვებოდა ქალაქში.

„ეს საშინელებაა. ამას იქით აღარაფერია...“

პოეტები წავიდოდნენ 20-იან წლებში, კომუნისტები, კომკავშირლები დარჩებოდნენ, რიონჰესის მშენებლები გააქტიურდებოდნენ. თეატრი გაჩნდებოდა მარჯანიშვილისეული. ოლქი ჩამოყალიბდებოდა. შემდეგ „განთიადი“, ეროვნული მოძრაობა, ლენინის ძეგლების ჩამომხობა... რეს-ტორ-ნე-ბი... და რაღაც... ქალაქი სუნთქავდა, მოძრაობდა.

ახლა რაღა დარჩენილიყო? რეზოს მწარე განცდით: აღარაფერი.

მხოლოდღა შაშიაშვილის ლაილაი. და ნეოლოგიზმად დაატრიალებდა: მაშლაილაიო. სხვა აღარაფერი.

„დაღუპვის კარზე ვართ!"

29 ნოემბერს გაიმართებოდა პირველი გამგეობა ახალდამთავრებული (რაღა ახალიო, ჩაურთავდა) ყრილობისა. მწერალთა კავშირი გადაბერებულიყო — და არამარტო ფიზიკურად.

ვინსენტ ვან გოგის წერილები ეთარგმნა ლამარა კიკილაშვილს და წიგნიც გვარიანად გამოეცა. და ამ უბედური მხატვრის ბარათებს რომ კითხულობდა, იფიქრებდა ხელოვანის ბედსა თუ უბედობაზე, ძიებების ურთიერთდამოკიდებულებაზე, მხატვრობაზე.

ეს დარგი ხელოვნებისა, ადრე — უპირველესი, თითქოს უკანა ხაზზე გადასულიყო. თანამედროვეობას ადრინდელი ხიბლი დაეკარგა მისთვის. რა ფაქტორებს მოეხდინა უარყოფითი ზეგავლენა და რატომ, რეზოს დაკვირვებისა და განსჯის საგნად ესახებოდა.

ერთი ისიც იყო, რომ: უტილიტარული მნიშვნელობა დაეკარგა ნახატს. სამშვენისად, ექსპონატად, ფულადი ღირებულების გამომხატველ საგნად, ინტერიერის დეკორად ქცეულიყო. ფოტოგრაფიის როლსაც ასრულებდა მხატვრობა, იქმნებოდა პორტრეტები, ბატალური თუ ჟანრული სცენებიც, რომლებიც ისტორიას რჩებოდა. ნახატი ფუფუნების საგანი გახლდათ და ჩვენ რეპროდუქციებსაც, ალბომებსაც, ვჯერდებოდით, თუმც არც ამაზე მიგვიწვდებოდა ხელი.

კვლავ სიღარიბეზე რომ ექნებოდათ ლაპარაკი, მართლაც რა გვეღონა, როგორ გვეარსება, ღარიბი ქვეყანა გვქონდა, უღარიბესი; მცირეენოვანი ერი ვიყავით და არ გვესაჭიროებოდა ამდენი მწერალი, ამდენი ჟურნალ-გაზეთი, ამდენი „განათლებული". სახელი და ფული გვინდოდა, შრომა — არა. ჯერ კიდევ ბურანში ვიმყოფებოდით.

სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძებაო, — ილია რომ მოთქვამდა, რეზოს ის ძილი უჯობდა ამჟამინდელ შფოთს... გლეხი ხომ გლეხობდა მაინც...

3 დეკემბერს დაიჩივლებდა, რომ:

ამდენი საქმე ეყრებოდა თავზე და ვერაფერს აკეთებდა.

ვერცერთს ვერ ჰკიდებდა ხელს. საქმე სამსახურის, საკანცელარიო, პუბლიცისტური და მხატვრული ერთიმეორისაგან არ გამომდინარეობდა და ერთმანეთს ამიტომაც ვერ აბამდა, ვერ აკავშირებდა.

ამიტომაც დადგებოდა, როგორც სჩვეოდა — ხანდისხან რომ გაოჩნდებოდა ხოლმე.

5 დეკემბერს გადაწყვეტდა: აღედგინა გაწყვეტილი ურთიერთიერთობა რუსეთთან ლიტფონდის საშუალებით...

„გვთავაზობდნენ თანამშრომლობას, ყურადღებას არ ვაქცევდით..."

ელგუჯა მაღრაძე მოოინდომებდა და... დაუშლიდნენ. თამაზ წივწივაძეს ეს საქმე არ აინტერესებდა. გურამ ბენაშვილს არც ეცოდინებოდა, ახალგამდივნებულს. ლიტფონდი კიდევ არსებობსო? — იკითხავდა.

„თუ არ არსებობს, გაიგებს“.

მოაწერდა რეზო ხელს ხელშეკრულებას და გაუგზავნიდა კიდეც ხვალზეგ... წინასწარ დაუკავშირდებოდნენ და აცნობებდნენ: ასე გადაწყვიტა ჩვენი ლიტფონდის თავმჯდომარემო... იმათ გახარებოდათ. ამასაც აცნობებდნენ: გესტუმრებითო.

იმედს ეჭიდებოდა რეზო:

იქნებ რაღაც წამოგვიგდონ, სხვა საშველი აღარააო.

ბოლობოლო მწერალთა კავშირი დაიშლებოდა და დარჩებოდა — უნდა დარჩენილიყო — ლიტფონდი. მარჯვე კაცი ესაჭიროებოდა ამ საქმისათვის და ჩაერთო იქნებ ვინმე — იქაური ქართველი, მოსკოველი. გადაწყვეტილება რეზოსი გახლდათ და შედეგის გამოჩენისაც ეიმედებოდა.

ეს დღე მაინც დასამახსოვრებელი იქნებოდა — მისთვის მაინც!..

6 დეკემბერს რადიოში ჩაწერდა სიტყვას. იტყოდა მწარეზე მწარეს. გადასცემდნენ თუ არა მთლიანად, არ იცოდა, არ იყო დარწმუნებული.

ედუარდ შევარდნაძის განცხადებას უსმენდა. საგანგებო ღონისძიების დადგენილება მიეღოთ (პანკისის ხეობა იგულისხმებოდა), შეთანხმებოდნენ რუსებს ერთობლივი ღონისძიების ჩატარებაზე ამ ხეობაში. კონსტიტუციურ ცვლილებასაც აპირებდნენ, რათა სავიზო რეჟიმი გაებათილებინათ (არა — გაებითურებინათ, — როგორც ირონიულად ჩაურთავდა რეზო). ორმაგი მოქალაქეობის დამკვიდრებას აპირებდნენ — რუსეთის მოქალაქეებიც იქნებოდნენ და საქართველოსიც...

ასე ხომ ვიყავითო, — ირონია და გაოგნება ერთმანეთს შეერეოდა რეზოს განცდასა და დასკვნაში.

— კარგი პოეტია ლელა სამნიაშვილი, — გამგეობაზე აღნიშნავდნენ 13 დეკემბერს. რა ხნისა იყო, ისიც არ ეცოდინებოდათ და რეზო ამასღა ჩაინიშნავდა: ახალგაზრდა პირობითი ცნებაა ამ შემთხვევაშიო.

გორელობა კი ეცოდინებოდათ მისი, და აი რეზო „ქართლს“ რომ გადაშლიდა, ამ ქალაქის გაზეთს და ჯემალ ინჯიას ლექსებს წაიკითხავდა, ერთი ისე მოეწონებოდა, დღიურში გადმოიწერდა:

ვიდრე თვალები შეაშრება მწვანე აკვარელს, — თვლიდეს ადამი დღისით ვაშლებს, ღამით — ვარსკვლავებს... და უცაბედად მოგინდება სურვილით მწველით, ედემში იყოს ორი პოეტი: ევა და გველიო.

„კვირის პალიტრის“ ბოლო, 11 დეკემბრის ნომერში წაიკითხავდა: ადამ და ევა ნაღდად ჩვენი წინაპრები იყვნენო, — და თავის მხრივ დაურთავდა: თითქოს აქამდეც არ მეპარებოდა ეჭვიო. გენეტიკური გამოკვლევის შედეგად: ევროპელთა 95 პროცენტი შთამომავალი ყოფილა „ათი წინაპარი მამის“, რომლებიც კონტინენტზე (რომელ კონტინენტზე — ევროპაშიო? — ჩაურთავდა რეზო) ორი მილიონი წლის წინათ დასახლებულიყვნენ...

გადმოებეჭდათ „კომსომოლსკაია პრავდიდან“, თვით „კომსომოლკას“ საიდან გადმოებეჭდა, არ ეწერებოდა... გადმობეჭდილი მასალებისა და კროსვორდების გამო ყიდულობდა ამ გაზეთს...

რაღაც თანხას დაუმტკიცებდნენ დამადლებით შევარდნაძის (წივწივაძის ძმაკაციაო, — ჩაურთავდა და კითხვა-ძახილით შეამკობდა ამ სიტყვათშეთანხმებას) წყალობით.

21 დეკემბერს მუხრან მაჭავარიანის სტრიქონს რომ გაიხსენებდა: ხომ უნდა შეიქციო თავი რაიმეთიო, — მიადევნებდა, რომ: მუხრანი კაიხანია იქცევდა თავს და იბითურებდა. ჯერ ხმა არ ამოეღო პარლამენტში და... რეზოს ეჭვიც არ ეპარებოდა: არც ამოიღებდა... და გაღიზიანებას დღიურს მიანდობდა:

არ გინდა გაძლო ბოლომდე? რამდენი წელი დარჩა?.. მდუმარე დეპუტატი. აწი თუ დაიყროყინებს, თვარა სხვანაირად ყურადღებას ვერ მიიპყრობს... იგი მიივიწყეს კიდეც, როგორც პოეტი. რა ხეირს დააყრიდა უნიჭო ზვიადისტებთან თანამშრომლობა. რაღაც-რაღაცებს ხეირობს მატერიალურს, მაგრამ მთავარს კარგავს. ასეც უნდა მომხდარიყო, — იმთავითვე იყო ცნობილიო...

21 დეკემბერს თამილა მაკარიძეს დაუწერდა პატარა შესავალ წერილს წიგნისათვის „ფსიქიატრის ჩანაწერები". უპასუხისმგებლოდ არაფრის გაკეთება რომ არ შეეძლო, ღამესაც გაუთევდა სამგვერდიან მასალას. დილით გაასწორებდა, გადაბეჭდავდა და გადასცემდა.

„ვინაა შემდეგი!"

მეორე დღეს თამაზ წივწივაძეს ეტყოდა:

— მგონი შევარდნაძის დღეები დათვლილია.

ეგონებოდა: იხუებსო. მაგრამ ის დაეთანხმებოდასავით.

ამ წელს გადააგორებდა — განა რაღა დარჩენილიყო! — მაგრამ შემდგომს, 2001-ს, ვერ გაიტანდა ბოლომდე, რეზოს ვარაუდით...

ქაოსში მივდივართო, 27 დეკემბერს კვლავ გულდამდუღრული იქნებოდა, ეს ლაყე შევარდნაძე დაგვღუპავსო!..

რეზოს რადიოში განეცხადებინა:

— სხვას გადააბაროს ხელისუფლება, თვითონ კონსტიტუციური მონარქის ტვირთი „აიკიდოს".

რადიოს ვინ უსმენდა. არა, უსმენდნენ, მაგრამ „ესენი" არა!..

დაემშვიდებინა შევარდნაძეს თამაზ წივწივაძე:

— გაზაფხულზე ყოფას ვუტირებ მაგათ.

ექადნებოდა იმათ, სკამს ვინც ეცილებოდნენ: ჟვანია-სააკაშვილებს... და არა საქართველოს მტრებს, კომუნისტებს თუნდაც...

XXI საუკუნეც მოვიდოდა... და აფორიზმების გუნებაზე დადგებოდა რეზო:

დრო დროზე მოდის და დროზე ადრე გვშორდებაო...

მოდიოდა ახალი საუკუნე და ახალი ათასწლეული, ჩვენი „თავისუფლების" — დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან — ათიც, ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობის მეორე ათწლეულის, მეორედმობრუნების ათწლეულიც — უნაყოფობისა და უმოქმედობისა — გასრულდებოდა მალე.

30 დეკემბერს შინ შემოსულს სიურპრიზი დახვდებოდა:

ზურაბ ჟვანიას საახალწლო საჩუქარი — ღვინო, კონიაკი და რაღაც... საჩუქარი კი არა, ნობათი და მოკითხვის ბარათი.

ჟვანია ჟვანიაა მაინცო, — გაიფიქრებდა, — არც მეტია, არც ნაკლები ჟვანიაზეო...

და მოისმოდა ბოლეროს მუსიკა ზალიდან.

რაღა აკლდა ახალი წლის, ახალი ასწლეულისა და ახალი ათასწლეულის შემობრძანებას...

დრო დროზე მოდიოდა...

და დროზე ადრეც გეშორდებოდა დრო...

კარი მეათე

თავი პირველი

2001 წელი

ესეც ახალი წელი, ახალი ასწლეულიც და ახალი ათასწლეულიც.

დროზე მოსული დრო, დროზე განშორებისთვისაც უკვე რომ ემზადებოდა.

4 იანვარს ადრე დაეძინებოდა, გაელვიძებოდა შუაღამისას, აანთებდა ლამფას — ჩვენი დროის ლამპარს — და წაიკითხავდა გრიგოლ რჩეულიშვილის „ანუკა ბატონიშვილს", ნაძრახ ისტორიულ მოთხრობას. ირონიულად მოიხსენიებდნენ პრესით, ლიტერატურის ისტორიითა და ზეპირადაც რეზოს პროფესორები უნივერსიტეტში. ესეც თავს არიდებდა მის წაკითხვას, დაიწყებდა და მიაგდებდა ხოლმე. თურმე სულ ტყუილუბრალოდ. დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას ტოვებდა — თეთრი შინდის ყვავილიც, რითაც იწყებოდა, არ გათამაშდებოდა ბოლომდე, მაგრამ მაინც საინტერესოდ მოეჩვენებოდა და მკაცრად განაცხადებდა:

ქართული ისტორიული რომანი ამის შემდეგ ცრუპატრიოტული ჟანრის მიხედვით — ვასილ ბარნოვი, კონსტანტინე გამსახურდია, ლევან გოთუა და სხვაც — განვითარდაო.

და „ანუკა ბატონიშვილს" კი ასე შეაფასებდა:

— ეს კინოა.

და უკვირდა და ვერც ირონიას ფარავდა:

სად ეძებენ რეჟისორები ისტორიულ თემებს — გამსახურდიაში თუ რობაქიძის გამოგონილ მითოსშიო?

აგერ აქ არ იყო?!.

და დაიქადნიდა:

ისეთ სცენარს გავაკეთებ — თეთრი შინდისას თუ შინდის ყვავილისას — თქვენგან მოწონებულიო!..

თეთრი შინდი...

არსებობდა კი?

შესამოწმებლად ჩახედავდა და... ასეთს ვერას მიაგნებდა. შინდანლა კი თეთრყვავილოვანი აღმოჩნდებოდა. ბუჩქი — ხედ იზრდებოდა კიდეც...

პოსტსკრიპტუმად მიადევნებდა, რომ:

მხოლოდ ნიკო ლორთქიფანიძეს აეღო ალღო ნამდვილი ისტორიულისათვის, მაგრამ ბოლომდე ვერ გაექაჩა. გზამკვლევრად აკაკი წერეთელი ეყოლებოდა. და გადაწყვეტდა რეზო: ამის შესახებ სხვა დროს უფრო საფუძვლიანად ემსჯელა...

რაც ნიკო ლორთქიფანიძეს ვერ „გაექაჩა“ და ალღოს აღება ეკმარა, თვითონ ეპირებოდა რეზო ჭეიშვილი ისტორიული თემის შესაფერის „გაქაჩვას“, ეპირებოდა ამდენი წელი... ეპირებოდა და ეპირებოდა...

10 იანვარს სამსახურში სანერვიულო შეხვდებოდა. დაკავშირებოდნენ თუ არა საერთაშორისო ლიტფონდს? ეს ორგანიზაცია მოსკოვში ყოფილიყო განთავსებული და... მტრის ბუნაგში რა გვინდაო, — ხელებს გაატაცანებდნენ, პატრიოტობაზე ვინც დებდნენ თავს. არადა რეზო სულაც არა წუნობდა კავშირს იმ ორგანიზაციასთან, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ლიტსაქონლის, ლიტსიმდიდრის მემკვიდრედ აცხადებდა თავს და წილს გვპირდებოდა...

ჯანსულ ჩარკვიანს ცოტას წაჰკრავდა დღიურში, მაგრამ დასძენდა:

მაინც ჩვენია, სხვას ნაღდად ვერ ვანაცვალებო...

თამაზ წივწივაძე რომ იყო ედუარდ ჩამფარცხველთან... ამ ვიზიტზე რეზოს სხვა რა ეთქვა: იყო და არა იყო რაო...

მწერალთა კავშირს დღედაღამ რომ თათხავდა ორი სატელევიზიო არხი, 26 იანვრის „ლიტერატურულ საქართველოში“ რეზოს წერილი უნდა გამოქვეყნებულიყო და ეიმედებოდა: გასაგები გახდება ბევრი რამო... საერთოდ კი არეულ-აჭრილიყო ქვეყანა. უმრავლესობა შევარდნაძის წინააღმდეგი გახლდათ და შევარდნაძეს არ შეეძლო, ან არც სურდა უმცირესობის დაცვა... მწერალთა კავშირის დარბევაც ამ დაპირისპირების ერთ-ერთ რგოლად ესახებოდა რეზოს.

მიდიოდა ასე ტაატით ცხოვრება. ბიძგების გარეშე. ბიძგი არ იყო: ბიძგ-ბიძგი და ნახტომი... მოულოდნელად ამოტრიალდებოდა ხოლმე მოვლენა, შემდეგ შფოთი, შენელება, სიწყნარე, ისევ იგივე ბიძგი, ნახტომი და ცვალებადობა.

არ უნდა გამეცა პასუხი ათასი ნაძირალასთვისო, — ენანებოდა ფუჭად დაკარგული დრო. ეს ძველბიჭური გაგება გახლდათ, ჟურნალისტური სულ სხვაგვარად ესახებოდა, ოღონდ ნამდვილი ჟურნალისტური, თორემ ამ სფეროში ამჟამად უსინდისობა და უსირცხვილობა გაბატონებულიყო.

მოწყვეტოდა ძირითადს. ჩამოცილებოდა იმას, რაც მთავარი გახლდათ მისთვის: „მოზოგილი“ („დაზოგილს“ ახლა ასე ამჯობინებდა) დაეწყო ქვეშხეთში, აგვისტოს გაუსაძლის ხვატში, და შეეწყვიტა აქ — სამსახურებრივ და საზოგადოებრივ საქმეთა გამო. ერთს მორჩებოდა და მეორე გამოეჩხირებოდა.

დარჩებოდა „მწვანეყვავილა“. ფული, ნაწილი, გადმოერიცხათ, და ვალს გასტუმრება უნდოდა. წერდა და ვერ გადიოდა ბოლოში. წერდა რას? „მწვანეყვავილას“ — ჟურნალს.

ამის შემდეგ:

პოლიტიკური მიმოხილვა — რადიოში გამოსვლის მიხედვით... და მისი საქმე.

გეგმა თუ პროგრამა ნათელი გახლდათ და მარტივი.

დიდად არეულიყო და კიდევ მეტად აირეოდა ქვეყანა.

მთავრდებოდა ეს დღეც — 27 იანვარი. დენი არ იყო და თბილის-ქალაქი ბნელში ჩაყურყუმალებულიყო. სციოდა, შიოდა კიდეც ბევრს. და შიმშილით რომ არავინ კვდებოდა, ეს კი ძალიან აკვირვებდა რეზოს. უშუქობა, უელექტრონუტელევიზორობა ფსიქიკაზე ახდენდა ძალიან ზეგავლენას. გახშირდებოდა — აბა რა იქნებოდა — თვითმკვლელობები.

უტევდნენ მწერალთა კავშირს, ლანძღავდნენ, მიწასთან ასწორებდნენ თამაზ წივნივაძეს. მოხდებოდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, რასაც ელოდა რეზო. როგორ იქნებოდა შემდგომი მოვლენები, აღარ იცოდა. უნდა გადამდგარიყო ალბათ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან და გაზეთი მაინც შეენარჩუნებინა, „ლიტერატურული საქართველო“... გადაიტანდა კი ამდენ ნერვიულობას?..

„რა პოზიციას დაიკავებენ ოთხშაბათს გარეჩვენიანები. ვნახავთ!“

უკვე უტევდნენ რეზოსაც, თუმც მიშველებას არ ითხოვდა. ერთ გაზეთში ჰაჯი-უსუბს შეადარებდნენ — ალბათ ცუდი ხალხის, ადამიანების, ადამიანის აღზრდისათვის. მოუტანდნენ „დილის გაზეთს“. იზა ორჯონიკიძე ღია წერილს უგზავნიდა და სხვის საქციელზე ამას სთხოვდა პასუხს. რეზო არ წაიკითხავდა. სეირი ვისაც უნდოდა, აქეზებდა საპასუხოდ, მაგრამ რეზო არ აჰყვებოდათ.

„ლიტერატურულ საქართველოში“ რეზოს წერილი უნდა გამოქვეყნებულიყო ისევ იმავ, მტკივნეულ საკითხზე, მოვლენასა და 24 იანვრის შემთხვევაზე... გამოჩნდებოდა, როგორ გაიგებდნენ... რომ კითხულობდნენ, უკვე იცოდა... მიჰქონდ-მოჰქონდათ გაზეთები: ეს წერიაო, ისაა მოთხრილიო... უფასო ფოსტალიონების ნაკლებობა არ იგრძნობოდა და რეზოს ეს კიდეც მოსწონდა, უადვილდებოდა მოვლენებისათვის თვალის მიდევნება. ხვალ ქუთაისისაკენ ეპირებოდა და ერთი კვირით მოისვენებდა. შოთა ჩანტლაძეზე ესეისაც მოამთავრებდა.

17 თებერვლისათვის კიდეც დაამთავრებდა, „სქოლიოდ“ დაასათაურებდა და აქედან რომ გახედავდა, კარგა დიდი დრო მოენდომებინა მისი დაწერისათვის... წყვეტილ-წყვეტილ თუ იცლიდა... ამაღამვე აპირებდა დაწყებას მოგონებისა სერგო ზაქარიაძეზე... რჩებოდა გიორგი ლეონიძე (მოასწრებდა?), ვარლამი, იურა არაბიძე... წვრილ-წვრილს არც მიათვლიდა...

გაზაფხული მოდიოდა. ნარწერები ჩნდებოდა ან აჩნდებოდა ხეებს, ქალაქში გარაჟებს რკინისას: მიყვარხარ... იმას პლუს ის... და უეცრად ცარცით, დიდი და მრგვალი ასოებით:

მიყვარხარ, გაგრავ!

შეძრავდა ეს წარწერა რეზოს.

100 ლექსი არაფერი იყო, ანდა დღევანდელი „ლიტერატურული საქართველო“... ფუყეს ემატებოდა ფუყე და მაინც ფუყე რჩებოდა...

და ეს წარწერა კი:

მიყვარხარ, გაგრავ!

14-15 წლის ბიჭის, შესაძლოა გოგონას ხელით... ამხელა გულისწყვეტის გამომხატველი...

20 თებერვალს ზურაბ ჟვანიას ეახლებოდა. სამ-ოთხ კორდონს გაივლიდა და გაატარებდნენ — შესამოწმებელ აპარატში — და პარლამენტის თავმჯდომარე გადაღლილ-გადაიქითყურადღებული დახვდებოდა... ხელისუფლების უზურპაციისა და თავის გადარჩენის — რა როგორ შეტრიალდებოდა — ვარიანტები უტრიალებდა თავში...

შეხვდებოდა ნამეტანი კარგად. ილაპარაკებდნენ. რეზო უფრო იქნებოდა ინფორმირებული მის სისტემაში, ვიდრე იგი — რეზოს სისტემაში, თუმცაღა რაც მას შეეხებოდა და ეხებოდა (თამაზ წივწივაძისაგან), არ ეშლებოდა. შესთავაზებდა რეზოს:

— გადააყენეთ როგორმე და შენ დადექი.

აღარ ეტყოდა რეზო, მიანიშნებდა კი:

— ასევე მოიქეცი შენც, გადააყენე შევარდნაძე და დადექი.

შევარდნაძე ვერ იყო კარგად და აირეოდა ეს დალაგებული — თან ჩაიცინებდა ამ სიტყვაზე რეზო — ქვეყანა. ნეტა თუ აგვშორდებოდა ქაოსი?!.

— რუსეთში ახლა მოდური ივან ბუნინია, — ეტყოდა მურმან ჯგუბურია და რეზო გაიფიქრებდა: ალბათ გარკვეულ წრეებში, საერთოდ თუ არაო...

დიდი ბუნინისტი არასოდეს ყოფილიყო, მაგრამ ხომ წაეკითხა და კითხულობდა ალაგ-ალაგ და შიგადაშიგ ახლაც. გადმოიღებდა ამ დღეებშიც და ძილისპირულად გადაიკითხავდა, ზოგიერთ ადგილს მიუბრუნდებოდა კიდეც — ბოლო გამოცემის მეექვსე ტომს. საინტერესო აღმოჩნდებოდა ყველა თავი: ტოლსტოი, ჩეხოვი, დღიურები, შალიაპინი და სხვა და სხვა. მოეწონებოდა, თუმც ვერავითარ გამონათებას ვერ იგრძნობდა. მხოლოდღა სიცივეს. ტალანტს ვერ შეამჩნევდა... ნობელის პრემია ემიგრანტობისათვის უფრო მიეცათ — ბოლოსდაბოლოს მას უარეს მწერლებსაც ანიჭებდნენ — ვიდრე ლიტერატურისათვის...

არადა რუსებს რამდენი საინტერესო მწერალი ჰყავდათ, თუნდ ანდრეი პლატონოვი, მამინ სიბირიაკი. მისი „უგრიუმ მდინარე" (თუ არ მეშლებაო, თავს დაიზღვევდა, არადა უნებლიეთ აერეოდა ვიაჩესლავ შიშკოვში) ქართულად წაეკითხა დიდი ხნის წინათ სოფელში. ბევრი არაფერი, თუმც მთავარი ახსოვდა: რუსეთი, მდინარე, ძლიერი კლასი ვაჭრებისა, მდინარის სუნთქვა.

ტოლსტოი უცნაურ პიროვნებად წარმოუდგებოდა, ისეთ ვილაცას დაასახელებდა, თუნდ კარატაევს „დასვამდა" მწერლად, გაოცდებოდი. ახლა ვილას აინტერესებდა კარატაევი და მისთანები.

ლეონიდ ანდრეევის ერთი მოთხრობა წაეკითხა, მგონი „ქურდი"... დაიწყებდა და ვეღარ მოშორდებოდა. ოსტატად წარმოუდგებოდა. ვერ იტყოდა: კარგად ვიცნობო... კიდევ ალექსანდრ ოსტროვსკი, დრამატურგი... სხვებზე აღარაფერს იტყოდა...

27 თებერვალს ოპერის თეატრში ჭაბუა ამირეჯიბს გადაუხდიდნენ საღამოს: ჭაბუა — 80, თუმცაღა ჯერ მგონი არც გამხდარიყო ამ ხნისა, რამდენიმე თვე აკლდა. კულტურის ფონდი გამართავდა ამ ღონისძიებას, რომელიც ტრაგიკულად დასრულდებოდა.

დაიწყებოდა ჩვეულებრივად ანუ: ღრმად პროვინციულად. გამოვიდოდა ოთარ მელვინეთუხუცესი დათა თუთაშხიას ტანსაცმლითა და გაცვეთილი სიტყვებით. შემდეგ ჯემალ ჭკუასელის დაჩონჩილი ანსამბლი „ერისიონი" ერთი სიმღერითა და ერთი ცეკვით. წამყვანი კოტე მახარაძე გამოაცხადებდა:

— თვითეული გამომსვლელი ყველა პრემიის ლაურეატია და საჭირო არ იქნება აღნიშვნა.

და წარადგენდა რევაზ თვარაძეს, რომელიც... არცერთი პრემიის ლაურეატი არ გახლდათ. ყველას გასაოცებლად მოკლე სიტყვას იტყოდა. შემდეგ გამოვიდოდა ჯანსუღ ღვინჯილია მგზნებარე სიტყვითა და დახასიათებით, ფანტასტიკური (ჩვენ ხომ არაფრის ზომა არ ვიცითო, — ჩაურთავდა რეზო) შედარებებით... სათქმელს იტყოდა და ვერ დაამთავრებდა, ცუდად გახდებოდა, ჩაუვარდებოდა ხმა, მარცხენა ხელს შუბლთან მიიტანდა, თითქოს სათვალეს (არ ატარებდა) ისწორებდა, მარჯვენათი მიკროფონს ჩაებღაუჭებოდა, წაიქცეოდა თავდაღმა და მოკვდებოდა. ცოლის კივილი, ხალხის შეშფოთება და საქართველოს პრეზიდენტის აორთქლება ერთი იქნებოდა. საპრეზიდენტო სასწრაფოს ექიმები შემოცვივდებოდნენ წუთნახევარში სასუნთქი აპარატით. ყველაფერს იღონებდნენ, მაგრამ მკვდარს ვით გააცოცხლებდნენ. ჩაიშლებოდა საღამო... ცარიელი დარჩებოდა 150 კაცზე გაწყობილი სუფრა „ორიანტში"... დაიკარგებოდა რეზოს მისტიკური სათვალეც, თუმც ამის შესახებ ლაპარაკი არა სურდა, სულერთია არავინ დაიჯერებდა... და თვითონაც არა სჯეროდა...

„სქოლიო (პოეტის სიკვდილი)", შოთა ჩანტლაძის ლიტერატურული პორტრეტი, კარგი გამოვიდოდა და... თავს გამოიდებდა რეზო:

ჩემი დაწერილიაო!..

ცხრა მარტი დადგებოდა. მაშინაც, 45 წლის წინათაც, პარასკევი ყოფილიყო... ედუარდ შევარდნაძე ილაპარაკებდა გულწრფელად, იქითაც იტყოდა, აქეთაც. სტალინსაც მოზომილად აქებდა და აგინებდა. და — რეზოს შეტყობით — მეტი არც მოეთხოვებოდა კაცს, რომელსაც კომკავშირულ-პარტიული გზა გამოევლო.

თავდებოდა მარტიც მარტულად და ცოტა უკეთესადაც, ადრინდელზე უკეთ.

მასალებს აგროვებდა — უფრო კი წერდა — „მწვანეყვავილასათვის"... „სართულნახევრიანი ქუთაისი"... ერთ, არცთუ ისე აუცილებელ, ციტატას ვერ მოიძევდა და დადგებოდა. ხელახლა გადაიკითხავდა ყველაფერს ქუთაისის ისტორიაზე, გაიხსენებდა, რაც ახსოვდა, ამოქექავდა, რაც მოეპოვებოდა — ის ადგილი კი არა ჩანდა და არა... ხოლო დრო მირბოდა... მირბოდა დრო...

1 აპრილს ნამოიწყებდა ლევ ტოლსტოის „ომი და ზავის" — „მშვიდობადაც" თარგმნიდნენ და „ზავადაც" — III-IV ტომებს: პირველ-მეორე ტომებს რომ გადაწერდა, დიდ გმირობად ჩამოართმევდნენ. ეგონებოდათ, ბოლომდეა გადაწერილიო. იმხელა ხელნაწერი გამოვიდოდა რეზოს ხელწერით... დაწვას დაუპირებდა, მაგრამ შეენანებოდა და ზემოთ, მუხათწყაროში აიტანდა.

— უნდა გადავაგდო, — ეტყოდა ლევან მალაზონიას.

— არ ჰქნა, — ის აყვირდებოდა და რეზოც გადაიფიქრებდა.

არადა ვისთვის შეენახა თავისი ეს რუსული კალიგრაფია?! მიმდგარიყო და ბოლომდე გაესრულებინა, განა რა აზრი ჰქონდა?!. ცოტა ამრეზით, კრიტიკულად შეუდგებოდა გადაკითხვას: ისეთი არ უნდა იყოს, როგორც მგონია, როგორც ვფიქრობდიო...

ასე არ ყოფილიყო — ძლიერი აღმოჩნდებოდა!

სამ მომენტს მიაქცევდა ყურადღებას, რაც ახსოვდა და არც ახსოვდა:

პოლონელი ჰუსარები ნაპოლეონის — პატარა კაცის — თვალწინ მდინარეში რომ გადაეშვებოდნენ და ბევრი დაიხრჩობოდა ყოვლად უაზროდ.

მეფე ალექსანდრეს ბისკვიტის ნაჭერი რომ გადაუვარდებოდა აივნიდან, ბრბოს თვალწინ, და შეიქნებოდა ზედახორა „სუვენირის“ ხელში ჩასაგდებად. ამის შემხედვარე იმპერატორი სინით გამოატანინებდა მთელ-მთელ ბისკვიტებს და დიდსულოვნად გადაუყრიდა სათითაოდ აღტაცებულ — ბევრი ტიროდა კიდეც — ქვეშევრდომთ.

და

გლეხების, ყმების „ბუნტი“, რუსულ-გლეხურ-ვირეშმაკული... ფრანგებს ელოდნენ და უღალატებდნენ ბატონს, ხელისუფლებას (მოვიდოდა ეგ დროც, სრულად გამოავლენდნენ თავს მუშ-გლეხები, მხოლოდ ტოლსტოი, მისდა საბედნიეროდ, ვერ მოესწრებოდა ამ დღეს). აჯანყებულებს ორი კაცი, ფაქტობრივად ერთი — ნიკოლაი როსტოვი — მოიყვანდა ჭკუაზე. დააპატიმრებდა მოთავეებს და გლეხები თვითონვე გაკოჭავდნენ თავიანთ ბელადებს...

ეს დასაწყისში. და რეზოს ეიმედებოდა, რომ კიდევ აღმოაჩენდა ამისდაგვარებს... წაკითხული ჰქონდა ქართულად „ომი და მშვიდობა“, ძალიან ადრე, რუსულად — რამდენჯერმეც და კიდევ — ამის შემდეგაც — მოუწევდა, ატყობდა, გადაკითხვა...

ტელეეკრანზე აკაკი ბაქრაძე ჩანდა და რეზო ნაუქიმუნჯებდა:

ლაპარაკობს დალაგებულ-დანყობილად ელემენტარულ ჭეშმარიტებებს — მისი სტილია — და სისულელეებსო...

5 აპრილს ღია ეთერში მოუწევდა გამოსვლა რეზოს და... შევარდნაძის გადადგომას მოითხოვდა. ნეტა აცნობებდნენ პრეზიდენტს რეზოს სიტყვებს? ან — კი და ან — არა. ვალდებულნი იყვნენ, მაგრამ ახლა ვიღა დაგიდევდა ვალდებულებას...

9 აპრილს პრეზიდენტი განაცხადებდა:

წინ კიდევ ოთხი წელი მიდევსო.

და ეცინებოდა და რას ეცინებოდა რეზოს:

მტერი არაა, ოთხი წელი ვერ გაძლოსო!..

14 აპრილს მოიწონებდა მერაბ კოკოჩაშვილის ახალი ფილმის სახელწოდებას: „ნუცას სკოლა“ — თუმც მიიჩნევდა, რომ „გიჟების კოპერატივი“ უფრო შეეფერებოდა შინაარსობლივად და არა სათაურად.

დღევანდელი საქართველო კი ნაღდად საგიჟეთად წარმოუდგებოდა ანუ „გიჟების კოპერატივად“.

ორი დღის თავზე წამოაგონდებოდა, „დალის“ თავდაპირველ სათაურად „მთვარის გარდაცვალება“ რომ განეზრახა.

ამჟამად... საქართველოს გარდაცვალებას ესწრებოდა!..

ეს ხვედრი იყო, როგორც ჩანდა, ამ ქვეყნისა... გარდაცვალება-განახლების მუდმივ პროცესში იმყოფებოდა. სტაბილურად, სხვა ქვეყნების დარად, არც იქცეოდა და არც შენდებოდა, არც ქრებოდა და არც იზრდებოდა, კვდებოდა და ცოცხლდებოდა.

ახლა კვდომის ხანა ედგა... ეს კი ნიშნავდა, რომ: განახლებაც იქნებოდა...

და აღდგომაც ხომ ეგ იყო!..

ედუარდ ჩამფარცხველი თითქოს გამონახავდა თავისი თანამდებობრივი არსებობის გახანგრძლივების გზას... დათანხმდებოდა კონსტიტუციურ ცვლილებაზე, მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბებაზე... დათმობდა ხელისუფლების მართვის რამდენიმე სადავეს... ზურაბ ჟვანიას აქციები აიწევდა მოულოდნელად... 4 საათს თათბირობდნენ თურმე ერთი ერთზე... გამოითქმოდა ვარაუდი: ალბათ ჟვანია გახდება პრემიერ-მინისტრიო... შევარდნაძე ილაპარაკებდა გერმანულ-ფრანგული მმართველობის მოდელზე... პარლამენტის დაშლის უფლებაზეც მიანიშნებდა...

რეზოს შეტყობითაც: დაიწყებოდა ვაჭრობა მასა და ჟვანიას შორის.

თამაზ წივწივაძე ისევ მტრებს, პარლამენტისა თუ ჟვანია-სააკაშვილის სახით, უგერიებდა პრეზიდენტს. და არც რეზოსი და არც სხვისი შეგონება: მომავალი იმათიაო, — არა ჭრიდა. ფეხს წაიმტვრევსო, ვეღარ იტყოდი, რადგანაც ფეხი და ფეხებიც კარგახნის წამტვრეული ჰქონდა...

თავდებოდა აპრილი. ვეღარც კითხულობდა, წერილებს ხომ აღარც წერდა, და რაც უცნაური ეჩვენებოდა, ვეღარც თუ აღარც სვამდა.

ტელევიზორს მტერი შერჩენოდა ბოლომდე... პირველი არხი უნიჭობის, უგემოვნობის აღლუმი იყო...

მიდიოდა ცხოვრება და ნორმალურს, საყველპუროს, ვერ ღირსებოდა რეზო. ქუთაისი, თბილისი, თბილისი, ქუთაისი... მჟავანაძესა და შევარდნაძეს ვეღარ გაცდენოდა.

„ხელმწიფეა? შთამომავლობით ერგო ეს უბედური ქვეყანა ამას?“

შევარდნაძეზე დიდი ლენჩი თუ მტერი — რეზოს დაბეჯითებით — არ გასჩენოდა დედასამშობლოს...

და ეცინებოდა მწარედ:

ასე დალაგებულად რომ ვწერო, ცოტ-ცოტა და გაუწყვეტლად, რამდენ სისულელეს შევძენდი ჩემს თავსო!..

მაისი, ვარდობისთვე, ჩინებულ გუნებაზე დააყენებდა:

კარგი თვეა აქაც, იქაც, ზერე, ქვერეო...

გიორგი ლეონიძის ახალგამოცემულ პოეტურ კრებულს აბულბულებდა. რაღაცას წერდა კიდეც ოფშკვითთან დაკავშირებით, მიებორკებოდა და გადაუდებელს ვეღარ მოეკიდებოდა. მისი ერთი ლექსი გაახსენდებოდა, დღეს რომ ამოიწერდა... ალიტერაცია გამოიწვევდა — მივებორკე:

ამ კიდეზე, ამ წყლისპირად... გზას რომ ზვირთი აკეტვინებს, ბავშვობაში მე დავრბოდი და ვკბილავდი გაკვეთილებსო.

იკითხავდა ახლა იმის ლექსებს, ვერ დაიზეპირებდა — იკითხავდა. ბევრი კარგი და დიდებული ლექსი აღმოჩნდებოდა. გაუმართავ-გაუშალაშინებელს სტრიქონს ვერ უპოვნიდი, და მაინც... ის არ იქნებოდა...

სიტყვები. სიტყვები. სიტყვები — ჰამლეტური შეფასების განმეორებას იკმარებდა, და არ მოსწონდა, გალაკტიონს რომ აჯიბრებდნენ, აწვებოდნენ. იცავდნენ — ოღონდ ვისგან, ვერ ხვდებოდა რეზო — ადიდებდნენ მცირენი. არადა არ ჭირდებოდა გიორგი ლეონიძეს არც დაცვა, არც განდიდება. თუ არ მიუმატებდნენ, არც არაფერს დააკლებდნენ. ბოლოსდაბოლოს დრო განსაზღვრავდა ყოველივეს.

1 ივნისს აღმოაჩენდა, რომ 17 მაისის შემდგომ არაფერი ჩაეწერა. დაღუპულიყო და ეგაა! თავის დაღუპვას კი არა ჩიოდა, მკითხველს რა ეშველებოდა?!.

„არაფერია საინტერესო, მე და ჩემმა ღმერთმა, არაფერი!"

ამბოხებას აპირებდა გვარდია და ვერ მოახერხებდა, ვერ გაბედავდა.

„რის ამმბოხებლები არიან ეგ მათხოვრები!"

ერთ უფროსს, ორთაგან, მიუვარდებოდა ცოლი და კინაღამ უკან წამოაპორწიალებდა — ნორიოდან აქეთ, თბილისისაკენ.

9 ივნისს ოტია იოსელიანის ნათქვამს ჩაინიშნავდა:

— სიბნელეში, ნახევრადსიბნელეში უკეთ ვწერ და ვაზროვნებ.

ცოტ › დენი, ცოტა ჭამა, ცოტა სმა და... ბევრი შრომა! — ესეც ოტიას დევიზი.

მოსწონდა ეს სიტყვები რეზოს — დევიზადაც, ცხოვრების წესადაც...

და ნალენჯიხაც ისევ ისეაო, — წამოაგონდებოდა ტერენტი გრანელის სტრიქონი 26 ივნისს და დასძენდა: ქუთაისიც ისევ ისეაო...

თემურ შაშიაშვილი მიიღებდა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენს.

რეზოს არ უკვირდა ეს პარადოქსი პარადოქსების ქვეყანაში:

ქალაქი სულს ღაფავს მაგის ხელში და... მეტიც ეკუთვნისო...

23 ივლისს მოიფიქრებდა და გადაწყვეტდა „ქოთნის გარდაცვალების" დაწერას. აქვე მოინდომებდა ჩანიშვნას, დღიურშივე, მაგრამ მერე ცალკე ამჯობინებდა. ეს არ იქნებოდა ნოველა ტრადიციული, არც მოდერნულ-მისტიკური, მოეჭამა ჭირი ერთსაც და მეორესაც, არამედ — ჩანაწერი... და მიუერთდებოდა „დაზოგილ ამბებს" ალბათ.

ყოველდღე თითო იმდაგვარ-ამდაგვარი ამბავი რომ დაეწერ-ჩაეწერა, მასალა, ამბავი არ გამოელეოდა. მაგრამ... გამოვიდოდა ბოლოს რამე?!.

— გინდა შენ, ჩემო ძმაო? უნდათ იმგნებს? უნდათ?! უნდათო...

შევარდნაძეს კი არაფერი უშველიდა თავისი დემოკრატიის ბადეში ჩახლართულს, და თუმც იღბალი არ აკლდა, რეზოს ვარაუდით, მაინც ნიკოლაე ჩაუშესკუს ბედი ელოდებოდა!..

მიხეილ სააკაშვილის პროექტი მდიდრების გაღარიბების შესახებ დიდ აჟიოტაჟს გამოიწვევდა ხალხში, პრესა და ტელევიზია ხელს შეუწყობდა ამ აჟიოტაჟს. რეზო ყურს უგდებდა საუბრებს სხვადასხვა ადგილას და: მოკლავენ მაგასო, — ასეთი აზრიც გამოითქმოდა.

კომუნისტებს რომ ჰქონდათ დევიზად, მისატყუარად: იმას წავართმევ, შენ მოგცემო, — ესენი, სააკაშვილი და ძმანი მისნი, რეფორმატორები, ამგვარად ამჯობინებდნენ: იმას წავართმევთ სახელმწიფოს სასარგებლოდო.

ხალხი ყაბულს იყო: ოღონდაც იმას წაართვი და ჯანდაბას ჩემი თავი, არ დავეძებო.

შევარდნაძე ისევ ფარცხავდა და კერავდა: წართმევით ნუ წავართმევთ, მაგრამ კანონი კი მივიღოთ, არ წავალ წინააღმდეგიო.

ახრჩობდა „მწვანეყვავილას" და ეს ნომერი ბოლო წახრჩობად წარმოუდგებოდა. გამოთხოვებას მიაწერდა და... გული დაწყდებოდა. საქმე აღარა რჩებოდა აქეთ თითქოს. 1987 წლის ჩათვლით დღემდე რაღაც თანამდებობები ეჭირა, ეს ბოლო, რედაქტორისა, არაოფიციალური, თუმცაღა რჩებოდა დამაკავშირებელ რგოლად ქუთაისთან.

როგორც იქნებოდა განაახლებდა მუშაობას „გამოზოგილზე". ამ ორ დღეში დაამთავრებდა „კაპიტანს". ათეთრებდა კიდეც შავად მომზადებულს, გადაბეჭდვა მაინც დასჭირდებოდა.

ამის შემდეგ „ასკილის წითელ ყვავილს" მიუბრუნდებოდა, მერე სხვას იქმოდა და ზეცას გახედავდა: ღმერთო, შენითა, არა ჩვენითაო!..

17 სექტემბერს გიზო ზარნაძის კითხვარს გადახედავდა და საინტერესოდ მოეჩვენებოდა. გადაწყვეტდა ეპასუხა. მაგრამ... ეთქვა ყველაფერი, არ ეთქვა? გინდ გეთქვა, გინდ ნუ იტყოდი, ჯერჯერობით ყველაფერი ერთი იყო, თუმცაღა — ღრმად სწამდა — ასე არ გაგრძელდებოდა. შესაძლოა დღევანდელობა უარესითაც შეცვლილიყო, მაგრამ დღევანდელობას ყველაფერი უჯობდა!..

1 ოქტომბრის დადგომა ისე აღაფრთოვანებდა:

ყველაზე — ალბათ ყველაზე — საუკეთესო თვეა საქართველოში! გაუმარჯოს ოქტომბერსო!..

სტუმრები ეყოლებოდათ — მწერლები აჭარიდან. მემედ აბაშიძის მოსაგონარს იტყოდნენ და რეზო წამოაყენებდა კარგ და იმ ვითარებისათვის შესაფერის წინადადებას: რეპრესირებულ მწერალთა მემორიალის შესახებ. რამდენჯერმე წამოეჭრა ეს საკითხი, მაგრამ ვერავინ აეყოლიებინა, ახლა კი მარჯვე შემთხვევის ხელიდან გაშვება როგორ შეიძლებოდა, თანაც ამ გარემოებას საგანგებოდ აღნიშნავდა სტუმრებთან: ანბანის მიხედვით ჩამოიწერება სიაო. ეს ნიშნავდა, რომ მემედ აბაშიძე თავში მოხვდებოდა. აჭარის ტელევიზია ცალკე ჩაწერდა რეზოს, რომელსაც ეჭვი არ ეპარებოდა: ასლან აბაშიძეს ხმას მიაწვდენენ და მხარს დაგვიჭერსო.

მემორიალად იქნებოდა წყარო, აკაკის სტროფი რომ დაამშვენებდა:

კარგო სტუმარო, დაუვიწყარო, შესვი, გაამოს ეს წმინდა წყაროო!..

ელგუჯა მაღრაძე, რეზოსდა გასაკვირად, ასე არასწორად ჩაერეოდა:

— პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა, რეპრესირებული არ ყოფილა.

არადა: ხსენება არ შეიძლებოდა იმის გვარ-სახელის, წიგნი და ლექსი აკრძალულიყო, ნათესავები დაჭერილი ჰყავდა და ოფიციალურ რეაბილიტაციას მიიღებდა ტიციან ტაბიძესა დაა მიხეილ ჯავახიშვილთან ერთად. რეზოს თარიღი ზუსტად არ ახსოვდა, ისე კი ეს 1956 წელს მოხდებოდა.

რეპრესირებულნი სხვებიც იყვნენ, თუნდ ლევან გოთუა, მაგრამ დაღუპულ-დახვრეტილნი უნდა მოხვედრილიყვნენ დაფაზე. სია კი ეს იქნებოდა:

მემედ აბაშიძე, პაოლო იაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი (სირბილაძე), პავლე საყვარელიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, დია ჩიანელი (დავით ჩხეიძე)...

13 ოქტომბერს ჩააბარებდა პასუხებს გიზო ზარნაძეს „თბილისისათვის“ და კაი გვარიანად მიდგებოდა პრეზიდენტს. და ახლა ფიქრობდა: ნამეტანი ხომ არ მომივიდაო. სიტუაციები თითქოს ჩვენს სასარგებლოდ იცვლებოდა და პრეზიდენტის ფეხის ალაგიც მყარდებოდა. ვლადიმერ პუტინი მხარს არ აუბამდა დუმის ლაყაფს და განაცხადებდა:

— ჩვენით გავიყვანთ ჯარებს, ეგ არ არის პრობლემა...

ტელევიზიით რამდენჯერმე გადმოსცემდნენ პუტინის სიტყვას, თქმულს ჩვენს შესახებ, და რეზოს დაბეჯითებით შეეძლო ეთქვა: ორი საუკუნეა, ცოტა მეტიც, ასეთი ნორმალური, კარგი სიტყვა ჩვენზე რუსეთში არავის წამოცდენია, არადა სულ საწინააღმდეგოს ქადაგებდნენ: პოლიტიკოსები, ხელისუფლების წარმომადგენლები (მინისტრები) და პრესა. გვემუქრებოდნენ, გვაშინებდნენ, რას აღარ გვიწოდებდნენ. დღეს ერთიანად, ერთბაშად მოკეტეს, პირში წყალი ჩაიგუბესო.

ჩვენ ჩვენი პრობლემებიც გვყოფნის და სხვა სახელმწიფოს საქმეებში არ ვერევითო, — პუტინის ამ სიტყვებსაც ხალას ჭეშმარიტებად მიიღებდა რეზო ჭეიშვილი და ნიშნს მოუგებდა აფხაზებს, რუსეთისა რომ ეიმედებოდათ და წერილობითაც მიემართათ: გვიხსენით ქართველი და ჩეჩენი ტერორისტებისაგანო.

დაბომბვას ველოდით და როგორ შეტრიალდა სიტუაციაო, — ხარობდა რეზო, დარწმუნებული რომ რუსეთი მალე გაიყვანდა აქედან თავის ჯარს — სამშვიდობოსაც და არასამშვიდობოსაც. და არც „ესენგეში“ დარჩენას გვაიძულებდნენ თითქოს: ჩვენზე მოეგდოთ არჩევანი.

მეტიც ეთქვა და ამ სიტყვებისაც ერწმუნა რეზოს:

ყოველნაირად დავეხმარებით საქართველოსო.

ეგაა შეფიქრიანებით შეფიქრიანდებოდა:

ადრე ასე არ სჯიდნენ და რა მოხდა, საინტერესოაო.

ვარაუდით თუ ვივარაუდებდით... და გამოჩნდებოდა, რას მოგვიტანდა ხვალინდელი დღე.

მოვლენები ელვისსისწრაფით უნდა განვითარებულიყო და... აღარ გვყოლოდა მთავრობა. გადადგებოდა ზურაბ ჟვანია, რეზოს შეტყობით, ცოტა რომ იჩქარებდა, ავტორიტეტს აიწევდა, თუმცაღა რაღაცას აცდებოდა... შესაძლოა პრემიერმინისტრადაც გაჩითულიყო (სწორედ ამ ჟარგონულ გამოთქმას ამჯობინებდა რეზო). ვითომ? რა, არ გაუშობდნენ?!.

იძახდა რეზო: სტუდენტები გადაწყვეტენ, სტუდენტები (უსაქმურები) თუ გამოვლენ, მტრისასო, — და ახდებოდა მისი ნათქვამი.

ედუარდ ბიძიას დიდი დრო აღარა აქვსო, — ამასაც იძახდა და ასეც იქნებოდა, სტუდენტები მის გადადგომას მოითხოვდნენ და... ცუდ დღეში ჩავარდებოდა ედუარდ ჩამფარცხველი... უნდა გადამდგარიყო, მაგრამ ვინ

უნდა დამდგარიყო? დამდგომი კი მოიძებნებოდა. მოვლენები მწვავედ ვითარდებოდა კვლავ და:

— დიქტატურის დრო მოვიდა, — იტყოდა რეზო, — დროა!

5 ნოემბერს გამოვიდოდა ქუთაისური გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“ — რეზოს საუბრით, და სასწრაფოდ შეურბენინებდნენ თემურ შაშიაშვილს. ვერ დადგებოდა მაინცდამაინც კარგ გუნებაზე.

— რას მერჩის? — იტყოდა.

არავის ვერჩიო, — თავისთვის ჩაილაპარაკებდა რეზო, — არცაა ის კაცი, რჩოლად რომ ღირდესო.

პრეზიდენტს ნაღდად ველარ დაინდობდა — თუ არ იდედლებდა თამაზ წივწივაძე. სხვა გაზეთში, ღვთის მადლით ბევრი მოიძებნებოდა, არ სურდა დაბეჭდვა, სამწერლო (ვითომ სამწერლოო? — იქედნურად მაინც ჩაჰკრავდა) სხვა იყო, სხვა მნიშვნელობა მიეცემოდა. ალია-მალიაზე ვერ დახურდავდებოდა.

არეულ-დარეული გამოიყურებოდა თბილისი. პარლამენტში — ქაოსი. უთავმოყვარეო პრეზიდენტი ხესა და მიწას ებღაუჭებოდა, რომ გადარჩენილიყო! რეზოს ფიქრით: ვერ გადარჩებოდა.

თემურ შაშიაშვილი დაურეკავდა, ბრდღვნიდა ყველაფერს. არ მოსწონებოდა რეზოს საუბარი.

„ჟურნალისტს არ შეამთხვიოს რაიმე, სხვას არ დავეძებ“.

უმწეო გამოჩნდებოდა რეზოსთან საუბრისას:

— პარლამენტი მიტევს, პრეზიდენტმა ხელი ამაღო და ასლან აბაშიძე ამოიყენა გვერდით.

რეზოს კიდევ იმ ცეცხლზე, იმის გარშემო რომ გუზგუზებდა, ბენზინი, ნავთი კი არა, სწორედაც ბენზინი დაესხა. იცოდა, გაბრაზდებოდა, თუმც ასე ძლიერ თუ მიიტანდა გულთან, მაინც არ ეგონებოდა.

„სიმართლე არავის უყვარს!“

წონასწორობა დაკარგაო, რომ წერდა რეზო მასზე, სწორი გახლდათ. კონტროლი კი... კონტროლი საკუთარ თავზე კარგახნის წინათ უკვე დაეკარგა!..

რას ამბობდა ჯორჯ ბუში?

ვინც ჩვენთან არ არის ტერორიზმთან ბრძოლაში, ის ჩვენი მტერიაო!..

და რეზოს როგორ არ გახსენებოდა სტალინური ფორმულა:

თუ ჩემთან არა ხარ, ჩემი მტერი ხარო!..

სათაურად მოიფიქრებდა — „პარლამენტი, პარლამენტი“: გადაწყვეტდა, რომ რუბრიკა გაეკეთებინა რვეულში ამდაგვარი, რათა რუბრიკას შეეგულიანებინა და — ზეპირ ნოველებად რომ ფანტავდა პარლამენტურ შთაბეჭდილებებს, აქ მოეყარა თავი და ამბები და პერსონაჟები შეენაცვლებინა ერთმანეთისათვის.

მაქსიმ გორკის ტომებს უსახსოვრებდნენ მოყვრები. საწოლის თავთან დაილაგებდა თაროზე. გადმოიღებდა ხან ერთს, ხანაც მეორეს. იხსენებდა, აღიდგენდა. დიდი ინტერესით კითხულობდა ბავშვობისას ქართულად. მოს-

წონდა „არტამონოვების საქმე". ის გამოცემა დაეკარგებოდა და იმდაგვარს გადააწყდებოდა სადღაც და შეიძენდა... მოსწონდა ავტობიოგრაფიული წიგნები: „ბავშვობა", „ჩემი უნივერსიტეტი"... მოსაწყენი დრამებიც კი ართობდა სცენიდან — „მზის შვილები", „ფსკერზე"... ახლა ნაკლებ იზიდავდა. რაღაც ერთფეროვან, ბოლომდე არშემდგარ მწერლად მიიჩნევდა. და ტოლსტოისთან შეხვედრები? საგულისხმო ეჩვენებოდა. გულწრფელი გახლდათ გორკი, და მაინც აკლდა თითქოს მთავარი... ნიჭიერი იყო? ალბათ, მაგრამ ის არ გახლდათ, რაც უნდა ყოფილიყო. რაც უნდა გგონებოდა...

ამას 22 ნოემბერს ჩაინიშნავდა, ოთხი დღის თავზე კი სამი მტრედი რომ შემოჯდებოდა მის ქუთაისურ ჭიშკარზე, გაოგნებული მიაჩერდებოდა:

მტრედებიც ხომ გადაჯიშებულიყვნენ ქალაქებში, გაერთფეროვანებულიყვნენ, ჭილყვავებს ემსგავსებოდნენ თანდათან... ეს სამი კი რაღაც უცხოდ თუ საუცხოოდ გამოიყურებოდა. თეთრები, ქაფქაფა რძისფერნი. ერთს კოპლებიც ეყრებოდა ტანზე მუქად. იშვიათად თუ ნახავდი ამნაირებს. სახეობათა შერჩევა მომხდარიყო თუ სასელექციო სამტრედედან აფართქალებოდნენ მემტრედეთ?

და წამოაგონდებოდა: საყდარშია თეთრი მტრედი, ფრთათეთრი და ფრთაფარფატიო...

30 ნოემბერს გალაკტიონის ხსოვნის საღამო გაიმართებოდა მოსკოვში. ვლადიმერ პუტინი შეუტევდა ბერიკაცს, ნორჩი და პატარა, მაგრამ დიდი რუსეთ-ციმბირი ედგებოდა ზურგსუკან...

დათო მაღრაძე წავიდოდა პარლამენტიდან. და რეზო ამ ფაქტის გამო დიდად შეწუხებულს ვერავის იხილავდა ტელეეკრანიდან. გამოიყვანდნენ ღამის გადმოცემებში და... საყურადღებოს ვერას იტყოდა რას.

მცირე მოსაგონარს დაუწერდა ანზორ სალუქვაძეს ერთი ამოსუნთქვით. მეტს არ მიიჩნევდა საჭიროდ ამჯერზე. შემდეგ წაემატებოდა და ჩაერთვოდა „წიფობისთვეში". არ აპირებდა მოშვებოდა ამ თხზულებისათვის პორტრეტებს, კიდევ ჭაბუა ამირეჯიბი და კიდევ სხვებიც შევიდოდნენ ამ ციკლში.

ელიმებოდა რეზოს: რა იღბალი აქვთ ჭაბუასაც და ედუარდ ჩამფარცხველსაცო.

ორჯერ გაიმართებოდა ჭაბუას საიუბილეო საღამო თბილისში — ოპერა, ფილარმონია — და ორივეჯერ ჩაიშლებოდა. ოპერაში ჯანსულ ღვინჯილია გარდაიცვლებოდა სცენაზე, აქ კი, 2 დეკემბერს ჭაბუა ვერ მოვიდოდა თავის იუბილეზე: სიცხე აქვს მაღალიო.

შევარდნაძეს ჯიბით დაჰქონდა ორდენი და მისასალმებელი სიტყვა. და ვერც ორდენი გადაეცა და ვერც სიტყვის თქმა მოეხერხებინა...

მილებაზე — კრწანისის რეზიდენციაში — რეზო არ წავიდოდა: თვალში არ შევეჩხირებიო, — იტყოდა, თუმც მხოლოდ ეს არ იქნებოდა წაუსვლელობის მიზეზი.

4 დეკემბერს ღელვათა ქელვა თუ ვნებათაღელვა ატყდებოდა პარლამენტში, ერთმანეთს რომ მისდგებოდნენ: რატომ დავამტკიცეთ ძველი

მთავრობაო!.. სხვა რა ეწამებინა რეზოს: სასაცილო ხელისუფლება, სათამაშო — თვითონვე თამაშობენ — პარლამენტი და... პრეზიდენტიცო.

გიორგი შენგელაია იტყოდა:

— მაგის გენეტიკისაც არა მწამდა, შევარდნაძისა...

ოღონდ რას გულისხმობდა, აღარ დააზუსტებდა.

ბათუმში ეპირებოდა წასვლას კვლავ. ამჯერზე — სულიკო ჟღენტის პატივსაცემად. დააზუსტებდა სიას რეპრესირებულ-დახვრეტილი მწერლებისა, ვახტანგ დავითაია ამოხაზავდა და ესეც წაიღებდა. იქ დაპირებოდნენ მემორიალურ დაფას. გააკეთებდნენ ალბათ კიდეც მემედ აბაშიძის ხათრით. ისედაც არ დაიხევდნენ უკან.

„აქ კი ყველას ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, ეგრეა დაახლოებით".

სია კი ანბანის მიხედვით ამნაირად შედგებოდა:

მემედ აბაშიძე, გერცელ ბააზოვი, ბენიტო ბუაჩიტე, პაოლო იაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, პავლე საყვარელიძე, ტიციან ტაბიძე, დია ჩიანელი, გიორგი ძიგვაშვილი, კოტე ხიმშიაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი.

ბენიტო ბუაჩიძეს აქ რა უნდოდა, ბარემ ფრიდონ ნაროუშვილი და კალე ფეოდოსიშვილიც ჩაეწერათ... და ადამ ალვანელისა (ბობღიაშვილის) და არჩილ კიტოშვილის გამორჩენა კი როგორ იქნებოდა?!.

ამასობაში ბლომად მოუგროვდებოდა ნოველა-პორტრეტები „წიფობის-თვისათვის" და ბევრის დამატებასაც აპირებდა...

საჯარო ბიბლიოთეკაში „მწვანეყვავილას" პრეზენტაცია რომ გაიმართებოდა, ამის თაობაზე ინფორმაციას არ მისცემდა გაზეთში თამაზ წივწივაძე:

— ქართველი მწერლები საჯარო ბიბლიოთეკაში მივიდნენო, ეს როგორ დავბეჭდო?

გაიოცებდა რეზო:

— აბა სად უნდა მივიდნენ ქართველი მწერლები?

— იქ ხომ ლევან ბერძენიშვილია დირექტორად.

— ბერძენიშვილს არ მივუწვევივართ.

— სულერთია, დირექტორი ხომ არის, კაცი, რომელიც ილიას აგინებს.

არ აგინებსო, დღიურში ჩაწერდა რეზო, მწერლობას კი უწუნებს და წივწივაძეს თითქოს ილიას აუგისმთქმელებზე აქვს გართულებაო.

სწორედაც რომ „თითქოს"!..

იქ კი ეტყოდა:

— პარლამენტში შენი მტრები (დღიურში ჩაურთავდა: მტრებს თვითონ იგონებსო) სხედან — ზურაბ ჟვანია, მიხეილ სააკაშვილი, და როგორ დადიან მწერლები, შენიანები იქ — გენო კალანდია, ჯანსუღ ჩარკვიანი, სხვები და სხვები.

— ისინი პარლამენტის წევრები არიან, — ცოტა კი შეფიქრიანდებოდა თამაზი, მაგრამ ეგონებოდა, სიტყვა მოვუჭერიო.

— მე ხომ, და არამარტო მე, სხვა არაერთი მწერალიც, საჯარო ბიბლიოთეკის წევრები ვართ.

გაჩუმდებოდა ის, თუმც ამ ინფორმაციას მაინც არ გააჭაჭანებდა გაზეთში, და რეზო დღიურში ჩაინიშნავდა: თვითონ ნამყოფიც არ უნდა იყოს შენობაშიც კიო...

დაწერდა ასე მშრალად, თუმც გუნებაში მიიჩნევდა, რომ ამ საქციელისათვის თამაზ წივწივაძეს მეტი ეკუთვნოდა!

— არავისზე კარგი არ უთქვამს, — უმტკიცებდნენ რეზოს მასზე.

და დღიურში აღნიშნავდა, რომ:

ეთქვა, როგორ არა, აგერ თუნდ რეზოზე ეთქვა კეთილი სიტყვა, მაგრამ ერჩივნა არ გაემხილა. ის წერილი წიგნში არ შეჰქონდა და ანთოლოგიაში. რატომ გაეჩინა ახალი მტრები რეზოს ქებისათვის, აკლდა ვითომ? არ ეთანხმებოდა რეზო, თორემ კი არ აკრიტიკებდა!.. არ ეთანხმებოდა მისი „ბრძოლის“ პრინციპებს... და მიაჩნდა, რომ: თავის თავს მეტს ვნებდა თამაზ წივწივაძე, ვიდრე სხვას...

23 დეკემბერს დაურეკავდა გურამ ლორთქიფანიძე, აღტაცებული იქნებოდა:

— ეს რა დაგიწერია ანზორ სალუქვაძეზე.

გუშინ ჩამოვიდოდა ქუთაისიდან. გუშინწინ თოვდა, ყინავდა. დენი არ გააჩნდათ. ქალაქი წყვდიადში ჩაძირულიყო. სათაურადაც კი გამოდგებოდა: „ქალაქი წყვდიადში“.

ორი დღე ბათუმში გაეტარებინა. კი არ ექეიფა (ესეც იქნებოდა), დარჩენილიყო, შერჩენილიყო თუ აყოლილიყო. სულიკო ჟღენტის ხსოვნის ორ დღეს დასწრებოდა: მემორიალს გაუხსნიდნენ, ქუჩას მის სახელს დაარქმევდნენ და დიდ საღამოსაც გაუმართავდნენ თეატრში. იქ ძირითადად ასლან აბაშიძეს აქებდნენ, ცხადია — სულიკო ჟღენტსაც. გამომსვლელები — რეზოს გარდა — ჯერ ასლანზე ილაპარაკებდნენ და მხოლოდ შემდეგ — სულიკოზე, და ირონიულად დასძენდა: ასე უნდა, როგორც ეტყობაო!..

ბანკეტსაც დაესწრებოდა ასლან აბაშიძე, გადემოკრატებულად რომ მოიხსენიებდა რეზო: ტახტზე კი აღარ იჯდებოდა, სუფრის ამაღლებაში, არამედ სუფრაზე, სხვათაშორის — რეზოს წინ. ამას წამოელო ნახაზი-მაკეტი რეპრესირებულ-დახვრეტილ მწერალთა მემორიალისა, მაგრამ აქაურ მწერალთა თავმჯდომარეს ჯემალ ჯაყელს — გვარითაც ასლანზე უდიადესს — ვერ მიაგდებდა (ამ სიტყვას ამჯობინებდა) აჭარის ხელმძღვანელთან.

— მომყევი.

— არა, შენ...

ასეც მოიქცეოდა. სუფრაზეც აუხსნიდა, რასაც აპირებდა, და ნახაზსაც, დიდი ფორმატისას, ჩამოიტანდა ნომრიდან გრაგნილად: დაცვის წევრები მიაჩერდებოდნენ საეჭვოდ და, რომ შლიდა, ფიქრობდა: მახე არ ეგონოთ რომაული და არ გამკოჭონო. იულიუს კეისარს რომ გაუშლიდნენ ეტრატს და „იატაგანს“ ფუშავდნენ კიდეც მუცელში.

სიაში პირველი, ალფაბეტის გამო, ასლანის პაპა მემედ აბაშიძე რომ ეწერებოდა, ამიტომაც დაევალდებულებინა რეზოს. დიდი სიხარული არ და-

ეტყობოდა აჭარის მეთაურს, მაგრამ უარს არ იტყოდა ცხადია, და არც შეყოყმანდებოდა.

არადა: დაფა კი არა, პროექტის მიხედვით, სტელა ყოფილიყო თურმე, 14 სანტიმეტრის სისქისა, ტონამდე ექნებოდა სიმძიმე.

ჩამოიტანდნენ, დადგამდნენ. კედელი გაუძლებდა? გააძლებინებდნენ. მასალათა გამძლეობა (სიჯიქე) ხომ არსებობდა.

დაწერილი ჰქონდა რეზოს: სიჯიქეს — ადრინდელი, ნიკოლაძისეული ტერმინი გახლდათ — სივირე სჯობსო.

და გულზე რაღაც მოუჭერდა:

როდის მოუყრიდა იმ ყველას თავს? მოესწრებოდა კი?

თვითონ კი ჰქონდა გადალაგებული აკურატულად ყოვლიფერი (ამ კონტექსტში ბოლო სიტყვა არ ჯდებაო, — ჩაიღიმებდა), მაგრამ... რა „მაგრამ"? და თავისი ნოველის სათაური წამოაგონდებოდა: „მაგრარუმ"!

24 დეკემბერს აფეთქდებოდა თუ ააფეთქებდნენ ენერგობლოკებს — მეცხრესა და მეათეს. კვლავ სიბნელე და სიცივე დაისადგურებდა დედაქალაქში. თბილისგარეთ — წყვდიადი. და აჭარაში რაფრად და რანაირად ჰქონდათ შუქი, არ გვეტყოდნენ.

არადა: დილით კვლავ ბათუმში უნდა გამგზავრებულიყო რეზო, საასლანეთში, კვლავ იუბილეზე, ამჯერად — ფრიდონ ხალვაშისა.

— მოგიკითხა თლა უფროსმა, უნდა წამოხვიდე გინდა თუ არა, — თამაზ წივწივაძე განუცხადებდა.

წასულიყო უნდა, თუმც გუნებაში შეფიქრიანდებოდა: ასლანს ჩემს გარდა დარდი არავისი აქვს თითქოსო...

ლიანა ისაკაძის კონცერტსა თუ შეხვედრაზე დაპატიჟებდნენ ოთხშაბათს საჯაროში ანუ ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ცოლთან ერთად აპირებდა წასვლას, არ გამოვიდოდა თავის არიდება...

ტელევიზორით მოჰყვებოდა ლიანა ისაკაძე თავის ბიოგრაფიას, არაფერს დაფარავდა. ვიოლინოს სიმების დაწყვეტის ამბავი ეცნაურებოდა რეზოს, აკაკი წერეთლის გოგია მეჩონგურესა თუ მეჩანგურეს დაუკავშირებდა, საგულისხმო პარალელებით...

„დავწერ".

სათაურს უკვე მოიფიქრებდა: „შეხვედრა ლიანა ისაკაძესთან, რომელიც არ შედგა".

შეამოწმებდა და: მეჩანგურე ეწერებოდა აკაკის — გოგია მეჩანგურე.

ფრიდონ ხალვაში ამტკიცებდა:

— ჩანგურს ვწერ და არა ჩონგურს.

ჩანგთან აბამდა კავშირს... თანაც ნიკოლო პაგანინი ცალი სიმით რომ უკრავდა... სხვა რეალიების მოძიებაც შეეძლო... ჩამოაყალიბებდა და ჩასვამდა „წიფობისთვის" ციკლში.

მოიბათუმებდა კვლავ. აუვლ-ჩაუვლიდა ქუთაისს. საფიჩხიის ტყით შევიდ-გავიდოდნენ. ჭიშურის გადასახედიდან ჩანდა ქალაქი კარგად, ვისთვისაც მშობლიური გახლდათ — საყვარლადაც. ეგაა ქუთაისი აღარ

ნათდებოდა. ბათუმი რაღაცას ახერხებდა, თავისი რესურსით — ნეტა აჭარ-ჰესით? — ანათებდა „სასიცოცხლო ობიექტებს".

თბილისში შუქი დახვდებოდა. შევარდნაძეს ხალხის გამოსვლებისა ეშინოდა (რიღასი არ ეშინიაო, — მწარედ ჩაჰკრავდა) და: დენი, დენი არ გამოთიშოთო!.. თბილისი თბილისი იყო მაინც...

ბათუმში ის მეორე იუბილე ასე ჩარჩებოდა: პატარ-პატარა ვნებებითა და პატარ-პატარა ასლანური პოლიტინტრიგებით...

რეზოსთვის რომ გეკითხათ:

ერთი პატარა ასლანი არ აწყენდა მთლიან საქართველოსაც!..

გადაწყვეტდა:

მთელი ციკლი „წიფობისთვე" (თავიდან „გამოზოგილი" რომ შეერჩია სახელწოდებად) „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე დაებეჭდა. მაინც იქ ამჯობინებდა. იყოყმანებდა და დაჯერდებოდა. თამაზ წივწივაძეც კმაყოფილი დარჩებოდა, მთელ წელს რომ გაგრძელდებოდა პუბლიკაცია. ასეთი რამ არ მომხდარიყო. დღევანდელობით რომ ესარგებლათ, პრეცედენტი არ ყოფილიყო.

და გალაკტიონური წამოჰკრავდა: არყოფილზე საყვედური აბა როგორ ითქმისო...

პოსტსკრიპტუმად დაურთავდა 26 დეკემბრის ჩანაწერს, რომ:

ბევრნი იქნებოდნენ იუბილეზე, გარდა რეზოსი და თამაზისა: ანზორ ერქომაიშვილი, გურამ გოგიაშვილი, ემზარ კვიტაიშვილი, ჯუმბერ თითმერია...

ასლან აბაშიძე არ მოვიდოდა... და რეზოს ეს შეკითხვა გაუჩნდებოდა:

„რაჭის ერისთავი როსტომ" აკაკისა თუ აქვს წაკითხული ნეტავ?!.

მოდგებოდა 2002 წელი. წინ და უკან — 2, წაღმა-უკუღმა — 20.

„რა ჰქვია ამ წყობას?.."

პალენდრომს ველარ გაიხსენებდა.

აკაკის, თუ რეზოს არ ეშლებოდა, და არ ეშლებოდა, 1881 წელზე ეთქვა: თარსი წელი იქნებაო. არ გამართლებულიყო მისი შიში. რამდენადაც რეზო იხსენებდა, არაფერი მნიშვნელოვანი, კარგი თუ ცუდი, იმ წაღმა-უკუღმიანი 18-ით არ მომხდარიყო.

უხალისოდ მოდიოდა ახალი წელი, ატყობდა, გრძნობდა; არც სიხარული იქნებოდა ძველებური, არც განწყობა, არც მზადება.

28 დეკემბერს რუსთაველის საზოგადოება შენობ-ფართ-აკლდამაში ალმანახის, სახელსაც ვერ გაიხსენებდა „საგურამოსი", განხილვა მოეწყობოდა მურმან ლებანიძის თამადობით. მოხსენებას საათნახევარს იკითხავდა ერთი სნობი (ლევან ბრეგაძეს იგულისხმებდა). ჩაამთავრებდა თუ არა, წამოვიდოდა რეზო და საღამოს ნიკოლოზ შენგელაიას მოსაგონარ თავყრილობას — დაბადებიდან 100 წლისთავს — დაესწრებოდა რუსთაველის კინოთეატრში. ეკრანი და სხვათა მოგონებანი ბებერი არტისტების — ზინა კვერენჩხილაძე, გიორგი გეგეჭკორი, გურამ საღარაძე, ოთარ მელვინეთუხუცესი — დეკლამაციებით. კარგად ჩაივლიდა, რადგანაც სრული

შთაბეჭდილება შეგექმნებოდა იმ დღით იმ კაცის ცხოვრებაზეც, დროზეც, ფიზიკურ აღნაგობაზეც, სულიერ წონასწორობაზეც, ბედზეც.

სრულიად ახალგაზრდა მიიცვლებოდა — 42 წლისა, და რასაც მოასწრებდა და როგორადაც მოასწრებდა იმ წლებში (1924 — 30 — 37 — 41 — 42), რეზოს საკვირველი ეჩვენებოდა... თბილისის ინტელიგენცია დაესწრებოდა, მწერლობა — ნაკლებად.

„იზოლაციაში ვართ მოქცეული დროის, ჩვენს და სხვის გამო".

ლია ისაკაძესთან შეხვედრასაც სურდა დასწრებოდა, მეც ნახირ-ნახირო, ისე გამოდიოდა, მაგრამ ის გადადებდა, გადმოდებდა და ბევრს დააბნევდა კიდეც, რეზო რომ ღიმილით დაურთავდა: ჩემს დაბნევას რა უნდაო.

არქივს, ქრონიკას, გაზეთებიდან ამონაჭრებს ათვალიერებდა, და ბევრი საგულისხმო ცნობა ამოჰყვებოდა ხელს, მათ შორის: შოთა ნიშნიანიძის ლექსებიც, ქრონიკის მეორე გვერდზე.

კარგ პოეტად მოიხსენიებდა, ოსტატად და არა „გულთამპყრობელად", სითბო და უშუალობა რომ აკლდა. თუმც ეს ლექსი — „გადაძახილი დავით გურამიშვილთან" — ისე მოეწონებოდა, მთლიანად გადმოიწერდა დღიურში:

ქართულ ლექსის გენერალო, ბედი ბევრჯერ აგებურდა, რუსის ჯარის პორუჩიკი ტყვედ ჩავარდი მაგდებურგთან. არც ლეკებთან გაღუნულხარ, არც შემკრთალხარ ფრიდრიხ დიდთან, ზუბოვკაში ლექსად წერე, რაც წისქვილმა იღირღიტა, თავზე ბევრჯერ ჩამოგვემხო ეშმას ბადე და საცერი, „ქართლის ჭირი" დაგვიწერე კიდევ ბევრჯერ დასაწერიო...

კიდევ ერთხელ ჩამოგვმხობოდა თავზე ეშმას ბადეც და საცერიც.

და „ქართლის ჭირიც" კიდევ ერთხელ იწერებოდა, გრძელდებდა ჩვენი დრამატული და ტრაგიკული ბედის ქრონიკები — მხატვრულიც, დოკუმენტურიც... დოკუმენტურიც, მხატვრულიც...

თავი მეორე

2002 წელი

ჰე მოვიდოდა ეს 2002-იც და იანვრის პირველის შუაღამე იწვოდა და დნებოდა — გალაკტიონურად, იწვოდა კი არა, დამწვარიყო კიდეც უკვე — ღამის 4 საათი შესრულებულიყო ზუსტად.

ესეც 2002 წელი — მყარად ვიჯექით უკვე ოცდამეერთე საუკუნეში.

თამაზ წივწივაძე დაუწერდა ქება-შაყირის შესავალ წერილს „წიფობისთვისათვის“. არც ქება უხაროდა რეზოს მისი და არც უადგილო მასხრობა. რაც იყო, ეგ იყო. მთავარი სხვა გახლდათ: ერთი წელი გაგრძელდებოდა ბეჭდვის პროცესი. ამაზე შეთანხმებულიყვნენ!..

„მე ვიკითხო, სხვას რა უჭირს!“

ბევრ ი მუშაობა მოუწევდა. წერა — ბევრი, სმა და საქმე — ნაკლები. სხვანაირად აღარ გამოვიდოდა!..

შობა თენდებოდა. ნირვა-ლიტანია — დილის 6 საათი შესრულებულიყო — გრძელდებოდა. საქართველოს პრეზიდენტთან იქნებოდნენ მინვეულნი ვახშამზე, თამაზ წივწივაძეს გაუწყობდა სუფრას 60 წლის აღსანიშნავად, კრწანისში. მასპინძლები — ედუარდი და ნანული. ბებრებიო, იტყოდა რეზო და დასძენდა: რა მოსაწყენი გახდება მათი ცხოვრება, როცა ამ მდგომარეობას დაკარგავენ, გაუჭირდებათ სხვა სიტუაციაში გადართვაო. და თან ჩაელიმებოდა: გეგონება სხვა სადარდელი არა მაქვსო.

იქნებოდნენ 15 კაცი, გუნებაში ერთხელ კიდევ გადათვლიდა, ზუსტად 15-ნი აღმოჩნდებოდნენ. თამადად დააყენებდნენ ჯანსუღ ჩარკვიანს, რომელიც სხვის საღამოს თავისად გადააქცევდა. ხელს კი შეუშლიდნენ ცოტა.

„ლიტერატურულ საქართველოს“ კითხულობდნენ მასპინძლები, ეს აშკარად შეეტყობოდათ, პრესასაც ადევნებდნენ თვალს. რეზოს წერილიც წაკითხული ჰქონდათ, არ უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ გაბრაზებულები არ ჩანდნენ. თუმც რეზო დიპლომატიასაც არ გამორიცხავდა.

ედუარდი რაღაცის თქმას დააპირებდა გამომშვიდობებისას.

— რეზო, რეზო, — რამდენჯერმე გაიმეორებდა და ბოლოს, — როდის წავიდეთ ქუთაისში საქეიფოდ?

— ჯერ კვახჭირში, შემდეგ ქუთაისში, — მიუგებდა.

კარგი საღამო გამოვიდოდა, საჭიროც...

გადაწყვეტდა: შეეგზავნა პრეზიდენტისათვის წიგნიცა და ჟურნალიც, და პოლიტიკასაც შეშვებოდა კარგა ხნით. გაისად 70 წლისა უნდა გამხდარიყო, ბერდებოდა კიდეც.

14 იანვარს, თეატრის დღეს, შევარდნაძეს ელოდნენ ქუთაისში. რეზოს არავინ პატიჟებდა, თავისი სურვილით კი არ მივიდოდა, მითუმეტეს არც ჰქონდა ეს სურვილი. არც აპირებდა შინიდან გასვლას... სერიოზულ საქმესაც გულს ვერ უდებდა... არადა ძალზე ბევრი სამუშაო დაგროვებოდა. იანვარი მაინც მძიმე თვე გახლდათ: ჭამას, სმას, სტუმრიანობას ვერ აცდებოდი. ახალი წელი, ძველით ახალი წელი, ერთი შობა, მეორე შობა, საცივი და სიცივე, უქმობა...

„ქუთაისო ჩემო, ჩემო დედულეთო“ — სიმღერას მღეროდნენ ამნაირი სათაურით შესანიშნავად სამნი. სამწუხაროდ მხოლოდ რადიოთი ისმენდა დროდადრო. ერთს, ალბათ მთავარს, იშვიათი ტემბრი და სმენა მომადლებოდა. ბრწყინვალედ ასრულებენო, — უხაროდა.

ქუთაისო, ჩემო დედულეთოო, — თავის მხრივ მიადევნებდა, — შენი დიდების დღენი — უნდა გქონოდა და ვერ კი იქონიე — ჩასვენებულიაო.

თემურ შაშიაშვილი გამოუშვებდა „ჯიპს“, ჩამოიყვანდა ედუარდ შევარდნაძეს, იქებდნენ და იდიდებდნენ თავიანთ პერსონას ჯიპებითურთ. ადრე, რამდენიმე წლის წინათ, თვითმფრინავ „მერკურს“ გამოცდიდა. ამ დროიდან ქალაქი თვითმფრინავმშენებელი აღმოჩნდებოდა. ახლა იყო და: მანქანათმშენებელ გიგანტებს — დეტროიტსა და სხვას — მიუერთდებოდა.

29 იანვრის ღამით ფილმს აჩვენებდნენ: „ჩემი მეგობარი ნოდარი“ — რეზოს შეხედვა რომ არ ენდომებოდა. მარტო რომ ყოფილიყო, უყურებდა და გაიხსენებდა გადაღების დღეებს, მშვენიერ ზაფხულს ქუთაისში — 1967 წლისას. 34 წელი, ცოტა მეტიც გასულიყო. ფილმი არ შედგებოდა გასაგები (რეზოსათვის) და გაუგებარი მიზეზების გამო. ტიპაჟი, ადგილები გარეუბნებში, ქეიფი „კულისებში“ და რა აღარ. რკინიგზის სადგური ძველი: სადღა იყო ის სადგური, ეს შენობა, ის მაგნოლიები, ან ის ხალხი სადღა იმყოფებოდა?!.

რა პერსპექტივა ჰქონდა თითქოს ქალაქს... უკან წასულიყო, უკან მიდიოდა... რაც ფილმში არ შესულიყო, ის მასალები შეგეკრიბა, სამონტაჟო ნაჭრები შეგეგროვებინა, რაღაცას აკინძავდი — სახიერს. კურიოზები და სცენები ფილმის იქით — გადაღებისათვის მზადება, ქუჩების გადაკეტვა — სრულებით რომ არ იყო საჭირო — მილიცია-პოლიცია, სეირის მაყურებლები...

ქარი იქნებოდა საშინელი, წახდებოდა ამინდი, ღვთის წყრომად რომ მოიხსენიებდა, ფანჯრები ზანზარებდნენ. წერდა და გაასრულებდა სწორედ „ქარების დაბრუნებას“. ეშინოდა, არ ეჩქარა და ხელახლა არ მიბრუნებოდა შემდეგ ჩვეულებისამებრ.

„ეს დამლუპველია“.

არასოდეს ამას, აჩქარებას, სიკეთე არ მოეტანა, ოღონდ... ერთი გაფიქრება რომ გაიფიქრებდა, იქვე დაეჭვდებოდა ამ მოსაზრების სისწორეში: ვითომო?..

„ჩემი მეგობარი ნოდარის“ ბოლო ვარიანტს სრულყოფილად მიიჩნევდა, მაგრამ წინა ორს... უვარგისად, და... სად გინდოდა გადაგემალა?

ვიღა რჩებოდა წამკითხველი, თორემ...

ბოლო გამოცემა ადრინდელზე გაცილებით მეტი იქნებოდა — 60 000; ტომიც, თუ არა ცდებოდა, ამხელავე ტირაჟს მოიცავდა. და წარმოიდგენდა და გაოგნდებოდა: 120 000-ის გრანდიოზულობას რომ გაითვალისწინებდა...

ახლა წიგნი 300-500 ეგზემპლარად გამოდიოდა. 1000 ცალი ხომ რას ამბობდი!.. არადა: 10 000-ტირაჟიანი პროზა სირცხვილად ითვლებოდა იმ დროს!..

იანვარიც მიდიოდა და გვიხაროდა, რომ გვიახლოვდებოდა სითბო, გაზაფხული — ჩვენი სიცოცხლის შემოკლების ხარჯზე...

ლევან სანიკიძე გარდაიცვლებოდა და კრძალავდნენ კვირას. დაურეკავდა თამაზ წივწივაძე:

— ჩვენი სახელით შენ უნდა თქვა სიტყვა.

თითქოს დათანხმდებოდა რეზო, მაგრამ აპირებდა, ხვალ ვიღაც სხვა შეესახელებინა. იმათ, წივწივაძე-ბენაშვილს, არა სურდათ გარკვეული მოსაზრების გამო, და არც რეზოს ეხალისებოდა იმავე მიზეზით თუნდაც.

ამ წლებს, ამ სისასტიკესა და გაუტანლობას ბევრი გაეყარა, დაეშორებინა, უკადრისი (მე ნაკლებადო, — თავს გამოიდებდა რეზო) ეკადრებინებინა...

ლევან სანიკიძე ბოლობოლო რეზოს შვილის ქორწილის თამადად ყოფილიყო ა'ი 16-ოდე წლის წინათ...

აღარც წერა შემიძლიაო, — დაიჩივლებდა, — ვარჯიშზე აღარაა ლაპარაკი, აღარც საქმის კეთება, წნევამაც ამიწია, ახლა არა გვიშავს თითქოსო...

ქარი ჰქროდა თბილისური, ქუთაისური სხვანაირი იყო — ცივი, გრძელტალღოვანი...

ფილმი გადაეღო ნანა ჯანელიძეს თენგიზ აბულაძეზე — მამამთილზე, და 31 იანვარს შემდგარიყო პრემიერა.

საინტერესო კაცად ჩარჩენოდა ხსოვნაში თენგიზი რეზოს: ფრთხილი, უნდო, ეჭვიანიც.

ერიდებოდა თუ ირიდებდა პარლამენტში. და „პარლამენტის“ ხსენებაზე როგორ არ ჩაერთო ღიმილით რეზოს: რა უნდოდა იქ ან იმას, ან — მე, იმას — უფრორეო.

კარგი თვალით რომ უყურებდა კინორეჟისორი, ატყობდა რეზო.

— რას აკეთებ, რას წერ? — შორიდან უვლიდა.

იხსენებდა და ფიქრობდა: თენგიზ აბულაძის სილუეტიც ხომ არ შეეტანა ამ ციკლში, „წიფობისთვე“ — ახლა რომ წერდა და აქვეყნებდა. ნაადრევიაო, აფრთხილებდა თავის თავს, მაგრამ... იქნებ სწორედაც დროული გახლდათ?!. ჩანაწერი კი მოეძევებოდა ადრინდელი, მომენტები თენგიზის ცხოვრებისა და მასთან პირადი ურთიერთობისა ჩანიშნული...

მშვენიერი თებერვალი დადგებოდა — მზიანი, უქარო, წყნარი, უღრუბლო.

გადაწევდა ხოლმე დილაადრიან ფარდას და მშენებარე ეკლესიას — სამებას — შეჰყურებდა. მოულოდნელად წამოიმართებოდა და პირველად აქედან რომ გალანდავდა, თვალს არ დაუჯერებდა. იზრდებოდა, და აგუმბათდებოდა მალეც — წელსვე ან გაისად.

და გულს აუდუღებდა ჯავრი:

ბაგრატის ტაძარი რომ უნდა აღდგენილიყო 2003 წელს, თემურ შაშიაშვილის უთავბოლობა, არასერიოზულობა შეაფერხებდა ამ პროცესს. გულმოსული იქნებოდა მასზეც, ხელისუფლებაზეც. დაწერდა, იტყოდა. ანდრიაძესაც, მშენებლობის თავმდგმურს, მიახლიდა მკვახედ:

— თქვენი, პირადად თქვენზე არაა ლაპარაკი, პროვინციალიზმის შედეგია. აფხაზეთი არ გათავისუფლდება ამ ტაძრის აღდგენის გარეშე. ის საქართველოს ერთიანობის სიმბოლოა!..

„მესამე გზასაც" დაბეჭდავდა ხელახლა და „წიფობისთვეშიც" ჩართავდა აუცილებლად.

დიდი ხანია კარგი არაფერი ისმოდა და რეზოც 27 თებერვლამდე მიატოვებდა რვეულის შევსებას, თანაც გულისწყვეტის გარეშე. ძველ გაზეთებს, „ლიტერატურული საქართველოს" ნომრებს, ამოქექავდა — 1937 წლისას. საინტერესო გახლდათ — ცხადი იყო და ცხადზედ უცხადესი. არავის ამტყუნებდა რეზო. ადამიანის დაბეჩავებას — როცა მათი სიცოცხლის ხელყოფას ეხებოდა საქმე — რა უნდოდა?!. არაფერი. ადამიანი პეპელა გახლდათ, ღირსების უნარმოკლებული, ყველაფერს იკადრებდა, გაყიდდა მშობლებს, ძმებს, ძმაკაცებს, მაგრამ არა — შვილებს.

„ეს იცოდნენ იმ ჩათლახებმა და ამაზე არ მიდიოდნენ".

8 მარტს ჯანსულ კახიძე გარდაიცვლებოდა მოულოდნელად და ამას გული აუტირდებოდა:

ვაი რა მუსიკოსი, რა მომღერალი! — მგალობელი. არ მითხრას ვინმემ, რომ ქართული, ხალხური, სიმღერა მასავით ესმოდა ვინმეს ან მასავით შეეძლო ემღერა, იშვიათი ნიჭის მუსიკოსი და პიროვნებაო...

„ბევრს არ უყვარდა ამიტომ და, როგორც ჩანს, სხვა რამის გამოც..."

9 მარტს ქარი და მზე იქნებოდა თბილისში და ამ დროს წერდა რეზო „ქარების დაბრუნებას". გულისხმობდა ქუთაისს. ამას დაბრუნებას ვერც დაარქმევდი, ქარების ჩამოსახლებას უფრო ჰგავდა. საიდან მოსულიყვნენ მართლაც ეს შტორმული ქარები? შუქი იყო და უკვირდა. გაზს გათიშავდნენ და: ხვალ იქნებაო. რაც გვქონდა, ის აოცებდა: კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო, — რუსთველური სტრიქონით მოიოხებდა გულს...

რევაზ ჩხეიძეს გადაუხდიდნენ ფილარმონიის დიდ დარბაზში დაბადების 75 წლისთავს დიდი პომპით. კონტიგენტი მისი იქნებოდა, კინოსტუდიის დონისა. ნიჭიერ კაცად მიიჩნევდა რეზო, თუმც ესეც როგორ არ ეთქვა: გემოვნება ნამეტანი რომ ღალატობდა. და მისი ენერგია ხარისხში არ გადადიოდა.

ნეორეალისტური კინოს ტრფიალი ნეორეალიზმსა და ოპერეტას გააერთიანებდა თითქოს. წარმოდგენა არ ექნებოდა გროტესკზე, ირონიაზე... ყველა მისი პირობითობა სიყალბე გახლდათ. ყალბი, ყალბი... მსოფლმხედველობა — წარყვნილი იდეოლოგია, კომუნისტი, სტალინელი შინაგანად...

რა კარგად ჰყვებოდა:

როგორ ნახა მანქანაში სხვა პატიმრებს შორის ჩამჯდარი მამა, როგორ სდიეს დედა-შვილმა ავტომანქანას, ვიდრე სირბილს შეძლებდნენ, როგორ გაუქრეს მამა...

და ამას არ გადაიღებდა. და სულ უკუღმა იელიდა თავისი კინოფილმებით.

ერთადერთი ადამიანი, ვისაც სხვისი არა შურდა.

სამაგიეროდ: წინაპართა სიჯიუტე, სივირე გენში გაჯდომოდა. დესპოტი, მონების, მლიქვნელების მოტრფიალე. რეზო ტრუხილიოს დაარქმევდა, იყო ასეთი დიქტატორი. იცოდა, ენას მიუტანდნენ... და მიეტანათ კიდეც. შეიშლება ამის გაგონებაზეო, რეზოს რომ ეგონა, იმას... გახარებოდა კიდეც. მოსწონებოდა ეს მეტსახელი. თუ რაიმეს დაწერდა რეზო მასზე, სათაური უკვე გამზადებულიყო: „ტრუხილიო".

მოინდომებდა დალაპარაკებოდა, მაგრამ მერე ხელს ჩაიქნევდა: კაი დროსაა, მოჭამა წუთისოფელიო.

31 მარტს ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეს — მას უზნეო კაცადაც მოიხსენიებდა ყველა უბედურებასთან ერთად:

თავისი დაბადების დღე საქართველოს დამოუკიდებლობას დაამთხვია, თანაც არავითარი დამოუკიდებელი იმ დროს საქართველო არა ყოფილა, „თავისუფლებაც" დეკლარაციული ხასიათისა იყოო.

არადა: 31 მარტს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება კი არ მოხდებოდა, არამედ რეფერენდუმი გაიმართებოდა, თუ რამდენი მომხრე ჰყავდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, ზვიადს მის ჩატარებას რომ უშლიდნენ კეთილისმყოფელნი: უფრო მოსალოდნელია, რომ ხალხმა ვერ გაბედოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა კომუნისტების შიშით და წამოწყება სავალალო მარცხით დაგიმთავრდესო.

არ დაუჯერებდა დამშლელთ, თავისას განახორციელებდა მაინც და... ტრიუმფს იზეიმებდა თუ იზეიმებდა, დამოუკიდებლობის გამოცხადებს მყარ საძირკველს რომ შეუქმნიდა, და მოგვიანებით თვით ედუარდ შევარდნაძე შეიქნებოდა იძულებული, ეღიარებინა 31 მარტის რეფერენდუმის განსაკუთრებული მნიშვნელობა...

რეზო ედუარდ შევარდნაძესაც წაჰკრავდა ნესტარს, თან უკეთეს პერსპექტივასაც რომ ვერა ხედავდა?!.

სჯობს ალბათ მოითაოს ხანი საპრეზიდენტო და დაინიშნოს ნორმალური არჩევნები. გაძლებს კი სამ წელს? ვერა... არადა აირევა ქვეყანა, თუმც ამაზე უარესი, რაც დღეს გვჭირს, რაღა დაგვემართებაო!..

4 აპრილს დაიბეჭდებოდა „ახალ ქართულ გაზეთში" ინტერვიუ რეზოსთან სათაურით: „შაშიაშვილზე არაფერი მკითხოთ". ცხარე იქნებოდა, მწარე, დიპლომატიით, შინაურით, შეზავებული.

„მერე რა, წერე და იკითხე..."

ისე რამდენი გაზეთი გამოდიოდა, თუ ვინმემ იცოდა, ამ გაჭირვებულ-გაუბედურებულ საქართველოში?!.

„უფალი შეგვეწევა!.."

მწერალთა კავშირში შესვლა აღარ შეიძლებოდა, ისეთი ხალხი იკრიბებოდა, რომ რა გინდა... მეტი რაღა უნდა ეთქვა: გული აგერევაო!..

9 აპრილი დასვენების დღედ გამოცხადდებოდა, და რეზოს არ უკვირდა: გამრავლდა უქმე დღეები, სავსებით ბუნებრივადო.

19 აპრილს დაიბეჭდებოდა „ვასო არადელი". რეზო მუშაობას მოუმატებდა, შემოქმედებითს, და დღიურის შევსებას მოუკლებდა.

მისდევდა დროს და ვერ ეწეოდა. კვირაში ერთი ნოველის ან ამბის გამზადება და მოყოლა იოლი არ გახლდათ. თანდათან ინვრთნებოდა.

ხომ არ აელო ტაიმ-აუტი აგვისტოში?.. მაგრამ იქამდე სამი თვე დარჩენილიყო, თანაც მაისში ხუთი პარასკევი გროვდებოდა და რეზოს უხაროდა: კიდევ კარგი, შვიდი არააო.

რომანი წამოეწყო და გავიდოდა მალე ბოლოში, თუმცაღა სამუშაო, გადათეთრება-გადაბეჭდვა, წინ ედებოდა. „ქარების დაბრუნება" გახლდათ ეს რომანი, რომლის მოცულობაც ვერ დაედგინა ჯერ.

ძლიერი გამოვიდოდა, ღრმად სწამდა.

სიდიდე-სიპატარავეს, მცირე მოცულობის ნაწარმოები ჩანდა, არ ექნებოდა მნიშვნელობა, მთავარია არ აჩქარებულიყო და გადაკეთება-გადმოკეთებისათვის არ მიეყო ხელი ჩვეულებისამებრ.

9 მაისს ომის დამთავრებიდან 57 წელი გავიდოდა, ბევრი, დიდი დრო, ერთი სიცოცხლე უმრავლესთათვის. ვარლამს ომის დაწყებამდე, 1939 წელს, წაიყვანდნენ, 1948 წელს — ტყვეობა, ციხე ჩვენი — დააბრუნებდნენ. აქ ედებოდა რეზოს მისი საქმე, უნომრო, 1998-ით დათარიღებული. იწერდა და ვერ იწყებდა. იქნებ ერთი, მხოლოდ ერთი ნოველა მოეხერხებინა მის სიცოცხლეში.

— თუ მოვესწრები? — ეკითხებოდა ის, და რეზო პასუხად:

— შენ კი არა, ჩემო ერმილიჩ, ვეჭვობ, მე მოვესწრო!..

„ლიტერატურული საქართველოს" 10 აპრილის ნომერში „საწირე" გამოქვეყნდებოდა, ახალი ნოველა „მარტო ლეკი" უკვე გაემზადებინა. მაისივნისს მოამთავრებდა და ზაფხულის ორ თვეს, აგვისტოს მაინც, გამოტოვებდა საშვებულებოდ.

სექტემბრისათვის „ქარების დაბრუნებაც" ექნებოდა მზად.

მაისში არჩევნების ცხელება დაემართებოდათ ცრუქაქუნა პარტიებს. ჩაითრევდნენ მოსახლეობასაც აჟიოტაჟში. საგიჟეთი გამართულიყო და აწი და აწი რეზო უარესსაც მოელოდა. ქუთაისი ჩამკვდარ-ჩანაცრებულიყო. თემურ შაშიაშვილს დღეს აყრიდნენ მარჯვნიდან და მარცხნიდან და... ოტია იოსელიანიც გაწირავდა ბოლობოლო.

7 ივნისის ნომერში დაიბეჭდებოდა ოღიას, ანზორ სალუქვაძის, სილუეტი. იცოდა, სათაური რომ უნდა გამოეცვალა და გადაასწორებდა გუშინ: „მორისი და ოღია". არ აღტაცდებოდა, მაგრამ მარტო „ოღია" ეჩოთირებოდა. და დღეს გაახსენდებოდა, რა უნდა დაერქმია: „ათვლიდან დათვლამდე".

„ოტ ზვანკა დო ზვანკა!" რუსული გამოთქმა რომ არსებობდა, რეზო ჩაითქვამდა: ხომ შეიძლება შესატყვისი მოეძებნოსო, — და აჰა კიდეც მოძებ-

ნიდა და ქადილით მიმოიხედავდა: ვერავინ დამიწუნოსაო. ჩაიწერდა და დაიმედდებოდა: უკვე აღარ დამავიწყდებაო.

მომდევნო ნომერში ვარაუდობდა საგულისხმო მასალას, გაზეთის ორგვერდიანს, ახლა რომ იწერდა, ათეთრებდა: „მიშგულადეღსი“, სვანურად რომ ნიშნავდა: ღმერთი მშვიდობას გვიბოძებსო.

5 ივნისის „ლიტერატურული საქართველოს“ გადათვალიერებისას დაცდებოდა:

საძაგელია, გულისამრევი... ჩემზე არაფერს ვამბობ, ჩემი მოსწონთ... მე რომ მკითხველი ვიყო, ამ გაზეთს ნაღდად არ შევიძენდი. ამიტომაც ვარ მე და არა სხვაო.

ხოლო საერთო ფონი:

სიდუხჭირე, გაურკვევლობა, უპერსპექტივობა. მიმდინარეობდა ხელისუფლების ლანძღვა შევარდნაძის დედის გინების აკომპანიმენტზე...

22 სექტემბრის „ლიტერატურულ საქართველოში“ „მომღერალი“ რომ დაიბეჭდებოდა, ზურაბ ანჯაფარიძეზე, ამ ყაიდის დოკუმენტური ნოველების ციკლს კიდეც დაასრულებდა. გასამზადებელი, დასამატებელი რჩებოდა ბევრი, თუ ბევრი არა, რამდენიმე მაინც წიგნისათვის, თუ ეღირსებოდა წიგნი.

„ქარ.ების დაბრუნება“ ნოემბერში დასრულდებოდა ალბათ.

თუ მოინდომებდა, საფინალოდაც ექნებოდა საინტერესო რამ... გამოჩნდებოდა.

7 ოქტომბერს გამგეობის სხდომას ჩაატარებდა ლიტერატორთა სახლში, კარგად ჩაივლიდა, როგორც საჭირო იყო — ისე. ტელევიზიით გამოვიდოდა. პირველ სტუმრად დასვამდნენ და... შურს აღძრავდა სხვათა გულში. აქებდნენ, უკვირდათ რეზოს გამოსვლა. მოაკითხავდნენ კვლავ პირველი არხიდან: ამავე საკითხზე გაწუხებთო.

გურამ ასათიანის ოთხტომეულს, ძვირფასად გამოცემულს, გამოუგზავნიდა ოჯახი — მანანა ქიქოძე. პირველი ტომის გადათვალიერებას მოასწრებდა რეზო. „ახალგაზრდა“ ერქვა დღეს იმ ასაკს, გურამი რომ აღესრულებოდა —54 წლისა... ეცოტავებოდა რეზოს ერთი კარგი, სანიმუშო, საინტერესო ადამიანისათვის.

შესანიშნავად ეცოდინებოდა რუსული, რუსული პოეზია, თვითონ კი ტიპური ქართული მოვლენა გახლდათ. საძმაკაცოც ისეთი, იმნაირი, თავისნაირი ყაიდისა ეყოლებოდა: თემო ჩირგაძე, თამაზ მელიავა...

18 ოქტომბერს თამარ ცაგარეიშვილი გადაიღებდა, ჩაწერდა. კაიხანს იბჟუტურებდა (ამ სიტყვას ამჯობინებდა თავის ნალაპარაკევზე რეზო), დამონტაჟდებოდა და... იქიდან მეოთხედიც არ დარჩებოდა. მოსწონდა იმისი ტელეპორტრეტები: კარგი გამოუდის ხოლმეო. თავის თავზე კი რა ეთქვა რეზოს — თავის სახეს, თავის პერსონას ტელეეკრანისას თვალს არიდებდა, არ უყურებდა წინასწარვე დარწმუნებული: არ მომეწონებაო!.. და სხვა რომ აქებდა: კარგი გამოსვლა გქონდაო, — არა სჯეროდა.

ამთავრებდა „ქარების დაბრუნებას“, გადიოდა ბოლოში.

ამის შემდეგ წიგნის დამზადება — პირდებოდნენ სამტომეულს ქუთაისში — მუშაობა და კვლავ მუშაობა.

14 ნოემბერს კარგ რეზოლუციას გაეცნობოდა ედუარდ შევარდნაძისას, თამაზ ნივწივაძე რომ მიმართავდა თხოვნით რეზოს იუბილის თაობაზე.

— ერთხელ თქვენ რომ წამოჭერით წინადადება, ყველას თავის კუთხეში, მამულში გადავუხადოთ იუბილე, ის გაითვალისწინა რეზომ, — ეტყოდა თამაზი და გაიხარებდა პრეზიდენტი:

— დარწმუნებული ვარ, უმაღლეს დონეზე გადაიხდის ქუთაისი გამოჩენილი მწერლის იუბილეს.

„მაღალზე" კი არა, სწორედაც „უმაღლესზეო".

ბევრჯერ გაეკრიტიკებინა რეზოს, ბევრჯერ მწარედ ეთქვა მასზე, იცოდა და... მაინც არ ერჩოდა.

— დააქცია საქართველო, — ლაპარაკობდა შევარდნაძეზე რეზო.

— ჩემი უსაყვარლესი მწერალი და უსაყვარლესი მეგობარია, — აღნიშნავდა შევარდნაძე რეზოზე და... ახლა როგორღა მოქცეულიყო: ეგინებინა საპასუხოდ?

ეგ არ შეეძლო, ეგრე არ ეცხოვრა. ხმას არ ამოიღებდა და ეგ იქნებოდა. არ მოიქცეოდა სწორად? რაც უნდა ყოფილიყო, დროებით წყვეტდა ამ კაცზე მსჯელობას, შემდგომ კი ავსაც იტყოდა და კარგსაც.

— პიროვნება კი მაინც დადებითია, სიმპათიური, ქვეყნის მართვა არ შეუძლია, ქვეყნისათვის სვლაგეზის, მიმართულების მიცემა — კი, და ესაა დამღუპველი, მაგრამ მაინც გადასატანი და გასავლელია. უარესის მოლოდინში ვართ და ვითმენთ, სხვა რა გზა გვაქვს!..

მცირე წრეში განაცხადებდა:

— რომ იძახით ჩემზე, ერთ-ერთი დიდი მწერალიაო, ერთ-ერთი კი არა, ვარ ერთი.

ამაზე შეცბებოდნენ, ეს კი განაგრძობდა:

— ხომ არ ვიძახი: ერთადერთი ვარ-მეთქი, ვარ ერთი და არა ერთადერთი.

ამაზე დაყაბულდებოდნენ:

— მასე კი!..

ასე თუ ისე, ვარ ერთიო, — დღიურშიც აღბეჭდავდა და მიადევნებდა: რა თავმდაბლობაა, თფუო!..

26 ნოემბერს ბოლო გვერდებს, ბოლო კორექტურას ჩაიკითხავდა „ქარების დაბრუნებისა".

„მორჩა. ანი სხვაზეა".

10 დეკემბერს შეიტყობდა, რომ:

ალექსანდრე დიუმა გადაესვენებინათ დიდი პომპით პატარა ქალაქ ვიე კოტერიდან პარიზის პანთეონის მოედანზე, წმინდა ჟენევიევას ტაძარში... ვიქტორ ჰიუგოს საფლავთან ახლოს. ნიჭიერ მწერლად მოიხსენიებდა რეზო, მაგრამ ბევრ ბალასტსა და წყალსაც აღნიშნავდა მის ნაწერებში. დაწურავდი და... დარჩებოდა მეათედი, შესაძლოა მეასედიც...

გადმოსვენებას უსათუოდ ეყოლებოდა მოწინააღმდეგენი.

— ყოფილიყო იქ, ვიე კოტერეში, — იტყოდნენ უცილოდ ისინი, თუმც საზოგადოებრივ აზრს, უკვე შექმნილი იქნებოდა, გაუწევდნენ ანგარიშს, რად უნდოდა ლაპარაკი!

და როგორ არ გაეკილა რეზოს აქაური საქციელი:

ჩვენებმა რომ იციან ჩუმად, ჯერ გადაასვენებენ და შემდეგ გამოაცხადებენ: კომისიამ გადაწყვიტაო. და ვინ არის ეს კომისია, ადრე ცეკა გახლდათ, არავინ უწყისო.

ტერენტი გრანელს პარტიზანულად გადააბრძანებდნენ დიდუბის პანთეონში, გაუწყობდნენ საფლავს ისეთს, როგორიც არ უნდა გაეწყოთ... უგემოვნების, უცოდინრობის შთაბეჭდილება დაგრჩებოდა. და რეზოს აზრით: თუკი პეტრე-პავლეს სასაფლაოდან აუცილებელი იყო მისი ნეშტის გადმოსვენება, მყუდრო ადგილი უნდა შეერჩიათ, ჩრდილში, ფოთლებში. სადად, უბრალოდ, „უპატრონოდ“... დებით...

გაუფუჭდებოდა კალამი და... თან შეწუხდებოდა და თან სიხარულსაც ვერ დაფარავდა: ვერ მიძლებს კალამ-პასტაო...

კალამი ვერ ეშოვნა ნორმალური, ათეთრებდა „ასკილის წითელ ყვავილს“ და კალმის პრობლემაც აწუხებდა ყველა პრობლემასთან ერთად...

თავი მესამე

2003 წელი

კითხვასაც ასწრებდა, ტელევიზორის ყურებასაც. ქვეყანა არეულიყო, ასარევად გამზადებულიყო საარჩევნო საციებცხელებო ძაგძაგის წინ.

ედუარდ შევარდნაძე ურევდა. ყველაფერს იღონებდა, რათა საპრეზიდენტო ვადა გაევლო უხიფათოდ.

ეგონა რეზოს: ვერ შეძლებსო, — და შემცდარიყო ვითომ ამ პროგნოზის გამოთქმისას?

„ქარების დაბრუნებას“ გადაიკითხავდა, ჩაასწორებდა მსუბუქად ალაგ-ალაგ. „გადაკითხვა“ რას ნიშნავდა და: წაკითხვას ავტორისა და რედაქტორის თვალით.

შეფასებით ასე შეაფასებდა:

ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი, მაგრამ ნაჩქარეობა არ ეტყობოდაო.

ბეჭდვას რომ დაიწყებდა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე, ფინალი არ ექნებოდა დაწერილი — საბოლოო ვარიანტი. შავად ერთ თვეში მოილევდა. შემდეგ პირველი ვარიანტი და უკანასკნელს სექტემბრის მიწურულს დაუწყებდა უკვე ბეჭდვას. სულ 11 ნომერში გაიწელებოდა. გულისყურით წერდა, ამუშავებდა.

სად მოვძებნე ეს საკანცელარიო დავთარი, რა გაავსებს, ხატვა მაინც ვიცოდე ან ნოტებიო, — დაიჩივლებდა, და გაახსენდებოდა, რომ „მუსიკა ქარში“ დიმიტრი ერისთავს გაეფორმებინა. ნოტები ყდაზე თურმე ამ სიმღერის — „წყალტუბოდან ქუთაისში“ — მუსიკა ყოფილიყო. იკითხებოდა. წიგნიც კარგი გამოვიდოდა, ხელში მოგყვებოდა, მოკეცავდი. რეზო ინანიშვილს მოეწონებოდა გამოცემა, ავტორი კი არც კმაყოფილი დარჩებოდა მაშინ და არც უკმაყოფილო.

კოლაუ ნადირაძეზე მოხაზავდა — წერილად აქცევდა, როგორც კი მოიცლიდა. მასალა იმაზე მეტი აღმოაჩნდებოდა, ვიდრე ეგონებოდა...

დიალოგად დაწერილ „ორ გოგოს“ შეიტანდა „წიფობისთვეში“ და მოიწონებდა: კარგიაო!.. ორი გოგო, ორი ბარიშნა — ვლადიმერ მაიაკოვსკის პირადი წერილიდან. და იქვე დაინტერესდებოდა: რას ნიშნავს ეს „პირადიო“?

ჩამოაკითხავდა გოგი წერეთელი, მხატვარი, და დაალაგებდა ტექნიკურ-მხატვრულად დაკაბადონებულ გვერდებს.

მორჩებოდა თითქოს წიგნებს 13 ივნისს — ავტორს უკვე იქ აღარაფერი ესაქმებოდა... დანარჩენს სტამბა-რედაქცია მიხედავდა...

წიგნს გადაჰკრავდა თვალს ოტია პაჭკორიასი და წამოუვლიდა ძველი სიბრაზე: როგორ მომესივნენ უჯიშო ძაღლებივით... სამი მორიელის შხამი მაყნოსესი.

მთავარ ორგანიზატორად კრიტიკული თავდასხმებისა ტარიელ ჭანტურიას მიიჩნევდა, აკაკი ბაქრაძეს ზრდადასრულებულ ფრიადოსნად მოიხსენიებდა, ოტია პაჭკორიას — სულელად... როგორ ჩაეყლაპა მაშინ ასე უჩუმრად, თავს იდანაშაულებდა, არ ესმოდა და არ იცოდა!..

აკაკი ბაქრაძე უენობასაც უსაყვედურებდა, ენას დაუწუნებდა და დაუსაბუთებდა: ასე კი არა, ისეაო. კონსტანტინე ლორთქიფანიძის სკოლის გავლენას მიაწერდა ამას რეზო. საკრიტიკო მასალა ჯერ კიდევ არ იქნებოდა იმ დროს დაბეჭდილი, გამოსული არ იქნებოდა „ცისკრის" ის ნომერი და... ხელნაწერს გაატანდა აკაკი ბაქრაძეს, სასტამბო ხელნაწერს ტარიელ დაკარგული, მორიელი ანუ, წააქეზებდა თანაც... მალე მიხვდებოდა აკაკი შეცდომას, მიხვდებოდა, გამაბრიყვესო, და შეეცდებოდა გამოსწორებას უნიათოდ... ამ ყოველივეს ვრცლად მოჰყვებოდა რეზო, მოვიცლი მე თავადო! — დაიქადნებდა.

ერთი ჟურნალი არსებობდა ახალგაზრდული — „ცისკარი", და მას განაგებდნენ ენის სისინით, ენის მიტან-მოტანით. აგინებდნენ კონიას — კონსტანტინე ლორთქიფანიძეს — და ენა მიჰქონდათ სწორედ იმ კონიასთან.

„იმათზე საზიზღარი ადამიანები, ახლა ვაანალიზებ (მაშინ დრო არ მქონდა) არ არსებობდნენ".

მიემატებოდათ გურამ ფანჯიკიძეც. და ყველა გაკოწიავდებოდა, დაემსგავსებოდნენ დიდად მავნეს, დიდად. ადამიანად რომ ჩაეგდო რეზოს რომელიმე, გადაუხდიდა, მაგრამ ეს არ გახლდათ მისი თვისება, ბუნება... ახსოვდა და ივიწყებდა, გაახსენდებოდა ხოლმე...

ახლოვდებოდა რეზოს საიუბილეო საღამო. 20 ივნისს დარჩებოდა ერთი კვირა. მოსაწვევები დარიგდებოდა და იქნებოდა ერთი ძებნა... ინტერესი დიდი... რამდენი დარჩებოდა უკმაყოფილო რეზოს მოსაწვევებისა და საღამოს გამო. ერთი ვერ შემოვიდოდა, მეორე იტყოდა: რა მინდოდა, რამ შემომიყვანაო.

მთავარი გახლდათ წიგნი. და ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა გალაკტიონის შეძახილი „მშვიდობის წიგნიდან": წიგნი, ტარიელ, ტარიელ, წიგნიო!..

სერიოზულ საუბარს „ლიტერატურული საქართველოსათვის" გადადებდა სექტემბრის ბოლო პარასკევისათვის. მანამდე დრო ჰქონდა და მოასწრებდა ახალ ნოველებსაც და ვრცელ დიალოგსაც. ოლიკო ჟღენტსაც დაპირდებოდა ალექსანდრე დიუმაზე სცენარს, სამოგზაურო-ავტობიოგრაფიული რომანის — „კავკასია" — მიხედვით. საინტერესოდ მოეჩვენებოდა იმისი ჩანაფიქრი და მოინდომებდა ჩართულიყო.

25 ივნისს შუაღამე ჩამოდგებოდა და შუაღამე იწვოდა და დნებოდა.

გალაკტიონის სტრიქონის გახსენებაზე ჩაინიშნავდა, რომ: იგი პროზაიკოსებს უფრო უყვარდათ, ვიდრე პოეტებს — კოლაუ ნადირაძეს (დედ-მა-

მის სულს აგინებდა), ემზარ კვიტაიშვილს, გივი გეგეჭკორს, ტარიელ ჭანტურიას არ მოსწონდათ.

სამეული გიორგი ლეონიძეს უყენებდნენ წინ, კოლაუ აქამდე არ მიდიოდა, არ კადრულობდა. და რეზო მუხრანულსაც გაიხსენებდა ქიმუნჯად: ქართველი ამას იკადრებს განაო?! — და იმ ფუნაგორიასაც: აგიაშვილსა ნიკასო არ ნაყვარება პიკასო, გადარეულა პიკასო, რა დავუშავე ნიკასო?..

ახალ პერსონაჟებს აიყვანდა აღრიცხვაზე: საოლქო სასამართლოს მოსამართლეებს.

ქალაქის სასამართლოში შეაღებდა კარს, იჯდებოდა კაცი შავი, ტანსრული. და ხელად გამოუძებნიდა გვარს: ყვავაძე.

ზედ მისი დაბადების 70 წლისთავი აღინიშნებოდა თეატრში!..

დაესწრებოდა რეპეტიციას. ეპიზოდში „ასკილის წითელი ყვავილისა" იქნებოდნენ ანზორ ხერხაძე და ზვიად სვანაძე-„მლადში", ქალი ახალი იყო, რეზო არ იცნობდა აქამდე. შეადგენდნენ გამომსვლელთა სავარაუდო სიას. ნამეტანი ბევრი გამოვიდოდა. ხვალინდელი დღე იქნებოდა დაძაბული: აქეთ და იქით, იქით და აქეთ!..

საღამო ჩაივლიდა დიდი ამბით, სუფრითა და ნასუფრალით.

ანა კალანდაძეზე იქნებოდა დიდი გადაცემა. ზინა კვერენჩხილაძე იდგებოდა გრძელი, შავი კაბითა და მოსასხამით ხრიოკ ფერდობზე და საფრთხობელასავით გაშლიდა ხელებს: მოდიოდა მთასა ზედა და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენო.

არ მოიწონებდა რეზო ამ სიტყვას: ქარიშხლებს არ უხდებათ ბღავილიო.

უსმენდა და ფიქრობდა: ნეტა არაფერი აწუხებდა, არაფერს განიცდიდა ეს ქალი, ყველაფერი გულგარეთ როგორ აქვსო... ჩუქურთმას ახვევდა ტაძრისას, კედელს, დეკორს ხედავდა კარგად — ცას, მთვარეს... ბუნების ნამოქმედარს დეკორაციად აღიქვამდა, — კარგად, სხვათა შორის, და მეტი არა. ასევე უყურებდა წინაპრებს — ისტორიულად, შორიდან უჭვრეტდა, მხოლოდ შორიდან. ტაძარში ვერ შედიოდა...

გულზე დამადგით ფეხი ყოველთაო, — თითქოს ეს ეწერა დავით აღმაშენებლის სამარის ქვას. ეპიტაფია ეგონება ეს უმრავლესობას — ანა კალანდაძის ლექსის შემყურეთ.

ასევე: დარუბანდის (განჯის კარს, ჭიშკრის ცალ ფრთას) კარს ხელი შეახეთო...

და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა:

მუხრანსა და ანას ერთი სკოლა ჰქონდათ გამოვლილი თითქოს.

სიტყვები. სიტყვები. სიტყვები — ამასაც ჰამლეტური შეფასებისათვის გაიმეტებდა.

გრამატიკაში, განსაკუთრებით ძველში, ქალი ჯაბნიდა მას. და რეზოს გული ეწურებოდა, სქესი რომ არ ახლდა ჩვენს ზმნას.

ნიკო ნიკოლაძის ტომებს გადაავლებდა ხოლმე თვალს სტამბაში, ელგუჯა თავბერიძის კაბინეტში, როგორც კი დროს იშოვნიდა. ილიას „აბითურებდა" ერთგან უსამართლოდ და სამართლიანადაც. არც სხვას აკლებდა

ხელს. ახლა დაეწყოთ მისი განდიდება, როგორც პუბლიცისტისა და ეკონომისტის. საგაზეთო დონეზე ეჩვენებოდა მაინც რეზოს იმისი ევროპულ-რუსული აზროვნება ეკონომიკაშიც, პოლიტიკაშიც, ლიტერატურაში — მითუმეტეს. თუმც ნაადრევი დასკვნა ხომ არ გამოჰქონდა?!.

რეზოს იგი მოგონებასა და ქუთაისურ დიალექტში მოსწონდა... შესასწავლ პიროვნებად ესახებოდა მაინც, თავის დროზეც დაფასებულ-დაუფასებელ ქართველად: რუსულ-ევროპული სამოსელით.

1 სექტემბერს როგორ არ მოჰგონებოდა, სკოლა რომ არ უყვარდა, სამაგიეროდ უყვარდა გაცდენა და ამხანაგები, ქართული და ზოგიერთი — თითზე ჩამოსათვლელი — მასწავლებელიც. გამოიცვლიდა ოთხ სკოლას და შვიდ თუ რვა შენობას. დამამთავრებელ კლასს სიცხიანი და ავადმყოფი რომ დაასრულებდა, იმ წელს გამოცდებზე ვეღარ დადგებოდა. დრო კი ექნებოდა — თეატრალურ ინსტიტუტში შემოდგომისას აბარებდნენ, აბიტურიენტები აკლდათ და ჩაჭრილ-ჩახიშტულებს ელოდნენ. წერილსაც მიიღებდა: ჩამოდიო — მაგრამ წასვლას ვერ შეძლებდა. მომდევნო წელს კი სარეჟისორო ფაკულტეტი აღარ იქნებოდა და რეზო საბუთებს შეიტანდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოსოფიურ ფაკულტეტზე, მგონი ლოგიკის განხრით. მაგრამ... ვერ მოეწყობოდა. ფილოსოფიურზე რა უნდოდა? არც არაფერი. კონკურსი იქნებოდა პატარა და იფიქრებდა, მოვხვდებიო.

მესამე წელს ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩააბარებდა უპატრონოდ, უფულოდ, უპროტეჟოდ, უპროტექციოდ... ეს გახლდათ 1954 წელი. ქეც შესრულებულიყო 21 წლისა. თანაკურსელებზე — ყველაზე არა — ორი წლით უფროსი.

შალვა დადიანის ტომების გადათვალიერება-გადაკითხვას რომ ახერხებდა მაინც, 4 სექტემბერს ჩაინიშნავდა: კეთილშობილი კაცია, პატიოსანი, ქალებთან ურთიერთობაშიც კიო. არადა სხვა ხმები დადიოდა მასზე საშინაუროდან, სხვა წარმოდგენისა, მაგრამ რეზო მის კოლორიტულ პიროვნებას, წარმოშობას პატივს სცემდა დიდად. მთაწმინდაზე რატომ მარხავთ, რა გააკეთაო, ატყდებოდა ერთი მითქმა-მოთქმა და... რეზოს მცდარად დაამახსოვრდებოდა, რომ დიდუბეში დაკრძალავდნენ. შევამოწმოო, ჩაინიშნავდა.

გათენდებოდა 7 სექტემბერი და გასწევდა კიდეც თბილისისაკენ. აქაც საქმე, იქაც საქმე. გამოვიდოდა კარგი გაზეთი „ჩემი ქუთაისი“... და გალაკტიონური თავისთავად მოადგებოდა ბაგეზე: ამას ისეც მიგიხვდება ჩემი ქუთაისიო...

ბევრი ოფიციოზი იქნებოდა შიგ, სხვაფრივ კი არა უშავდა რა, უკეთესი გახდებოდა, უნდა გამხდარიყო შემდეგ და შემდეგ. შუა გვერდები, ფერადი, რეზოს ეკუთვნოდა — მისი „პური“ დაბეჭდილიყო...

16 სექტემბერს სახელმწიფო კანცელარიას მიაკითხავდა პრეზიდენტთან მიღებაზე. ბაგრატის ტაძრის დაარსების 1000 წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიების ირგვლივ მოხსენებით გამოვიდოდა თემურ შაშიაშვილი: ამას ვიზამთ, იმას ვიზამთო... და მეტი არც არაფერი.

სამღვდელოება დაესწრებოდა ყველა ეპარქიიდან, გამგებლები, მეცნიერები, შევარდნაძე — დაღლილი, თითქმის გამოთაყვანებული.

— მოკლედ, მოკლედ, — აფრთხილებდათ. მაინც მოუსმენდა ბოლომდე შაშიაშვილს, რომელსაც ძალიან შეაქებდა თავის გამოსვლაში როინ მეტრეველი:

— ასეთი ენერგიული კაცი არ გაჩენილა ამქვეყნად, — და მხარს დაუჭერდათ, — რაც შეეხება ბაგრატის ტაძრის 1000 წლისთავს, ის უნდა აღინიშნოს.

თამაზ გამყრელიძე საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3500 წლისთავის ზეიმზე ილაპარაკებდა და ბაგრატის ტაძარს არც ახსენებდა.

რეზოს თავისი გამოსვლა არ მოეწონებოდა: საზიზღრად გამოვედიო. თუმც ყურადღებით კი მოუსმენდნენ.

— მოკლედ, მოკლედ, — გაძლებაზე იქნებოდა შევარდნაძე, თუმც არქიტექტორი ჯაფარიძე მოკლედაც ილაპარაკებდა და საქმიანადაც, გრაგნილი კი თვალსაჩინოებად ეჭირებოდა ხელში და გახსნით არც გახსნიდა ძეგლის აღდგენის პროექტს.

— აღარაა საჭირო მეტი, აღარ არის საჭირო, — აქეთ-იქიდან დაიძახებდნენ პრეზიდენტის დამქაშები, ადგილობრივი მოხელეები.

უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მაინც იტყოდა თავისას მოკლედ, ჭკუის დარიგებით. რეზოს გამოსვლა არ მოეწონებოდა, ეს „აღდგეს, აღდგესო", რომ იძახებდა და სამების ტაძარი, იმისი სარკოფაგი, არ გაახსენდებოდა. ეს იქნებოდა კათოლიკოს-პატრიარქის გამოსვლის პათოსიც და რეზოს „დაუნახაობას" მიუთითებდა, თუმცაღა შეკრების დამთავრების შემდგომ დაბადების 70 წლისთავს მიულოცავდა გულღიად.

ედუარდ შევარდნაძე შეაჯამებდა ბოლოს სხდომას და პირდაპირ რეზოსაკენ შემობრუნდებოდა:

— ვკითხულობ, ჩემი სამაგიდო წიგნებია, მალე დავამთავრებ, თუმც ამას შენთვის შეიძლება არავითარი მნიშვნელობა არა აქვს...

— ძალიან დიდი! — ჩაილაპარაკებდა რეზო.

გაიგონებდნენ, მაგრამ ცხადია ვერ გაერკვეოდნენ, რას გულისხმობდა პრეზიდენტი, ზოგადიდან კერძოზე, ოფიციალურიდან საშინაოზე რომ გადავიდოდა. ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდებოდა, გიგა ლორთქიფანიძე გამოსვლასაც ვერ მოასწრებდა, სიტყვას ვერ იტყოდა. სათითაოდ ჩამოართმევდნენ ხელს მინისტრები რეზოს კრების დამთავრების შემდეგ... განსაკუთრებულ პიროვნებად წარმოუდგებოდათ ერთბაშად, რაკიღა შევარდნაძე ასე გამოარჩევდა.

21 სექტემბერს რომ გაიხსნებოდა თეატრალური ფესტივალი, დამთავრდებოდა 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობას, მცხეთობას. დასკვნითი შეხვედრა ტყეში გაიმართებოდა, მუხებქვეშ, ყველა თეატრისა — 17-ნი იქნებოდნენ — და მეთვალყურეთა მონაწილეობით. ფესტივალი, რომლის თავმჯდომარეობაც რეზოს ეკისრა, მშვიდობიანად, წყნარად, ლამაზად ჩაივლიდა. გახსნიდა და დახურავდა და თავისი ბოლო გამოსვლა მოეწონებო-

და: დავბეჭდავ ალბათო. პრემიების გადაცემის ცერემონია მაღალ დონეზე ჩატარდებოდა თეატრში, მუსიკით, საზეიმო გამოცხადებით, თითქოს „ოსკარის“ პრიზი დაერიგებინოთ... ბევრს გაახარებდნენ, ბევრიც უკმაყოფილო დარჩებოდათ...

ყველა თეატრი ჩამოვიდოდა ქუთაისში, ქუთაისის ყველა დასი მოიცლიდა რაიონს. ასევე დანარჩენებიც. შეხვედრები სკოლაში, შემდეგ სუფრები. თერჯოლა იმარჯვებდა.

გაეხარდებოდა რეზოს, სამი თეატრი დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირს“ რომ წარმოადგენდა, ხოლო ერთი — „ბაკულას ღორებს“.

მეორე დღეს, ორწიფობას, დიდძალი ხალხი დაიძვროდა მოწამეთის ტაძრისაკენ.

საარჩევნო კრეტინიზმი — უკეთეს სიტყვას აღარ დაუწყებდა ძებნას რეზო — ძალას იკრებდა და შედიოდა აპოგეაში. ბაქოში დარეოდნენ უკვე ერთმანეთს ქუჩებში. ასე იქნებოდა ერევანშიც და ჩაწყნარდებოდნენ. ასე მოხდებოდა აქაც.ბაქოში ილჰამ ალიევი, ჰეიდარ ალიევის ვაჟი დაჯდებოდა. ცენტრალური კომიტეტის ყველა ყოფილი მდივანი მონარქი გახდებოდა პოსტსაბჭოურ აზიურ მხარეში. ამასვე ფიქრობდა ედუარდ შევარდნაძეც, მაგრამ... აგვიანებდა, ვერ ბედავდა ჯერ. ასლან აბაშიძეს ხომ დაენიშნა შვილი, ძე მემკვიდრედ აჭარაში!..

კაი არაფერი ანუ აფერი იყო მოსალოდნელი, რეზოს შეტყობით.

არიგებდა თემურ შაშიაშვილი რეზოს წიგნებს, შეეძინა და მისი ნება გახლდათ. რეზოსაც შეხვდებოდა 50 ცალი.

წიგნები კი ვერა და ვერ დაელაგებინა შინ, ამატებდა თაროებს და არა ჰყოფნიდა. მაინც რამდენი დაგროვებულიყო, რამდენი გადაეყარა, დაეწვა კიდეც ქუთაისში, ბუხარში, თავისიც და სხვისიც, თავისი — უფრო მეტი... რაც დარჩენოდა, ისიც გასანახევრებელი იქნებოდა, ან ის ნახევარი ვის სჭირდებოდა?! ბოლო ათ წელიწადს წიგნს აღარც ყიდულობდა. გაძვირებულიყო და გაბითურებულიყო. გეყიდა, რაც გინდოდა, რამდენიც გსურდა. არადა ვეღარ იძენდა. უმრავლესობას ინტერიერის დასამშვენებლადაც აღარ სჭირდებოდა, აღარ იყო მოდაში, აღარ იყო პრესტიჟის საშუალება.

ჯაბა იოსელიანი როგორ იტყოდა?

— ეგრეა რა!

ეომა, წასულიყო. ნახევარი სიცოცხლე ციხეებში გაეტარებინა. ჩაცმადახურვა, ჩოხა და „ბაბოჩკა“, არ მოეკლო.

„ჰქონდა, ირგებდა, შვენოდა“.

სიკვდილი, როცა არ ელოდა და სადაც არ ელოდა, იქ მოუსწრებდა — ძილში გაიპარებოდა.

დროები, წლები წავიდოდნენ, წამოვიდოდნენ და დროები და წლები დარჩებოდნენ კვლავ.

25 ოქტომბერს ბაგრატის ტაძრის ეზოში გაათევდა ღამეს, რამდენიმე ახლობელს რომ აიყოლიებდა და ააკითხავდნენ ბაგრატს პურმარილითა და საძილე ტომრებით. განთიადი მოაწევდა. გორაზე შუქი (ქვევით, ცენტრში

— კი), დენი არ იქნებოდა, არ იქნებოდა არც ეზოში, არც სამეზობლოში, ტაძარი კი მაინც თეთრად იბრწყინებდა. არ გამოჩნდებოდა ვარსკვლავები, არც მთვარე დაადგებოდათ თავს, პირიქით, ცა მოღრუბლული დაჰყურებდათ, ჟინჟღლა კიდევ ჟინჟღლად, დალევდნენ თუ არა თითო ჭიქას. გაავდრდებოდა, არ გაავდრდებოდა, სად შეფარებინათ თავი?

არსად, გვაცლისო, — დარწმუნებული იქნებოდა რეზო და... კიდეც აცლიდათ.

და დამთავრდებოდა რეზოსათვის ბაგრატი-1000. გაისად სხვა განზომილებაში გადავიდოდა ათასწლეული.

— გმადლობ შენ, უფალო, რომ დამასწარი ამ თარიღს!

გადადექი, წადიო, — მისდგომოდნენ ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც, რეზოს შეტყობით, არც წამსვლელს ჰგავდა და არც დამრჩენს, არც გადამდგომელს, ვიდრე არ გამოასვენებდნენ კაბინეტიდან, თავისით არ წავიდოდა, გამოასვენებდნენ და... კომედიაც დამთავრდებოდა.

14 ნოემბერს, 3 საათზე დიდი მიტინგი უნდა დანიშნულიყო და: გადამწყვეტი დარტყმა უნდა მიეყენებინა მიხეილ სააკაშვილს მტარვალისათვის.

„პარლამენტში მოძებნონ კაი ადგილები, სჯობს, მამა უცხონდებათ! ხალხი ვერ აიყოლიეს. არა სწამს უმრავლესობას მათი. უმრავლესობის უმრავლესობას, თბილისში, ფეხებზე ჰკიდია ეს ყველაფერი. ზოგს არეულობა არ უნდოდა, ზოგსაც თავისი გაჭირვება ჰყოფნის“.

ყველაზე მრავალფეროვანი მიტინგი რომ შეიკრიბებოდა, მოულოდნელად დაშლიდნენ ხალხს — ორშაბათამდე. უნდა წასულიყვნენ თავთავიანთ ქალაქებში, რაიონებში და იქ გაემართათ აქციები, ჩამოეყალიბებინათ წინააღმდეგობის შტაბები, არ შეეშვათ შენობებში გამგებლები, გუბერნატორები.

„ინსტრუქციები კარგი, კაი მოგცეს უფალმა. რაღაც გარიგებაზე მიდიან, რაღაც დაპირებები გასცა ხელისუფლებამ, მე მგონი“.

განცხადებებს გააკეთებდნენ ელჩები, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები: სისხლი არ დაიღვაროსო.

რეზო მიიჩნევდა, რომ: სისხლი არ დაიღვრებოდა, თუ მთავრობა, ხელისუფლება ენერგიულად იმოქმედებდა — ხალხის დაშლასა და შეშინებას რა უნდოდა, ხალხზე ხალხს, მასაზე მასას მიდენიდი ბოლობოლო. ცხვირპირიც დაენაყებოდა ბევრს, ვიღაც დაიღუპებოდა კიდეც და მორჩებოდა... მაგრამ ამას ვერ გაბედავდა შევარდნაძე, ამის თავი უკვე აღარ ექნებოდა...

დემოკრატები, ბურჯანაძე-ჟვანია, ეროვნულობითაც (არა საკუთარითო, — ირონიულად ჩაურთავდა რეზო) დაინტერესდებოდნენ. ასლან აბაშიძის ვოიაჟს მიჰყვებოდნენ, რუსეთის ადრინდელ ანექსიას გაიხსენებდნენ ფრთხილად (ეს პოზიცია მეორეხარისხოვანია მათთვისო, — კვლავ მწარე ჩაკვრა), წითელი დროშის ხელახლა მოსალოდნელ აფრიალებაზეც მიანიშნებდნენ...

ეროვნულ დაუმორჩილებლობას ხომ არ იტყოდნენ, ამიტომაც სახელმწიფოებრივ, სამთავრობო, საშევარდნაძეო წინააღმდეგობის კომიტეტს, რა-

ღაც ამდაგვარს, დააარსებდნენ. აიყოლიებდნენ ისევ ხალხს, თუ ამ გზით წავიდოდნენ.

მთავრობას მრავალრიცხოვანი აპეკუნური სისტემა იცავდა. რჩევებს ისროდნენ: მშვიდობიანად, დიალოგით, მოლაპარაკებითო... მიტინგები, გამოსვლები არაევროპულია, არაცივილიზებულიო...

მართალიცააო, — ეთანხმებოდათ რეზო, მაგრამ ვერ ხედავდა, კიდევ რა ფორმა არსებობდა, რა მეთოდით შეიძლებოდა ედუარდ შევარდნაძის ჩამოშორება, კაცისა, რომელიც 30-32 წელია საქართველოს თავზე აჯდა. პრეზიდენტობის მესამე წელსაც დაურტყამდა (ამ ჟარგონულ გამოთქმას მოიმარჯვებდა რეზო თავისი განწყობილების უკეთ გამოსახატად), მეოთხესაც, შეატანინებდა კონსტიტუციაში ცვლილებას, რათა სამუდამოდ აგვერჩია, სიკვდილამდე. და შემდეგ შთამომავლობას გადააბარებდა მამულს, საქართველოს, ჰეიდარ ალიევივით. ამას რომ აპირებდა, ეჭვიც არ ეპარებოდა რეზოს.

— გადადექი, გადადექი! — ატყდებოდა ისევ ხვალიდან.

იმ დღეს კი მიუახლოვდებოდნენ კანცელარიას და მთელი ხმით იყვირებდნენ:

— გადადექი, გადადექი, გადადექი!

რეზოც დაიძახებდა საახლომახლოსათვის:

— თუ არ გადადგები, გადმოდექი მაინც!

არა, ლანდიც არ გაილანდებოდა შუშებს იქით.

20 ნოემბერს გამოაცხადებდნენ არჩევნების შედეგებს, არცთუ ცუდი მონაპოვარი ექნებოდა ოპოზიციას: სააკაშვილ-ბურჯანაძე-ჟვანიას — მაგრამ მიხეილ სააკაშვილი არ ისვენებდა და დასავლეთ საქართველოდან მოჰყავდა მხარდამჭერები. შევარდნაძე ჩქარობდა, დროზე სურდა პარლამენტის შეკრება, იბრძოდა, ხავსს ეჭიდებოდა, როგორმე რომ შეენარჩუნებინა. ცუდად, დღეს თუ არა, ხვალ, დაუმთავრდებოდა ეს მცდელობა. ტრაგიკული შედეგები — რა ზომითა და მასშტაბებით, ეს უკვე აღარ ეცოდინებოდა რეზოს — თითქმის გარდუვალი გახლდათ.

ამინდებს არა უშავდა რა აქეთ, იქით, ქუთეისს, წუმდა თურმე, და მთელ ლიხთ-იმერეთში წვიმდა, ავდრობდა.

გაფიცვები და მიტინგები ქოლგებით, ფერად-ფერადი ქოლგების — ზამთრის დროში ვერ გადავიდოდნენ ჯერ — ქვეშ მიმდინარეობდა, თითქმის ყვავილისებრი იქნებოდა ზოგიერთის თავსაბურავი — თხელი, გამჭვირვალე.

დაინტერესდებოდა: საბა თუ იცნობს ქოლგასო. ჩახედავდა მის ლექსიკონს და... თურმე — არა. სამაგიეროდ ქობინს განმარტავდა: კარავთა სვეტის თავთა ზედა, გინა ეტლისა კამარათა ზედა, ანუ გავალაკთა და დორიულთა ზედა ოქროცურვილთა ვაშლისა ანუ ყვავილის სახეთა და ეგევითართა ჩამოაცმენო.

თუმც რეზო ამ განმარტების გადმოწერას დღიურში ზედმეტად მიიჩნევდა, ვისაც ენდომებოდა, დაე თვითონ ჩაეხედა „სიტყვის კონაში“, არავის მოჭარბდებოდა.

21 ნოემბერს ტრიუმფით შემოვიდოდა მიხეილ სააკაშვილი დასავლეთ საქართველოდან დედაქალაქში. თავავტობუსში, ფლაგმანში, იდგებოდა და შუშებში გამოილანდებოდა. ხალხი ტაშითა და ტუშით, სტვენითა და შეძახილებით: მიშა, მიშა, მიშა! — შეეგებებოდა. მერიის აივნიდან სიტყვასაც იტყოდა მგზნებარეს, ხვალ არის: პოსლედნი და რეშიტელნი ბოიჰ-ო...

„დედა შვილს ვერ აიყვანს, გული მიჩივის, იმნაირი ამბავი დატრიალდება პარლამენტის გახსნის — 4 საათზე დღის — წინ“.

კარგი ლექსები გამოექვეყნებინა „განთიადში“ ავთანდილ ყურაშვილს, რომელიც მონუწუნეთა (საფუძველიც აქვსო, — ჩაურთავდა რეზო) იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, სულ რომ წუწუნებდნენ, და ლექსებშიც ფულს ახსენებდა, უფულობას მისტიროდა. ერთი სიტყვა განსაკუთრებით მოეწონებოდა რეზოს: დავთარაყანობ — ამ სტრიქონებში რომ შეხვდებოდა: აღარ დავრბივარ მინდორში, დედი, აღარც ქუჩებში დავთარაყანობო...

შეეღიმილებოდა დღიურის ფურცლებზე: დიდი მედავთარაყანე არ არის ავთო, არც ადრე იქნებოდაო...

და დაინტერესდებოდა: თვითონ მოიგონა თუ არსებობს ეს სიტყვა, ეს ლექსიკური ერთეული, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენო?.. თარყანი „თარხანიდან“ ხომ არ გამოეკოპიტებინა, ის სიტყვა თავისუფალს რომ ნიშნავდა?!. საბას ლექსიკონში ჩახედავდა და ამოიკითხავდა, რომ: თარვესი ქარი ყოფილიყო ერთგვარი. უფრო მიახლოებულ ფონეტიკურ მსგავსებას სხვა ვერცერთ სიტყვასთან ვერ იპოვნიდა. წამოაგონდებოდა ქვიშხეთში გაგონილი თერხვი, რომელიც გულისხმობს ქარს, ზენასა და ქვენას შუა. და აღარ გაახსენდებოდა, თორემ აუცილებლად ჩაწერდა, ნიკო სამადაშვილს ამ სათაურის ლექსი რომ ექნებოდა: „თერხვი“.

ხოლო 22 ნოემბერს რომ მიაწერდა ფურცლის თავში, მიადევნებდა:

როგორ დამთავრდება ეს დღე, კარგად თუ ავად, უფრო — ავად, არ ვიცი. როგორ იწყება, ვხედავ ტელევიზორით. შუადღით გავალ. მოვლენები ალბათ სამი საათის შემდეგ განვითარდება, ახლა დღის პირველიაო...

მოხდებოდა ის, რასაც რეზოც ელოდა და სხვანიც ელოდნენ.

მოვლენები განვითარდებოდა უფრო სწრაფად, ვიდრე ივარაუდებდი. მომიტინგეებს დაუთმობდნენ კანცელარიის „პლაცს“, რათა ყურადღება პარლამენტის შენობისაკენ არ გადაეტანათ. ერთი მეორეს ატყუებდა, მეორე — პირველს, და ვინ დარჩებოდა არამოტყუებული, ხვალ გაირკვეოდა, გიორგობისთვის გიორგობადღეს.

კარგად დაიწყებოდა და შესაძლოა ცუდად დამთავრებულიყო... შიგ ეპიცენტრში იტრიალებდა რეზო კარგახანს, უყურებდა. შტურმს ვერ გაბედავდნენ. რეზოს მოწყინდებოდა და შინ წამოვიდოდა. მოელოდა ჯახს — საამისოდ მზად იყვნენ ორივე მხრიდან.

ვინ ვის!

ვინც დაასწრებდა, იმისი იქნებოდა...

23 ნოემბრის დღიური ლაკონიურად აღბეჭდავდა სამთავრობო გადატრიალების პროცესს:

„გუშინ შეგლიჯეს პარლამენტი.
დღეს გაიმარჯვეს.
შევარდნაძე გადადგა".

რეზო მთლად არ იჯერებდა, რადგან საქართველოს პრეზიდენტს შესაძლოა გადაეთქვა და განეცხადებინა: მათქმევინეს, რა მეთქვაო!..

დღის მიწურულს დასრულდებოდა — როგორც გუშინ — მოულოდნელად ყველაფერი.

ხალხი ახლაც ზეიმობდა მუსიკით, ტაშითა და ტუშით!..

ზურაბ ჟვანია ლაპარაკობდა და... მიხეილ სააკაშვილს უხმობდნენ. ახლაც ჩაესმოდა რეზოს: მიშა, მიშა, მიშაო!..

დაპირდებოდა ხალხს: გიორგობას პრეზიდენტი აღარ გეყოლებათო, — და კიდეც აესრულებინა.

გავიდოდა რეზო რუსთაველის პროსპექტზე. იქნებოდა სიწყნარე, სიმშვიდე და ხალხი. ამდენი ადამიანი ამ სიახლოვეს, იმ ახლომახლო რეზოს არ ახსოვდა. ბევრი ეყოყმანა შევარდნაძეს, მაგრამ არა გამოსვლოდა რა. მიკიბ-მოკიბავდა. დიდგულზეც იქნებოდა, ხალხს ბრბოს უძახებდა...

ნინო ბურჯანაძე ჩაიბარებდა სახელმწიფო სკიპტრას, ჩაიბარებდა და იქნებოდა ახალ არჩევნებამდე.

ხაზგ ასმით ჩაწერდა ამ ფრაზებს დღიურში რეზო:

— მიშა, მამაცი კომანდორი! შევარდა პარლამენტში, სიტყვის დასრულება არ აცალა პრეზიდენტს.

ცემა-ტყეპით გაყრიდნენ ახალ დეპუტატებს. შევარდნაძეს დაცვა გაარბენინებდა ქიჩავ-ქიჩავით. შეიფარებდა „აღორძინება", თორემ შეიძლებოდა დაეგლიჯა ხალხს.

ახალი პარლამენტი, რომლის არჩევასაც ამდენი დავიდარაბა მოჰყვებოდა, აღარ იარსებებდა. რა ნერვების გლეჯა, რა ფული, რა სახსრების შეელიათ ამ საქმისათვის, ღმერთმა იცოდა. ახლა თავიდან მოხდებოდა ყველაფერი — არ გინდოდა გაძლება!..

ბევრ ფულს დახარჯავდნენ ესენიც, „გაერთიანებული დემოკრატები". ბევრს დააზარალებდნენ. ემტვრიათ აწი თავი და ემღერათ „ქეთო და კოტეს" კვალობაზე: ფულები, ჩვენი გამხარებელიო...

რას აპირებდა თამაზ წივწივაძე?

არ გაახარებდნენ, რეზოს ვარაუდით და... რა პოზიცია უნდა დაეჭირა თვითონ?!.

ადრე უნდა მისულიყო სამსახურში, ჯერჯერობით ეს იცოდა!

* * *

ჩამთავრდებოდა „ვარდების რევოლუციად" მონათლული სამთავრობო გადატრიალება, დასრულდებოდა გრანდიოზული სპექტაკლი და... რეზო ჭეიშვილისთვისაც და კიდევ ბევრისა და ბევრისთვისაც, მონაწილენი ვინც იქნებოდნენ, დაფარული დარჩებოდა მისი მთავარი რეჟისორი: არა ჯორჯ სოროსი, არა ზურაბ ჟვანია, არა მიხეილ სააკაშვილი, არამედ... ედუარდ შე-

ვარდნაძე, რომელიც კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში თავშეფარებული ირონიულად იღიმებოდა ყოფით სინამდვილეზეც და ადამიანებზეც, თავის ნებაზე რომ ატრიალებდა ყოველთვის და ამ გრანდიოზულ სპექტაკლშიც ისე ჩართავდათ, ვერც გამოერკვეოდნენ და ვერც გაიგებდნენ, თუ ვისი რეჟისურით იმართებოდნენ სინამდვილეში!..

რეჟისორიც თვითონ გახლდათ და მთავარი როლის შემსრულებელიც, მანამდე ხომ მწვრთნელი იქნებოდა და იქნებოდა იმ პოლიტიკური გუნდისა, რომელიც ხელისუფლების ხელში მოგდების შემდგომ ისე გაიტეხდა სახელს, ედუარდ შევარდნაძის ეპოქა სულ მალე მოსანატრებელი გაუხდებოდა ხალხს, და თავშისაცემი — ნოემბრის ის დღეები, პარლამენტის შეგლეჯვით დაგვირგვინებული...

და იცინოდა და დაგვცინოდა ბუხარს მიფიცხებული ედუარდ შევარდნაძე, 1991-92 წლის დეკემბერ-იანვრის ტრაგედიის ერთი უპირველესი შემოქმედი, თორემ ისე ხომ არაერთი სასაკლაოს მომწყობი, აწ უკვე სამუდამოდ ხელშეუხებელი, პასუხი რომ არაფერზე მოეკითხებოდა სამართლებრივად, მორალურ მსჯავრს კი არ დაგიდევდა, და მემუარებს რომ ჩაუჯდებოდა და სულ სხვაგვარად წარმოსახავდა რეალობას, ვიდრე სინამდვილეში გახლდათ, იმედი ექნებოდა, რომ ისტორიასაც გააპამპულებდა და გააცუცურაკებდა... და იცინებდა და დაგვცინებდა, დაგვცინებდა და იცინებდა, ვიდრე სული ამოხდებოდა...

* * *

აქ კი:

რას იზამდა ნეტა ძველით ახალი პარლამენტი, შედგებოდა, არ შედგებოდა!.. დაამტკიცებდნენ თუ არა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დღეს?..

გაიმართებოდა სხდომა, დაესწრებოდა 16 დეპუტატი (118 საძებნელი ჰყავდათო, — ირონიას გაურევდა რეზო) და დაადგენდნენ 4 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნებს. შემდეგ უკვე საპარლამენტო არჩევნებიც ჩატარდებოდა.

პროგნოზები რეალური იქნებოდა და ასეც ჩაიწერებოდა დღიურშიც:

პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილი — დასახელდებოდა და გახდებოდა კიდეც.

პარლამენტის თავმჯდომარედ — ნინო ბურჯანაძე.

პრემიერ-მინისტრად — „კანეშნა" ზურაბ ჟვანია.

აკაკი ასათიანი განაცხადებდა:

— სააკაშვილს მხარს არ დავუჭერთ. თუ ბურჯანაძე დასახელდება, კანდიდატს არ წამოვაყენებთ, თუ არა და — კი.

ჯუმბერ პატიაშვილი ისევ აპირებდა მესამედ დამარცხებას.

თემურ შაშიაშვილი — პირველად.

გამოჩნდებოდა სხვაც. პოლიტიკური ბატალიები არ შეწყდებოდა და... ჩვენც საქმე არ შემოგვეკოდა!..

ეს განცდა გაუჩნდებოდა რეზოს:

ახლა იმას არა ვწერ, რაც უნდა ვწერო, თორემ ნაღდად წერას ვყავარ (ვეყოლებიო, — ჩაურთავდა) ატანილიო.

ომბუდსმენ ლომსაძეს უხსნიდა და უმტკიცებდა, ის გაიხსენებდა ალბათ:

— შევარდნაძე ვერ დაასრულებს თავის საპრეზიდენტო ვადას.

— არა, — მიუგებდა ის, ჟვანიას გუნდის წევრი გახლდათ და ერთიანი აზრი შეემუშავებინათ, — დაასრულებს კიდეც და იქითაც გავა, დარჩება, არ წავა.

— ვერ დაასრულებს, დაიმახსოვრე! — დაიჩემებდა რეზო.

— რას ემყარება ეს ვარაუდი? — იკითხავდა ის გაკვირვებული.

— ვიცი, არ ვცდები, — ეს დაუბეჯითებდა, — თითქმის არ შევმცდარვარ.

ის უნდოდ გაიქნევდა თავს მაინც. და რეზო ახლაღა დაინტერესდებოდა: რას ემყარებოდა მართლაც ჩემი „წინასწარმეტყველებანიო"?

რას და:

ლოგიკას. აუცილებლობას. ისტორიულ პირთა ბიოგრაფიების პარალელებს... უფრო მაინც პირველ ორს: ლოგიკასა და აუცილებლობას.

ეთქვა, დაეწერა, წიგნშიც შეეტანა: ქალი გახდება პრეზიდენტიო. მიათითებდა, არამარტო მიანიშნებდა, ნინო ბურჯანაძეს. გახდებოდა კიდეც, დროებით, მაგრამ მაინც.

ხვალ სააკაშვილს რომ დაასახელებდნენ, კიდეც გახდებოდა საქართველოს პრეზიდენტი და... რეზოს ეს საწყენად დაურჩებოდა: დაეწყო ტრიუმფით და ცუდად დაამთავრებდა მოღვაწეობას, სიცოცხლესაც.

რატომ? საამისოდ ბევრ ნიშანს ამჩნევდა რეზო.

ატრუებულიყო, წერასა ჰყავდა ატანილი.

გაიმარჯვებდა საპრეზიდენტო არჩევნებში და გადაინაწილებდნენ თავთანამდებობებს, როგორც აღნიშნავდნენ, გაფართოებული (პრეზიდენტი ალბათ შეივიწროებული) უფლებებით.

8 დეკემბერს იმ განწყობილებაზე იქნებოდა:

გაემარჯვათ ბარემ დროზე ამ არჩევნებში ამ ხუნვეიბინებს. ჩათავდებოდა არჩევნები და რაღაც გზაც გამოჩნდებოდა. არც შეიძლებოდა არ გამოჩენილიყო გზა — სწორი ან მრუდი.

აქაც, მწერალთა კავშირშიც ვერ დალაგებულიყვნენ.

— დაიშალოს, — გაიძახოდნენ.

„დაიშალოს რა, მამაშენის აშენებულია?!"

დაშლილიყო უნდა მართლაც — რეზოს მოსაზრებით — და აღმდგარიყო რაღაც ფორმით, ფორმებით, ფონდებით. ფონდები დარჩებოდა. ამას აპირებდა რეზო, ცდილობდა. ელდარ შენგელაიას დაელაპარაკებოდა:

— გამარკვიონ, მიჭერენ თუ არა მხარს.

— გაგიგებ, — დაპირდებოდა ის, — ახლა არ სცალიათ, გიჟებს ჰგვანან.

გიჟებს მანამდეც ჰგავდნენო, — გაიფიქრებდა რეზო, — ემგვანებიან კელავაც, მაგრამ ჩვენ რა ვქნათო?!.

— საკითხავი აი ეს არის, — თავისდამოულოდნელად შექსპირი უნდა წამოშველებოდა ჰამლეტის მონოლოგით.

მწერალთა კავშირში რომ გაიმართებოდა სხდომა „გაფართოებული გამგეობის" ეგიდით, ლაილაის არ გაცდებოდა. ზურაბ კიკნაძე გალანძღავდა მხოლოდ მწარედ თავმჯდომარეს — თამაზ წივწივაძეს.

მიხეილ სააკაშვილი დააქცევდა ქვეყანას წინასაარჩევნო შეხვედრაზე სპორტის სასახლეში. აგინებდა და დაემუქრებოდა ყველას თუ იმათ, ვინც საგინებელი და შესაშინებელი ეყოლებოდა. მოფხანდა გულს თაყვანისმცემლებს — ბრმებსაც და თვალგახელილებსაც.

— მიშა, მიშა, მიშა! — იქნებოდა ერთი ძახილი და ალიაქოთი.

14 დეკემბრის ჩანაწერი აღნიშნავდა, რომ: დაიბრიდებოდა (სწორედ ამ ჟარგონულ გამოთქმას ამჯობინებდა რეზო თავისი განწყობილების ბოლომდე გადმოსაშლელად) ჰეიდარ ალიევი და ერთკვირიანი მძიმე გლოვა იდგებოდა აზერბაიჯანში.

— ჩემი მარტო ჩასვლა არ იქნება, — განაცხადებდა ედუარდ შევარდნაძე, — შევუთანხმდი უკვე ნინო ბურჯანაძეს და ერთად წავალთ მე, ნინო და ზურაბ ჟვანია, და შემოგვიერთდება ბატონი სააკაშვილი.

სააკაშვილი კიევში იმყოფებოდა და „წმინდა უკრაინულით" ელაპარაკებოდა იქაურ პოლიტიკოსებს, სახელდობრ ვიქტორ იუშენკოს — მომავალ პრეზიდენტს. ბათუმიდან ჩაბრძანდებოდა ასლანიც და ძალაუნებურად შეხვდებოდა სააკაშვილს — მის უეჭველ შემხრამუნებელს.

შევარდნაძე აღარ ჰგავდა შევარდნაძეს რეზოს თვალში, საოცრად მოტეხილიყო და დაბერებულიყო ამ სამ კვირაში — გიორგობიდან შობამდე.

„გიორგობას გადააბრძანეს ტახტიდან, შობას მის ახალ შემკვნეტელს იხილავს მისსავე ალაგში. გადაიტანს, გადატანილიცა აქვს ნაწილობრივ, თუ სხვა რამ არ სჭირს..."

მოპარავდნენ პალტოს მანქანიდან რეზოს, მოპარავდნენ კი არა, აცლიდნენ, ააწაპნიდნენ ორთვალშუა, იმასთან ერთად: მობილურ ტელეფონს, უკვე მეორედ, ხურდა ფულს, სათვალეს, პერანგს — ახალნაყიდს, გაუხსნელს. იდებოდა ორ კერამიკულ ჭიქასა და კეცებთან, საყვავილე ქოთნებისთვის რომ შეეძინა. სხვა მგონი არც არაფერი.

„იქით წავალ — იქ მპარავენ, აქეთ წამოვალ — აქ, თუ პირიქით, ალბათ პირაქეთ..."

დღე იქნებოდა თარსი — 13 — ნავსი...

უცნაური მოეჩვენებოდა:

აპირებდა დაეწერა — დაწერდა კიდეც — „გალაკტიონის პალტო", თუ როგორ მოპარავდნენ მატარებელში. გართულება ჰქონდა პალტოზე გალაკტიონს. დაწერილიყო, თვითონაც ეწერა, იცოდნენ ზოგიერთებმა, მამია ასათიანმა თუ სხვებმა... დაუმატებდა თავისასაც რეზო და... გამოვიდოდა „რაცხა".

ქუდებს ჰკარგავდა — რჩებოდა სხვასთან ან სხვაგან, აგდებდა ხოლმე რიონ-წყალწითელაში, მაგრამ ტანსაცმელს (სადა მაქვსო? — ღიმილით ჩა-

ურთავდა) არ ტოვებდა და არც პარავდნენ. მხოლოდ ერთხელ, ბავშვობისას, მხოლოდ იმ ერთხელ, ავტობიოგრაფიულ რომანშიც რომ აღეწერა: „მუსიკა ქარში“ — და სათაურის წამოგონებას როგორ არ მოჰყოლოდა: გაერევა ერთი ასში, მუსიკა რომ ესმის ქარშიო...

გვიახლოვდებოდა ეს საპრეზიდენტო არჩევნები და — რეზოს ვარაუდით — ცხოვრება უფრო საინტერესო გახდებოდა. ეს წლები კი... ეს წლები ქე მიდიოდა!..

შობის ღამეს, კათოლიკური შობისას, სახელმწიფო პრემიებს გაანაწილებდნენ უგულოდ, უხალისოდ. პირველივე ტურში გავიდოდნენ: თამაზ ჩხენკელი, ვაჟა აზარაშვილი, „ერისიონი“ და ჯუნა მიქატაძე. მეორე ტურში: სუხიშვილიები, ვადაჭკორია და სოსო სიგუა — კონსტანტინე გამსახურდიაზე დაწერილი წიგნებით.

დაასაფლავებდნენ გელათში რეზოს დეიდაშვილს — ამირანს, მასზე 2-3 წლით უფროსს. გასვენებას ვეღარ დაელოდებოდა, ვერ დარჩებოდა. ამტყდარიყო ვაიუშველებელი: თბილისში უნდა იყოს, სხვანაირად ფორუმი არ შედგება, ჩაიშლება საპრემიო დეკემბერი 2003 წლისაო. გზას ადგებოდა და ვეღარ სცემდა უკანასკნელ პატივს ამირან მარკოშვილს — ამ ხათრიან კაცზე დაეწყო ის სცენარი, რომელიც „ცისფერ მთებად“ გადაიზრდებოდა.

გელათის „მაღაროები“ — დასახლება ჩაჟამულ-ჩაშავებული დახვდებოდა, ტყე — გაჩეხილი, ხალხი — გაუბედურებული, გარემო — გაუდაბურებული. უნუგეშო სურათად თუ პეიზაჟად ჩარჩებოდა ხსოვნაში.

4 იანვარს შეიცვლებოდა რაღაც. მაინც რა? შევარდნაძე შეიძლება სანატრელიც გაგეხდომოდა? ბევრისათვის უკვე გამხდარიყო, მაგრამ რეზოსნაირ გაჭირვებულებს აღარ ეთქვათ: ყოფილიყო ის კაციო!..

ჟურნალ „მაგთის“ გადახედავდა და გამოარჩევდა რობერტ სტურუას დიალოგს, სცენაზე რომ უპირებდა დადგმას „ვეფხისტყაოსანს“, და ამზადებდა, მისი ჭკუით, მაყურებელს წინასწარ და თხრობდა წინაჩანაფიქრს: რატომ დგამდა, რა ფორმით, რა შინაარსით, რა გაგებით... და რეზო იმდენ სისულელეს აღმოაჩენდა შიგ, რამდენი აბზაციც იქნებოდა.

სუხიშვილების კონცერტს დაესწრებოდა. აინტერესებდა ახალი, რომელსაც ნაწილ-ნაწილ, ფრაგმენტულად უყურებდა დროდადრო. სიამოვნებით ნახავდა ხვალვე მეორე ნაწილსაც. ცეკვაში ცეკვას ეძებდა რეზო და არა სპორტს, მითუმეტეს არა ცირკს.

– ჩვენი ტრადიცია ირღვევა, ჩვენი ძველი, უძველესი ცეკვები სად წავა, — წუწუნებდნენ „ძველები“, კონსერვატორები.

სად უნდა ნასულიყო, აქაა, ბატონოო! — პასუხობდათ რეზო, — ცოცხალია კაცი, ვინც ხორუმი და განდაგანა „გამოიგონა“, რა სიძველეზეა ლაპარაკიო!..

ეტყოდა ამას წინათ თენგიზ სუხიშვილს:

— ძლივს ვნახე ქართული ცეკვა, სადაც ქალებიც ცეკვავენ.

გაეხარდებოდა, როგორც შეატყობდა. ადრეც იცნობდა გედი ჭყონიას კამპანიაში შეხვდებოდა ერთი-ორჯერ, სტუდიაში ამის შემდეგ და რუსთა-

ველის პრემიების კომიტეტში ხომ თავისთავად, სადაც ერთად მოუწევდათ მოღვაწეობა ათი-თერთმეტი წელი. მოკლედ, კმაყოფილი დარჩებოდა რეზო. ის ილეთებიც, რომლებიც აღიზიანებდა, დაეხვეწა ილიკო-უმცროსს თამამად, აღარ იქნებოდა მუხლებზე გლაჯაგლუჯი. გაბედულად დაარღვევდა ახალგაზრდა კაცი ქართული ცეკვის რუტინას და დაამსგავსებდა ქორეოგრაფიას. და რეზო იმედს გამოთქვამდა, რომ: ბევრს დახვეწდა, ბევრს შექმნიდა უკეთესსაც, უმჯობესსაც ეს ილიკო სუხიშვილი.

ახალი წელიც მოდიოდა ადრინდელზე იმედიანად, არ იგრძნობოდა შფოთი, პანიკა, ვაი რა გვეშველებაო!.. არაფერი ახალი და უჩვეულო არ ხდებოდა თითქოს. ასეც იყო — არ ხდებოდა. მიდიოდა, რაც წასასვლელი გახლდათ, მოდიოდა, რაც უნდა მოსულიყო...

დეკემბრის უკანასკნელ დღეს სხვას რას ინატრებდა, თუ არა:

ღმერთმა სიკეთე ჰქმნას ჩვენზედაო.

რისთვის, რა აუცილებლობისათვის გაჩენილიყო ადამიანი, არ გარკვეულიყო, არ ახსნილიყო. ინდოური გასაგები იყო — საცივისათვის და ჯირკზე თავის დასადებად...

რეზოულად რომ არ შეერჩია წლის ბოლო აკორდი, ისე როგორ იქნებოდა!..

თავი მეოთხე

2004 წელი

2004 წლის 4 იანვარს ისეთი სიამოვნებით ჩაწერდა:

გაიმარჯვა სააკაშვილმა და გაბითურდა შაშიაშვილი. დანარჩენი კანდიდატები, ერთი პროცენტიც რომ ვერ დააგროვეს შაშიაშვილივით, კმაყოფილნი უნდა იყვნენ წესით, მეტს არც ელოდნენო.

მთავარი ის იქნებოდა რეზოსათვის, რომ:

ახალი გუნდი, ახალი თაობა მოსულიყო ხელისუფლებაში, ახალი იდეებით, სურვილებითა და ენერგიით. გამოჩნდებოდა, რას იქმოდა ხვალინდელობა!..

და აკაკის სტრიქონებს გაიხსენებდა ზეპირად, მცირეოდენი გადახრებით:

ჯუჯებს შორის კაცი დადის — ხან იცინის, ხან წივისა, მე მოგიკვდეთ, თუკი მაგან კვერცხი დადოს არწივისაო...

რაც იყო, იმას ყველაფერი უჯობდა!..

ყველა ხომ იმ მთავრობას, იმ ხელისუფლებას იმსახურებდა, რომელიც ჰყავდა, ეყოლებოდა.

20 იანვარს შეიძენდა ბუკინისტებთან ლოპე დე ვეგას მეექვსე ტომს, რუსულად, მაღალ დონეზე გამოცემულს. აღარ ყიდულობდა წიგნებს და დაიწყებდა კვლავ შეძენას. თან იბურტყუნებდა. რაღად მინდა აწი, პირიქით, უნდა ვასაღებდე, ვიღას უნდა წიგნებიო!..

თვითონ რატომღა უნდოდა და:

თვალს უხარიაო.

ქუთაისში, 50-იან წლებში კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმულ „ფუენტე ოვეხუნას“ აღადგენდა დოდო ანთაძე, როგორც საეტაპო სპექტაკლს რევოლუციური საქართველოსათვის. ქუთაისში არც საეტაპოს დაემსგავსებოდა, არც რევოლუციურს. მთავარ როლს, ფრონდოზოს — სახელი თუ არ ეშლებოდა რეზოს — ასრულებდა იპოლიტე ხვიჩია, რომლის შეკითხვაზეც:

— ვინ მოჰკლა კომანდორი?

ხალხი პასუხობდა:

— ფუენტე ოვე ხუნემ!

ჩავიდოდა 24 იანვარს ქუთაისში მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტად კურთხევაზე დასასწრებად. მწერალთა კავშირში მოსაწვევებს არ გამოაგზავნიდნენ შეფის გამო (ასეც ივარაუდებდა, ივარაუდებდა კი არა, ეცოდინებოდა რეზოს) და ეს თავისთვის გადაწყვეტდა: აქ თუ არა, იქო.

მშვენიერი დღე იდგებოდა გელათში, მშვენიერი განწყობა, ხალხი ჩაცმულ-დახურული, მომღიმარი, იქნებოდა ზართა რეკვა, დროშების ფრიალი და ჟღარუნი, გალობა, ბავშვები, ყვავილები.

იმ კარნავალში შეხვდებოდა და დაელაპარაკებოდა „კურთხეულს", უკვე ხელდასხმულს.

— ყველაფერი ვიცი თქვენს შესახებ, — ეტყოდა ის და გაკვირვებულს დატოვებდა, თუ ცნობდა, არც ეგონებოდა, — თქვენი თაყვანისმცემელი ვარ.

ეს სიტყვები მოეყურა თუ მოესმა, მერე ველარც მიხვდებოდა, მაშინაც ძლივს არკვევდა, ისეთი ჯგლეთა და ზრიალი შეიქნებოდა მათ გარშემო, რა ხდებოდა, რას ეუბნებოდა რეზო და რას პასუხობდა ის... ყურადღებით რომ უსმენდა ახალი პრეზიდენტი, ეს კი აშკარა იქნებოდა ამისათვის.

— აქა მაქვს სიტყვა, — სიგრძივ გაკეცილ ფურცლებს აჩვენებდა რეზო, დავბეჭდავ, გაეცანით.

გაეხარდებოდა ალბათ, თუმც ეს ლაპარაკს რომ დაასრულებდა, თვალსაც ველარ მიაწევდა მიხეილ სააკაშვილს.

ნინო ბურჯანაძე წამოეწეოდა დაცვის თანხლებით და მასთანაც მოახერხებდა გამოლაპარაკებას:

— მწერლებთან უნდა მოხვიდეთ.

— შემეხმიანეთ, შევთანხმდეთ.

ინაუგურაცია თბილისში მაღალი დონისა იქნებოდა ღია ცისქვეშ — სიმღერებით, ცეკვებით, მუსიკით, ვარდებით.

„ბუნებაც ეხმარება ამ ადამიანს, ამზადებს..."

წერილს კი, ფაქტობრივად თეზისებს, გადაწერდა და გადაბეჭდავდა ამ კვირაშივე, კარგი წერილი უნდა ყოფილიყო, თუ რეზოს არ ეშლებოდა.

რამდენ სისულელეს ჩაიდენსო, — ეს ფიქრი გაუჩნდებოდა, პრეზიდენტის ქაშუეთის გამოსვლას რომ მოისმენდა. რას ვიზამდით — ეს ყოფილიყო ჩვენი ხვედრი, ჩვენიც და მისიც, ახალგაპრეზიდენტებულის. რეზოს მაინც ეიმედებოდა, რომ: რაც უნდა მომხდარიყო, სასიკეთოდ წაგვადგებოდა. რაც სურდა ხალხს, მასას, ბრბოს, ის სურდა რეზოსაც. ჩვენც ხომ ნაწილი ვიყავით მთელის, ბრბოსი!.. მოვიდა ის, ვინც უნდა მოსულიყოო, — იტყოდა თუ არა ამას რეზო, შესაფერისადაც დასძენდა: გაუმარჯოს კაროლსო!.. სადღაც დრამატიზმიც იელვებს ამ ფრაზებში, სადღაც ირონიაც... და ყოყმანიც და ჭოჭმანიც... და გაურკვევლობის მძაფრი შეგრძნებაც...

— რა ხდება? — ტარიელ ჭანტურია ჰკითხავდა თავის ანუ პრემიების კომიტეტში, 27 იანვარს.

— მაგის გასაგებად მოვედი, — ეს მიუგებდა.

და მართლაც რეზოზე მეტი ეცოდინებოდა მწერალთა კავშირის ამბებისა, რეზოს ამბებიც კი.

1 თებერვლისათვის თამაზ წივწივაძე გადადგებოდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან.

— ჯერ ვიქნები ყრილობამდე, — ეტყოდათ და დაწერდა პრესა-ტელევიზიით. სენსაციას მოელოდა ალბათ, მაგრამ დიდად არავინ გამოეკიდებოდა.

რა მოხდებოდა ხვალ? როგორ უნდა მოქცეულიყო რეზო? ხვალ იფიქრებდა ამის შესახებ. და გულს გაიკეთებდა მაცხოვრის შეგონებით: ხვალემ იზრუნოს ხვალისაო.

არ უნდოდა ძმა წივწივაძეს წასვლა და ხავსს პორტყნიდა, უსხდა კაბინეტში ბნელი, უწიგნური არამწერლები არამწერალ ლადო ბნელაშვილის (მრელაშვილს იგულისხმებდა) თავკაცობით. მოკლედ — წელს ითრევდა.

„ცუდია მისთვის... ან ამდენხანს რას ველოლიავეთ?!."

დიდი ამბით, პომპით ენდომებოდა წასვლა, უფრო — არწასვლა. შეიყრებოდა ნახირი — გამგეობის გაფართოებული სხდომა იქნებაო. ან ის რა იყო, რაც გახლდათ, გაფართოებული რაღა იქნებოდა, და არ მისცემდნენ საშუალებას.

რასაც მოახერხებდა რეზო — გენო კალანდიაც დაუჭერდა მხარს — დარჩებოდა თამაზ წივწივაძე თავმჯდომარეობის მოვალეობის შემსრულებლად ყრილობამდე. სამიოდე კვირაღა დარჩენილიყო.

— გამგეობამ არ გამიშვა, — დაწერდა, — ყრილობამდე დავრჩები.

რეზოს შეტყობით: იმას იქითაც მოინდომებდა.

ზურაბ ჟვანიას დამქაშები მთელი მწერალთა კავშირის დასამარებას აპირებდნენ ჟვანიასავე თამადობით.

6 თებერვალს ყრილობის მოსამზადებელი კომისიის სხდომას ჩაატარებდა რეზო, ფაქტობრივად პირველად. თვის ბოლომდე დაკავებული იქნებოდა, ემზადებოდა უსიამოვნებათა მთელი პაკეტის მისაღებად და გადასატანად, არა საბრძოლველად.

ჩიტი ბრდღვნად არ უღირდა.

პარლამენტი თავისას მირეკავდა და... ახალი ცხოვრება იწყებოდა. იწყებოდა კი?!.

მიიღებდნენ საკონსტიტუციო ცვლილებებს მინისტრთა საბჭოს ჩამოყალიბებასა და სხვაზე. რასაც ედუარდ ჩამფარცხველი ექვსი თუ შვიდი წელი ეზმანებოდა, ესენი გადაწყვეტდნენ, გაატარებდნენ, ააფრიალებდნენ ჯვრის ხუთიანის — წითლის ოლონდაც — დროშებს და წაჩოჩდებოდნენ.

მალე ჰიმნსაც შეცვლიდნენ. რეზოსობას ჰიმნზე რომ მუშაობდნენ, მას მერე ბარე ცხრა წელი გავიდოდა. ესენი ცხრა დღეში (მეტი არაა საჭიროო, — თავის მხრივ დასძენდა) მიიღებდნენ „შესაბამის" გადაწყვეტილებას.

1 თებერვალს ნინო ბურჯანაძეს ეწვეოდა, ნამეტანი შინაურულად რომ გრძნობდა თავს იმ ბრწყინვალე რეზიდენციაში.

მწერალთა კავშირის ყრილობის, მისი პრობლემების, ბიუჯეტისა და სხვა ამგვარების გაგებაში არ აღმოჩნდებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ არ აინტერესებდა. მწერლობა, ყრილობა?! ვის დაკარგვოდი!.. თამაზ წივწივაძის ხსენებაზე გამოცოცხლდებოდა მხოლოდ. ეს უკვე საგნობრივი ხელშესახები თემა აღმოჩნდებოდა. უსინდისოს უძახებდა, ცოტას გაწყდებოდა, არ დაწყევლიდა. რეზო პირად საქმეზე ეგონებოდა მისული, თხოვნას ელოდა.

— სათხოვნელად არ მივსულვარ.

— მასეც რომ იყოს, რა მოხდება.

კარგად მიიღებდა. საერთოდაც გულით ხვდებოდა და რეზოს სასაყვედურო არა ჰქონდა რა.

ქუთაისში ეპირებოდა ერთი-ორი დღით ჩავარდნას, იქაური მწერლები რომ დაერაზმა.

ელდარ შენგელაია იქ დაუხვდებოდა, ნინო ბურჯანაძესთან... ტოვებდა პარლამენტს ბოლობოლო — კინოს სასარგებლოდ. წაიღებდა რეზოს წიგნებს, სამ ტომს, ჰკითხავდა:

— რომელს თვლი საკინოედ, საჩვენოდ? მომიხაზე.

ყურში თითქმის აღარ ესმოდა, კითხვა არც ადრე ეხერხებოდა. ისევ რეზო თუ დააბაზაკვალიანებდა.

იფიქრებდა ამაღამ თავის ნოველების შერჩევაზე, სიავკარგეზე, ქარების დაბრუნებაზეც.

დაამხობდნენ თავზე არჩევნებს, თუ ფხიზლად არ იქნებოდა. შეყოლოდა და... აწი თავის დაძვრენა გაძნელდებოდა!

აირჩევდნენ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ — ჯანდაბას!

არ აირჩეოდა და... უკეთესი კიდევ!

კარგავდა და არ იძენდა! საქმეს კი არა ეშველებოდა რა...

რა იქნებოდა ზეგ — მწერალთა ყრილობაზე?

წუხდა, განიცდიდა, რა ეშმაკად, რა ჯანდაბის ორღობედ აეკიდებინა ეს ხათაბალა. შეიძლებოდა სხვანაირადაც. ჯერაც არ იყო გვიანი...

სიმღერის მელოდია და სიტყვები წამოაგონდებოდა: ჯერ არ იქნება გვიანო...

ხვდებოდა — „პლენში“ იმყოფებოდა. ეგონათ, მთავრობა დაუჭერდა მხარს რეზოს. მთავრობა — ზურაბ ჟვანია — იმალებოდა. ნინო ბურჯანაძეს თავისი ყოფნიდა. თუ ვერ შეაგროვებდა პარლამენტში უმრავლესობას, იმასაც დაჰკარგავდა, რაც ჰქონდა. თუ უფალი პრეზიდენტიც არ მიაქცევდა ყურადღებას, ზეგინდელი დღე მწერლობის, ქართული მწერლობის დასამარების დღე აღმოჩნდებოდა. უფრო გრძნობდა რეზო, ვიდრე ხვდებოდა.

„ა ხვალე და ა ზეგ!“

თვით რეზო ჭეიშვილიც კი აიგივებდა მწერალთა კავშირსა და ქართულ მწერლობას!.. ვერ ელეოდა ისიც საბჭოთა ეპოქის გადმონაშთს, რაკილა მწერალთა ცხოვრების დასავლურ ყაიდაზე თვალი და ყური არ მოუწვდებოდა. და რაც იცოდა, რასაც ხედავდა, რისი გამოცდილებაც შეეძინა, იმის რეორგანიზაციას, გაუკეთესებას ლამობდა, რაც ყოვლად წარმოუდგენელი გახლდათ. ოდიოზური, დრომოჭმული მოვლენა პირწმინდად უნდა ამოძირკვულიყო, თორემ სხვა არაფერი ეშველებოდა. არ ამოძირკვავდი და: თვითონვე გაიპამპულებდა თავს ეს ფსევდოორგანიზაცია, თვითონვე გაიმასხრებდა და თაღლითთა და ტაკიმასხარათა თავშესაფრად იქცეოდა... მხოლოდღა სახელს უტეხდა მწერლობას მწერალთა კავშირი!..

ელდარ შენგელაია მოსკოვს გაფრინდებოდა და რეზოს როგორ არ ეთქვა:

აი ვინ არის მფრინავი მიკლუხო-მაკლაიო.

თავის ნოველათაგან საკინოედ შეარჩევდა:

„ამოცნობა", I-II, და „ვანო მხარგრძელი" გაერთმთლიანდებოდა და კარგი გამოვიდოდა. მოხაზავდა სიუჟეტს გუნებაში: ქალია ციცინო ცირემაძე, მოგონებაა, სევდაა, მწუხარებაო.

ეს აკლდა ელდარის ფილმებს სწორედ, არა ცნობდა „ლირიზმს" და აღიარებდა კიდეც:

არ შემიძლია, არ გამომივაო...

გამოჩნდებოდნენ სულიკო ჟღენტის ქალიშვილები. რეალურად გამოიკვეთებოდა ალექსანდრე დიუმას „კავკასიის" მიხედვით ფილმი. და რეზოს დასაწერი ექნებოდა ლიბრეტო, სინოპსისი, ერთი-ორი გვერდი.

ჩამოდგებოდა ავადგასახსენებელი 9 მარტი, რომლის მოსვლაც რეზოს ყოველთვის აფორიაქებდა და 1956 წლისაკენ მიახედებდა. აგერ უკვე 48 წელიწადიც გაფრენილიყო მას მერე!

როდის იყო? უწინ! შორს! ახლო...

წინა დღით შეიყრებოდნენ ლიტერატორთა სახლში და შედგებოდა კრება პროფესიონალ მწერალთა ლიგის ჩამოსაყალიბებლად, ახალი მწერალთა კავშირი რომ უნდა ყოფილიყო ალბათ.

არადა... ამ გუნებაზეც დგებოდა დროდადრო: ხომ უნდა მორჩენილიყო ეს კავშირი იყო თუ რაღაც... გაამთლიანებდა ლიტფონდის ირგვლივ და ეგ იქნებოდა. ატყობდა, ახალ ხათაბალაში რგავდა თავს, მაგრამ — მუხრან მაჭავარიანის სტრიქონისა არ იყოს — თავი ხომ უნდა შეგეცია რაიმეთი.

აპირებდა დაეძახა მუხრანისთვისაც — თუ იკადრებდათ. თავი ხომ უნდა შეეცია იმასაც რაიმეთი. მისი მატარებელი ჩავლილიყო — პარლამენტებიდანაც, ნაციონალები იქნებოდნენ თუ აღორძინებულები, მოეკოჭებინათ (ამ ჟარგონულ გამოთქმას ამჯობინებდა, — რაკილა გაღიზიანება მაინც შემორჩენოდა იმისადმი რეზოს), თუ არ ეშლებოდა. ლიგაში შემოსასვლელი, შემოსამატებელი მწერლების სიაც უნდა ჩამოეწერა... მოეფიქრებინა უნდა...

ისევ ყაყანი იქნებოდა მოსალოდნელი, ჭორები.

— ის რატომაა, მე რატომ არა ვარ.

— სხვაზე ნაკლები პროფესიონალი ვარ მეე?!!

ამიტომაც ამგვარად ამჯობინებდა სახელწოდებას, თავშეკავებულად: „ქართული მწერლობის თბილისის ორგანიზაცია".

როგორც პირდებოდნენ:

„24 საათში" — სამთავრობო გაზეთი გამხდარიყო ახლა ის — გამოქვეყნდებოდა განცხადება მწერალთა ახალი ლიგის შექმნის თაობაზე. გაზეთი „ქრონომეტრიც" მზადდებოდა. ხვალ გამოჩნდებოდა შარლოტა კვანტალიანი. წუხდა, რომ ვეღარ გატეულიყო ქუთაისში, სჭირდებოდა რამდენიმედღიანი დასვენება... სულაც...

„მოვა მალე ეგ დღეც, გადაბარგება ჯერ ქუთაისს, მერმეთ — იქ!"

12 მარტის დილით დაარბევდნენ გლდანის ეკლესიას. დაიჭერდნენ ბასილ მკალავიშვილსა და რამდენიმე სხვასაც. იქნებოდა წივილ-კივილი და გოდება.

სხვადასხვა ძალადობის შემყურეს ეს სიტყვებიც დაცდებოდა:

დაანგრევს ეს კაცი საბოლოოდ ისედაც დანგრეულ საქართველოს, ტერორისტებს მოიზიდავს. იღუპება ქვეყანა. არჩევნებზე არ უნდა მივიდნენო.

ასეთი რამ, ასე სახალხოდ — ეკლესიის დარბევა — კომუნისტებსაც არ ჩაედინათ.

წინა დღეს ქუთაისში ჩასულიყო დამთხვეული სააკაშვილი (არ მოერიდებოდა ამ სიტყვათშეთანხმებას, ამ ეპითეტს) — პოლიციელების დაკრძალვაზე: მე მესროლეთ, თუ ვაჟკაცები ხართო. და ახსენდებოდა რეზოს შოთას — არა რუსთველის — ლექსი:

ღმერთო ჩემო, ეს ქვეყანა როგორ აირია, თუმცა არც წინათ იყო მაინცდამაინც მთლად დალაგებული. თბილისში ახლა ქუთაისის ჰაერია და ქუთაისში თბილისის ჰაერია დაბანაკებულიო.

ამ დილით აქ, თბილისში მშვენიერი ჰაერი იქნებოდა, მზე და თეთრი ღრუბლები აქა-იქ.

რეზოს რატომღაც მოუნდებოდა „ხაერი" ეთქვა, და კიდეც:

თბილისში ახლა ქუთაისის ხაერიაო...

27 მარტს მეორედ იფეთქებდა კაქტუსის ყვავილი ამ დილით, დღენათელში გაიტანდა თავს, ხვალ კი მოინყენდა და გარდაიცვლებოდა. გაახსენდებოდა, ნოველა რომ დაეწერა და რობაი ჩაერთო შიგ... მოგონილი კაქტუსის ყვავილზე.

გუშინ ჩაეტარებინა კრება ლიტერატორთა სახლისა, დასაწყისი ეტაპი ახალი გაერთიანებისა: თბილისის სამწერლო ორგანიზაცია „ლიტერატორთა სახლი".

მორჩებოდა მგონი საპარლამენტო არჩევნები 28 მარტისა. გაიმარჯვებდნენ „ამგენი" დამაჯერებლად, როგორც მოსალოდნელი გახლდათ. შემოეხიათ ჭინჭები სხვებს — არც უღირდა რეზოს მათი ხსენება — ჩვენა ვართ, ჩვენ ვიყავით, ჩვენ უნდა ვყოფილიყავითო. ჩასულიყო ესეც და მიეცა ხმა!.. რას ამბობდნენ?

— ვაცალოთ, სულელია, მარა ვაცალოთ.

სულელი არ გახლდათ — რეზოს შეტყობით — თუმცაღა არც მთლად დალაგებული, გიჟი უფრო, ფსიქონერვიული გადახრებით.

მერაბ ელიოზიშვილი შეეფეთებოდა მწერალთა კავშირში და ეტყოდა თუ არა:

— არ წავიდეთ, ბიჭო, ქუთაისში?

ეს მაშინვე მიიპატიჟებდა:

— წავიდეთ, მივდივარ და წამოდი!

— აქ ვწირავ და როგორ ვქნა, — დაფიქრდებოდა, დანაღვლიანდებოდა მერაბი, დიაკვნად შემოსილი.

ცხინვალში რამდენჯერმე იყო რეზო მასთან ნამყოფი, ერთხელ მგონი მარტოც.

ამ ლაპარაკში ვიღაცა ჰკითხავდა:

— თევზი თუ შეიძლება?

— მარხვაა ახლა? — იკითხავდა თავის მხრივ მერაბი, არადა მძიმე მარხვა იქნებოდა გაქანებული, წითელი (თუ მწვანეო, — მაკვარანცხულს გამოურევდა რეზო) პარასკევი.

„მღვდელი ამნაირი უნდა!..“

— რა ქენი იცი? — ურჩევდა მერაბი, — ხორცს ნუ შეჭამ!

ერთხელ ბიძინა კვერნაძეს ეთქვა:

— მერაბ ელიოზიშვილს, სასადილოში დათვს რომ ლიმონათის ბოთლს წაართმევ, ისეთი სახე აქვს.

10 მაისს რეზოს გაღიზიანება ასე გამჟღავნდებოდა დღიურში:

მწერალი რომ არ გყავს, უბედურებაა, მაგრამ რომ გყავს და არ იცი, არ წაგიკითხავს, უფრო დიდი უბედურება მგონიაო.

ამ ფაზასა თუ ამ განზომილებაში შევსულიყავით უკვე. და რეზოს აგონდებოდა პრინც ოლდენბურგის ნათქვამი, ქუთაისს რომ გულისხმობდა:

ერთ ღამეში ათას მანეთს რომ ვერ დახარჯავ, ის რა ქალაქიაო.

კითხულობდა ხელახლა „იადიგარ დაუდს“, ენობრივი თვალსაზრისით აინტერესებდა უფრორე. დავით ბატონიშვილი, ავტორი, მეფე ლუარსაბის უმცროსი ვაჟი, დაუდ-ხანი, სუფთა სულელად წარმოუდგებოდა! აგროვებდა რეზო საპორტრეტე ამბებს ნამდვილს, ინიშნავდა და... წერას კი ვერ იწყებდა, გული უფრო სერიოზულისაკენ მიუწევდა და ალბათ იმიტომ. ვერ დაემთავრებინა ტრაქტატი „ვიოლინო“.

და დაცდებოდა:

რა მეტრაქტატებოდა უკაცრავი პასუხიაო...

აპირებდა რამაზ ჩხიკვაძეს დაკავშირებოდა „შალიკო ხვინგიაძით“. ნამეტანი დასერიოზულებულიყვნენ და კომედია, იუმორი აღარც კი ენდომებოდათ ალბათ.

მის საუბარს გამოაქვეყნებდა 14 მაისს „ჩემი ქუთაისი“ ისე, როგორც დაეწერა რეზოს, როგორც ეთქვა. გადაიკითხავდა და მოეწონებოდა კიდეც (ყიშტის მაგივრად ფიშტი ეწერებოდა ერთგან, მაგრამ რა უშავდა), თუმცაღა სათქმელი მეტი ჰქონდა, ბევრი გამორჩებოდა, ზოგს არ იტყოდა.

რევაზ კვერენჩხილაძის ორშაბათის ლექციას რომ დაესწრებოდა რეპრესირებულებზე, ილამაზ მიწიშვილი ეყოლებოდა იმას ამჯერად მოწვეული. აღარ დაამთავრებდა ლაპარაკს, თუმც უინტერესოდ, უსაგნოდ არ ისაუბრებდა. გულიც აუჩუყდებოდა რეზოს ერთგან, კურცხალსაც მოიწმენდდა. რატომ, რისთვის? რატომ აწამებდნენ ადამიანები ადამიანებს?!. რაღაცის თქმა თვითონაც ენდომებოდა, მაგრამ რაკიღა ლექცია ძალიან გაგრძელდებოდა, ესეც აღარ გამოიდებდა თავს.

როინ მეტრეველს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, „კმარა“ გადაიყოლებდა. დღეს დიდი საბჭო უნდა შემდგარიყო უნივერსიტეტში და... რა მომხდარიყო ნეტა? შვილიშვილის დახმარებას დაპირებოდა რეზოს:

— თუ კარგად მოემზადება, თუ ხუთებზე ჩააბარებს ყველა გამოცდას, მერე მე ვიცი, დავეხმარები.

ჭეიშვილური რომ არ გამოერია, ისე როგორ იქნებოდა!..

როინ მეტრეველი კი... ჯერჯერობით დარჩებოდა. როგორ და რანაირად, არავინ იცოდა, მაგრამ დარჩებოდა კი, და... რეზოს მაკვარანცხული ფრაზა მოადგებოდა კალმის წვერზე: მეტრეველი ბილ, მეტრეველი სტატსია, მეტრეველი ბუდეტო!..

საგამოცდო თემებიდან ქართულში ერთ-ერთი დავით კლდიაშვილის გმირების დარღვეულ ადამიანურ ურთიერთობებს შეეხებოდა და... რეზოს ეს მტკნარ სისულელედ მოეჩვენებოდა — რა დარღვევებს გულისხმობდნენ ნეტა? და გადაწყვეტდა: აუცილებლად გამოექვეყნებინა ხელმეორედ წერილი დავით კლდიაშვილზე, შევსებულ-გასწორებული ვარიანტი.

ამგვარ სათაურს კი იმით ახსნიდა:

ყურადღება აქვთ დაგეშილი იმერლებსა და იმერიზმებზე, იმერული წესჩვევა ჰგონიათ „დარღვეული", ზრდილობა და თავაზიანობა — სიმდაბლეო.

ამ დღესვე, 2 ივნისს, ასწორებდა „ლიტერატორთა სახლის" წესდებას, და წერდა შავად თხოვნასა თუ არზას მთავრობის სახელზე, აარსებდა გაზეთს და ასე შემდეგ...

22 ივნისს კულტურის მინისტრს მიაკითხავდა, გოკა გაბაშვილს, ორი კვირის წინათ დატოვებულ ქაღალდს ძლივს ამოქექავდნენ საიდანღაც. არც ეცოდინებოდა, რეზოს რაიმე თუ ჰქონდა წარდგენილი. როგორ უნდა მოევლო ამხელა დეპარტამენტისათვის: სპორტიც შიგ იყო, ძეგლთა დაცვაც, კულტურა თავისთავად... და რაღაცაში კი გაარკვევდა მგონი რეზო. შედეგიც გამოჩნდებოდა.

ომის დაწყების 63 წელი იდგებოდა დღეს... და არავის აწუხებდა, არავის აღელვებდა ეს დღე. დღევანდელი ახალგაზრდისათვის რომ გეთქვა: ომის დაწყების დღეაო, — უსათუოდ იკითხავდა: რომელი ომისაო?..

გაახსენდებოდა ის ამბავი, სტალინი რომ გადმოადგებოდა „წყალტუბოს" აივნის მოაჯირს და გადახედავდა ბაღს, სადაც ვარდენ ჩიქოვანი იდგებოდა, ამ სასტუმროს უფროსი, გაიჭიმებოდა, მოიხდიდა ქუდს და შესძახებდა:

— სალამი, დიდო ქართველო!

უხმოდ შეტრიალდებოდა იმპერატორი და ვიღაცას ჰკითხავდა:

— რა ხდება აქ, საბავშვო ბაღია?!.

და დაინტერესდებოდა რეზო: ამ ჩვენს მინისტრებზე რაღას იტყოდა, დღევანდელ მინისტრებზეო?.. თვითონ რეზოს აზრით: უნდა ჩამოყალიბებულიყო, გახსნილიყო სადღაც მინისტრთა გადამზადების ან მომზადების ფაკულტეტი, თუნდაც ექვსთვიანი კურსები... ანდა საბავშვო ბაღი პირდაპირ...

საბავშვო ბაღი ხომ არა გაქვთ აქ?

იქ და მაშინ — არა.

აქ და ამჟამად — კი...

კიდევ ხო, ჩვენი ამბავი თუ ვინმეს ეცოდინებაო, — წამოუტივტივდებოდა იორამ ქემერტელიძის სტრიქონი, გამართულ ლექსებს რომ წერდა. ვიღას ახსოვდა. გინდ გივი ძნელაძე? ვთქვათ სხვა ვინ? გივი გეგეჭკორი ვის

გაახსენდებოდა, ტარიელ ჭანტურია ვისზეც ამტკიცებდა: ლადო ასათიანზე უკეთესი პოეტიაო. რეზოს აზრით კი: ცივი ტექნიკა პოეტური, ერთს სტრიქონს ვერ გეტყოდა ათიდან ერთი სტუდენტი მისას. ირაკლი ბაზაძე — ნიჭიერი კაცი, ოთარ მამფორია — სუფრის, სადღეგრძელოს პოეტი, და მაინც ნიჭიერი. დღეს კი... უნიჭოთა დოღი გამართულიყო.

„დათო მაღრაძის ტექსტს რომ ჰიმნად დაიდებს „სახელმწიფო", ისეთ სახელმწიფოს, ქვეყანას რა ვუთხარი!"

რა დრო მოსულიყო, გაოგნებას ვერა ფარავდა.

ლიტერატურას ვინ განაგებდა და: „კნიაჟნა ი ფარისეი" და უნიჭონი. ელგუჯა მაღრაძის ვაჟი შალვა ფორჩხიძის ტალანტს ვერ გაცდენოდა.

„უნიჭონი ბაირამობენ!"

ლადო ასათიანის ლექსებს კი „სულიკოსთან" ერთად ფერეიდანში იზეპირებდნენ, ითვისებდნენ წერა-კითხვის სწავლასთან ერთად.

„ლიტერატურულ საქართველოს" აღარ კითხულობდა და: ნაიკითხეო, — ლევან მალაზონია სთხოვდა.

— ვისთან მეგობრობთ? — ეკითხებოდნენ თამაზ წივწივაძეს „ჯორჯიან ტაიმსსა" თუ რაღაც უარესში.

— რეზო ჭეიშვილთან და მუხრან მაჭავარიანთან.

ჯიბრით, ნიშნისმოგებით ნათქვამად ჩამოართმევდა ამ პასუხს რეზო.

გადმოებეჭდა თავის გაზეთში, მაგრამ რეზო რომ შეხვდებოდა, ამის თაობაზე არას ეტყოდა თამაზი, ნამეტანი შეფიქრიანებული კი დაუხვდებოდა:

— უნდა წავიდე, — ეტყოდა, და ამჯერად რედაქტორობიდან გადადგომას იგულისხმებდა.

სხვა გზაც არა აქვსო, — გაიფიქრებდა რეზო, — შურისმაძიებელი ადამიანები მოვიდნენ ხელისუფლებაშიო.

უტევდნენ მწერლობასა და ეკლესიას, ორ რგოლს, სადაც მათი აზრით (ამდენს ხვდებიანო, — ირონიულად ჩაურთავდა რეზო) კიდევ პარპალებდა ქართული სული, უტევდნენ გეგმაზომიერად, და რეზოს გული აუდუღდებოდა: თუ ესენი ხელისუფლებაში დარჩნენ, გადააშენებენ ქართულ, ქართველურ ეთნოსსაცო.

ქართულ ენას არ ერჩოდნენ, უცნაურადაც გამოიყურებოდა და გასაგებადაც. ენა საჭირო იყო, რათა სახელმწიფოს შეენარჩუნებინა რაღაც განმასხვავებელი ნიშანი, ისე როგორც ინარჩუნებდნენ ესპანელები ესპანურს, პორტუგალიელები — პორტუგალიურს...

რეზოს თვალში: ეს მათ უგნურობასაც მიანიშნებდა, რადგანაც ენა აღადგენდა, ააღორძინებდა, „გლობალიზაცია-დემოკრატიზაციის" პირობებშიც კი, საქართველოს კვლავ. თურქეთ-ლაზისტანის — ფერეიდანი უმნიშვნელო იყო და მაინც რეზერვი — მხრიდან, შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან უნდა გავძლიერებულიყავით ენით, ეროვნული თვითშეგნების გაღვივებით.

ამათი, „ნაციონალ-კომუნისტების", მმართველობის ერთი ეტაპი, ხუთწლიანი ციკლი, გადასატანი გვქონდა და... ღმერთს შესთხოვდა რეზო: მეტხანს არ იქნას მათი ბოგინობაო!..

17 ივნისს ნატა ვაჩნაძის დაბადების 100 წლისთავს გადაიხდიდნენ ფილარმონიის დიდ დარბაზში. საღამო ზომიერი იქნებოდა, აკადემიური, მშვიდი. საზოგადოებაც — ნორმალური. ნატა ვაჩნაძის ვაჟიშვილების გამოსვლა არ მოეწონებოდა რეზოს მაინცდამაინც: გიორგი შენგელაიას ომახიანი, ცრუპატრიოტული, და ელდარ შენგელაიას — სანტიმენტალური.

რუსთაველის ფრესკას ჩამოფხეკდნენ ჯვრის მონასტერში ბერძნები და რეზოს არ გაუკვირდებოდა, რაკილა ასე ფხეკდნენ და ანადგურებდნენ ყოველთვის სხვისას სხვა დროსაც, ყოველ დროსაც.

სომხები ითვისებდნენ, ისაკუთრებდნენ სიტყვით, პრესით და არა საქმით. მპარავები იყვნენ ბერძნები, ებრაელებსა და სომხებს მათ გვერდით რეზო არც ახსენებდა. რუსები სხვის მიწებს ისაკუთრებდნენ და არ თმობდნენ, თითქოს თავიანთი არა ჰყოფნიდათ. ისინი, უფრორე ბერძნები, თითქოს თავიანთი არ ეკმაროდათ, სხვისას იმატებდნენ.

საგულისხმო დასკვნის გამოტანას აპირებდა აქედან რეზო „გადანახული ჩანაწერებისათვის". და დაიგმენდა, რომ ამ „ვიოლინოს" შეეკლა, თვარა რამდენ რამეს მოასწრებდა მის ყურებაში.

მიხეილ სააკაშვილი ფერეიდანში იმყოფებოდა და შთამბეჭდავ შეხვედრას გაუმართავდნენ. რეზო მისტერიულს შეადარებდა და არ გაუკვირდებოდა: თითქმის ოთხი საუკუნე გახლდათ, საქართველოს — მითუმეტეს დამოუკიდებელის — ოფიციალური პირი არ ენახათ იქ.

გიორგი სააკაძეს აეყარა და გადაეყარა ისინი.

და... სააკაშვილი დააბრუნებდათ?!.

თედო ბექიშვილს თავის დროზე რომ ეთარგმნა და წიგნუკადაც გამოეცა ცაო-ჯის პოეტური კრებული „ლოტოსი ტბაზე", მართალია რუსულიდან გადმოეღო, მაგრამ რეზოს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ ის სტრიქონები ისეთი გამართული ვერ იქნებოდა ჩინურად, როგორც ქართულად. ორ ლექსს გადმოიწერდა რეზო დღიურში, განსაკუთრებით მაინც ეს ტაეპები რომ მოხვდებოდა გულზე:

ვინც ძმადა მყავდნენ, ვით იქნება, გულს არ ახსოვდეს, მაგრამ ვაი რომ ველარ ვნახავ მათ ვერასოდესო.

მანიად გადაქცეოდა რეზოს გარდაცვლილთა — გამოჩენილ ადამიანთა — სიცოცხლის ხანგრძლივობის დაანგარიშება: ამდენი იცოცხლა, ამ ხნისა მომკვდარაო. მიაწერდა კიდეც ბიოგრაფიულ თუ სხვა წიგნებს მარგინალიებად ამ ანგარიშებს. ყველაზე ხანგრძლივად ასტრონომები ცოცხლობდნენ, პოეტები კი ყველაზე ადრე კვდებოდნენ, თუ ზოგიერთის უკვდავება პირდაპირი მნიშვნელობით არ იქნებოდა გაგებული. ამ მოვლენას კი ცალკე ესაჭიროებოდა კვლევა-ანალიზი.

ბევრი მოსაზრება გადასულიყო აქედან იქით, დღიურიდან წიგნში, და გადავიდოდა კვლავ, განსაკუთრებით ახალ ნაწარმოებებში: „ვიოლინო", „პუი", „პუ 11" და „ყოველივე მიედინება" — ეს უკანასკნელი ალბათ საბოლოო თხზულებაც იქნებოდა მისი.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიაზე განაცხადებდა უარს და რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გამო პროტესტის ნიშნად გაგზავნიდა იქ, საიდანაც წამოელო. იცოდა, ამას ბევრი თავის გამოჩენად ჩაუთვლიდა, ზოგი მოუწონებდა, ვიღაც-ვიღაცები გაკიცხავდნენ კიდეც ზურგსუკან, მაგრამ რეზოს არ აინტერესებდა, ვისაც რა სურდა, ის ეთქვა, და ვისაც როგორ სურდა, ისე შეეფასებინა რეზოს მოქმედება და ტონი წერილისა, რომელიც ალბათ გაზეთში დაიბეჭდებოდა.

10 ოქტომბერს ბონდო მაცაბერიძე წიგნის გამოცემას შესთავაზებდა — 30-ფორმიანისა. თუ არ გადათქვამდა, რა სჯობდა. სახელმწიფო პრემიას ელოდა რეზოს შემწეობით, მაგრამ ამას გაეხარდებოდა მაინც!.. გადაალაგებ-გადააწყობდა: „წიფობისთვეს", „გადანახულ ჩანაწერებს", „კურუს" — შევსებულსა და გაზრდილს. გადაედო უნდა, სხვა გზას ვერ ხედავდა, „ვიოლინო", „შავი კატის შესახვევი" თუ „პუ-ი"...

ცოტას მუშაობდა, სასარგებლო მეტრაჟი — კინონაწარმოების ტერმინს მოიშველიებდა — მცირე იქნებოდა.

როგორ დავიბრუნოთ აფხაზეთიო — სატელევიზიო გადაცემა იქნებოდა 15 ოქტომბერს ინგა გრიგოლიას მეთაურობით. გამოჩენილ-გამორჩეულნი პირნი მონაწილენი — გრიგოლიას ჭკუა-ინტელექტისანი. გადაცემა კი არ იქნებოდა, არამედ შოუ, და შოუც არშემდგარი.

რეზოს მტკიცებით: არსებობდა მესამე გზა — ბაგრატის ტაძრის აღდგენით...

ეს გარეგანი მხარე გახლდათ და გული წყდებოდა, რომ ვერც ხედავდნენ მნიშვნელობას ამ მოვლენის არსისას, ვერც დაინახავდნენ.

როგორ უნდა შემოგვერთებოდა, შემოგვრიგებოდა, როცა ზედ საზღვართან, ზუგდიდში ბერიას ძეგლს დგამდნენ, ბერიას საზოგადოებას, სტალინის საზოგადოებას აარსებდნენ.

უნდა მოგვეწვია აღდგენილ ბაგრატის ტაძარში აფხაზნი და გაგვეგებინებინა, ერთი სისხლისანი რომ ვიყავით და რუსი ჩვენი საერთო მტერი გახლდათ, თორემ სხვაგვარად როგორ ჩამოაშორებდი რუსეთს. არადა — რეზოს დაკვირვებით — მოდიოდა დროც ამისი, იკვეთებოდა საამისო ნიშნები, უკვე დღეს, ამ არჩევნებში სერგეი ბაღაფშის არჩევა აჩვენებდა...

იქით ვერ ვიხედებოდით და, დამუნათებასაც არ მოერიდებოდა: შეზღუდული გონებითა და ფსიქიკით ვარსებობთ, გონიერი ხალხი, ერი ვერ აღმოვჩნდითო.

საქართველო გადაქცეულიყო თბილისად, დაემატებოდა ბათუმი, არა როგორც დამოუკიდებელი ერთეული, არამედ — დანამატი, როგორც თბილისის ბათუმი. დანარჩენი? რა დანარჩენი? ვიყავითღა?!.

ქუთაისის როლი საქართველოს შენებაში ესმოდათ, იცოდნენ. ახლაც თუ მოეხსენებოდათ? ქართულ ეთნოსს აყალიბებდა ეს ქალაქი. ამყარებდა. მეგრელი ჰკარგავდა მეგრელობას, რასაც სხვაგან არსად ჰკარგავდა, სვანი — სვანობას, აფხაზი — ცოტანი — აფხაზობას... სადღა იყო ქუთაისი — აღარც უახლესი წარსული, აღარც ძველი ისტორია მისი აღარ ახსოვდათ, აღარც მომავალისა სწამდათ.

ეგრე იყო რა!..

ქუთაისის სტამბაში გაზეთებს აღარ უკვეთავდნენ, იდგებოდა იმხელა შენობა უქმად და დარჩებოდნენ ილია მანდარია და ელგუჯა თავბერიძე ყურებჩამოყრილები. გაზეთების ბუმი, განსაკუთრებით რაიონებში, ჩაკვდებოდა. სახელმწიფო, არსებული, დაფინანსებაზე უარს განაცხადებდა. არც წიგნი უნდოდათ, არც მწერალი, არც დამწერი, არც გამომცემელი: ყველამ მიხედოს თავის თავსო.

დაიჩივლებდა რეზო:

ჩვენ მკითხველი აღარა გვყავს და როგორღა მივხედოთო.

„გადანახულ ჩანაწერების“ ჩანაწერებს ამოყრიდა და დაიწყებდა. ერთს დაწერდა, გადათეთრებაღა რომ ჭირდებოდა: „ცხვირი“! — და მიჰყვებოდა ანი პირწმინდად.

ამის შემდეგ დადგებოდა დრო იმ თხზულებისაც: „ყველაფერი მიედინება“.

„გადანახული ჩანაწერების“ გასრულება, გაგრძელებებით გამოქვეყნება რომ ენდომებოდა... კიდევ ერთხელ მოეკიდებოდა გულზე ცეცხლად: ვის აინტერესებს ან ეს, ან მწერლობა, მითუმეტეს — ქართულიო...

პრეზიდენტი სულელი (ჯერჯერობითო, — გამოსავალს დაუტოვებდა), მთავრობა — კოსმოპოლიტური, სახელმწიფო — მათხოვრული, ხელგაწვდილი.

ერთადერთი, თუ რაიმე, ამინდები იქნებოდა კარგი!.. ნოემბრის კვალობაზე.

მეც კი ვიცოდი, რისთვის ვარსებობდიო, — ამას რომ ჩაწერდა, გამოტყდებოდა, — ახლა აღარ ვიცი! უაზრობის სიცარიელეში შევდივარ მე, მე ხომ ვარ თუ ვიყავი მე?.. აღარა ვარ და აღარ ვიცი მეო?!.

31 ქრისტეშობისთვეს ჩაინიშნავდა, რომ:

კვირის „ლიტერატურულ პალიტრაში“ დაიბეჭდებოდა რეზოს მილოცვა და „ტრაქტატი“, მომდევნო ნომრისათვის კი გაემზადებინა ოთხი, ერთს, მეოთხეს, ახლა ათეთრებდა, 12 საათამდე უნდა მოესწრო. შეეძლო 2005 წლის მიწურულამდე გაქაჩვა საერთო სათაურით — „გადანახული ჩანაწერები“. ადრეც დაიბეჭდებოდა, მორჩებოდა თითქოს და... ხელახლა დაიწყებდა...

11 აგვისტოს წამოაგონდებოდა გრიგოლ რობაქიძის მოგონება აკაკი წერეთელზე და უწოდებდა ამ მცირე მემუარისტულ თხზულებას მშვენიერსა და ნაღდს.

იხსენებდა გრიგოლი ცალკეულ სურათებსა და ეპიზოდებს და... ხელშესახებად ცოცხლდებოდა აკაკი აგერ თუნდ რეზო ჭეიშვილის თვალშიც.

როგორც ლიტერატორს, ნიჭიერ კაცად მოიხსენიებდა გრიგოლს, მაგრამ თავს ვერ შეიკავებდა, კვლავაც არ დაერთო: მწერლობაში პოზიორიო.

წავიდოდა, მოწყდებოდა მიწას ბაღდათურს და... უფრო უდღეურად აფრინდებოდა, პოლიტიკურ ორიენტაციას რომ დაკარგავდა. ადიდებდა გამორჩენისა და ევროპის მწერლობაში თვითდამკვიდრების სურვილით ფაშიზმს. ჰიტლერის დღეები დათვლილი გახლდათ უკვე და... დარჩებოდა მშრალზე. ებრაელები არ აპატიებდნენ მათთვის უპატიებელს, აქეთ მოსაბრუნებელი პირიც აღარ ექნებოდა და მოკვდებოდა მარტოობაში.

„ეს ცნობილია".

იმჟამად ასე გახლდათ ცნობილი მართლაც და რეზოსთვისაც ცხადია, თუმც იმ „წვრილმანს" თავიც რომ დავანებოთ, ფაშიზმს მაშინ რომ „ადიდებდა" ემიგრაციაში გადახვეწილი მწერალი, როდესაც ჰიტლერს აღზევების დღეები ედგა და არა „დათვლილი", მთავარი ისაა, ამ წიგნაკის წერისას გრიგოლ რობაქიძისათვის უპირველესი საზრუნავი საქართველოს მომავალი რომ იქნებოდა, მას დასტრიალებდა თავზე და ამიტომაცაა ის პოლიტიკური პამფლეტი აღვსილი საქართველოთი უფრო, ვიდრე ჰიტლერითა და ნაციზმ-ფაშიზმით.

ევროპულ სამწერლო ცხოვრებაში თვითდამკვიდრების სურვილი ამოძრავებდა და ძალიანაც ამოძრავებდა გრიგოლ რობაქიძეს (ანკი რატომაც არა?!.), მაგრამ არც ისე მძაფრად – მანიაკალური რომ აღარც ითქვას — მისი გულისათვის საქართველო დავიწყნოდა.

ცუდად გამოიყენებდნენ იმ წიგნაკს, ტენდენციურად წააკეცავდნენ, თორემ მიუკერძოებელი თვალით წაკითხვა ადვილად ამოაცნობინებდა და ამოაცნობინებს ყველას, რა სატკივარიც სტკიოდა გრიგოლ რობაქიძეს და რა სახმილიც სწვავდა.

არაფრისდიდებით არ გამოიდებდა თავს, ნაცისტურ-ფაშისტური მოძრაობის› და გერმანიის სამხედრო წარმატებებისათვის რომ არ დაეკავშირებინა ბოლშევიკების დამხობა, რუსულ-იმპერიული კაბალის დამსხვრევა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

თავი მეხუთე

2005 წელი

გალაკტიონურ „ელვარე და ლომფერს“ არაერთხელ რომ ახსენებდა დღიურის ფურცლებზე, აგერ ერთ ოპუსს სათაურადაც მოარგებდა „გადანახული ჩანაწერების“ ციკლიდან. როგორ მოახერხებდა, ნამეტანი გაუკვირდებოდა. ბევრი ედებოდა წინ მასალა — ჩანაწერებში, წინ და თავში.

ერთი ეპიზოდი — „ვირს ვგევარ, ტო!“ — დაებეჭდა „სიცილიაში“, გაზეთში. თვითონ არ ექნებოდა ეს ნომერი, სხვას ვერ აღმოუჩენდა და ვერ შეიტანდა ამიტომაც „კურუში“. გადაწყვეტდა, ხელახლა დაეწერა, და ეს პირველი შემთხვევა არ იქნებოდა მისთვის.

გაახსენდებოდა: ჯაკომო როსინის რომელიღაც ოპერის — „სევილიელი დალაქი“ ხომ არ იყო ნეტა? — ერთ-ერთი არიის ნოტების ფურცელი რომ გადაუცურდებოდა მაგიდიდან თუ ტახტიდან, იმას კი... დაეზარებოდა დახრა და აღება და ხელახლა შეავსებდა სანოტო ფურცელს. და ახლა იმ არიის ორი ვერსია არსებობდა და: ხან ერთს მღეროდნენ და ხანაც მეორეს.

ძველით ახალი წელი ჩამოდგებოდა მალე... ძველით, ახლით... ძველით, ახლით... და გაღიზიანდებოდა უეცრად: აღარ მოელო ამ იდიოტიზმს ბოლოო.

იმყოფებოდა ქუთაისში — უწყლო, ბნელ, სინდისგარეცხილ ქალაქში და... უნდა გამოესწრო აქედან დროზე!..

კიდევ ერთ ოპუსს რომ გაამზადებდა „გადანახაული ჩანაწერებისათვის“: „აკაკის აკვანი“ — მწვავეაო, კმაყოფილი დარჩებოდა და თავისებურ ირონიასაც მიადევნებდა: კბილს, არა სიბრძნისას, აატკიებს ვინმესო.

როგორ ეძახდა თბილისს გალაკტიონი? პოეტების სამეფოო.

რა სახელი შეერჩია მისთვის რეზო ჭეიშვილს? უწიგნურ ხელისუფალთა დედაქალაქიო. და დასძენდა: ეს ნაღდიაო!..

„ლიტერატურული პალიტრიდან“ წამოიღებდა „გადანახულ ჩანაწერებს“, რადგანაც რედაქტორს — რეზოს შეტყობით, გაქანებულ თუ შექანებულ სტალინელსა და ბნელ დედაკაცს — ეთქვა: ეს არ მომწონს, ის მომწონს, ეს ამოვიღოთ, ის დავტოვოთო...

რას მივადექი მეც ამ აგიტატორის ბლოკნოტსო! — თავს უწყრებოდა რეზო. არადა „ლიტერატურულ საქართველოშიც“ აღარ ჩაიხედებოდა, ოპოზიციურ გაზეთში დაბეჭდავდი და... შევარდნაძე-წივწივაძე-შაშიაშვილის მხარეს უნდა დამდგარიყავი.

არადა: მწერალი თავდაპირველად ხომ პერიოდიკისა გახლდათ, წიგნი სხვა იყო — ფინალი. წიგნს რა ედგა, ფულის გარდა, წინ, მაგრამ ჟურნალ-გაზეთი ანონსად წარმოდგებოდა, რეკლამადაც.

ლევან მალაზონიას მოინახულებდა, შავ დღეში მყოფს. გაჭირვებას უძლებდა მატერიალურს, უყურადღებობას — ვერა. რამდენი იყო მისნაირი და უარესი — უარეს დღეში ჩაცვენილი. ახალ ხელისუფალთ მაინც არ ერჩოდა ლევანი, შევარდნაძესაც გვიან დაუწყებდა გინებას. მისთვის საქართველოს დამოუკიდებლობა, რუსეთის გათახსირება გახლდათ მაინც მთავარი. რეზოს ეს დასაფასებელ თვისებად მიაჩნდა და უფასებდა კიდეც, თუკი ეს უშველიდა მის მეგობარს...

ლახვარს ჩასცემდა უკრაინა რუსეთს! და კმაყოფილი გაიფიქრებდა რეზო, რომ: ამის შედეგს ვიხილავდით, ჩვენც მოვესწრებოდით.

მის წერილსაც — საქართველოში რუსეთის ელჩს რომ მისწერდა, ჩხიკვიშვილს, და საბჭოთა კავშირის მიერ ბოძებულ სახელმწიფო პრემიაზე უარის თქმას აუწყებდა ამდენი ხნის შემდგომ — დააფასებდნენ ალბათ. ამოშლიდა საპრემიო დიპლომში თავის გვარ-სახელს და გაატანდა ბეჟან ნამიჭეიშვილს მოსკოვში. მედალს არ ნაიღებდა: დელიკატური ამბავიაო, — შეფახოცდებოდა ბეჟანი. მიფრინავდა და შეამოწმებდნენ, უნახავდნენ და: სად მიგაქვს, ვისიაო? — დაიწყებოდა გამორკვევა. კიდეც გაარკვევდნენ, საბუთიც თან ექნებოდა, რუსულ-ქართული გაზეთებიც — რეზოს საპროტესტო წერილით, მაგრამ მაინც საშარო საქმე ჩანდა. აღარ მიეძალებოდა ამიტომ ›ც რეზო და... იმიტომაც...

ოთარ იოსელიანის კინოფილმს რომ აჩვენებდნენ ტელევიზიით თებერველის დამდეგს: „იყო შაშვი მგალობელი“ — რამდენი ჰკითხავდა რეზოს:

— როდისაა გადაღებული, რა კარგად ჩანდი.

ეპიზოდურად გაიელვებდა მართლაც ორ ეპიზოდში და როგორ დამახსოვრებოდათ. 1971 წელს ყოფილიყო გადაღებული და ქე იქნებოდა მაშინ რეზო კაი 38 წლისა.

ამ ფილმის გადაღებამდე ოთარისათვის გაეცინდო:

— დებ იშხნელებზე მინდა სცენარის დაწერა. როგორ სიმღერასავით გაიარა მათმა ცხოვრებამ.

უხსენებდა ვალოდიასა და ირაკლის, მამა-შვილს, დებს, და ბოლოს ერთი დაღა რომ დარჩებოდა — თამარი.

— აუ, არ ჰქნა მაგი, — ის ხელებს გაასავსავებდა, — მაგათ ცუდი ისტორია აქვთ, ჩემი დეიდის მეზობლები იყვნენ, არაფრით არ დაწერო.

— შენთვის მინდოდა შემომეძლია, — ეტყოდა გაოცებული რეზო.

— არა, როგორ შეიძლება.

ეს არ დაუჯერებდა, მაგრამ გულს კი აიყრიდა ჩანაფიქრზე. როგორც ამას არ ესმის, არ გაეგება, ისე სხვასაცო, მიიჩნევდა. არ იყო საამისო დრო... მაგრამ დამთავრდებოდა „იყო შაშვი მგალობელი“ და... თამარ იშხნელი არ აღმოჩნდებოდა შიგ? კარგადაც და მნიშვნელოვნადაც.

პირველალმომჩენის პრიორიტეტი გაენაღდებინა ოთარ იოსელიანს თუ რა ექნა, რეზოს ეს უკვე აღარ ეცოდინებოდა.

გავიდოდა დრო, კაი ხანი მიიწურებოდა და დაწერდა — სცენარზე აღარ იფიქრებდა — და გამოაქვეყნებდა „მწვანეყვავილაში“ „დების სიმღერას“.

პატიმრები და გარექურდები დახევდნენ რამდენიმე ეგზემპლარს — ხელიდან ხელში გადავიდოდა ორი იშხნელის ამბის ხათრით. შვილი იმისი — რეზო სახელს ვეღარ გაიხსენებდა — კანონიერი ქურდი აღმოჩნდებოდა, ოჯახშივე გაიცნობდა და... ვერას შეატყობდა, თუმცაღა ყველა მასტის „ზაკონიკი“ მათ კორპუსში, მის თავზე, მეორე სართულზე — რეზოსი პირველი გახლდათ — იყრიდა თავს რ. ლორთქიფანიძესთან. ირაკლი იშხნელის შვილი კი მალე ჭიათურაში დაიღუპებოდა გულით — ნარკოტიკის დიდი დოზის გამოისობით. ასე იქნებოდა ის ამბავი...

ვეღარ მუშაობდა რეზო.

დაჰყურებდა და ვერ იწყებდა...

მზად ჰქონდა, ოღონდ თავში, და ვერ ამოელაგებინა ბოლომდე...

მოულოდნელად და საკმაოდ უცნაურ ვითარებაში გარდაიცვლებოდა ზურაბ ჟვანია: გაზით მოიწამლა მეგობარ თათარსა თუ აზერბაიჯანელთან ერთადო. ძალიანი გულისწყვეტით იხსენებდნენ: საჭირო კაცი იყო ქვეყნისათვის, დიდი დანაკლისიაო. ეთანხმებოდათ რეზო: ნიჭსა და უნარს, პოლიტიკოსობას არავინ უწუნებსო.

ელდარ შენგელაია იტყოდა:

— დღევანდელ ხელისუფლებაში ვერ ვხედავ მის შემცვლელს.

ტელევიზორს ვერ ჩართავდი: გადააბრუნებდი... ჟვანია, გადმოაბრუნებდი... ჟვანია. დედა, რა ვნახეთ, რა იყოო. ბისმარკიც ის ყოფილიყო, ფუშეც და ტალეირანიც. კიდევ? მაკიაველი მიმიქარავსო, ამასაც დასძენდა რეზო, რომლის თვალშიც: ის იყო ჩვენი პირობებისათვის ჭკვიანი, თითქმის ჩამოყალიბებული — ყველაფერი წინ ედო — პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოხელე.

და წინდახედული... ასე წინდაუხედავად დაიღუპავდა თავს — საჯაყად... გაირკვეოდა, ვნახავდით, კიდევ რა სიკეთეს არ დაამადლიდნენ, რას აღარ ამოუქექავდნენ. გასამდებოდა: გიორგი სანაია, ნუგზარ საჯაია და ეს.

— მაგან ერთი თათარი მაინც გაიყოლა თან, სხვას ესეც არ უქნია, — ერთ ადგილას იტყოდა და უსაყვედურებდნენ:

— ახლა არაა შაყირის დრო.

დიდუბეში უპირებდნენ დამარხვას და რეზოს უკვირდა: სადღაა იქ ადგილიო?!. — რამდენჯერ გადაეტან-გადაეწიათ ღობე-გალავანი, ვინ იტყოდა, გადასაწევიც აღარ დარჩენილიყო და: რას ფიქრობენ, არ ვიციო, — ვერ აეხსნა დიდუბის პანთეონზე ამგვარი მიძალება რეზოს.

ჭაბუა ამირეჯიბს ხელი ჩაექნია თურმე:

— მე ალბათ მახათაზე, სამების ეკლესიის ეზოში დავიკრძალები.

დიდუბის იმედი ორი-სამი წლის წინათაც არ ჰქონოდა, როგორც ირკვეოდა.

— ეგრეა რა! — ჯაბა იოსელიანივით დაჰკრავდა ბეჭედს რეზო და ძალაუნებურად გაახსენდებოდა, რომ ძალიან მოსწონდათ ჯაბასა და ჭაბუას ერთმანეთი. პირზე კოცნით მოიკითხავდნენ ხოლმე ერთიმეორეს პარლამენტში. და ეტყობოდათ, რომ: ჭაბუა მეტ მოკრძალებას ამჟღავნებდა ჯაბას მიმართ, ვიდრე ჯაბა ჭაბუასადმი...

8 თებერვალს ძველი ქართული ფილმის ნაწყვეტებს უყურებდა ტელევიზორში — ხან ხედავდა, ხან ესმოდა. და ბებია ელპიტე ჩარჩებოდა ყურში ნამეტნავად „ჭრიჭინადან", და ფიქრიც აიყოლიებდა: ეგრე იყო იმ დროს თეატრშიც და კინოშიც... თანამედროვე თემების — მასალა არჩეული, იდეოლოგია განსაზღვრული — რეალიზება ასე ხდებოდა: ან თბილისური სიაბანდობა (ჟარგონით უფრო გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას რეზო), ან სოფლური იუმორი, საკოლმეურნეო ცხოვრებასთან შეზავებულიო...

დააკვირდებოდა, ჩაუღრმავდებოდა და მიხვდებოდა: ის პეტერბურგელ-მოსკოველი თბილისელები სოფლელები იყვნენ მაინც წარმოშობით: რევაზ თაბუკაშვილიც, რევაზ ებრალიძეც, კიტა ბუაჩიძეც, სულიკო ჟღენტიც, იგივე ანზორ სალუქვაძეც და სხვებიც და სხვებიც. თბილისი და სოფელი — სხვა „ქვეყანა" თუ არსებობდა, არც ეცოდინებოდათ.

რევაზ ჭარხალაშვილი ამას „კოფე და ლობიოს" ეძახდა.

რეზო ჭეიშვილი „ტო-ელპიტეს" მოიფიქრებდა.

— ამის შემდეგ მოვედით ჩვენ სხვა თემატიკით.

ვინ „ჩვენ"?

თვითონ რეზო, რევაზ გაბრიაძე, ლევან ჭელიძე.

ქუთაისი — სულ სხვა სამყარო და ფაქტურა, ასევე სოხუმი და ბათუმი.

საკუთრივ ბათუმელები, სოხუმელები და ქუთაისელები ვერ გაცდებოდნენ ქუთაისლობას, ბათუმლობას, სოხუმლობას, დარჩებოდნენ სოხუმ-ზუგდიდელებად (ლტოლვილებად), ბათუმლებად, ქუთაისლებად. შერწყმა... თბილისთან გადადიოდა სხვა ხარისხში, დღემდე ასე იყო და... ასეც უნდა ყოფილიყო. და სჯეროდა რეზოს, მოვიდოდა დრო, სხვაგანაც, როგორც ადრე — ქუთაისში, დამოუკიდებლად განვითარდებოდა კულტურა.

გამოვიდოდა „ლიტერატურული საქართველოს" ახალი ნომერი და რეზოს „გადანახული ჩანაწერებიდან" ოთხი იქნებოდა დაბეჭდილი.

თვითონ კი მოსწონდა, გაგიხარია, მაგრამ სხვას? ჯერ არ იცოდა. გაზეთს გადახედავდა და... გულს შემოეყრებოდა, ნამეტანი სუსტი აღმოჩნდებოდა, უსუსური.

„აქ რა მინდოდა?"

და თავს შეუწყრებოდა:

ველარ გავიგე მეც, რომ აღარაა, წავიდა ჩემი და ჩვენი კი არა, მწერლობის დროო.

ეს არა ჰგავდა დროებით მოვლენას და საშინელებაც ეს იყო თუ იყო!..

რეზოსი ინფორმაცია მაინც გახლდათ, მოგონება, და რაღაც მაინც იყო შიგ — ისტორიაც.

ოტია იოსელიანი მოჩანდა ტელევიზორში.

„კლოუნი გახდა და უხარია, მოწონს თავისი როლი".

მასზე ჰქონდა დასაწერი ზუსტად და დაიწყებდა ახლა. ქუთაისზე უნდა დაეწყო წერილი და... ჯერ ოტიას მიხედავდა...

პრეზიდენტის გუშინდელ გამოსვლაზე დიდი ლაპარაკი ატეხილიყო. ეშოვნათ მასალა გაზეთებში, ტელევიზორში ქურდული გარჩევები მიმდინარეობდა: ასე არ უნდა ექნაო, ასე არაო...

„ნამეტანი თვითკმაყოფილი შერეკილია მართლაც. როდისთვის უნდა ველოდოთ მაგის დაუნჯებას? საჭიროა კი?.."

13 თებერვალი დადგებოდა და არ აპირებდა გასვლას გარეთ ამ თარს დღეს, საქმეც არა ჰქონდა, არც სიდედრი ჰყავდა სანახავი და არც ცხენი — გასახედნი. წერილს ამზადებდა ქუთაისზე. საჭირო იყო, იცოდა, და თავს ძალას ატანდა, გული კი არ მისდიოდა. ერთიდან გამორთვა — არადა კარგად შეჰყოლოდა „გადანახულებს" — და მეორეში ჩართვა ძნელი გახლდათ ისედაც. დაამთავრებდა როგორმე „ყველაფერი მიედინებას", „პუ-ის" თუ „ვიოლინოს" (რომელი დარჩებოდა, არ იცოდა) და გადავიდოდა ისტორიულზე. და იმასაც თუ მორჩებოდა:

— დევიხურავ ქუდს, ბატონო!

ამ დღიურებსაც დაამთავრებდა 2009-ში (თუ ვიქენიო, — ჩაურთავდა) და შემდეგ შეჯამება, გამოცემა, პატრონობა? ესეც საჭირო იყო, მაგრამ შემოქმედებას მწერლურს თვითვე უნდა გაეკვლია გზა, თუ ეს არ იქნებოდა, ვერავითარი პატრონაჟი და მფარველი ვერ უშველიდა, რა დიდი მიხვედრა ესაჭიროებოდა... რამდენი გაბითურულ-გამოფასებულიყო და დაკარგულიყო აგერ რეზოს თვალწინაც კი.

18 თებერვალს პარასკევდღეს, სამახსოვროდ მოიხსენიებდა.

ისე მიიღებდნენ სერგეი ლავროვს, როგორც ეკადრებოდა — კაბინეტებში, არაოფიციალურად.

„რუსს ასე უნდა ელაპარაკო".

თუმცაღა ლავროვი არც ყოფილიყო რუსი — სომეხი გახლდათ გაქანებული. მამამისი — თბილისელი. თვითონაც? აბა მაშ საიდან ეცოდინებოდა ქართული? ფლობს ინგლისურს, რუსულსა და ქართულსო, არ იტყოდნენ, არ მოჰყურებოდა რეზოს, და სომხურსაცო — შესაძლოა გამორჩენოდა — ეს უკვე არ გაეგონა.

უცნაურად მოეჩვენებოდა:

ვლადიმერ პუტინი — საქართველოში დაბადებული, დედამისი აქ ცხოვრობდა, არ დედაშვილობდნენ, მაგარმ ეს დედა გახლდათ და ის — შვილი.

ევგენი პრიმაკოვი — საგარეო საქმეებს განაგებდა ხომ ესეც — თბილისელი, ცოლი ქართველი ჰყავდა, თუ რეზოს არ ეშლებოდა.

იგორ ივანოვს დედა ჰყავდა ქართველი

და ესეც მეოთხე —

სერგეი ლავროვი.

რუსეთის ტელეარხს უსმენდა და: ოფიციალური ვიზიტი ჩაიშალაო, — ასე შეაფასებდნენ დღევანდელ დღეს.

რა მოხდებოდა 18-დან 26 თებერვლამდე, ლავროვიდან პუტინამდე?

შეხვდებოდა ჯორჯ ბუშს ერთიერთზე, რას ილაპარაკებდნენ, არავის ეცოდინებოდა. ბუშმა მანამდე საქართველო ოთხჯერ ახსენაო (ხუთჯერ რომ ეხსენებინა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო, — ირონიულად ჩაურთავდა რეზო), პუტინმა კი, იმანაც მანამდე: საქართველოში ჩემთვის არაფერი შეცვლილა, რასაც შევარდნაძე აკეთებდა, იმას აკეთებენ ესენიცო. საგარეო პოლიტიკას იანგარიშებდა.

რეზო ერთ დეტალსაც მიაქცევდა ყურადღებას:

რუსეთის პრეზიდენტი გერმანულად ლაპარაკობდა ბრატისლავაში.

ეს კი იმას ადასტურებდა, რაც ეთქვა რეზოს, რაც მიეწერა რუსეთის ელჩისათვის, რაც გამოექვეყნებინა:

რუსული ჩვენს თვალწინ ჰკარგავს საერთაშორისო ენის — ერის — მნიშვნელობასო.

ასე იყო და ეიმედებოდა, რომ აწი უფრო თვალნათელი გახდებოდა მისი პროგნოზიც და პროგნოზებიც.

25 მარტს ზესტაფონს აჩვენებდნენ ტელევიზიით და ფიფქავდა, მოდიოდა და ვერ მოსულიყო გაზაფხული, თბილისშიც ცივი ქარები ჰქროდნენ... „ჰაე" არ იყო საჭირო, არ უნდოდა, მაგრამ რეზო არ დაგიდევდა, რადგან სწორედ ასე უხდებოდა სიტყვას, და ასეც გაიმეორებდა დაბეჯითებით: ჰქრიანო.

გაასრულებდა წერილს ქუთაისის შესახებ, მაგრამ არა ჩქარობდა გამოქვეყნებას. მოვლენები, საშინაო და საგარეო, სწრაფად ვითარდებოდა და უნდა არეკლილიყო მაინც.

მიხეილ სააკაშვილი კიევში იმყოფებოდა და დიდი ამბით იღებდნენ. აქ პირიქით იყო: აღარ გვინდაო.

გუშინ — მიშაო, დღეს — გრიშაო, ანდა სხვაო.

— მიშა აქ არის, გრიშა აქ არის, — ამ ფრაზას ჩაამატებდა „ცისფერ მთებში" თემო ჩირგაძე გახმოვანებისას და არ შეეწინააღმდეგებოდა რეზო, დანარჩენი კი, ყველა ფრაზა, ყველა რეპლიკა, რეზოს კონტროლით გახმიანდებოდა. გული წყდებოდა, ზოგიერთ კონიუნქტურულ ნამოძახილს, იმ მოტივით, საჭიროაო, რომ დატოვებდნენ ფინალში, უმნიშვნელოს, მაგრამ მაინც, ან როგორც ქუთაისელ-ორპირელი რამაზ ბერეკაშვილი იტყოდა: მაინ!..

ჯორჯ ბუში ჩამოვა 10 მაისს თბილისშიო, — ოფიციალურად გვაუწყებდნენ, როგორც დიდ ამბავს, განსაკუთრებულ მოვლენას. ვლადიმერ პუტინი სომხეთში იმყოფებოდა, რეზო საშუალებას რომ იშოვნიდა, პუტინ-ერევანსკიდ მოეხსენიებინა. ამას წინათ კიევში ჩასულიყო. საქართველოს ემდუროდა!..

ყირგიზეთში გადატრიალება მომხდარიყო, ასკარ აკაევი გაქცეულიყო, მაგრამ შემოეთვალა საიდანღაც: არაფერი შეგეშალოთ, გადადგომაზე ხელი არ მომიწერიაო. პუტინი განაცხადებდა:

— საქართველოში, უკრაინაში, ბიშკეკში ერთი სცენარით წარიმართა მოვლენები.

რაფრად მიხვდაო?! — ჩაიცინებდა რეზო, — მე რას ვშობიო, არ თქვაო.

გაზაფხული კი მაინც მოვიდოდა, „ცისფერი მთების" ფინალური ფრაზისა არ იყოს!..

გაზეთს შეუკვეთავდა კულტურის სამინისტროს: „მწერლური ცხოვრება". თუ დაამტკიცებდნენ, ფარა იქნებოდა წლის ბოლომდე, და რაც მთავარია — გაზეთი ლიტერატურული. მარტო გაზეთი რომ დაეტოვებინა, შემოდგომაზევე დაანებებდა სამსახურს თავს, რას მსახურობდა და მაინც!..

გაახსენდებოდა ანეკდოტივით მოარული:

დოდო ანთაძეს, ქუთაისის დრამატული თეატრის დირექტორსა და მთავარ რეჟისორს, შრომის წითელი დროშის ორდენი სამჯერ ექნებოდა მინიჭებული. წარადგენდნენ ლენინის ორდენზე და ელოდებოდა. ჩართავდა რადიოს. აცხადებდნენ ლენინის ორდენოსნებს, ჩათავდებოდა სია და... არ აღმოჩნდებოდა ჩამონათვალში. მერე კი გამოაცხადებდნენ, რომ დოდო ანთაძეს მინიჭებოდა შრომის წითელი დროშის ორდენი — ეს უკვე მეოთხედ. წამოდგებოდა ენაჩავარდნილი, გაივლ-გამოივლიდა და ჩაილაპარაკებდა:

— რა ვიშრომე, ბატონო ამნაირი, გამაგებინეთ!..

ჩათავდებოდა ეს მარტიც. წვეთავდა, ჟინჟღლავდა და არ შხაპუნებდა, წკაპანკუპი გაჰქონდა წვეთებს რაფაზე. მუშაობდა და ვერ მუშაობდა. ვარჯიშობდა და ვერ ვარჯიშობდა. უტრიალებდა „ვეფხისტყაოსანს" და თან თავის თავზე ელიმებოდა: რაღა დროსააო!..

რამდენი რამ ჰქონდა დასაწერი!

რამდენ დროსა და ხანს ჩაევლო უქმად!

ეს, რაც ახლა იცოდა — პოლიტიკას არა გულისხმობდა — უნდა სცოდნოდა სულ ცოტა 40-50 წლის წინათ.

— რაღა დროს ნოტების სწავლაა, ინგოროყვასი არ იყოს, — პავლესი.

რატომ წაჰკრავდა ნესტარს, ძნელი სათქმელია... თუმც იქნებ არც ძნელი...

ისე კი ანალიზის დროდ ამჟამინდელი ხანა ესახებოდა სწორედ!

ადრე ხომ უფრო ბევრს კითხულობდა (არ სწავლობდა), ახლა ბევრს ფიქრობდა, ბევრსაც აანალიზებდა...

ჩვენი ცხოვრების წესიც სხვანაირი გახლდათ:

— ჩვენ, ბატონო, ტრადიციის (მსუბუქი გაგებით) ხალხი ვართ!

უტრიალებდა და უტრიალებდა „ვეფხისტყაოსანს", კერძოდ — ასმათს, ალექსანდრე ბარამიძის მიხედვით: ყველაზე გამოჩენილ დობილს მსოფლიო ლიტერატურაში — და შორს გატოპავდა ნამეტნავად. სხვაც ბევრი საქმე ექნებოდა — წიგნი ბონდო მაცაბერიძის გამომცემლობაში, სამსახური, საგარეო, საშინაო, დაწყებული, დაუწყებელი, თუ გაზეთს დაუმტკიცებდნენ, „მწერლურ ცხოვრებას", საქმე მაშინ გენახა, თუ არ გინდოდა... არადა საჭიროდ მიიჩნევდა ღმერთმანი.

— ჩემი დასაწერი თუ გახდა, ასეც მგონია, რას შობი მერე?!

„ქუთაისის შესახებ" მზად ჰქონდა, სხვასაც, ძველსაც, რომელიც არ წაკითხულიყო, მიაყოლებდა... გაძლებდა ერთხანს.

რომის პაპი მიიცვლებოდა. 3-4 წლის წინათ ენახა რეზოს, ის რომ იმყოფებოდა აქ. დაესწრებოდა მიღებას კრწანისში, ედუარდ შევარდნაძის რეზიდენციაში. თამაზ გამყრელიძე ლათინურად ეტყოდა სიტყვას და ცოტა გააოცებდა. მაშინაც ვერ იქნებოდა კარგად, დიდი დღე რომ არ ეწერებოდა, არ გახლდათ ძნელი მისახვედრი.

მრევლს ნეტა როგორ, რა ენაზე ელაპარაკებოდა? ანდერძი პოლონურ ენაზე დაეტოვებინა.

— რუსული შესანიშნავად იცოდა, მაგრამ მაინც ინგლისურად მპასუხობდა, — რაღაც ამისდაგვარს მოახსენებდათ მედეა კუჭუხიძე, რომელსაც ამ კაცის პიესა დაედგა მარჯანიშვილის თეატრში.

უცნაურად მოეჩვენებოდა რეზოს, ფიდელ კასტროს სამდღიანი გლოვა რომ გამოეცხადებინა კუბაში. ისიც კი ეგონებოდა: ხომ არ მომეყურაო. როგორ, გაქანებულ კომუნისტს ჩაედინა ეს? მათი პირველი თეზა ხომ ათეიზმი გახლდათ, უღმერთობა... რუსები ჯერჯერობით არც ავს ამბობდნენ და არც კარგს.

ედიშერ გიორგაძე ჩამწვარიყო საკუთარ სახლში, საკუთარ ლოგინში და დაემარხათ კიდეც. გაესწრო პაპისათვის.

დღიურების მომავალი მკითხველი თუ ვერ მიხვდებოდა, ვისზე ლაპარაკობდა რეზო, დაე სცოდნოდათ, რომ:

ედიშერ გიორგაძე — იყო ამქვეყნად კაცი ამ გვარისა და სახელის, ფრიად კოლორიტული, ნიჭიერიც, რაღაც კუთხით, ლიტერატორი, წიგნებიც ჰქონდა, ერთი კრივზეც, გამოცემული.

ცხრა აპრილიო, ასე აღნიშნავდა, რადგანაც „9, IX" არ უხდებოდა იმ შფოთიან ღამეს. სიტყვით იწერებოდა თითქოს მხოლოდ: ცხრა! — და „ცხ" კომპლექსი რომელ სიტყვაშიც ახსოვდა, ყველას ჩამოწერდა: ცხელიო და ცეცხლიო და ცოცხალიო და ცოცხიო და ცხარეო და ცხოველიო (სვეტიცხოველიო, — ფრჩხილებში მოათავსებდა) და რიცხვიო და სარცხიო და ცხრილიო და ცხავიო და სირცხვილიო და ცხვირიო და ცინცხალიო და ცაცხვიო (საკულტო ხეო — ფრჩხილებში დაგვიზუსტებდა)...

— სული გიცხავს?!

16 წელი გასულიყო ცხრა წელივით, ცხრა დღესავით...

გაზაფხული დამდგარიყო ქუთაისში!..

12 აპრილიდან 24-მდე კრება წავიდოდა მხიარულად — ქეც გახდებოდა ამასობაში 72 წლისა. როცა დაბერდებოდა, უფრო სწორად — როცა დაბერებას დააპირებდა, იცეკვებდა კიდეც სკამზე. კიდევ!

— არ გადმოვარდეს, — ესმოდა ხოლმე, და ეცინებოდა: დიდი საქმე, კიდევაც რომ... არა, არ გადმოვარდებოდა...

ნამეტანი გადაირეოდა რიონი, არხევდა ხიდს და ნაძვებიდან ჩაშვებულ რკინის კიბეს აჭრიალებდა.

— როდის მოგლეჯს? — მისჩერებოდა რეზო სულის კანკაწით. თვითონ ვერ შეესწრებოდა შინ მობრუნებული, მაგრამ საღამოს რომ გავიდოდა, კიბე იქ აღარ დახვდებოდა.

დღეს უკვე ტელევიზიას გადაეცა: წყალდიდობაა შიგ ქუთაისშიო!.. დაურეკავდნენ თბილისიდან: რა ხდება, რა ამბავია, როგორა ხართო?!. ისეთიც რა მომხდარიყო — წყალი უარესადაც ადიდებულიყო, ახლა ადიდებულს რომ მიმსგავსებოდა მხოლოდ... მოდიოდა რიონი, მადლობა ღმერთს, და ჩაერთობოდა ტელევიზია და გაიგებდნენ, რომ ქალაქში რიონი არსებობდა, მდინარე...

მანქანაზე ბეჭდავდა — იმ საუკუნეში ჩარჩენილიყო — წერილს: „ქუთაისის შესახებ და სხვაც". მორჩებოდა, გამოაქვეყნებდა, ბროშურადაც გამოსცემდა და დაარიგებდა, ოღონდაც კარგად ვყოფილიყავით!..

გარეთ ახალი არაფერი ხდებოდა, რეზოსთვის კი ის, რომ: ინტენსიურად მუშაობდა, დროც ისეთი იყო ახლა — ჯდომის, წერის დრო: მაისი, ივნისი, ოქტომბერი... სმის დრო როდისღა მოვიდოდა.

„ჩვენში სულ მაგის დროა!“

უფულო გაზეთი როგორ მოსავლელი იყო.

გრიგოლ ორბელიანს ცხენის მფლობელთა მანიფესტაცია რომ ესტუმრებოდა, როგორც ნამესტნიკს, მეფისნაცვალს იმჟამად, და გადასახადის შემცირებას სთხოვდნენ, ის მიუგებდათ: მეც ვიხდიო.

— შენ, ბატონო, — ეტყოდა ერთი, — ცხენს ინახავ და არჩენ, ჩვენ ცხენი გვინახავს და გვარჩენს.

ასეაო, — დასძენდა რეზო ამ გახსენებას, — გაზეთმა უნდა შეგინახოს, შენ თუ შეინახე გაზეთი, რაღა დახლი დაგიდგებაო!..

„ეგრეა რა!..“

თბილისი ლამაზდებოდა შეუხედავი პატარძალივით — ჭეიშვილური შედარებაა, ირონიულიც და მწარენაღველჩაღვრილიც. ძველი რაიონი, მტკვარიც რომ აწეულიყო, მოეწონებოდა. იქ მიიღებდნენ ამერიკის პრეზიდენტს და მოიგებდა მიმღები.

გამოვიდოდა გაზეთი „მწერლური ცხოვრება“ — რეზოსი, გასცემდა ცოტას და ვერ დაარიგებდა ქსელში საგაზეთოში. ემზადებოდნენ 26 მაისისათვის და ჩაიხერგებოდა გზები მტკვარგაღმა-გამოღმა. ძლივს მიაღწევდა სახლამდე. პირველი შთაბეჭდილება ნორმალური მოეჩვენებოდა, კითხულობდნენ ჯერ. ერთულებოდა გაზეთი, შტატი რომ არ გააჩნდა. თავისუფალი თანამშრომელი არა ჰყავდა. ფული არ მოეპოვებოდა, თორემ თანამშრომლის მოძებნას რა უნდოდა! არც არაფერი!..

დავით მჭედლურს ტყვია დაეხალა, რეზოს ასე რომ აცნობებდნენ: თავი ჩამოუხრჩვიაო. და ამ თვითმკვლელობას ასე განაზოგადებდა:

ესაა სწორედ მწერლური ცხოვრება, მწერლის ხვედრიო.

26 მაისს შესანიშნავი დილა გათენდებოდა. ემზადებოდნენ სააღლუმოდ, რეზოს სამხედრო მეთაურის ხმა ესმოდა ტელევიზიით:

— 26 მაისი არამარტო ჩვენი დღესასწაულია, არამედ მთელი ქართველი ხალხის.

და ჩაეღიმებოდა: კიდევ კარგი „ც“ არ დააყოლა: ხალხისაცო.

წინა დღით გაზეთებს არიგებდნენ ის და ბაღათერ არაბული.

„ვიშოვნე საქმე!“

სათაურის, დასახელების შეცვლას აპირებდი; მწერლის, მწერლური ცხოვრების გაგონებაც არ უნდოდათ. მწერლურიო? პასუხად ირონიული გამომეტყველება... აქამდე მისულიყო საქმე! რის ბრალი იყო ნეტა?!.

რისი და:

დროის, მწერლებისა (ვითომ მწერლებისაო, — დააზუსტებდა) უპირველესად და უწიგნური ხელისუფლების.

კიდევ — რამდენიმე პირის, მათ შორის პირველის — თამაზ წივწივაძის, რომელიც შეაძულებდა ხსენებას ლიტერატურისა ადამიანებს.

და გადმოიფრქვეოდა ჭეიშვილური ირონია:

მალადეც, ძმაო! ერთ კაცს თუ ამდენი შეეძლო, როგორ მეგონებოდაო.

დღესაც წივწივაძე უკვე ინერციით, შევარდნაძის პოზიციებიდან „ებრძოდა" ხელისუფლებას — მხოლოდდამხოლოდ პირადი ინტერესებისა და მოუნელებელი ბოღმის გამო.

— პირველად ვაფიქსირებ ამას!

ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა გამოეთქვა რეზოს თავისი აზრი: პირდაპირ და მოურიდებლად.

მის ლიტერატურულ გაზეთს ხომ არ დარქმეოდა „ჩვენი ცხოვრება" ნაცვლად „მწერლურისა"?

რა უშავსო, — გაიფიქრებდა... და გაზეთსაც რომ ერქვა თითქოს?.. რუსულად — ნაღდად. ქართულად კი ვერ იხსენებდა.

„ეგრეა რა!.."

თავდებოდა ეს მაისიც სიცხით, ნამეტანს დააცხუნებდა 30-ში. წვალობდა გაზეთისათვის, ეხმარებოდნენ ყოვლად უპასუხისმგებლო კეთილიმსურველები. უბედურებად ესახებოდა ამგვარი თანადგომა. როგორ უნდა გემუშავა, როგორ უნდა შეგძლებოდა მუშაობა ამნაირ ხალხთან, არ იცოდა ღმერთმანი!..

ახრჩობდა დიდ წერილს „ქუთაისის შესახებ". რთული მომენტი ექნებოდა გადასატანი და მორჩებოდა. თავის წილ საჟურნალე მასალებს გაამზადებდა, გააკრიალებდა. ერთი კაცის ჟურნალს გააკეთებდა და ერთ კაცს დაიხმარდა ბოლობოლო, მაგრამ რაღა დროს. ფული უნდოდა და შეძლება. როგორ წერდა რუსთველი? ძალი მომეც და შეწევნაო, — რეზო ამგვარად რომ გადაუკეთებდა: ფული მომეც და შეწევნაო, — და... ამ სტროფის გამართულობასაც დაიწუნებდა და რითმებსაც. თან შეცბებოდა: არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიციო!..

6 ივნისის გათენებას გივი ძნელაძის სტრიქონებით შეეგებებოდა: გაიხედე, ძმობილო, თენდება თუ ღამდებაო!.. ახსენდებოდა დროდადრო მისი არა ერთი და ორი სტრიქონი. წასულიყო. და კიდევ ვინ აღარ წასულიყო...

ხვალ გამოვიდოდა გაზეთის მეორე ნომერი, პირველზე უკეთესი, და მაინც დააკლებდა რაღაცას, სხვის იმედზე მტერი ყოფილიყო — მოხალისეთა, ენთუზიაზმის იმედად განა როდემდე გაუძლებდა. ჰქონდა საშუალება, პურის ფული, და შეეძლო გამოთიშვოდა სამსახურს, საზოგადო საქმეს, ვერ შვებოდა, ჯერ მაინც ნაადრევი ეგონა.

მამამისი, ბენია, ბენედიქტე, 85 თუ 86 წლისა გაეშვათ პენსიაზე და გაინცდიდა ძალიან და ეს მოუსწრაფებდა სიცოცხლეს, დაუჩქარებდა იქ წასვლას... ამით იიმედებდა თავს რეზო თუ რას შვებოდა... წამია კაცის სიცოცხლე და წამწამისა მსწრობელიო, რუსთველური შემოეშველებოდა...

„ეგრეა რა!.."

ყველაფერი გუშინ იყოო, — ასე ეგონა. მასაც, სხვებსაც. გუშინ, სულ გუშინ. წინ მივდიოდით და ფინიშს, დასასრულს ვერა ვხედავდით. არადა საჭირო იყო. ამიტომაც ვიხედებოდით სულ უკან, სულ გუშინ. წინჭვრეტაც გუშინდელით ხდებოდა! ასე იყო და ასეც იქნებოდა!..

სერიოზული, დიდი და ღირებული ვის რად სჭირდებოდა. საზოგადოებრივი, ეროვნულ-ნაციონალური მნიშვნელობა დაეკარგა მხატვრულ ლიტერატურას. საკუთარი თავის განდიდებისათვის ბრძოლას რა ფასი ჰქონდა ამ ხანმოკლე, კაცისათვის — ხანგაუთევარ წუთისოფელში. რა კალამი ეჭირა ხელთ!.. საჯღაბნელი.

ყველა გაზეთს უშვებდა, რამდენი ქართულენოვანი გაზეთი გამოდიოდა, ღმერთმა არ იცოდა. ყვავილების ქვეყანა კი არა, გაზეთების ქვეყანა იყო ეს!.. და მწარედ ჩაეცინებოდა რეზოს: ან ყვავილების ქვეყანა როდის ვიყავითო...

გაახსენდებოდა, მიხეილ მამულაშვილისას, მცხეთელი მინდიასას, რომ წაიყვანდნენ შვედებსა და ჰოლანდიელებს — კინოს ხალხს. ბაღსა და ყვავილებს აჩვენებდნენ. დელეგაციას სიკო დოლიძის აგარაკი ეგონებოდა, ვერ მიხვდებოდნენ, რატომ მიეტარ-მოეტარებინათ ამ ეზოში.

მესამე ნომერიც გამზადდებოდა „მწერლური ცხოვრებისა" — კარგი მოეჩვენებოდა, მაგრამ რაღაც ზედმეტიც, რაღაცაც აკლდებოდა... ჯუმბერ თითმერიას მასალა ბევრი იქნებოდა, მურმან ჯგუბურიასიც, ემზარ კვიტაიშვილისაც... მოკლედ: შეღავათებით ბეჭდავდა და არ ეჭაშნიკებოდა ეს დათმობები. გაეთვალისწინებინა უნდა: ერთ გვერდზე მეტი მასალა არ ვარგოდა საგაზეთოდ.

ეძებდა და წერდა ახლებს საგაზეთოდ „გადანახულების" ციკლიდან. გვიანი იქნებოდა... როდისღა, როგორღა ადგებოდა დილითა ძილითა...

23 ივნისს კულტურის მინისტრს დაელაპარაკებოდა კარგახანს. მოუსმენდა ის, მაგრამ ესმოდა თუ არა, ვერ იტყოდა რეზო.

„ფეხებზე ჰკიდიათ ყველაფერი. ელოდება ალბათ კიდეც უფრო მყუდრო ადგილი. საზღვარგარეთ — უფრორე".

— ვფიქრობთ, მწერლობაზეც ვფიქრობთ, — უმტკიცებდა გოკა გაბაშვილი, მაგრამ ვერ აჯერებდა რეზოს:

პრეზიდენტი ერთად ფიქრობს, გლობალურად, ყველაფერზე, ამის მაგივრადაც, როგორც ვხვდები. პრეზიდენტი რომ სულელი გეყოლება, როგორი საქმეაო!..

პარლამენტში ჭამდნენ, ტკვირავდნენ, ხრავდნენ ერთმანეთს, ოპოზიცია ემზადებოდა უკვე მმართველი პარტიის გასანადგურებლად, ადგილობრივ არჩევნებში გასამარჯვებლად. ხალხს გამოვიყვანთ ქუჩაშიო, — იმუქრებოდნენ. მუდმივი არეულობის ქვეყანა გვექნებოდა. მოუშვებდა ხელისუფლება და... აყვირდებოდნენ: გამიშვიო... მოუჭერდი და... გაიტრუნებოდნენ მოქალაქენი.

„სანამდე ამ პარლამენტს არ დაშლი და ტელეარხებს არ გაუწევ კონტროლს, მშვიდობა არ იქნება".

„გალაკტიონი და პალტო" გაემზადებინა და გადართულიყო გაზეთზე, მთავარი საქმე კი გვერდზე რჩებოდა!..

29 ივნისს შეიტყობდა, რომ გარდაცვლილიყო ბორის წიფურია, წითურიად რომ იცნობდნენ, რეზო კი პირველად შეხვდებოდა 1954 წელს, როდესაც

ნაქირავებ ოთახში ესტუმრებოდნენ მომღერალი ძმაკაცები — რომან გუმბერიძე, ოთარ ხატელიშვილი და თენგიზ ზეინკლიშვილი — და ბორისსაც მიუყვანდნენ, ახლა სრულიად მარტო რომ დაღუპულიყო, და მხოლოდ მოესწროთ სასწრაფოს გამოძახება.

უდავოდ ნიჭიერ კაცად მოიხსენიებდა რეზო, ბევრი კარგი როლი რომ ეთამაშა კინოში, თეატრიდან კი არც მოაგონდებოდა.

დიდი არეულობა სუფევდა უნივერსიტეტში. გაყრიდნენ ხალხს ღვთისანაბარად. გრიველ (ჩაურთავდა, რომ ეს სახელი გრიშასა და ვერას შერწყმით შედგენილიყო) ფარულავაც მოყოლილიყო წმენდაში, რამდენიმე წლის წინათ პრორექტორიც რომ გახლდათ, ამჟამად კი როგორც დამსახურებულს, როგორც ვეტერანს (ორი წლით უმცროსი იყო რეზოზე), როგორც მხცოვანს — გამოისტუმრებდნენ. თანაკურსელები იყვნენ, როგორც რეზო სირაძე, რომელსაც დატოვებდნენ.

ასეთი ამბები ტრიალებდა „რეფორმა, რეფორმის" ძახილში.

ამის შემდეგ დაიწყებოდა „საერთო ეროვნული" მისაღები გამოცდები.

და ვერ აეხსნა რეზოს, რას ეძახდნენ ეროვნულს, როცა ამათზე ანტიეროვნული მთავრობა არ ყოფილიყო, კომუნისტების ჩათვლით, საქართველოში?!.

თბილისში ვნებათაღელვა იტრიალებდა სოციალურ-პოლიტიკური, პარლამენტში — ხელჩართული ომი, ცემა-ტყეპით. ყოველდღე არა, მაგრამ კვირაში ორჯერ მაინც თუ აყურებინებდნენ იმნაირ — 1 ივლისს რომ მოხდებოდა — საპარლამენტო ჩხუბს წესების გარეშე, მადლობელიც დაურჩებოდათ: კარგი იქნებოდა, გაერთობოდა ადამიანიო.

მოჭიდავეების აჯანყება, რომელიც ჯღანას სახელით შევიდოდა ისტორიაში, 30 ივნისს გაიმართებოდა რუსთაველზე. სეირს უსისხლოსა და უსახელოს, უყურებდა ქუთაისიდან ტელევიზიით და დალოცავდა ტელევიზიების ყველა არხის წარმომადგენელთ, რომელნიც ჭარბობდნენ მეამბოხეებსა და სეირის მაყურებელ მოქალაქეებს.

ამის შემდეგ ოთარ იოსელიანის ფილმს ნახავდა: „ყაჩაღები". თავის სტიქიაში იმყოფებოდა რეჟისორი. რუსები „ბარახლოს" რომ იტყვიან, ისეთი აღმოჩნდებოდა, „ბარახლოსავით"... და მაინც მოეწონებოდა რეზოს: კარგიაო!..

16 ივლისს საღამოთი ელდარ შენგელაია უნდა სტუმრებოდა მომავალ სცენარზე სალაპარაკოდ. გაზეთი „მწერლური ცხოვრება" ალბათ ხვალ დაიბეჭდებოდა, გაიტანდა ორშაბათს და... სად წაელო, უკვე აღარ იცოდა. არა რეკლამა, არა არაფერი, კაცი დამხმარე ამ დარგით არა ჰყავდა და... დაანებებდა ალბათ თავს წლის ბოლომდე, ანდა მიწურულს... გამოჩნდებოდა!..

19 ივლისს ჩაინიშნავდა თემურ ამყოლაძის ამასწინანდელ ნათქვამს:

— შენ სასვენ ნიშნებს იქ კი არა სვამ, სადაც აუცილებელია და საჭიროც ზოგჯერ, არამედ — პაუზის მიხედვით, და ამის გათვალისწინება აუცილებელია იმისთვის, ვინც შენს ნაწარმოებებს რედაქტორობს.

მიიჩნევდა, რომ: ასეც იყო, კი, მაგრამ — არა ყოველთვის.

2 სექტემბერს კულტურის სამინისტროს უკულტურობის ციტადელად მოიხსენიებდა.

კინოფილმს უყურებდა ფრენკ სინატრაზე, სათაურსა და ტიტრებს არც მიაქცევდა ყურადღებას, შავ-თეთრი კადრები რომ დაუდგებოდა თვალწინ, სიძველე, იგრძნობდა ძველი ფილმის სურნელებას.

რა უქნეს ამერიკულ კინოს, როგორ მოსპეს და გაათახსირესო! — გულისწყრომა ამოხეთქავდა, — უნიჭობა, პათოლოგია, ეროტიკა ბინძური, თითქმის გინეკოლოგიამდე დასული საშინელებაო.

გია დანელიას ჰკითხავდნენ:

— ვისი კინოა უკეთეს-უმჯობესი?

— ამერიკისა, ამერიკული.

ისე გაუკვირდებოდა რეზოს: ეს რეჟისორი ამას როგორ ამბობსო, — და ახლა მიხვდებოდა, რასაც გულისხმობდა:

სინემას. შავ-თეთრს. ბუნებრივს. ლამაზს. კეთილშობილურს. 50-იან წლებში უყურებდნენ ბევრს, „ტრაფეინი ფილმებს" რომ ეძახდნენ: „ჯარისკაცის ბედი ამერიკაში" (ჩვენი შერჩეული სათაური ყოფილიყო), „მსახიობი ქალის საიდუმლო", დინა დურბინა, სუსანა მაკდონალდი, ჩარლი ჩაპლინი, ბასტერ კიტონი, „ერთხელ ამერიკაში" (იქაც დაწყებულიყო პორნოგრაფია), „ნათლია" და სხვა რამდენი, ურიცხვი. კინო იტალიური, ფრანგული (ჟერარ ფილიპი), „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" (ძველი), კვაზიმოდო ლაუტონი, გერმანული კინოც კი: მარიკა როკი, მარლენ დიტრიხი.

ამერიკული კინოპროდუქცია გაათახსირებდა მსოფლიო კინოს — იაპონურსაც კი. დააკანონებდა, და კინო, როგორც კინოხელოვნება და ზოგადად ხელოვნება აღარც არსებობდა... 60-იანი წლებიდან დაიწყებოდა რეგრესი და... ახსოვდა რეზოს, როგორ ეგონებოდათ ეს მაშინ ახალი სიტყვა, მოსწონდათ და თავპირს იმტვრევდნენ კინოთეატრებში შესვლაზე, ეგრეთწოდებულ „პრასმოტრებზე", კინოკავშირის წევრებისათვის რომ ჩამოჰქონდა მოსკოვიდან კინოპროპაგანდის რაღაც ბიუროს „დახურული" ჩვენებისათვის.

23 სექტემბრისათვის ჩააბარებდა ასაწყობად თავის მასალას, კარგა მოზრდილს, რამდენიმე ნომერი რომ მოსწრებულიყო წლის ბოლომდე, შესაძლოა განეახლებინათ მომავალი წლიდან. თუ ასე არ მოხდებოდა, დადგებოდა და ეგ იქნებოდა.

— დროა შევეშვა სამსახურებს და მივხედო ნამდვილ საქმეს. დასამთავრებელი დავამთავრო, დასაწყები დავიწყო.

ელდარ შენგელაია დაიკარგებოდა ისევ. სანახავი ეყოლებოდა რეზოს თავისი სეხნია გაბრიაძე. ქუთაისში იპოლიტე ხვიჩიას ძეგლის დადგმა რომ განზრახულიყო, რეზოს იდეით მოხდებოდა, და ახლა საქმეში ჩართვას სთხოვდნენ.

გაზეთზე წვალობდა, ხვალ „მიახრჩობდა" და ზეგ გაუშვებდნენ. შემოსავალი — ნოლი, გასავალი...

„კაი, კაი მოგვიდეს, თუ კარგად ხარ!.."

კაცი ჭირდებოდა, რომელიც არა ჰყავდა, კომერციას. სამი ადამიანი, სამივე სხვადასხვა საქმით დაკავებული, ამზადებდა გაზეთს. თუ გაიტანდა გაისისათვის ანუ თუ უბოძებდნენ წყალობას, სულ სხვანაირად მოიქცეოდა — სულაც ქუთაისში დაბეჭდავდა, დაეხმარებოდნენ. და... წასვლა-მოსვლა? მაინც ხომ მიდიმოდიოდა.

10 ოქტომბრისათვის ისევ ქუთაისისაკენ ეპირებოდა. წიგნუკა ქუთაისზე, აქ გაზეთი, იქაც, დამთავრებული დაუმთავრებელი ეგონებოდა, გაზეთშიც ვერ ჩააწყობდა თავის მასალას, ერთდროულად ამუშავებდა ტვინში ორ საქმეს და... ჩერჩეტდებოდა. წნევა აუწევდა ნაღდად. ვერც ერთს ეშვებოდა, ვერც მეორეს. ისე სად გაგონილიყო, ერთ კაცს ეკეთებინოს 16-გვერდიანი გაზეთი — ორგანიზაციული საქმე, სირბილი, თხოვნა და საავტორო განყოფილება.

ზოგს ვერ მიაგნებდა — ნაფიქრალსა და ჩანაწერს, ზოგი არ მოეწონებოდა და ეძებდა ახალს, იხსენებდა, კითხულობდა, ვერ აგნებდა. ვერ იძინებდა, იღლებოდა. პატარაც ხომ აღარ იყო!..

16 ოქტომბერს რადიოს ხმა ესმოდა. ნუგზარ შატაიძე კითხულობდა რაღაცას.

— ესეც სატელევიზიო მწერალია, თვითნასწავლი — ოტიასავით. ოტია კომიკუ რი პერსონაჟი გახდა. გახადეს. მონაცემები ჰქონდა...

5 ნოემბერს თავისი განუხორციელებელი ოცნება მოუჭერდა გულზე.

სად ინატრებდი, რომელ ქვეყანაში მოხვედრასო? — რომ ეკითხათ, არც დაფიქრდებოდა:

— მდინარე ამაზონის საუფლოში.

ჰქონდა წიგნი ამაზონზე, დასურათებული. დაეკარგა. და ახლა სიმწრით გაიფიქრებდა: ვინ იცის ვის თაროზეა მიგდებული, ვინ მეტყვისო.

კარგი ნოველაც დაეწერა: „ბარანკო“, რომელშიც ეწერებოდა:

— ორი სიხარული ელის თურმე იქ ადამიანს — ტყეში შესვლისა და ტყიდან გამოსვლისა!

ყველაფერი იყო ნათქვამი!..

მეშვიდე ნომერ გაზეთს ჩამოიტანდა ქუთაისში, ერთსაც გამოსცემდა „მწერლურ ცხოვრებას“ და... მომავალი წლიდან შეხედავდა, რა როგორ უჯობდა. ხელმძღვანელობა შეეძლო, მაგრამ ყველაფრის გაკეთება ერთუ ლებოდა.

გაზეთს ძლივს მორჩებოდა და მოხსენებას დააწყებინებდნენ ლიტფონდის სახელით. ათასი საქმე: დაწერილი და დასაწერი, დასამთავრებელი... და საქმე თავისი მიეტოვებინა ვიღაც არაკაცებისათვის?!. მაგათთან ომი რა საკადრისი იყო რეზოსათვის, არ ეკადრებოდა და არა!..

გაზეთს არა უშავდა, ერთის თანხა რჩებოდა და დაამთავრებდა, 8 ნომერზე არ უნდოდა გაჩერება... 9 ნომერი მაინც რომ მოესწრო... არადა: რომ გაეყიდა, რაც გამოეცა, მოითქვამდა სულს! სახელმწიფო კი გროშებს თუ იმეტებდა...

ახალი სახელმიწფო არ ხელმწიფობდა, გაძლევდა-არ გაძლევდა — და ანგარიშს გთხოვდა.

არადა: ტარანი სახელით კი არაა, არამედ წონითო!..

სწორიაო? — კითხულობდა რეზო და ამჯობინებდა: არჩევით რომ ყოფილიყო.

დაამთავრებდა სწორებ-სწორებით „ქუთაისის შესახებ"... შეეძლო კიდევ, გულსაც აკლდა და... მორჩებოდა მაინც და გაუშვებდა საბეჭდად...

ისვენებდა ამ დღეჩაგდებაზე. ხვალიდან თუ არაფერს გადაეყრებოდა, დაიწყებდა... რასა და რას?! „გადანახულებს":

„ვისთანა ხარ შენ, აბელ!"

„ოტია !!, მუნდშტუკიანი (წარმოშობით სვანი)"

და

„ციხე, კარგი გიქნია და რაც ქვეყანას მიაჩნია რჯულზე უფრო უმჯობესად".

შემდეგ:

იქნებ მორჩენილიყო კიდეც... ბაზარს რა საკადრისი იყო — ყომარს: ეს სჯობდა.

7 ნოემბერი იყო და ჩამოდგებოდა 8 — საძაგელი დღეები რეზოსათვის.

12 ნოემბერს წვიმდა, წვიმდა გაბმულად, არა — კოკისპირულად. წვიმდა გუშინაც, გუშინწინაც, იმწინაც, მთელი თვე, თუ მეტი არა. ცხრა სახელი აქვს წვიმასო, — მუხრან მაჭავარიანი ირწმუნებოდა, რეზო თერთმეტს დაითვლიდა და შეიტანდა ერთ-ერთ დღიურში... ოღონდ მაშინაც წვიმდა თუ არა, აღარ ემახსოვრებოდა...

დღეს ამოიღებდნენ წიგნუკას კალკებზე. ხვალიდან ბეჭდვას შეუდგებოდნენ. სამშაბათს თუ არა, ოთხშაბათს ტირაჟიც — 400 ცალი — იქნებოდა, ცოტა, თუმც დასარიგებლად ეყოფოდა. მთავარია მიეტანა მკითხველამდე, მიეცა მისთვის, ვისაც ეკუთვნოდა და ეხებოდა.

ძნელად, ჯანჯალით, მაგრამ მაინც გამოდიოდა ეს წიგნუკა, კომუნისტური მანიფესტივით — აბა: „სახარებასავითაო", ხო ვერ იტყოდა — გაწყობილი.

ადვილი საკითხავი იქნებოდა და როდესაც აარიგ-ჩაარიგებდა, შეატყობდა, კითხულობდნენ. და ზოგისაგან დიდ ქება-შეფასებას მიიღებდა, ზოგისაგან — გაოცებას... ჯერჯერობით ეგ იქნებოდა.

12 დეკემბრისათვის დანიშნავდნენ განხილვას წიგნუკასი „მესამე გზა", საბოლოოდ ამ სათაურს რომ ამჯობინებდა. ეძებდნენ, კითხულობდნენ — ამ სიტყვის ორმაგი მნიშვნელობით: სად არისო, სად იშოვნებაო? თემურ ამყოლაძე გაოცებული გახლდათ: ასე უცბად, ასე სწრაფადო?!

გაიარ-გამოიელიდა „ქალაქში" (ასე წინწკლებში მოიხსენიებდა, რაკიღა ქალაქად აღარც მიიჩნევდა) რეზო, რამდენიმე წიგნსაც შეიძენდა.

ქუთაისი კი — ისევ ისე იქნებოდა!..

ხალხი — ღარიბი, უწიგნური. სამაგიეროდ — თავაზიანი, ზრდილობიანი დროსთან შეუფერებლად...

9 დეკემბრის ჩანაწერი ღიმილით დაიწყებოდა:

ხანდახან რომ ეძებდა ცნობას, თარიღს ახალი ისტორიისას და ეძებდა უშედეგოდ... აღმოჩნდებოდა მის რომელიმე წიგნში: „რკინის სახკომი" იქნებოდა, „მედვედევსკის ტყე" თუ „კუდიანი ვარსკვლავი".

„ასეც ხდება!"

მოიფიქრებდა სათაურს, კარგს, საბოლოოს, აღარ გადაიფიქრებდა არაფრისდიდებით: „შავი კატის შესახვევში (პუ ი)".

— დახვრიტეს ის უბედური. ამგნებმა გაუშვეს, გადასცეს. იმგნებმა მიაბრიდეს...

წაეკითხა, მაგრამ სად? ვეღარ მიეგნო, ენციკლოპედიებში არ იქნებოდა. სად ამოეკითხა? ჭირდებოდა კია დაზუსტება...

განხილვა კი ჩატარდებოდა, როგორც უნდა ჩატარებულიყო: ქება-დიდებით და... მოწყინდებოდათ. ლანძღვა-გინება, რაც ასე უხაროდათ, არ იქნებოდა. ხელმძღვანელებისგანაც გაილანდებოდნენ წარმომადგენლები. მალევე გაიფურცლებოდნენ (არ მოერიდებოდა ამ სიტყვას რეზო), არაფერი დაგვაცდენინონო... ალბათ. და მწარედ დასძენდა: გინდ წინ დაუბი ვირი მაგათ, გინდ — უკან, სულერთიაო...

— იყო და არც არა იყო რა!

წიგნს ისევ კითხულობდნენ, ზოგიერთები — ცხადია... საჟურნალედ ერთ საჭირო თავს, თავუკას, ჩაუმატებდა. წარჩინებულთა სიას გაზრდიდა და... იპოლიტე მაინც გამორჩებოდა...

საწერი და საკითხავი ბლომად დაუგროვდებოდა... ქუთაისში დაიწყებდა და თბილისში უნდა ჩაყურყუმალებულიყო საქმეში... მთავარი ქე რჩებოდა გვერდზე... გაზეთისათვის, რანაირიც უნდა ყოფილიყო, თავი ხომ არ უნდა გადაეყოლებინა... მომავალი კვირა რეზოსი უნდა ყოფილიყო, მომავალი გაზეთის: აწყობა, სწორება. და დაიქადნიდა: მარტოს რომ მომიხდეს მუშაობა, მარტო დავრჩები და გამოვუშვებო...

ტელევიზიით აჩვენებდნენ ლაშა თაბუკაშვილის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს: „რა ვუყოთ, რომ სველია სველი იასამანი" — ძველ ჩანაწერს რუსთაველის თეატრისა.

ქუთაისში სამაყურებლოდ, იქნებ ხალხი შემოეტყუებინათ, რეზოს თანხმობით დაიტოვებდნენ. არც გახლდათ საქუთაისო და არც გაამართლებდა. პირველი ორი წარმოდგენა წავიდოდა ეგრეთწოდებული ანშლაგით, შემდეგ — ჩვეულებრივი ყოველდღიურობით. მაინცდამაინც არც მაშინ მოსწონებოდა და აზრი არც ახლა შეეცვლებოდა...

21 დეკემბერს დაარიგებდნენ პრემიებს. კრება, კენჭისყრა მშვიდად, ყოველგვარი გართულების გარეშე ჩაივლიდა.

სახელმწიფო პრემიებს — ღირსების მიხედვით ანდა უეჭველობის პრინციპით — დაალაგებდნენ და დაარიგებდნენ:

ლექსო თორაძე, დავით წერედიანი, დავით მაღრაძე, გენო ზაქარაია (მოქანდაკე), გურამ ლორთქიფანიძე (მეტსახელით მოიხსენიებდა: ლორთქიად. აღნიშნავდა: ყველა ხმა მიიღო და ეკუთვნოდა კიდეც, თუმცაღა ბევრიც „იმუშავაო"), გერცელ ბააზოვი (სიკვდილის შემდეგ), და მსახიობი ქალები: მედეა ჩახავა და თამარ სხირტლაძე.

დაამთავრებდა ოთხ ჩანახატს თუ... სამს „გადანახულიდან", ერთს — გადასანახავს. პირველი გაუჭირდებოდა, სამი ეიოლებოდა და... ეცოტავებოდა.

ჩააბარებდა საგაზეთო მასალას. რისთვის წვალობდა — თავისთვის? ალბათ. ვინ კითხულობდა? ცოტანი. თუ აჩუქებდი, წაიკითხავდნენ კიდეც, ყიდვა ეზარებოდათ. ანეკდოტები გაცვეთილი, ლანძღვა-გინება, ჭორი და კრიმინალური ჭირდებოდათ... ნამდვილ იუმორს გასავალი აღარ ექნებოდა ამ დროში. პოლიტიკური ელიტა და მისი ისტებლიშმენტი საძაგელი გამხდარიყო რაღაცნაირად. მოდიოდა ეს შემდეგი და დამდეგი ახალი წელი: 2006... და სხვა ისეთი არაფერი...

26 დეკემბერს ჩამოფიფქავდა, დილით დალბებოდა მიწა და ატალახდებოდა ქალაქი მათი!.. „მესამე გზაზე" ფიქრობდა რეზო. ეგონებოდათ, რომ ქუთაისელი მოქალაქენი მიიტანდნენ გულთან. მაგრამ ეგრე არ მოხდებოდა, რასაც საჯარო ბიბლიოთეკის პრეზენტაციაც დაადასტურებდა. სად იყვნენ ეს ქუთაისელები? ისინი თბილისში ცხოვრობდნენ. ვინც იქაური გახლდათ, სწორედ „იქაურები" გაუნაწყენდებოდნენ: მოთხრილია ქალაქიო. ასე გაიგებდნენ. დანარჩენები, იმდღევანდელი გამომსვლელები, რეზოსავით ქუთაისელები ანუ თბილისელ-ქუთაისელები, მხატვრულობაზე გაამახვილებდნენ ყურადღებას და არა პრობლემებზე. არ ტკიოდათ გული, რადგანაც მათ არ ეხებოდათ. საზოგადოება „ქუთაისელი", ქუთაისისა რომ არაფერი გაეგებოდა, დაიმალებოდა. დაბალი წრე დაბეჩავებულიყო. მათ სოციალური პრობლემები — დენი, წყალი, ბაზარი — აწუხებდათ და არა ქალაქის წარსული, დღევანდელობა თუ მომავალი. აქაურები და იქაურ-აქაურები გულგარეთ, უგულისყუროდ სჯიდნენ, ჭრიდნენ და კერავდნენ. და უეცრად გადაწვდებოდა ჯანსუღ ჩარკვიანს: პურისჭამა აღარ შეუძლია, თორემ სოსო ხარაბაძეზე დიდი კაცი აქ არ ეგულებოდა, ცენტრის სასტუმროსა და რესტორნის გარდა სხვა არა უნახავს რა და ქალაქი სადღეგრძელოებით იცისო.

მაგნაირი მაინც ცოტა იყო, რეზოს აზრით, ბევრი უფრო ქვევით იმყოფებოდა, ქვედა საფეხურებზე.

„ამაშია საქმე!"

29 დეკემბერს „მწერლური ცხოვრების" მე-9 ნომერი უნდა გამოსულიყო და წინასწარვე იფშვნეტდა ხელებს, რადგანაც საახალწლოდ კარგად გაეკრა კბილი „განთიადელებისათვის". მეტის ღირსადაც მიაჩნდა, მაგრამ შეიკავებდა თავს. რაც რეზო წამოსულიყო ამ რედაქციიდან, სულს ღაფავდნენ. ყდა რისთვის დაემსგავსებინათ — ხან რას ახატავდნენ ზედ და ხანაც რას. ახლა ვითომ თანამედროვე დიზაინით შეემკოთ — ტრიუფელის ბანბანერკასავით.

„ისევ კონსტანტინე ელანდება იმ ჩემი ცოდვით სავსეს და მწერალთა კავშირისაკენ, ველარ გაიგო, რომ აღარ არსებობს, მოაქვს თავტანი ლეჩხუმელ დიპლომატს".

„ნადური" გამოტანილიყო თავყდაზე — კარგი ლექსი, ჩაწერილი 1871 წელს, მაგრამ რეზოს დაკვირვებით, რამდენიმე შრე უძველესი უნდა ყოფილიყო, წარმართულიც კი.

უნდოდა მიეყოლებინა ბაბუა მიხეილ დიდბარიძის ბაბუის ამბავი, რომლის სახელიც არ დაემახსოვრებინა. ერთ ძმას იმისას გეგელა რქმეოდა, კი-

დევ ერთი, ბაბუის ბიძა თუ ბაბუის ბაბუის ძმა, ალექსანდრე გაგარინის მკვლელობას შესწრებოდა — ცხენი წაერთმიათ.

ერთი ალექსანდრე მეორის წვეულებაში ყოფილიყო სუფრის მოსამსახურედ. ხელმწიფის წასვლის შემდგომ რომ აირეოდა იქაურობა და გლეხები პურმარილს დაითრევდნენ, რეზოს წინაპარ დიდბარიძეს ჯვალოში შეხვეული შემწვარი გოჭი აეტანა სოფელ ჯვარისაში.

ეს ორი ეპიზოდი გადაედო გასახსენებლად, და კიდევ მესამეც:

თოხნაში წაეყვანათ მოხუცებული: სიმღერა დაგვიწყოს, სხვა არაფერი გვინდა მაგისაგანო. წაყოლოდათ და მზის ჩასვლის შემდეგ გახალისებული დაბრუნებულიყო: ხვალ დილაადრიან ჩამომივლიან ისევ და საგზალი გამიმზადეთო. დოქით ღვინოს გულისხმობდა ალბათ. თუთუნს თვითონ დაჭრიდა ლაფეროში ბეკონზე. ადრე დაწოლილიყო. დილით ჩამოეელოთ მეთოხურებს და: სძინავსო, — ეთქვა მათთვის რძალს გაკვირვებით. გავაღვიძოთო, — ეთხოვათ იმათ. ეს კი... თვალგახელილი წოლილიყო გულაღმა, მიებარებინა სული ძილში უფლისათვის.

სოფრომი, მიხეილის მამა, სიბერეში დაბრმავებულიყო. ბაბუას ძალიან ეშინოდა თურმე: ბიძაჩემივით არ დამემართოს, თორემ თავს მოვიკლავო, — რასაც რეზო მაშინ ვერ დაიჯერებდა და ახლაც ისევე იფიქრებდა: ოთხმოცს გადაცილებოდა უკვე, უნახავი ბევრი არაფერი ექნებოდა დარჩენილიო.

მიდიოდა ეს წელიც და ჩამოდგებოდა 2006. ორს პლუს ექვსი — წინ და უკან — არისო (იოლი დასაანგარიშებელიაო, — ჩაურთავდა) 8. რვა საკრალური რიცხვიაო, რაც რეზოს აეჭვებდა, და კაი წელიც დადგებაო.

მას ეს ორი რიცხვი — 7 და 9 — ეიმედებოდა — მიუმატებლად, ჯამიდან „ფესვის“ ამოუღებლად.

წყნარი დღე იდგებოდა 31 დეკემბერს — მზიანი, უნიავო, უქარო.

მიგვაცილებდა დეკემბერი უპრობლემოდ, არც კარგით, არც ცუდით, იქით, საითაც მივდიოდით, მივყვებოდით უსასრულობას...

და უეცრად ეს სტრიქონები შემოეჯარებოდა:

არაფერზე საყვედური
არაფრით არ ითქმის,
არაფერი არაფერში
არ ყოფილა თითქმის...

როგორც წამოაგონდებოდა, ისეც ჩაინიშნავდა, აღარ ჩახედავდა შესამოწმებლად გალაკტიონის კრებულს და ამ გადასხვაფერებას ასე გაამართლებდა:

გალაკტიონის ლექსის მონათარგმანიაო!..

რას ინატრებდა და:

მშვიდობას, სიყვარულს, იმედს... და კიდევ — რწმენას!..

და ფინალურ აკორდად ამ ფრაზას ამჯობინებდა:

ის, რაც იყო, იქნება, განმეორდებაო!..

თავი მეექვსე

2006 წელი

4 იანვარს მოჰყვებოდა ხელთ და ხელახლა გადაიკითხავდა, კვლავ წინ ედებოდა სამუშაო მაგიდაზე, „1832 წლის შეთქმულებას“.

შეთქმულებას წინწკლებში ჩასვამდა.

საინტერესო მოეჩვენებოდა გულუბრყვილობით, გულახდილობით, რუსულ-ქართული ჩვენებები მაინც ქართული გახლდათ იმდროინდელი სალაპარაკო ლექსიკითა და სინტაქსით. აქ აღარ იყო მაღალი და დაბალი „შტილი“ და სხვა.

ჩანდა სოციალურ-პოლიტიკური ფონი, ეკონომიკური მდგომარეობა, რუსის სამსახურში აღებული თანხის ფასი, ნატურმეურნეობის როლი ფეოდალების ყოფაში. კიდევ მოსდევდათ წელი ყმაგლეხების ხარჯზე.

უკვირდებოდა ამ შეთქმულების რაობას: გარდა იმისა, რომ მცდელობა მცდელობად დარჩენილიყო, ბუნტი — ცარიელ ბუნტად, იმ გამოხდომას უაზრობად, არაფრისმომტანად ჩამოართმევდათ: რუსების გაყრა სურდათ, რაიც ბედის ბორბალის უკან დაბრუნებას ნიშნავდაო.

ისევ თათარი, ისევ ლეკი, ისევ სიდუხჭირე, სიბნელე, დემოკრატიული სიღატაკე? პროგრესულად მიიჩნევდა მაინც რუსმმართველობას საქართველოსთვისაც და თვითონ „შეთქმულების“ მონაწილეთათვისაც.

— ჭირი იქა, ლხინი აქითაო და დასრულდა ამათთვის ყოველივე, ვიცით.

მხოლოდ სოლომონ დოდაშვილი შეწირვოდა ამ აქციას, შემდეგ, მოგვიანებით დიმიტრი ყიფიანიც — მაგრამ არა 1832 წლის ამბებს. დანარჩენები დაგენერალდებოდნენ, დიდმოხელენი შეიქნებოდნენ, უკეთეს ქართულს ისწავლიდნენ (გრიგოლ ორბელიანი) და საქართველოს ერთიანობას (ენდომებოდა თუ არ ენდომებოდა დიდ რუსეთს) შეეწირებოდნენ.

XIX საუკუნე ჩვენი აღორძინებაც იქნებოდა...

ისტორია, ისტორიული პროცესი ჩვენს სასარგებლოდ წარმართავდა მოვლენებს კავკასიაში. სომხეთი, სომხობა თბილისს სამშობლოდ მიითვლიდა და თავს დაგვესხმოდა.

უკვე სხვაგვარად გააზრებულიყო და შეფასებულიყო 1832 წლის შეთქმულების მნიშვნელობა, როდესაც რეზო ამას წერდა, და როგორც ჩანს ვეღარ მიედევნებინა თვალი ახალი გამოკვლევებისა თუ სულაც მონოგრაფიული თხზულებებისათვის. ამიტომაცაა მისი მსჯელობა, მოსაზრებანი ზედაპირული და აცდენილი ისტორიულ რეალობას, დაკნინებას რომ ცდილობდა საბჭოთა ისტორიოგრაფია იმ დროისაც, იმ მოვლენისაც და მისი პერსონა-

ებისაც. მითუმეტეს: დიდად არა სწამდა რეზოს ეროვნული მოძრაობისა და რუსეთისაგან მოწყვეტა-ჩამოშორებისა...

პროგრესული იყო მაინც რუსმმართველობა საქართველოსათვისო...

პროგრესული როგორ შეიძლება ყოფილიყო, როდესაც არცთუ ურიგო ხელშეკრულებას — გეორგიევსკის ტრაქტატად ცნობილს — თავზე გადაგვახევდნენ და არსებითად მოხდებოდა საქართველოს ანექსია და ოკუპაცია, რაც არსად და არავისათვის პროგრესული არა ყოფილა კაცობრიობის ისტორიის მანძილზე.

ელიზბარ ერისთავის, შეთქმულების მთავარი პერსონაჟის, პორტრეტს დააკვირდებოდა კომუნალური მუზეუმიდან და თავის მხრივ ასე აღწერდა:

მელოტი, მკვეთრად აფერდებული დიდი შუბლი, მრგვალი თვალები მოკლე წარბებით, სახეც მრგვალი. არასემიტური, არა დავითიან-პანკრიტოვანული თხელი ტუჩები. სახეც მრგვალი და მზერა გაოცებული თითქოს, ტიპური — სხვა საუკუნიდან სხვა საუკუნეში მოხვედრილი ადამიანისა.

საგულისხმო დახასიათებაა, გაოცებული მზერაც რომ არ გამორჩებოდა ელიზბარ ერისთავისა რეზოს. ხოლო „სხვა საუკუნიდან სხვა საუკუნეში მოხვედრილ ადამიანად“ რომ მოიხსენიებდა, ერთ რამედ ღირს ეს დაკვირვება და ჯერ მარტო ეს გააზრებაა გამამართლებელი „1832 წლის შეთქმულების“ გიორგი გოზალიშვილისეული გამოცემის იმდღევანდელი ფურცვლისა...

შობა უნდა ჩამომდგარიყო მალე და მარხვა დასრულდებოდა, რეზო ირონიას რომ არ დაიშურებდა: თითქოს ნამარხულებით უსკდებოდეთ მუცლებიო. ხორცეულ-ნიგვზიანის ჭამით გადაღლილიყვნენ მოქალაქენი და სიხარულიც, დიდი მოლოდინი ხსნილობისა არავის ეტყობდა რეზოს დაკვირვებით, ფეხით რომ ისეირნებდა რუსთაველზე.

შემდეგ მოვიდოდა... ისევ ახალი წელი, და ვეღარ გაეგო რეზოს, რატომ არა მთავრდებოდა ეს უაზრობა: ორი შობა და ორი ახალი წელი. ერთს ეტყოდა კიდეც:

— ძმაო, საათის ისრები წინ წავა, უკან ხომ არ უნდა დააბრუნო დროში.

ის კვლავ წინ მიიწევდა უმნიშვნელოდ, თუმცაღა დროში გაგრძელებულად, და ადრე თუ მალე დაეწეოდა საკუთარ თავს, ზამთარში გაზაფხული იქნებოდა და გაზაფხულში — ზამთარი.

მოკლედ: ორი სათაური არ იყო საჭირო!

ამ ფრაზას გახაზავდა, რეფრენად გადევნებულს ფილმისათვის „ცისფერი მთები“.

24 იანვარს ჩაინიშნავდა: თამაზ წივწივაძეს რომ ავიწროებდა მთავრობა, და ისიც იბრძოდა თავის გადასარჩენად და ებრძოდა უაზროდ ამ ხელისუფლებას პირადი ანგარიშსწორების მიზნით და თემურ შაშიაშვილთან ალიანსში. არადა — რეზოს მოსაზრებით — სწორედ მათი ინტერესები დაეჯახებოდა მათ ინტერესებს უპერსპექტივოს.

26 იანვარს გაჰკრავდნენ უკვე კბილს მიხეილ სააკაშვილსაც, ახლობლებიც რომ ემდუროდნენ პრაღისა თუ ამერიკის ხმიდანაც:

რას ხტუნავსო, დაიოკოს ტემპერამენტიო, რუსეთთან ლოიალობაო, ვითარების გათვალისწინება აუცილებელიაო.

გაეთვალისწინებინა ამასაც, როგორც ჩანდა, და: ესენგედან არ გამოვდივართო, — დაეხია უკან, დაყენებულიყოსათვის...

რეზო ჯიქური იქნებოდა დღიურში:

არადა: გაწყდეს იქ, სადაც წვრილია, სადაც დამპალია! დღეს თუ არა, ხვალ! ერთხელ და სამუდამოდო!..

მიხეილ თამარაშვილის წიგნს კითხულობდა: „კათოლიკობის ისტორია საქართველოში“ და სომხების ჩათლახობასა და ჩვენს გამოქლიავებას ისმენდა უმავთულოდ, უეთეროდ...

ერთს წაეკითხა რეზოსაგან ნათხოვარი და: კაიაო, — მეტიც: ნამეტანი კაიაო... კმაყოფილი დარჩენილიყო ამისაგან განსხვავებით.

29 იანვარს გადაათვალიერებდა, უფრო სწორად გადაიკითხავდა წიგნს მასზე — კახა ლორიასი. ასე იყო თუ ისე, ფაქტი გახლდათ და რატომ არ უნდა მოსწონებოდა. პირველი ცდა გახლდათ ერთად თავმოყრისა, რაც გაეკეთებინა, რაც წაეხდინა (ზრდილობისათვის დასძენდა)... თუ მთლიანი ანალიზი არა, ისტორია ხომ იყო შემოქმედებისა. ბევრის გახსენება არა სურდა, არ უნდა და... იქნებოდა.. ბევრზე უარი ეთქვა, აღარ ახსოვდა ეგონა და... თურმე სხვას არ ავიწყდებოდა. ყველაფერი არ ეთქვა ახალგაზრდა მკვლევარს, არც შეიძლება თქმულიყო.

„არაა პუბლიცისტიკა, სადაც ჩემი პოლიტიკური (ეს სიტყვაც პირობითია) მრწამსია გამოხატული“.

ერთ გზას ადგა ყოველთვის:

სიმართლისას, ობიექტურობისას.

შეძლო თუ ვერ შეძლო, გაირკვეოდა.

კომუნისტების, ბელადის, ცრუბელადების კრიტიკაში თანმიმდევრობას იჩენდა დღემდე, საგაზეთო — „მწერლური ცხოვრება“ — მასალებშიც კი.

მოვრჩი და დავამთავრე კიდეცო, ასე ფიქრობდა.

აწი საქართველოს ერთიანობის გზების კვიატს აღარ დაანებებდა თავს, ატყობდა.

აეკრიფა უნდა, რაც ელეჭა, ეწვალა. ისინი პრესაში, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გაბნეულიყვნენ. უმრავლესობა გადანახული უნდა ჰქონოდა. დიდი დრო და ენერგია კი შეელია. ჩამოთვლიდა ზოგიერთს: „რკინის სახკომიო“, „მედვედევსკი ტყეო“, „მესამე გზაო“, „აფხაზეთიო“...

დაამთავრებდა აგერ „შავი კატის შესახვევს“ და დაიწყებდა აკრეფას.

რჩებოდა XVII საუკუნის ქრონიკა.

„მაგასაც მივხედავ... ამასაც!“

დღიურს გულისხმობდა.

რაღა დარჩენილიყო: 2009 წლამდე რომ აპირებდა ამ ჩანაწერების შევსებას.

ჩაათავებდა და... დაიხურებოდა რვეულების ეს სერიაც...

დამთავრდებოდა ეს გრძელი იანვარიც. ქუთაისში ჩამოსულიყო ცა გუშინ და დღეს. თოვლი მოსულიყო ნამეტანი დიდი, სიმაღლით — მეტრი, მე-

ტიც. რამდენიმე სახლი დაეტანა კიდეც. ერთი ქალი დაღუპულიყო, 12 წლის ბიჭი გადაერჩინათ, გამოეყვანათ ნანგრევებიდან... რეზოს სამეზობლოში, ხარაზოვის ბაღთან ახლო, იქვე.

ამაღამაც თუ ითოვლებდა, მტრისას. მისი სახლი მიტოვებულიყო, გამოკეტილიყო. ვინ მოიცლიდა, ვინ გადმოგითოვლავდა, თუ ქალაქი შეიწუხებდა თავს?!. არა დენი, არა წყალი, არა გაზი თურმე ქუთაისში. ან შეშას ვიღა შემოიტანდა უგზოში!.. და ახსენდებოდა 1992 წელი, მაშინ რომ დატრიალდებოდა ამნაირი ამბავი. რეზო ნაავადმყოფარი იქნებოდა, სიმძიმის აწევა არ შეიძლებოდა მისთვის, მაგრამ განიჩბავდა ნელა, ძალდაუტანებლად. გონერი ჭეიშვილიც მოვიდოდა შვილთან ერთად და გადათოვლიდნენ.

თოვდა, თოვდა, კიდევ თოვდა ქუთაისში, მთელ დღეს, ამაღამ რა მოხდებოდა, არავინ იცოდა. მეზობლებს ეშინოდათ უკვე, არ დანგრეულიყო რეზოს სახლი... დაავალებდა და დაივალებდნენ ისინიც: მივხედავთო. არადა იმარხებოდა ქუთაისი თეთრად.

რუსეთთან ურთიერთობა კვლავ გამწვავდებოდა, უკვე დიპლომატიურ, უკეთ — არადიპლომატიურ დონეზე.

კინაღამ დაეხოცათ ტყვიავში (ჩვენი ზონაა თუ იმათიო? — ჩაურთავდა გაოცებით), ცხინვალთან ერთმანეთი ჩვენებსა და რუსჩაფხუტიან-მიფხუტიანებს!..

აფხაზეთის „შენარჩუნების", დაბრუნების კი არა, პროცესის შეჩერების ერთადერთ გზად ესახებოდა თავისი „მესამე გზა". და მწარედ დასძენდა: კოლექტიურ უგნურებას ვერ შეარყევო.

რუსეთის ელჩის მისამართით რომ დაეწერა ღია წერილი, ნეტა გაუხსენებდნენ?!.

და კიდევ: „მედვედევსკის ტყე" — სტალინზე.

ჰაიჰარად თუ ჰეიჰარად რომ უცქეროდნენ დღეს რეზოს დამსახურებას, თუ ვერავინ დაეჯერებინა, დაფიქრებით ხომ დაეფიქრებინა მაინც!

ეს სამი საბუთი.

და სხვა კიდევ იქნებოდა,.

ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავებიო?! — აკაკის „თორნიკე ერისთავის" დასაწყისი წამოაგონდებოდა და იმ ანეკდოტივით დიალოგსაც ჩაურთავდა, სადღაც ამოკითხულს:

— ცაზე რამდენი ვარსკვლავია?

— საჰარის უდაბნო გინახავთ? ევროპის — ყველა არა — სახელმწიფო ჩაეტევა შიგ, და რაც იმ უდაბნოში ქვიშის მარცვალია, იმდენი... მეტი თუ არა, ნაკლებიც არა...

წადი და ითვალეო, — ეღიმებოდა რეზოს, ასტროფიზიკოსის ამ გონებამახვილური პასუხით მოხიბლულს.

4 თებერვალს ტელევიზიით ნახავდა ნაქებ ფილმს და ძლიერ მოეწონებოდა. ამერიკელებისა ხომ არ იყო? ძლიერი კი გახლდათ, ნაღდი... რაც ნაღდი იყო და ნამდვილი, როგორ არ მოსწონებოდა. ამაზე იყო და სხვაზეც, ბევრზე... ერთი ძმა, ერთი ბერიკაცი მიდიოდა ძმის სანახავად სათიბი მან-

ქანით... ცაზე ვარსკვლავები ჩნდებოდნენ და მთავრდებოდა სევდიანი ამბავი. ძმები ითვლიდნენ ალბათ ვარსკვლავებს მდუმარედ, ისე როგორც ადრე, ბავშვობაში.

ვარსკვლავები რომ ერთმანეთს არ ეფარებოდნენ, ერთმანეთს არ ფარავდნენ და ერთად ჩანდნენ ცაზე, ეს უნდა გაგკვირვებოდა!..

ახალი ტიპის უმავთულო კომპიუტერების შემოტანას აპირებდნენ, დენი აღარ იქნებოდა საჭირო. ჩვენი ხელისუფლება ლიცენზიას გაყიდდა ახალ მობილურ სისტემაზე: ხედავდი, ვისაც ელაპარაკებოდი. ჩართავდი ტელეარხს, ნებისმიერს. იჯდებოდი სადღაც და ტელევიზორიც თან გექნებოდა, ჯიბეში გედებოდა.

გამოიკვეთებოდა:

XXI საუკუნე — კომპიუტერიზაცია. კულტურის, სულიერების მესაფლავე ინტერნეტი. ჯერ სად ვიყავით, გაუმჯობესდებოდა, პირდაპირ თავში, ტვინში, ჩაგვიდებდნენ ინფორმაციებს... წიგნი, რა წიგნი? წიგნი აღარ იქნებოდა, როგორც წიგნი, დღევანდელი გაგებით, საჭირო.

არც შიდაწვის ძრავებს, არც მატარებელს, არც დენს სულიერი ცხოვრებისათვის ხელი არ შეეშალა. წიგნი იქნებოდა და დარჩებოდა, და რეზოს თვალწინ, 1990-91-92 წლებიდან, ჯერ ნელა, შემდეგ უკვე სწრაფად აორთქლდებოდა.

წიგნი იყო კვლავ, როგორც ინფორმაციის წყარო კი არა — სახელმძღვანელო, ცნობარი, ლექსიკონი და ლიტერატურაც — სასკოლოდ, საუმაღლესოდ.

80-იანი წლების მიწურულს რეზოს წიგნები 60 000-იანი ტირაჟით გამოვიდოდა, მუხრან მაჭავარიანის ლექსების ბოლო კრებული — 100 000 ტირაჟით.

თან ეცოდინებოდათ, რომ:

საფრანგეთში, პარიზში ლექსების წიგნი 500 ან 1000 ეგზემპლარად თუ იბეჭდებოდა. მაშინ უკვირდა, ახლა ამაში გასაკვირს ველარაფერს ხედავდა.

რა იქნებოდა მერე, თუნდ ამ საუკუნის ბოლოს, თუნდ 60-იანი წლებიდან? რეზოს თაობას ხომ 60-იანელებს ეძახდნენ, უფრო სწორად — თვითონ ეძახდნენ ასე თავიანთ თავს, ერთმანეთს. ახალ თაობას ყელზეე ადგებოდა ეს სიტყვა: სამოციანელი — და ამათი არსებობაც. ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევდა ამას რეზო, რადგანაც დროს მოჰქონდა ყოველივე — ამბიციები, პრეტენზიები... აი ნიჭი კი არა, ნიჭი დროითა და სურვილებით არ შეიძლება ყოფილიყო განპირობებული!..

ახლებში ნიჭის დეფიციტიაო, — დასძენდა, — ეს უბედურება ჭირთო.

და შეცბუნდებოდა:

იქნებ ვცდები! არ ვიციო!..

10 თებერვალს ელგუჯა თავბერიძის დაბადების დღეზე ჩავიდოდა ქუთაისში, პირდაპირ სუფრაზე. იქნებოდა მუსიკა, ცეკვა, მხიარულება ჯგუფური... იცეკვებდა რეზოც სკამზე.

„გავისულელე თავი!“

ეტყოდნენ:

70 წლისა რომ გახდი და მაშინ დაუარე, ისეთი არ იყოო.

მას შემდეგ სამი წელი გავიდა კინაღამო, თავს იმართლებდა რეზო, მე წინ წაველ და არა უკან, წლები მომემატა, კი არ დამაკლდაო.

გადაღლილიყო კიდეც, და არამარტო მგზავრობით...

21 თებერვალს „ჯვარისას" რომ უჯდა — თავისი სოფლის ისტორიას, სულ არ აპირებდა შორს წასვლას და ატყობდა უკვე — მოზრდილი გამოვიდოდა... შეეთამაშებდა და შეჰყვებოდა. საგაზეთოდ მოგუდავდა. შემდეგ სხვა იქნებოდა.

ეძებდა სპონსორს, რედაქტორს, პასუხისმგებელ მდივანს. აპირებდა დარჩენილიყო გამომცემელ-ხელმძღვანელად, გაზეთს კი სხვას გადააბარებდა! აღარც თავი ჰქონდა, აღარც სურვილი, და აღარც ფული!..

და წაულიღინებდა: ეგეთია ქურდი კაცის ბედიო...

იმერეთის მზიან სერებს მრავალზე მრავალი ლამაზი სოფელი შეფარებოდა, ერთი იმათგანი გახლდათ სწორედ ჯვარისა — რეზოს დედულეთი!..

27 თებერვლის ღამის 3 საათზე დაამთავრებდა „ჯვარისას" პირველ ნაწილს.

დასაწერი ჰქონდა „მწერლური ცხოვრების" მთელი ნომერი, შველოდა ის, რომ მთავარი უკვე დაეწერა, დანარჩენს კი მოევლებოდა!..

დასჭირდებოდა და რამდენიმე დღეს ქართველი მწერლების მოგონებებით დაინტერესდებოდა: გრიგოლ რობაქიძე იქნებოდა, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი თუ სხვები. საგულისხმო მოსაზრებანი გაუჩნდებოდა — გვერდზე გადადებდა თაბახებს — საგულისხმო დასკვნებით.

ჩააბარებდა მასალას და მთელი გაზეთი, მცირეოდენი გადახვევებით, გაივსებოდა რეზოთი (დიდი ამბავიო, — ჩაურთავდა) და იქნებოდა გაზეთიც რეზოსი...

მოადგებოდა ახალგაზრდა კაცი დევი ქარცივაძე და შესთავაზებდა:

— თქვენი წიგნის გამოცემა მინდა, მცირეფორმატიანის.

ეს შესთავაზებდა „ასკილის წითელ ყვავილს", მაგრამ იმას სხვა გეგმა ექნებოდა: „ცისფერი მთები", „მიწების განაწილება", „ძეგლი" და „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი". თემატურ-კომერციულად დაელაგებინა... რეზოს კი არა სურდა ძველები მაინცდამაინც, აპირებდა „ასკილის წითელი ყვავილი" ცალკე გამოეცა.

მომგებიანიც გამოვიდოდა, თუ ყდაზე დაეწერებოდა:

„ცისფერი მთები ანუ ასკილის წითელი ყვავილი".

შერჩებოდა ეს — „ცისფერი მთების" ავტორის სახელი, და დაიჩივლებდა: რას მიშვრება ეს ტელევიზია, რასაც ეკრანი გამოიძახებს, მაყურებელიც იმასვე იმეორებს, იგი ხომ აღარ აზროვნებსო.

ორი ქოთანი, არა ორი წიგნი, კი არ ვიყიდე, შევიძინეო, — ხუმრობის გუნებაზე დადგებოდა 15 თებერვალს, ალექსანდრე ჭეიშვილის „ლელოსა" და ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვას" რომ შეიძენდა.

„ლელო“ 1951 წელს გამოცემულიყო — სტალინურ ეპოქაში. ექნებოდა იმ დროს ეს წიგნი რეზოს, შემდეგ დაეკარგებოდა.

„გვადი ბიგვაშიც“ სოციალისტური სოფელი იქნებოდა ნაჩვენები და აქაც. იქ მანდარინს კრეფდნენ, მეტს არაფერს, აქ — ჩაის. ის პაროდია გახლდათ პოლიტიკურ წყობაზე, შესაძლოა არც მთლად გააზრებული, აქ ჩაის კრეფა წარმოდგებოდა არაპაროდიულად, ამიტომაც (მხოლოდ ამიტომ? — ჩაურთავდა რეზო) მდარედ გამოიყურებოდა პირველთან შედარებით. სხვათა შორის ლეო ქიაჩელი (შენგელაია) ჯერ სცენარს დაწერდა — „ნარინჯის ველი“, გადაიღებდა ნიკოლოზ შენგელაია და, რეზოს რწმენით, ის დაეხმარებოდა კომპოზიციის შეკუმშვაში. ერთ დღეღამეში ხდებოდა მოქმედება თუ ორში. ამ მხრივ გასაოცარი რომანი გახლდათ. ალბათ ჰქონდა ანალოგი ევროპულ ლიტერატურაში, ეს რეზოს უკვე აღარ ეცოდინებოდა. მწვერვალი აღმოჩნდებოდა ლეო ქიაჩელის შემოქმედებისა „გვადი ბიგვა“ (ამ შთაბეჭდილების ქვეშ მყოფს, ამ კუთხით რომ შეუდარებდა ამ რომანს დასავლურ მწერლობას, აღარ მოაგონდებოდა ქართული ნოველისტიკის შედევრები: „ჰაკი აძბა“ და „თავადის ქალი მაია“).

ამ გზით გაეუმჯობესებინა რეზოსაც „ცისფერი მთები“, რომლის შედეგიც იქნებოდა „ასკილის წითელი ყვავილი“ — ჯეროვნად ყურადღებამიუქცეველი.

30 მარტს დაინახავდა და იყიდდა ქუთაისში ნაპოლეონის „რჩეულ ნაწერებს“. საჯარო ბიბლიოთეკის კატალოგში აღმოაჩენდა ადრე, ყმაწვილობისას, ჯერ სკოლა არ ექნებოდა დამთავრებული. გამოიტანდა ჯერ პირველ ტომს, შემდეგ მეორეს. თეთრყდიანები ახსოვდა. ეს სხვანაირი გახლდათ — შავი წითლით, „წითელი და შავის“ ანალოგით ალბათ.

იკითხავდა და გადაიკითხავდა:

ნაპოლეონი მივიდა, ნაპოლეონი მოვიდა. ამდენი ცხენი, ამდენი ხიშტი, ზარბაზანი... ოქმები წმინდაწყლისა.

ის კი მოეწონებოდა, ნაპოლეონი მესამე პირში რომ მოიხსენიებდა თავის პერსონას.

თხრობა კი არ დააინტერესებდა, არ არის ჩემი საქმეო, გაიფიქრებდა და ჩააბარებდა უკანვე.

გაახსენდებოდა ის ხანა. გადადებდა ამ წიგნს კვლავინდებურად და შეინახავდა სამახსოვროდ.

4 აპრილისათვის „ცისფერ მთებს“ ჩაასწორებდა გვარიანად, თუმც საკმარისი არ მოეჩვენებოდა. ფინალს მიადგამდა და აღნიშნავდა: მესამედ მიწევს შეხვედრა თქვენთანო. მკითხველს იგულისხმებდა. ასეც მოხდებოდა.

პირველი იყო პიესა — ნოველა „ცისფერ ხიდებს“ არ თვლიდა.

მეორე — სცენარი

და

მესამე კი — სცენარისა და პიესის ნაერთი.

განგებ დატოვებდა მესამე ვერსიაში ვულკანოლოგსა და სხვა გმირებს, გარკვეულ ეპიზოდებსაც, თუმც დასძენდა: არც მთლად სწორი და მართებული მოსაზრებითო.

სწორედ ამ ვერსიას მოჰკიდებდა ხელს გამომცემელი დევი ქარცივაძე.

ყველა ვარიანტი კარგი ეჩვენებოდა რეზოს, მაგრამ აპირებდა კიდევ მიბრუნებოდა და საუკეთესო ვერსია გამოეცა ცალკე წიგნად.

დადგებოდა მაისი და ჩაატარებდა მწერალთა კავშირის ყრილობას ბრბო, უნიჭოთა შეკრება ყოფილიყო, როგორც მოსალოდნელი გახლდათ, და რეზო ცხადია არ დაესწრებოდა... არც არავინ — ნორმალური, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ისინიც მოწმე-მეთვალყურის სტატუსით რომ გამოცხადდებოდნენ. გამოიღებდა შედეგს საკადრისს, მოიმკიდნენ მოსამკელს, რეზო როგორც ფიქრობდა.

გამოვიდოდა მისი წიგნი, არ მთლად პატარუკა, ლამაზად დაკაზმული „ცისფერი მთები". ოციოდე ეგზემპლარს, ადრე სასიგნალოებს რომ ეძახდნენ, გადმოსცემდა გამომცემელი, რომელიც პატიოსანი კაცი ჩანდა.

— ჰონორარიც იქნება.

— რომ გამდიდრდები, — მიუგებდა რეზო, — მაშინ მომეცი.

თუ გასაღდებოდა და გამომცემლობა მოგებას ნახავდა, მაშინ კი — გამოართმევდა ჰონორარს, თუ არადა — არა.

არც უნდოდა მისი გამოცემა და „ასკილის წითელ ყვავილს" ამიტომაც ურჩევდა. მაინცდამაინც ამას მოინდომებდა, მაგრამ...

შესვენების დრო დადგებოდა. სამი რამ ელოდებოდა გასამზადებლად და რომლით დაეწყო, აღარ იცოდა, ვერ გადაეწყვიტა.

„კურუ" — ხელახალი და შევსებული გამოცემა: მომგებიანი უნდა ყოფილიყო.

„ცისფერი მთები" — ხელახლა და საბოლოოდ. მარკშეიდერი უნდა შეემოეყვანა, რას ერჩოდა. „საშტატო განრიგში" ასე ჩაიწერებოდა: მარკშეიდერი — უწინ ვულკანოლოგი. სახალისო სამუშაოდ ეჩვენებოდა.

და „შავი კატის შესახვევი", რომელიც ერთულებოდა და ამიტომაც „ცისფერი მთებით" დაწყებას ამჯობინებდა.

სცენარის გამზადება შეეძლო იოლად, მაგრამ ელდარ შენგელაია ხელებს ასავსავებდა: ვერ შევძლებო, — და უფრო იოლსა და მარტივს დაეძებდა.

გოგა ხაინდრავას სანამ არ გამოუშვებდნენ კაბინეტიდან, მანამდე სცენარზე ვერ იფიქრებდა. არადა საიმისო გახლდათ.

9 აპრილისა და 9 მარტის ფონზე განვითარდებოდა სიუჟეტი: მხარგრძელი, „ამოცნობა" პირველი, „ამოცნობა" მეორე და სასჯელი ირმის მოკვლისათვის — აქ შეიკვროდა წრე. კარგი გამოვიდოდა — ხედავდა რეზო, გრძნობდა...

9 მაისი დამდგარიყო და 61 წელი გასულიყო დიდი ომის გასრულებიდან, დღევანდელი დღესავით რომ ემახსოვრებოდა მისი დაწყებაც და დამთავრებაც.

12 ივნისს სულხან-საბას ლექსიკონს ჩახედავდა ურაკპარაკის განმარტების გადმოსაწერად:

— საჩინო წარსავალი ადგილი, გინა უბანი, გინა თეიტრითა ზედა წარჩინებულთა სადგომი.

ურაკპარაკში ყოფილიყო რეზო სწორედ გუშინ. „სამეფო თეატრად“ მოენათლათ და იცინებდა და რას იცინებდა სახელწოდებაზე: ისეთივე სამეფო ადგილია, როგორც ის ცხონებული ჩარკვიანი იყო მეფეო!..

რა უნდოდა აქ თეატრს!

და მოკლე დიალოგს ჩაურთავდა დღიურში:

— დაარქვი ურაკპარაკის თეატრი.

— რაია ურაკპარაკი?

— დაარქვი ჯერ და მერე გეტყვი!

კარგი პირობაა, არაო?! — მკითხველს შეჰღიმებდა.

რაც შეეხებოდა სპექტაკლს... უყურებდა და შეწუხდებოდა ნამეტნავად, მწუხარე იყო და იმიტომ... აფხაზისა და ქართველის ძმობასა და მტრობაზე იქნებოდა და: საჭიროაო? — თავის თავს ეკითხებოდა რეზო.

ცრემლიც იქნებოდა, დაფიქრებაც, სიხარული კი — არავითარი. და გაკვირვება როგორ არ გამოეხატა: თეატრი ხომ სიხარულისა და სიამოვნებისააო. მძაფრ ტრაგედიაშიც, ტრაგედიებშიც სიცილი იფეთქებდა ალაგ-ალაგ. უამისოდ ძნელი გახლდათ და ეს სიძნელე ვერ გადაელახათ. სხვა ნაკლიც საკმარისად მოეპოვებოდა, და მაინც დადებითად უნდა შეფასებულიყო. გარდა იმისა, რომ დაპატიჟებული იყო, ევალებოდა კიდეც.

ერთი ხმა ექნებოდა მისგან, მაგრამ არ იკმარებდა! თუმც ვინ იცოდა!..

არ გაამხელდა სპექტაკლის სათაურს, არც დრამატურგისა და რეჟისორის ვინაობას. არადა: გურამ ოდიშარიას პიესის — „ზღვა, რომელიც შორია“ — მიხედვით დაედგა თემურ ჩხეიძეს და პრემიის მისაპოვებლადაც წარედგინათ, რეზოს ხმა გარანტირებული რომ ექნებოდათ, მაგრამ...

16 მაისს იუსტიციის სამინისტროში ახალგაზრდა დახვდებოდა რაღაცის უფროსი და უთანაგრძნობდა რეზოს:

— რა სამწუხაროა, თქვენ რომ ასეთ რამეებზე ცდებით...

ლიტფონდის დაცვაზე ექნებოდა საუბარი, და გაიფიქრებდა: მართალია, რაზე ვცდებიო. იცოდა, მაგრამ რაზედაც უნდა გაცდენილიყო, ის რომ არავის სჭირდებოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო?!.

და წამოაგონდებოდა „ცისფერი მთებიდან“:

— ...სოსო უნდა მოიქცეს ისე, როგორც იქცეოდა აქამდე...

და კიდეც გადაწყვეტდა, რომ აღარ გადაედო „ცისფერი მთების“ საბოლოო ვერსიის შექმნა.

19 მაისს ჩატარდებოდა ყველასათვის მოულოდნელად, სწრაფად და მარტივად რუსთაველის პრემიების კომიტეტის სხდომა. ბევრი ვეცადე შენთვისაო, ძლივს გამოვიდა ჩემთვისაო, ნათქვამი რომ გახლდათ, არც იმისათვის გამოვიდოდა, ვისაც მხარს უჭერდა, და ცხადია — არც რეზოსათვის.

არ მოელოდა კი: უნდა დაშლილიყვნენ, მომდევნო „რუსთაველზე“, სამი წლის შემდეგ, რომ აღარ იქნებოდნენ, ნათელი შეიქნებოდა. ან საერთოდაც აღარ იქნებოდნენ ამქვეყნიერ, ან — იმ კომიტეტში, ეს უფრო ნაღდად მოჩანდა.

12 ნომინანტი იქნებოდა და ადგილი — მხოლოდ 5. პირველ ტურში უპრობლემოდ გავიდოდა ორი: ბესიკ ხარანაული და ლაშა თაბუკაშვილი; და

მეორე ტური ფაქტობრივად არ ჩატარდებოდა, რადგან სამ კაცს სამ ადგილზე მეტოქე აღარ ეყოლებოდა: დიმიტრი ერისთავს, „ერისიონსა“ და რეზო ესაძეს.

25 მაისს ელდარ შენგელაია აჩვენებდა ფილმს „ექსპრეს-ინფორმაცია“ კინოთეატრ „ამირანში“ — შეემოკლებინა. ეწვალა, უკეთესი გამოსვლოდა, თუმც რეზოს მაინც გული წყდებოდა: კიდევ უკეთესიც შეიძლებოდაო.

რაც იყო, ეგ იყო, უკვე აღარაფერი ეშველებოდა. „ცისფერ მთებს“ კი არა, ბარე ორ ფილმს ვერ გაუტოლდებოდა — უნდა შეგუებოდა რეჟისორი მარცხს და მხოლოდღა ენანა, რეზო რომ არ შემოიშველა გადაღების პროცესში.

„ლიტერატურული პალიტრა“ აპირებდა დაებეჭდა „ქარების დაბრუნება“ და „ასკილის წითელი ყვავილი“. რეზოს სამტომეულს ვერავინ კითხულობდა, ვერავინ ყიდულობდა უფრო სწორად და ნებას დართავდათ: დაიბეჭდოსო.

მეათე კლასის სახელმძღვანელოში შეჰქონდათ ორი ნოველა ავტობიოგრაფიული რომანიდან „მუსიკა ქარში“.

— უკეთესს მოგცემთ, — ეტყოდა თამაზ ვასაძეს ტელეფონით.

— არა, თემატურად ვალაგებთ და ასეა საჭირო.

— თუ ასეა, რას ვიზამთ, იყოს!..

ან ამ წიგნში „ცისფერი მთები“ ვინ რას აძლევდა?!. დასტამბულიყო, მთავარი ეს იყო, და წაეკითხა იქნებ ვინმეს.

ზაფხული და სიცხე ვნებებს ჩააცხრობდა თბილისში.

— რას შვრებით, რას შვრება ლიგა?

— არ ვიცი.

— სექტემბრიდან ალბათ?

— ალბათ.

ახლობლებს გულახდილად ეტყოდათ:

— აღარაფერი საქმე მაგათთან, მწერალთა კავშირთან, არაკავშირთან, აღარა მაქვს, აღარც არაფერი მაინტერესებს.

ლიტფონდსაც დატოვებდა, საქვიშხეთო სეზონს რომ ჩაამთავრებდა... ალბათ. ავტომანქანა აკავებდა, ჯერ კიდევ ემსახურებოდა, თორემ ხელფასს არ იღებდა და სხვასაც, ვისთვისაც ნამეტანი აუცილებელი იყო, ვერ აძლევდა!..

პერსპექტივა — უიმედო.

ამ ხელისუფლებასთან იერარქიის ვერცერთ საფეხურზე საერთოს ვერ მოძებნიდი.

პრესაც უქმი გამხდარიყო მისთვის. „წერე და იკითხეს“ მდგომარეობაში ანკი რა აზრი ჰქონდა!..

2007 წლიდან — მოსწონდა ეს რიცხვი, უფრო დაბოლოება 7 — ჩამოშორდებოდა სამსახურს, სამსახურებს. ისე 2007-ს 7007 არა სჯობდა? როდის დადგებოდა ეს დრო, რა იქნებოდა მაშინ, 7 საუკუნის შემდგომ?

7 საუკუნის წინათ კი იქნებ ვიღაცასაც ჰქონდა ასეთი ჩანაწერი და ამდაგვარი სურვილიც — რა იქნებოდა 7 საუკუნის შემდგომ?!. და ეს: 1307

წელს, XIV საუკუნის დამდეგს. ნეტა რითი შეიძლება ყოფილიყო ის წელი, გასული ან მომდევნო, XIII- XIV საუკუნეებში ღირსაღსანიშნი? საინტერესოდ ეჩვენებოდა რეზოს და ჩაითქვამდა მის გამორკვევას: მოვიცლი საამისოდაცო.

20 იელისს სულხან-საბას ლექსიკონს ჩახედავდა, რათა დაეზუსტებინა, ჭიქა რას ნიშნავდა: შუშას მხოლოდ და არა სასმისს. არადა ძველ ქართულში, ივანე იმნაიშვილის ლექსიკონის მიხედვით: ჭიქა სასმისი გახლდათ და ღვინოსაც სვამდნენ ჭიქით:

— განყარა ხელი და ჭიქაი იგი პირსა შეალეწა და ღვინო იგი დაითხია.

ეცოდინებოდა ეს რეზოს და გამოიყენებდა ადრეულ, ერთ-ერთ პირველ ნოველაში: „არქიფოს დუქანი“.

საბასთან დაკვირვებული არ ყოფილიყო, არ ახსოვდა, უფრო სწორად რომ თქმულიყო...

სტაქანიც და დოსტოქანიც ჩვენი ყოფილიყო და ნოველაში სწორედ ამას საყვედურობდა ერთი მსმელი მეორე მსმელს:

რატომ ჭიქაო, როცა იაკობ ცურტაველიც კი, ცურტაველიცა, ჭიქას ხმარობსაო...

არ ყოფილიყო ეს სტაქანი რუსული. ნახავდა მაგასაც. ახლა ნამეტანი გვიანი იყო და ეძინებოდა კიდეც. ვიდრემდე ზედ ბოლო გვერდზე არ დაყვინთავდა, მიეშურებინა თავსასთუმალისათვის ჯობდა!..

„ამ რვეულმაც მოგვჭამა ჭიქა კი არა, ჭირი! გადავალთ ახალში!.. გაუმარჯოს სიახლეს!..“

თავი მეშვიდე

2007 წელი

23 ივნისს ფილოსოფოსობის გუნებაზე რომ დადგებოდა და იმანუელ კანტის თეზასაც გაიხსენებდა: რელიგია გონების ფარგლებში! — დასძენდა, რომ: არ შეიძლებოდა მხოლოდ ემოციებითა და მწამს-არა მწამსით განსჯა. თომა თითს რომ ჩაუყოფდა თითქოს ნამსჭვალში მაცხოვარს და მხოლოდღა მას მერე დარწმუნდებოდა, პირიქით ითხოვდნენ: უნდა გეწამა და დარწმუნდებოდი.

რაც ეთქვათ შენთვის, რასაც გეუბნებოდნენ, უნდა დაგეჯერებინა.

გაგეყვანა ადამიანი სამყაროდან და: სამყარო ცხვრებიან-თხებიან-ფრინველიან-თევზებიანად – ანუ უადამიანოდ — არ იარსებებდა!

ერთი კაცი, ერთი ადამიანიც თუ დარჩებოდა, ერთადერთი, რომელიც ვარსკვლავიან ცას მიაჩერდებოდა, სამყარო მაშინ უკვე ცოცხალი იქნებოდა...

30 ივნისს იმავე განწყობილებაზე იდგებოდა:

ვკითხულობ, ვწერ, ვაზროვნებ, ვშრომობ კიდეც შეძლებით (ფიზიკურად) და ვფიქრობო.

რა სურდა ეთქვა, რა ეწადა? და მოტივტივებდა გონებაში დავით გურამიშვილის ლანდიც და სტრიქონიც: ვიცადე, მოცლას ვუცდიდი, ნეტავი არა მეცადაო.

მთლად ზუსტად ვერ აღიდგენდა და თავს ინუგეშებდა: თავისუფალი „თარგმანიაო“.

შვილიშვილი, მისი მოსახელე, გახდებოდა 20 წლისა და:

რაოდენ ნათლად მოაგონდებოდა 20 წლის წინანდელი დღე, უფრო ღამე, დღეისსწორი. ელოდებოდნენ რარიგ მოუთმენლობით. რეზოს არ უნდოდა, რომ ივლისში გადასულიყვნენ და ასეც მოხდებოდა: 12-ს ბევრი აღარაფერი უკლდა, როდესაც ახარებდნენ: ბიჭიაო!..

ნოველას რომ დაწერდა იმ ღამის შთაბეჭდილებით: „მაგრამრუმ“ — ამ სიტყვას საიდან მოიტანდა, ვეღარ გაიხსენებდა და... მგონი არც მაშინ ეცოდინებოდა.

„ნარგიზოვანი“, XVIII საუკუნის ლირიკული პოემა — 1936 წელს ეყიდა წიგნუკა გახუნებული. გადაეშალა და ვერ გადაეშალა, ხელის შენავლები არ აღმოჩნდებოდა. ფურცლებსაც, მშვენიერ ქაღალდს, რეზო გაჭრიდა... 71 წელიწადი იდებოდა და იქნებოდა ასე, არავინ შეეხებოდა.

რამდენი იყო ასეთი წიგნი, რომლებიც სად განისვენებდნენ, არავის ეცოდინებოდა?.. წიგნები, წიგნები — უფრო მეტს იშორებდა, ვიდრე იძენდა და ინახავდა. ვის უნდოდა ახლა ეს? ლიტერატურა რუსულად და თვითონ რუ-

სული ენა. რეზოს მამის პაპას რომ დარჩენოდა მხატვრული ლიტერატურა, კლასიკა ტომებად თურქულ ენაზე, რაღაში გამოიყენებდი.

ასე დაემართებოდა — დამართნოდა კიდეც — რუსულს. ვივიწყებდით ამ ენას და ამაში რუსეთიც გვეხმარებოდა.

5 ივლისს სამების ტაძარში შედგებოდა პრეზენტაცია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" პირველი ტომისა. იტყოდნენ: 8 ტომი გამოვა, ანდა სულაც 10-ო. თუკი იგივეს გაიმეორებდნენ, არნოლდ ჩიქობავას ხელმძღვანელობით გამოცემულ რვატომეულს, მართლაც რა ფასი ექნებოდა.

შეიკრიბებოდა ინტელიგენციის ნაწილი და... რეზოს ის გააოცებდა, რომ შეიძენდნენ წიგნებს — რიგიც დადგებოდა — 50 ლარად. გადაიხდიდნენ ამ თანხას ისეთებიც, 5 ლარს რომ არ გაიღებდნენ (არა ჰქონდათ თითქოს და იმიტომ) არავითარ საქმეში.

ერთ წიგნს რეზოც შეიძენდა და... ჩაეღიმებოდა: მათ რიცხვში აღმოვჩნდიო.

მერე მიხვდებოდა, რატომაც შეეძინათ. თავიანთ თავს ეძებდა სუყველა შიგ. როდესაც ჩამოურეკავდნენ, წინასწარვე გააფრთხილებდნენ: უხვად ხართ დამოწმებულიო. და... ფულს რაღას დაინანებდნენ.

რეზო იქვე გადაშლიდა და მეტს ვეღარც მოახერხებდა, აღარც ეცლებოდა, უფრო შემდეგ კი ეს ლექსიკონი ავტოში დარჩებოდა. სულ 200 ცალი ჩამოებეჭდათ და ამასაც გაელვივებინა ინტერესი, რაღა ლაპარაკი უნდოდა.

26 აგვისტოს აღიღინდებოდა: მოვიარე ზენობანი, ვერვინ მითხრა სწორი ბანიო.

ნოველა უნდა დაეწერა ამ სათაურით: „სწორი ბანი". და ეს პაუზა იქნებოდა ფერისცვალებიდან მარიამობამდე.

ჩააბარებდა ქუთაისის სტამბას საგაზეთო მასალას. გაზეთი — „ბაგრატი 2007" — უნდა ყოფილიყო ყოველწლიური.

ქარის წისქვილებს ხომ არ ებრძოდა?! — ეს ეჭვიც ააფორიაქებდა. და „არსენას ლექსიდან" რომ წამოაგონდებოდა ის სტრიქონი: ათასწილად სიკვდილი სჯობს ამათ ხელში განსაცდელსაო, — დასძენდა: ღირან ამადო?!.

და სახარებასაც უნდა შეეხსენებინა თავი, ეს სიტყვები ჰენრიკ სენკევიჩს რომანის სათაურადაც რომ გამოეყენებინა:

— ვიდრე ჰხვალ, უფალო!

ცუდი ამბავი უნდა შეეტყო, არა მხოლოდ პირადად მისთვის, კვლავ „არსენას ლექსის" სტრიქონით რომ გამოხატავდა თავის განცდას: ბრძანება შემოეთვალათ თბილისიდან უფროსებსაო.

რა ბრძანება და:

უნდა დაეცალათ შენობა — ამჟამად მწერალთა კავშირის კუთვნილი.

ეშოვნათ დრო: შუა აგვისტოა, თბილისში არ იმყოფებიან და ვიმოქმედოთო.

გიორგი არველაძე რომ აცხადებდა ამ შენობაზე: ჩვენი ქონებაო, — გულისწყრომას ვერა ფარავდა რეზო: თითქოს ბაბუამისის დანატოვარი იყოსო.

რაო — კომუნისტური მწერალთა კავშირიო?

„თითქოს კომუნისტებზე უკეთესები არიან ამ უბედური საქართველოს სათავეში. ნაციონალური უბედურება! დღეიდან ამ სახელით იარსებებენ!"

დადგებოდა სექტემბერიც. და ეს თვეც წავიდოდა, უფრო ადრე, უფრო მალე, ვიდრე ზაფხული — ივლისი, აგვისტო ცალ-ცალკე.

მუშაობდა წიგნზე „კურუ“, რომელიც — მისი იმედოვნებით — საუკუნეებს მოივლიდა, თუკი იქნებოდა წიგნი, და თუ იქნებოდნენ ადამიანები — ქართველები.

პრეზიდენტი სულელი გახლდათ, წმინდაწყლის სულელი. და რეზო ღირსებად იმას მიუთვლიდა: არა მალავს, რომ სულელიაო...

თვითონ ცოტა ნაექვიშხეთა, ცოტაც ნაემუხათწყაროვა... ბოლოს როდის იყო ქუთაისში?

ზამთარში სულ უპატრონოდ რჩებოდა მუხათწყარო და ეს ზამთარიც ახლოვდებოდა. შემოდგომა ჯერ არ იყო ძალაში, არც ზალაში (წაიქილიკებდა)... აწი ქუთაისში უნდა დაეწყო რემონტი, რესტავრაცია, მერე — აქა, და იქნებოდა ამნაირად, ვიდრე იქნებოდა.

რაო — დაისვენეო?

არ ეყოფოდა, როცა დაისვენებდა?..

ჯერჯერობით კი ასე მომართულიყო:

შრომაშია სიცოცხლეცო!

დიდი მშრომელი არ ეთქმოდა, მაგრამ დასვენებულიც არ ყოფილიყო აროდე!ს. რას ნიშნავდა „დასვენება“ — კარგად არც ეცოდინებოდა. დამჯდარიყო, უნდა თუ წამოწოლილიყო? სეირნობაც შედიოდა ამ დასვენებაში — ვითომ არა?!. აქტიურად? აქტიურად კი!

სულ ებრძოდა თავის სხეულს! ასუქებდა, ავსებდა, ბერავდა და მერე იწყებდა დაფუშვას ვარჯიშით, დიეტით (უნებისყოფოდ) და საყვედურებით. ახლა სხვა განზომილებაში გადასულიყო, თუმცაღა ზნე არ შეეცვალა პრინციპულად. თავისი ნების წინააღმდეგ ადრე იძინებდა (ეძინებოდა), ადრეც იღვიძებდა (აღარ ეძინებოდა) და სხვა...

რაც გაეკეთებინა — უკვირდა, რაც ვერ გაეკეთებინა — არ აოცებდა.

ხომ შეეძლო მეტი გაეკეთებინა? არა. კი. საყვედური არ ეთქვა ამაზე თავისი თავისათვის.

ხომ შეეძლო მეტი ეშოვნა (ფული) — კი, თუმც ეს სხვა გახლდათ.

ხომ შეეძლო უკეთესად ეცხოვრა — კი. ეს გულსაწყვეტი იყო და... არც წყდებოდა არც გული, არც წელი.

17 სექტემბერს პრეზიდენტს გადაწვდებოდა: მაინც სულელიაო!

40-ისა გახდებოდა დეკემბრის მიწურულს და... ჭკუა არ მიემატებოდა. ნიჭი ჰქონდა და ყოფნიდა, იმყოფინებდა ერთხანს და... ცუდად დაამთავრებდა მოღვაწეობას!..

ქუთაისში ღვთისმშობლობა ჩამოდგებოდა 21 ენკენისთვეს („ღვთისმშობლობას“ „ენკენისთვე“ უფრო უხდებოდა, ვიდრე სექტემბერი!) და გელათს ააკითხავდა მეუღლესთან ერთად.

ჩადიოდა მზე და იქნებოდა საოცრად წითელი, შემდეგ — მეწამული, სატრაპეზოდან იხედებოდა ამ დროს, დაახლოებით 7 საათზე, საღამოსი, იქ, იმ ალაგას ობსერვატორია უნდა ყოფილიყო ვარაუდით, და იმზირებოდა ჩამავალი მზე ერთი სარკმლიდან საოცრად...

სხვა დროსაც შესწრებოდა მზის ასე ჩასვლას...

ხალხი ცოტა დახვდებოდა, ამოვიდოდნენ მოგვიანებით და ღამისთევით. ამ საღამოს ისინი ლოცულობდნენ, ვისაც ელოცებოდა, და სუფევდა სიმშვიდე, გალობა.

იქნებოდნენ ეზოში უცხოელებიც ოჯახებით. რა ენაზე მეტყველებდნენ, ვერ მიხვდებოდა.

მუშაობდა, ამზადებდა ერთჯერად გაზეთს „ბაგრატი 2007", და კიდევ — ჭამდა. ფიზიკურად არ მუშაობდა და აწუხებდა ეს მომენტი, ეჩვენებოდა, რომ იმატებდა წონაში და სკდებოდა, ირღვეოდა. დილის ვარჯიში უქმი იყო, თუ არ მიაყოლებდი უფრო სერიოზულ დატვირთვას.

კვლავ დავით გურამიშვილი უნდა წამოჰგონებოდა: ვიცადე, მოცლას ვუცდიდი, ნეტავი არღა მეცადაო.

და ახსენდებოდა, აკაკი წერეთელი იონა მეუნარგიას შეკითხვაზე: ყველაზე ძალიან რომელი ქართველი პოეტი გიყვარსო? — დავით გურამიშვილს რომ დაასახელებდა.

სექტემბრის მიწურულს თავისი არქივის ქექვისას „ოქროს არწივი" მოჰყვებოდა ხელთ, გაზეთი, კინოფესტივალის სახელწოდებას რომ იმეორებდა. ის იმ შავბნელ დღეებში ჩატარდებოდა, როცა აფხაზეთი იკარგებოდა და... დაიკარგებოდა კიდეც. ახსოვდა ის ფესტივალი. საზეიმო გახსნა — რუსი, ოკუპანტების წარმომადგენლები, სტუმრები ძირითადად. გახსნა საზეიმო, ელვარე და ლომფერიც თუ არწივის ფერი, და დახურვა ნაკლებეფექტური გახსნასთან შეფარდებით, თუმცაღა საზეიმო; ხვევნა-კოცნა, პრიზების არიგებ-ჩარიგება და რასაკვირველია ბანკეტიც.

ახლა ეს გაზეთი ედო წინ და ფიქრობდა. დაწერდა, გამოაქვეყნებდა, გადაწყვეტილება უკვე მიეღო: „გახსენებანი ძირმწარე დღეთა!"

ბიჭებს მოუყვანდა მუშებად თორნიკე ერისთავი. მიწას თხრიდნენ სარდაფში. და ჰკითხავდა ერთი რეზოს:

— ბიძაჩემო, შენ მართლა პოეტი ხარ?

— ვინ გითხრა? — შეკითხვაზე შეკითხვითვე მიუგებდა.

— თორნიკე ბიძიამ.

— თვითონ არის პოეტი, ასე გადაეცი, სამ ონ პოეტ! — მკაცრად უპასუხებდა.

არ ეთქვა არასოდეს: მწერალი ვარო. გვარი ჰქონდა, სახელი, ეროვნება ეწერა პასპორტში (ჩაურთავდა გულისტკივილით: იმ დროს წერდნენო) და დაბადების წლები. ახლა რაღას იტყოდა, რაღას გაამხელდა: მწერალი ვარო?!. ეს დროც რომ შემოვიდოდა, ეს კი ეცოდინებოდა, მაგრამ თუ ასე ადრე, ამას უკვე აღარ ელოდებოდა: ასეთი უსიამოვნებანიც შეგხვდებოდა ახლანდელ დროს:

— შენ ბიჭი (ძმაო), მართლა მწერალი (პოეტი) ხომ არა ხარ?

— არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ!..

1 ოქტომბრის ღამეს გაზეთს რომ ამზადებდა, კარგ სიტყვასაც დაუწერდა ამათ: ამხანაგებს (სათაურად ეს შეერჩია) ოქრუაშვილებს, სააკაშვილებს.

მოვლენები გლახად ვითარდებოდა, მშვიდად, მაგრამ გლახად! პრეზიდენტსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს დიდად არ ანაღვლებდათ ეს ამბავი (რეზო ამას უფრო ცხარედ ჩაინიშნავდა), მაგრამ ამ ჩვენს პრეზიდენტს ნამეტანი რომ გასტეხოდა სახელი, რეზოს აზრით, უჯობდა თავი გასტეხოდა.

„ესეც მალე იქნება".

მიფრინავდნენ ეს დღეები.

იაპონელებს, იაპონელები გეძახა შენ, გამჭვირვალე ბაყაყი „მიელოთ". ყველა შინაგანი ორგანო უჩანდა თურმე. რა იყო ეს, რა მოვლენა? რის დასაწყისს მოასწავებდა?!.

გაეოცებინა ერთ ფაქტს. სინათლის სიჩქარე არა ყოფილიყო ზღვარი თურმე. ფანტომები თუ ფონტონები უფრო სწრაფადაც მოძრაობდნენ, ვიდრე სინათლე. რამდენიმე ლაბორატორიაში ერთდროულად დადასტურებულიყო. არამცთუ ხმაური არ მოჰყოლოდა ამ ფაქტს, სალაპარაკოც არ გამხდარიყო ჯერ ეს მოვლენა. რითი იქნებოდა გამორჩეული ეს საუკუნე, არ გეცოდინებოდა ჯერ.

რა ხდებოდა 8 ნოემბრის საქართველოში — საგანგებო თუ საგანგაშო მდგომარეობა? ერთი ტელეარხი მხოლოდ. ორს დახურავდნენ. ორს თუ სამს მუსიკის, სიმღერის, ტაშფანდურის მოვალეობაღა დაკისრებოდა.

ყველ აფერი კარგად იქნებაო! — მწვავე სარკაზმით დასძენდა დღიურში.

ხვალ გაზეთი უნდა ჩამობეჭდილიყო და... შეფიქრიანებულიყო რეზო:

შეიძლება გამქაჩონ: ხომ გაგაფრთხილეთო!.. არ შეიძლებაო!..

არადა: არ ყიდდა და პროკლამაციასავით ხომ არ დაარიგებდა!

ახალი ამბავი, მთლად ახალი:

გამოვიდოდა პრეზიდენტი და განაცხადებდა:

ერთ წელს ვახვილიფებ საკუთარი ფონდიდან და ვნიშნავ საპრეზიდენტო არჩევნებს 5 იანვარსო!

შემდეგ ვნიშნავ პლებისციტს (რეფერენდუმსო? — ჩაურთავდა რეზო) და, თუ ხალხი იტყვის, გაზაფხულზე იქნება არჩევნებიო.

მწარედ ეცინებოდა რეზოს:

აბა მეტს რას ითხოვდნენ, ეთქვა ადრე და მშვიდად, დრამატიზმის გარეშე დამთავრდებოდა ყველაფერიო.

დიდი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულიყო მიხეილ სააკაშვილი საზღვარგარეთის ორგანიზაციებისაგან. ჩვენს ტელეარხებს დაკეტავდა, მაგრამ სხვას რას მოუხერხებდა!

ახლა ამასაც აცხადებდა:

საგანგებო მდგომარეობა დიდხანს. აღარ გაგრძელდება (15 დღე დათქმულიყო), აღარაა საჭირო, სტაბილური გახდა ქვეყანაო.

ქუთაისის ბაღში შეკრებილიყო 2000-მდე ახალგაზრდა და დაერბიათ. და სტაბილურობა როდისღა გამოკვეთილიყო, ერთი დღის გასვლის შემდეგ?

არაადეკვატური (მოდური გახდა ეს სიტყვაო, — ირონიულად ჩაურთავდა) იქნებოდა პრეზიდენტის საუბარი, დაწერილი მოეტანა და ვერ წაეკითხა ჩვეულებისამებრ. სპონტანური გამოსვლა ექნებოდა, ბოკერია-თარგამა-

ძის ჯგუფთან შეუთანხმებელი. მოკლავდნენ, ხვდებოდა. ნადირივით იყო — ხიფათს გრძნობდა.

„მოკლედ, ასეა“.

დიდი და დიდად საინტერესო ამბების მოლოდინში იქნებოდა ყველა. ბადრი პატარკაციშვილი ფაშისტს უწოდებდა და შეუშფოთებდა უცხოელ თვისტომებს, ამ სიტყვის — ფაშისტი, ფაშიზმი — ხსენებაც რომ აფრთხობდათ.

კობა დავითაშვილი გორში იწვებოდა ცოცხალ-მკვდარი.

წავიდ-წამოვიდოდა ქუთაისში რეზო, ჩამობრუნდებოდა თხლეშა წვიმაში, კარადაც შემოედგა ჟიგულის თავზე და მისი უჯრების რაკარუკის აკომპანიმენტიც არ მოაწყენდა გზაში.

— ასეთ წვიმასა და თქეშში დაგავლახე მდინარე ჰინდი და ათასი ბედუინით კუდით ქვა ვასროლინე ორიათას სპილოს, — გაახსენდებოდა „ღალატიდან“. როდინდელი ემახსოვრებოდა, აუ!

იქ იყო ალრაზაკიც.

„ალრაზაკის სიკვდილს“ რომ დაწერდა, ამ ნოველისათვის „ოგონიოკის“ პრემიას მიანიჭებდნენ სრულიად ახალგაზრდას!

კარლ მოორის, ფრიდრიხ შილერის „ყაჩაღების“ მთავარი გმირის, რამდენიმე ტირადაც აგონდებოდა და ერთიერთმანეთზე დამარცვლიდა გუნებაში...

14 ნოემბერს გაუქმდებოდა საგანგებო მდგომარეობა. გაუქმებული თუ არ იყო, რეზოს არც ეცოდინებოდა. გარდა იმისა, რომ ტელეარხი „იმედი“ აღარ მუშაობდა, არაფერს „საგანგებო“ არ ეტყობოდა. რეზოს „იმედი“ ნაღდად დააკლდებოდა!

პრეზიდენტი ბაირამობდა ამასობაში პირველი არხით. ხმა ესმოდა რეზოს, ახლაც იქ ეგდებოდა (ანკი ამ სიტყვის თქმას რატომ მოერიდებოდა). ემზადებოდა ზეიმისათვის. გააქტიურებულიყო. მარჯვნივ და მარცხნივ არიგებდა, რაც მისი დასარიგებელი არ იყო. იძლეოდა და: კიდევ მოგცემთო, — პირდებოდა ხალხს:

დავდინჯდი ამასობაში, გამოცდილება შევიძინე და კარგი პრეზიდენტი ვიქნებიო.

ნეტა ისევ გელათში აპირებდა კურთხევას?!

რა ეშველებოდა ამ ქვეყანას?!

და ძალაუნებურად მოადგებოდა პირზე ილიას მწარე სტრიქონი, დღიურშიც რომ აღბეჭდავდა:

ყველა ცრუი, ყველა ყრუიო!..

არადა: რენესანსი სუფევდა მაშინდელ საქართველოში ხელოვნებისა: XIX საუკუნის მეორე ნახევარი, მეოცის პირველი ნახევარი, შემდგომაც — ასე თუ ისე... დემოგრაფიული ბუმიც ხომ ემატებოდა!..

ჩამოიბეჭდებოდა 19 ნოემბერს მისი ისტორიული გაზეთი „ბაგრატი 2007“ და დღიურში სიამაყით ჩაიწერდა:

„ჩემი გაზეთი — რეზო ჭეიშვილი“.

აარიგ-ჩაარიგებდასავით. ცოტას ხვალ გასცემდა. ზეგ ეპირებოდა თფილისს (ირონიას გამოურევდა!) და ქუჩაც გასცემდა. ისე... ძალიან კი ეზარებო-

და: იყოს შინ, ეყაროსო... თან ეცინებოდა: ეყაროს და დამიმტვრევენ სახლის კარს სწორედო!

„კარგი გაზეთია, მე და ჩემმა ღმერთმა, ფორმითაც, შიგ ხო არი და არი!“

გაემშვიდობებოდა მკითხველს გაის ამ დრომდე — გიორგობიდან გიორგობამდე!

პრეზიდენტი მიშიკო რეგვენი რომ გააქტიურებულიყო ნამეტნავად!

გამკითხავი აღარა ჰყავდა და...

დავლოდებოდით შედეგებს, რეზო თავისებურს რომ გამოურევდა:

უშედეგო შედეგებსო!..

პრეზიდენტს კაი შეფერთხილად მოიხსენიებდა 30 ნოემბერს და დასძენდა:

სულელი რომ არ იყოს, გამოათაყვანებდა მასას, ბრბოსო!..

გაზეთი ვერ დაერიგებინა თავის ნებისად, ფოსტალიონად ვერ გადაიქცეოდა, გვერდში მდგომი არა ჰყავდა, არც არასოდეს ჰყოლოდა. ყველას მისგან უნდოდა, ყველა მისგან გამოელოდა და... რეზოც ვეღარ იყო დიდი ხელგამწვდომი. რაც მოეძევებოდა, ორიოდე გროში, გაჰყოფდა, ასეც იქცეოდა, და სხვას ვერაფერს სთხოვდა. ცოტა ჰქონდა და აღარ ექნებოდა... დიდხანს, ვიდრე დაქორწინდებოდა და მუშაობას დაიწყებდა, მშობლების ხელისშემყურე გახლდათ. და ახლა იმედოვნებდა, რომ ღრმა სიბერემდე არ იქნებოდა სხვისი სარჩენი და საპატრონებელი.

4 დეკემბერს ჩაწერდა, რომ:

ეს რვეულები მისი წლების ხარჯზე ივსებოდნენ!..

იჯდებოდა თავის ბუნაგში, თხუნელის სოროში და არა სოროსში, მარტოდმარტო და კმაყოფილი. ბუნკერი უფრო დაერქმეოდა — სითბო, ბუხარი, ტელევიზორი.

პრეზიდენტი ჩამობრძანებულიყო თურმე ქუთაისს და ბლიცმიტინგზე განეცხადებინა:

— ბაგრატის ტაძარი უნდა აღვადგინოთ!..

რისი აღმდგენიაო, — გაღიზიანდებოდა რეზო და იმის ფიქრს ასე ამოიცნობდა: გვირგვინს გელათში კი არა, აქ, ბაგრატზე დავიდგამ მეორედო.

„ერთხელ რომ დაგვადგა გვირგვინი გელათში ჩვენი შემწეობით და მეორედ რა გვირგვინსა და უღელს დაგვადგამს, ხომ ვიცით!“

რეზო ყურადღებას მიაქცევდა, რომ:

მის სიტყვებს, მის დაწერილს იმეორებდა პრეზიდენტი, ისევე როგორც სხვებიც, როგორც თვით ისიც — უწმინდესიც.

წერდა, ამბობდა, უგზავნიდა. ვითომ არ არსებობდა და... თავისი აზრები, სიტყვები, წინადადებები ესმოდა არამარტო მისგან.

„უცნაურია ღმერთმანი!“

ვიღაც მაინც კითხულობდა. ვიღაცას მაინც შეჰქონდა ენა! ნინო ბურჯანაძეს რაც წაკითხული ჰქონდა, ეცოდინებოდა რეზოს, თავიდანვე ეთქვა. ისიც დაემატებინა:

პრეზიდენტსაც ვუთხარიო.

იმას რა ეთქვა საპასუხოდ, ეს უკვე აღარ ეცოდინებოდა რეზოს.

ყველაფერი დაეწერა, ყველაფერი გამოექვეყნებინა.

სარგებლობდნენ და... ვისგან?

ვის ეთქვა, ვის დაეწერა, ვის დაესტამბა, ვის გამოეცა, ვის განეცხადებინა, ამას, ადვილი შესაძლებელია, არც ეუბნებოდნენ. დროდადრო წამოაბოდებდნენ და... ისმენდა რეზო თავის სიტყვებს.

სიტყვებს, სიტყვებს, სიტყვებს — კვლავ ჰამლეტური უნდა წამოტივტივებოდა.

მერე გადაუვლიდა გაბრაზება:

დაე მიეთვისებინათ, ოღონდაც განეხორციელებინათ და რეზო სულ არ ამოიღებდა ხმას.

ქუთაისი მეორე ქალაქიაო.

ახლაო?! — ნიშნისმოგებით ეკითხებოდა რეზო.

რომელი მეორეა — სიღნაღის, ლაგოდეხისა თუ სენაკის შემდეგო?

იქნებ მამათისო?

ბათუმი დაგავიწყდა, შე ჩემი ცოდვით სავსევო?

გაგიჭირდება და ჩამოაკითხავ ქუთაისსო, — ამასაც ხომ დაუწერდა.

და კიდევ:

მატარებელს გამოასწრებო და... ხომ გამოესწრო, უკვე მეორედ ამ თვეში!..

აგონდებოდა ნოე ჟორდანიას მემუარების ის პასაჟი:

აღსტაფაში გამეღვიძა. ჩამძინებია და მცხეთა როდის გავიარე, არ მახსოვსო.

შე ჩემი ცოდვით სავსევო, — ვერ შეიკავებდა თავს რეზო, — აღსტაფა არ იცი საითაა, არ იცი, გასაგებია, მაგრამ თბილისის, საქართველოს დედაქალაქის დამკარგავს მცხეთამდე რამ დაგაძინაო?!

და ერთხელ კიდევ გაიმეორებდა:

რამ დაგაძინა, რაც უნდა უძინარი ყოფილიყავიო!..

და პრეზიდენტსაც წაჰკრავდა ქიმუნჯს:

ამან თუ იცის, საითაა აღსტაცა და საით თუ სეით — მცხეთაო?!.

და კიდევ ერთ ირონიულ ფრაზასაც დაუსართავდა:

იცის, თუ გაახსენდაო!..

11 დეკემბერს იწვიმებდა ქუთაისში. მაინცდამაინც არ ეციებოდა. გაავდრებულიყო. ზამთარს მაინც არა ჰგავდა ზამთრისთვე. ჩარჩენილიყო აქ, ბუნკერში. გარეთ სიწყნარეს დაესადგურებინა, ტელევიზიის არხების მიხედვით კი — პირიქით გახლდათ: რიარია...

საარჩევნო მარათონი ერთი კაცის ირგვლივ ტრიალებდა:

ასე ვიზამ, ისე ვიზამ, ამას გავაკეთებ, იმას გავაკეთებ, პრეზიდენტი რომ გავხდებიო.

და ტელევიზორებს შეჰყვიროდა გაგულისებული რეზო:

გამხდარი არ იყავ, შე ვირისთავო, თუ გამკეთებელი იყავ, გაგეკეთებინა, ვინ გთხოვა, გადადექი და ხელახლა იყარე კენჭიო!..

არჩევნების ჩატარებას ითხოვდნენ, საპარლამენტოსი, დათქმული დროით, შემდეგ გადადგომაც ებრძანათ და არა ხელახალი კენჭისყრა.

გადაეგორებინა შარლ დე გოლიევით კი რუხი კამათელი!..

ახლა რა მოხდებოდა?

ის, რაც უნდა მომხდარიყო — აირჩევდნენ, კიდევაც რომ არ აერჩიათ. რეალური მოწინააღმდეგე — შვიდნი დარჩენილიყვნენ — მაინც არა ჰყავდა.

„ერთი ნაგავია ყველა და ცოტა უკეთესი, თანაც საშიში ნაგავი მაგია, ამხ. სააკოვი!"

აჭრილად, წონასწორობაშეყანყალებულად გრძნობდა თავს რეზო და იმით ნუგეშობდა: ნაწილობრივ მხოლოდო.

— ნაწილობრივ, ბატონო, ნაწილობრივ!

მისთვის ნიშანდობლივი ფრაზით მოიოხებდა გულს.

და აკაკის შემოიშველებდა:

ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი, ხან არც ისა ვარ, არც ისაო...

ამთავრებდა მშენებლობას, შენებას და ეხვეოდა შიგ აბრეშუმის პარკის პეპელასავით — საპეპელე ჭიასავით. და... როდის ამოფრინდებოდა ამაოების ნაჭუჭიდან, ბაკნიდან!..

ქვეყანა იქცეოდა და ციბაძე ბუქნას შვებოდაო, — კიდევ ერთხელ უნდა წამოჰგონებოდა ეს ანდაზა 15 დეკემბერს. ციბაძე რა შუაში იყო, ვერ იტყოდა, თორემ ნათქვამი ნათქვამად ძალიანაც მოსწონდა. მას სხვა ენაზეც, და ქართულზეც, შესატყვისი უნდა ჰქონოდა. თხუნელამ თვალები დაითხარაო თუ რაღაც ამგვარი უნდა ყოფილიყო ის შესატყვისი. ათვალიერებდა რუსულ გამოცემას ანდაზებზე, ხალხურ თქმებსა და გამოცანებზე. სხვადასხვა ხალხის მაგალითზე — ეგაა: ჩვენ არა ვჩანდით — წიგნი საინტერესო აღმოჩნდებოდა, თუმცაღა ნამეტნავად მეცნიერული.

ჯერხნობით გულს ვერ უდებდა მის ბოლომდე წაკითხვას. ქვეყანა რომ იქცეოდა და ციბაძე ბუქნას შვრებოდა, ის არ უნდა ყოფილიყო შიგ და: ისეა თუ ასეა ჩემი საქმეო, — ამასაც ვერ იტყოდა, რადგანაც ქვეყნის „დაქცევის" აშკარა ნიშნები ჯერ არა ჩანდა.

რეზოს ბუქნა კი... ეს დღიური გახლდათ, უფრორე — კროსვორდები, ავსებდა და იქნებოდა ასე, ტვინს ავარჯიშებდა უმიზეზოდ...

ელოდებოდა.

ვერ მუშაობდა, ვერ წერდა, რაც უნდა ეწერა, ვერ ქმნიდა (ვის რად ჭირდებაო, — გულდაწყვეტილს წამოცდებოდა), რაც უნდა შეექმნა...

აყურადებდა ხალხის — დაბალი ინტელექტის ადამიანების — გულისთქმას, საარჩევნო განწყობილებას, გაუნელდებოდათ რეაქცია, აგრესია, ოპოზიციურ ტიპაჟს ცალყურად დაუწყებდნენ მოსმენას. მაინც ისევ ისაო, სააკაშვილიო... რაღაც მუხტი, ფეთქვა, რაღაც, რაღაც იყო საჭირო, მაგრამ რა უნდა აფეთქებულიყო, რეზოს არ ეცოდინებოდა და არცა ჩანდა.

ტელეკომპანია „იმედი" აღდგებოდა, თუმცაღა იმ ეფექტს ვერ გამოიღებდა, ვერ მოახდენდა „აღდგომას"... აგიტაციის დრო წასულიყო...

იბრძოდნენ, იგლიჯებოდნენ, შემოეღლიტათ ყველაფერი პრეზიდენტობის კანდიდატებს: ამას მოგცემთ, იმას მოგცემთო.

გამოსულიყო არენაზე, ჯერ ლანდად, ბადრი პატარკაციშვილი:

ამას ვხარჯავ, იმას დავდებ, ამას მოგცემთ, აგაშენებთო.

აგვაშენებს, როგორ არაო, — ირონიულად ჩაეცინებოდა რეზოს, — „მწერლური ცხოვრების“ ორი ნომერი არ დამიფინანსა, სულ 1000 ლარს ვთხოვდიო.

განვიხილავთო, — ეთქვათ, — გავიტანთ საბჭოზე, ამასობაში ჩამოვა ბატონი ბადრიცო...

არც მისულიყო ბადრიმდე რეზოს თხოვნა — იმისივე ინსტრუქციით.

სამაგიეროდ... საქართველოს ააშენებდა, დაამშვენებდა.

რაც დაეწერა რეზოს, რაც ეთქვა, რაც გამოექვეყნებინა ჯერ კიდევ ორი წლის წინათ „მესამე გზაში“ და შემდგომ და ბოლოს „ბაგრატი 2007“-ის ფურცლებზე, ამასვე იმეორებდნენ პარტიის ლიდერები ერთმანეთის მიყოლებით, ერი და ბერი, პრეზიდენტი ხომ თავისთავად.

„ასეთი ამბავია!“

— ახლა ახალი ფრონტი გავხსენით, „ზნეობრივი ფრონტი“, — იმოძღვრებოდნენ ტელეეკრანიდან ზაზა აბაშიძე და ნინელი ჭანკვეტაძე.

ჩარჩებოდა ქუთაისში. შობა — ნამდვილი კალენდრით — მოდიოდა და შობას გზაში შეხვდებოდა ალბათ ქუთაის-თბილისის გადასარბენში — კატის საბძელში.

სათაურს მოძებნიდა შემთხვევით:

„შავი კატის შესახვევი“

და ჟანრი

„კატის საბძელი“ (ერთ-ერთი ქვეთავისათვის).

ნეტა „საბზელი“ სწორი თუ იყო? ჩახედავდა სულხან-საბას „სიტყვის კონას“ და ეგრეც აღმოჩნდებოდა: საბძელი — საბზე სახლი.

31 დეკემბერიც ჩამოდგებოდა და ელოდებოდა 2008 წლის შემოსვლას.

გამოცვლიდა პირადობის საბუთს — რეზო გადაკეთდებოდა რევაზად და ახალი სადარდელი გაუჩნდებოდა. ახლა სჭირდებოდა საბუთი, რომ რეზო იყო რევაზი და პირიქით — რევაზი იყო რეზო. რატომღაც სკოლიდანვე ვერ იტანდა რევაზს, თავისი ხელით გადაასწორებდა მოწმობაში: ვა-ს ამოშლიდა, ი-ს ო-დ შეცვლიდა და დარჩებოდა რეზო.

უნივერსიტეტში შეაწუხებდნენ „პატრიოტი ბერიკაცები“, უჯავრდებოდნენ:

— შენ ხარ რევაზი და არა რეზო!..

მე ვიცი, ვინცა ვარ და დამანებეთ თავიო, — ფიქრობდა გულმოსული.

ახლა რეზოც გამხდარიყო ბერიკაცი.

ოღონდ — არა პატრიოტი.

ამ სიტყვათშეთანხმებას კი — პატრიოტი ბერიკაცები — გივი ძნელაძეს დაესესხებოდა. საბაბს იშოვნიდა, რომ ერთხელ კიდევ ეხსენებინა ეს პიროვნება დღიურის ფურცლებზე.

სხვა ვიღა ახსენდებოდა, სხვა ვიღა მოიგონებდა, თუმც არ გახლდათ დასავიწყებელი პოეტი გივი ძნელაძე.

თავი მერვე

2008 წელი

აგერ 2008 წელიც, მოგვილოც-მიგვილოცავდნენ უკვე მათი უმაღლესობები და ღამის, უფრო შუაღამის 3 საათიც ჩამოდგებოდა.

ისროდნენ ისევ შიგადაშიგ გარეთ, ერთობოდნენ, მშრალი ყინვა იდგებოდა, კაი ყინვა...

არ უყვარდა რეზოს ეს რვიანი და როგორღა შეეგებებოდა ახალი წლის ჩამოდგომას სიხარულით.

1938 წელს ვერ აღიდგენდა, როგორც რიცხვს, წელს, თორემ თავი იმ გარემოში — 5 წლისა რომ იყო — მშვენივრადაც ახსოვდა. 1948 წელს, სტალინურ ეპოქაში, მგონი ფული გამოეცვალათ, გაეუქმებინათ ფაქტობრივად — მანეთში 10 კაპიკი ხალხს, სხვა არაფერი ისეთი. 1958 წელს ვაჟი დაებადებოდა, მამუკა. 68? 78? 88? 98? არაფრით ისეთით, მნიშვნელოვანით არ აგონდებოდა.

„ეგრეა რა!“

4 იანვარს „ლიტერატურულ პალიტრას“ რომ გადახედავდა, პირველ ნომერს, მისი საუბარიც დაებეჭდათ — სხვისი ჩაწერილი და შეცდომებით, და ორი ფრაგმენტიც „კურუდან“.

ტელევიზიით აჩვენებდნენ სპილოებს კენიის ნაკრძალში და გაახსენდებოდა, ნოველასავით რომ დაეწერა ავტობიოგრაფიული რომანისათვის „მუსიკა ქარში“, სასკოლო სახელმძღვანელოშიც რომ შეეტანათ:

სპილოს რომ ჩამოიყვანდნენ ქუთაისში, საბარგო ბაქანზე, მის სახლთან ახლოს, უცქერდა რეზოც და ფიქრობდა: რა უნდა აქ, რატომ ჩამოიყვანესო?.. მეორე თუ მესამე დღეს, დეკემბერი უნდა ყოფილიყო, ციოდა უთოვლოდ და დაინახავდა, მის ქუჩაზე — პირისპირ შეეყრებოდა — მოჰყავდათ ის სპილო, რომელიც რეზოს ქუდს გაუხევდა. მოჰყავდათ, მოუძღოდნენ და მოსდევდნენ. წინ სპეცტანსაცმელში ჩაცმული ქალი და კაცი ედგებოდა, ჩანგლები ექნებოდა სპილოს ყურებში გაყრილი, გრძელტარიანი ჩანგლები. სპილო მოალაჯებდა და ესენი მორბოდნენ ყვირილით: ჩამოგვეცალეთო. უკნიდანაც უჩხუტუნებდნენ წვეტიან რკინებს. მოდიოდა სპილო თვინიერად, მისთვის — ჩვეულებრივად, მაყურებელთათვის — უჩვეულოდ. მანქანასავით. ჩაუვლიდათ, ესენი გაეკიდებოდნენ, მაგრამ გაასწრებდათ.

შემდეგ მოძრავ ზოოპარკში იხილავდა და ხშირადაც მიაკითხავდა. ბილეთი ძვირად არ ფასობდა და რეზო და მისი თანატოლები უბილეთოდაც ახერხებდნენ შესვლას. სპილოს ვოლიერი კი არა, ქოხი ექნებოდა იქ და წრიალებდა ადგილზე ცალფეხ ჯაჭვით რკინის უზარმაზარ პალოზე დაბმული.

ფულსაც რომ „აკეთებდა“?!. მისცემდი მანეთს, ჩონჩ ფულს, გამოგართმევდა ხორთუმით, დააკაკუნებდა ფანერის ტიხარზე ერთხელ, გამოვიდოდა კაცი, ჩამოართმევდა ქაღალდის ფულს და მისცემდა ერთ ლუკმა პურს. ხუთ მანეთს თუ მისცემდი, ხუთჯერ დააკაკუნებდა, ათ მანეთზე — ათჯერ.

გინდ დაგვეჯერებინა და გინდ არა, რეზო კი სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ: ნაღდად ასე იყო!..

20 იანვარს ქუთაისში მყოფი უგუნებობას იგრძნობდა:

მერე რა, რომ ვარ? რას ვაკეთებ? არც ვჭრი, არც ვკერავო.

ნინო ცირამუა დაურეკავდა, ჟურნალისტი, და „ქარების დაბრუნებაზე“ ეტყოდა:

— წავიკითხე და არ ვიცი, რა ვთქვა, გულზე მძიმე სევდა შემომაწვა. ადვილად ვკითხულობდი და მძიმე რაღაც მაწვებოდა გულზე.

მაღალ დონეზე შეუფასებდა. ადრე კი ნანუკას წაეკითხა, შვილიშვილს, და ეთქვა:

— ბაბუა, ვიტირე, ღმერთო, რამდენი ვიტირე. ენობრივადაც რაღაც უცნაურია.

— ეგრეა, — უხაროდა რეზოს, — სიტყვებს ვერა ცვლის გამოსახულება და ლაქლაქი.

სიტყვები, სიტყვები... და სიამაყით გაიფიქრებდა, რომ: ისინი სხვანაირად ლაგდებოდნენ ერთეულთა ხელში. სხვანაირად, სხვანაირად!..

გამოსახულების ახალი, უახლესი უმდიდრესი საშუალებანი გაჩენილიყო, მაგრამ იმ თუ ამ საშუალებებს ვერ შეეცვალათ დიდი (ნაღდი) ფერწერა და ფოტოგრაფია!.. XIX საუკუნის საოცრება. არა კინო, არა ტელევიზია, არა კომპიუტერი და რაღაც საიტები, იქ, ფოტოზე, წამი შეშდებოდა და მილიონ წამს უძლებდა!..

სიტყვები, სიტყვები, სიტყვები!

სიტყვები რას უნდა შეეცვალა. ისინი შეშდებოდნენ და რჩებოდნენ სამუდამოდ!..

„მე აღარა ვარ დონ კიხოტი, მე უკვე კეხანე ვარ!“

სხვა? ხვალ პრეზიდენტი ჩამობრძანდებოდა და ფიცს დადებდა ბაგრატის ტაძარში. ამ დილით მაინც სწვეოდა გელათს. ეტყობა ტვინი აერიათ მისთვის. რამდენიმე დღის წინათ რეზოს სიტყვებს იმეორებდა: არა გელათი, არამედ ბაგრატიო.

ხომ დაეწერა რეზოს და მიეწერა მისთვისაც:

გელათში იმარხებოდნენ და ბაგრატში იდგამდნენ გვირგვინსო.

ახლა ბაგრატის ტაძრის აღდგენის (ესეც ჩემი იდეაო, — სიამაყით ჩაურთავდა რეზო) ცერემონიალს ჩაეყრებოდა საფუძველი ანუ — ხვალ. ჩაყროდა, არაუშავდა. არა სწამდა, მაგრამ სჯეროდა რეზოს, რომ რაღაც ამდაგვარი მოხდებოდა და სხვა მიიწერდა: მე რომ ვამბობდი, მე ხომ ვიცოდიო.

იცოდნენ, როგორ არა. ისე კი რა უნდა გაგკვირვებოდა, მისათვისებლად ისე მომარჯვებულიყვნენ.

როგორ ჩაივლიდა ქუთაისში სატყეო კამპანია, რეზოს იდეითა და თაოსნობით წამოწყებული, ახალი წლის მეორე შაბათს?

რამდენადმე უჩვეულოდ.

მეათე გასვლა იქნებოდა, საიუბილეო, და ჟურნალისტებიც ააკითხავდნენ ტელევიზიიდან. ქალი, გვარად კირკიტაძე, და ორიც ოპერატორი, ყმაწვილები... ჩაინერდნენ, გადაიღებდნენ და წასვლას აღარ ეპირებოდნენ, და მათი ეს ფეხისათრევა რეზოს ქეც გააგულისებდა!..

კორტოხზე, სათაფლიის გორაკზე ენთებოდათ ცეცხლი, ძლივს ავიდოდნენ — ეს თოვლიო, ეს ყინვაო. მანქანა — რაფი — შორს ვერ გავიდოდა. სხვაგან ეპირებოდნენ, სხვაგან დარჩებოდნენ, ძლივს ააღწევდნენ ბარგი-ბარხანით. პატარა, რეზოს შეჭედილი, მაგიდაც მიჰქონდათ, თითქოს იქ აპირებდნენ დასახლებას. ეგონებოდა: ისრიალებს თავდაღმა დადებულიო, — და თოკგამობმულს ათრევდნენ. არა გამოვიდა რა. თოვლს მიხვეტავდა, თოვლმზიდად გამოდგებოდა და არა მარხილად.

როგორ ჩამობრუნდებოდნენ, აღარც ემახსოვრებოდა, დილაბნელს შევიდოდნენ და დღისსულს გამოაღწევდნენ მშვიდობით.

ელდარ შენგელაია ესტუმრებოდა და კაიხანს ილაპარაკებდნენ ყველაფერზე და მომავალ სცენარზეც, ეს ლაპარაკი კაი ათი წელიწადია გრძელდებოდა და... არაფრით მთავრდებოდა. დრო მიდიოდა და ესენიც მიჰყვებოდნენ. ელდარი გატეხილიყო, სიბერისკენაც მიდრეკილიყო, გაენადგურებინა ქალიშვილის დაღუპვას. ყურში სასმენი აპარატი ჩაედგა. ერთით საერთოდ აღარ ესმოდა, მეორეზე რამდენიმე ოპერაცია გაეკეთებინა საზღვარგარეთ.

ვიღაც ფულიანი ორ მილიონ ევროს შეპირებოდა. საქართველოში ფილმის გადაღებას — აქ ხომ, მსახიობებიდან დაწყებული, ყველაფერი შედარებით იაფი გახლდათ — თავზე გადაუვიდოდა. არ აპირებდა ბესტსელერების, თრილერებისა თუ ბოევიკების შექმნას — ანკი სად შეეძლო — მაგრამ, მაინც მაგრამ...

ამცნობდა რეზოს:

— პენსიები გაეზრდებათ ყოფილ პარლამენტარებს საერთოევროპულ სტანდარტებთან შეფარდებით, დაახლოებით 1000 ლარამდე. ცხოვრება ძვირდება დღითიდღე, მაგრამ მაინც კარგია, ყვავს რომ კაკალი გააგდებინო.

დაეუხერხულებოდა რეზოს, რაკილა რასაც იღებდა — 560 ლარს — ესეც არ ეფარდებოდა მოქალაქეთა „მიზერულ" საპენსიო შემოსავალს.

პოლიტიკოსები ემზადებოდნენ საგაზაფხულო არჩევნებისათვის და ეტყოდა მასპინძელი ელდარს:

— კიდევ დავჭირდები ნინო ბურჯანაძეს.

ტელეკომპანია „მზეში" ჩაწერდნენ 19 თებერვალს, გია როინიშვილის გადაცემაში „მატარებელი". ეთქვა, რაც სურდა, რაც უნდოდა, თუკი დატოვებდა ის და არ დაჩეხავდა თავის გემოზე.

ერთდროული გაზეთების ოსტატად იგრძნობდა თავს და მზერას გააყოლებდა.

„მოწამეთა" — რამდენი გამოსულიყო მისი ხელმოწერით, აღარ ემახსოვრებოდა და გაარკვევდა.

„მწვანეყვავილა" — ხუთი ნომერი.

„მწერლური ცხოვრება" — ათი.

ორივე გამოცემა დაიხურებოდა უსახსრობის გამო.

კიდევ იქნებოდა რაღაც —„ქრონომეტრაჟი" და „ვარლამი 90".

„განთიადი" ხომ ალმანახი გახლდათ. გადაეკეთებინა ჟურნალად და გამოდიოდა პუნქტუალურად: წელიწადში 12 ნომერი. რამდენი წელი სრულდებოდა, რაც ორ-სამ ნომერზე ჩამოსულიყო? გაიგებდა ამასაც.

1992 წელს, როცა ნამეტანი აირეოდა ქვეყანა, რეზო ავად გახდებოდა, პარლამენტის წევრიც შეიქნებოდა და წონაშიც დაიკლებდა, ბოლო ნომერსაც „განთიადისას", გამსხვილებულს, მოაწერდა ხელს.

ახლა ურეზოოდ დარჩენილიყო — ისევ გაალმანახებული და არა განახლებული!

„განახლებულს" კი არ დაწერდა, არამედ: „გააანახლებულს", ირონია კიდევ უფრო რომ გაეძლიერებინა.

სიბერემდე სიქაჩლეო, ისე გაუხდებოდა მასაც საქმე. ისევ შეცდებოდა და ენდობოდა ტელევიზიას, არადა როგორ უნდა ნდობოდი ტელევიზიას, თანაც „მზეს". რა დონე იყო და... ფსკერი...

ჩაწერდნენ მეორედაც, ეტყოდნენ:

— მხოლოდ ტექნიკურ ხარვეზებს გავასწორებთ, დანარჩენი დარჩება.

რისი თქმაც უნდოდა, აღარ დახვდებოდა გადაცემაში, რაც არა სურდა და არც ეგონა, თუ იწერებოდა, ის დაეტოვებინა ამ მართლაც როინიშვილს, რეზო მწარედ რომ წაიბუზღუნებდა: რიონიშვილი მაინც ყოფილიყოო!..

და გაახსენდებოდა, ერთ საიუბილეო საღამოზე თეიმურაზ ჯანგულაშვილი იუბილარისადმი — გიორგი ლეონიძისადმი — მიძღვნილ ლექსს რომ წაიკითხავდა, რომელშიც ყოველი სტროფი ამ რეფრენით ბოლოვდებოდა: შე ივრისშვილოო!..

მდინარე იორზე გაზრდილოო, — ეს აზრი უკეთესად ვერ გამოეხატა.

— ვერ გააჩერებთ, — დაიგმენდა გიორგი ლეონიძე, მესამედაც რომ მოჭრიდა ყურს ეს „ივრისშვილი"...

ნანა ჯენელიძეს მიაწოდებდა სიუჟეტს რეზო, ფრიად საგულისხმოსა და უცნაურსაც, ლევ ტოლსტოისთან დაკავშირებულს:

გამოიწერდნენ ინგლისიდან ბავშვების აღმზრდელად ქალიშვილს და ჩამოვიდოდა 19 წლის გოგო — ხანა. ერთხანს დარჩებოდა იქ და რამდენიმე წლის შემდეგ გადაწყვეტდა ინგლისში დაბრუნებას. მოულოდნელად აღმოჩნდებოდა ქუთაისში კუზმინებთან (კუზმინები ცალკე ისტორია გახლდათ, იასნაია პოლიანა — ცალკე). ბავშვებს ძალიან მოენატრებოდათ თავიანთი აღმზრდელი და გამოიძახებდნენ, და ისიც ჩავიდოდა, ოღონდ ბაშკირეთში, სადაც ზაფხულობით ისვენებდნენ ტოლსტოები. მერე ისევ ინგლისში დააპირებდა, ისევ ქუთაისში და ამჯერზე თავად მაჭუტაძის მეუღლე — მითითებული იყო, რამდენიმე შვილიც რომ ჰყავდა... და აქ წყდებოდა

ოფიციალური (ტატიანა ტოლსტაიას — მწერლის უფროსი ქალიშვილის მოგონებებიდან) ამბავი — ათასგვარი ნიუანსითა და შემდგომი კვლევა-ძიების პერსპექტივებით.

ნახავდა სპექტაკლს მარჯანიშვილის თეატრში: „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ — საგა სამ ნაწილად. საგა გასაგები გახლდათ — ჰქონდათ პრეტენზიაც ამ ისლანდიურ-ნორვეგიული ფორმის გაგებისაც და მისადაგებისაც სცენასთან. სანდრო ახმეტელის თეატრის ანარეკლად აღიქვამდა ამ დადგმას და არ გაუკვირდებოდა — საგმირო ამბავი იყო ფორმით.

თეატრს, სპექტაკლებს გადაჩვეოდა და პირველი ორი ნაწილის ყურება გაუჭირდებოდა. შემდეგ რაღაცას დაემსგავსებოდა სპექტაკლი.

მოკლედ — მიეგნოთ რაღაცისათვის და მაყურებელიც ეშოვნათ.

ახალგაზრდობა დადიოდა თურმე და — ამასაც მისასალმებლად მიიჩნევდა რეზო!..

ერთი-ორი მსახიობი ისე მოეწონებოდა, გაუკვირდებოდა კიდეც. მოულოდნელი აღმოჩნდებოდა მისთვის ტერორისტთა სამეული, მათ შორის ჯაპანაც ანუ დავით ხურცილავაც — მესამე. გია ბურჯანაძესაც არა ეშავრებოდა რა — კოტე აფხაზის როლში.

უფრო შორს აღარ წავიდოდა შთაბეჭდილებების გამოთქმისას.

ვილაჯ გოგონა დაურეკავდა:

— სცენარი მინდა, თეატრალური რეჟისორი ვარ.

— არა მცალია, — თავის არიდებას შეეცდებოდა რეზო.

— მაინც მოვალთ, — დაიჟინებდა ის.

„თ“ შეაეჭვებდა. ვილაც კარნახობდა კიდეც ტექსტს, ხმა მოსდიოდა რეზოს კაცის.

„მოდით, ჯანდაბას თქვენი თავი!“

ააკითხავდა მუხათწყაროს ორი მანქანითა და პურმარილით, მზე უფრო მცხუნვარე იქნებოდა, გზა — უკეთესი, თუმც თოვლი ისევ იდებოდა უვალზე. მიუხედავად ამისა ჯაპანას „მერსედესი“ შეუხვევდა შეუხვეველში და ჩაეფლობოდა ნამქერში, საიდანაც ძლივს ამოიყვანდნენ იქაური მუშები. რეზო სუფრას გააწყობდა ამასობაში თავის მეგობრებთან ერთად. ცეცხლი, მწვადი, თევზი, სხვა რამეც და ღვინო რეზოსი, შუმი, იქ რომ ექნებოდა დატოვებული. თბილი სუფრა გაიმართებოდა.

ჯაპანას დაიახლოვებდა, დაუახლოვდებოდა ისიც და სპექტაკლებზეც დაპატიჟებდა.

ელგუჯა თავბერიძე დაურეკავდა ქუთაისიდან:

— იქნებ რაღაც თანხა თქვენს საიუბილეოდ საკრებულოს მოვამატებინოთ.

იგულისხმებოდა: სუფრისათვის, წიგნისათვის.

სუფრა არ ეთხოვა რეზოს, წიგნი კი ენდომებოდა — ორტომეული.

ვინ რას მოგცემდა?!.

„ჯერ ერთი, სად აქვთ, და მერე — მე ხომ მაგათი კაცი არა ვარ“.

3 მარტის „რეზონანსში“ გამოეთქვა ეს ყოველივე.

საღამოცო, — შესთავაზებდნენ, — იუბილესავითო.

— არ მინდა.

ისიც ზედმეტად მიაჩნდა, ოთხი წლის წინათ რაც გაეკეთებინათ. ბევრი საქმე დახვეოდა თავს და იწენებოდა აქეთაც და იქითაც.

კურუ. კურუ. კურუ.

გულზე ეს წიგნი მოსჭიდებოდა, მის მოთავებას, მოშორებას ნატრობდა და აღარ სურდა სხვა აღარაფერი!

და გალაკტიონურ რიტმზე გამართავდა 4 მარტის ჩანაწერის ფინალურ სტრიქონებს:

როგორ ვწერ, როგორ ვწერ, როგორ ვწერ,

ხომ ვჯღაბნი, ხომ ვჯღაბნი განდაგანო!..

ვიშ გაზაფხულიო, — აღტაცებით შეეგებებოდა მის დადგომას.

კახი კალაძე გამხდარიყო 30 წლისა და ეჩუქებინათ (აკლდაო, — ირონიულად ჩაურთავდა რეზო), მგონი უკრაინაში, ავტომანქანა — ნახევარმილიონი დოლარის ღირებულებისა. იტყოდნენ: ესეც შეემატება მის სამანქანო კოლექციასო. და როგორ არ გაგხსენებოდა, რომ ავტომანქანების „კოლექციონერი" იყო ბადრი პატარკაციშვილიც.

„ამ ბიჭს, ჯვარი წერია და, პრეზიდენტობაც სურს. დაანებებს თუ არა ფეხბურთს თავს, დაიწყებს ფიქრს პრეზიდენტობაზე. ახია ჩვენზე!"

სანჩო პანსაც ხომ გახდებოდა მცირე ხნით კუნძულის გუბერნატორი?

აისრულებდა საწადელს და... ქეც წავიდოდა შინ.

— მე აღარა ვარ დონ კიხოტ ლამანჩელი, მე ახლა ალონსო კახანე ვარ, — იტყოდა ბოლოს ისიც, მთავარი გმირი.

მეორე დღეს მარხავდნენ სოფიკო ჭიაურელს!

რეზო მხოლოდ ერთხელ იქნებოდა იმ სახლში — ფიქრის გორაზე — ნამყოფი. „ალავერდობას" რომ დაასრულებდა ჩასიძებული გიორგი შენგელაია, სადილს გამართავდა ვიწრო წრისათვის და რეზოსა და გურამ ასათიანს მიიპატიჟებდა. შემოემატებოდათ გოგი ოჩიაური (მოქანდაკე) და ლადო ალექსი-მესხიშვილი, ლოველასი. შინ იქნებოდნენ ვერიკო ანჯაფარიძე და სოფიკო. ვერიკოს ქუთაისი დააინტერესებდა და რაღაც-რაღაცებს გამოჰკითხავდა იქაურს. დედა-შვილს მოწყინდებოდათ სუფრასთან, კინოში წავიდოდნენ და დაბრუნდებოდნენ გვიან, ესენი კვლავ იქ რომ დაუხვდებოდნენ. გურამ ასათიანი დათვრებოდა დაა იღადავებდა, რეზო თავშეკავებულად მოიქცეოდა...

ბევრის არა, მაგრამ სხვა ეპიზოდების გახსენებაც შეეძლებოდა!..

ხვალ სოფიკო მარჯანიშვილის თეატრიდან უნდა გამოესვენებინათ. იმ შენობიდან 1959 თუ 1960 წელს გამოასვენებდნენ გიორგი შავგულიძეს. გამოსათხოვარ სიტყვას ვერიკო ეტყოდა. გარეთაც ისმოდა მისი ხმა რადიოთი. იმდენი ხალხი იქნებოდა, რეზო შიგნით ვერც შეაღწევდა.

8 მარტს უყურებდა ტელევიზიით კინოფილმს თაბუკაშვილებისა, რეზოსი და მედეასი, „მზე შემოდგომისა" — თავიანთი სიყალბე რომ სწამდათ და თან იგონებდნენ: ამნაირები ვართო. საოცარი ეჩვენებოდა რეზოს: თავიან-

თი თამაშის წესებს რომ ახვევდნენ სხვებს და ის სხვები ისე იქცეოდნენ, როგორც ამათ სურდათ. თითქოს ადრე დაესრულებინათ თამაში სამწუხაროდ.

12 მარტს მურმან ჯგუბურია დაურეკავდა:

— ეგ გაზეთი კი არა, არამედ საქართველოს სახელმწიფო პროგრამაა.

ესიამოვნებოდა რეზოს, ოღონდ ხუმრობაში გაატარებდა: სამომავლო თუ განვლილი, ეს კი აღარ უთქვამსო.

ამზადებდა წიგნს — სამ რომანს. ქალაქი რაღაც უმნიშვნელო თანხას გამოუყოფდა დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით და უნდა გამოეყენებინა. ერთ წიგნს ხომ მაინც ეყოფოდა ყვავისათვის გაგდებინებული კაკალი.

ძილი ერეოდა და... იფიქრებდა: არ შეიძლება ამ ორი სიტყვის, სახელისა და ზმნის, გაერთიანებაო? გამოვიდოდა ძილრევა. ხომ არსებობდა: გულძმარვა! და კიდევ: ძილქუში. ძილღვიძილი. ძილისპირული...

რაც მოსალოდნელი იყო — მოვიდოდა, რაც მოსახდენი იყო — მოხდებოდა: სხვადასხვა ფორმითა და გამოვლენით.

წვიმდა 9 აპრილს გაზაფხულისნაირად, და მუშაობდა რეზო, როგორც ხშირად, ძველის გასაახლებლად. ამჯერად: „კუდიანი ვარსკვლავის". დატოვებდა ორ ნაწილს. დრო არ ექნებოდა, არც ახლა ჰქონდა, თორემ უფრო საფუძვლიანადაც წაიმუშავებდა. აუცილებლად ესახებოდა, რაც გაეკეთებინა. ამოეყარა ბევრი რამ თავში, ცოტა, მაგრამ აუცილებელი ჩაემატებინა შუა ნაწილში. რომანს მიუახლოვებდა და წვრილმან პოლიტიკურს დააშორებდა. „დეკამერონის" პრინციპს არ დაარღვევდა, როგორც ეგონებოდა.

24 აპრილს 75 წლისა რომ შესრულდებოდა, ის შეგრძნება გაუჩნდებოდა:

წავედი დღეიდან ბოლო კლება-მატებაში. დამრჩა ბოლო 25. როგორ დავხარჯავ, როგორ და რამდენს შევინარჩუნებ დარჩენილი წლებისასო?

შინ დახვდებოდა პრეზიდენტის მოსალოცი ტელეგრამა (დავით რონდელი „დეპეშის" რომ ეძახდა) — ვრცელი, ტრაფარეტული და არაფრისმთქმელი. და მაინც გაუკვირდებოდა. გუნებაც წაუხდებოდა:

ნეტა რას ნიშნავდა ეს გახსენება?!

საერთოდ — მართლა ვის გახსენებოდა, ვის შეეტანა მიხეილ სააკაშვილისათვის ეს ტექსტი, ტელეგრამის პირობაზე — ვრცელი, ხელმოსაწერად?!

ნეტა იცოდა თუ არ იცოდა საქართველოს პრეზიდენტმა, გაზეთ „ასავალ-დასავალის" ფურცლებზე რეზო რომ ამბობდა:

დღეს რომ ეძახიან: მიშა მაგარია, — ხვალ იგივენი „მიშა ნაგავიას" დაუძახებენო.

პირველ გვერდზე გამოეტანა ეს სიტყვები რედაქციას მსხვილი, შავი შრიფტით, საუბრის სათაურადაც ეს დაერქმიათ და კიდევ ბოლოში, ფოტოსურათთან ერთად, ამაზე გაემახვილებინათ ყურადღება!..

ფიქრობდა — თუმც გამორკვევით არ არკვევდა — ტელეგრამა პასუხი იყო გაზეთისა თუ მართლა, უგაზეთოდ, გამოეგზავნა?

თუ ასე გახლდათ, ცუდი იყო და არც მთლად უხიფათო თითქოს.

გულს დაიმშვიდებდა რეზო ჩვეული შეძახილით: ჩვენ კარგად ვიყოთო!..

ხვალ აღდგომა თენდებოდა და წერაც უხერხული ეჩვენებოდა. ამიტომაც იმ მელნიან კალამს, იოსელიანების ნასაჩუქრებს, ახლავე დააჭაშნიკებდა და ეს აპრილიც, მისი თვე, გავიდოდა...

დაურეკავდა გუბაზ სანიკიძე (ელოდა რეზო სხვათა შორის ამ შემოხმიანებას):

ორიოდ სიტყვა, ორი წინადადება ჩამიწერე ჩემს საარჩევნო ბუკლეტში არჩევნებთან დაკავშირებითო.

უარს არ ეტყოდა რეზო ცხადია, უხერხულობაში კი ჩავარდებოდა, რაკიღა აპირებდა თემურ შაშიაშვილისათვის დაეჭირა მხარი.

იმავ „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე აღენიშნა:

საქართველოს — ამერიკის გამოისობით — ისევე მოენატრება რუსეთი, როგორც ქუთაისს — შაშიაშვილიო.

ეს სანიკიძე გაზეთებს არა კითხულობდა ალბათ, თორემ დაბადების დღეს მაინც მოულოცავდა, ვიდრე „დავალებას“ მისცემდა.

შაშიაშვილიც არ შეეხმიანებოდა, რაც რეზოს ძალიან გაუკვირდებოდა. ქუთაისში შეხვდებოდა და ჰკითხავდა:

— სად იხდი დაბადების დღეს?

არც დაერეკა, არც ამოეკითხა „შემთხვევის ადგილში“!

4 მაისს სიამაყით აღნიშნავდა, რომ:

გაემარჯვა ბოლოსდაბოლოს მის იდეებს ქუთაისის, საქართველოს მოწყობის თაობაზე, აფხაზეთის შემობრუნებაზე; რაც უნდა ეთქვათ, რაც უნდა ემარჩიელათ — პირველბიძგი რეზოსაგან გახლდათ!..

პირდაპირ თუ არაპირდაპირ.

ნაწერებს, გზავნილებს, წიგნაკს „მესამე გზა“, გაზეთს „ბაგრატი 2007“ მოეხდინა ზეგავლენა თუ... უშუალოდ ნებას რეზოსი?!.

გასარკვევი რჩებოდა:

წიგნს თუ ფიქრს?!

სიტყვას თუ ნებას?!

„შევეშვათ ყოველივეს, მან გამოიყენა, დაასწრო...“

ლამის ყელგადაგდებული ეხვეწებოდა თავისიანებს, ახლობლებს რეზო:

— წაიკითხეთ!..

პასუხად:

— ხო. კი. კი. ჰო. კი. წერია კი. ჰო. კი...

სხვა არაფერი.

ამოეწერა რეზოს ის ადგილები და სიტყვები, რაც გაემეორებინა იმ კაცს, საქართველოს პრეზიდენტს?

იყო თუ არა, ასე კი ერქვა ქუთაისს, ასე უხმობდნენ:

საქართველოს მეორე დედაქალაქი.

და... ვის წამოეყენებინა ეს იდეა?

ცდილობდნენ რეზოს ნათქვამი სხვანაირად ეთქვათ და თავისად გაესაღებინათ.

„ილია, ასათიანი, მიშიკო“.

7 ივნისს გაზეთიდან „ყველა სიახლე“ დარეკავდნენ:

— მისაღებ გამოცდებზე უმაღლეს სასწავლებლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას აღარ აბარებენ, ასეთი პროექტი აქვთ განათლების „კომისარიატში“, გავიგეთ. თქვენ რას იტყვით, გვაინტერესებს.

მიუგებდათ:

— ეს ცნობა ჩემთვის მოულოდნელია, ამათგან კი — ყველაფერი მოსალოდნელი.

აქეთ მიდიოდნენ, რაც ქვეყნის სათავეში მოსულიყვნენ, მას შემდეგ. არ იქნებოდა საუმაღლესი საგანი ქართული ენა და ლიტერატურა და... აღარც ისწავლიდნენ, რად უნდოდა ლაპარაკი!.. იმიტომ სწავლობდნენ, აკლავდნენ თავს, დადიოდნენ რეპეტიტორებთან, რომ ჩაებარებინათ, და იძულებულნი იყვნენ — უმრავლესობა — ესწავლათ ქართული ლიტერატურა; აუქმებდნენ ესენი იმიტომ, რომ აღარ ესწავლათ და... აღარც ისწავლიდნენ.

წიგნი,კ ითხვა, მწერლობის სიყვარული, მწერლის პატივისცემა (სადღა იყო, თორემ!..) გახდებოდა ვიწრო სპეციალობა.

„როგორცააო, აგვიხსნიან, იქო!“

დამთავრებულიყო და იწყებოდა ახალი პარლამენტომანია.

პირვ ულ სხდომას დანიშნავდნენ მოულოდნელად და, მოპიკეტეებს რომ ეძინებოდათ, დეპუტატები ნაციონალური მოძრაობისა დილის რვის ნახევარზე ჩაატარებდნენ ნახევარსაათიან სხდომას, დაიმკვიდრებდნენ თავს, გალეგიტიმურდებოდნენ და მორჩა. გარეთ ოპოზიციის წარმომადგენლები მანდატებს დაჭრიდნენ მაკრატლით.

დარჩებოდა შიგნით ნაცმოძრაობა. შემდეგ სხდომაზე, თარიღს არ დააასახელებდნენ, შტრეიკბრეხერებიანად შეიკრიბებოდნენ.

და ჩაინიშნავდა რეზო:

დავით გურამიშვილთან „ნაცი“ „ნაწყლს“ რომ ნიშნავდა სხვათაშორის...

— ფოლკნერს თუ კითხულობთ? — ჰკითხავდნენ ჯორჯ ბუშს.

— რატომ უნდა წავიკითხო? — გაიკვირვებდა ამერიკის პრეზიდენტი, — თქვენ ვინ გგონივართ?!.

„ეგრეა!“

რა ამაოდ მოთქვამდა გალაკტიონი, რა ამაოდ ივედრებოდა „მშვიდობის წიგნის“ ფურცლებზე :

წიგნი, ტარიელ, ტარიელ, წიგნიო!..

ფეხბურთის მატჩები, მსოფლიო ჩემპიონატისა, ძალაში იქნებოდა.

10 ივნისს ესპანეთის გუნდი დაანგრევდა რუსებს.

ჰოი რარიგ გაეხარდებოდა რეზოს რუსი ოკუპანტების დანგრევა!..

„რას გვიშვებიან, რას გვიკეთებენ და რას გვპირდებიან — ჯერ სადა ხართო! ჩვენი ხელისუფლების სათავეში სულელია და ესეც განაპირობებს მათ აგრესიას!“

რა შუაშიაო? — იკითხავდა ვინმე.

სწორედ რომ შუაშიაო, — იქნებოდა რეზოს პასუხი.

ახსნითაც აეხსნა, დაეწერა, დაებეჭდა.

„კიდევ კარგი არ კითხულობენ, თვარა გლახად იქნებოდა ჩვენი საქმე!"

ნანა ბურჭულაძის წიგნს რომ გაეცნობოდა უბისის მონასტრის ხატებსა და კედლის მხატვრობაზე, მოიწონებდა: მეტად საჭიროა და გამოცემაც მშვენიერია ჩვენი პირობებისათვისო. ეჩუქებინა ადრინდელივით („გელათი") დათო ანდღულაძეს, კულტურის მინისტრის მოადგილეს.

ნამეტანი ახლობელი გახლდათ რეზოსათვის ის ადგილი. პირველად როდის შეედგა ფეხი, აღარც ეხსომებოდა. ადრე უფრო მყუდრო და წყნარი იქნებოდა ის სავანე. ეკლესია დამკვიდრდებოდა და გააცოცხლებდა თითქოს იქაურობას, მაგრამ ავტოტრანსპორტის მოძრაობაც ეკლესიის თავზემოთ უფრო ინტენსიური შეიქნებოდა და იმატებდა ბოლიც და ჭვარტლიც.

არადა რარიგ ჩაფლულიყო უბისის ტაძარი გორის ძირას და ხეთა ჩრდილებში.

გაახსენდებოდა, ჭაბუა ამირეჯიბს რომ გაუმართავდნენ შეხვედრას და თან ახლდებოდა რეზოც რევაზ თვარაძესა და ჯემალ ქარჩხაძესთან ერთად. უკან დაბრუნებულები შეივლიდნენ უბისაში და აღმოჩნდებოდა, რომ იმ სამიდან არცერთი არ ყოფილიყო აქ არასოდეს.

— რა გიკვირს, — ეტყოდა ჭაბუა, — საქართველოში სამას რაღაც ძეგლია და ყველგან ხომ ვერ იქნებოდი.

პასუხი არც მთლად დამაჯერებელი მოეჩვენებოდა რეზოს, მაგრამ აღარ შეეპასუხებოდა.

კომუნისტების ხანა იდგებოდა: რაიკომის პირველი მდივანი — დევდარიანი, აღმასკომი — ჭიათურელი თუ საჩხერელი ელისო ბერიძე.

ჭაბუა ხალხს გამრავლებისაკენ მოუწოდებდა შეხვედრაზე და განაცხადებდა:

— მე პირადად ექვსი შვილი მყავს.

ამ სიტყვებს ტაში (არა ოვაცია), უფრო კი გაკვირვება მოჰყვებოდა. ექვსი შვილი ხუმრობა ხომ არ იყო. და სუფრაზე ქალბატონი ელისო ჩუმად ჰკითხავდა რეზოს:

— მართლაც ექვსი შვილი ჰყავს?

— ექვს ცოლთან, — მიუგებდა და... ის კინაღამ დაიხრჩობოდა სიცილით. რეზო გადააჭარბებდა, თუმც სინამდვილეს არც ძალიან დაშორდებოდა.

ჩაატარებდნენ გამოკითხვას რუსეთში — ყველა დროის ყველაზე გამოჩენილი პოლიტიკოსის გამოსავლენად და პირველ ადგილზე... ნიკოლოზ პირველი გავიდოდა, მეორეზე — სტალინი. იტყოდნენ: მთავრობამ გააყალბა არჩევნები, თორემ სტალინი პირველი იქნებოდაო. შესაძლებლად მიიჩნევდა ამგვარ შედეგს რეზო. ძირითადი ხმები ახალგაზრდებს მიეცათ — მოფაშისტო ახალგაზრდებს, სავარაუდოდ ჰიტლერსაც ბევრ ხმას რომ მიანიჭებდნენ.

„ლენინი სად სიკვდილში წაუვიდათ, დღემდე რომ მავზოლეუმში უგდიათ?!"

ასი წელიც არ გასულიყო „დიდი ოქტომბრის" რევოლუციიდან, ეხოცათ, ეჟლიტათ ერთმანეთი ლენინის დროშით და... დასულიყვნენ კვლავ ნიკოლოზამდე.

მარტო სურდა ყოფნა. არავინ ენდომებოდა, თუმც იმასაც ვერ იტყოდა: არავის დარდი არა მაქვს და არავისზე არა ვფიქრობო.

ივან კრილოვის „მგელი და კრავის" აკაკისეული სტრიქონები ედგებოდა ყურში და მის კვალობაზე გაათამაშებდა:

ხან ზეითა ვარ (მუხათწყაროში), ხან ქვეით (თბილისში) და როგორ ავუმღვრევდი „წყალსაო". არადა: თვითონ სულ ამღვრევდნენ და... მარგებელიც კი აღმოჩნდებოდა ეს ამღვრეული წყალი (პირდაპირი გაგებით)...

ექვსი აგვისტოს შემდეგ აღარაფერი ჩაეწერა მარიამობისთვის მიწურულამდე. გამწვავებულიყო ოსეთთან ურთიერთობა, გამწვავებულიყო კი არა, გამწარებულიყო კიდეც, და ბოლომდე ჩამოიხსნიდა ნიღაბს რუსეთი, ჩაეფლობოდა ჭაობში და რასაც ამ სამ კვირაში სისულელეს ჩაიდენდა, ალბათ მთელი ისტორიის მანძილზე არ ჩაედინა.

გაუდიოდა და გაუდიოდა — ესეც იყო!

ახლა კუდზე დაებიჯებინათ ფეხი მისთვის და... როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ძნელად იტყოდი.

სიცარიელეს დაესადგურებინა რვეულში და მღელვარებას — სულშიც და ყოფით რეალობაშიც.

ჩაეხოცათ ახალგაზრდები უაზროდ, რისთვის, რად? შედეგი იქნებოდა, მოჩანდ›, მაგრამ იმათ რაღა ეშველებოდათ?!. შეეწირებოდნენ თავდასხმას, არა თავდაცვას, უკან გამობრუნებისა და გამოქცევის ინსტინქტი და გამოცდილება კი გვქონდა და ეს ორგანიზებულად გაკეთდებოდა.

ქუთაისში იმყოფებოდა რეზო, ქალაქში, რომელსაც ამ ომის, ამ ტრაგედიისა არც არა გაეგო და არც არა ეგრძნო.

„საოცარია ღმერთმანი!"

გავიდ-გამოვიდოდა „გოროდში", ბაღში, ბაზარში, მაღაზიებში... არაფერი... სადღაც რაღაც ხდებოდა, სადღაც გვებრძოდნენ, სადღაც „ვიბრძოდით"... აქ არაფერი.

აფრთხილებდა თურმე აქაური სატელევიზიო არხი მოსახლეობას:

— ხონში არიან, აქაც შემოვლენ და მეტი არაფერი, მაგენი არავის ერჩიან, ვენაცვალე მაგნებს, და დახვდით მშვიდად, ყვავილებით (ყვავილები არ ეხსენებინათ მგონი) და ასე და ამნაირად.

1 სექტემბერს მთელი თბილისი გამოვიდოდა, დედაქალაქის მთელი მოსახლეობა „საქართველო, საქართველოს" ყვირილით და ბოლოს ეს სახალხო-საპროტესტო აქცია გადაიქცეოდა სახალხო ზეიმად თუ ღონისძიებად — თბილისობად!

ევროკავშირის სამიტიც (თუ რაღაც ოხრობაო, — ნერვებს ვეღარ იოკებდა რეზო) უქმად ჩაივლიდა. გააფრთხილებდნენ რუსეთს: კარგად მოიქციო, — და... ეს იქნებოდა და ეს!.. საქართველოს უნდა დახმარებოდნენ, რუსეთისათვის უნდა მიეთითებინათ და... ესეც არა! თუ ჭკვიანად იქნებოდა, ხო კაი, თუ არად: ჰო კეი!..

და ისევ აკაკისებური ხელოვნებით გადმოღებული კრილოვის არაკი წამოაგონდებოდა: დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალიო!..

წავიდოდა ეს ზაფხულიც... წავიდოდა ცუდად, უიმედოდ, უპერსპექტივოდ.

კარგი თუ რაიმე მოხდებოდა? გამოვიდოდა რეზოს წიგნი „სამი რომანი". გამოცემულიც კარგი გახლდათ, თვითონ წიგნზე აღარც უნდა ყოფილიყო ლაპარაკი!..

სიტყვა „მწერალიც" დაჰკარგავდა მნიშვნელობას.

მწერალთა კავშირი. მწერლები. მწერლები მოსულიყვნენ... ვინ მწერლები?

— მწერალი ერთია, მე ერთი ვარ და არა ბევრის ერთი, — ეჭვიც არ ეპარებოდა გალაკტიონს და მწარედ ელიმებოდა სხვების — ფარასი თუ ნახირის — ხსენებაზე:

ჰმ, ჰმ, ჰმ!..

ანკი როგორ არ გასცინებოდა მწერალთა კავშირის ხსენებაზე გალაკტიონს:

მწერალი მე ვარ მხოლოდ და რად უნდა ერთ მწერალს მწერალთა კავშირიო?!.

და ეთანხმებოდა რეზო:

არ იყო მართალიო?

განახევრდებოდა ეს სექტემბერიც. თბილისში იმყოფებოდა, მუხათწყაროშიც არ ასულიყო. არაფერს აკეთებდა, სუნთქავდა მხოლოდ და... ესეც უჭირდა, წერაც კი.

წიგნს გაატანდა შარლოტა კვანტალიანს: გინდა თუ არა, საჭიროაო, — არ მოეშვებოდა ის და ამოიღებდა რეზო მანქანიდან და ძლივს დააწერდა. კი არ მიაჯღაბნიდა, მიახატავდა უკუღმართად და წვალებით. ის დღე გახლდათ ზეიმისა თუ პარადის. ერთად დგომისაო!.. ესეც იყო რაღა თქმა უნდა.

ერთხელ დაწერდა:

პირი ვერ დამიღია და ხუმრობა ვერ მომისწრია, არ დამიმთავრებია და უკვე „კვირის პალიტრაში" არის დაბეჭდილი, თანაც სხვისი სახელით და დამახინჯებულადო...

მას შემდეგ ის გაზეთი აღარ წყალობდა, აღარ წყალობდნენ ბოღმიანი კახელები,თითქოს კარს უმტვრევდა რომელიმეს.

გამოუშვებდა თავის გაზეთს მალე, ნოემბრისათვის მზად ექნებოდა „ბაგრატი 2008", №2.

1 სექტემბერს ხელი რომ არ ემორჩილებოდა და ვერ წერდა, ავტოგრაფიც ვეღარ წაეწერა წიგნისათვის, 17-ში მიხვდებოდა, გადიოდა „ნარჩენი მოვლენები" ორგანიზმიდან. მძიმე და მძიმე გადასატანი გახლდათ მისთვის ზამთარი და ზაფხული. დაკონკრეტებით: იანვარი და აგვისტო.

სიმღერა რომ იყო: მოხევის ქალო თინაო, შენი ტოლები დათხოვდნენ, შენ რაღამ დაგარჩინაო, — რეზოს ტოლები დაბერებულიყვნენ, ეს კი ძალით იბერებდა თავს. ზოგს ყურში აღარ ესმოდა, ზოგსაც სიარული უჭირდა!..

წავიდოდა ბიჭობაც, კაცობაც, სიბერეც, ყოველივე ჩაქრებოდა.

„მანამდე კარგად ვიქნეთ!"

კონდოლიზა რაიზი წაიკითხავდა ვრცელ მოხსენებას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე (ძირითადად), რუსეთსა და საერთო პოლიტიკურ ვითარებაზე — გაკვრით. უფრო მეტი ეცოდინებოდა თურმე, რა ხდებოდა ამ

სფეროში, ვიდრე სააკაშვილსა და დანარჩენ პოლიტიკოსებს. გამოეხმაურებოდნენ გაბოროტებული რუსები. ერთი იმასაც კი იკადრებდა: ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო.

უხაროდა რეზოს:

მოხვდათ, აეწვათ, ემწუთხათო!..

ერთ რამეს მიაქცევდა რასაკვირველია ყურადღებას მწერალი:

ავაღორძინებთ, დავეხმარებით საქართველოსო, დავაფინანსებთ დემოკრატიას, ვაჭრობას, ეკონომიკასო... ელექტროენერგია, გაზი, ინტეგრაცია, საზღვრებიო...

და... კულტურა?

არ ეხებოდა არამარტო მას — ამერიკის სახელმწიფო მდივანს, არამედ... აღარავის.

არადა ხომ შეენარჩუნებინა ამ მცირერიცხოვან ერს თვითმყოფადობა, ენა (სხვას ვინ ჩიოდა, მწერლობა რა სახსენებელი გახლდათ!)... არა, პა, პა, პა!.. რა კულტურა, რის კულტურა? კულტურა ხომ საერთო იყო და არ იყოფოდა...

არსებობდნენ სახელმწიფოები ღია საზღვრებით, ღია საზოგადოებით, ღიათი და ჭრელით, დემოკრატიით და სხვა...

გადაგვედო ეს ყველაფერი გვერდით და... მაგარი ლახვარი კი ჩაეცა იმ გამოსვლით რუსეთისათვის:

ისევ XIX საუკუნეში ხართ ჩარჩენილნი, XIX საუკუნის ყაიდაზე ცხოვრობთ და აზროვნებთო.

27 სექტემბერს ვერ გრძნობდა თავს მთლად კარგად! აწუხებდა ყურიც, თვალიც, მუცელიც. გაეტეხა აგვისტოს — ჩვეულებისამებრ. საქმე ბევრი დაგროვებოდა — შემოქმედებითიც, პრაქტიკულ-მერკანტილურიც. შესადგენი ჰქონდა გაზეთიც და „კურუც“: ფიქრში აწყობდა და ალაგებდა, ქაღალდზე ვერ გადაჰქონდა. არადა საშური იყო ერთიცა და მეორეც!..

8 ოქტომბერს გადმოიღებდა პავლე საყვარელიძის რომანს „დაფანტული ფურცლები“. გადახედავდა, აინტერესებდა რა ეყარა შიგ — არაფერი. იკითხავდა ალაგ-ალაგ, რაღაც ინტერესით, და აკაკისებურად რომ ეთქვა: გადვიკითხე უსულგულოდ, სიტყვა იყო ცარიელიო.

ცარიელი?

სიტყვა საერთოდ არ აღმოჩნდებოდა შიგ, სიცარიელე — კი, და კიდევ რაღაც: ამბავი, მოკლედ სათქმელი, გრძლად ნათქვამი!..

12 ოქტომბერს თავისი გაზეთისათვის თარგმნიდა რუსულიდან: „თბილისის ოპერაცია, 1921, 16-25 თებერვალი“. ამიერკავკასიის დაპყრობის გეგმაც ამ წიგნში შეხვდებოდა, თანაც ფერადი: „სამოქალაქო ომი და საომარი ინტერვენცია საბჭოთა კავშირში“. ნაჩვენები გახლდათ, როგორ აეღოთ თბილისი.

სინამდვილეში თბილისის აღების წინასწარ დამუშავებულ გეგმას დაჰყურებდა, დისპოზიციას. რაც აქ, ამ წიგნში ეწერებოდა, ნახევარიც არ განხორციელებულიყო, რადგან არ დასჭირებოდათ.

და რეზოს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ:

ახლაც, 2008 წლის აგვისტოში, ამ გეგმით აპირებდნენ თბილისის ოკუპაციას.

ეს დრო ქე გასულიყო და სამაგიეროდ არც წასულიყო მაინცდამაინც შორს. ინურებოდა გიორგობისთვე. გუშინ ჩამოსულიყო კისრისტეხით, რათა არ დაგვიანებოდა სხდომაზე კულტურის ახალ მინისტრთან — ნიკა რურუასთან. ქალაქის მერიც იქ დაუხვდებოდა, გიგი უგულავა, სპორტული „პიჟამოთი" — სავარჯიშოდ ყოფილიყო ალბათ და შემოეხვია აქეთ. რომ არ ჩამოესწრო რეზოს და არ დასწრებოდა, არა დაშავდებოდა რა, თუმცაღა მისი იქ ყოფნაც აუცილებელი თუ არა, გამართლებული აღმოჩნდებოდა...

ქუთაისში ჯუმბერ ლომინაძე ჩაატარებდა ლექციას სამყაროს წარმოშობისა და დღევანდელი პროცესების (გაზრდა-გაფართოება და სხვა და სხვა) შესახებ. ძველი შეხედულებანი რეზოსაც ეცოდინებოდა ანკრად, ლექტორი ბევრს იტყოდა სათვალსაჩინო ხელსაწყოების დახმარებით, დიდი ეკრანითა და სხვა.

პერსონალურად დაპატიჟებდა რეზოს, რამდენჯერმე შეახსენებდა კიდეც მანამდე თავს, თუმცაღა ახლობლობა არ ჰქონოდათ. ერთხელ პანაშვიდზე გამოელაპარაკებოდა ტამის შესახებ. რეზო იცნობდა აბსტრაქტულად და ალბათ ისიც იცნობდა, რადგანაც შეაჩერებდა:

— წავიკითხე „ტამის მოგზაურობა" „მწვანეყვავილაში"...

ჩემი მოწაფე იყოო თუ მე ვიყავი იმისი მოწაფეო, ამდენს უკვე ვეღარ გაარკვევდა რეზო... მეტი დრო აღარ იქნებოდა. ეს გამოდიოდა პანაშვიდიდან, ის შედიოდა. ლექციის წაკითხვის დროსაც იჩქარებდა და ადრე დაამთავრებდა.

სკოლაში მიიწვევდნენ ლია გაკვეთილზე, ლია ჭეიშვილი, მისი მოგვარე, რომ ატარებდა. რეზოს ორი ნოველის — ავტობიოგრაფიული რომანიდან „მუსიკა ქარში" — გამოკითხვა იქნებოდა. ესწრებოდნენ სხვებიც: მუსიკის, ფსიქოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის მასწავლებლები... აანალიზებდნენ ამ ნოველებს: „ქუდი მიყიდეს" და „სურათებიანი წიგნი". ბავშვები — კარგები, გულწრფელები, უშუალონი. ლია მასწავლებელი — თავის მასწავლებლობაზე, უფრო საკუთარ მეზე შეყვარებული, თვითდაჯერებული და კარგი. სუფრაზე კი აღარ დარჩებოდა რეზო.

ზაალ სამადაშვილი დაურეკავდა და აცნობებდა, რომ:

პრეზიდენტთან შეხვედრა დღეს იქნებოდა, 11 დეკემბერს, საღამოს 10 საათზე.

მიადგებოდნენ ავლაბრის ციხე-სიმაგრეს: რეზო, ლია სტურუა, ტარიელ ჭანტურია, გურამ ოდიშარია და ბესიკ ხარანაული. ზაალ სამადაშვილი თავისთავად.

დახვდებოდნენ: მცველები, გუშაგები, ქეშიკები და ახალი მინისტრი კულტურისა ნიკა რურუა, კაბინეტი და საქართველოს პრეზიდენტი.

საუბარი ჩაიელიდა გაგებისა და გულითადობის ატმოსფეროში — მიწისთხილის თანხლებით. რაც სურდა რეზოს, რაც უნდოდა, მოასწრებდა და

იტყოდა. რაკი ელოდა. თვითონ თუ იტყოდა და ის თუ მოისმენდა, არც ეგონებოდა...

საუბარი გვიანობამდე გაგრძელდებოდა. ქვეყნის საქმე ვერ უნდა ყოფილიყო მთლად კარგად, ხალხისა — მითუფრო.

დანარჩენის მოყოლას დღიურს არ მიანდობდა, სხვა დროისათვის გადადებდა და ახლა კი თავის შეკავებას ამჯობინებდა.

ქუთაისს რომ ესტუმრებოდა პრეზიდენტი — დღიურში გრძელ კაცად მოხსენიებული — რეზოს დაუძახებდნენ მასთან შესახვედრად. და ის ეტყოდა:

— მისაყვედურეს, ფაცხაფუცხით მუშაობენო. ვერ ვამბობ კარგად, ფაცაფუცი უნდა თუ ფაცხაფუცხი.

ენას კინაღამ მოიკვნეტდა და რეზო გადაუჩურჩულებდა გვერდით მდგომს:

ეს ორი სიტყვა ხომ მაინც ვასწავლეო.

მეტისა არც დრო ექნებოდა და არც საშუალება რეზოს, თუმცაღა ბანკეტზე პრეზიდენტის მაგიდაზე მოხვდებოდა.

— როგორა ხართ, ბატონო რეზო! — ჰკითხავდა გოგი წერეთელი.

— როგორ ვიქნები, — მიუგებდა, — ხელმწიფის ნავში ვზივარ. მარჯვნივ კალისტრატე ქუთათელ-გენათელი, მარცხნივ პრეზიდენტის ბებია მზია წერეთელი და „სამ" პრეზიდენტი! წინ პარლამენტის თავმჯდომარე ცოლით...

წასვლისას დაუბარებდა პრეზიდენტი:

— ანი ხშირად შევხვდებით ერთმანეთს.

„ასე რესტორან-რესტორან თუ ვივლით, შეიძლება!"

შეშას მოიმარაგებდა. გიზო თავაძეს მისალოც წერილს დაუტოვებდა. გაზეთებს დათვლიდა და გაასწორებდა მცირედ. ივლიდა. დაიღლებოდა. ეს გუშინ.

დღეს, ქრისტეშობას, გაზეთებს დაარიგებდა, შეიძლება ითქვას, წარმატებითაც. ხვალაც იგივე საქმე ელოდა, ზეგისა ჯერ არ ეცოდინებოდა.

ერთ ეგზემპლარს მაღალ სუბიექტურ პირს სუფრაზე რომ გადასცემდა, ის გაკეცავდა და ბებიამისს ჩაუდებდა ჩანთაში: არ დამავიწყოო.

საჩხერეში, სუფრაზე აუგს რომ იტყოდა საქართველოს პრეზიდენტზე მსუბუქს, სადღაც სუფრის ბოლოს ერთი დედაბერი ადგებოდა და გავიდოდა.

— ბებიამისია! — ეტყოდნენ.

„პარდონ! ვერ მოვასწარი".

პრეზიდენტს კი არა, კაცს ბებიები და ბაბუები ცოცხალი რომ ეყოლება, პრეზიდენტად არ უნდა წამოაყენოო, — რომ დაწერდა ერთხელ, ეეჭვებოდა, რომ წაკითხული ჰქონოდათ ან ბებიასა და ან შვილიშვილს... ისე ვითომ რატომაც არ შეიძლებოდა მართლაც წაეკითხათ?!.

თუმცაღა სტატია დავით გურამიშვილის ერთი სტროფით რომ მთავრდებოდა, იმ სტროფით შეერბილებინა მწარე ნათქვამი.

აღიდგენდა მეხსიერებაში და ბარემ დღიურშიც გაიმეორებდა:

პაპის პაპა. ბებიანი, მამის მამა, დედის დედა,
მამა, დედა, ძმანი, დანი, ცოლი, შვილნი, ზედი-ზედა.
ღმერთმა ყველა მას უცხოვნოს, თვით აშოროს მას წარწყმედა...

შემოშველებოდა დავით გურამიშვილი, იუმორში გადაეტანინებინა სარკასტული ნათქვამი, ღიმილით გაენათებინა გულისტკივილიც და გულისწყრომაც. ქართლის ჭირს კიდევ ერთი საჭირბოროტო და ტრაგიკული წელი რომ მიმატებოდა და რეზოც და ყველაც ამას ფიქრობდა ახალი წლის მოლოდინში: უფრო უარესი რაღა შეიძლება მოხდესო?!.

წარმოდგენაც არავის ენდომებოდა იმ უარესისა...

თავი მეცხრე

2009 წელი

2009 წლის 1 იანვრის შემოსვლას რა განცდები მოჰყვებოდა რეზოსაგან და: ვნახოთ, დაველოდოთ, გავძლოთო!..

გასულ წელზე უარესი რომ არ იქნებოდა, ეს კი სჯეროდა.

პრეზიდენტი ქუთაისიდან მიულოცავდა ახალი წლის დადგომას საქართველოს. ქუჩაში იდგებოდა თუ პავილიონში — ორმაგი ექსპოზიციით — ვერ მიხვდებოდი. პალტო ეცმეოდა და პირიდან ორთქლი ამოსდიოდა, ქუჩებში კი ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. არა მსმენელი, არა მხლებელი, არა დაცვა და ადგილობრივი ადმინისტრაცია.

— კარგი სიტყვა თქვა, — აღნიშნავდა საოჯახო სუფრაზე, რასაც ღიმილით შე'ვდებოდნენ.

— შებრუნდა უკვე იმისაკენ, — ჩაილაპარაკებდა უფროსი ვაჟი.

იმისი, ვისკენაც „შებრუნებულიყო" რეზო, საახალწლო ნობათი მაგიდაზე ედებოდათ, გვერდით მაგიდაზე, კოხტა კალათით ხელუხლებელი — ინდოურის ამოკლებით (არა გამოკლებით), უკვე რომ დასაცივებულიყო.

„შეებრუნდი? როდის გამოვბრუნდი, რომ შევბრუნებულიყავ?!"

სიტყვა კი, პირველი ნახევარი საახალწლო მილოცვისა, დასტურ მოეწონებოდა.

პირველად და პირდაპირ ეტყოდა რუსეთს, რაც ეკუთვნოდათ, რასაც იმსახურებდნენ, ეტყოდა დალაგებულადაც, გამართულადაც!.. კითხულობდა თუ დაეზეპირებინა, აღარ ჰქონდა ამას მნიშვნელობა. უნდა ამობეჭდილიყო და თარგმნილიყო მსოფლიოს მთავარ ენებზე და გავრცელებულიყო ყველა საშუალებით!..

„აუცილებელია!"

თოვდა, თოვდა, თოვდა იქითაც, ზღვისპირეთშიც, აქაც თითქოს, ქუთაისშიც, მაგრამ სადაც პრეზიდენტი იდგებოდა, ფიფქი, ნაფიფქარიც არ დაეტყობოდა სახეზე!..

4 იანვარი რომ დადგებოდა, ყურადღებას მიაქცევდა, რომ: რამდენიმე წელია ამ დღის სადარ-საავდრო მონაცემებს აღბეჭდავდა. 20 წელიწადს მაინც!.. უფრო ზუსტად? გადახედავდა და გაიგებდა ქუთაისში ყოფნისას დედნები იქ ექნებოდა, ქსეროასლები — აქ! იქ იოლად პოულობდა საჭიროს, აქ — ნამეტურ ძნელად.

წუხელ გაშლიდა თაბახებს, გადახედავდა მასალებს, გადანომრავდა, გადააადგილებდა გადასანომრ-გადასაადგილებელს... აპირებდა დაწყებას,

თუმც თვე ვერ იყო სამუშაო. მისვლა-მოსვლის, მილოცვა-მოლოცვის, სტუმრიანობის ჟამი იდგებოდა და...

თვის მიწურულს კინოკავშირში შეივლიდა, დაუძახებდნენ და მივიდოდა, რაღაც ქაღალდზე მოაწერდა ხელს, თუ არ ეშლებოდა — მეორედ.

ელდარ შენგელაიაც იქ დახვდებოდა და სხვებიც, რაღაც ფინანსური გართულებები რომ ექნებოდათ და დავა „ინვესტორებსა" და მათ შორის კვლავაც გრძელდებოდა. დედამიწაზე კი ეკონომიკური თუ ეკონომიური კრიზისი იკრებდა ძალას...

გვაშინებდნენ და გვეშინოდა, თუმც არც ისე, რადგან საიდან უნდა შეგვშინებოდა, არც კი გეცოდინებოდა.

გიორგი შენგელაიაც გამოჩნდებოდა, რეზოს ისიც დარეხვილი რომ მოეჩვენებოდა, და კიდეც გაზეთებს გადასცემდა ორივე ძმას.

— რა კარგად გამოიყურები? — გაიკვირვებდა რეზოს შემხედვარე ელდარი.

ზამთარი არ მოდიოდა, არც მიდიოდა, არ გვტიებდა, მაგრამ რეზოს ამნაირი ერჩიენა...

გლობალური ათბობაც დაწყებულიყო, გლობალიზაციაც... შეიძლება გაძლება, მუშაობა, წერა. ემზადებოდა, ეზმანებოდა და... ვერა ჯდებოდა. მორეოდა უნდა თავს, სხვას მაინც ვერ ერეოდა და ეს თავი რაღა გახდომოდა?!.

ეკითხებოდნენ სოლომონ ზურგიელიძეს:

— წყალი სჯობს თუ ნავთი?

— დასალევად წყალი!

ამის კვალობაზე რეზო ამგვარ კითხვა-პასუხს შეადგენდა:

— ელექტრონი სჯობს თუ გაზი?

— დასახრჩობად გაზი!

რამდენი იხრჩობოდა და იღუპებოდა მართლაც ჩვენი პრემიერ-მინისტრიდან დაწყებული დღემდე. მოხუცი ცოლ-ქმარიც დამხრჩვალიყო აგერ რამდენიმე დღის წინათ.

ამ გახსენებაზე:

31 იანვარს გამოჩნდებოდა ახალი პრემიერ-მინისტრი, რიგით მეხუთე „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ხუთ წელიწადში ხუთი: ნიკა გილაურს აირჩევდნენ. ორი კვირისა თუ ცოტა მეტი ხნის წინათ არჩეულ გრიგოლ მგალობლიშვილს ჯანმრთელობის გაუარესების გამო — როგორც დააზუსტებდნენ მოგვიანებით: საავადმყოფოში ჯანმრთელს — გაათავისუფლებდნენ. იჯდებოდა სხდომაზე გამოყვიცული, გალიის კურდღელივით რომ აცეცებდა თვალებს.

ეს იანვარი ქე შემოადნებოდა რეზოს. საქმეს ვერ ეწეოდა, ვერ დაძრავდა. საქმეს ებრძოდა უსაქმობით!..

ესეც ხომ საქმე გახლდათ — ბრძოლა. უსაქმობით, მაგრამ ბრძოლად ითქმოდა ესეც. მაინც მოწყენილობა ეუფლებოდა...

აღარც სამინისტროდან ეძახდნენ, აღარც პრეზიდენტის კანცელარიიდან კითხულობდნენ, აღარც გაზეთები აწუხებდნენ...

„მე ხომ ვახევ კალთებს მაგნებს".

12 თებერვალს გაზეთებიდან შეიტყობდა, რომ გარდაცვლილიყო ნუგზარ შატაიძე. არავის არ უნდა დაერეკაო? — წუხილსა და საყვედურს გამოთქვამდა. კარგ მწერლად მოიხსენიებდა. რა დაეწერა მაინც? ვერ გაიხსენებდა რეზო, რადგან მნიშვნელოვანი მგონი არც არაფერი. ნოველები მოსწონდა მისი, როცა კითხულობდა, ახლა არა ახსოვდა რა!..

მიხეილ სააკაშვილი გამოვიდოდა პარლამენტში, კარგად ილაპარაკებდა, ზეპირად, გამართულად და... ბოლოს ისეთს დაარეხვებდა, რეზო კინაღამ სკამიდან გადმოვარდებოდა.

— ბაგრატის ეკლესია (ეკლესიას ვინ უწოდებსო? — გაოცებით და ნაწყენი ჩაურთავდა რეზო, ყურს რომ მოჭრიდა „ეკლესია“ „ტაძრის“ ნაცვლად) ვინ დაანგრია თუ იცით? რუსებმა, მონღოლებს კი არ დაუნგრევიათ, რუსებმა. პასკევიჩმა დაანგრია.

„ახალციხეში აერია ალბათ. ტოტლებენი მაინც ეთქვა ამ ოხერტიალს, ტიალეს...“

წერდა, ათეთრებდა, ათეთრებდა, წერდა. ვერ გამოელია. გამოლევდა კიდეც, მაინც ბევრი გამოდიოდა. ღამისთევა უხდებოდა ფაქტობრივად. ცალი თვალი აწუხებდა... სხვა ისეთი არაფერი.

ნიკა რურუას შეხვდებოდა და ეტყოდა, რომ:

ბაგრატის ტაძარი — და არა ეკლესია — რუსებს არ დაენგრიათ, პასკევიჩი საერთოდ არც ყოფილიყო ქუთაისში. სინამდვილეში მოესრათ ოსმალებს 1692 წელს. ციხე კი 1775 წელს დაენგრია სოლომონ პირველს ტოტლებენის ხელით, რუსის ზარბაზნით, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ ტაძრის დაქცევიდან.

და სთხოვდა:

— იქნებ სხვა გამოსავლის დროს გაკვრით, ვითომ სხვათაშორის ახსენოს ტოტლებენი.

— ვეტყვი, — შეპირდებოდა ნიკა რურუა, რომელიც ყველაზე დაახლოებული პირი ყოფილიყო პრეზიდენტთან.

პოლიტიკური ვითარება ნამეტანი დაძაბულიყო და ვაითუ მსოფლიოს ჭიპი შექმნილიყო ჩვენი საცხოვრისი. რუსეთი ბაზებს გვიშენებდა და: ნატო და ამერიკა არ დავინახო მანდო, — უკვე აშკარად იმუქრებოდა. ნატო კი აცხადებდა: საქართველოდან მთელს ევროპას — შავი ზღვა კიდევ ცალკე — ემუქრება საფრთხეო.

ყირიმი ჩემიაო! არა, ჩემიაო! — ასტეხოდნენ ერთმანეთს რუსეთი და უკრაინა, და რეზოს ფიქრით: უნდა შეეტოვებინა უკრაინას რუსეთისათვის ყირიმი ხვლიკის კუდივით და შემხტარიყო ნატოში. სხვანაირად უფროს დევს (ძმას) ვერ მოიშორებდა.

რა იქნებოდა ხვალ?

ჩვენ აღარ გვეცოდინებოდა.

ამიტომაც ხვალეს ეკითხა ხვალისა!..

მუშაობდა ინტენსიურად „კურუზე“! დიდი გამოდიოდა ნამეტნავად. ითვლიდა გვერდებს და არ თავდებოდა და არა.

„გადანახული ჩანაწერებისათვის“ ჩაინიშნავდა:

დავით გურამიშვილი იყო და:

მე საწუთრომ ბერწოვნება მომახვედრა თავში კომბლად, ძე არ ვიცი, არც ასული, დავრჩიო...

ნიკოლო ბარათაშვილი იყო და:

უშვილოდ, უძეოდა და უასულოდ გადაეგებოდა, ახალგაზრდა გარდაიცვლებოდა, თუმც ცოლიც შეიძლება ჰყოლოდა და ასულიც.

ილია ჭავჭავაძე იყო და:

უშვილო, უმემკვიდრო.

იაკობ გოგებაშვილი იყო და:

უშვილო, ქონებას წერა-კითხვის საზოგადოებას დაუტოვებდა, ფულს, თანხას, ებადა, დაანაწილებდა. ნათესავებს — ხვიშტი.

აკაკი წერეთელი იყო და:

ცოლ-შვილი ჰყავდა და გინდაც არა ჰყოლოდა. დაწერდა კიდეც: მყავს და არცა მყავსო.

გალაკტიონ ტაბიძე იყო და:

ასევე.

გრიგოლ ორბელიანიც უშვილძიროდ.

ექვთიმე თაყაიშვილიც.

ტერენტი გრანელიც.

დავით სარაჯიშვილი იყო და:

დარჩებოდა ქონება ოხრად.

ამას თავისთვის იწერდა გასახსენებლად. იხსენებდა და არ ახსენდებოდა ბოლომდე. წაღებული ექნებოდა სამუშაო. საწერ მაგიდაზე გაშლილ — დაწერილ და დაუწერელ — გვერდებში არც ჩაეხედა.

18 მარტს კოტე ყუბანიშვილს რომ გამოიყვანდნენ კიდევ ერთხელ ტელევიზიით, მას რომ დაუთმობდნენ სიტყვას, ეკრანს, ეს რისი მომასწავებელი უნდა ყოფილიყო?

რეზოს ფიქრით — ფიქრის თავი სადა მაქვსო, ღიმილით დასძენდა — ამ ქვეყნისათვის ისევ ესა სჯობდა. ნარკომანებს ეს ერჩივნა, ამისი პოეზია, და სხვებსაც უბეჯითებდა: ეს გვერჩივნოსო!..

„არ ვიცი, ღმერთმანი, არ ვიცი“.

ვიღაცას გაემარჯვა ტელეშოუში: „ვინ, სად, როდის?“

გამარჯვებულს გადასცემდნენ ოტია იოსელიანის ცხრატომეულს ჯილდოდ!..

დანარჩენებს უსაჩუქრებდნენ ფულსა და ალბომებს გენიალური მხატვრებისას...

და გამარჯვებულს — ოტია იოსელიანი! ცხრატომეული.

რავარიაო?! — ეცინა თუ ეტირა, აღარ ეცოდინებოდა.

10 აპრილსაც და მეორე დღესაც ჩოხატაურში მოუწევდა ყოფნა. საღამოს მოუწყობდნენ ძალიან თბილს, ლამის და კინაღამ ფანტასტიკურსაც: სამრევლო სკოლაში, ნანა მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით. ბავშვე-

ბი, განსაკუთრებით მაინც გოგონები, გამოიჩენდნენ თავს! მგონი ერთი საათი არიგებდა ავტოგრაფებს, მოდიოდნენ რვეულებით, წიგნებით, ქაღალდებით.

ერთი მოზრდილი ქალიშვილი, XI კლასის მოწაფე, ისეთი გრძნობით წაიკითხავდა ნოველას „კუდიანი ვარსკვლავიდან", რომ აატირებდა კიდეც დიდებს და რეზოსაც ცრემლი მოადგებოდა. შეამჩნევდნენ, რაკიღა არც თვითონ დამალავდა.

მეორე დღეს იწვიმებდა და ნისლიც ჩამოდგებოდა, მაგრამ მაინც მიატარ-მოატარებდნენ. უდაბნოს მონასტერი, შემდეგ დედათა მონასტერი აკეთში. სადილობდნენ სატრაპეზოში. რეზოსაც დასვამდნენ.დედაო, მშვენიერი ქალბატონი, ხატს გამოუტანდა და აჩუქებდა.

— თერთმეტნი ვართ.

ზოგიერთი სულ ბავშვი აღმოჩნდებოდა და გული გადაეწურებოდა რეზოს: რა უნდათ აქო. ჯერჯერობით გამოსაცდელი ვადით იყვნენ, ოთხი წელი ამ რანგში უნდა გაეძლოთ, და თუ გაუძლებდნენ გამოცდას, მერეღა აკურთხებდნენ მონაზვნებად.

ადგილები — ულამაზესი, მონასტერი უდაბნო — სამოთხე. წყლები, ღელეები... და ინატრებდა: აქ დამსვა ნეტა ზაფხულშიო.

ერთი გოგონა აჩუქებდა ტილოს, მოზრდილ ფერწერას: ესაა „მუსიკა ქარშიო".

„უცნაურია, მე და ჩემმა ღმერთმა!"

სუფრები — რბილი ღვინითა და სამარხვო საჭმელებით. განათლებული მამაო, ორი მღვდელი — ახალგაზრდები.

ამ თვალით გურიისათვის არ შეეხედა აქამდე...

გაიხსენებდა იქაურებს, თავისებს, თავისიანებს, სადღა იყვნენ?!

გივი ძნელაძე, ზაურ ბოლქვაძე, ავთანდილ ჩხიკვიშვილი.

დააფიქრებდა ის, რომ: გივი ძნელაძე არ ეცოდინებოდათ, არ ეცნობებოდათ პოეტი, მათი თანამხრელი, მათი მეზობელი, მეზობელი სოფლიდან.

ამასობაში თბილისის ამბები ხომ!..

„ხაშლამა, უკაცრავად — გრეჩიხა, პუგაჩოვი გამიხდა... ეს რა ნაგავი შეიყარა ხაზიქით და ხაზაქეთ კლასობანას თამაშში".

— წადი, მიშა, ხო იყავი, აწი ჩვენ მოვალთ, წადი, მიშა, მოვდივართ!

და სხვა შეიძლება ეთქვა რეზოს:

დიდი ვინმე მოდიხარ, მამიშენის მზემან! ვაის გავეყარე, უის შევეყარეო.

წერდა, აქვეყნებდა: ერთისა არა მწამს, მეორესი არა მჯერაო!..

ეს არ იკმარებდა: თუ პერსონალურად არ აგინებდი ხელისუფლებას, ამ მომენტისათვის — სააკაშვილს, არ აინტერესებდათ. ერთის დედაც და მეორესიცო — ეს არაფერს ნიშნავდა.

ხელისუფლებას ლაყე კვერცხად მოიხსენიებდა.

იმ ვიღაც ოპოზიციას — აქოთებულ წითელ კვერცხად.

და... წითლები და ამერიკელები ებრძოდნენ ერთმანეთს.

არა, მე უნდა ვიყო მაქანეო... შენ არ უნდა იყო მაქანეო...

„რას შობი ახლა?!."

წითელ პარასკევს მძიმე მარხვას დაიცავდა თითქოს, არ ემძიმებოდა... ჩამოვიდოდა ქუთაისში დიდ ხუთშაბათს შეხვედრაზე აქაურ უნივერსიტეტში. ჩატარდებოდა თბილად, ლამაზად. მიანიჭებდნენ საპატიო დოქტორის წოდებას. ხელს მოაწერდა გიორგი ონიანი.

მეორე აღმოჩნდებოდა ამ წოდების მფლობელი — პირველი მეუფე კალისტრატე იქნებოდა. და ჩაღიმებით ჩაიღიმებდა მისებურად: ვინ იქნება მესამე ანუ სამეულში, საპრიზოში, ვინ მოხვდებაო...

ადრე ერთ დაუმთავრებელ შენობაში — დაუმთავრებელში კი არა, დანგრეულში — სამუშაო ოთახს რომ გამოუყოფდნენ, სიგელსაც მიართმევდნენ:

— ეს სიგელი გახლავთ დასტური იმერეთისა და ქუთაისის მიერ ბატონი რეზო ჭეიშვილის დიდი აღიარებისა და მის მიმართ დიდი მადლიერებისა, დასტური იმისა, რომ მას, როგორც დიდ მამულიშვილს, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თანხმობით, პრეზიდენტის მიერვე 1993 წელს სპეციალური გადაწყვეტილებით შექმნილ კულტურის საერთაშორისო ცენტრში გამოეყოფა ისტორიული შენობის ნაწილი და მიწის ფართი მისი სახელობის სალონის დამკვიდრებისათვის...

ხელს აწერდნენ: თემურ შაშიაშვილი, გუბერნატორი, და ედუარდ ფალიანი, ქალაქის მერი.

გამოუყოფდნენ, და არამარტო რეზოს.

„სად არი მერე?"

ეს მომხდაარიყო 2003 წლის 21 სექტემბერს, ღვთისმშობლობას.

გახლდათ თერჯოლის საპატიო მოქალაქე.

ქუთაისისა — თავისთავად. რატომღაც ორჯერ აირჩევდნენ. ქალაქის სიმბოლურ გასაღებს გადასცემდნენ, დიპლომსა და ასე შემდეგ.

იუმორის დინოზავრი რეზო ჭეიშვილი — ეს სიგელი გახლდათ.

1980 წლიდან ჩაეწერა თუ ამოეწერა და არცერთხელ, ამ ხნის განმავლობაში, მისი დაბადების დღე აღდგომას არ დამთხვეოდა. სულ „ვოკრუგ ი ოკოლო"!

ჩამონერდა, ჩამოამწკრივებდა ამ აცდენებს, ამ „ვოკრუგ ი ოკოლოს"...

ახლა, აღდგომისწინა შაბათს, ისევ წვიმდა, ისევ გაავდრებულიყო. ბოლო ოც წელიწადს, რაც ახსოვდა, აპრილი აპრილს აღარ ჰგავდა. არეულიყო, ჰოი რარიგ არეულიყო...

ნამეტანი გაახურებდა (ამ ჟარგონულ გამოთქმას ამჯობინებდა რეზო) ოპოზიცია, დარბოდნენ, მარა რას დარბოდნენ!..

ხელისუფლება — ლაყე, ხელმძღვანელი ხელისუფლებისა — შეურაცხადი. გადადგეს, წავიდესო, — ასტეხოდნენ. რეზოც იზიარებდა ამ მოსაზრებას, მაგრამ ამნაირი რევოლუციური მოთხოვნებითა და მოთხოვნილებებით — არა! ცხრა აპრილიდან 1 მაისამდე მთელი სამი კვირა იქნებოდა. გადაკეტავდნენ ქუჩებს, ცენტრალურს, ჩარაზავდნენ პარლამენტს, პრეზიდენტის ახალ კანცელარიას... ლანძღავდნენ, აფურთხებდნენ ყვითელი გადაცემებიდან და პრესის თავისუფლებას ითხოვდნენ.

„მეტი რაღა თავისუფლება უნდათ???"

ბოლო გამარჯვება — იმათი ამათთან: ერთი შეგეწვა, მეორე მოგეხარშა!

გადაკეტ-გადმოგეკეტა ქუჩები და... პასუხი არავის მოეთხოვა. არც თხოვდნენ, და რეზო ამ გარემოებას იმით ხსნიდა: გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო!..

პოლიტიკური ვითარება გულს უწუხებდა. რუსეთი სულ აიშვებდა, გვაწვებოდა, არ გვეშვებოდა. იქიდან ნატო გვიახლოვდებოდა. ოპოზიცია გათავხედდებოდა. დედაკაცების პოლიტიკური ტუტუნი გულისამრევი ეჩვენებოდა.

13 მაისს — რაღა ცამეტშიო, არ ეჭაშნიკებოდა — ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მიიწვევდნენ შეხვედრაზე. არ ენდომებოდა, მაგრამ სამუშაო განაწესში ჩაენიშნათ და, რეზო რომ არ დასწრებოდა, მაინც ჩაატარებდნენ. გაქცევაც არ ივარგებდა, წაქცევას აჯობებდა მაინც...

„24 საათის" ახალ დამატებაში, ფორმატი გაეზარდათ, ორ გვერდზე რეზოს მასალა უნდა ყოფილიყო: კითხვა-პასუხი და სხვაც. მოიცლიდა ხვალ საიმისოდაც.

ჩაივლიდა აპრილი მძიმედ, უამინდობით. აღდგომას გამომზეურდებოდა და შემდეგ — უღიმღამოდ. მაისის დამდეგს იგრძნობდა გაზაფხულს მხოლოდ!..

რუსეთს გავჩხეროდით ყელში და გადაყლაპვასაც ვერ გვიხერხებდა. ამ ამბავს ვერ ინელებდა ორი მახინჯი ლილიპუტი — ბოლმა... გამჭვირვალედ იგულისხმებდა ვლადიმერ პუტინსა და დმიტრი მედვედევს... საბჭოეთი ელანდებოდათ, ჰიმნს იმავეს დატოვებდნენ, ლენინი იქ ეწვებოდათ (არ გამოლეოდეთ იმდაგვარი მკვდარიო, — სარკაზმით ჩაურთავდა), ახალგორს ლენინგორს დაარქმევდნენ კვლავ, ოსეთს იერთებდნენ, აფხაზეთს გვართმევდნენ აშკარად...

ახლა რეზოზე უნდა ყოფილიყო რაღაც გადაცემა, და ორი დღე-ღამე მის გვარ-სახელს ატრიალებდა ტელევიზია. ბაზრობაზე გავიდოდა ახალ ქუთაისში, მისჩერებოდნენ, აჩერებდნენ, ცუდად ხდებოდა. ურეკავდნენ, ბათუმიდანაც კი დაურეკავდა ჯემალ ჯაყელი. გაზეთები — ზოგიერთი გაზეთისა სახელწოდებაც არ ეცოდინებოდა — სთხოვდნენ: დიალოგიო, ინტერვიუო... აპირებდა „კვირის პალიტრისათვის" მიეცა ინტერვიუ, ოღონდ კითხვარი წერილობით უნდა გადმოეცათ.

„ვნახავთ, ვნახოთ, გვნახონ".

12 მაისს ქუთაისის ტელეარხი „რიონი" გადაიხდიდა არსებობის 20 წლისთავს. ბანკეტზე იქნებოდა გრიალი ორკესტრისა და... ვირის ყურები უნდა გქონოდა, ამ კაკაფონიისათვის რომ გაგეეძლო. რას უკრავდნენ და როგორ, მაგრამ ტექნიკა ჰქონდათ — მტრისკარს!.. დინამიკები... ეს დღე კოშმარივით დაახსომდებოდა.

კარგი არაფერი ხდებოდა. არეულობა. უაზრობა... რეზო თავის თეზას გამოაქვეყნებდა რამდენიმე გაზეთში:

ხელისუფლებას თავმოყვარეობა არ გააჩნია, ოპოზიციას, ეგრეთწოდებულს, ნამუსი და მორალიო.

აგინებდნენ, აფურთხებდნენ მიხეილ სააკაშვილს, გაყუჩდებოდა, გაქრებოდა და გამოჩნდებოდა პირდაბანილი, გასუფთავებული და... მიდიოდა ცხოვრება ასეთნაირად.

ლიტერატურის ინსტიტუტში გამართულ შეხვედრას მოიწონებდა.

მწერალთა კავშირის ყრილობაზე მხოლოდ თუ იცინებდა, აღარ არსებობდა ეს მწერალთა კავშირი და რისი რას ყრილობას ატარებდა, მარტო ორიოდე ადამიანს, თაღლითური ბუნებისას და საბჭოური ეპოქის გადმონაშთს, თუ ეცოდინებოდა.

სამ დღელამეს მარტოდმარტო იქნებოდა ქუთაისში, თავის სახლში, იმუშავებდა ფიზიკურად ეზოში და დასასრულისაკენ წაიყვანდა წიგნსაც „კურუ". ემზადებოდა გაზეთის ახალი ნომრისათვის: „ბაგრატი 2009".

ვარლამი ხდებოდა 95 წლისა და შეპირებოდა რეზო: გადაეხადა მისთვის დაბადების დღე.

იქით, აქეთ და...

ეს გახლდათ რეზო ჭეიშვილის ყოფის დღე, მისი ცხოვრება.

ამ სახლში, ამ ბინაში არავინ იმყოფებოდა მის მეტი, არც არავის ეცოდინებოდა, აქ რომ იყო. რეზო არავის ეხმიანებოდა.

ააკითხავდა ბაგრატის ტაძარს. მიმდინარეობდა მუშაობა. მშენებლობა. საქმე — დასაწყისი — მაინც იმ დონეზე იქნებოდა, უკან ვეღარ დაბრუნდებოდა, ეს აღარ შეიძლებოდა. მთავარი იყო დროზე ამოეყვანათ საყრდენი სვეტები, ბურჯები საგუმბათედ. ყველაფერს აწონასწორებდა მთავარი — დღევანდელი ტექნოლოგია — არმატურა ყველა პრობლემას მოაგვარებდა... ანუ გადაწყვეტდა სამყაროს პრობლემას და დაიმარხებოდა სულ მალე.

მთავარი ტაძარი მისივე სიდიდის — ბალავრის მიხედვით — ბაზილიკაზე დამყნილიყო. ახლა იმასაც ამტკიცებდნენ: კიდევ არის მიწაში სხვა, მესამე ბაზილიკა, რაც გამოსაკვლევიაო. და რეზოს უხაროდა ეს სიახლეები რომ ჩნდებოდა და აგულიანებდა და აგულიანებდა ყველას: ცდა არ უნდა დავაკლოთო.

გარდაიცვლებოდა მედეა ჩახავა, რომელსაც რეზო მოიხსენიებდა კარგ ქალად, აქტიორად კი არა უშავდა, თუმც არასოდეს ყოფილიყო პრიმადონა თეატრში და მითუმეტეს — კინოში. ახსენდებოდა მისი სიმღერა „პეპოდან": კოკობო ვარდო, არ დამაგდოო, — და მიიჩნევდა, რომ ეს იყო ეროსი მანჯგალაძის დანამატი ამ სპექტაკლში. სხვას ვერას გაიხსენებდა.

16 სექტემბერს ბაგრატის ტაძარს ესტუმრებოდა და კარგა ხანსაც ჩააცქერდებოდა ერთი სამარის გახსნას, და მოუნდებოდა, მეორე დღესაც ასულიყო. ხედავდა, როგორ ყრიდნენ ზევით ძვლებსა და ძვლების ნაწევარს და ერთ ალაგას აგროვებდნენ. პროცესი ნელა მიმდინარეობდა და აჩქარებას არც ემორჩილებოდა.

— რაა ადამიანი, — იფიქრებდი ამ დროს და გეცოდინებოდა, რომ იქ ადამიანი არ გახლდათ, არც ყოფილიყო, მხოლოდღა ძვლები...

რა ფიქრები გაუჩნდებოდა და:

არ შეიძლება, რომ კაცს წინასწარ დაეტოვებინა იქ, სადაც მომავალში უნდა დამარხულიყო, საკუთარი სხეული, ძვლები მაინც, და დაბრუნებულიყო შინ?..

ხომ ეცოდინებოდა, სადაც უნდა დამარხულიყო მთლიანად, მივიდოდა, დაჯდებოდა... იქნებ აღარაა ადამიანიო, — იტყოდა. აბა სხვისი ძვლებისათვის როდემდე უნდა ეყურებინა!.. მიხედავდა ერთხანს საკუთარ ძვლებს...

ბაგრატის ტაძრის აღდგენის წინააღმდეგ წამოწყებულ მოძრაობასა თუ კომისიის სხდომაზე დაასწრებდნენ. მოითხოვდნენ: მოდიო, — და მივიდოდა რეზოც, — ღიღინის გუნებაზე რომ დადგებოდა მაშინაც და მერეც, იმ შთაბეჭდილებებს დღიურში რომ ჩაინიშნავდა: ვარდო, შენს შლას მოველი, სიტყვა მაქვს სათხოვნელი, ეკალზე ვარ მჯდომელიო...

ისე იტატყანებდნენ ვიღაც ქალები, შეიძლება გადარეულიყო კაცი, მაგრამ რეზო მაინც მიიჩნევდა, რომ ეს დღე მუქთად სულაც არ დაეკარგა!..

აქეთ-იქით და ყველა ფეხის ნაბიჯზე პრობლემები ჩასაფრებოდა... ქე იქნებოდა მაინც ორ ფეხზე მდგარი.

კორესპონდენტი ესტუმრებოდა ჟურნალიდან „სარკე“, მანანა გეგია, რომელიც ჭკვიანი ქალის შთაბეჭდილებას დატოვებდა რეზოზე.

— არა ვარ თქვენი რესპონდენტი, — გააფრთხილებდა, მართალს ეტყოდა, ასე იყო და... — რაც გინდა, როგორც გინდა დაამონტაჟე ჩემი ჩანაწერი, არც წავიკითხავ, — ეს სხვისთვის არასოდეს ეთქვა, ეს იმიტომაც, რომ ფიქრობდა: რა ჩემი საქმეა ეს „სარკე“, რა უბედურებააო.

იმ წუთას არ გაახსენდებოდა, თორემ უსათუოდ ეტყოდა აკაკი წერეთლის სტრიქონებსაც:

ეს გული, სარკედქცეული, ბუნების ნათავხედია, მხოლოდ მის სახეს აჩვენებს, ვისაც შიგ ჩაუხედიაო...

გაზაფხულდებოდა თითქოს ხელახლა. ოქტომბერი მშვენიერი ამინდებით შემოვიდოდა. ეს სამი დღე ასეთი გახლდათ და პროგნოზიც მომავალი დღეებისა კარგს იუწყებოდა.

გარდაიცვლებოდა ოთარ ჭილაძე და დაკრძალავდნენ მთაწმინდაზე.

„ნამეტნავად გაუშინაურდნენ იქაურობას, ვისაც როგორ უნდა, ვისაც როგორ მოესურვება, ისეც დაიკრძალება და დაიმარხება“.

მთაწმინდის პანთეონი დაიხურებაო! — გამოაცხადებდნენ.

„რალაცაშიცაა საქმე!“

ეძახა ახლა პრეზიდენტისათვის ჭაბუა ამირეჯიბს წუპაკი.

დაასწროო, — გაიფიქრებდა რეზო, — აქამდე მივიდა საქმეო.

ქუთაისში იყო წასასვლელი, გაზეთი ელოდებოდა, მაგრამ შერჩებოდა თბილისს, რაკიღა ოთარ ჭილაძე მისი კბილა გახლდათ.

როგორც კი „კურუს“ მორჩებოდა და ჩააბარებდა — ეს კი უნდა მომხდარიყო ამ წელიწადს — დააპირებდა წამოეწყო ახალი თხზულება: „როგორ ვსვამთ“.

უამრავი მასალა არსებობდა ისტორიული, ნაღდი, რაც ენახა, რაც გაეგონა, ჩვენიც და სხვებისაც, უცხოელების, მისიონერთა ჩანაწერები...

ეზოში შრომის, თავს რომ გამოიდებდა, საზღაურად — სასმელი მცირედი.

და კვლავ წერა, თხზვა, გასწორებულის გასწორება, ისევ გასწორება... ამ პროცესში ჩაფლულიყო. ერთფეროვანი დღეები მიწყობოდა ერთმანეთს, დრო კი მაინც მიდიოდა, არ ჩერდებოდა.

ვის ვჭირდები, ვის ვახსოვარ, ვინ დამეძებს მეო, — წამოაგონდებოდა ნოე ჩხიკვაძის — შეცდომით ვარლამად რომ მოიხსენიებდა — ერთი ლექსი, იმასაც დაეწერა გულისამაჩუყებელი...

ბაგრატის ტაძარს ააკითხავდა კვლავ. ჩამოვიდოდა ვითომკომისია. ეკლესია იცავდა თავის საკუთრებას. „გარეშე" რეზო აღმოჩნდებოდა მხოლოდ. ქალაქს ეს საქმე, — ტაძარი აღდგებოდა თუ არ აღდგებოდა, — ფეხებზე ეკიდა (ამ მძაფრ გამოთქმასაც არ მოერიდებოდა რეზო, ისე მორეოდა გულისწყრომა). მეუფე კალისტრატე რაღაც ირიბულად უყურებდა და რეზო ვერ ხვდებოდა, რატომ. აპირებდა სამ სხვადასხვა გაზეთში გამოექვეყნებინა თავისი მოსაზრება, რათა მეტი მკითხველი ჰყოლოდა.

24 ოქტომბერს გაუმართავდნენ საღამოს ნესტან კვეიძეს, კარგ საღამოს, კარგად რეპეტიციებგავლილ სპექტაკლს. თვითონ იფოფალებდა შიგადაშიგ უადგილოდ, თორემ ურიგო არც ნესტანი იქნებოდა. შემდეგ რასაკვირველია ვახშამი და — რაც რეზოსათვის მოულოდნელი და ფრიად სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდებოდა — თეატრი, მსახიობი ქალები... ასე როგორ ვხსომებივარ ყველასო, გაოცდებოდა. იქნებოდა მოფერება, გახსენება, „ჩაკარტოჩკება" ჯგუფური და ერთი ერთთან — არა. არტისტი ქალები, ქალბატონები ფრიად უშუალონი და თავისუფლები რომ არიან ხოლმე ასეთ დროს, ამდაგვარ ვითარებაში, ამჯერადაც მათი მოქმედება მოკლებულიყო იმ იდიოტურ სერიოზულობას, როცა მამაკაცი თავს იფასებს და ითხოვს იქით ყურადღებას... ეს დრომდე და მომენტამდე, ბახუსი რომ აიღებს ხოლმე სადავეებს და იწყება ვაკხანალია, რაც ქალბატონებს უკვე აღარ მოსწონთ... ის წასაყვანია, იმას უნდა გავეპარო, უკვე მელოდებიან, გვიანია და ამისთანები. მოკლედ კარგი იქნებოდა სუფრაც და თეატრიც.

29 ოქტომბერს შეივლიდა სტამბაში და გვარიანად დიდ ხელნაწერს მიიტანდა ასაწყობად, გაზეთის ერთ გვერდში რომ არც ჩაეტეოდა: „დემოკრატიის დიქტატურა"...

მეორე დღეს სოფელ ამაღლებაში მოუწევდა წასვლა გასვენებაში — გარდაიცვლებოდა მურმან ჩაჩუა, კაი კაცი, შემოქმედი ფოტოგრაფი.დიდად დავალებულად გრძნობდა თავს მისგან რეზო, ბევრი ფოტო ერგებოდა, ზოგიერთს კი დაიტოვებდა მურმანი... არქივში ექნებოდა.

ამათკენ ექნებოდა მხარი მოქცეული: მუხრან მაჭავარიანი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე და რეზო, ვიდრე ერთად იქნებოდნენ, ვიდრე გაიყოფოდა ხალხი, მეგობრებიც კი, ბოლოს სამწერლო გაზეთიც დაიხურებოდა.

მუხრანი შინიდან აღარ გამოდიოდა, თამაზიც შინ გამოიკეტებოდა, გივი გარდაიცვლებოდა... იორამ ქეემეტელიძეც, ჯურხა ნადირაძეც, აგერ მურმანიც — მოულოდნელად.

1 ნოემბერს ქუთაისის თეატრის სპექტაკლს დაესწრებოდა — „რომეო და ჯულიეტას", პანტომიმას. არ გახლდათ საპანტომიმო, მითუმეტეს საქუთაისო ნაწარმოები, მაგრამ ქეც მიემსგავსებინათ რაღაცისათვის.

— თქვენი შეფასება? — ჰკითხავდა შინაური.

— არაა საჩემო.

დამთავრდებოდა თუ არა, დურთავდა თავს და გამოვიდოდა, მოერიდებოდა შემქმნელებს. ეკითხა კიდევ თურმე მთავარ დამდგმელს გიორგი სიხარულიძეს.

კოსტიუმები მოსწონებოდა, მოძრაობა, პლასტიკა. ახალგაზრდების სერიოზულად თამაში. მუსიკალურ გაფორმებას კი... უბედურებად მიიჩნევდა. და არც მუსიკა იქნებოდა მთლად შესფერი და მისადაგებული. სახელდახელოდ მეტი რაღა ეთქვა.

მას შემდეგ აქ იქნებოდა, ერთი კაცის გაზეთს გააკეთებდა მძიმედ და ძვირად. აიმედებდა ის განცდა თუ მოსაზრება: გაზეთიც ქაღალდია, ფულიცაო. ოქროს ტალერები, ლუიდორები რომ ჰქონოდა, მაშინ სხვა იქნებოდა!..

თვლემდა ხოლმე მუშაობისას, ძილი ჯაბნიდა და არა თავი, რომელიც ჯერჯერობით ადგილზე ექნებოდა...

ქვების აბოჭვისა და შეგროვების დრო იდგებოდა.

გელათშიც ავიდოდა, ბაგრატზეც იბოდიალებდა. რაც დაეტოვებინა, ის დახვდებოდა სახენაცვალი მცირედ...

„სხვა არაფერი, ჩემო ბატონო, სხვა არაფერი!.."

ქუთაისში მზე იქნებოდა სითბო. ახლა ღამე ჩამომდგარიყო. ქარი იმძლავრებდა. ის ქარი აღარ იქნებოდა, რომ იყო; ის ქარი ენატრებოდა კიდეც.

— უი, უი, უი, ქარს ვერ ვიტან.

— რა საზიზღარია ეს წვიმა.

— სიცხეს ვერ ვიტან, არ შემიძლია გაძლება, ვიხრჩობი.

— ამას ვერ ვიტან, იმას ვერ ვიტან.

„აბა რას იტან, შე ოხერო".

რეზოც ვერ იტანდა სხვათაშორის თოვლჭყაპს.

„დანარჩენი რაა, ყველა და ყოველი არა ჩვენითაა, ცითაა..."

მიწისძვრა გახლდათ საშინელი, თორემ სხვა, სხვა რა — ჭექა-ქუხილიც უყვარდა, ელვაც, ქარიც მყუდროდან, ღელვაც ზღვისა გარედან, ზაფხულის წვიმაც. თავსხმას რა სჯობდა — ისხარს... მოულოდნელად რომ დაასხამდა კოკისპირულად, ხმელი შარაგზის მტვერი რომ იბურცებოდა პატარ-პატარა ბუშტუკებად და მიწის, სუფთა მიწის (სადღააო, — დაიკვნესებდა) სურნელი დადგებოდა.

პირველი თოვლიც სიამოვნებდა. ყინვამშრალი — არა, გაჭირვების მოგონებასთან აიგივებდა და არ ეყვარებოდა, არც ეზარებოდა, ვერატანასაც არ განიცდიდა, არ ენდომებოდა უბრალოდ, უკეთესი სურდა.

„რას ვბოდავ, ვიცოდე მაინც".

როდის გავიდოდა ამ რვეულის ბოლოში? ამ წელს გაასრულებდა ამით უეჭველია და გადავიდოდა ახალ ჟანრში...

რა დღე იყო? ოთხშაბათი. და წლის გარეგნულ იერს ჩაუკვირდებოდა: 2009. რამდენ ხანს იქნებოდა ორი ნოლი ორ რიცხვს შუა? გაისად ერთი დარჩებოდა: 2010 — და ერთი ორს ბარე ორ წელს არ მოშორდებოდა, ვიდრე ჩამოდგებოდა 2100. ბარე ორი ვერ მიაღწევდა იქამდე დღეს, წელს, ვთქვათ 7 ნოემბერს დაბადებული. გაისად, 2010 წლის ნებისმიერ რიცხვში დაბადებული ადამიანი, თუნდაც ვარლამის ხნისა, დახურავდა წელს კი არა, საუკუნეს 2105-ში. და ერთი ნულიც წავიდოდა. ორივე? 2115-ში. როდის იქნებოდა ეგ?..

გაცდებოდი თუ არა გელათის გადასახვევს — თუ უფრო ადრე? მგონი მოწამეთამდე — ეწერებოდა ოკრიბა... უპატრონო ქუთაისს პატრონი რომ არა და არ გაუჩნდებოდა!.. წყალწითელა ხომ აღარ იყო და აღარ ქუთაისის, და იაზონის გამოქვაბულის წინაც კი... აღარ მოუნდებოდა სიტყვის გაგრძელება რეზოს.

მოკლედ და ბუნდოვნად კი (არლი თაყაიშვილის იუმორისტულ, პარადოქსულ შეძახილს მოიშველიებდა):

იქნებოდა ოკრიბაში, ეგრეთწოდებულში, ვერა გრძნობდა თავს კარგად ფიზიკურად. ჯერ მოწამეთას ნახვას გადაწყვეტდა, შემდეგ გელათის. მოულოდნელად გადაუხვევდა მწვანეყვავილას ეკლესიისაკენ. პანთეონში ყველაფერი დახვდებოდა... პანთეონის გარდა. აქ დამარხვა 100 წლის შემდგომაც არ გენდომებოდა პატიოსან კაცს...

დათქვამდა შემდეგი ნომრისათვის... საინტერესო იქნებოდა...

ახლა ისევ ოკრიბა, გზა გამოიტყუებდა, დააპირებდა ორპირამდე. წახდებოდა გზა კურსებს იქით... ორპირი კაი დაუხვდებოდა, გაყვებოდა, წახდებოდა და... აღარ გაჩერდებოდა. მიადგებოდა ჯვარისას... ბერიოულის კლდესა და შუკისნაირში ხიმე-ღობეს დაინახავდა და მოტრიალდებოდა. გაჩერდებოდა, იდგებოდა კარგახანს.

და აღარ გაახსენდებოდა და... რას აღარ გაიხსენებდა...

გზად ერთი კაცი შეხვდებოდა, ორპირისაკენ მიმავალი, მანამდე ქალი ბავშვით, ერთ ალაგას — ხარები და ურემი გვერდზე მიყენებული... იდგებოდა, მობრუნდებოდა. ნისქვილამდე (სადღა იყო, თორემ...) მანდიკორის ასახვევს ახედავდა. აქეთ რომ გზა ჰქონოდა, რა აივლიდა აღმართს. როგორც ჩანდა ამ ფიქრში ისევ მარცხნივ გაეხვია. დაინახავდა ისარს: ნაძვა. როდის დაიწყეს გადაისვრაო, — გაიფიქრებდა, — აქედან მომავალმა რატომ ვერ შევამჩნიეო? კისორტს ისარი მოსდევდა, რა ხდებოდა... ჭყეპის ნაწისქვილარ-ნაციხართან სიპ ქვებზე გადმომდინარე ღელეს იცნობდა: ღვაღვანას... ეს სად მისულიყო.

ჯერ არ დაღამებოდა და გზის გაგნებაც არ დასჭირებოდა!.. ადამიანი არ ჭაჭანებდა, კაცს გამვლელსა თუ გამომვლელს ვერ დაინახავდა, რომ გზა მიესწავლებინა. მობრუნდებოდა, სხვისი სწავლება რად უნდოდა. ჩქარა კი ნამოვიდოდა ამ უგზოზე. სრული შთაბეჭდილება შეექმნებოდა, რომ იქ აღარავინ აღარ ცხოვრობდა; სარეკელას რიკუნი კი ესმოდა, საქონელსაც მოჰკრავდა თვალს აქა-იქ, მაგრამ ძაღლის ყეფასა და მამლის ყივილს ვერ

გაიგონებდა!.. ორპირში კი ბირჟასავითაც იქნებოდა მაღაზიასთან — ბირჟის წევრებითურთ... სხვა არაფერი...

სავალალო სურათად აღიქვამდა ამ ყოველივეს.

გადაწყვეტდა: ამ გიორგობას ასულიყო სასაფლაოზე ვარლამთან ერთად. ვერ ყოფილიყო კარგად. ხვალ ააკითხავდა შინაც — ჯვარისაში. მაისის გიორგობას იხდიდნენ და ნოემბრისას — არა!.. უცნაური ეჩვენებოდა ეს რეზოს.

აღარ დაადგებოდა საშველი მის გაზეთს და აღარ იცოდა, აქ რა ეკეთებინა. იქ რომ ჩავიდოდა, თბილისში, რას გააკეთებდა რო?.. სიცარიელე. იქ ბავშვებს მაინც დაელაპარაკებოდა, ნახავდა... გამოკეტილიყო აქ — თვე გახდებოდა მალე.

„ეს დღეა სამუშაო არ წამომიღია და შინ რომ მივალ, რა ვქნა?!."

ჰქონდა კი აზრი გაზეთის გამოცემას?

ხარჯი — დიდი, შრომა — უმადური ერთი კაცისათვის...

გადაათვალიერებდა ორ გაზეთს, ორივეს მრავალგვერდიანსა და მრავალტირაჟიანს და... დახვდებოდა ერთიდაიგივე... ერთსადაიმავეს ბეჭდავდნენ ვარიაციებად და ეგ იქნებოდა.

ერთი ანეკდოტიც, ადრეც სმენოდა, მოეწონებოდა „კურუსათვის": „კლუჩების მიმწოდებელი". გადაამუშავებდა თავისებურად.

ერთ ლექსსაც გაეცნობოდა, პაროდიას რუსთველურს კოკო გამსახურდიაზე. ტარიელ ჭანტურიას გაკეთებულს ჰგავდა. ვითომ? ოსტატურად, დალაგებით მიჰყვებოდა სტრიქონი სტრიქონს. ერთს კიდევ გადახედავდა და...

„ნაღდად იმისაა, ტარიკოსი..."

თუ ჩამოიბეჭდებოდა მისი გაზეთი „ბაგრატი 2009", ოციოდე ცალს, როგორც პირდებოდნენ, აიღებდა და წაიღებდა, უკეთეს დროს სადღა იშოვნიდა. „ხელისუფლების არ მჯერა, ოპოზიციის არ მწამს"— ანდა პირიქით: ეს იყო შიგ და საშუალება ეძლეოდა პირდაპირ, „საკუთარ ხელში ჩაებარებინა" ადრესატისათვის მისივე რეზიდენციაში...

წავიდოდა, არ წავიდოდა, გაემგზავრებოდა... ამინდს გააჩნდა. ავ ტაროსს ვერ აჯობებდა. არადა ციოდა, სადღაც თოვდა კიდეც...

გიორგობადღეს ჩამოვიდოდა თბილისში და წამოიღებდა გაზეთის 40 ეგზემპლარს. მიღება დანიშნულიყო საგიორგობო პრეზიდენტის სასახლეში, დაპატიჟებდნენ და მივიდოდა გაზეთების გამო და გადასცემდა კიდეც. თუ წაიკითხავდა, ხო კაი, თუ არადა ო 'კეი! თუ როგორც იყო. მერე სუფრა მოჰყვებოდა ნოდარ გრიგალაშვილის ეგიდით.

მღვდლები იქნებოდნენ იქ, მამაოები და მეუფეები და უფრო ქვევით და არა ზევით. რეზო და ბესიკ ხარანაული თეთრი ყვავებივით გამოჩნდებოდნენ მათ ფონზე. კი ფიქრობდა რეზო: რა მინდა აქ? ეს არაა ჩემი ალაგიო, — მაგრამ ახლა კმაყოფილი იქნებოდა...

დანარჩენი გამოჩნდებოდა. დაღლილი იქნებოდა, უძინარი და ნაჭამი. რა უნდოდა — არ იცოდა.

დაარიგებდა, მიარიგებდა, მოარიგებდა ახალ ნომერს.

დაესწრებოდა გრიშა მეგრელიშვილის — პოეტის — საღამოს ქორთიარდ მარიოტის საკონფერენციო დარბაზში. წამყვანი და ორგანიზატორი იქნებოდა გრიშა (გრიგერ) ფარულავა, რეზოს თანაკურსელი. კარგად ექნებოდა ორგანიზებული შეკრება, ბევრი დაეპატიჟა როგორც ჩანდა და ბევრიც მოსულიყო. პოეტის ფსევდონიმი გახლდათ მთის ნიავი, ამათ, გრიშას კომპანიას, დამატებით — თითქოს ერთი არა კმაროდა — ბედის მდინარეც მიემატებინათ. რეზოს შთაბეჭდილებით: არც ერთი ექნა ღმერთს და არც მეორე, თუმცაღა ცუდსაც ვერ იტყოდი. უცნობი პოეტი აღმოჩნდებოდა — და არამარტო რეზოსათვის. პოეტი კი გმირულად დაღუპულიყო 19 წლისა. 19 წლისაო, ლექსში ახსენებდა გიორგი ლეონიძე, სხვებიც 19-ს იმეორებდნენ. თუმცაღა დაბადება-გარდაცვალების წლების მიხედვით 21-ისა, რა შეღავათი იყო, გამოდიოდა.

ჰო, ჰამილკარის ქალო, სალამბო,
შენ ფეხთით ვკვდები მე, ბარბაროსი,
გულს შემომედო, როგორც მალამო,
გველი, პითონის შხამი, ქაოსი...

ეს სტროფი ეცოდინებოდა რეზოს სტუდენტობისას შოთა ჩანტლაძისაგან.

— გაგიგიათ თქვენ გრიგოლ მეგრელიშვილი?! — იტყოდა ხოლმე ირონიული ღიმილით, — რა იცით, სად უნდა გაგეგოთ, ვინ იყო...

არადა ეცოდინებოდათ, შესაძლოა მართლაც მისგან.

განსაკუთრებით მაინც ეს სტრიქონი მოსწონდა შოთას:

შენ ფეხთით ვკვდები მე, ბარბაროსიო!..

საღამო კარგად, აკადემიურად, ცოტა მოსაწყენადაც ჩატარდებოდა. გვერდით ეჯდებოდა — პირველ რიგში — იაპონიის საელჩოს წარმომადგენელი თუ სულაც თვითონ ელჩი. ისმენდა, ვიღაც რუსულად რომ უთარგმნიდა ქართულ გამოსვლებს, ლექსებს. მოითმენდა იაპონური მოთმინებით, მაგრამ ბოლომდე მაინც ვეღარ გაუძლებდა ამ პროცესს და ფეხაკრეფით, თავწაღუნუნული გავიდოდა. აღარც რეზო დარჩებოდა დასასრულამდე. სიტყვის თქმაც შეეძლო, ტელევიზიის პირველი არხი ჩაწერდა, მაგრამ ერთი კაცის სიახლოვეს, ჯანსუღ ჩარკვიანისა, ვერ აიტანდა.

„ეგრე იყო".

ქუთაისში ქარი იქნებოდა. იჯდებოდა რეზო თავის სახლში ბუხართან და ყურს მიუგდებდა მის ქროლვას. უყვარდა ეს ქარი და ყველა სხვა გარემოებადი მეტეოროლოგიური მოვლენა მოსწონდა. ახლა, ამ წამიერ, გვიან ღამით ქშუოდა ქარი, ჩამოვარდებოდა, ჩამოასკდებოდა, გაიშლებოდა, აქშუვდებოდა, შეყოვნდებოდა ზღვის ღელვისაებრ და კვლავ... და კვლავ და კვლავინდებურად...

გარეთ ქარი ქროდა, ბუხართან სითბო დასადგურებულიყო. ელექტრონიც ექნებოდა და საწერ-კალამიც, მარანიც, სასმელიც... სურდა და ასეც იქნებოდა — ყოფილიყო აქ ერთხანს.

„ერთხანს ვართ, ჩემო კარგო, და ერთხანს დავრჩებით! საერთოდ ვაბშე რა!..“

ბოლო ჩანაწერი ამ წლისა 4 დეკემბრით აღიბეჭდებოდა. დღიური აქ დარჩებოდა, ქუთაისში და თვე და ორი დღე აღარაფერი ჩაიწერებოდა. არადა წყვეტდა, ამთავრებდა ამ წლის ბოლო რიცხვით, დღიური — XXXV ნომრით. იძულებული ხდებოდა ერთი წლით გაეხანგრძლივებინა და დაესრულებინა დღიური — XXXVI-ით. არადა 37 ერჩია.

— ასეც ვიზამ (???), გადავიხედავ იქით (?) და მოვრჩები, გადავალ დავთარში (აქა მაქვს), სადაც და რაშიც მხოლოდ „ბაღალტრული“ ანგარიშ-შენიშვნები (ქრონიკა) დამრჩება!.. ვაშა!..

ჯერ კიდევ როდის ეგულისხმა 2009 წლის მიწურული თავისი დღიურების ციკლის დასასრულად, იმეორებდა ახლობელთა წრეშიც, თვითონ დღიურშიც ჩაინიშნავდა, ახლა რომ აღარ უჯდებოდა გონებაში ეს გადაწყვეტილება. თითქოს წყვეტდა 4 დეკემბერს მის მდინარებას, ამ ჩანაწერებისაკენ გახედვაც აღარ ენდომებოდა, მაგრამ... ვერც მოშვებოდა ყოველდღიურ ჩანაწერებს და... აგერ ახალ თარიღს დადებდა მიჯნად, მაგრამ... როგორ იქნებოდა ნეტა — ის ძველი გადაწყვეტილება გაიტანდა თავისას მაინც თუ ახალგაჩენილი სურვილი იმძლავრებდა?!.

თან სურდა, თან ეჭვობდა... თან ეჭვობდა, თან სურდა...

თავი მეათე

2010 წელი

შობას, 7 იანვარს, შემოდგომის გაზაფხული მიილეოდა და ახლა საქართველოში შემოდგომის ზამთარი ჩამოდგებოდა.

შაბათის გასვლა, ტრადიციად დამკვიდრებული, ობიექტურ-სუბიექტური მიზეზითა და ერთობლიობით საკვირაოდ გადაიდებოდა. კვირას გავიდოდნენ ტყეში. ადგილს ხვალ აირჩევდნენ, სამწვადეს — ზეგ, ანუ შაბათს.

„მერე ჩვენ ვიცით!“

თბილისში რა ხდებოდა ამას-ამასობაში და:

არიგებდა გაზეთებს „ბაგრატი 2009“. არიგებდა, არიგებდა და... ვერ დაარიგებდა. კეცავდა კიდეც, პორთფელში რომ ჩატეოდა, და აქედან თავისთავად ნამოუტივტივდებოდა: ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცეო!..

ცნობილ ხალხურ გამოცანას ასეთ იუმორისტულ კონტექსტში მოაქცევდა.

მოსდიოდა ნობათ-საჩუქრები ოფიციალური გზებით: იქიდან, აქედან, ზევიდან... წითელი ღვინო ბოთლით ძირითადად, შამპანურიც, მისაყოლებელიც. ერთი კალათი პირველის კანცელარიიდან აქეთაც გამოეგზავნათ. რატომ? არ ეცოდინებოდა რეზოს. საფიჩხიის მუნიციპალიტეტში გამოუჩენდნენ ალბათ, თუ ხელს არ გააყოლებდა ვინმე.

გუშინ მერიის ვახშამზე დაპატიჟებდნენ.

„კვირის პალიტრაში“ კვირის მეორე დღეს, ანუ შაბათს, გამოქვეყნდებოდა რეზოს მოსაზრებანი „გამარჯვების მემორიალის“ ნაქცევასთან დაკავშირებით — საუბარი რეზოსთან, მისი გულისწყრომანი და მეტჯერ (იტყოდა კიდეც, თუკი ზუსტად ჩაეწერათ) აღარც დაუძახებდნენ ხელისუფლების ნადიმებზე.

„სწორიც იქნება“.

ბათუმში დაუძახებდნენ, მაგრამ ნგრევისა და უბედურების გამო არ ჩავიდოდა. არ მოიკლავენ თავსო, იტყოდა და — რატომ, ვერ გაიგებდა — იქიდან დაურეკავდნენ მოულოდნელად:

— იქნებ ჩამოხვიდეთ, მოგიკითხა.

— გმადლობთ, ვერ ვასწრებ, ვერ მოვახერხებ.

ეგ იქნებოდა — სხვა რა?

თუ რამეს გაიხსენებდა, ჩაიწერდა და გაასრულებდა.

სიტყვა — სულ პირველი — სიტყვა გახლდათ და აღარ გადათქვამდა!

დავთარიც აქ იყო და XXXVI-ც — ასეც დააწერდა, დადაღავდა! აგრე იქმოდა!..

პეტრე მოციქული სამჯერ გადათქვამდა, გადაუარდა თავის ნათქვამს, და რეზო ორჯერ: იტყოდა — გადათქვამდა, გადმოთქვამდა: ორჯერ!

ზუსტად ვეღარ გაეხსენებინა პეტრე მოციქულის ის საქციელი. აღარც ახალი აღთქმის იმ პასაჟებს ჩახედავდა, სადაც პეტრე სამჯერ კი არ გადათქვამდა თავის ნათქვამს, არამედ — სამჯერ უარყოფდა იესო ქრისტესთან ნაცნობობას. ერთსადაიმავეს გაიმეორებდა: არ ვიცნობ იმ კაცს, არ ვიცი, ვინ არისო!..

ურეკავდნენ, აფრთხილებდნენ: უარი ეთქვა თუ არა რეზოს ვინმე ებრალიძის მიერ დაწესებულ პრემიაზე — ორი ტელეარხი ერთსადაიმავე დაინტერესებას იჩენდა... იცოდა რეზომ, ვინც იყო გამცემი და პრემიის ამღებთა ვინაობაც მოეხსენებოდა, ოღონდ თვითონ რა შუაში გახლდათ, ვერა ხვდებოდა... რაღაც კამპანიაში (კამპანიას გაუმარჯოსო! — წაჰკრავდა ჩვეული ირონიით) ჩართავდნენ... დანარჩენი აღარ გახლდათ საინტერესო...

ზეგ გადიოდნენ ტყეში. ადგილი აერჩიათ — ყუმისთავში ქვახადი. თუ ასეთი ამინდი შეიქნებოდა ხვალეც, ხო კაი, ზეგ — მითუმეტეს... ებრალიძე ვინ ეშმაკი იყო, მთავარი გახლდათ ამინდი, კაი დარი!..

რუსული არხის ერთ-ერთი გადაცემით დაინტერესდებოდა ამ დილით. ადამიანის გენში კოდირებული რაღაც დეენემი, „შიფრი“ ამოეცნოთ, რუსის დამახასიათებელი თვისება გაემჟღავნებინათ, კერძოდ: იგი ადვილად იტანდა ალკოჰოლს, მაშინ, როცა იაპონელი, მითუმეტეს ტაილანდელი ვერ იტანდა.

ჯიში, ბატონო, ჯიშიო! — იცინებდა რეზო. თან დაფიქრდებოდა და აწონ-დაწონიდა: რა აღმოჩენა უნდოდა ამას? არა თუ კი? მაინც კიო. გასინჯავდი კოდს ალკოჰოლზე და მიხვდებოდი, რუსი რომ იყო? რამდენიმე წლის, თუნდ რამდენიმე საუკუნის წინათ გარდაცვლილ ადამიანს აუღებდი სინჯს და... აგერ იქნებოდა შავით თეთრზე ან შავზე წითლით: რუსი ყოფილიყო — არავითარი მონღოლოიდი, ნეგროიდი, არა ჩინელი, არა პაკისტანელი — რუსი! სუფთა ლოთი! გენომიო, გენური კოდიო: დღედაღამ ამას გადმოსცემდნენ და გვმოძღვრავდნენ: სასმელს ადვილად იტანსო. მიჩვევა აღარაფერი იყო? რუსი მუუიკი! ალკოჰოლიკი არ ხდებაო. სვამდა თუნდაც ყოველდღე და... არაფერი თურმე. არადა ბევრი რუსი ენახა რეზოს „კანაოში“ ჩაწოლილი.

თუმც აღარ გაჰყვებოდა მსჯელობას და იესოს შეგონებით მოათავებდა: ნუ განვიკითხავთ, რათა არ განგვიკითხონო!..

ქართული თეატრის დაარსების დღეს გადაიხდიდნენ ქუთაისში 12 იანვარს. სხვა ღონისძიება ეგონებოდა და მივიდოდა მიპატიჟების შემდეგ. თეატრის დაარსების დღე ხომ 14 იანვარი გახლდათ — რეზოს თვალში ყოველად შეუფერებელი თარიღი... ამ ნაადრევ აღნიშვნას კი იმით ახსნიდნენ: ჩვენ გადმოვწიეთ თარიღი, რადგან თბილისში (ტიფლისსო, — ირონიით ჩაურთავდა რეზო) ვართ გამოძახებულიო... ისაო, ესაო...

დღიურების დაწყების თარიღად 1978-79 წლებს მიიჩნევდა, უფრორე — 1978-ს ვარაუდობდა. იმ წელს დაეწყო ჩაწერა ფრაგმენტულად, 1979 წლიდან — განუწყვეტლივ და... ქეც გასულიყო 30 — ცოტა მეტიც — წელი.

არ იყო ბევრი, არც ცოტა...

გადადიოდა სხვა დავთარში და არა სხვა განზომილებაში.

და უეცრად აღმოხდებოდა:

ვივა, აკადემიაო!..

14-შიც, ძველით ახალი წლით, მოუწევდა. და გაღიზიანებას ვერ დაფარავდა:

— გააჭირვა იმ კაცმა საქმე, არ გვაღირსა ახლით ახალი.

კვლავ იმ საფიქრალს უტრიალებდა:

ორი ახალი წელი შეიძლებოდა? ერთი — ძველი, მეორე თუ პირველი — ახალი. ერთი — ოფიციალური, მსოფლიოში მიღებული, მეორე — ახირებულობის ნაყოფი...

არ შორდება ამ რუსეთსო, — აუხსნიდნენ რეზოს, — ვიდრე ცოცხალია, მერე — მითუმეტეს არ იზამსო.

არადა გადასულიყვნენ: 15-დან თერთმეტი. ოთხიღა დარჩენილიყო.

„იმ ოთხში ორი ჩვენ — მე და ის!“

მიაწერდა თარიღად იმ დღის შთაბეჭდილებებს: 2010 წლის 15 იანვარს და... მოათავებდა კიდეც ამ რვეულსაც და დღიურების ჩაწერასაც, აღარ გაახანგრძლივებდა თუნდ ერთი წლით, გადადიოდა სხვა დავთარში და არა სხვა განზომილებაში.

ოცდაათი წელი ჩავლილიყო დღიურების ფურცლებზეც. ჩავლილიყო დიდი განცდებითა და ვნებათაღელვანით, რეზოს სულიერი ჭიდილი და დუღილიც ზედ რომ გადაჯაჭვოდა ქვეყანაში დატრიალებულ უმძაფრეს, დრამატულ, ხშირად ტრაგიკულ მოვლენებსაც, რომელთა შუაგულშიც იტრიალებდა როგორც მწერალი — ეს თავისთავად — და როგორც პუბლიცისტიც, დაუმცხრალად და თავგამოდებით.

საპარლამენტო წლებს ისე ჩაათავებდა, ერთხელაც არ მივიდოდა არამცთუ ტრიბუნასთან, მიკროფონთანაც კი, არ უყვარდა ეს საჯარო გამოსვლები, ლიტერატურულ შეკრებებზეც იძულებული უფრო გახლდათ, სიტყვით რომ გამოსულიყო, თორემ მის ნებაზე რომ ყოფილიყო, იქაც არ გაიღებდა ხმას. სამაგიეროდ გაფაციცებით აკვირდებოდა ყველასა და ყველაფერს და ცდილობდა არაფერი გამორჩენოდა, წვრილმანებიც გულმოდგინედ აღენუსხა და შემოენახა გონებაში. და თუ მანამდე მხოლოდ მხატვრის ქურაში უნდა გამოეტარებინა გარშემო მედინი დრო, აწ უკვე გაუჩნდებოდა სურვილი, პუბლიცისტის კალმითაც გაეაზრებინა და შეეფასებინა საზოგადოებრივი ყოფა, მისი ათასგვარი შრე და ლაბირინთი, გვირაბი თუ კულუარი, აბა ზედაპირს ხომ არ იკმარებდა თავის დაკვირვებათა სარბიელად.

ხან გული წყდებოდა:

ნეტა ვინ კითხულობს, ვის აინტერესებს, ვინ ჩაუკვირდება და გაითვალისწინებსო.

ხან იმედიან გუნებაზე დადგებოდა:

კიდეც კითხულობენ და ითვალისწინებენ, აგერ ეს რომ მოხდა, ეს, ეს თუ ეს, და თავიანთ მოფიქრებულად რომ ასაღებენ, განა მე არა ვწერდი ამის თაობაზე და თანაც არაერთხელო?!.

საპარლამენტო ცხოვრებაზე ცალკე ჩაეფიქრებინა თხზულების შექმნა, მხატვრულის, თუმც მკვეთრი დოკუმენტური ფონი რომ ექნებოდა, ახალგაზრდა მეგობრებში ჩამჯდარი ძველ ჩვეულებას რომ გაიხსენებდა — ზეპირი ნოველების შეთხზვისა და მომხიბლავი თხრობით აღტაცებასაც ჰგვრიდა უმცროს თანამოკალმეებს. ისეთი პორტრეტები წარმოესახა ცალკეული დეპუტატებისა, თანდათან მთელი გალერეა გადმოიშლებოდა გონებამახვილურად მიგნებული შტრიხებით, და ეს ყოველივე როგორ არ უნდა აღბეჭდილიყო ფურცლებზეც.

საამისოდაც მოიცლიდა, დარწმუნებული გახლდათ. და ჯერჯერობით ზეპირი ნაამბობებით იმიტომაც იკლავდა ჟინს, შესაფერისი ფორმა ვერ მოენახა განზრახული რომანისა, მერე მაინც რომ მიაგნებდა და გაუმხელდა ელგუჯა თავბერიძეს:

— ირლანდიაში მინდა გადავიტანო მოქმედება.

და ჩემს სახელს უხსენებდა:

— მისი „ირლანდიური მელოდიები“ როგორიცაა...

შეახსენებდა ხოლმე ელგუჯა, აგულიანებდა, განაწყობდა ამ რომანისათვის, რომელიც უკვე აღარ ეშორებოდა რეზო ჭეიშვილს და აპირებდა, მისებურად ჩაჯდომოდა, ჩაფლობოდა ამ თემასაც... ოღონდ ჯერ ისტორიულ რომანს, მოთხრობას თუნდაც, მოათავებდა და მერეღა გადმოერთებოდა „ირლანდიური“ პარლამენტის ცხოვრებაზე.

გულს უღრღნიდა, აწამებდა რამდენი წელია ისტორიული ხანა მისი გააზრება-წარმოსახვის სურვილი, კიდეც რომ ამოერჩია შესაფერისი ეპოქა და თითქოს ხედვის კუთხისა და სტილური კამერტონისთვისაც მიეგნო — აკაკი წერეთლის გზას გაჰყვებოდა უპირველესად და გაითვალისწინებდა ნიკო ლორთქიფანიძის გამოცდილებასაც, ის კი არა — გრიგოლ რჩეულიშვილის ისტორიულ ხედვასა და სტილურ მანერასაც, უსამართლოდ მივიწყებული მწერლის, დაუფასებელის... მიიჩნევდა, რომ ამ სწორი გზიდან აეცდინა ვასილ ბარნოვს ქართული ისტორიული რომანი რომანტიკული ხედვისა და შესატყვისი სტილური მანერით, ეს ყოველივე კონსტანტინე გამსახურდიასა და ლევან გოთუას რომ განემტკიცებინათ...

თუმც უნდა დამდგარიყო დრო, რეზოს შესაფერისად რომ უნდა წაეკითხა ვასილ ბარნოვის ისტორიული რომანები და მოთხრობები და... აღტაცებულიც დარჩენილიყო, ის კი არა, გადაეწყვიტა მათ თარგზე სცენარისა თუ სულაც პიესის დაწერა, გასცენიურება ერთი სიტყვით...

არა, როგორც მწერალი ვასილ ბარნოვის გზას ვერ გაჰყვებოდა და ისტორიულ რომანს კვლავაც იმ სტილისტიკით შექმნიდა, აკაკი წერეთელი და ნიკო ლორთქიფანიძე, და კიდევ გრიგოლ რჩეულიშვილი რასაც მიანიშნებდნენ და რა ბილიკსაც უკვალავდნენ, მაგრამ აღიარებით უკვე დარწმუნებით აღიარებდა ვასილ ბარნოვის მხატვრულ მემკვიდრეობას ქართული ლიტერატურისა და სულიერების მონაპოვრად.

ჰა — კიდეც უნდა დაეწყო ისტორიული თხზულება, იმჟამინდელი ფონი ისე რომ შეესწავლა და „გადაეღეჭა“, ისტორიკოსებს შეეხარბებოდათ... და

განა როდემდე უნდა ყოფილიყო აფორიაქებული მხოლოდღა შექმნის სურვილით, დღიურის ფურცლებს ასე მძაფრად რომ გამოჰყვებოდა ეს სწრაფვა ისტორიული რომანის ჟანრში თავისი, ჭეიშვილური, კვალის აღსაბეჭდად...

მაგრამ... ვერა და ვერ გამოეტარებინა ისტორიული პერსონაჟები და მოვლენები თავის სულიერ ქურაში, ვერა და ვერ დაეწერა პირველი ფრაზაც კი... თავისთვის იქნებ კიდეც დაეწერა და სულაც რამდენიმე გვერდი შეევსო, მაგრამ დაუნანებლად გაემეტებინა გადასახევად, რადგან ეს ის არ იქნებოდა, გაგრძელებისათვის რომ განაწყობდა... არადა როგორ ენდომებოდა უფრო შორეულ ისტორიასაც გადაწვდომოდა, თორემ XX საუკუნის დამდეგის რეალობას, ახლო წარსულს, ისტორიად არც მიიჩნევდა... მაგრამ, მაგრამ, მაგრამ...

იწყებდა და ვეღარ იწყებდა.

და ვერ მოჰკიდებდა ხელს „ირლანდიურ" საქართველოსაც, ვერ დააწინაურებდა... თითქოს აღარაფერი ედგა წინ — გამზადებული სიუჟეტური ქარგა, გამზადებული გალერეა პერსონაჟებისა, მოფიქრებული და გააზრებული მხატვრული ფონი... მაგრამ, მაგრამ, მაგრამ...

იწყებდა და ვეღარ იწყებდა.

მაინც ეიმედებოდათ მის უმცროს თანამოკალმეებს, ტყის ძმობის წევრებს, ერთი თხზულების არსებობაც რეზო ჭეიშვილის არქივში და მეორე თხზულებისაც... დასრულებულისა თუ არა, მოზრდილი მონაკვეთისა, ბოლოსდაბოლოს ფრაგმენტებისა მაინც...

აღმოჩნდებოდა „გადანახული ჩანაწერები" ბლომად, თავისი ორი შენაკადით: „ტელევიზორეთით", „გასვლითი თამაშებითა" და „სიზმარეთით", ერთში ტელევიზორთან მჯდარი სახელდახელოდ რომ ინიშნავდა შენიშვნებსა და განცდებს, მეორეში — მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, მესამეში კი — წუხელ ნანახი სიზმრის აღდგენას რომ ცდილობდა მაშინვე და მათ ახსნასაც...

არა, დღიურები მაინც რა უზღვავი დაეტოვებინა, ასეთი მონუმენტური ქმნილება ამ ჟანრისა ქართულ ლიტერატურაში მარტოდენ გალაკტიონ ტაბიძის დღიურები რომ გვეგულება...

მაგრამ არსად ისტორიული რომანი, კოდური სახელწოდებით „დარეჯან ცბიერი".

და არსად „ირლანდიური" იერით აღბეჭდილი თანადროული საპარლამენტო ცხოვრების პანორამა.

2010 წლის მიჯნაზე რატომ შეეჩერებინა ყოველდღიური ჩანაწერები?

წინასწარვეც ეგულისხმა და ეგუმანა, რომ უფრო შორს ვეღარც გაჰყვებოდა, გაბეზრებასაც გრძნობდა... ამოეთავებინა ოცდაათწლიანი მონაკვეთი და ეკმარა...

ხშირად რომ ხდება, თავდაპირველი ჩანაფიქრი იცვლება და მკვეთრადაც იცვლება? მას კი განა რა სიტყვა მიეცა თავისათვის ისეთი, 2009 წელს არ გადავცილდებიო, რომლის დარღვევაც ცოდვად ჩამოერთმეოდა?..

ერთხანს ხომ კიდეც ჭოჭმანობდა, გადაელახა თუ არა იდუმალი ზღვარი და გადასულიყო მომდევნო წლის ბოლომდე, მერე კი ვინ იცის, ვეღარ შეე-

მაგრებინა თავი და გაჰყოლოდა და გაჰყოლოდა... თავისი სიცოცხლის მიმწუხრის უმთავრეს ჟანრად აკი დღიურიც წარმოუდგებოდა...

მაგრამ გაბეზრებულიყო... და ეს გაბეზრება დატყობია „გადანახულ ჩანაწერებსაც“, „ბუღალტრულ“ ანგარიშ-შენიშვნებამდე რომ უფრო ჩამოქვეთებულა, და ცალკეული ადგილების გარდა აღარ იგრძნობა ის ექსპრესია და დინამიზმი, ის შთამბეჭდაობა და მრავალფეროვნება, ის სიღრმე და კოლორიტულობა, რაც რეზო ჭეიშვილის ამ თხზულებას მხატვრულ-დოკუმენტური პროზის მონაპოვრადაც წარმოგვიდგენს...

წყვეტილ-წყვეტილი გახდებოდა ჩანაწერები... და აგერ ისიც უნდა მომხდარიყო, თვითა და ორი დღით ქუთაისში რომ დარჩებოდა რეული და... ამას მოიმიზეზებდა, როგორღა ჩამეწერაო. არადა განა რა გახდა ქუთაისიდან იმ რეულის ჩამოტანა, ბოლოსდაბოლოს ახალი რეული გაეხსნა... ანდა თაბახის ფურცლებზე დაეწერა...

დღიურის გაგრძელება რომ სდომებოდა, შინაგანი დუღილი არ მოასვენებდა, მაგრამ... ამონურვოდა სურვილი, ძალისძალათი კი განა როდემდე შეიძლებოდა შეევსო ჩავლილ დღეთა სურათ-შთაბეჭდილებანი?!.

ეგებ დღიურსაც აბრალებდა, ისტორიული თხზულება რომ ვერ დაეწყო.

და ვეღარც „ირლანდიური“ საბურველი შემოეტანა თავისი მხატვრული ძიებების გადასახალისებლად.

შეწყვეტას კი ამჯობინებდა „გადანახული ჩანაწერებისა“.

სიტყვა სიტყვააო.

გადავიდოდა 2010 წელში და... მოათავებდა კიდეც.

იქ გამოემშვიდობებოდა მკითხველს, ტყეში წასასვლელად რომ ემზადებოდნენ კიდევ ერთხელ, ორიგინალური ტრადიციისათვის კიდევ ერთი რგოლის შესამატებლად, არასოდეს რომ არ დაიზარებდა თუ გაბეზრდებოდა, ვიდრე პირში სული ედგმეოდა... ასაკი? ასაკი რა სათქმელი გახლდათ...

ზეგ უნდა გასულიყვნენ ტყეში.

ადგილიც შეერჩიათ უკვე — ყუმისთავში ქვახადი.

და მთავარია: კარგი ამინდი დასწრებოდათ.

არა, არანაირ ავდარს არ შეუშინდებოდნენ, გადაწყვეტილებას არასგზით არ გადაუხვევდნენ, მაგრამ კარგი დარი ერჩივნათ ცხადია და... ტყეში გასვლის ზღურბლზე გამოეთხოვებოდა კიდეც რეზო ჭეიშვილი მკითხველს დღიურის ფურცლებზე, თორემ კალამს რა შეაჩერებინებდა, დაქადნებით რომ მიმოავლებდა მზერას გარშემო, ყველა მოვლენაში მზამზარეულ სიუჟეტს რომ ჭვრეტდა და ყველა ადამიანში — მზამზარეულ პერსონაჟს...

და თავს ამ შეძახილით იმხნევებდა, თავის გუნებაშიც და ხმამაღლაც, თანამეინახეებს შორის ჩამჯდარი:

— ვიყოთ ერხანს!..

* * *

თქვენი საყვარელი პოეტიო? – „მარსელ პრუსტის ანკეტის“ (რომელსაც ნატა ვარადა უძღვებოდა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციის დავა-

ლებით) შევსებისას ეს შეკითხვაც რომ შეხვდებოდა, თავისი ხუთეულის შედგენისას გალაკტიონი როგორ გამორჩებოდა, დანარჩენთაგან – დიდი პოეტებისაგან და არა კარგებისა და საყვარლებისაგან – ამ სახელებს რომ აზიდავდა ფარზე:

შოთა რუსთველი, დავით გურამიშვილი, ბესიკ გაბაშვილი და აკაკი წერეთელი.

ამ ანკეტის შევსებისას იშვიათად რომ ციტატები მოეშველიებინოთ, რეზო ჭეიშვილი კი სხვადასხვა ადგილას ორჯერ დაესესხებოდა მისთვის ძვირფას პოეტებს.

– როგორი გინდოდათ, რომ მომკვდარიყავით?

მინდოდა თუ მინდაო? – ჯერ შეუბრუნებდათ კითხვას, რათა მიედევნებინა: არანაირი არ მინდოდაო. და აკაკი წერეთლის სტრიქონებით გაემაგრებინა გული და მეტი შთამბეჭდაობაც მიენიჭებინა თავისი იმჟამინდელი – და საერთოდაც – განწყობილებისათვის, რწმენამდე რომ აიზიდებოდა ერთბაშად:

არც მდომებია, არც მინდა
შენს გარდა სხვა რამე წმინდა...

ხოლო შეკითხვა:

– სად ისურვებდით ცხოვრებას?

ამ შემთხვევაშიც ჯერ თავისი სიტყვებით რომ მიუგებდა:

სადაც ვცხოვრობ იქ, საქართველოშიო!

დროებით, მცირე ხნით კი რატომღაც არა, გალაკტიონურ განცდებს გაითავისებდა:

სადმე ყრუ ადგილს დავესახლები
ამ საუკუნის მგზავრი გვიანი,
სადაც იქნება ცოფი ნაკლები
და უფრო ნაკლებ ადამიანი...

ის გაგვკვირვებოდა, გალაკტიონ ტაბიძე რომ არ წამოჰგონებოდა ანკეტის შევსებისას.

აგერ სულაც ორჯერ დაისაჭიროებდა მის სახებას: აკაკი წერეთლისა არ იყოს.

თუმც... აკაკი მესამედაც უნდა გაელვებულიყო.

ის როსტომ წერეთელია, რომ იხსენიებს, მართალია მამა აკაკისა, მაგრამ თვითონ აკაკი რა შუაშია?

ამასაც მოგახსენებთ თავის დროზე, ამჯერად კი ისაა საგულისხმო, ასე რომ მოჭდობოდა გულზე გალაკტიონის ის სტრიქონები, სწრაფვა, სადმე ყრუ ადგილს დასახლებისა, სადაც ნაკლებ იქნებოდა ცოფი და კიდევ უფრო ნაკლებ – ადამიანი...

მოჭდობოდა იმიტომ, რომ: თვითონაც ამ საუკუნის გვიან მგზავრად ესახებოდა თავი.

გალაკტიონს რომ არ დაესწრო, თვითონ მოიფიქრებდა რეზო ჭეიშვილი ამ ეპითეტს და მიიხედ-მოიხედავდა გარშემო, ნეტა კიდევ ვინ შეიძლება იყოს ჩემსავით მეოცე საუკუნის მგზავრი გვიანიო?!.

გალაკტიონსაც ემეტებოდა სხვებისათვის ეს განსაზღვრება, დაე მოგროვილიყვნენ ამ ტრაგიკული ჟამის გვიანი მგზავრები – ერთი ვაგონისანი ხომ მაინც შეიკრიბებოდნენ, თუ მთლად მატარებლისა არა!..

მერე კი ცალ-ცალკე უნდა დასახლებულიყვნენ ყრუ ადგილებში: სულის მოსათქმელად, თორემ დიდი ხნით რა გააძლებინებდათ.

თუმც... ვისთვის როგორ!..

რეზო ჭეიშვილი ნეტარებით რომ წარმოიდგენდა იმ ყრუ ადგილს და ნაკლებ ცოფსა და ნაკლებ ადამიანს, შეშფოთდებოდა: ემანდ არ გამიხანგრძლივდეს იქ ყოფნა, ან არ მივავიწყდეთ და ჩამტოვონო, – და დაბეჯითებით ამიტომაც იმეორებდა: მხოლოდ დროებით, მხოლოდ მცირე ხნითო!..

* * *

არა, მაინც რა მარჯვედ მორგებოდა მასაც ეს გალაკტიონური ეპითეტი: მგზავრი გვიანი.

მის ტანზე შეკერილი სამოსივით.

* * *

როსტომ წერეთელი საიდან და რატომ გამორეულიყო „მარსელ პრუსტის ანკეტის“ შევსებისას იმ ადგილას, სადაც რეზო ჭეიშვილი თავის საყვარელ... ლიტერატურულ პერსონაჟებს ჩამოთვლიდა?

სხვა ყველა თავთავისი ავტორის მიერ შეთხზული გმირი გახლდათ, რეალურ პირთაგან კი მხოლოდ ის, მხოლოდ როსტომ წერეთელი მოიხსენიებოდა.

და... რა მიზეზით? რა მოტივით? რა აუცილებლობით?

დონ კიხოტი იყო და: მიგელ დე სერვანტესის „დონ კიხოტის“ გმირი.

ლუარსაბ თათქარიძე იყო და: ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანისა?!“

კირილე მიმინაშვილი იყო და: დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლისა“.

ჰაკი აძბა იყო და: ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბასი“.

ლახუნდარელი იყო და: სერგო კლდიაშვილის „ლახუნდარელის თავგადასავლისა“.

გვადი ბიგვა იყო და: კვლავ ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვასი“.

თარაშ ემხვარი იყო და: კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებისა“.

ლეკო თათაშელი იყო და: ოთარ ჩხეიძის „ბორიაყისა“.

ჟიულიენ სორელი იყო და: სტენდალის „წითელი და შავისა“.

პიერ ბეზუხოვი იყო და: ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობისა“.

ჩიჩიკოვი იყო და: ნიკოლაი გოგოლის „მკვდარი სულებისა“.

თავადი მიშკინი იყო და: ფიოდორ დოსტოევსკის „იდიოტისა“.

ილიკო და ილარიონი იყვნენ და: ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონისა“.

ნოდარ გერაძე იყო და: თვითონ რეზო ჭეიშვილის „ჩემი მეგობარი ნოდარისა“.

შალიკო ხვინგიაძე იყო და: რეზოსავე „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავლისა“.

და: მათ შორის წარმოდგება როსტომ წერეთელიც.

წარმოდგება როგორც... სწორედაც პერსონაჟი: აკაკი წერეთლის ავტობიოგრაფიული რომანისა „ჩემი თავგადასავალი“, რომლის ბადალიც ამ ჟანრის თხზულებებს შორის რეზო ჭეიშვილს არც ეგულებოდა.

ისეთი ხელოვნებით გამოხატულიყო, მიამიტ მკითხველს კი ეგონებოდა ფოტოგრფიული სურათი, მაგრამ რეზო ჭეიშვილს როგორ გამორჩებოდა ეს ხელოვნება აკაკისა... და მაშ თავისუფლად შეიძლებოდა როსტომ წერეთელიც – თავისი კოლორიტულობითა და შთამბეჭდაობით – სწორედაც მისთვის საყვარელ იმ ლიტერატურულ გმირებს შორის ეგულისხმა.

სხვა მხრივ კი:

ლუარსაბ თათქარიძე არამარტო მხატვრული ძალმოსილებით ხიბლავდა, არამედ თვითონ ლუარსაბის ხასიათიც იწვევდა მის სიმპათიას, ტყუილუბრალოდ და უსამართლოდ რომ დასცინოდნენ, ისე აებუებინათ, გამომსარჩლებლები ესაჭიროებოდა, რათა ზერელე, კონიუნქტურული შეფასებების გამოისობით არ დაჩაგრულიყო.

კლდიაშვილთა ოჯახიდან მამის პერსონაჟიც შეეყვარებინა და შვილისაც: ლახუნდარელს კირილე მიმინაშვილის გვერდით რომ მიუჩენდა ადგილს.

ლეო ქიაჩელსაც უსამართლო დაჩაგრულად მიიჩნევდა და შესაფერის ნამოწევასაც ცდილობდა მისას: ჰაკი აძბასაც რომ მოუწონებდა და გვადი ბიგვასაც.

კონსტანტინე გამსახურდია დიდად არ ჩაჰქროდა გულში, მაგრამ თარაშ ემხვარის შექმნას დაუფასებდა.

ოთარ ჩხეიძის ლეკო თათაშელსაც შესაფერის პატივს მიაგებდა.

და ილიკო და ილარიონიც როგორ გამოეტოვებინა ამ ჩამონათვალიდან, ნოდარ დუმბაძის საუკეთესო მიღწევად რომ მიიჩნევდა.

ვერც თავის გმირებს აარიდებდა მზერას იმ მოტივით, რაკიღა თვითონ შეექმნა. ბოლოსდაბოლოს პერსონაჟები შექმნის შემდგომ აკი ცილდებოდნენ ავტორებს, თავიანთ გზას ირჩევდნენ, თავიანთი ბედი ელოდათ და ავტორებიც უკვე ისე აღიქვამდნენ, როგორც სხვათა მიერ ნაქანდაკევებს.

ყოველ შემთხვევაში რეზო ჭეიშვილის თვალში ასე მოჩანდნენ ნოდარ გერაძეც და შალიკო ხვინგიაძეც, ის ერთი ძალიან და ძალიან რომ სურდა სახალხო ლიტერატურულ გმირად ქცეულიყო, არადა მეორე უფრო მოირგებდა ამ მანტიას: შალიკო ხვინგიაძე წაუსწრებდა ნოდარ გერაძეს ამ მხრივ.

საგულისხმოა, ქართული წარმოშობის გმირები მსოფლიო ლიტერატურული მიღწევების ფონზე რომ არიან წარმოსახულნი, ძალდაუტანებლად რომ ენაცვლებიან ერთმანეთს: ესპანელი, ქართველები, ფრანგი, რუსები, კვლავ ქართველები.

ისე როსტომ წერეთელი სად მოხვედრილიყო, რა სახელების გვერდით!..

როგორ არის ალექსანდრე მაკედონელის ის სტრიქონი, აქილევსისა რომ ეხარბებოდა, ადრიდანვე ცნობილი ქართულ სინამდვილეში?

შენ კი არ იყავი დიდი, დიდი შეგხვდა დამხატავიო.

და აკაკი წერეთელი რომ შეგვხვდება დამხატავად, კი გაიბრწყინებ მსოფლიო სახელთა გვერდით.

* * *

მარსელ პრუსტის კითხვარს რომ შეავსებდა, საგანგებოდ გამოარჩევდა ჯონათან სვიფტს, თავშივე და ცალკე აბზაცად გაიტანდა მის გვარს, მოუწყინრად გასახსენებელს.

მერე უკვე მის კვალზე ჩამოთვლიდა:

სტენდალს, პროსპერ მერიმეს, ნიკოლაი გოგოლს, დავით კლდიაშვილსა და... კიდეც გაჩერდებოდა იმ მოტივით: ბევრნი არიანო.

ბევრნი კი იქნებოდნენ, მაგრამ ეს ხუთეული დაწინაურებულიყო მის აღქმაში სიცოცხლის მიმწუხრზე, თორემ ადრე ლევ ტოლსტოი როგორ გამორჩებოდა. ის კი არა: ლამის ჯონათან სვიფტსაც შეუთანასწორებდა.

თანდათან გაუნელდებოდა ტოლსტოველობის შეგრძნება.

„ბევრში" მასაც იგულისხმებდა, განა არა, მაგრამ რჩეულთა შორის უკვე ვერა და ვეღარ მიუჩენდა ადგილს.

პროსპერ მერიმე სხვაგვარადაც მოხვდებოდა ამ ანკეტაში, არაპირდაპირ, მაგრამ გამჭვირვალედ.

ეს მაშინ, საყვარელი გმირი ქალების ჩამოთვლას რომ სთხოვდნენ.

სამს გამოარჩევდა:

ჯულიეტას, კარმენსა და ფუფალას.

უილიამ შექსპირი რარიგ აეთვალწუნებინა ტოლსტოის გავლენით, მაგრამ ჯულიეტა კი ისე შეჰყვარებოდა, რაღა რომეო და რაღა რეზო ჭეიშვილი: პირველ ადგილს რომ მიუჩენდა თავის გულშიც და მთელს სამყაროშიც.

სტენდალი ბარემ ერჩივნა პროსპერ მერიმეს და „წითელი და შავისა" და „პარმის სავანის" ქალებიც ხიბლავდა, მაგრამ... კარმენს ვერცერთს ვერ შეუთანასწორებდა, სხვაგვარად რომ მიჰკვროდა გულზე.

რარიგ განსხვავდებოდნენ ჯულიეტა და კარმენი, მაგრამ რეზოსათვის სავსებით ბუნებრივი ჩანდა მათი დაყენება გვერდიგვერდ, ის კი არა, განსხვავებული და დაშორებული ერთისგანაც და მეორისგანაც ვინ ვინმეა, ფუფალაა, ასე მოულოდნელად რომ უნდა დაეკავებინა ადგილი ამ ორი მსოფლიო პერსონაჟის გვერდით.

ეს სად ატყორცნიდა გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის" ამ გმირს, რა სახელებს შეუტოლებდა!..

თითქოსდა მარიტა უფრო უნდა მოხვედრილიყო ჯულიეტასა და კარმენის გვერდით, მაგრამ რეზო ჭეიშვილი ფუფალას ამჯობინებდა და მის კოლორიტულ სახებას გაიყვანდა საერთაშორისო სარბიელზე – თავის წარმოსახვაში ხომ მაინც!..

* * *

ალვირით (ავშარით) სიარულს სხვებთან ერთად ვატიკანში, ვერსალში, პრადოში – ბეგრაუნდით კომუნისტების ზეობაში – ახსენებდა მარსელ პრუსტის ანკეტის იმ შეკითხვის პასუხად, თავისი საყვარელი მხატვრების დასახელებას რომ სთხოვდნენ.

დაიწყებდა ნიკო ფიროსმანითა (მარტოდენ სახელით – ნიკალათი – მოიხსენიებდა) და დავით კაკაბაძით... შორს აღარ წავიდოდა და... მიქელანჯელოს „წყეული სამსჯავროსა" და „სიქსტის კაპელას" გახსენებას დასძენდა:

– მინახავს, მქონდა ეგ ბედნიერება.

ასევე დედანში ხილვით დამტკბარიყო:

მონალიზათი (ლეონარდო და ვინჩის რომ მიგვანიშნებდა), ტიციანით, რაფაელით, ტინტორენტოთი.

* * *

ყველაზე საყვარელ კომპოზიტორად ლუდვიგ ვან ბეთჰოვენს აღიარებდა მარსელ პრუსტის კითხვარის პასუხად და დასძენდა, რომ:

მუსიკა უყვარდა მუსიკური, კლასიკურიც, მაგრამ დიდად ვერ გამოიდებდა თავს.

ჩამოთვლაში აზრს ვერ დაინახავდა და მხოლოდღა ზაქარია ფალიაშვილს დაუმატებდა, რათა ესეც მიედევნებინა:

ფალიაშვილის დიდი, მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრთა მუსიკალური სამყარო ბოლომდე არა მგონია შესწავლილი. სახლი ათი კი სახლ-მუზეუმად ისევ დგას ქუთაისში „ფრანგების" (ასე ეძახდნენ კათოლიკურ საყდარს ადრე, ჩემს დროს) ეკლესიასთანო.

* * *

გოეთესაგან გაუკვირდებოდა ნაპოლეონისადმი გამოხატული პატივისცემა, თორემ თვითონ მარსელ პრუსტის ანკეტის შევსებისას შეკითხვაზე:

– თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

ჩამონათვალს სულაც და სწორედაც ნაპოლეონის სახელით გახსნიდა, არამცთუ სადმე გაერია.

რეზო ჭეიშვილიც ბონაპარტისტი ყოფილა და ეგაა!..

რომანში „ჩემი მეგობარი ნოდარი" კომიკურ პერსონაჟს რომ მონათლავდა ნაპოლეონის სახელით, უთუოდ იმიტომ, კონსტრასტის ხერხის მოშველიებით გაემკვეთრებინა ამ ხასიათის კომიზმი.

თვითონ ჩამონათვალი ცოტა უცნაურად კი გამოიყურებოდა.

ნაპოლეონის ხსენებას მოსდევდა ბაგრატიონისა და ეს ნიშნავს, რომ: პეტრეს გულისხმობდა, ბოროდინოს ბრძოლის გმირს, თვით საფრანგეთის

იმპერატორს რომ ვერ დაეფარა აღტაცება ქართული,თანაც სამეფო გვარის ჩამომავალი ამ რუსი გენერლით.

მესამე რიჩარდი გახლდათ, აღარ აზუსტებდა, რომ: ლომგული, და აღარც იმას: უოლტერ სკოტის რომანის – „აივენჰო“ – წყალობით რომ შეჰყვარებოდა, თორემ რიჩარდ მესამესადმი ხომ არ გამოხატავდა სიმპათიას – ისტორიული ანუ ნაკლებად ცოდვილი პირისადმიც, თორემ უილიამ შექსპირის პერსონაჟად გადაქცეული მთლად რას მოიმკიდა მის სიყვარულს.

გიორგი სააკაძის ხსენება კი უთუოდ ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებებით უფრო უნდა იყოს გამოწვეული, ყმაწვილობისას სააკაძეობაზე რომ ოცნებობდა, თორემ მერე სრულიად შეეცვლებოდა შეხედულება ამ ისტორიულ პერსონაჟზე, მის რეალურ ბიოგრაფიაში ღრმად რომ ჩაიხედავდა, და აგერ დღიურებშიც იმ ეპითეტებით შეამკობდა, აკაკი წერეთელი და კონსტანტინე გამსახურდია დაურიდებლად რომ იმეორებდნენ ამ მოღალატისა და კონდოტიერის მიმართ.

ჯუზეპე გარიბალდის გამოუტოვებლობა ამ ჩამონათვალში უთუოდ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ზეგავლენით უნდა იყოს გამოწვეული, გარიბალდელებად რომ მოჰქონდათ თავი და აკაკი ხელისუფლების წარმომადგენლის რისხვასაც კი იწვნევდა გარიბალდური ქუდისათვის.

სხვანი არ გვიკვირს საყვარელ ისტორიულ პერსონაჟთა სიაში, ის კი არა ჩვენითაც შეიძლება მივმხვდარიყავით, გიორგი ბრწყინვალესაც რომ დაასახელებდა, ბაგრატ მეოთხესაც, სოლომონ პირველსაც და დავით აღმაშენებელსაც, იქვე რომ მიადევნებდა: ცხადიაო. მიგვახვედრებდა: რომც არ მეხსენებინა, თქვენითაც კი უნდა გეგულისხმათო.

ნაპოლეონი იწყებდა, დავით აღმაშენებელი ჰკრავდა ჩამონათვალს, რომელიც ცოტა უცნაურად კი გამოიყურება, მაგრამ რომელი ჩვენგანის ასეთივე სია არ იქნება „ცოტა უცნაური“?!.

გოეთე უნდა მორიდებოდა აღტაცების გადმოღვრას პრუსიის დამპყრობლის მიმართ, თორემ ჩვენ ვინ დაგვიშლის ბონაპარტისტობას?!.

* * *

მხოლოდ ისეთი „მოცლილი“ კაცი, იონა მეუნარგია რომ გახლდათ, მოინდომებდა იმ ლიტერატურული ანკეტის დარიგებას მწერლებისათვის, მოგვიანებით მარსელ პრუსტის კითხვარის სახელით რომ გახდებოდა ცნობილი და ფსიქოლოგიურ ტესტადაც დიდად გამოსადეგი.

ეს ფსიქოლოგიური ტესტობაცაა, ზოგი თავს რომ აარიდებდა მის შევსებას ფრიად საფუძვლიანი მიზეზით: უნებლიეთ არ გავამჟღავნო, რისი გამხელაც არაფრისდიდებით არა მსურსო.

ზოგი არად ჩააგდებდა ამ კითხვარს.

ზოგიც დაიზარებდა.

და იონა მეუნარგიას აკაკი წერეთელი და მამია გურიელი თუ შეუვსებდნენ: ორად ორი კაცი.

და რეზო ჭეიშვილი ძალაუნებურად გასდებდა ხიდს აკაკი წერეთელთან, ამ ანკეტას თავის პასუხებსაც რომ მიუწერდა, საუკუნეზე მეტი ხნის შემდ-

გომ რომ აღდგებოდა და წარმატებითაც გაგრძელდებოდა „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე იონა მეუნარგიას წამოწყება, პარიზიდან ჩამოტანილი.

უმაღლეს ბედნიერებად რას აღიარებდა და:

სიცოცხლეს. არსებობას ამ ცის ქვეშ.

რომელ თვისებებს აფასებდა ყველაზე მეტად მამაკაცში და:

კაცობას, ვაჟკაცობას, მამაკაცურ თვისებებს – ზოგადად: სიტყვის, პირის არგატეხვას, მიმტევებლობას.

რომელ თვისებებს აფასებდა ყველაზე მეტად ქალში და:

ქალობას, დედობას, ცოლობას, პარტნიორობას ყოველნაირი გაგებით. ეთაყვანებოდა ქართველი ქალის პატიოსნებას, ოჯახიშვილობას, მოთმინებას, თავშეკავებულობას და შვილების აღზრდის უმთავრესობას მათ ყოფიერებაში. ბულვარული, პორნოგრაფიული პრესით, ტელეარხების საშუალებით, სექსოპათოლოგიური გადაცემებით მიზანმიმართულად, შეგნებულად რომ უბიძგებდნენ ადამიანებს უკეთურობისაკენ, ქართველი ქალი მაინც ოჯახით – შვილებით, შვილიშვილებით რჩებოდა შემოფარგლული. გარკვეულ უმრავლესობაზე იყო მაინც ლაპარაკი.

რომელი ადამიანური სათნოება გახლდათ მისთვის ყველაზე მიმზიდველი და:

ყოველგვარი... თუ სათნოება სათნოებას ეწოდებოდა მხოლოდ, მისაღებიც იყო და მიმზიდველიც...

თავის საყვარელ საქმიანობად რას მიიჩნევდა და:

საქმეს. თუ საქმე არა ჰქონდა – უსაქმურობა ჯაბნიდა, მხოლოდ – მახათის გარეშე! საქმე მაინც: შრომა ფიზიკურიც და გონებრივიც!

მისთვის ნაცნობ რომელ ადამიანად სურდა ყოფნა და:

თქმა უძნელდებოდა: ბავშვობაში გიორგი სააკაძეობას ნატრობდა; რომ წამოიზრდებოდა, ომი ახალი დამთავრებული იქნებოდა. უჭირდათ, შიოდათ. გიორგი მეცამეტეობა მოუნდებოდა, თუმც არც ერთი ეცნობებოდა და არც მეორე. პლატონ იოსელიანს აღენიშნა, დაეწერა, მის სიცოცხლეშივე გამოექვეყნებინა: მეფე გიორგი ზაქის ხორცი უყვარდა, თვარა მართლა ერთ ზაქს – კამეჩის ნაშიერს – კი არა ჭამდა ერთ ინჯრაზეო.

რას აფასებდა ყველაზე მეტად მეგობრებში და:

მეგობრობას. სიახლოვეს. ლხინისა და ჭირის გაზიარებას, თანაგრძნობას. გვერდში დგომას... არდავიწყებას მოყვრისას...

თავის მთავარ ნაკლად რას მიიჩნევდა და:

უყურადღებობას, უხასიათობასაც ზოგჯერ. შეცდომებს, სიგლახესაც კი პატიობდა ადამიანებს, მაგრამ გულში ჩატოვებულს ვერ ივიწყებდა, წყენა დროდადრო შეახსენებდა ხოლმე თავს. ეს არ ვარგოდა. ესე იგი ნაკლი, ნაკლ-ები ჰქონდა. ჰყავდა, მაგრამ მთავარი რომელი იყო – არ იცოდა, და ამასაც ნაკლად მიითვლიდა!

როგორ წარმოედგინა ბედნიერება და:

პირობითობად მიიჩნევდა, ბედნიერება ხომ იქ არასოდეს იყო, სადაც ვეძებდით...

რა იქნებოდა მისთვის ყველაზე დიდი უბედურება და:

ბედნიერების დაკარგვა. და ღმერთს შეღაღადებდა: შენითა და არა ჩვენითაო!..

როგორი სურდა ყოფილიყო და:

როგორიც გახლდათ, ცოტა მაინც უკეთეს-უმჯობესი!..

მისი საყვარელი ფერი რა იყო და:

მძღოლის თვალით გახედავდა და ზემოდან ქვემოთ ჩამოწერდა, თითქოს შუქნიშანს შეჰყურებსო: ყვითელი, მწვანე, წითელი.

ყველაზე მეტად რომელი ყვავილი უყვარდა და:

ია-იები... ვარდის ფურცლები თეთრი, წითლები... და აყვავებული ტყემლები აპრილის ქუთაისში!

საყვარელ გმირებად ვის მიიჩნევდა რეალურ ცხოვრებაში და:

მაჰათმა განდის... ტიბეტის დღევანდელ სულიერ ლიდერს, დევნილს.

საყვარელ გმირ ქალებად ვის მიიჩნევდა ისტორიაში და:

ქეთევან წამებულს, კლეოპატრასა და ჟანა დ' არკს.

ყველაზე მეტად რას ვერ იტანდა და:

მართალ ტყუილს.

საომარ მოქმედებად, ღირსად მეტ-ნაკლები აღტაცებისა რას მიიჩნევდა და:

მტერს რომ კუდით ქვას ასროლინებდნენ. ისე კი ომი მისთვის აღტაცების საგანი არ გახლდათ, და არც უნდა ყოფილიყო!

რეფორმა, რომელსაც განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას ანიჭებდა, რომელი იყო და:

სიკვდილით დასჯის აკრძალვა, ბატონყმობის, ჯერ მონობის გაუქმება, კომუნიზმის ილუზიების გაქრობა...

ნიჭი, რომლის ფლობაც სურდა, რა იყო და:

რომელსაც კიდეც ფლობდა, რომელიც მიენიჭებინა მისთვის ბუნებას, თუგინდ განგებას. სიმღერის ნიჭი რომ არ დაჰყოლოდა, ამაზე ქე წყდებოდა ცოტა გული.

მისი სულიერი მდგომარეობა ამჟამად როგორი იყო და:

დასაშვების ნორმებში.

ქმედებანი, მის შემწყნარებლობას რომ იმსახურებდნენ, რომლები იყო და:

სიბრიყვე, რომელიც თავის გამოჩენასა და თავის მოსულელებას უკავშირდებოდა.

თავის დევიზად რა მიაჩნდა და:

ვიყოთ ერხანს!

თუკი ოდესმე შეხვდებოდა ღმერთს, რას ისურვებდა უფალს მისთვის რომ ეთქვა და:

ცოცხლები მიწიერ ღმერთს არ ხვდებოდნენ, პირისპირ დგომის ხანა, ყოველშემთხვევაში ჯერჯერობით, მგონი არ დამდგარიყო.

ღმერთი ერთი გახლდათ!

უფალიც...

და ჩვენთან იმყოფებოდა...

და სხვაგვარად როგორ დააგვირგვინებდა ამ პასაჟსაც და კითხვარსაც, თუ არა ლოცვის საბოლოო აკორდით:

ამინ!

რა კარგია, რომ არ დაიზარებდა პასუხების ჩამოწერას.

არც უმნიშვნელოდ მიიჩნევდა.

არც მის ფსიქოლოგიურ ტესტობას შეუკრთებოდა.

ჯერ ისედაც, და მითუმეტეს ამ წამოწყების სათავეში – ქართულ სინამდვილეში ცხადია – თვით აკაკი წერეთელი რომ ეგულებოდა.

* * *

– ვიყოთ ერხანს!..

და ასეც იქნებდა, ვიდრე ჩავიდოდა, ჩაქანდებოდა მზე.

ხოლო დრო... დრო კი... დრო კვლავაც სილის უსასრულო ძაბრში გააგრძელებდა ტრიალს...

ეპილოგი

თუ რაიმე არა შორდებოდა რეზო ჭეიშვილის ცნობიერებას — მოწამეთა.

ნეტა სხვებსაც თუ ახსოვდათ მის წიაღში მობორიალე ლანდები დავით და კონსტანტინე მხეიძეებისა და... წყალწითელას სანაპიროს შეშისფერ კლდეებზე გადაყვითლებული ასკილები?

რა გახლდათ მოწამეთა მისთვის და:

უპირველესად მაინც დაუბრუნებელი წლების სინანული.

გარღვეულ კლდეში მოედინებოდა წყალწითელა მორკალული კალაპოტით. ხავსისფერი ედებოდა და გუბდებოდა შენს თვალებში წყალი გადაშუადღებულს: ნელა ბრუნდებოდა ნახევარკუნძული ჩამავალი მზისაკენ და მიდიოდა კლდის ხომალდი მონასტრით, ცაცხვებით, დღეებით...

* * *

ბევრ უჩვეულობას მიჩვეოდა ელგუჯა თავბერიძე რეზო ჭეიშვილისას, მაგრამ სექტემბრის იმ მზიან დღეს ერთი-ორი გარემოება მაინც მოხვდებოდა თვალში.

ჯერ ერთი:

ნამეტანი ბიჭურად ამოეჩაჩა პერანგი.

და მერე კიდევ:

იქეთ-იქით არც გაიხედავდა, ის აივლიდა სტამბის კიბეს.

მიხვდებოდა ელგუჯა: სადღაც მიიჩქარისო, — ცოტა დაყოვნდებოდა და მეორე მხრიდან შემოეგებებოდა.

— ვაჟაევიჩ, შენ გეძებდი, — გამარჯობის თქმამდე მიაძახებდა თავისი ჩახრინწული ხმით.

— ხომ მშვიდობაა, — კაბინეტისაკენ მიუთითებდა მასპინძელი.

— ჯერჯერობით სიმშვიდეა, მერე ვნახოთ.

ახლაღა უნდა გაეცვალათ სალამ-ქალამი.

— რას გულისხმობთ?

— შენიდან დინჯ გურულთან გადავალ, მაი არაფერს იკისრებს, მარა პენსია ავიღე და ამჯერზე შენ დაუხმარებლად.

დინჯი გურული სხვა ვინ შეიძლება ყოფილიყო, თუ არა გიზო თავაძე.

— მარინა სადაა?! — ჰკითხავდა ელგუჯა მეუღლეზე, ურომლისოდაც ბოლო თვეებში რეზო აღარსად დადიოდა.

— მომიყვანა და წავიდა.

— გიზოს გაბარებს, — გაეცინებოდა ელგუჯას.

— არა, მასე ადვილად რას მოიშორებ, მომაკითხავს, — მისებურად ჩაიღიმილებდა, სავარძელში მოიკალათებდა და ელგუჯასავე გამოცემულ „სამ რომანს“ დაანახვებდა მასპინძელს.

— ეს რაა? — გაუკვირდებოდა ელგუჯას.

— შენს თანამშრომელ ქალბატონს მოვუტანე საჩუქრად, — თავს დახრიდა.

— რომელს? — დაინტერესდებოდა ელგუჯა, — ჩემებს ეს წიგნი ყველას ექნება.

— არა, გუშინ მთხოვა და მოვუტანე.

— ალბათ სხვისთვის, თორემ, მახსოვს, გამოცემისთანავე დავურიგე ყველას.

— არა, არა მაქვსო.

— რომელმა? — დაინტერესდებოდა ელგუჯა, — რომელმა, ბატონო რეზო?

წინა დღით რეზოს ნოველას — „ქერეოგრაფი მესხორიძე“ — გადაგზავნიდა საკონკურსოდ, კაიხანსაც იმუსაიფებდნენ, მერე რეზო სტამბის საამქროებსაც ჩამოივლიდა და... ეტყობა მაშინ ეთხოვა ვიღაცას ეს წიგნი.

— ლამაზი ქალია, გუშინ აქ რომ ვიყავი, ძალიან შემეხვეწა.

სახელი არ ეკითხა და აბა როგორ გაიხსენებდა. ამიტომაც ელგუჯა მასთან ერთად ჩამოივლიდა თანამშრომლებს, მაგრამ...

— ეს არაა... ის არაა... არც ის...

ბოლოს ბუღალტრებსაც მოინახულებდნენ, კორექტორებსაც, დამკაბადონებლებსაც, ოპერატორებსაც... არცერთი არ აღმოჩნდებოდა... და აი კომპიუტერული ცენტრის ოპერატორს თეა კაკაბაძეს უნდა ეთქვა ელგუჯასათვის:

— გუშინ ბატონი რეზო ხონის გაზეთის, „თანადგომის“, თანამშრომელს რუსუდან სანაძეს ესაუბრებოდა და... მას ხომ არ შეპირდა?!.

თურმე მართლაც იმას შეპირებოდა. და რეზო იქვე, კომპიუტერულ ცენტრშივე დაჯდებოდა წარწერის გასაკეთებლად. კაიხანს იწვალებდა, ხელს ვერა და ვერ დაიმორჩილებდა, დაიწყებდა ასოს მოხაზვას და... აუკანკალდებოდა. შეჩერდებოდა. ელგუჯა თავზე ედგომებოდა. ის ამოხედავდა და:

— შენ კიდე მაჯინდები, მოთხრობები დაწერეო.

— ყოველთვის ასე ხომ არ გაწუხებთ ხელი, ბატონო რეზო, — გამხნევებას შეეცდებოდა მასპინძელი.

— თვითმკურნალობისას ან დალეულს არა, მარა მთვრალი „მგელღორიანს“ ვერ დავწერ.

— ეცადეთ, ეცადეთ და დაწერთ, — ელგუჯა რას მოეშვებოდა.

ბოლო ხანს კვლავ ის თემა უტრიალებდა გონებაში, კარგა ხანია რომ აწვალებდა: გივი კვერენჩხილაძეზე აპირებდა მოთხრობის დაწერას, საქართველოდან ნახშირით დატვირთულ გემს რომ გაჰყვებოდა უცხოეთში და ასე გაიპარებოდა. სახელწოდებად — თავიდან გრძელ სათაურს რომ ამჯობინებდა — ამჯერად უკვე „მგელღორიანი“ გადაეწყვიტა.

დაიწყე და დაიწყეო, — არ ეშვებოდა ელგუჯა, და რეზო ერთხანს გაებუტებოდა კიდეც: დავწერ, აბა რას ვიზამ, ვისი რა თქმა მჭირდებაო...

მაგრამ... ველარ დაწერდა, ველარ მოასწრებდა, არც ჯანმრთელობა შეუწყობდა ხელს, თუმც შინაგან დაღლილობას უფრო გრძნობდა.. ის ჯავარი აღარ მოსდევდა, ის ენერგია აღარ აღანთებდა... ხელის კანკალიც რომ არ დაანებებდა და არა. და ახლა სამახსოვრო წარწერასაც ძლივძლიობით თუ მოახლაფორთებდა:

— სახსოვრად ქალბატონ რუსუდანს, რ. ჭეიშვილი.

გადაცემაც ველარ მოხერხდებოდა ადრესატისათვის და... ეს წიგნი ამიტომაც დარჩებოდა რეზოსავე სახლში.

ელგუჯას ეს წარწერა ისე აფორიაქებდა.

თითოს ისეთიც რა წერია, არა?

მაგრამ ისე მოხდებოდა, რომ:

ეს მოკლე მიძღვნა უნდა ყოფილიყო რეზო ჭეიშვილის მიერ დაწერილი უკანასკნელი სიტყვები.

— გიზოსთან ხომ არ წამოხვალ? — დაეკითხებოდა ფეხზე წამომდგარი.

— ხომ იცით, არ ვსვამ, ბატონო რეზო.

— არც მე ვსვამ, — ჩაიცინებდა.

— მე მართლა ვერ ვსვამ, — გაუმეორებდა მასპინძელი.

— დინჯი გურულის ხელში მტოვებ ხომ? — სახე გაებადრებოდა და წავიდოდა.

დაუბრუნებელი წლების სინანულად მიედინებოდა წყალწითელა გარღვეულ კლდეში — მორკალული კალაპოტით.

ნელა ბრუნდებოდა ნახევარკუნძული ჩამავალი მზისაკენ და:

მიდიოდა კლდის ხომალდი მონასტრით, ცაცხვებით, დღეებით...

* * *

ლუდის ბარში ჩამოჯდებოდა გიზო თავაძესთან ერთად.

შეუკვეთავდნენ: ორ კათხა ლუდს, ორაგულს, მჭადს, სულგუნს, ბოსტნეულის სალათას, კიტრის წნილს.

რეზო პატარა ბოთლით თაფლის არაყსაც მოითხოვდა.

გაიხსენებდა ზურაბ ნემსაძესა და ზურაბ კუხიანიძეს, გივი ძნელაძესა და გივი კვერენჩხილაძეს.

ლუდი გამოელეოდათ და გიზო მიმტანს მოიხმობდა.

— იცი ეს კაცი ვინ არის?

ფაშფაშა ახალგაზრდა ქალი წამოწითლდებოდა, უხერხულად დატრიალდებოდა და... წაეშველებოდა გიზო:

— დიდი მწერალი რეზო ჭეიშვილია თქვენი სტუმარი!..

— ჰო, რეზო ჭეიშვილი, — იტკიცავდა ფაფუკ ლოყაზე ხელს, მოეხვეოდა და აკოცებდა მწერალს.

კიდევ ორ კათხას მოატანინებდნენ.

მეორე კათხას ოდნავ მონრუპავდა რეზო და მასაც გვერდზე გასწევდა. და გიზო ყურადღებას მიაქცევდა, რომ... ადრე ასე არა შვებოდა.

— შოთა ჩანტლაძეც ჩემი ძმაკაცი იყო, დღეს ბევრი იბრალებს მასთან ახლობლობას, უნიჭიერესმა და ინტელექტუალმა ვერ იხეირა...

კარგა ხანს იყუჩებდა, არყის ბოთლს მიაპყრობდა თვალს.

„ვითომ ნატურალური იქნება?“

— იორამი, მუხრანი, ჯურხა... — გაიხსენებდა ქემერტელიძეს, მაჭავარიანსა და ნადირაძეს, და გიზო ამასაც მიაქცევდა ყურადღებას, რომ... არცერთ ცოცხალ ახლობელს არ ახსენებდა.

— ჩვენს შვილებს გაუმარჯოს! — შეეცდებოდა გეზის შეცვლას, მაგრამ რეზო კვლავინდებურად:

— ილო რომ იყო, ფოტოგრაფი, ხახიაშვილი, შენ რომ წიგნი გამოეცი მასზე, ვითომ ხომ არაფერი, მაგრამ ძალიან გონიერი იყო, თავისებური, როგორც „მარკოზიჩი“, რა ლექსი დაუწერა ზურაბ კუიანიძემ მარკოზიჩს, მარტო მაგიტომ ღირს სიკვდილი, „არსენას ლექსის“ ტოლფასია, კარგია.

თუ ვინმესთვის, მარკოზიჩისათვის ანუ ოთარ მამფორიასათვის ემეტებოდა პანეგირიკული სტრიქონები.

— ხვალ ბოტანიკურ ბაღში ამირანი გვეპატიჟება, — გიზო ისევ შეეცდებოდა სვლა-გეზის შეცვლას.

— მერე წავიდეთ...

ოთარ კახიანი როკითში რომ ეპატიჟებოდათ, იქ წასვლაზეც ყაბულს იქნებოდა.

ამასობაში სამი საათიც გაილეოდა.

— ხომ არ შევემზადოთ? — საათს დახედავდა გიზო.

— ამით, — ის კათხას ასწევდა, — ყველა ჩვენი ძმაკაცის ხსოვნა იყოს!.. — და დალევით კი აღარ დალევდა, ტუჩმიუკარებლად დადგამდა.

შინ რომ მიიყვანდა, რეზოს გამომშვიდობება გაუძნელდებოდა და შესთავაზებდა, დუქანში ჩასულიყვნენ, იქვე, ასიოდ მეტრში.

ეს მოუბოდიშებდა და ეტყოდა, რომ ხვალ დილით გაუვლიდა და ბოტანიკურ ბაღში გავიდოდნენ.

ჭიშკარში მდგარი ჩარჩებოდა ხსოვნაში რეზო ჭეიშვილი,

ქუდს რომ მოუხდიდა

და

მარჯვენას შემართავდა.

მეორე დილით 11 სექტემბერი უნდა გათენებულიყო...

ის დღე კი უნდა გათენებულიყო, მაგრამ...

* * *

— რას აკეთებთ ქალბატონო? — ჰკითხავდა გურამი, ვიდრე თალხკაბიანი ქალი საყურეს გაიკეთებდა და ხელსაწყოს ჩართავდა ხელახლა.

— მოხეტიალე დენს ვეძებ, ბატონო! — ამოიოხრებდა ქალი.

— რატომ ეძებთ, ქალბატონო?

— არ ვიცი, ბატონო, სამსახური მაქვს ასეთი თვარა, შვილი დავაწვინე გუშინ ფსიქონერვულ საავადმყოფოში და აქ რა მომიყვანდა.

კაბინეტში დაწვებოდა გურამი.

ჯერ წვიმა დაიწყებოდა, შემდეგ ქარიც ამოვარდებოდა, ქარიშხალი შემოუბერავდა და ფანჯრებს მოაწვებოდა.

ჩაეძინებოდა და ძილღვიძილში გაიგონებდა რკინებზე ჯაჯგურის ხმასა და ძახილს. ვიღაც ვიღაცას შველას სთხოვდა; ქარწვიმაში დარჩენილი მგზავრი გამკითხავს უხმობდა.

რკინის უზარმაზარ ჭიშკარზე ხათქახუთქით ეხლებოდა ჯაჭვი ჯაჭვს, რკინა — რკინას.

მწუხარე ქალი მოხეტიალე დენს ეძებდა.

თენდებოდა. იდარებდა. აღარა წვიმდა. ანათებდა მზე. ხმაურით იღვიძებდა ქალაქი და მისი ხმა ამოდიოდა არსენალის მთაზე.

2018
ივლისი-სექტემბერი
2019
მარტი-აპრილი



შინაარსი

მიმართვა მკითხველსაც და არამკითხველსაც 3

კარი პირველი

თავი პირველი
საფლავი, კვამლი, ზეცის თავანი
(რეზო ჭეიშვილის სატირულ-გროტესკული სამყაროს ანარეკლები) 6

თავი მეორე
ყვავილთცვენის სიზმარი და ცხადი
(დაუწერელი დღიურის ფურცლებიდან) 29

კარი მეორე

თავი პირველი
ნიშები წიგნის საუფლოში
(პირველნაკადად გადანახულეთში, ანდა პირიქით) 37

თავი მეორე
მაინც რამდენ დარტყმას უძლებს ადამიანი? 80

თავი მესამე
„დალის გასამართლება" 104

თავი მეოთხე
„დიდოსტატი ვარ" 120

კარი მესამე

თავი პირველი
სიცრუის ზეიმი... სიმართლე კულისებში... 137
თავი მეორე
ოცნება ისტორიულ თხზულებაზე 153

კარი მეოთხე

თავი პირველი
ქუთაისის პოეტიკა 176

თავი მეორე
ვინც იყავ მკილი მიწისა და ფიცრისა 195

თავი მესამე
„ეს ჩემი საუკეთესო წიგნი იქნება“ 214

კარი მეხუთე

თავი პირველი
მკითხველის ამპლუაში 240

თავი მეორე
ტაშფანდურის რესპუბლიკა 261

თავი მესამე
შეიძლება სულაც მე ვდგავარ ახალ გზაზე 281

თავი მეოთხე
ნამდვილი სატირა: სატირალიც და სასაცილოც 295

კარი მეექვსე

თავი პირველი
გადაუშლელი რომანები 314

თავი მეორე
„ადამიანის ამოცნობა არ მეშლება“ 356

თავი მესამე
„ყველა ჩემი ნაწარმოები დაუმთავრებელია“ 401

კარი მეშვიდე

თავი პირველი
არსაიდან არსაითში 439

თავი მეორე
„გიორგი მერჩულე" და ცხენიანი კაცი 458

თავი მესამე
ლეონიძეთა კვალზე: ოფშკვითიდან პატარძეულამდე...
ანდა პირიქით 469

თავი მეოთხე
ხანმოკლე ეფემერა 480

თავი მეხუთე
გზა ზიგზაგური ნოდარ დუმბაძისა 495

კარი მერვე

თავი პირველი
როლი სცენაზე, როლი ცხოვრებაში 523

თავი მეორე
ეს უმადური ხელობა 549

თავი მესამე
ტრიუმფი „ცისფერი მთებისა" 571

თავი მეოთხე
ლანდები — მისი კალმის მომლოდინენი 596

თავი მეხუთე
მოჯადოებული წრე 614

კარი მეცხრე

თავი პირველი
1992 წელი 643

თავი მეორე
1993 წელი 680

თავი მესამე
1994 წელი 716

თავი მეოთხე
1995 წელი 732

თავი მეხუთე
1996 წელი 758

თავი მეექვსე
1997 წელი 785

თავი მეშვიდე
1998 წელი 792

თავი მერვე
1999 წელი 813

თავი მეცხრე
2000 წელი 824

კარი მეათე

თავი პირველი
2001 წელი 840

თავი მეორე
2002 წელი 857

თავი მესამე
2003 წელი 866

თავი მეოთხე
2004 წელი 881

თავი მეხუთე
2005 წელი 894

თავი მეექვსე
2006 წელი 912

თავი მეშვიდე
2007 წელი 923

თავი მერვე
2008 წელი 933

თავი მეცხრე
2009 წელი 949

თავი მეათე
2010 წელი 964

ეპილოგი 979

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33.